აგებულია და გამოკვლეულია გასაშუალოებული ადიტიური მოდელები და დისკრეტული სქემები; ამ მოდელებისა და სქემების საშუალებით დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა რედუცირებულია სითბოგამტარებლობის ერთგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნაზე; წარმოდგენილი დისკრეტული სქემები კომპიუტერზე თვლის გაპარალელელების საშუალებას იძლევიან; ადიტიური მოდელები და სქემები გამოკვლეულია როგორც ზოგად ფუნქციონალურ სივრცეში (სობოლევის სივრცეებში), ასე დასმული ამოცანის ამოხსნათა გლუვ კლასებზე; დადგენილია მდგრადობა, კრებადობა; შეფასებულია კრებადობის სიჩქარე (დ. გორდეზიანი).

2	<p>პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე კონსტრუქციების მოდელირება და გაანგარიშება</p> <p>(2013-2015)</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თანადამფინანსებელი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტი)</p>	გიორგი ჯაიანი	<p>გ. ჯაიანი გ. ავალიშვილი მ. ავალიშვილი დ. გორდეზიანი თ. ვაშაყმაძე დ. პატარაია ჯ. როგავა ნ. ჩინჩალაძე</p>
---	--	--	---------------	--

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)
განხილულია დრეკადი ნაწილებისაგან შედგენილი მულტისტრუქტურების სამგანზომილებიანი სტატიკური და დინამიკური მოდელები, როცა ქვესტრუქტურები შედგება ზოგადი არაერთგვარ

როვანი ანიზოტროპული დრეკადი მასალისაგან და წარმოადგენენ სამგანზომილებიან სხეულებს, ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან შედგენილ ფენოვან სხეულს და ცვლადი კვეთის დეროებს. იერარქიული მოდელების ასაგებად განხილულია მულტისტრუქტურები, რომლებიც შედგება სამგანზომილებიანი სხეულისაგან, რომელზეც მიმაგრებულია ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან შემდგარი ფენოვანი სხეული, რომლის პირით ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალა, გვერდით ზედაპირების ნაწილზე შეიძლება მოცემული იყოს ზედაპირული ძალა, დანარჩენი ნაწილი კი იყოს ჩამაგრებული, ხოლო სამგანზომილებიანი სხეულის და ფენოვანი სხეულის გამყოფ ინტერფეისზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორების უწყვეტად გადაბმის პირობები. განხილულია მულტისტრუქტურები, რომლებიც შედგება სამგანზომილებიანი სხეულისაგან, რომელზეც დამაგრებულია ცვლადი კვეთის დეროები, რომელთა გვერდით ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალები, ტორსულ ზედაპირებზე კი შეიძლება მოცემული იყოს ზედაპირული ძალები ან ისინი იყვნენ ჩამაგრებული, ხოლო სამგანზომილებიანი სხეულის და დეროების გამყოფ ინტერფეისზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორების უწყვეტად გადაბმის პირობები. რთული გეომეტრიის მულტისტრუქტურების იერარქიული მოდელების ასაგებად განხილულია დრეკადი კონსტრუქციები, რომლებიც შედგება სამგანზომილებიანი სხეულებისაგან, რომლებზეც მიმაგრებულია ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან შემდგარი ფენოვანი სხეული, რომელიც ეყრდნობა სამგანზომილებიან სხეულზე დამაგრებულ ცვლადი კვეთის დეროებს. ფირფიტების და დეროების ზედაპირებზე მოცემულია ზედაპირული ძალები, სამგანზომილებიანი სხეულის ნაწილზე შეიძლება მოცემული იყოს ზედაპირული ძალა, დანარჩენი ნაწილი კი იყოს ჩამაგრებული, ხოლო სამგანზომილებიანი სხეულის და ფირფიტების, სამგანზომილებიანი სხეულის და დეროების, და ფირფიტების და დეროების გამყოფ ინტერფეისებზე მოცემულია გადაადგილების და ძაბვის ვექტორების უწყვეტად გადაბმის პირობები. საწყისი სამგანზომილებიანი ამოცანისათვის განხილულია ვარიაციული ფორმულირება, რომლის გამოყენებით აგებულია სტატიკური და დინამიკური მოდელების ზოგადი იერარქიები და მათზე დაყრდნობით აგებულია მულტისტრუქტურების იერარქიული მოდელები დიფერენციალური ფორმით. რთული გეომეტრიის მულტისტრუქტურებისათვის აგებული მოდელები, ქვესტრუქტურების გეომეტრიული ფორმის მიხედვით, განსაზღვრულია სხვადასხვა განზომილების მქონე სივრცით არეებზე. კერძოდ, სამგანზომილებიანი სხეულის და ცვლადი სისქის ფირფიტებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებულია სამგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელებს იერარქია; სამგანზომილებიანი სხეულის და ცვლადი კვეთის დეროებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებულია სამგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელებს იერარქია, ხოლო სამგანზომილებიანი სხეულის, ცვლადი სისქის ფირფიტების და ცვლადი კვეთის დეროებისაგან შემდგარი მულტისტრუქტურისათვის აგებულია სამგანზომილებიანი, ორგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი სივრცითი არეების ერთობლიობაზე განსაზღვრულ მოდელებს იერარქია (გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი, დ. გორდეზიანი).

აგებულია იერარქიული მოდელები ლამინირებული პრიზმული გარსებისათვის, როცა ფენები შეიძლება, იყოს წამახვილებული, მათ შორის უკუქცევის წიბოებით და წერტილებით. განხილულია კონკრეტული მაგალითი და ჩატარებულია სიმულაცია კომპიუტერზე (ნ. ჩინჩალაძე, გ. ჯაიანი)

აგებულია გარემოს კონფიგურაციის შესაბამისი არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. განხორციელდა ამ სისტემის აპროქსიმაცია ნაკლებგანზომილებიანი მათემატიკური მოდელებით. რთულმა გეომეტრიამ განაპირობა განსხვავებული განზომილებების თვითშეთანხმებული სასაზღვრო ამოცანების აგების, ინტერფეისის გასწვრივ კორექტული ტრანსმისიის პირობების დასმის აუცილებლობა. სახელდობრ, აგებულ იქნა მყარი დეფორმირებადი არაერთგვაროვანი ანიზოტროპული ცვლადი სისქის პიეზო-ელექტრული და ელექტრო გამტარი, ფოროვანი, ცოცხადი ბინარული ნარევის შემთხვევაში არასტაციონარული თერმოდრეკადი გარემოსათვის არაწრფივ განტოლებათა სისტემა. ამ

სისტემის მთავარი ნაწილიდან უმარტივეს შემთხვევაში იზოტროპული ერთგვაროვანი თხელკედლოვანი სტრუქტურისათვის პარამეტრის შერჩევით მიიღება ცნობილი მოდელები, რომლებიც მექანიკური და გეომეტრიული ხასიათის გამმარტივებელი დაშვებების საფუძველზე, აგებული იყო მრავალ გამოჩენილ მეცნიერთა მიერ; აგებული სისტემის მეორე ნაწილი წარმოადგენს ინტეგრო-დიფერენციალურ ოპერატორს, რომელიც ადრე არ იყო გათვალისწინებული. რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი დრეკადი სტრუქტურისთვის შედგენილია სათვლელი ალგორითმები. კერძოდ, განხილულ იქნა სხვადასხვა მცირე სისქის, ორი მიმართულებით სასრული და/ან უსასრულო ჯვრის ფორმის დრეკადი ფირფიტა და ხუთი მცირე სისქის ცილინდრული სხეულის გაერთიანებისა და თანაკვეთისაგან შექმნილი დრეკადი მულტი-სტრუქტურა (თ. ვაშაყმაძე, დამხმარე პერსონალი: პროგრამისტი ა. პაპუკაშვილი)

დამუშავებულია თეორიული კვლევის შედეგად შერჩეული და პრაქტიკაში გამოყენებადი რთული კონფიგურაციის მქონე სხეულების გასაანგარიშებლად განზოგადებული მიდგომა დისკრეტული მოდელით წარმოდგენის საფუძველზე. სახელდობრ, მომზადდა ღეროს დისკრეტული მოდელის საშუალებით წარმოდგენილი რთული კონფიგურაციის მქონე სხეულების მოდელირებისა და გაანგარიშებისათვის საჭირო მანქანური ალგორითმი და სათვლელი პროგრამა. საფუძვლად აღებულ იქნა ბრტყელი წამახვილებული ფორმის ფიგურა (ნისკარტისებური ფორმისა), რომლის სიხისტის პარამეტრები და მოდებული დატვირთვის სახე და სიდიდე შესაძლებელია მარტივად ვცვალოთ დამუშავებული ალგორითმის საშუალებით. შესრულებულმა სამუშაომ - განზოგადებულმა მიდგომამ, შესაძლებლობა მოგვცა დისკრეტული ღეროების საშუალებით ადვილად ავაგოთ და გამოვიკვლიოთ რთული კონფიგურაციის სხეულების მოდელები (დ. პატარაია, დამხმარე პერსონალი: ინჟინერი გ. ჯავახიშვილი, პროგრამისტი რ. მაისურაძე)

აგებულია რთული გეომეტრიის მქონე ერთგანზომილებიანი მულტი-სტრუქტურებისათვის დრეკად გარემოთა ურთიერთქმედების იერარქიული მოდელის საწყისი მიახლოების შესაბამისი განტოლებათა სისტემის მიახლოებითი ამოსხნის ალგორითმი ვარიაციული და სასრულ სხვაობიანი მეთოდების საფუძველზე. სახელდობრ, განხილულია მართი კუთხით მიბჯენილი ორი ღეროსთვის საკონტაქტო-სასაზღვრო და საკონტაქტო-საწყის-სასაზღვრო ამოცანები. გამოკვლეულია შესაბამისი სქემისთვის აპროქსიმაციის, მდგრადობის და კრებადობის საკითხები; ჩატარებულია სიმულაციები კომპიუტერზე (ჯ. როგავა, ნ. ჩინჩალაძე, გ. ჯაიანი, მაგისტრანტები: გ. დანელია, გ. კობერიძე, თ. მხეიძე).

ჩატარებულია კომპიუტერზე სიმულაცია პირველ ამოცანაში აგებული ორფენოვანი ლამინირებული პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვანი მიახლოებისათვის (ნ. ჩინჩალაძე, გ. ჯაიანი).

თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტისათვის ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები (თ. ვაშაყმაძე, დამხმარე პერსონალი: პროგრამისტი ა. პაპუკაშვილი).

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი ჯაიანი	Hierarchical Models for Prismatic Shells with Mixed Conditions on Face Surfaces / Bull. TICMI	ტომი 17, #2, 2013	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	20
ანოტაცია					
<p>სტატიაში დრეკადი პრიზმული გარსებისათვის აგებულია იერარქიული მოდელები, როცა: ა) პირით ზედაპირებზე მოცემულია გარსის პროექციისადმი ძაბვის ვექტორის ნორმალური და გადაადგილების ვექტორის პარალელური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მესამე სასახლვრო პირობები); ბ) პირით ზედაპირებზე მოცემულია ძაბვის ვექტორის გარსის პროექციისადმი პარალელური და გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მეოთხე სასახლვრო პირობები); გ) ზედა პირით ზედაპირზე მოცემულია მესამე, ხოლო ქვედაზე – მეოთხე სასახლვრო პირობები; დ) ზედა ზედაპირზე მოცემულია ძაბვის, ხოლო ქვედაზე – გადაადგილების ვექტორის კომპონენტები.</p>					
2	გიორგი ჯაიანი	On a Model of Layered Prismatic Shells / Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics	ტომი 63, 2013	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
ანოტაცია					
<p>ი. ვეკუას რედუქციის მეთოდის გამოყენებით აგებულია ერთი მოდელი ფენოვანი (ლაბინირებული) პრიზმული გარსებისათვის (სხეულებისათვის). ყოველი ფენისათვის ცალცალკე აგებულია იერარქიული მოდელები, როცა ფენოვანი სხეულის პირით ზედაპირებზე მოცემულია ძაბვები, ხოლო ფენებს შორის ინტერფეისზე ძაბვის და გადაადგილების ვექტორის კომპონენტები გამოთვლილია მათი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებიდან, ამასთან წინა ფენისთვის მიღებული შედეგი გარკვეული აზრით ინტერფეისზე გამოყენებულია მომდევნო ფენისათვის.</p>					

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	------------------------------------	--------------------------	-------------------	---------------------

		დასახელება		გამომცემლობა	
1	გიორგი ჯაიანი	Differential hierarchical models for elastic prismatic shells with microtemperatures/ Z. Angew. Math. Mech.	DOI 10.1002/zamm.201300016 (2013)	John Wiley & Sons, Ltd UK	14
ანოტაცია					
სტატია ეძღვნება დიფერენციალური იერარქიული მოდელების აგებას ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის მიკროტემპერატურით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული წამახვილებულ პრიზმულ გარსებზე.					
2	ნატალია ჩინხალაძე	Harmonic vibration of cusped plates in the N-th approximation of Vekua's hierarchical models/ Archives of Mechanics	Vol. 65, Issue 5, 2013, pp. 345-365	IPPT PAN	21
ანოტაცია					
ი. ვეკუას იერარქიული მოდელების N-ურ მიახლოებაში შესწავლილია დრეკადი წამახვილებული სიმეტრიული პრიზმული გარსების რხევის ამოცანა. დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის თეორემები.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი ჯაიანი	პრიზმული გარსების იერარქიული მოდელები შერეული პირობებით პირით ზედაპირებზე	პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 22–26 იანვარი, 2013, თბილისი
მოხსენების ანოტაცია			
<p>ი. ვეკუამ ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, კერძოდ, ფირფიტებისათვის, ააგო იერარქიული მოდელები, როდესაც პირით ზედაპირებზე ცნობილია ან ძაბვები (მოდელი I) ან გადაადგილებები (მოდელი II). წინამდებარე ნაშრომში აგებული და გაანალიზებულია იერარქიული მოდელები, საზოგადოდ, წამახვილებული დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, როდესაც პირით ზედაპირებზე (i) ცნობილია ძაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და გადაადგილებების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი III), (ii) ცნობილია გადაადგილებების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და ძაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი IV). V და VI მოდელს, შესაბამისად, ვუწოდებთ იმ იერარქიულ მოდელებს, როდესაც ერთ პირით ზედაპირზე ცნობილია (i) პირობები, ხოლო მეორეზე - (ii) პირობები. გარდა ამისა, ვაგებთ ისეთ იერარქიულ მოდელებს, როდესაც ზედა პირით ზედაპირზე ცნობილია ძაბვის ვექტორი, ხოლო ქვედაზე - გადაადგილებები (მოდელი VII) და პირიქით (მოდელი VIII). განსახილველი მოდელების ნულოვან მიახლოებაში გამოკვლეულია წამახვილებულ ნაპირზე წამახვილების გეომეტრიაზე</p>			

დამოკიდებულებით სასაზღვრო პირობების კორექტულად დასმის თავისებურებები. კონკრეტულ შემთხვევებში, ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით.

2	გიორგი ჯაიანი	I. Vekua Institute of Applied Mathematics of TSU – 45	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
---	---------------	---	---

მოხსენების ანოტაცია

მოხსენება ეძღვნა თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 45 წლის ისტორიას. ინსტიტუტი დაარსდა 1968 წლის 29 ოქტომბერს ქართველი აკადემიკოს ილია ვეკუას მიერ. ინსტიტუტის უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა გამოყენებითი მათემატიკის აქტუალური პრობლემების კვლევა, სასწავლო პროცესისა და კვლევითი მუშაობის ინტეგრაციის მიზნით კვლევით სამუშაოებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ჩართვა, მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა უნივერსიტეტის არამათემატიკურ სამეცნიერო დარგებშიც. 1978 წელს ინსტიტუტს მიენიჭა მისი დამაარსებლის ილია ვეკუას სახელი. დღეისათვის, ინსტიტუტი წარმატებით აგრძელებს და აწვითარებს შემდეგ ოთხ სამეცნიერო მიმართულებას, რომელთაც ბიძგი მისცა მისმა დამაარსებელმა: უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია; ალბათობის თეორია და სტატისტიკა. ინსტიტუტი, რომელმაც თავისი ტრადიციებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ დასაქმების სხვადასხვა ფორმების გამოჩახვით და თსუ-ს ხელმძღვანელობის ხელშეწყობით შეინარჩუნა თავისი ძირითადი სამეცნიერო კონტიგენტი და ამჟამადაც ავსებს მას ახალგაზრდა კადრებით, თავის მისიად თვლის:

- ახორციელებდეს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს გამოყენებით მათემატიკაში, მათემატიკურ და ტექნიკურ მექანიკაში, ინდუსტრიულ მათემატიკასა და ინფორმატიკაში, გარდა ამისა, ეწეოდეს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით;
- წარმოადგენდეს საუნივერსიტეტო ბაზას (მძლავრი კომპიუტერული უზრუნველყოფით) არა მარტო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, არამედ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, სამედიცინო მეცნიერებათა ფაკულტეტებისათვისაც, უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ კვლევის საწარმოებლად მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ინსტიტუტის პროფილის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებას, მათ ჩართვას სამეცნიერო გრანტებში და მონაწილეობას როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ფარგლებში, ინსტიტუტისთვის არაპროფილური მიმართულებებით ხელი შეუწყოს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მომზადებისას მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- ინსტიტუტში მისი ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მომზადების და შემდგომში ინსტიტუტში მათი დასაქმების უზრუნველყოფას;
- სტუდენტთა ლაბორატორიული სამუშაოების და საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა

სახის პრაქტიკის (საწარმოო და სხვ.) ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარების უზრუნველყოფას.			
3	გიორგი ჯაიანი	Cusped Shells, Plates, and Bars	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში მიმოხილულია წამახვილებულ გარსებში, ფირფიტებში და ღეროებში მიღებული შედეგები, მათ შორის მომხსენებლის, უახლოესი შედეგების ჩათვლით.</p>			
4	გიორგი ჯაიანი	Hierarchical models for laminated prismatic shells	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუას რედუქციის მეთოდის გამოყენებით აგებულია ერთი მოდელი პრიზმული გარსებისათვის. ყოველი ფენისათვის ცალ-ცალკე აგებულია იერარქიული მოდელები, როცა ფენოვანი სხეულის პირით ზედაპირებზე მოცემულია ძაბვები, ხოლო ფენებს შორის ინტერფეისზე ძაბვის და გადაადგილების ვექტორის კომპონენტები გამოთვლილია მათი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივებიდან, ამასთან წინა ფენისთვის მიღებული შედეგი გარკვეული აზრით გამოყენებულია მომდევნო ფენისათვის.</p>			
5	ნატალია ჩინჩალაძე	წამახვილებული ფირფიტების ჰარმონიული რხევის ამოცანა ი. ვეკუას იერარქიული მოდელების N-ურ მიახლოებაში	პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 22–26 იანვარი, 2013, თბილისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუას იერარქიული მოდელების N-ურ მიახლოებაში შესწავლილია დრეკადი წამახვილებული სიმეტრიული პრიზმული გარსების რხევის ამოცანა.</p>			
6	ნატალია ჩინჩალაძე	იერარქიული მოდელები ცვლადი სისქის პრიზმული გარსის ფორმის მქონე ბიოფირისათვის	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVII გაფართოებული სხდომები 22-24 აპრილი, 2013, თბილისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ცვლადი სისქის მქონე ბიოფირისთვის აგებულია იერარქიული მოდელები.</p>			
7	ნატალია ჩინჩალაძე	Hierarchical models for biofilms occupying thin prismatic domains with a variable thickness	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე

			პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ერთი ამოცანა თხელი ცვლადი სისქის ბიოფირის იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში</p>			
8	ნატალია ჩინალაძე	ზოგიერთი რიცხვითი შედეგი ლამინირებული პრიზმული გარსების იერარქიული მოდელების ნულოვანი მიახლოებისათვის	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8- 10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ლამინირებული პრიზმული გარსებისათვის, როცა ფენები შეიძლება იყოს წამახვილებული, ჩატარებულია სიმულაციები კომპიუტერზე.</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი ჯაიანი	On Hierarchical Models for Cusped Elastic Prismatic Shells	ICCS17, 17-21 June 2013 Faculty of Engineering University of Porto, Porto. Portugal
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დრეკადი პრიზმული გარსებისათვის აგებულია იერარქიული მოდელები, როცა: ა) პირით ზედაპირებზე მოცემულია გარსის პროექციისადმი დაბვის ვექტორის ნორმალური და გადაადგილების ვექტორის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მესამე სასაზღვრო პირობები); ბ) პირით ზედაპირებზე მოცემულია დაბვის ვექტორის გარსის პროექციისადმი პარალელური და გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მეოთხე სასაზღვრო პირობები); გ) ზედა პირით ზედაპირზე მოცემულია მესამე, ხოლო ქვედაზე – მეოთხე სასაზღვრო პირობები; დ) ზედა ზედაპირზე მოცემულია დაბვის, ხოლო ქვედაზე – გადაადგილების ვექტორის კომპონენტები.</p>			
2	გიორგი ჯაიანი	Some hierarchical models for cusped elastic prismatic shells (მოსხენება გაკეთდა ტელეხილით)	AMiTaNS'13, 24-29 June, 2013, Albena Bulgaria
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუამ ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, კერძოდ, ფირფიტებისათვის, ააგო იერარქიული მოდელები, როდესაც პირით ზედაპირებზე ცნობილია ან დაბვის (მოდელი I) ან გადაადგილებები (მოდელი II). წინამდებარე ნაშრომში აგებული და გაანალიზებულია იერარქიული მოდელები, საზოგადოდ, წამახვილებული დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, როდესაც პირით ზედაპირებზე (i) ცნობილია დაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და გადაადგილების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი III), (ii) ცნობილია გადაადგილების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და დაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი IV). V და VI მოდელებს,</p>			

<p>შესაბამისად, ვუწოდებთ იმ იერარქიულ მოდელებს, როდესაც ერთ პირით ზედაპირზე ცნობილია (i) პირობები, ხოლო მეორეზე - (ii) პირობები. გარდა ამისა, ვაგებთ ისეთ იერარქიულ მოდელებს, როდესაც ზედა პირით ზედაპირზე ცნობილია ძაბვის ვექტორი, ხოლო ქვედაზე - გადაადგილებები (მოდელი VII) და პირიქით (მოდელი VIII). განსახილველი მოდელების ნულოვან მიახლოებაში გამოკვლეულია წამახვილებულ ნაპირზე წამახვილების გეომეტრიაზე დამოკიდებულებით სასაზღვრო პირობების კორექტულად დასმის თავისებურებები. კონკრეტულ შემთხვევებში, ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით.</p>			
3	გიორგი ჯაიანი	Elastic cusped rod, plate, prismatic and standard shell models	Aidaa 2013, Naples, Italy, 9-12 September 2013
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენება ეძღვნება წამახვილებულ კირსპოფ-ლიავის ფირფიტებს, წამახვილებულ ელფერ-ბერნულის დეროებს, იერარქიულ მოდელებს წამახვილებულ პრიზმულ გარსებსა და დეროებისთვის, რთული გეომეტრიის სტრუქტურებს. გაკეთებულია დასკვნები და გამოთქმულია მოსაზრებები ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივების თაობაზე.</p>			
4	ნატალია ჩინჩალაძე	On some analytical methods for calculating cusped prismatic shells	ISAAC-is me-9 saerTaSoriso konferenciaz, krakovi, poloneTi, 2013 wlis 5-9 agvisto
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუამ ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, კერძოდ, ფირფიტებისათვის, ააგო იერარქიული მოდელები, როდესაც პირით ზედაპირზე ცნობილია გადაადგილებები (მოდელი II). მოსხენებაში განხილული იყო წამახვილებული პრიზმული გარსის რხევის ამოცანები მეორე მოდელის ნულოვანი მიახლოებისათვის.</p>			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	გარსული ტიპის წამახვილებული სტრუქტურები სხვადასხვა ველების ზემოქმედების პირობებში	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი ნ. ჩინჩალაძე
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
	<p>2013 წლის ეტაპზე:</p> <p>ა) მომენტური დრეკადობის თეორიის საფუძველზე პრიზმული გარსების შემთხვევაში აგებულ და განხილულ იქნა იერარქიული მოდელები დაბალი რიგის მიახლოებისათვის (გ. ჯაიანი)</p> <p>ბ) განხილილია ბიოფირის რხევის ბრტყელი ამოცანა ოზენის მიახლოებაში (ნ. ჩინჩალაძე)</p>		

**გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების
ლაბორატორია**

- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. ხიმურ რუხაია
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა. ხიმურ რუხაია; ლალი ტიბუა

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება ურანგო ტერმებზე და მათ მიმდევრობებზე აღწერის ოპერატორებით	შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თემურ კუცია	თემურ კუცია თემურ ჯანგველაძე ხიმურ რუხაია ლალი ტიბუა ბესიკ დუნდუა გელა ჭანკვეტაძე გვანცა მიქანაძე სოფო ფხაკაძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

II პერიოდი (7-12 თვე; 20.09.2012 - 20.03.2013)

დავადგინეთ საკმარისი პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თარგის ტერმთან შეთანადების ალგორითმი, რათა აღრიცხვა კონფლუენტური იყოს.

მარტივი ტიპები (simple types) განვაზოგადეთ ვარსკვლავიანი ტიპების (star types) შემოტანით და დავამტკიცეთ მიღებული აღრიცხვის ნორმალიზაციის (ანუ გაჩერების) თვისება.

პირველი წლის ამოცანები შესრულებულია. დამატებით, გადაჭრილია ქვეპრობლემები, რომლებიც პრველი წლის ამოცანების პროცესში წარმოიშვა.

ალგორითმების ჩამოყალიბებას თან სდევს მათი იმპლემენტაცია და ექსპერტირება სისტემა PpLog-ის ჩარჩოში.

III პერიოდი (13-18 თვე; 20.03.2013 - 20.09.2013)

ამ ეტაპისათვის ჩვენ განვიხილეთ შეზღუდვები, რომლებიც არიან განტოლებები ჰეჯებისა და კონტექსტების მიმართ.

განტოლებებში დასაშვებია ბურბაკის აღმწერი τ ოპერატორი და შემდეგი ტიპის ცვლადები: ინდივიდუალური ცვლადები ტერმებისათვის, ჰეჯე ცვლადი-თერმების მიმდევრობებისათვის, კონტექსტ

ცვლადი-კონტექსტებისათვის და ფუნქციონალური ცვლადი-ფუნქციონალური სიმბოლოებისათვის. ჩვენ შევქმენით ალგორითმი, რომელიც ამარტივებს განტოლებებს, გამოაქვს წარუმატებლობა შემდგომ დაგვარად ნაადრევად თუ განტოლებათა სისტემა წარუმატებელია და აბრუნებს განტოლებათა სისტემას ნაწილობრივ ამოხსნილ ფორმაში. ეს ალგორითმი არის კორექტული და გაჩერებადი. ალგორითმების ჩამოყალიბებს თან სდევს მათი იმპლემენტაცია და ექსპერიმენტირება.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

2) უცხოეთში

- დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Kh. Rukhaia; L. Tibua	An Algorithm of the Classification of Unranked Propositional logic Programming; Bulletin of Taras Shevchenko National University of Kiev; series Physics and mathematics	№1, 2013	Taras Shevchenko National University of Kiev	113-115

ანოტაცია

მოცემულ სტატიაში ურანგო წინადადებათა ლოგიკის ფორმულები განიხილება როგორც ალგორითმული პროცესები. ჩამოყალიბებულია თეორემები, საიდანაც ჩანს ყველა პროცესის დასრულებადობა და მათი საბოლოო მნიშვნელობები: T (იგივურად ჭეშმარიტი), F (იგივურად მცდარი) და S (განუსაზღვრელი).

2	Прикладные вопросы теории обозначений	Proceedings of Teoretical and Applied aspects of Programm Systems Development	TAAPSD 2013	Кировоград ПП центр оперативной полиграфии „Авангард“ 2013	130-136
---	---	---	-------------	--	---------

ანოტაცია

პროგრამირების ზოგადი თეორიის აგებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს იგივე

მეთოდი რაც გამოყენებულია აღნიშვნათა თეორიის ასაგებად. პროგრამირებისას გამოყენებულ ოპერატორს უნდა მიეცეს ლოგიკური ფორმა და ჩართულ უნდა იქნას ლოგიკური თეორიის ენის სიმბოლოებში.
მაგალითად, განხილულია მინიჭების ოპერატორი, სადაც ცვლადებს ენიჭებატ არა მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა, არამედ ნებისმიერი თერმის. მინიჭების ოპერატორს აქვს ორი ლოგიკური ფორმა Rx და Sx. პირველის შედეგი არის ფორმულა. მეორის თერმი.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kh. Rukhaia; L. Tibua	One Algorithmic Process for Deciding Validity of some Unranked \neg rst-order Logic	IV International Conference of The Georgian Mathematical Union, Batumi, september 9-15, 2013
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>აგებულია ურანგო პირველი რიგის ენის ზოგიერთი თვისების მქონე ფორმულის ზოგადმართებულობის დადგენის ალგორითმი, რომელიც ორიენტირებულია თეორემატა ავტომატური მტკიცებისათვისამ ალგორითმული პროცესით მიღებულ ფორმულებს ვუწოდოთ ამ ალგორითმული პროცესით მიღებულ ფორმულებს ვუწოდოთ მოცემული ფორმულის მიკავშირებული მეტაფორმულები. დამტკიცებულია შემდეგი თეორემები;</p> <p>თეორემა 1. A ფორმულის ზოგადმართებულობისათვის საკმარისია არსებობდეს A ფორმულის მიკავშირებული ტავტოლოგიური ფორმა.</p> <p>თეორემა 2. A ფორმულა რომ იყოს ურანგო წინადადებათა ლოგიკის ტავტოლოგიის ჩასმითი კერძო შემთხვევა აუცილებელია და საკმარისია არსებობდეს A ფორმულის მიკავშირებული პროპოზიციული ტავტოლოგიური ფორმა</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	Lali Tibua; Khimuri Rukhaia	One Algorithmic Process for Deciding Validity of some Unranked \mathcal{T} SR Logic	INTERNATIONAL CONFERENCE "MODERN PROBLEMS IN APPLIED MATHEMATICS", Tbilisi, 2013, 4-7 september
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>აგებულია ურანგო \mathcal{T} SR ლოგიკის ზოგიერთი თვისების მქონე ფორმულის ზოგადმართებულობის დადგენის ალგორითმი, რომელიც ორიენტირებულია თეორემატა ავტომატური მტკიცებისათვისამ ალგორითმული პროცესით მიღებულ ფორმულებს ვუწოდოთ ამ ალგორითმული პროცესით მიღებულ ფორმულებს ვუწოდოთ მოცემული ფორმულის მიკავშირებული მეტაფორმულები. დამტკიცებულია შემდეგი თეორემები:</p>			

<p>თეორემა 1. ურანგო \mathcal{T} SR ლოგიკი A ფორმულის ზოგადმართებულობისათვის საკმარისია არსებობდეს A ფორმულის მიკავშირებული ტავტოლოგიური ფორმა.</p> <p>თეორემა 2. A ფორმულა რომ იყოს ურანგო წინადადებათა ლოგიკის ტავტოლოგიის ჩასმითი კერძო შემთხვევა აუცილებელია და საკმარისია არსებობდეს A ფორმულის მიკავშირებული პროპოზიციული ტავტოლოგიური ფორმა</p>			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
3	ხიმურ რუხაია; ლალი ტიბუა	ურანგო კვანტორული თეორია	ივ. ჯავახიშვილის სახელო-ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია, 22.01.2013-26.01.2013, თბილი
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ენები, სადაც ფუნქციონალურ თუ პრედიკატულ სიმბოლოებს დაფიქსირებული ადგილიანობა არ აქვთ, ბოლო წლებში ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა მათი გამოყენების საკმაოდ ფართო სფეროს გამო. ურანგო ენებში, ჩვეულებრივ, ორი სახის ცვლადები გვხვდება: საგნობრივი ცვლადები, რომელთა ჩანაცვლება ერთი ტერმით შეიძლება და მიმდევრობის ცვლადები (ქვემოთ მათ ჩვენ ვუწოდებთ „საგნობრივ მიმდევრობით ცვლადებს“), რომელთა ნაცვლად შესაძლებელია ტერმთა სასრული მიმდევრობის ჩასმა. ზემოთ აღწერილი ენებისაგან განსხვავებით ჩვენს მიერ შესწავლილი ურანგო კვანტორული თეორიის ენაში გვხვდება ორი ტიპის მიმდევრობის ცვლადები: ა) საგნობრივი მიმდევრობის ცვლადები, რომელთა ნაცვლად შესაძლებელია ტერმთა სასრული მიმდევრობების ჩასმა და ბ) პროპოზიციული მიმდევრობის ცვლადები, რომელთა ნაცვლად შესაძლებელია ფორმულათა სასრული მიმდევრობების ჩასმა. გარდა ამისა, ამ თეორიის „ტაუს“, არსებობისა და ზოგადობის კვანტორების ადგილიანობა არ არის დაფიქსირებული – ისინი ურანგო ოპერატორებია. ამ ოპერატორების განსაზღვრა ხდება შალვა ფხაკაძის წარმოებული ოპერატორების შემოტანის რაციონალური წესების ჩარჩოში, რის საფუძველზე ურანგო კვანტორულ თეორიაში დამტკიცებულ იქნა ნ. ბურბაკის ქვანტორულ თეორიაში მიღებული შედეგების ანალოგები.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
4	ხიმურ რუხაია; ლალი ტიბუა	ურანგო კვანტორული თეორიის ზოგიერთი ფორმულის ზოგადმართებულობის დადგენის ერთი ალგორითმული პროცესი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის (გმი) სემინარის XXVII გაფართოებული სხდომები 22-24 აპრილი, 2013
<p>მოხსენების ანოტაცია</p>			

შესწავლილია ურანგო კვანტორული თეორია, სადაც გხვდება ორი ტიპის მიმდევრობის ცვლადები: ა) საგნობრივი მიმდევრობის ცვლადები, რომელთა ნაცვლად შესაძლებელია თერმთა სასრული მიმდევრობის ჩასმა და ბ) პროპოზიციული მიმდევრობის ცვლადები, რომელთა ნაცვლად შესაძლებელია ფორმულათა სასრული მიმდევრობის ჩასმა.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	KH. Rukhaia; L. Tibua	Прикладные вопросы теории обозначений	Ialta; TAAPSD 2013
<p>მომხსენებათა ანოტაციები</p> <p>პროგრამირების ზოგადი თეორიის აგებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს იგივე მეთოდი რაც გამოყენებულია აღნიშვნათა თეორიის ასაგებად. პროგრამირებისას გამოყენებულ ოპერატორს უნდა მიეცეს ლოგიკური ფორმა და ჩართულ უნდა იქნას ლოგიკური თეორიის ენის სიმბოლოებში. მაგალითად, განხილულია მინიჭების ოპერატორი, სადაც ცვლადებს ენიჭებათ არა მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა, არამედ ნებისმიერი თერმის მინიჭების ოპერატორს აქვს ორი ლოგიკური ფორმა Rx და Sx. პირველის შედეგი არის ფორმულა. მეორის თერმი.</p>			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	აღნიშვნათა თეორიის გამოყენებითი საკითხები	ხიმური რუხაია	ხიმური რუხაია ლალი ტიბუა
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>განზოგადოებულია მინიჭების ოპერატორი, სადაც ცვლადებს ენიჭებათ არა მარტო რიცხვითი მნიშვნელობები, არამედ ნებისმიერი თერმი. გარდა ამისა, ეს განზოგადოებული ოპერატორები ორი ტიპისაა. კერძოდ, მინიჭების Rx ოპერატორის მნიშვნელობა არის ფორმულა, ხოლო Sx ოპერატორის მნიშვნელობა არის თერმი. შესწავლილია ამ ოპერატორის თვისებები. მიღებული შედეგები მოხსენდა X საერთაშორისო კონფერენციას „ Theoretical and Applied aspects of Programm Systems Development TAAPSD 2013, Ialta;</p>			

**მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის
ლაბორატორია**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
თეიმურაზ დავითაშვილი – ლაბორატორიის გამგე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
მერი შარიქაძე – უფროსი ლაბორანტი;
გიორგი გელაძე – ლაბორანტი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Demuri Demetrashvili, Teimuraz Davitashvili	A modeling study of mesoscale air flow over the mountainous relief with variable in time large-scale background flow. <i>Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,</i>	Vol.7, No 2, 2013, pp.57-64.	Tbilisi, Georgian National Academy of Sciences,	7

სტატია წარმოადგენს დედამიწის ქვეფენილი ზედაპირის ოროგრაფიული არაერთგვაროვნებით გამოწვეული მეზომასშტაბური პროცესების რიცხვით გამოკვლევას ტროპოსფეროში არასტაციონარული დიდმასშტაბიანი შეუშფოთებელი ფონური დინების პირობებში. ამ მიზნით გამოყენებულია მეზომასშტაბური ატმოსფერული პროცესების სამგანზომილებიანი ჰიდროსტატიკური არასტაციონარული მოდელი. გამოთვლის არის ზედა საზღვარი მოდელირებულია თავისუფალი ზედაპირით, ხოლო ქვედა საზღვარზე გამოიყენება რელიეფის გასწვრივ ჰაერის ნაწილაკების სრიალის პირობა. ამოცანა

<p>ამოსწილია რიცხვითი მეთოდით, ლაქს-ვენდროვის ორბიჯიანი მეთოდის გამოყენებით. ნატარებულმა რიცხვითმა ექსპერიმენტებმა მოდელური და საქართველოს რეალური რელიეფის შემთხვევაში აჩვენა ფონური დინების არასტაციონარული ხასიათით განპირობებული ოროგრაფიული ეფექტების არსებობა.</p>					
2	Davitashvili T., Samkharadze I., Khvedelidze Z.,	Study of Some Local Atmospheric “Phenomenal” Events by Hydrothermodynamic Approach, Transactions of the Institute Hydrometeorology, 2013, Vol.115 pp.16-20	2013, Vol.115 pp.16-20	GTU-press	5
<p>დედამიწის ატმოსფეროში, ხშირად დაიკვირვება, მცირე ტერიტორიაზე განვითარებული არაპერიოდული არაორდინალური ატმოსფერული პროცესები. ამ პროცესებს თან სდევს მატერიალური ზარალი და ადამიანის მსხვერპლიც კი. აღნიშნულ მოვლენებს მიეკუთვნება : ქარბორბადა; მიკრორელიეფური ადგილობრივი ქარები; ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში წარმოშობილი სხვადასხვა ბუნების აღმავალი დინებები და ლოკალურ რეგიონზე თითქმის მუდმივად არსებული გეოფიზიკური „ფენომენები“ . საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი „ფენომენები“ დავით გარეჯის ტაფობზე და სურამის პლატოზე დაიკვირვება. სტატიაში ჰიდროთერმოდინამიკის კანონების საფუძველზე მოყვანილია აღნიშნული მოვლენების ახსნა . დღემდე ასეთი მიდგომა და გაკეთებული დასკვნები ცნობილი არ არის. კერძოდ დამტკიცებულ იქნა, რომ ქარის გრიგალურ ველში წნევა იზრდება რელიეფის სიმაღლის პროპორციულად დ იმ კუთხის ზრდით, რომელსაც ნაკადის ბრუნვის დერძი ადგენს ვერტიკალურ მიმართულებასთან . მიღებულია, რომ ქარის სიჩქარის გრიგალის ვერტიკალური მდგენელი სიმაღლის მიხედვით იზრდება ექსპონენციალურად. ასეთი დამოკიდებულებით აიხსნება მითითებული მოვლენების თავისებურებანი. მიღებულ შედეგებს აქვთ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა</p>					
3	Demetrashvili D.I.,Davitashvili T.P.,	Numerical modeling of orographically disturbed air flow in the troposphere in conditions of nonstationarity of large – scale background processes, Transactions of the Institute Hydrometeorology,	2013, Vol.115 pp.133-139	GTU-press	7
<p>3-განზომილებიანი ჰიდროსტატიკური რიცხვითი მოდელის საფუძველზე გამოკვლეულია ჰაერის მეზომასტაბური დინების სტრუქტურა ტროპოსფეროში ფონური შეუშფოთებელი დინების არასტაციონარულობის პირობებში მოდელური განმხლოებული მთისა და კავკასიის რეალური რელიეფის შემთხვევაში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ შეუშფოთებელი დინების არასტაციონარულობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ჰაერის დინების სტრუქტურა მთიანი რელიეფის ზემოთ.</p>					
4	გ.გელაძე, ნ.ბეგალიშვილი, ნ.ბეგალიშვილი	“ეკოლოგიურად აქტუალური ზოგიერთი მეზომეტეოროლოგიური პროცესის რიცხვითი მოდელირება.” ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები	ტ. 119	თბილისი	303-310

ამოსხნილია რიცხვითი მეთოდების საშუალებით ატმოსფეროს მეზომეტეოროლოგიური სასაზღვრო ფენის (ამსფ) 2-განზომილებიანი (x-z ვერტიკალურ სიბრტყეში) არასტაციონარული ამოცანა. მასში გათვალისწინებულია ეკოლოგიურად მტკად აქტუალური ისეთი პროცესები, როგორცაა ღრუბლისა და ნისლის განვითარების სრული ციკლი ამსფ-ის თერმოჰიდროდინამიკის ფონზე.

მოდელირებულია რიგი ანომალური მეტეოპროცესებისა: ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის ერთდროული არსებობა; ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის გართიანებული ვერტიკალური კომპლექსი; ნოტიო პროცესების ანსამბლი, კერძოდ, ერთდროულად იმიტირებულია ჯერ სამი ღრუბელი და ნისლი, რომელიც შემდგომ ტრანსფორმირდება 4 ღრუბლად. ახლებურადა გვაქვს გააზრებული პორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის როლი ტროპიკული ციკლონისა და ტორნადოს ჩამოყალიბებასა და ნოტიო პროცესების ურთიერთტრანსფორმაციაში.

მაგისტრალური მილსადენებში ჰიდრატების შესაძლო წარმოქმნის ადგილების პროგნოზირება არასტაციონარული დინების პირობებში

მილსადენის ჩაჭედვის (ავარიული ჩაკეტვის) ძირითადი მიზეზებია: ჰიდრატების წარმოშობა, წყლის საცობების გაყინვა, დანაგვიანება და სხვა. იმისათვის, რომ დროულად იქნეს მიღებული ზომები ჰიდრატების წარმოქმნის საწინააღმდეგოდ, საჭიროა შესწავლილი იქნეს ტენიანობა, წნევისა და ტემპერატურის განაწილება.

გაზის ავარიული გაუონვა იწვევს გაზსადენში გაზის ხარჯისა და წნევის ცვლილებას. განსაზღვრული დროის შემდეგ გარკვეულ პირობებში შეიძლება დამყარდეს ახალი სტაციონარული რეჟიმი. ამის გამო ავარიული რეჟიმის ანალიზისათვის მიზანშეწონილია განხილულ იქნეს, როგორც არასტაციონარული, ისე სტაციონარული რეჟიმები. ჩვენ განვიხილავთ მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის მსხვილი ავარიული გაუონვის განსაზღვრის ამოცანას, როგორც ჰიდრავლიკური გათვლის ერთ-ერთ შებრუნებულ ამოცანას.

ცნობილია მაგისტრალური გაზსადენის მარტივ უბანზე გაზის მსხვილი ავარიული გაუონვის ადგილის განსაზღვრის ანალიზური ხერხი 1. მარტივი უბნის სათავესა და ბოლოში მოცემული პარამეტრების (წნევა, ხარჯი) მიხედვით. მაგრამ ეს ხერხი ვერ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა მაგისტრალური გაზსადენი შეიცავს რამდენიმე უბანს, თუ წინასწარ არ იქნება განსაზღვრული ის მარტივი უბნი სადაც ადგილი აქვს გაზის ავარიულ გაუონვას.

ამრიგად, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რთული მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ავარიული გაუონვის შემთხვევაში, მოცემული მინიმალური საწყისი ინფორმაციის პირობებში (მაგისტრალური გაზსადენის საწყისსა და ბოლოში გაზის წნევებისა და ხარჯის აღრიცხვა გაზის გაუონვამდე და მის შემდეგ) ჯერ განისაზღვროს გაზის გაუონვის ადგილის შემცველი მარტივი უბანი. ხოლო შემდეგ კი ცხადად განისაზღვროს ამ მარტივ უბანზე ავარიული გაუონვის ადგილი. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დასმული იყო ფ.მ.მ.კ. რობერტ დევიდარიანის მიერ 1995 წელს. ძირითადი შედეგები გადმოცემულია გ. გუბელიძის სადისერტაციო ნაშრომში [2].

შემოთავაზებული ალგორითმი არ საჭიროებს მრავალი განშტოების შემთხვევაში ყოველი მარტივი უბნის თავსა და ბოლოში შესაბამის შუალედურ ინფორმაციას ჰიდრავლიკური პარამეტრების შესახებ, რომლის მიღება ტელემეტრიული სისტემის გარეშე საკმარისად რთული და ნაკლებ ეფექტურია. დამუშავებული რიცხვითი ალგორითმი ეფუძნება გაზის სტაციონარული დინების მათემატიკურ მოდელს, მისგან გამომდინარე გარკვეულ ანალიზურ შედეგსა და კომპიუტერის გამოყენებას.

დახრილი მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ავარიული გაუონვის ადგილის აღმოჩენის შესახებ

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში მოცემულია ორი მათემატიკური მოდელი. კერძოდ დახრილ მაგისტრალურ გაზსადენში გაზის სტაციონარული დინების მათემატიკური მოდელის საფუძველზე დამუშავებულია ხერხი და მიღებულია სათანადო ფორმულა მილსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის ადგილის აღმოსაჩენად. როული პორიზონტალური მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის შემთხვევაში, მოცემული მინიმალური საწყისი ინფორმაციის პირობებში (მაგისტრალური გაზსადენის საწყისსა და ბოლოში გაზის წნევებისა და ხარჯის აღრიცხვა გაზის გაჟონვამდე და მის შემდეგ) ჯერ განისაზღვრება გაზის გაჟონვის ადგილის შემცველი მარტივი უბანი, ხოლო შემდეგ კი ცხადად განისაზღვრება ამ მარტივ უბანზე ავარიული გაჟონვის ადგილი.

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Teimuraz Davitashvili	Atmosphere pollution problems in urban areas on the territory of Georgia, In the book "Disposal of Dangerous Chemicals in Urban Areas and Mega- Role of Oxides and Acids of Nitrogen in Atmospheric Chemistry	NATO Science for Peace and Security Series C: Environmental Security Cities "edited by Barnes, Ian; Rudziński, Krzysztof J.	Springer, 2013, pp 299-312	14
<p>Air emissions from industrial facilities and motor vehicles and monitoring of the atmosphere quality in the most industrialized cities of Georgia: Tbilisi Rustavi, Qutaisi, Zestafoni and Batumi are presented. Fuel consumption and emissions from transport sector in Tbilisi is investigated. Using mathematical simulation, distribution of concentration of harmful substances NO_x at Rustaveli Avenue, the crossroad of King David Agmashenebeli and King Tamar Avenue, where traffic is congested, is studied. Some results of numerical calculation are given.</p> <p>რიცხვითი მეთოდების საშუალებით ამოხსნილია და შესწავლილია ინდუსტრიული საწარმოებებით და ავტომანქანების გამონაბოლქვებით ატმოსფეროს გაბინძურება საქართველოს ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი და ბათუმი. მიღებულ შედეგებს აქვთ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.</p>					
2	D. I. Demetrashvili, T. P. Davitashvili ,	Numerical Modeling of Spilled Oil Seasonal Transport Processes into Georgian Coastal Zone of the Black Sea, In the Book "Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy Problems	" NATO Science for Peace and Security Series C: Environmental Security Cities "edited by T.Nejat Veziroglu; Marat Tsitskishvili.	Springer, 2013, pp 291-299.	8
<p>რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების 2-განზომილებიანი (x-y პორიზონტალურ სიბრტყეში) არასტაციონარული ამოცანა. ამოცანის რიცხვითი ამოხსნისთვის გამოყენებულია გახლქვის მეთოდი. მოცემულია</p>					

რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.					
3	Teimuraz Davitashvili and Givi Gubelidze,	On leak localization in the main branched and simple inclined gas pipelines, World Academy of Science, Engineering and Technology	Issue 79, July 2013, London.pp.818-825.	WASET Press	8
<p>მოცემულ ნაშრომში მოცემულია ორი მათემატიკური მოდელი. კერძოდ დახრილ მაგისტრალურ გაზსადენში გაზის სტაციონარული დინების მათემატიკური მოდელის საფუძველზე დამუშავებულია ხერხი და მიღებულია სათანადო ფორმულა მილსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის ადგილის აღმოსაჩენად. რთული ჰორიზონტალური მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის შემთხვევაში, მოცემული მინიმალური საწყისი ინფორმაციის პირობებში (მაგისტრალური გაზსადენის საწყისსა და ბოლოში გაზის წნევებისა და ხარჯის აღრიცხვა გაზის გაჟონვამდე და მის შემდეგ) ჯერ განისაზღვრება გაზის გაჟონვის ადგილის შემცველი მარტივი უბანი, ხოლო შემდეგ კი ცხადად განისაზღვრება ამ მარტივ უბანზე ავარიული გაჟონვის ადგილი.</p>					
4	Teimuraz Davitashvili, Demuri Demetrashvili,	Numerical Simulation of Emergency Spilled Oil Distribution in the Georgian Coastal Zone of the Black Sea for Winter Season, Scientific Works of Azerbaijan State Maritime Academy (ASMA)	No.1,2013, pp.13-15.	Azerbaijan State Maritime Academy Press	3
<p>რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების არასტაციონარული ამოცანა შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზამთრისა და გაზაფხულის სეზონებისთვის. მოცემულია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.</p>					
5	Teimuraz Davitashvili	Assessment of Risk Factors of Environment Pollution Caused by Accidental Oil Spilling on the Base of Mathematical Modelling, J. Recent Advances in Energy, Environment and Geology	Energy, Environment and Structural Engineering Series, No 18, pp. 19-24	Published by WSEAS press,	6
<p>მოცემულ ნაშრომში რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ავარიულად დაღვრილი ნავთობის ნიადაგში და ზედაპირულ წყლებში გავრცელების არასტაციონარული ამოცანები. მოცემულია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.</p>					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Teimuraz Davitashvili, David Gordeziani, Giorgi Geladze, Givi Gubelidze, Archil Papukashvili, Meri Sharikadze	Assessment of Risk Factors of Emergency Cases at Georgian Section of Transport Corridor Europe-Caucasus-Asia by Means of Mathematical Modelling,	Second International Conference in MODERN PROBLEMS IN APPLIED MATHEMATICS Dedicated to the 95th Anniversary of the I. Javakhishvili Tbilisi State University (TSU) & 45th Anniversary of the I. Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM TSU) 4-7 Sept. 2013
მოცემულ ნაშრომში რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია და შეფასებულია გაზისა და ნავთობის ავარიული დაღერის რისკ ფაქტორები საქართველოს სატრანსპორტო დერეფანის გასწვრივ.			
2	Teimuraz Davitashvili, Meri Sharikadze,	On one model of natural gas transformation into crystalline substance for gas nonstationary flow	, 1st Conference of Exact and Natural Sciences Facultative of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, January 22-26, 2013, Tbilisi, Georgia
მოცემულ ნაშრომში მათემატიკური მოდელირებით შესწავლილია მაგისტრალური მილსადენებში ჰიდრატების შესაძლო წარმოქმნის ადგილების პროგნოზირება გაზის არასტაციონარული დინების პირობებში			
3	Archil Papukashvili, David Gordeziani, Teimuraz Davitashvili, Meri Sharikadze	On finite-difference method for approximate solution of antiplane problems of elasticity theory for composite bodies weakened by cracks,	, <i>Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics</i> , 23 April, 2013, Tbilisi, Georgia
მოცემულ ნაშრომში სასრულ-სხვაობიანი რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია დრეკადობის თეორიის ბზარების ანტიბრტყელი ამოცანის მიხედვითი ამონახსნები.			
4	Demetrashvili D.I., Davitashvili T.P.	Numerical modeling of orographically disturbed air flow in the troposphere in conditions of nonstationarity of large –scale background processes,	The International science-technical conference “Actual problems of Ecology and Hydrometeorology” which devotes to 60 th anniversary of the Institute Hydrometeorology and 100 th anniversary of Vasil Lominadze, 28-30 th of May, 2013, Tbilisi, Georgia.
3-განზომილებიანი ჰიდროსტატიკური რიცხვითი მოდელის საფუძველზე გამოკვლეულია ჰაერის მეზომასშტაბური დინების სტრუქტურა ტროპოსფეროში ფონური შეუშფოთებელი დინების არასტაციონარულობის პირობებში მოდელური განმხილვითი მთისა და კავკასიის რეალური რელიეფის შემთხვევაში.			
5	Davitashvili T., Khvedelidze Z., Samkharadze I.,	Study of Some Local Atmospheric “Phenomenal” Events by Hydrothermodynamic Approach	The International science-technical conference “Actual problems of Ecology and Hydrometeorology” which devotes to 60 th anniversary of the

			Institute Hydrometeorology and 100 th anniversary of Vasil Lominadze, 28-30 th of May, 2013, Tbilisi, Georgia.
<p>საქართველოში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში წარმოშობილი სხვადასხვა ბუნების აღმავალი დინებები ყველაზე მკვეთრად დავით გარეჯის ტაფობზე და სურამის პლატოზე დაიკვირვება. სტატიაში ჰიდროთერმოდინამიკის კანონების საფუძველზე მოყვანილია აღნიშნული მოვლენების ახსნა მიღებულ ახალ შედეგებს აქვთ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.</p>			
6	გ.გელაძე, მ.თევდორაძე	ეკომეტეოროლოგიის ზოგიერთი რიცხვითი მოდელის შესახებ	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი –9-15 სექტემბერი, ბათუმი.
<p>დასმულია და ამოხსნილია 2-განზომილებიანი (ბრტყელი და ღერძულად სიმეტრიული) ამოცანა ატმოსფეროს მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენის შესახებ. აქცენტი კეთდება აეროზოლის გავრცელებაზე მეყსეული და უსასრულოდ გრძელი წყაროებიდან; განხილულია როგორც პასიური, ისე მძიმე აეროზოლების შემთხვევა. შეაწავლილია ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის, განსაკუთრებით კი, ინვერსიის გავლენა აეროზოლის გავრცელებაზე – ეს მეტად ატუალურია ეკოლოგიური თვალსაზრისით. გამოკვლეულია ფონური ველების (ტემპერატურა, ქარი) გავლენა ეკომეტეოროლოგიურ ველებზე.</p>			
7	G.Geladze	Numerical Simulation of Some Complex Mesometeorological processes II second international conference “Modern problems in applied mathematics”, 4.09. 2013 – 7.09. 2013, Tbilisi.	II second international conference “Modern problems in applied mathematics”, 4.09. 2013 – 7.09. 2013, Tbilisi.
<p>დასმულია და ამოხსნილია ატმოსფეროს მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენის 2-განზომილებიანი ამოცანა თერმოჰიდროდინამიკის, ნოტიო ველებისა და აეროზოლის გავრცელების ერთიანი ამოცანა. ძირითადი აქცენტი კეთდება ანომალური პროცესების მოდელირებაზე: ღრუბლისა და ნისლის ერთდროული არსებობა; ღრუბლისა და ნისლის გაერთიანებული ვერტიკალური კომპლექსი; დღე-ღამურად უწყვეტი ღრუბლიანობა; ღრუბლებისა და ნისლის ანსამბლი</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Teimuraz Davitashvili, Givi Gubelidze	On leak localization in the main branched and simple inclined gas pipelines,	World Academy of Science, Engineering and Technology, 8-9 July 2013, London, Great Britain.
<p>Some results of calculations for compound pipelines having two, four and five sections are presented. Also a method and formula for the leak localization in the simple inclined section of the main gas pipeline are suggested. Some results of numerical calculations defining localization of gas escape for the inclined pipeline are presented.</p> <p>მოცემულ ნაშრომში მოცემულია ორი მათემატიკური მოდელის საფუძველზე დამუშავებულია მეთოდოლოგია და მიღებულია სათანადო ფორმულები მილსადენიდან გაზის ავარიული გაჟონვის ადგილის აღმოსაჩენად რთული ჰორიზონტალური და დახრილი მაგისტრალური გაზსადენებიდან.</p>			

2	Teimuraz Davitashvili, Demuri Demetrashvili,	Numerical Simulation of Emergency Spilled Oil Distribution in the Georgian Coastal Zone of the Black Sea for Winter Season,	The international science-practical conference which devotes to 90 th anniversary of Heydar Aliyev, 6-7 th of May, Baku, Azerbaijan, 2013.
რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების არასტაციონარული ამოცანა შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზამთრისა და გაზაფხულის სეზონებისთვის. მოცემულია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.			
3	Teimuraz Davitashvili,	Assessment of Risk Factors of Environment Pollution Caused by Accidental Oil Spilling on the Base of Mathematical Modelling,	WSEAS' 2 rd International Conference on Natural Resource Managment (NRM'13), 8-10 October, 2013, Antalya, Turkey
მოცემულ ნაშრომში რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია ავარიულად დაღვრილი ნავთობის ნიადაგში და ზედაპირულ წყლებში გავრცელების არასტაციონარული ამოცანები. მოცემულია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.			
4	Teimuraz Davitashvili,	Investigation of Some Unfavorable Events Development on the Territory of Georgia by Mathematical Modelling	International Caucasus Forestry Simposium, 24-26 Oct.2013, Artvin, Turkey
მოცემულ ნაშრომში რიცხვითი მეთოდების საშუალებით შესწავლილია სომხეთის ატომური ელექტრული სადგურის ავარიის შემთხვევაში საქართველოს რიგი ქალაქებისა და მათთან მიმდებარე ტყის მასივების შესაძლო გაბინძურების თვლის შედეგები.			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მაგნე ნივთიერებათა ატმოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ნიადაგში სივრცულ დროითი განაწილების დიაგნოსტიკა და ანალიზი	თეიმურაზ დავითაშვილი	მერი შარიქაძე, გიორგი გელაძე
<p>თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო პრობლემური ხდება სატრანსპორტო საშუალებების (სს) მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილების მენეჯმენტი ექსტრემალური და გართულებული პროცესების მიმდინარეობის პირობებში. ესენია: 1. კატასტროფების, მიწისძვრების, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგად და სხვ. დაზიანებულ გეოგრაფიულ ზონებში არსებული სამხედრო, სამედიცინო და სხვა ტიპის ობიექტების ოპტიმალური და უსაფრთხო მომარაგების მენეჯმენტი; 2. ექსტრემალურ და რთულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო დახმარების დაგეგმვა; 3. ექსტრემალურ სიტუაციაში სამხედრო მოქმედებისას სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების გადაზიდვის მარშრუტების სტრატეგიული მენეჯმენტი; 4. მჭიდროდ დასახლებულ გეოგრაფიულ ზონებში (ქალაქები და სხვ.) გზებზე გართულებულ სიტუაციებში ტრანსპორტით გადატვირთული გზები, სამოქალაქო მიტინგები და გაფიცვები, გზებზე მეტეოროლოგიური და სხვა მიზეზებით გამოწვეული ცუდი ხილვადობა, მოყინული გზები და სხვ.) სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ოპტიმალური გადაადგილების მენეჯმენტი და სხვა.</p> <p>ამ პრობლემატიკით დაინტერესებული სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან მაღალი სანდოობის ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც გაითვალისწინებენ ექსტრემალური სიტუაციებში წარმოქმნილ განუზღვრელობებს და მხარდაჭერას გაუკეთებენ სს-ების გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვას.</p> <p>ასეთი ტიპის პრობლემატიკაზე მუშაობისას დეტერმინისტული თუ სტოქასტური მოდელების ბაზაზე აგებული სიმულაციური მხარდაჭერი ტექნოლოგიები ხშირად ვერ გვაძლევენ სანდო და დამაკმაყოფილებელ შედეგებს საკვლევი ობიექტის სირთულის, წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი და არასაკმარისი ინფორმაციის ან ობიექტური ინფორმაციის სიმცირის გამო, რაც პირველ რიგში გამოწვეულია მიმდინარე რთული სიტუაციებით. პრობლემატიკის სირთულის ზრდასთან ერთად ჩვენი შესაძლებლობა გავაკეთოთ სანდო დასკვნები საკვლევი ობიექტების მომავალ ქცევაზე, გარკვეულ ზღვრამდე ეშვება, რომლის მიღმაც ინფორმაციის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სიზუსტე და განსაზღვრელობა, ურთიერთგამომრიცხავი ხდება. მნიშვნელოვან როლს იძენს პრობლემატიკის გადაწყვეტის სისტემური კვლევა და ანალიზი. აუცილებელი ხდება შეფასებებში და ანალიზში ჩავრთოთ ექსპერტთა ჯგუფები და მათი ცოდნა, რომელთა სუბიექტური მონაცემები მოდელის კონსტრუქციებში წარმოშობს ახალ, სუბიექტურ განუზღვრელობას. მოდელირების კლასიკურ მიმართულებათა პარალელურად მნიშვნელოვანი ხდება სუბიექტური, ფაზი-განუზღვრელობის დაშვება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექსპერტული ცოდნის ინჟინერიის ფაზი-მეთოდებისა და ფაზი-ლოგიკის გამოყენება, რაც შესაბამისი მაღალი ღირებულების ავტომატიზირებული სისტემებისა და ინტელექტუალური ხელშემწყობი ტექნოლოგიების კონსტრუირებას უზრუნველყოფს.</p> <p>საქმე ეხება სატრანსპორტო მარშრუტიზაციის პრობლემატიკას (Vehicle Routing Problem (VRP)). მარშრუტიზაციის ამოცანები სკალარული მიზნის ფუნქციის შემთხვევაშიც ე.წ. NP-რთულ ამოცანებს განეკუთვნებიან და მათი ამოხსნის ზუსტი ალგორითმები რეალური განზომილებების შემთხვევაში არ არსებობს. VRP-ის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა ფაზი-სატრანსპორტო მარშრუტიზაციის პრობლემატიკა (Fuzzy Vehicle Routing Problem (FVRP)). FVRP -ამოცანებმა რთულ და განუზღვრელ სიტუაციებში უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური მარშრუტების გენერაცია.</p>		

	<p>ამ მიმართულების კვლევის ფარგლებში ვიმყოფებით ამოცანის ჩამოყალიბების ეტაპზე. საბოლოო მიზანია შემუშავდეს ახალი FVRP მიდგომა. ეს მიდგომა გაითვალისწინებს ზემოთ წარმოდგენილი პრობლემის გადაწყვეტას. აიგება აგრეგირების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს OWA-ს ტიპის ოპერატორების ფაზი-განზოგადოებების აგებას. ეს ინსტრუმენტი კი თავის მხრივ უზრუნველყოფს გზებზე გადაადგილების მარშრუტების სანდოობის კრიტერიუმების აგებას. რაც FVRP-მიდგომებსა და კვლევებში საერთოდ ახალ მიმართულებას მოგვცემს. ამ მიდგომის საფუძველზე შეიქმნება პროგრამული პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს ექსტრემალური და რთული მოვლენების შედეგად გზებზე გართულებული გადაადგილების გამო სს-თვის ოპტიმალური და სანდო მარშრუტების დაგეგმვას. პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქცია იქნება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის სახელმწიფო სამსახურებსა, ტვირთების გადაზიდვების კომპანიებსა, სადისტრიბუციო ქსელებსა თუ სხვა კონპანიებს შეუქმნას მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირებისა და მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტებში ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვაში. სისტემაზე მუშაობის პროცესში სისტემის მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაციის მიღების მიზნით ჩართონ დარგის ცნობილი ექსპერტები, რათა მათი ცოდნა გამოყენებული იყოს კონკრეტულ სიტუაციებში პუნქტებს შორის გადაადგილების შესაძლებლობის ხარისხების შეფასებისა და სს-ებისთვის სანდო მარშრუტების აგების მიზნით. პროექტში წარმოდგენილი პრობლემისთვის აიგება ახალი ტიპის შესაძლებლობითი კრიტერიუმი - მარშრუტებზე გადაადგილების სანდოობის მაქსიმიზაცია. მარშრუტებზე გადაადგილების სიგრძის მინიმიზაციის კრიტერიუმთან ერთად შეიქმნება ორკრიტერიალური ამოცანის რეალიზების ორ ფაზიანი სქემა. ეს მიდგომა წარმოშობს ახალ მიმართულებას და პერსპექტივებს FVPP-პრობლემატიკაში. ყოველ მიდგომაში, რომელიც სწავლობს FVRP-ამოცანებს, შეიძლება ჩაიდოს ჩვენი ახალი მეთოდოლოგია და იქ აიგოს ახალი კრიტერიუმები და შეზღუდვები. რაც მათ შემატებს მეტ სანდოობას ექსტრემალურ და განუზღვრელ გარემოში.</p>		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	<p>ახალი მიმართულება ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში: ტროპიკული კრიპტოგრაფიისა და მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის სინთეზი და ანალიზი</p>	<p>ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ემერიტუს პროფესორი რიჩარდ მეგრელიშვილი</p>	<p>რიჩარდ მეგრელიშვილი, მისი დოქტორანტები: მელქისედეგ ჯინჯიხაძე (აკ. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სოფიო შენგელია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) და თსუ მათემატიკის დეპარტამენტის ბაკალავრიატის სტუდენტიზურაბ ვაშაკიძე</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>წინამდებარე კვლევითი სამეცნიერო სამუშაოს თემატიკას და მიზნებს მრავალწლიანი ისტორია გააჩნია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგები წელს ღებულობს გარკვეული ეტაპის სახეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს კვლევებში ჩამოყალიბდა სინთეზის და ანალიზის</p>		

	<p>ორი დამოუკიდებელი მიმართულება: ტროპიკული კრიპტოგრაფია, რომელიც, რა თქმა უნდა, კერძო ამოცანის სახით მოიცავს მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის აგების საკითხს და საკუთრივ მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის სინთეზის ამოცანას კლასიკური არითმეტიკის ჩვეულებრივ სისტემაში. ტროპიკული კრიპტოგრაფია სრულიად ახალია. ის საყოველთაოდ ცნობილი ტროპიკული ოპერაციებისგან განსხვავებული არითმეტიკული ოპერაციების კრიპტოგრაფიაში გამოყენების შედეგს წარმოადგენს. გასაგებია, რომ თვით დასახელებაც, “ტროპიკული კრიპტოგრაფია,” ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც ახალია. ამიტომ ცხადია, რომ გარდა საკუთრივ ალგებრული სიახლისა, ის მრავალ კრიპტოგრაფიულ საკითხებსაც წარმოქმნის და კითხვებსაც აჩენს. გვარდა ამისა, როგორც კვლევებმა აჩვენა, იგი ხელს უწყობს მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის გატეხვის სირთულის გაზრდას და შესაძლოა ის ე.წ. გატეხვისგან დამცავ ერთ-ერთ ვარიანტადაც წარმოჩინდეს. ცხადია, რომ აღნიშნულ სისტემაში აუცილებელია, რომ პროცედურული მთლიანობა და, კერძოდ, მატრიცათა გენერაციის ცნობილი ამოცანაც ახალ ტროპიკულ ოპერაციებს დაექვემდებაროს, რაც ჩვენს კვლევებში შესაბამისად არის გათვალისწინებული.</p> <p>მეორე მიმართულება, როგორც აღვნიშნეთ, არის ახალი მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის აგება და მისი გამოყენება ღია არხით გასაღების გაცვლისა და სხვა ოპერაციების განხორციელების მიზნით. ეს ამოცანაც გლობალური მნიშვნელობისაა, რადგან საუბარია არა ცნობილ ფუნქციებზე (კერძოდ, რიცხვთა თეორიაში, როგორც დიფი-ჰელმანისა და რივესტ-შამირ-ეიდლმენის შემთხვევაში), არამედ ახალი ცალმხრივი ფუნქციის კვლევასა და ფორმირებაზე (რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია იმ უმნიშვნელოვანესი ფაქტის მცირედი იგნორირებაც კი რითიც აღნიშნულმა ავტორებმა სათავე დაუდეს ასიმეტრიულ სისტემებს, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ორმოცი წელია 1976 წლიდან და რეალურად არ არის მიღებული მომქმედი ახალი ცალმხრივი ფუნქცია). თუმცა ასევე ფაქტია, რომ ბოლო წლებში ამ მიზნით ჩატარებული შრომების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ახალი ცალმხრივი ფუნქცია სასურველია იყოს თავის წინამორბედებთან შედარებით უფრო სწრაფქმედი.</p> <p>როგორც აღვნიშნეთ, ბოლო წლებში გაიზარდა შრომების რაოდენობა სწრაფქმედი ალგორითმების მისაღებად. ჩვენი ახალი ხედვაც მოექცა მაღალი დონის ჟურნალებისა და კონფერენციების ყურადღების ქვეშ. ასე მაგალითად: ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე მივიღე სავარაუდო მიწვევა ნაშრომის გზავნილის შესახებ პარიზის კონფერენციაზე, რომელიც შედგა 29–31 ოქტომბერს (2013). სტატია მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ, ხოლო თანხის გამო ჩემგან უარის შემდეგ, კონფერენციის ორგანიზატორები თანახმა იყვნენ, გადამეხადა მხოლოდ რეგისტრაციის თანხა და ნაშრომს დაბეჭდავდნენ შრომებში და ჟურნალში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა შემთხვევებშიც, რაც ნაწილობრივ აისახა წელს შესრულებულ პუბლიკაციებში.</p> <p>მთავარი საკითხი მაინც ის არის, რომ ჩვენს მიერ მიღებული ცალმხრივი ფუნქცია არღვევს წონასწორობას, არსებულს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ სისტემებს შორის და ამიტომ მას მოუწევს რთული გზის გავლა, მაგრამ ამ ეტაპზე ორივე მიმართულება მზად არის დაელოდოს კრიპტოანალიტიკოსების დასკვნებს.</p>	<p>სამუშაოს დასახელება</p> <p>სამუშაოს ხელმძღვანელი</p> <p>სამუშაოს შემსრულებლები</p>	
<p>5</p>	<p>რთული სისტემების ქცევის მოდელირება და მართვა</p>	<p>ასოც. პროფ.</p> <p>ტარიელ ხვედელიძე</p>	<p>ასოც. პროფ. ტარიელ ხვედელიძე</p>

<p>2013 წელს კვლევები გაგრძელდა რთული სისტემების ქცევის მოდელების აგებისა და შესწავლის მიმართულებით. ასეთი სისტემების მოდელების ასაგებად გამოიყენება სპეციალური კლასის როგორც დეტერმინირებული, ასევე ალბათური სტრუქტურის სასრული ავტომატები.</p> <p>კვლევის მიზანს წარმოადგენს შემთხვევით გარემოში ისეთი ავტომატების ქცევის ალგორითმების აგება და შესწავლა, რომლებიც უმარტივეს სიტუაციებში ფლობენ მაქსიმალურად მიზანშეწონილ ქცევას, ხოლო გარემო ავტომატების მოქმედებებზე რეაგირებს საპასუხო რეაქციებით, რომლებიც ავტომატის მიერ აღიქმება როგორც ერთ-ერთი სახის რეაქცია შემდეგი სამი კლასიდან: სასურველი რეაქციების კლასი, არასასურველი რეაქციების კლასი და ნეიტრალური რეაქციების კლასი. ასეთი ავტომატები გარემოსაგან მიღებული სიგნალების ანალიზის საფუძველზე რეალიზებას უკეთებენ დასწავლის რაღაც ალგორითმს, რომლის შედეგსაც წარმოადგენს რაიმე კრიტერიუმის მიხედვით ოპტიმალური მართვის არჩევა.</p> <p>მიღებული შედეგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დამტკიცებულია აუცილებელი პირობა სტაციონარულ შემთხვევით გარემოში სასრული სტოქასტური ავტომატების მიმდევრობის ასიმპტოტურად ოპტიმალურობის შესახებ; 2. განხილულია ტერნარულ (მოგება, წაგება,ინდიფერენტულობა) სტაციონარულ შემთხვევით გარემოში სასრული ავტომატების ქცევის ალგორითმები და დადგენილია მათი ქცევის მიზანშეწონილობის პირობები; <p>ბინარულ (მოგება, წაგება) და ტერნარულ სტაციონარულ შემთხვევით გარემოში სასრული ავტომატების ქცევის მიზანშეწონილობისა და ასიმპტოტურად ოპტიმალურობის შედარებითი ანალიზით დადგენილია, რომ გარემოს პარამეტრებზე დამოკიდებულობის მიხედვით სასრული ავტომატების ქცევა ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია ტერნარულ, ვიდრე ბინარულ სტაციონარულ შემთხვევით გარემოში, ხოლო სასრული ავტომატების ასიმპტოტურად ოპტიმალური მიმდევრობა უფრო სწრაფად აღწევს მაქსიმალურ მოგებას ტერნარულ სტაციონარულ შემთხვევით გარემოში.</p>		
სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6	გენეტიკური ალგორითმების გამოყენება კრიპტოანალიზში	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
<p>2013 წელს კვლავ გრძელდებოდა მუშაობა გენეტიკური ალგორითმების გამოყენებაზე კრიპტოანალიზში. დაიხვეწა ალგორითმი, რომელიც შეიქმნა მერკლი – ჰელმანის სისტემის გასატეხად. ალგორითმს დაემატა გენეტიკური ალგორითმი, რომელიც გამოიყენება დიოფანტური განტოლების ამოსახსნელად, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ალგორითმის სიჩქარე. ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე ფიტნეს ფუნქციაშიც, რაც ასევე აუმჯობესებს ალგორითმის მუშაობას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგს. მომავალ წელს გაგრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.</p>		
სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
7	განაწილებული დაგვიანების შემცველი ოპტიმალური	ასისტ. პროფ. ფრიდონ დვალიშვილი

	მართვის ამოცანები	ფრიდონ დვალიშვილი	
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შესწავლილია ინტეგრალური ფუნქციონალის მინიმუმის შემფოთებებზე უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი განაწილებული დაგვიანების შემცველ ოპტიმალური მართვის ამოცანებში, როდესაც დიფერენციალური განტოლების მარჯვენა მხარის და ფუნქციონალის ინტეგრალქვეშა ფუნქციის შემფოთებები მცირეა ინტეგრალური აზრით. წრფივი სისტემებისათვის შესწავლილია საწყისი და შემფოთებული ამოცანების ოპტიმალური ამონახსნების სიახლოვის საკითხი.			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
8	საწარმოების რეალური ტექნოლოგიური პროცესების მართვის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემების აგება-კირის ღუმელის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერი საინფორმაციო სისტემის აგება და დანერგვა საწარმოში	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, კათედრის მაგისტრანტები
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
არამკაფიო ლოგიკისა და არამკაფიო მათემატიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული ცოდნის ინჟინერიის მიდგომების საფუძველზე შესაძლებელია დამუშავდეს საწარმოების რეალური, რთული ტექნოლოგიური პროცესების მართვის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემების აგების თეორიული საფუძვლები. ამ მიმართულებით გრძელდებოდა 2012 წელს დაწყებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ ასეთი ინფორმაციული სისტემების აგებისას გამოყენებული ინფორმაცია ყოველთვის არის ობიექტურ-ექსპერტული სახის – ერთის მხრივ ობიექტური ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს აღწერს და რომელიც მოცემულია ამ პროცესის ზოგადად აღმწერ სახელმძღვანელოებში და ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაში, და მეორეს მხრივ სუბიექტური, ექსპერტული ინფორმაცია, რომელიც მიღებული უნდა იქნას კონკრეტული საწარმოს ტექნიკური პერსონალისა და ტექნოლოგებისაგან დამოკიდებულების საშუალებით. შემდეგ ამ ობიექტურ-ექსპერტული ინფორმაციის საფუძველზე ყალიბდება პარამეტრების სია, რომელიც მოცემული საწარმოს კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს ახასიათებს. პარამეტრები აუცილებელია ორ ჯგუფად დაიყოს: მათი ერთი ნაწილი ახასიათებს ზოგადად ამ ტექნოლოგიურ პროცესს და ყველა ანალოგიური საწარმოსათვის პრაქტიკულად ერთნაირია, ხოლო მეორე ნაწილი ახასიათებს მოცემულ კონკრეტულ საწარმოს, მისი საწყობების სიდიდეს, ნედლეულის მიღების გზებს, პროდუქციის გასაღების სქემებს და ა.შ. პარამეტრების ეს ნაწილი ანალოგიური ტიპის საწარმოებისათვის სხვადასხვანაირია და სხვადასხვა ოდენობისაა. ამ ჯგუფებს ჩვენ ვუწოდებთ ტექნოლოგიური პროცესის მყისიერად ცვლადი და დროში წანაცვლებით ცვლადი პარამეტრები შესაბამისად. შემდეგ არამკაფიო ლოგიკის მიდგომების საფუძველზე დამუშავდა ამ პარამეტრების ფაზიფიკაციის სქემები მოძიებული ექსპერტული ინფორმაციის საფუძველზე და ფაზი ცოდნის ბაზის (ან ბაზების ნაკრების – ზოგიერთი რთული ბუნების ტექნოლოგიური პროცესისათვის) აგების გზები მამდანის ან სხვა			

ცნობილი სქემებისათვის. დამუშავდა ასეთი რთული ტექნოლოგიური პროცესების რეალური მართვის განხორციელებისათვის ალგორითმების ჩამოყალიბების სქემებიც მართვის ინფორმაციული სისტემის შემდგომი დაპროგრამებისათვის. შედეგად მიღებული იქნა მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა აგებული იქნას რეალური ტექნოლოგიური პროცესის მართვის ან მართვის ხელშემწყობი ინფორმაციული სისტემა ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესისათვის.

განვიღო პერიოდში შექმნილი თეორიული მოდელების საფუძველზე მიმართულების მაგისტრანტებთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა რეალური, კონკრეტული ამოცანისათვის: ინფორმაციული სისტემის – კირის ღუმელის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის ასაგებად და დასაწერად საწარმოში. ეს სამუშაოები მიმდინარეობს შპს „ინდუსტრია კირსა“ და თსუ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. მემორანდუმის მიზანი არის რეალური თანამშრომლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებასა და მოქმედ საწარმოს შორის, მეცნიერებისა და ბიზნესის ნამდვილი ურთიერთკავშირების დამყარება, ბიზნესის წინაშე მდგარი ფაქტიური ამოცანების რეალიზაცია ულტრათამედროვე მიდგომების გამოყენებით.

კვლევების მიზანია შეიქმნას ღუმელის მართვისათვის ოპერატიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც ოპერატორებს მისცემდა მყისიერ რჩევებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ღუმელის მართვას, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და

2012 წელს შექმნილია ოპერატიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემა ღუმელის მართვისათვის არაავარიულ რეჟიმში, ანუ სისტემის პირველი ნაწილი. ის ოპერატორებს აძლევს მყისიერ რჩევებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ყველა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ღუმელის მართვას, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს, ანუ საწარმოს ეხმარება მთავარი მიზნის მიღწევაში, მაქსიმალური ეფექტიანობით მუშაობაში და მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღებაში. პროცედურა მეორდება ყოველ ნახევარ საათში ერთხელ შემავალი პარამეტრების ახალი მნიშვნელობების მიღების შემდეგ. შედეგად ოპერატორს ყოველ ნახევარ საათში ეძლევა რჩევა, თუ როგორი ზემოქმედებით ჯობია ღუმელის მდგომარეობის შეცვლა (ან იგივე მდგომარეობის დატოვება). ზემოქმედება ხდება სამი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით: გაიშვიათების შეცვლა, საცერის სისწრაფის შეცვლა, ანტრაციტის რაოდენობის შეცვლა.

2013 წელს შეიქმნა ამ ინფორმაციული სისტემის მეორე, უფრო რთული ნაწილი – ღუმელის მართვა ავარიულ რეჟიმში. შედეგად შეიქმნა დასრულებული პროგრამული პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნება რეალურად მომუშავე დიდი და საშუალო საწარმოების მენეჯმენტისათვის. ასეთი სისტემების მნიშვნელობა ცხადია; ისინი საწარმოს საშუალებას აძლევენ ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობა და მართვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ, ერთგვაროვანი გახადონ, რაც საწარმოს წარმატებული საქმიანობის მყარ გარანტიას წარმოადგენს. შესაძლებელია ასეთი ინფორმაციული სისტემის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესის მმართველი ოპერატორების სწავლებითვისაც.

შექმნილი პროგრამული პროდუქტი წარმოადგენს windows აპლიკაციას. გამოყენებულია პროგრამირების ენა C# და Devexpress-ის კომპონენტები. საინფორმაციო სისტემის მუშაობა შემოწმებულია რეალურ წარსულ მონაცემებზე უშუალოდ საწარმოში. ამ შემოწმებამ აჩვენა, რომ სისტემა მუშაობს გამართულად. ამგვარად, სისტემის დანერგვის სამუშაოები დაწყებულია.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
9	აგენტებზე დაფუძნებული მიდგომა აპლიკანტის ხასიათის გამოცნობისათვის თანამედროვე ინფორმაციული მიდგომების გამოყენებით	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი	ასისტ. პროფ. თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, კათედრის მაგისტრანტები
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტი მკვლევარი იყენებს აგენტებზე დაფუძნებულ სიმულაციას სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგებში, რადგან აგენტებზე დაფუძნებული მოდელირება არის ყველაზე ბუნებრივი გზა ადამიანის ქცევებზე, ემოციებზე და განსაკუთრებულობაზე დაკვირვებისათვის და ანალიზისათვის. ამ ტიპის მოდელები უკვე დამუშავებულია რამოდენიმე გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო ცენტრში. მათი ძირითადი მიზანია განისაზღვროს აპლიკანტის ტემპერამენტის ტიპი და აღქმის ხერხი. ვინაიდან განუზღვრელობის დონე ამ საკითხებში საკმაოდ მაღალია, ჩვენი მიზანია ფაზი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნას ასეთივე ტიპის მოდელები. კვლევის პირველი ეტაპი - არსებული მიდგომების მიმოხილვა - განხორციელებულია.</p>			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
10	კრიპტოგრაფიულად მედეგი ფსევდოშემთხვევითი გენერატორის აგება ნეირონული ქსელების საშუალებით	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე	ასოც. პროფ. ზურაბ ქოჩლაძე მაგისტრი სოფო ბუაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>ნაკადური შიფრები წარმოადგენენ კრიპტოგრაფიის ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილს. ნაკადურ შიფრებში გასაღებისა და სპეციალური ალგორითმის საშუალებით ხდება ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობის, გასაღებების ნაკადის, გამომუშავება, რომელიც ოპერაცია xor-ის საშუალებით იკრიბება ღია ტექსტთან და მიიღება შიფროტექსტი. ნაკადური შიფრი აპარატურული შესრულებით ზოგადად უფრო სწრაფია ვიდრე ბლოკური შიფრები. ამასთან შესაძლებელია სისტემაში შემოსული თითოეული ბიტის (ან ბაიტის) დაშიფვრა და მაშინვე გადაცემა, ამიტომ ეს ალგორითმები ძალიან ხშირად გამოიყენება სატელეკომუნიკაციო არხებში ინფორმაციის on-line რეჟიმში (მაგალითად, სატელეფონო საუბრების) გადასაცემად. რადგანაც ნაკადურ შიფრებში დაშიფვრის სქემა შეიცავს მხოლოდ ერთ მარტივ ოპერაციას, მათი მედეგობა კრიპტოანალიზური შეტევების მიმართ მთლიანად განისაზღვრება იმ ფსევდოშემთხვევითი გენერატორის საიმედოობით, რომელიც გამოიმუშავებს გასაღებების ნაკადს.</p> <p>კრიპტოგრაფიულად საიმედო ფსევდოშემთხვევითი გენერატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად მოთხოვნას. პირველ რიგში მისი გასაღების სიგრძე უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა მოწინააღმდეგ ვერ შეძლოს ძალისმიერი შეტევით იპოვოს ის. აუცილებელია, რომ გამოსასვლელზე მიღებული მიმდევრობა სტატისტიკურად არ განსხვავდებოდეს ნამდვილად შემთხვევითი მიმდევრობისგან და მესამე, შეზღუდული</p>			

	<p>გამოთვლითი საშუალებების მქონე მოწინააღმდეგემ ვერ უნდა შეძლოს უკვე გამომუშავებული ბიტების საფუძველზე ალბათობით, რომელიც არსებითად განსხვავდება -გან, გამოიყენოს თუ რა იქნება ამ მიმდევრობის შემდეგი გამოსასვლელი ბიტი.</p> <p>დღეისათვის ყველაზე საიმედოდ ითვლება სირთულის თეორიაზე დაფუძნებული BBC და ლშA გენერატორები. ლშA გენერატორი დამშიფრავი გამის გამოსამუშავებლად იყენებს დაშიფვრის ცნობილ ღიაგასაღებიან ალგორითმ RSA-ს, რომლის საიმედოობაც ეფუძნება რიცხვთა თეორიაში ცნობილ პრობლემას – რიცხვის ფაქტორიზაციის ამოცანას. ლშA გენერატორში მიმდევრობის ყოველი ბიტი გამოითვლება შემდეგი სახით:</p> $x_i = f(x_{i-1}) = x_{i-1}^b \pmod n \quad (1).$ <p>ასეთი გენერატორის ერთადერთ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს მისი სისწრაფე. თუ გვინდა რომ გამომუშავებული მიმდევრობა იყოს საიმედო, მოდულის ფუძე უნდა იყოს ორი ძალიან დიდი მარტივი რიცხვის ნამრავლი (n-ის ზომა ბიტებში არ უნდა იყოს ნაკლები 2048 ბიტზე).</p> <p>ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ნეირონული ქსელები ამ პრობლემის გადასაჭრელად. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დავასწავლოთ ნეირონულ ქსელებს RSA გენერატორის მიერ სხვადასხვა საწყისი გასაღებებით გამომუშავებული ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობები, შევინახოთ ისინი სპეციალურ გარე მოწყობილობაზე და შემდეგ მათი კომბინაციით დავშიფროთ ღია ტექსტი on-line რეჟიმში.</p> <p>ამ იდეის შესამოწმებლად ჩავატარეთ ექსპერიმენტი. ავაგეთ მოდიფიცირებული ლშA გენერატორი და მივიღეთ ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობები. შემდეგ ავაგეთ სამშრიანი ნეირონული ქსელი და დავასწავლეთ ჩვენს მიერ მოღებულ ფსევდოშემთხვევითი მიმდევრობები. დასწავლას დასჭირდა ძალიან მცირე დრო. მაქსიმუმ ოთხმოცდაათი იტერაციის შემდეგ ნეირონული ქსელი ახდენს მიმდევრობის დასწავლას და შემდეგ ნებისმიერ შესასვლელ მიმდევრობაზე გამოსასვლელზე იძლევა ამ მიმდევრობას. ჩვენ უკვე შეგვიძლია ასეთი სქემების კომბინაციით მოვახდინოთ ღია ტექსტის დაშიფვრა რეალურ დროში. მომავალში ჩვენ ვფიქრობთ ავაგოთ ნეირონული ქსელები, რომლებიც დაიმახსოვრებენ რეალური ლშA გენერატორის მიერ გამომუშავებულ მიმდევრობებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება რეალური სიგრძის ტექსტების დაშიფვრა.</p>
--	---

IV პუბლიკაციები

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზურაბ ქოჩლაძე	თანამედროვე კრიპტოგრაფიის საფუძვლები	თსუ გამომცემლობა, თბილისი 2013	495 გვ

ნოტაციები

სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში გადმოცემულია კრიპტოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. განხილულია კლასიკური კრიპტოგრაფიის ყველა ძირითადი ალგორითმები და მათი კრიპტოანალიზის მეთოდები. მოყვანილია კ. შენონის სრულყოფილი და იდეალური შიფრების განსაზღვრებები. ნაჩვენებია, რომ არსებობს ერთადერთი სრულყოფილი შიფრი – ვერნამის შიფრი.

მეორე ნაწილში განხილულია თანამედროვე ბლოკური და **TBC (Tweakable Block Cipher)** ალგორითმები და მათი გამოყენების რეჟიმები. ნაკადური შიფრები. ინფორმაციის მთლიანობის დაცვის მეთოდები და რეჟიმები. ბლოკური და ნაკადური შიფრების კრიპტოანალიზის მეთოდები.

მესამე ნაწილში გადმოცემულია ლიაგასაღებიანი კრიპტოგრაფიის ძირითადი პრინციპები, დაშიფვრის **RSA**, მერკლი – ჰელმანის და რაბინის ალგორითმები. გასაღებების ღია არხში გაცვლის დიფი – ჰელმანის ალგორითმი. ციფრული ხელმოწერის სტანდარტი **DSS**. ლიაგასაღებიანი კრიპტოგრაფია ელიფსურ წირებზე და გასაღებების მართვისა განაწილების პრობლემები.

წიგნში ცალკე თავებადაა გამოყოფილი ის მათემატიკური საკითხები (რიცხვთა თეორიის ელემენტები, სასრული ჯგუფები და ველები, ელიფსური წირები), რომლებიც აუცილებელია დანარჩენი მასალის გასაგებად. ყოველი თავის ბოლოს არის სავრჯიშოები. წიგნს თან ერთვის კრიპტოგრაფიული ტერმინების მოკლე ინგლისურ-ქართული ლექსიკონი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და აგრეთვე ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Р.Мегрелишვილი, С.Шенгелия	Оригинальная Матричная Однонаправленная Функция и Генерация Новой Мультипликативной Циклической Матричной Группы Высокого Порядка	No.1(37), 2013, с. 56-59	<i>GESJ: Computer Science and Telecommunications</i> TGU, Tbilisi, Georgia	4

2	R. Megrelishvili, S. Shengelia	M On the Original One-Way Matrix Function and the Implementation of the Key Exchange Protocol on Open Channel	AMIM , vol. 17, #2, 2012, Was published In 2013, pp. 20-25	Ivane Javakhishvili Tbilisi State University, <i>Ilia Vekua Institute of Applied Mathematics, Informatics and Mechanics, AMIM</i>	6
3	რ.მეგრელიშვილი	მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის ანალიზი და მისი იმპლემენტაციის ორი ვარიანტი, შრომათა კრებული	N 17, 2013, გვ. 188–194	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, თბილისი	7
4	P.Dvalishvili, I.Ramishvili	A theorem on the continuity of the minimum of an integral functional for one class of optimal problems with distributed delay in controls, <i>Proceedings of A.Razmadze Mathematical Institute</i>	vol. 163(2013)	Tbilisi	10
5	P.Dvalishvili	On the well-posedness of a class of the optimal control problem with distributed delay, Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports	vol. 39,2013	Tbilisi	4

ნოტაციები

1-2-3: კვლევითი შედეგების ანოტაციაში აღნიშნული იყო, რომ კვლევითი მიზანდასახულება ორი მიმართულებით განვითარდა: ტროპიკული კრიპტოგრაფია და მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის გატეხვისაგან დაცვა, რაც თვისობრივად ელგამალის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ავთენტურობის თავისი ამოცანის განხორციელებისათვის იყო გამოყენებული. სწორედ ეს საკითხებია დაფიქსირებული რიგით მე-3-ე სტატიაში. მე-2-ე და პირველ სტატიებში შესაბამისად

განხილულია მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის საფუძველზე ღია არხის საშუალებით გასაღების გაცვლის ალგორითმის განხორციელება და ამ ალგორითმის განხორციელებისთვის მეტად მნიშვნელოვანი მაღალი რიგის მატრიცული სიმრავლის გენერაცია.

4. A theorem on the continuous dependence of the minimum of a function with respect to perturbations of the right –hand side of a differential equation and an integrand is proved when perturbations are small in the integral sense.
5. A theorem of the well-posedness is given for the linear with respect to control optimal problem, when perturbations of the right-hand side of a differential equation and an integrand are small in the integral sense.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Gia Sirbiladze	Extremal Fuzzy Dynamic Systems. Theory and Applications.	IFSR International Series on Systems Science and Engineering, Springer, New York- Heidelberg- Dordrecht- London, 28, 2013.	422 pp.

ანოტაცია:

When we want to achieve high effectiveness of intelligent decision support systems, the solution of problems pertaining to the identification, optimization, filtration, classification, etc., of the existing models of complex dynamic systems plays an important role. In dealing with complex objects, along with the classical methods of constructing their stochastic or deterministic models, it becomes necessary to introduce into consideration the factor of fuzziness. Fuzziness arises both from expert evaluations and from expert observations in fuzzy time intervals. With the growth of the complexity of systems, our ability to arrive at correct decisions comes to a level below which such characteristics of information as precision and certainty come into conflict with each other. It frequently happens that the exact quantitative analysis of real complex dynamic systems (weakly structurable dynamic systems in our case) fails to suit our purposes, and hence we have to turn to the fundamental analytical or heuristic fuzzy methods of solution. In that case, adequate automated systems are created by taking the systems approach to the construction of models of complex systems with statistical-fuzzy uncertainty. These automated systems form the instrumental analytical basis of constructing solution technologies for expert analytical problems.

This book presents a new approach to the investigation of weakly structurable dynamic systems (WSDS). The core of the approach is the six papers by Gia Sirbiladze published in the *International Journal of General Systems* (Modelling of Extremal Fuzzy Dynamic Systems (EFDS), Parts I–VI: 34, 2, 2005, pp. 107–138; 139–167; 169–198; 35, 4, 2006, pp. 435–459; 35, 5, 2006, pp. 529–554; 36,1, 2007, pp. 19–58). In contrast to other approaches in which it is assumed that the source of fuzziness in dynamic systems is expert knowledge, in our approach both time and expert knowledge are considered to be factors that account for fuzzy uncertainty. Prediction or evaluation of the time of a complex event occurrence is fuzzy in itself; it is such, for example, in anomalous and monotone processes, catastrophes, extreme situations, natural disasters, and so on. The introduction of such a dualized (fuzzy time + expert

knowledge) factor of uncertainty in dynamic systems not only enables experts to use their intellectual ability to the best advantage in the process of knowledge formalization, but also essentially widens the range of problems that are amenable to investigation.

Problems arise because processes occurring in society and the environment are imperfect, fuzzy, or extreme; relations between the objects of an investigated complex system are of subjective (expert) nature because of the scarcity of objective information on the evolution of the system in its respective area. There is a great diversity of areas, such as, for example, the economy of developing countries, business, conflictology, sociology, medical diagnostics, the management of evacuation processes in disaster-stricken regions, the evaluation of disease incidence in regions with an outbreak of an epidemic disease, the study of complex systems in applied physics, and so on. One of the accomplishments of this book is the creation of scenarios describing a possible WSDS evolution by the methods constructed in the framework of expert-possibilistic theory. Moreover, we propose a few new algorithms for the intelligent-possibilistic simulation of anomalous and extreme (monotone) processes. Our main method of investigation of dualized uncertainty is fundamental quantitative analysis and its use in the modeling of complex dynamic systems.

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R. Megrelishvili	Several Problems of Applied Mathematics and Mechanics, Chapter 19, An One-Way Function and Key Exchange Algorithms – A New Approach to Asymmetric Cryptography	Published by Nova Science Publishers, Inc. New York, 2013, pp. 77- 82	6

ნოტაციები

ამ ნაშრომში სპეციალურად უცხოელი მკითხველისთვის აქცენტი დაესმის მატრიცული ალგორითმის სწრაფქმედებისა და მატრიცული ოპერაციების რეალიზების საკითხებს, რათა დადებითად წარმოჩინდეს მატრიცულ ფუნქციათა უპირატესობა ხარისხოვან ფუნქციებთან შედარებით.

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gia Sirbiladze, Mikheil Kapanadze, Anna Sikharulidze, Irina	Constructions of the Temporalized Body of Evidence in non-	Volume 6, Number 1, pp. 73-82, 2013	Nova Science Publishers, Inc	10

	<p>Khutsishvili and Bezhan Ghvaberidze</p>	<p>Probabilistic Theory of Utility,</p> <p><i>Georgian International Journal of Science and technology</i></p>			
2	<p>Gia Sirbiladze, Anna Sikharulidze, Bidzina Matsaberidze, Teimuraz Manjaparashvili, Irina Khutsishvili and Givi Chachia,</p>	<p>On the New Constructions of a Fuzzy Prediction Simulation System, <i>Georgian International Journal of Science and technology</i></p>	<p>Volume 6, Number 1, 82-91, 2013,</p>	<p>Nova Science Publishers, Inc</p>	<p>10</p>
3	<p>Gia Sirbiladze, Otar badagadze and Khatia Sirbiladze</p> <p>Gia Sirbiladze, Irina Khutsishvili and Bezhan Ghvaberidze</p>	<p>Possibilistic Aggregations in the FPOWA Operator,</p> <p><i>Georgian International Journal of Science and technology</i></p>	<p>Volume 6, Number 1, pp. 92-105, 2013,</p>	<p>Nova Science Publishers, Inc.</p>	<p>14</p>
	<p>R.P.Megrelishvili</p>	<p>Multistage decision-making fuzzy methodology for optimal investments based on experts' evaluations,</p> <p><i>European Journal of Operational</i></p>			

4		<i>Research,</i> Analysis of the Matrix One-Way Function and two Variants of Its Implementation, <i>International J. of Multidiscipl. Research & Advcs. in Engg.(IJMRAE)</i>	Volume 232, Issue 1, pp. 169-177, 2014	Elsevier	9
5			Vol. 5, No. IV , 2013, pp. 99-105	Ascent Publication, PPune, India	7

ანოტაციები

1. In this paper we perform the analysis of Dempster-Shafer temporalized body of evidence for the construction of more precise decisions based on the expert knowledge valuations. The relation of information precision is defined on the bodies of evidence. Negative inaccuracy is defined as the stream of rational expert knowledge in Dempster-Shafer temporalized body of evidence. The principle of negative inaccuracy is developed, as the maximum principle of non-specificity measure of a body of evidence. Corresponding mathematical programming problem is constructed. An example demonstrating the use of constructed approach is presented for the decision making problem of the Utility Theory.
2. The main goal of the work is to create the new type of Fuzzy Prediction Simulation System (FPSS). It will be based on the objective time series of populations of studied real evolutionary process and the representations of expert knowledge streams which are the inputs of the system. The FPSS must have the high level of credibility in the precise decision making and possibilistic scenarios of future evolution of the studied process for the wide range of practical problems, such as: business management and economics, information management, diagnosis of rare and complex diseases, etc. Development of the FPSS his especially important in the developing countries.
3. The Ordered Weighted Averaging (OWA) operator was introduced by R.R. Yager (Yager, 1988) to provide a method for aggregating inputs that lie between the Max and Min operators. In this article a new generalization of the OWA aggregation operator – AsFPOWA is presented in the environment of possibility uncertainty. Information measures of a new operator - Orness, Entropy, Divergence and Balance are introduced. For the problems regarding the fiscal policy of a country several variants of a new aggregation operator are used for comparing of decision making results.
4. A new methodology of making a decision on an optimal investment in several projects is proposed. The methodology is based on experts' evaluations and consists of three stages. In the first stage, Kaufmann's expertons method is used to reduce a possibly large number of applicants for credit. Using the combined expert data, the credit risk level is determined for each project. Only the projects with low risks are selected. In the second stage, the model of refined decisions is constructed using the new modification of the

previously proposed possibilistic discrimination analysis method (Sirbiladze, Khutsisvili, & Dvalishvili, 2010). This stage is based on expert knowledge and experience. The projects selected in the first stage are compared in order to identify high-quality ones among them. The possibility levels of experts' preferences are calculated and the projects are ranked. Finally, the third stage deals with the bicriteria discrete optimization problem whose solution makes it possible to arrange the most advantageous investment in several projects simultaneously. The decision on funding the selected projects is made and an optimal distribution of the allocated investment amount among them is provided.

5. ეს ჟურნალი 2012 წელს იყო იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალი. ამიტომ გამიზნული იყო მასში მიღებული ძირითადი შედეგების დაფიქსირება, რაც დაფიქსირებული იყო არჩილ ელიაშვილის სახელობის ინსტიტუტის შრომებში.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გია სირბილაძე	შესაძლებლობითი პროგნოზირების ახალი საექსპერტო ტექნოლოგიები ფაზი-დინამიკურ სისტემებში (პლენარული მოხსენება)	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია.
2.	გია სირბილაძე	OWA ტიპის შესაძლებლობითი აგრეგირებები ქვეყნის პოლიტიკური მენეჯმენტის პრობლემაში	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია.
3.	ი.ხუციშვილი	შესაძლებლობითი OWA ოპერატორის კონსტრუირება საინვესტიციო პროექტების დაკრედიტების რისკების შეფასებებში	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია.
4.	რ. მეგრელიშვილი	M მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის შესახებ	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია, თბილისი, იანვარი, 2013

5.	რ. მეგრელიშვილი, მ. ჯინჯიხაძე R. Megrelishvili, S. Shengelia	აბელის მატრიცული მულტიპლიკაციური სასრული ჯგუფის აგების განზოგადებული მეთოდი და ახალი ცალმხრივი მატრიცული ფუნქცია The fractal structures and their properties	VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია «ინტერნეტი და საზოგადოება» 6–7 ივნისი, ქუთაისი, საქართველო, 2013 Second International Conference “Modern Problems in Applied Mathematics”, Applied Logic and Programming, Tbilisi, September 6, 2013 IV International Conference of the Georgian Mathematical Union, September 9-15, Batumi, 2013,(Proceedings, pp. 138-139, 2013), Batumi, 2013
6 7.	R. Megrelishvili, S. Shengelia	Matrix Function and Its Realization Problems	IV International Conference of the Georgian Mathematical Union, September 9-15, Batumi, 2013,(Proceedings, pp. 138-139, 2013), Batumi, 2013
8.	ტარიელ ხვედელიძე	სტაციონარულ შემთხვევით გარემოში სტოქასტური ავტომატების ქცევის შესახებ	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია
9	ზ.ქოჩლაძე, ლ.ბესელია, მ.ხუნჯგურია	გენეტიკური ალგორითმების გამოყენება კრიპტოგრაფიაში	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია
10	მ. ხაჩიძე, მ. არჩუაძე, გ. ბესიაშვილი	ანალიტიკურ ევრისტიკული კონცეპტები სემანტიკური ძებნის ამოცანებში	6 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება” 6-7 ივნისი 2013, ქუთაისი, საქართველო, კონფერენციის მასალები, 11- 14 გვ. ინსო- 2013. www.inso.ge
11	ფ.დვალიშვილი	არამკაფიო მატრიცული თამაშების ამოხსნა	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია.
12	ფ.დვალიშვილი	On one method of constructing optimal mixed strategies in fuzzy antagonistic matrix games	Second international conference „Modern Problems in Applied Mathematics” 4.09.2013-7.09.2013 Tbilisi

13	თ. მ ა ნ ჯ ა ფ ა რ ა შ ვ ი ლ	ტექნოლოგიური პროცესის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის აგება კირის ლუმელის მაგალითზე	თბილისი, 2013 წლის იანვარი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია.
<p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>1. პლენარული მოხსენება წარმოგიდგინებთ ახალ მიმართულებას სუსტად სტრუქტურირებადი დინამიკური სისტემების (სსდს) ფუნდამენტურ კვლევებსა და ზოგადად, სისტემების მეცნიერების კვლევებში. დინამიკური სისტემების კვლევების სხვა მიდგომებისგან განსხვავებით, სადაც ფაზი (შესაძლებლობითი) განუზღვრელობის წყაროს ექსპერტი და მისი ცოდნა წარმოადგენს, პლენარული მოხსენება წარმოადგენს მიდგომას, როდესაც განუზღვრელობის წყაროს ასევე წარმოადგენს დრო. ფაზი-დროის ფაქტორი წარმოაჩენს განუზღვრელობას დინამიკურ სისტემებში, რომელიც ფართო სპექტრი პრობლემების კვლევის შესაძლებლობას იძლევა. ფაზი-დროის მიმართ სუსტად სტრუქტურირებადი დინამიკური სისტემების კვლევაში დუალური (ექსრემალური) მიდგომა სიახლეა და დღეს ანალოგი არ გააჩნია. ფაზი-პროცესების ექსტრემალურობა შესაძლებლობას იძლევა ფაზი-დინამიკური სისტემები და მათი პროგნოზი აღიწეროს „გაფართოებული მიმდინარე და შეკუმშული მომავლი“ ფაზი-დროის ინტერვალებში და ამით მივიღოთ უფრო სარწმუნო ინფორმაცია ექსპერტზე, მის ცოდნაზე, საკვლევი სსდს-ის მდგომარეობებზე და ა.შ. ამით ჩვენ ვაგებთ ახალი ტიპის სტრუქტურებს საექსპერტო ცოდნის ნაკადების ფორმირების, სინთეზისა და ანალიზის ამოცანებში. ახალი შედეგებია მიღებული გავრცობილი მონოტონური ზომების თეორიაში. მართვის ელემენტის გათვალისწინებით სსდს-თვის აგებულია ახალი ფაზი-ინტეგრალური მოდელები. საიმდო შესაძლებლობითი სცენარები ასევე აგებულია მომავლი დროის ფაზი-ინტერვალისთვის. ეს სცენარები რთული დინამიკური სისტემების კვლევის ახალ შესაძლებლობებს იძლევა. მეორე მხრივ, პროგრამული უზრუნველყოფის ბიბლიოთეკა გადაწყვეტილების მხარდამჭერი ინტელექტუალური სისტემებისა და საექსპერტო სისტემების პროექტირების ახალ ინსტრუმენტს წარმოადგენს.</p> <p>2. ნაშრომში წარმოდგენილია OWA –ოპერატორის ახალი განზოგადება. ჩვენი ყურადღება მიმართულია OWA –ოპერატორის კონსტრუქციაზე – AsFPOWA შესაძლებლობით განუზღვრელ გარემოში. ახალი ოპერატორის სარგებლობის ილუსტრაციისთვის ფაზი-გადაწყვეტილების მიღების მაგალითი განიხილება პოლიტიკურ მანაჯმენტში, სადაც ჩვენ ვიკვლევთ ქვეყანას, რომელიც გეგმავს მის ფისკალურ პოლისს შემდეგი წლისთვის. აგრეგირების ახალი ოპერატორის რამდენიმე ვარიანტი არის გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების შედარებისთვის.</p> <p>3. მოხსენებაში წარმოდგენილია რისკების შემცირების გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ტექნოლოგია კონკურენტუნარიან საინვესტიციო პროექტებს შორის არჩევის შემთხვევაში. ტექნოლოგია კომბინირებულია ორი ფაზი-სტატისტიკური მეთოდით, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების შეფასების ორ საფეხურს. პირველ საფეხურზე მცირე რისკების მქონე პროექტების შერჩევა ხდება ა. კაუფმანის ექსპერტონების თეორიის საფუძველზე. მეორე საფეხურზე კეთდება გადაწყვეტილებების დაზუსტება შესაძლებლობითი აგრეგირების OWA ტიპის ოპერატორ AsPOWA-ს გამოყენებით. ეს ინსტრუმენტი გამოიყენება შედარებით მცირერიცხოვანი პროექტების შემთხვევაში, რომლებიც შეირჩა პირველ საფეხურზე, მათი შედარებისა და მაღალი ხარისხის პროექტების გამოვლენის მიზნით. ბოლოს იქმნება რეკომენდაციები კრედიტების გაცემაზე. მოხსენება შეიცავს გამოთვლით მაგალითს, რომელიც ასახავს შემოთავაზებული ტექნოლოგიის მუშაობას.</p> <p>4-5-6-7: მე-5-ე ნაშრომი გამორჩეულია იმით, რომ ჩვენი სხვა ნაშრომებისგან განსხვავებით მასში განხილულია მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ მაქსიმალური რიგის საწყისი მატრიცების მისაღებად. მე-6-ე და მე-7-ე ნაშრომებში ურადღება გამახვილებულია უფრო ფრაქტალურ სტრუქტურებზე და მათთვის ობრიობებზე.</p> <p>8. სასრული ავტომატები წარმოადგენენ მეტად მოსახერხებელ ობიექტებს რთული სისტემების</p>			

მათემატიკური მოდელების ასაგებად. ასეთ სისტემებში მარტივი ობიექტების როლში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დეტერმინირებული, ასევე ალბათური სტრუქტურის სასრული ავტომატები.

შემოთავაზებულია სპეციალური კლასის სტოქსტური ავტომატის კონსტრუქცია (ქცევის ალგორითმი) და განხილულია მისი ფუნქციონირება სამი კლასის რეაქციის (მოგება, წაგება, ინდიფერენტულობა) სტაციონარულ შემთხვევით გარემოში. გამოკვლეულია ავტომატის ფუნქციონირებასთან ასოცირებული მარკოვის ჯაჭვის მატრიცის სპექტრალური თვისებები, რომელთა ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია სტაციონარულ შემთხვევით გარემოში ავტომატის შესაძლებელი ასიმპტოტური ქცევის ანალიზისათვის. გამოკვლეულია აგრეთვე სამი კლასის რეაქციის სტაციონარულ შემთხვევით გარემოში სასრული სტოქსტური ავტომატების მიმდევრობის კრებადობის საკითხი და ჩამოყალიბებულია მისი შესაძლებელი ასიმპტოტური ქცევის სრული კლასიფიკაცია.

9. ნაშრომში აღწერილია გენეტიკური ალგორითმი, რომელიც გამოიყენება ცნობილი მერკლი – ჰელმანის დიაგნოსტიკური სისტემის კრიპტოანალიზისთვის ღია ტექსტის საფუძველზე. შეტევა ღია ტექსტის საფუძველზე ნიშნავს, რომ ცნობილია როგორც ღია ასევე დაშიფრული ტექსტების წყვილები. შეტევის მიზანს კი წარმოადგენს საიდუმლო გასაღების პოვნა, ან ისეთი ალგორითმის შექმნა, რომელიც მოგვცემს საშუალებას ადვადგინოთ ღია ტექსტი გასაღების გარეშე. ჩვენს მიერ შექმნილი ალგორითმი საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ მიზანს, როდესაც გასაღების ზომა პატარაა, მაგრამ როდესაც გასაღების ზომა უახლოვდება რეალური გასაღების ზომას, გადასარჩევი ვარიანტების რაოდენობა ისე სწრაფად იზრდება, რომ ალგორითმი ვეღარ ახერხებს რეალურ დროში მათ გადარჩევას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფიტნეს ფუნქცია, რომელსაც იყენებს ალგორითმი არაა ოპტიმალური.
11. მატრიცულ თამაშებში, თამაშის მატრიცის ელემენტების ზუსტი მნიშვნელობების დასახელება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საჭირო ხდება მატრიცის ელემენტების არამკაფიო რიცხვების სახით წარმოდგენა. გარდა ამისა, ზოგჯერ შესაძლებელი ხდება მოწინააღმდეგის შესახებ გარკვეული პირადი, ფსიქოლოგიური მონაცემების მოპოვება. ასეთი ინფორმაცია, როგორც წესი არის არამკაფიო და იგი შეიძლება აღწერილი იყოს არამკაფიო ლინგვისტური ცვლადების საშუალებით. მოხსენებაში მოყვანილია არამკაფიო ინფორმაციის შემცველი ანტაგონისტური თამაშებისათვის არამკაფიო შერეული სტრატეგიების აგების მეთოდი. განხილულია რიცხვითი მაგალითი არამკაფიო ლოგიკის წესების გამოყენებით.
12. არამკაფიო ლოგიკის წესის გამოყენებით ანტაგონისტური მატრიცული თამაშისათვის მოყვანილია შერეული სტრატეგიების აგების ერთი მეთოდი და შესწავლილია ამოხსნის სტაბილურობის საკითხი.
13. მიზანი იყო რეალურ საწარმოში – შპს „ინდუსტრია კირში“ კონკრეტული ტექნოლოგიური პროცესის – კირის ღუმელის ოპერატიული მართვისათვის გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერი საინფორმაციო სისტემის აგება ფაზი-ლოგიკის გამოყენებით, შესაბამისი ექსპერტულ-ობიექტური ცოდნის ბაზების შექმნის საფუძველზე ღუმელის მუშაობის ყველა შემთხვევისათვის - როგორც არაავარიული, ისე ავარიული რეჟიმებისათვის. ოპერატიული გადაწყვეტილებების მხარდაჭერი სისტემა ოპერატორებს აძლევს მყისიერ რჩევებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ყველა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ღუმელის მართვას, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს, ანუ საწარმოს ეხმარება მთავარი მიზნის მიღწევაში, მაქსიმალური ეფექტიანობით მუშაობაში და მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღებაში. პროცედურა მეორდება ყოველ ნახევარ საათში ერთხელ შემავალი პარამეტრების ახალი მნიშვნელობების Excel-ის ფაილში მიღების შემდეგ. შედეგად ოპერატორს ყოველ ნახევარ საათში ეძლევა რჩევა, თუ როგორი ზემოქმედებით ჯობია ღუმელის მდგომარეობის შეცვლა (ან იგივე მდგომარეობის დატოვება). ზემოქმედება ხდება ოთხი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით: გაიშვიათების შეცვლა, საცერის სისწრაფის შეცვლა, ანტრაციტის რაოდენობის შეცვლა, კირის ხელით გამოტვირთვის საჭიროება. ტექნოლოგიური პროცესის მართვა საჭიროა ორ სხვადასხვა რეჟიმში: არაავარიულ რეჟიმში და ავარიულ რეჟიმში, მართვის შესაბამისი სტრატეგიები სრულიად განსხვავებულია ამ რეჟიმებში. ამიტომ პირველ რეჟიმს გააჩნია ერთი ცოდნის ბაზა, ხოლო მეორეს - ორი ცოდნის ბაზა, რომლებიც აგებული იქნა

როგორც ექსპერტული გამოკითხვების, ისე ამ ტექნოლოგიური პროცესის მართვის თეორიული რეკომენდაციების გამოყენებით.

მოცემული ამოცანის პროგრამული რეალიზაცია წარმოადგენს Windows აპლიკაციას საწარმოს ოპერატორისთვის. პროგრამა შექმნილია Windows ოპერაციულ სისტემაში .NET framework-ის გარემოში C# პროგრამირების ენის გამოყენებით. აგრეთვე გამოყენებულ იქნა მონაცემთა ბაზა MS SQL, ხოლო ბაზასთან მუშაობა უზრუნველყოფილია LinqToSQL ტექნოლოგიის გამოყენებით. ადმინისტრატორის ინტერფეისის საშუალებით შესაძლებელია სისტემის სხვადასხვანაირი კონფიგურაცია სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებისათვის, რომლებშიც პარამეტრების რაოდენობები, მიკუთვნების ფუნქციების სახეები და სხვა მახასიათებლები სხვადასხვანაირია.

ნაშრომით შეიქმნა დასრულებული პროგრამული პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნება რეალურად მომუშავე დიდი და საშუალო საწარმოების მენეჯმენტისათვის ტექნოლოგიური პროცესის სამართავად.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Irina Khutsishvili	New Possibilistic Aggregations for Optimal Valuation of Credit Risks of Investment Projects	Euro Informs 26th European Conference On Operational Research, Rome 1-4 July, 2013,
2	Gia Sirbiladze	Possibilistic OWA — type Aggregation Operator in the Decision Making Problem regarding the Country Fiscal Policy.	Euro Informs 26th European Conference On Operational Research, Rome 1-4 July, 2013
3	R. Megrelishvili, S. Shengelia	Оригинальная матричная однонаправленная функция и вопросы ее реализации	Conference SAIT, System Analysis and Information Technologies, Kyiv, Ukraine, 2013, (Proceedings , 2013, pp.465-466)
4	R. Megrelishvili, S. Shengelia	On the new original one-way matrix function	Conference ComInt- 2013, Computational Intelligence (Result, Problems and Perspectives), Cherkasy, Ukraine, 2013, (Proceedings , pp. 87-88, 2013)
5	Кочладзе З., Беселия Л.	Применение генетических алгоритмов для криптоанализа	II Международна науково-технична конференция “Обчислюваьный интеллект”, М. Черкаси, Украина, 2013
6	M.Khachidze, M.Archuadze,	The Method of Concept Formation for Semantic	VII International Conference Application of Information and

	G.Besiashvili	Search.	Communication Technologies 23-25 October, Baku, Azerbaijan. AICT-2013, www.aict2013
7	P.Dvalishvili	One the fuzzy matrix games and their solution in mixed strategies	Euro Informs 26th European Conference On Operational Research, Rome 1-4 July, 2013
<p>მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>1. The work proposes a decision support technology to minimize risks while choosing among competitive investment projects. The preliminary selection of projects with minor credit risks is made based on Kauffman's expertons method. Then ranking of the chosen projects is made using the new generalization of the Ordered Weighted Averaging (OWA) aggregation operator – AsPOWA presented in the environment of possibility uncertainty. Mathematical programming problem is constructed for numerical estimation of the vector of weights associated with the AsPOWA operator.</p> <p>2. The Ordered Weighted Averaging (OWA) operator was introduced by R.R. Yager to provide a method for aggregating inputs that lie between the max and min operators. In this speech a new generalization of the OWA operator AsFPOWA is presented in the environment of possibility uncertainty for the decision making problems regarding the political management. Several variants of the new aggregation operator are used for the comparing of decision making results.</p> <p>5. ნაშრომში აღწერილია გენეტიკური ალგორითმი, რომელიც გამოიყენება ცნობილი მერკლი – ჰელმანის ღიაგასაღებიანი სისტემის კრიპტოანალიზისთვის ღია ტექსტის საფუძველზე. განსხვავებით თბილისში წარდგენილ მოხსენებისგან, ამ ვარიანტში უკვე დამატებულია დიფანტური განტოლების ამოხსნის გენეტიკური ალგორითმი.</p> <p>7. The method of construction of mixed fuzzy strategies for antagonistic games with fuzzy information is considered. Using the fuzzy logic rules the numerical example is studied.</p>			

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრა

I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

კათედრის გამგის მ. შ. ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი

I.3. კათედრის შემადგენლობა: ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი კობა გელაშვილი, ასოც. პროფ. ბიძინა მიდოდაშვილი, ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე, ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, SRNS 31/18	გ. ბერიკელაშვილი	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მილოდაშვილი
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კვლევები:</p> <p>მუდმივკოეფიციენტებიანი ზოგადი სახის ელიფსური განტოლების შესაბამისი დირიხლეს ამოცანისთვის მიღებულია მაღალი რიგის სიზუსტის სხვაობიანი ამონახსნი.</p> <p>საბაზისოდ გამოყენებულია მეორე რიგის სიზუსტის სასრულ სხვაობიანი სქემა. პირველ ეტაპზე მიღებული ამონახსნის გამოყენებით აგებულია მაკორექტირებელი შესაკრები სქემის მარჯვენა მხარისათვის. დამტკიცებულია კორექტირებული სქემის მაღალი რიგის კრებადობა. კრებადობის რიგი შეთანხმებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები, რომლებიც ადასტურებენ ალგორითმის საიმედოობას.</p>				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ახალი ფიზიკის სიგნალის ძიება ATLAS ექსპერიმენტზე	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, SRNSF 13/06	პროფ. ირაკლი მინაშვილი	გელა დევიძე, თამარ ჯობავა, ჯემალ ხუბუა, მაია მოსიძე, ირინა ხუციშვილი, გვანცა მჭედლიძე, აკაკი ლიპარტელიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)
 პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კვლევები:

1. ტაილ კალორიმეტრის, როგორც ATLAS დანადგარის ერთ-ერთი ქვედეტექტორის, ყოფაქცევისა და სტაბილურობის ანალიზი დეტექტორის კონტროლის სისტემის მონაცემების გამოყენებით.
2. ტაილ კალორიმეტრის 180 გევი ენერჯის მქონე მიონების მიმართ გამოძახილის ფსევდოსისწრაფეზე და სინათლის გამოსავალზე დამოკიდებულების შესწავლა მონტე კარლო სიმულაციის გამოყენებით.
3. 2010-2012 წლებში დაგროვილი ATLAS ექსპერიმენტის საწყის მონაცემებზე ტოპ კვარკის FCNC იშვიათი დაშლების ძიების მეთოდების განვითარება, მათი შემოწმება და შემდეგ გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს წინა ექსპერიმენტთან შედარებით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ FCNC ინსპირირებული ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების მიმართ მგრძობიარობა.
4. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით ინსპირირებული მძიმე კვარკებისა და ლეპტონების იშვიათი დაშლების გამოკვლევა სმმ მოდელების ფარგლებში.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ქართული ენის კორპუსის სრული (მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) ანოტირების სისტემა	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჩიკოიძე	ლიანა ლორთქიფანიძე, ანა ჩუტკერაშვილი, ლიანა სამსონაძე, მერი გეგეჭკორი, ნინო ამირეზაშვილი, ნინო ჯავაშვილი, შურა ჩადუნელი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

1. ენის კორპუსისთვის შერჩეული და მოპოვებულია ოთარ ჭილაძის რომანები
2. ტექსტები გადაყვანილია ტექსტურ ფორმატში
3. შესწავლილია მეტაანოტირების სტანდარტები
4. ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზისთვის შემუშავებულია დესკტოპ აპლიკაცია
5. შედგენილია სიტყვახმარებათა სიები სუბკორპუსის ერთი ავტორის ყველა რომანის მიხედვით
6. ჩამოყალიბებულია ზმნის რეგულარული სუპერპარადიგმები და შემუშავებულია ზმნური სუპერპარადიგმების კლასები
7. შესწავლილია მორფოლოგიური ანოტირების სტანდარტები
8. სტანდარტების გათვალისწინებით შეტანილია მარკერები მორფოლოგიური პროცესორის ლექსიკონებში

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი III – ქართული დიალექტური კორპუსის მორფოლოგიური ანოტირება და დიდი დიალექტური ლექსიკოგრაფიული	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მარინა ბერიძე	ლიანა ლორთქიფანიძე, ნარგიზა სურმაჯა, ლია ბაკურაძე, მაია ბარინაშვილი

ბაზის შექმნა			
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კორპუსში განთავსდა დიალექტური ლექსიკონები და სალექსიკონო მასალები 2. დამუშავდა ნახევრადავტომატური ანოტირების კონცეფცია 3. დამუშავდა ელექტრონული ლექსიკოგრაფიული მასალის საერთო კონკორდანსში ინტეგრირების კონცეფცია 4. ფორმირებულია საერთო კონკორდანსისა და ლექსიკოგრაფიული ელექტრონული ბაზის სტრუქტურა 5. შეიქმნა ლექსიკოგრაფიული ელექტრონული ბაზა 			

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	K. Gelashvili, L. Alkhazishvili, I. Khutsishvili, N. Ananiaishvili	On the modification of heavy ball method, <i>Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute</i>	Vol. 161, pp. 83-95, 2013	თბილისი	13
<p>ნაშრომში განიხილება მძიმე ბირთვის მეთოდის ახალი უწყვეტი მოდელი. დეტალურად, თეორიული ასპექტების, გეომეტრიული გააზრების და პროგრამული რეალიზაციის თვალსაზრისით ხდება მძიმე ბირთვის მოდიფიცირებული ალგორითმის შესწავლა. ახალი მეთოდი უშვებს დამუხრუჭების, გაჩერების, აჩქარების შესაძლებლობას. ახალი ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია გაცილებით მოქნილია, აქვს პარამეტრების შერჩევის საშუალებები და ტესტებზე სტაბილურად აჩვენებს გაცილებით უკეთეს შედეგებს მძიმე ბირთვის მეთოდთან შედარებით.</p>					
2	N.Archvadze, M.Pkhovelishvili	Possibility of Functional Programs Verification through Application of Model Checking, <i>Electronic Scientific Journal: "Computer Sciences and Telecommunications". ISSN 1512-1232. http://gesj.internet-academy.org.ge</i>	გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი	8
<p>ანოტაცია</p> <p>სტატიაში განიხილება ვერიფიკაციის პრობლემის აქტუალობა, სისტემა Model checking, რომელიც</p>					

<p>დისკრეტული დინამიური სისტემების ვერიფიკაციისთვის გამოიყენება. კერძოდ, განვიხილება ლოგიკა პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნების ფორმალიზაციის მიზნით, მოდალურობის გამოყენება, წრფივი ტემპორალური ლოგიკა Linear Temporal Logic და დისკრეტული სისტემების სპეციფიკაციები. ასევე განვიხილება კრიპკის სტრუქტურა, როგორც პროგრამის მოდელის წარმოდგენის საშუალება. მაგალითებისთვის გამოყენებულია ფუნქციონალური პროგრამები ენა Lisp-ზე და Haskell -ზე მათი ვერიფიკაციის მიზნით.</p>					
3	<p>ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი</p>	<p>მორფოსინტაქტიკური მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტი ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №17</p>	<p>გადაცემულია დასაბეჭდად</p>	<p>თბილისი</p>	<p>9</p>
<p>ტექსტური კორპუსების მთავარი დანიშნულებაა ენის ლექსიკასა და გრამატიკაში სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა. კორპუსის ანოტირების შედეგად შესაძლებელია ტექსტის შესახებ ნებისმიერი ტიპის ანალიტიკური ინფორმაციის მიღება. არსებობს მრავალი საერთაშორისო პროექტი, რომელთა მიზანია ენობრივი კორპუსების კოდირებისა და დამუშავებისთვის სტანდარტებისა და ინსტრუქციების ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მათგანია სტანდარტი EAGLES (Expert Advisory Group on Language Engineering Standards), რომელიც ლინგვისტური კვლევებისა და ტექნიკური პროგრამის ფარგლებში ევროპული კომისიის ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანია სტანდარტების წარმოდგენა უზარმაზარი ტექსტური რესურსებისთვის, როგორცაა მაგალითად, კომპიუტერული ლექსიკონები, ტექსტური და სამეტყველო კორპუსები.</p> <p>ნაშრომში აღწერილია EAGLES სტანდარტის მორფოსინტაქტიკური მახასიათებლები. მოცემული სტანდარტის მიხედვით განხილულია ქართული ტექსტური კორპუსის ანოტაციისთვის საჭირო ქართული მორფოსინტაქტიკური მახასიათებლებიც.</p>					

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

1	Gia Sirbiladze, Mikheil Kapanadze Anna Sikharulidze, Irina Khutsishvili and Bezhan Ghvaberidze	Constructions of the Temporalized Body of Evidence in non- Probabilistic Theory of Utility, <i>Georgian International Journal of Science and technology</i>	Vol. 6, No. 1, pp. 73-82, 2013	Nova Science Publishers, Inc.	10
2	Gia Sirbiladze, Anna Sikharulidze, Bidzina Matsaberidze, Teimuraz Manjaparashvili Irina Khutsishvili and Givi Chachia	On the New Constructions of a Fuzzy Prediction Simulation System, <i>Georgian International Journal of Science and technology</i>	Vol. 6, No 1, pp. 82-91, 2013	Nova Science Publishers, Inc.	10
3	Gia Sirbiladze, Irina Khutsishvili and Bezhan Ghvaberidze	Multistage decision- making fuzzy methodology for optimal investments based on experts' evaluations, <i>European Journal of Operational Research</i>	Vol. 232, Issue 1, pp. 169-177, 2014	Elsevier	9

ანოტაციები

1. In this paper we perform the analysis of Dempster-Shafer temporalized body of evidence for the construction of more precise decisions based on the expert knowledge valuations. The relation of information precision is defined on the bodies of evidence. Negative inaccuracy is defined as the stream of rational expert knowledge in Dempster-Shafer temporalized body of evidence. The principle of negative inaccuracy is developed, as the maximum principle of non-specificity measure of a body of evidence. Corresponding mathematical programming problem is constructed. An example demonstrating the use of constructed approach is presented for the decision making problem of the Utility Theory.
2. The main goal of the work (in the following named as a project) is to create the new type of Fuzzy Prediction Simulation System (FPSS). It will be based on the objective time series of populations of studied real evolutionary process and the representations of expert knowledge streams which are the inputs of the system. The FPSS must have the high level of credibility in the precise decision making and possibilistic scenarios of future evolution of the studied process for the wide range of practical problems, such as: business management and economics, information management, diagnosis of rare and complex diseases, etc. Development of the FPSS his especially important in the developing countries.
3. A new methodology of making a decision on an optimal investment in several projects is proposed. The

<p>methodology is based on experts' evaluations and consists of three stages. In the first stage, Kaufmann's expertons method is used to reduce a possibly large number of applicants for credit. Using the combined expert data, the credit risk level is determined for each project. Only the projects with low risks are selected. In the second stage, the model of refined decisions is constructed using the new modification of the previously proposed possibilistic discrimination analysis method (Sirbiladze, Khutsisvili, & Dvalishvili, 2010). This stage is based on expert knowledge and experience. The projects selected in the first stage are compared in order to identify high-quality ones among them. The possibility levels of experts' preferences are calculated and the projects are ranked. Finally, the third stage deals with the bicriteria discrete optimization problem whose solution makes it possible to arrange the most advantageous investment in several projects simultaneously. The decision on funding the selected projects is made and an optimal distribution of the allocated investment amount among them is provided.</p>					
4	S.Kharibegashvili, B. Midodashvili	On the solvability of one boundary value problem for one class of semilinear second order hyperbolic systems, <i>Journal of Mathematical Analysis and Applications</i> .	J. Math. Anal. Appl. 400 (2013) 345–362	Elsevier	19
5	S.Kharibegashvili, B. Midodashvili	One multidimensional version of the Darboux first problem for one class of semilinear second order hyperbolic systems, <i>Nonlinear Differential Equations and Applications NoDEA</i>	Nonlinear Differ. Equ. Appl. 20 (2013), 595–619	Springer Basel AGE	27
ანოტაციები					
<p>4. For one class of semilinear second order hyperbolic systems it is considered the Sobolev problem in the conic domain of time type which represents a multidimensional version of the Darboux second problem. The questions on global and local solvability, uniqueness, and also nonexistence of a solution to this problem are studied.</p> <p>5. One multidimensional version of the Darboux first problem for one class of semilinear second order hyperbolic systems is investigated. The questions on local and global solvability and nonexistence of a global solution of this problem are considered.</p>					
6	N.Archvadze , M.Pkhovelishvili, L.Shetsiruli	Solution planning problems using Model Checking, <i>Proceedings of the System Analysis and Information Technologies 15-th International Conference SAIT 2013. pp. 391.</i> http://sait.kpi.ua/books/sait2013.ebook.pdf/view SBN 978-966-2748-32-1 (print) ISBN 978-966-2748-33-8 (ebook)		Ukraine. Kiev	1
7	L.Shetsiruli, N.Archvadze , M.Pkhovelishvili	Model Checking for Functional Programs, <i>Proceedings of the International Scientific and Practical Internet Conference "Modern trends in the</i>		Donetsk, Ukraine	4

8	N.Archvadze, M.Pkhovelishvili, L. Lortkipanidze	<i>development of mathematics and its applications - 2012".</i> http://donduet.edu.ua/attachments/article/2013/s2_2_1_05.pdf pp. 84-87 Georgian Natural Language Interface to Database, <i>Proceedings of the 4th European Conference of COMPUTER SCIENCE (ECCS '13)</i> . (The paper was accepted)	Paris, France	4
---	--	--	---------------	---

ანოტაციები

6. განიხილება მოქმედებათა დაგეგმვის ამოცანების ამოხსნის ტექნოლოგია ვერიფიკაციის სისტემის Model Checking-ის საშუალებით. მდგომარეობების არეში მოქმედებათა დაგეგმვის ამოცანებს აქვს ექსპონენციალური კლასის სირთულე. მეზნის არის ასეთი ზომის გამო აზრი არ აქვს დაგეგმვის ამოცანების ამოსახსნელად გამოვიყენოთ სრული გადარჩევა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად Model Checking-ის ტექნიკის გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და პერსპექტიულ მიდგომას.

დაგეგმვის ამოცანა შეიძლება წარმოვადგინოთ ასე: გვაქვს მონაცემების სია საწყისი მნიშვნელობებით, გვაქვს ოპერატორები, რომლებიც გარდაქმნიან ამ სიას და გვაქვს შედეგი – სია სხვა მნიშვნელობით. იდეა მდგომარეობს მასში, რომ ამოირჩეს იმ ოპერატორების თანმიმდევრობა, რომელთა შესრულების შედეგად შესაძლოა მიღებული იყოს საშედეგო მნიშვნელობის სია. ამისთვის კი გამოყენებულია კრიპკეს სტრუქტურები და სხვა ფორმალური მეთოდები, ისე, როგორც ამას Model Checking გვთავაზობს.

7. განიხილება ორი ფუნქციონალური ენის Lisp და Haskell პროგრამების ვერიფიკაციის საკითხები. ამ ენების სტანდარტული რეკურსიული ფუნქციები წარმოდგენილია კუდური რეკურსიული ფუნქციებისთვის შექმნილი შაბლონების საშუალებით. ამ ამოცანის გადასაჭრელად შექმნილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა როგორც ენა Lisp-თვის, ასევე Haskell-თვის. შაბლონების ვერიფიკაცია სტრუქტურული ინდუქციის მეთოდის საშუალებით იყო დამტკიცებული, საიდანაც გამომდინარეობს ამ შაბლონებით წარმოდგენილი ფუნქციების სისწორე.

8. განიხილება ქართულენოვანი ინტერფეისის შექმნის ამოცანა სხვადასხვა მოთხოვნების დამუშავების მიზნით. კერძოდ, ინტერფეისის შექმნა განიხილება ქართული ენის განმარტებითი - კომპინატორული ლექსიკონის ბაზისთვის, რომელიც უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს. სტატიაში აღწერილია სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ალგორითმი.

მიზანია შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მომხმარებლებს მისცემს მონაცემებთან შედგენადობის მარტივ და მოსახერხებელ საშუალებას ქართულ ენაზე. ეს მექანიზმი იძლევა შემდეგ უპირატესობებს: მომხმარებელი მარტივად მიიღებს წვდომას მონაცემთა ბაზასთან, მიიღებს პასუხს ტექსტის შინაარსის შესახებ, მას არ დასჭირდება ხელოვნური ენის SQL-ის შესწავლა, არ დასჭირდება მონაცემთა ბაზის სტრუქტურის ცოდნა, არ დასჭირდება მონაცემთა ბაზების მართვის მათემატიკური უზრუნველყოფის ცოდნა, მაგალითად, ისეთის, როგორცაა Microsoft SQL, Oracle და ა.შ.

ქართულენოვანი ინტერფეის რეალიზება იგეგმება გრაფიკული ინტერფეისის სისტემის შექმნით. მომხმარებელი შეკითხვას აკრეფს ამ შეკითხვისთვის გამოყოფილ ველში ნიმუშის შესაბამისად. ნიმუში შეიცავს კითხვით სიტყვას და ერთ-ერთი ველის სახელს. თუ რამდენიმე ველია, მაშინ შეკითხვა შეიცავს და, ან, ან-ან კავშირებს.

სისტემა ამჟამად რეალიზების ეტაპზეა. იგეგმება მისი დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებების ფაკულტეტზე მისი ვერიფიკაციისა და ვალიდაციის მიზნით. ეს სისტემა შეიძლება გამოყენებული იყოს ქართულ ენაზე მომუშავე ლინგვისტების მიერ, კომპიუტერული და ონლაინ ლექსიკონებისთვის, ასევე დიდი მონაცემთა ბაზებისთვის, ისეთების, როგორცაა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზა, მობილური სატელეფონო საინფორმაციო ბაზა და სხვა.

9	Marina Beridze,	Georgian Dialect	The proceedings of	Narr	10
---	-----------------	------------------	--------------------	------	----

Liana Lortkipanidze, David Nadaraia	Corpus: Problems and Prospects	the conference "Historical Corpora" will be published as a volume within the series "Corpus Linguistics and Interdisciplinary Perspectives on Language (CLIP)"	Publishing House (In press)	
--	-----------------------------------	---	--------------------------------	--

The *Georgian Dialect Corpus* is built as a significant segment of the Georgian communicative pattern. It is conceived as a sub-corpus of *Georgian National Corpus* and is designed for a wide interdisciplinary research. Since 2006, the project has been funded by *Shota Rustaveli National Science Foundation*. The *Georgian Dialect Corpus* (GDC), with its structure, provides an opportunity to represent a wide spectrum of regional, temporal and stylistic realizations of Georgian linguistic reality.

The corpus contains texts from all the Georgian dialects (including the data of the dialects spread in *Iran, Turkey, and Azerbaijan*); intensive works for corpus processing of the *Laz* text collection are under way.

Currently, we work on the elaboration of the morphological annotation concept. In this process, the first step is lemmatization. While automatic lemmatization is an easily solvable and trivial problem in corpora of standard languages with exhaustive morphological descriptions, in a dialect corpus containing a comprehensive collection of texts up to twenty dialects, we have to deal with rather difficult tasks. It is undertaken manually in most of the dialect corpora.

On the basis of the concept, during a semi-automatic corpus annotation one can effectively apply a lexicographical element and a standard language parser.

In GDC, the lemmatization process is based on the standard form – a dialect lemma and a standard lemma are “deemed equal.” Before this, we should naturally provide the level of lemmatization of dialect texts.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინა ხუციშვილი	შესაძლებლობითი OWA ოპერატორის კონსტრუირება საინვესტიციო პროექტების დაკრედიტების რისკების შეფასებებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 2013 წლის 22- 26 იანვარი, თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო რისკების შემცირების გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ტექნოლოგია კონკურენტუნარიან საინვესტიციო პროექტებს შორის არჩევის შემთხვევაში. ტექნოლოგია კომბინირებულია ორი ფაზი-სტატისტიკური მეთოდით, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების შეფასების ორ საფეხურს. პირველ საფეხურზე მცირე რისკების მქონე პროექტების შერჩევა ხდება ა. კაუფმანის ექსპერტონების თეორიის საფუძველზე. მეორე საფეხურზე კეთდება გადაწყვეტილებების დაზუსტება შესაძლებლობითი აგრეგირების OWA ტიპის ოპერატორ AsPOWA-ს გამოყენებით. ეს ინსტრუმენტი გამოიყენება შედარებით მცირერიცხოვანი პროექტების მიმართ, რომლებიც შეირჩა პირველ საფეხურზე, მათი შედარებისა და მაღალი ხარისხის პროექტების გამოვლენის მიზნით. ბოლოს იქმნება რეკომენდაციები კრედიტების გაცემაზე. მოხსენება შეიცავს გამოთვლით მაგალითს, რომელიც ასახავს შემოთავაზებული ტექნოლოგიის მუშაობას.

2	ნათელა არჩვაძე	განზოგადოებული ფორმები სიების დამუშავების ფუნქციებისთვის ენა Haskell-ში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, http://conference.ens-2013.tsu.ge/ 22–26 იანვარი, 2013
---	----------------	---	---

მოხსენებათა ანოტაციები

მონაცემთა სტრუქტურის დასამუშავებლად განზოგადოებული ფორმების, იგივე ფუნქციების შაბლონების, აგება დამახასიათებელია მხოლოდ ფუნქციონალური პროგრამირებისთვის. მოხსენებაში ეს ამოცანა განხილულია ენა Haskell-ითვის. კერძოდ, განხილულია მონაცემების ისეთი სტრუქტურა, როგორცაა მოცემული ტიპის ელემენტების სია და წარმოდგენილია იგი სინტაქსურად ორიენტირებული კონსტრუირების მეთოდის საშუალებით. ეს მეთოდი ბრიტანელი მათემატიკოსის ჩარლ ჰუარის მიერ იყო შემოთავაზებული და მდგომარეობს მონაცემთა ტიპების კონსტრუირებაში, მათ შორის რეკურსიულად მოცემული ტიპისაც, ორი მარტივი ოპერაციის-დეკარტული ნამრავლისა და გაერთიანების საშუალებით. სტრუქტურა “სია” განისაზღვრება შემდეგნაირად:

```
List(A)=NIL + ( A × List (A) )
prefix=constructor List(A)
head,tail=selector List(A)
isNil, isNonNil=predicate List(A)
nil, nonNil=parts List(A)
```

ჩვენს მიერ შეიქმნა განზოგადოებული ფორმები ენა Haskell-ისთვის კუდური რეკურსიით განსაზღვრული ფუნქციებისთვის შენდები სახით:

```
f[] = g1 []
f(x : xs) = g2 ( g3 x ) ( g4 ( f ( g5 xs ) ) )
```

აქ g1, g2, g3, g4, g5 ფუნქციები დამოკიდებულია ამოცანის პირობებზე:

g1-არის ფუნქცია ცარიელი სიის დასამუშავებლად; g2-არის ფუნქცია, რომელიც აერთიანებს სიის თავისა და კუდის დამუშავების შედეგებს; g3-არის ფუნქცია, რომელიც ამუშავებს სიის თავს; g4-არის ფუნქცია, რომელიც ამუშავებს არაცარიელი სიის კუდისთვის რეკურსიულ გამოძახებას; g5-არის ფუნქცია, რომელიც წინასწარ ამუშავებს არაცარიელი სიის კუდს რეკურსიული გამოძახებისთვის.

სტრუქტურული ინდუქციის მეთოდით დამტკიცებულია ამ ფორმის ვერიფიკაცია.

3	B. Midodashvili, P. Dvalishvili	Genetic algorithm approach in the minimization of the risk of financial portfolio	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 2013 წლის 22-26 იანვარი, თბილისი
4	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მიდოდაშვილი	The method of corrections with higher order differences for an elliptic equation with Dirichlet boundary conditions	IV International Conference of the Georgian Mathematical Union, TBILISI – BATUMI, SEPTEMBER 9 – 15, 2013
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>3. In this work we consider the problem of minimization of the risk of financial portfolio. We offer a solution to this problem using genetic algorithm. The program compiled in C++ successfully solves the above mentioned problem for the given input data.</p> <p>4. In this paper the Dirichlet problem is considered for general elliptic equation with constant coefficients. We use ordinary $O(h ^2)$ approximation difference scheme. Using the approximate solution there is received a correcting addend for right-hand side of the difference scheme. It is proved that the rate of convergence of a solution of the corrected scheme with respect to the discrete $L_2(\omega)$ norm is of $O(h ^m)$, if the exact solution is in the Sobolev space $W_2^m(\Omega)$, $m \in [2, 4]$.</p>			

2) უცხოეთში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Irina Khutsishvili	New Possibilistic Aggregations for Optimal Valuation of Credit Risks of Investment Projects	Euro Informs 26th European Conference On Operational Research, Rome 1-4 July, 2013
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>The work proposes a decision support technology to minimize risks while choosing among competitive investment projects. The preliminary selection of projects with minor credit risks is made based on Kauffman's experts method. Then ranking of the chosen projects is made using the new generalization of the Ordered Weighted Averaging (OWA) aggregation operator – AsPOWA presented in the environment of possibility uncertainty. Mathematical programming problem is constructed for numerical estimation of the vector of weights associated with the AsPOWA operator.</p>			
2	ნათელა არჩვაძე	Solution planning problems using Model Checking	The System Analysis and Information Technologies 15-th International

			Conference SAIT 2013 კიევი, უკრაინა, 29–31 მაისი http://sait.kpi.ua/en/2013
3	ნათელა არჩვაძე	Model Checking for Functional Programs	Международная научно-практическая интернет-конференция “Современные тенденции развития математики и её прикладные аспекты”. დონეცკი, უკრაინა, 21 მაისი http://donduet.edu.ua/ru/konf/details/168-mizhnarodna-naukovo-praktichna-internet-konferentsija-suchasni-tendentsiyi-rozvitku-matematiki-ta-yiyi-prikladni-aspekti--2013.html
<p>მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>2. სამეცნიერო ფორუმში: The System Analysis and Information Technologies 15-th International Conference SAIT–2013 მონაწილეობა განხორციელებული (დაფინანსებული) იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (გრანტი N 013_tr_058) მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში. დაგეგმვის (planning) ქვეშ გაიგება თანმიმდევრული მოქმედებების აგების პროცესი, რომელსაც წინასწარგანსაზღვრულ მიზნამდე მიყვავართ. ავტომატური დაგეგმვა – ეს მაღალი სირთულის ამოცანაა, ვინაიდან ითხოვს ძეზნის სივრცის სრულ გადასინჯვას. სხვადასხვა ჯგუფების მიერ დაგეგმვის ამოცანებისთვის შემოთავაზებულია Model Checking-ის ვერიფიკაციის ტექნიკის გამოყენება. სისტემა აღიწერა როგორც მდგომარეობათა და გადასვლათა სასრული სისტემა და შესამოწმებელი თვისება, რაც არის ვერიფიკაციის სისტემისთვის შესასვლელი მონაცემები. ვერიფიკატორი ასკვნის, ან მოცემული თვისება სრულდება, ან იძლევა კონტრმაგალითს, რომელზეც შესამოწმებელი თვისება არ სრულდება. აღწერილი ტექნიკა გამოვიყენეთ ფუნქციონალური პროგრამის ვერიფიკაციისთვის. იდეა მდგომარეობს მასში, რომ მოხდეს დაგეგმვა ფუნქციების იმ თანმიმდევრობების, რომელიც მოცემულ საწყის მდგომარეობას (საწყის არგუმენტს) გადაიყვანს მიზნობრივ მდგომარეობაში.</p> <p>3. მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენციის „მათემატიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და მისი გამოყენებითი ასპექტების“ მეორე სექციის მუშაობაში: „ტექნიკური სისტემების მოდელირება“. მოხსენებაში განხილული იყო ფუნქციონალური პროგრამების ვერიფიკაცია Model checking-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით. Lisp და Haskell პროგრამების ვერიფიკაციის მიზნით ამ ენების სტანდარტული ფუნქციები წარმოდგენილია კუდური რეკურსიული ფუნქციებისთვის შექმნილი შაბლონების საშუალებით. შაბლონების ვერიფიკაცია სტრუქტურული ინდუქციის მეთოდის საშუალებით იყო დამტკიცებული.</p>			

დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	პროგრამული სოფტის შემუშავება პრაქტიკული ოპტიმიზაციის და თამაშთა თეორიის ამოცანების ფართო	ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი კობა გელაშვილი	პროფ. კობა გელაშვილი, ასოც. პროფ. ლელა ალხაზიშვილი,

	სპექტრისთვის		ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი, დოქტორანტი ნათელა ანანიაშვილი, გიორგი საღინაძე
დასრულებული კვლევათი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>2013 წლის მანძილზე თემატიკის ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა უპირობო და პირობითი ოპტიმიზაციის მეთოდების განვითარებაზე და მოდიფიცირებაზე, წრფივი პროგრამირების და მატრიცული თამაშების სპეციფიკის გათვალისწინებით:</p> <p>1. ოპტიმიზაციის ამოცანა წრფივი ფუნქციონალისთვის წრფივი შეზღუდვებით, იხსნება შეუღლებული გრადიენტების ერთ-ერთი თანამედროვე ალგორითმით (პოლაკ-რიბიერ-პოლიაკი+) კვადრატული საჯარიმო ფუნქციით. გაუმჯობესება ხდება საჯარიმო ფუნქციის და მისი წარმოებულების მნიშვნელობების გამოთვლის საკითხში, რისთვისაც გამოიყენება ტექნიკა, მსგავსი გამეჩხერებულ (sparse) მონაცემებთან მუშაობის მეთოდებისა. ჩვენ ამოვხსენით საშუალო მოცულობის (რამდენიმე ათეულის რიგის) ამოცანა, რომელიც ბუნებრივად წარმოიშვა პროფესორ გია სირბილაძის ერთ-ერთ კვლევაში.</p> <p>ჩვენი სოფტი მუშაობს სწრაფად და საიმედოდ, უფრო სწრაფად ვიდრე ზოგიერთი კომერციული ე.წ. სოლვერი. უფრო სწრაფი პროდუქტები, საკმაოდ ძვირია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არასაიმედოდ მუშაობს (მაგალითად ALGLIB). მნიშვნელოვანია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი რესურსი მისი გაუმჯობესებისთვის. ჩვენს სოფტში ამოცანის საწყისი ფორმულირება მოქნილია და მეგობრული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, შეუღლებული გრადიენტების მეთოდები საშუალებას იძლევა ხსენებული მიდგომა გამოყენებულ იქნას დიდი ზომის ამოცანებისთვის (რამდენიმე ათასის რიგის), თუ ფუნქციონალის და შეზღუდვების კოეფიციენტების ვექტორები მეჩხერია (ნულების რაოდენობა ერთი რიგით მაინც აღემატება არანულოვან მონაცემებს).</p> <p>2. „მძიმე ბირთვი“ წარმოადგენს გლუვი ფუნქციის უპირობო მინიმიზაციის , ამოცანის ამოხსნის კარგად ცნობილ და საკმაოდ ეფექტურ მეთოდს. ეს მეთოდი თავისი შინაარსით მრავალფუნქციურია: იგი გამოიყენება როგორც ”პირველივე” ლოკალური მინიმალის სწრაფი მიღწევისთვის, ასევე გლობალური (ან კარგი ლოკალური) მინიმალის განსაზღვრისთვის. მძიმე ბირთვის თემაზე სისტემატურად ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები, რაც ადასტურებს მის სამეცნიერო აქტუალობას; მძიმე ბირთვის მეთოდი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული არაგლუვი ფუნქციების მინიმიზაციისთვის.</p> <p>ჩვენს მიერ დამუშავებულია მეთოდის ახალი მოდიფიკაცია, რომელიც უშვებს დამუხრუჭების, გაჩერების, ან (პირიქით) აჩქარების შესაძლებლობას. მოდიფიცირებული მეთოდის უპირატესობების გამოვლენას ეთმობა გამოქვეყნებული ნაშრომი (იხ. ქვემოთ), რომელიც თეორიულ შედეგებთან ერთად შეიცავს პროგრამული პროდუქტის ტესტირების ძალიან დამაიმედებელ შედეგებს.</p> <p>3. ჩვენ ვაპროგრამებთ C++ ენაზე, მისი სტანდარტული ბიბლიოთეკების თანამედროვე შესაძლებლობების გათვალისწინებით. შესაბამისად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პირობითი და უპირობო მინიმიზაციის ტესტური ამოცანების მდიდარი კოლექციის არსებობა ამ ენაზე. ასეთი კოლექციები არსებობს ფორტრანზე - კარგად ცნობილი CUTEst გარემო. არსებობს ამ გარემოს ეკვივალენტები AMPL- მოდელერების ენაში (პრინსტონის უნივერსიტეტის 2001 წლის პროექტი, http://orfe.princeton.edu/~rvdb/ampl/nlmodels/), და პროგრამირების ენა პითონზე: http://pydoc.net/Python/coopr.pyomo/2.5/coopr.pyomo.tests.NL.CUTE.nondia_cute/.</p> <p>ამჟამად მზად გვაქვს 40 ტესტი, მათ შორის DIXMAAN A-L, ფუნქციების იმპლემენტაციის მთლიანი ზომა დაახლოებით 27 გვერდია.</p>			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

2	გენეტიკური ალგორითმი და მისი გამოყენებები	ასოც. პროფ. ბ. მიდოდაშვილი	ასოც. პროფ. ბ. მიდოდაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>2013 წლის მანძილზე გრძელდებოდა მუშაობა გენეტიკური ალგორითმის გამოყენების საკითხებზე, მათ შორის მათემატიკური დაპროგრამებისა და ოპტიმალური მართვის ამოცანებისათვის. განხილულია აგრეთვე გენეტიკური ალგორითმის ოპერატორებისა და პარამეტრების ოპტიმალური შერჩევის საკითხები.</p> <p>ფინანსური აქტივების პორტფელის რისკის მართვის ამოცანისათვის წარმატებულად გამოყენებულია გენეტიკური ალგორითმის მიდგომა. შემუშავებულია პროგრამა (დაპროგრამების ენა C++) რომელიც წარმატებით წყვეტს აღნიშნულ ამოცანას.</p>			
სამუშაოს დასახელება		სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	პროგრამირების ფუნქციონალური ენების Model Checking-ის საშუალებით ვერიფიკაციის საკითხები	ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე	ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>კომპიუტერულ მეცნიერებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამებისა და სისტემების ვერიფიკაცია, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიას მიეკუთვნება.</p> <p>ვერიფიკაციის ამოცანის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ ყოველმხრივი კომპიუტერიზაცია ადამიანს ხდის დაუცველს და დამოკიდებულს მის მიერვე შექმნილ ტექნიკაზე. ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო მნიშვნელოვანი სამეცნიერო და ტექნიკური პრობლემა ხდება საჭირო ხარისხის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაციას ამ ამოცანის გადაჭრის დიდი პოტენციალი აქვს.</p> <p>ვერიფიკაცია გულისხმობს: ფორმალურად შემოწმდეს სრულდება თუ არა პროგრამული სისტემის ყოფაქცევის ფორმალური მოთხოვნები, რომელიც ფორმალური მოდელითაა წარმოდგენილი.</p> <p>ვერიფიკაციის დარგში ბოლოდროინდელი მიღწევები დაკავშირებულია მეთოდთან Model checking (მოდელის შემოწმება), რომელიც პროგრამების ავტომატური გამართვის, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ამოცანებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და პერსპექტიულ მიდგომას. Model Checking მეთოდოლოგია მდგომარეობს შემდეგში: პროგრამის მოდელზე მოწმდება ტემპორალური ლოგიკის ფორმულებით აღწერილი სისტემის ფუნქციონირება.</p> <p>შევისწავლეთ რა Model Checking-ის მეთოდოლოგია, ვაჩვენეთ, რომ ფუნქციონალური პროგრამების ვერიფიკაცია შეიძლება განხორციელებული იყოს ამ მეთოდოლოგიით, თუ გამოვიყენებთ სიებს, ნაცვლად მდგომარეობებისა, რომელიც არ არსებობს ფუნქციონალურ ენებში. ძირითადი პრობლემა იყო ის თავისებურება, რაც აქვს ფუნქციონალურ პროგრამას: მას არ აქვს მდგომარეობები, ცვლადების აღწერები, მინიჭების ოპერატორი – ანუ არ არის საშუალება შეიცვალოს მესიერების უჯრედის მნიშვნელობა და სხვა.</p>			

<p>Model checking–ის მეთოდოლოგიის გამოყენებით ვაჩვენეთ ფუნქციონალური პროგრამების ვერიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტის გზა, კერძოდ, Lisp და Haskell პროგრამებისთვის. უფრო ზუსტად, მოვახდინეთ ამ ენებზე წარმოდგენილი კუდური რეკურსიული ფუნქციების და მათი კომპოზიციებიან შემდგარი პროგრამების ვერიფიკაცია.</p> <p>პროგრამირების ფუნქციონალურ პარადიგმაში მონაცემთა სტრუქტურის ასაგებად გამოყენებული მეთოდიკები საშუალებას იძლევა შეიქმნას განზოგადოებული ფორმები (ტიპიური ფუნქციის შაბლონები) ამ სტრუქტურების დასამუშავებლად. კერძოდ, სინტაქსურად ორიენტირებული კონსტრუირების მეთოდი, რომელიც ბრიტანელი მათემატიკოსის ჩარლ ჰუარის მიერ იყო შემოთავაზებული, საშუალებას იძლევა მონაცემების შექმნილი ტიპებისთვის ავტომატურად აიგოს ფუნქციის აღწერის ზოგიერთი კარკასი, რომლებითაც დამუშავდება მონაცემების შესაბამისი ტიპები. ასეთი კარკასები შეიძლება განხილული იყოს როგორც შაბლონები, რომლებიც შეავსებენ აუცილებელი ფუნქციონალურობით. ასეთი შაბლონების ზოგადი სახე რჩება უცვლელი, იცვლება მხოლოდ შინაარსი, რომელიც დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ განსაზღვრული მიზნის ფუნქციის მოთხოვნებით.</p> <p>ჩვენს მიერ Lisp და Haskell ენებისთვის შექმნილი იყო სიების დასამუშავებლად განკუთვნილი კუდური რეკურსიული ფუნქციების ტიპიური შაბლონები და შექმნილი იყო პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც თითოეული ასეთი ფუნქცია დაყვანილი იყო ტიპიურ ფორმებზე. ტიპიური ფორმების ვერიფიკაცია სტრუქტურული ინდუქციის მეშვეობით ჩვენს მიერვე იყო დამტკიცებული. აქედან გამომდინარე–ის ფუნქციები, რომლებიც ამ ფორმებზე/შაბლონებზე იყო დაყვანილი, ავტომატურად ხდებოდა დამტკიცებული.</p> <p>Model Checking–ის ტექნიკის გამოყენებით ასევე გადავწყვიტეთ მოქმედებების დაგეგმვის ამოცანა. დაგეგვა არის პროცესი, როდესაც ხდება მოქმედებების ისეთი თანმიმდევრობის აგება, რომელსაც მივყავართ დასახულ მიზნამდე. ავტომატური დაგეგმვა წარმოადგენს მაღალი სირთულის პრობლემას. მდგომარეობების არეში მას აქვს ექსპონენციალური კლასის სირთულე. ცხადია, სწორედ ძებნის არის ასეთი ზომის გამო აზრი არ აქვს დაგეგმვის ამოცანების ამოსახსნელად გამოვიყენოთ სრული გადარჩევა. ამ პრობლემის ერთ–ერთი შესაძლო გადაწყვეტაა განსაზღვრული პრობლემური გარემოსთვის შევიმუშავოთ რთული ევრისტიკა, რათა ძებნის არე შევამციროთ მისაღებ ზომამდე. მკვლევართა განსაზღვრული ჯგუფი გვთავაზობს ტექნიკას Model Checking, რომელიც ჩვენს მიერაც იყო გამოყენებული ფუნქციონალური პროგრამების ვერიფიკაციისთვის.</p> <p>ფუნქციონალური პროგრამა ეს არის რეკურსიული ფუნქცია, ან მათი კომპოზიცია, და შეიძლება წარმოვადგინოთ ასე: გვაქვს საწყისი პარამეტრი და ოპერატორები, რომლებიც რომლებიც გარდაქმნიან პარამეტრებს. იდეა მდგომარეობს მასში, რომ მოხდეს ამოცნობა თუ რა ტიპისაა არგუმენტი, რომელი მოქმედებები შეიძლება გამოყენებული იყოს მის გარდასაქმნელად, რათა გამოყენებული იყოს ფორმალური მეთოდები.</p>			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	ქართული ტექსტური კორპუსების მენეჯერის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება	ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე	ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)			
ქართული ენის კორპუსისთვის შემუშავდა მონაცემთა მიღების, რელაციურ ბაზებში განთავსების და კონკორდანსად წარმოდგენის დესკტოპ–აპლიკაცია			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5	ქართული ენის	ასისტ. პროფ.	ასისტ. პროფ.

	მორფოლოგიური ტეგერის შემუშავება	ლიანა ლორთქიფანიძე	ლიანა ლორთქიფანიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)			
ქართული ენის ტექსტებისთვის შემუშავდა მორფოლოგიური ანოტირების დესკტოპ-აპლიკაცია			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6	კორპუსის ლინგვისტიკის სახელმძღვანელოს შედგენა	ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე, მარინა ბერიძე	მარინა ბერიძე, ასისტ. პროფ. ლიანა ლორთქიფანიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)			
შედგენილია კორპუსის ლინგვისტიკის სახელმძღვანელოს პირველი 6 თავი			

ტექნიკური ინფორმაციის კათედრა

I.2. სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ხაჩიძე

I.3. კათედრის შემადგენლობა: მოწვეული სპეციალისტი - მანანა ხაჩიძე, ასოც. პროფ. მაგდა ცინცაძე, ასოც. პროფ. ლელა მირცხულავა, ასისტ. პროფ. მაია არჩუაძე, ასისტ. პროფ. პაპუნა ქარჩავა.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„განათლება სამეწარმეო	შვედეთის ინსტიტუტი	ასისტ. პროფ. ზურაბ მოლდებაძე	ზურაბ მოლდებაძე

	საქმიანობისა და ინოვაციებისათვის“			
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სტოკჰოლმის უნივერსიტეტებს შორის 2012 წლის შემოდგომაზე დადებული ხელშეკრულებით წარმატებით მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტი „განათლება სამეწარმეო საქმიანობისა და ინოვაციებისათვის“. პროექტის პირველ ეტაპზე გამარჯვებულმა სტუდენტებმა გაიარეს სტაჟირება უკრაინისა და შვედეთის წამყვან IT კომპანიებში.</p>				

IV პუბლიკაციები:
1) საქართველოში

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.ხაჩიძე, მ.არჩუაძე, გ.ბესიაშვილი	კონცეპტებზე დაფუძნებული ცოდნის ამოკრეფის მეთოდი შეფასებითი ტექსტებიდან, <i>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა.ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული</i>	# 17, 2013	5
<p>ნაშრომში განხილია ცოდნის ამოღების მეთოდი შეფასებითი ტექსტებდან. აღნიშნული მეთოდი შემუშავებულია ორი მეთოდის სინთეზის საფუძველზე: ცხადი სემანტიკური ანალიზი (Explicit Semantic Analysis - ESA) და ანალიტიკური ევისტიკებს მეთოდი. სტატიაში განიხილება კონცეპტების (მისი ატრიბუტების) აღწერის და ცნებს გამოთვლის ახალი და უფრო მოხერხებული მეთოდი. ეს მეთოდი აღწერს კონცეპტებს უფრო კომპაქტურად და სემანტიკურად უფრო ზუსტად. მისი გამოყენება შესაძლებელია ცოდნის ბაზის ფორმირების პროცესში.</p>				
2	მ.ხაჩიძე, დ.ხაჩიძე, ნ.ხაჩიძე	სიმსივნურ დაავადებათა მიკროკალორიმეტრული დიაგნოსტიკის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის ლოგიკური სქემა, <i>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა.ელიაშვილის სახ.</i>	# 17, 2013	თბილისი 6

		<i>მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული</i>		
<p>განხილება სამედიცინო სანფორმაციო სისტემის ფუნქციონირების ძირითადი სტრუქტურა. სტრუქტურის ყოველი ლოგიკური ელემენტისათვის შექმნილია შესაბამისი პროგრამული მოდული რომელიც უზრუნველყოფს: პაციენტის კლინიკური მონაცემების შეგროვებას (მიკროკალორმეტრიული ანალიზის შედეგად მიღებული ანალიზის ჩათვლით); პაციენტის მონაცემების ანალიზს სიმსივნური დაავადების დიაგნოსტიკის თვალსაზრისით. დიაგნოსტიკა ეფუძნება ორ მეთოდს – სიმსივნურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ახალი მიკროკალორიმეტრიული მეთოდს და ცოდნის წარმოდგენის ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდს.</p>				
3	მ. არჩუაძე, მ.ოდილაძე, მ. გეგეჭკორი, ვ. ბახტაძე, თ. ლომინაძე	<p>ღრუბლოვანი გამოთვლების განვითარების პერსპექტივები საგანმანათლებლო სფეროში, <i>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა.ელაიშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული</i></p>	# 17, 2013	4
<p>ნაშრომში განხილულია ღრუბლოვანი გამოთვლების განვითარების პერსპექტივები განათლებასა და მეცნიერებაში. ნაჩვენებია ღრუბლოვანი გამოთვლების გამოყენების შესაძლებლობები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.</p>				

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Mirtskhulava L.	Mathematical Model of Prediction of Reliability of Wireless Communication Networks/IEEE Xplore Digital Library/ACM digital library	Proceedings of IEEE Xplore Digital Library	Cambridge, UK. UKSim	6

2.	L.Mirtskhulava, G. Gugunashvili, M. Kiknadze	Modeling of Wireless Networks as Queuing System	Proceedings of the World Congress on Engineering and Computer Science 2013. Vol. II	WCECS 2013, 23- 25 October, 2013, San Francisco, USA	6
ნოტაციები					
<p>1. The paper is devoted to study and evaluation of data transmission through unreliable wireless channel, subjected to distortions on the physical layer. The time between neighbouring failures is distributed according to Erlang ratio. The method of enhance of reliability of transmission through unreliable wireless channel (WCH) is suggested.</p> <p>2. This paper presents the study of special Erlang distribution model in wireless networks and mobile computing. We demonstrate that the Erlang family provides more flexibility in modeling that exponential family, which only has one parameter. In practical situations, the Erlang family provides more flexibility in fitting a distribution to real data that the exponential family provides. The Erlang distribution is also useful in queueing analysis because of its relationship to the exponential distribution. To demonstrate the applicability of the Erlang distribution, we consider queueing model, represented as wireless channel where the interarrival times between failures have the Erlang Distribution.</p>					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.ხაჩიძე, მ.არჩუაძე, გ.ბესიაშვილი.	ანალიტიკურ ევრისტიკული კონცეპტები სემანტიკური ძებნის ამოცანებში	6 საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია "ინტერნეტი და საზოგადოება" 6-7 ივნისი 2013, ქუთაისი, საქართველო, კონფერენციის მასალები, 11-14 გვ. ინსო- 2013. www.inso.ge
<p>ნაშრომში განხილულია კონცეპტების ფორმირების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი ინფორმაციის სემანტიკურ ძებნაში. მეთოდი შემუშავებულია ორი არსებული მეთოდის Explicit Semantic Analysis (ESA) და ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდების სინთეზის საფუძველზე. სტატიაში განხილულია შემოთავაზებული ცნების აღწერის (მისი ატრიბუტების) წარმოდგენისა და კონცეპტების გამოთვლის ახალი მეთოდი, რომელიც უფრო მოსახერხებელია და კომპაქტურად და სემანტიკურად ზუსტად აღწერს კონცეპტებს. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას კონცეპტუალური ძებნის სხვა მეთოდებთან ერთად.</p>			
2	მ.ხაჩიძე, ვ.რაძიევსკი, მ.მიქელაძე, ნ.ჯალიაბოვა, დ.რადიევსკი	გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტიკების, პროგნოზირების და ანალიზის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნიკო ნიკოლაძე 170“. 24-25 სექტემბერი, 2013, თბილისი

		ინტელექტუალური სისტემა	
<p>განხილება გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ამოცანა. ნაჩვენებია, რომ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტიკის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ არის საკმარისი მისი ადეკვატური შეფასებისათვის. ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი. შემოთავაზებულია ინტელექტუალური სისტემის მოდელი, რომელიც იყენებს მათემატიკური ლოგიკის, ბულის ალგებრის და დისკრიმინაციული ანალიზის მეთოდებს.</p>			
3	მ.არჩუაძე, მ.ხაჩიძე, გ.ბესიაშვილი	ადაპტირებული ქვანტური ალგორითმი ინფორმაციულ ძებნაში	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია. თბილისი, 2013 წლის იანვარი
<p>უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზრდება ინტერესი ქვანტური კომპიუტერებისადმი. შესაბამისად ჩნდება ახალი ქვანტური მიდგომები კლასიკური ალგორითმებისადმი, რომელთა ანალოგის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს ქვანტური კომპიუტერის თეორიის განვითარებისათვის. ქვანტური მექანიკის მათემატიკური ბაზისი იძლევა საშუალებას მისი გამოყენების შემეცნებით ინფორმაციკის ამოცანებში, როგორცაა: კონცეპტუალური ანალიზი და ინფორმაციული ძებნა. კონცეპტის ფორმირება, ინფორმაციული ძებნის ქვანტური მეთოდები, ქვანტური აზურდვა და ინტერფერენცია, სემანტიკური მსგავსება არის ის მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც განაპირობებენ ახალი ეტაპის დასაწყისს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ქვანტური ინფორმაციკის ამოცანებში უკავია გროვერის ალგორითმს. პრეზენტაციაში განიხილება ქვანტური ჯგუფებისა და ქვანტური ლოგიკური გეიტების მათემატიკურ აპარატზე დაფუძნებული ქვანტური გამოთვლები, რომლებიც გამოყენებულია არასტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზებში გროვერის ძებნის იტერაციული ალგორითმის ერთ-ერთ ვარიანტში.</p>			
4	მ.ცინცაძე	არაცხადი ინფორმაცია და კანონიკურად შეუღლებული არამკაფიო ქვესიმრავლები	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია. თბილისი, 2013 წლის იანვარი
<p>თანამედროვე სამყაროში ჩვენ ძირითადად ორი ტიპის განუზღვრელობასთან გვაქვს საქმე, რომლებიც დაკავშირებულია ირან „განუსაზღვრელ“ და „ორაზროვან“ ინფორმაციასთან. პირველი ტიპის არამკაფიოობის მოდელირება როგორც წესი ეფუძნება არამკაფიო სიმრავლებებსა და მათი დასაჯერობის ხარისხს. არამკაფიო სიმრავლებით მოდელირების მთავარი მოუხერხებლობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ძირითადად ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნება, ანუ გამოდის რომ შესაბამისად ჩვენ გვჭირდება დამატებითი კრიტერიუმები იმისათვის რომ შევარჩიოთ „სწორი“ ექსპერტი „სწორი“ შეფასებისათვის. ჩვენი მოდელი საშუალებას გვაძლევს ავიცილოთ ეს უხერხულობა და მოვახდინოთ „ოპტიმალური“ შეფასება.</p>			
5	პ.ქარაჯა	ქვანტური კრიპტოგრაფია: პრინციპები, პროტოკოლები	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია. თბილისი, 2013 წლის იანვარი
<p>ნაშრომში განხილულია ქვანტური განაწილებად გასაღებების სისტემების ორი ძირითადი მიმართულება. მოცემულია ქვანტური განაწილებადი გასაღებების არსებული პროტოკოლების (BB84, B92, 4+2, 6 მდგომარეობა, EPR) შედარებითი ანალიზი.</p>			
6	მ.ხაჩიძე	ახალი ტენდეციები და	თსუ ზუსტ და

		რეკომენდაციენი კომპიუტერული მეცნიერების კურსკულუმისათვის	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია. თბილისი, 2013 წლის იანვარი
<p>40 წლია გრძელდება კომპიუტინგში სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) შემუშავების და დახვეწის პროცესი, რომელიც ინიცირებულია და ხორციელდება წამყვანი პროფესიული საზოგადოებების Computing-ACM და IEEE-კომპიუტერული საზოგადოების მიერ. კომპიუტინგის სფეროს ზრდასთან ერთად იზრდება კურიკულუმის რეკომენდაციები კომპიუტინგში შემავალი ყველა მიმართულებისათვის: კომპიუტერული ინჟინერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია. თსუ-ს პროფესორთა ჯგუფი 2006 წლიდან აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში. 2013 წლიდან ACD ახდენს, იმ ცოდნის ერთეულების ხელახალ განსაზღვრას, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერული მეცნიერების კურიკულუმისათვის აუცილებელ საფუძვლებს. კომპიუტერული მეცნიერების კურიკულუმის შემუშავების პროცესი ურთულესია, თუ გავითვალისწინებთ კომპიუტინგის სწრაფად განვითარებად და გაფართოებად არეს და მის ურთიერთობას სხვა დისციპლინებთან და მეცნიერების დარგებთან.</p>			
7	ლელა მირცხულავა	Performance compatibility of IPv6 tunneling over IPv4 environment	პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ENS-2013. Tbilisi. Georgia. 2013
8	Lela Mirtskhulava	Performance Analysis of Cellular Wireless Network by Exponential Interarrival Times. Poster.	First International Black Sea Conference on Communications and Networking. Technically sponsored by IEEE Communications Society. BlackSeaCom 2013. Batumi, Georgia, July 3-5, 2013.
9	ზურაბ მოდებაძე	სტუდენტების მონაწილეობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს პროექტებში	პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ENS-2013. Tbilisi. Georgia. 2013
<p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>7. This paper describes performance analysis of implementation of IPv6 networks in IPv4 environment by configuring IPv6 over IPv4 tunnel between five routers. Where the backbone of the network however is still based on IPv4 and to make any changes is not allowed. Main task of the given paper is migration process to IPv6, choosing most advantageous IPv6 transition mechanisms, interoperation of IPv4 and IPv6 networks. In this paper performance analysis aspects of migration and optimization concerns for IPv6 networks. For connectivity IPv6 tunneling over IPV4 environment is used. All IPv4 addresses have been preconfigured. OSPFv2 has been configured in the IPV4 domain for connectivity between the routers.</p> <p>8. The paper focuses on Performance Analysis and Reliability of Cellular Wireless Networks. It studies quality of service (QoS) metrics analysis and deal with reliability issues of wireless cellular networks. The mathematical model of data transmission channel assuming that in Wireless Data Transmission Channel (DTC) failures can</p>			

occur essentially influencing on reliability and data transmission trustworthiness are considered in the paper. Third generation wireless systems typically employ adaptive coding and modulation, scheduling, and Hybrid Automatic Repeat request techniques to provide high-speed packet data service on the downlink. We propose to incorporate frame error rate (FER) and retransmission information as a part of the scheduling decision. In the given model it is assumed that there is some time redundancy, the value of which (the number of retransmissions of information) is a parameter that allows for optimization. The time between successive failures is distributed according to exponential ratio.

9. 2012 წლის სექტემბრიდან სტოკჰოლმისა და ლოფვის უნივერსიტეტებთან ერთად მიმდინარეობს საერთო პროექტი: „დასაქმება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“. ამ პროექტში ჩართულია კომპიუტერული მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტები. მათ მომზადეს სამი ქვეპროექტი, რომელთაგანაც არის განხილვისთვის გადაგზავნილი სტოკჰოლმის უნივერსიტეტში. აგრეთვე, პროექტი ითვალისწინებს სტუდენტთა გაცვლთ პროგრამას, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მათი დასაქმებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ავტომატიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურად ჩაერთო ჩვენი (კომპიუტერულ მეცნიერებათა) მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტები 2012 წლის ოქტომბრიდან.

კერძოდ, ისინი მუშაობენ open journal system-ზე. ეს არის ღია საჟურნალო სისტემა, სადაც მოხდება ელექტრონული ჟურნალების ატვირთვა. ჯერ არცერთი ვერსია არ არის ატვირთული, ვინაიდან მიმდინარეობა საიტის ინტერფეისის თარგმნა ქართულ ენაზე და შემდეგ დაიწყება ჟურნალების ატვირთვაც.

გარდა ამისა, ჩვენი სტუდენტები მუშაობენ Drupal-ზე, სწორედ Drupal-ით არის ბიბლიოთეკის საიტი აწყობილი, ამჯამად აქვთ მე-5 ვერსია და სტუდენტები მუშაობენ მის upgrade-ზე და მე-6 ვერსიაზე გადაყვანაზე.

გარდა ამისა, არის კატალოგები koha , openbiblio , სადაც ხდება წიგნების ატვირთვა, ასევე დასაქმებულები არიან ჩვენი სტუდენტები და მუშაობენ მის უფრო გაძლიერებაზე და განვითარებაზე.

ახალი წლიდან ბიბლიოთეკა აპირებს უამრავი პროექტის ჩატარებას და სიახლეებს ჩვენი ოფიციალური საიტი გამოაქვეყნებს.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის გადმოწერილი მონაცემთა ბაზების საცდელი ვერსიები. საკმაოდ ფართო და ნებიერი მეცნიერს თუ სტუდენტს შეუძლია მათი გამოყენება (ბიბლიოთეკის საიტზე ინფორმაცია ამის შესახებ).

ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში მუშაობა დაიწყო ერთმა სტუდენტმა. დასაქმება რამდენიმე სტუდენტი.

	<p>შესწავლილია სითბური ფლუქტუაციებისა და სპინური მახრუნებელი მომენტის გავლენა თხელი ფერომაგნეტიკური ფირების დამაგნიტების დინამიკაზე. მიღებულია ფოკერ-პლანკის განტოლება რომლის საშუალებითაც შეიძლება აღიწეროს დამაგნიტების დინამიკა სითბური ფლუქტუაციებისა და სპინური მახრუნებელი მომენტის გათვალისწინებით. შემოთავაზების თეორიის გამოყენებით მიღებულია ფოკერ-პლანკის განტოლების სტაციონალური ამონახსნი. ამ ამონახსნის საშუალებით, აგრეთვე რიცხვითი მეთოდებით შესწავლილია დამაგნიტების ვექტორის დინამიკა. ანალიზურად მიღებულია სითბოტევადობის ცვლილების ფორმულა რომელსაც იწვევს სპინური მახრუნებელი მომენტების წევრები. მიღებულია რომ სიბრტყეში დამაგნიტების ვექტორის ორიენტაცია დამოკიდებულია სპინური მახრუნებელი მომენტის მუდმივების თანაფარდობაზე, აგრეთვე ტემპერატურის და გარე ველის შეფარდებაზე. ნაჩვენებია რომ ტემპერატურის ცვლილება იწვევს სიბრტყეში დამაგნიტების ვექტორის მობრუნებას.</p>		
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	სპინური ზეებეკის ეფექტის შესწავლა ფოკერ-პლანკის განტოლების გამოყენებით	ზაზა ტოკლიკიშვილი	ზაზა ტოკლიკიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>შესწავლილია სპინური ზეებეკის ეფექტი ფოკერ-პლანკის განტოლების ამონახსნის საშუალებით. ფოკერ-პლანკის განტოლება აღწერს დამაგნიტების ვექტორის დინამიკას ფერომაგნეტიკური მეტალის ფენაში მაგნიტური ველის სითბური ფლუქტუაციების გათვალისწინებით. მიღებულია ფოკერ-პლანკის განტოლების სტაციონალური ამონახსნი, როდესაც გვაქვს გარე მაგნიტური ველი და ანიზოტროპიის ველი. მიღებული ამონახსნის საშუალებით დათვლილია სრული სპინური დენის საშუალო მნიშვნელობა, რომელიც გვაქვს ნორმალური მეტალის და ფერომაგნეტიკის კონტაქტისას. ნაჩვენებია რომ სრული სპინური დენი დამოკიდებულია არა მარტო ელექტრონებისა და მაგნონების სითბური რეზერვუარების ტემპერატურათა სხვაობაზე, არამედ გარე მაგნიტურ ველზე და მაგნიტური ანიზოტროპიის ველზე. გარდა ამისა ნაჩვენებია რომ სპინური დენი გადის გაჯერებაზე მაგნონების ტემპერატურის გაზრდით და გაჯერების ტემპერატურა იზრდება გარე მაგნიტური ველისა და ანიზოტროპიის ველის გაზრდით.</p>		

I.1. სამეცნიერო ერთეული

ფიზიკის დეპარტამენტი, ელემენტარული ნაწილაკები და კვანტური ველების კათედრა

I.2.სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფ. მერაბ ელიაშვილი

I.3.სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- ა) მერაბ ელიაშვილი – სრული პროფესორი
- ბ) მერაბ გოგბერაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- გ) გიორგი ციციშვილი – ასისტენტ პროფესორი
- ბ) თეიმურაზ ნადარეიშვილი – ასისტენტ პროფესორი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	”კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერგიებზე”.ფუნდამენტალური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 11/24	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანზორ ხელაშვილი	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი, ზაქარია მერებაშვილი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედიანგერის განტოლებაში ცენტრზე არ “დაცემის” არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულ

ინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულია თვითშეუღლების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა

2. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

3. სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან – ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგალითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან.

4. დავითვლილია დიფერენციალური კვთები მიმე კვარკების წყვილების და ასოცირებული მსუბუქი ნაკადის ფოტოდაბადებისათვის პოლარიზებულ და არაპოლარიზებულ შემთხვევაში. ჩვენი დათვლის მეთოდი წარმოადგენს ისეთი ანალიტიკური და რიცხობრივი ალგორითმების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ზღვრული ყოფაქცევის გათვალისწინებისა სრული და დიფერენციალური კვთებისათვის, შესაბამისი კინემატიკური შეზღუდვების მოდებისა და ექსპერიმენტებზე დაკვირვებადი სხვადასხვა სიდიდეების რიცხობრივი მნიშვნელობების მიღებისა. ამ შრომის შედეგები მნიშვნელოვანია ე.წ. “კომპასის” კოლაბორაციის მუშაობისათვის და შესაძლოა ასევე ახლო მომავალში დიდი ჰადრონულ-ელექტრონული კოლაიდერის ექსპერიმენტისათვის ცერნოში.

5. ნუკლონების სკირმულ მოდელში განხილულია კვარკული თავისუფლების ხარისხები და ჩატარებულია ინკლუზიური პროცესების მიხედვით ნუკლონის სპინისთვის ექსპერიმენტულად მიღებული ჯამთა წესის ანალიზი სკირმის წარმოდგენებით. მიღებულია, რომ კირალურად სიმეტრიულ სკირმის მოდელში გვაქვს თანხმობა ჯამთა წესთან.

6. ჩატარდა ერთ-მარყუიანი ამპლიტუდების გამოთვლები, რომლებიც შეესაბამებიან მომდევნოს-მომდევნო რიგის კვარკ-პარტონული მოდელს ჰადრონულ დაჯახებებში მიმე კვარკების დაბადებისას. ეს ამოცანა ხორციელდება ზემოთ აღნიშნული ამპლიტუდების გადამრავლებით შესაბამის ბორნის ამპლიტუდებზე მსუბუქი პარტონის გამოსხივებით. ჩვენ ჩავერეთ ოთხწერტილოვანი off-shell ფეინმანის დიაგრამებისათვის სკალარული ინტეგრალები და ანალიზურად ამოვხსენით ისინი $d=4-2\epsilon$ განზომილებაში, რასაც შემდგომში მოჰყვება შესაბამისი მატრიცული ელემენტების დადგენა. შეიქმნა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული პაკეტი. ზემოდ აღნიშნული ამპლიტუდების მეშვეობით შესაძლებელია ასევე აღიწეროს შესაბამისი მომდევნოს-მომდევნო რიგის კვთები მიმე კვარკების ფოტოდაბადებისათვის და ფოტონ-ფოტონურ რეაქციებში.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	თუთიის ოქსიდის კვანტური სტრუქტურები თანამედროვე ელექტრონიკაში-თხელი ფენებიდან ანოსადენებამდე MTCU/37/6-265/11	უკრაინის მტცუ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თამარ ჭელიძე	თამაზ კერესელიძე, თეიმურაზ ნადარეიშვილი, გიორგი ხაზარაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები:</p> <p>1. შესწავლილია დამუტული ნაწილაკის (ელექტრონის ან ხერეღის) ელექტრონული სტრუქტურა ძლიერად წაგრძელებულ ელიპსოიდალური ფორმის ნანოღეროში. მიღებულია ასიმპტოტურად ზუსტი გამოსახულებები ენეგისათვის და ტალღური ფუნქციებისათვის.</p> <p>2. შეწავლილია თუ რა გავლენას ახდენს კულონური მინარევი თუთიის ოქსიდის ნახევარგამტარულ ნანომავთულებში. მიღებულია ანალიზური გამოსახულებები ელექტრონის ენერგისათვის და ტალღური ფუნქციისათვის, როდესაც ის "დატყვევებულია" ნანომავთულში.</p>				
3	გრაფიტაციის მოდიფიცირებული თეორიების კოსმოლოგიური და ასტროფიზიკური შედეგები	შ. რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზურაბ ბერეჟიანი	ზურაბ ბერეჟიანი, არჩილ კობახიძე, მერაბ გოგბერაშვილი
დასრულდა პროექტის პირველი წელი. შესწავლილ იქნა მატერიალური ველების მემბრანაზე ლოკალიზაციის მექანიზმი ხუთგანზომილებიანი მემბრანული მოდელის ფარგლებში.				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

- ბ) სახელმძღვანელოები
გ) კრებულები
დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი	”გაფანტვა დირაკის დელტა პოტენციალზე და 3-ნაწილაკოვანი ამოცანის რედუქციის შესწავლა” იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ ”მოამბეში”	ტ7, № 3 (2013)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	6
2	თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი	”თვითშეუღლების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში” მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში” შრომათა კრებული	გვ. 31- 44(2013)	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დუბნის გაერთიანებული ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის და ბირთვულ კვლევათა ევროპული ორგანიზაციის (ცერნი,ჟენევა) ერთობლივი გამოცემა	14
3	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი	”ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი	გვ. 50- 58(2013)	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დუბნის გაერთიანებული ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის და ბირთვულ კვლევათა ევროპული ორგანიზაციის	9

		<p>რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში”</p> <p>მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში” შრომათა კრებული</p>		(ცერნიკუნევა) ერთობლივი გამოცემა	
4	თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი	<p>”ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემების განზოგადება” იბეჭდება</p> <p>Georgian Scientific Electronic Journal:Physics .</p> <p>იხ. http://gesj.internet-academy.org.ge/en/news_en.php?b_sec=phys</p>		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ერთობლივი გამოცემა	11
ანოტაციები					
<p>1. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი ”გაფანტვა დირაკისდელტა პოტენციალზე დაჰ-ნაწილაკოვანი ამოცანის რედუქციის შესწავლა”</p> <p>ალტ-გრასპერგერის-სანდჰას-ხელაშვილის განტოლებებში ჩატარებულია კუთხური ანალიზი იაკობისა და ვიკის სპირალურობის ფორმალიზმის გამოყენებით. მიღებულ განტოლებებში ორნაწილაკოვანუ გაფანტვის ამპლიტუდებად ჩასმულია დირაკის დელტა-ფუნქციის სახის წყვილური პოტენციალების ამოხსნები, რომლებიც განცალკევდება საწყისი და საბოლოო იმპულსებით. ნაჩვენებია, თუ როგორ დაიყვანება ამოცანა ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემაზე.</p> <p>2. ანოტაცია სტატიის: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი ”თვითშეუღლების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში”</p> <p>ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ “დაცემის” არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ევექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის</p>					

განიგვეთი დამოკიდებულია

თვითშეუღლების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნახვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა

3. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი”. ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში”

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნახვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

4. ანოტაცია სტატიის: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი ”ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემების განზოგადება”

სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან – ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგალითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან.

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Y. Hama, G. Tsitsishvili, and	“Spin supercurrent in the canted	B87, 104516		4 pp

	Z.F. Ezawa	antiferromagnetic phase”, Phys. Rev.			
2	Y. Hama, Y. Hidaka, G. Tsitsishvili, and Z.F. Ezawa	“Goldstone modes in bilayer quantum Hall systems at $\nu=2$ ”, Journal of Physics: Conference Series	456, 012012		5 pp
3	Y. Hama, G. Tsitsishvili, and Z.F. Ezawa	“Nambu-Goldstone modes and the Josephson supercurrent in the bilayer quantum Hall system”, Prog. Theor. Exp. Phys	2013		33 pp
<p>სტატიებში შესწავლილია ჰოლის ორშრიანი კვანტური სისტემები. 1) შესწავლილია სპინური დენები ანტიფერომაგნიტურ ფაზაში; 2) გამოკვლეულია გოლდსტონის მოდები $\nu=2$ შემთხვევაში; 3) შესწავლილია ნამბუ-გოლდსტონის მოდები და ჯოზეფსონის დენები ჰოლის ორშრიან სისტემებში $\nu=2$ და $\nu=1$ შევსებებისათვის.</p>					
4	M. Gogberashvili, O. Sakhelashvili, G. Tukhashvili	Mod. Phys. Lett. A	28	World Scientific	12
5	M. Gogberashvili, A. Herrera-Aguilar, D.Malagon-Morejon, RR. Mora-Luna, U. Nucamendi,	Phys. Rev D87	084059	APC	8
6	M. Gogberashvili, A. Herrera-Aguilar, D.Malagon-Morejon, RR. Mora-Luna	Phys. Lett. B	725	Elsevier	4
<p>სტატიები ეხება 5-განზომილებიან მემბრანულ მოდელს მდგარი გრავიტაციული ტალღებით.</p> <p>პირველ სტატიაში სხვადასხვა ტიპის ველების განტოლებების რიცხვითი ამოხსნების მეშვეობით ნაჩვენებია ამ ველების გრავიტაციული ლოკალიზაცია მემბრანაზე.</p> <p>მეორე სტატიაში შესწავლილია ამ მოდელის კოსმოლოგიური ამოხსნები. ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება მემბრანის იზოტროპიზაცია აქტარებული გაფართოებისას.</p> <p>მესამე სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ იწვევს ინფლაცია დამატებითი</p>					

განზომილებების რედუქციას.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თეიმურაზ ნადარეიშვილი	”შრედინგერის განტოლების სტატუსი”	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 22-26 იანვარი 2013 წელი. იხილეთ: http://conference.ens-2013.tsu.ge/lecture/view/18
2	თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი	”თვითშეუღლებების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში”	მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში”. 14-18 ოქტომბერი, თბილისი
3	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი	”ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში”	მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში”. 14-18 ოქტომბერი, თბილისი

მოსხენებათა ანოტაციები

1. ანოტაცია მოსხენების: თეიმურაზ ნადარეიშვილი. ”შრედინგერის განტოლების სტატუსი”

დადგენილ იქნა, რომ კვანტური მექანიკის მთელი ისტორიის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩათ ზედმეტი დელტა-ფუნქციის სახის წევრი შრედინგერის რადიალურ განტოლებაში. ჩვენ შევისწავლეთ ეს პრობლემა დეტალურად და ვაჩვენეთ, რომ ტრადიციული რადიალური

შრედინგერის განტოლება გვაქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ განტოლება თავსებადია შრედინგერის სრულ განტოლებასთან. ეს კი ხდება მაშინ თუ გარკვეული სასაზღვრო პირობა დაედება რადიალურ ტალღურ ფუნქციას სათავეში.

2. ანოტაცია მოხსენების: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი "თვითშეუღლების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში"

ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებსათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ "დაცემის" არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულია

თვითშეუღლების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა

3. ანოტაცია მოხსენების: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი

"ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში"

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

4	გიორგი ციციშვილი	“ბლოხის მდგომარეობათა სტრუქტურა ფიჭურ მესერზე”	<p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში,</p> <p>22-26 იანვარი 2013 წელი.</p> <p>http://conference.ens-2013.tsu.ge/lecture/view/18</p>
---	------------------	--	---

განხილულია ფიჭურ მესერზე აგებული მჭიდრო ბმის მოდელი ერთგვაროვანი მაგნიტური ველის პირობებში. ნაჩვენებია, რომ ძირითად განტოლებას გააჩნია პოლინომური ამოხსნები

და შესწავლილია ასეთ ამოსხნათა თვისებები, როგორც ანალიზური, ასევე რიცხვითი მეთოდების გამოყენებით.			
5	მერაბ ელიაშვილი	“კვანტური ჯგუფი ფიჭურ მესერზე”	საქართველოს მათემატიკური საზოგადოების IV კონფერენცია, ბათუმი, 11-15 სექტემბერი 2013.
მიმოხილულია კვანტური ჯგუფის წარმოქმნის საკითხები ფიჭურ მესერზე. განხილულია შესაბამისი კონფორმული სიმეტრია და ამ სიმეტრიის გეომეტრიული შინაარსი.			
6	მერაბ გოგბერაშვილი	5D Standing waves braneworld	Physics in the LHC Era, 13-19 ოქტომბერი, 2013, თბილისი
მოსხენებაში მიმოხილულ იქნა 5-განზომილებიანი მემბრანული მოდელი მდგარი გრავიტაციული ტალღებით.			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი ციციშვილი	“Noncommutative topological solitons in quantum Hall systems”	Institute of Theoretical and Applied Physics, Marmaris, Turkey, July 2013.
მიმოხილულია ჰოლის მთელმნიშვნელოვანი კვანტური სისტემები და იქ არსებულ ელემენტარულ აგზნებათა არაკომუტაციური კინემატიკა, არაკომუტაციური ტოპოლოგიური მახასიათებლები და სხვა. მიმოხილულია არაკომუტაციური დინამიკის ზოგადი საკითხები. კერძო მაგალითებად განხილულია ჰოლის კვანტური სისტემებში სკირმიონული აგზნებები.			
2	მერაბ გოგბერაშვილი	Thermodynamic gravity	Quantum aspects of Black Holes, 24-26 სექტემბერი 2013, ერევანი
მოსხენებულ იქნა გრავიტაციის თერმოდინამიკული ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები.			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	თვითმუელლების გაფართოების პროცედურის კვლევა არარელატივისტურ	ანზორ ხელაშვილი	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ

	და რელატივისტურ განტოლებებში		ნადარეი შვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ალტ-გრასბერგერის-სანდჰას-ხელაშვილის განტოლებებში ჩატარებულია კუთხური ანალიზი იაკობისა და ვიკის სპირალურობის ფორმალიზმის გამოყენებით. მიღებულ განტოლებებში ორნაწილაკოვანი გაფანტვის ამპლიტუდებად ჩასმულია დირაკის დელტა-ფუნქციის სახის წყვილური პოტენციალების ამოხსნები, რომლებიც განცალკევებულია საწყისი და საბოლოო იმპულსებით. ნაჩვენებია, თუ როგორ დაიყვანება ამოცანა ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემაზე. 2. ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ “დაცემის” არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულნივრვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულიათვითშეუღლებების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერვორდის ფორმულა 3. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები. 4. სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან –ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგალითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან. 		
2	კიდურა მდგომარეობების კვლევა მჭიდრო ბმის მოდელში	მერაბ ელიაშვილი	მერაბ ელიაშვილი, გიორგი ციციშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

	განვითარებულია მესერული მოდელების კიდურა მდგომარეობების კვლევის მეთოდი ჩებიშევის პოლინომების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით შესწავლილია სამკუთხა და კვადრატულ მესერებზე აგებული მჭიდრო ბმის ანიზოტროპული მოდელები. დადგენილია, რომ კიდურა მდგომარეობების წარმოიქმნება მესერის კიდის მხოლოდ ხერხისებრი ფორმის შემთხვევებში. განხილული სისტემებისათვის მიღებულია სხვადასხვა მახასიათებლები: პარამეტრების კრიტიკული მნიშვნელობები და სხვა.		
3	ზეგამტარული დენებისა და გოლდსტოუნის მოდელების კვლევა პოლის ორშრიან სისტემებში	Zyun F. Ezawa	გიორგი ციციშვილი, Zyun F. Ezawa, Yusuke Hama, Y. Hidaka,
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ჩამოყალიბებულია ეფექტური ჰამილტონიანის აგების სისტემატური მეთოდი პოლის ორშრიანი სისტემის სხვადასხვა (ფერომაგნიტური, სინგლეტური და ანტიფერომაგნიტური) ფაზებისათვის. ამ მეთოდის გამოყენებით გამოთვლილია აღნიშნულ სისტემებში გოლდსტოუნის მოდელების დისპერსიული თანაფარდობები და კოჰერენტობის სივრცეები. ნაჩვენებია, რომ შრეთაშორისი ტუნელირების ნულოვან ზღვარში ყალიბდება ერთი უმასო აგზნება რაც იწვევს ჯოზეფსონის ტიპის ზეგამტარული დენის ფორმირებას.		

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება
ფიზიკის დეპარტამენტი, ასტროფიზიკის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.

ნანა შათაშვილი, ასტროფიზიკის კათედრის გამგე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

ნანა შათაშვილი (თსუ სრული პროფესორი)
ალექსანდრე თევზაძე (თსუ ასოც. პროფესორი)
ელენე უჩავა (თსუ დოქტორანტი)
ნიკოლოზ ფირცხალავა (თსუ დოქტორანტი)

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---------------------	----------------------------	-----------------------	------------------------

1	Solar and Space Weather Network of Excellence	European Commission FP7-PEOPLE-2010- IRSES-269299	ქართული ჯგუფის თანახელმძღვანელი ა. თევზაძე	ა. თევზაძე ე. უჩავა
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>შესწავლილია ანიზოტროპული მკვდ მოდელი სითბური ნაკადების გათვალისწინებით. აღებულ მიახლოებაში განხილულია წანაცვლებითი დინება ძლიერი მაგნიტური ველის ფონზე. შესწავლილია დინების კუმშვადი მდგრადობა. ნანახია, რომ სითბური ნაკადების და ანიზოტროპული ეფექტების ზედდება იწვევს არამდგრადობების რამოდენიმე კლასს, რომლებსაც შეუძლიათ მიმართული დინების დისიპაცია, ან მაგნიტური ველის ამპლიტუდის შეზღუდვა.</p> <p>E. S. Uchava, B. M. Shergelashvili, A. G. Tevzadze, S. Poedts. <i>Overstability of acoustic waves in strongly magnetized anisotropic MHD shear flows.</i> Physical Review E (in preparation)</p>				
2	Cosmic magnetic fields: origin, evolution, and signatures	NSF AST-1109180	ქართული მხრიდან პროექტის საერთაშორისო კოლაბორატორი: ალექსანდრე თევზაძე	ა. თევზაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>შესწავლილია კოსმოსური მაგნიტური ველების ევოლუცია მილევადი მაგნიტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობის პირობებში. მიღებულია მილევის კანონი. გამოყვანილია დიდმასშტაბოვანი გალაქტიკათშორისი მაგნიტური ველის დაკვირვებადი ამპლიტუდის ზედა შეზღუდვები</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
ბ) სახელმძღვანელოები
გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E. S. Uchava, A. G. Tevzadze, G. D. Chagelishvili	J. Modern Physics 4, 18 (2013).	CAP-S ჩინეთი	5
<p>შესწავლილია წრფივი ლოკალური შეშფოთებების დინამიკა სრულად სტრატეგიცირებულ სამ-განზომილებიან ასტროფიზიკურ დისკებში. რადიალური სტრატეგიკაციის კანონი აღებულია ხარისხობრივად, ხოლო ვერტიკალური სტრატეგიკაცია - ექსპონენციალურად. შესწავლილია ლოკალური წრფივი შეშფოთებების დინამიკა წანაცვლების სიბრტყეში და გამოყვანილია ვკბ (WKB) დისპერსიული განტოლება. ნაჩვენებია, რომ ვერტიკალური სტრატეგიკაციის კანონი გასაზღვრავს არა მხოლოდ კონვექციურ მდგრადობას, არამედ გრიგალების გენერაციის ეფექტურობასაც. განვითარებული არაწრფივი ტურბულენტობის სპექტრალური თვისებების დაშვებით ნაჩვენებია, რომ გრიგალების გენერირება არ შეიძლება მოხდეს მყარტანოვნი ბრუნვის შემთხვევაში და პროცესის გამომწვევი მიზეზია დიფერენციალური ბრუნვა.</p>				
2	J.-N. Hau, G. D. Chagelishvili, G. Khujadze, M. Oberlack, A. G. Tevzadze	<i>Sound Generation in Plane Couette Flow: A Failure of Lighthill's Analogy</i> Progress in Turbulence V	Springer Proceedings in Physics, 149 , 205-210 (2013) გერმანია	6
<p>აკუსტიკური ტალღების გაჩენა საწყისი გრიგალური შეშფოთებებიდან ნაჩვენებია ორგანზომილებიანი იდეალური შემოუსაზღვრელი კუეტის დინების წრფივი ანალიზითა და პირდაპირი რიცხვითი მოდელირებით. ჩვენი შედეგები აჩვენებენ ლაითჰილის აკუსტიკური ანალოგიის წყაროს წევრის უზუსტობას: ნაჩვენებია ტალღის გენერაციის პროცესის ძლიერი ანიზოტროპია. რიცხვითი მოდელირება ადასტურებს წრფივი ანალიზის შედეგებს და აჩვენებს სწრაფი შეშფოთებების თეორიის (rapid distortion theory, RDT) გამოყენების არეალს. ამ პარამეტრებზე ბერის წრფივი წყაროები დომინირებენ არაწრფივ ლაითჰილის წყაროებზე.</p>				

- დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V.I. Berezhiani, N.L. Shatashvili , S.M. Mahajan and B.N. Aleksic.	<i>Vortex bubble formation in pair plasmas.</i>	Phys. Rev. E. 88. 015101 (2013)	American Physical Society აშშ	4
<p>ნაჩვენებია, რომ დელოკალიზებული გრიგალური სოლიტონები რელატივისტურ წყვილ პლაზმაში მცირე ტემპერატურული ასიმეტრიით არამდგრადია ფონური ელექტრომაგნიტური (ემ) ველის შუალედური ინტენსივობებისათვის. არამდგრადობა იწვევს მუდმივად გაფართოვებადი კავიტირებადი „ბუმტუკები“-ს გენერაციას, რომლებშიც ელექტრომაგნიტური ველი ნულის ტოლია. ასეთი ემ ბუმტუკების არსებობა დემონსტრირებულია ჰიდროდინამიკური ანალოგიიდან გამომდინარე თვისობრივ არგუმენტებზე დაყრდნობით, და ასევე ე.წ. „სატურაციული არაწრფივობის“ შემცავი არაწრფივი შრედინგერის განტოლების რიცხვითი ამონახსნებით.</p>					
2	T. Kahniashvili, Y. Maravin, A. Natarajan, N. Battaglia, A. G. Tevzadze	<i>Constraining Primordial Magnetic Fields through Large-scale Structure</i>	Astrophys. J. 770 , 47 (2013)	IOPScience აშშ	7
<p>შესწავლილია სამყაროში ადრეულ ეტაპებზე მაგნიტური ველის ზეგავლენა მატერიის შემფოთებებზე. დაშვებულია მაგნიტური ველის გენერაცია დიდი აფეთქების ნუკლეოსინთეზის ეპოქამდე ადრე, რადიაციით დომინირებულ სამყაროში. მაგნეტოგენეზის მექანიზმი აღებულია ზოგადად, მოდელის დაკონკრეტების გარეშე. წინა კვლევებისაგან განსხვავებით, ჩვენ ვზღუდავთ მაგნიტური ველის ენერჯის სიმკვრივეს და არა ველის ამპლიტუდას დიდ მასშტაბებზე (1 მეგა პარსეკის რიგის). მიმოხილულია რამოდენიმე კოსმოლოგიური სიგნატურა, მათ შორის ჰალოების მასების განაწილება, სიუნიაე-ზელდოვიჩის ეფექტი და ლაიმან-ალფა მონაცემები. მიღებული შეზღუდვებია 1.5 nG -4.5 nG, როდესაც სპექტრალური ინდექსი n_B იცვლება -3-დან -1.5-მდე.</p>					
3	T. Kahniashvili, A. G. Tevzadze , A. Brandenburg, A. Neronov	<i>Evolution of primordial magnetic fields from phase transitions</i>	Phys. Rev. D 87 , 3007 (2013)	American Physical Society აშშ	8

განხილულია კოსმოლოგიური ელექტრო-სუსტი ან ქვანტურ-ქრომოდინამიკული ფაზური გადასვლის დროს გაჩენილი მაგნიტური ველების ევოლუცია სამყაროში. დაშვებულია, რომ მაგნიტური ველის მოდელირება შესაძლებელია სამყაროს პლაზმაში მაგნიტური ველის ენერჯის შეყვანით მახასიათებელ მასშტაბზე. რეინოლდსის რიცხვის მაღალი მნიშვნელობა უზრუნველყოფს მაგნიტურ ველსა და დამუხტულ პლაზმას შორის ეფექტურ ბმას. მაგნიტური ველის შემდგომი ევოლუცია ემორჩილება ჰიდროდინამიკური ტურბულენტობის მიღვევის კანონებს. რიცხვითი თვლებისა და ფენომენოლოგიური აღწერის შედეგად მიღებულია მიღვევის უნივერსალური კანონები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ რადიაციით დომინირებად ეპოქაში არა-სპირალური მაგნიტური ველების ენერჯია და კორელაციური სიგრძე იცვლება ხარისხობრივი კანონით, როდესაც ხარისხის მაჩვენებელია $-1/2$ და $1/2$. სპირალური მაგნიტური ველებისათვის ხარისხობრივი კანონის მაჩვენებლებია $1/3$ და $2/3$. ჩატარებული ანალიტიკური გვიჩვენებს, რომ QCD ფაზური გადასვლისას გაჩენილი მაგნიტური ველის მაქსიმალური ამპლიტუდა დღეს უნდა შეადგენდეს 10^9 გაუსს, ხოლო კორელაციის მასშტაბი 50 კილო პარსეკს. ელექტროსუსტი ფაზური გადასვლისას გაჩენილი მაგნიტური ველი შემოზღუდული უნდა იყოს 10^{10} გაუს სიდიდით, ხოლო კორელაციური მასშტაბი უნდა აღწევდეს 0.3 კილო პარსეკს. მიღებული შეზღუდვები შეესაბამება დაკვირვებული გალაქტიკათშორისი მაგნიტური ველების თვისებებს.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<u>ნანა შათაშვილი</u> სვადემშაჰაჯანი, ზენშოიოშიდა	დიდ-მასშტაბიანი დინების აჩქარება / გენერაციასტროფიზიკურიობიექტე ბში - <i>პლენარული მოხსენება</i>	22-26 იანვარი, 2013 თსუ, თბილისი http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program_plenary

დიდ-მასშტაბიანი დინებების აჩქარება - ვარსკვლავთა ქარების, მრავალნაირი გარედინების, ჭავლების (ჯეტების) და ა.შ. ფორმირება - ხშირად დაიმზირება ასტროფიზიკურ პირობებში. უკანასკნელმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მზის კორონა არის უაღრესად დინამიური არენა სავსე მრავალ-კომპონენტური მრავალ-მასშტაბიანი სივრცე-დროითი სტრუქტურებით. მძლავრი დინებებია ყველგან ქვედა ატმოსფეროში - სუბ-კორონალურ (ქრომოსფერო) და კორონალურ არეებში. მზის დინამიკის ობსერვატორიის და Hinode-ს მზის ფიზიკის მისიიდან მოსული დაკვირვებები ამყარებენ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იდეებს იმის თაობაზე, რომ პლაზმის ჰიდროდინამიკური და მაგნიტური ასპექტების ურთიერთქმედება არის ერთერთი გადამწყვეტი

ელემენტი მზის ატმოსფეროში დამზერილი უსაზღვრო მრავალფეროვნებისა - პლაზმური დინებები, დამატებით მაგნიტურ ველთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კორონალური სტრუქტურების ფორმირებაში. განვითარებულია მაგნიტო-ჰიდროდინამიკური თეორია, რომელზე დაყრდნობითაც გამოყვანილია როგორც დინების აჩქარების კატასტროფული, ასევე წყნარი მექანიზმები ვარსკვლავთა ატმოსფეროებში დიდ-მასშტაბიანი დინებების/ტრანზიენტული ჯეტების ფორმირებისათვის. განზოგადოებულია დინამოს მექანიზმი „რევერს დინამოს“ სახით და ნაჩვენებია, რომ მათ ერთი და იგივე მიზეზები აქვთ, წარმოადგენენ რა მაგნიტო-სითხური ბმების მანიფესტაციას - დიდ-მასშტაბიანი მაგნიტური და სიჩქარის ველები გენერირდებიან ერთდროულად და პროპორციულად. მაკრო-ველების გაძლიერება პირდაპირ-პროპორციულია საწყისი ტურბულენტური ენერჯისა. ამ უკანასკნელის შემადგენლობა განსაზღვრავს დიდ-მასშტაბიანი დინების / მაგნიტური ველის ფარდობას. დისიპაციის არსებობისას ჰოლის წევრი (მოკლე-მასშტაბის ფიზიკის გამო) დიდ როლს თამაშობს აჩქარების პროცესებში. 2.5-განზომილებიანი რიცხვითი თვლები დინამიური სპირალობებით (როგორც მაგნიტური, ასევე განზოგადოებული) მიუთითებენ, რომ თუნდაც სპირალობები თავიდან არ არიან დინებების ეფექტური გენერირებისათვის ხელსაყრელი პირობების არეში, ევოლუციით ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ამ არეში, და შედეგად, მოსალოდნელია აჩქარების რამდენიმე ფაზა. შესაბამისი დროითი მასშტაბები, დინების სიჩქარეები (≥ 100 km/s), და გაძლიერება განისაზღვრება საწყისი იონური სკინ-სიღრმით, და ლოკალური პლაზმის β -თი. დისიპაციის არსებობისას ეს დინებები ფუნდამენტურ როლს თამაშობენ ვარსკვლავთა ნატიფი სტრუქტურების გაცხელებაში; მათი კავშირი მზის ქართან აშკარაა. სხვადასხვა მასშტაბის მასიური ობიექტის მახლობლობაში ნივთიერების დინება ქმნის სანახაობით სტრუქტურას თხელი დისკისა და კოლიმირებული ჭავლის (ჯეტის) კომბინაციის სახით. მიუხედავად მასშტაბთა პარამეტრების ფართო სპექტრისა ისინი ხასიათდებიან აღსანიშნავი მსგავსებით, რაც უნივერსალური პრინციპით უნდა იყოს ნაკარნახევი. ფორმულირებულია განზოგადოებული ბელტრამის პირობა, როგორც ასეთი პრინციპის ლაკონური წარმოდგენა. შემოთავაზებულია დისკი-ჯეტის სტრუქტურის სუფთად ჰიდროდინამიკურ მოდელი, რომელშიც შესაძლებელია ადვილად ჩავართოთ მაგნიტური ველიც. ნაჩვენებია, რომ ჭავლი (ჯეტი) წარმოადგენს ბელტრამის დინებას.

2	ნანა შათაშვილი ზენშოიოშიდა	ბელტრამის განზოგადოებული დინება - ჭავლის (ჯეტის) და თხელი-დისკის სისტემის მოდელი	22-26 იანვარი, 2013 თსუ, თბილისი http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program/50
---	--------------------------------------	--	--

სხვადასხვა მასშტაბის მასიური ობიექტის (ახალგაზრდა ვარსკვლავებიდან დაწყებული გალაქტიკური ბირთვებით დამთავრებული) მახლობლობაში ნივთიერების დინება ქმნის სანახაობით სტრუქტურას თხელი დისკისა და კოლიმირებული ჭავლის (ჯეტის) კომბინაციის სახით. მიუხედავად მასშტაბთა პარამეტრების ფართო სპექტრისა (როგორებიცაა რეინოლდსის რიცხვი, ლუნდკვისტის რიცხვი, იონიზაციის ხარისხები, ლორენცის ფაქტორი, და ა.შ.), ისინი

ხასიათდებიან აღსანიშნავი მსგავსებით, რაც უნივერსალური პრინციპით უნდა იყოს ნაკარნახევი. ფორმულირებულია განზოგადოებული ბელტრამის პირობა, როგორც ასეთი პრინციპის ლაკონური წარმოდგენა. კეპლერის ბრუნვის ცენტრში სინგულარობა აიძულებს დინებას გაუსწორდეს „განზოგადოებული გრიგალობის“ (ლოკალური სიმკვრივისა და სასრული დისიპაციის გათვალისწინებით) მიმართულებას, რომელიც დისკის გამჭოლი ღერძის სახით გამოვლინდება, ანუ ჭავლი (ჯეტი) წარმოადგენს ბელტრამის დინებას. ბელტრამის დინების მოდელზე დაყრდნობით დისკი-ჯეტის სისტემისათვის აგებულია ანალიზური ამონახსნები ავტო-მოდელური ამონახსნის მეთოდის გამოყენებით. განზოგადოებული გრიგალობის სპირალობა განმსაზღვრელი პარამეტრია დისკი-ჯეტის სისტემის თვით-ორგანიზაციის პროცესში. ნაჩვენებია, რომ თუმცა მოცემული კვლევა აღწერს ჯეტის კოლიმაციის სუფთად ჰიდროდინამიკურ მოდელს, მიდგომაში შესაძლებელია ადვილად ჩავრთოთ დისკის ცენტრში გამჭოლი მაგნიტური ველიც, რათა ამ უკანასკნელმა გაიძლიეროს (და ასევე დაგრიბოს, რაც ხშირად დაიმზირება) დამუხტული გაზის (პლაზმის) დინება. მოდელში ჰიდრონიკამიკური განზოგადოებული გრიგალობა თამაშობს მაგნიტური ველის როლს.

3	ალექსანდრე თევზაძე ე. უჩავა, გ. ჩაგელიშვილი	გრიგალების და პლანეტების ჩანასახების ფორმირებას ტრატიფიცირებულ პროტოპლანეტარულ დისკებში	22-26 იანვარი, 2013 თსუ, თბილისი http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program/50
---	---	---	--

წარმოდგენილია პროტოპლანეტარულ დისკებში პლანეტების ფორმირების ადრეული ეტაპების კვლევა. ამ კონტექსტში ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ პლანეტების ფორმირების თეორიას და კერძოდ პლანეტების ჩანასახების გაჩენას, რომლებიც ითვლებიან პლანეტების წარმოშობის ძირითად დამაჩქარებელ ფაქტორად. კერძოდ, ჩვენ განვიხილავთ ჰიდროდინამიკური ანტიციკლონური გრიგალების გაჩენასა და ევოლუციას. ამ ტიპის გრიგალები ითვლებიან აუცილებელ წინაპირობად პლანეტების ჩანასახების ფორმირებისათვის ბირთვზე აკრეციის მოდელში. ჩვენ შევისწავლით შემფოთებათა წრფივ ევოლუციას დიფერენციალურად მზრუნავ სრულად სტრატიფიცირებულ პროტოპლანეტარულ დისკებში. განხილულია ქვეკეპლერული ბრუნვის დისკები ვერტიკალური ექსპონენციალური და რადიალური ხარისხობრივი სტრატიფიკაციით. რადიალური და ვერტიკალური ამომგდები ძალის ურთიერთგავლენა შესწავლილია წანაცვლების სიბრტყის მიახლოებაში. განხილულია სითბური არამდგრადობებით გრიგალების გენერაციის პროცესი. შეფასებულია არაწრფივი ბალანსი, რომელიც შესაძლებელია დამყარდეს დისკის ტურბულენტობის გამო. სპირალური დარტყმითი ტალღები შესწავლილია პირდაპირი რიცხვითი მოდელირების გამოყენებით. ამ მხრივ ჩვენ ვაჩვენებთ, რომ დისკის ფორმირების საწყისი ეტაპი, როდესაც მატერია გადადის სფერულიდან დისკურ განაწილებაში, შეიძლება იყოს ის ფაქტორი რომელიც ახდენს პლანეტების ჩანასახების ინიცირებას პროტოპლანეტარულ დისკებში.

4	ელენეუჩავა ალექსანდრეთევეზაძე	ძლიერადდამაგნიტებულანიზოტროპულიმკვლევარეთევეზაძისასტროფიზიკურიდინებებისტალღურიარამდგრადობა	22-26 იანვარი, 2013 თსუ, თბილისი http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program/50
<p>წარმოდგენილია ანიზოტროპული მაგნიტოჰიდროდინამიკური (მჰდ) წანაცვლებითი დინების წრფივი მდგრადობის ანალიზი ძლიერი მაგნიტური ველისა და სითბური ნაკადების გათვალისწინებით. განხილულ მოდელში სითბური ნაკადები გათვალისწინებულია 16-იმპულსურ ანიზოტროპულ მჰდ მიახლოებაში. ეს მოდელი უკვე წარმატებით გამოიყენება მზის ქარის შესწავლისას უწყვეტი გარემოს მიახლოებაში. განხილულია ისეთი სიმპლავრის ძლიერი მაგნიტური ველი, რომელიც ამართლებს როგორც პლაზმის ანიზოტროპიას, ასევე ცივი პლაზმის მიახლოებას, როდესაც მაგნიტური წნევა დომინირებს თერმოდინამიკურ წნევასთან შედარებით. დინების სიჩქარე და მაგნიტური ველი თანამიმართულია, ხოლო სიჩქარის წანაცვლება მიმართულია მაგნიტური ველის პერპენდიკულარულად. ამ მიახლოებაში ჩვენ ვიკვლევთ ამოცანის წრფივ შემფოთებათა სპექტრსა და მდგრადობას. კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ იზოტროპული ნელი მაგნიტობგერითი მოდა ანიზოტროპულ შემთხვევაში გამოვლინდება სამი სხვადასხვა მოდის სახით, რომელთა შორის ერთ-ერთი არამდგრადია. არამდგრადობა დაიშვინება ზეკრიტიკული სითბური ნაკადის კოეფიციენტის შემთხვევაში $\gamma = S_{\parallel}/C_{\parallel}$, სადაც S_{\parallel} და C_{\parallel} მაგნიტური ველის პარალელური სითბური ნაკადისა და ბგერის სიჩქარის მნიშვნელობებია. ჩვენს მიერ პირველად მიღებულია გამა პარამეტრის კრიტიკული მნიშვნელობა ასიმპტოტური მიახლოების გარეშე. სიჩქარის წანაცვლების შემთხვევაში ამოცანის წრფივი სპექტრი შესწავლილია რიცხვითად. კვლევა გვიჩვენებს, რომ მაგნიტობგერითი ტალღები შეიძლება იყვნენ არამდგრადნი (ტალღური არამდგრადობა) გამა პარამეტრის როგორც ზეკრიტიკული, ასევე ქვეკრიტიკული მნიშვნელობების დროს. სითბური ნაკადების გამო არამდგრადი მაგნიტობგერითი მოდა განიცდის სახეცვლილებას ძლიერი სიჩქარის წანაცვლების პირობებში, და შეიძლება ერთგვაროვან დინებასთან შედარებით გახდეს კიდევ უფრო არამდგრადი. დამაგნიტებული ანიზოტროპული დინებების კუმშვად დესტაბილიზაციას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ზოგიერთ ასტროფიზიკურ ობიექტში. კარგათ ცნობილი მზის ქარის პრობლემის გარდა, აღწერილი არამდგრადობა შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ასტროფიზიკური დისკების კორონებში და დიდ მასშტაბებზე დამაგნიტებულ გალაქტიკურ ქარებში.</p>			
5	ნიკოლოზფირცხალავა გიორგიჩაგელიშვილი	შიდაგრაფიკულიტალღებისტრანზიენტიულიდინამიკაპროზონტალურწანაცვლებისმქონესტრატეფიცირებულდინებებში	22-26 იანვარი, 2013 თსუ, თბილისი http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program/50
<p>წინა საუკუნის 90-იან წლებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები წანაცვლებითი დინებების დინამიკის კვლევაში, იმდენად, რამდენადაც ამ წლებში ჰიდროდინამიკურმა საზოგადოებამ</p>			

საბოლოოდ გააცნობიერა ასეთი დინებების არა–ორთოგონალური ბუნება და მისი შედეგები. ამან დღის წესრიგში დააყენა წანაცვლებით დინებებში მიმდინარე პროცესების თავიდან გააზრების აუცილებლობა. ამ რევიზიის მნიშვნელობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ბუნებრივ (ასტროფიზიკური და გეოფიზიკური) და საინჟინრო დინებებს, როგორც წესი არაერთგვაროვანი კინემატიკა გააჩნიათ. შედეგად, ზემოდ მოყვანილმა ფაქტორებმა განაპირობა მნიშვნელოვანი გარღვევა არაერთგვაროვან/წანაცვლებით დინებებში მიმდინარე პროცესების გააზრებაში და ზუსტ, თანმიმდევრულ აღწერაში – ჩამოყალიბდა დინებათა მდგრადობის შესწავლის ახალი მეთოდები, რომლებიც შეშფოთებების მოკლე–დროითი დინამიკის ზუსტი რაოდენობითი შესწავლის საშუალებას იძლევიან. ვისახავთ რა მიზანს ტალღების ზეარეკვლის მოვლენის არსის გარკვევისა და ვეყრდნობით წანაცვლებითი დინებების შესწავლის თანამედროვე ეტაპზე შექმნილ მეთოდებს, შევისწავლით შიდა გრავიტაციული ტალღების წრფივ ტრანზიენტულ დინამიკას მდგრადად სტრატეფიცირებულ წანაცვლებით დინებებში. ვიხილავთ დინებას ჰორიზონტალური წანაცვლებით $U_0(Ay, 0, 0)$, რიჩარდსონის რიცხვის $Ri = N^2/A^2$ სხვადასხვა მნიშვნელობის დროს, სადაც A დინების წანაცვლების პარამეტრია, ხოლო N ბრანტ–ვაისალას სიხშირე. ასეთ დინებებში კმაყოფილდება ბუსინესკის მიახლოება და არსებობს შეშფოთებათა სამი მოდა. ორი მათგანი არიან ურთიერთსაწინააღმდეგოდ გავრცელებდი შიდა გრავიტაციული ტალღები (შგტ), მესამე კი გრიგალური მოდა. შგტ აქვს ნულოვანი პოტენციალური გრიგალი, ხოლო გრიგალურ მოდას – ნულისაგან განსხვავებული. უკანასკნელი არის არაოსცილირებადი და შეესაბამება კვაზიგეოსტროფიული მოდელის, ე.წ., დაბალანსებული მოძრაობებს. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა არამოდალური განხილვა, შემოვიტანეთ საკუთარი ცვლადების ცნება თითოეული, ურთიერთსაწინააღმდეგოდ გავრცელებადი, ტალღისათვის და მათთვის პირველი რიგის დიფერენციალური განტოლება დავწერეთ. ამგვარი განხილვით, განვაცალკევეთ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფიზიკური მოვლენები (პირველ რიგში, ტალღა–ტალღასა გრიგალი–ტალღას შორის ბმები), გავიზრეთ მათი ერთმანეთზე ზეგავლენა და აღვწერეთ ზეარეკვლის მოვლენის ბაზური ფიზიკა. ნაჩვენებია, რომ ერთის რიგის რიჩარდსონის რიცხვის დროს, შგტ ტრანზიენტული ზრდა მნიშვნელოვნად აქტიურდება. ასევე ნაჩვენებია გრიგალური მოდის მიერ შგტ გენერაციის მნიშვნელობა, რომელიც დაბალანსებული მოძრაობიდან დაუბლანსებელ არაგეოსტროფულ შგტ–ზე ენერჯიის გადაცემის არხს ქმნის.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	<u>E. S. Uchava</u> A. G. Tevzadze,	<i>Stability and Vorticity Production in Stratified Astrophysical Disks</i>	Spring International Conference on Advances in Physics (CAP-S), May 2013

1	G. D. Chagelishvili		Wuhan, China
<p>შესწავლილია წრფივი ლოკალური შეშფოთებების დინამიკა სრულად სტრატეგიფიცირებულ სამ განზომილებიან ასტროფიზიკურ დისკებში. რადიალური სტრატეგიფიკაციის კანონი აღებულია ხარისხობრივად, ხოლო ვერტიკალური სტრატეგიფიკაცია - ექსპონენციალურად. შესწავლილია ლოკალური წრფივი შეშფოთებების დინამიკა წანაცვლების სიბრტყეში და გამოყვანილია ვკბ დისპერსიული განტოლება. ნაჩვენებია, რომ ვერტიკალური სტრატეგიფიკაციის კანონი გასაზღვრავს არა მხოლოდ კონვექციურ მდგრადობას, არამედ გრიგალების გენერაციის ეფექტურობასაც. განვითარებული არაწრფივი ტურბულენტობის სპექტრალური თვისებების დაშვებით ნაჩვენებია, რომ გრიგალების გენერირება არ შეიძლება მოხდეს მყარტანოვნი ბრუნვის შემთხვევაში და პროცესის გამომწვევი მიზეზია დიფერენციალური ბრუნვა.</p>			
2	<p>J.-N. Hau, G. D. Chagelishvili, <u>G. Khujadze</u>, M. Oberlack, A. G. Tevzadze</p>	<p><i>Sound Generation in Plane Couette Flow: A Failure of Lighthill's Analogy</i></p>	<p>iTi Conference on Turbulence, September 2013, Darmstadt, Germany</p>
<p>აკუსტიკური ტალღების გაჩენა საწყისი გრიგალური შეშფოთებებიდან ნაჩვენებია ორგანზომილებიანი იდეალური შემოუსაზღვრელი კუეტის დინების წრფივი ანალიზითა და პირდაპირი რიცხვითი მოდელირებით. ჩვენი შედეგები აჩვენებენ ლაითჰილის აკუსტიკური ანალოგიის წყაროს წევრის უზუსტობას: ნაჩვენებია ტალღის გენერაციის პროცესის ძლიერი ანიზოტროპია. რიცხვითი მოდელირება ადასტურებს წრფივი ანალიზის შედეგებს და აჩვენებს სწრაფი შეშფოთებების თეორიის (rapid distortion theory, RDT) გამოყენების არეალს. ამ პარამეტრებზე ბგერის წრფივი წყაროები დომინირებენ არაწრფივ ლაითჰილის წყაროებზე.</p>			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	დისკი-ჯეტის უნივერსალური მოდელი	ნანა შათაშვილი	<p>ნ. შათაშვილი, ა. თევზაძე, თსუ მაგისტრანტი დ. ჯავრიშვილი</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

	<p>განზოგადოებული ჰიდროდინამიკური მოდელის გამოყენებით ჩვენს მიერ დისკი-ჯეტი სისტემისათვისაგებული უნივერსალური ამონახსნი მიყენებულია რეალური ასტროფიზიკური ობიექტისათვის: ახალგაზრდა ვარსკვლავური ობიექტებსა და ჰერბიგ-ჰარო ჰავლური დინებებისათვის. აღნიშნული ობიექტები წარმოიშობიან ვარსკვლავთა ფორმირების ადრეულ ეტაპზე და ხასიათდებიან ლოკალური აკრეციის მქონე დისკითა და დაბალი იონიზაციის ხარისხის მქონე კარგად კოლიმირებული ჰავლებით. მოდელში ეფექტური სიბლანტე ითვალისწინებს დისკის ანომალურ ტურბულენტობას. პროტოვარსკვლავურ დისკში აკრეციის მამოძრავებელი ტურბულენტობა აღწერილია სტანდარტული ალფა მოდელის ფარგლებში. სიმკვრივის (ტემპერატურის) რადიალურ სტრატეფიკაციად აღებულია ხარისხობრივი კანონი. მიღებული დისკი-ჯეტის ამონახსნი აკავშირებს პროტოვარსკვლავური დისკის პარამეტრებს ჯეტის სტრუქტურასა და პარამეტრებთან. აღსანიშნავია, რომ დისკის რეალისტური პარამეტრებისათვის ჩატარებული თეორიული გამოთვლები კარგ თანხვედრაშია პროტოვარსკვლავური ჯეტების დაკვირვებითი სიჩქარეების ქვედა ზღვართან. ეს თავის მხრივ საშუალებას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ ჯეტის დაკვირვებითი თვისებები და შევადაროთ ჰერბიგ-ჰარო ობიექტების თვისებებს. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ჩვენს მიერ ადრე შემოთავაზებული დისკი-ჯეტის განზოგადოებული ბელტრამის მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნას ახალგაზრდა ვარსკვლავური ობიექტებიდან გამოტყორცნილი ჰიდროდინამიკური ჯეტების ასახსნელად.</p> <p>პრაქტიკულად სრულდება სტატიის გაფორმება გამოსაქვეყნებლად:</p> <p>N. L. Shatashvili, A. G. Tevzadze, Z. Yoshida.</p> <p><i>Generalized Betlrami Flow modeling the disk-jet systems of young stellar objects - Formation of Protostellar Thin Disk and Collimated Jet Structure. Geophys. Astrophys. Fluid Dynamics (In preparation)</i></p>		
<p>2</p>	<p>დინების დინამიკა და გრიგალური მოვლენები მრავალკომპონენტური ასტროფიზიკურ პლაზმებში.</p>	<p>ნანა შათაშვილი</p>	<p>ნ. შათაშვილი, <i>თსუ ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი:</i> ვ. ბერეჟიანი, ქ. სიგუა</p>
<p>დასრულებული კვლევათი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
	<p>(i) ნაჩვენებია, რომ დელოკალიზებული გრიგალური სოლიტონები რელატივისტურ წყვილ პლაზმაში მცირე ტემპერატურული ასიმეტრიით არამდგრადია ფონური ელექტრომაგნიტური (ემ) ველის შუალედური ინტენსივობებისათვის. არამდგრადობა იწვევს მუდმივად გაფართოვებადი კავიტირებადი „ბუშტუკები“-ს (Bubbles) გენერაციას,</p>		

რომლებშიც ელექტრომაგნიტური ველი ნულის ტოლია; თუმცა ამ ფორმირებების გულში პლაზმის სიმკვრივე და ტემპერატურა მცირედი მაინც რჩება. ასეთი *ემ* ბუშტუკების არსებობა დემონსტრირებულია ჰიდროდინამიკური ანალოგიიდან გამომდინარე თვისობრივ არგუმენტებზე დაყრდნობით, და ასევე ე.წ. „სატურაციული არაწრფივობის“ შემცავი არაწრფივი შრედიზგერის განტოლების რიცხვითი ამონახსნებით. ასეთი *ემ* ბუშტუკების ფორმირება საკმაოდ საინტერესოა რეგულარული სტრუქტურების ფორმირების ასახსნელად კოსმოსურ/ასტროფიზიკურ პირობებში, და ასევე წყვილი პლაზმებისათვის, რომლებიც მოსალოდნელია რომ ხელმისაწვდომი იქნება ლაბორატორიულ პირობებშიც.

იხილეთ გამოქვეყნებული სტატია:

V.I. Berezhiani, **N.L. Shatashvili**, S.M. Mahajan and B.N. Aleksic. *Vortex bubble formation in pair plasmas. Phys. Rev. E. 88.* 015101 (2013).

(ii) როდესაც ელექტრონებისა და პოზიტრონების ენერგია მათ ფერმის ენერგიასთან შედარებით შესამჩნევად მცირეა ე-პ გაზი ითვლება გადაგვარებულად. ასეთი გაზისათვის ჰიდროდინამიკური მოდელი აიგება ფერმიონების განაწილების ფუნქციაზე, რომელიც ლოკალურად იუტნერ-ფერმის სახისაა და ნულოვანი ტემპერატურისათვის იძლევა თერმოდინამიკური სიდიდეებისათვის მხოლოდ სიმკვრივეზე დამოკიდებულებას; ასეთი ე-პ პლაზმის დინამიკა იზენტროპულია. ჩაწერილია განტოლებათა ჩაკეტილი სისტემა ასეთი გადაგვარებული ე-პ პლაზმის დინამიკისათვის, რომელიც მსგავსია რელატივისტური პლაზმის აღმწერი განტოლებათა სისტემისა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სიტუაცია გვხვდება ძალიან მკვრივ ასტროფიზიკურ გარემოებში (თეთრი ჯუჯები, მაგნეტარები და ა. შ.). ადრე ჩვენს მიერ შემოთავაზებულ განზოგადოებულ მაგნეტო-ჰიდროდინამიკურ მოდელზე დაყრდნობით ნაპოვნია მდგრადი სტრუქტურების ამონახსნები სამმაგი ბელტრამის ველების (Triple Beltrami Fields) საშუალებით. ნაჩვენებია ასეთი ამონახსნების მნიშვნელობა კომპაქტურ ასტროფიზიკურ ობიექტებში წონასწორული რეგულარული ფორმირებების წარმოშობის ამოცანებისათვის.

პრაქტიკულად სრულდება სტატიის გაფორმება გამოსაქვეყნებლად:

V.I. Berezhiani and **N.L. Shatashvili**. *Equilibrium multiscale structures in degenerate astrophysical plasmas.* (In preparation)

(iii) განხორციელდა დინებისაჩქარების/გენერაციის კვლევები დამყარებული ჩვენს მიერ ვეადრე შემოთავაზებულ დინამიურ ორ-სითხოვან დისიპაციურ მოდელზე (ბრუნვითი ეფექტები ჯერჯერობით უგულებელყოფილია) დაყრდნობით 3-განზომილებიანი შემთხვევისათვის.

მნიშვნელოვანი ხდება არსებული ჩაკეტილი მაგნიტურის სტრუქტურების სიცოცხლის ხანგრძლივობისა და გეომეტრიული თვისებების გათვალისწინება. აგებულია განზოგადოებული 3-განზომილებიანი რიცხვითი კოდი (ჩვენი 2-განზომილებიანი კოდის მოდიფიკაციით) ცხელი ჩაკეტილი სტრუქტურის ფორმირების ამოცანისათვის დამაგნიტებულ პლაზმაში. განხორციელდა რიცხვითი ექსპერიმენტები კონკრეტული ობზერვაციული პირობებისათვის

	<p>და ნაჩვენებია ფორმირების პარამეტრების დამოკიდებულება საწყის და სასაზღვრო პირობებზე; ხაზგასმულია განსხვავება 2-განზომილებიან შემთხვევასთან. აღდგენილია რეალისტური დამზერილი სტრუქტურის დინამიკა მზის შემთხვევისათვის. აღსანიშნავია უახლესი დაკვირვებების სრული თანხვედრა ჩვენს მიერ ადრე შემოთავაზებულ თეორიულ მოდელთან. დაგეგმილია ბრუნვითი ეფექტების გათვალისწინება.</p> <p>მზადდება სტატია გამოსაქვეყნებლად: S.M. Mahajan, N.L. Shatashvili, R. Miklazsewski & K.I. Sigua. <i>On the Formation and Heating of Closed 3D Structures in Solar Atmosphere</i>. (In preparation).</p> <p>იხილეთ ასევე ნანა შათაშვილის პლენარული მოხსენება თსუ საფაკულტეტო კონფერენციაზე: http://conference.ens-2013.tsu.ge/page/program_plenary</p>		
3	კინემატიკურად და თერმოდინამიკურად არაერთგვაროვანი ასტროფიზიკური დინებების შესწავლა	ალექსანდრე თევზაძე	<p>ა. თევზაძე</p> <p>ე. უჩავა</p> <p>ნ. ფირცხალავა</p> <p><i>თსუ ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი:</i></p> <p>გ. ჩაგელიშვილი</p> <p>რ. ჭანიშვილი</p> <p>ჯ. ლომინაძე</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>(i) გამოთვლილია ვერტიკალურად სტრატოფიცირებული ასტროფიზიკური წანაცვლებითი დინების მდგრადობის თვისებები. შედარებულია წრფივი და არაწრფივი რეჟიმების მახასიათებლები. ნანახია, რომ განვითარებული არაწრფივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სტოქასტური საწყისი მნიშვნელობების სპეტრულ მახასიათებლებზე, რაც მიგვითითებს ამ ტიპის დინებების „განუზღვრელობაზე“.</p> <p>(ii) შესწავლილია მბრუნავი პროტოპლანეტარული დისკების სამგანზომილებიანი ბაროკლინური მდგრადობა. შეფასებულია განვითარებული კონვექციური ტურბულენტობის მახასიათებლები. ნაჩვენებია ვერტიკალური სტრატოფიკაციის კანონი და სპეციფიკური პირობები, როდესაც კონვექციამ შეიძლება გადაიტანოს ბრუნვითი მომენტი რადიალურად გარეთ და ხელი შეუწყოს მატერიის აკრეციას ცენტრალურ ობიექტზე.</p> <p>პუბლიკაციები:</p> <p>R. G. Chanishvili, A. G. Tevzadze, G. D. Chagelishvili, J. G. Lominadze, G. R. Khujadze, M.</p>			

	<p>Oberlack. <i>Uncertainty of convection dynamics in high Reynolds number horizontal plane Couette flow. European Journal of Mechanics B</i> (accepted).</p> <p>E. S. Uchava, A. G. Tevzadze, G. D. Chagelishvil. <i>Stability and Vorticity Production in Stratified Astrophysical Disks. J. Modern Physics</i> 4, 18 (2013).</p> <p>J.-N. Hau, G. D. Chagelishvili, G. Khujadze, M. Oberlack, A. G. Tevzadze. <i>Sound Generation in Plane Couette Flow: A Failure of Lighthill's Analogy. Progress in Turbulence V, Springer Proceedings in Physics</i>, 149, 205-210 (2013).</p>	
4	კოსმოსური მაგნიტური ველების და ტურბულენტობის მოდელირება	ალექსანდრე თევზაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)		
ნანოელექტრონული ხელსაწყოების უმეტესობის ძირითად ელემენტს მაღალი ხარისხის ზეთხელი (5–50ნმ) დიელექტრიკი შეადგენს, რომლის ფორმირება შეუძლებელია სტანდარტული მაღალტემპერატურული ($T \sim 1400$ K) ტექნოლოგიების საშუალებით, მასთან დაკავშირებული არასასურველი შედეგების გამო. ნაშრომში ნაჩვენებია მაღალხარისხოვანი ზეთხელი დიელექტრიკული ფირების (SiO_2 , TiO_2 , Ta_2O_5 და Al_2O_3) ფორმირების შესაძლებლობა ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი, კატალიზური პლაზმური ანოდირების (კპა)

მეთოდით, რომელიც სტანდარტულ ტექნოლოგიებთან შედარებით დაბალტემპერატურულია (< 600 K). ამ მეთოდით დასაქანგმასალაზე წინასწარ ეფინება იშვიათი მიწა ელემენტი (იმე). ასეთის ტრუქტურის პლაზმური ანოდირების პროცესის წრაფადი ქანგება იმე-სთხელი ფენა დამირითა დიმასალა. ამდროს თითქმის ორი რიგი თითო ზრდება პროცესის ეფექტურობა, იზრდება ანოდირების სიჩქარე და უმჯობესდება ოქსიდის ელექტროფიზიკური მახასიათებლები. გაზომილია ელექტრო-ფიზიკური, დიელექტრიკული და ოპტიკური პარამეტრები. შედეგებმა აჩვენა, რომ ოქსიდების ფორმირების შემოთავაზებული მეთოდი ეფექტურია. შემოთავაზებულია კვა-ს მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ქანგადის იონების გადაქაჩვას კატალიზატორიდან ძირითად მასალაში, იმე-სა და მეტალსა და ნეხვარგამტარებს შორის ელექტროუარყოფითობის განსხვავების გამო.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	А.П.Бибилашвили, З.В.Джибути, Н.Д.Долидзе,	«Исследование спектров ортического про-пускания тонких пленок TiN, полученных методом ВЧ-реактивного распыления», NanoStudies		Tbilisi, House Universal	5

ანოტაციები

ნაშრომში გამოკვლეულია მაღალი სიხშირის რეაქტიული გაფრქვევის მეთოდით მიღებული TiN-ის თხელი ფირების (50-200 ნმ) ოპტიკური გაშვების სპექტრები. აღწერილია ფირების მიღების და პარამეტრების გაზომვის მეთოდები. ნაჩვენებია, რომ ფირების სისქის გაზრდით სინათლის გაშვება იცვლება სპექტრის გაზომვის მთელ არეში, ამასთან, 293-330 ნმ-ის დიაპაზონში დაიშორება მკვეთრი მაქსიმუმი. TiN-ის თხელი ფირების ოპტიკური პარამეტრების სტაბილობის შესაფასებლად ჩატარდა კვლევები ნიმუშების გაშვების სპექტრებზე იმპულსური-ფოტონური, თერმული და ულტრაიისფერი ზემოქმედების გავლენის შესახებ. შედეგებმა აჩვენა, რომ მიღებული ფირების ოპტიკური მახასიათებლები სტაბილურია. ექსპერიმენტის მონაცემებიდან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ TiN-ის თხელი ფირების ოპტიკურ (ფოტომაბლონის) საფარველად გამოყენებისას იქნება მაღალეფექტური.

2) უცხოეთში

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

2) უცხოეთში

მომზადდა და მიღებულია დასაბეჭდად:

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Amiran Bibilashvili, <u>Zurab Kushitashvili</u>	Investigation of TiO ₂ Properties Received by Catalytic Plasma Anodization	ISPlasma 2014, March 2 – 6, Meijo University, Nagoya, Japan

მომხსენებათა ანოტაციები

მიკრო და ნანოელექტრონიკის ძირითადი მოთხოვნაა მაღალი ხარისხის ოქსიდური ფირების ფორმირება და მათი გამოყენება ხელსაწყო-მოწყობილობებში. სტატიაში მოყვანილია n ტიპის, (100) მიმართულების Si-ზე თხელი TiO₂ (10 ÷ 100 ნმ) ოქსიდური ფირის ფორმირების სტიმულირებული პლაზმური ანოდირების ტექნოლოგია, სადაც კატალიზატორად გამოიყენება იშვიათი მიწათა მეტალი - იტრიუმი. ამ მეთოდით

ოქსიდის ფორმირების ტემპერატურა შემცირდა 500 გრადუსით და ოქსიდის ზრდის სიჩქარე გაიზარდა 50-ჯერ. მიღებული ოქსიდის პარამეტრების კვლევების შედეგად კეთდება დასკვნა, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მიკრო და ნანოხელსაწყოებში სხვადასხვა დანიშნულებისთვის.

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შექმსრულებლები
1	ზეთხელი დიელექტრიკული ფირების ფორმირების სტიმულირებული, დაბალ-ტემპერატურული ტექნოლოგიის შემუშავება	ა. ბიბილაშვილი	ა. ბიბილაშვილი, ზ. ყუშიტაშვილი
დასრულებული კვლევითიმე-2 ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>მიკრო და ნანოელექტრონული ხელსაწყოების დამზადებისთვის ქვესაფენის ძირითადი მასალეხია სილიციუმი, როგორც იაფი და კარგად შესწავლილი, და გალიუმის არსენიდი, როგორც მუხტის მატარებლებისთვის დიდი ძვრადობის მქონე. მათზე დიელექტრიკული ფირების ფორმირების სტანდარტული ტექნოლოგია მაღალტემპერატურულია (Si-ზე 1400K), ხოლო GaAs-ზე - 700 K-ის მაღალ ტემპერა-ტურაზე ქვესაფენის სტრუქტურა იშლება. მაღალ ტემპერატურაზე ხდება დიელექ-ტრიკში არასასურველი მინარევების დიფუზია, მისი ფორიანობის გაზრდა, ქვესა-ფენთან ადგეზიის გაუარესება და ა.შ. მამასადამე, არა მხოლოდ დიელექტრიკის ტიპი, არამედ მისი მიღების ტექნოლოგიის ტემპერატურის შემცირება გადამწყვეტი ფაქტორია შესაბამისი მიკრო და ნანო ხელსაწყოს დამზადებისას.</p> <p>ჩვენს მიერ პირველად შემუშავებულ იქნა სტიმულირებული ანოდირების მეთო-დები: 1) Si-ზე კატალიზური პლაზმური ანოდირება იშვიათმიწათა ელემენტების გამოყენებით და 2) GaAs-ზე მისი პლაზმური ანოდირების პროცესში ულტრაიის-ფერი სინათლის დასხივებით, რომლებიც გამორიცხავენ ყველა ზემოთჩამოთვლილ ნაკლოვანებებს. Si-ზე დიელექტრიკული ფირების ფორმირების ტემპერატურა მცირ-დება ~600K-მდე და პროცესის ეფექტურობა იზრდება ორი რიგით, ხოლო GaAs-ზე დიელექტრიკული ფირების ფორმირება ხდება ~400K-ზე, რის შედეგად მიიღებიან მაღალი ხარისხის ფირები.</p> <p>სტიმულირებული ანოდირების მეთოდით იქნა მიღებული და დადგინდა მათი ფორმირების ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესები - Si-ზე: SiO₂, Al₂O₃, TiO₂ და Ta₂O₅, ხოლო GaAs-ზე მისი საკუთარი ჟანგი xGa₂O₃+yAs₂O₃.</p> <p>შესწავლილ იქნა მათი ელექრო-ფიზიკური, ოპტიკური და დიელექტრიკული პარამეტრები ისეთები, როგორიცაა: მუხტი დიელექტრიკში და გამყოფ საზღვარზე, დიელექტრიკული გარდატეხის მაჩვენებელი, სისქე, ზრდის სიჩქარე, ზედაპირის ხაოიანობა, მდგომარეობათა რიცხვი გამყოფ საზღვარზე, დიელექტრიკული მუდ-მივა, გარღვევის ძაბვა. რენტგენო-სტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ამორფულია. გაზომვები ჩატარდა თსუ-ში მიკრო და ნანოელექტრონიკის ლაბორა-ტორიაში და ნაწილი პარამეტრებისა გაიზომა ბილკენტის უნივერსიტეტში მასალათ-მცოდნეობისა და ნანოტექნოლოგიების უნივერსიტეტში (თურქეთი, ანკარა).</p>			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შექმსრულებლები
	ტიტანის ნიტრიდის ფირე-ბის ფორმირების ტექნო-ლოგიის შემუშავება და მათი ოპტიკური	ა. ბიბილაშვილი	ა. ბიბილაშვილი, ზ. ჯიბუტი

თვისებების შესწავლა			
დასრულებული კვლევითი პროექტის შედეგები (ანოტაცია)			
<p>მიკრო და ნანოელექტრონიკა მეცნიერების და ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად მზარდი და პერსპექტიული მიმართულებებია. მიკრო და ნანო-ელექტრონული ხელსაწყოების ფუნქციონალური განვითარების ძირითადი ტენდენციაა ინტეგრაციის ხარისხისა და სწრაფქმედების განუზრვლელი ზრდა. ყოველივე ეს ხორციელდება მათი ელემენტების გეომეტრიული ზომების შემცირებით და ტექნოლოგიაში ახალი პროცესების დანერვით. მიკრო-, ნანოხელსაწყოები და ინტეგრირებული მიკროსქემები (იმს) მზადდებიან ერთ ტექნოლოგიურ პროცესში, ერთ ქვესაფენზე ასობით და ათასობით. ისინი მზადდება ლიტოგრაფიის პროცესის გამოყენებით, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია მათი შექმნის ტექნოლოგიაში. ლიტოგრაფიის პროცესისას სწარმოებს შაბლონიდან სურათის დიდი სიზუსტით გადატანა ულტრაიისფერ სინათლე მგრძობიარე ფენაზე (ფოტორეზისტი) და შემდეგ ქვესაფენის ზედაპირზე. ლიტოგრაფიაში შაბლონი ძირითადი ინსტრუმენტია, რომელიც ბრტყელ-პარალელური მინის ან კვარცის ფირფიტაა, დაფარული საჭირო კონფიგურაციის შუქგაუმჭირვალე CrO₂ ან Fe₂O₃ ფირით. ხელსაწყო-მოწყობილობების შექმნისთვის საჭიროა მრავალჯერადი ლიტოგრაფია, რაც დაკავშირებულია CrO₂ ან Fe₂O₃ ფირის მექანიკურ ცვეთასთან, რაც უვარგისს ხდის ფოტოშაბლონს შემდგომი გამოყენებისთვის, ეს კი დაკავშირებულია დიდ ეკონომიურ ხარჯებთან.</p> <p>ჩვენთან შემუშავდა მაღალი სიხშირის რეაქტიული მეთოდით, ტიტანის გაფრქვევით აზოტის არეში (10³ მმ. ვც. სვ) ტიტანის ნიტრიდის (TiN) ფირების ფორმირების ტექნოლოგია და დადგინდა მისი მიღების ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესები. მიღებული ფირების მექანიკურმა გაზომვებმა აჩვენეს, რომ TiN ~20 ჯერ და მეტჯერ უფრო ცვეთამდეგია, ვიდრე CrO₂ ან Fe₂O₃ ფირი. TiN -ის თხელი ფირების გაშვების ოპტიკურ სპექტრებზე იმპულსურ-ფოტონური, თერმული და ულტრაიისფერი დასხივების ზემოქმედების შედეგად დადგინდა, რომ მათი ოპტიკური მახასიათებლები სტაბილურია და ულტრაიისფერ არეში არა აქვს შთანთქმა. აქედან გამომდინარე დადგინდა, რომ ფოტოშაბლონზე (CrO₂ ან Fe₂O₃ ფირის კონფიგურაციით) მიღებული ტიტანის ნიტრიდის დაფენით საგრძნობლად იზრდება მისი ცვეთამდეგობა და არ სუსტდება გასული ულტრაიისფერი სინათლის მოქმედების ეფექტი ფოტორეზისტზე. ეს იძლევა საშუალებას 20-ჯერ და მეტჯერ გავზარდოთ ძვირადღირებული ფოტოშაბლონის ვარგისიანობის დრო.</p>			
3	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	მაიონიზირებელი გამოსხივების ნახევარგამტარული დეტექტორების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება	ზ. ჯიბუტი	ა. ბიბილაშვილი, ზ. ჯიბუტი
დასრულებული კვლევითი მე-2 ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>თანამედროვე პირობებში რადიაციის (მაიონიზირებელი გამოსხივება) დოზის განსაზღვრა და შესაბამისად მისი რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის მოწყობილობების შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ამასთან, მაიონიზირებელი გამოსხივების სახესხვაობამ (მძიმე და მსუბუქი ნაწილაკებიდან ელექტრომაგნიტურ გამოსხივებამდე) განაპირობა დოზიმეტრების მრავალსახეობა, რომელთა შორის დღეს-დღეობით ყველაზე ეფექტური გაზური დოზიმეტრებია. ამ კლასის დოზიმეტრებს გააჩნია ძირითადი ნაკლი: 1) მათ აქვთ გაზის დაბალი სიმკვრივე, რაც საშუალებას არ იძლევა ეფექტურად მოხდეს მაღალ-ენერგეტიკული და მცირე იონიზების უნარის მქონე გამოსხივების რეგისტრაცია და 2) მათში ელექტრონიონური წყვილის შესაქმნელად საჭირო მაღალი ენერგია (30-40 ევ), რის გამოც უარესდება ენერგეტიკული გარჩევუნარიანობა.</p> <p>ამ მხრივ, გაცილებით უკეთესი მახასიათებლებით გამოირჩევა და უფრო მოსახერხებელია ნახევარგამტარული - Si-საფუძველზე შექმნილი დეტექტორები. ამ ტიპის დეტექტორების გამოყენება მეტად პერსპექტიულია ისეთი სისტემების შესაქმნელად, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ადამიანების მასიურ თავშეყრის ადგილებს, საბაჟოებს და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს. ეს დეტექტორები გამოიყენება აგრეთვე, სამედიცინო აპარატურაში დეტექტოსკოპურ მოწყობილობებში, მცირედოზიანი რადიაციული უსაფრთხოების სისტემების შესაქმნელად და სხვა.</p>			

შემუშავებულ იქნა n ($\rho = 4,5$ ომ.სმ) და p ($\rho = 10$ ომ.სმ) ტიპის Si-ზე p-n გადასვლის ფორ-მირემის ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესები. დიფუზიის წყარობად გამოიყენებოდა ფოსფორო- და ბოროსილიკატური მინები. დიფუზიური პროცესები ტარდებოდა: 1) იმპულსურ-ფოტონური დამუშავებით, 2) ტრადიციულ მაღალტემპერატურულ ღუმელში და 3) იონური იმპლანტაციით, შემდგომი იმპულსურ-ფოტონური გამოწვით. ყველა ამ მეთოდებით მიღებული ნახევარგამტარული დეტექტორები მგრძნობიარე აღმოჩნდა პრო-ტონებისა (25 მევ-მდე) და ელექტრონების (2 მევ-მდე) მიმართ. აგრეთვე, ნაჩვენებ იქნა, რომ მე-3 მეთოდით ფორმირებული p-n გადასვლი 7-ჯერ უფრო მდგრადია რადიაციის მიმართ, ვიდრე სხვა დანარჩენი.

მაიონიზირებელი ზემოქმედების დროს იზომებოდა ჩამკეტი მიმართულებით ჩართული p-n გადასვლის (რადიაციული სენსორი) უკუდენები. შესაბამისად აიგო დამაგრადუ-ირებელი მრუდები: რადიაციის ენერჯისა, დოზისა და ინტენსიობისა უკუდენების სიდი-დეების მიმართ.

კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა, ნახევარგამტარებისა და ნანოსტრუქტურების მიმართულება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი თამარ ჭელიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასისტენტ-პროფესორი თამარ ჭელიძე
 დოქტორანტი გიორგი ხაზარაძე
 მაგისტრი ჯარჯი ხმალაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თუთიის ოქსიდის კვანტური სტრუქტურები თანამედროვე ელექტრონიკაში - თხელი ფენებიდან ნანოსადენებამდე	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი	თ. ჭელიძე	თ. კერესელიძე თ. ნადარეიჭილი გ. ხაზარაძე

1. ელექტრონული მდგომარეობების შესწავლა ელიფსოიდის ფორმის ნანოღეროებში - შესწავლილია ელიფსოიდის ფორმის ნანოღეროებში ელექტრონებისა და ხვრელების ელექტრონული მდგომარეობები ეფექტური მასის მიახლოებაში. შრედინგერის განტოლება ამოხსნილია სფეროიდალურ კოორდინატთა სისტემაში. მიღებულია ასიმპტოტურად ზუსტი გამოსახულებები ენერგეტიკული დონეებისა და მათი შესაბამისი ტალღური ფუნქციებისთვის.

2. კულონური ეფექტების შესწავლას ხვადსხვა ზომის ZnO-ს თავისუფლად მდგომარეობის ბირთვი-გარსის ტიპის ნანოსადენებში - გამოკვლეულია კულონური ურთიერთქმედება ნანო სადენებსა და ნანოღეროებში. განხილული იყო ელექტრონულ ხვრელური წყვილები (ექსიტონები), ასევე დეფექტებთან ბმული ნაწილაკები. გამოთვლები ჩატარებული იყო თავისუფლად მდგომი და ბირთვი-გარსი ტიპის სტრუქტურებისთვის. გამოკვლეული იქნა დიელექტრიკული შეზღუდვის გავლენა ბმის ენერგიაზე.

3. ელექტრონული მდგომარეობების გამოთვლა მრავალი კვანტური ორმოს შემცველი ბირთვი გარსის ტიპის ნანოსადენებში - გამოთვლილია ელექტრონული მდგომარეობები მრავალი კვანტური ორმოს შემცველი ბირთვი გარსის ტიპის ნანოსადენებში, დამუშავებული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ასეთ სტრუქტურებში ელექტრონების და ხვრელების ტალღური ფუნქციები და შესაბამისი ენერგეტიკული ორმობის ნებისმიერი რაოდენობისათვის.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	მაგნეტოელექტრული ეფექტი პეროვსკიტის ტიპის ოქსიდურ ნივთიერებებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ა. შენგელაია	თ. ჭელიძე დ. ჯაფარიძე დ. დარასელია

დეფექტების წარმოქმნის თერმოდინამიკური ანალიზი BiFeO₃-ში - ჩატარებულია დეფექტების და მუხტის მატარებლების კონცენტრაციული წონასწორობის თერმოდინამიკური ანალიზი სისტემისთვის BiFeO₃ (მყარი) - O₂ (გაზი) . ანალიზი ჩატარებულია კროგერის კვაზი-ქიმიური განტოლებების მეთოდით. მუხტის მატარებლებისა და საკუთარი დეფექტების კონცენტრაციები გამოთვლილია ტემპერატურისა და გარემომცველ ატმოსფეროში ჟანგბადის პარციალური წნების სხვადასხვა მნიშვნელობისთვის.

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Chikoidze, T.Tchelidze, E.Popova, P.Maso, N. Ponjavidze, N.Keller Y.Dumont	Conductivity type inversion in wide band gap antiferromagnetic FeTiO ₃ - APPLIED PHYSICS LETTERS	V102, p. 122112 (2013)	USA	4
2	T.Tchelidze, T. Kereselidze, T. Nadareishvili	Electronic structure of nanorod of strongly prolate ellipsoidal shape	arXiv:1311.5977 v2 [cond-mat.mes-hall] for this version)		11
3	T.Tchelidze, T. Kereselidze,	Effects of Coulomb Impurity in Semiconductor	In print	USA	6

	T. Nadareishvili	Nanowire/ Research Conference Proceeding	Material Society			
4.	Sh. Garuchava, T. Tchelidze,	ELECTRONIC STRUCTURE OF CORE-SHELL ZnO/ZnMgO MULTI- QUANTUM WELL NANOWIRES WITH ARBITRARY WELL NUMBERS		In print	USA	4
<p>1. By quasi-chemical reaction method for FeTiO₃ material in oxygen atmosphere, electron and hole concentrations for broad range of oxygen partial pressure have been calculated. Oxygen pressures, at which electrical and hole conductivity can be achieved, were estimated. Thin layers of FeTiO₃ have been grown on transparent Al₂O₃ (0001) substrates by pulsed laser deposition technique at different oxygen partial pressures. Structural, optical, and electrical properties have been studied for these samples. By special post-annealing treatment, the conductivity type inversion from p to n has been achieved as predicted by our thermodynamic analysis.</p>						
<p>2. A charged particle (electron or hole) confined in nanorod of strongly prolate ellipsoidal shape is considered. The effective-mass Schrödinger equation is solved in prolate spheroidal coordinates and asymptotically exact expressions for the energy spectrum and wavefunctions are derived. It is shown that the treatment of the confinement energies is incorrect if the actual shape of ellipsoidal nanorod is not taken into account. In particular, developed earlier the approach based on the consideration of the problem in cylindrical coordinates with the use of parabolic potential leads to the incorrect expression for the energy spectrum. Rule of correlation between the states corresponding to spherical quantum dot and nanorod of strongly prolate ellipsoidal shape is suggested and an appropriate energy correlation diagram is constructed. The correlation diagram is in complete qualitative and quantitative agreement with the energy diagram obtained by numerical solution of the Schrödinger equation in spheroidal coordinates.</p>						
<p>3. We present calculation of electronic structure of impurity in nanowire. Ionization energy of impurities are calculated in dependence on nanowire radius. Direct Hamiltonian matrix diagonalization method with the physically reasonable approximate potential is employed for finding the exact solution of Schrödinger equation in the effective-mass approximation. It is shown that shallow donors are strongly influenced by space confinement, which is expressed in sharp increase of ionization energy. Calculations show that effect of space confinement on deep impurities is less pronounced. The obtained results give hope that by selecting optimal value of nanowire radius compensation processes can be suppressed.</p>						
<p>4. The method that allow to obtain wave functions and corresponding energies for electrons and holes in core multi-shell nanowires is developed. The described method has been used to find electronic state of ZnO/ZnMgO core multi-shell nanowires.</p>						

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ.ჭელიძე	ელექტრული ველით გამოწვეული გამოსხივების ინტენსიურობის ცვლილება CdSe ინდივიდუალურ ნანოსადენებში	პირველისაფაკულტეტოსამეც ნიეროკონფერენციაზუსტდასა ბუნებისმეტყველომეცნიერებე ბში, თბილისი, 25 იანვარი, 2013
<p>ნახევარგამტარული ნანო სადენები (ღეროები) განსაკუთრებით საინტერესო მასალაა მომავლის ტექნოლოგიებისთვის. მათი ძირითადი უპირატესობებია: ელექტრონული სტრუქტურის კონტროლის საშუალება კვანტური შეზღუდვის ეფექტის საშუალებით; ფოტოლუმინესცენციის მაღალი ეფექტურობა; ძლიერ პოლარიზებული გამოსხივება; მუხტის მატარებლების განსაკუთრებით სწრაფი რელაქსაცია.</p> <p>ნაშრომში წარმოდგენილია მოდელი გარე ელექტრულ ველში ნანოსადენების ფოტოლუმინესცენციის ზრდის და მოდულაციის მოვლენის ასახსნელად. ექსპერიმენტში დამზერილი იქნა კვანტური გამოსავლის 20%-იანი შექცევადი ზრდა, როდესაც მოდებული ძაბვა იცვლებოდა -100-დან +100 ვოლტის ფარგლებში.</p> <p>ეფექტი ახსნილია ელექტრული ველში ჩაქრობის ცენტრებიდან მიერ მუხტის მატარებლების განთავისუფლების სიჩქარის ცვლილებით (გაზრდით) - ნანო Poole-Frenkel ეფექტით.ნანოსადენში რეალური ელექტრული ველი განისაზღვრა ტრადიციული მეთოდით - ჰუასონის განტოლების გამოყენებით. დამზერილი ეფექტის ასახსნელად გათვალისწინებული იქნა როგორც შიდა ასევე გარე ელექტრული ველი. ლუმინესცენციის კვანტური გამოსავლის გამოთვლისთვის გამოყენებული იქნა კინეტიკური განტოლებების მეთოდი.</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Tchelidze	Effects of Coulomb Impurity in Semiconductor Nanowire	BostonMA, December 1-6, 2013
<p>Semiconductor nanowires, are believed to act as key elements in future nanoscaled optoelectronic devices, as they offer intriguing electrical and optoelectronic properties. However, the future of any semiconductor nanowire technology will essentially rely on their doping capability. The availability of both n- and p-type semiconductors is important for the realization of nanowire-based electronics. Wide band gap semiconductors, such as ZnO, suffer from doping polarity. They can be easily by doped n- (or p-type) to the expense of difficulties for doping of opposite type. Space confinement changes donor and acceptor ionization energies; The main factor that makes difficult to obtain n- or p-conductivity is formation of compensating defects. Compensating processes is strongly affected by electronic structure of system: band gap, ionization energies of donors, acceptors and their compensation centers. In the presented work we calculated energy levels of electron bound to Coulomb impurity that is incorporated in semiconductor nanowire.</p>			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	FeTiO₃ თხელი ფენების ელექტროლიტული გამტარობის შესწავლა	ეკატერინე ჩიკოიძე (ვერსალის უნივერსიტეტის კონდენსირებული გარემის კვლევის ჯგუფი)	თ. ჭელიძე, ე.პოპოვა, პ.მასო, ნ.კელერი, ივ. დუმონ
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>კვაზი-ქიმიური რეაქციების მეთოდის საშუალებით გამოთვლილია ელექტრონებისა და ხვრელების კონცენტრაციები სისტემაში FeTiO₃ (კრისტალი) - ჟანგბადი (გაზი) ჟანგბადის პარციალური წნეების ფართო დიაპაზონში. განსაზღვრულია ჟანგბადის წნეების მნიშვნელობები რომლისთვისაც ელექტრონული და ხვრელური გამტარობის მიღებაა შესაძლებელი. FeTiO₃ თხელი ფენები გაზრდილი იყო გამჭვირვალე Al₂O₃ (0001) სადებზე ჟანგბადის პარციალური წნეების სხვადასხვა მნიშვნელობისათვის. შესწავლილი იქნა ნიმუშების ელექტროლიტული და ოპტიკური თვისებები. ექსპერიმენტულმა გაზომვების შედეგები თანხვედრაშია თერმოდინამიკური ანალიზის შედეგებთან. კერძოდ, დამზერილი იქნა გამტარობის ტიპის ინვერსია, რის შესაძლებლობაც ნაჩვენებია იყო თერმოდინამიკური ანალიზის საშუალებით.</p>			

რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების ქვემიმართულება

- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
ასოც. პროფ.ო. ხარშილაძე
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოც. პროფ.ო. ხარშილაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ო. ხარშილაძე	ჯ. ლომინაძე, ხ.ჩარგაზია, ნ.დიხამინჯია

	<p>ურთიერთტრანსფორმაცია ა წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში</p>			
--	---	--	--	--

დასრულებული პროექტის (ეგაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია ულტრადიდი სიხშირის ტალღური სტრუქტურების წრფივი და არაწრფივი დინამიკა და მათი თვითორგანიზაცია მბრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში, რომელიც განპირობებულია არაერთგვაროვანი ზონალური ქარების (წანაცვლებითი დინება) არსებობით. პლანეტარული უდს ელექტრომაგნიტური ტალღები გენერირდებიან გარემოსა და სივრცით არაერთგვაროვანი გეომაგნიტური ვეილს ურთიერთქმედებით. ნაპოვნია დიდმასშტაბიანი უდს ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის და შემდგომი გაძლიერების ეფექტური წრფივი მექანიზმი წანაცვლებითი დინებებში. ნაჩვენებია, რომ ეს ტალღური შეშფოთებები ეფექტურად ქანავენ ენერჯიას წანაცვლებითი დინებებისგან და ზრდიან საკუთარ ენერჯიას და ამპლიტუდას (რამდენიმე რიგით). ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით, განპირობებული შეშფოთებათა პროფილის არაწრფივი გრეხით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ასალი ხარისხი და შესაბამისად, შეშფოთებების განვითარების ასალი გზა წანაცვლებითი დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სინქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ქუნა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ანალიზური გამოთვლებიდან და ნახაზებიდან ნათელი ხდება, რომ სტაციონარული გრიგალური სტრუქტურების წარმოსაქმნელად საჭიროა სინქარის გადატანის რაიმე ზღვრული მნიშვნელობა ორივე დისიპაციური და არადისიპაციური კომპლექსური იონოსფერული პლაზმისათვის. შესწავლილია გრიგალების ჩაქრობის დროითი და სივრცითი მახასიათებელი. შეფასებულია გრიგალის ხანგრძლივობის მახასიათებელი დრო დისიპაციური იონოსფეროში. ხანგრძლივ გრიგალურ სტრუქტურებს გადააქვთ ჩაჭერილი ნაწილაკები და ასევე სითბო, ენერჯია. ამრიგად, განსახილველი სტრუქტურები შეიძლება წარმოადგენდნენ უდს ელექტრომაგნიტურ ტალღურ მაკრო ტურბულენტობის სტრუქტურულ ელემენტებს იონოსფეროში.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	DISSIPATIVE STRUCTURES AND KINETIC PROCESSES IN THE NEAR EARTH PLASMAS	7 th Framework Program Research, Technologies Development and Demonstration, Marie Curie Actions – People, International Research Staff Exchange Scheme, No PIRSES-GA-2009-269198 (2010-2013).	პროფესორი გაეტანო ზიმბარდო	ქართული მხარე: ო.ხარშილაძე, ხ.ჩარგაზია.

დასრულებული პროექტის (ეგაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში შესწავლილია მაგნიტოსფერულ გარემოში, კერძოდ მაგნიტოსფეროს კუდის არეში ექსპერიმენტზე დამზღვრილი გრიგალური დინებები, შეფასებულია დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები, რომლებიც შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექტირების ზომას. ამიტომ ასეთი სტრუქტურების წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) გარემოში ენერჯიის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სატელიტური მისიის გაზომვების ანალიზის საფუძველზე მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია გრიგალები, დაკავშირებული სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სინქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა TEMIS სატელიტური მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ძირითად გრიგალთან ერთად შესაძლოა გამოვლენილ იქნას სხვა გრიგალებიც, რომლებიც აფორმირებენ გრიგალური სტრუქტურების ჯაჭვს, რომლის მთავარ

გრიგალს გაცილებით მეტი ამპლიტუდა გააჩნია, ვიდრე სატელიტურ მდგენელებს. გაანალიზებულ იქნა როგორც სიჩქარის ასევე მაგნიტური ველების მონაცემები C და D თანამგზავრებისათვის, ასევე მიღებულ იქნა შესაბამისი ჰოდოგრამები. ჩაკეტილი ჰოდოგრამების სტრუქტურამ, რომლებიც შეესაბამებინ ჩაკეტილ გრიგალურ დინებებს მაგნიტოსფეროში, გამოავლინა რამოდენიმე ტიპის გრიგალის არსებობა შტორმული მოვლენის დროს. ნაჩვენებია, რომ შემოფოთებულ მაგნიტოსფეროს კუდში და დედამიწის ახლომდებარე არეში (რამოდენიმე დედამიწის რადიუსის ტოლ მანძილზე) შესაძლებელია როგორც მონოპოლური, ასევე დიპოლური გრიგალების გენერირება. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგები შედარებულია წანაცვლებით დინებებში გრიგალების ფორმირების რიცხვით სიმულაციებთან და ისინი კარგ თანხვედრაში არიან. კერძოდ, როცხვითი ექსპერიმენტის საშუალებით ნაჩვენებია, რომ გრიგალური ჯაჭვის გრძივი ზომა, მთავარი გრიგალის სიგანე და ამპლიტუდა, ასევე სატელიტური გრიგალების გეომეტრიული მახასიათებლები დამოკიდებულია წანაცვლებითი შტორმული დინების ამპლიტუდასა და გეომეტრიულ პარამეტრებზე. რიცხვითი ექსპერიმენტით გამოვლენილია სხვადასხვა ტიპის გრიგალური სტრუქტურების გენერირების შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია წანაცვლებითი დინების ტიპზე.

IV პუბლიკაციები:

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Aburjania ↑, K.Chargazia, O. Kharshiladze	Shear flow energy redistribution stipulated by the internal-gravity wavy structures in the dissipative ionosphere/ Advances in Space Research	52	Philadelphia, USA, Elsevier Impact Factor 1,183	15

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატეფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემაჯავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადეკვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შგტ შემოფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. განსაზღვრულია შგტ შემოფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შგტ შემოფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული ხარისხოვანი წესით. გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემოფოთებები ეფექტურად იღებენ ენერჯიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რივით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერჯიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით (მონოპოლი, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ქუჩა). ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

2	G. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Linear Mechanism of Generation and Intencification of Internal Gravity Waves in the Ionosphere at Their Interaction with a Nonuniform Zonal Wind: 1. Model of the Medium and Initial Dynamic Equations / Geomagnetizm & Aeronomiya	53	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	5
---	--	--	----	--	---

ანოტაცია

ნაშრომში ჩამოყალიბებულია შიდა გრავიტაციული ტალღური სტრუქტურების გენერაციის და გაძლიერების თავისებურებების გამოკვლევა სხვადასხვა ატმოსფერულ-იონოსფერულ არეებში, რომლებიც განპირობებული არიან ლოკალურ ზონალური არაერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებები) არსებობით. განხილულია გარემოს მოდელი და მიღებულია საწყისი დინამიკური განტოლებათა ჩაკეტილი სისტემა შიდა გრავიტაციული ტალღების (შგტ) როგორც წრფივი ასევე არაწრფივი დინამიკის შესასწავლად გეომაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებისას დისიპაციურ იონოსფეროში (როგორც D, E, ასევე F არეებში).

3	G. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Linear Mechanism of Generation and Intencification of Internal Gravity Waves in the Ionosphere at Their Interaction with a Nonuniform Zonal Wind: 2. Internal gravity wave generation and intensification during the linear evolution stage / Geomagnetizm & Aeronomy	53	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	9
---	--	---	----	--	---

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული ტალღების (შგტ) გენერაციის და შემდგომი ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვანი ზონალური ქარის (წანაცვლებითი დინება) არსებობისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადეკვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შგტ შეშფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. განსაზღვრულია შგტ შეშფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ზრდის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შგტ შეშფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული

ხარისხოვანი წესით. გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემოფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. გენერირებული შგტ ტალღების სისშირე და ენერგია დამოკიდებულია დროზე, ამიტომ წანაცვლებითი დინებით მართულ იონოსფეროში წარმოიქმნება ტალღური შემოფოტებების ფართო სპექტრი, განპირობებული არა არაწრფივობა-ტურბულენტობით, არამედ წრფივი ეფექტებით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემოფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში.

4	G. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Self_Organization of Internal Gravity Wave Structures in an Inhomogeneous Ionosphere: 1. Nonlinear Model Dynamic Equations / Geomagnetizm i Aeronomiya,	54	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	6
---	--	---	----	--	---

ანოტაცია

შიდა გრავიტაციური ტალღური სტრუქტურების (შგტ) გენერაციის და შემდგომი არაწრფივი დინამიკის გამოსაკვლევად დისიპაციურ იონოსფეროში ზონალური არაერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებები) არსებობისას აგებულია შესაბამისი მოდელური არაწრფივ დინამიკურ განტოლებათა სისტემა ქვედა იონოსფეროსათვის. მიღებულია შგტ სტრუქტურების წანაცვლებითი არამდგრადობის განვითარების კრიტერიუმი იონოსფერულ გარემოში.

5	G. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Self_Organization of Internal Gravity Wave Structures in an Inhomogeneous Ionosphere: 2. Nonlinear Vortex Structures / Geomagnetizm &Aeronomiya	54	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	
---	--	---	----	--	--

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გენერაცია და შემდგომი არაწრფივი დინამიკა დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვანი ზონალური ქარის (წანაცვლებითი დინება) არსებობისას. ნაშრომში [Aburjania et al., 2012] მიღებული შესაბამისი მოდელური არაწრფივ დინამიკურ განტოლებათა სისტემის ბაზაზე გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემოფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემოფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სიჩქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი შგტ სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ქუნა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	Khatuna Chargazia, Oleg Kharshiladze, Gaetano Zimbardo	Theoretical and Experimental Detection of Nonlinear Electromagnetic Waves as the Elements of Turbulence in the Geospace Environment	International Conference "Modern Problems In Applied Mathematics", Tbilisi, Georgia, September 4-7, 2013
<p style="text-align: center;">მომხსენების ანოტაცია</p> <p>შემოთავაზებულია ულტრა დაბალი სიხშირის (უღს) ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის ფიზიკური და მათემატიკური მოდელი და შემდგომი წრფივი და არაწრფივი ევოლუციის სცენარი იონოსფეროში მათი არაერთგვაროვან ქარებთან (წანაცვლებით დინებებთან) ურთიერთქმედებისას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს გარემოში ენერგიის გადანაწილების ახალ მექანიზმს. შესწავლილია იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს სხვადასხვა რეგიონებში არაწრფივ ძლიერად ლოკალიზებულ გრიგალურ სტრუქტურებად (მონოპოლური და დიპოური გრიგალები, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ბილიკი) თვითორგანიზაცია. გეოკოსმოსურ პლაზმურ გარემოში (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ხშირად დაიმზირება გრიგალები კოსმოსური თანამგზავრების მიერ, მაგალითად, მაგნიტოსფეროს კუდში და გარდამავალ არეში. დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექციონების ზომას. ამიტომ მათი წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ გარემოში ენერგიის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სალიტურმა მისიამ მაგნიტოსფეროს კუდში გამოავლინა გრიგალები, დაკავშირებული სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. TEMIS სალიტურმა მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითად გრიგალებს თან ახლავს სხეებიც, რომლებიც ქმნან გრიგალურ ჯაჭვს. ხოლო ძლიერად ლოკალიზებული სუსტად ურთიერთქმედი გრიგალური სტრუქტურები განიხილება როგორც ძლიერი ტურბულენტობის ელემენტები, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს მოდელში, როგორც გრიგალების ანსამბლი. აგრეთვე შესწავლილია ანომალური დიფუზიის პროცესი და შეფასებულია მისი ეფექტური კოეფიციენტი.</p>			
2	Khatuna Chargazia, Oleg Kharshiladze	Large Scale Zonal Flows' And Magnetic Field Generation By Small Scale Turbulence In The Ionosphere	IVth International conference of the Mechanical Union, Kutaisi, Georgia, November 8-11, 2013
<p style="text-align: center;">მომხსენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია მცირე მასშტაბიანი (სკინ სისქის $k_{\perp}^2 c^2 / \omega_{pe}^2 \sim 1$) დრეიფული ალფენის ტურბულენტობით განპირობებული დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველის არაწრფივი გენერაციის თავისებურებები იონოსფერულ პლაზმურ გარემოში. მიღებულია წანაცვლებითი დინებებისა და მაგნიტური ველის ევოლუციის განტოლებები ჩქარი მაღალსიხშირული და მცირემასშტაბიანი ფლუქტუაციების აღმწერი მოდელური განტოლებების საშუალებით. ნაჩვენებია, რომ მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფენის ტურბულენტობით სპონტანურად გენერირდებიან დიდმასშტაბიანი ზონალური დინებები და მაგნიტური ველები, რაც განპირობებულია რეინოლდსისა და მაქსველის ძაბვის არაწრფივი ურთიერთქმედებით გარემოს ნაწილაკზე. სისტემაში ჩნდება დადებითი უკუკავშირი დიდმასშტაბიანი ზონალური და/ან მაგნიტური ველის მიერ მცირე მასშტაბიანი სკინ სისქის ალფენის ტალღების მოდულაციით. მცირე მასშტაბიანი ტალღური პაკეტის გავრცელებას გარემოში თან ახლავს პარამეტრული</p>			

<p>არამდგრადობით განპირობებული დაბალსიხ-შირული დიდმასშტაბიანი შეშფოთებები. შესწავლილია არამდგრადობის ორი რეჟიმი: რეზონანსულ-კინეტიკური და ჰიდროდინამიკური. ნაპოვნია ამ არამდგრადობების ინკრემენტები. განსაზღვრულია არამდგრადობის განვითარებისა და დიდმასშტაბიანი სტრუქტურების გაჩენის პირობები. აღნიშნული არამდგრადობები იწვევენ ენერჯის გადაქაჩვას მცირე მასშტაბიანი ალფენის ტალღებიდან დიდმასშტაბიან ზონალურ სტრუქტურებში, რაც დამახასიათებელია ენერჯის ტურბულენტური უკუკასკადისთვის.</p>			
3	Oleg Kharshiladze, Khatuna Chargazia	Strong Anisotropic Turbulence Spectra in the Geospace Environment	IVth International conference of the Mechanical Union, Kutaisi, Georgia, November 8-11, 2013

მოსხენების ანოტაცია

naSromi eZRvneba damagnitebul kosmosur plazmur garemoSi mimdinare turbulenturi procesebis gamokvlevas. aseT garemoSi aramdgradobebis ganviTarebiT SesaZlebelia warmoiqmnan eleqtromagnituri mciremasStabiani Zlierad lokalizebuli arawrfivi grigaluri struqturebi, romlebsac gadaaqvT CaWerili nawilakebi. plazmaSi gadaadgilebis es struqturebi iwveven simkvrivis, eleqtruli da magnituri velebis SesamCnev fluqtuaciebs da aaqtiureben gadatanis procesebs garemoSi. amasTan eqsperimentze miRebuli simkvrivis fluqtuaciis speqtris maCvenebeli gacilebiT aRemateba susti turbulentobis Teoriis mier nawinaswarmetyvelebs. Cvens modelSi ganxilul grigalur struqturebs SeuZliaT gamoiwvion Zlieri grigaluri turbulentoba. turbulenturi dineba ganixileba rogorc Zlierad lokalizebul, sustad urTierTqmed erTnairi grigalebis ansambli. sxvadasxva amplitudiani grigalebi SemTxveviTad arian ganawilebuli garemoSi (urTierTdajaxebebis gamo). maT aRsawerad iqna gamoyenebuli statistikuri meTodi. mocemul modelSi daSvebulia, rom stacionaruli turbulentoba formirdeba urTierT konkurentuli efeqtebis dabalansebiT: grigalebis spontanuri generireba, romelic ganpirobებულია SeSfoTebaTa frontis arawrfivi grexiT, didmasStabian SeSfoTebaTa energiis transportireba mokle masStabian SeSfoTebebSi da am masStabebSi maTi dajaxebiTi mileva. inerciul areSi energiis gadatana masStabebis mixedviT xdeba struqturebis SeerTebiT maTi urTierTdajaxebisas. miRebulia talRuri ricxvebis mimarT eleqtromagnituri energiis stacionaruli speqtris axali saxე, romelic ecema xarixovani kanoniT $\langle |B_k|^2 \rangle \sim k^{-8/3}$, rac karg TanxvedraSia uaxles satelitურ (magnitosferul, ionosferul) da laboratoriuლი dakvirvebebis monacemebTan. gamokvleulia dedamiwis magnitosferul kudSi dinebis kinematikური parametrebisa da magnitometrული gazomvebi satelit “THEMIS” monacemebis mixedviT. Seswavლიlma speqtrebma გვიCvena, rom speqtris xarixis maCvenebeli damokidebulია magnitosferos mdgomareobaze. kerZod, Cvens mier gamokvleul droiT intervalSi speqtრების saxes gansazRvravs magnitosferoSi mimdinare magnitური Stormebi. Catarda plazmური grigalebis urTierTdajaxebebis kompiuterული modelireba, romelmac daadastura warmodgenიli turbulentobis formirebis scenaris SesaZlebloba.

4	ჯ. ლომინაძე, გ. ჩაგელიშვილი, ო. ხარშილაძე	დინამიური პროცესები წანაცვლებით გეოფიზიკურ დინებებში: უღს ტალღების ზეარეკვლის ეფექტი და გრიგალური სტრუქტურების გენერაცია არაერთგვაროვან ქარებთან ურთიერთქმედებისას	საერთაშორისო კონფერენცია - „ბეოფიზიკის აქტუალური პრობლემები“ მიძღვნილი მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი. 9-10 დეკემბერი, 2013
---	---	--	---

მოსხენების ანოტაცია

moxsenebaze warmodgenilia wanacvlebiT geofizikur dinebebSi (atmosferul, ionosferul da magnitosferul garemoSi) talRebis urTierTtransformaciisa da wanacvlebiT dinebasTan energetიკული urTierTqmedebis meqანიზმი. gamoyenebulia aramodaluri maTematikური modalური midგoma,

romelmac saSualeba mogvca aseT dinebebSi arsebuli modelebis analizis maTematikuri problema (araerTgvarovani koeficientebis arsebobis gamo) dagveyvana droSi cvladkoeficientebian Cveulebriv diferencialur gantolebata sistemaze. gamoyenebuli iyo elzaseris cvladebi, romlebSic gamoyofilia urTierT Semxvedri mimarTulebiT moZravi talRuri SeSfoTebebi. ricxviTma analizma aCvena wanacvlebiT dinebebSi Sida gravitaciuli talRebisaTvis zearekvლის efeqtis arseboba talRisa da dinebis urTierTqmedebis rezonansul wertilSi. Sefasebulia rogorc talrebis erTmaneTTab, asve garemosTan urTierTqmedebis energiebi da naCvenebია, rom talRebs SeuZliaT energia aiRon moZravi garemodan da moxdes asimetriული gaZliereba. aseve Catarebulia ricxviTi eqsperimentebi araerTgvarovan qarebTan sawyisi SemTxveviTi SeSfoTebebis urTierTqmedebios dinamikis gamosavlენad. naCvenebია, rom wanacvlebiT dinebebSi SesaZlebelია erTi lokaluri struqturidan warmoiqmnas struqturebois jaWvi (mwkrivi), romelTa amplitudebi da geometრიული ganawileba sivrcეSi ganpirobებუღია, rogorc garemos parametrebis mniSvnelobebze, aseve wanacvlebiTi dinebis struqturaze.

5	ო. ხარშილაძე	<p>იონ ოს ფერულ ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის რიცხვითი მოდელირება და ფრაქტალური გრიგალები</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 22-26 იანვარი, 2013</p>
---	--------------	--	--

მოხსენების ანოტაცია

პლანეტარული მასშტაბის ტალღური სტრუქტურების დინამიკის შესწავლა აქტუალურია როგორც იონ ოს ფეროში რადიოტალღების გავრცელების ასევე ელექტრომაგნიტური ველების გენერაციის გეოფიზიკურ პრობლემებში. ნაშრომში გამოკვლეულია ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედება დამაგნიტებულ არაერთგვაროვან დისიპაციურ იონ ოს ფერულ პლზმაში, როდესაც გათვალისწინებულია გარემოს წონასწორული სიმკვრივის და ტემპერატურის არაერთგვაროვნება, მაგნიტური და დაჯახებითი სიბლენტე და გარემოს ხახუნი. ასეთი ამოცანების რიცხვით ანალიზს ართულებს განტოლებებში შემავალ ორი ტიპის არაწრფივობა - სკალარულ (განპირობებულ ტემპერატურის არაერთგვაროვნებით) და ვექტორულ (ნაწილკების კონვექციური მოძრაობებით). რიცხვითი ექსპერიმენტები აჩვენებენ, რომ დისპერსიული ეფექტი და დისიპაცია ანგრევს საწყის გრიგალს, წარმოიქმნებიან მცირე ზომის სტრუქტურები და შეშფოთებების პოტენციალს რთულ განაწილების სურათი. გრიგალური სტრუქტურების გარემოში ევოლუციის პროცესი შეიძლება ასახავდეს იონ ოს ფეროს ტურბულენტურ მდგომარეობას. ამ ეფექტის გასარკვევად შესწავლილია ლგრანჟის ქაოსის (ქაოსური ადვექციის) შესაძლებლობა იონ ოს ფერულ გრიგალურ ორგანოზომილებიან სტრუქტურებში. სხვადასხვა ტიპის სტრუქტურების არასტაციონარულ დინებებთან ურთიერთქმედების რიცხვითი ანალიზი აჩვენებს, რომ იონ ოს ფეროში შესაძლებელია

მოხდეს ფრაქტალური აგებულების სტრუქტურების ფორმირება. გრიგალის აგებულების ფრაქტალური ხასიათი გათვალისწინებული უნდა იყოს იონოსფერულგარემოში ნაწილკების, სითბოს, მუხტის და ველის გადატანის, ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების პროცესების კვლევისას. იონოსფერულ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურებში დეტერმინირებულ ქაოსური მოძრაობების პრინციპულ შესაძლებლობას ამტკიცებს მაგნიტოსფერული დინამიკური განტოლებებიდან ნაშრომში მიღებული არაწრფივი ლორენცის ტიპის განტოლებათა სისტემები. ამ სისტემების რიცხვითი ანალიზი იძლევა წესრიგიდან ქაოსში გადასვლის მექანიზმის იონოსფერულ პარამეტრებს. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამგზავრულ დაკვირვებების ინტერპრეტაციისათვის.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	K. Chargazia, G. Zimbardo, O. Kharshiladze	On the detection of a vortex chain in the Earth's magnetotail	EGU General Assembly 2013. April 7-12. Vienna, Austria.

მომხსენების ანოტაცია

მაგნიტოსფერულ გარემოში, კერძოდ მაგნიტოსფეროს კუდის არეში ხშირად დაიმზირება გრიგალები კოსმოსური თანამგზავრების მიერ. დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექციების ზომას. ამიტომ მათი წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) გარემოში ენერჯის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სატელიტურმა მისიამ მაგნიტოსფეროს კუდში გამოავლინა გრიგალები, დაკავშირებული სუბსტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. TEMIS სატელიტურმა მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ძირითად გრიგალთან ერთად შესაძლოა გამოვლენილ იქნას სხვა გრიგალებიც, რომლებიც აფრომირებებენ გრიგალურ ჯაჭვს. ანალიზებულ იქნა ორივე სიჩქარისა და მაგნიტური ველების მონაცემები C და D თანამგზავრებისათვის, ასევე მიღებულ იქნა შესაბამისი პოდოგრამები. ნაჩვენებია, რომ მაგნიტოსფეროს კუდში შესაძლებელია როგორც მონოპოლური, ასევე დიპოლური გრიგალების გამოვლენა. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგების შედარებულია წანაცვლებით დინებებში გრიგალების ფორმირების რიცხვით სიმულაციებთან და ისინი კარგ თანხვედრაში არიან.

2	Kharshiladze, Oleg; Chargazia, Khatuna.	Generation, intensification and self-organization of internal-gravity wave structures in the ionosphere with shear flow	12th Scientific Assembly, Mexico, Merida, p43, August 26-31, 2013.
---	---	---	--

მომხსენების ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატეფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების

შესასწავლად. ნახევრებია, რომ ევოლუციის საწყის წრეში სტადიაზე შტ შუშფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით (მონოპოლი, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ქუჩა). ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.			
3	Oleg Kharshiladze, Khatuna Chargazia	Dynamics of Ultra Low Frequency Electromagnetic Waves at Interaction with Shear Flows in the Ionosphere	European Planetary Science Congress 2013 08 – 13 September 2013, London, United Kingdom

მოსხენების ანოტაცია

შესწავლილია უდს პლანეტარული ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაცია და შემდგომი დინამიკა მბრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში ერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებების) არსებობისას. ლანეტარული უდს ტალღები ჩნდებიანგარემოს სივრცით არაერთგვაროვან მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედების შედეგად. გამოვლენილია დიდმასშტაბიანი დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღებისა გაძლიერების და მცირე მასშტაბიანი ინერციულ ტალღებად ტრანსფორმაციის ეფექტური მექანიზმი. მოცანა გადაჭრილი არამოდალური მათემატიკური მეთოდის შესაძლებლობების გამოყენებით. რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით გამოვლენილია ტალღების ფონურ დინებებთან ურთიერთქმედების და ტალღური შეშფოთებების ურთიერთ ტრანსფორმაციის თავისებურებანი იონოსფეროში.

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	წანაცვლებითი დინებით განპირობებულ დისიპაციურ იონოსფეროში შიდა გრავიტაციული ტალღური სტრუქტურების დინამიკის აღმწერი ფიზიკური და მათემატიკური მოდელების აგება.	ო. ხარშილაძე	

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატეფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადეკვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შტ შეშფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. აგებულია როგორც წრფივი ასევე არაწრფივი დინამიკური განტოლებების ზუსტი ანალიზური ამონახსნები. განსაზღვრულია შტ შეშფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შტ შეშფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული ხარისხოვანი წესით. გენერირებული შტ მოდელების სიხშირე და ტალღური რიცხვი არის დროის ფუნქცია. ასე, რომ წანაცვლებით დინებიან იონოსფეროში წრფივი მექანიზმით, როცა არაწრფივი და ტურბულენტური ეფექტები არ არიან, წარმოიშობა ტალღური შეშფოთებების ფართო სპექტრი. გაანალიზებულია შტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნახევრებია, რომ ევოლუციის საწყის წრეში სტადიაზე შტ შეშფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად

<p>(თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შეშფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სინქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი შგტ სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალურების ერთობლიობა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ამ გრიგალებს შეუძლიათ განაპირობონ ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.</p>

გეოფიზიკისა და იონოსფეროს სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორია

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.
მეცნიერებათა დოქტორი ევგენი საყვარელიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
ლაბ. გამგე ე.საყვარელიძე,
ლაბორანტი ქ.მირიანაშვილი,
ლაბორანტი ნ.ყვავაძე.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.საყვარელიძე, ზ. შარაძე, ქ. მირიანაშვილი, ლ. ლლონტი	Изменение электро-магнитной погоды в биосфере и ее влияние на здоровье человека.	Труды Института геофизики, т.64, 1013.	თბილისი, შპს თეკა@კომპანიას სტამბა.	10

ანოტაცია. ცნობილია, რომ მზის აქტიურობის დროს წარმოიქმნება მაგნიტური ქარიშხლები-გეომაგნიტური ველის მკვეთრი შემოფოთება, რომელსაც თან ახლავს

მეთილენური ჯგუფის საშუალებით. მიიღება ფიშერის ფუძე, რომელიც წარმოადგენს ციანინური და ჰემიციანინური საღებარების მიღების შუალედურ პროდუქტს [3]. ადრე ჩვენს მიერ სინთეზირებულია ფიშერის ფუძის ბის-ანალოგები 1-3 დიპირ-ოლონაფთალინების საფუძველზე.

შესწავლილია ინდოლონდოლების ბიფუნქციური ანალოგებისა (1,2) და დიპიროლობენზოქსინოქსალინების ფუძეების (3) ფორმირების რეაქცია სუბსტრატებისა და ვილსმაიერის კომპლექსის სხვადასხვა თანაფარდობისას.

ვილსმაიერის კომპლექსის ხუთმაგი სიჭარბისას 1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილ-2,7-დიმეთილიდენინდოლინო[7,6-გ]ინდოლინის (1) ფორმირების რეაქცია მიდის გართულების გარეშე 3 საათის განმავლობაში 55-60 °C, ხოლო 1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილ-2,9-დიმეთილიდენინდოლინო[4,5-ე]ინდოლინის (2) ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბისას (1:15) 60°C 2 საათის განმავლობაში ფიშერის ფუძის ახალი იზომერული ბის-ანალოგების წარმოქმნით – 2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილინდოლინო[7,6-გ]ინდოლინისა(4) და 2,9-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილინდოლინო[4,5-ე]ინდოლინის (5) წარმოქმნით შესაბამისად.

1,4,5,8-ტეტრაპირო-1,1,8,8-ტეტრამეთილ-2,7-დიმეთილიდენპიროლო[1,2,3-d,e:3,2,1-i]პენზო[გ]ქსინოქსალინის(3) ფორმირებისას ფუძისა და ვილსმაიერის კომპლექსის თანაფარდობისას 1:5, 40°C –ზე 30 წუთის მორევის პირობებში დიალდეჰი-დთან 6 ერთად ქრომატოგრაფიულად შემწნეული იქნა საწყისი ფუძე (3).



ტემპერატურის შემდგომი აწევა 60 °C-დე იწვევს სარეაქციო არის ფერის მკვეთრ ცვლილებას - მოყვითალო-წითელი ფერი გადადის ლურჯ ფერში, მსგავსად ნაერ-თისა, რომელიც წარმოიქმნება ინდოლინური ფიშერის ფუძის ურთიერთქმედებით ფიშერის

აღდგვიდთან (5). ვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოიქმნება ციანი-ნური საღებარი. ვერ მოხერხდა ინფრა წითელი, ულტრა იისფერი, პროტონულ მაგ-ნიტური რეზონანსის და მას-სპექტრების საფუძველზე მისი სტრუქტურის ერთმნიშვნელოვნად დადგენა.

35 °C -ზე ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბისას (1:45) 2 სთ განმავლობაში ჩატარებული იქნა ფიშერის ფუძის 3 ფორმილირება ჰელმუტ-ფრიტცის მიხედვით. გამოყოფილია ფიშერის აღდგვიდის ბის-ანალოგი – 2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრაამეთილდიპიროლო[1,2,3,-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქი-ნოქსალინი (6) 67% გამოსავლიანობით.

სინთეზირებული ნაერთების 4 -6 ინფრა-წითელ სპექტრში ეკზოციკლური C=CH₂ ფგუფის შთანთქმა ჩანს 1643 cm⁻¹ და ადგილი აქვს შეუღლებული ორმაგი ბმების C=CH-CH=O შთანთქმის ზოლების წარმოქმნას 1628–1519 cm⁻¹ უბანში. ¹H ბმრ სპექტრი შეესაბამება სიმეტრიულ დიალდეჰიდებს 4,5. სპექტრში ჩანს: აღდგვიდური პროტონების დუბლეტური სიგნალი და ეკზოციკლური მეთილიდენური ჯგუფების სიგნალი სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტით 8.8 ჰც (ნაერთი 4) ი 8.4 ჰც (ნაერთი 5). ჩანს აგრეთვე ჰემ-პროტონებისა, NCH₃ ჯგუფისა და არომატული პროტონების სიგნალები (ცხრილი 1).

ცხრილი 1

4-6 ნივთიერებების ბმრ ¹H სპექტრები

ნივთი ერება	ქიმიური წანაცვლება (DMCO-d ₆), δ, მ. ნ. (J, Γც)
4	1.65 (12H, c, 2C(CH ₃) ₂); 3.75 (6H, c, 2NCH ₃); 5.50 (2H, d, J = 8.8, 2 =CH-CHO); 7.59 (2H, d, J = 8.0, H-5,10); 8.08 (2H, d, J = 8.0, H-4,9); 10.00 (2H, d, J = 8.8, 2CHO)
5	1.95 (12H, c, 2C(CH ₃) ₂); 3.36 (6H, c, 2NCH ₃); 5.25 (2H, d, J = 8.4, 2 =CH-CHO); 7.43 (2H, d, J = 8.8, H-5,6); 8.00 (2H, d, J = 8.8, H-4,7); 9.90 (2H, d, J = 8.4, 2CHO)
6	<i>E,E</i> -იზომერი (6a): 1.92 (12H, c, 2C(CH ₃) ₂); 4.03 (4H, c, N(CH ₂) ₂ N); 5.45 (2H, d, J = 8.8, 2 =CH-CHO); 8.07 (2H, d, J = 6.8, J = 3.6, H-9,12); 8.37 (2H, d, J = 6.8, J = 3.6, H-10,11); 10.02 (2H, d, J = 8.8, 2CHO) <i>Z,Z</i> -იზომერი (6b): 1.64 (12H, c, 2C(CH ₃) ₂); 4.06 (2H, t, J = 5.6) ი 4.53 (2H, t, J = 5.6, N(CH ₂) ₂ N); 5.44 (2H, d, J = 7.2, 2 =CH-CHO); 8.07 (2H, d, J = 6.8, J = 3.6, H-9,12); 8.37 (2H, d, J = 6.8, J = 3.6, H-10,11); 9.79 (2H, d, J = 7.2, 2CHO)


დიალდეჰიდის 6 ბმრ ¹H სპექტრი. სპექტრში ჩანს აღდგვიდებისა და ეკზოციკლური მეთილიდენური ჯგუფების სხვადასხვა ინტენსიურობისა და სხვადასხვა სპინ-სპინური ურთიერთქმედების კონსტანტის მქონე ორ-ორი დუბლეტური სიგნალი. მაღალი

ინტენსიურობის სიგნალებისათვის - $J_{\text{CH}=\text{CHO}} = 8.8$ კც, ხოლო დაბალი ინტენსიურობის სიგნალებისათვის $J_{\text{CH}=\text{CHO}} = 7.2$ კც. ეს მონაცემები მიუთითებს დიალდეჰიდის 6 შესაძლებელ იზომერული სიმეტრიული ფორმების წარმოქმნაზე - (*E,E*)-**6a** и (*Z,Z*)-**6b**, რაც შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს [3].

ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეთილის ჯგუფში ჩანაცვლებული ენამინები წარმოადგენენ (*E*)- и (*Z*)-იზომერების ნარევს.

არომატული პროტონების უბანში ჩანს ორი სიგნალი დუბლეტ დუბლეტის სახით. მეთილენური ჯგუფების პროტონების $\text{NCH}_2\text{CH}_2\text{N}$ სიგნალი ვლინდება ერთი მაღალინტენსიური სინგლეტისა და ორი დაბალინტენსიური ტრიპლეტის სახით. მეთილენური ჯგუფის სიგნალი $\text{C}(\text{CH}_3)_2$ ვლინდება სხვადასხვა ინტენსიურობის მქონე ორი სინგლეტის სახით (ცხრილი 2). მაღალი ინტენსიურობის მქონე ყველა სიგნალი მიკუთვნებული იქნა დიალდეჰიდის 6a (*E,E*)-იზომერულ ფორმა, რადგან ეს ფორმა უნდა იყოს შედარებით სტაბილური[3].

იზომერული ფორმების **6a** და **6b** თანფარდობა ნარევი სხვადასხვა კონფიგურაციის ერთი ტიპის პროტონების სიგნალების ინტეგრალური ინტენსიურობის მიხედვით (($\text{NCH}_2\text{CH}_2\text{N}$ -ჯგუფის პროტონები, ეკვოციკლური მეთინური პროტონები $\text{C}=\text{CH}-$, CHO и CH_3 ჯგუფების პროტონები) შეადგენს ~3:1.



ბისალდეჰიდების 4-6 ბმრ ^{13}C სპექტრების ინტერპრეტაცია განხორციელდა მათი სპექტრების შედარებით საწყის ფიშერის ბისანალოგების 1-3[4] სპექტრებთან. დიფორმილწარმოებულების 4-6 სპექტრები $\text{YMP } ^{13}\text{C}$ შეესაბამება სიმეტრიულ სტრუქტურებს. ვლინდება ფორმილის ჯგუფის ნახშირბად ატომების სიგნალები, ჰემ-მეთილური ჯგუფების სიგნალი $(\text{CH}_3)_2$, ეკვოციკლური $=\text{CH}$, მეთილური ჯგუფების CH_3 и NCH_2 ; ვლინდება აგრეთვე პიროლისა და ბენზოლის ბირთვების მეოთხე-ეული ნახშირბად ატომების სიგნალები და არომატული $\text{C}-\text{H}$ ჯგუფების(ცხრ. 2).

დიალდეჰიდის 6 ბმრ ^{13}C სპექტრზე არ ფიქსირდება იზომერული ფორმების **6a** და **6b** სხვადასხვა კონფიგურაციის ნახშირბადის სიგნალები.

ნაერთი 4-6 -ის მაღალი გარჩევადობის მას-სპექტრებზე ფიქსირდება მოლეკულური იონების პიკები, შესაბამისად m/z 374.1999, 374.1976 и 372.1804, რომლებიც შეესაბამება სინთეზირებული ნაერთების $[\text{M}]^+$.

ნივთიერებების 4-6 ბმრ ¹³ C სპექტრები	
ნივთი ერება	ქიმიური წანაცვლება (DMCO-d ₆), δ, მ.ნ.
4	27.4, 29.8 (2C(CH ₃) ₂); 68.1 (2NCH ₃); 79.5 (C-3,8); 96.7 (2 =CH-CHO); 99.4 (C-3a,8a); 109.3 (C-4,9); 119.2 (C-5a,10a); 157.0 (C-5,10); 177.1 (2CHO); 199.8 (C-5b,10b); 211.1 (C-2,7)
5	28.9 (2C(CH ₃) ₂); 30.1 (2NCH ₃); 50.6 (C-1,10); 95.9 (2 =CH-CHO); 109.0 (C-4,7); 127.9 (C-10a,10c); 129.8 (C-5a); 133.8 (C-5,6); 135.0 (C-10b); 144.9 (C-3a,7a); 176.6 (2CHO); 185.7 (C-2,9)
6	27.3, 27.9 (2C(CH ₃) ₂); 52.9 (C-1,8); 53.3 (N(CH ₂) ₂ N); 99.9 (2 =CH-CHO); 123.1 (C-9,12); 123.7 (C-10,11); 125.6 (C-8b,12a); 126.8 (C-8a,12b); 126.9 (C-3a,6a); 174.0 (2CHO); 185.1 (C-2,7)
დასკვნები	
<ul style="list-style-type: none"> ➤ ფიშერის ფუძის იზომერული ბის-ანალოგების ფორმილირებით ვილსმაიერის რეაქციის პირობებში მიღებულია შესაბამისი დიალდეჰიდები: 2,7-დი(ფორმილმეთილმეთილიდენ)-1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილინდოლინო[7,6-გ]ინდოლინი და 2,9-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილინდოლინო[4,5-ე]ინდოლინი. ➤ ანალოგიურ პირობებში დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ფიშერის ფუძე წარმოქმნის საღებარს, რომლის სტრუქტურაც ვერ იქნა დადგენილი. ➤ ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბის პირობებში, ჰელმუტ-ფრიცის რეაქციით მიღებულია და დახასიათებულია დიალდეჰიდი 2,7-დი(ფორმილ-მეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილდიპიროლო[1,2,3,-d,e:3,2,1-i]ბენზო- [გ]ქინოქსალინი. 	
ექსპერიმენტული ნაწილი	
<p>ინფრა წითელი სპექტრები გადაღებულია სპექტროსკოპზე FTIR-Thermo Nicolet Avatar 370 (ვახელინის ზეთი); ულტრა იისფერი სპექტრი დარეგისტრირებულია ხელსაწყოზე Varian Carry 100 UV-vis ეთანოლში; ბმრ ¹H ი ¹³C სპექტრები დარეგისტრირებულია სპექტროსკოპზე Bruker AM-400 (400 ი 100 MHz შესაბამის-ად), გამსხნელი DMCO-d₆, სტანდარტი ტრიმეთილსილანი; მაღალი გარჩევადობის მას-სპექტრები (ЭУ, 70 ევ) რეგისტრირებულია ხელსაწყოზე MAT 95 v. Finnigan. რეაქციის მსვლელობა და მიღებული ნივთიერებების სისუფთავის კონტროლისათვის გამოყენებული იქნა თხელფენოვანი ქრომატოგრაფია (Sylufol UV-254).</p>	
2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილინდოლინო[7,6-გ]ინდოლინი (4).	

ამზადებენ ვილსმაიერუს კომპლექს: 0.30 მლ (3.45 მმოლი) POCl_3 და 1 მლ დიმეთილფორმამიდი 5°C -ზე. ურევენ ოთახის ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში. ისევ აცივებენ -5°C -დე და წვეთობით ამატებენ ხსნარს დამზადებულს 0.22გრ (0.69 მმოლი) ფიშერის ფუძე 1-სა 8 მლ დიმეთილფორმამიდისაგან. ურევენ $55-60^\circ\text{C}$ 3 სთ განმავლობაში, მიღებულ ხსნარს ასხამენ 20 მლ ყინულოვან წყალში და გადაყავთ ტუტე არეში 10% NaOH ტუტით pH 14-დე. ნალექს აყოვნებენ ერთი ღამით, ფილტრავენ რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ. გამო-სავლიანობა 0.12 გრ (46%), ყავისფერი ფხვნილი, დაშლის ტემპერატურა $>300^\circ\text{C}$ (EtOH), R_f 0.3 (EtOH).

ინფრა წითელი სპექტრი, ν , cm^{-1} : 1619, 1565, 1272, 1095, 1041, 918, 810, 563. ულტრა იისფერი სპექტრი, λ_{max} , ნმ (lg ϵ): 197 (4.54), 213 (4.61), 255 (4.60), 396 (4.49). ნაპოვნია: m/z 374.1999 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{24}\text{H}_{26}\text{N}_2\text{O}_2$. გამოთვლილია: M 374.1994.

2,9-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილინდილინო[4,5-ეინ-დოლინი


(5). იღებენ ნივთიერების 4 ანალოგიურად: 0.23 გრ (0.7 მმოლი) ფიშერის ფუძე 2-ს ხსნიან 10მლ დიმეთილფორმამიდში, უმატებენ ხსნარს 1.00 მლ (10.7 მმოლი) POCl_3 3 მლ დიმეთილფორმამიდში და ურევენ 60°C -ზე 2 სთ განმავლობაში. გამოსავლიანობა 0.24 გრ (89%), დაშლის ტემპერატურა $>300^\circ\text{C}$ (EtOH). R_f 0.35 (EtOH). ინფრა წითელი სპექტრი, ν , cm^{-1} : 1604, 1558, 1519, 1218, 1180, 1069, 910, 825, 786, 601, 563. ულტრა იისფერი სპექტრი, λ_{max} , ნმ (lg ϵ): 212 (4.20), 239 (4.29), 264 (4.34), 314 (4.71), 372 (4.66). ნაპოვნია: m/z 374.1976 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{24}\text{H}_{26}\text{N}_2\text{O}_2$. გამოთვლილია: M 374.1994.

2,7-დი(ფორმილმეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრაამეთილ-დიპიროლო[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[გ]ქინოქსალინი (6). იღებენ ნივთიერების 4 ანალოგიურად: 0.10 გრ (0.31 მმოლი) ფიშერის ფუძე 3 და 4მლ დიმეთილფორმამიდი, 1.30 მლ (14მმოლი) POCl_3 და 5 მლ დიმეთილფორმამიდი, აცხელებენ $35-36^\circ\text{C}$ 2სთ განმავლობაში. გამოსავლიანობა 0.07გრ (67%), დაშლის ტემპერატურა $>300^\circ\text{C}$ (EtOH), R_f 0.6 (EtOH- NH_3 , 10:1). ინფრა წითელი სპექტრი, ν , cm^{-1} : 1628 (CHO), 1581, 1535 (C=C), 1311, 1173, 1049, 964, 817, 756, 563. ულტრა იისფერი სპექტრი, λ_{max} , ნმ (lg ϵ): 265 (4.11), 327 (4.26), 368 (4.31). ნაპოვნია: m/z 372.1804 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{24}\text{H}_{24}\text{N}_2\text{O}_2$. გამოთვლილია: M 372.1838.

ლიტერატურა

1. Ш. А. Самсония, М. В. Трапаидзе, Н. Н. Николеишвили, К. Г. Джапаридзе, Дж. П. Майсурадзе, У. Кацмайер, *ХГС*, 1255 (2010). [*Chem. Heterocycl. Compd.*, **46**, 1016 (2010)].
2. Ш. А. Самсония, М. В. Трапаидзе, Н. Н. Николеишвили, К. Г. Джапаридзе, Дж. П. Майсурадзе, У. Кацмайер, *ХГС*, 1259 (2010). [*Chem. Heterocycl. Compd.*, **46**, 1020 (2010)].
3. Ю. М. Чунаев, Н.М. Пржиялговская, в кн. 2-Метилениндолиновые соединения, синтез и свойства. ВИНТИ, Итоги науки и техники, серия Органическая химия, Москва, 1990, т.14, 127 с.
4. Ш. А. Самсония, М. В. Трапаидзе, Н. Н. Николеишвили, К. Г. Джапаридзе, Дж. П. Майсурадзе, У. Кацмайер, *ХГС*, 1336 (2011). [*Chem. Heterocycl. Compd.*, **47**, 1098 (2011)].
5. М. N. Khan, J.-P. Fleury, P. Baumlin, C. Hubschwerlen, *Tetrahedron*, **41**, 5341 (1985).
6. Н. Fritz, *Chem. Ber.*, **92**, 1809 (1959).

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	იზომერული დიპიროლონაფთალინების საფუძველზე მიღებული ინდოლინური ბისსპიროქრომენების ფოტოქრომული თვისებები	აკადემიკოსი, პროფ. შოთა სამსონია	მარინა ტრაპაიძე ნინო ნიკოლაიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია ინდოლინოლოური და ბენზოდიპიროლოქინოქსალინური რიგის ჩვენს მიერ ადრე სინთეზირებული ახალი კონდენსირებული ინდოლინური ბისსპიროპირანების ფოტოქრომული თვისებები: 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',3',3',6',8',8'-ჰექსამეთილდისპირო[ქრომენო-2,2'-ინდოლინო[7,6--<i>g</i>]ინდოლინო-9',2''-ქრომენები], 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანი-ტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',3',8',10',10'-ჰექსამეთილდისპირო[ქრომენო-2,2'-ინდოლინო[4,5-<i>e</i>]-ინდოლინო-9',2''-ქრომენები], 6,6"-დინიტრო-, 6,6"-დიბრომ- და 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',8',8'-ტეტრამეთილ-1',4',5',8'-ტეტრაჰიდროსპირო[ქრომენო-2,2'-დიპიროლო[1,2,3-<i>d,e</i>:3,2,1-<i>i,j</i>]ბენზო-<i>[g]</i>ქინოქსალინ-7',2''-ქრომენები].</p> <p>ნაჩვენებია, რომ ბენზოდიპიროლოქინოქსალინის საფუძველზე მიღებული სპიროქრომენები ხასიათდებიან შედარებით გამოკვეთილი ფოტოქრომული თვისებებით.</p> <p style="text-align: center;">მიღებული მონაცემების განსჯა</p> <p>ბისსპიროპირანები იმსახურებენ ინტერესს იმ მხრივ, რომ ორივე პირანული ციკლის გახსნის შემთხვევაში შეუღლების ჯაჭვის სიგრძე მნიშვნელოვნად იზრდება და ფოტონდუცირებული ფორმის შთანთქმის ზოლის მაქსიმუმი განიცდის ძლიერ ბატოქრომულ წანაცვლებას [1].</p> <p>მიღებული ნაერთები იხ. სქემა 1</p> <p style="text-align: right;">სქემა 1</p>			



1, 2 a R¹ = NO₂, R² = H; b R¹ = R² = NO₂; c R¹ = R² = Br; 3 a R¹ = NO₂, R² = H; b R¹ = Br, R² = H; c R¹ = R² = Br

ფოტოქრომული თვისებები შესწავლილია ელექტრონული სპექტრების საფუძველზე. შესწავლილია ბის-სპიროპირანების 1-3 ახლადმომზადებული სპირტსხნარების ელექტრონული სპექტრები უფ დასხივებისა და ხსნარების გაცხელების შემდეგ. დასხივებული ხსნარების ელექტრონულ სპექტრებში ცვლილება არ იქნა შემჩნეული. გაცხელების შემდეგ შეიმჩნევა შთანთქმის ზოლების ინტენსიურობის ზრდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - შთანთქმის ზოლების ბატოქრომული წანაცვლება.

ნივთიერების 2a-c ელექტრონულ სპექტრებში ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს შთანთქმის ზოლების ინტენსიურობის ცვლილებას და მაქსიმუმების მცირე წანაცვლებას. შესაბამისად ეს ნივთიერებები ამჟღავნებენ სუსტ ფოტოქრომულ თვისებებს.




Рис.1 ნაერთი 3b. უი სპექტრი ქლოროფორმში

$c=0.08$ მგ/მლ

მაღალი ინტენსიურობით ხასიათდებიან ბეზოდიპიროლოქინოქსალინების საფუძველზე მიღებული ბის-სპიროპირანები 3a-c ელექტრონული სპექტრები. ნაჩვენებია გამსხნელი როლი, მაგალითად ბენზოლი და ქლოროფორმი, იხ. ნახ. 2.




Рис.2 ნაერთი 3b. უი სპექტრი ბენზოლში

$c=0.08$ mg/ml

ახლადმოზადებული ხსნარების სპექტრებში დაიმზირება შთანთქმის შემდეგი მაქსიმუმები: ნივთიერება 3a - λ_{\max} (lg ϵ) (C_2H_5OH): 558(0,121), 315(0,964), 269(2,554), 225 HM(1,867); λ_{\max} (lg ϵ) ($CHCl_3$): 611(0,020), 357(1,199), 315(1,424) 272 ნმ(4,013); ნივთიერება 3b - λ_{\max} (lg ϵ) ($CHCl_3$): 624(0,050), 364(0,230), 252(1,403), 237(0,971); λ_{\max} (lg ϵ)(C_6H_6): 629(0,180), 361(1,227), 313(1,464), 279(3,376); ნივთიერება 3c - λ_{\max} (lg ϵ)($CHCl_3$): 620(0,17), 359(0,756), 319(1,081), 273(0,420), 246(3,731); λ_{\max} (lg ϵ)(C_6H_6): 358(0,678), 322(0,976), 277(1,978).

ნივთიერება 3a-c დაფიქსირებულია ფოტონდუცირებული ფორმების შთანთქმის მაქსიმუმები: ნივთიერება 3a - λ_{\max} (lg ϵ) (C_2H_5OH): 558(0,143), 315(1,595), 269(4,2), 225 ნმ(3,15); λ_{\max} (lg ϵ) ($CHCl_3$): 459(0,565), 261(3,142), 247 ნმ (3,222); ნივთიერება 3b - λ_{\max} (lg ϵ) ($CHCl_3$): 565(0,702), 538(0,783), 348(1,334); λ_{\max} (lg ϵ)(C_6H_6): 626(0,153), 359(1,244), 313(1,562), 279(3,325); ნივთიერება 3c - λ_{\max} (lg ϵ) ($CHCl_3$): 467(0,156), 244(3,482), 210 (1,346); λ_{\max} (lg ϵ) (C_6H_6): 358(0,916), 322(1,328), 278(2,496).

კონცენტრირებული ხსნარების სპექტრებში ბეტაინური ფორმის გრძელტალღიანი უბანი მჟღავნდება ინტენსიური ზოლებით. ელექტრონული სპექტრების მონაცემები ნივთიერება 3a-c იხ. ცხრილი 1-ში.

ლიტერატურული მონაცემებით [1-4] გრძელტალღიანი მაქსიმუმები დაიმზირება 500-650 ნმ უბანში, რაც შეესაბამება ბეტაინურ ფორმაში ერთი პირანული ჯგუფის გასხნას, მაშინ როდესაც ინდოლინური სპიროქრომების ბმრ 1H სპექტრში არის როგორც ღია, ისე ციკლური ფორმის [5-7].

ჩვენს მიერ მიღებული ბმრ და ელექტრონული სპექტრები სრულ შესაბამისობაშია მიღებულ შედეგებთან [4].

აღსანიშნავია, რომ ძლიერ განზავებული ხსნარის ელექტრონულ სპექტრში (ნივთიერება 3b) ქლოროფორმში დაიმზირება ერთი ინტენსიური შთანთქმის ზოლი 241 ნმ(1,254) და ფიქსირდება დაბალი ინტენსიურობის ზოლი სპექტრის ხილულ უბანში 840 ნმ(0,037). ეს კი


მიუთითებს იმაზე, რომ გახსნილია ორივე პირანული ციკლი (წარმოიქმნება ფორმა C) (სქემა 2).

ცხრილი 1

შთანთქმის ზოლების მაქსიმუმების მდებარეობა λ_{max} , ნმ და ოპტიკური სიმკვრივე (D) ბის-სპირიპირანები 3 a-c

ნივთი ერება	R ¹	R ²	ლ					
			ასლადმომზადებული ხსნარი			დასხივებული ხსნარი		
			ეთან- ოლი	ლორო- ფორმი	ბენზო- ლი	ეთანო- ლი	ქლორო- ფორმი	ბენზ- ოლი
3a	NO ₂	H	558 (0.121)	611 (0.020)		558 (0.143)	459 (0.565)	
			315 (0.964)	357 (1.199)		315 (1.595)	261 (3.142)	
			269 (2.554)	315 (1.424)		269 (4.2)	247 (3.222)	
			225 (1.867)	272 (4.013)		225 (3.15)		
3b	Br	H		624 (0.050)**	629 (0.180)		840 (0.037)** 565(0.702)	626 (0.153)
				364 (0.230)**	361 (1.227)		538(0.783)	359 (1.244)
				252 (1.403)**	313 (1.464)			313 (1.562)
				237 (0.971)**	279 (3.376)		241 (1.254)**	279 (3.325)
3c	Br	Br		620(0.17)* 359(0.759)	358 (0.678)		467(0.156)	358 (0.916)
				319(1.081)	322 (0.976)		244(3.482)	322 (1.328)
				273(0.420)	277 (1.978)		210(1.346)	278 (2.496)
				246(3.731)				

* ხსნარი, კონცენტრაცია c= 0.8 მგ/მლ ; ** განზ. ხსნარი c= 0.008 მგ/მლ
შესწავლილია ფოტოქრომის 3b გაუფერულების კინეტიკა დღის სინათლეზე დაყოვნებისას და ვერცხლისწყლის ნათურით დასხივების შემდეგ. შეფერილი ფორმის გაუფერულობით B (სქემა 2) შეიძლება ვიმსჯელოთ ოპტიკური სიმკვრივის (D) შემცირებაზე. შეფერილი ფორმების შთანთქმის ზოლები B დაიმზირება 600ნმ უბანში. ექსპერიმენტი ჩატარებულია ოთახის ტემპერატურაზე. ექსპერიმენტი ჩატარდა სხვადასხვა კონცენტრაციის ბენზოლხსნარების ოპტიკური სიმკვრივის გრძელტალღიანი მაქსიმუმის ცვლილების მიხედვით. შეიმჩნევა ამ მაქსიმუმის ინტენსიურობის მცირე ცვლილება დროში. მონაცემები იხ. ცხრილებში 2, 3.



ცხრილი 2

ნივთიერება 3b ოპტიკური სიმკვრივის შემცირების კინეტიკა (ტალღის სიგრძე 627 ნმ) დღის სინათლეზე დაყოვნებისას (C_6H_6 , $c=1 \cdot 10^{-3}$ მოლი/ლ)

დრო, წთ	ტალღის სიგრძე, λ, ნმ. ოპტიკური სიმკვრივე, D
0	627.00, 2.140
2	627.00, 2.130
7	628.00, 2.126
17	627.00, 2.114
30	627.00, 2.098
60	628.00, 2.099

ცხრილი 3

ნივთიერება 3b ოპტიკური სიმკვრივის შემცირების კინეტიკა (629 ნმ), ხსნარის ვერცხლისწყლის ნათურით დასხივების შემდეგ (C_6H_6 , $c=0.008$ მგ/მლ)

დრო, წთ	ტალღის სიგრძე, λ, ნმ. ოპტიკური სიმკვრივე, D
0	629.00, 0.180
3	626.00, 0.153
6	624.00, 0.115

მოტანილი

სპექტრების

საფუძველზე შეიძლება გააკეთდეს შემდეგი დასკვნა: ფოტოქრომის 3b ახლადმოშობილ ხსნარს აქვს შეფერილი ბეტაინური ფორმა B, ხოლო გაუფერულებას აქვს ადგილი როცა დასხივების დროს ხდება მისი დასხივება უი სხივებით სწრაფად დღის სინათლესთან

შედარებით.

უი სპექტრები გადაღებულია ხელსაწყოზე Varian, Carry 100, UV-vis. ხსნარები დასხივება სორციელდებოდა ვერცხლისწყლის ნათურის უი სხივებით.

სინთეზის მეთოდები და ბის-სპიროპირანების აგებულების დამტკიცება ის პუბლიკაციებში [2-4].

დასკვნები

- შესწავლილია 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',3',3',6',8',8'-ჰექსამეთილდისპირო[ქრომენო-2,2'-ინდოლინო[7,6-*g*]ინდოლინო-9',2'-ქრომენ-ნების], 6,6"-დინიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრანიტრო-, 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',3',8',10',10'-ჰექსამეთილდისპირო[ქრომენო-2,2'-ინდოლინო[4,5-*e*]ინდოლინო-9',2'-ქრომენების], 6,6"-დინიტრო-, 6,6"-დიბრომ - და 6,6",8,8"-ტეტრაბრომ-1',1',8',8'-ტეტრამეთილ -1',4',5',8'-ტეტრაჰიდროდისპირო[ქრომენო-2,2'-დიპიროლო [1,2,3-*d,e*:3,2,1-*i,j*]ბენზო [g]ქინოქსალინ-7',2"-ქრომენების] ახლადმოზადებული ხსნარების ფოტოქრომული თვისებები;
- ზემოთ აღნიშნული ნაერთების ხსნარების ვერცხლისწყლის ნათურით დასხივებისა და გაცხელების შემდეგ მიღებული ხსნარების ელექტრონული სპექტრების შესწავლით დადგენილია, რომ ბენზოდიპიროლოქინოქსალინის რიგის სპიროქრომენები ხასიათდებიან უფრო მკვეთრად გამოსახული ფოტოქრომულით უკეთესი ხსნადობის გამო. შესწავლილია ერთ-ერთი ბის-სპიროქრომენის გაუფერულების კინეტიკა ხსნარის დასხივებისა და დღის სინათლეზე დაყოვნების შედეგად.
- ულტრა იისფერი (უი) სპექტრების მონაცემთა საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ახლადმოზადებულ ხსნარებში ფოტოქრომულ ნივთიერებს აქვთ შეფერილი ბეტაინური სტრუქტურა, ხოლო ვერცხლისწყლის ნათურის უი სხივების მოქმედებით ხდება შეფერილი ხსნარების გაუფერულება. გაუფერულების პროცესის სინქარე შესწავლილია შეფერილი ფორმის შთანთქმის ზოლის ოპტიკური სიმკვრივის დროში შემცირების საფუძველზე.

ლიტერატურა

1. Б.С. Лукьянов, М.Б. Лукьянова. (2005), ХГС, № 3, 323-
2. Ш.А. Самсония, М.В.Трапаидзе, Н.Н. Николеишвили, К.Г. Джапаридзе, Дж.П. Майсурадзе, У. Кацмайер. (2010), ХГС, № 8, 1255-1259 [Sh.A.Samsoniya, M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili, K.G.Japaridze, J.P.Maisuradze, and U. Kazmaier. Chemistry of Heterocyclic Compounds, (2010), 46, No. 8, 1016-1019].
3. Ш.А.Самсония, М.В. Трапаидзе, Н.Н. Николеишвили, К.Г. Джапаридзе, Дж.П. Майсурадзе, У.Кацмайер. (2010), ХГС, № 8, с.1259-1262 [Sh.A.Samsoniya, M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili, K.G.Japaridze, J.P.Maisuradze, and U.Kazmaier.Chemistry of Heterocyclic Compounds, (2010), 46, No. 8,. 1020-1022].
4. Ш.А.Самсония, М.В.Трапаидзе, Н.Н. Николеишвили, К.Г. Джапаридзе, Майсурадзе Дж.П., У. Кацмаиер (2011), ХГС, № 9, 1336-1344 [Sh.A.Samsoniya, M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili, K.G.Japaridze, J.P.Maisuradze, and U. Kazmaier. Chemistry of Heterocyclic Compounds, (2011), 47, No. 9, 1098-1104].
5. К.Г.Джапаридзе, И.Я.Павленишвили, В.Г.Цицишвили, Дж.П. Майсурадзе. (1973),Сообщения АН ГССР, **70**, 349.
6. Ю.М.Чунаев, Н.М.Пржиалговская, М.А.Гальберштам, Л.Н.Курковская. (1984), ХГС, 1088.
7. F.Przystal, T. Rudolph, I. Philips. (1968), Anal. chim. acta, **41**, 391.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---------------------	-----------------------	------------------------

3	ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ზოგიერთი წარმოებულის სინთეზი, სკრინინგი ანტიბაქტერიულ და ანტივირუსულ აქტიურობაზე	კადემიკოსი, პროფ. შოთა სამსონია	დავით ზურაბიშვილი მედიკო ლომიძე ივერი გოგოლაშვილი მარინა ტრაპაიძე თინათინ ბუკია მარინა სოსელია გიორგი ბუზალაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>ბიოლოგიურად აქტიური ახალი ნაერთების ძიების მიზნით განხორციელებულ იქნა ადამანტანის[1-3] რიგის ზოგიერთი აციკლური და ჰეტეროციკლური ნაერთის სინთეზი[1-4].</p> <ul style="list-style-type: none"> • დამუშავებულია 2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლის და 5(6)-(1-ადამანტილ)-ბენზიმიდაზოლის წარმოებულების სინთეზის მეთოდები. დადგენილია რეაქციის ოპტიმალური პირობები. • ამინობენზოლის წარმოებულების N-ადამანტილირებით, ნიტრირებით და ალდენა-ციკლიზაციით მიღებულია შესაბამისი ბენზიმიდაზოლები. • ადამანტანის რიგის აცილამინოჟაგების სინთეზი განხორციელებულ იქნა ელექტროფილურ არეში, ხოლო მათი ჰიდროლიზით მიღებულია შესაბამისი ამინოჟაგები. • აშშ არმიის ინფექციურ სნეულებათა ს/კ ინსტიტუტში (USAMRIID) სინთეზირებული 36 ნაერთის ტესტირების შედეგად გამოვლენილია: ა) ანტივირუსული აქტიურობით (<i>Ebola</i>, <i>Marburg</i>, <i>VEE</i>, <i>EEE</i>, <i>RVFV</i>, <i>CCHF</i>, MIC=20 μM) – 15 ნაერთი; ბ) ანტიმიკრობული აქტიურობით (<i>S. aureus</i>, <i>MRSA</i>, <i>B. anthracis</i> (Ames), <i>B. anthracis</i> (Sterne), <i>M. smegmatis</i>, <i>F. tularensis</i> (Schu4), <i>F. novicida</i>, MIC=0.6 μM-20 μM) – 11 ნაერთი, მათ შორის ნაერთები, რომლებიც ახდენენ 5 საშიში ვირუსული ინფექციის და 7 მიკრობული ინფექციის ინჰიბირებას. • ნაერთის სტრუქტურასა და ბიოაქტიურობას შორის ურთიერთკავშირის ანალიზით (S. Bavari, R. Panchal, J. Burnett –USAMRIID) გამოიკვეთა არატოქსიკური სტრუქტურები, რომელთა დამატებითი ტესტირება და გამოცდების ჩატარება არის პერსპექტიული სხვადასხვა საშიში ბიოაგენტების საწინააღმდეგო ახალი საშუალებების შექმნის მიზნით. • აშშ კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ნაციონალურ ინსტიტუტში (NCI) დაგეგმილია 5 ნივთიერების (რეგისტრაციის ნომერი: 105043, 105045, 102604, 102608, 102609) ბიოსკრინინგის ჩატარება 60 სახეობის სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობაზე. • სინთეზირებული რიგი ნაერთები წარმოადგენენ მაღალეფექტური ანტჰელმინთების მოდიფიცირებულ ადამანტანშემცველ ანალოგებს, ამიტომ პერსპექტიულია მათი შესწავლა ჰელმინთოციდურ აქტიურობაზე. • პერსპექტიულად მიგვაჩნია ტესტირებისა და გამოცდების ჩატარება სხვადასხვა საშიშ ვირუსებზე და მიკრობებზე, აგრეთვე მათ მიერ გამოწვეული დაავადებების საწინააღმდეგოდ (მათ შორის საქართველოში გავრცელებულ თურქულის, ბრუცელიოზის, ჯილეხის და სხვა), რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეფერალურ ლაბორატორიაში (თბილისი). • ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევების განვითარება ადამანტანის აციკლური და ჰეტეროციკლური წარმოებულების სინთეზისა და ბიოლოგიური თვისებების შესწავლის მიმართულებით იძლევა სხვადასხვა ბიოაგენტების და მათ მიერ გამოწვეული დაავადებების საწინააღმდეგო ახალი დაბალტოქსიკური და 			

<p>მაღალეფექტური საშუალებების შექმნის პერსპექტივას .</p> <p>ლიტერატურა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Морозов И.С., Петров В.И., Сергеева С.А. Фармакология адамантанов. Волгоград. Волгоградская медицинская академия, 2001, 320. 2. Литвинов В.П. Гетериладамантаны: синтетические исследования последних лет, биологическая активность и другие аспекты практического использования. Химия гетероциклических соединений, 2002,1,12-39. 3. Zurabishvili D.S., Lomidze M.O., Trapaidze M.V., Samsoniya Sh.A. Adamantyl-1 and Adama-ntyl-2 Imidazoles and Benzimidazoles: Methods of Synthesis, Properties and Biological Activi-ty. Heterocyclic Compounds: Synthesis, Properties and Applications. Nova Science Publishers, 2010, 47-98. 4. Zurabishvili D.S., Lomidze M.O., Samsoniya Sh.A., Wesquet A., Kazmaier U. Synthesis and reactions of some 5(6)-(1-adamantyl)benzimidazoles. International Journal - Chemistry of Heterocyclic Compounds , 2008, 44, 8, 941-949. 			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	ადამანტანშემცველი ზოგიერთი ბენზიმიდაზოლების სინთეზის და კვლევა	აკადემიკოსი, პროფ. შოთა სამსონია	დავით ზურაბიშვილი მედიკო ლომიძე ივერი გოგოლაშვილი მარინა ტრაპაიძე თინათინ ბუკია მარინა სოსელია გიორგი ბუზალაძე
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამანტანისა და ბენზიმიდაზოლის წარმოებულებს ახასიათებთ ბიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრი. მათ ბაზაზე შექმნილი პრეპარატები ფართოდ გამოიყენებიან მედიცინაში, როგორც ანტივირუსული და ანტიმიკრობული თვისების მქონე პრეპარატები[1-2].</p> <p>წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2-(1-ადამანტილ)-ბენზიმიდაზოლის სინთეზი და მისი ზოგიერთი გარდაქმნა. ამ მიზნით ჩვენს მიერ განხორციელებული იქნა ო-ფენილენდიამინის ადამანტილირების რეაქცია და მიღებული აცილირებული ნაწარმების ციკლიზაცია. ჩატარებულია მიღებული 2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლის N-ალკილირების რეაქცია ბენზილქლოროდით და დიმეთილსულფატით დიმეთილფორმამიდის და აცეტონის არეში. განხორციელებული იქნა ნაერთის 1 ნიტრირება მანიტრირებელი ნარევით. მიღებული ნიტრო პროდუქტის 4 აღდგენა ჩატარდა სპირტის არეში რენეს ნიკელის კატალიზატორის თანაობისას მოლეკულური წყალბადით. 60-75% გამოსავლიანობით გამოყოფილი და დახასიათებული იქნა 5(6)-ამინო-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი (5). ნაერთი 5 ურთიერთქმედებით სხვადასხვა არომატულ აღდგომიდან სპირტის არეში და ქლორანჰიდრიდებთან ურთიერთქმედებით შოტენ-ბაუმანის მეთოდით მიღებული იქნა შესაბამისი შიფის ფუძეები და ამიდები.</p> <p>სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურა დადგენილი იქნა იწ. უი, ბმრ და მასს-სპექტრული ანალიზით.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

5	მაილარდის რეაქციის პროდუქტების ანტიოქსიდანტური აქტიურობა	ასისტენტ პროფესორი, ქ.მ.დ. როზა კუბლაშვილი	როზა კუბლაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>მაილარდის რეაქციის პროდუქტები საინტერესოა ანტიოქსიდანტური აქტიურობის მხრივ, კერძოდ, მაილარდის რეაქციის ზოგიერთი პროდუქტს აქვს უნარი შებოჭოს თავისუფალი რადიკალები. ორგანიზმში თავისუფალი რადიკალები ნივთიერებათა ცვლის პროცესში წარმოიქმნება. თავისუფალი რადიკალების ჭარბი რაოდენობა აზიანებს უჯრედის მემბრანებს და მთლიანად უჯრედის შიგთავსს; ამის შედეგად ვითარდება ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ოქსიდაციურ სტრესს უწოდებენ, და რომელიც დაავადებათა გამწვავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია [1]. ამჟამად ფარმაცევტული მრეწველობა უშვებს სპეციალურ პრეპარატებს, რომლებსაც „ანტიოქსიდანტები“ ანუ „ანტიდამჟანგავები“ ეწოდება. ეს ანტიოქსიდანტები ურთიერთქმედებს თავისუფალი რადიკალის გაუწყვილებელ ელექტრონთან და ამ გზით ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალს. ამ პრეპარატებს თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარი აქვს <i>in vivo</i>, რის გამოც ძალზე პერსპექტულია მათი გამოყენება სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ [2].</p> <p>მაილარდის რეაქციის პროდუქტების ანტიოქსიდანტური თვისებები პირველად აღწერილ იქნა 1954 წელს, გლუკოზა-გლიცინის ურთიერთქმედების პროდუქტების მაგალითზე [3]. ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდება აგრეთვე სხვა დაბალმოლეკულური შაქრებისა და ამინომჟავების საფუძველზე მიღებული მელანოიდინები [4]. დეჰიდროასკორბინის მჟავასა და ტრიპტოფანის ურთიერთქმედებით მიღებული მელანოიდინური პროდუქტის ანტიოქსიდანტური უნარი ბევრად აჭარბებს ისეთი კლასიკური ანტიოქსიდანტის უნარს, როგორცაა α-ტოკოფეროლი.</p> <p>დადგინდა, რომ მაილარდის რეაქციის ბევრ პროდუქტს ლიპიდების პეროქსიდაციის პროცესის დათრგუნვისა და თავისუფალი რადიკალების შებოჭვის უნარი აქვს [5]. მაგალითად, გლუკოზა-გლიცინის, გლუკოზა-ლიზინისა და გლუკოზა-არგინინის ექვიმოლური რაოდენობების ურთიერთქმედებით მიღებული მაილარდის რეაქციის პროდუქტები აინჰიბირებს დაბალი სიმკვრივის მქონე ლიპოპროტეინის სპილენძით ინდუცირებულ ჟანგვას [6]. როგორც ეპრ-გამოკვლევაში აჩვენა, გლუკოზა-გლიცინის სისტემის გაცხელებით მიღებულ ნარევაში, ჰიდროქსილის რადიკალის შემცველი ფორმების 90%-ზე მეტი ინჰიბირდება მელანოიდინური პროდუქტებით; რკინის იონების შემცველ სისტემაში, დაბალმოლეკულურ მელანოიდინურ ფრაქციასთან შედარებით, უფრო ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებებით ხასიათდება მაღალმოლეკულური მელანოიდინური ფრაქცია, რაც აიხსნება ამ უკანასკნელის უფრო მაღალი კომპლექსწარმომქმნელი უნარით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, სპილენძის იონებთან კომპლექსწარმოქმნის უნარი გლუკოზა-გლიცინის საფუძველზე მიღებულ მელანოიდინებში ამ უკანასკნელთა დაჟანგვით მატულობს, ხოლო აღდგენით კლებულობს.</p> <p>შესწავლილ იქნა ამ პროდუქტების ანტიოქსიდანტური თვისებების დამოკიდებულება შეფერილობის ინტენსიურობაზე და დადგინდა, რომ მელანოიდინის ფერის ინტენსიურობის მატებასთან ერთად იზრდება მათი ანტიოქსიდანტური აქტიურობა. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მონაცემებიც. მაგალითად, პიროლების წარმოებულთა ანტიოქსიდანტური აქტიურობის შესწავლისას დადგინდა, რომ როდესაც მელანოიდინურ სისტემაში ფერის ინტენსიურობის გაძლიერება გაპირობებულია პიროლების პოლიმერიზაციით, ასეთ შემთხვევაში ნაკლებ შეფერილი პროდუქტების ანტიოქსიდანტური აქტიურობა, ხშირად, უფრო მაღალია [7].</p>			

	<p>ლიტერატურა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Lunec J. <i>Free Radicals their Involvement in Disease Processes</i>. Ann. Clin. Biochem., 1990, 27, 173-182. 2. Ames B.N., Shigenaga M.K., Hagen T.M. <i>Oxidants, Antioxidants, and the Degenerative Diseases of Aging</i>. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1993, 90, 7915-7922 3. Franzke C., Iwainsky H. <i>Zur antioxydation Wirksamkeit der Melanoidine</i>. Dtsch. Lebensm. Rundsch., 1954, 50, 251-254 4. Kawashima K., Itoh H., Chibata I. <i>Antioxidant Activity of Browning Products Prepared from Low Molecular Carbonyl Compounds and Amino Acids</i>. J. Agric. Food Chem., 1977, 25, 202-204. 5. Nicoli M.C., Anese M., Parpinel M.T., Franceschi S., Lericci C.R. <i>Study on Loss and/or Formation of Antioxidants in Food during Processing and Storage</i>. Cancer Letters, 1997, 114, 71-74. 6. Dittrich R., El-Massry F., Kunz K., Rinaldi F., Peich C.C., Beckmann M.W., Pischetsrieder M. <i>Maillard Reaction Products Inhibit Oxidation of Human Low-density Lipoproteins In Vitro</i>. J. Agric. Food Chem., 2003, 51, 3900-3904. 7. Hidalgo F.J., Nogales F., Zamora R. <i>Effect of the Pyrrole Polymerization Mechanism on the Antioxidative Activity of Nonenzymatic Browning Reactions</i>. J. Agric. Food Chem., 2003, 51, 5703-5708. 		
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6	შაქრების ურთიერთქმედება ცილებთან	ასისტენტ პროფესორი, ქ.მ.დ. როზა კუბლაშვილი	როზა კუბლაშვილი
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>შაქრების ურთიერთქმედება ცილებთან მაილარდის რეაქციის თავისებური, სპეციფიკური შემთხვევაა. ამ დროს ამინურ კომპონენტს წარმოადგენს ცილა, რომელიც აღმდგენელ შაქართან რეაქციაში შედის ძირითადი ჯაჭვის ბოლო ამინური ჯგუფისა და გვერდითი ჯაჭვების ლიზინის ამინოჯგუფების ხარჯზე. მაილარდის რეაქციის ამ სახეს, რომელიც ცილის მოლეკულების N-გლიკოზილირებას მოიცავს, ცილების გლიკაციას უწოდებენ.</p> <p>შაქრისა და ცილის შემცველი პროდუქტის გადამუშავების დროს ცილის <i>in vitro</i> გლიკოზილირების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. D-გლუკოზასთან ხარის შრატის ალბუმინის ინკუბირების შედეგად (ფოსფატური ბუფერი, pH 7.4, 37°C, 40 დღე-ღამე) მიიღება გლუკოზილირებული ალბუმინი, რომელშიც ლიზინის ε-ამინოჯგუფების გარდაქმნის ხარისხი ლიზინის საერთო რაოდენობის 75,7% აღწევს [1]. აღსანიშნავია, რომ ხარის შრატის ალბუმინის პირველადი ამინოჯგუფების მიმართ, როგორც უნაბეზინი ისე უნაბეზინი არეში, D-გლუკოზა უფრო მაღალი რეაქციისუნარიანობით ხასიათდება, ვიდრე D-ფრუქტოზა. შესაბამისად, ამადორის გადაჯგუფების პროდუქტების α-ჰიდროქსიკარბონილური ჯგუფები უფრო რეაქციისუნარიანია, ვიდრე პეინის გადაჯგუფების პროდუქტების ალდეჰიდური ჯგუფები [2]. D-ფრუქტოზასთან შედარებით, D-გლუკოზის უფრო მაღალ რეაქციისუნარიანობაზე ხარის შრატის ალბუმინის პირველადი ამინოჯგუფების მიმართ მიუთითებს აგრეთვე შედარებით მაღალ ტემპერატურაზე (50–104°C) ჩატარებული რეაქციის შედეგები [3]. თუმცა აღსანიშნავია, რომ კაზეინთან ურთიერთქმედებისას კეტოზები უფრო აქტიურად რეაგირებს, ვიდრე მათი იზომერული ალდოზები.</p> <p>არსებობს სხვადასხვა მოსაზრება გლიკოზილირების პროცესის შესახებ მექანიზმზე. ვარაუდობენ, რომ ცილასთან რეაქციაში შედის მოლეკულა, რომელიც მაილარდის რეაქციის პირველ ეტაპზე შაქრისაგან წარმოიქმნება.</p> <p>უკანასკნელ წლებში მიღებული მრავალი ექსპერიმენტული მონაცემი ცხადყოფს, რომ ცილების ურთიერთქმედება შაქრებთან და შესაბამისი გლიკოზილირების პროცესი ცოცხალ უჯრედშიც მიმდინარეობს [4, 5]. აღმოჩნდა, რომ ორგანიზმში, ცილებსა და შაქრებს შორის მიმდინარე მაილარდის რეაქცია საერთო მეტაბოლიზმში და ცალკეულ</p>			

პათოლოგიურ პროცესებში, როგორცაა დიაბეტი, ათეროსკლეროზი, ალცჰაიმერის დაავადება, ორგანიზმის დაბერებასთან დაკავშირებული მექანიზმები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დადგინდა, რომ ადამიანის ჰემოგლობინი შეიცავს ცილასთან შეერთებულ ამადორის გადაჯგუფების პროდუქტებს, რომელთა რაოდენობა დიაბეტით დაავადებულებში მატულობს. ამჟამად, ფრუქტოზილირებული ჰემოგლობინის განსაზღვრის ახალი მეთოდი ფართოდ გამოიყენება დიაბეტით დაავადებულთა ახალი გლიკემიური ინდექსის სახით. აღმოჩნდა, რომ ასეთივე მოდიფიცირებას განიცდის სხვა ცილებიც, როგორცაა ალბუმინი, თვალის ბროლის ცილა, შედეგების კასკადის ცილები, კოლაგენები, ლიპოპროტეინები, უჯრედის მემბრანული ცილები და სხვა [6]. შაქრებთან ცილების ხანგრძლივი ინკუბაცია ამ უკანასკნელთა გლიკოზილირებას იწვევს; ფიქრობენ, რომ ცილების გლიკოზილირების პროდუქტები დაბერების რეცეპტორების ფუნქციას ასრულებს.

ლიტერატურა

1. Kuniyasua A., Ohgama N., Hayashia S., Miyazakib A., Horiuchib S., Nakayamaa H. *CD36-mediated Endocytic Uptake of Advanced Glycation End Products (AGE) in Mouse 3T3-L1 and Human Subcutaneous Adipocytes*. FEBS Letters, 2003, **537**, 85-90.
2. Yeboah F.K., Alli I., Yaylayan V.A. *Reactivities of D-glucose and D-fructose during Glycation of Bovine Serum Albumin*. J. Agric. Food Chem., 1999, **47**, 3164-3172.
3. Kanska U., Boratynski J. *Thermal Glycation of Proteins by D-glucose and D-fructose*. Arch. Immunol. Ther. Exp. (Warsz)., 2002, **50**, 61-66.
4. Baynes J.W., Watkins N.G., Fisher C.I., Hull C.J., Patrick J.S., Ahmed M.U., Dunn J.A., Thorpe S.R. *The Amadori Product on Protein: Structure and Reactions*. Progr. Clin. Biol. Res., 1989, **304**, 43-67.
5. Njoroge F.G., Monnier V.M. *The chemistry of the Maillard Reaction under Physiological Conditions: a review*. Progr. Clin. Biol. Res., 1989, **304**, 85-107.
6. Schleicher E. *The Significance of the Maillard Reaction in Human Physiology*. Z. Ernährungswiss., 1991, **30**, 18-28.

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულება და ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ასოც. პროფ. მ. რუხაძე, ასისტ. პროფ. გ. ბეზარაშვილი, ნ. თაყაიშვილი, ემერიტირებული პროფ. ჯ. კერესელიძე, ლაბ. გამგე ნ. ლაბარტყავა, უფრ. ლაბ. მ. სილაგაძე, ნ. ქოქიაშვილი, ლაბორანტები: ლ. შარაბიძე, მ. კუპატაძე, ი. მათარაშვილი, მ. ჯაგაშვილი, მ. მატუშევსკაია, მ. კეკენაძე, ლ. გეგუშიაძე, ნ. მგალობლიშვილი, ე. ცუცქერიძე, ნ. ბერიძე; მოწვეული პადაგოგები: ქ. ლომსაძე, გ. სუპატაშვილი, გ. მახარაძე, ლ. ჭანკვეტაძე, ა. მსხილაძე, ი. გიუაშვილი, ა. რუხაძე, მ. ალექსიშვილი, ნ. თელია, ჯ. გურჯია, თ. დადიანიძე, ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თან. მ. ქარჩხაძე, მეცნ. თან. ნ. ოკუჯავა, დოქტორანტები: გ. ჯიბუტი, ხ. გოგალაძე, ა. დადიანიძე, ნ. ღიბრაძე, მ. კურტანიძე, თ. ბუთხუზი, მ. გვარამია.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ენანტიომერული ნარევების დაყოფის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმების კვლევა სითხურ ქრომატოგრაფიაში ახალი ტიპის პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით. პროექტი 31/90. 2013-2016	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ჭანკვეტაძე	ა. მსხილაძე, მ. ქარჩხაძე, ი. გიუაშვილი, ნ. თაყაიშვილი, გ. ჯიბუტი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია სხვადასხვა ქირალური სელექტორის გავლენა ქირალური ამინომჟავების ენანტიომერების ელუირების რიგზე; დადგენილია ქირალური β-ბლოკატორების სხვადასხვა ნაწარმების ელუირების რიგის სხვადასხვა ქირალურ სვეტებზე; ჩატარებულია არილპროპიონის მჟავას ნაწარმების ელუირების რიგის სკრინინგი სხვადასხვა ქირალურ სვეტზე; შესწავლილია სხვადასხვა ქირალური სელექტორის გავლენა ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების ელუირების რიგზე.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. ბარბაქაძე, ლ. გოგილაშვილი, ლ. ამირანაშვილი, მ. მერლანი. კ. მულკიჯანიანი, ა. სალგადო, ბ. ჭანკვეტაძე	დიჰიდროქსიცინამატის ტიპის ახალი ბიოლოგიურად აქტიური პოლიმერი ბორაგინაცე-ბის ტიპის მცენარეებიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე	7, 2013, 136- 142.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	7
2	Sulaberidze K., Bezarashvili G. , Tsnanova R.	Kinetics of Partial Transesterification of tri- Isobutyl arsenite.– <i>Proceedings of the Georgian National Academy of Sciences: Chemical Series</i>	2013, v. 39, № 1-2, p. 45 – 49	Tbilisi	5

3	თაყაიშვილი ნ., მსხილაძე ა., ქარჩხაძე მ., გოგალაძე ხ., ჭანკვეტაძე ბ.	ზოგიერთი ბეტა- ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა სითხურ ქრომატოგრაფიაში მოძრავ ფაზად იზოპროპანოლის გამოყენებით. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია. ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები. შრომების კრებული.		ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013, გვ. 320-321.	2
4	ნ.ლაბარტყავა	გოგირდი დარიშხანის სულფიდური მადნების ნამწვებში და მისი ოქსიდაცია - გამორეცხვის დინამიკა. საქართველოს ქიმიური ჟურნალი.	ტ.13, №1 , გვ. 41-42	თბილისი	2
5	ნ.ლაბარტყავა	დარიშხანის გამორეცხვის დინამიკა მისი სულფიდური მადნების ნამწვე- ბიდან.საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“ შრომათა კრებული.		ქუთაისი.6-7 ივნისი, 2013, გვ. 185-186	2
6	N. Labartkava, G. Supatashvili, I. Mikava	Results of study of microelement composi- tion of tea. Annals of Agrarian Science.	vol 11, №3 pp 39-41	Tbilisi	3

7	Г.В. Цинцадзе, Дж.А. Кереселидзе, М.Г. Цинцадзе	Квантово-химическое изучение способности образования комплексных соединений цинка с некоторыми амидами, . Хим. Журнал Грузии	2012, 2, 131-132	თბილისი, საქართველოს ქიმიური საზოგადოება	2
8	Дж. А. Кереселидзе	Новые данные таутомерных превращений некоторых азотсодержащих гетероциклов (Обзор) Изв. НАН Грузии, сер. хим.	2012, 38, 202-216	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე	15
9	Т. Кучухидзе, Дж. Кереселидзе, М. Квараия, З. Пачулия	Квантово-химическое изучение влияния заместителей на таутомерного превращения производных ацетофенона. Изв. НАН Грузии, сер. хим.	2012, 38, 46-48	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე	3
10	ჯიბუტი გ. მსხილაძე ა., თაყაიშვილი ნ., ქარნახაძე მ., ჭანკვეტაძე ბ.	მოდრაჟი და უძრაჟი ფაზების ოპტიმიზაცია ენანტიომერების დასაყოფად მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების გამოყენებით. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები. შრომების კრებული.		ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013, გვ. 365-368	4

ანოტაციები

1. წინამდებარე ნაშრომში აღწერილია ბორაგინაცეების ტიპის მცენარეებიდან ახალი ბიოლოგიურად აქტიური პოლიეთერის გამოყოფის ხერხები და მისი ფიზიკო-ქიმიური დახასიათება სპექტრალური მეთოდების გამოყენებით.

3. ნაშრომში შესწავლილია მადალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის საშუალებით 16 სხვადასხვა ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა იზოპროპანოლის მოძრავი ფაზის გამოყენებით სხვადასხვა ქირალური ტიპის სტაციონარულ ფაზებზე. შესწავლილია აგრეთვე ზოგიერთი ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა ელუენტში მცირე რაოდენობა დიეთილამინის და ჭიანჭველმჟავას თანაობისას.
4. შესწავლილია დარიშხანის სულფიდური მადნების ნამწვებში გოგირდის შემცველობა და მისი ფორმები, აგრეთვე ნამწვებიდან მისი გამორეცხვის დინამიკა და პროცესზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.
5. შესწავლილია დარიშხანის სულფიდური მადნების ნამწვებიდან დარიშხანის გამორეცხვის დინამიკა და რაოდენობრივად არის შეფასებული ამ პროცესის როლი მდ. ლუხუნის ხეობის დაბინძურებაში.
6. შესწავლილია ჩაის ფოთლების და მზა პროდუქტის მიკროელემენტური შედგენილობა. მიმე ლითონებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ რკინას და განსაკუთრებით მანგანუმს. გამოკვლეულ ობიექტებში შედარებით დაბალია თუთიის, სპილენძის და იოდის შემცველობები. სინჯებში დარიშხანის რაოდენობა მეთოდის მგრძობიარობაზე (0,01 მგ/კგ) დაბალი აღმოჩნდა. ჩაიში შემავალი რკინის და მანგანუმის დაახლოებით 50% გადადის ექსტრაქტში და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ადამიანის მიკროელემენტური ბალანსის დარეგულირებაში.
7. ქვანტურ-ქიმიური მეთოდით შესწავლილია ზოგიერთი ამიდის ცინკთან კომპლექსური ნაერთის წარმოქმნის უნარი.
8. შესრულებულია აზოლებში, პირიდინებში, 7-აზაინდოლებში და ნუკლეოტიდურ ფუძეებში ტაუტომერული გარდაქმნების ბოლო წლების ლიტერატურული და საკუთარი მონაცემების ანალიზი. განხილულია ცალკეული ტაუტომერული ფორმის გამოვლენის შესაძლებლობა, რომელთაც გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა ზოგიერთი ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების რაოდენობრივი აღწერისათვის.
9. ქვანტურ-ქიმიური მეთოდით შესწავლილია აცეტოფენონის წარმოებულებში ჩამნაცვლებლის გავლენა ტაუტომერულ გარდაქმნებზე.

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
ბ) სახელმძღვანელოები
გ) კრებულები
დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	S. Samakashvili, A. Salgado, G. Scriba, B. Chankvetadze,	Comparative enantioseparation of ketoprofen with trimethylated α -, β - and γ -cyclodextrins in capillary electrophoresis and study of related selector-selectand	2013, 25, 79–88.	აშშ Wiley	10

		interactions by using nuclear magnetic resonance spectroscopy, Chirality			
2	A. Pinaka, G. C. Vougioukalakis, D. Dimotikali, E. Yannakopoulou, B. Chankvetadze, K. Papadopoulos,	Green Asymmetric Synthesis: β -Amino Alcohol-Catalyzed Direct Asymmetric Aldol Reactions in Aqueous Micelles, Chirality,	2013, 25, 119-125.	აშშ Wiley	7
3	I. Matarashvili, L. Chankvetadze, S. Fanali, T. Farkas, B. Chankvetadze,.	HPLC separation of enantiomers of chiral arylpropionic acid derivatives with emphasis on elution order using polysaccharide-based chiral columns and normal-phase eluents. J. Sep. Sci.,	2013, 36, 140-147	გერმანია Wiley-VCH	8
4	S. Fanali, S. Rocchi, B. Chankvetadze	Use of Novel Phenyl-Hexyl Core-Shell Particles in nano-Liquid Chromatography, Electrophoresis	2013, 34, 1737-1742	გერმანია Wiley-VCH	6
5	F. Dong, J. Li, B. Chankvetadze, Y. Cheng, X. Liu, J. Xu, X. Chen, Y. Li, C. Bertucci, D. Tedesco, R. Zanasi, Y. Zheng,	The chiral triazole fungicide difenoconazole: absolute stereochemistry, stereoisomer bioactivity, aquatic toxicity and environmental behavior in vegetable and soil, Environmental Science & Technology,	47, 2013, 3386-3394	აშშ American Chemical Society	7
6	B. Chankvetadze,	Recent developments on polysaccharide-based chiral stationary phases	v. 970, 2013, 81-111.	აშშ (Clifton, N.J)	31

		for liquid-phase separation of enantiomers, Methods in molecular biology (Clifton, N.J)			
7	A. Mskhiladze, M. Karchkhadze, A. Dadianidze, S. Fanali, T. Farkas, B. Chankvetadze	Separation of enantiomers of selected chiral antimycotic drugs on polysaccharide-based chiral columns and polar organic mobile phases with the emphasis on the enantiomer elution order, Chromatographia,.	76, 2013, 1449-1458	გერმანია Springer	10
8	L. Mosiashvili, L. Chankvetadze, T. Farkas, B. Chankvetadze,	On the effect of basic and acidic additives on the separation of the enantiomers of some chiral beta-blockers with polysaccharide-based chiral selectors and polar organic mobile phases, Journal of Chromatography A	1317, 2013, 167-174	ნიდერლანდები Elsevier	8
9	A. Pinaka, D. Dimotikali, B. Chankvetadze, K. Papadopoulos, G.C. Vougioukalakis,	Catalytic Asymmetric Reduction of Prochiral Ketones with Chiral β -Amino Alcohol N-boranes and their Corresponding Tris-(oxazaborolidine)-borazines, Synlett	24, 2013, 2401-2446	გერმანია Thieme Verlag	6

10	T. Butkhuzi, M. Kurtanidze, R. Chaladze, M. Gvaramia, M. Rukhadze, G. Bezarashvili, K. Sigua	Investigation of influence of nonion additives on structural changes water droplets encapsulated in AC reverse micelles by instrumental methods	Journal of Colloid and Interface Science	Elsevier	Submitted
11	M.Kurtanidze, T. Butkhuzi, N.Kokiashvili, M. Rukhadze, Bezarashvili, M.Alexishvili, K. Sigua	Study of structural changes of water confined in the Brij- 30 reverse micelles by spectroscopic methods			in preparation
12	J. Kereselidze , M. Kvaraia , G. Mikuchadze	Solvatochromic Effect for the Denaturation and Mutation Processes in DNA: Computational Study. Modeling and Optimization in Science and Technologies	2014, v.2 pp 109-115.	Springer Switzerland	7

ანოტაციები

1. აღნიშნულ ნაშრომში კაპილარული ელექტროფორეზის მეთოდის გამოყენებით დადგენილი იქნა ენანტიომერის განსხვავებული აფინობა ნატივური ალფა-, ბეტა- და გამა ციკლოდექსტრინების მიმართ. ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის მეთოდის გამოყენებით დადგენილი იქნა შუალედური არაკოვალენტური კომპლექსების სტრუქტურები და გამოთქმული იქნა მოსაზრება აღნიშნული ციკლოდექსტრინების მიმართ კეტოპროფენის ენანტიომერების განსხვავებული აფინობის ასახსნელად. პროექტი განხორციელდა გერმანელ და ესპანელ კოლეგებთან ერთად.
2. წინამდებარე ნაშრომში აღწერილია საბერძნეთის კვლევების ეროვნული ცენტრის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტთან და ათენის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტთან ერთად განხორციელებული გამოკვლევების შედეგები ასიმეტრიული ალდოლის რეაქციების შესახებ მიცელარულ (წყალ)ხსნარებში. ამ ტიპის კვლევები განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. „მწვანე ქიმიის“ თვალსაზრისით (არ ხდება გარემოს დამაბინძურებელი ორგანული გამხსნელების გამოყენება).
3. ამ ნაშრომში შესწავლილია არილპროპიონის მჟავას ქირალური ნაწარმების

ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური ადსორბენტებისა და ნორმალურფაზიანი ელუენტების გამოყენებით. დადგენილი იქნა ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნების საინტერესო შემთხვევები კეტოპროფენისა და იბუპროფენისათვის, ისევე როგორც შეკავების ფაქტორების უჩვეულო ტემპერატურული დამოკიდებულება იბუპროფენის, ფენოპროფენისა და ფლურბიპროფენის ენანტიომერებისათვის. პროექტი განხორციელდა ამერიკული კომპანია ფენომენექსის მხარდაჭერით.

4. წინამდებარე ნაშრომში პირველად არის აღწერილი ზედაპირულად ფოროვანი სილიკაგელის საფუძველზე მომზადებული აქირალური ადსორბენტების გამოყენება ნანოქრომატოგრაფიაში. პირველად იქნა შესწავლილი კაპილარული სვეტის შიგა დიამეტრის როლი სვეტის ეფექტურობაში, აგებული იქნა ვან დეემტერის მრუდები და გამოთვლილი იქნა შესაბამისი პარამეტრების დაყოფის პროცესების დახასიათების მიზნით. ნაშრომი განხორციელდა იტალიის კვლევების ეროვნული ცენტრის რომის ქიმიური მკეთოდოლოგიების ინსტიტუტთან ერთად.
5. ამ ნაშრომში აღწერილი არის მრავალმხრივი შედეგები ქირალური პესტიციდის, დიფენოკონაზოლის სტერეოიზომერების ქრომატოგრაფიული დაყოფის, მათი აბსოლიტური სტერეოქიმიური კონფიგურაციის დადგენის, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და გარემოს ხვადასხვა ობიექტებში აბსორბციის, დაგროვებისა და გარდაქმნის შესახებ. პროექტი განხორციელდა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასა ბოლონიის (იტალია) უნივერსიტეტთან ერთად.
6. ეს ნაშრომი გახლავთ მიმოხილვითი შრომა, რომელიც დაიწერა შესაბამისი ჟურნალის რედაქტორის მიწვევით და აჯამებს ჩვენი ჯგუფისა და ჩვენი კოლეგების უახლეს გამოკვლევებს პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების შექმნისა და ოპტიმიზაციის მიმართულებით სითხური ქრომატოგრაფიისათვის.
7. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი იქნა ქირალური ანტიმიკოტიკური საშუალებების ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის, პოლისაქარიდული ქირალური ადსორბენტების და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილი იქნა ენანტიომერების ელუირების შებრუნების საინტერესო შემთხვევები ქირალური სელექტორისა და ელუენტის ბუნების, ისევე როგორც დაყოფის ტემპერატურის გავლენით.
8. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი იქნა ქირალური ბეტა ბლოკატორების ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის, პოლისაქარიდული ქირალური ადსორბენტების და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილი იქნა ენანტიომერების ელუირების შებრუნების საინტერესო შემთხვევები ქირალური სელექტორისა და ელუენტის ბუნების, ისევე როგორც მოძრავი ფაზის დანამატების გავლენით.
9. წინამდებარე ნაშრომი აღწერილია საბერძნეთის კვლევების ეროვნული ცენტრის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტთან და ათენის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტთან ერთად განხორციელებული გამოკვლევების შედეგები ასიმეტრიულ კატალიზის მიმართულებით. შესწავლილი იქნა პროქირალური კეტონების ენანტიოსელექტიური გარდაქმნები ბეტა ამინო სპირტებით მოდიფიცირებული ბორანისა და ბორაზანის ტიპის კატალიზატორებით.

12. The influence of the environment on the proton transfer between nucleotide bases has crucial

importance for denaturation and mutation processes in DNA. For quantitative description of these processes, activation (ΔE^\ddagger) and reaction (ΔE) energies of the proton transfer as well as lactam-lactim (K_T^{L}) and amino-imino (K_T^{Al}) tautomeric equilibrium constants by the quantum-chemical DFT method are calculated. It is shown that decrease in the environment polarity (E_r) due to mixing of ethanol with water (solvatochromic effect) leads to a decrease in the activation energy of the proton transfer and to an increase of the mutation frequency (ν_m), and at the same time to the tendency of DNA to denaturation. Hence, energy and kinetic characteristics of the proton transfer may be used for quantitative estimation of a solvatochromic effect in DNA. The validity of the solvatochromic effect is confirmed by the bathochromic shift of the DNA absorption band in the UV spectrum.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ლაბარტყავა	დარიშხანის გამორეცხვის დინამიკა მისი სულფიდური მადნების ნამწვებიდან.	6-7 ივნისი, 2013, ქუთაისი.
	O. Mukbaniani, K. Koynov, J. Aneli, T. Tatrishvili, E. Markarashvili, M. Chigvinadze. "Solid Polymer Electro-lyte Membranes Based on Silicon-organic Backbone". Macromolec. Symposia, v.328, issue 1, p. 38-44, 2013. http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/masy.201350604/abstract	ო. მუკბანიანი	ო. მუკბანიანი, კ. კოინოვი, ჯ. ანელი, თ. თათრიშვილი, ე. მარქარაშვილი, მ. ჩიღვინაძე

ასისტენტ-პროფესორი- მარინა ქარჩხაძე

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ენანტიომერული ნარეკების დაყოფის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმების კვლევა სითხურ ქრომატოგრაფიაში ახალი ტიპის პოლისაქარიდული ქირალური	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი N 31/90 (2013-2016)	ქ.მ.დ. ლ. ჭანკვეტაძე	ა. მსხილაძე, მ. ქარჩხაძე, ნ. თაყაიშვილი, ი. გიუაშვილი, გ. ჯიბუტი

სტაციონარული ფაზების გამოყენებით			
----------------------------------	--	--	--

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	A.Mskhiladze, M.Karchkhadze, A.Dadianidze, S.Fanali, T.Farkas, B.Chankvetadze	Enantioseparation of Chiral Antimycotic Drugs by HPLC with Polysaccharide-Based Chiral Columns and Polar Organic Mobile Phases with Emphasis on Enantiomer Elution Order. Chomatographia	Vol.76 N21-22	Springer-Verlag Berlin Heidelberg 2013	1449-1458

ანოტაცია

შესწავლილია 10 ანტიმიკოტიკური საშუალების ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდულ ქირალურ სვეტებზე პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით. სკრინინგში გამოყენებულია 6 პოლისაქარიდული ქირალური სვეტი- Lux Cellulose-1, Lux Cellulose-2, Lux Cellulose-3, Lux Cellulose-4, Sp-6, Lux Amylose-2. ამ სვეტებიდან მხოლოდ Lux Cellulose-3 წარმოადგენს მეთილბენზოატს, ხოლო ყველა დანარჩენი წარმოადგენს ფენილკარბამატს ჩამნაცვლებლების სხვადასხვა მდებარეობით ბენზოლის ბირთვში. პოლისაქარიდული სტრუქტურის გავლენა ენანტიომერების ელუირების რიგზე ვლინდება ტერკონაზოლის შემთხვევაში (ცელულოზა-1 და სეპააკ-6, მოძრავი ფაზა -აცეტონიტრილი), ასევე, (ცელულოზა-1 და ცელულოზა-3-ის გამოყენებისას - მოძრავი ფაზა-ეთანოლი), ცელულოზა-2 და ცელულოზა-4 სვეტებზე, მეთანოლისა და ეთანოლის მოძრავ ფაზებში, მაგრამ არა აცეტონიტრილში. ცელულოზა-2 და ცელულოზა-4 სვეტები შეიცავს ერთნაირ ჩამნაცვლებლებს არომატულ ბირთვში, ჩამნაცვლებული მდგომარეობებიც ორივე ქირალურ სელექტორზე არის ერთნაირი, მაგრამ სტრუქტურაში შებრუნებული რიგით, რაც განაპირობებს ტერკონაზოლის ენანტიომერების ურთიერთსაწინააღმდეგო აფინობას მათდამი. ასევე რიგის შებრუნებას აქვს ადგილი ბიფონაზოლის ენანტიომერების შემთხვევაში ორ ამილოზურ სვეტზე მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებისას (ამილოზა-2 და სეპააკ-6 სვეტებზე).

ასევე, შესწავლილია ენანტიომერების ელუირების რიგზე საკვლევი ანტიმიკოტიკური საშუალების სტრუქტურის, მობილური ფაზის ბუნების, მოძრავ ფაზაზე დანამატებისა და დაყოფის ტემპერატურის გავლენა,

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ნ.თაყაიშვილი ა.მსხილაძე მ.ქარჩხაძე ხ.გოგალაძე ბ.ჭანკვეტაძე	ზოგიერთი ბეტა- ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა სითხურ ქრომატოგრაფიაში მოძრავ ფაზად იზოპროპანოლის გამოყენებით	6-7 ივნისი 2013 წელი, ქუთაისი, შრომების კრებული. გვერდი 320-321
2.	გ.ჯიბუტი, ა.მსხილაძე, ნ.თაყაიშვილი, მ.ქარჩხაძე, ბ.ჭანკვეტაძე	მოძრავი და უძრავი ფაზების ოპტიმიზაცია ენანტიომერების დასაყოფად მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სელექტორების გამოყენებით	6-7 ივნისი 2013 წელი, ქუთაისი, შრომების კრებული. გვერდი 365-368

მოსხენებათა ანოტაციები

1) მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის საშუალებით გამოკვლეულია 16 სხვადასხვა ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფის შესაძლებლობა ახალი ტიპის პოლისაქარიდულ სტაციონალურ ფაზებზე ელუენტად იზოპროპანოლის გამოყენებისას, ასევე შესწავლილია ელუირების რიგზე მოძრავ ფაზაში დიეთილამინისა და ჭიანჭველმჟავას დანამატის გავლენა. სტაციონალური ფაზებიდან გამოყენებული იყო ქირალური სვეტები: Lux Cellulose-1, Lux Cellulose-4, Lux-Amylose -2 და ამილოზა ტრის(3,5-დიმეთილფენილკარბამტი). ბეტა -ბლოკატორების სკრინინგის დროს მოძრავ ფაზად იზოპროპანოლი +0,1% დიეთილამინის გამოყენებისას ყველაზე უკეთესი დაყოფა (7 დაყოფა) მიღებულია Lux Cellulose -1 სვეტზე, 8 დაყოფა ამილოზატრის (3,5-დიმეთილფენილკარბამტი)-ზე. Lux Amylose -2-ზე იგივე ელუენტის შემთხვევაში დაყოფა არ ხდება. Lux Cellulose -1 სვეტზე ელუენტში დიეთილამინის ექვივალენტური რაოდენობა ჭიანჭველმჟავას დამატება ზრდის გარჩევითობას, მაგრამ არ ცვლის ელუირების რიგს. ამრიგად, ბეტა-ბლოკატორების სკრინინგმა აჩვენა ენანტიომერების დაყოფაზე როგორც მოძრავი, ასევე ქირალური სტაციონალური ფაზის ბუნებისა და დანამატის თანაობის გავლენა.

2) ნაშრომში წარმოდგენილია ენანტიომერების ანალიზი მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით სხვადასხვა პოლისაქარიდული პოლარული სელექტორებისა და მოძრავი ფაზების გამოყენებით. გამოყენებულია 5 პოლისაქარიდული ქირალური სელექტორი და პირდაპირი, შებრუნებული და პოლარულ-ორგანული მოძრავი ფაზები სხვადასხვა დანამატებით. ასევე ნაჩვენებია ფოროვანი ზედაოპირის მქონე გლუვი სილიკაგელით მომზადებული პოლისაქარიდული სტაციონალური ფაზების შედარება ტრადიციულ ფოროვანი სილიკაგელით მომზადებულ სტაციონალურ ფაზებთან

ბიორგანული ქიმიის მიმართულება

I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელ – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ გახოკიძე**

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი **ნელი სიდამონიძე**, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე **რუსუდან ვარდიაშვილი**

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი **მაია თათარიშვილი**

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ლაბორანტი **მაია ნუცუბიძე**

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	ჰეტეროციკლების შემცველი ნახშირწყლების წარმოებულების სინთეზი	პროფ. რამაზ გახოკიძე	ნელი სიდამონიძე რუსუდან ვარდიაშვილი
2.	ნიტროზოჯგუფის (N=O) შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები.	პროფ. რამაზ გახოკიძე ასისტენტ პროფესორი ნელი სიდამონიძე	ნელი სიდამონიძე რუსუდან ვარდიაშვილი მიხეილ გვერდწითელი
3.	ალილგლუკოზიდების ჰიდროსილილირების რეაქციის მექანიზმი და ქვანტურ-ქიმიური გამოკვლევა.	პროფ. რამაზ გახოკიძე ნელი სიდამონიძე	რუსუდან ვარდიაშვილი მაია ნუცუბიძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ანოტაციები	
1.	უკანასკნელი წლების კვლევებმა აჩვენეს, რომ ბიოლოგიურ და ფარმაკოლოგიურ კვლევებში აქტუალურია ნაკლებად ტოქსიკური ნაერთების სინთეზი. ამიტომ საინტერესოა ნახშირწყლების გამოყენება ზოგიერთი ჰეტეროციკლური ნაერთის მოდიფიკაციისათვის, რამაც შეიძლება პრეპარატის მოქმედებაში გამოიწვიოს არსებითი ცვლილებები. ჩვენს მიერ პირველადაა შესწავლილი α -ქლორ 2,3,4,6-ტეტრა-0-აცეტილგლუკო(გალაქტო)პირანოზის კონდენსაციის რეაქცია ჰეტეროციკლურ ამინებთან და სინთეზირებულია შესაბამისი ჰეტეროციკლების შემცველი 1,2-ტრანს-გლიკოზიდები. მიღებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკურ ქიმიური მეთოდებით: ელემენტური ანალიზით, გადაადგლების კოეფიციენტით (Rf), პოლარიმეტრული მეთოდით, იწ, ბმრ ¹³ C და ბმრ ¹ H-სპექტრომეტრული მეთოდებით. აღნიშნულ რეაქციათა მიმართულების თეორიული კვლევის მიზნით ჩატარებულ იქნა ქვანტურ-ქიმიური გათვლები, რითაც დადგენილ იქნა 1,2-ტრანს-გლიკოზიდების წარმოქმნა.
2.	უკანასკნელ ათწლეულში სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერებათა ინტერესი და ფართო პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვეს ნაერთებმა, რომლებიც ციკლში შეიცავენ

N-გლიკოზიდებს. მათი წარმოებულები გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის მედიატორებად, სტიმულატორებად. ისინი გამოიყენებიან აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მავნებლების წინააღმდეგ. ამიტომ N-გლიკოზიდების ნაწარმა სინთეზს და სინთეზის მეთოდების დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

უკანასკნელ ათწლეულში ბიოლოგიასა და ქიმიაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ეხება ფუნდამენტალურ ცვლილებებს სხვადასხვა ბიოლოგიური სისტემების ფუნქციონირებაზე წარმოდგენის შესახებ. საუბარი მიდის იმ აღმოჩენაზე, რომ ისეთი დაბალმოლეკულური ნივთიერება, როგორცაა აზოტის ოქსიდი NO – წარმოადგენს უჯრედული მეტაბოლიზმის ფუნქციის უნივერსალურ და აუცილებელ რეგულატორს. ცნობილია ამ ნაერთის ქიმიური და ბიოლოგიური მოქმედების მონაცემები სხვადასხვა ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებში ჩართვის დროს. ჩატარებულია ლიტერატურული, ქიმიური, ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევები. მნიშვნელოვანია სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც წარმოადგენენ NO-ს გენერატორებს. აღმოჩენილია NO-ს როლი, როგორც მეტაბოლიზმის შიდაუჯრედული უნიკალური რეგულატორი ცოცხალ ორგანიზმში.

ამასთან დაკავშირებით, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მომწიფდა აუცილებლობა მისი უფრო დრმა ანალიზისა სხვადასხვა ასპექტში, რომელიც მოიცავს ქიმიას, ბიოლოგიას და ბიოქიმიას; შეიქმნას თეორიული ბაზა NO-ს როლის გასარკვევად ბიოლოგიურ პროცესებში და პერსპექტივაში მისი პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვის შესაძლებლობებში.

სამეცნიერო კვლევებით აღმოჩენილია, რომ აირი NO და ამავე დროს მომწამლავი აირი, რომლის მოლეკულა წარმოადგენს თავისუფალ რადიკალს, უმდგრადს და ადვილად განიცდის სხვადასხვაგვარ ქიმიურ ტრანსფორმაციას, უწყვეტად პროდუცირდება ძუძუმწოვართა ორგანიზმში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ფიზიოლოგიურ და პათოფიზიოლოგიურ პროცესებზე.

აზოტის ოქსიდი (NO) მონაწილეობს სისხლძარღვის ტონუსის რეგულაციაში, აინჰიბირებს ტრომბოციტების აგრეგაციას და მათ ადგეზიას სისხლძარღვთა კედლებზე, ფუნქციონირებს ცენტრალურ და ვეგეტატიურ ნერვულ სისტემებში, არეგულირებს სასუნთქი ორგანოების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და შარდმდენი სისტემების მოქმედებას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნიტეტის რეგულაციაში და იცავს ორგანიზმს ბაქტერიული დაზიანებისაგან. უამრავ კვლევებში არის მსჯელობა NO –ზე როგორც სისხლძარღვის გამაფართოებელ აგენტზე. NO-ს ბიოლოგიური აქტივობა საკმაოდ ფართოა. არ არის გასაკვირი, რომ 1992 წელს ჟურნალ “Science”-ში NO აღიარებულ იქნა “წლის მოლეკულად”, ხოლო 1998 წელს სამმა ამერიკელმა მეცნიერმა – რ. ფურჩგოტმა, ლ.იგნარრომ და ფ.მურადმა, რომლებმაც გაარკვიეს აზოტის ოქსიდის როლი ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციონირებაში, მიიღეს ნობელის პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში [30].

ჩვენი ყურადღება მიპყრობილია NO –ს სინთეზსა და ფუნქციონირებაზე ორგანიზმში და ამ პროცესების დროს იმ რთული მოვლენების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით განხილვაზე. ბიოლოგიური და ქიმიური მიდგომის ასეთი შერწყმა პერსპექტივაში იძლევა საფუძველს ამ მიმართულებების უკეთესად განვითარებისას. აქედან გამომდინარე, ასეთი კვლევები აუცილებელია ჩატარდეს ერთდროულად ქიმიკოსების, ფარმაკოლოგების და ბიოქიმიკოსების ურთიერთ თანამშრომლობით, რათა კვლევებით შესწავლილ იქნას ორგანიზმში NO-ს ფუნქციები.

ნოტროზო ჯგუფის შემცველ ნაერთებს გააჩნიათ სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა, მათ მიეკუთვნება ისეთი სინთეზური ნაერთები, როგორცაა ნიტროზომეტილ-შარდოვანა და მისი წარმოებულები. მათი ბიოლოგიური აქტივობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი მნიშვნელოვნად ამუხრუჭებენ მთელი რიგი სიმსივნური წარმონაქმნის ზრდას. მაგალითად: ნიტროზომეტილ-შარდოვანა ამუხრუჭებს სარკომა-180-ის და სარკომა-45-ის ზრდას, შესაბამისად 90-95%-ით და 70-

	<p>75%-ით; დიმეთილნიტროზოშარდოვანა აქტიურია უოკერის სარკომის მიმართ და ამუხრუჭებს სიმსივნის ზრდას 80%-ით; მეთილნიტროზო-შარდოვანა 60-75%-ით, ხოლო დიმეთილნიტროზოშარდოვანა – 60-70%-ით ამუხრუჭებს ლუისის სიმსივნის ზრდას და ა.შ.</p> <p>ნიტროზოშარდოვანას ჯგუფის პრეპარატებს იყენებენ არადიფერენცირებული ფირმის III–IV სტადიის ფილტვის კიბოს, ასევე III–IV სტადიის ლიმფოსარკომის დროს. არის მონაცემები კანის მელანომის მკურნალობის შესახებ (ნიტროზომეთილშარდოვანა). ორგანიზმში შეყავთ ვენაში ინექციის სახით. C-N=O ტიპის ნიტროზონააერთებს ახასითებთ ანტიჰიპერტონული მოქმედები უნარი.</p> <p>ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს აზოტის ოქსიდის დონორების ფართოდ გავრცელებულ კლასზე – N-ნიტროზოწარმოებულებზე. ჩვენს მიერ სინთეზირებულ იქნა ნიტროზოჯგუფის შემცველი აცილშარდოვანა. საწყის ნივთიერებად აღებულ იქნა გლუკოზის (გალაქტოზის) და პ-ამინობენზოის მჟავას კონდენსაციის პროდუქტი–N-p-კარბოქსიფენილ-β-D-გლუკოზ(გალაქტოზ)ამინი. კონდენსაციის პროდუქტის მოქმედებით N,N'-დიციკლოჰექსილკარბოდიმიდთან ტეტრაჰიდროფურანისა და ტრიეთილამინის თანაობისას 0°C ტემპერატურაზე, სინთეზირებულ იქნა შუალედური პროდუქტი –β-N-კარბოქსიფენილ-D-გლუკო(გალაქტო)პირანოზიდ-აცილშარდოვანა, რომლის ნიტროზირებით NaNO₂-ით, ჩვენს მიერ პირველადაა სინთეზირებული ნიტროზოჯგუფის (N=O) შემცველი გლუკოზისა და გალაქტოზის წარმოებულები.</p> <p>3. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ადრეულ წლებში სინთეზირებული დისილაზანების შემცველი ზოგიერთი შაქრის (გლუკოზა, გალაქტოზა) წარმოებულის რეაქციის მექანიზმი. დადგინდნა იქნა კატალიზატორ CO₂(CO)₈-ის მოქმედებით რეაქციის მიმდინარეობის სქემა. რეაქციის მიმართულების დადგენის მიზნით ასევე ჩატარებულ იქნა ქვანტურ-ქიმიური გათვლები CS MOPAC (Chem 3D Ultra version 8.03)-ის გამოყენებით.</p>
--	--

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გახოკიძე, თ. მეგრელიძე, გ. გუბულაშვილი, ე. სადალაშვილი, გ. გრძელიშვილი	კვების პროდუქტების თბოფიზიკური თვისებები სიცივით დამუშავების პროცესში.	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013	141
2	ნ. სიღამონიძე, რ. გახოკიძე	სამედიცინო ქიმიის მოკლე კურსი (დამხმარე სახელმძღვანელო)	მომზადებულია დასაბეჭდად	290

ანოტაციები

1. ნაშრომში მოცემულია კვების პროდუქტების სიცივით დამუშავებისა და შენახვის ძირითადი ხერხები და პრონციპები. განხილულია კვების პროდუქტების თბოფიზიკური თვისებები მათი სიცივით დამუშავების ყველა სტადიაზე: გაცივების, გადაცივების, გაყინვის, აგრეთვე, გაცივებულ და გაყინულ მდგომარეობაში შენახვის პირობებში.

2. კრებულში წარმოდგენილია თეორიული მასალა და შესაბამისი ტესტები, რომლებიც მოიცავს ბიორგანული ქიმიის ძირითად საკითხებს. თითოეულ ტესტს აქვს 4 ან 5 პასუხი, რომელთაგან ერთი აუცილებლად სწორია.

ტესტები შედგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო ქიმიის სასწავლო პროგრამის შესაბამისად და მოიცავს აღნიშნული კურსის ყველა საკვანძო საკითხს. იგი აგრეთვე მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტებს და თეორიული მედიცინის საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ტესტები იძლევა სტუდენტთა ცოდნის ობიექტური განსაზღვრის საშუალებას, ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას და ეხმარება მათ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებაში.

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გახოკიძე	ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება.	თსუ გამომც., თბილისი, 2013	7

ანოტაციები

მოწოდებულია სასურსათო პრობლემის გადაჭრის ახალი გზა აგრობიორგანული ტექნოლოგიის გამოყენებით. დამუშავებულია აგრობიორგანული ტექნოლოგია, რომელიც მცენარეთა ენდოგენური რეგულატორული სისტემების მართვის და გარემოს არახელსაყრელ პირობებთან მცენარეთა ადაპტაციის საშუალებას იძლევა, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის მოსავალი.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Н.Н.Сидамонидзе, Р.А.Гахокидзе, Р.О.Вардиашвили	Синтез и квантово-химические расчеты некоторых 1,2-транс-гликозидов. Известия АН Грузии. Серия химическая	2013, т.39, N1-2	თბილისი	5
2.	Сидамонидзе Н.Н., Гахокидзе Р.А., Вардиашвили Р.О., Гвердцители М.И.,	Синтез и математико-химическое исследование производных	2013, N 2	თბილისი	6

3	М. Мацаберидзе, Р. Схиладзе, Р. Гахокидзе, Л. Топурия, М. Джинчарадзе	N- гликозиламинов. Georgian Engineering News Перспективы получения абсолютных экстрактов (не содержащих следов остаточных растворителей) из растительного сырья Грузии. Georgia Chemical Journal	2013, т.13, N1	თბილისი	12
---	---	---	-------------------	---------	----

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Sidamonidze N., Vardiashvili R., Nutsubidze M.	Reaction Mechanism and Quantum-Chemical Computation of Hydrosilylation Reaction of Allyl Glycosides.	International Symposium on Polymers & Advanced Materials. 2013, p.79. Tbilisi
2	R. Gakhokidze	World Hunger Problem and New Green Revolution.	II International Scientific- Practical Conference. Bioeconomy and Sustainable Development of Agriculture. 2013, p.98. Tbilisi
3	N. Vassilieva-Vashakmadze, R. Gakhokidze, I. Khachatryan	Irregular Biopolimers – The Protein Components of Ion Channels of Plant and Animal Cells.	International Symposium on Polymers & Advanced Materials. 2013, p.86. Tbilisi
4	N. Vassilieva-Vashakmadze, R. Gakhokidze, L. Tabatadze	A Possible Mechanism of Allosteric Interaction.	International Symposium on Polymers & Advanced Materials. 2013, p.90. Tbilisi

მოსხენებათა ანოტაციები

1 სილიციუმის შემცველი ნაერთები საინტერესია ბიოლოგიური აქტიურობის თვალსაზრისით. ჩვენს მიერ ალილგლიკოზიდებისა და ალილგალაქტოზიდების ჰიდროსილილირებით 1,3-ბის-(დიფენილსილილ)-2,2,4,4-ტეტრაფენილციკლოდისილა-ზანით და 1,3-ბის-(დიმეთილსილილ)-2,2,4,4-ტეტრამეთილციკლოდისლაზანით, კატალიზატორის $\text{Co}_2(\text{CO})_8$ -ის თანაობისას, სინთეზირებულია გლუკოზისა და გალაქტოზის წარმოებულები, რომლებიც შეიცავენ ციკლოდისილაზანურ ფრაგმენტს. გამოკვლეულია სინთეზირებულ ნაერთთა ბაქტერიციდული აქტივობა. აღნიშნულ რეაქციათა მიმართულების თეორიული კვლევის მიზნით ჩატარებულ იქნა ქვანტურ-ქიმიური გათვლები, რითაც დადგენილ იქნა, რომ რეაქცია მიმდინარეობს ანტი მარკოვნიკოვის წესით, კერძოდ ფარმერის მეთოდით.

2. By now millions were supposed to be perished from hunger every year. Relying on multi-yearly research experience we have contributed most to improvement in the productivity of the plant and hence the crop. The new Ecofriendly Agrobioorganic Technology has been used for cultivation of cereals, melons and vegetables. The crop capacity has been increased significantly (2-3 times) yielding ecologically pure products of high quality. New technology significantly strengthens the effectiveness of the agricultural chemicals, photosynthetic apparatus, assimilation of water and nutrients from the environment; sharply reduces negative influence of agricultural chemicals upon the environment. The product practically does not maintain any pesticides and fertilizers. All these will maximally increase potential capabilities of the agricultural chemicals and the area of their application.

ბიოლოგიის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი პროფ. დიანა შიშიგური

ბიოქიმიის მიმართულება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი *ნანა კოშორიძე*

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ასისტ. პროფესორი ელენე დავითაშვილი
2. ასისტ. პროფესორი მანანა ჭიპაშვილი
3. ბიოლოგიის დოქტორი - ქეთევან მენაბდე
4. დოქტორანტი - გიორგი ბურჯანაძე
5. დოქტორანტი - ნატალია დაჩანიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თავის ტვინის მიტოქონდრიების ფუნქციური მდგომარეობის ცვლილების ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესის პირობებში გრანტის ნომერი: # PG/88/7-220/12	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	გიორგი ბურჯანაძე	
2.	გულის კუნთის უჯრედებში ენერგეტიკული მეტაბოლიზმისა და ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირება ფსიქოემოციური სტრესის პირობებში გრანტის ნომერი: # PG/81/7-220/12	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ნატალია დაჩანიძე	

1. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ხანგრძლივი ფსიქოემოციური სტრესის ფონზე ორგანიზმში, კერძოდ კი თავის ტვინში ვითარდება ურყოფითი ხასიათის პროცესები, მათ შორის ჰორმონების (სეროტონინი, კორტიკოსტერონი) რაოდენობრივი ცვლილებები, რომელნიც ადასტურებენ შესწავლილი

პირობების სტრესულ ხასიათს. ამასთან, ნაჩვენებ იქნა, რომ მიმდინარეობს როგორც კალციუმის იონის, ისე აზოტის ოქსიდის რაოდენობრივი მატება, რაც მიუთითებს სასიგნალო სისტემების პათოლოგიურ აქტივაციაზე და რასაც მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია იქონიოს უჯრედულ მეტაბოლიზმზე, რაც დადასტურდა ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტების აქტივობის დაქვეითებით და ასევე ატფ-ის საერთო რაოდენობის შემცირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მარკერების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი დამყარებული იყო მიტოქონდრიის გარდამავალი განვლადობის ფორასთან მათ კავშირზე. აღნიშნული სტრუქტურა წარმოადგენს მიტოქონდრიის გარე და შიდა მემბრანების ურთიერთქმედების საიტებში ფორმირებულ სტრუქტურას, რომელიც ჩართულია კალციუმის კონცენტრაციის რეგულაციასა და სხვადასხვა ფიზიოლოგიურ პროცესებში, ამასთან მის ჰიპერაქტივაციას შეუძლია აპოპტოზური პროცესები ინიცირება.

მიღებული მონაცემებიდან სავარაუდოა, რომ შესწავლილ პირობებში მიტოქონდრიის გარდამავალი განვლადობის ფორა გახსნილ მდგომარეობაშია, რაც პრო-აპოპტოზური პროცესების განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს. ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული ფორის შემადგენლობაში არ იღებს მონაწილეობას ლექტინური აქტივობის მქონე ჯგუფი(ები), რაც მისი სტრუქტურის გაგებაში გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს.

2. პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევებით დადგენილი იქნა, რომ ხანგრძლივი იზოლაცია და დღე-ღამური რიტმის დარღვევა ვირთაგვებში იწვევდა აზოტის ოქსიდის, როგორც სასიგნალო მოლეკულის არაერთგავროვან ცვლილებებს, რაც სავარაუდოდ,საკვლევ ქსოვილში მიმდინარე ოქსიდაციური სტრესის მაინიცირებელ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ. აღინიშნა ლიპიდების პეროქსიდაციის პროცესის ინტენსივობის ზრდა, რისი მაჩვენებელიცაა ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტების - მალონის დიალდეჰიდისა და დიენური კონიუგატების რაოდენობის მატება. ხანგრძლივი იზოლაცია და დღე-ღამური რიტმის დარღვევა ვირთაგვებში იწვევდა ანტიოქსიდანტური სისტემის მოქმედების დაქვეითებას, რაც ასახვას პოულობს ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის შემცირებაში. ასევე შეინიშნებოდა ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითება, კერძოდ მიმდინარეობდა როგორც აერობული მიტოქონდრიული მეტაბოლიზმის, ასევე ანაერობული, გლიკოლიზის ციკლის ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის შემცირება, რაც ატფ-ის გენერაციისა და უჯრედების ენერგოდეფიციტის ნიშანია. ასევე განისაზღვრა კალციუმის რაოდენობა და ნანახი იქნა , რომ სტრესულ სიტუაციაში კალციუმის უჯრედშიდა რაოდენობა მატულობს,რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ლიპიდური რადიკალების დაკავშირებით პლაზმურ მემბრანასთან, რის შედეგადაც იზრდება კარდიომიოციტების მემბრანის განვლადობა და კალიცუმი დიდი რაოდენობით გროვდება უჯრედში.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

1	ნანა კოშორიძე	ბიოქიმია	თბილისი, თსუ გამომცემლობა	447
<p>წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია კლასიკური ბიოქიმიის ძირითადი და ფუნდამენტური საკითხები, მოყვანილია მონაცემები ცოცხალი უჯრედისათვის აუცილებელი ბიომოლეკულების სტრუქტურისა და თვისებების შესახებ. ასევე ნახვენებია უჯრედში მათი გარდაქმნის ძირითადი გზები. სახელმძღვანელო განკუთვნილია თსუ ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე ყველა იმ პირისთვის, ვინც დაინტერესებულია ბიოქიმიის შესწავლით. სახელმძღვანელო შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპრობირებული პროგრამის მიხედვით.</p>				

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Natalia Dachanidze, George Burjanadze, Zurab Kuchukashvili, Ketevan Menabde, Nana Koshoridze	Functioning of the Antioxidant System under Psycho- Emotional Stress. Journal of Stress Physiology & Biochemistry	Vol. 9 No. 4 2013, pp. 122-131		9
2.	Natalia Dachanidze, George Burjanadze, Zurab Kuchukashvili, Ketevan Menabde, Nana Koshoridze	Lipid Peroxidation and Antioxidant System Activity Changes of Rat Blood and Cardiac Muscle Cells Under Chronic Stress. International Journal of Biochemistry and Biophysics	V.1, N1, pp. 16- 21,		6
1. It was studied intensity of lipid peroxidation and activity of enzymes from antioxidant system in blood plasma and cardiac muscle cells among laboratory rats under 40 days of isolation and					

violation of diurnal cycle. The received data show that at the background of quantitative changes in NO there also take place changes in the intensity of lipid peroxidation process, indicated by quantitative change in the concentration of Malonaldehyde and diene conjugates, including Malonaldehyde and marked with a reduced activity of antioxidant system enzymes, such as catalase and superoxide dismutase activity. Based on the results, we proposed that psychological stress is one of the factors contributing to the development of various cardiac diseases.

- We studied the functionality of the antioxidant system in laboratory rat cardiac muscle cells and blood under psycho-emotional stress. It was found that 40-day isolation and violation of diurnal cycle among the animals were accompanied by the intensification of lipid peroxidation process shown by a rise in the quantity of one of the primary and final products of this process – diene conjugates and thiobarbituric acid active compounds, including malonaldehydes and marked with a reduced activity of antioxidant system enzymes, such as catalase and superoxide dismutase activity. Based on the results, we proposed that psychological stress is one of the factors contributing to the development of various cardiac diseases

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	George Burjanadze, Zurab Kuchukashvili, Natalia	Changes in Activity of Creatine Kinase and Functional State of Mitochondria under Stress Conditions	Tbilisi international conference (TIC2013) "Merging neuroscience and medicine: implications for brain disorders" Tbilisi, 30. 09.- 03.10. 2013
2	Dachanidze, Ketevan		
3	Menabde, Nana Koshoridze		

Stress is known as the destructive cause of metabolism in the cells, usually resulting in the formation of pathologic processes. Reasons of such processes include, among others, changes in energy metabolism. We have studied specific features of energy metabolism in rat brain under prolonged psycho-emotional stress. We have found that when subjected to the given conditions brain mitochondria display a reduced level of Creatine Kinase activity. Having studied the kinetic parameters (V_{max} , K_m) of the enzyme we have suggested that the reason of such reduction must be both structural changes in the Creatine Kinase molecules, and quantitative decline of its substrates – ATP and creatine.

We have also studied the changes in the activity of other enzymes related to energy metabolism, such as Succinate Dehydrogenase, Aconitase, Fumarase and Hexokinase, under prolonged stress. It has been discovered that similarly to that of Creatine Kinase, their activity also decreases, which may be indicative of a decline in the energy efficiency of the brain.

Based on the data obtained, it was interesting to study some functional changes which could be have place in mitochondria under these conditions, so we have studied the status of the brain mitochondria permeability transition pore (MPTP) that is known as non-selective mega channel which stabilizes mitochondrial potential Ca^{2+} concentration in the mitochondrial matrix and is tightly linked to the ATP synthesis and mitochondria normal functioning. It is also known, that Creatine Kinase is functionally connected to MPTP (phosphotransferring processes), and so abovementioned changes in enzyme's activity could have their influence on the pore.

Observations prove that stress conditions stimulate opening (activation) of MPTP which may serve as a stimulant of apoptotic processes in brain cells and reasonable alterations in CK activity and functioning manner could be one of the important points for this type of changes.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<u>Nana Koshoridze,</u> George Burjanadze, Zurab Kuchukashvili, Natalia Dachanidze, Ketevan Menabde,	Changes in activity of enzymes related to energy metabolism in rat brain and functional state of mitochondria under psycho-emotional stress	Lisbon, Portugal 5-7 May, 2013
2	<u>Nana Koshoridze,</u> George Burjanadze, Zurab Kuchukashvili, Natalia Dachanidze, Ketevan Menabde.	Psycho-emotional stress and antioxidant system in brain mitochondria	Lisbon, Portugal 5-7 May, 2013

1. Changes in Activity of Enzymes Related to Energy Metabolism in Rat Brain and Functional State of Mitochondria under Psycho-Emotional Stress

Stress is known as the destructive cause of metabolism in the cells, usually resulting in the formation of pathologic processes. Reasons of such processes include, among others, changes in energy metabolism. We have studied specific features of energy metabolism in rat brain under prolonged psycho-emotional stress. We have found that when subjected to the given conditions brain mitochondria display a reduced level of Creatine Kinase activity. Having studied the kinetic parameters (V_{max} , K_m) of the enzyme we have suggested that the reason of such reduction must be both structural changes in the Creatine Kinase molecules, and quantitative decline of its substrates – ATP and creatine. We have also studied the change in the activity of other enzymes related to energy metabolism, such as Succinate Dehydrogenase, Aconitase, Fumarase and Hexokinase, under prolonged stress. It has been discovered that similar to that of Creatine Kinase, their activity also decreases, which may be indicative of a decline in the energy efficiency of the brain. Based on the data obtained, we have studied the status of the brain mitochondria penetration transitional pore (MPTP) that is known to be related to the activity of Creatine Kinase. It has been established that stress induced opening of the MPTP, which may serve as a stimulant of apoptotic processes in brain cells.

3. Psycho-emotional stress and antioxidant system in brain mitochondria

We have studied the influence prolonged isolation and violation of diurnal cycle has on behavioral activity and hormonal status among animals. It has been showed that such conditions result in development of stress. In this state, changes are evident in the activity of rat brain creatine kinase isoforms: activity of both isoforms of the enzyme decreases. We have established kinetic parameters

(V_{max} , K_m) of the brain enzyme and nature of their modification. It has been suggested that prolonged isolation and violation of natural diurnal cycle among animals may result in lower CK-BB activity caused by structural changes in the enzyme and quantitative decrease in ATP and creatine substrates. Lowered enzyme activity is accompanied by accumulation of Ca²⁺ ions in the cell. This may be considered the reason for decreased activity of plasma membrane and mitochondrial Ca-ATPase. Prolonged isolation and violation of diurnal cycle has been also accompanied a worsened functional state of mitochondrial transitional permeability pore (MPTP). Such deterioration suggests presence of intensified apoptotic process in cells and may lead to various neurodegenerative pathologies.

VI დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ცირკადული რიტმის დარღვევითა და იზოლირებით გამოწვეული სტრესის პირობებში თავის ტვინში მიმდინარე მეტაბოლური ცვლილებები	პროფ. ნანა კოშორიძე	ქეთევან მენაბდე გიორგი ბურჯანაძე ნატალია დანანიძე მატრონა ჩაჩუა მანანა ჭიპაშვილი

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მეტაბოლური პროცესების შესწავლა, რომელიც ვითარდება ორგანიზმის მოხვედრით იმ სტრესულ პირობებში, რომელიც მიახლოებულია საზოგადოებაში არსებულ სტრესულ პირობებთან (იზოლირება და დღე-ღამური რიტმის დარღვევა) და წარმოადგენს უჯრედის ენერგეტიკული დონის ცვლილების საფუძველს, რაც აისახება პათოლოგიების ფორმირებაში; და მათი პრევენციის გზების ძიება. მიზნის მისაღწევად განიხილება მთელი რიგი ფერმენტული სისტემების აქტივობის ცვლილებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ცოცხალი უჯრედის ენერგიით უზრუნველყოფაში და რომელთა აქტივობის შემცირება წარმოადგენს მთელი რიგი ნეიროდეგენერაციული დაავადებების მიზეზს. ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენს მიერ ნანახი იქნა:

1. იზოლირებითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის პირობებში ვირთავას თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა უბნებისა (შუბლის, საფეთქლის, კეფის, თხემის წილები) და ჰიპოკამპის Cr/CK/PCr სისტემის აქტივობა (Cr/CK/PCr სისტემის აქტივობის ცვლილების დინამიკა; კრეატინის რაოდენობის ცვლილებები; CK-ს კინეტიკური პარამეტრების ცვლილებები). მიღებული მონაცემები იძლევა საშუალებას, გაირკვეს სტრესის პირობებში Cr/CK/PCr სისტემის ფუნქციონირება.
2. ვირთავას თავის ტვინის ქერქის და ჰიპოკამპის სუქცინატდეჰიდროგენაზული და ალდოლაზური აქტივობის ცვლილების დინამიკა დღე-ღამური რიტმის დარღვევითა და იზოლირებით გამოწვეული სტრესის პირობებში.
4. თავის ტვინის ქერქისა და ჰიპოკამპის მიტოქონდრიების მემბრანაში არსებული მეგააერის ანუ ე.წ. “გარდამავალი განვლადობის ფორის” მნიშვნელობა სტრესის პირობებში ვირთავას თავის ტვინის უჯრედებში მიმდინარე ბიოქიმიური ცვლილებებისათვის.
5. არაფერმენტულ და ფერმენტულ ზეჟანგურ ჟანგვით (თავისუფალ რადიკალური ჟანგვა) პროცესების და ანტიოქსიდანტური სტატუსის შესწავლა.

მორფოლოგიის მიმართულება, ბიოფიქტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. პროფ. დიანა ძიძიგური

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა. პროფ. დიანა ძიძიგური, ასოც.პროფ. პავლე ჭელიძი, ასისტ. პროფ. ირინე მოდებაძე, ასისტ. პროფ. ეკატერინე ბაკურაძე, პედაგოგი ელენე თავდიშვილი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი ნანა გიორგობიანი, ლაბორანტები: ლევან რუსიშვილი, თინათინ კვინტრაძე, ნინო ბედინეიშვილი და ინსტიტუტის თანამშრომლები.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4	I. Modbadze , M. Rukhadze, E. Bakuradze, D. Dzidziguri.	Pancreatic Cell Proteome Qualitative Characterization And Function. Georgian Medical News,	2013; 7-8(220-221):.	თბილისი, საქართველოს სამედიცინო სიახლენი	71-77

ანოტაცია
ზრდასრული თეთრი ვირთაგვას კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებიდან გამოყოფილი და ნაწილობრივ დახასიათებულია ცილების მაკრომოლეკულური კომპლექსი.

აღნიშნული კომპლექსის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებელი არის მასში შემავალი ცილების თერმოსტაბილურობა. პოლიაკრილამიდის გელში ელექტროფორეზის და ჰიდროფობური ურთიერთქმედების ქრომატოგრაფიის მეთოდებით დადგენილი იქნა, რომ კომპლექსის შედარებით მაღალმოლეკულური კომპონენტები (45-60კდ) ჰიდროფობური ბუნების ცილებია, მაშინ როცა დაბალმოლეკულური კომპონენტები (11-12კდ) სვეტზე შეკავების დროის მიხედვით ჰიდროფილურ ნაერთებს განეკუთვნებიან. დადგინდა თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის ჰომოტიპური უჯრედების ზრდის რეგულაციაში მონაწილეობა. ნაჩვენებია, რომ პანკრეასის თერმოსტაბილური ცილების კომპლექსი ტრანსკრიპციის ინჰიბირების გზით მზარდი ქსოვილის უჯრედების მიტოზური აქტიურობის დათრგუნვას განაპირობებს. ნაჩვენებია ასევე, აღნიშნული კომპლექსის ჩართულობა პანკრეასის რეპარაციულ რეგენერაციაში. მაკრომოლეკულური კომპლექსის ჩვენს მიერ აღწერილი თვისობრივი მახასიათებლების და უჯრედების ზრდის მარეგულირებელი ფუნქციის საფუძველზე, ის შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც პანკრეასის უჯრედული პროტეომა.

2) უცხოეთში

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	P.Tchelidze, L.Lucas, H.Bobichon, N.Lalun, C.Terryn, D.Ploton	23rd Wilhelm Bernhard Workshop on the Cell Nucleus EMBO 19 - 24 August 2013	Debrecen, Hungary	p. 121
2	D.Ploton, F.Nolin, L.Wortham, P.Tchelidze, N.Lalun, H.Bobichon, J.Michel	23rd Wilhelm Bernhard Workshop on the Cell Nucleus EMBO 19 - 24 August 2013	Debrecen, Hungary	p. 72

ანოტაციები

“ Nucleolus in motion: Contraction of Intra- and Perinucleolar Condensed Chromatin Induces Relocalization of FC/DFC Assembly during the Selective Inhibition of rRNA Synthesis”

To combine 4D dynamics of FC together with juxtaposed DFC (FC/DFC assembly) and *Nucleolus Associated Chromatin* (NAC) we studied the redistribution of UBF and fibrillarin under the selective block of RNA polymerase I. For this we used KB cells transiently tagged with GFP/YFP/DSred-UBF and GFP/CFP-fibrillarin and treated by low dose (0.05µg/ml) of Actinomycine D (AmD) during 8 hours. We found that the treatment with AmD leads to the gradual coalescence and fusion of individual FCs on one side and DFCs on another side followed by their displacement to the nucleolar periphery to form caps. The reorganization of NAC induced by AmD treatment was studied by 4D confocal microscopy in chosen HeLa cells stably expressing H2B-GFP. At different time points (for example 1h) the same cells were fixed, immunolabeled for UBF, imaged for simultaneous localization of chromatin and UBF and finally processed for EM. By using a precise positioning and orientation system, we were able to find exactly the same cells and image them by TEM. By merging images of corresponding areas identified on EM and fluorescent images we identified the intra-nucleolar H2B-GFP label to the

filamentous meshwork of *Intra-nucleolar Condensed Chromatin* (ICC) that links FCs to *Peri-nucleolar Condensed Chromatin* (PCC) shell. In the course of treatment we observed the gradual condensation of filamentous structure of ICC into coarse clumps and their shift from nucleolar interior towards the PCC. We conclude that fusion events are largely involved into the mechanisms of nucleolar segregation and capping. Presumably concerted condensation of NAC constituents induces forces that pull FC/DFC assemblies to the PCC shell.

“ Changes to Cellular Water and Ion Content by Nuclear stress: Investigation by a Cryo-correlative Nano Imagin Approach”

The objective of our study was to quantify both water and ions concentration in the main nuclear domain at nanoscale within control and stressed cells. For this we developed a new correlative light and microscopy (CLEM) imaging approach combining observation on the same cryo-ultrathin section first by fluorescence microscopy (localization of GFP in HeLa cell line expressing H2B-GFP) and then by cryo-STEM. As fluorescence and STEM images were perfectly registered, nucleolar compartments containing chromatin (identified by fluorescence) were clearly localized on STEM images. This new correlative approach allowed us to perform a targeted simultaneous quantification of water and of elements. All obtained data were used for each cellular compartment to create an “element descriptor” which gives a completely new image of elementary composition integrating water concentration.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	D. Dzidziguri*, M. Rukhadze, I. Modebadze, N. Giorgobiani, L. Rusishvili, G. Mosidze, E. Tavdishvili, E. Bakuradze..	“The Comparative Study of Thermostable Protein Macromolecular Complexes (Cell Proteomics) From Different Organisms” Journal of Clinical & Experimental Hepatology 2013,3(1):S121	3rd International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials Tbilisi, Georgia 1-4 September, 2013

Achievements in proteomics have significantly expanded our imaginations not only about of specific proteins involved in biological processes, but about their function as macromolecular complexes. The role of polyfunctional macromolecular protein complexes in the biosynthesis of fatty acids, erythrocyte membrane proteins macromolecular complexes that are involved in exchange of CO₂/O₂ was found (1,2). No less important is the comparative study of cell proteomics of various organisms (3). From various organs of white rats we have identified thermostabile tissue-specific protein complex that regulates cell proliferation and is not characterized by species specificity (4).

The Goal. Extraction and comparative characterization of thermostable protein complexes from phylogenetic distance organisms.

Material and Methods. The thermostabile protein complexes obtained by alcohol extraction from normal and tranformed cells of various organisms (bacteria, snail, lizard, newts, frogs, etc, also human postsurgical material and cell culture) were used for research. For comparative analysis hydrophobic interation chromatography and gel electrophoresis assay were used (4).

Results and discussion. We have determined that different cells of phylogenetic distance organisms contain protein complexes with hydrophilic and hydrophobic parts (molecular weight from 12 to 45kD) and with similar electrophoretic movement. Low molecular weight component (Hydrophilic) of the complex is revealed with relatively minor amount in transformed cells and was not observed at all in human renal cancer cells. The determination of the identity of mentioned components by the Mass Spectrometry is the aim of our future research.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3 4 5	Salome Kiparoidze, Ekaterine Bakuradze, Irina Modebadze, Tamar Sanikidze, Diana Dzidziguri	1. Comparative study of liver functional characteristics in combined pathologies by the method of electron paramagnetic resonance	21th Annual Conference of Indian National Association for Study of the Liver [INASL] 2013, 22 – 24 March Hyderabad, Andhra Pradesh, INDIA

In the cholestatic liver (the first four days) the nitrosyl complexes (HbNO) of mitochondrial heme-containing proteins were detected; free radicals EPR-signal intensity increased and its line widths reduced. This data indicate on the disorder of the hepatocytes mitochondrial electron transport chain on the NADH-ubiquinone-oxidoreductase segment. This is accompanied by development of hypoxia, decreasing of energogenesis (Mo5+ EPR signal was increased), enhanced formation of reactive oxygen species and disruption of membrane structure (Mn²⁺-containing complexes was increased). In the hormone imbalance conditions (bilateral adrenalectomy) mitochondrial electron transport chain's free radical signal intensity was decreased which indicates impairment activity of the mitochondrial respiratory chain. After blocking the common bile duct in adrenalectomic rats, EPR- spectral changed in cholestatic liver are expressed more sharply. Results indicate that the degree of organ destruction in combined pathologies (bilateral adrenalectomy and cholestasis) is stronger.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3 4 5	Modebadze I., Gurushidze M., Bakuradze E., Dzidziguri D.	1. Comparative study of hepatocyte transcriptional activity at early stage of reparative growth. " Hepatology International June 2013, Volume 7, Issue 1 Supplement, pp 563	APASL Liver Week 2013

We established that liver regeneration is realised by general schema in phylogenetically distant animals. Analysis of transcriptional activity curves shows that RNA synthesis reaches peak after 6 hours of liver resection (30%) in rats, guinea pigs, and frogs. Relatively weak expression of transcriptional activity is observed between 2nd and 5th hours after the resection in juvenile rats, pigeons, newts and trout's liver. In comparison of animals mentioned above, early response genes activity is delayed in 3 hours in snails and in

rats which were undergo repeated resection of liver.

Based on our results we can conclude that on early stage of reparative growth features of transcriptional activity is due to: 1. different pattern of life and 2. functional state of organ.

VI დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ზრდასრული ვირთაგვას კუჭქვეშა ჯირკვლის რეგენერაციაზე პანკრეასის ენდოგენური ცილოვანი კომპლექსის ზემოქმედების შესწავლა	პროფ. დიანა ძიძიგური	ირინა მოდებაძე, ნათია ლიპარტია, ნანი გიორგობიანი, მარინა რუხაძე, დიანა ძიძიგური
დასრულებული კვლევის სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>შესწავლილი იქნა პანკრეასის პარენქიმული უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის ცვლილება კუჭქვეშა ჯირკვლის რეზექციიდან შვიდი დღის განმავლობაში. დადგინდა, რომ რეზექციის საპასუხოდ ორგანოს დარჩენილ ქსოვილში პირველი მიტოზები ოპერაციიდან 24 საათის შემდეგ აღმოცენდება. მიტოზური ინდექსის მაჩვენებელი ორჯერ აღწევს პიკს რეზექციიდან მე-3 და მე-7 დღეს. რეზექცირებული ქსოვილის მიტოზური ინდექსის მაქსიმალური მაჩვენებელი ოპერაციიდან მე-3 დღეს აღინიშნება. აქედან გამომდინარე, პანკრეასის რეგენერაციაში ენდოგენური ცილოვანი კომპლექსის მონაწილეობის დასადგენად, სწორედ აღნიშნულ ვადაზე (ოპერაციიდან მე-3 დღეს) მოვახდინეთ ინტრაპერიტონიალურად მისი ინექცია. ინექციიდან 3 საათის შემდეგ და ორგანოს დარჩენილ ნაწილში შევაფასეთ კონტროლთან შედარებით მიტოზური ინდექსის ცვლილება. დადგინდა, რომ პანკრეასის თვკ დამთრგუნველად მოქმედებს რეგენერირებადი ქსოვილის უჯრედების მიტოზურ აქტიურობაზე. მიტოზური ინდექსი დაახლოებით 50%-ით ქვეითდება პანკრეასის თვკ-ს ინექციის შემდეგ. შესწავლილია ასევე, თეთრი ზრდასრული ვირთაგვას პანკრეასის ენდოგენური თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის (თვკ) ზემოქმედება ზრდასრული ვირთაგვას რეგენერირებადი პანკრეასის და ინ ვიტრო სისტემებში ტრანსფორმირებული ლიმფოციტების (B ქლლ) პროლიფერაციულ აქტიურობაზე.</p> <p>დადგენილია, რომ თეთრი ზრდასრული ვირთაგვას პანკრეასის თერმოსტაბილურ ცილოვან კომპლექსს ჰომოტიპურ ქსოვილში აღდგენითი პროცესების ინჰიბირების უნარი გააჩნია. ვირთაგვას თვკ-ს ქსოვილოვანი სპეციფიკურობა არ ვლინდება in vitro სიმსივნურ უჯრედებთან მიმართებაში.</p>		
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ელექტრონულ-პარამაგნიტური მეთოდით ღვიძლის ფუნქციური მახასიათებლების შედარებითი შესწავლა თანმხვედრი პათოლოგიის პირობებში	პროფ. დიანა ძიძიგური	სალომე კიპაროიძე, თამარ სანიკიძე, ირინა მოდებაძე, დიანა ძიძიგური

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქოლესტაზურ ღვიძლში (პირველი ოთხი დღის განმავლობაში) იზრდება თავისუფალი რადიკალების ეპრ-სიგნალის ინტენსიურობა და მცირდება ნახევარგანი. მატულობს Mn²⁺-ის შემცველი კომპლექსების და ნიტროზილური ჰემოგლობინის (HbNO) ეპრ-სიგნალების ინტენსიურობა და სხვა. საპირისპირო შედეგები გამოვლინდა ჰორმონული დისბალანსის პირობებში (ორმხრივი ადრენალექტომია). აღნიშნული პარამეტრები სარწმუნოდ მცირდება საკონტროლო ცხოველების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. ადრენალექტომირებული ვირთაგვების ღვიძლში ნადვლის საერთო სადინარის გადაკეტვის შემდეგ კვლავ სარწმუნოდ იზრდება ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ თანმხვედრი პათოლოგიის პირობებში (ორმხრივი ადრენალექტომია და ქოლესტაზი) ვლინდება ქოლესტაზური ღვიძლისთვის დამახასიათებელი ეპრ-სპექტრების ცვლილებები, რაც ორგანოს უფრო ძლიერ დესტრუქციის ხარისხზე მიუთითებს და გამოიხატება შემდეგში: იზრდება თავისუფალი რადიკალების რაოდენობა და დარღვევები მიტოქონდრიონების ელექტრონულ სატრანსპორტო ჯაჭვში; ხდება ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესების ინტენსიფიკაცია, ჰეპატოციტების მემბრანების მთლიანობის დარღვევა და ჰიპოქსიის ხარისხის მატება.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3.	<p>ბირთვაკშიდა ქრომატინის 4D დინამიკის შესწავლა სიმსივნური უჯრედებში რიბოსომული გენების ინჰიბირებისას სხვადასხვა ანტისიმსივნური პრეპარატების ზეგავლენის პირობებში</p>	<p>ასოცირებული პროფესორი პ. ჭელიძე საფრანგეთის მხრიდან პროფესორი დ. პლოტონი (MEDyC) (UMR CNRS / URCA n°6237)</p>	<p>საქართველოს მხრიდან: 1. ასოცირებული პროფესორი პ. ჭელიძე 2. ლაბორანტი ლ. რუსიშვილი (საქართველო) 3. საფრანგეთის მხრიდან: ქრემისის (საფრანგეთი, შამპან-არდენის რეგიონი) უნივერსიტეტის ლაბორატორიის თანამშრომლები</p>
დასრულებული კვლევითი ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია ფიბრილარული ცენტრების (FC), მკვრივი ფიბრილარული კომპონენტის (DFC), FC/DFC კომპლექსის და ბირთვაკთან ასოცირებული ქრომატინის 4 D დინამიკა. ამ მიზნით გამოყენებული იყო HeLa კულტივირებული უჯრედები მონიშნული შემდეგ მარკერულ ცილებზე: (1) ფიბრილარინი, (2) UBF და (3) ჰისტონ H2B. ჩვენ ვაკვირდებოდით ამ ცილების გადანაწილებას ბირთვის მოცულობაში პოლიმერაზა I შერჩევითი ბლოკირების პირობებში, რაც იყო გამოცვეული აქტინომიცინი D – ს მცირე დოზებით (0.05 მკგ/მლ) 8 საათის განმავლობაში. ბირთვაკთან ასოცირებული ქრომატინის რეორგანიზაციას ვაფასებდით კორელაციური სინათლის და ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდების გამოყენებით. დადგინდა რომ FC და DFC დინამიკა განპირობებულია ბირთვაკშიდა ქრომატინის კონდენსაციით.</p>			

გენეტიკის კათედრა და გენეტიკის ლაბორატორია

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – თეიმურაზ ლეჟავა, ბიოლ.მეცნ.დოქტორი, სრული პროფესორი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ლეჟავა თეიმურაზი - გენეტიკის კათედრის გამგე, სრული პროფესორი, ბიოლ.მეც.დოქტ.
2. ჯოხაძე თინათინ – გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ბიოლ. მეცნ. დოქტ.
3. გაიოზიშვილი მიაი – ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მაგისტრი, დოქტორანტი
4. ბარათაშვილი ნიკოლოზი – გენეტიკის სასწავლო ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის დოქტორი
5. ბუაძე თამარ – გენეტიკის კათედრის ლაბორანტი, ბიოლოგიის დოქტორი
6. მენაბდე მარინე – გენეტიკის კათედრის ლაბორანტი, ბიოლოგიის დოქტორი
7. რეხვიასშვილი ხათუნა – გენეტიკის კათედრის ლაბორანტი – დოქტორანტი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გენომის კორექცია ნანოპეპტიდებით და მეტალის იონების როგორც კიპერტროფული კარდიომიოპათიის პრევენციისა და მისი განვითარების შეფერხებისათვის	კრაინის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანადაფინანსებით	თამარ ბუაძე – ბიოლოგიის დოქტორი	1. თ.ლეჟავა (მენეჯერი) 2. თ.ბუაძე 3. გაიოზიშვილი 4. მ.როგავა 5. ჯ. მონასელიძე 6. თ.ჯოხაძე

<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>კვლევები მიმდინარეობდა საგრანტო პროექტის ეტაპების შესაბამისად. ჩატარებულია ჰიპერტროფული კარდიომიოპათიით (ჰკმ) დაავადებულთა გენეალოგიური კვლევა, დადგენილია ოჯახური ფორმების სისშირე. შესწავლილია ჰკმ-თი დაავადებულებისა და მათი პირველი რიგის ნათესავების ძირითადი ფუნქციური გენომური მახასიათებლების ცვალებადობა. გამოვლენილია გენომური არასტაბილურობის მაღალი დონე (ქრომოსომული აბერაციების ტესტის მიხედვით) როგორც პაციენტებში, ისე მათ ნათესავებში. ნაჩვენებია ქრომატინის მდგომარეობის ცვალებადობა თერმული ლღვობის მრუდების მიხედვით. შესწავლილია პეპტიდური ბიორეგულატორების ეპიტალონის, ვილონისა და ლიფეგენის მაკორეგირებელი მოქმედება ორივე საკვლევ ჯგუფში. ნალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეპიტალონი და ლიფაგენი ავლენენ გამოსატულ პროტექტორულ მოქმედებას ორივე ჯგუფის ინდივიდებში – აახლოებენ შეცვლილ გენომურ პარამეტრებს ჯანმრთელი ინდივიდების შესაბამის საკონტროლო მაჩვენებლებთან.</p>				
საკვლევი ობიექტების სტრუქტურულ-გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მდ. ძამას აუზის ზედაცარცულ – პალეოცენური ფლიშური სერიის გამოსავლებში შიშვლდება შრეებრიობის ზედაპირების მცირე ფართობები, ამიტომ ნამარხი ნაკვალევები ფრაგმენტულია, ცუდად დაცული და პრაქტიკულად არ ისაზღვრება.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით უფრო საინტერესოა მდ. ძამას ხეობის შუაეოცენური ვულკანოგენ-დანალექი წარმონაქმნები. ამ სერიის ქვედა ნაწილში (ლიკანის წყება), სუბტუტე ბაზალტების შრეებრივ ვულკანოკლასტოლითებში ჩვენს მიერ დადგენილია შემდეგი სახის ნამარხი ნაკვალევები: იზოლირებული სპირალური ფორმა (Spiroraphe) რომელიც მიეკუთვნება Pascichnia – ის ეტოლოგიურ ჯგუფს და სხვადასხვა მიმართულების, გაღუნული და სწორხაზოვანი, ზოგჯერ დატოტვილი, გლუვი ნაკვალევები Repichnia –ის ეტოლოგიური ჯგუფის, რომლებიც ცხოველის ხოხვის კვალს წარმოადგენენ.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით ინფორმატიული აღმოჩნდა სოფელის ლისის მიდამოების ზედაეოცენური ნალექები.

სოფ. ლისის მიდამოებში იქნოფაუნის ადგილსამყოფელი დაკავშირებულია ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილთან. ლისის ანტიკლინის ღერძი მიმართულია განედურად ლისის ტბიდან მთ. დიდიგორამდე. ანტიკლინის სიგრძე არ აღემატება 20 კმ-ს, სიგანე კი ოლიგოცენის საგების კონტურზე აღწევს 4 კმ-ს. ნაოჭის თალი განიერია და დამრეცი. თაღური ნაწილი მთელს მიმართებაზე აგებულია ზედაეოცენური ნალექებით, ფრთებში კი განვითარებულია ოლიგოცენური ნალექები. ნაოჭის ჩრდილო ფრთა დაქანებულია ჩრდილოეთით 70-50°-ით, სამხრეთ ფრთა კი - სამხრეთით 35-40°-ით. ანტიკლინის ასიმეტრიულობა კარგად არის გამოხატული სოფ. თხინვალსა და ბევრეთს შორის. ანტიკლინის ღერძი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თანდათან ზევდება, მთა დიდიგორას ძირში ნაოჭი დამრეცდება ზედაეოცენურ ნალექებში. აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ანტიკლინი სწრაფად იძირება და პერიკლინურად მთავრდება ოლიგოცენურ ნალექებში.

ლისის ანტიკლინის თაღური ნაწილი აგებულია თბილისის ნუმულიტებიანი წყების ქანებით. იგი ძირითადად წარმოდგენილია მერგელების შუაშრეების შემცველი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით.

თბილისის წყების იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ წინასწარი განსაზღვრით დადგინდა შემდეგი გვარების და სახეების წარმომადგენლები:

Planolites N i c h o l s o n, 1873. შრეების საგებებზე ხშირად შეიმჩნევა გლუვზედაპირიანი ბურცობები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეშმდებარე შრის სახურავზე ღარების და მის ზედა ნაწილში არსებული ნაკვალევის შემავსებლებს შემდგომში გამკვრივებული ნალექით.

Chondrites S t e r n b e r g, 1833 (part. Fucoides Brongniart, 1823). მცირე ზომის სოროები, რომლებიც გარეგნულად ჰგავს მცენარის ფესვს, რომლის ფუძიდან რადიალურად გამოდის მრავალი დანაწევრებული განტოტება. ცხოველი, რომელიც აგებდა ასეთ სოროებს, სავარაუდოდ არის ნემატოდი (მრგვალი ჭია). Chondrites გვხვდება ზღვიურ ნალექებში და განსაკუთრებით დამახასიათებელია ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში წარმოქმნილი ნალექებისთვის.

Rhizocorallium Z e n k e r, 1836. ჰორიზონტალურად ან ირიბად ორიენტირებული U –სებური ნაკვალევები პარალელური გრძელი გვერდებით და თანდათან ზრდადი წვერით. სოროს დაგრძელებისას წინამორბედი წვეროს რკალები ჩვეულებრივ ივსებოდა და იქმნებოდა კარგად გამოხატული „ზღუდარი“ სოროს გრძელ გვერდებს შორის. ნალექისგან თავისუფალი რჩებოდა მხოლოდ მომცველი, U–სებური ხვრელი, რომელშიც ბინადრობდა ცხოველი.

Zoophycos M a s s a l o n g o, 1855. ძლიერ რკალისებური, საკმაოდ მრავალფეროვანი იერის

	<p>ხვრელები „ზღუდართ“. მათგან ყოველი შემდგომი ხვრელი მჭიდროდ ეკვრის წინას და რამდენადმე კვეთს მას. ამის შედეგად ბოლო ხვრელს აქვს მრგვალი განივკვეთი, ყველა წინა ხვრელს კი – ნამგლისებური. ხვრელები განლაგებულია ხრახნულ („ჰელიკოიდურ“) ზედაპირზე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ენისებური შვერილები. „ხრახნის“ ღერძი სხვადასხვა სიმაღლისაა. ხვრელების დიამეტრი Rhizocorallium-ისაზე ნაკლებია.</p> <p>Paleodictyon cf. strozzii და Paleodictyon cf. minimum. ექვსწახნაგა უჯრედების ბადის ფორმის მქონე ხვრელების კარგად აერირებადი სისტემა, რომელიც ინტერპრეტირდება, როგორც სოკოების და სხვა მიკროორგანიზმების „ფერმა“ სოროს პატრონის გამოსაკვებად.</p> <p>დ. ზეილაჰერის ნამარხი ნაკვალევების ბათიმეტრიული ზონალობის სქემის მიხედვით ლისის იქნოკომპლექსში გვხვდება შელფური Cruziana-ის იქნოფაციისის (Rhizocorallium), ბათიალური Nereites-ის ფაციისის (Paleodictyon), მათ შორის გარდამავალი Zoophycos-ის ფაციისის და დაბალ-ოქსიგენური გარემოს Chondrites-ის ფაციისის (Chondrites) დამახასიათებელი ფორმები. აბისური ზონისათვის დამახასიათებელი სპირალური და მეანდრირებადი ფორმები ამ კომპლექსში არ გვხვდება.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ნამარხი ნაკვალევების არნახული სიუხვისა ზედაეოცენის ზედა ნაწილში, ლისის ანტიკლინის ფრთების ამგებ ოლიგოცენურ ნალექებში ბიოტურბაციების კვალიც კი არ შეიმჩნევა. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ მაიკოპის სერიის ქანების დალექვის დროს აუზის ქვედა ნაწილი გოგირდწყალბადით იყო გაჯერებული, რაც აბსოლუტურად არახელსაყრელი იყო ბენტოსური ორგანიზმების განსახლებისათვის.</p>		
5	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	აჭარა–თრიალეთის ზონის ცენტრალური სეგმენტის მეზო–კაინოზოური ნალექების იქნოლოგიური და სედიმენტოლოგიური ანალიზი	ასისტენტ პროფესორი ზურაბ ლებანიძე	სტუდენტი ოთარ ჯაფარიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით აჭარა–თრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალურ სეგმენტში უკანასკნელ დრომდე საინტერესო იყო მხოლოდ შუაეოცენური ვულკანოგენ-დანალექი სერია. თუმცა 2013 წლის სავლე სამუშაოების (მონაწილეობდნენ თ. ბერიძე, კ. ქოიავა, რ. ჩაგელიშვილი, ს. ხუციშვილი) შედეგად „ბორჯომის ფლიშის“ ქვედა (პალეოცენურ) ნაწილში გამოვლენილ იქნა ორი სახის ბიოტურბაცია. მათგან დღეისათვის მოხერხდა ერთის განსაზღვრა: ეს არის გვარის Chondrites წარმომადგენელი.</p> <p>Chondrites S t e r n b e r g, 1833 (part. Fucoides Brongniart, 1823). გვარის ტიპი – Fucoides targionii Brongniart, 1828; ეოცენი, იტალია. ე. წ. ქონდრიტები ან ფუკოიდები. ძლიერ და წესიერად დატოტვილი, არაგადამკვეთი ნაკვალევი-ხვრელები ფხვიერ ნალექში, რომლებიც გამოდიან ვერტიკალური ან ირიბი ღერძიდან. ღერძი გამოდიოდა ზღვის ფსკერის ზედაპირზე, ხოლო ხვრელები თავისი განტოტებებით განლაგებული იყო ნალექის სიზრქეში შრეებრიობის ზედაპირების მეტ-ნაკლებად პარალელურად. ხვრელების დიამეტრი მუდმივია, ძალიან წვრილიდან შედარებით მსხვილამდე. ფართოდ არიან განვითარებული სხვადასხვა, უპირატესად მერგელოვან ქანებში, ქვედაპალეოზოურიდან მესამეულამდე. ცხოველი, რომელიც აგებდა ასეთ სოროებს, სავარაუდოდ არის ნემატოდი (მრგვალი ჭია).</p> <p>Chondrites გვხვდება ზღვიურ ნალექებში და განსაკუთრებით დამახასიათებელია ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში წარმოქმნილი ნალექებისთვის.</p>			

რაც შეეხება ბიოტურბაციის მეორე სახეს, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მისი განსაზღვრა. ერთი შეხედვით ისინი ჰგავს გვიმრანაირების მეორე რიგის ფოთოლაკებს, მაგრამ ღერო არც ერთ ნიმუშზე არ სჩანს. შესაძლოა ეს იყოს Polykampton-ის ან Phymatoderma-ის ნაკვალევები, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა დამატებით შესწავლას მოითხოვს.

პალეოიქნოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო ინფორმატიულია შუაეოცენური ნალექები. ნამარხი ნაკვალევები დაკავშირებულია ლიკანის წყების სხვადასხვა დონეებთან და გამოვლენილია მდ. მტკვრის (ახალდაბა, ლარები) და მდ. ბორჯომულას ჭრილებში.

შუაეოცენურ იქნოკომპლექსში ჩვენს მიერ დადგენილია რთული, სპირალური და მეანდრირებადი და მათი კომბინაციებით მიღებული ფორმის ნაკვალევების მქონე ბიოტურბაციის შემდეგი სახეები: Helminthoidea, Spiroraphe, Cosmoraphe, Taphrhelminthopsis, Spirophycus. უკანასკნელი ორი ფორმა დამახასიათებელია ესპანეთის ეოცენურისათვის. ნამარხი ნაკვალევების ასეთი რთული ტრაექტორიები დაკავშირებულია ფაციესებთან, რომლებიც შეესაბამებიან ბიოტოპებს სტაბილური გარემოთი და შეზღუდული საკვები რესურსებით (ღრმა ზღვის ფსკერი). სტიმული, რომელიც აიძულებს შლამისმჭამელებს გამოიყენონ რთული ქცევითი პროგრამები, არის ცხოველის სწრაფვა მაქსიმალურად სრულად და ოპტიმალურად მოიცვას ნალექი და არ გადაკვეთოს საკუთარი ნაკვალევი.

ამრიგად, ბორჯომის რაიონის პალეოცენ-ქვედაეოცენური აუზისათვის დამახასიათებელია სედიმენტაციის დაბალ-ოქსიგენური გარემო (Chondrites-ის იქნოფაციისი). შუაეოცენში აღნიშნული ტერიტორია, როგორც იქნოლოგიური მონაცემებით ირკვევა, ღრმა ზღვის ფსკერს წარმოადგენდა. ეს ეთანხმება მოსაზრებას, რომ შუაეოცენში ადგილი ჰქონდა აჭარა-თრიალეთის რიფტის მაქსიმალურ გაჭიმვას (Адамия и др., 1974, 1977).

ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

I. 2. ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ კეკელიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. ნოდარ კეკელიძე. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი–ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
2. მარიამ ელიზბარაშვილი. პროფესორი–ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
3. გივი ცინცაძე. აკადემიკოსი, პროფესორი–ქიმიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
4. თეიმურაზ ჯახუტაშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–დირექტორის მოადგილე, ნივთიერებათა ფიზიკური თვისებების კვლევის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
5. დავით კეკელიძე. მეცნიერებათა დოქტორი–ატომურ-აბსორციული სპექტრომეტრიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
6. ერემია თულაშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
7. ბელა კვიციანიანი–ატომური აბსორბციის განყ. გამგე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
8. კახაბერ ბილაშვილი. პროფესორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
9. მაია ცინცაძე. პროფესორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
10. თამარ ცინცაძე. პროფესორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
11. გია ქაჯაია. პროფესორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
12. ლალი ახალბედაშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
13. ზაურ კვინიკაძე. მეცნიერებათა დოქტორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
14. ელზა ხუციშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
15. ზაურ ბერიშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
16. მარინა ალაპიშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
17. იზოლდა დავითულიანი. მეცნიერებათა დოქტორი–უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
18. ზაზა ტყეშელაშვილი. მეცნიერებათა დოქტორი–უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
19. დავით სუმბაძე- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
20. ანზორ ვეფხვაძე–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
21. ზინაიდა დავითაია–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
22. გულსუნდა ცოტაძე–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
23. ლელა მწარიაშვილი–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
24. მანანა ჩხაიძე–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
25. ალბერტ წერელოვი–უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
26. ირინა ამბოკაძე–მეცნიერ-თანამშრომელი
27. ნანა მაჭარაძე–მეცნიერ-თანამშრომელი
28. ნანა ხისაძე–მეცნიერ-თანამშრომელი
29. თამარ ქემაშვილი–ტექნიკური მუშაკი
30. ზურაბ ჩუბინიშვილი–ტექნიკური მუშაკი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რადონის ფონი სასმელ და ზედაპირულ წყლებში საქართველოს დედაქალაქის – თბილისის არეალში	უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ე. თულაშვილი	თ. ჯახუტაშვილი, ზ. ბერიშვილი, მ. ჩხაიძე, ლ. მწარიაშვილი, ნ. კეკელიძე
2	დამაბინძურებელი ნივთიერებების განსაზღვრა გარემოს ობიექტებში	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. კეკელიძე	დ. კეკელიძე, გ. ცოტაძე, ბ. კვიციანი
3	Modeling of Extreme Temperature and Precipitation over Georgia for the Sustainable development of the Country	Fulbright Grant, Bureau of Education and Cultural Affairs, United States department of State	მ. ელიზბარაშვილი	
4	Extreme Weather and Climate Events in the Southern Caucasus – Black Sea Region	აბდუს სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ICTP	მ. ელიზბარაშვილი ნ. მესხიძე	

დასრულებული პროექტის (ეგაპის) შედეგები (ანოტაცია)

I

- შესრულებულია პროექტის ამოცანის 1 - ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონში - ძველი თბილისის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანის-ნაძალადევის, დიდგორის – სასმელ (წყალსადენის) წყალში რადონის შემცველობის წლიური განაწილების დადგენა გათვალისწინებული სამუშაოები:
 - საინფორმაციო მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა სასმელი (წყალსადენის) წყლის ნიმუშების ქ. თბილისის და ახლომდებარე დასახლებულ ქალაქებში საკონტროლო პუნქტების საბაზო ჩამონათვალი (სულ 61 საკონტროლო პუნქტი);
 - 2013 წლის იანვარ-სექტემბერში ჩატარდა წყლის ნიმუშების აღების ექსპედიციები სულ 78 საკონტროლო პუნქტში და აღებული იქნა 733 კვლევითი და ტესტური ნიმუში;
 - ჩატარდა ყველა აღებული ნიმუშის კვლევა და განისაზღვრა მათში რადონის აქტივობის კონცენტრაციების მნიშვნელობები; გაფორმებულია შესაბამისი

ოქმები;

- დადგინდა, რომ ძირითადად რადონის კონცენტრაციის მიღებული მნიშვნელობები იმყოფებოდა დაბალ - (0.3 – 1.0 Bq/L) და ტიპიურ (1.0 – 3.0 Bq/L) ჯგუფში, მაგრამ გარკვეული რაოდენობის (დაახლოებით 4%) საკონტროლო პუნქტში აღებული ნიმუშები იმყოფებოდა მაღალ (3.0 – 10.0 Bq/L) ჯგუფში;
 - შესრულებულია მიღებული შედეგების ანალიზი და ჩამოყალიბებულია ზოგიერთი მოსაზრება დამზერილი თავისებურებების შესახებ (კერძოდ, რადონის აქტიურობის ცვლილების ფართო დიაპაზონის შესახებ).
2. შესრულებულია პროექტის ამოცანის 2 - ქ. თბილისის გეოგრაფიულ არეალში წყაროებისა და სხვა ზედაპირულ წყლებში რადონის შემცველობის წლიური განაწილების დადგენა - გათვალისწინებული სამუშაოები:
- საინფორმაციო მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა ზედაპირული წყლების ნიმუშების ქ. თბილისის გეოგრაფიულ არეალში (თბილისის და ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე) საკონტროლო პუნქტების საბაზო ჩამონათვალი (სულ 29 საკონტროლო პუნქტი);
 - ზედაპირული წყლების (წყაროს, არტეზიული, მდინარის და ა. შ.) კვლევის ფარგლებში თბილისის და ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე სულ 36 საკონტროლო პუნქტში (18 - თბილისის და 18 - ქართლის არტეზიულ აუზში) აღებულია 333 კვლევიტი და ტესტური ნიმუში (208 - თბილისის, 125 - ქართლის არტეზიულ აუზში).
 - ჩატარებულია ყველა აღებული ნიმუშების კვლევები და მათში განსაზღვრულია აქტიურობის კონცენტრაცია, მიღებული პირველი შედეგებით გაფორმდა გაზომვის ოქმები;
 - დადგენილია, რომ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე ყველა ტიპის წყლისათვის მონაცემები არის ზღვრებში - ერთეული და ნაკლები Bq/L-დან 100 და მეტი Bq/L-მდე; ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე წყლის ყველა ტიპისათვის მონაცემები არის ზღვრებში - ერთეული Bq/L-დან 16 Bq/L-მდე;
 - ჩატარდა მიღებული შედეგების წინასწარი ანალიზი.
3. შესრულებულია პროექტის ამოცანის 3 - ქ. თბილისის გეოგრაფიულ არეალში თბილისის და ქართლის არტეზიული აუზების ტერიტორიაზე ნიადაგურ აირში რადონის შემცველობის წლიური განაწილების დადგენა - გათვალისწინებული სამუშაოები.
- 2013 წლის აპრილ-სექტემბერში 4 საკონტროლო პუნქტში ჩატარდა ნიადაგურ აირში რადონის შემცველობის 8 გაზომვა;
 - ნაჩვენებია, რომ გამოკვლეულ საკონტროლო პუნქტების ტერიტორიაზე ნიადაგურ აირში რადონის შემცველობის მნიშვნელობები არის დიაპაზონში ათასი Bq/m³-დან ათეულ ათას Bq/m³-მდე.

II

საგრანტო პროექტში მონაწილეობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ქ.თბილისის #133 საჯარო სკოლა. პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს, პირველად საქართველოში, მიეცათ საშუალება ჩართულიყვნენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, გაცნობოდნენ თანამედროვე კვლევის მეთოდებს და მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში აპრობირებული უახლესი აპარატურის გამოყენებით, ჩატარებინათ სამეცნიერო კვლევები, გამოემუშავებინათ მკვლევარის უნარები. ამან ხელი შეუწყო სწავლებისა და კვლევების დაახლოებას, მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას საბუნებისმეტყველო და ინტერდისციპლინარული მეცნიერებებისადმი.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა აღნიშნული პროექტით სკოლის დირექციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაინტერესებამ. დაგეგმილ „თანამედროვეობის ეკოლოგიურ პრობლემებზე საგანმანათლებლო-პოპულარულ ლექციას“ და პროექტის პრეზენტაციას, პროექტში მონაწილე 10 მოსწავლის ნაცვლად, საკუთარი ინიციატივით დაესწრო 85-მდე მოსწავლე. ლექციას დაესწრნენ #133 სკოლის მასწავლებლები და პროექტის თანახელმძღვანელი, რომელიც, აგრეთვე, იყო თანამომხსენებელი. პროექტის პრეზენტაცია ჩატარდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის #307 საკონფერენციო აუდიტორიაში.

2013წ. 3 თებერვალს ჩატარდა სავლე ექსპედიცია (მდინარე მტკვრის წყლის და ნიადაგის სინჯის აღება წინასწარ შერჩეულ საკონტროლო პუნქტებზე). სავლე-სასწავლო ექსპედიციისას მოსწავლეებმა ჩაატარეს მდინარის წყლის და ნიადაგის სინჯების აღება, ადგილზე დამუშავება და ტრანსპორტირება.

ნიადაგისა და წყლის სინჯების შემდგომი ლაბორატორიული დამუშავება შესრულდა უნივერსიტეტის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. მოსწავლეთა დიდი ინტერესის გათვალისწინებით მონაწილეთა რაოდენობა არ იყო შეზღუდული, დასწრება თავისუფალი იყო და კვლევებში ჩაერთვნენ არა მარტო მეათე-მეთერთმეტე, არამედ სხვა კლასებიც. გამოყენებული იყო სინჯის დასამლევი ხელსაწყო Speedwave™ MWS-3+ (BERGHOF, Germany).

მოსწავლეებმა მიიღეს უშუალო მონაწილეობა საკალიბრო ხსნარების მომზადებაში ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრზე AAnalyst 800 (PerkinElmer Inc., USA) მძიმე მეტალების კონცენტრაციების გასაზომად. შესრულდა პროექტით დაგეგმილი განსასაზღვრავი მეტალების საკალიბრო ხსნარების (Co, Cu, Zn, Pb, Mn) მომზადება შესაბამისი საფეხურების მიხედვით, სამუშაო ხსნარების მომზადება, საკალიბრო ხსნარების მომზადება თითოეულ გასაზომ მეტალზე. მიღებულია შედეგები.

საგრანტო პროექტის ბიუჯეტით მოხდა სკოლის ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვა, სკოლის ინფრასტრუქტურისთვის შემენილი იქნა თანამედროვე აპარატურა: პროექტორი, Notebook, ფოტოაპარატი და სხვა.



III

Modeling of Extreme Temperature and Precipitation over Georgia for the Sustainable development of the Country

In this study we used the regional climate model – RegCM-4 to study the spatial and temporal distribution of extreme precipitation and temperature events over the Georgian territory. For model simulations the minimum allowable horizontal resolution of 20 km with 4km sub-gridding was used. A number of model runs have been carried out using different reanalysis data - ERAinterim and ERA40. As a result of this study maximum temperature and precipitation

distribution maps were created over the domain. The relationship between climate change and the intensity of extreme precipitation and temperature events are discussed.

IV

Extreme Weather and Climate Events in the Southern Caucasus – Black Sea Region

The aim of this proposal was to organize an international conference dedicated to the effects of climate change and unsustainable development in the Southern Caucasus - Black Sea region. Extreme events in small mountainous countries can have high societal impact including health risks, water scarcity, and the country's food security. Therefore, forecasting and prevention of disasters and extreme events is profoundly important for the regional stability and well-being of populations. In Southern Caucasus there are very limited studies for development of a future climate scenario, a plausible, self-consistent measure of action for explicit use when addressing the potential challenges of environmental security.

The conference facilitated interactive discussion and initiated new activities between international research community and local scientists, identified and documented the extent of extreme weather and climate events and related environmental issues, and defined the research priorities and proposed potential solutions to problems.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელიზბარაშვილი ე., ტატიშვილი მ., ელიზბარაშვილი მ, მესხია რ., ელიზბარაშვილი შ.	საქართველოს კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში	გამომც. "წიგნის სახელოსნო"	128
ანოტაციები				
5. მონოგრაფიაში "საქართველოს კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში" განხილულია მაღალი რეზოლუციის საშუალო თვიური ბაღური ტემპერატურისა და ნალექების მონაცემთა მასივის შექმნა და ვალიდაცია კლიმატის გლობალური ცვლილებების შეფასებისათვის საქართველოში.				

ბ) სახელმძღვანელოები

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar kekelidze, Jemal Khubua, David Kekelidze, Bella Kvirvelia, Elza Khutsishvili	მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის „ფიზიკა დიდი ადრონული“	თბილისი	10

	კოლაიდერის ერაში“ შრომათა კრებული		
ანოტაციები			
Abstract. There have been created radiation-resistant materials. It has been shown, that on the base of semiconductor InAs-InP solid solutions (as well as InAs-GaAs) may be produced new generation of radiation-resistant and high effective Hall-sensors for monitoring of magnetic fields in LHC and other nuclear centers.			

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემელ ობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar Kekelidze, Jemal Khubua, Gizi Kekelidze, David Kekelidze, Vugar Aliyev, Bella Kvirkvelia, Elza Khutsishvili	Radiation-resistant Semiconductor Materials for Application on Accelerators, Nuclear Reactors and in Space	Proceedings of the Seventh International Conference "Physics in the LHC era". pp. 59-69	Tbilisi	10
2	Bekoshvili N., Tsintsadze M., Tsotadze G., Jakhutashvili T., Tulashvili E., Kvirkvelia B.	Dynamics of change the content of pollutants in the river Kura	Georgia Chemical Journal. Vol.13, #1. pp.141-143. ISSN1512-0686. http://www.georgiachemj.ge/view.php?id=1418 .	Tbilisi. Georgia	3
3	ნ. კეკელიძე, შ. სიღამონიძე, თ.ჯახუტაშვილი, ე. თულაშვილი, მ. ჩხაიძე, ლ. მწარიაშვილი	თბილისის და ქართლის არტეზიული აუზების ზოგიერთი წყაროების ბუნებრივი რადიოაქტივობა	საქართველოს ქიმიური ჟურნალი	თბილისი, თსუ	წარდგენილია დასაბუქდალ
4	ნ.ბეკოშვილი, მ.ცინცაძე, გ.ცოტაძე, ბ.კვიციანი	ზედაპირული წყლების მონიტორინგი მძიმე მეტალების შემცველობაზე ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონაში	ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, №27, გვ. 97-102. 2013	თბილისი	6
5	Элизбарашвили Э.Ш. Татишвили М.Р., Элизбарашвили М.Э. , Элизбарашвили Ш.Э. Месхия Р.Ш., Шавлиашвили Л.У.	Перспективы исследования региональных и локальных климатических изменений Грузии по данным сеточных массивов высокого разрешения за период 1936-2008 годы.	Международная конференция «Актуальные проблемы гидрометеорологии и экологии». Тр. Института гидрометеорологии	Тбилиси	7

6	<p>Элизбарашвили Э.Ш. Татишвили М.Р., Элизбарашвили М.Э., Элизбарашвили Ш.Э. Месхия Р.Ш.</p>	<p>Современные тенденции изменения климата Грузии.</p>	<p>Международная конференция «Актуальные проблемы гидрометеорологии и экологии», Тр. Института гидрометеорологии. №119, 2013</p>	<p>თბილისი</p>	<p>4</p>
7	<p>ლ. გაბრიჭიძე, ე. სუციშვილი, ნ. ქობულაშვილი, ნ.სუციშვილი, გ.ურუშაძე, თ.გიგითაშვილი, რ. ხარატი, ნ. კეკელიძე.</p>	<p>რაფინირებული სილიციუმის მასალის გადაღობის მეთოდით მიღება</p>	<p>საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე (ქიმიის სერია)</p>	<p>თბილისი</p>	<p>5</p>
8	<p>ლ. გაბრიჭიძე, ე. სუციშვილი, ნ. ქობულაშვილი, ნ. სუციშვილი, თ. გიგითაშვილი, რ. ხარატი, ნ. გონჯილაშვილი, გ.ურუშაძე, ნ. კეკელიძე.</p>	<p>მეტალურგიული სილიციუმის გაწმენდა და რაფინირებული სილიციუმის თვისებების გამოკვლევა.</p>	<p>საქართველოს ქიმიური ჟურნალი</p>	<p>თბილისი</p>	<p>6</p>

1. There have been created radiation-resistant materials. It has been shown, that on the base of semiconductor InAs-InP solid solutions (as well as InAs-GaAs) may be produced new generation of radiation-resistant and high effective Hall-sensors for monitoring of magnetic fields in LHC and other nuclear centers.
2. In this work results of research of water quality of the Kura River are presented. Character of change of concentration of the dissolved metals in river water along a watercourse in all territory of Georgia was established; in most cases analytes concentration grows downstream the Kura River; regularity character of seasonal variations of analytes concentration was established; maximal values of analytes concentration lie within frameworks of maximum concentration limit of Georgia and the World Health Organization. In river water there are found out trace amounts of 6 radionuclides of the natural origin, which activity is less than minimal detectable activity.
3. ნაშრომში ჩატარებულია რადიოაქტიური აირის რადონის – Rn-222 შემცველობის კვლევა წყაროების წყალში, რომლებიც განლაგებულია დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე როგორც თბილისის (9 წყარო), ასევე ქართლის (4 წყარო) არტეზიულ აუზებში. კვლევების ჩასატარებლად გამოყენებული იყო თანამედროვე რადონის დეტექტორი - ალფა სპექტრომეტრი RAD7. დადგინდა, რომ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე რადონის შემცველობა არის დიაპაზონში რამოდენიმე Bq/L-დან 100 Bq/L-მდე და მეტად; ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე ცვლილებების დიაპაზონი მნიშვნელოვნად ნაკლებია – რამოდენიმე Bq/L-დან 13 Bq/L-მდე, რაც უკავშირდება ამ რეგიონების ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურების სხვაობებთან. შესრულებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან
4. ნაშრომში გამოყენებულია ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის ზღვის და ასევე საკურორტო ზონასთან ახლო მდებარე მდინარეების, სუფსის და ნატანების წყლის მეტალების, Cu, Mo, Pb, Zn, Ag, Co, Cr, Ni, Mn, Cd, კონცენტრაციის განსახდერული მნიშვნელობები. ზედაპირული წყლების მონიტორინგი შესრულდა 2008-2009 წლებში, პროექტის „ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა“ ფარგლებში. მიღებული შედეგების საფუძველზე შესწავლილია მძიმე მეტალების კონცენტრაციის ცვლილებების დინამიკა საკონტროლო პუნქტების და დროის მიხედვით. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები შედარებულია ლიტერატურულ მონაცემებთან და შესრულებულია შესაბამისი დასკვნები.

5. ნაშრომში: "Современные тенденции изменения климата Грузии" საქართველოს 87 მეტეოროლოგიური სადგურის 1936-2011 წლების დაკვირვებათა მონაცემებით გამოკვლეულია ჰაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ცვლილების ტენდენციები. შედგენილია კლიმატის ამ ელემენტების ცვლილების სინქარის სივრცობრივი სტრუქტურის გეოინფორმაციული რუკები.
6. ნაშრომში: "Перспективы исследования региональных и локальных климатических изменений Грузии по данным сеточных массивов высокого разрешения за период 1936-2008 годы" ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების 25 კმ გარჩევადობის ბადური მონაცემთა მასივების საფუძველზე 1936-2011 წლების პერიოდისათვის გამოკვლეულია საქართველოს რეგიონალური და ლოკალური კლიმატური ცვლილებები.
7. დამუშავებულია მეტალურგიული სილიციუმის შუალედური გაწმენდის, შედარებით იაფი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია. ტექნიკური ში-ის რაფინირებისათვის ჩატარებულია მრავალჯერადი გადადნობა და დაყოვნება თხევად მდგომარეობაში. მეთოდი იძლევა საშუალებას მიღებულ იქნას "მზიური" ში-ის კრისტალების ამოწვევისათვის ვარგისი მასალა. დამუშავებული ტექნოლოგია დაფუძნებულია მინარეგების ხსნადობის სხვაობაზე წონასწორულ მდგომარეობაში მყოფ თხევად და მყარ სილიციუმის ფაზაში, მათი აქროლადობისა და სეგრეგაციის კოეფიციენტის განსხვავებაზე.
8. წარმოდგენილია მეტალურგიული სილიციუმის მრავალჯერადი გადადნობით და თხევად მდგომარეობაში დაყოვნებით გაწმენდის და მიღებული სილიციუმის თვისებების გამოკვლევის შედეგები. მიღებულია 99.97% ში-ის პოლიკრისტალური სილიციუმი. საწყისი სილიციუმი გაიწმინდა საკმაოდ ეფექტურად უმრავლესი მინარეგისაგან და მოხდა მათი მინარეგების განდევნა კრისტალის ბოლო ნაწილში. გაწმენდა დადგინდა ემისიურ სპექტრალური ანალიზით, ელექტრული თვისებების გაზომვებით და მიკროსტრუქტურული ანალიზით.

გამოყენებითი ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი ლია მაჭავარიანი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- ლია მაჭავარიანი – დირექტორი, ნიადაგების ეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- ვაჟა ტრაპაძე – დირექტორის მოადგილე, ჰიდროეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- ლამზირა ლალიძე – ატმოსფეროს ეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- დალი ნიკოლაიშვილი – კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის განყოფილების გამგე;
- ნოდარ წივწივაძე – ზღვის ეკოლოგიისა და ნაპირდაცვის განყოფილების გამგე;
- გიორგი მეტრეველი – ზღვის ეკოლოგიისა და ნაპირდაცვის განყოფ. მთავარი მეცნ.-თანამშრ.;
- გიორგი მელაძე – ეკომიგრაციების განყოფილების გამგე;
- გია სოფაძე – მდგრადი განვითარების განყოფილების გამგე;
- მანანა რატიანი – ეკოტურიზმის განყოფილების გამგე;
- ქეთევან დადიანი – სამედიცინო ეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- მაია მელაძე – აგროეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- გიზო ვაშაკიძე – ცივილიზაციების ეკოლოგიის განყოფილების გამგე;
- ნინო სულხანიშვილი – ეკოლოგიური განათლების განყოფილების გამგე.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის

დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოს ცალკეულ ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის და კლიმატური რესურსების კვლევა (იმერეთის რეგიონი)	გ. მელაძე	მ. მელაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შეფასებულია აგროკლიმატური რესურსები. სავეგეტაციო პერიოდში აგროკულტურების სითბოთი, ნალექებით და ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგის უზრუნველყოფის პროგნოზის პრაქტიკული გამოყენების მიზნით, შედგენილია რეგრესიის განტოლებები და ცხრილები. გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები შესაბამისი კულტურების გავრცელებისათვის. დადგენილია და შეფასებულია აგროკულტურებისათვის საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები (წაყინვები, სეტყვა, გვალვა, ხორშაკი, ძლიერი ქარები). შემუშავებულია აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდები (სიმინდის, კარტოფილის კულტურის მოსავალის, ჩაის ფოთლის პირველი კრეფის თარიღის, ვაზის ყვავილობისა და სიმწიფის ვადების, სუბტროპიკული ხურმის სიმწიფის თარიღის განსაზღვრის საპროგნოზო განტოლებები).</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება ეკოლოგიურ სოფელში“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (საგრანტო ხელშეკრულება: # 19/12, 20.12.2012)	ლ. მაჭავარიანი	ვ. ცხოვრებაშვილი ხ. ბარბაქაძე
2	“მდინარეთა სანაპიროს მოწყვლადობის შეფასების მეთოდოლოგია წყალმოვარდნების რისკების გათვალისწინებით”	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი #31/72	გ. დოხნაძე	დ.კერესელიძე, ვ.ტრაპაიძე
3	სამხრეთ ევროპის ზღვებში საზრვაო გარემოს კვლევა “PERSEUS”	ევროკომისია EUEU, გრანტი #287600	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე
4	პანევროპული ინფრასტრუქტურა საოკეანო და საზღვაო მონაცემების მართვისათვის SeaDataNet 2	ევროკომისია EUEU, გრანტი #283607	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე
5	„შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება“	გაეროს განვითარების პროგრამა, UNDP	კ. ბილაშვილი	ვ. ტრაპაიძე
6	შავი ზღვის ქსელის შექმნა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში (BS TOURISM NET)“	ევროკომისია EUEU, შავი ზღვის ერთობლივი სამოქმედო პროგრამა	კ. ბილაშვილი	დ. კერესელიძე ვ. ტრაპაიძე, გ. მელაძე, ვ. მელიქიძე, ნ. პავლიაშვილი, გ. მეტრეველი
7	მიგრაცია აღმოსავლეთ პარტნიორთა (ბელარუსი, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) და ვიშეგრადის ქვეყნებს შორის	ვიშეგრადის ფონდი	ი. სალუქვაძე	გ. მელაძე
8	მდ. რიონზე პროექტირებადი ნამოხვანის წყალსაცავების კასკადის მოსალოდნელი ზემოქმედება ლოკალურ და რეგიონულ კლიმატზე	IBIARD, სამეცნიერო კვლევითი ფორმა „გამაკონსალტინგი“	გ. მეტრეველი	ნ. წივწივაძე, ლ. ლალიძე

9	ლოკალურ კლიმატზე ბახმაროს პროექტირებადი წყალსაცავის მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება	IBIARD, სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა კონსალტინგი“	გ. მეტრეველი	ნ. წივწივაძე, ლ. ლალიძე
10	Strengthening bio-safety capacities – Laboratory system for bio-safety assessment and surveillance of drinking water in Georgia – first step. ბიოუსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერება სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში - ლაბორატორიული სისტემა საქართველოში სასმელი წყლის ბიოუსაფრთხოებაზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის - პირველი ნაბიჯი”	EU / UNICRI –United Nation Interregional Crime and Justice Research Institute	ქ. დადიანი	მ. ლაშხაური, მ. გრძელიშვილი, რ. კობახიძე, ნ. გაბრიაძე და სხვ.
11	შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია კომპონენტი: გარემოს დაცვა და მართვა; ბუნებრივი რესურსები	GIZ	ი. სალუქვაძე	ნ. სულხანიშვილი
12	საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (განახლებული ვერსია). მიმართულება: საზოგადოების მონაწილეობა და განათლება	GIZ	ნ. სულხანიშვილი	–
13	ენერჯისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი - SPARE	ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო	ნ. სულხანიშვილი	–
14	დავასუფთაოთ საქართველო - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვაში	შვედეთის საელჩო	ნ. სულხანიშვილი	–
15	ყოველკვირეული, საბავშვო შემეცნებითი გადაცემა - ეკოვიზია იმედზე	GIZ, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვედეთის საელჩო	ნ. სულხანიშვილი	–
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				

1. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოფლის მცხოვრებთათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხებისა და კომპოსტად გადამუშავების მეთოდის შეთავაზება მოსახლეობაში ეკოლოგიური აზროვნების ამაღლების თვალსაზრისით. საპილოტე რეგიონად შერჩეული იქნა მცირედ დასახლებული სოფელი არგოხი ახმეტის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულ სოფელში წარმატებით ფუნქციონირებს ორგანიზაცია „მომავლის მიწის“ წევრის, ფრანგი ფერმერის, ჟან-ჟაკ ჟაკობის ეკოლოგიური მეურნეობა. საქმიანობის ძირითადი პრინციპი ეყრდნობოდა მოსახლეობის ინფორმირებას ორგანული სასუქის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების შედეგად, ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტების მისაღებად.

მცენარეული და ცხოველური ნივთიერებების დაშლისა და გარდაქმნის შედეგად მიღებული კომპოსტი ხელს უწყობს ნიადაგის გამდიდრებას ჰუმუსით – ნაყოფიერების განმსაზღვრელი ორგანული ნივთიერებით. კომპოსტი შეიცავს მცენარისათვის აუცილებელ ყველა მაკრო- და მიკროელემენტს, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ქმნის კონტროლირებად გარემოს, რათა ნარჩენები სწრაფად გარდაიქმნას მძლავრ, საკვები ნივთიერებებით მდიდარ მასად, ხელს უწყობს მცენარეების დაცვას პათოგენებისაგან, ამარაგებს მას საკვები ნივთიერებებით. კომპოსტი არ შეიცავს ქიმიკატებს, რაც მინერალური სასუქების იაფ და ჯანსაღ ალტერნატივას წარმოადგენს.

პროექტი ითვალისწინებდა: სოფლის მოსახლეობისთვის კომპოსტის დამზადების მარტივი, ხელმისაწვდომი მეთოდის შეთავაზებას, საკომპოსტე მოცულობების დამზადებას და განთავსებას თითოეულ ოჯახში, საინფორმაციო ბუკლეტების დარიგებას და განმარტებას მოსალოდნელი შედეგების ხელსაყრელობის შესახებ.

ჩატარებული სამუშაო სამომავლო საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც რამდენიმე მომგებიან შედეგს ემსახურება: გარემოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობისა და, შესაბამისად, ნაგვის გატანის ხარჯების შემცირებას; საზოგადოებაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების კულტურის ჩამოყალიბებას; საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან ორგანული სასუქის – კომპოსტის დამზადების უნარის გამომუშავებას მოსახლეობაში; საკარმიდამო ნაკვეთებში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას იაფი და ჯანსაღი ბიო-სასუქის გამოყენებით; ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტის მიღების წინაპირობის შექმნას; მოსახლეობის სენსიბილიზაციას აღნიშნული საკითხების მიმართ და წინაპირობის შექმნას მომავალი მსგავსი პროექტების განხორციელებისათვის. ყველა ჩამოთვლილი მოსალოდნელი შედეგი, საბოლოო ჯამში, ემსახურება პროექტის ძირითად მიზანს – მოსახლეობაში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას.

2. პროექტის მიმდინარეობის პირველ საანგარიშო პერიოდში მოვახდინეთ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების მეთოდების დეტალური შესწავლა და ანალიზი. მოპოვებულ იქნა დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე არსებული დაკვირვებული მაქსიმალური ყოველთვიური ხარჯების მონაცემები. გადავიყვანეთ ისინი ელექტრონულ (რიცხვით) ფორმატში და დავიწყეთ მდინარეების მიხედვით მონაცემთა ბაზის შექმნა, ასევე მოვახდინეთ წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების ტალღების გავრცელების პროგნოზირების არსებული მეთოდების სისტემური ანალიზი და დადგინდა რომ, რეალობასთან მიახლოებითი შედეგების მიღება შესაძლებელია კომპლექსური მიდგომით.

3. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (პირველი 18 თვე) თსუ მონაწილეობას იღებდა პროექტი „პერსეუსი“-ის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში (ათენი, საბერძნეთი; პარიზი, საფრანგეთი). შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ეკოლოგიური მონიტორინგის მიზნით, საქართველოს წყლებში ჩატარდა 2 საზღვაო ექპედიცია. მოპოვებული

ბიოლოგიური და ქიმიური მონაცემები, სათანადო ფორმატიზების (CDI ODV) შემდეგ მიეწოდა პროექტების „სიდატანეტ-2“-ის და „პერსელს“-ის მონაცემთა ბაზებს. პროექტის 18-თვიანი ანგარიში მოწონებული და დამტკიცებული იქნა ევროკომისიის მიერ. პროექტის ფარგლებში მზადდება 1-ლი სამეცნიერო უორქშოფი (01. 2014), სადაც თსუ-ც მიიღებს მონაწილეობას.

4. პროექტი „სიდატანეტ 2“ –ის პირველი 18 თვის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- მონაწილეობა მივიღეთ ყველა სამუშაო შეხვედრებში (ათენი, საბერძნეთი) და საერთაშორისო კონფერენციაში (IMDIS-2013, ლუკვა, იტალია), რომელიც პროექტის ეგიდით ჩატარდა ;
- საზღვაო მონაცემების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა პროექტ „სიდატანეტ 1“ –ის ფარგლებში შემუშავებული ყველა სახის პროგრამული უზრუნველყოფის აფრეიდინგი (MIKADO, NEMO, DIVA, CDI ODV);

ამა წლის ნოემბერში, ბრიუსელში, ბელგია, ჩასატარებელ შუალედური შეფასების შეხვედრისათვის, თსუ-ს მიერ, მომზადდა და გაიგზავნა საზღვაო მონაცემების ახალი პაკეტი,

5. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის („შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება“) ფარგლებში, განვლილ პერიოდში განხორციელდა:

- შავ ზღვაზე ორიენტირებული და მასთან დაკავშირებული სთეიქჰოლდერების სია;
- დამუშავდა და დაიგზავნა ორი სახის დიაგნოსტიკური კითხვარი, რომელიც მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც ეხება შავი ზღვის მონიტორინგის ყველა სფეროს;

კითხვარებზე გაცემული პასუხების ანალიზის საფუძველზე, პროექტის განრიგის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა დიაგნოსტიკურ ანგარიშზე, რომელიც გადაეგზავნება სამთავრობო სტრუქტურებს, შავი ზღვის კომისიას და დონორებს.

6. პროექტი „შავი ზღვის ტურიზმის ქსელი“ , რომლის განხორციელებაც ოქტომბერში დაიწყო (პირველი სამუშაო შეხვედრა შედგა ამა წლის ნოემბერში ქ. ვარნაში, ბულგარეთი მიმდინარე ეტაპზე, სამუშაო გეგმის შესაბამისად აყალიბებს შავი ზღვის ქვეყნებში არსებული და პოტენციური ტურისტული მარშრუტების სრულ ნუსხას.

7. განხილულია დემოგრაფიული ტენდენციები და საერთაშორისო მიგრაციის როლი (ბოლო 20 წლის მანძილზე), ზოგადი პოლიტიკური გარემოება, რომელმაც იმოქმედა საერთაშორისო მიგრაციაზე, მთავარი მიმღები ქვეყნები, V4-ის და EaP-ის ქვეყნების როლი საერთაშორისო მიგრაციაში, მიგრანტთა სპეციალური ჯგუფები (სქესი, ასაკი, განათლება), მიგრაციული პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

8. ნამოხვანის კასკადი ტვიშის, ნამოხვანის და ჟონეთის წყალსაცავების ერთობლივობაა. მათი შექმნის მიზანია ელენერგია და კომუნალურ-ირიგაციული წყალმომარაგება ქუთაისის, მისი შემოგარენის და მიმდებარე სავარგულ-სოფლების. კლიმატის მიმდინარე დათბობის გამო ქუთაისი და მიმდებარე ტერიტორია უკვე არასაკმარისი დატენიანების ზონაში ექცევა. აქ მკვეთრად მცირდება ზამთრის ნალექი. ნამოხვან-ჟონეთის წყალსაცავების შექმნით აქ ტენი და ნალექი 10-15% მოიმატებს და ამით ნაწილობრივ გაანეიტრალებს კლიმატის შემდგომი დათბობის უარყოფით შედეგს. ამის გამო ამ წყალსაცავების ზემოქმედება კლიმატზე დაახლოებით ისეთი იქნება, როგორის თბილისის ზღვისა.

9. ბახმაროს წყალსაცავის შექმნის მიზანი მხოლოდ ელენერგიაა. მისი გავლენა ლოკალურ კლიმატზე მკვეთრად უარყოფითი იქნება, რადგან ის ჭარბი დატენიანების ზონაში უნდა შეიქმნას. მის ირგვლივ 2-2,5 კმ რადიუსში ტენის მოსალოდნელი ნაზრდი 15-20% შეიძლება იყოს. ის გააუარესებს კურორტის კლიმატს და უფრო დაატენიანებს ისედაც უხვთოვლიან

რაიონს.

10. პროექტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მოიცავს 4 კომპონენტს:

- თეორიული და კვლევითი სამუშაოები, რომელიც მიმართული იქნება წყლის ხარისხის მონიტორინგის ახალი სისტემის განვითარების კონცეპციის ჩამოყალიბებაზე;
- საქართველოს რეგიონებში სასმელი წყლის მონიტორინგისა და ბიოუსაფრთხოების სფეროში ექსპერტთა სასწავლო ლაბორატორიული მომსახურება/ტრენინგი;
- საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება;
- შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ტექნიკური ინსფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ამაღლება.

პროექტის ხანგრძლივობაა 2 წელი, დაიწყო 2013 წლის 1 ივლისიდან და განხორციელების პირველ ფაზაშია. მოცემული ეტაპისთვის სასმელი წყლის მონიტორინგის ახალი სისტემის განვითარების კონცეპციის ჩამოსაყალიბებლად წარმოებს არსებული სიტუაციის ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლა.

11. ნაშრომი შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის კვლევასა და განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას ეძღვნება. ის ოთხი ნაწილისაგან შედგება, სადაც პირველ სამში ტერიტორიისა და მოსახლეობის, ეკონომიკის სექტორებისა და მმართველობის მიმოხილვა და ანალიზია მოცემული, ხოლო მეოთხეში რეგიონის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებია შემოთავაზებული და დასაბუთებული.

12. დოკუმენტი მომზადდა საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის კოორდინაციით. იგი მოიცავს ბიომრავალფეროვნების სფეროში განათლების და მოსახლეობის ჩართულობის არსებული პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების კვლევას, სიტუაციის ანალიზს და შეჯამებას, ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ანალიზს, ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემაჯამებელი ცხრილს.

13. SPARE (School Project for Application for Resources and Energy) – ეს არის მსოფლიოში უდიდესი საერთაშორისო სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი კლიმატის ცვლილებაზე, ენერგეტიკაზე და გარემოს დაცვაზე, რომელიც ინიცირებულია ნორვეგიის გარემოს დაცვის საზოგადოების. მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა / ECOVISION“, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, 2002 წლიდან საქართველოში ახორციელებს საერთაშორისო სასკოლო პროექტს – SPARE, გახლავთ ოფიციალური წარმომადგენელი პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

14. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარჩენების პრობლემის მოგვარებას მათი მართვისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების გზით 3R სისტემების დანერგვითა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (3R სისტემა ნიშნავს: Reduce - შემცირება; Reuse – ხელახალი გამოყენება; Recycle – რეციკლირება ანუ გადამუშავება). შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი: საზოგადოების მობილიზება კამპანია "დაასუფთავე მსოფლიო"-ს განსახორციელებლად და გლობალურ გარემოსდაცვით რუკაზე საქართველოს განსათავსებლად; საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება – ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების, 3R სისტემების, უახლესი მეთოდოლოგიის, სხვა ქვეყნების გამოცდილების, ახალი უნარ-ჩვევებისა და ნარჩენების შემცირების გზების შესახებ. აგრეთვე

ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად.

15. „ეკოვიზია“ ახალი მედია პროექტია – ყოველკვირეული, საბავშვო, გარემოსდაცვითი გადაცემა. „ეკოვიზიის“ თითოეული გადაცემა ეძღვნება სხვადასხვა გარემოსდაცვით პრობლემას. გადაცემები წარიმართება საბავშვო თოქ-შოუს ფორმატში. ამასთან ერთად, თითოეულ გადაცემაში არის შემეცნებითი ნაწილი, გარემოსდაცვითი თამაში, სამეცნიერო ექსპერიმენტი და სტუდიის გარე სიუჟეტი. ყველა გადაცემას ჰყავს სპეციალური სტუმარი, რომელიც კონკრეტულ გარემოსდაცვით პრობლემაზე საუბრობს. გადაცემის მთავარი გზავნილია თუ როგორ შეუძლიათ ბავშვებს შეიტანონ თავიანთი წვლილი იმ დიდ საქმეში, რასაც გარემოს დაცვა ჰქვია. გადაცემა „ეკოვიზია“ იმედის ეთერშია ყოველ შაბათს (10:25 სთ).

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა ჯგუფი: ლ. მაჭავარიანი (ნიადაგები); დ. ნიკოლაიშვილი (ლანდშაფტები); გ. მელაძე (მოსახლეობა)	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	324 გვ.
2	გ. მელაძე	საქართველო და გლობა- ლური დემოგრაფიული პროცესები	გამომცემლობა „უნივერსალი“	232 გვ.
3	ნ. ელიზბარაშვილი, ნ. ზაზანაშვილი, დ. ნიკოლაიშვილი, ლ. მაჭავარიანი, გ. მელაძე, გ. დვალაშვილი	საქართველო – ჩვენი ფასეულობები. ტომი I – ბუნება	თბილისი, “პალიტრა L”	296 გვ.
4	ქ. დადიანი	გარემოს ქიმიური დამაბინძურებლების რისკის შეფასება	თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა	70 გვ.
5	გ. ვაშაკიძე	ფესტოსის დისკო - გზავ- ნილი გალაქტიკიდან	თბილისი, “საარი”	76 გვ.

ანოტაციები

1. მონოგრაფია, რომელიც თსუ-თან არსებული ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ინიციატივით იქნა გამოცემული, წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილ

ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურადაა განხილული საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ გეოგრაფიული სკიოტები. წიგნში მოცემულია საქართველოს ბუნებრივი პირობების (რელიეფი, გეოლოგია, კლიმატი, ნიადაგები, შიდა წყლები, შავი ზღვა, მყინვარები, ჰიდროგეოლოგია, ლანდშაფტები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო) ძირითადი მახასიათებლები; შეფასებულია ქვეყნის რესურსული პოტენციალი, გარემოს დაცვითი საკითხები, მიმოხილულია მეურნეობის გეოგრაფიის ცალკეული დარგები, ძირითადი ღირსესანიშნაობები და სხვ. მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი – „ნიადაგები“ (გვ. 149–164), შედგენილია ლ. მაჭავარიანის მიერ, სადაც განხილულია საქართველოს ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელების თავისებურება, მათი ძირითადი მორფოქიმიური მახასიათებლები; თავი „ლანდშაფტები“ (გვ. 186–202) შედგენილია დ. ნიკოლაიშვილის მიერ, სადაც შეფასებული საქართველოს ლანდშაფტთა მრავალფეროვნება; ხოლო თავი „მოსახლეობა“ (გვ. 219–241) – თსუ გ. მელაძის მიერ, სადაც სტატისტიკის მიმდინარე აღრიცხვისა და მოსახლეობის აღწერების მონაცემების საფუძველზე, განხილულია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი დინამიკა, ბუნებრივი მოძრაობის (შობადობა, მოკვდაობა), ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის, მიგრაციები, ეროვნული სტრუქტურა და სხვ.

2. მონოგრაფიაში მოსახლეობა განხილულია სისტემური მიდგომის პოზიციიდან. საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები გაანალიზებულია გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებთან კავშირში. დემოგრაფიული ანალიზისათვის შესაბამის ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციასთან ერთად, გამოყენებულია ცალკეულ სპეციალისტთა და ავტორისეული გაანგარიშებები, რომელთა საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

3. საქართველოს საპატრიარქოს ეგიდითა და მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ ფერად ილუსტრირებულ წიგნში წარმოდგენილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, კურორტები, ბუნებრივი ღირსესანიშნაობები, რეგიონები და სხვ. (წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა).

4. აღნიშნული მონოგრაფია გამოიცა ევროგაერთიანების პროექტის „სამაგისტრო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და სოციალურ სერვისებში“ (511303-IPCR) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სფეროში თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას. მონოგრაფია შემუშავებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრებისათვის.

მონოგრაფიაში განხილულია 1908 წელს, საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი ე.წ. ”ფესტოსის დისკოს“ დემიფირება. დადგინდა დისკოზე არსებულ პიქტოგრამებს ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არ სებულ პიქტოგრამებს შორის გრაფიკული და შინაარსობრივი თანხვედრა.

5. მონოგრაფია, რომელიც თსუ-თან არსებული ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ინიციატივით იქნა გამოცემული, წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურადაა განხილული საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ გეოგრაფიული სკიოხები. წიგნში მოცემულია საქართველოს ბუნებრივი პირობების (რელიეფი, გეოლოგია, კლიმატი, ნიადაგები, შიდა წყლები, შავი ზღვა, მყინვარები, ჰიდროგეოლოგია, ლანდშაფტები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო) ძირითადი მახასიათებლები; შეფასებულია ქვეყნის რესურსული პოტენციალი, გარემოს დაცვითი საკითხები, მიმოხილულია მეურნეობის გეოგრაფიის ცალკეული დარგები, ძირითადი ღირშესანიშნაობები და სხვ. მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი – „ნიადაგები“ (გვ. 149–164), შედგენილია ლ. მაჭავარიანის მიერ, სადაც განხილულია საქართველოს ნიადაგების გეოგრაფიული გავრცელების თავისებურება, მათი ძირითადი მორფოქიმიური მახასიათებლები; თავი „ლანდშაფტები“ (გვ. 186–202) შედგენილია დ. ნიკოლაიშვილის მიერ, სადაც შეფასებულია საქართველოს ლანდშაფტითა მრავალფეროვნება; ხოლო თავი „მოსახლეობა“ (გვ. 219–241) – თსუ გ. მელაძის მიერ, სადაც სტატისტიკის მიმდინარე აღრიცხვისა და მოსახლეობის აღწერების მონაცემების საფუძველზე, განხილულია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი დინამიკა, ბუნებრივი მოძრაობის (შობადობა, მოკვდაობა), ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის, მიგრაციები, ეროვნული სტრუქტურა და სხვ.

6. მონოგრაფიაში მოსახლეობა განხილულია სისტემური მიდგომის პოზიციიდან. საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები გაანალიზებულია გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებთან კავშირში. დემოგრაფიული ანალიზისათვის შესაბამის ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციასთან ერთად, გამოყენებულია ცალკეულ სპეციალისტთა და ავტორისეული გაანგარიშებები, რომელთა საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

7. საქართველოს საკატრიარქოს ეგიდითა და მისი უწმინდესობის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ ფერად ილუსტრირებულ წიგნში წარმოდგენილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, კურორტები, ბუნებრივი ღირშესანიშნაობები, რეგიონები და სხვ. (წიგნი საემცნიერო-პოპულარული ხასიათისაა).

8. აღნიშნული მონოგრაფია გამოიცა ევროგაერთიანების პროექტის „სამაგისტრო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და სოციალურ სერვისებში“ (511303-IPCR) ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სფეროში თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას. მონოგრაფია შემუშავებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრებისათვის.

9. მონოგრაფიაში განხილულია 1908 წელს, საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი ე.წ. „ფესტოსის დისკოს“ დეშიფრირება. დადგინდა დისკოზე არსებულ პიქტოგრამებს ქართულ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არ სებულ პიქტოგრამებს შორის გრაფიკული და შინაარსობრივი თანხვედრა.

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. ურუშაძე, ლ. მაჭავარიანი	გამოყენებითი ეკოლო- გიის საფუძვლები	თბილისის უნივერსი- ტეტის გამომცემლობა	260 გვ.
2	რ. გობეჯიშვილი, ე. წერეთელი, ც. დონაძე, ვ. ტრაპაიძე, გ. დვალაშ- ვილი, ლ. ლალიძე, თ. ნანობაშვილი	ზოგადი დედამიწის- მცოდნეობა	თბილისის უნივერსი- ტეტის გამომცემლობა	307 გვ.
3	დ. კერესელიძე, კ. ბილაშვილი, ვ. ტრაპაიძე, გ. ბრეგვაძე	ზოგადი ოკეანოლოგია ნაწილი I – ზღვებისა და ოკეანეების ჰიდროლოგია	თბილისის უნივერსი- ტეტის გამომცემლობა	210 გვ.
ანოტაციები				
<p>1. სახელმძღვანელოში განხილულია გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ცნებების ურთიერთკავშირი. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ეკოლოგიის საფუძვლებს, აბიოტურ და ბიოტურ ფაქტორებს, ეკოსისტემებს. მეორე ნაწილში განიხილება გარემოს ცალკეული კომპონენტები (ატმოსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო, პედოსფერო, ბიოსფერო), მათი თავისებურებანი და დაცვის პრობლემები. მესამე ნაწილში მოტანილია ცნობები გარემოს დაცვის მექანიზმების შესახებ, მათ შორის ეკოლოგიური სამართლის საფუძვლებზე, ეკოლოგიურ კონტროლზე და საერთაშორისო საქმიანობაზე გარემოს დაცვის თვალსაზრისით.</p> <p>2. სახელმძღვანელო შედგენილია ზოგადი დედამიწისმცოდნეობის ახალი სასწავლო კურსის (სილაბუსის) მიხედვით და განკუთვნილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. გახილულია გეოგრაფიული გარსის ფორმირების პირობები; სტრუქტურა და მისი შემადგენელი სფეროების დახასიათება: ატმოსფეროს აგებულება და შედგენილობა, ჰაერის მასები, ატმოსფერული და კლიმატური ფრონტები, სითბოს და ტენის მიმოქცევა ატმოსფეროში, ატმოსფეროს ცირკულაცია. დედამიწის რელიეფის თავისებურებანი; გეოგრაფიული გარსი და საზოგადოება.</p> <p>3. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრიატის გეოგრაფიისა და ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, შედგენილია მოქმედი სლაბუსის მიხედვით და განხილულია მსოფლიო ოკეანეში მიმდინარე ძირითადი პროცესები.</p>				

გ) კრებულები

#	ავტორი / ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. მაჭავარიანი, გ. აფციაური, ე. ნიკოლაიშვილი, ნ. პაიჭაძე, ი. შელია	შრომათა კრებული: „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები – დაცვა და რაციონალური გამოყენება“	თბილისი–ფოთი, შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონ- ფერენციო გრანტის ფარგლებში (#CF48/9-180/13)	70–76
2	ნ. წივწივაძე, გ. მეტრეველი,	შრომათა კრებული: „კოლხეთის დაბლობის	თბილისი–ფოთი, შოთა რუსთველის ეროვნული	34–40

	ლ. ლაღიძე, ნ. მოწონელიძე, ლ. ზაზაძე	წყლის ეკოსისტემები – დაცვა და რაციონალური გამოყენება“	სამეცნიერო ფონდის საკონ- ფერენციო გრანტის ფარგლებში (#CF48/9-180/13)	
Abstract: The article deals with the character of growth of PbSe layers on KCl substrates. Two stages of growth differing greatly in the rate were revealed. It is shown that the rate-rate ratio between first and second stages hardly changes when the growth conditions change. The tangential lattice constants were used for determination of deformations in the layers, and they were measured over a wide range of layers thickness. At the layers thickness < 100nm, the tangential lattice constant depends on the growth rate rather slightly, while, at the thickness 100 to 200 nm, the dependence of the tangential lattice constant on the growth rate passes a peak.

Introduction: Usually they associate nanotechnologies in semiconductors with quantum structures in the layers. In majority of semiconductors, conditions of their realization are for the thickness, there emerges dimensional quantization which affects significantly the redistribution of current carriers in allowed bands and the properties of corresponding structures and devices.

At nanothickness of the layers, deformation effects are revealed in semiconductors as well. In this case, because of the shift in the edges of conductivity and valence bands, even more significant changes can be observed in the energy spectrum. In particular, deformation effects in the layers of IV-VI semiconductors are revealed when they grow on dielectric substrates KCl, NaCl, BaF₂ and other at significant mismatch [1, 2.]

This work deals with new specific features of the formation of PbSe nanolayers grown on the KCl substrate which lead to the achievement of higher deformations (strains) at as high thickness values of the layers as possible.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	------------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

2	Arif M. Pashaev Omar I. Davarashvili Megi I. Erukashvili Zaira G. Akhvlediani Revaz G. Gulyaev Larisa P. Bychkova	Epitaxial Lead Selenide Layers Over a Wide Range of Their Thickness on Dielectric Substrates	B 3 (2) (2013) 97-103 Published: February 25, 2013	DAVID PUBLISHING; 9460 Telstar Ave Suite 5, EL Monte, CA 91731, USA.	7
---	--	--	--	--	---

ანოტაციები

Abstract: The article deals with the relative deformation in monocrystalline lead selenide layers grown on dielectric substrates KCl, BaF₂ and NaCl. It was established that the deformation in the layers was associated with the mismatch between the lattice constants of the layer and the substrate. The tangential lattice constants in relation to the deformation were studied depending on the layers thickness, and their correlation was shown. It is noted that, as the layers thickness decreases, it becomes possible to observe maximum relative deformations on all substrates.

Introduction: The application of IV-VI semiconductors as Infra-red (IR) photodetectors is well known. Amorphous crystals and polycrystals of these semiconductors were grown on various dielectric substrates ranging from glass and quartz to halogenides of alkaline and alkaline-earth elements [1, 2]. A new stage in this field began with the development of the technology of growing the monocrystalline layers. This allowed both improving the characteristics of photodetectors and obtaining the laser structures of high quality [3]. The investigation of lead selenide grown on KCl and BaF₂ substrates revealed the possibility of creating the dielectric state under the conditions of effective “negative” pressure and appropriate doping [4]. Under certain doping, it is also possible to improve the sensitivity in the layers grown on, for instance, the NaCl substrate under the conditions of their compression. Our investigations showed that significant changes in the properties of layers occurred when their thickness decreased to nanosizes [5].

Because of the differences among the thermal expansion coefficients of layers and KCl, BaF₂ and NaCl substrates and the mismatch in their lattice constants, the PbSe layers could grow strained.

This work deals with possible deformations in PbSe layers and the causes of their occurrence when the layers are grown on dielectric substrates. Along with the tangential lattice constant and deformation, the changes in optical properties, the color in particular, of the layers with varying thickness are considered.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Arif M. Pashaev Omar I. Davarashvili Megi I. Erukashvili Zaira G. Akhvlediani Revaz G. Gulyev Vladimer P. Zlomonov	New Opportunities in Lead Selenide Nanolayers	Advanced Materials Research Vol. 815 (c) (2013)	Switzerland , Trans Tech Publications	4

ანოტაციები

Abstract: The article deals with the peculiarities of creation of effective negative pressure and the increase in the forbidden gap width in PbSe nanolayers. The dielectric state that maybe realized under these conditions and their appropriate doping can be considered as a new resource in lead

selenide nanolayers. The increasing of the tangential lattice constant with higher growth temperature and layer growth rate confirms this consideration. When determining the forbidden gap width, the optical transmission spectra were processed by a model of the Fabry-Perot interferometer, and, at high concentration of free current carriers, the absorption on them and their degeneracy were taken into consideration.

Introduction: Doping of the materials like PbTe and PbSe, and their solid solutions with the impurities with varying valence such as Cr, In, Yb, Ga etc. is an interesting and promising problem in semiconductor materials science [1]. At a high degree of doping, the impurities of this kind compensate each other and electrically active nonstoichiometric defects. In a certain composition, the balanced impurity level is located in the middle of the forbidden gap, and the quasidielectric state is attained, in particular, for creation of high-sensitivity and high-temperature IR photodetectors. However, it turned out that such a state was realized generally at $T < 40\text{K}$ and for a limited number of solid solutions. If the variations in the composition used to be the factor of changing the forbidden gap width and the level of impurity location, pressure could play the same role [2]. In these cases, under “negative” pressure the forbidden gap width of IV-VI semiconductors increases, and the impurity level shifts rapidly into the depth of the forbidden gap. This allows realizing the dielectric state for a wider range of composition and at higher temperatures. This work deals with two important issues of this problem: generation of effective “negative” pressure and determination of the forbidden gap width of PbSe nanolayers.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Arif M. Pashaev Omar I. Davarashvili Megi I. Enukashvili Zaira G. Akhvlediani Larisa P. Bychkova M. A. Dzagania	On the Possibilities for Improving the Efficiency of Radiation in Heterostructures Based on IV-VI Semiconductors	IOP Conf. Series: Materials Science and Engineering 49 (2013) 012029	IOP Publishing Ltd. Temple Circus Temple Way Bristol BS1 6HG United Kingdom	4

ანოტაციები

Abstract: It is shown that, even in isoperiodic heterostructures, significant mismatch arises during the process of epitaxial growth because of interdiffusion of the components at the heteroboundary. As a result, nonradiative recombination at the formed defects increases, which significantly decreases the quantum yield of radiation. The heterostructures with active layers of pre- and post-inverse compositions are discussed. For overcoming the adverse effect of diffusion mismatch, it is proposed to bring the composition of the emitter closer to that of the active layer or to dope this layer with the impurities increasing the elastic limit.

Introduction: The search for new ways of increasing the operating temperatures of IR semiconductor lasers based on the IV-VI compounds continues [1]. It was noticed that, during the process of epitaxial growth of heterostructure layers, because of interdiffusion of the components and in the case of initially isoperiodic layers, a transition region of a variable composition was formed. The halfwidth of this region is larger than the critical thickness, while the maximum epitaxial deformation in it approximates the limiting value of the elastic state [2, 3]. If we consider the

heterostructure as a radiative one, i.e. as an emitter-active layer pair, the approximation of elastic deformations to their critical values (formation of a network of dislocations) can cause decreases in the current carrier lifetime and in the quantum yield of radiation in the active layer. This work deals with modeling of diffusion mismatch in the IV-VI heterostructures and the investigation of the ways of overcoming its adverse effect on the properties, in particular, of radiating devices (lasers).

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Arif M. Pashaev Omar I. Davarashvili Megi I. Erukashvili Zaira G. Akhvlediani Larisa P. Bychkova V. P. Zlomanov	Modeling of the Dielectric State in PbSnSe and PbSnTe Nanolayers with High Concentration of Nonstoichiometric Defects	Nano studies, 2013, 8, 253- 258	Tbilisi Nano studies	5

ანოტაციები

Introduction: In a number of works, it was suggested using the effective “negative” pressure realized when the layers grow on the substrates with a high lattice constant for creation of the dielectric state [1 - 3]. The strain formed due to the mismatch, for instance, in the layers of PbSe and also of PbSnTe and PbSnSe solid solutions, grown on the BaTe and BaF₂ substrates, cause the increase in the forbidden gap width. If such semiconductor layers are doped with the impurities having variable valency, such as In or Cr, the impurity level shifts to the midgap.

Also, if the concentration of impurities exceeds the concentration of nonstoichiometric defects, it compensates the electric activity of the defects and of one another. At the same time, being stabilized, the Fermi level matches with the impurity level. In works [4, 5] the layers of that kind were considered.

In this work we model the shift of the In and Cr levels in the PbSnTe and PbSnSe solid solutions during their growth on the BaTe and BaF₂ substrates, and analyze the decrease in the concentration of current carriers in the layers.

პატენტები

№	ავტორი/ ავტორები	პატენტი	პატენტის გამცემი ორგანო	გაცემის ადგილი	პატენტის ნომერი
---	------------------	---------	-------------------------------	-------------------	--------------------

1	ვ. შველიძე შ. მირიანაშვილი ლ. ტაბიძე ჯ. ბურძანაძე რ.გახოკიძე ი. შველიძე გ. ტოგონიძე	ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსიობის ზრდის ხერხი	საქპატენტი	თბილისი	P5520
2.	ვ. შველიძე შ. მირიანაშვილი ლ. ტაბიძე ჯ. ბურძანაძე რ.გახოკიძე ი. შველიძე გ. ტოგონიძე	სინათლის შთანთქმელი ზედაპირის მიღების ხერხი	საქპატენტი	თბილისი	P521
3.	ზურაბ რაზმაძე მერაბ ჯიბლაძე ალექსანდრე მიქაბერიძე გურამ დგებუაძე გიორგი მუმლაძე	ლაზერი მიკრო ან/და ნანონაწილაკების ფხვნილის სუსპენზიაზე	საქპატენტი	თბილისი 2013	P5923
4	ზურაბ რაზმაძე მერაბ ჯიბლაძე და სხვა.		საქპატენტი	თბილისი 2013	P 5699
5.	მერაბ ჯიბლაძე ზურაბ რაზმაძე ენრიკო ბერიძე	დანადგარი გოგირდწყალბადის დასაშლელად ფოტოთერაპიული მოწყობილობა „აისი 2“	საქპატენტი	თბილისი 2013	U1763

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. შარვაშიძე თ. ბუთხუზი, ნ. გაფიშვილი, ლ. ტარაპაძე, თ. ხულორდავა, ე. კეკელიძე, ლ. აფციაური	ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის მიღება რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით	2013 იანვარი, თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	მ. შარვაშიძე თ. ბუთხუზი, ნ. გაფიშვილი, ლ. ტარაპაძე, თ. ხულორდავა, ე. კეკელიძე, ლ.	ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის მიღება რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით	2013 12 ივნისი, თბილისი სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია

აფციაური		
----------	--	--

მოხსენებათა ანოტაციები

1. ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის მიღება რსკე ტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით

მ. შარვაშიძე თ. ბუთხუზი, ნ. გაფიშვილი, ლ. ტრაპაიძე,

თ. ხულორდავა, ე. კველიძე, ლ. აფციაური

ელ-ფოსტა: maia.sharvashidze@tsu.ge

ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის #3

ვიწროზონიან ნახევარგამტართა ბაზაზე შექმნილი მაქსიმალური სიმძლავრის მქონე მზის ბატარეების მქ=31%. თეორიულმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა განსაზღვრა, რომ ZnMnTeO მასალის თვისებები მაღალი მქ-ის მქონე მზის ბატარეების წარმოების პერსპექტივას ქმნის (56-63%) [1-3]. ZnMnTeO ნახევარგამტარის შთანთქმის ზოლი მზის გამოსხივების ვრცელ უბანს მოიცავს (0,73ეე; 1,83ეე; 2,56ეე). ZnMnTeO მასალის მიღება შესაძლებელია ZnMnTe ნიმუშში ჟანგბადის იმპლანტაციით. იმპლანტაციის შემდეგ ნიმუში წერტილოვანი პულსური ლაზერის გამოყენებით მუშავდება. ეს ტექნოლოგია ZnMnTe:O მასალის მაღალ თვითღირებულებას განაპირობებს, რაც ხელს უშლის ამ გამოგონების დანერგვას მზის ბატარეების ინდუსტრიაში.

ამგვარად, საჭიროა რაიმე ახალი მეთოდის გამოყენება, რომელიც აღნიშნულ ტექნოლოგიას წარმატებით ჩაანაცვლებს. ჩვენს მიერ შემუშავებულია რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსის (რსკე) მეთოდი, რომელიც ფართოზონიან ნახევარგამტართა თვისებებს ეფექტურად მართავს [4-9]. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ZnMnTe-ის რსკე-ით დამუშავებით მივიღეთ p-i-n გადასასვლელი ZnMnTe/ZnMnTeO სტრუქტურის ბაზაზე. ZnMnTeO ფენებში გამოვიკვლიეთ ფოტოგამტარობა (დასხივდა ქსენონის ნათურით 150W). სინათლის წყაროდან ნიმუშამდე მანძილია 20სმ, სამუშაო ძაბვა 5ვ.



ნიმუშის ნომერი	რსკე დამუშავების ტემპერატურა და დრო (°C) სთ	ფოტოდენი დასხივებამდე (მკა)	ფოტოდენი დასხივების შემდეგ (მკა)
1.	300 - 3	50	65
2.	300 - 4	20	30
3.	350 - 3	5	20
4.	350 - 4	15	35

ამრიგად, რსკე მეთოდით ZnMnTeO-ის მიღებამ აჩვენა რსკე ტექნოლოგიური მეთოდის უპირატესობა აქამდე გამოყენებულ ტექნოლოგიასთან შედარებით და დაგვანახა რსკე მეთოდის პერსპექტივა მაღალეფექტური (მქ=56%-63%) მზის ბატარეების წარმოებაში.

ლიტერატურა:

[1] Walukiewicz, W.; Yu, K.M.; et al. "Highly Mismatched Alloys for Intermediate Band Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2005)

[2] Ager III, Joel W.; Walukiewicz, W.; Yu, Kin Man "Ultra-high Efficiency Multiband Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2006)

[3] A. Avdonina, Le Van Khoia, et.al. "Preparation and Optical Properties of Zn_{1-x}Mn_xTe_{1-y}O_y Highly Mismatched Alloy" Proceedings of the XXXVI Inter. School of Sem. Comp., Jaszowiec 2007

[4] T. Butkhuzi., at. all., Phys.Rev. B Vol. **58**, **16**, 10692 (1998)

[5] Butkhuzi T.V., at all., J. Crystal growth, V 117, pp. 366-369 (1992)

[6] Butkhuzi T. V., at all., Phys. stat. sol. (b) 229, No.1, 365-370 (2002)

[7] T. Butkhuzi, at. all., Sem. Science and Technology Vol. 16 pp. 575-580 (2001)

[8] T. Butkhuzi, et. al., Phys. Stat. Sol. (b) 221, 313 (2000)

[9] T. Butkhuzi, et. al., The 2003 U.S. Workshop on the Physics and Chemistry of II-VI Materials, Extended Abstracts, pp. 87-90, (2003)

2. Obtaining of ZnMnTe/ZnMnTeO structures by RBQE technological method

M. Sharvashidze, T. Butkhuzi, N. Gapishvili, L. Trapaidze,

T. Khulordava, E. Kekelidze, L. Aptsiauri

e-mail: maiasharvashidze@tsu.ge

Semiconductor Physical Institute, Iv. Javakishvili Tbilisi State University, Chavchavadze st. N3

The maximum of power of solar cells (based on narrow-gap semiconductors) efficiency is 31%. Theoretical and experimental investigation shows, that properties of ZnMnTeO gives perspective to production of solar cells with high efficiency (56-63%) [1-3]. The absorption edges (~ 0.73 , 1.83 and 2.56 eV) of ZnMnTeO cover the entire solar spectrum.

Obtaining of ZnMnTeO material is possible with implantation of oxygen in ZnMnTe sample. After implantation sample is treated by using of pulsed laser deposition method. This technological process leads to very high net cost of ZnMnTe:O material, which hinders the of this invention into the solar cell industry.

Thus, it is necessary to be used of a new technology method, which successfully replaced the used technology. We resolved method of Radical Beam Quasiepitaxy (RBQE), which effectively regulates wide-gap semiconductors properties [4-9]. The experiments carried out showed that under treatment of ZnMnTe by RBQE we were obtained p-i-n with the basic of ZnMnTe/ZnMnTeO structure.

We investigated photoconductivity in ZnMnTeO samples (irradiated with xenon lamp 150W). The distance from light source to samples was 20 cm and working voltage – 5 V.



Number of sample	RBQE treatment temperature and time (°C) (h)	Photo conductivity before irradiation (mkA)	Photo conductivity after irradiation (mkA)
1.	300 - 3	50	65
2.	300 - 4	20	30
3.	350 - 3	5	20
4.	350 - 4	15	35

Thus, to obtain of ZnMnTeO by RBQE method shows the advantages of RBQE technological method that the technology used until now and shows us the perspective of the RBQE method of high effective ($E_f=56\%-63\%$) solar cells industry.

Publications:

[1] Walukiewicz, W.; Yu, K.M.; et al. "Highly Mismatched Alloys for Intermediate Band Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2005)

[2] Ager III, Joel W.; Walukiewicz, W.; Yu, Kin Man "Ultrahigh Efficiency Multiband Solar Cells" Lawrence Berkeley National Laboratory (2006)

[3] A. Avdonina, Le Van Khoia, et.al. "Preparation and Optical Properties of $Zn_{1-x}Mn_xTe_{1-y}O_y$ Highly Mismatched Alloy" Proceedings of the XXXVI Inter. School of Sem. Comp., Jaszowiec 2007

[4] T. Butkhuzi., et. al., Phys.Rev. B Vol. **58**, **16**, 10692 (1998)

[5] Butkhuzi T.V., et al., J. Crystal growth, V 117, pp. 366-369 (1992)

[6] Butkhuzi T. V., et al., Phys. stat. sol. (b) 229, No.1, 365-370 (2002)

[7] T. Butkhuzi, et. al., Sem. Science and Technology Vol. 16 pp. 575-580 (2001)

[8] T. Butkhuzi, et. al., Phys. Stat. Sol. (b) 221, 313 (2000)

[9] T. Butkhuzi, et. al., The 2003 U.S. Workshop on the Physics and Chemistry of II-VI Materials, Extended Abstracts, pp. 87-90, (2003)

ბიორგანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი, დირექტორი – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ გახოკიძე**
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

№	გვარი, სახელი	სამეცნიერო წოდება	თანამდებობა
1.	გახოკიძე რამაზ	ქიმ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
2.	ვასილიევა-ვაშაყმაძე ნონა	ფიზ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
4.	ფირცხელანი ამირანი	ბიოლ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
5	ჭოლოშვილი არჩილ	ბიოლ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
6	გახოკიძე აკაკი	ქიმ. აკად. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
7	ჯალიაშვილი თენგიზ	ბიოლ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
8	ტაბატაძე ლალი	ქიმ. აკად. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
9	ჭუმბურიძე ბიძინა	ფარმაც. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
10	ანთაძე გიორგი	ფარმაციის მაგისტრი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
11	ქიტიაშვილი ჯემალ	ვეტერინ. მეც. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
12	როგავა მამანტი	მედიც. მეცნ. დოქტორი	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
13	მამულია სულიკო	ქიმ. აკად. დოქტორი	მეცნიერ-თანამშრომელი
14	კარტოზია ლევანი	ბიოლ. აკად. დოქტორი	მეცნიერ-თანამშრომელი
15	გახოკიძე მერი	მედიკოსი	ტექნიკური მუშაკი
16	ხაჩატრიანი ინგა	დოქტორანტი	ტექნიკური მუშაკი
17	ზუბადალაშვილი მანანა	ბიოლოგ-ეკოლოგი	ტექნიკური მუშაკი
18	გახოკიძე ეკატერინე	მედიკოსი	ტექნიკური მუშაკი
19	სვანიძე გიორგი	მედიკოსი	ტექნიკური მუშაკი
20	შველიძე ვასილი	ფიზ. აკად. დოქტორი	მეცნიერ-თანამშრომელი
21	კოზმანიშვილი გიორგი	დოქტორანტი	ტექნიკური მუშაკი

22	გაბრიჭიძე ჟორა		ტექნიკური მუშაკი
23	სალია ჯემალ		ტექნიკური მუშაკი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გახოკიძე	ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება.	თსუ გამომც., თბილისი, 2013	7
ანოტაციები				
მოწოდებულია სასურსათო პრობლემის გადაჭრის ახალი გზა აგრობიოორგანული ტექნოლოგიის გამოყენებით. დამუშავებულია აგრობიოორგანული ტექნოლოგია, რომელიც მცენარეთა ენდოგენური რეგულატორული სისტემების მართვის და გარემოს არახელსაყრელ პირობებთან მცენარეთა ადაპტაციის საშუალებას იძლევა, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის მოსავალი.				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	М. Мацаберидзе, Р. Схиладзе, Р. Гахокидзе, Л. Топурия, М. Джинчарадзе	Перспективы получения абсолютных экстрактов (не содержащих следов остаточных растворителей) из	2013, т.13, N1	თბილისი	12

		растительного сырья Грузии. Georgia Chemical Journal			
--	--	--	--	--	--

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Vassilieva-Vashakmadze, R. Gakhokidze, I. Khachatryan	Irregular Biopolimers – The Protein Components of Ion Channels of Plant and Animal Cells.	International Symposium on Polymers & Advanced Materials. 2013, p.86. Tbilisi
მომხსენებათა ანოტაციები			

VI. დამატებითი ინფორმაცია

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	აღმოსავლეთ საქართველოს აგროკლიმატურ პირობებში ახალი აგრობიოორგანული ტექნოლოგიის გამოყენება	პროფ. რამაზ გახოკიძე	კოზმანიშვილი გიორგი გაბრიჭიძე ჟორა სალია ჯემალ გახოკიძე აკაკი ხაჩატრიანი ინგა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ანოტაცია		
	საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა სავსე ექსპერიმენტები აღმოსავლეთ საქართველოს (გარდაბნის რაიონი) აგრო-კლიმატურ პირობებში მარცვლოვანი (სიმინდი, ხორბალი), ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების (პომიდორი, გოგრა, ჭარხალი) ზრდა-განვითარებაზე ახალი ბიოპრეპარატების გავლენის შესასწავლად. ჩატარებული სკრინინგი საშუალებას გვაძლევს, მომავალში გაგრძელდეს ექსპერიმენტები სავსე პირობებში საერთო სტატისტიკური მაჩვენებლების მისაღებად და შესაბამისი რეკომენდაციების დასამუშავებლად.		

არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ნოდარ ლევიშვილი, ქიმიის მეცნ.
დოქტორი, ემერიტუს პროფესორი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
არაბული ლილი, განყ. გამგე, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
მაია რუსია, უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
ხათუნა ბარბაქაძე, უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ქიმიის დოქტორი
გურამ ჯიომიანი, ინჟინერი
ლალი ტურიაშვილი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
ხოსიტაშვილი რუსუდან, დოქტორანტი
ცხაკაია ელიზავეტა, დოქტორანტი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სპეციფიკური თვისებების მქონე არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტები კომპოზიტები და არატრადიციული მასალები და მათ ბაზაზე	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის); 12/05	ხათუნა ბარბაქაძე, ქიმიის დოქტორი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი	ხათუნა ბარბაქაძე, ქიმიის დოქტორი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია):

ფეროცენის ნაწარმები განსაკუთრებული და უნიკალური კონფიგურაციის, ელექტრონული თვისებების, მაღალი სტაბილურობისა და უფრო რთულ, კომპლექსურ სტრუქტურებად გარდაქმნის შესაძლებლობის გამო, უნივერსალურ მასალას წარმოადგენენ მიზნობრივი, საინტერესო ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე ლიგანდებისა და მათ ბაზაზე სპეციფიკური თვისებების მქონე ჰეტერომეტალური კოორდინაციული ნაერთების სინთეზისთვის. დღეისთვის არსებული სამეცნიერო კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ფეროცენის ნაწარმები, რომელთა მოლეკულაში შერწყმული იქნება სხვადასხვა ქიმიური სტრუქტურა, პოტენციურად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ახალი, მიზნობრივი ბიოაქტიური ნაერთის დიზაინისა და შექმნისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფეროცენისა და სივრცითი ალიციკლური ფრაგმენტების ერთდროულად შემცველი სისტემების მიზნობრივი სინთეზის მიმართულებით კვლევა აქტუალური, პერსპექტიული და საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, - აღნიშნული ფრაგმენტების ერთ მოლეკულაში გაერთიანება საინტერესოა ქიმიურ სტრუქტურასა და ბიოაქტიურობას შორის ურთიერთგავლენის შესწავლის მხრივაც, ვინაიდან პოლიფუნქციური კომპონენტის ჰიდროფობურობა და მაღალი ლიპოფილობა ნაერთის ბიოაქტიურობის მიზნობრივი მოდიფიცირების საშუალებას იძლევა. მულტიფუნქციური და პირდაპირი ბიოლოგიური მოქმედების, სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მიმართ რეზისტენტული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტებისა და მათ ბაზაზე არატრადიციული მასალების ბიოაქტიურ კომპონენტებად გამოყენების მიზნით დასინთეზებულია ახალი ტიპის საინტერესო ბიოაქტიური ლიგანდები და მათ ბაზაზე გარდამავალი მეტალების კოორდინაციული ნაერთები, რომლებიც შეიცავენ მაღალ რეაქციისუნარიან და ძლიერ ფარმაკოფორულ, პოლიფუნქციურ ასიმეტრიულ ფრაგმენტსა და ფეროცენის ჯგუფს, რამაც, გარდამავალ მეტალებთან ერთად, არსებითი როლი უნდა შეასრულოს მიზნობრივი კოორდინაციული ნაერთების ბიოაქტიურობის გამოვლენაში.

მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით; თერმოგრაფიმეტრიული და დიფერენციულ-თერმული ანალიზის მეთოდებით მიღებული ნაერთების დადგენილია თერმოლიზის ტემპერატურული ინტერვალები და შესწავლილია მათი თერმოდგრადობა. დადგენილია, რომ კოორდინაციული ნაერთების თერმოდგრადობა, თავისუფალ ლიგანდთან შედარებით, იზრდება გარდამავალ მეტალთა იონებთან კოორდინაციის შედეგად;

ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით ჩატარებულია შერჩეული ლიგანდის ძირითადი ფრაგმენტის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვლევა; განსაზღვრულია ენერგეტიკული და გეომეტრიული მახასიათებლები, ატომებზე ეფექტური მუხტები და ელექტრონული დასახლება ატომურ ორბიტალებზე; კვანტურ-ქიმიური გათვლებით დადგენილია, რომ ლიგანდის მოლეკულები შეიცავენ პოტენციურად ელექტრონოდონორულ ჟანგბადისა და აზოტის ატომებს, რის გამოც წარმოადგენენ ბიდენტატურ ლიგანდებს და შეუძლიათ გარდამავალ მეტალებთან კოორდინაციული ნაერთების წარმოქმნა ხუთწევრიანი ციკლის სახით;

შესწავლილია მიღებული ნაერთების მოსალოდნელი ბიოლოგიური აქტიურობა პროგრამით PASS C&T (თეორიული, შედარებითი ბიოსკრინინგი); მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, შერჩეულ ნაერთებს, ექსპერიმენტულად მაღალი ალბათობით ($P \sim 0.50-0.80$), შესაძლოა აღმოაჩნდეთ შემდეგი ტიპის ბიოაქტიურობა: *Antibacterial*, *Antiparasitic (Antiprotozoal, Antihelminthic)*, *Cytoprotectant*, *Antimycobacterial* და სხვ. ნაჩვენებია, რომ კომპლექსწარმოქმნის შედეგად ნაერთების ბიოაქტიურობა იზრდება; მომზადებულ იქნა თეორიული ბიოსკრინინგით შერჩეული

ნაერთების ნიმუშები ბიოსკრინინგისთვის და გადაცემულ იქნა მიკრობიოლოგიური კვლევაზე მათი გამოყენების შესაძლო სფეროების დადგენისა და ანტიმიკრობულ, ბაქტერიციდულ და ფუნგიციდურ პროტექტორებად გამოყენების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით.

შერჩეულია ძირითად ჯაჭვში ორგანული და არაორგანულ-ორგანული ფრაგმენტების შემცველი პოლიფუნქციური პოლიმერები - ორგანული პოლიეპოქსიდი “ზისფენოლ A”-ს ბაზაზე და პოლიურეთანი “BUTYP T-261“ 4,4-დიმეთილმეთანდიიზოციანატისა და ოლიგობუტილენ-გლიკოლადიპინატის ბაზაზე მათი სპეციფიკური თვისებების მქონე კონკრეტული კომპოზიციური მასალების მატრიცებად გამოყენების მიზნით; შერჩეული პოლიმერების სტრუქტურის ფიზიკური და/ან ქიმიური მოდიფიკაციისთვის, ტრიბოლოგიური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, გამოყენებულია სილიციუმორგანული ოლიგომერი - ბის(ჰიდროქსილაკილ)პოლიდიმეთილსილოქსანი.

ჰეტეროჯაჭვურ აფსკვარმომქმნელ, არამოდიფიცირებულ და მოდიფიცირებულ პოლიმერულ მატრიცებში შერჩეული ბიოაქტიური, - მეტალორგანული და კოორდინაციული ნაერთების დოპირების და ლაბორატორიული შემრევეების მეთოდით დამზადებულია ხანმოკლე (“Short-time”) და ხანგრძლივი (“Long-time”) მოქმედების ფუნქციური, სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მიმართ რეზისტენტული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალები პოლიმერულ მატრიცასთან მათი დიპოლ-დიპოლური და წყალბადური ბმების წარმოქმნის უნარის გათვალისწინებით. აღნიშნული კომპოზიციებისა და მასალების მომზადება არ საჭიროებს რთულ ტექნიკურ აღჭურვილობას. განსაზღვრულია პოლიფუნქციური პოლიმერების, მოდიფიკატორისა და ბიოაქტიური კომპონენტის ოპტიმალური კონცენტრაციები.

შესწავლილ იქნა (ნორდ ტეხასის უნივერსიტეტის ავანგარდული პოლიმერული მასალების ლაბორატორია, 27.08.13-26.09.12) შერჩეული პოლიმერული მატრიცებისა და მათ ბაზაზე დამზადებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური და საექსპლუატაციო მახასიათებლები, კერძოდ, ტრიბოლოგიური (კაწვრადობა, ხახუნისა და ცვეთადობისადმი მდგრადობა) და მექანიკური (ადჰეზიური სიმტკიცე) თვისებები.

დადგენილია, რომ შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმი ძირითადად შემცირდა შერჩეულ ორგანულ ეპოქსიდზე მოდიფიკატორის გარკვეული კონცენტრაციის დამატებით. მოდიფიცირებული პოლიეპოქსიდების ბაზაზე დამზადებული კომპოზიტები მიკროკაწვრადობით მცისიერი დეფორმაციისადმი უფრო მეტად მდგრადნი არიან. ამგვარად, შეღწევადობის სიღრმის მაქსიმუმის მონაცემები ძირითადად გაცილებით დაბალია მოდიფიცირებული პოლიმერული მატრიცების შემთხვევაში არამოდიფიცირებულ მატრიცასთან შედარებით; აგრეთვე ნაკლებია ბლანტდრეკადობის აღდგენა და მცირდება ნაშთის სიღრმე. შედეგების სამივე სერია შესაძლებელია აიხსნას პოლიმერული კომპოზიტების აგებულებით, მოდიფიკატორის ბუნებითა და შედგენილობით და აგრეთვე ექსპერიმენტის პირობებით.

არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული პოლიმერების ბაზაზე დამზადებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების იმავე ჭრილის შემდგომი მრავალრიცხოვანი კაწვრადობის მეშვეობით დადგენილ იქნა მცოცავი ცვეთადობა.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ პოლიეპოქსიდებისა და პოლიურეთანების ბაზაზე მიღებული დამცავი საფრების დინამიური ხახუნის კოეფიციენტის ბურთულის განარბენის მანძილზე დამოკიდებულება ძირითადად განისაზღვრება საკვლევი პოლიმერული კომპოზიტების შედგენილობით, პოლიმერული მატრიცების აგებულებით, მოდიფიკატორის ბუნებითა და ექსპერიმენტის პირობებით; ნაჩვენებია, რომ პოლიმერების სილიციუმორგანული ოლიგომერით მოდიფიცირება ხახუნის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც, როგორც ჩანს, მოქნილი სილოქსანური ოლიგომერის მაღალი მაპლასტიფიცირებადი უნარით არის განპირობებული. მოდიფიცი-

რებულ პოლიმერულ კომპოზიტებში ბიოაქტიური ნაერთების დოპირებით დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა იზრდება, რაც შეიძლება აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურით.

ელექტრონული მიკროსკოპით Nikon Eclipse ME 600 გადაღებული ნიმუშების ზედაპირის ოპტიკური გამოსახულებების მეშვეობით მიღებული დამცავი საფრების ზედაპირის მორფოლოგიის შესწავლამ დაადასტურა მიღებული შედეგები, კერძოდ, სილიციუმორგანული ოლიგომერით მოდიფიცირებული პოლიეპოქსიდებისა და პოლიურეთანების შემთხვევაში დამცავი საფრების ცვეთამედეგობა იზრდება.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ სილიციუმორგანული ოლიგომერით მოდიფიკაცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიმერების მექანიკური და ტრიბოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად.

შესწავლილია გამოყენებული ბიოაქტიური ნაერთების და პოლიმერების ბუნებისა და კონცენტრაციის, რეცეპტორული და ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა მიღებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიციებისა და მასალების თვისებებზე.

შერჩეული პოლიმერული მატრიცებისა და მათ ბაზაზე დამზადებული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების საექსპლუატაციო მახასიათებლების გამოსაცდელად შესწავლილ იქნა მათი ჰიდროფობური თვისებები, ფოტოქიმიური, შუქამინდისადმი და თერმოდაბერებისადმი მდგრადობა. თერმოდაბერებისადმი მდგრადობის (40 და 60^o ჰაერზე), ფოტოქიმიური (უი და ხილული სინათლისადმი მდგრადობა) და ე.წ. „შუქამინდის“ (დღის სინათლის, O₂, CO₂ და სინესტისადმი მდგრადობა) შესწავლით დადგენილია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეიმჩნევა დამცავი საფრის ფირების ერთგვაროვნების, გარეგნული იერსახისა და ფერის, ასევე ოპტიკური გამჭვირვალობისა და მექანიკური თვისებების (ზედაპირის ერთგვაროვნება ბზარების წარმოქმნის გარეშე, - ვიზუალურად და მახასიათებლების განსაზღვრით) ცვლილება; გრავიმეტრიული მეთოდით წყალშთანთქმისუნარიანობისადმი მდგრადობის განსაზღვრით დადგენილია, რომ 384 სთ-ის განმავლობაში მათი წყალშთანთქმისუნარიანობა არ აღემატება 0.01%-ს.

წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ჰეტეროჯაჭვური აფსკწარმომქმნელი პოლიმერების და ბიოაქტიური ნაერთების ბაზაზე დამზადებული მულტიფუნქციური, სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მიმართ რეზისტენტული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული მასალების (ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები) გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა მასალების ზედაპირზე მიკროორგანიზმების ზრდითა და დასახლებით გარემოში გამოწვეული ეპიდემიოლოგიურად და ეკოლოგიურად საშიში მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების, არქეოლოგიური ნიმუშებისა (ტყავის, ხის, ქვის) და სამუზეუმო ექსპონატების სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის ზემოქმედებისგან ეფექტური დაცვა.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---------------------	--------------------------------	---------------------

1	Editors and Project Authors: Gennady E. Zaikov, Nodar G. Lekishvili, Yurii G. Medvedkovich.	“Multicomponent Polymeric Materials”	Apple Academic Press. Toronto-New Jersey. 2012; (www.AppleAcademicPress.com)	232
---	--	--------------------------------------	--	-----

ანოტაცია

წარმოდგენილი მონოგრაფია, თეორიისა და ექსპერიმენტების დაბალანსების მეშვეობით, უზრუნველყოფს პოლიმერული მასალების სფეროს ძირითად და ყველაზე აქტუალური განვითარების დეტალურ მიმოხილვას. ვინაიდან განხილვის თემა მეტად ინტერდისციპლინურია და აკავშირებს სხვადასხვა განათლების მქონე მეცნიერებსა და საინჟინრო დარგებს, წიგნი აგრეთვე წარმოადგენს კვლევებზე ორიენტირებული ძირითადი პრინციპების ექსპოზიციას.

მონოგრაფია ეფუძნება რედაქტორებისა და ავტორების ფართო გამოცდილებას კვლევებში, განვითარებასა და განათლებაში მასალათა მეცნიერების სფეროში, განსაკუთრებით პოლიმერების ტესტირებაში, პოლიმერების დიაგნოსტიკასა და უარყოფითი მონაცემების (დაზიანებათა) ანალიზში. პოლიმერების ტესტირების მეთოდების ღრმა და დაწვრილებითი შეფასება წარმოდგენილია პოლიმერების მსხვრევადი (მტვრევადი) ქცევისა და დეფორმაციის შესახებ ავტორთა კვლევის შედეგებთან ერთად. ის სასარგებლო იქნება მასალათა მეცნიერების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობების სტუდენტებისთვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა

- თავი 1: Updates on Nanofiller Structure in Elastomeric Nanocomposites
- თავი 2: Fractal Clusters in Physics-Chemistry of Polymers
- თავი 3: Nanotechnologies in Polymer Processing
- თავი 4: A Study on Polymer Synthesis and Processing Using Supercritical Carbon Dioxide
- თავი 5: Updates to Production and Application of Chlorine Polyolefine
- თავი 6: A Study on Rheological Properties of Dilute and Moderately Concentrated Solutions of Chitosan
- თავი 7: Updates on Polymer-Inorganic Materials
- თავი 8: A Note on Gradient Refractive Index
- თავი 9: IR Study of Silanol Modification of Ethylene Copolymers
- თავი 10: Updates on Polymer Composites and Fibers for Advanced Technologies 000
- თავი 11: Updates on Polymer Composites and Fibers for Advanced Technologies
- თავი 12: New Application for Reuse of Thermoset Plastics

ინდექსი

- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის აღგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------


1	N. Lekishvili , G. Jioshvili, Kh. Barbakadze, L. Turiashvili, K. Giorgadze, M. Rusia, Z. Lomtadze	„Arsenic Containing Borates Based on Industrial Waste Transformation Products“, Asian J. Chem.	25, 10, 2013	ინდოეთი	4
2	T. Marsagishvili, M. Machavariani, G. Tatishvili, R. Khositashvili and N. Lekishvili .	„Ion-Exchange Processes in the Channels of Zeolites“, Asian J. Chem.	25, 10, 2013	ინდოეთი	4
3	L. Arabuli, L. Silaghi-Dumitrescu, K. Giorgadze, N. Lekishvili	„Arsenobetaines – Potential Bidentate ligands and Optimized Crystal Structure of New Metal(II)-Arsenic Hybrid Compounds“. Oxidation Communication (Intern. Journ.)	Accepted for public.	ბალკანეთი, სოფია, ბალკანეთის ტრიბოლოგიური ასოციაცია	14
4.	N. Lekishvili , Kh. Barbakadze, W. Brostow, T. Datashvili, A. Fainleib, O. Grigorieva, G. Zaikov	“Inorganic-Organic Hybrid Antibiocorrosive Covers Based on Poly- urethanes and Coordination Compounds of Some Transition Metals” "New Research and Technologies in Applied Physical Chemistry: from Principles to Applications", Ed. by Alberto D'Amore, A.K. Haghi and Gennady E. Zaikov Canada-USA, 2013. Independent Chapter in International Monograph.	2013	კანადა-აშშ, "Apple Academic Press, Taylor & Francis Group", 2013	3

1. N. Lekishvili, G. Jioshvili, Kh. Barbakadze, L. Turiashvili, K. Giorgadze, M. Rusia, Z. Lomtadze


“Arsenic Containing Borates Based on Industrial Waste Transformation Products”

ანოტაცია:


სტატიაში განხილულია დარიშხანის შემცველი ახალი ბორატების სინთეზი:



ეთილენგლიკოლპარაოქსიფენილ-არსონიუმმჟავა ბორატი



პიროკატექინპარაოქსიფენილ-არსონიუმმჟავა ბორატი



2,3-დიოქსინაფთალინპარაოქსიფენილარსონიუმმჟავა ბორატი

მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგინდა მათი ელემენტური

ანალიზის, ინფრაწითელი, ბმრ- ($^1\text{H NMR}$, $^{13}\text{C NMR}$) და მას-სპექტრების საფუძველზე.

კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით დარიშხანის (V) შემცველ ბორატებში გამოთვლილია მოლეკულებში ატომთაშორისი მანძილები, სავალენტო კუთხეები, ატომურ ორბიტალებზე ელექტრონების დასახელება (ელექტრონული სიმკვრივე) და ეფექტური მუხტები.

შესწავლილია მიღებული დარიშხან(V)შემცველი ბორატების თერმული მდგრადობა. ნაერთების თერმოგრაფიმეტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თერმოლიზის პროცესში გამოკვეთილია სამი ძირითადი ეტაპი: დარბილება, ნაწილობრივი “დანახშირება” და საბოლოო დესტრუქცია. დადგენილია, რომ თერმოლიზის საბოლოო პროდუქტებს წარმოადგენს ბორისა და დარიშხნის ოქსიდები. დადგენილია, რომ მათი თერმული მდგრადობა მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ორგანული რადიკალების ბუნებაზე.

ჩატარებულია მიღებული ნაერთების ვირტუალური ბიოსკრინინგი ინტერნეტპროგრამის PASS-ის მეშვეობით, რომლის მონაცემებზე დაყრდნობით პროგნოზირებულია დასინთეზებული ნაერთების სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობები: *Antibacterial (Antispirochetal, Antitreponemal, Subtilisin inhibitor, Salmonela)*, *Antiparasitic (Antiprotozoal-Amoeba, Histomanas, Tripanosoma, Trichomonas)*, *Growth stimulated* და სხვ.

3. L. Arabuli, L. Silaghi-Dumitrescu, K. Giorgadze, N. Lekishvili

„Arsenobetaines – Potential Bidentate Ligands and Optimized Crystal Structure of New Metal(II)-Arsenic Hybrid Compounds“

ანოტაცია:

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია არსენობეტაინები, რომელთა მიმართ ჩვენი ინტერესი გამოწვეულია მათი სტრუქტურით (შეიცავს კარბოქსილატის ნაწილს), როგორც პოტენციური ლიგანდების მიმართ მეტალთა იონებთან ახალი არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპლექსების სინთეზისთვის, ასევე მეტალთა იონებთან მათი კომბინაციისას შემხნეული ტოქსიკურობისა და ბიოაქტიურობის და ხსნადობაზე, ტოქსიკურობაზე, ანტიმიკრობულ/ანტიბაქტერიულ აქტიურობაზე და ა.შ. კოორდინაციის გავლენის გამო.

ნაშრომში აღწერილია სინთეზური არომატული არსენობეტაინები, როგორც ახალი კოორდინაციული ნაერთების წინამორბედები, სადაც ისინი უმეტესად ბიდენტატურად (O, O) არიან დაკავშირებული მეტალის ცენტრალურ ატომთან. მიღებულ იქნა მათი კოორდინაციული ნაერთები მეტალთა იონებთან [Mg and Cu(II)], რომლებიც შესწავლილ იქნა ESR სპექტროსკოპიული მეთოდით; დაფიქსირებულია სპილენძის(II) ტიპური EPR სიგნალი ანიზოტროპული ფაქტორით: $g_x = 2.18$, $g_y = 2.09$ და $g_z = 2.39$. შიგაკრისტალური ველის სიმეტრია განსხვავდება აქსიალური სიმეტრიისგან. ამას გარდა, ბრტყელ-კვადრატული გეომეტრიის მქონე სპილენძის(II) კოორდინაციული ნაერთებში სპილენძი-ჟანგბადის ბმისთვის $g_{||}$ არის ~2.4 და 2.3 – სპილენძი-აზოტის ბმისთვის. ჩვენი კომპლექსებისთვის $g_{||}$ არის 2.39-2.42, რაც წარმოდგენილ მონაცემებთან თანხვედრაშია და აღნიშნული ფაქტი საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ სპილენძის ატომები დაკავშირებულია ჟანგბადის ატომებთან და გააჩნიათ ბრტყელ-კვადრატული გეომეტრია.

კარბოქსილატის ნაწილისთვის გამოთვლილია დაბალმა დანაწილების სიდიდემ (Δ) ასიმეტრიულ და სიმეტრიულ ვალენტურ რხევებს შორის აჩვენა, დასინთეზებული კოორდინაციული ნაერთების ბიდენტატური კოორდინაციული უნარი. EPR სპექტრმა აჩვენა სპილენძის(II) ცენტრალური ატომის ბრტყელ-კვადრატული კოორდინაციული გეომეტრია. DFT მეთოდი გამოყენებულ იქნა მეტალ(II)-არსენობეტაინის კომპლექსური კატიონის კრისტალური სტრუქტურის ოპტიმიზაციისთვის. გათვალისწინებულია აღნიშნული ნაერთების ანტიბაქტერიული და ფუნგიციდური აქტიურობის შესწავლა.

4. N. Lekishvili, Kh. Barbakadze, W. Brostow, T. Datashvili, A. Fainleib,
O. Grigorieva, G. Zaikov


„Inorganic-Organic Hybrid Antibiocorrosive Covers Based on Polyurethanes and
Coordination Compounds of Some Transition Metals“

ანოტაცია:

სტატიაში აღწერილია ახალი ბიოაქტიური არაორგანული კომპოზიტები და მათ
ბაზაზე ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრები.



პოლიმერული კომპოზიტების დასამზადებლად პოლიმერულ მატრიცად შერ-
ჩეულ იქნა შემდეგი პოლიურეთანები:

1. პოლიესთერურეთანი “PU”:




სადაც, R = -CH₂CH(CH₃)-; R' = -(CH₂)₂O(CH₂)₂-.

2. გოგირდშემცველი პოლიესთერურეთანი “PUS”:




3. გოგირდშემცველი პოლიესთერურეთანის იონომერი “PUSI”:




პოლიურეთანების სტრუქტურის ფიზიკური და/ან ქიმიური მოდიფიკაციისთვის
ტრიბოლოგიური თვისებების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებულ იქნა სილიციუმორგა-
ნული ოლიგომერები:

ა) ბის(ჰიდროქსიალკილ)პოლიდიმეთილსილოქსანი:



ბ) α,ω-დიჰიდროქსიმეთილვინილოლიგოორგანოსილოქსანი:



ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრებისთვის ბიოაქტიურ კომპონენტად საწყისი ლიგანდებისა და გარდამავალი მეტალების ბიოლოგიური აქტიურობის და პოლიმერულ მატრიცასთან დიპოლ-დიპოლური და წყალბადური ბმების წარმოქმნის უნარის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა პოლიკარბოციკლური ჰიდრაზიდ-ჰიდრაზონული ლიგანდების კოორდინაციული ნაერთები, რომლებიც მიღებულ იქნა შესაბამისი ლიგანდების (L) გარდამავალ მეტალთა მარილებთან (MX_n) ურთიერთქმედებით (მოლური თანაფარდობა MX_n: L – 1:3) ეთანოლ- და აცეტონ-წყალხსნარში.

გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ პოლიურეთანების ბაზაზე მიღებული დამცავი საფრების დინამიური ხახუნის კოეფიციენტის ბურთულის განარბენის მანძილზე დამოკიდებულება ძირითადად განისაზღვრება საკვლევი კომპოზიტების შედგენილობით, პოლიმერული მატრიცების აგებულებით, მოდიფიკატორის ბუნებითა და ექსპერიმენტის პირობებით. არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული პოლიურეთანებისა და მათ ბაზაზე მიღებული ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების ხახუნის ცვლილების შესწავლიდან ჩანს, რომ დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა მაღალია არამოდიფიცირებული პოლიურეთანების შემთხვევაში.

α,ω-დიჰიდროქსიმეთილვინილოლიგოორგანოსილოქსანით მოდიფიცირებული გოგირდ-შემცველი პოლიესთერურეთანის ბაზაზე დამზადებული დამცავი საფრის შემთხვევაში დინამიური ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა, სხვა დამცავ საფრებთან შედარებით, მინიმალურია. 4,4-დიმეთილმეთანდიიზოციანატისა და ოლიგობუტილენგლიკოლადიპინატის ბაზაზე მიღებულ პოლიესთერურეთანის მატრიცაში ბიოაქტიური კოორდინაციული - ნაერთების დოპირებით ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობა იზრდება, რაც შეიძლება აიხსნას მათი სივრცითი სტრუქტურის გავლენით. ნაჩვენებები იქნა, რომ პოლიესთერურეთანების სილიციუმორგანული ოლიგომერებით მოდიფიცირება ხახუნის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც, როგორც ჩანს, მოქნილი სილოქსანური ოლიგომერების მაღალი მაპლასტიფიცირებადი უნარით არის განპირობებული.

განსაზღვრულ იქნა მიღებული ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების წყალშთან-თქმისუნარიანობა გრავიმეტრიული მეთოდით. ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა, რომ 300 სთ-ის განმავლობაში მათი წყალშთან-თქმისუნარიანობა არ აღემატებოდა 0.01%-ს. მიღებული ანტიბიოკოროზიული ჰიბრიდული დამცავი საფრების იზოთერმული დაბერებისა (40 და 60°C) და ე.წ. “შუქამინდის” (ჰაერის ტენის და უანგბადის, მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ან მზის “გაბნეული” სინათლის, აგრეთვე ამონასუნთქი CO₂-ის კომპლექსური მოქმედება) გავლენის შესწავლით დადგენილ იქნა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (7200 სთ) დამცავი საფრის საწყისი იერსახე, ფერი, ოპტიკური გამჭვირვალობა და მექანიკური თვისებები (ზედაპირის ერთგვაროვნება ბზარების წარმოქმნის გარეშე) არ გაუარესდა.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

- 1) საქართველოში
- 2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების
---	---------------	--------------------	-------------------

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	<u>Kh. Barbakadze</u> , N. Lekishvili, D. Zurabishvili	„Novel bioactive compounds containing ferrocene and spatial alicyclic fragments for human and domestic animals protection“	ICCE-21, 21 st Annual International Conference on Composites or Nano Engineering. Tenerife, Spain, pp. 73-74
2	<u>M. Rusia</u> , N. Lekishvili, I. Didbaridze, Kh. Barbakadze, J. Akhtar	„Bioactive pyridine coordination compounds with some of d-metals' of tetrathioarsenates(V) based on arsenic industrial waste“	ICCE-21, 21 st Annual International Conference on Composites or Nano Engineering. Tenerife, Spain, pp. 697-698
3	N. Lekishvili, Kh. Barbakadze, G. Lekishvili	„Novel ferrocene derivatives with polycyclic spatial groups: synthesis, study and application“	The 7th International Conference on Multifunctional Materials and Application. November 22-24, 2013, Anhui, China (accepted).

მოსხენებათა ანოტაციები:

1. **Kh. Barbakadze, N. Lekishvili, D. Zurabishvili**
„Novel bioactive compounds containing ferrocene and spatial alicyclic fragments for human and domestic animals protection“

ანოტაცია

ფეროცენის ნაწარმები მაღალი სტაბილურობისა და უფრო რთულ კომპლექსურ სტრუქტურებად მათი გარდაქმნის შესაძლებლობის გამო, უნივერსალურ მასალას წარმოადგენენ მიზნობრივი, საინტერესო ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე ლიგანდებისა და მათ ბაზაზე სპეციფიკური თვისებების მქონე ჰეტერომეტალური კოორდინაციული ნაერთების სინთეზისთვის. ფეროცენშემცველი კომპლექსები დღეისათვის უდიდეს ყურადღებას იპყრობენ უნიკალური კონფიგურაციისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენების ფართო ნიშის გამო, მათ შორის ორგანულ სინთეზში, ბიოსენსორებად, მედიცინაში, მასალათა მეცნიერებაში და ა.შ. მოსალოდნელია, მეტალორგანულმა კომპლექსებმა გამოავლინონ მოქმედების სრულიად ახალი, ეფექტური პოტენციალი სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მოქმედების დათრგუნვის მიმართულებით. ბიოაქტიური ნაერთების ქიმიურ სტრუქტურასა და სპეციფიკურ აქტიურობას შორის დამოკიდებულების დადგენის მიზნით, დასინთეზებულია მიზნობრივი, ახალი ტიპის ბიოაქტიური ლიგანდები და მათ ბაზაზე გარდამავალი მეტალების კოორდინაციული ნაერთები, რომლებიც შეიცავენ ძლიერ ფარმაკოფორულ, ალმასის ძირითადი სტრუქტურის ტიპურ ასიმეტრიულ ფრაგმენტსა და ფეროცენის ჯგუფს, რამაც, გარდამავალ მეტალებთან ერთად, არსებითი როლი უნდა შეასრულოს მიზნობრივი კოორდინაციული ნაერთების ბიოაქტიურობის გამოვლენაში. მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. თერმოგრაფიმეტრიული და დიფერენციულ-თერმული ანალიზის მეთოდებით შესწავლილია მიღებული კოორდინაციული

ნაერთების თერმომდგრადობა. დადგენილია, რომ კოორდინაციული ნაერთების თერმომდგრადობა, თავისუფალ ლიგანდთან შედარებით, იზრდება გარდამავალ მეტალთა იონებთან კოორდინაციის შედეგად. ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით ჩატარებულია შერჩეული ლიგანდების ძირითადი ფრაგმენტის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვლევა. კვანტურ-ქიმიური გათვლებით დადგენილია, რომ ლიგანდის მოლეკულები შეიცავენ რა პოტენციურად ელექტრონოდონორულ ჟანგბადისა და აზოტის ატომებს, წარმოადგენენ ბიდენტატურ ლიგანდებს, რომელთაც შეუძლიათ გარდამავალ მეტალებთან კოორდინაციული ნაერთების წარმოქმნა ხუთწევრიანი ციკლის სახით.


შესწავლილია მიღებული ნაერთების მოსალოდნელი ბიოაქტიურობა პროგრამით PASS C&T (თეორიული, შედარებითი ბიოსკრინინგი), რომელიც მაღალი სიზუსტით პროგნოზირებს ნაერთის შესაძლო ბიოაქტიურობას. მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, შერჩეულ ნაერთებს ექსპერიმენტულად მაღალი ალბათობით ($Pa \sim 0.50-0.80$), შესაძლოა აღმოაჩნდეთ შემდეგი ტიპის ბიოაქტიურობა: Antibacterial, Antiparasitic Cytoprotectant, Antiparasitic Cytoprotectant და სხვ. ამასთან, ნაჩვენებია, რომ კომპლექსწარმოქმნის შედეგად ნაერთების ბიოაქტიურობა იზრდება. წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ მიღებული ნაერთების გამოყენება შესაძლებელია: ა) მულტიფუნქციური და პირდაპირი ბიოლოგიური მოქმედების, სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის მიმართ რეზისტენტული არაორგანულ-ორგანული ჰიბრიდული კომპოზიტებისა და არატრადიციული მასალების მისაღებად ადამიანისა და ცხოველების დაცვის მიზნით; ბ) ადამიანებსა და ცხოველებში ზოგიერთ საშიშ დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების ზრდის ინჰიბირებისთვის, სხვადასხვა დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის; გ) ანტიბიოკოროზიული დამცავი საფრების ბიოაქტიურ კომპონენტებად კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

2. M. Rusia, N. Lekishvili, I. Didbaridze1, Kh. Barbakadze, J. Akhtar.

„Bioactive pyridine coordination compounds with some of d-metals' of tetrathioarsenates(V) based on arsenic industrial waste”

ანოტაცია

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს თუთიის, ვერცხლისწყლის(II), სპილენძის(II) და ნიკელის კოორდინაციული ნაერთების მიღება და შესწავლა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და ხელმისაწვდომ აზოტ შემცველ ლიგანდთან, - პირიდინთან, ცნობილი სამრეწველო პროდუქტის (ტეტრა-თიოარსენატი) ბაზაზე, რომელიც მიღებულ იქნა ზემოაღნიშნული წარმოების ნარჩენების გარდაქმნით:



საწყის რეაგენტებად გამოყენებულ იქნა ზემოაღნიშნული მეტალების წყალში ხსნადი მარილები – თუთიის აცეტატი, ვერცხლისწყლის ნიტრატი(II), სპილენძის სულფატი(II) და ნიკელის ქლორიდი(II). დარიშხანშემცველ ნაერთებს შორის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ნატრიუმის ტეტრა-თიოარსენატი $\text{Na}_3\text{AsS}_4 \cdot 8\text{H}_2\text{O}$, რომელიც მიღებულ იქნა დარიშხანშემცველი წარმოების ნარჩენების გარდაქმნით.

d-მეტალების პირიდინატების სინთეზი განხორციელდა მიმოცვლის რეაქციით – გარდამავალი მეტალის მარილის ექვივალენტური რაოდენობის ურთიერთქმედებით

ნატრიუმის ტეტრა-თიოარსენატის ნაჯერ ხსნართან. მიღებული კოორდინაციული ნაერთები წარმოადგენენ მყარ, შეფერილ, კრისტალურ ნივთიერებებს, რომლებიც ნაწილობრივ იხსნებიან დიმეთილფორმამიდში, არ იხსნებიან წყალში, ტუტებში, ეთილის სპირტსა და თხევად ნაჯერ ნახშირწყალბადებში. მაღალ ტემპერატურაზე გაღებამდე იშლებიან, მჟავებთან ურთიერთქმედებისას გარდაიქმებიან დარიშხანის სულფიდში(V).

მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილ იქნა ელემენტური ანალიზის, ინფრაწითელი სპექტროსკოპიისა და რენტგენოფაზური გამოკვლევების მონაცემებით, აგრეთვე მათი ღმმ-ის ხსნარების ელექტროგამტარობის განსაზღვრით. დასინთეზებული ნაერთების იწ სპექტრებიდან ჩანს, რომ მათში შეიმჩნევა AsS_4^{3-} ჯგუფისთვის დამახასიათებელი ვალენტური რხევის შთანთქმის ზოლები 420 სმ^{-1} -ზე, ხოლო დეფორმირებული რხევის – 470 სმ^{-1} უბანში. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ცენტრალურ ატომთან თავისუფალი ლიგანდის კოორდინირებისას შთანთქმის ზოლის მნიშვნელობა წაინაცვლებს $\sim 8-30 \text{ სმ}^{-1}$ -ით. არაკოორდინირებული პირიდინის $\nu(C=N)$ შთანთქმის ზოლი მდებარეობს 1580 სმ^{-1} უბანში, მაშინ როდესაც ჩვენს მიერ დასინთეზებულ ნაერთთა სპექტრებში იგივე შთანთქმის ზოლი ვლინდება $1600-1610 \text{ სმ}^{-1}$ უბანში, რაც ცალსახად ადასტურებს ამ ნაერთებში მეტალის იონებთან კოორდინირებული პირიდინის არსებობას. ტეტრა-თიოარსენატის იონებისა და ნატრიუმის ტეტრა-თიოარსენატის იონების შთანთქმის ზოლების დამთხვევა მიუთითებს, რომ აღნიშნული ანიონი წარმოქმნის კოორდინაციული ნაერთის მეორე (შიგა) სფეროს.

დასინთეზებულ ნივთიერებათა რენტგენოფაზური ანალიზის მონაცემები, ლიტერატურაში მოყვანილი კლასიფიკაციის თანახმად, მოწმობს, რომ მიღებული ნაერთები თავიანთი სტრუქტურის ბუნების მიხედვით სულფომარილების ქვეჯგუფს მიეკუთვნება. შესწავლილ იქნა კრისტალური სტრუქტურის მოწესრიგებულობაზე კატიონის გავლენის ფაქტი. მაგალითად, სპილენძი(II) და ვერცხლისწყალი(II) ხელს უწყობენ წვრილდისპერსული ფაზის წარმოქმნას, რომელიც რენტგენოამორფულ მდგომარეობას უახლოვდება.

მიღებული კოორდინაციული ნაერთების თერმოგრაფიული კვლევიდან ჩანს, რომ საწყის ეტაპზე მიმდინარეობს კოორდინაციული ნაერთის მოლეკულიდან ლიგანდის მოწყვეტა, ხოლო შემდეგ ეტაპობრივად ხორციელდება ტეტრათიოარსენატის(V) თერმული დაშლის პროცესი.

ფუნქციური ანალიზის (ღმტ) მეთოდის გამოყენებით გათვლილ იქნა ტერაედრული კომპლექსური იონების $[Zn(C_5H_5N)_4]^{2+}$, $[Cd(C_5H_5N)_4]^{2+}$, $[Hg(C_5H_5N)_4]^{2+}$, $[Cu(C_5H_5N)_4]^{2+}$ სრული ენერგია და მეტალ-აზოტის ბმის სერიები. გათვლებისთვის გამოყენებულ იქნა ფსევდოპოტენციური (მხოლოდ სავალენტო ელექტრონები) ბაზისი, რომელიც ფარდობით კორელაციას პროგნოზირებს.

მიღებული კოორდინაციული ნაერთების მეტალ-პირიდინული ფრაგმენტების ბიოაქტიურობის თეორიული შეფასებისთვის ჩატარებულ იქნა თეორიული (ვირტუალური) ბიოსკრინინგი კომპიუტერული პროგრამით PASS C&T, რომელიც ნაერთების აქტიურობის შეფასებას ახორციელებს P_a (აქტიური) და P_i (არააქტიური) პარამეტრებით. გათვლების პირველ ეტაპზე განხორციელდა Na_3AsS_4 -ის ბიოაქტიურობის თეორიული კვლევა, რომელიც აღნიშნული კვლევების პიხედვით ავლენს *antiprotozoal (Amoeba)* და *Antihelmintic (Nematodes, Fasciola)* აქტიურობას, - $P_a = 0,507-0.898$. ბიოსკრინინგის შედეგების მიხედვით მიღებული კოორდინაციული ნაერთების მეტალ-პირიდინული ფრაგმენტები ასევე ავლენენ მაღალ ბიოაქტიურობას, - შერჩეულმა სტრუქტურებმა ექსპერიმენტულად მაღალი ალბათობით ($P_a=0.57-0.90$) შესაძლოა აჩვენონ შემდეგი ტიპის ბიოლოგიური აქტიურობა: *Atherosclerosis treatment, Antineoplastic, Antiseborrheic, Antiviral (Picornavirus), Cytoprotectant* და სხვ.

ზემოაღნიშნული ფრაგმენტების ერთ ბიოაქტიურ სტრუქტურაში შერწყმა პერსპექტიულს ხდის ფართო სპექტრის მქონე, მათ შორის ანტიმიკრობული და ანტიჰელმინთური აქტიურობის მქონე, კოორდინაციული ნაერთების ფორმირებას

Novel ferrocene derivatives with polycyclic spatial groups: synthesis, study and application“**ანოტაცია**

მეტალორგანული ლიგანდების გამოყენებით შესაძლებელია სპეციფიკური თვისებების მქონე სხვადასხვა ჰეტერომეტალური კომპლექსის სინთეზი. ასეთ ლიგანდებს შორის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა და ფართოდ იქნა შესწავლილი ერთ-ერთი პირველი მდგრადი მეტალკომპლექსის - ფეროცენის ნაწარმები, რომლებიც გარდამავალი მეტალების π -კომპლექსების საინტერესო წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე მეტალორგანულ ქიმიაში. ამ პოტენციური ლიგანდების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი მოქნილობა, - ბიდენტატური წარმომადგენლები შეიძლება გამოყენებულ იქნან მოცემული მეტალ-ცენტრის სხვადასხვა გეომეტრიული სტრუქტურის ხელატურ ჯგუფებად და მოქმედებენ, როგორც შემაკავშირებელი ლიგანდები. გამოკვლევები ფეროცენშემცველი ნაერთების სფეროში კვლავ სწრაფი ტემპებით გრძელდება უმეტესწილად მედიცინაში, კატალიზსა და მასალათა მეცნიერებაში მათი ეფექტური გამოყენების გამო. ქიმიურ სტრუქტურასა და სპეციფიკურ აქტიურობას შორის დამოკიდებულების დადგენის მიზნით, დასინთეზებულია მიზნობრივი, ახალი ბიოაქტიური ნაერთები, რომლებიც ერთდროულად შეიცავენ სივრცით ალიციკლურ პოლიფუნქციურ ფრაგმენტს, ფეროცენის ჯგუფსა და გარდამავალ მეტალებს. ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით ჩატარებულია შერჩეული საწყისი ლიგანდის ძირითადი ფრაგმენტის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვლევა. კვანტურ-ქიმიური გათვლებით დადგენილია, რომ ლიგანდის მოლეკულა შეიცავს რა პოტენციურად ელექტრონოდონორულ ჟანგბადისა და აზოტის ატომებს, წარმოადგენს ბიდენტატურ ლიგანდს, რომელსაც შეუძლია გარდამავალ მეტალებთან კოორდინაციული ნაერთების წარმოქმნა ხუთწევრიანი ციკლის სახით. მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით. მიღებული ნაერთების მოსალოდნელი ბიოაქტიურობის შესწავლით ნაჩვენებია, რომ საწყისი ლიგანდი ბაქტერიციდულ თვისებებს გაცილებით პასიურად ავლენს, ვიდრე შესაბამისი კოორდინაციული ნაერთები. დადგენილია მათი გამოყენების სფეროები. წინასწარი კვლევებით ნაჩვენებია, რომ მიღებული ნაერთები შესაძლოა გამოყენებულ იქნან სხვადასხვა აგრესიული მიკროორგანიზმის აქტიურობის დათრგუნვისთვის და აღნიშნულ მიკროორგანიზმებთან კონტაქტისას ადამიანთა დასაცავად.

გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: აკად. დოქტორი ზაური ჭახნაკია

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
დირექტორის მოადგილე: აკად. დოქტორი კახა ჩიტაია

1. სამეცნიერო განყოფილება - სამეცნიერო საწარმოო კომპლექსი
(სსკ) “ელექტრონული ტექნიკა”

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა
1	ნინა ხუჭუა	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	განყოფილების გამგე
2	რევაზ მელქაძე	ფიზ.-მათ. მეცნ. აკად. დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
3	ალბერტ ტუტუნჯიანი	ფიზ.-მათ. მეცნ. აკად. დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
4	მარინა ტიგიშვილი	ფიზ.-მათ. მეცნ. აკად. დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
5	ტატიანა სახაროვა	ტექნ. მეცნ. აკად. დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
6	გივი კალანდაძე	მაგისტრი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

2. ელექტრონული და ელექტრომექანიკური სისტემების კვლევის განყოფილება

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა
1	გივი დიდუბაშვილი	მაგისტრი	განყოფილების გამგე
2	ბადრი ხვიტია	მაგისტრი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
3	ნოდარ უშვერიძე	მაგისტრი	მეცნიერ თანამშრომელი
4	თამილა ხელაშვილი	მაგისტრი	მეცნიერ თანამშრომელი

3. ფოტონებით და რადიაციით სტიმულირებული ტექნოლოგიების განყოფილება

№	სახელი, გვარი	აკად. ხარისხი	თანამდებობა
---	---------------	---------------	-------------

1	ზურაბ ჯიბუტი	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	განყოფილების გამგე
2	ნუგზარ დოლიძე	ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
3	გიორგი ერისთავი	ფიზ.-მათ. მეცნ. აკად. დოქტორი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ნახევრადგამტარული (ნ/გ) გალიუმის არსენიდის ტექნოლოგიის დამუშავება და კვლევა	ნინა ხუჭუა	რევაზ მელქაძე ზაური ჭახნაკია ალბერტ ტუტუნჯიანი ტატიანა სახაროვა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>დღესდღეობით სელექტიურად ლეგირებული ჰეტეროსტრუქტურები კვატური ორმოებიანი (კო) InGaAs სამმაგი შენაერთების საფუძველზე წარმოადგენენ მიკროტალღოვანი და ტერაჰერცული ტექნოლოგიის ბაზურ ელემენტებს. Ruhr-Universität Bochum (გერმანია) მეცნიერთა ჯგუფის მიერ მოლეკულურ-სხივური ეპიტაქსიის მეთოდით გაზრდილ იქნა $Al_xGa_{1-x}As/In_{0.23}Ga_{0.78}As/Al_xGa_{1-x}As$-ის ჰეტეროსტრუქტურები ორმაგი ო-ლეგირებით, რომლებიც განსხვავდებოდნენ მოლური დოზით x და ჩამკეტის ქვეშ ფენის სივანით.</p> <p>გამოკვლევულ იქნა მასალის მახასიათებლების გავლენა ტრანზისტორების თვისებებზე, რომლებიც დამზადდა მონოლითური მიკროტალღოვანი (MMIC) ტექნოლოგიის შესაბამისი ტექნოლოგიური მარშრუტის მიხედვით.</p>			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	Si საფუძველზე p-n გადასვლების ტექნოლოგიაში დეფექტების ინჟინერია	მარინა ტიგიშვილი	გივი კალანდაძე ტატიანა სახაროვა ზურაბ ჯიბუტი ნუგზარ დოლიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>კლასიკურ შემთხვევაში ნახევარგამტარის (ნ/გ) მგრძობიარობა გამოსხივების სპექტრის ამა თუ იმ არეების მიმართ დამოკიდებულია მასალის აკრძალული ზონის სივანეზე. მის გამო, რომ სილიციუმში გამჭვირვალეა ტალღის სიგრძეებისთვის, რომლებიც მეტია 1.1 მკმ-ზე, მისი პირდაპირი გამოყენება, მაგალითად ინფრაწითელი (იწ) ფოტოდიოდების დასამზადებლად, არ შეიძლება. Si-ის აკრძალული ზონის შეცვლი ერთერთ მიღებული მეთოდია ნ/გ სტრუქტურის სხვადასხვა მოდიფიკაციის Ge-ის გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს Ge-ის ეპირაქსიური ფენები Si-ზე, Ge_xSi_{1-x}/Si და ბოლოს Ge/Si სტრუქტურები, სადაც Ge-ის სრული ფენები შეცვლილია ფენებით გერმანიუმის რვანტური წერტილებით. ბოლო ორი მოდიფიკაციის გაზრდა ხდება მოლეკულურ-</p>			

<p>სხივური ან მეტალოორგანული ეპიტაქსიის მეთოდებით. სილიციუმის ზონური სტრუქტურის მართვის ალტერნატიულ, მაგრამ ნაკლებადშესწავლილ მეთოდად შესაძლებელია გახდეს დეფექტების ინჟინერია. ამ მეთოდმა გამოიწვია დიდი მეცნიერული დაინერესება და უკვე მიიღო განვითარება გამოყენებით სფეროში. ამ ასპექტში სილიციუმში მინარევების იონურმა იმპლანტაციამ (იი) შეიძინა ახალი პერსპექტივები და ის შეიძლება გახდეს რთული და ძვირადღირებული ტექნოლოგიების ალტერნატივად, მაგალითად "იწ" დიაპაზონის დეტექტორების შესაქმნელად. ბორის იონური იმპლანტაციის მეთოდითსამრეწველო მონოკრისტალურ n-ტიპის სილიციუმში დოზებით $(1-2) \cdot 10^{14}$ სმ⁻², ენერგიით 50 კეე და 1000°C შემდგომი გამოწვის შედეგად ფორმირებულ იქნა სტრუქტურები p-n გადასვლით, რომლებიც ახლო "იწ" სპექტრის (1.4-2.2 მკმ) მიმართ ამჟღავნებდნენ ფოტომგრძობიარობას. მიღებული შედეგების ანალიზი ხორციელდება კვანტურზომებიანი წარმონაქნების (ნანოკლასტერების) ფარგლებში მონოკრისტალური სილიციუმის მატრიცაში.</p>			
3	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	რადიაციული და სტრუქტურული დეფექტების კვლევა და იდენტიფიკაცია მონოატომურ (Ge,Si) და ბინარულ (A^3B^5 , A^4B^4) ნახევარგამტარებში, დაბალტემპერატურული რადიაციული ტექნოლოგიების შესამუშავებლად მიკრო- და ნანოელექტრონიკისათვის;	ზურაბ ჯიბუტი	ნუგზარ დოლიძე გიორგი ერისთავი ამირან ბიბილაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	დადგინდა იქნა GaAs-ში დივაკანსიის ტიპის დეფექტების ბუნება, მათი ოპტიკური და ელექტრო-ფიზიკური მახასიათებლები. შერჩეულ იქნა დეფექტების გამოწვის ოპტიმალური თერმიული და სელექტიურ-ოპტიკური რეჟიმები, კერძოდ ნახვენბი იქნა, რომ სელექტიური ოპტიკური შთანთქმის მაქსიმუმი 1.0 ევ შეესაბამისება შერჩეულ დივაკანსიას V_{gVas} .		
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	პოზიციური სისტემის (GPS) კოორდინატის სიზუსტის განმსაზღვრელი ციფრული მოწყობილობის პროექტირება	გივი დიდებაშვილი	ნოდარ უშვერიძე თამილა ხელაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	პროექტი განეკუთვნება სქემოტექნიკურ პრობლემებს, მაგრამ მისი გადაწყვეტა იწვევს მთელ GPS სისტემის კოორდინატის სიზუსტის გაუმჯობესებას. ამჟამად შესრულებული კომპიუტერული მოდელი, მაგრამ ჯერ კიდევ არა საბოლოო ვარიანტი ადასტურებს, რომ შექმნილი მოწყობილობა უკეთესია თავისი პარამეტრებით დღეს არსებულ მოქმედ		

<p>(აშშ და ევროკავშირის) სისტემებზე. იგი წარმოადგენს GPS კოდური სიგნალის და GPS მიმღების კოდური სიგნალის შემადარებელ მცირე ინტეგრაციის ციფრულ სქემის კომპიუტერულ ვერსიას.</p> <p>სამუშაოს შემდგომ ეტაპზე, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, გათვალისწინებულია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სქემის პრაქტიკული განხორციელება ინსტიტუტის ტექნოლოგიურ უბანზე (თსუ-ს VIII კორპუსში) GaAs ნახევარგამტარული სტრუქტურების ბაზაზე; 2. საზგარეთულ უნივერსიტეტებს, ფირმებს და ფონდებს (მაგ. ევროკავშირის პროგრამა “ჰორიზონტ 2020) შევთავაზოთ ერთობლივი თანამშრომლობა.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მაღალეფექტურ III-V უჯრედებთან კომბინირებული ახალი ტიპის ოპტიკური კონცენტრატორი დაბალი ღირებულების CPV მოდულისთვის	infodev, the World Bank Group	კახა ჩიტაია	ნინა ხუჭუა ალექსანდრე მოსაშვილი რევაზ მელქაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)	
<p>შემთავაზებული კონცეფციის დადებითი და უარყოფითი მხარეების ცალსახად შესაფასებლად და იმის დასადგენად, თუ რამდენად საინტერესო იქნება იგი CPV მრეწველობისათვის, აუცილებელია ახალი ტიპის CPV მოდულების პროტოტიპის პროექტირება, დამზადება და სერტიფიცირება თანამედროვე კომერციული წარმოების შესაბამისი მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>ამ სტრატეგიის შესაბამისად პროექტის ავტორები აქტიურად თანამშრომლობენ ევროპის CPV ტექნოლოგიების აღიარებულ ლიდერთან - ფრაუნჰოფერის მზის ენერჯის ინსტიტუტთან.</p> <p>კონცენტრატორის ოპტიკური ნაწილის დასამზადებლად პარტნიორობისთვის მზადყოფნა საქვეყნოდ ცნობილმა ორმა კომპანიამ გამოთქვა INNOLITE GmbH, გერმანია და AWM Mold. Tech., შვეიცარია (როგორც ქვეკონტრაქტორმა), რაც შესაბამის მემორანდუმში არის დაფიქსირებული.</p> <p>ოთხმხრივი (სკე/თსუ, ISE, INNOLITE, AWM) მოლაპარაკებების შედეგად, სერტიფიცირებული CPV პროტოტიპის მიღების მიზნით, მოხდა სტრატეგიის ოპტიმიზაცია, რათა მინიმალური დროისა და ხარჯების პირობებში მიღებულ იქნას უტყუარი ინფორმაცია</p>	

<p>კონცენტრატორის მახასიათებლების შესახებ. ამ თვალსაზრისით, მხარეებმა უპირატესობა მიანიჭეს დაფინანსების მოძიებას CPV ქვეუჯრედის ოპტიკური ნაწილისათვის და მხოლოდ ამის შემდგომ მოდულისათვის. ოპტიკური ქვეუჯრედის/მონო-მოდულის დამზადებისა და სერტიფიცირების ამ ეტაპზე შესაძლებელია ორი უმთავრესი პარამეტრის ენერჯის ღირებულების (\$/W) და მარგი ქმედების კოეფიციენტის (%) განსაზღვრა, რომელიც განაპირობებს CPV მოდულის კომერციული გამოყენების პერსპექტივას. აღნიშნული სტრატეგიის წარმატებული განხორციელება ასევე ხელს შეუწყობს პოტენციური ინვესტორისთვის რისკ-ფაქტორის შემცირებას ყოველი შემდგომი ეტაპისათვის.</p> <p>ამავდროულად, პროექტის ავტორები შეეცდებიან გამოიყენონ დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიც. კერძოდ, 2013 წელს CPV პროექტი წარდგენილ იქნა USAID-ის პროგრამაში, სადაც უაღრესად კონკურენტულ გარემოში (წარმოდგენილი იყო ასობით პროექტი) წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი, თუმცა მეორე ეტაპს ვერ მიღწია.</p>
--

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები
- დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.D.Kalandadze, A.L Mikirtichyan, A.L.Pavliashvili, T.I.Sanikidze, L.B.Sakharova, A.A.Tutunjyan	DIELECTRIC COATINGS IN THE TECHNOLOGY OF SEMICONDUCTOR DEVICES AND INTEGRATED CIRCUITS ON GALLIUM ARSENIDE EPITAXIAL STRUCTURES	Georgian Engineering News, 2013, N4	Tbilisi Georgia	8
2	G.D.Kalandadze, M.V.Ksaverieva, L.P.Sanikidze, T.B.Sakharova, A.A.Tutunjyan	PECULIARITIES OF FORMATION OF OHMIC AND SCHOTTKY CONTACTS IN THE TECHNOLOGY OF GALLIUM ARSENIDE SEMICONDUCTOR DEVICES AND INTEGRATED CIRCUITS	Georgian Engineering News, 2013, N4	Tbilisi Georgia	9
3	M.Tigishvili, N. Gapishvili, R. Guliaev,	DEFECT ENGINEERING IN THE SILICON P-N JUNCTION TECHNOLOGY	Georgian Engineering News, 2013, N4	Tbilisi Georgia	8

	N. Dolidze, N. Khuchua, R. Melkadze				
4	M.Dolidze, N.Dolidze, N.Chamiashvili, Z.Jibuti, L.Jibuti.	Nanomedicine and photons	J. Nano Studies, N7, 2013, 271-286	Tbilisi Georgia	16
5	A.P.Bibilashvili, Z.V.Jibuti, N.D.Dolidze, G.A.Skhiladze.	FORMATION AND RESEARCH OF THIN OXIDE FILMS FOR A NANOELECTRONICS	J. Nano Studies, N7, 2013, 287-294	Tbilisi Georgia	6
6	A.P.Bibilashvili, Z.V.Jibuti, N.D.Dolidze.	RESEARCH OF OPTICAL TRANSMISSION SPECTRUM OF THIN FILMS OF TiN RECEIVED BY METHOD HF-REACTIVE SPUTTERING	J. Nano Studies, n8, 2013, 311-314	Tbilisi Georgia	4
<p>ანოტაციები</p> <p>დიელექტრიკული და მეტალური შრეების დაფენის თავისებურებები, მათი ტექნოლოგიური პარამეტრების და მახასიათებლების ანალიზი ნ/გ (ელექტრონული და ოპტოელექტრონული) ხელსაწყოების და ინტეგრალური სქემების დამზადების და სტატიკური და დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ფოტონური ნანომედიცინა და დეფექტების ინჟინერია სილიციუმის p-n გადასვლებში</p>					

2) უცხოეთში

- ა) მონოგრაფიები
- ბ) სახელმძღვანელოები
- გ) კრებულები

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	D. Daraselia, D. Japaridze · Z. Jibuti · A. Shengelaya · K.A. Müller Rapid	Solid-State Synthesis of Oxides by Means of Irradiation with Light	J. Supercond Nov Magn. 2013. 26.p. 2987–2991	აშშ	5
<p>ანოტაციები</p> <p>ოქსიდების სინთეზი მსუბუქი გამოსხივებით</p>					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	R. Melkadze, G. Didebashvili, Z. Chakhnokia	Nanostructure Technology for Microwave Devices	Tbilisi, georgia
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>ნანოსტრუქტურების ტექნოლოგიის და მის საფუძველზე დამზადებული ხელსაწყოების მახასიათებლების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Alexander Shengelaya, Dimitri Daraselia, David Japaridze, Zurab Jibuti, Alex Muller	Rapid synthesis of high- temperature superconductors with light irradiation	Oct 23-25, Abstract & Program Book 7th 2013 ASIAN CONFERENCE ON APPLIED SUPERCONDUCTIVITY AND CRYOGENICS , ACASC 2013, Abstract ID: 257, p.49 Cappadocia, Turkey
2	Shengelaya A, Daraselia D, Jibuti Z, Muller A	Photostimulated Solid State Synthesis of High-Temperature Superconductors	11 th European conference on Applied Superconductivity Abstract Book, Eucas 2013, September 15-19 , 2013, Genova, Italy
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>მაღალტემპერატურული ზეგამტარების სინთეზი ფოტოსტიმულირებული და მსუბუქი გამოსხივების მეთოდებით</p>			



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ:

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტები და სამეცნიერო ცენტრები

- ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- რუსისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი
- სკანდინავისტიკის ცენტრი
- იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი
- პოლონისტიკის ცენტრი
- ისრაელის ცენტრი
- უკრაინისტიკის ცენტრი

ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, პრეზენტაციები:

სამეცნიერო კონფერენციები

30 მარტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ორი ამერიკა: წარსული, აწმყო, მომავალი“

14 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა ვარძიაში ჩაატარა სტუდენტ-არქეოლოგთა V საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის, სტრატეგრაფიული მეთოდის ფუძემდებლის პიტ რივერსის ხსოვნისადმი

22 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: „ჭერეთის დღეები“

16 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარდა მეთოთხმეტე საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნის გეტისბურგში სიტყვით გამოსვლის 150-ე წლისთავისადმი

27 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტმა ჩაატარა I სამეცნიერო კონფერენცია

30 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო „წყარომცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ მიძღვნილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რევაზ კვიციანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი

30 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიონის უნივერსიტეტის რექტორმა, თეოლოგიისა და ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მაგნინ თიერმა ჩატარა სემინარი „რწმენა და მეცნიერება“

31 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრეა შმიდტმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „სირიული ანბანის წარმოშობა, განვითარება და იდენტობა აღმოსავლეთში არამეელ ქრისტიანთა შორის განხილული კავკასიური ალფაბეტების ისტორიულ კონტექსტში“

1 ივნისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია „ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობანი საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა“

19-20 ივნისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილისადმი

25 ივნისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

1-2 აგვისტო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ლესია უკრაინკას გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი

30 სექტემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა მთარგმნელის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია

15 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტმა ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი მიხაილო კოციუბინსკის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი

14-15 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარდა პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

15-16 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტმა ჩაატარა კონფერენცია „მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები“

22-25 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „სერგი დანელია-125“

29-30 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა ჩაატარა

მასწავლებელთა I კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას-სკოლა უნივერსიტეტს“
(სწავლებისა და განათლების პრობლემები)

29-30 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებულმა ქართული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა VI რესპუბლიკური ონომატოლოგიური სესია

5 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებამ გამართა ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „მითი, კულტი, რიტუალი“.

6 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტში ჩატარდა კონსტანტინე გამსახურდიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია

12 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა შლვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კონგრესი

23 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა და არნოლდ ჩიქობავას

სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ჩაატარეს კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“

საჯარო სხდომები

8 იანვარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამართეს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

29 იანვარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და მასთან არსებულმა ქართული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გამართეს ფილოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ღლონტის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

26 თებერვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადების 126-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

27 თებერვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და მასთან არსებულმა ქართული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გამართეს ტოპონიმის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დამაარსებლის, პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

15 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა

5 ივნისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პირველი საინფორმაციო მოსმენა სტუდენტთა ქართველოლოგიურ კლუბში „ვეფხისტყაოსანი-უილიამ შექსპირის ლიტერატურული წყარო“

სხვა ღონისძიებები

12 მარტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო პრემიების 2012 წლის ნომინანტების დაჯილდოვების ცერემონია

21 მარტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება „მერაბ კოკოჩაშვილის გზა“

26 მარტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება

5-23 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის განვითარების ფონდმა ჩაატარეს ქართულ-ბერძნული საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“

23 აპრილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა უილიამ შექსპირისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ვკითხულობთ შექსპირს“. მთარგმნელებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა წაკითხეს შექსპირის ნაწარმოებები და მათი თარგმანები ქართულ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, უკრაინულ და სხვა ენებზე.

12 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიება „ეთნოლოგიის ინსტიტუტის დღე“

17 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისში იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრმა, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრმა და ჯეოსელმა გამართეს პროფესორ ნოდარ შენგელიას საიუბილეო საღამო

25 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

15 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა ფესტივალის საზეიმო დაჯილდოვების ცერემონია

17 ივლისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტმა გამართა პროფ. თამილა სესიაშვილის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

31 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მერაბ კოკოჩაშვილი ფილმის „ქართველი მამელუქები ეგვიპტეში“ ჩვენება

12 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამართა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი: შალვა ნუცუბიძის ძეგლის გვირგვინებით შემკობა, პარაკლისის გადახდა და აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა.

20 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრმა „ენა, ლოგიკა, მეტყველება“ წარმოადგინა კრეტაზე ექსპედიციის ანგარიში.

პრეზენტაციები

8 თებერვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა „ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების“ II ტომის პრეზენტაცია

21 თებერვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა ნინო ჰოპიაშვილის წიგნის „ქალი ავტორი ევროპულ ლიტერატურაში“ პრეზენტაცია

28 მარტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გაიმართა წიგნის „დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო“ პრეზენტაცია

27 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 95-ე წლისადმი მიძღვნილი წიგნის „დამოუკიდებლობის 1028 დღე“ პრეზენტაცია

25 ივნისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისში იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრმა და კავკასიისა და აღმოსავლეთის ცენტრმა გამართა პროფესორ გიული ალასანიას წიგნის „ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ პრეზენტაცია

30 სექტემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა სამაგისტრო პროგრამის „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“ კურსდამთავრებულების მიერ მთარგმნელის ფიცის დადების ცერემონიალი.

30 სექტემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამცნიერო ინსტიტუტში ჩატარდა ჯემალ აჯიაშვილის სახელობის I ლიტერატურულ კონკურსში „წლის საუკეთესო პოეტური თარგმანი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

23 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემოქმედების შემსწავლელმა ცენტრმა გამართა წიგნის „შექსპირის სამყარო“ პრეზენტაცია

27 ნოემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტმა გამართა ბოლო წლებში გაწეული მუშაობის პრეზენტაცია

3 დეკემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა თედო უთურგაიძის წიგნის „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები“ პრეზენტაცია

გამოფენები

28-31 მარტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თეა ფეიქრიშვილის პერსონალური გამოფენა

10-31 მაისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რუსთაველის თეატრმა, ხელოვნების ცენტრმა „რუბიკონი“ და თსუ-ს საკვირაო ლიტერატურულმა კლუბმა“ მოაწვევეს გამოფენა „ოთხი დღე სტურუას შექსპირის სამყაროში“;

ვიდეოჩვენებები: „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „შობის მეთორმეტე ღამე“.

30 სექტემბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამცნიერო ინსტიტუტმა თსუ პირველი კორპუსის ფოიეში მოაწყო მთარგმნელის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ფოტოგამოფენა „XIX საუკუნის ქართველი მთარგმნელი ქალები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ. ვასილ კაჭარავა

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ასოც. პროფ. ელენე მეძმარიაშვილი, ასიტენტ. პროფ. მიხეილ ბარნოვი, ასისტ. კოტე ოთხმეზური.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	წიგნის „პატრიოტის ისტორიის საკითხავი: ყველა ამერიკელისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები“ თარგმნა და გამოცემა	აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი	ვასილ კაჭარავა	ვასილ კაჭარავა, ელენე მემმარიაშვილი, ანასტასია ზაქარიაძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის მიზანია ამერიკის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების კრებულის „ამერიკელი პატრიოტის საკითხავი წიგნი“ ქართულად თარგმნა, რედაქტირება და გამოცემა. მასში თავმოყრილია ამერიკული დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესი პერიოდების ამსახველი მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია საქართველოში დემოკრატიული ფასეულობებისა და ინსტიტუტების განვითარებისათვის.

ვინაიდან ამერიკისმცოდნეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება შეერთებული შტატების ისტორიაა, რომელიც საქართველოს ყველა დიდ უნივერსიტეში ისწავლება, ამიტომ ასეთი ქრესტომათიის აუცილებლობა დიდი ხანია არსებობს. პროექტი ვალისწინებდა ცალკეული თავების სამეცნიერო რედაქტირებას, კომენტარების დართვასა და ქართული სტუდენტებისათვის მოცემული მასალის ადაპტირებას.

პირველად საქართველოში ითარგმნა და უახლოეს მომავალში გამოიცემა აშშ-ის ისტორიის საკვანძო დოკუმენტები. გამოცემა წარმოადგენს აშშ-ის ისტორიის პრიველწაროს, მასში

თავმოყრილ დოკუმენტებს თან ახლავს კომენტარები. ქრესტომათიული ტიპის წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართე წრისათვის, როგორც პროფესიონალი ამერიკანისტებისა და მკვლევარებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	<p>აშშ-ის დიდი დაბლობების ინდიელთა თვითმყოფადი კულტურა უკანასკნელი ფორნტირისა და ადრერეზერვაციულ პერიოდში (ისტორიულ-ანტროპოლოგიური ანალიზი)</p>	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მიხეილ ბარნოვი	მიხეილ ბარნოვი

ანოტაცია

პროექტის ფარგლებში კვლევის ობიექტს წარმოადგენს აშშ-ის დიდი დაბლობების ერთ-ერთი ტომის-კომანჩების ნომადური ყოფა-ცხოვრების ბოლო პერიოდი (1849-1875) და ასევე ტომის ტრადიციული კულტურაში დაწყებული ცვლილებების პროცესი ადრერეზერვაციულ პერიოდში (1875-1900).

ვფიქრობ, რომ კვლევის ობიექტი საკმაოდ საინტერესოა, რადგან ქრონოლოგიურად

ეს არის ერთგავარდ გარდამავალი პერიოდი, როდესაც კომანჩების ტომი წყვეტს ტრადიციულ ნომადურ ცხოვრებას და იწყება სედენტარიზაციის რთული პროცესი.

კვლევის მიზანია აშშ-ის დიდი დაბლობის ინდიელთა ნომადური კულტურის ერთიან კონტექსტში გამოვიკვლიო უკანასკნელი ფრონტირისა და ადრეული რეზერვაციული პერიოდის გავლენა კომანჩების ტომის ყოველდღიურობის სხვადასხვა ასპექტებზე. კერძოდ, კომანჩების ტომის თვითმყოფადი კულტურის ფორმირება და ბუნებრივი განვითარების ძირითადი მახასიათებლები 1849-1875 წლებში; კომანჩების ტომის სოციალიზაციის ტრადიციული ფორმა და ტომის კულტურის ფოკუსი რეზერვაციამდელ ეპოქაში; კომანჩების ტომის სოციალიზაციისა და კულტურული ორიენტირების ცვლილება რეზერვაციულ პერიოდში; სედენტარიზაციის დასაწყისი და კომანჩების ტომის რეზისტენტული რეალობა რეზერვაციულ პერიოდში.

კვლევის თეორულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კულტურული რელატივიზმის ანთროპოლოგიური თეორია და ალფრედ კრიობერის ანთროპოლოგიური კონცეფციები.

შესაბამისი წყაროებისა და სხვადასხვა ტიპის მასალების დამუშავებისას პროექტის კვლევითი სტრატეგია დაეფუძნება კულტურული რელატივიზმისა და ალფრედ კრიობერის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომებს. პროექტის მიზანია საველე ეთნოგრაფიული სამუშაოების ჩატარება ოკლაჰომას შტატში მდებარე კომანჩების ტომის რეზერვაციაში. პროექტი განხორციელდება 2014 წელს (თებერვალი-ივლისი).

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<p>ელენე მეძმარიაშვილი სახელმძღვანელოთა ამ სერიის ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი რედაქტორი და მე-7-8 კლასების სახელმძღვანელების თანაავტორი.</p> <p>ავტორთა კოლექტივი</p> <p>ვასილ კაჭარავა, ელენე მეძმარიაშვილი</p>	<p>მე-7-9 კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები</p> <p>მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის კურსი</p>	კლიო	
2		<p>პროექტი: დემოკრატიის გაკვეთილები: ამეერთებული შტატების ისტორია</p>		

3				
<p style="text-align: center;">ანოტაციები</p> <p style="text-align: center;">მე-7-9 კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები</p> <p style="text-align: center;">მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის კურსი</p> <p>გამომცემლობა „კლიოს“ მიერ მომზადებული თანამედროვე სახელმძღვანელოები მოიცავს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის კურსს. ისინი შედგენილია დღეს არებული საერთო ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.</p> <p>სახელმძღვანელოებში არაერთი სიახლეა შეტანილი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი წყაროები (განსაკუთრებით, მე-9 კლასში) • უნიკალური, მრავალრიცხოვანი თემატური რუკები • ახალი თემები • თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაკვეთილის სტრუქტურა მრავალფეროვანი დავალებები • მულტიპერსპექტიული მიდგომა • ილუსტრაციების მრავალფეროვნება, რომლებთანაც კონკრეტული დავალებაა დაკავშირებული, რაც ილუსტრაციებზე მუშაობის უნარ-ჩვევებს ავითარებს და დამატებით ინფორმაციას იძლევა. <p>სახელმძღვანელოები შექმნილია უახლესი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით.</p> <p>ვარ სახელმძღვანელოთა ამ სერიის ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი რედაქტორი და მე-7-8 კლასების სახელმძღვანელების თანაავტორი.</p> <p style="text-align: center;">დემოკრატიის გაკვეთილები: ამეერთებული შტატების ისტორია</p> <p>მოცემული პროექტის მიზანია აშშ-ის სტორიის ქართულენოვანი სახელმძღვანელოს ორტომეულის მომზადება.</p> <p>სახელმძღვანელოს პირველი ტომი, რომლის დაწერაც მევალება, მოიცავს პერიოდს 1877 წლამდე. მასში გაშუქებული იქნება შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ამერიკული პოლიტიკური სისტემის და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კერძოდ, ამერიკელი ხალხი და ამერიკის რევოლუცია, დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 				

კონსტიტუცია, ფედერალიზმი, პოლიტიკური პარტიების შექმნა;

- დემოკრატიის აღზევა: თანასწორობა და შესაძლებლობები, ახალი პოლიტიკური კულტურა, დემოკრატია და რასა, აბოლიციონიზმი, აფრო-ამერიკელები და მონობის შედეგები შეერთებულ შტატებში, სამოქალაქო უფლებების პრობლემები, ჯექსონის ხანის პარტიული სისტემა;

- ქალთა მოძრაობის აღზევა;

- სამოქალაქო ომი როგორც ამერიკული ღირებულებების საფრთხე და საბოლოოდ მათი გამარჯვება და განმტკიცება, რეკონსტრუქციის პერიოდი;

- ცხოვრების სტილის შეცვლა და რეფორმები.

ყველა თემა ამერიკულ დემოკრატიასთან არის დაკავშირებული.

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელენე	Role of Women in the US and Georgian	American Studies	შავი ზღვის	129-137

	მემპარიაშვილი	Politics (comparative analyses)	Periodical, 5 th Edition	უნივერსიტეტი	
2	ელენე მემპარიაშვილი	ამერიკული იდენტობის თავისებურებები	ამერიკისმცოდნეობის მე-6 საერთაშორისო კონფერენციის მასალები	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
3	ელენე მემპარიაშვილი	История как выражение памяти в интеркультурных текстах Владимира Каминера	Conference Book, Comparative Literature: Historiography in Literatures and Cultures: Between History, Myth and Literature	BSU, Baku	124
	ვასილ კაჭარავა	“Georgia’s European and Euro-Atlantic Choice: Goals and Challenges”	ჩემი საყარო, ჟურნალი ახალგაზრდობისათვის		
4	კონსტანტინე ოთხმეზური	ოგლალა სიუს ტომის ბელადი რედ ქლაუდი და ბოზმენის ბილიკის	Slovak Atlantic Quarterly	Slovak Atlantic Commission	48-61

5	მიხეილ ბარნოვი	საკითხი ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშა	ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები	მერიდიანი	
6	მიხეილ ბარნოვი	ბალტო და ტოგო-ალასკის გმირები	ჰეროლდი		61-88
7	მიხეილ ბარნოვი	სანტა კლაუსის ჟლეტა მშვიდობიანობისას, როგორ „შეესივნენ“ ამერიკას სერიული მკვლელები	ისტორიანი	საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო	101-107
8	მიხეილ ბარნოვი	აფრიანი გემების ოქროს ხანა	ისტორიანი ისტორიანი	პალიტრა მედია პალიტრა მედია	64-71
9					

10	მიხეილ ბარნოვი		ისტორიანი	პალიტრა მედია	18-25 88-96 68-76
----	-------------------	--	-----------	------------------	-----------------------------

ანოტაციები

ელენე მემმარიაშვილი

მაია გელაშვილი

ამერიკული იდენტობის თავისებურებები

ანოტაცია

სტატიაში ავტორები ცდილობენ გასცენ პასუხი კითხვებს, როგორ წარმოიშვა ამერიკული იდენტობა და რა თავისებურებები და მომავალი აქვს მას? რა არის ამერიკული კრედო? რა ნიშნები აერთიანებს და რა განასხვავებს ამერიკელებს დანარჩენი ხალხებისაგან? ავტორები თვლიან, რომ დროთა განმავლობაში ეს ნიშნები იცვლებოდა და მოცემული სტატიის მიზანი სწორედ მათი გარკვევაა. ავტორების აზრით, ამერიკული იდენტობის ორი მთავარი კომპონენტი – იმიგრანტები და კრედო – დღეს უკვე ვეღარ ქმნის სრულ წარმოდგენას ამერიკულ საზოგადოებაზე. თუ თავდაპირველად, ამერიკული იდენტობა რასის, ეთნიკურობის, კულტურისა და რელიგიის მიხედვით განისაზღვრებოდა, XIX საუკუნის ბოლოს უამრავი იმიგრანტის ასიმილირების შედეგად, ეთნიკურობის კომპონენტი გაქრა, ხოლო 1965 წლის იმიგრაციის აქტის მიღების შემდეგ რასობრივი კომპონენტიც მოიშალა. აქედან გამომდინარე ავტორები ხაზს უსვამენ ამერიკული იდენტობის შემდეგ თავისებურებებს:

- XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ამერიკული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელია ანგლო-პროტესტანტული კულტურა.

- ამერიკელებს არა ეთნიკური ან ეთნო-კულტურული იდენტობა აქვთ, როგორც სხვა დანარჩენ ერებს, არამედ სამოქალაქო ეროვნული იდენტობა.
- ამერიკელთა იდენტობა სხვა ერების იდენტობისაგან განსხვავდება იმიტაც, რომ ის არ უკავშირდება ერთ რომელიმე ადგილს. მათთვის სამშობლო არის პოლიტიკური იდეებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა და არა მიწა.
- პროტესტანტულმა რელიგიამ განაპირობა ამერიკელი ერის განსაკუთრებული ინდივიდუალიზმი, შრომის ეთიკა.

ავტორები არ იზიარებენ ჰანთინგტონის შიშს, რომ ამერიკელთა მრავალფეროვნება საფრთხეს შეუქმნის ამერიკულ იდენტობას და მიაჩნიათ, რომ მათ ტრადიციებსა და ღირებულებებში უფრო მეტია გამაერთიანებელი, ვიდრე გამთიშველი.

XXI საუკუნეში ამერიკული იდენტობა ახალ ფაზაში გადავიდა. მასზე დიდი გავლენა მოახდინა საგარეო თავდასხმის საფრთხემ და ამერიკელთა რელიგიისაკენ მიბრუნებამ, რამაც ამერიკული იდენტობის მთავარი წყარო ისევ ამერიკული კრედიო გახდა.

Elene Medzmariashvili

Role of Women in the US and Georgian Elections (comparative analyses)

This paper discusses the objective and subjective reasons for the rise of women’s political activism in the United States and Georgia. Parallels are drawn between the situations in the sphere of elections.

Grounded in statistical data, it answers the questions of how an American and Georgian women use the right to participate in elections. For better illustration the electoral systems of the US, Soviet Union and contemporary Georgia are described. The author delves into the dynamic growth of women voters, discusses the US and Georgia attitudes toward women in politics, reveals who vote for women and why, and seeks the reasons for why Georgia is falling behind the US in terms of having a big number of women representatives in parliament. She assumes that despite the accomplishments achieved during the last years, Georgia cannot really claim gender equality.

There are possibilities for women’s activism in the US and Georgia, as women’s educational level does

not lag behind that of men's. What is more, their income has increased family budgets. However, in Georgia special bodies that aim to promote the social and political roles of women, together with special laws or programs serving the same aims nonsexist in Georgia as in the States does.

As Georgian women are not widely involved in feminist movements, achievements of the few do not seem that impressive. Women in Georgia could not find common grounds for unification, and unlike the US, they failed to create a strong women's organizations, although the similar political organizations are usually destined to lose. Georgian legislation defends gender equality; however, having real guarantees for this equality is more open to question.

ვასილ კაჭარავა

**რონალდ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის გამოცხადების პირველი ეფექტი
საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობებზე**

რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ე.წ. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ჩამოყალიბებასა და მისი განხორციელების მცდელობაში გამოიხატა. 1980-იანი წლების ურთიერთობებში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ამ მოვლენამ უდიდესი როლი ითამაშა და გარკვეულწილად სწორედ მან განაპირობებდა ის დათმობები, რომელზეც წავიდა საბჭოთა კავშირი რეიგანის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს. სტატია ცხადს აჩვენებს ამ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის არსებობის გარკვეული ეპიზოდების განხილვას დაეთმობა.

ვასილ კაჭარავა

გრძელი გზის დასაწყისი

რეიგანისა და გორბაჩოვის პირველი შეხვედრა ჯენევაში

რონალდ რეიგანის და მიხეილ გორბაჩოვის ურთიერთობამ უდიდესი როლი ითამაშა 1980-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში და გარკვეულწილად განაპირობა მსოფლიოს შემდგომი პერიოდის განვითარებაც. სტატიაში არსებული პირველწყაოროების საფუძველზე არის მცდელობა განხილულ იყოს ამ უმნიშვნელოვანის ურთიერთობის საწყისი ეტაპი და მისი გავლენა სრულიად განსხვავებული ქვეყნების სრულიად განსხვავებული ლიდერების თანამშრომლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ამ ფაქტისა, ცხარე დებატებისა და შეუთანხმებლობისა მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხში ეს შეხვედრა იყო გარდატეხის დასაწყისი ორ ქვეყანას შორის არსებულ დაპირისპირებაში. გამოჩნდა, რომ კეთილი ნების შემთხვევაში ამ ორ ქვეყანას აშკარად შეეძლო ურთიერთობების გამოსწორება. რეიგანსაც გარკვეულწილად შეეცვალა დამოკიდებულება და მანაც განაცხადა რომ ამ შეხვედრის შემდეგ მან და გორბაჩოვმა უკეთ გაუგეს ერთმანეთს და ეს იყო გასაღები მშვიდობისკენ. გორბაჩოვმა მიიღო რეიგანის მიპატიჟება იმ წელს ვაშინგტონში ჩასულიყო, ხოლო რეიგანს იგივეს გაკეთება შესათავაზეს 1987 წელს. რასაკვირველია ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი, მაგრამ როგორც ამბობენ, ყველაზე გრძელი გზაც პირველი ნაბიჯიდან იწყება და ჟენევის შეხვედრაც სწორედ ეს პირველი და საკმაოდ წარმატებული ნაბიჯი იყო.

ვასილ კაჭარავა

რონალდ რეიგანის იდეოლოგიური შეტევა საბჭოთა კავშირზე

ალბათ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რეიგანის ე.წ. ორატორულმა იდეოლოგიურმა შეტევამ მართლაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1980-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკაში:

1. როგორც თავად ამერიკაში, ასევე საერთოდ დანარჩენი თავისუფალი სამყაროს ქვეყნებში, გაიზარდა რწმენა ამერიკის ლიდერობისადმი. თუმცა, მრავალ ადამიანში რეიგანის ხისტმა რიტორიკამ შიშის გრძნობაც გამოიწვია, რომ დაძაბულობა ორ სამყაროს შორის შეიარაღებულ

კონფლიქტში არ გადაზრდილიყო.

2. დიდი გავლენა მოახდინა ამ მოქმედებამ ე.წ. საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე, სადაც პროტესტის გრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ ისედაც დიდი იყო. რეიგანის შეტევამ გარკვეული იმედები გაუღვიძა მათ. ეს რეიგანის პოლონეთის მიმართ განხორციელებულმა პოლიტიკამაც განაპირობა.

3. როგორც ვნახეთ, რეიგანის ქმედებებმა გარკვეული შიში თავად საბჭოთა ელიტაშიც გამოიწვია და იგი მძიმე დილემების წინაშე დააყენა.

4. რეიგანმა გარკვეული ოპტიმიზმი და იმედები გააღვივა აგრეთვე საბჭოთა დისიდენტების წრეში, რომელიც, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იკრებდა ძალას.

5. ამავე დროს, განსაკუთრებით კი კორეის თვითმფრინავთან დაკავშირებული ინცენდენტის შემდეგ, რეიგანმა მართლაც წამყვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შექმნაში და მას არა მარტო ამერიკის, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის ნეგატიური მუხტიც დაუმატა.

6. მიუხედავად ასეთი რადიკალური და აგრესიული რიტორიკისა რეიგანს საკმაო საღი გონება და სიფრთხილაც აღმოაჩნდა, რომ კრიტიკულ ზღვარს არ გასცდენოდა და საბჭოეთთან ურთიერთობა უმართავ პროცესებში არ გადაზრდილიყო.

7 რეიგანმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ გავლენიან კომუნისტურ იდეოლოგიას და თუმცა, ზოგჯერ მისი გამოსვლები საკმაოდ მარტივად ჟღერდა, მის სიტყვებში იმდენი სიმართლე და დამაჯერებლობა იყო, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა იმათზე ვინც ყოყმანოდა ან ვისაც კომუნისტების ემინოდა. რეიგანის რიტორიკა რეალური ქმედებებით იყო გამაგრებული რაც ყველაზე კარგად სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაში გამოიხატა. ამ პოლიტიკის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა გამოცდილი პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისგან შემდგარმა მრჩეველთა ჯგუფმაც.

8. გარკვეულწილად, ამერიკის ასეთმა შემტევმა პოლიტიკამ საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა აიძულა ახალი ლიდერის ძიებისას უფრო ახალგაზრდა, მოქნილი და ნაკლებად ორთოდოქსული კომუნისტი წამოეყენებინა ქვეყნის მეთაურად. ბუნებრივია, საბჭოთა ხელმძღვანელობის ასეთ მოქმედებაში თავად საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დაუძლურების ფენომენმაც უდიდესი როლი ითამაშა.

აღბათ, ისტორიული პროცესის უაღრესი გამარტივება იქნებოდა რეიგანის იდეოლოგიური შეტევით აგვეხსნა ყოველივე ის, რამაც მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში რეიგანისა და გორბაჩოვის მოლაპარაკებები განაპირობა. მცირე სტატიაში ყველა ამ

წინაპირობის ჩამოთვლაც კი ვერ მოხერხდებოდა. მაგრამ ალბათ, ისიც ფაქტია, რომ განხილული მოვლენების გარეშეც სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა იმ მიზნების მიღწევა რამაც საბოლოოდ ცივი ომი დასასრულა.

ვასილ კაჭარავა

კალვინ კულიჯის პრეზიდენტობა – პურიტანელი ბაბილონში

სტატიაში განხილულია ამერიკის პრეზიდენტის (1923-1929 წწ.) კალვინ კულიჯის მოღვაწეობა. მისი მმართველობის პერიოდი ამერიკის ისტორიაში აყვავების წლებად ითვლებოდა.

ვასილ კაჭარავა

ამერიკის შეერთებული შტატების ფენომენი

სტატიაში პოპულარულ ფორმაშია განხილული აშშ-ის ისტორიის, ეკონომიკის და კულტურის სხვადასხვა ასპექტები და ამ ქვეყნის წარმატების მიზეზებზეც არის საუბარი.

კონსტანტინე ოთხმეზური

“Georgia’s European and Euro-Atlantic Choice: Goals and Challenges”

It can be argued that Georgia faces serious internal as well as external challenges with regards to Europeanization and its integration with the EU. Although Georgia’s perception of itself is as of an European state, the actuality that Georgia’s prospects for membership, at least in the short to medium term, are quite modest is evident.

მიხეილ ბარნოვი

ოგლალა სიუს ტომის ბელადი რედ ქლაუდი და ბოზმენის ბილიკის საკითხი

სტატიაში განხილულია აშშ-ში უკნასკნელი ფრონტირის ცალკეული საკითხები. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ხელისუფლების მიერ ჩრდ. დაბლობების თავისების ისტორიაზე. აღწრილია დაკოტას ტერიტორიაზე მოსახლე სიუს ტომის ინდიელების, კერძოდ, ოგლალა სიუს ინდიელთა და მათი სამხედრო ბელადის-რედ ქალუდის ბრძოლა ნომადური კულტურის დასაცავად და ფრონტირის შესაჩერებლად.

სტატიის დასკვნით ნაწილში განხილულია რედ ქალუდის პირვონების მნიშვნელობა სიუს ტომის იდენილთეათივს და ის ძირითადი შედეგები, რმელიც თან ახლდა მის ბრძოლას აშშ-ის წინააღმდეგ 1866-1868 წელბში.

მიხეილ ბარნოვი

ამერიკის კონფედერაციული შტატების სახელმწიფო დროშა

სტატიაში განხილულია ამერიკის კონფედერაციული შტატების(აკშ) სახელმწიფო დროშის ისტორია. დამოუკიდებლობის პერიოდში 1861-1865-აკშ-მ რამდენჯერმე შეცვალა სახელმწიფო დროშა. სტატიაში სამეცნიერო-პოპულარული სტილით აღწერილია სახელმწიფო დროშის ცვლილები მიზეზები, დროშათა ჰერალდიკური თავისებურებები. სტატიში ასევე განხილულია აკშ-ის სამხედრო დროსები, რომლებიც შეცდმოით მიიჩნევა ხოლმე ქვეყნის სახელმწიფო დროშად.

მიხეილ ბარნოვი

ბალტო და ტოგო-ალასკის გმირები

ისტორიულ-შემეცნებითი სტილის სტატიაში აღწერილია 1925 წელს ალასკის შტატში დიფტერიის ეპიდემიის დროს სამარხილე ძაღლების-ბალტოსა და ტოგოს მიერ გამოჩენილი გმირობა. კომუნიკაციების გან მოწყვეტილ ქ.ნომში ეპიდემიის ჩასაქრბად შაჭირო წამლის მიტანა მარხილებით გადაწყდა. 1 085 კმ-ის გზა ზაღლებისა დ მარხილების მრავალმა ჯგუფმა გაიარა. წამლებით დატვირთული მარხილი საფინალო მონაკვეთზე ბალტოსა და ტოგოს მოუწიათ. ზარელების მიერ გამოჩენილი მოხერხებულობისა და ერთგულების შედეგად წამლი დროულად იქნა ცატანილი ქ.ნომში.

მიხეილ ბარნოვი

ჟლეტა მშვიდობიანობისას, როგორ „შეესივნენ“ ამერიკას სერიული მკვლელები

ისტორიულ-შემეცნებითი სტილის სტატიაში განხილულია აშშ-ის კრიმინალის ისტორიაში ყველაზე ცნობილი სერიული მკვლელების საქმეები. სტატიაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მასალა, განხილულია ცალკეულ სერიულ მკვლელთა ბიოგრაფიები და მათი კრიმინალური საქმინობის თავისებურებები.

მიხეილ ბარნოვი

აფრიანი გემების ოქროს ხანა

ისტორიულ-შემეცნებითი სტილის სტატიაში განხილულია აფრიანი გემებით ზღვაოსნობის ეპოქა და მისი თავისებურებები. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული კლიპერის ტიპის აფრიანი გემების ისტორიაზე. სტატიაში საუბარია აფრიანი გემებით ზღვაოსნობის დასასრულზე და ამ ტიპის გემების არაპოპულარობის გამომწვევ მიზეზებზე მეცხრამეტე საუკუნეში.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					
ანოტაციები					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვასილ კაჭარავა	რ.რეიგანისა და მ. გორბაჩოვის შეხვედრა უმაღლეს დონეზე რეიკიავიკში	ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2013 წლის 16-18 მაისი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2013, დეკემბერი
2	ვასილ კაჭარავა	ავიადისპეჩერთა გაფიცვა 1981 წელს და რეიგანის მკაცრი გადაწყვეტილებანი ნეოლიბერალური რეფორმების შედეგები	მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ 2013 ივნისი ამერიკის შესწავლის

3	ელენე მეძმარიაშვილი	<p>მექსიკაში</p> <p>ჯეიმს ვილარდ შულცის(ეპიკუნე) ლიტერატურული შემოქმედების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აშშ-ის ინდიელთა შესწავლისთვის</p>	<p>საკითხებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>2013 16-18 მაისი</p>
4	მიხეილ ბარნოვი	<p>კომანჩების რეიდი ოსტინზე ფილმიდან „კომანჩების მთვარე“ (ეპიზოდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ანალიზი)</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის 150-ე წლისთავისადმი</p> <p>2013 ივნისი</p> <p>ქ.ბათუმი</p>
5	მიხეილ ბარნოვი	<p>”საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში. ვიშეგრადის 4 ჯგუფის ქვეყნების</p>	<p>25.08.13 – 02.09.13</p> <p>ამერიკის შესწავლის</p>

6	კონსტანტინე ოთხმეზური	<p>გამოცდილების გაზიარება”</p> <p>"აშშ რუსეთისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციებში" (გაკვეთილი საქართველოსათვის)".</p>	<p>საკითხებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>2013 16-18 მაისი</p>
7	კონსტანტინე ოთხმეზური		

მოხსენებათა ანოტაციები

ვასილ კაჭარავა

რ.რეიგანისა და მ. გორბაჩოვის შეხვედრა უმაღლეს დონეზე რეიკავიკში

მოხსენებაში განხილულია ამ შეხვედრის წინაპირობები და მისი საკმაოდ დამამიმედებელი შედეგები როცა ამ ორი სახელწიფოსთვის ასევე საერთოდ საერთაშორისო ცხოვრებისთვის.

ავიადისპერტოზა გაფიცვა 1981 წელს და რეიგანის მკაცრი გადაწყვეტილებანი

მოზსენაბში განხილულია ავიადისპერტოზა გაფიცვა და მისი მძიმე შედეგები ამერიკისთვის. რეიგანმა განსაკუთრებით მკაცრი ზომები მიიღო და გაფუცელები დაითხოვეს სამსახურიდან. განხილულია ამ გადაწყვეტილების მიზეზები და შედეგები.

ელენე მემმარიაშვილი

ნეოლიბერალური რეფორმების შედეგები მექსიკაში

მოხსენებაში განხილულია ნეოლიბერალური რეფორმების შედეგები მექსიკაში, რასაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არსებითი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. მსოფლიო ასპარეზზე ქვეყნის როლი შეიცვალა. ის გახდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და „დიდი ოცეულის“ წევრი და აქვს პრეტენზია იწოდებოდეს ე.წ. „აღმავალ გიგანტად“ ანუ მსოფლიოს ახალ წამყვან სახელმწიფოდ. ავტორი თვლის, რომ მექსიკური აღმავლობის პროცესი წინააღმდეგობრივია.

ნეოლიბერალური კურსის საფუძველია სახელმწიფო საკუთრების შემდგომი პრივატიზაცია. პრივატიზაციის პროცესში აქტიურ როლს უცხოური (უმთავრესად, ამერიკული) კომპანიები თამაშობდნენ, რომელთა პოზიციები მექსიკურ ბაზარზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. გარდაქმნა საკრედიტო-ფინანსურ სისტემას შეეხო. მათვის ყველაზე მიმზიდველი მექსიკის საფონდო ბაზარი გახდა, სადაც უამრავი ე.წ. „ცხელი ფული“ დაგროვდა. ამან ფინანსური კრიზისი დააჩქარა, რომლის ნამდვილი მიზეზი პოლიტიკური მოვლენები იყო. გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, რაც საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა. მექსიკური კრიზისის დასაძლევად, საერთაშორისო ფინანსურმა წრეებმა მექსიკას უპრეცედენტო მასშტაბის დახმარება გაუწიეს. მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა, ამიტომ მექსიკის ხელისუფლებამ “შოკურ ტერაპიას” მიმართა. პარალელურად, ნაფტას მექანიზმებით, გაძლიერდა მექსიკის ეკონომიკის დამოკიდებულება აშშ-ის ბაზარზე. ქვეყანა შეიცვალა, თუმცა ბევრ ცვლილებას ზედაპირული და ერთმნიშვნელოვანი ხასიათი ჰქონდა. ნეოლიბერალურ მოდელს საყოველთაო მხარდაჭერა არ ჰქონდა.

ავტორის აზრით, მექსიკის პრობლემატიკის სერიოზული ანალიზი შეუძლებელია ამერიკული ფაქტორის გაუთვალისწინებლად. აშშ-სთან ურთიერთობა მექსიკისთვის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის მთავარი თემა გახდა. მისი ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებზე.

მიხეილ ბარნოვი

ჯეიმს ვილარდ შულცის(ეპიკუნი) ლიტერატურული შემოქმედების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აშშ-ის ინდიელთა შესწავლისთვის

მოხსენებაში საუბარია საქართველოში ნაკლებადცნობილ ამერიკელ მწერალზე ჯეიმს ვილარდ შულცზე(ეპიკუნი) (1859-1947). ყურადღება გამახვილდება მისი ბიოგრაფიის გარკვეულ დეტალებზე. მოხსენებაში მთავარი აქცენტი გაკეთდება ჯეიმს ვილარდ შულცის(ეპიკუნი) შემოქმედებაზე.

მოხსენების მთავარი მიზანია გამოვკვეთოთ ჯეიმს ვილარდ შულცის(ეპიკუნი) თხზულებების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. ჩვენი მიზანია, ავხსნათ ის, თუ რა განაპირობებს მისი შემოქმედების მნიშვნელობას აშშ-ს ჩრდილო-დასავლეთის რეგიონის ინდიელთა ისტორიისა და განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მოხსენების დასკვნაით ნაწილში ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებებს თუ როგორ შეიძლება მეცნიერთა მიერ მისი თხზულებების, როგორც პირველწყაროს, გამოყენება აშშ-ს ინდიელთა კვლევაში.

მიხეილ ბარნოვი

კომანჩების რეიდი ოსტინზე ფილმიდან „კომანჩების მთვარე“

(ეპიზოდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ანალიზი)

2008 წელს აშშ-ში ტელეეკრანებზე გამოვიდა მინისერიალი „კომანჩების მთვარე“. მისი სცენარი ეფუძნებოდა ამერიკელი მწერლის-ლარი ჯეფ მაკმერტის მიერ 1997 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების ნოველას.

მოხსენებაზე წარმოდგენილი იქნება 5 წუთიანი ეპიზოდი ფილმიდან სადაც ნაჩვენებია კომანჩების რეიდი ოსტინზე. ვიდეოს ჩვენების შემდეგ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალების კონტექსტში განხილულ იქნება ფილმში ასახული რეიდი და მისი ცალკეული დეტალები.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ელენე მეძმარიაშვილი	რეგიონალური კონფერენცია „სხვების იმიჯი: ინტერელიგიური და ინტერკულტურული განათლების საუკეთესო პრაქტიკა ევროპა- ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში“	ვენის დიპლომატიური აკადემია, ავსტრია 2013. VI.
<p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწყობილი რეგიონალური კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ინტერკულტურული სწავლების სხვადასხვა საკითხებს. კონფერენციაში ვმონაწილეობდი ექსპერიტს სტატუსით. მონაწილეობა მივიღე დისკუსიებში და სხვადასხვა საკითხების განხილვაში. კონფერენციაზე განხილული იყო სხვადასხვა ტიპის საკითხები: ინტერკულტურული დიალოგი, სწავლების თანამედროვე მეთოდები და პრობლემატიკა.</p>			

ინსტიტუტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის

სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ფორმების სახით:

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.

პროფ. აპოლონ სილაგაძე

მოადგილე: ასოც. პროფ. ნანი გელოვანი

სწავლული მდივანი – ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

1. **პროფ. აპოლონ სილაგაძე – არაბისტიკის დეპარტამენტი /ხელმძღვანელი/;**
2. ასოც. პროფ. მათა ანდრონიკაშვილი - არაბისტიკის დეპარტამენტი;
3. ასოც. პროფ. დარეჯან გარდავაძე - არაბისტიკის დეპარტამენტი;
4. ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძე – არაბისტიკის დეპარტამენტი;
5. ასოც. პროფ. გიორგი ლობჯანიძე - არაბისტიკის დეპარტამენტი;
6. ასოც. პროფ. მარიამ ნანობაშვილი - არაბისტიკის დეპარტამენტი;
7. ასისტ. პროფ. ნინო დოლიძე - არაბისტიკის დეპარტამენტი;
8. **პროფ. გიული ალასანია –აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი/ხელმძღვანელი/;**
9. პროფ. გოჩა ჯაფარიძე - აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი;
10. ასოც. პროფ. ნანი გელოვანი - აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი;
11. ასოც. პროფ. მირიან მახარაძე - აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი;
12. ასოც. ნანა გელაშვილი - აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტი;
13. **პროფ. მარინე ჯიქია – თურქოლოგიის დეპარტამენტი/ხელმძღვანელი/**
14. ასოც. პროფ. ელისო ბჟალავა - თურქოლოგიის დეპარტამენტი;
15. ასოც. პროფ. ნანული კაჭარავა - თურქოლოგიის დეპარტამენტი;
16. ასოც. პროფ. ქეთევან ლორთქიფანიძე - თურქოლოგიის დეპარტამენტი;
17. ასისტ. პროფ. თამარ ალფენიძე - თურქოლოგიის დეპარტამენტი;

18. პროფ.ირინე ტატიშვილი – ასირიოლოგიის დეპარტამენტი/ხელმძღვანელი/;
19. ასოც. პროფ. მათა ღამბაშიძე - ასირიოლოგიის დეპარტამენტი;
20. ასოც. პროფ. ნინო სამსონია - ასირიოლოგიის დეპარტამენტი;
21. ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია – ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი/ხელმძღვანელი/;
22. ასოც. პროფ. მამუკა ბუცხრიკიძე – ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი;
23. ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე – ირანისტიკის დეპარტამენტი;
24. ასოც. პროფ. ფატმანი ანთაძე-მაღაშხია - ირანისტიკის დეპარტამენტი;
25. ასოც. პროფ. ნომადი ბართაია - ირანისტიკის დეპარტამენტი;
26. ასოც. პროფ. მანანა კვაჭაძე - ირანისტიკის დეპარტამენტი;
27. ასოც. პროფ. თეა შურღაია - ირანისტიკის დეპარტამენტი;
28. ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე – არმენოლოგიის დეპარტამენტი/ხელმძღვანელი/;
29. ასისტ. პროფ. დალი ჩიტუნაშვილი – არმენოლოგიის დეპარტამენტი;

მოწვეული პროფესორები: ფილოლოგ. მეცნ. კანდ. ლილი ჟორჟოლიანი; ფილოლოგ. მეცნიერ. კანდ. ხათუნა თუმანიშვილი; ნინო სურმავა; ნინო კვირიკაშვილი; ფილოლოგ. მეცნიერ. კანდ. ლელა ბახტაძე; ფილოლოგ. მეცნ. კანდ. მარინა მეფარიშვილი;

**II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი (23–27 სექტემბერი, 2013)	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		მარიამ ნანობაშვილი, მომხსენებელი კონფერენციაზე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

გერმანული აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების კონფერენცია მოიცავდა ორიენტალისტიკის პრაქტიკულად ყველა მიმართულებას, მათ შორის - ქრისტიანულ აღმოსავლეთს, რომლის კვლევის მდიდარი ტრადიციებით ყოველთვის გამოირჩეოდა გერმანიის არაერთი სამეცნიერო-აკადემიური დაწესებულება. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მიუნსტერის უნივერსიტეტის კოპტოლოგიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ინსტიტუტი, რომელიც სათანადო სექციას მასპინძლობდა წელს. სექციის ხელმძღვანელი გახლდათ სტივენ ემელი, მიუნსტერში მოღვაწე ამერიკელი მეცნიერი, ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი. ბუნებრივია, ამ სექციაში ისეთი მასალის წარდგენამ, რომელიც ეხება ურთიერთობას ქართველთა და არაბულენოვან ქრისტიანთა შორის არსებულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი ქართული სასულიერო მემკვიდრეობის გაცნობას საერთაშორისო საზოგადოებისათვის და მისთვის სათანადო ადგილისა და შეფასების მიცემას ქრისტიანული კულტურის ფართო, გლობალური ანალიზისას. მ. ნანობაშვილის მოხსენების შემდეგ, რომელიც შედგა პარასკევს, 27 სექტემბერს, 14 საათზე ფიურსტენბერგჰაუსის აუდიტორიაში 102, სტივენ ემელმა, როგორც სექციის ხელმძღვანელმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ

სექციის ორდღიანი ლექციების ციკლი არაბულ-ქართულმა და ზოგადად ახლოაღმოსავლურ-ქართულმა ურთიერთობებმა მეტად საინტერესო თვალსაზრისით გაამდიდრა. მოხსენებას მოჰყვა შეკითხვები და დისკუსია, რომელიც მხოლოდ არაბულიდან ქართულად ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს კი არ ეხებოდა, არამედ ზოგადად აღმოსავლეთის საქრისტიანოში სხვადასხვა ხალხთა და კონფესიათა ურთიერთობას, ასევე იმას, თუ რა როლი შეიძლება შეასრულონ შემდგომ კვლევებში იმ თხზულებებმა, რომლებიც დღესდღეობით მხოლოდ ქართულ ენაზეა შემორჩენილი.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ფილოლოგიური თარგმანი	მოულანას ფონდი (ირანის ისლამური რესპუბლიკა)	გიორგი ლობჯანიძე-მთარგმნელი	თეა შურღაია-რედაქტორი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

საერთაშორისო საგრანტო პროექტის ფარგლებში გადაეცა დასაბეჭდად მე-14 საუკუნის დიდი სპარსელი პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ პირველი წიგნი (პოემა 6 ნაწილის ანუ დავთრისაგან შედგება), რომელიც თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ და სარედაქციო სამუშაოები შეასრულა – თეა შურღაიამ. ეს დავთარი მოცულობით საკმაოდ დიდია და გამოცემის შემდეგ თავისი კომენტარით და შესავლით დაახლ. 600-700 გვერდამდე იქნება. ნაშრომი გამოვა ირანში.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი; 15.04.2013-15.04.2016	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მირიან მახარაძე	მირიან მახარაძე ნოდარ შენგელია

ანოტაცია

გრანტის ფარგლებში პროექტის მონაწილეებთან ერთად ვიმყოფებოდით თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. მთლიანად წამოღებულია

დასამუშავებელი მასალა. ამჟამად თარგმნილი და დამუშავებულია აღნიშნული წყაროს კანუნი-
ნამე

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ელაზორეთი პიქჩერსი; გამომცემლობა ორიენტი	ზაზა შაშიკაძე	ზაზა შაშიკაძე მირიან მახარაძე რუსლან ბარამიძე

აღნიშნული საგრანტო პროექტის ხელშეკრულება ორი კვირაა გაფორმდა. ამჟამად გრანტის ფარგლებში მიმდინარეობს საორგანიზაციო სამუშაოები.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ლაზეთი სამეცნიერო კვლევის ობიექტი თანამედროვე თურქეთში (ისტორია, კულტურა, ენათმეცნიერება)	რუსთაველის ეროვნული ფონდი	ქეთევან ლორთქიფანიძე	წათე ბაწაში ომარ მემიშიში გურამ ლორთქიფანიძე ნატო ახალაია ზეზვა ქავთარაძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

მზა მასალის რეზუმირება, შეიქმნა თურქეთში შეძენილი და დამუშავებული მასალის ანალიტიკური და ანოტირებული ბიბლიოგრაფიები, აგრეთვე მოხდა კომპიუტერულად უზრუნველყოფილი მასალის სისტემატიზაცია და რედაქტირება.

ითარგმნა ონლაინ სივრცეში განთავსებული ისმაილ გიუნეი ილმაზის მეტად აქტუალური სტატია „ლაზთა ვინაობის შესახებ“ (სტამბოლი, საინფორმაციო ცენტრი BIO, 2013წ. 17 აგვისტო).

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	სტამბოლის არქივებში დაცული ოსმალური წყაროები ათონის მთის ივერონის მონასტრის შესახებ.	ანატოლიური ცივილიზაციების კვლევითი ცენტრი (ქოჩის უნივერსიტეტი)	თამარ ალფენიძე	თამარ ალფენიძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ქალაქ სტამბოლში, ქოჩის უნივერსიტეტთან არსებულ ანატოლიური ცივილიზაციების კვლევით ცენტრში 4,5 თვის განმავლობაში ვმუშაობდი ათონის მთაზე ქართული მონასტრის, ივერონის მონასტრის, შესახებ ქ. სტამბოლის არქივებში დაცულ ოსმალური წყაროების მოძიება-დამუშავებაზე.

არქივში ჩემ მიერ მოკვლეული საბუთები თარიღდება 1850-1911 წლებით. ეს არის შვიდი საქაღალდე და 32 დოკუმენტი, აქედან 4 დოკუმენტი ბერძნულ ენაზეა დაწერილი.

მოგახსენებთ, რომ ამ ორი თვის განმავლობაში, მოვიპოვე და დავამუშავე 7 საქაღალდე და ამ საქაღალდეში მოთავსებული 28 წყარო ივერონის მონასტრის შესახებ.

სემესტრის მეორე ნაწილი დავუთმე ივერონის მონასტრის ისტორიის (კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის შექმნამდე) შესწავლისათვის საჭირო მასალების შეგროვებას, არქივში მუშაობის სპეციფიკის შესწავლას. რადგან ეს სამეცნიერო პროექტი არის პირველი მცდელობა ქართული მონასტრის ისტორიის შესასწავლად, მასალის შეგროვებას შემდგომი მუშაობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩემი ძირითადი სამიზნე არქივები ქ. სტამბოლში იყო: პრემიერ მინისტრის არქივი და თოფქაფის სასახლის არქივი. გარდა ამისა საშუალება მომეცა, მომეპოვებინა ოსმალური წყაროები საკადასტრო რეესტრის არქივში (ქ. ანკარა).

პრემიერ მინისტრის არქივში მოპოვებული წყაროების შეადგენს 1000 წყაროზე მეტს (დავთრების ჩათვლით) ათონის მთაზე, რომლის შესწავლის შედეგად დადგინდება მასზე არსებული მონასტრების ყოფა და ერთმანეთს შორის ურთიერთობა. ეს წყაროები მეტწილად მოიცავს XVIII-XX საუკუნეებს და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას მონასტრების კუთვნილებების შესახებ; 50-ზე მეტ წყაროს ივერონის მონასტერზე ორ იერარქიულად მაღლა მდგომ მონასტერზე (ლავრასა და ვატოპედის მონასტრებზე).

თოფქაფის სასახლის არქივში მოპოვებული წყაროები მოიცავს 50 დავთარს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, თუ რა გადასახადები ჰქონდა დაკისრებული ზოგადად ათონის მთის მონასტრებს.

ამ წყაროებზე დაყრდნობით, ნათელი გახდა, რომ ივერონის მონასტერი XIX საუკუნეშიც ინარჩუნებს იერარქიით (რაც მოიცავს არა მარტო მისი გავლენას და მნიშვნელოვნობას ათონის მთაზე, არამედ მის სიმდიდრესაც) XII-XIV საუკუნეების შემდეგ მიღებულ მესამე მონასტრის ადგილს ათონის მთაზე.

საკადასტრო არქივში მოპოვებული წყაროები მოიცავს 500 წყაროზე მეტი, რომელიც მოიცავს ათონის მთის გადასახადების შესახებ ინფორმაციას. ეს არის მონასტრების ქონების დეტალური აღწერითი დავთრები. წყაროები მოიცავს XVI-XX საუკუნეებს.

საარქივო მასალის გარდა, შევისწავლე რუკები და ატლასები, საიდანაც გამოვლინდა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ივერონი ჯერ კიდევ ფლობს ორ თავის მეტოქს დღევანდელი სერბეთის ტერიტორიაზე.

მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ ქართული მონასტერი დაკავშირებული იყო არა მხოლოდ საკუთრივ საქართველოსთან, ოსმალეთის იმპერიასთან, არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, არამედ საბერძნეთთან რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, ბულგარეთთან. ყველა ამ ქვეყანაში ინახება დიდი რაოდენობით წყარო ივერონის მონასტერთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს შესწავლას.

ჩემი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საჭირო საკითხავი მასალის შეგროვება. მათი მოკლე ჩამონათვალი არის შემდეგი:

1. ათონის მთის ყველა მონასტრის შესახებ გამოცემული აქტები, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ივერონთან.
2. წიგნები და სტატიები ათონის მთაზე;
3. წიგნები და სტატიები ბიზანტიის ისტორიის და ეკლესიის ისტორიის შესახებ იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში.
4. წიგნები და სტატიები ბიზანტიის სოციო-კულტურული ცხოვრების შესახებ, რომელიც ნათელს ხდის ბიზანტიის პოლიტიკას მისი ახლო მეზობლების მიმართ;
5. წიგნები და სტატიები ეკლესიების და მონასტრების შესახებ ოსმალეთის იმპერიის პერიოდში;
6. XIX საუკუნეში გამოცემული იშვიათი წიგნები, რომლებიც დაიწერა ბერების მიერ და სადაც აღწერილია მონასტრების ყოფა ამ პერიოდის ათონის მთაზე.
7. შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის ამსახველი ატლასები, რუკები, სადაც მითითებულია, როგორ იცვლებოდა ტერიტორიები, ლიტერატურა კოდიკოლოგიაში, ვაკუუმზე, ოსმალური ხელნაწერების სახელმძღვანელოები და სხვ.

5	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	თანამედროვე ისლამის პოლიტიკური ასპექტები საქართველოში	ებერტის ფონდი	სტრატეგიული კვლევების ცენტრი	გიორგი ლობჯანიძე, მკვლევარი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ისე შიდა ისლამური დენომინაციებისადმი მიკუთვნებულობით, საქართველოში ცხოვრობენ მუსლიმი აღმსარებლობის აზერბაიჯანელები, დაღესტნური წარმოშობის ავარელები, ვაინახური წარმოშობის ქისტები (ჩეჩნები, ქისტებს მათ მხოლოდ საქართველოში უწოდებენ), ირანული წარმოშობის ლაიჯები და, ბუნებრივია, ეთნიკურად ქართველი აჭარლები და მესხები. ჩვენი პროექტის ძირითადი შედეგია წიგნის მომზადება - ისლამის პოლიტიკური ასპექტები საქართველოში, რომელიც სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელობით შესრულდა მოკვლევითი მასალის ანალიზის საფუძველზე. გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები - უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს ჩვენი მუსლიმი მოქალაქეების ერთიან სამოქალაქო და სოციალური-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირებულობის დაბალი ხარისხი. ამას განაპირობებს ერთი მხრივ მათდამი ნეგატიური დამოკიდებულება, ხოლო მეორე მხრივ, მათი დაბალი აქტიურობა. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ თანამედროვე ფორმის სახელმწიფოს ჩამოყალიბება (სამოქალაქო ინტეგრაცია, როგორც ამოცანა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე შეიძლება არსებობდეს) საქართველოში სულ რაღაც ოციოდე წლის წინ დაიწყო და დამოუკიდებელი არსებობის ეს ორი ათწლეული საკმაოდ რთული პროცესებით ხასიათდებოდა.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აპოლონ სილაგაძე	ვეფხისტყაოსნის ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში;	თბილისი, “უნივერსალი”;	130გვ.
ანოტაცია				
<p>აპოლონ სილაგაძე - ნაშრომში ვეფხისტყაოსნის ლექსის ფორმალური მხარე განხილულია ქართული პოეზიის (რესპ. ლიტერატურის) ისტორიის, კერძოდ XII-XVIII სს. პერიოდის, კონტექსტში. გარდა იმისა, რომ ახლებურადაა გაანალიზებული და კვალიფიცირებული ვეფხისტყაოსნის საკუთრივ ვერსიფიკაცია, დადგენილია კანონზომიერი განვითარების დინამიკა და მასში ვეფხისტყაოსნის ადგილი და როლი. აღდგენილია საერთო სურათის ზოგიერთი მოვლენა, რომელიც არ დევს ლიტერატურის ისტორიის ზედაპირზე; გამოვლენილია გარკვეული ლიტერატურული ნორმები, პოეტური ნაწარმოების ფორმალური კომპოზიციის ტიპები და სხვ.</p>				
#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ნომადი ბართაია	საქართველო და ირანი, უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი	თბილისი, “უნივერსალი”;	250გვ.

ანოტაცია

ნომადი ბართაია - მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და ირანთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა, ამ ორ ქვეყანას შორის, მთელი მათი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების განმავლობაში, პირველად დამყარდა თანაბარუფლებიანი კავშირი და დაიწყო ახალი ეტაპი ურთიერთობათა ისტორიაში, რაც ყველაზე მეტად კულტურის სფეროში გამოვლინდა. მოხდა ისე, რომ მე ამ ურთიერთობათა შუაგულში აღმოვჩნდი. წიგნში სწორედ, პირად შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, ირან-საქართველოს შორის კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებია ასახული. ამ მხრივ წიგნი პირველწყაროს ფუნქციას ასრულებს.

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	გიული ალასანია	ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ	თბილისი, გამომცემლობა ჰოროსი XXI	280გვ.

ანოტაცია

წიგნი აცნობს მკითხველს XVII ს-ის თურქი ისტორიკოსის და ენციკლოპედისტის ქათიბ ჩელების მოღვაწეობასა და მის ცნობებს კავკასიის შესახებ. ამ პერიოდის ამსახველ სხვა ისტორიულ წყაროებთან მათი შეჯერებით დადგენილი და დაზუსტებულია კავკასიის ისტორიის მთელი რიგი ფაქტები. ეს არის წიგნის მეორე, შევსებული გამოცემა.

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	სარედაქციო კოლეგია: აკად. თ. გამყრელიძე აკად. რ. მეტრეველი პროფ. ზ. კიკნაძე აკად. ა. სილაგაძე	არამეული წარწერების კორპუსი (საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ყველა სახის მასალის მიხედვით) 2 ნაწილად	ქ. თბილისი	450გვ.

	<p>აკად. ზ. ალექსიძე</p> <p>პროფ. მ. ჩაჩიბაია</p> <p>ფილ.მეცნ.დოქტორი</p> <p>ე. გიუნაშვილი</p> <p>პროექტის ავტორი</p> <p>პროფ. მ. ჩაჩიბაია</p>			
--	--	--	--	--

დასრულებული კვლევითი სამუშაოს II ეტაპის შედეგები (ანოტაცია):

“არამეული წარწერების კორპუსი“, (აღნიშნული ნაშრომი მზადდება გამოსაცემად ქართულ და ინგლისურ ენებზე) მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არამეოგრაფიკულ წარწერებს: მცხეთა-არმაზისხევის წარწერები: არმაზული ბილინგვა და მონოლინგვა, დაცულია ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში.

- პიტიახშების ნეკროპოლისთა ნივთები არამეული წარწერებით.
- ოქროს რვა საავგაროზე ფირფიტა (სამარხი 6)
- ბერსუმას ლანგარი (სამარხი 3)
- ოქროს ბეჭედი (სამარხი 42) და ოქროს ორი სამაჯური (სამარხი 43), ბეჭდის ფოტოები, სამაჯურების ფოტოები, მათი ფაქსიმილე.
- პიტიახშების ნეკროპოლისის ყველა ნივთის ფოტომასალა თავისი მხატვრული დახასიათებით.
- ბაგინეთის წარწერები, ორსენაკიანი ნაგებობის კედლის ორ ქვაზე, სარკოფაგის სუფრის ვერცხლის ნივთებზე.
- ყაზბეგის (სტეფანწმინდის) ვერცხლის თასი დაცული ერმიტაჟში, პეტერბურგი. ფოტო მოცემულია.
- არამეული წარწერა ურბნისიდან, აღმოჩენილი ურბნისის ნაქალაქარში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად.
- ქვევრის ნატეხის ფაქსიმილე.
- უფლისციხის არამეული წარწერები, აღმოჩენილი 1963 წელს უფლისციხეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს.

- ზორის (სუფრის) პინაკი დაცული ერმიტაჟში, პეტერბურგი.
- ვანის ოქროს ფირფიტა (დაცული ოქროს ფონდში ?)
- ძალისის ტაძრის წარწერა - საკურთხევლის არამეული. გრაფიტები (მინაწერები)
- დედოფლის მინდვრის (გორის) შვიდი სამკითხაო-სათამაშო ფირფიტა + ფაქსიმილეები.
- ზღუდერის წარწერები - სუფრის ვერცხლის ოთხ ნივთზე ამოკაწრული წარწერები (ფოტოებით).

2

პროფ. მ. ჩაჩიბაია პეტრე იბერის ცხოვრება, VIII-XII სს. ასურულ ხელნაწერთა მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო პროფ. მ. ჩაჩიბაიამ

ქ. თბილისი 249 გვ.

წიგნში პირველად ქვეყნდება „პეტრე იბერის ცხოვრების“ ასურული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი. ასურული ტექსტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროთაგანია და დიდი ღირებულება აქვს, როგორც საკუთრივ პეტრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე V საუკუნის სირია-პალესტინის საეკლესიო და პოლიტიკური ისტორიისა და ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით.

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	პროფ. მ. ჩაჩიბაია, რედაქტორი	ირანული ენების არამეულ დამწერლობათა ტიპები	ქ. თბილისი	30 გვ.

ანოტაცია

აქემენიანთა ხანაში (549-330 წწ. ჩვ. წ-მდე) არამეული გამოიყენებოდა მთელი იმპერიის საკანცელარიო ენად (აქედან მისი სახელწოდება „იმპერიული არამეული“) და შესაბამისად, ირანულ სახელმწიფოებში გავრცელებული ენებისათვის არამეული გრაფიკა იყო მიღებული. ამასთანავე, ირანული ენების წერილობითი ფორმა იყო სირიული დამწერლობის ნაირსახეობებიც: მანიქური, მომდინარე ესტრანგელოდან და გამოიყენებოდა პართულის, საშუალო სპარსულის, სოლდურისა და ბაქტრიული ენებისათვის; და ქრისტიანული სოლდური დამწერლობა, მომდინარე ნესტორიანულიდან. დღეისათვის ზუსტად არ არის ცნობილი როდის დაიწყეს ირანელებმა არამეული დამწერლობით წერა მკვიდრ ენებზე. ჩვენამდე მოღწეულია

მხოლოდ აქემენიანთა მმართველობის საწყისი პერიოდის არამეული ტექსტები. მაშინ, როცა არამეული გრაფიკით შესრულებული ირანული ტექსტები ცნობილია მხოლოდ და მხოლოდ პართელების (დაახ. 210 წ. ჩვ. წ. – 224 წ. ჩვ. წ.) დროიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა მწირია, არამეული ტექსტები საშუალებას გვამძლევს თვალი გავადევნოთ არამეული დამწერლობის განვითარებას ირანის სხვადასხვა რეგიონში, დაწყებული მისი ადრეული ფორმებიდან შედარებით გვიანდელ ლოკალურ ნაისახეობათა ჩათვლით.

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---------------------	--------------------------------	---------------------

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნომადი ბართაია	სპარსული პოეზიის ქართული თარგმანები დედნებითურთ (მოჰსენ ჰოსეინისთან ერთად)	თბილისი, “უნივერსალი”;	104 გვ.

ნომადი ბართაია - კრებულში თავმოყრილია სპარსული პოეზიის ქართული თარგმანების საუკეთესო ნიმუშები დედნებითურთ. წიგნი გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც აინტერესებს ერთად წაიკითხოს დედანი და თარგმანი. იგი განსაკუთრებით კარგ სამსახურს გაუწევს ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებს. ამ სახის წიგნი ამ სფეროში პირველად დაიბეჭდა.

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ირინე ტატიშვილი	ასირიოლოგიის შესავალი (მასალები სახელმძღვანელოსათვის), კავკასიურ-ახლო აღმოსავლური	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“;	გვ.86-141.

		კრებული 15.		
ანოტაცია				
<p>ნაშრომი წარმოადგენს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ასირიოლოგიის შესავლის მოკლე კურსს. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ასირიოლოგია როგორც მეცნიერება; 2. ლურსმული დამწერლობის სისტემა; 3. ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხები და ენები; 4. ასირიოლოგიური კვლევა-ძიებების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად. საქართველოში ძველი ახლო აღმოსავლეთის კვლევის ისტორია (ძირითადი ეტაპები და მიმართულებები).</p>				
#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	მ. ჩაჩიბაია	სირიული ლიტერატურის ისტორია (სალექციო კურსი)	ქ. თბილისი	220 გვ.
ანოტაცია				
<p>სირიული ლიტერატურის ისტორიის სალექციო კურსი განკუთვნილია როგორც ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობის, ასევე ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობისა და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის და მიზნად ისახავს შეასწავლოს მათ სირიული ლიტერატურის ისტორია, რომელიც თუ არ გავითვალისწინებთ ბერძნულიდან და ზოგი სხვა ენიდან შესრულებულ თარგმანებს, ქრისტიანული ლიტერატურაა. სირიული ლიტერატურის აღმოცენება მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებასა და გაძლიერებას აღმოსავლეთში. მისი აყვავების ხანაა IV-VIII ს.ს. ხოლო დაცემა მოჰყვა მსოფლიოს ამ რეგიონის არაბიზაციასა და ისლამიზაციას, თუმცა ის მაინც განაგრძობდა არსებობას XIV საუკუნემდე და უფრო გვიანდელ ხანამდეც. სწორედ სირიულ მწიგნობართა მეშვეობით ეზიარა ახლო აღმოსავლეთი ძველბერძნულ სამწერლობო ტრადიციებს. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მას, როგორც ისტორიულ წყაროს: რომ არა იოანე ეფესელის, დიონისე ტელ-მახრელისა და ბარ ებრეის თხზულებები, დღეს გაცილებით მწირი ცნობები გვექნებოდა აღმოსავლეთის ეკლესიის ორი მთავარი შტოს შესახებ.</p> <p>როგორც ყველა ქრისტიანი ერის მწერლობა, სირიული ლიტერატურა იწყება სხვადასხვა დროს შესრულებული ბიბლიის უძველესი თარგმანებით.</p>				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აპოლონ სილაგამის რედაქტორობით	“აღმოსავლეთმცოდნეობა”, II	თბილისი, გამომც. “უნივერსალი”	301 გვ.
ანოტაცია				
<p>კრებული წარმოადგენს თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ყოველწლიურ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას. წლებიდან ნომერში წარმოდგენილია 27 ავტორი. რუბრიკები: ენა და ლიტერატურა (წარმოდგენილია: არაბისტიკა, ებრაისტიკა, არმენისტიკა, ირანისტიკა, ხეთოლოგია, ქართველოლოგია), ისტორია (წარმოდგენილია: თურქოლოგია, ირანისტიკა, არაბისტიკა, ქართველოლოგია), თარგმანი (შუმერულიდან, აქადურიდან, სომხურიდან, თურქულიდან: აგრეთვე, ტრადიციისამებრ, ერთი თარგმანი ქართულიდან რომელსამე, ამჯერად თურქულ, ენაზე), რეცენზია (არაბისტიკა, თურქოლოგია, ბიზანტინისტიკა), გახსენება. კრებულში დასაბეჭდად მიიღება მხოლოდ ის სტატიები, რომლებსაც დაერთვის მოკლე ანოტაცია, სადაც ნაჩვენებია დასაბეჭდად წარდგენილი სტატიის სამეცნიერო სიახლე ან მასში პრობლემის ახლებურად დასმის მცდელობა.</p>				

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	აპოლონ სილაგამე	მუჰამადის სიტყვები ყურანში. -	N 2	თბილისი, გამომც.	გვ.77-102

		ადმოსავლეთმცოდნეობა, (ქართულად და ინგლისურად).		“უნივერსალი”	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში ყურანის ტექსტი თავისი შედგენილობის მიხედვით პირველად არის დიფერენცირებული ალაჰის სიტყვად და მუჰამადის ჩანართებად. ეს უკანასკნელნი ტექსტის ძალიან მცირე ნაწილს ქმნიან და წარმოადგენენ მყარი და გამეორებადი ხასიათის მოკლე ფრაზებს. მათი პოზიციაა აიათა აბსოლუტური ბოლო. ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც ტექსტის შესაბამისი პასაჟები შეიძლება მუჰამადის სიტყვებად იქნენ მიჩნეულნი.</p>					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე	კოდის გადართვა არაბულში: ბილინგვიზმი და დიგლოსია. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, II, კონფერენციის მასალები	#2	ქუთაისი	გვ. 173-180.
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია ე.წ. Code switching-ის (CS) მოვლენა. ანალიზი ძირითადად განხორციელებულია ჩშ-ის ორი სახეობის მიხედვით: ბილინგვური და დიგლოსიური (ეს უკანასკნელი ნაშრომის ავტორთა ტერმინია, რომელიც შეესაბამება იმ სახეობას, რომელსაც ჩვეულებრივ სიტუაციურს უწოდებენ).</p> <p>ბილინგვური CS არაბულში დღეს ძირითადად გულისხმობს არაბულსა და ინგლისურს შორის მიმართებას (რეალურია ასევე არაბულ-ბერბერული, არაბულ-ფრანგული და სხვ.; ისტორიულად ასევე – არაბულ-თურქული და სხვ.). დიგლოსიური CS ერთი ენის შიგნით მიმდინარე მოვლენაა, კერძოდ – სალიტერატურო არაბულსა და არაბულის რომელსამე დიალექტს შორის. CS-ის კიდევ</p>					

ერთი ვარიანტია ე.წ. პროპორციული CS, როდესაც კოდის გადართვა ხდება გრადაციის გარეშე, ჰორიზონტულად – ერთი დიალექტიდან მეორეზე.

ნაშრომში ყველა ეს მოვლენა განხილულია კონკრეტულ მასალაზე და მოტანილია შესაბამისი ილუსტრაციები. ანალიზის შედეგად ავტორთა მიერ გამოყოფილია აღმავალი და დაღმავალი CS.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	მაია ანდრონიკაშვილი	ზოგიერთი არაბიზმი ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართულ დიალექტებში. - აღმოსავლეთმცოდნეობა,	2	თბილისი, გამომც. “უნივერსალი”	გვ.11-18.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სალიტერატურო ქართულსა და ქართულ დიალექტებში დადასტურებული არაბიზმების ერთი ჯგუფი. ნაწილი ნასესხობებისა შეიცავს არაბულ დერივაციულ აფიქსებს, ნაწილი შესიტყვებებს წარმოადგენს თვით არაბულში. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ნასესხობანი დადასტურებული ქართულ დიალექტებში: მაზე, ინთილა, კაბადა, უთავთიშებს და სხვ. ხაზგასასმელია აგრეთვე ქართულ დიალექტში არაბიზმების დიდი კორპუსის არსებობა.

საყოველთაოდ აღიარებული ერთი ნასესხობის მიმართ (ყოლბი) გამოთქმულია მოსაზრება, რომელიც ამ ლექსემის ქართული მნიშვნელობის შინაარსობლივი ნიუანსის დაზუსტებას ისახავს მიზნად.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	დარეჯან გარდავაძე	პალესტინური იდენტობის პრობლემა ღასან ქანაფანის პროზაში („ჰაიფაში დაბრუნება“, „კაცები მზეში“). –		ქუთაისი	

		აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენციის «თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება» მასალები			
--	--	--	--	--	--

ანოტაცია

სტატია ცნობილი პალესტინელი ლიტერატორის, მწერლის, პალესტინური პროზის ლიდერის, პოლიტიკოსის, პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის აქტივისტის დასან ქანაფანის მცირე ფორმატის რომანების "ჰაიფაში დაბრუნება" და "კაცები მზეში" ანალიზის ფონზე პალესტინური იდენტობის პრობლემას განიხილავს ლიბანელი მოაზროვნის, ჟურნალისტისა და მწერლის ამინ მაალუფის "დამღუპველი იდენტობებისა" და პალესტინური წარმოშობის, წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში აღიარებული მკვლევრისა და ამერიკულ ინტელექტუალურ წრეებში მიღებული მოაზროვნისა და მეცნიერის, პალესტინური ნაციონალური მოძრაობის მამად წოდებული ედვარდ საიდის წიგნის "პალესტინის პრობლემის" მიხედვით და იდენტობის კომპლექსური დეფინიციის შემადგენელი კომპონენტების იდენტიფიცირებას ქანაფანის რომანების გმირების მიხედვით ადგენს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ნინო ეჯიბაძე	მყარი გამოთქმების სტრუქტურა ეგვიპტურ დიალექტურ ზღაპრებში. - აღმოსავლეთმცოდნეობა,	2	თბილისი, გამომც. “უნივერსალი”	გვ.39-49.

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია ეგვიპტურ დიალექტურ (არასტანდარტიზებული) ზღაპრებისთვის ჩვეული

მყარი გამოთქმების დესკრიპცია და ანალიზი. ამ პოზიციებიდან, ეგვიპტური დიალექტური ზღაპარი დაყოფილია შემდეგ სეგმენტებად: ზღაპრის თავი; ამბის დასაწყისი; ზღაპრის ძირითადი ნაწილი; ზღაპრის დასასრული. ცალ-ცალკეა გაანალიზებული ყოველი მათგანი და მოტანილია ის მყარი შესიტყვებანი, რომლებიც თითოეული მათგანისთვისაა დამახასიათებელი. გამოყვანილია ამ ტიპის ზღაპრების თითოეული სეგმენტისა და მთლიანად ზღაპრის ზოგადი ფორმულები.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	გიორგი ლობჯანიძე	„ბრძოლა არაბული ლექსის განახლებისათვის“: მომხრეები და მოწინააღმდეგენი. - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოველწლიური გამოცემა „კრიტიკა“		თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	გვ. 97-99

ანოტაცია

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	გიორგი ლობჯანიძე	წინასიტყვაობა ნაჯიბ მაჰფუზის რომანისათვის „ჩვენი უბნის შვილები“		გამომცემლობა „სიესტა“	გვ. 3-30

ანოტაცია

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

	ავტორები	ლის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
8	მარინე ჯიქია	ფემინურ-მასკულინური კომპონენტების დისტრიბუცია თხზულ სახელებში (ქართველურ ენათა მაგალითზე) – ენათმეცნიერების საკითხები (ეძღვნება პროფ. ტოგო გუდავას დაბადების 90 წლისთავს)		თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	7

ანოტაცია

კომპოზიტებში ქართულენოვანი სოციალური პირველ ადგილას უპირატესად მდებარე ასახელებს: გოგო-ბიჭები; და-ძმა; დედ-მამა; დედობილ-მამობილი; სიდედრ-სიძამარი, ქალ-ვაჟი; ცოლ-ქმარი სხვ. რამდენიმეში მამრია პირველ ადგილას: ბიძა-ბიცოლა; მეფე-დედოფალი; სიძე-პატარძალი. კომპოზიტის წევრთა მიმდევრობას მორფოტაქტიკური ახსნა დაეძღვნა: გრძელი კომპონენტი მეორე ადგილას ჩნდება. დეფისით შეერთებული, ორცნებიანი ანთროპომორფული კომპოზიტები გადამოწმდა სვანურ-მეგრულ-ლაზურში. საინტერესოდ გვესახება სხვა ენათა მონაცემების ამ კუთხით შესწავლა და შემდგომი კვლევა ტიპოლოგიურ რაკურსში.

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	ნანული კაჭარავა	ადალეთ ალაოლლუ, გმირის სიკვდილი (პიესა ერთ მოქმედებად). - აღმოსავლეთმცოდნეობა	#2	თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”	245-261

ანოტაცია

მკითხველს ვთავაზობთ თურქი რომანისტიკისა და დრამატურგის პიესის “გმირის სიკვდილი” თარგმანს თურქულიდან ქართულ ენაზე. თარგმანს წამმდგარებული აქვს მთარგმნელის მოკლე ანოტაცია ავტორისა და თვით პიესის შესახებ, აგრეთვე ის წინარე სიტუაცია, რამაც განაპირობა ამ პიესის თარგმნა.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	ქეთევან ლორთქიფანიძე, ნატო ახალაია	შორისდებულთა დისტრიბუციისათვის ლაზურში - აღმოსავლეთმცოდნეობა	#2	თბილისი “უნივერსალი”	გვ.50-55

ანოტაცია

სტატიის მიზანია მიეცეს ფორმოზღვი და ფუნქციურ-სემანტიკური კვალიფიკაცია ლაზურში არსებულ შორისდებულებს. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით შორისდებული ცდება მხოლოდ ბგერის, ბგერათა კომპლექსის თუ სიტყვის ფარგლებს და მყარ შესიტყვებებად ქცეულ წინადადებებად და შორისდებულურ ფრაზებად წარმოგვიდგება. მოპოვებულ ლაზურ მასალაში შეგვხვდა გარკვეული რაოდენობა თურქული ნასესხობებისა, რაც ბუნებრივ მოვლენად უნდა უნდა ჩაითვალოს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	ნატო ახალაია ქეთევან ლორთქიფანიძე	თურქული პუბლიკაციები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“. - კულტურათაშორისი დიალოგები” შრომები	II	თელავი, გამომცემლობა “მერიდიანი”	გვ.46-53

ანოტაცია

თანამედროვე თურქეთში აქტუალური გახდა ლაზთა თვითინდეტიფიკაციის საკითხი. თურქეთში მცხოვრები ლაზი ინტელიგენცია მრავალი წლის დუმის შემდეგ შეუდგა თავისი ეთნიკური ფესვების ძიებას და თვითგამორკვევის გზას, რაც აისახა მთელ რიგ სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციებში. პირველი ლაზი მკვლევარი, ვინც ლაზებთან დაკავშირებით პირველი კვლევა ჩაატარა და ბეჭდური სახით გამოსცა, გახლავთ ნიზამეთინ ალქუმრუ. მისი მონოგრაფიის

სახელწოდება: “ლაზური კულტურის ისტორია”. ჩვენ მიერ განხილულ პუბლიკაციებში ავტორთა ერთი ნაწილი ლაზთა თურქულ წარმომავლობას ამტკიცებს, ნაწილი კი მათ კავკასიურ წარმოშობაზე მიუთითებს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	ქეთევან ლორთქიფანიძე გურამ ლორთქიფანიძე	ხუფათის (ხოფი) ხეობის და არქაბის ლაზური სოფლები (საველე დღიურიდან).- კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები	XXVIII	თბილისი, გამომცემლობა “მწიგნობარი”	53-59

ანოტაცია

2012 წლის გაზაფხულზე რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით მოგვეცა საშუალება ართვინის პროვინციის სოფლების შესწავლისა. დაწყებული მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ხდებოდა თურქეთის მთავრობის განკარგულებით ლაზური ტოპონიმის შეცვლა თურქულით. თუმცა საბედნიეროდ ლაზების მეხსიერებამ შემოინახა არამარტო სოფლების, არამედ უბნების, მდინარეების, მთების და ა. შ. სახელწოდებები.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13	ქეთევან ლორთქიფანიძე	ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა	2	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ.208-219.

ანოტაცია

ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ. - ნაშრომი ეხება ზ. ავალიშვილის მიერ 1929 წელს გამოცემულ ნაშრომში - „სხივი დასავალისა“ დავით აღმაშენებლთან დაკავშირებულ შენიშვნას ანუ მის შესახებ წყაროებში მცდარი ცნობების არსებობის თაობაზე. სახელდობრ - „1123-1124 წლებში დავით ქართველთა მეფეს და თოროს კილიკიის მთავრის ძმას ერთ სულთანთან ტყვედ დაჭერილი რაინდები მათ სახლში ანტიოქიაში ჩამოეყვანათ“. თავის წყაროდ ზ. ავალიშვილმა დაასახელა ორდერიკ ვიტალისის „საეკლესიო ისტორია“, მაგრამ შემდეგ კვლევა აღარ გააგრძელა. გ. ჯაფარიძის ნაშრომში შესწავლილია თუ რა კონტექსტში გვხვდება ვიტალისის თხზულების ზემოაღნიშნული ცნობა, რატომ იყო ის მცდარი, ვინ იყო თავად ეს სულთანი და როგორ აღმოჩნდნენ მასთან ტყვე რაინდები.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
14	ირინე ტატიშვილი	იმთარის საგალობელი.- - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა	2	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“)	გვ.233-239

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
15	მანანა კვაჭაძე	ენობრივი ორიენტაციის დინამიკისათვის მრავალეთნიკურ საზოგადოებაში (საქართველოში მცხოვრები ზოგი მუსლიმური ეთნიკური ჯგუფის მასალა).- II საერთაშორისო		თელავი. დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.	გვ. 213-219

		სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები.“ შრომები			
ანოტაცია					
<p>ნაშრომში „ენობრივი ორიენტაციის დინამიკისათვის მრავალენიკურ საზოგადოებაში“ საქართველოში მცხოვრები ზოგი მუსლიმური ეთნიკური ჯგუფის მასალაზე გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის საზოგადოებრივი ფუნქციის გაფართოების, მისი საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლების დინამიკა.</p>					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
16		მირზა რეზა ხანის „ალმასის სასახლე“ თბილისში. აღმოსავლეთმცოდნეობა		თბილისი, „უნივერსალი“,	გვ.140-145.
ანოტაცია					
<p>სტატია „მირზა რეზა ხანის „ალმასის სასახლე“ თბილისში ეხება თბილისში ირანის გენერალური კონსულის (1889-1894) მირზა რეზა ხან არფა ად-დოულეს აღმშენებლობით საქმიანობას თბილისში, კერძოდ, გუდოვიჩის (დღევანდელი ჭონქაძის 11) ქუჩაზე ირანის საკონსულოს – „ალმასის სასახლის“ მშენებლობასა და 1892 წლის 16 ივლისს მისი გახსნის ცერემონიალს.</p>					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
17	მაია ღამბაშიძე	მეტალურგიის კულტის ერთი ნაკვალევსათვის ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში		კავკასიოლოგთა მე-3 საერთაშორისო კონგრესის მასალები, 2013	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 96-98.

ანოტაცია

ორგანიზებულად გამოყოფილ ტერიტორიულ სივრცეში ღირებულებათა საერთო სისტემა ჩამოყალიბდა ფაქტორთა იმ ერთობლიობით, რის გამოც ქართველურ ტომთა სახლობის არეალი აღიარებულია სამთამადნო წარმოების, მეტალურგიისა და ლითონდამუშავების სამშობლოდ. სამთო გამონამუშევრების შესწავლისა და მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგები მოწმობს, რომ ბრინჯაოს ხანის საქართველოს მადაროებში მსოფლიო სამთო პრაქტიკაში პირველად იქნა გამოყენებული სართულეზიანი კამერების სისტემა, ღია გამწმენდი სივრცით. ამასთანავე, დადგენილია, რომ მთარაჭის ანტიმონის მადროები განეკუთვნება მსოფლიოს მატერიალური კულტურის უნიკალურ ძეგლთა კატეგორიას.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ.წ. XV-VII ს.ს.) ქართველურ ტომთა სახლობის ყველა რეგიონში შავი მეტალურგიის განვითარებამ შექმნა რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური (შესაბამისად, სახელმწიფოებრივი) გაერთიანების მყარი საფუძველი. ითვლება, რომ შავი მეტალურგიის ამ დონეზე განვითარება სათავეს იღებს ქართველურ ტომთა მიერ ადრელითონების ხანაში მიღწეული წარმატებებიდან. სავარაუდოდ, უკვე ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალ ხანაში ქართველურ ეთნოსთა წიაღში ჩამოყალიბდა ტომობრივი შეკავშირებულობის იდეა. ძვ.წ. VI საუკუნიდან კოლხეთისა და იბერიის სამეფოების საწარმო-ეკონომიკური აქტივობა გაძლიერდა - აქაური შვი მეტალურგიის ნაწარმი ვრცელდება მთელს ახლო აღმოსავლეთში.

ქართველურ ტომთა საქმიანობის ძირითად დარგებს წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი საძიებო, მადანმოპოვებელი, მადანდამამუშავებელი და ლითონდამამუშავებელი სამუშაოები, რაც გარე-სამყაროსთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და განვითარების საერთო პროცესში მათ ჩართულობას განაპირობებდა. ამ მასშტაბის სამუშაოების წარმოება წარმოუდგენელია მკაფიოდ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წყობისა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის გარეშე, ხოლო, ამგვარი ორგანიზებულობა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია კი შეუძლებელია მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური სისტემისა და შესაბამისი კულტის გარეშე. ცხადია, წარსული ეპოქების იდეოლოგიური სისტემები ამ ამოცანას ვერ შეასრულებდნენ - საჭირო უნდა გამხდარიყო რწმენა-წარმოდგენათა ახალი სისტემის ჩამოყალიბება.

ლითონდამამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში, მადნის გამდიდრებისა და ტემპერატურული რეჟიმის რეგულირებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხის ნახშირს, კერძოდ - მაგარმერქიანი ჯიშის ხეს, (მუხა, წიფელი, იფანი...). ხე, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოცემული საზოგადოების საწარმო-ეკონომიკურ ცხოვრებაში და წარსულ ეპოქებში უკვე მოპოვებული ჰქონდა საკრალურობის შინაარსი, როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოს, ბუნებრივად უნდა შერაცხულიყო სიწმინდედ და ქვეულიყო თაყვანისცემის საგნად. სწორედ ამ ვითარებას უნდა განეპირობებინა ქართველურ ტომთა სარწმუნოებრივ

სისტემაში წმინდა ხის, კერძოდ - დიდი ჭყონის კულტის როგორც, მეტალურგიის კულტის შემადგენელი ნაწილის ჩამოყალიბება. მისი სადიდებელი სარიტუალო საგალობელია „ჭონა“.

წმინდა ხის-მუხის (რესპ. დიდი ჭყონის) თაყვანისცემის წეს-ჩვეულებანი ქართველურ ეთნოკულტურულ სივრცეში მოქმედებდა ახ.წ. XX საუკუნის პირველ მესამედამდე. სიტყვა „ჭონი“ მკვიდრობს მთელს ქართველურ ლექსიკურ სამყაროში და მისი ნაკვალევი დალექილია იმიერ-ამიერ საქართველოს ტოპონიმიკაში: ჭყნოდინი (სამეგრელო); ჭყონიგვარა (აფხაზეთი); ჭყონაგორა (გურია); ჭყანიში(აჭარა); ჭყორჭოხი (შიდა ქართლი); ცულიყლაპია ჭყონის ტყე(კახეთი).

ეს ფაქტი მნიშველოვან ისტორიულ ინფორმაციას შიცავს ეთნოკულტურულ პრობლემათა კოგნიტური კვლევისათვის. მის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ა) წმინდა ხის (დიდი ჭყონის) კულტი ქართველურ ტომთა სახლობის არეალში მკვიდრდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში და უკავშირდება ქართველურ ტომთა მიერ რკინის წარმოების ათვისებისა და განვითარების მაღალ დონეს, რომლის წყალობითაც ისინი ხდებიან იმდროიდელი მოწინავე მსოფლიო პროცესების სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მონაწილენი;

ბ) მეტალურგიის საწარმოო პროცესების ფართო მასშტაბით განხორციელებამ ქართველურ ტომთა სახლობის მთელ ტერიტორიაზე შესაძლებელი გახადა გენეტიკურად მონათესავე ტომთა ურთიერთკავშირის გაღრმავება და ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, რასაც საფუძვლად უთუოდ ედო ერთიანი რელიგიურ-იდეოლოგიური სისტემის - ერთიანი კულტის (რესპ. მეტალურგიის კულტის) არსებობა.

გ) დროის კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთსა და კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში კულტმსახურების ამსახველი ცნებებისა და ტერმინების იდენტურობა მოწმობს ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრებას ერთიან ეკონომიკურსა და კულტურულ სივრცეში - სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ადმინისტრაციულ სტრუქტურაში, რასაც პირობითად შეიძლება ქვეყანა ეწოდოს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
18	მაია დამბაშიძე	ფეხსაცმლის სახობანი ხეთური ტექსტების მიხედვით. - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	#2	თბილისი, „უნივერსალი“	გვ. 103-115.

		ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა			
--	--	---	--	--	--

ანოტაცია

ფეხსაცმელი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ადამიანის ჩაცმულობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ატრიბუტს. ბუნებრივია, განსხვავებულ გეოგრაფიულ თუ კლიმატურ გარემოში ფეხსამოსის სხვადასხვა სახეობა გამოიყენებოდა. არქეოლოგიურად სამწუხაროდ ვერ დასტურდება, თუ როგორი ტიპის ფეხსაცმელი იყო გავრცელებული ძველ წინა აზიაში. სტატიაში განხილულია ჩვენამდე მოღწეული რელიეფებიდან თუ ტექსტებიდან ცნობილი მისი არაერთი სახეობა.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
19	ნანი გელოვანი	მუსლიმ ქალთა პილიგრიმობა და ქველმოქმედება შუა საუკუნეებში. – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა	#2	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 146-156.

ანოტაცია

ნაშრომში ყურადღება ფოკუსირდება ქალთა პილიგრიმობის სოციალურ და რელიგიურ ასპექტებზე და იმ ქველმოქმედებაზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა მექაში პილიგრიმობას. შუა

საუკუნეებში ქალთა წილი პილიგრიმთა ქარავანში უფრო დიდი იყო, მაგრამ ამ ქალებს არ დაუტოვებიათ თავიანთი მოგზაურობის აღწერა და ჩვენ გვაქვს ცნობები მათ შესახებ წიგნებიდან, რომლებიც დაწერილია მამაკაცი ავტორების მიერ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იბნ ჯუბაირის და იბნ ბატუტას ცნობები. გარკვეული ცნობები დაცულია აგრეთვე უფრო ადრეული ხანის ევროპელ მოგზაურებთან და არაბ ისტორიკოსებთან. ამ ცნობებზე დაყრდნობით შესწავლილია მუსლიმ ქალთა ქველმოქმედების ერთ-ერთი დომინანტური ფორმა - რელიგიური საქველმოქმედო სამუშაოები.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
20	ნანა გელაშვილი	ბუდისტური კულტურის ფორმირება ჩინეთში.- კრებული „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“	XXVIII	თბილისი, თსუ გამომცემლობა,	გვ. 92–100.

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბუდიზმის შეღწევა და ბუდისტური კულტურის ფორმირება ჩინეთში. ბუდიზმმა ჩინეთში გავრცელება დაიწყო ახ. წ. პირველ საუკუნეში და ამდროიდან მოყოლებული მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კულტურაზე. დროთა ვითარებაში ბუდიზმი შეერწყა ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, თავისი დოქტრინით კი – გარკვეული დოზით შეუთავსდა ჯერ დაოსიზმს, მოგვიანებით – კონფუციონიზმსაც. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ჩინურ და ინდურ კულტურათა ელემენტების ჰარმონიულ დიალოგს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
21	ნანა	ქრისტიანობა ქართლის სამეფოში მე–17 საუკუნის	V	თბილისი, გამომცემლობა	გვ. 60–73.

	გელაშვილი	30–50–იან წლებში. – კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“,		„უნივერსალი“	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია ქრისტიანობის როლი და სტატუსი ქართლის სამეფოში როსტომის ზეობის ხანაში (1633-1658). ირანის შაჰის სეფი I–ის მიერ ხელდასხმული როსტომი უპირველეს ყოვლისა, ირანის ინტერესებს ემსახურებოდა, თუმცა იმავდროულად გარკვეულ ტოლერანტობას იჩენდა რელიგიის კუთხით. ხაზგასასმელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მუსლიმი მეფის ზეობა სრულიად არ ცვლიდა რეგიონის რელიგიურ სურათს, რამდენადაც მართლმადიდებლობა ყველაზე გავრცელებულ რელიგიას წარმოადგენდა და მას მრავალრიცხოვანი სამწყსო ჰყავდა. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები შესწავლილია ქართული, სპარსული და ევროპული წერილობითი წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.</p>					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
22	ნანა გელაშვილი	Культурные реалии исторической столицы Японии – Нара.-	Bulletin of the 2 nd Japanese Education Seminar in Caucasus	Tbilisi, Japan Foundation	p. 48-53.
ანოტაცია					
<p>ნაშრომი ეძღვნება იაპონიის ისტორიულ დედაქალაქ ნარას, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ–ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს. ნარას პერიოდი (710–784) წარმოადგენდა მაღალცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირების ხანას ჩინური მოდელით, იგი ჩინეთის იმჟამინდელი დედაქალაქის ჩანანის ნიმუშით აიგო. ამაში იგულისხმება დაგეგმარება, ქუჩები, საცხოვრებელი და ადმინისტრაციული ნაგებობები და ბუდისტური ტაძარ–მონასტრები. თუმცა, ადგილობრივ პოლიტიკურ და კულტურულ ტრადიციებს იმთავითვე გარკვეული კორექტივები შეჰქონდათ ყველა სფეროში. ნარას პერიოდი იაპონური კულტურის მძლავრი ავაგებით აღინიშნა. ამასთან, რამდენადაც ეს კულტურა უმთავრესად ბუდისტურ სარწმუნოებას უკავშირდებოდა, ეს პერიოდი ბუდისტური კულტურის ოქროს ხანადაა აღიარებული.</p>					

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
23	გიული ალასანია	თურქეთის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის ახალი გამოწვევების წინაშე (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა). – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა	#2	თბილისი, „უნივერსალი“	გვ. 121-139.
<p>ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია თურქეთ-სირიის ურთიერთობის ძირითადი ასპექტები უახლესი გამოკვლევებისა და ანალიტიკური მასალების საფუძველზე. არაბულმა გაზაფხულმა ცვლილებები შეიტანა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზეც. თურქეთი კი მნიშვნელოვანი მოთამაშე ყველა დონეზეა და სესაბამისად, მისი პოზიცია ამა თუ იმ ვითარებაში მნიშვნელოვნად განაპირობებს მოვლენების განვითარებას.</p>					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
24	მირიან მახარაძე	შემოესია თუ არა ახი აინა ბეგი საქართველოს? - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული	#2	თბილისი, „უნივერსალი“	გვ.199-207.

		აღმოსავლეთმცოდნეობა			
ანოტაცია					
#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
25	ლილი ჟორჟოლიანი	თიკუნად ქცეული ეპითეტები ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ და მათი ქართული შესატყვისები. – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა	#2	თბილისი, „უნივერსალი“	გვ. 56-61.
ანოტაცია					
<p>სტატიაში განხილულია ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ 6 პერსონაჟის ეპითეტები, რომლებიც დროთა ვითარებაში მათ მეტსახელად (თიკუნად) ქცეულან და როგორც სპარსულ ტექსტში, ისე ქართულ თარგმანში „მეფეთა წიგნისა“ ისინი სახელის ნაცვლად თიკუნით იხსენიებიან. ესენია: 1. თაჰმურასისა– დივბანდ (დევთა შემკვრელი). ის ქართულში უცვლელად არის გადმოტანილი. 2. ზაალისა–ზარ (მოხუცი, თმათეთრი) ქართულშიც იგივე ფორმით გვხვდება. 3. როსტომისა – თაჰამთან (მძლავრტანიანი) – ქართულში თამთა–თაამთან–თამთან ფორმები დასტურდება. ასევე ფილთან (სპილოსტანა) – ქართულში გვაქვს პილოტანი. 4. ყარანისა–რაზმზან ქართულ თარგმანში ორი ფორმით რაზმაზან და რაზმან გვაქვს. 5. ესფანდიარისა– რუდინთან (რვალისტანიანი) – ქართულში ეპითეტი (თიკუნნი) თარგმნილია (რვალისტანა). 6. საამისა–სავარ (მხედარი) იგი ქართულში უცვლელად არის გადმოსული.</p> <p>სტატიაში გაანალიზებულია მეტსახელთა ქართულ თარგმანში გადმოტანისას მომხდარი ცვლილებები.</p>					

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
26	ნინო სურმავა	შექსპირისეული მოტივების რემინისცენციები ატ-ტაიბ სალიჰის რომანში "მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში" (ინგლისურად)	შექსპირის საერთაშორისო კონფერენციის (ოქტომბერი 10-12, 2012) მასალები.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 210-217.

ანოტაცია

სტატიის მიზანია შექსპირის “ოტელოს” გავლენის განხილვა სალიჰის რომანზე “მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში”. ზოგადად, მე-20 საუკუნის არაბულ ლიტერატურაში არაერთი მწერლის შემოქმედებაში გვხვდება შექსპირის “ოტელოს” რემინისცენციები. არაბი ევროპაში – აღმოსავლელის დასავლურ სამყაროსთან შეხვედრა და კულტურათა კონფრონტაციის მოტივი XX საუკუნის არაბული ლიტერატურისთვის ძალიან აქტუალურია, განსაკუთრებით გამძაფრებული მუხტი და მეტი დრამატიზმია დამახასიათებელი პოსტკოლონიალიზმის ეპოქისთვის. ამიტომ არის, რომ შექსპირის არცერთი ნაწარმოები ისეთი პოპულარობით არ სარგებლობს არაბულ სამყაროში, როგორც “ოტელო”. ეს იყო შექსპირის პირველი ტრაგედია, რომელიც არაბულ ენაზე ითარგმნა არაერთხელ, დაიდგა არაერთი ინტერპრეტაციით და ერთგვარად დაილექა არაბულ ლიტერატურულ ცნობიერებაში. სტატიაში განხილულია სალიჰის რომანის ინტერტექსტუალური მიმართებანი შექსპირის “ოტელოსთან”.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
27	ლელა ბახტაძე	ინფინიტიური კონსტრუქციების მოდალური მნიშვნელობები თანამედროვე ებრაულში.-	#2	თბილისი, „უნივერსალი“	გვ.19-24.

		– თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა			
--	--	---	--	--	--

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ებრაული ინფინიტივური კონსტრუქციები მოდალობის მიხედვით და მოცემულია მათი კლასიფიკაცია კონტექსტური პირობების გათვალისწინებით. სწორედ კონტექსტი იძლევა წინადადების ერთმნიშვნელოვნად ინტერპრეტაციის საშუალებას.

უპირო ფორმით გადმოცემული წინადადებები, თავისი გრამატიკული სპეციფიკიდან გამომდინარე (როდესაც არ არის გამოხატული პირი, რიცხვი და სქესი), საკმაოდ მოსახერხებელია სხვასხვა მოდალური ნიუანსების ექსპლიკაციისათვის. ინფინიტივური იმპერატიული კონსტრუქციების გამოყენება დაკავშირებულია ექსპრესიულობის მაღალ ხარისხთან. ასეთი კონსტრუქციების სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს სათანადო ინტონაცია, რადგან სწორედ ინტონაცია და თავად ინფინიტივი შემასმენლის “უჩვეულო” პოზიციაში წარმოადგენენ სხვადასხვა მოდალობის კონსტრუქციების ძირითად მარკერებს. ეს განსაკუთრებით ეხება სიტუაციას, როდესაც ინფინიტივი გადმოსცემს კატეგორიულ ბრძანებას ან აკრძალვას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შესაძლებლად მიგვაჩნა ინფინიტივური კონსტრუქციების ამგვარი კლასიფიკაცია:

- 1) იმპერატიული მოდალობა
- 2) ოპტატიური მოდალობა
- 3) ინვარიანტული ასპექტუალური მნიშვნელობა.

საკმაოდ ძნელია, თითოეულ გამონათქვამს მიაწერო შესაბამისი კონკრეტული სემანტიკური ინტერპრეტაცია, მაგრამ სასაუბრო სიტუაციის გათვალისწინებით, ყოველ ასეთ გამონათქვამს ზემოხსენებულ ინტერპრეტაციათაგან მხოლოდ ერთი კონკრეტული მიესადაგება. ყველა აღწერილი კონსტრუქციისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური თავისებურებანი: ლაკონიზმი, სათანადო ინტონაციის აუცილებლობა, ექსპრესიის მაღალი ხარისხი.

#	ავტორი/	სტატიის სათაური, ჟურნალ-	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების
---	---------	--------------------------	-----------	-----------	-----------

	ავტორები	ლის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
28	მარინე მეფარიშვილი	„ბაზისურ ფერთა ტერმინები სამხრეთსემიტურ ენებში“. - საერთაშორისო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ მასალები.		ქუთაისი	
#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
29	მარინე მეფარიშვილი	„ბაზისურ ფერთა ტერმინები ეთიოსემიტურ ენა ჰარარიში“, აღმოსავლეთ მცოდნეთა V საერთაშორისო კონფერენციის მასალები.		ქუთაისი	

ე) ლექსიკონები

#	ავტორი/ავტორები	ლექსიკონის დასახელება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ტატიშვილი	ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრამები.	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“,	155 გვ.

3) წიგნად გამოცემული თარგმანები

#	მთარგმნელი	წიგნის ავტორი და სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თარგმანი სპარსულიდან და არაბულიდან, კომენტარები გიორგი ლობჯანიძისა	ჯალალ ედ-დინ რუმი, „არსთა მესნევი“, ნაწილი პირველი	„შამსე თაბრიზის საზოგადოება“, თეირანი	იბეჭდება, კომპ. ნაბეჭდი დაახლ. 600 გვერდი
<p>ანოტაცია</p> <p>მე-13 საუკუნის დიდი სპარსელი მისტიკოსი პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის პოემის „არსთა მესნევის“ თარგმანი და კომენტარებითურთ. რუმის ეს პოემა, რომელსაც პოეტის თანამედროვე აბდ ორ-რაჰმან ჯამი „სუფიზმის ენციკლოპედია“ უწოდებდა 6 დავთარს ანუ 6 რვეულს მოიცავს. პირველი დავთარი 4012 ბეითია. წელს დასრულდა სწორედ ეს ნაწილი, რომელიც თავის კომენტარებიანად 600 გვ. წიგნად იბეჭდება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში „შამს-ე თაბრიზის საზოგადოების“ ეგიდით. ეს არის სუფიზმის საუკეთესო მკვლევრებით დაკომპლექტებული საზოგადოება და მის მიზანს ჯალალ ედ-დინ რუმის შემოქმედების შესწავლა და პოპულარიზაცია წარმოადგენს. პოემა მათი შეკვეთით ითარგმნება. მათივე მოთხოვნით, თარგმანი არის ფილოლოგიური პწკარედი, წინ უძღვის გ. ლობჯანიძის ვრცელი შესავალი და აღჭურვლია სათანადო სამეცნიერო კომენტარით (წიგნის რედაქტორია, თსუ ირანისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი თეა შურღაია).</p>				
#	მთარგმნელი	წიგნის ავტორი და სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	თარგმანი ინგლისურიდან ნინო დოლიძისა	ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, „წინასწარმეტყველი“	თბილისი, ქართული აკადემიური წიგნი	120 გვ.
<p>ანოტაცია</p>				

„წინასწარმეტყველი“ არაბული რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა ნათარგმნი. ქართულად უკვე ორჯერ ითარგმნა, თუმცა ალბათ ღირდა ამ (მესამე) ვარიანტის გამოქვეყნებაც.

#	მთარგმნელი	წიგნის ავტორი და სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	თ. შურღაია; მზია ბურჯანაძე	ზ. ფირზადი, „შევეგუებით“ (რომანი და მოთხრობები), თარგმანი, წინასიტყვაობა, შენიშვნები	თბილისი, „დიოგენე“	521 გვ.

ანოტაცია

თანამედროვე ირანელი მწერალი ქალის ზ. ფირზადის რომანისა და მოთხრობების ქართული თარგმანების კრებული „შევეგუებით“ (521 გვ., გამომცემლობა „დიოგენე“) მ. ბურჯანაძესთან თანამშრომლობის შედეგია. თარგმანს წინ უძღვის მთარგმნელების 14 გვერდიანი (გვ.7-21) წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია მწერლის შემოქმედება ზოგადად და გაანალიზებულია კრებულში შესული კონკრეტული ნაწარმოებები.

თ. შურღაიას ეკუთვნის რომანის („შევეგუებით“) და ორი მოთხრობის („ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში“, „ლაქები“) თარგმანი. რომანის მოცულობა 320 გვერდია, ხოლო მოთხრობებისა - 30, შესაბამისად, საერთო რაოდენობა - 350 გვერდი.

თარგმანს ახლავს კომენტარებიც: რომანს - 128 კომენტარი, ხოლო მოთხრობებს - 7 ანუ საერთო ჯამში 135 კომენტარი.

#	მთარგმნელი	წიგნის ავტორი და სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	თარგმანი არაბულიდან და ჰანმარტებები მაია ანდრონიკაშვილისა	ნაჯიფ მაჰფუზი, “ჩვენი უბნის შვილები” (რომანი)	გამომც. “სიესტა”	

ანოტაცია:

ნობელიანტი არაბი ბელეტრისტის ნაჯიბ მაჰფუზის ეს რომანი ალბათ მის საპროგრამო ნაწარმოებს წარმოადგენს. რომანში ნათლად ჩანს ავტორის უზარმაზარი განათლება და ცხოვრებისეული გამოცდლება და წარმოჩენილია XX ს.-ის ეგვიპტის, სახელდობრ კაიროს, მთელი ცხოვრება. გარდა ამისა, ძველი აღთქმის, სახარებისა და ყურანის იგავურ და სიმბოლურ გადმოცემასაც წარმოადგენს. ერთი მხრივ, ავტორი აანალიზებს ამ რელიგიათა არსს და მეორე მხრივ, ეხმიანება თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემატიკას.

ზ) რეცენზიები

#	ავტორი/ავტორები	რეცენზიისა და კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ანდრონიკაშვილი, ნანა ფურცელაძე	ნინო ანთიმე-კახიანის “ალ-ურმავის წიგნი მუსიკისა “ქითაბ ალ-ადვარ”. – აღმოსავლეთმცოდნეობა, II.	თბილისი, “უნივერსალი”	გვ.279-284
2	დარეჯან გარდავაძე	რეცენზია თანამედროვე არაბ მწერალ ქალთა ნოველების კრებულზე „გრძელია ზამთრის ღამე...“ (არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო იზოლდა გრძელიძემ) გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნი“, თბილისი, 2013. – თსუ ჰუმანიტ. ფაკ. “წელიწდეული”	თბილისი, იბეჭდება	

ანოტაცია

რეცენზია 2013 წელს გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნის“ მიერ გამოცემულ თანამედროვე არაბ მწერალ ქალთა ნოველების კრებულს „გრძელია ზამთრის ღამე...“ (არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო იზოლდა გრძელიძემ), რომელიც მოიცავს არაბული ქვეყნების საკმაოდ დიდ და მრავალფეროვან გეოგრაფიულ არეალს – ეგვიპტე (ალიფა რიფაათი, ნავალ ას–საადავი, აჰდაფ სუეიფი, ნადა იმამ აბდ ალ–ვაჰიდი, დუჰა ასი), სირია (დალალ ჰათიმი, ქოლეთ ხური, ჰაიფა ბიტარი), პალესტინა (სუჰაირ ფადლ აიდი), მაროკო (რაბია რაიჰანი, ჰანან ად–დარკავი), ერაყი (სულაფ ჰილალი), სუდანი (ბუსაინა ხადარ მაქი), ქუვეითი (ლეილა ოსმანი, მუნა აშ–შაფაი, სურაია ალ–ბაკსამი, ასმა საად ალ–დაასი, სადაა ალ–დაასი, ალია ალ–ქაზიმი, ჰალა ალ–დაასი), გაერთიანებული არაბული სემიროები (შაიხა მუბარაქ ან–ნახი), იემენი (რამზია აბას ალ–ირიანი), კატარი (ჰუდა ან–ნაიმი), დეტალურად მიმოიხილავს და არაბული ქალური მწერლობის განვითარების სურათს თვალსაჩინოდ წარმოუდგენს თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს.

#	ავტორი/ავტორები	რეცენზიისა და კრებულის სახელწოდება	გამომცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	მარინე ჯიქია	ქართულ -არაბული დიპლომატიური ლექსიკონი, 2005; არაბულ – ქართული პოლიტიკურ – დიპლომატიური ლექსიკონი, 2008. (რეცენზია) –აღმოსავლეთმცოდნეობა	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ.292-299.

ანოტაცია

ქართულ-არაბული დიპლომატიური და არაბულ-ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური ლექსიკონი დღევანდელი საქართველოსა და არაბულენოვანი ქვეყნების კეთილმეზობლური და სამომავლოდ მზარდი ურთიერთობის საწინდარია. იგი უშუალო დიალოგის შესაძლებლობას აძლევს ქართულ-არაბული დიპლომატიური კორპუსის მუშაკებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ-დიპლომატიურ ტერმინთა

ლექსიკონები ახალი სიტყვა ქართულ ლექსიკოგრაფიაში.				
#	ავტორი/ავტორები	რეცენზიისა და კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	გიული ალასანია	ემზარ მაკარაძე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-2011 წლებში. თბ., 2012, ნაწ.1. – კრებული აღმოსავლეთმცოდნეობა, #2	თბილისი, უნივერსალი	გვ.273-279.
ანოტაცია				
წიგნი ძალზე ტევადია შინაარსით. ავტორი კარგად იცნობს შესაბამის წყაროებს და მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არცერთი საკითხი, რასაც ადგილი ჰქონია თურქეთში განსახილველ წლებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითოეულ თავს თან ერთვის სტუდენტებისათვის საკონტროლო კითხვები, პრაქტიკული დავალება, გამოყენებული ლიტერატურისა და ვებგვერდების სია.				

თ) თარგმანები, გამოცემული კრებულებში

#	მთარგმნელი	ნაწარმოების ავტორი და სახელწოდება	პერიოდული გამოცემა	გვერდების რაოდენობა
1	დარეჯან გარდავაძე	ჯიბრან ხალილ ჯიბრანი „გუმინ, დღეს, ხვალ“; „სკალპელი და საანესთეზიო საშუალებები“	ლიტერატურული ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #3	გვ. 34-37

2	დარეჯან გარდავაძე	დასან ქანაფანის მცირე ფორმატის რომანი „ჰაიფაში დაბრუნება“	ლიტერატურული ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ #3 (102);	გვ. 82-98
3	დარეჯან გარდავაძე	ჯიბრან ხალილ ჯიბრანი „ემმაკი“	ლიტერატურული ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ #8 (107);	გვ. 80-85
4	დარეჯან გარდავაძე	თავფიკ ალ-ჰაქიმი „სამოთხიდან დევნილი“	ლიტერატურული ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ #8 (107);	გვ. 136-142
5	დარეჯან გარდავაძე	ნიყმათ ალ-ბუჰაირი „მდუმარე ქალები“	სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ჟურნალი „აფრა“ # 19, კავკასიური სახლი, თბილისი.	გვ. 92-93
6	დარეჯან გარდავაძე	ფათიჰა ტაიბი „სიყვარულს თარგმანი არ სჭირდება“	სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ჟურნალი „აფრა“ # 19, კავკასიური სახლი, თბილისი.	გვ. 94-96
7	დარეჯან გარდავაძე	დასან ქანაფანის მცირე ფორმატის რომანი „კაცები მზეში“	ლიტერატურული ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ #12 (111);	გვ. 64-87
8	დარეჯან გარდავაძე	ზაქარია თამირი „კაცები მზეში“	ლიტერატურული ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #12	

9	ნინო სურმავა	ჯიბრან ხალილ ჯიბრანის –„არაბული ენის მომავალი“	ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #1, მარტი	გვ.37–41
10	თარგმანი შუმერულიდან ნინო სამსონიასი	ინანა და ებიხი.	კრებული აღმოსავლეთმცოდნეო ბა	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.225-233.

№	ჯილდოები და პრემიები
1.	ნინო ეჯიბაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის აკადემიური სახელობითი სამეცნიერო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის არაბულ დიალექტოლოგიაში (2013 წ. 23 ოქტომბერი).
2.	ნინო დოლიძე, ილიას ფონდის მიერ დაწესებული პრემია “საგურამო” თარგმანის ნომინაციაში (2013 წ. 8 ნოემბერი).

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიული ალასანია	ქართველები და ისლამამდელი თურქები /თურქულ ენაზე/	შავიზღვისპირეთის ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის გამოცემა, ტრაპიზონი	215 გვ.
ანოტაცია				
<p>ისლამამდელ თურქულ ეთნოსებთან ქართველთა ურთიერთობა პირველად იქნა კომპლექსურად შესწავლილი, რის შედეგადაც მივიღეთ დინამიკაში მოწოდებული საქართველოს ისტორიის თითქმის ცხრასაუკუნოვანი მონაკვეთი. ავტორმა შეძლო, მრავალი წყაროს გამოყენებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, გაეშუქებინა ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობები. ეს მოხერხდა ამ საკითხის შესახებ ქართული, ოსმალური, ებრაული, სირიული, არაბული, ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული, ლათინური, აზერბაიჯანული, გერმანული, თურქული მასალის შეჯერებით.</p> <p>თურქული თარგმანი შესრულდა ნაწილი კაჭარავას მიერ.</p>				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				

3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Chachibaia	On the fifth century Syria-Palestine ecclesiastic history... International Journal of Arts & Sciences Multidisciplinary conference	იბეჭდება	American University of Rome	10 p.
The Syrian and Georgian versions of "The Life of Peter the Iberian", an outstanding ecclesiastic figure					

and a most highly valued and respected saintly man in the 5th century, whose activity is closely associated with Constantinople and the monastic centers in Palestine, play a tremendous role both in the study of his life and activity and the research in the Syro-Palestinian ecclesiastic and political history of the 5th century; no less important are these versions for studying the Syro-Georgian literary interrelations. However, the research in the textological and theological problems of the Syrian and Georgian versions of “The Life” acquired especial significance after the renowned Georgian scholar Nutsbidze and Honigmann, a Belgian scholar, had identified Peter the Iberian as author of the Areopagite corpus.

The Syrian and Georgian versions of “The Life of Peter the Iberian”, as a matter of fact, have not been studied; at that it is quite clear that a number of issues connected with the study of the text cannot be solved only on the basis of the Syrian sources without resorting to the Georgian material.

Collation of the Syrian and the Georgian texts gives us grounds to conjecture that the Syrian and the Georgian texts of “The Life” stem from the same source.

It has been my aim to reveal the interconnection between the Syrian and the Georgian versions of “The Life”; except a few separate episodes the texts mainly coincide. However, the Syrian version is altered and the Georgian version of Macarios of Meskheti has not survived; hence the only text the Syrian text can be compared with is the text restored by the archpriest Paul, where some passages are lacking, due to the many flaws present in the original some episodes were added during his work on the text.

In spite of the fact that the Georgian text of “The Life” has been worked on and differs from the Syrian text, it should not be underestimated, as it is the Georgian version where the important information which can be useful for clarifying some separate ambiguous passages of the Syrian texts, is provided.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	მარიამ ნანობაშვილი	Espansione dell'Islam in Caucaso e la Georgia Ortodossa, Da Costantinopoli al Caucaso. Imperi e popoli tra Cristianesimo e	“Europa Ricerche”, Centro Ambrosiano,	Milano,2013	pp. 33-61

		Islam			
<p>ისლამის ექსპანსია კავკასიაში და მართლმადიდებლური საქართველო /იტალიურ ენაზე/ – ვრცელი სტატია, სადაც ქართული ქრისტიანული კულტურა გაანალიზებულია კავკასიაში ისლამის გავრცელების ფონზე. ნაშრომში კომპლექსურადაა წარმოდგენილი ისტორიული და ფილოლოგიური მასალა, მათ შორის – ანტიისლამური პოლემიკური და ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ქრისტიანულ–ისლამური ურთიერთობების ასპექტები და სხვ.</p>					
#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ნანი გელოვანი	Arab-Byzantine Relations under the Umayyad Caliphate and South Caucasus.	<i>International Journal of Social Science and Humanity</i> (IJSCH), Vol.3, No.1.	The Social Sciences Research Society; ISSN: 1309-8063 (Online),	pp.26-29.
<p>ანოტაცია</p>					
<p>/არაბ-ბიზანტიელთა ურთიერთობები ომაიანთა სახალიფოს დროს და სამხრეთ კავკასია/.- არაბული და ბერძნული წყაროების საფუძველზე შესწავლილია სამხრეთ კავკასიის როლი და ადგილი ომაიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის ურთიერთობებში. დაზუსტებულია ხალიფა აბდ ალ-მალიქსა და ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II-ს შორის VII საუკუნის 80-იან წლებში დადებული საზავო ხელშეკრულებისა და სამხრეთ კავკასიაში ბიზანტიელთა ლაშქრობების თარიღები, ასევე ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის სტატუსი აღნიშნული საზავო ხელშეკრულების პირობებით.</p>					
#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

4	ნანი გელოვანი	Islamic Finance: The Problem With Riba(Usury).	Proceeding of Sharia Economics Conference 2013. The Relevance of Sharia Economics in the Turbulence of Global Economy, 9 th February 2013.	Leibniz Universitat Hannover,Germany.	გვ.55-61
---	---------------	---	---	--	----------

ანოტაცია

/ისლამური ფინანსები: რიბას (მევახშეობა) პრობლემა. ნაშრომში განხილულია მევახშეობის საკითხი არაბი ისტორიკოსისა და თეოლოგის - აზ-ზაჰაბის ნაშრომის - ქითაბ ალ-ქაბა'ირ (ცოდვათა წიგნი) - მიხედვით. მევახშეობას უამრავი მუსლიმი სამართლისმცოდნე შეეხო, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ ნაშრომში დაცული ცნობები კიდევ ერთი დამატებითი მასალაა ისლამურ სამართალში მევახშეობის პრობლემის შესასწავლად.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	გიული ალასანია	Who are the Tsanars? - Sociology Study	Volume 3, Number 3, March 2013 (Serial Number 22)	David Publishing Company, USA	გვ.225-234

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია იდენტიფიცირება ტერმინების – წანარები, სანარები.

სამეცნიერო ლიტერატურაში წანართა შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ

ისტორიოგრაფიაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ეს მკვლევარი ერთსადაიმავე წყაროებს ეყრდნობა, ხოლო აზრთა სხვადასხვაობა მათი ცნობათა განსხვავებული ინტერპრეტაციით არის გამოწვეული. ამდენად, ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული ცნობები წანართა შესახებ, რომლებიც დაცულია ბერძნულ, სომხურ, ქართულ და განსაკუთრებით ვრცელი, არაბულ წყაროებში. ამის საფუძველზე გამოთქმულია რამდენიმე ახალი თვალსაზრისი.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე	კოდის გადართვა არაბულში: ბილინგვიზმი და დიგლოსია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, II.	ქუთაისი, 2013.
<p>ნაშრომში განხილულია ე.წ. Code switching-ის (CS) მოვლენა. ანალიზი ძირითადად განხორციელებულია CS-ის ორი სახეობის მიხედვით: ბილინგვური და დიგლოსიური (ეს უკანასკნელი ნაშრომის ავტორთა ტერმინია, რომელიც შეესაბამება იმ სახეობას, რომელსაც ჩვეულებრივ სიტუაციურს უწოდებენ).</p> <p>ბილინგვური CS არაბულში დღეს ძირითადად გულისხმობს არაბულსა და ინგლისურს შორის მიმართებას (რეალურია ასევე არაბულ-ბერბერული, არაბულ-ფრანგული და სხვ.; ისტორიულად ასევე – არაბულ-თურქული და სხვ.). დიგლოსიური CS ერთი ენის შიგნით მიმდინარე მოვლენაა, კერძოდ – სალიტერატურო არაბულსა და არაბულის რომელსამე დიალექტს შორის. CS-ის კიდევ ერთი ვარიანტია ე.წ. პროპორციული CS, როდესაც კოდის გადართვა ხდება გრადაციის გარეშე, ჰორიზონტულად – ერთი დიალექტიდან მეორეზე.</p> <p>ნაშრომში ყველა ეს მოვლენა განხილულია კონკრეტულ მასალაზე და მოტანილია შესაბამისი ილუსტრაციები. ანალიზის შედეგად ავტორთა მიერ გამოყოფილია აღმავალი და დაღმავალი CS.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	დარეჯან გარდავაძე	პალესტინური იდენტობის პრობლემა დასან ქანაფანის პროზაში („ჰაიფაში დაბრუნება“, „კაცები მზეში“).	1. ქუთაისი, ოქტომბერი, 2013.

ანოტაცია

ცნობილი პალესტინელი ლიტერატორის, მწერლის, პალესტინური პროზის ლიდერის, პოლიტიკოსის, პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის აქტივისტის დასან ქანაფანის მცირე ფორმატის რომანების "ჰაიფაში დაბრუნება" და "კაცები მზეში" ანალიზის ფონზე პალესტინური იდენტობის პრობლემას განიხილავს ლიბანელი მოაზროვნის, ჟურნალისტისა და მწერლის ამინ მაალუფის "დამღუპველი იდენტობებისა" და პალესტინური წარმოშობის, წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში აღიარებული მკვლევრისა და ამერიკულ ინტელექტუალურ წრეებში მიღებული მოაზროვნისა და მეცნიერის, პალესტინური ნაციონალური მოძრაობის მამად წოდებული ედვარდ საიდის წიგნის "პალესტინის პრობლემის" მიხედვით და იდენტობის კომპლექსური დეფინიციის შემადგენელი კომპონენტების იდენტიფიცირებას ქანაფანის რომანების გმირების მიხედვით ადგენს.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	დარეჯან გარდავაძე	ტაკა ჰუსეინი და ომაიანთა პერიოდის ღაზალის კვლევის მისი მეთოდი (აკ. წერეთლის სახე.მწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტ. ფაკ.-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია «თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება»).	ქუთაისი, ივნისი 2013.

ანოტაცია

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	ნინო ეჯიბაძე	დიალექტური ლექსიკის წარმოქმნისათვის არაბულში. (თსუ ჰუმანიტ. ფაკ.-ის წლიური სამეცნიერო	თბილისი, 2013.

		კონფერენცია).	
<p>მოხსენებაში მოცემულია ე.წ. დიალექტური ლექსიკის რაობის კვალიფიცირების მცდელობა არაბულში. საკითხი გააზრებულია, როგორც პროცესი, რომელიც ორ სიბრტყეში ფუნქციონირებს: 1)ენის კორპუსის შიგნით მიმდინარე პროცესები; 2) ენის კორპუსის გარედან მიმართული ფაქტორები. პირველ და მეორე პუნქტებში განხილულ პროცესთა რეალიზების საფუძველზე შესაძლოა იმის ვარაუდი, რომ იქმნება ახალი რეალობა სალიტერატურო-დიალექტურ ოპოზიციაში, რომელიც ლექსიკის სფეროში გარკვეულ სიახლეებს გულისხმობს.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	მარიამ ნანობაშვილი	ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ ქრისტიანულ არაბულ წყაროებში (წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რევაზ კიკნაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია).	თბილისი, მაისი, 2013.
<p>ანოტაცია</p> <p>წარმოდგენილ მოხსენებაში სათანადო ყურადღება ეთმობა იმ წყაროების შესწავლას, რომლებიც გამოყენებული აქვს ნიკონ შავმთელს თავისი ნაშრომისათვის. ასევე განხილულია მისი დამოკიდებულება ეგრემ მცირის ცნობილ თხზულებასთან, „უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“. გაანალიზებულია ის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, რომელშიც ეს ნაშრომები აღმოცენდა, კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რომელიც იმხანად აქტიურად განიხილებოდა ბიზანტიაში. ირკვევა, რომ როგორც ბერძენთა, ასევე ქრისტიან არაბთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დისკუტში საქართველოს უჭერდა მხარს.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	მარინე ჯიქია	თურქული წარმომავლობის რამდენიმე საკუთარი სახელისათვის ქართულში	თბილისი, მაისი

ანოტაცია

კავკასიის თურქული ენების კონსონანტიზმის თავისებურებათა ჩამონათვალში არ არის ე.წ. *деканье* – /j/-ს ჩანაცვლება /d/-თი: ოღუზ. *ayak* და ყივჩ. *adak*; ოღუზ. /*bedük*/ ~ დიალექტებისეული /*böjük*/ ~ ახ. თურქ. /*büyük*/ დიდი . *Bedük* თურქული საკუთარი სახელია და გვარადაც. თურქულ ენათა ამ „წიაღისეული“, იშვიათი მოვლენის /d/-იან მანიფესტანტს გადავწყვდით ქართველი კაცის სახელად – ბედუკა. იგივე სიტყვა „ჩაქვითკირებული“ აღმოჩნდა ქართული გვარის – ბედუკაძის – ფუძეში. (2). კომპოზიტ გორგასალი კეთილჟღერადობის გამო ჩანაცვლებული იქნა გორგარსლანით. ამ სპარსული იზაფეტის ქართულ აღმოჩნდა კომპოზიტის პირველი ნაწილი სპარსული, მეორე კი – თურქული რსლან – ლომი. (3) ყველა ქართველ თემურს პასპორტში თეიმურაზი უწერია, მაშინ, როცა თემური თურქული სიტყვაა, ხოლო თეიმურაზი სპარსული თაჰმურაზ-ისგან მომდინარეობს.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	მარიკა ჯიქია	თურქული ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში	თბილისი, 15-16 მაისი

ანოტაცია

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში გვხვდება არა მარტო თურქული წარმომავლობი ლექსემები, არამედ მათგან ნაწარმოები როგორც სახელადი, ასევე ზმნური ფორმები, ხოლო ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში უარავი თურქიზმია დადასტურებული.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	მარინე ჯიქია	ანთროპონიმული უნივერსალიები	თბილისი, 23-26 ოქტომბერი

<p>ანოტაცია</p> <p>ჩაწერის არასიმბოლური ფორმით ფიქსირებულია მარტივი, ტრივიალური, დიაქრონიული უნივერსალიები, რომელთა საშუალებითაც წარმოჩნდება როგორც ანთროპონიმთა სპეციფიკა – ინდივიდის აღნიშვნა, ასევე საკუთარ სახელთა ლინგვისტური თვისებები.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	მარინე ჯიქია	წინადადება თურქულ ანთროპონიმიაში	თბილისი, 29-30 ნოემბერი
<p>ანოტაცია</p> <p>თურქულენოვან ხალხთა სინამდვილეში ძალიან ხშირია სახელდება მეტ-ნაკლებად მოტივირებული წინადადებები, რომელთა ნაწილიც ქართულ ანთროპონიმიაში დადასტურდა. პირთა სახელებად გვხვდება ქვემდებარე-შემასმენლის, პირდაპირი დამატება-შემასმენლის, გარემოება-შემასმენლის შემცველი უსრული წინადადებები.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	მარინე ჯიქია	წინადადება საკუთარ სახელად	თბილისი, 20 დეკემბერი
<p>ანოტაცია</p> <p>წინადადება საკუთარი სახელის ფუნქციით არცთუ უცხოა ენათათვის. შდრ. რუსული Богдан, Бвaдимиp, გერმანული Bleibimhaus ‘დარჩი შინ’ Borgenicht ‘ნუ დამალავ’, ქართული მზევინარი, ღვთისავარი. ქართველთა უსაჩინოესი თხზულების მთავარ მოქმედი პირის სახელი სპარსული წინადადებაა, მხედველობაში მაქვს ნესტან-დარეჯანი < სპარს. ne est an dare ჯahan, რაც ასე განიმარტება: უებრო ლამაზი, ანუ მზეთუნახავი, რომელსაც ტოლი არა ჰყავს ამ ქვეყნად,</p>			

ტარიელის სამიჯნურო მზეთუნახავი. იმასაც უთითებენ, რომ ნესტან-დარეჯანი საკუთარი სახელი კი არ იყო, არამედ ეპითეტი და ნიშნავდა: არ არის ქვეყანაზე, იგულისხმება მსგავსი სილამაზის. ტაჯიკელი და შუა აზიელი არაბები არამიწიერ, მითიურ არსებად თვლიან ამ ეპითეტის მატარებელს.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	ალინა ბალიშვილი, ნანული კაჭარავა	“დოშაყე” ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის	რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში. სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წლის ივნისი, ახალციხე

ანოტაცია

მოხსენებაში “დოშაყე” ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის განხილულია სამეგრელოს, მარტვილის რაიონის სოფელ დოშაყეს სახელწოდების ეტიმოლოგია. მიმოხილულია ამ ტოპონიმის ყველა შესაძლო მნიშვნელობა. მეგრულში თურქული ენის კვალი დღესაც შეიმჩნევა. იგი ჩანს როგორც ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებში, ისე ლექსიკაში. მეგრულში თურქიზმების არსებობამ კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ენაში უცხო ლექსიკის შეღწევა განპირობებულია სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორებით. მაგრამ ტოპონიმი ‘დოშაყე’, ჩვენი დაკვირვებით, წარმოადგენს არა ნასესხობას, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაში დამკვიდრებულ სამშენებლო ტერმინს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტოპონიმი არ წარმოადგენს თურქულ ნასესხობას, არამედ იგი არის ამ სოფლისათვის მკვიდრი მოსახლეობის მიერ შერქმეული სახელი. ტოპონიმის მეგრულ ლექსიკონებში დადასტურებული მნიშვნელობა (ხეების მოჭრა, მორებად დათლა და მათი ოდების ასაგებად გამოყენება) ზუსტად შეესაბამება მის სემანტიკას.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
12	ნანული კაჭარავა	ადალეთ ადოლფუ და მისი პიესები	აღმოსავლეთმცოდნეთა V საერთაშორისო კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წლის 29-30 ივნისი, ქუთაისი

ანოტაცია

ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ახალ სახელს თურქული ლიტერატურიდან, თანამედროვე თურქ ქალ მწერალსა და დრამატურგს, ადალეთ ალაოლლუს და მისი შემოქმედებიდან მოკლედ მიმოვიხილავთ პიესებს.

ადალეთ ალაოლლუ დაიბადა 1929 წელს ანატოლიის პატარა ქალაქ ნალიჰანში (ანკარის ვილაეთი). 1950 წელს იგი ამთავრებს ანკარის უნივერსიტეტს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით და მუშაობას იწყებს ანკარის რადიოში დრამატურგიისა და კულტურის გადაცემათა განყოფილებაში, შემდგომში კი ამ განყოფილების ხელმძღვანელიც ხდება. სწორედ ამ სამსახურმა განაპირობა ადალეთ ალაოლლუს სამწერლო ასპარეზზე პიესებით გამოსვლა.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
13	ალინა ბალიშვილი, ნანული კაჭარავა	ადმოსავლური ლექსიკა თბილისის ტოპონიმიაში	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის რესპუბლიკური ონომასტოლოგიური სამეცნიერო სესია, 2013 წლის 29-30 ნოემბერი, თბილისი

ანოტაცია

განხილულია ისეთი ტოპონიმები, როგორცაა აბასაბადი, სეიდაბადი, აშპაშხანა, ალაფხანა, ბაზაზხანა, ბაზარხანა, ბაზირხანა, დაბალხანა, სირაჯხანა, ხარაზხანა, დივანხანა, ზარგარხანა, ზარაფხანა, მეიდანი, ნავთლული, სოღანლული, ჩულურეთი და სხვ.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
14	ნატო ახალაია, ქეთევან ლორთქიფანიძე	თურქული პუბლიკაციები ლაზებისა და ლაზური ენის შესახებ.	2013წ.(24-26 ოქტომბერი) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის

			სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>თანამედროვე თურქეთში აქტუალური გახდა ლაზთა თვითინდეტიფიკაციის საკითხი. თურქეთში მცხოვრები ლაზი ინტელიგენცია მრავალი წლის დუმილის შემდეგ შეუდგა თავისი ეთნიკური ფესვების ძიებას და თვითგამორკვევის გზას, რაც აისახა მთელ რიგ სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციებში. პირველი ლაზი მკვლევარი, ვინც ლაზებთან დაკავშირებით პირველი კვლევა ჩაატარა და ბეჭდური სახით გამოსცა, გახლავთ ნიზამეთინ ალქუმრუ. მისი მონოგრაფიის სახელწოდებაა: “ლაზური კულტურის ისტორია”. ჩვენ მიერ განხილულ პუბლიკაციებში ავტორთა ერთი ნაწილი ლაზთა თურქულ წარმომავლობას ამტკიცებს, ნაწილი კი მათ კავკასიურ წარმოშობაზე მიუთითებს.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
15	ქეთევან ლორთქიფანიძე, გურამ ლორთქიფანიძე	ბათუმი (Portu Altus) და მისი შემოგარენი რომაულ სამხედრო-საგზაო რუკებზე	2013 (1-2 სექტემბერი) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>შესწავლილ იქნა რომაული სამხედრო-საგზაო რუკები, რომლებზედაც ასახულია ბათუმი და მისი შემოგარენი. ამის საფუძველზე გამოტანილია სათანადო დასკვნები შესაბამისი ლიტერატურის გათვალისწინებით.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
16	თამარ ალფენიძე	რამდენიმე ოსმალური წყარო XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის	VII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, თბილისი.

		ივერონის მონასტრის შესახებ	
ანოტაცია			
<p>მოხსენება არის შევსებული ერთი და ყველაზე ძველი წყაროს (XIX საუკუნის დასაწყისი) განხილვით, მოიცავს ათონის მთაზე არსებული ქართული მონასტრის – ივერონის მონასტრის – შესახებ მოძიებული წყაროების ანალიზს და მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით დადგინდა არა მარტო მონასტრის მდგომარეობა უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, არამედ ძველის ისტორიის შესახებ შემდგომი კვლევის მიმართულებები.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
17	გოჩა ჯაფარიძე	სალადინის ქართველი და ჩერქეზი მეომრები უოლტერ სკოტის რომანში „თილისმა“. ლეგენდა თუ რეალობა?	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-7 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია - ექვთიმე თაყაიშვილი 150
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
18	მ. ჩაჩიბაია	იოანე რუფუსი - სპეციფიკური ანტიქალკედონური კულტურის წარმომადგენელი	20-21 დეკემბერი, 2013 წ. ილიას სახ. უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახ. ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ანოტაცია			
<p>მოხსენება მიზნად ისახავს პალესტინის ბერ-მონაზონთა რეზისტენტობის ახსნას ქალკედონის კრების მიმართ (451). ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა “სამი აგიოგრაფიული თემა“: წმინდანების იდეა, სასწაულების და ხილვების რიტორიკული ძალა და მწვალებლობა - იოანე რუფუსის შრომების ძირითადი მახასიათებლები იმ დოზით, რა დოზითაც დასტურდება ის მის</p>			

შრომებში. ამ საკითხების კვლევა საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს პალესტინელი ბერ-მონაზვნების მოტივაცია. ეს იყო ანტიქალკედონიტების უნიკალური მახასიათებელი, რომელიც წარმოაჩენდა სამყაროს, როგორც „კოსმოლოგიური ბრძოლის არენას ღმერთსა და მატერიალური სამყაროს ბოროტ ძალებს შორის“. მოხსენებაში ასევე განხილულია რუფუსის თხზულებათა სპეციფიკური მოტივები, რომელიც წარმოადგენს ანტიქალკედონური კულტურული იდენტობის მთავარ მახასიათებელს.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
19	მანანა კვაჭაძე	კიდევ ერთხელ სოფელ გომბორის შესახებ	<p>თბილისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი;</p> <p>კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი, მიძღვნილი კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 80 წლისთავისადმი</p> <p>23-26.X.2013</p>

ანოტაცია

ნაშრომში „კიდევ ერთხელ სოფელ გომბორის შესახებ“ განხილულია ეთნიკურად და ენობრივად შერეულ სოფელში მიმდინარე ლინგვოკულტურული პროცესები.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

20	მანანა კვაჭაძე	ენობრივი ორიენტაციის დინამიკისათვის მრავალეთნიკურ საზოგადოებაში	თელავი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“. 24-26. X.2013
<p>ანოტაცია</p> <p>საქართველოში მცხოვრები ზოგი მუსლიმური ეთნიკური ჯგუფის მასალაზე გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის საზოგადოებრივი ფუნქციის გაფართოების, მისი საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლების დინამიკა.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
21	თეა შურღია ნიკო ნახუცრიშვილი	„სატვირთო მანქანების ლიტერატურა“ ირანში	19-20 ივნისი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში წარმოდგენილი მასალა ავტორების მიერ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჩატარებული სავსე სამუშაოს შედეგად იქნა მოპოვებული. მასალის ერთი ნაწილი შეიკრიბა, აგრეთვე, სომხეთის ტერიტორიაზე, სადაც დიდი რაოდენობით გადაადგილდებიან ირანული ტრაილერები. საილუსტრაციოდ და საანალიზოდ ნაწილობრივ გამოყენებულია ირანული პრესისა და ბლოგების მონაცემები, ირანელ ინფორმანტთა მიერ მოწოდებული ნიმუშები.</p> <p>მოხსენებაში შეკრებილი მასალის კლასიფიკაციასა და ანალიზთან ერთად მოცემულია ავტორთა მცდელობა, გაარკვიონ „სატვირთო მანქანების ლიტერატურის“ როლი, დანიშნულება და ღირებულება თანამედროვე ირანულ საზოგადოებასა და კულტურაში. ამასთან, წარმოდგენილია</p>			

ფერეიდნელი ქართველების სატრანსპორტო საშუალებებზე გაკეთებული ქართულენოვანი წარწერების ნიმუშები.

მოხსენებაში ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ ბოლო ხანებში თბილისში მოძრავ ავტომობილებზე გაჩნდა მსგავსი წარწერები და მიუხედავად მათი უმნიშვნელო რაოდენობისა, გარკვეულ ტენდენციებზე საუბარი უკვე შეიძლება. ირანის გამოცდილება, შესაძლოა, ქართული სინამდვილის ანალიზის კუთხითაც საინტერესო აღმოჩნდეს.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
22	მარინა ალექსიძე	მოსადეცი და საქართველო	ილიას უნივერსიტე-ტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტი 2013, 22 დეკემბერი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ირანში დაიწყო ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე — მოჰამედ მოსადეცი (ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი). ეროვნული მოძრაობის ზეწოლის ქვეშ მთავრობის მეთაურად შაჰმა წარადგინა მოსადეცი, რომლის პირველი და უმთავრესი ღონისძიება ეკონომიკურ სფეროში გამოიხატა ინგლის-ირანის სანავთობო კომპანიის ნაციონალიზაციაში (1951 წ. აპრილი), ბრიტანელი სპეციალისტების ქვეყნიდან გაძევებაში და სანავთობო მრეწველობის სრულ გაკონტროლებაში. პოლიტიკურ სფეროში მოსადეცმა “ცივი ომის” პირობებში შეეცადა დაეკავებინა ნეიტრალიტეტი.

მოჰამედ მოსადეცი 1909 და 1919 წელს ჩამოვიდა საქართველოში და მოხსენებაში განხილულია მისი მოგზაურობის ჩანაწერები საქართველოს შესახებ.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
23	მაია ღამბაშიძე	მეტალურგიის კულტის ერთი ნაკვალევსათვის ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში. კავკასიოლოგთა მე-3	09.2013, თბილისი

		საერთაშორისო კონგრესი	
ანოტაცია			
<p>გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ.წ. XV-VII ს.ს.) ქართველურ ტომთა სახლობის ყველა რეგიონში შავი მეტალურგიის განვითარებამ შექმნა რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური (შესაბამისად, სახელმწიფოებრივი) გაერთიანების მყარი საფუძველი. ითვლება, რომ შავი მეტალურგიის ამ დონეზე განვითარება სათავეს იდებს ქართველურ ტომთა მიერ ადრელითონების ხანაში მიღწეული წარმატებებიდან. სავარაუდოდ, უკვე ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალ ხანაში ქართველურ ეთნოსთა წიაღში ჩამოყალიბდა ტომობრივი შეკავშირებულობის იდეა. ძვ.წ. VI საუკუნიდან კოლხეთისა და იბერიის სამეფოების საწარმო-ეკონომიკური აქტივობა გაძლიერდა - აქაური შვი მეტალურგიის ნაწარმი ვრცელდება მთელს ახლო აღმოსავლეთში.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
24	ნანა გელაშვილი	სეფიანთა ხანის საისტორიო წყაროების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები	2013, 20–21 დეკემბერი გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნ. კონფერენცია
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში ყურადღება ფოკუსირებულია საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევის მეთოდოლოგიურ ასპექტებზე. სამეცნიერო კვლევის პროცესთან დაკავშირებული ინდივიდუალური, თეორიული თუ პრაქტიკული მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენება გასაღებს იძლევა შორეული წარსულის მოვლენათა სანდოობის, მათი განვითარების ეტაპებისა და ფორმების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
25	ნანა გელაშვილი	ქრისტიანობა ქართლის სამეფოში მე-17 საუკუნის 30– 50–იან წლებში	საერთაშორისო სამეცნ. კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“

<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში ყურადღება ფოკუსირებულია საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევის მეთოდოლოგიურ ასპექტებზე. სამეცნიერო კვლევის პროცესთან დაკავშირებული ინდივიდუალური, თეორიული თუ პრაქტიკული მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენება გასაღებს იძლევა შორეული წარსულის მოვლენათა სანდოობის, მათი განვითარების ეტაპებისა და ფორმების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
26	ნანა გელაშვილი ს. გუგუნავა	აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკა იაპონიის მიმართ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ	2013, 16-18 მაისი, თბილისი ამერიკისმცოდნეობის მე-14 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში განხილულ იქნა აშშ-ს საოკუპაციო რეჟიმის დროს იაპონიაში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში. აშშ-ს საოკუპაციო რეჟიმი იაპონიაში გრძელდებოდა 1945-1951 წ.წ. და მიმართული იყო იაპონიის დემილიტარიზაციის და ეკონომიკური აღორძინებისკენ.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
27	ნანა გელაშვილი	ირან-ბიზანტიის ურთიერთობები მე-6 – მე-7 საუკუნის პირველ მესამედში	2013, 24-30 სექტემბერი თბილისი-ბათუმი-კაპადოკია
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში წარმოდგენილ იქნა ირან-ბიზანტიის ურთიერთობები მე-6 საუკუნეში და მე-7 საუკუნის პირველ მესამედში ანუ არაბთა დაპყრობების დაწყებამდე. ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ირანსა და ბიზანტიას შორის მიმდინარე ომებზე, რომლებიც შეწყვეტილ იქნა</p>			

არაბთა შემოსევების გამო. ამის შედეგი იყო ის, რომ ბიზანტიამ მთელი რიგი ტერიტორიები დაკარგა, სასანიანთა ირანმა კი არსებობა შეწყვიტა.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
28	მირიან მახარაძე	მე-19 საუკუნეში ოსმალეთის მმართველობა ბათუმისა და ქობულეთის მხარეში	ბათუმი 31.01.2013-1.02.2013

განხილულია ოსმალური საგადასახადო სისტემა ბათუმსა და ქობულეთში. აგრეთვე პარალელურია გავლებული გადასახადებს შორის ოსმალეთსა და საქართველოში.

№	ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კონფერენციები
1.	პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2013 წ. ნოემბერი.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების
---	--------------------------------	--------------------	-------------------

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	მარინე ჯიქია	თურქოლოგია საქართველოში	6-8 მაისი, ესქიშეჰირი
<p>მომხსენებაში განხილულია XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან თურქოლოგიის ჩამოყალიბება საქართველოში, რაც უკავშირდება აკად. ს. ჯიქიას სახელს. იკვეთება სამი მიმართულებით – ენის, ლიტერატურისა და ისტორიის – მომუშავე სპეციალისტები, დარგის განვითარების პერსპექტივა და სხვ.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	მარინე ჯიქია	. АГЕНТИВНО- ПРОФЕССИОНАЛЬНЫЕ НОМИНАНТЫ В СВЕТЕГЕНДЕРНОЙ ИДЕНТИФИКАЦИИ	3-6 ოქტომბერი, ნალჩიკი
<p>ნორმატიული გრამატიკის შექმნას შეესაბამება სოციოლინგვისტური ტერმინი – ენობრივი დაგეგმარება, რაც გულისხმობს ორთოგრაფიის, გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნას. გერმანელმა ფემინისტმა ლინგვისტებმა სამივე დონეზე წარმოაჩინეს თავიანთი აქტივობა: დაწერილობა BürgerInnen // Bürger/innen ნორმატიული ორთოგრაფიის ფარგლებში ექცევა; man განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის არა მხოლოდ სპეციფიკურ კონტექსტებში ჩანაცვლება frau-თი უცილოდ გრამატიკის სფეროა; ხოლო Kaufmann-ის 'კომერსანტი' გვერდით Kauffrau 'კომერსანტი ქალი' ნამდვილად ახალი ლექსიკური ერთეულია. ამჟამად კი ოფიციალური, სახელმწიფო, კოდიფიცირებული ენის კუთვნილებად გადაიქცა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სინამდვილეში შესაძლებელი გახდა პროფესიულ ნომინაციებში ქალთა გათანაბრება მამაკაცებთან. დღესდღეობით ეს მიმართულება გადაიზარდა საენათმეცნიერო გენდერულ კვლევაში და ენებში სქესის გამოვლენის განსხვავებული ასპექტები მოიცვა.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	თამარ ალფენიძე	“ივერონის ქართული	საერთაშორისო სიმპოზიუმი,

		მონასტერი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ” (ინგლისურ ენაზე)	ანატოლიური ცივილიზაციების კვლევითი ცენტრი, სტამბოლი, თურქეთი
<p>მოხსენება მოიცავს ივერონის მონასტრის ისტორიას დაარსებიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, რისი საშუალებაც მომცა სტამბოლის მთავარ არქივში დაცულმა ოსმალურმა წყაროების არსებობამ. განხილულია ივერონის მონასტრის სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსთვის, ასევე მის შესახებ ცნობებს დაარსების დროიდან მოყოლებული კონსტანტინოპოლის დაცემამდე, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ბერძნული წყაროების განხილვას (ივერონის აქტების ოთხტომეული). მოხსენება გრძელდება უკვე ჩემ მიერ მოძიებული ოსმალური წყაროების განხილვით (29 წყარო).</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	ირინე ტატიშვილი	Hethitische Religion. Ursprung, Ausgestaltung und Struktur des Pantheons	ბრემენის უნივერსიტეტი (გერმანია) სემინარი DAAD-ს აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში
<p>ანოტაცია</p> <p>განხილულია ხეთური რელიგიური ტექსტები. ყურადღება გამახვილებულია ხეთური რელიგიის გენეზისზე, ფორმირებასა და პანთეონის სტრუქტურაზე.</p>			
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	მამუკა ბუცხრიკიძე	აქსიომონიტორინგი კოლაბორაციულ თარგმანში	საერთაშორისო კონფერენცია თარგმანმცოდნეობაში „ხმა და ეთიკა“; ისრაელი, თელ-ავივის უნივერსიტეტი,

			სერვანტესის ინსტიტუტი
#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	M. Chachibaia	On the fifth century Syria- Palestine ecclesiastic history... International Journal of Arts & Sciences Multidisciplinary conference	American University of Rome 22 to 25 October 2013
11	მ. მშვილდაძე	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩვენი სულიერების ბალავარი	პოლიტიკა და რელიგიური ორიენტაციის საკითხი ქართლში (III –IV საუკუნეების მიჯნა)	მომხსენებელი, წამყვანი	ბათუმი
12	მ. მშვილდაძე	ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია	ბიზანტის იმპერიისა და სავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის IV-VI სს.	მომხსენებელი	თბილისი-ბათუმი
13	თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, ნ.სილაგაძე, გოგოლაძე	შალვა ნუცუბიძის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია	აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქალაქები ჯვაროსნულ ეპოქაში	მომხსენებელი	თბილისი
14.	თ. ქარჩავა (თანაავტორობით)	საისტორიო ვერტიკალები, 28-ე ნომერი	წყაროს აღქმის პრობლემა ისტორიოგრაფიაში (ანტიკური და შუა	სტატია	თბილისი

			საუკუნე-ბის შეპირისპირების მაგა- ლითზე)		
--	--	--	---	--	--

ანოტაციები

სტატია - „სიმონ I-ის პოეტურ-მუსიკალური გატაცებებისა და სხვა პიროვნული თვისებების შესახებ“ ანოტაცია:

საქართველოს ისტორიაში სიმონ I-მა განსაკუთრებული როლი შეასრულა. მან, როგორც პოლიტიკოსმა და დიპლომატმა დიდი წვლილი შეიტანა XVI საუკუნის II ნახევრის ირანისა და ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მისი „ირანოფილური“ პოლიტიკა იმდროინდელ რეალ-პრინციპებს ემყარებოდა და თავდაუზოგავი ბრძოლებით აღმოსავლეთ საქართველოს გაოსმალება თავიდან ააცილა, ხოლო ოსმალეთის წინააღმდეგ უმაგალითო ბრძოლებით ის ქართველ ხალხში გმირად იქცა.

სიმონ I-ის პიროვნული თვისებებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამე უცნობია. საკუთრივ ისტორიულ პირთა სრული პორტრეტის წარმოდგენისათვის ამას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ისტორიის კრიტიკულ პერიოდში პიროვნების ხასიათის როლი განსაკუთრებით დიდია. ქართველი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია სიმონ მეფის პოეზიითა და მუსიკით გატაცებების შესახებ. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ მისი ერთი რობაი სულთანის დიდვაზირისადმი. თურქეთის არქივებში მიკვლეული (მიაკვლია მკვლევარ-ფოლოლოგმა რიონ შანთაძემ) მასალების საფუძველზე სტატიაში მოტანილია სიმონ მეფის 7 რობაი თურქული ენიდან და მისი ქართული თარგმანი (თარგმანი შეასრულა რ.შანთაძემ). ისინი გაანალიზებულია პოლიტიკურ კონტექსტში და ხაზგასმულია, რომ სიმონ I გატაცებული იყო ნიზამის „ჰამსეთი“ და ფირდოუსის „შაჰ ნამეთი“ და წარმოგვიდგება, როგორც დახვეწილი, გემოვნებიანი პოეტი. ასევე მან კარგად იცოდა სპარსული და თურქული ენები. რაც შეეხება სიმონ მეფის მუსიკით გატაცებას, ასევე თურქულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ის უკრავდა „კანუნიზე“ და სპარსულ ჩონგურზე „შიდირგოჩზე“ და განსხვავებული მუსიკალური სტილი ჰქონდა. ჩვენი მტკიცებით, ამ „გამორჩეულ, განსხვავებულ, უცნაურ“ მუსიკალურ სტილში აღმოსავლურთან ნაზავი ქართული სიმღერა უნდა ვიგულისხმოთ. ესპანურენოვან წყაროებზე დაყრდნობით

სტატიაში ასევე ნაჩვენებია სიმონ მეფის მიდრეკილება ძვირფასი ჩაცმულობისადმიც.

სტატია - „ლუი XIV-ის - „მეფე მზის“ სიმბოლოს გაგება ვახტანგ VI-ის დიპლომატიაში“ ანოტაცია:

პირველწყაროებსა და ფრანგულენოვან სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით სტატიაში გაშუქებულია ერთი კონკრეტული საკითხი. როგორ ესმოდა ვახტანგ VI-ს ლუი XIV-ის „მეფე მზის“ სიმბოლო და რა დიპლომატიურ დატვირთვას აძლევდა მას საფრანგეთის მეფისადმი წერილობითი მიმართვისას. ეს საკითხი დღემდე მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი.

თავიდან ნაჩვენებია თუ როგორ ესმოდა თვით ლუი XIV-ს მის მიერ არჩეული ხატება. მზე, როგორც ყველა კეთილდღეობის მომტანი, მონარქის ტრადიციული გამოსახულებაა. მეფე ამ დიდ მნათობში ხედავდა მიზაძვის მაგალითს. მზე-დაუცხრომელი მუშაკი სამართლიანობის წყაროა და იგი არასოდეს უხვევს ამ გზიდან. ლუი XIV-ის ემბლემაზე მზე დედამიწას ანათებს. ეს ჰიპერბოლა იმას გამოხატავს, რომ მეფეს აქვს უფლება თავისი კეთილისმყოფელი მმართველობა სხვა ხალხზეც გაავრცელოს. აქ მეფეს მხედველობაში ჰქონდა მსგავსად მზისა სხვა მიწებსაც გაანათებდა თუ ისინი მისი სხივის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. ამის საფუძველზე გაანალიზებულია ვახტანგ მეფის ლუი მეფისადმი მიწერილი წერილი, რომელიც ეჭვს არ ტოვებს, რომ ვახტანგ VI-ს „მეფე-მზის“ სიმბოლო ზუსტად ისეთივე ჰიპერბოლით ესმის, როგორც ამას თავად ლუი XIV განმარტავდა. ვახტანგის წერილში ხაზგასმა - „მზეო, რომელმაც შუქით გაანათე სხვა მთავრები, ვინაიდან მათ მიმართ თქვენ ხართ ის, რაც მზე არის მნათობების მიმართ“ სამეფო ხელისუფლების საკრალურ გაგებას ზუსტად გადმოსცემს და დიპლომატიურად მიანიშნებს, რომ „მეფე-მზე“ მაგალითია არა მარტო მთელი ევროპისათვის, არამედ ირანში დატყვევებული ქრისტიანი მეფისთვისაც. დიპლომატიურად ეს ემსახურებოდა ერთ მიზანს: ლუი XIV-ს აგრძნობინოს, რომ იცის სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის მისეული კონცეფცია და თუ მის შემწეობას მიზნად დაისახავს არავის შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და „მზის“ მისიის მსგავსად დახმარება აღმოუჩინოს ირანში ტყვედ მყოფ ქრისტიან მეფეს.

სტატია - ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები) ანოტაცია:

საქართველოსთან დასავლეთის, კერძოდ პაპობის, დაახლოების პირველი შესაძლებლობა გაჩნდა ჯვაროსნული ომების ხანაში, რომელიც სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა: საქართველოსთან კავშირში მოწინააღმდეგეთა დასუსტება საბოლოო გამარჯვებამდე, რასაც შედეგი არ მოჰყვა. ასეთმა კავშირმა საბოლოო განვითარება XIII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მისიონერების გამოგზავნაში ჰპოვა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა. მონღოლთა უძლეველი ურდოს წინაშე

უმოკავშირედ დარჩენილმა ქართველმა პოლიტოკოსებმა და სასულიერო იერარქებმა ფართოდ გაუღეს კარი ფრანცისკანელ და დომინიკელ მისიონერებს. წყაროებით დასტურდება, რომ 1240 წლამდე რომისა და საქართველოს ეკლესია ურთიერთანაზიარობაში იმყოფებოდა. ამას განაპირობებდა ადრეული პერიოდის რეალობა. კერძოდ, ქართული ეკლესია არ ჩარეულა რწმენის შესახებ დავაში, რომელმაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები სრულ განხეთქილებამდე მიიყვანა. პირიქით, ქართული ეკლესია მაღალი პოზიციებიდან უჭვრეტდა ამ გათიშვას; იგი კვლავ ინარჩუნებდა მთლიანობას თავის წიაღში, არ ემხრობოდა მოწინააღმდეგე ბანაკთაგან არც ერთს და იმთავითვე ეძებდა კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების კვლავ გაერთიანების საშუალებას. რუსუდან მეფის დროს ორივე მხარემ ეს მიზანი დაისახა, თუმცა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთების საკითხზე შემდეგ ქართველებს არ უზრუნიათ.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია აღნიშნულ პერიოდში კათოლიკე მისიონეტა საქართველოში საქმიანობის საფუძველზე ორივე ეკლესიის ურთიერთობის მიზნები. საქართველოში ეკლესიათა გაერთიანების საკითხს პოლემიკა არ გამოუწვევია და მისიონერებს შიშის ქვეშ არ უცხოვრიათ. ქართველი პოლიტოკოსები და საეკლესიო პირები ფრთხილად ეკიდებოდნენ ეკლესიათა უნიას და მასზე კონკრეტული უარი არასოდეს უთქვამთ, რადგან იზოლაციაში მყოფი ქვეყანა პაპობის მეშვეობით ხედავდა დასავლეთში ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო საქართველოს დასავლეთთან სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული კავშირის ინიციატივები აემოქმედებინა.

ლევან გორდუზიანი

ლუდი თუ ღვინო? (*კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XV*, ლოგოსი, თბილისი, 83-85)

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ხეთურ ტექსტებში ღვინისა (GEŠTIN) და ლუდის (KAŠ) აღმნიშვნელი იდეოგრამების გამოყენების სხვადასხვა შემთხვევები და კომპოზიტის KAŠ.GEŠTIN ინტერპრეტაციის სხვადასხვა შესაძლებლობები.

მარიკა მშვილდაძე

ბიზანტიის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის IV-VI სს.

ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს ურთიერთობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი კვლევის მნზანს წარმოადგენს იმის გარკვევა თუ რა მდგომარეობა იყო IV-VI სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ კი პიტიუნტში ბიზანტიასთან მიმართებაში.

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე დასტურდება წყაროებში დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ III ს-ის შუა ხანებში (252-267 წწ.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მათ შორის პიტიუნტში ადგილი ჰქონდა გუთების დამარბეველ შემოსევებს, რის შემდეგაც რომი იწყებს მათ მიერ დარბეული ქალაქების აღგენას. IV ს-ის დასაწყისში რომმა ბიჭვინთა-პიტიუნტის საქალაქო დასახლებას სასიმაგრო ნაგებობები შემოავლო. პიტიუნტი IV ს-ის 80-იან წლებში კვლავ განიცდის დამარბეველ შემოსევებს, ამჯერად ჰუნთა მხრიდან. არქეოლოგიური მასალების მიხედვით დასტურდება, აგრეთვე ის ფაქტი, რომ IV საუკუნის ბოლოს V ს-ში პიტიუნტის ტერიტორიაზე არ მდგარა ბიზანტიელთა გარნიზონი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ V საუკუნე არქეოლოგიური მასალის თვალსაზრისით ყველაზე სუსტად არის წარმოდგენილი. არტეფაქტების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული პერიოდის ბიჭვინთა არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს.

ყოველივე ნათელი დადასტურებაა წყაროებში მოყვანილი ცნობებისა, რომელთა მიხედვით IV ს-ის ბოლოს ბიზანტიის მიპერიის პოზიციები აღმოსავლეთით მნიშვნელოვნად შეირყა და ინიციატივა ირანის ხელში გადავიდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი გუთებისა და სხვა მომთაბარე ტომების შემოსევებმაც შეარულა. ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ბიზანტია ხელს უწყობს ლაზიკის გაძლერებას, რომელმაც IV ს-ის მანძილზე დაიმორჩილა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული “სამეფოები” და IV ს-ის ბოლოსათვის ლაზთა (ეგრისი) სამეფო უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს.

ქალაქის ახალი ცხოვრება ბიზანტიის აქტიურობას უკავშირდება VI ს-ში. პროკოფი კესარიელის ცნობის მიხედვით, პიტიუნტსა და სებასტოპოლისში ბიზანტიური ჯარია ჩაყენებული (Procop. De BG, VIII, 3-4), პიტიუნტი აღნიშნულ პერიოდში უფრო ციხესიმაგრეა, ვიდრე ქალაქი. მაგრამ იმავდროულად პიტიუნტს გააჩნია ქალაქის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი საეკლესიო ორგანიზაცია. არქეოლოგიური მასალების შეწავლის შედეგად, რომელშიც განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული არტეფაქტები, დგინდება, რომ VI საუკუნიდან პიტიუნტი, სატაძრო ქალაქს წარმოადგენს.

სოხუმ-ბიჭვინთის მონაკვეთი იუსტინიანე I-ის დროს უშუალოდ ექვემდებარება ბიზანტიას. მაგრამ პიტიუნტი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. VI საუკუნის ფენებში დასტურდება საკმაოდ უხვი მასობრივი არქეოლოგიური მასალა, რომელთა შორის აღსანიშნავია კონსტანტინოპოლში მოჭრილი

ბიზანტიის იმპერატორების იუსტინე I (518-527 წწ.) და იუსტინიანე I (527-565 წწ.)... მონეტები. მაგრამ ჩვენი აზრით, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის გამოსახულებიანი ფარაკიანი ბეჭდის აღმოჩენას, რომელიც ბიზანტიური გლიპტიკის ნიმუშად არის მიჩნეული. ვინაიდან გემა თანადროული ისტორიული დოკუმენტია, რომელიც სინათლეს ჰფენს მფლობელის პოლიტიკურ, თუ რელიგიურ ორიენტაციას.

მარია მშვილდაძე

დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქების მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საკითხისათვის ახ. წ. I-IV სს. (გლიპტიკური მასალის მიხედვით)

ნაშრომში შესწავლილია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (ბიჭვინთა, გონიო-აფსაროსი) არსებული რელიგიური სიტუაცია ახ. წ. I-IV სს-ში გლიპტიკური მასალის მიხედვით. ჩვენ ამოცანას წარმოსადგენდა განგვესაზღვრა თუ კონკრეტულად რომელ რელიგიასთან იყო დაკავშირებული გონიო-აფსაროსისა და პიტიუნტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გლიპტიკური ძეგლების სიუჟეტები და აისახებოდა თუ არა გლიპტიკის ნიმუშებზე ის ცვლილებები, რომელსაც ახ. წ. დასაწყისიდან აქვს ადგილი ანტიკური სამყაროში, რაც ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებაში მდგომარეობს.

ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 28 ჭრილაქვა. მათ შორის არის ორი პორტრეტული გემა, ღვთაებები – შვიდი ეგზემპლარი, მაგალითად: აფროდიტე, დემეტრა, ამური და ფსიქეა, დელფინზე მჯდარი ამური, სამი გრაცია, ჰერმესი. აქვე დაფიქსირებულია გემა ფანტასტიკური ცხოველის – გრიფონის გამოსახულებით. ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილ გემებზე კარგად არის წარმოდგენილი როგორც ცხოველთა და ფრინველთა სამყარო – დელფინი, კრევეტი, ლომი, მორიელი, კიბორჩხალა, ფუტკარი (ბუზი), თუთიყუში, ისე სიმბოლოები – ვაზა ორი თავთავითა და ყაყაჩოს ყვავილით, პურის ორი თავთავი, ხელისჩამორთმევა, დაფნის გვირდვინი... საკურთხეველი (ბომონი), ფიქსირდება წარწერიანი გემა (NI)...

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე 1995-1998 წწ-ში არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ასევე იქნა აღმოჩენილ გლიპტიკური მასალა. მათი რაოდენობა არცთუ ისე დიდია და სულ ხუთი ნიმუშით შემოიფარგლება. ესენია: ტიხე-ფორტუნა, საკურთხეველის გამოსახულებიანი გემას, ამფურცელა სტილიზებული მცენარე, ცხოველთა სამყარო დელფინის სახით, და წარწერიანი ინტალიო.

ბიჭვინთის სამაროვანზე და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ აქ საკმაოდ გავრცელებული ჩანს ბერძნულ-რომაული ღვთაებები, ძირითადად დაფიქსირებულია ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღმერთები და მათთან დაკავშირებული სიმბოლოები.

პიტიუნტსა და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ყველა ინტალიო, ფორმის მიხედვით, არ სცილდება გვიანანტიკურ ხანას. ქვის სახეობები და ბეჭდის ფორმები ახ. წ. II-IV სს-ით თარიღდება და რომაული გლიპტიკისთვის არის დამახასიათებელი. არ არის გამორიცხული ინტალიოების დიდი ხნის განმავლობაში ხმარების შემთხვევები.

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ გფონიო-აფსაროსისა და პიტიუნტის ტერიტორიაზე ჩვენს ხელთ არსებულ გლიპტიკის ნიმუშებზე ნაკლებად აისახა რომის იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე რელიგიური ცვლილებები, რაც ქრისტეს მოძღვრების გავრცელებაში მდგომარეობდა და ჭრილაქვები (მათი მფლობელები) ანტიკური სამყაროს კუთვნილებად დარჩა.

მარია მშვილდაძე

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ. წ. I-IV სს. ადრექრისტიანული თემების არსებობის შესწავლის საკითხისათვის

ჩვენი კვლევის მნზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა თუ რა მდგომარეობა იყო ახ. წ. I-IV სს. ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით ქართლში. შეძლებდა კი ქართლის მეფე მირიანი ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოსხადებას ქვეყანაში იმ მნიშვნელოვანი საყრდენის გარეშე, რაც ქრისტიანული თემების არსებობასთან იყო დაკავშირებული. ნაშრომში გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრექრისტიანული ძეგლების ნაწილი. კერძოდ, ნამოსახლარები, ეკლესიები ადრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები, რომელთა შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, საკმაო რაოდენობის ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევარი ცხოვრობდა, ქრისტიანები იყვნენ ქვეყნის როგორც საშუალო და დაბალი ფენის, ისე არისტოკრატისა და მმართველი წრეების წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ, მეფე მირიანის მიერ რელიგიური რეფორმის ჩატარების საყრდენი ძალა გახდნენ. აღნიშნული მოსახლეობის არარსებობის შენთხვევაში, ნიადაგის მომზადების გარეშე, მირიანს ძალზედ გაუჭირდებოდა დასახული მიზნის მიღწევა.

მარია მშვილდაძე

ადრექრისტიანული სტელა ბიჭვინთის სამაროვნიდან

ნაშრომში განხილულია ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი

ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები. პიტიუნტის ტერიტორიაზე ადრეულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული არაერთი არტეფაქტი დასტურდება, მაგრამ ყველაზე ღირებული, ჩვენი აზრით, ადრექრისტიანული სტელაა, რომელიც თავის მხრივ უნიკალურ აღმოჩენათა რიცხვს გამეკუთვნება.

1990 წელს სამაროვნის ცენტრალურ თხრილში, კორდოვანი ფენის ქვეშ გამოვლენილ იქნა გვიანდელი, დაუდგენელი დანიშნულების, გეგმაში წრიული უსაძირკველო ნაგებობის ნაშთები. წყობაში რიყის ქვებთან და კონგლომერატთან ერთად აღმოჩნდა უჩვეულო სიგრძის ადგილობრივი ქვიშაქვის ფილა. მისი ზომებია: 73,7 სმ X 30 სმ. ძირის ნაწილი ნაკლულია, თუმცა მის მიწაში ჩასადგმელ ნაწილს (12 სმ X 4 სმ) ბევრი არ უნდა აკლდეს. ფილის გადმოტრიალებისას გამოირკვა, რომ ზედაპირიდან 10 სმ დაშორებით, ამ კვადრატულ ფილას საიდუმლო ბუდე ჰქონია – 13,4 სმ X 2,5 სმ სიღრმისა. ქვაში ამოჭრილ ნიშაში, რომლის სიღრმე 2,5 სმ იყო ჩაუსვამთ რკინის ნაჭედი ჯვარი. აქ საქმე გვაქვს ქვიშაქვის საფლავის ქვასთან.

თავდაპირველად სტელა IV ს-ის I ნახევრით დიოკლეტიანეს პერიოდით – 313 წ-ის ”მილანის ედიქტის” წინა პერიოდით იქნა დათარიღებული. მაგრამ მოგვიანებით სტელაში ჩადებული ჯვრის არქაულობიდან გამომდინარე, ჩვენ ხელთ არსებული ანალოგიებით ის ადრექრისტიანულ ეპოქას (III ს.) შეიძლება მივაკუთვნოთ. ბიჭვინთის სამაროვანი უკვე III ს-ში ინტენსიურადაა ათვისებული, იმ დროის მიწურულისთვის ყოველი მეხუთე სამარხი ქრისტიანულია.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი რკინის ჯვარი უძველესია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საქრისტიანოში. ვფიქრობთ, ის მიიპყრობს სპეციალისტების ყურადღებას.

მარიაკა მშვილდაძე

პოლიტიკა და რელიგიური ორიენტაციის საკითხი ქართლში (III –IV საუკუნეების მიჯნა)

ნაშრომში გაანალიზებულია ახ. წ. III-IV საუკუნეების მიჯნაზე რომსა და სასანიანთა ირანში არსებული პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია. მთელი გვიან ანტიკური ხანის განმავლობაში იბერიის (ქართლის) მეფეები საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობენ ამ ორი იმპერიისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას. ხდებიან იმ სახელმწიფოს მოკავშირეები, რომლის ინტერესებიც მათი ქვეყნის ინტერესების თანმხვედრი იქნება.

324 წელს კონსტანტინეს მიერ ადრიანოპოლთან ლიცინიუსის დამარცხების შემდგომ, მთელ რომის იმპერიაში სიტუაცია ქრისტიანობის სასიკეთოდ იცვლება. შესაბამისად, ლიცინიუსის დამარცხების შემდგომ, ერთიანი რომის იმპერატორმა კონსტანტინემ

გადაწყვიტა აშკარად გამოსულიყო არენაზე, რათა ბოლო მოეღო იმპერიაში არსებულ დიქსაქსულობისათვის და გადაეჭრა ქვეყნის ერთიანობის საკითხი. საჭირო იყო სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში აღება და სიტუაციის გაკონტროლება, რასაც შესანიშნავად ახერხებს კიდეც. 325 წელს მისი ინიციატივით ნიკეიში ტარდება I მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც ქრისტიანობა იმპერიაში არსებულ სხვა რელიგიებთან შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შედეგად, 325 წლიდან ქართლს ესაზღვრება ორი დიდი სახელმწიფო ორი მძლავრი იდეოლოგიით – ერთი მხრივ რომის იმპერია, სადაც ქრისტიანობა წარმმართველ მოძღვრებად ყალიბდება, ხოლო მეორე მხრივ სასანიანთა ირანი, რომელშიც ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. ქართლის მეფე მირიანს კარგად ესმოდა, რომ რელიგიური ორიენტაცია გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში და მირიანი იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას – პოლიტიკურ ორიენტაციას დასავლეთისკენ (რომი).

ზემოაღნიშნულს ემატება ისიც, რომ არტეფაქტების შეწავლის შედეგად დგინდება, რომ ქართლში ახალი მონოთეისტური რელიგია ჯერ კიდევ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, გავრცელებული იყო ქვეყანაში არსებულ ყველა სოციალურ ფენაში (მ. მშვილდაძე). ეს ფაქტი კი უშუალო კავშირშია ქართლის რომის იმპერიასთან, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ პროვინციებთან არსებულ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობებთან.

აღმოსავლური და დასავლური ქალაქი ჟაკ დე ვიტრის თხზულებების მიხედვით

ჯვაროსნული ეპოქის ევროპელი ისტორიკოსების თხზულებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის მედიავალური საზოგადოების განვითარების თავისებურებების წარმოსაჩენად. საქმე ისაა, რომ, გარდა პოლიტიკური ისტორიის მოვლენებისა, აქ მკაფიოდ ვლინდება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის თავისებურებები; იკვეთება ბიზანტიურ და ისლამურ სამყაროსთან მისი განსხვავებები. ამ პრობლემის (ე.ი. ჯვაროსნული ეპოქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების) კვლევა, თანამედროვე ეტაპზე, კიდევ უფრო მეტად აქტუალურია თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში არსებულ დისკუსიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრადიციული ოპოზიციის ავთენტურობა-სტერეოტიპულობის შესახებ ჯვაროსნული ომების პერიოდის აღმოსავლური და დასავლური რეალობის შედარებაზე მსჯელობისას ჟაკ დე ვიტრის თხზულებებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

- ა) იგი მოვლენების თვითმხილველია;
- ბ) იგი, როგორც პაპის ლეგატი, იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის ყველაზე კარგად ინფორმირებული წრეების პოზიციას გამოხატავს;
- გ) მისი მისია მოვლენათა უბრალო აღწერის გარდა ქრისტიანობის გასავრცელებლად

ნიადაგის შესწავლაცაა, ამიტომაც ჟაკ დე ვიტრი (თუმცა ზედაპირულად მაგრამ მაინც) აღმოსავლური რეალობის აღწერას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ჟაკ დე ვიტრის მიხედვით დასავლური და აღმოსავლური ქალაქის ერთმანეთთან შედარებასა და ამ მონაცემების ზოგადისტორიოგრაფიულ კონტექსტში განზოგადებას ისახავს. ქალაქი ძალზე მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენია, რომელიც კარგად წარმოაჩენს ამათუიმ საზოგადოების ბუნებას. შესაბამისად, საკითხის შესწავლას პრობლემის (ე.ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოპოზიციის) წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა აქვს.

1	თეიმურაზ პაპასქირი	იაპონიის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე და ბირთვული დიპლომატიის გამოყენების პირველი მცდელობა. – ზურაბ პაპასქირი – 60		სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.	გვ. 353-360.
2	მერაბ კალანდაძე	ისტორიის თეორიული პრობლემების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	VII	თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ. 339-373.
3	მერაბ კალანდაძე	დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის	ნაკვეთი 12	თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 451-459.

		პერიოდიზაციაზე. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები			
4	მერაბ კალანდაძე	დიმიტრი უზნაძე იაკობინელთა ბელადებზე. – ქართული დიპლომატია	16	თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“	გვ. 326-341
5	მერაბ კალანდაძე	დიმიტრი უზნაძე იაკობინელთა დიქტატურაზე. – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული	IV	თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 119-142
6	მერაბ კალანდაძე	დიმიტრი უზნაძე როგორც ისტორიკოსი. – „ანალები“	9	თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 87-117
7	მერაბ კალანდაძე	პროფესორი კარლო მეშველიანი. – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული	IV	თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“	გვ. 142-170
8	ლეილა ხუბაშვილი	იტალიელი მისიონერების ბრძოლა	III	თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“	10 გვერდი

		მონათვაჭრობის წინააღმდეგ. – ცხუმ- აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები			
9	ზაალ გოგენია	სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ისტორიიდან (1936 წელი). – ჰუმანიტარული კვლევები: წელიწდეული	III	იბეჭდება	

ანოტაციები

თეიმურაზ პაპასქირო

იაპონიის საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე და ბირთვული დიპლომატიის გამოყენების პირველი მცდელობა

იაპონიის საკითხი ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან პრობლემას განეკუთვნებოდა, რომლის ღია განხილვასაც არ ჰქონია ადგილი „დიდი სამეულის“ – სსრ კავშირის ლიდერის იოსებ სტალინის, აშშ-ს პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უინსტონ ჩერჩილის პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციის პლენარული სხდომების დროს. მიუხედავად ამისა, სწორედ იაპონიის საკითხი იქცა იმის ერთ-ერთ ნიშნად, რომ აშშ-ს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ იცვლებოდა და რომ პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი უფრო მკაცრ საგარეო პოლიტიკას გაატარებდა ამ მიმართულებით. 24 ივლისს ტრუმენმა კერძო საუბარში სტალინს გაანდო ინფორმაცია, რომ აშშ-ს გააჩნდა ბომბი, რომლის „დამანგრეველი ძალა ბევრად აღემატებოდა ყველა მანამდე არსებულს“ და რომ ამერიკელები მას იაპონიის წინააღმდეგ მალე გამოიყენებდნენ. ეს იყო ბირთვული დიპლომატიის გამოყენების პირველი მცდელობა. ტრუმენი და ჩერჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საუბარს. ჩერჩილი უნდა დაკვირვებოდა სტალინის რეაქციას, რათა გაერკვიათ, მუშაობდა თუ არა სსრ კავშირი ბირთვული ბომბის შექმნაზე. სტალინს ერთი წამითაც არ უგრძობინებია ტრუმენისათვის, რომ მიხვდა, თუ რა ტიპის იარაღზე იყო საუბარი. პირიქით, მან „კმაყოფილებაც კი გამოხატა“ და იმედი გამოთქვა, რომ აშშ „კარგად გამოიყენებდა ახალ იარაღს“

იაპონელების წინააღმდეგ“. ამგვარად, იაპონიის საკითხის განხილვა პოტსდამში სტალინისათვის გარკვეული წარმატებით დასრულდა, ვინაიდან სტალინის რეაქციამ (უფრო სწორად, რეაქციის არქონამ) ამერიკელები და ბრიტანელები დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი ძალიან ჩამორჩენილი იყო ატომური ბომბის შექმნის საქმეში. უფრო მეტიც, ამ შეხვედრამ იქონია გარკვეული გავლენა ამერიკელი ექსპერტების შეფასებებზეც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სსრ კავშირი ბირთვულ ბომბს ვერ შექმნიდა XX ს. 50-იანი წლების შუახანებამდე. გარდა ამისა, მან პრაქტიკულად აიძულა ამერიკელები, ფორმალური თხოვნით მიემართა სსრ კავშირისათვის იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად, რისი სურვილიც ტრუმენს უკვე ნამდვილად არ ჰქონდა.

მერაბ კალანდაძე

ისტორიის თეორიული პრობლემების დამუშავება XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში

სტატიაში აქცენტი კეთდება საქართველოში ისტორიის თეორიული საკითხების დამუშავებაზე. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით ნაკლებადაა შესწავლილი.

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე

სტატია წარმოადგენს მცდელობას, გარკვეულ იქნას დ. უზნაძის პოზიცია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხში.

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე იაკობინელთა ბელადებზე

სტატია წარმოადგენს მცდელობას, გარკვეულ იქნას დ. უზნაძის პოზიცია დ. უზნაძის დამოკიდებულება იაკობინელთა ბელადების დანტონის, რობესპიერის და სენ-ჟიუსტისადმი.

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე იაკობინელთა დიქტატურაზე

სტატია წარმოადგენს მცდელობას, გარკვეულ იქნას დ. უზნაძის მოსაზრებები იაკობინელთა დიქტატურაზე. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე როგორც ისტორიკოსი

სტატია წარმოადგენს მცდელობას, გარკვეულ იქნას დ. უზნაძის მოსაზრებები იაკობინელთა დიქტატურაზე. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური.

მერაბ კალანდაძე

პროფესორი კარლო მეშველიანი

სტატია წარმოადგენს პროფ. კარლო მეშველიანის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის პირველ სერიოზულ მცდელობას. ვეცადეთ განგვესაზღვრა მისი დამსახურება და ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ლეილა ხუბაშვილი

იტალიელი მისიონერების ბრძოლა მონათვაჭრობის წინააღმდეგ

მონებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი კაცობრიობის ისტორიის ყველა დროის დიდ მანკიერებას და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ დანაშაულს წარმოადგენს. ეს პრობლემა იმდენად აქტუალურია დღესაც, რომ გაერომ ამასთან დაკავშირებით სპეციალური კონვენცია მიიღო 1998 წლის 23 აგვისტო იუნესკომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა... ტრეფიკინგის ერთ-ერთი ინტენსიური საქართველოზეც გადიოდა, სადაც ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული

მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში: თავადაზნაურობაში, სასულიერო ფენასა და გლეხობაშიც. საქართველოში მწოფი იტალიელი მისიონერები მოსახლეობაში არსებული სოციალური და ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდნენ, განსაკუთრებით კი მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ, რომელმაც ქართველ ხალხს უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა და მისი მოსახლეობის საუკეთესო, რჩეული ნაწილი, ერის გენოფონდი დააკარგინა.

ჩემს ნაშრომში შევეცადე იტალიელი მისიონერების მრავალმხრივი საქმიანობიდან აქცენტი გამეკეთებინა საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ ასპექტზე-ტრეფიკინგის წინააღმდეგ მათ ბრძოლაზე. ამისათვის მოვიძიე ამასთან დაკავშირებული წყაროები, რომლებიც ძირითადად დომინიკელი მისიონერის ემიდიო პორტელი და სკოლასა და ჯოვანი დი ლუკას რელაციონებზეა დაფუძნებული.

ზაალ გოგენია

სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური

ურთიერთობების დამყარების ისტორიიდან (1936 წელი)

ესპანეთში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ლოგიკური იყო ურთიერთობების აღდგენა სსრკ-თან და ამის მზაობაც არსებობდა. მადრიდში პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით საბჭოთა მხარეც აქტიურობდა და შედეგად ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ჟენევაში, შეთანხმდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობაზე. ესპანეთში ამ საკითხმა მწვავე დებატები გამოიწვია. პარალელურად გააქტიურდნენ მოსკოვთან დაახლოების მომხრეები, ჩამოაყალიბეს „საბჭოთა კავშირის მეგობართა“ ასოციაცია, რომელსაც კავშირები ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოსკოვში. 1933 წ. ზაფხულში მოხერხდა ელჩები დაინიშნა, თუმცა მათ არასდროს შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა. მთავრობის შეცვლის შემდეგ ხ. ალვარეს დელ ვაიომ უარი თქვა თავის მისიის შესრულებაზე, ხოლო ა. ლუნაჩარსკი ესპანეთში ჩასვლამდე გარდაიცვალა. ურთიერთობები ისევ ჩიხში შევიდა განსაკუთრებით მემარჯვენეთა მმართველობის დროს.

1936 წელს სამხედრო ამბოხის და სამოქალაქო ომის მეორე ტევს ეს პროცესები დაჩქარდა და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესპანეთში გახდა მ. როზენბერგი, ხოლო ესპანეთის ელჩი სსრკ-ში მ. პასკუა.

კომპეტენტური ლიტერატურის და საარქივო მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება

დავასკვნათ შემდეგი:

1. სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დააჩქარა სამოქალაქო ომმა და „ჩაურევლობის პოლიტიკამ“, სხვა შემთხვევაში 1936 წლის თებერვალში მოსულ „სახალხო ფრონტს“ საკმარისი დრო ჰქონდა ამ პრობლემის გადასაწყვეტად.
2. მ. პასკუას ელჩად დანიშვნამ მისი მეგობრის ხ. ნეგრინის აღმასვლას შეუწყო ხელი. რომელიც ადვილი სამართავი აღმოჩნდა მოსკოვისთვის.
3. დიპლომატიის რუტინული საპროცედურო დეტალის უკან იდგა საბჭოთა მთავრობის შემდგომი მიზნები ესპანეთის სამოქალაქო ომში.
4. მ. პასკუას დანიშვნა კონტრპროდუქტული ნაბიჯი იყო ესპანეთისთვის.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					

3					
ანოტაციები					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
2			
3			
მომხსენებათა ანოტაციები			

1	თეიმურაზ პაპასქირი	1940 წლის ერთი დოკუმენტი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
2	მერაბ კალანდაძე	აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ომის წყაროთმცოდნეობა ქართულ	ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური სა-

		ისტორიოგრაფიაში	ერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 2013წ. 16-18 მაისი
3	მერაბ კალანდაძე	საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია: ექვთიმე თაყაიშვილი – 150. თბილისი, 2013წ. 19-20 ივნისი
4	მერაბ კალანდაძე	საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში	წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები – რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 30 მაისი
5	მერაბ კალანდაძე	საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
6	ლეილა ხუბაშვილი	პიუს XII-ის საგარეო პოლიტიკის ვექტორები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI

			ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
7	ფატიმა შეყლაშვილი	იუგოსლავიის კრიზისი და მისი დამლის მიზეზები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
8	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ომის ბელადებზე (ვაშინგტონი და ადამსი)	ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიური სა- ერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 2013წ. 16-18 მაისი
9	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი მეტერნიხზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია: ექვთიმე თაყაიშვილი – 150. თბილისი, 2013წ. 19-20 ივნისი
10	თამარ ანთაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის რევოლუციის ბელადებზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია.

			თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
11	ზაალ გოგენია	სსრკ-ესპანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ისტორიიდან (1936)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია: ექვთიმე თაყაიშვილი – 150. თბილისი, 2013წ. 19-20 ივნისი
12	ზაალ გოგენია	საბჭოთა დიპლომატია და ესპანეთის სამოქალაქო ომი (მ. როზენბერგი – პირველი საბჭოთა ელჩი ესპანეთში)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VI ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 2013წ. 19 დეკემბერი
<p>მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>თეიმურაზ პაპასქირი</p> <p>1940 წლის ერთი დოკუმენტი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე</p> <p>თურქეთის მიმართ</p> <p>1944 წლის 4-5 ივლისს გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც მოგვიანებით შევიდა ე.წ. მე-6 თეთრ წიგნში, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა სათაურით Die Geheimakten des französischen Generalstabes (საფრანგეთის გენერალური შტაბის საიდუმლო</p>			

დოკუმენტები). აღნიშნულ დოკუმენტებში შედიოდა თურქეთში საფრანგეთის ელჩის, რენე მასილის მოლაპარაკებები თურქეთის ხელმძღვანელობასთან ახლო აღმოსავლეთში მოკავშირეთა შესაძლო მოქმედებების, მათ შორის, ბაქოს მიმართულებით შეტევის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნებამ საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს, რომ წაეყენებინა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისათვის. უკვე 5 და 6 ივლისს საბჭოთა პრესაში დაიბეჭდა მსგავსი ხასიათის მოთხოვნები. რაც მთავარია, როგორც ირკვევა, საბჭოთა მხარემ თურქეთთან მიმდინარე მოლაპარაკებებზეც დააყენა აღნიშნული საკითხი. სამწუხაროდ, რუსული არქივები ჯერ კიდევ არ არის გახსნილი ამ საკითხებზე, რის გამოც შეუძლებელია სარქივო დოკუმენტის მოპოვება, თუმცა აღმოჩნდა უკვე გამოქვეყნებული გერმანული დოკუმენტი, რომელიც, მართალია, ირიბად, მაგრამ ადასტურებს ამგვარი მოლაპარაკებების ფაქტს. კერძოდ, საუბარი გვაქვს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს VII პოლიტიკური განყოფილების დირექტორის, ვილჰელმ მელხერსის მოხსენებითი ბარათი (დათარიღებულია 1940 წლის 23 ივლისს), რომელშიც ის აღწერს საუბარს გერმანიაში თურქეთის საელჩოს მრჩევლის, მ. ალკენდთან. ალკენდმა მელხერსს შეატყობინა, რომ ის ელაპარაკა საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანს (გასაგები მიზეზების გამო, ალკენდმა არ დააკონკრეტა მისი გვარი), რომელმაც დაუდასტურა, რომ საბჭოთა მხარემ ოფიციალურად დააყენა ორი კავკასიური პროვინციის დაბრუნების საკითხი. აქვე მან ახსენა, რომ საბჭოთა მოთხოვნებს თურქულმა მხარემ უარი უპასუხა. ალკენდის წყაროს თანახმად, პასუხის საბოლოო რედაქტირება მოახდინა თავად თურქეთის პრეზიდენტმა (იგულისხმება ისმეთ ინონიუ) და მან აღნიშნა, რომ თურქეთმა პირველი მსოფლიო ომის შედეგად ტერიტორიის 2/3 დაკარგა და ის მოქცეული იყო „უკიდურესად მჭიდრო საზღვრებში“, რომლის „კიდევ უფრო შემცირება თურქეთის მოსახლეობას უბრალოდ აუტანელ მდგომარეობაში“ ჩააყენებდა. ალკენდმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ სრუტეების საკითხს მონტრეს კონვენცია არეგულირებდა და საბჭოთა მხარე მშვენივრად ხედავდა, რომ თურქეთი არ ატარებდა მტრულ ხომალდებს. ალკენდის თქმით, თუ საბჭოთა კავშირი კვლავ დააყენებდა ტერიტორიული პრეტენზიების მოთხოვნას, ამას შედეგად მხოლოდ ომი მოჰყვებოდა. ალკენდმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მხარეს ძალზე გაუჭირდებოდა ამ პროვინციების აღება, რადგანაც ისინი იოლი დასაცავი იყო.

როგორც ვხედავთ, დოკუმენტიდან ჩანს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ალკენდს ატყობინებდა ოფიციალური პასუხის შინაარსს, რომელიც გაეცა საბჭოთა მოთხოვნას. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ცხადყოფს საბჭოთა მხარის მიერ 1940 წელს თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებას.

მერაბ კალანდაძე

აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ომის წყაროთმცოდნეობა

ქართულ ისტორიოგრაფიაში

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გააშუქოს აღნიშნული საკითხის წყაროთმცოდნეობითი საკითხების გაშუქება საქართველოში. ეს მწირი ინფორმაცია საინტერესოა. ამ დაინტერესების პიკს, მწვერვალს წარმოადგენს „ქრესტომათია ახალ ისტორიაში“. აქ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე წყაროები საკმაოდ ბევრია. ამ კუთხით ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა და ეს მოხსენება ამ ხარვეზის შევსების მცდელობას წარმოადგენს.

მერაბ კალანდაძე

საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში

მოხსენებაში მოცემულია საქართველოში ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის ძირითადი ეტაპების პერიოდიზაცია. ნაჩვენებია ის ევოლუცია, რომელიც საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესებამ განიცადა. თავდაპირველად ეს დაინტერესება მცდელობის ფარგლებს არ გაცდა. მოხსენებაში ახსნილია ამის გამომწვევი მიზეზები. ამ ხანგრძლივი მცდელობის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება „ქრესტომათია ახალ ისტორიაში“. ამის შემდეგ ამ თემატიკისადმი ინტერესმა იკლო. ამ პრობლემატიკით დაინტერესების რენიშაცია სასურველია.

მერაბ კალანდაძე

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია

1. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს. ქართველმა ისტორიკოსებმა თავისი წვლილი შეიტანეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. რა თქმა უნდა, ეს ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.
2. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს ბევრს შეიძლება ეგონოს, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. შესაძლოა, ეს მწირი ინფორმაცია ნამცვეები

იყოს, მაგრამ საინტერესოა და ქართულ სინამდვილეში ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ქართული საზოგადოება იცნობდა რევოლუციის ისტორიკოსებს. იმჟამინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ინფორმაციამ აღნიშნული საკითხით დაინტერესების უვერტურად გაიჟღერა და, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1921 წლამდე, ჩვენი აზრით, საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიით დაინტერესების წინაისტორიად, შესავლად, შეიძლება მივიჩნიოთ.

3. ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს ნიკო ნიკოლაძის საინტერესო სტატია „რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო“, რომელიც გამოქვეყნდა 1864 წელს. ფაქტობრივად, ეს არის გამოხმაურება გერმანელი ისტორიკოსის ჰ. ფონ ზიბელის წიგნზე. ის არ ატარებს აღწერით ხასიათს. არ წარმოადგენს ჰ. ზიბელის შეხედულებების მშრალ თხრობას, გადმოცემას. ის დიდ ყურადღებას უთმობს მისი შეხედულებების აკვარგანობის გარკვევას და მასთან რევოლუციის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში არგუმენტირებულ მეცნიერულ პოლემიკას მართავს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას იცნობს ვ. ლორთქიფანიძე, რომლის წიგნი შედგენილია ალფონს ოლარის და ვილჰელმ ბლოსის შრომების მიხედვით. იგივე შეიძლება ითქვას დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსულ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებზე. ისინი იცნობენ რევოლუციის ისტორიოგრაფიას და პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე იყვენ ორიენტირებულნი.
4. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის შესწავლა და პოპულარიზაცია მეცნიერულ ელფერს იძენს. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის წაყრუება არ შეიძლება, მაგრამ ამ დაინტერესებამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. ქართველ ისტორიკოსებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის საკითხებზე სპეციალური გამოკვლევები არ დაუწერიათ, მაგრამ რევოლუციის პრობლემების განხილვის დროს ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ საკითხის ისტორიოგრაფიის განხილვას, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ პლუსად გვევლინება.
5. საქართველოში აღნიშნული საკითხის მეცნიერულად შესწავლის ინიციატორად ამ დარგის ფუძემდებლები პროფ. გრ. ნათაძე და პროფ. ალ. ნამორაძე გვევლინებიან. ისინი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ საფრანგეთის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობით და საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებენ საკითხის ისტორიოგრაფიაში, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ძლიერი მხარეა. პროფ. გრ. ნათაძის შეხედულებებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები შემთხვევითი არ იყო და უპირატესად იმითაა გამოწვეული, რომ ის ცდილობდა ეკონომიური მატერიალიზმიდან მარქსიზმისკენ ევოლუციას.
6. პროფ. გრ. ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა, პირველ რიგში კი, პროფ. გივი კილურაძემ და პროფ. კ. ანთაძემ. პროფ. გ. კილურაძე საფრანგეთის რევოლუციაზე თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში დიდ ყურადღებას უთმობს საკითხის ისტორიოგრაფიას და საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად გვევლინება. რევოლუციის ისტორიოგრაფიის საკითხებში საკმაოდ ჩახედული ჩანს პროფ. კ. ანთაძე. იგი თავის საკანდიდატო დისერტაციაში მას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ეს მონაკვეთი მის დისერტაციაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას ეხება რემი

სიკინჭილაშვილის ნაშრომი „საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა“. ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას განიხილავს პროფ. ნაირა მამუკელაშვილი თავის ნაშრომში 1793 წლის კონსტიტუცია.

7. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის საკითხებით ჩვენი დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და პროფ. გივი კილურაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს დაინტერესება ორ მონაკვეთად იყოფა: საბჭოთა პერიოდი და პოსტსაბჭოური ხანა. ეს შრომები კონკრეტულად საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიის საკითხებს ეძღვნება და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში.

ლეილა ხუბაშვილი

პიუს XII-ის საგარეო პოლიტიკის ვექტორები

რომის პონტიფიკატების უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეუჯენიო პაჩელიმ, რომელიც ტახტზე ავიდა პიუს XII-ის სახელით (1939-1958). ეს იყო პაპი-პოლიტიკოსი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ვატიკანის საგარეო პოლიტიკის სამსახურში გაატარა. გერმანიაში 12 წლიანი დიპლომატიური სამსახურისა და თავისი 20 წლიანი პონტიფიკატის პერიოდში იგი გერმანოფილად დარჩა. პიუს XII ორგანულად ვერ იტანდა მარქსიზმსა და კომუნიზმს და „ცივი ომის“ პოლიტიკის იდეოლოგი გახდა. მისი პონტიფიკატის პერიოდის გასაანალიზებლად სამი მთავარი ასპექტია განსახილველი: 1. პიუს XII და ნაციზმი; 2. პიუს XII და ჰოლოკოსტი და 3. . პიუს XII- ცივი ომის აპოლოგეტი.

ვატიკანის ურთიერთობა ნაციზმთან პიუს XI-ის დროს დაიწყო. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ადოლფ ჰიტლერმა (1933 წ. 30 იანვარი) შესთავაზა პიუს XI-ს იმპერიასთან კონკორდატის დადება. ვატიკანში ამ წინადადებას კარგად შეხვდნენ; კურიას მიაჩნდა, რომ ნაციზმი გერმანიაში „წარმართული ბოლშევიზმის“ შეურიგებელ მტერს წარმოადგენდა. ამიტომაც ეკლესია მასში უფრო დიდ საფრთხეს ხედავდა, ვიდრე „წარმართულ ნაციზმში“. თანაც იმედი ჰქონდათ, რომ ნაციზმი კათოლიკობას არ შეეხებოდა და მასთან ითანამშრომლებდა. 1933 წლის 20 ივნისს კონკორდატს ხელი მოაწერეს პაპენმა და ეუჯენიო პაჩელიმ, მომავალმა პონტიფიკატმა პიუს XII-მ. 1941 წლის 1 სექტემბერს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობებმა პაპს თხოვნით მიმართეს, რათა გერმანია აგრესორად გამოეცხადებინა. მაგრამ პიუს XII-მ უარი თქვა. მის მიზანს ლიბერალური ღირებულებების ეპოქაში დექრისტიანიზაციის შეჩერება და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. ევროპის ხსნას კი კათოლიციზმში ხედავდა. ამიტომ განაცხადა, რომ ვატიკანს არ შეეძლო უშუალოდ ჩარეულიყო საერთაშორისო პოლიტიკაში და მკაცრი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. თუმცა დიპლომატიურ თამაშს მაინც განაგრძობდა. უინსტონ ჩერჩილს მასთან

მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა. ფრანკლინ რუზველტმა კი პაპთან თავისი საგანგებო ელჩი მაირონ ტელიორი გააგზავნა, რომელიც ვატიკანში რომის განთავისუფლებამდე დარჩა.

პიუს XII-მ დაგმო ნაცისტების რასობრივი თეორია და ანტიემიტიზმი. გარდა ამისა, ის ცდილობდა კათოლიკური ორგანიზაციების მეშვეობით ლტოლვილების დახმარებას. თუმცა პაპს არ გამოუცხადებია ღია პროტესტი ებრაელთა დეპორტაციისა და გენოციდის წინააღმდეგ, რამაც განსაზღვრა პიუს XII-ის დუმილის მიზეზების აქტიური განხილვა. მაგრამ ამ დისკუსიებში ემოციები უფრო ჭარბობს, ვიდრე არგუმენტები. პაპს 40 მილიონ კათოლიკეზე ჰქონდა პასუხისმგებლობა, რომლებიც ნაცისტური რეჟიმის ქვეშ ცხოვრობდნენ. პიუს XII-ს მიაჩნდა, რომ მისი ღია პროტესტი ვერაფერს შეცვლიდა, ჰიტლერი კი მას კონკორდატის დარღვევაში დაადანაშაულებდა, რაც კათოლიკეთა დევნას გამოიწვევდა.

1946 წლის 1 ივნისის არჩევნების წინ პიუს XII-ისა და ფულტონში ჩერჩილის გამოსვლა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც წინ უძღოდა „ცივი ომის“ დასაწყისს. ამაზე ნათლად მეტყველებს ტრუმენსა და პიუს XII-ს შორის არსებული მიმოწერა. 1947 წლის 6 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ტრუმენი პაპს სთხოვდა, რომ ღია განცხადება გაეკეთებინა აშშ-სა და ვატიკანის კავშირისა და თანამშრომლობის შესახებ საერთო მტრის-კომუნისტების, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1949 წლის 30 ივნისს პიუს XII-მ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ის განკვეთით ემუქრებოდა ყველას, ვინც კომუნისტურ პარტიაში შევიდოდა ან წაიკითხავდა ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, სადაც კომუნისტების თეორიები იყო. პაპმა კომუნისტი ქრისტიანობის მტრად გამოაცხადა. ეს დეკრეტი იმ პოლიტიკის პიკი გახდა, რომელსაც ცივი ომი ეწოდა. პიუს XII-ს სჯეროდა, რომ კათოლიკური ეკლესია იყო ის ძალა, რომელიც მსოფლიოს კომუნისტებისაგან განთავისუფლებდა.

ფატიმა შეყლაშვილი

იუგოსლავიის კრიზისი და მისი დაშლის მიზეზები

1. უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული ნაციონალიზმის წარმოშობის და გააქტიურების ერთ-ერთი ახსნა იმ ფაქტს ემყარება, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შესუსტდა დიქტატურა და თავი იჩინა საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ეთნიკურმა შუღლმა. ეროვნული ურთიერთობების მოგვარება გახდა პოსტკომუნისტური კონსტიტუციური მშენებლობის უმთავრესი საკითხი. განსაკუთრებით რთული კი აღმოჩნდა ფედერალურ სახელმწიფოებში, კერძოდ, ყოფილ იუგოსლავიაში. სსრ კავშირის დაშლის შემდგომ მოხდა იმ განსაკუთრებული როლის დევალვაცია, რასაც თამაშობდა იუგოსლავია აღმოსავლეთის და დასავლეთის გეოპოლიტიკურ გათვლებში. შესუსტდა დახმარება მთავარი საგარეო წყაროებიდან.

2. იუგოსლავიის ფედერალური სახელმწიფოს დაშლა იყო შედეგი მრავალხნაიანი ეთნიკური კონფლიქტებისა, რომლის წინაპირობები ჯერ კიდევ 1918 წ. სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფოს შექმნისას აღმოცენდა. ამ გაერთიანებას მოჰყვა იდეოლოგიური ტრანსფორმაცია, სერბები ათობით წლის მანძილზე აღმოჩნდნენ „იუგოსლავიანობის“ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, რომელმაც სერბებს ვერ გაუწია საუკეთესო სამსახური.
3. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი იუგოსლავიის დაშლაში მიუძღვის სოციალიზმის თვითმმართველობის მოდელს, ქვეყნის სოციალისტურ ხასიათს და მის ზეწოლას ეროვნულ რესპუბლიკებზე, რათა ისინი გამხდარიყვნენ სსრ კავშირის მოდელის ქვეყნები. 70-იანმა წლებმა არსებითი კორექტივები შეიტანა ქვეყნის ცხოვრებაში. რესპუბლიკებსა და ოლქებში გამოჩნდა ხელმძღვანელთა ახალი თაობა, რომლის წარმომადგენლებიც არ იზიარებდნენ ტიტოს რევოლუციურ-ინტერნაციონალურ შეხედულებებს და მხარს უჭერდნენ ნაციონალისტური განწყობის ზრდას.
4. განსაკუთრებული როლი ითამაშა ასევე რელიგიურმა ფაქტორმა, დაპირისპირებების კონფესიურმა ხასიათმა. სამი სხვადასხვა რელიგიის, სამი სხვადასხვა სამყაროს, სამი სხვადასხვა მენტალიტეტის შეჯახებას თავისთავად მოჰყვა ძლიერი მიდრეკილება განცალკევებისაკენ.
5. 1991-92 წლებში თითქმის ყველა რესპუბლიკამ ცენტრიდანული მისწრაფებები ღიად დააფიქსირა და გავიდა ფედერაციიდან. სისხლიანი შეტაკებები, რომელიც თან ახლდა ამ პროცესებს, ეთნიკური წმენდის პრაქტიკა ყველა მხრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფაქტობრივად, იყო „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“.
6. იუგოსლავიის კონფლიქტების შესწავლისას, ერთიანობაში ყველა საბრძოლო მოქმედება სლოვენიაში, ხორვატიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, 1998-99 წლების მოვლენები კოსოვოში, ნატოს ავიაიერიშები, ალბანელი სეპარატისტების შეიარაღებული კონფლიქტები, იუგოსლავიის ძალადობა სერბეთის სამხრეთზე და ალბანელი სეპარატისტების და მაკედონიის შეიარაღებული ძალებისა ჩრდ. მაკედონიაში, მთლიანობაში შეიძლება გავაერთიანოთ ერთ ტერმინში „იუგოსლავიის ომი“, რომლის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა რესპუბლიკების სუვერენიზაციის შემდგომაც კი. იუგოსლავიის დეზინტეგრაციამ თანამედროვე ევროპის ისტორიაში ყველაზე უფრო სისხლიმღვრელი ომი გამოიწვია, რომლის ერთ მხარეს სერბები იდგნენ, მეორე მხარეს – ხორვატები, ბოსნიელი მუსულმანები, კოსოვოს ალბანელები და სლოვენიელები. ეს ომი ბევრმა შეაფასა, როგორც ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების პრაქტიკული გამოვლინება.
7. შიდაბალკანური პრობლემები, რომლებმაც გარეშე ძალების აქტივობასთან ერთად ხელი შეუწყო ფედერაციის რღვევას, თავისი არსით არ იყო არც ბალკანური, არც ევროპული, არამედ მსოფლიო. სხვაგვარად მასში არ ჩაებმებოდნენ ნატო, ევროპის კავშირი, აშშ არ ჩადებდნენ ამდენ ძალისხმევას. დასავლეთმა და პირველ რიგში ევროპამ ვერ შეძლო ამ კონფლიქტის თავიდან აცილება, საბოლოოდ ევროპაში წესრიგის დამყარება ნატოს და პირველ რიგში აშშ-ს მოუხდა. სიმპტომატურია, რომ ბოსნიის კონფლიქტის დასრულების ხელშეკრულება აშშ-ს ქ. დეიტონში დაიდო და არა ევროპის რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში.

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ომის ბელადებზე

(ვაშინგტონი და ადამსი)

ვ. ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში წავაწყდით მის გამონათქვამს და შეფასებებს აშშ-ს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ბელადებზე – ჯ. ვაშინგტონსა და ჯ. ადამსზე. ამ თემაზე მის მსჯელობას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია. ჯ. ვაშინგტონის და ჯ. ადამსის მოღვაწეობას ქართველი პუბლიცისტი დადებითად აფასებს.

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი მეტერნიხზე

ავსტრიის კანცლერის მეტერნიხის მოღვაწეობამ მიიპყრო ქართველი პუბლიცისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ყურადღება. მის პუბლიცისტურ წერილებში რამდენჯერმე გაიჯღერა მეტერნიხის სახელმა. აღსანიშნავია, რომ ის მეტერნიხის მოღვაწეობას მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა. შესაძლოა, ასეთი მიდგომა ცალმხრივი იყოს და ვ. ჩერქეზიშვილი ამუქებდა საქმის ვითარებას.

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის რევოლუციის ბელადებზე

1. ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა მრავალმხრივია საინტერესო. ის თავის პუბლიცისტურ წერილებში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებში. იცნობს ამ ეპოქის გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებას და მოღვაწეობას. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ამ კუთხით ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვევსო ეს ხარვეზი და აღნიშნულ საკითხს საგანგებო ყურადღება მივაქციეთ.
2. ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს მისი როგორც პუბლიცისტის, ჟურნალისტის კიდევ ერთი დამსახურება იყო, რომელიც ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ამ საკითხის შესწავლას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, რომელიც განსაზღვრავს მის მეცნიერულ მნიშვნელობას. ამჯერად შევხებით ვარლამ ჩერქეზიშვილის გამონათქვამებს ინგლისის რევოლუციის თვალსაჩინო

წარმომადგენლებზე: ინგლისის მეფე ჩარლზ I და რევოლუციური ბანაკის ლიდერზე ოლივერ კრომველზე.

3. ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში გაიჟღერა ინგლისის რევოლუციის ბელადების ჩარლზ I და ოლივერ კრომველის სახელებმა. ეს საინტერესოა. როგორი იყო მათი მოღვაწეობისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება? ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაცია ძალიან ცოტაა და არ იძლევა ფართო განზოგადების შესაძლებლობას, მაგრამ ამ მცირე ინფორმაციის შეუფასებლობა არ ივარგებდა და საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყფილიყო ამ საკითხისადმი ვ. ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება.
4. მის ნაწერებში ჩარლზ I სახელმა მხოლოდ ერთხელ გაიჟღერა და ისიც უარყოფით კონტექსტში. კრომველის სახელი მის ნაწერებში ექვსჯერ გვხვდება და უმთავრესად დადებით კონტექსტში. ეს, რა თქმა უნდა, საყურადღებოა და გარკვეულ მნიშვნელობას შეიცავს თუ როგორი შეიძლება ყფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება მათი მოღვაწეობისადმი.
5. ჩარლზ I მოღვაწეობისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია და მისი მიზეზები ვ. ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ჩარლზ I აბსოლიტური მისწრაფებები მასში, ალბათ, ცარიზმის რეჟიმთან ასოცირდებოდა და მიუღებელი იყო. განსაკუთრებით უფრო საინტერესოა კრომველისადმი მისი დამოკიდებულება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრომველის მოღვაწეობას ის მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენებს და მის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანს. აღსანიშნავია, რომ როდესაც მას მის თანადროულ ინგლისის ისტორიაში რაღაც არ მოსწონს უმაღლეს მიმართავს პარალელს კრომველის ეპოქასთან. კრომველისადმი ვ. ჩერქეზიშვილის სიმპათიები, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი აზრით, ორი ფაქტორით უნდა ყფილიყო განპირობებული. თავისუფლებიდასადმი ვ. ჩერქეზიშვილის განსაკუთრებული სიმპათიით და რეფორმაციისადმი აშკარა კეთილგანწყობით. ის კრომველს როგორც პურიტანების ბელადს პატივს ცემს. ამგვარი მიდგომა შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლი. ვ. ჩერქეზიშვილის მიერ კრომველის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სასვსებით კანონზომიერია და მისაღები ჩანს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ კრომველის გაიდილება, რაც შესაძლოა, იგრძნობდა ვ. ჩერქეზიშვილის მიდგომაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.
6. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ასეთი შეიძლება ყფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ინგლისის რევოლუციის ბელადების ჩარლზ I და ოლივერ კრომველის მოღვაწეობისადმი.

ზაალ გოგენია

უახლესი სამხედრო ტექნიკის და

საბრძოლო ტაქტიკის სრულყოფა ესპანეთის სამოქალაქო ომში

(გერმანია-იტალიის მაგალითზე)

სამოქალაქო ომი ესპანეთში თავისი იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური

ქვეკონტექსტებით არმიის და თანამედროვე იარაღის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ხელსაყრელ შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა ესპანური გამოცდილება სხვადასხვაგვარად იქნა გამოყენებული გერმანელების და იტალიელების მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ავიაციას. გერმანელმა ავიაკონსტრუქტორებმა ესპანური გაკვეთილის მაგალითზე და საბჭოთა გამანადგურებლების სამხედრო მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე სრულყვეს თავიანთი თვითმფრინავები. ესპანეთის ცაზე დემონსტრირებულ იქნა გამანადგურებელი ავიაციის უპირატესობა და გამოვლინდა მოიერიშე ავიაციის განვითარების აუცილებლობა. შორი მოქმედების სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა ისწავლეს ჰაერსაწინააღმდეგო არტილერიისგან დასხლეტა, მაგრამ საპასუხისმგებლო მომენტებში გამანადგურებლების საფარველის გარეშე ბომბდამშენები უმწეონი იყვნენ. გამანადგურებლებს კი სჭირდებოდა სიჩქარის პარამეტრების გაზრდა. გამოსავალი მოიხაზა რეაქტიული თვითმფრინავების შექმნით.

დიდი ყურადღება ექცეოდა ტანკებს როგორც უახლესი მოტორიზებული ჯარების შეიარაღების საფუძველს. გერმანელმა სპეციალისტებმა გააკეთეს სწორი დასკვნები, რომ წონის ეკონომია ტანკის სიჩქარის გასაზრდელად ლოგიკური იყო გამოყენებინათ ჯავშინის გაძლიერებისთვის. იტალიური სამხედროების და პოლიტიკოსების რეაქცია მძიმე ტანკების შექმნის აუცილებლობაზე დაგვიანებული იქნა.

გერმანელები ანახლებდნენ როგორც სამხედრო ტექნიკურ პარკს ასევე ტაქტიკურ დადგენილებებს. გენერალ რეიჰენაუს თქმით ესპანეთში გერმანულმა სამხედროებმა ბევრი რამ ისწავლეს, გამოასწორეს ზოგიერთი შეცდომა თავიანთ სამხედრო სტრატეგიაში. მანევრული ბრძოლის და მოულოდნელი საპაერო თავდასხმის ტაქტიკის შეხამებამ, საშუალება მისცა გერმანულ სარდლობას, სრულად შეეფასებინა თითოეული ვარიანტის უპირატესობა და მისულიყო დასკვნამდე მათი შეხამების კეთილგონიერების შესახებ.

შემუშავდა ტაქტიკა – „სიმძიმის ცენტრი“ (Schwerpunkt) რომელიც მოიცავდა თავის თავში არტილერიის, ავიაციის, და ტანკების მოქმედებას. ესპანეთის ომმა დაბადა სტაციონარული ალყის (Sitzkrieg) ტაქტიკა.

მთლიანობაში ესპანეთის ომის გაკვეთილები იტალიელების მიერ შესწავლილ იქნა უფრო ზედაპირულად ვიდრე გერმანელების მიერ.. იტალიელი მფრინავების წარმატებები განიხილებოდა როგორც ინდივიდუალური გამირობები, სერიოზულ განზოგადებას არ ექვემდებარებოდა და შედეგად საფრენი შემადგენლობის სამხედრო მომზადების პროგრამა აქცენტს უკეთებდა უფრო საპაერო აკრობატიკას ვიდრე ჯგუფური საპაერო ბრძოლის მეთოდებს.

ზაალ გოგენია

საბჭოთა დიპლომატია და ესპანეთის სამოქალაქო ომი

(მ. როზენბერგი პირველი საბჭოთა ელჩი ესპანეთში)

1. ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა, მართალია სტალინი ჯერაც არ ჩქარობდა სამხედრო დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მალე ეს მოსალოდნელი იყო. ესპანეთში საბჭოთა ელჩად დაინიშნა გამოცდილი დიპლომატი მარსელ იზრაელის ძე როზენბერგი; რესპუბლიკურ ესპანეთში როზენბერგის ჩასვლას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მათთვის საბჭოებთან ურთიერთობების გაუმჯობესება რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო.
2. რწმუნებათა სიგელის გადაცემისას გაკეთებულ მოკლე მოხსენებაში ახალმა ელჩმა დაარწმუნა რესპუბლიკის მთავრობა, რომ ის და მისი მთავრობა პატივს სცემდა ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ იდეებს და ინსტიტუტებს. თუმცა საქმით როზენბერგის ქცევა აშკარა ეწინააღმდეგება მის სიტყვებს. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ როზენბერგმა ჩამოსვლისთანავე უგულვებელყო საყოველთაოდ მიღებული წესი და არ შეატყობინა ჩამოსვლის შესახებ ესპანეთში აკრედიტებული მისი თქმით „კუდა დიპკორპუსის“ დუაიენს, მაგრამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მოსთხოვეს ამ შეცდომის გამოსწორება.
3. 4 სექტემბერს სოციალისტმა ფ. ლარგო კაბალიერომ ჩამოაყალიბა მთავრობა, რომელშიც კომუნისტებიც შევიდნენ, როზენბერგი დაინტერესდა რა ინსტრუქციები ექნებოდა მას ამასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გააფრთხილეს არავითარ შემთხვევაში არ ჩარეულიყო საშინაო საქმეებში და თავი შეეკავებინა სამთავრობო კომბინაციებზე ზეგავლენისგან. მიუხედავად ამისა როზენბერგის თავდაჯერებულობამ, მისმა თავხედურმა და აბუზარმა ქცევამ მალე დააპირისპირა იგი ესპანეთის ახლა მთავრობასთან და განსაკუთრებით მის მეთაურთან.
4. როზენბერგის ქცევა აღიზიანებდა საკუთარ თანამშრომლებსაც, რაზეც ნათლად მოწმობს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები. მაგალითად, 1936 წლის 16 ოქტომბრის წერილში ვოროშილოვისადმი ესპანეთში სამხედრო ატაშე ვ. გორევი წერდა როზენბერგის მანკიერი თვისებების შესახებ. ესპანეთში საბჭოთა საელჩოს მრჩეველი ი. გაიკისი სახალხო კომისარს წერდა როზენბერგთან თავისი რთული ურთიერთობების შესახებ. საპასუხოდ მ. ლიტვინოვი სთხოვდა გაიკისს ყველაფერი გაეკეთებინა ელჩთან ურთიერთობების დასალაგებლად.
5. 1936 წლის დეკემბრის ბოლოს როზენბერგის საკითხით დაინტერესდა სტალინი. საბჭოთა ლიდერმა ლარგო კაბალიეროს გაუგზავნა წერილი რომელშიც სხვათა შორის თხოვდა შეეფასებინა როზენბერგის საქმიანობა ესპანეთში. საპასუხო წერილში რომელიც თარიღდება 12 იანვრით კაბალიერო დადებითად აფასებდა ელჩის საქმიანობას, თუმცა მათ შორის ურთიერთობა მაღიან იყო დამაბული და კიდევ უფრო დაიძაბა როზენბერგის გამოწვევამდე 1937 წლის თებერვალში. კაბალიეროს წერილი ექვ ქვემ აყენებს ცნობილ ისტორიებს ელჩსა და პრემიერს შორის მაგრამ ეს პოზიცია აიხსნება საბჭოთა ხელმძღვანელობასთან საუკეთესო მდგომარეობის სურვილით. მიუხედავად დადებითი შეფასებისა 1937 წლის თებერვალში როზენბერგი გაიწვიეს მოსკოვში, დანიშნეს ახალ თანამდებობაზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელად თბილისში, თუმცა ის იქ არასდროს ჩასულა. 1937 წლის 26 დეკემბერს დააპატიმრეს ხოლო 1938 წლის

მარტში დახვრიტეს. მისი ბედი დიდხანს გაურკვეველი იყო.

6. რატომ მოიშორეს მ. როზენბერგი? ზოგი ამას უკავშირებს ელჩის გამომწვევ ქცევებს, მის მუდმივ მცდელობას ჩარეულიყო ესპანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში, ეს აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგანაც ესპანეთში მივლენილი ყველა რუსი მოხელე თუ ოფიცერი თითქმის ერთნაირად იქცეოდა მხოლოდ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი დიპლომატის გაქრობის საფუძველად. ზოგის აზრით როზენბერგი თვლიდა, რომ სტალინის და ჰიტლერის პოლიტიკა ესპანეთში მსგავსი იყო და ხშირად უთითებდა ამ პოლიტიკის სიბეცეზე რაც მას არ აპატიეს. ამ აზრსაც ვერ გავიზიარებთ. მართებულად მიგვაჩნია აზრი, რომ როზენბერგმა თავისი მისია შეასრულა (მათ შორის ოქროს გაგზავნის ოპერაცია) ის უკვე საჭირო არ იყო, თან ძალიან ბევრი იცოდა და შესაბამისად მოიშორეს. ვთვლით, რომ ელჩი სპეციალური მისიით იყო მივლენილი, (დანიშვნისას გათვალისწინებული იყო მხოლოდ როზენბერგის უნარები ფარული დიპლომატიასა და არაფორმალურ მოლაპარაკებებში) სხვა ახსნა არ აქვს ესპანეთში პირველ ელჩად ისეთი ადამიანის გაგზავნას რომელმაც ენა არ იცოდა და არც ესპანელების ხასიათს იცნობდა.
7. აშკარა ფაქტებისა და საყოველთაოდ მიღებული აზრის საპირისპიროდ ზოგიერთი მკვლევარი თვლის (მაგალითად ნ. პლატოშკინი), რომ როზენბერგი არ მონაწილეობდა საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, პრემიერთან წინააღმდეგობას კი ხსნის ელჩის მოითხოვნით უფრო ენერგულად ეწარმოებინა ომი და სამხედრო დახმარებაც გამოეყენებინათ რაციონალურად. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს ამ დებულებების სიმცდარეს. ვიზიარებთ იმ დროს საფრანგეთში ესპანეთის ელჩის ლ. არაკისტაინის აზრს იმის შესახებ, რომ მიუხედავად დიდი ცოდნისა, რომელიც როზენბერგმა დააგროვა ერთა ლიგის დერეფნებში ის აღმოჩნდა სრულიად უვიცი ესპანელებთან მიმართებაში.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლეილა ხუბაშვილი	კავკასიის ლანდშაფტი: კულტურული მემკვიდრეობა და იდენტობა	რომულდო დელ ბიანკოს ფონდის ექსპერტთა ყოველწლიური XV საერთაშორისო მრგვალი მაგიდა თემაზე: კულტურათაშორის დიალოგი კულტურული

			<p>მემკვიდრეობის, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის გზით. ფლორენცია, იტალია, 2013წ. 16 მარტი</p>
<p>მოხსენებათა ანოტაციები</p>			
<p>ლეილა ხუბაშვილი</p>			
<p>კავკასიის ლანდშაფტი: კულტურული მემკვიდრეობა და იდენტობა</p>			
<p>კავკასიას უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ის ერთგვარი ღერძია, სადაც ერთმანეთს ეჯახება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. კავკასიაში არსებული ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა შესაძლებელია კულტურული დიალოგის საფუძველზე.</p>			
<p>კავკასიის ხალხებს შორის კულტურის მრავალი საერთო მახასიათებელი არსებობს, მაგრამ ამავე დროს ყველა ერთ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია. საუკუნეების განმავლობაში მეზობელი ქვეყნები ერთმანეთისგან იღებდნენ კულტურულ მიღწევებს და ამავე დროს საკუთარს განსაკუთრებულობასაც ინარჩუნებდნენ. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში მცხოვრები 50-დე ეთნოსიდან ყველამ საკუთარი, ორიგინალური კულტურა შექმნა. 1821 წელს შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაილა წერდა: „კავკასიის მთელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ“. კავკასიის ერთიანი კულტურა უნიკალური პლაცდარმია საერთო პოლიტიკური სივრცის შესაქმნელად, სადაც ურთიერთობები აგებული იქნება ისტორიულ თანაცხოვრებაზე, საერთო ისტორიაზე, ერთაშორის დიალოგსა და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების გამოცდილებაზე.</p>			
<p>იშვიათი არაა შემთხვევები, როცა ისტორიული ფაქტების დამახინჯება ხდება და მითოლოგემები იქმნება, რაც დამაბულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ერთმანეთის ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ ცოდნა ყველა რიგით მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, აღარაფერს ვამბობთ სახელმწიფო მოღვაწეებზე, რომლებსაც ხშირი ურთიერთობები აქვთ კავკასიელებთან. კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქია, არამედ ისტორიულ-კულტურული რეგიონიც. კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნოსების ერთიან, ისტორიულ-კულტურულ არეალში მოქცევა ძირითადად განპირობებულია საერთო ანთროპოლოგიური ტიპით, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ელემენტების მსგავსებით. დიდია მსგავსება სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში,</p>			

მენტალიტეტში. მაგრამ კულტურის საერთო ელემენტებთან ერთად კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები და მენტალობა ჰქონდა ყოველთვის, რამაც მათ მიუხედავად ისტორიული კატაკლიზმებისა, იდენტობა შეუნარჩუნა.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. ქარჩავა	How to teach Native History to the pupils of Georgian Diaspora Schools	Seville, Spain
2	ლევან გორდეზიანი	Probleme der alten Geschichte Georgiens	ოლდენბურგის უნივერსიტეტი (გერმანია), 03.12.2013
3	ლევან გორდეზიანი	Regional Meeting of Ministers of Education on the Implementation of the European Higher Education Area, მომხსენებელი	ერევანი, 17-18.10. 2013

თარიღი:

ინსტიტუტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება თსუ,

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ქართული ლიტერატურის ისტორიის ს/ს ინსტიტუტი:

- ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი
- ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი
- უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი
- ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი.

1. ელგუჯა ხინთიბიძე - სრული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
 2. ლელა ხაჩიძე - ასოცირებული პროფესორი
 3. ნესტან სულავა - ასოცირებული პროფესორი
 4. მაკა ელბაქიძე - ასოცირებული პროფესორი
 5. ნანა გონჯილაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი.**
6. ვლადიმერ მინაშვილი - ასოცირებული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
 7. თამარ შარაბიძე - ასოცირებული პროფესორი
 8. ეკა ვარდოშვილი – ასოცირებული პროფესორი
 9. ინგა მილორავა – ასისტენტ პროფესორი
- უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტი.**
10. კახაბერ ლორია - სრული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
 11. რუსუდან ბურჯანაძე - ასოცირებული პროფესორი
 12. რუსუდან ნიშნიანიძე - ასოცირებული პროფესორი
 13. თამარ პაიჭაძე - ასოცირებული პროფესორი
- ფოლკლორისტიკის დეპარტამენტი.**

- 14. ქეთევან სიხარულიძე - ასოცირებული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
- 15. ტრისტან მახაური – ასოცირებული პროფესორი
- 16. ხეთისო მამისიმედიშვილი – ასოცირებული პროფესორი
- 17. ელენე გოგიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი

**II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლები	თამარ შარაბიძე	თამარ შარაბიძე , ინგა მილორავა, ამირან არაბული, თამარ ციციშვილი, ქეთევან შენგელია, ქეთევან ნინიძე, თამაზ ვასაძე
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია) კვლევითი სამუშაო დაიწყო 2012 წლის იანვარში, ამჟამად დასრულებულია, მიმდინარეობს მისი რეცენზირება და დასაბეჭდად მომზადება</p>			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ქართული ფოლკლორის ენციკლოპედია	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი	ა. არაბული (რედაქტორი), ე. თათარაძე, ქ. სიხარულიძე, თ. ჯაგოდნიშვილი
<p>2013 წლის მისიდან დაიწყო მუშაობა ქართული ფოლკლორის ენციკლოპედიაზე, რომელზეც ფოლკლორისტების გარდა, მუშაობენ ეთნოგრაფები და ეთნომუსიკოლოგები. დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა, ჯერჯერობით მუშაობა მიმდინარეობს სიტყვანზე. ამ დროისთვის მოძიებულია და ელექტრონულ ბილიოთეკაში ატვირთულია 34061 სიტყვა. ქ. სიხარულიძის</p>			

მიერ ატვირთულია 834 სიტყვა. 2014 წლის იანვრიდან დაიწყება მუშაობა სტატიებზე.			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	ფოლკლორული ექსპედიცია მარტვილის რაიონში (2013 წლის 24 ივლისი - 29 ივლისი)	ხ. მამისიმედიშვილი	ხ. მამისიმედიშვილი და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები
ექსპედიციის წევრებმა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოიძიეს სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორული მასალა: საწესჩვეულებო და სატრფიალო ლექსები, მითოლოგიური გადმოცემები, შელოცვები, მეგრული ზღაპრები (მეგრულ ენაზე), დემონოლოგიური თქმულებები ჭინკებზე, მესეფებზე, კუდიანებზე, ტყაში მაფასა და ოჩოკოჩზე; ხალხური ტექსტები არამხუტუს შესახებ, რწმენა-წარმოდგენები ადამიანისა და გველის ურთიერთობის შესახებ, გადმოცემები ნატურისთვის. აგრეთვე ჩაწერილი იქნა მნიშვნელოვანი მასალები სხვადასხვა რიტუალების შესახებ, როგორცაა პატონეფი, ოხვამური, ოდაბადე, წაჩხურობა, ჭეჭეთობა, ჭვენეირობა და სხვ. ტექსტები დამუშავდა, გაკეთდა მათი კლასიფიკაცია და განთავსდა თსუ ფოლკლორის არქივში.			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა - 2013	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; თანადამფინანსებელი: ქართველოლოგიური	ელგუჯა ხინთიბიძე	თამარ მელიქიძე, სოფიო გულიაშვილი, ცირა ვარდოსანიძე, თამთა გრიგოლია, მარიამ ნოდია,

		სკოლის ფონდი		ზაზა ხინთიბიძე, არიანე ჭანტურია.
--	--	--------------	--	-------------------------------------

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

„საზაფხულო სკოლა-2013“ გრანტი გამოყოფილი იყო ქართველოლოგიური სკოლის ფონდისათვის, რომელიც შესრულდა ჩემი ხელმძღვანელობით. ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა არის ის ტრადიციული პროექტი, რომელსაც ქართველოლოგიური სკოლის ფონდი ყოველწლიურად ატარებს 1995 წლიდან. ეს პროექტი, რომელიც უკვე ძალზე პოპულარულია უცხოეთის საგანმანათლებლო ჰუმანიტარულ წრეებში, ქართველოლოგიური საქმიანობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. წლების მანძილზე ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო ორასზე მეტმა უცხოელმა სტუდენტმა თუ ახალგაზრდა სპეციალისტმა. ბევრმა მათგანმა გააგრძელა თავისი შემდგომი მოღვაწეობა ქართველოლოგიური მეცნიერების ფარგლებში და დასაქმებულნი არიან უცხოეთში სხვადასხვა უნივერსიტეტებში, ან საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დაწესებულებებში - მიმდინარე წელს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა შვიდი უცხოელი მსმენელი - გერმანიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ავსტრიიდან. (ჯოზეფ სპარსბროდი, ემილია ანა ფლორუაკი, ლაურა ბეკერი, ნიკიტა ვერემევი, ანასტასია მარიუხინა, ფილომენა გრასელი, ტიმოთი ბარეტი). საზაფხულო სკოლის პროგრამის მუშაობაში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახალგაზრდა თანამშრომლები: თამარ მელიქიძე, სოფიო გულიაშვილი, თამთა გრიგოლია, ცირა ვარდოსანიძე. ყოველდღიურ გაკვეთილებს ქართულ ენაში ატარებდნენ თსუ-ს პროფესორი ზაზა ხინთიბიძე, ოსლოს უნივერსიტეტის მაგისტრანტი მარიამ ნოდია (ჩემი ყოფილი მაგისტრანტი). ლექციები ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით წაიკითხეს მარიამ ლორთქიფანიძემ (საქართველოს ისტორია), მზექალა შანიძემ (ქართული ენის ისტორია), რისმაგ გორდეზიანი (ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები), ვახტანგ ლიჩელი (ქართული არქეოლოგია), ელგუჯა ხინთიბიძე (ქართული ლიტერატურა), ელენე კობიაშვილი (ქართული ფოლკლორისტიკა), ალექსანდრე რონდელი (თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა), თამარ მესხი (ქართული ხალხური მუსიკა). საზაფხულო სკოლა მიმდინარეობდა 9 ივლისიდან 15 აგვისტომდე.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი - "ქართველოლოგი"	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ელგუჯა ხინთიბიძე	თამარ მელიქიძე, სოფიო გულიაშვილი, ცირა ვარდოსანიძე, ირინა ჯავახაძე, მარიამ ნოდია.

ანოტაცია:

საგრანტო პროექტი *ელექტრონული ჟურნალი - "ქართველოლოგი"* ფინანსდება 2011 წლის აპრილიდან და გრძელდება 2014 წლის აპრილამდე. აფინანსებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ჟურნალი "ქართველოლოგი" ბეჭდური სახით გამოდის 1993 წლიდან ჩემი რედაქტორობით. 2011 წლიდან კი იგი პარალელურად ელექტრონული ფორმითაც გამოდის. რუსთაველის ფონდის გრანტი ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსიის შექმნას აფინანსებს. ჟურნალი ორენოვანია (ინგლისური და ქართული) და მასში იბეჭდება ერთი მხრივ ქართველოლოგიური მეცნიერების პრობლემატიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ემსახურება ქართველოლოგიური მეცნიერების თანამედროვე პრობლემებით საზღვარგარეთელი მეცნიერების ინფორმირებას და მეორე მხრივ ქართველოლოგიურ მეცნიერებაში საზღვარგარეთელი მეცნიერების უახლესი მიღწევების შემოტანას. პროექტში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ: აწ განსვენებული არიანე ჭანტურია, ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, თამარ მელიქიძე, სოფიო გულიაშვილი, ირინა ჯავახაძე, ცირა ვარდოსანიძე, მარიამ ნოდია.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მაკა ელბაქიძე	ნონა კუპრეიშვილი, ზოია ცხადაია, მანანა შამილიშვილი, ადა ნემსაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა კვატია, მაკა ჯოხაძე

„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)“

საგრანტო პროექტი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)“ მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპის – საქართველოს გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდის მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით. თანამედროვე ქართული ინტელექტუალური საზოგადოება, მართალია, მიუბრუნდა ამ ეპოქას, მაგრამ დაგეგმილი სამეცნიერო კვლევა სცილდება აღწერით-კომპილაციურ ეტაპს და უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელებას ისახავს მიზნად.

პროექტი არის პირველი მეთოდოლოგიური მცდელობა იმისა, რომ სრულიად ახალ რაკურსში იქნას გააზრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი – 1921–1941 წლები. პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, შსს არქივში დაცული უცნობი და ნაკლებად ცნობილი დოკუმენტური მასალების გამოვლენა, მეორე მხრივ კი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით საკვლევ პერიოდის ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული ანალიზის ჩატარება.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ირმა რატიანი	მაკა ელბაქიძე, ივანე ამირხანაშვილი, გოჩა კუჭუხიძე, გაგა ლომიძე, რუსუდან ცანავა, თამარ ბარბაქაძე, ინგა მილორავა, კონსტანტინე ბრეგაძე, მანანა კვაჭანტირაძე, თამარ ციციშვილი, მაგდა მჭედლიძე

„ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“

პროექტი „ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი (ბილინგვური პროექტი)“ არის პირველი მეთოდოლოგიური მცდელობა იმისა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია გააზრებულ იქნას ფართო ლიტერატურულ-კულტურულ ჭრილში, კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და სტრუქტურული გადაკვეთების, თანხედომებისა და წინააღმდეგობების კონტექსტში. პროექტის მეთოდოლოგიური ჩარჩო ეფუძნება კომპარატივისტულ და ჰერმენევტიკულ კვლევებს. საკვლევ ობიექტად მონიშნულია ქართული ლიტერატურის განვითარების კონრეტული ეტაპები – ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა (V-XII სს) , განმანათლებლობის, რომანტიზმისა და რეალიზმის ეპოქა (XVI–XIX საუკუნეები), მოდერნიზმისა და ნეორეალიზმის ეპოქა (XX საუკუნის ცალკეული პერიოდები 90–იან წლებამდე).

კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაადასტუროს, რომ მსოფლიო ლიტერატურა და ნაციონალური ლიტერატურები, ქართული მათ შორის, განაპირობებენ ერთმანეთს და ქმნიან საერთო-ლიტერატურულ პარადიგმას. სწორედ ამ ჭრილში იქნება გააზრებული ქართული

ლიტერატურის ისტორიის ცალკეული მონაკვეთები, რათა კვლევის ობიექტური შედეგებით ჩანაცვლდეს ხშირად არასწორი და უმართებულო ინტერპრეტაციები ქართული ლიტერატურის ისტორიისა. ამის პრაქტიკულ საშუალებას მოგვცემს პროექტის ბილინგვურობა, რაც ითვალისწინებს კვლევის შედეგების წიგნად გამოცემას ქართულ (ნაბეჭდი) და ინგლისურ (ელექტრონული) ენებზე და, შესაბამისად, განთავსებას საერთაშორისო ინფორმაციულ-კომუნიკაციურ სიბრტყეზე.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ტერმინი, ცნება და პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		
2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში	სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (შოთა რუსთაველის ფონდი)	რუსუდან ჩოლოყაშვილი	ქ.სიხარულიძე, ე. გოგიაშვილი, ი. ყველაშვილი, ო. ონიანი და სხვ.
<p>მიმდინარე პროექტში ჩემი კვლევის სფეროა ამირანის თქმულების შესწავლა მხატვრული აზროვნების ფორმების არსებობისა და მათი ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. გავეცანი ხალხური თქმულების ტექსტების სხვადასხვა დროის ჩანაწერებს. ტექსტების გაცნობის შემდეგ ცალკე დავაჯგუფეთ მთისა და ბარის ვარიანტები, რადგან მათში შეინიშნება გარკვეული განსხვავება სიუჟეტის სისრულისა და სიძველის, ასევე სახე-სიმბოლოთა მითოლოგიური შინაარსის თვალსაზრისით. შესაძლებელი გახდა ამირანიანის ტექსტებიდან ამოკრეფილი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სახე-სიმბოლოების კლასიფიკაცია მათი გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით.</p>				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	ხელება	ორგანიზაცია	ო	
	„მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში“	სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (შოთა რუსთაველის ფონდი)	რუსუდან ჩოლოყაშვილი	ქ. სიხარულიძე ი. ყველაშვილი თ. ქურდოვანიძე ქ. ელაშვილი ო. ონიანი

მიმდინარე პროექტში ჩემი კვლევის სფეროა ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, საზღაპრო ეპოსში ქრისტიანული და ქრისტიანობამდელი მსოფლმხედველობების ურთიერთმიმართების საკითხი.

მითოსური და ქრისტიანული სიმბოლოები ზღაპრის სტრუქტურაში არ არის ერთმანეთისგან განცალკევებული და ურთიერთგამომრიცხავი. ზოომორფულ სიმბოლოთა შესწავლამ აჩვენა, რომ ერთსა და იმავე ზღაპარში არსებობს მითოსური ტრადიცია და შემდეგდროინდელი რელიგიური მსოფლმხედველობაც.

ზღაპარმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღოს რელიგიური დატვირთვა, თუ ქრისტიანული პერსონაჟები შემწისა და მწყალობლის ფუნქციით შემოდიან. თუ ისინი საყოფაცხოვრებო ზღაპრებისა და ანეკდოტების მთავარ პერსონაჟებს წარმოადგენენ, მაშინ სახეზე გვაქვს პროფანაცია. როცა რელიგიური ცნებები და რელიგიური შინაარსი ერთმანეთს შეესაბამება, ასეთი რამ მხოლოდ იმ ლეგენდებში ან ზღაპრებშია, რომლებიც ქრისტიანულ ტრადიციათა პროდუქტს წარმოადგენენ.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე	ქართული ლიტერატურა	“საქართველოს მაცნე” თბილისი 2013	590

		(IX საუკუნე)		
<p>წიგნი წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ნარკვევებს. ადო მინაშვილს ეკუთვნის ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაი წერეთლის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, იოსებ დავითაშვილის, ალექსანრდე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის ცხოვრებათა და შემოქმედებათა ანალიზი. 2013 წლის 7 ნოემბერს ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში შედგა ამ წიგნის წარდგენა-პრეზენტაცია. რეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ და წიგნს მაღალი შეფასება მისცეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. შერგო ვარდოსანიძემ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ვახტანგ გურულმა, პროფ. გია ალიბეგაშვილმა, პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ, პროფ. ნინო მამარდაშვილმა, დოქტორანტმა ლევან ბებურიშვილმა. ვრცელი რეცენზია წიგნის შესახებ წარმოადგინა ფილოლოგიის დოქტორმა ხათუნა მემანიშვილმა (მისი სტატია წიგნის შესახებ დაისტამბა ჟურნალ “ჩვენ მწერლობაში”; იგივე სტატია და ლევან ბებურიშვილის სიტყვა გამოქვეყნდა წიგნში “იუზა ევგენიძე – წიგნი ეძღვნება იუზა ევგენიძის ხსოვნას.”)</p>				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი ალიბეგაშვილი, რევაზ სირაძე, ნესტან სულავა	ქართული ლიტერატურა, I.	თბილისი, “საქართველოს მაცნე”	გვ. 424
2				
ანოტაციები				
წიგნი მიზნად ისახავს IV-XVIII სს. ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის				

წარმოჩენას, გვაცნობს მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითად პრობლემატიკას – თემატიკას, მხატვრულ სამყაროს, ქართული ლიტერატურის ტენდენციებს მისი არსებობისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ნიშნიანიძე	სამეცნიერო კრებული „ქართული ემიგრაცია“ #1/(4)	თბილისი	გვ. 89-98
2	რ. ნიშნიანიძე	წიგნაკი „პეტრე ხვედელიძე–ლეგენდარული ქართველი“	გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“	გვ. 3-31
3.	რ. ნიშნიანიძე	ქართული დიპლომატია. წელიწდეული 16	გამომცემლობა „არტანუჯი“ თბ.	გვ. 346-371

ანოტაციები

1. „ქართველი გენერლების ლიტერატურული ტექსტები“ - სამეცნიერო კრებული „ქართული ემიგრაცია“ #1/(4)

წერილი ეხება ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში დევნილ ქართველ სამხედრო პირებს და უმთავრესად, გენერლებს, რომლებსაც ეკუთვნით არაერთი ლიტერატურული ტექსტი; ისინი

ქვეყნდებოდა ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს ნაწარმოებები არაერთი თვალსაზრისითაა საყურადღებო და ანგარიშგასაწევი.

2. „პეტრე ხვედელიძე-ლეგენდარული ქართველი“ -

წიგნაკში საუბარია უხუცეს ქართველ ემიგრანტზე, პეტრე ხვედელიძეზე, მის ბიოგრაფიაზე, მოღვაწეობაზე და თანამედროვე რეალობაზე. დიალოგი მით უფრო მნიშვნელოვანი იმითაა, რომ თავად ბატონი პეტრე იხსენებს და აზუსტებს არაერთ ფაქტს. მასთან შეხვედრა შედგა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2012 წელს.

3. „ნიკოლოზ(კარლო) ჩხეიძე -საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე - ლიტერატურული პერსონაჟი“ – ქართული დიპლომატია. წელიწდეული 16

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პიროვნება არაერთი ქართველი მწერლისა თუ პოეტის დაინტერესების საგნად იქცა. შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, ჯონ რიდი, ბიუმში, რაღვი, წერეთელი, როსტომ ჩხეიძე – არასრული ჩამონათვალი იმ ავტორებისა, რომელთა პიესებში, პოემაში, დოკუმენტურ პროზაში სრულიად განსხვავებულად დაიხატა მთავრობის ერთ-ერთი ლიდერის ლიტერატურული პორტრეტი.

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსანი შექსპირის ლიტერატურული წყარო“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), („ქართველოლოგი“)	№ 19	თბილისი, საგამომცემლო ჯგუფი „ქართველოლოგი“.	გვ. 71-136
		„ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის	

2	ელგუჯა ხინთიბიძე	<p>მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში“</p> <p>კრებული: „ათონი: საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“.</p> <p>„შექსპირის ვეფხისტყაოსანი“,</p> <p>თბილისი OUT</p>	№4	<p>საგამომცემლო სერია: „გზამკვლევი“.</p> <p>თბილისი</p>	
3	ელგუჯა ხინთიბიძე	<p>„მილან კუნდერას ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“.</p>	№35		
4.	მაკა ელბაქიძე	<p>მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება) – მასალები.</p> <p>შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ</p>	ტ.1	<p>თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.</p>	გვ., 375–385

5.	მაკა ელბაქიძე	<p>კატეგორიათა ურთიერთმიმართებისათვის (სილამაზე/მშვენიერება). ჟურნ. "სჯანი".</p> <p>Николай Заболоцкий и Грузия. Научно- практическая конференция «Иверский Свет». Руско- грузинские поэтические связи 20-го века.</p>	#14	<p>თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.</p> <p>Тбилиси</p>	გვ.77-91
6.	მაკა ელბაქიძე	<p>სადვთისმეტყველო ტერმინთა არსისათვის ჰიმნოგრაფიაში და მათი ტრანსფორმაცია საერო მწერლობაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული,</p> <p>ნიკოლოზ გულაბერისძის სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწეობიდან. სამცხე-</p>		გორი	стр.55-67

7	ნესტან სულავა	<p>ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები, გულანი</p> <p>წმ. გიორგი მთაწმიდელი და ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემა. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი, „ანალები“</p>	# 4.		გვ. 87-101.
8	ნესტან სულავა	<p>მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში. თსუ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები</p> <p>ქართული ჰიმნოგრაფია. ე.: ქართველოლოგი,</p>	# 13	<p>გამომც.: „ახალციხის უნივერსიტეტი“</p> <p>თბ., გამომც. „უნივერსალი“</p>	გვ. 192-217.

9		<p>ელექტრონული ვერსია.</p> <p>სოფელი და ზესთასოფელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. „მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ“, მიხეილ ქავთარია _ 80, სამეცნიერო შრომების კრებული</p>	#9.	<p>თბ., „მერიდიანი“</p>	გვ. 242-257.
10	ნესტან სულავა	<p>წმინდანის ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში. თსუ, ჰუმანიტარული კვლევები, „წელიწდეული“,</p>	VII	<p>გამომც. „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ)</p>	გვ. 129-138.
11	ნესტან სულავა	<p>„ვეფხისტყაოსნის“ „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ _ დროსივრცული სახისმეტყველება. რუსთველოლოგია</p>	# 4.	<p>საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ. (გამოვიდა 2013</p>	გვ. 98-113.

12	ნესტან სულავა	სახისმეტყველებითი ასპექტები წმ. გიორგი მთაწმიდელის წმ. იოანესა და წმ. ეფთვიმეს „ცხოვრებაში“. „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს“ – კრებული ეძღვნება პროფ. ზურაბ ჰაპასკირის დაბადების 60 წლისთავს		წელს). თსუ გამომცემლობა	გვ.185-202.
13	ნესტან სულავა	დავით გურამიშვილის ლოცვისა და სამებისადმი ვედრების ინტერპრეტაციისათვის	#2.	ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ.,	გვ. 144-172.
14	ნესტან სულავა		VI.	სოხუმის უნივერსიტეტი, თბ.,	გვ. 504-528.

15	ნესტან სულავა			საინტერნეტო გამოცემა. ISSN 1987- 8583.I	
16	ნესტან სულავა	<p>თუმიან გოჯიშვილი. „გულანი“, სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული</p> <p>ეთნიკურ და რელიგიურ- კონფესიურ ურთიერთობათა ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში. ეთნიკური</p>	<p>ივანე ჯავახიშვი ლის სახელობის თბილისის სახელმწიფ ო უნივერსიტ ეტის ჰუმანიტარ</p>		გვ. 103-116.

		<p>და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა. რესპუბლიკური კონფერენციის მასალები</p> <p>ლევან გოთუას „გარეჯულა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი გააზრებანი</p>	<p>ულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, 7, აპრილი.</p>	<p>ახალციხე, ახალციხის უნივერსიტეტის გამომცემლობა.</p>	
17	ნესტან სულავა	<p>იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი</p>	#12		
18		<p>„სული, საქმით მეტყველი“ (რუსულ ენაზე) – ეძღვნება ბ–ნ რევაზ სირაძის ხსოვნას.</p>	# 1	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა</p>	გვ. 107-117.

	ნესტან სულავა	<p>რუსთველური მოყვრობა- მეგობრობის რამდენიმე ასპექტის შესახებ</p> <p>სვეტი-ცხოველი – სახისმეტყველებითი ძიებანი, სიმბოლური გააზრებანი და წყაროთმცოდნეობითი კვლევა.</p>		<p>ფაკულტეტის ეთნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი</p> <p>თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტ. ინსტიტუტის გამომც.</p>	გვ. 96-103
19	ნანა გონჯილაშვილი	<p>რუსთველური „მოყვრობის“ სამი უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში</p>	ძიებანი, XXXIII (იბეჭდება)	<p>თბილისი, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, თსუ</p>	
20	ნანა გონჯილაშვილი	ალ. ყაზბეგის მხატვრული	ქართველო ლოგი (იბეჭდება) ატვირთულ ია	<p>თბილისი. თსუ გამომცემლობა</p>	გვ. 43-47

21	ილი ნანა გონჯილაშვილი	შემოქმედების ეთნოგრაფიული საფუძვლებისათვის. საერთაშორისო სამეც.კონფ. "ვერა ბარდაველიძე - 110" მოხსენებათა კრებული	ვებგვერდი ე – www.kartvelologi.tsu.ge	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.175–206	გვ. 42-43; 292-293
22	ნანა გონჯილაშვილი	ეთნიკურ-რელიგიური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ალ. ყაზბეგის პროზაულ თხზულებებში. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში; რეგიონალური კონფერენციის მოხსენებათა ტექსტ.	«Грузинская русистика» (იბეჭდება) რუსთაველოლოგია, VI	თბილისი, გამომც. „არტანუჯი“	315-320
23	ნანა გონჯილაშვილი	კავკასიის თავისუფლების იდეის ასახვისათვის ილია ჭავჭავაძის პოეტურ ქმნილებებში. კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები	კრებული „წმინდანო“ II (იბეჭდება)	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, გვ.267–299	315-318

24	ნანა გონჯილაშვილი	ვაჟა-ფშაველა, როგორც "ვეფხისტყაოსნის" მკვლევარი, VI საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ემდგნება "ვეფხისტყაოსნის" პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს	შრომათა კრებული, №4	თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი"	266-270 გვ.
25	ე. ვარდოშვილი	ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნის დასაწყისში, II საერთაშორისო კონფერენციის _ "ენა და კულტურა" _ მასალები. ქართული სათეატრო მწერლობის მამამთავარი ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ყოველწლიური აღმანახი "მწიგნობარი"	#1	თბილისი. თსუ გამომცემლობა	6 გვ.
26	ე. ვარდოშვილი	ქართული სათეატრო მწერლობის მამამთავარი ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ყოველწლიური აღმანახი "მწიგნობარი"	#1	თბილისის	4 გვ.

		<p>„პროფესორ იუზა ევგენიძის ხსოვნას.“</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“</p>		<p>უნივერსიტეტის გამომცემლობა</p>	
27	<p>ქ. ვარდოშვილი</p>	<p>„ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს“</p> <p>ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ყოველწლიური ჟურნალი „სჯანი“</p>		<p>თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი</p>	გვ.269–276
28	<p>თამარ შარაბიძე</p>	<p>ადამიანი, როგორც პერსონაჟი კავკასიელთა წეს-ჩვეულებებში</p>		<p>ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომც. "მერიდიანი", 2013</p>	გვ.355–360

	<p>თამარ შარაბიძე</p>	<p>რატომ არ თვლიან ხევსურები ამირანს გმირად</p>		<p>წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამომცემლობა, თბილისი.</p>	<p>გვ. 40-48</p>
<p>29</p>			<p>#2</p>	<p>თბილისი</p>	
<p>30</p>	<p>ლადო მინაშვილი</p>	<p>ფოლკლორი და სტრუქტურალიზმი, ვერა ბარდაველიძე 110, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა</p>		<p>შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა,</p>	<p>გვ. 201-203</p>

	<p>ლადო მინაშვილი</p>	<p>კრებული</p>		<p>თბილისი</p>	<p>გვ. 21-27</p>
<p>31</p>		<p>ესპანური ანდაზები ქართულ ენაზე, - ქართული ფოლკლორი</p>	<p>№1 (7)</p>	<p>გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი,</p>	
<p>32</p>	<p>ლადო მინაშვილი</p>	<p>ჩრდილოკავკასიელ და ქართველ მთიელთა ურთიერთთავდასხმების ამსახველი საგმირო ლექსები, - ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა. 2013 წლის რეგიონალური კონფერენციის მოხსენებათა ტექსტები.</p>			<p>გვ. 83-92</p>
<p>33</p>	<p>ქეთევან სიხარულიძე</p>	<p>ერთგულების გამოცდა: უილიამ შექსპირის „ციმბელინი“ და ნოველისტური ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტი ATU 882, - შექსპირის</p>	<p>№ 14</p>	<p>იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავი სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი</p>	<p>2</p> <p>7</p>

34	<p>ქეთევან სიხარულიძე</p> <p>ელენე გოგიაშვილი</p>	<p>სამყარო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული</p> <p>ბაიათი და ქართული შაირი, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“</p> <p>ბედი მიხა ხელაშვილისა, წიგ- ნიდან: „მიხა ხელაშვილი, სიტყვა ლექსებად ნაქარგი“</p> <p>„წარმართული დანაშრევები“ აღმ- ოსავლეთ საქართვე</p>	<p>ვერა ბარდაველი ბე-110 საერთაშორ ისო სამეცნიერო კონფერენცი ის მოხსენებათ ა კრებული</p> <p>საერთაშორ ისო სამეცნიერო კონფერენცი ა</p> <p>„კულტურა თაშორისი დიალოგები “, II</p>	<p>თბილისი, „უნივერსალი“</p> <p>თბილისი, „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“</p> <p>თბილისი, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”</p>	<p>14</p> <p>21 გვერდი (გვ. 431-432)</p> <p>6 გვერდი (გვ. 492-497)</p>
----	---	---	--	--	--

35		<p>ლოს მთიანეთის</p> <p>საკულტო ტექსტებში</p>			
36	<p>ელენე გოგიაშვილი</p>	<p>გოტფრიდ მერცბახერი კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების შესახებ “კადმოსი”, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი</p>	<p>6 (XXII), 2013</p>	<p>თბილისი, „უნივერსალი“</p>	<p>გვ. 30–34</p>
37	<p>ელენე გოგიაშვილი</p>	<p>რეცენზია წიგნზე: Людвиг Чибиров, Традиционная духовная культура осетин, РОССПЭН, Москва, 2008, „კადმოსი“, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი</p>	<p>კრებული I. 2013</p>	<p>თბილისი</p>	<p>გვ. 54–55</p>
		<p>„სუფთა წერა დიდებისათვის“ ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“</p>			<p>გვ. 2–3</p>

38	<p>ელენე გოგიაშვილი</p> <p>ტრისტან მახაური</p> <p>ტრისტან მახაური</p>	<p>„სემინარი გრძელდება... ამჯერად – „ღირსება“</p> <p>ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“</p> <p>„საშობაო გზავნილები – დღესასწაული გრძელდება“</p> <p>ჟურნ.„ჩვენი მწერლობა“</p>	2013	<p>თბილისი</p> <p>თბილისი</p> <p>თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</p>	
----	---	--	------	---	--

39	ტრისტან მახაური			თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	
40	ხ. მამისი მედიშვილი		№16		
41	ხ. მამისი მედიშვილი		წიგნიდან: „ვერა ბარდაველი ძე -	თბილისი თბილისი	

42	რ. ნიშნისანიძე		110“ #4 #12 (194)		
43	რ. ნიშნისანიძე		#13 (195)		
44	რ. ნიშნისანიძე		(27 დეკემბრის ნომერში – იბეჭდება)		

45					
46					
47					

ანოტაციები

1. სტატიაში ხდება პირველი პუბლიკაცია ქართველოლოგიური მეცნიერებისა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიისათვის სრულიად ახალი და ძალზე მნიშვნელოვანი სიახლისა. *ვეფხისტყაოსანი* სიუჟეტურ წყაროდაა გამოყენებული უილიამ შექსპირის მიერ, კერძოდ, შექსპირის პიესა *ციმბელინი*, რომელიც შექმნილია xvII საუკუნის დასაწყისში სიუჟეტურ წყაროდ იყენებს ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს რუსთველის *ვეფხისტყაოსნიდან*. რუსთველის პოემას იგივე ამბავი, რომ გამოყენებული იყო შექსპირის თეატრში, შექსპირის უმცროსი თანამედროვეების ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის მიერ ჩემს მიერ გამოვლენილი და საერთაშორისო დონეზე გავრცელებული იყო ამ ხუთიოდე წლის წინათ. საკითხის შემდგომმა კვლევამ გამოავლინა ის, რომ თვითონ შექსპირიც იყენებს იმავე ამბავს *ვეფხისტყაოსნიდან*. როგორც ჩანს, ინგლისის ინტელიგენციამდე ამ ამბავს მოუღწევია შაჰ-აბას პირველის კარზე დაწინაურებული დიდი ვეზირების ინიციატივით და მათი მჭიდრო თანამშრომლობით ინგლისელთა დიპლომატიურ ექსპედიციასთან, რომელიც xVI საუკუნის დამდეგს დიდხანს დარჩა სპარსეთში. ინგლისელი ლიტერატურათმცოდნეების მიერ შენიშნული იყო, რომ შექსპირის *ციმბელინი* და ბომონტისა და ფლეტჩერის *ვილასტერი* სიუჟეტის

მსგავსებას გამოავლენენ ერთმანეთს შორის და ისიც იყო ნავარაუდები, რომ შესაძლოა მათ საერთო წყარო ჰქონოდათ. ეს საერთო წყარო არის *ვეფხისტყაოსანი*.

2. სტატიაში შეჯამებულია X-XI საუკუნეების ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესში; ათონელთა წვლილი ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ამალეობაში და ქართული კულტურის იმდროინდელ ევროპაში გატანაში. გაანალიზებულია ის სიახლე, რაც ათონელთა მოღვაწეობამ შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ საღვთისმეტყველო და ლიტერატურულ პროცესში. საგანგებო კვლევის საგანადაა ქცეული აგიოგრაფიული სტილის ცვლილება, რომელიც ათონელთა შექმნილ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებებში ჩანს. ეს თხზულებებია გიორგი მთაწმინდელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. ჩატარებული კვლევა გამოავლენს, რომ ათონური ორიგინალური აგიოგრაფია იმემკვიდრებს ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის სტილს, მაგრამ გარდაქმნის მას ახლებურად, რაშიც ჩანს ახალი ეპოქის, გვიანდელი შუასაუუნეების ეპოქის საღვთისმეტყველო და საზოგადოებრივ-ლიტერატურული ტენდენციები.

3. ინტერვიუ საზოგადოებას აუწყებს, რომ შექსპირი იყენებს *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტს. კერძოდ, ინგლისელი დრამატურგის პიესა *ციმბელინი* ამჟღავნებს მსგავსებას *ვეფხისტყაოსნის* ნესტანისა და ტარიელის რომანტიკულ თავგადასავალთან თემატურად, იდეურად და კომპოზიციურად. ამკარაა ცალკეული სიუჟეტური დეტალების დამთხვევა და მსგავსება მხატვრული პერსონაჟის სახის შექმნაში.

მაკა ელბაქიძე

მილან კუნდერას ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე

მწერალს, ისევე როგორც ნებისმიერ შემოქმედს, რომელსაც რიგით ადამიანთან შედარებით გამძაფრებული აქვს დაკვირვების უნარი, ცხოვრების მანძილზე მიღებული შთაბეჭდილებანი ე.წ. *ფაქტობრივი მენსიერების* ფსკერიდან “ამოაქვს”. ჩეხი მწერალი, მილან კუნდერა, ყველაზე მტკივნეულ მოვლენად 1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიაში რუსეთის არმიის შეჭრას მიიჩნევს, ვინაიდან სწორედ ამ მოვლენამ გაყო მისი ცხოვრება ორ – ოკუპაციამდელ და ოკუპაციის შემდგომ – ეტაპად (ისიც ნიშანდობლივია, რომ კუნდერას *ფაქტობრივ მენსიერებაზე* ღრმად იყო აღბეჭდილი ნაციისტური ოკუპაციის კვალიც, რის შედეგადაც მასში საკმაოდ ადრეულ ასაკში გაიღვიძა პოლიტიკურმა თვითშეგნებამ). თუმცა, თავად კუნდერა აღიარებს, რომ ადამიანისთვის, მით უფრო მწერლისთვის, დამღუპველია წარსულში მომხდარი, თუნდაც მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ დაუსრულებელი განსჯა და ფიქრი, რადგან წლების გადასახედიდან წარსულის შეფასება ყოველთვის მოკლებულია სიზუსტესა და ობიექტურობას.

ფაქტობრივის გარდა, არსებობს *ეგზისტენციალური მენსიერებაც*, რომელმაც, კუნდერას

შემთხვევაში, ნათლად აირეკლა უზარმაზარი, უცხო “ღერჯავის” მიერ შთანთქმული ერთი პატარა ქვეყნის აგონია. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სიტუაციის არც ამგვარი შეფასება იყო მთლად ზუსტი, მაგრამ ამ შეცდომის წყალობით მწერალმა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. კუნდერა მიხვდა, რომ არცერთ ფრანგს თუ ამერიკელს არ ძალუძს მიიღოს და სათანადოდ გაითავისოს ის, რაც მხოლოდ მან, ჩეხმა, იცის: თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის საკუთარი ნაციის აღსასრულის მომსწრედ ყოფნა. ამ ფაქტის გაცნობიერების შემდეგ, ბუნებრივია, მწერალი დგება არჩევანის წინაშე – შეეგუოს არსებულ რეალობას და მიიღოს “მოსულთა” თამაშის წესები, თუ “ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს” წარმოსახვით რეალობაში გაექცეს, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ოღონდ რა ფორმითა და მეთოდით? – სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ეს ნაშრომი.

2. მაკა ელბაქიძე

შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ კატეგორიათა მიმართებისათვის

(სილამაზე/მშვენიერება)

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს, როგორი იყო მშვენიერების/სილამაზის ცნების გაგება შუასაუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში და როგორი ურთიერთმიმართება არსებობდა ამ ორ კულტურულ პარადიგმას შორის განსახილველ ესთეტიკურ კატეგორიათა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ადრეული შუასაუკუნეების ხელოვნებასა და ლიტერატურაში გარეგნული სილამაზე აღიქმებოდა არა თავისთავადი მნიშვნელობით, არამედ როგორც სულიერი მშვენიერების გამონაშუქი. ეს პრინციპი იცვლება გვიანდელ შუასაუკუნეებში, კერძოდ, საერო მწერლობაში, სადაც გმირის ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად წინა პლანზე წამოიწევს მისი პორტრეტული შტრიხები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟის მხატვრული სახე იქმნება არა აგიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგადი მოდელის მიხედვით (წმინდანი/ცოდვილი; დადებითი პერსონაჟი/უარყოფითი), არამედ პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებების მაქსიმალური გამოკვეთით, თანაც ისე, რომ პიროვნების გარეგნულ იერსახეში, როგორც სარკეში, ირეკლებოდეს მისი შინაგანი (სულიერი) ხატი.

რენესანსული ესთეტიკა, ერთი მხრივ, აღორძინებაა ანტიკური ესთეტიკური პრინციპებისა, თუმცა, იმავდროულად, “მემკვიდრეა” წინამორბედი (შუასაუკუნეების) ეპოქის აზროვნებისა, რომლის მიხედვითაც ზოგადი და ინდივიდუალური, იდეალური და მატერიალური, გარეგნული და შინაგანი ერთიან და განუყოფელ მხატვრულ სახეში ერწყმის ერთმანეთს, რაც, თავის მხრივ წინამორბედი ძალადი რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმისა. შესაბამისად, “ღვთაებრივ კომედიას” თუ “ვეფხისტყაოსანში” ჩამოყალიბებული ესთეტიკური დოქტრინა, რომელშიც რენესანსული ეპოქისთვის დამახასიათებელი არაერთი პრინციპისა და ტენდენცია ჩანს, ჯერ კიდევ არ არის იმ ტიპის აზროვნება, რომელიც ხელოვნების (ლიტერატურის) ისტორიაში კვატროჩენტოდაა სახელდებული.

3. Николай Заболоцкий и Грузия

Николаю Заболоцкому русская и грузинская культуры обязаны существованием свода классической грузинской поэзии на русском языке, знакомству русского читателя с богатствами классической грузинской поэзии, которая в свою очередь оказала существенное влияние на оригинальные стихи поэта.

Начало переводческой работы Заболоцкого почти совпало с началом его профессионального творчества. Тогда-же, в середине 30-х годов он взялся за перевод "Витязя в тигровой шкуре" Руставели. Первое издание этой поэмы в переводе для юношества вышло в 1937 году, однако творческое восхождение было прервано арестом по ложному доносу в марте 1938 года. Затем долгая ссылка в сибирские лагеря, война...

В конце 1940-х - 1950-е годы Заболоцкий вновь взялся за перевод близкой ему грузинской поэзии. Весной 1947г. Николай Алексеевич в составе группы поэтов приехал в Грузию. В Тбилиси он побывал у старых знакомых, завязал новые литературные связи (Заболоцкого связывала многолетняя дружба, а также общность творческих позиций с грузинскими поэтами С. Чиковани, Г. Леонидзе, Т. Табидзе). Он перевёл стихи Григола Орбелиани, Ильи Чавчавадзе, Акакия Церетели, Важа Пшавелы, Давида Гурамишвили. В 1955 году Заболоцкий закончил полный перевод поэмы Шота Руставели "Витязь в тигровой шкуре", но еще долго продолжал работу над переводом, вносил изменения, поправки. Последняя редакция перевода поэмы вышла в 1957 году. Нужно отметить, что Заболоцкий обратился к «Витязю» не только как переводчик, но и как историк литературы и философ, так как видел в Руставели и выдающегося поэта, и деятеля всемирного масштаба. Даже завершив работу по переводу, он продолжал думать об авторе.

Переводческая работа, как известно, занимала очень большое место в творческой деятельности Николая Заболоцкого. Объем его переводческого наследия (где самое почетное место занимает двухтомник грузинской классической поэзии) значительно превосходит в количественном отношении оригинальные произведения. Он не воспринимал ее как бремя. Поэтический перевод не казался ему обыденным литературным ремеслом. Ознакомление русского читателя с поэзией народов других стран он считал важнейшим просветительским делом. О задаче поэта-переводчика Заболоцкий писал просто: «На Западе говорят: стихи непереводимы. Неправда. Нельзя перевести на другой язык версификацию стиха, но душу стиха – то, ради чего стих создан, – можно перевести на любой язык мира, ибо все поэты мира пользуются одним и тем же инструментом разума и сердца».

ნესტან სულავა

1. საღვთისმეტყველო ტერმინთა არსისათვის და მათი ტრანსფორმაცია საერო მწერლობაში

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამოწმებულ საღვთო სახელთა საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური წიგნები, ბიბლიური სწავლება, და მათგან მომდინარე საღვთისმეტყველო მოძღვრებაა. ღვთისმეტყველმა წმიდა მამებმა საღვთო სახელები არსობრივი თვალსაზრისით ორი რიგისად წარმოადგინეს – “შეერთებულისა და განყოფილისა” (არსობრივი და ჰიპოსტასური) – და მათი შინა-არსი ახსნეს. მოხსენებაში განხილულია აპოფატიკური საღვთო სახელები, რაც ღვთის არსობრივი რაობის გარკვევას უკავშირდება, და მათი ტრანსფორმაცია საერო ლიტერატურაში, კერძოდ, “ვეფხისტყაოსანში”.

საღვთო სახელებმა ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცის, როგორც ტერმინებმა, რომლებიც საერო ლიტერატურაშიც ტრანსფორმირდებიან პერსონაჟის სახის წარმოსაჩენად. ამ ბოლო ხანებში საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა მთელი რიგი შეიქმნა და ტერმინთა განხილვისას კვლევის შედეგად მოპოვებულ უმდიდრეს მასალას ვეყრდნობით.

აპოფატიკურ საღვთო სახელთა რიგს მიეკუთვნებიან სახელები: *არაარსი, არამყოფი, უცნაური, დაუსაბამო, განუსაზღვრელი, უმსგავსო, უცვლელი, განუზომელი, გამოუთქმელი, მოუკლებელი*, ე. ი. ყოველივე ის, რაც არ არის ღმერთი. აპოფატიკურ სახელთა არსობრივი რაობის გათვალისწინებით ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბევრის, წმ. გიორგი მთაწმიდლისა და ბერძნულიდან ნათარგმნ საგალობლებში (წმ. იოანე დამასკელი, წმ. ანდრია კრიტელი, წმ. კოზმა იერუსალიმელი, წმ. იოსებ და თეოდორე სტუდიელები...), მოგვიანებით – საერო ლიტერატურაში, უფრო მეტად კი ამ უკანასკნელში, შესაძლებელი ხდება მათი სახისმეტყველებითი, მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების განსაზღვრაც, რაც იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვამლევს, რომ საღვთისმეტყველო ტერმინებში ერთდროულად, შერწყმულადაა არეკლილი რელიგიური, ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური თვალთახედვა.

საღვთო სახელები ტრანსფორმირებულია საერო მწერლობაში, ისინი მეტაფორადაა გარდასახული, რის მაგალითად შეიძლება შოთა რუსთველის პოემა დავასახელოთ. თინათინის შესახებ ნათქვამში: *“თინათინს უთხრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა”* – ჰიმნოგრაფიული ტრადიციის ამსახველი ეს ჰიპოდოგმური აპოფატიკური საღვთო სახელი პერსონაჟზეა გადატანილი, მეტაფორადაა გარდაქმნილი, რითაც თვით ამ პერსონაჟის განსაკუთრებული სილამაზე და შინაგანი ბუნებაა გამოხატული.

აპოფატიკურ საღვთო სახელთა არსობრივი რაობის განხილვა გვამლევს იმის გააზრების საფუძველს, თუ რა სიღრმისაა საიდუმლო ღვთისმეტყველების არსი და ენა, თუ რა მიუწვდომელია იგი ადამიანის დასაზღვრული გონებისათვის; აპოფატიკური საღვთო სახელების გამოყენება საჭირო ხდება იმისთვის, რათა უკეთ გამოვლინდეს ღვთის არსის მიუწვდომლობა.

2. ნიკოლოზ გულაბერისძის სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწეობიდან

XII საუკუნის II ნახევრის საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერისძის შესახებ საისტორიო წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა საკითხი ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, პრობლემა კვლავ მოითხოვს გულდასმით შესწავლას, რათა დაზუსტდეს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდი, განისაზღვროს მისი ადგილი საქართველოს სახელმწიფოს, ქართული ეკლესიის ისტორიაში, გამოიკვეთოს მისი წვლილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

წარმოდგენილ ნაშრომში ნიკოლოზ გულაბერისძის სასულიერო მოღვაწეობის ერთი პერიოდი შესწავლილი, კერძოდ, მისი ახალგაზრდობის პერიოდიდან მოყოლებული, კათოლიკოსობიდან გადადგომის ჩათვლით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ნიკოლოზ გულაბერისძემ საკუთარი ნებით დატოვა კათოლიკოსობა სახელმწიფოში შექმნილი მძიმე, ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის გამო და საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებს მიაშურა სამოღვაწეოდ, რაც ისტორიკოსმა კანონზომიერად შეაფასა “სიმდაბლით ჯმნად”, რაც მისი მაღალი ზნეობის მოწმობად მიიჩნია. ნიკოლოზ გულაბერისძის კათოლიკოსობიდან გადადგომა რეგრესული მოვლენა იყო საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისტორიკოსის სიტყვები “სიმდაბლითა ჯმნა” რაიმე შეფარულ აზრს არ შეიცავდეს და ნიკოლოზი საკუთარი სულიერი მოთხოვნებიდან თუ მდგომარეობიდან გამომდინარე გადამდგარიყო კათალიკოსობიდან.

3. წმ. გიორგი მთაწმიდელი და ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემა

გიორგი მთაწმიდლის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე განისწავლა გალობაში. იგი ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები, რითაც თავის თანამგალობელთ ალმატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს გრიგოლ ხანცთელს და მიქაელ მოდრეკილს.

გიორგი მთაწმიდლის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და გიორგი მთაწმიდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელთა საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევად დარჩა, რასაც გიორგი მთაწმიდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს, *მეხელნი მოძღურად მყვანანო*. გიორგი მთაწმიდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ივანე ჯავახიშვილმა

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას გიორგი მთაწმიდლის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის მიერ გალობის ბერძნულ გვარზე, ერთხმიანი გალობის, შესრულების შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რაც ბიზანტიის იმპერატორმა შენიშნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან იცოდა ქართული და ბერძნული გალობების გვარების სხვადასხვაობა; მისი სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას.

ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად, ჰიმნოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა მრავალხმიანი, რაც იოანე პეტრიწს კლასიფიცირებული აქვს ხმათა მიხედვით (“მზახრ/პირველი, ჟირ/მეორე, ბამ/ბანი”).

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს გიორგი მთაწმიდლის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც მან აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი გიორგი მთაწმიდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია. საფიქრებელია, რომ IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იგუებდა ერთხმიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს – პოლიფონიურობას. მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა ადრევე შევიდა, ისევე როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

4. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში
XII-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ჰიმნოგრაფიაში, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანისა და საქართველოში დამკვიდრების ორი ვერსია არსებობს: ერთი ვერსიის მიხედვით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის იკონოგრაფიული ტიპი, რომლის ნიმუშია ანჩის ხატის სახელით ცნობილი ხატი, საქართველოში იეროპოლისიდან მოციქულთა თავს, ანდრია პირველწოდებულს ჩამოუტანია საქართველოში; ამ თემას შეეხო იოანე ანჩელი “გალობანში ანჩისხატისანი”, რომლის მიხედვით წმ. ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში

მოიტანა “პირი ღმრთისა”, ანუ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანჩის ხატის პროტოტიპი.

მეორე ვერსიით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, რომელიც მარტყოფის მონასტერში ინახებოდა და მარტყოფის მაცხოვრის სასწაულთმოქმედი ხატის სახელითაა ცნობილი, საქართველოში მოაზრდნა წმ. ანტონ მარტყოფელმა VI საუკუნეში. ამ ვერსიას იცნობენ და ასახავენ არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლები. ამავე ვერსიას იცნობს წმ. ანტონ მარტყოფელის “ცხოვრების” სვინაქსარული რედაქცია. XIII საუკუნის 30-იან წლებში მძებრის აბუსერ და ვარდან აბუსერისძეების “შეხუეწით” საქართველოს კათოლიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ და მთავარეპისკოპოსმა საბა სვინგელოზმა შექმნეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები. მათი ვერსიით, მაცხოვრის თიხაზე, საგალობლის მიხედვით, “კეცზე” დატვიფრული ხელთუქმნელი ხატი, კერამიონი, საქართველოში VI საუკუნეში მოიტანა ასურეთიდან მოსულმა წმ. ანტონ მარტყოფელმა.

5. ქართული ჰიმნოგრაფია

სტატია ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებისა და მისი კვლევის ისტორიას წარმოაჩენს რამდენიმე მიმართულებით: ფორმის, მუსიკის, საღვთისმეტყველო, ლიტერატურულ-ისტორიული, სიმბოლურ-სახეობრივი და იდეოლოგიური თვალსაზრისით. გამოყოფილია პალესტინურ-სინური, ტაო-კლარჯეთის, ათონის, გელათის, შიომღვიმის, დავით გარეჯისა და მცხეთის საკათალიკოსოს, კერძოდ ანტონ კათალიკოსის, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლები, რომელთაც განსაზღვრეს ჰიმნოგრაფიის განვითარების ეტაპები და მიმართულებები საქართველოში. ქართული ჰიმნოგრაფია თავისი თემატიკით, მსოფლმხედველობით, იდეოლოგიით, სახისმეტყველებით ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან მჭიდრო კავშირში იყო, რის გამოც იგი ბიზანტიური სამგალობლო კულტურის კონტექსტშია გააზრებული. დასაბუთებულია ქართული და ბიზანტიური საგალობლის მუსიკალურობისა და პოეტიკის განსხვავება, რაც ქართული გალობის მრავალხმიანობასა და საგალობლის ფორმის ორიგინალობაში გამოვლინდა. სტატია სახავს ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიისა და თეორიის საკითხების ახალი თვალთახედვით კვლევის პერსპექტივებსაც.

6. სოფელი და ზესთასოფელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში

სოფლისა და ზესთასოფლის რაობისა და ურთიერთმიმართების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია მითოსში, წერილობით წყაროებში, საღვთისმეტყველო და მხატვრულ ლიტერატურებში, მათი სათავეები სხვა კულტურულ განზომილებებშიცაა საძიებელი. პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სივრცისა და დროის, სიკვდილ-სიცოცხლის, სოფლის წარმავლობისა და დაუდგრომლობის თემას, სულის უკვდავების, სულისა და სხეულის, ამაღლებულისა და მშვენიერის გააზრებას, რადგან სოფელი, ხილული სამყარო მშვენიერია თავისი მრავალფეროვნებით და ღმერთის მიერ ადამიანთათვის ბოძებული სიკეთის წყალობით.

ზესთასოფელი ამაღლებულია, რადგან იქ მხოლოდ სულიერებაა დავანებული, ფიზიკური არსებობა არ მყოფობს.

ქრისტიანული ლიტერატურისათვის უპირველესი წყარო, რომელიც ზესთასოფლის მარადიულობასა და სოფლის წარმავლობას მიუთითებს, შესაქმის წიგნია, რომელშიც მოთხრობილია ადამისა და ევას სამოთხიდან განვარდნისა და ცოდვითდაცემის შედეგად ზესთასოფლის დაკარგვის ამბავი. ადამისა და ევას ზესთასოფლიდან გაძევების შედეგად სოფელში გამრავლდა ყოველი არსი, რომლის პირველსახე, არქეტიპი პირველცოდვამდე მხოლოდ ზესთასოფელში არსებობდა. აქედან გამომდინარე, დროც პირველცოდვის შედეგად პირველადამიანთა სამოთხიდან გამოძევების შემდეგ იძენს თავის არსსა და დანიშნულებას, რადგან დრო მარადისობას გამოეყო, მარადისობიდან გამოვიდა. ზესთასოფელი უხილავი და მარადიულია, ხილული სამყარო დროშია მოქცეული. ამავე დროს, ყოველივე პირველსაწყისს უბრუნდება, რასაც ადამიანის ხილული ცხოვრების, არსებობის კვალობაზე საღვთისმეტყველო ლიტერატურა შემდეგი ფორმულით გამოთქვამს: “მე ვარ მიწა და ნაცარი, ყოველივე მიწად მიიქცევის”. ცხადია, ეს მატერიალურ სფეროს შეეხება, ხოლო სული, რომელიც უკვდავია, ხორცისაგან განსვლის შემდეგ ხდება ზესთასოფლის მკვიდრი. საგალობელში ღვთისგან ქმნილი სამყარო სტატიკურად აისახება, მასში სამყაროს დინამიურობა არ ჩანს.

სტატიაში განხილულია სოფლისა და ზესთასოფლის შესახებ, როგორც ტერმინთა შესახებ, გამოთქმული რ. თვარაძის შეხედულება, რაც საფუძვლად დაედო ამ ორი ტერმინის გამოყენებას სამეცნიერო ლიტერატურაში ძველქართული ტერმინოლოგიური მონაცემების საფუძველზე. აგრეთვე, დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი მოდელი ზესთასოფლისა, რომელშიც განწესებულია თითოეული ცა თავისი სახელწოდებით. ამგვარი სახელდებები ჰიმნოგრაფიაში არ გვხვდება. საგალობელში მწერალი-ჰიმნოგრაფი, თავად დროსა და სივრცეში მოქცეული, წარმოაჩენს წმინდანის ხატს ან მიმართავს მას, როგორც დროისა და სივრცის მიღმა მდგარს. ჰიმნოგრაფიის წმინდანი ზედროულ და ზესივრცულ განზომილებებშია, იგი მატერიალური სამყაროსათვის დამახასიათებელ კატეგორიებს დაცილებულია. ჰიმნოგრაფია საღვთისმეტყველო ლიტერატურის ის განსაკუთრებული სფეროა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი თემა – ზესთასოფლისა და სოფლის ურთიერთმიმართების შესახებ საგანგებო განხილვას მოითხოვს. მას უკავშირდება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში შემუშავებული მსოფლხედვა ორი ქალაქის – ღვთიური და მიწიერი ქალაქის შესახებ.

ქართველ და ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა – წმ. იოანე დამასკელის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, იოანე მტბევრის, ეზრა მთაწმიდელის, დავით აღმაშენებლის საგალობლებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის წარმავლობის მოტივი ძირითადად მარხვის, განსაკუთრებით დიდმარხვის დღეებისათვის განკუთვნილ საგალობელთა მსოფლმხედველობასა და თემატიკას წარმართავს, ხოლო საღვთო დღესასწაულებისა და წმინდანებისადმი მიძღვნილ საგალობლებში სოფლის თემა განვლილი საფეხურია, ამ ტიპის საგალობლები წუთისოფლის დროებითობას აღნიშნავენ, თუმცა უმთავრესი მარადიულობაა,

ზესთასოფლის მკვიდრობა და სულიერი ცხოვრების უკვდავება.

სოფლის წარმავლობის, მისი დაუდგრომლობისა და ზესთასოფლის მარადიულობის მოტივი საგალობლიდან საგალობელში გადადის და მეორდება, თუმცა, მთავარი ისაა, რომ ყოველ ჰიმნოგრაფს მასში თავისი ინდივიდუალური ხედვა შეაქვს და ამიტომაც იძენს ყოველი საგალობელი დამოუკიდებელი თხზულების ღირებულებას.

7. წმინდანის ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში

წმინდანის წარმოსახვის პრინციპები ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში ემყარება შუა საუკუნეობრივი ლიტერატურის სპეციფიკას, ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპებს, ეპოქის მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას, ესთეტიკურ ფენომენს. მათში წმინდანის სულიერი ხატ-სახე, მისი განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, განსხვავებულად წარმოჩნდება. სწორედ ამ საკითხის განხილვას ეძღვნება სტატია.

ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრული სახის ჩვენების მიზანდასახულობა ზეციური ადამის პირველსახის დაბრუნებაა, ყოველი ადამიანის მცდელობით დაცემული ადამის ამაღლებაა, რაც ღვთის ნებით ხდება. გზა ამ მიზნისაკენ ურთულესია. მწერალი წმინდანს ჰაგიოგრაფიაში შემუშავებული კომპოზიციური თანმიმდევრობით წარმოადგენს. ჰაგიოგრაფიის წმინდანი ჰიმნოგრაფიული საგან განსხვავებულია დრო-სივრცულ განზომილებისა და სულიერი ხატ-სახის ბუნების კვალობაზე გააზრებისას. ჰაგიოგრაფია პერსონაჟს, ძირითადად, ორ დროსივრცულ არეალში წარმოაჩენს, ჰიმნოგრაფია – ერთში. ამქვეყნიური ცხოვრება ორ ონტოლოგიურ ზღვარს – სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მიმდინარეობს, შესაბამისად, ჰაგიოგრაფია ამ ზღვარზე მდგომ ადამიანზე – მოწამე/მოღვაწეზე მოგვითხრობს.

ჰაგიოგრაფიის სიუჟეტის უმთავრესი და ძირითადი წარმართველია წმინდანი, – მოწამე ან მოღვაწე, რომლის სრულყოფილი სახის დინამიურ წარმოჩენას ემსახურება ყველა სხვა დანარჩენი, მათ შორის უარყოფითი პერსონაჟი, რომელსაც, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დადებითი თვისება არ აქვს. ბავშვობიდანვე გამორჩეული წმინდანი იმთავითვე გამოკვეთილი ბუნებისა შეიძლება არ იყოს, მაგრამ თვისებებს, რომელთა მიხედვით წმინდანად ყალიბდება, თანდათანობით იძენს, საბოლოოდ სრულყოფილი ადამიანის სახით წარმოგვიდგება. მარტიროლოგიაში წმინდანი ევანგელურ სწავლებას მისდევს (მათე 5:15); “ცხოვრებებში” კი წმინდანი მიჰყვება ფსალმუნურ (ფსალმ. 43:22) და აპოსტოლურ (ჰრომ. 8:36) სწავლებებს, რომლებიც ყოველი წმინდანის სახის წარმოჩენას მიესადაგება.

ჰაგიოგრაფია ინდივიდს, ხასიათს არ ხატავს, იგი ხატ-სახეს ასახავს. წმინდანის სახის იდეალურობა განიმარტება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იოანე ღვთისმეტყველისადმი ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რომ ადამიანი გამოუთქმელისა და ღვთაებრივის შეცნობას ხატის მეშვეობით უახლოვდება; აქედან გამომდინარე, წმინდანის სახე ღვთაებრივი სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით, ღვთისადმი შიშით, მოთმინებით, რწმენით

აღსავსეა. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დადებითი და უარყოფითი პერსონაჟის სახე სწორხაზოვნად წარმოისახება.

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში წმინდანი ჰიპოდიმურ-პარადიგმული სტრუქტურით წარმოჩნდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს სხვაობა ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას შორის წმინდანის ხატ-სახის ჩვენებისას, რადგან იპოდიმურ-პარადიგმული სტრუქტურა ჰიმნოგრაფიისათვის დერძულია, უმთავრესი პრინციპია, ხოლო ჰაგიოგრაფიისათვის ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალებაა. ეს განმასხვავებელი ნიშანი ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა, თვით ბიბლიურ წიგნთა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახისმეტყველების პრინციპებს ეფუძნება.

ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის წარმოსახვას ორი მხარე აქვს: 1. მისტიური და 2. მხატვრულ-ესთეტიკური, რომელიც ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების შედეგია. ჰაგიოგრაფიული თხზულების მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს განაპირობებს ამაღლებულობა, ხოლო ამაღლებულია ის, რაც შეუცნობელია; ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში გადმოიცემა ამაღლებულის მშვენიერება. მშვენიერი კი მარადიულია. აქედან გამომდინარე, ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირი ამაღლებულის მშვენიერებით წარმოჩნდება, რაც მისი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების საფუძველს ქმნის.

წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში დინამიურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით განსხვავებულია. ჰაგიოგრაფიის წმინდანის საფეხურებრივი განვითარება დინამიური წარმოსახვის გამოხატულებაა, რაც მას ესთეტიურობითაც გამოარჩევს. ჰიმნოგრაფიაში კი წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები დინამიური არ არის, სულიერი განვითარების პროცესი არ აისახება, იგი სტატიკურია; ეს იმიტომ, რომ საგალობელი წმინდანს ზესთასოფელში გადასვლის შემდეგ აჩვენებს. საგალობელში წმინდანი სულიერად გამარჯვებულია, ღმერთთან ზიარებულია, განღმრთობილია. ზიარების საფუძველი მაცხოვრის განკაცებაა. მაცხოვრის ორბუნებოვნებით – ღვთაებრივი და კაცებრივით გახდა შესაძლებელი ადამიანის ზიარება ღვთაებრიობასთან. ზიარების შედეგად ადამიანი ცოდვათაგან განიწმინდება და ზეამაღლდება. ღმერთმა განგებით მიანიჭა ადამიანს ღმერთთან შეერთების, ზიარების უფლება. ზიარებით აღწევს ადამიანის სული სრულქმნილებასა და განღმრთობას, იგი საღვთო მისტერიის მონაწილე ხდება.

ჰაგიოგრაფია წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს: ბაძვასა და ზიარებას, რაც განღმრთობით სრულდება, საგალობელი საფეხურებს არ ასახავს, აქ წმინდანი ზიარებული და განღმრთობილია.

8. „ვეფხისტყაოსნის“ „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ინტერპრეტაცია დროსივრცული პოეტიკის კონტექსტში

1. „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სახელები - „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ - საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ერთდროულად არის არსობრივია და ჰიპოსტასურიც; პოეტური თვალსაზრისით სამივე არის ოქსიმორონი, რაც გულისხმობს ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველი სიტყვების, ანუ ორი ლექსიკური ერთეულის, შეგნებულად დაკავშირებას ერთმანეთთან, რომელთა გაერთიანების შედეგად შესიტყვების შემადგენელი სიტყვების შინაარსისაგან განსხვავებული მნიშვნელობის ახალი ცნება მიიღება და მთელი მისი მხატვრული ღირებულება სწორედ დაპირისპირებულობათა ერთიანობაშია ნაგულისხმები. სწორედ ამგვარია ზემოხსენებული ორი საღვთო სახელი „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო შინაარსის შემცველი სიტყვებისაგან შედგება, ანუ ისინი ანტინომიურია.

2. „მზიანი ღამისა“ და „უჟამო ჟამის“ ჰიპოსტასურ სახელად გააზრება უდევს საფუძვლად მათი დროსივრცული პოეტიკის თვალსაზრისით განხილვას; ამგვარი ინტერპრეტაციისათვის უმნიშვნელოვანესია დავით გურამიშვილის „ამიცანად იგავი, ასახსნელად ადვილი“, რომელშიც „მზიანი ღამის“ სიმბოლური მნიშვნელობა იძლევა დროსივრცული თვალსაზრისით ახსნის საფუძველს და ერთდროულადაა არსობრივად ღმერთის - ერთარსება სამების, ჰიპოსტასურად - მამა ღმერთისა და ძე ღმერთის სიმბოლური გამოხატულება. დავით გურამიშვილის ეს ლექსი პირველმა სარგის ცაიშილმა განიხილა რუსთველურ კონტექსტში.

3. „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ არსობრივი სახელებია ღმერთისა, რასაც მიუთითებს თვით რუსთველისავე სიტყვები: „ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“, „ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“, რომელშიც „ვინ ხატად“ და „ვის ხატად“ მაცხოვარია, ხოლო „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“ და „უჟამო ჟამი“ - ღმერთი.

4. „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ ჰიპოსტასური სახელებია. ჰიპოსტასური სიმბოლური სახელები - „უჟამო ჟამი“ და „მზიანი ღამე“ - აღნიშნავს ორ ჰიპოსტასს - მამა ღმერთსა და ძე ღმერთს, რასაც დავით გურამიშვილის სიტყვები მოწმობს: „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე ღამე მზიანი, იფქლი კალოზედ ეყარა, განურჩეველი, ბზიანი“ (დავით გურამიშვილი); ხოლო პეტრე ლარამის სიტყვებში: „უჟამო ჟამის მეტრფე და მზიანი ღამით სვიანი“ „უჟამო ჟამსა“ და „მზიან ღამეში“ ქრისტიანული ღმერთი უნდა მოვიაზროთ. ამ სიმბოლურ საღვთო სახელთა დროსივრცულად გააზრება ემყარება ზესთასამყაროსა და ხილული სამყაროს, მარადისობისა და დროის საღვთისმეტყველო არსს, რადგან მათში, ერთი მხრივ, თეიმურაზ ბაგრატიონის კვალობაზე, ღვთის დაუსაბამობა, დაუსრულებლობა, მარადიულობა, სივრცული დაუსაზღვრელობა იგულისხმება (ბაგრატიონი 1960: 123-124), ხოლო, მეორე მხრივ, მაცხოვრის, ძე ღმერთის ჟამში მოქცევა და, შესაბამისად, ამქვეყნიური დრო მოიაზრება.

5. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ვეფხისტყაოსნური „მზიანი ღამე“, აგრეთვე, „უჟამო ჟამი“ და „ერთარსება ერთი“, არსობრივი საღვთო სახელია და იგი ქრისტიანულ ღმერთს, სამებას აღნიშნავს.

9. სახისმეტყველებითი ასპექტები წმ. გიორგი მთაწმიდელის წმ. იოანესა და წმ. ეფთვიმეს „ცხოვრებაში“

გიორგი მთაწმიდლის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: 1. კონკრეტული – ეროვნული, რითაც იგი წინარელიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს, კერძოდ, აგრძელებს იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულის თხზულებაში ნაჩვენებ იდეას ქართველი ერის სულიერი მისიის შესახებ; 2. ზოგადი – მსოფლიო კულტურულ სამყაროში ქართველი ერის ადგილის შესახებ, ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს სხვა ქვეყნებთან და ერებთან მიმართების შესახებ; ამ შემთხვევაშიც იგი წინარელიტერატურულ ტრადიციათა ღირსეული მემკვიდრეა. ათონის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლა აგრძელებს ტაო-კლარჯეთის სკოლის საქმიანობას. გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოების ყურადღების ცენტრში არიან წმინდანები მამა-შვილი იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელები, აგრეთვე სხვა ბერ-მონაზვნები, განსაკუთრებით კი იოვანესა და ეფთვიმეს თვისი იოვანე-თორნიკე, ჩორდვანელის ჩამომავალი.

გიორგი მთაწმიდლის მიერ წარმოდგენილი ეფთვიმე მთაწმიდელი მსოფლიო მნიშვნელობის ანგელოსთა მობაძავ იმ ქრისტიან მამათა სახითაა ნაჩვენები, რომელთა შესახებ თხზულების დასაწყისშივე, თეორიულ ნაწილში გვესაუბრება. თხზულებაში ეფთვიმე მთაწმიდელის რამდენიმე პიროვნული ღირსებაა აქცენტირებული: 1. იგი განმანათლებელია, რითაც, ფაქტობრივად, მოციქულებრივი მისია აქვს დაკისრებული; 2. იგი ქართველია, რაც მას ავალდებულებს ქართული სამოციქულო ეკლესიის ღირსეულად მსახურებას, ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას; 3. იგი ახალი ოქროპირია, რომელმაც “განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა”.

გიორგი მთაწმიდლის თხზულება იშვიათი სისადავითა და მწერლური ოსტატობითაა დაწერილი, იგი ერთდროულად არის ჰაგიოგრაფიული და მატრიანურ-ქრონოგრაფიული. ავტორის გამჭვირვალე სტილი, წერის მანერა, პერსონაჟთა ხატვის პრინციპები ჰაგიოგრაფიულია, ენა – ლაპიდარული, ღრმად მეტყველი, ფრაზა – დახვეწილი, სათქმელის გამოსახატავად შერჩეული სიტყვა ზუსტია; გიორგი მთაწმიდელმა შექმნა ქრისტიანული სახისმეტყველებით შემკული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც თავისი ღრმა შინაარსითა და ფაქტოლოგიით იჭერს მნიშვნელოვან ადგილს როგორც თვით გიორგი მთაწმიდლის შემოქმედებაში, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

10. დავით გურამიშვილის ლოცვისა და სამებისადმი ვედრების ინტერპრეტაციისათვის

„დავითიანის“ მხატვრულ-ესთეტიკურ და იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ მრავალფეროვან სამყაროში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველ წიგნში მოთავსებული “ლოცვა, ოდეს დავითს ტყვეობასა შინა მოშივდა და ღმერთს პური სთხოვა” და “სამების ვედრება:

გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან”, რომლებშიც პოეტმა უპირველესი ქრისტიანული ლოცვის “მამაო ჩვენოს” ტექსტის ჩართვით ღვთისადმი შეწევნის თხოვნა, ღვთის სასოება, საკუთარი განწყობილებები, განცდები და სულიერი მომავლისაკენ სწრაფვა გამოხატა. ორივე ლექსი იამბიკოს ფორმითაა დაწერილი, რაც მათ ჰიმნოგრაფიასთან, საგალობელთან აახლოებს როგორც ფორმით, ისე სახისმეტყველებითი გამომსახველობითი საშუალებებით.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში “მამაო ჩვენოს” ტექსტი სხვადასხვა დროს განუმარტავთ წმიდა მამებს, რათა უკეთ საწვდომი გაეხადათ იგი მრევლისათვის. ქართული ჰიმნოგრაფია იცნობს ამ ლოცვის საგალობლად გარდაქმნის შემთხვევასაც, კერძოდ, როდესაც იოანე მინჩხმა ტექსტის მცირეოდენი შეცვლით, – ზოგიერთი სიტყვის შეცვლითა და ზოგიერთის დამატებით, – ფაქტობრივად, ახალი საგალობელი შექმნა “მამაო ჩვენოს” თემატიკასა და მოტივებზე. “მამაო ჩვენოს” თემა განსხვავებული მიზანდასახულობით გამოიყენეს ჰიმნოგრაფებმა, დავით გურამიშვილმა, ილია ჭავჭავაძემ (“ლოცვა”), აკაკი წერეთელმა (“ჩვენებურების “მამაო ჩვენო”).

დავით გურამიშვილის სიმბოლური ენა ბიბლიურ სახისმეტყველებით ასპექტებს წარმოაჩენს და ამ მიმართულებით მისი კვლევა დიდი ხანია მიმდინარეობს. ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ორივე ლექსში ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ ჭრილშია ღვთისადმი ლოცვა წარმოთქმული და ავტორის ძირითადი სათქმელი მსმენელ-მკითხველისათვის მიწოდებული. ვერტიკალურად აქ სრულადაა “მამაო ჩვენოს” ტექსტი დამოწმებული, რაც ადამიანის სულის ზეცად აღყვანებასა და მის სულიერ განდმრთობას მოასწავებს. ჰორიზონტალურ ჭრილში, რაც “მამაო ჩვენოს”, როგორც ლოცვის, სამყაროში განფენილობას მოწმობს, ავტორი თავისი ღრმააზროვანი სიმბოლური მეტყველებით გამოხატავს ღვთისადმი დამოკიდებულებას, რწმენას, მის მოიმედებას, სიყვარულს, რაც საღვთო სახელთა და ბიბლიურ პერსონალიათა მოხმობის საფუძველზე მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამოხატულებად აღიქმება. ლექსების არსის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ჭრილით წარმოჩენა ავტორის მიერ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობისა და ესთეტიკური განცდის იშვიათ შერწყმას წარმოადგენს. დავით გურამიშვილმა სამყაროს ერთიანობის, ადამიანის მთლიანობის, ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის მიმართებათა ჩვენების ფონზე ადამიანს, როგორც ღვთისგან ქმნილ არსებას, ამ შემთხვევაში – საკუთარ თავს, თვითშემეცნებისაკენ მიმავალი რთული გზა მოუნიშნა, რაც ღმერთის, სამყაროს, ადამიანის შეცნობის მცდელობისა და სულიერი გამოცდილების შედეგად მიიღწევა.

11. თუმიან გოჯიშვილი

თუმიან გოჯიშვილის სახელი ცნობილია ვანის ქვაბთა მონასტრის კედლებზე წარწერილი ხუთი ლექს-წარწერიდან, რომლებიც ძირითადად ხალხური წარმოშობისაა, მაგრამ თუმიანს თავის ვარიანტები აქვს შემოთავაზებული. წარწერები შესრულებულია XV-XVI საუკუნეებში. თუმიან გოჯიშვილი კედლებზე წერს სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს, რომლებშიც ჩანს, როგორ უმძიმს ამქვეყნიურ სიამოვნებათა დათმობა; მასში ხორციელისადმი სწრაფვა უფრო ძლიერია, ვიდრე სულიერი ცხოვრებისადმი. იგრძნობა გარეგნული სილამაზისა და სიყვარულის

დაკარგვით გამოწვეული მძაფრი განცდები, გაუხარელი ცხოვრების ფონზე ხსნას ვერაფერში ხედავს. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, თუ როგორ არის შეცვლილი დამოკიდებულება ღმერთისადმი, რწმენისადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანი მატერიალურსაა გადევნებული და სულიერ ცხოვრებას მოკლებულია. ამ ლექსებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, თუ როგორ შეიცვალა რუსთველის შემდეგ ადამიანის ინტერესები და სულიერი ცხოვრება. ეს ლექსები, ვინც არ უნდა იყოს მათი ავტორი ან კედელზე წარწერის შემსრულებელი, ადასტურებს, რომ იგი მხატვრული აზროვნებით გამორჩეული პოეტია.

12. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პოლემიკის ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში

ქართულ კულტურაში ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პრობლემატიკა უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, რადგან საქართველოს მუდმივად უწევდა ბრძოლა როგორც უცხოტომელთა წინააღმდეგ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ისე ქრისტიანული რელიგიის დასაცავად. ეთნიკური წინააღმდეგობის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, წამყვანი არაა, ხოლო რელიგიურ-ადმსარებლობითი საკითხი კი აქ კონცეპტუალურია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ხსენებული პრობლემები ერთმანეთს ეჯახება. ამ თვალსაზრისითაა განხილული ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები: იაკობ ხუცესის “შუმანიკის წამება”, “ევსტათი მცხეთელის წამება”, “კოლაელ ყრმათა წამება”, “დავით და ტირიჭანის წამება”, იოანე საბანისძის “აბო თბილელის წამება”, სტეფანე მტბევრის “მიქე-გობრონის წამება”, “კონსტანტი კახის წამება”, “ილარიონ ქართველის ცხოვრება”, გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება”, გიორგი მთაწმიდლის “იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრება”, გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება”.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ეთნიკური და რელიგიურ-ადმსარებლობითი პრობლემის კვლევამ წარმოაჩინა ამ ჟანრის დამსახურება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხების წარმართვის საქმეში.

ნანა გონჯილაშვილი

ლევან გოთუას “გარეჯულა” და “ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველებითი გააზრებანი

ნაშრომში “ვეფხისტყაოსნის” პრობლემატიკისა და ვეფხვის პარადიგმული სახისმეტყველების თვალსაზრისით შესწავლილია ლ.გოთუას მოთხრობა “გარეჯულა”, რომელშიც მონღოლთა

შემოსევისას (XIII ს.) გარეჯის მონასტრის ცხოვრება და მასთან დაკავშირებული წიგნის – “ვეფხისტყაოსნის” – ამბავია გადმოცემული. აღნიშნულია, რომ “გარეჯულა” ქართულ ისტორიოგრაფიაში მდუმარებითა და იდუმალებით მოცული “ვეფხისტყაოსნის” ბედის ახლებურ გააზრებას წარმოაჩენს; მწერალი წარმოსახვის და, ამასთანავე, რუსთველოლოგიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე მისი შინა-არსის მნიშვნელოვნებასა და ცხოველმყოფელობას სხვაგვარ გარემოსა და ვითარებაში აცოცხლებს. მოთხრობის ანალიზის შედეგად, გამოკვეთილია აზრი, რომ ლ. გოთუა ისტორიას მხატვრული გამონაგონით ავსებს და აცოცხლებს, ახალი რეალობით ამეტყველებს. მოთხრობაში სინამდვილესთან ერთად სასურველ და შესაძლებელ წარსულზე ფიქრია გაცხადებული.

ნაშრომში წარმოჩენილია მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სამყაროსა და ისტორიული სინამდვილის მიმართებანი, განსახოვნების თვალსაზრისით, დამებნილი და, შეძლებისდაგვარად, შესწავლილია ახალი სახექმნადობები, მათი მიმართებანი “ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველებასთან. აქვე წარმოჩენილია რუსთაველის პოემის სათაურის, ვითარცა მხატვრული სახის, მოთხრობაში “ვეფხის წიგნად” და “საქვეყნო წიგნად” გოთუასეული გადააზრების საზრისი, მისი შინა-არსი.

ანოტაცია – ნაშრომში “იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი” აღნიშნულია, რომ არც ერთ ძველ ქართულ წყაროში, IX საუკუნიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, უფლის კვართის იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამომტანი ელიოზის დის სახელი “სიდონია” არ იხსენება. სხვადასხვა ეპოქის კედლის მხატვრობაში (IX-XIII, XVII-XIX სს.) მინიატიურებსა და ხატებზე წარმოდგენილ ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვა-ამაღლების სცენაში, არც XVII-XVIII ს.ს-ის კათალიკოსთა საბეჭდავებზე და ვახტანგ VI-ის დროშაზე “სიდონია” არსად არაა აღნიშნული. XIX ს-ში გამოცემულ “წმ. ნინოს ცხოვრების” მოთხრობებში, ძირითადად, ელიოზის და “სიდონიად” იწოდება, როგორც ქართველთათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ნაშრომში გამოკვეთილია შემდეგი დასკვნა – თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებაში – “ისტორია დაწყებითგან ივერიისა...” – ცხრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს – “სიდონიას”. მ. საბინინის “საქართველოს სამოთხეში” მოთავსებულ ნიკოლოზ გულაბერიძის “საკითხავში” ელიოზის დის სახელთან ფრჩხილებში მოთავსებულმა “სიდონიამ”, აგრეთვე ხატის “საქართველოს წმინდა მართლმადიადიდეელი ეკლესიის დიდებაში” ელიოზის დის სახელის აღნიშვნამ უდიდესი როლი ითამაშა ელიოზის დის “სიდონიას” სახელის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებაში.

ანოტაცია – წერილი – “სული საქმით მეტყველი” (რუსულ ენაზე) – ეძღვნება ბ-ნ რევაზ სირაზის ხსოვნას. მასში წარმოჩენილი და მიმოხილულია ბ-ნ რევაზის ღვაწლი ქართული კულტურის და, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის სფეროში. გარკვეულწილად საუბარია ბ-ნი რევაზის პიროვნებაზე, მის პიროვნულ ღირსებებზე და ამაგზე, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

ანოტაცია – ნაშრომში – “რუსთველური “მოყვრობის” სამი უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში” – “ვეფხისტყაოსნის” განხილვის საფუძველზე აღნიშნულია, რომ რუსთაველის მიერ მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის სამი უმთავრესი დებულება სრულადაა წარმოჩენილი პოემის გმირთა ურთიერთობაში, მათი ცხოვრების ფილოსოფიაში. ნ. გონჯილაშვილის თქმით, რუსთაველს უაღრესი სიმძაფრით და საოცარი უშუალოებითა აქვს გადმოცემული ძმადნაფიც გმირთა შეყრისა და განშორებისას ადამიანურ განცდათა ამსახველი ეპიზოდები. აქ ყოველი ნიუანსია წარმოჩენილი, გმირთა ქცევა, სიტყვა, ხმა, ღიმილი თუ ცრემლი. ყოველივე ეს, როგორც ავტორი შენიშნავს, მკითხველის გმირთა ემოციურ განწყობასთან თანაზიარობისკენაა მიმართული; იმავდროულად, გმირთა მსგავსების, გამორჩეულობის, ზეადმატებული მგრძნობელობისა და ურთულესი სულიერი სამყაროს, მათი ფსიქოლოგიური განწყობის მაჩვენებელია. ნაშრომში გამოკვეთილია აზრი, რომ რუსთაველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეგობართაგან “სიახლის ნდომას”, “სიშორის ვერ მოთმენას” და “გავლენა”-“მოხმარებას”. რაც შეეხება “ჩუქების არ მოწყენას” და უშურველობას, რუსთაველი მას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს, თუმცა აღწერილი სრულიად საკმარისია გმირთა ბუნების შესაცნობად, მათი სიუხვის, უშურველი ძღვნობის წარმოსაჩენად.

ანოტაცია – ნაშრომი – “სვეტი-ცხოველი – სახისმეტყველებითი ძიებანი, სიმბოლური გააზრებანი და წყაროთმცოდნეობითი კვლევა” – შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილში – “წმ.ნინოს ცხოვრების” ორი ხილვა-ჩვენების სიმბოლური მნიშვნელობა და სახისმეტყველება – შესწავლილია “სვეტი-ცხოველის” “ადგილიდან შეძრვისა” და აღმართვის დაბრკოლებასთან დაკავშირებულ წმ.ნინოსა და “ათორმეტ” დედათა ორი ხილვა-ჩვენება. ნაშრომში წარმოჩენილია მათი

სახისმეტყველება, სიმბოლური მნიშვნელობა და პარადიგმული შინაარსი. ნაშრომის მეორე ნაწილში – წმ.ნინოს, ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება მარიამ მაგდალინელთან, მენელსაცხებლედ დედებთან – “წმინდა ნინოს ცხოვრების” რედაქციითა და სახარების ტექსტის განხილვის საფუძველზე დაძებნილი და შესწავლილია მათი სიმბოლური მიმართებების წარმომარჩენელი ეპიზოდები, წარმოჩენილია მათი მნიშვნელოვნება, ახსნილია მსგავსების საფუძველები. ნაშრომის მესამე ნაწილში – სვეტიცხოვლის ტაძარი – “წმიდაა წმიდათაჲ” – უფლის გამოცხადების ადგილი – “წმინდა ნინოს ცხოვრების” რედაქციითა განხილვის საფუძველზე გამოკვეთილია სვეტისა და სვეტიცხოვლის საზრისი ქართლის გაქრისტიანების გზაზე, დაძებნილი და შესწავლილია სვეტიცხოვლის სახელდების, “წმიდაა წმიდათაჲს”, საზრისი და მნიშვნელობა. მეოთხე ნაწილში – კვართის მიმრქმელი ელიოზის და და მისი სახელი “სიდონია” – ძველი ქართული და უცხოური წყაროების შესწავლის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ XIX ს-ის 30-იან წლებამდე “სიდონია” არც ერთ წყაროში არ ფიქსირდება. აღნიშნულია, რომ პირველად თეიმურაზ ბაგრატიონი ახსენებს კვართის მიმრქმელის სახელს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სახელი “სიდონია” ქართველთა ცნობიერებაში დამკვიდრდა მ. საბინინი ცნობილი ხატისა (“საქართველოს ეკლესიის დიდება”) და “საქართველოს სამოთხის” მეშვეობით.

ანოტაცია – ნაშრომში – “რუსთველური მოყვრობა-მეგობრობის რამდენიმე ასპექტის შესახებ” – განხილული და წარმოჩენილია რუსთველის მიერ გმირთა მოყვრობის ჩასახვისა და დამოყვრების საფუძველები, კერძოდ, უმთავრესი წინაპირობა ესთეტიკური განცდა “მოწონება” და უცილობელი პირობა ერთმანეთის შეცნობა-”შემეცნება”. ნაშრომში დაძებნილი და შესწავლილია მეგობრობასთან დაკავშირებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები – “მოყვარე”, “ამხანაგი”, ძმა (“ძმობილი”), “ძმადნაფიცი (“ძმად-შეფიცული”), “და” (“დობილი”), “დად-ფიცი”, “სწორი”. გამოკვეთილია მათი შინაარსი, მნიშვნელობა და რუსთველის მიერ მათი მიზნობრივი მოხმობის საზრისი.

ეკა ვარდოშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული საფუძველებისათვის, On the ethnographic roots of Aleksandre Kazbegi's works.

ანოტაცია: ალ. ყაზბეგი ხევის თემის შემომტანია ქართულ მწერლობაში. მისი პირველი ნაწარმოები, რომელიც 1880 წ. გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნდა “მოხევეები და იმათი ცხოვრება”

ეთნოგრაფიული ხასიათისაა. წერილში ავტორი დეტალურად მოგვითხრობს მთის ხალხის ცხოვრების, ადათ-წესების, სულიერ ფასეულობათა შესახებ, რასაც შემდგომ განაზოგადებს მხატვრულ ნაწარმოებებში: "ელგუჯა", "ზევისბერი გოჩა", "მოდღვარი", "ელისო", "მამის მკვლელი", "ნამწყემსარის მოგონებანი". აღნიშნული წერილი ალ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების ერთგვარ საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ეთნიკურ-რელიგიური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ალ. ყაზბეგის პროზაულ თხზულებებში.

ანოტაცია: ალ. ყაზბეგის პერსონაჟები კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის შვილები არიან. ისინი განსხვავდებიან როგორც თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ასევე რელიგიით. ყაზბეგი თავის თხზულებებში აკონკრეტებს მათ განსხვავებულ რელიგიურ მრწამსსა და ეთნიკურ წარმომავლობას, მაგრამ როდესაც საუბრობს ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა, მის გმირებს შორის ურთიერთობისას ზღვარი არ არსებობს, ისინი ერთი იდეის მატარებელნი ხდებიან.

კავკასიის თავისუფლების იდეის ასახვისათვის ილია ჭავჭავაძის პოეტურ ქმნილებებში, For the reflection of the idea of freedom for Caucasian people in the poetic works of Ilia Chavchavadze.

ანოტაცია: კავკასიის თავისუფლების შესახებ ი. ჭავჭავაძე პირველად პოემა "აჩრდილში" გვესაუბრება. პოემაში ეროვნულ და სოციალურთან ერთად ილია ეხება ზნეობრივ პრობლემებსაც, რადგან ზნეობრივი ერთიანობა ეროვნული მთლიანობის საფუძველია. ისეთ საკითხთა განხილვისას, როგორებიცაა ეროვნული გმირის იდეალი, კავკასიის თავისუფლების იდეა. პოემა "ქართველის დედა" პოემა "აჩრდილის" ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. თავისი ქვეყნის ბედნიერ მომავალს ილია სამართლიანად უკავშირებს კავკასიის ერთიანობისა და თავისუფლების იდეას.

თამარ შარაბიძე

1. ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას წერილები – "ფიქრები "ვეფხისტყაოსნის" შესახებ", "ვეფხისტყაოსნის" შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)" და "ნიჭიერი მწერალი".

ეს გენიალური პოემა ვაჟას მიერ რამდენიმე ასპექტით არის განხილული; წამოჭრილია ლიტერატურათმცოდნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორებიცაა: 1. შემოქმედებითი პროცესის, თარმანისა და კრიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი; 2. მხატვრულ შემოქმედებაზე ლიტერატურული გავლენის გარდაუვალობა; 3. განსხვავება ინდივიდუალური შემოქმედებისა ხალხურისაგან.

2. ნაშრომში გაანალიზებულია რუსი მოგზაურის – სერგეი მაქსიმოვის – ჩანაწერები ქართველ თავად იასე ფალავანდიშვილზე, წარმოჩენილია თავად იასეს მოგონებები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა მიზეზით ჩამოსულ რუს მწერლებსა და მოღვაწეებზე, არის მცდელობა 1932 წლის შეთქმულების მთავარი მონაწილისა და შემდგომ მისი გამცემის – იასე ფალავანდიშვილის – პიროვნების შეფასების.

ლადო მინაშვილი

1. (გიორგი ერისთავის დაბადებიდან 200 წლისთავისთვის) ნარკვევი. ნარკვევში განხილულია გიორგი ერისთავის ღვაწლი კულტურისა და ლიტერატურის წინაშე. დახასიათებულია გ. ერისთავის კომედიების თემატიკა, ვრცლად არის გაანალიზებული ის მხატვრული საშუალებები, რომელსაც მწერალი მიმართავს კომიკური ეფექტის შესაქმნელად.

2. სტატია ეძღვნება პროფესორ იუზა ევგენიძის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. განხილულია მისი წიგნები “ვაჟა-ფშაველა”, “ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან”, სამი ტომი, მონოგრაფია “გრიგოლ ორბელიანი” და ა.შ.

3. სტატია ეძღვნება პროფესორ იუზა ევგენიძის ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დახასიათებას.

ქეთევან სიხარულიძე

ადამიანი, როგორც პერსონაჟი კავკასიელთა წეს-ჩვეულებებში

(ანოტაცია)

სტატიაში საუბარია რიტუალის სიმბოლურ დატვირთვასა და მასში ადამიანის როლზე. ტრადიციული საზოგადოების მითოლოგიური წარმოდგენებით, ადამიანს არ მიუღია მონაწილეობა კოსმოსის შექმნაში. ამიტომ რიტუალშიც იგი სიმბოლური ქცევის შემსრულებელია და არ აქვს პერსონაჟის როლი. სიმბოლური ქცევით იგი იმეორებს საწყისთა დროში ღვთაებათა მიერ შესრულებულ ქმედებებს და ამით ხელს უწყობს სამყაროული წესრიგის შენარჩუნებას.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დროთა განმავლობაში რელიგიური საფუძვლების შესუსტების ფონზე რიტუალში მატულობს პროფანაციის ხარისხი, მასში შემოდის ყოფითი ელემენტები. ამ პროცესში იცვლება ადამიანის როლიც, იზრდება მისი აქტივობა. ეს განსაკუთრებით ეხება საგაზაფხული კალენდარულ და ამინდის მართვის წეს-ჩვეულებებს, რომლებშიც ადამიანი უკვე პერსონაჟის ფუნქციით გვევლინება. ღვთაებებისადმი მიმართვის ფორმულებში მატულობს იმპერატიული ტონი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს წეს-ჩვეულების გადაგვარების სიმპტომია, რომელსაც მოჰყვება მისი რღვევა და საბოლოო გაქრობა.

2. რატომ არ თვლიან ხევსურები ამირანს გმირად

(ანოტაცია)

სტატიაში განხილულია ამირანის თქმულების ხევსურული ვარიანტები. ღმერთმებრძოლი ამირანი ქართული ფოლკლორის პოპულარული გმირია. მთელ საქართველოში დადასტურებულია მისი ამბავი, რომელიც დადებითი ჰეროიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა. განსხვავებულ ვითარებას ვხედავთ ხევსურეთში. აქ საკმაოდ მწირია ამირანიის ტექსტების რაოდება და ასევე დაბალია მათი მხატვრული დონე. ხევსურები ამირანსა და მის ძმებს უარყოფით პერსონაჟებად არიქვამენ, რადგან თვლიან, რომ მათი ქმედება უქმია, არანაირი სიკეთე არ მოაქვთ ადამიანებისთვის.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამირანის თქმულება ვერ დამკვიდრდა ხევსურთა ზეპირსიტყვიერებაში, რადგან საგმირო საქმეებით მან მეტოქეობა ვერ გაუწია ღვთიშვილთა ძლიერ კულტს და დარჩა მისი მითოსურ-რელიგიური ისტორიის მიღმა.

ელენე გოგიაშვილი

ფოლკლორი და სტრუქტურალიზმი

სტატია წარმოადგენს მეთოდოლოგიურ ნაშრომს ფოლკლორისტიკაში სტრუქტურალიზმის გავლენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფოლკლორისტიკები დღესდღეობით უპირატესობას ტიპოლოგიას, კულტუროლოგიურ და სოციალური ისტორიის მეთოდებს ანიჭებენ, გვერდს ვერ უვლიან ფენომენოლოგიურ-ანთროპოლოგიურ ცდებს, მოტივთა კლასიფიკაციებს და სტრუქტურულ შესწავლას. სტრუქტურალიზმის გარეშე შეუძლებელია ფოლკლორისტიკის თანამედროვე მეთოდების გააზრება და სამეცნიერო კვლევები. მეცნიერების განვლილი ეტაპების ანალიზი კი მეტად მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების შემუშავებისა და განვითარებისთვის.

ესპანური ანდაზები ქართულ ენაზე

ნაშრომში მიმოხილულია ესპანური ანდაზების კრებული „Refranero“, რომელიც პირველად გამოიცა ქართულ ენაზე. მასში თავმოყრილია შვიდასზე მეტი ესპანური ანდაზა და დართული აქვს სრული სამეცნიერო აპარატი: წინასიტყვაობა, შენიშვნები, ქართული შესატყვისები ანბანის რიგზე, ლექსიკონი და ბიბლიოგრაფია.

ჩრდილოკავკასიელ და ქართველ მთიელთა ურთიერთთავდასხმების ამსახველი საგმირო ლექსები

საგმირო პოეზიის ჟანრს განსაკუთრებული როლი ენიჭება ფოლკლორში, რამდენადაც მასში საზოგადოების ისტორიული მეხსიერება და ყოველდღიური გამოცდილება აისახება. საგმირო ლექსებში, რომელთა სიუჟეტები ქართველებსა და არაქართველებს შორის ორთაბრძოლებზეა აგებული, ყურადღებას იპყრობს მოწინააღმდეგის ობიექტურად შეფასების ფაქტები და მისი პატივისცემის ტენდენცია.

ერთგულების გამოცდა: უილიამ შექსპირის „ციმბელინი“ და ნოველისტური ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტი ATU 882

უილიამ შექსპირის ხუთმოქმედებიან პიესას „ციმბელინი“ საფუძვლად უდევს ფოლკლორში მეტად გავრცელებული მოტივი - სანამლეო ცოლის ერთგულებაზე. ეს თემა შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში მეტად პოპულარულია. მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის პიესა თავისუფალი ინტერპრეტაციაა ორიგინალური ქვე-სიუჟეტებითა და ისტორიული თემატიკის დრამატიზებით, მასში საინტერესო საკვლევ მასალას ვხვდებით ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით.

ქრისტიან მახაური

1. ნაშრომში განხილულია ქართულ ხალხურ პოეზიაში გამოვლენილი ზაიათის ტიპის ლექსები, შესწავლილია მათი ვერსიფიკაციული მხარე და გამოკვეთილია ის ნაციონალური თავისებურებანი, რომლებიც ამ ლექსებს აზერბაიჯანული ზაიათებისაგან განასხვავებს.
2. სტატიაში მიხა ხელაშვილის პოეზია ავტორის ცხოვრებისეულ მოვლენებთან ღრმა კავშირშია განხილული, რადგანაც მიხა ხელაშვილი ლექსების უმეტესობას ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ყოფნისას წერდა. მათში მკაფიოდ და მძაფრად აისახა სისხლიანი ეპოქის კვალი.
3. ნაშრომში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხატ-სალოცავებში ხუცეს-ხევისბრების და დეკანოზების მიერ წარმოსათქმელი საკულტო ტექსტები. ავტორის დაკვირვებით, ეს ტექსტები წარმოადგენენ ქრისტიანული ღვთისმსახურების დროს წარმოსათქმელი ლოცვების გახალხურებულ ვარიანტებს.

ხვთისო მამისიმედიშვილი

1. გოტფრიდ მერცბახერი კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების შესახებ: ნაშრომში განხილულია გერმანელი მეცნიერის გ. მერცბახერის ღვაწლი კავკასიის ხალხთა კულტურის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლის საქმეში, 1901 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული მისი ორტომეულის “კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების” კულტურულ-ისტორიული და ფოლკლორულ-ეთნოლოგიური ღირებულება.
2. რეცენზია წიგნზე: Людвиг Чибиров, Традиционная духовная культура осетин, РОССПЭН, Москва, 2008: ნაშრომში მეცნიერულად არის შეფასებული ლ. ჩიბიროვის ვრცელი მონოგრაფია (704 გვ.) ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურის შესახებ. გამოთქმულია ცალკეული შენიშვნები ავტორის პოზიციასთან დაკავშირებით ოსური ძეგლების გენეზისისა და არქაულობის შესახებ.

რუსუდან ნიშნიანიძე

„სუფთა წერა დიდებისათვის“ – ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“ #12

წერილში საუბარია საავტორო უფლებათა დარღვევებზე, კერძოდ, პლაგიატზე, როდესაც იწერენ არა მხოლოდ მოსაზრებას ან ე.წ. „ერთ აბზაცს“, არამედ მთელ სტატიას და საკუთარი გვარ–

სახელით ხელახლა ბეჭდავენ; დასახელებულია კონკრეტული ავტორები და გამოცემები.

„სემინარი გრძელდება... ამჯერად „ღირსება“ – ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“ #13

წერილი ეხება 80-იანი წლების ბოლოს ჰოლივუდში გადაღებულ ფილმს „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. დიდი ამერიკელი პოეტის, უოლტ უიტმანის ლექსის სტრიქონები მთელ ფილმს რეფრენივით გასდევს. ისაა სათქმელის ერთ-ერთი უმთავრესი მეტაფორა. მწერლობის ფუნქცია, ლიტერატურული პარალელები და სათქმელის თანამედროვე გააზრება დღევანდელი მაყურებლის თვალთა დასა და აქცენტები, რომლებზეც წერილში ყურადღებაა გამახვილებული.

6. „საშობაო გზავნილები – დღესასწაული გრძელდება“ – ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“

იბეჭდება. თარგმანი ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების საშობაო მიმართვისა, რომელიც დაცულია აშშ, პენსილვანიაში, ლიჰაის უნივერსიტეტის – „სპეციალურ კოლექციაში“; ამასთან, შესაძლებელი გახდა მომეძიებინა და შემდგომ მომეპოვებინა თვალსაჩინო ქართველი მინის მრეწველის – ჯორჯ კობის, იგივე გრიგოლ კობახიძის მიერ წარმოებული საშობაო ნამდვის ხის სათამაშოები. წერილში საუბარია ამერიკელი მრეწველის წარმატებულ მოღვაწეობაზე.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს	გამოცემის ადგილი,	გვერდების

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1				
2				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2013 წ. იბეჭდება	„რუსთაველის ადგილისათვის შუასაუკუნეების ევროპულ - ქრისტიანული აზროვნების პროცესში“ (ინგლისურ ენაზე) კრებული: „ქართული ქრისტიანული აზროვნება და მისი კულტურული კონტექსტი“		(აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) საერთაშორისო	გვ. 285-307

2.	Мака Элбакидзе	<p>Символическая закономерность человеческих имен и прозвищ в средневековой литературе.</p> <p>Материалы 1-го международного Симпозиума «Интегративные функции современной компаративистики».</p>	Часть. 2.	<p>გამოცემლობა „Brill“</p> <p>Астана, ЕНУ им. Л.Н. Гумилева.</p>	Стр. 286-290
3	ლელა ხაჩიძე	<p>X საუკუნის ქართული და ბულგარული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, სჯანი, ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობა- ში</p> <p>“მეხელთა” მოღვაწეობის ისტორიიდან (სტეფანე</p>	#13	<p>თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა</p>	11 გვერდი

		<p>სანანოსძე – ჭყონდიდელი)</p> <p>სჯანი</p>		<p>თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა</p>	
4	ლელა ხაჩიძე	<p>იოანე მინჩხი - X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი, ქართველოლოგი, ორენოვანი (ქართული და ინგლისური) რეცენზირება-დი ჟურნალი</p>	#14		6 გვერდი
5	ლელა ხაჩიძე	<p>Ioane Minchkhi – Georgian Hymnographer of the 10th Century</p>		<p>თბილისი, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი (თსუ)</p>	6 გვერდი
6	Lela Khachidze	<p>Христианство в культуре Грузии Səmiyyəət, Din, Dövlət Общество, Религия, Государство Society, Religion, State</p> <p>Квирикашвили Л. (საენციკლოპედიო სტატია). Православная Энциклопедия</p>	#5		6 pages

<p>ნესტან სულავა, ირმა კეცხოველ</p> <p>ო</p>	<p>Ilia Chavchavadze and western reflective traditions, Pro Georgia</p>		<p>Издательство " Елм ве техсил". Баку.</p>	<p>c. 190 - 267.</p>
<p>ნესტან სულავა</p>	<p>რედუბლიკაცია, როგორც ლექსიკოტიპოლოგიური კვლევის ერთი საინტერესო უბანი, კრებული: “ლექსიკოტიპოლოგია</p>	<p>XXXII</p>	<p>Москва.</p>	<p>გვ. 294</p>
<p>Eka Vardosvhili</p> <p>თამარ შარაბიძე, ინგა სანიკიძე</p>	<p>"Илья Чавчавадзе и русская культура", Русистика 2013, язык, коммуникация, культура, сборник материалов международной конференции: " Русистика XXI века: традиции и перспективы".</p> <p>About Georgian Fairytales. In:</p>	<p>N23; 2013</p>	<p>Warsaw</p> <p>გრანადა, ესპანეთი, 2013, გამომც.</p>	<p>129-135</p>

	<p>თამარ შარაბიძე</p>	<p>BABELAO 2/2013, Electronic Journal for Ancient and Oriental Studies: http://www.uclouvain.be/441380.html</p> <p>УДОЖЕСТВЕННО - СИМВОЛИЧЕСКИЙ ХРОНОТОП: ЧЕРУБИНА ДЕ ГАБРЯК И ЕЛЕНА ДАРИАНИ (СОПОСЛОВИТЕЛЬНИЙ ДИСКУРС)</p>	<p>“ენტიონო გრაფიტი</p> <p>г. Шумен, изд. "Химера" , 2013.</p> <p>2/2013</p> <p>Université catholique de Louvain</p> <p>АТАТЮРКСКИЙ УНИВЕРСИТЕТ Отделение русского языка и литературы АТАТЮРКСКИЙ УНИВЕРСИТЕТ Отделение русского языка и</p>	<p>213-218</p> <p>374-380</p>
	<p>Elene Gogiashvili</p>			
	<p>თამარ ჰაიჭაძე</p>			

			«АКТУАЛЬ НЫЕ ВОПРОСЫ РУССКОЙ ФИЛОЛОГ ИИ В ПОЛИКУЛ ЬТУРНОМ ПРОСТРАН СТВЕ» СБОРНИК СТАТЕЙ 2013 г.	литературы Эрзурум 2013	196 -201
--	--	--	--	----------------------------	----------

ანოტაციები

1. ამ გამოკვლევაში რეზიუმირებულია ჩემი ახლებური თვალსაზრისი რუსთველის მსოფლმხედველობაზე იმ ასპექტით, რომ გამოკვეთილ იქნას რუსთველის ადგილი ევროპული ქრისტიანული აზროვნების პროცესში. კვლევა-ძიება ვეფხისტყაოსნის უმთავრესი მხატვრული სახეების, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ეთნიკური, სქოლასტიკური და იურიდიული ცნებების, სიუჟეტის სტრუქტურის და მსოფლმხედველობითი დატვირთვის ცენტრალური ეპიზოდების ანალიზს. გათვალისწინებულია და კრიტიკულადაა მიმოხილული ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერებების უმთავრესი მიღწევები რუსთველოლოგიის დარგში.

ვეფხისტყაოსნის მსოფლმეგრძნების უმთავრესი თავისთავადობა შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის ჰარმონიაში მდგომარეობს. ეს ჰარმონია არაა მხოლოდ რუსთველის პიროვნული მსოფლადქმის გამოხატვა. ესაა ეპოქისეულიმსოფლხედვის გამოვლენა, ესაა ქრისტიანული ცივილიზაციის გარკვეული ეტაპის მსოფლმეგრძნება. *ვეფხისტყაოსანი* მისი თანამედროვე და უშუალოდ მომდევნო, თუ წინამორბედი დიდი ლიტერატურული ქმნილებებიდან ყველაზე მეტი თანმიმდევრობით, თეორიული გააზრებითა და მხატვრული გადაწყვეტით გამოკვეთს ახალ მსოფლმეგრძნებას - შუასაუკუნეების ტრანსცედენტურ მსოფლმხედველობაში მოაზრებული რომანტიკული შეფერილობის რეალისტურ ხედვას.

მაკა ელბაქიძე

Символическая закономерность человеческих имен и прозвищ

в средневековой литературе

К одной из характерных черт средневековой литературы следует причислить специфику оформления названий произведений, когда вместе с именем главного героя в заглавие выносятся иконический символ характерных только для этого конкретного персонажа качеств: напр: лев – куртуазность («Ивейн, или Рыцарь со львом»); телега – влюбленность («Ланселот, или Рыцарь телеги»); Грааль – благородство («Парсеваль, или повесть о Граале») и т.д. (Ср. с восточным средневековым героическим эпосом, когда к имени героя добавляется слово *наме*).

Со своеобразной интерпретацией этого принципа сталкиваемся в «Витязе в тигровой шкуре» Руставели, главный герой которого, Тариэл, назван «Вепхисткаосани», что в переводе означает «Облаченный в тигровую шкуру». Символический смысл этого прозвища гораздо глубже, чем, скажем, *Рыцарь Тигра*. Это не только маркер ношения шкуры определенного животного, а также силы и храбрости носителя этого прозвища (ср. «Шах-наме»). «Вепхисткаосани» двухступенчатый символ: в прямом значении в нем подразумевается Тариэл, а в символическом – Нестан. Соответственно в ношении Тариэлом тигровой шкуры, также как и в самом прозвище («Вепхисткаосани») прочитывается трагедия, порожденная утратой возлюбленной, безнадежность, боль и отчаяние.

Таким образом, символическое осмысление прозвища Тариэла возможно при учете его глубокого психологизма.

ლელა ხაჩიძე

1. X საუკუნის ქართული და ბულგარული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

შუა საუკუნეების კვლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანები, რომლებიც მნიშვნელოვან ლიტურგიკულ - ჰიმნოგრაფიულ კრებულებშია ("უმველესი იადგარი" და "მარხვანი") შესული.

ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის საგალობელთა სიმრავლით გამოირჩევა იოანე მინჩხი (X საუკუნის I ნახევარი). დღეისათვის ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილია მინჩხის 100-ზე მეტი მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც გამოირჩევა თეოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით. მათი უმეტესობა განკუთვნილია "მარხვანისათვის" და ითვალისწინებს ამ კრებულისათვის დამახასიათებელ რიგ მოთხოვნებს. ბერძნულიდან თარგმნილ კრებულში იოანე მინჩხმა შეიტანა ორიგინალური, ქართული ფენა. ეს იყო ბერძნულიდან თარგმნილი კრებულის "გაქართულების"

იმზიათი შემთხვევა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

მსგავს მოვლენას ვხვდებით X საუკუნის ბულგარულ ჰიმნოგრაფიაში. XI საუკუნის ხელნაწერში - “ბიტოლის ტრიოდინი” შესულია ორიგინალური - სლავური საგალობლების მთელი ციკლი - 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელი, რომელთა ავტორია X ს-ის მოღვაწე - კონსტანტინე პრესლაველი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტერატურული სკოლისა. მისი სახით X საუკუნის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

ორივე ავტორის საგალობლები შექმნილია იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით და საერთო ნიშნებთან ერთად, გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით.

2. “მეხელთა” მოღვაწეობის ისტორიიდან (სტეფანე სანანოისძე - ჭყონდიდელი)

X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა - “მეხელთა” შორისაა სტეფანე სანანოისძე, რომლის შემოქმედება სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებაა შესწავლილი. მისი სახელი დიდი პატივით მოიხსენიება რუს - ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში.

როგორც ჩანს, სტეფანე სანანოისძე მთარგმნელობით საქმიანობასაც მისდევდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია მისი რამდენიმე თარგმანი, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ **სტეფანე სანანოისძე მეტად მნიშვნელოვანი, დღეისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნება იყო.** მისი შემოქმედება მონოგრაფიულად შესწავლას მოითხოვს.

სტეფანე სანანოისძის საგალობლები ძველი ქართული სასულიერო პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებია. მათში შერწყმულია ავტორის ღრმა თეოლოგიური განსწავლულობა და მხატვრული ოსტატობა.

აშკარაა დიდი ხელოვანისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი - საგალობლების კომპოზიციური მთლიანობა და აზრის თანმიმდევრულობა - ერთი თემის მრავალმხრივი გააზრება.

სტეფანე სანანოისძის საგალობელში, რომელიც ნათლისღებას ეძღვნება ნათლად იკვეთება ამ დღესასწაულის განსაკუთრებული მნიშვნელობა, აგრეთვე წმ. აბოს ღვაწლი. საგალობელში ნათლად იგრძნობა ეროვნული ტენდენციები.

სტეფანე სანანოისძის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს სტეფანე პირველმოწამეც. სწორედ მას ეძღვნება მიქაელ მოდრეკილის “იადგარში” შესული მისი II საგალობელი.

საგალობლის შესწავლა მოწმობს, რომ ავტორი კარგად იცნობს წმ. სტეფანეს “წამებას”, რომლის ქართული თარგმანი შესულია “სინურ მრავალთავში” (864 წ.). შედარებამ ცხადყო, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოები - “წმ. სტეფანეს წამება” სტეფანე სანანოისძის საგალობლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

3. იოანე მინჩხი - X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი

სტატიაში განხილულია X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის – იოანე მინჩხის შემოქმედების ძირითადი ასპექტები.

იოანე მინჩხის შემოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი შემოქმედების კვლევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი უცნობი მემკვიდრეობა – 77 საგალობელი, რომლებიც გამოვლენილ იქნა ჩვენს მიერ. მათი შესწავლის შემდეგ ახლებურად გამოიკვეთა იოანე მინჩხის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონე და შესაძლებლობები.

მინჩხის საგალობლები ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. ტრადიციის ერთგულებასთან ერთად, მათთვის დამახასიათებელია დიდი ორიგინალურობაც. ამ ორი ფაქტორის შერწყმა იოანე მინჩხის შემოქმედებას მეტად შთამბეჭდავს ხდის.

გაირკვა ისიც, რომ იოანე მინჩხი იყო შემდგენელი I ქართული “მარხვანისა”, რომელიც საფუძვლად დაედო ამ უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის შემდგომ განვითარებას. მინჩხის სახელს უკავშირდება მთელი რიგი ახალი, ორიგინალური საზომების შემოტანა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

იოანე მინჩხის განსაკუთრებულ ადგილს ქართული ეკლესიისა და მწერლობის ისტორიაში ადასტურებს საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი, ქართული და ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე სწავლული – გიორგი ათონელი.

Ioane Minchkhī – Georgian Hymnographer of the 10th Century

In this paper we discuss the important aspects of the legacy of the most prominent 10th century Georgian hymnographer - Ioane Minchkhī.

Separate issues of Ioane Minchkhī's creative activity were considered by Georgian scholars. For the research into Minchkhī's creative works of special attention is the unknown part of his creations – 77

hymns revealed by us. The study of this unknown heritage redefined Ioane Minchkhi's place in the history of Georgian literature. At the same time, the level and opportunities of Georgian original hymnography were presented in a new way.

Minchkhi's hymns are perfect examples of Georgian hymnography. Along with great traditionalism Minchkhi's creative works are characterized by great originality. It is just the combination of these two factors that explains Minchkhi's special place in the history of Georgian hymnography.

As is seen, Minchkhi had done extremely difficult and purposeful work in Georgian hymnography. He was an editor and a compiler of the first Georgian Lenten Triodion – one of the most important liturgical – hymnographical collections. Minchkhi is the only author among Georgian hymn-writers who had conducted such voluminous and complicated work. The first Georgian Triodion laid the foundation to the following redactions of this collection. The reconstruction of the first Georgian Triodion separated from Tropologion as an independent collection is of particular interest in research of Byzantine hymnography; namely, from the viewpoint of studying one of the earliest stages of Greek Triodions

Among Georgian hymnographers Ioane Minchkhi is the only author whom a number of “Stichera Idiomela” belongs to. With these stichera he introduced new verse metres and new melodies in Georgian hymnography.

Minchkhi's great contribution in the history of Georgian church and literature is most fully expressed by George the Athonite – the greatest authority of Georgian church, an outstanding scholar of Georgian and Byzantine writing.

ნესტან სულავა

1. ქრისტიანობა ქართულ კულტურაში

სტატია ეძღვნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, ქრისტიანობის როლის წარმოჩენას ქართული კულტურის ისტორიაში. იგი ემყარება უმდიდრეს საისტორიო, ლიტერატურულ დოკუმენტურ წყაროებს. ქართული ეკლესიის წარსული განხილულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი განვითარების ფონზე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ნაშრომის მიზანია ქრისტიანული რელიგიის ჩასახვისა და განვითარების ეტაპების წარმოჩენა და მისი ადგილის გარკვევა საზოგადოების, ქართველი ერის თვითშემეცნების, იდენტობის ჩამოყალიბებაში საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ისტორიულ ჭრილში. სახელმწიფო იდეოლოგიის კონცეფცია საფუძვლად დაედო ეროვნულ ღირებულებებს, სიმბოლოებს, რომლებიც სახელმწიფოს იდენტიფიკაციასა და ლეგიტიმაციას, მის

შინაგან მთლიანობას ემსახურება.

2. კვირიკაშვილი ლიანა

ესაა საენციკლოპედიო სტატია ქართველი ჰიმნოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ლიანა კვირიკაშვილის მოღვაწეობის შესახებ. იგი გამიზნულია „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მრავალტომეულისათვის, რომელსაც გამოსცემს რუსეთის საპატრიარქო რუსულ ენაზე.

ეკა ვარდოშვილი

Ilia Chavchavadze and western reflective traditions. The west thoughtful and literary traditions have been reflected in the creation of XIX century Georgian classics, especially in the works of Ilia Chavchavadze; The basis in a Cristian religion, facial expression paradigms, and philosophical doctrine that was popular at that time.

თამარ შარაბიძე

1. ნაშრომში მიმოხილულია ქართული ენის ზმნაში დუბლეტურ წარმოებათა სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლები; საზოგადოდ, ქართულ ენაში რედუპლიკაცია არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ინტენსიურ მოქმედებათა გამოხატვის წმინდა გრამატიკული მოცემულობა, უმჯობესია, რომ მისი მისი განხილვა ლექსიკურ დონეზე მოხდეს. ტიპოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ ქართული ენის მდგომარეობა რამდენადმე ჰგავს ევროპული ენების დუბლეტურ ფუძეთა წარმოების შინაარსობრივ მოტივაციას. მაგალითები განსაკუთრებით ხშირია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

2. ნაშრომში ობიექტურადაა წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება რუსული კულტურის მიმართ; რუსული კულტურის გავლენა ქართველ მოღვაწეებზე, ამავე დროს ილიას ინდივიდუალური დამოკიდებულება რუსი მოღვაწეების მიერ დაყენებული ლიტერატურულ-

ესთეტიკური საკითხებისადმი.

ელენე გოგიაშვილი

ინგლისურენოვანი სტატია წარმოადგენს ქართული ხალხური ზღაპრების ზოგად მიმოხილვასა და ძირითადი თემებისა და პერსონაჟების დახასიათებას შედარებით-ისტორიული ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

Пайчадзе Тамар

ХУДОЖЕСТВЕННО - СИМВОЛИЧЕСКИЙ ХРОНОТОП: ЧЕРУБИНА ДЕ ГАБРЯК И ЕЛЕНА ДАРИАНИ (СОПОСОВИТЕЛЬНИЙ ДИСКУРС)

В литературной жизни Грузии 20-ых годов прошлого столетия стало сенсацией появление Елены Дариани, её смелые и неординарные мысли... Несмотря на появление позднее нескольких комментариев, о персоне Елены Дариани мистификация существовала 12 лет и стала удивительно популярным. Это был не только успешный факт первой литературной мистификации, ещё и беспрецедентный пример, как мужчина постарался объяснить истинный дух женщины, её внутренний психологический мир, передать в стихах её чувства. Естественно, исходя из этого, ещё труднее было заметить тот факт, что другие поэтические создания Паоло Иашвили своими эстетическими формами, художественным аксессуаром и поэтической рукописью были очень похожи на "дневники Елены Дариани". И эти стихотворения для их автора не были только самоцелом литературной театрализации, причиной их создания мы должны искать в художественном стиле и в методе самого поэта.

До этого случая в Грузии не было прецедентов похожей поэзии, а в мировой литературе у неё и предшественников много было, и современников. Особенно надо отметить Черубину де Габриак – которая родилась с помощью Елизаветы Дмитриевы и её другом Максимилианом Волоциным, своим духовным драматизмом и поэтическим миром её можно считать “духовной сестрой” Елены Дариани, родившейся несколько позже (1915) в литературе.

Несмотря на особенную популярность и поэтический кругозор, личность Черубини де Габриа в поэзии жила всего лишь 2- 3 месяца и скоро выявилось. Кроме этого поэзия Черубины, в отличие от Елены Дариани, было создано женщиной; Но некоторые импульсы от этой поэзии можно осознать в “дневниках Елены Дариани”. Можно сказать, что лирический герой Елены Дариани отражает особую близость с прекрасным духом Черубины, но не в такой степени, как поэзия Анны Ахматовой и Марины Цветаевой.

Мировоззренительную поддержку литературная мистификация грузинской поэзии, как и в Русских аналогах, нашла в философических теориях “духовного отца” символистов Владимира Соловьёва, и в символических образах литературной мистификации любовь к маскам, желание литературной театрализации сходится с теориями Э.Ланн. и Реми де Гурмон, указывая на символиста творца с артистическим духом, целью которого представляется самое явление

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ელგუჯა ხინთიბიძე	„სიყვარულის ვეფხისტყაოსნისეული კონცეფცია შუასაუკუნეობრივ მოდელზე“	თბილისი, თსუ 2013 წ. 12-13 დეკემბერი
2	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსანი და ქართული საზოგადოება“	თბილისი, საჯარო ბიბლიოთეკა 4 აპრილი 2013 წ.
3	ელგუჯა ხინთიბიძე	„ვეფხისტყაოსანი - უილიამ შექსპირის ციმბელინის წყარო“	თბილისი, თსუ, სტუდენტთა ქართველოლოგიური კლუბი, 5 ივნისი, 2013 წელი.
4		„ვეფხისტყაოსანი - უილიამ შექსპირის ლიტერატურული წყარო	

	<p>ელგუჯა ხინთიბიძე</p>		<p>თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2 დეკემბერი, 2013</p>
5	<p>მაკა ელბაქიძე</p>	<p>„მილან კუნდერას ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“.</p>	<p>მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი” ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27.09.2013. თბილისი.</p> <p>Научно-практическая конференция «Иверский Свет». Русско-грузинские поэтические связи 20-го века. 14.07.2013</p>
6	<p>მაკა ელბაქიძე</p>	<p>Николай Заболоцкий и Грузия.</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. 12-13-12-2013. თბილისი</p>

7	მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი	ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანი- ტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ – მასწავლებელთა მე-7 საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, თსუ, ივნისი, 2013
8	ლელა ხაჩიძე	1. ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ერთი ნიმუში (”ცხოვრება თეოქტისტე ლეზველისაჲ“) ქართული ჰიმნოგრაფიის საზომები	პ. ინგოროყვასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 15 ოქტომბერი, 2013 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

9.	ლელა ხაჩიძე	<p>მღვიმური ცნობიერება პლატონის „სახელმწიფოს“ მიხედვით და „ვეფხისტყაოსანი“.</p> <p>აკად. შ. ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.</p>	<p>სახელმწიფო უნივერსიტეტი</p> <p>2013. 12-13 დეკემბერი.</p>
10	ნესტან სულავა	<p>ვეფხვის მეტაფორა კავკასიურ არეალში. კავკასიოლოგიის III კონგრესი</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, 23-25 ოქტომბერი.</p>
11	ნესტან სულავა	<p>ეთნიკურ და რელიგიურ-კონფესიურ ურთიერთობათა ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში.</p> <p>ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა. რესპუბლიკური კონფერენცია</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, 1 ივნისი.</p>
12	ნესტან სულავა	<p>ათონის მონასტრის აღაპთა საღვთისმეტყველო ასპექტები.</p> <p>საერთაშორისო კონფერენცია: ბიზანტიოლოგია საქართველოში –</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.</p> <p>რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013. 24-26 სექტემბერი.</p>

			<p>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2013, 3 აპრილი.</p>
13	ნესტან სულავა	<p>გიორგი მთაწმიდლის ჰიმნოლოგიური მოღვაწეობიდან. სამეცნიერო კონფერენცია მიემდვინა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავს</p> <p>მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში. წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013, 30-31 მაისი.</p>
14	ნესტან სულავა	<p>ნიკოლოზ გულაბერისძისა და მამა პავლეს თანამოღვაწეობა ივირონის საბუთების მიხედვით. II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“</p> <p>ჰიმნოლოგიური ტერმინები XIII საუკუნის ხელნაწერში A-85. სამეცნიერო კონფერენცია</p>	<p>საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 2013, 25-30 ივნისი.</p> <p>ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორია 2013, 30 მაისი.</p>
15	ნესტან სულავა,	<p>ვნების პარასკევის საგალობლები</p>	

	<p>თანამომხსენებელი ნანა გონჯილაშვილი</p>	<p>ჰიმნოგრაფიაში და დავით გურამიშვილი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია</p> <p>ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. სამეცნიერო კონფერენცია</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, 19-20 ივნისი.</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013, 14 ივნისი.</p>
16	<p>ნესტან სულავა</p>	<p>ანთროპონიმთა სიმბოლიკა და მათი მიმართება წმინდანთა ხატ- სახეებთან. რესპუბლიკური კონფერენცია ონომასტიკაში</p>	<p>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2013, 21-22 ივნისი.</p>
17	<p>ნესტან სულავა</p>	<p>მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში</p>	
18	<p>ნესტან სულავა</p>		<p>წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რევაზ კვიციანი ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია</p> <p>2013, 30-31 მაისი</p> <p>თსუ</p>

19	ნესტან სულავა	<p>For the reflection of the idea of freedom for Caucasian people in the poetic works of Ilia Chavchavadze.</p> <p>კავკასიის თავისუფლების იდეის ასახვისათვის ილია ჭავჭავაძის პოეტურ ქმნილებებში</p>	<p>კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი. თსუ. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 23-26 ოქტომბერი 2013 წელი</p>
20	ნესტან სულავა		
21	ნანა გონჯილაშვილი	<p>Grigol Robakidze's Thoughts about Georgian Classic Writers of the 19th Century. XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტურ ნააზრევში</p> <p>One Story by Truman Capote.</p> <p>ტრუმენ კეპოტეს ერთი მოთხრობა</p>	<p>VII საერთაშორისო სიმპოზიუმი. თსუ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი. 25-26 სექტემბერი. 2013 წელი</p> <p>ამერიკისმცოდნეობის XIV საერთაშორისო კონფერენცია. თსუ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი. ამერიკის</p>

22	ე. ვარდოშვილი	ეთნიკურ-რელიგიური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ალექსანდრე ყაზბეგის პროზაულ თხზულებებში	შესწავლის საქართველოს ასოციაცია. 16-18 მაისი, 2013 წელი რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 2013 წლის 1 ივნისი
23	ე. ვარდოშვილი	პოლონურ-ქართული პოეტური თანხვედრანი	ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. თსუ, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კავკასიური კვლევის ცენტრი, პოლონეთის საელჩო საქართველოში 2013 წელი, 5 ივნისი

24	ე. ვარდოშვილი	„განდევილი“ ილია ჭავჭავაძისა და პიერ-ჟან ბერანჟეს პოეზიაში	საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. თსუ. 2013 წ. 19-20 ივნისი
25	ე. ვარდოშვილი	<p>რუსული ლიტერატურის ვაჟა-ფშაველასეული თარგმანები, თარგმანის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო კონფერენცია</p> <p>ალ. ყაზბეგის პროზის ძირითადი ტენდენციები</p>	<p>ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ოქტომბერი</p> <p>ანდრია პირველწოდებულის სახ. საპატრიარქოს უნივერსიტეტი. 2013/05</p>
26	ე. ვარდოშვილი	დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყარო	საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია 2013/06

27	ე. ვარდოშვილი	<p>პავლე ინგოროყვა ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევარი</p> <p>დედამიწის თაყვანისცემის ელემენტები ბავშვის დაბადების რიტუალში</p>	<p>ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამართული კონფერენცია 2013/24/09</p> <p>კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები თბილისი, 2013 წ. 23–26 ოქტომბერი</p>
28	თამარ შარაბიძე	<p>მთის საკრალური ფუნქცია ღმერთმებრძოლობის მოდელში</p> <p>კავკასიურ</p>	<p>.ფოლკლორისტიკის 50-ე სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება ვახტანგ კოტეტიშვილის 120 წლისთავს. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2013 წლის 5 ივნისი</p>
29	ლადო მინაშვილი		<p>ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „მითი, კულტი, რიტუალი“. თბილისი, 2013 წლის 5–6 დეკემბერი</p>

30	ლადო მინაშვილი	კოლხური ცულების სარიტუალო ფუნქციისათვის	თბილისი, 16-18 მაისი, 2013
31	ლადო მინაშვილი	მიწის ქალღმერთი აცტეკთა მითოლოგიაში	თბილისი, 23-26 ოქტომბერი 2013
32	ქ. სიხარულიძე	<p>ზღაპრული რაში: ქართულ-სომხური ფოლკლორული პარალელები</p> <p>ისტორიული აზბის ტრანსფორმაცია ზღაპარში: ალექსანდრე მაკედონელი ქართულ ფოლკლორში</p> <p>ზღაპრების კლასიფიკაცია “ძველ საქართველოში”</p>	<p>თბილისი, 5 ივნისი, 2013</p> <p>თბილისი, 19-20 ივნისი, 2013</p> <p>თბილისი, 14-15 ნოემბერი, 2013</p>

33	ქ. სიხარულიძე	<p>მეგალითური ძეგლებისა და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების საკითხისათვის</p> <p>მითოსურ-რელიგიური რელიქტები ზღაპარში: ქართული ხალხური ლექსი „მენაცვალე“ და მისი პროზაული ვერსიები</p>	<p>თბილისი, 5-6 დეკემბერი, 2013</p> <p>2013 წლის 5 ივნისი, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი</p>
34	ქ. სიხარულიძე	<p>ქართული ხალხური საგმირო ბალადა „ლომ-ხუზაურნი“</p> <p>სანდრო შანშიაშვილის ორი ბალადა</p>	<p>2013 წლის 19-20 ივნისი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>
35	ელენე გოგიაშვილი		<p>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის VII საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 2013 წლის 19-20 ივნისი.</p>
36		ოსური მითოლოგიური ლექს-	<p>ფოლკლორისტთა 50-ე სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ვ. კოტეტიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი, შოთა</p>

37	ელენე გოგიაშვილი	სიმღერები ძუარებზე ოსური რიტუალი “ცოფაი” და წმინდა მაქსიმეს თქმულება	რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2013 წლის 5 ივნისი კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი, 2013 წლის 23-26 ოქტომბერი.
38	ელენე გოგიაშვილი		თსუ ფოლკლორის მუდმივმოქმედ სემინარი, 2013 წლის 27 ნოემბერი
39	ელენე გოგიაშვილი	არქიტექტურული მოდელის რიტუალური აღდგენა ოსურ სიმღერაში “იყოს მარცვლეული” (Ес xyap)	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
40	ელენე გოგიაშვილი	ცხენის კურთხევის ოსური რიტუალური ტექსტები და მათი ტიპოლოგია	კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA) 2013 25-27 IX.
40	ელენე გოგიაშვილი	„ქართული წარმომავლობის ამერიკელი მწერალი და მოქანდაკე –ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი”	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია 2013 16-18 V.

41	ტრისტან მახაური		ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2013 16-18 VI
42	ტრისტან მახაური	„ლიტერატურული პარალელები _ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი ჯონ რიდი და ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 2013 28. 05
43	ბ. მამისიმედიშვილი	„უცნობი წერილი ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „სპეციალურ კოლექციაში“	საქართველოს უნივერსიტეტი 2013 18. 05
44	ბ. მამისიმედიშვილი	„ერთი მხატვრული სიმბოლო და რეალური ხატი გიორგი გამყრელიძის პოეზიაში“	თსუ, თბილისი ბსუ, ბათუმი
45		„უცნობი ფრაგმენტები გიორგი გამყრელიძის ცხოვრებიდან“	

46	ბ. მამისიმედიშვილი	<p>მოდერნისტული „ოცნებების ფაბრიკა“</p> <p>ინტელექტუალური თვალსაჩინოებანი: მოდერნისტული ტური</p>	<p>ილიას უნივერსიტეტი, თბილისი</p> <p>თსუ, თბილისი</p>
47	ბ. მამისიმედიშვილი	<p>“განთავისუფლებული იდეები”, კულტურული იდენტობა და ინტერგრაციის ქართულ-ევროპული პერსპექტივები</p>	<p>ილიას უნივერსიტეტი, თბილისი</p>
	რ. ნიშნიანიძე	<p>მოდერნისტული მიგრაციები: მოტივაციიდან შედეგისაკენ</p> <p>სიმბოლისტური ქალაქი: ფსიქოლოგიური რეფლექსია და მხატვრული პროექცია</p>	<p>თსუ, თბილისი</p> <p>თსუ, თბილისი</p>
48		კონსტანტინე გამსახურდიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტური კონფერენცია	

49	რ. ნიშნიანიძე	V სტუდენტური რეგიონთაშორის კონფერენცია	
50	რ. ნიშნიანიძე		
51	რ. ნიშნიანიძე		
52	რ. ნიშნიანიძე		
53	თამარ პაიჭაძე		

54	თამარ პაიჭაძე		
55	თამარ პაიჭაძე		
56	თამარ პაიჭაძე		
57	თამარ პაიჭაძე		
58	თამარ პაიჭაძე		

	თამარ პაიჭაძე		
--	---------------	--	--

მოხსენებათა ანოტაციები

ელგუჯა ხინთიბიძე

1. მოხსენება “სიყვარულის რენესანსული კონცეფცია შუასაუკუნეობრივ მოდელზე” ჩემ მიერ წაკითხული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიემდგნა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წელს, რომელიც შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 12-13 დეკემბერს. მოხსენება ეხებოდა *ვეფხისტყაოსანში* გატარებულ რუსთველის სიყვარულის კონცეფციას, რომელიც ჩემი მტკიცებით არის ორიგინალური და შეესაბამება შუასაუკუნეებიდან რენესანსის ეპოქაზე გარდამავალი პერიოდის აზროვნებას. ამ კონცეფციის მიხედვით ამქვეყნიური, ადამიანური სიყვარული გააზრებულია ღვთაებრივი სიყვარულის ამქვეყნიურ გამოვლინებად: სიყვარული არის ერთი, შესაძლებელია მხოლოდ მის ამქვეყნიურ ფორმაზე საუბარი.
2. ეს მოხსენება, „*ვეფხისტყაოსანი* და ქართული საზოგადოება“, წაკითხულ იქნა საჯარო მოხსენებად ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მოხსენება ეხებოდა *ვეფხისტყაოსნის* პოპულარობას გვიანდელი შუასაუკუნეების საქართველოში, კერძოდ სასულიერო წრეებში. ჩემი თვალსაზრისით სასულიერო წრეების პოლემიკას *ვეფხისტყაოსნისადმი*, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია XVII საუკუნის წყაროებით, წინ უძღოდა რუსთველის პოემის პოპულარობა თვით საეკლესიო წრეებში. საუბარი იყო აგრეთვე ქართველ მოღვაწეთა უძველეს ცდაზე, რომ *ვეფხისტყაოსანი*, როგორც ქართული კულტურის დიდი ძეგლი გაეტანათ ევროპაში.
3. მოხსენება „*ვეფხისტყაოსანი* - უილიამ შექსპირის *ციმბელინის* წყარო“ წაკითხულ იქნა 5 ივლისს 2013 წელს სტუდენტთა ქართველოლოგიურ კლუბში. ეს კლუბი დაარსებულია თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრთან. სტუდენტთა წრეებში იქნა პირველად გახმოვანებული ჩემი ახალი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ *ვეფხისტყაოსანი* გამოყენებული არის შექსპირის მიერ.

4. ამ მოხსენებაში „ვეფხისტყაოსანი - უილიამ შექსპირის ლიტერატურული წყარო“, რომელიც შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენისა და ლიტერატურის განყოფილებების გაერთიანებულ სხდომაზე, ინფორმაციული სახით იქნა მიწოდებული მსმენელთათვის ჩემი ახალგამოვლენილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ *ვეფხისტყაოსანი* გამოყენებულია შექსპირის *ციმბელინის* ლიტერატურულ წყაროდ. საუბარი იყო იმ გზებზე, რა გზითაც უნდა მისულიყო *ვეფხისტყაოსნის* ამბავი XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის დრამატურგთა წრემდე, კერძოდ უილიამ შექსპირამდე.

მაკა ელბაქიძე

მილან კუნდერას ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე

მწერალს, ისევე როგორც ნებისმიერ შემოქმედს, რომელსაც რიგით ადამიანთან შედარებით გამძაფრებული აქვს დაკვირვების უნარი, ცხოვრების მანძილზე მიღებული შთაბეჭდილებანი ე.წ. *ფაქტობრივი მეხსიერების* ფსკერიდან “ამოაქვს”. ჩემი მწერალი, მილან კუნდერა, ყველაზე მტკივნეულ მოგონებად 1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიაში რუსეთის არმიის შეჭრას მიიჩნევს, ვინაიდან სწორედ ამ მოვლენამ გაყო მისი ცხოვრება ორ – ოკუპაციამდელ და ოკუპაციის შემდგომ – ეტაპად (ისიც ნიშანდობლივია, რომ კუნდერას *ფაქტობრივ მეხსიერებაზე* ღრმად იყო აღბეჭდილი ნაციისტური ოკუპაციის კვალიც, რის შედეგადაც მასში საკმაოდ ადრეულ ასაკში გაიღვიძა პოლიტიკურმა თვითშეგნებამ). თუმცა, თავად კუნდერა აღიარებს, რომ ადამიანისთვის, მით უფრო მწერლისთვის, დამლუპველია წარსულში მომხდარი, თუნდაც მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ დაუსრულებელი განსჯა და ფიქრი, რადგან წლების გადასახედიდან წარსულის შეფასება ყოველთვის მოკლებულია სიზუსტესა და ობიექტურობას.

ფაქტობრივის გარდა, არსებობს *ეგზისტენციალური მეხსიერებაც*, რომელმაც, კუნდერას შემთხვევაში, ნათლად აირეკლა უზარმაზარი, უცხო “დერჟავის” მიერ შთანთქმული ერთი პატარა ქვეყნის აგონია. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სიტუაციის არც ამგვარი შეფასება იყო მთლად ზუსტი, მაგრამ ამ შეცდომის წყალობით მწერალმა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. კუნდერა მიხვდა, რომ არცერთ ფრანგს თუ ამერიკელს არ ძალუძს მიიღოს და სათანადოდ გაითავისოს ის, რაც მხოლოდ მან, ჩეხმა, იცის: თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის საკუთარი ნაციის აღსასრულის მომსწრედ ყოფნა. ამ ფაქტის გაცნობიერების შემდეგ, ბუნებრივია, მწერალი დგება არჩევანის წინაშე – შეეგუოს არსებულ რეალობას და მიიღოს “მოსულთა” თამაშის წესები, თუ “ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს” წარმოსახვით რეალობაში გაექცეს, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ოღონდ რა ფორმითა და მეთოდით? – სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ეს ნაშრომი.

Николай Заболоцкий и Грузия

Николаю Заболоцкому русская и грузинская культуры обязаны существованием свода классической грузинской поэзии на русском языке, знакомству русского читателя с богатствами классической грузинской поэзии, которая в свою очередь оказала существенное влияние на оригинальные стихи поэта.

Начало переводческой работы Заболоцкого почти совпало с началом его профессионального творчества. Тогда-же, в середине 30-х годов он взялся за перевод "Витязя в тигровой шкуре" Руставели. Первое издание этой поэмы в переводе для юношества вышло в 1937 году, однако творческое восхождение было прервано арестом по ложному доносу в марте 1938 года. Затем долгая ссылка в сибирские лагеря, война...

В конце 1940-х - 1950-е годы Заболоцкий вновь взялся за перевод близкой ему грузинской поэзии. Весной 1947г. Николай Алексеевич в составе группы поэтов приехал в Грузию. В Тбилиси он побывал у старых знакомых, завязал новые литературные связи (Заболоцкого связывала многолетняя дружба, а также общность творческих позиций с грузинскими поэтами С. Чиковани, Г. Леонидзе, Т. Табидзе). Он перевёл стихи Григола Орбелиани, Ильи Чавчавадзе, Акакия Церетели, Важа Пшавелы, Давида Гурамишвили. В 1955 году Заболоцкий закончил полный перевод поэмы Шота Руставели "Витязь в тигровой шкуре", но еще долго продолжал работу над переводом, вносил изменения, поправки. Последняя редакция перевода поэмы вышла в 1957 году. Нужно отметить, что Заболоцкий обратился к «Витязю» не только как переводчик, но и как историк литературы и философ, так как видел в Руставели и выдающегося поэта, и деятеля всемирного масштаба. Даже завершив работу по переводу, он продолжал думать об авторе.

Переводческая работа, как известно, занимала очень большое место в творческой деятельности Николая Заболоцкого. Объем его переводческого наследия (где самое почетное место занимает двухтомник грузинской классической поэзии) значительно превосходит в количественном отношении оригинальные произведения. Он не воспринимал ее как бремя. Поэтический перевод не казался ему обыденным литературным ремеслом. Ознакомление русского читателя с поэзией народов других стран он считал важнейшим просветительским делом. О задаче поэта-переводчика Заболоцкий писал просто: «На Западе говорят: стихи непереводимы. Неправда. Нельзя перевести на другой язык версификацию стиха, но душу стиха – то, ради чего стих создан, – можно перевести на любой язык мира, ибо все поэты мира пользуются одним и тем же инструментом разума и сердца».

ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში

მოხსენების მიზანია ვეფხისტყაოსნის, როგორც რაინდული რომანის ანალიზი ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპზე დაკვირვება, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება ლიმინარულობისთვის დამახასიათებელი ალტერნატიულობა (რეალური/ავანტიურული დრო; "საკუთარი", მოწესრიგებული სივრცე/ "სხვისი", ქაოტური სივრცე). როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე ევროპული რაინდული რომანების ავტორებთან, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დრო-სივრცული პარადიგმა მჭიდროდ უკავშირდება ცალკეულ პერსონაჟს და მის ქცევასა და

ხასიათზეა დამოკიდებული. ამავე პრობლემის განუყოფელი ნაწილია პერსონაჟთა მხატვრული სახეების კვლევა მათი ხასიათის ფსიქო-ემოციური კუთხით წარმოჩენის თვალსაზრისით. ხეტიალის, ძიების მოტივი, მჭიდროდ გადაჯაჭვული ველად გაჭრის კონვენციასთან, პერსონაჟს მოაქცევს სამყაროებს შორის ნაპრალში, “აქ” და ”იქ” არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს შორის. პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია სწორედ ამ “მისტიური მოგზაურობის”, “ტრანზიტულობის”, ალტერნატიულ დრო-სივრცეთა დიქოტომიის ფონზე იკვეთება.

ლელა ხაჩიძე

1. ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ერთი ნიმუში (”ცხოვრება თეოქტისტე ლეზველისაჲ“)

“მონანიე დედები” მედიევსტიკის ერთ-ერთი საინტერესო და მრავალმხრივი თემაა. “მონანიე დედათა” შორისაა წმ. თეოქტისტე ლეზველი, რომლის

“ცხოვრება” დაიწერა ბერძნულ ენაზე X საუკუნეში. ძეგლის ავტორია

ნიკეტას მაგისტროსი. ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს X საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 913 - 919 წლებს შორის. ტექსტი, მცირეოდენი ცვლილებით, თავის კრებულში შეუტანია სვიმეონ მეტაფრასტს. წმინდანის “ცხოვრება” თარგმნილი და გამოქვეყნებულია სხვადასხვა ენაზე.

“თეოქტისტე ლეზველის ცხოვრება” X საუკუნეში ქართულ ენაზე უთარგმნია თვალსაჩინო მოღვაწეს – სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელს. ტექსტი გაგამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია.

ჩვენს მიერ ორი ქართული ხელნაწერის - S 384 და გელ. 5 - ის მიხედვით გადმოწერილი და დადგენილია “თეოქტისტე ლეზველის ცხოვრების” ძველი ქართული თარგმანი, რომელიც ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. იგი საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, შევისწავ-

ლოთ სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა,
მეორე მხრივ, წმინდანის “ცხოვრების” ერთ – ერთი პირველი და საყურადღებო
თარგმანი, რომელიც მეცნიერთათვის აქამდე არ იყო ხელისაწვდომი.

2. ქართული ჰიმნოგრაფიის საზომები

100 წლის წინ, 1913 წელს, გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას “მველ–ქართული სასულიერო პოეზია”, რომელშიც შესულია X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლები. ეს გამოცემა დღესაც სანიმუშოა, როგორც ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური, ისე რიტმულ-მელოდიური ნიმუშების სიზუსტის თვალსაზრისით. ამავე ნაშრომში პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა მის მიერ გამოვლენილი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშები – წმ. შიო მღვიმელის ორი მცირე ფორმის საგალობელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნით დაიწყო ქართული ჰიმნოგრაფიის მეცნიერულად შესწავლა.

იოანე მინჩხის საგალობელზე მუშაობისას მეცნიერმა ყურადღება მიაქცია ხელნაწერში არსებულ რიტმული განკვეთის ნიმუშებს, რომლებიც პოეტურ საზომებს აღნიშნავდა. მსგავსი კანონზომიერება გამოავლინა მან ქართული ჰიმნოგრაფიის სხვა ნიმუშებშიც. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის, რომელმაც ნათელყო, რომ ქართული საგალობელი ფორმითაც ლექსს წარმოადგენს. ამავე დროს, გამოვლინდა ქართული ჰიმნოგრაფიის ათობით ახალი საზომი.

როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვას ეს აღმოჩენა ხანგრძლივი დავის საგნად იქცა. სწორედ ამის გამო ქართული ჰიმნოგრაფიის ნიმუშები “გიორგი მერჩულესა” და “თხზულებათა” III ტომში პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა შესაბამისი საზომების აღნიშვნით.

ქართული ჰიმნოგრაფიის საზომების გამოვლენით და ამ სფეროში შეტანილი ღვაწლით პ. ინგოროყვამ ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევა ამ მხრივ ევროპულ მეცნიერებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას დაუახლოვა.

ნესტან სულავა

1. პლატონის „სახელმწიფოს“ მიხედვით და „ვეფხისტყაოსანი“
მოხსენებაში “მღვიმური ცნობიერების” არსის საწვდომად შესწავლილია მითოპოეტური

ტრადიციის, ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის მონაცემები, რადგან მხოლოდ ამგვარი წინასწარი განხილვის საფუძველზე შეიძლება გამოქვაბულის მხატვრულ ფუნქციაზე მსჯელობა შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანში”.

პლატონის მითი მღვიმის შესახებ მიუთითებს ორგვარი ცნობიერების არსებობას: 1. მღვიმური, ანუ მონური ცნობიერებისა და 2. თავისუფალი ცნობიერების არსებობას.

მითოპოეტური სამყაროს, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მოძღვრებათა გათვალისწინება მღვიმის შესახებ აუცილებელია გამოქვაბულში ტარიელის დამკვიდრების რაობის განსაზღვრისათვის. გამოქვაბულში ცხოვრებით ტარიელი მითოსური და ძველი ლიტერატურული ტრადიციების კვალობაზე წარმოჩნდება, რაც უძველესი კულტურული სივრცისაკენ მიბრუნებას, მითის აღორძინებას – რემითოლოგიზებას ნიშნავს, მაგრამ გამოქვაბულიდან გამოსვლით ხდება ვეფხისტყაოსნობის, როგორც მოვლენის, დემითოლოგიზება, – ტარიელი მხოლოდ გამოქვაბულშია ვეფხისტყაოსანი მოყმე, – ხოლო გამოქვაბულიდან გამოსვლით “მღვიმური ცნობიერება” დაიძლევა, ქრისტიანული ცნობიერების მკვიდრდება. პოემაში, ერთი მხრივ, წარსულის სულიერი გამოცდილებაა ასახული და აღორძინებული, მეორე მხრივ, ეპოქალური სიახლეა წარმოსახული. პოემაში გამოქვაბულის მხატვრული ფუნქცია წინარელიტერატურული და ფილოსოფიური ტრადიციისაგან განსხვავებულად წარმოჩნდება: ვეფხისტყაოსნური გამოქვაბული სულიერი გარდასახვის, სულის ზეადსვლისათვის მზადების სივრცულ არეალად ისახება. მისი ბინადრობა “მღვიმური ცნობიერების” დაძლევისა და თავისუფალი ცნობიერების დამკვიდრებას მოასწავებს. ამიტომ გამოქვაბულში ცხოვრება ტარიელისა ერთდროულადაა რემითოლოგიზაციისა და დემითოლოგიზაციის მოვლენათა ასახვა, შესაბამისად, ანტიკური და შუასაუკუნეობრივი აზროვნებისა და რენესანსული ცნობიერების ანარეკლი.

2. ვეფხვის მეტაფორის გენეზისისათვის კავკასიურ არეალში და შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი”

ვეფხვისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ნაკვალევი, უპირველეს ყოვლისა, მითოსსა და ზეპირსიტყვიერებაში შეინიშნება. ჩვენთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია კავკასიურ არეალში, კავკასიის სააზროვნო სივრცეში გავრცელებული შეხედულებანი ვეფხვის შესახებ. ქართველთა რელიგიურ-სარწმუნოებრივ და ხალხურ წარმოდგენებში, რაც ენათესავება საერთო კავკასიურს, ვეფხვსა და მის ტყავს, ზოგადად ცხოველის, ნადირის ტყავს, უძველესი დროიდანვე ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, რომლის გამოძახილი მრავალი სხვა ქვეყნის კულტურასა და ენაში შეინიშნება.

შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი”, წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან განსხვავებით, თითქმის ყველა კულტურულ სამყაროსთან ამყარებს ურთიერთობას და დიალოგს, მაგრამ შემოქმედის მთავარი სათქმელი, პოემის მთავარ პერსონაჟებში ჩაქსოვილ-ჩაკირული, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ესთეტიკას ემყარება. ამიტომ საჭიროა ვეფხვთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვისას ყურადღება მიექცეს კავკასიურ უძველეს

რწმენა-წარმოდგენებში შემონახულ ცნობებს.

მითოსში, ფოლკლორში ყურადღებას იქცევს ვეფხის ტყავის გამოყენება ადამიანის სამოსლად. მოხსენებაში განხილულია ვეფხვის მეტაფორა-სიმბოლოს მითოსური და ფოლკლორული მონაცემები შოთა რუსთველის პოემასთან მიმართებით. საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ხალხური “ვეფხისა და მოყმის ლექსი”.

უძველესი რწმენა-წარმოდგენების გათვალისწინებით, ძველი კულტურების ენაზე “ვეფხისტყაოსანი” არის მეფე, რომელიც ქალღვთაებას უკავშირდება, ხოლო ტყავი გაშინაარსებულია ნაყოფიერების იდეით დატვირთული საკრალური საგნის სიმბოლიკით. ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ესთეტიკასთან ერთად, ესეც გასათვალისწინებელია “ვეფხისტყაოსნის”, როგორც შოთა რუსთველის პოემის სახელწოდების, თვით ტარიელის ვეფხისტყაოსნობის არსის განსაზღვრისათვის.

3. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პოლემიკის ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში

ქართულ კულტურაში ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პრობლემატიკა უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, რადგან საქართველოს მუდმივად უწყევდა ბრძოლა როგორც უცხოტომელთა წინააღმდეგ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ისე ქრისტიანული რელიგიის დასაცავად. ეთნიკური წინააღმდეგობის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, წამყვანი არაა, ხოლო რელიგიურ-აღმსარებლობითი საკითხი კი აქ კონცეპტუალურია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ხსენებული პრობლემები ერთმანეთს ეჯახება. ამ თვალსაზრისითაა განხილული ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები: იაკობ ხუცესის “შუმანიკის წამება”, “ევსტათი მცხეთელის წამება”, “კოლაელ ყრმათა წამება”, “დავით და ტირიჭანის წამება”, იოანე საბანისძის “აბო თბილელის წამება”, სტეფანე მტბევრის “მიქე-გობრონის წამება”, “კონსტანტი კახის წამება”, “ილარიონ ქართველის ცხოვრება”, გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება”, გიორგი მთაწმიდლის “იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრება”, გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება”.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში ეთნიკური და რელიგიურ-აღმსარებლობითი პრობლემის კვლევამ წარმოაჩინა ამ ჟანრის დამსახურება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხების წარმართვის საქმეში.

4. ათონის მონასტრის აღაპთა საღვთისმეტყველო ასპექტები

საეკლესიო დოკუმენტებსა და ისტორიულ საბუთებს თავისთავად, წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობასთან ერთად, ლიტერატურათმცოდნეობით-სახისმეტყველებითი და საღვთისმეტყველო ღირებულებაც აქვთ. შინაარსობრივი

თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ქართული საეკლესიო დოკუმენტებისა და ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის თანახმად, მათში დასტურდება ისეთი ეპიზოდები, რომელთა ახსნა შესაძლებელია თეოლოგიური ან ლიტერატურული ფენომენის გათვალისწინებით. ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ.

საეკლესიო დოკუმენტებსა და ისტორიულ საბუთებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომელსაც ამა თუ იმ საბუთის შედგენისას მის შესაფერისად მიიჩნევდნენ. ბიბლიური და საღვთისმეტყველო საზრისის შემცველი ისტორიული საბუთების ტექსტები რამდენიმე ტიპისაა: 1. მათში აღნიშნულია, თუ ვის, ღმერთს ან რომელ წმინდანს მიმართავს ტექსტის შემდგენი თხოვნითა და სულის ხსნის ვედრებით; 2. საღვთო სახელთა სიმბოლიკის საკითხები; სამყაროს ქრისტიანული აღქმა და მისი ამსახველი ეპიზოდები; 3. ბიბლიურ-ევანგელური ეპიზოდების ასახვა და ალუზია; ბიბლიურ პერსონალიათა ხსენება; 4. სოფლისა და ზესთასოფლის მკვიდრთა სულიერი მომავალი; 5. შენდობისა და შეწყალების მოტივი; 6. ესქატოლოგიური თემა და განკითხვის დღის მოლოდინი; 7. კრულობისა და წყევლის თემა; ისტორიულ საბუთებში შემონახულ პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისისა და ინფორმაციის შემცველ ცნობებში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახისმეტყველებითი ასპექტი წარმოჩნდება.

ამ თვალსაზრისით ათონის მონასტრის ალაპები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროებია, რომლებიც საღვთისმეტყველო პრობლემატიკის ასახვითაც იქცევენ ყურადღებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ შედგენილი ალაპები.

5. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოლოგიური მოღვაწეობიდან

წმ. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმიდლისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის, ქართული გალობის მრავალხმიანობის შესახებ. მეხელთა საქმიანობა XI საუკუნის ჰიმნოგრაფებისათვის გზამკვლევადა დარჩა, რასაც წმ. გიორგი მთაწმიდლის ანდერძის სიტყვები მოწმობს, *მეხელნი მოძღურად მყვანანო*. წმ. გიორგი მთაწმიდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უპირველეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტი გვიდასტურებს. ქართული გალობის მრავალხმიანობა ეტაპობრივად უნდა მიღწეულიყო, თავდაპირველად, ჰიმნოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპზე იგი იყო ერთხმიანი, შემდეგ გახდა მრავალხმიანი, რაც იოანე პეტრიწს კლასიფიცირებული აქვს ხმათა მიხედვით (“მზახრ/პირველი, ჟირ/მეორე, ბამ/ზანი”).

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმიდლის

პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც მან აღნიშნა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და დაასაბუთა მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმიდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი მოწმობს იმას, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებამოვლილია და იგი კანონიკურია. ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა ადრევე შევიდა, ისევე როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

6. ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა

მარიამ მაგდალინელის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში

წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლე დედად აღიარებს. მოხსენებაში წარმოდგენილია მარიამ მაგდალინელის სახის სწორი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი ქართული და უცხოური წყაროები.

ევანგელურ თხრობაში იესოს მირონცხების ეპიზოდში მონაწილე სხვადასხვა ქალის (ლუკას მიხედვით, ცოდვილი ქალი, იოანეს მიხედვით – მარიამი ბეთანიიდან) გაიგივება მაგდალინელთან საბოლოოდ რომის პაპის, წმ. გრიგოლ დიდის, „შემოდგომის ქადაგებაში“ აისახა 591 წელს, ხოლო სახარებებში მარიამ მაგდალინელისა და მარიამ ბეთანიელის აღუნიშნავი ცოდვა განიმარტა როგორც მრუშება, პროსტიტუცია. მისი ამგვარი ინტერპრეტაცია აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის მხატვრობაშიც დამკვიდრდა.

კათოლიკურმა ეკლესიამ XX ს-ში სცადა, გაესწორებინა აღნიშნული შეცდომა და 1969 წლის რეფორმის შემდეგ Novus Ordo-ს კალენდარში მარიამ მაგდალინელი უკვე აღარაა წარმოდგენილი „მომნანიედ“. მიუხედავად ამისა, ხალხის ცნობიერებაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულება (მაგდალინელი – მონანიე მრუში ქალი), რომელიც ხელოვნების მრავალი ნაწარმოების ზეგავლენითაც იყო განმტკიცებული, ძირითადად, უცვლელი დარჩა. კათოლიკური ეკლესიის მიერ მაგდალინელის პიროვნების შებღალული სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ სამყაროში, მაგ., პოეზიაში – მ. ცვეტაევა, ბ. პასტერნაკი, და სასულიეროთა შორის. ქართულ ცნობიერებაშიც, უმეტესწილად, მაგდალინელი მეძავ ქალადაა მიჩნეული. დღესაც კი ქართული მართლმადიდებლური

ეკლესიის ამბიონიდან ზოგიერთი მოძღვრის ქადაგებებში ხშირად მარიამ მაგდალინელი მოიხსენიება მრუმე ქალად, რომელსაც მიეტევა მიძიმე ცოდვები. „წმინდანთა ცხოვრების“ III ტომშიც (თბ., 2001) მაგდალინელის ცოდვათა შორის მრუმეებაა აღნიშნული და ზოგჯერ ინტერნეტ სივრცის ქართულ საიტებზეც მაგდალინელის სახელთან მრუმეება იხსენიება. ჩვენს გაკვირვებას იწვევს კათოლიკეთა მიერ დაშვებული და დამკვიდრებული ზემოაღნიშნული შეცდომის ჩვენს სინამდვილეში გავრცელება, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვება „კათოლიკე“ ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს, რასაც მოწმობს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ქადაგებებსა და საგალობლებში მარიამ მაგდალინელის სახელის ევანგელური მონათხრობის მიხედვით წარმოდგენა-განსახოვნება, რაც, კათოლიკეთა შეხედულების საპირისპიროდ, სრულიად დაცლილია ამორალობისაგან და მაგდალინელის პიროვნება სახარების არც ერთ სხვა ქალთან არაა გაიგივებული. უწინარეს ყოვლისა, დავიმოწმებთ წმ. იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების თარგმანებებს, რომლებშიც განმარტებულია, თუ ვინაა მარიამ მაგდალინელი; ასევე, წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე, წმიდა მენელსაცხებლე დედათა შორის, წარმოჩენილია იოანე მინჩხის, კვირიკე-კურდანაის საგალობლებში, იოანე ბოლნელის, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებში, სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარში“; წმ. მარიამ მაგდალინელის ხატ-სახე გაცოცხლებულია თეიმურაზ მეორის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“.

7. ნიკოლოზ გულაბერისძისა და მამა პავლეს თანამოდვაწეობა ივირონის საბუთების მიხედვით
მოხსენებაში წარმოდგენილია ნიკოლოზ გულაბერისძისა და მამა პავლეს თანამოდვაწეობა ივირონის საბუთების მიხედვით. ნიკოლოზ გულაბერისძის 1177-1178 წლებში კათალიკოსობიდან გადადგომის შემდეგ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ათონის ქართველთა მონასტერთან, სადაც იგი 1178 წელს ჩასულა. კათალიკოსყოფილს იერუსალიმს წასვლა ჰქონია განზრახული, მაგრამ ათონზე მომხდარი ტრაგიკული ამბის, კელიების გადაწვის ამბის გაგების შემდეგ განზრახვა შეიცვალა და ათონისაკენ გაემგზავრა. ივირონის მონასტრის ხელნაწერები მოწმობენ, რომ ამ წელს ათონზე ქართველთა მონასტერს დიდი უბედურება ეწვია, ხანძარი გაჩნდა და “კელინები” გადაიწვა. ქართველი დიდებულები ძლიერ შეწუხდნენ და შესაწირავები გაგზავნეს მონასტრებისა და სხვა შენობათა შესაკეთებლად. ნიკოლოზის თანადგომით მამა პავლემ შეძლო ათონის მონასტრის მდგომარეობის გაუმჯობესება.

8. ჰიმნოლოგიური ტერმინები XIII საუკუნის ხელნაწერში A-85

მოხსენებაში განხილულია ჰიმნოლოგიური ტერმინები, რომლებიც დამოწმებულია XIII საუკუნის ხელნაწერში A-85. მას ერთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც მრავალი ჰიმნოლოგიური საკითხია აღძრული, იგი განსაკუთრებული ღირებულებისაა ჰიმნოლოგიურ ტერმინთა გამოყენების თვალსაზრისით. ამ ხელნაწერის ანდერძებსა და კრებულის შემდგენლის მინაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, თვით კრებულის შემდგენლის, აბუსერისძე ტბელის, კრებულში მოთავსებული

საგალობლების ავტორების არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის სამწერლო მოღვაწეობის საკვლევად, მეორე მხრივ, ზოგადად ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესასწავლად მათში შემონახული უნიკალური ცნობების გამო. ესენია: “თვთმლისპირნი”, “საქცევი”, “პიროვანი საქცევი”, “მოურთავთ”, რომელიც ჰიმნოგრაფიული ტერმინის – “მოსართავის” ზმნური ფორმაა და საგალობლის შესრულებას უკავშირდება, “მოკაზმვა”, “ჭრელეზნი”.

9. ვნების პარასკევის საგალობლები ჰიმნოგრაფიაში და დავით გურამიშვილი

მოხსენებაში წარმოდგენილია ვნების პარასკევის საგალობლები და დავით გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისა“, რომლებშიც მაცხოვრის ტანჯვა და ღვთისმშობლის მძაფრი განცდება ასახულია. ვნების შვიდეული მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებია, ხოლო ვნების პარასკევი უკანასკნელი დღეა, იესო ქრისტეს ჯვარცმის, გარდამოხსნისა და დაფლვის დღე. ლიტურგიულად, სახისმეტყველებითად იგი ყოველწლიურად მეორდება, რაც ყოველ ქრისტიანს სულიერად აბრუნებს მაცხოვრის ჯვარცმასთან და ხელახლა განაცდევინებს მის მიერ გავლილი გზის მარადიულობას, ყოველი ქრისტიანი იმ სამყაროს ეზიარება, რომელშიც ადამიანად მოვლენილი ძე ღვთისა კაცობრიობის ნაწილი იყო ისევე, როგორც თითოეული ადამიანია ნაწილი კაცობრიობისა. ვნების პარასკევის საგალობლებში უდიდესი ტკივილითა და მძაფრი განცდით წარმოისახება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც სხვა დედებთან ერთად მიაცილებდა თავის ძეს, ისმენდა პილატეს განცხადებას და გოლგოთაზე უროს ხმას, როდესაც მაცხოვარი ჯვარზე სამსჯვალით დამსჯვალეს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავით გურამიშვილის “ტირილი ღვთისმშობლისა”, რომელშიც მაცხოვრის იშვიათი მოთმინებაა აქცენტირებული, ჯვარცმით შექმნილია სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი მაცხოვრის ხატი და განსაზღვრულია ჯვრის სიმბოლოზობის საფუძველი, რადგან ადრე სამარცხვინოდ მიჩნეულმა ჯვარზე გაკვრამ იცვალა ღირებულებითი მნიშვნელობა და მთელი კაცობრიობის სულიერი ხსნის, სულიერი გადარჩენის მისია დაეკისრა.

10. ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი ქართულ ჰიმნოგრაფიაში

მოხსენებაში განხილულია ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში ხატმებრძოლობის თემა გავრცელებული არ ყოფილა, რადგან იგი საქართველოში არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, თემა ჩვენში აქტუალური არც იყო. მაგრამ ხატმებრძოლობის წინააღმდეგ პოლემიკა, გარკვეული მინიშნებები მაინც შეიმჩნევა, რადგან საქართველო, ყველა სხვა ქრისტიანული მართლმადიდებლური ქვეყნის მსგავსად, სხვადასხვა ერესს ყოველთვის უარყოფდა და ეწინააღმდეგებოდა. ხატთაყვანისცემის თემა ხელთუქმნელი ხატის შესახებ არსებული ცნობების საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გავრცელებასა და ასახვას უკავშირდება, რომლის კულტი ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებით ხატმებრძოლობის შემდგომ პერიოდში გავრცელდა, რაც ბუნებრივი მოვლენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრის სიცოცხლის, ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებიდან არსებობდა. ხელთუქმნელი ხატი ხატთაყვანისმცემლების ყველაზე მტკიცე საბუთი გახლდათ ხატმებრძოლთა წინააღმდეგ,

რომლებიც ცდილობდნენ ხელთუქმნელი ხატის შესახებ არსებული ცნობების შემცველი წყაროების მიჩქმალვას. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი – კერამიონი ჯერ კიდევ VI საუკუნეში წმ. ანტონ მარტყოფელს ჩამოუბრძანებია საქართველოში, ხოლო მანდილიონი ედესიდან კონსტანტინოპოლს გადაუბრძანებიათ 944 წელს. ხატების შესახებ მოგვითხრობს წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე დამასკელის, თეოდორე სტუდიელის თხზულებებში, რომელთა მიხედვით ხატის პატივისცემა ხატზე გამოსახულმა განაპირობა. ხატთაყვანისცემა არა ნივთისაკენ, არამედ ხატზე გამოსახულისაკენ მიმართულ პატივს გულისხმობს.

ხატთაყვანისცემის თემა, ხატმებრძოლობის წინააღმდეგ პოლემიკა ასახულია XII-XIII საუკუნეების ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კერძოდ, იოანე ანჩელის, არსენ ბულმაისიმისძისა და საბა სვინგელოზის საგალობლებში. ხატმებრძოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ანარეკლი მხოლოდ იმ საგალობლებში დაისვა, რომლებიც ხატებისადმი მიძღვნილი. კერძოდ, იოანე ანჩელმა ანჩისხატისადმი მიძღვნილ, ხოლო არსენ ბულმაისიმისძემ და საბა სვინგელოზმა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში წარმოაჩინეს მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის ბრძოლა ხატმებრძოლთა წინააღმდეგ თვითდამკვიდრებისათვის. მათ დაგმეს ყოველგვარი ერესი, კერძოდ, მონოფიზიტობა და ხატმებრძოლობა. მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ეს პრობლემა დასმული იყო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებში. საამისოდ ჰიმნოგრაფიამ შეიმუშავა შესაფერისი სტილი და ლექსიკა არამართლმადიდებლური რელიგიებისა და მწვალებლების სამხელად და მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად.

11. ანთროპონიმთა სიმბოლიკის მიმართება წმინდანთა და ჰაგიოგრაფთა ხატ-სახეებთან

მოხსენება შეეხება ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების პერსონაჟთა სახელების კავშირს მათსავე ხატ-სახეებთან. ჰაგიოგრაფიის გმირი, თუ ის სასულიერო პირია, უთუოდ სახელს იცვლის, რაც იმას მიუთითებს, რომ “გაიხდის” ძველ სახელ-სამოსელს და “იმოსება” ახლით. სახელი, აგრეთვე, ზედწოდება, სასულიერო პირად გახდომისას მიღებული სახელი, ან თუნდაც სიმბოლური სახელი, საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნის ანარეკლია, იგი სამყაროსა და ცხოვრების შეცნობის შედეგად წარმოიქმნება და სხვადასხვაგვარი ფუნქციით გამოიყენება, ძირითადად, სახელდებითი, გრამატიკული, მხატვრული. მასში ამ თვალსაზრისითაა წარმოდგენილი წმ. შუშანიკის, წმ. ევსტათი მცხეთელის, წმ. შიო მღვიმელის, წმ. მიქელ-გობრონის, იოანე საბანისძის, წმ. გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მერჩულის, წმ. იოანე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების სახელები და მათი სიმბოლური მიმართება მათსავე ხატ-სახესთან.

ეკა ვარდოშვილი

1. კავკასიის თავისუფლების შესახებ ი. ჭავჭავაძე პირველად პოემა “აჩრდილში” გვესაუბრება. პოემაში ეროვნულ და სოციალურთან ერთად ილია ეხება ზნეობრივ პრობლემებსაც, რადგან ზნეობივი ერთიანობა ეროვნული მთლიანობის საფუძველია. ისეთ საკითხთა განხილვისას, როგორებიცაა ეროვნული გმირის იდეალი, კავკასიის თავისუფლების იდეა. პოემა “ქართველის დედა” პოემა “აჩრდილის” ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. თავისი ქვეყნის ბედნიერ მომავალს ილია სამართლიანად უკავშირებს კავკასიის ერთიანობისა და თავისუფლების იდეას.

2. გრ. რობაქიძემ როგორც სამშობლოში, ასევე ემიგრაციაში ყოფნისას არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი მიუძღვნა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებს. მათგან აღსანიშნავია “აკაკი და ილია“, „აკაკის ქნარი“, „სხვადასხვა“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“. წერილებში იგი ძირითადად მიმოიხილავს ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

3. ტრუმენ კეპოტეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოთხრობას „ბალახის სიმღერა“, რომელიც ავტორმა 1951 წელს დაწერა. მოთხრობა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი წყება და სრულდება ბუნებასთან მიახლებით. პიროვნების ბუნებისადმი მიმართების საკითხებში, პროზის პოეტურობით სინაღვილისა და მხატვრული გამონაგონის შერწყმით აღნიშნული მოთხრობა გვაგონებს ქართველ კლასიკოსთა არაერთ ნაწარმოებს.

4. ალ. ყაზბეგის პერსონაჟები კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის შვილები არიან. ისინი განსხვავდებიან როგორც თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ასევე რელიგიით. ყაზბეგი თავის თხზულებებში აკონკრეტებს მათ განსხვავებულ რელიგიურ მრწამსსა და ეთნიკურ წარმომავლობას, მაგრამ როდესაც საუბრობს ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა, მის გმირებს შორის ურთიერთობისას ზღვარი არ არსებობს, ისინი ერთი იდეის მატარებელნი ხდებიან.

5. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შინაარსი ფართოდ ეხმაურება საერთო-საკაცობრიო აზრებს. იგი დგას დასავლეთ ევროპელ და რუს შემოქმედთა გვერდით. ნ. ბარათაშვილის „მერანს“ ხშირად ადარებენ ადამ მიცკევიჩის „ფარისს“. გარდა საერთო ლიტერატურული და ისტორიული ფონისა ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით, რაც უდაოდ ყურადსაღებია

ლიტერატურათმცოდნეებისათვის.

6. ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ არაერთი ევროპელი მწერლის ნაწარმოებს ადარებენ. მის ანალოგიად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ აკ. წერეთლის ლექსი „განდეგილია“. ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე ფრანგი პოეტის პიერ-ჟან ბერანჟეს ლექსს „განდეგილი“.

თამარ შარაბიძე

1. *ნაშრომში ვაჟა-ფშაველას მიერ რუსული ლიტერატურის ზოგიერთი თარგმანი შედარებულია დედანთან, დადგენილია ის ცვლილებები, რომელთაც მთარმნელი შეგნებულად მიმართავს, განსაზღვრულია ვაჟა-ფშაველას რუსულენოვანი თარგმანების ხასიათი და თავისებურებანი.*

ლადო მინაშვილი

1. მოხსენება ეხებოდა ალ. ყაზბეგის პროზის ძირითად ტენდენციებს.
2. მოხსენება ეფუძნებოდა 2012 წელს აღმანახ “მწიგნობარში” გამოქვეყნებულ ნარკვევს.
3. მოხსენებაში ძირითადად ყურადღება გამახვილდა პავლე ინგოროყვას ტექსტოლოგიურ ძიებებზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხზულებათა პ. ინგოროყვასეულ გამოცემებზე. ვრცელი ნარკვევი, სადაც მონოგრაფიულადაა გათვალისწინებული პ. ინგოროყვას ღვაწლი ახალი ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში, დაისტამბება კრებულში, რომელიც მიეძღვნება დიდი მეცნიერის ხსოვნას.

1. დედამიწის თაყვანისცემის ელემენტები ბავშვის დაბადების რიტუალში

მოხსენებაში საუბარია კავკასიელთა მითოლოგიაში დედამიწის ადგილის შესახებ. მიწის განსაკუთრებულ თაყვანისცემას განაპირობებდა სამეურნეო საქმიანობაში მიწათმოქმედების მნიშვნელოვანი როლი. დედამიწისადმი მიძღვნილი უძველესი კულტმსახურება დიდი ხნის გამქრალია, რადგან წარსულს ჩაბარდა ის რელიგიური სისტემა, რომელშიც მას წამყვანი ადგილი ეკავა. მაგრამ მისი რუდიმენტები შემორჩა სხვადასხვა წეს-ჩვეულებაში. განხილულია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი და მისი ის ეპიზოდები, რომლებიც მიწის თაყვანისცემის აშკარა დადასტურებაა. აღწერილი და შეფასებულია ბებია ქალის მიერ ჩატარებული ე.წ. „მიწის გაჯერების“ რიტუალი.

2. მთის საკრალური ფუნქცია ღმერთმებრძოლობის კავკასიურ მოდელებში

მოხსენებაში საუბარია მთის, როგორც სამყაროს ღერძის მითოსურ სიმბოლიკაზე და კავკასიის მთების ამბივალენტურობაზე. კავკასიური მითოლოგიის მიხედვით, კავკასიის მთები ღმერთების სამყოფელია, მეორე მხრივ, ეს ღმერთმებრძოლთა დასჯის ადგილიცაა. დასჯილი პერსონაჟი მიჯაჭვულია სამყაროთა საზღვარზე და აღკვეთილია მისი დამანგრეველი ქმედება. სწორედ ამ ნიშნით შევიდა კავკასიის მთები ბერძნულ მითოლოგიაში და ჩაერთო მითოსურ ნრუნვაში.

3. კოლხური ცულების სარიტუალო ფუნქციისათვის

მოხსენებაში საუბარია კოლხურ-ყობანური ცულების განსაკუთრებულ ფორმასა და რიტუალებში მათ გამოყენებაზე. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხევისბრის კურთხევის სახელწოდება „ხელ-მხარის განათვლა“ მომდინარეობს კილხური ცულების სარიტუალო ფუნქციიდან, რომელშიც ის ღვთაებრიობის ინსიგნიას წარმოადგენდა და ნათლის სიმბოლიკით იყო დატვირთული

ელენე გოგიაშვილი

მიწის ქალღმერთი აცტეკთა მითოლოგიაში

მოხსენება ეხება “ტალახის შთანთქმელ” ქალღმერთს - ტლასოლტეოტლს, რომელიც აცტეკების მითოლოგიაში მიწის, ნაყოფიერების, მრუშობის და მონანიების ქალღმერთია. ნაშრომში გამოყენებულია კომპარატივისტული და ისტორიულ-გეოგრაფიული შედარებითი შესწავლის

მეთოდი.

ღონისძიებები და ა.შ.

2010-2013წწ.	”ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი (B-02-10)	მაია ციციშვილი
--------------	--	---	----------------

„ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია (XVIII-XX სს)“.

სამეცნიერო პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქართული დაზგური მხატვრობის კვლევა, XVIII – XX საუკუნეებში მისი განვითარების გზის ჩვენება, მაქსიმალურად სრულად შესწავლა, ყველაზე დამახასიათებელი და თვითმყოფადი მახასიათებლების გამოვლენა, სხვადასხვა დარგის, მნიშვნელოვანი ტენდენციების, მიმართულებების წარმოჩენა, გამორჩეულ ქართველ მხატვართა შემოქმედებისა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, აქამდე უცნობი მასალის გამომზეურება. პროექტის საბოლოო მიზანი იყო წიგნისა და ალბომის (ელექტრონული ვერსია) მომზადება და გამოცემა.

პროექტზე მუშაობა წარიმართა პროექტით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით. წიგნისა და ალბომის თვითოეული თავისთვის მოძიებულ იქნა მასალა საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. განხორციელდა მივლინებები საქართველოს რეგიონალურ მუზეუმებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, თელავი). პროექტით გათვალისწინებული მუზეუმების გარდა საფონდო სამუშაოები და ფოტოფიქსაცია ჩატარდა ამბროლაურისა და ონის მუზეუმებში, სადაც აღმოჩნდა სრულიად უცნობი უაღრესად საინტერესო გრაფიკული და ფერწერული ნაწარმოებები. მოხდა ამბროლაურის მუზეუმში დაცული ნაწარმოებების იდენტიფიკაცია და ფოტოფიქსაცია. აღსანიშნავია, რომ ამბროლაურის მუზეუმის მასალა პირველად გამოქვეყნდა პუბლიკაციის ფარგლებში.

სხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშიც თავდაპირველად განხორციელდა მასალის ფოტოფიქსაცია. მოხდა გადაღებული და დახარისხებული ნაწარმოებების იდენტიფიკაცია, კვლევა, ხშირ შემთხვევაში საჭირო იყო ავტორთა დადგენა, ასევე ნაწარმოებების შექმნის პერიოდის დადგენა ან დაზუსტება, მაგალითად ქართული პორტრეტული მხატვრობის შემთხვევაში საჭირო გახდა პორტრეტებზე გამოსახული ზოგიერთი პიროვნების ვინაობის გარკვევა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, მაგალითად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში აღმოჩენილი იქნა გიგო გაბაშვილის უცნობი მხატვრობა.

პროექტის ხვდასხვა ეტაპებზე მიმდინარეობდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში არსებული ინფორმაციის, XIX-XX საუკუნეების პერიოდიკის, ქართული მხატვრობისა და სხვადასხვა მხატვართა ბიბლიოგრაფიის შესწავლა და ანალიზი. საჭირო გახდა მრავალი ცნობილი, ნაკლებად ცნობილი ან უცნობი ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მხატვრის შესახებ მონაცემების მოძიება, დაზუსტება, გადამოწმება.

წიგნი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილში წარმოდგენილი ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილული ქართული მხატვრობის სხვადასხვა პერიოდი. წიგნი და ალბომი (ელექტრონული ვერსია) მთლიანობაში მოიცავს 8 თავს: 1. ქართული პორტრეტული მხატვრობა XVIII საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე 2. ახალი ქართული მხატვრობის უფროსი თაობის წარმომადგენლები 3. უცხოელი მხატვრები და საქართველო 4. რეალიზმიდან მოდერნიზმამდე 5. ქართული მოდერნიზმი 6. სოციალისტური რეალიზმი ქართულ მხატვრობაში 7. ქართული მხატვრობა II მსოფლიო ომის შემდეგ 8. 1960-1970-იანი წლები. ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის ქართული მხატვრობის ხელახალი გააზრების მცდელობას. პარალელური მასალის გამოყენებით გამოვლენილ იქნა შესაბამისი ეპოქებისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები, მოხდა საქართველოში სხვადასხვა პერიოდში არსებული კულტურული გარემოს გაანალიზება. ქართული მხატვრობის კვლევა მიმდინარეობდა კომპარატიული მეთოდის გამოყენებით. ქართული მხატვრობის სხვადასხვა პერიოდი შედარებული იქნა ზოგიერთი სხვა ქვეყნის თანადროულ მხატვრობასთან. ძირითად ტექსტში ასევე განხილულ იქნა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენები, მხატვრული ცხოვრება, აქტუალური გამოფენები და სხვ..

ძირითად თავებთან ერთად წიგნში შესულია 184 მხატვრის ბიოგრაფია, რომელსაც თან ერთვის თვითოეული მხატვრის ბიბლიოგრაფია. ელექტრონულ ვერსიაში შესული 944 სურათისთვის დაზუსტდა მონაცემები, დაიწერა სრული აონტაციები და ითარგმნა ინგლისურ ენაზე. პროექტის ბოლო ეტაპზე წიგნი და ალბომი მომზადდა გამოსაცემად, განხორციელდა გადაღებული მასალის დამუშავება ბეჭდვისა და ტირაჟირებისთვის.

ზაზა სხირტლაძე	წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების ძველი ნუსხა	თბილისი, 181 გვ.
----------------	---	------------------

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

<p>ზაზა სხირტლაძე: წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების ძველი ნუსხა – ქვეყნდება წმ. შიო მღვიმელის ცხოვრების ნუსხა (საქართველოს ეროვნული არქივი, N307), რომლის ნაწილი XIII საუკუნეში უნდა იყოს გადაწერიული. ნუსხას ახლავს მინიატიურა წმ. შიოს და ევაგრეს გამოსახულებით.</p>		
ირინე კოშორიძე	დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება-დარგები, სტილები, ეპოქები	თბილისი. უნივერსალი. 261 გვ.
<p>ირინე კოშორიძე: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება-არგები, სტილები, ეპოქები.</p> <p>ნაშრომში განხილულია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი ცნებები, მათი მთავარი დამახასიათებელი სტილური ნიშნები, მსგავსება და განსხვავება სახვითი ხელოვნების სხვა დარგებთან. მოცემულია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ცალკეული დარგების-კერამიკის, მინის, ლითონის მხატვრული განვითარების მთავარი მახასიათებლები და სტილური ნიშნები.</p> <p>ნაშრომში პირველადაა ჩართული ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მასალა, ასევე საქართველოს მუზეუმებში დაცული ამ ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა და ქვეყნების ნიმუშები. მონოგრაფიას ერთვის 200-მდე (შავ-თეთრი) ილუსტრაცია და სპეციალური ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ცალკეულ დარგებს ეხება. წიგნი განკუთვნილია როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, ასევე ხელოვნების ამ დარგით დაინტერესებულ ყველა მკითხველისთვის.</p>		
მაია ციციშვილი	”ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია”	თბილისი, ”ფავორიტი პრინტი”, 352გვ.
ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე, ნათელა	ტესტების კრებული (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მე-7 კლასი	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 40 გვ.

ჯაბუა		
ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა	ტესტების კრებული (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მე-8 კლასი	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 40 გვ.
ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა	ტესტების კრებული (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მე-9 კლასი	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 40 გვ.
ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა	ტესტების კრებული (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მე-7 კლასი	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 40 გვ.
ნანა მაჭარაშვილი, მაია მაჭარაშვილი,	ტესტების კრებული (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მე-8 კლასი	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 40 გვ.

ნინო სილაგაძე, ნათელა ჯაბუა		
--------------------------------------	--	--

დ) სტატიები

ზაზა სხირტლაძე	სვეტიცხოვლის ტაძრის რელიეფი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა გვ. 114–130
1. სვეტიცხოვლის ტაძრის რელიეფი – განხილულია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ინტერიერში არსებული, დღემდე უცნობი რელიეფი, რომელზეც წარმოდგენილია მღვდელმთავარი მაცხოვრის წინაშე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რელიეფზე წარმოდგენილი უნდა იყოს კათოლიკოსი მელქისედეკ I – სვეტიცხოვლის ტაძრის ქტიტორი.			
ზაზა სხირტლაძე	წმ. დავით გარეჯელის ქვაბი მთაწმინდაზე	საისტორიო კრებული, N3	თბილისი, გამომცემლობა „მხედარი“ გვ. 154–175
წმ. დავით გარეჯელის ქვაბი მთაწმინდაზე - ქვეყნდება 2002 წელს, მთაწმინდაზე წმ. დავით გარეჯელის თავდაპირველი სამყოფელის გახსნის შედეგები. მოცემულია ქვაბის განახლება-გადაკეთების ძირითადი ეტაპები.			

ირინე კომორიძე	ახალი მხატვრული ტენდენცია და პორტრეტის პრობლემა XIX საუკუნის მინიატიურულ ხელოვნებაში	მომბე-ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ჟურნალი	თბილისი . საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
ანა შანშიაშვილი	სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში (ჩრდილო კავკასია) (თ. ხუნდაძესთან ერთად)	„საქართველოს სიძველენი“	თბილისი, #15, გვ. 156-166

მოკლე ანოტაცია

სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში (ჩრდილო კავკასია) (თ. ხუნდაძესთან ერთად)

შუა საუკუნეებში საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდრო კავშირსა და ამ მხარეში საქართველოს ეკლესიის მისიონერულ მოღვაწეობას ისტორიული წყაროების გარდა, ქრისტიანული ტაძრების არსებობაც ადასტურებს. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ტყობა-ერდის ტაძარს ისტორიულ დურძუკეთში, (დღევანდელი ინგუშეთი), რომელიც უხვად არის მორთული ფიგურული თუ ორნამენტული რელიეფებით და ქართული ასომთავრული წარწერებით.

ტაძრის დეკორში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საქტიტორო რელიეფი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება. ნაშრომი შეეხება მეორე სამშენებლო ფენის – XI საუკუნეში დასავლეთ ფასადზე მოთავსებული საქტიტორო რელიეფს, რომლის მნიშვნელობაც სცილდება საქტიტორო თემის ფარგლებს და ქრისტიანული სახისმტყველებისა და ისტორიული რეალიების უფრო სიღრმისეულ შრეებს წარმოგვიდგენს. კერძოდ, სტატიაში განხილულია აღნიშნული კომპოზიციის რამდენიმე ისეთ ასპექტი, როგორცაა:

- ორანემენტული სახეები და მათი წარმომავლობა;
- კომპოზიციის ორიგინალური გადაწყვეტა;
- ისტორიული კონტექსტი, რომელიც ასომთავრული წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირებს უკავშირდება.

სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი ტყობა-ერდის ფასადის მორთულობაში სვეტიცხოვლის სიმბოლური გამოსახულების არსებობის შესახებ, რის არგუმენტადაც ტაძრის მეორედ სამშენებლაში მეღკისედეკ კათალიკოსის აქტიური მონაწილეობა და არსუკიძის მარჯვენის ანალოგიური გამოსახულებაა მოხმობილი.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ციციშვილი	„Georgian Modernist Painting 1910- 1930“	"Un impero verso Oriente : tendenze orientaliste e arte rusa fra Otto e Novecento"	Universita di Napoli" L'Orientale",	გვ. 25-40.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ელენე კოშორიძე თანაავტორი (გრ. ბერაძე, მ დგებუაძე)	აღმოსავლეთმცოდნეების სამეცნიერო სესია	„ყაჯართა პერიოდის ირანული ყალამქარები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თბილისი. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. 20-21 დეკემბერი 2013

	ელენე კომორიძე	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახალი მხატვრული სახეები და იდენტურობის ძიების გზები ილხანთა ხელოვნებაში-ირანული კერამიკის ერთ ჯგუფი. თბილისი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 20 ნოემბერი 2013
	ნათელა ჯაბუა	სამეცნიერო კონფერენცია - მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები, თსუ	მე-19-მე-20 საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების ტენდენციები და მათი ისტორიულ-კულტურული ასპექტები, 15-16 ნოემბერი
	ნინო სილაგაძე	სამეცნიერო კონფერენცია „მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები“, მხატვრული ფორმა ქვემო ქართლის საფასადო ქანდაკებაში: რელიეფი თეთრიწყაროდან	ივ. ჯავახიშვილი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, 15-16. 11. 2013, თბილისი

2) უცხოეთში

ზაზა სხირტლაძე:

15-16 მაისი, 2013 წ.	პოსტ-ბიზანტიური ხელოვნება: ქრისტიანული მართლმადიდებლური ხელოვნება არაბიზანტიურ სამყაროში	ურთიერთობათა უწყვეტი გზით: პატრონაჟის თავისუფლებები XVI საუკუნის ქართულ ხელოვნებაში	ზაზა სხირტლაძე	ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი
1-6 სექტემბერი 2013	სპარსულენოვან საზოგადოებათა კვლევის მეექვსე საერთაშორისო ბიენალე-ნიუ-იორკი, სარაევო	ორი სპარსული ქსოვილის რაობისათვის ქართული სამეფო მემორიალური კოლექციიდან“	ირინე კოშორიძე	სარაევო. ბოსნია- ჰერცეგოვინა
2013. 7- 10. 11.	საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია "ფიროსმანი და ქართული კულტურა"	XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	მაია ციციშვილი	1. გ.ჩუბინა შვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
<p>XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ</p> <p>ახალი ქართული დაზგური მხატვრობის ევროპასთან შედარებით გვიან ჩამოყალიბება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ფეოდალურმა წეს-წყობილებამ მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხელოვნების ძლიერი ტრადიციით, პოლიტიკურმა ვითარებამ, იმპერიული</p>				

რუსეთის სრული გავლენის ქვეშ მოქცევამ და ქართული სამეფო კარის რუსეთში გადასახლებამ გამოიწვია ის, რომ ახალი ქართული დაზგური მხატვრობა მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ერთადერთი ჟანრით – პორტრეტით დაიწყო.

ქართულ პარადულ პორტრეტში, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია. რუსეთში დამკვიდრებული ზოგადად ევროპული პარადული პორტრეტული მხატვრობის სტილი, მისი განსხვავებული სკოლების თავისებურებები თუ მიმდინარეობები, რის გამოც ქართულ პარადულ პორტრეტთა მთლიანი სახე საკმაოდ არაერთგვაროვანია. ქართული პორტრეტი, ფაქტობრივად, დაიწყო მიბაძვით და თან ტრადიციულ მხატვრულ ხედვასა და საკუთარ გემოვნებასთან მისადაგებით. შემდეგ უკვე თანდათანობით “ტფილისურ პორტრეტამდე” ხდება ადგილობრივის, ტრადიციულის უფრო ნათლად წარმოჩენა.

XIX ს-ის “ტფილისური პორტრეტი” არაფერს ჰგავს, საკმაოდ თვითმყოფადია, მაგრამ აღძრავს ასოციაციებს აღმოსავლეთ ევროპის და ლათინური ამერიკის ქვეყნების პორტრეტულ მხატვრობასთან, რომელნიც ხელოვნების განვითარების მხრივ ჩამორჩება დასავლეთ ევროპის მოწინავე კულტურას, თუმცა მათზე არანაკლებ საინტერესოა.

“ტფილისური პორტრეტული სკოლის” მთავარი განმასხვავებელი ნიშანია გამოსახულთა თავისებური წარდგენა, უტყვი, რამდენადმე გაყინული, შეჩერებული პოზები, ზოგიერთ ნიმუშში საკუთარ თავში ჩახურული, ჩაკეტილი ემოცია, უმეტესად სევდა, ხშირად ერთგვარი ინდეფერენტულობა. ეს ადგილობრივ, ტრადიციულ ხატწერას მოგვაგონებს, თუმცა შესაძლოა პარსუნის, სარმატული, უკრაინული პორტრეტის გავლენა. ხატების მსგავსად, აქაც არ მყარდება უშუალო, კონკრეტული კავშირი მაყურებელთან, მაგრამ განმასხვავებელია სრულიად ახლებური განწყობილება. თითქოს შუა საუკუნეების სულიერება რომანტიკულმა სევდამ შეცვალა.

საგულისხმოა, რომ რუსეთში შესრულებული ევროპული ყაიდის პარადული პორტრეტის შემდეგ, საქართველოში იქმნება ნაკლებად პროფესიული, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით მეტად დახვეწილი ნაწარმოებები, როდესაც ქართული ხელოვნების კერამ ისევ თბილისში გადმოინაცვლა, ძველი ტრადიციული ხატი და დროისმიერი განწყობა, ცხადია, უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა ქართველ ხელოვანთათვის.

საქართველოში შემორჩენილია მინიატურული პორტრეტების შთამბეჭდავი კოლექცია. ისინი, სავარაუდოდ, XVIII ს-ის ბოლოდან, დაზგური პორტრეტების პარალელურად, მათი თვისებების გამოვლინებით სრულდებოდა.

15-16.06. 2013	წმინდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი	<i>ექვთიმე თაყაიშვილი ი - ძველი ქართული</i>	ნინო სილაგაძე	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
-------------------	-----------------------------------	---	---------------	--

	მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და გარე სამყარო“	<i>ხელოვნების მომბე</i>		ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო- სამეცნიერო ცენტრი
--	--	-----------------------------	--	---

თარიღი:

ინსტიტუტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი

1.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფესორები: მარიამ ჩხარტიშვილი, ჯაბა სამუშია, თედო დუნდუა; ასოცირებული პროფესორები: დიმიტრი შველიძე, მიხეილ ბახტაძე, ქეთევან ნადირაძე, გიორგი ოთხმეზური, ბონდო კუპატაძე; ასისტენტ-პროფესორები: აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, ქეთევან ქუთათელაძე

საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული ნუმისმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგი	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული საწესწიერო ფონდი; გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო	თ.დუნდუა	ლ.თავაძე, ა.ბოშიშვილი, ა.თაბუაშვილი

		გრანტი № 30/23		
<p>რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში გ. დუნდუასთან თანაავტორობით შესრულდა პირველი ქართულ-ინგლისური ონლაინ კატალოგი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ელინისტური ხანის ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების შესახებ. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს მოხდეს მთელი ქართული ნუმიზმატიკური მასალის შესწავლას და მისი ელექტრონული ვერსიის ინტერნეტ სივრცეში განთავსება, რაც საშუალებას მისცემს, როგორც უცხოელ, ასევე ქართველ მკითხველს უშუალოდ გაეცნონ და წარმოდგენა იქონიონ ყველა იმ ძირითადი ძეგლების შესახებ, რომელიც საქართველოში შეიქმნა. სწორედ ამ ელექტრონული კატალოგის პირველი ნაწილის დასრულებული ვერსია არის შემოთავაზებული ზემოხსენებულ ელექტრონულ გვერდზე.</p>				
2	„ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები“	სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სანეცნიერო ფონდი; ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი № 12/36	ა.თაბუაშვილი	ა.თაბუაშვილი
<p>პროექტი მოიცავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII საუკუნის II ნახევრის სამი ისტორიული საბუთის (დ-1606, დ-1611, დ-9324) პუბლიკაციას, შესავალის, სათანადო გამოკვლევის, კომენტარებისა და ფაქსიმილეების დართვით ქართულ და ინგლისურ ენებზე. სამივე ისტორიული საბუთი წარმოადგენს შიდა ქართლის სამოცზე მეტი დასახლებული პუნქტის, მათ შორის, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების, მოსახლეობის აღწერის დავთრებს. დავთრები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გვიანფეოდალური ხანის შიდა ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური ისტორიის, ონომასტიკისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.</p>				

პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. დუნდუა	Georgia within the European Integration. Part 3. Byzantines and the Georgians	Meridiani Publishers, Tbilisi 2013	(Pp. 122. A 5)
<p>ნაშრომი აერთიანებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ისტორიის რამდენიმე მონაკვეთს, მათ შორის საქართველოსა და ელინისტური სამყაროს ურთიერთობას, საქართველოსა და რომაული სამყაროს ურთიერთობასა და საქართველოსა ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობას და სხვ. დასავლური სამყაროს ყველა ამ პოლიტიკური გაერთიანებებთან ურთიერთობის განხილვის ფონზე წარმოდგენილია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ისტორიის კონკრეტული ასპექტები. ნაშრომში გაერთიანებულია, როგორც ძველი სამეცნიერო პუბლიკაციები, ასევე ახალი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან როგორც ქართული პოლიტიკური ერთეულების გარე სამყაროსთან ურთიერთობის ისტორიაზე, ასევე საქართველოს ევროინტეგრაციის ადრეულ ფორმებზეც.</p>				
2.	თ. დუნდუა, ა.თაბუაშვილი, გ.ჟუჟუნაშვილი	კონსტიტუციური ცვლილებები „ოსმალის საქართველოში“ (ბატონყმობის და წოდებრიობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX საუკუნეებში). (თანაავტორები: ა.	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013	(56 გვ. A 5)

		თაბუაშვილი და გ. ჟუჟუნაშვილი)		
<p>წიგნში განხილულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში ოსმალეთის ბატონობის დამყარებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და სოციალური პროცესები, რამაც საქართველოში პირველად, მის ერთ-ერთ რეგიონში, მესხეთში, ბატონყმობის პროცესის გაქრობა და სრული გადაგვარება გამოიწვია.</p>				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.თავაძე	სახელმძღვანელო ისტორიაში მეცხრე კლასი	კლიო	

გ) კრებულები,

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნ. ჯავახიშვილი	ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართვე-	გვ. 379-397

		ფურცლები	ლოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, წელიწადული “ქართული დიპლომატია”, ტ. XVI გამომცემლობა “არტანუჯი”, თბილისი,	
<p>გამოჩენილი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944) მიეკუთვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი.</p> <p>ამ სტატიაში, ზ. ავალიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი ფაქტების მოკლედ მიმოხილვისას სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მოძიებული დოკუმენტებისა და სხვა სახის საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, დადგენილია მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა დაუდგენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. აქვე ყურადღება არის გამახვილებული ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებაც.</p>				
2.	ნ.ჯავახიშვილი	დადესტნური წარმომავლობის ერთი ქართული გვარის შესახებ მასალების კრებული თსუ-სა და ა. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2013 წ. 23-26 ოქტომბერს ორგანიზებული კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგ-	თსუ გამომცემლობა”, თბილისი, (აკადემიკოს ავთანდილ არაბულთან თანაავტორობით)	ქართულ (გვ. 16-18) და რუსულ (გვ. 325-327) ენებზე

		რესისა თემაზე: „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“		
<p>სტატიაში შესწავლილია კახეთის სოფელ წინანდალში მცხოვრები ჩოთალიშვილთა მცირერიცხოვანი გვარის წარმომავლობა.</p> <p>ეს გვარი სათავეს იღებს ჩოთანელთა საგვარეულოდან, რომლის ყველაზე ძველი წარმომადგენელიც ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება სამი საუკუნის წინათ, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორც აღნიშნულ სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის უფროსი. თვით გვარში შემონახული გადმოცემის თანახმად, ჩოთანელთა გვარს საფუძველი ჩაეყარა დაღესტნელი ფეოდალის – ალი-ბეგ ჩოფანის ძის უმცროსი ვაჟიდან, რომელიც გაქრისტიანდა და სოფელ წინანდალში დამკვიდრდა. მისმა შთამომავლებმა, თავიანთი წინაპრების – ჩოფანისა და ალი-ბეგის პატივსაცემად, გვარად აიღეს მათი სახელების გაერთიანებული ფორმა – ჩოფან-ალი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ჩოთან-ელი.</p> <p>დასკვნაში ნათქვამია, რომ აღნიშნული გვარი რეალურად არ არის დაკავშირებული ადგილის სახელთან და ასეთი ახსნის შესაძლებლობა ფორმალური მონაცემების რეინტერპრეტაციის საფუძველზე არის წარმოქმნილი. რეინტერპრეტაცია გულისხმობს იმას, რომ რაღაც ეტაპზე აღნიშნული ჩოფანალ-ი კარგავს ორშემადგენლიანი სახელის გაგებას (“ხსოვნას”) დაიწყება მისი მისადაგება ენის მოქმედ დერივაციულ მოდელთან (წარმომავლობის –ელ სუფიქსით). ასე მივიღებდით *ჩოფან-ელ- ვარიანტს, რომელიც ფ>თ მინაცვლეობის შედაგად გვამღევს საბოლოო ჩოთან-ელ- ფორმას. ამგვარი ფონეტიკური ცვლილებებისათვის შდრ.: ფებერვალი//თებერვალი, ფელგამი//თელგამი, ფელამუში//თელამუში. აღნიშნულის მსგავსი რეინტერპრეტაცია იშვიათი არ არის საკუთარ სახელებში.</p>				
3	ნ.ჯავახიშვილი	ლავრენტი ბერია რამდენიმე თანამედროვის თვალთ	ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები”, ტ. XII გამომცემლობა “უნივერსალი”,	გვ. 371-393

			თბილისი,	
<p>XX საუკუნის ოცდაათიან წლებში (1931-1938 წწ.) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიას ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია (1899-1953), რომელიც 1938 წლიდან 1953 წლის შუა ხანებამდე – სსრ კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. ამის გამო, მის მიმართ ინტერესი ძალზე დიდია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოშიც. ამაზე მიუთითებს მასზე დაწერილი მრავალი ნაშრომი, რომელთა უმეტესობაც რუსულ ენაზეა.</p> <p>მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც არ შექმნილა ნაშრომები, რომელშიც ამომწურავად და ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ხსენებული პიროვნების მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მომავალში მაინც მოხდება.</p> <p>ამ სტატიაში მიმოხილულია, თუ როგორ აისახა ლ. ბერია თავისი ექვსი თანამედროვის (ეროვნებით ქართველთა) მოგონებაში. ამ მოგონებათა ავტორები არიან: შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), გრიგოლ რობაქიძე (1880-1962), სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981), ბარბარე (ბაბო) დადიანი (1903-1999), გერონტი ქიქოძე (1885-1960) და კანდიდ ჩარკვიანი (1904-1994).</p>				
4.	ნ.ჯავახიშვილი	საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.)	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,	გვ. 480-485
		სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული „ზურაბ პაპასქირი–60“, მიმდინილი პროფესორ ზურაბ პაპასქირის 60 წლის-თავისადმი		
<p>სტატიაში შესწავლილია, თუ როგორ ცდილობდნენ საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკების მთავრობები, რომ მათი ქვეყნები ერთა ლიგაში გაწევრიანებულიყვნენ და რა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ამ პროცესს ხელი 1920 წელს.</p>				

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.ჩხარტიშვილი	“მოქცევაი ქართლისაი“ პეტრე იბერის შესახებ,	ბროშურა	თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“,	27 გვ.
<p>ცნობილი ქართველი ასკეტი პეტრე იბერი (წმ. პეტრე ქართველი, ცხოვრობდა დაახლ. V საუკუნის 10-იან - 80-იან წლებში) მოღვაწეობდა პალესტინაში. იგი განეკუთვნებოდა ქართულ სამეფო ოჯახს (ხოსროიანთა / ხოსროვანთა დინასტიას) და იყო ტახტის მემკვიდრე. მაგრამ მან უარი თქვა, ემეფა. ამის გამო, ბუნებრივია, პეტრე არ მოიხსენიება შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებაში 'მოქცევაი ქართლისაი', რომელიც გვაწვდის ქართლის უზენაეს იერარქთა სიას ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ეპოქებისათვის. ამიტომ, რომ პეტრეს ცხოვრების გზის რეპრეზენტაციისათვის მკვლევრები აღნიშნულ თხზულებას არ მოიხმობენ, როგორც წყაროს. წინამდებარე ნაშრომი საპირისპიროდ ამ პრაქტიკისა, აჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში 'მოქცევაი ქართლისაი' არის გასაღები წყარო. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ირიბ ინფორმაციას პეტრეზე. სწორედ ამ ცნობების მეშვეობით ხდება შესაძლებელი როგორც პეტრეს ბიოგრაფიის დეტალების, ასევე ხოსროვანების ოჯახის ისტორიის ახალი კუთხით გააზრება.</p>					
2	მ.ჩხარტიშვილი	როგორი უნდა იყოს სადოქტორო დისერტაცია? პროფ. დ.შველიძის პასუხად	ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII	თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი	გვ. 434-482

სტატიაში საუბარია საზოგადოდ სადოქტორო დისერტაციის რაობაზე, მის კრიტერიუმებზე და აგრეთვე კრიტიკულად არის განხილული დ.შველიძის არაობიექტური რეცენზია ნ.სონღულაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე

3	ქ.ქუთათელაძე	კვირიკიანთა დინასტიის კახეთ-ჰერეთის შტო	გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში, მეცნიერება და ცხოვრება, #1, (7)	თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, „მწიგნობარი“,	476-479
---	--------------	---	--	---	---------

დინასტიური ქორწინების შედეგად XI ს-ში კახეთ-ჰერეთში გამეფდა ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მმართველი კვირიკიანთა სომხური საგვარეულოს წარმომადგენელი გაგიკი, რომელიც ასევე, კვირიკი III დიდის დისწულიც იყო და მის შემდეგ მეფე გახდა. ამ საგვარეულოს შთამომავლებმა 67 წელი იმეფეს კახეთ-ჰერეთში. ისინი ადგილობრივ სამეფო დინასტიას შეერწყნენ და გაქართველდნენ. მათ გამეფებას არ გამოუწვევია მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური სახის ცვლილება.

4	ნ.ჯავახიშვილი	1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის	ოსუს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII	გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი,	გვ. 155-184
---	---------------	--	--	------------------------------------	-------------

5	ა.თაბუაშვილი		ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. ტ. VII.		
---	--------------	--	---	--	--

6	დ.შველიძე	1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა (და არა	ოსუს-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	„მერიდიანი.“	გვერდები: 247-259.
---	-----------	---	---------------------------------	--------------	--------------------

		- შეთქმულება)	ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის "შრომები" VII		
<p>ს ი ა ხ ლ ე - დღემდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის ვნობილი მოვლენები შეფასებულია როგორც "შეთქმულება". ნაშრომში წამოყენებულია და სათანადო მასალებით დასაბუთებულია, რომ ეს იყო არა ვიწრო, მცირემასშტაბიანი შეთქმულება, არამედ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოძრაობა. ამ მოძრაობამ მოიცვა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის და ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ამ ფართო მოძრაობას წარმართავდა შეთქმულთა შედარებით მცირერიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაცია. მსგავსი შეთქმულებითი მოძრაობანი წარმოიქმნა იტალიაში, კარბონართა სახით და გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, რუსეთში, შემდეგ - საქართველოში.</p>					
7.	დ.შველიძე	ანარქო- სინდიკალიზმის ისტორიიდან საქართველოში	კრებულში: "ზურაბ პაპასქერი-60".	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა..	გვ: 320-327
<p>ს ი ა ხ ლ ე - ეს იყო მცირე პოლიტიკური დაჯგუფება 1919-1921 წლების საქართველოში. პირველადაა შესწავლილ-წარმოდგენილი ამ დაჯგუფების წარმოქმნა, მიზნები და საქმიანობა. შესწავლილია ანარქო-სინდიკალისტური გაზეთის "მამვრალთა ხმის" მიხედვით.</p>					
8	ლ.თავაძე	ჯეჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში	საისტორიო კრებული. ტომი 2.	თბილისი, გამომცემლობა მხედარი.	გვ. 24-60
<p>სტატიაში დადგენილია ჯეჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის ახალი დეტალები.</p>					

2) უცხოეთში

სტატიები:

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	M.Chkhartishvili	Georgian nationalism and the idea of Georgian nation. Codrul Cosminului Departamentul de Stiinte Umane si Social-Politice	Vol.19, # 2, December 2013	Romania,	pp.189-206
<p>ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აღადგინოს ქართული ნაციონალიზმის ისტორია და ქართველი ერის იდეის ფორმირების პროცესი. ავტორი მასალას განიხილავს მარქსიზმისაგან ალტერნატიული თეორიის ჩარჩოებში და გვთავაზობს ქართული ნაციონალიზმის წარმოშობის შესახებ განსხვავებულ თარიღს. მიღებული თარიღის ანუ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაცვლად ის ასაბუთებს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს და განიხილავს ქართული ნაციონალიზმის წყაროების საკითხს. ავტორის მითითებით ქართული ნაციონალიზმი მისი ევროპული მოდელზე დამოკიდებულების მიუხედავად, ზუსტად არ იმეორებდა ამ მოდელს . ეთნიკური მემკვიდრეობა და იმპულსები, რომელიც მოდიოდა რუსეთის იმპერიისაგან, რომლის ნწწილსაც ქართული ერთობა ამ დროს წარმოადგენდა, თავისებურ შეფერილობას აძლევდა ქართულ ნაციონალიზმს.</p>					
3	N.Javakhishvili	Coverage of The tragedy of the Circassian People in Contemporary Georgian Public Thought (later half of the 19 th century) Pro Georgia”, Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Faculty of Oriental studies University of	№ 23	Poland	Warsaw, „Duo Studio”, pp. 205-214

		Warsaw,			
<p>ნარკვევში შესწავლილია, თუ როგორ აისახა ჩერქეზთა მუჰაჯირობა და მისი ტრაგიკული შედეგები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. კერძოდ, გაანალიზებულია, თუ როგორი ასახვა ჰპოვა ზემოხსენებულმა მოვლენამ აღნიშნული პერიოდის ქართულ პრესაში, ძირითადად, თბილისში გამომავალ გაზეთებში – „ივერიასა“ და „დროებაში“. ირკვევა, რომ ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი თანაუგრძნობდა მეზობელ ჩერქეზ ხალხს, რომელიც იმ პერიოდში დიდ განსაცდელში იმყოფებოდა</p>					
3.	Н.Джавахишвили	Образ черкеса в грузинской художественной литературе.	Материалы VIII международной научной конференции: “Актуальные проблемы общей и адыгской филологии” (Майкоп, 16-17 мая 2013 г.), посвященной 90-летию со дня рождения профессора З. И. Керашевой. Организаторы конференции: Министерство образования и науки Республики Адыгея, Адыгейский государственный университет	Майкоп,	Издательство Адыгейского государственного университета, стр. 149-152

ნარკვევში შესწავლილია, თუ როგორ აისახა ჩერქეზი ხალხის ისტორია, მათი ტრაგიკული ბედი და მათთვის დამახასიათებელი რაინდული თვისებები ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში, ასევე ალექსანდრე ყიფშიძის (ფსევდონიმი – ფრონელი) ნარკვევში და გიორგი ლასხიშვილის მემუარებში.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M.Chkhartishvili	Conceptualizing the Georgian Nation	<p>თურქეთის კვლევითი პროგრამის ფარგლებში თბილისში ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია: The 4th Turkish Studies Project of the University of Utah Conference. The Caucasus at Imperial Twilight: Nationalism, Ethnicity, and National Building 1870s-1920s),</p> <p>http://polisci.utah.edu/ documents/turkish/pdf/Tbilisi%20Conference%20Program_2013.pdf</p> <p>2013 წლის 5-8 ივნისი</p>
<p>მომხსენებაში ნაჩვენებია იყო ქართველი ერის იდეის ფორმირების პროცესი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე.</p>			
2	მ.ჩხარტიშვილი	„მოქცევაი ქართლისაი“ როგორც წყარო პეტრე იბერის	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ

		ბიოგრაფიისათვის.-	ორგანიზებული მეორე საერთაშორისო კონფერენციის „ქართული ხელნაწერი“ 2013 წლის 26-30 ივნისი
<p>ცნობილი ქართველი ასკეტი პეტრე იბერი (წმ. პეტრე ქართველი, ცხოვრობდა დაახლ. V საუკუნის 10-იან - 80-იან წლებში) მოღვაწეობდა პალესტინაში. იგი განეკუთვნებოდა ქართულ სამეფო ოჯახს (ხოსროიანთა / ხოსროვანთა დინასტიას) და იყო ტახტის მემკვიდრე. მაგრამ მან უარი თქვა, ემეფა. ამის გამო, ბუნებრივია, პეტრე არ მოიხსენიება შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებაში “მოქცევაი ქართლისაი”, რომელიც გვაწვდის ქართლის უზენაეს იერარქთა სიას ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ეპოქებისათვის. ამიტომაც, რომ პეტრეს ცხოვრების გზის რეპრეზენტაციისათვის მკვლევრები აღნიშნულ თხზულებას არ მოიხმობენ, როგორც წყაროს. მოხსენება საპირისპიროდ ამ პრაქტიკისა, აჩვენებდა, რომ ამ შემთხვევაში ‘მოქცევაი ქართლისაი’ არის გასაღები წყარო. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ირიბ ინფორმაციას პეტრეზე. სწორედ ამ ცნობების მეშვეობით ხდება შესაძლებელი როგორც პეტრეს ბიოგრაფიის დეტალების, ასევე ხოსროვანების ოჯახის ისტორიის ახალი კუთხით გააზრება.</p>			
3	მ.ჩხარტიშვილი	ენობრივი წყაროები და საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია (მრავლობის მაწარმოებელი სუფიქსი „ლ“-ასი)	ი.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის და თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ 2013 წლის 30—31 მაისი
<p>მოხსენებაში ნაჩვენები იყო ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის მნიშვნელობა კონკრეტული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე..</p>			
4	მ.ჩხარტიშვილი,	„ივერია“ როგორც წყარო „ოსმალის საქართველოს“	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის

	ქ.მანია	ისტორიისათვის.-	სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია „თურქეთელი ქართველები - ერთიანი ქართული კულტურის მემკვიდრენი“. 2013 წლის 3-4 ივნისი
<p>მოხსენებაში გაანალიზებული იყო ის მრავალრიცხოვანი მასალა, რომელიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა „ოსმალის“ საქართველოს შესახებ და მითითებული იყო ამ პუბლიკაციების მნიშვნელობა ქართული ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის.</p>			
5	მ.ჩხარტიშვილი	ნაციის კონცეპტუალიზაციის ორი მოდელი: სომხური „აზგი“ და ქართული „ერი“	თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ლ.მელიქსეთ-ბეგის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წლის 14-15 ნოემბერი
<p>მოხსენებაში ნაჩვენებია იყო ის ფუნდამენტური განსხვავება, რომელიც არსებობს ორი მეზობელი ხალხის მიერ ნაციის კონცეპტის გააზრებაში</p>			
6	მ.ჩხარტიშვილი	ეთნიკური რჩეულობის მითების სოციალური ფუნქცია და ტიპოლოგია	თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და ი.ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ი.სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო

			კონფერენცია „მითი, კულტი, რიტუალი“ 2013 წლის 5-6 დეკემბერი
<p>მოხსენებაში ნაჩვენებია იყო რჩეულობის მითის კონცეპტის არსი და ამ ფენომენის, როგორც ეთნიკური ერთობების წრთობის პროცესის კატალიზატორის მნიშვნელობა</p>			
7	ქ.ქუთათელაძე	კვირიკიანთა დინასტიის კახეთ-ჰერეთის შტო	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“ თბილისი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (თსაუ)
<p>დინასტიური ქორწინების შედეგად XI ს-ში კახეთ-ჰერეთში გამეფდა ტაშირ-მორაგეტის სამეფოს მმართველი კვირიკიანთა სომხური საგვარეულოს წარმომადგენელი გაგიკი, რომელიც ასევე, კვირიკი III დიდის დისწულიც იყო და მის შემდეგ მეფე გახდა. ამ საგვარეულოს შთამომავლებმა 67 წელი იმეფეს კახეთ-ჰერეთში. ისინი ადგილობრივ სამეფო დინასტიას შეერწყნენ და გაქართველდნენ. მათ გამეფებას არ გამოუწვევია მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური სახის ცვლილება</p>			
8	ქ.ქუთათელაძე	ჯავახეთი ზოგიერთ სომხურ წყაროში და მათი შედარებითი ანალიზი ქართულ წყაროებთან	თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2013 კავკასიოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესი
<p>ქართულ-სომხური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობიდან გამომდინარე, სომეხი ისტორიკოსები აღნუსხავდნენ საქართველოსთან მიმართებაში სხვადასხვა სახის ინფორმაციებს. მიუხედავად ამისა, ჯავახეთის შესახებ ცნობები სომხურ წყაროებში არც თუ ისე ბევრი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც ნებისმიერი პერიოდის ქართული წყარო საქართველოს ამ კუთხის შესახებ</p>			

საკმაოდ უხვ ინფორმაციას იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების სომეხ ისტორიკოსთათვის ჯავახეთი არ მოიაზრებოდა სომხეთის ნაწილად, ან სომხურ სივრცედ. შუა საუკუნეების სომეხი ისტორიკოსები (მოვსეს ხორენაცი, „აშხარაცუიცი“ (სომხური გეოგრაფია), უხტანესი, ასოლიკი, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგამანი, XII ს–ის მცირე სომხური ქრონიკა, ვარდანი). ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არ იძლევიან ცნობებს ჯავახეთთან მიმართებაში. შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ისტორიკოსთა მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა, ამ მხრივ, რამოდენიმე ისტორიკოსი თუ მოიხსენიებს ამ მხარეს. ამათგან შედარებით გვიანდელი წყაროები იმეორებენ წინა საუკუნეების ისტორიკოსთა ცნობებს. გარდა ამისა, ნაკლებად არის მონაცემები კონკრეტულად მხარის შესახებ. გამონაკლისის სახით უნდა დავასახელოთ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგამანი, რაც ბუნებრივია, იმეორებს ქართული წყაროს მონაცემებს.

9	ქ.ქუთათელაძე	„ქალ–გამას“ სახელწოდებისათვის	რევაზ კიკნაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ–გეოგრაფიული კვლევები თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013
---	--------------	----------------------------------	--

ამირანის მითის ქართლური ვერსიის („ამირან დარუჯანაშვილი“) მიხედვით, ამირანის სატრფოს „ქალ–გამა“ ჰქვია. იგი მზეთუნახავია და ზღვის გაღმა ცხოვრობს. სახელწოდება „ქალ–გამა“ უფრო მის ღვთაებრივ, მითოსურ სახეს უსვამს ხაზს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ „ქალ“ (შდრ. შუმერული „გალ“ – „ქალბატონი“, მაგ.: „ნინ–გალ“) მდებარეულ საწყისზე მიუთითებს, „გამ“ კი ღვთაების სახელწოდებაა, რომელიც ამავე დროს მის ფუნქციასაც განსაზღვრავს. სამწუხაროდ, „ქალ–გამას“ სახელწოდებით ქართულ ეპოსში სხვა მითოსური სახე არ ფიქსირდება. თუმცა, ნაყოფიერების ქალღმერთი სხვა სახელწოდებებით საკმაოდ მრავლად მოიხსენიება ქართული ფოლკლორის უმდიდრეს ძეგლებში.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ლაგამარ“ ელამიტურში აფროდიტეს სახელად ითვლებოდა. მისი აზრით, კამარ–ყამარი უნდა უდრიდეს გამარს. კამარ–ყამარი დიალექტური ფორმები უნდა იყოს. ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „კამარას“ სინონიმად

დასახელებულია „თალი“ (შდრ. კამარ–კამარა–კამარიანი–კამარედი), ასევე, „ყამარი სხვა ეტიმოლოგიით „ცის თალს“, „კამარას“ (ხურიტულად) ნიშნავს. საინტერესოა ისიც, რომ „კამარა“ აკვნის ტარსაც ნიშნავს, რაც ასევე გულისხმობს მის მოხრილობას. კილო თქმათა ლექსიკონში მოვიძიე სიტყვა „გამირ“. იგი ნიშნავს მოხრილ რკინას, რომლის საშუალებით სახლის კოჭებს ამაგრებენ. ფაქტია, რომ **ყამარ–კამარ–გამარ** ეტიმოლოგიურად ერთი მნიშვნელობის უნდა იყოს და იგი მოხრილს, თაღოვანს ნიშნავს. აქედან გამომდინარე არ არის გამორიცხული, რომ კამ ძირიდან მიგვეღო „გამ“–იც. ამიტომ არის, რომ „ქალ–გამა“ და ყამარ–კამარი ღვთაების ერთი და იგივე იპოსტასს ჰქვია. „ქალ–გამას“ სახელწოდება მაშინვე გვახსენებს ქართულ წყაროებში მოხსენიებულ „**გა–გაიმ–გაიმი**“–ს კერძს, რომლის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. „ქალ“, „გა“, „კამ“/„ქამ“ („კამ“/„ქამ“ „გამ“–ის ფონეტიკური ფორმებია – შდრ. გ–ქ–კ) ძირით ქართველურ ენებში და ქართული ენის დიალექტებში მრავალი სიტყვა გვხვდება, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება „ქალ–გამას“ სახელწოდებას. ეს სიტყვები ღვთაების ნაყოფიერების ფუნქციას (მცენარეულ სახე და კავშირი წყალთან) განსაზღვრავენ.

10	ქ.ქუთათელაძე	„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მცენარეული წარმოშობის ტოპონიმები და მათი დიალექტური შესატყვისები	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013
----	--------------	--	---

ტოპონიმების წარმოშობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მხარის ფიზიკურ–გეოგრაფიული ლანდშაპტი და მცენარეული საფარია. ხშირად მაკროტოპონიმი მიკროტოპონიმად იქცევა. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ზოგიერთი ტოპონიმი პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ მცენარეს, მაგ.: **მუხა** (მუხნარი/მუხრანი/მუხადგვერდი), **მსხალი** (სხლოანი / სხლობანი / სხალდიდი), **შინდი** (შინდები / შინდისის გორა /შინდარა / შინდობი /შინდობის ეკლესია), **ვაშლი** (ვაშლების ხევი /ვშლობი / ვშლოვანი), **ღოღო** (ღოღოვანი), **უზანი** – **შავი ძახველი** (უზნარიანი), **თელა** (თელავი/თელიანი), **მაჭი** – (ცაცხვი

მოხევურ დიალექტზე) (მაჭი/მაჭის წყალი). **ჭადარი** (ჭანდარი/შანდრის უბნის ხევი), **ოფი** (ოფრეთი), **ულუმბო** (უცხო სუნელი), **ისლი** (ლისი/ლისის ტბა), **ჩალა** (ჩალაუბნის ხევი), **ღვია** (ღვიის ხევი/ღვიანა), **მარნეული** – ყვითელი ტირიფი (მარნეული), **დოლის პური** (:დოლის ყანა“), **შამბი** – „მაღალი და სხვილი ბალახი“ (შამბიანი მთა/შამბიანის ხევი), **ლიხი** – „ფრიად მაღალი შამბი“ (ლიხი/ლიხის მთა), **ნარი** (ნარიანი/ ნარიანის ველი/ნარის ხევი), მუხის ხული, ან მუხის რკო (კრკონი), **სოსანი** (სოსანგეთი) და სხვ. ყურადღებას იმსახურებს ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც რელიგიურ ინფორმაციას ინახავენ, მაგ.: **„ჭყონდიდი“** (შდრ. საკრალური მუხა). „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება ისეთი სახელწოდებები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეულ საფართან, მაგ.: **„ჭალა“**, **„ტყე“**, **„დაშტი“** (ველი) და სხვ. ზოგიერთი ტოპონიმი გარკვეულ ლანდშაპტს უკავშირდება, მაგ.: **„გაჩიანი“** (გაჩ–ქაჭ–კაჭ) – ბუჩქნარი და ეკალბარდოვანი მხარის ზოგადი სახელწოდება. სომხურ წყაროებში გაჩიანი მოიხსენიება, როგორც „ცურტავის ქვეყანა“, რომელიც ასევე, მცენარეული წარმოშობის სახელწოდებად მიგვაჩნია. **„ცურტავი“** „ავ“ სუფიქსით ნაწარმოები უნდა იყოს. მჟავე საკვების აღმნიშვნელ სიტყვად ძველ ქართულში ერთი მეტად საინტერესო სიტყვა გამოიყენებოდა, რომელიც სულხან საბა ორბელიანმა შემოგვინახა. ეს არის **„ცრუტი“**, რომელიც მკვლევრის განმარტებით, ნიშნავს „მჟავით ნამზადი ჭარხალი, ანუ ჭარხლის მკლავის (ღეროს) მჟავე“. არ გამოვრიცხავ, რომ ეს სახელი სხვა მჟავე (მომჟაო) საკვების, ან განსაკუთრებით ისეთი ეკლოვანი ბუჩქის მცენარეების ნაყოფის აღსანიშნავადაც იხმარებოდა, რომელთა ნაყოფს განსაკუთრებით მჟავე გემო აქვთ. ჩემი აზრით, ეს სიტყვა უფრო უნდა დადებოდა საფუძვლად სახელწოდება „ცურტავს“ (ცრუტ/ცურტ+ავ = „ცურტავი“), ვიდრე სომხური სიტყვა „ცურტ“, რომელიც სიცივეს, სინესტეს ნიშნავს და შინაარსობრივად შეუსაბამობას ქმნის იმ ჰავასთან, რომელიც „შუშუანიკის წამებაშია აღწერილი და როდესაც ვახუშტი ბატონიშვილიც ახასიათებს გაჩიანის მხარის კლიმატს. ჩემი ყურადღება მიიპყრო ასევე, სომხურმა სიტყვამ **„ცურდ/ცირდ/ცრდი“**, რომელიც ასევე, ეკლიან ბუჩქს ნიშნავს („ცურ/ცირ“ ძირი ზანურიდან უნდა იყოს გადასული).

11	ქ.ქუთათელაძე	სივნიეთის ორბელიანები	ლეონ მელიქსეთბეგის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013
----	--------------	-----------------------	---

1177 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ორბელთა საგვარეულო არა მარტო ფიზიკურად გაანადგურეს, არამედ, ეკლესიურადაც შეაჩვენეს, რაც გვარის სულიერ სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ საქართველოდან გადახვეწილი ორბელთა უკანასკნელმა

წარმომადგენელმა მრწამსი შეიცვალა – მონოფიზიტური აღმსარებლობის მიმდევარი გახდა და გასომხდა. ელდიგუზ ათაბაგთან დამხმარე ძალების მოსაყვანად წასული ლიპარიტ ორბელი საქართველოში აღარ შემოსულა. მას ორი ძე დარჩა ივანე და ელიგუმი. ამათგან ივანე, რომელიც თავრიზის მთავართან იყო და მისგან დიდი პატივი მიიღო, თამარის დროს შემოირიგეს. მას მხოლოდ ორბეთის ციხე დაუბრუნეს. ელიგუმი კი ათაბაგთან დარჩა, რომელიც დიდი პატივით ეპყრობოდა მას. ათაბაგის დაჟინებული მოთხოვნით, მძიმედ დაავადებული ელიგუმი იძულებული გახდა მუსულმანობა მიეღო, თუმცა, როდესაც მომჯობინდა, მას ძალიან უნანია ეს ფაქტი და ათაბაგს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნება სთხოვა, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. მის დროს უნდა გადასულიყვნენ ორბელები სომხურ მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე. ელიგუმის შვილი ლიპარიტი შემოირიგეს და მხარგრძელებმა შემოიყვანეს საქართველოს სამეფოს საზღვრებში. მას წინაპართა მამულის სანაცვლოდ სივნიეთის მხარე მისცეს და მხარგრძელთა ვასალები გახდნენ. ლიპარიტ ორბელმა ააგო ნორავანქის ეკლესია, რაც ქართულად „ახალ მონასტერს“ ნიშნავს. იგი საეჭვო ვითარებაში დაიჭრა ნასროლი „უეცართა ისართაგან“. არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეკვეთილი მკვლელობა ყოფილიყო და მის უკან მხარგრძელთა საგვარეულო მდგარიყო. ლიპარიტის ხუთი ვაჟიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სუმბატ ორბელი, რომელიც მონღოლთა დროს დაწინაურდა საქართველოს სამეფო კარზე. მან მეფე დავით ლამას ძეს ორბელთა შეჩვენების სიგელის განადგურება მოსთხოვა. ლიპარიტ ორბელიანის ერთ–ერთი ვაჟი, რომელიც ასევე დაწინაურებული იყო საქართველოს სამეფო კარზე იყო ტარსაიჭ ორბელი, რომელსაც დემეტრე მეფემ თავისი შვილების დავითისა და მანოელის აღზრდა ანდო. მისი ძე სტეფანოსი კი შუა სს–ის სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც XII–XIII სს–ის საქართველოს შესახებ უმნიშვნელოვანესი ისტორიული ცნობები შემოგვინახა.

12	ქ.ქუთათელაძე	ქართულ წყაროებში მოხსენიებული „გორი“/„გორა“ სეგმენტის შემცველი ტოპონიმები	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013
----	--------------	---	--

როგორც ცნობილია, „გორი“ ადამიანთა უძველესი დასახლების ერთ–ერთი სახეობაა. გარდა ფიზიკურ–გეოგრაფიული მნიშვნელობისა, მას სოციალური დატვირთვაც აქვს. იგი არის გვარის სამოსახლო, სამეურნეო და საკულტო ადგილი, ხშირად გამაგრებული, რომელსაც ზოგჯერ აქვს სამაროვანი. „გორა“/„გორანა“–ს სეგმენტით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გვხვდება სოფელთა სახელწოდებები. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „გორი“ არის იგივე ბორცვი,

<p>„გორა“ კი მცირე ბორცვი. ქართული ენის დიალექტებიდან ქიზიყურ დიალექტზე „გორიელი“ მინდერის ბორცვს და პატარა გორას ნიშნავს. აღნიშნულ მოხსენებაში შევეხე ისეთ ტოპონიმებს, როგორც არის „დიდგორი“, „ზადენგორა“, „ტონთიოს გორი“, „ლომთა გორა“, „ნიჯგორი“, „გორიჯუარი“ (შდრ. „ბორცვისჯვარი“) და სხვ.</p>			
13	ნ.ჯავახიშვილი	ქართულ-დაღესტნური საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა	კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“, რომელიც გაიმართა 2013 წლის 23-26 ოქტომბერს. თსუ და ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.2013
<p>სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. ქართველი მეფე-მთავრები ყოველთვის დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას. ამისათვის ისინი ცდილობდნენ, რომ ჩრდილოკავკასიელებთან ჰქონოდათ კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა. ჩრდილოკავკასიელი მეომრები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსახურობდნენ ქართველ მეფეთა ჯარში. ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სამხედრო თანამშრომლობა წარმატებით გრძელდებოდა და ვითარდებოდა ქართული მონარქიული სახელმწიფოებრიობის არსებობის ბოლომდე. ქართველ მეფეთა ჯარში სისტემატურად ირიცხებოდნენ ჩრდილოკავკასიელები და მათ შორის დაღესტნელებიც.</p> <p>მართალია, თანაარსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ქართველებს და დაღესტნელებს შორის მტრობაც ხშირი იყო, მაგრამ ამ ხალხებს შორის ასევე იყო თანამშრომლობაც. მათ შორის არსებული სამხედრო თანამშრომლობის ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდს წარმოადგენს XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის დასაწყისი, რომელიც შესწავლილია წარმოდგენილ სტატიაში.</p>			
14	ნ.ჯავახიშვილი	ავალიშვილთა საგვარეულო და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები	თსუ საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „წყარო-თმცოდნეობითი და ისტორი-

			ოგრაფიული კვლევები”, მიძღვნილი რევაზ კვიციანი დაბადების 90 წლისთავისადმი, რომელიც გაიმართა 2013 წლის 30-31 მაისს.
<p>გამოჩენილი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944) მიეკუთვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი.</p> <p>ამ სტატიაში, ზ. ავალიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი ფაქტების მოკლედ მიმოხილვისას, სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მოძიებული დოკუმენტებისა და სხვა სახის საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, დადგენილია მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა დაუდგენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. აქვე ყურადღება არის გამახვილებული ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებაც.</p>			
15.	ნ.ჯავახიშვილი	მასალა კახეთის მეფეების: ალექსანდრე II-ისა და დავით I-ის სვანეთთან კავშირის ისტორიისათვის	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2013 წლის 24-26 ივნისს.
<p>მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის ურთიერთობის აქამდე უცნობი დეტალები.</p>			
16	ნ.ჯავახიშვილი	ლატვიელები საქართველოში (ვოლდეიტები)	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2013 წლის 12-13 - დეკემბერს.

17	თ.დუნდუა, გ.ჟუჯუნაშვილი	Changing the Imperial Pattern: Life in South-West Georgia under the Ottomans and the Russians (1870 - 1914).).	The 4th Turkish Studies Project of the University of Utah Conference. The Caucasus at Imperial Twilight: Nationalism, Ethnicity and Nation-Building (1870s - 1920s).
18	თ.დუნდუა	პუბლიკიუს მარკელუსი, პუბლიკიუს აგრიპა და ბარკობხას მონეტა დაღესტნიდან	თსუ ჰუმანიტარულ მენციერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია
19	დ.შველიძე	ახალი მასალები ერთი ეროვნულ-რევოლუციური ისტორიული აქციის შესახებ	თსუ-ს მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
<p>ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ი ა ხ ლ ე - რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ იქნა წიგნი ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილი შესახებ. მასში დეტალურად იყო გამოკვლეული 1905 წელს საქართველოში ჰოლანდიიდან იარაღის შემოტანის ოპერაცია გემ "სირიუსით". ახლა კი საისტორიო არქივში აღმოჩნდა ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილის გიორგი სიხარულიძის დღემდე უცნობი მოგონება. სიხარულიძე იყო ახალგაზრდა სტუდენტი-პატრიოტი, რომელიც სწორედ გემ "სირიუსზე" იმყოფებოდა. მოგონება სწორედ მის მიერ გემზე გატარებულ რამდენიმე-კვირიან მოგზაურობასა და იარაღის გადმოზიდვის პერიპეტივებს აღწერს და უაღრესად საინტერესო ფურცელია ეროვნული მოძრაობის ისტორიისათვის. მოხსენება საფუძვლად დაედება წიგნს, რომელშიც მოგონებებს გამოვაქვეყნებთ, სათანადო კვლევისა და კომენტარების დართვით.</p>			
20	დ.შველიძე	არქივში დაცული წყაროების მნიშვნელობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლისათვის	1918-1921 წლების საქართველო საარქივო მასალებში, საქართველოს არქივი
21	ლ.თავაძე	ტერმინ „მეუფე-მამასახლისის“ საკითხის გაგებისათვის	თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M.Chkhartishvili	Conceptualizing Georgian Nation within Romanov Empire	2013 წლის 20-22 ივნისი, იტალია, რომი
<p>მომხსენებაში ნაჩვენებია იყო იმპერიის იმპულსის გავლენა ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბებაზე და იდენტიფიცირებული იყო ქართულ სინამდვილეში ერის კონპეპტის ევროპული მატრიცა.</p>			
2	ნ.ჯავახიშვილი	<p>ზოგიერთი ასპექტი ქართლ-კახეთის სამეფოს მოდერნიზაციის პროექტისა, რომელიც შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებამდე</p>	<p>გდანსკის (პოლონეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული III ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2013 წლის 20-22 მაისს, თემაზე: “პოლონეთისა და კავკასიის სამეფისნაცვლოების ისტორიიდან”.</p>
	ნანა მაჭავარიანი	აფხაზური აჩამხალ ლექსების ეტიმოლოგიისათვის - არნ.ჩიქოზავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესიის მასალები	თბილისი, 2013, 24-26 დეკემბერი http://caucasiology.tsu.ge/geo/kavkasiologiuri.ziebani.geo.html
	რევაზ აბაშია	კავკასიის უძველეს ეთნოტოპონიმთა წარმოების ისტორიიდან - კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მასალები.	თბილისი, 2013, 23-26 ოქტომბერი http://caucasiology.tsu.ge/geo/kavkasiologiuri.ziebani.geo.html
	გიორგი ჟუჟუნაშვილი	წმინდა ერისკაცის ექვთიმე თაყაიშვილი-სადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და გარე სამყარო“. ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი	15-16 ივნისი, 2013, გორი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების შემადგენლობაში – შედარებითი ანალიზი
	გიორგი ჟუჟუნაშვილი	ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის	თსუ, 2013. 17-18 ივნისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

			<p>მეშვიდე ყოველწლიური სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია-ექვთიმე თაყაიშვილი 150 წლისთავისადმი</p>
<p>გიორგი ჟუჟუნაშვილი, ნანა ბერიძე. მიხაკო წერეთლის ნაშრომი: „რასისა და კულტურის პრობლემები კავკასიაში“. კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი (მასალები). 23-26.10.2013. თბილისი. გვ. 86-87, 296</p>			
<p>წარმოდგენილი კვლევა იმ მრავალრიცხოვან შრომათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც მეცნიერმა ემიგრაციაში შექმნა და ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობია. „რასისა და კულტურის პრობლემები კავკასიაში“ („Rassen- und Kulturprobleme des Kaukasus“) 1916 წელს, ბერლინში, გამომცემლობამ „Welt-Verlag“ დასტამბა და გამოსცა „გერმანულ-ქართულმა საზოგადოებამ“.</p>			
<p>მიხეილ წერეთლის მეცნიერული კვლევა კავკასიისა და კავკასიელების შესახებ მოიცავს ფართო სპექტრს. ნაშრომის დასაწყისში ავტორი გამოთქვამს წუხილს, რომ კავკასიის შესახებ ევროპის ქვეყნებში მწირი ინფორმაცია-ევროპა არ იცნობს კავკასიას!</p>			
<p>ავტორი სვამს მთელ რიგ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც სწორედ კავკასიური რასის, ენის, ისტორიისა და კულტურის კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი.</p>			
<p>მეცნიერის აზრით, კავკასიის შესწავლა ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც სავალალოა. სავალალო მდგომარეობაა ლიტერატურის დარგშიც.</p>			
<p>მიხეილ წერეთელი განიხილავს ქართულ ისტორიასა და არქეოლოგიას და თვლის, რომ მარი ბროსეს სიკვდილის შემდეგ ამ დარგში არ მოიძებნება მიმდევრები არც ევროპაში და არც რუსეთში. მეცნიერი ასახელებს ალ. ცაგარელს და ივ. ჯავახიშვილს, მაგრამ წუხს, რომ მათი შრომები მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზეა შესრულებული და ევროპისთვის უცნობი რჩება. ამასთანავე, მიაჩნია, რომ მხოლოდ ევროპულ მეცნიერებას შეუძლია კავკასიოლოგიისთვის დახმარების გაწევა.</p>			
<p>ვფიქრობთ, ეს გამოკვლევა არა მარტო ლინგვისტების, ისტორიკოსების და სხვა დარგის სპეციალისტებისთვის არის ყურადსაღები, არამედ ნებისმიერი წიგნიერი ქართველისთვის საინტერესოა.</p>			

T. Dundua, G. Zhuzhunashvili. **Changing the Imperial Pattern: Life in the South-West Georgia under the Ottomans and the Russians (1870-1914)**. The 4th Turkish Studies Project of the University of Utah Conference - THE CAUCASUS IMPERIAL TWILIG: NATIONALISM, ETHNICITY&NATION-BUILDING (1870s-1920s). Program&Abstracts. June 5-8. 2013. Tbilisi. Pp. 31-32

The following common features can be traced for the Ottoman and the Russian Empires starting from the 70-s of the 19th c. onwards:

1) Byzantinism – both Empires saw themselves as heir of “Kingdom of the Romans”, i.e. East European hegemonic power, former rapidly regressing, from this point of view, latter yet being desirable protector

2) Continental imperialism; these multinational Empires comprised both, Europe and Asia. European and Asian provinces had different statuses, Asians being beyond the favour as usually

3) Both metropolises (Eastern Thrace and Anatolia, for the Ottoman Empire, and Russia itself, for the Russian Empire) still possessed prominent agricultural sections

4) At a certain degree, both metropolises used the state socialistic way to run the economics (state property was especially prominent in the Russian industry)

5) Moderate rates of modernization.

And the differences are as follows:

1) Nonhereditary autocracy of the Ottomans, and hereditary monarchy in Russia

2) Absence of the estates (i.e. privileged restricted group) in the Ottoman Empire; and, on the contrary, existence of the estates everywhere through the Russian Empire

3) The Ottomans had reputation for cosmopolitanism while selecting the bureaucracy in the centre, and some respect for national feelings in the provinces. And the Russian Imperial structures were served by the Russian aristocracy

4) Russian aristocracy, holding the Imperial offices, was Orthodox Christian totally, and Islam was prerequisite to have a job in the Ottoman structure.

Very prominent Georgian-Turkish commercial relations pass through the small towns like Ardahan and Artvin, Oltu and Yusufeli, and the outskirts, with the local folk being thoroughly engaged in this service. Many of them, the Turkish citizens, speak also the Georgian language, as a family one. And Georgian historical monuments, scattered everywhere, are under special care of the Turkish government. Knowledge of history of this interaction is a way to build the most

rational network.

Georgian principality of Samtskhe-Saatabago was incorporated by the Ottomans in the 16th c. as they wished to secure their Anatolian domains while confronting the Safavis. Georgian feudals lost their lands just to receive them back as the state property now in their use instead of military service rendered to sultan. As zaims and timariots, the Georgians also packed the local administration, i.e. of Gurgistan (Childir) Vilayet, maintaining the Georgian language due to the permanent economic links with the rest of Georgia.

These bilingual warriors resisted the Russian army bravely, while assault of Akhaltsikhe on August 15th, 1828. Indeed, they cared much for their social privileges. Reunification with the rest of Georgia was a great idea, even under Russian hegemony, but there was no need for the timariots in the Christian Empire. They never knew what could be the next step – the lands in their use, were they to be delivered to them in hereditary possession, or – just taken away forever. There was only one thing they were quite sure about – namely, no administrative positions for them in the Russian Empire, these positions were all reserved for the Orthodox Russians.

Russo-Turkish war of 1828-1829 gave to Russia control over two Georgian-speaking provinces of Childir Vilayet – Samtskhe (with Akhaltsikhe as principle town) and Javakheti (with Akhalkalaki as principle town). Some of the timariots received land in possession thus obtaining the same rights as the rest of the Georgian aristocracy – only few auxiliary provincial administrative positions were reserved for them. Those working on the state lands preserved the same status. And local commercial classes were too tiny either to protest, or not the changing of constitution. Perhaps, there was enough reason for many Muslim Georgians to leave the Christian Empire. Still, economic reintegration of Georgia to its logical and historical boundaries was in action, progressive from every point of view.

Capture of Artaani/Ardahan fortress while Russo-Turkish war of 1877-1878 again shows Georgians fighting against the Russians. No other signs of local activities are traced. Why? What made Muslim Georgians so indifferent? What happened in the Ottoman Empire towards the midst of the 19th c.?

Even up to 1878 the commodity turnover between Muslim Georgia and Georgia proper was prominent. It is well recorded that South-Western Georgia produced definitely more food than needed just to be sold Northwards, and this was happening while the Ottoman rule. By 1877 even the Chans from Rize district, speaking the Mingrelian/West Georgian language, and having sultan as supreme ruler, “. . . move intensively to Adjara, Guria, Kartli (provinces of Georgia) and Tiflis itself”. There could be only one way – that is economic reintegration of Georgia. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

Due to the Russian advance, the sites of Batumi, Artvini and Artaani were left by many Turks from former provincial administration. So, the Turks and not bilingual Muslim Georgians formed the local administration by that time. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

System of the timars was abolished in the 30s of the 19th c. Former timariots were offered pension instead of land. Still, there was a possibility for them to buy former timar as mulk, i.e. in hereditary possession, from which they would pay taxes to support new regular army. Only few Georgian begs, i.e. Muslim Georgian nobles, mostly Khimshiashvilis, are mentioned in the 2nd half of the 19th c. and later, as the subjects of Tsar. That means as follows: Georgian timariots failed to get the mulks. Later, the Russians allotted only some of them, receiving pension, with the lands.

Very feudal in essence, local Muslim élite suffered from the other changes too. Legal equality, now introduced in the Ottoman provinces, cut their privileges at provincial level. Here is the whole story narrated by “Iveria”, very popular in the 19th c. Georgian newspaper, issued in Tbilisi/Tiflis: “. . . now sultan’s government decided to deal with the begs. In 1856 they summoned the leaders of the Georgian nobles (the begs) to Istanbul. The request was as follows: old family charters were needed to be checked and substituted by the new ones. The begs, willingly presenting all the charters, signed by the Georgian kings, sultans or the shahs, thought of sultan’s grace. As soon as the the government cheated out of these charters, they locked them in archives saying the words of Tanzimat: all the subjects of the Empire are equal before the law.” “With Tanzimat and legal equality being established by the Ottomans, the aznauris (Georgian nobles) lost their privileges. The begs started to receive the pension and aznauris became equal to the peasants”. That is also why the Muslim Georgians were so indifferent towards the Ottomans.

The Muslim Georgians, what did they receive after being incorporated into the Russian Empire?

1. There was land reserved for some of the former begs and membership in local militia;
2. Peasants remained mostly at the state lands.

And all they joined the Christian Georgians.

Георгий Жужунашвили, Гурам Куталадзе. Очерки из истории взаимоотношений Грузии, Кавказа, России. Lambert – Academic Publishing. 2013 (7.75 ჰირობითი ნაბეჭდი თაბახი)

Основной идеей нашего сборника является именно это: объективная, беспристрастная правда о культурно-историческом прошлом кавказских наций и этнических групп, попытка показать истинный смысл исторических отношений и их сердечный характер.

Настоящий сборник носит тематический характер. Объединяющей темой всех очерков являются грузино-кавказо-русские отношения.

Представленные очерки в основном являются тезисами. В них представлены идеи и концептуальные видения авторов. Все это (оформленное и снабженное обширной источниковой и исторической базой) в скором будущем предстанет перед читателем в виде монографии.

Целью нашей публикации является желание авторов вызвать интерес специалистов и заинтересованных лиц к поставленным проблемам и получить от них критические замечания и пожелания по интересующим нас вопросам для, повторимся, того, чтобы добиться объективности описания (*обязанность историка*) и интерпретации (*ответственность историка*) этих отношений.

თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, გიორგი ჟუჟუნაშვილი. კონსტიტუციური ცვლილებები „ოსმალის საქართველოში“ (ბატონყმობის და წოდებრიობის გაუქმება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVI-XIX საუკუნეებში). გამომცემლობა “მერიდიანი”. თბ. 2013 (3.5 პირობითი ნაბეჭდი თაბახი)

1864-1871 წლებში ბატონყმობა გაუქმდა შემდეგ ქართულ პროვინციებში: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი. არც ამ დროს და არც შემდგომ საჭირო არ გამხდარა ბატონყმობის დენონსაცია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს იმიტომ, რომ ბატონყმობა აქ უკვე გაუქმებული ჩანს ოსმალთა ჰეგემონიის დროს (XVI საუკუნის მიწურულიდან). ეს არის კონკრეტული კვლევის ერთი მხარე.

1917 წელს საქართველოში წოდებრიობა გაუქმდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის ეს იყო წოდებრიობის ხელმეორედ დენონსაცია: პირველად აქ წოდებრიობა გაუქმდა XIX საუკუნის 50-იან წლებში, თანზიმათის ეპოქაში.

სწორედ ამ საკითხებზეა საუბარი წარმოდგენილ ნაშრომში.

თ. დუნდუა, გ. ჟუჟუნაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის და რუსეთის

იმპერიების შემადგენლობაში – შედარებითი ანალიზი. წმინდა ერისკაცის ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და გარე სამყარო“. ა(ა)იპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. 15-16 ივნისი, 2013

XIX საუკუნის 70-იან წლებში და შემდეგაც ოსმალეთის და რუსეთის იმპერიებს გააჩნდა რამდენიმე საერთო მახასიათებელი:

- 1) ბიზანტინიზმი; ორივე იმპერია თავს რომეების სამეფოს მემკვიდრედ, ანუ აღმოსავლეთ ევროპის ჰეგემონად მიიჩნევს. პირველი, ამ ასპექტით, დეკადანსის გზაზეა, მეორე – სასურველი პროტექტორია
- 2) კონტინენტური იმპერიალიზმი; ეს მრავალეროვანი იმპერიები ევროპას და აზიას აერთიანებს, აღნიშნულ სისტემებში ევროპული და აზიური პროვინციები სხვადასხვა სტატუსით სარგებლობს. აზიელებს, ამ კუთხით, არ სწყალობენ
- 3) მეტროპოლისების (აღმოსავლეთ თრაკია და ანატოლია, ერთი მხრივ, და საკუთრივ რუსეთი, მეორე მხრივ) აგროინდუსტრიული ტიპი
- 4) ორივეგან სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი (განსაკუთრებით, რუსულ ინდუსტრიაში)
- 5) მოდერნიზაციისაკენ ზომიერი სწრაფვა.

განსხვავებები კი ასეთი:

- 1) არამემკვიდრეობითი ავტოკრატია ოსმალეთში, და მემკვიდრეობითი მონარქია რუსეთში
- 2) წოდებრიობის არარსებობა ოსმალთა იმპერიაში; რუსეთის იმპერიაში, პრაქტიკულად ყველგან, წოდებრიობაა
- 3) კოსმოპოლიტიზმი ოსმალთა იმპერიის ცენტრში და ლოკალური კადრების მცირე ადმინისტრაციული პრიმატი პროვინციებში რუს თავადაზნაურთა პოლიტიკური ჰეგემონიის საპირისპიროდ რუსეთის მთელი იმპერიის ფარგლებში
- 4) ისლამი ერთგან, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კი სხვაგან, როგორც დიფერენტი ადმინისტრაციული ფავორიტიზმისთვის.

ქალაქები, არდაგანი და ართვინი, ოლთუ და იუსუფელი, მიმდებარე მხარეებითურთ, დღეს ქართულ-თურქული მრავალმხრივი ურთიერთობების ხიდია. აქაური ეკონომიკურად აქტიური ელემენტი ამ სერვისში აქტიურად არის ჩართული; მისი სოციალური ენა თურქულია, საოჯახო – ქართული. აქ არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლები მალე თურქეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება. რაციონალური ურთიერთქმედებისთვის კი აუცილებელია ისტორიის ცოდნა.

XVI საუკუნეში ოსმალებს ქართული სამთავროს, სამცხე-საათაბაგოს, ინკორპორაციისკენ უბიძგა სეფიანებთან დაპირისპირებამ და სურვილმა, შეექმნათ ბუფერი საკუთარი ანატოლიური სამფლობელოებისთვის. ამიერიდან ქართველი ფეოდალები, როგორც სულთნის ზაიმები და თიმარიოტები, სახელმწიფო მიწით სარგებლობენ და ოსმალთა კარიბჭესაც იცავენ. ეს de facto ავტონომია – ჩილდირის ვილაიეთი – დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური კონტაქტების წყალობით, ქართულ ენას ინარჩუნებდა.

სოციალურმა პრივილეგიამ თავისი ქნა და 1828 წლის 15 აგვისტოს ახალციხესთან მეგრძოლ რუსულ არმიას ქართველთა ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ძირითად საქართველოსთან გაერთიანება ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ რუსეთს ხომ თიმარიოტები არ სჭირდებოდა?! სად იყო გარანტია იმისა, რომ ქართველ თიმარიოტებს მათ სარგებლობაში მყოფ მიწებს საკუთრებად დაუმტკიცებდნენ. ამ ხალხს საჯარო ხელისუფლებას ხომ ისედაც ჩამოაცილებდნენ. ეს რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებელი რუსების პრივილეგია იყო.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ჩილდირის ვილაიეთის ორი ქართული პროვინცია – სამცხე და ჯავახეთი დაიკავა. თიმარიოტთა ნაწილმა მიწა მამულად მიიღო, პოლიტიკურად კი – პასიურნი გახდნენ. ისინი კი, ვინც სახასო მიწებს ამუშავებდნენ, კვლავაც იმავე სტატუსს ინარჩუნებენ. ამ მხარეების სამრეწველო-სავაჭრო პოტენციალი მძლავრი არ იყო; შესაბამისი კლასიც, პოლიტიკური ასპექტით, გაუფორმებელია. ამ მიზეზების გამო, ქართველ მუსლიმთა ნაწილმა ქვეყანა დატოვა. ზოგადად, მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიული ეკონომიკური სისტემის რესტავრაცია, რაც, უდავოდ, ყველა ასპექტით დადებითი იყო.

არტაანის/არდაგანის ციხის დაკავება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის ერთი ეპიზოდია. აქ ქართველებმა, აშკარად, იომეს რუსეთის არმიის წინააღმდეგ. ეს იყო და ეს. სხვა მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა კონკრეტულ ტერიტორიაზე მიმდინარე მძაფრი მოვლენების ინერტული მყურებელი იყო.

რა მოხდა მაინც ასეთი ოსმალთა იმპერიაში XIX ს. შუა ხანებისთვის, რამაც ქართველ მუსლიმთა პასიურობა განაპირობა?!

1878 წლამდეც საქონელბრუნვა სამუსლიმო და ძირითად საქართველოს შორის მნიშვნელოვანი იყო. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ აქაური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იმდენად აღემატებოდა ადგილობრივ მოთხოვნებს, რომ მისი დიდი ნაწილი ამიერკავკასიაში იყიდებოდა, და ეს ყველაფერი თურქთა მმართველობის დროს ხდებოდა. ჭანებსაც კი 1877 წლისთვის „... დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ, როგორც აჭარისაკენ, აგრეთვე გურიას, ქართლს და თვით ტიფლისშიაც“. ეკონომიკური ლოგიკა მის ინტენსიფიკაციას მოითხოვდა სრული ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

1878 წ. ბათუმის, ართვინის და არტაანის მხარეები უამრავმა ნატურალურმა

თურქმა/ოსმალო ყოფილმა ჩინოვნიკმა დატოვა. ე.ი. ადმინისტრაცია ცოტა ხნით ადრე სწორედ მათგან კომპლექტდებოდა. მუსლიმ ქართველთა ინდიფერენტულობა თურქთა მიმართ ამითაც იქნებოდა განპირობებული.

მუსლიმმა ქართველებმა რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შედეგად მიიღეს:

1. ბეგებმა – ცოტა მიწა და ადგილობრივ მილიციაში გაწევრიანების საშუალება
2. მოიჯარეებმა – იგივე სტატუსი სახელმწიფო მიწებზე, ხოლო ქართველებმა ზოგადად – დანარჩენი ქართველები.

გ. ჟუჟუნაშვილი, ს. სალუაშვილი. ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების თარიღის დაზუსტებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვიდე ყოველწლიური სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია-ექვთიმე თაყაიშვილი 150 წლისთავისადმი. თბ. 2013. 17-18 ივნისი

XIX-XX საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პლეადაში თავისი ღირსეული ადგილი უკავია ექვთიმე თაყაიშვილს. საინტერესოა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი წელი, ყველა წვრილმანი.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიაში არსებულ უზუსტობებზე: “ჩემი მეტრიკის მიხედვით მე დავბადებულვარ 5 იანვარს 1863 წლის (ძვ. სტილით), მაგრამ შესაძლოა ამაზე წინ ერთის წლით მაინც ვიყო დაბადებული, ვინაიდან ჩვენში მეტრიკას მონათვლიდან ადგენდნენ.”

ამავე თარიღს, ოღონდ დაზუსტების გარეშე (ძველი სტილი), უთითებს გამოჩენილი მოღვაწის ყველა ბიოგრაფი. არის გამონაკლისებიც – 3 იანვარი, 5 ივნისი. თუმცა, ეს არ არის ანგარიშგასაწევი.

ჩვენ გადავამოწმეთ საისტორიო არქივში დაცული მონაცემები. აღმოჩნდა შემდეგი უზუსტობა, რომელიც არც თავად ექვთიმეს და არც მის რომელიმე ბიოგრაფს არ გადაუმოწმებია და, შესაბამისად, არც გაუთვალისწინებია.

საქმე ეხება ე.წ. “საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გურიის ეპარხიის, გურიათის უჩასტკის, სოფლის ლეხოურის მღვთის მშობლის ეკლესიის მეტრიჩესკი წიგნში” ჩანაწერს. ამ წიგნს საერთო თარიღად უზის “ჩყდგ” ანუ 1863 წელი და ყველა ჩანაწერი ამ წლისაა. გამონაკლისია მხოლოდ ჩანაწერი #4. მის გასწვრივ დაფიქსირებულია შემდეგი მონაცემები:

“დაბადება თთვე და დღე – ჩყდბ-ს (ანუ 1862) წელს, იანვრის 5; ნათლისღება – 14 იანვარი (უკვე 1863 წლის), სახელები – ეფთვიმე.”

ამრიგად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი დაბადებულა 1862 წლის 5 იანვარს ძველი სტილით, ახალი სტილით 19 იანვარს.

გ. ჟუჟუნაშვილი, ს. სალუაშვილი. ექვთიმე თაყაიშვილი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (სამეცნიერო მოღვაწეობა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვიდე ყოველწლიური სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია-ექვთიმე თაყაიშვილი 150 წლისთავისადმი. თბ. 2013. 17-18 ივნისი

„დიადი გარდაქმნების ეპოქაში“ რუსეთის იმპერიის მოწინავე საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ არ კმარა ხალხის გათავისუფლება ყმობისაგან, თუ ის არ გათავისუფლდა გონებრივადაც. ამ მოსაზრების ხორცშესახემლად იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში დაიწყო ე.წ. „წერა-კითხვის კომიტეტების“ დაარსება. ქართველი მოწინავენიც ამ აზრს გაჰყოლიან და უცდიათ ამგვარივე სასოფლო დაწყებითი სკოლების დაარსება, მაგრამ ეს წამოწყება სათანადო მხარდაჭერის გარეშე ჩავარდა. ამ იდეას თითქმის 20 წლის განმავლობაში უდიდესი შრომისა და დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ, მხოლოდ 1878-1879 წლისთვის ეღირსა განხორციელება და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, სამკითხველოებს, სიძველეთსაცავებს – მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, კრებდა და იცავდა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს: ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ძველ ქართულ მონეტებს და ა.შ. სცემდა და ავრცელებდა წიგნებს, დახმარებას უწევდა მოსწავლე ახალგაზრდობას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ეკლესია-მონასტრების მარცვის, პარვისა და კერძო კოლექციონერებზე მიყიდვის გახშირებული ფაქტებით შემფოთებული გაათმაგებელი ენერგიით იძიებდა და აგროვებდა ძველ ხელნაწერებს; ეს ფონდი შემოწირულობებითაც იზრდებოდა.

საზოგადოებას ქართული ისტორიული ცხოვრების ამსახველი უამრავი ძეგლი დაუგროვდა. საჭირო იყო ამ ფასდაუდებელი საგანძურის წესრიგში მოყვანა.

სწორედ ამ დროს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამოჩნდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეთა შორის თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს.

ექვთიმეს საზოგადოების ბიბლიოთეკისთვის პირველი ხელნაწერი მისი საზოგადოებაში არჩევის მეორე წელს შეუძენია. უკვე 1895 წელს კი შეუძენიათ “არჩილიანის”, ასევე ექვსი სახვე ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები.

ხელნაწერების შეგროვების პარალელურად ექვთიმე თაყაიშვილი 1890 წლიდან იწყებს ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერას, რომლის შედეგებსაც პერიოდულად გაზეთ “ივერიაში” აქვეყნებდა.

რაც შეეხება ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებს, მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც მის მიერვე 1889 წელს აღმოჩენილ ე. წ. „პარხლის სახარებას“ შეეხებოდა. ერთი წლის შემდეგ, 1890 წელს, მან გამოსცა „სამი ისტორიული ხრონიკა“. 1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. 1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „სიბრძნე ბალავარისა“. 1899 წელს ბალავარიანის ეს ქართული ვერსია ი. ჯავახიშვილმა თარგმნა რუსულად.

ამავე 1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა XVIII საუკუნის ხელნაწერი „კათალიკოს-ბაქარიანი მღვდლის იესე ტლაშაძის მოთხრობა ლექსად“. 1896 წლის 29 ოქტომბერს ექვთიმე თაყაიშვილს საზოგადოების წინაშე დაუყენებია მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ დაბეჭდვის აუცილებლობის საკითხი. 1897 წლის 11 მარტს საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნების შესახებ. სულ დაიბეჭდა 600 ეგზემპლარი და თითოეულის ფასი 2,5 მანეთი იყო.

მარიამისეულმა “ქართლის ცხოვრებამ” დღის სინათლე 1906 წელს იხილა.

ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად გამოიცა და აღიწერა - “თამარიანის”, “ამირანდარეჯანიანის”, “როსტომიანის”, “შაჰნავაზიანის”, “ქილილა და დამანას”, “ბარამიანის” და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლების ხელნაწერები.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება “წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” სახელით “ვეფხისტყაოსნის” მოძიება, შესწავლა და გამოქვეყნება.

აღწერილობის” “...მეორე ტომის პირველი ნაკვეთის გამოქვეყნების შემდეგ (1906 წ.) ნიკო მარმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ვრცელი რეცენზია წარადგინა, რომელშიც თაყაიშვილის ეს ნაშრომი ქართველოლოგიაში დიდ მოვლენად გამოაცხადა.

საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილის ნაშრომი საგანგებო აღნიშვნის

ღირსად ცნო და ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფ. ცირა ზარამიძე:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

I- III ნაწილი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება. **თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთ-ევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი- პროფესორი მანანა რუსიეშვილი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი: პროფ. მანანა რუსიეშვილი

ა) ინგლისური ფილოლოგიის

1. მანანა რუსიეშვილი - სრული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
2. მანანა გელაშვილი - სრული პროფესორი
3. თინათინ მარგალიტაძე - ასოცირებული პროფესორი
4. ირინა გველესიანი -ასოცირებული პროფესორი
5. რუსუდან დოლიძე - ასოცირებული პროფესორი
6. გიორგი ყუფარაძე - ასოცირებული პროფესორი
7. ნათელა ნემსაძე - ასოცირებული პროფესორი
8. ნინო დარასელია - ასოცირებული პროფესორი
9. მაია ხაჩიეშვილი –ასისტენტ პროფესორი
10. ირინა დემეტრაძე – ასისტენტ პროფესორი
11. მარია ქურდაძე – ასისტენტ პროფესორი

ბ) გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

12. ლალი ქეცბა-ხუნდაძე - სრული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
13. დალი კოკაია–ფანჯიკიძე - სრული პროფესორი
14. ალექსანდრე თვარაძე - ასოცირებული პროფესორი
15. მარინა ანდრაზაშვილი - ასოცირებული პროფესორი
16. ნუნუ კაპანაძე - ასოცირებული პროფესორი
17. ნინო ქიმერიძე - ასოცირებული პროფესორი
18. ნანა გოგოლაშვილი - ასოცირებული პროფესორი

- 19. სოფიო მუჯირი - ასისტენტ-პროფესორი
- 20. კონსტანტინე ბრეგაძე - ასისტენტ-პროფესორი

გ) რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

- 21. ქეთევან გაბუნია - სრული პროფესორი (დეპარტამენტის ხელმძღვანელი)
- 22. გუნცაძე ნანა –ასოცირებული პროფესორი
- 23. ქავთარაძე ნინო - ასისტენტ პროფესორი
- 24. სოფიო ფეიქრიშვილი - ასოცირებული პროფესორი
- 25. კობეშაძე მარინე – ასისტენტ პროფესორი
- 26. ჯავახიძე მაია - ასოცირებული პროფესორი
- 27. კენჭიშვილი სალომე – ასისტენტ პროფესორი
- 28. ხაბეიშვილი ბელა – ასისტენტ პროფესორი

თარგმნამცოდნეობა

- 29. მერაბიშვილი ინესა - სრული პროფესორი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ტემპუსის პროგრამა მულტილინგვური სამაგისტრო პროგრამის შესაქმნელად	ტემპუსი	შალვა ტაბატაძე	მანანა რუსიეშვილი
2	AR/180/2-120/13 ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით) ქართულ-ინგლისური სიტყვასიტყვითი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მანანა რუსიეშვილი	რუსუდან დოლიძე

3	<p>თარგმნითი ლექსიკონი</p> <p>ქართული შექსპირიანა</p> <p>არქეოლოგიის მრავალენოვანი (ქართული-ინგლისური- ფრანგული- გერმანული-რუსული)ელ ექტრონული ლექსიკონი</p>	<p>რუსთაველის სამეცნიერო ფონდი და თსუ</p>	<p>რატი სხირტლაძე</p>	<p>მანანა რუსიეშვილი</p>
4	<p>„ინგლისურ- ქართული ბიოლოგიური ონლაინ-ლექსიკონი“</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>მანანა გელაშვილი</p>	<p>მარინა ფუთურიძე, ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე</p>
5.	<p>ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>სოფიო მუჯირი</p>	<p>მარინა ფუთურიძე, ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე</p>
		<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>თინათინ</p>	

6.			მარგალიტაძე	
			თინათინ მარგალიტაძე	

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ელექტრონული ლექსიკონი

აღნიშნული ლექსიკონი ფინანსდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ელექტრონული ლექსიკონი ერთ-ერთია დარგობრივი ელექტრონული ლექსიკონების ციკლიდან, რომლის შექმნა დაგეგმილია უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ და რომელიც დაეფუძნება აღნიშნულ ცენტრში შექმნილი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ელექტრონულ კორპუსს.

პროექტის ფარგლებში მზადდება ლექსიკონი, რომელიც ადეკვატურად ასახავს ბიოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეს, მის ტერმინოლოგიურ ბაზას.

XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისი ბიოლოგიური მეცნიერების რევოლუციური განვითარებით აღინიშნა. სამეცნიერო და პრაქტიკული მიღწევები ამ სფეროში, განსაკუთრებით კი იმუნოლოგიის, გენეტიკის, გენური ინჟინერიის და ა. შ. დარგში იმდენად შთამბეჭდავია, რომ ბევრი რამ, რაც დღეს ლამის ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა (თუნდაც გენური ინჟინერია), არცთუ დიდი ხნის წინ მეცნიერთა მიერ საკმაოდ ძნელად მისაღწევ, თეორიულ პერსპექტივად თუ აღიქმებოდა.

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ესოდენ სწრაფი განვითარება გულისხმობს ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის ბუნებრივ წარმოქმნას და ამ უახლესი ტერმინოლოგიით გაჯერებული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნას. სრულიად ნათელია, რაოდენ აუცილებელია ჩვენი გამოცდილი, ახალგაზრდა თუ მომავალი მეცნიერებისათვის ამ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და ადეკვატური აღქმა.

მეორე მხრივ, თანამედროვე მეცნიერების დარგში, ისევე როგორც მრავალ სხვა დარგში,

დღესდღეობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ინგლისურ ენას, რომელიც, პრაქტიკულად, მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ენად გადაიქცა და დაახლოებით იმავე ფუნქციის შესრულება დაიწყო, რომელსაც დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე ლათინური ენა ასრულებდა.

ამ გარემოებებმა განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილება ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიურ ტერმინოლოგიაზე მუშაობისა.

ლექსიკონში შეგვაქვს საკუთრივ ბიოლოგიური და ბიოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი დარგების ტერმინები, როგორცაა ბოტანიკა, ზოოლოგია, მიკრობიოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოქიმია, ანატომია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია და სხვა, სულ 20 000 სიტყვა-ტერმინი. ლექსიკონში შეგვაქვს ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა აღმნიშვნელი ინგლისური ტერმინები, რომელთა ქართულ ეკვივალენტებს დართული აქვს შესაბამისი ლათინური სახელწოდებები. ლექსიკონში მაქსიმალურადაა ასახული ცხოველებისა და მცენარეების უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი თუ განსაზღვრული / ცალკე გამოყოფილი სახეობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი დარგების ტერმინოლოგიას, როგორცაა გენეტიკა, იმუნოლოგია და ეკოლოგია, რომლებიც დღეისათვის ესოდენ აქტუალურია ჩვენი მეცნიერებისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნისთვის.

ლექსიკონი ელექტრონული სახით მზადდება, ელექტრონული ლექსიკონების შექმნას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული დარგისათვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბიოლოგიური დარგისათვის, ასევე ზოგადად ქართული ლექსიკოგრაფიული ბაზის ჩამოყალიბებისათვის, რაშიც საქართველოს სერიოზული ჩამორჩენა აქვს. დღეს მოსახლეობის უმრავლესობა პრაქტიკულად კომპიუტერით მუშაობს, დოკუმენტები პირდაპირ ელექტრონული სახით იქმნება, ამდენად მნიშვნელოვანია ქართველ მოსახლეობას, ახალგაზრდებს საინფორმაციო წყაროები: ლექსიკონები, ენციკლოპედიები ელექტრონული სახით მიეწოდოს. თუ ამ მხრივ რუსეთის და ევროპის ქვეყნების მდგომარეობას გადავხედავთ, დავრწმუნდებით რამდენი რამაა საქართველოში ამ კუთხით გასაკეთებელი.

ლექსიკონზე მუშაობა 2014 წლის მარტში დასრულდება. დღეისათვის უკვე შედგენილია

16 000 სიტყვა-ტერმინი, რომელიც ატვირთულია ინტერნეტში განთავსებულ ლექსიკონის ონლაინ-ვერსიაში მისამართზე: www.bio.dict.ge

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---------------------	----------------------------	-----------------------	------------------------

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო დარასელია	შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით	თბილისი: თსუ გამომცემლობა	209

ანოტაციები

შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით

მონოგრაფია საკომუნიკაციო კომპეტენციის მოდელის გამოყენებით წარმოადგენს ინგლისურ, ქართულ და რუსულ შორისდებულთა მრავალგანზომილებიან თეორიულ-ტიპოლოგიურ კვლევას. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ორი წამყვანი პარადიგმა-კოგნიტიური და კომუნიკაციური და მათთან დაკავშირებული ლინგვისტური, კოგნიტიური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები. კვლევისას, ერთი მხრივ, გამოვლენილია შორისდებულის ზოგადი, უნივერსალური მახასიათებლები, ხოლო, მეორე მხრივ, დადგენილია ინგლისურ, ქართულ და რუსულ შორისდებულთა ეთნოცენტრული ლინგვისტური ბუნება.

წიგნი განკუთვნილია ლინგვისტთა და ლინგვისტიკის საკითხებით (განსაკუთრებით, დისკურსის ანალიზისა და კოგნიტიური ლინგვისტიკის პრობლემებით) დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, ასევე ფილოლოგიის მიმართულების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის. კვლევის შედეგების ენის სწავლების

პროცესში გათვალისწინება დაეხმარება ენის შემსწავლელებს შორისდებულის მართებულად გამოყენების დაუფლებაში.

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე	Readings in English Philology	თსუ გამომცემლობა	

ანოტაციები

1. Readings in English Philology - მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე.

სახელმძღვანელო შეიქმნა თსუ ინგლისური ფილოლოგიის კურსისათვის „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“. იგი ამ კურსისთვის თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. მის დასაწერად გვიბიძგა ორმა გარემოებამ: ამგვარი ნაშრომების სიმცირემ და დიდმა სურვილმა, ქართველ სტუდენტებსაც ჰქონოდათ ისეთი მასალა, რომელიც მათ ინგლისურ ენაზე გააცნობდა საენათმეცნიერო ტექსტების ენას, შეუქმნიდა ზოგად წარმოდგენას ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი თეორიებისა და მათი თანამედროვე პრობლემატიკის შესახებ. სახელმძღვანელოში შესული მასალა განკუთვნილია კურსის სამუშაო ჯგუფში დასამუშავებლად. იგი მოიცავს მოკლე ტექსტებს, რომელთაც ახლავს ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდის გათვალისწინებით შედგენილი სავარჯიშოები და თვითშეფასების ტესტები.

ინესა მერაბიშვილი	ლორდ ბაირონი, ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ინესა მერაბიშვილმა	თბილისი, საქართველოს ბაირონის საზოგადოება, 264 გვერდი.
-------------------	--	--

ლორდ ბაირონი მიჩნეულია იმ ერთადერთ ინგლისელ პოეტად, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურისა და პოლიტიკის განვითარებაზე.

ბაირონი ის ერთადერთი პოეტია, რომელსაც ბერტრან რასელმა “დასავლეთის ფილოსოფიის ისტორიაში” მთელი თავი მიუძღვნა და რომელზედაც ჯუზეპე მაძინიმ თქვა: “ჩვენ არ გვინახავს უფრო ელვარე გამოცხადება “მარადიული სულის ბორკილყრილი გონისაო”, ხოლო გოეთემ დასძინა: “ინგლისელებს შეუძლიათ ილაპარაკონ ბაირონის შესახებ რაც სურთ, მაგრამ უფრო დიდი პოეტი მათ არ ჰყავთ”.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ბაირონის პოეზიის ორენოვან კრებულს, რომელსაც კომენტარების გვერდით თან ახლავს გამოკვლევა ბაირონი და საქართველო. თემა ბაირონი და საქართველო წარმოდგენილია ორი თვალსაზრისით: პირველი, რა გავლენა იქონია ბაირონმა საქართველოზე. მეორე, რა დამოკიდებულება ჰქონდა ბაირონს თავად საქართველოსადმი. ეს უკანასკნელი ასპექტი გულისხმობს ავტორის მიერ მოპოვებულ აქამდე უცნობ ცოდნას იმის შესახებ, რომ ბაირონი მონათა ბაზარზე შეხვდა ქართველ ქალს და ეს შეხვედრა აისახა მის მისტიურ პოეტურ პერსონაჟში თირზა.

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		დასახელება	ნომერი		
1	მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე	ექვრაზა და მისი აღქმის თავისებურებები	XXXVI	საენათმეცნიერო ძიებანი	
2	მანანა რუსიეშვილი	ქალის სახე ინგლისურ და ქართულ ანდაზებში		მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის მასალები გორი, 2013	გვ. 271-275

ანოტაციები

1. ექვრაზა და მისი აღქმის თავისებურებები - მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე
ექვრაზა, როგორც ლიტერატურული აღწერის ერთ-ერთი ხერხი, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩაისახა და თავდაპირველად გამოიყენებოდა ვიზუალური საგნის ან მოვლენის ვერბალიზაციის პროცესის აღსანიშნად (Pop, 2010). ხშირად ექვრაზული ჩანართი გულისხმობდა რაიმე ცნობილი საგნისა თუ მხატვრული ნაწარმოების ვერბალურ აღწერას. ცნობილია, რომ ისეთი ცნობილი მწერლები და პოეტები მიმართავდნენ მას, როგორიცაა ჰომეროსი, შექსპირი, კიტსი და სხვები (ზრუჭნი, 2000)

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მოვლენისადმი ინტერესი განახლდა, რაც დაუკავშირდა ექვრაზის ფენომენის კვლევას ინტერდისციპლინარულ ასპექტში. ეს, ბუნებრივია, ნიშნავდა იმას, რომ ახალი, უფრო ფართო მიდგომით, ექვრაზული აღწერები ეფუძნებოდა არა მხოლოდ რაიმე მხატვრული მოვლენის ვერბალიზაციას ლიტერატურულ ნაწარმოებში, არამედ იგი აქტიურად დაუკავშირეს მეორადი სემიოტიკის სისტემებსაც, კერძოდ კინოს,

თეატრის სამყაროს და ამ სისტემებში რაიმე ხელოვნების ნიმუშის რევიზუალიზაციას. (კლუვერი და სხვანი).

ბუნებრივია, ექვრაზის მოხმარების არეალის გაზრდამ გამოიწვია მისი როგორც ფენომენის განმარტების მოდიფიკაციის საჭიროებაც. კერძოდ, ამ პრობლემით დაკავებული მკვლევრები დაინტერესდნენ ექვრაზის ტიპოლოგიით და მისი კოდირების თავისებურებებით, თუმცა ექვრაზული ჩანართების აღქმის თავისებურებებზე ჯერ მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა არსებობს.

სტატიის მიზნებია (1) იმსჯელოს ვერბალური (ლიტერატურული) და კინემატოგრაფიული ექვრაზის არსისა და აღქმის თავისებურებებზე, მათ შორის განსხვავებებზე და (2) შემოგვთავაზოს ექვრაზის განმატების დაზუსტებული ვარიანტი. ამ მიზნების მისაღწევად გაანალიზებული და შეჯერებულია ლიტერატურული და კინემატოგრაფიული ექვრაზის კვლევის ფუნდამენტური მომენტები. ხოლო მისი აღქმის თავისებურებები მოქცეულია ბერლოს კომუნიკაციის მოდელის მოდიფიცირებულ ჩარჩოში. (ბერლო, 1960 The process of communication. NY, Holt, Rinehart and Winston).

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა გელაშვილი	When Carnival and Epic Theatre Meet in Shakespeare (The World of Shakespeare. Collected Papers of the International Conference.)		Tbilisi, ‘Universal’,	pp. 74-82
2	მანანა გელაშვილი	დროისა და სივრცის მოდელირება ფოლკნერის რომანში „ნემტის შემბილწველი“ (VI საერთაშორისო		აკაკი წერეთელის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	გვ. 27-32

3	მანანა გელაშვილი	კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში. კინფერენციის მასალები) „მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა“ სიმბოლოს გაგებისათვის სიმბოლისტურ პოეზიაში.		გამომცემლობა, ქუთაისი, 2013, თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ.- ის ინსტიტუტი,	გვ. 84-90
---	---------------------	---	--	---	-----------

ანოტაციები

When Carnival and Epic Theatre Meet in Shakespeare - მანანა გელაშვილი

The present paper gives an analysis of Georgian theatre director Robert Sturua's acclaimed production of *Richard III* (Tbilisi 1989, Edinburgh 1979 and London 1980). This performance not only had an important role in the resistance to the repressive Soviet ideology that could not ban and control the subversive potential of Shakespeare's text, but also was a brilliant attempt to renovate Georgian theatrical tradition.

Metaphoric, minimalist scene design, costumes belonging to different epochs, even props and make up (masks and a complex, heavy make up resembling masks), choreographic buffoonery and music (ragtime, classical: Bach, Kancheli, rock 'n'roll) together create a striking performance where carnival (which has deep roots in Georgian medieval theatre) is combined with Brecht's Epic Theatre.

4. დროისა და სივრცის მოდელირება ფოლკნერის რომანში „ნემტის შემბილწველი“ - მანანა

გელაშვილი

სტატიაში გაანალიზებულია იმ მხატვრულ ხერხთა ერთობლიობა, რომელიც ფოლკნერის რომანის „ნესტის შემბილწველი“ მხატვრულ ქსოვილს წარმოქმნის, ნაჩვენებია, რომ ფოლკნერის ეს გვიანი ნაწარმოები მიუხედავად უკიდურესად ჩახლართული დეტექტიური სიუჟეტისა, თავისი პოეტიკით რადიკალურად განსხვავდება დეტექტივის ჟანრისაგან და ფოლკნერის ბოლო მოდერნისტული ნაწარმოებია, მოდერნისტული რომანის პოეტიკის ისეთი დამახასიათებელი ნიშნებით, როგორც ცნობიერების ნაკადის ტექნიკის გამოყენება და დროისა და სივრცის მითოლოგიზირებაა.

სტატიაში დროისა და სივრცის მოდელირება შესწავლილია ორ პლანში: ნაწარმოების შენაარსისა (ავტორისა და პერსონაჟების გამონათქვამები) და ნარატივის დონეზე (ნაწარმოების კომპოზიცია, მხატვრული და რეალური დროისა და სივრცის ურთიერთდამოკიდებულება, სივრცისა და დროის მარკირება და სხვ.) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოდერნისტული რომანის მიერ შემოტანილი ხერხის *nunc stans* -ის ანალიზს, რომელიც სუბიექტური დროის რელატიურობის ნოვატორული გამოხატულებაა და პერსონაჟის მძაფრი სულიერი განცდების გადმოცემის საინტერესო მხატვრულ მეთოდს წარმოადგენს.

5. „მშვენიერი თვალები პირბადის მიღმა“ (სიმბოლოს გაგებისათვის სიმბოლისტურ პოეზიაში) - მანანა გელაშვილი

სტატიის მიზანია ფრანგი სიმბოლისტების (ვერლენი, ბოდლერი, მალარმე, რემბო) პოეზიის ანალიზზე დაყრდნობით სიმბოლოს ფუნქციისა და სპეციფიკის შესწავლა. სიმბოლისტების აზრით, სიმბოლო ერთმანეთთან აკავშირებს უხილავ, მიღმურ, ირაციონალურ სამყაროს და რეალურს, ხილულს, რაციონალურს. სწორედ ამ ირაციონალური სამყაროს გამოსახვის ერთადერთი საშუალებაა პოეტის მიერ სიმბოლოებით აზროვნება. ამიტომ, სიმბოლო, იმის მიუხედავად, იგი ცალკეული პოეტური ხატის სახით იქნება წარმოდგენილი, თუ მთელი ლექსი იქნება ერთი გავრცობილი სიმბოლო, კონკრეტულში ზოგადის, აბსტრაქტულისა და მიღმურის გამოსახვას ისახავს მიზნად.

სიმბოლო სხვადასხვა აღქმით სიბრტყეში არსებულ მოვლენებს აერთიანებს, მასში ენის პრაგმატული ფუნქცია შესუსტებულია და ხატი ლოგიკურის ნაცვლად ემოციური ინფორმაციის მატარებელია. მალარმე ესეში „მუსიკა და ლიტერატურა“ (1896)

მიუთითებდა, რომ ვერლენმა დაუდო სათავე ტრადიციისაგან გადახვევას უკიდურესად ინდივიდუალური გამოხატვის ფორმით.

იდეალური, „წმინდა პოეზიის“ შექმნის სირთულეებს სიმბოლისტები ცხადად აცნობიერებდნენ. ისინი ადამიანის სულისა და ფსიქიკის იქამდე მიუწვდომელი სიღრმეების გამოხატვას ცდილობდნენ, რაც, ბუნებრივია, ახალი გამომსახველობითი ფორმების მიერ მოითხოვდა. ამ გზაზე კი წარმატებას, იმისი შეგრძნება სჭარბობს, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია, რომ ტრადიცია, ცივილიზაცია, ლოგიკა ის ხუნდება, რომელსაც ადამიანი ვერასდროს მოისორებს. ამიტომ გვხვდება ასე ხშირად სიმბოლისტთა პოეზიაში გაქცევის, მოგზაურობის, გზის და ამ გზაზე გამოვლილი შეჭირვების თემატიკა.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო დარასელია	Metaphors of Initiation in Some Old English Poems	Civilization Researches # 11	Tbilisi University Press, TSU Institute of Cultural Studies, UNESCO Chair in Intercultural Dialogue.	(იბეჭდება, გამოვა 2014)
	ნინო დარასელია	მეტაფორის ქმნალობა ჩ.დიკენსის რომანში „ორი ქალაქის ამბავი“	საენათმეცნიერო ძიებანი # 36	თბილისი: „ქართული ენა“	(იბეჭდება, გამოვა 2014).

ანოტაციები

ინიციაციის მეტაფორები ზოგიერთ ძველ ინგლისურ პოემაში

ნაშრომში ექსეტერის წიგნის ანგლოსაქსური პოემები („მოხეტიალე“, „მეზღვაური“, „ცოლის გოდება“, „ქმრის უსტარი“, „ვეფხი“) განხილულია ფრეიმული სემანტიკის, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის, სტილისტიკისა და დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ინიციაციის არქექტიპისთვის მახასიათებელი ფრეიმი – დაკარგვა, ძებნა, პოვნა – ქმნის პირველი ოთხი პოემის სიუჟეტის კოგნიტიურ საფუძველს; ინიციაციის არქექტიპთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორები ვლინდება აღნიშნული პოემების მდიდარ ტროპოლოგიაში.

ნინო დარასელია

მეტაფორის ქმნალობა ჩ.დიკენსის რომანში „ორი ქალაქის ამბავი“

ნაშრომში განხილულია წყლის ხატების მეტაფორად გადაქცევის პროცესი ჩ.დიკენსის რომანში „ორი ქალაქის ამბავი“. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (ჯ.ლეიკოფი 1993; ჯ.ლეიკოფი და მ.ჯონსონი 1980; ზ.კოვეჩესი 2008;) და კოგნიტიური სტილისტიკა (პ.სტოკუელი 2008).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჩარლზ დიკენსის სამწერლობო სტილისათვის ნიშანდობლივია წყლის ხატების უხვი გამოყენება. გამონაკლისს არც „ორი ქალაქის ამბავი“ წარმოადგენს. აღნიშნულ ნაწარმოებში წყლის ხატები შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ:

1. წარმოადგენენ პეიზაჟის მნიშვნელოვან ერთეულს, ქმნიან ფონს რომანში წარმოდგენილი ფიგურებისათვის.
2. წყლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების მეშვეობით ხდება ობიექტთა დახასიათება.
3. რომანის მსვლელობისას ცალკეული წყლის ხატი მეტაფორულ დატვირთვას იძენს ფიგურა და ფონი ერწყმის ერთმანეთს წარმოქმნის რა ახალ ფიგურას.
4. რომანში ჩ.დიკენსი ახდენს წყლის ცნებების შემცველი კონცეპტუალური მეტაფორების (მაგ. დრო მდინარეა; ცხოვრება მდინარეა; მემბოხე ხალხთა მასა ზღვაა/ოკეანეა და სხვ.) აქტუალიზაციას. ეს უკანასკნელნი ქმნიან რომანის სიუჟეტური ხაზის კოგნიტიურ საფუძველს.

წყლის ხატების კონცეპტუალურ მეტაფორებად ჩამოყალიბების პროცესი ნარატივს რომანში უფრო დინამიკურს ხდის.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---------------------------------------	-----------	----------------------	------------------------

		დასახელება	კრებულის ნომერი	გამომცემლობა	
1	თინათინ მარგალიტაძე	„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი: ისტორია, პროექტები, თანამედროვე ტექნოლოგიები“	„ქართული ენა - 21-ე საუკუნის გამოწვევები“	საქართველოს პარლამენტი, 2013	გვ. 85 – 92
2	თინათინ მარგალიტაძე	„ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია“	სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013.	
3	თინათინ მარგალიტაძე	„პოლისემიური სიტყვების ერთგანზომილებიანი მოდელი“	სამეცნიერო ჟურნალი „კადმოსი“.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013	
4	თინათინ მარგალიტაძე	„არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება?“	საერთაშორისო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ მასალები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013	გვ. 69 – 73
5	თინათინ მარგალიტაძე	„დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი - ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი“.	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“	ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.	

	ე				
--	---	--	--	--	--

ანოტაციები

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია

სტატიაში განხილულია ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები მე-19 საუკუნიდან დღემდე. ვრცლადაა მიმოხილული უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ გამოცემული დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ტომეული და მისი ონლაინ-ვერსია, აგრეთვე 2006 წელს ლონდონში, გამომცემლობა „გარნეტის“ მიერ გამოცემული დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი დონალდ რეიფილდის საერთო რედაქტორობით.

პოლისემიური სიტყვის ერთგანზომილებიანი მოდელი

სტატიაში განხილულია პოლისემიური ზმნებისა და ზედსართავი სახელების ერთ-ერთი უნივერსალური მოდელი – ერთგანზომილებიანი მოდელი. მოდელის აღწერასთან ერთად, გაანალიზებულია პოლისემიასთან დაკავშირებული ისეთი კერძო საკითხები, როგორცაა: პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების რაობა და სტატუსი, კონტექსტის როლი პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობების რეალიზაციისას. სტატიაში ასევე განხილულია ზმნებისა და ზედსართავი სახელების ლექსიკური მნიშვნელობის თავისებურებები.

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი - ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონების საფუძველი

სტატიაში განხილულია „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ბაზაზე ორენოვანი, ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის პრაქტიკული მეთოდები და ზოგადი პერსპექტივები. ამგვარი ლექსიკონების შექმნის მეთოდიკა ნაჩვენებია კონკრეტული სიტყვა-სტატიების მაგალითზე იტალიურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, გერმანულ-ქართული და შვედურ-ქართული ლექსიკონებიდან.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინა დემეტრაძე	„საყვედური როგორც „სახის“ შემლახველი სამეტყველო აქტი“	საენათმეცნიერო ძიებანი	თბილისი	

ანოტაციები

ირინე დემეტრაძე

საყვედური, როგორც „სახის“ შემლახველი“ სამეტყველო აქტი

ადამიანები ხშირად უკმაყოფილონი არიან სხვების ნათქვამით თუ ნამოქმედართ. ამდენად, საყვედურები საკმაოდ ხშირი მოვლენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში საყვედურის გამოხატვა ხდება მტკიცებითი, კითხვითი, ძახილითი და ბრძანებითი ფორმით. საყვედურის გამომხატველი გამონათქვამი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი სიტყვისგან, ფრაზისგან ან მთელი ტექსტისგანაც კი. სამეტყველო აქტების თეორიის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საყვედურის გამომხატველი გამონათქვამები არის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი სამეტყველო აქტები და ჯონ ოსტინის კლასიფიკაციაში წარმოადგენს პერფორმატივებს, ბიჰებიტივებს და ვერდიქტივებს. ექსტრალინგვისტური კონტექსტიდან გამომდინარე, ერთი და იგივე გამონათქვამი შეიძლება იყოს საყვედური, ანუ „სახის“ შემლახველი სამეტყველო აქტი, ან თავაზიანობის ფორმულა, ანუ „სახის“ შენარჩუნებისკენ მიმართული სამეტყველო აქტი. ამდენად, საყვედურის გამომხატველი გამონათქვამები შეიძლება იყოს როგორც ინფორმატული, ასევე ფატიკური.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია გურგენიძე	About Some Comments In Media Language	Homo Loquens, Georgian Multilingual	Tbilisi,	pages 97-99

		Innovations	Association, Volume 5		
<p>ანოტაციები</p> <p>About Some Comments in Media Language Innovations</p> <p>Media has its main goal to amaze public, to appeal for the interests of people, to their most inner thoughts and ideas and for this purpose figurative language is used. In the modern context it is possible to differ between online media and printed media. We decided to look for common features in these two different types of media and come to the common conclusion that it is more effective to post media online and to gain online audience than to print and sell newspapers, magazines. Therefore, it is relevant to discuss modern innovative linguistic means in the language of media. It is evident that in printed media individuality of authors can be seen in headlines and puns used everywhere but Computer texts are more characterized by metaphors, figurative means of language, comparisons and reflections of personal attitudes of author.</p>					

ინესა მერაბიშვილი	შექსპირის 83-ე სონეტი და მისი ქართული თარგმანები ავტორის ვინაობის კვალდაკვალ	შექსპირის სამყარო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ., 168–182.
ინესა მერაბიშვილი	Stylistic Allusion as Way of Life – Reincarnating Napoleon	Proceedings of the 39 th International Byron Conference	London, www.internationalbyronsociety.org
<p>Stylistic Allusion as Way of Life – Reincarnating Napoleon</p> <p>(Proceedings of the 39th International Byron Conference</p> <p>London, 2013, at www.internationalbyronsociety.org)</p>			

In the case of Lord Byron the function of allusions as stylistic means appears to be absolutely unique. Lord Byron not only alludes to mythological, biblical, literary or historical characters, but is mystically guided by them in real life. To be more precise, Byron is in constant touch with them challenging them and competing with them, thus reincarnating their lives and images.

Byron very much hoped that Napoleon would reincarnate Prometheus but, alas, in vain.

Byron equates Napoleon to Prometheus and at the same time is aspiring to the contemporary hero. Byron considered Napoleon to be a liberator, but when a Gazette Extraordinary announced the abdication of Fontainebleau on the 9th April, 1814, Byron composed “Ode to Napoleon Buonaparte” – the strictest condemnation of Napoleon ever made in poetry.

In Byron’s opinion Napoleon should have died rather than abdicated.

Disappointed in Napoleon, at least subconsciously, Byron aims to reincarnate the mythological liberator. And it took him exactly ten years since composing the “Ode” to fulfill the mission of the liberator of Greece and die as proudly as Prometheus did.

Shakespeare’s Sonnet 83 and its Georgian Translations Against

The Background of the Author’s Identity

(The World of Shakespeare, Collected papers of the International Conference

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, October 10-12, 2012,

კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პრობლემა თანამედროვე სკოლებში დაწყებით საფეხურზე

ნაშრომის მიზანია, თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხების წარმოჩენა, კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და ჩვენეული რეკომენდაციების შეთავაზება პროფესიული საზოგადოებისათვის. წარმოდგენილი მსჯელობისას განხილულია პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტის - კლასგარეშე საქმიანობის არსი და როლი სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტაში, რადგან სწორედ კლასგარეშე მუშაობა იძლევა საგაკვეთილო მეცადინეობის დროს გადაცემული ცოდნის გაღრმავებისა და შევსების საშუალებას. ნაშრომში, თანამედროვე სასკოლო გარემოში კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პრობლემების უკეთ წარმოჩენის მიზნით, წარმოდგენილია კვლევის სამიზნე ჯგუფთან - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები, რომლის განსახორციელებლად გამოყენებულია ჩალრმავებული, *ნახევრადსტრუქტურირებული* ინტერვიუს მეთოდი. სტატიაში გაანალიზებულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, საუბარია იმ პრობლემებსა და შეთავაზებულ გადაჭრის გზებზე, რომლის გათვალისწინებითაც, ავტორთა აზრით, შეიძლება კონკრეტული მეთოდური აპარატის შემუშავება და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის გონივრული, სასწავლო მიზნების ადეკვატური რეკომენდაციების შეთავაზება. ნაშრომის დასასრულ წარმოდგენილია რიგი შენიშვნებისა და წინადადებებისა, რომელთაც აქვთ რეკომენდაციის ხასიათი და წარმოადგენენ პრაქტიკული ხასიათის რჩევებს განკუთვნილს პროფესიული საზოგადოებისათვის.

11	<p>სოფიო დოლიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი. ნათია გუგუნაშვილი -</p>	<p>გორის სასწავლო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო კონფერენციის - განათლების თანამედროვე გამოწვევები - მასალები, მასალები - პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასება და მისი მიმართება სასერტიფიკაციო გამოცდებთან</p>		<p>გორის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გორი, 2013</p>	
----	---	--	--	--	--

ანოტაცია

პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასება და მისი მიმართება სასერტიფიკაციო გამოცდებთან

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო საჯარო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული თვითშეფასებისა და სერტიფიცირების პროცესის ურთიერთმიმართების დადგენა. კვლევისათვის გამოიყენებოდა გრინვალდის პიროვნული თვითშეფასების კითხვარი. კვლევის პოპულაციას შეადგენდნენ თბილისის და რეგიონის საჯარო სკოლის მასწავლებლები (150 მასწავლებელი); სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება პროფესიული თვითშეფასების დონის მიხედვით მასწავლებლებს შორის, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სერტიფიცირების პროცესში და რომელთაც არ აქვთ მონაწილეობა მიღებული სერტიფიცირების პროცესში.

12	ქეთევან ჭკუასელი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სრული პროფესორი	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის - „ქუთაისის უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია“ - მასალები, თემა - ქართული საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტის ანალიზი პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2013	57-60
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p style="text-align: center;">ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტის ანალიზი პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან</p> <p>ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტის შეპირისპირება პედაგოგიკის მეცნიერების თეორიასთან. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ განათლების რეფორმა საქართველოში არ დაეყრდნო ქართული სახელმწიფოს საჭიროებებსა და მიზნებს, კლასიკურ პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკას, რის გამოც სკოლა საქართველოში ვერ პასუხობს მოზარდის მომზადების მინიმალურ მოთხოვნებსაც კი, და საქართველოს მოსწავლეთა ნაწილი მხოლოდ რეპეტიტორთა იმედზეა, ხოლო ის ნაწილი, რომლისა და ამის შესაძლებლობა არ აქვს რეალური ეფონის მოძიება.</p>					

13.	თამაზ კარანაძე, პედაგოგიკის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტის ემერიტუს პროფესორი	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის - „ქუთაისის უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია“ - მასალები, თემა - Pedagogical research and the work on the sources of literature		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2013	
-----	--	---	--	--	--

Abstract

Pedagogical research and the work on the sources of literature

Conclusion

Effective research and use of the sources of literature is the one main point of the process of efficient work on research thesis. It is an opportunity to correct researcher's plan, to develop an independent thinking. It is the way to formulate hypothesis of upcoming work. A researcher chooses a method of the study by using his/her theoretical point of view. The skills of problem solving are established in this process. It is in process of verification, when and why the attention towards this issue occurred. What will be the result of the complete research and how reliable will be its quality.

14.	ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ- პროფესორი.	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის - „ქუთაისის უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია“ - მასალები, თემა - მასწავლებლის პროფესიული მომზადების მარეგულირებელი სამართლებლივი ბაზა - ანალიზი, წინადადებები		ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2013	
-----	--	--	--	---	--

ანოტაცია

მასწავლებლის პროფესიული მომზადების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა - ანალიზი, წინადადებები

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი მასწავლებლის პროფესიული მომზადების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ანალიზი. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მასწავლებლის მომზადების საკითხები არ წარმოადგენს სამართლებრივად გამართულ მოცემულობას, არ არის სრულყოფილად გააზრებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ხედვა მასწავლებლის პროფესიისადმი. ნაშრომის დასასრულ წარმოდგენილია რიგი შენიშვნებისა და წინადადებებისა, რომელთაც აქვთ რეკომენდაციების ხასიათი და წარმოადგენენ პრაქტიკული ხასიათის რჩევებს განკუთვნილს პროფესიული

15.	<p>ქეთევან ჭკუასელი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სრული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ- პროფესორი.</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თემა - პედაგოგიკის მეცნიერება და სახელმწიფო ხედვები</p>		<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013</p>	
-----	--	---	--	--	--

პედაგოგიკის მეცნიერება და სახელმწიფო ხედვები განათლების სფეროში

განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი, როგორც წესი, უნდა დაიწყოს სახელმწიფოს მიერ განათლების პოლიტიკის შემუშავებით. კერძოდ, სახელმწიფომ, **საკუთარი პოლიტიკური კურსის შესაბამისად**, უნდა განსაზღვროს განათლების უმთავრესი მიზანი, თუ როგორი მოქალაქის მომზადება სურს მას. ანუ, განათლების რეფორმა სახელმწიფოში იწყება პასუხის გაცემით კითხვაზე - **ვინ უნდა აღზარდოს?** პედაგოგიკის თეორიაში ეს საკითხი, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ცენტრალური ღირებულებისაა და იგი განმარტებულია აღზრდის მიზნის ცნებით.

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ამ ზოგადი მიმართულების შესაბამისად, იკვეთება ის კონკრეტული ხედვები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება განათლების ძირითადი მიზანი. ეს კონკრეტული ხედვები, განათლების პროცესში, რეალიზდება განათლების შინაარსისა და სწავლების პრინციპების, მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციის ფორმების განსაზღვრით, ანუ პასუხის გაცემით კითხვებზე: **რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ?**

და ბოლოს, განათლების სისტემის რეფორმის მთავარ ფიგურას, მასწავლებელი წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლისადმი პროფესიული მოთხოვნების განსაზღვრაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი აღზრდის ზოგადი მიზნის შესაბამისად, ანუ უნდა მოხდეს პასუხის გაცემა კითხვაზე - **ვინ უნდა აღზრდოს**, ვინ, როგორი ცოდნითა და უნარებით შეიარაღებული უნდა იყოს მასწავლებელი, ვინაიდან, სწავლების ხარისხსა და ეფექტურობას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მასში მოღვაწე პედაგოგიური პოტენციალი - თავისი ცოდნით, უნარებითა და პიროვნული თვისებებით.

სახელმწიფოს ეს ხედვები განათლების სფეროში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, რომლებშიც, წესით, პასუხი უნდა იყოს გაცემული ზემოთ განმარტებულ ამ ძირითად კითხვებზე, ანუ, ნებისმიერი სახელმწიფოს განათლების რეფორმის წარმატების გარანტს სისტემის პედაგოგიკის მეცნიერებაზე დაყრდნობა, საკვანძო საკითხების მეცნიერული გამოცდილებით გადაწყვეტა, მისი ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის პროცესში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის სოციალური და კულტურული დონე, მისი ეთნოთავისებურებები.

ამგვარად ხედავს პედაგოგიკის მეცნიერება განათლების პროცესს.

საქართველოში, სასწავლო პროცესის რეალიზაციის პრაქტიკულ დონეზე, ფაქტობრივად, სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, საქართველოს განათლების სისტემის ნორმატიული ბაზა - განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, და რაც მთავარია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, კანონი ზოგადი განათლების შესახებ - შეიქმნა სპონტანურად, დაჩქარებული წესით, ისე, რომ არ იყო დადგენილი და გათვალისწინებული სახელმწიფოს ის ძირითადი პოლიტიკური მიზანი, რომლის საფუძველზეც უნდა

16	<p>იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თემა - მასწავლებელთა მომზადება მულტიკულტურული განათლებისთვის - გამოწვევები და ტრანსფორმაციები</p>		<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013</p>	
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p style="text-align: center;">მასწავლებელთა მომზადება მულტიკულტურული განათლებისთვის - გამოწვევები და ტრანსფორმაციები</p> <p>თანამედროვე სამყაროში მულტიკულტურული განათლება სულ უფრო მეტი გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე მყოფ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებობდა დახურული სისტემები. მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი მულტიკულტურულ საზოგადოებაში, რადგან სწორედ ის არის პასუხისმგებელი მომავალი თაობებისთვის ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევის ნორმების გადაცემაში. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა საკუთარი მოსწავლეები მოამზადონ სამოქალაქო ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის, მათ თავად ჭირდებათ პედაგოგიური კომპეტენციები, უნარები და ინსტრუმენტები მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობისა და განსხვავებულ ჯგუფებს შორის პოზიტიური ინტერაქციის დასამყარებლად.</p> <p>მოხსენების მიზანია ფართო აუდიტორიას გააცნოს ის მიდგომები და ტრანსფორმაციები, რომლებიც საუბრულად უდევს მულტიკულტურული განათლების საერთაშორისო მოდელის შექმნას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მულტიკულტურული ცნობიერების ამაღლებას, კრიტიკული აზროვნებისა და თანამშრომლობითი მიდგომების განვითარებას კულტურულად მრავალფეროვან კლასებში.</p>					

17	<p>დავით წამალაშვილი</p> <p>პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი</p>	<p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,</p> <p>მასწავლებელთა I კონფერენცია - „უნივერსიტეტი სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“ - მასალები, თემა - 0-ის სწავლების პრობლემა</p>		<p>ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი - განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია</p>	
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p style="text-align: center;">0-ის სწავლების პრობლემა</p> <p>სტატიაში განხილულია მათემატიკის სწავლებაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი - ნულის სწავლება. განხილულია უზუსტობები, რომელსაც ხშირად უშვებენ მასწავლებლები ნულის შემოტანის საწყის ეტაპზე, რაც მოსწავლეებში სწავლების მაღალ კლასებში იჩენს თავს სხვადასხვა სიტუაციაში. ნულის სწავლებას მეთოდურად დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს</p>					
18	<p>იზაბელა პეტრიაშვილი,</p> <p>პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი</p>	<p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,</p> <p>დომიტრი უზნაძის დაბადებიდან 125–ე წლისთავისადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინარული რეგიონალური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თემა - ჰოლისტური მიდგომა მულტიკულტურული</p>		<p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს გამომცემლობა</p>	

ჰოლისტური მიდგომა მულტიკულტურული განათლებისადმი ტემპუსის პროექტის DOIT⁴-ის მაგალითზე

ინტერკულტურული განათლების პრობლემის აქტუალობა უკავშირდება არა მხოლოდ სხვა კულტურების შემეცნების ინტერესს და საკუთარი კულტურის გამდიდრებისადმი სწრაფვას, არამედ ობიექტურ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა შორის მრავალფეროვანი კავშირების ზრდას თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სტატიაში განხილულია ევროკავშირის ტემპუსის პროექტის “კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის - DOIT” ფარგლებში განხორციელებული ნაბიჯები მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობის მიზნით, რაც გამოიხატება როგორც კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და, ზოგადად, მრავალფეროვნების შესახებ თეორიული კურსების, ასევე პედაგოგიური მიდგომების ამსახველი კურსის შექმნაში. ეს უკანასკნელი აგებულია ჰოლისტური მიდგომის მიხედვით, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ფორმულა:

ცოდნა + უნარები + განწყობა/დამოკიდებულება = კომპეტენცია

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა კომპეტენციების განსაზღვრისას სწორედ ზემოხსენებულ ფორმულას ეყრდნობა და ის სილაბუსები, რიდერები თუ სხვა სასწავლო მასალები, რომელიც პროექტის ფარგლებში მომზადდება, ამ გეგმის

19	<p>ქეთევან ჭკუასელი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სრული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის</p>	<p>ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი - განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, თემა - საქართველოს საშუალო განათლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ</p>		<p>თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი ის გამომცემლობა ა</p>	
----	---	--	--	--	--

საქართველოში საშუალო განათლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში განათლების სისტემის მარეგულირებელ დეპარტამენტის - ზოგად განათლების ეროვნული მიწები, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დროებითი მახასიათებელი - ანალოგი პედაგოგიკის მეცნიერების პრინციპები. სტატუსში თითოეული დეპარტამენტის შინაარსი განხილულია ქვეყნის განათლების პოლიტიკის მიზნიდან გამომდინარე და გაკეთებულია დასკვნა. კერძოდ

- განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში სახელმწიფოს მიერ არ არის განსაზღვრული განათლების პოლიტიკა, კერძოდ თუ როგორი მოქალაქის მომზადება სურს მას.
- ქართული საგანმანათლებლო სივრცის სამართლებრივი საფუძვლები არ ემყარება საქართველოს ეთნო-ფილოლოგიურ და სოციო-კულტურულ თავისებურებებს;
- სამართლებრივი დეპარტამენტი არ ემყარება კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიკის მიღწევებს;
- რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული საგანმანათლებლო სივრცის მარეგულირებელ დეპარტამენტი წარმოადგენს უცხო ქვეყნების ანალოგიური დეპარტამენტების თარგმანს.

20	<p>ნინო ჩახუნაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო</p>	<p>სამეცნიერო ჟურნალი - მეცნიერება და ცხოვრება, თემა - მოსწავლის მიზანდასახულობისა</p>		<p>თბილისი, გამომცემლობა-მწიგნობარი.</p>	
----	---	---	--	--	--

ანოტაცია

მოსწავლის მიზანდასახულობისა და თვითრეალიზაციის პრობლემები

„რეფლექსიის პედაგოგიკის“ მიხედვით

რეფლექსია მოსწავლის საქმიანობის, მათ შორის უკვე გავლილი ქმედების სიღრმისეულად გახსენებაა. მასზეა დამოკიდებული სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და კორექტირების პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, მიღებული შედეგების ანალიზი, შემდგომი ამოცანების განსაზღვრა. იმ ფაქტორთაგან, რომლებიც მოქმედებენ რეფლექსიის ხარისხზე, აღსანიშნავია მათი ფორმების მრავალგვარობა, რომლებიც შეესაბამებიან ასაკობრივ ინდივიდუალურ და სხვა სახის თვისებებს. ამასთან, რეფლექსიის პროცესში ყურადსაღებია ფსიქოლოგიური მიდგომების მექანიზმები.

ამრიგად, რეფლექსია მოსწავლეთათვის თავისი საქმიანობის გონებრივ ქმედითი და გრძნობადი განცდადი მომენტია, რომლის დახმარებითაც იგი შეიძლება აცნობიერებს

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის	The Ways of Intercultural Communication to		<u>Iafor, The International Academic Forum.</u>	

	სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი	Promote Multicultural Education in Georgia		<u>Brighton, UK.</u> www.iafor.org.	
Abstract					
The Ways of Intercultural Communication to Promote Multicultural Education in Georgia					
<p>The purpose of this paper is to give a brief historical background of multiethnic and multicultural Georgia, overview the current situation and outline the needs for multicultural education (ME) in Georgia. The paper describes the measures taken by the Government of Georgia, as well as the role of international projects in promoting ME and preserving cultural diversities at the same time. As intercultural communication (IC) is the core issue in ME, it will dwell on the ways of IC focusing on the current language policy of the Ministry of Education and Science (MES) of Georgia and Georgian Higher Education Institutions (HEIs) in order to enhance the process of integrating ethnic minorities in educational, social, cultural and political life of society, and in a broader context, to help citizens of Georgia to integrate with the contemporary global world.</p>					
2	იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი	DOIT, a TEMPUS Project Aiming to Meet Challenges and Implement Transformations in Teacher Training for Multicultural Education		<u>Iafor, The International Academic Forum.</u> <u>Brighton, UK.</u> www.iafor.org.	

<p>Abstract</p> <p>DOIT, a TEMPUS Project Aiming to Meet Challenges and Implement Transformations in Teacher Training for Multicultural Education</p> <p>This panel discusses the results of a TEMPUS project DOIT: <i>Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training</i>. DOIT unites over 60 professionals associated in 22 different institutions in 7 countries: Israel, Georgia, United Kingdom, Netherlands, Austria, Germany and Estonia. This international team has worked together in developing courses that will transform teacher training. The discussion will include: Model for Managing an International Project, The Role of DOIT's Portal in contributing to the creative thinking process and collaborative work and several innovative courses that have been developed aimed to change education and practice. These courses include Dealing with Diversity in the Classroom for Jewish and Arab students of Education learning at two colleges of education in Israel, Children's Rights in and Through Education, Courses aimed to understand the particular multicultural dynamics and challenges of both Israeli and Georgian Societies. The discussion will consider the role of educational collaborations and their influence on changing education and practice on an international level.</p>					
3	იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი	Transformative Curriculum Development in Learning and Teaching		<u>Birkbeck Centre for Transformative Practice in Learning and Teaching, University of London</u>	

Abstract

Transformative Curriculum Development in Learning and Teaching

The seminar outlined the work on a Tempus project which explores the development of an international model for curricular reform in multicultural education and cultural diversity training (see <http://tempus-doit.sapir.ac.il>) and discussed the dynamics of promoting transformative programmes within universities.

The dynamics of promoting transformation through curriculum requires a multi-dimensional approach. In this workshop, members of DOIT's team:

- Discussed the process of developing a transformative programme at the university level;
- Presented the challenges of developing evaluation and assessment tools that enable us to understand the impact of this transformative programme;
- Discussed a concrete case example of DOIT's programme development and implementation in Georgia;
- Outlined what can be gained in developing transformative practices and learning from the DOIT example; and
- Discussed the possibility of new transformative programmes or collaboration that can develop from this work

გთხოვთ, გაეცნოთ დანართს №2, სადაც სრულყოფილადაა წარმოდგენილი თსუ -ის , პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის 2013 წლის საქმიანობა.

ქეთევან ჭკუასელი / /

პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის საწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო ანგარიში

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის: ჭავჭავაძის ქ. №11, უნივერსიტეტის III კორპ., 110–ე აუდიტორია.

ტელ.: 2 22 23 76,

მობ. 593 33 12 18

ელ.-ფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge

მეცნიერების დარგი: პედაგოგიკა (განათლების მეცნიერებები)

ინსტიტუტის ზოგადი საკვლევი თემატიკა:

1. აღზრდის, განათლების და სწავლების პროცესი ყველა ტიპის სკოლაში – (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, უმაღლესი სკოლა, პროფესიული სკოლა) და სკოლამდელ დაწესებულებაში;
2. სოციუმის გავლენები მოზარდის აღზრდასა და განვითარებაზე;
3. ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა აღზრდის პრობლემები;
4. პედაგოგიკის მეცნიერება და განათლების რეფორმა;
5. განათლების პოლიტიკის საკითხები;
6. საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები;
7. ზოგადი და უმაღლესი განათლების რეფორმის პრობლემები;
8. ყველა ტიპის სკოლის სტრუქტურული და ორგანიზაციული მომენტები, ხელმძღვანელი კადრისა და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, სწავლება-სწავლის საკითხები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, შეფასების სისტემები;
9. ინკლუზიური განათლების პრობლემები

10. რელიგიური განათლების საკითხები;
11. ელექტრონული სწავლების საკითხები;
12. მოზარდთა სამოქალაქო, ინტერკულტურული და ეკოლოგიური განათლება;
13. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღზრდის პრობლემები;
14. მცირეწლოვანთა სამართალდარღვევის პრობლემები;
15. მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხები;
16. მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები;
17. მასწავლებლის მომზადების პრობლემები;
18. პედაგოგიკის ისტორიის საკითხები;
19. ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდის საკითხები ყველა ტიპის სკოლაში;
20. ზრდასრულთა განათლების პრობლემატიკა;

ხელმძღვანელი და კვლევაში ჩართული პერსონალი:

ხელმძღვანელი :

ქეთევან ჭკუასელი, პედ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი;

აკადემიური პერსონალი:

ქეთევან ჭკუასელი – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, მობ: 593-33-12-18;

ეთერ ღვინერია – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მობ: 599-55-39-52;

იზაბელა პეტრიაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მობ: 599-07-21-16;

ივანე მინდაძე – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მობ: 595-22-90-04;

რუსუდან სანაძე – განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მობ: 593-37-25-87;

ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, მობ: 577-42-62-61 ;

ეფემია ხარაძე – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, მობ: 593-24-79-67;

ზაქარია ქიტიაშვილი – ასისტენტ პროფესორი, მობ: 593-91-51-73.

მოწვეული პროფესორები:

- თამაზ კარანაძე (პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს პროფესორი),
- ნათია ბებიაშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
- მზია ბრეგაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
- მაია მემარნიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
- ლამარა ქურჩიშვილი (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
- ლია წურწუშია (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი),
- ანასტასია ზაქარიაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი),
- ლია კვერენჩხილაძე (პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
- სოფიო დოლიძე (ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი),
- თეონა ლოღია (ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი),
- ნანა მაჭარაშვილი (პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი),
- თინათინ დოლიძე, (პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი),
- დავით წამალაშვილი (პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი),
- ირინა ბაგაური (პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი),
- ქეთევან აფთარშვილი (პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი),
- მარინე გოგნელაშვილი, (მოწვეული მასწავლებელი),
- ცირა ნიკოლაშვილი, (მოწვეული მასწავლებელი),
- ქეთევან ბაქანიძე, (მოწვეული მასწავლებელი).

2013 წლის კვლევის/პროექტის თემატიკა (სათაური):

განათლების რეფორმა და პედაგოგიკის მეცნიერება;

განათლების პოლიტიკის პრობლემები;

განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები - მარეგულირებელი დოკუმენტები;

მასწავლებელი - მომზადება, პროფესიული მახასიათებლები, სახელმწიფო სტანდარტი, პროფესიული განვითარება, სერტიფიცირება, პროფესიული თვითშეფასება;

აღზრდის, სწავლებისა და განათლების პრობლემები სწავლების ყველა საფეხურზე - აღზრდის მიზნის პრობლემა საკანონმდებლო ბაზაში, ზნეობრივი აღზრდის პრობლემები, რელიგიური აღზრდის მიზნები, მულტიკულტურული განათლების პრობლემები, აღზრდის პრობლემები მიუსაფარ ბავშვებში, კლასგარეშე მუშაობა თანამედროვე სკოლაში, მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების პრობლემები.

პედაგოგიკის ისტორიის საკითხები;

კერძო საგანთა სწავლების მეთოდის საკითხები;

კვლევის/პროექტის აქტუალობა და მიზნები (მოკლე მიმოხილვა):

ორი ათეული წელია საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი მიმდინარეობს. ამ პერიოდის მანძილზე გამოიყო სერიოზული ინვესტიციები როგორც სახელმწიფოს, ისე დონორი ორგანიზაციების მიერ. იქმნება და პერმანენტულად იცვლება განათლების სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები - უმაღლესი, ზოგადი და პროფესიული განათლების კანონები, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლისა და დირექტორის პროფესიული სტანდარტები და დარგობრივი დოკუმენტები და ა. შ. იცვლება სკოლის მართვის ორგანიზაციული მომენტები, გაკვეთილისა და ლექციის ჩატარების მეთოდები და სხვ. მაგრამ, შედეგად სახეზე გვაქვს არა თუ განათლების ხარისხის ზრდა, არამედ, პირიქით, ქვეყანაში სწავლების პროცესი და შედეგი, პრაქტიკულად, ნულამდეა დასული. საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით ჩვენი მოსწავლეების ცოდნის დონე, უმეტეს შემთხვევაში, ნორმის ქვემოთაა, მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის შედეგად, 96-97 პროცენტმა ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი საგანში, რომელსაც წლების განმავლობაში ასწავლის, ქვეყანაში ვერ ხორციელდება საყოველთაო და სავალდებულო განათლების პრინციპი - ათასობით ბავშვი სკოლის მიღმა დარჩენილი, ირღვევა ადამიანის კონსტიტუციური უფლება განათლების მიღების შესახებ. ამ ფონზე, საზოგადოებაში იზრდება კერძო რეპეტიტორთა რაოდენობა, რაც უტყუარად ადასტურებს ფაქტს, რომ საზოგადოება არ ენდობა სახელმწიფო განათლების სისტემას და ცდილობს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი თავად იპოვოს. მაგრამ ასეთთა რიცხვი, ხომ უმცირესია. მოსწავლეთა უდიდესი რაოდენობა განათლების მინიმალური დონის გარეშე რჩება. ამ ვითარებიდან

გამომდინარე, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევის თემატიკა, კერძოდ, მისი ძირითადი ხაზი - **განათლების პოლიტიკისა და განათლების პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი და განხილვა პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციებიდან**, ვფიქრობთ, ძალზე აქტუალური და გარდუვალია, ვინაიდან განათლების რეფორმის კრახის ანალიზს საფუძვლად აუცილებელად მწყობრი მეთოდოლოგია უნდა დაედოს. ასეთად კი, ამ ვითარებაში, პედაგოგიკის მეცნიერების მონაცემები მიგვაჩნია. **კვლევის მიზანს** წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული განათლების პოლიტიკური კურსისა და, შესაბამისად, განათლების სამართლებრივი საფუძვლების დოკუმენტების ანალიზი კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიკური თეორიისა და პრაქტიკის პოზიციებიდან, ქართველი ხალხის ფსიქო-გენეტიკური თავისებურებებისა და კულტურულ-ტრადიციული მოთხოვნებიდან გამომდინარე. **კვლევის შედეგები** და რეკომენდაციები ჩვენ მიერ სისტემატურად იხილებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებზე. ზემოთ წარმოდგენილი კვლევის ძირითადი ხაზის გარდა, აქტუალურად მიგვაჩნია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა, როგორცაა მასწავლებლის მომზადების პრობლემები, აღზრდის, სწავლებისა და განათლების პრობლემები სწავლების ყველა საფეხურზე, კერძო საგანთა სწავლების პრობლემები, ვინაიდან აღზრდის, განათლებისა და სწავლების პროცესი ვერაფრით გამოსწორდება კომპლექსური მიდგომის, სისტემის ყველა რგოლის მიმართ ერთიანი ხედვის შემუშავების გარეშე.

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შედეგები

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა

(სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

- a. სტატია - 6
- b. საკონფერენციო მასალა -20

კვლევის ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები

(სემინარი, კონფერენცია, და ა.შ.):

- c. პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თაოსნობით ჩატარდა მასწავლებელთა I სამეცნიერო კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას სკოლა უნივერსიტეტს“ (40 მომხსენებელი);
- d. მომზადდა კონფერენციის ელექტრონული კრებული, რომელიც განთავსდება ქართულ რეფერირებულ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში „განათლების მეცნიერებები, ფსიქოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები“- დეკემბრის ნომერი.
- e. 2013 წელს, FR/410/2-210/13 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში, პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ წარდგენილია პროექტი - პედაგოგიური ენციკლოპედია. პროექტი განხილვის პროცესშია.
- f. თსუს „საბავშვო უნივერსიტეტის“ ეგიდით, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა გასვლით სხდომებზე წაიკითხა შემდეგი მოხსენებები:
- ✓ 2013 წლის მარტი, ფასაუნაურში მდებარე სკოლები - მოხსენება თემაზე: „პროფორინტაციის საკითხები, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ“;
 - ✓ 2013 წლის ივნისი, თსუს მაღლივი კორპუსი - მოხსენება თემაზე: „საქართველოს განათლების სისტემა“;
 - ✓ 2013 წლის ოქტომბერი, ახალქალაქის ქართული და რუსული სკოლები - მოხსენება თემაზე: „თსუ-ს ისტორია და თანამედროვეობა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“.
- g. თსუ, საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში, 2013 წლის ივნისში ქეთევან ჭკუასელმა კონსულტირება გაუწია - ზაფხულის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“.
- h. 2013 წელს ქეთევან ჭკუასელი, როგორც განათლების ექსპერტი პერმანენტულად იყო ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახლის ეგიდით შემუშავებული განათლების სისტემის სამართლებრივი დოკუმენტების განხილვასა და კონსულტირებაში.
- i. 2013 წლის მაისში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სოლიდარობის საერთაშორისო ფონდისა და თსუ პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ერთკვირიანი სემინარი თემაზე: „ტიფლოპედაგოგიკა გუშინ და დღეს“.

2013 წლის დეკემბერში, ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ქეთევან ჭკუასელის ინიციატივითა და პროფესორ რუსუდან სანაძის უშუალო მონაწილეობით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამეცნიერო კვლევებისა და დოქტორანტების მომზადების მიმართულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და პოლონეთის ქალაქ პოზნანისა და ქალაქ გდანსკის უნივერსიტეტებს შორის.

- j. 2013 წლის დეკემბერში, გერმანიაში, ბერლინში პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა ივანე მინდაძემ მონაწილეობა მიიღო სემინარში - Zentrum für Literatur und Kulturforschung. მოხსენების სათაური: - „Einstellungspsychologie zwischen Sprachen und Kulturen“.
- k. 2013 წლის 10-15 მარტში, პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, იზაბელა პეტრიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ტემპუსის პროექტის - კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგში - კონსორციუმის მეორე კონფერენციაში, რომელიც გაიმართა კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტში (ლანდაუ, გერმანია).
- l. 2013.წ. 24-27 ივნისს პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, იზაბელა პეტრიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ტემპუსის პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგში“ ფარგლებში კონსორციუმის კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ქ. ლინცის (ავსტრია) პედაგოგიურ კოლეჯში.
- m. 2013.წ. 11-14 ივლისში ინგლისის ქალაქ ბრაიტონში ევროკავშირის ტემპუსის პროექტის კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგში (DOIT), “Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training”, N 530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPGR) (საგრანტო ხელშეკრულება N 2012-3366) პროგრამების გავრცელების მიზნით პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, იზაბელა პეტრიაშვილი მივლინებული იყო განათლების საკითხებზე ევროპის საინაუგურაციო საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.
- n. 2013.წ. 25 – 26 ნოემბერს ტემპუსის პროექტის „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ტრენინგში“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამების გავრცელების მიზნით პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, იზაბელა პეტრიაშვილი მივლინებული იყო ინგლისში სემინარისა და შეხვედრების ჩასატარებლად ლონდონის უნივერსიტეტის ბირბეკის ინსტიტუტში და განათლების ინსტიტუტში.
- o. 2012-2013 წლებში პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ეთერ ღვინერია ხელმძღვანელობას უწევდა UNICEF- ის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება სკოლისათვის

მზაობისა და სოციალური ჩართულობისათვის Early Learning for Social Cohesion and School Readiness of Disadvantaged Children in Georgia“.

- p. 2013-2014 წლებში პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ეთერ ღვინერია ხელმძღვანელობას უწევს, ფონდ - „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ პროექტს: „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა სამიზნე საბავშვო ბაღებში, ბავშვზე ორიენტირებული “ნაბიჯ-ნაბიჯ” პროგრამის დანერგვის გზით“.
- q. 2013 წელს პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორმა, ეთერ ღვინერიამ ხელმძღვანელობა გაუწია, ფონდ - „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ პროექტს: „თანაბარი საგანმანათლებლო უფლებების უზრუნველყოფა იძულებით გადაადგილებულ ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის“.
- r. 2012-2013 წლებში პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ეთერ ღვინერია ხელმძღვანელობას უწევდა USAID-G-PAC – ის მიერ დაფინანსებულ პროექტს: „სკოლამდელი განათლების ხარისხის ამაღლება Strengthening Preschool Education in Georgia“
- s. 2013 წლის 10-15 ნოემბერს ედინბურგში, პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორმა, ეთერ ღვინერიამ, მონაწილეობა მიიღო სემინარში, სახელწოდებით: „ინკლუზიური განათლების უახლესი საერთაშორისო მიდგომები ადრეული ინტერვენციის პოლიტიკა და ადვოკატირება“, „Latest International Trends in Inclusive Education and Early Intervention Policy and Implications for the National Advocacy Efforts- Index for Inclusion; Person Centered Planning- Circle of Friends Approach Developing Inclusive Pedagogy“.
- t. 2013 წლის 8-10 დეკემბერს ჰოლანდიში, პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორმა, ეთერ ღვინერიამ, მონაწილეობა მიიღო სემინარში, სახელწოდებით: „შეფასების ინსტრუმენტის ახლებური მიდგომების, სიტუაციური ანალიზის, პროფესიული განვითარების, გამოცდილების გაზიარების სემინარი“. New Developments on the Assessment Instrument; Situation Analysis.
- u. 2013 წლის განმავლობაში პერმანენტულად ტარდებოდა სემინარები, კოლოქვიუმები და თემატური განხილვები ინსტიტუტის დოქტორანტების მონაწილეობით;
- v. 2013 წლის აპრილში ჩატარდა სტუდენტთა კონფერენცია.

გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალა (სტატია, საკონფერენციო მასალა, წიგნი/მონოგრაფია, და ა.შ.):

ინსტიტუტის თანამშრომლებმა კვლევის შედეგები მოხსენების სახით წაიკითხეს სამეცნიერო კონფერენციებზე:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი

- 2013, ივნისი, ქუთაისი,
- საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია
 - „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

განათლების პოლიტიკის საკითხები საქართველოში

ნაშრომში განხილულია განათლების პოლიტიკის რაობა, მისი მიმართება ისტორიულად დამკვიდრებულ ტერმინ - აღზრდის მიზანთან. ამასთან, ნაშრომში განხილულია საქართველოს განათლების პოლიტიკა ისტორიული რაკურსით და გამოტანილია დასკვნა, რომ თანამედროვე რეალობაში, სამწუხაროდ, საქართველოს ჯერ არ აქვს მკაფიოდ გამოხატული ის კურსი განათლების სფეროში, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინდივიდუალობის შენარჩუნებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი.

ქართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებური გააზრებისათვის

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს და დაასაბუთოს ქართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებურად გააზრების საჭიროება. წარმოდგენილი მსჯელობისას განხილულია რიგი საკითხებისა, რომელთა შინაარსი და ხასიათი თვალნათლივ დაანახებს პროფესიულ საზოგადოებას ქართული პედაგოგიური აზრის გადასინჯვის აუცილებლობას. აქვე გაანალიზებულია სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათისა და განათლების სისტემის ურთიერთმიმართების საკითხები, რომლებიც, თავის წილ, გავლენას ახდენენ პედაგოგიკური აზრის ისტორიის დამუშავებაზე. ნაშრომში მოხმობილია კონკრეტული მაგალითები აქამდე არსებული შეფასებების ცალმხრივობისა და არასრული მეცნიერული ხასიათის წარმოსაჩენად და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

დავით წამალაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი

ფუნქციის განსაზღვრის არის სწავლებისათვის საშუალო სკოლაში

ნაშრომის მიზანია დაგვანახოს ფუნქციის განსაზღვრის არის შესწავლის საჭიროება მოსწავლეებისათვის, განსაკუთრებით მათთვის ვინც უმაღლეს აკრედიტირებულ სასწავლებლებში აპირებენ მათემატიკის ჩაბარებას. განხილულია ელემენტარული მათემატიკის იმ ფუნქციების განსაზღვრის არის პოვნის წესები, რომლებიც მოეთხოვებათ მოსწავლეებს მათემატიკის მინიმალური სტანდარტის მიხედვით. მოცემული მეთოდი გამოადგებათ მასწავლებლებს ფუნქციის შემაჯამებელი გაკვეთილის დაგეგმვისას. ცალკეული სახის ფუნქციების განხილვისას მოყვანილია შესაბამისი მაგალითები, რომლებიც ძირითად ორიენტირს მისცემენ მათემატიკის პედაგოგებს.

თინათინ დოლიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი

ზნეობრივი აღზრდის პრობლემები უმაღლეს სკოლაში

ნაშრომში ეხება უმაღლეს სკოლაში ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს. კვლევის ფარგლებში სტუდენტური დაკვეთებისა და მასწავლებელთა ეთიკის კოდექსის საფუძველზე მიღებული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა ასი სტუდენტი, შედეგები დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლები, სწავლების პროცესის ზნეობრივი მახასიათებლების მიხედვით, პრინციპში, აკმაყოფილებენ სტუდენტთა დაკვეთებს, თუმცა, მათი მხრიდან სერიოზული დაფიქრებაა საჭირო ზოგიერთ მახასიათებელზე.

•

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

• 2013, ივნისი, გორი

• საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

•

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

პედაგოგიკის მეცნიერება და განათლების რეფორმა საქართველოში - საკითხის დასმისთვის

სტატია წარმოდგენს საქართველოში 2004 - 2012 წლების განათლების რეფორმის წარმატებლობის მიზეზების ანალიზის მცდელობას. ავტორის აზრით, რეფორმის უხარისხოდ განხორციელების ძირითადი მიზეზები უნდა ვეძიოთ:

- პედაგოგიკის მეცნიერების მონაცემების იგნორირებაში რეფორმატორთა მხრიდან;
- რეფორმის პროცესში გარდამავალი ეტაპის გაუთვალისწინებლობა და რეფორმის დაჩქარებული ტემპით განხორციელება;
- ქართული ეროვნული და ფსიქო - გენეტიკური თავისებურებების, ქართული საზოგადოების საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, უცხოური დოკუმენტების ადაპტირების გარეშე გადმოტანა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ავტორი ხედავს განათლების სფეროში არსებული პრობლემების მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზში, რეფორმის პროცესის პედაგოგიკის მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით წარმართვაში.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი.

პედაგოგიკური აზრის ისტორია და ქართული ლიტერატურა საქართველოში

ნაშრომის მიზანია, ქართული ლიტერატურისა და ქართული პედაგოგიკური აზრის ურთიერთმიმართების საფუძველზე წარმოაჩინოს და დაასაბუთოს ქართული პედაგოგიკის ისტორიის ახლებურად გააზრების საჭიროება. წარმოდგენილი მსჯელობისას განხილულია რიგი საკითხებისა, რომელთა შინაარსი და ხასიათი თვალნათლივ დაანახებს პროფესიულ საზოგადოებას ქართული პედაგოგიური აზრის გადასინჯვის აუცილებლობას. აქვე გაანალიზებულია ქართული ლიტერატურის პერიოდების მახასიათებელ ნიშანთა სპეციფიკა და ის საკვანძო პედაგოგიკური მეცნიერების საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ პედაგოგიკური აზრის ისტორიის დამუშავებაზე. ნაშრომში წარმართული მსჯელობა ატარებს საკითხის დასმის ხასიათს და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

- 2013, ნოემბერი, გორი
- VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„განათლების თანამედროვე გამოწვევები“

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

- **ქეთევან ხაბაზიშვილი** განათლების მეცნიერებების მაგისტრი
- **ალზრდის მიზანი რელიგიურ სკოლებში**

IV საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ქრისტიანობა ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ქართველი ერის ცხოვრებაში. ქრისტიანობა, ცხადია, გავლენას ახდენდა ალზრდისა და განათლების პროცესებზე. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას მოჰყვა რელიგიის განდევნა სკოლებიდან. 90-იანი წლებიდან, სახელმწიფო, საერო სკოლის გვერდით, კვლავ გახდა შესაძლებელი რელიგიური სკოლების გახსნა. საქართველოში დღემდე არ არის განსაზღვრული ალზრდის მიზანი ამ ტიპის სკოლებში, არ არის გამიჯნული მათი მისიები საერო სკოლის მისიებისაგან, საპატრიარქოს სკოლებშიც სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით. ყოველივე ეს იწვევს გაურკვევლობას საზოგადოებაში და საჭიროებს სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ერთიანი ხედვის შემუშავებას ამ ტიპის სკოლების მიმართ. შესაბამისად, ჩვენი კვლევა აღნიშნულ ვითარებაში საჭირო და **აქტუალურია**. საქართველოში რელიგიური სკოლების კონცეფციები და რელიგიური ალზრდის მიზანი

დღემდე არავის უკვლევია, ამდენად ნაშრომის თემატიკა სიახლეს წარმოადგენს ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის. **კვლევის მიზანს წარმოადგენს** თბილისში არსებული რელიგიური სკოლების კონცეფციებისა და აღზრდის მიზნის განსაზღვრა. **კვლევის მეთოდებად** გამოვიყენეთ მეორადი ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი, თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ. **კვლევის სამიზნე ჯგუფს** წარმოადგენდნენ თბილისის დამოუკიდებელი და საპატრიარქოსთან არსებული რელიგიური სკოლების დირექტორები. **კვლევის შედეგად** დადგინდა, რომ თბილისში არსებული რელიგიური სკოლების მიზანს წარმოადგენს განათლებული, კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც რელიგიური მსოფლმხედველობის მატარებელი იქნება. ამ ტიპის სკოლების უმრავლესობა პრაქტიკულ საქმიანობაში იცავს ჰარმონიული აღზრდის მიზანსა და პრინციპებს და, მათ შორის, აქცენტს აკეთებს ზნეობრივად ჯანსაღი პიროვნების აღზრდაზე. **არც ერთი სკოლა არ ამზადებს მოზარდს მომავალი რელიგიური საქმიანობისათვის.** საქართველოში, სახელმწიფოს მიერ არ არის მკაცრად გამიჯნული სკოლების ეს ტიპი არც დასახელებით, არც სტრუქტურითა და შინაარსით საჯარო და სხვა კერძო სკოლებისაგან. სახელმწიფოსა და საპატრიარქოს მიერ, დღემდე არ არის განსაზღვრული აღზრდის მიზანი რელიგიურ სკოლებში, არ არის გამიჯნული მათი მისიები საერო სკოლის მისიებისაგან.

რუსუდან სანაძე, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

ელენე ფსუტური, განათლების მეცნიერებების მაგისტრი.

აღზრდის პრობლემები მიუსაფარ (ქუჩის) ბავშვებში

დღეს არსებული სოციალური პრობლემების გამო, საქართველოში ასობით ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში. ბავშვები ასაკისა და განვითარებისათვის შეუფერებელ საქმიანობას ეწევიან, რაც მომავალში, არა მხოლოდ მათ, არამედ სახელმწიფოსაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. მოზარდთა ნორმალური აღზრდა-განათლება კი, სახელმწიფოს კონსტიტუციით ნაკისრი მოვალეობაა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აღზრდის პრობლემების კვლევა მიუსაფარ ბავშვებში და სახელმწიფო რეგულაციების განსაზღვრა მათ სავალდებულო განათლებასთან მიმართებით. კერძოდ, რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ მიუსაფარმა ბავშვებმა მიიღონ სავალდებულო საბაზო განათლება. ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული თვის ებრივი კვლევის აღწერა. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე სასკოლო ასაკის ბავშვები და იმ სკოლების დირექტორები, სადაც მიუსაფარი ბავშვები სწავლობენ.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ გასაუბრებისა და ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდები.

ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხით დაინტერესებული პროფესიული საზოგადოებისათვის.

ეფემია ხარაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი.

ნინო ნინოშვილი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის, ინგლისური ენის მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების მაგისტრი.

საატესტატო გამოსაშვები გამოცდების პრობლემური საკითხების კვლევისათვის

ბოლო წლების განმავლობაში განათლების სისტემაში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს. სასკოლო საატესტატო გამოცდები განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ცვლილებაა სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიღებული ცოდნის ინდიკატორს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზნად დავისახეთ როგორც ზოგადად საატესტატო გამოცდების, ასევე 2012-2013 სასწ. წლის გამოსაშვები გამოცდების ისეთი პრობლემური საკითხის ანალიზი, როგორცაა: საშუალო სკოლაში მიღებული და გამოცდებზე მოთხოვნილი ცოდნის შესაბამისობა; რეპეტიტორის

ინსტიტუტი; გამოცდების ჩატარება ცენტრალიზებულად თუ სკოლის მიერ; საგნობრივი კათედრების მიერ შედგენილი ტესტების სტანდარტებთან შესაბამისობა.

სტატიაში განხილულ საატესტატო გამოცდების მზადებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს თუ შევაჯამებთ, ნათლად დავინახავთ, რომ იგი წელს ბევრი ხარვეზით მიმდინარეობდა საქართველოში, მისი გარეგნული და შინაარსობრივი მახასიათებლების ჩათვლით, რეპეტიტორობის პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ ახალი ტიპის საატესტატო გამოცდები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს და „აიძულებს“ მოახდინონ ცოდნის, შესაძლებლობების მობილიზება, ამალდეს სკოლის სტატუსი, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთ პრობლემურ საკითხად რჩება საქართველოში.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი.

ქეთევან აფთარაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მასწავლებელთა განათლების დოქტორანტი

კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პრობლემა თანამედროვე სკოლებში დაწყებით საფეხურზე

ნაშრომის მიზანია, თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე კლასგარეშე კითხვის ორგანიზების საკითხების წარმოჩენა, კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და ჩვენეული რეკომენდაციების შეთავაზება პროფესიული საზოგადოებისათვის. წარმოდგენილი მსჯელობისას განხილულია პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტის - კლასგარეშე საქმიანობის არსი და როლი სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტაში, რადგან სწორედ კლასგარეშე მუშაობა იძლევა საგაკვეთილო მეცადინეობის დროს გადაცემული ცოდნის გაღრმავებისა და შევსების საშუალებას. ნაშრომში, თანამედროვე სასკოლო გარემოში კლასგარეშე კითხვის ორგანიზების პრობლემების უკეთ წარმოჩენის მიზნით, წარმოდგენილია კვლევის სამიზნე ჯგუფთან - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ჩატარებული თვისებრივი

კვლევის შედეგები, რომლის განსახორციელებლად გამოყენებულია ჩალრმავებული, *ნახევრადსტრუქტურირებული* ინტერვიუს მეთოდი. სტატიაში გაანალიზებულია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, საუბარია იმ პრობლემებსა და შეთავაზებულ გადაჭრის გზებზე, რომლის გათვალისწინებითაც, ავტორთა აზრით, შეიძლება კონკრეტული მეთოდური აპარატის შემუშავება და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის გონივრული, სასწავლო მიზნების ადეკვატური რეკომენდაციების შეთავაზება. ნაშრომის დასასრულ წარმოდგენილია რიგი შენიშვნებისა და წინადადებებისა, რომელთაც აქვთ რეკომენდაციის ხასიათი და წარმოდგენენ პრაქტიკული ხასიათის რჩევებს განკუთვნილს პროფესიული საზოგადოებისათვის.

სოფიო დოლიძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი.

ნათია გუგუნაშვილი - შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი

პედაგოგთა პროფესიული თვითშეფასება და მისი მიმართება სასერტიფიკაციო გამოცდებთან

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო საჯარო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული თვითშეფასებისა და სერტიფიცირების პროცესის ურთიერთმიმართების დადგენა. კვლევისათვის გამოიყენებოდა გრინვალდის პიროვნული თვითშეფასების კითხვარი. კვლევის პოპულაციას შეადგენდნენ თბილისის და რეგიონის საჯარო სკოლის მასწავლებლები (150 მასწავლებელი); სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება პროფესიული თვითშეფასების დონის მიხედვით მასწავლებლებს შორის, რომლებსაც მონაწილეობა

აქვთ მიღებული სერტიფიცირების პროცესში და რომელთაც არ აქვთ მონაწილეობა მიღებული სერტიფიცირების პროცესში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი

- 2013, იანვარი, ქუთაისი,
- სამეცნიერო კონფერენცია
„ქუთაისის უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია“

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტის ანალიზი პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი დოკუმენტის შეპირისპირება პედაგოგიკის მეცნიერების თეორიასთან. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ განათლების რეფორმა საქართველოში არ დაეყრდნო ქართული სახელმწიფოს საჭიროებებსა და მიზნებს, კლასიკურ პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკას, რის გამოც სკოლა საქართველოში ვერ პასუხობს მოზარდის მომზადების მინიმალურ მოთხოვნებსაც კი, და საქართველოს მოსწავლეთა ნაწილი მხოლოდ რეპეტიტორთა იმედზეა, ხოლო ის ნაწილი, რომელსაც ამის შესაძლებლობა არ აქვს, რეალური ცოდნის მიღმა რჩება.

Tamaz Karanadze - Professor of the Institute of pedagogy
of Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Pedagogical research and the work on the sources of literature

Conclusion

Effective research and use of the sources of literature is the one main point of the process of efficient work on research thesis. It is an opportunity to correct researcher's plan, to develop an independent thinking. It is the way to formulate hypothesis of upcoming work. A researcher chooses a method of the study by using his/her theoretical point of view. The skills of problem solving are established in this process. It is in process of verification, when and why the attention towards this issue occurred. What will be the result of the complete research and how reliable will be its quality.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი.

მასწავლებლის პროფესიული მომზადების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა - ანალიზი, წინადადებები

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი მასწავლებლის პროფესიული მომზადების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ანალიზი. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მასწავლებლის მომზადების საკითხები არ წარმოადგენს სამართლებრივად გამართულ მოცემულობას, არ არის სრულყოფილად გააზრებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ხედვა მასწავლებლის პროფესიისადმი. ნაშრომის დასასრულ წარმოდგენილია რიგი შენიშვნებისა და წინადადებებისა, რომელთაც აქვთ რეკომენდაციების ხასიათი და წარმოადგენენ პრაქტიკული ხასიათის რჩევებს განკუთვნილს პროფესიული საზოგადოებისათვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2013, ივნისი, თბილისი

ექვთიმე თაყაიშვილის 150–ე წლისთავისადმი მიძღვნილი მეშვიდე საფაკულტეტო

სამეცნიერო კონფერენცია

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

პედაგოგიკის მეცნიერება და სახელმწიფო ხედვები განათლების სფეროში

განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი, როგორც წესი, უნდა დაიწყოს სახელმწიფოს მიერ განათლების პოლიტიკის შემუშავებით. კერძოდ, სახელმწიფომ, **საკუთარი პოლიტიკური კურსის შესაბამისად**, უნდა განსაზღვროს განათლების უმთავრესი მიზანი, თუ როგორი მოქალაქის მომზადება სურს მას. ანუ, განათლების რეფორმა სახელმწიფოში იწყება პასუხის გაცემით კითხვაზე - **ვინ უნდა აღზარდოთ?** პედაგოგიკის თეორიაში ეს საკითხი, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ცენტრალური ღირებულებისაა და იგი განმარტებულია აღზრდის მიზნის ცნებით.

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ამ ზოგადი მიმართულების შესაბამისად, იკვეთება ის კონკრეტული ხედვები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება განათლების ძირითადი მიზანი. ეს კონკრეტული ხედვები, განათლების პროცესში, რეალიზდება განათლების შინაარსისა და სწავლების პრინციპების, მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციის ფორმების განსაზღვრით, ანუ პასუხის გაცემით კითხვებზე: **რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ?**

და ბოლოს, განათლების სისტემის რეფორმის მთავარ ფიგურას, მასწავლებელი წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლისადმი პროფესიული მოთხოვნების განსაზღვრაც უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი აღზრდის ზოგადი მიზნის შესაბამისად, ანუ უნდა მოხდეს პასუხის გაცემა კითხვაზე - ვინ უნდა აღზრდოს, ვინ, როგორი ცოდნითა და უნარებით შეიარაღებული უნდა იყოს მასწავლებელი, ვინაიდან, სწავლების ხარისხსა და ეფექტურობას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მასში მოღვაწე პედაგოგიური პოტენციალი - თავისი ცოდნით, უნარებითა და პიროვნული თვისებებით.

სახელმწიფოს ეს ხედვები განათლების სფეროში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, რომლებშიც, წესით, პასუხი უნდა იყოს გაცემული ზემოთ განმარტებულ ამ ძირითად კითხვებზე, ანუ, ნებისმიერი სახელმწიფოს განათლების რეფორმის წარმატების გარანტს სისტემის პედაგოგიკის მეცნიერებაზე დაყრდნობა, საკვანძო საკითხების მეცნიერული გამოცდილებით გადაწყვეტა, მისი ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის პროცესში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის სოციალური და კულტურული დონე, მისი ეთნოთავისებურებები.

ამგვარად ხედავს პედაგოგიკის მეცნიერება განათლების პროცესს.

საქართველოში, სასწავლო პროცესის რეალიზაციის პრაქტიკულ დონეზე, ფაქტობრივად, სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, საქართველოს განათლების სისტემის ნორმატიული ბაზა - განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, და რაც მთავარია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, კანონი ზოგადი განათლების შესახებ - შეიქმნა სპონტანურად, დაჩქარებული წესით, ისე, რომ არ იყო დადგენილი და გათვალისწინებული სახელმწიფოს ის ძირითადი პოლიტიკური მიზანი, რომლის საფუძველზეც უნდა შექმნილიყო ეს დოკუმენტები. უფრო მეტიც, ისინი, ხშირ შემთხვევაში, უცხოეთში აპრობირებული დოკუმენტების ყოველგვარი ანალიზისა და ქვეყნის სოციალურ-კულტურულ რეალობასთან მორგების გარეშე იქნა გადმოტანილი ქართულ სინამდვილეში. ამასთან, განათლების რეფორმის პროცესში შექმნილ თითოეულ დოკუმენტში, სერიოზული ხარვეზებია კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების პოზიციებიდან.

განათლების რეფორმის ნორმატიული ბაზის ამგვარი ხარვეზები, ბუნებრივია, იმოქმედებდა სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხზეც, რაც დღეს, სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს. საერთაშორისო კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მოსწავლეები კითხვის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგანთა ცოდნის დონის მიხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე არიან სხვა ქვეყნებთან შედარებით.

განათლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ უსერიოზულეს პირობას სასწავლო პროცესის პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლებზე აგება და წარმართვა წარმოადგენს.

იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

მასწავლებელთა მომზადება მულტიკულტურული განათლებისთვის - გამოწვევები და ტრანსფორმაციები

თანამედროვე სამყაროში მულტიკულტურული განათლება სულ უფრო მეტი გამოწვევების წინაშე დგას, განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე მყოფ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებობდა დახურული სისტემები. მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი მულტიკულტურულ საზოგადოებაში, რადგან სწორედ ის არის პასუხისმგებელი მომავალი თაობებისთვის ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევის ნორმების გადაცემაში. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა საკუთარი მოსწავლეები მოამზადონ სამოქალაქო ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის, მათ თავად ჭირდებათ პედაგოგიური კომპეტენციები, უნარები და ინსტრუმენტები მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობისა და განსხვავებულ ჯგუფებს შორის პოზიტიური ინტერაქციის დასამყარებლად.

მოხსენების მიზანია ფართო აუდიტორიას გააცნოს ის მიდგომები და ტრანსფორმაციები, რომლებიც საუძვლად უდევს მულტიკულტურული განათლების საერთაშორისო მოდელის შექმნას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მულტიკულტურული ცნობიერების ამაღლებას, კრიტიკული აზროვნებისა და თანამშრომლობითი მიდგომების განვითარებას კულტურულად მრავალფეროვან კლასებში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013, ნოემბერი, თბილისი

მასწავლებელთა I კონფერენცია

„უნივერსიტეტის სკოლას - სკოლა უნივერსიტეტს“

დავით წამალაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი

0-ის სწავლების პრობლემა

სტატიაში განხილულია მათემატიკის სწავლებაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი - ნულის სწავლება. განხილულია უზუსტობები, რომელსაც ხშირად უშვებენ მასწავლებლები ნულის შემოტანის საწყის ეტაპზე, რაც მოსწავლეებში სწავლების მაღალ კლასებში იჩენს თავს სხვადასხვა სიტუაციაში. ნულის სწავლებას მეთოდურად დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ცნების შემოტანის საწყისი ეტაპიდანვე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2013, მაისი, თბილისი,

დimitრი უზნაძის დაბადებიდან 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
ინტერდისციპლინარული რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია

იზაბელა პეტრიაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

**ჰოლისტური მიდგომა მულტიკულტურული განათლებისადმი ტემპუსის
პროექტის DOIT⁵-ის მაგალითზე**

ინტერკულტურული განათლების პრობლემის აქტუალობა უკავშირდება არა მხოლოდ სხვა კულტურების შემეცნების ინტერესს და საკუთარი კულტურის გამდიდრებისადმი სწრაფვას, არამედ ობიექტურ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა შორის მრავალფეროვანი კავშირების ზრდას თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სტატიაში განხილულია ევროკავშირის ტემპუსის პროექტის “კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის - DOIT” ფარგლებში განხორციელებული ნაბიჯები მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობის მიზნით, რაც გამოიხატება როგორც კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და, ზოგადად, მრავალფეროვნების შესახებ თეორიული კურსების, ასევე პედაგოგიური მიდგომების ამსახველი კურსის შექმნაში. ეს უკანასკნელი აგებულია ჰოლისტური მიდგომის მიხედვით, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ფორმულა:

ცოდნა + უნარები + განწყობა/დამოკიდებულება = კომპეტენცია

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა კომპეტენციების განსაზღვრისას სწორედ ზემოხსენებულ ფორმულას ეყრდნობა და ის სილაბუსები, რიდერები თუ სხვა სასწავლო მასალები, რომელიც პროექტის ფარგლებში მომზადდება, ამ გეგმის ერთგვარი გაგრძელება იქნება უმაღლესი განათლების საფეხურზე.

სამეცნიერო კონფერენცია

გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში

თბილისი, საჯარო ბიბლიოთეკა, 2013, მაისი.

ნინო ჩახუნაშვილი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

მოსწავლის მიზანდასახულობისა და თვითრეალიზაციის პრობლემები

„რეფლექსიის პედაგოგიკის“ მიხედვით

რეფლექსია მოსწავლის საქმიანობის, მათ შორის უკვე გავლილი ქმედების სიღრმისეულად გახსენებაა. მასზეა დამოკიდებული სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და კორექტირების პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, მიღებული

შედეგების ანალიზი, შემდგომი ამოცანების განსაზღვრა. იმ ფაქტორთაგან, რომლებიც მოქმედებენ რეფლექსიის ხარისხზე, აღსანიშნავია მათი ფორმების მრავალგვარობა, რომლებიც შეესაბამებიან ასაკობრივ ინდივიდუალურ და სხვა სახის თვისებებს. ამასთან, რეფლექსიის პროცესში ყურადსაღებია ფსიქოლოგიური მიდგომების მექანიზმები.

ამრიგად, რეფლექსია მოსწავლეთათვის თავისი საქმიანობის გონებრივ ქმედითი და გრძნობად განცდადი მომენტია, რომლის დახმარებითაც იგი შეგნებულად აცნობიერებს საქმიანობის მთელ გზას და შინაარსს. სწორად ახდენს შედეგების ფიქსაციას და ახერხებს მომავალში უფრო რთული მიზნების დასახვას.

ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი -

განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია

2013, ოქტომბერი

ქეთევან ჭკუასელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ზაქარია ქიტიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი

საქართველოში საშუალო განათლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ

ნაშრომში წარმოადგენილია საქარუელში განათლების სისტემის მარგულრბელ დღუწენტების - ზოგად განათლების ეროვნულ მიწნები, ეროვნულ სასწავლო გეგმა, მასწავლებლს პროფესიულ სტანდრტო, მასწავლებლს პროფესიულ ეთკის კოდექსი, კვალფკაციების ეროვნულ ჩარჩო, მასწავლებლს განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დრუბრვი მახასიათებელ - ანალოჟი პედგოგის მეცნიერების პოზიციიდან. სტატაში თითოეულ დღუწენტს შინაარსი განხილულია ქვეყნის განათლების პოლიტკის მიწნიდან გამომდნარე დ გაკეთებულია დსკვნა. კერძოდ

- განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში სახელწიფუს მიერ არ არის განსაზღვრულ განათლების პოლიტკა, კერძოდ თუ როგორი მოქალქის მიმზდება სურს მას.
- ქარულ საგანმანათლებლო სივრცის სამარუბრვი საფუძვლები არ ემყარება საქარუელს ეთნოფაქიოლოგიურ დ სოციოკულტურულთავისებურებებს;
- სამარუბრვი დღუწენტცია არ ემყარება კლსიკური დ თანამედროვე პედგოგის მიღწევებს;
- რჩება შთაბეჭდლება, რომ ქარულ საგანმანათლებლო სივრცის მარგულრბელ დღუწენტები წარმოადგენს უზბო ქვეყნების ანალოგიური დღუწენტების თარმანს.

Iafor, The International Academic Forum, Brighton, UK. www.iafor.org.

(11–14 ივლისი, 2013)

Izabella Petriashvili - Associate Professor

The Ways of Intercultural Communication to Promote Multicultural Education in Georgia

The purpose of this paper is to give a brief historical background of multiethnic and multicultural Georgia, overview the current situation and outline the needs for multicultural education (ME) in Georgia. The paper describes the measures taken by the Government of Georgia, as well as the role of international projects in promoting ME and preserving cultural

diversities at the same time. As intercultural communication (IC) is the core issue in ME, it will dwell on the ways of IC focusing on the current language policy of the Ministry of Education and Science (MES) of Georgia and Georgian Higher Education Institutions (HEIs) in order to enhance the process of integrating ethnic minorities in educational, social, cultural and political life of society, and in a broader context, to help citizens of Georgia to integrate with the contemporary global world.

Iafor, The International Academic Forum, Brighton, UK. www.iafor.org.

(11–14 ოგობრი, 2013

Izabella Petriashvili - Associate Professor

DOIT, a TEMPUS Project Aiming to Meet Challenges and Implement Transformations in Teacher Training for Multicultural Education

This panel discusses the results of a TEMPUS project DOIT: *Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training*. DOIT unites over 60 professionals associated in 22 different institutions in 7 countries: Israel, Georgia, United Kingdom, Netherlands, Austria, Germany and Estonia. This international team has worked together in developing courses that will transform teacher training. The discussion will include: ***Model for Managing an International Project, The Role of DOIT's Portal*** in contributing to the creative thinking process and collaborative work and several innovative courses that have been developed aimed to change education and practice. These courses include ***Dealing with Diversity in the Classroom*** for Jewish and Arab students of Education learning at two colleges of education in Israel, ***Children's Rights in and Through Education***, Courses aimed to understand the particular ***multicultural dynamics and challenges of both Israeli and Georgian Societies***. The discussion will consider the role of educational collaborations and their influence on changing education and practice on an international level.

Birkbeck Centre for Transformative Practice in Learning and Teaching, University of London
(2013, ნოემბერი)

Izabella Petriashvili - Associate Professor

Transformative Curriculum Development in Learning and Teaching

The seminar outlined the work on a Tempus project which explores the development of an international model for curricular reform in multicultural education and cultural diversity training (see <http://tempus-doit.sapir.ac.il>) and discussed the dynamics of promoting transformative programmes within universities.

The dynamics of promoting transformation through curriculum requires a multi-dimensional approach. In this workshop, members of DOIT's team:

- Discussed the process of developing a transformative programme at the university level;
- Presented the challenges of developing evaluation and assessment tools that enable us to understand the impact of this transformative programme;
- Discussed a concrete case example of DOIT's programme development and implementation in Georgia;
- Outlined what can be gained in developing transformative practices and learning from the DOIT example; and
- Discussed the possibility of new transformative programmes or collaboration that can develop from this work

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

თბილისი

I.1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ს/ს ინსტიტუტი.

I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი თამაზ გამყრელიძე

II. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
პროფესორი თამაზ გამყრელიძე

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ასათიანი

ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე

ასოცირებული პროფესორი მარინე ივანიშვილი

ასოცირებული პროფესორი ეთერ სოსელია

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის

დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შესრულებლები
1			

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ევრაზიულობის თეორია და საქართველო	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ.ბოლქვაძე	გ.ჯოხაძე, ნ.ფუტყარაძე

პროექტის ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

სამეცნიერო პროექტი „ევრაზიულობის თეორია და საქართველო“ ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში მკვლევრები ცდილობენ ევრაზიულობის თეორია ორი მიმართულებით შეისწავლონ - გეოპოლიტიკური მიზნები და ლინგვისტური შედეგები. სამი წლის მანძილზე პროექტის მონაწილენი შეადგენენ ევრაზიულობის თეორიის ანთოლოგიას, ამას გარდა, ცალკე დაიბეჭდება ორი მონოგრაფია. ერთში ნაკვლევი იქნება ევრაზიულობის თეორიის შექმნის საფუძვლები, მისი განვითარების გზები და საქართველოს ადგილი ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში; ხოლო მეორე

მონოგრაფია მიეძღვნება ლინგვისტური კავშირის ცნებას. მკითხველი ამ წიგნით სრულ წარმოდგენას შეიქმნის როგორ ჩამოყალიბდა ეს სამეცნიერო იდეა, რა შედეგები მოიტანა მან ენათმეცნიერებაში, განსაკუთრებით ტიპოლოგიური და არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით და რა მიმართებაა პრადის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლების თეორიულ ნააზრევს, იტალიურ ნეოლიგვიტიკასა და ნიკო მარის იაფეტურ თეორიას შორის.

2013 წელს დასრულდა ამ პროექტის პირველი წელი. პროექტის მონაწილეები მუშაობდნენ საქართველოს და უსცხოეთის არქივებში, კერძოდ, სპეციალურად იქნა შესწავლილი პრადის არქივები, რადგან ევრაზიულობის თეორიის წარმომადგენლებმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები სწორედ პრადაში გაატარეს, ერთი ნაწილი კი სიცოცხლის ბოლომდე პრადაში დარჩა. ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა რამდენიმე სტატია, რომელიც მომავალ წელს სპეციალურად მოხსენდება სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს და ითარგმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია, რომელთა გაცნობა შეიძლება ვებგვერდზე: www.gashol.ge

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე ივანიშვილი	ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და სემანტიკური რეკონსტრუქციები: მცენარეთა სახელები ქართველურში	თბილისი, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“	232 გვ. იბეჭდება

ანოტაცია

ნაშრომში ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესწავლილია მცენარეთა სახელების საერთო-ქართველურ ფუძეთა რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხები; გამოვლენილია ახალი ფუძეები და ნასესხობები; დაზუსტებულია უკვე რეკონსტრუირებულ ფუძეთა მნიშვნელობა; განსაზღვრულია მათი სამეურნეო-გამოყენებითი და რიტუალურ-კულტურული როლი;

ხეებისა და მცენარეთა სახელების აღდგენილი საერთო-ქართველური სისტემა შედარებულია საერთო-ინდოევროპულის შესაბამისი სემანტიკური ჯგუფის რეკონსტრუირებულ სისტემასთან, იბერიულ-კავკასიურ და სხვა ენათა მონაცემებთან იმ მსგავსება-განსხვავების წარმოსაჩენად, რომლის საფუძველზეც ეს ენები შეიძლება მივაკუთვნოთ (ან არ მივაკუთვნოთ) საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ (თუ გენეტიკურ) კლასს.

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ასათიანი	აკუზატივის გაქრობა კავკასიის ენებში: არეალური თუ უნივერსალური ნიშანი?, "ენათმეცნიერების საკითხები"-2013	"ენათმეცნიერების საკითხები"-2013	თბილისი, თსუ,	8

ანოტაცია

კავკასიის ლინგვისტურ არეალში გავრცელებულ ენებში ერთ-ერთ საერთო ტიპოლოგიურ მახასიათებლად იკვეთება აკუზატივის „გაქრობის“ ტენდენცია. ნაშრომში ეს ტენდენცია გაანალიზებულია სილვერსტანის სახელთა სულიერობის უნივერსალური იერარქიის ფონზე და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ უნივერსალური ტენდენციის რეალიზაციას უდავოდ ხელს უწყობს ენათა კონტაქტები და ინტერფერენცია.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	თ. ბოლქვაძე	მეგრული ანბანი და მეგრულად ნაბეჭდი წიგნები: მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეული, "ენათმეცნიერების საკითხები"-2013,	"ენათმეცნიერების საკითხები"-2013	თბილისი, თსუ,	22

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	თ.გამყრელიძე	საქართველო ევროპაა თუ აზია?, კრებულში - მეცნიერება და კულტურა	2013	თბილისი, თსუ	8
<p>ანოტაცია</p> <p>სტატიაში განხილულია საქართველოს როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი და ადგილი სოციალურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით</p>					

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	მ.ივანიშვილი, ი.ლეჟავა	მეგრული ყ, A თანხმოვნების დისტრიბუციული და ექსპერი მენ- ტული ანალიზი, ”ენათმეცნიერების საკითხები“-2013,	”ენათმეცნიერების საკითხები“-2013,	თბილისი, თსუ	26
<p>ანოტაცია</p> <p>დისტრიბუციული ანალიზის მიხედვით /ყ/ და /F/ მეგრული ენის თანხმოვანთა სტრუქტურაში ორი დამოუკიდებელი ფონემაა. F მეორეული ბგერაა ყ-დან</p>					

მომდინარე – $y \rightarrow F$, გადაწევის პირველ ეტაპზე $y \parallel F$ ვარიანტები თავისუფალად მონაცვლეობდნენ, ხოლო შემდეგ აღმოჩნდნენ რა კონტრასტულ პოზიციებში, ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ფონემებად. თავისუფალი მონაცვლეობის პოზიციაში ხდება ფონემური დაპირისპირების ნეიტრალიზაცია და შეიძლება დაფიქსირდეს თავისუფლად მონაცვლე ალოფონებიც და ფონემებიც.

არტიკულაციურად y თანხმოვანი მეგრულში რეალიზდება გლოტალიზებული ხშულის, სპირანტის ან სპირანტოიდის (ინტერვოკალურ პოზიციაში) სახით. აღსანიშნავია, რომ სპირანტული წარმოთქმა უფრო დამახასიათებელია ჰარმონიულ კომპლექსში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

F ბგერა მეგრულში აკუსტიკური სურათის მიხედვით ასე დახასიათდება – თავკიდურ პოზიციაში გლოტალური მსკდომი (მაგარი შემართვა), ხოლო ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებული ფარინგალური აპროქსიმანტი ლარინგალიზაციით. გამჟღერებას ხელს უნდა უწყობდეს ის ფაქტი, რომ ამ ბგერის წარმოთქმისთვის, დამახასიათებელია სახმო სიმების ზომიერი და არა ძლიერი (ზღვრული) მედიალური კუმშვა. სწორედ ამ ბგერის ასეთი რთული ბუნება უნდა იყოს განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი აღწერის მიზეზი.

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ე.სოსელია, მ.ქარქაშაძე	თავისებური ი-ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში, "ენათმეცნიერების საკითხები" -2013	"ენათმეცნიერების საკითხები" -2013	თბილისი, თსუ	8

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ის თავისებური ი- ხმოვანპრეფიქსიანი ზმნები, რომლებსაც ფორმა ვნებითისა აქვთ, თუმცა შინაარსით აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ (მაგ.: იკრიჭება, იკვანწება, იჭყიტება, ...) და, ამდენად, ტრადიციულად დეპონენსებად განიხილებიან. ამ ზმნათაგან ზოგიერთის თავისებურება გახლავთ ის, რომ მოცემულ ზმნური კონსტრუქცია სინონიმურია

შესაბამისი მოქმედებითი გვარის კონსტრუქციისა (გოგო იკვანჭება ~ გოგო ხელებს კვანჭავს), რაც აიხსენება მოცემულ ზმნათა სემანტიკური თავისებურებით. სტატიაში განხილულია აღნიშნულ ზმნათა სემანტიკური თავისებურებანი და გაანალიზებულია მიმართება აღნიშნულ ზმნათა კონსტრუქციებში მიმართება სემანტიკურ თავისებურებასა და ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურას შორის.

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ე.სოსელია	ენათმეცნიერება და ტრანსდისციპლინარიზმი, კრებული "ნოსფერო",	2013	თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი",	8

ანოტაცია

სტატიაში წარმოჩენილია ენათმეცნიერების ტრანსდისციპლინარული ხასიათი იმის ფონზე, რომ ნაჩვენებია თვით ენის რთული ბუნება და ამ უაღრესად რთული ფენომენის შესასწავლი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა ლინგვისტიკის მომიჯნავე მეცნიერებებში.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				

3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

დ) სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ასათიანი	The Information Structure and Typological	2013	Springer-Verlag Berlin Heidelberg.	19

		Peculiarities of the Georgian Passive Constructions, 9 th International Tbilisi Symposium on LLC, Revised Selected Papers			
--	--	---	--	--	--

ანოტაცია

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის თეორიაში პასიური კონსტრუქცია მიჩნეულია ერთ-ერთი სინტაქსურ საშუალებად პაციენსის როლის დასაწინაურებლად. რამდენადაც ქართულში სიტყვათა რიგი თავისუფალია, საინფორმაციო ნაკადში პაციენსის როლის დასაწინაურებლად პასიური კონსტრუქციის პარალელურად სხვა მექანიზმებიც გამოიყენება: პაციენსის საწყის პოზიციაში დასმა, წყვეტილში ერგატიული მოდელის მიხედვით წინადადების გაფორმება, სპეციალური ნაწილაკებისა თუ კავშირების აქტუალიზება და სხვ. ამდენად, პასიურ კონსტრუქციას ქართულში, გარდა დასახელებული ფუნქციისა, დამატებითი ფუნქცია - კერძოდ, აქტივ-პასივ შორის სემანტიკური დაპირისპირება - უაქტიურდება. ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას ისეთი, ფორმით პასიური, კონსტრუქციების არსებობა როგორცაა ე.წ. „გუნების ვნებითები“, პოტენციალის, რეციპროკალისა და დეპონენსების შემთხვევები. ნაშრომში მოცემულია ბინარული სემანტიკური ნიშნებით აგებული დინამიკურ-კოგნიტიური მოდელი, რომელიც ქართულის ვნებითი ფორმების ფუნქციების ცალსახა განსაზღვრის მცდელობას წარმოადგენს.

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	რ. ასათიანი	The Proto-Kartvelian and Proto-Indo-European Common Typological Feature: An Active Alignment (?), Major Trends in	Vol.20	Poland: Versita	18

		Theoretical and Applied Linguistics, Revised Selected Papers of ISTAL 20			
<p>ანოტაცია</p> <p>ქართველური ენების ერგატიული კონსტრუქციის დიაქრონიულ პერსპექტივაში წარმოდგენილი სინქრონიული ანალიზი გარკვეულ არგუმენტებს იძლევა ამ კონსტრუქციების აქტიურ კონსტრუქციებად რეინტერპრეტაციისა. როგორც თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომშია ნაჩვენები, საერთო ინდოევროპულის არგუმენტული სტრუქტურების რეკონსტრუქციაც აქტიურ კონსტრუქციას წარმოაჩენს და, ამდენად, საერთო-ქართველურისა და საერთო-ინდოევროპულის ტიპოლოგიური მსგავსება სახეზეა: ორივე შემთხვევაში ამოსავალი ჩანს აქტიური კონსტრუქცია, რომლისგანაც შემდგომში ინდოევროპულ ენებში განვითარდა ნომინატიური კონსტრუქციები, ხოლო ქართველურში - ერგატიული.</p>					

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3.	თ. გამყრელიძე	Индоевропейская прародина и расселение индоевропейцев: полвека исследований и обсуждений, Вопросы языкового родства	№9	Москва,	28

ანოტაცია

Сегодня проблема индоевропейской прародины не потеряла своей актуальности и остается столь же дискуссионной, как и на момент выхода монографии Гамкрелидзе, Иванов 1984. С учетом новых данных, накопившихся за последние три десятилетия (в первую очередь касающихся языковых контактов), мы предлагаем уточненную локализацию района первоначального расселения индоевропейцев: несколько юго-восточнее того ареала, где мы постулировали ее тридцать лет назад. С нашей сегодняшней точки зрения, она располагалась в юго-восточной Анатолии и северной Сирии, непосредственно к северу от Плодородного полумесяца, что позволяет, среди прочего, объяснить древнейшие заимствования из праиндоевропейского языка в семитские, картвельские и восточнокавказские языки. Вместе с тем, хронология данных заимствований не позволяет поддержать гипотезу К. Ренфрю об идентификации праиндоевропейцев с первыми земледельцами на территории Европы. Скорее всего, индоевропейцы появились на европейском континенте позднéе. С ними было связано распространение других инноваций, а именно: скотоводства и в особенности коневодства.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ასათიანი	ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ლაზურში, მე-10 საერთაშორისო სიმპოზიუმი - „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“	23-27 სექტემბერი, 2013, გუდაური.

ანოტაცია

ლაზური ზმნის ხმოვანპრეფიქსების წარმოდგენილი ინტერპრეტაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პრეფიქსთა პოლიფუნქციურობის განზოგადებისა – ხმოვანპრეფიქსების მთავარი ფუნქციად მოიზრება ვალენტობის ცვლილებების (ზრდისა თუ კლების)

ფორმალური მარკირება:

ო- გვხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც აგენს-ინიციატორი ან აგენსი შემოდის და ემატება ზმნის არგუმენტებს (resp. კაუზატივისადა კაუზატივთან გათანაბრებული ფორმები);

უ-/ი- გვხვდება ვალენტობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც ადრესატი შემოდის და ემატება ზმნის არგუმენტებს. ეს შეიძლება იყოს ადრესატ-ბენეფაქტივ-პოსესორი (resp. სასხვისო ქცევის ფორმები) და, ასევე, ისეთი ადრესატი, რომელიც კუთვნილება-დანაშინულებით მიმართებებს არც გულისხმობს;

ი- გვხვდება ვალენტობის კლების შემთხვევაში, როდესაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში აღარ მონაწილეობს ან აგენსი (resp. ერთპირიანი ვნებითი, ხშირად პოტენციალისის მნიშვნელობით), ან ყოფილ-ადრესატული პირი (resp. სათავისო ქცევის ფორმები, ძირითადად, რეფლექსივის შინაარსით; და, ასევე, რეფლექსივთან გათანაბრებული სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები);

ა- გვხვდება ვალენტობის უფრო კომპლექსური ცვლილებების შედეგად, როდესაც ერთდროულად გაუჩინარებულია აგენსი და დამატებულია ადრესატ-ბენეფაქტორი (resp. ორპირიანი ვნებითები, ძირითადად, პოტენციალისის შინაარსით).

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ასათიანი	წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: „გათიშული“ კითხვები მეგრულსა და ლაზურში, ლინგვისტა მე-19 საერთაშორისო კონგრესი,	22-27 ივლისი, 2013, ქუენევა.

ანოტაცია

ლაზურისა და მეგრულის ე.წ. გათიშული კითხვების შეპირისპირებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლაზურის ეს კითხვითი კონსტრუქციები გათიშულობის უფრო

მაღალ ხარისხით ხასიათდებიან, ვიდრე მეგრულისა. ლაზურში მთავარი წინადადება იკეტება მორფოსინტაქსური მიმართებებით – ინფორმაციულად გამოკვეთილი წევრი (ე.წ. ფოკუსი) მართულია მთავარში წარმოდგენილი ყოფნა-ზმნით და ყოველთვის სახელობითშია მაშინ, როდესაც მეგრულში მთავარი წინადადება სტრუქტურულად ღიაა და მასში წარმოდგენილი ფოკუსი მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნით.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ასათიანი	შუასაუკუნეების ქართული ძველსა და ახალ ქართულს შორის: სტრუქტურული ცვლილებები, შუასაუკუნეების კვლევების 48-ე საერთაშორისო კონგრესი	9-12 მაისი, 2013, კალამაზუ, აშშ.

ანოტაცია

გარდამავალი საფეხური ძველსა და ახალ ქართულს შორის – შუასაუკუნეების ქართული – ხასიათდება რიგისტრუქტურული ინოვაციებით. სახელთა ბრუნების პარადიგმების ცვლა, ასევე, დრო-კილოთა სერიებისა თუ მწკრივების რეორგანიზაცია და არგუმენტული სტრუქტურების მარეგულირებელი წესების დახვეწა განპირობებულია როგორც მორფონოლოგიური პროცესებით, ისე ‘ახალი’ გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბებითა და ‘ძველი’ კატეგორიების რეინტერპრეტაციით; ყოველივე ეს კი შედეგად იძლევა ახალი ქართულის ენობრივ სისტემას, რომელიც უფრო ‘დემოკრატიულია’ და მეტად ასახავს ცოცხალ წამეტყველო ფორმებს, ვიდრე ძველი ქართული, რომელიც უფრო ‘საკლასიოა’ და, სავარაუდოდ, წმინდა წიგნების, ძირითადად ბერძნულიდან, თარგმნის გამო, განიცდის ამ უკანასკნელის გავლენას.

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

2	მ.ივანიშვილი	ქართველური მცენარეთა სახელები შუასაუკუნეების ხელნაწერებში, შუასაუკუნეების კვლევების 48-ე საერთაშორისო კონგრესი	9-12 მაისი, 2013, კალამაზუ, აშშ.
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში ქართველური მცენარეთა სახელების კვლევისას ყურადღება ეთმობა მცენარეთა სახელების კორპუსს, რომელიც დადასტურებულია ქართულ სახარებაში არა მხოლოდ ეტიმოლოგიის განსაზღვრისა და სიტყვის აგებულების თვალსაზრისით, არამედ ასევე ქართული ბიბლიური ტექსტების თარგმნასთან დაკავშირებული და, ზოგადად, კულტურის ისტორიის საკითხების თვალსაზრისით.</p>			

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.სოსელია	„არგუმენტის კოდირება გენეტივით“ (სასტენდო მოხსენება), ლინგვისტთა საერთაშორისო მე-19 კონგრესი	სექტემბერი 2013, ჟენევა, შვეიცარია,
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში განხილული იყო ქართულისათვის არაკანონიკური გენეტივიანი კონსტრუქცია (<i>პეტრეს ეშინია ძაღლის, ნინოს რცხვენია მეზობლის</i> - ტიპისა). ზმნები ამგვარი კონსტრუქციებიდან შეიძლება ქმნიდნენ დატიურ კონსტრუქციებსაც (<i>ნინოს რცხვენია მეზობლის</i> და <i>ნინოს რცხვენია სიმღერა</i>). აღნიშნულ დატიურ კონსტრუქციებში II არგუმენტის ადგილი უმეტესად წარმოდგენილია მასდარის სახით და მისი ადგილი შეიძლება ჩაანაცვლოს დამატებითმა დამოკიდებულმა წინადადებად. მოხსენებაში ახსნილია ამგვარი პარალელური კონსტრუქციების (გენეტივიანი და დატიური) კოგნიტიური საფუძველი.</p>			

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო მუშაობის

ანგარიში

თბილისი

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (ი. ჭავჭავაძის 13, ტელ.: 2 22 03 51).

ინსტიტუტი შედგება ორი დეპარტამენტისაგან:

ა) ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტი;

ბ) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტი.

ინსტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი:

ა) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

ბ) ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი „ორიონი“.

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი: ფილ. მეცნ. დოქტორი, სრ. პროფ. რამაზ ქურდაძე.

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

პროფესორი რამაზ ქურდაძე, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, ასოცირებული პროფესორი ლელა ციხელაშვილი, ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული, ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია, ასოცირებული პროფესორი სალომე ომიადე, ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი, ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე.

ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია**, ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგიანი-სუბარი**, ასოცირებული პროფესორი **ნინო შარაშენიძე**, ასოცირებული პროფესორი **გიული შაბაშვილი**, ემერიტუს პროფესორი **დამანა მელიქიშვილი**, პემერიტუს პროფესორი **ვახტანგ იმნაიშვილი**, ემერიტუს პროფესორი **მერი ნიკოლაიშვილი**, პფილოლოგიის მეცნ. დოქტორი **პატიკო ცხადაია**, პროფესორის. ასისტენტი **მაია მადუაშვილი**.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	FDFP– ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა (2010–2013)	ღია საზოგადოების ინსტიტუტი	რამაზ ქურდაძე	რამაზ ქურდაძე
<p style="text-align: center;">(ანოტაცია)</p> <p>პროექტის ზოგადი აღწერა: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის საგნის “ენა და კულტურა – ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტების“ სილაბუსის განვითარება, სალექციო კურსის „ქართული ენა 1 – ქართული ენა დამწყებთათვის“ წაკითხვა მასპინძელ უნივერსიტეტში.</p> <p>აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა 3 წლის მანძილზე, პროექტის გეგმის მიხედვით მონაწილეს ევალუბოდა, სამი წლის მანძილზე ყოველი გაზაფხულის სემესტრი გაეტარებინა ამერიკის მასპინძელ უნივერსიტეტში, სადაც უნდა განვითარებინა სილაბუსი საქართველოს უნივერსიტეტისათვის და ჩაეტარებინა ლექციები და სპეციალური სემინარები მასპინძელი უნივერსიტეტისათვის. მასპინძელი უნივერსიტეტი იყო დარტმუთის კოლეჯი, ქ. ჰანოვერი, ნიუ ჰამფშირის შტატი, აშშ; უშუალო მასპინძელი კი პროფესორი იოანა ჩიტორანი.</p> <p>თავდაპირველად პროექტს წინ უძღოდა ერთთვიანი ტრენინგი ბილგის ამერიკულ უნივერსიტეტში, სტამბოლი, თურქეთი 2010 წლის ივლისი. ტრენინგის მიზანი იყო აკადემიური წერის, კურიკულუმებისა და სილაბუსების შედგენის პრინციპების თანამედროვე პრინციპების გაცნობა.</p> <p>უშუალოდ ამერიკაში გამგზავრებამდე რ. ქურდაძემ კიდევ ერთი ერთკვირიანი ტრენინგი გაიარა 2011 წლის იანვარში, ბუდაპეშტში, სადაც ერთგვარი შემაჯამებელი ლექციები იქნა წაკითხული იმ საკითხებზე, რაზადაც 2010 წლის ზაფხულში იყო განხილული სტამბოლის ტრენინგზე.</p> <p>აღნიშნული პროგრამა ფაქტობრივად არის ერთგვარი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის პროექტის ფარგლებში. ამ პროგრამით ივარაუდება ამერიკულ მასპინძელ უნივერსიტეტში კურსებზე დასწრება, ლექციების წაკითხვა მასპინძელ უნივერსიტეტში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, სილაბუსის განვითარება საკუთრივ ქართული უნივერსიტეტისათვის და სხვ.</p> <p>ამ თვალსაზრისით რ. ქურდაძის მიერ განვითარებულ იქნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა</p>				

ფაკულტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის კურსის „ენა და კულტურა - ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტების“ სილაბუსი, კერძოდ, მასპინძელ უნივერსიტეტში მოსმენილი ლექციებისა და კონფერენციების მასალების საფუძველზე სოციალური და პროფესიული დიალექტების, ენისა და გენდერის, მეორე ენის სწავლების საკითხების შესახებ. ქურდაძემ შეადგინა საკითხავი (რიდერი). დანარჩენი აქტუვობა წარმოდგენილია ქვემოთ წლების მიხედვით

2011

2011 წლის გაზაფხულის სემესტრში რ. ქურდაძემ მოისმინა დარტმუთის კოლეჯის ლინგვისტიკისა და კოგნიტურ მეცნიერებათა პროგრამის ასოცირებული პროფესორის იოანა ჩიტორანის კურსი: „კავკასიურ ენათა ბგერათა შედარებითი სისტემები“ და პროფ. ჯაიმს სტენფორდის კურსი: „სოციოლინგვისტიკა“ და უფროსი ლექტორის ტიმოთი პულიოს კურსი: „ენათმეცნიერების შესავალი“.

რ. ქურდაძე არა მარტო ესწრებოდა პროფ. იოანა ჩიტორანის ზემოაღნიშნულ ლექციებს, არამედ თვითონაც, პროფ. ჩიტორანის თხოვნით ჩაატარა რამდენიმე ლექცია, კერძოდ, „გარდამავალი ზმნის სტრუქტურა ქართულში“, 25 იანვარი, 2011, „ქართული და სხვა ქართველური ენების დიალექტები“, 22 თებერვალი, 2011, „რედუქცია ქათულსა და სვანურში“, 24 თებერვალი, 2011, „ნასესხებ სიტყვათა ისტორიისათვის ქართულში“ 1 მარტი, 2011.

2011 წლის გაზაფხულის სემესტრში რ. ქურდაძემ მოამზადა სპეციალური სილაბუსი და მასპინძელ უნივერსიტეტში წაიკითხა კურსი: „ქართული ენა 1 - ქართული ენა დამწყებთათვის“.

რ. ქურდაძე აგრეთვე დაესწრო „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ FDFP-ის ანუ ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის საგაზაფხულო კონფერენციას, 22-24 აპრილი, 2011, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ.

2012

2012 წლის გაზაფხულის სემესტრში რ. ქურდაძემ მოისმინა დარტმუთის კოლეჯის ლინგვისტიკისა და კოგნიტურ მეცნიერებათა პროგრამის ასოცირებული პროფესორის დავით პეტერსონის კურსი: „დისკურსის ანალიზი“ და პროფ. ადამ კეის კურსი: „კულტურათა შორისი სწავლება და განათლება“.

რ. ქურდაძე აგრეთვე დაესწრო მიკროტექსტის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს, 25-27 მარტი, 2013, სტენფორდის უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ.

რ. ქურდაძე აგრეთვე დაესწრო ფორმალური ლინგვისტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ დასავლეთ სანაპიროს 30-ე კონფერენციას, 13-15 აპრილი, 2012, კალიფორნიის უნივერსიტეტი სანტა კრუზი, კალიფორნია, აშშ.

რ. ქურდაძემ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე: „ტიპოლოგიურ მსგავსებათა მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს“ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ FDFP-ის ანუ ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ყოველწლიურ საგაზაფხულო მე-15 კონფერენციაზე, ლექსინგტონის უნივერსიტეტის განათლების კოლეჯი, 1-2 მაისი, 2012, ლექსინგტონი, კენტუკის შტატი, აშშ.

რ. ქურდაძემ ჩაატარა 4 ლექცია ქართული ენის ბგერითი შედგენილობის შესახებ დარტმუთის კოლეჯში, პროფ იოანა ჩიტორანის კურსის „ექსპერიმენტული ფონეტიკის“ სტუდენტებისათვის, 9, 11, 14, 16 მაისი, 2012, ქ. ჰანოვერი, ნიუ ჰამფშირის შტატი, აშშ.

რ. ქურდაძემ ჩაატარა ლექცია-საუბარი თ. აბულაძის ფილმის „მონანიების“ შესახებ დარტმუთის კოლეჯში, პროფ იოანა ჩიტორანისა და საქართველოში ამერიკის პირველი ელჩის კენეტ იალოვეცის კურსის „ენები და პოლიტიკა კავკასიაში“ სტუდენტებისათვის, 8 თებერვალი, 2012, ქ. ჰანოვერი, ნიუ ჰამფშირის შტატი, აშშ.

2013

2013 წლის გაზაფხულის სემესტრში რ. ქურდაძემ მოისმინა დარტმუთის კოლეჯის ლინგვისტიკისა და კოგნიტურ მეცნიერებათა პროგრამის უფროსი ლექტორის ტიმოთი პულიოს კურსი: „სემანტიკა და პრაგმატიკა“.

რ. ქურდაძე დაესწრო მიკროტექსტის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს, 25-27 მარტი, 2013, სტენფორდის უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ.

რ. ქურდაძე აგრეთვე დაესწრო „ღია საზოგადოების პროგრამების“: FDFP-ის ანუ ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერისა და დოქტორანტების პროგრამების გაერთიანებულ საგაზაფხულო კონფერენციას, 22-24 აპრილი, 2013, ნიუ იორკი, ნიუ იორკის შტატი, აშშ.

2013 წლის გაზაფხულის სემესტრში რ. ქურდაძემ მასპინძელ უნივერსიტეტში წაიკითხა კურსი: „ქართული ენა 1 - ქართული ენა დამწყებთათვის“.

პროექტის ფარგლებში რ. ქურდაძემ წარადგინა პრეზენტაცია: „ქართული დამწერლობა და სალიტერატურო ენა საუკუნეთა მანძილზე“, 15 აპრილი, 2013, ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ილინოისის შტატი, აშშ.

რ. ქურდაძემ ჩაატარა სემინარი თემაზე: „ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საკითხები“, ტამრა ვისოცკი-ნიიმის კლასი, 15 აპრილი, 2013, ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ილინოისის შტატი, აშშ.

აგრეთვე სემინარი თემაზე: ს. ფარაჯანოვის ფილმი „სურამის ციხე“, ტამრა ვისოცკი-ნიიმის კლასი, 15 აპრილი, 2013, ჩიკაგოს უნივერსიტეტის, ილინოისის შტატი, აშშ.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება (2013-2016)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (საგრანტო ხელშეკრულება № 31/64)	პროფ. დარეჯან თვალთვაძე	აკად. მზექალა შანიძე, ფილოლოგიის დოქტორი ელგუჯა გიუნაშვილი, დოქტორანტები: სოფიონ სარჯველაძე და ეკა კვიციანი.

(ანოტაცია)

პროექტის მიზანი და კვლევის აქტულობა: პროექტის მიზანია ახალი აღთქმის წიგნის, ლუკას სახარების, ძველი ქართული თარგმანის ყველა უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერის მიხედვით აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება.

ქართულ ენაზე IV-V საუკუნეებში ითარგმნა ბიბლიური ტექსტები და უპირველესად - ფსალმუნნი, სახარებები და ლექციონარი, რაც ფაქტობრივად დასტურდება V-VII საუკუნეების ძეგლებში (ხანმეტი ოთხთავი, გრაცის ხანმეტი ლექციონარი, ვენის ხანმეტი ლექციონარი, ძველი და ახალი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები). ბიბლიურ ტექსტებზე დაყრდნობით ყალიბდებოდა ქართული სალიტერატურო ენა.

რადგანაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ სალიტერატურო სკოლებში ითარგმნებოდა, ხოლო შემდგომ არსებული ტექსტის რედაქტირება ასევე საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა რედაქტორის მიერ ხდებოდა, ამდენად, თითოეულ წიგნს თავისი თარგმნისა და რედაქტირების ისტორია აქვს. სწორედ ამიტომ ბიბლიის ქართული თარგმანის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია მისი თითოეული წიგნის ცალკე შესწავლა და გამოცემა.

ბიბლიის ტექსტის კვლევის თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს ახალი აღთქმის თითოეული წიგნის შესწავლა და ამ წიგნების რედაქციების აკადემიურად მომზადებული ტექსტის პუბლიკაცია. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში შეისწავლება და გამოსაცემად მზადდება ძველი და ახალი აღთქმის ცალკეული წიგნების აკადემიური ტექსტები ძველ ბერძნულ, ებრაულ, სირიულ, კოპტურ და სხვა ენებზე. ხშირ შემთხვევაში შეისწავლება და გამოიცემა ცალკეული უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები. ამოცანის მიხედვით, აკადემიური ტექსტი დგინდება მოცემულ ენაზე არსებული ყველა უძველესი (თარგმანების შემთხვევაში) ან რედაქციის ფარგლებში წარმომადგენელი ხელნაწერების მიხედვით (ახალი აღთქმის ბერძნულ ენაზე შესრულებული ტექსტების შემთხვევაში). უდიდესი მნიშვნელობა აქვს

ბიბლიის თითოეული წიგნის ორიგინალისა და მისი უძველესი თარგმანების ურთიერთმიმართების შესწავლას.

კვლევის ობიექტი - ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანი - მოცემულია V-XV საუკუნეების 40-მდე ხელნაწერში (წინათონური რედაქციის ტექსტი, რომელზეც გიორგი მთაწმიდლამდე შექმნილი რედაქციების ტექსტს შეიცავენ) და XI-XIX საუკუნეების 250-მდე ხელნაწერში (გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი). თავად ოთხთავის ხელნაწერთა გარდა, სახარებათა ტექსტები დაცულია VIII-XI საუკუნეების ძველ ქართულ ლექციონარებშიც. პროექტის შემსრულებლები გეგმავენ შეისწავლონ და დაადგინონ ლუკას სახარების ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციამდე არსებული ყველა ხელნაწერისა და ლექციონართა საკითხავების მიხედვით, გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ტექსტი კი მისი XI-XIV საუკუნეების 15 ხელნაწერის მიხედვით.

ლუკას სახარების ტექსტი ელექტრონულ ვერსიაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახით: ლუკას სახარების თითოეული მუხლის აკადემიურად დადგენილი ტექსტი ჩაიწერება რედაქციათა მიხედვით, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე, ჰორიზონტალურად ისე, რომ მკითხველის ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ რომელ ხელნაწერში რა ტექსტი იკითხება. მუხლებს ქვევით დართული იქნება სქოლიოები, სადაც მიეთითება, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი ეს ტექსტი და რომელ მანუსკრიპტშია ამ ადგილას ლაკუნა. იქვე განთავსდება ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები, სადაც აისახება მცირე სხვაობები, ორთოგრაფიული და კალმისეული შეცდომები. ამგვარადვე მომზადდება და სახარების ძირითად ტექსტს დაერთვება ლუკას სახარების ძველ ქართულ ლექციონარების საკითხავებში დაცული ტექსტიც.

პროექტი ექვს ამოცანად დაიყო. პირველ ეტაპზე (2013 წლის მაისი- ოქტომბერი) მომზადდა ლუკას სახარების გიორგისეული რედაქციის ტექსტი 15 ძველი ხელნაწერის მიხედვით. ლუკას სახარების გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტის დასადგენად მოძიებულ შეირჩა ამ რედაქციის შემცველი შემდეგი 15 ხელნაწერი: 1. ალავერდის ოთხთავი (A-484), 1054 წ., 2. კალიპოსის ოთხთავი, ქუთ. 76, 1060 წ. 3. ვატიკანის ოთხთავი, XI ს., 4. Ath. 62, XI ს., 5. შავი მთის ოთხთავი, A-845, XI ს., 6. Sin.-19, 1074 წ., 7. Jer.-49, XI ს., 8. ვანის ოთხთავი, A-1335, XII-XIII სს., 9. ეჭმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს., 10. გელათის ოთხთავი Q-908, XII-XIII, 11. Jer.-93, XII ს., 12. იენაშის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. მესტია N73, XIII ს., 13. Sin 81, XII-XIII სს., 14. Jer.-103 XIII ს., 15. ქურაშის ოთხთავი, XII-XIII სს.).თხუთმეტივე ხელნაწერის მონაცემების გათალიწინებით დადგინდა ლუკას სახარების გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი და მომზადდა მისი ელექტრონული ვერსია .

მეორე ეტაპზე (2013 წლის ნოემბერი - 2014 წლის აპრილი) დამუშავდება წინათონური რედაქციის 10 ხელნაწერის ტექსტის მასალა. 2013 წლის დეკემბრის ბოლოსთვის შესწავლილი და დამუშავებულის წინათონური რედაქციის 4 ხელნაწერი (კერძოდ:

ადიშის, ანბანდიდის და 2 სინური ოთხთავის (Sin.15, Sin 30) მიხედვით.				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	<p>“Georgian Palimpsest Manuscripts“</p> <p>გერმანულ-ქართული ერთობლივი სამეცნიერო პროექტი: „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (30.04.2009 – 30.04.2013)</p>	<p>ფოლკსვაგენის ფონდი.</p> <p>VW-Stiftung, Az II/84408</p>	<p>ა) პროფ. იოსტ გიპერტი, პროფ. მანანა თანდაშვილი (გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, მაინის ფრანკფურტი)</p> <p>ბ) პროფ. დავით ლორთქიფანიძე (ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი, თბილისი)</p> <p>გ) პროფ. დარეჯან თვალთვაძე (თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, თბილისი)</p>	<p>პროფ. იოსტ გიპერტი, პროფ. მანანა თანდაშვილი (მაინის ფრანკფურტის იოჰან ვოფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი), პროფ. ბერნარ უტიე (პარიზი CNRS). ქართული მხრიდან პროექტში მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჯგუფის ხელმძღვანელი პროფ. დარეჯან თვალთვაძე) და ს.ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი (ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე). პროექტში ჩართულნი არიან: ფილოლოგიის დოქტორი მანანა მაჩხანელი, დოქტორანტები – სოფიო სარჯველაძე და ეკა კვიციანი, მაგისტრანტი ციცილო</p>

				გულედანი.
--	--	--	--	-----------

(ანოტაცია)

პროექტის წინაპირობა: 2004-2008 წლებში წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო ქართულ-გერმანულ-ფრანგული სამეცნიერო პროექტი “კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები”, რომლის მონაწილედ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის მკვლევართა ჯგუფთან ერთად იყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერთა ჯგუფიც (თსუ ასოც. პროფ. დ. თვალთავძე, ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლები მ. მაჩხანელი, ს. სარჯველაძე, მ. ოდიკაძე. თსუ მეცნიერთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა დ. თვალთავძე. მას შემდეგ, როცა ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგად გამოიცა სინას მთაზე აღმოჩენილი პალიმფსესტების ალბანური და სომხური ტექსტები, მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფის ყურადღება ქართული პალიმფსესტების სათანადო დამუშავებას და მათ გამოცემას დაეთმო და 2010 წლიდან ქართველ და ევროპელ მეცნიერთა თანამშრომლობა გაგრძელდა ახალი პროექტის ფარგლებში: “**ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები**”.

პროექტის მიზანი: პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული ქართული პალიმფსესტების თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით დამუშავებას (დიგიტალიზაციას), სამეცნიერო კვლევისათვის მისი ეფექტურად გამოყენების მიზნით. პალიმფსესტების სახით შემორჩენილი უძველესი ტექსტების იდენტიფიცირებას და გამოსაცემად მომზადებას.

პროექტის პარტნიორები: პროფ. იოსტ გიპერტი და პროფ. მანანა თანდაშვილი (მაინის ფრანკფურტის იოჰან ვოფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი), პროფ. ბერნარ უტიე (პარიზი CNRS). ქართული მხრიდან პროექტში მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჯგუფის ხელმძღვანელი პროფ. დარეჯან თვალთავძე) და ს.ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი (ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე). პროექტში ჩართულნი არიან: ფილოლოგიის დოქტორი მანანა მაჩხანელი, დოქტორანტები – სოფიო სარჯველაძე და ეკა კვიციანი, მაგისტრანტი ციცილო გულედანი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო : 1) საქართველოში მუზეუმებში დაცული პალიმფსესტების მულტისპექტრალური (დიგიტალური) დამუშავება 2) საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული პალიმფსესტების მულტისპექტრალური (დიგიტალური) დამუშავება (ლაიფციგის ეროვნული მუზეუმის, პარიზის და ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკებისა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მფლობელობაში არსებული ქართული პალიმფსესტები). 3) დიგიტალიზირებული პალიმფსესტების მეცნიერული

შესწავლა (ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფები). ხელშეკრულების თანახმად, კვლევის შედეგების პუბლიკაციის საკითხი დამატებით განიხილება პროექტის პარტნიორების მიერ პროექტის დამთავრებისას.

პროექტის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

2010 წელი, მარტი–ივლისი : პროექტის მონაწილეების მიერ შესწავლილ იქნა ქართულ ხელნაწერთა ადგილობრივ და უცხოურ საცავებში დაცული ხელნაწერების აღწერილობა–კალატალოგები, დადგინდა, რა რაოდენობის პალიმფსესტური ხელნაწერებია დაცული საქართველოში და მის ფარგლებ გარეთ და რა ოდენობის მასალა არის მოსამზადებელი მულტისპექტრული ანალიზის წესით დასამუშავებლად.

აგვისტო – სექტემბერი: განხორციელდა პროექტით დაგეგმილი სამეცნიერო მივლინება სვანეთში იქ დაცული ქართული ხელნაწერების შესასწავლად და პალიმფსესტური ნუსხების დიგიტალიზაციისთვის. Volkswagenstiftung-ის მიერ პროექტის განხორციელებისათვის შეძენილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მუსისის მულტისპექტრალური კამერა თანმხლების აქსესუარებით,) გადაღებულ იქნა მესტიის მუზეუმში დაცული რამდენიმე პალიმფსესტური ხელნაწერი და სვანეთის სხვა სოფლებში (ლახამურა, ლახუმტი, ეწერი) დაცული მანუსკრიპტები.

ოქტომბერი – დეკემბერი: მიმდინარეობდა გადაღებული მასალის მულტისპექტრული დამუშავება და ამოკითხული ტექსტების გაშიფრვა–იდენტიფიკაცია. აღნიშნული კვლევის შედეგები აისახა ჩემ მიერ წელს მომზადებულ სტატიაში: „სვანეთის ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმის N41 ხელნაწერში დაცული მათეს სახრების ტექსტისათვის“, რომელიც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებულში დაიბეჭდა, და პროფ. კორნელი დანელიას დაბადებიდან 75–ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში: „მათეს სახარების უცნობი რედაქციის ფრაგმენტი მესტიის მუზეუმის N41 ხელნაწერში“.

2011 წელი; იანვარი–აგვისტო: პროექტის მონაწილეების მიერ შესწავლილ იქნა 2010 წლის აგვისტო სექტემბერში სვანეთში მოწყობილი სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული მასალა. კერძოდ, Volkswagenstiftung-ის მიერ პროექტის განხორციელებისათვის შეძენილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მუსისის მულტისპექტრალური კამერა თანმხლების აქსესუარებით) გადაღებული მესტიის მუზეუმში დაცული რამდენიმე პალიმფსესტური ხელნაწერი და სვანეთის სხვა სოფლებში (ლახამურა, ლახუმტი, ეწერი) დაცული მანუსკრიპტები. მიმდინარეობდა გადაღებული მასალის მულტისპექტრული დამუშავება და ამოკითხული ტექსტების გაშიფრვა–იდენტიფიკაცია. აღნიშნული კვლევის შედეგები აისახა ჩემ მიერ წელს მომზადებულ სტატიაში: სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიზების ხელნაწერი (თანაავტორი ს. სარჯველაძე), რომელიც დაიბეჭდა კრებულში „FOLIA CAUCASICA“, რომელიც მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტმა და თსუ–მ ერთობლივად გამოსცა.

სექტემბერი – დეკემბერი: მიმდინარეობდა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკის პალიმფესტური ხელნაწერის (Vienna 2) გადაღებული მასალის მულტისპექტრული დამუშავება და ამოკითხული ტექსტების გაშიფრვა-იდენტიფიკაცია. სულ დამუშავებული და წაკითხული აღნიშნული ხელნაწერის 136 ფურცელი. მომზადდა მასალები ვენური პალიმფესტური ხელნაწერის (Vienna 2) დიპლომატიური გამოცემისათვის.

2012 წელი, იანვარი-მარტი: გრძელდებოდა მუშაობა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკის პალიმფესტური ხელნაწერის (Vienna 2) გადაღებული მასალის მულტისპექტრული დამუშავებასა და ამოკითხული ტექსტების გაშიფრვა-იდენტიფიკაციაზე. მომზადდა მასალები ვენური პალიმფესტური ხელნაწერის (Vienna 2) დიპლომატიური გამოცემისათვის.

აპრილი - ოქტომბერი: პროექტის მონაწილეების მიერ შესწავლილ იქნა 2010 წლის აგვისტო-სექტემბერში სვანეთში მოწყობილი სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული მასალა. კერძოდ, Volkswagenstiftung-ის მიერ პროექტის განხორციელებისათვის შეძენილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მუსისის მულტისპექტრალური კამერა თანმხლების აქსესუარებით) გადაღებული მესტიის მუზეუმში დაცული რამდენიმე პალიმფესტური მანუსკრიპტები. მიმდინარეობდა სინური პალიმფესტების მულტისპექტრული დამუშავება და ასომთავრული ანბანით შესრულებული ქვედა ფენის ტექსტის ამოკითხვა-გაშიფრვა და ამოკითხული ტექსტების იდენტიფიკაცია.

ნოემბერი-დეკემბერი: პროექტის მონაწილეებმა დავიწყეთ მუშაობა მესტიის მუზეუმის N 5 ხელნაწერის ქვედა ფენის ნუსხური ანბანით შესრულებული ტექტის წაკითხვა-გაშიფრავასა და იდენტიფიკაციაზე. წაკითხული იქნა ხელნაწერის 6 გვერდი (32r-37v).

2013 წლის იანვარი - მარტი. გრძელდებოდა მუშაობა მესტიის მუზეუმის N 5 პალიმფესტური ხელნაწერის ქვედა ფენის ნუსხური ანბანით შესრულებული ტექტის დარჩენილი ნაწილის წაკითხვა-გაშიფრავასა და იდენტიფიკაციაზე. ამ ეტაპზე პალიმფესტური ფურცლების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ძლისპირთა ძველი რედაქციის ტექსტთან. პალიმფესტური ხელნაწერების წაკითხული და იდენტიფიცირები ტექსტები გამოქვეყნდება ელექტრონულად (titus.uni-frankfurt.de). მიმდინარეობს მუშაობა ტექსტის და გამოკვლევის ბეჭდური წესით გამოცემის მოსამზადებლად.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	ქართული ენის ეროვნული კორპუსი GNC (I) მოსამზადებელი	ფოლკსვაგენის ფონდი. VW-Stiftung, Az	პროფ. იოსტ გიპერტი, პროფ. მანანა თანდაშვილი (გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი,	დარეჯან თვალთვაძე (ძველი ქართული ენის ტექსტების დამუშავებაზე მომუშავე თსუ-ს

	<p>ეტაპი) (15. 11.2012 15. 12.2013)</p>	<p>86514).</p>	<p>მაინის ფრანკფურტი)</p>	<p>მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი),. მზექალა შანიძე, ლელა ციხელაშვილი, ნინო შარაშენიძე, თსუ-ის დოქტორანტები, მაგისტრანტები და სტუდენტები.</p>
--	---	----------------	---------------------------	---

(ანოტაცია)

პროექტის აღწერა: ქართული ენის ეროვნული კორპუსი არის საინფორმაციო – საცნობარო სისტემა, რომელიც ეფუძნება ელექტრონული ფორმით არსებულ ტექსტურ ბაზებს. მან უნდა წარმოადგინოს ქართული ენა მთელი მისი მრავალფეროვნებით, დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში, ტერიტორიული და სოციალური ვარიანტებით, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ტექსტებით, გრამატიკული და ბიბლიოგრაფიული აპარატით, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისთვის. ქართველოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მწვავედ იგრძნობა ენის სტრუქტურის შესასწავლად ახალი მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება, რომლებიც საშუალებას მისცემენ მკვლევრებს სანდოობის მაღალი ხარისხით მოახდინონ ამ თუ იმ ლინგვისტური ჰიპოთეზის თუ მოდელის ვერიფიცირება და მიიღონ პრინციპულად ახალი კვლევის შედეგები. გარდა ამისა, კორპუსზე ორიენტირებულმა კვლევებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი აქამდე ნაკლებად შესწავლილი საკითხების ინტენსიურ კვლევასა და ახალი სამეცნიერო პრობლემატიკის წარმოჩენას. ამასთან ერთად, ქართული ენის ეროვნული კორპუსი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ქართული ენის სწვლების ინსტრუმენტი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ენის „ტექნოლოგიზება“ დიდი სახელმწიფოების მთავარ სტრატეგიად იქცა. ამ სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილი კი ვრცელი ელექტრონული ტექსტური კორპუსების შექმნაა. დიდი ხანია არსებობს ამერიკული, ბრიტანული, ჩეხური, რუსული, სომხური და სხვ. ენათა ეროვნული კორპუსები... შესაბამისად, ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნა დღევანდელი ქართული მეცნიერების მთავარი ამოცანაა.

პროექტის მიზანი: პროექტი მიზნად ისახავს ქართული ენის ეროვნული კორპუსის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას, რაც გულისხმობს ქართული ენის უკვე არსებული ელექტრონული რესურსების დამუშავებას და კორპუსის ფორმატში გადატანას. არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, რაც ჩვეულებრივ ტექსტურ ბაზას კორპუსისაგან განასხვავებს, არის ტექსტების აღჭურვა ისეთი მეტამონაცემებით, როგორიცაა: ცნობები

ავტორის შესახებ, თარიღი, შექმნის ადგილი, მთარგმნელი, ჟანრი ... და მისი საგანგებო წესით დამუშავება (თავის, აზნაცის, მუხლის, გვერდის, სტრიქონის მითითება...).

პროექტის წინაპირობა: გასული საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული დღემდე გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორის იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით მკვლევართა ჯგუფების მიერ საქართველოში განხორციელებულ მასშტაბური პროექტების შედეგად შეიქმნა ქართული ენის დიაქრონიული კორპუსის მდიდარი ელექტრონული ბაზა. ამ ბაზების შექმნაზე გერმანელ კოლეგებთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კერძოდ: ძველი ქართული ენის კათედრის, ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია “ორიონის”, ახალი ქართული ენის კათედრის; ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების კათედრის თანამშრომლები. 2002 წლიდან დღემდე ფრანკფურტის უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფები რამდენიმე სხვა სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (“კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები”, “ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები”, ქართული ოთხთავის აკადემიური გამოცემა და სახარებების შემცველი ხელნაწერების კატალოგი” (INTAS) და სხვ.) აგრძელებდნენ თანამშრომლობას და TITUS-ის ARMAZI-ს ტექსტური ბაზის შევსებას. დღეისთვის იქ განთავსებულია ძველი და საშუალო ქართულის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ამჟამად ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომია TITUS-ისა და ARMAZI-ის რესურსები: <http://titus.uni-frankfurt.de>; <http://armazi.uni-frankfurt.de> ქართული ენის ეროვნული კორპუსის პირველი მოსამზადებელი ეტაპი სწორედ ამ მასალის სპეციალური მეტამონაცემებით აღჭურვას, მათთვის ე.წ. ტექსტის პასპორტის (ჰედერების) შექმნას გულისხმობს, რომ TITUS-ის და ARMAZI-ის ელექტრონული ტექსტები გახდეს ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC-ის) ნაწილი. ქართული ენის ეროვნული კორპუსი ახლო მომავალში გახდება საყრდენი ბაზა როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებისათვის ჰუმანიტარულ დისციპლინებში, ასევე სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარსამართავად და მომავალში ქართულენოვანი ავტომატური სათარგმნი სისტემის შესაქმნელად.

პროექტის მონაწილეები: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, არნ. ჩიქობავს სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და სხვ.

თსუ ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი პროექტში წარმოდგენილია 2 ჯგუფით: ა) ძველი ქართული ენის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ აკად. მზექალა შანიძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე და ასოც. პროფ. ლელა ციხელაშვილი და ბ) საშუალო ქართულის ჯგუფით, რომელსაც ხელმძღვანელობს ასოც.პროფ. ნინო შარაშენიძე.

პროექტის დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაში ჩართული არიან ქართული ენის მიმართულების მაგისტრანტები, დოქტორანტები და ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებიც (სულ 16 სტუდენტი). პროექტის მონაწილეებმა 2013 წელს იმუშავეს TITUS-ისა და ARMAZ-ის ელექტრონული ბაზების ძველი ქართულის 90 და საშუალო ქართული 26 ძეგლის ჰედერების შექმნაზე და მონაცემთა დამუშავებაზე. გარდა ამისა, არსებული ელექტრონული ბაზები შეივსო ახალი მასალითაც (დამუშავდა XII-XVIII საუკუნეების რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ტექსტი, მაგ. ბაქარის ბიბლია, კარაბადინები და სხვ.). მიმდინარეობდა მუშაობა ძველი ქართულის ანალიზატორის კომპიუტერული პროგრამის შესაქმნელად ლინგვისტური მასალის მარკირების სისტემის დამუშავებაზე.

2013 წლის დეკემბერში დასრულდა პროექტის ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) I მოსამზადებელი ეტაპი. პროექტის მეორე ეტაპი 2014 წლის მარტიდან დაიწყება.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ორენოვანი წიგნიერების განვითარება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში“ (2012-2014)	USAID		კახა გაბუნია (ექსპერტი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	„მასწავლებელთა მრავალენოვანი პროგრამის შემუშავება და დანერგვა უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტებში.“ (2012-2015)	ტემპუსი, ევროკომისია		კახა გაბუნია (თანაავტორი, ექსპერტი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

7	ქართული ენის ელექტრონული კურსის დანერგვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (2013)	ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო		კახა გაბუნია (მთავარი კონსულტანტი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8	„ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურებზე“	USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC)		კახა გაბუნია (ექსპერტი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9	უმადლეს სასწავლებლებში განათლების საშეღავათო პოლიტიკისა და ერთწლიანი ქართული ენის პროგრამის	გაეროს ასოციაციის მიერ და განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ		კახა გაბუნია (ექსპერტი)

	ეფექტურობა საქართველოში (2013)	დამფინანსებული პროგრამის "ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება" (ANI) ფარგლებში.		
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10	წიგნიერების განვითარება საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (2013-2014)	ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	კახა გაბუნია	კახა გაბუნია
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11	ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა მომზადება (14.12.2013 – 22.12.2013)	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		კახა გაბუნია (ტრენერი. მოდულის ავტორი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12	წარდგენილია დასაფინანსებლად – ქართული ენის მორფოლოგიური ლექსიკონი (2014-	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კახა გაბუნია	კახა გაბუნია

	2015)			
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
13	<p>პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მონიტორინგი (დამტკიცებული განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 2 მაისის # 180 ბრძანებით)</p> <p>ქვეპროგრამა - ბილინგვური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა არაქართულენოვან სკოლებში (01.07.2013-31.12.2013)</p>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		სალომე ომიაძე (ენათმეცნიერი)
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
14	<p>„ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამა“:</p> <p>ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის შექმნა არაქართველთათვის;</p> <p>სახელმძღვანელო „ქართული, როგორც უცხო ენა“ A2.1 და A2.2 დონეები (რედაქტირება)</p> <p>(2013 წლის 1</p>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფ. მარიკა ოძელი	რუსუდან ზეკალაშვილი (ქართული ენის ექსპერტი)

	თებერვალი - 2013 წლის 31 დეკემბერი)			
(ანოტაცია)				
<p>პროექტის მიზანი:</p>				
<p>ქართულის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოების შედგენა და რედაქტირება;</p> <p>ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდის სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შედგენა;</p> <p>არაქართველთათვის ადაპტირებული საკითხავი წიგნის (A1-A2 დონეები) შედგენა;</p> <p>სახელმძღვანელოთა სავარჯიშოების შედგენა და გახმოვანება.</p>				
<p>2013 წელს შესრულებული სამუშაოს მოკლე აღწერილობა:</p>				
<p>მასალის შერჩევა ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურისთვის არაქართველთათვის A1-A2 დონეების მიხედვით;</p> <p>შერჩეული მასალის ადაპტირება შესაბამისი დონისთვის;</p> <p>ლექსიკონის შედგენა ადაპტირებული ტექსტებისთვის;</p> <p>ელექტრონული დისკის შექმნა სავარჯიშოებისთვის, ტექსტებისა და დიალოგების გახმოვანებით.</p> <p>ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის სამუშაო ვარიანტის შემუშავება ქართული ენის ფლობის A1 და A2 დონეებისათვის, მისი რედაქტირება.</p>				
<p>ადაპტირებულია ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები (სულხან-საბა ორბელიანის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ოტია იოსელიანის, გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის, ნუგზარ შატაძის, ერლომ ახვლედიანის, რეზო ჭყიშვილის, ნათია როსტიაშვილის, ვოვა კიკილაშვილის, ინა არჩუაშვილის; ანტონ ჩეხოვის, მარკ ტვენის, ჩარლზ დიკენსის, უილიამ თეკერის, ფრანსუა რაბლეს, ო'ჰენრის)</p>				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
15	წარდგენილია დასაფინანსებლად – ქართული ენის	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		რუსუდან ზეკალაშვილი, გიული შაბაშვილი

	ლინგვისტური კატეგორიები (2014–17)			
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
16	„სივრცე და დრო ქართველურ ენებში“ (#დ-13/20) (2013–2015)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროფ. მანანა თანდაშვილი (ხელმძღვანელი), პროფ. იზაბელა ქობალავა (თანახელმძღვანელი)	მაია ლომია

(ანოტაცია)

პროექტის აქტუალობა

ლინგვისტიკის განვითარებაში უკანასკნელ ათეულ წლებში კოგნიტიური პარადიგმის დამკვიდრებასთან დაკავშირებით სულ უფრო აქტუალური ხდება ენის მთლიანი ფუნქციონირების მოდელირება. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამყაროს ენობრივი სურათების დადგენა. ენობრივი ასახვის სპეციფიკის კვლევა, რაც მეცნიერების სხვადასხვა დარგის ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, კულტუროლოგიისა და სხვ.) ინტერესთა სფეროს განეკუთვნება. წარმოდგენილი პროექტი ეხება ქართველურ ენებში სივრცის, დროის და მათთან კავშირში მოძრაობის ენობრივ ასახვას. სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ენობრივი საშუალებები უნივერსალურთან ერთად ეროვნულ-სპეციფიკურიცაა. აქედან გასაგები ხდება ის აქტუალობა, რომელიც ახლავს ცალკეულ ენათა შესწავლას და ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ადეკვატურად გაანალიზებულ კონკრეტულ ენობრივ მასალას ზოგადტიპოლოგიური კვლევებისთვის.

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანი რამდენიმე საკითხად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ქართველურ ენათა მიხედვით სივრცულ და დროით მიმართებათა გამოხატვის ეროვნული საშუალებების პარადიგმატული აღწერა.
2. მათი სისტემატიზაცია სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.
3. ფუნქციურ –სემანტიკური ანალიზი.

- *შესრულებული სამუშაო:*
- სივრცულ მიმართებათა ენობრივი საშუალებების აღწერა და ანალიზი ლაზური მასალის მიხედვით მთლიანად, მეგრული მასალის მიხედვით ნაწილობრივ. ამ მიზნით

ლაზეთსა და სამეგრელოში მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობა მიღებული შედეგების მეცნიერული ანალიზი წარვადგინე გრანტის ფარგლებში დაგეგმილ სემინარზე 2013 წლის ნოემბერში.

- გრანტის ფარგლებში ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში გავაკეთე შემაჯამებელი მოხსენება (თანავტორთან ერთად), რომელიც ქართველურ ენებში სტატიკური ზმნების სემანტიკურ ანალიზს შეეხებოდა.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
17	„ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები)“ (#31/20) (2013–2015)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რუსუდან გერსამია	მაია ლომია

(ანოტაცია)

- პროექტის აქტუალობა**

ტერმინი *ფონოსემანტიკა* ყველაზე უკეთ ასახავს იმ შინაარსს, რომელიც გულისხმობს ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს შორის კავშირს. ფორმოზრივი, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტების ერთობლიობა ხელს უწყობს სამეცნიერო ინტერესის ფოკუსირებას ბგერწერით/ფონოსემანტიკურ ლექსიკაზე. ფონოსემანტიკური პრინციპი ქართველურ ენებში სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა, რომლის შედეგადაც ამ ენათა ფარგლებში ვლინდება სრული სემანტიკური სხვაობა და მნიშვნელობათა ცალკეული ნიუანსები. ამ ტიპის ლექსემათა პირველი სისტემატიზაცია მოგვცა ტ. გუდავამ, მაგრამ მხოლოდ მეგრულისათვის. რაც შეეხება სვანურის ან ლაზურის მონაცემებს, ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობას ლინგვისტურ ლიტერატურაში ვერ ვხვდებით.

- პროექტის მიზანი**

ლაზურში ამ ტიპის მასალა არ არის აღწერილი და, შესაბამისად, არც გაანალიზებული. არსებული კვლევების მიუხედავად, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველური ენებისთვის საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას: ლექსიკის სრულად აღწერას, მონაცემთა შედარებას და სპეციალურ

ანალიზს.

- მესრულებული სამუშაო
- ლაზეთში მოწყობილი ექსპედიციის შედეგად ნაწილობრივ აღწერილია ფონოსემანტიკური ლექსიკა ლაზურში.
- დამუშავებულია სპეციალური პარაგრაფი – „ბგერათსიმბოლიზმის განვითარების დინამიკა ქართველურ ენებში“, რომელიც სამომავლოდ მონოგრაფიაში ჩაერთვება. აღნიშნულ საკითხზე, თანავტორთან ერთად, საფრანგეთში, კერძოდ ქ. დიჟონში, ბურგუნდიის უნივერსიტეტში გავაგზავნე თეზისები სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ბგერითი სიმბოლიზმის თეორიათა ისტორიას, ლინგვისტური იკონურობის ტრადიციებს და შარლ დე ბროსეს წვლილს ეძღვნება. საორგანიზაციო კომიტეტისგან მივიღე დადებითი რეცენზიები და მოწვევა. კონფერენცია გაიმართება 2014 წლის თებერვალში.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
18	„ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)“ (2013–2016)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქეთევან მარგიანი-სუბარი	ქეთევან მარგიანი-სუბარი

(ანოტაცია)

საგრანტო პროექტის („ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონო-ლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)“ წინასწარ შედგენილი პროსპექტის მოთხოვნათა საფუძველზე შეირჩა ინდექსი სვანური პუბლიკაციებიდან.

გაკეთდა 1-ლი ტრანშით გათვალისწინებული (ა – ე) გრაფემებზე დაწყებულ ლექსებათა ინდექსი, ითარგმნა ქართულად და ინგლისურად, თითოეულ სალექსიკონო ერთეულს მიეწერა

სახელობითი ბრუნვის (სახელებს) და მასდარის (ზმნებს) ფორ-მები;

დამუშავდა ა-ე გრაფემებ-ზე დაწყებული ელიზიური ზმნური ფუძეები მომდინარეობის ჩვენებით;

კომპიუტერში შევიტანეთ და საინდექსოდ მოვამზადეთ ვ. თოფურიას წიგნში „სვანური ენა, I, ზმნა, I“ შესული სვანური მასალა.

რადგანაც ზოგიერთი სვანური ტექსტი თითქმის 100 წლის წინაა ფიქსირებული და მათში წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები თანამედროვე მეტყველებისათვის რამდენადმე უცნაურად გამოიყურება, ჩვენ შევეცადეთ მათთვის მიგვეცა სწორი ფონოლოგიურ-გრამატიკული ახსნა, რაც სქოლიოების სახით დავურთეთ (რამდენადაც პუბლიკაციებში წარმოდგენილ მასალას უკვე ვეღარ შევცვლიდით).

საგრანტო პროექტის I ტრანშით გათალისწინებული ამოცანები ფაქტობრივად ზედმიწევნით შესრულდა: შედგა ინდექსის 259-გვერდიანი ელექტრონულ ვერსია, ასევე შეიქმნა ელ. ბაზა ვ. თოფურიას „სვანური ზმნის“ მასალისთვის შემდგომი დამუშავებისა და ინდექსზე გაწყობისთვის (77 კომპ. გვერდი); სულ I ტრანშის შედეგებმა მოიცვა **336 კომპიუტერული გვერდი**.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
19	წარდგენილია დასაფინანსებლად – „უგული, კალა, ხალდე, ჰადიში“ (ინტერდისციპლინარული გამოკვლევა ინდექსებითა და ინგლისური რეზიუმეებით) (2014–2017)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		ქეთევან მარგიანი-სუბარი
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

20	ქართული ენის დიალექტების მორფოლოგია (2013–15)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		ნინო შარაშენიძე
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
21	მულტილინგვური განათლება (2012–14)	TEMPUS		ნინო შარაშენიძე
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
22	წარდგენილია დასაფინანსებლად – ქართული ენის ლინგვისტური კატეგორიები (2013–16)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		ნინო შარაშენიძე
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
23	ზმნური კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი (01.04.2014-	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიული შაბაშვილი	გიული შაბაშვილი

	30.07.2014)			
<p style="text-align: center;">(ანოტაცია)</p> <p>კვლევის მიზანია ქართული ენის მონაცემების ბაზაზე ზმნური კონსტრუქციების კომპლექსური აღწერა; კვლევის თანამედროვე მეთოდების საფუძველზე მათი სისტემური, ფუნქციურ-სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული თავისებურებების გამოვლენა. კვლევა მიზნად ისახავს ზმნური კონსტრუქციების სისტემური მოდელების შექმნას, რომლებიც საფუძველი გახდება შემდგომ როგორც კონტრასტული და ტიპოლოგიური კვლევებისათვის, ისე ქართული ენის მანქანური დამუშავებისათვის.</p> <p>ზმნური კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების გამოსავლენად აუცილებელია რამდენიმე ეტაპის გათვალისწინება:</p> <ul style="list-style-type: none"> ∅ კვლევის მიდგომის შემუშავება, კვლევის თანამედროვე მეთოდების გაანალიზება და ქართულ მასალაზე მორგება; ∅ მასალის მოძიება, დაჯგუფება და დახარისხება; ∅ ზმნების სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა; ∅ ზმნური კონსტრუქციების რეალიზების სინტაქსური გარემოს გამოვლენა; ∅ ზმნური სემანტიკური ჯგუფების პრაგმატიკული რეალიზაციის მოტივაციის საფუძვლისა და რეალიზების მექანიზმების გამოვლენა; ∅ ზმნური კონსტრუქციების პრაგმატიკული მოდელების შემუშავება; ∅ ზმნური კონსტრუქციების ყველა შესაძლო ფუნქციურ-სემანტიკური და ასპექტური მახასიათებლის გამოვლენა; ∅ სტატისტიკური მონაცემების შეჯამება; ∅ კონსტრუქციების ფუნქციონირების სისტემების, ფუნქციონირების სქემისა და ფორმულების გამოყვანა, მოდელირება; ∅ კვლევისას გამოვლენილი სემანტიკური მახასიათებლების ფუნქციონირების ტესტირება. 				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

24	პროკლე დიადოხოსი, 'კავშირნი ღმრთისმეტყველები თნი' (H-№1337 ხელნაწერის კრიტიკული გამოცემა)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დამანა მელიქიშვილი	დამანა მელიქიშვილი, მაია რაფავა
----	---	--	--------------------	---------------------------------

ანოტაცია

პროექტის მიზანია:

1. პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის, «თეოლოგიის საფუძვლების» («კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი»), იოანე პეტრიწისეული თარგმანის H-#1337 ნუსხის კრიტიკული და ფაქსიმილური გამოცემა კრიტიკული აპარატით, ლექსიკონით და გამოკვლევით 2 წიგნად (დ. მელიქიშვილი)

2. პროკლეს "კავშირნისა" და მისი პეტრიწისეული განმარტების 1248 წლის ქართულიდან სომხურად 1248 წელს შესრულებული თარგმანის(მატენადარანის №1500 და №1832 ხელნაწერების მიხედვით) მომზადება გამოსაცემად გამოკვლევითურთ (მ. რაფავა).

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---------------------	--------------------------------	---------------------

1	პატივო ცხადაია	სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII ტომი (სენაკის რაიონი)	გამომცემლობა „უნივერსალი“ 2013 წელი	438
2	პატივო ცხადაია	სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII ტომი (აბაშის რაიონი)	გამომცემლობა „უნივერსალი“ 2013 წელი	302

ანოტაციები

1. პატივო ცხადაია - სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII ტომი (სენაკის რაიონი)

ათასობით წლების მანძილზე შექმნილ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ტოპონიმები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ყველა ასპექტზე. მაგრამ არანაკლებ მეტყველია დღემდე ფუნქციონირებადი დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებანი, ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია რეგიონების ტოპონიმური მასალის სრულად აღწერა და გამოცემა.

სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (სერია) სწორედ ამ მიზანს ისახავს. უკვე გამოცემულია წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის (ორ წიგნად) რაიონების (მუნიციპალიტეტების) ტოპონიმური მასალა. ამჯერად მკითხველსა თუ მკვლევარს წარმოვუდგენთ სენაკის რაიონის ტოპონიმას, რომელიც ჩაწერილია 1984-1986 წლებში. ავტორი შეეცადა, თითოეულ სახელწოდებასთან წარმოდგენილი ყოფილიყო ამ სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია (სოფლის შიგნით ადგილმდებარეობის მითითება), სახელის მოტივაცია, ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი... პირველ რიგში დამოწმებულია რესპოდენტთა განმარტებანი, აგრეთვე არსებული ლექსიკონები და საისტორიო წყაროები (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დეტალურად და ამომწურავად არის შესწავლილი).

2. პატივო ცხადაია - სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII ტომი (აბაშის რაიონი)

აბაშის რაიონის ტერიტორია სამეგრელოს რეგიონის სხვა რაიონებზე მცირეა (320,5 კვ.კმ), მაგრამ მისი ტოპონიმია ისევეა წარსულის მატთანე, ხალხის ყოფა-ცხოვრების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, ომიანობისა თუ მშვიდობიანობის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი, როგორც საერთოდ მთელი ქვეყნის ტოპონიმია. წინამდებარე სალექსიკონო მასალა, რომელიც ჩაწერილია 1984-1986 წლებში წარმოადგენს სპეციალური სერიის _ 'სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი' _ დამასრულებელ (VIII) წიგნს.

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კახა გაბუნია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა, ლაპარაკი)	თბილისი, „საიმედო“, 2013	1-146
2	კახა გაბუნია	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა, წერა)	თბილისი, „საიმედო“, 2013	1-320
3	კახა გაბუნია	ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების ანალიზი ინტერკულტურული მგრძობელობის თვალსაზრისით (კვლევა)	„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის გამომცემლობა, 2013	44-119
4	მერი ნიკოლაიშვილი	"ქართული ენა" (ინგლისურენოვანთან თვის), მე-3 გამოცემა	გამომცემლობა, "განათლება", თბ., 2013	1-210
ანოტაციები				

1. კახა გაბუნია - ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა. ლაპარაკი)

სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის (მოსმენისა და ლაპარაკის მიმართულება).

2. კახა გაბუნია - ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა. წერა)

სახელმძღვანელო ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის (კითხვისა და წერის მიმართულება).

3. კახა გაბუნია - ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოების ანალიზი, ინტერკულტურული მგრძობელობის თვალსაზრისით (კვლევა)

კვლევა ეხება ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოებს არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი სკოლებისთვის (პირველი-მეექვსე კლასები); კვლევაში განხილულია სახელმძღვანელოების საგნობრივ სტანდარტთან (ეროვნულ სასწავლო გეგმასთან) მიმართება და ის ხარვეზები, რომელთა აღმოხერხის რეკომენდაციითაც მიმართავს სახელმძღვანელოს ავტორებს.

4. მერი ნიკოლაიშვილი - "ქართული ენა" (ინგლისურენოვანთათვის), მე-3 გამოცემა
 ნაშრომი განკუთვნილია ქართულის შემსწავლელი ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის. მასში წარმოდგენილია სასაუბრო დიალოგები და ტექსტები, გრამატიკული ნაწილი და სავარჯიშოები. ნაშრომს ბოლოეს ერთვის ქართულ-ინგლისური ლექსიკონი.

გ) კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის	სამეცნიერო შრომების კრებული, # 3	თსუ გამომცემლობა	1-200 (იბეჭდება)

	ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები			
ანოტაციები				
<p>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე.</p>				

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამაზ ქურდაძე	ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების დროს, თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013	III	თსუ გამომცემლობა	10 გვ.
2	დარეჯან თვალთვაძე	Маргинальные заметки и маргинальные знаки в средневековых грузинских рукописях , HOMO LOQUENS Georgian Multilingual	N 6	თბილისი	12 გვ.

		Association Jurnal			
3	დარეჯან თვალთვაძე	სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული ტექსტებისათვის, SPEKALI- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი	N 8	თბილისი	13 გვ.
4	დარეჯან თვალთვაძე	ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის უძველესი თარიღიანი ნუსხა, საერთაშორისო კონფერენციის მასალები „ბიზანტიოლოგია საქართველოში –4“		თბილისი, თსუ გამომცემლობა	84-86
5	დარეჯან თვალთვაძე	შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული გარემო XI საუკუნეში ქართულ ხელნაწერთა ანდერძებისა და მთარგმნელისეული შენიშვნების მიხედვით თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013	III	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
6	ლელა ციხელაშვილი	ი პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების ერთი თავისებურება ძველ ქართულში, თსუ ქართული	III	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება

		ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013			
7	ლელა ციხელაშვილი	<p>ხ-//3- პრეფიქსის ფუნქციონისათვის ი- პრეფიქსიანი ვნები ბითი გვარის ფორმებში ძველ ქართულში</p> <p>„სპეკალი“</p> <p>ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი</p>		თსუ გამომცემლობა	
8	ანა ხარანაული	<p>Questions regarding the Origin of the Georgian Bible Translation. კითხვები ქართული ბიბლიის მომდინარეობის შესახებ; Kartvelologist, Journal of Georgian Studies</p>	3	თსუ გამომცემლობა	
9	კახა გაბუნია	<p>ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ქრონოლოგიისათვის ქართველურ ენებში, ჟურნალი 'წელიწდეული'</p>		თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
10	კახა გაბუნია	<p>ქართული ენის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი</p>		ქუთაისი, საქართველოს პარლამენტის	

		მხარდაჭერის კონცეფცია; ქართული ენა – მე-20 საუკუნის გამოწვევები		გამოცემა	
11	კახა გაბუნია	ბილინგვური განათლება აშშ- სა და საქართველოში, ამერიკისმცოდნეობის მე-14 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია		თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
12	კახა გაბუნია	Sociolinguistic Situation of Present- Day Georgia, Multilingual Education	#1	თბილისი	Electornic Journal (www. multilinguaeducation. n.org)
13	სალომე ომიაძე	დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში, იკე,	ტ. XLI	თბილისი, თსუ- ის გამომცემლობა	81-86
14	სალომე ომიაძე	პირადი სივრცის პროექცია ქართულ ლინგვოკულტურაში, სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“	13	თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი	იბეჭდება
15	სალომე ომიაძე	სემიოტიკური სიმჭიდროვე და რეგიონული კონცეპტოსფერო, კავკასიოლოგიური მიეზანი	5	‘კავკასიოლოგიუ რი მიეზანი’	იბეჭდება
16	სალომე ომიაძე	ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის, ქართული ტერმინოლოგიის საკითხები		‘ქართული ტერმინოლოგიის საკითხები’	46-47

17	სალომე ომიაძე	კონცეპტ ქართული ენის ნომინაციური ველი, თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013	III	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
18	რუსუდან ზექალაშვილი	ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატული ანალიზი პერსონაჟთა მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესების მიხედვით),	კავკასიოლოგ თა III საერთაშორის ო კონგრესის მასალები	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
19	რუსუდან ზექალაშვილი	<i>ახლავს</i> ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში	3	თსუ გამომცემლობა	78-81
20	რუსუდან ზექალაშვილი	თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში, „ენა და კულტურა“	მე-2 საერთაშორის ო კონფერენცია	ქუთაისი, საქართველო, გამომც. „მერიდიანი“	180-188
21	რუსუდან ზექალაშვილი	ფორმისა და ფუნქციის მიმართებისათვის ქართულ ზმნაში, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, ნაწილი I, ქართველოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა,		ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	22-28

		ხელოვნება, კულტურა, ფილოსოფია			
22	ინგა სანიკიძე	სახლ ფუძის ეტიმოლოგიისათვის ქართულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული [ვერა ბარდაველიძე 110], 2013		თბილისი, საქართველო, გამომც. „მერიდიანი“	259-268
23	ინგა სანიკიძე	გალაკტიონის „მწუხარე სასაფლაო“ „ენა და კულტურა“	მე-2 საერთაშორისო კონფერენცია	ქუთაისი, საქართველო, გამომც. „მერიდიანი“	374-381
24	მაია ლომია	მონაცემთა ბაზების სტრუქტურირების საკითხი „მეგრული ტექტების ელექტრონული კორპუსის“ მიხედვით, „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები-2013“	3	თბილისი	იბეჭდება
25	მაია ლომია	ბატონებისადმი მიძღვნილი მეგრული პოეზიის ენობრივი ანალიზი, „ენა და კულტურა“	მე-2 საერთაშორისო კონფერენცია	ქუთაისი, საქართველო, გამომც. „მერიდიანი“	257-263
26	მაია ლომია	ოკო „უნდა“ ნაზმნარი მოდალური ელემენტის დახასიათებისათვის მეგრულში, „მულტიკულტურალიზმი და	კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი	თბილისი	იბეჭდება

		ტოლერანტობა კავკასიაში“			
27	მაია ლომია	მიმღეობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულ ენაში, თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013	III	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
28	ქეთავან მარგიანი- სუბარი	ინტერფერენციის და ეპისტემიკის ურთიერთმიმართების სვანურ ზმნაში, სიახლეები კავკასიოლოგიაში		თბილისი	
29	ქეთავან მარგიანი- სუბარი	ზმნის კილოს საკითხისათვის სვანურ ენაში, „ენა და კულტურა“	მე-2 საერთაშორის ო კონფერენცია	ქუთაისი, საქართველო, გამომც. „მერიდიანი“	277-283
30	ქეთავან მარგიანი- სუბარი	თურმეობითობისა და ხოლმეობითობის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში , თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2013	III	თსუ გამომცემლობა	იბეჭდება
31	ქეთავან მარგიანი- სუბარი	კილოსა და ევიდენციალობის ურთიერთმიმართება სვანურ ენაში, „ენათმეცნიერების	1	თბილისი, „უნივერსალი“	203-208

		საკითხები“			
32	ქეთავან მარგიანი-სუბარი	კვლავ ევიდენციისათვის სვანურში, „ქუთაისური საუბრები“	XIII	ქუთაისი	იბეჭდება
33	დამანა მელიქიშვილი	მეთოდოლოგიური პრობლემები ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი გადაჭრის გზები, იკე	40	თბილისი	108-115
34	დამანა მელიქიშვილი	იოანე პეტრიწის ენა, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), ჟურნალი "ქართველოლოგი“	#19	თბილისი	165-198

ანოტაციები

1. რამაზ ქურდაძე - ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს

მეორე ენის სწავლების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა ანუ ტრანსპოზიცია. კერძოდ, ქართულში ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ტრანსპოზიციის შედეგად სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, მაგალითად, ქართ. *კარგი* – ზედსართავი სახელი, და *კარგი* – *დიახ, ჰო!* დასასტურებითი ნაწილაკი; ასეთივე ვითარებაა ინგლისურშიც: *good* – ზედსართავი სახელი *კარგი* და *good*, რაც გამოყენებულია როგორც მტკიცებითი ნაწილაკი *yes* – *დიახ!* (შდრ.: *well*).

ბუნებრივია, სხვადასხვა ენაში იდენტური ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებთან ერთად განსხვავებული ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებიც გვაქვს. ფაქტობრივად, ამ განსხვავებული ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა მეორე ენის სწავლების დროს.

მოხსენებაში განხილულია ქართული ტრანსპოზიციის ზოგიერთი შემთხვევა ინგლისური და რუსული შესაბამისი მაგალითებით, რასაც, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართულის, როგორც მეორე (ან უცხო) ენის, სწავლების დროს ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი

სტუდენტებისათვის.

2. დარეჯან თვალთვამე - შავი მთის სამონასტრო ცენტრების კულტურული გარემო

XI საუკუნეში ქართულ ხელნაწერთა ანდერძებისა და მთარგმნელისეული შენიშვნების მიხედვით

შავ მთაზე, ანტიოქიაში, ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამონასტრო კერაში, ქართველი ბერები ჯერ კიდევ VI საუკუნიდან მოღვაწეობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით გაიზარდა მათი რიცხვი XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, რასაც ხელი შეუწყო ამ რეგიონის მაჰმადიანთა ბატონობიდან გათავისუფლებამ და სირიის ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ არეალში მოქცევამ. ამ პერიოდიდან ქართველები მკვიდრდებიან არა მხოლოდ შავი მთის ბერძნულ და სირიულ სავანეებში, არამედ აარსებენ საკუთარ მონასტრებს და მწიგნობრულ ცენტრებს. სწორედ ანტიოქიაში ბერძნებთან ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ლიტერატურული მიმართულება ქართულ მწერლობაში, რომელიც ელინოფილიზმის სახელით არის ცნობილი.

განსაკუთრებით აქტიურდება მთარგმნელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა XI საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც შავი მთის სავანეში მოღვაწეობას იწყებს ქართველი მწიგნობარი ეფრემ მცირე, რომელმაც ბიზანტიური ლიტერატურის 100-ზე მეტი ძეგლი თარგმნა ქართულად და მათ დიდ ნაწილს საკმაოდ ვრცელი კოლოფონები დაურთო. ეფრემ მცირის კოლოფონებში დაცული ცნობები უხვ მასალას იძლევა ანტიოქიის სამონასტრო კერების, როგორც XI საუკუნის მულტიკულტურული სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის საქმიანობის რეკონსტრუქციისათვის, რადგან ისინი შეიცავენ ისტორიულ-კულტურული ხასიათის ცნობებს არა მარტო შავ მთაზე მოღვაწე ქართველ მწიგნობართა შესახებ, არამედ იმდროინდელი ანტიოქიის ბერძნული სამონასტრო ცენტრების კულტურულ ცხოვრებასა და იქ მოღვაწე ბიზანტიელ მწიგნობრებზე.

XI საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ჯვაროსანთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად ანტიოქიის არაერთი სამონასტრო-მწიგნობრული ცენტრი განადგურდა. იქაურ სკრიპტორიუმებში გადაწერილი ხელნაწერების დიდი ნაწილი დაიკარგა, ამიტომ ანტიოქიის სამონასტრო კერების კულტურულ-მწიგნობრული გარემოს შესახებ ზოგადად ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. ასეთ ვითარებაში ქართულ წყაროებში დაცული ცნობები შავი მთის მონასტრებში მოღვაწე ბერძენი მწიგნობრების, მიმოქცევაში მყოფი წიგნებისა და განსაკუთრებით იმდროინდელი ბიბლიოთეკების შესახებ მეტად ფასეულია.

ანტიოქიის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა კოლოფონებსა და ხელნაწერი წიგნის აშიებზე მოთავსებული სქოლიო-კომენტარები საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, როგორი იყო ქართველთა კულტურული ორიენტაცია, ვისთან ცდილობდნენ გათანაბრებას თავიანთი ინტელექტუალური დონით ძველი ქართველი მწიგნობრები და რა ადგილი ეჭირათ ქართველებს შუა საუკუნეების ზოგადკულტურულ კონტექსტში. სწორედ შავი მთის მონასტერთა მდიდარ

ბიბლიოთეკებში უცხოელ კოლეგებთან - ბერძენ, სირიელ, არაბ მწიგნობრებთან თანამშრომლობით გამოიკვეთა ყველაზე მკაფიოდ ქართველ მწიგნობართა კულტურული ორიენტაცია ბიზანტიაზე და იქ მიმდინარე სააზროვნო პროცებზე, რაც ელინოფილიზმის ჩამოყალიბებით გამოიხატა.

3. ლელა ციხელაშვილი - ი პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში

ძველ ქართულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძველ ქართულში ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში გამოვლენილი **ხ-//ჰ-** პრეფიქსის ფუნქციას (*ხყავ, ხიყავ, ხიყო*), ძირითადად, მორფოლოგიურად ხსნიან. ჩვენი აზრით, ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში, ისევე როგორც მისი ხმარების ყველა შემთხვევაში, **ხ-//ჰ-** პრეფიქსის არსებობა შესაძლოა აიხსნას არა მორფოლოგიურ, არამედ ფონეტიკურ ნიაგზე და ისტორიულად **ასპირაციას** - ხმოვანთა (*//სონანტთა*) ფშვინვიერ შემართვას - დაუკავშირდეს, რომელიც საერთო-ქართველურს ახასიათებდა. **ხ-//ჰ-** პრეფიქსის მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვა და *S₂* და *O₃* პირების მორფემად გადააზრება მეორეული მოვლენა ჩანს. ქართველურ ენათაგან ფშვინვიერი შემართვა-დამართვა თავდაპირველად მეგრულ-ლაზურში უნდა მოშლილიყო, შემდეგ - ქართულში, სვანურში კი (ბალსხემოურსა და ბალსქვემოურში) ამჟამადაც მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა. საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს მეგრულ-ლაზურში *S₂* და *O₃* პირების უნიშნობა.

სვანურში **ხ-** ოდენობის გამოვლენა (იქნება ის *S₁*-ის **ხუ-** პრეფიქსის შემადგენელი სეგმენტი თუ *S₂* და *O₃^{ind}* პირების ალომორფი) ფონოლოგიურადაა შეპირობებული: იგი, ძირითადად, რელიზდება უზმნისწინო ზმნებთან, ანლაუტში, ხმოვნის წინა პოზიციაში (# - V), თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან **ხ-** არ ჩანს (*ხოსყო* „ვუკეთებ“, *ტიხე* „აბრუნებ“...). ზოგადად, სვანური განსხვავებულად ექცევა პირის მორფემებს, ნულს ადვილად უთა-ნაბრდება **ხ-**, რასაც სხვა მორფემებზე ვერ ვიტყვით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ხდება არა მისი დაკარგვა, არამედ **შესაბამისი ფონოლოგიური პოზიციის გათვალისწინებით მისი არსებობა არცაა საგულელებელი**. სვანურში ასპირაციის ნიადაგზე განვითარებული /ჰ/ სპირანტის უფრო ღრმად წარმოთქმისას /ჰ/ > /ხ/, მაგ., *ჰარაყ/ხარაყ*, *ჰასაკ/ხასაკ* და სხვ. ჩანს, ერთ ენობრივ კოლექტივშიც შესაძლებელია პარალელურად **ჰ-** და **ხ-** პრეფიქსიანი ფორმების არსებობა. საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ შესაძლოა ახსნა მოედებნოს ხანმეტ ტექსტებში **ჰ-** პრეფიქსიანი ფორმების არსებობას. **ხანმეტობა-ჰაემეტობა სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული წარმოთქმის სხვადასხვა ნორმა**.

ჩვენი აზრით, ხანმეტობის პერიოდში უნდა გვქონოდა ორგვარი /ხ/: საკუთრივ /ხ/ სპირანტი და ე.წ. რბილი [ხ], /ჰ/-სგან მიღებული, რომელიც, პირველისგან განსხვავებით, დაკარგვას ექვემდებარებოდა (*მეოხ ხეყავ* > *მეოხ ეყავ* (მცხეთის ჯვრის წარწ.), დაახლოებით ისეთი, როგორიცაა ინგილოურ დიალექტში ამავე გზით მიღებული [ხ] ბგერა: *გაჰყო* > *გახყო*, *დაჰხურა* > *დახხურა*. რადგან ფონეტიკურად /ჰ/ > /ხ/ (პირუკუ ეს პროცესი მიუღებელია), **ჰაემეტობა ხანმეტობაზე წინმსწრებად უნდა მივიჩნიოთ**. დროის გარკვეულ მონაკვეთში ის ხანმეტობასთან თანაარსებობდა

(სხვადასხვა არეალში) და სანარევობამდე ენაში არსებულ უწყვეტ ენობრივ მოვლენას წარმოადგენდა.

საერთო-ქართველურის დონეზე /ჰ/ ფონემის რეკონსტრუქცია ჭირს, რადგან არ დასტურდება ძირეულ მორფემებში და მხოლოდ ორ გრამატიკულ მორფემაში (S₂ და O₃) რეალიზდება. ჩვენი აზრით, საერთო-ქართველურის დონეზე [ჰ]-ს პოსტულირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დავუკავშირებთ ასპირაციას. ძველი ქართულის ძირითადად თუ ნასესხებ ლექსიკაში /ჰ/ დასტურდება ასპირაციისთვის ბუნებრივ პოზიციაში (*ჰასეთი, ჰე/ჰე, ჰაერი, ჰრომი ...*). სახელურ ფორმებში /ჰ/ არ ჩანს თანხმოვნის წინ, **ზმნურ ფორმებთან ამ პოზიციაში მისი არსებობა მეორეული უნდა იყოს და მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვის შემდეგ ენის უნიფიკაციისადმი მიდრეკილებითა და პარადიგმის „გასწორებით“ უნდა აიხსნას.**

4. სალომე ომიაძე - კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველი

ქართული დისკურსის ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეპტის ნომინაციური ველის სახელწოდებად და საკვანძო რეპრეზენტანტად „ქართული ენა“ ავირჩიეთ, როგორც ყველაზე ხშირი გამოყენების სტილისტიკურად ნეიტრალური მყარი შესიტყვება. მიუხედავად იმისა, რომ აღსაწერი კონცეპტის ზოგიერთი სისტემური სინონიმი (მაგალითად, „დედაენა“) ემოციური შეფერილობით „ქართულ ენაზე“ მეტია, ხოლო ემოციური მიმართების ქონა კონცეპტის ერთ-ერთი დეფინიციური ნიშანია, სახელდების დროს ჩვენ უფრო მნიშვნელოვნად მაინც მოცულობა და კონკრეტულ ლინგვოკულტურაზე მითითება მივიჩნიეთ. შევისწავლეთ კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველში შემავალი საკვანძო რეპრეზენტანტი, მისი სისტემური სინონიმები, დერივაციული ველი, პარემიოლოგიური ფონდის ნაწილი და პერცეფციულ ხატში რეალიზებული ხატოვანი კომპონენტი.

5. ინგა სანიკიძე - „სახლ“ ფუძის ეტიმოლოგიისათვის ქართულში

ნაშრომში „სახლ“ ფუძის ეტიმოლოგიური კვლევის მცდელობაა მოცემული; მის ძირეულ ფუძედ „Āელ“-ია მიჩნეული, რომელიც, სავარაუდოდ, სუბიექტური უფლების, კერძო თანხმობის გამომხატველი ერთეული იყო. მოცემულ სიტყვაში სა- დანიშნულების აფიქსი მოჩანს და, აქედან გამომდინარე, *სა-Āელ-ი// სა-ხლ-ი სახელისუფლებო, უფლების მქონე იურიდიული პირის საგანგებლო სახლს, ნაგებობას უნდა აღნიშნავდეს; გვიანდელი გადააზრებების შედეგად კი უნდა მიგველო „სახლი“, როგორც უფლების მქონე პირის ახლო ნათესაობის, ოჯახის, მოდგმის, გვარის აღმნიშვნელი ლექსიკური

6. ინგა სანიკიძე - გალაკტიონის „მწუხარე სასაფლაო“

მხატვრულ სიტყვაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ლექსიკის განხილვას, მის სემანტიკურ ფორმაზე დაკვირვებას. ჩვენ მიერ საკვლევად აღებული იყო გალაკტიონ ტაბიძის

ლირიკული ნაწარმოები „მთაწმინდის მთვარე“, რომელშიც უაღრესად საინტერესო მხატვრულ სახეს „მწუხარე სასაფლაო“ ქმნის. კვლევამ აჩვენა, რომ ის ილია ჭავჭავაძის ალუზიაა, მისი მხატვრული სახე-სიმბოლო; „მწუხარე სასაფლაო“ პირდაპირ უნდა მიემართებოდეს იაკობ ნიკოლაძის მიერ როდენის სახელოსნოში ჩამოსხმულ და მალევე მთაწმინდის პანთეონში ილიას საფლავზე დავანებულ ქანდაკებას, რომელსაც ავტორმა „მწუხარე საქართველო“ უწოდა.

7. რუსუდან ზექალაშვილი - თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში

სტატიაში განხილულია ქართული ენის თავაზიანობის სისტემის ლექსიკური საშუალებები, კერძოდ, პირში მონაცვლე ზმნები, მათი ისტორია, სემანტიკის ცვლა და ფუნქციები ძველი, საშუალო და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ტექსტების მიხედვით; განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ადრესატისადმი თავაზიანობის გამოსახატავად გამოყენებულ *ბრძან* ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებსა (*ბრძანა*, *ბრძანდებით*, *მობრძანდით*, *დაბრძანდით*) და *მიირთვით*, *ინებეთ*, *მიბოძეთ* ზმნებზე.

ქართული ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვლენილია, რომ ყველაზე ადრე დადასტურებულია *ბრძანებს/ბრძანა* ზმნა „თქმის“ სემანტიკით, რადგან *ბრძანება* და *თქმა* სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან, ხშირად ჭირს კიდევ მათ შორის განსხვავების დადგენა.

X საუკუნეში *ბრძან* ფუძე უკვე გამოყენებულია *მოსვლის* სემანტიკითაც, ოღონდ ჯერ კიდევ არ გვხვდება დონიანი ვნებითის ფორმები, გამოიყენება, როგორც უობიექტო აქტიური ზმნა: *(3)ბრძანე, ბრძანოს*.

ზაზგასმულია მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკაში XII საუკუნიდან მკაცრად დაცული სოციალური დიფერენციაცია („ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“). *ბრძან* ძირისაგან *დონიანი ვნებითის* ფორმების წარმოება XVII-XVIII საუკუნეებიდან და ზმნებზე სხვა სემანტიკური ნიუანსების დამატებაც.

ტექსტები მოწმობს პირში მონაცვლე ზმნების ნარევი პარადიგმის საბოლოო ჩამოყალიბებას XIX საუკუნეში და თავაზიანობის სემანტიკის მეორეულობას მათთვის.

8. რუსუდან ზექალაშვილი - ფორმისა და ფუნქციის მიმართებისთვის ქართულ ზმნებში

სტატია ეხება ქართული ზმნებში ფორმასა და ფუნქციას შორის მიმართებას, როცა გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი აფიქსი ზმნაში შინაარსისგან დაცლილი ანუ უფუნქციოა. ეს შეიძლება შეეხოს ზმნის *პირის*, *ქცევის*, *კონტაქტის*, *გვარის* (ე. წ. დეპონენსებთან) კატეგორიებს. უფრო გავრცელებულია უფუნქციო პირის ნიშნები.

ნაშრომში გამოყოფილია იმპერსონალიზაციის მოვლენა, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს. ქართულში მისი სპეციფიკა დაკავშირებულია პოლიპერსონალიზმთან, ხოლო გარკვეული ჯგუფის ზმნებთან – ინვერსიულობასთანაც.

განხილულია იმპერსონალიზაციის ორი ჯგუფი: პირვანდელი და მეორეული. **პირვანდელი** იმპერსონალიზაცია გამოწვეულია სუბიექტის არარეალობის აღქმით. ქართულ ენაში ასეთ ზმნებს აქვს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, მაგრამ ფარდი სახელი არც არსებობს და არც იგულისხმება. ამ სემანტიკურ ჯგუფებში ერთიანდება: მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები (წვიმს, თოვს, ცივა/სცივა, ცხელა/სცხელა) და ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი (სძინავს, ღვიძავს, შია, სწყურია, აჟრჟოლებს, აკანკალებს, ახველებს, აცახცახებს); მათში გამოხატულია ადამიანისთვის აუხსნელი მოვლენები, ხოლო მოქმედების გამომწვევი სუბიექტი ირაციონალურია. ამიტომაც ის, როგორც ჩანს, მოაზრებული უნდა ყოფილიყო არამიწიერ, ზებუნებრივ ძალად.

მეორეული იმპერსონალიზაცია მიჩნეულია გარკვეულ გრამატიკულ-სტილისტურ ხერხად, როცა ზმნათა გარკვეული ნაწილი გამოიყენება როგორც პერსონალურად, ისე იმპერსონალურად (*მაგ.: მან საკითხი იცის, მაგრამ შემოდგომაზე წვიმები იცის*). ამ ტიპისაა თავაზიანობის სემანტიკის რამდენიმე ზმნაც (*გეახელით, გახლავთ, გახლავართ*) და არარეალური ნატვრის გამომხატველი ფორმები (*ნეტა გამაკეთებინა, ნეტა მაჩვენა*). ამ ჯგუფში ასევე შედის: ე. წ. გუნებისა და შესაძლებლობის ვნებითები (ეტირება, ეცინება, ემღერება... რა ეთამაშება, რა ეცეკვება... წაესვლება, ეცხოვრება, არ ედგომება).

განალიზებულია ე. წ. პირში მონაცვლე რამდენიმე ზმნაც: *გახლავართ* (ფორმით ორპირიანი, ფუნქციით ერთპირიანი, *ვარ* ზმნის ეკვივალენტი), *გახლავთ* (= *არის*).

ბოლოს გამოთქმულია ვარაუდი, რომ ფორმისა და ფუნქციის შეუსაბამობა ზმნებში ენის განვითარების შემდგომი საფეხურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

9. მაია ლომია - ბატონებისადმი მიძღვნილი მეგრული პოეზიის ნიმუშების ენობრივი ანალიზი

მოხსენებაში საუბარი იყო სამეგრელოში ბატონების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რის შედეგადაც მიმართვის ობიექტი გასულიერებულია. მოხსენებაში გაანალიზდა ბატონების სახელდების აღმნიშვნელი ტერმინები და შესაბამის რიტუალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

10. მაია ლომია - ოკო „უნდა“ ნაზმნარი მოდალური ელემენტის დახასიათებისათვის

მეგრულში

მოხსენებაში დახასიათებული იყო ოკო(ნ) „უნდა“ მოდალური ზმნისაგან მომდინარე ოკო „უნდა“ მოდალური ნაწილაკი მეგრულში ფორმალური, სინტაქსური, სემანტიკური დონეების მიხედვით.

11. მაია ლომია - მიმღეობური სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულ ენაში

მოხსენებაში საუბარი იყო ერთი ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაზე მეგრულში, რომელიც მიმღეობის სემანტიკისაა. მეგრულისთვის არ არის დამახასიათებელი გასაზღვრების შემცველი მარტივი წინადადება; მისთვის ბუნებრივია განსაზღვრების გადმოცემა დამოკიდებული წინადადებით. თავისებურებას ავლენს ამგვარი კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა განლაგებაც.

12. ქეტევან მარგიანი-სუბარი - ზმნის კილო სვანურ ენაში

ნაშრომში დასმულია საკითხი სვანურ ენაში ტრადიციულად ცნობილი ორი კილოს (თხრობითი, კავშირებითი) გარდა, პირობითი კილოს გამოყოფის შესახებ; მტკიცებას საფუძვლად უდევს ენაში საკუთრივ ინფერენციული, საექვოობა-სავარაუდოობის სემანტიკური ნიშნით მარკირებული მწკრივების არსებობა. მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში ერთ სიბრტყეზე განიხილება ოპოზიცია: თხრობითი კილო _ პირობითი კილო.

13. ქეთევან მარგიანი-სუბარი - თურმეობითობისა და ხოლმეობითობის

ურთიერთმიმართებისათვის

სვანურ გარდამავალ ზმნებში

სვანურ ენაში დადასტურდა ზმნათა ფორმები, რომლებიც უღლების სისტემაში დღემდე ცნობილ მწკრივთა (დრო-კილოთა) შორის არ არის დაფიქსირებული. აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: გადმოგვცემს წარსულში სავარაუდო, დაუზუსტებელი მოქმედების სტატიკურ შედეგს აწმყო-მყოფადში (ხ-ე-გ-ი “ალბათ, უშენებია მას ის”), ან წარსულშივე (ხეგოლ “ალბათ, ეშენებინა მას ის”); ჩვენი აზრით, საანალიზო ფორმები სტატიკურ ზმნათა მყოფადუსრულისა (I ფორმა) და პირობითუსრულის (II ფორმა) რეინტერპრეტირებული, ინვერსიაქმნილი ფორმებია, ვინაიდან სემანტიკაც მიგვანიშნებს აღნიშნულ მწკრივებთან მათს მიმართებაზე; აღნიშნული ფორმები მოეპოვება ყველა რელატიურ გარდამავალ და მედიაქტიურ აბსოლუტურ ზმნას; მათი რეალური სუბიექტი I სერიაში მუდამ ნომინატიურ, II სერიაში კი ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. ამ ზმნათა პერფექტულობა გამოხატულია წარსულში შესრულებული მოქმედების სტატიკური შედეგით აწმყოში (I ფორმა) ან წარსულშივე (II ფორმა); ამის

შესაბამისად, საანალიზო ზმნები I ან II რეზულტატიურს ეკედლება, ამავდროულად ამ უკანასკნელთ (I და II რეზულტატივს) უპირისპირდება საექვოობა-სავარაუდობის სემანტიკით; მეორე მხრივ, ეს ფორმები ხოლმეობითობის შთაბეჭდილებას ტოვებს;

ჩვენი აზრით, აღნიშნულ ფორმებს უდავოდ უნდა მიეცეს მწკრივთა კვალიფიკაცია (მათ ამისთვის გააჩნიათ ორი აუცილებელი პირობა: ფორმა და სემანტიკა) და აქტიურ ზმნათა პარადიგმის III სერიაში განლაგდნენ. ტერმინოლოგიის თვალსაზრისით კი მათ, ვფიქრობთ, პირობით-რეზულტატიური I და II შეესაბამება.

14. ქეთევან მარგიანი-სუბარი - კილოსა და ევიდენციულობის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში

სვანურ ზმნას, სალიტერატურო ენასთან შედარებით, მწკრივები უფრო მრავლად მოეპოვება, რის საფუძველიც ამ ენაში დამატებით ერთი მორფოსინტაქსური კატეგორიის – ევიდენციულობის არსებობაა. ეს კატეგორია ქართულშიც გრამატიკულიად გამოხატულია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: მართალია, ვერბალობა სპეციალური მწკრივებით – თურმეობითებით გადმოიცემა, მაგრამ ეპისტემიკური ინფერენციულობის გადმოსაცემად სალიტერატურო ენას მსგავსი დრო-კილოთა ფორმები არ მოეპოვება (შესაძლოა, ენამ ფუნქციურად ესა თუ ის მწკრივი გამოიყენოს, მაგრამ ვრცელი კონტექსტის გარეშე ამ ფორმათა ინფერენციულობა ვერ დადასტურდება); სვანურის საექვოობა-სავარაუდობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს, რომელთაც ჩვენ საკუთრივ ინფერენციულს ვუწოდებთ, ენაში დღემდე დაფიქსირებულ კილოთაგან (თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი) ვერც ერთი ვერ ეფარდება: თხრობითისგან მას სემანტიკა განასხვავებს, კავშირებითისგან კი – დამოუკიდებლად ეპისტემიკური მოდალობის მარტივი კონსტრუქციის შექმნის უნარი. ამ მწკრივების კილო პირობითია.

მაშასადამე, სვანურში ევიდენციულობა (ვერბალურიც და ინფერენციულიც) მორფოსინტაქსური კატეგორიაა, კილო კი – ფუნქციური მახასიათებელი: თხრობითი და პირობითი კილოს ფორმები ნეიტრალური კონტექსტის შექმნას ემსახურებიან, კავშირებითის ფორმებს კი მხოლოდ რთულ კონსტრუქციაში შესწევთ უნარი ინფერენციულობის სემანტიკა შეიტანონ.

15. ქეთევან მარგიანი-სუბარი - კვლავ ევიდენციულობისთვის სვანურ ზმნაში

სტატია შეეხება სვანური ენის იმ ზმნურ ფორმებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია და სემანტიკური დახასიათება სპეციალურ ლიტერატურაში ან არასრულია, ან საერთოდ არ არის. როგორც ცნობილია, სვანურის ე. წ. “მეტი” მწკრივები (ა. შანიძე), ტრადიციული შეხედულებით, მყოფადუსრული და I სერიის თურმეობითებია. სტატიაში კი დადასტურებულია, რომ ზოგი სხვა მწკრივის ორგვარი წარმოების შემთხვევაში მათ შორის სემანტიკური სხვაობა ლიტერატურაში გათავალისწინებული არ არის.

ნაშრომში ასევე განხილულია უცხოელ კოლეგათა მოსაზრებები ევიდენციულობის შესახებ ქართველურ ენებში: „ქართულ ენაში გვაქვს ევიდენციულობის პერფექტი ევიდენციულობის ფართო გა-

გებით, შემდგომი ასპექტების გარეშე“ (Willet); "სვანურს, ისევე, როგორც ქართულს, ირიბი ევიდენცია-
ლური ფორმების შემდგომი, დეტალური დიფერენცია (ეპისტემიკა, ინფერენცია...) არ ახასიათებს,
თუმცა თავად ევიდენციალურ ფორმათა მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია, ფართოა" (Сымбатова) და
გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრება სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე.

16. დარეჯან თვალთვადე - სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული ტექსტებისათვის

ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებს ამ წმინდა წიგნის
შესახებ დაწერილი სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის მრავალი მეტატექსტი (ტექსტის
შესახებ ტექსტი) ახლავს: ესენია: მთარგმნელის/რედაქტორის, გადამწერის კოლოფონები, აშიაზე
მიწერილი განმარტებები; ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნები, სახარების შესახებ დაწერილი
დოქსოლოგიური თხზულება (“შესხმად ოთხთავისაჲ”), მკითხველთა მინაწერები და სხვ.

ქართული ოთხთავის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევისათვის
განსაკუთრებით მნიშვნელოვნი აღმოჩნდა მე-11 საუკუნეში შავ მთაზე გადაწერილი ხელნაწერები,
რადგან, როგორც ირკვევა, მათი სახით ხელთ გვაქვს ოთხთავის ქართული თარგმანის საბოლოო
რედაქციის ჩამოყალიბებამდე განვლილი ყველა ეტაპის ამსახველი ტექსტები. თითქმის ყველა ამ
ხელნაწერს დართული აქვს სხვადასხვა სახის მეტატექსტიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევს
პასუხი გავცეთ სახარების ქართული თარგმანის საბოლოო რედაქციის (გიორგი მთაწმიდლისეული
ტექსტის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებს. კერძოდ: როგორ ყალიბდებოდა
ოთხთავის ათონური რედაქცია, სად და როდის დაიწყო მასზე მუშაობა გიორგი ათონელმა? რა
პრინციპით ხელმძღვანელობდა ის, როცა ოთხთავის ტექსტის “ბერძნულისადა მიყვანებაზე” (=
ბერძნულთან დაახლოებაზე) მუშაობდა, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი? იყო თუ არა ეს
ერთჯერად განხორციელებული რევიზია? როგორ აფასებდა თავად გიორგი მთაწმინდელი თავის
საქმიანობას? რად მიაჩნია მას მისი ხელიდან გამოსული ტექსტი – ახალ თარგმანად თუ ძველი
თარგმანის ახალ ვერსიად? როგორია მისი დამოკიდებულება სახარებათა ძველი ქართული
თარგმანების მიმართ? როგორია გადამწერთა დამოკიდებულება გიორგისეული ტექსტისა და
თავად გიორგის მიმართ? როგორ მოპოვა სახარების გიორგისეულმა რედაქციამ ვულგატის
სტატუსი, რამ შეუწყო ამას ხელი? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში სახარების ტექსტის კვლევასთან
ერთად გვხმარება ის მეტატექსტებიც, რომლებიც ოთხთავის ქართული თარგმანების შემცველ
ხელნაწერებს შემოუნახავთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება მე-
11 საუკუნეში შავ მთაზე გადაწერილი რამდენიმე ხელნაწერზე დართული მეტატექსტი.
კერძოდ: ალავერდის ოთხთავის (A 484) ანდერძი (კოლოფონი); შავი მთის ოთხთავის (A 845)
გადამწერის, შავ ზაქარიას, ანდერძი; კალიპოსის ოთხთავზე დართული გიორგი მთაწმინდელის
ანდერძი; კალიპოსის ოთხთავის (ქუთ.76) გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძი და
დოქსოლოგიური თხზულება “ შესხმად ოთხთავისაჲ”, რომელიც ერთვის შავ მთაზე გადაწერილ
ოთხთავებს. სტატიაში სწორედ ამ ტექსტების ფუნქციურ-სტილისტური ანალიზია მოცემული.

17. დარეჯან თვალთვამე - ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის უძველესი თარიღიანი ნუსხა

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ხელნაწერსაცავებში ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტის შემცველი ასზე მეტი ნუსხაა დაცული, მაგრამ მათი უმეტესობა შედარებით გვიან, XII-XIII საუკუნეებში, ან შემდგომ არის გადაწერილი. XII-XIII საუკუნის ხელნაწერებს დაეყრდნო გიორგისეული რედაქციის კრიტიკული ტექსტის გამომცემელი ივ. იმნაიშვილიც, რომელმაც გამოცემისთვის თამარის ეპოქის სამი ხელნაწერი, კერძოდ, ვანის (H), ეჩმიაძინისა (I) და გელათის (K) ოთხთავები შეარჩია. თუმცა არსებობს გიორგისეული რედაქციის ტექსტის შემცველი მეთერთმეტე საუკუნის რამდენიმე ნუსხა, რომელთაგან ერთ-ერთია ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთსაცავში 76-ე ნომრით დაცული მანუსკრიპტი, რომელიც, როგორც გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, გიორგის სიცოცხლეში, 1060 წელს, შავ მთაზე, კალიპოსის მონასტერში ბასილი თორელყოფილს „წმიდისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან“ გადაუნუსხავს. ეს ხელნაწერი, რომელსაც კალიპოსის ან ლეჩხუმური ოთხთავის სახელით მოიხსენიებენ, ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის უძველეს თარიღიან ნუსხას წარმოადგენს და ამდენად მას ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მოზადებისას კრიტიკული ტექსტის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კალიპოსის ოთხთავს, ისევე როგორც სახარების გიორგისეულ რედაქციის ბევრ ნუსხას, ახლავს გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც მას სახარების თარგმანის ტექსტის რედაქტირების რთული და ხანგრძლივი პროცესის დასრულების შემდეგ დაუწერია. გიორგის თანამედროვე გადამწერს, ბასილი თორელყოფილს, სავარაუდოდ, ანდერძის ის ვარიანტი უნდა ჰქონოდა ხელთ, რომელიც გიორგის ხელიდან გამოსულ ტექსტს ერთვოდა და რომელშიც ანდერძის ცნობილი სადავო ადგილი, როგორც ჩანს, ასე იკითხებოდა: „*ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი არა ახლად გვთარგმნია...*“, მაგრამ მოგვიანებით სიტყვები „*არა ახლად*“ გადაუფხეკიათ და ზემოდან სხვა ფერის მეღნიით და სხვა ხელით დაუწერიათ სიტყვა „*ჩუენ*“, რის შედეგადაც მივიღეთ ამგვარი წაკითხვა: „*ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგმნია*“, რაც აშკარაა, რომ მეორეულია და გაკეთდა ალბათ გიორგის ღვაწლის უკეთ დაფასების მიზნით. ანდერძის პირველადი (ჩასწორებამდელი) ტექსტი ცხადყოფს, რომ სახარების ახალ რედაქციას, რომელიც გიორგიმ ძველი ქართული თარგმანების ბერძნულ ხელნაწერებთან სკურპულოზური შედარების შედეგად შექმნა, თავად ის ახალ თარგმანს არ უწოდებდა.

ოთხთავის ამ ხელნაწერს შემოუნახავს კიდევ ერთი საინტერესო ტექსტი – მიმართვა ამ წმინდა წიგნის მომგებელთა, გადამწერთა და მკითხველთათვის, რომელშიც სახარების როგორც „*ცათა და ქუყანისა უზეშთაესი წიგნისა*“ მნიშვნელობაზეა საუბარი. ჩვენი აზრით, ეს უსათაურო თხზულება, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „*შესხმად ოთხთავისა*“ შექმნილი უნდა

იყოს შავი მთის მწიგნობრულ კერაში მას შემდეგ, რაც გიორგიმ დაასრულა სახარების თარგმანზე მუშაობა, საგანგებოდ მისი რედაქციის ხელნაწერებისთვის და მისი ავტორი, შესაძლოა, კალიპოსის ოთხთავის გადამწერი - ბასილი თორელყოფილი იყოს.

18. დარეჯან თვალთვაძე - „Маргинальные заметки и маргинальные знаки в средневековых грузинских рукописях“ დაიბეჭდა ჟურნალში HOMO LOQUENS Georgian Multilingual Association Jurnal, N 6 .

მარგინალური შენიშვნები და მარგინალური ნიშნები შუასაკუნეების ქართულ ხელნაწერებში

ძველ ქართულ ხელნაწერებში მარგინალური შენიშვნები – ექსპოზიციური ხასიათის მცირე ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ და გავიგოთ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ტექსტები – ადრეული პერიოდიდან ჩნდება, თუმცა მარგინალურ შენიშვნებს, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ სისტემას, პირველად XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის, შავ მთაზე (ანტიოქიის რეგიონი) მოღვაწე მთარგმნელის, ეფრემ მცირის, თარგმანების შემცველ ხელნაწერებში ვხვდებით. ხელნაწერთა აშიებზე მთარგმნელთა მიერ მიწერილი მარგინალური შენიშვნების (განმარტებების) და კიდევზე მოთავსებული მარგინალური ნიშნების (გრაფიკული აღნიშვნების) დანიშნულებაა ძირითადი ტექსტის გააზრებასა და გაგებაში დაეხმაროს მკითხველს, თუმცა მათი ანალიზი ხშირ შემთხვევაში მრავალმხრივი დასკვნებისა თუ მოსაზრებების გამოთქმის საშუალებასაც იძლევა. თარგმანის ტექსტზე დართულ მთარგმნელის ამგვარ მეტატექსტებში მოცემულია მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რა მეთოდებით მუშაობდნენ შუა საკუნეების მთარგმნელები, რა საშუალებებს იყენებდნენ ისინი რომ სათარგმნი ტექსტი მკითხველს ადეკვატურად გაეგო.

19. ლელა ციხელაშვილი - ხ და ჰ- პრეფიქსის ფუნქციისათვის ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში ძველ ქართულში

ხანმეტ წერილობით ძეგლებში ნორმას წარმოადგენს **ხ-** პრეფიქსის არსებობა **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში (შესაბამისად, ჰემეტისთვის - **ჰ-**ს არსებობა): **ხვემენ, ხიქმენ, ხიქმნა**. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხანმეტი და ჰემეტი წერილობითი ძეგლების ანალიზმა ცხადყო შემდეგი:

ა) **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში **ხ-**ს ნულთან მონაცვლეობა უნდა დაწყებულიყო I-III პირის ფორმებში (**ხვეავ > ვიყავ, ხიყო > იყო**). ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართა I სუბიექტურ პირში. ზოგიერთი ძეგლისთვის (ხანმეტი მრავალთავი, ჰემეტი ლექციონარი) ოდენ **ვ-** პრეფიქსიანი ფორმები ერთადერთ ნორმას წარმოადგენს.

ბ) I სუბიექტურ პირში ანალოგიურ ხუ-//ჰუ- > ვ- პროცესს გვიჩვენებენ რელატიური ზმნებიც (განხუასხემდით > განვასხემდით). ამ ნორმით აღდგა ქართულისთვის ბუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი“, რომელიც შემდეგ დაირღვა ვსთხოვე ტიპის ფორმებში.

გ) ჩვენი ზრით, I სუბიექტური პირის ვითარება ერთ-ერთ ძირითად ენობრივ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ ხანმეტ-ჰემეტი ტექსტების დათარიღებისათვის. ვ- პრეფიქსიანი ფორმების რაოდენობრივი სიჭარბე (ხუ-//ჰუ წარმოებასთან შედარებით) და, მით უმეტეს, ოდენ ამ ტიპის ფორმების არსებობა საკვლევი ძეგლის გვიანდებლობაზე უნდა მეტყველებდეს. ამის გათვალისწინებით შესაძლოა გადაიხედოს ზოგიერთი ძეგლის გადაწე-რის თარიღი (მაგ., მოულოდნელი ჩანს V საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ „წმიდა ქრისტინას წამების“ ხანმეტ ტექსტში ვიყავ ფორმის არსებობა).

დ) II სუბიექტური პირის ფორმებში ხ-//ჰ- პრეფიქსის დაკარგვისათვის ხელი უნდა შეეშალა მორფოლოგიურ ფაქტორს: როგორც ჩანს, იგი S₂-ის მორფემად იქნა გააზრებული.

ე) III პირის ფორმებში ეს პროცესი ბოლომდე არ არის გატარებული. ფორმათა გამარტივების პროცესი საბოლოოდ დასრულდა სანნარევ წერილობით ძეგლებში.

ვ) ხანმეტ ტექსტებში ჰემეტი ფორმების არსებობა ცალსახად მათს გვიანდებლობას არ უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა პირიქითაც იყოს. „გაპარული“ ჰემეტი ფორმების არსებობა ამ შემთხვევაში შესაძლოა აიხსნას გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით.

ზ) ამ ხელნაწერთა დიდი ნაწილი იმ დროს უნდა იყოს გადაწერილი, როცა ხანმეტობა-ჰემეტობა აღარ წარმოადგენდა ცოცხალ ენობრივ მოვლენას და ენობრივი გარემო უკვე სანნარევი უნდა ყოფილიყო (ჩანასახის სახით მაინც).

თ) ხ-//ჰ- სემენტის გამოვლენა ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში შესაძლოა აიხსნას ფონეტიკურ ნიადაგზე და ისტორიულად ასპირაციას - ხმოვანთა და სონანტთა ფშვინვიერ შემართვას - დაუკავშირდეს.

20. კახა გაბუნია - ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ქრონოლოგიისათვის ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში გარდამავალი ზმნის I და II პირის კომბინაციებში ზმნური ტიპის ერგატიული სისტემის კლასიკური სურათია წარმოდგენილი: მო-მ-კალ შენ მე; მო-გ-კალ მე შენ.

ეს სისტემა ერგატიულია, რადგან სახელური ფორმების უბრუნველობის პირობებში, ზმნაში აისახება უახლოესი ობიექტი და არა სუბიექტი.

ქართველური ენებისთვის უადრესად საინტერესო ვითარებაა პირთა ისეთი კომბინაციების შემთხვევაში, როდესაც III პირის ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმითაა (მან[ა])

წარმოდგენილი: მო-მ-კლ-ა მან მე; მო-გ-კლ-ა მან შენ.

როგორც ვხედავთ, ზმნურ ფორმაში აისახება ობიექტი, თუმცა, ამგვარ კონსტრუქციებში სუფიქსით გარდამავალი ზმნის სუბიექტის გამოხატვაც ხდება.

სუბიექტის ზმნაში ასახვა პრეფიქსული მორფემით მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც წინადადების კონსტრუქციაში შემოდის ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემიდან ნასესხები ელემენტი (ის // იგი):

აგენსი ~ პაციენსის დაპირისპირების სახელურ სისტემაში გადატანა ამ სახელთა ფორმოზრები დამთხვევითაა განპირობებული: III პირთა კომბინაციაში *`მოკლა მან[ა] მან[ა]` ზმნურ ფორმაში თავდაპირველად უახლოესი ობიექტი უნდა ასახულიყო: მაგრამ ვინაიდან ნაცვალსახელური ფუძეები ფორმოზრები ერთმანეთს დაემთხვა სწორედ III პირის ნაცვალსახელებში მოხდა აგენსი ~ პაციენსის დაპირისპირების ზმნურიდან სახელურ სისტემაში გადატანა (მან @ იგი).

ძველი ქართულის ფაქტობრივი მონაცემების თანამედროვე ქართულის მონაცემებთან ურთიერთშედარება-შეპირისპირების შედეგად, შეგვიძლია აღვადგინოთ მოთხრობითი ბრუნვის გავრცელების მიმართულება: ისტორიულად ერგატივის დაპირისპირება ნომინატივთან (აგენსი ~ პაციენსის ოპოზიციის ასახვა) ნაცვალსახელთა სისტემაში ჩაისახა; ძველი ქართულის ფიქსირებული მონაცემების მიხედვით, ეჭვს არ იწვევს ნაცვალსახელური -მან სუფიქსის ერგატივის ფუნქციით ხმარება როგორც სულიერ (ადამიანთა კლასის), ისე უსულო (ნივთთა კლასის) სახელებში (კაც-მან; სახლ-მან...). ქართველურ ენათა ერგატიული კონსტრუქცია პირველადია დრო-კილოთა I სერიის ფორმათა ნომინატიურ-დატიურ კონსტრუქციასთან მიმართებით. სხვა საკითხია ერგატიულისა და ინდეფინიტიური კონსტრუქციების ისტორიული მიმართება: ამოსავალი უთუოდ სახელური ტიპის ინდეფინიტიური კონსტრუქციაა, ზმნური ტიპის ერგატიული სისტემის არსებობის პირობებში.

21. კახა გაბუნია - ბილინგვური განათლება აშშ-სა და საქართველოში

ყველა ქვეყანაში საგანმანათლებლო პოლიტიკა გარკვეულწილად, პოლიტიკური კონტექსტითაა განპირობებული; გარდა პოლიტიკურისა, ბილინგვური განათლების დანერგვა 3 უმთავრეს ასპექტს მოიცავს: ა) სისტემური ბილინგვური განათლება, რომელიც გულისხმობს ბილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებას; ბ) ინსტიტუციონალური ბილინგვური განათლება, რომელიც გულისხმობს ორენოვანი საგანმანათლებლო პოლიტიკის გააზრებას ინსტიტუციონალურ დონეზე; გ) პედაგოგიური – რომელიც გულისხმობს საკლასო ოთახში ორენოვანი სწავლების უზრუნველყოფას; საკლასო ოთახში ორენოვანი სწავლების წარმატებით დანერგვა ითვალისწინებს სათანადო სასწავლო გეგმის, სახელმძღვანელოების შექმნას და ასევე – მასწავლებლების გადამზადებას.

სტატიაში განხილულია ბილინგვური განათლების თავისებურებანი აშშ-სა და საქართველოში ამ სამი

ასპექტის გათვალისწინებით.

22. კახა გაბუნია - დონეზად დაყოფილი საკითხავი ქართული ტექსტების შედგენისა და რედაქტირების ფორმულისათვის

მოხსენება ეხება პროგრამას, რომელიც, სპეციალურად შემუშავებულ ფორმულაზე დაყრდნობით, ახდენს ტექსტებში სიტყვაფორმათა ანალიზს და სტატისტიკური მასალის მიწოდებას მკვლევრისთვის, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ დონის ტექსტების რედაქტირება სასწავლო მიზნებისთვის.

23. სალომე ოშიაძე - დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში

თანამედროვე პოლიტიკური რიტორიკისა და მასმედიის ენის კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მასობრივი კულტურის გავლენით კომუნიკაციური კომპეტენციის საერთო დონემ დაიწია, შეინიშნება პერიფერიული კომუნიკაციის პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია - ლექსიკური ფონდის გაღარიბება, გრამატიკულ საშუალებათა გამარტივება, გამონათქვამის ემოციური შინაარსის წილის გაზრდა რაციონალური წილის ხარჯზე, მეტყველების ვულგარიზაცია, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ენის განვითარების პროცესს.

24. სალომე ოშიაძე - პირადი სივრცის პროექცია ქართულ ლინგვოკულტურაში

პირადი სივრცე არა მხოლოდ ადამიანის შინაგან სამყაროსა და მის ახლოს არსებულ სივრცითს მონაკვეთს გულისხმობს, არამედ იმ საგნებსა და პირებსაც, რომლებიც ამ სივრცის საზღვრებში მყოფობენ. ამდენად, პირადი სივრცის, როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტის, სრული აღწერა თითქმის თეზაურუსის შექმნას უტოლდება, რადგან ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური სამყაროს სრულ დესკრიფციას გულისხმობს იმდენად, რამდენადაც ენობრივიცა და არაენობრივი სივრცეც პირად და მის გარეთა სივრცეებად იყოფა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულისა, შევეცადეთ აღგვეწერა კონცეპტ „პირადი სივრცის“ ნომინაციური ველი, რომელიც სემიოტიკური სიმჭიდროვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა; დაგვეხასიათებინა კონცეპტის განმახორციელებელი ენობრივი საშუალებები (არაპირდაპირი ნომინაციები, საერთო ფუძის მქონე სიტყვები, სინონიმები, კომტექსტური სინონიმები, სიმილარები, მორფოლოგიური საშუალებები). მიმოვიხილეთ პარემიული მასალა და მყარი შესიტყვებები, როგორც

ის უბანი, რომელშიც ხალხის მსოფლხედვა, მისი სული ყველაზე ნათლად ჩანს.

ქართულ ლინგვოკულტურაში პირადი სივრცის პროექციაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ „პირადი სივრცე“ მაკროკონცეპტია, რომლის სრულად აღწერა ისეთი კონცეპტების შესწავლის გარეშე, როგორცაა „თავისუფლება“, „საიდუმლოება“, „პირადულობა“, „მარტოობა“, „საკუთრება“ და სხვ. , შეუძლებელია.

25. სალომე ოშიაძე - სემიოტიკური სიმჭიდროვე და რეგიონული კონცეპტოსფერო

ეროვნულ კონცეპტოსფეროთა არსებობა გვაპარაუდებინებს რეგიონული კონცეპტოსფეროს არსებობასაც. ჩვენ საკითხის დასმის სახით წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრება არსებით კავკასიურ კონცეპტთა გამოვლენასთან დაკავშირებით. სახელდობრ, სემიოტიკური სიმჭიდროვე მივიჩნიეთ იმ მახასიათებლად, რომელზე დაყრდნობითაც უნდა დაიწყოს კავკასიური კონცეპტოსფეროს შემადგენელთა გამოვლენა-შესწავლა.

კონცეპტის სემიოტიკური სიმჭიდროვის მაღალი ხარისხი მოწმობს კონკრეტული ლინგვოკულტურის წარმომადგენელთათვის სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს გააზრების აქტუალურობას. თუ ენაში ერთ კონცეპტს მრავალი სახელდება აქვს, მაშინ სინამდვილის მოცემული სფერო მნიშვნელოვანია ხალხის პრაქტიკული საქმიანობისათვის და ამიტომაც გაიაზრება იგი ზედმიწევნით.

რაც უფრო მრავალგვარია კონცეპტის ნიშნური გამოხატვის პოტენციალი, მით უფრო ძველია იგი და მით უფრო მაღალია მისი ღირებულებითი მნიშვნელობა სახელმძღვანელო ხალხისათვის.

კონცეპტის მრავალი დასახელება, თავის მხრივ, მოწმობს მის კომუნიკაციურ რელევანტურობას, ანუ იმას, რომ მოცემულ სოციალურ ეთნოკულტურულ უზიარებელ კონკრეტულ კონცეპტურ ინფორმაციას, დაწვრილებით განიხილავენ მას, მსჯელობენ მასზე,

ვფიქრობთ, აღნიშნული იძლევა იმის საფუძველს, რომ ადვილად მოიძებნოს ყველაზე არსებითი კონცეპტები, ის საერთო, რომლის ზედმიწევნით შემეცნებასაც საუკუნეების განმავლობაში ცდილან კავკასიელი ხალხები.

26. სალომე ოშიაძე - ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის

კომუნიკაციური პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ორი ტიპის ცოდნის დაპირისპირება – სიღრმისეულისა და ზედაპირულის, რომელსაც სხვაგვარად მაორიენტირებელი ცოდნაც შეიძლება

ეწოდოს.

ყოფითს დისკურსში მხოლოდ მაორიენტირებელი ცოდნით ოპერირება არანაირ პრობლემას არ ქმნის, რაც იმითაა განპირობებული, რომ ყოფითი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სიტყვიერ ნიშანთა მინიმალური რაოდენობაც საკმარისია, უფრო მეტიც, ეს ნიშნები ხშირად დამატებითი, შემავსებელი ფუნქციისაა, ფატიკურ როლს ასრულებს და უმეტესად კომუნიკანტებს შორის კონტაქტის არსებობას მოწმობს მხოლოდ. იმავეს ვერ ვიტყვით სხვა ტიპის დისკურსებზე, განსაკუთრებით, სამეცნიეროსა და მასმედიურზე.

სტატიაში სიღრმისეული ცოდნის უქონლობისა და მაორიენტირებელი ცოდნის უკმარობის საილუსტრაციოდ განხილულია ლექსემა „ტერმინის“ უმარტებულო ხმარების შემთხვევები. სახელდობრ, გაანალიზებულია კონტექსტები, რომლებშიც „ტერმინად“ სახელდებულია საერთო სალიტერატურო ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები – ნებისმიერი სიტყვა თუ გამონათქვამი, იდიომები, რითაც უგულებელყოფილია ტერმინის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშნის, ძირითადი მახასიათებლები – დეფინიციურობა, კონვენციურობა და სისტემურობა.

27. რუსუდან ზექალაშვილი - ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატული ანალიზი პერსონაჟთა

მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესების მიხედვით)

სტატიაში განხილულია ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატული ანალიზი დავით კლდიაშვილის პიესებისა და მოთხრობების მიხედვით. დიალოგის მონაწილეთა მეტყველების თავისებური კოლორიტი იქმნება არა მარტო დიალექტური გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით, არამედ ფატიკური ენობრივი კლიშეებითა და ფრაზებით. კლდიაშვილის პერსონაჟები ზოგჯერ მხოლოდ ერთმანეთს საუბრის გულისთვის ელაპარაკებიან. მათ დიალოგებში გამოყენებულია ფატიკური კომუნიკაციის ერთეულები: მიმართვა, სააღერსო სიტყვები, ფიცლის ფორმულები; ასევე რიტუალური მისალმება, მოკითხვა, მობოდიშება, მადლობა, მიპატიჟება, დალოცვა, მილოცვა, ქათინაური და სამეტყველო ეტიკეტის გამომხატველი სხვა ფრაზები. კომუნიკაციურ სტრატეგიაში ხშირად გამოიყენება ხაზგასმული თვითდამცრობა ადრესატის განდიდების სურვილით. ენობრივი ფორმის თვალსაზრისით ჭარბობს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (მიმართვები, შორისდებულები), მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები და მოდალური სიტყვები.

დ. კლდიაშვილს ბუნებრივად აქვს გადმოცემული იმერული სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკა და ხაზს უსვამს პერსონაჟთა არტიტულობას, კუდაბზიკობას, გადამეტებულ თავაზიანობას, კეთილგანწყობისა და ემპათიის გამოხატვის სურვილს, თუნდაც ეს ბოლომდე გულწრფელი არ იყოს.

28. რუსუდან ზექალაშვილი - ახლავს ზმნის გამოყენების ისტორიისა

და მართლწერისათვის ქართულში

სტატიაში განხილულია პირში მონაცვლე ზმნა **ახლავს**, როგორც თავაზიანობის სისტემის ერთ-ერთი გრამატიკულ-ლექსიკური საშუალება, მისი გამოყენების ისტორია და ადგილი ქართული სამეტყველო ეტიკეტში.

სხვადასხვა პერიოდის ქართული სამწერლობო ენის ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ თავაზიანობის ვერბალური გამოხატვის საშუალებები თანდათან დამკვიდრდა: ჯერ – თქვენობითი ფორმები ნაცვალსახელებში, თითქმის იმავდროულად – თანიანი მრავლობითი თავაზიანი მხოლობითის ფუნქციით და ბოლოს – პირში მონაცვლე ზმნები, რომელთაგან ყველაზე ადრინდელი ჩანს **ბრძანა** ზმნა. პირში მონაცვლე ზმნებისთვის თავაზიანობის გამოხატვა უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოების ფენებს შორის სოციალური განსხვავების ასახვის საჭიროებას.

ქართული სალიტერატურო ენის XII-XIX საუკუნეების ძეგლებში **ახლავს/გახლავართ** ფორმები გვხვდება მხოლოდ ხლების/თანხლების სემანტიკით. ამ ზმნის თავდაპირველი მნიშვნელობა გაფართოვდა, მიენიჭა მოკრძალება-მორიდების გამოხატვის უნარი და იქცა ერთპირიანად (=ყოფნა). მოუბარი პირი თავის თავზე ამბობს არა ვბრძანდები-ს, არამედ **გახლავართ-ს** (=ვარ), ხოლო მიირთმევს/მიირთვით ზმნას ჩაანაცვლებს **გეახლებით/გეახელით** ფორმით (და – არა მივირთმევ/მივირთვი), თუმცა ვჭამე- (დავლიე)-ს მნიშვნელობით ის მაინც იშვიათად გვხვდება და გაცილებით ახალი სემანტიკური ნიუანსი უნდა იყოს. ამ ფორმებით პირველ პირში ხაზი ესმება ადრესატისადმი თავაზიანობას.

ყურადღებაა გამახვილებული **ეახლება/გეახლებით** ზმნის პოლისემიურობაზე: ერთპირიანი (გეახლებით = მე მოვალ) ან ორპირიანი (მე გეახელით რამე = მე ვჭამე/დავლიე) გამოიყენება მოკრძალებულ საუბარში.

დასმულია საკითხი ამ ფორმის მართლწერის შესახებაც. პარალელური ფორმებიდან ნორმად მიჩნეულია პირველი: გეახლებით/გეახელი/გეახლა – ვნებითი გვარის სტრუქტურის მქონე, მოქმედებითი გვარის ფუნქციით გამოყენებული, რომლის აწმყოსა და მყოფადის წრეები არადიფერენცირებულია. ზოგი ენათმეცნიერის აზრით, მართებული უნდა ყოფილიყო **გეახელით**. ამის მიზეზად დასახელებულია ამ ფორმების სემანტიკური დიფერენციაციის აუცილებლობა, თუმცა წერილობითს ძეგლებში ეს არ დასტურდება: თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება - **ეა/ია-ხმოვანთკომპლექსიანი** ფორმები ორივე მნიშვნელობით.

უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ: გეახლებთ/გეახლე/გეახლა (მხლებლად წაყვანა, თან ყოლა) – მოქმედებითი გვარის ზმნა, სათავისო ქცევის პრეფიქსით ი- (საარვისო ქცევის ფორმა: ვეახლებ მე მას), იახლებ-ს – თან იყოლიებს, მხლებლად წაიყვანს და, მეორე მხრივ, ენიანი ვნებითი გვარის სტრუქტურის გეახლებით/გეახელით. თან ხლების, მოსვლის სემანტიკის ე – ებ-ა

სტრუქტურის ზმნა (ეახლება, გეახლები, გეახლებით) მოითხოვს ნომინატიურ კონსტრუქციას – გეახლებით (მე თქვენ), ეახლება (ის მას), ხოლო ჭამის/სმის სემანტიკისა – ერგატიულს, ბრუნვაცვალებად ობიექტთან ერთად (გეახლებით მე საჭმელს – გეახელით მე საჭმელი); არასწორია **გიახლებით** და **გიახელით** ჭამის ან დაღევის მნიშვნელობით.

ტექსტებით დამოწმებულია, რომ დღევანდელი სახით პირში მონაცვლე ზმნები პარადიგმად ჩამოყალიბდა ახალ ქართულში – XIX საუკუნეში, XX საუკუნეში უკვე ფართოდ გავრცელდა როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე მასმედიისა და სასაუბრო ენაში.

29. მაია ლომია - მონაცემთა ბაზის სტრუქტურირების საკითხი „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსის მიხედვით“

მოხსენებაში საუბარი იყო ზემოხსენებული პროექტის მიხედვით რა ტიპის მონაცემთა ბაზა შეიქმნა მეგრული ტექსტების მიხედვით და როგორია მისი აგებულება. კონკრეტულად, იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ექსპედიციის მასალები და ბეჭდურად გამოცემული ტექსტების სეგმენტირება მორფემებად და გლოსირება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

30. ქეთევან მარგიანი-სუბარი - ინტერფერენციისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ზმნაში

ეპისტემიკის პრობლემა, მისი მიმართების საკითხი ევიდენციალობასთან, დიდი ხანია, ლინგვისტთა ინტერესის საგანია. მას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება და აღწერეს ამერიკელი ინდიელების ენათა მკვლევრებმა ფ. ბოასომ (1911), ე. საპირმა (1912) და სხვებმა.

სვანურ ენაში ინფერენციული ინფორმაცია შეიძლება იყოს ეპისტემიკური ან არაეპისტემიკური, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ (რა საშუალებებით) წარმოგვიდგენს მას მთქმელი: როგორც საეჭვო-სავარაუდოს და გამოიყენებს ზმნის საკუთრივ ინფერენციულ მწკრივებს, თუ როგორც პერცეფციულთან გათანაბრებულს და გამოიყენებს „უნახაობის“ გამომხატველ ზმნებს.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დარეჯან თვალთვაძე	МАРГИНАЛЬНЫЕ ЗАМЕТКИ ПЕРЕВОДЧИКА КАК СРЕДСТВО ИНТЕРПРЕТАЦИИ ТЕКСТА (НА ПРИМЕРЕ КОММЕНТАРИЕВ СРЕДНЕВЕКОВЫХ ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДЧИКОВ), <u>Kalba ir kontekstai. Mokslo darbai.</u> Т. 3. «ЯЗЫК И МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ»,	N.3	Vilnius: Edukologija, 2013. ISSN1822- 5357	
2	ანა ხარანაული	Bible et Literature en Georgienne, in: Bible et Literature, Les editions du CERF		საფრანგეთი	იბეჭდება
3	ანა ხარანაული	"The Georgian Text of Hanna's Song: Its Greek Sources and the History of the Georgian Bible Translation" in "The Song of Hanna and Its Versions, DSI (De Septuaginta Investigationes), Vandenhoeck & Ruprecht		გერმანია	იბეჭდება

4	ანა ხარანაული	Georgian Christianity, The Bible in, Encyclopedia of the Bible and its Reception, de Gruyter		გერმანია	იბეჭდება
5	ანა ხარანაული	The Georgian Translation of the Book of Isaiah and Aporiai of the Lucianic Recension, (FS for Anneli Aejmelaeus), Peeters		ჰოლანდია	იბეჭდება
6	ანა ხარანაული	Battling the Myths: What Language Was the Georgian Amos Translated from? XV Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies		Munich, 2013, Editors: Wolfgang Kraus, Martin Meiser, Michaël N. van der Meer, Publisher: SBL, Atlanta in the series SBLSCS	იბეჭდება
7	რუსუდან ზეკალაშვილი	გლობალიზაცია და ქართული ენის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია (Глобализация и некоторые тенденции в развитии грузинского языка), Материалы докладов II международной научной конференции «Судьбы национальных культур в условиях глобализации» факультета Евразии и Востока Челябинского государственного университета,		Челябинск: изд-во «Энциклопедия»	82-85, ინგლ. 330
8	ინგა სანიკიძე	რედუპლიკაცია, როგორც		გრანადა, ესპანეთი,	213-218

		ლექსიკოტიპოლოგიური კვლევის ერთი საინტერესო უბანი, კრებული: „ლექსიკოტიპოლოგია“ (რედ. რაფაელ გუსმან ტირადო, ირ. ვოტიაკოვა)		გამომც. „ენტორნო გრაფიტო“	
9	ინგა სანიკიძე	ასპექტის მორფოლოგიურ სისტემათა მსგავსება ქართული და სლავური ენების მაგალითზე, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რუსული ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები პოლიკულტურულ სივრცეში“ (კონფერენცია ჩატარდა ათათურქისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით)		ერზრუმი, თურქეთი	იბეჭდება

ანოტაციები

1. დარეჯან თვალთვაძე - МАРГИНАЛЬНЫЕ ЗАМЕТКИ ПЕРЕВОДЧИКА КАК СРЕДСТВО ИНТЕРПРЕТАЦИИ ТЕКСТА (на примере комментариев средневековых грузинских переводчиков)

მთარგმნელის მარგინალური შენიშვნები, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის საშუალება (შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა კომენტარების მაგალითზე)

მე-11 საუკუნის შუა წლებიდან, როცა ქართული ქრისტიანული მწერლობა მკვეთრად

ორიენტირებულია ბიზანტიურ სტანდარტებზე და იქამდე შედარებით სუსტად გამოკვეთილი ელინოფილური ტენდენციები მყარად ჩამოყალიბებულ სისტემად – ელინოფილიზმად იქცევა, ქართველ მთარგმნელთა საქმიანობაშიც ახალი ტენდენციები და თარგმანისადმი ახალი დამოკიდებულება ჩნდება, რომელიც ამ ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული მთარგმნელისა და მეცნიერის, ეფრემ მცირის, მიერ ახალი მთარგმნელობითი თეორიის ჩამოყალიბებითა და ამ თეორიის მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებით დასრულდა, რაც სწორედ ბერძნულის ადეკვატური, ლიტერალური თარგმანების შესრულებას გულისხმობდა. იმის გამო რომ ასეთი თარგმანი სხვაზე მეტად მოითხოვს მთარგმნელისგან კომენტარს, საჭიროებს ერთგვარი დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის ჩართვა სათარგმნი თხზულების ტექსტში არ შეიძლება, მთარგმნელი მას ხელნაწერის აშიებზე ათავსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი წიგნის ამ თავისუფალი სივრცით აქტიურად სარგებლობდნენ ბიზანტიელი მწიგნობრებიც, რომლებიც ხელნაწერი წიგნების აშიებს სხვადასხვა შინაარსის და დანიშნულების კომენტარის დასაწრად იყენებდნენ, რაც ტექსტის ინტერპრეტაციის ერთგვარი საშუალება იყო. ბერძენთა მიზამდით ელინოფილი („ბერძენთა მოყვარული“) ქართველი მწიგნობრებიც ხშირად ურთავდნენ ხოლმე თავიანთ თარგმანებს განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს. მარგინალურ შენიშვნებს, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ სისტემას, ქართველ მწიგნობართაგან პირველად ელინოფილი ეფრემ მცირე იყენებს. მისწ მიერ ხელნაწერთა აშიებზე მიწერილი განმარტებების დანიშნულებათა, ძირითადი ტექსტის გააზრებასა და გაგებაში დაეხმაროს მკითხველს, თუმცა მარგინალურ შენიშვნათა ანალიზი ხშირ შემთხვევაში მრავალმხრივი დასკვნებისა თუ მოსაზრებების გამოთქმის საშუალებასაც იძლევა. თარგმანის ტექსტზე დართული მთარგმნელის კომენტარების შესწავლა ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ გარემოს, რომელშიც მუშაობდნენ ქართველი მთარგმნელები, იმ გავლენებსა თუ ტენდენციებს, რომლებიც ზემოქმედებდნენ ქართველი მწიგნობრების მუშაობის სტილისა თუ აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ცხადია, თარგმანის ტესტზე დართულ მთარგმნელის ამგვარ მეტატექსტებში მოცემულია მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით მუშაობდნენ შუასაუკუნეების მთარგმნელები, რა საშუალებებს იყენებდნენ სათარგმნი ტექსტის სწორად გასაგებად და როგორ ხდებოდა მისი ინტერპრეტაცია მთარგმნელის მიერ.

სტატიაში ამ კუთხით არის განხილული შუა საუკუნეების ქართულ თარგმანებს და მათზე დართულ მთარგმნელისეულ მეტატექსტები – ხელნაწერის აშიებზე მოთავსებული კომენტარები, ექსპოზიციური ხასიათის მცირე ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ და გავიგოთ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ტექსტები.

Средневековые тексты не обладали гомогенностью структуры и,помимо основного текста,сопровождались переводческими комментариями,содержащими дополнительную информацию. Поскольку их непосредственное включение в структуру переводимого текста не было возможным, переводчик помещал их на полях рукописи. В древнегрузинских рукописях маргинальные заметки (малые тексты экспозиционного характера, которые содержат информацию, как прочесть и понять другие, более важные тексты), как установленная система интерпретации текста впервые появились в XI в. на Черной Горе в работах грузинского переводчика и ученого Ефрема Мцире, заложившего в грузинской

литературе основы нового литературного направления – эллинофильства. Эллинофильство, как культурная ориентация, обусловила особенности восприятия византийской литературы, как с содержательной точки зрения, так и с точки зрения формы (языковой, стилистической и терминологической), что повлекло за собой почти адекватное перенесение оригинала на грузинский язык, в отличие от прежних переводов динамического (модально-адаптированного) типа. В деятельности грузинских переводчиков появляются новые переводческие тенденции и подход к переводу, который завершился появлением новой транслатологической теории Ефрема Мцире. Ефрем Мцире успешно применял принципы этой теории в своей переводческой практике. Он выполнял адекватные переводы с греческого языка. Следует отметить, что этим свободным пространством рукописной книги активно пользовались византийские книжники, использующие поля рукописной книги для различного рода комментариев, что представляло собой своеобразную интерпретацию текста. Подражая грекам, эллинофильски настроенные грузинские книжники зачастую снабжали свои переводы различными комментариями (замечаниями). Назначением, помещенных на полях замечаний, было оказание помощи читателю при осмыслении содержания основного текста. С другой стороны, их анализ зачастую служит основанием для высказывания различных соображений и выводов. Исследование, сопутствующих тексту комментариев, дает возможность живо представить ту атмосферу, в которой приходилось работать грузинским переводчикам и проследить те тенденции и влияния, которые определяли стиль работы и образ мышления грузинских книжников. Нет сомнения, что в подобных метатекстах содержится важная и интереснейшая информация о том, какими методами пользовались средневековые переводчики, какими способами они пользовались для правильного осмысления текста и как происходила его интерпретация переводчиком.

Несмотря на то, что в замечаниях грузинских переводчиков-комментаторов изначально преобладали толкования отдельных лексических единиц, встречаются и комментарии другого порядка. Преобладание лексических комментариев объясняется тем, что основной задачей переводчика является поиск равнозначного слова, что сопряжено с большими трудностями. Поэтому, недовольный результатами своего поиска переводчик на полях делает заметку – «да простится мне, ибо не удалось найти более подходящее слово» (Ефрем). Вместе с тем он дает толкование подобных слов, необходимых для адекватного понимания текста. Для правильного осмысления греческого текста в его многочисленных комментариях, сопутствующих основному тексту, встречаются многочисленные комментарии различного содержания, используемые переводчиком для интерпретации текста.

2. ინგა სანიკიძე - რედუბლიკაცია, როგორც ლექსიკოტიპოლოგიური კვლევის ერთი საინტერესო უბანი

ნაშრომში მიმოხილულია ქართული ენის ზმნაში დუბლეტურ წარმოებათა სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლები; საზოგადოდ, ქართულ ენაში რედუბლიკაცია არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ინტენსიურ მოქმედებათა გამოხატვის

წმინდა გრამატიკული მოცემულობა, უმჯობესია, რომ მისი მისი განხილვა ლექსიკურ დონეზე მოხდეს. ტიპოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ ქართული ენის მდგომარეობა რამდენადმე ჰგავს ევროპული ენების დუბლეტურ ფუძეთა წარმოების შინაარსობრივ მოტივაციას (გამოხატოს მოქმედების ინტენსივობა) და დუბლეტური წარმოებების თვალსაზრისით მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებს მათთან.

3. ინგა სანიკიძე - ასპექტის მორფოლოგიურ სისტემათა მსგავსება ქართული და სლავური ენების მაგალითზე

მეცნიერული კვლევა მიმართული იყო ასპექტურ წარმოებათა თვალსაზრისით გამოვლენილიყო მსგავსება ტიპოლოგიურად არაერთგვაროვან ენებში – ქართველურსა და სლავურში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა მათგანმა განვითარების საკუთარი გზა განვლო, ცხადია, რომ სინქრონულ დონეზე სისტემური მსგავსება შეინიშნება (პრეფიქსი + ასპექტური ფუძე). როგორც ჩანს, სწორედ თავსართოვანი წარმოება წარმოადგენს იმ ძირითად მორფო-სემანტიკურ ფაქტორს, რომელსაც მოქმედებათა მეტი კონკრეტულობისაკენ მიყვავართ და მორფოლოგიურად სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქციაც ეკისრებათ.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რამაზ ქურდაძე	ქართული ენის კურსი	8 იანვარი, თსუ

		ლეიდენის უნივერსიტეტში	
2	რამაზ ქურდაძე	ალექსანდრე ღლონტის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა	29 იანვარი, თსუ საქართველო
3	რამაზ ქურდაძე	ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს	23–26 ოქტომბერი, თბილისი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
4	დარეჯან თვალთვაძე	მთარგმნელის კომენტარის დანიშნულება დინამიკური და ადეკვატური ტიპის ძველ ქართულ თარგმანებში	2013 წლის 1-2 აგვისტო, თბილისი
5	დარეჯან თვალთვაძე	ძველი ქართული ლექსიკიდან (თარგმნა/თარგმანება/ თარგმანი/თარგმანებული/თა რგმანაიანი)	2013 წლის 15-18 ივნისი, თბილისი
6	ლელა ციხელაშვილი	ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში	2013 წლის 26 თებერვალი თბილისი, თსუ
7	ლელა ციხელაშვილი	თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხი: <i>მივსწერ თუ მივწერ,</i> <i>ვჭკითხავ თუ ვკითხავ?</i> (დიაქ- რონიული ანალიზი)	2013 წ. 19-20 თებერვალი, თბილისი, თსუ
8	ანა ხარანაული	ხანმეტი ესაია – ხელნაწერი და ტექსტი	25-30 ივნისი
9	კახა გაბუნია	დონეზად დაყოფილი საკითხავი ქართული	04.09.2013, თბილისი

		ტექსტების შედგენისა და რედაქტირების ფორმულისათვის	
10	კახა გაბუნია	ბილინგვური განათლება აშშ-სა და საქართველოში	18 მაისი, 2013, თბილისი
11	კახა გაბუნია	ეთნონიმთა წარმოების ისტორიისათვის ქართულში	20.06.2013, თბილისი, თსუ
12	სალომე ომიაძე	კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველი	15.04.2013, თბილისი
13	სალომე ომიაძე	დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში	26.04.2013, თბილისი
14	სალომე ომიაძე	ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის	12.06.2013, თბილისი
15	სალომე ომიაძე	პერიფერიული კომუნიკაციური პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია	20.06.2013, თბილისი
16	სალომე ომიაძე	პირადი სივრცის პროექცია ქართულ ლინგვოკულტურაში	19.10.2013, თბილისი

17	სალომე ომიაძე	ადამიანის სახის აღმწერ მყარ შედარებათა ფორმოზრივ-სემანტიკური ანალიზი	25.12.2013, თბილისი
18	სალომე ომიაძე	სემიოტიკური სიმჭიდროვე და რეგიონული კონცეპტოსფერო	24.10.2013, თბილისი
19	სალომე ომიაძე	კონცეპტი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“	10.05.2013, ქუთაისი
20	რუსუდან ზეჯალაშვილი	თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში	2013 წლის 11-12 მაისი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი
21	რუსუდან ზეჯალაშვილი	ფორმისა და ფუნქციის მიმართებისთვის ქართულ ზმნებში	2013 წლის 10-12 ოქტომბერი, წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი
22	რუსუდან ზეჯალაშვილი	ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატული ანალიზი პერსონაჟთა მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესების მიხედვით) http://caucasiology.tsu.ge/congress/2013/docs/kongresis%20masalebi%20_all.pdf	2013 წლის 23-26 ოქტომბერი, თბილისი, თსუ და ენათნეცნიერების ინსტიტუტი

23	რუსუდან ზექალაშვილი	სახელისაქტუალიზატორთაგ რამატიკულ- სემანტიკურიდახასიათებაქარ თულში http://kutaibrary.org/ type/link/	2013 წლის 16-17 ნოემბერი, ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა
24	რუსუდან ზექალაშვილი	თანამედროვე ეპოქა და ქართული ენის პრობლემები	2013 წლის 15 აპრილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
25	რუსუდან ზექალაშვილი	ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი, გვ. 38-39 http://www.ice.ge/batumi/termi nologia- 2013.pdf http://www.ice.ge/ batumi/terminologia-2013.pdf	2013, 11-13 ივნისი, თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი
26	რუსუდან ზექალაშვილი	ნაწევრის შესახებ სამუაღ ქართულში	2013, 19-20 ივნისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
27	რუსუდან ზექალაშვილი	ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებებში	2013 წლის 29-30 ნოემბერი, თსუ, მე-8 კორპუსი, ონომასტიკის/კცენტრი
28	ინგა სანიკიძე	გალაკტიონის „მწუხარე სასაფლაო“	2013, ქუთაისი, საქართველო

29	ინგა სანიკიძე	„უკ[უ]ან“ ზმნიზედის სემანტიკურ-ფორმობრივი მიმართება მარადიულობის აღმნიშვნელ ლექსემებთან („საუკუნე“ და „უკუნითი უკუნისამდე“)	2013, გორი, საქართველო
30	ინგა სანიკიძე	სიტყვა „ქართული“ („თიმსარიანის“ ტექსტის მიხედვით)	15. 04. 2013 თსუ, საქართველო
31	ინგა სანიკიძე	„უკუ[ა]ნ“ და „მუნ“ ზმნიზედათა აგებულების საკითხისათვის	15. 04. 2013 თსუ, საქართველო
32	მაია ლომია	„ხაზთაშორის მორფემული გლოსირება“-წიგნის პრეზენტაცია	15–16.11. 2013, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
33	მაია ლომია	ოკო „უნდა“ ნაზმნარი მოდალური ელემენტის დახასიათებისათვის მეგრულში	23–26.10.2013, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
34	მაია ლომია	მონაცემთა ბაზების სტრუქტურირების საკითხი „მეგრული ტექტების ელექტრონული კორპუსის“ მიხედვით	04–05. 09.2013, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
35	მაია ლომია	ბატონებისადმი მიძღვნილი მეგრული პოეზიის ნიმუშების	10–12. 05.2013, წერეთლის სახელობის სახელმწიფო

		ენობრივი ანალიზი	უნივერსიტეტი
36	მაია ლომია	სამეტყველო კოდების შერევის საკითხი ერთი ზღაპრის ენობრივი ანალიზის მიხედვით	19–20. 062013, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ
37	მაია ლომია	სამეცნიერო ექსპედიცია სამეგრელოში (ანგარიში)	26.02. 2013, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ
38	მაია ლომია	მიმდებარე სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულ ენაში	08. 01. 2013, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ
39	ქეთევან მარგიანი-სუბარი	ინფერენციისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართე-ბისათვის სვანურ ზმნაში	2013, თბილისი
40	ქეთევან მარგიანი-სუბარი	ზმნის კილოს საკითხისათვის სვანურ ენაში	2013, ქუთაისი
41	ქეთევან მარგიანი-სუბარი	კვლავ ევიდენციალობისათვის სვანურში	2013, ქუთაისი

42	ქეთევან მარგიანი-სუბარი	ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ერთი ტიპისათვის სვანურში	2013, თბილისი
43	ქეთევან მარგიანი-სუბარი	რთული ქვეწყობილი წინადადების მოდელისათვის სვანურ ენაში	2013, თბილისი
44	ნინო შარაშენიძე	ეპისტემური მოდალობა ქართულ ენაში	თბილისი, თსუ
45	გიული შაბაშვილი	მადლობის სამეტყველო აქტის მახასიათებლები ქართული და ინგლისური ენების მონაცემების მიხედვით	16-17 მაისი, 2013, თსუ, საქართველო
46	გიული შაბაშვილი	კულტურული კომპეტენციის როლი მეორე ენის სწავლების პროცესში	19-20 ივნისი, 2013, თსუ, საქართველო
47	ვახტანგ იმნიაიშვილი	ა-ფუძიანი სახელების კვეცისათვის	26.02, 2013, თსუ
48	ვახტანგ იმნიაიშვილი	ა-ფუძიანი სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის კვეცისათვის	13.06. 2013, ა.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
49	ვახტანგ იმნიაიშვილი	ზოგიერთი ო-ფუძიანი გეოგრაფიული სახელის მართლწერისათვის	20.06.2013, თსუ
50	ვახტანგ იმნიაიშვილი	ო-ფუძიანი სახელების ტრანსფორმაციისათვის	16.12, 2013, თსუ

51	პატივო ცხადია	ალექსანდრე ლლონტი და ქართველური ონომასტკა	2013, 29, 01, თსუ
52	პატივო ცხადია	ტოპონიმური ინტერფერენციის საკითხისათვის აბაშის რ-ნ ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის სოფლებში	2013, 29-30, 11, თსუ
53	დამანა მელიქიშვილი	ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის	2013
54	დამანა მელიქიშვილი	იოანე პეტრიწის, „პლატონური ფილოსოფოსის” მოღვაწეობ ის პერიოდისათვის	ქუთაისი, 21-23 სექტემბერი, 2013
55	დამანა მელიქიშვილი	იოანე პეტრიწისა და იოანე იტალოსისდამოკიდებულების შესახებ ქრისტიანული დოგმატებისადმი	12-13 დეკემბერი, 2013წ

მოხსენებათა ანოტაციები

1. რამაზ ქურდაძე – ქართული ენის კურსი ლეიდენის უნივერსიტეტში

მოხსენებაში განხილულია ქართული ენის კურსის სწავლება ლეიდენის უნივერსიტეტში, რომელიც 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერის თვეებში განხორციელდა. აღნიშნულ კურსს ლეიდენის უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 34 სტუდენტი ესწრებოდა, მათგან 25-მა აიღო კრედიტი. კურსი ნაწილი იყო ლეიდენის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთობებისა, რის შედეგადაც ლეიდენის უნივერსიტეტში ამოქმედებულია ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოებათმცოდნეობის კათედრა.

2. რამაზ ქურდაძე – ალექსანდრე ლლონტის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა

მოხსენებაში განხილულია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის პროფესორ ალექსანდრე ლლონტის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. პროფ. ალექსანდრე ლლონტის მოღვაწეობა მრავალ სფეროს მოიცავდა, კერძოდ, ქართულ ენას, ქართულ დიალექტოლოგიას, ქართულ ლექსიკოლოგიას, ქართულ ფოლკლორს და ონომასტიკას. აღსანიშნავია პროფ. ალ ლლონტის პედაგოგიური მოღვაწეობა, კერძოდ, მას სხვადასხვა დროს უხეზოდა მოღვაწეობა ნ. ბარათაშვილის სახელობის ქ. გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, თუმცა ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა მაშინდელ პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

3. რამაზ ქურდაძე – ტრანსპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების დროს

მეორე ენის სწავლების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა ანუ ტრანსპოზიცია. კერძოდ, ქართულში ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ტრანსპოზიციის შედეგად სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, მაგალითად, ქართ. **კარგი** – ზედსართავი სახელი, და **კარგი** – *დიახ, ჰო!* დასასტურებითი ნაწილაკი; ასეთივე ვითარებაა ინგლისურშიც: **good** – ზედსართავი სახელი **კარგი** და **good**, რაც გამოყენებულია

როგორც მტკიცებითი ნაწილაკი *yes – დაახ!* (შდრ.: *well*).

ბუნებრივია, სხვადასხვა ენაში იდენტური ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებთან ერთად განსხვავებული ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებიც გვაქვს. ფაქტობრივად, ამ განსხვავებული ტიპის ტრანსპოზიციის მაგალითებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა მეორე ენის სწავლების დროს.

მოხსენებაში განხილულია ქართული ტრანსპოზიციის ზოგიერთი შემთხვევა ინგლისური და რუსული შესაბამისი მაგალითებით, რასაც, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართულის, როგორც მეორე (ან უცხო) ენის, სწავლების დროს ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სტუდენტებისათვის.

4. დარეჯან თვალთვამე – მთარგმნელის კომენტარის დანიშნულება დინამიკური და ადეკვატური ტიპის ძველ ქართულ თარგმანებში

ძველი ქართველი მთარგმნელები, რომლებმაც კარგად იცოდნენ „*რაბამობაჲ ბერძნული და ქართული ენებისა*“ , რასაკვირველია, ამჩნევდნენ, რომ ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად ორი სხვადასხვა ენა ზოგჯერ სრულიად განსხვავებული საშუალებებით სარგებლობს. დედნის სიტყვის „*ხატისა და მოქცევის*“ ზუსტად გადმოსაცემად ხშირად საკმარისი არ არის მისი მხოლოდ სწორად თარგმნა, საჭიროა ზოგიერთი განმარტების ჩართვაც აზრის დასაზუსტებლად. მათი აზრით, „*ყოველსა თარგმანსა უჭმს შემატებაჲ სიტყვსა, რეცა განმაცხადებელად ძალისა*“ (ეფრემ მცირე). ამგვარი „*შემატებული სიტყვა*“, ანუ მთარგმნელის განმარტება, შენიშვნა-კომენტარი, იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მთარგმნელობითი პოზიცია და რა ტიპის თარგმანთან გვაქვს საქმე - დინამიკურთან (მოდალურ-ადაპტურთან) თუ ადეკვატურთან (სიტყვასიტყვითთან), თარგმანის ტექსტში სხვადასხვა ადგილას შეიძლება მოხდეს. დინამიკური ტიპის თარგმანებში მთარგმნელი შედარებით თავისუფლად ეკიდება დედანს და მისი ამგვარ შენიშვნები ტექსტშიცაა ჩართული. ისინი უმეტესად ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის განმარტებას ისახავენ მიზნად, ადეკვატური ტიპის თარგმანში კი, როცა მთარგმნელი ცდილობს სიტყვასიტყვით გადმოსცეს დედანი როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმოზობრივი (ენობრივ-სტილისტური და ტერმინოლოგიური) კუთხით, ტექსტში მთარგმნელისეული ჩანართები გაცილებით ნაკლებია, რადგან, მათი აზრით, აუცილებელია, რომ „*თარგმანი მასვე პირსა იტყოდეს*“, რასაც დედანი, ხოლო „*სიტყვის ძალის განმაცხადებელი*“ განმარტებები ძირითად ტექსტს მიღმა, აშეიბზე უნდა განთავდეს, რომ ადვილად მოხდეს ტექსტისა და მეტატექსტის(ტექსტის შესახებ ტექსტის) გამიჯვნა.

მოხსენებაში დინამიკური და ადეკვატური ტიპის ძველ ქართულ თარგმანებში მთარგმნელის კომენტარის განსახვევული დანიშნულების გამოსაკვეთად განხილულია ბიბლიურ წიგნთა უძველი ქართული თარგმანების ტექსტი, ექვთიმე და გიორგი

ათონელების, ეგრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანები, მათში დადასტურებული მთარგმნელისეული ჩანართები და აშიებზე მიწერილი მარგინალური შენიშვნები.

5. დარეჯან თვალთვაძე – ძველი ქართული ლექსიკიდან (თარგმნა/თარგმანება/თარგმანი/თარგმანებული/თარგმანიანი)

სემიტურის ძირისაგან თარგმან/თარგმნ (შდრ.:ებრაული תרגום - ლეთარგემ , არაბული ترجمة - თარჯამა (თ-უნ) - თარგმნა) ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა ფორმითა და მნიშვნელობით დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: *თარგმნა, თარგმანება, თარგმანი, თარგმანებული, გამოთარგმანება, მთარგმნელი, თარგმანიანი* და ა.შ. განსხვავებული მნიშვნელობისაა მათი ბერძნული შესატყვისებიც (μετάφραζειν -თარგმნა; μετάφραση- თარგმანი; Μεταφραστής-მთარგმნელი, Μεταφράστηκε-თარგმნილი; ἑξήγησις - განმარტება, თარგმანება, Επεξηγήση, ἐρμυεία-გამოთარგმანება, ეგზეგეტოს -თარგმანი (=განმარტებელი, კომენტატორი). განსახვავება არის ფორამალური (მორფოლოგიური ფორმა) და შინაარსობრივი (სემანტიკური) მნიშვნელობის თვალსაზრისით. *თარგმან*, როგორც სახელური ფუძე, შეუკუმშავია. უძველეს ძეგლებში ზმნური ფორმები წარმოდგენილია *თარგმან* ფორმით: თარგმან-ა, გამო-თარგმან-ა, გამო-ი-თარგმან-ებ-ი-ს, თარგმან-ებ-ს. ამ ძირიდან ნაწარმოები მიმდებებში ძირითადად შეკუმშული ფუძე გვაქვს: მ-თარგმნ-ელი, გამო-თარგმნ-ილი, არ დასტურდება ასეთი ფორმა: მ-თარგმან-ელ-ი. თუმცა გვაქვს მ-თარგმან-ებ-ელ-ი, სა-თარგმან-ებ-ელ-ი, ნა-თარგმან-ებ-ი, ასევე საწყისის ფორმები თარგმანება , გამოთარგმანება და მისთ, სადაც ფუძე შეკუმშული არ არის. რაც შეეხება ამ სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობას, *თარგმნა* ნიშნავს ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანას, გარდამოღებას (μετάφραση, перевод, translation); მაგრამ იგივე სიტყვა*თარგმნა* ამავე დროს გამოყენებულია განმარტების მნიშვნელობითაც : (ἑξήγησις, ἐρμυεία, толкование,разъяснение,Explanation). განმარტებას აღნიშნავს ძველი ქართული თარგმანება/გამოთარგმანებაც („*გამოგვითარგმანეჩუენიგავიიგილუარძლისადააგარაკისა*“). თუმცა იგივე გამოთარგმანება/თარგმანება ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის მნიშვნელობითაც იხმარება არც თუ ისე იშვიათად. მაგალითად, „*გამოთარგმანესაღმრთოდნიწიგნიებრაელელებრითბერძენთაენად*“; [ლოცვა-ყავთ წმიდისა მამისა ეფთჳმესთჳს, რომელმან წმიდაჲ წიგნი თარგმანა, წმიდანო ღმრთისანო; ხოლო თევდოტიდა აკვლას შროშნად თარგმანეს](#)“.

სიტყვა *თარგმანი* ნიშნავს მთარგმელს, თარჯიმანს, მოენეს („*ხოლო მათ არა იცოდეს, ვითარმედ ესმის ყოველი იგი იოსებს. რამეთუ თარგმანი დგა მათ შოვრის; მოიყვანა თარგმანი, ბერძულ-მეტყუელი დედაკაცი*); მთარგმნელს (მწიგნობარს), „წიგნთა თარგმანს“ („*ექვთიმე*

თარგმანი“; „ეფრემ თარგმანი“, „კაცი კეთილადმეტყველი და წიგნთა თარგმანი“; „რომელი მოკლანია ეფთჳმე ყოველთა თარგმანთა მამამან“; შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავებით). რასაკვირველია, ძველ ქართულ ტექსტებში გვაქვს ისეთი მაგალითებიც, რომელიც გვიჩვენებს, რომ სიტყვა *თარგმანი* აღნიშნავს თარგმნილ ტექსტს, თარგმნის პროდუქტს, იმას, რაც ითარგმნა. მაგ. „*არა იცოდა ბერძული და თარგმანი არა გუაქუნდა*“; თუმცა ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა *თარგმნილი* („*ესე მეცა მისსავე თარგმნილისაგან დამიწერიან; დიდითა მოლუაწებითა თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისაჲ*“). საინტერესოა ისეთი მაგალითები, როცა ერთი წინადადების ფარგლებში სიტყვა *თარგმანი* განსახვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული. მაგ. ეფრემ მცირე სამოციქულოს განმარტების წინასიტყვაობაში წერს: „*ხოლო სადა თარგმანი სიტყვსაჲ მაძულუობდა იშუთ ცვალებასა სიტყვსასა, იგი თარგმანსა შინა იოტადთა დაუსაკუთრესითა აღმინიშნავს ყოველსა ადგილსა*“: პირველ შემთხვევაში სიტყვა *თარგმანი* ნიშნავს განმატრებას (=თარგმანებას), რომელიც დაწერილია სამოციქულოს ტექსტის შესახებ წმინდა მამათა მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს სიტყვა გამოყენებულია ნათარგმნი ტექსტის (თარგმნის პროდუქტის) მნიშვნელობით, რადგან ასეთი პირობითი აღნიშვნები, რომლებზეც საუბრობს ეფრემი, მან სწორედ თარგმანის ტექსტში გააკეთა. სიტყვა *თარგმანი* არნიშნავენ განმარტებელსაც, ეგზეგეტს („*იოვანე ოქროპირი არს თარგმანი ებისტოლეთა პავლე მოციქულისა*“), ნიშნავს თვითონ განმარტებასაც („*თარგმანი მათეს სახარებისაჲ*“). ადიშის ოთხთავში (მათ. 23, 13) დასტურდება ამ სიტყვის ფარისეველის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაც: „*ვად თქუნდა, მწიგნობართა და თარგმანთა ორგულთა* (ზღრ.: *ჯრუჭისა და პარხლის სახარების შესაბამის მუხლი*: „*ვაი თქუნდა მწიგნობარნო და ფარისევლნო, ორგულნო და ბერძნული: [γραμματεῖς καὶ Φαρισαῖοι ὑποκριταὶ](#)*“).

6. ლელა ციხელაშვილი – ი- პრეფიქსიანი ვნებებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება ძველ ქართულში

(ოსუ ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტ. აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადების 126-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, 2013 წლის 26 თებერვალი)

ხანმეტ წერილობით ძეგლებში ნორმას წარმოადგენს **ხ-** პრეფიქსის არსებობა **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის სამივე პირის ფორმაში (შესაბამისად, ჰაემეტისთვის - **ჰ-**ს არსებობა): **ხყავ**, **ხიყავ**, **ხიყო**. ეს ნორმაა, თუმცა გვაქვს დარღვევებიც.

ი- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში **ხ-**ს ნულთან მონაცვლეობა უნდა დაწყებულ იყოს I-III პირის ფორმებში (**ხყავ** > **ვიყავ**, **ხიყო** > **იყო**). ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართა I სუბიექტურ პირში. ზოგიერთი ძეგლისთვის (ხანმეტი მრავალთავი, ჰაემეტი ლექციონარი) ოდენ **ვ-** პრეფიქსიანი ფორმები ერთადერთ ნორმას წარმოადგენს. I სუბი-ექტურ პირში ანალოგიურ **ხუ-**/**ჰუ-** > **ვ-** პროცესს გვიჩვენებენ რელატიური ზმნებიც (*განხუასხემდით* > *განვასხემდით*). ამ

ნორმით აღდგა ქართულისთვის ბუნებრივი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი“, რომელიც შემდეგ დაირღვა *ვსთხოვე* ტიპის ფორმებში.

II სუბიექტური პირის ფორმებში **ხ-//ჰ-** პრეფიქსის დაკარგვისათვის ხელი უნდა შეეშალა მორფოლოგიურ ფაქტორს: როგორც ჩანს, იგი S₂-ის მორფემად იქნა გააზრებული. III პირის ფორმებში ეს პროცესი ბოლომდე არ არის გატარებული. ფორმათა გამარტივების პროცესი საბოლოოდ დასრულდა სანნარევ წერილობით ძეგლებში.

ჩვენი ზრით, I სუბიექტური პირის ვითარება ერთ-ერთ ძირითად ენობრივ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების დათარიღებისათვის. ვ- პრეფიქსიანი ფორმების რაოდენობრივი სიჭარბე (**ხუ-//ჰუ** წარმოებასთან შედარებით) და, მით უმეტეს, ოდენ ამ ტიპის ფორმების არსებობა საკვლევი ძეგლის გვიანდელობაზე უნდა მეტყველებდეს.

ამ ხელნაწერთა დიდი ნაწილი იმ დროს უნდა იყოს გადაწერილი, როცა ხანმეტობა-ჰაემეტობა ადარ წარმოადგენდა ცოცხალ ენობრივ მოვლენას და ენობრივი გარემო უკვე სანნარევი უნდა ყოფილიყო (ჩანასახის სახით მაინც), რასაც ადასტურებს თუნდაც ხანმეტ ოთხთავში (VII ს.) არსებული **ხ-** პრეფიქსიანი ფორმა: *დასთვის* [მრკ. 4:260]. ხანმეტ ტექსტებში დადასტურებულ ამ ერთადერთ **ხ-** პრეფიქსიან ფორმას შესაძლოა გვერდში ამოვუყენოთ ჯ. ბერდუღლის მიერ ამოკითხულ ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებში დადას-ტურებული ე.წ. კონტამინაციური დაწერილობის *<ხს>ტიროდეთ* [ლ. 7:32] ფორმაც.

ხანმეტ ტექსტებში ჰაემეტი ფორმების არსებობა ცალსახად მათს გვიანდელობას არ უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა პირიქითაც იყოს. „გაპარული“ ჰაემეტი ფორმების არსებობა ამ შემთხვევაში შესაძლოა აიხსნას გადამწერის ენობრივი გარემოს გავლენით. ჩვენთვის უფრო მისაღები ჩანს ხანმეტობა-ჰაემეტობის მიმართების საკითხის ა. შანიძისეული დიალექტური ახსნა და არა ქრონოლოგიური, როგორც ამას გვთავაზობდა ი. ჯავახიშვილი. მცხეთის ჯვრის ადრნერსე ჯპატოსის წარწერა (VII ს. I მეოთხ.)ცხადყოფს, რომ *მეობ ეყავ* ფორმაში იკარგება სწორედ **ხ-** პრეფიქსი და არა **ჰ-**. დემეტრე და ადრნერსე ჯპატოსების წარწერებს შორის სხვაობა დაახლოებით მეოთხედი საუკუნეა და, ბუნებრივია, ამ მცირე დროში **/ხ-//ჰ-//>0** პროცესს ვერ ვივარაუდებთ.

ხ-//ჰ- სეგმენტის გამოვლენა **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში შესაძლოა აიხსნას ფონეტიკურ ნიადაგზე და ისტორიულად ასპირაციას დაუკავშირდეს.

7. **ლელა ციხელაშვილი – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხი: *მივსწერ თუ მივწერ, ვჰკითხავ თუ ვკითხავ?* (დიაქრონიული ანალიზი)**

(ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. თაყაიშვილისადმი

მიმდევნილი მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, 2013 წ. 19-20 ივნისი)

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული: *მივსწერ/მივწერ, შევსწივლებ/შევწივლებ, ვაკითხავ/გვითხავ, ვაკყავარ/ვყავარ, შევკვებებივარ/შევკვებებივარ* და სხვ.

ქართული ზმნის სტრუქტურაში ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ორი პირის პრეფიქსული მორფემა ერთდროულადაა წარმოდგენილი და ამით ირღვევა ქართულისთვის, ზოგადად, დამახასიათებელი „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი“ (თ. გამყრე-ლიძე). ამგვარი ფორმები სათავეს უძველეს ხანმეტ ტექსტებში იღებს, ოღონდ განსხვავებული რანგებით. *შეხუაბთ, ხუარწმუნოთ* ტიპის ფორმებში S₁/**ხუ-* პრეფიქსის რეინტერპრეტაცია O₃/*ხ-* და S₁/*უ-* პრეფიქსთა კომბინაციად მეორეულია. ენაში მოქმედი სისტემის უნიფორ-მაციისადმი მიდრეკილების კანონის თანახმად, ხანმეტ ტექსტებშივე შეინიშნება ამგვარი „პრეფიქსული ბიპერსონალიზმის“ დამღვევის ტენდენცია, რაც გამოიხატა */ხუ- > /ვ-* პროცეს-ში. რელატიური ზმნების I სუბიექტური პირის ფორმებში მიმდინარე ეს პროცესი იდენტუ-რია აბსულუტურ ზმნთაგან *ო-* პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში მიმდინარე ცვლი-ლებებისა. თუ ხანმეტ ოთხთავში (VII ს.) ამ მხრივ პარალელური წარმოება გვაქვს (*განხუასხამ* (ლ. 11:20) // *განვასხემით* (მ. 7:22)), ხანმეტ მრავალთავსა (VIII საუკუნის I ნახ.) და ჰაემეტ ლექციონარში (VIII ს.) *ვ-* პრეფიქსიანი ფორმები უკვე ნორმის სახეს იღებს.

ენაში მოქმედი უნიფორმაციის პროცესი კვლავ შეფერხდა ჰაემეტ ლექციონარში გამო-ვლენილი *დავკითესი* (ჰაემ. 385:1) ფორმით, რომელიც პრეფიქსულ მორფემათაგან ორივეს გამოავლენს, თან ახლებური რანგებით. ამ ფორმამ სათავე დაუდო *ვაკითხე//გვითხე, ვსთხო-ვე//ვთხოვე* ტიპის პარალელურ წარმოებას.

საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლების I სუბიექტური პირის რელატიურ ფორმებში ამ მხრივ სიჭრელეა. *ჰ-//ს-* პრეფიქსი შედარებით იშვიათად დასტურდება იმ შემთხვევებშიც, რომლებშიც მის გაჩენას არავითარი მორფოლოგიური საფუძველი არ მოეპო-ვება. ამ შემთხვევაში მისი არსებობა უფრო ექსპრესიული ფუნქციით იხსნება და იხმარება კეთილხმოვანების პრინციპით (*გავკვეთო* (შაჰნამე, 624:1), *ვსტირი* (შაჰნამე, 3180:3) და სხვ.). მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში ილიას თაოსნობით დაიწყო ამ „რთული“ პრეფიქსის გამარტივება და უპირატესობა მიენიჭა ოდენ *ვ-* პრეფიქსიან ფორმებს.

დღეს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში O₃^{ind} პირის ნიშნები S₁-ის პირის ნიშანთან, ფაქტობრივ, აღარ იხმარება. ეს საჭირობოროტო საკითხი არაერთხელ დასმულა საენათმეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი...). ვუერთდებით არსებულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ დროა ენაში მიმდინარე ამ კანონზომიერ პროცესს **ნორმის სახე მიეცეს** (რასაც საკითხის დიაქრონიული ანალიზიც უჭერს მხარს) და *მივსწერ//მივწერ* ტიპის პარალელურ ფორმათაგან **ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულ იქნეს *ვ-***

პრეფიქსიანი ფორმა (მიწერ, ვთხოვ, შევწირავ...).

8. სალომე ოშიაძე – კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციური ველი

ქართული დისკურსის ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეპტის ნომინაციური ველის სახელწოდებად და საკვანძო რეპრეზენტანტად „ქართული ენა“ ავირჩიეთ, როგორც ყველაზე ხშირი გამოყენების სტილისტიკურად ნეიტრალური მყარი შესიტყვება. მიუხედავად იმისა, რომ აღსაწერი კონცეპტის ზოგიერთი სისტემური სინონიმი (მაგალითად, „დედაენა) ემოციური შეფერილობით „ქართულ ენაზე“ მეტია, ხოლო ემოციური მიმართების ქონა კონცეპტის ერთ-ერთი დეფინიციური ნიშანია, სახელდების დროს ჩვენ უფრო მნიშვნელოვანად მაინც მოცულობა და კონკრეტულ ლინგვოკულტურაზე მითითება მივიჩნიეთ. შევისწავლეთ კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველში შემავალი საკვანძო რეპრეზენტანტი, მისი სისტემური სინონიმები, დერივაციული ველი, პარემიოლოგიური ფონდის ნაწილი და პერცეფციულ ხატში რეალიზებული ხატოვანი კომპონენტი.

9. სალომე ოშიაძე – დისკურსული კომპეტენციის დეფიციტი

პოლიტიკურ რიტორიკასა და მასმედიის ენაში

თანამედროვე პოლიტიკური რიტორიკისა და მასმედიის ენის კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მასობრივი კულტურის გავლენით კომუნიკაციური კომპეტენციის საერთო დონემ დაიწია, შეინიშნება პერიფერიული კომუნიკაციის პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია – ლექსიკური ფონდის გადარიბება, გრამატიკულ საშუალებათა გამარტივება, გამონათქვამის ემოციური შინაარსის წილის გაზრდა რაციონალური წილის ხარჯზე, მეტყველების ვულგარიზაცია, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ენის განვითარების პროცესს.

10. სალომე ოშიაძე – ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის

კომუნიკაციური პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ორი ტიპის ცოდნის დაპირისპირება – სიღრმისეულისა და ზედაპირულის, რომელსაც სხვაგვარად მაორიენტირებელი ცოდნაც შეიძლება ეწოდოს.

ყოფითს დისკურსში მხოლოდ მაორიენტირებელი ცოდნით ოპერირება არანაირ პრობლემას არ ქმნის, რაც იმითაა განპირობებული, რომ ყოფითი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სიტყვიერ ნიშანთა მინიმალური რაოდენობაც საკმარისია, უფრო მეტიც, ეს ნიშნები ხშირად დამატებითი, შემავსებელი ფუნქციისაა, ფატიკურ როლს ასრულებს და უმეტესად კომუნიკანტებს შორის კონტაქტის არსებობას მოწმობს მხოლოდ. იმავეს ვერ ვიტყვით სხვა ტიპის დისკურსებზე, განსაკუთრებით, სამეცნიეროსა და მასმედიურზე.

მოხსენებაში სიღრმისეული ცოდნის უქონლობისა და მაორიენტირებელი ცოდნის

უკმარობის საილუსტრაციოდ განვიხილეთ ლექსემა „ტერმინის“ უმართებულო ხმარების შემთხვევები. სახელდობრ, გავანალიზეთ კონტექსტები, რომლებშიც „ტერმინად“ სახელდებულია საერთო სალიტერატურო ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები – ნებისმიერი სიტყვა თუ გამონათქვამი, იდიომები, რითაც უგულებელყოფილია ტერმინის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშნის, ძირითადი მახასიათებლები – დეფინიციურობა, კონვენციურობა და სისტემურობა.

11. სალომე ოშიაძე – პერიფერიული კომუნიკაციური პრაქტიკის ცენტრალიზაციის ტენდენცია

პერიფერიული კომუნიკაციური პრაქტიკის უმთავრესი მახასიათებელია ნებისმიერი ტიპის ცენზურის შესუსტება ან მისი საერთოდ არარსებობა. ყოფითი საკომუნიკაციო სიტუაციები მხოლოდ გაგებინებას ემყარება, რისთვისაც აცაუცილებელია რარისენისსხვადასხვადონისერთეულებითგააზრებული და მოწესრიგებულიობერება. ყოველდღიურიურთიერთობისდროსკომუნიკანტებიარეძებენ და არარჩვენსიტყვა-ფორმებსათუსათანადოსინტაქსურკონსტრუქციებს. ამგვარიკომუნიკაციისათვისსაკმარისიავერბალურიშანთა ის მინიმუმი, რომელსაცისინისპონტანურად და მომენტალურადიყენებენ.

კომუნიკაციურიპრაქტიკისათვისმნიშვნელოვანიაორი ტიპის ცოდნისდაპირისპირება – სიღრმისეულის და ზედაპირულისა. ამუკანასკნელსმორიენტირებელიც შეიძლებააუწოდოთ. ცოდნისამგვარიდიფერენციაციაცყველადარგ შიმოქმედებს. როგორცუკვეაღნიშნეთ, მორიენტირებელიენობრივიცოდნაურთიერთობისდაბალირეგისტრისათვისსავსებითდამაკმაყოფილებელია, მაგრამენისგანვითარებისათვისსაზიანოაოფიციალურიურთიერთობისასსიღრმისეულიენობრივიცოდნისხარჯზემორიენტირებელიცოდნისწილისგაზრდა.

საჯაროდისკურსიურთიერთობისმაღალრეგისტრსგანკუთვნება, რომლისმთავარმახასიათებლადვერბალურიზებულისაზრისრედაქტირებაუნდამივიჩნით, რაც, თავისმხრივ, ოფიციალურიკომუნიკაციისმონაწილეთაგანკულტურულიურთიერთობისათვისსაუცილებელია მეტყველორესურსებისქონასა და გამოყენებასგულისხმობს. თუმცათანამედროვევითარებაზედაკვირვებაგვიჩვენებს, რომ სტილურრეგისტრთამთელისისტემა, თითქმისყველასამეტყველოჯანრისაწყის, ყოფითსაკომუნიკაციოჯანრსუბრუნდება.მოსხენებაშისწორედ ამ ტენდენციისსაილუსტრაციოკონკრეტულშემთხვევათაანალიზიწარმოვადგინეთ.

12. სალომე ოშიაძე – პირადი სივრცის პროექცია ქართულ ლინგვოკულტურაში

პირადი სივრცე არა მხოლოდ ადამიანის შინაგან სამყაროსა და მის ახლოს არსებულ სივრცეთს მონაკვეთს გულისხმობს, არამედ იმ საგნებსა და პირებსაც, რომლებიც ამ სივრცის საზღვრებში მყოფობენ. ამდენად, პირადი სივრცის, როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტის, სრული აღწერა თითქმის თეზაურუსის შექმნას უტოლდება, რადგან ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური სამყაროს სრულ დესკრიფციას გულისხმობს იმდენად, რამდენადაც ენობრივია და არაენობრივი სივრცეც პირად და მის გარეთა სივრცეებად იყოფა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სირთულისა, შევეცადეთ აღვვწერა კონცეპტ „პირადი სივრცის“ ნომინაციური ველი, რომელიც სემიოტიკური სიმჭიდროვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა; დაგვეხასიათებინა კონცეპტის განმახორციელებელი ენობრივი საშუალებები (არაპირდაპირი ნომინაციები, საერთო ფუძის მქონე სიტყვები, სინონიმები, კომტექსტური სინონიმები, სიმილარები, მორფოლოგიური საშუალებები). მიმოვიხილეთ პარემიული მასალა და მყარი შესიტყვებები, როგორც ის უბანი, რომელშიც ხალხის მსოფლხედვა, მისი სული ყველაზე ნათლად ჩანს.

ქართულ ლინგვოკულტურაში პირადი სივრცის პროექციაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ „პირადი სივრცე“ მაკროკონცეპტია, რომლის სრულად აღწერა ისეთი კონცეპტების შესწავლის გარეშე, როგორცაა „თავისუფლება“, „საიდუმლოება“, „პირადულობა“, „მარტოობა“, „საკუთრება“ და სხვ., შეუძლებელია.

13. სალომე ოძიაძე – ადამიანის სახის აღმწერ მყარ შედარებათა

ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზი

მყარი შედარებების სემანტიკაში ეროვნული მსოფლხედვა ირეკლება. ადამიანი მეორე ადამიანის გარეგნობის დასახასიათებლად ნაცნობი რეალის დომინანტურ ნიშანს ირჩევს, რითაც გამოსახატავ მნიშვნელობას მეტ ექსპრესიულობას სძენს. თავის მხრივ, შესადარებლის დომინანტური ნიშნის წარმატებით შერჩევა კონკრეტულ ენობრივ ერთობაში მის საყოველთაოობას მიუთითებს. ჩვენ შევეცადეთ სწორედ მხოლოდ ის ერთეულები დაგვეფიქსირებინა, რომლებიც ქართულ ლინგვოკულტურაში სტერეოტიპულობით ხასიათდება. მჯერად განვიხილეთ ადამიანის სახის (პირისა ხის) დასახასიათებელი მყარი შედარებები.

მასალა სემანტიკურჯგუფებად შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თურაზოგადინიშანიაგამოსახატავადარჩეული (მაგ., მოყვანილობა; სიდიდე; ფერი; გამომეტყველება ...), ან იმის მიხედვით, თურასედრებადასახასიათებელი (მაგ., ბუნებისობიექტებს; ბუნებისმოვლენებს; ცოცხალორგანიზმებს; კულტურულმოვლენებსათუსხვ.), საკლასიფიკაციონიშნადასევე შეიძლება გამოიყოს სტილურიკუთვნილება ან დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციები.

განხილული მყარი შედარებების ფორმობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვენ მიერ შესასწავლ მასალაში - ვით-თანდებულებიანი კონსტრუქციები ჭარბობდა, მაგრამ სახის აღწერა-

დახასიათებისათვის თანამედროვე ქართულ შიმსგავსების გამომხატველი ყველა ენობრივი საშუალებები არეალიზებული, სახელდობრ: სხვადასხვა თანდებული და დერევაციული აფიქსი, მაგალითად, კაც-ური/ ანგელოზის-ებური / თამარ მეფის-თანა / ცხენის-ნაირი / ბავშვის-მსგავსი ... სახე; ელიფსური კონსტრუქციები, რომლებშიც მსგავსებითი ელემენტი გამოტოვებული: ეშმაკის (მსგავსი) სახე; რთული ქვეწყობილი წინადადებები: ქალი შვილს ისეთი სახე უკონდა, როგორც დამფრთხალ შველს და სხვ.

ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენად გამოხატავს თითოეული შედარება ეროვნულ-სპეციფიკურ ხედვას, თუმცა თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველი მათგანი ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ცოცხლობს ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში და კომუნიკაციური რელევანტურობით ხასიათდება, მათი შესწავლის საუციულებლობას მოწმობს.

14. სალომე ოშიაძე – სემიოტიკური სიმჭიდროვე და რეგიონული კონცეპტოსფერო

ეროვნულ კონცეპტოსფეროთა არსებობა გვაპარაუდებინებს რეგიონული კონცეპტოსფეროს არსებობასაც. ჩვენ საკითხის დასმის სახით წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრება არსებით კავკასიურ კონცეპტთა გამოვლენასთან დაკავშირებით. სახელდობრ, სემიოტიკური სიმჭიდროვე მივიჩნით იმ მახასიათებლად, რომელზე დაყრდნობითაც უნდა დაიწყოს კავკასიური კონცეპტოსფეროს შემადგენელთა გამოვლენა-შესწავლა.

კონცეპტის სემიოტიკური სიმჭიდროვის მაღალი ხარისხი მოწმობს კონკრეტული ლინგვოკულტურის წარმომადგენელთათვის სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს გააზრების აქტუალურობას. თუ ენაში ერთ კონცეპტს მრავალი სახელდება აქვს, მაშინ სინამდვილის მოცემული სფერო მნიშვნელოვანია ხალხის პრაქტიკული საქმიანობისათვის და ამიტომაც გაიაზრება იგი ზედმიწევნით.

რაც უფრო მრავალგვარია კონცეპტის ნიშნური გამოხატვის პოტენციალი, მით უფრო ძველია იგი და მით უფრო მაღალია მისი ღირებულებითი მნიშვნელობა სახელმძღვანელო ხალხისათვის.

კონცეპტის მრავალი დასახელება, თავის მხრივ, მოწმობს მის კომუნიკაციურ რელევანტურობას, ანუ იმას, რომ მოცემულ სოციუმში ერთმანეთს უზიარებენ კონკრეტულ კონცეპტურ ინფორმაციას, დაწვრილებით განიხილავენ მას, მსჯელობენ მასზე,

ვფიქრობთ, აღნიშნული იძლევა იმის საფუძველს, რომ ადვილად მოიძებნოს ყველაზე არსებითი კონცეპტები, ის საერთო, რომლის ზედმიწევნით შემეცნებასაც საუკუნეების განმავლობაში ცდილან კავკასიელი ხალხები.

15. რუსუდან ზექალაშვილი – თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ (ემდგნება ქართული განძის სამშობლოში დაბრუნებიდან 75-ე წლისთავსა და ქართველი მეჭურჭლეთუხუცესის ექვთიმე თაყაიშვილის ნათელ ხსოვნას), აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი

მოხსენებაში განხილულია ქართული ენის თავაზიანობის სისტემის ლექსიკური საშუალებები, კერძოდ, პირში მონაცვლე ზმნები, მათი ისტორია, სემანტიკის ცვლა და ფუნქციები ძველი, საშუალო და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ტექსტების მიხედვით; განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ადრესატისადმი თავაზიანობის გამოსახატავად გამოყენებულ *ბრძან* ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებსა (*ბრძანა, ბრძანდებით, მობრძანდით, დაბრძანდით*) დამიირთვით, *ინებთ, მიბოძეთ* ზმნებზე.

ქართული ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვლენილია, რომ ყველაზე ადრე დადასტურებულია *ბრძანებს/ბრძანა* ზმნა „თქმის“ სემანტიკით, რადგან *ბრძანება და თქმა* სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან, ხშირად ჭირს კიდევ მათ შორის განსხვავების დადგენა.

X საუკუნეში *ბრძან* ფუძე უკვე გამოყენებულია *მოსვლის* სემანტიკითაც, ოღონდ ჯერ კიდევ არ გვხვდება დონიანი ვნებითის ფორმები, გამოიყენება, როგორც უბიექტოაქტიური ზმნა: *(3) ბრძანე, ბრძანოს*.

ხაზგასმულია მეტყველების აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკაში სოციალური დიფერენციაცია („ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“). *ბრძან* ძირისაგან *დონიანი ვნებითის* ფორმების წარმოება XVII-XVIII საუკუნეებიდან და ზმნებზე სხვა სემანტიკური ნიუანსების დამატებაც.

ტექსტები მოწმობს პირში მონაცვლე ზმნების ნარევი პარადიგმის საბოლოო ჩამოყალიბებას XIX საუკუნეში და თავაზიანობის სემანტიკის მეორეულობას მათთვის.

16. რუსუდან ზექალაშვილი – ფორმისა და ფუნქციის მიმართებისთვის ქართულ ზმნებში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარულიაზროვნება“.

მოხსენება ეხება ფორმასა და ფუნქციას შორის მიმართებას ქართულ ზმნებში, როცა გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი აფიქსი ზმნაში შინაარსისგან დაცლილი ანუ უფუნქციოა. ეს შეიძლება შეეხოს ზმნის *პირის, ქცევის, კონტაქტის, გვარის* (ე. წ. დეპონენსებთან)

კატეგორიებს.

გამოყოფილია უფუნქციო პირის ნიშნები ანუ **იმპერსონალიზაციის** მოვლენა, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს. ქართულში მისი სპეციფიკა დაკავშირებულია პოლიპერსონალიზმთან, ხოლო გარკვეული ჯგუფის ზმნებთან – ინვერსიულობასთანაც.

განხილულია იმპერსონალიზაციის ორი ჯგუფი: პირვანდელი და მეორეული. **პირვანდელი** იმპერსონალიზაცია გამოწვეულია სუბიექტის არარეალობის აღქმით. **მეორეული** იმპერსონალიზაცია მიჩნეულია გარკვეულ გრამატიკულ-სტილისტურ ხერხად, როცა ზმნათა ნაწილი გამოიყენება როგორც პერსონალურად, ისე იმპერსონალურად გაანალიზებულია ე. წ. პირში მონაცვლე რამდენიმე ზმნაც: **გახლავართ** (ფორმით ორპირიანი, ფუნქციით ერთპირიანი, **ვარ** ზმნის ეკვივალენტი), **გახლავთ** (= **არის**).

ბოლოს გამოთქმულია ვარაუდი, რომ ფორმისა და ფუნქციის შეუსაბამობა ზმნებში ენის განვითარების შემდგომი საფეხურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

17. რუსუდან ზექალაშვილი – ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატულია ნალიზი პერსონაჟთა მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესების მიხედვით)

კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“, ეძღვნება კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 80 წლისთავს, თბილისი, თსუ და ენათნეცნიერების ინსტიტუტი

http://caucasiology.tsu.ge/congress/2013/docs/kongresis%20masalebi%20_all.pdf

მოხსენებაში განხილულია ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატულია ნალიზი **დავით კლდიაშვილის** პიესებისა და მოთხრობების მიხედვით. დიალოგის მონაწილეთა მეტყველების თავისებური კოლორიტი იქმნება არა მარტო დიალექტური გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით, არამედ ფატიკური ენობრივი კლიშეებითა და ფრაზებით. კლდიაშვილის პერსონაჟები ზოგჯერ მხოლოდ ერთმანეთს საუბრის გულისთვის ელაპარაკებიან. მათ დიალოგებში გამოყენებულია ფატიკური კომუნიკაციის ერთეულები: მიმართვა, საალერსო სიტყვები, ფიცილის ფორმულები; ასევე რიტუალური მისალმება, მოკითხვა, მობოდიშება, მადლობა, მიპატიჟება, დალოცვა, მილოცვა, ქათინაური და სამეტყველო ეტიკეტის გამომხატველი სხვა ფრაზები. კომუნიკაციურ სტრატეგიაში ხშირად გამოიყენება ხაზგასმული თვითდამცრობა ადრესატის განდიდების სურვილით. ენობრივი ფორმის თვალსაზრისით ჭარბობს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (მიმართვები, შორისდებულები), მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები და მოდალური სიტყვები.

დ. კლდიაშვილს ბუნებრივად აქვს გადმოცემული იმერული სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკა და ხაზს უსვამს პერსონაჟთა არტისტულობას, კუდაბზიკობას, გადამეტებულ თავაზიანობას, კეთილგანწყობისა და ემპათიის გამოხატვის სურვილს, თუნდაც ეს ბოლომდე

გულწრფელი არ იყოს.

18. რუსუდან ზექალაქშვილი – სახელისა ქტუალიზატორთა გრამატიკულ-სემანტიკური დახასიათება ქართულში

საერთაშორისო კონფერენცია, ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა: <http://kutaisilibrary.org/type/link/>

მოხსენებაში განხილულია უნივერსალური კატეგორია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა დამისიგამოხატვის საშუალებები ქართულში. ძველდასაშუალებქართულშიგამოიყენებოდაგანსაზღვრულიდაგანუსაზღვრელინაწევრები, ხოლოახალიქართულიუარტიკლოენაა (ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს ნაწევრისარსებობასძველქართულშიც).ძველ ქართული ენის განუსაზღვრელი ნაწევრები ერთი, ვიღაც, ვინმე ახლა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია, ხოლო გასაზღვრული ნაწევრები – ესე, ეგე, ისი/იგი – ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის/იგი. საკმაოდძნელიიყოზღვარისგავლებამათშორის. ერთადერთ მა დიფერენცირებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს წყობა. გარკვეული როლი შეასრულა ამლექსიკური ერთეულებისფორმამაც (ესე, ეგე, ისინაწევრებშიბოლოხმოვნის დაკარგვა).

ახალ ქართულ ს ამ სემანტიკური კატეგორიის გამოსახატავად რამდენიმე საშუალებააქვს: სიტყვათაწყობა, ჩვენებითიდაგანუსაზღვრელობითინაცვალსახელები, რიცხვითისახელი, ნაწილაკები, კონტექსტი და სხვ. ამათგან უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება კონტექსტს.

19. რუსუდან ზექალაშვილი – თანამედროვე ეპოქა და ქართული ენის პრობლემები

მოხსენებაში საუბარია თანამედროვე ქართული ენის წინაშე მდგარ პრობლემებზე ლექსიკაში, გრამატიკასა და სტილისტიკაში: ინგლისური სიტყვების მომრავლება, ბარბარიზმები, ანალიზურიფორმებისა და კალკების გაბატონება, უცხოური ენიდან ნასესხები ზმნური ფუძეების გამოყენება ახალ ზმნათა საწარმოებლად და სხვ.დასახელებულია მასმედიაში გავრცელებული ინგლისური ლექსიკურიერთეულები: ივენთი, კასტინგი, პარტი, ფეისი, იმიჯი, მესიჯი, ლაივი, ბეკები, ბეკგრაუნდი, ქული, ქართულყალიბშიჩასმულიზმნები (შოპინგობს, დაანონსებს, დააშეარებს, დაალაიკებს, დაარეფრემებს), ქართულაფიქსებიანი ზედსართავი სახელები; საგანგაშო სიტუაციას ქმნის ლექსიკის გაღარიბება და კალკირებული შესიტყვებების ხშირი გამოყენება მასმედიის ენაში. ყურადღებაა გამახვილებული ახალგაზრდების მეტყველების ხარვეზებზე.

დასმულია ენობრივი პოლიტიკის კორექტირების საკითხი ამ პრობლემების

აღმოსაფხვრელად და ეროვნული ენის დასაცავად.

20. რუსუდან ზექალაშვილი – ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სანეცნიერო კონფერენცია „ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე“, მასალები, გვ. 38-39, <http://www.ice.ge/batumi/terminologia-2013.pdf>

მოხსენებაში გამოკვეთილია ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების გზები, მეცნიერთა ღვაწლი მისი ჩამოყალიბების ისტორიაში (ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. კოტეტიშვილი, ალ. ნათიშვილი, ზ. მაისურაძე, ნ. ყიფშიძე, ი. ქუთათელაძე, ლ. და ს. აბაშიძეები და სხვ.), გამოყოფილია რამდენიმე მოსაგვარებელი საკითხი ამ სფეროში. ხაზგასმულია, რომ არსებული პრობლემების მოგვარებას სჭირდება სამედიცინო დარგის სპეციალისტის თანამშრომლობა ლინგვისტ-ტერმინოლოგთან.

სპეციალური ტექსტების, დარგობრივი და ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია მოსაგვარებელი საკითხები:

უცხო სიტყვების ქართულად გადმოტანის წესების დაზუსტება; ინგლისური ტერმინების გადმოქართულების პრინციპების შემუშავება; აბრევიატურათა გადმოტანის წესების დადგენა; სიტყვაწარმოების ზოგიერთი საკითხის გადაჭრა (-ურსუფიქსიან ტერმინთა დასახელთა ფიქსური წარმოება; კომპოზიტებში მაკავშირებელ ხმოვანთა არსებობისა და სიტყვაწარმოების საკითხი; პრეფიქსოიდთა და სუფიქსოიდთა მართლწერა; ეპონიმებში გამოყენებულ გვარ-სახელთა ტრანსლიტერაციის წესების შემუშავება და სხვ.).

ბოლოს გამოყოფილია სამედიცინო ტერმინთა ძირითადი ტერმინოლოგიური ყალიბები და სპეციფიკური მატერმინირებელი აფიქსები.

21. რუსუდან ზექალაშვილი – ნაწევრის შესახებ საშუალო ქართულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი

მოხსენებაში გაანალიზებულია ნაწევრის გამოყენების სპეციფიკა საშუალო ქართულში, კერძოდ კი, ვეფხისტყაოსნის“ ენაში. მასში გვხვდება როგორც განუსაზღვრელი (ერთი, ვინმე,

რამე), ისე განსაზღვრული ნაწევრები (**ესე, ეგე, იგი**).

განუსაზღვრელი ნაწევარი „ერთი“ უმეტესად დასტურდება პრეპოზიური წყობით **სახელობით, მიცემით, ნათესაობით ან მოქმედებით** ბრუნვებში, ნაწევარი „ვინმე“ კი ხშირად იკავებს **პოსტპოზიურ** პოზიციას (სახელობით, მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში). „ვინმე“-ს მნიშვნელობით არაადამიანის აღმნიშვნელ უსულო საგნებთან დგას „რამე“, რომელიც უმეტესად მოსდევს საზღვრულს.

თუკი განსაზღვრული ნაწევრები პოსტპოზიციური წყობითაა მოცემული, მათს ნაწევრობაში ეჭვი აღარ შეგვაქვს. პოემაში გვხვდება თითქმის ყველა ბრუნვაში ორივე რიცხვში. „იგი“ პრეპოზიციური წყობის დროსაც ინარჩუნებს ნაწევრის ფუნქციებს, ხოლო „ისი“ - მხოლოდ სახელობით ბრუნვაში.

განსაკუთრებით ძნელია ზღვარის გავლენა ნაწევარსა და ჩვენებით ნაცვალსახელს შორის „ესე“/„ეგე“ ფორმებში სახელობით ბრუნვაში პრეპოზიციური წყობის დროს, ხოლო სხვა ბრუნვებში უკვე ნაცვალსახელად გვევლინება, როგორც ეს ახალი ქართული ენაშია.

ნაწევრის გამოყენების თვალსაზრისითაც „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საშუალო ქართულის ძეგლი, ასახავს როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის ენობრივ ვითარებას. პოემის ენაში ნაწევრის ფუნქციები ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგრამ ზოგჯერ ძნელია ზღვარის გავლენა ნაწევარსა და ნაცვალსახელს შორის.

22. რუსუდან ზექალაშვილი – ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ გ. დოჩანაშვილის ნაწარმოებებში

მოხსენებაში განხილულია გ. დოჩანაშვილის ენაში გამოყენებული სხვადასხვა ტოპონიმი, რომელთა მხატვრული დატვირთვა დიდია. მწერლის პერსონაჟთა სამოქმედო არეალი ზოგჯერ რეალურია (ქართულიანუცხოური), ზოგჯერკი – გამოგონილი (ჰიპოთეზურიანფანტასტიკური), მწერალიყენებსკვაზიტოპონიმებსაც. მაგალითად, **აქადაიქა**.

მწერლისეული ოკაზიონალური ტოპონიმია ჰარალეთი, რომელიც ნაწარმოებიახალხურისიმღერისმისამღერისაგან (**ჰარალ+ეთ**). ისიუმორითა და მსუბუქი ირონიით მიანიშნებს საქართველოსა დაქართველებზე.

განსაკუთრებით გამოყოფილია ტოპონიმთ ამხატვრული ფუნქცია გ. დოჩანაშვილის რომან „სამოსელპირველში“, რომელშიც გარკვევით არ ჩანს, სად ხდება მოქმედება – რეალურ თუ წარმოსახვით ადგილას. კამორა და კანუდოსი ჰიპოთეზური ტოპონიმები ეგონათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორივე რეალურია და დაკავშირებულია ბრაზილიის ისტორიის ერთ ტრაგიკულ ეპიზოდთან (ინფორმაცია ამის შესახებ პირველად მოიძია დავით გულუამ). მწერალმა მოიშველია რეალური ამბავი და ონომასტიკა, მაგრამ მას მიანიჭა სიმბოლურობა: **კამორა** იქცა

ბოროტების, მტრობისა და ამორალურობის სიმბოლოდ, კანუდოსი კი – თავისუფლების, გამირობისა და სულიერი სიდიადისა.

რომანში ოკაზიონალური „ცრუტოპონიმებია“: ლამაზ-ქალაქი, მაღალსოფელი, ბაზრობათაქალაქი, მაგრამ მათაც სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა აქვს. არაკონკრეტული ტოპონიმის განზოგადება და ნებისმიერ ქვეყანაში მოიაზრება მკითხველისთვის უფრო ადვილია.

23. ინგა სანიკიძე – გალაკტიონის „მწუხარე სასაფლაო“

მხატვრულ სიტყვაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ლექსიკის განხილვას, მის სემანტიკურ ფორმაზე დაკვირვებას. ჩვენ მიერ საკვლევად აღებული იყო გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული ნაწარმოები „მთაწმინდის მთვარე“, რომელშიც უაღრესად საინტერესო მხატვრულ სახეს „მწუხარე სასაფლაო“ ქმნის. კვლევამ აჩვენა, რომ ის ილია ჭავჭავაძის ალუზიაა, მისი მხატვრული სახე-სიმბოლო; „მწუხარე სასაფლაო“ პირდაპირ უნდა მიემართებოდეს იაკობ ნიკოლაძის მიერ როდენის სახელოსნოში ჩამოსხმულ და მალევე მთაწმინდის პანთეონში ილიას საფლავზე დავანებულ ქანდაკებას, რომელსაც ავტორმა „მწუხარე საქართველო“ უწოდა.

24. ინგა სანიკიძე – „უკ[უ]ან“ ზმნიზედის სემანტიკურ-ფორმოზრივი მიმართება მარადიულობის აღმნიშვნელ ლექსებთან („საუკუნე“ და „უკუნითი უკუნისამდე“)

ზმნიზედათა არქაული წარმომავლობა მნიშვნელოვნად შეაპირობებს მათდამი მეცნიერულ ინტერესს, რადგან სწორედ ისინი ინახავენ ენის უძველეს მორფოლოგიურ ფენებსა და შინაარსობრივ წარმოდგენებს. „უკ[უ]ან“ ზმნიზედური ფუძე ქართულ ენაში მთელი რიგი სახელური წარმოებების საფუძველია და გვაძლევს ლექსიუკურ ერთეულებს: „უკუნი“, „უნუნ-ეთ-ი“, „სა-უკუნ-ე“ და შესიტყვებას - „უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ა[დ]-მდე“. გაარსებითებული ფუძე „უკუ[ა]ნ-ეთ-ი“ სხვა არაფერია, თუ არა -- უკანა არისა და ამასთან ერთად სიბნელის ადგილი. ძვ. ქართული ენის პერიოდში „უკ[უ]ან“ ფუძე გამოიყენება ისეთ წარმოქმნილ ფუძეებში, როგორებიცაა „სა-უკუ[ა]ნ-ო“ და „სა-უკუ[ა]ნ-ე“ და მათ მარადიულობისა და მუდმივობის გაგება აქვს. ჩვენი თვალსაზრისით, ისინი თავიანთი წარმოშობით წარმართული ეპოქის წარმოდგენათა წიაღში დაბადებული ლექსიკური ოდენობებია, რომლებიც მემკვიდრეობით ერგო ქრისტიანობას (შდრ. ვაჟას „შავეთი“ - საიქიო), თუმცა უკვე ძირეულ სემანტიკას (//„ბნელს“) არსებითად არიან დაშორებულნი.

25. ინგა სანიკიძე – სიტყვა „ქართული“ „თიმსარიანის“ ტექსტის მიხედვით

მე-18 ს-ში თიმურაზ II-ის მიერ სპარსულიდან გადმოქართულებულ „თიმსარიანის ტექსტში“ ლექსემა „ქართული“ „სიტყვის“ სინონიმურ ცალად არის გამოყენებული. კვლევის მიზანს „ქართულის“ პოლისემიურობის საფუძვლის დადგენა წარმოადგენდა. ჩვენი თვალსაზრისით, ამგვარი გააზრება მხოლოდ რუსთველის ენის გავლენის შედეგი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, ისტორიული მეხსიერება, მართლაც, „ქართ“//„ხალდ“-ების უძველეს კულტურას უკავშირებს ქართულ მწიგნობრობასა და სიტყვიერების მაღალ ხარისხს.

26. ინგა სანიკიძე – „უკუ[ა]ნ“ და „მუნ“ ზმნიზედათა აგებულების საკითხისათვის

ქართული ენის. „უკუ[ა]ნ“ და „მუნ“ ზმნიზედათა მორფოლოგიურ აგებულებაში ჭანური -უნ აფიქსის გამოყოფაა შესაძლებელი; -უნ კი ვარიანტია მეგრული -ონ-ისა. მ-უნ ზმნიზედაში -უნ აფიქსთან რომ გვაქვს საქმე, მასზე ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტიც მიგვანიშნებს, კერძოდ, ის, რომ ფუძის შემადგენლობაში (მთელი ძველი ქართ. ენის პერიოდის განმავლობაში) არ დასტურდება *მუნა ვარიანტი, როგორც ეს სხვა შემთხვევებში გვაქვს [შინა, განა...] და ნაწილაკთა დართვის დროსაც კი [-ნა --- -და] დეტერმინანტისეული -ა ხმოვნის გაჩენა არ ხდება.

27. მაია ლომია – „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება“-წიგნის პრეზენტაცია

მოხსენებაში საუბარი იყო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში გამოცემული წიგნის თეორიული საფუძვლების შესახებ, რომელიც შეეხება მეგრული ტექსტების სემანტიკურებასა და მორფემულ გლოსირებას საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

28. მაია ლომია – ოკო „უნდა“ ნაზმნარი მოდალური ელემენტის დახასიათებისათვის

მოხსენებაში დახასიათებული იყო ოკო(ნ) „უნდა“ მოდალური ზმნისაგან მომდინარე ოკო „უნდა“ მოდალური ნაწილაკი მეგრულში ფორმალური, სინტაქსური, სემანტიკური დონეების მიხედვით.

29. მაია ლომია – მონაცემთა ბაზის სტრუქტურირების საკითხი „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსის მიხედვით“

მოხსენებაში საუბარი იყო ზემოხსენებული პროექტის მიხედვით რა ტიპის მონაცემთა ბაზა შეიქმნა მეგრული ტექსტების მიხედვით და როგორია მისი აგებულება. კონკრეტულად, იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ექსპედიციის მასალები და ბეჭდურად

გამოცემული ტექსტების სეგმენტირება მორფემებად და გლოსირება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

30. მაია ლომია – ბატონებისადმი მიძღვნილი მეგრული პოეზიის ნიმუშების ენობრივი ანალიზი

მოხსენებაში საუბარი იყო სამეგრელოში ბატონების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რის შედეგადაც მიმართვის ობიექტი გასულიერებულია. მოხსენებაში გაანალიზდა ბატონების სახელდების აღმნიშვნელი ტერმინები და შესაბამის რიტუალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

31. მაია ლომია – სამეტყველო კოდების შერევის საკითხი ერთი ზღაპრის ენობრივი ანალიზის მიხედვით

მოხსენებაში გაანალიზებული იყო აღმოსავლურ არეალში მცხოვრები ინფორმატორისგან მოსმენილი ზღაპარი, რომელიც ენობრივად აღმოჩნდა საინტერესო სწორედ სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით, რაც განპირობებულია იმით, რომ ინფორმატორის სოფელი (კურზუ, მარტვილის რ-ნი) ესაზღვრება ცენტრალური არეალის სოფლებს(კერძოდ, ნაფიჩხოვოს, ჩხოროწყუს რ-ნი).

32. მაია ლომია – სამეცნიერო ექსპედიცია სამეგრელოში

მოხსენებაში საუბარი იყო ლინგვისტურ ექსპედიციაზე სამეგრელოში, რომელშიც მიზანმიმართულად მონაწილეობდნენ მაგისტრანტები. ისინი იწერდნენ ყველა ტიპის ტექსტებს, მაგრამ განსაკუთრებით აქცევდნენ ყურადღებას მომავალი სადიპლომო ნაშრომისთვის საჭირო მასალას, რათა სადიპლომო შრომაში ასახულიყო თანამედროვე მეგრული მეტყველების მონაცემებიც.

33. მაია ლომია – მიმდებარე სემანტიკის შემცველი კონსტრუქცია მეგრულ ენაში

მოხსენებაში საუბარი იყო ერთი ტიპის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაზე მეგრულში, რომელიც მიმდებარე სემანტიკისაა. მეგრულისთვის არ არის დამახასიათებელი გასაზღვრების შემცველი

მარტივი წინადადება; მისთვის ბუნებრივია განსაზღვრების გადმოცემა დამოკიდებული წინადადებით. თავისებურებას ავლენს ამგვარი კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტთა განლაგებაც.

34. ქეთევან მარგიანი-სუბარი – ინფერენციისა და ეპისტემიკის ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ზმნაში

ეპისტემიკის პრობლემა, მისი მიმართების საკითხი ევიდენციალობასთან, დიდი ხანია, ლინგვისტთა ინტერესის საგანია. მას ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება და აღწერეს ამერიკელი ინდიელების ენათა მკვლევრებმა ფ. ბოასომ (1911), ე. საპირმა (1912) და სხვებმა.

სვანურ ენაში ინფერენციული ინფორმაცია შეიძლება იყოს ეპისტემიკური ან არაეპისტემიკური, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ (რა საშუალებებით) წარმოგვიდგენს მას მთქმელი: როგორც საექვო-სავარაუდოს და გამოიყენებს ზმნის საკუთრივ ინფერენციულ მწკრივებს, თუ როგორც პერცეფციულთან გათანაბრებულს და გამოიყენებს „უნახაობის“ გამომხატველ ზმნებს.

სვანურში ეპისტემიკური მნიშვნელობის ზმნებისთვის წყარო ყოველთვის ინფერენციაა, მაგრამ ინფერენციული ყველა ზმნა ეპისტემიკური არ არის.

35. ქეთევან მარგიანი-სუბარი - ზმნის კილო სვანურ ენაში

ნაშრომში დასმულია საკითხი სვანურ ენაში ტრადიციულად ცნობილი ორი კილოს (თხრობითი, კავშირებითი) გარდა, პირობითი კილოს გამოყოფის შესახებ; მტკიცებას საფუძვლად უდევს ენაში საკუთრივ ინფერენციული, საექვობა-სავარაუდოობის სემანტიკური ნიშნით მარკირებული მწკრივების არსებობა. მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში ერთ სიბრტყეზე განიხილება ოპოზიცია: თხრობითი კილო _ პირობითი კილო.

36. ქეთევან მარგიანი-სუბარი - კვლავ ევიდენციალობისთვის სვანურ ზმნაში

სტატია შეეხება სვანური ენის იმ ზმნურ ფორმებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია და სემანტიკური დახასიათება სპეციალურ ლიტერატურაში ან არასრულია, ან საერთოდ არ არის. როგორც ცნობილია, სვანურის ე. წ. “მეტი” მწკრივები (ა. შანიძე), ტრადიციული შეხედულებით, მყოფადუსრული და I სერიის თურმეობითებია. სტატიაში კი დადასტურებულია, რომ ზოგი სხვა მწკრივის ორგვარი წარმოების შემთხვევაში მათ შორის სემანტიკური სხვაობა ლიტერატურაში გათავადისწინებული არ არის.

ნაშრომში ასევე განხილულია უცხოელ კოლეგათა მოსაზრებები ევიდენციალობის შესახებ ქართულურ ენებში: „ქართულ ენაში გვაქვს ევიდენციალური პერფექტი ევიდენცია-

ლობის ფართო გაგებით, შემდგომი ასპექტების გარეშე“ (Willet); „სვანურს, ისევე, როგორც ქართულს, ირიბი ევიდენციალური ფორმების შემდგომი, დეტალური დიფერენციაცია (ეპისტემიკა, ინფერენცია...) არ ახასიათებს, თუმცა თავად ევიდენციალურ ფორმათა მნიშვნელობა საკმაოდ ტევადია, ფართოა“ (Сымбатова) და გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრება სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე.

37. ქეთევან მარგიანი-სუბარი - ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ერთი ტიპისათვის სვანურში

სტატიაში ნათქვამია, რომ სვანურ ენაში ქვეწყობის უკავშირო (ხშირად – უკორელატოც) ფორმაა უფრო მეტად გავრცელებული, ხოლო მის გვერდით დამკვიდრებული ქართულისებური კონსტრუქცია კავშირითა და მისათითებელი სიტყვით) უმეტესად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ქართულის კალკად ჩანს; ავტორს სვანური ენის მონაცემებს სწორედ იმ ძველი ვითარების გამოვლინებად თვლის, როცა მარტივი წინადადებები მხოლოდ ლოგიკური მიმართებით (და არა გრამატიკულად) უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ზოგადად კი, უფრო დადასტურებული მოსაზრების გამოთქმა ქართველური კონსტრუქციის გენეზისის შესახებ ქართველურ ენებში დანარჩენ უმწერლობო ენათა და ძველი ქართული მონაცემების უფრო გამოწვლილვით შესწავლისა და შეპირისპირების შემდეგ მიაჩნია შესაძლებლად.

38. ქეთევან მარგიანი-სუბარი - რთული ქვეწყობილი წინადადების მოდელისათვის სვანურ ენაში

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება, რომ სვანურ ენაში შენარჩუნებულია ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შედარებით არქაული ტიპი. შენარჩუნებას ხელი შეუწყო: ა) ინფერენციული (ეპისტემიკურობის, პირობითობის სემანტიკის შემცველი) ზმნების არსებობამ ენაში; ბ) ახალი რთული კონსტრუქციის შექმნისთვის მოტივაციის არარსებობამ: წიგნის ენამ სხვა მოთხოვნები წამოაყენა, სხვა სივრცე მოითხოვა (უმთავრესი მიზეზი!) და იგი საანალიზო მიმართულებითაც უფრო მეტად განვითარდა, უმწერლობო ენამ კი მხოლოდ ზმნის განსაკუთრებული მოქნილობითა და ინფორმაციული ტევადობით „ისარგებლა“ და ბევრი რამ ორგანულ ფორმებში ასახა; ამასთან, სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი მიიჩნევს, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესი სვანურში ჯერაც არ დასრულებულა, ხოლო ეს პროცესი უძველეს საფეხურზე რომ არ გაყინულა, ამის დასტუ-

რია საანალიზო კონსტრუქციის ძველი და ახალი ტიპების თანაარსებობა ენაში.

39. ნინო შარაშენიძე – ეპისტემური მოდალობა ქართულ ენაში

ეპისტემური მოდალობაში გამოიყოფა ეპისტემური შესაძლებლობისა და ეპისტემური აუცილებლობის მოდალობა. ეპისტემური აუცილებლობის მოდალობის ძირითად მაწარმოებლად ქართულში გვევლინება უნდა ნაწილაკი. უნდა ფორმა დამოუკიდებელი ზმნიდან იქცა ნაწილაკად, თუმცა იგი თანამედროვე ქართულში აქამდე ასრულებს დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციასაც. უნდა არის ობიექტური უღლების მესამე პირის ფორმა. ამოსავალი მნიშვნელობა არის სურვილი, ნდობა. მაგრამ თანამედროვე ქართულში იგი პოლიფუნქციური ნაწილაკია. მისი ერთ–ერთი მნიშვნელობა არის სწორედ ეპისტემური აუცილებლობის გამოხატვა. უნდა მოდალური ფორმა დაკავშირებულია კავშირებითი კილოს ზმნასთან და გამოხატავს მთქმელის აზრს, დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, მთქმელის ვარაუდს, რეალობის შეფასებას, მთქმელის რწმენას ან რწმენის ნაკლებობას. ამ მოდალობით გამოხატულია მთქმელის ინტელექტუალური აღქმა.

წინადადებებში 1. ის ახლა სახლში უნდა იყოს; ჩანს, რომ მთქმელის პოზიცია განსაზღვრულია ობიექტური აუცილებლობით, რწმენით, მის მიერ რეალობის ობიექტური შეფასებით, რაც გამოწვეულია აუცილებლობის გააზრებით, საკითხის ობიექტური ანალიზით. წინადადებით მოიაზრება შემდეგი: ის ახლა აუცილებლად სახლში უნდა იყოს, რადგან ესაა, ჩემი აზრით, ყველაზე ლოგიკური შესაძლებლობა, რადგან მე მის სახლში სინათლეს ვხედავ. 2. მას კარგად უნდა გაეკეთებინა ეს საქმე – ნიშნავს: რამდენადაც მე მას ვიცნობ და ვიცი მისი შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე ვიცი მისი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება საკითხისადმი, ამდენად მიმაჩნია, რომ მას ეს საქმე კარგად აქვს გაკეთებული.

ამდენად, ეპისტემური აუცილებლობა გამოიხატება უნდა მოდალური ნაწილაკითა და ზმნის კავშირებითი კილოს ფორმით და გამოხატავს იმ ლოგიკურ აუცილებლობას, რაც მთქმელის რწმენით არის განპირობებული. ეპისტემური მოდალობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მოდალური ფორმისა და ზმნის ანალიზი, არამედ კონსტრუქციაში მონაწილე ზმნათა სემანტიკური ჯგუფების განსაზღვრა. მოხსენებაში განხილული იქნება ეპისტემური აუცილებლობის გამოხატველი კონსტრუქციების ფუნქციურ–სემანტიკური ანალიზი.

40. ვახტანგ იმნაიშვილი – ა-ფუძიანი სახელების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის კვლევისთვის

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია წესი, რომლის თანახმადაც ა-ფუძიანი საზოგადო სახელები, ჩვეულებრივ, იკვეცება. გამონაკლისს ქმნის ის შემთხვევები, რომლებშიც ბოლოკიდური ა მაწარმოებელი აფიქსია.

სტატიაში „ორთოგრაფიულ ლექსიკონზე“ დაყრდნობით განხილულია ფაუნის წარმომადგენელთა ა-ფუძიანი სახელწოდებები. მათი ერთი ნაწილი იკვეცება, მეორე – არა. ამ ორი ჯგუფის სახელთა ერთმანეთთან შედარებამ აჩვენა, რომ ბოლოკიდური ა ხმოვნის კვალიფიკაციის განსასაზღვრავად არ არსებობს მკვეთრი განმასხვავებელი საშუალება, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებდით სახელების განაწილებას კვეცადთა და უკვეცელთა ჯგუფებში. რადგან ბუნდოვანია, სად გადის ზღვარი ა დაბოლოების დერივაციულ ფუნქციასა და მის ფუძისეულ ხმოვნად ჩათვლას შორის. სწორედ ამიტომაც, რომ იდენტური აგებულების სიტყვებს თვით ისეთი კომპეტენტური სახელმძღვანელო, როგორცაა „ორთოგრაფიული ლექსიკონი“, ხან კვეცადებს მიაკუთვნებს, ხან უკვეცლების რიგში აყენებს. თავისუფლად შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ესა თუ ის სახელი კვეცადებიდან უკვეცლებში გადავიყვანოთ ან – პირიქით, რადგან საზღვარი ამ ჯგუფებს შორის ლაბილურია. უკვეცელთა ჯგუფში მოქცეული სიტყვების დიდ ნაწილში ბოლოკიდური ა ხმოვნის მოკვეცა არანაირ უხერხულობას არ ქმნის, რადგან ხმოვანს მოკვეცთ თუ არა, ეს შინაარსზე გავლენას არ ახდენს. მაგალითად, „ლოკოკინას ნიჟარას“ ვიტყვი თუ “ლოკოკინის ნიჟარას”, შინაარსობრივი სხვობა არ გვექნება. სწორედ ამიტომ ჩავთვალე შესაძლებლად, ა-ფუძიანი სახელების კვეცა-უკვეცლობის შესახებ დამკვიდრებული წესის ერთგვარად გამართლებული ვარიანტი შემომეთავაზებინა: **ყველა საზოგადო სახელი, რომელიც ა ხმოვნით მთავრდება, მხოლოდობითში უნდა შეიკვეცოს** (მრავლობითში ისედაც იკვეცება!).

ა-ფუძიანი სახელების მცირერიცხოვანი ჯგუფი მომდინარეობს მათს თანხმოდანფუძიან ფორმაზე ა ხმოვნის დამატებით (წვერი > წვერა). ეს ა სიტყვას შინაარსს უცვლის. მიუხედავად ამისა, ამგვარ შემთხვევაშიც შეიძლება წესის უმტკივნეულოდ გამართლება, რადგან კონტექსტი ადვილად გაგვარკვევს, სიტყვის რომელი მნიშვნელობაა ნაგულისხმევი საორტოგრაფიულ ფორმაში.

41. ვახტანგ იმნაიშვილი – ზობიერთი ო-ფუძიანი გეოგრაფიული სახელის მართლწერისათვის

უკანასკნელ ხანს მოხშირდა ბოლოკიდური ო-ს მოკვეცა ფუძეზე დერივაციული აფიქსების დართვის შედეგად, რასაც მალე მოჰყვა ო ხმოვნის მოკვეცის შემთხვევები კვეცის კლასიკურ ნიმუშში – ბრუნებისას და მრავლობითი რიცხვის ფორმებში. ამგვარი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ მაინც არსებობს.

ძალზე იშვიათად ო-ფუძიან სიტყვას ბოლოკიდური ო მოვარდნილი აქვს არა ირიბ ბრუნებში, არამედ სახელობითშიც და სიტყვა თანხმოდანფუძიან სახელად არის ტრანსფორმირებული. ეს პროცესი ხდება როგორც საზოგადო, ისე გეოგრაფიულ სახელებში.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ზოგიერთი ო-ფუძიანი გეოგრაფიული სახელის ძველებურ დაწერილობას უგულებელყოფს და კანონიკურ ფორმად მათს თანხმობანფუძიან ვარიანტს გვთავაზობს. ასეთი გეოგრაფიულ სახელებია **კორინთო, დამასკო, ჰელესპონტო**. „ენციკლოპედიაში“ ამ სახელებს ცვლის **კორინთი, დამასკი, ჰელესპონტი**. ზოგიერთი წყარო, რაკი პრეცედენტი გაჩნდა, ამ ო-ფუძიანი ფორმის გვერდით **გროზნსაც** ხმარობს.

კორინთო, დამასკო, ჰელესპონტო, გროზნო – ამ სახით შეისისხლხორცა ქართულმა ამ ტოპონიმთა (ჰელესპონტო ჰიდრონიმიცაა) დაწერილობები და დღეს ხელი არ უნდა შევეუწყოთ მათს გადასხვაფერებას. ოდითგან დამკვიდრებულ სახელწოდებებს ასე იოლად არ უნდა შეველიოთ, ტრადიციას ხელი არ უნდა ვკრათ.

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რამაზ ქურდაძე	ქართული დამწერლობა და სალიტერატურო ენა საუკუნეთა მანძილზე	15 აპრილი, 2013 წ. ჩიკაგოს უნივერსიტეტი, ილინოისის შტატი, აშშ.
2	დარეჯან თვალთვაძე	МАРГИНАЛЬНЫЕ ЗАМЕТКИ ПЕРЕВОДЧИКА КАК СРЕДСТВО ИНТЕРПРЕТАЦИИ ТЕКСТА(<i>на примере комментариев средневековых грузинских переводчиков</i>	ვილნიუსი-მინსკი, 2013
3	დარეჯან თვალთვაძე	ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის უძველესი თარიღიანი ნუსხა	თბილისი-ბათუმი-კაპადოკია, 24-30 სექტემბერი, 2013
4	ანა ხარანაული	"Lucianic Text" and the Philology	7/11/2013,

		of Late Antiquity	შოტლანდია
5	ანა ხარანაული	Die Textkritik der Altgeorgischen Übersetzung von kleinen Propheten – Kampf gegen Stereotypen(Methodologische Fragen zur Forschung des textkritischen Wertes der Tochterübersetzungen)	მიუნხენი, 2 აგვისტო, 2013
6	რუსუდან ზექალაშვილი	გლობალიზაცია და ქართული ენის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია http://vk.com/ event14891021	ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წლის 4- 5 აპრილი
7	რუსუდან ზექალაშვილი	ნატვრის გამოხატვის ზოგიერთი ენობრივი თავისებურებები ქართულ ენაში http://www.mosinyaz.com/confe rences/mnk7/	2013 წლის 26-29 სექტემბერი, მოსკოვი, უცხოურ ენათა ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია
8	ინგა სანიკიძე	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რუსული ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები პოლიკულტურულ სივრცეში“	11-13 ნოემბერი, 2013, ერზრუმში, თურქეთი (მოხსენება იბეჭდება).
9	ინგა სანიკიძე	ასპექტის მორფოლოგიურ	2013 წელი

		სისტემათა მსგავსება ქართული და სლავური ენების მაგალითზე	ერზრუმი, თურქეთი
10	მაია ლომია	Semantische Analyse der statischen Verben in der Kartwelsprachen	10.12.2013, J.W.Goete Universitat Frankfurt a/M Germany (მაინის ფრანკფურტი, გერმანია)
11	მაია ლომია	Customary Ritual of Prayer and Socrificein Samegrelo	12-13.11 2013, Lublin,Poland(ლუბლინი, პოლონეთი)
12	მაია ლომია	Convergence Phenomena in Megrelian Language	18-21.09 2013, Splyt, Croatia (სპლიტი, ხორვატია)
13	ნინო შარაშენიძე	ეპისტემური მოდალობა ქართულში	2013, 8-11 ივლისი, საბერძნეთი, ათენი
14	ნინო შარაშენიძე	მოდალობა ქართულში	2013, 3-6 ოქტომბერი, აშშ, მედისონის უნივერსიტეტი
15	მერი ნოკოლაშვილი	А.Н. Островский и Грузия	6-7 июня 2013. Ереван, 2013.
16	მერი ნოკოლაშვილი	Тургенев и музыка Бетховена	12-14 апреля 2013. Ереван, 2013

17	დამანა მელიქიშვილი	მთარგმნელთა იდენტიფიკაციის საკითხი გელათის სალიტერატურო სკოლაში	თბილისი-ბათუმი-კაპადოკია, 24-30 სექტემბერი,

მოხსენებათა ანოტაციები

1. რამაზ ქურდაძე – ქართული დამწერლობა და სალიტერატურო ენა საუკუნეთა მანძილზე

პრეზენტაცია გამიზნული იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის (ჩიკაგო, ილინოისის შტატი, აშშ) აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიისმცოდნეობის ცენტრსათვის. შესაბამისი ნიმუშების ჩვენებით წარმოდგენილი იყო ქართული დამწერლობისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპები. აღნიშნული პრეზენტაციის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში: <http://ceeres.uchicago.edu/content/ramaz-kurdadze-georgian-script-and-literary-language-through-centuries>

2. დარეჯან თვალთვაძე – МАРГИНАЛЬНЫЕ ЗАМЕТКИ ПЕРЕВОДЧИКА КАК СРЕДСТВО ИНТЕРПРЕТАЦИИ ТЕКСТА(на примере комментариев средневековых грузинских переводчиков)

IV международная научная конференция «ЯЗЫК И МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ, Литовский эдукологический университет, Белорусский государственный педагогический университет имени Максима Танка, Вильнюс – Минск, 15 – 18 мая 2013 г.

მთარგმნელის მარგინალური შენიშვნები, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის საშუალება (შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა კომენტარების მაგალითზე)
ანოტაცია

მე-11 საუკუნის შუა წლებიდან, როცა ქართული ქრისტიანული მწერლობა მკვეთრად ორიენტირებულია ბიზანტიურ სტანდარტებზე და იქამდე შედარებით სუსტად გამოკვეთილი ელინოფილური ტენდენციები მყარად ჩამოყალიბებულ სისტემად – ელინოფილიზმად იქცევა, ქართველ მთარგმნელთა საქმიანობაშიც ახალი ტენდენციები და თარგმანისადმი ახალი დამოკიდებულება ჩნდება, რომელიც ამ ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული მთარგმნელისა და მეცნიერის, ეფრემ მცირის, მიერ ახალი მთარგმნელობითი თეორიის ჩამოყალიბებითა და ამ თეორიის მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებით დასრულდა, რაც სწორედ ბერძნულის ადეკვატური, ლიტერალური თარგმანების შესრულებას გულისხმობდა. იმის გამო რომ ასეთი თარგმანი სხვაზე მეტად მოითხოვს მთარგმნელისგან კომენტარს, საჭიროებს ერთგვარი

დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის ჩართვა სათარგმნი თხზულების ტექსტში არ შეიძლება, მთარგმნელი მას ხელნაწერის აშეიბზე ათავსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი წიგნის ამ თავისუფალი სივრცით აქტიურად სარგებლობდნენ ბიზანტიელი მწიგნობრებიც, რომლებიც ხელნაწერი წიგნების აშეიბს სხვადასხვა შინაარსის და დანიშნულების კომენტარის დასაწრად იყენებდნენ, რაც ტექსტის ინტერპრეტაციის ერთგვარი საშუალება იყო. ბერძენთა მიბაძვით ელინოფილი („ბერძენთა მოყვარული“) ქართველი მწიგნობრებიც ხშირად ურთავდნენ ხოლმე თავიანთ თარგმანებს განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს. მარგინალურ შენიშვნებს, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ სისტემას, ქართველ მწიგნობართაგან პირველად ელინოფილი ეფრემ მცირე იყენებს. „მისწ მიერ ხელნაწერთა აშეიბზე მიწერილი განმარტებების დანიშნულებაა, ძირითადი ტექსტის გააზრებასა და გაგებაში დაეხმაროს მკითხველს, თუმცა მარგინალურ შენიშვნათა ანალიზი ხშირ შემთხვევაში მრავალმხრივი დასკვნებისა თუ მოსაზრებების გამოთქმის საშუალებასაც იძლევა. თარგმანის ტექსტზე დართული მთარგმნელის კომენტარების შესწავლა ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ გარემოს, რომელშიც მუშაობდნენ ქართველი მთარგმნელები, იმ გავლენებსა თუ ტენდენციებს, რომლებიც ზემოქმედებდნენ ქართველი მწიგნობრების მუშაობის სტილისა თუ აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ცხადია, თარგმანის ტესტზე დართულ მთარგმნელის ამგვარ მეტატექსტებში მოცემულია მნიშვნელოვანი და საინტერსო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით მუშაობდნენ შუასაკუნების მთარგმნელები, რა საშუალებებს იყენებდნენ სათარგმნი ტექსტის სწორად გასაგებად და როგორ ხდებოდა მისი ინტერპრეტაცია მთარგმნელის მიერ.

მოხსენებაში ამ კუთხით არის განხილული შუა საუკუნეების ქართულ თარგმანებს და მათზე დართულ მთარგმნელისეულ მეტატექსტები – ხელნაწერის აშეიბზე მოთავსებული კომენტარები, ექსპოზიციური ხასიათის მცირე ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ და გავიგოთ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ტექსტები.

Средневековые тексты не обладали гомогенностью структуры и,помимо основного текста,сопровождались переводческими комментариями,содержащими дополнительную информацию.Поскольку их непосредственное включение в структуру переводимого текста не было возможным,переводчик помещал их на полях рукописи.В древнегрузинских рукописях маргинальные заметки (малые тексты экспозиционного характера, которые содержат информацию, как прочесть и понять другие, более важные тексты), как установленная система интерпретации текста впервые появились в XI в. на Черной Горе в работах грузинского переводчика и ученого Ефрема Мцире, заложившего в грузинской литературе основы нового литературного направления – эллинофильства. Эллинофильство, как культурная ориентация, обусловила особенности восприятия византийской литературы, как с содержательной точки зрения, так и с точки зрения формы (языковой, стилистической и терминологической), что повлекло за собой почти адекватное перенесение оригинала на грузинский язык, в отличие от прежних переводов динамического (модально-адаптированного) типа. В деятельности грузинских переводчиков появляются новые переводческие тенденции и подход к переводу, который завершился появлением новой транслатологической теории Ефрема Мцире. Ефрем Мцире успешно применял принципы этой теории в своей переводческой практике. Он выполнял адекватные переводы с греческого языка. Следует отметить ,что этим свободным пространством рукописной книги активно пользовались византийские книжники ,использующие поля рукописной книги для различного рода комментариев ,что представляло собой своеобразную интерпретацию текста.Подражая грекам, эллинофильски настроенные грузинские книжники зачастую снабжали свои переводы различными комментариями (замечаниями). Назначением,помещенных на полях замечаний , было оказание помощи читателю при осмыслении содержания основного текста. С другой стороны, их анализ

зачастую служит основанием для высказывания различных соображений и выводов . Исследование, сопутствующих тексту комментариев , дает возможность живо представить ту атмосферу, в которой приходилось работать грузинским переводчикам и проследить те тенденции и влияния ,которые определяли стиль работы и образ мышления грузинских книжников. Нет сомнения,что в подобных метатекстах содержится важнейшая и интереснейшая информация о том , каким методами пользовались средневековые переводчики,какими способами они пользовались для правильного осмысления текста и как происходилаего интерпретация переводчиком.

Несмотря на то,что в замечаниях грузинских переводчиков-комментаторов изначально преобладали толкования отдельных лексических единиц, встречаются и комментарии другого порядка.Преобладание лексических комментариев объясняется тем, что основной задачей переводчика является поиск равнозначного слова,что сопряжено с большими трудностями .Поэтому,недовольный результатами своего поиска переводчик на полях делает заметку – «да простится мне ,ибо не удалось найти более подходящее слово « (Ефрем). Вместе с тем он дает толкование подобных слов, необходимых для адекватного понимания текста. Для правильного осмысления греческого текста в его многочисленных комментарияхсопутствующих основному тексту, встречаются многочисленные комментарии различного содержания, используемые переводчиком для интерпретации текста.

3. დარეჯან თვალთვაბე – ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის უძველესი თარიღიანი ნუსხა; The Oldest Dated Manuscript of Giorgi Mtatsmindeli's Redaction of the Gospels.

საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტინოლოგია საქართველოში - 4“; 2013 წლის 24-30 სექტემბერი, თბილისი-ბათუმი-კაპადოკია

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ხელნაწერსაცავებში ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტის შემცველი ასზე მეტი ნუსხაა დაცული, მაგრამ მათი უმეტესობა შედარებით გვიან, XII-XIII საუკუნეებში, ან შემდგომ არის გადაწერილი. XII-XIII საუკუნის ხელნაწერებს დაეყრდნო გიორგისეული რედაქციის კრიტიკული ტექსტის გამომცემელი ივ. იმნაიშვილიც, რომელმაც გამოცემისთვის თამარის ეპოქის სამი ხელნაწერი, კერძოდ, ვანის (H), ეჩმიაძინისა (I) და გელათის (K) ოთხთავები შეარჩია. თუმცა არსებობს გიორგისეული რედაქციის ტექსტის შემცველი მეთერთმეტე საუკუნის რამდენიმე ნუსხა, რომელთაგან ერთ-ერთია ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთსაცავში 76-ე ნომრით დაცული მანუსკრიპტი, რომელიც, როგორც გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, გიორგის სიცოცხლეში, 1060 წელს, შავ მთაზე, კალიპოსის მონასტერში ბასილი თორელყოფილს „წმიდისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან“ გადაუნუსხავს. ეს ხელნაწერი, რომელსაც კალიპოსის ან ლეჩხუმური ოთხთავის სახელით მოიხსენიებენ, ოთხთავის გიორგი

1	ტაბატაძე მარინა	ფინანსური რეგულირების მექანიზმები მაკროეკონომიკურ თეორიაში	N 3	ბორდო, საფრანგეთი საფრანგეთის პოლიტიკური ეკონომიკის ასოციაცია	10

ანოტაცია

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ფინანსური უნსტრუმენტების გამოყენების ინსტიტუციური და სამართლებრივი ასპექტები საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების პროცესში, რამდენადაც ეკონომიკურ სისტემებს ერთმანეთისაგან სწორედ სახელმწიფოს აქტიურობის ხარისხი განასხვავებს, რაც უპირველესად ფულის აგრეგატების ოპტიმიზაციასა და ინფლაციური პროცესების მართვაში უნდ გამოიხატებოდეს. ფინანსური სტაბილიზაციის მისაღწევად აუცილებელი სახელმწიფოს მიერ ანტიინფლაციური სტრატეგიის და ფინანსური კრიზისის მართვი მექანიზმების შემუშავება, რომლის ძირითადი ელემენტი ფულის მასის სწორ ლიმიტების განსაზღვრაა.

სტატიაში დიფერენცირებულია ანტიინფლაციური სახელისუფლებო ინსტრუმენტები, არაპირდაპირი მეთოდების (ფულის მასის და საპროცენტო განაკვეთი რეგულირება, სავალდებულო ფულადი რეზერვების მართვა, ოპერაციები ღია ბაზარზე და პირდაპირი მექანიზმების მიხედვით (კრედიტების, ფასებისა და ხელფასები ზღვრული სიდიდის დადგენა, გაცვლითი კურსის სახელმწიფო რეგულირება სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ინფლაციური თარგეტის ზედა ზღვარი დადგენის ეკონომიკური და მეთოდოლოგიური საკითხები, მისი როლი ფინანსურ სტაბილიზაციის ოპტიმალური მოდელის შემუშავებაში.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ტაბატაძე მარინა	გადასახადები – ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი მექანიზმი	პარიზი, საფრანგეთი ეკ. სტატისტიკის კვლევის ცენტრი, საერთ. სემინარი “გადასახადების ეკონომიკა” 1–2 ივლისი, 2013

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია საგადასახადო სისტემის თავისებურებები სახელმწიფო მოწყობის, ხელისუფლების ეკონომიკური აქტიურობის, განვითარების ფაზების და მაკროეკონომიკური პროპორციების მიხედვით. გაანალიზებულია ფისკალური პოლიტიკის დიფერენცირებული მექანიზმები და მონეტარულ პოლიტიკასთან მისი კომბინირების ფორმები. მოხსენებაში განხილულია საქართველოში საგადასახადო რეფორმის მიმართულებები და ძირითადი შედეგები, შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები და განვითარების ტენდენციები. აღნიშნულია საერთაშორისო თანამშრომლობის როლი და პერსპექტივები საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში, გაანალიზებულია ის ნორმატიული აქტები, რომელსაც შეუერთდა საქართველო, განსაზღვრულია საერთაშორისო შეთანხმების პრიორიტეტები, რომელიც უნიფიცირებული განაკვეთების შემოღებას ემსახურება და ის პოზიტიური შედეგები, რომელსაც ევროსაბჭოს კონვენციის პრინციპებზე აგებული საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება ახდენს ეროვნულ ეკონომიკაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპების დაცვა საგარეო ურთიერთობებში, რამდენადაც სამართლიანი ადმინისტრირება საგადასახადო სისტემის ქვაკუთხედი, სწორედ საჯაროობა, ტრანსპარენტულობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება აუცილებელი წინაპირობაა ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნისათვის.

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: *ეკონომეტრიკის კათედრა*
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი *იური ანანიაშვილი*
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი;
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე;
ასისტენტ-პროფესორი ეკა მეყანწიშვილი

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ჯულაყიძე	თამაშთა თეორია ეკონომისტებისთვის	ელექტრონული ვერსია (იხილეთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში)	130

ანოტაციები

თამაშთა თეორია ეკონომისტებისთვის

სახელმძღვანელოში, რომელიც ლექციების კურსის სახითაა წარმოდგენილი განხილულია 11 თემა, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ საკითხებს: სრული

და არასრული ინფორმაციით სტატიკური თამაში, ნემის წონასწორობა წმინდა და შერეულ სტრატეგიებში, დინამიური თამაში სრულყოფილი და არასრულყოფილი ინფორმაციით, თამაში იდეალური და თითქმის სრულყოფილი ინფორმაციით, ბაიესის წონასწორობა და დინამიური ბაიესური თამაშები, თამაშები და პარეტო-ოპტიმალობა, კვაზიწრფივი ეკონომიკა და კერძო წონასწორობა, მონოპოლიური წონასწორობის თვისება, კეთილდღეობის ანალიზი მონოპოლიის პირობებში, პირველი, მეორე და მესამე ტიპის ფასისმიერი დისკრიმინაცია. კურნოს წონასწორობის მოდელი, შტაკელბერგის დუოპოლიის მოდელი, ბერტრანის მოდელი.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I. AnaniaSvili, V. Papava	The Behavioral Model for Estimating the Laffer Fiscal Points. Buletten of the Georgian National Academy of Scieces.	vol. 7, no. 1, 2013	Tbilisi, Georgian National Academy of Scieces	142-150
2.	I. AnaniaSvili, V. Papava	Equilibrium and Optimal Tax Rates in the Models of Aggregate Demand and Aggregate Supply (Laffer-Keynesian Synthesis). Buletten of the Georgian National Academy of Scieces.	vol. 7, no. 2, 2013,	Tbilisi, Georgian National Academy of Scieces	166-178
3.	I. AnaniaSvili, V. Papava	On the Optimal Tax Burden (Denunciation of Plagiarism). <i>GFSIS Center for Applied Economic Studies</i>	<i>Research Paper 02.2013</i>	Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS)	1-16
4.	I. AnaniaSvili, V. Papava	On the Laffer-Keynesian Sinthesis. <i>GFSIS Center for Applied Economic Studies</i>	<i>Research Paper 04.2013</i>	Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS)	1-91

5.	ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა	ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ. // <i>ეკონომიკა და ბიზნესი</i>	№1, 2013	თბილისი, თსუ	171-192
6.	მ. ჯულაყიძე	აქტივებზე ფასების ცვლილების მოდელი// ყოველკვი- რეული გაზეთი “ბანკები და ფინანსები”	№339, 17-23 ოქტომბერი, 2013 წელი	თბილისი	4
7.	ე. მეყანწიშვილი	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები// ჟ. ეკონომისტი	№4, 2013	თბილისი	48-53

ანოტაციები

I. AnaniaSvili, V. Papava

The Behavioral Model for Estimating the Laffer Fiscal Points

სტატიაში განხილულია ერთობლივი გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მიდგომა. იგი ეფუძნება ქცევითი ტიპის მოდელს, რომელშიც გამოყენებულია ენტროპიული ფუნქციის სპეციფიკური ვარიანტი. შემოთავაზებული მოდელი მაქსიმალური წარმოებრივი ეფექტის და ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების შესაბამისი ფისკალური წერტილების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული წერტილები თანხვედრაშია ლაფერის კონცეფციასთან, რადგანაც ქცევითი მოდელიდან მიღებული წერტილებისათვის ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობის განსაზღვრა ენდოგენურად ხორციელდება. მიღებული დასკვნები ილუსტრირებულია აშშ-ის ეკონომიკის შესახებ არსებული მონაცემების გამოყენებით.

I. AnaniaSvili, V. Papava

**Equilibrium and Optimal Tax Rates in the Models of Aggregate Demand and Aggregate Supply
(Laffer-Keynesian Synthesis)**

სტატიაში შემოთავაზებულია მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება განხილულია არა ფასების დონეზე, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული, არამედ საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ფუნქციების სახით. შემოღებულია

ოპტიმალური და წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ცნებები. მოდელის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ როცა მთავრობა ცდილობს წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთის ფიქსირებულ დონეზე შენარჩუნებას, მაშინ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა ფასების დონეზე დამოკიდებული სიდიდე ხდება და ერთობლივი მოთხოვნის შესაბამისმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ოპტიმალური განაკვეთის წონასწორულთან დაახლოება.

I. AnaniaSvili, V. Papava

On the Optimal Tax Burden (Denunciation of Plagiarism)

სტატია წარმოადგენს პასუხს ლიტვაში გამოშვებულ ჟურნალ “ინტელექტუალური ეკონომიკა”-ში (№4, 2012), გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელის შინაარსიც, სამწუხაროდ, მთლიანად პლაგიატი აღმოჩნდა. სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს ინფორმაციას ჩვენი ავტორობით გამოქვეყნებულ სხვადასხვა პუბლიკაციებიდან. აქვე მოცემულია მოკლე მიმოხილვა იმ ძირითადი სიახლეებისა, რომლებიც მიღებულ იქნა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეის განვითარების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ეს სტატია აშშ-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში SSRN ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი ინტერესით სარგებლობდა და შედიოდა მოთხოვნად სტატიათა საუკეთესო ათეულში.

I. AnaniaSvili, V. Papava

On the Laffer-Keynesian Synthesis

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში გადასახადების როლი, როგორც წესი, ცალმხრივად შეისწავლება. კეინზიანური მოდელი აქცენტს, ძირითადად, იმ მექანიზმზე აკეთებს, რომლითაც გადასახადები ეკონომიკაზე ერთობლივი მოთხოვნის საშუალებით ზემოქმედებს და თითქმის არ ითვალისწინებს ერთობლივი მიწოდების მხრიდან ზემოქმედების მექანიზმს. გადასახადების პრობლემას ცალმხრივად განიხილავს, აგრეთვე, მიწოდების თეორია, რომელშიც წინა პლანზე საგადასახადო განაკვეთის ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედებაა წამოწეული. ბუნებრივია, გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მათი სინთეზის გზით. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ასეთი სინთეზის მოდელი და კომპლექსურად გაანალიზებულია მისგან გამომდინარე შედეგები.

ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა

ქართული ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ

ანოტაცია:

სტატია წარმოადგენს ჩვენი ინგლისურენოვანი სტატიის “On the Optimal Tax Burden (Denunciation of Plagiarism)” მნიშვნელოვნად გაფართოებულ ქართულ ვარიანტს, რომელიც დაიწერა ლიტვაში გამოშვებულ ჟურნალ “ინტელექტუალური ეკონომიკა”-ში (№4, 2012), გამოქვეყნებულ პლაგიატური სტატიის პასუხად. სტატიაში, გარდა იმისა, რომ ნაჩვენებია თუ რა შედეგები მიითვისა პლაგიატმა ავტორმა, ასევე მოცემულია მოკლე მიმოხილვა იმ ძირითადი სიახლეებისა, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა მიღებულ ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეის განვითარების პროცესში.

მ. ჯულაყიძე

ანოტაცია

აქტივებზე ფასების ცვლილების მოდელი

ნაშრომში განხილულია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფასწარმოქმნის საკითხები ეკონომიკურ მათემატიკური მოდელების გამოყენებით. დასაბუთებულია, რომ ახალი ინფორმაცია ბაზრის მიერ სწრაფად გაითვალისწინება აქტივების ახალ ფასში. გამოკვლევამ აჩვენა, რომ აქციების ფასი ვოლატილურია, ვიდრე რყევებით გამოწვეული ფუნდამენტალური ფაქტორები, როგორცაა დივიდენდები. ინვესტორი ემოციისა და საკუთარი ირაციონალურობის ხაზით თუ არ წავა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოგებას აუცილებლად მიიღებს.

ე. მეყანწიშვილი

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა და პარამეტრები. ნაჩვენებია სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებები, ამასთან ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას განსაზღვრული მოთხოვნები ეკონომიკის რეგულირებისას, რაც აუცილებელია თავისუფალი კონკურენციის პირობებში, შექმნას ყველა საფუძველი მეწარმეობის განვითარებისათვის, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ანუ როგორი უნდა იყოს იგი ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისათვის, გამოიკეთოს ძირითადი პრინციპები, კერძოდ კი ხელმისაწვდომო კრედიტები მეწარმეობის სტიმულირებისათვის, შეიმუშაოს სათანადო კანონმდებლობა, სადაც გამიჯნული იქნება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის უფლება-მოვალეობები.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. არსენაშვილი, მ. მწითური	სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის ერთი მეთოდის შესახებ// II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი-2013წელი, 11-12 ოქტომბერი
2	ე. მეყანწიშვილი	გლობალიზაცია და პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის	28-29 ივნისი, თბილისი, 2013

		განვითარების პრობლემები.// პროფესორ გიორგი პაპავას დაბადების 90დე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიეროდპრაქტიკული კონფერენცია „პოსტკომუნისტური ქვეყნების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“	
3	ე. მეყანწიშვილი, თ. როსტიაშვილი, მ. სოსელია	ფუნქციონალური დონის კონკურენტული სტრატეგიები მცირე ბიზნესისათვის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.	28-29 ივნისი, თბილისი, 2013

მოსხენებათა ანოტაციები

ა. არსენაშვილი, მ. მწითური
სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის ერთი მეთოდის შესახებ

ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობაში ინვესტირების შეფასების კომპლექსური მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით ინვესტირების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს არა ერთი რომელიმე ინდიკატორით, არამედ რამოდენიმე მათგანით. ინვესტირების ეფექტიანობის ინდიკატორებად აღებულია: ა) ზოგადი ეკონომიკური ეფექტიანობა; ბ) მოსალოდნელი ზარალი; გ) შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი; დ) ტექნიკური აღჭურვილობის კოეფიციენტი; ე) ინვესტირებიდან მიღებული დანაზოგები; ვ) ინვესტიციის ამოგების დრო; ზ) ინვესტიციის ამოგების სიჩქარე. ოპტიმალურად ვთვლით ისეთ ინვესტირებას, რომლისთვისაც ჯამური შეფასება, ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით, არის მაქსიმალური.

ე. მეყანწიშვილი
გლობალიზაცია და პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების პრობლემები

მსოფლიოს ქვეყნები მუდმივად ურთიერთობენ საქონლის, მომსახურებისა და ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის გზით. ბაზარი ქვეყნებს შორის შლის საზღვრებს. მსოფლიო გადაიქცევა ერთ „დიდ სოფლად“. წარმოებისა და ბაზრის გლობალიზაცია პროგრესირებს შეუმჩნეველად და შეუჩერებლად. რის შედეგებიც სულ უფრო და უფრო ხდება მნიშვნელოვანი და ყოველთვის არ იძლევიან ოპტიმიზმის საფუძველს.

მოცემულ სტატიაში განიხილება გლობალიზაციის პრობლემები და კეთდება დასკვნა, იმის შესახებ, რომ ნეოლიბერალურმა ექსპერიმენტმა მსოფლიო ეკონომიკაში განიცადა კრახი, რადგან ის ატარებს სისტემურ ნაკლს. საჭიროა მსოფლიო ფინანსურ პრაქტიკაში შეტანილ იქნეს სერიოზული ცვლილებები, რომლებიც მიმართული იქნება სტაბილურობის აღსადგენად და ეროვნული მთავრობის რეგულირებისა და დაგეგმვის ფუნქციის განსამტკიცებლად. მსოფლიო

ეკონომიკური პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა უნდა განვითარდეს ხალხის კეთილდღეობისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით.

ე. მეყანაშვილი, თ. როსტიაშვილი, მ. სოსელია

**ფუნქციონალური დონის კონკურენტული სტრატეგიები მცირე ბიზნესისათვის
პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**

დღესდღეობით, მეწარმეები იძულებული არიან ეძებონ დაფარული რეზერვები კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად. ეს რეზერვები უმეტესწილად კონცენტრირებულია მარკეტინგის კომპლექსის ძირითად ინსტრუმენტებში – საქონელში, ფასში და განაწილებაში.

სასაქონლო პოლიტიკა ერთიან კომპლექსში აერთიანებს საქონლის სასიცოცხლო ციკლის, სამომხმარებლო ფასეულობის, სამარკო სტრატეგიის, „სიახლის“ შემუშავების მარკეტინგულ მართვას.

სასაქონლო ასორტიმენტის რეგულარული განახლების პროცესი განუყოფლადაა დაკავშირებული კომპანიის ინოვაციურ პოლიტიკასთან.

სამამულო წარმოების სამარკო საქონელზე მოთხოვნილების ზრდა საჭიროებს სასაქონლო ნიშნების (სნ) გაფართოებულ გამოყენებას და ბრენდინგის სამუშაოების მნიშვნელოვან გააქტიურებას.

სტრატეგიულ გეგმაში საწარმოები უნდა ხელმძღვანელობდნენ სსც კონცეფციით. მცირე ორგანიზაციებისათვის ფუნქციონალური სტრატეგიების დედაარსი მდგომარეობს გეგმურ-მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაში ხელსაყრელი მიზნობრივი ბაზრის დასაბუთების, მყიდველების მაქსიმალური ოდენობის მოზიდვისა და სასურველი შემოსავლების მისაღებად წარმატებული პოზიციონირებისათვის.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. არსენაშვილი	ინვესტიციების ოპტიმალური განაწილების ცვლადსტრუქტურულიანი ეკონომიკურ- მათემატიკური ამოცანა// საერთაშორისო კონფერენცია “დინამიკური სისტემები: სტაბილურობა, მართვა,ოპტიმიზაცია”	ბელორუსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათემატიკის ინსტიტუტი, მინსკი–2013 წელი 14-15 ოქტომბერი
2	E. Меканцишвили	Механизм формирования электронного правительства, как новая	16-18 мая Польша г. Наленчов

		<p>форма государственного регулирования в условиях сетевой экономики.// XIV Международную научную конференцию <<Сетевое общество – Сетевая экономика в Центральной и Восточной Европе >> :Люблинский католический университет им. Иоанна Павла II</p>	
--	--	---	--

მოსხენებათა ანოტაციები

ა. არსენაშვილი

ინვესტიციების ოპტიმალური განაწილების ცვლადსტრუქტურული ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ურთიერთდამოკიდებულების მათემატიკური მოდელი. გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ სხვადასხვა სექტორებს განვითარებისთვის ინვესტირების სხვადასხვა პერიოდები სჭირდებათ და ზემოქმედების შედეგად გარკვეული დროის (დაგვიანების) შემდეგ ხდება რეალურად შესამჩნევი. ეკონომიკური განვითარების ასეთი პროცესი აღწერილია, როგორც ოპტიმალური მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა, რომლის მიზანია ისე შეირჩეს სექტორებს შორის საერთო საინვესტიციო კაპიტალის წილობრივი განაწილების კოეფიციენტები და დროის ის მომენტი, როდესაც უნდა მოხდეს ინვესტირების სტრუქტურის შეცვლა, რომ ეკონომიკის განსახილველი სექტორებისთვის წინასწარ დასახულ მდგომარეობას მივაღწიოთ მაქსიმალური ეფექტიანობით. ჩამოყალიბებული ამოცანისთვის მიღებულია ოპტიმალობის აუცილებელი პირობები, როგორც ინვესტიციების განაწილების ფუნქციებისთვის, ასევე ინვესტირების სტრუქტურის ცვლილების მომენტისთვის. საილუსტრაციოდ მოყვანილია ერთი მაგალითი.

Е. Меканцишвили

Механизм формирования электронного правительства, как новая форма государственного регулирования в условиях сетевой экономики

ეკონომიკის მართვის ქსელური ფორმების განვითარებას მიყვავართ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ევოლუციამდე, რომელიც საჭიროებს ადეკვატური მექანიზმის შემუშავებას სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. მოცემულ სტატიაში განხილულია ელექტრონული მთავრობის ფორმირების მექანიზმი, როგორც ქსელური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი ფორმა. საუბარია იმ თავისებურებებზე, რომელიც დამახასიათებელია ელექტრონული მთავრობისათვის ქსელური ეკონომიკის პირობებში. ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი განხილულია ოთხ ეტაბად. ელექტრონულ მთავრობაზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესია, მისი შემეცნება მოითხოვს დიდ დროს და ძლიერ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

ელექტრონული მთავრობის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები მოიცავს ფინანსურ ტექნიკური ხასიათის პრობლემებს, ასევე ჩინოვნიკებისა და მოქალაქეების მენტალიტეტის შეცვლის პრობლემებს. ამის გათვალისწინებით უმეტეს ქვეყნებში ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს საკმაოდ შენელებულად.

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: *ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა*
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი სიმონ გელაშვილი*
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
პროფესორი ს. გელაშვილი
პროფესორი ქ. მარშავა
ასოც. პროფ. ნ. აბესაძე
ასოც. პროფ. მ. მინდორაშვილი
ასოც. პროფ. მ. მუჩიაშვილი
ასისტენტ-პროფ. ზ. შონია
ასისტენტ-პროფ. მ. გიორგობიანი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	დევიდ ერ ანდერსენი, დენის ჯეი სვინი, თომას ეი ვილიამსი. <i>სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის</i> , 11-ე განახლებული გამოცემა. © 2012 South-Western, Cengage Learning.	პროფ. ქ. მარშავა	ქ. მარშავა ს. გელაშვილი მ. მინდორაშვილი (სარედაქციო კოლეგიის წევრი) ლ. ძევისაური
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	შესრულდა სახელმძღვანელოს თარგმნა და რედაქტირება, რომლის მოცულობა თითქმის 1200 გვერდია. მასში განხილულია ეკონომიკისა და ბიზნესის სტატისტიკის თითქმის ყველა თემა. ყოველი თემა მდიდარია პრაქტიკული მაგალითებითა და ამოცანებით, რაც ადვილად გასაგებს ხდის მკითხველისათვის.		
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	Jinvalis hidroeleqtrosadguris energogeneraciis potencialis	კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP)	ქ. მარშავა	ნ. დურგლიშვილი მ. მინდორაშვილი ი. კეჭაყმაძე

	prognozireba			
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>კვლევა ჩატარდა 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. კვლევა განხორციელდა კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-სთვის (GWP) შპს „ჰიდროდიაგნოსტიკის მიერ“ და მოიცავდა შემდეგ კვლევით კომპონენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უინვალის ჰიდროელექტროსადგურში ყოველდღიური შემოდინების მონაცემთა ბაზის შექმნა; 2. მონაცემთა ბაზის რედაქტირება და სტატისტიკური ანალიზი; 3. შემოდინებათა პროგნოზირება; 4. შედეგების დაპროგრამება. <p>კვლევის შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • განხორციელდა 1968-2012 წლებში უინვალის ჰიდროელექტროსადგურში ყოველდღიური შემოდინების მონაცემთა ბაზის შექმნა, დამუშავება და ანალიზი სტატისტიკური პროგრამების SPSS-ისა და Excel-ის გამოყენებით; • ბაზა დაიყო კლასტერებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით; • კლასტერებისა და მონაცემთა მთლიანი ბაზისათვის აიგო ნორმალური განაწილების ფუნქციები; • შეფასდა კლასტერების მნიშვნელოვნება საშუალო წლიური შემოდინების ფორმირებაში; • შემუშავდა შემოდინების პროგნოზირების მოდელი; • განხორციელდა მიღებული შედეგების დაპროგრამება Microsoft Access-ს გამოყენებით. 				
2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	sigaretebis brendebis: „NUMBER ONE“ da „LUCKY STRIKE“ aRrevis SesaZleblobebi	„შპს ოჯო“-ი	ნ. ღურგლიშვილი	ქ. მარშავა, ი. კეჭაყმაზე, თ. მაჭარაშვილი, თ. წიწილაშვილი, ზ. შონია
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>სიგარეტების ბრენდების: „NUMBER ONE“ da „LUCKY STRIKE“ აღრევის შესაძლებლობების კვლევა ჩატარდა 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში. კვლევა განხორციელდა „შპს ოჯო“-სათვის, ა(ა)იპ „კვლევა, ექსპერტიზა, მარკეტინგის“ მიერ და მოიცავდა სამ კომპონენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დოკუმენტების ანალიზი; 2. რაოდენობრივი კვლევა; 3. საპილოტე კვლევა. <p>კვლევის შედეგად მოხდა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკვლევი ბრენდების აღრევის შესაძლებლობების შეფასება; • საკვლევი ბრენდების შედარებითი აღქმის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება; • საკვლევი ბრენდების შედარებითი აღქმის დახასიათება/ ზოგადი პარამეტრების არწერა. 				

3	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	სოციოლოგიური ფირმა BCG –ის მიერ ჩატარებული სამომხმარებლო ბაზრის კვლევის ექსპერტიზა	„შპს ოჯო“-ი	ნ. დურგლიშვილი	ქ. მარშაგა
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია) 2013 წლის ივლისში სოციოლოგიური ფირმა ჩ –ის ჩატარებული კვლევის ექსპერტიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები: კითხვათა არათანმიმდევრულობა; კითხვებისა და პასუხთა ვარიანტების ბუნდოვანი ფორმულირებები; არასრული სტატისტიკური ანალიზი; შედეგების არაღვეანტური ინტერპრეტაცია. კვლევა შეფასდა არაავალიდურად.</p>				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2013 წელი. „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი-საერთშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და მენეჯმენტი (ICEM-2013)“.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.	ნ. აბესაძე	ნ. აბესაძე
<p>2013 წლის 24-16 აპრილი-კაუნასი (ლიტვა) საერთშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკა და მენეჯმენტი (ICEM-2013)“. კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება დასაქმების გენდერული სტატისტიკის მეთოდოლოგიური სრულყოფის შესახებ, რომლის შედეგადაც მოხსენების მთლიანი ტექსტი გამოქვეყნდა კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „ეკონომიკა და მენეჯმენტი“ (№1)</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

1	ს. გელაშვილი, ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი, ნ. აბესაძე, ზ. შონია (ავტორთა ჯგუფთან ერთად).	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის (ლექციების კურსი), მე-2 ნაწილი	ოსუ, (ელექტრონული ვერსია) http://tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/leqciastatistika2.pdf	246
---	--	--	---	-----

ანოტაციები

თანამედროვე მსოფლიოში სტატისტიკური მეცნიერების მეთოდები ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაკუთრებით კი ეკონომიკასა და ბიზნესში. ამიტომ აუცილებელია, რომ სტუდენტებმა ფართოდ შეისწავლონ კონკრეტული სტატისტიკური მეთოდების გამოყენების თავისებურებები სხვადასხვა სფეროში, რაც გააფართოებს შემდგომში მათი დასაქმების შესაძლებლობას. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება წინამდებარე ლექციების კურსი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტებს, ასევე პრაქტიკოს სპეციალისტებს. მისი სტრუქტურა სრულად შეესაბამება შესაბამისი სასწავლო დისციპლინის - „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2“ – დამტკიცებულ სილაბუსს. იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ნებისმიერი ეკონომიკური, ბიზნესის, სოციალური და სხვა სპეციალობებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე პრაქტიკოს სპეციალისტებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

2	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ს. გელაშვილი, ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი, ნ. აბესაძე, ზ. შონია (ავტორთა ჯგუფთან ერთად).	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის/დამხმარე სახელმძღვანელო/. ნაწ. 1.	თბილისი, “მერიდიანი	238

ანოტაცია

პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებული ყველა თემის მიხედვით ძირითადი დეფინიციების განმარტებას, საკითხების მოკლე თეორიულ ექსკურსს, მეთოდოლოგიურ მითითებებს ტიპური ამოცანების ამოხსნას, სამუშაო ტესტებსა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ ამოცანებს.

3	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ს. გელაშვილი, ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი, ნ. აბესაძე, ზ. შონია (ავტორთა ჯგუფთან ერთად).	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის/დამხმარე სახელმძღვანელო/. ნაწ. 1.	თბილისი, “მერიდიანი“	246

	ჯგუფთან ერთად).	ნაწ. 2.		
ანოტაცია				
<p>პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო მოიცავს სილაბუსით გათვალისწინებული ყველა თემის მიხედვით ძირითადი დეფინიციების განმარტებას, საკითხების მოკლე თეორიულ ექსკურსს, მეთოდოლოგიურ მითითებებს ტიპური ამოცანების ამოხსნას, სამუშაო ტესტებსა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ ამოცანებს.</p>				
№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	მ. გიორგობიანი ავტორთა კოლექტივთან ერთად	„გამოყენებითი ინფორმატიკა ეკონომიკაში, ბიზნესში, სამართალმცოდნეობაში და მედიცინაში“ (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა მე-2 გამოშვება)	თსუ, 2013 გამომცემლობა - „უნივერსალი“. თბილისი	
ანოტაცია				
<p>ნაშრომი წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული ნაწილით. თეორიულ ნაწილში მინიმუმამდეა შემცირებული საინფორმაციო პროცესების ზოგადთეორიული, საბაზისო, ფუნდამენტალური დებულებები, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია კომპიუტერული ტექნოლოგიის აგებისა და პროფესიული გამოყენების სპეციფიკის გაგება.</p> <p>რაც შეეხება პრაქტიკული ნაწილის შინაარსს, იგი ატარებს გამოყენებით ხასიათს. მისი მიზანია შესაბამისი სპეციალობების ბაკალავრებს გამოყენებით ინფორმატიკაში პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით შეასწავლოს დღეისათვის მოქმედი ოპერაციული სისტემების შესაძლებლობები და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებით კი გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულების უნარ-ჩვევები. იგი დიდ დახმარებას გაეწევს აგრეთვე ეკონომიკასა და ბიზნესში, სამართალმცოდნეობაში და სამედიცინო საქმიანობის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს ეფექტურად გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, აქტიურად გამოიყენონ თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობები.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Simon Gelaschwili,	Die globale Finanzkrise als Akzelerator der neuen	4	თბილისი, თსუ	20

	Andreas Nastansky	internationalen Finanzmarktordnung (ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“)			
--	-------------------	--	--	--	--

ანოტაცია

სტატიაში განხილულია თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში ფინანსური ბაზრებისა და საბანკო სისტემების მნიშვნელოვანი რეგულაციების აუცილებლობის მიმართულებები. ეს უნდა დაიწყოს მიკროეკონომიკური საფეხურიდან და, კერძოდ კი, საბანკო ინსტიტუტებიდან. მაკროეკონომიკურ მარეგულირებელ სისტემებს კი მთავარი როლი აკისრიათ სისტემური რისკების იდენტიფიკაციისა და შემცირების საქმეში. აქვე დასაბუთებულია, რომ ფინანსური სისტემის ოპტიმალური რეგულაციისათვის აუცილებელია საერთაშორისო და ეროვნული სათანადო ნორმატიული ბაზების ჰარმონიზება, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო ბაზრების რეგულაციაში ჯერ კიდევ არსებული სუსტი ადგილების მოწესრიგებას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ს. გელაშვილი	სოფლის მეურნეობაში განუსაზღვრელობისა და რისკების სტატისტიკური შეფასება	ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (შრომების კრებული)	თბილისი, თსუ	6

ანოტაცია

სტატიაში განხილულია რისკების სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების ეტაპები და ნაჩვენებია, რომ ყველა ეს ეტაპი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და რომელიმე მათგანის არშესრულება გამოიწვევს მთლიანი „ჯაჭვის“ გაწყვეტას, რის გამოც, საბოლოო ანგარიშით, ვერ მოხდება დასაბუთებული და მენეჯმენტისთვის აუცილებელი შედეგების მიღება.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს რისკის ძირითადი ფაქტორები და მოხდეს მათი კლასიფიკაცია რიგი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ: ეკონომიკური სისტემის განვითარების სტადიები, წარმოების გარემოსთან დამოკიდებულება, გამოვლენის სფერო, სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ხასიათი და სხვ.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ფაქტორთა გავლენის სიდიდის განსაზღვრა საშედეგო მანევენებლებზე. კვლევის ამ ეტაპზე უნდა გაირკვეს ის, თუ ყოველი ფაქტორული ნიშანი რა ზომით იწვევს საშედეგო ნიშნის სიდიდის ცვლილებას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ. მარშავა ლ. ძევისაური	რუსეთის ბაზრის პერსპექტივა – რეალობა თუ ილუზია? ჟ. „ეკონომიკა“	11-12	თბილისი 2013	15

ანოტაცია

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს ტრადიციულად უახლესი მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ. საქსპორტო პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ყველაზე მიმზიდველ ბაზარად რუსეთი მოიაზრებოდა. ასეც იყო ქართულ რეალობაში მანამდე სანამ ქართული პროდუქციის იმპორტზე ემბარგო გამოცხადდებოდა.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს მზერა კვლავ ჩრდილოეთით არის მიპყრობილი. ისტორია მეორდება და წლების მანძილზე გაწყვეტილი კავშირები და დანგრეული ურთიერთობები კვლავ აღდგენის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა რა იყო და რა რჩება ჩრდილოელი მეზობლის ინტერესის შესანარჩუნებლად საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში? რამდენად შესწევს ძალა და ყოფნის რესურსები ჩვენს ქვეყანას იმ ფუფუნებით ისარგებლოს, რასაც რუსეთის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის ექსპორტი ჰქვია? ჭირდება კი ამხელა იმპერიას სწორედ ის პროდუქტი რისი წარმოებისა და სხვა ქვეყნების ბაზარზე გატანის შესაძლებლობაც საქართველოს გააჩნია? ემბარგოს გაუქმებაზე არანაკლებ მნიშვნელობისა.

სტატისტიკურ მონაცემთა ფართო სპექტრის ანალიზი ცხადყოფს რუსეთის ბაზრის უპირატესობასა და რეალურ პერსპექტივას.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. მინდორაშვილი	სტატისტიკური ინდიკატორების როლი სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ სტრატეგიაში	ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. II საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია	თბილისი, თსუ	4

ანოტაცია

გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად სოფლის მეურნეობისა და ზოგადად სოფლის განვითარების სტატისტიკას ხშირად იყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, დონორები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. თავის

მხრივ, ასეთი სტატისტიკის წარმოებისა და რელევანტური ინდიკატორების შემუშავების წინაპირობები მომხმარებელთა მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს. ამასთან, უამრავი დისკუსიისა და შეფასების საფუძველზე ექსპერტებიც და საზოგადოებაც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ინფორმაციის ფლობიდან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება მასზე გაწეულ ხარჯებს.

სტატისტიკური ინდიკატორების თემა ახალი არ არის, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების სიმრავლე კიდევ უფრო ხაზს უსვამს შესასწავლი პრობლემის გაზრდილ მნიშვნელობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ მრავალი ინდიკატორი კვლავაც რელევანტურად რჩება, თუმცა მათი ნაწილი ახლებურად გააზრებას ან რეფოკუსირებას საჭიროებს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე	მოსახლეობის ჯანდაცვის სტატისტიკის ზოგოვანი ასპექტები საქართველოში.	ჟ. „ეკონომიკა“, № 9-10	თბილისი	გვ. 52-69.

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემაში არსებული მდგომარეობის სტატისტიკური სურათი, განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ტენდენციებზე და მათი სრულყოფის ღონისძიებებზე, გამოვლენილია ჯანდაცვის სფეროს კამონზომიერებანი ცალკეული სახის დაავადებების მიხედვით.

2	ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე	რეგიონული სტატისტიკის ორგანიზაციის საერთაშორისო გამოცდილების საკითხისათვის.	ჟურნალი „ეკონომიკა“, №1-2	თბილისი	გვ. 81-87.
---	----------------------------	--	---------------------------------	---------	------------

ანოტაცია

ნაშრომში განხილილია რეგიონალური სტატისტიკის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები საქართველოში, გამოვლენილია საქართველოს რეგიონალურ სტატისტიკაში არსებული ხარვეზები და განვითარებული რეგიონალური სტატისტიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე დასახულია სტატისტიკის სრულყოფის ღონისძიებანი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა-	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	------------------------------	-----------------------	----------------------	------------------------

		ლის/კრებულის დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
1	მ. გიორგობიანი	ტურიზმის სტატისტიკის საგანი, ამოცანები და მაჩვენებელთა სისტემის გაანგარიშება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით	IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი	“ბათუმი-ტრაპიზონი, 8-9 ივნისი. 2013	4

ანოტაცია

ტურიზმის სექტორი არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი საქართველოში. ამ პროცესმა განაპირობა სტატისტიკური მეცნიერების სრულიად ახალი დარგის - ტურიზმის სტატისტიკის წარმოშობა. ტურიზმის სტატისტიკის ამოცანებს მიეკუთვნება: ტურიზმის საქმიანობის მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირის სტატისტიკური შესწავლა. ტურიზმის სტატისტიკის ძირითად ამოცანას კი წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული, უტყუარი სტატისტიკური მონაცემების თავისდროული დამუშავება და ანალიზი.

სტატისტიკურად დამუშავებული სანდო მონაცემები ტურიზმის სწორი დაგმვის საფუძველს იძლევა. ამდენად, ტურიზმის განვითარების რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია სტატისტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენება.

ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმის დარგის სპეციალისტებს საშუალებას აძლევთ აწარმოონ მონაცემთა ანალიზი მაღალკვალიფიციურად.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სიმონ გელაშვილი	სოფლის მეურნეობაში განუსაზღვრელობისა და რისკების სტატისტიკური შეფასება	11-12 ოქტომბერი, თსუ

ანოტაცია

წარმოდგენილია სოფლის მეურნეობაში რისკების სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების ეტაპები და ნაჩვენებია, რომ ყველა ეს ეტაპი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და რომელიმე მათგანის არშესრულება გამოიწვევს მთლიანი „ჯაჭვის“ გაწყვეტას, რის გამოც, საბოლოო ანგარიშით, ვერ მოხდება დასაბუთებული და მენეჯმენტისთვის აუცილებელი შედეგების მიღება.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს რისკის ძირითადი ფაქტორები და მოხდეს მათი კლასიფიკაცია რიგი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ: ეკონომიკური სისტემის განვითარების სტადიები, წარმოების გარემოსთან დამოკიდებულება, გამოვლენის სფერო, სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ხასიათი და სხვ.

სოფლის მეურნეობაში რისკების კომპლექსური სტატისტიკური შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ფაქტორთა გავლენის სიდიდის განსაზღვრა საშედეგო მაჩვენებლებზე. კვლევის ამ ეტაპზე უნდა გაირკვეს ის, თუ ყოველი ფაქტორული ნიშანი რა ზომით იწვევს საშედეგო ნიშნის სიდიდის ცვლილებას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ქ. მარშავა	საქართველოს საექსპორტო პოტენციალის სტატისტიკური ანალიზი	29.11.2013 საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, კორპ. 10, აუდ. 206.

ანოტაცია

საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონისა და „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი ცენტრალური ქვეყანა, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, მისი სახელმწიფოებრივი დანაწილების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა ტერიტორიულად განცალკევებულ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით ქვეყანამ შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის დრმა ლიბერალიზაცია: გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ქვოტირება და საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ნუსხა და აქციზის გადასახადის განაკვეთები. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე.

დადებითი ძვრებია ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ. მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველო-რუსეთის საზღვარზე განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი “ყაზბეგი“ გაიხსნა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით, სატვირთო მანქანების სკანირებისა და არასტანდარტული მანქანების გატარების სისტემით. განვითარებული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გამარტივებული საბაჟო პროცედურები დამატებით სტიმულს შექმნის საქონლის ექსპორტისათვის.

რეალური პერსპექტივის გამოსავლენად და პრაგმატული თეორიის ჩამოსაყალიბებლად სტატისტიკური აპარატის სრული არსენალის გამოყენებით განხორციელდა შორეულ და უახლოეს წარსულში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტიულობის ანალიზი.

ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე ქვეყანამ უნდა აირჩიოს ექსპორტზე

ორიენტირებული სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ასევე, ინვესტორების მოზიდვა და საიმედო კაპიტალდაბანდების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების ამოქმედებას, ეროვნული პროდუქციის ხარისხისა და შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, ექსპორტის წახალისებისა და საექსპორტო პოტენციალის ეფექტურად გამოყენების მყარი გარანტი იქნება.

1	მარინე მინდორაშვილი	სტატისტიკური ინდიკატორების როლი სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ სტრატეგიაში	11-12 ოქტომბერი, თსუ, 2013
---	----------------------------	---	----------------------------

მოსხენების ანოტაცია

გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად სოფლის მეურნეობისა და ზოგადად სოფლის განვითარების სტატისტიკას ხშირად იყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, დონორები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. თავის მხრივ, ასეთი სტატისტიკის წარმოებისა და რელევანტური ინდიკატორების შემუშავების წინაპირობები მომხმარებელთა მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს. ამასთან, უამრავი დისკუსიისა და შეფასების საფუძველზე ექსპერტებიც და საზოგადოებაც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ინფორმაციის ფლობიდან მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება მასზე გაწეულ ხარჯებს.

სტატისტიკური ინდიკატორების თემა ახალი არ არის, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების სიმრავლე კიდევ უფრო ხაზს უსვამს შესასწავლი პრობლემის გაზრდილ მნიშვნელობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ მრავალი ინდიკატორი კვლავაც რელევანტურად რჩება, თუმცა მათი ნაწილი ახლებურად გააზრებას ან რეფოკუსირებას საჭიროებს.

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. აბესაძე ო. აბესაძე	სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო საერთშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“, შრომების კრებული. თბ., 2013. გვ.7-11.

ანოტაცია

მოსხენებაში დასაბუთდა სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა, დახასიათებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებაში გამოვლენილი ტენდენციები, ძირითადი პრიორიტეტები, გადმოცემული იყო დარგის განვითარების ძირითადი პარამეტრების სტატისტიკური ანალიზი, გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის განვითარების წინაშე არსებული პრობლემები და გამოვლინდა მისი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები

№	მომსხენებელი/	მოსხენების	ფორუმის ჩატარების
---	---------------	------------	-------------------

	მომხსენებლები	სათაური	დრო და ადგილი
2	ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტაღაძე	კიდევ ერთხელ ტურიზმის სტატისტიკის კვლევის ობიექტისა და ამოცანების შესახებ.	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: „ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული. ბათუმი-ტრაპიზონი. გვ.268-272.

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Simon Gelaschwili (Markus Porsche- Ludwig, Wolfgang Gieler, Jürgen Bellers)	Handbuch Sozialpolitiken der Welt	Münster, LIT verlag	712

ანოტაცია

კრებულში განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და აღნიშნულია მათი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალური პროცესების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის ემპირიულ ანალიზს და ოფიციალური მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულია ადეკვატური სტატისტიკური მაჩვენებლები.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Abesadze	The priority directions in the employment policy in Georgia	The Problems of systained social- ecomonic development of Republic of Summary scientific workc.	Armenia. Erevan.	p.175-179.

ანოტაციები

ნაშრომში განხილულია უმუშევრობის სტატისტიკური შეფასების საკითხები საქართველოში. გამოვლენილია უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები და მოცემულია დასაქმებისა და უმუშევრობის რეალური სტატისტიკური სურათი, არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია პროგნოზული გაანგარიშებები.

2.	N. Abesadze	The Methodological issues of the improvement of gender statistics of employment.	Journal: „Economics and management.“ №1	Kaunas, Lithuania	p.154-158
----	-------------	---	--	-------------------	-----------

	<p align="center">ანოტაცია</p> <p>სტატია ითვალისწინებს დასაქმების გენდერული სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხების სრულყოფის საკითხებს. ნაშრომში აგებული იქნა დასაქმების ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსები გენდერულ ჭრილში და არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში განხორციელდა ამ ინდექსების გაანგარიშება, შესაბამისად განხორციელდა ინდექსის ფაქტორული დაშლის შედეგად მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი.</p>				
--	---	--	--	--	--

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს შვიდ კათედრას:

1. ფინანსებისა და საბანკო საქმე;
2. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;
3. საერთაშორისო ბიზნესი;
4. მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
5. მარკეტინგი;
6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;
7. ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.

ფაკულტეტის შემადგენლობაშია – „**საერთაშორისო საწარმოთა მართვა**“ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიჰ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის **ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით.** (აკრედიტებული).

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა**
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **პროფესორი ირაკლი კოვზანაძე**
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი აეთანდილ ჩუთლაშვილი
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენია
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

IV პუბლიკაციები:

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	И. К. Ковзанадзе	„Посткризисное развитие мирового банковского сектора: тенденции и перспективы“	„Деньги и Кредит“, №3,	Москва, 2013,	стр.,60-63.

ანოტაციები

В статье рассматриваются текущие тенденции и перспективы развития мирового банковского сектора с учетом воздействия различных факторов. анализируются изменения в ключевых составляющих банковской деятельности: капитале, структуре и качестве активов, ликвидности, доходности, управлении, регулировании.

In article the current tendencies and prospects for development of the world banking sector taking into account influence of various Factors are considered. Changes in key components of bank activity are

analyzed: capital, structure and quality of assets, liquidity, profitability, management, regulation.

Ключевые слова: кризис; мировой банковский сектор; тенденции развития; капитал; ликвидность; качество активов; доходность; система управления; регулирование.

Key words: crisis; world banking sector; development tendencies; capital; liquidity; quality of assets; profitability; control system; regulation.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირაკლი კოვზანაძე (მონაწილე)	Warsaw Stock Exchange: IPO Summit	2013 – პოლონეთი, ვარშავა
2	ირაკლი კოვზანაძე (მონაწილე)	Asian Development Bank Institute (ADBI): Regional Roundtable on Public Sector Management and Public- Private Partnerships for Development Results,	2013 – იაპონია, ტოკიო
მოსხენებათა ანოტაციები			

ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ავთანდილ ჩუთლაშვილი	ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ- ეკონომიკური	“ეკონომიკა და ბიზნესი” 2013/6	თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	12

	განვითარების ძირითადი ტენდენციები		სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
<p>ნაშრომში შესწავლილია მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორები, რათა დაგვედგინა მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები და განგვესაზღვრა, რა შესაძლო შედეგებია მოსალოდნელი აშშ-ისა და მის პარტნიორებისათვის უახლოეს მომავალში.</p> <p>ბოლო 50 წლის ციფრობრივი მასალის საფუძველზე გაანალიზებულია აშშ-ის ფედერალური ვალი, მშპ-ის დინამიკა და თავისებურებანი, მათი თანაფარდობა მსოფლიო მშპ-ან. ასევე შესწავლილია ზოგიერთი სხვა ინდიკატორი, როგორცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, მთლიანი ეროვნული დანაზოვის დინამიკა, სამუშაოს ხანგრძლივობა და მუშაობის ინტენსიურობის მახასიათებლები, ცალკეული სოციალური ხასიათის პარამეტრები.</p> <p>განხილულია ზოგიერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს საფინანსო სისტემის მდგრადი განვითარებისათვის.</p>				

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხათუნა ბარბაქაძე	სადაზღვევო მომსახურების რეგიონალური მარკეტინგი	თბილისი
2	ხათუნა ბარბაქაძე	ტურისტული ორგანიზაციების მართვის ეფექტიანი პარამეტრების შესახებ	ბათუმი

მომხსენებათა ანოტაციები

სადაზღვევო მომსახურების რეგიონალური მარკეტინგი

საქართველოში სადაზღვევო მომსახურებების რეგიონალური ბაზარი მეტ-ნაკლებად წარმატებით არსებობს და ვითარდება. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა განაგებულა თბილისში მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის კომპანიებს აქვთ ფილიალების დიდი და საკმარისად განვითარებული ქსელი, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიცვან რეგიონალური სადაზღვევო ბაზარი. სადაზღვევო მარკეტინგი წარმოადგენს სპეციფიკურ ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც არსებითად

განსხვავდება ეკონომიკური ცხოვრების სხვა სფეროების მარკეტინგისაგან, რაც გამოწვეულია დაზღვევის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური როლით და მისი განსაკუთრებული ადგილით ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში და საზოგადოებრივი წარმოების პროცესში.

მარკეტინგის სტრატეგია და ტექტიკა მდგომარეობს არა მარტო სადაზღვევო ბაზრის მოპოვებაში, არამედ ჩამოყალიბებულ მოთხოვნაზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაში, რათა საჭიროებისამებრ გარდაქმნას კონკურენციული ბრძოლის სტრატეგიული პროგრამები და ტაქტიკა.

ტურისტული ორგანიზაციების მართვის ეფექტიანი პარამეტრების შესახებ

თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ადგილი აქვს ტურიზმის უპრეცედენტო ზრდას, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი როლი ეკონომიკაში. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში – ხელმისაწვდომი ბაზრები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, შიდა და საერთაშორისო კონკურენცია, ახალი ტურისტული პროდუქტისა და გასაღების ახალი ბაზრების გაჩენა – მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტურიზმზე მოთხოვნის ზრდას და შეცვალა ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიები და წარმოაჩინა ახალი მიდგომები მართვის თვალსაზრისით.

ტურისტულ ბაზარზე ცვლილებები თავისთავად ითხოვს ტურისტული ორგანიზაციების მხრიდან სათანადო რეაგირებას. ტურისტული ორგანიზაციების მართვის ეფექტიანი პარამეტრები განისაზღვრება მაჩვენებლების ერთობლიობით, რომლებიც ადასტურებენ ორგანიზაციის მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამიტომ, შესაძლებელია გამოიყოს წარმატებული ტურისტული ორგანიზაციის მაჩვენებლების ძირითადი ჯგუფები: ტურისტული ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები; შრომის ხარისხისა და შედეგიანობის მაჩვენებლები; სოციალური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ამრიგად, ტურისტული ორგანიზაციების მართვის ეფექტიანობის პარამეტრები – ეს არის მენეჯერების საქმიანობის ძირითადი შედეგი. მენეჯერები შეიმუშავენ თავისდროულ, მაღალეფექტურ გადაწყვეტილებებს და შეუძლიათ მომხმარებლებს შესთავაზონ მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქტები. ხარისხიანი და უსაფრთხო ტურისტული პროდუქტი – არის ის, რისი მიღებაც სურს მომხმარებელს.

ტურისტული ორგანიზაციის ხარისხის მართვის სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათთვის მაღალი ხარისხის მომსახურებებისა და ტურისტული პროდუქტების შეთავაზება.

ტურისტული ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულება, გაითვალისწინოს ტურისტების სურვილები და იზრუნოს მათ მაღალხარისხიან მომსახურებაზე. ტურისტულ ორგანიზაციებში მართვის ეფექტიანობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მომხმარებლების მოთხოვნების ყოველმხრივი დაკმაყოფილებით.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მიხეილ ჩიკვილაძე	საბიუჯეტო შემოსავლების თანამედროვე ასპექტები საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (28-29 ივნისი, 2013) თბილისი 2013

ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლეილა ღუდუშაური	საბანკო და საკრედიტო	თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2013.	152 გვ.

		<p>ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა. მე-2 გამოცემა, ცვლილებებითა და დამატებებით.</p>		
ასისტენტ.-პროფ. ქეთევან ქონაშვილი	ხელშეკრულების თავისუფლება და მისი შეზღუდვა ცივილისტურ და ბუნებითსამართლებრივ ჭრილში	გადაცემულია ბესარიონ ზოიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში დასაბუჯდად		
ასისტენტ.-პროფ. ნათია ჩიტაშვილი	Alternative Dispute Resolution System and Perspectives of its Development in Georgia, Kiler Ostrechts – Notizen, 16. Jahrgang, Schwerpunkt, Rechtsbeziehungen EU Kaukasus	1/2013	კილი (გერმანია)	
ანოტაცია				
<p>სტატია შეეხება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქმედი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ანალიზს და დავის ალტერნატიული მოგვარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს აღნიშნულ სფეროში. კერძოდ, წარმოჩენილია ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული სამეცნიერო ღონისძიებების მნიშვნელობა როგორც სწავლების ხარისხის ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, ასევე განგრძობადი იურიდილი განათლებით იურიდიული საზოგადოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.</p>				
ასისტენტ.-პროფ. ნათია ჩიტაშვილი	შესრულების გართულებისა და	ბესარიონ ზოიძე, 60, საიუბილეო		20

	ფორსმაჟორის სამართლებრივი წინაპირობები (უნიფიცირებული კერძო სამართლისა და ქართული სამართლის შედარებითსამართლებრ ივი ანალიზი)	კრებული		
--	---	---------	--	--

ანოტაცია

იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ შეცვლილი გარემოებები ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში – *ვის მაჯორ*) და შესრულების გართულების (*პარდსჰიპ*) ორ ფუნდამენტურ, საბაზისო კონცეფციას აფუძნებს თანამდევნი სამართლებრივი შედეგებით. კერძოდ, შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამოირიცხავს შესრულების შესაძლებლობას და რომლის პირობებშიც უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა. ფორსმაჟორი (შესრულების შეუძლებლობა) კი განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით ფუნქციონირებს, რომელიც თანამდევ შედეგად შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას მოიაზრებს.

სტატიაში განხილულია ვენის კონვენციის, უნიდრუას ხელშეკრულებათა პრინციპების, ევროპული პრინციპებისა და ჩ დ-ით გათვალისწინებული ფორსმაჟორისა და შესრულების გართულების მომწესრიგებელი ნორმები, მათი გამოყენების წინაპირობები და ურთიერთკავშირი და წარმოდგენილია ქართული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

ასისტენტ.-პროფ. თემურ ცქიტიშვილი	დანაშაულის მცდელობის და საფრთხის შემქმნელი დელიქტების ურთიერთმიმართება	გადაცემულია ოთარ გამყრელიძის საიუბილეო კრებულში დასაბეჭდად	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.	
ასისტენტ.-პროფ. თემურ ცქიტიშვილი	სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის,	გადაცემულია ივანე სურგულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში დასაბეჭდად	თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.	
ასისტენტ.-პროფ. თემურ	ქმედების მართლწინააღმდეგობის	გადაცემულია ბესარიონ	თბილისი, გამომცემლობა	

ცქიტიშვილი	საკითხისათვის	ზოიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში დასაბუჯდად	„სამართალი“.	
ასისტენტ-პროფესორი ლელა ჯანაშვილი	construyendo una nueva Europa - la europeización del modelo de la seguridad de georgia.	Working Papers, Instituto de Ciencias Politiques i Socials, adscrit a la Universitat Autònoma de Barcelona		
მოწვეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი	უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე /სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი		საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	გვ. 64-71
მოწვეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის I ნაწილი – კანონისმიერი განმარტება თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი? /ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“	#1(36)	საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია	გვ. 115-120
მოწვეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი	კონტრაქტის პიროვნებაში შეცდომის მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში /სამართლის ჟურნალი	#2	თსუ გადაცემულია დასაბუჯდად	
მოწვეული	აზრის გამოსატვის	№3	თბილისი,	20

ლექტორი მიხეილ ბიჭია	თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებითი კონფლიქტი/ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“.		საქართველოს უზენაესი სასამართლო	
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	კერძო ცხოვრება ღირებულებით კონფლიქტი/ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“.	№1 (7)	თბილისი, თბილისის სასწ. უნივერსიტეტი	5
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებ- რივი დაცვა/ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“	№1	თბილისი, ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და დავიტ ბატონი შვილის სამართლის ინსტიტუტი	19
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	საადვოკატო საიდუმლოების დაცვის მატერიალური და საპროცესოსამართლებ- რივი ასპექტები/ ბესარიონ ზოიძე. 60, საიუბილეო კრებული		გადაცემულია დასაბეჭდად	20
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	სამოქალაქოსამართლებ- რივი პასუხისმგებლობა საადვოკატო საიდუმლოების ხელყოფისთვის/თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“.	№1	თსუ	24
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის საჯარო და კერძო საწყისების შესახებ/ ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის	№1	ზუგდიდი, ზღუ-ს გამომც.	12

		შრომათა კრებული			
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	პორსტ ეპრმანის „ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების, ცნება“, აპოსტოლოს გეორგიადეს კრებულში, 2005 (თარგმანი, წინათქმა და მეცნიერული რედაქცია)/ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“.	№2	თსუ	38	
მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	ჰანს-ულრიხ გალვასი, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლებათა შორის ზოგადი კონფლიქტი (თარგმნა და წინასიტყვაობა)/ სამართლის ჟურნ. „სარჩევი“	№2	თბილისი, თსუ-ს	17	
მოწვეული ლექტორი ირინე ბონაშვილი	გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის საკითხისათვის”/ ჟურნალი ადვოკატი	2013, №3	თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	გვ. 37- 45	
ანოტაცია					
<p>2010 წლის 01 ოქტომბრიდან საქართველოში მოქმედებს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში – სსსკ). სტატიაში ყურადღება ეთმობა დღეს მოქმედ დაკითხვის დროებით წესს, რომელიც, ავტორის აზრით, არსებითი ხასიათის უთანხმოებებს იწვევს პრაქტიკაში:</p> <p>1. <i>მოწმის სტატუსი.</i> სტატიაში საუბარია მოწმის სტატუსსთან დაკავშირებით წარმოშობილი „ორმაგი სტანდარტის“ პრობლემაზე. 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი პირს მოწმის სტატუსს ანიჭებდა უკვე გამოძიების სტადიიდან, ხოლო, მოქმედი სსსკ-სი პირს მოწმედ მხოლოდ სასამართლოში აღიარებს მას შემდეგ, რაც პირი დადებს ფიცს და მას გააფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცრუ ჩვენების ან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების გამო;</p> <p>2. <i>მოწმის გამოცხადების ვალდებულება.</i> აქ ავტორი განიხილავს გამოძიებაში პირის დროებითი წესით დაკითხვისას პირის გამოძიების ორგანოებში გამოცხადების ვალდებულებას. საუბარია, რომ ამ საკითხისადმი</p>					

არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო ხშირად გაუგებრობა წარმოიშობა პრაქტიკაში. მაგალითისათვის, ავტორი მოიყვანს ქალაქის მერის, გ.უგულავას მხრიდან მოწმის სახით ჩვენების მისაცემად გამოძიების ორგანოებში გამოცხადებაზე უარის თქმის შემთხვევას. ნორმათა ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ დაკითხვის დროებითი წესის გამოყენებისას პირზე ვრცელდება 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით გათვალისწინებული, გამოძიების ორგანოებში გამოცხადების ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი შესაძლოა იძულებით მოიყვანოს;

3. მოწმის იმუნიტეტი. სტატიის ამ ნაწილში განხილულია ის სხვაობები, რაც არსებობს 1998 წლის 20 თებერვლის და მოქმედი სსსკ-ებით მოწმის იმუნიტეტის რეგულირებისას. კერძოდ, ავტორი მიუთითებს, რომ „ძველი“ სსსკ-სი პირდაპირ აკრძალვას აწესებდა ზოგიერთ შემთხვევებში პირის მოწმის სახით დაკითხვაზე, ხოლო, მოქმედი სსსკ-სი იგივე პირებს უბრალოდ აღარ ავალდებულებს მისცენ ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს წესი შესაძლოა ბრალდებულისათვის საზიანო იყოს, მიზანშეწონილია მოწმის იმუნიტეტის საკითხისას მაინც მოქმედი კანონმდებლობით ვიხელმძღვანელოთ;

4. დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვა. ავტორი განიხილავს პრაქტიკაში დამკვიდრებულ არასწორ მიდგომას დაზარალებულის გამოძიებისას დაკითხვის დროს. საუბარია, რომ დღეს პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, სადაც გამოძიებისას დაზარალებულის დაკითხვისას იყენებენ „ძველი“ კოდექსით გათვალისწინებულ წესს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ (მაგალითად, თუ დაზარალებული არასრულწლოვანია და სხვა). ავტორი მოიყვანს პრაქტიკულ მაგალითს და აღნიშნავს, რომ ადვოკატის სავალდებულო წესით მოწვევა დაზარალებულის დაკითხვისას „პრინციპულ“ უთანხმოებას იწვევს სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან დრეს დაზარალებული მხარედ აღარ განიხილება და, შესაბამისად, დაზარალებულის დაკითხვისას ადვოკატის მონაწილეობის შემთხვევებს მოქმედი სსსკ-სი აღარ იცნობს;

5. დაკითხვისას მიღებული ჩვენება და მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სტატიის ამ ნაწილში მოყვანილია „ძველი“ და მოქმედი სსსკ-ებით გათვალისწინებული გამოძიებისას დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენებების საპროცესო ხასიათი და მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ავტორი კვლავ არასწორ პრაქტიკაზე საუბრობს, მოჰყავს მაგალითი და აკეთებს დასკვნას, რომ დღეს გაუმართლებლად ენიჭება გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის თანახმად მიღებულ ჩვენებას მტკიცებულების მნიშვნელობა. დაუშვებლად მიიჩნევს, რომ განსახილველი ჩვენება სასამართლოში გამოკვლეული იყოს მოწმის შუამდგომლობის საფუძველზე;

6. დაკითხვის დროებითი წესი და მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი. ავტორი საუბრობს, რომ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი არათანაბარ პირობებში აყენებს ბრალდების და დაცვის მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვება, გამოკვლევის შესაძლებლობებთან მიმართებაში. აღნიშნავს, რომ გამოკითხვა ან/და გამოძიებისას დაკითხვის საგამონაკლისო წესი, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 113-ე, 114-ე მუხლებით და რომელთა ჩატარების უფლება დღეს დაცვის მხარეს გააჩნია ვერ გაუთანაბრდება ბრალდების მხარის მოწმის დროებითი წესით დაკითხვის უფლებას. ასევე, ავტორის აზრით, დაკითხვის დროებითი წესის არსებობა უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და მაგალითისათვის მოიყვანს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-6 მუხლის, მე-3 ნაწილის, „დ“ ქპუნქტს, რომლის თანახმად, მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ მოწმეების თანაბარ პირობებში დაკითხვისა.

დასკვნის სახით ავტორი აღნიშნავს, რომ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი პრაქტიკაში არასწორედ გამოიყენება და უნდა გაუქმდეს.				
მოწვეული ლექტორი დავით გეფერიძე	საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ტერიტორიის შესახებ/ ჟურნალი „მართლმსაჯულება“	№2, 2013	თბილისი	82-94
მოწვეული ლექტორი დავით გეფერიძე ი. ხარაზი	საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ/ ჟურნალი „მართლმსაჯულება“	№4, 2013, გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი	
მოწვეული ლექტორი თათია კერესელიძე	შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი/ შრომის სამართლის სტატიათა კრებული, მეორე ტომი		„მერიდიანი“, თბილისი	29
ანოტაცია				
<p>სტატიაში განხილულია სტანდარტული პირობების სამართლებრივი ბუნება, მათ შორის წარმოშობის მიზეზები, ცნება, ძირითადი ფუნქციები, შინაარსის კონტროლის მიზნები, ასევე შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების დასაშვებობის საკითხი, ხელშეკრულების შინაარსის კონტროლი შრომის სამართლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის ურთერთმიმართების ჭრილში. სტატია ეფუძნება გერმანულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან ქართული ნორმატიული აქტების შედარებით ანალიზს, გამოკვეთილია დეფინიციათა სისტემატიზაციის პრობლემები, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების გამოყენების ფორმები, შინაარსის კონტროლის საფუძვლები: კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის ზოგადი საფუძველი, ასევე სამოქალაქო კოდექსის 347-ე და 348-ე მუხლში კოდიფიცირებული კონკრეტული საფუძვლები. ნაშრომში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 12 ივნისის საქართველოს №729 ორგანული კანონით შეტანილი ნოვაციები შრომის ხელშეკრულების შინაარსის კონტროლთან მიმართებაში.</p>				
მოწვეული ლექტორი	ერთმანეთან დაახლოება: საქართველოს	2013 წლის ივნისის	ლონდონი, გამომცემლობა	

სოლომონ მენაბდიშვილი	კონკურენციის სამართალი შესაბამისობაშია მოყვანილი ევროკავშირის სამართალთან (Getting closer together: Georgian competition laws are being brought into line with EU rules)/კრებული: კონკურენციის სამართლის ალღო (Competition Law Insights)	გამოცემა	„მაქს“	
მოწვეული ლექტორი ნატალია მოწონელიძე	ვალდებულების შეუსრულებლობა ფორსმაჟორის დროს დამისი სამართლებრივი შედეგები, კერძო სამართლის მიმოხილვა	წიგნი 1, №1	თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება	24
მოწვეული ლექტორი ნატალია მოწონელიძე	თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, სამართლის ჟურნალი	2/2013	თსუ	20

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებული სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	Ладó Чантурия и др. (коллектив авторов)	Научно- практические комментарий к Гражданскому кодексу Туркменистана, Том первый и второй.	Ашхабад, Туркменская государственная издательская служба	Предисловие С. 9-12 (на русском и туркменском языках)
	Mark Boguslavskij, Lado Chanturia, Alexander Trunk	M. Rechtsbeziehungen EU-Kaukasus. Kieler Ostrechts- Notizen	Institut für Osteuropäisches Recht der Universität Kiel	80

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	ირაკლი ბურღული	Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen	1/2013, 16 Jahrgang	Zeitschrift: Kieler Ostrechts-Notizen (Alb. Magnus Universität zu Kiel)	S. 28-35.
	Lado Chanturia, George Jugeli	Georgia: Corporate governance of business corporations	Fleckner/Hopt (ed.), Comparative Corporate Governance. A Functional and International Analysis	Cambridge University Press	504-520
	Lado Chanturia	Das Zivilrecht der Länder des Kaukasus und Zentralasiens	WiRO – Wirtschaft und Recht in Osteuropa, 3/2013	München, Beck Verlag	74-77
	Lado Chanturia	Zu Ursprüngen der Rechtsreformen im postsowjetischen Georgien	Michael Düring (Hrsg.), Das Jahr 1991. Umbrüche im östlichen Europa	EulVerlag, Köln	125-141
	Ладó		Журнал Зангер, №	Казахстан	22-26

	Чантурия	Корпоративное право и корпоративные отношения (понятия для теории и практики)	6,2013		
	Ладо Чантурия	Система и компетенция административных судов в Грузии	Административное судопроизводство в Российской Федерации: развитие теории и формирование административно-процессуального законодательства	Вып. 7, Воронеж: Издательство Воронежского государственного университета	стр. 958-965
	Ладо Чантурия	Предисловие	Научно-практические комментарий к Гражданскому кодексу Туркменистана, Том первый и второй	Ашхабад, Туркменская государственная издательская служба	9-12 (на русском и туркменском языках)
	Lasha Bregvadze	Constituting Constitutions beyond the State: Polycontextural Constitutionalism of the World Society		Farnham, "Ashgate Publishing"	15
	ასისტენტ-პროფ. ირინე ხერხეულიძე	დისკრიმინაცია და ოჯახური ძალადობა თანამედროვე საზოგადოებაში, შედარებითი ანალიზი (ინგლისურ ენაზე, Discrimination and Domestic Violence in Contemporary Society, Comparative Analysis); აშშ-ის ნევადას შტატის ლას ვეგასის უნივერსიტეტის	Fall, 2013	აშშ-ის ნევადას შტატი, ლას ვეგასის უნივერსიტეტი	17

		(UNLV) ჟურნალი <i>International Journal of Arts and Science.</i>			
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>სტატია ეხება ქალთა დისკრიმინაციის საკითხს. მასში განსაკუთრებული ფოკუსი კეთდება გენდერულ ძალადობაზე. სტატიაში მოცემული კვლევა მოიცავს გენდერის და სამართლის ურთიერთქმედების საკითხს, საერთაშორისოდ აღრებული ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ოჯახური ძალადობის ფართოდ გავრცელებულობა მწვავე პრობლემად ისახება კვლევაში, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, გამოვლენილი მდედრობითი სქესის მიმართ ძალადობის სახით. სტატია მეტწილად მოიცავს ამ პრობლემის გავრცელებულობის საკითხს საქართველოს სოციალურ და სამართლებრივ კონტექსტში, თუმცა ასევე განხილულია პრობლემის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომა, ისევე როგორც გაანალიზებულია აღნიშნული პრობლემის მიმართ აშშ-ის სამართლებრივი დამოკიდებულება.</p>					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	პროფ. ბურდული ირაკლი	Mediation and Arbitration – Global Developments (საერთაშორისო კონფერენცია). ორგანიზატორი: NCADR, შესავალი სიტყვა	28–29 ოქტომბერი, თბილისი
	პროფ. მაია ივანიძე	მრგვალი მაგიდა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლის და ანალიზისათვის“, სიტყვით გამოსვლა	30 იანვარი, თსუ
	პროფ. მაია ივანიძე	სიტყვით გამოსვლა სასჯელდღესასწაულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე	11 თებერვალი, თსუ
	პროფ. მაია ივანიძე	ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია - ლიბერალიზაციის ტენდენციები ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მომხსენებელი თემაზე „ალტერნატიული სასჯელები-შედეგებითი სამართლებრივი ანალიზი.“	16-17 მაისი, თსუ
	პროფ. მაია ივანიძე	მოდერატორი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის	17 ივნისი, თსუ

	პროფ. მაია ივანიძე	მრგვალი მაგიდა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლის და ანალიზისათვის“, სიტყვით გამოსვლა	13 დეკემბერი, თსუ
	პროფ. კონსტანტინე კორკელია	წლის განმავლობაში მოხსენებები გაკეთდა 8 სემინარზე, რომელიც მიმართული იყო ცნობიერების ამაღლებისაკენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ადვოკატებს შორის თემებზე: ევროპული სასამართლის ფუნქციონირება; გამოხატვის თავისუფლება; პირადი და ოჯახური ცხოვრება; სამართლიანი სასამართლოს უფლება; რელიგიის თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება	სხვადასხვა დროს
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობა თბილისის საქალაქო სასამართლოში	31 იანვარი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	სიტყვით გამოსვლა ამნისტიის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით	13 თებერვალი, თბილისი
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	სასჯელთა ლიბერალიზაციის საკითხისათვის ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში	16-17 მაისი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	სიტყვით გამოსვლა ოჯახური დანაშაულის პასუხისმგებლობის საკითხისათვის	13 ივნისი, თბილისი
	პროფესორ-ემერიტუსი	ოჯახში ძალადობასთან	17 ივნისი, თბილისი

	მზია ლეკვეიშვილი	დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის	
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	ჯარიმა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე	15 ივლისი, თბილისი
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	სასჯელის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტები	7–8 სექტემბერი, ყვარელი
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	დაზარალებულის უფლებების დაცვა	19 ნოემბერი, თბილისი
	პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვეიშვილი	ნაფიც მსაჯულთა საქმიანობა საქართველოში (შემაჯამებელი მოხსენება)	13 დეკემბერი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი	31 იანვარი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია	ორგანიზებული დანაშაული და მისი ნიშნები თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში	24 ოქტომბერი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია	მტკიცების საგნის მატრიალურ-სისხლისსამართლებრივი საფუძვლები	15–16 ნოემბერი, თსუ
	პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი (შემაჯამებელი მოხსენება)	13 დეკემბერი, თსუ
	პროფ. მერაბ ტურავა, თსუ-ს სრული პროფესორი	„დანაშაულის სუბიექტური მხარის ფორმები და მათი ურთიერთგამიჯვნა“	ქართველ და უცხოელ სისხლის სამართლის ექსპერტთა კონფერენცია (ევროპის კავშირის პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის

		<p>მხარდაჭერა საქართველოში)</p> <p>15-17 მარტი, 2013 კაჭრეთი, საქართველო</p>
--	--	---

მოხსენების ანოტაცია

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებზე სამეცნიერო დისკუსიის გამართვა, პრობლემების იდენტიფიკაცია და იდეების გენერირება შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. მასში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

მოხსენება ეხებოდა სისხლის სამართალში დანაშაულის სუბიექტური მხარის ფორმებს. ანგლო-ამერიკული და კონტინენტალ-ევროპული სისხლის სამართალი ამ მხრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პროფესორმა რიჩარდ ვოგლერმა (სასექსის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო) გააკეთა კვლევა დანაშაულის სუბიექტური მხარის ფორმებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საერთო სამართლის ქვეყნებში არსებული მოდელების საფუძველზე. მან ეს კვლევა წარმოადგინა კონფერენციაზე.

პროფესორ მერაბ ტურავას მოხსენება შეეხო საქართველოს სისხლის სამართალში არსებული მოდელის ანალიზს. სუბიექტური მხარის ფორმებს შორის არსებული განსხვავების და პრობლემების ანალიზი ხელს შეუწყობს ამ საკითხზე სამეცნიერო და პრაქტიკული დისკუსიების წარმართვას საქართველოში.

<p>პროფ. მერაბ ტურავა</p>	<p>სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები და ძირითადი ტენდენციები</p>	<p>ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია „ლიბერალიზაციის ტენდენციები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ (გერმანიის სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით) 16-17 მაისი, 2013 თბილისი, საქართველო</p>
----------------------------------	--	---

მოხსენების ანოტაცია

კონფერენციაში მონაწილეობდნენ გერმანელი და ქართველი პროფესორები. მოხსენება შეეხო სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს. საქართველოში 2006 წლიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ იქნა არაერთი

<p>ცვლილება, რომელიც წარმოადგენდა ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპის გამოხატულებას.</p> <p>დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის აუცილებლობა. მოხსენება მიეძღვნა ამ ცვლილებების აუცილებლობის სამეცნიერო დასაბუთებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას.</p>		
პროფ. ლადო ჭანტურია	მეწარმეთა შესახებ კანონის რეფორმის ძირითადი მიმართულებები	2013 წლის 19 ივლისი, თბილისი, კონფერენცია თემაზე „სამეწარმეო და გადახდისუუნარობის სამართლის აქტუალური საკითხები
პროფ. ლადო ჭანტურია სემინარის ხელმძღვანელი პროფესორ ალექსანდრე ტრუნკოვან ერთად.	ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო	2013 წლის 24-25 იანვარი, თბილისი, კილის ქრისტიან-ალბრეხტის-უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სემინარი თემაზე „ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო“
ასოც. პროფ. სოფიო ჩაჩავა/მოწვეული ლექტორი თათია კერესელიძე	ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებისა და მოშლის თავისებურებები საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით	24 ოქტომბერი, თბილისი
<p>ანოტაცია</p> <p>კონფერენცია სახელწოდებით „შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ანალიზი“ გაიმართა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ინიციატივით და დაეთმო 2013 წელს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების დადებითი თუ უარყოფითი მხარეების სამართლებრივ შეფასებას, იმპლემენტაციის სირთულესთან დაკავშირებულ რისკების და სისტემური ხარვეზების ანალიზს. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებაში განხილულ იქნა ვადიანი და უვადო ხელშეკრულებების შეწყვეტის, თანმიმდევრულად დადებული ხელშეკრულებების თავისებურებები, შრომითი ურთერთობის შეწყვეტის საფუძვლები, ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრების ვადები.</p>		

ასოც. პროფ. სოფიო ჩაჩავა	კაზუსის განხილვის მეთოდის თავისებურება კერძო სამართალში	ივლისი, თბილისი	
ასოც. პროფ. გიორგი ცერცვაძე	არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი და სასამართლო პრაქტიკა (ინგლისურ ენაზე)	28-29 ოქტომბერი. თსუ	
ასოც. პროფ. ირმა ხარშილაძე	საჯარო სამსახურის რეფორმის პროექტის პრეზენტაცია	8 აგვისტო, თბილისი	
ასოც. პროფ. ირმა ხარშილაძე	საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან მიმართებით	8 ნოემბერი, თბილისი	
ასოც. პროფ. ირმა ხარშილაძე	„საჯარო სამსახურის კონცეფციის შექმნა“ - არსებული პრობლემების ანალიზი	30 ივლისი, ბათუმი	
ასისტენტ-პროფესორი ნინო რუხაძე /ასოცირებული პროფესორი ეკატერინე კობახიძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია	მაისი, ქუთაისი	
ანოტაცია			
<p>მოხსენების ფარგლებში გაკეთდა პროექტის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს მიმოხილვა.</p>			
ასისტენტ-პროფესორი ლიტა სურმავა	კონკურენციის სფეროში სახელმწიფო დახმარების კუთხით აღსრულების პრობლემატიკა	27 ნოემბერი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ორგანიზებით	

	ასისტენტ-პროფესორი ნათია ჩიტაშვილი	კაზუსის განხილვის მეთოდი და მის მიერ განვითარებული უნარები	9-10 მაისი, თბილისი
<p>ანოტაცია</p> <p>მოხსენება დაეთმო კაზუსის განხილვის მეთოდის როლსა და მნიშვნელობას იურიდიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. კაზუსის განხილვის მეთოდის გამოკვლევა განხორციელდა ამერიკული და გერმანული სისტემის შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა აღნიშნული მეთოდის მეშვეობით განვითარებული პროფესიული უნარების ჩამონათვალი.</p>			
	მოწვეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი	The Commission Guidelines as a Secondary Source of EU law and their Potential Importance for the Development of Competition Law and Practice in Georgia	სემინარი – ევროპის ნასყიდობის ხელშეკრულება შედარებითსამართლებრივ ტრილში და აღმოსავლეთ ევროპის საკორპორაციო სამართალი/24-25 იანვარი, თსუ
	მოწვეული ლექტორი მიხეილ ბიჭია	კერძო ცხოვრება ღირებულებით კონფლიქტში	2013 წლის ივნისი, თბილისი საერთაშ. სამეცნ. კონფერენცია – გლობალიზაცია და თანამედროვე მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	პროფ. ირაკლი ბურდული	ქართული საკორპორაციო სამართალი, როგორც სამართლის დარგი (რუსულ ენაზე).	13-14 მაისი 2013 წ., ალმატი, ყაზახეთი საერთაშორისო კონფერენცია: „კერძო სამართალი და კორპორაციული ურთიერთობები“.

	პროფ. ირაკლი ბურღული	<p>Entwicklung des Wirtschaftsrechts in Georgien nach dem Zusammenbruch der Sowjetunion (ეკონომიკური სამართლის განვითარება საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ)</p>	<p>თებერვალი 2013 წ. ზაარლანდი, გერმანია, საერთაშორისო კოლოქვიუმი: „Rechtsentwicklung im post-sowjetischen Raum“ (სამართალგანვითარება პოსტ-სოციალისტურ სივრცეში) (ზაარბრიუკენი, გერმანია).</p>
	პროფ. ბესარიონ ზოიძე	<p>სამოქალაქო კოდექსის ისტორიული საფუძვლები, სისტემა და ძირითადი პრინციპები</p>	<p>თებერვალი 2013 წ. ზაარლანდი, გერმანია, საერთაშორისო კოლოქვიუმი: „Rechtsentwicklung im post-sowjetischen Raum“ (სამართალგანვითარება პოსტ-სოციალისტურ სივრცეში) (ზაარბრიუკენი, გერმანია).</p>
	პროფ. მაია ივანიძე	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ადმინისტრაციული იუსტიცია. სპეციალიზაცია და სამართალწარმოების გამარტივება, სამართლებრივი დაცვის ეფექტურობის ზრდა.“ მისასალმებელი სიტყვა.</p>	<p>20-21 ივნისი, ასტანა (ყაზახეთი)</p>
	პროფ. ტურავა მერაბი	<p>კონფერენცია თემაზე: სისხლის სამართლის რეფორმის სფეროში პოლონურ გამოცდილება და საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმირების საკითხები, სიტყვით გამოსვლა</p>	<p>სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში (ევროპის კავშირის პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“) 16-20 სექტემბერი, 2013 კრაკოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი</p>
	პროფ. ტურავა მერაბი		სისხლის სამართლის

		სამეცნიერო დისკუსია თემაზე: „Strafrechtliche Probleme des Finanzplatzes“	პროფესორთა 35-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი (Strafrechtslehrtagung) 9-13 მაისი, 2013 ციურიხის უნივერსიტეტი, შვეიცარია
	პროფ. ლადო ჭანტურია	საავტორო სამართალი თეორიისა და პრაქტიკაში: საავტორო სამართლის კოდიფიკაციისა და გამოყენების აქტუალური პრობლემები	2013 წლის 15 თებერვალი, აშხაბადი, საერთაშორისო კონფერენცია „საავტორო სამართალი“
	პროფ. ლადო ჭანტურია	„ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარის მეთოდოლოგია“	2013 წლის 14 თებერვალი, აშხაბადი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის სხდომა
	პროფ. ლადო ჭანტურია	საკორპორაციო სამართალი და კორპორაციული ურთიერთობები – ცნებები თეორიისა და პრაქტიკისათვის	2013 წლის 13-14 მაისი, ალმატი, საერთაშორისო კონფერენცია „სამოქალაქო სამართალი და კორპორაციული ურთიერთობები“
	პროფ. ლადო ჭანტურია	სომხეთის სამოქალაქო კოდექსის შედარებით- სამართლებრივი ექსპერტიზა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით	2013 წლის 7-8 მაისი, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის რეფორმისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა
	პროფ. ლადო ჭანტურია	მომსახურების ვაჭრობა ტრანსპორტის კონტექსტში	2013 წლის 30-31 მაისი, ბაქო, საერთაშორისო კონფერენცია „საერთაშორისო სავაჭრო სამართალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში: გლობალიზაციისა და რეგიონულ ინტეგრაციას შორის“

	პროფ. ლადო ჭანტურია	საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლის პოსტსაბჭოთა კოდიფიკაციებში: თავისებურებები და რეფორმის აუცილებლობა	2013 წლის 19-20 სექტემბერი, კიშინიოვი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი: 10 წელი – მიღწევები, რეზერვები და პერსპექტივები“
	პროფ. ლადო ჭანტურია	კავკასიაში სამართლებრივი განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები	2013 წლის 17-20 ოქტომბერი, ბიშკეკი, კონფერენცია „ეკონომიკის, სახელმწიფოსა და სამართლის ტრანსფორმაცია ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“
	პროფ. ლადო ჭანტურია სემინარის ხელმძღვანელობა პროფესორ ალექსანდრე ტრუნკთან ერთად	ევროპის კავშირსა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მათი განახლება	2013 წლის 13-14 ივნისი, ბრიუსელი, სემინარი თემაზე „ევროპის კავშირსა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მათი განახლება“
	პროფ. ლადო ჭანტურია	ქართული სამართლის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია: სამართლებრივი განვითარების მოდელები	2013 წლის 22 ნოემბერი, კილი, ქრისტიან-ალბრეხტის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორ ლადო ჭანტურია-სათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

	ასოც. პროფ. მარინა გარიშვილი	Судебник Бека и Агбуга – памятник средневекового права Грузии	2013 წლის 20-22 მაისი, პოლონეთი, ქ. გდანსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
<p style="text-align: center;">მოხსენების ანოტაცია</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება ეხება XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ, ძველი ქართული სამართლის ისტორიის ძეგლს – ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს. მომხსენებელმა განიხილა XIII-XIV საუკუნეების სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, კერძოდ - სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის ცალკეული კატეგორიები და მათი სამართლებრივი სტატუსი; სამცხის სამთავროს პოლიტიკურ წყობა და საჯარო ხელისუფლების ცალკეულ ინსტიტუტები; ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის წყაროები და სტრუქტურა; ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სისტემა.</p>			
	ასოც. პროფ. გოჩა ფერაძე	ვარლამ ჩერქეზიშვილის პიროვნებისა და ერის წინაშე მისი დამსახურებების შესახებ	2013 წლის 29 სექტემბერი, ლონდონი
	ასისტენტ-პროფ. ლაშა ბრეგვაძე	სამართლის ევოლუცია ასიმეტრიულ მსოფლიო საზოგადოებაში: სისტემათა კრიტიკული თეორიის ელემენტები	30 მაისი – 2 ივნისი ბოსტონი, აშშ
	ასისტენტ-პროფ. ლაშა ბრეგვაძე	დაკვირვება სამართალზე ცვალებად საზოგადოებაში: სამართლის კრიტიკული სოციოლოგიის საჭიროება	3-6 სექტემბერი ტულუზი, საფრანგეთი
	ასისტენტ-პროფ. ანრი ოხანაშვილი	შუალობითი ამსრულებლობა ორგანიზაციული ბატონობის მეშვეობით კორპორაციებში – განხილვა და კრიტიკა	24-25 მაისი, 2013 წელი, ქ. მაგდებურგი, გერმანია
<p style="text-align: center;">მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენების „შუალობითი ამსრულებლობა ორგანიზაციული ბატონობის</p>			

მეშვეობით კორპორაციებში – განხილვა და კრიტიკა“ ფარგლებში განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი შუალობითი ამსრულებლობის დასაბუთება. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა კორპორაციებში შუალობითი ამსრულებლობის ისეთი სახის დასაბუთება, როგორც არის „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებელი“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოჩენილ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებები. ამასთანავე, განხილულ იქნა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და კრიტიკულად შეფასდა სასამართლო პრაქტიკის მიდგომა კორპორაციებში „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულების“ აღიარებასთან დაკავშირებით. მოხსენებაში ყურადღება დაეთმო გერმანული და ქართული სისხლის სამართლის შედარებით ანალიზს შუალობით ამსრულებლობასთან დაკავშირებით, ასევე ორგანიზატორის სამართლებრივ ფიგურას.

<p>ასისტენტ-პროფ. ანრი ოხანაშვილი</p>	<p>ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის საკითხისათვის გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში</p>	<p>15-16 თებერვალი, 2013 წელი, ქ. ჰალე, გერმანია</p>
---------------------------------------	--	--

მოხსენების ანოტაცია

მოხსენების „ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობის საკითხისათვის გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში“ ფარგლებში წარმოჩენილ იქნა ცნობილი გერმანელი პროფესორის *კლაუს როქსინი* მოძღვრება „ქმედებაზე ბატონობა ორგანიზატორული ძალაუფლების გამოყენებით“. მოხსენებაში გაანალიზებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წარმოჩენილ იქნა შუალობითი ამსრულებლობის შესახებ *როქსინის* დასაბუთების უპირატესობა სხვა მოძღვრებებთან მიმართებაში, რომლებსაც საკითხის დასაბუთება ამსრულებლობიდან გადააქვთ თანამონაწილეობის სფეროში. მოხსენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა გერმანული და ქართული სისხლის სამართლის შედარებითი ანალიზი ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სფეროში; ყურადღება დაეთმო შუალობითი ამსრულებლობისა და ორგანიზატორის ინსტიტუტს. მოხსენების ფარგლებში განხილულ იქნა ორგანიზატორის წარმოშობის ისტორია და მისი საჭიროება ქართულ სისხლის სამართალში. ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა შედარებულ იქნა გერმანულ სისხლის სამართალში არსებული შუალობითი ამსრულებლის ერთ-ერთ სახესთან „ამსრულებლის უკან მდგომი ამსრულებელი“.

<p>ასისტენტ-პროფ. ირინე ხერხეულიძე</p>	<p>„ღია საზოგადოების ფონდების“ მიერ ორგანიზებული პროფესორ-მასწავლებელთა საგაზაფხულო კონფერენცია ნიუ იორკში (OSF Spring Conference at the city of New York); კონფერენციის მონაწილე</p>	<p>2013 წლის 22-24 აპრილი, ნიუ იორკი</p>
--	---	--

		<p>და მომხსენებელი თემაზე: „გენდერული ძალადობის საკითხი სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი პერსპექტივებიდან“ (ინგლისურ ენაზე).</p>	
<p style="text-align: center;">მოხსენების ანოტაცია</p> <p>პრეზენტაცია ეხება გენდერული ძალადობის საკითხს, განსაკუთრებით კი ოჯახში ქალის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის საკითხს, რომელიც საზოგადოებრივი პათოლოგიაა და ადამიანის უფლებათა დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. ქალის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა კვლავ მწვავე პრობლემად რჩება დემოკრატიული საზოგადოებისათვის და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისათვის.</p> <p>აღნიშნული პრობლემის სასტიკი, რთული და საერთაშორისო ხასიათი მის ფართოდ და სიღრმისეულად შეფასებას მოითხოვს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პრეზენტაცია ეხება გენდერულ ძალადობას საქართველოში და ამავდროულად მის ზოგიერთ ასპექტს აშშ-ში. იგი პრობლემას განიხილავს სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური პერსპექტივებიდან.</p> <p>პრეზენტაციაში გამოთქმულია მტკიცება, რომ ოჯახური ძალადობა დაიდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას საზოგადოება საკუთარ პრობლემად აღიარებს.</p> <p>ამ მხრივ, ყველაზე ქმედითი გადაწყვეტილება იქნება სოციალური ნორმების შეცვლა. პრეზენტაციის მიხედვით ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის საკითხის ფსიქოლოგიური შედეგები - როგორც პრობლემის ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლის კუთხით, ასევე იმ უმკაცრესი შედეგების შეფასების კუთხით, რომელიც ყოველთვის მოახდენს გავლენას ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მომავალში და იმ ბავშვებზე, რომლებიც ოჯახური ძალადობის თვითმხილველები გახდნენ.</p> <p>რეზენტაციის სამართლებრივი ასპექტი შეიძლება ჩაითვალოს საკითხის შემაჯამებელ მხარედ, რადგან ის ქვეყნების უპირველეს მოვალეობად აღიარებს პატრიარქატის დასასრულებლად - სოციალური, კულტურული და სამართლებრივი ნორმების შეცვლას.</p>			
<p>ასისტენტ-პროფ. მარიამ ხოფერია</p>	<p>მიწა როგორც ოჯახის გაყოფის ობიექტი ძველ ქართულ სამართალში</p>		<p>2013 წლის 22-24 მაისი, პოლონეთი, ქ. გდანსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი</p>
<p>ასისტენტ-პროფ.</p>	<p>სამუშაო ჯგუფი:</p>		<p>14-19 აპრილი,</p>

	ლელა ჯანაშვილი	თავისუფლება, დემოკრატია და სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია,	ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტი და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი
	ასისტენტ-პროფ. ლელა ჯანაშვილი	ადმოსაველეთ ევროპა, ორგანიზებული დანაშაული და მისი პროექცია	11 ივლისი, ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის, კატალონიის საჯარო ადმინისტრაციის ინსტიტუტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და თსუ იურიდიული ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია
	მოწვეული ლექტორი თათია კერესელიძე	საქართველოს ევროინტეგრაცია	20 სექტემბერი, ერლინი
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>კონფერენცია „კარგი მმართველობა ევროკავშირში“ (Good Governance in EU) გაიმართა რობერტ ბოშის ფონდის დაფინანსებით და გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების (DGAP) ორგანიზებით. კონფერენციას მენტორი იყო ევროკომისიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი გიუნტერ ფერჰოიგენი. მოხსენებაში განხილულ იქნა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხები, მათ შორის სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზაციის პროცესების უახლესი ტენდენციები.</p>			
	მოწვეული ლექტორი ნათია ლაპიაშვილი	ახალი ენერჯის ქარტია-არის თუ არა საჭირო ახალი ხელშეკრულების შემუშავება?	ყირგიზეთი, 2013

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, სადაც არ იქნება დაცული წინამდებარე მოთხოვნები, არ შეფასდება.


სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში

- I. 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
- I. 2. ინსტიტუტის დირექტორი – ტატიშვილი გრიგორ
- I. 3. ინსტიტუტის ერთეულის პერსონალური შემადგენლობა (იხ დანართი 1)

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ჭიათურის მადნებიდან ნატრიუმის პერმანგანატის მიღება (2013-2015წ.წ.) (გარდამავალი)	ტექნ. მეცნ.კანდ. ბორის ფურცელაძე, ადგილობრივი წიაღისეულისა და მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორია	ე.შოშიაშვილი, ი.ჩხაიძე, ლ.სვანიძე, თ.ღეუავა, ნ.ბარნოვი, ლ.ბადათურია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პირველი ეტაპი (2013 წელი) ითვალისწინებდა ლაბორატორიული დანადგარის მონტაჟს, სადაც მიიღება ნატრიუმის მანგანატი. ჩატარდა სათანადო სამუშაოები: ავტოკლავი იტვირთებოდა პეროქსიდული მადნით, ან მანგანატის კონცენტრატით და ნატრიუმის ტუტით. ერთდროულად ხდებოდა: ტუტის ღებობა ~ 300⁰ C –ზე, დაფქვა და მიღებული მასის დაჟანგვა ჟანგბადის არეში ~ 1,5 ატმ წნევაზე.</p> <p>გარდა აღნიშნულისა პირველ ეტაპზე ავაწყვეთ რეაქტორი ნატრიუმის პერმანგანატის მისაღებად, რომლის კონსტრუქცია აღჭურვილია გათბობით და სარეველათი, ოზონატორზე შეიცვალა სამი ელექტროდი. აშშ-ს ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ “Carysus and Chemical company” შემოგვთავაზა ნატრიუმის მანგანატის მისაღებად დიფენბახის მეთოდი. ცნობილია, რომ მანგანატის მიღება პერმანგანატის წარმოებაში მძიმე პროცესია და დიფენბახის მეთოდის გამოყენების საშუალებით ხდება მისი ამოღება ციკლიდან.</p> <p>ნატრიუმის პერმანგანატის დაჟანგვისას მანგანუმის დიოქსიდის საშუალებით წარმოიქმნება მანგანატი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნება პერმანგანატად, ოზონის გამოყენებით.</p> <p style="text-align: center;">Type equation here.</p> $2\text{NaMnO}_4 + \text{MnO}_2 + 4\text{NaOH} \rightarrow 3\text{Na}_2\text{MnO}_4 + 2\text{H}_2\text{O}$ $2\text{Na}_2\text{MnO}_4 + \text{O}_3 + \text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{NaMnO}_4 + 2\text{NaOH} + \text{O}_2$			

გარდა ზემოაღნიშნულისა, ლაბორატორიაში მიღებულია მანგანუმის დიოქსიდი, ჭიათურის კარბონატული მადნების აზოტმჟავური გადაამუშავებით: ამიაკის გასუფთავების შემდეგ, pH- 4 ÷ 5 - ის პირობებში, ნალექის გახურებით ~ 800⁰ C –ზე გადამუშავდება Mn₂O₃, საიდანაც აზოტმჟავის დამატებით მიიღება MnO₂:



ამ მეთოდით ლაბორატორიაში მიღებულია ერთ კილოგრამამდე მანგანუმის დიოქსიდი.

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შექმნულ ეტაპები
	ელექტროლიზური მანგანუმის მისაღები კონსტრუქციის ელექტროლიზერის დაშენება და გამსხვილებულ მასშტაბში გამოცდა (2013-2014წ.წ.) (გარდამავალი)	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი თემურ ჩახუნაშვილი ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდებ მასალების ლაბორატორიის ხელმძღვანელი	1. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი თემურ ჩახუნაშვილი 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თემურაზ როყვა 3. ინჟინერი მერაბ დადუნაშვილი 4. მეცნიერი თანამშრომელი ნანული ბუთ-ლიაშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

2013 წლის ეტაპის: “ემდ-ის მისაღები მსხვილლაბორატორიული მასშტაბის ახალი კონსტრუქციის დახურული ელექტროლიზერის გამოცდა სხვადასხვა რეჟიმში ტექნოლოგიური პარამეტრების მოხსნით და აბაზანის კვანძების კოროზიული და მექანიკური მდგრადობის დადგენით”

ანოტაცია

დამუშავდა და აიწყო ახალი კონსტრუქციის გამსხვილებული მასშტაბის დახურული ელექტროლიზერი, რომლის გამოყენება ღია აბაზანების ნაცვლად საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

დახურული კონსტრუქციის აბაზანა გამოიცადა როგორც ფუჭი სველის რეჟიმში, ისე ელექტროლიზის სხვადასხვა რეჟიმში ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების დაზუსტებით. ცდებით დადასტურდა ელექტროლიზისა და მთლიანად პროცესის მთელი რიგი მაჩვენებლების გაუმჯობესება, კერძოდ, თბური და მატერიალური დანაკარგების შემცირება, სამუშაო პირობების და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება, ძირითადი მიზნობრივი პროდუქტის – ემდ-ის პარალელურად თანაური პროდუქტის – ელექტროლიზური წყალბადის მიღების შესაძლებლობა გამსხვილებულ

<p>მასშტაბში.</p> <p>შესწავლილია კონსტრუქციული ცვლილებებისა და ელექტროლიზის რეჟიმის კორექტირებით გამოწვეული ახალი ფაქტორების გავლენა აბაზანის ძირითადი კვანძების (ანოდები, კათოდები, დენმიმყვანები, კორპუსი, სახურავი) კოროზიულ მდგრადობაზე და მექანიკურ სიმტკიცეზე. შემუშავებულია შესაბამისი ხერხები და ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედება, რაც ექსპერიმენტულად არის შემოწმებული.</p> <p>დამუშავებულია დენმიმყვანების ახალი კონსტრუქციები და აბაზანის ჰერმეტიზაციის ახალი ხერხები.</p>
--

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3.	<p>თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ოქროს გამოყოფის პროცესის შესწავლა ზოფხითოს ანთიმონის ოქროშემცველი მადნის მაგალითზე (2013 წ.) (დასრულებული)</p>	<p>რუსუდან ჩაგელიშვილი-ტექნ.მეცნ.კანდ. ადგილობრივი წიაღისეულისა და მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორია</p>	<p>მთ. ეცნ. თანამშრომელი ვ.გაფრინდაშვილი, უფ.მეცნ.თან.მ.აგალიანი, უფ.მეცნ.თან.ლ.წყალობაძე, მეცნ.თან.მ.გველეხიანი</p>

დასრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები

<p>V</p> <ol style="list-style-type: none"> შემუშავებულია თიოშარდოვანას ხსნარებიდან ოქროს აღსორბციისა და დესორბციის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგია. დადგენილია, რომ პულპის (ხსნარისა და ნახშირის ნარევი) მექანიკური სარეველათი და ჰაერის ჭავლით მორევის პირობებში დასახელებული პროცესების მაჩვენებლები იდენტურია. ექსპერიმენტულად გამოცდილი რიგი მარკის (CKT, GRC, KAD, AGC, AP-3) ხსნარებიდან ოქროს აღსორბციის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება KAD-ის მარკის ნახშირები. შესწავლილია ნახშირის წინასწარ გააქტიურების (400⁰C, 5 სთ) გავლენა აღსორბციის პროცესზე. ნაჩვენებია წინასწარ გააქტიურებული ნახშირების გამოყენების უპირატესობა. დადგენილია ხსნარიდან ოქროს აღსორბციის ხარისხზე ნახშირის (KAD) რაოდენობის გავლენა. მაღალი ამოღების მაჩვენებლები (90%) რეალიზდება, როცა 100 მლ ოქროშემცველ ხსნარში შეტანილია 100 მგ აღსორბენტი. ოქროს მიმართ შერჩეული ნახშირების ხვედრითი ტევადობა შეადგენს 5-10 გ/კგ, რაც შეესაბამება ტექნიკური ლიტერატურის მონაცემებს. შესწავლილია ოქროს აღსორბციის ხარისხზე (ნახშირი KAD) პულპის არევის ინტენსივობისა და პროცესის ხანგრძლივობის გავლენა. დადგენილია იონიტ KJ-2-ის და KAD-ის მარკის ნახშირების მსგავსი აღსორბციისუნარიანობა. ეკონომიური თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა ნახშირების გამოყენებას.

	<p>7. აღმოჩენილია დიმეთილსულფოქსიდის მნიშვნელოვანი დესორბციის უნარი, რაც განპირობებულია მისი მოლეკულის ადნაგობით. მისი დესორბციის ხარისხი არ ჩამოუვარდება თიოშარდოვანას ხსნარით დესორბციის ხარისხს (90%) , რომელიც სტანდარტულ მადესორბირებელ აგენტად ითვლება ოქროს ჰიდრომეტალურგიაში.</p> <p>8. დადგენილია თიოშარდოვანას მოდელური ხსნარიდან ოქროს ადსორბციის და დესორბციის ოპტიმალური პირობები: ადსორბცია- KAD ტიპის ნახშირი, რაოდენობა 1,0-2,0 გ/ლ, დრო 4 სთ, ტემპერატურა ოთახის, სარეველას მორევის სიჩქარე 350-400 ბრ/წთ. დესორბენტი – თიოშარდოვანას მუაგა ხსნარი , დრო 2-4 სთ, ტემპერატურა-50 °C . აღნიშნული პირობების დაცვით თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარიდან ოქროს ადსორბციის ხარისხი შეადგენს 98%-ს, ხოლო დესორბციის- 90%-ს.</p>
--	--

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	MnO₂-Zn სისტემის დენის ქიმიური წყაროს ელექტროტექნიკური მახასიათებლების გამოკვლევა ელექტროლიტად ZnSO ₄ -ბის გამოყენების შემთხვევაში (2011-2013 წ.წ.) (დასრულებული)	ტექნ.მეცნ.კანდ. ჟ. ქებაძე ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია	ც.გაგნიძე, კ.კაკურია, ქ.უგრელიძე

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)
შესწავლილია MnO₂/ZnSO₄/Zn ელექტროქიმიური სისტემის, როგორც პირველადი (ერთჯერადი გამოყენების), ისე მეორადი (ციკლირებადი) დენის წყაროს, ძირითადი ელექტროტექნიკური მაჩვენებლები. განსაზღვრულია ელექტროლიტის ხსნარისა და აქტიური საკათოდე ნივთიერების ზოგიერთი ოპტიმალური მახასიათებელი. დადგენილია, რომ შესწავლილი სისტემის დენის პირველადი წყარო ელექტროტევადობით ჩამორჩება ტრადიციულ მარილხსნარიან (NH₄Cl, ZnCl₂) გალვანურ ელემენტს, მაგრამ ციკლირების მაჩვენებლით აღემატება მას.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5.	მანგანუმშემცველი კოროზიამდევი დანაფარების ელექტროქიმიური სინთეზი. (2013-2015წწ.) (გარდამავალი)	ქ.მ.კ., მთ. მეც. თან. გ.წურწუშია, გ.აგლაძის სახ. ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი	ნ. გოგიშვილი, ნ. ქოიავა, თ. ლეჟავა, ი. კახნიაშვილი, ი. ზარიძე, ა. ბენაშვილი.

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

1. ეტაპი 2013წ. “თუთია-მანგანუმის შენადნობის ელექტროგამოლექვის კანონზომიერების შესწავლა”

შემუშავებულია მანგანუმ-თუთიის შენადნობის (20-50%Mn) ბრჭყვიალა გალვანური დანაფარების მიღებისათვის საჭირო ელექტროლიტის შედგენილობა, რომლის ძირითად საფუძველს შეადგენს მანგანუმ-თუთიის სულფატები, ამონიუმის სულფატი და ლიმონმჟავა როგორც ეფექტური ლიგანდი. დადგენილია ელექტროლიტების კონცენტრაციის, pH-ისა და კათოდური დენის სიმკვრივის ზღვრები დანაფარის მაქსიმალური დენითი გამოსავლის მისაღებად.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6	სპილენძ-კოლჩედანური საბადოების კარიერული წყლების გაწმენდა-გადამუშავება (2012-14 წ.წ.) (გარდამავალი)	ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თან რუსუდან დუნდუა ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია	1. რუსუდან დუნდუა- ტ.მ.კ., უფროსი მეცნ.თან 2. ნანა ბუთლიაშვილი - მეცნიერ - თანამშრომელი 3. ირინა ქვრივიშვილი - ლაბორანტი

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

2013 წელს შესრულებული ეტაპის შედეგები მოკლედ:

შესწავლილ იქნა კარიერული წყლებიდან BaS-ის გამოყენებით ლითონთა [Cu(II), Fe(II), Fe(III), Zn (II) და Cd(II)] სულფიდების გამოლექვის კინეტიკა. ჩატარდა მიღებული თხევადი და მყარი პროდუქტების ქიმიური ანალიზი. განისაზღვრა BaS-ის მიახლოებითი ხარჯვითი კოეფიციენტი კარიერული წყლის გაწმენდაზე [0.1 კგ BaS/1 მ³]. გაწმენდის შედეგად მიღებულ ხსნარებში ლითონთა სულფატების შემცველობები ახლოსაა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან წყალსაცავებისათვის.

მომავალ წელს გაგრძელდება მიღებული მონაცემების დაზუსტება ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენის მიზნით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---------------------	-----------------------	------------------------

7.	გამღვალი მარილებიდან ლითონების(ფოლადის, სპილენძის და ალუმინის) გაღვანური დაფარვა ტანტალით და ნიობიუმით (2012 – 2013 წ.წ.) (დასრულებული)	ნოდარ გასვიანი ქიმ.მეც. დოქტორი ღღობილთა ელექტროლიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი	ნოდარ გასვიანი გულნარა ყიფიანი სერგო გასვიანი ლია აბაზაძე ცისანა გაბისონია მარინე ხუციშვილი
<p>კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)</p> <p>ლითონთა კოროზიის შედეგად მიყენებული ზარალი კოლოსალურია. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეროვნული შემოსავლის 2,5 – 4% შეადგენს. მაგ. 2011 წლის მონაცემებით ის აშშ-სთვის შედგენდა 276 მილიარდ დოლარს წელიწადში. აქედან ნათელია, რომ ტექნიკის ინტენსიური განვითარება განაპირობებს კოროზიამდელი ახალი დანაფარების და კომპოზიციური ნაერთების მიღების აუცილებლობას.</p> <p>ლითონური მოლიბდენი, ტანტალი და ნიობიუმი ხასიათდებიან მრავალი უნიკალური თვისებით, იგივე ითქმის ამ ლითონების შემცველ $M_x M_y$ ტიპის ინტერმეტალიდებზე და კომპოზიციური $M_x(B)Si$, $M_x M_y(B)Si$ ტიპის ნაერთებზე. მათი გამოყენება ძალიან პერსპექტიულია კოროზიამდელი დანაფარების მისაღებად, ან ლითონთა ზედაპირულ ელექტროქიმიური ლეგირებისათვის. დაბალხარისხიანი ფოლადების ზედაპირული ლეგირება ასეთი მასალებით სასიკეთოდ ცვლის ფოლადების ტრიფოფიზიკურ თვისებებს (სისაღეს, კოროზია და ცვეთამდელიობას). ეს თვისებები ძირითადად განპირობებულია ლითონთა ზედაპირული ფენების შემადგენლობით.</p> <p>აღნიშნული ნივთიერებების მიღებას და ამ ნივთიერებებით სპილენძის და ალუმინის დაფარვის კვლევითი მონაცემებია მოტანილი ანგარიშში.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
8.	<p>მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესის ეფექტური $Co:Mn$ კატალიზატორების დამუშავება ერმომედელი სარჩულების საფუძველზე</p> <p>2010-2013 წ.წ. (დასრულებული)</p>	<p>ტ.მ.კ., მთ. მეცნ. თან. ვ.ბახტაძე კატალიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი</p>	<p>ვ. მოსიძე, ტ. მ. კ. , უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნ. ხარაბაძე , ტ. მ. კ. მეცნ. თანამშრომელი ნ. ჩოჩიშვილი, ტ. მ. კ. , მეცნ. თანამშრომელი რ. ჯანჯღავა, ინჟინერი მ. ფაჯიშვილი, მეცნ. თანამშრომელი</p>
<p>კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)</p> <p>სინთეზ-აირად მეთანის კონვერსიის სამი ძირითადი მეთოდიდან (წყლის ორთქლით კონვერსია, მეთანის პარციალური დაჟანგვა ჟანგბადით, მეთანის ნახშირმჟაური კონვერსია), განსაკუთრებით საინტერესოა მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის რეაქცია. ამ შემთხვევაში ხდება CO_2 -ის უტილიზაცია და H_2-CO აირნარევის მიღება თხილადი სათბობისა და სხვა საჭირო პროდუქციის საწარმოებლად. მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის სამრეწველო გამოყენებას</p>			

ხელს უშლის მაღალი ენდოთერმულობა და Ni -შემცველი კატალიზატორების დაბალი სტაბილურობა დაკოქსვის მიმართ. ამიტომ, პრობლემის გადასაწყვეტად მიმდინარეობს ახალი კატალიზატორების ძიება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეფექტური კატალიზატორების მოსამზადებლად ალუმინის ოქსიდის კალციუმისა და მაგნიუმის ოქსიდებით მოდიფიცირების გზით თერმოდეგო სარჩულების მიღება.

წარმოდგენილ დასკვნით ანგარიშში რენტგენოფაზური და თერმული ანალიზის მეთოდების გამოყენებით შესწავლილია მანგანუმის ოქსიდების გავლენა მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესში 4 Co: Mn კატალიზატორის ფაზურ შედგენილობასა და აქტივობაზე. ალუმინის ოქსიდის კალციუმის და მაგნიუმის ოქსიდებთან მყარფაზური ურთიერთქმედების ძირითად კანონზომიერებათა დასადგენად ჩატარებულია შესაბამისი რეაქციების თერმოდინამიკური ანალიზი.

ნაჩვენებია, რომ ალუმინის ჰიდროქსიდსა და მაგნიუმის ნიტრატის დაშლის შედეგად მიღებულ მაგნიუმის ოქსიდს შორის 900-1000 °C ტემპერატურულ ინტერვალში ინტენსიურად მიმდინარეობს ალუმინატის წარმოქმნა. ეს პროცესი გაცილებით შენელებულია იგივე კომპონენტების მყარი ფხვნილოვანი მასების ურთიერთქმედებისას, რაც ეთანადება თერმოდინამიკური ანალიზების შედეგებს.

ჩატარდა ცდები 4 Co: Mn კატალიზატორების ნიმუშების მეთანის CO₂ -ით კონვერსიის პროცესში დანახშირების მიმართ აქტივობისა და სტაბილურობის დასადგენად. ნაჩვენებია, რომ მეთანის CO₂-ით კონვერსიის პროცესში ფორმირდება აქტიური ფაზა მეტალური კობალტის სახით. დადგენილია, რომ მეთანის 1000-7000 სთ⁻¹ მოცულობით სიჩქარეებზე, CH₄ : CO₂ = 1,0-1,3 თანაფარდობისას და 800-850 °C ტემპერატურებზე მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის დროს 4 Co- Mn კატალიზატორზე სელექტიურობა მეთანის წყალბადად და CO -დ გარდაქმნის მიმართ შეადგენს 95-98 %-ს. ამასთანავე 50 საათის განმავლობაში მუშაობისას არ შეინიშნება კატალიზატორის ზედაპირზე ნახშირბადის წარმოქმნის კვალი. გამოკვლეულია სხვადასხვა სარეაქციო არეში (H₂, CO₂, CH₄, O₂, N₂) მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის 4 Co: Mn კატალიზატორების ფორმირების ზოგიერთი საკითხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კარბონატული ნაერთების ინტენსიური წარმოქმნა ამცირებს ნახშირბადოვანი დანაფარების წარმოქმნას.

შეირჩა მანგანუმ-კობალტის კატალიზატორის ნიმუშები, რომლებზედაც ჩატარდა გახანგრძლივებული (50-60 საათი) ცდები მეთანის ნახშირმჟაური რეაქციის პროცესის ტექნოლოგიური პარამეტრების დასაზუსტებლად. შესწავლილი იქნა კატალიზატორების აქტივობაზე ტემპერატურის (750-900 °C ფარგლებში), მეთან - CO₂- ის თანაფარდობის (1,1-1,5) და მეთანის მიმართ მოცულობითი სიჩქარეების ცვლილების (2000, 4000 სთ⁻¹) გავლენა.

ჩატარებული ლაბორატორიული ცდებისა და კატალიზატორების ძირითადი ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლების შესწავლის საფუძველზე შერჩეულია კალციუმისა და მაგნიუმის ოქსიდების შემცველი 4 Co-Mn კომპოზიციები დაფენილი A-1+CaO და A-1+MgO სარჩულებზე. დამუშავდა იგივე კომპოზიციური შედგენილობის ნიმუშები ტაბლეტების სახით. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე შესაძლებელია კატალიზატორების ოპტიმალური ნიმუშების გამოცდა მემბრანულ რეაქტორებში მეთანის წყლის ორთქლით და ნახშირორქანით კონვერსიის პროცესებში. სავარაუდოდ კვლევები ჩატარდება 2014-2015წ.წ იტალიის ეროვნული კვლევითი საბჭოს მემბრანული ტექნოლოგიის ინსტიტუტში (კალაბრიის უნივერსიტეტი).

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
9.	<p>რთული ოქსიდური ნაერთებისა და კომპოზიციური მასალების მიღების მექანიზმის და თერმოდინამიკური პარამეტრების ექსპერიმენტული დადგენა. სტანდარტული თბოტევადობის გამოთვლის მეთოდის შემუშავება</p> <p>(2010-2014 წ.წ.) (გარდამავალი)</p>	<p>ქიმ.მეცნ.დოქტორი თ.მაჩალაძე, ნ.ლანდიას სახ. თერმოდინამიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ვ.ვარაზაშვილი – მთ.მეცნ.თან., ქ. მ.დ. 2. ნ.ლეჟავა – მთ.მეცნ.თან., ქ. მ.დ. 3. მ.ცარახოვი – უფ. მეცნ. თან., ქიმ. მეცნ.კანდ. 4. მ.ხუნდაძე - უფ. მეცნ. თან., ქიმ. მეცნ.კანდ. 5. რ.ჯორბენაძე - მეცნ.თან., ქიმ. მეცნ.კანდ. 6. თ.ფავლენიშვილი – მეცნიერი მუშაკი 7. გ.ჯაფარიძე – მეცნიერი მუშაკი 8. ლ.როყვა -- ინჟინერი
<p>კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>2013 წლის ეტაპი: სტანდარტული თბოტევადობის გამოთვლის მეთოდის შემუშავება</p> <p>ქიმიურ-ტექნოლოგიური და მეტალურგიული წარმოების პროცესების ოპტიმალური ენერგეტიკული პირობების შერჩევის დროს ხშირად საჭირო ხდება დიდი რაოდენობის წინასწარი თერმოდინამიკური გათვლების ჩატარება. ამ გათვლებისათვის აუცილებელია ძირითადი თერმოდინამიკური პარამეტრების საბაზისო მონაცემები. ნაერთების თბოტევადობის აუცილებელი პარამეტრია, რომელიც საფუძვლად უდევს თერმოდინამიკულ გათვლებს სტანდარტულ ტემპერატურაზე. ლაბორატორიაში შემუშავებულია ახალი ემპირიული გათვლითი მეთოდი სტანდარტულ ტემპერატურაზე თბოტევადობის სიდიდის დასადგენად და რეკომენდირებულია არაორგანული ოქსიდების ფართო სპექტრისათვის.</p> <p>ძირითადი თერმოდინამიკური მაჩვენებლები თბოტევადობა, ენტროპია, დეზის და აინშტაინის მახასიათებლები და ტემპერატურები ამჟღავნებენ პერიოდულ დამოკიდებულებას ატომურ ან მოლურ მასებთან. ამიტომ თერმოდინამიკური მახასიათებლების გაანგარიშებისათვის გამოსავალ სიდიდედ იყენებენ ატომურ მასას. ქიმიური ელემენტების ატომური თბოტევადობა დამოკიდებულია საშუალო ატომურ მასაზე და ელემენტის მდებარეობაზე პერიოდულ სისტემაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით ყოველი</p>			

პერიოდისათვის $C_p - n$ ფუნქციას შეიძლება მივანიჭოთ შემდეგი საერთო გამოსახულება

$$C_p = A - B/(n - a)$$

სადაც მუდმივების მნიშვნელობები იცვლება ელემენტების ჯგუფების მიხედვით.

მონაცემების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება, რომ გამოსახულება

$$C_p = 7 - 3,0(n - 1,25) \text{ cal/K}\cdot\text{mol}$$

შეიძლება გამოვიყენოთ დასაშვები საზუსტით ყველა ჯგუფისათვის.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
10.	<p>აღსორბირებული ორგანული შემზეთის გავლენის დადგენა ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის ადგეზიაზე</p> <p>(2010-2013) (დასრულებული)</p>	<p>ფიზ.მათ.მეცნ.დოქტ. თამაზ მარსაგიშვილი</p> <p>რ. დოღონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბ.</p>	<p>1. ნ. ანანიაშვილი 2. ჯ. მეტრეველი 3. მ. გაჩეჩილაძე 4. ე. ცხაკაია 5. რ. ხოსიტაშვილი 6. ნ. დვალი</p>

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

შემუშავებულ იქნა ადგეზიის გაზომვის მეთოდის გაზომვის მეთოდის ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის, რომლის მიხედვით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ადგეზიის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიმერული მატრიცის დამზადების პირობებს, გამყარების რეჟიმს (ტემპერატურა, პოლიმერიზაციის დრო, ღიად შრობა), ცენტრირებას ნიმუშსა და გამჭიმავ ძალას შორის, შესაწებებელი ფართობის ფარდობას.

დადგენილ იქნა, რომ წებოს (პოლიმერულ მატრიცას) პოლიმერიზაცია უნდა მოხდეს ოთახის ტემპერატურაზე. ტემპერატურის ზრდა $36^{\circ} - 38^{\circ} \text{ C}$ -მდე აუმჯობესებს ადგეზიას. წებოს გამყარების სიღრმე, მისი კომპოზიციური თვისებების გაუმჯობესება, ხვედრითი შეწებების სიდიდის მატება მიიღწევა არა ნაკლებ 48 საათისა და იზრდება წებოს გამყარების დროის ზრდასთან ერთად.

შერჩეულ იქნა საუკეთესო ადგეზიის მქონე უნივერსალური ეპოქსიდური წებო («Класс»), რომლის ხვედრითი შეწებება ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირთან აღწევს 275 კგ/სმ^2 (168 საათიანი გამყარებისას ოთახის ტემპერატურაზე).

შესწავლილ იქნა აღსორბირებული ორგანული შემზეთის (A-76) გავლენა ადგეზიაზე ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის. ბაზალტის ბოჭკოს წარმოების პროცესი მოითხოვს სხვადასხვა ორგანულ შემზეთს, მისთვის ელასტიურობის მისანიჭებლად, თუმცა შემზეთის გარეშე ბოჭკოსთან ფისების ადგეზია გაცილებით უკეთესია. წარმოებაში მინერალურ ბოჭკოზე შემზეთის შეცვლა (დაფენა) ხდება ბოჭკოს ფორმირებიდან რამოდენიმე მეასედ წამში, ანუ მაშინ, როდესაც ზედაპირი ჯერ კიდევ ცხელი და ახალია. ამიტომ ჩვენი კვლევა შემზეთის გამოყენების დროს ზუსტი დასკვნის საშუალებას არ იძლევა, ის მხოლოდ შემზეთის ფუნქციის ტენდენციას ასახავს. ტექსტილური წარმოებისათვის გამოყენებული ბაზალტის ბოჭკოს დიამეტრი 9-15 მკრ ტოლია. 1 მკრ-ს ზემოთ ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ამ ნივთიერების მახასიათებლები და იგივე

თვისებები გააჩნია, რაც 2 სმ² ფართის მქონე მინის სარკისებურ ზედაპირს, ან ბაზალტის სიბრტყეს. კვლევებში ვიყენებდით ბაზალტის ბოჭკოს ნაცვლად მინის სარკისებურ ზედაპირს, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ შემზეთის გამოყენება დასაწყისში, წებოს გამყარების გარკვეულ დრომდე უმნიშვნელოდ აუმჯობესებს ადგეზიას, დროის შემდგომი ზრდით კი ადგეზია თითქმის უცვლელი რჩება. მაშინ, როცა უშემზეთოდ ჩატარებული ექსპერიმენტის დროს, გამყარების დროს გაზრდა იწვევს ადგეზიის (ხვედრითი შეწებების) გაზრდას.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
11.	მეზოსკოპურ სისტემებში მუხტის გადატანისა და ფოტოგადანის პროცესების შესწავლა (2010-2014) (გარდამავალი)	ფიზ.მათ.მეცნ.დოქტ. თ.მარსაგიშვილი რ .დოღონაძის სახ. თეორიულ კვლევათა ლაბ.	1.მ . მაჭავარიანი, 2. გრ. ტატიშვილი, 3. ნანანიაშვილი 4. მ.გაჩეჩილაძე 5. ჯ.მეტრეველი 6. ი.ბერეკიანი


კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

2013 წლის ეტაპი:

მზის ენერგიით წყალბადის მიღების თერმოქიმიური ტექნოლოგიის საფუძვლების შემუშავება - ქიმიურად ბმულ მდგომარეობაში წყალბადის შენახვის სისტემები

წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს წყალბადის შენახვა გამოსაყენებლად ხელსაყრელი სახით. კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტისათვის წყალბადის შენახვა შეიძლება მოსახერხებელი იყოს ქიმიურად ბმული ფორმით. მაგალითად, ნატრიუმის ბორჰიდრიდი ჰიდროლიზის დროს წყალბადის მიღების და მისი, როგორც საწვავის, გამოყენების საშუალებას იძლევა ელექტრომობილის საწვავი ელემენტებისათვის. წყალბადის შენახვის ასეთი ფორმა არ მოითხოვს მაღალი წნევის ძვირად ღირებულ ბალონებს(აირადი წყალბადის შესანახად) და კრიოსტატებს (თხევადი წყალბადის შესანახად).

ნატრიუმის ბორჰიდრიდის მიღების პროცესი შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი სქემის მიხედვით:



სადაც X-ის სახით შეიძლება იყოს 0,5 უანგბადი.

ასეთი რეაქციები ენდოთერმულია და ითხოვენ რეაგენტების გაცხელებას 270-350°C-მდე.

ბორის ოქსიდის B₂O₃ მიღება ბორიდან ასევე მოითხოვს გაცხელებას 700°C.-მდე.

მზის ენერგიის გამოყენებით წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ზოგადი კონცეფციის შესაბამისად, ბორის ოქსიდისა და ნატრიუმის ბორჰიდრიდის

სინთეზისათვის შეთავაზებულია ასევე მზის ენერჯის გამოყენება სითბოს სახით. გარდა ამისა ბორჰიდრიდებს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვთ მრეწველობაში:

1. მსხვილმონტაჟიანი ქიმიური პროდუქტების გაწმენდა, რომლებიც შეიცავენ ალმდგენად მინარევებს: ამინებს, ამიდებს, სპირტებს, პეროქსიდებს, მეტალის იონებს.
2. სხვადასხვა ქარხნების ჩამდინარე წყლების დამუშავება, უმნიშვნელო რაოდენობის შემცველი მძიმე მეტალების მოშორებითაც კი.
3. კეთილშობილი ლითონების აღდგენა, ნამუშევარი კატალიზატორებიდან ამოღებულის ჩათვლით.
4. გარდამავალი და ძვირფასი ლითონების არაელექტროლიტური დალექვა სხვადასხვა სარჩულზე.
5. ნატრიუმის ბორჰიდრიდების შემცველი წყალ/ტუტიანი ხსნარები გამოიყენება ცელულოზის, თიხების გამოტუტვისა და ქსოვილების გაუფერულებისათვის.
6. ნატრიუმის ბორჰიდრიდი ძალზედ ჰიგროსკოპულია და ჰაერზე ადვილად შთანთქავს ტენს. გარდაიქმნება ბორჰიდრატად, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე მდგრადია. მაღალ ტემპერატურაზე (500°C და ზემოთ) წყლის ორთქლთან ურთიერთქმედებისას ნატრიუმის ბორჰიდრიდი იწყებს დაშლას წყალბადისა და დიბორანის (კვალის სახით) გამოყოფით. ნატრიუმის ბორჰიდრიდის დაშლა ჰაერზე, ტენის არსებობისას, ჩქარდება ნახშირმჟავას ზემოქმედებისას.

ნატრიუმის ბორჰიდრიდი კარგად იხსნება: წყალში, თხევად ამიაკში, ჰიდრაზინში, ამინებში, სპირტებში, ეთილენგლიკოლისა და პოლიეთილენგლიკოლის მეტალ-ეთერებში და სხვა. არ იხსნება: ეთილეთერში, დიოქსანში, ტეტრაჰიდროფურანში, ეთილაცეტატში, მეთილბორატში, ასევე ნახშირწყალბადებში.

მართალია, ნატრიუმის ბორჰიდრიდი ძლიერ ჰიგროსკოპულია, მაგრამ ტენის შთანთქმით იგი გარდაიქმნება მხოლოდ ჰიდრატად და არ ხდება მისი აალება. ამიტომ სამუშაოები ბორჰიდრატთან რეკომენდებულია მიმდინარეობდეს მშრალ კამერებში, მაგრამ არა უსაფრთხოებისათვის, არამედ იმიტომ, რომ დაიცვან გაფუჭებისაგან.

ნატრიუმის ბორჰიდრიდი მიეწოდება ავტომატურად სარეაქციო არეში, წყალბადის ხარჯვის მიხედვით. რეაქციის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 წუთს. მშრალ ჰაერზე ნატრიუმის ბორჰიდრიდი მდგრადია 300°C -ზე, მაგრამ ნელა იშლება 400°C -ზე ვაკუუმში. ცეცხლის მოკიდებისას იგი ნელ-ნელა იწვის.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
12.	ახალი თაობის ლითიუმ-იონური აკუმულატორებისათვის LiMnPO_4 -ფოსფატის საფუძველზე პერსპექტიული საკათოდე მასალის მიღების მეთოდის შემუშავება	ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ეთერ ქაჩიბაია ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების	<u>სამუშაოს შემსრულებლები:</u> ე.ქაჩიბაია, რ.იმნაძე, თ.პაიკიძე

	<p style="text-align: center;">2013 წ. (დასრულებული)</p>	<p style="text-align: center;">ლაბორატორია</p>	
<p style="text-align: center;">კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)</p> <p>2013 წელს პროექტის ფარგლებში შერჩეული იყო საწყისი რეაგენტები და LiMnPO_4-ის საფუძველზე შემუშავდა ფაზურად-სუფთა, ნანოზომის, ჰომოგენური საკათოდე მასალების ნიმუშების მიღების მეთოდი. მიღებული ნაერთები ხასიათდებიან ორთორომბული სტრუქტურითა და გაზრდილი ელექტროქიმიური მახასიათებლებით. მეთოდი დაფუძნებული იყო ორსტადიან, შედარებით დაბალტემპერატურულ მყარფაზურ პროცესზე. საკათოდე მასალები, მიღებული შემუშავებული მეთოდით, საინტერესოს წარმოადგენს მსხვილმასშტაბიანი ხელსაწყობისათვის (ელექტროტრანსპორტი, სარეზერვო სისტემები და ა.შ.) ლითიუმ-იონური აკუმულატორების წარმოებაში.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
13.	<p>რკინისა და ნიკელის ნანოფხვნილების და აგრეთვე მანგანუმის დიოქსიდის ელექტროქიმიურად აქტიური ფხვნილებისა და ფირების მიღება და მათი თვისებების შესწავლა. (2013-2015 წ.წ.) (გარდამავალი)</p>	<p>ქიმ.მეცნ.კანდ. უფ.მეცნ.თან.გ.ცაგარელი ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია</p>	<p>გ. ცაგარელი შ. მახათაძე ლ. ბაცანაძე ნ. მაისურაძე ა. შაქარიშვილი</p>

<p style="text-align: center;">კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)</p> <p>2013 წ. ეტაპი: მეტალის ორგანული ზოლის მისაღები ელექტროლიზერის დამზადება. ნიკელისა და რკინის წვრილდისპერსული ფხვნილების მიღება და მათი თვისებების შესწავლა.</p> <p>ნიკელისა და რკინის ფხვნილები ფართოდ გამოიყენება ფხვნილოვან მეტალურგიაში ახალი, სპეციფიური თვისებების მქონე მასალების მისაღებად. გარდა ამისა, მაღალი დისპერსულობის მქონე მათი ფხვნილები გამოიყენება კატალიზატორად ქიმიურ მრეწველობაში, მეტალების შედუღებისათვის, პოლიმერებისა და ლაქსაღებავების წარმოებაში, პიროფორების დასამზადებლად და ა.შ. ელექტროლიტური რკინის ფხვნილს აქვს კარგი ბიოშეთვისების უნარი და მას იყენებენ პრემიქსების შედგენილობაში საკვების დანამატების სახით რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკის მიზნით.</p> <p>მეტალური ფხვნილების მიღების მრავალი მეთოდი არსებობს: მექანიკური დაფქვა, თხევადი მეტალების გაფრქვევა აირით ან წყლით, ზოგიერთი ნაერთის თერმული დისოციაცია,</p>			
--	--	--	--

ოქსიდების აღდგენა მაღალ ტემპერატურაზე, ელექტროლიზი და ა.შ.

ნიკელისა და რკინის ფხვნილების მიღებისათვის ჩვენ სამუშაოში ვიყენებდით ელექტროლიზის მეთოდს. ნიკელის ფხვნილი იყო მიღებული ორშრიან სისტემაში. ერთ შრეს წარმოადგენდა ელექტროლიტის წყალხსნარი, ხოლო მეორეს – ორგანული თხევადი ნივთიერება, რომელიც არ ერევა წყალხსნარს და მის ზემოთ თავსდება. ელექტროლიტის წყალხსნარში კათოდზე წარმოიქმნება მეტალის წვრილი კრისალების ჩანასახები, შემდეგ ელექტროდი გადაინაცვლებს ზედა ნაწილში, სადაც ხდება მათი დისპერგირება ორგანულ შრეში მეტალის ზოლის წარმოქმნით. ელექტროლიზერის კორპუსი დავმზადეთ ქიმიურად მდგრადი პოლიმერული მასალისაგან. ტორსის კედლის ნახვრეტიდან აბაზანაში შევიყვანეთ ლილვი, რომელიც მყარად იყო დამაგრებული ქუროს მეშვეობით. ლილვზე ჩამოვაცვით უჟანგავი ფოლადის დისკოს მბრუნავი კათოდი. ლილვი თავსდებოდა ზუსტად ორშრიანი სისტემისგამყოფი საზღვრის გასწვრივ, ასე რომ კათოდათ “მუშაობდა” დისკოს ფართობის მხოლოდ ნახევარი. ანოდად ვიყენებდით ნიკელის ფირფიტას, რომელიც მთლიანად იყო მოთავსებული მხოლოდ ელექტროლიტის ხსნარში. კათოდის ბრუნვას უზრუნველყოფდა ელექტროძრავა, ბრუნვის სიჩქარე უდრიდა 90 ბრ./წთ. მიღებულ ნიკელის ფხვნილს ფილტრზევრცხავდით და შემდეგ ვაშრობდით. მიკროსკოპულმა კვლევამ აჩვენა, რომ ფხვნილს აქვს ნანოსტრუქტურა, ხოლო რენტგენოსტრუქტურული ანალიზით დადგინდა, რომ ფხვნილი წარმოადგენს სუფთა ნიკელს მისი ოქსიდის კვალით.

რკინის ფხვნილი იყო მიღებული ჩვეულებრივ მიკროელექტროლიზერში. კათოდად ვიყენებდით ტიტანის მავთულს, ხოლო ანოდად - რკინის ფირფიტას. ელექტროლიზი ტარდებოდა შემდეგი რეჟიმის პირობებში: 75 გ/ლ FeSO₄·7H₂O

2 გ/ლ K₂SO₄; t=18-22 °C ; ik=15-35ა/მ²; pH=3-3,5. მოცემულ პირობებში მიიღება შავი წვრილდისპერსული რკინის ფხვნილი, რომელიც შეიცავს 97% Fe და მისი ნაყარი სიმკვრივე შეადგენს 0,2-0,3 გ/სმ³.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
14.	კაზრეთის კარიერული წყლების ელექტროქიმიური გაწმენდის ტექნოლოგიის შემუშავება (2013-2014 წ.წ.) (გარდამავალი)	<div style="border: 1px solid black; padding: 5px; text-align: center;"> <p>ტექნ.მეცნ.კან. ჯ.გველესიანი</p> </div> <p>ტექნმეცნ. კანდ. ც.გაგნიძე ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორატორია</p>	<div style="border: 1px solid black; padding: 5px; text-align: center;"> <p>ტექნ.მეცნ. კანდ. მ.მამფორია</p> </div> <p>ლაბორანტი ლ.როყვა</p>

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)\

2013 წლის ეტაპი: ელექტროქიმიური რეაქტორის კონსტრუქციის შემუშავება განვითარებული რეაქციული ზედაპირის მქონე კათოდის გამოყენებით

ელექტროქიმიური მეთოდით კარიერული წყლის მძიმე ლითონებისგან გასაწმენდად შეირჩა გამოსაცდელად ორი სახის განვითარებული რეაქციული ზედაპირის მქონე ნახშირბადოვანი საელექტროდე მასალა: პიროლიზური პოლიმერული(PIIK) და ნახშირბადობოტკოვანი მასალები (YBM). შესწავლილია აღნიშნული მასალების ფიზიკო-მექანიკური, თერმული, ელექტროფიზიკური თვისებები. გამოკვლეულია აღნიშნული მასალების კოროზიული მედეგობა მჟავა არეში და განისაზღვრა

აგრესიული არის მოქმედება მასალის თვისებებზე: სტაციონარულ პოტენციალზე, ელგამტარობაზე. დადგენილია გამოკვლეული მასალების გამოყენების შესაძლებლობა ელექტროდებად ჩამდინარე კარიერული წყლის გასაწმენდად ელექტროლიზური მეთოდით. შემუშავებულია განვითარებული ზედაპირის მქონე ნახშირბადოვანი ელექტროდის-კათოდის კონსტრუქცია. შემუშავებულია კარიერული წყლის გასაწმენდი ელექტროლიზური განვითარებული ზედაპირის მქონე ნახშირბადოვანი კათოდის გამოყენებით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
15.	ჩამდინარე წყლების გაწმენდა ორგანული მინარევებისაგან სათბობის ტიპის ელემენტებში გენერირებული წყალ-ბადის პეროქსიდის გამოყენებით. (2013-2014წწ.) (გარდამავალი)	ქ.მ.კ., მთ. მეც. თან. გ.წურწუშია გ.აგლაძის სახელობის ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი	პ. ნიკოლეიშვილი, გ. გორელიშვილი, ვ. კვესელავა რ. კურტანიძე, ლ. გელაშვილი, დ. შარაბიძე, მ. ზაქარაია.

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)
 ეტაპი 2013წ. “ჰაერ(O₂)-Al სათბობის ტიპის ელემენტის კონსტრუქცია მასში ერთდროულად ელექტრონერგიისა და “მწვანე რეაგენტის” - წყალბადის პეროქსიდის გენერაციით”.
 კონსტრუქციურებულია ორიგინალური ჰაერ(O₂)-Al სათბობის ტიპის ელემენტი, რომელშიც კათოდად გამოყენებულია ნახშირბადოვანი გაზ-დიფუზიური ელექტროდი, ხოლო ანოდად ალუმინის ფირფიტა; ელექტროდების არეები განცალკევებულია ბიპოლარული მემბრანით. კათოდზე ადგილი აქვს ნატრიუმის სულფატის შემცველი კათოლიტიდან (pH 2.8-3.0) ჟანგბადის ორელექტრონიან აღდგენას წყალბადის პეროქსიდის გენერაციით: $O_2 + 2H^+ + 2e^- \rightarrow H_2O_2$; ანოდზე-ტუტის შემცველ ხსნარში ალუმინის ანოდურ დაჟანგვას: $Al + 4OH^- \rightarrow Al(OH)_4^- + 3e^-$; ბიპოლარული მემბრანის გამოყენება უზრუნველყოფს კათოლიტში და ანოლიტში pH-ის მუდმივობის შენარჩუნებას წყლის იონიზაციის ხარჯზე. ამ ელემენტის გამოცდამ გვიჩვენა, რომ შესაძლებელია კათოლიტში წყალბადის პეროქსიდის გენერაცია 100-დან 80%-მდე დენითი გამოსავლით 1სთ-ის განმავლობაში, როდესაც კათოდური დენის სიმკვრივემ შეადგინა 12.3 მა/სმ². შესწავლილია კათოლიტში ელექტროლიტის ბუნებისა და კონცენტრაციის გავლენა გენერირებულ დენის სიდიდეზე და წყალბადის პეროქსიდის დენით გამოსავალზე.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
16.	მძიმე მეტალებით (დარიშხანი, ანთიმონი, ტყვია, კადმიუმი, სპილენძი) დაბინძურებული ნიადაგების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა საქართველოს რეგიონებში(რაჭა, სვანეთი). (2013 წ.) (დასრულებული)	ქიმ.მეცნ.დოქტ., მთავარი მეცნ.თან. შუქრი ჯაფარიძე ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი	1.რუსუდან გიგაური-პასუხ.შემსრ. 2. თეა გოგიბერიძე 3. ნანული ხავთასი 4. ლამარა დოლიძე 5. დალი ძანაშვილი 6. დალი ექვთიმიშვილი

კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია ყოფილი დარიშხანის მადნების გადამამუშავებელი საწარმოების რაიონებში (რაჭა-ურავი და სვანეთი-ცანა) დარიშხანშემცველი ნარჩენებით დაბინძურებული გარემოს (ნიადაგები) ტოქსიკურობის ხარისხი. ნიადაგების სინჯები აღებულია ურავის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ამორტიზირებული სამარხიდან 10, 200, 500, 1000 მეტრის მოშორებით, აგრეთვე პრეპარატების საწარმოო უბნიდან 10 მეტრის მოშორებით, მეტალური დარიშხანისა და ქლორიდის საამქროდან 10 მეტრის მოშორებით და ცანას სამარხიდან 30 მეტრის მოშორებით. განსაზღვრულია დარიშხანის საერთო რაოდენობა, ასევე As^{3+} და As^{5+} რაოდენობები. დადგენილია დარიშხანის საერთო რაოდენობაში As^{3+} და As^{5+} წილი, რაც მნიშვნელოვანია, რადგანაც As^{3+} შემცველი ნაერთები ბევრად უფრო ტოქსიკურია As^{5+} -ის შემცველ ნაერთებზე. დადგენილია, რომ დამბინძურებელ წყაროდან მანძილის 10, 200, 500, 1000 მეტრით ზრდით დარიშხანის რაოდენობა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას შესაბამისად 12,5; 7; 4 და 1,5-ჯერ აღემატება. სამუშაოში მოყვანილია ნიადაგის ნიმუშის რაოდენობითი-სპექტრალური ანალიზის შედეგები, რომლებიც ცხადყოფენ ნიადაგში გარდა დარიშხანისა მძიმე მეტალების ყოფნის შესახებ.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
17.	მყარი საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების კომპლექსური უტილიზაცია (დასრულებული)	ქიმ.მეცნ.დოქტორი ომარ წიკლაური, ლდობილთა ელექტროქიმიის ლაბორატორია	თინათინ ლეჟავა- (გ.აგლაძის ელექტრო-ქიმიისა და ელექტრო-მეტალურგიის ლაბორატორია), მერაბ დადუნაშვილი, (ლ. ჯაფარიძის სახელობის დენის წყაროებისა და საელექტროდუ მასალების ლაბორატორია)

ნაჩვენებია განვითარებადი და მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ნარჩენების მართვის სფეროში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, - კერძოდ, მეორადი ნედლეულის გადამამუშავების სფეროში წარმოება ორიენტირებული უნდა იყოს პირველ რიგში, მაქსიმალურ ეკოლოგიურ ეფექტზე, რაც შედარებით იოლად მიღწევადია მცირეტონაჟიან საწარმოთა მასშტაბში, როდესაც შენარჩუნებულია გარკვეული ეკონომიური მომგებიანობაც. საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია ანთროპოგენური და

ტექნოგენური ნარჩენების კომპლექსური, უნარჩენო და ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამუშავების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი მიზნობრივი პროდუქტის მიღებით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
18.	<p>მძიმე ლითონების განსაზღვრა ზოგიერთ სამკურნალო მცენარეში ფენოლოგიური სტადიების გათვალისწინებით და გამხსნელის ბუნების გავლენა ბენზოკარბონ-მჟავების ელექტროქიმიურ ქცევაზე (2012-2013 წ.წ.) (დასრულებული)</p>	<p>ქიმ.მეცნ.დოქტ. ჭელიძე თამარი ჯ. ჯაფარიძის სახ. რაწვალ-სსნართა ელექტროქიმიის ლაბ. ხელმძღვანელი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ჭელიძე თამარი 2. ჯაფარაძე შუქრი 3. ენუქიძე ლიანა 4. ჩაგელიშვილი ვაჟა 5. ჩანკაშვილი მანანა 6. გურგენიძე ირინე 7. ხუციშვილი ზოია 8. ლოლაძე თეონა

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით განისაზღვრა მძიმე ლითონების - სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის შემცველობა სამკურნალო ნედლეულში – სალბი სამკურნალოსა და მელისა სამკურნალოს ფოთლებში მათი ფენოლოგიური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული მცენარეების ფოთლებში განსაზღვრავი მიკროელემენტები ხასიათდებიან კონცენტრაციის კანონზომიერი შემცირებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე. კონცენტრაციის მინიმალური შემცირება ემთხვევა ვეგეტაციის ორ ბოლო ეტაპს და შეესაბამება განვითარების ფენოლოგიურ ეტაპებს – „ზრდასრული ფოთლები“ და „ძველი ფოთლები“, ანუ როცა ხდება სამკურნალო მცენარის შეგროვება.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილია ბენზოკარბონ-მჟავების, კერძოდ ტრიმეზინისა და ტრიმელიტის მჟავების ადსორბცია ვერცხლისწყალზე 0.5M NaClO₄-ის სპირტსხნარებიდან ცვლადი დენის ბოგირის გამოყენებით დიფერენციალური ტევადობის (C) ელექტროდის პოტენციალზე (E) დამოკიდებულების (C,E–მრუდების) გაზომვის მეშვეობით.

კვლევებმა აჩვენა, რომ ტრიმეზინის მჟავას შემთხვევაში ტევადობის მაქსიმალური შემცირება ($C^1=20.8$ მკფ/სმ²) ხდება $c=3,55 \cdot 10^{-4}$ M ხსნარში ელექტროდის ნულოვანი პოტენციალის უბანში, ხოლო ტრიმელიტის მჟავას ადსორბცია ხორციელდება ძირითადად პოტენციალთა ანოდურ უბანში, რაც ამ უკანასკნელის შემთხვევაში მიუთითებს არსებული არომატული ბირთვების

<p>π-ელექტრონულ ურთიერთქმედებას ელექტროდის ზედაპირთან. ორივე ნაერთისათვის ადსორბციული პარამეტრების გამოსათვლელად გამოყენებულია ელექტროდებზე ორგანულ ნივთიერებათა ადსორბციის ფრუმკინ-დამასკინის თეორიიდან გამომდინარე განტოლებები. გამოთვლილი იქნა შემდეგი ადსორბციული პარამეტრები: ატრაქციული მუდმივა – a; ადსორბციული წონასწორობის მუდმივა – B, ლ/მოლი; ადსორბციის სტანდარტული ენერგია – $-\Delta G_A$, კჯ/მოლი, დაფარვის ხარისხი θ.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
19	<p>ულტრაიისფერი სხივების,გამა-გამოსხივების და ოზონის ზეგავლენის შესწავლა ხელოვნების ნიმუშების (ფრესკები,ნახატები და სხვ.) სტაბილიზაციის მიზნით (გარდამავალი)</p>	<p>ქიმ.მეცნ.დოქტ რ.თუშურაშვილი</p> <p>ე. ნანობაშვილის სახ. რადიაციული ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი</p>	<p>მ.ფანჩვიძე, ც.ბასილაძე, გ.შანიძე, მ.მამარდაშვილი, ნ.კვიციანი, გ.ხიდეშელი, ა.დავითური, ე.თუშურაშვილი, ნ.ბასილაძე.</p>
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>2013 წლის ეტაპი:“გამა-გამოსხივების ზემოქმედების შესწავლა ზოგიერთი საღებავის მოდელურ წყალხსნარებზე სხვადასხვა ინჰიბიტორის თანაობისას“</p> <p>შესწავლილია ზოგიერთი ორგანული საღებრის - მეთილნარინჯის, ბრომპიროგალოლ წითელის, პირდაპირი წითელი -2C-ს, რეზორცინის და პირდაპირი შავის წყალხსნარების რადიაციულ - ქიმიური გარდაქმნა როგორც ინდივიდუალურ მდგომარეობაში, ასევე სხვადასხვა რადიოპროტექტორის თანაობისას. დადგენილია, რომ პროტექტორის გარეშე ადგილი აქვს აღნიშნული საღებრების ინტენსიურ გაუფერულებას დოზათა ფართო ინტერვალში.შერჩეულია საუკეთესო რადიოპროტექტორი - თიოშარდოვანა, რომელიც რეკომენდებულია დასახული ამოცანის გადასაჭრელად.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
20.	<p>ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ფერთა გამების შექმნისთვის გამოყენებული ზოგიერთი ბუნებრივი მინერალის და მათ საფუძველზე დამზადებული პიგმენტური საღებრების ლაზერული რამანსპექტროსკოპია და ფოტოლუმინესცენცია (2012-2013 წ.წ.)ს (დასრულებული)</p>	<p>ფიზ.მეცნ. აკად.დოქტ. ს.გოთოშია</p> <p>ე. ნანობაშვილის სახ. რადიაციული ქიმიის ლაბ.</p>	<p>ს. გ. გოთოშია ლ. ვ. გოთოშია</p>
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>მინერალების ოპტიკური თვისებების შესწავლის მიზნით კონსტრუირებულია</p>			

	<p>ლაზერული რამან-სისტემა. რამან-სისტემა აგებულია სწრაფი ერთმაგი მონოქრომატორის ბაზაზე. ამგზნებ წყაროდ გამოყენებულია წითელი ფერის ლაზერი ლგ-222, ხაზოვანი პოლარიზაციის გამოსხივებით 632.8 ნმ, სიმძლავრე 65 მილივატი. სიგნალის მიმდებად გამოყენებულია მაღალმგრძობიარე ფოტოგამამრავლებელი ფეუ-79. რამან-სპექტრების რეგისტრაციას ვაწარმოებთ ერთეული ფოტონების დათვლის სისტემითა და თვითჩამწერით.</p> <p>კონსტრუირებულ ლაზერულ სისტემაზე ჩავწერეთ ბუნებრივი მინერალების კინოვარის, რეალგარისა და აურიპიგმენტის რამან-სპექტრები. თეორიულ-ჯგუფური მეთოდით მოვახდინეთ ამ მინერალების ფონონების იდენტიფიკაცია-კლასიფიკაცია.</p> <p>ერთმანეთს შევადარეთ სხვადასხვა გეოლოგიური საბადოებიდან მოპოვებული კინოვარის რამან-სპექტრები. აღმოჩნდა რომ, სხვადასხვა საბადოდან მიღებული მინერალების რამან-სპექტრები ერთმანეთისაგან განსხვავდება რამან-პიკების რაოდენობით. რამან-სპექტრების აზოტის ტემპერატურაზე გამოკვლევისა და თეორიული გამოთვლების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ზედმეტი პიკები მიეკუთვნება იზომორფული მინარევის სელენის ლოკალურ რხევებს. დავადგინეთ ამ რხევების ზუსტი სიხშირეები; შევისწავლეთ ლოკალური რხევების ინტენსიობათა დამოკიდებულება სხვადასხვა ლაზერის ამგზნებ ტალღის სიგრძეებთან. შედეგად დავადგინეთ იმ ლაზერის ოპტიმალური ტალღის სიგრძე, რომელიც უფრო მომგებიანია კინოვარში მინიმალური რაოდენობის მინარევი სელენის აღმოსაჩენად.</p> <p>ამ კვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ პირველად დაამუშავებული და შემოთავაზებული ლაზერული რამან-სპექტროსკოპიის უკონტაქტო, დისტანციური ოპტიკური მეთოდი კინოვარის გეოლოგიური საბადოების იდენტიფიკაციის მიზნით.</p> <p>როგორც ცნობილია, კინოვარისა და რეალგარის ბაზაზე დამზადებული ბუნებრივი პიგმენტური საღებავები გამოიყენება ხელოვნების ნიმუშების წითელი ფერების მისაღებად, აურიპიგმენტის ბაზაზე კი მზადდება ოქროსფერი ფერების მისაღები პიგმენტური საღებავები. ფერთა ეს გამები სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშებში ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით შესწავლილია მსოფლიოს მრავალი მეცნიერის მიერ. მათ შორის არც ერთს აქამდე ყურადღება არ მიუქცევია ამ ფერებზე მინარევების გავლენაზე. ჩვენ პირველებმა მივუთითეთ ამ ეფექტზე და წარმოდგენილი თემის შინაარსიც ამას ემსახურება. ამ თემის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნას უპირფასესი ხელოვნების ნიმუშების ფერთა გამების საიდუმლოებათა აღმოსაჩენად. უკვე რამოდენიმე საერთაშორისო ჟურნალში ციტირებულია ჩვენი ეს შრომები.</p>		
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
21.	თიოდიკარბონმჟავების ელექტროლიტური დისოციაციის პროცესების თეორიული ანალიზი და მათი პარამეტრების განსაზღვრა ახალი ორიგინალური განტოლებების გამოყენებით (2013 წ.) (დასრულებული)	ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ელენე კვარაცხელია გ. აგლაძის სახ. ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბ.	ელენე კვარაცხელია რამაზ კვარაცხელია რუსუდან კურტანიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
დაგეგმილ სამუშაოში ავტორების მიერ შემუშავებული სუსტი მრავალფუძიანი ორგანული მჟავების დისოციაციის პროცესების ანალიზის			

<p>ორიგინალური მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ორფუძიანი თიოდიმარმჟავას, თიოდიპროპიონის მჟავას და თიოდიზეთის მჟავას დისოციაციის პროცესების კანონზომიერებები. განსაზღვრულია აღნიშნული პროცესების ძირითადი პარამეტრები: დისოციაციის ჩვეულებრივი და “პარციალური” ხარისხები, დამუხტული და დაუმუხტავი ნაწილაკების კონცენტრაცია, pH-ის სიდიდეები მჟავების განზავებული ხსნარების კონცენტრაციის ფართო ინტერვალში (0.0001 - 0.01M თიოდიმარმჟავასა და თიოდიპროპიონის მჟავას შემთხვევაში და 0.0001 - 0.006M თიოდიზეთის მჟავას შემთხვევაში). მიღებულია აგრეთვე მარტივი ემპირიული განტოლებები დისოციაციის ხარისხებისა და pH-ის სიდიდეების სწრაფი მიახლოებითი გათვლისათვის. დებაი-ჰიუკელის თეორიის მეორე მიახლოების განტოლების დახმარებით განსაზღვრულია შესწავლილი მჟავების მონო- და დიანიონებისა და წყალბადის იონების აქტიურობის კოეფიციენტების მნიშვნელობები კონცენტრაციის ზემოთ აღნიშნულ ინტერვალში. კვლევების შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული საცნობარო და სასწავლო ლიტერატურაში, ორგანულ ქიმიაში, მედიცინაში, ხსნართა თეორიაში და საწარმოო პრაქტიკაში.</p>

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
22.	კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) შერეულიგანდიანი კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და კვლევა. (2013 წ.) (დასრულებული)	მაია ცინცაძე-ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორია	მ. კერესელიძე-ქ.მ.კ., უფრ. მეცნ. თანამშრ.; ლ.სხირტლაძე-ქ.მ.კ., უფრ. მეცნ. თანამშრ.; დ.ლოჩოშვილი-ქ.მ.კ., უფრ. მეცნ. თანამშრ.; მ.აბაშიძე-ინჟინერი; ს.ჭიჭინაძე-ინჟინერი.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)			
<p>სინთეზირებულია პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონთან, ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან და ორთო-ამინო-5-მეთილპირიდინთან კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) ქლორიდების კოორდინაციული ნაერთები. ელემენტური ანალიზით დადგენილია მათი შედგენილობა, რენტგენოგრაფული მეთოდით დადგენილია მათი ინდივიდუალურობა, ხოლო შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების საფუძველზე მოწოდებულია მათი აღნაგობა.</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახ-	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
---	-----------------	----------------	----------	----------

	ხელეба	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1.	BS-ERA.NET-ის ფარგლებში ევროკავშირის გრანტი: შავი ზღვისწყელიდან წყალბადის მიღება სულფიდური საწვავი ელემენტის გამოყენებით. 2011-2014 წ.წ.	INTAS შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი თამაზ მარსაგიშვილი	გ. ტატიშვილი ნ. ანანიაშვილი მ. მაჭავარიანი მ. გაჩეჩილაძე ჯ. მეტრეველი ე. ცხაკაია რ. ხოსიტაშვილი

დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

დამზადებულია გოგირდწყალბადზე მომუშავე საწვავი ელემენტის აგრეგატი; შერჩეულია ელექტროდები და მემბრანები; დადგენილია პროცესის ოპტიმალური პირობები და რეჟიმები.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	ახალი თერმოდგრადი ინდუსტრიული დანაფარები (P-538) 2012-2014 წ.წ.	STCU	ქიმ.მეცნ.კანდ., უფროსი მეცნ.თან. გ.ყიფიანი	თ.მარსაგიშვილი ნ.ანანიაშვილი ლ. აბაზაძე ო. თვარაძე ს. გასვიანი ც. გაბისონია

მიღებულია სპილენძის და ალუმინის სარჩულებზე ნიკელის, ნიკელ-მოლიბდენის, ნიკელ-ვოლფრამის გაღვანური დანაფარები სულფატური და პიროფოსფატური ელექტროლიტებიდან, ხოლო ტანტალისა და ნიობიუმის დანაფარები KCl-KF-K₂TaF₇ (K₂NbF₇) ნალღობებიდან.

შერჩეულია სხვადასხვა შემადგენლობის ელექტროლიტი კალიუმისა და სპილენძის მონიკელებისათვის და შესწავლილია ნიკელის გამოლექვის ელექტროქიმია. დადგენილია დანაფარების მიღების ოპტიმალური რეჟიმები, ამ ხსნარებიდან მიღებულია, ალუმინის და სპილენძის ზედაპირზე, ნიკელის დანაფარები.

შესწავლილია მიღებული დანაფარების მექანიკური და ელექტრული მახასიათებლები მაღალ ტემპერატურებზე ექსპლუატაციის პირობებში. მიღებულია დადებითი შედეგები.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	ახალი ტიპის სათბობი ელემენტების დამუშავება (2012-2014წწ.)	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პაატა ნიკოილეიშვილი	გ.გორელიშვილი, გ.წურწუშია, გ.კვესელავა, ი.კახნიაშვილი, მ.ავალიანი, ნ.ნადარაია

ეტაპის შედეგების ანოტაცია

ეტაპი 2013წ. წყალბადის პეროქსიდის თანაგენერაციით მომუშავე ნატრიუმის ბორჰიდრიდის სათბობის ელემენტის შექმნისათვის შემუშავებულია უჯრედის კონსტრუქციის, საელექტროდე და მემბრანული მასალების, საწვავის კონცენტრაციის, ტემპერატურის და ელექტროლიტების ცირკულაციის სიჩქარეების გავლენა ელემენტის ვოლტ-ამპერულ მახასიათებლებზე.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4.	“ზოფხიტოს ოქრო შემცველი ანთიმონის მადნის კომპლექსური გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიის შემუშავება”.	რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი № FR/296/3-192/11 2012 - .2014	ალექსანდრე კანდელაკი	ინსტიტუტის მხრიდან: რ.ჩაგელიშვილი, ც.გაგნიძე,

2013 წლის ეტაპი: ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღება თიოკარბამიდული მეთოდით.

- დადგენილია ზოფხითოს ოქროს შემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოსაღებად თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა. ექსპერიმენტულად შესწავლილია თიოკარბამიდული გამოტუტვის პროცესზე ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები: ხსნარის შემადგენლობა– $\text{ThiO}-0,5\%$; $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3 -0,8\%$; $\text{H}_2\text{SO}_4-0,8\%$. ამოტუტვის რეჟიმი : ხანგრძლივობა-4სთ;

მც:თხ=1:3; სარეველასბრუნვის სიჩქარე-200 ბრ/წთ; ტ -18-25⁰ჩ. ამ პირობებში ოქროს ამოღების ხარისხი შეადგენს 82-87%-ს.შემოთავაზებულია ზოფხითოს ოქროშემცველი ანტიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების უწყვეტი ტექნოლოგიური სქემა.

- შესწავლილია ქლორიდულ სისტემაში სელექტიური კომპლექსწარმოქმნელის-თიოშარდოვანას თანაობისას ნარჩენების ელექტროქიმიური გამოტუტვის პროცესზე ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოქროშემცველი ნარჩენიდან ოქროს ამოღებას 82-90%-ით ე.წ. “რბილი” დაჟანგვის რეჟიმის პირობებში ანოდზე მოლეკულური ქლორის გამოყოფის და გარემოს დაბინძურების გარეშე. შემოთავაზებულია ოქროშემცველი ანტიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული დამუშავების ნარჩენის ელექტროქიმიური გამოტუტვის ეწყვეტი ტექნოლოგიური პროცესი და ამ პროცესის რეალიზაციისათვის–ელექტროქიმიური რეაქტორი.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5.	2012-2013 წლების ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი №12/06 “შავი ზღვის წყლიდან მეთანისა და გოგირდწყალბადის ამოღება სორბციული და მემბრანული მეთოდით”	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოქტორანტი, მეცნიერ თანამშრომელი ელიზავეტა ცხაკაია	ელიზავეტა ცხაკაია რუსუდან ხოსიტაშვილი

დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილი იქნა გოგირდწყალბადის და მეთანის ადსორბცია-დესორბცია ბუნებრივ და სინთეზურ ცეოლითებზე.

დადგინდა, რომ გამოცდილი ცეოლითები ხასიათდებიან სელექტიურობით გოგირდწყალბადისა და მეთანის მიმართ, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ამ გაზების დასაცილებლად.

შესწავლილი იქნა გოგირდწყალბადისა და მეთანის შეღწევადობა Du Pont-

ის წარმოების სხვადასხვა ტიპის მემბრანაზე, სპეციალურად დამზადებული უჯრედის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ ნაფიონის მემბრანაში გადის მხოლოდ H⁺ იონები. პოლიეთილენის მემბრანა 1520B ატარებს H₂S და არ ატარებს წყალს. პოლიოლეფინის მემბრანა 8327 AD VCL უფრო ნაკლებად ატარებს გოგირდწყალბას, ვიდრე პოლიეთილენის მემბრანა 1520B

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6.	2012-2013 წლების ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი დარიშხანშემცველი ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა თანამედროვე ტესტ-მეთოდების გამოყენებით.”	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოქტორანტი, მეცნიერ თანამშრომელი თეა გოგიბერიძე	თეა გოგიბერიძე

შესწავლილია დარიშხანშემცველი ნარჩენების ამორტიზირებული სამარხები საქართველოს ორ რეგიონში (რაჭა, სვანეთი). დადგენილია დარიშხანის საწყისი პროცენტული შემცველობები იოდომეტრიული (ევენსის მეთოდი), თიოსულფატური და ატომურ-აბსორბციული მეთოდებით. TCLP და WET სტანდარტების მეთოდების გამოყენებით გამოკვლეულია დარიშხანის ფორმები, ვალენტობა, ხსნადობა, pH და ტოქსიკურობის ხარისხი. სამარხებში დარიშხანი იმყოფება ოქსიდების (III), არსენიტების (III) და არსენატების (V) სახით. ოქსიდური ფორმის დარიშხანი (III) გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობის ხარისხით და აკუმულირდება ნიადაგებში. არსენიტები (III) გამოირჩევიან კარგი ხსნადობით, მათი გაფრცელების არეალი დიდია, ტოქსიკურობის ხარისხი – მაღალი. იგი საფრთხეს უქმნის როგორც ნიადაგებს ასევე მწვანე საფარს. არსენატები (V) ნაკლებად ხსნადია და ნაკლებად ტოქსიკური.

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7.	სორბციული დამემბრანული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ხსნარებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოქტორანტი, მეცნიერი თანამშრომელი	რუსუდან ხოსიტაშვილი

გოგირდწყალბადის კონცენტრაციების გაზრდა		რუსუდან ხოსიტაშვილი	
2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტი №40/42			

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8.	გოგირდწყალბადზე მომუშავე საწვავი ელემენტი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოქტორანტი, მეცნიერი თანამშრომელი ელიზავეტა ცხაკაია	ელიზავეტა ცხაკაია
2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტი №40/43				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	М.Цинцадзе, А.Нариманидзе, Н.Гегешидзе, Л.Схиртладзе, И.Гвелесиანი	Координационные соединения металлов с орто- аминопиридином и его метилпроизводными	Тбилиси, Грузинский Технический Университет	77
2	М.Цинцадзе, Г.Цинцадзе, Т.Гиоргадзе	Исследование цианатных, тиоцианатных и селеноцианатных соединений металлов.	Тбилиси, Грузинский Технический Университет (в печати)	(в печати)
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	–	–	–	–

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	–	–	–	–

დ) სტატიები ადგილობრივ ჟურნალებში

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	1.ე.ცხაკაია, 2.მარსაგიშვილი 3.ნანანიაშვილი 4.მ. გაჩეჩილაძე 5.ჟ. მეტრეველი 6.რ.ხოსიტაშვილი	“H ₂ S-ის ადსორბციის შესწავლა ბუნებრივი გოგირდშემცველი წყლებიდან” საქართველოს მეცნი-ერებათა ეროვნული აკადემიის “ მაცნე” ქიმიის სერია	ტ.38-39 №1-2, №4 2012-2013 წ. წ.	თბილისი	გვ. 291-293 (3 გვერდი)

ანოტაცია

შესწავლილია გოგირდწყალბადის ადსორბცია ბუნებრივ ცეოლითებზე და კათიონიტზე KY 2-8. გამოთვლილი იქნა თითოეული ცეოლითისათვის მოცულობითი ტევადობა გოგირდწყალბადის მიმართ. დადგენილია, რომ ადგილობრივი წარმოშობის ცეოლითები და კათიონიტი KY 2-8 შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც გოგირდწყალბადის ადსორბენტი ბუნებრივი გოგირდშემცველი წყლებიდან.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	1. ე. ცხაკაია, 2..რ.ხოსიტაშვილი	“მეთანის ადსორბციის შესწავლა ბუნებრივ მოდიფიცირებულ ცეოლითებზე” საქართველოს მეცნი-ერებათა ეროვნული აკადემიის “ მაცნე”	ტ. 39 №3-4 2013 წ.	თბილისი	(2 გვერდი)

		ქიმიის სერია			
ანოტაცია					
შესწავლილია მეთანის ადსორბცია ბუნებრივ მოდიფიცირებულ ცეოლითებზე. გამოთვლილი იქნა თითოეული ცეოლითისათვის მოცულობითი ტევადობა მეთანის მიმართ. დადგენილია, რომ მოცემული ცეოლითებიდან მეთანი ყველაზე კარგად ადსორბირებს ხეკორძულას HNaX-ით, ხოლო შედარებით ნაკლებად ხეკორძულას Ni-ით მოდიფიცირებულ კლინოპტილოლითზე.					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3.	ბ.ფურცელაძე, თ.ჭყონია, ე. შოშიაშვილი, მ.ავალიანი, ი.ჩხაიძე, მ.სავანიძე, ლ.სვანიძე, თ.ლეჟავა.	სტატია: “მანგანუმის დიოქსიდის მიღება მანგანუმის კარბონატიდან”	გამოქვეყნდება 2013 წლის მე-4 კვარტალში	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “მაცნე”	

ანოტაცია					
შემოთავაზებულია მანგანუმის დიოქსიდის მიღების ხერხი ჭიათურის მანგანუმის კარბონატული მადნიდან. მადნის გამოტუტვის პროცესი ხორციელდება აზოტმჟავის მეშვეობით, ამიაკით გასუფთავების შემდეგ, რომელიც წარმოებს pH- 4 ÷ 5 - ის პირობებში. თექნოლოგიური სქემა მანგანუმის კონცენტრატების მიღების საშუალებას იძლევა, რომლის გადამუშავებით შესაძლებელია მანგანუმის დიოქსიდის მიღება.					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალი ს/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4.	რ.ჩაგელიშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, ც.გაგნიძე, ჯ.ბაღდავაძე, ა.კანდელაკი, მ.ავალიანი, ლ.წყალობაძე	ზოფხითოს ოქრო შემცველი ანტიმონიეს მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროსამოღება თიოკარბამიდულიმეთოდით	№1-2, ტ.39, 2013 გვ.112-117	აკადემიის “მაცნე” თბილისი	5 გვერდი

<p>ანოტაცია</p> <p>დადგენილია ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოსადგებად თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა.</p> <p>ექსპერიმენტულად შესწავლილია თიოკარბამიდული გამოტუტვის პროცესზე ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები: ხსნარის შემადგენლობა – Thi -0,5%; ე(შ04)კ -0,8%; 2შ 4-0,8%. გამოტუტვის რეჟიმი : ხანგრძლივობა-4სთ; მყ:თხ=1:3; სარეველასბრუნვის სიჩქარე-200 ბრ/წთ; ტ -18-25⁰ჩ. ამპირობებში ოქროს ამოღების ხარისხი შეადგენს 82-87%-ს.</p> <p>შემოთავაზებულია ზოფხითოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების უწყვეტი ტექნოლოგიური სქემა.</p>							

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5.	Jondo Bagdavadze, Rusudan chagelishvili, Tsisana Gagnidze, Aleksandre Kandelaki, Roland Razmadze, Zurab Tsikaridze	The Study of High-Temperature Processes for Obtaining Antimony Sulfide (Sb ₂ S ₃) and Metallic Antimony (Sb) Bulletin of the Georgian national academy of sciences. Physical Chemistry	vol.7, no.2, 2013	Georgian academy press Tbilisi	6 page

<p>ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია მადნიდან ანთიმონის სულფიდისა და ლითონური ანთიმონის მიღების პროცესების როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის აქტუალური საკითხები. შესრულებულია Sb და Sb₂S₃ გახსურების პროცესების სრული თერმოდინამიკური ანალიზი ვაკუუმში (P=0,0001 ატმ) და Sb-S, Sb-S-Fe, Sb-S-Al სისტემების ატმოსფერულ წნევაზე. ყველა ანგარიში შესრულებულია ფართო ტემპერატურულ ინტერვალში (400-1500 K). შესწავლილია Sb₂S₃ აორთქლების კინეტიკა სხვადასხვა ფრაქციის მადნებისათვის ვაკუუმში 500-700⁰C და დადგენილია მისი მიღების ოპტიმალური პირობები. კვლევების შედეგად</p>							
--	--	--	--	--	--	--	--

მიღებულია ტექნიკური სისუფთავის (95 მას.%) და მაღალი სისუფთავის ლითონური ანთიმონი (99,2 მას%).

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6.	Ц.М.Гагნიдзе Ж.М.Кебадзе Дж.М.Анели Л.Ш.Какурия К.Т.Угрелидзе	Коррозионные испытания углеграфитовых материалов в агрессивных средах. “მაცნე”, ქიმიის სერია	გადაცემულია	საქართველო, თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია	5 გვ.

ანოტაცია

Исследовано влияние времени и температуры на скорость химической коррозии углеграфитовых материалов (ППК и УВМ) в агрессивных средах. Определено влияние коррозионной среды на свойства этих материалов и характер контроля на скорость коррозионного процесса. Установлена возможность использования этих материалов в качестве электродов для интенсификации электрохимических процессов.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	Jondo Bagdavadze, Rusudan Chagelishvili, Tsisana Gagnidze, Aleksandre Kandelaki, Roland Razmadze, Zurab Tsikaridze	The Study of High-Temperature Processes for Obtaining Antimony Sulfide (Sb ₂ S ₃) and Metallic Antimony (Sb) Bulletin of the Georgian national academy of sciences. Physical Chemistry	vol.7, no.2, 2013	Georgian academy press Tbilisi	6 page

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მადნიდან ანთიმონის სულფიდისა და ლითონური ანთიმონის მიღების პროცესების როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის აქტუალური საკითხები. შესრულებულია Sb და Sb₂S₃ გახურების პროცესების სრული თერმოდინამიკური ანალიზი ვაკუუმში (P=0,0001 ატმ) და Sb-

S, Sb-S-Fe, Sb-S-Al სისტემების ატმოსფერულ წნევაზე. ყველა ანგარიში შესრულებულია ფართო ტემპერატურულ ინტერვალში (400-1500 K). შესწავლილია Sb_2S_3 აორთქლებების

კინეტიკა სხვადასხვა ფრაქციის მადნებისათვის ვაკუუმში 500-700°C და დადგენილია მისი მიღების ოპტიმალური პირობები. კვლევების შედეგად მიღებულია ტექნიკური სისუფთავის (95 მას.%) და მაღალი სისუფთავის ლითონური ანთიმონი (99,2 მას%).

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8.	ე.ქაჩიბაია, რ.იმნაძე, თ.პაიკიძე, დ.ძანაშვილი, თ.მაჩაღაძე	Synthesis of $LiCr_xMn_{1-x}PO_4$ -phosphate as promising cathode material for Lithium-ion accumulators. საქართველის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ (ქიმიის სერია)	№ 3-4, 2013 წ.	საქართველის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი	გვ. 6

ანოტაცია

შემუშავებულია ლითიუმ-მანგანუმიანი ფოსფატების - $LiCr_xMn_{1-x}PO_4$ ($0 \leq x \leq 1$), როგორც Li-იონური აკუმულატორების საკათოდე მასალების, მიღების მარტივი და შედარებით დაბალტემპერატურული, ეფექტური მყარფაზური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული იქნას გაუმჯობესებული მახასიათებლების მქონე ნანოსტრუქტურული, ჰომოგენური ნიმუშები. რენტგენოფაზური, რენტგენოსტრუქტურული და ანალიზის სხვა მეთოდების შედეგები ამტკიცებს, რომ ფაზურად-სუფთა, ნანოზომის ნიმუშებს, რომლებიც მიღებული იყო ოპტიმალურ პირობებში $T \approx 400-500^\circ C$ -ზე, შეესაბამება $Pnmb$ -ორთორომბული ჯგუფის მქონე ოლივინის მოწესრიგებული სტრუქტურა. შემუშავებული ნაერთები საინტერესოს წარმოადგენს როგორც დიდი სიმძლავრის ლითიუმ-იონური ბატარეებისათვის საკათოდე მასალა.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9.	თ.გოგიბერიძე, რ.გიგაური, შ.ჯაფარიძე, ლ. დოლიძე	დარიშხანშემცველი ნარჩენების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა თანამედროვე ტესტ მეთოდების გამოყენებით. საქ. მეცნ. ეროვნული	ტ.39, № 1-2	საქართველის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი	გვ.4

	აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია			
ანოტაცია				
<p>შესწავლილია დარიშხანშემცველი ნარჩენების ამორტიზირებული სამარხები საქართველოს ორ რეგიონში (რაჭა, სვანეთი). დადგენილია დარიშხანის საწყისი პროცენტული შემცველობები იოდომეტრიული (ევენსის მეთოდი), თიოსულფატური და ატომურ-აბსორბციული მეთოდებით. TCLP და WET სტანდარტების მეთოდების გამოყენებით გამოკვლეულია დარიშხანის ფორმები, ვალენტობა, ხსნადობა, pH და ტოქსიკურობის ხარისხი. სამარხებში დარიშხანი იმყოფება ოქსიდების (III), არსენიტების (III) და არსენატების (V) სახით. ოქსიდური ფორმის დარიშხანი (III) გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობის ხარისხით და აკუმულირდება ნიადაგებში. არსენიტები (III) გამოირჩევიან კარგი ხსნადობით, მათი გავრცელების არეალი დიდია, ტოქსიკურობის ხარისხი – მაღალი. იგი საფრთხეს უქმნის როგორც ნიადაგებს ასევე მწვანე საფარს. არსენატები (V) ნაკლებად ხსნადია და ნაკლებად ტოქსიკური.</p>				

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	ლიანა ენუქიძე, თამარ ჭელიძე, მანანა ჩანკა- შვილი, თეონა ლოლაძე, მანანა ჭურაძე	ზოგიერთი მძიმე ლითონების შემცველობა სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში – მელისა სამკურნალოს ფოთლებში (<i>Melissa officinalis</i>) მისი ფენოლოგიური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საქ. მეცნ. ეროვნული აკადემია, მოამბე	გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი, საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემია	3

ანოტაცია					
<p>დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიული მეთოდით განისაზღვრა მძიმე ლითონების - სპილენძის, ტყვიის, კადმიუმისა და თუთიის შემცველობა სამკურნალო ნედლეულში – მელისა სამკურნალოს ფოთლებში. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მელისა სამკურნალოს ფოთლებში განსასაზღვრავი მიკროელემენტები ხასიათდებიან კონცენტრაციის კანონზომიერი შემცირებით გაზაფხულიდან შემოდგომამდე. კონცენტრაციის მინიმალური შემცირება ემთხვევა ვეგეტაციის ორ ბოლო ეტაპს და შეესაბამება განვითარების ფენოლოგიურ ეტაპებს – „ზრდასრული ფოთლები“ და „ძველი ფოთლები“, ანუ როცა ხდება სამკურნალო მცენარის შეგროვება.</p>					

--

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	ი.გურგენიძე შ.ჯაფარიძე თ.ჭელიძე	ტრიმეზინის მჟავას ადსორბცია ვერცხლის-წყალზე წყალ-ხსნარებიდან. საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	გადაცემულია დასაბეჭდად	თბილისი, საქ.მეცნ. ეროვნ. აკადემია	4

ანოტაცია

ტრიმეზინის (ბენზოლ 1,3,5-კარბონ) მჟავას ადსორბცია შესწავლილია წყალხსნარებიდან სტაციონარული ვერცხლისწყლის ელექტროდის დიფერენციალური ტევადობის გაზომვით. ექსპერიმენტული მონაცემების მეშვეობით აგებული საბაზისო C,E-მრუდების (ელექტროდის პოტენციალისგან დიფერენციალური ტევადობის დამოკიდებულება) და ფრუმკინ-დამასკინის თეორიის გამოყენებით გათვლილი ადსორბციული პარამეტრების საშუალებით დადგინდა, რომ ეს ნივთიერება ადსორბირდება ვერცხლისწყალზე ელექტროდის პოტენციალთა ფართო ზღვრებში. ტრიმეზინის მჟავას ადსორბცია აღიწერება ფრუმკინის იზოთერმით, რომელიც ადსორბირებული ნაწილაკების მიზიდულობის ურთიერთქმედებას შეესაბამება. ნაჩვენებია, რომ ელექტროდის ანოდური პოტენციალების დროს ადსორბცია გაპირობებულია ადსორბატის მოლეკულების არომატული ბირთვის π-ელექტრონული ურთიერთქმედებით ელექტროდის ზედაპირთან

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	V. Mosidze, V. Bakhtadze, D. Dzanashvili, R. Janjgava, N.Kharabadze, N. Chochishvili.	Activity of 4Co-Mn/CaO and 4Co-Mn/MgO Catalysts in the Reaction of Methane Carbon Acid Conversion. Georgian Chemical Journal.	v.13, №1 2013	თბილისი, საქ.მეცნ. ეროვნ. აკადემია	3

ანოტაცია

Показана перспективность применения таблетированных 4Co-Mn /CaO и 4Co-Mn / MgO образцов катализаторов в процессе углекислотной конверсии метана.

	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის აღგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13.	ბ.ფურცელაძე, თ.ჭყონია, ე. შოშიაშვილი, მ.ავალიანი, ი.ჩხაიძე, მ.სავანიძე, ლ.სვანიძე, თ.ღუგუაძე.	სტატია: “მანგანუმის დიოქსიდის მიღება მანგანუმის კარბონატიდან”	გამოქვეყნდება 2013 წლის მე-4 კვარტალში	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “მაცნე”	
ანოტაცია					
<p>შემოთავაზებულია მანგანუმის დიოქსიდის მიღების ხერხი ჭიათურის მანგანუმის კარბონატული მადნიდან. მადნის გამოტუტვის პროცესი ხორციელდება აზოტმჟავის მეშვეობით, ამიაკით გასუფთავების შემდეგ, რომელიც წარმოებს pH- 4 ÷ 5 - ის პირობებში. ტექნოლოგიური სქემა მანგანუმის კონცენტრატების მიღების საშუალებას იძლევა, რომლის გადამუშავებით შესაძლებელია მანგანუმის დიოქსიდის მიღება.</p>					

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის აღგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
14.	რ.ჩაგელიშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, ც.გაბნიძე, ჯ.ბაღდავაძე, ა.კანდელაკი, მ.ავალიანი, ლ.წყალობაძე	ზოფხითოს ოქრო შემცველი ანტიმონიეს მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროსამოღება თიოკარბამიდულიმეთოდით	№1-2, ტ.39, 2013 გვ.112-117	აკადემიის “მაცნე” თბილისი	5 გვერდი
<p>ანოტაცია: დადგენილია ზოფხითოს ოქროშემცველი ანტიმონიეს მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოსადებად თიოკარბამიდული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა.</p> <p>ექსპერიმენტულად შესწავლილია თიოკარბამიდული გამოტუტვის პროცესზე ძირითადი ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა და დადგენილია გამოტუტვის ოპტიმალური პირობები: ხსნარის შემადგენლობა– Thi -0,5%; ე2(შ04)3 -0,8%; 2შ 4-0,8%. გამოტუტვის რეჟიმი : ხანგრძლივობა-4სთ; მყ:თხ=1:3; სარეველას ბრუნვის სიჩქარე-200 ბრ/წთ; ტ -18-25⁰ჩ. ამპირობებში ოქროს ამოღების ხარისხი შეადგენს 82-87%-ს.</p> <p>შემოთავაზებულია ზოფხითოს ოქროშემცველი ანტიმონიეს მადნის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების უწყვეტი ტექნოლოგიური სქემა.</p>					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
0.8	0.2128	0.0323	0.0069	3.762
1.0	0.1929	0.0289	0.0056	3.709
2.0	0.1411	0.0203	0.0029	3.549
4.0	0.1024	0.0144	0.0015	3.391
6.0	0.0846	0.0118	0.0010	3.300
8.0	0.0738	0.0102	0.0008	3.236
10.0	0.0664	0.0092	0.0006	3.186

ჩვენ მივიღეთ აგრეთვე შედარებით მარტივი სახის ემპირიული განტოლებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია სხვადასხვა დისოციაციის პარამეტრების მნიშვნელობების სწრაფი მიახლოებითი განსაზღვრა.

თიოდიმარმუავა

$$\alpha_1 = 0.10665c^{-0.228} \quad (14)$$

($c = 0.0001-0.001 M$)

$$\alpha_2 = 1.122 \times 10^{-4} c^{-0.817} \quad (15)$$

($c = 0.0001-0.001 M$)

$$\alpha'_2 = 1.052 \times 10^{-3} c^{-0.589} \quad (16)$$

($c = 0.0001-0.006 M$)

$$pH = 1.171 - 0.699 \lg c \quad (17)$$

($c = 0.0001-0.01 M$)

თიოდიპროპიონის მუავა

$$\alpha_1 = 0.02060c^{-0.366} \quad (18)$$

($c = 0.0001-0.001 M$)

$$\alpha_2 = 1.5776 \times 10^{-5} c^{-0.912} \quad (19)$$

($c = 0.0001-0.002 M$)

$$\alpha'_2 = 7.656 \times 10^{-4} c^{-0.546} \quad (20)$$

($c = 0.0001-0.004 \text{ M}$)

$$pH = 1.823 - 0.588 \lg c \quad (21)$$

($c = 0.0001-0.01 \text{ M}$)

თიოჯიზეთის მჟავა

$$\alpha_1 = 0.012589c^{-0.397} \quad (22)$$

($c = 0.0001-0.002 \text{ M}$)

$$\alpha_2 = 9.528 \times 10^{-6} c^{-0.924} \quad (23)$$

($c = 0.0001-0.004 \text{ M}$)

$$\alpha_2' = 7.5683 \times 10^{-4} c^{-0.527} \quad (24)$$

($c = 0.0001-0.01 \text{ M}$)

$$pH = 2.009 - 0.565 \lg c \quad (25)$$

($c = 0.0001-0.01 \text{ M}$)

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

საქართველოში

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia R. Kurtanidze	The Electrolytic Dissociation of Isomeric 4- Cyclohexene-1,2- dicarboxylic Acids. Bull. Georg. Nat. Acad. Sci.	2013, v.7, № 1, pp. 59-63	Tbilisi, Georgian National Academy Press	5
ანოტაცია					
The parameters of electrolytic dissociation of the cis and trans isomers of 4-cyclohexene-1,2-dicarboxylic acid in their dilute (0.0001-0.01M) solutions were determined with the aid of original accurate and empirical equations suggested by authors					

უცხოეთში

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia	The Electrolytic Dissociation of 1,3- Cyclobutanedicarboxylic Acids. ECS Transactions	2013, v. 50, № 54, pp. 1-5	USA, Electrochemical Society	5
ანოტაცია					
The dissociation parameters for the dilute (0.0001-0.01M) solutions of cis and trans-1,3-cyclobutanedicarboxylic acids were determined with the aid of the original method for analysis the regularities of electrolytic dissociation of weak multibasic organic acids with the close values of the dissociation constants of separate steps (the effect of “overlapping” equilibria). The equations for determination the regions of predominance of various charged and uncharged forms of these acids were also described.					

2	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia R. Kurtanidze	The Regularities of Electrolytic Dissociation of Weak Dibasic and Tribasic Organic Wine Acids. Journal of Applied Solution Chemistry and Modeling	2013, v. 2, № 3, pp. 158-164	Canada, Lifescience Global	7
---	--	--	------------------------------	----------------------------------	---

სნოგდაცვის

The weak dibasic and tribasic organic acids in wine: tartaric, malic, citric and succinic acids are the important components having direct influence on various properties of wine. The regularities of electrolytic dissociation of these acids determine all their useful properties. With the aid of suggested by authors original method for analysis the complex equilibria of the processes of dissociation of weak multibasic organic acids the main dissociation parameters of tartaric, malic, citric and succinic acids in their dilute solutions: the values of usual and “partial” degrees of dissociation of all steps, the concentrations of all anions, hydrogen ions and undissociated acid molecules are determined. The concentration intervals of predominance of various charged and uncharged substances in dilute solutions of all above mentioned acids are also determined. The simple empirical equations for fast approximate calculation of the dissociation degrees and pH values are also suggested.

3	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia R. Kurtanidze	The Electrolytic Dissociation of 1,2-Cyclopentanedicarboxylic Acids. ECS Transactions	2013, v. 54, № 25, pp. 11-15	USA, Electrochemical Society	5
---	--	--	------------------------------	------------------------------------	---

სნოგდაცვის

The dissociation parameters for the dilute (0.0001-0.01M) solutions of cis and trans-1,2-cyclopentanedicarboxylic acids were calculated with the aid of the original accurate and empirical equations suggested by authors for cases of electrolytic dissociation of weak multibasic organic acids with the effect of “overlapping” equilibria. The equations for determination the regions of predominance of various charged and uncharged forms of these acids were also suggested.

4	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia	The Electrolytic Dissociation of Thio Derivatives of Dicarboxylic Acids. In: “Advances in Chemistry Research. Volume 17”	2013, chapter 5, pp. 111-124	USA, Nova Science Publishers	14
---	-------------------------------------	---	------------------------------	------------------------------------	----

სნოგდაცვის

An analysis of the regularities of electrolytic dissociation of thiodiacetic, thiodipropionic and thiodibutyric acids, dithiodiacetic acid and its methylene derivatives was carried out with the aid of a method previously described by the authors. The values of the degrees of dissociation (usual and “partial”) for the both steps and the concentration of various ionized and non-ionized forms of these acids were determined. The simple empirical equations for the fast approximate calculation of the degrees of dissociation and pH values of the dilute solutions of these acids are also suggested.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia	The Regularities of Electrolytic Dissociation of Squaric Acid.	25-27.03.2013. 18 th Meeting of the Portuguese Electrochemical Society. Porto, Portugal.
ანოტაცია			
The parameters of electrolytic dissociation of the squaric acid in their dilute (0.0001-0.01M) solutions were determined with the aid of original accurate and empirical equations suggested by authors.			
2	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia	The Regularities of Electrolytic Dissociation of Croconic Acid.	26-30.05.2013. Fourth Regional Symposium on Electrochemistry – South East Europe. Ljubljana, Slovenia.
ანოტაცია			
The parameters of electrolytic dissociation of the Croconic acid in their dilute (0.0001-0.01M) solutions were determined with the aid of original accurate and empirical equations suggested by authors.			
3	E. Kvaratskhelia R.Kvaratskhelia R. Kurtanidze	The Electrolytic Dissociation of 1,3- Cyclopentanedicarboxylic Acids.	27.10-01.11.2013. 224 th Meeting of the Electrochemical Society. San-Francisco, USA.
ანოტაცია			
The dissociation parameters for the dilute (0.0001-0.01M) solutions of cis and trans-1,3-cyclopentanedicarboxylic acids were determined with the aid of the original method for analysis the regularities of electrolytic dissociation of weak multibasic organic acids with the close values of the dissociation constants of separate steps (the effect of “overlapping” equilibria). The equations for determination the regions of predominance of various charged and uncharged forms of these acids were also described.			

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა
და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის
ლაბორატორია

მინდელის ქ. №11, 0186, თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: m.tsintsadze@gtu.ge

“გამტკიცებ”

ინსტიტუტის დირექტორი

_____ გ. ტატიშვილი

“ _____ “ _____ “ 2013წ.

ა ნ გ ა რ ი შ ი

**თემაზე: კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II)
შერეულიბანდიანი კოორდინაციული ნაერთების
სინთეზი და კვლევა.**

**თემის ხელმძღვანელი: პროფ. მაია ცინცაძე
კვლევაში ჩართული პერსონალი: მაზურა კერესელიძე,
ლალი სხირტლაძე, დიმიტრი ლოჩოშვილი, მანანა
აბაშიძე, სოფიო ჭიჭინაძე**

მეცნიერების დარგი: ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია

**სამეცნიერო მიმართულება: ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და
სამედიცინო კვლევებისათვის ახალი მეთოდების შემუშავება.**

თემის ხელმძღვანელი,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, რუსეთის საბუნებისმეტ-
ყველო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მ.ცინცაძე

თბილისი
2013

რეფერატი

გვერდი 55, ცხრილი 13, ნახაზი 14

კოორდინაციული ნაერთები, ლიგანდები, ამინოპირიდინები, რენტგენოგრაფია, სპექტროსკოპია

სინტეზირებულია პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონთან, ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან და ორთო-ამინო-5-მეთილპირიდინთან კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) ქლორიდების კოორდინაციული ნაერთები. ელემენტური ანალიზით დადგენილია მათი შედგენილობა, რენტგენოგრაფული მეთოდით დადგენილია მათი ინდივიდუალურობა, ხოლო შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების საფუძველზე მოწოდებულია მათი აღნაგობა.

შემსრულებლები

1. მაზურა კერესელიძე – ქ.მ.კ., უფრ. მეცნ თანამშრომელი.....თავი 3
2. ლალი სხირტლაძე – ქ.მ.კ., უფრ. მეცნ თანამშრომელი.....თავი 3
3. დიმიტრი ლოხოშვილი – ქ.მ.კ., უფრ. მეცნ თანამშრომელი.....თავი 1
4. მანანა აბაშიძე – ინჟინერითავი 3
5. სოფიო ჭიჭინაძე – ინჟინერითავი 3

შინაარსი

შესავალი 73

თავი 1. ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულების ლითონებთან კომპლექს-
წარმოქმნის უნარზე გამსხნელის გავლენის და პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის
იზონიკოტინოილჰიდრაზონის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექს-
წარმოქმნის უნარის შესწავლა ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მე-
თოდით 74

1.1. ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულების ლითონებთან კომპლექს-
წარმოქმნის უნარზე გამსხნელის გავლენის კვანტურ-ქიმიური გამოკვლევა..... 74

1.2. პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის ელექ-
ტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვანტურ-ქიმიური
კვლევა AM1 მეთოდით 75

თავი 2. გამოსავალი (საწყისი) ნივთიერებები და კვლევის მეთოდები..... 77

2.1. გამოსავალი (საწყისი) ნივთიერებების გასუფთავება, მომზადება სინთეზის-
თვის და ლიგანდების მიღება 77

2.2. ქიმიური (ელემენტური) ანალიზი..... 77

2.3. შთანთქმის იწ სპექტრები..... 77

2.4. რენტგენოგრაფიული კვლევა..... 77

2.5. კვანტურ-ქიმიური გამოთვლები..... 77

თავი 3. ექსპერიმენტული ნაწილი..... 78

3.1. კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) შერეულილიგანდიანი კოორდი-
ნაციული ნაერთების მიღების საერთო მეთოდიკა..... 78

3.2. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკო-
ტინოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან(oAm4mpy)..... 78

3.3. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკო-
ტინოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-5-მეთილპირიდინთან(oAm-5mpy)..... 82

3.4. კობალტის(II), ნიკელის(II), მანგანუმის(II) შერეულილიგანდიანი კოორდინა-
ციული ნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები და აღნაგობა 85

3.4.1. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკო-
ტინოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან(oAm4mpy)..... 86

3.4.2. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკო-
ტინოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-5-მეთილპირიდინთან(oAm-5Mpy)..... 91

დასკვნა..... 95

გამოყენებული ლიტერატურა..... 96

დანართი 99

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიშს.

შრომაში მოცემულია კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) შერეულ-ლიგანდებიანი კოორდინაციული ნაერთების სინთეზისა და მათი ფიზიკურქიმიური თვისებების კვლევის შედეგებს.


თაზი 1

ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულების ლითონებთან კომპლექსწარმოების უნარზე გამხსნელის გავლენის და პარაფორმითილამინო-პენსალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოების უნარის შესწავლა ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით

გამოთვლები მიზნად ისახავდა მოლეკულების ელექტრონული შესაძლებლობების გამოვლენას, ლიგანდების გეომეტრიული და ელექტრონული აღნაგობისა და კომპლექსწარმოების უნარის დადგენას [1-21]

1.1. ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულების ლითონებთან კომპლექსწარმოების უნარზე გამხსნელის გავლენის კვანტურ-ქიმიური გამოკვლევა.

კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით გამოთვლილია ორთო-ამინოპირიდინის 3-, 4-, 5-, 6 – მეთილწარმოებულების ენერგეტიკული, გეომეტრიული და სტრუქტურული მახასიათებლები. დადგენილია მათი ელექტრონული სტრუქტურა და ლიგანდთან კოორდინირების წესი.



ნახ.1. ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულების მოლეკულების სტრუქტურები

ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური მეთოდით (AM1) გამოთვლილია წარმოქმნის სითბო, დიპოლური მომენტი და ელექტრონების განაწილება ატომურ ორბიტალებზე [2]. გამოთვლის შედეგები მოცემულია ცხრილში A (იხ.დანართი) როგორც ამ ცხრილიდან ჩანს წარმოქმნის სითბოს სიდიდეები (ΔH) უფრო ნაკლებია გამხსნელებში, ვიდრე გაზურ მდგომარეობაში.

ყველაზე მდგრადი ნებისმიერ გამხსნელში არის ოა4მპ, რადგან მას მცირე წარმოქმნის სითბოს მნიშვნელობა აქვს. იგივე პირობებში დიპოლური მომენტის სიდიდეებისთვის გვაქვს შებრუნებული რიგი $4 > 3 > 5 > 6$ ე.ი. რაც უფრო მდგრადია ნაერთი, მით უფრო მეტია მისი დიპოლური მომენტი ნებისმიერ გამხსნელში. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება: მდგრადი მოლეკულების ინდუქციურული დიპოლის მნიშვნელობა უფრო დიდია. მაშასადამე, კოორდინაციული ნაერთის სინთეზისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ჰექსანი ან ქლოროფორმი.


ოამპ-ების მოლეკულებში C – C და C – N ბმების სიგრძეები და ბმის რიგები, აგრეთვე სავალენტო კუთხეები ექვსწევრიან ჰეტეროციკლებში შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან (იხ. დანართი, ცხრ. B, C, D) [3].

ელექტრონების სიმკვრივის (ფორმალური დასახლების) და ეფექტური მუხტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ელექტრონული სიმკვრივის მაღალი მნიშვნელობებით ხასიათდებიან N(1) და N(7) აზოტის ატომები. ეს სურათი ერთნაირია ნებისმიერ გამხსნელში ამა თუ იმ მოლეკულისათვის (ცხრ. A). N(1) აზოტის ატომებისთვის ელექტრონული სიმკვრივე არის 5,35-დან 5,39-ის ჩათვლით ფარგლებში, ეფექტური მუხტი წყალში – 0,351- -0,390-ის ფარგლებში. დიმეთილსულფოქსიდი – 0,347 - -0,389, მეთანოლი -0,347- -0,389, ეთანოლი -0,346- -0,390, აცეტონი -0,345 - -390, ქლოროფორმი -0,338 - -0,394, ჰექსანი – 0,327 - -0,395 – ის ჩათვლით ფარგლებში. ამ ატომებს უნდა გამოემყლავნებინა მკვეთრად გამოხატული ელექტროდონორული თვისებები. როგორც ცხრ. A-დან ჩანს, ელექტრონული წყვილი მოთავსებულია $2p_z$ ორბიტალზე, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს π -ბმის, და არა σ - ბმის წარმოქმნაში მეტალთან – კომპლექსწარმოქმნელებთან. მაშასადამე აზოტის N(7) ატომისთვის π ტიპის გაუყოფელი ელექტრონული წყვილის არსებობა გამორიცხავს მეტალ - აზოტის N(7) σ - ბმის წარმოქმნას.

ჰეტეროციკლის აზოტის N(1) ატომს აქვს σ - ტიპის გაუყოფელი ელექტრონები. უფრო სწორად მას აქვს sp^2 ტიპის ჰიბრიდული ატომური ორბიტალის s – შემადგენლით, 1,713-1,715 (ქლოროფორმი), 1,714-1,716 (ჰექსანი), 1,710–1,713 (დანარჩენი გამხსნელები) დასახლებით (ცხრ. A) ეს გარემოება განაპირობებს ჰეტეროციკლის აზოტის N(1) ფუძურ თვისებას, ე.ი. მის თვისებას წარმოქმნას მეტალთან დონორულ-აქცეპტორული ბმა.

1.2. პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექსწარმოქმნის უნარის კვანტურ-ქიმიური კვლევა AM1 მეთოდით

გამოთვლები შესრულებულია ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური AM1 მეთოდით [22]. გამოთვლილია ბმის სიგრძე, ვალენტური კუთხეები, ეფექტური მუხტები ატომებზე და ელექტრონების დასახლება ატომურ ორბიტალებზე, ელექტრონული სიმკვრივეები (იხ. დანართი, ცხრ. E).



ნახ.2. პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონი (L)

ბმის სიგრძეების გამოთვლილი მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ატომთშორის მანძილთა მნიშვნელობები C - C და C - N 1,394-1,462 და 1,304-1,411 – ის ფარგლებშია, რაც თანხვედრაშია ამ ბმების სიგრძეების სტანდარტულ მნიშვნელობებთან (იხ. დანართი, ცხრ. F). ვალენტური კუთხეები (იხ. დანართი,

ცხრ.G) C – C – C ბენზოლის ბირთვში დაახლოებით 118 -122° ფარგლებშია, რაც ნახშირბადის ატომების sp^2 -ჰიბრიდულ მდგომარეობაზე მიუთითებს.


კუთხეების C1—C2—N7, C1—N7—C8, C1—N7—C9, C4—C10—N11 და C10—N11—N12, N11—N12—C13, N12—C13—O14, C16—C17—C18, C17—N18—C19 მნიშვნელობები კი 118 -124°-ის ფარგლებშია და ასევე ნახშირბადის C(10), C(13) ატომები, აზოტის N(11), N(12) ატომები იმავე ჰიბრიდულ მდგომარეობას შეესაბამება [23, 24].

L-ის წარმოქმნის სითბო გამოთვლების მიხედვით გაზში შეადგენს 333,7 კჯ-ს. გაზთან შედარებით თანდათან მცირდება წარმოქმნის სითბო სხვადასხვა გამხსნელებში და მერყეობს 224,0-დან 299,0-მდე. შესაბამისად დიპოლური მომენტი იცვლება – გაზში შეადგენს 4,26, წყალში 8,10-ს, შემდეგ მცირდება და ჰექსანში შეადგენს 5,16-ს. წარმოქმნის სითბოს ყველაზე მცირე მნიშვნელობა წყალშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მოლეკულა ყველაზე მდგრადია ამ გამხსნელში. ელექტრონული სიმკვრივე მერყეობს 5,113-დან 6,492-ის ჩათვლით ფარგლებში.


ელექტრონული სიმკვრივისა და ეფექტური მუხტების სიდიდეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ელექტრონული სიმკვრივის დიდი მნიშვნელობა ახასიათებს O(14) ატომს – 6,492, ე.წ. n-ელექტრონები ჟანგბადის არაჰიბრიდულ sp -ორბიტალზეა, ხოლო ელექტრონთა თავისუფალი წყვილი sp -ჰიბრიდულ ორბიტალზეა და მკვეთრად გამოხატული s- ბუნების გამო ძლიერ არის შეკავებული ამ ორბიტალით (დასახლება 1,914), ვიდრე თავისუფალი წყვილი ელექტრონებისა, რომლებიც მოთავსებულია ჰიბრიდულ p-ორბიტალზე (დასახლება 1,234). ამრიგად, O(14) მონაწილეობს მეტალებთან კოორდინაციული ბმის წარმოქმნაში. N(12) აზოტის ატომზე უარყოფითი ეფექტური მუხტია $q=-0.289$, ხოლო ელექტრონული სიმკვრივე 5,289-ის ტოლია. ამ მონაცემების მიხედვით N(12)-ს თითქოს უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული დონორული თვისებები, მაგრამ როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, ელექტრონული წყვილი განლაგებულია $2p_z$ -ორბიტალზე, რომელსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება π -ბმების და არა σ -ბმების წარმოქმნაში მეტალების კომპლექსწარმოქმნელობით.

N(11) აზოტის ატომის ჰიბრიდიზაციის ტიპია sp^2 ხოლო გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი σ - ტიპისაა, დასახლება σ -მდგენელით, 1,727 (იხ. დანართი, ცხრ.E). აღნიშნული განაპირობებს M—N(11) კოორდინაციული σ -ბმის წარმოქმნას.

ამრიგად, მეტალებთან კოორდინაციული ბმის წარმოქმნაში მონაწილეობას იღებს კარბონილის ჯგუფის ჟანგბადის O(14) ატომი და ჰიდრაზიდის ჯგუფის აზოტის N(11) ატომი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ხუთწევრიანი ლითონოციკლი:



წყალბადის H(32) ატომი მაღალი ელექტრონული დეფიციტით ხასიათდება ($q=+0,211$), ეს კი მიუთითებს N(12) — H(32) ბმის იონურობაზე და H(32) წყალბადის ატომის მჟავიანობის გაზრდაზე. აღნიშნული განაპირობებს H(32) ატომის ჩანაცვლებას მეტალის ატომით და ხუთწევრიანი ლითონოციკლის წარმოქმნას:



თაზო 2
ბაგოსავალი (საწყისი) ნივთიერებები და კვლევის მეთოდები

2.1. გამოსავალი (საწყისი) ნივთიერებების გასუფთავება, მომზადება სინთეზისთვის და ლიგანდების მიღება

გამოსავალ ნივთიერებებად გამოყენებულ იქნა კობალტ(II) -ის, ნიკელ(II)-ის, მანგანუმის(II) ქლორიდები, რომლებიც შეესაბამებოდა მარკას “ყ.ა.ა” აგრეთვე პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონი, პარადიმეთილამინობენზალდეჰიდი და ორთო-ამინო-4 მეთილპირიდინი. ნივთიერებებს გასუფთავებით გადაკრისტალებით. გამხსნელებად გამოყენებული გვქონდა ეთანოლი, მეთანოლი, დიმეთილფორამიდი, დიმეთილსულფოქსიდი, აცეტონი, ბენზოლი, რომლებსაც წინასწარ გასუფთავებით მეთოდით, რომელიც აღწერილია [27, 28].

2.2. ქიმიური (ელემენტური) ანალიზი

მიღებული ნაერთების ელემენტური შედგენილობის დასადგენად ლითონების შემცველობის განსაზღვრა ხდებოდა ტრილონომეტრული მეთოდით [29-30].

აზოტის, ნახშირბადის და წყალბადის შემცველობას ვსაზღვრავდით “C ,H, N” ანალიზატორით (ჩეხური წარმოების) [31]. ლობის ტემპერატურა ისაზღვრებოდა დახურულ კაპილარებში.

2.3. შთანთქმის იწ სპექტრები

სინთეზირებული ნაერთების შთანთქმის იწ სპექტრები ჩაწერილია FTIR ფურიე გარდაქმნის იწ სპექტრომეტრით „THERMO NICOLET”, AVATAR 370 (დიაპაზონი 400 – 4000 სმ⁻¹, გაზომვის სიზუსტე 0,5 სმ⁻¹). ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ნიმუშის ვაზელინის ზეთში გასრესვის მეთოდიკა. ვაზელინის ზეთის შთანთქმა შეძლებისდაგვარად კომპენსირდებოდა. სპექტრების ჩაწერა ხდებოდა 400 – 4000 სმ⁻¹ უბანში.

2.4. რენტგენოგრაფიული კვლევა

რენტგენოგრამები მიღებულია დიფრაქტომეტრზე DPOH-3. დამუშავებულია [32] მიხედვით.

2.5. კვანტურ-ქიმიური გამოთვლები

კვანტურ-ქიმიური გამოთვლები L და ამინოპირიდინის მეთილნაწარმების მოლეკულებისთვის მოლეკულებისათვის ჩატარებულია ნახევრადემპირიული AM1 მეთოდით, რომელიც დაფუძნებულია ორატომიანი დიფერენციალური გადაფარვის უარყოფაზე და მოლეკულის გეომეტრიის ოპტიმიზაციის გამოთვლის საშუალებას იძლევა.

თაზი 3 ექსპერიმენტული ნაწილი

3.1. კობალტის(II), ნიკელის(II) და მანგანუმის(II) შერეულიგანდიანი კოორდინაციული ნაერთების მიღების საერთო მეთოდობა

კობალტ(II)-ის, ნიკელ(II)-ის, და მანგანუმის(II) კოორდინაციული ნაერთები სინთეზირებული იქნა ორი მეთოდით. პირველი მეთოდით კომპლექსნაერთების სინთეზისას ვიღებდით მარილს, ჰიდრაზონს და ამინოპირიდინს თანაფარდობით M:L :oAm4mpy=1:1:2. მარილის ცხელ ეთანოლხსნარს ვამატებდით ლიგანდების ეთანოლხსნარებს მორევით. ნალექის წარმოქმნა შეიმჩნეოდა შერევისთანავე. მიღებულ ნალექს ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ჯერ ექსიკატორში, შემდეგ კი თერმოსტატში 70–80° ტემპრატურაზე. გამოსავალ ნივთიერებებს, ამინოპირიდინებს, ჰიდრაზონებს და მარილებს ვასუფთავებდით წინასწარ გადაკრისტალებით ეთანოლიდან.

მეორე მეთოდით ვიღებდით მარილს, პირიდინკარბონმჟავას ჰიდრაზიდს, პარადიმეთილამინობენზალდეჰიდს და ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინს თანაფარდობებით 1:1:1:2. ამ ნაერთების ცხელი ეთანოლხსნარების შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. მიღებულ ნალექს ვფილტრავდით და ვაშრობდით ვაკუუმ – ექსიკატორში [33].

3.2. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტი-ნოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან(oAm4mpy)

CoCl₂(oAm4mpy)₂L(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). შემდგომ ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა მიღებულ ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70–80°C ტემპერატურაზე. მიღებულია მოწითალო –ყავისფერი შეფერილობის ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; გაცხელებით – წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

NiCl₂(oAm4mpy)₂ L(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). ამინოპირიდინს და ჰიდრაზონს ვხსნიდით ეთანოლში (10 მლ) და მიღებულ ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა ნარევეს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). ხსნარების შერევისთანავე გამოიყოფოდა ნალექი. სარეაქციო ნარევეს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია ყვითელი ფერის ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; გაცხელებით – წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

MnCl₂(oAm4mpy)₂ L(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ეთანოლხსნარებს ვურევდით ერთმანეთს. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა ნარევეს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). ხსნარების შერევისთანავე გამოიყოფოდა ნალექი. სარეაქციო ნარევეს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია ყვითელი ფერის ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; გაცხელებით – წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

Co(NO₃)₂L(oAm4mpy)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 15 მლ ეთანოლში. პარალელურად ~5 მლ ეთანოლში ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 0,002 მოლ ამინოპირიდინს. მიღებულ ხსნარებს ვურევდით და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. მარილის 0,001 მოლს ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში გაცხელებით და ხსნარს წვეთ-წვეთობით ვამატებდით ლიგანდთა ხსნარების ნარევეს. შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე და თან გამუდმებით ვურევდით. სარეაქციო ნარევეს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით, ვფილტრავდით, ვრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ჯერ ვაკუუმ-ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია მომწვანო-მოყვითალო ფერის წვრილკრისტალური ფხვნილი. გაცხელებით იხსნება წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში და დიმეთილსულფოქსიდში.

Ni(NO₃)₂L(oAm4mpy)₂(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 15 მლ ეთანოლში. პარალელურად ~5 მლ ეთანოლში ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 0,002 მოლ ამინოპირიდინს. მიღებულ ხსნარებს ვურევდით და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. მარილის 0,001 მოლს ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში გაცხელებით და ხსნარს წვეთ-წვეთობით ვამატებდით ლიგანდთა ხსნარების ნარევს. შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე და თან გამუდმებით ვურევდით. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით, ვფილტრავდით, ვრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ჯერ ვაკუუმ-ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია მუქი ყვითელი ფერის წვრილკრისტალური ფხვნილი. გაცხელებით იხსნება წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში და დიმეთილსულფოქსიდში.

NiSO₄L(oAm4mpy)₂(H₂O)

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). შემდგომ ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა მიღებულ ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია მომწვანო-ყვითელი შეფერილობის ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

MnSO₄L(oAm4mpy)₂(H₂O)

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 15 მლ ეთანოლში. პარალელურად ~5 მლ ეთანოლში ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 0,002 მოლ ამინოპირიდინს. მიღებულ ხსნარებს ვურევდით და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. მარილის 0,001 მოლს ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში გაცხელებით და მიღებულ ხსნარს წვეთ-წვეთობით ვამატებდით ლიგანდთა ხსნარების ნარევს. შერევისთანავე შეიმჩნეოდა მუქი ფერის ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს კვლავ ვაცხელებდით წყლის აბაზანაზე, თან გამუდმებით ვურევდით. შემდეგ ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით, ვფილტრავდით, ვრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ჯერ ვაკუუმ-ექსიკატორში, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80°C ტემპერატურაზე. მიღებულია ღია ჩალისფერი წვრილკრისტალური ფხვნილი. გაცხელებით იხსნება წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში, ბენზოლში.

ელემენტური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. L-თან და oAm4mpy-თან სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთების ელემენტური ანალიზის შედეგები

#	ნაერთი	ნაპოვნია, %					გამოთვლილი, %					ფერი	ტლ. °C
		M	C	N	H	Cl	M	C	N	H	Cl		
1	CoCl ₂ L(oAm4mpy) ₂ (H ₂ O) ₂	9,06	49,83	17,22	4,98	10,90	9,01	49,75	17,18	5,01	10,86	მოწით. ყავისფერი	199
2	NiCl ₂ L(oAm4mpy) ₂ (H ₂ O) ₂	9,02	49,85	17,23	4,97	10,90	8,99	49,79	17,19	4,95	10,85	ყვითელი	195
3	MnCl ₂ L(oAm4mpy) ₂ (H ₂ O) ₂	8,50	50,14	17,33	5,00	10,96	8,46	50,11	17,28	4,98	10,97	ყვითელი	188
4	Co(NO ₃) ₂ L(oAm4mpy) ₂	8,90	50,00	18,81	5,00	-	8,74	49,85	18,69	4,94	-	მომწვანო- მოყვითალო	201
5	Ni(NO ₃) ₂ L(oAm4mpy) ₂ (H ₂ O) ₂	8,57	47,61	17,86	6,48	-	8,26	47,34	17,75	6,40	-	მუქი ყვითელი	195
6	NiSO ₄ L(oAm4mpy) ₂ (H ₂ O)	8,91	50,78	14,82	6,61	-	8,83	50,61	14,76	6,54	-	მომწვანო- ყვითელი	198
7	MnSO ₄ L(oAm-4mpy) ₂ (H ₂ O)	8,51	50,98	14,91	5,16	-	8,32	50,89	14,84	5,05	-	ღია ჩალისფერი	192

3.3. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონთან(L) და ორთო-5-მეთილპირიდინთან(oAm-5mpy)

CoCl₂(oAm5mpy)₂L(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს შემდგომ ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა მიღებულ ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80° ტემპერატურაზე. მიღებულია მოწითალო შეფერილობის ფხვნილი, რომელიც გაცხელებით იხსნება წყალში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

NiCl₂(oAm5mpy)₂L(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). ამინოპირიდინს და ჰიდრაზონს ვხსნიდით ეთანოლში (10 მლ) და მიღებულ ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს. ხსნარების შერევისთანავე გამოიყოფოდა ნალექი. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80° ტემპერატურაზე. მიღებულია მოყვითალო-მომწვანო ფერის ფხვნილი, რომელიც გაცხელებით იხსნება წყალში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

Co(NO₃)₂L(oAm5mpy)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 15 მლ ეთანოლში. პარალელურად ~5 მლ ეთანოლში ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით 0,002 მოლ ამინოპირიდინს. მიღებულ ხსნარებს ვურევდით და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. მარილის 0,001 მოლს ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში გაცხელებით და ხსნარს წვეთ-წვეთობით ვამატებდით ლიგანდთა ხსნარების ნარევს. შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე და თან გამუდმებით ვურევდით. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით, ვფილტრავდით, ვრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ჯერ ვაკუუმ-ექსიკატორში CaCl₂-ზე,

შემდეგ კი თერმოსტატში 70-80° ტემპერატურაზე. მიღებულია მოყვითალო მწვანე ფერის წვრილკრისტალური ფხვნილი. გაცხელებით იხსნება წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში და დიმეთილსულფოქსიდში.

Ni(NO₃)₂L(oAm5mpy)₂(H₂O)₂

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს შემდგომ ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა მიღებულ ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80° ტემპერატურაზე. მიღებულია მომწვანო-ყვითელი შეფერილობის ფხვნილი, რომელიც გაცხელებით იხსნება წყალში; კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში.

CoSO₄L(oAm5mpy)₂(H₂O)

პარა-დიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინოილჰიდრაზონის (L) 0,001 მოლს გაცხელებით და მუდმივი მორევით ვხსნიდით ~10 მლ ეთანოლში. ასევე გაცხელებით და მორევით ვხსნიდით ~5-5 მლ ეთანოლში მარილის 0,001 მოლს და ამინოპირიდინის 0,002 მოლს (კომპონენტთა თანაფარდობაა 1:1:2). შემდგომ ამინოპირიდინის და ჰიდრაზონის ცხელ ხსნარებს ვურევდით ერთმანეთს და ვაგრძელებდით გაცხელებას წყლის აბაზანაზე. ლიგანდთა მიღებულ ნარევს წვეთ-წვეთობით ვამატებდით მარილის ცხელ ხსნარს (ხსნარები ერთნაირი ტემპერატურის იყო). შერევისთანავე შეიმჩნეოდა ნალექის გამოყოფა. სარეაქციო ნარევს ვაყოვნებდით რამოდენიმე დღით. შემდეგ ვფილტრავდით, ჩავრეცხდით ცივი ეთანოლით და ვაშრობდით ექსიკატორში CaCl₂-ზე, შემდეგ კი თერმოსტატში 70-80° ტემპერატურაზე. მიღებულია ყავისფერი შეფერილობის ფხვნილი, რომელიც კარგად იხსნება დიმეთილფორმამიდში, დიმეთილსულფოქსიდში; გაცხელებით – წყალში; არ იხსნება ეთანოლში, მეთანოლში, ბენზოლში. ელემენტური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2. L-თან და oAm5mpy-თან სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთების ელემენტური ანალიზის შედეგები


#	ნაერთი	ნაპოვნია, %					გამოთვლილი, %					ფერი	ტლ.
		M	C	N	H	Cl	M	C	N	H	Cl		
1	$\text{CoCl}_2\text{L}(\text{oAm5mpy})_2(\text{H}_2\text{O})_2$	9,08	49,81	17,22	5,06	10,91	9,01	49,75	17,18	5,01	10,86	მოწითალო	201
2	$\text{NiCl}_2\text{L}(\text{oAm5mpy})_2(\text{H}_2\text{O})_2$	9,01	49,83	17,24	5,00	10,91	8,99	49,79	17,19	4,95	10,85	მომწვანო-ყვითელი	198
3	$\text{Co}(\text{NO}_3)_2\text{L}(\text{oAm5mpy})_2$	8,80	49,91	18,75	5,00	-	8,74	49,85	18,69	4,94	-	მოყვითალო-მწვანე	189
4	$\text{Ni}(\text{NO}_3)_2\text{L}(\text{oAm5mpy})_2(\text{H}_2\text{O})_2$	8,31	47,38	17,80	6,65	-	8,26	47,34	17,75	6,40	-	მუქი ყვითელი	204
5	$\text{CoSO}_4\text{L}(\text{oAm5mpy})_2(\text{H}_2\text{O})$	8,80	51,10	14,85	6,45	-	8,86	51,05	14,75	6,23	-	ყავისფერი	203

3.4. კობალტის(II), ნიკელის(II), მანგანუმის(II) შერეულიგანდიანი კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები და აღნაგობა

ჰიდრაზონების, მეთილპირიდინების, აციდოლიგანდების და წყლის მოლეკულების ლითონთან კოორდინირების წესის დადგენის მიზნით შევისწავლეთ სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები. სპექტრების ჩაწერა ხდებოდა 400-4000 სმ⁻¹ უბანში. ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ნიმუშის ვაზელინის ზეთში მოსრესვის მეთოდიკა. ვაზელინის ზეთის შთანთქმა შეძლებისდაგვარად კომპენსირდებოდა.

შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების გაშიფრვისას ნაპოვნი ძირითადი რხევის სიხშირეების მიკუთვნება კოორდინირებული ჰიდრაზონების შემთხვევაში შეიძლებოდა გაგვეკეთებინა ნორმალური რხევის სიხშირეების იმ თეორიული მონაცემების ანალიზის მიხედვით, რომლებიც მიღებულია კოორდინირებული აცეტილჰიდრაზიდის და ზოგიერთი სხვა ჰიდრაზიდისთვის. თუმცა, ჰიდრაზონების მოლეკულაში პირიდინის ბირთვის და -CO, -NH=N=CH-, -N(CH₃)₂ ჯგუფების არსებობა, რომლებიც ზოლებით მდიდარ სპექტრს იძლევიან, ასეთი მიკუთვნების განხორციელებას აძნელებს. თუ გავითვალისწინებთ იმ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია პირიდინისთვის, მონაცემებს კოორდინირებული და არაკოორდინირებული ჰიდრაზონებისთვის, ასევე სპექტრული მონაცემების შედარების შედეგებს (კოორდინირებული და არაკოორდინირებული ჰიდრაზონებისთვის), შესაძლებელია ვიმსჯელოთ რხევითი სიხშირეების მიახლოებითი, სავარაუდო მიკუთვნების შესახებ [34].

როგორც ცნობილია, ჰიდრაზონები, კოორდინაციული ქიმიის თვალსაზრისით საინტერესოა, როგორც ამბიდენტური ლიგანდური სისტემები, რომლებიც შეიძლება იყოს პროტოტროპული ტაუტომერების სახით



ეს განაპირობებს კომპლექსებში მათ კოორდინირებას ან ნეიტრალური კეტოფორმით (I), ან დეპროტონირებული ენოლური ფორმით (II). კეტოჰიდრაზონული ფორმა რეალიზდება, როგორც წესი, მოლეკულური ტიპის კომპლექსებში, რომლებშიც ლიგანდები, შთანთქმის იწ სპექტრების მონაცემების მიხედვით, კოორდინირებული არიან ცენტრალურ ატომთან აზომეთინური ჯგუფის აზოტით და კარბონილის ჯგუფის ჟანგბადით [35-36].

ლიტერატურაში მოლეკულური ტიპის კომპლექსები ნაკლებადაა განხილული. ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მთელ რიგ ექსპერიმენტალურ სიძნელებთან. კერძოდ კი, ჰიდრაზონები, როგორც წესი, ცუდად იხსნებიან ინერტულ და მცირედპოლარულ გამხსნელებში, რომელთა გარემოშიც ჩვეულებრივ ხდება მოლეკულური კომპლექსნაერთების სინთეზი.

როგორც ინფრაწითელი სპექტრების ზოგადი ანალიზი გვიჩვენებს, არაკოორდინირებული ჰიდრაზონებისთვის და კოორდინაციული ნაერთებისთვის

ძირითადი ცვლილებები კომპლექსწარმოქმნისას ხდება 1500-1700 cm^{-1} უბანში, სადაც მონახულია „ამიდ-I“ შესაბამისი რხევის სიხშირეები (უპირატესად $\nu(\text{CO})$ C-N ბმის შთანთქმის მცირე მონაწილეობით) და “ ამიდ-II“, რომელიც წარმოადგენს OCN ფრაგმენტის სავალენტო რხევის სიხშირეების და NH-ჯგუფების დეფორმაციული რხევების კომბინაციას. დაახლოებით 1290 cm^{-1} თავს იჩენს “ ამიდ-III“, რომელიც განპირობებულია OCN და NH სინფაზური რხევებით. 1620-1640 cm^{-1} -ს ფარგლებში არაკოორდინირებული, თავისუფალი ლიგანდებისთვის მონახულია ინტენსიური შთანთქმის უბანი, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ აზომეთინის ჯგუფის სავალენტო რხევის სიხშირეებს $\text{C}=\text{N}$., ხოლო 1600 cm^{-1} -ის ფარგლებში შთანთქმის ზოლები, რომლებიც განპირობებულია არომატული ბირთვის რხევებით. პირიდინკარბონმჟავათა ჰიდრაზიდების ჰიდრაზონებში გარდა ამისა, გვხვდება კიდევ უბანი, რომელიც შეესაბამება პირდინის ციკლის რხევას.

როგორც ორთო-ამინოპირიდინის და მისი მეთილნაწარმების შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების კვლევა გვიჩვენებს, კერძოდ, $\nu(\text{NH}_2)$ რხევის სიხშირეების ანალიზი, არაკოორდინირებული (თავისუფალი) მოლეკულებისთვის დაახლოებით 3030-3490 cm^{-1} უბანში მდებარეობს. რაც შეეხება ჰეტეროციკლისთვის დამახასიათებელ რხევით სიხშირეებს, ისინი მდებარეობენ 800-865, 1000-1080, 1180-1240 cm^{-1} უბნებში. ორთოამინოპირიდინს და მის მეთილწარმოებულებს სამი ტიპის კოორდინაციული ბმის წარმოქმნის უნარი აქვთ. კერძოდ, ლითონთან კოორდინაციული ბმის წარმოქმნა ამ მოლეკულების მიერ შესაძლებელია ჰეტეროციკლის აზოტის ატომის საშუალებით, ან ამინოჯგუფის აზოტის ატომით. რაც შეეხება მესამე ტიპის კოორდინაციას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ხიდების წარმოქმნა აზოტის ზემოთაღნიშნული ატომებით [37].

ასე, რომ ჰიდრაზონებთან და ამინოპირიდინის მეთილნაწარმებთან ლითონების კოორდინაციული ნაერთებისთვის შეიძლება ვივარაუდოთ სხვადასხვა სტრუქტურა.


3.4.1. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეტილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინო-ილპიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინთან(oAm4mpy)

თავისუფალი ლიგანდების და კოორდინაციული ნაერთების ინფრაწითელი სპექტრების გაშიფრვის შედეგები მოცემულია ცხრილებში 3 და 4. ხოლო სპექტრები მოცემულია დანართზე, ნახ. 1-9.

კოორდინაციული ნაერთების იწ სპექტრებში შეინიშნება ჰიდრაზონების, მეთილპირიდინის და წყლის მოლეკულებისთვის დამახასიათებელი ყველა რხევითი სიხშირე. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, $\nu(\text{CO})$ არაკოორდინირებული ჰიდრაზონის სპექტრში 1687 cm^{-1} ფარგლებშია (იხ. დანართი, ნახ. A). თუ განვიხილავთ კომპლექსური ნაერთების შთანთქმის იწ სპექტრებს, აღნიშნული რხევის სიხშირეები მდებარეობს “ 1650-1666 cm^{-1} ფარგლებში, ე.ი. გადანაცვლებულია 20-40 cm^{-1} -ით მაღალსიხშირულ უბანში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოორდინაციული ნაერთების იწ სპექტრებში „ამიდ – I“ რხევის სიხშირე შემცირებულია. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ ორი დასკვნა: 1) ჰიდრაზონის მოლეკულები კომპლექსურ ნაერთებში

კეტონური ფორმითაა წარმოდგენილი; 2) ჰიდრაზონის მოლეკულები ლითონებთან კოორდინაციულ ბმას წარმოქმნიან კარბონილის ჯგუფის ჟანგბადის ატომით.

კოორდინაციული ნაერთების სპექტრებში „ამიდ – II“-ის შესაბამისი რხევის სიხშირე მდებარეობს 1520 და 1530 სმ^{-1} ფარგლებში, ხოლო „ამიდ – III“-ის 1268 – 1270 სმ^{-1} -ის ფარგლებში. აზომეთინის $\nu(\text{CN})$ რხევის სიხშირეები კოორდინაციული ნაერთების სპექტრებში არაკოორდინირებულ ლიგანდთან შედარებით ($\nu(\text{CN})$ 1604 სმ^{-1}) გადანაცვლებულია მაღალსიხშირულ უბანში, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული ლიგანდი ლითონთან აზომეთინური ჯგუფის აზოტის ატომით კოორდინირებს და რეალიზდება $\text{M} \leftarrow \text{N} = \text{C}$ ბმა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სინთეზირებულ ნაერთებში ჰიდრაზონის მოლეკულები კოორდინირებული არიან ცენტრალურ ატომებთან კარბონილის ჯგუფის ჟანგბადის და აზომეთინური ჯგუფის აზოტის ატომებით. შესაბამისად, წარმოიქმნება ხუთწევრიანი ლითონოციკლები:



სადაც ჰიდრაზონი კეტონური ფორმითაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება ჰეტეროციკლის აზოტის ატომს, იწ სპექტრების მონაცემების მიხედვით ჰიდრაზონების მოლეკულების აღნიშნული ატომები ლითონ-კომპლექსწამომქმნელთან კოორდინაციულ ბმას არ წარმოქმნიან.

ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინის, როგორც ორგანული ლიგანდის პოტენციური შესაძლებლობები რეალიზდება კოორდინაციის სამი ტიპით: ჰეტეროციკლის აზოტის ატომით, ამინოჯგუფის აზოტის ატომით და ხიდის წარმოქმნით ამ ორი ატომის საშუალებით. ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინის თავისუფალი მოლეკულისთვის ჰეტეროციკლის რხევის სიხშირეები მონახულია 800-865, 1000-1080, 1180-11240, 1560-1600 სმ^{-1} ფარგლებში [37]. ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინის კოორდინირების წესის დადგენის მიზნით თუ განვიხილავთ კომპლექსნაერთების შთანთქმის იწ სპექტრებს, ნაერთში $\text{MnCl}_2 \cdot (\text{oAm}_4\text{mpy})_2$ ვკეტ. რხევის სიხშირეები გამოვლენილია 1619 და 1604 სმ^{-1} ფარგლებში. ეს, ცხადია, მიუთითებს ლითონთან ამინოპირიდინის მოლეკულების ჰეტეროციკლის აზოტის ატომით კოორდინირებაზე.

რაც შეეხება დანარჩენ ნაერთებს (იხ. ცხრ.6), შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების მონაცემების მიხედვით ვკეტ. რხევის სიხშირეები გამოვლენილია 1589,14 სმ^{-1} ახლოს. აღნიშნული სიხშირეები არაკოორდინირებულ ამინოპირიდინის მოლეკულის რხევის სიხშირეებთან შედარებით დიდ ცვლილებას არ განიცდიან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არის შთანთქმის ზოლის ინტენსივობაში.

$\nu(\text{NH}_2)$ თავისუფალი ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინის მოლეკულებისთვის 3030-3470 სმ^{-1} ფარგლებშია [37], ხოლო კოორდინაციული ნაერთების იწ სპექტრებში მონახულია ~3025-3490 სმ^{-1} ფარგლებში. ეს ცვლილება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რხევის სიხშირეები მცირდება, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ლიგანდის

მოლეკულების კოორდინაცია მეტალის ატომებთან ამინოჯგუფის აზოტის ატომით გამორიცხულია.


გარდა ამისა, როგორც კვანტურ-ქიმიური გათვლების შედეგები გვიჩვენებს, ორთომინოპირიდინის მოლეკულაში ჰეტეროციკლის აზოტის ატომის 2s ორბიტალების ელექტრონებით დასახლება ამინოჯგუფის აზოტის ატომის 2s ორბიტალების ელექტრონებით დასახლებასთან შედარებით გაცილებით მაღალია, რაც ჰეტეროციკლის მაღალ დონორულ თვისებებზე მიუთითებს. ამას ემატება აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ NH₂ ჯგუფის აზოტის ატომის ელექტრონები ლოკალიზებულია 2pz ორბიტალებზე, რაც გამორიცხავს σ-ბმის წარმოქმნას ლითონებთან.

სინთეზირებულ კომპლექსებში 3310-3500 სმ⁻¹ უბანში არის ზოლები, რომელიც მიეკუთვნება კოორდინირებულ წყლის მოლეკულებს. გამონაკლისს წარმოადგენს კომპლექსნაერთი Co(NO₃)₂(oAm4mpy)₂L, სადაც აღნიშნული რხევის სიხშირეები მონახული არ არის, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ ნაერთებში წყლის მოლეკულები კომპლექსნაერთის შიდა სფეროში არ იმყოფებიან [38].


ნიტრატული კომპლექსებისთვის იწ სპექტრებში ნიტრატ-იონების გარე სფეროში არსებობაზე მიუთითებს რხევის სიხშირეები 1370-1390 სმ⁻¹ უბანში.

სულფატ-იონების კოორდინაციის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია ლიტერატურული მონაცემების მიხედვით. ჩვენს მიერ სინთეზირებულ კომპლექსებში სულფატ-იონებისთვის მონახულია სუსტად გამოხატული ν₁ და ν₂ ~925-990 და 460 სმ⁻¹ ფარგლებში. ν₃ და ν₄ გადაფარულია რხევის სხვა სიხშირეებით, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სინთეზირებულ კომპლექსნაერთებში სულფატ-იონები შიდასფერულია, მონოდენტატურია და ლითონთან წარმოქმნიან კოორდინაციულ ბმას.

რაც შეეხება ქლორიდ-იონებს, მათი ფუნქციის გარკვევა სპექტრების მიხედვით გაგვიძნელდა. ამიტომ მათ თვისებებზე მსჯელობა შეიძლება სხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე. თუ შევაჯამებთ ინფრაწითელი სპექტრების მიმოხილვის შედეგებს, სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთების აღნაგობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:




ნაერთებისთვის MX₂(oAm-4mpy)₂L(H₂O)₂, სადაც M = Co, Ni; X = Cl⁻, NO₃⁻ ხოლო სულფატური კომპლექსებისთვის



სადაც M = Ni, Mn;

ხოლო ნაერთებისთვის $\text{Co}(\text{NO}_3)_2(\text{oAm4mpy})_2\text{L}$ და $\text{CuCl}_2(\text{oAm-4mpy})_2\text{L}$



ცხრილი 3. L-ის, ორთო-ამინო-4-მეთილპირიდინის და კობალტის(II), ნიკელის(II), მანგანუმის(II) და სპილენძის(II) კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის იწ სპექტრებში მონახული ტალღური რიცხვების მაქსიმუმები (სმ⁻¹)

L [39]	416,57; 470,57; 493,71; 524,57; 575,31; 640,28; 702, 740,57; 810, 948,85; 964,28; 1002,85; 1064,57; 1126,28; 1180,28; 1234,28; 1303,71; 1365,42; 1411,71; 1457,99; 1527,42; 1604,56; 1658,56; 1951,70; 2730,84; 2854,27; 2923,70; 3031,70; 3239,98; 3471,41.
oAm-4mpy [37]	452; 470; 525; 580; 600; 715; 750; 760; 772; 795; 865; 940; 970; 990; 1015; 1045; 1080; 1130; 1185; 1240; 1275; 1310; 1340; 1350; 1380; 1415; 1450; 1470; 1495; 1545; 1560; 1620; 1650; 2850; 2850; 2870; 2940; 3030; 3055; 3140; 3250; 3305; 3430
$\text{CoCl}_2(\text{oAm4mpy})_2\text{L}(\text{H}_2\text{O})_2$	524,57; 594,00; 725,14; 817,71; 848,57; 941,14; 972,00; 1056,85; 1180,28; 1234,28; 1311,42; 1373,14; 1457,99; 1527,42; 1589,14; 1666,28; 2723,13; 2854,27; 2923,70; 3185,98; 3386,55
$\text{NiCl}_2(\text{oAm4mpy})_2\text{L}(\text{H}_2\text{O})_2$	455,14; 524,57; 594,00; 709,71; 756,00; 817,71; 856,28; 948,85; 979,71; 1018,28; 1056,85; 1180,28; 1234,28; 1311,42; 1365,42; 1457,99; 1527,42; 1589,14; 1666,28; 2730,84; 2854,27; 2923,70; 3185,98; 3324,84
$\text{MnCl}_2(\text{oAm4mpy})_2\text{L}(\text{H}_2\text{O})_2$	447,43; 524,57; 686,57; 709,71; 756,00; 794,57; 864,00; 941,14; 987,42; 1056,85; 1180,28; 1234,28; 1268,40; 1311,42; 1365,42; 1457,99; 1527,42; 1550,56; 1619,99; 1666,28; 2854,27; 2923,70; 3170,56; 3332,55; 3425,13

Co(NO₃)₂(oAm4mpy)₂L 493,71; 524,57; 702,00; 717,43; 810,00; 848,57; 948,85; 995,14; 1025,99; 1064,57; 1187,99; 1234,28; 1342,28; 1373,14; 1457,99; 1519,71; 1581,42; 2854,27; 2923,70

Ni(NO₃)₂(oAm4mpy)₂L(H₂O)₂ 532,28; 717,43; 817,71; 856,28; 948,85; 1018,28; 1064,57; 1187,99; 1234,28; 1319,14; 1373,14; 1457,99; 1527,42; 1589,14; 1666,28; 2723,13; 2854,27; 2923,70; 3185,98; 3340,27

NiSO₄(oAm4mpy)₂L(H₂O) 524,57; 594,00; 686,57; 717,43; 817,71; 848,57; 941,14; 972,00; 1056,85; 1180,28; 1234,28; 1311,42; 1373,14; 1457,99; 1527,42; 1589,14; 1666,28; 2730,87; 2854,27; 2923,70; 3185,98; 3386,55

MnSO₄(oAm4mpy)₂L(H₂O) 524,57; 609,43; 678,85; 725,14; 817,71; 848,57; 941,14; 972,00; 1118,57; 1166,48; 1226,57; 1311,42; 1373,14; 1457,99; 1527,42; 1596,85; 1666,28; 2723,13; 2854,27; 2923,70; 3185,98;

ცხრილი 4. კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის იწ სპექტრებში მონახული ზოგიერთი სიხშირეები (სმ-1)

#	ნაერთი	ν(NH) ν(H ₂ O) ν(NH ₂)	„ამიდი“			V _{ვებ.} ν(C = N)
			I	II	III	
1	L	3031,70 3239,98 3471,41	1658,56 1687 (სპირტბს ნარში)	1527,42	1303,71 1365,42	1604,56
2	oAm-4mpy	3055 3140 3250 3370 3470				865, 1010, 1050, 1170, 1252, 1260, 1390, 1560, 1600, 1620 1650
3	CoCl ₂ (oAm4mpy) ₂ L	3185 3386	1666	1545 1560	1311 1373	1666
4	NiCl ₂ (oAm-4mpy) ₂ L	3185 3324	1666	1527	1311 1365	1666
5	MnCl ₂ (oAm4mpy) ₂ L	3170,56; 3332,55; 3425,13	1619,99; 1666,28;	1527,4; 1550,56;	1311,42; 1365,42;	1666,28;

ცხრილი 4 (გაგრძელება).


#	ნაერთი	ν(NH) ν(H ₂ O) ν(NH ₂)	„ამიდი“			V _{ვებ.} ν(C = N)
			I	II	III	
6	Co(NO ₃) ₂ (oAm4mpy) ₂ L	2923,70 2854,27 3425,13	1581,42 1670	1519,71 1527,4; 1575	1373,14	1581,14 1187,99 1519,71
7	Ni(NO ₃) ₂ (oAm4mpy) ₂ L	2923,70 3185,98 3340,27	1666,28	1527,42	1319,14 1373,14	1187,99 1589,14 1527,42
8	NiSO ₄ (oAm4mpy) ₂ L	3185,98 3386,55 2923,70	1666,28	1527,42;	1311,421 1373,14	1589,14 1180,99 1527,42
9	MnSO ₄ (oAm4mpy) ₂ L	2923,70 3185,98 3278,11	1666,28	1527,42;	1311,421 1373,14	1596,85 1118,57 1527,42

3.4.2. კოორდინაციული ნაერთები პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის იზონიკოტინო-ილპიდრაზონთან(L) და ორთო-ამინო-5-მეთილპირიდინთან(oAm-5Mpy)

თავისუფალი ლიგანდების და კოორდინაციული ნაერთების ინფრაწითელი სპექტრები მოცემულია დანართში, ნახ. 10-14, ხოლო მათი გამიფრვის შედეგები მოცემულია ცხრილებში 5 და 6.

კოორდინაციული ნაერთების იწ სპექტრებში მონახულია ჰიდრაზონის, მეთილპირიდინის და წყლის მოლეკულებისთვის დამახასიათებელი რხევის სიხშირეები. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ν(CO) არაკოორდინირებული (თავისუფალი) ლიგანდისთვის მდებარეობს 1687 სმ⁻¹-ის ფარგლებში, ხოლო კოორდინაციული ნაერთების სპექტრებში მონახულია უბანი 1650-1666 სმ⁻¹ ფარგლებში, რაც იმ გარემოებაზე მიგვანიშნებს, რომ ჰიდრაზონი ლითონ-კომპლექსწარმოქმნელთან კოორდინაციულ ბმას კარბონილის ჯგუფის ჟანგბადის ატომით წარმოქმნის. აზომეთინის ν(CN) რხევის სიხშირეები კოორდინაციული ნაერთების სპექტრებში არაკოორდინირებულ ლიგანდთან შედარებით (ν(CN)≈1604 სმ⁻¹) გადანაცვლებულია მაღალსიხშირულ უბანში, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული ლიგანდი ლითონთან აზომეთინური ჯგუფის აზოტის ატომით კოორდინირებს და რეალიზდება M ← N = C ბმა. ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთგანხილულ ნაერთებში

წარმოიქმნება ხუთწევრიანი ლითონოციკლები:



სადაც ჰიდრაზონი კეტონური ფორმითაა წარმოდგენილი.

თავისუფალი ორთო-ამინო-5-მეთილპირიდინისთვის ჰეტეროციკლისთვის დამახასიათებელი რხევის სიხშირეები მდებარეობს 800-850; 1005-1060; 1180, 1395, 1400, 1580-1620 cm^{-1} უბნებში. თუ განვიხილავთ კოორდინაციული ნაერთების შთანთქმის იწ სპექტრებს, $\nu_{\text{ჰეტ.}}$ რხევის სიხშირეები გამოვლენილია 1527-1589,14 cm^{-1} ახლოს. აღნიშნული სიხშირეები არაკოორდინირებულ ამინოპირიდინის მოლეკულის რხევის სიხშირეებთან შედარებით დიდ ცვლილებას არ განიცდიან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არის შთანთქმის ზოლის ინტენსივობაში. $\nu(\text{NH}_2)$ თავისუფალი ორთო-ამინო-4მეთილპირიდინის მოლეკულებისთვის 3030-3470 cm^{-1} ფარგლებშია, ხოლო კოორდინაციული ნაერთების იწ სპექტრებში მონახულია ~3025-3490 cm^{-1} ფარგლებში. ეს ცვლილება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რხევის სიხშირეები მცირდება, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ლიგანდის მოლეკულების კოორდინაცია მეტალის ატომებთან ამინოჯგუფის აზოტის ატომით გამორიცხულია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარაუდი დასტურდება კვანტურ-ქიმიური გათვლებით მიღებული შედეგებით, რომელთა მიხედვითაც მეთილპირიდინის მოლეკულაში ამინოჯგუფის აზოტის ატომის ორბიტალების ელექტრონებით დასახლების მიხედვით აღნიშნული ატომით ლითონთან კოორდინაციული ბმის წარმოქმნა არაა შესაძლებელი.


სინთეზირებულ კომპლექსებში 3310-3500 cm^{-1} უბანში არის ზოლები, რომლებიც მიეკუთვნება კოორდინირებულ წყლის მოლეკულებს. გამონაკლისს წარმოადგენს ნაერთი $\text{Co}(\text{NO}_3)_2(\text{oAm5mpy})_2\text{L}$, სადაც წყლის მოლეკულები შიდასფერულები არ არიან.

ნიტრატული კომპლექსებისთვის იწ სპექტრებში ნიტრატ-იონების გარე სფეროში არსებობაზე მიუთითებს რხევის სიხშირეები 1370-1390 cm^{-1} უბანში [37].


სინთეზირებულ კომპლექსებში სულფატ-იონებისთვის მონახულია სუსტად გამოხატული ν_1 და ν_2 ~925-990 და 460 cm^{-1} ფარგლებში. ν_3 და ν_4 გადაფარულია რხევის სხვა სიხშირეებით, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სინთეზირებულ კომპლექსნაერთებში სულფატ-იონები შიდასფერულია, მონოდენტატურია და ლითონთან წარმოქმნიან კოორდინაციულ ბმას [38].

რაც შეეხება ქლორიდ-იონებს, მათი ფუნქციის გარკვევა სპექტრების მიხედვით გაგვიძნელდა. ამიტომ მათ თვისებებზე მსჯელობა შეიძლება სხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე.

თუ შევაჯამებთ ინფრაწითელი სპექტრების მიმოხილვის შედეგებს, სინთეზირებული კოორდინაციული ნაერთების აღნაგობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:




 $i=0,015$ ა/სმ², $h=45-52$ მკმ, $\eta=52\%$.
3. KCl-NaCl-CsCl + K_2TaF_7 (K_2NbF_7) T=873K.
კათოდი - Al, ანოდი - Ta (Nb).
 $i=0,01$ ა/სმ², $h=15-20$ მკმ, $\eta=47\%$.


შესწავლილია მიღებული ნიმუშების ელექტრული მახასიათებლები მაღალ ტემპერატურებზე ექსპლუატაციის პირობებში. დადგენილია რომ ალუმინის და სპილენძის ზედაპირის დაფარვა ტანტალით და ნიობიუმით ზრდის მის კოროზია და თერმომედეგობას. მაღალ ტემპერატურაზე ექსპლუატაციის პირობებში არ ცვლის მათ ხვედრით ელექტროგამტარებლობას.(ნახ. 12-15)




ნახ.12. ტემპერატურის ცვლილების გავლენა სარჩული მასალის (Cu, Al) ხვედრით ელექტროწინააღობაზე



ნახ.13. ტემპერატურის ცვლილების გავლენა დასაფარი ლითონების (Ta, Nb) ხვედრით ელექტროწინააღობაზე



ნახ.14. ტემპერატურის ცვლილების გავლენა ტანტალით დაფარული სპილენძის ხვედრით ელექტროწინააღობაზე. h=20მკმ



ნახ.15. ტემპერატურის ცვლილების გავლენა სარჩული მასალის ხვედრით ელექტროწინაღობაზე: 1. Al-Ni, 2. Cu-Ni, 3. Cu-Ta.

დასკვნები:

1. KCl-KF, NaCl-Na₃AlF₆, KCl-NaCl-CsCl, ნალღობთა ფონზე დადგენილია ტანტალისა და ნიობიუმის ნაერთების K₂TaF₇(Ta₂O₅), K₂NbF₇(Nb₂O₅) ელექტროქიმიური აღდგენის პროცესების კანონზომიერებები.

2. შესწავლილია აღნიშნულ ნალღობებში Nb, Mo და B, Si თანაგამოლექვის შესაძლებლობები. დადგენილია Nb-B-Mo, Nb-Si-Mo დანაფარების და ფხვნილების მიღების პროცესების ოპტიმალური პარამეტრები.

3. შესწავლილია სპილენძის, ალუმინის და ფოლადის ზედაპირების ტანტალით და ნიობიუმით გაღვანური დაფარვის პროცესები, დადგენილია ამ პროცესების ოპტიმალური პარამეტრები (დენის სიმკვრივე, ტემპერატურა და ხანგრძლივობა).

4. მიღებულია ტანტალისა და ნიობიუმის გაღვანური დანაფარები: 20-65მკმ (ტანტალის) და 15-55მკმ (ნიობიუმის) სისქის დანაფარები, დენით გამოსავალი შეადგენს შესაბამისად η=57% და η=45%.

5. დადგენილია, რომ ალუმინის და სპილენძის ზედაპირის დაფარვა ტანტალით და ნიობიუმით ზრდის მის კოროზია და თერმომედეგობას და მაღალტემპერატურაზე ექსპლუატაციის პირობებში არ ცვლის მათ ხვედრით ელექტროგამტარებლობას.

ლიტერატურა

1. Глинка Н.А. «Общая химия». Ленинград, 1987.
2. Глазунов С.Г. Моисеев Е.Б. «Конструкционные титановые сплавы» М. Металлургия 1974 с.3-15
3. Лайнер Д.И. Петрусевиц Р. Л. Соллертинская Е. Сю ФМИ в 4 1960.
4. Волоков С.В. Козин Л.Ф. Омельчук А.А. «Некоторые проблемы современной электрохимии» Укр. Хим. Журн. 2005, Т. 71, №7ю
5. Васько А.Т. Ковач С.К. «Электрохимия тугоплавких металлов» - Киев: Техника, 1983-160с.
6. Берх О.А.Казначей Б.Я. Полукаров Ю.М. «Гальванические высококоэрцитивные покрытия для магнитных носителей// Интоги и техники. Электрохимия. Т. 23.-М. ВИНТИ, 1986.-с.
7. ბ. გასვიანი. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი 2006წ.
8. Константинов В.И. «Электролитическое получение тантала, ниобия и их сплавов» М. Металлургия 1977.
9. Sevcik A.// Coll. Czech. Chem. Commun. 1948. V. 13. P.249.
10. Randles I.B.// Trans. Faraday Soc. 1952, 48, 828.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

“ვამტკიცებ”
ინსტიტუტის დირექტორი

გ. ტატიშვილი

“ “ 2013 წ

ა ნ ბ ა რ ი უ ბ

სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოსი

მყარი საყოფცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების კომპლექსური
უტილიზაცია

2011-2013 წწ

თემის ხელმძღვანელი
ლღობიღთა ელექტროლიზის ლაბორატორიის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ქიმიის მეცნ. დოქტორი
ო. წიკლაური

შემსრულებლები:
ტექნ. მეცნ. კანდიდატი თ. ლეჟავა
ინჟინერი მ. დადუნაშვილი

თ ბ ი ლ ი ს ი
2013

შემაჯამებელი ანგარიში

უტილიზაციის განვითარების კვალდაკვალ საქართველოშიც თავს იჩენს მისი თანამდევი ნეგატიური ეკოლოგიური პრობლემები. ტექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა ბუნებრივი რესურსები ჩაყენებული იქნეს კაცობრიობის კეთილდღეობის ამადლების საქმეში, რისთვისაც აუცილებელია მათი ექსპლოატაცია. ამას თან ახლავს გარემოში ლოკალური ეკოლოგიური პრობლემის წარმოშობა, რაც აუცილებლად აისახება მთელი რეგიონის ეკოსისტემის წონასწორობაზე, -ეს კი თხოულობს რეგიონის ფარგლებში ერთიანი ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებას ანთროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების მონიტორინგის, პრევენციისა და უტილიზაციის კუთხით.

ანთროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების გადამუშავების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა განპირობებულია:

- ეკონომიკური მოსახრებით— ზოგიერთი ბუნებრივი ნედლეულის მარაგის ამოწურვის გამო ბაზარზე შესაბამისი პროდუქტის დეფიციტის შევსება შესაძლებელია მეორადი ნედლეულის გადამუშავების გზით;
- ეკოლოგიური გარემოებით— ნარჩენები გარემოში ქმნიან ნეგატიურ, ხშირ შემთხვევაში უაღრესად საშის ეკოლოგიურ სიტუაციას, ამიტომ მისი მონიტორინგი და უტილიზაცია წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას.

უტილიზაციის სფეროში წარმოება უნდა ეყრდნობოდეს სამ ძირითად პრინციპს:

- იყოს უნარჩენო;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო;
- ეკონომიურად მომგებიანი.

ქართველ მეცნიერთა მიერ აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან ერთად დამუშავებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთიანი ეკოსისტემის კონცეფცია [1], სადაც ნაჩვენებია, რომ ნარჩენების გადამუშავების მაღალი ეფექტურობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ უტილიზაციის მცირეტონაჟიან მასშტაბში. არსებული ტექნოლოგიების შემოტანა ხშირ შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი და პერსპექტიული შემდეგი გარემოებების გამო:

- დღემდის ცნობილი მეორადი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების უმეტესობა გათვლილია მსხვილტონაჟიან წარმოებებზე, რომლის შესაბამისი ნედლეულიც საქართველოში არ არის.

- ძვირადღირებულია;
- მათი უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს წარმოების სათანადო ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოიქმნება ტოქსიკური ინგრენდიენტების დიდი რაოდენობით შემცველი ახალი ნარჩენი.

მცირეტონაჟიანი წარმოებების ეკონომიური ეფექტურობა შედარებით მსხვილტონაჟიანთან მართალია დაბალია, სამაგიეროდ მაღალია ეკოლოგიური ეფექტურობა. მეორადი ნედლეულის გადამუშავების დროს საწარმოო პოლიტიკა უპირატესად ორიენტირებული უნდა იყოს პირველ რიგში დიდ ეკოლოგიურ ეფექტზე, როცა შეძლებისდაგვარად შენარჩუნებული იქნება საწარმოს მომგებიანი ფუნქციონირებაც მცირეტონაჟიანი წარმადობის რეჟიმში.

გეოპოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცეში მოიშალა მყარი საწარმოო და საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების მართვის ცენტრალიზებული სისტემა, ცალკეული რესპუბლიკები აღმოჩნდნენ ახალი ეკოლოგიური გამოწვევის წინაშე- საჭირო შეიქმნა ცალკეული რესპუბლიკებისათვის შემუშავებულიყო მეცნიერულად დასაბუთებული და გააზრებული ნაციონალური პროგრამები. გადასამუშავებლად ვარგისი მყარი ნარჩენები განეკუთვნებიან ნედლეულის უადრესად ღებულ, სპეციფიკურ სახეობას, რომლის გადამუშავების ტექნოლოგიური ასპექტები ძირეულად განსხვავდება ბუნებრივი წიაღისეულის საბადოთა ექსპლოატაციის ტექნოლოგიური ოპერაციებისაგან. ამავე დროს არ არსებობს ამა თუ იმ სახეობის მყარი მეორადი ნედლეულის გადამუშავების ერთი, რომელიმე უნივერსალური მეთოდი, რომელიც მისაღები იქნება ყველა ქვეყნისთვის, რაც განპირობებულია:

1. გამოყენებული ენერგომატარებლების სახეობითა და ხელმისაწვდომობით;
2. მოცემულ რეგიონში სხვა ისეთი სახეობის ნარჩენების არსებობით, რომელთანაც შესაძლებელია განხორციელდეს ერთობლივი უტილიზაცია, როცა შედარებით მაღალია წარმოების ეკოლოგიური ეფექტურობა და ეკონომიური მომგებიანობა;
3. ნედლეულის დაგროვებისა და განაწილების ტერიტორიული ფაქტორით;
4. მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა მიზნობრივი პროდუქციის ბაზრის არსებობით. ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში შედარებით დაბალია სადისტრიბუციო ხარჯები და შესაბამისად, სარეალიზაციო ფასი.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის სახელმწიფო პოლიტიკა ნარჩენების მართვის სფეროში არ შეიძლება ერთნაირი იყოს. ამ მხრივ განსაკუთრებით სპეციფიურია საქართველო, როგორც რეგიონი ნარჩენებით დაბინძურებისა და მათი ინგრენდიენტების გარემოში გავრცელების შესაძლებლობის თვალსაზრისით. ეს სპეციფიურობა განპირობებულია რელიეფის მკვეთრად გამოხატული არაერთგვაროვნებით – მთაგორიანი და მდინარეებით დაქსელილი ზედაპირით: კლიმატური ზონების სიმჭიდროვით და აქედან გამომდინარე, ატმოსფერული ფაქტორების (წვიმა, ქარი, თოვლი) აქტიური ზემოქმედებით. ეს კი თხოვლობს მეცნიერულად დასაბუთებული და გააზრებული ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, როგორც მათი დაგროვების პრევენციისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას; ასევე მათი უტილიზაციის ტექნოლოგიების სფეროშიც, ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ განვითარებადი და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის საქართველოსათვის მიზანშეწონილი და პერსპექტიულია მეორადი ნედლეულის უტილიზაციის ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. ტექნოლოგიურობის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს მაღალი ეკოლოგიური ეფექტურობა, ხოლო ეკონომიკური მომგებიანობა იმ დონის, რის საშუალებასაც მოგვცემს მაღალი ეკოლოგიური ეფექტურობის რეჟიმში ფუნქციონირებადი წარმოება. ეს პირველ რიგში ეხება ტოქსიკური ინგრენდიენტების შემცველ ნარჩენებს.
2. საწარმოო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მცირეტონაჟიან წარმოებაზე, რაც პირველ რიგში ნაკარნახევია ნედლეულად ვარგისი ნარჩენების რაოდენობის სიმცირით. ამავე დროს, მცირეტონაჟიანი წარმოების შემთხვევაში იოლია ტექნოლოგიური ოპერაციების მართვა, პრევენციული ღონისძიებების გატარება. ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. მცირეტონაჟიან საწარმოთა მასშტაბში ნარჩენების გადამუშავების დროს, როცა მიიღება ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტი, იოლია წარმოების ნედლეულით მომარაგება, მცირე სატრანსპორტო და სადისტრიბუციო ხარჯები, რაც უზრუნველყოფს წარმოების ეკონომიკურ ეფექტურობას. დიდტონაჟიან წარმოებებზე გათვლილი ტექნოლოგიები მოითხოვენ მეორადი ნედლეულის იმპორტირებას, რაც განსაკუთრებით

მიუღებელია ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი მყარი ნარჩენების შემთხვევაში.

3. ტექნოლოგიები შეძლებისდაგვარად გათვლილი უნდა იყოს ნარჩენების კომპლექსურ გადამუშავებაზე, თუ ამის საშუალებას იძლევა ნარჩენების ნაირგვარობა მოცემულ რეგიონში და მიზნობრივი პროდუქტის ბაზრის კონიუნქტურა.
4. წარმოება უნდა იყოს უნარჩენო და მაქსიმალურად ეკოლოგიურად უსაფრთხო, ამავე დროს სეგრეცია უნდა განხორციელდეს ნარჩენების შეგროვების დროს.
5. აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფო პროგრამაში პრიორიტეტულად იქნას დაფიქსირებული ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ქართველი მეცნიერების მიერ ლაბორატორიულ დონეზე დამუშავებულია [2-4] და ტესტირებულია ამორტიზირებული ტყვიის სასტარტერო აკუმულატორების გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა მცირეტონაჟიან საწარმოთათვის, რომელიც ითვალისწინებს არსებული შესაბამისი ტექნოლოგიების [5,6] ღირსებებსა და უპირატესობებს, წინასწარი დესულფურიზაციის ოპერაციის ჩათვლით, გარდა ერთისა – საფინიშო სტადიაზე ტყვიის აღსადგენად გამოყენებულია საყოფაცხოვრებო პოლიმერული ნარჩენები. ეს ტექნოლოგია თითქმის მთლიანად გამორიცხავს ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობას, როგორც საწარმოს, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს განპირობებულია ჩამდინარე საწარმოო წყლების 70-80%-ის რეციკულაციითა და საფინიშო ოპერაციაში ძვირადღირებული აღმდგენელების (კოქსი, ბუნებრივი აირი, მუდმივი დენი) ნაცვლად საყოფაცხოვრებო პოლიმერული ნარჩენების გამოყენებით. აღდგენა მიმდინარეობს იონური ღღობილების გარემოში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მეორადი ტყვიის თვითღირებულებას, წარმოება უნარჩენოა და ეკოლოგიურად უსაფრთხო. მომავალში გათვალისწინებულია შესაბამისი ტექნოლოგიური სქემების ცალკეული ოპერაციების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების დამუშავება, სრულყოფა. ოპტიმიზირება, საცდელ-საპროექტო და საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება, ტექნოლოგიური ხაზების დამზადება, დამონტაჟება, გამოცდა, კომერციალიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. იხ. სქემა.


საფინიშო ოპერაციაში იონური ღღობილების გამოყენების მიზანშეწონილობა განპირობებულია იმით, რომ ღღობილის ფენა იცავს ლითონს დაჟანგვისაგან, გამორიცხავს ტყვიისა და მისი ნაერთების გარემოში მოხვედრის ალბათობას, ხელს უწყობს ტყვიის ოპრთქლის წვეთებად შერწყმას და დალექვას. მთლიანი პროცესი

შეიძლება განხორციელდეს ჩაკეტილი ტექნოლოგიური ციკლით და, აქედან გამომდინარე, საწარმოო ჩამდინარე წყლების არარსებობა განაპირობებს მაქსიმალურ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და, შესაბამისად, საჭიროებს მინიმალურ საწარმოო კაპიტალდაბანდებას.

ამრიგად, აღდგენის პროცესში ძვირადღირებული აღმდგენელების (C, CH₄) ნაცვლად ჩვენს მიერ აღმდგენელად შემოთავაზებულია საყოფაცხოვრებო პოლიმერული ნარჩენები, რომელთა უტილიზაციის საკითხი, თავის მხრივ, მწვავედ დგას დღის წესრიგში.

აკუმულატორების ჯართის გადამუშავების ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური სქემა არა მხოლოდ ხსნის გარემოს ტყვიით დაბინძურების პრობლემას, არამედ ასევე ხელს უწყობს ზემოთხსენებული ნარჩენებისაგან გარემოს გაწმენდას და, შესაბამისად, ეკოლოგიურად უსაფრთხოა, ხოლო ეკონომიკურად მომგებიანი. აღნიშნული ტექნოლოგია მისაღებად უნდა ჩაითვალოს მცირეტონაჟიანსაწარმოთათვის (500-1500ტ ტყვია/წ.), იგი შეიძლება შეთავაზებული იქნას პოსტსაბჭოთა სივრცის მცირერიცხოვანი რესპუბლიკებისათვის.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან საქართველოში ძირითადად გავრცელებულია სამეურნეო და კვების პროდუქტების ამორტიზირებული ტარა, ამორტიზირებული ტყვიის აკუმულატორები, ელემენტები და სხვა. აგრეთვე მინერალური ნედლეულის მომპოვებელ საწარმოთა ნარჩენები – კვარციტი, კალციტი, პერლიტი, ტუფი, ბაზალტი და სხვა.



ჩვენი კვლევების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ საყოფაცხოვრებო პოლიმერული ნარჩენები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა საწარმოო ნარჩენებთან ერთად მიზნობრივი პროდუქტის მისაღებად უნარჩენო და ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამუშავების გზით. პოლიმერულ ტარასთან ერთად ერთობლივ გადამუშავების მიზნით აღებული იყო საქართველოში არსებული საწარმოთა ნარჩენები: კვარცის ქვიშა, კირქვა, ტუფი, ქვანახშირი, ბაზალტი და პერლიტი. ამ კომპოზიციების ერთობლივი დამუშავებით მიღებულია მასალები, რომელთა ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში.

პოლიმერული ტარის და სხვადასხვა ტიპის შემავსებლის ბაზაზე დამზადებული კომპოზიციური ნაკეთობების ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები

შემავსებლის დასახელება	წყლის შთანთქმა, %	სიტკიცე კუმშვაზე, მპა		მდგრადობა ცვეთის (ხახუნის) მიმართ, გ. სმ ²
		ჰერზე	წყალში	
კირქვა	1,2	28	26	0,165
ტუფი	2.4	16	14	0,180
ქვიშა	1,3	34	35	0,145
ბაზალტი	1,0	38	40	0,148
პერლიტი	1.6	28	30	0,175

მიღებული მონაცემების (წყალშთანთქმა, სიმტკიცე, მდგრადობა ცვეთისადმი) საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კომპოზიციების საფუძველზე (რომელთა რიცხვი შესაძლოა გაფართოვდეს) შესაძლებელია დამზადდეს ადგილობრივ (და არამარტო) ბაზარზე მოთხოვნადი, იაფი და კონკურენტუნარიანი მოსაპირკეთებელი და დეკორაციული საკედლე და სახურავის ფილები და სხვა ნაკეთობები.

ტექნოლოგიის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ შემდეგი პრობლემები:

- ეკოლოგიური, როდესაც ხდება საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების ეკოლოგიურად უსაფრთხო და უნარჩენო კომპლექსური უტილიზაცია ისეთი სასაქონლო პროდუქტის მიღებით, რომელზედაც ბაზრის მოთხოვნილება საკმაოდ მაღალია.
- ეკონომიური - შესაძლებელია ადგილობრივი, იაფი და ხელმისაწვდომი მეორადი ნედლეულის ბაზაზე ვაწარმოოთ საამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო ისეთი სასაქონლო პროდუქტი, რომლის თვითღირებულებაც დაბალია და აქედან გამომდინარე, მისი კონკურენტუნარიანობაც ბაზარზე გარანტირებულია. მოსახლეობის დღევანდელი მძიმე სოციალური პირობების

გათვალისწინებით, სასურველია იაფი ხელმისაწვდომი პროდუქტი დროულად მიეწოდოს სამომხმარებლო ბაზარს. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საწარმოო პროდუქტი მისი ინგრედიენტების თვისებებიდან გამომდინარე, გამოირჩევა მაღალი ინერტულობით გარემოსთან მიმართებაში და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. ეს მაშინ. როდესაც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იაფი და ეკოლოგიური საფრთხის შემცველი ჩინური და თურქული პროდუქციით.

საქართველოს ტერიტორიაზე მცირე საწარმოთა ორგანიზება შეიძლება ნებისმიერ საშუალო და დიდ ქალაქში, სადაც არის შემავსებლის საბადოები (კვარციტი, კალციტი, ტუფი, პერლიტი და სხვა), რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პოლიმერულ ნარჩენებს. მათი შეგროვება ნებისმიერ დასახელებულ პუნქტში არ წარმოადგენს პრობლემას. საქართველოს რეგიონში მცირე საწარმოთა ორგანიზება საშუალებას მოგვცემს დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.

ტექნოლოგიური ხაზის ნახევრად საწარმოო-სადემონსტრაციო გამოცდის შემდეგ უკვე იოლი იქნება სათანადო ინვესტიციის მოძიება, რადგანაც საწარმოო ტექნოლოგიური ხაზი და მისი ტექნიკური აღჭურვილობის სიმარტივე არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს.

ტექნოლოგიური ხაზი მოიცავს:

- ნედლეულის თერმომექანიკური დამუშავება-დისპერგირებას;
- კაზმის მომზადებას და ბრიკეტირებას სასაქონლო პროდუქტის ფორმით.

მინიმალურია ენერგოდანახარჯები – თერმოქიმიური ოპერაციების ტემპერატურა არ აღემატება 200-250 °C. პერსპექტივაში შესაძლებელია დამუშავებული ტექნოლოგიის შეთავაზება პოსტსაბჭოთა სივრცის მცირერიცხოვანი და განვითარებადი ქვეყნებისათვის.

შემუშავებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობა და წარმოების უწყვეტი ფუნქციონირება გარანტირებულია ნედლეულის სიიაფით და ხელმისაწვდომობით. ერთი ტონა შემავსებლის ფასი მერყეობს 20-30 ლარის ფარგლებში, შემკვრელის ამორტიზირებული ტარის 1კგ ფასი ~1,5 ლარია. წინასწარი გაანგარიშებით 1. მ² ფილის ღირებულება, რომლის წონაც 8-10 კგ. დაახლოებით 3-4 ლარს შეადგენს.

ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელების მიზანშეწონილობა და პერსპექტიულობა განპირობებულია როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიური და სოციალური თვალსაზრისით. პროექტით დამუშავებული ტექნოლოგიის შესაბამისი წარმოების ფუნქციონირების ხანგრძლიობა (მდგრადობა) გარანტირებულია ორი მომენტით:

- საამშენებლო ინდუსტრიის მზარდი მოთხოვნებით ეკოლოგიურად უსაფრთხო მოსაპირკეთებელი და დეკორატიული ფილებისადმი;
- პოლიმერული მასალისაგან დამზადებული ამორტიზირებული ნაკეთობათა გარემოში მზარდი დაგროვებით და ეკოლოგიური პრობლემის პრევენციის აუცილებლობით.

დასკვნები:

1. განვითარებადი და მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ნაჩვენებია ნარჩენების მართვის სფეროში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა;
2. დასაბუთებულია მეორადი ნედლეულის გადამამუშავების სფეროში საწარმოო პოლიტიკის ორიენტირება მცირე ტონაჟიან წარმოებაზე;
3. აღნიშნულია, რომ მეორადი ნედლეულის გადამამუშავების საწარმოთა ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს ეკოლოგიური ეფექტურობა, როცა გარანტირებული იქნება გარკვეული ეკონომიური მომგებიანობაც;
4. საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია ანთროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების კომპლექსური, უნარჩენო და ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამამუშავების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი მიზნობრივი პროდუქტის მიღებით.

ლიტერატურა:

1. წიკლაური თ., სარუხანიშვილი ა., კვესელავა ვ., მანაფოვი მ., სადიხოვი ფ., ალოსმანოვი მ., კნიაზიანი ნ., არუტინიანი ნ., პირუმიანი გ. – სამხრეთ

- კავკასიის რეგიონი-ერთიანი მეტასტაბილური ეკოსისტემის კონცეპცია. ატროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების მონიტორინგი, პრევენცია, პროფილაქტიკა და უტილიზაცია. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, თბილისი, 2012., ტ. 12, №1, გვ. 67-70.
2. წიკლაური ო., მარსაგიშვილი თ., ჩახუნაშვილი თ. – ამორტიზირებული ტყვის აკუმულატორების გადამუშავების ოპტიმალური სქემა მცირეტონაჟიან საწარმოთათვის. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, თბილისი, 2003., ტ. 2, №3, გვ. 249-252.
 3. კოკილაშვილი რ., წიკლაური ო., ჩახუნაშვილი თ. ამორტიზირებული ტყვის აკუმულატორების ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამუშავების ტექნოლოგია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება. თბილისი, 2010წ., შრომები, გვ. 77-79.
 4. წიკლაური ო., კოკილაშვილი რ., ჩახუნაშვილი თ., დვალი ნ., ბაღათურია ლ., ჩახანიძე ჯ. – ამორტიზირებული ტყვის აკუმულატორების ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამუშავების ტექნოლოგია. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, თბილისი, 2011., ტ. 11, №4, გვ. 450-455.
 5. А.Г. Морочевский, Новые направление в технологии переработки лома свинцовых аккумуляторов (обзор). Журнал прикладной химии, т.70, вып. 1-12, 1997, с.3-15.
 6. А.Д. Бессер, В.С. Сорокин, А.А. Погосян, Анализ современного состояния переработки использованных свинцово-кислотных батареях, Ж. Цветные металлы, 2006, №2, с. 23-29.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---------------------	-----------------------	------------------------

1	მყარი საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების კომპლექსური უტილიზაცია	ქიმ.მეცნ.დოქტორი ომარ წიკლაური	თინათინ ლეჟავა მერაბ დადუნაშვილი
---	--	--------------------------------	-------------------------------------

ნაჩვენებია განვითარებადი და მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ნარჩენების მართვის სფეროში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, - კერძოდ, მეორადი ნედლეულის გადამუშავების სფეროში წარმოება ორიენტირებული უნდა იყოს პირველ რიგში, მაქსიმალურ ეკოლოგიურ ეფექტზე, რაც შედარებით იოლად მიღწევადია მცირეტონაჟიან საწარმოთა მასშტაბში, როდესაც შენარჩუნებულია გარკვეული ეკონომიური მომგებიანობაც. საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია ანთროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების კომპლექსური, უნარჩენო და ეკოლოგიურად უსაფრთხო გადამუშავების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი მიზნობრივი პროდუქტის მიღებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვ.წ. რაოდ.
1 2 3 4 5	ო.წიკლაური ა. ჭირაქაძე შ.სიღამონიძე ნ. დვალი ი.სულაძე	საქართველოს მეორა- დი ნედლეულის ეკო- ლოგიურად უსაფრ- თხო უტილიზაციის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები/ საქართველოს ქიმიური ჟურნალი	№6 ტ.12	თბილისი	6

განხილულია განვითარებადი და მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ანთროპოგენური და ტექნოგენური ნარჩენების მართვის სფეროში არსებული წინააღმდეგობები. დასაბუთებულია განვითარებულ ქვეყნებში არსებული უტილიზაციის ტექნოლოგიების შემოტანის მიზანშეუწონლობა და არაპერსპექტიულობა. ნაჩვენებია განვითარებადი ქვეყნებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული და გააზრებული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, - კერძოდ, მეორადი ნედლეულის გადამუშავების სფეროში წარმოება ორიენტირებული უნდა იყოს პირველ რიგში, მაქსიმალურ ეკოლოგიურ ეფექტზე, რაც შედარებით იოლად მიღწევადია მცირეტონაჟიან საწარმოთა მასშტაბში, როდესაც შენარჩუნებულია გარკვეული ეკონომიური მომგებიანობაც. საწარმოო პოლიტიკა შექმნის დაგეგმვად ორიენტირებული უნდა იყოს ნარჩენების კომპლექსური უტილიზაციისა და ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი მიზნობრივი პროდუქტის წარმოებაზე. ასეთი მიდგომის პერსპექტიულობა ნაჩვენებია საქართველოს მეორადი ნედლეულის გადამუშავების კერძო მაგალითზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა
და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
დენის წყაროებისა და საელექტროდე
მასალების ლაბორატორია
საკონტაქტო ინფორმაცია:
e-mail: kachibaia@hotmail.com
“ვამტკიცებ”
ინსტიტუტის დირექტორი გ.ტატიშვილი
“_____” _____ 2013 წ.

მეცნიერების დარგი: ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია.

სამეცნიერო მიმართულება: პრიორიტეტი – ახალი მემბრანული და ნანო-
ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება.

ანგარიში თემაზე

ახალი თაობის ლითიუმ-იონური აკუმულატორებისათვის LiMnPO_4 -ფოსფატის
საფუძველზე პერსპექტიული საკათოდე მასალის მიღების მეთოდის შემუშავება

კვლევის ხელმძღვანელი:

მონაწილეები:

ე.ქაჩიბაია
ქიმ.მეც.დოქტორი
რ.იმნაძე
აკადემიური დოქტორი
თ.პაიკიძე
აკადემიური დოქტორი

თბილისი
2013 წ.

ახალი თაობის ლითიუმ-იონური აკუმულატორებისათვის LiMnPO_4 -ფოსფატის საფუძველზე პერსპექტიული საკათოდე მასალის მიღების მეთოდის შემუშავება ანგარიში

უკანასკნელ წლებში ლითიუმ-იონური ბატარეები ახალი ენერგეტიკული სისტემების
განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პორტატულ ელექტრონულ
მოწყობილობებში, ელექტრო ხელსაწყოებსა და სხვადასხვა ელექტროძრავებში
აუცილებელია დიდი ტევადობის მქონე მაღალი ძაბვის საკათოდე მასალები. დღეისათვის
წარმოებაში გამოყენებად საელექტროდე მასალებს გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანება.
ამასთან დაკავშირებით აქტუალურია ახალი პერსპექტიული მასალების მოძიება. კერძოდ,
ლითიუმ-იონური აკუმულატორის დადებითი ელექტროდისათვის აუცილებელია ისეთი
ნაერთები, რომელთაც შეეძლება ლითიუმის ჩანერგვა-ექსტრაქცია საკმარისად მაღალ
პოტენციალზე ლითიუმთან შედარებით. უკანასკნელ დროს, მკვლევარების ყურადღებას
იპყრობს ოლივინის- LiMePO_4 სტრუქტურის მქონე ლითიუმ-გამტარი ფოსფატები - Li-
იონური ბატარეებისათვის საკათოდე მასალების ახალი კლასი. ოლივინი- LiMePO_4
(Me=Fe, Ni, Mn და სხვა) წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ მასალას Li-იონური

ბატარებისათვის, განსაკუთრებით ელექტროძრავებში, ჰიბრიდულ ელექტროძრავებსა და ა.შ. ოლივინები ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობით. ეს არის დაბალი ფასი, გარემოს მიმართ უსაფრთხოება, კარგი სტაბილურობა და სხვა. ოლივინებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა LiFePO_4 . რაც აიხსნება მისი უსაფრთხოებით, თერმული მდგრადობითა და მაღალი ელექტროქიმიური მახასიათებლებით. $(\text{PO}_4)^{3-}$ -ის წარმოქმნისას ჟანგბადსა და P^{5+} შორის ძლიერი კოვალენტური ბმა ხელს უწყობს სტრუქტურის ძლიერ სტაბილურობას წარმოებაში გამოყენებად ფენოვან ოქსიდებთან შედარებით (მაგალითად LiCoO_2). ოლივინის- LiMePO_4 ($\text{Me}=\text{Fe, Ni, Co, Mn}$ და სხვა) სტრუქტურის ლითიუმგამტარი ფოსფატები ხასიათდება 170 მა·სთ/გ თეორიული ტევადობით, რაც აღემატება LiCoO_2 -ოქსიდის ტევადობას (პრაქტიკული კუთრი ტევადობა). ენერჯის მეტად დიდი სიმკვრივით ხასიათდება LiCoPO_4 (4V Li^+/Li). ოღონდ, LiCoPO_4 -ის კუთრი ტევადობა <100 მა·სთ/გ. ამ ნაერთის ნაკლს წარმოადგენს ციკლირების პროცესში ტევადობის საგრძნობი მილევა. LiFePO_4 -ის შემთხვევაში ნაკლად ითვლება მისთვის დამახასიათებელი დაბალი ელექტრონული გამტარობა და დიფუზიის უნარი, რაც ხელს უშლის მაღალვოლტიან ბატარებში მის გამოყენებას. ბევრი მეცნიერი ცდილობს ისეთი მეთოდების შემუშავებას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება LiFePO_4 -ის მთავარი ნაკლის გადალახვა.

დღეისათვის LiFePO_4 ლითიუმის ბატარებისათვის ერთ-ერთ მთავარ კომერციულ საკათოდე მასალას წარმოადგენს. მაღალი მახასიათებლების მქონე უსაფრთხო LiFePO_4 -ის წარმატებულმა შემუშავებამ ბიძგი მისცა მეცნიერებს დაკავებულებს ოლივინის სტრუქტურის მქონე სხვა საკათოდე მასალით - LiMnPO_4 , რომელიც ენერჯის მეტად მაღალი თეორიული სიმკვრივის გამო უფრო მიმზიდველია, რაც დიდი სამუშაო ძაბვით არის განპირობებული - 4,1V (შედარებით LiCoO_2 -ის სამუშაო ძაბვასთან), და იმყოფება გამოყენებად უწყლო ელექტროლიტების სტაბილურობის ინტერვალში. მსხვილმასშტაბიან ხელსაწყოებში, მაგალითად, ელექტროტრანსპორტში და სიმძლავრის რეზერვულ სისტემებში გამოყენებისას ამ უპირატესობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ. ოღონდ, მაღალი იონური და ელექტრონული წინაღობა ზღუდავს ზემოთმოყვანილი უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობას. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ნანოზომის LiMnPO_4 -ის შექმნამ შეიძლება მიგვიყვანოს დიფუზიური გზის სიგრძის შემცირებასთან და გააუმჯობესოს მისი მახასიათებლები. მცირე ნაწილაკების გამო ლითიუმის იონებს შეუძლიათ დიფუნდირდეს მესრის გავლით ნაწილაკის ცენტრიდან ზედაპირისაკენ მოკლე გზით, რასაც შეუძლია უზრუნველყოს მაღალი ელექტროქიმიური მახასიათებლები და ტევადობის კარგი შენახულობა. კარგად კრისტალიზირებულ ნანონაწილაკებს შეუძლია ხელი შეუწყოს ლითიუმის შედარებით სწრაფ დიფუზიას, და, შესაბამისად, უზრუნველყოს მაღალი სამუშაო მახასიათებლები. საკათოდე მასალების თვისებების გაუმჯობესების ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება გამოყენებული იყოს LiMnPO_4 -ის ჰეტეროვალენტური ან იზოვალენტური კათიონებით დოპირება მანგანუმის კვანძებში.

საკათოდე მასალების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და ელექტროქიმიური მახასიათებლები განპირობებულია მათი მიღების მეთოდებით. ჩვეულებრივ, მყარფაზურ რეაქციას მთელი რიგი ნაკლოვანება გააჩნია. ეს არის ხანგრძლივი მრავალსაფეხურიანი მაღალტემპერატურული პროცესის მოხმარების დიდი ენერჯია, ჰეტეროგენური შედგენილობა და ნაწილაკების აგლომერირება. LiMnPO_4 -ის, როგორც საკათოდე მასალის, რბილი ქიმიის მეთოდებით მიღების დროს (ჰიდროთერმული მეთოდი, თანაგამოლექვა და ა.შ.) საწყისი მასალების დაბალი კონცენტრაციები გამოიყენება და, შესაბამისად, მიზნობრივი პროდუქტი მცირე რაოდენობით მიიღება. ამიტომ მითითებული პროცესების

სამრეწველო წარმოებაში გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. LiMnPO_4 -ის საფუძველზე ნანოზომის საკათოდე მასალების შესაქმნელად ვარგისი სინთეზის სპეციალური მეთოდების შემუშავებამ მისი კინეტიკური მახასიათებლები შეიძლება გააუმჯობესოს.

ნიმუში №1 $T_1=350^\circ\text{C}$		ნიმუში №2 $T_2=500^\circ\text{C}$		ნიმუში №3 $T_2=500^\circ\text{C}$		ნიმუში №4 $T_2 = 600^\circ\text{C}$		ASTM 13-336, $\text{Li}(\text{Mn,Fe})\text{PO}_4$	
$d_{a/n}$	I/I_0	$d_{a/n}$	I/I_0	$d_{a/n}$	I/I_0	$d_{a/n}$	I/I_0	$d_{a/n}$	I/I_0

ნაწილაკის ზომების ნანომასშტაბამდე შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს ელექტროდ/ელექტროლიტის კონტაქტის ფართობის გაზრდამდე, მესრის დელითირების დროს მექანიკური დაზვის შემცირებამდე და საკათოდე მასალაში ლითიუმ/ელექტრონის გადატანის სიგრძის შემცირებამდე.

მოცემულ სამუშაოში, ლითიუმ-იონური აკუმულატორებისათვის LiMnPO_4 -ფოსფატების საფუძველზე საკათოდე მასალების თვისებების გაუმჯობესების მიზნით, წარმოდგენილია $\text{LiMe}_x\text{Mn}_{1-x}\text{PO}_4$ (Me მადოპირებელი მეტალია, მოცემულ შემთხვევაში Cr, $0 \leq x \leq 1$)-ტიპის ნანოზომის ნიმუშების მარტივი, შედარებით დაბალტემპერატურული, მყარფაზური მეთოდი. სინთეზის პირველ სტადიაზე (მექანო-ქიმიური აქტივაცია) საწყისი რეაგენტების (Li_2CO_3 , $\text{MnCO}_3/\text{Cr}_2\text{O}_3$ და $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$) სტექიომეტრულ რაოდენობას ვუმატებდით სპირტს, როგორც ნარევის დისპერგანტს. სპირტის ამოსაშრობად 60°C -მდე გახურების შემდეგ საქაროზის დამატებითა და შემდგომი მექანო-ქიმიური დამუშავებით, სინთეზის მეორე სტადიაზე (შუალედური პროდუქტის მიღება) ნარევი გამოიწვებოდა 350°C -ზე (T_1). მიზნობრივი ნაერთის მისაღებად შუალედური პროდუქტი თერმულად მუშავდებოდა $400-700^\circ\text{C}$ (T_2) ინტერვალში. სინთეზის პროცესში გარკვეული რაოდენობის საქაროზა ემატებოდა ნაწილაკის ზედაპირზე ნახშირბადის დაფენის ხარჯზე საკათოდე მასალის ელექტრული გამტარებლობის მიზნით.

ცხრილი 1

LiMnPO_4 ნიმუშების დიფრაქციული დახასიათება

-	-	-	-	-	-	-	-	5.12	10
4.32	18	4.35	24	4.32	26	4.28	43	4.26	70
4.15	8	3.99	18	3.98	17	3.62	11	3.92	40
-	-	-	-	-	-	-	-	3.69	10
3.52	52	3.53	55	3.53	67	3.50	100	3.47	80
3.06	88	3.06	83	3.06	91	3.03	89	3.01	90
2.94	29	2.95	14	2.93	5	-	-	-	-
2.78	25	2.80	23	2.80	23	2.80	33	2.78	50
2.71	14	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	2.58	38	-	-
2.54	100	2.55	100	2.55	100	2.54	100	2.53	100
2.49	29	2.49	37	2.49	30	2.48	37	2.47	50
2.40	16	2.40	14	2.40	15	2.38	11	2.38	40
2.30	26	2.29	28	2.29	26	2.29	30	2.29	50
-	-	-	-	-	-	-	-	2.27	50
2.15	18	2.14	14	2.14	9	2.14	11	2.15	40
2.06	12	2.06	14	2.06	9	2.06	10	2.05	10
-	-	-	-	-	-	-	-	2.02	10
1.86	12	1.86	14	1.86	11	1.86	10	1.86	30
-	-	1.83	14	1.83	9	1.83	10	1.83	30
-	-	-	-	-	-	-	-	1.81	10
1.76	24	1.76	28	1.75	20	1.75	26	1.75	60
1.67	21	1.67	17	1.67	18	1.67	33	1.68	50
-	23	-	-	-	-	-	-	1.67	50
-	-	-	-	-	-	-	-	1.64	60
-	-	-	-	-	-	1.62	10	1.60	30
-	-	-	-	-	-	-	-	1.52	50
1.50	-	-	-	-	-	-	-	1.51	70

ცხრილი 2

LiMnPO₄ ნიმუშების კრისტალური მესრის პარამეტრები

ნიმუშების მიღების პირობები (T, τ)	a, Å	b, Å	c, Å	ნაწილაკების ზომა d, nm
1. T ₁ = 350° C , τ ₁ = 5ჟ	6.12	10.23	4.80	20.8
T ₁ = 350° C , τ ₁ = 5ჟ 2. T ₂ = 500° C , τ ₂ = 5ჟ	6.12	10.34	4.80	16.7
T ₁ = 350° C , τ ₁ = 5ჟ 3. T ₂ = 500° C , τ ₂ = 5ჟ	6.12	10.34	4.80	16.7
T ₁ = 350° C , τ ₁ = 5ჟ 4. T ₂ = 600° C , τ ₂ = 5ჟ	6.06	10.39	4.76	-
ASTM,13-336 Li(Mn,	6.05	10.32	4.71	-

Fe)PO ₄				
--------------------	--	--	--	--

ცხრილებში 1 და 2 წარმოდგენილია LiMnPO₄-ის ნიმუშების დიფრაქციული დახასიათება, კრისტალური მესრის პარამეტრები და ნაწილაკების ზომები.


რენტგენოგრაფიული კვლევები ჩატარდა დრიფრაქტომეტრზე - DPH-3M ფოკუსირებულ CuK α -გამოსხივებაზე. ფაზების იდენტიფიკაცია ტარდებოდა არაორგანული ნაერთების დიფრაქტომეტრული მონაცემების ბაზის დახმარებით, აგრეთვე, უახლესი ლიტერატურული მონაცემების საშუალებით, რომლებიც ლითიუმ-მანგანუმიან ფოსფატებს ეხება. განზნევის კოგერანტობის უბნების (d,nm) შეფასება ტარდებოდა დებაი-შერერის ფორმულის მიხედვით: $d=0,9 \lambda/\beta \cdot \cos\theta$, სადაც λ -ტალლის სიგრძეა, β -ძირითადი ნახევარტალლის დიფრაქციული პიკის სიგანე, θ -დიფრაქციის კუთხე.

თერმოგრაფიკული კვლევები ჩატარდა Q-1500°C დერივატოგრაფზე მრუდების ერთდროული ჩაწერით: ტემპერატურის ცვლილების მრუდი (T), მასის ცვლილების მრუდი (TG), აგრეთვე, შესაბამისი დიფერენციალური მრუდები (DTA) და (DTG).

გახურების სიჩქარე 10°/წთ, მასის მგრძნობელობა-100 მგ. სურ.1 წარმოდგენილია LiMnPO₄ მისაღები Li₂CO₃, MnCO₃, (NH₄)₂HPO₄-საწყისი ნარევის თერმოგრამა.

დაბალტემპერატურულ უბანში ენდოფექტები შეიძლება შეესაბამებოდეს ~70°C-ზე (NH₄)₂HPO₄-ის NH₄H₂PO₄-ში გადასვლას; 150-190-250°C ინტერვალში მასის დანაკარგის გარეშე დნობასა და NH₄H₂PO₄-ის P₂O₅-მდე დაშლას; საქაროზის ლღობასა (190°C) და დაშლას (>200°C). ენდოფექტები, რომლებიც ფიქსირდება შედარებით

მაღალტემპერატურულ უბანში (>550°C) შეიძლება განპირობებული იყოს საქაროზის დაშლის პროდუქტების წვის პროცესით. მასის დანაკარგის გარეშე ენდოთერმული ეფექტი მაქსიმუმით 990°C-ზე შეესაბამება მანგანუმის ფოსფატის დნობას. რენტგენოგრაფიული, რენტგენოსტრუქტურული და ანალიზის თერმული მეთოდები ამტკიცებს, რომ შემუშავებული მეთოდით 400-500°C ინტერვალში მიღებული ფაზურად-სუფთა, ნანოზომის (d=16,7-20,8 ნმ) LiMnPO₄-ის ნიმუშებს შეესაბამება Pnmb-ჯგუფის ორთორომბული ოლივინის სტრუქტურა. ტემპერატურის აწევით 600°C-მდე ფიქსირდება ძირითადი ფაზა, ოღონდ შეინიშნება სტრუქტურის რღვევა. თერმოდამუშავებას 500°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე მიყვავართ სტრუქტურის გახლეჩვამდე ახალი პიკების გამოვლენით. Li-იონური აკუმულატორებისათვის ლითიუმ-მანგანუმიანი შპინელების საფუძველზე საკათოდე მასალების შემუშავების კვლევები გაგრძელდება მათი მიღების მეთოდების სრულყოფისა და მაღალი სამუშაო დახასიათებლების უზრუნველყოფის მიმართულებით.



სურ.1. LiMnPO_4 მასალები საწყისი ნაერვის თერმოგრამა

შედეგები:

2013 წელს პროექტის ფარგლებში შერჩეული იყო საწყისი რეაგენტები და LiMnPO_4 -ის საფუძველზე შემუშავდა ფაზურად-სუფთა, ნანოზომის, ჰომოგენური საკათოდე მასალების ნიმუშების მიღების მეთოდი. მიღებული ნაერთები ხასიათდებიან ორთორომბული სტრუქტურითა და გაზრდილი ელექტროქიმიური მახასიათებლებით. მეთოდი დაფუძნებული იყო ორსტადიან, შედარებით დაბალტემპერატურულ მყარფაზურ პროცესზე. საკათოდე მასალები, მიღებული შემუშავებული მეთოდით, საინტერესოს

წარმოადგენს მსხვილმასშტაბიანი ხელსაწყოებისათვის (ელექტროტრანსპორტი, სარეზერვო სისტემები და ა.შ.) ლითიუმ-იონური აკუმულატორების წარმოებაში.

III. დ) სტატიები (საქართველოში)

ავტორები: ე.ქაჩიბაია, ი.იმნაძე, თ.პაიკიძე, დ.ძანაშვილი, თ.მაჩაიძე

სტატიის სათაური: Synthesis of $\text{LiCr}_x\text{Mn}_{1-x}\text{PO}_4$ -phosphate as promising cathode material for Lithium-ion accumulators.

ჟურნალის დასახელება: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ (ქიმიის სერია)

ჟურნალის ნომერი : № 3-4, 2013 წ.

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 52.

გვერდების რაოდენობა - 6

ანოტაცია:

შემუშავებულია ლითიუმ-მანგანუმიანი ფოსფატების - $\text{LiCr}_x\text{Mn}_{1-x}\text{PO}_4$ ($0 \leq x \leq 1$), როგორც Li-იონური აკუმულატორების საკათოდე მასალების, მიღების მარტივი და შედარებით დაბალტემპერატურული, ეფექტური მყარფაზური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებული იქნას გაუმჯობესებული მახასიათებლების მქონე ნანოსტრუქტურული, ჰომოგენური ნიმუშები. რენტგენოფაზური, რენტგენოსტრუქტურული და ანალიზის სხვა მეთოდების შედეგები ამტკიცებს, რომ ფაზურად-სუფთა, ნანოზომის ნიმუშებს, რომლებიც მიღებული იყო ოპტიმალურ პირობებში $T \approx 400-500^\circ\text{C}$ -ზე, შეესაბამება Pnmb-ორთორომბული ჯგუფის მქონე ოლივინის მოწესრიგებული სტრუქტურა. შემუშავებული ნაერთები საინტერესოს წარმოადგენს როგორც დიდი სიმძლავრის ლითიუმ-იონური ბატარეებისათვის საკათოდე მასალა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 რ.აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
 ადგილობრივი წიაღისეული ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორია
 “ვამტკიცებ”
 ინსტიტუტის დირექტორი

გ.ტატიშვილი

2013წ.

მეცნიერების დარგი - ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია
სამეცნიერო მიმართულება - საქართველოს მინერალური ნედლეულის
 გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების
 შემუშავება და ახალი მასალების მიღება.

საკვლევი თემის დასახელება - თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან
 ოქროს გამოყოფის პროცესის შესწავლა ზოფხითოს ანთიმონის მადნის მაგალითზე
კვლევის ხელმძღვანელი – რუსუდან ჩაგელიშვილი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
 ტექნ. მეცნ. კანდიდატი

კვლევაში ჩართული პერსონალი:

- რუსუდან ჩაგელიშვილი, უფროსი მეცნ.თანამშრ., ტექნ.მეცნ. კანდიდატი –
- ვახტანგ გაფრინდაშვილი, მთავარი მეცნიერი, ტექნ. მეცნ.დოქტ., პროფ. –
- მარინე ავალიანი, უფროსი მეცნ.თანამშრ., ქიმ. მეცნ. კანდიდატი –
- ლიანა წყალობაძე, მეცნ. თანამშრ., ქიმ. მეცნ. კანდიდატი –
- მარინა გველესიანი, მეცნ.თანამშრ. –

ლაბორატორიის გამგე– ბორის ფურცელაძე, ტექნ. მეცნ. კანდიდატი –

თბილისი

2013 წ

**თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ოქროს გამოყოფის პროცესის
 შესწავლა ზოფხითოს ანთიმონის მადნის მაგალითზე**

კვლევის მიზანი და აქტუალობა. მთიანი რაჭის ზოფხითოს საბადოს ოქროშემცველი
 ანთიმონის მადნების და მათი კონცენტრატების კომპლექსური გადამუშავებისთვის
 ყველაზე ეფექტურ და ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდს წარმოადგენს მათი
 ვაკუუმ-თერმული გადამუშავების მეთოდი კონდენსატში სტიბიუმის და დარიშხანის
 გადაღებით და დარჩენილი ოქროშემცველი ნამწვიდან კეთილშობილი მეტალების
 ამოღება თიოშარდოვანას მჟავა ხსნარებით. ამ მადნებიდან სტიბიუმისა და
 დარიშხანის ამოღებაზე მუშაობს ფ. თავაძის მეტალურგიისა და
 მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი. ისინი ვაკუუმ-თერმული
 მეთოდის გამოყენებით ახდენენ სტიბიუმის მიღებას სტიბიუმის სულფიდის და
 მეტალური სტიბიუმის სახით[1,2]. გარდა ამისა, მიიღება არატოქსიკური ფორმის
 დარიშხანი. ნამწვი, რომელიც მიიღება 800^oC ტემპერატურაზე ვაკუუმით დამუშავების
 შემდეგ და შეიცავს 5,5 გ/ტ ოქროს და 12 გ/ტ ვერცხლს, მიემართება ჰიდრომეტალურგიულ
 გადამუშავებაზე ძვირფასი ლითონების ამოსაღებად. სამუშაოს ამ ნაწილის შესრულებაზე
 კი მუშაობს რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის
 თანამშრომელთა ჯგუფი [3].

მიუხედავად იმისა, რომ მადნებიდან, კონცენტრატებიდან და აგრეთვე ნამწვებიდან
 ოქროს ამოღების ძირითად ჰიდრომეტალურგიულ პროცესს წარმოადგენს ციანიდური
 მეთოდი, მის ღირსებასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მეთოდის
 მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეები: ნატრიუმის ციანიდის განსაკუთრებით მაღალი

ტოქსიკურობა, ჩამდინარე წყლების გაუნებელყოფის პრობლემის გადაუჭრელობა და სხვა[4].

ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ოქროს გამხსნელებიდან ტექნოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს თიოკარბამიდი (თიოშარდოვანა), რადგანაც იგი სხვა ოქროს გამხსნელებზე მეტად პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს: შედარებით ნაკლები ტოქსიკურობა, კინეტიკური აქტიურობა, კეთილშობილი ლითონებისადმი გამორჩეული სწრაფვა, სათანადო ფასი და საწარმო მასშტაბით მისი მიღების შესაძლებლობა[5]. თიოკარბამიდული გამოტუტვის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას ჰიდრომეტალურგიული ტექნოლოგია შეკრული ციკლით.

ზოფხითოს ანტიმონის ოქროშემცველი მადნებიდან და ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების შესაძლებლობის დასადგენად ჩატარდა ექსპერიმენტები. შესწავლილია პროცესის ძირითადი ფაქტორების გავლენა მადნის კონცენტრანტის თიოშარდოვანას ხსნარებით გამოტუტვის ხარისხზე.

ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა ზოფხითოს ოქროშემცველი ანტიმონის მადნის კონცენტრანტის ვაკუუმთერმული დამუშავების ნარჩენებიდან თიოკარბამიდული მეთოდით ოქროს ამოღების ოპტიმალური პირობები: გამოსატუტი ხსნარის შემადგენლობა Thio- 0,5 %, $Fe_2(SO_4)_3$ - 0,8 %; H_2SO_4 - 0,8 %. გამოტუტვის რეჟიმი: ხანგრძლიობა- 4 საათი; მყ: თხ= 1:3; სარეველას ბრუნვის სიჩქარე 200ბრ/წთ; T-18-25⁰ C. ამ პირობებში ნარჩენებიდან ოქროს ამოღების ხარისხი შეადგენს დაახლოებით 87 -90%.

ამოტუტვის შედეგად მიღებული თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარებიდან ოქროს ამოსაღებად სორბენტად ძირითადად იყენებენ გააქტიურებულ ნახშირებს [6], რითაც მიიღწევა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი. ეს აიხსნება იმით, რომ ნახშირები 5 -10 ჯერ იაფია იონიტებზე და მათ მისაღებად გამოყენებულია ხელმისაწვდომი ნედლეული. ოქროსა და ვერცხლის დესორბცია ნახშიროვანი სორბენტიდან მარტივია და არ მოითხოვს ძვირადღირებულ მასალებს და რეაგენტებს. გამოთვლები ადასტურებენ, რომ თვით ერთჯერადი გამოყენებაც კი გააქტიურებული ნახშირებისა ადსორბცია-დესორბციის პროცესებში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე იონიტების გამოყენებაზე დამყარებული პროცესები.

უცხოელების კვლევა ნაშრომში [7] ეხება ოქროს ადსორბციას თიოშარდოვანას მჟავა ხსნარებიდან გააქტიურებული ნახშირებით. 35⁰ C მაღალი ტემპის დროს იწვება კომპლექსის დაშლა. სპექტროფოტომეტრული და მიკროსკოპული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ გააქტიურებული ნახშირით შთაინთქმება კათიონი $[Au(CS(NH_2)_2)]^{+2}$, თანაც ოქროს აღდგენა მეტალურ მდგომარეობამდე სორბციის პროცესში პრაქტიკულად არ შეიძლება.

მასალებში [8] შესწავლილია გააქტიურებული ნახშირის სორბციული თვისებები მოდელურ ხსნარებზე. გამოკვლევებით დადგენილია, რომ გააქტიურებული ნახშირით სორბციის პროცესზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები : ფორების გაჭედვის ფიზიკური პროცესები, ზედაპირის ჰიდროფობულობის ზრდა, რაც ზღუდავს ჰიდრატირებული ნაწილაკების მისვლას ზედაპირთან, გააქტიურებული ნახშირის ნაწილაკების მუხტის შეცვლა, კონკურენცია აქტიური სორბციის ადგილებისთვის, ოქროს კომპლექსწარმოქმნის უნარი, რომელიც იწვევს წონასწორობის გადანაცვლებას.

ადსორბენტები

გააქტიურებული ნახშირები – ფოროვანი სამრეწველო ადსორბენტებია, რომლებიც ძირითადად ნახშირბადისაგან შედგებიან. მათ იღებენ სხვადასხვა ორგანული

ნედლეულიდან, მურა და ქვის ნახშირისაგან, ტორფისაგან, ანთრაციდისაგან. მაღალი მექანიკური სიმტკიცით გამოირჩევიან ნახშირები, რომლებიც მიიღებიან ქოქოსის, ასევე ნაყოფის კურკებისაგან [9,10].

გააქტიურებული ნახშირი ერთადერთი ჰიდროფობური სამრეწველო ადსორბენტია. ეს ფაქტორი განაპირობებს წარმოებაში (ტენიან და თხევად სისტემაში) მის ფართო გამოყენებას. ნახშირბადის კრისტალების ზედაპირი ელექტრო ნეტრალურია და ადსორბცია ნახშირებზე ძირითადად განპირობებულია დისპერსიული ურთიერთქმედების ძალებით [11]. ნაწილაკების ფორმისა და სიდიდის მიხედვით გააქტიურებული ნახშირები იყოფიან ორ ჯგუფად: გრანულირებული (2-5 მმ ზომის) და ფხვნილის მაგვარი (<0.95მმ). დანიშნულების მიხედვით – შემდეგ ტიპებად: გაზური, რეკუპერაციული და გამაუფერულებელი.

გაზური ნახშირები, რომლებიც ხასიათდებიან მიკროფორების დიდი მოცულობით და ზომიერად განვითარებული მეზოფორიანობით, მაგალითად CKT, მიიღება გოგირდოვან – კალციუმიანი აქტივაციით. მათ აქვთ შემდეგი მახასიათებლები: სიმკვრივე – 0.38 – 0.50 გ/სმ³, ფორების ჯამური მოცულობა $V_{\text{ჯამური}}=0.75 - 1.10$ სმ³/გრ, მიკროფორებს მოცულობა $V_{\text{მკ}}=0.45-0.60$ სმ³/გრ, მეზოფორების მოცულობა $V_{\text{მე}}=0.1-0.28$ სმ³/გრ, მაკროფორების მოცულობა $V_{\text{მა}}=0.16-0.25$ სმ³/გრ, მეზოფორების ხვედრითი ზედაპირი $S_{\text{მე}}= 60-180$ მ²/გრ.

AG-2 გაზურ ნახშირ CKT-საგან განსხვავებით აქვს ორი მიკროფორებიანი სტრუქტურა. მიკროფორების ჯამური მოცულობა და ყველა ფორის ჯამური მოცულობა ამ ნახშირს გაცილებით ნაკლები აქვს, მეზოფორიანობა სუსტად აქვს განვითარებული. მაკროფორების მოცულობა ისეთივე აქვს, როგორც CKT-ს. AG-2 ნახშირს ამზადებენ ქვანახშირის მტვრისაგან. იგი გამოიყენება კატალიზატორების და მშთანთქმელებისათვის, იყენებენ დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებში სუნთქვის ორგანოების დასაცავად.

ნახშირი AG-3 ანალოგიურია AG-2 - ისა თავისი თვისებებით და დამზადების ტექნოლოგიით. AG-3 ფართოდ გამოიყენება თხევადი და აირადი სისტემებიდან კომპონენტების ამოსაღებად.

ნახშირი KAD- იოდისანი გამოიყენება მინერალური წყლებიდან იოდის შთანთქმისათვის, აგრეთვე ხსნარებიდან სხვადასხვა ნივთიერებების ამოსაღებად. ეს ნახშირი მიიღება ქვანახშირის ნახევარკოქსიდან. იგი მიკროსტრუქტურით ახლოს დგას AG-ს ტიპის ნახშირებთან ($V_{\text{მკ}}=0.30$ სმ³/გ), მაგრამ აქვს მნიშვნელოვნად განვითარებული მეზო ($V_{\text{მე}}=0.15$ სმ³/გ, $S_{\text{მე}}=110$ მ²/გ) და მაკროფორიანობა ($V_{\text{მა}}=0.51$ სმ³/გ), ფორების ჯამური მოცულობა $V_{\text{ჯამური}}= 1.0$ სმ³/გ. რეკუპერაციულ ნახშირებს მიეკუთვნება ნახშირები AP და APT. ნახშირ AP - ს აქვს ორი მაკროფორიანი სტრუქტურა და შემდეგი მახასიათებლები : $V_{\text{ჯამური}}= 0.70$, $V_{\text{მკ}}=0.33$, $V_{\text{მე}}=0.07$, $V_{\text{მა}}=0.30$ სმ³/გ, $S_{\text{მე}}=50$ მ²/გ.

ქოქოსის ნაჭუჭებიდან მიღებული აქტიური ნახშირი (GRC) ნაწილაკების სიმტკიცის გამო ფართოდ გამოიყენება ოქროსმომპოვებელ მრეწველობაში.

ექსპერიმენტული ნაწილი

თიოშარდოვანას ოქროსმომპოვებელი ხსნარებიდან ნახშირებზე ოქროს ადსორბციის პროცესის შესასწავლად, ხანგრძლივი ქსპერიმენტებისა და მრავალრიცხოვანი ოქროს ძვირადღირებული ანალიზების შემცირების მიზნით, ექსპერიმენტულ გამოკვლევებში გამოყენებული იყო მოდელური ხსნარები, რომლებიც შეიცავდნენ: 2%Thio-ს, 1%Fe₂(SO₄)₃, 1% H₂SO₄ და 1 მგ/ლ ოქროს, რაც ოქროს შემცველობით შეესაბამება იმ ხსნარების შედგენილობას, რომლებიც მიიღებოდა ანთიმონის მადნის კონცენტრანტის ვაკუუმ-თერმული გადამუშავების ნარჩენებიდან თიოშარდოვანას ხსნარებში ამოღებულ ოქროს რაოდენობას. ყველა ექსპერიმენტში გამოცდილია 100 მლ.

საკვლევი ხსნარი. პროცესი ტარდებოდა ოთახის ტემპერატურაზე პულპის მექანიკური მორევიტ და ჰაერის შებერვით. ხსნარებიდან ოქროს აღსორბციისათვის გამოყენებულია სხვადასხვა მარკის ნახშირები (KAD, GRC, CKT, AP-4, AGC-4). ნახშირები ირეცხებოდა სუფთა ჩანარეცხი წყლის მიღებამდე და გაშრობის შემდეგ გამოიყენებოდა ექსპერიმენტებში. გამოიყენებულია აგრეთვე გააქტიურებული ნახშირი (გამოწვა ინერტულ გარემოში 400⁰C- ზე). ნახშირები რომლებზედაც ხდებოდა ოქროს აღსორბირება, გამოიყენებოდა შემდგომში ოქროს დესორბციის პროცესის შესასწავლად.

ძირითადი ფაქტორების გავლენა ოქროს აღსორბციის ხარისხზე

შესწავლილია სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ოქროს აღსორბციის ხარისხზე: ნახშირის მარკა, ნახშირის რაოდენობა, ნახშირის წინასწარ გააქტიურება, აღსორბციის ხანგრძლივობა, არევის სიჩქარე, ოქროს კონცენტრაციის გავლენა და სხვა.

ვინაიდან ლიტერატურაში [12] ძირითადი სამუშაოები, როგორც თეორიული, ასევე სამრეწველო, ჩატარებულია CKT – ს მარკის ნახშირებზე, ამიტომ ჩვენც ექსპერიმენტები დავიწყეთ აღნიშნული ნახშირის გამოყენებით.

აღსორბციისათვის აღებული იყო სამუშაო ხსნარი ოქროს შემცველობით 1 მგ/ლ, ხოლო აღსორბენტის რაოდენობა 20-60მგ. მიუხედავად იმის არამ აღსორბციის პროცესი მიმდინარეობდა 5 სთ-ს განმავლობაში, ოქროს ამოღების ხარისხი დაბალი იყო და 60 მგ. ნახშირის გამოყენების დროს მიაღწია დაახლოებით 31 %-ს. ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში ნახშირის რაოდენობას ვცვლიდით 200- დან 600 მგ-მდე. ამ შემთხვევაშიც ნახშირის რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია ოქროს აღსორბციის ხარისხის გაზრდა. 600მგ. ნახშირის აღების შემთხვევაში აღსორბციის ხარისხმა 3 საათიან ცდებში მიაღწია 71 %-ს. აღნიშნული შედეგები მოტანილია ცხრ.1-ში.

ცხრ.1

ნახშირის რაოდენობის გავლენა ოქროსშემცველი ხსნარებიდან ოქროს აღსორბციის ხარისხზე

ნახშირის მარკა – CKT, ხსნარის რაოდენობა 100 მლ, საწყის ხსნარში ოქროს შემცველობა 0.94 მგ/ლ, ხსნარის არევა ჰაერის შებერვით, ცდის ხანგრძობა 3

სთ.

ცდის №	ნახშირის რაოდ- ბა, მგ.	ნახშირში Au-ის შემც-ბა, მგ/ლ	აღსორბციის ხარისხი, %
1	200	0.56	40.5
2	300	0.40	57.5
3	400	0.36	61.7
4	500	0.36	61.7
5	600	0.26	72.4

შესწავლილია დროის ფაქტორის გავლენა აღსორბციის ხარისხზე CKTმარკის ნახშირის გამოყენებით. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 2-ში. 5სთ-იანი აღსორბციის შედეგად მიღწეულია 81% ოქროს ამოღების ხარისხი, რაც დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხრ.2

დროის გავლენა ოქროს ადსორბციის ხარისხზე
ნახშირის რაოდენობა 400მგ; ხსნარის რაოდენობა 100მლ; Au-0.95მგ/ლ

ცდის №	ადსორბციის ხანგრძობა, სთ	ხსნარში Au –ის შემცვეობა, მგ/ლ	ადსორბციის ხარისხი, %
1	1	0.60	37.9
2	2	0.40	57.9
3	3	0.38	60.0
4	4	0.38	60.0
5	5	0.18	81.0

ცდები ტარდებოდა ერთნაირ პირობებში ჰაერის შებერვით. შედეგებმა გვიჩვენეს, რომ CKT-ს მარკის ნახშირები აქ მოტანილ ნახშირებიდან ყველაზე დაბალ ადსორბციის უნარს ამჟღავნებს, ხოლო ყველაზე მაღალი ადსორბციის უნარი აქვს KAD – ის მარკის ნახშირებს. ანსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ერთნაირ პირობებში KAD – ის ადსორბციის ხარისხი დაახლოებით 80%-ია, შემდეგ მოდიან AP-3, AGC-4, GRC და CKT-56%-ით.

ცხრ.3

სხვადასხვა მარკის ნახშირის გავლენა ოქროს ადსორბციის ხარისხზე
ნახშირის რაოდენობა 200მგ, ხსნარის რაოდენობა 100მლ, Au-0.95 მგ/ლ, ხანგრძობა 3 სთ.

ცდის №	ნახშირის მარკა	ხსნარში ოქროს შემცვეობა, მგ/ლ	ადსორბციის ხარისხი %
1	AGC-4	0.35	63.2
2	AP-3	0.25	73.7
3	KAD	0.20	79.0
4	GRC	0.38	60.0
5	CKT	0.42	55.8

სამრეწველო რეკომენდაცია შეიძლება მიეცეს KAD-ს და აგრეთვე GRC. იუხედავად იმისა, რომ GRC-ის ადსორბციის უნარიანობა ნაკლებია AGC-4 და AP-3- ზე, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (სიმტკიცე, რეგენერაციის უკეთესი უნარი და ნაკლები დანაკარგები რეგენერაციის დროს, მთლიანობაში უფრო ეკონომიური) მას შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ, ვინაიდან აქტიური ნახშირების სერიოზულ უარყოფით მხარეს წარმოადგენს მათი დაბალი მექანიკური სიმტკიცე და ამით განპირობებული სორბენტის გაზრდილი დანაკარგები [10].

ცხრ.3-ში მოტანილი მონაცემების მიხედვით KAD-ის მარკის ნახშირის 300მგ. რაოდენობის დროს მიიღწევა 90%- მდე ოქროს ადსორბციის ხარისხი.

ცხრ.4

ნახშირის (მარკა KAD) რაოდენობის გავლენა ოქროს შემცველი ხსნარებიდან ოქროს ადსორბციის ხარისხზე
ხსნარის რაოდენობა 100მლ, Au-0.95 მგ/ლ,

ცდის ხანგრძობა 3 სთ.

ცდის №	ნახშირის რაოდენობა, მგ.	ხსნარში Au-ის შემცობა, მგ/ლ	დესორბციის ხარისხი, %
1	50	0.75	21
2	100	0.45	53.2
3	200	0.20	79.0
4	300	0.10	89.5

შესწავლილია რკინის იონების გავლენა ნახშირით ოქროს ადსორბციის ხარისხზე. როგორც ვიცით, სამრეწველო ხსნარებში თიოშარდოვანასთან ერთად შეყავთ რკინის (111) სულფატის მარილი, რომელიც დამუხანგავის როლს ასრულებს. სათანადო ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ რკინის კონცენტრაცია 0.01 -1% Fe (111) ფარგლებში პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს ადსორბციის ხარისხზე. KAD-ის მარკის ნახშირის გამოყენებისას რკინის არშემცველი და შემცველი ხსნარებიდან ოქროს ადსორბციის ხარისხი არის შესაბამისად 48% და 45%, ხოლო GRC-ის მარკის ნახშირის გამოყენებისას კი - შესაბამისად 40 და 38 %. განსხვავება ანალიზის ცდომილების ფარგლებშია. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ KAD-ის მარკის ნახშირის გამოყენების დროს შედეგები უკეთესია, ვიდრე GRC-ის მარკის ნახშირის გამოყენებისას.

ლიტერატურის მონაცემების მიხედვით [13] ნახშირის აქტიურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადსორბციის უნარიანობას. ვინაიდან ჩვენ შევჩერდით ორი მარკის ნახშირებზე - KAD და GRC, ამიტომ მოვახდინეთ ამ ნახშირების გააქტიურება 400⁰ C ტემპერატურაზე 2სთ და 5სთ-ის ხანგრძლივობით. ექსპერიმენტების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ოპტიმალურია 5 სთ.-იანი გააქტიურება. 2 საათის გააქტიურების შემდეგ აღნიშნულ პირობებში 50 მგ. ნახშირის გამოყენების დროს ადსორბციის ხარისხი შეადგენს 55 %-ს KAD-ის შემთხვევაში, ხოლო 40%-ს GRC-ის გამოყენებისას. ხოლო 5 საათიანი გააქტიურების შემდეგ იგივე პირობებში ადსორბციის ხარისხი მატულობს და შეადგენს 68 და 50 %-ს შესაბამისად. ამ შედეგებზე დაყრდნობით ექსპერიმენტების შემდეგი სერია ტარდებოდა გააქტიურებულ ნახშირებზე.

კინეტიკური მახასიათებლების მოხსნის მიზნით შემდგომ ექსპერიმენტებში ძირითადად პულპის მორევა ხდებოდა მექანიკური სარეველას მეშვეობით. შევისწავლეთ სარეველას ბრუნვის სიჩქარის გავლენა ოქროს ადსორბციის ხარისხზე. სარეველას ბრუნვის სიჩქარის ცვლილება ინტერვალში 200 ბრ/წთ-1100ბრ/წთ. პრაქტიკულად გავლენას ვერ ახდენს ოქროს ადსორბციის ხარისხზე. ეს ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ პროცესი არ ემორჩილება დიფუზურ კინეტიკას. მაშასადამე, პროცესი ჩვენი აზრით, ლიმიტირებულია ნაწილაკების შეღწევით ნახშირის ფორებში. ე.ი. პროცესი მიდის კინეტიკურ უბანში. ამაკმაყოფილებელი შედეგი მიღებულია, როცა სარეველას ბრუნვის სიჩქარე არის 350ბრ/წთ.

შესწავლილია დროის ფაქტორის გავლენა ნახშირით ოქროს ადსორბციის ხარისხზე. მონაცემები წარმოდგენილია ცხრ.5-ში.

ცხრ.5

დროის გავლენა ოქროს ადსორბციის ხარისხზე მექანიკური სარეველას გამოყენების შემთხვევაში

ნახშირი (მარკა KAD, გააქტ. 400⁰C 5სთ-ის განმ-ში) -100მგ, ოქროს ხსნარი 100მლ, Au-1მგ/ლ, სარეველას ბრუნვის სიჩქარე 350 ბრ/წთ-ში.

ცდის №	ცდის ხანგრძობა, სთ	ხსნარში Au-ის შემცობა, მგ/ლ	დსორბციის ხარისხი, %
--------	--------------------	-----------------------------	----------------------

1	0.5	0.70	30
2	1	0.55	45
3	2	0.50	50
4	3	0.25	75
5	4	0.02	98
6	5	0.03	97
7	6	0.20	80

ცხრ. 5-დან ჩანს, რომ მაქსიმალური აღსორბციის ხარისხი მიიღწევა 4 სთ-ში (98%), 5 სთ-ის განმავლობაში აღსორბციის ხარისხი თითქმის იგივე რჩება, ხოლო 5 სთ-ის შემდეგ იგი მცირდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ 5 სთ-ის შემდეგ მყარდება აღსორბციული წონასწორობა, რაც ეთანადება ლიტერატურულ მონაცემებს [4]. როგორც ჩანს, იწყება დესორბციის პროცესი.

ოქროს ჰიდრომეტალურგიაში აღსორბენტად ნახშირების გარდა იყენებენ იონიტებს. ვინაიდან თიოშარდოვანას ხსნარებში გვაქვს ოქროს კათიონური კომპლექსები, ამიტომ აღსორბენტად გამოვიყენეთ კათიონიტი KI-2, რომელიც რეკომენდირებულია ლიტერატურიდან [11], რაც ჩვენი წინასწარი ექსპერიმენტებითაც დადასტურდა.

ცხრ.6

ოქროს აღსორბციის შედეგები იონიტი KI-2-ის გამოყენებით იონიტისა და ნახშირის (მარკა KAD-გააქტ) რაოდენობა 100მგ, ოქროს ხსნარი 100მლ. Au-1მგ/ლ, სარეველას ბრუნვის სიჩქარე 350 ბრ/წთ.

ცდის №	აღსორბენტი	ცდის ხანგრძლივობა, სთ	ხსნარში Au-ის შემც-ბა, მგ/ლ	აღსორბციის ხარისხი, %
1	KI-2	2	0.56	44
2	KAD	2	0.50	50
3	KI-2	3	0.25	75
4	KAD	3	0.25	75

როგორც ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს (ცხრ.6) KI-2 აღსორბციის უნარიანობით არ ჩამოუვარდება ნახშირს - KAD. მისი გამოყენება შესაძლებელია ოქროს აღსორბციის პროცესისათვის, მაგრამ ეკონომიური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია აქტიური ნახშირების გამოყენება, რადგანაც ისინი უფრო იაფია და რეგენერაციას უკეთესად ექვემდებარებიან.

ელუატების გავლენა ოქროს დესორბციის მაჩვენებლებზე

ნახშირებიდან ოქროს ამოღების ორი გზა არსებობს: ნახშირის დაწვა და ნახშირიდან ოქროს დესორბცია. ბუნებრივია, უფრო ეკონომიური იქნება დესორბციის პროცესი. შევისწავლეთ ოქროს დესორბცია წყალხსნარებით და წყალხსნარ-ორგანული გამხსნელების ნარევებით.

თიოშარდოვანას ხსნარებიდან ვახდენდით ნახშირზე ოქროს აღსორბციას, ვატარებდით ანალიზს ოქროზე და ამ ნიმუშებს ვიყენებდით დესორბციის პროცესების შესასწავლად.

ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო KAD-ის მარკის გააქტიურებული ნახსირი, რომლის ნაწილაკების ზომა 1-5 მმ სიდიდისაა. ორგანული გამხსნელების როლში გამოყენებულია იზოამილის სპირტი, ეთილენგლიკოლი, დიეთილენგლიკოლი და დიმეთილსულფოქსიდი.

შედარებისთვის ვიყენებდით აგრეთვე სტანდარტულ გამხსნელს – თიოშარდოვანას ტუტე ხსნარს (10გ/ლ KOH -ის), დესორბციის ტემპერატურა 50°C, ხანგრძლივობა 2 სთ.

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით [14] შევჩერდით წყალი:ორგანიკა ფარდობაზე 1:1. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრ. 6-ში.

ცხრ.6

ნახშირიდან ოქროს დესორბცია წყალ-ორგანული გამხსნელებით და თიოშარდოვანას ხსნარით

დესორბციის ტემპ.-რა 50°C, ხსნარის რაოდ.-ბა 100მლ,

წყალი:ორგ.გამხსნ.=1:1,

კონც-10გ/ლ, ცდის ხანგრძ.-ბა 2 სთ.

ცდის №	ნახშირში Au-ის შემც.-ბა, მგ	ორგანული გამხსნელი	მიღებულ ხსნარში Au-ის შემც.-ბა, მგ/ლ	დესორბციის ხარისხი, %
1	0.9	იზოამილის სპირტი	0	0
2	0.75	ეთილენგლიკოლი	0	0
3	0.8	დიმეთილსულფოქსიდი	0.7	87.5
4	0.8	დიეთილენგლიკოლი	0.2	25.0
5	0.9	თიოშარდოვანა 4%, KOH-10გ/ლ	0.8	89.0

მიღებული შედეგებიდან ჩანს რომ მაქსიმალური დესორბციის ხარისხი მიიღწევა თიოშარდოვანასა და დიმეთილსულფოქსიდის გამოყენების დროს (89%), ხოლო იზოამილის სპირტის და ეთილენგლიკოლის გამოყენებით დესორბცია არ მიმდინარეობს. დიეთილენგლიკოლის გამოყენებით მიიღწევა 25 % დესორბციის ხარისხი.

დესორბციის შემდეგ მიღებული ოქროს კონცენტრირებული ხსნარებიდან ოქროს ამოღება შემდგომში შესაძლებელია მოხდეს ელექტროლიზით.

დასკვნები

9. შემუშავებულია თიოშარდოვანას ხსნარებიდან ოქროს ადსორბციისა და დესორბციის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდიკა. დადგენილია, რომ პულპის (ხსნარისა და ნახშირის ნარევი) მექანიკური სარეველათი და ჰაერის ჭავლით მორევის პირობებში დასახელებული პროცესების მაჩვენებლები იდენტურია.
10. ექსპერიმენტულად გამოცდილი რიგი მარკის (CKT, GRC, KAD, AGC, AP-3) ნახშირებიდან ოქროს ადსორბციის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება KAD-ის მარკის ნახშირები.
11. შესწავლილია ნახშირის წინასწარ გააქტიურების (400°C, 5 სთ) გავლენა ადსორბციის პროცესზე. ნაჩვენებია წინასწარ გააქტიურებული ნახშირების გამოყენების უპირატესობა.

12. დადგენილია ხსნარიდან ოქროს აღსორბციის ხარისხზე ნახშირის (KAD) რაოდენობის გავლენა. მაღალი ამოღების მაჩვენებლები (90%) რეალიზდება, როცა 100 მლ ოქროშემცველ ხსნარში შეტანილია 100 მგ აღსორბენტი. ოქროს მიმართ შერჩეული ნახშირების ხვედრითი ტევადობა შეადგენს 5-10 გ/კგ, რაც შეესაბამება ტექნიკური ლიტერატურის მონაცემებს.
13. შესწავლილია ოქროს აღსორბციის ხარისხზე (ნახშირი KAD) პულპის არევის ინტენსივობისა და პროცესის ხანგრძლივობის გავლენა.
14. დადგენილია იონიტ KJ-2-ის და KAD-ის მარკის ნახშირების მსგავსი აღსორბციისუნარიანობა. ეკონომიური თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა ნახშირების გამოყენებას.
15. აღმოჩენილია დიმეტილსულფოქსიდის მნიშვნელოვანი დესორბციის უნარი, რაც განპირობებულია მისი მოლეკულის აღნაგობით. მისი დესორბციის ხარისხი არ ჩამოუვარდება თიოშარდოვანას ხსნარით დესორბციის ხარისხს (90%) , რომელიც სტანდარტულ მადესორბირებელ აგენტად ითვლება ოქროს ჰიდრომეტალურგიაში.
16. დადგენილია თიოშარდოვანას მოდელოური ხსნარიდან ოქროს აღსორბციის და დესორბციის ოპტიმალური პირობები: აღსორბცია- KAD ტიპის ნახშირი, რაოდენობა 1,0-2,0 გ/ლ, დრო 4 სთ, ტემპერატურა ოთახის, სარეველას მორევის სიჩქარე 350-400 ბრ/წთ. დესორბენტი – თიოშარდოვანას მჟავა ხსნარი , დრო 2-4 სთ, ტემპერატურა-50⁰ c . აღნიშნული პირობების დაცვით თიოშარდოვანას ოქროშემცველი ხსნარიდან ოქროს აღსორბციის ხარისხი შეადგენს 98%-ს, ხოლო დესორბციის- 90%-ს.

ლიტერატურა

1. გ. გველესიანი, ჯ. ბაღდავაძე და სხვა. “რაჭის (ზოფხიტო) მადნებიდან ანთიმონის სულფიდის მიღება.” საქ. მეცნ. აკად. “მაცნე”, ქიმიის სერია, 1999წ., ტ. 25, №3-4, გვ. 329-334.
2. J. Bagdavadze, R. Chagelishvili, Ts. Gagnidze, A. Kandelaki, R. Razmadze, Z. Tsikaridze. Study of High-Temperature Processes for Obtaining Antimony Sulfide and Metallic Sb. Bulletin of Georgian National Academy of Sciences. Physical chemistry. 2013, v.7, no 2, p. 75-80.
3. რ. ჩაგელიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ც. გაგნიძე, ჯ.ბაღდავაძე, ა. კანდელაკი, მ. ავალიანი და ლ. წყალობაძე. „ზოფხიტოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნის ვაკუუმ-თერმული გადამშავების ნარჩენებიდან ოქროს ამოღება თიოკარბამიდული მეთოდით.” . მეცნ. აკად. “მაცნე”, ქიმიის სერია, 2013, №1-2, ტ. 39, გვ.112-117.
4. В.В. Лодейщиков, А.Ф. Панченко, О. Д. Хмельницкая. «Тиокарбамидное выщелачивание золотых и серебрянных руд». Сборник Акад. наук СССР «Гидрометаллургия золота», изд. «Наука», Москва 1980г, стр. 26-35.
5. В.Е. Дементьев. «Развитие идей И. Н. Рлаксына в научных разработках Иргиредмета». Материалы международного совещания «Плаксинские чтения 2004», г. Иркутск. стр. 3-8.
6. В.К.Чернов, В.В. Елшин, С.И. Сурикова и др. «Сорбционное извлечение благородных металлов из цианистых пульп активированными углями. Сборник Акад. наук СССР «Гидрометаллургия золота», изд. «Наука», Москва 1980г. стр. 88-92.

7. Schmidt Ricardo. «Сорбция золота активированным углем из кислых растворов, содержащих тиомочевиту». *Int. J. Miner Process*, 1988, 23, №3-4, p.253-264 (Англ.).
8. La Brooy S.R. “Свойства активированного угля для извлечения золота». 1 st Int. Conf. Hydromet. Being 1988, ICNM, 88. Being Oxford, 1989, p. 466-470.
9. Х. Кинле, Э. Багер. «Активные угли и их промышленное применение». Ленинград, «Химия», 1984, с. 88.
10. И.Н. Масленицкий, Л.В. Чугаев, В.Ф. Борбат, М.В. Никитин, Л.С. Стрижко. «Металлургия благородных металлов». Москва, «Металлургия», 1987г., стр.226-242.
11. Н.В. Кельцев. «Основы адсорбционной техники». Москва, «Химия», 1984г., стр. 77-115
12. В.В. Лодейщиков, А.Ф. Панченко. «Сорбция золота из кислых растворов тиомочевиты активированными углями». Ж. «Цветные металлы». 1968, №4, стр.25-27.
13. Л.С. Иванова, А.Н. Грабовский и др. «Сорбционное извлечение золота и серебра високотемпературными активированными углями из цианистых растворов. Сборник Акад. наук СССР «Гидрометаллургия золота», изд. «Наука», Москва 1980г, стр. 93-97.
14. Десорбция золота из активированного угля смесями разбавленных растворов NaOH с органическими растворителями». *Hydrometallurgy*, 1988, v.19, №3, p.321-333.

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი
 რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
 რადიაციული ქიმიის ლაბორატორია
 (ლაზერული ჯგუფი)

"გამტკიცებ"
 ინსტიტუტის დირექტორი
 ბ.ტატიშვილი

მეცნიერების დარგი – ქიმიური ტექნოლოგია
 სამეცნიერო მიმართულება – ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სამედიცინო
 კვლევებისათვის ახალი მეთოდების შემუშავება

ანგარიში თემაზე

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ფერთა გამების შექმნისთვის
 გამოყენებული ზოგიერთი ბუნებრივი მინერალის და მათ საფუძველზე
 დამზადებული პიგმენტური საღებრების ლაზერული რამან-სპექტროსკოპია და
 ფოტოლუმინესცენცია

შემსრულებლები:

1. ს. ვ. გოთოშია
2. ლ. ვ. გოთოშია

თემის ხელმძღვანელი
 ფიზ. მეცნ. დოქტორი

ს. ვ. გოთოშია

თბილისი 2013

როგორც ცნობილია, ბუნებრივი მინერალური პიგმენტების საფუძველზე დამზადებული საღებავებია გამოყენებული უძველესი და შუასაუკუნოვანი ხელოვნების ნიმუშების მოსახატად. ამ უძველესი კულტურის ნიმუშების ფერთა საიდუმლოების, გამოყენებული მინერალების იდენტიფიკაციის, მათი ალბათური წარმომავლობისა და მოხატვის პერიოდის დასადგენად ამჟამად დიდი წარმატებით ფართოდ გამოიყენება ლაზერული რამან-სპექტროსკოპია. იგივე ითქმის ლაზერული რამან-სპექტროსკოპიის როლზე ამ კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია-კონსერვაცია-აღდგენის თვალსაზრისით გამოყენებაზეც.

ამ საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ის უამრავი პუბლიკაციები, რომლებითაც სავსეა ითქმის ყველა მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალი. ზოგიერთ მდიდარ, მოწინავე ქვეყანაში სახელმწიფო მუზეუმებთან დაარსებულია სპეციალური კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით იკვლევენ მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების უძვირფასეს ფონდებს. ამ კვლევათა საფუძველზე უკვე ბევრ საიდუმლოებას აეხადა ფარდა და ალბათ, მრავალი კიდევ წინ არის.

მაგალითად. სამუშაოებში [4-6] რგ-ით შესწავლილ იქნა ეგვიპტური, იტალიური, ესპანური, ჩინური ფაიფურის, ფერწერული და სასულიერო ხელოვნების ნიმუშები. ამ შრომებში რამან-ტექნიკით იდენტიფიცირებულ იქნა იმდროინდელი საღებავების პიგმენტები. გაშიფრულ იქნა ფერთა გამების შექმნის ტექნიკის ზოგიერთი საიდუმლოება. აღმოჩნდა, რომ ამ ფერების უმეტესი ნაწილი მიღებულია ბუნებრივი მინერალების საფუძველზე წარმოებული პიგმენტების საშუალებით. ამ პიგმენტებიდან კინოვარი α -HgS გამოყენებულია, როგორც ერთერთი მთავარი საშუალება წითელი ფერების მისაღებად.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, ქრისტიანობის ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში, საკუთარი ანბანით, უძველესი ხელნაწერებით, ტაძრების უნიკალური ფრესკული მოხატულობებით, უძველესი სასულიერო ლიტურატურის მოხატულობით, კერამიკით და ხელოვნების სხვა ნიმუშებით. ძველი ქართული ტაძრების საკმაოდ დიდი ნაწილი თავისი უნიკალური ფრესკული ნიმუშებით ბედის უკუღმართობით ამჟამად სხვა სახელმწიფოების ხელშია. ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც ამ ტაძრებშია, ტაძრებთან ერთად ნადგურდება.

აქამდე არავის არ შეუსწავლია ჩვენი კულტურის ეს და სხვა უამრავი საგანძური ლაზერული რამან-სპექტროსკოპიის გამოყენებით. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პორტატული ლაზერული რამან-სპექტროსკოპით სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე არსებული ქართული ქრისტიანული ძეგლების შესწავლა ადგილზე, სანამ მთლიანად განადგურდება.

ამ მიზნით აუცილებელია შესაბამისი ლაზერული რამან-სისტემების შექმნა, ან საკუთარი კონსტრუქციების შექმნა. გარდა ამისა, აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოების წინასწარ ჩატარება. ამაში იგულისხმება იმ ბუნებრივი მინერალების ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით შესწავლა, რომელთა საფუძველზედაც მზადდებოდა ის პიგმენტური საღებრები, რომლებიც იყო გამოყენებული უძველესი ხელოვნების ნიმუშების მოსახატად. ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით ამ მინერალების იდენტიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელია, დავადგინოთ ძეგლის ორიგინალობა, აღმოვაჩინოთ მისი ფალსიფიცირების შემთხვევები. იგივე ითქმის ხელნაწერებზე, ძვირფას ქვებზე, კერამიკაზე და ა.შ. შესაძლოა, დავადგინოთ დეგრადაციის ხარისხი და ვიზრუნოთ რესტავრაციაზე. მინერალების იდენტიფიკაცია საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ხელოვნების ნიმუშების შესრულების თარიღზე და ა. შ.

კინოვარი რამან-სპექტროსკოპიით ბევრ სამუშაოშია შესწავლილი; იდენტიფიცირებულია მის საფუძველზე დამზადებული პიგმენტური საღებრების წითელი ფერის გამების შესაბამისი რამან-სპექტრებიც. მაგრამ არც ერთ სამუშაოში არაა გათვალისწინებული ამ მინერალის თავისებურებანი, რომლებიც მას ახასიათებს მინარეგებისა და ფაზური გარდაქმნების საფუძველზე. ეს თავისებურებანი კი მკაფიოდ აისახება ამ მინერალის შეფერილობაზე; შეფერილობის დროზე დამოკიდებულებაზე. სავარაუდოა, რომ ამ მინერალის ეს შეუსწავლელი თავისებურებანი გარკვეულ გავლენას მოახდენს მის საფუძველზე დამზადებული პიგმენტური საღებრების თვისებებზეც. მაგალითად ზოგიერთი საბადოდან მოპოვებული კინოვარი შეიცავს იზომორფულ მინარეგს, სელენს. სელენის კონცენტრაცია შეიძლება იცვლებოდეს უმნიშვნელო რაოდენობიდან 10 პროცენტამდე. სელენის კონცენტრაციის პროპორციულად წითელი ფერის კინოვარი თანდათანობით მუქდება. ამის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: მცირდება კინოვარის მახასიათებელი ოპტიკური ზონა

ან კინოვარი განიცდის ფაზურ გარდაქმნას და გადადის კუბურ სინგონიაში, მეტაცინაბარიტში.

არავის არ მიუქცევია ამ მოვლენებისთვის ჯერჯერობით ყურადღება. მხოლოდ ჩვენს რამდენიმე შრომაშია ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით ნაწილობრივ შესწავლილი მინარევების გავლენა მინერალ კინოვარის რამან-სპექტრებზე [14,15].

დროთა განმავლობაში წითელი კინოვარის პიგმენტმა შეიძლება განიცადოს დეგრადაცია, გადავიდეს მეტაცინაბარიტის ფაზურ მდგომარეობაში და ადრე არსებული ნათელი წითელი ფერები გამუქდეს, გადავიდეს შავ ფერებში. ჩვენ აქ წინასწარ დავედით, რომ წითელი კინოვარის ფერი მკვეთრად იცვლება სელენის მინარევის დამატებითაც და მისი კონცენტრაციის გაზრდით სულ უფრო და უფრო მუქდება. როდესაც კონცენტრაცია 1% და მეტია, კინოვარი ხდება გაუმჭვირვალე. 0.36%-მდე სელენის მინარევის შემცველობა არ იწვევს კინოვარის წითელი ფერის დაკარგვას; შეფერილობით იგი დიდად არ განსხვავდება სუფთა კინოვარისაგან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია HgS-ის ყველა ალოტროპული მდგომარეობისა და დაბინძურების რამან-სპექტრებით იდენტიფიკაცია. ეს მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშების რამან-სპექტრებით ანალიზის დროსაც პიგმენტების ზუსტი კლასიფიკაციის მიზნით.

აქამდე, მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებში კინოვარის პიგმენტის იდენტიფიკაციას ყველა მკვლევარი ძირითადად აწარმოებდა მხოლოდ სუფთა კინოვარის მახასიათებელი რამან-სისწირების, 368, 456 and 500 cm^{-1} გამოყენებით. მაგრამ, ხელოვნების საგანძურებიდან რომელიმეში მხატვარს ხომ შეეძლო წითელი ფერების მისაღებად გამოყენებინა ისეთი საბადოდან მოპოვებული კინოვარი, რომელიც შეიცავდა 0.35%-მდე სელენის იზომორფულ მინარევს? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასეთი კინოვარის წითელი ფერი არაფრით არ განსხვავდება სუფთა კინოვარის წითელი ფერისაგან. ასეთი სადებავით მოხატული ხელოვნების ნიმუშის რამან-სპექტროსკოპიით ყურადღებით შესწავლისას შესაძლოა დავაფიქსიროთ ზედმეტი რამან-პიკები. ეს კი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ხელოვნების ნიმუშის, მხატვრის, ეპოქისა და მინერალის მოპოვების სავარაუდო საბადოს შესახებ. შესაძლოა ამ ზედმეტი პიკების აღმოჩენა ნიშანი იყოს საგანძურის დეგრადაციისა (ეს ჩვენი თეორიული მოსაზრებაა, რომელსაც სერიოზული კვლევა ჭირდება). არავის არ მიუქცევია აქამდე ამისათვის ყურადღება.

გარდა ამისა, საინტერესო და მნიშვნელოვანია დავადგინოთ, შესაძლებელია თუ არა ბუნებრივი მინერალის კინოვარის რამან-სპექტრები გამოყენებულ იქნას საბადოების ალბათური იდენტიფიკაციის ერთერთ საშუალებად. მაგალითად, შრომაში [5] შესწავლილი იყო ხელოვნების ნიმუშის, მეფე ჰეროდეს სასახლის კედლების მოხატულობათა ფერები. ანალიზი შესრულდა SEM მიკროსკოპისა და რამან-სპექტროსკოპის საშუალებებით და იდენტიფიცირებულ იქნა კინოვარის პიგმენტი. სპექტრების ინფორმაციაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ პიგმენტი არ იყო დამზადებული ესპანეთის ანტიკური ხანის ალმადინის კინოვარის საბადოდან მოპოვებული მინერალის ბაზაზე. ალბათურ წყაროდან განისაზღვრა ესპანეთის საბადო ტარნა, ჩინეთის ჰუნანის პროვინცია და იტალიის, ტოსკანის მონტე ამიატას კინოვარის საბადოები. სწორედ ამ საბადოებიდან მოპოვებული კინოვარის მინერალების რამან-სპექტრები შეადარეს მეფე ჰეროდეს სასახლის კედლების მოხატულობათა სინჯებიდან მიღებულ რამან-სპექტრებს.

ჩვენ გამოვიკვლიეთ სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა გეოლოგიური საბადოდან მოპოვებული მინერალი კინოვარი (უკრაინის ნიკიტოვკა; ყირგიზეთის ხაიდარკანი, საქართველოს აფხაზეთისა და რაჭის საბადოები).

ეს საბადოები და ქვეყნები ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული. იმყოფებიან სხვადასხვა დროის სარტყელსა და გეოლოგიურ პირობებში. ბუნებრივია, რომ ამ საბადოებიდან მოპოვებულ კინოვარებს ექნებათ რაღაც განსხვავებული თვისება. ამ განსხვავებული თვისების რამან-სპექტროსკოპიით დაფიქსირებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ კინოვარის ალბათური წარმომავლობის შესახებ. ჩვენი წინასწარი მონაცემებით ეს განმასხვავებელი თვისებაა სელენის მინარევის არსებობა ან არარსებობა. ეს ფაქტი დადასტურდება რამანის სპექტრში სელენით ინდუცირებული ხვრელისმიერი ლოკალური რხევის დაფიქსირებით.

ტრიგონალური ვერცხლისწყლის სულფიდის კრისტალური მესერის რხევითი სპექტრი შესწავლილი იყო სხვადასხვა ავტორთა მიერ [1-3], როგორც იწ-სპექტროსკოპიით, ასევე ლაზერული რამან-სპექტროსკოპიით. აღნიშნულ სამუშაოებში არსებობს შეუსაბამობა ფონონების იდენტიფიკაციის საკითხში. მაგალითად, [3]-ში ფონონის პიკი, რომელიც


მდებარეობს 202 სმ^{-1} სიხშირეზე, მიაკუთვნეს E ტიპის რხევას, ხოლო [2]-ში ამ სიხშირეზე ფონონური პიკი საერთოდ ვერ აღმოაჩინეს.

საერთაშორისო ლიტერატურის მონაცემების შედარებამ გვაჩვენა, რომ კინოვარის რამან-სპექტრების იდენტიფიკაციისას არსებობდა ფონონების მიკუთვნების განსხვავებული ვერსიები. ყველა ეს მონაცემი ეყრდნობოდა ბუნებრივი მინერალების გამოკვლევას და არცერთ მათგანში არ იყო აღნიშნული მათი სისუფთავის ხარისხი. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ შევისწავლით სხვადასხვა საბადოდან მოპოვებულ კინოვარებს და მათი სისუფთავე წინასწარ შემოწმებული იქნება. ამავე დროს გამოვიკვლევთ ლაბორატორიული წესით მიღებულ კინოვარსაც, რომელიც სპეციალურად არ იქნება ლეგირებული რაიმე მინარევით. მის რამან-სპექტრებს შევადარებთ ბუნებრივ სუფთა მინერალების რამან-სპექტრებს.

სხვა სამუშაოებისაგან განსხვავებით, ჩვენი გამოკვლევის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შევისწავლეთ დიდი რაოდენობის ბუნებრივი მინერალები ტერიტორიულად დიდი მანძილით დაშორებული და სხვადასხვა ბუნებრივი კლიმატური პირობების მქონე სხვადასხვა გეოლოგიური საბადოდან. ასეთი მიდგომის მიზანია დავადგინოთ სუფთა კინოვარის ზუსტი მახასიათებელი რამან-სპექტრი და ავხსნათ ზედმეტი პიკების წარმოქმნის მიზეზები; დავადგინოთ კავშირი მინერალის წითელი ფერის მუქში გადასვლასა და რამან-სპექტრის შესაბამის სახეცვლილებას შორის. ეს კავშირი და სპექტრების ზუსტი ინტერპრეტაცია სასარგებლო იქნება ხელოვნების ნიმუშებში გამოყენებული პიგმენტური საღებავების ფერთა გამათა გაშიფრისათვის.

ვერცხლისწყლის სულფიდი ბუნებაში გვხვდება ორი მოდიფიკაციით: მაღალტემპერატურული β -ფაზა-მეტაცინაბარიტი თუთიის კრიალას სტრუქტურით და დაბალტემპერატურული α -ფაზა-წითელი სინგური ტრიგონალური ელემენტარული უჯრედით. $280\text{-}340^{\circ}\text{C}$ ინტერვალში მდებარეობს ფაზური გადასვლის წერტილი [7], ამიტომ ერთობ ძნელია ლაბორატორიულ პირობებში ამ კრისტალების გაზრდა და იძულებული ვიყავით ძირითადად გვემუშავა ბუნებრივ მინერალებზე.

α -HgS სტრუქტურა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც NaCl-ის დეფორმირებული სტრუქტურა. წითელი სინგურის ჰექსაგონალური ელემენტარული უჯრედი, რომელიც შეიცავს HgS-ის სამ მოლეკულას, ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1 წითელი სინგურის ჰექსაგონალური ელემენტარული უჯრედი

წითელი სინგური მიეკუთვნება $P3_121(D_3^4)$ სივრცით ჯგუფს და შედგება ჰელიკონური Hg-S-Hg-S სპირალებისაგან, რომლებიც პარალელურადაა განთავსებული მესამე რიგის c-ღერძის მიმართ. ატომებს შორის მანძილი სპირალში $\text{Hg-S}=2,36 \text{ \AA}$, ხოლო სპირალებს შორის უმოკლესი მანძილია $3,2 \text{ \AA}$ [8].

ფაქტორ-ჯგუფური ანალიზი α -HgS ფონონებისათვის ბრილიუენის ზონის ცენტრში $K=0$, გვაძლევს ფონონების შემდეგ კლასიფიკაციას რხევის ტიპების მიხედვით:

$$U=2A+3A_1+5E \quad (5.7)$$

ამ ფორმულაში ორი A ტიპის სრულიად სიმეტრიული რხევა აქტიურია მხოლოდ რგ-სპექტრებში, სამი ტიპის A_1 ანტისიმეტრიული რხევა არააქტიურია რგ, მაგრამ აქტიურია იწ-

სპექტრებში, ხოლო ორჯერადად გადაგვარებული ხუთი ტიპის E რხევა ერთდროულად აქტიურია როგორც რგ, ასევე იწ-სპექტრებში.

უმინარეო α -HgS-ის აკრძალული ზონის სიგანე 298⁰K-ზე 2.1 ევ-ია [9]. ამიტომ ამ კრისტალში რგ-ის ასაგზნებად $\lambda=632.8$ ნმ (კვანტის ენერგია 1.96 ევ) გამოყენება მეტად მომგებიანია სიგნალის გაძლიერების მიზნით - ადგილი აქვს წინარეზონანსულ გაძლიერებას. ასეთივე, უფრო კარგი სიტუაციაა, როდესაც α -HgS რგ სპექტრს ვწერთ $\lambda_L=568.2$ ნმ (კვანტის ენერგია 2.18 ევ) აგზნებით 80⁰K-ზე. აზოტის ტემპერატურაზე α -HgS აკრძალული ზონის სიგანე ტოლია 2.23 ევ. რეზონანსული და წინა-რეზონანსული ეფექტებისაგან თავის დაღწევის მიზნით (თუ რამანის სპექტრების ჩაწერისას არსებობდა მათი ზეგავლენა) კი კინოვარის რამან-სპექტრებს ჩაწერთ ინფრაწითელი ლაზერის აგზნებით, 1.06 მკმ. ამ შემთხვევაში იკვეთება კიდევ ერთი დამოუკიდებელი ფუნდამენტური კვლევის მიმართულება: ადგილი აქვს თუ არა ტრიგონალურ კინოვარში ზოგიერთი ფონონური რხევის ანტირეზონანსულ ჩაქრობას. მსგავსი ეფექტები ადრე დაფიქსირებული იყო ჰეგსაგონალურ CdS-ში და იგი იყო დიდი მსჯელობის საგანი.

როდესაც სელენის კონცენტრაცია 1%-ია, α -HgS თითქმის გაუმჭვირვალე ხდება $\lambda_L=632.8$ ნმ-ის მიმართ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სელენის დიდი კონცენტრაცია იწვევს α -HgS-ის აკრძალული ზონის წანაცვლებას გრძელი ტალღებისაკენ. სელენის შემცველობის გაზრდით α -HgS გადადის შერეულ სამმაგ კრისტალში $HgS_{1-x}Se_x$. შერეული კრისტალის წარმოქმნისას კი კინოვარის ტრიგონალური ფაზა გარკვეული შემადგენლობის შემდეგ გადადის მეტაცინაბარიტის, β -HgS ფაზაში, რომლის აკრძალული ზონის სიგანე 1.4 eV ტოლია. ასეთი შერეული კრისტალის აკრძალული ზონის სიგანე კი მცირდება სელენის კონცენტრაციის გაზრდით. ჩვენ აქ არ ვამტკიცებთ, რომ 1% სელენის დამატებით უკვე ადგილი აქვს ფაზურ გარდაქმნას, მაგრამ ცხადია წითელი მოდიფიკაციის კინოვარის აკრძალული ზონის სიგანის შემცირება. ყოველ შემთხვევაში, კინოვარის ნათელი წითელი ფერი გადადის თითქმის შავ ფერში.

შრომაში [10] გამოთვლილი იყო ლოკალური და ხვრელისმიერი რხევები, როდესაც ორატომიან წრფივ ჯაჭვში ერთერთი ატომი ჩანაცვლდება მისი იზოტოპური ატომით. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ატომებს შორის მოქმედი ძალები ნაკლებად იცვლება და სპექტრების ცვლილების მთავარი ფაქტორია ძირითადი მესერის ატომისა და მისი იზოტოპის მასებს შორის სხვაობა. მასის გავლენა გათვალისწინებულია პარამეტრით "მასის დეფექტი" $e=1-M'/M$, სადაც M არის ძირითადი მესერის ატომის მასა, ხოლო M'-ჩანაცვლებული იზოტოპისა. თანახმად [10]-ისა, როდესაც მესერის მსუბუქი ატომი ჩანაცვლდება უფრო მძიმე იზოტოპით და e უარყოფითი რიცხვია, მაშინ აკუსტიკურ და ოპტიკურ შტოებს შორის წარმოიქმნება ხვრელისმიერი რხევა. α -HgS-ში (M=32) (M=79), $e=-1.47$; ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ რამან-სპექტრებში დამზერილი ზედმეტი პიკები 203 და 226 სმ⁻¹ მიეკუთვნება α -HgS-ში სელენის ხვრელისმიერ რხევებს და არა E ტიპის ორჯერადად გადაგვარებულ რხევებს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ უძველესი ხელოვნების ნიმუშების შესწავლისას ლიტერატურაში დაფიქსირებულ რამან-სპექტრებში, რომლებიც ახასიათებენ წითელ ფერს, კინოვარის პიგმენტს, სტანდარტულად დაიშორება მხოლოდ სუფთა კინოვარის რამან-სპექტრი: ფონონურ პიკები 368, 456 და 500 სმ⁻¹ სიხშირეებზე. ეს ბუნებრივია, რადგანაც ამ ექსპერიმენტებისას რამან-სპექტრების ამგზნები ლაზერის სხივი მიმართული იყო გამოსაკვლევი ხელოვნების ნიმუშის წითელ ფერებში. მაგრამ არავის არ მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ ხელოვნების ნიმუშის სხვა ადგილიდან, განსაკუთრებით შედარებით მუქ ფერთა გამებიდან აგზნებისას ხომ არ ფიქსირდება სუსტი ინტენსიობის პიკები 203 და 226 სმ⁻¹ სიხშირეებზე. ამ პიკების დაფიქსირება ნიშანი იქნებოდა ხელოვნების ნიმუშის წითელი ფერის დეგრადაციისა და რესტავრაციის აუცილებლობისა; შესაძლოა ამ შემთხვევაში ანტიკურმა მხატვარმა გამოიყენა კინოვარის ის მინერალური პიგმენტი, რომელიც შეიცავდა მცირე რაოდენობის მინარევე სელენს. ამ შემთხვევაში შესაძლოა დადგინდეს მინერალის მოპოვების გეოლოგიური საბადოს წარმომავლობაც.

ცნობილია, რომ რეზონანსული რამან-სპექტროსკოპიის გამოყენებით მეთოდის აღმოჩენისუნარიანობა რამდენიმე რიგით შეიძლება გავზარდოთ. ხელოვნების ნიმუშების ანალიზისას რეზონანსული რამან-სპექტროსკოპიის პირობებში სპექტრების ჩაწერას ამიტომ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მითუმეტეს მნიშვნელოვანია რეზონანსული რამან-სპექტროსკოპიით მინარევეების ანალიზი: მინარევეების, ლოკალური რხევების მახასიათებელი


რამან-პიკების ინტენსიობები არარეზონანსული რამანის გაბნევისას ზოგჯერ რამდენიმე რიგით ნაკლებია პირველი რიგის ფონონების მახასიათებელ რამან-პიკებზე. რეზონანსული აგზნებით კი შესაძლებელი ხდება მინარევის მახასიათებელი სპექტრალური პიკის ინტენსიობის მნიშვნელოვნად გაზრდა. ე.ი. რეზონანსული მოვლენების შესწავლით ჩვენ დავადგენთ, თუ რომელი ლაზერის ტალღის სიგრძეა უფრო ეფექტური კინოვარის პიგმენტური საღებავის ფერთა გამათა კონტრასტის გასარჩევად.

სუფთა კინოვარსა და სელენით გამდიდრებულ კინოვარში რეზონანსულ რამანის გაბნევა შევისწავლეთ ჰელიუმ-ნეონის, კრიპტონისა და საღებავის ლაზერების გამოყენებით. შესწავლა და ანალიზი შესრულდა ოთახისა და აზოტის ტემპერატურებზე პოლარიზაციული გაზომვების ჩატარებით.

α -HgS აკრძალული ზონის სიგანე ოთახის ტემპერატურაზე 2.1 ევ ტოლია და იგი მიეკუთვნება არაპირდაპირზონიან ნახევარგამტარებს [9]. შთანთქმის კოეფიციენტი იმ ენერგეტიკულ ინტერვალში, რომელშიც რეზონანსული რამანის გაბნევა შევისწავლეთ საღებავის ლაზერის გამოყენებით (2.0 – 2.142 ევ), იცვლება $\alpha=3 - 500 \text{ სმ}^{-1}$ დიაპაზონში. ამრიგად, რეზონანსული გამოკვლევა ჩატარდა α -HgS-ის აკრძალული ზონიდან ქვევით 0.1 და ზევით 0.042 ევ-ის დაშორებით.

რეზონანსული რამანის გაბნევის ექსპერიმენტული ფაქტების ინტერპრეტაციისათვის საჭიროა კინოვარის ზონური სტრუქტურის თავისებურებების გათვალისწინება. იმ მცირე რაოდენობის შრომებში, სადაც ექსპერიმენტულად და თეორიულად შესწავლილია კინოვარის აკრძალული ზონის სიდიდე და ფორმა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ α -HgS-ს ოთახის ტემპერატურაზე გააჩნია არაპირდაპირი დიქროიდული აკრძალული ზონა; მაგრამ ერთ შრომაში, სადაც აკრძალული ზონის სტრუქტურა შეისწავლეს ჰელიუმის ტემპერატურაზე, აღმოაჩინეს მცირე ინტენსიობის პირდაპირი გადასვლა [9].

ნახ 2-ზე წარმოდგენილია კინოვარის ბრილიუენის ზონისა (ბზ) და ენერგეტიკული ზონური სტრუქტურის სქემატური სახე A და Γ წერტილების შემაერთებელი ხაზის გასწვრივ. აქვეა ნაჩვენები თუ რომელი გადასვლებია დაშვებული, როდესაც დაცემული სხივის ელექტრული ველის ვექტორი კრისტალის c ღერძის პერპენდიკულარული ან პარალელურია [9,13].



ნახ. 2 კინოვარის ბრილიუენის ზონისა (ბზ) და ენერგეტიკული ზონური სტრუქტურის სქემატური სახე A და Γ წერტილების შემაერთებელი ხაზის გასწვრივ

ნახ. 2-იდან ნათლად ჩანს, რომ კინოვარის სავალენტო ზონის მაქსიმუმი მდებარეობს (ბზ)-ის A წერტილში და იგი A_1 სიმეტრიისაა. გამტარებლობის ზონის მინიმუმი კი მოთავსებულია Γ წერტილში Γ_1 სიმეტრიით. ამრიგად, კინოვარს გააჩნია არაპირდაპირი ზონა $A_1 - \Gamma_1$ გადასვლით [9,13].

კინოვარში პირდაპირი გადასვლა მიმდინარეობს სავალენტო ზონის Γ_3 მდგომარეობიდან გამტარებლობის ზონის Γ_1 მდგომარეობაში. გადასვლა $\Gamma_3 - \Gamma_1$ დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სინათლის ელექტრული ვექტორი კრისტალის c ღერძის პერპენდიკულარულია.

თეორიულ გამოთვლებზე დაყრდნობით [13] სავალენტო ზონის მაქსიმუმი ძალიან მდორედ ეცემა $A - \Gamma$ ხაზის გასწვრივ. გამოთვლილი სხვაობის სიდიდე A_1 და Γ_3 დონეებს შორის ტოლია 0.05 eV . ეს გამოთვლილი სიდიდე თანხვედება ზალენის [9] ექსპერიმენტულ მონაცემებს, კერძოდ, მის მიერ კინოვარისთვის გაზომილ არაპირდაპირი და პირდაპირი ზონის სიდიდეებს შორის სხვაობას.


ამრიგად, ზემოთმოყვანილი თეორიული განხილვის საფუძველზე და კინოვარის სტრუქტურის თავისებურებიდან გამომდინარე (იგი ძალიან წაგრძელებულია c ღერძის გასწვრივ), შეიძლება დავასკვნათ: კინოვარის არაპირდაპირი და პირდაპირი ზონები ძალიან მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან; სავალენტო ზონის მაქსიმუმი ძალიან მდორედ ეცემა.

ჩვენს მიერ დაგეგმილი $\alpha\text{-HgS}$ -ის რეზონანსული კვლევა საინტერესოა როგორც პრაქტიკული გამოყენების, კერძოდ ხელოვნების უძველესი ნიმუშების შესასწავლად, ასევე ფუნდამენტური მეცნიერებისათვისაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეზონანსის შესწავლა სუფთა და მინარევთან კინოვარში ცალცალკე ზონური სტრუქტურის თავისებურებათა გათვალისწინებით. ჩვენ მივიღებთ ინფორმაციას კინოვარში რეზონანსის მექანიზმის შესახებ; დავადგენთ ადგილი აქვს, თუ არა ზოგიერთი რხევების ჩაქრობას ანტირეზონანსის გამო; დავადგენთ რამან-სპექტრების ამგზნების ოპტიმალურ სიხშირეს, რომლის გამოყენებითაც მახსიმალურად იზრდება აღმოჩენისუნარიანობა. გავარკვევთ ძლიერდება თუ არა მინარევებით ინდუცირებული რამანის გაბნევა კინოვარში რეზონანსული გაბნევისას. ეს შედეგები უსათუოდ იქნება გამოყენებული ხელოვნების ნიმუშების ანალიზისას. აღსანიშნავია, რომ ამ ნახევარგამტარში რეზონანსული მოვლენა შესწავლილი იყო შრომაში, მაგრამ არა იმ კუთხით, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ.

ერთმაგი მონოქრომატორის ბაზაზე შექმნილ რამან-სისტემაში მეორე მონოქრომატორის როლს (პარაზიტული სინათლის ფონისაგან გასაწმენდად) ასრულებენ ნოტჩ- და კიდის ჩამომჭრელი ფილტრები. ჩვენი მიზანია ამ ბლოკის კიდევ უფრო გასაიაფებლად შემოვიტანოთ ტექნოლოგიური სიახლე: უფრო ძვირი ნოტჩ- და კიდის ჩამომჭრელი ფილტრების ნაცვლად ოპტიკურ ფილტრებად გამოვიყენოთ მაღალომიანი ნახევარგამტარების ZnS , CdS , ZnCdS და CdSSe ფირფიტები. ამ შემთხვევაში ნახევარგამტარების ოპტიკური აკრძალული პირველი ზონის ენერგიებს ეფექტურად შევუსაბამებთ ამგზნების ლაზერების კვანტების ენერგიებს; ფილტრებად შევარჩევთ ისეთ ნახევარგამტარულ ფირფიტებს, რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებენ ამგზნების ლაზერების რელეის გაბნევის ინტენსიობას; ამავე დროს ვეცდებით, რაც შეიძლება ახლოს მივიდეთ ამგზნებ ტალღის სიგრძესთან (დავაფიქსიროთ რამანის გაბნევის რაც შეიძლება მცირე წანაცვლება). ამ მიზნით (რათა უფრო ციცაბო გავხადოთ აკრძალული ზონის კიდე) ნახევარგამტარულ ფირფიტებს მოვათავსებთ სპეციალური კონსტრუქციის აზოტის კრიოსტატში ტემპერატურის რეგულირებით. ტემპერატურისა და შერეული კრისტალების საშუალებით მივალწევთ ფილტრაციის ოპტიმალურ ვარიანტს.

როგორც ცნობილია, ნოტჩ და კიდის ჩამომჭრელი ფილტრები ძალიან ძვირია. ნახევარგამტარული ფირფიტებით მათი შეცვლა ძალიან მომგებიანი იქნება. ჩვენ გვაქვს ორმხრივ ოპტიკურად პოლირებული სხვადასხვა სისქისა და ნახევარგამტარების ფირფიტები. ეს ნახევარგამტარები ყველანი A^2B^6 ტიპისაა, მაღალომიანი. მათი პირდაპირი აკრძალული ზონის კიდეები საკმაოდ მკვეთრია. ამიტომ შესაძლებელია ამგზნების ლაზერის სიხშირესთან ახლოს მისვლა. თუ ამ ფილტრებს აზოტის კრიოსტატში მოვათავსებთ, აკრძალული ზონა კიდევ უფრო ციცაბო ხდება - ე.ი. ლაზერის სიხშირეს კიდევ უფრო მიუახლოვდებით. ლიტერატურიდან და საკუთარი სპექტროსკოპიული პრაქტიკიდან ცნობილია, რომ მაგალითად CdS -ის რამან-სპექტრების ოთახის ტემპერატურაზე ჩაწერისას იგი თითქმის გაუმჭვირვალეა არგონის ლაზერის მწვანე ხაზის (514.5 ნმ , 2.41 ევ) მიმართ. მაგრამ თუ მის შემადგენლობაში შევიყვანთ დაახლოებით $4\% \text{ Zn}$ -ს, ან აზოტის კრიოსტატში ოდნავ გავაცივებთ, სხვადასხვა ფონონებზე რამანის პიკების ინტენსიობები რამოდენიმე რიგით იზრდება. ეს ცნობილი რეზონანსული რამანის გაბნევაა, რომლის დროსაც ამგზნების ტალღის სიგრძე, 514.5 ნმ უახლოვდება, ან ემთხვევა პირველი პირდაპირი აკრძალული ზონის სიდიდეს. ამ დროს იცვლება CdS -ის შთანთქმის კოეფიციენტიც. აი, სწორედ ამ ფიზიკურ ეფექტებზე დაყრდნობით ვგეგმავთ A^2B^6 ტიპის მაღალომიანი ნახევარგამტარებისა და მათ ბაზაზე

სინთეზირებული შერეული ნახევარგამტარების გამოყენებას ძვირადღირებული ნოტჩ და კიდის ჩამომჭრელი ფილტრების სანაცვლოდ. ტემპერატურისა და შემადგენლობის ცვლილებით CdS, ZnCdS შეგვიძლია გამოვიყენოთ რამან-ფილტრებად არგონის ლაზერის თითქმის ყველა ამგზნები ტალღის სიგრძეებისთვის. CdSe and CdSSe გამოდგება კრიპტონისა და ჰელიუმ-ნეონის ლაზერის წითელი ტალღის სიგრძეებისთვის, ხოლო ZnS ჰელიუმ-კადმიუმისა და აზოტის ლაზერის ულტრაიისფერი ტალღის სიგრძეებისათვის.



ნახ. 3 2 მმ სისქის მონოკრისტალური CdS-ის გამჭვირვალობის სპექტრი

ნახ. 3-ზე მოყვანილია 2 მმ სისქის მონოკრისტალური CdS-ის გამჭვირვალობის სპექტრი ოთახის ტემპერატურაზე, პირდაპირი აკრძალული ზოლის მახლობლად. ნათლად ჩანს, რომ ეს ფირფიტა ეფექტურად ახშობს რელეის გაბნევას 514.5 ნმ-ით რამანის სპექტრის აგზნებისას. გრძელი ტალღებისაკენ გამჭვირვალობის კოეფიციენტი კი 70-80-90%-ის ფარგლებში მერყეობს.

არგონის 514.5 ნმ ტალღისათვის ეს საკმაოდ კარგი რამან-ფილტრია. ამგზნებ ტალღის სიგრძეს დაახლოებით 300 სმ⁻¹-ით ვუახლოვდებით. შედეგები კიდევ უფრო დაიხვეწება დაზუსტდება და გაუმჯობესდება.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ინფრაწითელი ლაზერებით, ნახევარგამტარული დიოდური და YAG:Nd ლაზერებით აღჭურვილი რამან-სისტემის განსაკუთრებულობას (ინფრაწითელი ლაზერული რამან-სპექტრომეტრი). ამ ინფრაწითელი სისტემის კონსტრუირების მიზანია იმ მასალების კარგი ხარისხის რამან-სპექტრების მიღება, რომლებიც ხილული სპექტრის ლაზერებით აგზნებისას ლუმინესცირებს. ასეთი მასალებია საღებავები, ბევრი ორგანული ქიმიური ნაერთი, ნავთობი, სამედიცინო და ფარმაცევტული ობიექტები, მინარევიანი ნახევარგამტარები, ბუნებრივი მინერალები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. ლაზერების ხილული გამოსხივებით აგზნებისას ამ ნაერთების რამან-სპექტრები შეიძლება არც დაფიქსირდეს: სუსტი რამან-სპექტრი ჩანთქმული იქნება ძლიერი ლუმინესცენციით. ამ მიზნით მსოფლიოში ცნობილი ფირმები აწარმოებენ ფურეე გარდაქმნით ინფრაწითელ რამან-სპექტრომეტრებს, FT-RS. ამ სპექტრომეტრებში რამან-სპექტრების აგზნება წარმოებს ლაზერის ინფრაწითელი გამოსხივებით. ისინი ძალიან ძვირი ღირს, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი. ჩვენს მიერ კონსტრუირებული ინფრაწითელი რამან-სპექტრომეტრი იქნება დისპერსიული და გაცილებით იაფი. მისთვის ოპტიმალურად შევარჩევთ დიფრაქციულ მესრებს და სიგნალის მიმღებებს. სიგნალის მიმღებების აღმოჩენისუნარიანობის რამდენიმე რიგით გასაზრდელად მათ მოვათავსებთ სპეციალური კონსტრუქციის აზოტის კრიოსტატებში. ამგზნებ წყაროდ გამოვიყენებთ ლაბორატორიული ტიპის, ჩვენს მიერ კონსტრუირებულ იაფ ძოწის ინფრაწითელ ლაზერს, YAG:Nd, გამოსხივებით 1.06 მმკ და სიმძლავრით 10-12 ვატი. გარდა ამ ლაზერისა ინფრაწითელ რამან-სპექტრომეტრში ამგზნებ წყაროდ გამოვიყენებთ ფირმიდან შეძენილ დიოდურ ლაზერს, გამოსხივებით 785 ნმ. მიზანია რამან-სიგნალთან ხმაურის შეფარდების გაზრდა (ამ უბანში ფეეგების მგრძობიარობა და ეფექტურობა გაცილებით მაღალია, ვიდრე 1.06 ლაზერით აგზნებისას).

ერთმაგი მონოქრომატორის ბაზაზე კონსტრუირებულ სისტემას აქვს შემდეგი პარამეტრები:

ოპტიმალური სპექტრალური დიაპაზონი სხვადასხვა ლაზერის გამოყენების შესაძლებლობით – 250 ნმ – 4 მკმ;

სპექტრომეტრის ფოკუსური მანძილი – 0.5 მეტრი;

სპექტრომეტრის დისპერსია – 2.5 ნმ/მმ;

ფარდობითი აპერტურა – 1:4


ამგზნებ ლაზერთან მიახლოების მინიმალური სიხშირე – 150 სმ⁻¹

გამოკვლევის მიზნით მოვაგროვეთ სამი კატეგორიის ბუნებრივი კრისტალები α -HgS: პირველი კატეგორია კრისტალებისა ნიკიტოვკის საბადოდან წარმოადგენდნენ ორეულებს, რომლებიც არ შეიცავდნენ სელენის მინარევებს და ამიტომ ისინი მივაკუთვნეთ სუფთა, უმინარეგო კრისტალებს. კრისტალების მეორე კატეგორია, მიღებული ხაიდარკანის საბადოდან, შეიცავდნენ სელენის მინარევს სხვადასხვა კონცენტრაციით - 0.1%, 0.26%, 0.56% და 1%. ამ კრისტალებში სელენის კონცენტრაციები განსაზღვრული იყო ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსით (ეპრ) და რენტგენოფაზური ანალიზით. ეს კრისტალები პოლიკრისტალური იყო. მესამე კატეგორია α -HgS კრისტალებისა საქართველოს აფხაზეთისა და რაჭის საბადოებიდან იყო.

რე სპექტრებს ვწერდით ორმაგი მონოქრომატორის DFS-24 ბაზაზე აგებული ლაბორატორიული ტიპის რამან-სპექტრომეტრზე. ინფრაწითელი ლაზერის აგზნებით რამან-სპექტრების ჩაწერას კი ვაწარმოებდით როგორც ჩვენი კონსტრუქციის ინფრაწითელ ლაზერულ რამან-სპექტრომეტრზე, ასევე “ბრუკერის” ფირმის სტანდარტულ, ფურეი გარდაქმნით რამან-სპექტრომეტრზე FRA106. აგზნების წყაროებად გამოიყენებოდა ჰელიუმ-ნეონის ლაზერის გამოსხივება $\lambda_L=632.8$ ნმ, კრიპტონის ლაზერის გამოსხივება $\lambda_L=568.2$ ნმ და ინფრაწითელი ლაზერის YAG:Nd³⁺ გამოსხივება 1.06 მკმ. სიგნალის მიმღებად ვიყენებდით FEU-79, აზოტის ტემპერატურაზე გაციებულ FEU-83 და GaInAs ნახევარგამტარულ დეტექტორს, რომელიც ცივდებოდა აზოტის ტემპერატურაზე. რეგისტრაციას ვაწარმოებდით ფოტონების დათვლის სისტემით. რე სპექტრების ჩაწერა ხდებოდა 298⁰ და 80⁰K ტემპერატურებზე.

უმინარეგო α -HgS-ის აკრძალული ზონის სიგანე 298⁰K-ზე 2.1 ევ-ია [166]. ამიტომ ამ კრისტალში რე-ის ასაგზნებად $\lambda=632.8$ ნმ (კვანტის ენერგია 1.96 ევ) გამოყენება მეტად მომგებიანია სიგნალის გაძლიერების მიზნით - ადგილი აქვს წინარეზონანსულ გაძლიერებას. ასეთივე, უფრო კარგი სიტუაციაა, როდესაც α -HgS რე სპექტრს ვწერთ $\lambda_L=568.2$ ნმ (კვანტის ენერგია 2.18 ევ) აგზნებით 80⁰K-ზე. აზოტის ტემპერატურაზე α -HgS აკრძალული ზონის სიგანე ტოლია 2.23 ევ. რეზონანსული და წინა-რეზონანსული ეფექტებისაგან თავის დაღწევის მიზნით (თუ რამანის სპექტრების ჩაწერისას არსებობდა მათი ზეგავლენა) კი კინოვარის რამან-სპექტრებს ვწერდით ინფრაწითელი ლაზერის აგზნებით, 1.06 მკმ.

ნახ. 4 α -HgS რე სპექტრი. აგზნება $\lambda_L=632.8$ ნმ




ნახ. 4-ზე მოყვანილია რგ სპექტრი სუფთა α -HgS-სთვის, ჩაწერილი $\lambda_L=632.8$ ნმ აგზნებით ოთახის ტემპერატურაზე. აზოტის ტემპერატურაზე ჩაწერილმა რამან-სპექტრებმა გვიჩვენა, რომ სპექტრალურ უბანში $50-200$ სმ^{-1} არსებული სუსტი ინტენსიობის სპექტრალური ზოლები მეორე რიგის ფონონებს მიეკუთვნება. გარდა ამისა, აზოტის ტემპერატურაზე ჩაწერილი რამან-სპექტრების სპექტრალური ხაზები წანაცვლებულია მაღალი სიხშირეებისაკენ ოთახის ტემპერატურაზე ჩაწერილი სპექტრებისაგან განსხვავებით და ამ ზოლების ნახევარსიგანეები მკვეთრად დავიწროებულია.

ცხრილში 1 მოვანილია კინოვარის ფონონების სიხშირეები, რომლებიც განვსაზღვრეთ ექსპერიმენტულად ოთახისა და აზოტის ტემპერატურებზე.

ცხრილი 1 კინოვარის ფონონების სიხშირეები ოთახისა და აზოტის ტემპერატურებზე

Symmetry of phonons	Phonon frequency according RS (cm^{-1}) T=298 ⁰ K	Phonon frequency according RS (cm^{-1}) T=80 ⁰ K
A ₁	44	49
A ₁	256	262
TO E LO	88	92
TO E LO	105 147	112 150
TO E LO	284 292	291 301
TO E LO	346 353	351 361

ნახ. 5-ზე წარმოდგენილია ოთახის ტემპერატურაზე ჩაწერილი α -HgS-ის რგ სპექტრი, რომელიც ლეგირებულია 0.56% სელენით. ეს სპექტრი იმით განსხვავდება 5.4a-ზე მოყვანილი სუფთა კრისტალის რგ სპექტრისაგან, რომ ნახ. 5-ზე მკაფიოდ ჩანს საშუალო ინტენსიობის პიკი



ნახ. 5 სუფთა (a) და სელენის მინარევიანი α -HgS (b) რგ სპექტრი. აგზნება $\lambda_L=632.8$ ნმ

203 სმ^{-1} და მცირე ინტენსიობის სუსტად გამოკვეთილი საფეხური 226 სმ^{-1} , რომელიც არ დაიმზირება სუფთა მინერალში.

აზოტის ტემპერატურაზე ჩაწერილ რგ სპექტრში ეს ორი ზოლი განირჩევა უფრო მკვეთრად, მათი ინტენსიობა არ მცირდება, არამედ იზრდება და ოთახის ტემპერატურაზე მცირე, თითქმის შეუმჩნეველი სტრუქტურა 226 სმ^{-1} აზოტის ტემპერატურაზე იღებს მცირე ინტენსიობის, მაგრამ გამოკვეთილი სპექტრალური ზოლის სახეს. მისი სისშირე წანაცვლებულია მაღალი სისშირეებისაკენ და ტოლია 232 სმ^{-1} . სელენის მინარევის მახასიათებელი მეორე უფრო ინტენსიური პიკი 203 სმ^{-1} აზოტის ტემპერატურაზე წანაცვლდება მაღალი სისშირეებისაკენ და მისი სისშირე ხდება 209 სმ^{-1} . ამ პიკის ინტენსიობაც იზრდება. ორივე პიკის ინტენსიობები, რომლებიც ახასიათებს სელენის იზომორფული მინარევის ხერელისმიერ რხევას, იზრდება სელენის კონცენტრაციის ზრდით.

როდესაც სელენის კონცენტრაცია 1%-ია, α -HgS თითქმის გაუმჭვირვალე ხდება $\lambda_L=632.8$ ნმ-ის მიმართ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სელენის დიდი კონცენტრაციები იწვევს α -HgS-ის აკრძალული ზონის წანაცვლებას გრძელი ტალღებისაკენ. სელენის შემცველობის გაზრდით α -HgS გადადის შერეულ სამმაგ კრისტალში $\text{HgS}_{1-x}\text{Se}_x$. შერეული კრისტალის წარმოქმნისას კი კინოვარის ფაზა გადადის მეტაცინაბარიტის, β -HgS ფაზაში, რომლის აკრძალული ზონის სიგანე 1.4 eV ტოლია. ასეთი შერეული კრისტალის აკრძალული ზონის სიგანე კი მცირდება სელენის კონცენტრაციის გაზრდით. ჩვენ აქ არ ვამტკიცებთ, რომ 1%

სელენის დამატებით უკვე ადგილი აქვს ფაზურ გარდაქმნას, მაგრამ ცხადია წითელი მოდიფიკაციის კინოვარის აკრძალული ზონის სიგანის შემცირება. ყოველ შემთხვევაში კინოვარის ნათელი წითელი ფერი გადადის თითქმის შავ ფერში.

შრომაში [10] გამოთვლილი იყო ლოკალური და ხვრელური რხევები, როდესაც ორატომიან წრფივ ჯაჭვში ერთერთი ატომი ჩანაცვლდება მისი იზოტოპური ატომით. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ატომებს შორის მოქმედი ძალები ნაკლებად იცვლება და სპექტრების ცვლილების მთავარი ფაქტორია ძირითადი მესერის ატომისა და მისი იზოტოპის მასებს შორის სხვაობა. მასის გავლენა გათვალისწინებულია პარამეტრით "მასის დეფექტი" $e=1-M'/M$, სადაც M არის ძირითადი მესერის ატომის მასა, ხოლო M' -ჩანაცვლებული იზოტოპისა. თანახმად [32]-ისა, როდესაც მესერის მსუბუქი ატომი ჩანაცვლდება უფრო მძიმე იზოტოპით და e უარყოფითი რიცხვია, მაშინ აკუსტიკურ და ოპტიკურ შტოებს შორის წარმოიქმნება ხვრელისმიერი რხევა. α -HgS-ში ($M=32$) ($M=79$), $e=-1.47$; ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ რამან-სპექტრებში დამზერილი ორი პიკი 203 და 226 სმ^{-1} სიხშირეებზე მიოეკუთვნება α -HgS-ში სელენის ხვრელისმიერ რხევებს და არა E ტიპის ორჯერადად გადაგვარებულ რხევებს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ შევისწავლეთ დიდი რაოდენობის α -HgS მინერალების რამან-სპექტრები საქართველოს აბხაზეთისა და რაჭის რეგიონებიდან, რუსეთის ნიკიტოვკის რეგიონიდან. ეს მინერალები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირების მიერ იყო მოპოვებული. ამ რეგიონების ვერც ერთი მინერალის რამან-სპექტრში ვერ აღმოვაჩინეთ სელენის მინარევის ხვრელისმიერი რხევა. ეს რხევები ვერ დავაფიქსირეთ ვერც ინფრაწითელი, 1.06 მკმ და ვერც ხილული, 632.8 ნმ აგზნებებით; ე.ი. სელენის ხვრელისმიერი რხევები არ დაფიქსირდა არც რეზონანსული აგზნებიდან ძალიან შორს მყოფი ტალღის სიგრძისათვის და არც რეზონანსთან ახლოს მყოფი ტალღის სიგრძისათვის შესაბამისად. ამ რეგიონებიდან მოპოვებული ყველა მინერალის რამან-სპექტრებით განსაზღვრული ოპტიკური ფონონების კლასიფიკაცია შეესაბამება ცხრილში 1 წარმოდგენილ სუფთა კინოვარის ჩვენებულ კლასიფიკაციას. რაც შეეხება შუა აზიის რესპუბლიკის ყირგიზეთის ხაიდარკანის საბადოდან მიღებულ მინერალს, მცირე რაოდენობით გვქონდა, მაგრამ უკლებლივ ყველა α -HgS რამან-სპექტრებმა დააფიქსირეს სელენის ხვრელისმიერი რხევის მახასიათებელი ორი სპექტრალური ზოლი. ასეთი სტატისტიკის გამო გვინდა შემოვთავაზოთ კინოვარის მინერალების საბადოების ძალიან ზოგადი ალბათური იდენტიფიკაციის მეთოდი რამან-სპექტროსკოპიის გამოყენებით. იგი მდგომარეობს რამან-სპექტრებით სელენის მინარევის ხვრელისმიერი რხევის დაფიქსირებასა ან მისი არარსებობის დადასტურებაში. ამის შედეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომელი ალბათური საბადოდან არის ეს კინოვარი, რადგანაც ჩვენი გაზომვების სტატისტიკის თანახმად α -HgS-ში მინარევი სელენის არსებობა ან არარსებობა საბადოს მახასიათებელი თვისებაა.

ამგვარად, საქართველოს აბხაზეთისა და რაჭის რეგიონები, რუსეთის ნიკიტოვკის საბადო, საიდანაც მოპოვებულ კინოვარის მინერალებში რამან-სპექტრებმა ვერ აღმოაჩინეს სელენის იზომორფული მინარევის ხვრელისმიერი რხევა, მივაკუთვნეთ საბადოებს, საიდანაც მოპოვებული წითელი სინგურის მინერალები არ შეიცავენ სელენის მინარევის ყირგიზეთის ხაიდარკანიდან მიღებული α -HgS მინერალები კი, რომლებშიც ჩვენ აღმოვაჩინეთ სელენის მინარევის ხვრელისმიერი რხევა, მივაკუთვნეთ საბადოს, სადაც ბუნებრივი გეოლოგიური პირობები ალბათ ისეთია, რომ ამ ნატურალურ ლაბორატორიაში სინთეზირებული კინოვარი შეიცავს სელენის მინარევის.

ნახ. 4-ზე წარმოდგენილია კინოვარის რამანის სპექტრი ჰელიუმ-ნეონის ლაზერის ტალღის სიგრძის 632.8 ნმ (1.96 ევ) აგზნებით. ფონონების კლასიფიკაცია მოცემულია ცხრილში 1 ექსპერიმენტის იმ პირობებში, როდესაც ამგზნები კვანტის ენერჯია კინოვარის აკრძალული ზონის სიდიდეზე ნაკლებია 0.14 ევ-ით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. წინარეზონანსულ პროცესს და ამიტომ მახასიათებელი ფონონების ინტენსიობები მაინც გაზრდილია ისეთი ტალღის სიგრძის აგზნებით მიღებული ფონონების ინტენსიობებთან შედარებით, როდესაც არავითარ რეზონანს არა აქვს ადგილი. ასეთი სიტუაცია იქმნება მაშინ, როდესაც კინოვარის რამანის სპექტრი ჩაწერეთ YAG:Nd^+ ლაზერის ტალღის სიგრძის 1.06 მკმ აგზნებით. 1.06 მკმ (1.17 eV) აგზნებით ჩაწერილი რამან-სპექტრები თავისუფალია რეზონანსული ეფექტებისაგან, რადგანაც YAG:Nd^+ ლაზერის ამგზნები კვანტის ენერჯია ოთახის ტემპერატურაზე თითქმის ორჯერ ნაკლებია α -HgS აკრძალული ზონის სიგანეზე. რამან-სპექტრი პრინციპულად განსხვავებას არ გვიჩვენებს.

ორი სხვადასხვა ტალღის სიგრძეების (632.8 ნმ და 1.06 მკმ) აგზნებით სელენით ლეგირებული კინოვარის რამან-სპექტრების ოთახის ტემპერატურაზე ჩაწერისას დავაფიქსირეთ სერელისმიერი რხევების ინტენსიობათა მცირე გაძლიერება 632.8 ნმ აგზნებისას. რადგანაც სერელისმიერი რხევის ზოლი 226 სმ^{-1} მცირე ინტენსიობისაა, ამიტომ დიდი ცდომილების გამო მისთვის მიახლოებით რაოდენობრივ ანალიზს არ მოვიყვანთ. ამ პროცედურას ჩავატარებთ მხოლოდ უფრო ინტენსიური 203 სმ^{-1} სპექტრალური ზოლისათვის. სელენით ლეგირებული კინოვარის მინერალები ყველა ან ფხვნილები ან პოლიკრისტალები იყო. ამიტომ პოლარიზაციული და სხვა სპექტრალური ცდომილებების გამორიცხვის მიზნით, სელენის სერელისმიერი რხევის ზოლის ინტენსიობა 203 სმ^{-1} განვსაზღვრეთ კინოვარის ძირითადი ფონონების 256 სმ^{-1} , 290 სმ^{-1} და 346 სმ^{-1} ფარდობებთან. შედეგი წარმოდგენილია ცხრილში 2. შედეგების თანახმად, როდესაც

ცხრილი 2 კინოვარში სელენის სერელისმიერი რხევის ინტენსიობათა ფარდობა აგზნები ტალღის სიგრძის ორი სხვადასხვა მნიშვნელობისათვის

Wavelengths of exciting laser λ_L (nm)	Ratio of intensities I_{203}/I_{256} (a.u.)	Ratio of intensities I_{203}/I_{290} (a.u.)	Ratio of intensities I_{203}/I_{346} (a.u.)
632.8	0.067	1.17	0.32
1064	0.038	0.5	0.16

რამან-სპექტრების აგზნებას ვაწარმოებთ 632.8 ნმ-ით, რომლის ფოტონის კვანტის ენერჯია ახლოსაა კინოვარის არაპირდაპირი ზონის ენერჯიასთან და შექმნილია წინარეზონანსული პირობა, ადგილი აქვს სერელისმიერი რხევის თითქმის ორჯერ გაძლიერებას 203 სმ^{-1} სიხშირეზე.

References

- [1]. W.Scheuermann and G.J.Ritter, (1969) *Z.Naturforsch* **24a**, 408,
- [2]. R.Zallen, G.Lucovsky, W.Taylor, A.Pinczuk, and E.Burstein, (1970) *Phys.Rev.* **113**, 4058,
- [3]. Peter Dawson, (1972) *Spectrochimica Acta*, **28A**, 22305,
- [4]. Jian Zuo, Xichen Zhao, Ruo Wu, Guangfen Du at all, (2003) *Journal of Raman Spectroscopy*, **34**, 121-125,
- [5]. Ray L.Frost, Howell G.M.Edwards, Lee Duong, J. Theo Kloprogge at all, (2002) *Analyst (Cambridge, United Kingdom)*, **127**, (2), 293-296,
- [6]. Danilo Bersani, Gianni Antonioli, Pier Paolo Lottici, Antonella Casoli, (2003) *Spectrochimica Acta, part A*, **59**, 2409-2417,
- [7]. E.H.Carlson, (1967) *J.Crystal Growth*, **1**, 271,
- [8]. K.L.Aurivillius, (1969) *Acta Chem.Scand.* **4**, 1413,
- [9]. R.Zallen, International Conference on II-VI Semiconducting Compounds, (New York, Benjamin), p.877, (1967)
- [10]. D.G.Dawber and R.G.Elliot, (1963) *Proc.Roy Soc.(London)* **A273**, 222,
- [11]. G.Lucovsky, M.H.Brodsky and E.Burstein, (1970) *Phys.Rev.* **2B**, 3295,
- [12]. J.M.Ralston, R.L.Wadsack, and R.K. Chang, (1970) *Physical Review Letters*, Vol.25, No12, 814-818
- [13]. E.Doni, L.Resca, S.Rodriguez and W.M.Becker, (1979) *Physical Review*,

B20, 4, 1663-1668,

- [14]. S. V. Gotoshia and L. V. Gotoshia Laser Raman and resonance Raman spectroscopies of natural semiconductor mineral cinnabar, α -HgS, from various mines J. Phys. D: Appl. Phys. **41** (2008) 115406 Doi: 10.1088/0022-3727/41/11/115406
- [15]. Sergo Gotoshia and Lamara Gotoshia. Laser Raman-spectroscopy investigation of the natural minerals on basis of which red and goldish dyes were prepared for painting of ancient and medieval art pieces JESJ Physics 2010, No 3[1]
- [16] Sergo V. Gotoshia and Lamara V. Gotoshia, Laser Raman Spectroscopy of Gap Vibration of Se Impurity in Natural Mineral Cinnabar from Various Mines **AIP Conf. Proc.1380, 60-64, (2011); doi: 10.1063/1.3631811**
2011 American Institute of Physics 978-0-7354-0940-8/\$30.00

ო. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და
ელექტროქიმიის ინსტიტუტი
ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია

“ვამტკიცებ”
ინსტიტუტის დირექტორი
გ. ტატიშვილი

“_____” _____ 2013 წ.

ანგარიში

თემაზე: “მძიმე მეტალებით (დარიშხანი, ანთიმონი, ტყვია, კადმიუმი, სპილენძი) დაბინძურებული ნიადაგების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა საქართველოს რაიონებში (რაჭა–სვანეთი)”.

(მიმართულება: აგრო-ეკოტოქსიკოლოგია, ეკოლოგია)

თემის ხელმძღვანელი,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრ. პროფესორი
ჯაფარიძე

შუქრი

თბილისი 2013

ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია – japaridzeshukri@yahoo.com; მეცნიერების
დარგი – საბუნებისმეტყველო
სამეცნიერო მიმართულება – აგროეკოტოქსიკოლოგია, ეკოლოგია

შემსრულებლები:

1. რ. გიგაური, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი , ქიმ.მეცნ.კანდიდატი -
პასუხისმგებელი შემსრულებელი
2. თ. გოგიბერიძე, მეცნიერ თანამშრომელი
3. ლ. დოლიძე, მეცნიერ თანამშრომელი
4. ნ. ხავთასი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

მძიმე მეტალებით (დარიშხანი, ანტიმონყ, ტყვია, კადმიუმი, აპილენბი) დაბინძურებული ნიადაგების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა საქართველოს რეგიონებში (რაჭა, სვანეთი).

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკოტოქსიკოლოგიას, რომელშიც აერთიანებენ სამუშაოებს ბიოინდიკაციისა და გარემოს დაცვის ბიოლოგიური მონიტორინგის შესახებ. ეკოტოქსიკოლოგიას აქვს თავისი ზუსტად განსაზღვრული ამოცანა – გამოავლინოს გარემოზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ანტროპოგენური ფაქტორების ტოქსიკური ზემოქმედების მექანიზმები [1].

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, რაჭასა და სვანეთში, სადაც წარსულში ფუნქციონირებდა დარიშხანის ქარხნები, დაგროვილია ათი ათასობით ტონა დარიშხანშემცველი ნარჩენები.

ნიადაგი რთული და მრავალფაქტორიანი სისტემაა, რომელიც იცვლება კლიმატურ–ლანდშაფტური ტერიტორიების მიხედვით. მცენარეებს შეუძლიათ ნიადაგიდან მაქსიმალურად დააგროვონ ტოქსიკური ნივთიერებები მათი შემდგომი მიგრაციით ადამიანის ორგანიზმში. ამისათვის გამოიყენება ბუნებრივი მიგრაციული რგოლი: ნიადაგი – მცენარე – ადამიანი; ნიადაგი – წყალი – ადამიანი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას გარემოს ძირითადი დამბინძურებლები რეგიონში (ნიადაგი, წყალი და სხვა).

აღსანიშნავია, რომ დარიშხანი და მისი ნაერთები ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებებს მიეკუთვნება. დადასტურებულია მათი კანცეროგენული ბუნებაც. განსაკუთრებით მწვავეა დარიშხანით გარემოს დაბინძურების პრობლემა საქართველოსათვის, რადგანაც რაჭაში (სოფ.ურავი) და ქვემო სვანეთში (სოფ.ცანა) 60 წელზე მეტი დროის განმავლობაში ხდებოდა ადგილობრივი დარიშხანშემცველი მადნების გადამუშავება. ამჟამად, ზემომოყვანილი ყოფილი ქარხნების მიმდებარე ტერიტორია გამოირჩევა დარიშხანშემცველი ნარჩენების დიდი რაოდენობით. ვინაიდან არასტანდარტული სამარხები ამორტიზირებულია წარმოების ნარჩენები, ე.წ. “კუდები”, ხდება ანტროპოგენური დაბინძურების საფუძველი. ნიადაგებში და გრუნტის წყლებში დარიშხანშემცველი ნაერთების გავრცელება დიდად არის დამოკიდებული აღნიშნული ნაერთების ხსნადობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ურავის სამთო–ქიმიური ქარხანა უზრუნველყოფილი იყო წარმოების მოთხოვნილებათა საშუალებებით, ტექნოლოგიური პროცესების შედეგად გამოყოფილი ძალიან ძლიერი საწამლავის – თეთრი დარიშხანის (As_2O_3) – 3% მაინც იკარგებოდა და აეროზოლში მოხვედრილი დარიშხანის (III) ოქსიდი საწარმოდან საკმაოდ დიდ მანძილზე, ხეობის თითქმის 20 კმ მონაკვეთზე იწვევდა ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებას [2].

წინამდებარე სამუშაოს მიზანს შეადგენს ამორტიზირებული სამარხების მიმდებარე ტერიტორიების მძიმე მეტალებით და დარიშხანით დაბინძურების ხარისხის შესწავლა.

მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების შესწავლა საქართველოს რეგიონებში (რაჭა, სვანეთი) უკვე ათ წელზე მეტია რაც მიმდინარეობს. ჩვენს მიერ ინსტიტუტის წლიურ ანგარიშებში მოცემულია შედეგები 17-მდე დარიშხანშემცველი ნარჩენების სამარხის კვლევების შესახებ. დადგენილია მათი პროცენტული შემცველობა. შესწავლილია გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები, რაც ზესუფთა დარიშხანშემცველი ნაერთების (As_2O_3 , As_2S_3 , As_2S_5 , Na_3AsO_4 , $SnHAsO_4$, სხვადასხვა დარიშხანშემცველი კომპლექსნაერთები და სხვა) მიღების საშუალებას იძლევა. სხვებთან ერთად ჩვენი მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგია სათანადო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება თანამედროვე საინჟინერო მასალების გამოყენებით დარიშხანშემცველი ნარჩენების თანამედროვე ტიპის საცავების მშენებლობის დაწყება, რაც თავიდან აგვაცილებს ნარჩენების გაღინებას გარემოში და მის დაბინძურებას.

ეკოტოქსიკოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია ახსნას, თუ რატომ ხდებიან გარემოს კონკრეტული დაბინძურების და დარღვევის ინდიკატორებად ესა თუ ის ცხოველები და მცენარეები. ეკოტოქსიკოლოგია შეიძლება განვიხილოდ როგორც დისციპლინად შორის მიმართულება, რომელიც ვითარდება ტოქსიკოლოგიის, ეკოლოგიის, გეოქიმიის და სხვა მეცნიერებათა მიმართულ- ბით. ეკოლოგიური პათოლოგია აერთიანებს : 1 – ქიმიურ პათოლოგიას – ეკოტოქსიკოლოგია, 2 – ბიოლოგიურ პათოლოგიას – ინფექციები, ინვაზიები, 3 – ფიზიკურ პათოლოგიას – სითბური, ხმაურის და რადიაციული დაბინძურება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ამ ორი რეგიონის როგორც სახნავ-სათესად გამოყენებული ნიადაგების, ასევე საცავების მიმდებარე ტერიტორიების მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლას.

პირველყოფლისა ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ნიადაგების ოთხი ნიმუში, რომლებიც აღებულ იქნა 20 სმ სიღრმეზე. შერჩეული იქნა სხვადასხვა ობიექტი :

1. პრეპარატების სალექარის მიმდებარე ტერიტორია (რაჭა, სოფ. ურაგი).
2. მუკვე წყლის სალექარის მიმდებარე ტერიტორია (რაჭა, სოფ. ურაგი).
3. მეფიჭალის სალექარის მიმდებარე ტერიტორია (რაჭა, სოფ. ურაგი).
4. ნამწვი არსენოპირიტის მიმდებარე ტერიტორია (სვანეთი, სოფ. ცანა).

ზემოსხენებული რეგიონებიდან ჩამოტანილ (წესისამებრ აღებულ გასაშუალებულ) ნიმუშებს ჩატარდათ კვლევა – ქიმიური და ფიზიკური მეთოდების საშუალებით მათში მძიმე მეტალების (As, Sb, Pb, Cd, Cu და სხვა) რაოდენობრივი განსაზღვრა.

დარიშხანის პროცენტული შემცველობა აღმოჩნდა $As \leq 1\%$ (შესაბამისად 0,93; 0,77; 0,55; 0,35). შემდგომ ეტაპზე და სტანდარტების მიხედვით შესწავლილი და დადგენილი იქნა მეტალების ფორმა, ხსნადობა, ტოქსიკურობის ხარისხი და მათი გავრცელების არეალი ნიადაგებში. ვინაიდან ნიადაგებში დარიშხანი 1%-მდე აღმოჩნდა საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღება პირველ რიგში დარიშხანზე გაგვემახვილებინა.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ ოთხივე ნიმუშში დარიშხანი აღმოჩნდა ნატრიუმის არსენიტისა და არსენატის სახით. ნატრიუმის არსენიტი ხასიათდება კარგი ხსნადობით. ის მეტად ტოქსიკური პესტიციდის დასამზადებლად გამოიყენება.

ნატრიუმის არსენატი კი ნაკლებად ხსნადია და ნაკლებად ტოქსიკური [2]. მაგრამ მათი აკუმულირება ხდება ნიადაგებში და არანაკლებ საფრთხეს უქმნის მწვანე საფარს.

TCLP (ტოქსიკურობის მახასიათებელი გამოტუტვის პროცედურის დროს) ტესტ მეთოდის [3] მიხედვით: ვიღებდით გასაშუალოებულ ჰაერმშრალ ნიადაგის ნიმუშს 25გ. ვუმატებდით 500 მლ ბუფერულ სტანდარტს (1 : 20); pH =5; T=30⁰C. პროცესი მიმდინარეობდა მუდმივი მორევის პირობებში მაგნიტურ სარეველაზე 24 საათის განმავლობაში. ხსნარში გამოტუტულმა დარიშხანმა შეადგინა 50%, ანუ საწყის ნიმუშში მყოფი 0,93% დარიშხანიდან ხსნარში გადმოვიდა 0,45%.

ხსნარის მშრალ ნაშთს ჩაუტარდა ინფრაწითელი სპექტროსკოპიული ანალიზი. სპექტროგრამაზე ნათლად ჩანს სხვა მძიმე მეტალების არსებობაც (Pb, Cd, Ni, Co, Sb, Cu და სხვა), რომელთა რაოდენობა აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმებს.

WET (ექსტრაქციისას დანაკარგის განსაზღვრა) [4] სტანდარტის მიხედვით : ვიღებდით 25გ ჰაერმშრალ გასაშუალოებულ ნიადაგის ნიმუშს. ვუმატებდით 250 მლ ბუფერულ სტანდარტს (1 : 10); pH =5; T=30⁰C. პროცესი მიმდინარეობდა მუდმივი მორევის პირობებში მაგნიტურ სარეველაზე 48 საათის განმავლობაში. ხსნარში გამოტუტულმა დარიშხანის პროცენტულმა შემცველობამ შეადგინა თითქმის 25%, ანუ საწყის ნიმუშში მყოფი 0,93% დარიშხანიდან ხსნარში გადმოვიდა 0,22%. ცხრილში მოტანილია დაბინძურებული ნიადაგიდან დარიშხანის ამოღების ხარისხი.

№	საწყ. ნიადაგების ადგილმდებარეობის დასახელება	ნიმუშ. ადების სიღრმე	საწყის ნიად. As %	ადებ. ნიად. ნიმ.,გ	TCLPსტ., მლ	მიდ. As %	WETსტ. მლ	მიდ. As %
1	პრეპარატების სალექარის მიმდებარე ტერიტ. (ურავი)	20	0,93	25	500	0,45	250	0,22
2	მუავე წყლის მიმდებარე ტერიტორ. (ურავი)	20	0,77	25	500	0,41	250	0,19
3	მეფიჭალის სამარხის მიმდებარე ტერიტ – ურავი	20	0,55	25	500	0,26	250	0,12
4	ნამწვი არსენოპირიტის მიმდებარე ტერიტორია– ცანა	20	0,35	25	500	0,17	250	0,08

ცხრილიდან ჩანს, რომ დაბინძურებული ნიადაგებიდან დარიშხანის ამოღების ხარისხი 76 –78%.

თემის აქტუალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დასახული ამოცანის განსახორციელებლად გამოიყენება თანამედროვე მეთოდები. ჩვენს შემთხვევაში ორივე ტესტ მეთოდი საშუალებას იძლევა განვიხილოთ ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული მდგომარეობა, როდესაც წარმოების ნარჩენების სამარხები მოუწესრიგებელია და თითქმის ღია გრუნტზეა განლაგებული, აწვიმს და ათოვს. 24 და 48 საათის განმავლობაში შეიძლება დაითვალოს და შეისწავლოს მძიმე მეტალების და, მათ შორის, დარიშხანის გავრცელების არეალი.

გარდაქმნის პროდუქტების წარმოქმნა თავის მხრივ დამოკიდებულია pH-ზე. თუ pH>7-ზე და ტუტე გარემო ტუტე მეტალთა კარბონატულ ფორმებს ქმნის, მაშინ ამავე მეტალის ხსნადი არსენატის წარმოქმნის ალბათობა დიდია. ხოლო მუავე გარემოში, ანუ როცა pH<7-ზე უმეტესწილად გარდამავალ მეტალთა არსენატების წარმოქმნასთან გვაქვს საქმე, რაც იწვევს დარიშხანის თანდათანობით აკუმულაციას.

დედამიწის ყოველი მონაკვეთი საზოგადოდ და მით უმეტეს მცირე მიწიან საქართველოში დიდი ღირებულების მქონე სიმდიდრედ გვევლინება მოსახლეობის ზრდისა და მასთან ერთად სამრეწველო წარმოებათა მასშტაბების განუწყვეტელი ზრდის გამო. ცხადია, რომ ბუნების დაცვა ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. ადამიანის სიცოცხლისათვის საჭირო გარემოს შენარჩუნებისა და დაცვისათვის აუცილებელია გარემოს მდგომარეობის სისტემატური კონტროლი. ევროკავშირის ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკოტოქსიკოლოგიას, რომელშიც აერთიანებენ ბიოინდიკაციასა და გარემოს დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური მონიტორინგის შესახებ სამუშაოებს [5].

როგორც ზემოთ აღინიშნა პირველ ეტაპზე შესწავლილი იქნა უშუალოდ ქარხნების ტერიტორიების (სალექარების მიმდებარე ტერიტორიები) დაბინძურებული ნიადაგები. სამუშაოს მეორე ეტაპზე კი შესწავლილი იქნა დარიშხანის დაბინძურების წყაროსაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული ადგილებიდან აღებული ნიმუშები.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოს ამ ორ რეგიონში შესწავლილი არ იყო ნიადაგების მდგომარეობა მძიმე მეტალების და მათ შორის დარიშხანით დაბინძურების ხარისხი.

შესწავლილი იქნა 7 ნიადაგის ნიმუში სხვადასხვა ადგილებზე:

1. ნიადაგის ნიმუში ყოფ. ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, სამარხიდან 10 მეტრის დაშორებით. (ურავი);
2. იგივე სამარხიდან 200 მეტრის დაშორებით. (ურავი);
3. პრეპარატების საწარმოო უბნის ტერიტორიიდან 10 მეტრის დაშორებით. (ურავი);
4. მეტალურისა და ქლორიდის საამქროს უბნის მიმდებარე ტერიტორიიდან 10 მეტრის დაშორებით. (ურავი);
5. სახნავ-სათესი ტერიტორია 0,5 კმ მოშორებით ქარხნის ტერიტორიიდან. (ურავი);
6. სახნავ-სათესი ტერიტორია 1 კმ დაშორებით (ურავი).
7. სამარხიდან 30 მეტრში ჩრდილოეთ ფერდობზე (ლენტეხის რ-ნი სოფ. მელეში).

კვლევებში ნიადაგის ნიმუშების შესასწავლად გამოვიყენეთ თანამედროვე ტესტმეთოდები TCLP (ტოქსიკურობის მახასიათებელი გამოტუტვის პროცედურის დროს) და WET (სველი ექსტრაქციის ტესტი). [2]

ყველა ნიმუშისათვის შერჩეულ იქნა ოპტიმალური პირობები. ბუფერული სისტემებიდან შერჩეული იქნა ფუძე-მჟავური წონასწორობა, სადაც pH -ის მოქმედების არეალი 4-6. 100გ წყლით გამონაწვლილში ყველა ნიმუშისათვის განვსაზღვრეთ მუავიანობა.

TCLP და WET სტანდარტების მიხედვით 100გ გასაშუალოებლ ჰაერმშრალ ნიადაგის ნიმუშს ვუმატებდით 200 მლ ბუფერულ სტანდარტს (1:5); pH=5; $T = 30^{\circ}C$. პროცესი მიმდინარეობდა მუდმივი მორევის პრიბოებში მაგნიტური სარეველას მეშვეობით 24 – 48 სთ.

გამოტუტულ საკვლევ სხნარებში დადგენილ იქნა დარიშხანის პროცენტული შემცველობები, ფორმები, ვალენტობა, სხნადობა და აქედან გამომდინარე

ტოქსიკურობის ხარისხი.[3] ნიადაგებში დარიშხანი აღმოჩნდა როგორც As^{3+} ასევე As^{5+} ფორმით. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ნიადაგში დარიშხანის ზღვრული დასაშვები ნომრია: $As = 1,7 \cdot 10^{-4}\%$.

ნიადაგების კვლევის შედეგები.

№1. ნიადაგის ნიმუში (ურავი) სამარხიდან 10 მ. დაშორებით (ქარხ. ტერ). 100 გ

წყლით გამონაწვლილში $pH = 5,5$; $As^{3+} - 0,015$ გ/კგ.

$As^{5+} - 0,0097$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,025$ გ/კგ.

ფორმა – ხსნადი, არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით, ტოქსიკურობის ხარისხი – საშუალო.

№2. ნიადაგის ნიმუში (ურავი) იგივე სამარხიდან 200 მ დაშორებით:

100გ. წყლით გამონაწვლილში $pH = 6$ $As^{3+} - 0,0068$ გ/კგ.; $As^{5+} - 0,007$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,014$ გ/კგ. ფორმა ხსნადი, არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით. ტოქსიკურობის ხარისხი – საშუალო.

№3. ნიადაგის ნიმუში (ურავი) პრეპარატების საწარმოო უბნებიდან 10მ. დაშორებით.

100გ წყლით გამონაწვლილში $pH = 5$; $As^{3+} - 0,01$ გ/კგ.

$As^{5+} - 0,019$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,029$ გ/კგ. ფორმა – ხსნადი. არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით. ტოქსიკურობის ხარისხი საშუალო.

№4. ნიადაგის ნიმუში (ურავი) მეტალური დარიშხანის და მისი ქლორიდის

საამქროდან 10 მ. დაშორებით. 100გ წყლით გამონაწვლილში $pH = 6$; $As^{3+} - 0,0025$ გ/კგ. $As^{5+} - 0,044$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,046$ გ/კგ. ფორმა – ხსნადი. არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით. ტოქსიკურობის ხარისხი საშუალო.

№5. ნიადაგის ნიმუში (ურავი) ყოფ. ქარხნის ტერიტორიიდან 500 მ. დაშორებით.

სახნავ-სათესი ტერიტ. 100გ წყლით გამონაწვლილში $pH = 6$; $As^{3+} - 0,006$ გ/კგ. $As^{5+} - 0,002$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,008$ გ/კგ. ფორმა – ხსნადი. არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით. ტოქსიკურობის ხარისხი საშუალო.

№6. ნიადაგის ნიმუში (ურავი) ყოფ. ქარხნის ტერიტორიიდან 1000 მ. დაშორებით.

100გ წყლით გამონაწვლილში $pH = 6$; $As^{3+} - 0,001$ გ/კგ. $As^{5+} - 0,002$ გ/კგ.; $As_{საერთო} - 0,003$ გ/კგ. ფორმა – ხსნადი. არსენიტი-არსენატის შესაბამისი მარილების სახით. ტოქსიკურობის ხარისხი საშუალო.

№7. ნიადაგის ნიმუში (ცანა) ლენტეხი. სოფ. მეღეში. სამარხიდან 30 მ. დაშორებით, ჩრდილოეთ ფერდობზე. 100გ წყლით გამონაწვლილში $pH = 4,5$; $As_{საერთო} - 0,006$ გ/კგ. ფორმა – მც.ხსნადი, ოქსიდური. ტოქსიკურობის ხარისხი მაღალი.

ნიადაგების დაბინძურების ხარისრი გათვლილი იქნა თანაფარდობის

$$K_c = K_{გან} / K_{ზ.დ.კ.}$$

გამოყენებით, სადაც $K_{გან}$ – ნიადაგში განსაზღვრული დარიშხანის რაოდენობაა (მგ/კგ), ხოლო $K_{ზ.დ.კ.}$ – ამ ელემენტის ზღვრული დასაშვები კონცენტრაციაა, რომელიც დაახლოებით 2 მგ/კგ–ის ტოლია. დარიშხანის საერთო რაოდენობა,

დარიშხანის იონების რაოდენობა, შესწავლილი შვიდივე ნიმუშის დაბინძურების ხარისხი მოცემულია ცხრილ №1.

ცხრილი №1

№1-7 ნიმუშებში საერთო დარიშხანის, დარიშხანის იონების რაოდენობა და ნიადაგების დარიშხანით დაბინძურების ხარისხი.

№	As საერთო, გ/კგ	As3+ გ/კგ	As3+ %	As5+ გ/კგ	As5+ %	ნიად. დაბინძურ. ხარისხი
1	0,025	0,015	56	0,0097	44	12,5
2	0,014	0,0068	50	0,007	50	7,0
3	0,029	0,01	35	0,019	65	14,5
4	0,046	0,0025	5	0,044	95	23
5	0,008	0,006	75	0,002	25	4,0
6	0,003	0,001	33	0,002	67	1,5
7	0,006	–	–	–	–	3,0

როგორც ცხრილიდან ჩანს ნიმ. 1,2,5,6, რომლებიც აღენული იყო სამარხიდან 10, 200, 500 და 1000 მ დაშორებით დაბინძურების ხარისხი, ანუ დარიშხანის რაოდენობა ნიადაგებში ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე 12,5; 7; 4 და 1,5-ჯერ არის მომატებული.

№1 ნიადაგის დამუშავებულ ნიმუშს ჩაუტარდა რაოდენობითი-სპექტრალური ანალიზი. მონაცემები მოცემულია ცხრილ №2.

რაოდენობითი სპექტრალური ანალიზის შედეგები. ცხრილი 2.

№	ნიადაგის ადგილმდებარეობა	დამუშავებული TCLP სტ. ნიადაგის სპექტრალური ანალიზის შედეგები %.											
		Si	Al	Mg	Ca	Fe	Mn	Ti	Cu	Pb	As	Na	C
1	ყოფ. ქარხნის ტერიტორია სამარხიდან 10მ. დაშორებით	10÷15	~1,5	0,1	15÷20	3÷5	0,003	0,7	0,002	0,001	0,0021	ბევრი	ბევრი

ცხრილში მოყვანილი შედეგები ცხადყოფს, რომ გარდა დარიშხანისა ნიადაგში სხვა მძიმე მეტალების სიჭარბეც გამოიკვეთა.

კვლევების შედეგად შეიძლება დავასკვნად, რომ ურავის და ცანას ყოფილი სამთო-ქიმიური ქარხნების მიმდებარე ტერიტორია 2 –3 კმ ფარგლებში უვარგისია სახნავ-სათესად და საძოვრებად გამოყენების მიზნით. ეს ტერიტორიები ვარგისიანი გახდება იმ შემთხვევაში თუ მოხდება ნიადაგში დიდი რაოდენობით მყოფი დარიშხანის გაუვნებელყოფა არსებული მეთოდების საშუალებით.

წარმოდგენილი დარიშხანის საერთო შემცველობები წარმოადგენს მასტიმულირებელ საშუალებას, როგორც ნიადაგების ასევე მწვანე საფარისათვის. მცენარეულ უჯრედში მათი ჟანგვითი დეგრადაციის შუალედურ პრდუქტს შეუძლია საფრთხე შეუქმნას, როგორც ცხოველის ასევე ადამიანის ჯანმრთელობას. დარიშხანშემცველი ნაერთების კანცეროგენული თვისებებით არის გამოწვეული ამ რეგიონებში კუჭნაწლავის ტრაქტის სიმსივნური დაავადებების მაღალი მაჩვენებელი.

მიკრობიოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ტოქსიკურობის სახით მთლიანად მოვსპოთ, რაც გულისხმობს მძიმე მეტალების ჟანგვით დეგრადაციას, სტანდარტულ უჯრედულ მეტაბოლიტებად და დაჟანგვის საბოლოო პროდუქტად გარდაქმნას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე თავისუფლად შესაძლებელია ნიადაგებისათვის ფიტორემედიაციის გამოყენებაც. გარკვეული ტიპის მცენარეებს მაგალითად, ამერიკული გვიმრის სახეობას შესწევს უნარი სხვა საკვებ

პროდუქტებთან ერთად შეითვისოს მძიმე მეტალებიც 1%-მდე. ახდენს რა მათ ტრანსპორტირებას მიწისზედა ფენაში, ამ გზით იწმინდება ნიადაგი. ხოლო გვიმრა იწვება. ნამწვი იმარხება ან ხდება დომინანტი ელემენტის გამოტანა საჭიროებისამებრ (მაგ. As).

თანამედროვე მსოფლიო ნორმალური ეკოლოგიის აღდგენას და მისი ხანგრძლივი შენარჩუნების პერსპექტივას მიკროორგანიზმების და მცენარეების დეტოქსიკური პოტენციალის გამოყენებაში ხედავს [4].

დასკვნები:

1. შესწავლილია საქართველოს ორ რეგიონში (რაჭა-სვანეთი) დარიშხანშემცველი ნარჩენების სამარხების მიმდებარე ტერიტორიებზე ნიადაგებში დარიშხანისა და მძიმე მეტალების პროცენტული შემცველობა. შესწავლილია აგრეთვე ამ სამარხებიდან 10, 30, 200, 500 და 1000 მ დაშორებით ნიადაგების მძიმე მეტალებით და დარიშხანით დაბინძურების ხარისხი.
2. TCLP (ტოქსიკურობის მახასიათებელი გამოტუტვის პროცედურა) და WET (ექსტრაქციისას დანაკარგის განსაზღვრა) სტანდარტების მიხედვით დადგენილია დარიშხანის ფორმები (არსენიტები-არსენატების შესაბამისი მარილების სახით, რომლებიც მაღალი და საშუალოდ მაღალი ტოქსიკურობის ხარისხით გამოირჩევიან და გააჩნიათ გავრცელების ფართო არეალი), ვალენტობა (As^{3+} და As^{5+}) და ხსნადობა.
3. მძიმე მეტალების განსაზღვრა განხორციელდა რაოდენობითი-სპექტრალური ანალიზის მეთოდით. დარიშხანის (As^{3+}) – ატომურ-აბსორბციული და იოდომეტრული მეთოდებით, ხოლო (As^{5+}) – თიოსულფატური მეთოდით.
4. სამარხებიდან 10, 200, 500 და 1000 მ დაშორებით მდებარე ნიადაგები- სათვის გამოთვლილია საერთო დარიშხანის და მასში (As^{3+} და As^{5+}) წილიბრივი რაოდენობა. ნაჩვენებია, რომ დაბინძურების წყაროდან მანძილის გაზრდით ტოქსიკურობის ხარისხი მცირდება და შესაბამისად ტოლოა 12,5; 7,0; 4,0 და 1,5.
5. პრევენცია – ნიადაგების გაწმენდა ტოქსიკური მძიმე მეტალებისაგან შესაძლებელია როგორც მიკრობიოლოგიური მეთოდით ასევე ფიტორემედიაციით. ამ მეთოდების გამოყენების თვითღირებულება დაბალია და ეკოლოგურად უსაფრთხო.

ლიტერატურა:

1. Мышьяк и окружающая среда. Экспресс Информация. ВИНТИ. Цветная металлургия Москва, 1994, №45. С. 29-40.
2. რ. გიგაური, გ.ჩაჩავა. დარიშხანი და გარემომცველი ბუნება. თბილისი, 2004, გვ. 33–34.

3. EPA Test Method 1311 – TCLP. Toxicity Characteristic Leaching Procedure. 1992, P. 6.
4. Angela M. WET waste extraction test Anal. Bioanal. Chem., 2002, V.37, P. 255-261.
5. Gvakharia V., Chirakadze A., Sarhvadze L., Gigauri R. Development and Bench Scale Testing of Soft Decontamination /Remediation Methods to be Used in Highlands of Georgia. 14th Symposium on Remediation in Jena “Microbiological impact on element mobility”, Jena, Germany, 2010, P. 42

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
თეორიულ კვლევათა ლაბორატორია

“ვამტკიცებ”
ინსტიტუტის დირექტორი
გ.ტატიშვილი
----- 2013

მეცნიერების დარგი – ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია
სამეცნიერო მიმართულება – საქართველოს მინერალური ნედლეულის გადამუშავების
რაციონალური ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება და ახალი
მასალების მიღება

ანგარიში
(დასრულებული)

თემაზე: ადსორბირებული ორგანული შემზეთის გაგვინის დადგენა

ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის

ადგეზიაზე

თემის ხელმძღვანელი
ფიზ.მათ.მეცნ.დოქტორი

თ. მარსაგიშვილი

თბილისი
2013

შემსრულებლები

უფრ.მეცნ.თანამშრომელი
ქიმ.მქცნ.კანდიდატი

ნ.ანანიაშვილი

უფრ.მეცნ.თანამშრომელი
ქიმ.მქცნ.კანდიდატი

მ.გაჩეჩილაძე

მეცნ.თანამშრომელი

ჯ.მეტრეველი

მეცნ.თანამშრომელი

ე.ცხაკაია

მეცნ.თანამშრომელი

რ.ხოსიტაშვილი

**ადსორბირებული ორგანული შემზეთის გავლენის დადგენა ბაზალტის ბოჭკოს
ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის ადგეზიაზე
(შემაჯამებელი ანგარიში)**

საქართველოს გააჩნია ბაზალტის ნედლეულის დიდი მარაგი (რამოდენიმე ასეული მილიონი ტონა), რაც იმედს იძლევა, რომ საქართველოში განვითარდება ბაზალტისაგან მრავალფეროვანი ნაკეთობების წარმოება. ქართული ბაზალტების მაღალი ხარისხი ძალზე მნიშვნელოვანია ბაზალტის ბოჭკოს წარმოებისათვის, რადგან ნედლეული არ საჭიროებს არანაირ ქიმიურ დანამატს. ეს კი, ერთის მხრივ, საგრძნობლად აიაფებს ბაზალტის ბოჭკოს ღირებულებას და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს პროდუქციის ეკოლოგიურ სისუფთავეს. მაგალითისათვის ქვემოთ მოყვანილია მარნეულის ბაზალტის ქიმიური შემადგენლობა %-ში:

SiO ₂	TiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃ +FeO	CaO	MgO	MnO	Na ₂ O	K ₂ O	P ₂ O ₅
50,81	0,92	15,39	10,43	10,12	6,21	0,2	3,34	1,00	0,5

ბაზალტის ბოჭკოს ბაზაზე დამზადებული კომპოზიციური მასალების ნაკეთობანი, თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ეკოლოგიური სისუფთავით და მთელი რიგი პარამეტრებით აღემატებიან ფართოდ გავრცელებულ ტრადიციულ მასალებს. კომპოზიციის შემადგენლობის ვარირებით მათ შეუძლიათ ფოლადის, აზბესტის, რკინა-ბეტონის ჩანაცვლება. ამიტომ ბაზალტის ბოჭკოვანი მასალები წარმატებით გამოიყენება მშენებლობაში, რაც ხელს უწყობს ნაგებობის წონის, თბური დანაკარგების შემცირებას, ხმაურის დონის კლებას. ბაზალტის უწყვეტი ბოჭკო გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილების და უქსოვადი მასალების მისაღებად, თბოსაიზოლაციო ზონრების საწნავად, აზბესტის შემცველად, ავტომობილის სამუხრუჭე დეტალებში, ცემენტ-ბოჭკოვანი ფილების, თაბაშირ-ბოჭკოვანი კომპოზიციების, მინა-პლასტების, მილების, არმატურის მისაღებად და ა.შ. ბაზალტის ბოჭკო უწვადი და უღებობადი მასალაა, არ განიცდის კოროზიას ატმოსფეროს ზემოქმედების შედეგად.

ბაზალტის ბოჭკოს გამოყენებით ნაკეთობების წარმოებისათვის ყველაზე მთავარ ეტაპს თვით ბოჭკოს წარმოება წარმოადგენს. საქართველოში არსებობს წარმოება (Bazalt-Paibers), სადაც ღებულობენ ბაზალტის ბოჭკოს.

ბაზალტის ბოჭკოს წარმოების პროცესი მოითხოვს სხვადასხვა ორგანულ შემზეთს მისთვის ელასტიურობის მისანიჭებლად. ასეთი მასალები ცნობილია და გამოიყენება წარმოებაში. ბაზალტის ბოჭკოს ფართო დიაპაზონში გამოყენების მიზნით, სასურველია შესწავლილი იქნას მასზე ორგანული შემზეთების გავლენა. თუმცა შემზეთების გარეშე ფისების ადგეზია ბოჭკოსთან გაცილებით უკეთესია. ამისათვის ცდილობენ შეარჩიონ ისეთი შემზეთი, რომელიც ნაკლებად შეამცირებს ადგეზიას. წარმოებაში გამოიყენება შემზეთი

(A-76), რომლით შეზეთილი მინა-ბოჭკო იხმარება ეპოქსიდის ან პოლიეთერის კომპოზიტებისათვის. ეს არის კლასიკური სილანური გამსხნელი, რომელიც წარმოადგენს ერთობლიობას ემულგატორის, პლასტიფიკატორის და ფიქსატორის. სილანის შემაერთებელი აგენტის ზოგადი ფორმულაა $X-Si(OR)_3$, სადაც R არის მეთილის ან ეთილის ჯგუფი.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს მიზანი იყო აღსორბირებული ორგანული შემზეთის გავლენის დადგენა ადგეზიაზე ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის. საწყის ეტაპზე ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ადგეზიის გაზომვის მეთოდიკა ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის. შემდგომში ამ მეთოდიკის გამოყენებით შესწავლილ იქნა ეპოქსიდური წებოს 3 მარკის ადგეზია მინასთან, რომელსაც იგივე თვისებები გააჩნია, რაც 9-15 მკ დიამეტრის მქონე ბაზალტის ბოჭკოს, ან ბაზალტის სარკისებურ ზედაპირს. ადგეზიის სიდიდე განისაზღვრება ძალით, რომელიც საჭიროა 2 შეწებებული ფართის დასაშორებლად სპეციალურ დანადგარზე გაჭიმვით. ამ ძალას ერთეულ ფართზე ხვედრითი შეწებება ეწოდება. ხვედრითი შეწებების სიდიდის განსაზღვრის შემდეგ შევირჩიეთ მინასთან მაღალი ადგეზიის მქონე წებო, შემდგომში კი ჩავატარეთ კვლევები აღსორბირებული ორგანული შემზეთის (A-76) გავლენის დასადგენად ადგეზიაზე შერჩეულ წებოსა და მინის ზედაპირს შორის.

ადგეზიის გაზომვის მეთოდიკის შემუშავება ბაზალტის ბოჭკოს

ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის

ტექსტილური წარმოებისათვის გამოყენებული ბაზალტის ბოჭკოს დიამეტრი 9-15 მკრ ტოლია. $100A^{\circ}$ (1 მკრ) ზემოთ ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ამ ნივთიერების მახასიათებლები და იგივე თვისებები გააჩნია, რაც 2 კვ.სმ-ის ფართის მქონე მინის სარკისებურ ზედაპირს, ან ბაზალტის ასეთივე სიბრტყეს. ამიტომ კვლევისათვის ბაზალტის ბოჭკოს ნაცვლად ვიყენებთ მინის სარკისებურ ზედაპირს, ხოლო პოლიმერულ მატრიცას ვამზადებთ ეპოქსიდური წებოსაგან, რომელსაც გაჩნია ძლიერი ადგეზიის უნარი.

ეპოქსიდური წებო დამზადებულია ეპოქსიდური ფისის ბაზაზე. ისინი ყოფი-
ცხოვრებასა და ტექნიკაში თითქმის შეუცვლელად ითვლებიან გამოყენების
ტექნოლოგიურობისა და თვისებათა იმ საინტერესო კომპლექსის გამო, როგორცაა
ადვილად გამყარების უნარი, მაღალი სიმტკიცე და ქიმიური მდგრადობა. მათი
დახმარებით შესაძლებელია ისეთი მრავალფეროვანი მასალების შეწებება როგორცაა
მეტალები, კერამიკული ნაკეთობები, მინა, პლასტმასები, და ა.შ. მათ აგრეთვე
იყენებენ ცემენტების, ჰერმეტიკების, საგოზავის და სხვა კომპოზიციების
დასამზადებლად. ეპოქსიდური წებოების გამხსნელებისა და ტენის მიმართ
მდგრადობა – მათგან კარგი დიელექტრიკული თვისებების მქონე სითბომდგრადი
მასალების დამზადების საშუალებას იძლევა.

წებოს ადგეზიური თვისებების გამოსაცდელად უნდა განისაზღვროს ძალა,
რომელიც საჭიროა ორი შეწებებული ფართის დასაშორებლად. შეწებებული
ფართების დაშორების ხასიათის მიხედვით წყვეტა შეიძლება იყოს ადგეზიური
(მთლიანი აძრობა დაწებებული ფართიდან), კოგეზიური (წებოს, ან დაწებებული
მასალის წყვეტა), ან შერეული. ძალას, რომელიც საჭიროა თანაბარი აძრობისათვის
ერთეულ ფართზე ეწოდება ადგეზიური ან შეწებების წნევა, აგრეთვე ხვედრითი
შეწებება; იგი იზომება კგძ/კვ.სმ-ით და გამოითვლება ფორმულით $\tau = P/F$ (სადაც P-
გაწვევების ძალაა კგძ; F-შეწებების ფართი კვ.სმ) [1-3].

ექსპერიმენტის ჩასატარებლად უნდა დამზადდეს ორი დეტალი: პირველი –
მეტალის ჯამი, სადაც უნდა ჩაესხას ეპოქსიდური წებო და რომლის ფართი არ უნდა
აღემატებოდეს 1 სმ². მას უნდა ჰქონდეს გაჭიმვისთვის საჭირო ნახვრეტისანი ბოლო,
რომელშიც შემდგომში ტროსი გაეყრება; მეორე დეტალია – მეტალის სიბრტყე,
რომელზეც მინა უნდა დაეწებოს. მეტალის სიბრტყის ბოლოშიც გასაჭიმად უნდა
გაეყაროს ტროსი. მინა მეტალს ეწებება ეპოქსიდური წებოთი “AB”. მინის ფართი 20-
25-ჯერ უნდა აღემატებოდეს ეპოქსიდისანი ჯამის ზედაპირის ფართს.

მზადდება ეპოქსიდური წებო ინსტრუქციის მიხედვით; აცეტონით ხდება მინის
ზედაპირისა და წებოს ჩასასხმელი ჯამის გაუცხიმოვნება; ჯამში ესხმება
ეპოქსიდური წებო და ეწებება მინის ზედაპირზე; ზემოდან ედება სიმძიმე და რჩება
გასამყარებლად; შესაწებებელი ფართის გარშემო გადმოსული წებო უნდა
მოეცალოს; გამყარების შემდეგ კონსტრუქციის ორივე მხარე მაგრდება ტროსებით და
ჩამკეტებით; ხდება გაჭიმვა დანადგარზე; ამ ხელსაწყოს მეშვეობით ფიქსირდება
გაწვევების ძალა; გაჭიმვა ხდება მუდმივი სიჩქარით 92 მმ/წთ; ხვედრითი შეწებება
გამოითვლება ზემოთ აღნიშნული ფორმულით.

ექსპერიმენტმა გვანახა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაჭიმვის ძალის მიმართულებას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცენტრირება ნიმუშსა და გამჭიმავ ძალას შორის. ამისათვის დამზადებული იქნა სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: ა) მიმმართველი, რომელიც ერთ სიმეტრიის დერძში მოაქცევს ქვედა და ზედა დეტალს, ანუ მინას და ეპოქსიდური წებოს ჩასასხმელ ჯამს; ბ) დეტალი, რომელზეც დაეწებება მინა; გ) ჯამი ეპოქსიდური წებოს ჩასასხმელად. დამზადებული კონსტრუქციის გამოცდამ გვიჩვენა, რომ ამ დახურულ სივრცეში შეწებება არ ხდება. დეტალები შორდებიან ერთმანეთს გაჭიმვის დაწვებისთანავე. დახურული შრობისას ეპოქსიდური წებოს პოლიმერიზაცია არ მიმდინარეობს. შემდგომში ნიმუშების გამყარებას ვახდენთ ღიად შრობის პირობებში, სხვადასხვა ტემპერატურაზე დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით, იცვლება მინის ფართიც. ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია ცხრილებში 1, 2 და 3

ცხრილი 1

გამყარების (პოლიმერიზაციის) დროის გავლენა მინის ზედაპირსა და ეპოქსიდურ წებოს შორის ხვედრით შეწებებაზე

№	ეპოქსიდური წებოს მარკა	გამყარების დრო, სთ	გამყარების ტემ-რა, t°C	გაწვევების ძალა, კგ.ძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/ სმ ²	შენიშვნა
1	უნივერსალური "класс"	24	14-16	10 ადგეზიური	12.50	გაჭიმვის სინქარე 92მმ/წთ
2	"....."	48	14-16	78 ადგეზიუ-კოგეზიური	97.50	შესაწებებელი ფართობის ფარდობა S/s=9/1; S=7სმ ² s=0.8სმ ² ღიად შრობა
3	"....."	48	14-16	73 ადგეზიური	91.25	
4	"....."	72	14-16	95 ადგეზიური	118.75	

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუდმივი ტემპერატურის პირობებში (14-16°C), პოლიმერიზაციის დროის გაზრდით მინის ზედაპირსა და ეპოქსიდურ წებოს შორის ხვედრითი შეწებების სიდიდე იზრდება, რაც იმით აიხსნება, რომ ოთახის ტემპერატურაზე წებოს გამყარების სიღრმე 65-70%-ს შეადგენს, შემდგომი დაყოვნება კი აუმიჯობესებს მის კომპოზიციურ თვისებებს. როგორც ჩანს, მაქსიმალური სიმტკიცე მიიღწევა რამოდენიმე დღის შემდეგ [4-5].

ცხრილი 2

პოლიმერიზაციის ტემპერატურის გავლენა მინის ზედაპირსა და ეპოქსიდურ წებოს შორის ხვედრით შეწებებაზე

№	ეპოქსიდური წებოს მარკა	გამყარების ტემპ-რა, t°C	გაწყვეტის ძალა, კგ.ძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/ სმ ²	გამყარების დრო, სთ	შენიშვნა
1	უნივერსალური "Класс"	9-13	–	–	92	გაწყდა გაჭიმვის დაწვებისთანავე
2	"-----"	14-16	ადგეზიური 95	118,75	72	შესაწებებელი ფართობის ფარდობა S ₁ / S ₂ =9/1;
3	"-----"	14-16 90	ადგეზიური 10	12,50	22 0.5	
4	"-----"	32-34 60	ადგეზიური 60	75	24 2	

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, დაბალ ტემპერატურულ (9-13°C) რეჟიმში შრობისას, არ მიმდინარეობს ეპოქსიდური წებოს პოლიმერიზაცია, ამიტომ შეჭიდულობაც არ მოხდა. სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმში შრობაც (14-16°C) 22 სთ და 90°C 0.5 სთ განმავლობაში; 32-34°C 24 სთ და 60°C 2 სთ განმავლობაში) არ გვაძლევს დადებით შედეგს. შრობა უნდა ხდებოდეს პოლიმერიზაციისათვის საჭირო ერთიდაიმავე ტემპერატურაზე, რამოდენიმე დღის განმავლობაში.

ცხრილი 3

დასაწებებელი ფართობის ფარდობის გავლენა მინის ზედაპირსა და ეპოქსიდურ წებოს შორის ხვედრით შეწებებაზე

№	ეპოქსიდური წებოს	დასაწებელი	გაწყვეტი	ხვედრითი	გამყარების	შენიშვნა
		ობი	ს ძალა,	ობი	ს დრო,	

	მარკა	ფართობის ფარდობა.ს მ ²	კვ.ძ	შეწებება , კვძ/სმ ²	სთ	
1	უნივერსალ უ-რი “Класс”	9 : 1	95	118,75	72	14-16°C 36-38°C
2	“-----”	25 : 1	121	151	68	ეპოქსიდური ჯამი მიწებებული დარჩა მინის ზედაპირზე
3	“-----”	25 : 1	120	150	120	
4	“-----”	25 : 1	ამოტყდა მინა 202	—	48	

როგორც ცხრ.3-დან ჩანს, პირველ შემთხვევაში ფართობის ფარდობა არის $S_1:S_2=9:1$ სადაც, $S_1=7$ კვ.სმ და არის მინის ფართი. $S_2=0,8$ სმ² და არის ეპოქსიდური წებოს ჩასასხმელი ჯამის ფართი. დანარჩენ სამ შემთხვევაში $S_1=20$ სმ² და $S_2=0,8$ კვ.სმ, მათი ფარდობა $S_1:S_2=25:1$. მინის ფართის გაზრდით იზრდება ხვედრითი შეწებების სიდიდე, როდესაც პოლიმერიზაცია 14-16°C-ზე მიმდინარეობს. თუ პოლიმერიზაციას 36-38°C-ზე ჩავატარებთ, მაშინ შეჭიდულობა იმდენად იზრდება, რომ ჯამი ეპოქსიდური წებოთი მინასთან ერთად ძვრება ფუძეს 202კვ.ძ-ზე.

კვლევარმოებისათვის ჯამიდან და მინიდან ეპოქსიდური წებოს მოშორება ხდება მექანიკურად, საშრობ კარადაში 180°C-ზე გამყარების შემდეგ.

უნივერსალური ეპოქსიდური წებოს “Класс” გარდა გამოცდადეთ ეპოქსიდური წებოს კიდევ 2 მარკა “ЭДП” და “АВ”. ექსპერიმენტის შედეგებმა (ცხ. 4, 5) აჩვენა, რომ ხვედრითი შეწებება მინის ზედაპირსა და აღნიშნულ წებოებს შორის არის ძალიან დაბალი, წყვეტის ფორმა ხშირად არის ადგეზიურ-კოგეზიური, ან მხოლოდ კოგეზიური. ამიტომ, შემდგომი კვლევებისათვის ვიყენებთ მხოლოდ უნივერსალურ ეპოქსიდურ წებოს “Класс”, რომელსაც აქვს კარგი ადგეზია მინასთან, ხოლო წყვეტა ყველგან ადგეზიურია. ადგეზიის პარამეტრების ცოდნით შეიძლება ჩამოყალიბდეს უფრო სრულყოფილი მეთოდი კომპოზიტების (მინერალური ბოჭკო-ფისი) ფიზიკო-მექანიკური გათვლებისათვის.

ცხრილი №4

უნივერსალური ეპოქსიდური წებოს («ЭДП») ადგეზიის შესწავლა მინის ზედაპირთან

$N_{\text{მ}}$	P_1 , კგძ (ვოლადის ჰქის წებოთი)	f , კგძ/სმ ² (ხვედრ შეწებებ.)	P_2 , კგძ (თითბერის ჰქის წებოთი)	F_2 , კგძ/სმ ² (ხვედრითი შეწებება)	τ სთ, (შრობ. დრო)	t, C^0 (შრობ. ტემპერატურა)	წვემტის ფორმა	წებოს მომზადების რეცეპტურა	მინის ზედაპირი	შენიშვნა	
1	20.0	25.0	10.0	12,5	48	23	აღგეზიურ-კოგეზიური	1 მლ ფისი + 0,1 მლ გამამყარებელი	გახეხილი მინა	გაჭიმვის სიჩქარე 92 მმ/წთ, $S_1/S_2 = 25/1$ (S_1 – მინის ფართი, S_2 – წებოს ფართი)	
2	20.0	25.	12.	15.0	92	24	აღგეზიური		გახეხილი მინა		
3	10.0	12,5	-	-	48	25	აღგეზიური		პოლირე-ბული		
4	15.0	18,8	-	-	48	25	აღგეზიური		პოლირე-ბული		გამყარების დრო ინსტრუქციით
5	25.0	31,3	14,5	18.0	68	25	აღგეზიური		პოლირე-ბული		– 24 სთ, წებოს კარგი აღგეზია აქვს თითბერთანა ც

ცხრილი №5
 უნივერსალური ეპოქსიდური წებოს («AB») აღგეზიის შესწავლა მინის ზედაპირთან

№	P ₁ , კგძ (ფოლადის ჭიქა წებოთი)	F ₁ , კგძ/სმ ² (ხვედრითი შეწებება)	τ, სთ (შრობის დრო)	t, C ⁰ (შრობის ტემპერატურა)	ჭყვეტის ფორმა	წებოს მომზადების რეცეპტურა	მინის ზედაპირი	შენიშვნა
1	35.0	44.0	1	22	კოგე-ზიური	1:1	გახეხილი მინა	გაჭიმვის სიჩქარე 92 მმ/წთ,
2	33,5	42.0	1	23	კოგე-ზიური		პოლირებული	S ₁ / S ₂ =25/1 (S ₁ –მინის ფართი, S ₂ –წებო ჭიქაში)
3	35.0	44.0	1	23	კოგე-ზიური		პოლირებული	
4	36.0	45.0	1	24	კოგე-ზიური		პოლირებული	ინსტრუქციით გამყარების დრო – 5 წთ.

აღსორბირებული ორგანული შემზეთის გავლენის დადგენა ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის ადგეზიაზე

წარმოებაში გამოიყენება შემზეთები, ბოჭკოს ელასტიურობის გაზრდის, აგრეთვე, შინაგანი დაჭიმულობის შემცირების მიზნით და ზოგჯერ ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესაცვლელად. ჩატარებულ კვლევებში გამოვიყენეთ ორგანული შემზეთი A-76 . ჩვენს მიერ შემუშავებული ადგეზიის გაზომვის მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ შემზეთის გავლენა ხვედრითი შეწებების სიდიდეზე ბაზალტის ბოჭკოსა და პოლიმერულ მატრიცას შორის. ქვემოთ მოყვანილი გვაქვს (ცხ.6 და ცხ.7) გამყარების დროის გავლენა ხვედრით შეწებებაზე მინის ზედაპირსა და უნივერსალურ ეპოქსიდურ წებოს «KLAC» შორის შემზეთის გარეშე და შემზეთით.

ექსპერიმენტს ვატარებდით შემდეგნაირად: მინას ვათავსებდით შემზეთში (A-76) 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ ვაშრობდით, ზედ ვადებდით წებოიან მეტალის ჭიქას და ვტოვებდით სიმძიმის ქვეშ, სხვადასხვა დროით, ოთახის ტემპერატურაზე. ადგეზიის სიდიდე განისაზღვრებოდა ძალით, რომელიც იზომებოდა სპეციალურ დანადგარზე ნიმუშის გაჭიმვისას. ექსპერიმენტი ტარდებოდა პოლირებული და არაპოლირებული მინის და ეპოქსიდური წებო «KLAC»-ის გამოყენებით.

წარმოებაში მინერალურ ბოჭკოზე შემზეთის შეცხება (დაფენა) ხდება ბოჭკოს ფორმირებიდან რამოდენიმე მეასედ წამში, ანუ მაშინ, როდესაც ზედაპირი ჯერ კიდევ ცხელი და ახალია. მინის გამოყენების დროს კი ეს არ ხდება. ამიტომ ჩვენი კვლევა შემზეთის გამოყენების დროს ზუსტი დასკვნის საშუალებას არ იძლევა, ის მხოლოდ შემზეთის ფუნქციის ტენდენციას ასახავს.

ცხრილი №6

გამყარების დროის გავლენა ხვედრით შეწებებაზე მინის ზედაპირსა და უნივერსალურ ეპოქსიდურ წებოს «K1AC» შორის (შემზეთის გარეშე)

№	გამყარების დრო, სთ	გამყარების ტემპ., C ⁰	გაწვევების ძალა, კგძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/სმ ²	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	48	25-26	100	125	<p>S_{მინის} = 20 სმ²; S_{წებოსი} = 0,8სმ²</p> <p>გაჭიმვის სიჩქარე = 92 მმ/წთ;</p> <p>წვეკა ადგეზიური</p> <p>წებო ჩასხმულია ფოლადის ჭიქაში, ნიმუში შრება სიმძიმის ქვეშ 900 გრ/სმ²</p> <p>S_{მინის} : S_{წებოსი} = 25:1</p> <p>წებოს მომზადების რეცეპტურა: 2 მლ ფისი + 0,2 მლ გამამყარებელი</p>
2	48	25-26	100	125	
3	48	27-28	110	138	
4	68	24-25	121	151	
5	68	20-16	128	160	
6	92	21-14	150	188	
7	92	19-18	123	153	
8	168	18-12	180	225	
9	168	19-18	220	275	

ცხრილი


№7

გამყარების დროის გავლენა ხვედრით შეწებებაზე მინის ზედაპირსა და უნივერსალურ ეპოქსიდურ წებოს «K1AC» შორის (შემზეთით)

№	გამყარების დრო, სთ	გამყარების ტემპ., C ⁰	გაწვევების ძალა, კგძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/სმ ²	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	48	25-26	110	138	შემზეთი (A-76)
2	48	28-29	110	138	
3	48	28-29	115	143	

4	68	28-29	125	156	ვასველებთ მინის ზედაპირს, გაშრობთ და შემდეგ ვაწებებთ ფოლადის ჭიქაში ჩასხმულ წებოს.
5	68	28-29	129	161	
6	92	27-28	130	163	
7	92	21-15	140	175	
8	168	21-10	120	150	დანარჩენი პირობები იგივეა, რაც შემზეთის გარეშე ექსპერიმენტის დროს.
9	168	25-12	110	137	
10	168	25-27	185	231	

როგორც №7 ცხრილიდან და ნახ. 1-დან ჩანს, 48 საათიდან 68 საათამდე წებოს გამყარების დროს ხვედრითი შეწებება პოლიმერულ მატრიცასა და მინის ზედაპირს შორის იზრდება და ოდნავ მეტია, ვიდრე ცდებში შემზეთის გარეშე, იგივე დროში. 92 საათიდან 168 საათამდე გამყარებისას ხვედრითი შეწებების სიდიდე მცირე დიაპაზონში მერყეობს, თითქმის უცვლელია. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში აღწევს მაქსიმუმს და უახლოვდება უშემზეთო ცდის მაქსიმუმს (ცხრილი 8, №10). ზოგადად, კვლავწარმოება აღსორბირებულ შემზეთიან ცდებში რთული მისაღწევია.



ნახ.1 აღსორბირებული ორგანული შემზეთის (A-76) და პოლიმერიზაციის დროის გავლენა ბაზალტის ბოჭკოს ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას შორის ადგეზიაზე
 1- უშემზეთო 2 - შემზეთით

როგორც აღვნიშნეთ, შემზეთი (A-76) რთული შემადგენლობის სუსპენზიაა, მინაზე მისი გაშრობის შემდეგ რჩება მყარი წვრილდისპერსული ნაწილაკები. შემზეთიანი ცდების კვლავწარმოების პრობლემა და ერთეულ შემთხვევებში მაღალი ხვედრითი შეწებების სიდიდის მიღწევა ალბათ შეიძლება აიხსნას კომპოზიციური მასალების პოლისტრუქტურული თეორიის მიხედვით. ერთეული წვრილდისპერსული ნაწილაკები შემზეთში შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც შემავსებლები. დისპერსულ-შემავსებლიანი პოლიმერული კომპოზიტების სტრუქტურა კი მიდრეკილია თვითორგანიზაციისაკენ კლასტერების წარმოქმნით. კლასტერების ქვეშ იგულისხმება შემავსებლის (ჩვენს შემთხვევაში შემზეთის) წვრილდისპერსული ნაწილაკების ჯგუფი, რომელიც გაყოფილია მთლიანად აპკურ ფაზაში მყოფი პოლიმერის თხელი ფენით. დისპერსული ნაწილაკების კლასტერული სტრუქტურები წარმოიქმნებიან იმ პროცესების (დიფუზიური და სედიმენტაციური) შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილაკების თვითნებურ ფარდობით გადაადგილებასთან და აგრეთვე, მორევის დროს მათ იძულებით მოძრაობასთან. საგარაუდოდ, შემზეთში არსებული წვრილდისპერსული ნაწილაკები ქმნიან კლასტერების სხვადასხვა რაოდენობას შესაწებებელ ფართზე და ამის გამო, გამყარების ცენტრების სხვადასხვა რაოდენობასაც [6-8].

ცხრილი №8

ადსორბირებული ორგანული შემზეთის (A – 76) და გამყარების დროის გავლენა ბაზალტის ბოჭკოს (მინის) ზედაპირსა და პოლიმერულ მატრიცას (უნივერსალური ეპოქსიდური წებო “კლასი”) შორის ადგეზიაზე (შემაჯამებელი)

შემზეთის გარეშე						შემზეთი (A – 76)					
№	გამყარების დრო, სთ	გაწვემბის ძალა, კგძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/სმ ²	საშუალო ხვედრ. შეწებება, კგძ/სმ ²	გამყარების საშ. ტემპ., C ⁰	გამყარების დრო, სთ	გაწვემბის ძალა, კგძ	ხვედრითი შეწებება, კგძ/სმ ²	საშუალო ხვედრ. შეწებება, კგძ/სმ ²	გამყარების საშ. ტემპ., C ⁰	შენიშვნა
1	48	100	125	128	18-25	48	110	138	140	18-25	გაჭიმვის სიჩქარე 92 მმ/წთ; ადგეზიური წყვეტა
2	48	100	125			48	110	138			
3	48	110	138	48		115	143				
4	68	121	151	155		68	125	156	159		

5	68	128	160			68	129	161		ნიმუში შრება სიმძიმის ქვეშ 900 გრ/სმ ² S _{მინა} : S _{წებო} = 25:1 შრობის ფორმა ღია
6	92	150	188	171		92	130	163	169	
7	92	123	153			92	140	175		
8	168	180	225	250		168	120	150	172	
9	168	220	275			168	110	137		
10	168	220	275			168	185	231		

ამდენად, შემზეთის გამოყენება ერთის მხრივ, ხელს უწყობს გამყარების ცენტრების წარმოქმნას და ხვედრითი შეწებების გაზრდას რაღაც ზღვრამდე (92 საათიანი გამყარება), მეორეს მხრივ კი (168 საათიანი გამყარება), ხელს უშლის ამ პროცესს, როდესაც ჩვენი ვარაუდით იწყება მეორეული გამყარება. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ეპოქსიდური ფისები წარმოადგენენ ოლიგომერებს ან მონომერებს. მათი მოლეკულები შეიცავენ 2 ეპოქსიდურ, ან გლიციდურ ჯგუფს, რომლებიც განლაგებულია მოლეკულის ძირითადი ჯაჭვის ბოლოებზე, ან გასწვრივ. მაღალი რეაქციული უნარის გამო, ეპოქსიდური ჯგუფები ურთიერთქმედებენ მრავალ პოლიფუნქციურ ნაერთთან და წარმოქმნიან სივრცული (ბადური) აგებულების პოლიმერებს. ეპოქსიდური ფისები ბადურ პოლიმერად (გამყარების რეაქცია) გადაქცევის შემდეგ ტექნიკურად მნიშვნელოვან თვისებებს იძენენ. სივრცითი ბადის სიხშირისა და მაკრომოლეკულების წყობის სიმჭიდროვის მატებასთან ერთად იზრდება პოლიმერის მედეგობაც. გამყარება მიმდინარეობს როგორც კიდურა, პირველადი, ისე მეორეული ამინოჯგუფების მონაწილეობით შემზეთის გამოყენება კი, სავარაუდოდ, იწვევს მეორეული ამინოჯგუფის ბლოკირებას.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ბაზალტის ბოჭკოსთან (მინის ზედაპირი) პოლიმერული მატრიცის (ეპოქსიდური წებო) ადგეზიის შესასწავლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ორ ძირითად ფაქტორს: ტექნოლოგიურსა და მექანიკურს. ტექნოლოგიურში იგულისხმება ეპოქსიდური წებოს დამზადების პირობებისა და გამყარების რეჟიმის (ტემპერატურა, პოლიმერიზაციის დრო, ღიად შრობა) დაცვა; ზედაპირის ხარისხიანი გაუცხიმოვნება, წებოს ფენის სისქის უზრუნველყოფა.

მექანიკურ ფაქტორს კი უნდა მივაკუთვნოთ: ზედაპირის მექანიკური მდგომარეობა, გაჭიმვის სიჩქარე, ცენტრირება ნიმუშსა და გამჭიმავ ძალას შორის, დაწნევის როლი შესაწებებელ ნიმუშზე, ტროსების გავლენა გაჭიმვის პროცესზე, შესაწებებელი ფართების ფარდობა.

- წებოს პოლიმერიზაცია უნდა მოხდეს ოთახის ტემპერატურაზე და არანაკლებ 14-16°C-ისა. ტემპერატურის აწევა 36-38°C-მდე აუმჯობესებს ადგეზიას.
- წებოს გამყარების სიღრმე, მისი კომპოზიციური თვისებების გაუმჯობესება, ხვედრითი შეწებების სიდიდის ზრდა მიიღწევა არანაკლებ 48 საათის შემდეგ.
- ეპოქსიდური წებოს ჩასასხმელი დეტალის ფართი არ უნდა აღემატებოდეს 1კვ.სმ და უნდა იყოს 20-25-ჯერ ნაკლები დასაწებებელი მინის ფართზე.
- წებოს ფენის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 1 მმ-ს.
- ნიმუშის გაჭიმვისას გამოყენებულ უნდა იქნას ტროსები და სპეციალური ჩამკეტები მათ დასამაგრებლად.
- შრობა და წებოს პოლიმერიზაცია უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ ღია პირობებში.
- ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვით შერჩეულია კარგი ადგეზიის მქონე უნივერსალური ეპოქსიდური წებო “ КИАСС “ (პოლიმერული მატრიცა),

რომლის ხვედრითი შეწებება მინის ზედაპირთან (ბაზალტის ბოჭკო) აღწევს 275 კგ/სმ² (168 საათიანი გამყარებისას, ოთახის ტემპერატურაზე)

- დადგენილია, რომ პოლიმერულ მატრიცასა და ბაზალტის ბოჭკოს შორის ხვედრითი შეწებების სიდიდე პროპორციულად იზრდება წებოს გამყარების დროის გაზრდით
- შესწავლილია ადსორბირებული ორგანული შემზეთის (A-76) გავლენა ადგეზიაზე ბაზალტის ბოჭკოსა და პოლიმერულ მატრიცას შორის. დადგენილია, რომ შემზეთის გამოყენება ეპოქსიდური წებოს გამყარების გარკვეულ დრომდე (68 საათი) უმნიშვნელოდ აუმჯობესებს ადგეზიას. გამყარების დროის შემდგომი ზრდით კი ხვედრითი შეწებება თითქმის უცვლელი რჩება.

ლიტერატურა

1. А. Поциус. Клей. Адгезия. Технология склеивания
2. Д. Кардашов. Клей. Технология склеивания. Москва. Изд. «Химия».1978г
3. Адгезионные свойства клеев. [http:// www. alremo. ru/articles/stroimaterial/adgezionnye_svoistva_kleev/](http://www.alremo.ru/articles/stroimaterial/adgezionnye_svoistva_kleev/).

4. ლ. ასათიანი, ნ. ლეკიშვილი, მ.ჯელია. საყოფაცხოვრებო პროდუქტების ქიმია და წარმოების ძირითადი პრინციპები. თბილისი. 2001წ.
5. Барштейн Р.С., Кирилович В.И., Носовский Ю.Е. Пластификаторы для полимеров. М.6 Химия 1982
6. ლ. შამანაური. მინერალურ შემავსებლიანი პოლიმერული კომპოზიტები ეპოქსიდური და პოლიეთერული ფისების საფუძველზე. საავტორო უფლება. სტუ. 2008 წ.
7. Эпоксидные смолы и полимерные материалы на их основе. Каталог. Под редакции Шологина. Черкасы, 1989 год.
8. Мошинский Л.Я., Белая Э.С. Отвердители для эпоксидных смол. Обзорная информация. Москва, НИИТЭХИМ, 1983

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
 “ვამტკიცებ”
 ინსტიტუტის დირექტორი
 გრ.ტატიშვილი

კატალიზის ლაბორატორიის 2010 -2013 წლის საბიუჯეტო თემის
 ანგარიში (დასკვნითი)

მეცნიერების დარგი — ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია
 სამეცნიერო მიმართულება — მინერალური ნედლეულის
 გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების მეცნიერული
 საფუძვლების შემუშავება და ახალი მასალების მიღება

პროექტი: მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესის
 ეფექტური Co:Mn კატალიზატორების დამუშავება
 თერმომედეგი სარჩულების საფუძველზე – 2010-2013 წ.წ.

ეტაპი -- 2010 წ. – ალუმინის ოქსიდის კალციუმის და მაგნიუმის
 ოქსიდებთან მყარფაზური ურთიერთქმედების ძირითად
 კანონზომიერებათა დადგენა

ეტაპი -- 2011წ. – მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესში
 მანგანუმის ოქსიდების შემცველი კატალიზატორების გამოცდა
 დანახშირებაზე

ეტაპი – 2012 წელი – სხვადასხვა სარეაქციო არეში
 (H₂, CO₂, CH₄, O₂, N₂) მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის
 4 Co-Mn კატალიზატორის ფორმირების შესწავლა

ეტაპი -- 2013 წ. -- ოპტიმალურ Co-Mn კატალიზატორზე
 მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესის ტექნოლოგიური
 პარამეტრების დაზუსტება

თემის ხელმძღვანელი,
 ტ. მ. კ., მთ. მეცნ. თან.
 vbakhtkat@yahoo.com
 ტელ. 2 54 15 56

გ. ბახტაძე

შემსრულებლები:

1. გ. მოსიძე, ტ. მ. კ. , უფრ. მეცნ. თანამშრომელი
2. ნ. ხარაბაძე , ტ. მ. კ. მეცნ. თანამშრომელი
3. ნ. ჩოჩიშვილი, ტ. მ. კ. , მეცნ. თანამშრომელი

4. რ. ჯანჯღავა, ინჟინერი
5. მ. ფაჯიშვილი, მეცნ .თანამშრომელი
- 6.

შესავალი

ნახშირწყალბადოვანი სათბობის სელექტიური კატალიზური დაჟანგვით ან ავტოთერმული რიფორმინგით სინთეზ-აირად გარდაქმნის მიზნით ახალი მაღალეფექტური პროცესებისა და კატალიზატორების დამუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა როგორც ძირითადი ქიმიური მრეწველობის, წყალბადის ენერგეტიკის, ასევე ავტოტრანსპორტისათვის.

ბუნებრივი აირის გადამუშავების შესახებ მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების მიხედვით (იტალია, 20-25 სექტემბერი, 1998 წელი) მსოფლიოში მოძიებული ბუნებრივი აირის მარაგი საკმარისია მომდევნო 60-65 წლის პერიოდისათვის. ქიმიური მიზნებისათვის ამჟამად გამოიყენება წელიწადში ამოღებული აირის 2,0-2,5% [1].

ბუნებრივი და ნავთობაირის გადამუშავების პირველი სტადიაა ნახშირწყალბადოვანი აირების გარდაქმნა სინთეზ-აირად (ნახშირბადის ოქსიდებისა და წყალბადის აირნარევი). შემდგომში სინთეზ-აირის გარდაქმნის გზით მიიღება მეთანოლი და დიმეთილ-ეთერი. ფიშერ-ტროპშის სინთეზი წარმოადგენს ალტერნატიულ პროცესს, რომლის მიმართაც ბოლო წლებში გაიზარდა ინტერესი ეკოლოგიურად სუფთა სათბობის სინთეზის პროცესების დამუშავებასთან დაკავშირებით.

სამუშაოთა დიდი ნაწილი ეძღვნება მეთანის ჟანგვითი აქტივაციით სინთეზ-აირის მიღებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ სინთეზ-აირის წარმოების ღირებულება შეადგენს მეთანოლისა და სხვა პროდუქციის საერთო ღირებულების 60-80%-ს. იმისათვის, რომ შემცირდეს სინთეზ-აირის ღირებულება სამრეწველო კომპანიების მიერ შემოთავაზებულია ახალი ტექნოლოგიები: უშუალოდ აპარატში ჰაერიდან ჟანგბადის გამოყოფა მემბრანის გამოყენებით; მეთანის კონვერსიის რამდენიმე რეაქციის ერთობლივი განხორციელება ერთ რეაქტორში (ავტოთერმული კონვერსია) და სხვა.

სინთეზ-აირად მეთანის კონვერსიის სამი ძირითადი მეთოდიდან (წყლის ორთქლით კონვერსია, მეთანის პარციალური დაჟანგვა ჟანგბადით, მეთანის ნახშირმჟაური კონვერსია) პრაქტიკულად მრეწველობაში გამოიყენება მხოლოდ წყლის ორთქლით კონვერსიის მეთოდი. ამ პროცესში გამოიყენება სარჩულზე დაფენილი Ni - კატალიზატორი 700-800 °C ტემპერატურაზე.

ჟანგბადით მეთანის პარციალური დაჟანგვით მიღებულ სინთეზ-აირში H_2 : CO ფარდობა 2-ის ტოლია, რაც მიესადაგება მეთანოლისა და ნახშირწყალბადების სინთეზს ფიშერ-ტროპშის მიხედვით. ბუნებრივი აირის დაჟანგვა ჰაერით ან ჟანგბადით შესაძლებელია ჩატარდეს რაკეტული ტექნოლოგიის ბაზაზე დამუშავებულ მაღალტემპერატურულ ქიმიურ რეაქტორებში. ამ გზით შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუნებრივი აირის გადამუშავების ხარჯები [2].

განსაკუთრებით საინტერესოა მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის რეაქცია. ამ შემთხვევაში ხდება CO_2 -ის უტილიზაცია და H_2 -CO₂ აირნარევის მიღება თხიადი სათბობისა და სხვა საჭირო პროდუქციის საწარმოებლად. ამ პროცესის კატალიზატორებია პლატინის ჯგუფის მეტალები ან ნიკელ/კობალტი. სამუშაოებში [3-7] ნახვენებია, რომ ნახშირმჟაური კონვერსიის კატალიზატორი შეიძლება იყოს მეტალის ოქსიდები. დადგენილია მანგანუმის შემცველი სისტემების (Ni-Mn, Cr-Mn) ეფექტურობა C₁-C₃ ალკანების სინთეზ-აირად კონვერსიის პროცესში. ავტორთა აზრით [7], ეს აისხნება CO₂-ის აქტივაციით MnO -ს ზედაპირზე. ამასთანავე მეტალური კატალიზატორებისაგან განსხვავებით არ ხდება Mn -შემცველი ნიმუშების ზედაპირზე კოქსის დაგროვება.

მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის სამრეწველო გამოყენებას ხელს უშლის მაღალი ენდოთერმულობა და Ni -შემცველი კატალიზატორების დაბალი სტაბილურობა დაკოქსვის მიმართ. ამიტომ, პრობლემის გადასაწყვეტად მიმდინარეობს ახალი კატალიზატორების ძიება.

რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მეთანის წყლის ორთქლით, ჟანგბადით და ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესებისათვის დამუშავდა 4 Co-Mn კატალიზატორი დაფენილი ალუმინატურ სარჩულზე [8-9]. სამრეწველო სარჩული A-1 შეიცავს γ -Al₂O₃ ფაზას ალუმინის ჰიდროქსიდის Al(OH)₃ მინარევებით. A-1 სარჩულის გაჯირჯვით კალციუმის ნიტრატის ხსნარით, შემდგომი შრობით (100 °C, 2სთ.) და 1200-1300 °C ტემპერატურაზე გამოწვით (2სთ) წარმოიქმნება ალუმინის ოქსიდის α -მოდუფიკაცია და კალციუმის ალუმინატები: CaO . 2Al₂O₃ და 3CaO . 5Al₂O₃. მომზადების პროცესში კატალიზატორში ფორმირდება Mn₂O₃ და Co₃O₄ ფაზები (ცხრილი). აღდგენის შემდეგ კატალიზატორის ძირითადი ფაზაა მეტალური Co, Mn₃O₄ და CoO ფაზების მინარევებით.

ცხრილი 1

A-1 M სარჩულისა და 4 Co-Mn კატალიზატორის ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები

	დასახელება	გამოწვის ტემპერატურა, °C	ფაზური შემადგენლობა	ხვედრითი ზედაპირი, მ ² /გ	ფორების საერთო მოცულობა, სმ ³ /გ	ნაყარი წონა, გ/სმ ³
I	12-15 მას.% Ca + γ-Al ₂ O ₃ (A-1M)	1200-1300	α -Al ₂ O ₃ CaO- 2Al ₂ O ₃ 3CaO 5Al ₂ O ₃	20,0-30,0	0,20-0,30	0,85-0,90
II	9,0-10,0 მას.% Co + 2,25-2,5 მას.% Mn/A-1M	400-500	α -Al ₂ O ₃ CaO- 2Al ₂ O ₃ 3CaO 5Al ₂ O ₃ Co ₃ O ₄ β- Mn ₂ O ₃	25,0	0,26	0,90

ლიტერატურული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის რეაქციაში მაქსიმალური აქტივობის მქონე კატალიზატორების შესარჩევად მიმდინარეობს სხვადასხვა შედგენილობის მქონე კომპოზიციების გამოკვლევა. ნაჩვენებია [10], რომ ნიკელის კატალიზატორების აქტივობა დიდადაა დამოკიდებული მეტალური ნიკელის შემცველობაზე. 3,0 % NiO + MgO მექანიკური ნარევის ტემპერატურულ - პროგრამირებული აღდგენის სპექტრში გამოვლენილია ერთი პიკი 400 °C ტემპერატურაზე, რომელიც ეთანადება NiO -ს მაქსიმალური ხარისხით 90 %-იან აღდგენას. ასეთი შედეგი არ შეინიშნება სარჩულზე დაფენილ 3,0 % NiO / MgO კატალიზატორზე. რენტგენოფაზური ანალიზების მიხედვით, საწყის NiO / MgO სისტემაში ნიკელის ძირითადი მასა წარმოდგენილია დაუანგული სახით, რომლის აღდგენა გაძნელებულია. სინთეზირებული და გამოკვლეულია მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესში Co - და Fe - შემცველი კატალიზატორები დაფენილი MgO, ZrO და γ-, θ - და α - Al₂O₃ სარჩულზე [11]. ნაჩვენებია, რომ ყველაზე აქტიური და სტაბილურია სარჩულზე დაფენილი CoO / α - Al₂O₃ სისტემები. დადგენილია, რომ აქტიურ კატალიზატორში CoO სუსტადაა დაკავშირებული სარჩულთან და ადვილად აღდგება მეტალურ მდგომარეობამდე. კატალიზატორის ზედაპირზე დაფენილი ნახშირბადი არ ამცირებს CoO / α - Al₂O₃ - კატალიზატორის აქტივობას. CoO / MgO კატალიზატორზე მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის მიმდინარეობისას ხდება კარბონატების ინტენსიური წარმოქმნა, რომლებიც ამცირებენ ნახშირბადოვანი დანაფარების წარმოქმნას. სამუშაოში [12] ნაჩვენებია, რომ Mn - Al - O კატალიზატორები მომზადებულია γ - Al₂O₃ სარჩულზე, რომლებიც შეიცავენ χ - Al₂O₃ და მოდიფიცირებულია Mg, La ან Ce ოქსიდებით, აქტიურები და თერმოსტაბილურებია 1300 °C -ტემპერატურამდე. განსხვავებით იმ ნიმუშებისაგან, რომლებიც დამზადებულია სუფთა γ - Al₂O₃ - ის სარჩულზე. გაკეთებულია დასკვნა, რომ χ - Al₂O₃ სარჩულის უფრო მაღალი ხარისხით სტრუქტურული მოუწესრიგებლობა γ - Al₂O₃ -თან შედარებით, ხელს უწყობს მანგანუმისა და მამოდიფიცირებელი დანამატების უფრო ღრმა ურთიერთქმედებას სარჩულთან სინთეზის ადრეულ სტადიებზე. 1300 °C ტემპერატურაზე წარმოიქმნება Mn - Al - რთული შედგენილობის ნაერთები - მყარი ხსნარები ან ჰექსაალუმინატები. ეს ნაერთები უზრუნველყოფენ კატალიზატორების მაღალ აქტივობასა და სტაბილურობას.

მოდულიკატორის შერჩევისას მნიშვნელობა აქვს დანამატის კათიონისა და ალუმინის ოქსიდის კათიონის იონურ რადიუსებს შორის სხვაობას. იონური რადიუსები (r) – Ca^{2+} , Mg^{2+} და Ba^{2+} ტოლია: 1,06 Å, 0,78 Å და 0,34 Å. ამასთანავე $r\text{-Al}^{3+}$ ტოლია 0,51 Å. როგორც ვხედავთ, თითოეული მათგანი (Ca, Mg, Ba) შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დანამატად. მით უმეტეს რომ ისინი წარმოქმნიან ალუმინის ოქსიდთან ქიმიურ ნაერთს CaAl_2O_4 , MgAl_2O_4 , BaAl_2O_4 .

შესაძლო მოდიფიკატორებიდან (Mg, Ba, Be, Sr, Ca - ოქსიდები), რომლებიც აუმჯობესებენ ალუმინის ოქსიდური სარჩულების ქიმიურ მახასიათებლებს, ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს კალციუმის ოქსიდი. კალციუმისა და ალუმინის კათიონები განსხვავდებიან იონური რადიუსებით და წარმოქმნიან ქიმიურ ნაერთს – $x\text{CaO} \cdot y\text{Al}_2\text{O}_3$ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე. ყველაზე სტაბილური კალციუმის ალუმინატების ღღობის ტემპერატურები - T ღღ. 1500-1600 °C-ის ფარგლებშია.

მაგნიუმისა და ბარიუმის ალუმინატების ღღობის ტემპერატურებია შესაბამისად 2135 და 1830 °C. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ელემენტების ალუმინატების ფორმირება ოქსიდებიდან პირდაპირი სინთეზით მოითხოვს მაღალ ტემპერატურებს, რაც იწვევს საბოლოო პროდუქტის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლების გაუარესებას.

პრაქტიკულად მოდიფიკატორები შესაძლოა შევიტანოთ სარჩულის შემადგენლობაში ოქსიდის, კარბონატის ან მათი ხსნადი მარილების სახით მოდიფიცირებული სარჩულის მომზადების სხვადასხვა ტექნოლოგიურ სტადიებზე. წინა წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდებიდან ყველაზე ეფექტურია წინასწარ ფორმირებული ალუმინის ოქსიდის სარჩულის გაჯერება კალციუმის ნიტრატის ხსნარით [13,14]. თერმულ მყარფაზურ პროცესებში ისეთი რეაგენტების გამოყენება, რომლებიც იშლებიან წვრილდისპერსულ ამორფულ ოქსიდებად, იწვევს მყარფაზური რეაქციის აქტივაციას. ამ გზით, შედარებით დაბალ ტემპერატურულ ზღვრებში შესაძლებელია ალუმინატების მიღება. ამ მეთოდით მიღებულ ალუმოკალციუმიან სარჩულზე დაფენილი 4 Co: Mn - კატალიზატორი გამოკვლეულია მეთანის სხვადასხვა დამუხანგველებით (წყლის ორთქლი, ჟანგბადი) კონვერსიის პროცესებში. მიღებული შედეგები სრულად პასუხობს ლიტერატურაში დღეისათვის არსებულ მონაცემებს. რაც შეეხება მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესის კატალიზატორის ოპტიმიზაციას, იგი დაკავშირებულია რიგი საკითხების გადაწყვეტასთან:

- კატალიზატორის ცვეთადობა უნდა იყოს 1%-ზე ნაკლები;
- კატალიზატორმა უნდა გაუძლოს ტემპერატურის ცვლილებას დიდ

დიაპაზონში;

- საჭიროა შეირჩეს სარჩულისა და კატალიზატორის მოსამზადებლად ისეთი რეცეპტურა, რომელიც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას და დაკოქსვის მიმართ მედეგობას.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ალუმინის ოქსიდის კალციუმისა და მაგნიუმის ოქსიდებით მოდიფიცირების გზით თერმომედეგი სარჩულების მიღება.

წარმოდგენილ დასკვნით ანგარიშში რენტგენოფაზური და თერმული ანალიზის მეთოდების გამოყენებით შესწავლილია მანგანუმის ოქსიდების გავლენა მეთანის ნახშირმჟაური კონვერსიის პროცესში 4 Co: Mn კატალიზატორის ფაზურ შედგენილობასა და აქტივობაზე. ალუმინის ოქსიდის კალციუმის და მაგნიუმის ოქსიდებთან მყარფაზური ურთიერთქმედების ძირითად კანონზომიერებათა დასადგენად ჩატარებულია შესაბამისი რეაქციების თერმოდინამიკური ანალიზი. ჩატარდა ცდები 4 Co: Mn კატალიზატორების ნიმუშების მეთანის CO_2 -ით კონვერსიის პროცესში დანახშირების მიმართ აქტივობისა და სტაბილურობის დასადგენად.



გამოკვლეულია სხვადასხვა სარეაქციო არეში (H_2 , CO_2 , CH_4 , O_2 , N_2) მეთანის

ნახშირმუაური კონვერსიის 4 Co: Mn კატალიზატორების ფორმირების ზოგიერთი საკითხი. დაზუსტდა ოპტიმალური 4 Co: Mn კატალიზატორის მუშაობის ტექნოლოგიური პარამეტრები მეთანის ნახშირმუაური კონვერსიის კონვერსიის პროცესში.

2. ალუმინის ოქსიდის კალციუმის და მაგნიუმის ოქსიდებთან მყარფაზური ურთიერთქმედების ძირითად კანონზომიერებათა დადგენა

2.1. კალციუმისა და მაგნიუმის ოქსიდებიდან ალუმინატების წარმოქმნის მყარფაზური რეაქციების თერმოდინამიკური ანალიზი

ჩატარდა შემდეგი რეაქციების თერმოდინამიკური ანალიზი:



იზობარული პოტენციალის ცვლილება გამოითვლებოდა ჯიბს-ჰელმჰოლცის განტოლებით:

$$G = H_p + T \left(\frac{dG}{dT} \right)_p$$

ანგარიშისათვის საჭირო თერმოდინამიკური მონაცემები აღებულია [15,16] და წარმოდგენილია ცხრილი 2-ის სახით. მათ საფუძველზე შედგა შემდეგი სახის ტოლობები (1-4).

$$G^\circ_T = -15935 - 7,97 T \ln T + 3,35 \cdot 10^{-3} \cdot T^2 - 6,4 \cdot 10^5 \cdot T^{-1} - 53,73 T \quad (1)$$

$$G^\circ_T = 70738 - 14,89 \cdot T \ln T + 16,855 \cdot 10^{-3} T^2 - 7,99 \cdot 10^5 T^{-1} - 178,5 \cdot T \quad (2)$$

$$G^\circ_T = -191734 - 10,25 \cdot T \ln T + 3,22 \cdot 10^{-3} T^2 - 8,3 \cdot 10^5 T^{-1} - 50,73 \cdot T$$

$$G^\circ_T = 465239 - 45,05 \cdot T \ln T + 0,245 \cdot 10^{-3} T^2 - 13,94 \cdot 10^5 T^{-1} - 759,6 \cdot T$$

რეაქციებში (1-4) მონაწილე კომპონენტების საწყისი

თერმოქიმიური მონაცემები [15, 16]

№	ნივთიერება	H^0_{298} კკალ /მოლი	G^0_{298} კკალ /მოლი	$C_p=f(T)$ კკალ. გრად. მოლი		
				a	b 10^3	c 10^5
1	Ca (NO ₃) ₂	-224,0	-177,34	29,37	36,8	-4,13
2	CaO	-151,79	-141,3	11,67	1,08	-1,56
3	Al ₂ O ₃	-391,3	-368,4	16,37	11,1	--
4	CaO · Al ₂ O ₃	-554,8	-526,3	36,01	9,98	-7,96
5	CaO · 2Al ₂ O ₃	-954,3	-904,3	66,09	5,48	-17,8
6	NO ₂	7,93	12,26	10,26	2,04	-1,61
7	O ₂	--	--	8,2	0,26	-1,88
8	Mg(NO ₃) ₂	-624,92	-495,31 (-490,3)	--	--	--
9	MgO	-143,84	-136,13	10,18	1,74	-1,48
10	Mg Al ₂ O ₄	-548,76	-518,94	36,8	6,4	-9,78

აღნიშნული ტოლობებით გამოთვლილია G^0 იზობარული პოტენციალის ცვლილება 900-1400 K ტემპერატურულ ინტერვალში. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 3-ში.

რეაქციების (1-4) G^0 ცვლილების დამოკიდებულება
ტემპერატურისაგან

	$G^0 T$, კკალ. მოლი T, K დროს				
	298	900	1000	1200	1400
I	-47,3	-111,0	-125,0	143,8	-241,0
II	-8,9	-90,8	-194,5	-264,4	-297,5
III	-54,0	-125,8	-138,2	-163,5	-188,6
IV	-157,8	-495,0	-606,6	-830,0	-1055,0

თერმოდინამიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ალუმინატების მიღება პირდაპირი მყარფაზურ ურთიერთქმედებასთან შედარებით (რეაქციები 1,3) გაცილებით მეტი ალბათობით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულია კალციუმის ან მაგნიუმის ნიტრატები (რეაქციები 2,4). ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს მაგნიუმის ალუმინატის წარმოქმნის შესაძლებლობას 900-1400 K ტემპერატურებზე.

2.2. ალუმინის ჰიდროქსიდთან კალციუმის და მაგნიუმის ოქსიდებისა და ნიტრატების მყარფაზური ურთიერთქმედების გამოკვლევა თერმოგრავიმეტრული და რენტგენოფაზური ანალიზებით

ნიმუშების თერმული ანალიზები ჩატარდა Q -1000 მარკის დერივატოგრაფზე. იმ ნიმუშებისათვის, რომლებიც მომზადდა ალუმინის ჰიდროქსიდის და მაგნიუმის ხსნართან შერევით DTA მრუდზე აღინიშნა მაგნიუმის ალუმინატის წარმოქმნის

ეგზოფექტები – მაქსიმუმებით 900 - 910 °C ტემპერატურებზე. მყარი ფხვნილოვანი მასების შერევის შემთხვევაში (Al(OH)₃ + MgO; Al(OH)₃ + CaO), ასეთი მკვეთრად გამოხატული ეფექტები არ აღინიშნება. რაც სრულად ესადაგება რენტგენოფაზური ანალიზების შედეგებს (ცხრილი 3,4). თერმული ანალიზების შედეგად მიღებული ფხვნილოვანი მასის რენტგენოფაზური ანალიზები ჩატარდა “დრონ-1” ტიპის აპარატზე მონოხრომატიზირებული სპილენძის გამოსხივებით. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 4 და 5-ში. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 1000 °C -მდე გახურებულ ნიმუშებში ალუმინის ჰიდროქსიდისა და მაგნიუმის

ცხრილი 4
თერმული ანალიზის დროს Al(OH)₃ +Mg(NO₃)₂ მყარფაზური ურთიერთქმედების რენტგენოფაზური ანალიზის შედეგები

ცდის მონაცემები		Al(OH) ₃ +25 მას. % Mg(NO ₃) ₂				Al(OH) ₃ +15მას. % Mg(NO ₃) ₂		Al(OH) ₃ +10 მას. % Mg(NO ₃) ₂	
		MgAl ₂ O ₄ ASTM 21-1152		MgO ASTM 4-829		MgAl ₂ O ₄ ASTM 21-1152		MgAl ₂ O ₄ ASTM 21-1152	
d α/n	J/Jo	d α/n	J/Jo	d α/n	J/Jo	d α/n	J/Jo	d α/n	J/Jo
4,66	60	4,66	35	--	-	4,67	42	4,67	58
2,85	40	2,85	40		--	2,85	24	2,85	
2,47	56	--	--	2,47	10	--	--	--	--
2,44	100	2,44	100	--	--	2,44	100	2,44	100
2,10	87	--	--	2,10	100				--
2,02	86	2,02	65	--	--	--	--	--	--
1,48	67	--	--	1,49	52	--	-	--	--
1,42	100	1,43	55	--	--	1,42	100	1,42	100

ცხრილი 5
თერმული ანალიზის დროს ალუმინის ჰიდროქსიდთან Ca,Mg-ის ოქსიდების და ნიტრატების მყარფაზური ურთიერთქმედების რენტგენოფაზური ანალიზის შედეგები

ნიმუშების დასახელება	ფაზური შედეგნილობა						შენიშვნა
	γ - Al ₂ O ₃	θ- Al ₂ O ₃	K-Al ₂ O ₃	MgO	MgAl ₂ O ₄	CaO.Al ₂ O ₃	
I Al(OH) ₃	γ - Al ₂ O ₃	θ- Al ₂ O ₃	--			--	გახურებული 1000 °C-მდე თერმული ანალიზის პირობებში
II Al(OH) ₃ +Mg(NO ₃) ₂ (25%MgO)	--	θ- Al ₂ O ₃	--	MgO	MgAl ₂ O ₄	--	გახურებული 1000 °C -მდე თერმული ანალიზის პირობებში


III Al(OH) ₃ +Mg(NO ₃) ₂ (15%MgO)	--	θ- Al ₂ O ₃	--	MgO	MgAl ₂ O ₄	--	გახურებული 1000 °C -მდე ანალიზის პირობებში MgO- ფაზა შემცირებულია II-ნიმუშთან შედარებით
ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში – სპინური კორელაციის კოეფიციენტები და დამატებით, პროტონის ვექტორული ანალიზირების უნარი (მხოლოდ 1.2 და 2.27 გეე ენერგიებზე). მიღებული შედეგები პირველ სამ ენერგიაზე კარგ თანხვედრაშია იმპულსური მიახლოების წინასწარმეტყველებებთან, ხოლო უმაღლეს ენერგიაზე (2.27 გეე), სადაც იმპულსური მიახლოება კიდევ უფრო უკეთესად უნდა მუშაობდეს, მიღებული შედეგები მკვეთრად განსხვავდება შესაბამისი თეორიული წინასწარმეტყველებებისაგან, როგორც დიფერენციალური კვეთისათვის, ასევე ტენზორული ანალიზირების უნარებისათვის. ანალოგიურად, მსგავსი გადახრები (თვისობრივად და რაოდენობრივად) დაფიქსირდა ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში სპინური კორელაციის პარამეტრებისათვის. ამრიგად, არსებული ექსპერიმენტული შედეგები ცხადყოფს, რომ მაღალ ენერგიაზე (2.27 გეე) დღეისათვის არსებული წინასწარმეტყველება np გაზნევის ამპლიტუდისათვის არაზუსტია და საჭიროებს მნიშვნელოვან მოდიფიცირებას, რათა აღწერილ იქნას მიღებული ექსპერიმენტული შედეგები.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ელექტრული დიპოლური მომენტის (ედმ) კვლევები იულიხში (#13/05)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანდრო კაჭარავა, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, COSY/ANKE ექსპერიმენტის სპიკერი. თანახელმძღვანელი: ნოდარ ლომიძე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი	მ.ნიორაძე გ.მაჭარაშვილი მ.ტაბიძე დ.ჭილაძე დ.მჭედლიშვილი ზ.ბაღდასარიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ინტერესი ფუნდამენტური ნაწილაკების ედმ-ის ექსპერიმენტული კვლევისადმი გამოწვეულია იმით, რომ მისი არანულოვანი მნიშვნელობა პირდაპირი დადასტურებაა ე.წ. CP-ინვარიანტობის დარღვევისა, რაც თავის მხრივ, ერთერთი აუცილებელი პირობაა დაკვირვებად სამყაროში არსებული ბარიონ-ანტიბარიონული ასიმეტრიის ასახსნელად. მართალია, სტანდარტული მოდელი უშვებს ასეთ დარღვევას, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ საჭიროა დარღვევის ახალი, შედარებით ძლიერი წყაროს ძიება. ასეთ მინიშნებად შეიძლება გამოდგეს სწორედ ფუნდ. ნაწ.-ების პერმანენტული არანულოვანი ედმ-ის არსებობა. პროექტის მიხედვით დაგეგმილია ედმ-ის მიმართ ექსპერიმენტის მგრძნობიარობის 10^{-29} e.cm დონის მიღწევა. ძირითად ექსპერიმენტულ გამოწვევად მიიჩნევა მაღალი დამაბულობის (17MV/m) მქონე ერთგვაროვანი რადიალური ელექტრული ველის გამოყენება ნაწილაკების (პროტონი, დეიტრონი) მოძრაობისათვის დამაგროვებელ რგოლში. გარდა ამისა, დაგეგმილი მეთოდის მიხედვით უმჯობესია გამოყენებული იქნას რგოლის სიბრტყეში პოლარიზებული ნაკადი და ამ შემთხვევაში ძალზედ მნიშვნელოვანია სპინური კოპერენტულობის დრო (სკდ) იყოს არანაკლებ 1000 წამისა. 2013 წლის განმავლობაში ხდებოდა უკვე არსებული და მოქმედ მდგომარეობაში მყოფი COSY ამჩქარებლის იმ პარამეტრების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენენ სკდ-ის ფორმირებაზე. დადგინდა, რომ ამჩქარებლის არაწრფივ უბნებში (ასეთი ოთხია) უმჯობესია გამოყენებული იქნას სექსტუპოლური მაგნიტები, ხოლო თვით დეიტრონების ნაკადი იყოს ბანჩირებული. კვლევები წარმოებდა რადიოსიხშირული RF-

სოლენოიდის გამოყენებით, რომელიც მუშაობდა ერთერთ რეზონანსულ სიხშირეზე. კვლევების შედეგად სკდ-თვის ჯერჯერობით მიღწეულია მხოლოდ 200წმ, რაც მნიშვნელოვან პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა კვლევები ამ მიმართულებით გაგრძელდება მომავალ წელსაც. გარდა ამისა, დაუშავდა ე.წ. სპინტრეკინგისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა. ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ამაჩქარებელზე მიმდინარე ექსპერიმენტების მომზადებასა და ჩატარებაშიც. მომზადებულია სატატიის პროექტი, რომლის სავარაუდოდ გამოქვეყნდება 2014 წლის პირველ კვარტალში. პროექტის მიხედვით დაგეგმილი ამოცანები ჯერჯერობით სრულდება გეგმის მიხედვით.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ახალი ფიზიკის სიგნალის ძიება ATLAS ექსპერიმენტში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი № 13/03)	ი. მინაშვილი გ. დევიძე	ჯ.ხუბუა თ.ჯობავა მ.მოსიძე, ა.ლიპარტელიანი ი.დურგლიშვილი ი.ხუციშვილი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები:

3.1 არმატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \rightarrow qZ$ შევისწავლეთ ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად, რომელიც მიღებული (დაგროვილი) იყო ATLAS ექსპერიმენტში მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s} = 7$ ტეე ენერჯისათვის და შეესაბამება 2.8 ფბ^{-1} ინტეგრალურ ნათებას. ჩვენ განვიხილეთ ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბრული Z ბოზონები იშლებიან ლეპტონებად, ხოლო W ბოზონები იშლება კვარკებად (u,d,s,b კვარკების ადრონიზაციის შედეგად ვიღებთ ადრონულ ჭავლებს ("jets")) ანუ განვიხილეთ $t \rightarrow qZ$ დაშლის ადრონული მოდა:

$$t\bar{t} \rightarrow ZqWb \rightarrow l^+l^-j, jjj_b \quad (l=e, \mu; q=c,u)$$

მიღებული შედეგების ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა 5σ სიზუსტით აღმოჩენის (დაკვირვების) პიპოთეზა. $t \rightarrow qZ$ დაშლის ადრონული მოდა დამზერილი არ იქნა. მიღებულ იქნა $t \rightarrow qZ$ პროცესის დაშლის ფარდობითი ალბათობისათვის (5σ სიზუსტით) ზღვრული მნიშვნელობა $BR < 0.68\%$, რომელიც რამდენიმე რიგით უკეთესი შედეგია თანამედროვე სხვადასხვა ექსპერიმენტებში (სხვადასხვა ენერჯიებზე) მიღებულ შედეგებთან შედარებით.

3.2 ჩატარებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის, როგორც ATLAS დანადგარის ერთი-ერთი ქვე-დეტექტორის, ყოფაქცევისა და სტაბილურობის ანალიზი დეტექტორის კონტროლის სისტემის მონაცემების გამოყენებით. შემოწმებულ იქნა კალორიმეტრის ყველა 9856 ფოტოდეტექტორული გამამრავლებლის მაღალი ძაბვის ყოფაქცევა. აღმოჩნდა, რომ მათ ჭორის 93 ფეგ-ის ძაბვები არ შეესაბამება მოთხოვნილ მნიშვნელობებს. ჯერ-ჯერობით კალორიმეტრის არცერთი უჯრა 4928-დან არ არის ჩათვლილი როგორც "ცუდი" მაღალი ძაბვის უვარგისობის გამო და ყველა მათგანი მონაწილეობას იღებს ფიზიკური მონაცემების ანალიზში.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	ახალი ფიზიკის ეფექტების შესწავლა აშნდ-თი ინსპირირებულ პროცესებში LHC ATLAS ექსპერიმენტში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გრანტი 13/44)	აკაკი ლიპარტელიანი	ჯემალ ხუბუა გელა დევიძე თამარ ჯობავა მაია მოსიძე ირინა ხუციშვილი არჩილ დურგლიშვილი
<p>სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები: არმატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლა $t \rightarrow qZ$ შევისწავლეთ გენერაცია-სიმულაციის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანდათანობით დადების მეთოდის შემუშავების და განვითარების მიზნით. ჩვენ განვიხილეთ ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგია, როდესაც ყალიბებული Z და W ბოზონები იშლებიან ლეპტონებად -ე.წ ლეპტონური მოდა :</p> $t\bar{t} \rightarrow ZqWb \rightarrow l^+l^- j, l^\pm vb, (l=e, \mu; q=c,u)$ <p>ამრიგად პროცესის სიგნატურაა: სამი იზოლირებული ლეპტონი (ელექტრონები, ან მიონები), რომლებიც გამოყოფილი (განცალკავებული) არიან სხვა ობიექტებიდან $\Delta R = \sqrt{(\Delta\eta)^2 + (\Delta\phi)^2} > 0.4$ -ით, ნაკლები განივი ენერგია E_{T}^{Miss} (ნეიტრინოს არსებობით განპირობებული), ერთი b- ჭავლი და ერთი მსუბუქი ჭავლი.</p> <p>ტოპ-კვარკის FCNC დაშლის სიგნალის და ფონების ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ტოპ-ანტიტოპ კვარკების ($t\bar{t}$) წყვილური დაბადების ტოპოლოგიაში მონტე-კარლოს მეთოდით დაგენერირებული შემთხვევები $\sqrt{s}=7$ ტევი ენერჯისათვის (ე.ი როცა დამჯახებელი პროტონების თითოეული ნაკადების ენერგია არის 3.5 ტევი). სიგნალის გენერაციისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამა -გენერატორი TopReX.</p> <p>ATLAS ექსპერიმენტის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის ATHENA-ს და პროგრამული პაკეტის TopRootCore- 14-00-14 -ის ფარგლებში შეიქმნა C++ ენაზე პროგრამა სიგნალის და ფონური პროცესების ანალიზისათვის. ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია შემთხვევების კინემატიკური მახასიათებლების განაწილებების მიღება, შემთხვევების სრული აღდგენა (რეკონსტრუქცია) და კინემატიკური კრიტერიუმების გამოყენება ფონური პროცესების ეფექტური ჩამოჭრისათვის.</p> <p>ჩვენი ანალიზისათვის აუცილებელი ძირითადი ობიექტების: ლეპტონების - ელექტრონების და მიონების, ჭავლების და ნაკლები განივი ენერჯის E_{T}^{Miss} შერჩევის კრიტერიუმების დადგენის შემდეგ შევიმუშავეთ ჩამოჭრის კინემატიკური კრიტერიუმების თანდათანობით დადების მეთოდი სიგნალის შემთხვევების ეფექტურობის დადგენისა და ფონური პროცესების შემცირების (შესუსტების) მიზნით. ამ შერჩევის კრიტერიუმების თანმიმდევრული დადების შედეგად მიღებულ იქნა ფონური პროცესების მოსალოდნელი შემთხვევების რიცხვები და სიგნალის ეფექტურობა და აგრეთვე განაწილებები განივი იმპულსით წამყვანი ლეპტონისა და ჭავლისათვის, აგრეთვე ნაკლები განივი ენერჯით E_{T}^{Miss} განწილება ელექტრონული და მიონური არსებისათვის.</p>				

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	”კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერჯიებზე”. ფუნდამენტალური	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ანზორ ხელაშვილი	1) ანზორ ხელაშვილი 2) თეიმურაზ ნადარეიშვილი

კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 11/24			3) ზაქარია მერებაშვილი
<p style="text-align: center;">დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული. ამ ეტაპზე კი მიღებულია შემდეგი შედეგები:</p> <p>5.1 ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ “დაცემის” არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულ ინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განიკვეთი დამოკიდებულია თვითშეუღლების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა</p> <p>5.2. შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.</p> <p>5.3. სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან –ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგლითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან.</p> <p>5.4. დავითვლილია დიფერენციალური კვანძები მძიმე კვარკების წყვილების და ასოცირებული მსუბუქი ნაკადის ფოტოდაბადებისათვის პოლარიზებულ და არაპოლარიზებულ შემთხვევაში. ჩვენი დათვლის მეთოდი წარმოადგენს ისეთი ანალიტიკური და რიცხობრივი ალგორითმების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ზღვრული ყოფაქცევის გათვალისწინებისა სრული და დიფერენციალური კვანძებისათვის, შესაბამისი კინემატიკური შეზღუდვების მოდებისა და ექსპერიმენტებზე დაკვირვებადი სხვადასხვა სიდიდეების რიცხობრივი მნიშვნელობების მიღებისა. ამ შრომის შედეგები მნიშვნელოვანია ე.წ. “კომპასის” კოლაბორაციის მუშაობისათვის და შესაძლოა ასევე ახლო მომავალში დიდი ჰადრონულ-ელექტრონული კოლაიდერის ექსპერიმენტისათვის ცერნში.</p> <p>5.5. ნუკლონების სკირმულ მოდელში განხილულია კვარკული თავისუფლების ხარისხები და ჩატარებულია ინკლუზიური პროცესების მიხედვით ნუკლონის სპინისთვის ექსპერიმენტულად მიღებული ჯამთა წესის ანალიზი სკირმის წარმოდგენებით. მიღებულია, რომ კირალურად სიმეტრიულ სკირმის მოდელში</p>			

გვაქვს თანხმობა ჯამთა წესთან.

5.6. ჩატარდა ერთ-მარყუქიანი ამპლიტუდებისგამოთვლები, რომლებიც შეესაბამებიან მომდევნოს-მომდევნო რიგის კვარკ-პარტონული მოდელს ჰადრონულ დაჯახებებში მძიმე კვარკების დაბადებისას. ეს ამოცანა ხორციელდება ზემოთ აღნიშნული ამპლიტუდების გადამრავლებით შესაბამის ბორნის ამპლიტუდებზე მსუბუქი პარტონის გამოსხივებით. ჩვენ ჩავწერეთ ოთხწერტილოვანი off-shell ფეინმანის დიაგრამებისათვის სკალარული ინტეგრალები და ანალიზურად ამოვხსენით ისინი $d=4-2\epsilon$ განზომილებაში, რასაც შემდგომში მოჰყვება შესაბამისი მატრიცული ელემენტების დადგენა.

შეიქმნა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული პაკეტი. ზემოდ აღნიშნული ამპლიტუდების მეშვეობით შესაძლებელია ასევე აღიწეროს შესაბამისი მომდევნოს-მომდევნო რიგის კვითები მძიმე კვარკების ფოტოდაბადებისათვის და ფოტონ-ფოტონურ რეაქციებში.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. დევიძე	Proceedings of the Seventh International Conference "Physics in the LHC era	თბილისი	5
2	Teimuraz Nadareishvili and Anzor Khelashvili	Proceedings of the Seventh International Conference "Physics in the LHC era	თბილისი	14
3	ჯემალ ხუბუა	Proceedings of the Seventh International Conference "Physics in the LHC era	თბილისი	11
4.	დ. მჭედლიძე მ. ტაბიძე	Proceedings of the Seventh International Conference "Physics in the LHC era	თბილისი	14

5.	ფ.ბაღდასარიანი, ნ.ლომიძე	era Proceedings of the Seventh International Conference “Physics in the LHC era	თბილისი	16
6.	ლ.ჩხაიძე, თ.ჯობავა, ლ.ხარხელაური	Proceedings of the Seventh International Conference “Physics in the LHC era	თბილისი	11

ანოტაციები

1. We have studied manifestation of NP in rare processes. Our attention was devoted to lepton flavour violation processes and top quark rare decays. We have estimated lepton flavour violation processes rates and concluded that three body decays and $\mu-e$ conversion seem more favourable than radiative decays.

2. It is shown, that for attractive inverse square potentials at the origin in the Schrodnger equation it is necessary to keep so called additional solutions and to perform Sel-adjoint extension (SAE) procedure for scattering problems. It is also shown, that physical quantities as are energy, scattering length and scattering cross section are depending on the SAE parameter and the physical picture is different, then in usual quantum mechanics. Also is modified Rutherford Formula.

4. A good understanding of the Nucleon Nucleon-interaction (NN) remains one of the most important goals of nuclear and hadronic physics. Experiments at COSY, using a polarised deuteron beam and/or target, can lead to significant improvements in the np database by studying the quasi{free reaction on the neutron in the deuteron - $dp \rightarrow \{pp\}_s n$. The impulse approx-imation links the observables of this reaction with those for the $np \rightarrow pn$ process.

The unpolarised differential cross section and the two deuteron tensor analysing powers A_{xx} and A_{yy} of the $\vec{d}p \rightarrow \{pp\}_s n$ charge-exchange reaction have been measured with the ANKE spectrometer at the COSY storage ring. Using deuteron beams with energies 1.2, 1.6, 1.8, and 2.27 GeV, data were obtained for small momentum transfers to a $\{pp\}$ system with low excitation energy, so that the final diproton is mainly in 1S_0 state. The results at the three lower energies are consistent with impulse approximation predictions based upon the current knowledge of the neutron-proton amplitudes. However, at 2.27 GeV, where these amplitudes are far more uncertain, agreement requires a reduction in the overall spin-ip contribution, with an especially significant effect in the longitudinal direction. These conclusions are supported by measurements of the deuteron-proton spin-correlation parameters $C_{x;x}$ and $C_{y;y}$ that were carried out at 1.2 and 2.27 GeV. The values obtained for the proton analysing power A_{py} also suggest the need for a radical reevaluation of the neutron-proton elastic scattering amplitudes at the higher energy. It is therefore clear that such measurements can provide a valuable addition to the neutron-proton database in the charge-exchange region.

Experiments have extended these studies into the pion-production regime in order to investigate the excitation of the $\Delta(1232)$ isobar in the $dp \rightarrow \{pp\}_s \Delta^0$ reaction. Values of the differential cross section and two deuteron tensor analysing powers, A_{xx} and A_{yy} , have been extracted in terms of the diproton production angle or Δ^0 invariant mass. These data can be interpreted in terms

of the spin-longitudinal or spin-transverse contributions to the elementary $\bar{n}p \rightarrow \bar{p}\Delta^0$ process.

5. One of the major research topics of nuclear physics is the study of nucleon-nucleon (NN) interaction. It provides the insight into the nuclear forces, which is fundamental to the whole of physics and to our understanding of the matter and whole universe. In addition, it is also a necessary ingredient for the description of meson production and other intermediate energy processes. To construct the reliable phase shift analysis (PSA) that can successfully describe the NN interaction it is necessary to measure variety of the experimental observables for both proton-proton (pp) and neutron-proton (np) scattering.

Even though series of successful experiments have measured differential cross sections and various spin observables for pp system, unfortunately there is still a systematic discrepancy between theory and experimental results at the small scattering angles ($\theta_{cm} < 30^\circ$) above 1 GeV energy. This is a region where very few measurements have been carried out and which requires further investigation.

Goal of the current scientific study is the continuation of the nucleon-nucleon investigations at ANKE. First of all we aim to measure the analyzing power (A_y) for the pp elastic scattering in the same energy and angular range as the differential crosssection ($T_p = 1.6 - 2.4$ GeV, $\theta_{cm} < 30^\circ$).

Experiments have been carried out at the magnetic spectrometer ANKE installed at the internal beam of COSY (Cooler Synchrotron) accelerator at Forschungszentrum Jülich. In parallel with the asymmetry measurement at ANKE, the information about the absolute polarization of the beam has been extracted from the EDDA detector.

We will discuss our analysis of the data and present preliminary results for the analyzing power of proton-proton elastic scattering at small scattering angles. Our measurements will be also compared to the world data and the current partial wave solutions.

6. Collective flow of protons and pions has been studied in p(C, Ta) and HeLi (4.2 GeV/c/N) collisions has been studied of the most lights presented pC and HeLi systems for the first time. The data has been obtained by streamer (SKM-GIBS) and Propane Bubble (PBC-500) chamber Collaborations of JINR. The directed (in-plane) flow of protons have been observed in the above mentioned interactions, the elliptic (out-of-plane) flow of pions – in p(C, Ta) collisions. In pC interactions the directed flow of pions is in the same directions as for protons, while in pTa collisions pions show antflow behaviour.

The dependence of the flow F on the projectile (A_p) and target (A_T) mass numbers have been studied. The magnitude of flow is increasing with the mass numbers. These results, as well as our old experimental F-data, complements the general regularities. From the azimuthal distributions of protons with respect to the reaction plane the anisotropy parameter a_2 have been extracted.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Л. Н. Абесалашвили, Л. Т. Ахобадзе, Т. Р. Джалагания, Ю. В. Тевзадзе	Кластерно-Каскадная Модель для Обобщенного Модифицированного Отрицательного Биномиального Распределения	2013, N1(9)	GESJ-Georgian- Electronic Scientific Journal. თბილისი	7
2	ანზორ ხელაშვილი, თამარ ხაჩიძე	”მკაცრი თეორიული არგუმენტები ლემბის წანაცვლების დასათრგუნავად” საქართველოს	ტ7, № 2 (2013)	ტ7, № 2 (2013)	5

<p>3</p>	<p>ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი</p>	<p>მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი "მოამბე" "გაფანტვა დირაკის დელტა პოტენციალზე და 3-ნაწილაკოვანი ამოცანის რედუქციის შესწავლა" იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ "მოამბეში"</p>	<p>ტ7, № 3 (2013)</p>	<p>თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა</p>	<p>6</p>
<p>4</p>	<p>თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი</p>	<p>"თვითშეუღლების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში" მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის "ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში" შრომათა კრებული</p>	<p>გვ. 31-44(2013)</p>	<p>თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დუბნის გაერთიანებული ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის და ბირთვულ კვლევთა ევროპული ორგანიზაციის (ცერნი,ჟენევა) ერთობლივი გამოცემა</p>	<p>14</p>
<p>5</p>	<p>ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი</p>	<p>"ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში"</p>	<p>გვ. 50-58(2013)</p>	<p>თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დუბნის გაერთიანებული ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის და ბირთვულ კვლევთა ევროპული ორგანიზაციის (ცერნი,ჟენევა) ერთობლივი გამოცემა</p>	<p>9</p>

<p>6</p>	<p>ანზორ ხელაშვილი</p>	<p>მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის "ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში" შრომათა კრებული</p> <p>"კვანტურ-მექანიკური სამი ნაწილაკის განტოლების მაქსიმალური რედუქცია"</p> <p>Georgian Scientific Electronic Journal:Physics .</p> <p>იხ. http://gesj.internet-academy.org.ge/en/list_artic_en.php?b_sec=phys</p>	<p>No. 1(9) (2013) გვ.25-30</p>	<p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ერთობლივი გამოცემა</p>	<p>6</p>
<p>7</p>	<p>თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი</p>	<p>"ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემების განზოგადება"</p> <p>იბეჭდება Georgian Scientific Electronic Journal:Physics .</p> <p>იხ. http://gesj.internet-academy.org.ge/en/news_en.php?b_sec=phys</p>		<p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ერთობლივი გამოცემა</p>	<p>11</p>

ანოტაციები

1. ნაშრომის მიზანი იყო კკმ(CCM) კასკადურ-კლასტერული მოდელის სრულყოფა ე.წ. უარყოფითი ბინომიალური განაწილების (NBD) საფუძველზე. მივიღეთ GMNBD –განზოგადოებული მოდიფიცირებული უარყოფითი ბინომიალური განაწილება, რომელიც გამოვიყენეთ ელექტრონ-პოზიტრონის დაჯახებებში დაბადებული უარყოფითი ადრონების მახასიათებლების ანალიზისათვის

(ენერგიების ინტერვალი $14 \leq \sqrt{s} \leq 206 \text{ GeV}$), რადგანაც სხვა მიდგომებით მოდელის და ექსპერიმენტის შედეგები არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ჩვენი მიდგომით (GMNBD) ექსპერიმენტული მონაცემების აღწერა შედარებით დაბალ ენერგიებზე ($\sqrt{s} \leq 91.2 \text{ GeV}$) გაუმჯობესდა. ჩვენი მიდგომის ფარგლებში გამოვთვალეთ რეაქციაში დაბადებული კლასტერების საშუალო რაოდენობა ნაწილაკების ბოზონურ ($\langle n_c(B) \rangle$) და ფერმიონულ ($\langle n_c(F) \rangle$) სექტორში. აღმოჩნდა, რომ $\langle n_c(B) \rangle$ - კლასტერების რაოდენობა იცვლება დაახლოებით $1.5(\sqrt{s} = 14 \text{ GeV})$ -დან $5.6(\sqrt{s} = 130 \text{ GeV})$ -მდე. რაც შეეხება $\langle n_c(F) \rangle$ -ს ენერგიების იგივე ინტერვალში რჩება 1-ის დონეზე. ეს იმას მიუთითებს რომ ფერმიონების და ბოზონების დაბადების მექანიზმები სხვადასხვაა.

2. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი, თამარ ხაჩიძე. ”მკაცრი თეორიული არგუმენტები ლემბის წანაცვლების დასათრგუნავად”

ნაჩვენებია, რომ ღირაკის ჰამილტონიანის ინვარიანტულობა გარკვეული სახის ვიტენის სუპერალგებრის მიმართ გამოკვეთს მხოლოდ კულონურ პოტენციალს. აქედან გამომდინარეობს, რომ კულონის პოტენციალზე არსებული ტრადიციული შეხედულება უნდა შეიცვალოს $N=2$ სუპერსიმეტრიის კონტექსტში.

3. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი ”გაფანტვა ღირაკის დელტა პოტენციალზე და 3-ნაწილაკოვანი ამოცანის რეგულაციის შესწავლა”

ალტ-გრასბერგერის-სანდჰას-ხელაშვილის განტოლებებში ჩატარებულია კუთხური ანალიზი იაკობისა და ვიკის სპირალურობის ფორმალიზმის გამოყენებით. მიღებულ განტოლებებში ორნაწილაკოვანუ გაფანტვის ამპლიტუდებად ჩასმულია ღირაკის დელტა-ფუნქციის სახის წყვილური პოტენციალების ამოხსნები, რომლებიც განცალკევებულია საწყისი და საბოლოო იმპულსებით. ნაჩვენებია, თუ როგორ დაიყვანება ამოცანა ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემაზე.

4. ანოტაცია სტატიის: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი ”თვითშეუღლებების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში”

ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ “დაცემის” არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულ ინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერგია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულია

თვითშეუღლებების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა

5. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი”. ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში”

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნახვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

6. ანოტაცია სტატიის: ანზორ ხელაშვილი "კვანტურ-მექანიკური სამი ნაწილაკის განტოლების მაქსიმალური რედუქცია"

ალტ-გრასბერგერის-სანდჰას-ხელაშვილის განტოლებები 2-ნაწილაკოვანი გრინის ფუნქციებისთვის სპექტრალური წარმოდგენის გამოყენებით დაყვანილია მაქსიმალურად გამარტივებულ ფორმაზე, რომელშიც განტოლებების ეფექტური პოტენციალების გულები გამოსატულია ნახევრად-ენერგეტიკული ზედაპირის T-მატრიცებით

7. ანოტაცია სტატიის: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი "ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემების განზოგადება"

სინგულარული პოტენციალებისათვის განზოგადებულია ჰიპერვირიალური და ფეინმან-ჰელმანის თეორემები. განხილულია უზოგადესი სახის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოიცავს ფიზიკურად საინტერესო ყველა შემთხვევას და როგორც მაგლითი სინგულარული პოტენციალებისათვის შრედინგერის და ორნაწილაკოვანი კლეინ-გორდონის განტოლებისათვის მიღებულია ახალი თანაფარდობანი. გაანალიზებულია მათი განსხვავებები რეგულარული პოტენციალების შემთხვევისაგან.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	D. Mchedlishvili et al.	Excitation of the $\Delta(1232)$ isobar in deuteron charge exchange on hydrogen at 1.6, 1.8, and 2.3 GeV	Phys.Lett. B726 (2013), 145-150	აშშ	6
2.	D. Mchedlishvili et al.	First measurements of spin correlations in the $\uparrow n \uparrow p \rightarrow d \pi^0$ reaction	Phys. Lett. B726 (2013), 634-637	აშშ	4
3.	D. Mchedlishvili et al.		Eur.Phys.J. A49		

4	G. Aad et al; ATLAS Collaboration	The neutron-proton charge-exchange amplitudes measured in the $dp \rightarrow ppn$ reaction	(2013), 49 <u>Journal of High Energy Physics</u> 1311 (2013) 031	გერმანია	13
5	G. Aad et al; ATLAS Collaboration	Measurement of the top quark charge in pp collisions at $s\sqrt{= 7}$ TeV with the ATLAS detector.	Physics Letter B726 (2013) 120-144		42
6	G. Aad et al; ATLAS Collaboration	Evidence for the spin-0 nature of the Higgs boson using ATLAS data	Physics Review D D88 (2013) 012004		25
7	G. Aad et al; ATLAS Collaboration	A search for tt^- resonances in the lepton plus jets final state with ATLAS using 4.7 fb^{-1} of pp collisions at $s\sqrt{=7}$ TeV	Physics Review D D88 (2013) 012004		16
8	G. Aad et al; ATLAS Collaboration	Search for a light charged Higgs boson in the decay channel $H^+ \rightarrow cS^-$ in tt^- events using pp collisions at $s\sqrt{= 7}$ TeV with the ATLAS detector	Eur.Phys. Journal C C73 (2013) 2465		9
9.	COMET თანამშრომლობის წევრები Yoshitaka Kuno-on behalf of the COMET Colaboration	A search for muon-to-electron conversion at J-PARC: the COMET experiment	2013, 022 C01	ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი	7
10.	ანდრია	Progress of Theoretical and Experimental Physics "Generating functional for		გერმანია,	43
					7

<p>აგაჯანოვი, დიმიტრი აგაჯანოვი ანზორ ხელაშვილი, ალექსანდრე რუსეცკი.</p>	<p>mesonic ChPT with virtual photons in a general covariant gauge".</p> <p>The European Physical Journal A (2013) 49: 120</p>	<p>Volume 49, Issue 9, September 2013</p>	<p>Springer-ის გამომცემლობა</p>	
<p>ანოტაციები</p>				
<p>1. COSY ამაჩქარებელზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით ჩატარებული ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ პიონების დაბადებით მიმდინარე პროცესები და შევისწავლოთ დეიტრონის გადამუხტვა-გახლეჩის რეაქციის არხი დელტა $\Delta^0(1232)$ იზობარას დაბადებით $dp \rightarrow (pp)\Delta^0$. ამ არხის გამოკვლევით შესაძლებელია $np \rightarrow p\Delta^0$ ამპლიტუდის შესწავლა, რაც დიდ როლს ითამაშებს ამ პროცესის აღმწერი სრულყოფილი მოდელის შექმნაში. $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციისათვის გაზომილ იქნა დიფერენციალური კვეთა და ტენზორული ანალიზირების უნარები. დიფერენციალური კვეთის ყოფაქცევა მიუთითებს, რომ უმარტივესი ერთპიონიანი გაცვლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენებოდა $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციის აღსაწერად ადრეულ შრომებში, დომინირებს იზობარას დიდი მასების არეში, ხოლო პიონ-ნუკლონის ზღურბლთან ახლოს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამატებითი მექანიზმები. რაც შეეხება ანალიზირების უნარებს, ერთპიონიანი გაცვლით საერთოდ ვერ მოხერხდა ექსპერიმენტული შედეგების აღწერა, თუნდაც დიდი მასების არეში. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დამატებითი შესაძლო მექანიზმების გათვალისწინება და ღრმა თეორიული ანალიზია საჭირო რეაქციის ამ არხის აღსაწერად.</p> <p>2. პირველად იყო შესწავლილი განივი სპინური კორელაციები $A_{x,x}$ და $A_{y,y}$ კვაზიავისუფალ $\vec{n} \vec{p} \rightarrow d\pi^0$ რეაქციაში COSY-ANKE დანადრავზე. ექსპერიმენტების დროს გამოყენებული იყო პოლარიზებული დეიტრონის ნაკადი და პოლარიზებული წყალბადის უჯრედოვანი სამიზნე. შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა ნეიტრონის 353 მევ და 600 მევ ენერგიებზე ერთის მხრივ კარგ თანხვედრაშია იზოსპინ-ინვარიანტობაზე დაფუძნებული $pp \rightarrow d\pi^+$ რეაქციის პარციალურ ტალღური ანალიზის მონაცემებთან, ხოლო მეორეს მხრივ ფარავს კინამატიკურ არეებს, რომლებშიაც მონაცემები ძალზედ მწირია.</p> <p>3. სპინზე დამოკიდებული np უკან გაბნევის (გადამუხტვის რეგიონი) ამპლიტუდების შესწავლა შესაძლებელია დეიტრონის პროტონზე გადამუხტვა-გახლეჩის რეაქციის $dp \rightarrow (pp)n$ საშუალებით. იმპულსურ მიახლოებაში, და ასევე მცირე კუთხეებზე გაბნევის შემთხვევაში, აღნიშნული რეაქციის კვეთა ცალსახადაა დამოკიდებული $np \rightarrow pn$ ელემენტარული პროცესის ამპლიტუდაზე. აღნიშნული რეაქციის დიფერენციალური კვეთის, ტენზორული ანალიზირების უნარებისა და სპინური კორელაციის კოეფიციენტების გაზომვა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ np გაბნევის ამპლიტუდის სპინზე დამოკიდებული ნაწილები. ექსპერიმენტები ჩატარდა COSY ამაჩქარებელზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით.</p>				

ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო ვექტორულად და ტენზორულად პოლარიზებული დეიტრონების ნაკადი 1.2, 1.6, 1.8 და 2.27 გეე ენერგიაზე და პოლარიზებული/არაპოლარიზებული წყალბადის სამიზნე. ერთმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტებში თითოეულ ენერგიაზე გაიზომა დეიტრონის წყალბადზე გადამუხტვის რეაქციის დიფერენციალური კვეთა და ტენზორული ანალიზირების უნარები, ხოლო ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში – სპინური კორელაციის კოეფიციენტები და დამატებით, პროტონის ვექტორული ანალიზირების უნარი (მხოლოდ 1.2 და 2.27 გეე ენერგიაზე). მიღებული შედეგები პირველ სამ ენერგიაზე კარგ თანხვედრაშია იმპულსური მიახლოების წინასწარმეტყველებებთან, ხოლო უმაღლეს ენერგიაზე (2.27 გეე), სადაც იმპულსური მიახლოება კიდევ უფრო უკეთესად უნდა მუშაობდეს, მიღებული შედეგები მკვეთრად განსხვავდება შესაბამისი თეორიული წინასწარმეტყველებებისაგან, როგორც დიფერენციალური კვეთისათვის, ასევე ტენზორული ანალიზირების უნარებისათვის. ანალოგიურად, მსგავსი გადახრები (თვისობრივად და რაოდენობრივად) დაფიქსირდა ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში სპინური კორელაციის პარამეტრებისათვის. ამრიგად, არსებული ექსპერიმენტული შედეგები ცხადყოფს, რომ მაღალ ენერგიაზე (2.27 გეე) დღეისათვის არსებული წინასწარმეტყველება np გაზნევის ამპლიტუდისათვის არაზუსტია და საჭიროებს მნიშვნელოვან მოდიფიცირებას, რათა აღწერილ იქნას მიღებული ექსპერიმენტული შედეგები.

4. დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტზე ექსპერიმენტული მონაცემებისგამოყენებით გაზომილ იქნა ტოპ კვარის ელექტრული მუხტი მასათა ცენტრის სისტემაში 7 ტეე ენერგიაზე 2.05 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების დროს. ტოპ კვარის მუხტი განისაზღვრა ტოპ ანტიტოპ კვარკების წყვილური დაბადების შემთხვევებში ტოპ კვარკის ცალკეულ ლეპტონად დაშლის პროდუქტების მუხტების საშუალებით და ელემენტარული ელექტრული მუხტის ცვლადებში შეადგენს $0.64 \pm 0.02 \text{ (stat.)} \pm 0.08 \text{ (syst.)}$. 8σ დამაჯერებლობით გამორიცხულია ის მოდელები, რომლებიც სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით წინასწარმეტყველებდნენ მძიმე კვარკებს მუხტით -4/3.
5. წარმოდგენილია ჰიგსის ბოზონის სპინის და ლუწობის კვანტური რიცხვების შესწავლის შედეგები, რომლებიც მიღებულია დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტში დაგროვილი პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების ექსპერიმენტული მონაცემების საშუალებით. სტანდარტული მოდელის სპინ-ლუწობის $J^P = 0^+$ ჰიპოტეზა შედარებულია ალტერნატიულ ჰიპოტეზებთან რისთვისაც გამოყენებულ იქნა როგორც ჰიგსის ბოზონის დაშლების არხები $H \rightarrow \gamma \gamma$, $H \rightarrow ZZ \rightarrow 4 \text{ leptons}$ და $H \rightarrow WW \rightarrow 1 \nu 1 \nu$, ასევე ამ დაშლების კომბინაცია. გამოყენებული ექსპერიმენტული მონაცემები შეესაბამება 20.7 ფბ^{-1} ინტეგრალურ ნათებას რომელი დაგროვილი იყო $\sqrt{s} = 8$ ტეე ენერგიაზე. $H \rightarrow ZZ \rightarrow 4 \text{ leptons}$ დაშლის არხისათვის დამატებულ იქნა 4.6 ფბ^{-1} ინტეგრალური

ნათების შესაბამისი ექსპერიმენტული მონაცემები $\sqrt{s}=7$ ტევი ენერჯისათვის. ექსპერიმენტული მონაცემები თანხვდება სტანდარტული მოდელის $JP = 0+$ ქვანტურ რისკვებს ჰიგსის ბოზონისათვის, მაშინ როცა ყველა შესწავლილი ალტერნატიული ჰიპოთეზები, კერძოდ ზოგიერი სპეციფიური $JP = 0-; 1+; 1-$; მოდელები გამორიცხულია 97.8%-ით მეტი დამაჯერებლობით. ამრიგად მონაცემები უზრუნველყოფენ მტკიცებულებას ჰიგსის ბოზონის დადებითი ლუწობის მქონე 0 სპინიან ბუნებაზე.

6. დიდი ადრონული ამჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტზე მასათა ცენტრის სისტემაში 7 ტევი ენერჯიაზე 4.7 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების დროს დაგროვილი პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების გამოყენებით ჩატარებულია ახალი ნაწილაკების ძიება, რომლებიც იშლებიან ტოპ ანტიტოპ კვარკულ წყვილებად. $t\bar{t} \rightarrow WbWb$ დაშლაში შესწავლილ იქნა ლეპტონ + ჭავლების საბოლოო მდგომარეობა, როცა ერთი W ბოზონი იშლება ლეპტონურად და მეორე კი ადრონულად. ტოპ-ანტიტოპ სისტემა აღდგენილ იქნა მცირე და დიდი რადიუსის მქონე ჭავლების (ჯეტების) გამოყენებით. გამოკვლეულ იქნა იყო თუ არა ლოკალურად ექსპერიმენტულ მონაცემებში შემთხვევათა ჭარბი რაოდენობა ტოპ ანტიტოპ კვარკების ინვარიანტული მასის სპექტრში (განაწილებაში) სტანდარტული მოდელის წინასწარმეტყველებასთან შედარებით. არავითარი მტკიცებულება ტოპ-ანტიტოპ რეზონანსის არსებობისა არ იქნა ნაპოვნი და ორ სხვადასხვა მოდელის მიერ ნაწინასწარმეტყველები მასიური მდგომარეობისათვის განსაზღვრულ (დადებულ) იქნა 95% დამაჯერებლობის საზღვრები. ვიწრო Z' რეზონანსის დაბადების კვეთა x დაშლის ფარდობით ალბათობისათვის ზედა საზღვრების დიაპაზონია 5.1 pb – დან 0.5 ტევი მასის მქონე ბოზონისათვის 0.03 –მდე 3 ტევი მასის მქონე ბოზონისათვის.
7. წარმოდგენილია $t\bar{t}$ დაშლებში დამუხტული ჰიგსის ნაწილაკის H^+ ძიება, როცა ერთ-ერთი ტოპ კვარკი იშლება $t \rightarrow H^+ b$, H^+ -ს შემდგომი დაშლით $H^+ \rightarrow \text{two jets } (c\bar{s})$. მეორე ტოპ კვარკი იშლება Wb –დ, სადაც W ბოზონი შემდგომ იშლება ლეპტონად და ნეიტრინოდ (e/μ). მონაცემები დაგროვილი იყო დიდი ადრონული ამჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტზე 2011 წელს $\sqrt{s}=7$ ტევი ენერჯიაზე და შეესაბამება 4.7 ფბ^{-1} ინტეგრალურ ნათებას. სიგნალი დაკვირვებული არ იქნა, დადებულია 95% დამაჯერებლობით ტოპ კვარკების დამუხტულ ჰიგსის ნაწილაკებად დაშლის ფარდობით ალბათობაზე ზედა საზღვრები, რომელიც მერყეობს 5%-დან 1 %-მდე H^+ მასებისათვის 90 გევიდან 150 გევამდე $B(H^+ \rightarrow c\bar{s})=100\%$ დაშვებით.
8. წარმოდგენილია ტოპ კვარკის წყვილური დაბადების კვეთის გაზომვის შედეგები, როდესაც საბოლოო მდგომარეობაში გვაქვს ტაუ ლეპტონი და ჭავლები. ანალიზი დაფუძნებულია ATLAS ექსპერიმენტზე მასათა ცენტრის

სისტემაში 7 ტევ ენერგიაზე მიღებული პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებების მონაცემებზე. ექსპერიმენტული მონაცემები შეეესაბამება 1.67 ფბ^{-1} ინტეგრალურ ნათებას. ტოპ კვარკის წყვილური დაბადების კვეთა ტოლია $\sigma_{\pi} = 194 \pm 18 \text{ (stat.)} \pm 46 \text{ (syst.) pb}$ და თანხვედრაშია როგორც სხვა გაზომვებთან, ისე სტანდარტული მოდელი წინასწარმეტყველებასთან.

9. ნაშრომში განიხილება $\mu^- \rightarrow e^-$ მიუონის ელექტრონში გადასვლის შესაძლებლობა ნეიტრინოების დაბადების გარეშე (ეს არის სუსტი ურთიერთქმედების თეორიის ერთ-ერთი საინტერესო საკითხი). ცნობილია, რომ CM-სტანდარტული მოდელის თანახმად ლეპტონური არომატის შენახვის კანონი უნივერსალურია, მაგრამ CM-ის ნებისმიერ გაფართოებაში (CM-ის მიღმა) გარკვეული, მართალია მცირე ალბათობით, შეიძლება ადგილი ჰქონდეს არომატის შენახვის კანონის დარღვევას. ეს არის ე.წ. CLFV-Charged-lepton-flavor violation პროცესი. $\mu^- \rightarrow e^-$ გადასვლა ძალიან იშვიათი პროცესია და მის დასაკვირვებლად საჭიროა დიდი ინტენსიობის პროტონების მონოენერგეტიკული ნაკადები μ^- -ების მისაღებად. ამ პროცესის შესასწავლად არის შექმნილი COMET კოლაბორაცია. სტატიაში განხილულია CLFV-ის თეორიული და ექსპერიმენტული პრობლემები (ცხადია იგულისხმება COMET ექსპერიმენტის ფარგლებში).

10. ანოტაცია სტატიის: **A. Agadjanov, D. Agadjanov, A. Khelashvili, A. Rusetsky**

”Generating functional for mesonic ChPT with virtual photons in a general covariant gauge”. გამოვითვალა კირალური შეშფოთების თეორიის მაწარმოებელი ფუნქციონალის განშლადი ნაწილი ერთმარყუიან მიახლოებაში ზოგად კოვარიანტულ ყალიბრებაში

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	დ. მჭედლიშვილი	Polarised neutron-proton scattering at ANKE/COSY	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
2.	ზ. ბაღდასარიანი	Proton Proton Elastic Scattering Measurement at COSY"	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
3	არჩილ ღურგლიშვილი	A study to optimize the simulation of the Tile Cal response using collision muons	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
4.	თამარ ჯობავა	Study of Top quark rare decays at ATLAS experiment	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
5.	თამარ ჯობავა	ATLAS Tile Calorimeter Data Quality Assessment During LHC LS1	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
6.	დ. ჩხაიძე, თ.ჯობავა, ლ. ხარხელაური	Study of Collective Flow in p(C, Ta) and HeLi Collisions at Momentum of 4.2GeV/c/N	Physics in the LHC era, 2013, 13-19 ოქტომბერი, თბილისი
7.	თეიმურაზ ნადარეიშვილი	"შრედინგერის განტოლების სტატუსი"	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 22-26 იანვარი 2013 წელი. იხილეთ: http://conference.ens-2013.tsu.ge/lecture/view/18
8.	ანზორ ხელაშვილი	ლაპლასის ოპერატორის სინგულარობა სფერულ კოორდინატებში.	The First Autumn School and Workshop of the Regional Training Network in Theoretical Physics, 23-28

9.	თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი	”თვითშეუღლების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში”	September, Tbilisi 2013. იხილეთ: http://conferences.hepi.edu.ge/ VW_ASW-2013/talks.shtml მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში”. 14-18 ოქტომბერი, თბილისი
10.	ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი	”ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში”	მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის ”ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში”. 14-18 ოქტომბერი, თბილისი
11.	გ.ღვებიძე	Flavor beyond the standard model	14-15 March, 2013, Tbilisi, TSU Inaugural Workshop of the Regional Training Network in Theoretical Physics http://conferences.hepi.edu.ge/ VW_Inaugural- 2013/talks.shtml
12.	გ. ღვებიძე	FCNC processes - a window to new physics	23-28 September, 2013, Tbilisi, TSU The First Autumn School and Workshop of the Regional Training Network in Theoretical Physics http://conferences.hepi.edu.ge/ VW_ASW-2013/talks.shtml
13.	გ.ღვებიძე	FCNC processes into extra dimensional models	14-18 October, 2013, Tbilisi, TSU Seventh International Conference “Physics in the LHC era”

მოსხენებათა ანოტაციები

1. ნუკლონ-ნუკლონური (NN) ურთიერთქმედების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბირთვული ძალების ბუნების დაგდენისა და საერთოდ ძლიერი ურთიერთქმედების შესწავლისათვის. ექსპერიმენტებმა, რომლებიც მიმდინებობს

პოლარიზებული დეიტრონების გამოყენებით იულიხის COSY ამაჩქარებელზე შეიძლება მნიშვნელოვნად გაამდიდროს np გაბნევის მონაცემთა ბაზა, რადგან $dp \rightarrow (pp)n$ რეაქციის კვეთა იმპულსურ მიახლოებაში მცირე კუთხეებზე გაბნევის შემთხვევაში ცალსახადაა დამოკიდებული $np \rightarrow pn$ ელემენტარული პროცესის ამპლიტუდაზე. ექსპერიმენტები ჩატარებული იყო პოლარიზებული დეიტრონების ნაკადით 1.2, 1.6, 1.8 და 2.27 გევ ენერგიებზე წყალბადის სამიზნეზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით; ექსპერიმენტების დროს გაზომილ იქნა არაპოლარიზებული დიფერენციალური კვეთა, ასვე დეიტრონის ტენზორული ანალიზირების უნარები A_{xx} და A_{yy} . შედარებით დაბალ 3 ენერგიებზე შედეგები კარგ თანხვედრაშია იმპულსურ მიახლოებასთან, ხოლო 2.27 გევ ენერგიაზე დაიმზირება ~25%-ანი გადახრა, რაც მიაწინებს სპინ-სპინური ურთირთქმედების შედარებით დიდ წვლილზე, ვიდრე ამას წინასწარმეტყველებს SAID მონაცემთა ბაზა. COSY ამაჩქარებელზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა საშუალება მოგვცა კვლევა გაგრძელებულიყო პიონების დაბადებით მიმდინარე პროცესებში და შესწავლილიყო დეიტრონის გადამუხტვა-გახლეჩის რეაქციის არხი დელტა $\Delta^0(1232)$ იზობარას დაბადებით $dp \rightarrow (pp)\Delta^0$. ამ არხის გამოკვლევით შესაძლებელია $np \rightarrow p\Delta^0$ ამპლიტუდის შესწავლა, რაც დიდ როლს ითამაშებს ამ პროცესის აღმწერი სრულყოფილი მოდელის შექმნაში. $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციისათვის გაზომილ იქნა დიფერენციალური კვეთა და ტენზორული ანალიზირების უნარები. დიფერენციალური კვეთის ყოფაქცევა მიუთითებს, რომ უმარტივესი ერთპიონიანი გაცვლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენებოდა $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციის აღსაწერად ადრეულ შრომებში, დომინირებს იზობარას დიდი მასების არეში, ხოლო პიონ-ნუკლონის ზღურბლთან ახლოს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამატებითი მექანიზმები. რაც შეეხება ანალიზირების უნარებს, ერთპიონიანი გაცვლით საერთოდ ვერ მოხერხდა ექსპერიმენტული შედეგების აღწერა, თუნდაც დიდი მასების არეში. მსგავსი გადახრები დაფიქსირდა ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში სპინური კორელაციის პარამეტრებისათვის. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დამატებითი შესაძლო მექანიზმების გათვალისწინება და ღრმა თეორიული ანალიზია საჭირო რეაქციის ამ არხის აღსაწერად.

2. პროტონ-პროტონული დრეკადი გაბნევის შესწავლა გაბნევის მცირე კუთხეებზე და 1 გევ-ზე მაღალ ენერგიებზე მოტივირებული იყო იმ ფაქტით, რომ SAID მონაცემთა ბაზაში მონაცემები ამ არეში მწირია, რაც არ იძლევა სრულყოფილი ფაზური ანალიზის ჩატარების საშუალებას. ექსპერიმენტები ჩატარდა COSY ამაჩქარებელზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით, წინ გაბნეული პროტონების დეტექტირება ხდებოდა წინა დეტექტორის საშუალებით, ხოლო დიდი კუთხეებზე გაბნეული პროტონისა კი - სილიკონური კვალური დეტექტორების საშუალებით. ექსპერიმენტები ჩატარდა დამცემი პროტონის 6 ენერგიისათვის (0.796, 1.6, 1.8, 1.965, 2.157 და 2.368 გევ). პირველ ენერგიაზე ანალიზირების უნარი კარგადაა გაზომილი სხვა ექსპერიმენტებშიაც, ამიტომ ამ გაზომვის შედეგები აღებული იყო როგორც საყრდენი (reference). წინასწარმა შედეგებმა აჩვენა, რომ ANKE შედეგები კარგ თანხვედრაშია სხვა ექსპერიმენტულ მონაცემებთან, თუმცა განსხვავდება SAID მონაცემთა ბაზის წინასწარმეტყველებებისაგან. რაც შეეხება მონაცემებს 1.6-2.4 გევ ინტერვალში, ისინი არის ერთადერთი გაზომვები და ამდენად კომპილაციაში მათი ჩართვა მნიშვნელოვნად შეცვლის თეორიულ მრუდებს.

3. შესწავლილ იქნა ტაილ კალორიმეტრის გარჩევისუნარიანობა (გამოძახილი) $W \rightarrow \mu\pi$ პროცესში დაბადებული მიონების საშუალებით. ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ATLAS ექსპერიმენტის მიერ 2012 წელს დაგროვილი პროტონ-პროტონული ურთიერთქმედებები მასათა ცენტრის სისტემაში 8 ტევი ენერჯისათვის. სიმულაციის ოპტიმაზიის მიზნით საჭირო იყო ე.წ. “U” ფორმის განაწილების გათვალისწინება მონტე-კარლო სიმულაციის პაკეტში. ამისათვის ექსპერიმენტული მონაცემებიდან მიღებულ იქნა მეორე (PMT2) ფოტოგამამრავლებლის სიგნალის ამპლიტუდის დამოკიდებულება $\Delta\phi$ –ზე ($\Delta\phi$ არის სხვაობა ნაწილაკის კვალის აზიმუტალურ კუთხეს და ტაილის ცენტრის აზიმუტალურ მდებარეობას შორის) მიღებული ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის A ფენის (შრის) მე-4 აზიმუტალური სექტორიდან და ეს დამოკიდებულება იქნა ჩანერგილი GEANT4 სიმულაციის პაკეტში. სიმულაციის პაკეტ GEANT4 –ის გამოყენებით დაგენერირებულ იქნა 2 მილიონი მონტე-კარლო ცალკეული მიონების შემთხვევა და ჩატარებულ იქნა მიღებული მონაცემების ანალიზი. ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა, რომ ექსპერიმენტულ და მონტე-კარლო სიმულაციის შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის დამთხვევა გაუმჯობესდა ე.წ. “U” ფორმის განაწილების გათვალისწინებით, თუმცა ფილასცინცილატორის (ტაილის) კიდებებისათვის ($|\Delta\phi|$ - ის დიდი მნიშვნელობებისათვის) დამთხვევა არ არის დამაკმაყოფილებელი. დამთხვევის გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მუშაობა.
4. არომატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების ძიება განხორციელებულ იქნა მასათა ცენტრის სისტემაში 7 ტევი ენერჯიაზე 2.1 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების დროს ATLAS ექსპერიმენტში დაგროვილი ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით. $t \rightarrow qZ$ დაშლის ძიება ჩატარებულ იქნა ტოპ კვარკების წყვილური დაბადების პროცესში როც ერთი ტოპ კვარკი იშლება სტანდარტული მოდელის მოდით და მეორე კი არომატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე დაშლით, ე.წ. ლეპტონური მოდა: $tt \rightarrow bWqZ \rightarrow \ell\ell j, \ell\nu b$). სიგნალი დამზერილი არ იქნა. $BR(t \rightarrow bW) + BR(t \rightarrow qZ) = 1$ პირობის შემთხვევაში დადებულ იქნა $t \rightarrow qZ$ დაშლის ფარდობითი ალბათობისათვის ზედა საზღვარი 95% -ის დამაჯერებლობით $BR(t \rightarrow qZ) < 0.73\%$, დამზერილი საზღვარი თავსებადია მოსალოდნელ მგრძობიარობასთან თუ დავუშვებთ რომ სტანდარტული მოდელი სწორად აღწერს მონაცემებს დაშლის ფარდობითი ალბატობით $BR(t \rightarrow qZ) < 0.94\%$. მიმდინარეობს $t \rightarrow qZ$ დაშლის ლეპტონური მოდის შესწავლა მასათა ცენტრის სისტემაში 8 ტევი ენერჯიაზე 20.1 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების დროს ATLAS ექსპერიმენტში დაგროვილი ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით. შემოწმებულ იქნა $t \rightarrow qZ$ დაშლის ადრონული მოდისათვის $tt \rightarrow bWqZ \rightarrow \ell\ell j, j\bar{j}b$ სიგნალის მონტე-კარლოს მეთოდით გენერირებული შემთხვევების პარტონულ დონეზე დაშლის კინემატიკური ცვლადებით განაწილებები. არომატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლებისათვის ATLAS ექსპერიმენტში მიღებული ექსპერიმენტული საზღვრები რამოდენიმე რიგით უკეთესია ვიდრე ექსპერიმენტული საზღვრები მიღებული ფერმის ნაციონალურ ლაბორატორიაში CDF ექსპერიმენტში მასათა ცენტრის სისტემაში 1.96 ტევი ენერჯისათვის 1.12 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების დროს. 100 ფბ^{-1} ინტეგრალური ნათების შემთხვევაში, რომელი იქნება მიღწეული დიდ ადრონული კოლაიდერსი მიდერნიზაციის შედეგად გაშვების შემდეგ, შესაძლებელია დაკვირვებულ იქნას იშვიათი პროცესები ანუ ფიზიკა სტანდარტული მოდელის მიღმა.
5. ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის მონაცემთა ხარისხის (ვარჯისიანობის) შემოწმების მიზნით გაანალიზებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის ყალიბრებისათვის დასხივების (ლაზერით, ფიქსირებული მუხტით) შედეგად მიღებული შედეგები. შემოწმებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური და დამატებითი კასრების ყველა მოდიფიცირებული (შეცვლილი) მოდული. ზიგიერთი მოდულის მონაცემთა ხარისხის (ვარჯისიანობის) სტატუსი იქნა შეცვლილი.
6. კოლექტიური გამოდინების ეფექტები პროტონებისა და პიონებისათვის პირველად იქნა შესწავლილი ისეთ მსუბუქ ბირთვულ წყვილებში როგორცაა pC და HeLi. პროტონებისათვის მიღებულ იქნა მიმართული გამოდინება რეაქციის

სიბრტყეში (directed) და ელიფსური გამოდინება (out-off-plane) რეაქციის სიბრტყის პერპენდიკულარულ სიბრტყეში აღნიშნულ დაჯახებებში. პიონებისატივის კი მიმართულ გამოდინებას რეაქციის სიბრტყეში აქვს პროტონების მსგავსი მიმართულება pC დაჯახებებში, ხოლო საწინააღმდეგო (antiflow) – pTa დაჯახებებში. მიმართული გამოდინების სიდიდე (F) იზრდება დამცემი (Ap) და სამიზნე (AT) ბირთვების მასური რიცხვის ზრდასთან ერთად. რეაქციის სიბრტყის მიმართ პროტონების აზიმუტალური განაწილებებიდან დადგენილ იქნა ელიფსური გამოდინების პარამეტრის (a_2) მნიშვნელობები.

7. ანოტაცია მოხსენების: თეიმურაზ ნადარეიშვილი. "შრედინგერის განტოლების სტატუსი"

დადგენილ იქნა, რომ კვანტური მექანიკის მთელი ისტორიის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩათ ზედმეტი დელტა-ფუნქციის სახის წევრი შრედინგერის რადიალურ განტოლებაში. ჩვენ შევისწავლეთ ეს პრობლემა დეტალურად და ვაჩვენებთ, რომ ტრადიციული რადიალური შრედინგერის განტოლება გვაქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ განტოლება თავსებადია შრედინგერის სრულ განტოლებასთან. ეს კი ხდება მაშინ თუ გარკვეული სასაზღვრო პირობა დაედება რადიალურ ტალღურ ფუნქციას სათავეში.

8. ანოტაცია მოხსენების: ანზორ ხელაშვილი. "ლაპლასის ოპერატორის სინგულარობა სფერულ კოორდინატებში".

სფერულ კოორდინატებში შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა. ნაჩვენებია, რომ სრული შრედინგერის განტოლებიდან დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი, რომელიც აქამდე არ იყო შემჩნეული კვანტური მექანიკის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე. დადგენილ იქნა, რომ ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. ამასთანავე ეს შედეგი არ არის დამოკიდებული პოტენციალი რეგულარულია თუ სინგულარული. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

9. ანოტაცია მოხსენების: თეიმურაზ ნადარეიშვილი, ანზორ ხელაშვილი "თვითშეუღლებების გაფართოების პროცედურა გაფანტვის ამოცანებში"

ნაჩვენებია, რომ სათავეში მანძილის კვადრატის უკუპროპორციული მიზიდვის ტიპის პოტენციალებისათვის შრედინგერის განტოლებაში ცენტრზე არ "დაცემის" არეში აუცილებელია ე.წ. დამატებითი ამონახსნების შენარჩუნება პარამეტრების გარკვეულ ინტერვალში და ამიტომ საჭიროა თვითშეუღლებული გაფართოების ოპერაციის ჩატარება გაფანტვის ამოცანებში. ასევე ნაჩვენებია, რომ ფიზიკური სიდიდეები ენერჯია, გაფანტვის სიგრძე, ეფექტური გაფანტვის რადიუსი, გაფანტვის განივკვეთი დამოკიდებულია

თვითშეუღლებების პარამეტრზე და ამიტომ ფიზიკური სურათი განსხვავებულია ჩვეულებრივი კვანტური მექანიკისაგან. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ τ პარამეტრის შემოტანას შეუძლია პოტენციალის ბუნების შეცვლა. ასევე სავალენტო ელექტრონის მოდელში გაფანტვის ამოცანაში მოდიფიცირებულია რეზერფორდის ფორმულა

10. ანოტაცია მოხსენების: ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი "ლაპლასის ოპერატორის სინგულარული ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში და აქედან გამომდინარე ზოგიერთი შედეგი დაყვანილი რადიალური ფუნქციისათვის კოორდინატთა სათავეში"

შესწავლილია ლაპლასის ოპერატორის ყოფაქცევა სფერულ კოორდინატებში. ნაჩვენებია, რომ შრედინგერის დაყვანილ რადიალურ განტოლებაზე გადასვლის წარმოიქმნება დელტა ფუნქციის მაგვარი დამატებითი წევრი. დადგენილ იქნა, რომ

ამ წევრის მოსაშორებლად აუცილებელი და საკმარისია, რომ რადიალური ტალღური ფუნქცია საკმარისად სწრაფად ეცემოდეს სათავეში. კონკრეტულ მაგალითებზე განხილულია ამ დაკვირვებიდან გამომდინარე ფიზიკური შედეგები.

11. We have studied manifestation of NP in rare processes. Numerical estimates show that in case of B-meson double radiative decays we can get a difference from SM-result as much as $\sim O(10\%)$. We have estimated lepton flavour violation processes rates and concluded that three body decays seem more favourable than radiative decays.

12. We have studied manifestation of NP in rare processes. Our attention was devoted to lepton flavour violation processes, top quark and neutral B-meson rare decays. The calculation presented here revealed a moderate to small difference for the branching ratios. Maybe the more relevant statement is that the simplest realization of an extra dimension model cannot affect in a numerically large way. If a large deviation from the SM prediction were observed, it must have a completely different origin and one had to look elsewhere .

13. We have studied manifestation of NP in rare processes. Our attention was devoted to lepton flavour violation processes and top quark rare decays. We have estimated lepton flavour violation processes rates and concluded that three body decays and $m \rightarrow e$ conversion seem more favourable than radiative decays.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	D. Mchedlishvili	“Polarised nucleon-nucleon scattering experiments at ANKE-COSY”	Symmetries and Spin (SPIN-Praha-2013), Prague, Czech Republic
2.	არჩილ დურგლიშვილი	Status of the collision muons analyses	ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის კვირეული, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია, 2 ოქტომბერი, 2013 წ.
3.	თამარ ჯობავა	DQ Leader Report	ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის კვირეული, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია, 2 ოქტომბერი, 2013 წ.
4.	თამარ ჯობავა	DQ Leader Report	ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის სამუშაო თათბირი, ცერნი, ჟენევა, შვეიცარია: 12. 10. 2013 19. 10. 2013 26. 10. 2013
5.	არჩილ დურგლიშვილი მაია მოსიძე თამარ ჯობავა	Validation of FCNC $t \rightarrow qZ$ dilepton samples	ATLAS ექსპერიმენტის ტოპ კვარკის თვისებების შემსწავლელი ჯგუფის

6.	არჩილ დურგლიშვილი	U- shape analysis status	<p>სამუშაო თათბირი; ცერნი, უენევა, შვეიცარია, 26 სექტემბერი, 2013 წ</p> <p>ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის უალიბრების, მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) და მონაცემთა დამუშავების სამუშაო თათბირები, ცერნი, უენევა, შვეიცარია:</p> <p>15.07.2013 29.07.2013 05.08.2013 12.08.2013 19.08.2013 26.08.2013 28.10.2013 04.11.2013 18.11.2013 25.11.2013 02.12.2013 09.12.2013 16.12.2013</p> <p>2013 (30/09-4/10) Dubna , JINR,Russia</p>
7.	ი.თევზაძე მ. ნიორაძე, გ.დევოძე, ი. ტრეკოვი, ი.ბაღათური	Time and amplitude Characteristics of scintillation crystals	
<p>მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>1. ნუკლონ-ნუკლონური (NN) ურთიერთქმედების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბირთვული ძალების ბუნების დაგდენისა და საერთოდ ძლიერი ურთიერთქმედების შესწავლისათვის. ექსპერიმენტებმა, რომლებიც მიმდინეობს პოლარიზებული დეიტრონების გამოყენებით იულიხის COSY ამაჩქარებელზე შეიძლება მნიშვნელოვნად გაამდიდროს np გაბნევის მონაცემთა ბაზა, რადგან $dp \rightarrow (pp)n$ რეაქციის კვეთა იმპულსურ მიახლოებაში მცირე კუთხეებზე გაბნევის შემთხვევაში ცალსახადაა დამოკიდებული $np \rightarrow pn$ ელემენტარული პროცესის ამპლიტუდაზე. ექსპერიმენტები ჩატარებული იყო პოლარიზებული დეიტრონების ნაკადით 1.2, 1.6, 1.8 და 2.27 გევ ენერგიებზე წყალბადის სამიზნეზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით; ექსპერიმენტების დროს გაზომილ იქნა არაპოლარიზებული დიფერენციალური კვეთა, ასვე დეიტრონის ტენზორული ანალიზირების უნარები A_{xx} და A_{yy}. შედარებით დაბალ 3 ენერგიებზე შედეგები კარგ თანხვედრაშია იმპულსურ მიახლოებასთან, ხოლო 2.27 გევ ენერგიაზე</p>			

დაიშინება ~25%-ანი გადახრა, რაც მიანიშნებს სპინ-სპინური ურთირთქმედების შედარებით დიდ წვლილზე, ვიდრე ამას წინასწარმეტყველებს SAID მონაცემთა ბაზა. COSY ამაჩქარებელზე ANKE სპექტრომეტრის გამოყენებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა საშუალება მოგვცა კვლევა გაგრძელებულიყო პიონების დაბადებით მიმდინარე პროცესებში და შესწავლილიყო დეიტრონის გადამუხტვა-გახლეჩის რეაქციის არხი დელტა $\Delta^0(1232)$ იზობარას დაბადებით $dp \rightarrow (pp)\Delta^0$. ამ არხის გამოკვლევით შესაძლებელია $np \rightarrow p\Delta^0$ ამპლიტუდის შესწავლა, რაც დიდ როლს ითამაშებს ამ პროცესის აღმწერი სრულყოფილი მოდელის შექმნაში. $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციისათვის გაზომილ იქნა დიფერენციალური კვეთა და ტენზორული ანალიზირების უნარები. დიფერენციალური კვეთის ყოფაქცევა მიუთითებს, რომ უმარტივესი ერთპიონიანი გაცვლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენებოდა $dp \rightarrow (pp)\Delta^0$ რეაქციის აღსაწერად ადრეულ შრომებში, დომინირებს იზობარას დიდი მასების არეში, ხოლო პიონ-ნუკლონის ზღურბლთან ახლოს საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დამატებითი მექანიზმები. რაც შეეხება ანალიზირების უნარებს, ერთპიონიანი გაცვლით საერთოდ ვერ მოხერხდა ექსპერიმენტული შედეგების აღწერა, თუნდაც დიდი მასების არეში. მსგავსი გადახრები დაფიქსირდა ორმაგ პოლარიზებულ ექსპერიმენტში სპინური კორელაციის პარამეტრებისათვის. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დამატებითი შესაძლო მექანიზმების გათვალისწინება და ღრმა თეორიული ანალიზია საჭირო რეაქციის ამ არხის აღსაწერად.

2. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო შემდეგი შედეგები:

- სიმულაციის პაკეტი GEANT4 –ის გამოყენებით დაგენერირებულ იქნა 2 მილიონი მონტე-კარლო ცალკეული მონების შემთხვევა და ჩატარებულ იქნა მიღებული მონაცემების ანალიზი. ექსპერიმენტულ და მონტე-კარლო სიმულაციის შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის დამთხვევა დიდი Δ^0 –სათვის (Δ^0 არის სხვაობა ნაწილაკის კვალის აზიმუტალურ კუთხეს და ტაილის ცენტრის აზიმუტალურ მდებარეობას შორის) არ გაუმჯობესდა.

- მეორე (PMT2) ფოტოგამამრავლებლის სიგნალის ამპლიტუდის დამოკიდებულება Δ^0 –ზე, ე.წ. “U” ფორმა მიღებული ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის A ფენის (შრის) მე-4 აზიმუტალური სექტორიდან არის უპრო სიმეტრიული ვიდრე სხვა დანარცენ აზიმუტალურ სექტორებში.

- შესაძლოა “U” ფორმის ასიმეტრია დიდი Δ^0 –სათვის განპირობებულია დეტექტორის გეომეტრიით.

- ტაილ კალორიმეტრის გარჩევისუნარიანობა მიღებული წვეროს დეტექტორიდან აღდგენილი (ექსტრაპოლირებული) ტრეკების საშუალებით უკეთესია კომბინირებული ტრეკებით მიღებულ გარჩევისუნარიანობასთან შედარებით.

3. ჩატარებულ იქნა ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) შესწავლა-ანალიზი ცერნში ხარისხის მონიტორინგის სეანსების 5.09.13 ÷ 3.10.13 განმავლობაში. გაანალიზებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის ლაზერით, ფიქსირებული მუხტით დასხივების შედეგად მიღებული შედეგები და აგრეთვე ე.წ. “პედესტალის” ყალიბრული შემოწმება. შემოწმებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური და დამატებითი კასრების ყველა მოდიფიცირებული (შეცვლილი) მოდული. ზიგიერთი მოდულის მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) სტატუსი იქნა შეცვლილი

4. მოხსენებებში წარმოდგენილი იყო ტაილ კალორიმეტრის ყალიბრების დასხივებების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგები:

- გაანალიზებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური კასრის ყველა მოდული- LBA და LBC მოდულები. LBA48, LBA59 და LBC34 მოდულებისათვის შეცვლილი იყო მონაცემთა ხარისხის (ვარგისიანობის) სტატუსი.

- შემოწმებულ იქნა LBA49 მოდული.

- ერთ-ერთი დასხივების შედეგები გაანალიზებულ იქნა ტაილ კალორიმეტრში მოსული სიგნალის დროითი წანაცვლების შესწავლის მიზნით.

- გაანალიზებულ იქნა ტაილ კალორიმეტრის დამატებითი კასრების ყველა შეცვლილი (მოდულიზირებული) EBA მოდულები და EB41-45,52-56 მოდულები. მთელ რიგ მოდულებში დაფიქსირებულ იქნა პრობლემები.
 - შემოწმებულ იქნა № 13 და № 14 ფოტოგამარავლებლების გაჯერების ზედა ზღვარი, რომლებიც სიგნალს ხსნიან დამატებითი კასრის E1 და E2 უჯრებიდან.
5. არმატის შემცველი ნეიტრალური დენებით მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლის ადრონული მოდის $tt \rightarrow bWqZ \rightarrow tH j, j\bar{b}$ შესწავლის მიზნით მონტე კარლო პროგრამა-გენერატორის Protos -ის საშუალებით დაგენერირებულ იქნა სიგნალის შემთხვევები მასათა ცენტრის სიტემაში $\sqrt{s} = 8$ ტეე ენერჯისათვის. შესწავლილ იქნა შემთხვევების პარტონულ დონეზე დაშლის კინემატიკური ცვლადებით განაწილებები, კერძოდ Z ბოზონების დაშლის შედეგად დაბადებული ლეპტონების, W ბოზონების დაშლის შედეგად დაბადებული კვარკების განაწილებები ენერჯის, განივი იმპულსის, ფსევდოსისწრაფის, აზიმუტალური კუთხის მიხედვით, აღდგენილი Z, W ბოზონების და ტოპ კვარკების განაწილებები ინვარიანტული მასის მიხედვით.
 6. მოხსენებებში წარმოდგენილი იყო ტაილ კალორიმეტრის სიმულაციის პროგრამა GEANT4- ში ე.წ. “U” ფორმის ჩართვის (გათვალისწინების) მიზნით ჩატარებული გამოკვლევების შუალედური (ეტაპობრივი) შედეგები. ე.წ. “U” ფორმა გამოსახავს სცინცილატორ-ფილიდან მოხსნილი სიგნალის დამოკიდებულებას აზიმუტალურ კუთხეზე.
 7. შესწავლილია არაორგანული (NaI(Tl)-ნატრიუმის იოდდი, CsI(Tl)-ცეზიუმის იოდდი, BGO-ბისმუტის გერმანატი) და ორგანული (სტილბენი) კრისტალების დროითი და ამპლიტუდური მახასიათებლები. სცინტილაციური კრისტალების (COMET ექსპერიმენტის ECAL - ელექტრომანიტური კალორიმეტრის ძირითადი ნაწილების) თვისებები შეისწავლება კოსმიური მიონების საშუალებით. ECAL-ის დანიშნულებაა $\mu \rightarrow e$ კონვერსიაში დაბადებული ელექტრონების ენერჯის ზუსტი გაზომვა. ამის გამო ECAL-ი უნდა აიწყოს კრისტალებით, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი დროითი და ამპლიტუდური მახასიათებლები. კრისტალების შესწავლა გრძელდება.

ინსტიტუტის დირექტორი
პროფ. მიხეილ ნიორაძე

ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ ლომიძე

ინსტიტუტის სწავლული
მდივანი გელა დევიძე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

2013 წლის სამეცნიერო საქმიანობის
ამსახველი წლიური ანგარიში
(1.01.2013-31.12.2013)

სარჩევი

სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიში

❖ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება	-----	3
❖ ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილება	-----	30
❖ ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება	-----	42
❖ საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება	-----	50
❖ კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია	-----	60

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი გეოგრაფიკ. დოქტორი გიორგი ლომინაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა - 15

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მიგარიას და წყალტუბოს კირქვული მასივების კარსტის და უნიკალური მღვიმური სისტემების გამოყენების პერსპექტივები	კ. წიქარიშვილი	კ. წიქარიშვილი ნ. ბოლაშვილი ლ. ასანიძე გ. გელაძე

ანოტაცია

ინსტიტუტის სპელეოლოგიურ ჯგუფს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები გააჩნია ევროპის რიგი ქვეყნების (იტალია, ლიტვა, საფრანგეთი, ბულგარეთი და სხვ.) მონათესავე ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან. კერძოდ, მიმდინარე წლის საქსპედიციო სეზონში ლიტველ სპელეოლოგებთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო სპელეოლოგიური ექსპედიცია დასავლეთ საქართველოს კირქვულ ზოლში, კერძოდ, მიგარიას, წყალტუბო-სათაფლიასა და რაჭის კირქვულ მასივებზე. პარალელურად საგამოკვლევო სამუშაოები წარმოებდა ინსტიტუტის წლიური თემატური გეგმით გათვალისწინებული საკითხების დაზუსტებასა და შევსებაზე, კერძოდ, მიგარიას, სათაფლია-წყალტუბოსა და რაჭის კირქვულ მასივებზე არსებულ უნიკალური მღვიმური სისტემების გამოყენების პერსპექტივებზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიკორწმინდის მიდამოებში, კერძოდ რაჭის ქედის ჩრდილოური მთაგორიანი კალთის მდ. შარეულას დრმა ხეობის მარცხენა კლდოვანი ფერდობის ძირში განვითარებულ ცივწყალასა და შარეულას მღვიმეებში მოხერხდა წყლიანი სიფონური მონაკვეთების დაზვერვა.

მსგავსი დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა საწალიკის მთის ჩრდილო ფერდობზე, ადგილ ჩოლოგას ტერიტორიაზე მდებარე დოლაბისთავის, საკიშორესა და კიდობანას წყლიანი მღვიმეებშიც.

მნიშვნელოვანი სპელეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა მიგარიას კირქვული მასივის ფარგლებში მდებარე ქოს (მუხურის), შურუბუმუს და კარიერის მღვიმეების (ჩხოროწყუს რ-ნი), აგრეთვე ყვირას კირქვული მასივის (წალენჯიხის რ-ნი) სამხრეთ პერიფერიაზე ინწრას ხეობაში (მდ. მოროჟას აუზი), ასხის მასივზე, წეკელდის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე მდ. წახურის აუზის (მარტვილის რ-ნი) და სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. სახარბედიოს მიდამოებში მდებარე მეტად საინტერესო სპელეოლოგიურობიექტებში.

ამ უკანასკნელში მოხერხდა 100 მ სიგრძის და 32 მ სიღრმის დახრილი წყლიანი დერეფნის აკვალანგებით გაცურვა. მღვიმის ბოლოში ნახვავე ლოდნარის გაწმენდის შემდეგ მოსალოდნელია მღვიმის შემდგომი გაგრძელება. წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმის სიფონურ ნაწილში, კერძოდ „სანაოსნო მონაკვეთის“ მე-200 მეტრზე, დასავლეთის მიმართულებით მიკვლეულ და გავლილ იქნა

მანამდე უცნობი 70 მ სიგრძის ნახევრად დატბორილი წყლიანი გალერეა. აღნიშნული მონაკვეთი გრძელდება იმავე მიმართულებით, რომელიც შესაძლებელია მღვიმის მთავარ დერეფანს შეუერთდეს. ქართველი და ლიტველი მეკლვერების მიერ მონიშნულ მღვიმეებში წყალქვეშა სამუშაოების გაგრძელებამომავალი წლისათვის არის დაგეგმილი.

2	კახეთის მხარეში მიმდინარე ეგზოდინამიკური პროცესები და რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია	მ.გონგაძე	მ.გონგაძე გ.ლომინაძე
---	--	-----------	-------------------------

ანოტაცია

მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში დამუშავდა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში წარსადგენი პროექტი: „ღვარცოფულ მდინარეთა ჭარბი ნატანის გამოყენების პერსპექტივა (მდ.იორის მარცხენა შენაკადების მაგალითზე)“, სადაც ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობენ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის მუშაკებიც.

3	სამხრეთ საქართველოს მთიანეთის გეომორფოლოგიური დახასიათება და გეოდინამიკური პროცესების რისკი და შეფასება	ე.წერეთელი	ე.წერეთელი გ.გაფრინდაშვილი
---	---	------------	-------------------------------

ანოტაცია

საქართველოს სამხრეთ მთიანეთში ფართო გავრცელებით სარგებლობენ ისეთი ეგზოგენურ პროცესები როგორებიცაა მეწყრები, ღვარცოფები, ეროზია, კლდეზვავები, ქვათაცვენები და ტობორვები, თოვლის ზვავები, გამოფიტვა, დაჭაობება. მათი სახეები, ინტენსივობა და ჩასახვე გააქტიურება განპირობებულია სეისმოტექტონიკური, გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური მეტეოროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და ანთროპოგენური ფაქტორებით. საკვლევი ტერიტორიის გეოდინამიკურ დაძაბულობას მნიშვნელოვნად ზრდის, ის რომ, საქართველოს მთიანეთი მთლიანად მოქცეულია 8-9 ბალიანი სეისმური რისკის ზონაში, რაც უმეტეს შემთხვევაში სხვა ფაქტორებთან ერთად ეგზოგენური პროცესების ჩასახვე-გააქტიურებას მნიშვნელოვნად ზრდის. ანთროპოგენურ ფაქტორებიდან გეოლოგიური სიტუაციის გართულებაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებენ ტყეების უსისტემო და ინტენსიური გაჩეხვა, ფერდობების გადატვირთვა მძიმე ტიპის შენობ-ნაგებობებით, დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემების გაუმართაობა, უსისტემო და გადაჭარბებული მორწყვები, სიანჟინრო ობიექტების მშენებლობისას ელემენტარული სიანჟინრო გეოლოგიური მოთხოვნების უგულვებელყოფა და მოსახლეობის დაბალი ცნობიერება საშიშროების ეგზოგენური პროცესებთან მიმართებაში. საკვლევი ტერიტორიაზე დღეისათვის 200მ-მდე მეწყრულ უბანია დაფიქსირებული. ცნობილია სხვადასხვა მასშტაბის 50-მდე მდინარეთა ნაპირების გარეცხვითი უბანი, დატბორვები და შეტბორვები ძირითადად მიმდინარეობს მდ. მტკვრის ხეობაში. დაჭაობება ადგილი აქვს ჯავახეთის მთიანეთის ტბების მიმდებარე უბნებზე. ჯავახეთშივეა გავრცელებული გამოფიტვები, სოლიფლუქციური პროცესები (“კრიოგენული მეწყრები”), დატბორვები და შეტბორვები, ფართობითი ეროზია, კლდეზვავები, ქვათაცვენები და თოვლის ზვავები. საკვლევი ტერიტორიის 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი იმყოფება სხვადასხვა მასშტაბით ეგზოგენურ პროცესების რისკის ქვეშ. საველე კვლევების შედეგად შეფასდა საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული ძირითადი დასახლებულ პუნქტებში არსებული ყველა სახის ეგზოდინამიკური პროცესის არსებული მდგომარეობა.

4	ენგურის აუზის მყინვარების დინამიკის კვლევა და ენგურის აუზში მიმდინარე ეგზოგენური პროცესების დაფიქსირება და გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება	ლ. ტიელიძე	ლ. ტიელიძე გ. ლომინაძე მ. გონგაძე ლ. გადრანი ე. ავალიანი	
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ექსპედიციის განმავლობაში ენგურის აუზის მყინვარების დინამიკის გამოსაკვლევად ენის წინ გაკეთდა სპეციალური ნიშნები (მარკები). რომლის საშუალებით გამოვთვალეთ მყინვარების უკან დახევა სხვადასხვა წლებში.</p> <p>აგრეთვე მოხდა ენგურის აუზში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ეგზოგენური პროცესის GPS-ით დაფიქსირება და მათი გეოეკოლოგიური შეფასება.</p>				

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შაორის ქვაბულის კარსტის სპელეოლოგიური გამოკვლევები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ასანიძე	ლ. ასანიძე
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>გრანტის ფარგლებში, 2013 წლის ზაფხულზე, ჩატარდა ექსპედიცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რომელიც ითვალისწინებდა შაორის ქვაბულში განვითარებული კარსტული პროცესების კვლევას. (ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი -12/51, ხელმძღვანელი ლაშა ასანიძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).</p> <p>პროექტის ფარგლებში მოხდა შაორის ქვაბულში კარსტული პროცესებისა და მოვლენების კომპლექსური შესწავლა. საკვლევ ტერიტორიაზე განხორციელდა ნაკლებად შესწავლილი კარსტული პროცესების შესწავლა, მოხდა მღვიმეების მორფოლოგიურ-მორფომეტრიული პარამეტრების დადგენა, განხორციელდა მღვიმეთა შესასვლელების, კარსტული „ძაბრების“, და სხვ. გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა. მღვიმეებში (როგორც შიგნით ასევე შესასვლელებთან) განხორციელდა ეპიზოდური სპელეოკლიმატური დაკვირვებები მიწისქვეშა ჰაერის ელემენტებზე (ჰაერისა და წყლის ტემპერატურა, სინოტივე, ატმოსფერული წნევა), განხორციელდა მღვიმეების შიდა სივრცეების გაზომვა-გამოთვლა (სიგრძე-სიგანე-სიმაღლე).</p> <p>პროექტის ფარგლებში შეიქმნა შაორის ქვაბულის კარსტული რელიეფის ციფრული მოდელი. მასში გამოყენებული მიდგომები და კარტოგრაფიული ხერხები გამოყენებულ იქნება საქართველოს სხვა კირქვული მასივების მოდელის შესაქმნელად, ასევე მომზადდა ერთი სამეცნიერო სტატია.</p> <p>მეორე საანგარიშო პერიოდში, გრანტის ფარგლებში ვიზუალური იტალიაში, ქალაქ ბარში, სადაც შევხვდი უცხოელ კოლეგებს და მოხდა პრეზენტაციის მოწეობა და ინფორმაციის გაცვლა. მივიღე მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები, რასაც აუცილებლად გამოვიყენებ შემდგომში საქართველოში კარსტული პროცესების გამოკვლევისათვის.</p>				

მივლინების დროს, უცხოელი კოლეგების ინიციატივით მოეწყო 3 დღიანი ექსპედიცია „აპულიას“ რეგიონში და დაგათვალიერეთ რეგიონში არსებული ყველა მნიშვნელოვანი კარსტული ობიექტი. ასევე ვიმყოფებოდი ცნობილ კასტელანას მღვიმეში, რომელიც უდიდესია აღნიშნულ რეგიონში. მღვიმის ჯამური სიგრძე 3 კილომეტრზე მეტია და ყოველდღიურად უამრავ დამთვალიერებელს იზიდავს.

უცხოელი კოლეგების მხრიდან გამოითქვა სურვილი სამომავლოდ საქართველოში ვიზიტისა და ერთობლივი კვლევების ჩატარების შესახებ.

2	მდინარე თერგის აუზის მყინვარების კვლევა თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე, პალეოგლაციოლოგიური და პალეოგეომორფოლოგიური რეკონსტრუქციები გვიან პლეისტოცენსა და პოლოცენში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ტიელიძე	ლ.ტიელიძე გ. ლაცაბიძე
---	--	---	------------	--------------------------

ანოტაცია

კვლევის შედეგად აღვადგინეთ პალეოგლაციოლოგიური და პალეოგეომორფოლოგიური სიტუაციები მდ. თერგის აუზში. შევქმენით აღნიშნული რელიეფის ციფრული სამ განზომილებიანი მოდელები, როდითა საშუალებით მოხდება ძველი მყინვარების გავრცელების არელების დაზუსტება. პროექტის განხორციელების შედეგად ჩატარდა მდ. თერგის აუზის მყინვარების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და ზუსტი რაოდენობის და ფართობის განსაზღვრა. მოხდა მყინვარების ენების ზუსტი სიმაღლეების დადგენა, მორფოლოგიური ტიპების, გლაციოლოგიური პარამეტრების და ექსპოზიციის განსაზღვრა.

პროექტის შედეგად აგრეთვე მოხდა აეროფოტომასალების და ტოპოგრაფიული რუკების ციფრულ ფორმატში გადაყვანა და მათი შედარება თანამედროვე სიტუაციასთან. ასევე პროექტის მუშაობის პერიოდში გაკეთდა მდინარის აუზში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების და მოვლენების მონაცემთა ბაზა და დატანილ იქნა რელიეფის ციფრულ მოდელებზე.

3	საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის	გაეროს განვითარების ორგანიზაცია საქართველოში	მ.შვანგირაძე	ვ. გელაძე ლ. ტიელიძე ნ. ლომიძე
---	--	--	--------------	--------------------------------------

ანოტაცია

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მდ. ენგურის აუზის მყინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური შესწავლა, მყინვარ ჭალაათის მასის ბალანსის დამუშავება, მდ.ენგურის აუზის მყინვარებისა და ჩამონადენის რეჟიმის შეფასება კლიმატის მომავლი ცვლილების მიმართ.

4	მდინარეების ძამა, ტანა, თეძამის აუზების გეოინფორმაციული	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ციცავი	მ. ციცავი
---	---	---	-----------	-----------

	<p>სისტემების შექმნა გარემოსა და სოციალურ პროცესებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზისთვის</p>			
--	--	--	--	--

ანოტაცია

პროექტის ფრაგლებში შეიქმნა მდინარეების ძამა, ტანა, თეძამის აუზების ციფრული მოდელი, სადაც განთავსდა მრავალმხრივი ინფორმაცია საკვლევ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. პირველ პერიოდში მოხდა არსებული მასალების კამერალური დამუშავება, რისთვისაც გამოვიყენეთ მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკები (1:25 000 და 1: 50 000), პროგრამა რც აპ -ში შეიქმნა თემატური ფენები, სადაც განთავსდა ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტების შესახებ. მეორე ეტაპს წარმოადგენდა სავსე სამუშაოები. მოეწყო ექსპედიციები სამივე მდინარის აუზში. ველზე GPS-ით მოხდა გეოგრაფიული და ტურისტული ობიექტების კოორდინატების აღება, მათ შორის იმ ძეგლებისა, რომლებიც მშენებლობის პროცესშია. დავაზუსტეთ დასახლებული პუნქტების სახელწოდებები.

სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყო არსებული ციფრული მოდელის შევსება ველზე მიღებული ინფორმაციით. გეოგრაფიული ობიექტების მონაცემთა ბაზაში შევიყვანეთ ინფორმაცია: გეოგრაფიული სახელწოდება, მდებარეობა ინდექსთა და საკოორდინატო ბადეზე (გრძედი და განედი), პარამეტრები (სიმაღლე ზღვის დონიდან, სიგრძე, ფართობი.) ციფრულ მოდელზე განთავსდა ყველა არქიტექტურული ძეგლი, რომელთათვისაც შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული ბაზა (სახელწოდება, სტატუსი, გეოგრაფიული მდებარეობა ინდექსთა და საკოორდინატო ბადეზე (გრძედი, განედი) ზღ. დ. სიმაღლე. გარდა ამისა დაუშვათ ლიტერატურულ წყაროებში არსებული საინტერესო ფაქტები და შესაბამისი ფოტოები. დასახლებული პუნქტების შემთხვევაში მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შევიტანეთ დაზუსტებული სახელწოდება, სტატუსი (საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე აღნიშნული ბევრი სოფელი ახლა უკვე ნასოფლარია), მოსახლეობის რაოდენობა (2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები) აღნიშნული მოდელის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი თემატური რუკების მომზადება საჭიროებისამებრ და ასევე გამოყენებული იქნება შიდა ქართლის ზოგადგეოგრაფიული რუკის მომზადებისას.

5	<p>კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები-დაცვა და რაციონალური გამოყენება</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>დ. კერესელიძე</p>	<p>გ. დვალაშვილი</p>
---	---	--	----------------------	----------------------

ანოტაცია

ჭარბტენიანი ტერიტორიების შესწავლა და დაცვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც პრობლემატურ საკითხთა რიგშია შეტანილი. სწორედ ამ პრობლემის გარშემო გაერთიანდა 1971 წელს საერთაშორისო საზოგადოება ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ მიღებული რამსარის კონვენციით. 1997 წლიდან კონვენციას კოლხეთის დაბლობზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიც მიუერთდა და მათ მსოფლიო მნიშვნელობის ჭაობების სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტით ხაზი გაესვა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობას.

კოლხეთის ტერიტორიაზე კომპლექსური კვლევების წარმოება ამ ტერიტორიის საკმაოდ დიდი ფართობის გამო ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მაშინდელი მელიორაციული ღონისძიებები შეიცავდა არასწორი მენეჯმენტის ელემენტებს სამუშაოთა დაპროექტების მხრივ, ბუნებრივ პირობებზე დაკვირვებების სტატისტიკური მონაცემები გროვდებოდა დასახლებულ

პუნქტებში მოწყობილი სადგურების მეშვეობით, მათგან მოშორებით კი არა. ამიტომ ეს პარამეტრები სრულად მაინც ვერ ასახავდა ამ ტერიტორიაზე დაჭაობების გამომწვევი ფაქტორების წარმოქმნის ზუსტ მიზეზებს. შესაბამისად, 1990 წლამდე მიღებულ დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით რთულია მეცნიერულად დადასტურებული დასკვნების გამოტანა. იმავდროულად ტარდებოდა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის გაზრდისკენ მიმართული სამუშაოები ჭაობების დაშრობის გზით. ამ მეთოდით მიდგომამ კი რიგ შემთხვევებში აუნაზღაურებელი სტიქიური მოვლენები გამოიწვია.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. წიქარიშვილი ნ. ბოლაშვილი	საქართველოს კარსტული მღვიმეები (მოკლე ცნობარი)	თსუ-ს გამომცემლობა	158 გვ.
ანოტაცია				
<p>საქართველოს კარსტული მღვიმეების მოკლე ცნობარში შესულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიდი თუ პატარა კარსტული ობიექტის (მღვიმე, უფსკრული, შახტი, ჭა და სხვ.) სახელწოდებანი მოკლე მონაცემებით, სულ 1355 ერთეული. ერთი და იგივე სახელწოდება ხშირად რამდენიმე სპელეობიექტს აქვს მიკუთვნებული. ასეთ შემთხვევაში სახელწოდებას მითითებული აქვს სათანადო დასახლებული პუნქტი. როდესაც მღვიმე რამდენიმე სახელით არის ცნობილი, ცნობარში ნაჩვენებია ყველა სახელი ერთად. მაგ., აღმაგალი (ახალი ათონის „ძველი“, სტალაქტიტური, ფსირცხის) მღვიმე და ა.შ. წიგნში შესულია აგრეთვე მღვიმეთა ქართული კუთხური (მეგრული, აფხაზური) სახელწოდებებიც.</p>				
2	ლევან ტიელიძე	თბილისის ატლასი-ცნობარი	თბილისი, ს.ს. „კარტოგრაფია“	105 გვ.
ანოტაცია				
<p>გამოცემაში ასახულია თბილისის ქუჩების ადგილმდებარეობა, ისტორია, არქიტექტურული სახე და ღირსშესანიშნაობანი. წიგნს თან ახლავს სახელმძღვანელო ობიექტების სია, 31 სქემატური რუკა თავის საძიებლით.</p>				
3	გ. დვალაშვილი	სახხერე და ჭიათურა	გამომცემლობა „თბილისი“	368 გვ.
ანოტაცია				
<p>წიგნში განხილულია სახხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტები: ქალაქები სახხერე და ჭიათურა, აგრეთვე სახხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში 27 ტერიტორიულ მართვის ორგანოში გაერთიანებული 115 სოფელი. რეგიონში მრავლადაა ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტი, აქ უამრავი მღვიმე-გამოქვაბულია. თავისი ბუნებრივი ეგზოტიკით გამოირჩევიან: მდ. მდ. ყვირილას, ჯრუჭულას, კაცხურას, ბუჯისა და საძალიხევის აუზში არსებული მღვიმეები. ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები: სვერის, კაცხის, ითხვისის, მოღინახეს, თოდაძის, ნავარძეთის ციხე-სიმაგრეები, სავანის, ქორეთის, ეხვევის, სარეკის, გორისას, კორბოულის, კაცხის, პერევისის, ითხვისის, მღვიმევის, დარკვეთის ეკლესია-მონასტრები, კაცხის ბუნებრივ-კირქეული სვეტი. მრავლად არის მდინარეები: საძალიხევი, ჯრუჭულა, ჩიხურა, შუშა, დებურა, ძირულა, ბუჯა, ყვირილა, დუმალა, ციხისწყალი, კაცხურა, წილთოსწყალი, ჭერულა, თაბაგრებისწყალი. ეგზოტიკური ტბები: სოფელ ხრეთში არსებული ტბა – შემორევა, სოფელ რგანში ნაბარდების ტბა, ვულკანური წარმოშობის ტბა სოფ. პერევისაში, აგრეთვე დევის</p>				

ტბა. მუნიციპალიტეტები აგრეთვე მდიდარია ფლორითა და ფაუნით.

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ.გობეჯიშვილი ე.წერეთელი, გ. დვალაშვილი და სხვ.	დედამიწისმცოდნეობა (სალექციო კურსი)	თსუ-ს გამომცემლობა	250გვ.
ანოტაცია				
სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრიატის გეოგრაფიისა და ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის და მასში განხილულია დედამიწისმცოდნეობის როგორც მეცნიერული დარგის საგანი, კვლევის ობიექტი და ამოცანები, გეოგრაფიული გარსის ფორმირების პირობები, გეოგრაფიული გარსის სტრუქტურა და მისი შემადგენელი სფეროები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.დვალაშვილი გ.მელაძე და სხვ.	საქართველო – ჩვენი ფასეულობები, I ტომი. ბუნება.	გამომც.“პალიტრა”	296 გვ.
ანოტაცია				
<p>ნ. ელიზბარაშვილი, ლ. მაჭავარიანი, დ. ნიკოლაიშვილი, გ. მელაძე, გ. დვალაშვილი. საქართველო – ჩვენი ფასეულობები, I ტომი. ბუნება. გამომც.“პალიტრა “, თბილისი, 2013, 296 გვ.</p> <p>სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ნებითა და ლოცვა-კურთხევით მომზადდა წიგნები განსაკუთრებული სერია – „ჩვენი ფასეულობები“, რომლის თითოეული ტომი ქართული საუნჯის თავმოყრასა და წარმოჩენას ისახავს მიზნად.</p> <p>ქვეყნის ბუნება ერის თვითმყოფადობას, ეროვნული ხასიათს აყალიბებს და განსაზღვრავს, ამავე დროს ის ღვთისგან ბოძებული საგანძურია, თითოეულ ჩვენგანის კუთვნილებაა. წიგნი – საქართველოს ბუნება – ქართველი მეცნიერების მრავალწლიანი შრომის შედეგია. გამოცემაში აღწერილი მრავალი გეოგრაფიული ობიექტი, საქართველოს ბუნებრივი პირობები და ღირსშესანიშნაობები, დაცული ტერიტორიები და მაღალმთიანი სოფლები. წიგნის უნიკალური ფოტომასალა ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვან ბუნებას, მის ლანდშაფტებსა და თვალწარმტაც ხედებს აცოცხლებს.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ლომინაძე, ი. გელოვანი	შავი ზღვა “საქართველოს გეოგრაფია”	კოლექტიური მონოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013,	გვ 98-109
<p>ანოტაცია</p> <p>შავი ზღვა, როგორც ხმელთაშუაზღვის ნაწილი, გეოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან. მისი სისტემურ -მეთოდური კვლევა მე-19 საუკუნიდან დაიწყო. შავი ზღვა ტიპური შიდა ზღვაა, მის მოხაზულობას ქმნის: დასავლეთით – ბალკანეთის ნახევარ კუნძულის აღმოსავლეთი კიდე, აღმოსავლეთით – კავკასიის მთები და კოლხეთის დაბლობი, ჩრდილო –აღმოსავლეთით აღმოსავლეთ ევროპის ვაკე და სამხრეთით – მცირე აზიის მთები. ზღვის სანაპირო ხაზის სიგრძე სხვა და სხვა ავტორის მიხედვით შეადგენს 4020-4100 კმ-ს.</p>					
2	რ.გობეჯიშვილი, ე.წერეთელი	რელიეფი “საქართველოს გეოგრაფია”	კოლექტიური მონოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013	გვ.70-80
<p>ანოტაცია</p> <p>საქართველოს რელიეფი ხასიათდება მრავალფეროვანი და რთული მორფოლოგიით, მორფომეტრიით და მორფოგრაფიით. რელიეფის სირთულე მისი გეოტექტონიკური ბუნებიდან გამომდინარეობს, ხოლო მრავალფეროვან ნე ბა – რელიეფის სიმაღლითი ზონალობიდან და ეგ ზოდინამიკური პროცესების თავისებურებებიდან ენდოგენური და ეგ ზოგენური პროცესების ურთიერთმოქმედებამ განაპირობა ძირითადი მორფოსტრუქტურული ზონების (ერთეულების) გამოყოფა: I. კავკასიონის ქედის საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის ზონა; II. მთათაშორისი ბარის ზონა; III. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ზონა.</p>					

3	გ. ლომინაძე, ე. წერეთელი, მ. გაფრინდაშვილი, მ. გონგაძე, ბ. გაფრინდაშვილი	ღვარცოფული მოვლენების რეგულირებისა და მათი წარმონაქმნების მრავალმხრივი გამოყენების საკითხი ცივ-გომბორის მოლასური ნალექების მაგალითზე (აღმოსავლეთ საქართველო).	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის გეოგრაფიის ინსტიტუტი. – შრომების კრებული, ახალი სერია №5 [84],	თბილისი	გვ. 34-38
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ღვარცოფგამტარი ეროზიული ხეობების რაოდენობით, ღვარცოფების ჩამოყალიბების პეტროგენულობით, მოვლენების სიხშირით, მოსახლეობისა და მეურნეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალით, საქართველო მიეკუთვნება მთიანი მხარეების ერთ-ერთ ურთულეს რეგიონს.</p> <p>განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცივ-გომბორის მოლასურ ნალექებში ფორმირებული ღვარცოფები, რომელთაც ტერიტორიის დაზიანებადობის ხარისხის, განმეორებადობის, მოსახლეობასა და მეურნეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მიხედვით ანალოგი არ მოეპოვება სამხრეთ კავკასიაში. იორ-ალაზნის მთავარი წყალგამყოფი ქედის კალთების ყველა მდინარე და ხევი ღვარცოფგამტარია, ხოლო ქედის ძირში ღვარცოფების ძველ გამოზიდვის კონუსებზე განაშენიანებული სოფლების 70%-მდე იმყოფებიან მაღალი საშიშროების რისკის ქვეშ.</p> <p>ბოლო პერიოდში ღვარცოფულმა მოვლენებმა ისეთი მასშტაბები მიიღო და მათი განმეორებადობა იმდენად გაიზარდა და არაპროგნოზირებადი გახდა, რომ საქართველოს ეს მხარე მოექცა ღვარცოფების წარმოქმნის უმაღლესი რისკის კატეგორიაში (Ks-0.8-1.0).</p> <p>ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ცივ-გომბორის ქედის სამხრული კალთა, რომლის დიდი დახრილობის (45-60⁰-დან 80-90⁰-მდე ფლატეებით) რელიეფი ინტენსიურად არის დანაწევრებული მდ. იორის მარჯვენა შენაკადებით, რომელთა მაროსებურად გაშლილი სათავეები ტიპური ბედლენდური დანაწევრების ეროზიულ-გრავიტაციული მორფოლოგიით ხასიათდება (იხ. ფოტო 1). განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ქედის თხემისპირა ზონის ეროზიულ-გრავიტაციული და რეგრესული დენუდაციური პროცესები, რაც ღვარცოფულ კერებში ნაშალი მინერალური მასის ოპტიმალური ფორმირების გარემოს ქმნის. თუ ღვარცოფულ კერებში მოდის თავსხმა წვიმები დღე-ღამეში 30-50 მმ-ის დიაპაზონში, წარმოიქმნება ღვარცოფული ნაკადების ფორმირების პირობები, ხოლო 50-80 მმ ნალექების მოსვლის შემთხვევაში ყველა მდინარეში ადგილი აქვს ღვარცოფების ექსტრემალურ ტრანსფორმაციას.</p>					

4	გ. ლომინაძე, ი. პაპაშვილი, ს. ხორავა	კახაბერის ვაკის ზღვის სანაპირო ზონის თანამედროვე განვითარება	ახალი სერია №5 (84),	თბილისი	გვ 39-43
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ქ. ბათუმის მიმდებარე შავი ზღვის სანაპირო ზონა ამჟამად მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს განიცდის. მაგ.: ჭოროხი-ბათუმის კონცხის 8 კმ სანაპირო ზოლის 5,6 კმ ანუ 70 % ირეცხება და შესაბამისად, უკან იხევს ხმელეთის მიმართულებით. ეს მოვლენები სისტემაში – მდ. ჭოროხი-კახაბერის ვაკე – განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორების ცვლილებების გამო კახაბერის აკუმულაციური ვაკის მეოთხეული ნალექების დასტა თითქმის მთლიანად მდ. ჭოროხის ალუვიონით და ლაგუნური გენეზისის ჭაობური დანალექი შრეებითაა წარმოდგენილი.</p> <p>შავი ზღვის სანაპირო ზოლი თავის მოხაზულობას მდ. ჭოროხის ნატანის განაწილების მიხედვით იცვლიდა, მაგრამ ამ ნატანის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის არ მონაწილეობდა სანაპირო ზონის აკუმულაციურ პროცესებში. მდინარეული ნატანის ძირითადი ნაწილი გრავიტაციული პროცესების შედეგად წყალქვეშა კანიონების დიდ სიღრმეებზე ინაცვლებდა. კახაბერის ვაკის წყალქვეშა ფერდის ძირითადი დახრილობა არც თუ ისე დიდია და 0.006 შეადგენს. წყალქვეშა ფერდის რელიეფი რთულდება მდ. ჭოროხის დღევანდელ შესართავთან და ბათუმის კონცხთან. იქ ნაპირის ხაზთან ახლოსაა განლაგებული ჭოროხისა და ბათუმის წყალქვეშა კანიონების სათავეები, სადაც ფსკერის დახრილობა 15°-30° აღწევს. ამ ადგილებში მდ. ჭოროხის ნატანის უდიდესი ნაწილი დიდ სიღრმეებზე გადაინაცვლებს.</p> <p>შედარებით ნელი პროცესია ზღვის დონის საუკუნოვანი მერყეობა და მისი სიჩქარე 3-10 მმ/წლ დიაპაზონის ფარგლებში იცვლებოდა. კახაბერის ვაკის ზედაპირის, წყალქვეშა ფერდისა და პლაჟური ზოლის კომპენსაციური აკუმულაციისათვის ზღვის დონის სწრაფი აწევის პირობებში წელიწადში მაქსიმუმ 0.5 მლნ. მ³-ია საჭირო.</p>					
5	ე. წერეთელი, ნ.ბოლაშვილი, მ. რ.გობეჯიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, გ. ლომინაძე, გაფრინდაშვილი	საქართველოს შავი ზღვის მდინარეთა აუზების ჰიდროლოგიურ-გეოლოგიური კატასტროფების არსებული მდგომარეობა და საშიშროების რეალობა კლიმატის გლობალური ცვლილებების საერთო ფონზე	ახალი სერია №5 (84),	თბილისი	გვ. 28-33
ანოტაცია					

წყალდიდობებით და განსაკუთრებით გეოლოგიური სტიქიით მიყენებული ნეგატიური შედეგები დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში მცხოვრები მოსახლეობისათვის და მათი ინფრასტრუქტურისადმი განუსაზღვრელად დიდია. მათი საშიშროების რისკის არეალში მოქცეულია საერთო ფართობის 43%-მდე, 2000-მდე დასახლებული პუნქტით. სტატიაში შეფასებულია წყალდიდობებისა და გეოლოგიური სტიქიის მაფორმირებელი მთავარი ფაქტორები ფაქტორები. მათგან თუ კოლხეთის ბარის ზონაში განსაკუთრებულ საშიშროებას იძენს დატბორვები, მდინარეთა ნაპირების ეროზიული გარეცხვა და სანაპირო მეწყრები, მთიანეთში დომინირებს ღვარცოფები და წყალმოვარდნები, მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენები და თოვლ-მყინვარების ჩამოქცევა. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფებისაგან დაცვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ამ სტიქიური მოვლენების წარმოქმნის შემცირების დაბალი დონე, მათი სივრცესა და დროში გააქტიურების ისტორიული ინფორმაციის არასრული ანალიზი და აქედან გამომდინარე ადრეული შეტყობინების საიმედო სისტემის არარსებობა.

6	<p>ო. ლანჩავა კ. წიქარიშვილი</p>	<p>წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმის ბუნებრივი კლიმატის შენარჩუნების აუცილებლობა მისი ექსპლუატაციის პირობებში. „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები</p>	<p>ახალი სერია №5 (84),</p>	<p>თბილისი</p>	<p>გვ 170-173</p>
---	--------------------------------------	--	-----------------------------	----------------	-------------------

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია წყალტუბოს მღვიმეში ექსპერიმენტული დაკვირვებების შედეგები სპელეოკლიმატური პარამეტრების ცვალებადობაზე, რომლებიც შესრულებულია როგორც მღვიმის კეთილმოწყობამდე, ისე კეთილმოწყობის სამუშაოების დათავრების შემდეგ. დადგენილია, რომ წყალტუბოს მღვიმე მიეკუთვნება ხანდაზმულ მღვიმეთა რიცხვს, ბუნებრივი ჰაერცვლის პირობებიდან გამომდინარე კი – ელიტურ, ანუ ისეთ მღვიმეთა რიცხვს, რომელშიც ერთდროულად ექსკურსანტთა შეზღუდული რაოდენობის დაშვებაა შესაძლებელი. გაანგარიშების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანებისათვის კომფორტული სუნთქვის უზრუნველსაყოფად წელიწადში ექსკურსანტთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 65 ათასს, მაქსიმუმი მოდის იანვარზე – 7000, ხოლო მინიმუმი აპრილზე – 2700. ექსკურსანტთა აღნიშნული რაოდენობაც არსებითად შეცვლის სპელეოკლიმატურ პარამეტრებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც არასასურველი მოვლენაა.

7	გ.დვალაშვილი ს.ყვავაძე	ანთროპოგენური ფაქტორის გავლენა კოლხეთის დაბლობის სანაპირო ზოლზე, კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები-დაცვა და რაციონალური გამოყენება	ახალი სერია №5 (84),	თბილისი 2013,	გვ 98-109
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ზღვის ნაპირის განვითარების პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი დახრილობა და ზღვის სიღრმე, ქანების შემადგენლობა და სიმტკიცე, ტექტონიკური მოძრაობების ხასიათი, სანაპირო ხაზის კონტურის კონფიგურაცია და ა.შ. ატმოსფერული ზემოქმედება ქარისმიერი ტალღების წარმოქმნით გამოიხატება, თუმცა ქვიშიან სანაპიროებზე ისინი თვითონ ქმნიან სანაპირო ფორმებს ზვინულებისა და დიუნების სახით. სხვა გარე ფაქტორებს (ეგზოგენური) ატმოსფერული ნალექები, მოქცევების, ყინულის, მდინარის მყარი ნატანის მოქმედება და სხვადასხვა ბიოგენური ფაქტორები წარმოადგენენ. ნაპირების ხანგრძლივი განვითარების პროცესში (ეგოლუცია), ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შიდა (ენდოგენურ) ფაქტორებს, ძირითადად დედამიწის ქერქის შედარებით ნელ, ვერტიკალურ მოძრაობას და მსოფლიო ოკეანის წყლის მოცულობის ცვლილებას (დონის ევსტატური რყევა).</p>					
8	მ. ტატიშვილი, ნ. ბოლაშვილი, ი. მკურნალიძე	კლიმატი და მისი ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები/სქართველო ს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები	ტ.№19	თბილისი	გვ. 38-43
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>კლიმატის ცვალებადობის მიზეზებს იკვლევენ ორი მიმართულებით: ბუნებრივი და ანთროპოგენური. ბევრი კლიმატოლოგი დარწმუნებულია, რომ კლიმატის ამჟამინდელი ცვლილება პირდაპირაა დაკავშირებული მზის აქტივობასთან, რომელიც განსაზღვრავს დედამიწაზე ღრუბლიანობასა და ტემპერატურას. მზის აქტივობის ცვლილების დროითი მასშტაბი მოიცავს 27 დღიდან 11, 22, 80, 180 და მეტ წლებს. მას შემდეგ, რაც თანამგზავრული დაკვირვებებიტ დადგინდა, რომ მზის მუდმივა ცვალებადია, შწიქმნა ფენომენოლოგიური რეგრესიული მოდელები მზის რადიაციის ცვლილების შეფასებისათვის გასული ათწლეულებისა და საუკუნეებისათვის. შედეგებიდან ცხადი გახდა, რომ კლიმატის ცვლილებაში, მზის წვლილთან შედარებით სათბური აირების როლი გადაფასებულია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მზე შედის აქტივობის შემცირების ფაზაში, რაც მომავალი 30 წლის განმავლობაში აცივებას გამოიწვევს.</p>					
9	ბოლაშვილი ნ. წერეთელი ე.	შავი ზღვის აუზის მდინარეების	ახალი სერია	თბილისი	გვ. 28-33

	გობეჯიშვილი რ. გაფრინდაშვილი ი. გ. და სხვ.	ჰიდროლოგიურ-გეოლოგიური კატასტროფების არსებული მდგომარეობა კლიმატის ცვლილების ფონზე/ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული	№5(84)		
--	--	--	--------	--	--

ანოტაცია

წყალდიდობებით და განსაკუთრებით გეოლოგიური სტიქიით მიყენებული უარყოფითი შედეგები დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში მცხოვრები მოსახლეობისათვის და მათი ინფრასტრუქტურისათვის განუსაზღვრელად დიდია. მათი საშიშროების რისკის არეალში მოქცეულია საერთო ფართობის 43% 2000-მდე დასახლებული პუნქტით. სტატიაში შეფასებულია წყალდიდობებისა და გეოლოგიური სტიქიის მაფორმირებელი მთავარი ფაქტორები. მათგან, თუ კოლხეთის დაბლობის ზონაში განსაკუთრებულ საშიშროებას იძენს დატბორვები, მდინარეთა ნაპირების ეროზიული გარეცხვა და სანაპირო მეწყრები, მთიანეთში დომინირებს ღვარცოფები და წყალმოვარდნები, მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენები და თოვლ-მყინვარების ჩამოქცევა. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფებისაგან დაცვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ამ სტიქიური მოვლენების წარმოქმნის შემეცნების დაბალი დონე, მათი სივრცესა და დროში გააქტიურების ისტორიული ინფორმაციის არასრული ანალიზი და აქედან გამომდინარე, ადრეული შეტყობინების საიმედო სისტემის არარსებობა.

10	ბოლაშვილი ნ., ღლონტი ნ.	საქართველოში კლიმატის ცვლილების გამოკვლევები გეოგრაფიის და გეოფიზიკის ინსტიტუტების საერთო ნაშრომებში/ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული	ახალი სერია №5(84)	თბილისი	გვ. 145-151
----	-------------------------	--	--------------------	---------	-------------

ანოტაცია

გამოკვლევულია ატმოსფეროში აეროზოლური დაბინძურების, ღრუბლიანობის, ნისლების, ოზონის საერთო რაოდენობის და სხვ. მრავალწლიანი დინამიკა; შესწავლილია ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების ზეგავლენა მზის რადიაციის, ღრუბლიანობის, ნისლების და სხვ. ცვალებადობაზე. შეფასებულია კლიმატის ზოგიერთი ელემენტების მოსალოდნელი ცვლილება. გათვალისწინებულია აღნიშნული ერთობლივი გამოკვლევების გაგრძელება და აგრეთვე ძაღების გაერთიანება ახალი სამეცნიერო და გამოყენებითი მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად.

11	წერეთელი ემ. ქუცნაშვილი ო. გაფრინდაშვილი მ. გაფრინდაშვილი მ. გ. დონაძე ც.	საქართველოში მეწერულ-გრაფიტაციული მოვლენების საერთო მდგომარეობა და მათი განვითარების მასშტაბების რისკი კლიმატის ცვლილებისა და მიწისძვრების გააქტიურების საერთო ფონზე	I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კავკასიის აქტიური ტექტონიკა, მაგმატიზმი-ბუნებრივი საფრთხეები და რესურსების შრომათა კრებული,	თბილისი, 2013	გვ. 45-55
----	---	--	--	---------------	-----------

ანოტაცია

საქართველო მრავალკრიტერიუმისანი გეოლოგიური კატასტროფების (მეწერები, ღვარცოფები, წყალდიდობები და ეროზიული პროცესები, თოვლის ზვაგები, მიწისძვრები და სხვა) განვითარების მასშტაბებით, მოწვევადობით, განმეორებადობის სიხშირით და ქვეყნის მოსახლეობისა და ეკონომიკისადმი მათგან მიყენებული ნეგატიური შედეგებით მსოფლიოს მთიან ქვეყნებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია. ევზოგენური გეოლოგიური სტიქიის საშიშროების არეალში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 70%-მდე, 3000-მდე დასახლებული პუნქტით, ხოლო 7-9 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების საშიშროების რისკის ქვეშ იმყოფება თითქმის მთლიანად საქართველო, რომელთა ზემოქმედება პირდაპირ ირეკლება მეწერულ-გრაფიტაციული და ღვარცოფული მოვლენების სტიმულირება-პროვოცირებაზე.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 53 ათასამდე მეწერულ-გრაფიტაციული სხეული და მათი წარმოქმნის სარისკო უბანი, 3000-მდე ღვარცოფტრანსფორმირებადი წყალსადინარი, 5000-მდე თოვლის ზვავის პერიოდულად ჩამოსვლის ადგილი და ზღვისა და მდინარეთა ნაპირების გარეცხვის 1000-ზე მეტი უბანი 1500კმ საერთო სიგრძით.

არასრული მონაცემებით ბოლო 45 წლის მანძილზე ეკომიგრანტების სახით გაყვანილი იქნა 60 000-მდე ოჯახი, დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი, საბრუნავი ფონდიდან ამოვარდა 1,5მლნ ჰა მიწის ფართობი და საერთო ზარალმა 12,5მლრდ დოლარს გადააჭარბა. სტიქიური პროცესებით განპირობებული გეოეკოლოგიური კატაკლიზმების და ეკონომიკური ზარალის, ადამიანთა მსხვერპლის და ეკომიგრანტების 80%-ზე მეტი მთაზე მოდის.

საქართველოში XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან აღინიშნება გეოლოგიური სტიქიის მნიშვნელოვანი გააქტიურება და მათი ექსტრემალური რეაქტივაციის ინტერვალების მნიშვნელოვანი შემოკლება. ამის მთავარი მიზეზი პირველ ყოვლისა, უკიდურესად სენსიტიური გეოლოგიური გარემოს საერთო ფონზე, არის: 1. კლიმატის გლობალური ცვლილებებით გამოწვეული გეოლოგიური პროცესების მაპროვოცირებელი უარყოფითი მეტეოროლოგიური ელემენტების გაზრდა-გახშირება; 2. მაღალი ინტენსივობის მიწისძვრების გახშირება კავკასია-პონტიდების რეგიონში; 3. ადამიანის საქმიანობის მაღალი პრესინგი გეოგრაფიულ გარემოში და მისი ბალანსური წონასწორობის მკვეთრი დარღვევა; 4. სტიქიის საშიშროების შეცნობისადმი საზოგადოების მზადყოფნის დაბალი დონე და პასუხისმგებელი პირების არასაკმარისი ინფორმირება მოსალოდნელი კატასტროფების შესახებ. რაც გამოიხატება წინასწარი გაფრთხილების სისტემის

<p>არასრულყოფილებაში. გეოლოგიური სტიქიისგან მოსახლეობის დაცვისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირების საიმედო გარანტს წარმოადგენს კარგად ორგანიზებული მონიტორინგული კვლევები კონტროლითა და შეფასებით დაწესებული, პროგნოზით და მართვის სისტემით დამთავრებული.</p>					
12	რ.გობეჯიშვილი, ლ. ტიელიძე, ლ. გადრანი, გ. ლაცაბიძე, რ. კუმლაძე	მდ. თერგის აუზის მყინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური კვლევა და გამყინვარების ევოლუცია პლეისტოცენში თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული	ახალი სერია №5(84)	თბილისი, თსუ	გვ. 44-47
<p>ანოტაცია სტატიაში მოცემულია მდ. თერგის აუზის მყინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური კვლევის შედეგები. თერგის მყინვარებზე უწყვეტი კვლევები მიმდინარეობდა 2005 წლიდან. განხილულია მყინვარების, განსაკუთრებით გერგეთის დინამიკა ბოლო ათწლეულებში. აგრეთვე მოცემულია მდ. თერგის აუზის ზედა პლეისტოცენური გამყინვარების ძირითადი კერები. ასევე განხილულია თანამედროვე და ვიურმული პერიოდის ფირნის და თოვლის სახეების მდებარეობა.</p>					
13	ე.წერეთელი გ.გაფრინდაშვილი	ქ.თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური პირობების რუკა			კედლის რუკა
<p>ანოტაცია რუკის შესადგენად გამოყენებული იქნა: დ. პაპავას გეოლოგიური რუკა (მ. 1:25000), გ. ჯაფარიძის და თ. ბიჭაშვილის თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური რუკები (მ. 1:10000 და 1:25000), ასევე “საქგეოლოგიისა” და გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ სხვადასხვა წლებში ჩატარებული სპეციალური საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური კვლევების მასალები.</p>					
14	ლევან ტიელიძე, რამინ გობეჯიშვილი, აღექსანდრე ჯავახიშვილი	საქართველოს პოლიტიკურ ადმინისტრაციული რუკა მასშტაბი 1 : 600 000, 1 : 500 000		თბილისი, ს.ს. „კარტოგრაფია“	კედლის რუკა
15	რამინ გობეჯიშვილი, ლევან ტიელიძე,	საქართველოს ფიზიკური რუკა მასშტაბი 1 : 500 000		თბილისი, ს.ს. „კარტოგრაფია“	კედლის რუკა

<p>ალექსანდრე ჯავახიშვილი</p>					
<p style="text-align: center;">ანოტაციები</p> <p>საქართველოს ახალი ფიზიკური და პოლიტიკურ ადმინისტრაციული რუკები, თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტში უახლეს კომპიუტერულ პროგრამებში თანამედროვე მონაცემების დამუშავების საფუძველზე შეიქმნა, რაც მათ მეცნიერულ ღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. ახალი რუკები შინაარსით, ინფორმაციის მიწოდების სტილით და დიზაინით განსხვავდება წინა გამოცემის რუკებისაგან.</p>					
<p>16</p>	<p>გ. დვალაშვილი, ზ. გულაშვილი, ე. ალექსანდრია, ს. ყვავაძე</p>	<p>კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ფოთი-ქობულეთის მიკროუბნის ბუნებრივი ფაქტორების შეფასება</p>	<p>ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია № 5 (84)</p>	<p>თბილისი თსუ-ს გამომცემლობა</p>	<p>გვ. 100-107</p>
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ჭარბტენიანი ტერიტორიების შესწავლა და დაცვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც პრობლემატურ საკითხთა რიგშია შეტანილი. სწორედ ამ პრობლემის გარშემო გაერთიანდა 1971 წელს საერთაშორისო საზოგადოება ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ მიღებული რამსარის კონვენციით. 1997 წლიდან კონვენციას კოლხეთის დაბლობზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიც მიუერთდა და მათ მსოფლიო მნიშვნელობის ჭაობების სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტით ხაზი გაესვა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობას. კოლხეთის ტერიტორიაზე კომპლექსური კვლევების წარმოება ამ ტერიტორიის საკმაოდ დიდი ფართობის გამო ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მაშინდელი მელიორაციული ღონისძიებები შეიცავდა არასწორი მენეჯმენტის ელემენტებს სამუშაოთა დაპროექტების მხრივ, ბუნებრივ პირობებზე დაკვირვებების სტატისტიკური მონაცემები გროვდებოდა დასახლებულ პუნქტებში მოწყობილი სადგურების მეშვეობით, მათგან მოშორებით კი არა. ამიტომ ეს პარამეტრები სრულად მაინც ვერ ასახავდა ამ ტერიტორიაზე დაჭაობების გამომწვევი ფაქტორების წარმოქმნის ზუსტ მიზეზებს. შესაბამისად, 1990 წლამდე მიღებულ დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით რთულია მეცნიერულად დადასტურებული დასკვნების გამოტანა. იმავედროულად ტარდებოდა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის გაზრდისკენ მიმართული სამუშაოები ჭაობების დაშრობის გზით. ამ მეთოდით მიდგომამ კი რიგ შემთხვევებში აუნაზღაურებელი სტიქიური მოვლენები გამოიწვია.</p>					

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lasha Asanidze, Kukuri Tsikarishvili, Nana Bolashvili	Cave Tourizm Potential in Georgia. Human – Environment Interactions and Ecology of Mountain Ecosystems. Proceedings & Abstracts,	ISBN:978-605- 62253-6-9	Printed at: Meta Basim, Izmir. Turkey.	p. 243-246.
<p>Annotation</p> <p>Georgia is rich with beautiful and unique karst forms, where the distribution line of karsted rocks (limestone) stretches at a 325 km distance along the southern slope of the Caucasus, from the river Psou to the south - east of the Lake Ertso vicinities. Total area of the karsted territories makes 4475 sq.km or 6, 4% of Georgia's entire territory. Georgia is one of the unique regions of the Earth according to the distribution of the karsting rocks the analogue of which can be hardly found in the any part of the planet. Here all stages and sub-stages of the Upper Jurassic, as well as the Cretaceous system and the Lower Paleogene are being karsted.</p> <p>Due to the standard conditions of karstogenesis the karsting maximum depth exceeds 2000 m. Number of single massifs in the karsted belt spread in Georgia is about hundred, though there are only about 30 of them of important extent.</p> <p>Western Georgia's natural - landscape features and wide area of distribution of the limestone rocks presented here, as well as an abundance of recreational resources create all the necessary conditions for the development of Cave tourism.</p> <p>Among our country's karst phenomena no analogue can be found to Akhali (New) Athos Cave, which was discovered in 60s of the 20th century by the speleo-group of the Vakhushti Bagrationi Institute of Geography. It is the first cave in Georgia, which was equipped according to the international standards.</p> <p>In 80s of 20th century a speleo-group of the Institute of Geography found previously unknown for scientists Tskaltubo (Kumistavi) cave, decorated with a variety of melted forms, which is undoubtedly grandiose in its scale and is in the focus of overall attention. The research of the cave and its surroundings was conducted by geophysical (electrometric) methods, which resulted in a specification of its distribution areal and spatial connection with the adjacent karst cavities.</p> <p>There are all prerequisites for development of cave tourism in Georgia. Abundance of karst caves and variety of underground halls are stipulated by a geological and geotectonical structure of the territory, namely, by quite wide distribution of Cretaceous limestone in the karst regions of western Georgia (Abkhazia, Samegrelo, Imereti and Racha).</p> <p>In the future, our goal is to assess the exploration of unique cave systems and prospects their utilization for tourist purposes by means of traditional and modern geophysical methods.</p>					
2	Lominadze George, Papashvili Irakli	2 nd International Symposium on Kazdaglar (mount Ida) and Edremit, Human- Environment Interactions and	Turkey 2013	Printed at: Meta Basim, Izmir. Turkey.	p.497-504

		Ecology of Mountain Ecosystem, Proceedings and Abstracts			
3	N. Lomidze - D. Mumladze - L. Tielidze - K. Tavartkiladze - G. Gagua - N. Suknidze - I. Zarnadze	Climate Change of Coastal Zone of the Black Sea on the Background of Global Warming (within the territory of Georgia) The 2nd International Symposium on Kaz Mountains (Mount Ida) and Edremit		Turkey, İzmir, Meta Basim	p. 124-131
ანოტაცია					
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>წყლის რესურსების დეფიციტით გამორჩეული კახეთის რეგიონი განსაზღვრულია როგორც გაუდაბნოებისადმი მოწყვლადი ტერიტორია (გაუდაბნობასთან, 2003 წ.). იგი მდიდარია ნაყოფიერი მიწებით და საძოვრებით. არის ქვეყნის მევენახეობისა და მემარცვლეობის წამყვანი რეგიონი. პროგნოზის თანახმად (საქართველოს მე-2, 2009) 21-ე საუკუნის დასასრულისათვის</p>					

კახეთის სამხრეთ ნაწილში მოსალოდნელია ჰიდროთერმული კოეფიციენტის მნიშვნელობის 1,1-დან 0,7-მდე შემცირება. რაც რეგიონის კლიმატს მშრალი სუბტროპიკებიდან ძლიერ არიდულ კატეგორიაში გადაიყვანს. გავლენა მეტნაკლებად გავრცელდება კახეთის მთელ ტერიტორიაზე, რაც კიდევ უფრო გააძაბავს მტკნარი წყლის პრობლემას, და სავარაუდოდ, გამოიწვევს ამ რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციას.

კლიმატის მიმდინარე ცვლილებების ფონზე აღნიშნული პროცესის შეჩერებისა და კლიმატის ცვლილებასთან შეგუების ერთ-ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიება და პრიორიტეტი სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაა. არსებული საირიგაციო სისტემების მდგომარეობა თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს არ შეესაბამება. მათი უმრავლესობის მარგი ქმედების კოეფიციენტები 0.4-0.6 არ აღემატება. სარწყავი სისტემების დღევანდელი მდგომარეობა და მორწყვაზე წყალმოთხოვნილების გაზრდა სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის აუცილებლობას განაპირობებს.

გაუდაბნობის პროცესის გადაუდებელ შემარბილებელ ღონისძიებებზე მოგვახსნიან: ტერიტორიის დარაიონება გაუდაბნობისადმი მოწყვლადობის ხარისხის მიხედვით; სარწყავი მიწების დარაიონება მორწყვის ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მიხედვით; წყალსამეურნეო მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა წყალმოხმარების კონტროლის უზრუნველყოფის გათვალისწინებით; ქარსაფარი ზოლების გაშენება, დაწვივებით მორწყვის გამოყენების არეალებში, ძლიერი ქარების შემცირების მიზნით; საირიგაციო სისტემების საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელით უზრუნველყოფა; საირიგაციო სისტემების გაწმენდა და სხვ.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს კანონმდებლობაში წყალდიდობების რისკების შეფასებაში ევროკავშირის ღირექტივების დანერგვა	სლოვაკეთი	პ. რონაკი	ვ. გელაძე, ჯ. დოლიძე, რ. ჭითანავა, ბ. კორძახია, ო. ვეკუა.
ანოტაცია				
საქართველოს კანონმდებლობაში წყალდიდობების რისკების შეფასებაში ევროკავშირის ღირექტივების ასახვა.				
2	თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	"გეოგრაფიკი". ქ. თბილისი.	გ. გოცირიძე	ვ. გელაძე და სხვ.
ანოტაცია				

თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროკლიმატური დახასიათება				
3	ტრანსასახლდრო დეგრადაციის შემცირება მტკვარ-არაქსის მდინარეების აუზში		M. Matthews	H.Leummens, v. gelaZeda sxv.
ანოტაცია				
ტრანსასახლდრო დეგრადაციის შემცირების საკითხი მტკვარ-არაქსის მდინარეების აუზში და სენსიტიური ზონების გამოყოფა				
4	წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის მედეგი პრაქტიკის შემუშავება საქართველოში მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად"(მდ. რიონი)	ნორვეგიის მთავრობა	შ. ჯავახაძე	რ. ჭითანავა, გ. კორძახია, ვ. გელაძე და სხვ.
ანოტაცია				
მდ. რიონის მიმდებარე ტერიტორიის ზონირება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების მიხედვით				

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ.ბეგლაძე	კახეთის წყლის რესურსების მართვის პრობლემები გაუდაბნოების პროცესის ფონზე	თბილისი, 7-9 ნოემბერი
ანოტაცია			
კლიმატის ცვლილებასთან შეგუების ერთ-ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიება და პრიორიტეტი სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაა. არსებული საირიგაციო სისტემების მდგომარეობა თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს არ შეესაბამება. მათი უმრავლესობის მარგი ქმედების კოეფიციენტები 0.4-0.6 არ აღემატება. სარწყავი სისტემების დღევანდელი მდგომარეობა და მორწყვაზე წყალმოთხოვნილების გაზრდა სამედიკალინაციო სისტემების რეკონსტრუქციის აუცილებლობას განაპირობებს.			

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ლომიძე, დ.მუმლაძე, ლ.ტიელიძე, კ.თავართქილაძე, გ.გაბუა, ნ.სუქნიძე, ი.ზარნაძე	შავი ზღვის სანაპირო ზოლის თერმული რეჟიმის ცვლილება გლობალური დათბობის ფონზე (საქართველოს ფარგლებში),		თურქეთი, მეტა ბაზიმ, იზმირი	8 გვ.
<p style="text-align: center;">ანოტაციები</p> <p>კლიმატის თანამედროვე ცვლილება ანუ როგორც მას უწოდებენ გლობალური დათბობა „დამოკლეს მახვილივით“ ემუქრება განსაკუთრებით ზღვის სანაპიროს. რადგან მოსალოდნელია მათი დატბორვა საკმაოდ დიდ ფართობზე, რასაც ბუნებრივია მოყვება ეკოლოგიური კატასტროფა. ცხადია ამას ვერც საქართველოს შავიზღვისპირეთი (მთელი კოლხეთს დაბლობი – დასავლეთ საქართველო) გადაურჩება, რაგინდ „მინელელები“ (შესუსტებული) არ იყოს ეს პროცესი (ცხადია გეოგრაფიული აპექტით) შავი ზღვის მნიშვნელოვანი ავტონომიურობის გამო. როგორც ცნობილია შავი ზღვა მსოფლიო ოკეანისაგან ძალზედ დიდ მანძილზეა დაშორებული.</p> <p>საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს საქართველოს ერთერთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ რეგიონს (აქ თავმოყრილია მნიშვნელოვანი რაიონები – თავიანთი საპორტო ქალაქებითა და კურორტებით აჭარა, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი), რომლის ბუნების მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის აუცილებელია გლობალური დათბობის ეფექტის როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კრიტერიუმებით შეფასება. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ დაიგეგმოს რეგიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენება მოსახლეობისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>ქართველ კლიმატოლოგთა მიერ მიღებული დასკვნები ცხადყოფენ, რომ საკვლევი რეგიონის თანამედროვე კლიმატის (ტემპერატურული ველის) რეზისტენტია გლობალური დათბობის მიმართ საკმაოდ დიდი. შეიძლება ითქვას კლიმატის გლობალური ცვლილება მასზე თითქმის არ ახდენს გავლენას, რაც განპირობებულია ჭარბი ატმოსფერული ნალექებით და სეზონების მიხედვით თანაბარი დანესტიანებით. ტერიტორიისათვის დამახასიათებელ სითბურ ბალანსში შემავალი კომპონენტები ინდივიდუალურად რეაგირებენ კლიმატის ცვლილებაზე. კერძოდ, აორთქლებაზე უფრო მეტი ენერჯია იხარჯება, ვიდრე ტურბულენტობაზე (ჰაერის გათბობაზე).</p>					

❖ ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება

- I.1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება
- I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი
გეოგრ. მეცნ. დოქტორი კობა ხარაძე
- I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: 6

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	„იმერეთის რეგიონის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი“ (წყალტუბოს და ხონის მუნიციპალიტეტების მაგალითზე).	ე. სალუქვაძე	ე. სალუქვაძე თ. ჩალაძე მ.ხეჩიკაშვილი
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მიმდინარე ეტაპზე ჩატარდა სამეცნიერო საველე ექსპედიცია ხონის მუნიციპალიტეტში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზემოთ აღნიშნული მუნიციპალიტეტის კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) კვლევა, ლანდშაფტებზე ეგზოტაქსონომიური პროცესების (მეწვერების, ღვარცოფების) ზემოქმედების გამოვლენა, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის და ბუნების ძეგლების გაცნობა, რისთვისაც დაკვირვება ვაწარმოეთ წინასწარ შერჩეულ მარშრუტებზე: ხონი-მათხოჯი-სუხჩა; ძეძილეთი – ქვედა გორდი – ზედა გორდი; ქვედა გორდი- ბანგეთი – საწისქვილო რონდიში – ქვედა კინჩხა; ქვედა გორდი – მდ. ოკაცეს ხეობა – ოკაცეს კანიონი; ზედა გორდი – თურჩუს ქვაბული – თურჩუს მღვიმე. შესწავლილ იქნა კირქვიანი დელუვიონი, რომლის საფუძველზე წარმოქმნილია ძველი და ახალი გამოზიდვის კონუსები და მეწვერული საფეხურები. ნიადაგური საფარის ინტენსიური დამეწვერის გამო წარმოქმნილია მძლავრი მეწვერული სხეულები, რომლებიც ზოგან დადარულია ეროზიული ხევ-ხრამებით. შესწავლილ იქნა კინჩხის ქვაბული, ოკაცეს ხეობა, ცხენისწყალ- საწისქვილე-სუხჩას წყალშუეთი, გორდის მოსწორებული ზედაპირი, კინჩხის ქვაბული. შესრულდა მიკროლანდშაფტების აგეგმვა, დადგინდა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების საზღვრები, ცალკეულ ეტალონურ უბნებში სპეციალური ხელსაწყოთი აღებულ იქნა შემდეგი მონაცემები: სიმაღლე ზღვის დონიდან, ატმოსფერული ჰაერის და წყლის ტემპერატურები. შეგროვდა სათანადო მასალა, რაც აისახება ხონის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზისა და მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური რუკის შედგენისას.</p>			

2.	„კახეთის ლანდშაფტების ტრანსფორმაცია, თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების თავისებურებანი“	თ. ჩალაძე	ე. სალუქვაძე თ. ჩალაძე მ. ხეჩიკაშვილი
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მიმდინარე ეტაპზე არსებული ფაქტიური მასალის გამოყენებით და გსს ტექნოლოგიის მეშვეობით შედგენილ იქნა შიდა კახეთის მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური რუკა, რომელზეც ასახულია ეგზოდინამიკური პროცესების განვითარების მხრივ, რეგიონში არსებული მდგომარეობა. შედგენილ იქნა ლაგოდების მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური რუკა (სხვადასხვა პერიოდების – 1966 წლის მონაცემების მიხედვით და თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი). მომზადდება საფუძველი ყვარლის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური რუკისთვის.</p>			

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ე. სალუქვაძე	„საქართველოს გეოგრაფია“ სასარგებლო წიაღისეული	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	213-219
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>საქართველოს სასარგებლო წიაღისეული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მდიდარია როგორც მადნეული (ლითონური), ისე არამადნეული (არალითონური), სათბობი (საწვავი) რესურსებით, სამშენებლო მასალებით და მოსაპირკეთებელი ქვებით, აგრეთვე მინერალური და თერმული წყლებით.</p> <p>ქვეყნის მინერალური რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოსა და ნახევრად ძვირფასი და სანაკეთო ქვების გამოვლინებას. საბადოები საქართველოს რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: იმერეთი -20%, ქვემო ქართლი – 12, 5%, აფხაზეთი - 11,6%, შიდა ქართლი -9,3%, სამეგრელო და ზემო სვანეთი -8,7%, რაჭა-ლეჩხუმი – და ქვემო სვანეთი -8,3%, კახეთი-8,1%, მცხეთა-მთიანეთი -6,0%, გურია -3,4%, აჭარა -2,3%, თბილისი - 0,6%.</p>				
2.	ე. სალუქვაძე	„საქართველოს გეოგრაფია“ გარემოს დაცვა	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	74-78

საქართველოს ბუნებრივი გარემო ამჟამად მნიშვნელოვნად არის შეცვლილი, რაც დროთა განმავლობაში წარმოების განვითარებამ, ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, სატრანსპორტო საშუალებების და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა. გარემოს დაცვის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ურბანიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები (მოსახლეობისა და მრეწველობის კონცენტრაცია დიდ ქალაქებში, ავტოპარკის ზრდა და სხვ.) გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე. გარემოს ცალკეული კომპონენტები (ჰავა, წყალი, ნიადაგი და სხვ.) ნივთიერებისა და ენერჯის ურთიერთგაცვლით მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან, ამიტომ არის, რომ ერთი რომელიმე წონასწორობის დარღვევა, გაჭუჭყიანება, ერთ – ერთ მთელში იწვევს მეორეს დეგრადაციას. საქართველო აქტიურად არის ჩაბმული გარემოს დაცვის გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ეკოსისტემების დაცვის, მდგრადი განვითარების პრინციპების უზრუნველყოფის საერთაშორისო პროექტებში. ჩვენი ქვეყანა მიერთებულია მსოფლიოს მნიშვნელოვან საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციაზე (გაეროს, რამსარის, კიოტოს, ბაზელის, სტოკჰოლმის და სხვ.).

3.	კ. ხარაძე	უებრო ბუმბერაზი ვახუშტი ბაგრატიონი	თბილისი	344 გვ.
----	-----------	---------------------------------------	---------	---------

ანოტაცია
ვახუშტი ბაგრატიონი უნიკალური მოვლენაა ქართულ მეცნიერებაში; XVIII საუკუნის პირველ ნახევარში – ისტორიოგრაფიაში, გეოგრაფიაში, ეთნოგრაფიაში, კარტოგრაფიასა და სხვ., შექმნა ისეთი მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც არათუ ჩამოუვარდებოდა ცივილიზებულ სამყაროს მოწინავე ქვეყნების იდეებს, არამედ რიგი დებულებებით წლობით და საუკუნითაც კი გაუსწრო აღიარებულ მეცნიერებს. ამასთან, მთელ რიგ მეცნიერულ დარგებში – გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ტოპონიმიკა, კარტოგრაფია და სხვ. – იგი საქართველოში ითვლება როგორც ფუძემდებლად; შექმნა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, საქართველოს სამი ატლასი, მსოფლიო პოლიტიკური გეოგრაფიის შევსებული თარგმანი 27 რუკით, შეასრულა მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლის) მოსახლეობის აღწერა და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მრავალი სტატია და მონოგრაფიაა დაბეჭდილი, მაგრამ ჯერ კიდევ საკვლევი და შესაჯერებელი ბევრია. წინამდებარე ნაშრომიც ერთი მათგანია, რაც რამდენადმე წვლილს შეიტანს ამ ბუმბერაზი მეცნიერის შემოქმედების შესწავლის საქმეში.

4.	კ. ხარაძე	ათი წელი მოგზაურობაში იონა გედევანიშვილი	თბილისი	216 გვ.
----	-----------	---	---------	---------

ანოტაცია
იონა გედევანიშვილი XVIII საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მოგზაური იყო. მას საზოგადოებრივი აზროვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებაში საპატიო ადგილი უკავია. 1782-1792 წლებში იონა გედევანიშვილმა იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ეგვიპტესა და ევროპის რიგ ქვეყნებში. გაიარა 6 სახმელეთო და 7 საზღვაო მონაკვეთი, რომელთა საერთო სიგრძე 30 ათასი კილომეტრს აღემატება. წინამდებარე წიგნში განხილულია იონა გედევანიშვილის სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები – „იმოსვლა ანუ მგზავრობა, ქმნილი გედეონოვ სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლისიგან“, მისი გეოგრაფიული მნიშვნელობა; იონა გედევანიშვილს თვალსაჩინო ადგილი უკავია სამოგზაურო ისტორიაში.

5.	კ. ხარაძე	საქართველოს	თბილისი	გვ.202-212
----	-----------	-------------	---------	------------

	და სხვ.	გეოგრაფია. არაორგანული ბუნების ღირსშესანიშნაობები		
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მონოგრაფიის ეს ნაწილი მიძღვნილია საქართველოს უნიკალური ბუნების ძეგლებისადმი. ბუნების ძეგლები – ეროვნული საგანძურის ტოლფასი ფენომენებია, ხოლო მათი როგორც კულტურულ ფასეულობათა შემადგენელი ნაწილის დაცვა და შენარჩუნება – საერთო-ეროვნული უმაღლესი კატეგორიის უნივერსალობის აღიარებაა. ბუნების საოცრებებით კი საქართველოს ყველა რეგიონი ძალზე მდიდარია. ბევრი მათგანი თავისი გრანდიოზულობით და სილამაზით დიდ ყურადღებას იმსახურებს.</p> <p>საქართველოს ბუნების ძეგლების მთლიანი აღრიცხვა და პასპორტიზაცია არ მომხდარა, მაგრამ მათი რაოდენობა ასეულობით განისაზღვრება. ისინი ათასეული წლების განმავლობაში იქმნება და განუმეორებელია, ხოლო ზოგიერთი მათგანი ერთეული ეგზემპლარებია. ამიტომ, მათი დაზიანებით ან განადგურებით, იკარგება ბუნების იშვიათი და უნიკალური ქმნილება, რის აღდგენაც შეუძლებელია. საჭირო და აუცილებელია შეიქმნას კომპლექსური პროგრამა მათი შენარჩუნების, დაცვისა და გამოყენების შესახებ.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ. ნიკოლაიშვილი, ე.სალუქვაძე, ც. დონაძე	კოლხეთის ბარის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის დინამიკა/ „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემების – დაცვა“	I საერთ.კონფ. 22-24 ივლისი. თბილისი ფოთი.	თბილისი ოსუს- გამომცემლობა	112-117
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>სტატისტიკური, კარტოგრაფიული და საექსპედიციო მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია კოლხეთის დაბლობის და მიმდებარე მთისწინეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია. მცენარეულობის, ლანდშაფტური და აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე, რომელიც ასახავს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებს, შემუშავებულია ლანდშაფტის ცვლილების განსაზღვრის მეთოდიკა. მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი რეგიონის ტრანსფორმაციას აქვს მრავალფეროვანი ხასიათი და ეს დაკავშირებულია მრავალ ფაქტორზე, გაანალიზდა განსხვავებული პარამეტრები, როგორც ტყეთა ფართობი, ფიტომასის მარაგი, მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე და ა.შ. ყველა მონაცემები დამუშავებულია</p>					

GIS ტექნოლოგიებით.					
2	მ. გოგებაშვილი, ე. სალუქვაძე ნ. ივანიშვილი	ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრები რადიაციისა და ტემპერატურული ზემოქმედების ექსტრემალური რეჟიმის პირობებში/ საერთაშორისო სამეცნ.-ტექნიკ. კონფ. მასალები. „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“.	ჰიდრომეტ. ინსტიტუტის შრომები. 119	თბილისი	183-187
ანოტაცია					
<p>ჩერნობილისა და ფუკუსიმას ატომურ სადგურებზე განვითარებულმა მოვლენებმა გამოავლინეს ტექნოგენური ავარიების შედეგების პროგნოზირების სერიოზული პრობლემები სხვადასხვა ბიოგეოცენოზებთან მიმართებაში. ამასთანავე, რადიაციული ეფექტების რეალიზაციის პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით, დღეს არსებული პროგნოზირების მოდელი საჭიროებს მუდმივ მოდიფიკაციას. უკანასკნელ წლებში ასეთ მამოდიფიცირებელ ფაქტორად უფრო ხშირად მოიაზრება ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმი. ეს განპირობებულია გლობალური კლიმატური ცვლილებებით და აქედან გამომდინარე, გარემო პირობების ტემპერატურულ ცვლილებებზე ფიტოცენოზების საპასუხო რეაქციების თავისებურებების დეტალური კვლევის აუცილებლობით. ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეული იქნა მაღალი ტემპერატურის პირობებში მზარდი დასხივებული მცენარეების დაცვითი მექანიზმების ეფექტები. ნაჩვენებია, რომ დასხივებული მცენარეები ხასიათდებიან ნიადაგის წყლის რესურსების ეკონომიური მოხმარებით; თუმცა ექსტრემალური ტემპერატურული ზემოქმედებისას ტრანსპირაციის დონის შემცირება მცენარეული ორგანიზმის ზედაპირის ეფექტური დაცვის საშუალებას არ იძლევა და ფიტოცენოზების ცალკეული კომპონენტების დეგრადაციას იწვევს. ნაშრომში აგრეთვე განხილულია სხვადასხვა ტიპის ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების ცვლილებების საკითხი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სუბცესიური პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობები.</p>					
3	ე.სალუქვაძე თ. ჩალაძე მ. ხეჩიკაშვილი	ქვემო იმერეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია და ეკოლოგიური მდგომარეობა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე); რუსულ ენაზე	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინსტ. შრომათა კრებული №5 (84)	თსუ-ს გამომცემლობა	119-125
ანოტაცია					
<p>ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით ქვემო იმერეთის ცალკეული რეგიონების ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. მათ შორის არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტიც, რომლის ლანდშაფტთა თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები უშუალოდ არის განპირობებული ანთროპოგენური</p>					

ფაქტორებით: ჰიდროტექნიკური ნაგებობების და გზების მშენებლობით, სასრგებლო წიაღისეულის მოპოვებით, ტყეების უსისტემო (უკონტროლო) გაჩეხვით, არასწორი ძოვებით (საძოვრების გათქერილობით) და სხვ. გაძლიერებულმა ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ განაპირობა სხვადასხვა გეოდინამიკური პროცესების: ეროზიის, მეწყერების, ღვარცოფების და სხვ. გააქტიურება.

ლანდშაფტთა ანთროპოგენური ტრანსფორმაციის დადგენისათვის გამოკვლეულ იქნა, როგორც ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულები (წყალტუბოს ვაკე, სამგურალის ქედი, წყალტუბოს ქვაბული), ასევე მდინარეების რიონის, წყალტუბოსწყლის, სემის აუზების და ა.შ. უფრო მცირე უბნები. მოყვანილია ყველა ამ უბნის (ლანდშაფტის) კონკრეტული მონაცემები, მათი ფართობები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცალკეული ლანდშაფტების ანალიზისა და ფართობების დადგენისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მასალები: 1953-1984 წლების ტოპოგრაფიული რუკები, 2012 წლის აეროკოსმოსური სურათი, 2010-2011 წლის საველე ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები, რომელთა საფუძველზეც Iშ-ით შედგენილ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური რუკა (1 : 100 000).

პრაქტიკულად ყველა შესწავლილმა უბანმა განიცადა ანთროპოგენური ტრანსფორმაცია, რომელიც ლანდშაფტების 60-დან 80% შეეხო. მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს ლანდშაფტების ტრანსფორმაცია ბრტყელ და სუსტად დახრილ რელიეფზე. ამ ზონაში ტრანსფორმირებულია ლანდშაფტთა 80 %.

4	ე. სალუქვაძე ნ. ივანიშვილი მ. გოგებაშვილი	ანთროპოგენური დატვირთვის გავლენა ფიტოცენოზებზე გლობალური დათბობის პირობებში. რუსულ ენაზე	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინსტ. შრომათა კრებული №5 (84)	თსუ-ს გამომცემლობა	140-143
---	---	--	--	--------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში ნაჩვენებია ფიტოცენოზებზე ანთროპოგენური დატვირთვის გავლენის კანონზომიერებანი. ეკოლოგიური მოდელის სახით შერჩეულია ლანდშაფტები, რომლებიც ხასიათდებიან ანთროპოგენური დატვირთვისა და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების მხრივ განსხვავებული ზონებით. ეკოლოგიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულია ტექნოგენური ლანდშაფტების მიმდებარე ეკოსისტემების ინტენსიური არიდინაციის პროცესები; კერძოდ, ნაჩვენებია, რომ მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის ზონებში მიმდინარეობს ფიტოცენოზების სუკცესიური ცვლილებები, რასაც თან სდევს ლანდშაფტების ტრანსფორმაცია. საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ზონებში აღნიშნული ფენომენის გამოვლენის საფუძველს ქმნიან რეკორდულად მაღალი ტემპერატურული მახვენებლები, რომლებიც იწვევენ ფიტოცენოზების ტემპერატურული და ჰიდროლოგიური რეჟიმების ცვლილებებს. ასეთი ზონების ეკოლოგიურ მონიტორინგთან ერთად კვლევა განხორციელდა აგრეთვე სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედებით როგორც ცალკეულ მცენარეთა, ისე მთლიანი ფიტოცენოზების მდგრადობის თვალსაზრისით.

დადგენილ იქნა, რომ ისეთი ძლიერი დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა: მძიმე ლითონები, მტვერი, მაიონიზირებელი რადიაცია და სხვა, ცვლის არა მარტო ტენის მოთხოვნილების ნორმალურ რეჟიმს, არამედ ექსტრემალური ტემპერატურების მიმართ ფიტოცენოზების მდგრადობასაც.

5	მ. გოგებაშვილი ნ. ივანიშვილი ე. სალუქვაძე	ტყის ფიტოცენოზების მდგრადობის პროგნოზირება რადიაციისა და	ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე გამოწვევები	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამომც.	70
---	---	--	---	--	----

		მაღალი ტემპერატურის პირობებში	კავკასიაში (თეზისების კრებული), 7-8 ოქტომბერი,		
ანოტაცია					
<p>ნაშრომში წარმოდგენილია ტყის ფიტოცენოზებზე ანთროპოგენური დატვირთვის გავლენის კანონზომიერებანი. ეკოლოგიური მოდელის სახით შერჩეულია ლანდშაფტები, რომლებიც ხასიათდებიან ანთროპოგენური დატვირთვისა და ნიადაგურ-კლიმატური პირობების მხრივ განსხვავებული ზონებით. ეკოლოგიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებულია ტექნოგენური ლანდშაფტების მიმდებარე ეკოსისტემების ინტენსიური არიდოზაციის პროცესები; კერძოდ ნაჩვენებია, რომ მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის ზონებში მიმდინარეობს ფიტოცენოზების სუქცესიური ცვლილებები, რასაც თან სდევს ლანდშაფტების ტრანსფორმაცია. საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ზონებში აღნიშნული ფენომენის გამოვლენის საფუძველს ქმნიან რეკორდულად მაღალი ტემპერატურული მაჩვენებლები, რომლებიც იწვევენ ფიტოცენოზების ტემპერატურულ-ჰიდროლოგიური რეჟიმების ცვლილებებს. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ნორმალურ ეკოლოგიურ პირობებში ფიტოცენოზებს უნარი შესწევთ გაუძლონ მნიშვნელოვან ექსტრემალურ ტემპერატურულ დატვირთვას. რადიაციული ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები საგრძნობლად აქვეითებენ ფიტოცენოზების მდგრადობას და შედარებით ნაკლები ტემპერატურული ცვლილებების პირობებში ეს პროცესები ნიველირდება ფიტოცენოზების ბუნებრივი მდგრადობის ხარჯზე, ექსტრემალური ტემპერატურების დროს მიმდინარეობს შეუქცევადი სუქცესიური პროცესები, რომლებიც არა მარტო ფიტოცენოზების სახეობრივ შემადგენლობას, არამედ მთლიანად ლანდშაფტებს.</p>					
6	კ. ხარაძე რ. ხაზარაძე	თუშეთის ისტორიულ-გეოგრაფიული წანამძღვრები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები	კრებული – თუშეთი	თბილისი	გვ.10 5-120
ანოტაცია					
<p>თუშეთის ბუნებრივი გარემო, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნების შესანიშნავი ძეგლები და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ტურიზმის განვითარებისათვის. ეს რეგიონი თავისი ბუნებრივი ღირსეშანიშნაობებით, მდიდარი ისტორიული წარსულით, იშვიათი მნიშვნელობის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით უამრავ მნახველს იზიდავდა ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში. აქ გადიოდა მრავალი საინტერესო ტურისტული მარშრუტი, რომელთა ქსელში ჩართული იყო ბუნებისა და მატერიალური კულტურის ბევრი უნიკალური ძეგლი. მისი მწვერვალები კი ალპინიზმის პოპულარული ადგილები იყო.</p> <p>ბუნებრივი რესურსების სიუხვე, წარმოადგენს ტურიზმის მრავალი სახის წარმატებით განვითარების საფუძველს, რითაც რეგიონს შეუძლია იმ რეგიონების რიცხვში ჩადგეს, სადაც სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტურიზმს ეკუთვნის.</p>					
5	რ. ხაზარაძე კ. ხარაძე	თუშეთის თანამედროვე და ძველი გამყინვარება	კრებული – თუშეთი.	თბილისი	137- 145გვ

ანოტაცია					
<p>გამყინვარების თვალსაზრისით, კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთი ნაწილი მკვეთრად განსხვავდება მისი ცენტრალური და დასავლეთი ნაწილებისაგან. აქ გაბატონებულ ადგილს იჭერს კონტინენტური მშრალი კლიმატი (ატმოსფერული ნალექების სიმცირე, განსაკუთრებით ზამთარში, მზის მაღალი რადიაცია და სხვა). გეოლოგიური პირობების თავისებურება ხელს უწყობს რელიეფის ინტენსიურ დანაწევრებას, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მოსული მყარი ნალექების დაგროვებაზე. აღმოსავლეთ კავკასიონის გამყინვარების შესწავლის დროს არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებას, რომ მიუხედავად კავკასიონის თხემური ნაწილის არც ისე დიდი სიმაღლისა (3000-4500 მ ზღვის დონიდან), თანამედროვე მყინვარები საკმაოდ უმნიშვნელო მასშტაბითაა წარმოდგენილი. დღეისათვის აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილო ფერდობის მდინარეთა აუზებში (ასა, არღუნი, სულაკი) არსებული თანამედროვე მყინვარების საერთო ფართობი 50 კმ²-მდე ვერ აღწევს. გამყინვარების მცირე მასშტაბებზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ ზემოაღნიშნულ მყინვართა საერთო ფართობი ვერ უტოლდება ცენტრალური კავკასიონის, მდ. ენგურის ერთ-ერთი შენაკადის მდ. მულხურის აუზის მყინვართა საერთო ფართობს (80 კმ²). გამომდინარე აქედან, შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ თუშეთის გამყინვარების მასშტაბებზე. პირიქითის ალაზნისა და სულაკის აუზებში, კომპლექსური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე, გარკვეული მოსაზრება შეგვექმნა, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებისაგან და ახლებურად არის გადაწყვეტილი აღმოსავლეთ კავკასიონის გამყინვარების საკითხები.</p>					
6	კ. ხარაძე	აჭარის ბუნების ფენომენები და მათი დაცვა	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. ახალი სერია №5(84)	თბილისი	ბვ.202 -212
ანოტაცია					
<p>ლიტერატურული წყაროებისა და სხვადასხვა საფუძველზე აჭარაში აღვრიცხეთ ბუნების 120-მდე ძეგლი. ისინი სხვადასხვა ხასიათისაა, რომლის მიხედვით მოვახდინეთ ფორმათა კლასიფიკაცია და შევიმუშავეთ სათანადო პირობითი აღნიშვნები. „საქართველოს წითელი წიგნისაგან“ განსხვავებით, აჭარის არაორგანული ბუნების ძეგლების სიაში მოხვდა რელიეფისა და ბუნებრივი პირობების სხვა კომპონენტების ისეთი საინტერესო ფორმები, როგორცაა – მთებისპირა კიბეები, პირამიდული კლდოვანი რელიეფი, ეროზიული საფეხურები, კლდეკარი, ჭორომები, დელტა, ზღვის სანაპირო გასწვრივი დიუნები, აბრაზიული ტერასები, ლატერიტული თიხები, ტორფნარი, მეწყერი და სხვა. პიდროგრაფიული ძეგლების ჯგუფს დაემატა ჭაობები, ჭაობური მდინარეები, წყლისა და ჭაობის მცენარეულობის კუნძულები, მინერალური წყლები. ამ ტიპების პირობითი აღნიშვნების მიხედვით შევადგინეთ აჭარის არაორგანული ბუნების ძეგლების რუკა 1:200000 მასშტაბში.</p>					

2) უცხოეთში
დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.გოგებაშვილი ნ. ივანიშვილი ე. სალუქვაძე	რადიაციული ზემოქმედების რეალიზაცია მთიანი რეგი- ონების ექტრემ- ალური ლანდშა- ფტების ფიტოცე- ნოზებში. ინგლისურ ენაზე	ადამიანის და გარემოს ურთიერთზემოქმედება დამთის ეკოსისტემების ეკოლოგია” II საერთაშ. სიმპოზიუმი	თურქეთი, ედრემიტი	182-185.
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>საქართველოს მთიანი რეგიონების როლი განსაკუთრებით დიდია ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის რეგულირებასა და უნიკალური ლანდშაფტების მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. ანთროპოგენური ზემოქმედების მრავალრიცხოვანი ფორმები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ბუნებრივი ბალანსისა და ფაქტორული წონასწორობისთვის. ამასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია ექსტრემალური ლანდშაფტების ფიტოცენოზების სტაბილურობაზე გამაჭუჭყიანებელი ანთროპოგენური ფაქტორების მოქმედების შესაძლო შედეგების საკითხი, განსაკუთრებით, თუ ის ეხება ისეთ ძლიერ ფაქტორს, როგორცაა მაიონიზებული რადიაცია. იტოცენოზებზე რადიაციული ზემოქმედების რეალიზაციის გზების კვლევისთვის ნაშრომში გამოყენებულია მოდელური მცენარეები.</p>					
2	ე. სალუქვაძე თ. ჩალაძე	აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია და თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა/მეცნიერული წიადსვლები, ქ.იასას „აღექსანდრე იოანე კუზა“-ს უნივერსიტეტი, რუმინეთი. ინგლისურ ენაზე	№ IX, ნაწ. I-ს, გეოგრაფიის სერია რუმინეთი.	ქ.იასა, რუმინეთი	79-94

ანოტაცია

აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები სულ უფრო მზარდ ანთროპოგენურ ცვლილებას განიცდიან და გარდაიქმნიებიან ბუნებრივ-ანთროპოგენურ, ტექნოგენურ ან მთლიანად შეცვლილ ლანდშაფტებად. ეს პროცესი ყველგან შეინიშნება თუმცა სხვადასხვა ინტენსივობით. ძირითად მიზეზს წარმოადგენს ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების მშენებლობა, ტყეების უკანონო გაჩეხვა, საძოვრების გადატვირთვა და ა.შ., რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ გარემოს და ხშირად იწვევენ გეოდინამიკური პროცესების: მეწვერების, ღვარცოფების და ეროზიის გააქტიურებას.

ეს პროცესები განსაკუთრებული ინტენსივობით გამოვლინდება იურული თიხა-ფიქლებით, ქვიშაქვებით და ნაწილობრივ ცარცული ნალექებით აგებულ ციცაბო ფერდობებზე, რომლებიც უხვი ატმოსფერული ნალექებით (1600 -1800 მმ/წელიწადში, ლაგოდეხი) გამოირჩევიან. ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით შესაძლო გახდა რეგიონის მოდელის – ლანდშაფტურ-ეკოლოგიური რუკის შედგენა, რომელზეც ნაჩვენებია კონკრეტული ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური ფაქტორები და ეკოლოგიურად დაძაბული ზონები.

❖ საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება

1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გეოგრ.აკად.დოქტორი ვაჟა ნეიძე
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა - 11

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის

დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის თანამედროვე ტერიტორიული ორგანიზაციის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ანალიზი	განყოფილების გამგე, წამყვანი მეცნიერი ვ. ნეიძე	გ. ხომერიკი, ნ. ნადარეიშვილი, მ. თუთბერიძე, ნ. კვიციანი, დ. ბეროშვილი, ნ. მარჯანიძე, გ. თავაძე
ანოტაცია			
საქართველოს რეკრეაციული დარგების (საკურორტო მეურნეობის) მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები. საქართველოს ტურიზმის გეოგრაფიის პრობლემები (ეტაპი). თემასთან დაკავშირებით შედგა საველე ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში. რომლის დროსაც ჩატარდა მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები: ობიექტების დათვალიერება და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ფოტოსურათების გადაღება, ობიექტების და			

სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება.			
2	საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ტენდენციები და რეგიონული სხვაობები XX და XXI სს მიჯნაზე	გ. მელაძე	გ. მელაძე, ნ. ნადარეიშვილი, მ. თუთბერიძე ნ.ჩხინაძე მ.გუგუშაშვილი
ანოტაცია			
ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული და გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ტენდენციები და რეგიონული თავისებურებები 2011-2012 წწ.			

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ვ. ნეიძე, თავი: “პოლიტიკურ-გეოგრაფიული დახასიათება”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	324 გვ.
ანოტაცია				
განხილულია: საქართველოს ტერიტორია, საზღვრები, გეოგრაფიული მდებარეობის სახეები, წეს-წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ეროვნული უსაფრთხოება და სახეები.				
2	ვ. ნეიძე, თავი: “განსახლება”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
განხილულია მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების და სიმჭიდროვის, ჰიფსომეტრიული განაწილების რეგიონული თავისებურებები, სასოფლო და საქალაქო განსახლების და ურბანიზაციის თანამედროვე ფორმები				
3	ვ. ნეიძე, თავი: “სოფლის მეურნეობა”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
მოცემულია ქვეყნის აგროწარმოების გეოგრაფიული ანალიზი: სოფლის მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, მისი დარგების მომავალი განვითარების				

საკითხები.				
4	გ. მელაძე, ნ. ნადარეიშვილი, მ. თუთბერიძე თავი: “მოსახლეობა”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
განხილულია მოსახლეობის რიცხოვნობა და დინამიკა, ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ტენდენციები, სქესობრივ-ასაკობრივი, და ეროვნული სტრუქტურები, რელიგიური შემადგენლობა. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი რეგიონული პრობლემები				
5	ნ. ნადარეიშვილი თავი: “ტრანსპორტი”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
განხილულია ქვეყნის სატრანსპორტო ქსელის ფორმირების გეორგაფიული თავისებურებები, ტრანსპორტის ცალკეული სახეების (საავტომობილოს, რკინიგზის, საზღვაოს, საჰაეროს, მილსადენის) გეოგრაფიული თავისებურებები, განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები				
6	ნ. ნადარეიშვილი თავი: “კავშირგაბმულობა”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
განხილულია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი სფეროს ცალკეული ქვედარგების (ფოსტა, ტელეგრაფი, ფაქსი, ტელეფონი, ინტერნეტი, რადიო, ტელევიზია, ფიჭური კავშირგაბმულობა) მდგომარეობა და განვითარების რეგიონული პერსპექტივები.				
7	მ. თუთბერიძე ნ. ნადარეიშვილი, რ. თევზაძე. თავი: “მომსახურების სფერო”	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	
ანოტაცია				
განხილულია მომსახურე სფეროს, ანუ სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები (შიგა ვაჭრობა, კომუნალური მეურნეობა, კრედიტები და დაზღვევა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.), რომლებმაც დიდი ცვლილებები განიცადეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში.				
8.	გ. მელაძე	საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები	თბილისი, “უნივერსალი”	გვ. 232

ანოტაცია

განხილულია საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებთან კავშირში. ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციასთან ერთად გამოყენებულია სპეციალისტთა და ავტორისეული გაანგარიშებები, რომელთა საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნეიძე ვ., თუთბერიძე მ., ხომერიკი გ.	ტურიზმი ჯავახეთში: განვითარების ფაქტორები	გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 5 (84). 2013.	თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა	240-245
ანოტაცია					
ჯავახეთი ნაკლებად შესწავლილია როგორც ტურიზმის მხარე, ამდენად, აქტუალურია მისი პოტენციალის და ფაქტორების დადგენა რაც გარკვეულწილად რეალიზებულია სტატიაში.					
2.	გ. ხომერიკი	უსაფრთხოების პრობლემა და ქართული გეოგრაფიის ამოცანები	გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 5 (84). 2013.	თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა	246-254.
ანოტაცია					
სტატია ეხება უსაფრთხოების მეცნიერულ კვლევაში გეოგრაფიის მონაწილეობის პრობლემას. დასმულია საქართველოს უსაფრთხოების გეოგრაფიის აქტუალური ამოცანები.					
3.	ვ. ნეიძე, ნ. პავლიაშვილი მ. თუთბერიძე	სამკურნალო- გამაჯანსაღებელი ტურიზმი საქართველოში	კრებული: საზოგადოებრივი გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	თბილისი, “ზეეს-გრუპი” 2013.	68-75გვ.
ანოტაცია					
საკურორტო მეურნეობის დეპრესიული მდგომარეობა საქართველოში განაპირობებს დარგის არსებული თანამედროვე ვითარების და განვითარების ფაქტორების ძიების აუცილებლობას, რაც გამოსავალს პოულობს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის გეოგრაფიული საკითხების კვლევაში.					

4.	გ. მელაძე	Problems of Population Caused by an Ecological Condition of Industrial Zones (cause of Kaspi)	„Pressing Problems in Hydrometeorology and Ecology”. Vol. 119	თბილისი	4 გვ.
ანოტაცია					
კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე განხილულია ქ. კასპის მოსახლეობის ეკოლოგიური პრობლემები.					
5.	გ. მელაძე	მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენციები.	კრებული: საზოგადოებრივი გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	“თბილისი ზეეს-გრუპი” 2013.	10 გვ.
ანოტაცია					
შესაბამისი სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით გაანალიზებულია თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე – მოსახლეობის დაბერების პრობლემა. მსოფლიოს რეგიონების მიხედვით.					
6.	გ. მელაძე	კოლხეთის დაბლობის მოსახლეობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა	„კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები”.	თბილისი	4 გვ.
ანოტაცია					
ლოჯიკალური სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებულია კოლხეთის დაბლობზე განსახლებული მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1926-2012 წწ. და ბუნებრივი მოძრაობა 1959-2011 წწ. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.					
7.	გ. მელაძე	სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები საქართველოს რეგიონებში	ბიეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება	თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა	5გვ.
ანოტაცია					
სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები და ტენდენციები					

მხარეების მიხედვით 2000-2012 წწ.					
8.	გ. მელაძე	მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში	გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 5 (84).	თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა	4 გვ.
ანოტაცია					
შესწავლილია დემოგრაფიული პროცესები სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ქვეყნებში. განხილულია მოსახლეობის დინამიკის, ბუნებრივი მოძრაობის, მიგრაციის ტენდენციები და სხვა.					
9.	ნ.ნადარეიშვილი და სხვ.	XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაზე	სოციალური ეკონომიკა. № 3. - მაისი-ივნისი.		გვ. 105-110
ანოტაცია					
<p>მოსაზრებები საქართველოს სამომავლო განვითარებაზე.ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვის საკითხებს. ხაზგასმულია, რომ ამჟამად, ქვეყნის განვითარების მეცნიერულად არგუმენტირებული ერთიანი კომპლექსური სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამების შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რიგის ამოცანაა. ავტორთა აზრით, გრძელვადიანი მომავლის, მიზნებისა და მათი მიღწევის სტრატეგიის განჭვრეტის უქონლობა იწვევს კონკურენტუნარიანობის და ფოკუსირების დაკარგვას, ასევე შეზღუდული რესურსების არარაციონალურ ხარჯვას. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოე რთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია ნათელი, პრაგმატული, კარგად მოფიქრებული გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საზოგადოებრივი, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზებზე და სამომავლო ხედვაზე. ყველაფერს რომ თავი დაუანებოთ, განსაზღვრული გრძელვადიანი პოლიტიკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა, იმიტომაც, რომ, პოლიტიკური ელიტის შეცვლისას, მოსახლეობას გარანტირებული ექნებოდა მემკვიდრეობითი და სახელმწიფო პოლიტიკის წინასწარ განჭვრეტილი, სტაბილური სცენარი.</p> <p>საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას ავტორები 2 შესაძლო სცენარით პროგნოზირებენ: ინერციულ-რესურსული და ინოვაციურ-გარღვევის სტრატეგიით. ინერციულ-რესურსული სტრატეგიის გარდაუვალი შედეგი არის ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები და ეკონომიკის სტრუქტურის დეგრადაცია, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის შემცირება-დაკნინება. რაც შეეხება ინოვაციური გარღვევის სტრატეგიას, ის ალბათ უფრო მისაღებია მწირი ბუნებრივი რესურსებისა და ტერიტორიის გამო. ამისათვის საჭირო იქნება ინერციულ-რესურსულ-საბაზროსტრატეგიაზე უარის თქმა და ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის განხორციელება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჩვენი</p>					

ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, სპეციფიკა, რესურსული შესაძლებლობები, გლობალური პროცესები, ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები და მომავლის ხედვა. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ნეოლიბერალური რეფორმებით სახელმწიფოს სტრატეგიულ-ინოვაციური ფუნქცია შესუსტდა (თუ სრულიადაც არ დაიკარგა), რამაც თავის მხრივ გამოიწვია ქალტურობა გარდაქმნებში და კრიზისის შემდგომი გარდმავება, საჭიროა ამ ინოვაციური ფუნქციის გააქტიურება და ქვეყნის ინოვაციურ რელსებზე დაყენება.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
1) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	მ. თუთბერიძე, ვ. ნეიძე, გ. ხომერიკი	ტურიზმი ჯავახეთში: განვითარების ფაქტორები	გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2013 წ. ნოემბერი
ანოტაცია			
ჯავახეთში ტურიზმი, ცნობილი მიზეზების გამო, ნაკლებადაა განვითარებული. ამასთან, ეს რეგიონი, ამ მხრივ მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს, რასაც მოწმობს ამ მხარეში ქარველი გეოგრაფების მიერ ჩატარებული ტურისტულ-გეოგრაფიული კვლევის შედეგები.			
2.	გ. ხომერიკი	უსაფრთხოების პრობლემა და ქართული გეოგრაფიის ამოცანები	გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2013 წ. ნოემბერი
ანოტაცია			
XXI საუკუნის დასაწყისის საზოგადოებათა წინაშე დგას ახალი, თვისობრივად განსხვავებული გამოწვევები. რომელთა საპასუხოდ ვითარდება უსაფრთხოების საკითხების მეცნიერული კვლევის ახალი პარადიგმა. თანამედროვე მიდგომები გეოგრაფიის როლის ზრდასაც გულისხმობს. საქართველოს გამოწვევების და უსაფრთხოების პრობლემატიკის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გეოგრაფიას ენიჭება.			
3.	ნ.ნადარეიშვილი	ინოვაციური მენეჯმენტის მნიშვნელობა საქართველოს ტურიზმისათვის	IV საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. 8-9 ივნისი, ბათუმი-ტრაპიზონი.
ანოტაცია			
საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტურისტული ორგანიზაციები სულ უფრო ათვითცნობიერებენ ახალი ტურპროდუქტებისა თუ მომსახურების შეთავაზებას და მასთან დაკავშირებული მოგების მიღებას. სავარაუდო მოგების განსაზღვრა ახალი			

ტურპროდუქტებიდან სწორედ ინოვაციური მენეჯმენტის ამოცანაა. ინოვაციური მენეჯმენტი გულისხმობს ყველა არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და მუშაობის ახალი ფორმების აუცილებელ დანერგვას. ინოვაციების მართვა უფრო ხელსაყრელ ვადაა, ვიდრე მეცნიერებას და მასში ყოველთვის მენეჯერის ინდივიდუალური ხელწერა აისახება.

სიახლეების დანერგვის ფორმები შეიძლება იყოს განსხვავებული. ამიტომ საქართველოს სპეციფიკისათვის ისინი შეიძლება დაიყოს ევოლუციურ და რადიკალურ ფორმებად. აღნიშნული ფორმები მოიცავენ არსებული ფუნქციების შენახვასა და განახლებას, სისტემის შემადგენელი ნაწილების გადაჯგუფებას, არსებული სისტემის ელემენტთა ცვლილებებს, სისტემის კონცეფციისა და შედეგების ცვლილებებს.

ინოვაციური ცვლილებები ტურიზმში წარმოშობს ეფექტიანი ზრდის შიდა ენერჯიას. ეს ცვლილებები არღვევენ ბალანსს, მაგრამ ქმნიან საფუძველს შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის და ახალ ხარისხში სისტემის გადასვლისათვის. ამიტომ, სწორედ ინოვაციების პროფესიულად დანერგვა წარმოადგენს სტიმულს ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის. საზოგადოების თანამედროვე განვითარების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ არც ერთი პრობლემა, რომელთანაც ბიზნესს აქვს შეხება არ წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვანს და რთულს, ვიდრე სიახლეთა დანერგვის პრობლემა. ინოვაციები ტურისტულ კომპანიებში თავისთავად გავლენას ახდენენ მთლიანად ტურიზმის ინდუსტრიაზე.

ინოვაცია წარმოადგენს ტურიზმის სექტორის ღირებულების ზრდის ძირითად საშუალებას. რაც უფრო მაღალია ახალშემოდებულის პოტენციალი, მით მეტია მოსალოდნელი რეალური მოგება. ამიტომ, ლიდერი კომპანიები ინოვაციების დანერგვით ტურისტულ ბაზარზე ხდიან “ნაღებს”.

ქართული ტურისტული ფირმები, ითვალისწინებენ რა ინოვაციების ეკონომიკურ დასაბუთებას, იღებენ მათი განხორციელების მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებას. მაგრამ, სტრატეგიულ დაგეგმვას ძალიან ცოტა ქართული ფირმა თუ ატარებს. ამიტომ შედეგიც სახეზეა. ისინი სხვისგანელიან ინოვაციების გავრცელებას.

საქართველოს ტურიზმი ხასიათდება სპეციალური ინოვაციური ინფრასტრუქტურით (ეროვნული პარკები, კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ცენტრები, თანამედროვე სასტუმროები, კლუბები ქალაქგარეთ, გზები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებობენ ლიდერი კომპანიები, რომლებიც ინოვაციების დანერგვაში პიონერებია, დანარჩენები კი უბრალოდ ამ ინოვაციების გადამღებ ფირმებად მოიაზრებიან.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ტურისტული პროდუქტის ეფექტიანობა და მისი განვითარების ტემპი განისაზღვრება ინოვაციური აქტიურობითა და “საბაზრო სიახლით” გამორჩეული პროდუქტის წარმოებით, რომლებიც, ან აკმაყოფილებენ სრულიად ახალ მოთხოვნებს, ან მნიშვნელოვნად აფართოებენ მომხმარებელთა წრეს.

ქართული ტურისტული კომპანიების ინოვაციათა ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება ეკონომიკური მოგების შედარებით იმ დანახარჯებთან, რომლებიც მათ გასწიეს ინოვაციაზე. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციები ქართულ ტურიზმში წარმოუდგენელია მკაფიო სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე, რასაც ყველა კომპანია სამწუხაროდ ვერ ახერხებს.

4	ნ. კვიციანი	ხევის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები	17.12. 2013 თბილისი, თსუ
---	-------------	---	--------------------------

მოსხენებათა ანოტაციები

მოსხენება ეხებოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის – ხევის თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. განხილული იყო მხარის ეკონომიკური და ტურისტული მნიშვნელობა.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ნადარეიშვილი	ინოვაციური მენეჯმენტის მნიშვნელობა საქართველოს ტურიზმისათვის	ბათუმი-ტრაპიზონი, 2013 წ. 8-9 ივნისი.
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>საქართველოს ტურიზმი ხასიათდება სპეციალური ინოვაციური ინფრასტრუქტურით (ეროვნული პარკები, კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ცენტრები, თანამედროვე სასტუმროები, კლუბები ქალაქგარეთ, ვიზები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ). ინოვაციები ქართულ ტურიზმში წარმოუდგენელია მკაფიო სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე, რასაც ყველა კომპანია ყველას ვერ ახერხებს.</p>			
2.	გ. მელაძე	Forest Landscapes of Georgia – Distribution of Population and Dynamics	5-6 September, 2013. Skinsskatteberg (Sweden).
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე, მისი დინამიკა 1989-2002 წწ. და განაწილება ქვეყნის ცალკეული რეგიონების ტყიან ლანდშაფტებში.</p>			
3.	გ. მელაძე	Sustainable Tourism Development in Georgia	8-9 November, 2013. Varna (Bulgaria)
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>განხილულია საქართველოს შავიზღვისპირეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სხვადასხვა სახეობების პერსპექტივები.</p>			
4.	გ. მელაძე	Migration Processes in Post Soviet Georgia	12-13 December, 2013. Budapest (Hungary)
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ოფიციალური სტატისტიკური და სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე, გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები 1990-2012 წწ.</p>			

❖ კარტოგრაფია გეოინფორმატიკის ლაბორატორია

1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: გეოგრაფიკული დოქტორი გულიზა ლიპარტელიანი
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა - 8

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი	გ. ლიპარტელიანი	დ.ქართველიშვილი, თ.ჭიჭინაძე, თ.ცხაკაია, ნ.სოლოღაშვილი, რ.კუმლაძე, გ.ღაცაბიძე, მ.ხაბაზიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>2013 წლისთვის დაგეგმილი იყო და შესრულდა:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამუშავდა სასწავლო ატლასის პროგრამა, რომელიც განხილულ იქნა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარზე; - მომზადდა ბუნების რუკების ზოგადგეოგრაფიული საფუძვლები მასშტაბთა მწკრივის მიხედვით; - შედგენილ იქნა ატლასის რუკების მაკეტი ბუნების რუკებისთვის; - მოძიებული და დამუშავებულია ლიტერატურული და კარტოგრაფიული მასალა ბუნების რუკების შესადგენად; - შედგენილია ბუნების რუკები პროგრამა ArcGIS – ში; - შედგენილი რუკები რედაქტირებულია. 		

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ლიპარტელიანი დ.ლიპარტელიანი	გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური ცნობარი	თბილისი, „უნივერსალი“	249
ანოტაციები				
საქართველოში პირველად იქნა შედგენილი გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური ცნობარი. მასში შევიდა ყველაზე ხშირად გამოყენებული ტრადიციული და თანამედროვე ტერმინები, რომელთა ნაწილი სათანადოდ ან სრულიად არ იყო განმარტებული ქართულ ენაზე.				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა.ჯავახიშვილი გ.ლიპარტელიანი თ.ცხაკაია, ხ.წიკლაური, თ.ჭიჭინაძე	კახეთის რეგიონის ახალი ზოგადგეოგრაფიული რუკა	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი შრომათა კრებული, 5(84)	თბილისი, თსუ გამომცემლობა	3
ანოტაცია					
ტოპოგრაფიული რუკებისა და კარტოგრაფიული და ლიტერატურული მასალების საფუძველზე შედგენილია კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ობიექტების მონაცემთა ბაზა და ახალი ზოგადგეოგრაფიული რუკა 1:200 000 მასშტაბში. კარტოგრაფიული კვლევით					

<p>კარტოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემების ზოგიერთი შეუსაბამობა, რაც შესწორებული სახით შევიდა მონაცემთა ბაზაში და აისახა რუკაზე. კვლევის შედეგები შეიძლება იქნას გამოყენებული საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების ორთოგრაფიული ლექსიკონის ახალი გამოცემისა და საქართველოს გეოგრაფიული ობიექტების სახელმწიფო კატალოგის შედგენის დროს.</p>					
2	თ.ჭიჭინაძე	რაჭის საკულტო და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების ტოპონიმების გეოსაინფორმაციო სისტემის შექმნა	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი შრომათა კრებული, 5(84)	თბილისი, თსუ გამომცემლობა	4
ანოტაცია					
<p>რაჭის საკულტო და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რუკა შედგენილია 1:100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე პროგრამა ArcGIS - ში. გამოყენებულია აგრეთვე ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროები. ყოველი პუნქტი დახასიათებულია შემდეგი მახვენებლებით: სახელწოდება, გეოგრაფიული კოორდინატები, ეპოქა, არქიტექტურული სტილი, თანამედროვე მდგომარეობა. ნაშრომს ახლავს რუკა.</p>					

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის
ინსტიტუტის დირექტორი,
გეოგრაფიის აკად. დოქტორი

ნანა ბოლაშვილი

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება – ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ვაჟა კიკნაძე
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ირინე ტატიშვილი
მთავარი მ/თ – მანანა ხიდაშელი
უფროსი მ/თ – მანანა ხვედელიძე
მ/თ – ნანა ბახსოლიანი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – მარიამ ჩხარტიშვილი
მთავარი მ/თ – ვახტანგ გოილაძე
მთავარი მ/თ – გონელი არახამია
მთავარი მ/თ – გიორგი ქავთარაძე
მთავარი მ/თ – ვაჟა კიკნაძე
მთავარი მ/თ – ეკა კვაჭანტირაძე
უფროსი მ/თ – ალექსანდრე თვარაძე
უფროსი მ/თ – დავით მერკვილაძე
უფროსი მ/თ – გიორგი ჭეიშვილი
უფროსი მ/თ – მარინე ქადაგიძე
მ/თ – რუსუდან ლაბაძე
მ/თ – მედეა გოგოლაძე
მ/თ – პაპუნა გაბისონია

ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ავთანდილ სონღულაშვილი
მთავარი მ/თ – გიორგი საითიძე
მთავარი მ/თ – დოდო ჭუმბურიძე
მთავარი მ/თ – შოთა ვადაჭკორია
მთავარი მ/თ – ნიკოლოზ ჯავახიშვილი
მთავარი მ/თ – ელდარ ბუბულაშვილი
უფროსი მ/თ – გია გელაშვილი
უფროსი მ/თ – ლოლა სარალიძე
უფროსი მ/თ – ხათუნა ქოქრაშვილი
უფროსი მ/თ – ლელა მიქიაშვილი
მ/თ – ირინა არაბიძე
მ/თ – მზია ტყავაშვილი
მ/თ – ნატო სონღულაშვილი
მ/თ – შორენა მურუსიძე

საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – ქეთევან ხუციშვილი
 მთავარი მ/თ – გიორგი გოცირიძე
 მთავარი მ/თ – ნინო მინდაძე
 უფროსი მ/თ – ხათუნა იოსელიანი
 უფროსი მ/თ – ნინო ღამბაშიძე
 უფროსი მ/თ – ნინო ჩირგაძე
 უფროსი მ/თ – როზეტა გუჯეჯიანი
 მ/თ – ქეთევან ალავერდაშვილი
 მ/თ – ლელა ნებიერიძე
 მ/თ – გიორგი მამარდაშვილი

კაკეასიის ეთნოლოგიის განყოფილება:

განყოფილების გამგე, მთავარი მ/თ – როლანდ თოფჩიშვილი
 მთავარი მ/თ – სალომე ოქრუაშვილი
 მთავარი მ/თ – ლავრენტი ჯანიაშვილი
 უფროსი მ/თ – ნათია ჯალაბაძე
 უფროსი მ/თ – ირმა კვაშილავა
 მ/თ – ჯონი კვიციანი

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია:

ლაბორატორიის გამგე, მთავარი მ/თ – ლიანა ბითაძე
 უფროსი მ/თ – ვლადიმერ ასლანიშვილი
 მ/თ – დავით ჭითანავა
 მ/თ – შორენა ლალიაშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ძველი მსოფლიოსა და საქართველოს უძველესი და შუა საუკუნეების ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები	ირინე ტატიშვილი	მანანა ხიდაშელი მანანა ხვედელიძე ნანა ბახსოლიანი
		მარიამ ჩხარტიშვილი	ვახტანგ გოილაძე გონელი არახამია გიორგი ქავთარაძე ვაჟა კიკნაძე ეკა კვაჭანტირაძე ალექსანდრე თვარაძე დავით მერკვილაძე მარინე ქადაგიძე გიორგი ჭეიშვილი რუსუდან ლაბაძე მედეა გოგოლაძე პაპუნა გაბისონია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა ძველი ქვეყნების ისტორიისა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის			

განყოფილებები. შესრულდა გეგმით გათვალისწინებული წლიური სამეცნიერო ნაშრომები, რის შედეგადაც შესწავლილი იქნა ძველი მსოფლიოსა და საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები: ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კილიკიის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხი (ნაშრომში განხილულია ეთნოგენეზი, ეთნოსის ფორმირების ძირითადი ეტაპები, ენობრივი ერთობა, საზღვრების გავრცელების არეალი, კულტურული ურთიერთქმედება, მიგრაცია, ეთნიკური საზღვარი. შესწავლილი არქეოლოგიური მასალის, ლინგვისტური მონაცემების და ისტორიულ-გეოგრაფიული სურათის საფუძველზე ავტორი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე კილიკიის ძირითად მოსახლეობად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც ლუვიელებს მიიჩნევს, რომლებთან ერთადაც სხვა ეთნოსების თანაცხოვრებასაც შესაძლებლად მიიჩნევს); ძველი ეგვიპტის „ახალი სამეფოს“ ისტორია; შიდა ქართლის ისტორიიდან ერთი ნაკვეთი – „ელინისტური სამყარო და იბერიის სამეფო“ (ნაშრომში ელინიზმის ეპოქა განხილულია, როგორც კლტურის განვითარების ისეთი საფეხური, როდესაც ადგილი ჰქონდა ძველი ღირებულებების გადაფასებას და ახალი ფასეულობების დაფუძნებას. ნაჩვენებია, რა სახითა და დოზით აისახა იბერიაში, ფარნავაზის მეფობის ხანაში, ელინიზმისათვის დამახასიათებელი სიახლეები); ხეთურ-ქართული ლექსიკონი: 9-10 ნაკვეთები: შუმეროგრამები; აქადური სიტყვები და ფორმები (მე-9 და მე-10 ნაკვეთებში შესულია შუმეროგრამები (ღურსმული გრაფემებით გადმოცემული შუმერული სიტყვები, ცნებები) და აქადური სიტყვები და ფორმები, რომლებიც ხეთურ ტექსტებში არის დადასტურებული. მიმდინარე წელს მე-9 ნაკვეთი წელს გამოქვეყნდა, ხოლო მე-10 ნაკვეთი მზადდება გამოსაქვეყნებლად. ნაშრომს დართული აქვს ღურსმული ნიშნების ცხრილი, სადაც ასახულია ნიშნების ფონეტიკური და იდეოგრაფიული მნიშვნელობები).

შესწავლილი და ახლებურად გაანალიზებული იქნა საქართველოს საეკლესიო ისტორიის სხვადასხვა საკითხები I-XVII სს-ში; საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების: ქართლის სამეფოს (თემაში – „საზღვრები კონცეფციასა და რეალობაში ქართლის სამეფოს მაგალითზე“, გვიანი შუა საუკუნეების ქართლის სამეფოს მაგალითზე ნაჩვენებია, თუ რამდენად განსხვავდება (ემთხვევა) ოფიციალური შეხედულება (რაც, ძირითადად, ბერი ეგნატაშვილთან და ვახუშტი ბატონიშვილთანაა გადმოცემული) სახელმწიფოს საზღვრებზე რეალობისგან. საკონტროლო მასალად მოხმობილია დოკუმენტური წყაროები და უცხოელ მოგზაურ-რეზიდენტთა ჩანაწერები. ნაჩვენებია, თუ საზღვრების რომელ უბნებზეა დადასტურებული ეს განსხვავებები; ახსნილია ამის შესაძლებელი მიზეზებიც), კუხეთის (კუხეთი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ ქვეყანათაგანია, რომელიც დიდი ხანია გაქრა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკიდან და მისი არსებობა მხოლოდ ისტორიის ადრეულ ეტაპზე ფიქსირდება. „კუხეთი“ კუხეთის ქვეყანას აღნიშნავს. ლეონტი მროველი კუხეთის მამამთავრად ასახელებს კუხოსს, რომელიც ქართლოსის ერთ-ერთი ძეა. კუხეთისა და მათ მოსაზღვრედ განსახლებული კახეთის სახელთა განსაკუთრებული მსგავსებასთან ერთად უეჭველია, ამ ტომთა ახლო ეთნიკური ნათესაობაც. ნაშრომში განხილულია კუხეთის საზღვრების დადგენის სხვადასხვა ვერსიები), სამეგრელოს (ნაშრომში განხილულია ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონების რიგი სოფლების ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიის რამდენიმე საკითხი) პოლიტიკურ-გეოგრაფიული პრობლემები; „არიან-ქართლი“ (ნაშრომში ახლებურად არის გადაწყვეტილი ე. წ. ძველი მცხეთის ლოკალიზაციის საკითხი, ტოპონიმების ”მცხეთა” და ”ქართლი” თავდაპირველი მნიშვნელობა, იბერიის სამეფო პანთეონის ხასიათი და წარმომავლობა, ე. წ. არიან-ქართლის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები); ქართული ისტორიული საბუთები (სასისხლო სიგელები)

შესწავლილი იქნა, როგორც საისტორიო წყარო; შუა საუკუნეების კვლევის ევროპული მიდგომები, კერძოდ: „მედიევალური ქართული და დასავლური ისტორიოგრაფიული ფენომენი“ (ისტორიოგრაფიული კვლევები თანამედროვე ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში კულტუროლოგიური ნიშნით მიმდინარეობს. ამან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს ეპოქაში ფრაგმენტაციის, სპეციალიზაციისა და რელატივიზმის გარემოში. ნაშრომში განხილულია ამ მიმართულების მკვლევართა ნაშრომები: მეთიუ არნოლდის., იაკობ ბურჰარდის, იოჰან ჰუიზინგის, ლევი ბრიულის, პიერ ნორას, პიტერ ბერკის, უმბერტო ეკოს, ლუი ალთუსერის, პიერ ბურდიეს, რობერტ დარტონის შრომები); ქართლისა და საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური როლი კავკასიურ სივრცეში; რელიგიური შეუწყნარებლობა და ტოლერანტობა შუა საუკუნეების საქართველოში (თემაში დამუშავებულია რელიგიური შეუწყნარებლობის და ტოლერანტობის ნიმუშები შუა საუკუნეების ქართულ ისტორიაში, ისტორიოგრაფიაში, ლიტერატურაში, ნათარგმნ თეოლოგიურ ტექსტებში. მასალა განიხილება ერთგვარ ზოგად კონტექსტში. მიმდინარე წელს დამუშავდა ევროპული ორიგინალური ლიტერატურა და სამეცნიერო ტექსტები შუა საუკუნეების ტოლერანტობის საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე ქართული ისტორიოგრაფიული და მხატვრული ტექსტები რელიგიური შეუწყნარებლობის და ტოლერანტობის კონტექსტში); ქალები შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (ნაშრომში განხილულია ქალის სოციალური სტატუსი და უფლებები შუა საუკუნეებში ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. განხილულია ქალები – დიპლომატები, პოლიტიკური მოღვაწეები, შემოქმედები, ტაძრის მშენებელნი, ასევე, განხილულია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც ქალი წმინდანების ცხოვრებას აგვიწერს).

კვლევის შედეგები გამოტანილი იქნა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სტატიები დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში.

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთობების ისტორია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია; ეთნიკურჯგუფთაშორისი ურთიერთობებისა და რელიგიის საკითხები	ავთანდილ სონღულაშვილი	ნიკოლოზ ჯავახიშვილი დოდო ჭუმბურიძე გიორგი საითიძე გია გელაშვილი ხათუნა ქოქრაშვილი მზია ტყავაშვილი ელდარ ბუბულაშვილი შოთა ვადაჭკორია
ქეთევან ხუციშვილი		გიორგი გოცირიძე	
როლანდ თოფჩიშვილი		სალომე ოქრუაშვილი ლავრენტი ჯანიაშვილი ნათია ჯალაბაძე ირმა კვაშილავა ჯონი კვიციანი	
ლიანა ბითაძე		ვლადიმერ ასლანიშვილი შორენა ლალიაშვილი	

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტის, რომლის მიზანია ქართული სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის საფუძვლიანი და კომპლექსური კვლევა, განხორციელებაში მონაწილეობდა ახალი და უახლესი ისტორიის, საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებები, ასევე,

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია. შესწავლილი იქნა საქართველოში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური ერთობების (სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები, ებრაელები, გერმანელები, რუსები, ადიგელები) ისტორია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია. მათი საქართველოში ჩამოსახლების ვითარება, განსახლება, რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობა, წეს-ჩვეულებები, ეთნიკურჯგუფთაშორისი ურთიერთობები, სამეურნეო ყოფა და ტრადიციები, განთლებისა და კულტურის საკითხები ქართული და არაქართული წერილობითი წყაროების მიხედვით; საქართველოში მცხოვრები ებრაელების, სომხების, ბერძნების საკითხი XIX-XX სს-ის ქართული პრესის მიხედვით; საქართველოში განსახლებული სომხების, რუსების და ესტონელების ანთროპოლოგიური დახასიათება და დერმატოგლიფიკური ნიშნების შესწავლა შედარებითი ასპექტში (ნაშრომში განხილულია საქართველოში მცხოვრები სომხების 5 ჯგუფის მორფოლოგიური თავისებურება, შედარებულია სომხეთში მცხოვრები რამდენიმე ტერიტორიული ჯგუფის მასალები. განხორციელებულია სომხების ტერიტორიული ჯგუფების შიდაპოპულაციური და პოპულაციებს შორის ანალიზი, დადგენილია შიდაპოპულაციური პოლიმორფიზმი და ცალკეულ პოპულაციებს შორის მსგავების მაღალი დონე. ნიშანთა კომპლექსით, გაირკვა მათი ქართველებთან, სხვა კავკასიურ ჯგუფებთან მორფოლოგიური მსგავსების მიმართულება და ხასიათი. ასევე განისაზღვრა წინააზიური რასის შიგნით არსებული პოლიმორფიზმი და ჰეტეროგენურობა. ასევე ნაშრომში განისაზღვრა კვლევაში ჩართული ყველა ძირითადი ჯგუფის შიდაპოპულაციური მრავალფეროვნება სომატოლოგიური და დერმატოგლიფიკური ხარისხობრივი ნიშნების მიხედვით თანამედროვე მრავალგანზომიანი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია წინააზიური რასის ჩამოყალიბების არეალის გაფართოება და ქართველების ზოგიერთი ჯგუფის (მესხები, ჯავახები, წალკის, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და გორის ქართლებების) წინააზიური რასის შემადგენლობაში განხილვა); დამუშავდა თემები: სარწმუნოებრივი ვითარება აფხაზეთში XX ს-ის უკანასკნელ ათწლეულში და მისი პოლიტიკური ასპექტები (ნაშრომში შესწავლილია XX საუკუნის ბოლო ათწლეულში თუ როგორი სარწმუნოებრივი ვითარება იყო საქართველოს ძირძველ კუთხეში აფხაზეთში. ნაჩვენებია, რომ რელიგიური სხვადასხვაობა აფხაზეთში განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც რუსეთის აგრესიის შედეგად აფხაზეთი მოწყდა საქართველოს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დასახელებულ პერიოდში აფხაზეთში გაიზარდა ისლამის მიმდევრების აქტიურობა. თუმცა, ისლამისტები იმართებოდნენ და ამჟამადაც იმართებიან რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. ნაშრომში აგრეთვე სათანადო ყურადღება ეთმობა სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას და მის მრევლს; რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, სხვა პროტესტანტულ ეკლესიებს და სხვ. ნაშრომის ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს მართმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლის როლს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. თუმცა აქვე ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება კარგად იყენებს აფხაზეთში შექმნილ რელიგიურ სიტუაციას თავისი პოლიტიკური მიზნების გასატარებლად); კოდორის ხეობის საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი 2006-2007 წწ-ში; ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობა ეთნოსთაშორის ურთიერთობებში (ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა და რამდენიმე გამორჩეული თეორიული მიდგომა ისტორიული მახსოვრობის შესახებ (ჰალბვაქსის, ასმანის, და სხვ.). თეორიათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ისტორიული მახსოვრობა უმნიშვნელოვანესი მარკერია ეთნიკური

<p>იდენტობის ფორმირებაში და შესაბამისად, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გადამწყვეტი აღმოჩნდეს ეთნოსთაშორისი ურთიერთობების განვითარებაში); ქართულ-აფხაზურ-ადიღეური ეტიკეტი (ნაშრომი წარმოადგენს ქართულ-აფხაზური ეტიკეტის შედარებითი კვლევის შედეგს, მის შედარებას ადიღეურ ეტიკეტთან. გამოთქმულია მოსახრება, რომ ის ემყარება და ნათლად ასახავს ამ ორი ხალხის ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობების ეთნიკურ სიახლოვეს და მენტალურ მახასიათებლებს); შესწავლილი იქნა აფხაზების, ისტორიული პერეთის (საინგილოს) ქართული მოსახლეობის ისტორია და ეთნოლოგია; ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო მასალის და საველე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, შესწავლილია აჭარაში ისლამის გავრცელების ისტორია, რელიგიური სიტუაცია საბჭოთა პერიოდში და უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები. გაანალიზებულია ისლამური წეს-ჩვეულებები ყოველდღიურ ყოფაში, სალაფიტური მიმდინარეობის ინფილტრაციის პერსპექტივა და კონფესიათშორის ურთიერთობის თავისებურებები.</p> <p>პროექტის ფარგლებში დამუშავდა ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და საველე-ეთნოგრაფიული მასალები, ასევე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, მოხდა მონაცემთა განხილვა, ანალიზი და ურთიერთშეჯერება. ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგად, საბოლოოდ შეიქმნება ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთობების ისტორიის ყოფის, კულტურის, ანთროპოლოგიის შესახებ; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი როლის შესახებ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. მიმდინარე წელს გამოიცა სამეცნიერო სტატიები, კვლევების შედეგები წარდგენილი იყო სამეცნიერო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე.</p> <p>აღნიშნული კვლევები ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთობების ინტეგრაციის პროცესს და თავიდან აგვარიდებს კონფლიქტების გაღვივებას.</p>			
3	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	საქართველოს, ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში არსებული ეთნოკონფლიქტების შესწავლა და შედარებითი ანალიზი (ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა და ნაშრომის მომზადება)	ავთანდილ სონღულაშვილი	ლელა მიქიაშვილი ლოლა სარალიძე ირინა არაბიძე შორენა მურუსიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება. მისი მიზანია შედარებითი შესწავლა და ანალიზი იმ უმთავრესი პრობლემისა, რაც ქართული სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეთნოკონფლიქტების პრობლემა მარტო საქართველოში არ არის აქტუალური, ანალოგიურ კონფლიქტებს ადგილი აქვს ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში. მეტად მნიშვნელოვანია მათი წარმოშობის მიზეზების, განვითარებისა და შედეგების შესწავლა, ასევე, მოგვარების სავარაუდო გზების მოძებნა.</p> <p>პროექტის განხორციელების მიზნით, მოხდა საქართველოში და სხვა ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურის, ინტერნეტინფორმაციის მოპოვება და დამუშავება. პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს დამუშავდა რამოდენიმე თემა: საფრანგეთში არსებული პოლიტიკური კონფლიქტები და მათი</p>			

შედარებითი ანალიზი საქართველოში არსებულ ეთნოკონფლიქტებთან (ნაშრომში განხილულია საფრანგეთის როლი მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ჭრილში. მსოფლიო პროცესებში ჩართული, პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური ქვეყნები იმ გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, რომლებიც მიგრაციულ ნაკადებთან, ტერორიზმის გლობალიზაციასთან და ახალ იდენტურობებთანაა დაკავშირებული. კულტურული მრავალსახეობის რეგულირების დროის მოთხოვნების შესაბამისი, გათვლილი და დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავება ამ ქვეყნებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად იქცა. ამ თვალსაზრისით, დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებათა შესწავლა, საფრანგეთის ჩათვლით, საქართველოსთვის მეტად საინტერესოა. ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც ქვეყანას უკიდურესად ჭრელი „ძირძველი“ მოსახლეობით, რომელსაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე დაემატა არაევროპული წარმომავლობის იმიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ქვეყანა, რომელიც თავიდანვე ახორციელებდა სამოქალაქო საზოგადოების მოდელის, ეროვნული საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკას (პოლიტიკური ანუ სამოქალაქო ნაციონალიზმი), საზოგადოებრივ ცოდნეების გაძლიერებული ყურადღების ობიექტი, გახდა. ნაშრომში განხილულია ფრანგულ საზოგადოებაში იმიგრანტების ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები. ნაშრომში საუბარია, ასევე, საფრანგეთის როლზე საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში); ეთნოკონფლიქტები იუგოსლავიაში და მათი შედარებითი ანალიზი საქართველოში არსებულ ეთნოკონფლიქტებთან (ნაშრომში განხილულია ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზები, მათი განვითარების ეტაპები. კონკრეტულად არის შესწავლილი იუგოსლავიაში შემავალი სხვადასხვა ხალხების წარმომავლობის საკითხი და ისტორიული წარსული, იუგოსლავიის სახელმწიფოს შექმნა, XIX ს-ში ევროპაში არსებული პოლიტიკური რეალობა და სხვადასხვა სახელმწიფოთა დამოკიდებულება სამხრეთი (ანუ ბალკანელი) სლავების პოლიტიკური გაერთიანებებისადმი; საგანგებო ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ფაქტორზე); ესპანეთის ეროვნული კონფლიქტი ქართული წყაროების მიხედვით (XX საუკუნეში საქართველოში გამომავალ ქართულ პრესაში ესპანეთის ეროვნულ კონფლიქტთან დაკავშირებით ინფორმაცია ძალიან მწირია. საზღვარგარეთ გამოცემულ ქართულ ჟურნალებში საკითხს უფრო ინტენსიურად ეხმიანებიან. ამ ეტაპზე აღვნიშნავთ, რომ ეროვნულ რეგიონებს ერთიანი ესპანური სახელმწიფოს არსებობის პირობებშიც დამოუკიდებლობის საკმაოდ მრავალი ნიშანი ჰქონდათ შენარჩუნებული. ქვეყნის ფედერალური მოწყობა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პოპულარულ გზად იყო მიჩნეული. ეროვნული ერთობის ფრანკოსეული კონცეფცია ესპანელი ხალხების კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას უპირისპირდებოდა, ამიტომ ესპანეთის მცხოვრებთა უმრავლესობის მხარდაჭერით არ სარგებლობდა. პირიქით, ფრანკოს მმართველობის ხანამ (1939-1975 წლები) ეთნიკური ნაციონალიზმის გააქტიურება და საკითხის გამწვავება გამოიწვია. ესპანეთში ეროვნული კონფლიქტის გადაჭრისათვის 1978 წლის კონსტიტუციამ რეგიონებს ავტონომიური სტატუსი მიანიჭა. ქვეყნის რეგიონული მოწყობის ესპანური მოდელი უნიტარული და ფედერალისტური სახელმწიფო მოდელების შერწყმის შედეგად მიღებული ახალი ჰიბრიდია. საქართველოში აღნიშნულთან მიახლოებული მოდელის გამოყენებას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს); დნესტრისპირეთის ტერიტორიული კონფლიქტი (თემა ეხება დნესტრისპირეთის კონფლიქტის ისტორიულ მიმოხილვას, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს,

	<p>დაპირისპირებას მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის, დნესტრისპირეთის თანამედროვე მდგომარეობას, მოლაპარაკების პროცესს და შეუთანხმებელ საკითხებს. კონფლიქტი დნესტრისპირეთის რეგიონში წარმოადგენს „გაყინულ“ კონფლიქტს, რომელმაც ძალადობრივი ხასიათი მიიღო 1992 წელს, როდესაც ეთნიკურ და ენობრივ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოლდოვური და დნესტრისპირეთის შეიარაღებული ძალები. 1993 წელს იწყება მედიაციის პროცესი ეუთოს, რუსეთისა და უკრაინის დახმარებით).</p> <p>პროექტი ორწლიანია, მომავალ წელს, მისი დასრულების შემდეგ, მომზადდება ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ეთნოკონფლიქტების ყველა ასპექტისა და შედარებითი ანალიზის შედეგად, მოცემული იქნება მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები, რაც უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ სხელმწიფოს. მიმდინარე წელს კი, გამოიცა სამეცნიერო სტატიები, კვლევების შედეგები წარდგენილი იყო სამეცნიერო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე.</p>		
4	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	<p>ტრადიციული ეთნოლოგიური და სოციოლოგიურ-ანთროპოლოგიური საკითხების კვლევა – ქართველების სულიერი და მატერიალური კულტურის საკითხები.</p>	ქეთევან ხუციშვილი	<p>ნინო მინდაძე ნინო ღამბაშიძე როზეტა გუჯაჯიანი ნინო ჩირგაძე ხათუნა იოსელიანი ლელა ნებიერიძე ქეთევან ალავერდაშვილი გიორგი მამარდაშვილი</p>
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
	<p>პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება. მის ფარგლებში შესწავლილი იქნა ქართველების ტრადიციული წეს-ჩვეულებები, სოციალური პროცესები და კომუნიკაციები, მითოლოგიური აზროვნება და მსგავსი საკითხები. კვლევის მიზანი იყო ტრადიციული კვლევითი მეთოდების, მიმართულებებისა და იმ სამეცნიერო მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება, რომლითაც ასე მდიდარია ქართული ეთნოლოგიური მიმართულება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალის მოძიება-ფიქსაცია, შედარებითი კვლევა-ძიება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა. ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოს შედეგად შესწავლილი იქნა ტრადიციული ქართული ყოფისა და კულტურის ის საკითხები, რომლების ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი, გამოიცა სამეცნიერო სტატიები და შედეგები წარდგენილი იქნა სამეცნიერო ფორუმებზე.</p> <p>პროექტის ფარგლებში დამუშავდა თემები: ხალხური რელიგიური სისტემა და ადამიანი (ქართლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) (ნაშრომში ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობასთან, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირებთან მუშაობის შედეგად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხილულია ხალხური რელიგიური სისტემისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხი. კვლევის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხალხური რელიგიური სისტემა ერთი მხრივ ახორციელებდა ადამიანის სოციალური დაცვის ფუნქციას, ხელს უწყობდა ავადმყოფზე ეფექტურ ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას, ზოგჯერ კი ხდებოდა მიზეზი ადამიანის დაავადებისა, ცოდვის ჩადენის გაცნობიერების თუ სხვა ნიადაგზე); სოციალური გარემო და ადამიანი</p>		

(ქართლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) (ნაშრომში წარმოდგენილია ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგები. ადამიანისა და სოციალური გარემოს ურთიერთდამოკიდებულება განხილულია ადგილობრივი, ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანის სოციალური დაცვის ხალხური ტრადიციების მიხედვით. ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ჩატარებულია შედარებითი ანალიზი. კვლევის შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი ტრადიციული ზნეობრივი ნორმები ხშირ შემთხვევაში სახეცვლილია, ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის ტრადიციული სასჯელი ხშირად იცვლება მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულებით, სასჯელის სახეები ხშირად ქრება. შედარებით კონსერვატულია სოციალური დაცვის ხალხური ტრადიციები, რაც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის თანამედროვე ყოფაში); ბუნებრივი გარემო და ადამიანი (ქართლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) (ნაშრომში განხილულია ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთმიმართების საკითხი ქართლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. საკვლევად აღებულია შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა. კვლევის მიზანი იყო მოსახლეობისაგან მოწოდებული მასალის შედარებითი ანალიზი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის ბუნებასთან ადაპტაციის პროცესში საუკუნეების მანძილზე ხალხმა გამოიმუშავა მრავალი რაციონალური ტრადიცია, სადაც გათვალისწინებული იყო მიკრორეგიონალური გეოკლიმატური თავისებურებანი. ბუნებასთან ადაპტაციის ტრადიციული წესების ნაწილს ახლაც ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ახალ გეოკლიმატურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში); ქართულ ხალხურ დღეობათა კატალოგი (დასავლეთ საქართველო) (თემაში წარმოდგენილია სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის კატალოგი. ნაშრომს ახლავს ვრცელი შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახულია დღეობათა კლასიფიკაცია, ტიპოლოგია, მართვა, მენეჯმენტი; განხილულია შესაბამისის სამეცნიერო ლიტერატურა. კალენდარი დალაგებულია საეკლესიო კალენდრის მიხედვით. აღწერილია დღესასწაული, გამოვლენილია მისი თარიღი, მიმდინარეობის დრო, ვარიაციები სამივე მხარეში (არსებობის შემთხვევაში), შესაწირვი ატრიბუტიკა, ქცევის წესები, ეთნომუსიკალური ფონი, ლოცვის ტექსტები. განმარტებულია დრეობის არსი და გამოთქმულია ავტორისეული შეხედულებები. ყოველი დღეობის აღწერისა და ანალიზის შემდეგ, მას ერთვის სამეცნიერო ბიბლიოგრაფია); ანდრია მოციქულის ქადაგება ხალხური ტრადიციის მიხედვით სამცხეში (2010 და 2013 წლებში ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, მათი ქართულ საისტორიო წყაროებთან, არქეოლოგიურ მასალასთან და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებთან შეჯერებით, ეთნოლოგიური კუთხით განხილულია წმ. ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა სამცხეში. გამოვლენილია დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალა, დადგენილია წმ. ანდრიას მიმოსვლის ხალხში დაცული მარშრუტი, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში არ მიზღვეს წყაროსეულ მარშრუტს, საზგასმულია რიგ შემთხვევებში, წყაროს, ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის თანხვედრა); სვანეთის საისტორიო წყაროები ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები (ნაშრომში წერილობითი ძეგლების, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მასალის, რომელშიც იგულისხმება აგრეთვე სვანური ტექსტების 5 ტომეული, მონაცემების საფუძველზე შესწავლილია “ერთობილი სვანეთის” ზოგადი და ბალსზემო სვანეთის კონკრეტული ისტორიული-

გეოგრაფიის საკითხები); სადღესასწაულო სივრცის ორგანიზების ასპექტები; შიდა და გარე სივრცის მითოსურ-მატერიალური ასპექტები აფხაზურ ყოფაში (აფხაზური ტრადიციული კარ-მიდამო და დასახლების ტიპი კარგად ასახავს აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის სამეურნეო კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების თავისებურებებს. ამასთან აფხაზური დასახლებისა და კარ-მიდამოსა თუ ტრადიციული არქიტექტურის ჩამოყალიბება დიდწილად განპირობებულია კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით. საშენ მასალად ქვის გამოყენება აქ არატრადიციულია, თუმცა აფხაზური თქმულებების მიხედვით აქ, აფხაზეთამდე მცხოვრებ მითიურ ქონდრისკაცებს ქვის გალავნებში და სახლებში უცხოვრიათ. აფხაზური დასახლებისა და კარ-მიდამოს ტიპის აღწერილობა მეტნაკლები სისრულით თითქმის ყველა იმ ავტორის ნაშრომშია მიმოხილული, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული მოგზაურობდნენ აფხაზეთში, ანდაც აფხაზეთის ეთნოლოგიის საკითხებს უძღვნიდნენ კვლევებს (ლამბერტი, ტორნაუ, ზვამბა, ჯანაშია, სახოკია, ბასარია, ინალ-იფა, აჯინჯალი და სხვა). მათი აღწერილობა-კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ აფხაზური ტრადიციული დასახლებებისა და კარ-მიდამოს ტიპებს, მის სივრცული დაყოფის (საკრალური და სამეურნეო თვალსაზრისით) პრინციპს, ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპებს ფართო კავშირი აქვთ დასავლეთ საქართველოს კუთხეთა (განსაკუთრებით ბარის და მეზობელ სამურზაყანოსა და სამეგრელოს) მოსახლეობის ყოფის ანალოგიურ მხარეებთან).

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დოდო ჭუმბურიძე	ვაჟა კიკნაძე ლოლა სარალიძე ხათუნა ქოქრაშვილი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>მეცნიერ-შემსრულებელთა ჯგუფმა შეასრულა I პერიოდის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები:</p> <p>დოდო ჭუმბურიძე – წარმოადგინა ნაშრომი XVIII საუკუნეში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ. ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო კავშირი, მათი პოლიტიკური მიზნები, პეტრე I-ის ანდერძის მიმართება ქართული სახელმწიფო ინტერესებისადმი; ნაშრომში განხილულია ასევე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პერიოდის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ისტორია, შეტანილია ამ ურთიერთობის ამსახველი წყაროები. შესრულდა დოკუმენტების თარგმანები კრებულიდან: Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, т.2, выпуск 1, С. П. 1898, под ред. А.А. Цагарели.</p> <p>ვაჟა კიკნაძე – წარმოადგინა ნაშრომი და დოკუმენტების ქართული თარგმანები XV–XVII საუკუნეების საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან.</p>				

<p>ნაშრომი აანალიზებს რუსი ისტორიკოსების: ნ. კარამზინის, ვ. კლიუჩევსკის, ვ. სოლოვიოვის, მ. სელეზნიოვის, მ. დიაკონოვის, მ. ბროსეს, მ. პოლიევქტოვის, ს. ბელოკუროვის, შ. ნოგმოვის, ასევე, ქართველი მეცნიერების: ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას სამეცნიერო შრომებში დაცულ ცნობებს საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე XV-XVII საუკუნეებში. სტატიაში გამოყენებულია აღნიშნული პერიოდის დოკუმენტები, რომელთა ნაწილი ქართულად პირველად ითარგმნა.</p> <p>ხათუნა ქოქრაშვილი – დაამუშავა საკითხი „რუსული მმართველობა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელშიც შესწავლილია XIX ს-ის I ნახევარში საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა და დოკუმენტები.</p> <p>ლოლა სარალიძე – წარმოადგინა ნაშრომი საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ. 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა აჯანყებები. საბჭოთა ავტონომიების შექმნა.</p> <p>ნაშრომში გაანალიზებულია XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტები. მოვიპოვეთ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო და უახლესი ისტორიის, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს (ყოფილი პარტიული არქივი) არქივში დაცული, XX საუკუნის დასაწყისში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი მასალები, ასევე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში დაცული აკაკი რამიშვილის არქივის რუსული, ფრანგული და ინგლისურენოვანი დოკუმენტები, რომელთა ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში, გამოყენებული იქნა ასევე, ემიგრაციული სამეცნიერო ლიტერატურა.</p>				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნათია ჯალაბაძე	ლავრენტი ჯანიაშვილი მედეა ბურდული
დასრულებული პროექტის (ეგაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>2013 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით საველე მუშაობა ჩატარდა კასპში და მცხეთის რაიონის დევნილთა დასახლებებში – წეროვანში, ფრეხეთსა და წილკანში. ასევე, 2013 წლის ივლის-აგვისტოში საველე მუშაო ჩატარდა ახალგორის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობაში – თავად ახალგორში, ბოლში, ერედაში და ახმაჯში.</p> <p>სამუშაოს დაზვერვითი, ე.წ. პილოტური ხასიათი ჰქონდა, რომლის მიზანსაც ვითარების გაცნობა და მომავალი საველე სამუშაოების ხასიათის განსაზღვრა წარმოადგენდა. გამოკითხვა წარიმართა ქართველი და ოსი ხალხის ტრადიციული ურთიერთობების და იმ ცვლილებების გამოსავლენად, რაც მან განიცადა 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ; ყურადღება გამახვილდა ინტერეთნიკური სტაბილური და დაბალანსებული ურთიერთობების მარეგულირებელ ასპექტებზე; ქართველთა და ოსთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკაზე, მათი ურთიერთობის ტრადიციული ფორმებზე, ყოფისა და კულტურის როლზე ამ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში.</p> <p>ფიქსირებული ინფორმაცია (აუდიო ჩანაწერები) ინახება საკუთრივ თითოეულ მკვლევართან.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ტატიშვილი	ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრაფიები	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	155
2	მანანა ხვედელიძე	ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია	თბილისი, ქარჩხაძის გამ.	597
3	მარიამ ჩხარტიშვილი	“მოქცევაი ქართლისაი“ პეტრე იბერის შესახებ	თბილისი, „ნეკერი“	27
4	გონელი არახამია, მანანა სანაძე	VI საუკუნის ქრონიკა «დავით და კოსტანტინეს წამებაში»	თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომც.	205
5	ავთანდილ სონღულაშვილი	ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა	თბილისი, „უნივერსალი“	248
6	გიორგი საითიძე	ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები	თბილისი, „უნივერსალი“	465
7	ნინო მინდაძე	ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა	თბილისი, „უნივერსალი“	334
8	როლანდ თოფჩიშვილი	სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან	თბილისი, „უნივერსალი“	152
9	ჯონი კვიციანი	„აფხაზურ-ქართული ინტეგრაციის პრობლემები XX-XXI სს. სოციალურ-კულტურული ასპექტები	თბილისი, „უნივერსალი“	88
10	დავით ჭითანავა, ვ. ფიფია	ყულის ეკლესია და თამარი	თბილისი, „მწიგნობარი“	94
ანოტაციები				
1	მე-9 ნაკვეთში შესულია შუმეროგრაფიები (ღურსმული გრაფემებით გადმოცემული შუმერული სიტყვები, ცნებები), რომლებიც ხეთურ ტექსტებში არის დადასტურებული. ნაშრომი განკუთვნილია, პირველ რიგში, ხეთური ენით დაინტერესებულ პირთათვის, რომლებსაც ხეთური ენის დაუფლებისას, ხეთების			

	მრავალენოვნებიდან გამომდინარე, უწევთ შუმერულ სიტყვებში გარკვევაც. ლექსიკონის აღნიშნული ნაკვეთი დახმარებას გაუწევს შუმერული ენის შემსწავლელ სტუდენტებსაც. ნაშრომს დართული აქვს ლურსმული ნიშნების ცხრილი, სადაც ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობების გარდა ფონეტიკური მნიშვნელობებიც არის ასახული.
2	ენციკლოპედიის 693 სტატია მოიცავს ძველი ეგვიპტის ფარაონებს, ქალაქებს, ტოპონიმებს, ღმერთებს და მნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდებს.
3	ცნობილი ქართველი ასკეტი პეტრე იბერი (წმ. პეტრე ქართველი, ცხოვრობდა დაახლ. V საუკუნის 10-იან - 80-იან წლებში) მოღვაწეობდა პალესტინაში. იგი განეკუთვნებოდა ქართულ სამეფო ოჯახს (ხოსროიანთა / ხოსროვანთა დინასტიას) და იყო ტახტის მემკვიდრე. მაგრამ მან უარი თქვა, ემეფა. ამის გამო, ბუნებრივია, პეტრე არ მოიხსენიება შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებებში "მოქცევაი ქართლისაი", რომელიც გვაწვდის ქართლის უზენაეს იერარქთა სიას ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ეპოქებისათვის. ამიტომაც, რომ პეტრეს ცხოვრების გზის რეპრეზენტაციისათვის მკვლევრები აღნიშნულ თხზულებას არ მოიხმობენ, როგორც წყაროს. ნაშრომი საპირისპიროდ ამ პრაქტიკისა, აჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში "მოქცევაი ქართლისაი" არის გასაღები წყარო. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ირიბ ინფორმაციას პეტრეზე. სწორედ ამ ცნობების მეშვეობით ხდება შესაძლებელი როგორც პეტრეს ბიოგრაფიის დეტალების, ასევე ხოსროვანების ოჯახის ისტორიის ახალი კუთხით გააზრება.
4	წიგნი ეძღვნება მეთერთმეტე საუკუნის ქართული აგიოგრაფიული თხზულების, «დავით და კოსტანტინეს წამების» ტექსტში ძველი ქართული ისტორიული ქრონიკის ნაკვალევის გამოვლენას. «წამებაში» დაცული ქრონოლოგიური ცნობების კრიტიკული ანალიზისა და ისტორიული რეალიების განხილვის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად «წამების» ავტორი სარგებლობდა მეექვსე საუკუნეში შედგენილი ისტორიული ქრონიკით, სადაც აღწერილი იყო ირანის ერთ - ერთი ლაშქრობა ეგრისში აქ მიმდინარე ბიზანტია - ირანის ხანგრძლივი ომის პერიოდში. «წამების» ავტორმა ქრონიკაში მოთხრობილი ამბები არაბთა ლაშქრობად მიიჩნია და მისი ცნობები არაბთა სარდლის მურვან - ყრუს შემოსევების (მერვე საუკუნე) შესახებ თხრობაში ჩართო, თუმცა წყაროს ნაკვალევი მის ტექსტში მაინც დარჩა. წიგნში მოცემულია მეექვსე საუკუნის ისტორიული ქრონიკის ტექსტის რეკონსტრუქციის ცდა.
5	ნაშრომში ახალი საარქივო დოკუმენტური წყაროებისა და ლიტერატურის გათვალისწინებით შესწავლილია ქართული ენის როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ცალკე ადგილი ეთმობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი.
6	წიგნში შეტანილი მასალების დიდი უმრავლესობა ეძღვნება საქართველოში ბოლო ოცი ცლის მანძილზე განცითარებულ პროცესებს. თითოეულ ნარკვევში გაცხადებულია ავტორის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის პოზიცია.
7	ნაშრომში განხილულია ხალხური სამედიცინო თეორიისა და სამკურნალო პრაქტიკის საკითხები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ ტრადიციული როგორც ნატუროპათიური, ისე მაგიურ-რელიგიური სამკურნალო პრაქტიკა უმეტესწილად ეფექტური იყო. ნაშრომში მოცემულია ცდა ტრადიციული სამკურნალო საშუალებების ეფექტურობის დასაბუთებისა და ახსნისა.
8	მონოგრაფია ორი მონაკვეთისაგან შედგება: ა)ეთნიკური და რელიგიური ვითარება

	<p>გვიანი შუა საუკუნეებისა და მე-19 საუკუნის სამცხეში; 2)სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია მე-17-მე-19 საუკუნეებში). პირველ ნაწილში საარქივო და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით საუბარია სამცხის ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და გათურქების პრობლემებზე. ქართველთა დეეთნოზაცია სამცხე-ჯავახეთში ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც აქ ოსმალეთის იმპერიის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო და რომელიც დასრულდა მხარის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ. ქართველთა გამაჰმადიანებისა და გათურქების პროცესი მონოგრაფიაში შესწავლილია მე-19 საუკუნეში ცარიზმის ხელისუფალთა მიერ ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერებისა და საოჯახო სიების საფუძველზე. ეს მასალა პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში. მონოგრაფიის მეორე ნაწილში დადგენილია, რომ ჯავახეთის ქართული მოსახლეობა მე-17-მე-19 საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქართლში გადმოსახლდა, ხოლო მაჰმადიანები კი რუსეთის შემოსვლისთანავე ოსმალეთის იმპერიის შიდა ვილაეთებში გადასახლდნენ.</p>
9	<p>ნაშრომში ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანალიზებულია აფხაზურ– ქართული ინტეგრაციის პრობლემები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები XX-XXI სს.</p> <p>ნაჩვენებია, რომ საბჭოთა მოდერნიზაციულმა და, ამ მიმართულებით პოსტსაბჭოური პოლიტიკის ინერციამ საქართველოში და მის მეზობლებში (ჩრდილო კავკასია) ჩიხში მოქცია საბჭოთა კავშირში ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა. ავტორის აზრით საჭიროა ამ უკანასკნელის ეროვნულ–კულტურული პრობლემატიკის სიბრტყეში გადაყვანა. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოდგენილი აზრი ითხოვს, საქართველოში სოციალური ინტეგრაცია მშვიდობიანად ეგუებოდეს კულტურულ მრავალფეროვნებას და ამის საფუძველზე ახდენდეს ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.</p>
10	<p>ყულის ეკლესია და თამარი“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია დავით ჭითანავას ისტორიოგრაფიული კვლევა ყულიშკარის წმინდა გიორგის ეკლესიაზე და ხატზე. ნაშრომში შესწავლილია სამეგრელოს მასშტაბით თავისი სიძლიერით განთქმული სალოცავის–ყულიშ–კარის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია საარქივო მასალების, საისტორიო წერილობით წყაროებში არსებული ცნობებისა და ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით. აღდგენილია ყულიშ-კარის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელთმსახურთა ოჯახების სრული გენეალოგია XVIII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის ოციან წლებამდე. წარმოდგენილია სახელწოდებების „ყულის“ და „ალერტის“ თავდაპირველი მნიშვნელობის ახსნა. ნაშრომი განკუთვნილია, როგორც სამეგრელოს ეკლესიის ისტორიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებულ პირთათვის, ისე მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.</p>

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ტატიშვილი	ასირიოლოგიის შესავალი	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	55
2	როლანდ თოფჩიშვილი	ეთნოლოგიური მეცნიერების	თბილისი, „უნივერსალი“	392

შესავალი	
ანოტაციები	
1	ნაშრომი წარმოადგენს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ასირიოლოგიის შესავლის მოკლე კურსს. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ასირიოლოგია როგორც მეცნიერება; 2. ლურსმული დამწერლობის სისტემა; 3. ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხები და ენები; 4. ასირიოლოგიური კვლევა-ძიებების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად. საქართველოში ძველი ახლო აღმოსავლეთის კვლევის ისტორია (ძირითადი ეტაპები და მიმართულებები).
2	„ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. სახელმძღვანელოს სტრუქტურა ორიგინალურია, ანალოგიური სახელმძღვანელო დღემდე არ არსებობდა. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დიდი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. სახელმძღვანელოში საუბარია ამ კავშირების შესახებ. ამავე დროს ის სტუდენტებს გზას გაუკვალავს ეთნოლოგიის სამყაროში; მისცემს ცოდნას ეთნოლოგიის საგნის, ფუნქციების, მეთოდების და თანამედროვე საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის შესახებ. სახელმძღვანელო შედგება შესავლის, სამი ნაწილისა და ბოლოთქმისაგან. პირველი ნაწილი „ეთნოლოგიის ზოგადი პრობლემები“ შეიცავს 15 თავს, მეორე ნაწილი „ეთნოლოგია და სხვა მეცნიერებები“ – 12 თავს, მესამე ნაწილი „მსოფლიოს ხალხები“ 15 თავს.

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირინე ტატიშვილი	იშთარის საგალობელი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული: აღმოსავლეთმცოდნეობა/ <i>Oriental Studies</i>	2	თბილისი, „უნივერსალი“	6
2	მანანა ხიდაშელი	კულტურის განვითარების ძირითადი ციკლები აღმოსავლეთ საქართველოს ძველ კულტურაში, კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული	XV	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	4
3	მანანა ხიდაშელი	ქალი და ქალღვთაება ძველ შუმერში, მსოფლიო და გენდერი	2	თბილისი, სტუ-ს გამომ.	4
4	მანანა ხვედელიძე	ჰიმნები ამონისადმი, კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული	XV	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	7
5	ნანა	ძვ. წ. I ათასწლეულის	1	თბილისი, სტუ-	4

	ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე	პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტისათვის, ბიზნეს-ინჟინერინგი		ს გამომ.	
6	ნანა ბახსოლიანი	დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანისა“ და ანდრია კრეტელის „დიდი კანონის“ რამდენიმე ადგილის ინტერპრეტაციისათვის, საისტორიო ვერტიკალები	27	თბილისი, სტუ-ს გამომ.	5
7	ნანა ბახსოლიანი	კილიკია (Κιλικία) ასურული ლურსმული წარწერების მონაცემთა კონტექსტში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	4
8	ნანა ბახსოლიანი	რამდენიმე შტრიხი გიორგი II-ის პორტრეტისათვის, მსოფლიო და გენდერი	2	თბილისი, სტუ-ს გამომ.	5
9	ნანა ბახსოლიანი	„საყვარელი მზის“ - მეფე აზათივათი, კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული	XV	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	5
10	ნანა ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე	ქართველების აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები, „ეგროპული კვლევები“	სიმპოზიუმის შრომები	თბილისი, სტუ-ს გამომ.	14
11	ნანა ბახსოლიანი, ნანა ხაზარაძე	ექვთიმე თაყაიშვილის ერთი პუბლიკაციის შესახებ, „სვეტიცხოველი“	1	თბილისი, სტუ-ს გამომ.	5
12	ვახტანგ გოილაძე	ოსი ლტოლვილები XIII ს-ის საქართველოში, „ქართველოლოგია“	5	თბილისი, ილიას სახ. უნივერს. გამ.	12
13	ვახტანგ გოილაძე	ანტონ ქართველი და სვიმეონ მესვეტე, „ქართველოლოგია“	2	თბილისი, ილიას სახ. უნივერს. გამ.	26
14	ვახტანგ გოილაძე	სად მდებარეობდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დამოძღვრილი „ქუეყანა სვილდიაი“, ვინ იყვნენ სოგდიანები და გორსინები?, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	2	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	23
15	ვახტანგ გოილაძე	გრიგოლ ბაკურიანის ძის წარმომავლობისათვის, „ქართველოლოგია“	4	თბილისი, ილიას სახ. უნივერს. გამ.	20
16	გიორგი ქავთარაძე	საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა – წარსული და თანამედროვეობა, მარი ბროსე 210	კონფ. მას.	თბილისი, „მერდიანი“	19

17	გიორგი ქავთარაძე	The Relationship between the Caucasus and the Middle East during the “Pre-Kura-Araxes” Period, Proceedings of the International Archeological Symposium: Problems of Maykop Culture in the Context of Caucasian-Anatolian Relations.	სიმპოზიუმის შრომები	თბილისი, „მერდიანი“	14
18	გიორგი ქავთარაძე	ტერმინ „ქართლის“ არსისა და წარმომავლობის საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	13
19	გიორგი ქავთარაძე	On the Importance of the Caucasian Chronology for the Foundation of the Common Near Eastern – Eastern European Chronological System, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	20
20	ვაჟა კიკნაძე	The Saga of Yngvar the Traveler and Georgian Chronicle, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	7
21	ეკა კვაჭანტირაძე	ქართული თვითცნობიერება ისტორიულ რეტროსპექტივაში, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „ბული გონიერი“	5	თბილისი	24
22	ეკა კვაჭანტირაძე	საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან, კავკასიის უნივერსიტეტის შრომები	7	თბილისი, კავკასიის უნივ. გამომც.	10
23	ალექსანდრე თვარაძე	ბიბლიის ისტორიული ატლასი და მისი კარტოგრაფიული მასალა, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	2	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	2
24	ალექსანდრე თვარაძე, სოფიო ვაშალომიძე	ახალი კრებული: „კავკასია მონღოლთა პერიოდში (XIII-XIV სს.)“, „ქართველოლოგია“	4	თბილისი, ილიას სახ. უნივერს. გამ.	10
25	ალექსანდრე თვარაძე	ვენდ გრაფ ფონ კალნაინის „ქართული დღიური“ – გვიანი სტალინიზმის ეპოქის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი	15	თბილისი, „მწიგნობარი“	20

26	დავით მერკვილაძე	თეატინელი მისიონერები საქართველოში და პროზელიტიზმის ერთი გახმაურებული ამბავი, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	1	თბილისი, თსუ-ს გამომც.	11
27	დავით მერკვილაძე	ტერმინ „ზენა სოფლის“ წარმოშობისა და მისი „შიდა ქართლად“ გარდაქმნის გარემოებანი, თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები	კონფ. მას	გორი	10
28	დავით მერკვილაძე	დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეთნოკულტურული და ისტორიულ-გეოგრაფიული კუთვნილებისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	11
29	დავით მერკვილაძე, პაპუნა გაბისონია	არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხიდა“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	12
30	გიორგი ჭეიშვილი	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები სომხეთში, „ლოგოსი“	7	თბილისი	9
31	პაპუნა გაბისონია	ზუგდიდის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	11
32	ავთანდილ სონღულაშვილი	ირან-ოსმალეთის აგრესია და ქართველთა გამაჰმადიანების მცდელობანი გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	11
33	ავთანდილ სონღულაშვილი	ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ სონღულაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი	15	თბილისი, „მწიგნობარი“	8
34	შოთა ვადაჭკორია	ქართული პოლიტიკური აზრი ოსური საბჭოური ავტონომიის შექმნისა და მისი სამართლებრივი შეფასების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	4
35	შოთა	ისტორიული ნარკვევი ასე არ	7, 8	თბილისი	10

	ვადაჭკორია	უნდა იწერებოდეს, „ქართული ელიტა“			
36	შოთა ვადაჭკორია	ოსმალეთი და „სამხრეთ კავკასიის მუსლიმანური სახელმწიფოს“ შექმნის საკითხი (1918-1919 წწ.), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	35
37	დოდო ჭუმბურიძე	შიდა ქართლის სოციალურ- ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	18
38	დოდო ჭუმბურიძე	თურქიზმი და საქართველო XX საუკუნის 10-იან წლებში, გორის უნივერსიტეტის შრომები	კონფ. მას.	გორი	9
39	ელდარ ბუბულაშვილი	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვაწლი უცხოეთის ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში (XIX საუკუნის 70-იანი წლები - XXI საუკუნის პირველი ათეული), „ლოგოსი“	7	თბილისი	11
40	ელდარ ბუბულაშვილი	მაქსიმე აბაშიძე (1725-1795) - „კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოსა და აფხაზეთისა,“ “მაცნე” ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	1	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	7
41	ელდარ ბუბულაშვილი	საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის, “ანალები”	9	თბილისი, „მემატიანე“	6
42	ელდარ ბუბულაშვილი	გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძეს, „ქართული ემიგრაცია“	2	თბილისი	17
43	გიორგი საითიძე	ეპისკოპოს გაბრიელისა (ქიქოძე) და სენატორ გიორგი მუხრანსკის წერილობითი გასაუბრება მცირე ერებისა და მათი ენების არსებობსთან დაკავშირებით, ახალი და უახლესი	1	თბილისი, „უნივერსალი“	23

		ისტორიის საკითხები			
44	გიორგი საითიძე	საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ისიღორე რამიშვილის „მოგონებების“ მიხედვით), ბათუმის უნივერსიტეტის შრომები	IV	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამომც.	8
45	გიორგი საითიძე	ქართულ-ებრაული ურთიერთობის საკითხები ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში, გ. თავართქილაძის სასწ. უნივერსიტეტის შრომები	–	თბილისი	10
46	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	VII	თბილისი, თსუ-ს გამომც.	
47	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი ფურცლები, წელიწდეული „ქართული დიპლომატია“	XVI	თბილისი, „არტანუჯი“	19
48	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	ლავრენტი ბერია რამდენიმე თანამედროვის თვალთ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	23
49	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	საქართველოს და ბალტიის ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხი (1920 წ.), ზურაბ პაპასქირი – 60	–	თბილისი	6
50	გია გელაშვილი	მიხაკო წერეთლის რამდენიმე წერილი უორდროპთა კოლექციიდან, კავკასიურ-აღმოსავლური კრებულები	XV	თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“	64
51	გია გელაშვილი	ინგლისელი მოგზაური ლოურენს ოლივანტი აფხაზეთის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	18
52	გია გელაშვილი	ბათუმი ბრიტანეთის საკონსულოს მოხსენებაში (XIX ს-ის 60-70-იანი წლები), ბათუმის უნივერსიტეტის შრომები	IV	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამომც.	7
53	ლოლა სარალიძე	სსრკ-ის დაშლისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ისტორიიდან (XX საუკუნის 90-იანი წლები), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	28

54	ლოლა სარალიძე	ამიერკავკასიაში ამერიკის პოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან (1919-1920 წწ.), ამერიკის შესწავლის საკითხები	VII	თბილისი, თსუ-ს გამომც.	9
55	ლოლა სარალიძე	საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920-1921 წწ.) (უცნობი საარქივო დოკუმენტების მიხედვით), გორის უნივერსიტეტის შრომები	კონფ. მას.	გორი	10
56	ლოლა სარალიძე	ქართული სამხედრო სკოლა და ბრძოლა ბათუმისათვის (1921 წლის მარტი), ბათუმის უნივერსიტეტის შრომები	IV	ბათუმი, ბათუმის უნივერს. გამომც.	7
57	ლოლა სარალიძე	რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია (1921წ) და ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	11
58	ხათუნა ქოქრაშვილი	ნატო და საქართველოს კონფლიქტური რეგიონები, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	25
59	ლელა მიქიაშვილი	ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მასალები იმერეთის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	30
60	მზია ტყავაშვილი	დარუბანდის გასასვლელი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში (XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	9
61	შორენა მურუსიძე	კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა - მასალები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევსთვის, ქართული ემიგრაცია	2	თბილისი	20
62	შორენა მურუსიძე	მსოფლიოს ბიპოლარიზაცია და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	11
63	ირინა არაბიძე	სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის	1	თბილისი, „უნივერსალი“	20

		ავტოკეფალიის ადიარებისათვის, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები			
64	ნატო სონდულაშვილი	ბურჟუაზია 1900-1910 წლების საქართველოში, „ინტელექტუალი“	23	თბილისი	7
65	ნატო სონდულაშვილი	ქართველი ინტელიგენცია 1900-1910 წლებში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები	1	თბილისი, „უნივერსალი“	14
66	ქეთევან ხუციშვილი	სივრცისა და მატერიალური ობიექტების საკრალურობის კონსტრუქცია (შიხ ისა- ეფენდის საფლავის მაგალითზე), ვერა ბარდაველიძე 110	კონფ. მასალ.	თბილისი, უნივერსალი	13
67	ქეთევან ხუციშვილი	რელიგიისა და პოლიტიკის მიმართება (თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესების მაგალითზე), ეთნიკური და რელიგიურ- კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	კონფ. მასალ.	თბილისი, თსუ-ს გამომც.	7
68	ნინო მინდაძე	პიროვნების შინაგანი კონფლიქტი და რჩეულობის ტრადიციული ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	9
69	გიორგი გოცირიძე	რელიგიური პრუდარიზმი და კულტურული ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლის მოსახლეობაში (ქართულ აზერბაიჯანული ურთიერთობების მაგალითზე), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	1	თბილისი, თსუ-ს გამომც.	6
70	გიორგი გოცირიძე	ქართული საწესო სუფრის გენეზისის საკითხი ვ. ბარდაველიძის ნაშრომების მიხედვით, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	10
71	ნინო ჩირგაძე	ჯანმრთელობის დაცვის ხალხური ტრადიციები	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	7

		კახეთში, ვერა ბარდაველიძე – 110			
72	როზეტა გუჯეჯიანი	ქართველთა ეთნიკური იდენტობისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხები (წარსული და თანამედროვეობა), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	კონფ. მასალ.	თბილისი, თსუ-ს გამომც.	9
73	როზეტა გუჯეჯიანი	„კვირია“ ტრადიციულ ქართულ კულტურაში, ვერა ბარდაველიძე 110	კონფ. მასალ.	თბილისი, უნივერსალი	20
74	ხათუნა იოსელიანი	დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის შესახებ, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	10
75	ხათუნა იოსელიანი	XIII-XV ს-ის სვანეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებ, ისტორიულ- ეთნოლოგიური ძიებანი	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	15
76	ხათუნა იოსელიანი	დაკრძალვასთან დაკავშირებული ერთი რიტუალის შესახებ სვანეთში, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	8
77	ნინო ღამბაშიძე	ქართული ხალხური კალენდრის ზოგადმსოფლმხედველობრივი მხარეები და ზოგიერთი მასხასიათებელი ნიშნები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	16
78	ნინო ღამბაშიძე	ხალხური სარწმუნოების კვლევის ზოგიერთი პრობლემა და მეთოდოლოგია, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	9
79	ლელა ნებიერიძე	“შეშინებულის“ მკურნალობასთან დაკავშირებული წეს- ჩვეულებები იმერეთში, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	8
80	გიორგი მამარდაშვილი	აფხაზური ლეგენდების, მითების და თქმულება- გადმოცემების გეოგრაფია, ისტორიულ-ეთნოლოგიური	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	18

		ძიებანი			
81	ქეთევან ალავედაშვილი	შაწესო ფერხულების შესწავლისათვის, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	11
82	როლანდ თოფჩიშვილი	საქართველოს „უცნობი“ მეზობლები: ხინალულები, კრიწები და ბუდუხები, „ისტორიანი“	3	თბილისი	7
83	როლანდ თოფჩიშვილი	ეთნიკური და რელიგიურ- კონფესიური ურთიერთობები და ეთნოლოგიური მეცნიერება, ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	1	თბილისი, თსუ-ს გამომც.	8
84	როლანდ თოფჩიშვილი	ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები საქართველოში (ზოგადი ასპექტი), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	1	თბილისი, თსუ-ს გამომც.	13
85	როლანდ თოფჩიშვილი	ხანძთის მონასტრის ლოკალიზაციისა და შავშეთ- კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები	VII	თბილისი, თსუ-ს გამომც.	17
86	როლანდ თოფჩიშვილი	რელიგიური და ეთნიკური ფაქტორების ურთიერთმიმართების პრობლემა ისტორიული სამცხის მოსახლეობაში – „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი“	კონფ. მას.	თბილისი	35
87	როლანდ თოფჩიშვილი	სად მოხდა ალან-ოსთა ეთნოგენეზი: კავკასიასა თუ შუა აზიაში?, ზურაბ პაპასქირი-60	–	თბილისი, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის გამომც.	23
88	სალომე ოქრუაშვილი	Политеистические верования и представления абхазов в кон- тексте этнической истории, ზურაბ პაპასქირი-60	–	თბილისი, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის გამომც.	27
89	სალომე ოქრუაშვილი	ქართულ-აფხაზური ურთიერთობის პრობლემა ნიკო ჯანაშიას შემოქმე- დებაში, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის	IV	თბილისი	10

		შრომები			
90	სალომე ოქრუაშვილი	სტუმარმასპინძლობის ტრადიციები აფხაზ და ჩერქეზ ხალხებში, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	15
91	ლავრენტი ჯანიაშვილი	პლურალისტური სამართლის უნიფიკაციის საკითხისათვის (სვანური ჩვეულებითი სამართალი), „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	1	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	12
92	ლავრენტი ჯანიაშვილი	საქართველოში თურქთა ინფილტრაციის ისტორია და მესხეთიდან დეპორტირებულთა იდენტობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში, დეპორტირებული მესხები-წარსული და დღევანდლობა	კონფ. მას.	თბილისი	22
93	ლავრენტი ჯანიაშვილი	ტარდიციული კულტურა და უნიფიკაციის გლობალური პროცესი (ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის მაგალითზე), ეთნიკური და რელიგიურ- კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა	1	თბილისი, თსუ-ს გამომც.	9
94	ლავრენტი ჯანიაშვილი, ნათია ჯალაბაძე	ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი ქვემო ქართლში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	13
95	ნათია ჯალაბაძე	ტრადიციული სამართლის შემონახულობის საკითხისათვის ქვემო ქართლში (სისხლის ადების ჩვეულება), „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	1	თბილისი, მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამ.	11
96	ირმა კვაშილავა	საქართველოში მცხოვრები ბერძნები პოსტსაბჭოთა პერიოდში, ისტორიულ- ეთნოლოგიური ძიებანი	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	35
97	ირმა კვაშილავა	წმინდა გიორგი ილორისაო, გერისაო, ქურმუხისაო,	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	20

		თავზარდამცემო მტრისაო, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი			
98	ირმა კვაშილავა	ვასტირჯი (წმინდა გიორგი) ოსურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ვერა ბარდაველიძე – 110	კონფ. მას.	თბილისი, „უნივერსალი“	15
99	დავით ჭითანავა	წამხარის ღვთისმშობლის ხატი	XV	თბილისი, „მწიგნობარი“	8
100	დავით ჭითანავა	მეგრული „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი“-ს მნიშვნელობისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები	XII-XIII	თბილისი, „უნივერსალი“	11
ანოტაციები					
1	<p>ძვ. წ. XVII საუკუნის ბაბილონში შექმნილი “იშთარის საგალობელი” ძველი შუამდინარული ლიტერატურის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. ნაშრომში მოცემულია აქადური ტექსტის ტრანსკრიპცია და ქართული თარგმანი კომენტარებითურთ.</p>				
2	<p>ნაშრომში ისტორიის კვლევის ციკლური განვითარების თეორიაზე დაყრდნობით, შესწავლილია კულტურის განვითარების ძირითადი ციკლები აღმოსავლეთ საქართველოს ძველ კულტურაში. უძველესი ციკლი მოიცავს ე. წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურას. ამ ციკლის დამამთავრებელ ეტაპს მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოადგენს. ამ დროს ვითარდება გუთნური მიწათმოქმედება, სეზონური მესაქონლეობა, საფუძველი ეყრება მეტალურგიულ წარმოებას.</p> <p>კულტურის განვითარების შემდეგი ციკლი ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს იწყება და ადრეული ყორღანების კულტურის სახელით არის ცნობილი. ამ ციკლს ამთავრებს ე. წ. თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“.</p> <p>კულტურის ახალი ციკლი შიდა ქართლში ძვ. წ. XV ს. იწყებს არსებობას და ძვ. წ. VII-VI ს. გრძელდება. ხალხი გორებზე სახლობდა. ამ პერიოდის შიდა ქართლის მატერიალური, სულიერი და ყოფითი კულტურა გასაოცარი ერთიანობით გამოირჩევა და შეიძლება ერთი ხალხის, ქართველების კუთვნილებად ჩაითვალოს.</p> <p>კულტურის განვითარების ახალი, უმნიშვნელოვანესი ციკლი შიდა ქართლში ძვ. წ. IV-III ყალიბდება. იბერია საერთაშორისო არენაზე მოიპოვებს მის კუთვნილ ადგილს. იბერიაში ადგილი აქვს „ურბანისტურ აფეთქებას“, წარმოიშვებიან დიდი ქალაქები - ხელოსნობისა და ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები. დაწინაურებას განიცდის მცხეთა, რომელიც უკვე „სამეფუფო ქალაქად“ არის წოდებული. აღმოჩენილია დიდი სატაძრო კომპლექსები. კულტურის ამ ციკლის დასასრულს წარმოიშვება იბერიის სამეფო. ტახტზე ადის ფარნავაზი, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. ფარნავაზი მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს, რომლებიც ქვეყნის გაძლიერებისაკენ არის მიმართული.</p> <p>კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ციკლი წარმოადგენს კულტურის ახალს სახეს, იგი განხილული უნდა იყოს როგორც კულტურის ახალი მთლიანობა, რომელსაც აქვს განვითარების ძლიერი შესაძლებლობები და წინსვლის ძლიერი პერსპექტივები.</p>				
3	<p>ნაშრომში საგანგებოდ არის შესწავლილი შუმერული კულტურა. რომელშიც სრულად იყო ასახული მათი დიდი მიღწევები, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში. მიუხედავად ამ დიდი მიღწევებისა სამყაროს არქაული განცდა არ იყო დაკარგული და ძლიერად იყო გამოვლენილი უძველეს და მყარად მოქმედ ტრადიციებში. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს შუმერში გავრცელებული პოლიანდრია, ანუ მრავალქმრიანობა, რაც მიუთითებს ქალის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. პოლიანდრია სპეციალური</p>				

	<p>აქტებით გააუქმა ლაგაშის მეფე ურუინგიმ (ძვ. წ. 2318-2313 წწ.), ქალთა უფლებები საგანგებოდ იყო დაცული შუმერულ სამართალშიც.</p> <p>შუმერში არსებული მრავალქმრიანობის ტრადიცია სრულად იყო ასახული შუმერული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაების ინანა-იშტანის თავგადასავალში. იგი ნაყოფიერების, ნადირობის, შუღლის ღვთაება იყო. მის ხასიათში განსაკუთრებულად იყო ხაზგასმული ინანას მიწიერი სიყვარულის ძალა. ამიტომ მას არაერთი მეწყვილე ჰყავდა. რომელსაც ღვთაება სასტიკად სჯიდა.</p>
4	<p>ნაშრომი წარმოადგენს ამონისადმი მიძღვნილი ჰიმნის (ჩვ. წ.-მდე XIII ს.) თარგმანს ძველქვეყნობრიდან, შესავლით და კომენტარებით.</p>
5	<p>სტატიაში ძველადმოსავლური და ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში შესწავლილია ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები. წყაროებში არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონის მოსახლეობა, ძირითადად, მეტალურგიას (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, სპილენძი), მეცხენეობას, მსხვილ და წვრილ მესაქონლეობას მისდევდა.</p>
6	<p>ზემომოყვანილ ნაწარმოებებში ხაზგასმული „სინანულის“ მაგალითების თანხვედრა, სემანტიკური კოდის მატარებელია. ყურადღება ექცევა ერთსა და იმავე დროს დავითის როგორც სახელმწიფო მოღვაწის და წუთისოფლის ამაოებისგან განდგომილი სასულიერო პირის განცდების სინთეზი, მისი როგორც ზეადამიანური სიმაღლის მაჩვენებელი უნდა იყოს.</p>
7	<p>ნაშრომში დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონის – კილიკიის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ასურულ წერილობით წყაროებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ასურულ მონარქებს ხანგრძლივი და ინტენსიური ბრძოლების წარმოება საუკუნეების მანძილზე უხდებოდათ. ასურული წყაროების შესწავლამ საშუალება მოგვცა საკმაოდ ზუსტად წარმოვიდგინოთ მცირე აზიის ამ რეგიონში პოლიტიკურ ძალთა განლაგება და სხვადასხვა გაერთიანებებს შორის არსებული ურთიერთობები.</p>
8	<p>ნაშრომში წერილობითი წყაროების შესწავლისა და ისტორიოგრაფიული მასალის გათვალისწინების საფუძველზე გიორგი II-ის როგორც შვილისა და მამის პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტია წარმოჩენილი. გიორგი II-ის ფსიქოლოგიურ პორტრეტში პიროვნების ავტონომია იკითხება. საკუთარი ავტონომიურობის გაცნობიერება ინდივიდს ეხმარება იყოს თავისუფალი თვითნებური სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებისაგან, ხელისფლების დიქტატისაგან, არ დაკარგოს საკუთარი თავის ფლობა დესტაბილიზაციისა და ტოტალიტარული რეპრესიების პირობებში. პიროვნების ავტონომია უკავშირდება მის უმაღლეს ფსიქიკურ თვისებას – სულიერებას. პიროვნების ავტონომია ესაა მისი თავისუფლება ამორალური სურვილებისაგან, წუთიერი პრესტიჟულობისაგან, პოლიტიკური ქაოსისაგან. პიროვნების ავტონომია ადამიანს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ღირსება, პიროვნული პოზიციები, გამოავლინოს ნონკომფორტულობა</p>
9	<p>სტატიაში ძველადმოსავლური წერილობითი წყაროების საფუძველზე შესწავლილია მეფისა და უზენაესი ღვთაების – მზის ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც ტიპოლოგიურად არა მარტო შუა საუკუნეების ევროპულ არამედ, ქართულ კულტურულ ტრადიციაშიც მოწმდება.</p>
10	<p>ნაშრომში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შესწავლილია ქართველების აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები, რაც, არა მხოლოდ აღნიშნული რეგიონის ისტორიის რეკონსტრუქციისათვისაა საყურადღებო, არამედ აქ განსახლებული ქართული მოსახლეობის ანთროპოლოგიური, ეოფითი კულტურის, ფსიქოლოგიის, დასახლების ტიპების და სხვა ნიშან-თვისებების ფართო ისტორიულ ჭრილში წარმოსახენადაც.</p>

11	<p>ნაშრომში შესწავლილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული და 1920 წელს გამოქვეყნებული ეპისტოლე. იგი მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია და რამდენიმე ასპექტითაა საყურადღებო – რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური. მასში ნათლად იკვეთება საქართველოს ეკლესიის მწირი საკუთრება წმინდა მიწაზე, მცირე პილიგრიმოზა, ქართველთა ავტორიტეტი, საეკლესიო კრების მოწვევის მცდელობა და ჩაშლა პოლიტიკური უთანხმოების საფუძველზე, შეგროვებული და გაღებული შემოწირულობები იერუსალიმის ტაძრების შესანარჩუნებლად.</p>
12	<p>გამოკვლევაში გაანალიზებულია ჟამთააღმწერლის ცნობა დავით VII ულუს მეფობაში (1247-1270) ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში მონღოლების მიერ დევნილი ოსი ლტოლვილების შემოსვლის შესახებ. ოსები ჯერ დავით მეფის სამსახურში იყვნენ, შემდეგ მონღოლთა წაქეზებით ქართლში არაერთი ციხე დაიკავეს. დაიწყეს მამაპაეული სამფლობელოებიდან ადგილობრივ ფეოდალთა განდევნა. ოსთა მძლავრობისაგან საქართველო გიორგი ბრწყინვალეს ძალისხმევით გათავისუფლდა.</p>
13	<p>გამოკვლევაში პირველადაა გაანალიზებული ისერუსალიმის ქართველთა მონასტერში მოღვაწე-ანტონ ქართველისა და დიდი წმინდანის სვიმეონ მესვეტის ურთიერთობა VI ს-ის სირიასა და ჩრდილო შუამდინარეთში მიმდინარე რელიგიურ დაპირისპირებათა ფონზე. როგორც გაირკვა, ანტონ ქართველმა სელეგკიის საეპისკოპოსო კათედრა სწორედ სვიმეონ მესვეტის შუამდგომლობით დაიკავა.</p>
14	<p>ქართულ მეცნიერებაში პირველად მოხერხდა ნიკიტა-დავით პაფლაგონიელის ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლაში“ დასახელებული „ქუეყანა სვილდიასი“ (ეპიფანე კონსტანტინოპოლელთანაა „ზემო სუგდების“ ქვეყანა) ლოკალიზაცია. როგორც გაირკვა, დასახელებული ავტორები ანდრია პირველწოდებულის მიერ ტამანის ნ-კუნძულზე და მდ. ყუბანის შესართავში „ქუეყანა სვილდიასი“ მცხოვრებლებს-სოგდიანებს (იგივე ზემო სუგდები), და ქ. გორგიპიიდან გამოულ ვაჭრებსა და გემთმფლობელებს იხსენებს ნიკიტა-დავით პაფლაგონიელი სოგდიანებად და გორსინებად. ისინი ანდრიამ „დიდს სებასტოპოლისში“ (ახლანდ. ქ. სოხუმი) დამოძღვრა.</p>
15	<p>გამოკვლევაში ძველი ქართული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ არ ცდებოდა აკად. ა. შანიძე როცა გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბაგრატიონთა შთამომავლად მიიჩნევდა. შესაბამისად უარყოფილია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი გრიგოლ ბაკურიანის ძის ფარნავაზიანთა კახური შტოსადმი მიკუთვნების შესახებ (მ. სანაძე).</p>
16	<p>ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ისტორიულ განვითარებაზე კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და, კერძოდ, კავკასიონის მთავარი მთავრეხილის ერთ-ერთი უმთავრესი უღელტეხილის - დარიალის კარიბჭის ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრას დიაქრონიულ ჭრილში.</p>
17	<p>სტატიაში ნაჩვენებია, რომ გვიანი ურუკის ხანა თანადროულია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპისა და, შესაბამისად, შეუძლებელია გვიან ურუკის ხანით დათარიღდეს ურუკულ კულტურასთან მიახლოებული ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის ამიერკავკასიაში იჩენს თავს და რომელიც რატომღაც გვიანურუკული ხანის შუამდინარეთელ „კოლონისტებს“ მიეწერება ხოლმე.</p>
18	<p>ტერმინ „ქართლ/ქართთან“ მიმართებაში, საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი სივრცობრივი და ქრონოლოგიური კონტექსტი იჩენს თავს, რომელსაც მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერმინის არსისა და წარმომავლობის საკითხის გარკვევისას. სავარაუდო ენობრივი გარემო ჩრდილოსემიტური, განსაკუთრებით არამეული, უნდა ყოფილიყო. შეინიშნება, რომ ასეთი სახელწოდებები თავს იჩენს იმ მხარეებში და ეპოქებში, სადაც არამეული ენის ზეგავლენა ძლიერი იყო, კერძოდ, აქემენიანთა, არშაკიდებისა და სასანიანთა ხანაში და მათ ხელქვეით მოქცეულ მიწა-წყალზე.</p>
19	<p>ნაშრომი კავკასიურ (არქეოლოგიურ) ქრონოლოგიას და მის მნიშვნელობას შეეხება, მახლობელი აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქრონოლოგიურ სისტემასთან კავშირში.</p>

<p>20</p>	<p>ბოლო დროს, როგორც საქართველოში, ისე შვედეთში გაძლიერდა ინტერესი ქართულ-სკანდინავიური ურთიერთობების შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა XI ს-ის 40-იან წლებში.</p> <p>განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული წყაროს „მატიანე ქართლისაი“-ს ცნობა 3000 ვარანგის საქართველოში მოსვლის შესახებ.</p> <p>ვინ მოიწვია ვარანგები, ვის ეხმარებოდნენ ისინი, საქართველოს მეფეს, თუ მის მოქიშპე ფეოდალს, ლიპარიტ ბაღვაშს, ამ საკითხს ჩვენ ცალკე გამოკვლევა მიუძღვნით; ამჟამად კი განვიხილავთ ისლანდიურ-შვედურ საგას „ინგვარ შორსმოგზაური“-ს შესახებ და კრიტიკულად ვაანალიზებთ მის შინაარსს.</p> <p>აღნიშნული სკანდინავიური საგას ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მასში ლეგენდარულთან ერთად, ზოგიერთი დეტალი სინამდვილესთან ახლოსაა და ანგარიშგასაწვეია.</p> <p>მაგალითად, საგაში ნახსენები გველეშაპი (დრაკონი) და ოქროს რგოლები, რომელსაც ის იცავს, ჩვენი აზრით, აშკარად არგონავტების შესახებ მითის რემინისცენციაა. ასევე, ძალზე რეალური ჩანს ინგვარის საგაში ხსენებული „Citopolis“-ის ქუთაისთან იდენტიფიცირება. ამ აზრს იზიარებენ შვედი მკვლევარები მატს გ. ლარსონი და გუნილა ლარსონი (Mats G. Larsson და Gunilla Larsson).</p> <p>ჩვენი აზრით, საგაში ხსენებული „ჰელიოპოლისი,“ თბილისის შესატყვისი უნდა იყოს. საგას ავტორებმა ქალაქის ფუძე „თბილი“ გააიგივეს „მზესთან“ და მივიღეთ „მზის ქალაქი“ – ჰელიოპოლისი და ა. შ.</p> <p>შეჯამებული სახით შემდეგ დასკვნებს წარმოვადგენთ: დაბეჯითებით ვვარაუდობთ, რომ XI ს-ის 40-იან წლებში კავკასიას და კერძოდ, საქართველოს ვარანგების საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამხედრო რაზმი სწევია.</p> <p>მათი მოგზაურობის საწყისი წერტილი იაროსლავ ბრძენის სამთავრო იყო. მდ. დნეპრის, შავი ზღვისა და მდინარეების: რიონისა და მტკვრის გავლით, ვარანგებმა, სავარაუდოდ, კასპიის ზღვას მიაღწიეს.</p> <p>„მატიანე ქართლისაი“-სა და ინგვარის შესახებ საგას შორის განსხვავებების მიუხედავად, მსგავსებისა და თანხვედრების აღმოჩენაც შესაძლებელია.</p>
<p>21</p>	<p>სტატიაში განსაზღვრულია ქართული ეთნოსის ადგილი ნაციის მსოფლიო ტიპოლოგიაში. ანხილულია: ქართველთა ნაციად ფორმირების პროცესი სხვა ეთნოსებთან (ებრაელები, სომხები) მიმართებაში; ქართული ნაციონალური ცნობიერება ისტორიულ კონტექსტში „ქართლის ცხოვრების“ კვალდაკვალ; დახასიათებულია ქართული თვითცნობიერების გამზიარებელი საზოგადოება; დახასიათებულია ქართული თვითცნობიერების ეტაპები: წინარექრისტიანული პერიოდი, ქრისტიანიზაცია, ეკლესიის ავტოკეფალია, ერისმთავრობის ინსტიტუტი, არაბთა ბატონობის ხანა, საქართველოს გაერთიანება, ოქროს ხანის პერიოდი, XV–XVII სს. (ქვეყნის გამოფიტვის პერიოდი), XVIII ს. (ორჭოფობის საუკუნე), სახელმწიფოებრიობის გაუქმება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი</p>
<p>22</p>	<p>სტატიაში განხილულია 1918 წელს სომეხთა ეროვნული საბჭოს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოში ორგანიზებული ინციდენტები, რომლებზეც საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია. გაანალიზებულია ამ მიმართულებით სომხური მხარის ინიციატივები და ქართული მხარის პოზიციები საარქივო დოკუმენტების, ქართული და სომხურენოვანი პერიოდული პრესის მასალების კრიტიკის ფონზე, გამოთქმულია ავტორის მოსაზრებები ამ საკითხების შესახებ.</p>
<p>23</p>	<p>სტატიაში განხილულია ოქსფორდში გამოცემული ბიბლიის ატლასი, მასში მოტანილი კარტოგრაფიული მასალა. მითითებული მაქვს რამდენიმე შენიშვნა რომის იმპერიის ეპოქის რუკებთან დაკავშირებით</p>
<p>24</p>	<p>სტატიაში განხილულია 2012 წელს ვისბადენში გამოცემული ახალი კრებული „კავკასია მონღოლთა პერიოდში (XIII-XIV სს.)“. კრებულში მოთავსებულია სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა სტატიები, რომლებიც ეხება ძირითადად</p>

	საქართველოს და სომხეთის ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას მონღოლთა მმართველობის პერიოდში.
25	ვენდ გრაფ ფონ კალნაინი სამხედრო ტყვედ იყო საქართველოში 1945-1950 წლებში. თავისი მოგონებები დაწერა მალევე გერმანიაში დაბრუნების შემდეგ. მისი ჩანაწერები გამოქვეყნდა 2003 წელს. დღიურში ფონ კალნაინი გვთავაზობს უხვ მასალას კავკასიის სამხედრო ტყვეთა ბანაკების, საბჭოთა საქართველოს ისტორიის, ყოველდღიური ცხოვრების, ეკონომიკის, სოციალური სტრუქტურის, რელიგიის, მეცნიერების თუ მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ.
26	<p>საქართველოში თავიანთი მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა რამდენიმე თეატინელმა მისიონერმა. მათ წერილებსა და ნაშრომებში პროზელიტიზმის არაერთი შემთხვევა არის ნახსენები.</p> <p>ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც აღწერილია არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხიდაში“ და პიეტრო ავიტაბილეს „რელაციონში“. გორში მოღვაწე მისიონერის, ჯუსტო პრატოსთან მომსახურე ადგილობრივი ახალგაზრდას, სახელად ნასყიდას კათოლიკობაზე მოქცევას სხვათაგან განსხვავებით, უზომოდ დიდი სკანდალი მოჰყოლია. ამას აღუშფოთებია გორის ყველა ეთნიკურ-კონფესიური თემი. აღსანიშნავია ადგილობრივი სომხური თემის განსაკუთრებული აქტიურობა. საფრთხე შექმნია თვით მისიონერების სიცოცხლესაც.</p> <p>საკითხი თბილისშიც კი გარჩეულა მეფისა და პატრიარქის დონეზე. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ჩარევით, ნასყიდა აღარ დაუსჯიათ. დრამატიზმით გამორჩეულმა პროზელიტიზმის ამ შემთხვევამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მისიონერებზე. გორელი პროზელიტი ნასყიდა სამეგრელოს მისიონში, წიფურიაში აღკვეცეს ბერად კათოლიკური წესით და ანდრია უწოდეს.</p> <p>წყაროთა მონაცემების მიხედვით შეიძლება დავადგინოთ, რომ ეს ამბავი 1635-1637 წლებში უნდა მომხდარიყო.</p> <p>თვითმხილველთა და თანამონაწილეთა მიერ მისი შედარებით დეტალური აღწერის წყალობით, პროზელიტიზმის აღნიშნული ფაქტი XVII საუკუნის 30-იანი წლების ქართლში ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობების საგულისხმო სურათს გვიხატავს.</p>
27	<p>„ზენა სოფელი“ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული და ერთ-ერთი ცენტრალური პროვინციის, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდებაა. სახელწოდება „ზენა სოფელი“ უნდა წარმოქმნილიყო ქვეყნის მთავარი მდინარის, მტკვრის დინების შესაბამისად. ქვეყნის იმდროინდელ ფარგლებში მტკვრის აუზის ზემო წელს შეერქვა ზენა სოფელი, ანუ ზემო ქვეყანა. ისტორიულ წყაროების საფუძველზე ზენა სოფლის აღმოსავლეთ საზღვრად მდ. არაგვისა და არმაზის დასახვა იძლევა საფუძველს, რომ აღნიშნული მხარისათვის სახელისმიმცემ საორიენტაციო პუნქტად წარმოვიდგინოთ მცხეთა-არმაზი. უფრო ზუსტად, გამყოფი პუნქტი უნდა ყოფილიყო არმაზის მთა, რომლის თავდაპირველი სახელწოდება იყო მთა ქართლი. აქ უნდა ყოფილიყო ქართლის უძველესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც შედარებით მოგვიანებით და საბოლოოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ჩაანაცვლა მცხეთამ.</p> <p>კიდევ უფრო გვიან, როდესაც ახლადწარმოქმნილ ქართლის სამეფოში (ფარნავაზის ხანა) შევიდა მტკვრის აუზის მთელი ზემო წელი მის სათავეებითურთ, სახელწოდება ზენა სოფელი შეუფერებელი აღმოჩნდა ამ მხარისათვის. ამიტომ სახელწოდება ზემო ქუეყანა, ანუ ზემო ქართლი გადავიდა მტკვრის დინების კიდევ უფრო ზემო წელზე მდებარე სამცხე-ჯავახეთსა და კოლა-არტაანზე. თავად ზენა სოფელს კი ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული და ენობრივი ვითარების შესაბამისად ეწოდა შიდა ქართლი.</p>

<p>28</p>	<p>საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის ახალი საზღვრების გაკლების შედეგად დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილი (მონასტრები: ბერთუბანი, უდაბნო და ნაწილობრივ ჩინხიტური) აზერბაიჯანის მხარეს მოექცა. დღეს საზღვრის ეს მონაკვეთი არ არის დელიმიტიზირებული და ტერიტორია ამ სახელმწიფოებს შორის სადავოდ განიხილება.</p> <p>აზერბაიჯანის წარმომადგენლები აღნიშნულ მონასტრებს ალბანური კულტურის ძეგლებად აცხადებენ, რომელიც ქართველებს თითქოს მოგვიანებით (ერთი ვერსიით XII ს-ში, მეორეთი კი – XIX ს-ში) მიუთვისებიათ. თუმცა ამის დამადასტურებელი არც ერთი ისტორიული წყარო დასახელებული არ არის.</p> <p>წინამდებარე სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული აღნიშნული შეხედულებების მეცნიერულად უსაფუძვლობა. მეორე მხრივ მოცემულია ამ მხარის (რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს გარეჯის მონასტრები) ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე და ნახვენებია, რომ იგი მუდმივად შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში და არასოდეს მის გარეთ არ მოიაზრებოდა.</p> <p>ასევე მოყვანილია სხვადასხვა წყაროთა მონაცემები (აგიოგრაფიული ძეგლები, ადგილობრივი ეპიგრაფიკა, ისტორიული დოკუმენტები), რომლითაც ცხადად დასტურდება დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სუფთა ქართული წარმომავლობა და მისი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი კუთვნილება პირველი მონასტრის აღმოცენების დღიდან (VI ს-ის შუახანები) დღემდე.</p>
<p>29</p>	<p>არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ არასრული ქართული თარგმანი აღმოჩნდა აწ განსვენებულ თამაზ ბერაძის პირად არქივში. ვის ეკუთვნის ტექსტის თარგმანი, აქ აღნიშნული არ არის.</p> <p>არქანჯელო ლამბერტი, თეატინელი ბერი რომის პაპის კურიის დავალებით ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელთან ერთად ჯერ ჩამოვიდა ქართლში და შეუერთდა გორში მყოფ მისიონერებს. 1633 წლის 23 ოქტომბერს ლამბერტი და ჯუდიჩე გაემგზავრნენ სამეგრელოში, სადაც ლევან II დადიანის მფარველობით გააგრძელეს საქმიანობა.</p> <p>„წმინდა კოლხეთი“ საქართველოს შესახებ ლამბერტის მეორე ნაშრომია. იგი გამოიცა ნეაპოლში 1657 წელს და მოგვიტხრობს საქართველოში გამოგზავნილი მისიონის 1631-1649 წლების მთელ ისტორიას.</p> <p>ლამბერტი ამ პერიოდში მომხდარი მრავალი მნიშვნელოვანი ამბის მომსწრე და თვითმხილველია, ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ისტორიულად ცნობილ პოლიტიკურ ფიგურასთან. ნაშრომში უამრავი ძვირფასი ცნობები მოეპოვება ქართული სამეფო-სამთავროების, ოსმალეთის, ირანის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შესახებ. ამდენად ქართველი მკითხველისათვის ლამბერტის აქამდე ხელმიუწვდომელი ეს ნაშრომი საგულისხმო საისტორიო წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ისტორიისათვის.</p> <p>ქართული თარგმანის ტექსტი სტილისტური გავმართეთ, შევასწორეთ ორთოგრაფიულად. ასევე დავურთეთ შენიშვნები და განმარტებები.</p> <p>ეს არის „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის პირველი პუბლიკაცია, კერძოდ, ნაშრომის მეორე ნაწილისა, რომელშიც ლამბერტი აღწერს თავის სამეგრელოში მოღვაწეობის ხანას იტალიაში გაბრუნების ჩათვლით.</p>
<p>30</p>	<p>წერილში საუბარია ქართული ეკლესიის წარმოქმნასა და მისი იურისდიქციის გავრცელებლაზე ჩრდილოეთ სომხეთში, საეპისკოპოსო და საკათალიკოსო მფლობელობაზე, მონასტრებზე, ქართული და ქართულენოვანი თემების (მრევლის) მომძღვარება-გავრცელებაზე XI–XVII სს.</p>
<p>31</p>	<p>ზუგდიდის რ-ნის რამდენიმე სოფელი, რომელიც ზუგდიდის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო კვლევის ობიექტია. სტატიაში შევეხეთ პირველ რიგში ენგურისპირა</p>

	სოფელ კოკს, რომელიც შუა საუკუნეებში კადარად სახელწოდებულ არეალში იყო მოქცეული. ამავე ტერიტორიაზე იყო კათოლიკე მისიონერთა რეზიდენცია XVII წიფურია და ის დღევანდელ სოფელ შამგონის ტერიტორიაზე ლოკალიზდება. სოფელ კახათის ტერიტორიაზე მოვიაზრებთ XVII ს-ში თავად საბახთარ ავალიშვილის სათაგადოს და „საბახთარის ციხეს“. წერილში ვეხებით სოფელ დარჩელის, ახალკახათის, ორსანტიის, ინგირის ისტორიული გეოგრაფიის და ეტიმოლოგიის საკითხებს. ასევე, გავაშუქეთ მდინარე ენგურის კალაპოტის ცვალებადობით გამოწვეული ტერიტორიული კუთვნილების საკითხი.
32	ნაშრომში შესწავლილია XVI-XIX საუკუნეებში ირან-ოსმალეთის სტრატეგია და ტაქტიკა ქართველთა მაჰმადიანურ რჯულზე მოსაქცევად.
33	სტატიაში განხილულია ე. თაყაიშვილისა და იროდიონ სონღულაშვილის მოღვაწეობა და ურთიერთობები ეპისტოლარული მონაცემების მიხედვით.
34	დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დასასბუთებელია: 1) საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტი №2 „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, საზღვრების საკითხში– ა) „სამხრეთ ოსეთის“ რეგომის, პარტკომისა და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების გაერთიანებულ სხდომაზე (1921 წლის 6–8 სექტემბერი) მიღებული პროექტის და ბ) კ.კაკაბაძის კომისიის 1921 წლის 8 დეკემბრის დადგენილების (ოქმი № 4) დუბლიკატს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტით, საქართველოს ხელისუფლებამ ოსი სეპარატისტების პრეტენზიების დაკმაყოფილება მოახდინა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის (გ.გველესიანი, დ.კარიჭაშვილი, ს.გორგაძე) მიერ დეკრეტი № 2-ის გადასინჯვის დასაბუთებული ფორმით მოთხოვნა, საზღვრების საკითხში სამართლიანობის აღდგენას ითვალისწინებდა და ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად.
35	ნაშრომი ეხება 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს. მასში პასუხია გაცემული იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების დამახინჯებელთა მიმართ, რომლებიც აღნიშნული პერიოდის საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის მიზანმიმართულ ფალსიფიკაციას ეწევიან.
36	საარქივო მასალებში დაცულ და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში მოტანილი ფაქტების ურთიერთშეპირისპირებიდან გამომდინარე ნაშრომში დასაბუთებულია: 1) სერვერ-ბეგის აჯანყების ძირითად გამომწვევ მიზეზად ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გაბატონებული თვალსაზრისი (აგრარული რეფორმის დასახელება), სინამდვილეს არ შეესაბამება. მითუმეტეს: ა) საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 17 მარტის მიწის კანონებით გათვალისწინებული აგრარული რეფორმა პრაქტიკულად არ გატარებულა. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წლის 28 იანვარს მიღებულ მიწის კანონს, მისი განხორციელება სერვერ- ბეგის „აჯანყებიდან“ ოთხი თვის შემდეგ – იმავე წლის ზაფხულიდან დაიწყო; ბ) დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ საქართველოს პარლამენტის აღნიშნული მიწის კანონის მიღებიდან 10 დღით ადრე „სამხრეთ –კავკასიის დროებითი მთავრობა“ შეიქმნა, ხოლო 19 დღით ადრე, ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული თურქი ასკერების შეიარაღებული რაზმით, სერვერ- ბეგი ფოცხოვიდან ახალციხეში შემოიჭრა და ქალაქი აიღო. 2) ახალციხის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მიერ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრის საზოგადოებათა კომისრების დანიშვნა, პარიტეტის დაცვით (ერთი მუსლიმანი და ერთი ქრისტიანი ქართველი) ხდებოდა. რაც შეეხება მაზრის შიდა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, კომისრები მას მხოლოდ გლეხთა საბჭოსთან შეთანხმებით წყვეტდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, დაშვებული შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა ახალციხის მაზრის გლეხთა საბჭოს ყველა წევრზე და კომისრებზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს. 3) სამხრეთ-დასავლეთ

	<p>საქართველოში ოსმალეთისა და აზერბაიჯანის აგენტების (ომარ-ფაიკი, პეპინოვი, მუსაკიევი, ახმედოვი, ექიმი სულთანოვის „საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრები და სხვები) პროოსმალურმა სააგიტაციო-პროპაგანდისტულმა საქმიანობამ, რეგიონის მუსლიმან ქართველთა ერთ ნაწილში ანტიქართული ცნობიერების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამ ფონზე, ბათუმ-ყარსის ოლქებისა და მესხეთ-ჯავახეთის ბაზაზე ახალი მუსლიმანური სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნის „სამართლებრივად გამართლების“ მცდელობა, ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან საბჭოთა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციას“ და მუსლიმანურ სარწმუნოებას ემყარებოდა. აღნიშნული იდეოლოგიური პროპაგანდით მოსახლეობაზე ზემოქმედების მიუხედავად, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს, საქართველოდან ტერიტორიულად ჩამოსაცილების პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას, ოსმალეთის ხელისუფლება მხოლოდ სერვერ-ბეგის მსგავსი რენეგატი ქართველების მხრიდან ხელშეწყობაში და ერთგულებაში ხედავდა; 4) ნაშრომში მოტანილი დოკუმენტური მასალის ანალიზიდან გამომდინარე ირკვევა, რომ „ყარსის მთავრობისადმი“ ინგლისის გენერლების მხარდაჭერა და დახმარება, წინასწარგამიზნულ პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა და პირველ რიგში საქართველოს დასუსტებას, ლახისტანთან ერთად სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სომხეთის შემადგენლობაში შეყვანას და სომხეთისათვის შავ ზღვაზე გასასვლელის დასაკუთრებისათვის დახმარებას ითვალისწინებდა. საარქივო დოკუმენტებიდან და მემუარული ლიტერატურიდან ამოღებული ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ირკვევა, რომ სერვერ-ბეგის „აჯანყებაში“ სომხურ-ინგლისური ინტერესები იყო ჩადებული. არსებული სინამდვილის არგამქდავების მიზნით, მომხდარი ფაქტი შეგნებულად მუსლიმანური სარწმუნოების წამოსასხამით იქნა შეფუთული.</p>
<p>37</p>	<p>სტატიაში ნაჩვენებია, რომ საქართველოს ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მთლიანად გადაჯაჭვულია როგორც აქ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან, ასევე მთელ საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან.</p> <p>როგორც ცნობილია, ერეკლე მეორემ ქსნის ერისთავებს მამულები ჩამოართვა და საუფლისწულო მამულებად აქცია. რუსულმა მმართველობამ ერისთავებს ეს მამულები დაუბრუნა და ოსები მათ ყმებად გამოაცხადა. ოსურ მოსახლეობას ბატონიშვილებთან უფრო კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე ქსნის ერისთავებთან. ამიტომ მათ გააძლიერეს ბრძოლა ახალი მებატონეების წინააღმდეგ, ამასთანავე, რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ბატონიშვილებსაც მხარი აუბეს. ამის გამო, 1802 წლის თებერვალში, დიდი და პატარა ლიახვისა და ფცას ხეობაში შევიდა პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის ექსპედიცია, რომელმაც ოსები დაიმორჩილა.</p> <p>1802 წლის ზაფხულში იულონმა და ფარნაოზმა იმერეთის ჯარისა და ლეკების დახმარებით სცადეს ოსურ სოფლებში შესვლა, მაგრამ რუსული არმიის სარდლობამ მათ ეს გეგმა ჩაუშალა. რაც შეეხება ბატონიშვილ ლევანს, ის დიდხანს აფარებდა თავს ამ რეგიონს, ოსებით დასახლებულ ქართლის სოფლებს, კერძოდ, სოფელ ნარს, და იქიდან ცდილობდა რუსების წინააღმდეგ აჯანყების გაჩაღებას.</p> <p>ოსებმა მონაწილეობა მიიღეს 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. ეს საკითხი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი (თუმცა არასწორი აქცენტებით).სანამ მთიულეები დაიწყებდნენ აჯანყებას, მანამ თავაშურელი ოსები გამოვიდნენ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსებმა მათ საქართველოს სამხედრო გზასა და კავკასიის ხაზზე სიარული აუკრძალეს. აგრეთვე დუშელ და მუხრანელ ოსებს აეკრძალათ თავაშურელებისათვის საჭირო სურსათისა და საქონლის მიწოდება. სტატიაში ვრცლად არის აღწერილი ოსების ანტირუსული გამოსვლები და მათი კავშირი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, სამეცნიერო ბრუნვაში პირველად არის შემოტანილი ახალი საარქივო მასალები.</p>
<p>38</p>	<p>წერილში საუბარია XIX საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში წარმოქმნილ იდეოლოგიაზე – თურქიზმზე და მისი პრაქტიკული განხორციელების ცდაზე XX საუკუნეში.</p>

	<p>ოსმალეთი ცდილობდა კავკასიის დაპყრობას, განსაკუთრებით საქართველოს იმ ტერიტორიებისას, რომელიც წინა საუკუნეში დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. ოსმალეთის ამდროინდელი პოლიტიკოსებიდან ყველაზე აგრესიული საქართველოსთან მიმართებაში იყო ენვერ-ფაშა. მისი ხელმძღვანელობით ოსმალები ცდილობდნენ ბრესტის ზავის განხორციელებას და უფრო მეტსაც: მას შემდეგ, რაც 1918 წლის მარტ-აპრილში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს, ოსმალებმა იმაზე მეტი წაიდეს, რასაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ითვალისწინებდა და ამჯერად ამ, ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიების დაკანონებას ცდილობდნენ. ნარკვევში ბევრი წყაროა გამოყენებული, მათ შორის საარქივო და იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები. აღწერილია ოსმალეთიდან ბათუმის კონფერენციაზე მომავალი გემის ეკიპაჟის შემადგენლობა და ეკიპაჟის წევრთა დამოკიდებულება კავკასიის პოლიტიკურ მოწყობაზე, ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება და პრაქტიკული ნაბიჯები ოსმალი პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და სამხედროების ქმედებაზე.</p>
39	<p>ნაშრომში ახლადგამოვნილ წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლი ათონის წნიდა მთაზე არსებული ივირონის მონასტრის ისტორიის შესწავლაში.</p>
40	<p>ნაშრომში ახლადგამოვლენილ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია აფხაზთა უკანასკნელი კათოლიკოსის მაქსიმე აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. დიდი ყურადღება ეთმობა მის დიპლომატიურ საქმიანობას.</p>
41	<p>სტატიაში საისტორიო ცენტრალურ არქივში ჩვენს მიერ მოძიებული უცნობი მასალის საფუძველზე საინტერესო ცნობებია ლეონიდე ოქროპირიძის მოღვაწეობის შესახებ.</p>
42	<p>ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის საფუძველზე ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძის მიმართ.</p>
43	<p>სტატიაში საუბარია ერთ-ერთ საჭირობოროტო პრობლემაზე, რომელიც XIX ს-ის 70-იან წლებში წამოიჭრა ქართულ მოაზროვნე საზოგადოების წარმომადგენლებს შორის – მცირე ერების ენების, მათ შორის, ქართული ენის გაქრობისა და მისი შერწყმისა დიდი ერების ენებთან. ამ მოსაზრებას სათავე დაუდო ქართველი დიდგვაროვანის, რუსეთის მოხელის გიორგი მუხრანსკის ბროშურამ, რომელიც იმავე ხანებში გამოქვეყნდა. ის წინააღმდეგ ხმა ამოიღეს ქართველმა 60-იანელებმა (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა).</p>
44	<p>სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული იმ სიახლეებზე, რომლებიც დაფიქსირებულია „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ისიდორე რამიშვილის „მოგონებებში“, რომელიც 2012 წლის ბოლოს მიიღო ქართველმა მკითხველმა.</p>
45	<p>სტატიაში პირველადაა გამოკვლეული ის მნიშვნელოვანი დვაწლი, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის ქართველებისა და ებრაელების (კერძოდ, ქართველი ებრაელების) 26 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, დამოკიდებულების წარმოჩენაში.</p>
46	<p>1765 წელს გამჟღავნებული შეთქმულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ვაჟი, უფლისწული პაატა (1720-1765), განეკუთვნება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილ მოვლენათა რიცხვს. ამ შეთქმულებისა და პაატა ბაგრატიონის შესახებ ცნობები დაცულია რამდენიმე საისტორიო წყაროში. მიუხედავად ამისა, ხსენებული საკითხი ამომწურავად მაინც არ არის შესწავლილი.</p> <p>ამ გამოკვლევაში შესწავლილია ამ შეთქმულების ისტორიის აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალი, კერძოდ, დადგენილია მის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი. აქვე მოკლედ არის მიმოხილული ქართლის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებული ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის ძირითადი ეტაპები, რომელიც XVIII საუკუნის 30-80-იანი წლების საქართველოს ისტორიის შედარებით ნაკლებად გამოკვლეულ მოვლენას წარმოადგენს.</p>
47	<p>გამოჩენილი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლო-</p>

	<p>მატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944) მიეკუთვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი.</p> <p>ამ სტატიაში, ზ. ავალიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი ფაქტების მოკლედ მიმოხილვისას, სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მოძიებული დოკუმენტებისა და სხვა სახის საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, დადგენილია მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა დაუდგენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. აქვე ყურადღება არის გამახვილებული ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებაც.</p>
48	<p>XX საუკუნის ოცდაათიან წლებში (1931-1938 წწ.) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიას ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია (1899-1953), რომელიც 1938 წლიდან 1953 წლის შუა ხანებამდე – სსრ კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. ამის გამო, მის მიმართ ინტერესი ძალზე დიდია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოშიც. ამაზე მიუთითებს მასზე დაწერილი მრავალი ნაშრომი, რომელთა უმეტესობაც რუსულ ენაზეა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც არ შექმნილა ნაშრომები, რომელშიც ამომწურავად და ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ხსენებული პიროვნების მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მომავალში მაინც მოხდება.</p> <p>ამ სტატიაში მიმოხილულია, თუ როგორ აისახა ლ. ბერია თავისი ექვსი თანამედროვის (ეროვნებით ქართველთა) მოგონებაში. ამ მოგონებათა ავტორები არიან: შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), გრიგოლ რობაქიძე (1880-1962), სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981), ბარბარე (ბაბო) დადიანი (1903-1999), გერონტი ქიქოძე (1885-1960) და კანდიდ ჩარკვიანი (1904-1994).</p>
49	<p>სტატიაში შესწავლილია, თუ როგორ ცდილობდნენ საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკების მთავრობები, რომ მათი ქვეყნები ერთა ლიგაში გაწევრიანებულიყვნენ და სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ამ პროცესებს ხელი 1920 წელს.</p>
50	<p>2009-10 წლებში ინგლისში სამეცნიერო მივლინებისას, ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ფონდში ვნახეთ და გადმოვიღეთ 32 წერილის ასლი, შწსრულელებული ინგლისურ ენაზე. ეს გახლავთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის იხაკო წერეთლის პირადი წერილები ოლივერ უორდროპისადმი ჯერ ინგლისში, შემდეგ გერმანიაში ყოფნისას 1911-12 წლებში.</p> <p>ეს წერილები შეიცავენ უამრავ საყურადღებო ცნობას მიხაკო წერეთლის აღნიშნული პერიოდის ცხოვრებიდან; ვეცნობით მრავალ პიროვნებასა და მათ მოღვაწეობას.</p>
51	<p>წარმოდგენილი ცნობები მოთავსებულია ლოურენს ოლიფანტის წიგნში – „ღურქული არმიეს ამიერკავკასიური კამპანია ომერ ფაშას სარდლობით“ (ლონდონი, 1856). ოლიფანტი 1855 წელს, დაწყებული სუხუმიდან, ახლდა თურქ სარდალ ომერ ფაშას ინგურის ბრძოლისას, სამეგრელოში შესვლისას. ამდენად მისი ცნობები, როგორც თვითმხილველისა, წარმოადგენენ მნიშვნელოვან პირველწყაროს. ოლიფანტი გვიხატავს და ახასიათებს მიხეილ შარვაშიძის პიროვნებას და შენიშნავს, რომ „ის ხომ ორ მხეცს შორის მოექცა – რუსეთსა და თურქ ომერ ფაშას შორის“, რის გამოც ძნელი იყო მისი არჩევანი.</p>
52	<p>მოხსენება შედგენილია და გაგზავნილი 1872 წელს ბრიტანეთის კონსულის მიერ თავისი მთავრობისთვის. ის ეხება 1864-72 წლების პერიოდს და დაცულია ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ფონდში. ჩვენ წარმოვადგინეთ კონსულ ჯიფფორდ პალგრევის მოხსენებიდან ლაზისტანის სანჯაყისა და ბათუმის შესახებ ორი ერთმანეთის შემაჯავებელი ცნობა. მათში ძალზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი ბათუმი, მისი ნავსადგური, მოსახლეობა თუ შემოგარენი.</p>
53	<p>სტატიაში საუბარია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, XX</p>

	<p>საუკუნის 90-იან წლებში ცხინვალის რეგიონის კონფლიქტზე, რომელიც რუსული მხარის მიერ იყო ინსპირირებული და ქართული სახელმწიფოსთვის მეტად მძიმე შედეგებით დასრულდა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ რუსეთმა ხანგრძლივი დროით შეანელა საქართველოს ბუნებრივი სწრაფვა დასავლური და ევროპული სივრცისკენ. რუსეთი პრაქტიკულად აკონტროლებდა ქვეყნის პოლიტიკურ ნებას, ქვეყანა ეკონომიკურად რუსეთზე იყო მიბმული, საზოგადოება გახლენილი და ურთიერთდაპირისპირებული. ამას ემატებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებაში არსებული განხეთქილებით მანიპულირება და მცდელობა შეემუშავებინა კონფლიქტის მოგვარების მისთვის მისაღები მექანიზმები.</p>
54	<p>სტატიაში აღნიშნულია, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში თავისი ერთპიროვნული ბატონობის დამყარების საკუთარი გეგმით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება. მაშინ როდესაც, 1917 წლის 23 დეკემბერს, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო კონვენციას ამიერკავკასიის განაწილების შესახებ, ამერიკის ხელისუფლებამ, საკუთარი მისიონერების ანგარიშებზე დაყრდნობით, მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი რაიონისადმი საკუთარი პოლიტიკური გეგმა შეიმუშავა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ამერიკის მთავრობა ვარაუდობდა ყოფილი ოსმალეთის და ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე ოთხი სახელმწიფოს შექმნას. ეს იყო „წინადადებების პროექტი, მომზადებული საინფორმაციო განყოფილების მიერ ინსტრუქციათაშესაბამისად, პრეზიდენტისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლებისთვის“. „წინადადებების პროექტს“, მოკლედ მიღერის საბუთს უწოდებენ, რადგან იგი ამერიკის ხელისუფლების მრჩეველის დ. მიღერის ოცდაერთტომიან კრებულში შევიდა.</p>
55	<p>სტატიაში საუბარია ინგლის-რუსეთის გარიგებაზე. აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა, ჯერ კიდევ 1920 წლის ბოლოს განუცხადა საბჭოთა ელჩს, რომ ბრიტანეთი კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. ინგლისის ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევარში დაიწყო რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. მართალია, ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოაწერეს, მაგრამ პროექტი ორი თვით ადრე მზად იყო. როდესაც, 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს, რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი ამაში ხელს არ შეუშლიდა.</p>
56	<p>სტატიაში საუბარია რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებული პოლიტიკის შესახებ. მათი გარიგების შედეგად, 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბათუმი და ბათუმის ოლქი საბჭოთა საქართველოს მიეკუთვნა, ართვინი და არტაანი ყარსის ოლქთან ერთად კი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა, რითაც ფაქტიურად სათავე დაედო საქართველოს ისტორიული საზღვრების დაშლა-დანაწილებას.</p>
57	<p>ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ევროპის სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების ჭრილში განიხილავდნენ. 1921 წლის 6 იანვარს, როდესაც პარიზში, ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარების საკითხი დაისვა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი ამ ფაქტის წინააღმდეგ გამოვიდა და თავის მოკავშირეებს არწმუნებდა, რომ ევროპის ქვეყნების მხრიდან იურიდიული ცნობის შემთხვევაში, რუსეთი საქართველოს არ დაინდობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 27 იანვარს, მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად, ინგლისმა საქართველოს „დე იურე“ დამოუკიდებლობა აღიარა. ამ ფაქტს საქართველოსთვის პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან 1920 წლის დეკემბერში, ინგლისმა და საფრანგეთმა, სხვებთან ერთად, უარი განაცხადეს საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე, რითაც საქართველო ფაქტიურად გაწირეს.</p>
58	<p>საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. რუსეთის მიერ 2008</p>

	<p>წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობის საკითხი მუდმივად დგას ნატო-რუსეთის დიალოგის დღის წესრიგში, ნატოსთან ყოველწლიური ეროვნული პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობს საქართველოს დემოკრატიული და სამხედრო ინსტიტუტების განვითარება, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ალიანსთან საქართველოს თავსებადობას.</p> <p>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, 2010 წლის ნოემბერში, ბუქარესტისა და ლისაბონის სამიტებზე ნატო-ს მიერ მიღებული რეზოლუციები და ორგანიზაციის სტრატეგიული ხედვა. რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე შეფასდა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ევროკავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა და დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია. ნატო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პირველი იყო, რომელმაც ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის განდევნა ეთნოწმენდის გზით. რუსეთს მტკიცედ მოეთხოვა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება და საქართველოს რეგიონების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეცვლა.</p>
59	<p>ნაშრომი წარმოადგენილია ფრანგი მეცნიერისა და მოგზაურის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მასალები იმერეთის შესახებ.</p>
60	<p>დერბენტის კარი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის სახელმწიფოს ლიტეკური ინტერესების სფეროში მოექცა.</p> <p>1578-1590 წლებში მიმდინარე თურქეთ-ირანის ომის დროს უპირატერსობას თურქეთი წევს და ირანის გავლენის სფეროში მოქცეულ აღმოსავლეთ კავკასიას იპყრობს. ანის შაჰი ხუდაბენდუ დახმარებისთვის რუსეთს მიმართავს და წარმატების მოხვევაში დერბენტისა და ბაქოს გადაცემას კპირდება. ამ ვითარებით სარგებლობს სეთის სახელმწიფო და კასპიის ზღვასთან მდინარე თერგის შესართავის ადგილზე რკის ციხე-სიმაგრეს აგებს, რომელმაც 1588-1589 წლებში შეძლო ირანის წინააღმდეგ რქეთ-ყირიმხანისა და საშამხლოს სამხედრო აგრესიის შეჩერება. 1597 წელს ირანის ხტზე ახალი შაჰი აბას I ჯდება. რუსეთის სამეფო კარი ცდილობს გაწეული ხმარების სანაცვლოდ დერბენტისა და ბაქოს გადმოცემაზე წერილობითი დასტური დოს მისგან, თუმცა ახალი შაჰი მათ მოთხოვნას არ ასრულებს.</p> <p>XVI საუკუნის ბოლოდან ირანი გაძლიერებას იწყებს. დერბენტის გასასვლელთან პირველ ლაშქრობას რუსეთის სახელმწიფო პეტრე I-ის ხელმძღვანელობით XVIII საუკუნის 20-იან წლებში აწყობს</p>
61	<p>ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა რაჟდენ არსენიძესთან, ალექსანრე (სანდრო) კორძიასთან, აკაკი პაპავასთან და პავლე [სარჯველაძესთან]. წერილების შინაარსი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის 1956-1958 წლებს შორის პერიოდს შეეხება.</p> <p>პირად მიმოწერაში საუბარია სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის შესახებ. ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ქართველი ემიგრანტები (მთავრობის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და „ეროვნული საბჭოს“ წევრები) განიხილავდნენ საკითხს - თუ როგორ და რა ფორმით უნდა ეარსება მთავრობას ემიგრაციაში შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით. წერილები შეეხება, ასევე, სოციალ-დემოკრატიულ პარტიში არსებულ განხეთქილებას, პარტიის ორ ფრაქციად დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხში შეუთანხმებლობა იყო. კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა საყურადღებოა ქართული ემიგრაციის „ამერიკულ კომიტეტთან“ ურთიერთობის, „პარიზის ბლოკში“ ქართველების მონაწილეობის და „ქართული</p>

	ეროვნული საბჭოს“ ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.
62	<p>ნაშრომში განხილულია ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ განპირობა. მისთვის დამახასიათებელია: 1. აშშ-ს დაინტერესება საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრაციით; 2. ქართული ემიგრაციის გაერთიანების ტენდენციის ზრდა და 3. რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხის აქტუალობა.</p> <p>ცივი ომის დროს აშშ-ში იქმნებოდა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც ეხმარებოდნენ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ემიგრანტულ ორგანიზაციებს. აშშ-ს მთავრობის წევრები საბჭოთა კავშირის ერთა პოლიტიკურ ემიგრაციას მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ.</p> <p>ახალმა რეალობამ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის გააქტიურება განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის დროს შეწყვეტილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობა 1949 წლიდან კვლავ აქტიურდება. ამ ახალი ეტაპისთვის, დამახასიათებელია ემიგრანტული ძალების გაერთიანების გზით, საერთო ქართული მოძრაობის დაფუძნების მცდელობა. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საპირისპირო შედეგებს იძლეოდა. ჩნდებოდა ახალი ტალღა ემიგრაციის დაქსაქსულობისა. ცივი ომის დროს ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ევროპის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებიც მოიცვა.</p> <p>ქართული ემიგრაციის შეუთანხმებლობის მიზეზი ამ პერიოდიდან რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხი ხდება. რუსული პოლიტიკური ემიგრანტული გაერთიანებები არა თუ არ სცნობდნენ რუსეთის იმპერიის საზღვრების შეცვლას და საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ იბრძოდნენ ამ უფლების წინააღმდეგ.</p>
63	<p>საქართველოს ეკლესია, ქართული წყაროებისა და გადმოცემების თანახმად, ავტოკეფალურია V საუკუნიდან, მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქის ტიტულს XI საუკუნის დასაწყისიდან ატარებს.</p> <p>რუსეთის თვითმპყრობელობამ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ძალმომრეობით, საეკლესიო კანონების დარღვევით გააუქმა. მისი აღდგენა მხოლოდ 1917 წელს, იმპერიის დაცემის შედეგად გახდა შესაძლებელი. თუმცა მსოფლიო ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას არ აღიარებდა და მას ავტონომიურ ეკლესიათა შორის მოიხსენიებდა.</p> <p>ეკლესიის უფლებათა აღდგენისათვის დავა ახლადნაკურთხმა ეპისკოპოსმა ილია შემოქმედელმა (შიოლაშვილი) 1964 წელს დაიწყო. ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა მისი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის (1977 წელი) შემდეგ. მრავალი შეხვედრისა და მოლაპარაკების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, პრინციპული პოზიციის წყალობით, სასურველ შედეგს – მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებას, 1990 წელს მიაღწია. გადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილი.</p>
64	სტატიაში შესწავლილია ბურჟუაზიის როლი და მნიშვნელობა 1900-1910 წლების საქართველოში.
65	სტატიაში განხილულია ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელობა ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების განვითარებაში.
66	სიმბოლური საფლავების არსებობა სხვადასხვა ხალხის კულტურაში უძველესი დროიდან დასტურდება. მათი გამართვის ტრადიციას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. განსხვავებულია მათი გამართვის ინსტრუმენტალური მხარეც და ფუნქციონალური დატვირთვაც. სუფიურ ისლამში

	<p>განსაკუთრებული მნიშვნელობა მასწავლებლისა და მოსწავფის სულიერ კავშირს აქვს. ტარიკატები სწორედ სულიერი კავშირების ჯაჭვზეა (სილსილაზეა) ორიენტირებული. ამიტომ მასწავლებლის, უსტაზის ფიგურა გადამწყვეტია და ცოცხალი უსტაზის არ ყოლის შემთხვევაში, ჩნდება მოთხოვნილება მატერიალური რეალიებით, ფიზიკურად იქნას დადასტურებული სულიერი კავშირები. სტატიაში განხილულია პანკისის ხეობაში მოქმედი სუფიური რელიგიური ჯგუფის – შეიხ-ვირდის (ნაყმბანდიის ტარიკატი) დამაარსებლის შეიხ ისა-ეფენდის სიმბოლური და რეალური საფლავების ფუნქციონალურ-ემოციური დატვირთვა ჯგუფის წევრებისათვის. გაანალიზებულია ის მიზეზები, რამაც ჯგუფის გეოგრაფიული და კულტურული არედან, ესე იგი მნიშვნელობათა კონტექსტიდან ამოვარდინილი შეიხ ისა-ეფენდის რეალური განსასვენებელი არაარსებითი გახდა სიმბოლურ საფლავთან შედარებით.</p>
67	<p>თანამედროვე სამყაროში უმნიშვნელოვანესი საკითხია რელიგიისა სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხი. რაც განსაკუთრებით პრობლემატური შეიძლება სეკულარული სახელმწიფოებისათვის იყოს. თანამედროვე, სეკულარული სახელმწიფო, რომელმაც თავის მოქალაქეთა თავისუფლება უნდა უზრუნველყოს რელიგიური პლურალიზმის საკითხის წინაშე დგას. ჩნდება კითხვები - უნდა შეუწყოს ხელი და დაიცვას სახელმწიფომ რელიგიურობის ყველა სუბიექტური პრეტენზია თუ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები რელიგიის ლეგიტიმურობის გასარკვევად; არსებობს თუ არა რელიგიის თავისუფლების საზღვრები და სად გადის ისინი. ამასთან, სახელმწიფოს არარელიგიურობის თავისუფლების დაცვის ვალდებულებაც ეკისრება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები დღის წერტილში აყენებს ასევე რელიგიის გლობალურ პოლიტიკაში ჩართვა-გამოყენების პრობლემას. ეს საკითხები სტატიაში განხილულია ბოლო ათწლეულების საქართველოს მაგალითზე. გაანალიზებულია ის მიზეზები რამაც რელიგიური ფაქტორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორად აქცია ბოლო წლებში მიდინარე შიდა პროცესებზე.</p>
68	<p>ნაშრომში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დადასტურებული რჩეულობის ინტიტუტის საკითხი, კერძოდ ადგილობრივი სალოცავის, ხატის რჩეულთან – ქადაგთან დაკავშირებული ფსიქიკური დაავადების, რომელიც დროებით ხასიათს ატარებდა, ეტიოლოგია. დაავადებას, როგორც ჩანს, იწვევდა პიროვნების შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ყალიბდებოდა ხატის რჩეულის სურვილისა და მოვალეობის გრძნობის დაპირისპირების საფუძველზე.</p>
69	<p>სტატია ეძღვნება ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის კულტურულ-ისტორიულ პრობლემათა კვლევას, რელიგიური კონფესიური და კულტურული ინტეგრაციის კუთხით.</p>
70	<p>სტატიაში კრიტიკულადაა განხილული ქართულ სუფრასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერებისა, რომელთა მოსაზრებითაც, სუფრის ინსტიტუტი საქართველოში XIX ს-ში წარმოიშვა. მაგალითისთვის განხილულია საწესო სუფრა-თემის პურობა ერთ-ერთ დღესასწაულზე. ამ რიტუალით კარგად ჩანს, რომ ქართული სუფრა სინკრეტული ხასიათისაა და უძველეს წარსულში იღებს სათავეს.</p>
71	<p>ნაშრომში ნათქვამია, რომ კახეთში ტრადიციული ცხოვრების წესი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მისი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების სიჯანსაღისკენ იყო მიმართული. ტრადიციული წესები ზოგჯერ საკრალური ფორმით იყო წარმოდგენილი და ასევე ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა, რაც განაპირობებდა ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სიჯანსაღეს და ჰარმონიას.</p>
72	<p>ნაშრომში წარმოდგენილია ქართველთა ეთნიკურ ერთობად ფორმირების ეტაპები და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართება რელიგიურ სისტემებთან. გამოკვეთილია ქრისტიანობის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმაპირობებელი</p>

	ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერის, როლი და ფუნქცია. ხაზგასმულია მოქალაქეობრივი იდენტობის არსებობის ფაქტები ქართველთა ეთნიკური ისტორიის სხვადასხვა ეტაპიდან. საუბარია თანამედროვე პრობლემატიკაზეც.
73	ნაშრომში გამოთქმულია კრიტიკული დამოკიდებულება ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის - „კვირიას“ როგორც ღვთაების - არსებობის მიმართ. არ არის გაზიარებული „კვირიას“ მიჩნევა გადმონაშთად. გაზიარებულია ა. ლეკიაშვილის მოსაზრებები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში არსებულ რწმენა-წარმოდგენათა „კვირასთან“ დაკავშირებული პლასტები მიჩნეულია ქრისტიანული რწმენის გახალხურების, ანუ პაგანიზაციის შედეგად, რის ნათელ მაგალითადაც გამოკვეთილია „კვირიას“, როგორც მაცხოვრის სიმბოლური ხატების არსებობა მთიელთა ყოფაში. გამოკვეთილია სავნეთის ტრადიციულ ყოფაში არსებული საგალობელი „კვირია“-ს სულიერი და სოციალური ბუნება და როლი. წარმოდგენილია საგალობელ „კვირიას“ პარალელური მასალა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდანაც.
74	სტატიაში წარმოდგენილია სიახლე დემეტრეს მეფედ კურთხევის შესახებ, აქამდე მიჩნეული იყო, რომ დემეტრე დავით აღმაშენებელმა თანამოსაყდრედ აკურთხა და მას შემდეგ მისი ხელმეორედ კურთხევა არ მომხდარა. სვანეთში, მაცხვარიშის ეკლესიაში დაცული ცნობილი ფრესკის ახლებური ინტერპრეტაციით დგინდება, რომ დემეტრეს მეფედ კურთხევა ხელახლა მოხდა დავითის გარდაცვალების შემდეგ.
75	სტატიაში სვანეთის წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით, რაც შედარებულია ეთნოგრაფიულ მასალასთან, განხილულია ბალსხემო სვანეთის რიგი ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.
76	სტატიაში განხილულია ძველი სვანური რიტუალი „ლეიდუნი“, რომელიც დაკრძალვისას სრულდებოდა. ამ დროს პროცესს წინ უძღვოდა წითელყაბალახმოხვეული მამაკაცი, რომელსაც კალათაში ელაგა იმ დღისთვის სპეციალურად გამომცხვარი პურები. მას უკან მიყვებოდნენ ძაღლები, რომელთაც ამ პურებს უყრიდა. ამ რიტუალით ხდებოდა სვანური წინარე ქრისტიანული მთავარი ღვთაების „ჯგრაგის“ მომადლიერება, რომლის წმ. ნადირსაც ძაღლი/მგელი წარმოადგენდა. წითელი ფერის ყაბალახი კვდომა-აღდგომის სიმბოლოა. წითელი ფერი ადრე სვანეთში, ისევე როგორც მრავალ სხვა ხალხში, გლოვის ფერიც იყო.
77	ნაშრომში ქართულ ხალხურ კალენდარში გამოყოფილია ზოგადმსოფლმხედველობრივი მხარეები და ის, რაც თავად ქართული ხალხური კალენდრის მახასიათებელი ნიშნებია.
78	ნაშრომში განხილულია ხალხური სარწმუნოების კვლევის მოკლე ისტორია ჩვენში და უცხოეთში; განხილულია, თუ რა სირთულეები ახლდა და ახლავს ამ სფეროში წარმართულ საქმიანობას და როგორ, რა მეთოდოლოგიით შეიძლება გაგრძელდეს ხსენებული კვლევები მომავალში.
79	ნაშრომში განხილულია “შეშინებულის” მკურნალობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. იმერეთში აღწერილი რიტუალების არსებობას, უპირველეს ყოვლისა, მათი დადებითი ფსიქოთერაპიული ეფექტი განაპირობებს. შელოცვების დადებით ზემოქმედებას აძლიერებდა აგრეთვე თვით შემლოცველის პიროვნული თვისებებიც.
25	<p>არქანჯელო ლამბერტი თავის „წმინდა კოლხიდაში“ არაერთ საინტერესო ცნობას იძლევა სომხების შესახებ. აღნიშნული ცნობები პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავაჯგუფოთ: 1. სომხები ოსმალეთის იმპერიაში (საქმიანობა, სახასიათო ეთნიკური თავისებურებანი); 2. სომხები საქართველოში (სომხების ქართლში და სომხები სამეგრელო-გურიაში, მათი მდგომარეობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, ეთნიკურ-რელიგიური თავისებურებანი, დამოკიდებულება განსხვავებულ კონფესიებთან).</p> <p>აღნიშნული ცნობები მთლიანობაში საინტერესო სურათს ხატავს სომხების ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფის როლის, ადგილის და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოში.</p>
26	<p>არქანჯელო ლამბერტი თავის ნაშრომში – „წმინდა კოლხიდა“ მოგვითხრობს კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობისა და თავგადასავლის შესახებ კონსტანტინეპოლსა და თეოდოსიაში. კერძოდ, სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის მიერ რომის პაპთან დესპანად გაგზავნილი სამეგრელოში მოღვაწე თეატინელი მისიონერის, ჯუზეპე ჯუდიჩეს (იგი იყო ლამბერტის თანამგზავრი და თანამოღვაწე წლების განმავლობაში) სამისიონერო საქმიანობის შესახებ კონსტანტინეპოლში. სევე მოგვიანებით რომიდან ოდიშისაკენ მომავალი თეატინელი მისიონერებისა და მათ დამგზავრებულ დომინიკანელთა ერთობ მძიმე მგზავრობა, რასაც თან ახლდა ტყვეობა, დამცირება და უმძიმეს პირობებში ცხოვრება, რასაც ვერ გაუძლო და შეეწირა მათ შორის ყველაზე მცხოვანი მისიონერი ჯუდიჩე.</p> <p>ს ცნობები ლამბერტის უნდა მოეპოვებინა უშუალოდ ამ ამბების</p>

	<p>თვითმხილველ თეატინელ მისიონერთაგან მას შემდეგ, რაც ისინი სახიფათო მოგზაურობის შემდეგ ჩამოაღწიეს სამეგრელოს კათოლიკურ მისიონში, სადაც იმყოფებოდა თავად ლამბერტი.</p> <p>აღნიშნული წყარო საინტერესო ცნობებს იძლევა XVII ს-ის პირველი ნახევრის ოსმალეთის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის შესახებ.</p>
27	<p>„ზენა სოფელი“ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული და ერთ-ერთი ცენტრალური პროვინციის, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდებაა. შახელწოდება „ზენა სოფელი“ უნდა წარმოქმნილიყო ქვეყნის მთავარი მდინარის, მტკვრის დინების შესაბამისად. ვეყნის იმდროინდელ ფარგლებში მტკვრის აუზის ზემო წელს შეერქვა ზენა სოფელი, ანუ ზემო ქვეყანა. ისტორიულ წყაროების საფუძველზე ზენა სოფლის აღმოსავლეთ საზღვრად მდ. რაგვისა და არმაზის დასახვა იძლევა საფუძველს, რომ აღნიშნული მხარისათვის სახელისმიმცემ საორიენტაციო პუნქტად წარმოვიდგინოთ მცხეთა-არმაზი. ფრო ზუსტად, გამყოფი პუნქტი უნდა ყოფილიყო არმაზის მთა, რომლის თავდაპირველი სახელწოდება იყო მთა ქართლი. ქ უნდა ყოფილიყო ქართლის უძველესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც შედარებით მოგვიანებით და საბოლოოდ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ჩაანაცვლა მცხეთამ.</p> <p>იდეგ უფრო გვიან, როდესაც ახლადწარმოქმნილ ქართლის სამეფოში (ფარნავაზის ხანა) შევიდა მტკვრის აუზის მთელი ზემო წელი მის სათავეებითურთ, სახელწოდება ზენა სოფელი შეუფერებელი აღმოჩნდა ამ მხარისათვის. მიტომ სახელწოდება ზემო ქვეყანა, ანუ ზემო ქართლი გადავიდა მტკვრის დინების კიდევ უფრო ზემო წელზე მდებარე სამცხე-ჯავახეთსა და კოლა-არტაანზე. თავად ზენა სოფელს კი ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული და ენობრივი ვითარების შესაბამისად ეწოდა შიდა ქართლი.</p>
28	<p>ნაშრომში შესწავლილია სასახლის ეტიკეტის ფენომენის ისტორია დასავლეთში. ადგენილია, რომ ევროპული ცივილიზაციის გენეზისში სასახლე არსებით ელემენტად განიხილება და იგი (ევროპული ცივილიზაცია, რ. .) ფეოდალური საზოგადოების მონარქიულ საზოგადოებად გარდაქმნიდან და სახელმწიფოს ცენტრალიზაციიდან მომდინარეობს.</p> <p>ილუსტრაციისათვის ნაშრომში განხილულია XIII ს-ის ინგლისელი მემატიანის მათე პარიზელის “დიდი ქრონიკა” (ჩჰრონიკა მაჯორა), სადაც შემონახულია საფრანგეთის მეფის ლუი IX-ისა და ინგლისის მეფის ჰენრი III-ის ოფიციალური სადილის აღწერა, რომელიც 1254 წელს პარიზში გააიმართა. მ ქრონიკის მიხედვით დგინდება სასახლის ეტიკეტის არაერთი დეტალი: მოწვეულთა დისპოზიცია სამეფო ბანკეტზე, ქალთა ადგილი კარის იერარქიაში, საზეიმო სუფრის კულინარული მრავალფეროვნება და სხვ.</p>
29	<p>სტატიაში შესწავლილი და განხილულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ფრანგული ემიგრაციის პერიოდში უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომები.</p> <p>არიზის, ბრიუსელისა და ლონდონის სამეცნიერო გამოცემებში ექვთიმე თაყაიშვილმა 1927-1938 წლებში 11 სტატია დაბეჭდა. სტატიები შესრულებულია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ს გამოცემები: <i>Journal Asiatique</i>, <i>Byzantion</i>, <i>Georgica</i>, <i>Revue de l'Orient Chrétien</i> და <i>Prométhée</i>.</p> <p>სტატიას თან ერთვის ე. თაყაიშვილის უცხოური პუბლიკაციების სია არა ქრონოლოგიურად, არამედ გამოცემათა მიხედვით ორიგინალის და ქართულ ენებზე, აგრეთვე ჟურნალ <i>rométhée</i> – ში დაბეჭდილი მოხსენების ჩვენეული</p>

	თარგმანი ფრანგულიდან.
30	<p>ნაშრომში შესწავლილია ძველი აღთქმის ერთ-ერთი აპოკრიფი “ცათა მოხილვა წმიდისა ღმრთისმშობლისა გამოცხადებასა სატანჯველთაგან”, იგივე “ღვთისმშობლის მიმოსვლა”, რომელიც არაერთ ქართულ ხელნაწერშია წარმოდგენილი.</p> <p>ს აპოკრიფულ-ესქატოლოგიური თხზულება კარგად არის ცნობილი აღმოსავლურ-ქრისტიანულ მწერლობაში. თექსტის სხვადასხვაენოვანი ვარიაციები განსხვავებული ისტორიული, სარწმუნოებრივი და მენტალური განწყობილებებით არის განპირობებული. ძველისადმი განსაკუთრებული ინტერესი ხალხურ წარმოდგენებშიც აისახა.</p>
31	<p>„წმინდა კოლხიდაში“ საინტერესო ცნობებია დაცული XVII ს-ის სამეგრელოს ისტორიის შესახებ. მ შემთხვევაში დაინტერესება გამოიწვია ამ კუთხის ისტორიული გეოგრაფიის ერთმა საკითხმა, რომელიც ადგილ კადარს და მასთან მიმართებაში მისიონერთა ცნობილ რეზიდენციის– კადარის ურთიერთმიმართებას ეხება. ადარი, რომელსაც თავის ამ ნაშრომში ახსენებს არქანჯელო ლამბერტი დღევანდელი სოფელ კოკის (ზუგდიდის რ-ნი) უბანია. მასთან ახლოს წიფურიაში (სოფ. შამგონა, ზუგდიდის რ-ნი) მიახერხეს თავიანთი რეზიდენციის მოწყობა კათოლიკე მისიონერებმა. მ თხზულების მიხედვით ცნობილი ხდება, რომ XVII საუკუნის 30–იან წლებში არსებობდა წალენჯიხის საეპისკოპოსო. ვეხებით ასევე სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის იმერეთში ლაშქრობის დეტალებს, უცხოელების საქმიანობას სამეგრელოში და ლამბერტის იტალიაში გამგზავრების თარიღს.</p>
32	<p>სტატიაში შევეხეთ ზემო (ჩრდილოეთ) სამეგრელოს სოფლების ისტორიულ-მატერიალური კულტურის ძეგლების და აქ გამავალი გზების მნიშვნელობას: სოფელ ღიას ადრე შუა საუკუნეების საფორთიფიკაციო ნაგებობას., დაბა ჯვარის ეკლესიებს და თავდაცვით ნაგებობებს, სოფლების ნაგურუს, საჩინოს ისტორიულ-მატერიალური კულტურის ძეგლებს. შოფელ ჯგალის ციხე-სიმაგრეს, სოფელ თაიას წმ. იორგის ეკლესიას. შოფელ კურზუს სიძველეებს. სევე შევეცადეთ გვეჩვენებინა ამ ტერიტორიაზე გამავალი ზემო სამეგრელოს გზის და სვანეთისაკენ მიმავალი გზის მნიშვნელობა.</p>
33	<p>შავიზღვისპირეთში სავაჭრო ურთიერთობებს ეხება XV ს-ის იტალიური დოკუმენტი, რომელიც ქ. გენუაში ინახება და გამოაქვეყნა ს. არპოვმა რუსულ ენაზე. მ დოკუმენტში მოცემულია ცნობა, რომლის თანახმად გენუელ ვაჭარ მელქიონ დონატოსა და საქართველოს მეფის ალექსანდრე I (1412-1442) ქვეშევრდომებს შორის სავაჭრო დავას ჰქონია ადგილი და ერთერთ მხარეს თვით საქართველოს მეფე ალექსანდრე I წარმოადგენდა. მოხსენებაში შევეცადეთ ხაზი გაგვესვა საქართველოს სამეფო კარის მიერ სავრთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ნაკისრი ვალდებულებების შერულებების თაობაზე.</p>
34	<p>მოხსენებაში მიმოხილულია ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ სონღულაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა.</p>
35	<p>მოხსენებაში გადმოცემულია ბატალიონ „მონადირის“ მიერ 1992 წლიდან 2006 წლის ივლისამდე კოდორის ხეობის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ ქართული საზოგადოების პოლიტიკური აზრის დამოკიდებულება.</p>
36	<p>მოხსენებაში, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია რუსეთის აგრესიული პოლიტიკური კურსი საქართველოსთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოში.</p>
37	<p>მოხსენებაში საუბარია XIX საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში წარმოქმნილ იდეოლოგიაზე – თურქიზმზე და მისი პრაქტიკული განხორციელების ცდაზე XX საუკუნეში. ოსმალეთი ცდილობდა კავკასიის დაპყრობას, განსაკუთრებით საქართველოს იმ ტერიტორიებისას, რომელიც წინა საუკუნეში დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. ოსმალეთის ამდროინდელი პოლიტიკოსებიდან ყველაზე</p>

	<p>აგრესიული საქართველოსთან მიმართებაში იყო ენვერ-ფაშა. ისი ხელმძღვანელობით ოსმალები ცდილობდნენ ბრესტის ზავის განხორციელებას და უფრო მეტსაც: მას შემდეგ, რაც 1918 წლის მარტ-აპრილში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს, ოსმალებმა იმაზე მეტი წაიღეს, რასაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ითვალისწინებდა და ამჯერად ამ, ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიების დაკანონებას ცდილობდნენ. ნარკვევში ბევრი წყაროა გამოყენებული, მათ შორის საარქივო და იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები. აღწერილია ოსმალეთიდან ბათუმის კონფერენციაზე მომავალი გემის ეკიპაჟის შემადგენლობა და ეკიპაჟის წევრთა დამოკიდებულება კავკასიის პოლიტიკურ მოწყობაზე, ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება და პრაქტიკული ნაბიჯები ოსმალი პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და სამხედროების ქმედებაზე.</p>
38	<p>მოსხენებაში აღვნიშნე, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ (1884-1957) თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. შაინტერესოა მისი მოგონებები „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელიც მიუნხენში მცხოვრებმა კარლო ინასარიძემ 1990 წელს გურამ შარაძეს გადასცა. ან ეს ნაშრომი ჯერ 1992 წელს ჟურნალ „მხედარის“ პუბლიკაციას დაურთო შემდეგ კი – 2003 წელს თავისი ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის IV ტომში სრულად გამოაქვეყნა.</p> <p>აღინიშნა, რომ ნაშრომი ძალზე საინტერესოა და გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება, რადგან მემუარისტი აღწერილი მოვლენების მონაწილე და თვითმხილველი იყო. ვტორი ლიბერალურად მოაზროვნე, ეროვნული იდეალებისა და დემოკრატიული პრინციპების ერთგული ადამიანია. ონფერენციაზე წარგდგენილ მოხსენებაში ხაზი გაესვა იმას, რომ მემუარებში განხილულია საქართველო-რუსეთის, საქართველოსა და ევროპული სამყაროს ურთიერთობის ასპექტები. რავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული პრობლემა, რაც დღესაც აქტუალურად დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე, მას ობიექტურად, სწორი კონცეპტებით აქვს შეფასებული.</p>
39	<p>მოსხენებაში გამოვიყენე ქართული პრესის მასალები, საარქივო დოკუმენტები, ისტორიოგრაფიული ნარკვევები, ემიგრანტული ლიტერატურა. Vასილ წერეთლის მდიდარ ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, ვისაუბრე სახელმწიფო მოწყობის წერეთლისეულ თვალსაზრისზე, მის დამოკიდებულებაზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვადასხვა კანონთან, ქართველი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებთან.</p>
40	<p>თუ რა მასშტაბის შანტაჟზე მიდიოდა იმპერია, კარგად იკითხება კოვალენსკის „ჩანაწერებში“. ოვალენსკი ახასიათებს საქართველოს მეზობელ სახანოებს და უარყოფით ან დადებით კონტექსტში იმის მიხედვით მოიხსენიებს, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ რუსეთთან. რეგნისა და ხოის სახანოების რუსეთის გავლენაში მოქცევას ის უმაღლის სომეხთა პატრიარქს იოსებს. Iვანე ჯავახიშვილი სწორედ ამ პატრიარქს მიაწერდა ერკლე მეფისა და სპარსეთის ურთიერთობის გაუარესებასა და სომეხების დასახლებას საქართველოში.</p> <p>ოვალენსკი ართულებდა მეფე გიორგი XII–სთვის მიცემული რჩევებით მის ურთიერთობას სპარსეთთან. სპარსეთი ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს მობრუნებას რუსული ორიენტაციისგან, მაგრამ ამაოდ. ჩანაწერებიდან იკითხება, თუ რა უმძიმესი იყო 1799 წელი საქართველოს სამეფოსთვის, როგორ ძაბავდა ვითარებას რუსეთის მიერ სპეციალურად მოვლენილი ე. ჭ. „საქართველოს მინისტრი“, როგორ ართულებდა საშინაო ვითარებასაც: ერთმანეთს ამტკრებდა და კიდებდა ქართულ სამეფო-სამთავროებს. რუსეთისა და მისი აგენტის – პეტრე კოვალენსკის მიზანი კავკასიაში ყველაზე ძლიერი და მოწინავე სახელმწიფოს – ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება და შემდგომში მისი მიტაცების გაადვილება იყო.</p>

41	<p>მოხსენებაში წარმოჩნდა, რომ დოკუმენტები, რომლებიც ერეკლესა და რუსეთის საიმპერატორო კარის, ასევე რუსი სამხედროების მიწერ-მოწერას ასახავს, დეტალებში განიხილავს გრაფი ტოტლებენის მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებებს, მის მცდელობას, – ქართველი მეფის დისკრედიტაცია მოეხდინა და, თუ საშუალება მიეცემოდა, მისი სამეფო იმპერიისთვის შეერთებინა. თოტლებენის ლაშქარში იყვნენ რუსეთში მცხოვრები ქართველებიც, რომელთა შორის გამორჩეული როლი ითამაშეს პოლკოვნიკებმა რატიევმა, (რატიშვილმა) და ჩოლლოყოვმა, იგივე გარუსებულმა ჩოლოყაშვილმა. მ მასალების განხილვა პირველად მოხდა კომპლექსური შეპირისპირებით, შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებული იქნა ახალი დასკვნები.</p> <p>დოგორც ამ პერიოდის წყაროებიდან ირკვევა, რუსულ ჯარს მოყოლილ ქართველ ოფიცრებსაც ჰქონდათ ერეკლე მეფის საწინააღმდეგო გეგმა, რაც, უპირველესად, ქართლ-კახეთის მეფისთვის ქართლის სამეფოს წართმევას თუ მთლიანად მეფობიდან მის გადაყენებას გულისხმობდა. ტოტლებენთან დაპირისპირების გამო, ისინი იძულებულნი გახდნენ ამ გეგმაზე უარი ეთქვათ და, პირიქით, მეფე ერეკლესთან მისულიყვნენ, თავი მის კეთილმოსურნედ გამოეცხადებინათ და ტოტლებენის მზაკვრული მოქმედება დაეგმოთ. თავად ერეკლე იმდენად შეძრა რუსი გენერლის ქცევებმა, იმდენად დამამცირებელი იყო მისთვის ვითომ დასახმარებლად მოსული რუსული ჯარის მხედართმთავრის ინტრიგები, დეტალურად წერდა ამის შესახებ რუსეთის იმპერატორიდან დაწყებული, ყველა დიდ მოხელეს. მ წერილებში ჩანს ქართველი მეფის გულისწყრომა, გულგატეხილობა, დაბნეულობა, რუსეთთან შემდგომი ურთიერთობის გაურკვევლობაც და იმავდროულად დიდი სურვილიც, რომ როგორმე ერთი კაცის (ამ შემთხვევაში გენერალ-მაიორ ტოტლებენის) ბრალი ყოფილიყო ყველაფერი და არა რუსული საიმპერიო პოლიტიკის.</p>
42	<p>მოხსენებაში განხილულია თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში და როგორ სარწმუნოებრივ პოლიტიკას ეწეოდა ხელისუფლების სათავეში მოსული ათეისტური სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება.</p>
43	<p>მოხსენება ეძღვნება მეცხრამეტე საუკუნეში თუ რა როლს ასრულებდა ქართველი სასულიერო პირები ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში.</p>
44	<p>მოხსენებაში ახლადგამოვლენილ წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია წმ. ილარიონ ქართველი ახლის როლი უძველესი ქართული ხელნაწერების გადაწერაში. მისი მოვაწეობა ათონის მთაზე.</p>
45	<p>მოხსენებაში წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის დვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე.</p>
46	<p>მოხსენებაში საუბარია ერთ-ერთ საჭირბოროტო პრობლემაზე, რომელიც XIX ს-ის 70-იან წლებში წამოიჭრა ქართულ მოაზროვნე საზოგადოების წარმომადგენლებს შორის – მცირე ერების ენების, მათ შორის, ქართული ენის გაქრობისა და მისი შერწყმისა დიდი ერების ენებთან. მ მოსაზრებას სათავე დაუდო ქართველი დიდგვაროვანის, რუსეთის მოხელის გიორგი მუხრანსკის ბროშურამ, რომელიც იმავე ხანებში გამოქვეყნდა. ის წინააღმდეგ ხმა ამოიღეს ქართველმა 60-იანელებმა (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა).</p>
47	<p>მოხსენებაში ყურადღებაა გამახვილებული იმ სიახლეებზე, რომლებიც დაფიქსირებულია „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ისიდორე რამიშვილის „მოგონებებში“, რომელიც 2012 წლის ბოლოს მიიღო ქართველმა მკითხველმა.</p>
48	<p>მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ მნიშვნელოვან დვაწლზე, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის ქართველებისა და ებრაელების (კერძოდ, ქართველი ებრაელების) 26 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე,</p>

	დამოკიდებულების წარმოჩენაში.
49	მოხსენება ეხება ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობას საქართველოს დამფუძნებელ კრებაში.
50	მოხსენებაში შესწავლილია კახეთის სოფელ წინანდალში მცხოვრები ჩოთალიშვილთა მცირერიცხოვანი გვარის წარმომავლობა. ს გვარი სათავეს იღებს ჩოთანელთა საგვარეულოდან, რომლის ყველაზე ძველი წარმომადგენელიც ქართულ საისტორიო წყაროებში მოიხსენიება სამი საუკუნის წინათ, კერძოდ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორც აღნიშნულ სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის უფროსი. თვით გვარში შემონახული გადმოცემის თანახმად, ჩოთანელთა გვარს საფუძველი ჩაეყარა დაღესტნელი ფეოდალის – ალი-ბეგ ჩოფანის ძის უმცროსი ვაჟიდან, რომელიც გაქრისტიანდა და სოფელ წინანდალში დამკვიდრდა. ისმა შტამომავლებმა, თავიანთი წინაპრების – ჩოფანისა და ალი-ბეგის პატივსაცემად, გვარად აიღეს მათი სახელების გაერთიანებული ფორმა – ჩოფან-ალი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ჩოთან-ელი.
51	მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჩრდილოკავკასიელი მეომრები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსახურობდნენ ქართველ მეფეთა ჯარში. ქართულ-ჩრდილოკავკასიური სამხედრო თანამშრომლობა წარმატებით გრძელდებოდა და ვითარდებოდა ქართული მონარქიული სახელმწიფოებრიობის არსებობის შეწყვეტამდე. მართალია, თანაარსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ქართველებს და დაღესტნელებს შორის მტრობაც ხშირი იყო, მაგრამ ამ ხალხებს შორის იყო თანამშრომლობაც. ის ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდს წარმოადგენს XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის დასაწყისი.
52	მოხსენებაში შესწავლილია ერთ-ერთი ქართული ისტორიული საგვარეულოს – ავალიშვილთა გვარის წარმომავლობა და განშტოებათა ისტორია. ადგენილია, რომ აღნიშნული გვარიდან არაერთი გამოჩენილი მოღვაწე გამოვიდა. ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფიიდან, საარქივო ცნობებზე დაყრდნობით, დადგენილია დღემდე უცნობი ფაქტები.
53	მოხსენებაში, გენეალოგიურ მასალაზე გაყრდნობით, დადგენილია თუ რა კავშირი ჰქონდათ კახეთის მეფეებს ალექსანდრე II-ს და დავით I-ს სვანეთთან, რომლის ეკლესიებსაც ისინი სწირავდნენ ზარებს სათანადო წარწერებით.
54	მოხსენებაში დადგენილია, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს საქართველოში დამკვიდრდა რიგული ფარმაცევტი ედუარდ კარლის ძე ვოლდეიტი და შესწავლილია მისი მრავალრიცხოვანი შტამომავლობის მოღვაწეობის ისტორია.
55	ცნობები ბათუმის შესახებ მოთავსებულია ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის გოტფრიდ მერცბახერის ნაშრომში – „კავკასიის მაღალმთიანეთში“ (ლაიფციგი, 1901). 1891 წელს მან მოიარა და დაწვრილებით აღწერა მთელი საქართველოს მთიანი მხარეები; ასევე ის პუნქტები, ქალაქები თუ სხვა, რაც მან ბათუმიდან თბილისის ჩათვლით მოინახულა.
56	მასალა ამოღებულია ინგლისელი კაპიტნის ორი წიგნიდან: „მოგზაურობა ჩერქეზეთში, ყირიმის თათრეთში და ა.შ.“ (ლონდონი, 1839) და „თურქეთი, რუსეთი, შავი ზღვა და ჩერქეზეთი“ (ლონდ. 1854), რაც შედგება მისი ორგზისი მოგზაურობის. დოგორც თვითმხილველი, ზუსტად ხატავს აფხაზეთის მაშინდელ ვითარებას; ეხება მიხეილ შარვაშიძეს. აფხაზეთი მიაჩნია ჩერქეზულ მხარედ.
57	მოხსენებაში გამოიკვეთა, რომ თვით ანტანტის წევრ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებამ და კავკასიის საკითხებში შეუთანხმებლობამ, რუსეთს ხელფეხი გაუსხნა საქართველოს დასაპყრობად.
58	მოხსენებაში საუბარია ინგლის-რუსეთის გარიგებაზე. აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა, ჯერ კიდევ 1920 წლის ბოლოს განუცხადა საბჭოთა ელჩს, რომ ბრიტანეთი კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. ინგლისის ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე

	<p>ნახევარში დაიწყო რუსეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადგობად. მართალია, ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოაწერეს, მაგრამ პროექტი ორი თვით ადრე მზად იყო. ღოდესაც, 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს, რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი ამაში ხელს არ შეუშლიდა.</p>
59	<p>მოსხენებაში აღნიშნულია რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებული პოლიტიკის შესახებ. მათი გარიგების შედეგად, 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბათუმი და ბათუმის ოლქი საბჭოთა საქართველოს მიეკუთვნა, ართვინი და არტაანი ყარსის ოლქთან ერთად კი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა, რითაც ფაქტიურად სათავე დაედო საქართველოს ისტორიული საზღვრების დაშლა-დანაწილებას.</p>
60	<p>მოსხენებაში საუბარია ქართული სამხედრო სკოლის იუნკერზე პროკოფი აბულაძეზე, რომელიც რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებთან და სამხედრო პირებთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში, საზღვარგარეთ წასულიყო. Xაზგასმულია, სამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა, რაც პროკოფი აბულაძის პოეზიაში აისახა.</p>
61	<p>მოსხენებაში საუბარია ემიგრაციაში მყოფი კავკასიელი პოლიტიკოსების გაერთიანებაზე. აღნიშნულია, რომ 1924 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, პარიზში, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და შექმნეს კავკასიური კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეხდინა საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლის ორგანიზება. 1932 წელს საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა, პარიზში შეიმუშავა კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი, რომელიც წარმოადგენდა კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი კავშირის იურიდიულ ფორმებში გაერთიანების პირველ ცდას. ქართველი ემიგრანტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამგვარ გაერთიანებას. ჩნობილი ემიგრანტი, იურისტი მიხეილ მუსხელიშვილი, კავკასიელ ემიგრანტთა გადაწყვეტილებას, ასე აფასებდა: „კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტის შემუშავება დიდი მოვლენაა კავკასიელ ერთა ცხოვრებაში. ს ამტკიცებს, რომ ისტორიის გაკვეთილებს ტყუილად არ ჩაუვლია და ამ ერთა ხელმძღვანელებმა შეიგნეს პირდაპირი კავშირის საჭიროება. ურავინ იფიქრებს, რომ პროექტის მიზანი მიუღწეველია პრაქტიკულად, რადგან კავკასია დღეს საბჭოთა ბატონობის ქვეშ იმყოფება. მართალია, პროექტი ახლავე ძალაში ვერ შევა, ხოლო ჩვენს წინაშე საზოგადოებრივი აზრის ფრიად მნიშვნელოვანი დემონსტრაციაა; კიდევ მეტი, პაქტის პროექტის შედგენა თავიდან აგვაცდენს ბევრ დავას, რომელიც შესაძლებელია ჩამოვარდეს კავკასიის ერთა თავისუფლების აღდგენის დროს”.</p>
62	<p>მოსხენებაში საუბარია, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსების აქტიური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილია, რაც გამოიხატებოდა უცხოეთში ქართული პოლიტიკოსების აქტიურ მონაწილეობაში მსოფლიოს სხვადასხვა კონფერენციებსა და საერთაშორისო ფორუმებზე. მათი ძალისხმევით, 1922 და 1924 წლებში ერთა ლიგის III და IV საერთო კრებებმა გამოიტანეს დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: „კრება მოუწოდებს საბჭოს, ყურადღებით ადევნოს თვალი ქვეყნიერების ამ კუთხის (საქართველოს) ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველივე შემთხვევით, რომელიც კი მიეცემა და დაეხმაროს მშვიდობიანი ზომებით და საერთაშორისო უფლების წესების თანახმად, ამ ქვეყანას ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად”. საქართველოს საკითხი აქტიურად განიხილებოდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების</p>

	საერთაშორისო კონგრესებზე. 1934 წლის 1-6 სექტემბერს შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში მშვიდობის 30-ე საერთაშორისო მსოფლიო კონგრესი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი მშვიდობის საერთაშორისო ბიურო იყო, რომელმაც თავისი მუდმივი ბინა, ერთა ლიგის დაარსების შემდეგ, ბერნიდან ვენევაში გადმოიტანა. ონგრესის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და საქართველოს ინტერესებს იცავდნენ ქართველი ემიგრანტები ხარიტონ შავიშვილის ხელმძღვანელობით.
63	მოსხენებაში საუბარია ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ნახვენებია მისი როლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, გერმანიასთან და ოსმალეთთან მოლაპარაკების პროცესში. იგი, როგორც გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე, აკაკი ჩხენკელთან ერთად, ოსმალებთან მოლაპარაკების პროცესში ამიერკავკასიის დელეგაციის სრულუფლებიანი წევრი იყო და დიდი როლი შეასრულა, ოსმალების მოკავშირე გერმანიის ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ კეთილგანწყობის მოპოვების საქმეში. მიერკავკასიის ქვეყნების დელეგატებთან ერთად, იგი ოსმალების მიერ ოკუპირებულ ბათუმში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო ბათუმის საზავო კონფერენციაში. იყო ნიკოლაძემ ბათუმშივე მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის პროექტს, რომელზეც აქტიურად მუშაობდა ზურაბ ავალიშვილი. იგი, ასევე, აქტიურად იყო ჩართული, ფოთში, გერმანიის დელეგაციასთან მოლაპარაკებებში, რასაც, 1918 წლის 28 მაისს, გერმანიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების გაფორმება მოჰყვა, რომლის ძალით, გერმანიის ხელისუფლებამ საქართველოს „დე ფაქტო“ დამოუკიდებლობა აღიარა.
64	მოსხენებაში აღნიშნულია, რომ კონფლიქტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული წინააღმდეგობის ფორმას. ისი საფუძვლები შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირება. ებისმიერ კონფლიქტში მთავარი პოლიტიკური ინტერესებია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიული სამართლიანობა. ისტორიული სიმართლის ობიექტური განსაზღვრისთვის საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, რაც დღეს არ არსებობს და კონფლიქტის გადაჭრა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება. საჭიროა კონფლიქტის საფუძვლებში გარკვევა, პრობლემის სიღრმეებში ჩაწვდომა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვეძებოთ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები. საქართველოში არსებული კონფლიქტების შესწავლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიული ფაქტების ხაზგასმა. დგილი აქვს ისტორიული ფაქტების მიზანმიმართულ დამახინჯებას, რასაც სეპარატისტთა ზურგს უკან მდგომი ძალები ახორციელებენ.
65	მოსხენებაში განვიხილეთ რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა ბათუმის ოლქში და ქ. ბათუმში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ამ რეგიონის შემოერთების შემდეგ. შამეცნიერო ლიტერატურასა და დოკუმენტებზე დაყრდნობით ვუჩვენეთ ის ღონისძიებები, რომელიც აქ გაატარა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, გავაანალიზეთ და შევაფასეთ აღნიშნული ორგანიზაციის მოღვაწეობის ხასიათი და შედეგები.
66	რუსულ იმპერიულ დიპლომატიას უდავოდ ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი; კერძოდ, მათ მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაოები ადგილობრივი მმართველობის ხასიათის, მოსახლეობის სოციალური და ფსიქოლოგიური პორტრეტის, ეკონომიკისა და კულტურის და ა. შ. შესწავლის მიზნით ოპტიმალურად გამოიყენებოდა იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის გასამართლებლად და შესაბამისად – დაპყრობილი ხალხების მხრიდან

	<p>ნებისმიერი სახის პრეტენზიის უარსაყოფად. მგვარი პოლიტიკის წარმოებისათვის უადრესად მყარ საფუძველს წარმოადგენდა მთელ რიგ რუს თუ უცხოელ ავტორთა (ან მოგზაურთა) ნაშრომები: მათში დაცული ნებისმიერი ხასიათის ინფორმაცია წარმატებით გამოიყენებოდა დაპყრობილი ხალხების ე.წ. ნებაყოფლობითი დამორჩილების მიზნით. მ კატეგორიას განეკუთვნებიან სტატიაში განხილული რაფაელ დე სკასისა და პლატონ ზუბოვის ნაშრომები; მათში ღიად და დაუფარავად არის ჩამოყალიბებული კავკასიის ხალხთა დასამორჩილებელი გეგმა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებს რელიგიური გრძნობებით თამაშს, ხოლო ძირითადად კი ემყარება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას იქ, სადაც სამხედრო ჩარევა ღიდ, და ხშირად – უშედეგო მსხვერპლს მოითხოვს.</p>
67	<p>მიხეილ შერვაშიძემ (1823-1864), აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ამ კუთხის ისტორიაში; ეს იყო მეტად გამჭრიახი გონების, საჭიროების შემთხვევაში – ხელქვეითების მიმართ მკაცრი, მოწინააღმდეგესთან – სასტიკი და დაუნდობელი, ამავე დროს გონიერი მმართველი და ცბიერი პოლიტიკოსი.</p> <p>იხეილ შერვაშიძის ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები სათანადო სისრულით არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა თანამედროვეთა მიერ მიხეილ შერვაშიძის პიროვნული დახასიათებისას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს ვხვდებით. ნაშრომში განხილულია ახალი საარქივო დოკუმენტები, ეპოქის თანამედროვე ავტორთა მასალები, რაც საშუალებას იძლევა, სრულად წარმოვადგინოთ მიხეილ შერვაშიძის, როგორც რუსეთის ხელისუფლების სერიოზული მოწინააღმდეგის სახე.</p>
68	<p>1858 წელს დაიწყო ნოღაელთა ოსმალებში გადასახლება, რომელიც პროვოცირებული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ. მუჰაჯირობაში 1858-1869 წლებში 70 000-მდე ნოღაეკუ წავიდა. მათი წასვლის შემდეგ, ბეშთის მთასთან 500 ათასი დესეტინა მიწა გამოთავისუფლდა, რომელზეც რუსი მოსახლეობა დაასახლეს. ოსმალებიდან უკან 1000 ნოღაელი დაბრუნდა, ისინიც გადავიდნენ სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში და აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას იმპერიისათვის.</p>
69	<p>მოხსენებაში საუბარი იყო ივანე (ვანო) ნანუაშვილის საარქივო მასალების შესახებ, სადაც დაცულია: მიმოწერა ქართველ ემიგრანტებთან; აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებთან და ოფიციალურ პირებთან; აშშ-სა და ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებთან; აშშ-ს ქართული ორგანიზაციების, კავკასიის ემიგრაციის, სსრკ-ს ემიგრანტთა გაერთიანების დოკუმენტები; ივანე (ვანო) ნანუაშვილისა და სხვა ქართველი ემიგრანტების ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.</p> <p>ივანე ნანუაშვილის საარქივო მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია აქტიურ საქმიანობას ეწევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცივი ომის დროს, XX საუკუნის 50-70-იან წლებში. ისინი ქმნიდნენ ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ქართულ საკითხს აცნობდნენ აშშ-ს საზოგადოებასა და მთავრობას, თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის ემიგრანტულ გაერთიანებებთან, აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურებთან და ამერიკულ ორგანიზაციებთან.</p>
70	<p>საქართველოს ეკლესია, ქართული წყაროებისა და გადმოცემების თანახმად, ავტოკეფალურია V საუკუნიდან, მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქის ტიტულს XI საუკუნის დასაწყისიდან ატარებს.</p> <p>რუსეთის თვითმპყრობელობამ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ძალმომრეობით, საეკლესიო კანონების დარღვევით გააუქმა. ისი</p>

	<p>აღდგენა მხოლოდ 1917 წელს, იმპერიის დაცემის შედეგად გახდა შესაძლებელი. თუმცა მსოფლიო ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას არ აღიარებდა და მას ავტონომიურ ეკლესიათა შორის მოიხსენიებდა.</p> <p>ეკლესიის უფლებათა აღდგენისათვის დავა ახლადნაკურთხმა ეპისკოპოსმა ილია შემოქმედელმა (შიოლაშვილი) 1964 წელს დაიწყო. ს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა მისი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის (1977 წელი) შემდეგ. რავალი შეხვედრისა და მოლაპარაკების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, პრინციპული პოზიციის წყალობით, სასურველ შედეგს – მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებას, 1990 წელს მიაღწია. ადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილი.</p>
71	<p>ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის საერთაშორისო ქრისტიანული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ამსტერდამში 1948 წელს.</p> <p>ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ძირითადი უფლებამოსილი ორგანოა ასამბლეა. სამბლეა ირჩევს 8 პრეზიდენტს და ცენტრალურ კომიტეტს. ს უკანასკნელი კი ირჩევს გენერალურ მდივანს.</p> <p>1961 წელს ნიუ-დელის ასამბლეაზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ბაზისის მიხედვით ეკლესიათა მსოფლიო საბჭო წარმოადგენს იმ ეკლესიათა თანამეგობრობას, რომლებიც წმ. ჭერილის საფუძველზე აღიარებენ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ღმერთი და მაცხოვარი და ერთად იღვწიან ერთარსი ღმერთის – მამის, ძისა და წმიდა სულის განსაზღვრულად.</p> <p>მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ის მოწინააღმდეგეებს სხვა აღმსარებლობებთან საბჭოს წესდების საფუძველზე ურთიერთობა მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიოლოგიის უარყოფად მიჩნიათ. ერეტიკოსებთან ერთობის აღდგენის ერთადერთ გზად მათგან მწვალებლობაზე უარის თქმა და შეცოდების მონანიება ესახებათ.</p>
72	<p>ნაშრომში განხილულია XX საუკუნის დასაწყისში ქართული, ეროვნული იდენტობის საკითხი. გაანალიზებულია როგორი იყო სხვადასხვა სოციალური ფენების გამოწვევა ეპოქის პირისპირ.</p>
73	<p>მოხსენებაში გაშუქებულია სხვადასხვა სოციალური ფენების თუ ჯგუფების დამოკიდებულება ეპოქასთან მიმართებაში.</p>
74	<p>მოხსენებაში განხილულია ბოლო წლების საქართველოში მიმდინარე პროცესების მაგალითზე რელიგიის პოლიტიკური დატვირთვის გაძლიერება. ერთი მხრივ რელიგიური ორგანიზაციების მცდელობა პოლიტიკური აქტორები გახდნენ და მეორე მხრივ პოლიტიკური სპექტრის წამომადგენელთა აქტიურობა რელიგიის დამატებით არგუმენტად გამოყენების მიმართულებით.</p>
75	<p>მოხსენებაში უახლესი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გაანალიზებულია სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები (ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის ხარისხი, ენობრივი ვითარება, სოციალური მობილობა, რელიგიური გარემო, ყოფითი მახასიათებლები და სხვ.) სოფ. ქანდაში მცხოვრები ასირიელების ყოველდღიურობის კრილში.</p>
76	<p>მოხსენებაში განხილულ იქნა თანამედროვე მსოფლიოში რელიგიის მრავლობითობის პრობლემა კვლევის თვალსაზრისით, ასევე საზღვრების მოქნილობის პირობებში ურთიერთგავლენების არსებობა და რელიგიურობის გამოვლინების ახალი საშუალებების გაჩენა. მეთოდოლოგიურ საკითხებთან ერთად დაისვა სწავლებისას პოზიტივისტური მიდგომების მართებულობისა და კონტექსტურობის მზარდი როლის პრობლემა.</p>

77	<p>მოსხენებაში განხილული იყო ცოლქმრული დალატის საკითხი დმანისის რეგიონის მოსახლეობის (მკვიდრი ქართველების, ჩამოსახლებული სვანების და აზერბაიჯანელების) ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. აღნიშნული იყო, რომ ტრადიციულად ცოლქმრული დალატი განხილვებოდა, როგორც დანაშაული და სხვადასხვანაირად ისჯებოდა ქრისტიანული, მუსულმანური და ჩვეულებით სამართლებრივი ნორმების მიხედვით. დღეს ასეთი სასჯელები აქტიურად აღარ მოქმედებს, მაგრამ აშკარაა, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია ქალის დალატის და ნეიტრალურია მამაკაცის დალატის მიმართ.</p>
78	<p>მოსხენებაში განხილული იყო ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის საკითხი საქართველოს ეთნოგრაფიაში, რაც გამოიხატება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, მისი ცნობილი “არქეოლოგიური მოგზაურობების” დროს ეთნოგრაფიული მასალისა და რეალიების მოძიებაში. ეთნოგრაფიული მასალის გამოქვეყნებასა და პოპულარიზაციაში, ეთნოგრაფიული ძეგლების ფოტოფიქსაციასა და სხვ. აღნიშნული იყო ექვთიმე თაყაიშვილი დამსახურების შესახებ საქართველოში ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეში.</p>
79	<p>მოსხენებაში განხილული იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღწერილი გურიაში დადასტურებული ნადირობის ხალხური წესები, რომელიც მის მოგონებებში “ნადირობის ამბების” სახელით არის შესული. მაღალ მხატვრულ დონეზე დაწერილი ეს ეთნოგრაფიული ნარკვევი ნათლად აჩვენებს ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებას ქართული ეთნოგრაფიული პროზის განვითარების საქმეში.</p>
80	<p>მოსხენება მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ “სამუსლიმანო საქართველოში” აღწერილ ხახულის მონასტრის კარიბჭის კედელში ღვთისმშობლის “გამოქანდაკებულ სურათთან” ჩატარებულ რიტუალსა და ე.წ. ზიარეთის წესს. მოსხენებაში განხილული მათი სამედიცინო ასპექტები.</p>
81	<p>მოსხენებაში ყურადღება გამახვილებულია კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ყოფაში შემორჩენილი სოციალური ურთიერთობებისა და კვების კულტურის არეალურ, გენეტიკურ თავისებურებებზე.</p>
82	<p>მოსხენება ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის კულტუროლოგიურ ანალიზს დროსა და სივრცეში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.</p>
83	<p>მოსხენებაში განხილულია ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობები რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და სოციალური ინტეგრაციის მაგალითზე.</p>
84	<p>მოსხენებაში განხილულია დაბა თიანეთის რაჭულ მოსახლეობაში ჩატარებული მარიამობის დღესასწაული, მისი ტრადიციული და ინოვაციური მხარეები.</p>
85	<p>შესწავლილი იქნა გენდერული ურთიერთობები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში. ვინდა წარმოჩნდეს საზოგადოებრივ ინსტიტუტებში ქალისა და მამაკაცის სოციალური როლი და სტატუსი, უფლება-მოვალეობები და ა.შ. აგრეთვე ისეთი ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორცაა – ურთიერთდახმარება, ქველმოქმედება, ასაკობრივი პატივისცემა თუ სხვა, სადაც მამაკაცი და ქალი აქტიურად იყო ჩართული, რაც ვფიქრობთ, გარკვეულწილად ხელს უწყობს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ადაპტაციის პროცესსაც.</p>
86	<p>იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან (ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი) ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ ახლაც დევნილობის პერიოდში რიგი დაავადებების (ავი თვალი, შეშინებული, ბატონები) შემთხვევაში მიმართავენ მაგიურ-რელიგიური მკურნალობის მეთოდებს – ავი თვალის, შეშინებულის დროს შელოცვით მკურნალობა ისევე ფუნქციონალურია,</p>

	შემორჩა კოლექტიურ მეხსიერებას. ატონების დროს არსებულ გარკვეულ ძველ წესებსაც ისევ იცავენ. შეიმჩნევა ძველი ელემენტების დაძლევის ტენდენცია, რჩება ის რასაც გააჩნია ეფექტურობა.
87	მოხსენებაში წარმოდგენილია ქართველთა ეთნიკურ ერთობად ფორმირების ეტაპები და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართება რელიგიურ სისტემებთან. გამოკვეთილია ქრისტიანობის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერის, როლი და ფუნქცია. ხაზგასმულია მოქალაქეობრივი იდენტობის არსებობის ფაქტები ქართველთა ეთნიკური ისტორიის სხვადასხვა ეტაპიდან. საუბარია თანამედროვე პრობლემატიკაზეც.
88	მოხსენებაში საუბარია ისტორიულ შავშეთში, იმერხევისწყლის ხეობაში (ართვინის რეგიონი, თურქეთის რესპუბლიკა) არსებული ტრადიციული ქართული სულიერი კულტურის ელემენტებზე. გაანალიზებულია იმერხევის მოსახლეობაში ჯერ კიდევ მოქმედი ორი ქართული ხალხური დღეობა - „შუამთობა“ და „მარიობა“. წარმოდგენილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა „ზიარეთობის“ ტრადიციის შესახებაც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ტრადიცია ქრისტიანული „ზიარებისა“ და დღესაწაულების პაგანიზებული ფორმაა, გარკვეული სინკრეტიზმის ნიშნებით.
89	მოხსენება ეხება ქართული ტრადიციული აღზრდის სისტემას, რომელშიც გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა რელიგიის ფაქტორს. გამოკვეთილია მოზარდის სოციალიზაციის ეტაპები საქართველოს მთიანეთში და თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში. გამოკვეთილია ტრადიციული ზნეობრივი, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების, ქცევის წესებისა და კულტურულ-სამეურნო ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემის ბუნებრივი გზები და მექანიზმები.
90	მოხსენებაში წარმოდგენილია 2007-20012 წლების განმავლობაში ართვინის რეგიონში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი, დაკონკრეტებულია გეოგრაფიული კონტექსტი: საუბარია ისტორიული ნიგალის (ლიგანის, ლივანის) შესახებ, რომელიც მოიცავს ვრცელ ტერიტორიას მდინარე ჭოროხის მარჯვენა და მარცხენა სანაპირობეზე, დაწყებული ქალაქ ართვინიდან ვიდრე ზემო მარადიდამდე. გამოვლენილია ამ რეგიონში ქართველთა განსახლების არეალი, თემთა და სოფელთა ქართული სახელწოდებანი, დემოგრაფიული სურათი, კულტურულ-სამეურნო ტიპი, სულიერი და სოციალური ყოფის მთავარი მახასიათებლები, თანამედროვე პრობლემატიკა (მწვავე მიგრაციული პროცესები, დედაენის დაკარგვის მკვეთრი საფრთხე).
91	მოხსენებაში საუბარია ქალაქ ართვინისა (ისტორიული ნიგალის (ლიგანის, ლივანის) მთვარი მის გარშემო ვრცელ ტერიტორიაზე (მდინარე ჭოროხის მარჯვენა და მარცხენა სანაპირობეზე) არსებულ ქართულ ხეობებში მცხოვრებ ქართველთა ტრადიციულ ყოფაზე: დასახლების ტიპი, სამეურნეო ყოფა, საოჯახო ყოფა, ქორწინებისა და დაკრზალვის წესები, ხალხურ დღესასწაულთა კალენდარი. გამოვლენილია ამ რეგიონში ქართველთა განსახლების არეალი, თემთა და სოფელთა ქართული სახელწოდებანი, დემოგრაფიული სურათი, კულტურულ-სამეურნო ტიპი, სულიერი და სოციალური ყოფის მთავარი მახასიათებლები, თანამედროვე პრობლემატიკა.
92	მოხსენებაში წარმოდგენილია თურქეთელ ქართველთა ისტორიული მახსოვრობის ბათუმთან დაკავშირებული სეგმენტები. გამოვლენილია „ბათუმის“ როგორც ზოგადად სამშობლოს კრებით სახედ, ერთგავრ სიმბოლოდ არსებობა. წარმოჩენილია „ბათუმთან“ // სამსობლოსთან დაკავსირებული სოცლიაური

	მახსოვრობის სხვადასხვა ასპექტები: წინაპართა მოგონებებში დაღეილი და თაობებში შემონახული ისტორიული მიწა-წყლის ტოპონიმიკის, საგვარეულოს ხსოვნა, „მუჰაჯირობის“ ისტორიები. ხაზგასმულია თურქეთელ ქართველთა სწრაფვა თანამედროვე ქართულ კულტურასთან ინტეგრაციისაკენ.
93	მოხსენებაში წარმოდგენილია 2010-2013 წლებში თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურ რეგიონებში ჩატარებული ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალის ანალიზი. მარმარილოს ზღვის რეგიონებიდან ერთ-ერთის - საქარიას რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური ქართველები შედგენენ. განხილულია მუჰაჯირთა შთამომავლების განსახლების არეალი რაიონებისა და სოფლების მიხედვით. ქართველთა სოფლებში არსებული კულტურულ-სამეურნო ტიპი, მუჰაჯირობისა და საგვარეულო ისტორიები, საოჯახო ყოფის ტავისებურებები, თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები.
94	მოხსენებაში საუბარია ზემო მაჭახელში (თურქეთის რესპუბლიკა) დადასტურებულ ქართულ ხალხურ დღეობაზე, რომლის სახელია გარეგნობა//გარგნობა. გამოვლენილია ამ დღეობის ვარიაციები ქვემო მაჭახელში, გურიასა და იმერეთში (საქართველო). განხილულია დღეობის გამოანგარიშების მეთოდი და რიტუალი. გამოთქმულია მოსაზრება, რომგარეგნობის დღეობა ადრექრისტიანული სარიტუალო პრაქტიკიდან, კერძოდ, იერუსალიმური კანონარიდან მომდინარე ტრადიციას. გაზიარებულია მკვლევარ ე. კოჭლამაზაშვილის მოსაზრება.
95	მოხსენებაში სვანური ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე განხილულია “ჯგრაგის”, როგორც სვანეთის უმთავრესი სალოცავის სახე, პერიპეტეები და მისი ქრისტიანობასთან შერწყმის საკითხები.
96	მოხსენებაში იქნა მიმოხილული ლეჩხუმის სამეურნეო ტრადიციებისა და რწმენა-წარმოდგენებისგან განპირობებული ლეჩხუმური ოჯახების სარიტუალო ცეცვის თავისებურებანი. ძირითადი აქცენტი გაკეთდა საოჯახო დღესასწაულებზე ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილებზე (ოჯახის უფროსი მამაკაცი, უფროსი დიასახლისი, მოზარდები). დაფიქსირებულ იქნა ლეჩხუმელთა სამეურნეო ყოფისა და რწმენა წარმოდგენების ურთიერთმიმართება, კაცებისა და ქალების მკვეთრად გამიჯნული როლები რიტუალის დროს.
97	მოხსენება მე-19 საუკუნის საარქივო მასალებზე დაყრდნობით თვალი აქვს გადავნიებული სამცხეში ქართველთა გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს.
98	მოხსენება ეხება ეთნოლოგიური მეცნიერების დამოკიდებულებას ეთნიკური ურთიერთობებისა და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობების შესახებ. ხაზი აქვს გასმული, რომ ეს ასპექტები ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი კარდინალური საკითხია.
99	მოხსენება საისტორიო წყაროების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების საფუძველზე შესწავლილია ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები საქართველოში. ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ საქართველოში სხვა ეთნიკური ერთობებისა და რელიგიური ერთობების მიმართ დამოკიდებულება ტოლერანტული იყო.
100	მოხსენებაში ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ კავკასიის ხალხების მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურა განპირობებულია კავკასიის მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი, ლანდშაფტითა და კლიმატური სხვადასხვაობით.
101	მოხსენებაში საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემებით დადგენილია, რომ ხანძთის მონასტერი იყო სრულიად სხვა ადგილას, კერძოდ იმერხევის სოფელ უბეს სიახლოვეს, სადაც დღესაცაა შემორჩენილი ტოპონიმი

	<p>„ხანძთა“ და სადაც დღესაცაა შემორჩენილი ტაძრის კედლის ქვა, რომელზედაც ხელია გამოკვეთილი. დღეს ხანძთის მონასტრად წოდებული სინამდვილეში არის ფორთის მონასტერი. ასევე გარკვეულია შავშეთისა და კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, სად გადიოდა საზღვარი ტბეთისა და ანჩის ეპარქიებს შორის.</p>
102	<p>XIX საუკუნეში აფხაზეთში ფეოდალური წყობა, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, შედარებით სუსტი იყო, მაგრამ აქ ქართველი მთავრისა და ქართველი ფეოდალების არსებობის გათვალისწინებით, აფხაზების ააძარას (მამამძუძეობა) ინსტიტუტი ქართული მამამძუძეობის ინსტიტუტის ანალოგიური იყო.</p>
103	<p>ნაშრომი ეძღვნება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (ქართველების) ინგილოების მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს. ნაშრომის მიზანი იყო თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები ისტორიულ დინამიკაში, პოლიტიკური მოვლენების ფონზე განხილულიყო.</p>
104	<p>საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხრეთ საქართველოდან (მესხეთიდან) იძულებით გადასახლებული მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის შესახებ ორი ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული თეორია ჩამოყალიბდა. რივე თეორია ამ კონტინგენტს ავტოქთონად აღიარებს, თუმცა განსხვავებული დამოკიდებულებაა მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ერთის მიხედვით, გადასახლებულთა უმრავლესობა წარმომავლობით ქართველი იყო (თუმცა ეჭვგარეშეაა მიჩნეული, რომ გასახლებულთა შორის არიან თურქული, ქურთული და სომხურ//კემშინური ჯგუფებიც), რომელთა წინაპრებმაც ისტორიული ავბედობის პირობებში ისლამი მიიღეს. Xოლო მეორე თეორიის მიმდევრები კი ამტკიცებენ, რომ დეპორტირებულთა ეთნიკურობა ძირითად განისაზღვრა მესხეთის ტერიტორიაზე თურქული სუბსტრატის, გაბმული და ბუნებრივი კონცენტრაციით.</p> <p>ქართული საისტორიო მწერლობა, რომელსაც სხენებული მიმართულებით კვლევას ხანგრძლივი ტრადიცია და შესაბამისი საფუძველი გააჩნია, მიიჩნევს რომ დეპორტირებულთა უმეტესობა მესხეთის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობის შტამომავალია. თუმცა ზოგჯერ წარმომავლობას ამჟამად არსებულ სიტუაციასთან აიგივებდნენ და დეპორტირებულთა დიდ ნაწილს უმართებლად აკუთვნებდნენ ე.წ. “ქართული ორიენტაციის” ჯგუფს. შედარებით ახალია მეორე მიმართულება. XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა გლობალურმა ტენდენციებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი კონცეპტუალური პარადიგმების გამოძებნის აუცილებლობა, რაც ერთის მხრივ, დიდ სახელმწიფოების ეთნიკური პოლიტიკით, მეორე მხრივ კი, „მცირე“ ხალხების ეროვნული მობილიზაციისა და კონცენტრაციის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მგვარი სამეცნიერო ინტერესის სფეროში მოექცა 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული კონტინგენტიც. მკვლევართა ნაწილმა საჭიროდ მიიჩნია მათი თურქული წარმომავლობის მტკიცება. მ დებულების დამტკიცება მოითხოვდა საქართველოში თურქთა შემოსვლის ისტორიის დაძველებას. ს საკმაოდ რთული ამოცანაა. უცილებელი გახდა არსებული არგუმენტების გაბათილება, ისტორიული წყაროების ახლებური და ზოგჯერ სრულიად არაადეკვატური ინტერპრეტაცია, ქართული ტოპონიმებისათვის “თურქული” ეტიმოლოგიის მოძებნა, თავად დეპორტირებულთა მიერ შექმნილ ნაშრომების უგულვებელყოფა და იმ ეთნოკულტურული ელემენტების იგნორირება, რომელებიც დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებენ. მგვარი მიდგომა ხშირად ყოველგვარ მეცნიერულ ობიექტურობასაა მოკლებული და კრიტიკას ვერ უძლებს.</p>
105	<p>უკანასკნელ ხანებში გაცხოველებული გლობალიზაცია ეთნოკულტურული პროცესების არსებითი ტრანსფორმაციის და გლობალური უნიფიკაციის</p>

	<p>განმაპირობებელ ფაქტორად იქცა. ლობალური უნიფიკაციის ზემოქმედება ლოკალურ მრავალფეროვნებასა და ტრადიციებზე თავისებურად აისახება ყოველდღიური ყოფის ყველა სფეროზე და მათ შორის, ტრადიციულ კულტურაზეც.</p> <p>ყოფილი სსრკ-ს და ე.წ. მესამე მსოფლიოს ქვეყნებმა ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების მოდელები, როგორცაა სახელმწიფოს მოწყობა, ეკონომიკა თუ სოციალური ურთიერთობები, ძირითადად დასავლური (ევროპული ან აშშ-ს) სისტემებიდან გადმოიღეს. ამას ემატება. თრანსნაციონალურ თუ ადგილობრივ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტების გააქტიურება. იმდინარეობს ინტერნაციონალური და ტრანსნაციონალური ნორმების ინფილტრაცია. მ პროცესს ხელს უწყობს ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებაც. ლობალიზაციის პროცესს მიყვავართ სინქრონული ინფორმაციის წილის ზრდისა და დიაქრონული ინფორმაციის წილის შემცირებისაკენ, რაც ტრადიციის (როგორც ქცევისა და აზროვნების წესის) გაუფასურებას იწვევს. არაღელურად მიმდინარეობს შიდა სინქრონული ინფორმაციული ნაკადის პროცენტული წილის შემცირება გარე სინქრონული ინფორმაციულ ნაკადთან შედარებით. ს კი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობითობის სხვათა კულტურით თანდათანობით ჩანაცვლებას ნიშნავს. /ჭიჭინაძე, 2004/. თუმცა, შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციაც, ტრადიციული (ჩვეულებითი) ფორმების ე.წ. „რევიტალიზაცია“, ტრადიციული ნორმები და წეს-ჩვეულებები მზარდ როლს თამაშობენ ცალკეული ჯგუფის ცხოვრებაში.</p> <p>უფრო რთული ვითარებაა ე.წ. ეროვნულ უმცირესობებში. აგ. ვემო ქართლის აზერბაიჯანელ მოსახლეობაში. შაველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად დადგინდა რომ, ამ კონტიგენტის ცხოვრებაში შედარებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს 1. აზერბაიჯანული სახელმწიფოსთან ურთიერთობა (ეკონომიკური, საგანმანათლებლო, პოლიტიკური, იდეოლოგიური); 2. რელიგიური (ისლამის ტრადიციული და მოდერნისტული მიმდინარეობების არსობრივი წინააღმდეგობებისა და ურთიერთდამოკიდებულების გავლენა, ცხოვრების ტრადიციულ ფორმებზე, ყოფასა და კულტურაზე). 3. ურთიერთობა ტიტულარული ეთნოსის წარმომადგენლებთან (ეკონომიკა, ინტეგრაციული პოლიტიკა, ნათესაური ურთიერთობა და ა.შ.); 4. გლობალიზაციის პროცესი (საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციები, შრომითი და საწავლო მიგრაცია დასავლეთის ქვეყნებში და ა.შ.).</p>
106	<p>სტატიაში შესწავლილია მთავარმოწამე წმინდა გიორგის უპირატესობა და პირველადობა არა მხოლოდ ქართველთათვის, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსებთან. ამაზე მეტყველებენ მთავარი და მსწრაფლ შემწე საერთო სალოცავების არსებობა და თაყვანისცემის მასშტაბები.</p>
107	<p>სტატია ასახავს ფიცის დანიშნულებას, მის თავისებურებებს, როგორც სასჯელის ერთ-ერთი უძველესი და უმტკიცესი სახეობისა. წყველა-კრულვა ყველა ხალხის ყოფაში გვხვდება. საინგილოს მიმე წარსულმა, ინგილოების ფიზიკური და ეროვნული გადაგვარების მცდელობამ წყველის მრავალგვარი ფორმები შემოგვინახა, რაც სათანადოდ არის განხილული.</p>
108	<p>მოხსენებაში ნაჩვენებია კავკასიაში ჩვეულებითი სამართლის სამოქალაქო მართლწესრიგში შესაძლო ტრანსფორმაციის გზა.</p>
109	<p>მოხსენებაში განხილულია ოსების მორფოლოგიური იერი ანთროპოლოგიური რამდენიმე სისტემის მიხედვით, განსაზღვრულია მათი ადგილი კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპის მატარებელ ჯგუფებს შორის და ხშირად ვლინდება ახლო მსგავსება ქართველების სხვადასხვა ტერიტორიულ ჯგუფების მიმართ. ოსების ეთნოგენეზი განხილულია, როგორც ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის, შემდგომ ქართველების და პირველ რიგში დვალეების ასიმილაციის</p>

	<p>შედეგი. სხვა შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია მათი თანამედროვე ანთროპოლოგიური ტიპი. ირანული ენის შენარჩუნება კი შესაძლებელი გახდა, რადგან ასიმილაციას თანდათანობით ხასიათი ჰქონდა. ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს საშუალებას, განვიხილოთ ოსები მორფოლოგიურად და გენეტიკურად კავკასიის ანთროპოლოგიურ რუკაზე კავკასიონის ტიპის მატარებელ ჯგუფთა შორის.</p>
110	<p>მოხსენებაში განხილულია პალინოლოგიური მონაცემების მნიშვნელობა ბიოარქე-ოლოგიურ კვლევებში, დარგის განვითარების მოკლე ისტორია და შესაძლებლობები. კერძოდ, მსოფლიოში ჭურჭლის შიგთავსის ორგანული ნაშთების პალინოლოგიურ კვლევას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს. დღემდე შეუძლებელი იყო იმის დადგენა თუ რა იყო მოთავსებული ჭურჭელში იმ შემთხვევაში, როდესაც პალინოლოგიურ სპექტრში ხორბლის მტვრის დიდი რაოდენობა აღინიშნებოდა. მეცნიერებს უჭირ-დათ იმის თქმა, ჭურჭელში მშრალი ხორბალი იყო, თუ ხორბლის ფაფა ან რაიმე სხვა მოხარშული კერძი (Lageras 2000). პალინოლოგიაში ახალი დარგების დანერგვამ, ანუ არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხების კვლევამ, შესაძლო გახადა მრავალი საკითხის გადაწყვეტა, ცხოვრების წესისა და სამკურნალო ტრადიციების, გარდაცვა-ლების მიზეზისა და დაკრძალვის სეზონის დადგენა, პალეოდიეტის და სხვა.</p>
111	<p>საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ აღდგენილია ქონაქიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა დაახლოებით სამასი წლის გენეალოგია 1920 წლამდე.</p> <p>მოხსენებაში საუბარი იყო ქონაქიძეთა სათავადოს შესახებ, რომელზეც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვლევა არ არსებობდა. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ იქნა იმფორმაცია ამ სათავადოს შესახებ არსებული საარქივო ხელნაწერი დოკუმენტები, საისტორიო წერილობით წყაროებში არსებული მონაცემები და ამის საფუძველზე გამოიკვეთა ამ სათავადოს ისტორიის ძირითადი საკითხები, XVI საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.</p>
112	<p>მოხსენებაში საუბარი იყო სამეგრელოს ერთ-ერთი ძირძველი სათავადო სახლის-ქონაქიძეების განსახლების და მფლობელობის თავდაპირველ არეალზე. ხაზგასმული იყო ის გარემოება რომ ქონაქიძეთა სათავადო XV-XVI საუკუნეებში მდებარეობდა და ფლობდა ციხე სიმაგრეებს და ყმა-გლეხებ არა ჭალადიდის მუხურში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ისინი XIX საუკუნესი იყვნენ განსახლებულნი, არამედ ჯგალის თემში, იქ მდებარე იმავე სახელწოდების ციხითურთ. ასევე გამოიკვეთა მათი სათავადოს დამცრობის დრო და მიზეზები, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს მოხდა.</p>
113	<p>მოხსენებაში წარმოდგენილი იყო სამეგრელოს მხეიძეთა სათავადოს შესახებ ავტორის მიერ წარმოებული კვლევის შედეგები. სამეგრელოს მხეიძეთა სათავადოს ისტორია, ისევე, როგორც ქონაქიძეების, აქამდე სათანადო კვლევის საგანი არ ყოფილა. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს სახვადასხვა არქივებსა და მუზეუმებში არსებული ახალი ხელნაწერი დოკუმენტები, რომელიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის სამეგრელოს მხეიძეების განსახლების არეალზე, მათი ოჯახების შემადგენლობაზე, ყმა-მამულების მფლობელობაზე, ციხე-სიმაგრის მდებარეობაზე, მათ მიერ კუთვნილი აზნაურების და სამღვდლო გვარებზე. ძირითადი ყურადღება იყო გამახვილებული მხეიძეთა სათავადო გვარის სამეგრელოში დამკვიდრების დროზე და ისტორიულ წანამძღვრებზე. ასევე წარმოდგენილი იყო XIX საუკუნის საარქივო მასალები რუსეთის იმპერიის მიერ მათი თავადთა რიგებში აღიარების შესახებ, ასევე მათი გვარის წევრების სხვადასხვა ჯილდოების და დამსახურების ამსახველი დოკუმენტები.</p>

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინე ტატიშვილი	Hethitische Religion. Ursprung, Ausgestaltung und Struktur des Pantheons	27 ნოემბერი, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია
2	მარიამ ჩხარტიშვილი	Conceptualizing Georgian Nation within Romanov Empire. In Search of Matrix	20-22 ივნისი, ლა საპენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
3	გიორგი ქავთარაძე	An Attempt at Dating the Starting Point of the Kura- Araxes Culture	9-11 იანვარი, ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია
4	ვაჟა კიკნაძე	1. საქართველო და პოსტსაბჭოთა ქვეყნები ცივი ომის შემდეგ; 2. ტოტალიტარიზმი საქართველოში 1921-1989 წწ.	22-27 აპრილი, შიდა ალასკის ფერნბექსის უნივერსიტეტი, აშშ
5	ვაჟა კიკნაძე	ქართველ ქალთა როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში V-XI სს-ში	7-8 ოქტომბერი, ოპოლეს უნივერსიტეტი, პოლონეთი
6	ალექსანდრე თვარაძე	Eroberung von Konstantinopel im 1204 und Gründungsnachricht des Kaiserreichs von Trapezunt	23-27 სექტემბერი, მიუნსტერის ვესტფალიის უნივერსიტეტი, გერმანია
7	ელდარ ბუბულაშვილი	რელიგიური კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში	3-7 დეკემბერი, მსოფლიო საეკლესიო საბჭო, მეტცი, საფრანგეთი
8	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	Образ черкеса в грузинской художественной литературе	16-17 მაისი, ადიღეს უნივერსიტეტი, ქ. მაიკოპი, რუსეთი
9	ნიკოლოზ ჯავახიშვილი	Некоторые аспекты проекта модернизации государственного строя Восточногрузинского царства созданного накануне формирования местной администрации Российской империи	20-22 მაისი, გდანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი
10	ქეთევან ხუციშვილი	ფარული და ტრანსპარენტული რელიგიურობა: თანამედროვე საქართველოს მაგალითი	7-9 აგვისტო, ნაზარბაევის უნივერსიტეტი, ასტანა ყაზახეთი

11	როზეტა გუჯეჯიანი	ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების ისტორია და თამამედროვე პრობლემატიკა	დეკემბერი, სტამბულის ქართული კულტურის ცენტრი
12	როლანდ თოფჩიშვილი, ლ. სოლოვიოვა	Онекоторых причинах сохранения грузинского этноса	2-5 ივლისი, მოსკოვი (რუსეთის ეთნოგრაფთა და ეთნოლოგთა X კონგრესი)
13	ნათია ჯალაბაძე	The specificities of intercultural communication in the multiethnic region of South Georgia	28 აგვისტო-2 სექტემბერი, ფრანკფურტი, გერმანია
14	ჯონი კვიციანი	ჩრდილო-დასავლეთი კავკასია: კონფრონტაციიდან მშვიდობისაკენ	6 დეკემბერი, როსტოვის უნივერსიტეტი რუსეთი
მოხსენებათა ანოტაციები			
1	მოხსენებაში განვიხილეთ ხეთური რელიგიის ისეთი საკვანძო პრობლემები, როგორცაა: ხეთური რელიგიის წარმოშობა (“ანითას ტექსტი” როგორც წყარო ხეთური რელიგიის გენეზისის შესასწავლად), ხათური ღვთაებები და ხათური ლოკალური პანთეონების სტრუქტურა (ორი ძირითადი სქემა და მათზე დაფუძნებული ხეთური სახელმწიფო პანთეონი), მზის და ამინდის ღვთაებათა არსი და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკა, იმპერიის ხანის პანთეონის ჩამოყალიბება და სტრუქტურა, სინკრეტიზმის საკითხი ხეთურ რელიგიაში და რელიგიური აზროვნების განვითარება ხეთებთან.		
2	მოხსენებაში ნაჩვენებია იყო იმპერიის იმპულსის გავლენა ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბებაზე და იდენტიფიცირებული იყო ქართულ სინამდვილეში ერის კონპეპტის ევროპული მატრიცა.		
3	ახლოდმოსავლური არქეოლოგიური მასალისა და რელატიური ქრონოლოგიის მონაცემების გათვალისწინების შედეგად, მტკვარ-არაქსის კულტურის ქვედა თარიღი შუა ურუკის ხანის თანადროულად არის განსაზღვრული, ანუ მოქცეულია IV ათასწლეულის პირველი ნახევარში.		
4	1. მოხსენება შეეხებოდა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ, საქართველოში 1980 წლიდან დღემდე. ყურადღება იყო გამახვილებული დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების სირთულეებზე და რუსეთის ფედერაციის ნეგატიურ როლზე ამ პროცესებთან დაკავშირებით. 2. მოხსენება შეეხებოდა საბჭოთა ინტერვენციას 1921 წლის დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას, მის შეფასებებს და მარცხის მიზეზებს, ასევე იმ რეპრესიულ აპარატს, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში XX ს-ის 20-30-იან წლებში. ყურადღება გამახვილდა XX ს-ის 50-იან წლებში ნ. ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის“ დაგმობას და მის მოულოდნელ შედეგებს საქართველოსათვის, 80-იანი წლების უძრაობის პერიოდსა და ეკონომიკურ კრიზისზე, 1989 წლის 9 აპრილსა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“, რუსულ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში.		
5	მოხსენება შეეხებოდა ქართველ ქალთა როლს საქართველოს ისტორიაში შუშანიკ დედოფლის დროიდან – XI ს-ში ბაგრატ IV-ის ქალიშვილის, მართა-მარიამის მოღვაწეობამდე.		

6	ტრაპიზონის იმპერიის დაარსება უკავშირდება IV ჯვაროსნულ ლაშქრობას. სტატიაში განხილულია საკითხები: როდის დაიწყო ქართველებმა ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიის მიმართულებით, ჰქონდათ თუ არა კავშირი ჯვაროსნებთან. აგრეთვე თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა ბიზანტიის იმპერატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცნობაში გაერთიანებულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები.
7	მოხსენებაში წარმოდგენილია თუ რა როლს ასრულებს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში რელიგები. აღნიშნული საკითხი განხილულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითზე.
8	მოხსენებაში გაანალიზებულია, თუ როგორ აისახა ჩერქეზის სახე ჩერქეზი ხალხის ისტორია, მათი ტრაგიკული ბედი და მათთვის დამახასიათებელი რაინდული თვისებები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში, ასევე ალექსანდრე ყიფშიძის (ფსევდონიმი – ფრონელი) ნარკვევებში და გიორგი ლასხიშვილის მემუარებში. ჩანს, რომ ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი კეთილგანწყობილი იყო მეზობელ ჩერქეზ ხალხისადმი, რომელიც იმ პერიოდში დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდა.
9	მოხსენებაში გაანალიზებულია უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) მიერ XVIII საუკუნის მიწურულს შექმნილი ქართლ-კახეთის სამეფოს მოდერნიზაციის პროექტის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ, ქვეყნის სამოხელეო წყობა და სახელმწიფო ჯილდოთა სისტემა.
10	მოხსენებაში განხილულ იქნა რელიგიურობის ფორმების ტრანსფორმაცია საზოგადოების სხვადასხვა ფენებში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების გავლენის შედეგად.
11	მოხსენებაში საუბარია ქართველი ერის ჩამოყალიბებისა და ეთნიკური ისტორიის მთავარი მახასიათებლების შესახებ. გაანალიზებულია თურქეთელ ქართველთა საქართველოსთან კულტურული ინტეგრირების აუცილებლობა. გამოვლენილია თანამედროვე პრობლემატიკა: ხელოვნურად ინსპირირებული პრობლემური კერების შექმნის მცდელობა რელიგიურ საფუძველზე. გამოთქმულია მოსაზრებები, რომელთა განხორციელება შეამცირებს ხელოვნური კონფლიქტის დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობებს.
12	მოხსენებაში საუბარია ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზებზე. ხაზი აქვს გასმული, რომ ქართველი ხალხის გადარჩენის ძირითადი მიზეზია გეოგრაფიული გარემო და შიდა მიგრაციული პროცესები.
13	მოხსენება ეხება ინტერკულტურული კომუნიკაციის ხასიათს მულტიეთნიკურ რეგიონში, კერძოდ ქვემო ქართლში. ყურადღება გამახვილებულია კულტურულ კოდთა გადართვაზე, რაც ინტეგრაციის პროცესის თანმხლები მოვლენაა და ამავდროულად მისი ხელის შემწყობი ფაქტორიც.
14	მოხსენებაში გაანალიზებულია კავკასიის ომი მე-19 საუკუნეში და მისი შედეგები. რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში.

თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა 2013 წლის სამეცნიერო და სხვა სამუშაოების ანგარიში

2013 წელს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 11 ეროვნულ და საერთაშორისო პროექტში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის მიერ სხვა ორგანიზაციების ბაზაზე.

აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სამეცნიერო საქმიანობის დონის ასამაღლებლად, 2013 წელს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები: 1. 24-26 ივნისს – სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი; 2. 30-31 მაისს – სამეცნიერო კონფერენცია „წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები“ მიძღვნილი რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი; 3. 5-6 დეკემბერს – სამეცნიერო კონფერენცია „მითი, კულტი, რიტუალი“ მიძღვნილი ირაკლი სურგულაძისადმი; 4. 12-13 დეკემბერს – სამეცნიერო კონფერენცია.

თსუი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
თანამშრომელთა 2013 წლის სამეცნიერო და სხვა სამუშაოების ანგარიში



ექვთიმე თაყაიშვილი - 150

თსუი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი 90

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები

აკად. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
2013 წლის 30-31 მაისს
თბილისის საქართველო

პროგრამა:



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სახელმწიფო-სამეცნიერო ინსტიტუტი
და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
საერთაშორისო ეთნოლოგიის განყოფილება

თბილისი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
თბილისის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი



ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო
კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

ორაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო
კონფერენცია:

„მითი, კულტი, რიტუალი“

პროგრამა

თბილისი
2013

5-6 დეკემბერი 2013
თბილისი

2013 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: „ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“ XII-XIII, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ №1 (12), „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ XV, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ XV.

გარდა სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, ინსტიტუტმა 2013 წელს განახორციელა სხვა საქმიანობებიც, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სამუშაოები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით:

- 1. მომსახურების სფერო:** გარდა საფონდო საქმისა, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2013 წელსაც აქტიურად ემსახურებოდა მკითხველებს ყოველდღიურ რეჟიმში. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდებით ისარგებლეს ინსტიტუტის როგორც **მეცნიერ-თანამშრომლებმა**, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სტუდენტებმა** და **დოქტორანტებმა**.
- 2. წიგნადი ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია:** 2013 წლისთვის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დასრულებულია წიგნების ფონდებზე დანაწილების პროცესი. ამ დროისთვის შექმნილია შემდეგი ფონდები: **ძირითადი ფონდი**, ქართულენოვანი წიგნები - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 7188 ერთეული (მიმდინარეობს დამუშავება); **რუსულენოვანი წიგნების ფონდი** - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 12196 ერთეული (მიმდინარეობს დამუშავება); **ევროპულ ენებზე** გამოცემული წიგნების ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 2682 ერთეული (მიმდინარეობს დამუშავება); **სომხურენოვანი წიგნების ფონდი** - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 822 ერთეული; **რარიტეტულ წიგნთა ფონდი** - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 4065 ერთეული; **ენციკლოპედიების და ლექსიკონების ფონდი** - 2013

წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 2108 ერთეული; **ატლასების და რუკების** ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 30 ერთეული; **ვარლამ დონდუას** წიგნების ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 6279 ერთეული; **გიორგი წერეთლის** წიგნების ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 1679 ერთეული; **თამარ ტივაძიას** წიგნების ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 368 ერთეული; **ნათელა ნაცვლიშვილის** წიგნადი ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 112 ერთეული. 2013 წელს კომპიუტერულად მთლიანად კატალოგიზირდა ფონდი; **ვიქტორ გუზუას** წიგნადი ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 941 ერთეული; **მცირეფორმატიან** წიგნთა ფონდი - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 652 ერთეული.

აღმოსავლური ფონდის შესაქმნელად მუშავდება აღმოსავლური ლიტერატურა.

2013 წელს დაიწყო **ვარლამ დონდუას** წიგნადი ფონდის გადამუშავება, რომლის დროსაც ფორმატულად მცირე ფორმატის წიგნები გამოიხშირა და გადალაგდა ფონდის ბოლოს, ერთეულების დაცვის მიზნით, ასევე, ცალკე ამონაბეჭდები გამოიყო წიგნადი ფონდიდან, შეიქმნა **ვარლამ დონდუას ამონაბეჭდების ფონდი** და ამ ფონდში მოხდა მათი გაერთიანება - 2013 წლისთვის ამ ფონდში გაერთიანებულია 453 ერთეული (მიმდინარეობს დამუშავება).

მიმდინარეობს ფონდებად დანაწილებული ერთეულების მონაცემების კომპიუტერულ კატალოგში და საინვენტარო ნუსხებში შეტანა. აღნიშნული სამუშაოები სრულად დასრულდება 2014 წელს. 2013 წლის მანძილზე საინვენტარო ნუსხაში შევიდა ენციკოპედიების და ლექსიკონების ფონდის 248 ერთეული, ევროპულ ენებზე გამოცემული წიგნების 271 ერთეული.

3. 2013 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შემოსული ერთეულები:

- **ძირითად, ქართულენოვან** წიგნად ფონდში - 48 ახალი ერთეული შემოვიდა
- **რუსულენოვან** წიგნად ფონდში - 2 ახალი ერთეული შემოვიდა
- **ევროპულ ენებზე** გამოცემულ წიგნთა ფონდში - 6 ახალი ერთეული შემოვიდა
- **ენციკოპედიების და ლექსიკონების** ფონდში - 1 ახალი ერთეული შემოვიდა
- **ქართული პერიოდული გამოცემების** ფონდში - 22 ახალი ერთეული შემოვიდა

სულ 2013 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკას შეემატა 79 ახალი ერთეული.

4. სტაჟირების პროგრამა: 2013 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ორგანიზაციების პროფესიული კავშირის სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისა და დახმარების, ასევე, სტუდენტთა დახელოვნების, დასაქმების, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიცირების პროგრამების ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და არქივში ამოქმედდა **სტაჟირების პროგრამა** და 2013 წლის მანძილზე სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობდა 7 სტაჟიორი. პროგრამა გრძელდება.

ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, რომელიც უნიკალურია თავისი მასალით. 2013 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

- ფონდებისა და კოლექციების კლასიფიკაცია, კლასიფიცირებული მასალის დალაგება საფონდო საქმისწარმოების პრინციპით: ჩამოყალიბდა ექსპედიციების საარქივო ფონდი (სულ 28 ფონდი–160 ერთეული).

- მასალის აღწერა (რაობის - ძირითადი შინაარსის, რაოდენობის და სხვა პარამეტრების მიხედვით) – აღწერა არქივში არსებული აღურიცხავი მასალები (160 საქმე).
- საფონდო ერთეულების ტექნიკური დამუშავება: მიმდინარეობს ნაწილი აბესადის პირადი საარქივო ფონდის დამუშავება.
- ფონდების ელექტრონული ბაზის შექმნა–დასრულდა ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნა.
- სტაჟიორთა მიღება საარქივო განყოფილებაში. პროექტის ფარგლებში საარქივო განყოფილების თანამშრომლების დახმარებით სტაჟიორებმა: დაიწყეს: მუსიკალური ფონდის ხელნაწერი შრომების გადამუშავება (გადამუშავებულია 3 პირადი საარქივო ფონდი); დასრულდა: გრაფიკული და ანაზომების ფონდების მასალების კლასიფიცირება, აგრეთვე არქეოლოგიური მასალის საარქივო ფონდად კლასიფიცირება და აღწერა; მიმდინარეობს: საინსტიტუტო მასალების კლასიფიცირება და სისიტემატიზაცია.

ჩატარებული სამუშაოს პარალელურად მიმდინარეობს აღწერილი მასალების კომპიუტერიზაცია და ელექტრონული კატალოგების შექმნა

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: www.institutehist.ucoz.net, რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორბანული ქიმიის ინსტიტუტის
სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების 2013 წლის**

ანბარიში

ინსტიტუტში არის 6 სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია და ერთი სამეცნიერო-საორგანიზაციო და პრაქტიკული ქიმიის განყოფილება

- I 1. სამეცნიერო ერთეულის (ლაბორატორია) დასახელება – ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორია
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ლაბ. გამგე, მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. დოქტორი თეიმურაზ კორძახია
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
მთავარი მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.დოქ.: ნაწული დოლაბერიძე, ლუბა ეპრიკაშვილი, კობა ამირხანაშვილი, გიორგი წინწკალაძე
ქიმ.მეცნ.დოქ., აკად.წევრ-კორ. ვლადიმერ ციციშვილი
უფრ. მეცნ. თან., ქიმ.მეცნ.დოქ. ციური რამიშვილი
უფრ. მეცნ. თან., ქიმ.მეცნ.კანდ.: ნატო მირძველი, მარინე ზაუტაშვილი, მანანა ნიჟარაძე, ნინო ფირცხალავა, მაია ძაგანია.
მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ.: მარინე სულაძე, ნინო ბურკიაშვილი, ნანა ნადირაძე
მეცნ. თანამშ., აკად. დოქტორი იმედა რუბაშვილი
მეცნ. თანამშ.: თინათინ შარაშენიძე, ვახტანგ გაბუნია
ინჟინერი: ლიანა ბურდილაძე, გონა მღებრიშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	ბენზინში ნახშირწყალბადების კომპონენტური შემადგენლობისა და ტყვიისა და სხვა მძიმე ელემენტების შემცველობის განსაზღვრა ქრომატოგრაფიული და რენტგენოსპექტრალური ფლუორესცენციური ანალიზის მეთოდებით.	მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. თეიმურაზ კორძახია	<i>მთ. მეცნ. თანამშ.</i> თ.კორძახია; <i>უფრ. მეცნ. თანამშ-ები:</i> ნ.ფირცხალავა, მ.ზაუტაშვილი, მ.ძაგანია; <i>მეც. თანამშრომელი:</i> გ.გაბუნია. <i>ინჟინერი</i> ლ.ბურდილაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შემუშავებულია საწვავში შემავალი ნახშირწყალბადების იდენტიფიკაციის გამარტივებული აირ-ქრომატოგრაფიული მეთოდი. სამუშაოში პრობლემური და ძვირადღირებული კაპილარული სვეტების ნაცვლად რუტინული ანალიზისათვის შემოთავაზებულია ჩანაწერობიანი ქრომატოგრაფიული სვეტები. რენტგენო-დიფრაქტომეტრ ДрИИ-2-ის ბაზაზე განხორციელდა ფლუორესცენტული სპექტომეტრის მონტაჟი. ცალკეული ელემენტის აღმოჩენის ზღვრის მნიშვნელობების შეფასების მიზნით ჩატარდა ქრომის, რკინის, ბრომის, ბარიუმის, ვერცხლისა და ტყვიის სხვადასხვა მასური კონცენტრაციის წყალ-სსნარების ფლუორესცენტული ანალიზი. დადასტურებულია ასეთი სპექტრომეტრის ვარგისიანობა მყარ და თხევად ნიმუშებში $Z > 20$ ატომური მასის მქონე ელემენტების აღმოსაჩენად.			
2	სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოპროდუქტიულობაზე ახალი ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდონგირებული მოქმედების სუბსტრატების ზეგავლენის შესწავლა.	მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. ლუბა ეპრიკაშვილი	<i>მთ. მეცნ. თანამშ.</i> თ.კორძახია; <i>უფრ. მეცნ. თანამშ-ები:</i> ნ.ფირცხალავა, მ.ზაუტაშვილი, მ.ძაგანია; <i>მეცნ. თანამშ.</i> ი.რუბაშვილი. <i>ინჟინერი</i> გ.მღებრიშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
<p>მურა ნახშირისა და საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების (კლინოპტილოლიტი, ფილიპსიტი) საფუძველზე მომზადებულმა ორგანო-ცეოლითური სასუქების (სუბსტრატების) გამოყენებამ აჩვენა, რომ ცეოლითის დამატება ნიადაგში დადებით გავლენას ახდენს მცენარის აღმოცენებასა და მწვანე მასის ზრდაზე; აუმჯობესებს ნიადაგის აირაციას, ხელს უწყობს ფესვთა სისტემის განვითარებას. იგი ფესვის ზონაში შეაკავებს თავისი მასის 40-70% რაოდენობის წყალს; მუშაობს როგორც მცენარის სიცოცხლისა და ზრდისათვის საჭირო სასუქების (ნიტრატები, ფოსფატები, კალიუმი, მკვებავი ნივთიერებები) შესანახი რეზერვუარი და ხელს უწყობს ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნებას.</p>		
3	<p>საქართველოს ზოგიერთი წარმოების ნარჩენების (წილის) გამოყენება საშენ მასალათა დანამატებად</p>	<p>მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. გიორგი წინწკალაძე</p> <p>მთ. მეცნ. თანამშ-ები: მ.ბურჯანაძე, კ.ამირხანაშვილი მეცნ. თანამშ-ები: ნ.ბურკიაშვილი, ნ.ნადირაძე, მ.სულაძე, თ.შარაშენიძე</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
<p>სპეციფიკური თვისებების ცემენტებისა და ბეტონების შექმნის მიზნით შესწავლილია ადგილობრივი წარმოების ნარჩენების, კერძოდ წილის გამოყენება დანამატად. ნაჩვენებია, რომ სპეციფიკური დამუშავების შედეგად მიღებული ცემენტის წიღოვანი დანამატი აუმჯობესებს ბეტონების ხარისხს, კერძოდ იზრდება ბეტონების სიმტკიცე როგორც ღუნვაზე, ასევე კუმშვაზე.</p>		
4	<p>ნანოგანზომილებიანი ცეოლითური მასალების მიღება</p>	<p>მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. ნ. დოლაბერიძე</p> <p>უფრ. მეც. თანამშ-ები: მ.ნიჟარაძე, ნ. მირძველი</p>
კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)		
<p>მედიცინაში ანტიმიკრობული თვისებების მატარებელი ნანოგანზომილებიანი ცეოლითების გამოყენების მიზნით, შემუშავებულია ამ მასალების მიღების მეთოდიკა. საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის-კლინოპტილოლიტის და ფილიპსიტის საფუძველზე მიღებულია ვერცხლის, სპილენძის და თუთიის ფორმები; შესწავლილია მათი ქიმიური შედგენილობა და ადსორბციული თვისებები.</p>		
5	<p>მწვანე ქიმიის ჰეტეროგენულ-კატალიზური ტექნოლოგია ასპირინის მისაღებად</p>	<p>უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. ც.რამიშვილი</p> <p>ქ.მ.დ. ვ.ციციშვილი, უფრ. მეცნ. თანამშ-ები: დ.იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი, მეცნ. თანამშ-ები: ნ.ყალაბეგაშვილი, ლ.სამხარაძე, ვ.ვაბუნია</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
<p>სალიცილის მუავას ესთერიფიკაციის რეაქცია ძმარმუავას ანჰიდრიდით შესწავლილია თხევად ფაზაში კატალიზატორზე, რომელიც მიღებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითის-კლინოპტილოლითური ტუფის (მეგვის საბადო, ფაზური შედგენილობა-95%, SiO2/Al2O3=8.03) მოდიფიცირებით (SiO2/Al2O3=18.9). გრავიმეტრული და სპექტრული ანალიზის მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის მაქსიმალური გამოსავლიანობა (80%) და სელექტურობა (100%) მიიღება წვრილ- და კოლოიდური დისპერსულობის კლინოპტილოლითის მოდიფიცირებულ ფორმაზე 306-353 K -ზე. მიღებული აცეტილსალიცილის მუავას დნობის ტემპერატურა და UV და FTIR-სპექტრები სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ამგვარად, ჰეტეროგენულ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორზე (მოდიფიცირებული კლინოპტილოლითი) დაბალ ტემპერატურაზე და მაღალი სელექციურობით გოგირდმუავას და გამხსნელების გამოყენების გარეშე მიღებულია მნიშვნელოვანი პრეპარატი ასპირინი.</p>		

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/კრებული ს დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	მ.ზაუტაშვილი, ლ.ეპრიკაშვილი, თ.კორძახია, ნ.ფირცხალავა, მ.ძაგანია, ი.რუბაშვილი.	ბუნებრივი კომპოზი- ტების საფუძველზე მომზადებული ახალი არატრადიციული სასუქის გამოყენების შესაძლებლობა	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2013, ტ. 39, №1-2	თბილისი	გვ. 104-106
ანოტაცია					
ლაბორატორიულ პირობებში ამონიუმისა და კალიუმის კათიონებით მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითებისა (ჰეილანდიტ-კლინოპტილოლიტის ტუფი) და მურა ნახშირის საფუძველზე მომზადებულ სუბსტრატზე, გამოკვლეული იყო ლობოს აღმოცენების ბიომეტრული მაჩვენებლები					
2	თ.კორძახია, ლ.ეპრიკაშვილი, მ.ზაუტაშვილი, ნ.ფირცხალავა, მ.ძაგანია	ბენზინში არომატული ნახშირწყალბადების განსაზღვრა ჩანაწყო- ბიანი ქრომატოგრაფი- ული სვეტების გამო- ყენებით	საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია 2013, ტ.	თბილისი	გადაცემული დასაბუჯდად
ანოტაცია					
შემუშავებულია საწვავში შემავალი ნახშირწყალბადების იდენტიფიკაციის გამარტივებუ- ლი აირ-ქრომატოგრაფიული მეთოდი. აპარატურულ გაფორმებაში კაპილარული სვეტები პრობლემური და ძვირადღირებულია, ხოლო რუტინული ანალიზისათვის ჩანაწყობიანი სვეტების გამოყენება უფრო ხელმისაწვდომი და მიზანშეწონილია.					
3	გ.გაბუნია, თ.კორძახია, ლ.ეპრიკაშვილი, მ.ზაუტაშვილი, ნ.ფირცხალავა, მ.ძაგანია	რენტგენო- დიფრაქ- ტომეტრის გამოყენე- ბის შესაძლებლობა ფლუორესცენტრული სპექტრომეტრის სახით	პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	გვ 47-56
ანოტაცია					
რენტგენო-დიფრაქტომეტრ ДРОИ-2-ის ბაზაზე განხორციელდა ფლუორესცენტრული სპექტრომეტრის მონტაჟი. მისი გამოყენებით ცალკეული ელემენტის აღმოჩენის ზღვრის მნიშვნელობების შეფასების მიზნით ჩატარდა ქრომის, რკინის, ბრომის, ბარიუმის, ვერცხლისა და ტყვიის სხვადასხვა მასური კონცენტრაციის წყალხსნარების ფლუორესცენტრული ანალიზი. დადასტურებულია ასეთი სპექტრომეტრის ვარგისიანობა მყარ და თხევად ნიმუშებში $Z > 20$ ატომური მასის მქონე ელემენტების აღმოსაჩენად.					
4	გ.წინწკალაძე, მ.ზაუტაშვილი, ლ.ეპრიკაშვილი, თ.შარაშენიძე, ნ.ბურკიაშვილი, მ.ბურჯანაძე	ახალი ცეოლითური მასალის გამოყენების შესაძლებლობა ყბა- სახის ქირურგია-ში	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2013, №2	თბილისი, შპს “ინტერფარმი”	გვ.78-81
ანოტაცია					
შესწავლილია საქართველოს ადგილმდებარეობის ბუნებრივი კლინოპტილოლიტის კალციუმისა და ფოსფორის ფორმები. ბოცვერებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა ამ მასალების გამოყენების შესაძლებლობა სამედიცინო პრაქტიკაში ოსტეომილიტის, ოდონტოგენური ძვლის და ყბის ძვლის დეფექტის გამოსასწორებლად.					

5	გ.წინწკალაძე, ნ.ოსიპოვა, თ.კვერნაძე, მ.ბურჯანაძე, თ.შარაშენიძე, ნ.ბურკიაშვილი,	სკოლეციტის სტრუქტურული ცვლილებები ქიმიური და თერმული დამუშავების შემდეგ და მისი გამოყენების პერსპექტივა	პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	გვ. 22-27
ანოტაცია					
შესწავლილია საქართველოს ადგილმდებარეობის (კურსები) ბუნებრივი ბოტკოვანი ცეოლითის – სკოლეციტის სტრუქტურული ცვლილებები, მუავით მოდიფიცირების შედეგად. ამ ცვლილებების საფუძველზე ნაჩვენებია მისი გამოყენების შესაძლებლობა საამშენებლო მასალებში მარმირებელ მიკროდანამატად.					
6	დოლაბერიძე ნ., ციციშვილი ვ., ნიუარაძე მ., მირძველი ნ.	ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის შესაძლებლობა	საერთაშორისო სამეც.-პრაქტიკული კონფ.შრომები “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”	ქუთაისი, 2013წ	გვ. 313-315
ანოტაცია					
განხილულია საქართველოს ანალციმშემცველი ქანის გადაკრისტალებით მიღებული წვრილდისპერსული მონოკატიონიანი ცეოლითის ქიმიური შედგენილობა. გამოვლენილია კრისტალიზაციის პროცესში ნატრიუმის კატიონების მაქსიმალური ჩართულობა და შიგაკრისტალურ პოზიციებზე განლაგება. მიღებულია სინთეზური ნიმუშისათვის საკმაოდ მაღალი იონმიმოცვლისა (4,85მმმ/გ) და სორბციული (12,0 მმოლ/გ) ტევადობები, რაც სამედიცინო თვალსაზრისით სორბენტისა და იონმიმოცვლელის სახის ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.					
7	დოლაბერიძე ნ., საზარაძე ნ.	ბიკატიონური წყალხსნარებიდან NH ₄ -კატიონების გამოყოფა Na -ფილიპსიტით.	საერთაშორისო სამეც.-პრაქტიკული კონფ.შრომები “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”	ქუთაისი, 2013წ	გვ. 140-142
ანოტაცია					
შესწავლილია, საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტის მონოკატიონური, ნატრიუმის ფორმის ცეოლითური იონმიმოცვლელით, სამრეწველო ჩამდინარე წყლების მოდელური ბიკატიონური (NH ₄ , Ca ²⁺) წყალხსნარებიდან ამონიუმის კატიონების გამოყოფის პროცესი; ნაჩვენებია, რომ სორბენტი მაღალი კატიონური ძალის წყალხსნარებიდანაც სელექტიურად გამოყოფს ამონიუმის კატიონებს და უზრუნველყოფს წყლის გაწმენდას 89%-მდე.					
8	ვ. ციციშვილი, ნ. დოლაბერიძე, ნ. მირძველი, მ. ნიუარაძე	თეთრი ფერის ცეოლითური შემავსებლის მიღება შემფუთავი ქაღალდის წარმოებისთვის	საქართველოს მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე, ქიმ. სერია, 2013, ტ. 39, N.3-4,	თბილისი	გვ. 248-251
ანოტაცია					
თეთრი ფერის კლინოპტილოლიტის, ქაღალდის წარმოებაში გამოყენების მიზნით, შესწავლილია საქართველოს ადგილმდებარეობის რკონის უბნის კლინოპტილოლიტ შემცველი ქანის ქიმიური შედგენილობის ცვლილება სხვადასხვა კონცენტრაციის მუავებისა და ტუტის ურთიერთქმედებისას. გამოვლენილია გათეთრების ხარისხის დამოკიდებულება ქიმიური შედგენილობის ცვლილებაზე. დადგენილია გათეთრების პროცესის ოპტიმალური პირობები.					
9	ვ. ციციშვილი, ნ. დოლაბერიძე, მ. ნიუარაძე, ნ. მირძველი,	ნანოცეოლითური მასალების გამოყენების შესაძლებლობა მედიცინასა და ფარმაციაში	პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	გვ. 7-10

ანოტაცია					
განხილულია ცეოლითური ნანოსტრუქტურული მასალების მცირე დოზებით და მაღალი ეფექტურობით სამკურნალ-წამლო პრეპარატების სახით, გამოყენების შესაძლებლობა თერაპიასა და ქირურგიაში, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, ონკოლოგიური წარმონაქმნების აღმოსაჩენად, სამკურნალოდ და სხვა.					
10	ვ. ციციშვილი, ნ. დოლაბერიძე, ნ. მირძველი, მ. ნიჟარაძე	წელის ორთქლის შთანთქმისუნარიანობის კვლევა საქართველოს ზოგიერთ ბუნებრივ ცეოლითზე	პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	გვ. 11-13
ანოტაცია					
განხილულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების-კლინოპტილოლიტის, ფილიპსიტისა და ანალციმის დეჰიდრატაცია-ადსორბციის საკითხები, მათი შემდგომში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.					
11	ვ. ციციშვილი, ნ. დოლაბერიძე, მ. ნიჟარაძე, ნ. მირძველი, ხ. ხაზარაძე	ბუნებრივი ანალციმისა და ფილიპსიტის ბიოლოგიური აქტივობის იონმიმოცვლითი ბუნება	პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	გვ. 14-16
ანოტაცია					
შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების-ფილიპსიტისა და ანალციმის, იონმიმოცვლის მექანიზმით განპირობებული, აქტივობა რიგ ბიოლოგიურ პროცესებში; რაც ამ ცეოლითების და მათი მოდიფიკაციების სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვა დარგებში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.					
12	ვ. რამიშვილი, ვ. ციციშვილი	სინთეზურ მიკროფოროვან მასალებში იმობილიზებული მოლიბდენის კარბიდის კატალიზური თვისებები ტოლუოლის ბენზალდეჰიდში ჟანგვის რეაქციაში	საქართველოს ქიმიური ჟურნალი 2013. #2	თბილისი	5
ანოტაცია					
მიღებულია in-situ მეთოდით საშუალო- და ფართოფოროვან ცეოლითებში (HMFI(ZSM-5), Si/Al=52 и HBEA, Si/Al=19) მატრიცული იზოლაციით იმობილიზებული მოლიბდენის კარბიდის ნანოკატალიზატორები. შესწავლილია მათი კატალიზური თვისებები ტოლუოლის ბენზალდეჰიდში ჟანგვის რეაქციაში გამხსნელის გარეშე, მოლური თანაფარდობა ტოლუოლი/ჰაერი=1/4. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ რეაქციაში α -MoC/HMFI(ZSM-5) არის ეფექტური კატალიზატორი, რომლის თანაობისას 15,8% ტოლუოლის გარდაქმნისას 473 K-ზე სელექციურობა ბენზალდეჰიდის მიმართ არის 62%.					
13	ვ. რამიშვილი, ვ. ციციშვილი	მოკლე ლექსიკონი (გლოსარი) ნანოქიმიასა და ნანოტექნოლოგიაში	Nano Studies. http://www.nanoarchiv.e.org 2013. #8.	თბილისი	25
ანოტაცია					
მოყვანილია ნანოქიმიასა და ნანოტექნოლოგიაში გამოყენებული ტერმინები ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ლექსიკონებიდან და სამეცნიერო-პერიოდული ლიტერატურიდან და მათი შესაბამისი ქართული ტერმინები. წინა მონაკვეთებთან შედარებით ამ ნაწილში უფრო ფართო ფორმითაა წარმოდგენილი ტერმინების განმარტებები					

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ლ.ებრიკაშვილი, ქ.კორძახია, თ.კორძახია, მ.ზაჟტაშვილი, ნ.ფირცხალავა, მ.ძაგანია	საქართველოს ატმოს- ფერული ჰაერის მდგომარეობა და ნიტ- როზული ოქსიდების- აგან მისი დაცვის მეთოდები	APARATURA BADAWCZA I DYDAKTYCZNA 2013, ტ. XVIII, №3	ვარშავა (პოლონეთი)	10 (გვ.195-204)
ანოტაციები					
დასახული მიზნის მისაღწევად სამუშაოში განიხილება შემდეგი ასპექტები: საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროები; ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის დინამიკა; საქართველოს ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობა; საქართველოს სედიმენტაციური წარმოშობის ზოგიერთი ბუნებრივი ცეოლითის დახასიათება და მათი სავარაუდო გამოყენება სამრეწველო გამონაბოლქვების გასაწმენდად.					
2	ც.რამიშვილი, ნ.ყაღაბეგაშვილი, ვ.ციციშვილი, ვ.გაბუნია, ლ.სამხარაძე, დ.იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი	აცეტილსალიცილის მჟავის სინთეზი უგამ- სხნელოდ ბუნებრივი ცეოლით- კლინოპტილოლიტის მოდულიზირებულ ფორმებზე	17 th International Zeolite Conference. “Zeolites and porous materials: bridging the gap between nanosci-ence and technology”. Conference Program- me and Extended Abstracts. Recent Research Report. 7- 12 July, 2013,	Moscow, Russian Federation http://izc17.com/ wp- content/uploads/2 013/05/Final prog ramme.pdf	2
ანოტაცია					
სალიცილის მჟავას ეთერიფიკაციის რეაქცია ძმარმჟავას ანჰიდრიდით შესწავლილია თხევად ფაზაში კატალიზატორზე, რომელიც მიღებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითის-კლინოპტილოლიტური ტუფის (ძეგვის საბადო, ფაზური შედგენილობა-95%, SiO ₂ /Al ₂ O ₃ =8.03) მოდიფიცირებით (SiO ₂ /Al ₂ O ₃ =18.9). გრავიმეტრული და სპექტრული ანალიზის მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის მაქსიმალური გამოსავლიანობა (80%) და სელექტურობა (100%) მიიღება წვრილ- და კოლოიდური დისპერსულობის კლინო-პტილოლიტის მოდიფიცირებულ ფორმაზე 306-353 K -ზე. მიღებული აცეტილსალიცილის მჟავას დნობის ტემპერატურა და UV და FTIR-სპექტრები სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ამგვარად, ჰეტეროგენულ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორზე (მოდულიზირებული კლინოპტილოლიტით) დაბალ ტემპერატურაზე და მაღალი სელექციურობით გოგირდმჟავას და გამსხნელების გამოყენების გარეშე მიღებულია მნიშვნელოვანი პრეპარატი ასპირინი.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	მ.ზაუტაშვილი, ლ.ეპრიკაშვილი, თ.კორძახია, ნ.ფირცხალავა, მ.ძაგანია, ი.რუბაშვილი, ნ.კახიძე	ბუნებრივი კომპოზიტების საფუძველზე მომზადებული ახალი სასუქის გამოყენება ლობოს აღმოცენებისათვის	II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”, თბილისი, თსუ, 2013, 11-12 სექტემბერი, გვ. 179-183.
მომხსენებთა ანოტაციები			
ლაბორატორიულ პირობებში ამონიუმისა და კალიუმის კათიონებით მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლითებისა (ჰეილანდიტ-კლინოპტილოლიტის ტუფი) და მურა ნახშირის საფუძველზე მომზადებული სუბსტრატი ხასიათდება აღმოცენებული მცენარის მაღალი ბიოპროდუქტიულობითა და მემცენარეობაში მათი გამოყენების ხანგრძლივობით			
2	გ.წინწკალაძე, ლ.ეპრიკაშვილი, მ.ზაუტაშვილი, თ.შარაშენიძე, მ.ბურჯანაძე, ნ.ბურკიაშვილი, ვ.გაბუნია	ბუნებრივი ცეოლითის ბაზაზე შექმნილი ახალი ბიოტექნოლოგიური მასალა, როგორც ხანგრძლივი მოქმედების სასუქი და მისი გამოყენების პერსპექტივები	II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”, თბილისი, თსუ 2013, 11- 12სექტემბერი, გვ. 559-562.
მომხსენებთა ანოტაციები			
შემუშავებულია ახალი მასალა, შედგობის გზით მიღებული ფოსფორით, აზოტითა და კალიუმით გამდიდრებული კლინოპტილოლიტი, როგორც პროლონგირებული მოქმედების სასუქი. კვლევის მიზანია, სასუქის მოქმედების გავლენის შესწავლა ოთახის დეკორატიული მცენარეების ზრდა-განვითარებაზე და ნიადაგზე მისი შემდგომი ზემოქმედების უნარის დადგენა.			
3	გ. წინწკალაძე, ბ. კეშელავა, რ.სხვიტარიძე, მ.აბაზაძე, ლ.ოკუჯავა, ლ.ლოლაძე.	საშენ მასალათა წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებ- ში გამოყენებისათვის საქარ- თველოს ზოგიერთი ბუნებ- რივი მინერალის თვისებების კვლევა.	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგი- ები და თანამედროვე მასა- ლები”, ქუთაისი, 2-7 ივნისი, 2013, გვ.361-363.
მომხსენებთა ანოტაციები			
საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზაზე შესწავლილი და შემოთავაზებულია ოთხი, ერთმანეთისგან განსხვავებული სტრუქტურის, შემადგენლობის და თვისებების მქონე მინერალი, რომლებიც საშენი მასალების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში საჭიროებისამებრ შეიძლება გამოვიყენოთ მაღალეფექტურ მინერალურ-მიკრო და ნანო დანამატად.			
4	დოლაბერიძე ნ., ციციშვილი ვ., ნიჟარაძე მ., მირძველი ნ.	ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის შექმნის შესაძლებლობა	6-7 ივნისი 2013, ქუთაისი
მომხსენებთა ანოტაციები			
განხილულია საქართველოს ანალიტიკური ქანის გადაკრისტალებით მიღებული წვრილდისპერსული მონოკატიონიანი ცეოლითის ქიმიური შედგენილობა. გამოვლენილია კრისტალიზაციის პროცესში ნატრიუმის კატიონების მაქსიმალური ჩართულობა და შიგაკრისტალურ პოზიციებზე განლაგება. მიღებულია სინთეზური ნიმუშისათვის საკმარისი მაღალი იონმიმოცვლისა (4,85მმ ³ /გ) და სორბციული (12,0 მმ ³ /გ) ტევადობები, რაც სამედიცინო თვალსაზრისით სორბენტისა და იონმიმოცვლელის სახის ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.			

5	დოლაბერიძე ნ., ხაზარაძე ნ.	ბიკატიონური წყალხსნარე- ბიდან NH_4 კატიონების გამოყოფა Na ფილიპსიტით.	6-7 ივნისი 2013, ქუთაისი
მოსხენებათა ანოტაციები			
შესწავლილია, საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტის მონოკატიონური, ნატრიუმისანი ფორმის ცეოლითური იონმიომცვლელით, სამრეწველო ჩამდინარე წყლების მოდელური ბიკატიონური ($\text{NH}_4, \text{Ca}^{2+}$) წყალხსნარებიდან ამონიუმის კატიონების გამოყოფის პროცესი; ნაჩვენებია, რომ სორბენტი მაღალი კატიონური ძალის წყალხსნარებიდანაც სელექტიურად გამოყოფს ამონიუმის კატიონებს და უზრუნველყოფს წყლის გაწმენდას 89%-მდე.			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	მ.ძაგანია, ლ.ეპრიკაშვილი, თ.კორძახია, მ.ხაუტაშვილი, ნ.ფირცხალავა	თხევად-კრისტალური უძრავი ფაზის სელექტურობის ცვლილება კადმიუმისა და ვერცხლის კატიონებით მოდულირებისას	სრულიად რუსეთის სამეცნიერო კონფერენცია ადსორბციის ფუნდამენტურ საკითხებში, ქტვერი (რუსეთი), 2013, 9-13 სექტემბერი, გვ. 267-270
მოსხენებათა ანოტაციები			
შესწავლილი და შედარებულია თხევადი კრისტალის ჰიდროქინონ-ბის-ჰეპტილოქსი-ბენზოატისა და მისი მოდიფიცირებული ფორმების თერმოდინამიკური მაჩვენებლები. ნაჩვენებია, რომ Cd^{2+} და Ag^+ კატიონებით მოდიფიცირება ზრდის თხევადი კრისტალის (Tk) სელექტურობას თანმიმდევრობით: $\text{Tk} < \text{Tk} + \text{Cd}^{2+} < \text{Tk} + \text{Ag}^+$. შესაბამისად იცვლება მოდელური სისტემის სორბატების თერმოდინამიკური მაჩვენებლებიც.			
2	ც.რამიშვილი, ნ.ყალაბეგაშვილი, ვ.ციციშვილი, ვ.გაბუნია, ლ.სამხარაძე, დ.იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი	აცეტილსალიცილის მჟავის სინთეზი უგამსხნელოდ ბუნებრივი ცეოლით- კლინოპტილოლიტის მოდულირებულ ფორმებზე	17 th International Zeolite Conference. "Zeolites and porous materials: bridging the gap between nanosci-ence and technology". Moscow, Russian Federation, 7-12 July, 2013,
მოსხენებათა ანოტაციები			
სალიცილის მჟავას ეთერიფიკაციის რეაქცია ძმარმჟავას ანჰიდრიდით შესწავლილია თხევად ფაზაში კატალიზატორზე, რომელიც მიღებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითის-კლინოპტილოლითური ტუფის (ძეგვის საბადო, ფაზური შედგენილობა-95%, $\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=8.03$) მოდიფიცირებით ($\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=18.9$). გრავიმეტრული და სპექტრული ანალიზის მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის მაქსიმალური გამოსავლიანობა (80%) და სელექტურობა (100%) მიიღება წვრილ- და კოლოიდური დისპერსულობის კლინოპტილოლითის მოდიფიცირებულ ფორმაზე 306-353 K -ზე. მიღებული აცეტილსალიცილის მჟავას დნობის ტემპერატურა და UV და FTIR-სპექტრები სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ამგვარად, ჰეტეროგენულ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორზე (მოდულირებული კლინოპტილოლითი) დაბალ ტემპერატურაზე და მაღალი სელექციურობით გოგირდმჟავას და გამსხნელების გამოყენების გარეშე მიღებულია მნიშვნელოვანი პრეპარატი ასპირინი.			
3	გ.წინწკალაძე, თ.კორძახია, ვ.ციციშვილი, თ.შარაშენიძე, მ.ბურჯანაძე, ნ.ბურკიაშვილი	კლინოპტილოლიტის ქიმიური მოდიფიცირება, როგორც მეთოდი ახალი ცეოლითური მასალის მისაღებად	შრომების კრებული, სრულიად რუსეთის სამეცნიერო კონფერენცია ადსორბციის ფუნდამენტურ საკითხებში, ქტვერი (რუსეთი), 2013, 9-13 სექტემბერი, გვ. 264-266.
მოსხენებათა ანოტაციები			

<p>ქიმიური დამუშავების სხვადასხვა მეთოდით მიღებულია კლინოპტილოლიტის წყალბადური ფორმები. ი.წ.-სპექტროსკოპიის მეთოდით დადგენილია, რომ ამონიუმის ფორმიდან მიღებული წყალბადური ფორმისათვის დამახასიათებელია მაღალი ინტენსივობის, თერმოსტაბილური შთანთქმის ზოლი 3615სმ^{-1}-ზე. 3615სმ^{-1}-ი ზოლის ინტენსივობით შეიძლება დავადგინოთ ცეოლიტის მიკროფორული სტრუქტურის ცვლილება. მჟავით დამუშავების შედეგად მიღებული წყალბადური ფორმისათვის დამახასიათებელია 3740სმ^{-1}-ზე შთანთქმის ზოლი, რომელიც აჩვენებს ცეოლიტური მიკროფორის სტრუქტურის რღვევას და მისი ზედაპირის ზრდას</p>

I.1. სამეცნიერო ერთეულის (ლაბორატორია) დასახელება: ქიმიური ეკოლოგიის პრობლემათა ლაბორატორია

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *ლ.აბ. გამგე, მთავარი მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. კანდიდატი* ირმა მიქაძე,

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

მთავარი მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.დოქ.: ავთანდილ დოლიძე

უფრ. მეცნ. თან., ტექ.მეცნ.კანდ.: თეიმურაზ უჩანეიშვილი

უფრ.მეცნ.თან., ქიმ.მეცნ.კანდ.: ლეილა ტატიაშვილი, გულნარა ბალარჯიშვილი, ლიპარიტ დოლიძე, ნინო ქავთარაძე, დალი იოსელიანი, როინ ჭეღია, ნათია ბარბაქაძე

მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ.: ნელი ყალაბეგაშვილი, ლიანა სამხარაძე, ნინო ნონიკაშვილი, ნინო ზარქუა, მაია სტეფანიშვილი, ნინო ქარქაშაძე, ქეთევან ქოჩიაშვილი, ნანა წეროძე, ქეთევან სარაჯიშვილი

მეცნ. თანამშ., აკად. დოქტორი რუსუდან ურიდია

მეცნ. თანამშ.: თამარ ქორქია, თამარ დგებუაძე, მაია ჯაფარიძე, ვასილ ბარბაქაძე, *ლაბორანტი*: ნინო ლომთაძე, დავით მუმლაძე, ნინო სულხანიშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	ვადაგასული და გაუვარგისებული პესტიციდების გაუვნებელყოფის ალტერნატივების შემუშავება	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. მიქაძე	<i>უფრ. მეცნ. თანამშრომლები:</i> ლ.დოლიძე, ნ.ბარბაქაძე; <i>მეცნ. თანამშრომელი:</i> ქ. ქოჩიაშვილი, რ. ურიდია, თ.დგებუაძე, მ. ჯაფარიძე, ვ.ბარბაქაძე <i>ლაბორანტები:</i> დ.მუმლაძე, ნ.სულხანიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შემუშავდა იაღლუჯის სამარხში განლაგებული პესტიციდების გაუვნებელყოფის ბიო-და ფიტორემედიაციული მეთოდები ადგილობრივი ბიოლოგიური აგენტების გააქტიურების ოპტიმალური პირობების შექმნის ხარჯზე, რაც გულისხმობს მჟავიანობის კორექციას, მკვებავი სუბსტრატების შეტანას და სხვა.			

2	ბუნებრივი ნედლეულისა და ანარჩენების მეორადი გამოყენების შესაძლებლობების კვლევა	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.დ. ა. დოლიძე	<p>უფრ. მეცნ. თანამშ-ები: თ.უჩანეიშვილი, ლ.ტატიანიშვილი, ნ.ქავთარაძე, მეცნ.თანამშრომლები: ნ.წეროძე; მ.სტეფანიანიშვილი, ნ.ნონიკაშვილი, ნ.ქარქაშაძე, ნ.ზარქუა; ლაბორანტი ნ. ლომთაძე</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შემუშავდა ენდემური მცენარეული ნედლეულის და ანარჩენების გადამუშავების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მკვებავი პრეპარატები, აგრეთვე ენდოფიტური სოკოების გამოყოფით სხვადასხვა მკვებავი კომპოზიციების დანამატების მიღება.			
3	საქართველოს ბუნებრივი ცვლილებების საფუძველზე მომზადებული მუავეური კატალიზატორების გამოყენება აცილირების და დეჰიდრატაციის რეაქციებში.	უფრ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. დალი იოსელიანი	<p>უფრ. მეცნ. თანამშრომელი, გ.ბალარჯიშვილი; მეცნ.თანამშრომლები: ნ.ყალაბეგაშვილი, ლ.სამხარაძე.</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
საქართველოში არსებული ბუნებრივი ცვლილებების ბაზაზე მომზადდა იაფი, აქტიური, რეგენირებადი არატოქსიკური კატალიზატორები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ტოქსიკური მინერალური მუავეების (H ₂ SO ₄ , H ₃ PO ₄ და სხვა) გამოყენების გარეშე, ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალტონაჟიანი ნაერთების მიღება, როგორცაა: პარამეტოქსიაცეტოფენონი, ასპირინი, ფურფუროლი. პარამეტოქსიაცეტოფენონის მისაღებად ტარდებოდა ანიზოლის აცილირება ძმარმუაგას ანიზიდრიდით 70°C-ზე, 0,5 სთ-ის განმავლობაში, გამოსავალი შეადგენდა 55%-ს. სალიცილის მუავისა და ძმარმუაგას ანიზიდრიდის ეთერიფიკაციის რეაქცია, ასპირინის მისაღებად, ტარდებოდა სტატიკურ დანადგარში ოთახის ტემპერატურიდან - 100°C-მდე. პროცესის 100%-იანი სელექტიურობისას მიღებულ იქნა ასპირინი მაღალი გამოსავლით. ფურფუროლის მისაღებად ზ/ა კატალიზატორების თანაობისას ტარდებოდა ზოგიერთი შაქრების დეჰიდრატაციის რეაქცია. ცდები ჩატარებულ იქნა როგორც სტატიკურ რეაქტორში, ასევე ავტოკლავში წნევის ქვეშ, როგორც გამსხნელებით, ასევე მათ გარეშე. მიმდინარეობს შედეგების დამუშავება.			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	ორგანული პრეკურსორების გამოყენებით ულტრადისპერსული არაორგანულ ნაერთების სინთეზი და მათი გამოყენება სპეციალური დანიშნულების მასალების (ნაკეთობების) მისაღებად	უფრ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. რ. ჭკელია	<p>მეცნ. თანამშრომლები: ქ.სარაჯიშვილი, თ. ქორქია</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების კერამიკული მასალების ულტრადისპერსიული ფხვნილების მიღება განხორციელდა ზოლ-გელ, თანდალექვის და თვითგაგრძელებადი რეაქციის მეთოდებით. სინთეზირებულია ორთორომბული ლუტეციუმისა და იტრიუმის ალუმინატების (LuAlO ₃ , YAlO ₃) და კუბური სტრუქტურის ნაერთები Lu ₃ Al ₅ O ₁₂ და Y ₃ Al ₅ O ₁₂ . ამავე მეთოდით მიღებულია მონოკლინური სტრუქტურის Lu ₄ Al ₂ O ₄ და Lu ₄ Al ₁₂ O ₉ . ფხვნილების შეცხოება და კონსოლიდაცია განხორციელდა ნაპერწკლოვან-პლაზმური სინთეზის მეთოდით. მიღებულია კერამიკული სინტილატორების მასიური ნიმუშები. მეტალთა ნიტრატებისა და ორგანული აღმდგენელების გამოყენებით (თვითგაგრძელებადი რეაქცია) სინთეზირებულია სინტილატორები-ტყვიის ვოლფრამატი და იტრიუმის ოქსიორთოსილიკატი. ამ ნაერთების ფხვნილის ნაწილაკები წარმოადგენენ ფირფიტებს, რომელთა სისქე 25-70 ნმ-ია, ხოლო სიგრძე რამოდენიმე მიკრომეტრს აღწევს. ისინი სითხეში ადვილად ქუცმაცდებიან ნანოზომის ნაწილაკებად. ბორის ნიტრიდისა და ბორის კარბიდის ნანოფხვნილები (60-75 ნმ) მიღებულია პოლიმერულ-			

პრეკურსორული მეთოდით პოლივინილის სპირტის, ამორფული ბორისა და მისი ნაერთებისაგან 900-1200°C-ზე შესაბამისი გელების წყალბადის არეში პიროლიზით. ზოლ-გელ მეთოდი გამოყენებულ იქნა წყალში ხსნადი პოლიმერების ჰიდროგელებში აღუმინისა და ცინკის ჰიდროქსიდების მისაღებად. ორგანულ მატრიცაში ასევე იმობილიზებულ იქნა ფეროციანიდები, რომლებსაც გააჩნიათ რადიონუკლიდების იონების (ცეზიუმი, სტრონციუმი) სელექტიურად შთანთქმის უნარი. ამ მიმართულებით სამუშაოები გაგრძელდება 2014 წელს

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	ატმის მანებელ-დაავადებებისგან დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო სისტემის შემუშავება და კვლევა. საგრანტო პროექტი № 31/75	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლუდმილა ცხვედაძე	ავთანდილ დოლიძე (ნინო ლომთაძე)
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
ამ ეტაპზე შესწავლილია ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ახალი ინსექტო-აკარიციდული და ფუნგიციდური პრეპარატების ეფექტურობა ატმის მანებელ-დაავადებებთან საბრძოლველად. ლაბორატორიულ პირობებში დადგენილია მანებლების და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი ოპტიმალური კონცენტრაციები. საველე გამოცდებმა აჩვენა, რომ შემუშავებული პრეპარატები ეფექტურობით აღემატება ტრადიციულად გამოყენებულ პესტიციდებს (აქტარა, კონფიდორი, შაბიამანი). შემუშავებული პრეპარატებით დამუშავებული ატმის ნაყოფის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა მათი გამიყენების უსაფრთხოება ადამიანისა და გარემოსათვის.				
2	პროექტი P560-(2012-2013) სამიზნეები მაღალტემპერატურული ზეგამტარი ფირებისათვის	STCU (უსტც)	ე.სანაია	რ. ჭედია, თ. კუჭუხიძე თ. არჩვაძე, ფ. ბასარია, ნ.კირცხია, გ.დარსაველიძე, ი. ყურაშვილი, ვ. გაბუნია
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
ამ ეტაპზე ძირითადად შესრულებულია გრანტის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანები. დამუშავებულია მაგნიუმის ბორიდის მასიური ნიმუშების მიღების ტექნოლოგია, რომლებიც განკუთვნილია ლაზერული დასხივებისათვის და თხელი ფირების დასაფენად სხვადასხვა ფუძე-შრებზე. ასევე დამუშავებულია ზეგამტარი კერამიკის მეტალური პრეკურსორის - სამმაგი შენადნობის (YCu ₂ Ba ₃) მიღების მეთოდები და მისგან დამზადებულია მასიური სამიზნეები ზომით 27-55 მმ. მიღებული შედეგები მოხსენებულ იქნა ქ. იზმირში გამართულ კონგრესზე (Advanced Materials World Congress. 16-19 September, 2013, Cesme, Izmir, Turkey). ასევე პროექტის ზოგიერთი შედეგი განხილულ იქნება აშშ –ში 2014 წელს (E.Sanaia, G.Bokuchava, I.Kurashvili, T.Kuchukhidze, A.Mikeladze, R.Chedia. Obatinig of Bulk MgB ₂ Using Hot Pressing Method. 2014 MRS Spring Meeting & Exhibit. April 21-25, 2014, San Francisco, California).				
3	ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება და კორუნდის კერამიკული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება. AR/325/6-480/12; 2013-2015წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. ჭედია	ი.ყურაშვილი, ო.ლეკაშვილი, ი.ჯინიყაშვილი, თ.კუჭუხიძე, ე.სანაია, თ.არჩვაძე, ფ.ბასარია, ვ.გაბუნია

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)	
I ეტაპზე დამუშავებულია საქართველოს ბუნებრივი ნედლეულიდან (თიხისაგან, მეორადი ალუმინისა და მისი გადამუშავების ნარჩენებისაგან) ალუმინის ჰიდროქსიდის, ნიტრატის და იზოპროპილატის მიღების მეთოდები. ულტრა-დისპერსული Al ₂ O ₃ ფხვნილი მიღებულია ზოლ-გელ მეთოდით, ჟანგვა-აღდგენითი რეაქციითა და პოლიმერ პრეკურსორული მეთოდებით.	

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/ კრებული დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ა.დოლიძე, ი.მიქაძე, ნ.ქავთარაძე, ლ.დოლიძე, ნ.ბარბაქაძე, რ.ურიდია.	გარემოში დიოქსიდების მიგრაციისა და დაბინძურების დეტოქსიკაციის შესახებ.	საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2013, ტ. 39, №1-2,	საქართველო, თბილისი	4
ანოტაცია					
ლიტერატურული და ექსპერიმენტალური მონაცემების განხილვის საფუძველზე შემუშავებულია კომპლექსური მეთოდი პესტიციდებით დაბინძურებული ნიადაგების დექლორირების მეთოდი ჩამქრალი კირის გამოყენებით წინასწარი გაცხელების გარეშე, ასევე შემუშავებულია ნიადაგის ბიოლოგიური აგენტების გააქტიურების ოპტიმალური პერობების შემუშავება ნიადაგის ბიოდეგრადაციისთვის.					
2	ნ. ნონიკაშვილი, ნ.ქავთარაძე, ი.მიქაძე, თ.ჩანგიშვილი, ა.დოლიძე	α-პინენისა და მისი ნაწარმების სინთეზის შესახებ	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2013, ტ. 39, №3-4,	საქართველო, თბილისი	3
ანოტაცია					
სხვადასხვა დანიშნულების ბიოლოგიურად აქტიური საშუალებების ნომენკლატურაში ბუნებრივი ნედლეულის საფუძველზე მიღებული აქტიური საწყისების მზარდი გამოყენების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია არსებული მცენარეული ნედლეულიდან მარტივი გადამუშავებით სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყოფა და მათი გამოყენება ეფექტური ნივთიერებების მისაღებად.					
3	ქ.ქონიაშვილი, ნ. ბარბაქაძე, რ.ციცკარიშვილი, თ.დგებუაძე, მ.ჯაფარიძე, ი.მიქაძე	მე-4 თაობის ინსექტიციდების გამოყენების შესაძლო გზები მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2013, ტ. 39, №1-2,	საქართველო, თბილისი	5
ანოტაცია					
ბუნებაში სხვადასხვა ორგანიზმებს შორის ურთიერთქმედება მიმდინარეობს კომუნიკაციური ნივთიერებების ხარჯზე, რომლებიც წარმოშობის მიხედვით განსხვავდებიან. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო პრეპარატებს: ფერომონებს, იუვენოიდებს, რეპელენტებს და სხვ., რომელთა სინთეზირებაც შესაძლებელია ბუნებრივი ნედლეულიდან გამოყოფილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების საფუძველზე.					
4	ავთანდილ დოლიძე, ირმა მიქაძე, ლიპარიტ დოლიძე,	ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის	თბილისი	4 გვ. 57-59

<p>ნინო ქავთარაძე, მაია სტეფანიშვილი, ნანა წეროძე</p>	<p>შესაძლებლობების შესახებ</p>	<p>ინსტიტუტის შრომები</p>		
<p>ანოტაცია</p>				
<p>წიწმატა სელი (ჩამელინა შატვია) ზეთოვანი კულტურების მსოფლიო წარმოებაში ერთერთ წამყვან ადგილზეა. მისი ზეთი გამოიყენება კვებაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში, რადგან იგი მდიდარია E, A, D, K ვიტამინებით, ბ-კაროტინით, წარმოადგენს მაგნიუმის წყაროს და შეიცავს მძლავრ ანტიოქსიდანტურ კომპლექსს. წიწმატა სელის ზეთი ასევე პერსპექტიულია ბიოსაწვავად გადასამუშავებლად, ვინაიდან იგი შეიცავს გრძელფაჭვიანი ცხიმის მჟავებს. სამუშაო ჯგუფი მუშაობს რამოდენიმე მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წიწმატა სელის მდგრადი მოსავლის მიღება, მისგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა, რომელთა ფრაქციური ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შედეგად გამოიყოს პერსპექტიული სტრუქტურები.</p>				
<p>5 ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ., ებრაღიძე ქ., ლომთაძე ნ.</p>	<p>კოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ინსექტო- აკარიციდული პრეპარატი</p>	<p>საერთაშორისო სამეც.-პრაქტიკ- ული კონფ. შრო- მები "ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები".</p>	<p>ქ. ქუთაისი</p>	<p>გვ. 239-240</p>
<p>ანოტაცია</p>				
<p>შემუშავებულია მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, კომპოზიციური პრეპარატი "ანტიპესტი", რომელიც გამოიცადა მევენახეობის, მეღვინეობის და მებალეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭკვი) ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად. "ანტიპესტი" დამუშავებული ყურძნიდან მომზადებული წვენი და ღვინო არ შეიცავს პრეპარატის ნარჩენი რაოდენობას.</p>				
<p>6 გ.ბალარჯიშვილი, ლ.სამხარაძე, ნ.ყალბეგაშვილი, დ.იოსელიანი</p>	<p>ანიზოლის აცილირება ძმარმჟავას ანჰიდრიდით მოდიფიცირებულ კლინოპტილოლიტზე.</p>	<p>საქ. მეც. ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. ტ.38, N2-3</p>	<p>თბილისი</p>	<p>160-161</p>
<p>ანოტაციები</p>				
<p>პარამეტოქსიაცეტოფენონის მისაღებად ტარდებოდა ანიზოლის აცილირება ძმარმჟავას ანჰიდრიდით 70°C-ზე, 0,5 სთ-ის განმავლობაში, ანიზოლის ფარდობა ძმარმჟავას ანჰიდრიდთან შეადგენდა 5:1-ს, გამოსავალი კი - 55%-ს.</p>				
<p>7 ნ. ყალბეგაშვილი ლ. სამხარაძე, გ. ბალარჯიშვილი, დ. იოსელიანი</p>	<p>ზოგიერთი ხილისა და ბოსტნეულის შენახვის შესახებ.</p>	<p>საქართველოს ქიმიური ჟურნალი ტ.13, N1</p>	<p>თბილისი</p>	<p>100-103</p>
<p>ანოტაციები</p>				
<p>ჩატარდა ექსპერიმენტი ბროწეულისა და კიტრის შენახვის ვადების გახანგრძლივების მიზნით. დადგინდა, რომ ბროწეულის შენახვის გახანგრძლივება შესაძლებელია მისი ბუტკოს პარაფინით დაფარვით, ხოლო კიტრის - 10%-იან ძმარმჟავით გაჟღენთილი კლინოფტილოლიტის თანაობისას.</p>				
<p>8 კუჭუხიძე თ.ვ., არჩუაძე თ.ნ., გაბუნია ვ.გ., ქადარია მ.ა., ლეკაშვილი ო.ი., ტედია რ.ვ.</p>	<p>α-ალუმინის ოქსიდის ფხვნილების დაბალტემპერატურული სინთეზის ზოგიერთი საკითხი</p>	<p>(<i>Nano Studies</i>) 8</p>	<p>ქ. თბილისი</p>	<p>7</p>
<p>ანოტაცია</p>				

<p>ალუმინის ჰიდროქსიდების ან ალუმინის ოქსიდის არამდგრადი შუალედური ფაზების თანდათანობითი გახურებით 1200°C ზევით მიიღება თერმოდინამიკურად სტაბილური α-Al_2O_3, რომელიც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების კერამიკების მისაღებად. დაბალ ტემპერატურაზე ტრანსფორმირება განხორციელდა α-Al_2O_3-ის კრისტალების წინასწარი შეტანით სინთეზის პროცესში (პრეკურსორების დაშლის, ჰიდროლიზის, გაშრობა-გახურებისა და გამოწვისას) საწყის პრეკურსორებად გამოყენებულ იქნა ალუმინის ნიტრატი, ალუმინის ალკოქსიდები, დამჟანგველები და ორგანულ-არაორგანული გელების წარმომქნელი ბიფუნქციონალური ნაერთები. დადგენილია, რომ ალუმინის ნიტრატისა და შარდოვანას ურთიერთქმედებისას მეტალური ალუმინის ფხვნილის დამატებისას აღვილი აქვს ამორფული ალუმინის ოქსიდის წარმოქმნას, რომლის გამოწვით ჰაერზე 800°C-ზე (2 სთ) წარმოიქმნება α-Al_2O_3 ფხვნილებისა და მისგან მიღებული კორუნდის ნაკეთობების მიკროსტრუქტურა შესწავლილია ოპტიკური და ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპებით (Nikon ECLIPSE LV 150, NMM-800TRF, Nanolab-7). მიკროსისალე განსაზღვრულია (DUH – 211S) ხელსაწყოზე. სინთეზირებული ფხვნილის მარცვლის ზომა დადგენილ იქნა (Analysette 12 Dyna sizer) მეშვეობით. ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე DPOH-3M. თერმული ანალიზი (TG-DTG-DSC) ჩატარებულია ხელსაწყოზე – Setsys Evolution (Setaram Tag 24)</p>					
9	გ.ქვარცხავა, ა.გოლეთიანი, ქ.სარაჯიშვილი, თ.ქორქია, რ.ჭელია	ბიოსორბენტები: ჩამდინარე წყლებიდან ქრომის იონების მოცილება “მწვანე მეთოდით”.	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”.	ქ. ქუთაისი	გვ.239-240
ანოტაცია					
<p>ნარჩენი ბიომასალების გამოყენება მძიმე მეტალების იონებით დაბინძურებული წყლების გასასუფთავებლად საკმაოდ პერსპექტიულია, რადგან ბიოსორბენტების ფასი სინთეზურ სორბენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. საქართველოში არსებული ტყავის წარმოების ჩამდინარე წყლებიდან ქრომის იონების $Cr(VI,III)$ მოცილება წარმოადგენს უაღრესად აქტუალურ პრობლემას. ნაშრომში წარმოდგენილია მერქნის გადამუშავების ნარჩენების ბიოსორბენტებად გამოყენების შესაძლებლობა. შესწავლილია ადსორბენტის კონცენტრაციის, კონტაქტის დროისა და pH-ის გავლენა ქრომის იონების მოცილების ეფექტურობაზე.</p>					
10	კუჭუხიძე თ.ვ., არჩუაძე თ.ნ., გაბუნია ვ.გ., ლეკაშვილი ო.ი., ჭელია რ.ვ	ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღების პერსპექტივები საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები. “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”.	ქ.ქუთაისი	გვ. 328-329
ანოტაცია					
<p>ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება შესაძლებელია საქართველოს ადგილობრივი რესურსებიდან (ალუმინის ჯართი, ალუმოსილიკატები, ტყიბულის ქვანახშირის ნაცარი). მათი გადამუშავებით მიღებულია სამი ძირითადი პრეკურსორი ალუმინის ნიტრატი, ალუმინის იზოპროპილატი და სხვადასხვა მოდიფიკაციის ალუმინის ჰიდროქსიდები $Al_2O_3 \cdot nH_2O$. მოდიფიცირებული ზოლ-გელ მეთოდისა და თვითგანვითარებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქციით მიღებულია სხვადასხვა დისპერსულობის Al_2O_3 ფხვნილი. მათი მიკროსტრუქტურა შესწავლილია ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით Nanolab-7. ფხვნილების ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე DPOH-3. თერმული ანალიზი (TG-DTG-DSC) ჩატარებულია ხელსაწყოზე – Setsys Evolution (Setaram Tag 24).</p>					

11	გ.ქვარცხავა, ა.გოლეითიანი, ქ.სარაჯიშვილი, თ.ქორქია, ი. ჯანიკაშვილი რ.ჭყელია	ჩამდინარე წყლებიდან მძიმე ლითონების იონების მოცილება საქართველოს განახლებადი ბიორესურსებით	Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials.	Tbilisi	1 (p.95)
ანოტაცია					
საქართველოს გააჩნია მრავალი სახეობის განახლებადი ბიორესურსი, რომლებსგან შესაძლებელია ბიოსორბენტების მიღება. შესწავლილია ფოთლოვანი მცენარეების მერქნის გადამუშავების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა წყლიდან Cr(III) იონების მოსაცილებლად. ბიოსორბენტად გამოყენებულ იქნა მცენარის ვარჯის სხვადასხვა ნაწილები, ასევე ნაფოტები, ნახერხი, ბურბუშელა. მიღებულ ფხვნილის მოდიფიცირება (ჰიდროქსიდის ჯგუფის აცილირება, კარბოქსიდის ჯგუფის ეთერიფიკაცია, ბიომასალის ნაწილობრივი დაჟანგვა, ამინირება) განხორციელდა ცნობილი მეთოდებით. არამოდიფიცირებული ბიოსორბენტების გამოყენება უფრო ხელსაყრელია და მათი მიღება საკმაოდ ადვილია.					
12	თ.კუჭუხიძე, თ.არჩუაძე, ვ.გაბუნია, ო.ლეკაშვილი მ.ქაღარია, რ.ჭყელია	ულტრადისპერსული α -ალუმინის ოქსიდი კორუნდის კერამიკისათვის	Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials.	Tbilisi	1 (p.49)
ანოტაცია					
<p>α-Al_2O_3 მისაღებად გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პოლიმერ-პრეკურსორული და თვითგანვითარებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია. ორგანულ-არაორგანული გელები მიღებულია ალუმინისა და ორგანული ნაერთების ჰომოგენიზაციით 80-200°C და მიღებული მასის კარბონიზაციით სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმით 300-800°C -ზე. კარბონიზაციის შედეგად მიიღება შავი ფხვნილი, რომელიც ძირითადად γ-Al_2O_3-გან შედგება. მისი გადაყვანა α-Al_2O_3-ში განხორციელდა ჰაერზე 1180-1200°C-ზე 2 საათის განმავლობაში. საწყის სარეაქციო ნარევი 3-5% (მას) ალფა-მოდიფიკაციის ალუმინის ოქსიდის დამატებით ფაზაში გადასვლის ტემპერატურა მცირდება 120-150°C-ით. ზოლგელ მეთოდით ამონიუმის ნიტრატისაგან α-Al_2O_3 მიიღება 800-1100°C. ნაწილობრივად ჰიდროლიზირებული ალუმინის იზოპროპოქსიდის გელისა და ალუმინის ნიტრატის ურთიერთქმედებით 400-500°C-ზე მიღებულია γ- და α-Al_2O_3 მოდიფიკაციის ალუმინის ოქსიდები, რომლებიც ხასიათდებიან ფირფიტოვანი აღნაგობით.</p>					

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ც. რამიშვილი, ნ.ყალბაგაშვილი, ვ. ციციშვილი, ვ. გაბუნია, ლ. სამხარაძე, დ. იოსელიანი, გ.ბაღარაჯიშვილი	აცეტილსალიცილის მჟავის სინთეზი უგამსხნელოდ ბუნებრივი ცეოლით-კლინოპტილოლიტის მოდიფიცირებულ ფორმებზე	17 th International Zeolite Conference. "Zeolites and porous materials: bridging the gap between nanosci-ence and technology". Conference Programme and Extended Abstracts. Recent Research Report. 7-12 July, 2013,	Moscow, Russian Federation http://izc17.com/wp-content/uploads/2013/05/Final_programme.pdf	2
ანოტაცია					

<p>სალიცილის მუავას ეთერიფიკაციის რეაქცია ძმარმუავას ანჰიდრიდით შესწავლილია თხევად ფაზაში კატალიზატორზე, რომელიც მიღებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითის-კლინოპტილოლითური ტუფის (ძეგვის საბადო, ფაზური შედგენილობა-95%, SiO₂/Al₂O₃=8.03) მოდიფიცირებით (SiO₂/Al₂O₃=18.9). გრავიმეტრული და სპექტრული ანალიზის მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის მაქსიმალური გამოსავლიანობა (80%) და სელექტურობა (100%) მიიღება წვრილ- და კოლოიდური დისპერსულობის კლინოპტილოლითის მოდიფიცირებულ ფორმაზე 306-353 K -ზე. მიღებული აცეტილსალიცილის მუავას დნობის ტემპერატურა და UV და FTIR-სპექტრები სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ამგვარად, ჰეტეროგენულ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორზე (მოდიფიცირებული კლინოპტილოლითი) დაბალ ტემპერატურაზე და მაღალი სელექციურობით გოგირდმუავას და გამხსნელების გამოყენების გარეშე მიღებულია მნიშვნელოვანი პრეპარატი ასპირინი.</p>					
2	<p>ლ.ნადარაია, ნ. ჯალაბაძე, რ. ჭელია, ლ. ხუნდაძე.</p>	<p>ალუმინატების ნანოფხვნილისა და მასიური კერამიკუ- ლი სინტილატორე- ბის მიღება.</p>	<p>Ceramics International, 2013 #39</p>	<p>ELSEVIER</p>	<p>8 (p.2207- 2214)</p>
<p>ანოტაცია</p>					
<p>ზოლ-გელ, თანდალექვის და თვითგავრცელებადი რეაქციის მეთოდებით სინთეზირებულია ორთორომბული ლუტეციუმისა და იტრიუმის ალუმინატების (LuAlO₃, YAlO₃) და კუბური სტრუქტურის ნაერთები Lu₃Al₅O₁₂ და Y₃Al₅O₁₂ ნანოფხვნილები. ამავე მეთოდით მიღებულია მონოკლინური სტრუქტურის Lu₄Al₂O₉ და Lu₄Al₂O₉, ფხვნილების შეცხოება და კონსოლიდაცია განხორციელდა ნაპერწკლოვან-პლაზმური სინთეზის მეთოდით. მიღებულია კერამიკული სინტილატორების მასიური ნიმუშები. დადგენილია, რომ Y₃Al₅O₁₂-ის შეცხოების ოპტიმალური პირობებია 1650°C/3 წთ/40 მპა.</p>					
3	<p>თ. კუჭუხიძე, ა. მიქელაძე, ე. სანაია, ბ. ბოკუჩავა, გ. დარსაველიძე რ. ჭელია</p>	<p>სტექიომეტრული და არასტექიომეტრული შედგენილობის MgB₂ სამიზნეების მიღება</p>	<p>Journal of Materials Science and Engineering, B, 2014, (In press).</p>	<p>USA, David Publishing Company</p>	<p>4</p>
	<p>ანოტაცია</p>				
<p>მაგნიუმის ბორიდის მასიური ნიმუშები მიღებულია მაგნიუმის, მაგნიუმის ჰიდრიდისა და ბორის ფხვნილების სხვადასხვა სტექიომეტრული ნარეგებისაგან ვაკუუმში ცხელი დაწნევის მეთოდით. სინთეზი განხორციელდა ტემპერატურის თანდათან მომატებით 20°C-დან 900°C-მდე 10-15 წუთის განმავლობაში წნევის გაზრდით 50-60 მპა-მდე. წინასწარ სინთეზირებული მაგნიუმის ბორიდის ფხვნილისაგან “ნედლი” ნაკეთობის მიღებითა და შემდგომ მისი შეცხოება-დაწნევით 700-900°C-ზე მიღებულია ნიმუშები, რომელთა ზეგამტარული გადასვლის ტემპერატურა 38,5K-ია.</p>					
4	<p>თ. კუჭუხიძე, ა. მიქელაძე, ე. სანაია, ბ. ბოკუჩავა, გ. დარსაველიძე რ. ჭელია</p>	<p>სტექიომეტრული და არასტექიომეტრული შედგენილობის MgB₂ მასიურსამიზნეების მიღება.</p>	<p>PEER REVIEWED BOOK. Advanced Materials World Congress. 16-19 September, Izmir, Turkey ,2013</p>	<p>Cesme Altin Yunus -Izmir, Turkey</p>	<p>2 (p.176-177)</p>
	<p>ანოტაცია</p>				
<p>მაგნიუმის ბორიდის მასიური ნიმუშები მიღებულია მაგნიუმის, მაგნიუმის ჰიდრიდისა და ბორის ფხვნილების სხვადასხვა სტექიომეტრული ნარეგებისაგან ვაკუუმში ცხელი დაწნევის მეთოდით. სინთეზი განხორციელდა ტემპერატურის თანდათან მომატებით 20°C-დან 900°C-მდე 10-15 წუთის განმავლობაში წნევის გაზრდით 50-60 მპა-მდე. წინასწარ სინთეზირებული მაგნიუმის ბორიდის ფხვნილისაგან “ნედლი” ნაკეთობის მიღებითა და შემდგომ მისი შეცხოება-დაწნევით 700-900°C-ზე მიღებულია ნიმუშები, რომელთა ზეგამტარული გადასვლის ტემპერატურა 38,5K-ია.</p>					

5	თ. კუჭუხიძე, თ. არჩუაძე, ვ. გაბუნია, მ. ქაღარია, ო. ლეკაშვილი, რ. ჭყელია	ულტრადისპერსული α-ალუმინის ოქსი- დის დაბალტემპერა- ტურული სინთეზის ზოგიერთი საკითხი	(In Book: Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials. In press).	USA, NOVA SCIENCE	13 (ხელნაწერი)
ანოტაცია					
<p>α-Al₂O₃ მისაღებად გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პოლიმერ-პრეკურსორული და თვითგანვითარებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია. საწყის პრეკურსორებად გამოყენებულ იქნა ალუმინის ნიტრატი, ალუმინის ალკოქსიდები, დამჟანგველები და ორგანულ-არაორგანული გელების წარმოქმნელი ბიფუნქციონალური ნაერთები (გლიკოლები, ამინოსპირტები, კარბოქსიმჟავეები და სხვ). ორგანულ-არაორგანული გელები მიღებულია ალუმინისა და ორგანული ნაერთების ჰომოგენიზაციით 80-200°C და მიღებული მასის კარბონიზაციით სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმით 300-800°C-ზე. კარბონიზაციის შედეგად მიიღება შავი ფხვნილი, რომელიც ძირითადად γ-Al₂O₃-გან შედგება. მისი გადაყვანა α-Al₂O₃ განხორციელდა ჰაერზე 1180-1200°C-ზე 2 საათის განმავლობაში. საწყის სარეაქციო ნარევეში 3-5% (მას) ალფა-მოდიფიკაციის ალუმინის ოქსიდის დამატებით γ→α ფაზაში გადასვლის ტემპერატურა მცირდება 120-150°C-ით. ზოლ-გელ მეთოდით ამონიუმის ნიტრატისაგან α-Al₂O₃ მიიღება 800-1100°C. ნაწილობრივად ჰიდროლიზირებული ალუმინის იზოპროპოქსიდის გელისა და ალუმინის ნიტრატის ურთიერთქმედებით 400-500°C-ზე მიღებულია γ- და α-Al₂O₃ მოდიფიკაციის ალუმინის ოქსიდები, რომლებიც ხასიათდებიან ფირფიტოვანი აღნაგობით. ფხვნილები მიკროსტრუქტურა შესწავლილია ოპტიკური და ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპებით (Nikon ECLIPSE LV 150, NMM-800TRF, Nanolab-7). ფხვნილის მარცვლის ზომა დადგენილ იქნა (Analysette 12 Dyna sizer) მეშვეობით. ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე DPOH-3M. თერმული ანალიზი (TG-DTG-DSC) ჩატარებულია ხელსაწყოზე – Setsys Evolution (Setaram Tag 24).</p>					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ., ებრაღიძე ქ., ლომთაძე ნ.	ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ინსექტოკარიცი- დული პრეპარატი	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენციის ”შრომები ”ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამე- დროვე მასალები”. ქ.ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013წ.
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>შემუშავებულია მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, კომპოზიციური პრეპარატი “ანტიპესტი”, რომელიც გამოიცადა მევენახეობის, მეღვინეობის და მეზღვეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭკვი) ფჭვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად. “ანტიპესტი” დამუშავებული ყურძნიდან მომზადებული წვენი და ღვინო არ შეიცავს პრეპარატის ნარჩენ რაოდენობას.</p>			

2	<p>გ. ქვარცხავა, ა. გოლეთიანი, ქ. სარაჯიშვილი, თ. ქორქია, რ. ჭელია</p>	<p>ბიოსორბენტები: ჩამდინარე წყლებიდან ქრომის იონების მოცილება “მწვანე მეთოდით”.</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “შრომები” ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”. ქ. ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013წ</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
<p>ნარჩენი ბიომასალების გამოყენება მძიმე მეტალების იონებით დაბინძურებული წყლების გასასუფთავებლად საკმაოდ პერსპექტიულია, რადგან ბიოსორბენტების ფასი სინთეზურ სორბენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. საქართველოში არსებული ტყავის წარმოების ჩამდინარე წყლებიდან ქრომის იონების Cr(VI,III) მოცილება წარმოადგენს უაღრესად აქტუალურ პრობლემას. ნაშრომში წარმოდგენილია მერქნის გადამუშავების ნარჩენების ბიოსორბენტებად გამოყენების შესაძლებლობა. შესწავლილია აღსორბენტის კონცენტრაციის, კონტაქტის დროისა და pH-ის გავლენა ქრომის იონების მოცილების ეფექტურობაზე.</p>			
3	<p>კუჭუხიძე თ.ვ., არჩუაძე თ.ნ., გაბუნია ვ.გ., ლეკაშვილი ო.ი., ჭელია რ.ვ</p>	<p>ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღების პერსპექტივები საქართველოში</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “შრომები. ”ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”. ქ. ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013წ</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
<p>ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება შესაძლებელია საქართველოს ადგილობრივი რესურსებიდან (ალუმინის ჯართი, ალუმოსილიკატები, ტყიბულის ქვანახშირის ნაცარი). მათი გადამუშავებით მიღებულია სამი ძირითადი პრეკურსორი ალუმინის ნიტრატი, ალუმინის იზოპროპილატი და სხვადასხვა მოდიფიკაციის ალუმინის ჰიდროქსიდები $Al_2O_3 \cdot nH_2O$. მოდიფიცირებული ზოლ-გელ მეთოდისა და თვითგანვითარებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქციით მიღებულია სხვადასხვა დისპერსულობის Al_2O_3 ფხვნილი. მათი მიკროსტრუქტურა შესწავლილია ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით Nanolab-7. ფხვნილების ნიმუშების ფაზური ანალიზი ჩატარდა რენტგენულ დიფრაქტომეტრზე ДРОН-3. თერმული ანალიზი (TG-DTG-DSC) ჩატარებულია ხელსაწყოზე – Setsys Evolution (Setaram Tag 24).</p>			
4	<p>გ.ქვარცხავა, ა.გოლეთიანი, ქ.სარაჯიშვილი, თ.ქორქია, ი. ჯანიკაშვილი, რ.ჭელია</p>	<p>ჩამდინარე წყლებიდან მძიმე ლითონების იონების მოცილება საქართველოს განახლებადი ბიორესურსებით</p>	<p>Third International Caucasian Sympo-sium on Polymers & Advanced Materials. Tbilisi</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
<p>განხილულია საქართველოს ანალციმემცველი ქანის გადაკრისტალებით მიღებული წვრილდისპერსული მონოკატიონიანი ცეოლითის ქიმიური შედგენილობა. გამოვლენილია კრისტალიზაციის პროცესში ნატრიუმის კატიონების მაქსიმალური ჩართულობა და შიგაკრისტალურ პოზიციებზე განლაგება. მიღებულია სინთეზური ნიმუშისათვის საკმაოდ მაღალი იონმიმცველისა ($4,85 \text{ მმ}^3/\text{გ}$) და სორბციული ($12,0 \text{ მმ}^3/\text{გ}$) ტევადობები, რაც სამედიცინო თვალსაზრისით სორბენტისა და იონმიმცველის სახის ცეოლითური სამედიცინო პრეპარატის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.</p>			
5	<p>თ. კუჭუხიძე, თ. არჩუაძე, ვ. გაბუნია, ო. ლეკაშვილი მ. ქადარია, რ. ჭელია</p>	<p>ულტრადისპერსული α-ალუმინის ოქსიდი კორუნდის კერამიკისათვის</p>	<p>Third International Caucasian Sympo-sium on Polymers & Advanced Materials. Tbilisi</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
<p>α-Al_2O_3 მისაღებად გამოყენებულ იქნა მოდიფიცირებული პოლიმერ-პრეკურსორული და თვითგანვითარებადი ჟანგვა-აღდგენითი რეაქცია. ორგანულ-არაორგანული გელები მიღებულია ალუმინისა და ორგანული ნაერთების ჰომოგენიზაციით $80-200^\circ\text{C}$ და მიღებული მასის კარბონიზაციით სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმით $300-800^\circ\text{C}$-ზე.</p>			

	<p>კარბონიზაციის შედეგად მიიღება შავი ფხვნილი, რომელიც ძირითადად $\gamma\text{-Al}_2\text{O}_3$-გან შედგება. მისი გადამამუშავება $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$-ში განხორციელდა ჰაერზე 1180-1200°C -ზე 2 საათის განმავლობაში. საწყის სარეაქციო ნარევი 3-5% (მას) ალფა-მოდულირების ალუმინის ოქსიდის დამატებით ფაზაში გადასვლის ტემპერატურა მცირდება 120-150°C-ით. ზოლგელ მეთოდით ამონიუმის ნიტრატისაგან $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ მიიღება 800-1100°C. ნაწილობრივად ჰიდროლიზირებული ალუმინის იზოპროპოქსიდის გელისა და ალუმინის ნიტრატის ურთიერთქმედებით 400-500°C-ზე მიღებულია γ- და $\alpha\text{-Al}_2\text{O}_3$ მოდიფიკაციის ალუმინის ოქსიდები, რომლებიც ხასიათდებიან ფირფიტოვანი აღნაგობით.</p>		
6	<p>გ.ქვარცხავა, ა.გოლეტიანი, ქ.სარაჯიშვილი, თ.ქორქია, ი. ჯანიკაშვილი, რ.ჭკელია</p>	<p>ჩამდინარე წყლები-დან მიმე ლითონების იონების მოცი- ლება საქართველოს განახლებადი ბიორესურსებით</p>	<p>Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials.</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
	<p>საქართველოს გააჩნია მრავალი სახეობის განახლებადი ბიორესურსი, რომლებსგან შესაძლებელია ბიოსორბენტების მიღება. შესწავლილია ფოთლოვანი მცენარეების მერქნის გადამამუშავების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა წყლიდან Cr(III) იონების მოსაცილებლად. ბიოსორბენტად გამოყენებულ იქნა მცენარის ვარჯის სხვადასხვა ნაწილები, ასევე ნაფოტები, ნახერხი, ბურბუშეა. მიღებულ ფხვნილის მოდიფიცირება (ჰიდროქსიდის ჯგუფის აცილირება, კარბოქსიდის ჯგუფის ეთერიფიკაცია, ბიომასალის ნაწილობრივი დაჟანგვა, ამინირება) განხორციელდა ცნობილი მეთოდებით. არამოდიფიცირებული ბიოსორბენტების გამოყენება უფრო ხელსაყრელია და მათი მიღება საკმაოდ ადვილია.</p>		

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<p>ც. რამიშვილი, ნ.ყალბაგაშვილი, გ. ციციშვილი, გ. გაბუნია, ლ. სამხარაძე, დ. იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი</p>	<p>აცეტილსალიცილის მუავის სინთეზი უგამსხნელოდ ბუნებრივი ცეოლით-კლინო- პტილოლიტის მოდიფიცირე- ბულ ფორმებზე</p>	<p>17th International Zeolite Conference. “Zeolites and porous materials: bridging the gap between nanosci-ence and technology”. Moscow, Russian Federation, 7-12 July, 2013,</p>
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
	<p>სალიცილის მუავას ეთერიფიკაციის რეაქცია ძმარმუავას ანჰიდრიდით შესწავლილია თხევად ფაზაში კატალიზატორზე, რომელიც მიღებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითის-კლინოპტილოლითური ტუფის (ძეგვის საბადო, ფაზური შედგენილობა-95%, $\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=8.03$) მოდიფიცირებით ($\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=18.9$). გრავიმეტრული და სპექტრული ანალიზის მეთოდებით ნაჩვენებია, რომ ასპირინის მაქსიმალური გამოსავლიანობა (80%) და სელექტურობა (100%) მიიღება წვრილ- და კოლოიდური დისპერსულობის კლინოპტილოლითის მოდიფიცირებულ ფორმაზე 306-353 K -ზე. მიღებული აცეტილსალიცილის მუავას დნობის ტემპერატურა და UV და FTIR-სპექტრები სრულ შესაბამისობაშია ლიტერატურულ მონაცემებთან. ამგვარად, ჰეტეროგენულ, ეკოლოგიურად სუფთა კატალიზატორზე (მოდიფიცირებული კლინოპტილოლითი) დაბალ ტემპერატურაზე და მაღალი სელექციურობით გოგირდმუავას და გამსხნელების გამოყენების გარეშე მიღებულია მნიშვნელოვანი პრეპარატი ასპირინი.</p>		

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (ლაბორატორია) დასახელება. აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორია
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ლაბ. გამგე, მთავარი მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. დოქტ. სპარტაკ უროტაძე
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
 მთავარი მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ.: იამზე ბეშქენაძე
 უფრ.მეცნ.თან., ქიმ.მეცნ.კანდ.: ნანა ოსიპოვა, თამარ კვერნაძე
 მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ.: ნანი ჟორჯოლიანი, ციალა გაბელია, ლეილა ჯაფარიძე, ეთერ სალუქვაძე, ირმა ყარალაშვილი
 მეცნ. თანამშ., აკად. დოქტორი მათა გოგალაძე
 მეცნ. თანამშ.: ნახიბროლა კლარჯეიშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	ორგანო-მინერალური დანამატები სოფლის მეურნეობაში	მთ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. იამზე ბეშქენაძე	უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნ.ოსიპოვა; მეცნ. თანამშრომლები: ნ.ჟორჯოლიანი, ი.ყარალაშვილი, მ.გოგალაძე, ნ.კლარჯეიშვილი,
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>ლაბორატორიის წლიური გეგმის შესაბამისად სინთეზირებულია ხელატური ნაერთები ზოგადი ფორმულით: $ML_1L_2 \cdot nH_2O$, სადაც $M=Mn, Zn, Fe, Co, Cu$, L_1-ამინომჟავა (გლუტამინის მჟავა, მეთიონინი), L_2-ლიმონის მჟავა, $n=0 \div 6$. სინთეზირებული ნაერთების ინდივიდუალობა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები შესწავლილია მიკროელემენტური ანალიზის, ლღობის ტემპერატურის გაზომვით, თერმოგრაფიული და სპექტროფოტომეტრული მეთოდებით. სინთეზირებული ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლის მიზნით, მათ საფუძველზე შეიქმნა ფიტორეგულატორი, რომლის 5%-იანი მუშა სხნარი გამოიცადა საველე პირობებში კარტოფილის კულტურაზე. მთელი ვეგეტაციის პერიოდში მიმდინარეობდა ფენოლოგიური დაკვირვებები, ასევე მოხდა მავნებელ-დაავადებათა აღრიცხვა, ჩატარდა ბიომეტრული გამოკვლევები. ჩატარებული მინდვრული ექსპერიმენტის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ფიტორეგულატორის გამოყენება კარტოფილის კულტურაზე იწვევს მავნებელ-დაავადებათა გავრცელება-განვითარების მნიშვნელოვან შემცირებას, მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მატებას (10-15%-ით).</p>			
2.	ბუნებრივი მინერალები, მათი მოდიფიკაციები და გამოყენების შესაძლებლობები	მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. ციალა გაბელია	უფრ. მეცნ. თანამშრომლები: თ.კვერნაძე, ნ.ოსიპოვა; მეცნ. თანამშრომლები: ლ.ჯაფარიძე, ე.სალუქვაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
1.	<p>ამ ამოცანის გადაჭრაში თავისი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ იაფი ნედლეულის - ტორფის და სოფლის მეურნეობის ნარჩენების (მელასა, სიმინდის ნაჭუჩი) საფუძველზე სინთეზირებულმა, ბიოლოგიურად აქტიური ლიგანდებისა სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (Fe, Co, Cu და ა.შ.) შემცველმა ხელატურმა ნაერთებმა (ბიოსტიმულატორებმა). დადგენილია აღნიშნული ბიოსტიმულატორების მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტი. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ისინი გამოირჩევიან წყალში კარგი ხსნადობით, არატოქსიკურობით, pH-ის ფართო ინტერვალში ხასიათდებიან მდგრადობით, მიღებული შედეგების მიხედვით შედგენილი რეცეპტის საფუძველზე დამზადებული ბიოსტიმულატორები გამოცდილია მცენარეულ კულტურებზე როგორც ცალკე, ასევე ბუნებრივ ცეოლითებთან ერთად. მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგები.</p>		

**III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ბიოლითონებისა და ბუნებრივი ცეოლიტების შემცველი ახალი თაობის პრემიქსები.	უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი (უმბც)	ქიმიის მეცნ. დოქტორი სპარტაკ უროტაძე	ი.ბეშქენაძე ნ.ჟორჟოლიანი ნ.ოსიპოვა თ.კვერნაძე მ.გოგალაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
პროექტი 3 წლიანია - 2011 – 2014 წწ; 2 წლის გავით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია. ჩატარებულია საწარმოო გამოცდები კვერცხმდებელ და ბროილერის ჯიშის ქათმებზე; მიმდინარეობს გამოცდები ბოცვერებზე.				
2	ხელატები სოფლის მეურნეობაში	რუსთაველის ეროვნული ფონდი	მთ. მეცნ. თანამშრომელი, იამზე ბეშქენაძე	ნ.ჟორჟოლიანი მ.გოგალაძე ა.ჩაგელიშვილი გ.ბეღელური
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
პროექტი 2 წლიანია 2013-2015წწ. შესრულებულია სამუშაოს გარკვეული ეტაპი. სინთეზირებულია ხელატები, რომელთა საფუძველზე დამზადდა სასუქი, რომელიც გამოიცადა სიმინდის კულტურაზე. მიღებულია დამამკვებელი შედეგები. სამუშაო გრძელდება.				

**V პუბლიკაციები:
1) საქართველოში**

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებული დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
	ი. ბეშქენაძე, მ. გოგალაძე, ს. უროტაძე, ნ. ჟორჟოლიანი, ნ. ბურკიაშვილი, ლ. გოგუა	ამინომუჟავების და ლიმონის მჟავის შემცველი ხელატების სინთეზი ახალი თაობის პრემიქსების შესაქმნელად	J. Annals of Agrarian Science vol.11, #2,	Georgia, Tbilisi	3
ანოტაცია					
1	ნაჩვენებია ბიოლითონების როლი და მნიშვნელობა სასიცოცხლო პროცესებში. აღნიშნულია ფრინველთა და ცხოველთა კვებაში დანამატის სახით გამოყენებისას ბიოლითონების ხელატური ფორმის უპირატესობა მარტივ-არაორგანულ ფორმასთან შედარებით. მოცემულია სინთეზის პირობები და მიღებულია ამინომუჟავების მეთიონინის (Mt), გლუტამინის მჟავის (Gl), და ლიმონისმჟავას (H4L) შემცველი ხელატური ნაერთები ზოგადი ფორმულით: $M_2 \cdot Mt_2 \cdot L \cdot nH_2O$, სადაც $M = Mn, Zn, Fe, Co$; $n = 2-6$. $M \cdot (Mt)_2 \cdot nH_2O$, სადაც $M = Ca, Mg, Cu$; $n=2-4$, და $Ca \cdot Gl \cdot 4H_2O$, $Mg \cdot Gl \cdot 4H_2O$. სინთეზირებული ნაერთების შემადგენლობა და ინდივიდუალობა დადგენილია მიკროელემენტური ანალიზის მეთოდით და ლღობის ტემპერატურის გაზომვით. ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე ნაჩვენებია სინთეზის პირობების გავლენა ხელატური ნაერთების შემადგენლობაზე და თვისებებზე.				

2	ი. ბეშქენაძე, მ. გოგალაძე, ს. უროტაძე, ნ. ჟორჟოლიანი, ლ. გოგუა	ამინომჟავების შემცველი ციტრატების კვლევა,	საქართველოს ქიმიური ჟურნალი ტ.13, №1	საქართველო, თბილისი	4
ანოტაცია					
სინთეზირებული ნაერთების ინდივიდუალობის დაზუსტების და იზოსტრუქტურულობის დადგენის მიზნით ჩატარდა ხელატური ნაერთების: $Ca \cdot Gl \cdot 4H_2O$, $Mg \cdot Gl \cdot 4H_2O$, $Mn_2 \cdot (Mt)_2 \cdot L \cdot 4H_2O$, $Zn_2 \cdot (Mt)_2 \cdot L \cdot 2H_2O$, $Fe_2 \cdot (Mt)_2 \cdot L \cdot 6H_2O$, $Co_2 \cdot (Mt)_2 \cdot L \cdot 4H_2O$, $Cu \cdot (Mt)_2 \cdot 2H_2O$, $Mg \cdot (Mt)_2 \cdot L \cdot 4H_2O$ და მათ შემადგენლობაში შემავალი ბიოორგანული ლიგანდების მეთიონინის (Mt), გლუტამინის მჟავის (Gl) და ლიმონის მჟავას (H ₄ L) რენტგენოგრაფიული გამოკვლევა. დადგინდა, რომ ნაერთების ნაწილი რენტგენომორფულია, ხოლო ნაწილი კრისტალურ ნივთიერებებს წარმოადგენს. გამოვლინდა აგრეთვე იზოსტრუქტურული რიგები. ხელატური ნაერთების თერმული მდგრადობის და თერმოლიზის პროცესის თანმიმდევრობის შესწავლის მიზნით ჩატარდა თერმოგრაფიული გამოკვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ნაერთების თერმული დაშლა მიმდინარეობს საფეხურებად და ყველა შემთხვევაში თერმოლიზის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ლითონის ოქსიდი.					
3	ც. გაბელია, ე. სალუქვაძე, ლ. ჯაფარიძე, ო. ლომთაძე, გ. ჩიმაკაძე, ს. უროტაძე	რკინა-კობალტის შემცველი კომპლექსის ანტიანემიური აქტივობის კვლევა	Из. Национальной АН Грузии, сер. химическая, #1-2, т.39	Грузия, Тбилиси	3
ანოტაცია					
რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის სინთეზირებულია Fe,Co - ფრუქტოზის კომპლექსი, რომელიც გამოიცადა ახალშობილ გოჭებზე; პრეპარატის გამოყენების შემდეგ საცდელ გოჭებში ანემიის განვითარება არ დაფიქსირდა.					
4	ც. გაბელია, ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე	ასკან-თიხის ჰიდროფილურ-ჰიდროფობური მოდიფიკაციების მიღება და კვლევა	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	7 გვ. 28-34
ანოტაცია					
ცოცხალ ორგანიზმში რკინის დეფიციტის შევსების მიზნით მოდიფიცირებულია ასკანგელის ზედაპირი Fe-ფრუქტოზა-ასკანგელის კომპლექსით. სტრუქტურულ-მექანიკური თვისებების შესწავლის შედეგად ნაჩვენებია, რომ სუსპენზია Fe-ფრუქტოზა-ასკანგელი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელიც წაყენება სამედიცინო პრეპარატებს					
5	ი.ბეშქენაძე, ნ. ჟორჟოლიანი, მ.გოგალაძე, ს.უროტაძე, გ.ბედელური	მიკროელემენტების შემცველი ფიტორეგულატორის კვლევა	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013წ	თბილისი	5 გვ. 35-39
ანოტაცია					
სინთეზირებული ნაერთების საფუძველზე შედგენილი იქნა ფიტორეგულატორი, რომლის 5%-იანი ხსნარი გამოცდილი იქნა ხორბალზე (“ბეზოსტაია-1” და “კოპერი”) საველე პირობებში. მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგები. მინდვრული ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რათა გამოიცადოს ფიტორეგულატორი სხვა ს/ს კულტურებზე					
	ი. ბეშქენაძე, ს. უროტაძე, ნ. ჟორჟოლიანი,	ხელატების შემცველი ქიმიური დანამატი	№ 12778/02	პატენტი	

6	მ. გოგალაძე, გ. ბელელური, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე.	ფრინველთა საკვებში			
7	ი. ბეშქენაძე, ს. უროტაძე, ნ. ჟორჟოლიანი, მ. გოგალაძე, გ. ბელელური, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე.	ქიმიური დანამატი ფრინველთა კებაში	№ 12778/02	პატენტი	
8	ც. გაბელია, ს. უროტაძე, ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე	ასკან-თიხის საფუძველზე სამკურნალო საშუალების მიღების ხერხი	№ 12340/01	პატენტი	

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	ი.ბეშქენაძე, მ.გოგალაძე, ნ.ჟორჟოლიანი, ს.უროტაძე, ი.ლომთაძე	მიკროელემენტების შემც- ველი ფიტორეგულატორის კვლევა	II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქ- ტიკული კონფერენცია "ეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება" საქართველო, თბილისი თსუ, 11 - 12 ოქტომბერი
მომხსენების ანოტაცია			
შესწავლილია ნიტრილოტრიმარმუავას და მიკროელემენტების შემცველი ნაერთების საფუძველზე მომზადებული ფიტორეგულატორის გავლენა სოიას კულტურაზე. კერძოდ, დადგენილია, რომ მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სოიას მარცვლის ქიმიურ შედგენილობაზე და მის პროდუქტიულობაზე. ფიტორეგულატორის გამოყენებით 5%-ზე მეტად იზრდება მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა და მაქსიმუმს (38,16%-ს) აღწევს თესლის დამუშავების დროს.			
2	ნ.ჟორჟოლიანი, ს.უროტაძე, ნ.ოსიპოვა, .კვერნაძე, გ.ბელელური	მეთიონინშემცველი ბიომეტალების ციტრატების კვლევა წყალხსნარებში	Труды Международной Научно-прак- тической конференции «Иновационные технологии и современные материалы» Грузия, Кутаиси, 07 -08 Июня
მომხსენების ანოტაცია			
პოტენციომეტრული ტიტრაციის მეთოდით შესწავლილია მეთიონინის და ლიმონის მჟავას შემცველი ბიოლითონთა ნაერთების კომპლექსწარმოქმნა წყალხსნარებში. დადგენილია ბიოლითონთა Cu, Co, Zn, Fe, Mn, Mg-ის კომპლექსწარმოქმნის უნარი აღნიშნულ ლიგანდებთან. დადგენილია კომპლექსების მდგრადობის კონსტანტები, რომელთა სიდიდეები 5.27-6.23 ზღვრებშია. წყალხსნარების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება ნაერთების შედგენილობის შესახებ.			
3	ა. ჩაგელიშვილი, გ. ბელელური, ი. ბეშქენაძე	ხელატების გამოყენება ბროილერის კვებაში.	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტი- კული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ საქართველო, თბილისი, აგრარული უნივერსიტეტი, 3-4 ოქტომბერი
მომხსენების ანოტაცია			

<p>შესწავლილია ხელატების გავლენა ბროილერის კვებაში. დაგენილია, რომ ხელატები ზრდიან ბროილერის ცოცხალ მასას 5–8%–ით. ბროილერის შენარჩუნება შეადგენს 96.6%–ს, I კატეგორიის ტანხორცის გამოსავალი იზრდება 5–9%–ით, ხოლო III კატეგორიის ტანხორცის გამოსავალი ყველა ჯგუფში 4.0–4.2%–ს. ადგილი აქვს დაცემის და საკვების დანახარჯის შემცირებას</p>			
4	<p>ა. ჩაგელიშვილი, გ. ბელელური, მ. გოგალაძე</p>	<p>ხელატების გამოყენება ბროილერის მიერ საზრდო ნივთიერებების მონელებაზე და ბროილერის სისხლის მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ საქართველო, თბილისი, აგრარული უნივერსიტეტი, 3-4 ოქტომბერი</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>შესწავლილია ხელატების გავლენა ბროილერის მიერ საზრდო ნივთიერებების მონელებაზე და სისხლის ზოგიერთ მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე. დადგენილია, რომ ხელატების გამოყენება ბროილერის კვებაში აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, რაც ზრდის საზრდო ნივთიერებების ათვისებას და ცოცხალ მასას.</p>			
5	<p>სალუქვაძე ე., ჯაფარიძე ლ., გაბელია ც., ოსიპოვა ნ., კვერნაძე თ., უროტაძე ს.</p>	<p>ასკანთიხის ორგანულ-მინერალური მოდიფიკაციები</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ”ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”. საქართველო, ქუთაისი 07-08 ივნისი, 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>ნავთობ პროდუქტებში თერმოდესტრუქციის გზით მიღებულია ორგანომინერალური მოდიფიკაციები, შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რომელთა საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება კარბონირებული ასკანთიხის რეზინის წარმოებაში შემაჯსებლად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.</p>			
6	<p>ი. ყარალაშვილი, ნ. კლარჯიშვილი, ნ. ჯაბიშვილი, ი. ჯავაშვილი</p>	<p>ეკოლოგიურად უსაფრთხო ცეცხლმდეგი ფოსფატური კომპოზიტის (ანტიპირენი) მიღება და კვლევა.</p>	<p>საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ”ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”. საქართველო, ქუთაისი 07-08 ივნისი, 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>თერმულად მდგრადი მეტალთა ჰიდროფოსფატების საფუძველზე მიღებულია არატოქსიკური, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ცეცხლმდეგი ფოსფატური კომპოზიტი (ანტიპირენი). შესწავლილია ფოსფატური კომპოზიტით დამუშავებული მასალების ცეცხლმდეგობა და დადგენილია წვადობის ჯგუფი. წარმოდგენილი ფოსფატური კომპოზიტი მაღალ ტემპერატურაზე არ გამოყოფს დაშლის მაგნე პროდუქტებს, იხსნება ზეთოვან და ორგანულ გამხსნელებში; იგი ანიჭებს მასალებს ცეცხლმდეგობას.</p>			

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: ნავთობის ქიმიის ლაბორატორია
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **ლ.ბ. გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი** ნათელა ხეცურიანი
- I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
 - უფრ.მეცნ.თან., ქიმ.მეცნ.დოქ.:** ერნა ლეკვეიშვილი
 - უფრ.მეცნ.თან., ქიმ.მეცნ.კანდ.:** გურამ ხიტირი, ზაზა მოლოდინაშვილი, ელზა თოფურია
 - მეცნ. თანამშ., ქიმ.მეცნ.კანდ.:** ქეთევან გოდერძიშვილი, თინათინ გაბუნია, სოფიო შენგელია
 - მეცნ. თანამშ.:** ირინე მჭედლიშვილი, მადლენა ჩხაიძე, თამარ შატაკიშვილი
 - ლაბორანტი:** კონსტანტინე სიმონიშვილი, გოგა ბალხამიშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	საქართველოს ნავთობების მიზანდასახული ათვისების პერსპექტივები	მთ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. ნათელა ხეცურიანი	უფრ. მეცნ. თანამშ-ები: ე.უშარაული, ქ.გოდერძიშვილი, ზ.მოლოდინაშვილი; მეცნ. თანამშ-ები: მ.ჩხაიძე, ი.მჭედლიშვილი ლაბორანტი: გ.ბაღსამიშვილი
კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები			
საქართველოს პარაფინული ნავთობების (სამგორი, ნინოწმინდა, რუსთავი) დ.დ. 200°C ფრაქციებიდან გამოყოფილია ორგანული გამსხნელების – პეტროლეინის ეთერი (30–80°C), გამსხნელი რეზინის მრეწველობისათვის (80–120°C), უაიტ სპირიტი (150–200°C) და ტექნიკური გამსხნელი (50–180°C) – შესაბამისი ფრაქციები და შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. მიღებული შედეგები აკმაყოფილებენ ამ გამსხნელებისათვის სტანდარტით წაყენებულ მოთხოვნებს.			
2	წვადი წიაღისეულის გამოყენების პერსპექტივები	მთ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. ნათელა ხეცურიანი	უფრ. მეცნ. თანამშრომლები: ე.თოფურია, ე.ღვებიაშვილი; მეცნ. თანამშრომლები: ს.შენგელია, თ.შატაკიშვილი ლაბორანტი კ.სიმონიშვილი
კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები			
შესწავლილია წვადი ნახშირბადშემცველი ნარჩენების – ტყვარჩელის ქვანახშირი, ვალე-ახალციხის მურა ნახშირი, დსპ-ს და მერქნის (ფიჭვი და ნაძვი) ნახერხი – და შემკვრელების (ბუნებრივი ბიტუმები და მწარე ხევის ნავთობი) ტექნიკური და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. მიღებულია საცდელი კომპოზიციები და მიმდინარეობს მათი მახასიათებლების შესწავლა.			
3	ნავთობური ნარჩენების ემულსიების დაშლა ეფექტური დეემულგატორების და სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით	უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. გ. ხიტირი	მეცნ. თანამშრომელი თ. გაბუნია
კვლევითი სამუშაოს პირველი და მეორე ეტაპების შედეგები (ანოტაცია)			
შესწავლილია მდგრადი ემულსიები წყლის სხვადასხვა შემცველობით. ნაჩვენებია გაუწველობის და მექანიკური მინარევების მოშორება დეემულგატორ დისოლვანის გამოყენებით გამსხნელ პიროლიზურ ფისში. ოპტიმალურ პირობებში სტანდარტის მიხედვით მიღებულია ფლოტის მაზუთის სხვადასხვა მარკები და საწვავი მაზუთი.			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საწვავი ბრიკეტების კომპოზიციების შემუშავება და მათი მიღების ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენა ნახშირბადშემცველი ნარჩენების უტილიზაციის საფუძველზე	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; თანადაფინანსებელი: ოსშ	ნათელა ხეცურიანი	ე.თოფურია ე.უშარაული ზ.გონგლიაშვილი ქ.გოდერძიშვილი ი.მჭედლიშვილი მ.ჩხაიძე ზ.მოლოდინაშვილი კ.სიმონიშვილი

პროექტის პირველი ეტაპის შედეგები				
მოძიებული და დამუშავებულია მონაცემები საქართველოში არსებული იმ ნახშირბად-შემცველი ნარჩენების და შემკვერი მასალების მარაგების შესახებ, რომლებიც საჭიროა წვადი კომპოზიტების დასამზადებლად. შედგენილია საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული მარაგების განაწილების რუკა.				
№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ნავთობსადენის ნარჩენის რაციონალური გადამუშავების მეთოდები (ხელშეკრულება 30/29)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; თანადამფინანსებელი: მსუ	გურამ ხიტერი	გ.ხიტერი ი.ჩიკვაძე თ.გაბუნია
პროექტის პირველი ეტაპის შედეგები (ანოტაცია)				
ნარჩენის პირველადი გადამუშავების შედეგად განსაზღვრულია წყლის და მექანიკური მინარეგების შემცველობა და ნარჩენის ფიზიკო-ქიმიური თვისებები. განსაზღვრულია ნარჩენის ჯგუფური და ინდივიდუალური შედგენილობა. ნაჩვენებია ნარჩენის ფრაქციული შემადგენლობა და მასში პარაფინების და ცერეზინების უნიკალურად მაღალი შემცველობა.				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ნ. გელაშვილი, ზ.მოლოდინაშვილი, გ. პაპავა, ნ.დოსტურიშვილი, ნ. მაისურაძე, ნ. ხეცურიანი, ვ. შეროზია	ნავთობის სხვადასხვა ფრაქციებით გაჯერებული ფორვანი პოლიმერის დესორბციის პროცესის კვლევა	Georgian Engineering News # 1, 2013	Tbilisi	pp.142—146
ანოტაცია					
მიღებულია ახალი ტიპის ჰიბრიდული ფორვანი პოლიმერები ამიდური ტიპის ოლიგომერებისა და მოდიფიცირებული ბუნებრივი სორბენტების საფუძველზე. მიღებული პოლიმერებისთვის დამახასიათებელია მაღალი სორბციულობა და უნარი იტივტივოს წყლის ზედაპირზე ადსორბირებულ ნივთიერებებთან ერთად. მათთვის დამახასიათებელია მაღალი სელექტიურობა, ცეცხლგამძლეობა და თვისებების ცვალებადობა ფართო დიაპაზონში საწყისი ნივთიერების სტრუქტურისა და თანაფარდობის შესაბამისად. მიღებული სორბენტები ხასიათდებიან რეგენერაციის უნარით დესორბციის შემდეგ, რაც იძლევა მათი მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობას.					
2	ნ.ხეცურიანი, ზ.მოლოდინაშვილი, გ.შავგულიძე, თ.სვანიძე	საქართველოს ზოგიერთი ახალი ჭაბურღილის ნავთობების კვლევა	Georgian Engineering News # 1, 2013	Tbilisi	pp.147—152
ანოტაცია					
სტატია ეძღვნება საქართველოში ნავთობმრეწველობის განვითარების პერსპექტივებს. განიხილება უცხოური კომპანიების საქმიანობა საქართველოში და მათი როლი ნავთობის მოპოვების საქმეში.შესწავლილია ცაცხენისისა და ნორიოს სამადლოების ახალი ჭაბურღილების ნავთობების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. მსუბუქი ფრაქციების გამოსავალმა შეადგინა 98%. ორივე საბადოს ნავთობი წარმოადგენს კარგ ნედლეულს					

სასაქონლო მცირეღირებულ ნავთობპროდუქტების წარმოებისთვის.					
3.	ე.თოფურია, ე.უშარაული, ზ.გონგლიაშვილი, ქ.გოლდერძიშვილი, ი.მჭედლიშვილი, მ.ჩხაიძე ზ.მოლოდინაშვილი, ნ.ხეცურიანი.	საქართველოს მეორადი ენერგეტიკული ნედლეულიდან წვადი ბრიკეტების მიღების პერსპექტივები	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	6 გვ. 71-76
ანოტაცია					
სტატიაში განხილულია საქართველოში გარემოში წვადი ნახშირბადშემცველი ნარჩენების უტილიზაცია და წვადი წიაღისეულის გამოყენებით ალტერნატიული, იაფი და ეკოლოგიურად სუფთა წვადი კომპოზიტების დამზადების პერსპექტივები					
4.	ნ. ხეცურიანი, ზ.მოლოდინაშვილი, მ. ჩხაიძე, ქ. გოლდერძიშვილი	ნამუშევარი ნავთობური ზეთების რეგენერაცია და გამოყენება	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები, 2013	თბილისი	გვ. 60-64
ანოტაცია					
მოწოდებულია ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის სქემა, რომელიც მოიცავს ნედლეულისაგან წყლის და შლამის წინასწარ მოცილებას დაწვდომით, ფილტრაციას, ატმოსფერულ და ვაკუუმგამოხდას, კონტაქტურ გაწმენდას გააქტივებული გუმბრინით (5-10% მას.), პროდუქტის და ადსორბენტის ვაკუუმ დაყოფას. რეკომენდებულია პროცესში წარმოქმნილი პროდუქტების გამოყენების გზები.					
5.	ე. უშარაული, ზ.გონგლიაშვილი, ე. თოფურია, ი. მჭედლიშვილი, ნ. ხეცურიანი.	შირაქის წყების ნავთობებისა და ბიტუმების კვლევა.	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	6 გვ. 65-70
ანოტაცია					
შესწავლილია შირაქის წყების ნავთობებისა (მცირე შირაქი, მირზაანი, ტარიბანი) და ჩაკირული ქანის ბიტუმის ქიმიური შემადგენლობა. განსხვავებით ტარიბანის ნავთობისგან, მცირე შირაქისა და მირზაანის ნავთობები მსგავსი ქიმიური შემადგენლობით ხასიათდებიან. ჩაკირული ქანის ბიტუმი აღნიშნული ნავთობებისაგან განსხვავდება ჟანგბადისა და ფისოვან-ასფალტენური ნაერთების მაღალი შემცველობით, რაც გამოფიტვის სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის შედეგად უნდა ჩაითვალოს.					
6	გ. ხიტირი, თ. გაბუნია, მ. წურწუშია ზ.ამირიძე	ლიალური წყლებიდან ნავთობპროდუქტების მიღების შესაძლებლობა	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	6 გვ. 77-78
ანოტაცია					
გაუწყლოებისა და მექანიკური მინარევების მოცილების მიზნით ლიალური წყლების შესწავლის შედეგად ნაჩვენებია ფლოტის მაზუთის რამდენიმე მარკის და საწვავი მაზუტის მიღების შესაძლებლობა.					
7	ს. შენგელია, ქ. გამყრელიძე, ო. უსტიაშვილი, დ. შენგელია	საქართველოში ნავთობ-გაზომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების მოკლე ისტორია	საქართველოს ქიმიური ჟურნალი ტ. 13, №1, 2013	თბილისი	4 გვ.
ანოტაცია					
სტატიაში წარმოდგენილია მოკლე ისტორია საქართველოში ნავთობ-გაზომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ისტორია					
8	გ. ხიტირი, თ. გაბუნია,	ლიალური წყლებიდან ნავთობპროდუქტების მიღების შესაძლებლობა	საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის მაცნე,	თბილისი	გადაცემული დასაბეჭდად

მ. წურწუშია ზ.ამირიძე	ტების მიღების შესაძლებლობა	ქიმიური სერია ტ. 40, №3, 2013	
ანოტაცია			
გაუწყლოებისა და მექანიკური მინარევების მოცილების მიზნით ლიალური წყლების შესწავლის შედეგად ნახვენებია ფლოტის მაზუთის რამდენიმე მარკის და სავვაი მაზუტის მიღების შესაძლებლობა.			

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ლეკვიშვილი, ნ. ლეკვიშვილი, ხ. ბარაბაძე.	საქართველოს ნავ- თობებიდან მაღალ- მდუღარე პოლიციკ- ლური არომატული ნახშირწყალბადების გამოყოფა და მათი კვლევა სხვადასხვა ფიზიკური მეთოდებ- ით.	Вестник государст-венного инженер-ного университета Армении. Серия Химические и природоохранные технологии. Вып. 16, № 11, 2013	Ереван	с. 32—40

შესწავლილია საქართველოს ნავთობების ზოგიერთი პოლიციკლური არომატული ნახშირ-
წყალბადები. აღნიშნული ნახშირწყალბადების გამოყოფისა და დაყოფის კომპლექსური
მეთოდი პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მალეინის ანჰიდრიდთან ურთი-
ერთქმედების საფუძველზე. ნავთობებიდან გამოყოფილია აღნიშნული ნახშირწყალბადების
კონცენტრატები და მათში იდენტიფიცირებულია ფენანტრენების, მათი ბენზოლოგებისა და
ნაფტენოლოგების მთელი სერია.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	ნ.ხეცურიანი, ე.თოფურია, ნ.თოდუა, კ.გონსალესი, ა.მიქაია.	ნორიოს ნავთობის მაღალ- მდუღარე ფრაქციის პოლი- ციკლური არომატული ნახ- შირწყალბადების შესწავლა ქრომატო-მასსპექტრომეტრუ- ლი მეთოდით	Eastern Analytical Symposium (EAS) Monday, USA, 2013
მომხსენების ანოტაცია			
ვაკუუმ-გაზოილის ფრაქციის (340-590°C) ქრომატო-მასსპექტრალური შესწავლით დადგე- ნილია, რომ იგი შეადგენს ნორიოს ნავთობის (საქართველო) დაახლოებით 28%. სარექტიფიკაციო სვეტზე გამოყოფილი იქნა 876 ფარქცია და 78 ბენზოლოური ელუატი. ქრომატო-მასსპექტრალური მონაცემები დამუშავდა ავტომატიზირებული მას-სპექტრა- ლური დეკონვოლუციისა და იდენტიფიკაციის სისტემის მეშვეობით (AMDIS). განხილუ- ლია ზოგიერთი არომატული ნახშირწყალბადის და მათი ჰეტეროანალოგების აირქრომა- ტოგრაფიული შეკავების ინდექსები და ფრაგმენტაცია ელექტრონული იონიზაციის პირობებში. იდენტიფიცირებულია შემდეგი ნაერთების იზომერები: მონო- და პოლია- ლკილ-ინდენები, ტეტრალინები, დინაფტილბენზოლები, ნაფტალინები, აცენაფტილენები, ფლუორენები, ფენანტრენები, ნაფტოფლუორენები და ფენანტრენები, პირენები და ქრიზენები.			

2	ეთოფურია, ნ.ხეცურიანი, კ.ტრეტიაკოვი, კ.გონსალესი, ა.მიქაია.	საქართველოს ნავთობების მაღალმდულარე ფრაქციების ნაჯერი ნახშირწყალბადების შესწავლა ქრომატო-მას-სპექტრომეტრული მეთოდით	Eastern Analytical Symposium (EAS) Monday, USA, 2013
მოსხენების ანოტაცია			
ქართული ნავთობების მაღალმდულარე ფრაქციებში განსაზღვრულია მონო-, დი-, ტრი- და ტეტრაციკლური ნაჯერი ნახშირწყალბადების და მათი ალკილნაცვლებული ჰომოლოგების სტრუქტურები. დაყოფის მეთოდებად გამოყენებული იყო დისტილაცია, ადსორბციული ქრომატოგრაფია, მრავალსაფეხურიანი თერმოდირეფიზია და ექსტრაციული კრისტალიზაცია თიოშარდოვანით. ქრომატო-მას-სპექტრალური მონაცემები გაანალიზებული იქნა ავტომატიზირებული მას-სპექტრალური დეკონვოლუციისა და იდენტიფიკაციის სისტემის მეშვეობით (AMDIS). მას-სპექტრალური მონაცემებისა და აირქრომატოგრაფიული ინდექსების შეფასების კომპლექსურმა შესწავლით დადგენილია რეგიონ-იზომერების დიფერენციაცია. განხილულია ტრი- და ტეტრაციკლოალკანების საერთო და კონკრეტული ფრაგმენტაციის გზები ელექტრონული იონიზაციის პირობებში.			

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: - ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი პაპავა
- I. 3. ლაბორატორიის პერსონალური შემადგენლობა:
 - უფრ. მეცნ. თანამშრ., ქიმ. მეცნ. კანდიდატი: მარინა გურგენიშვილი, ეთერ გავაშელიძე, ია ჩიტრეკაშვილი
 - მეცნ. თანამშრ., ქიმ. მეცნ. კანდიდატი: ნუნუ მაისურაძე, ნორა დოსტურიშვილი, ნაზი გელაშვილი
 - მეცნ. თანამშრ., ტექ. მეცნ. კანდიდატი: ვიტალი შეროზია
 - მეცნ. თანამშრ.: ზურაბ თაბუკაშვილი, ნანული ხოტენაშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	ანტიფრიქციული მასალების მიღება პოლიმერული კომპოზიციების საფუძველზე	ქიმ. მეცნ. დოქტ., პროფ. გივი პაპავა უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. მარინა გურგენიშვილი	უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ე.გავაშელიძე; მეცნ. თანამშრომლები: ნ.მაისურაძე, ნ.დოსტურიშვილი, ნ.გელაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
კვლევის მიზანს შეადგენდა ახალი სახის ანტიფრიქციული თვითშემზოთავი კომპოზიციების შემუშავება, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები – ხახუნის დაბალი კოეფიციენტი, ცვეთამედეგობა, მექანიკური სიმტკიცე, მდგრადობა წყლიან გარემოში და ა.შ. ამ მიზნით შემუშავებული იქნა ახალი, ინოვაციური მიდგომა – შემავსებლის სახით, გრაფიტის დისპერსიული ფხვნილის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა ნაწილად განზომილებიანი ფხვნილები რომელთა ზედაპირი მოდიფიცირებული იყო ფტორშემცველი ოლიგომერით. ასეთი კომპოზიციების გადამუშავება კომპოზიტად ტრადიციულ, სტატიკურ (ცხლად დაწნეხვა) მეთოდთან ერთად ხორციელდებოდა დინამიკური (დარტყმითი ტალღით) კომპაქტირების მეთოდითაც. ნაწილად ფხვნილის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის გრაფიტის მარცვლების შეხების კუთხურ ზედაპირს და, შესაბამისად, კომპოზიტის თბოგამტარობას, ხოლო მოდიფიცირებული გრაფიტისა და პოლიმერული მატრიცის ერთობლივი გამოყენებით შესაძლებელი გახდა კომპოზიტის ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელოვნად შემცირება, მექანიკური სიმტკიცისა და თბო-			

<p>და ცვეთამედვეობის გაზრდა. მიღებულია ანტიფრიქციული მასალები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საპოხის გარეშე წყლიან გარემოში და ვაკუუმში საექსპლუატაციოდ. ამ მასალისაგან დამზადებული ანტიფრიქციული კვანძები (საკისრები, მილები, ანტიფრიქციული ფირფიტები, სხვადასხვა დანადგარების მილტუჩების შეერთების სატენი, მიმმართველები, კბილანები და სხვ.) შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სტანდარტულ, ასევე არასტანდარტულ (კონკრეტული დანიშნულების) იმ მანქანებში, ხელსაწყოებში, აგრეგატებში და მოწყობილობებში, რომელთა ექსპლუატაცია უწევთ მაღალი ტენიანობის პირობებში, წყლიან და აბრაზიულ გარემოში. ასეთ გარემოს წარმოადგენენ გვირაბები, შახტები, პორტები, სამთომომპოვებელი და გადაამუშავებელი წარმოებები, მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, სოფლის მეურნეობა, რადიოაქტიური წყალხსნარები და სხვა.</p>			
2	<p>ბუნებრივი მინერალური ნედლეულის - დიატომიტის საფუძველზე ახალი ტიპის ჰიბრიდული იონიტების მიღება</p>	<p>უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ქ.მ.კ. მარინა გურგენიშვილი</p>	<p>მთ. მეცნ. თანამშრომელი, გ.პაპავა, უფრ. მეცნ. თანამშრომელი ი. ჩიტრეკაშვილი; მეცნ. თანამშრომლები: ზ.თაბუკაშვილი, ნ.ხოტენაშვილი</p>
<p>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>კვლევები განხორციელდა ბუნებრივი მინერალური სორბენტის – დიატომიტის საფუძველზე ახალი ტიპის ჰიბრიდული იონიტების მისაღებად. დამუშავდა მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება დიატომიტის ფორებში ორგანული ნივთიერებების მოლეკულების ჩანერგვა და ფორებში პოლიკონდენსაციის რეაქციების ჩატარება. პოლიკონდენსაციის შედეგად ფორებში წარმოქმნილ პოლიმერებში შემდგომ ეტაპზე განხორციელდა იონოგენური ჯგუფების ჩანაცვლება და მაღალი იონმიმოცვლითი უნარის მქონე თერმო-, თბო- და ქიმიურად მედეგი იონიტების მიღება. ბუნებრივი მინერალური ნედლეულის – დიატომიტის მზა ჩონჩხის გამოყენება საშუალებას იძლევა დაზოგილ იქნას სინთეზური პოლიმერები და ამ პოლიმერების რეაქციის-უნარიანი ის ცენტრები, რომელთა ხარჯზედაც ხორციელდება იონიტებისათვის აუცილებელი სივრცითი სტრუქტურის წარმოქმნა. მიღებულია მაღალი იონმიმოცვლითი ტევადობის მქონე ქიმიურად, თბო- და თერმო- მედეგი ჰიბრიდული ტიპის იონიტები.</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	<p>ახალი ტიპის სპილენძ-გრაფიტის კლასის ანტიფრიქციული მასალების მიღების ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ქიმ. მეცნ.კანდ., უფრ. მეცნ.თანამშრომელი ია ჩიტრეკაშვილი</p>	<p>ვ.შეროზია, ნ.დოხტურიშვილი, გ.პაპავა, მ.გურგენიშვილი</p>
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>				
<p>შესწავლილია მულტიკომპონენტური კომპოზიციების მიღების მეთოდიკა. განხორციელდა გრაფიტის პლაკირება სპილენძის ოქსიდთან და შემდგომში მისი ჰიდრირებით მიღებულია სპილენძით პლაკირებული მასალები, გრაფიტის ზედაპირზე ლითონური სპილენძის ნანოკრისტალური შერევით. შესწავლილია გრაფიტის ზედაპირის სპილენძის ოქსიდით და მის საფუძველზე ნანოკრისტალური სპილენძის შრით პლაკირების პროცესი. დადგენილია პროცესის ოპტიმალური პირობები. რენტგენოსტრუქტურული ანალიზით ნაჩვენებია, რომ პროცესი მრავალსტადიურია. დამუშავებულია დანაფარის სისიქის განსაზღვრის მეთოდიკა. დანაფარის ფაზური შემადგენლობა რენტგენოსტრუქტურული ანალიზით. შესწავლილია 0,5-2 მკმ, 4-6 მკმ და 7-10 მკმ სპილენძით პლაკირებული ფხვნილების დარტყმითი ტალღით კომპაქტირების პროცესი. რენტგენოფაზური ანალიზით ნაჩვენებია, რომ კომპაქტირების პროცესში ახალი ფაზის წარმოქმნა არ ხდება.</p>				
	<p>ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება ახალი თაობის</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული</p>	<p>მეცნიერებათა დოქტორი ელდარ</p>	<p>პაპავა გივი, ლომთათიძე, ზაურ,</p>

2	პროლონგირებული მოქმედების აზოტოვანი სასუქების მისაღებად გარემოს დაბინძურებისაგან დაცვისა და მევენახეობაში გამოყენების მიზნით.	სამეცნიერო ფონდი	გუგავა	ლიპარტელიანი რივა, სოტენაშვილი ნანული, გელაშვილი ნაზი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>გრანტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად მოძიებული იქნა არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. სინთეზისა და კვლევების ჩასატარებლად მომზადებული იქნა საჭირო აპარატურა და ხელსაწყოები. დამზადებულია ტიტრიანი ხსნარები. სამუშაო მდგომარეობასია მოყვანილი სპექტრო-ფოტომეტრი, pH-მეტრი, ქრომატოგრაფი და სხვა დამხმარე საშუალებები. აღებულია აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში (თელავი, გურჯაანი) საკვლევი ობიექტებიდან საანალიზოდ 50 ნიადაგის ნიმუში კვლევებისათვის. განხორციელდა სივრცითი სტრუქტურის მქონე, პროლონგირებული მოქმედების აზოტოვანი სასუქის სინთეზი კარბამიდის საფუძველზე. სინთეზი ჩატარდა როგორც ნაღვლოში, ასევე ხსნარში. საწყისი კომპონენტების (კარბამიდისა და ალდეჰიდური კომპონენტის) მოლური თანაფარდობა შესაბამისად იყო: 1:1,3; 1:1,4; 1:1,5; 1:1,7; 1:1,8; 1:2,0. მიღებული სტრუქტურირებული სასუქი გამოიცადა ლაბორატორიულ პირობებში, კონკრეტულად, განსაზღვრულია ხსნადი ნაწილი. 1,3 მოლური თანაფარდობისას ხსნადი ნაწილი შეადგენს 10%-ს. ალდეჰიდური კომპონენტის მოლური წილის გაზრდისას, სტრუქტურირებული პროდუქტის ხსნადობა მკვეთრად მცირდება. 1,5 მოლური თანაფარდობისას იგი წყალში პრაქტიკულად აღარ იხსნება.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებული დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	2	3	4	5	6
1	ნ.მაისურაძე, ნ.დოსტურიშვილი, ნ.გელაშვილი, ე.გავაშელიძე, შ.პაპავა, ვ.შეროზია, გ.პაპავა, რ.ლიპარტელიანი	რეზოლური ოლიგომერის შემცველი პოლიმერული კომპოზიციების გადამუშავების ოპტიმალური პირობების დადგენა ფაქტორული ექსპერიმენტის გზით	საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია, ტ. 39, №3-4,	თბილისი	3 გვ. 226-228
ანოტაცია					
<p>ფაქტორული ექსპერიმენტის გზით დადგენილია ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები. პოლიმერულ კომპოზიციაში მატრიცად გამოყენებულია ბენზოლის ტიპის თერმორეაქტიული ოლიგომერი, შემავსებლად არამოდიფიცირებული დიატომიტი. დადგენილია გადამუშავების ოპტიმალური პირობები: ტემპერატურა – 180°C, ხვედრითი წნევა – 60მპა, დაყოვნების დრო - 40წთ ნაკეთობის 1მმ სისქეზე.</p>					
2	გ. პაპავა, ნ. გელაშვილი, ე. გავაშელიძე, ნ. მაისურაძე, ნ. დოსტურიშვილი, ზ. თაბუკაშვილი, ნ. მაისურაძე	“ნოვოლაქის ტიპის პოლიმერული კომპოზიციები და პლასტიკური მასალები მათ საფუძველზე”	საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია ტ. 39, №3-4, გვ. 184-186	თბილისი	3
ანოტაცია					

	<p>თერმული გადამუშავებისას კომპრესული დაწნეხვით მიღებულია პლასტიკური მასალები ნოვოლაქური ტიპის პოლიმერული კომპოზიციების საფუძველზე, რომლებიც შემავსებლად შეიცავენ მინერალურ ნედლეულს – დიატომიტს. შესწავლილი იქნა მათი მექანიკური და დიელექტრიკული თვისებები. დადგენილია რომ ოპტიმალურია, როდესაც კომპოზიციაში დიატომიტის შემცველობა 40-60მას%-ია. ნაკეთობები, რომლებიც მიღებულია ასეთი პოლიმერული კომპოზიციების საფუძველზე რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად უკეთესი მაჩვენებლით ხასიათდებიან დღეისათვის ცნობილი სამრეწველო ანალოგიური დანიშნულების პოლიმერული კომპოზიციების საფუძველზე მიღებულ ნაკეთობებთან შედარებით.</p>				
3	<p>გ. პაპავა, ვ. შეროზია, ნ. დოხტურიშვილი, ნ. მაისურაძე, მ. გურგენიშვილი, ი. ჩიტრეკაშვილი</p>	<p>გრაფიტის სპილენძით პლაკირების პროცესის შესწავლა.</p>	<p>“Georgian Engineering News” #3</p>	<p>თბილისი</p>	<p>4</p>
	ანოტაცია				
	<p>ანტიფრიქციული მასალების მისაღებად განხორციელებულია გრაფიტის პლაკირება სპილენძით. შესწავლილია პლაკირების პროცესი და ამ პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა. დადგენილია პლაკირების პროცესის ოპტიმალური პირობები: გამოსავალი კომპონენტების ბუნება, სარეაქციო არეში საწყისი კომპონენტების საწყისი კონცენტრაცია და მოლური თანაფარდობა, ტემპერატურა, რეაქციის ხანგრძლივობა.</p>				
4	<p>გელაშვილი ნ., მოლოდინაშვილი ზ, პაპავა ქ., დოხტურიშვილი ნ., მაისურაძე ნ., ხეცურიანი ნ., შეროზია ვ.</p>	<p>ნავთობის სხვადასხვა ფრაქციებით გაჯერებული ფოროვანი პოლიმერების დესორბციის პროცესის შესწავლა.</p>	<p>“Georgian Engineering News” №1 pp. 79-83</p>	<p>თბილისი</p>	<p>5</p>
	ანოტაცია				
	<p>ამიდური ტიპის ოლიგომერებისა დამოდიფიცირებული ბუნებრივი მინერალური სორბენტების საფუძველზე მიღებულია ახალი სახის ფოროვანი ჰიბრიდული პოლიმერები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სორბციისა და წყალზე ტივტივის უნარით. კვლევა ჩატარებულია ნავთობის მძიმე ფრაქციებზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ეს მასალები გამოყენებული იქნას ნავთობის პროდუქტებით დაბინძურებული წყლის გასაწმენდად. აღნიშნული მასალები ხასიათდებიან რეგენერაციის უნარით, რაც საშუალებას იძლევა, დესორბციის შედეგად, ისინი გამოყენებული იქნას მრავალჯერადად.</p>				
5	<p>გ. პაპავა, ვ. შეროზია, ნ.დოხტურიშვილი, ი. ჩიტრეკაშვილი, მ. გურგენიშვილი, რ. ცისკარიშვილი, შ. პაპავა, რ. ლიპარტელიანი, ნ. ხოტენაშვილი</p>	<p>“ქიმიური მეთოდით გრაფიტის ფხვნილის სპილენძით პლაკირების პროცესის შესწავლა”</p>	<p>საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია ტ. 39, №3-4, გვ. 179-183</p>	<p>თბილისი</p>	<p>5</p>
	ანოტაცია				
	<p>შესწავლილია გრაფიტის დისპერსიული ფხვნილის სპილენძით პლაკირების პროცესი სპილენძის მარილის გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ ეს პროცესი სამსტადიანია. პირველი სტადია მოიცავს გრაფიტის ფხვნილის ზედაპირზე სპილენძის ჰიდროქსიდის დანაფარის მიღებას, მეორე – მის გარდაქმნას სპილენძის ორვალენტიან ოქსიდად, ხოლო მესამე ამ ოქსიდის აღდგენას სპილენძამდე. მიღებულია შედეგები ამ პროცესის ყველა ძირითადი პარამეტრების პლაკირების ხარისხზე გავლენის შესახებ.</p>				
6	<p>გუგავა ე., ლომთათიძე ზ., პაპავა გ., გოროზია ი.</p>	<p>სინთეზური სასუქების საფუძველზე პროლონგირებული მოქმედების ბიოკომპოზიტების მიღების ახალი ტექ-</p>	<p>მიკრობიოლოგია და ბიოტექნოლოგია. ტომი №4, 2013წ</p>	<p>თბილისი</p>	<p>6</p>

	ნოლოგია და აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმები მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად.				
ანოტაცია					
მარცვლოვანების მოსავლიანობის ასამაღლებლად, სინთეზური სასუქების და აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმების საფუძველზე დამუშავებულია პროლონგირებული მოქმედების ბიოკომპოზიტების მიღების ახალი ტექნოლოგია. მოსავლიანობის ინდექსების მიხედვით, ამ ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად, ჰექტარზე აზოტის გამოყენების ნორმები მცირდება 40-55%-ით, ხოლო მოსავლიანობა იზრდება 17,2-27,5%-ით.					
7	ე. გუბავა, ზ. ლომთათიძე, გ. პაპავა, ი. გოროზია.	კარბამიდის საფუძველზე ბიოდეგრადირებადი აზოტოვანი სასუქების შემცველი კომპოზიტების სინთეზი.	“Труды института микробиологии национальной Академии наук Азербайджана” ტომი 11, №1	ბაქო	5 გვ. 324-328.
ანოტაცია					
სტრუქტურირებული კარბამიდის საფუძველზე მიღებულია პროლონგირებული მოქმედების კომპოზიციები, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად უსაფრთხო სასუქის სახით.					
8	მ.გურგენიშვილი, ი.ჩიტრეკაშვილი, გ.პაპავა, შ.პაპავა, ვ.შეროზია, რ.ცისკარიშვილი, ნ.ხოტენაშვილი, ზ.თაბუკაშვილი	სუსტი მჟავა კათიონები ცეოლითების საფუძველზე	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	3 გვ. 79-83
ანოტაცია					
მოდულიზირებული ცეოლითის და ჰალოგენწარმოებული მჟავას საფუძველზე სინთეზირებულია სუსტი მჟავა კათიონი ცეოლითის კარკასში ჩანაცვლებული კაპროქსილის იონოგენური ჯგუფით. შესწავლილია მიღებული კათიონის იონმიმოცვლითი ტევადობა და ქიმიური მედეობა.					
9	ი.ჩიტრეკაშვილი, მ.გურგენიშვილი, გ.პაპავა, ვ.შეროზია, ქ.პაპავა, ნ.ხოტენაშვილი, ზ.თაბუკაშვილი	ჰიბრიდული იონები ცეოლითების საფუძველზე	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	3 გვ. 84-88
ანოტაცია					
კლინოპტილოლიტის წყალბადური ფორმის და ქლორჩანაცვლებული ორგანული მჟავას საფუძველზე სინთეზირებულია სუსტი იონოგენური ჯგუფის შემცველი ჰიბრიდული კათიონი. მიღებული იონიტი გამოირჩევა მაღალი მექანიკური სიმტკიცით და იონმიმოცვლითი ტევადობით. კათიონიტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ექსტრემალურ პირობებში(მაღალ ტემპერატურაზე) სამუშაოდ.					
10	გ.პაპავა, ე. გუბავა,ნ. მაისურაძე. ნ.დოხტურიშვილი, ნ. გელაშვილი, ე.გავაშელიძე, მ.გურგენიშვილი, ი.ჩიტრეკაშვილი, რ.ღიპარტელიანი	მარცვლეული კულტურების მოსავლის ასამაღლებლად პროლონგირებული სინთეზური სასუქისა და მიკროორგანიზმების შემცველი ბიოკომპოზიტების ტექნოლოგიის	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	3 გვ. 89-93

	შემუშავება				
ანოტაცია					
სინთეზირებულია ნიადაგში ნელი ტემპით დეგრადირებადი პროლონგირებული მოქმედების აზოტშემცველი სასუქი. ნიადაგიდან გამოყოფილია ურობაქტერიების აქტიური შტამი, რომელიც შლის სტრუქტურირებულ კარბამიდს ნიადაგში ამიაკის გამოყოფით. მიღებულია სტრუქტურირებული კარბამიდის და თავისუფლად მცხოვრები აზოტმაფიქსირებელი მიკროორგანიზმების ეკოლოგიურად სუფთა ბიოკომპოზიტები, რომლებიც მარცვლეული კულტურების მოსავალს ზრდიან დაახლოებით 17,2–27, 5%-ით და აზოტის საჰექტარო ნორმებს ამცირებენ 40–55%-ით.					
11	ნ.მაისურაძე, ნ.დოხტურიშვილი, ნ.გელაშვილი, ე.გავაშელიძე, რ. ლიპარტელიანი, ვ.შეროზია, გ.პაპავა	თერმორეაქტიული პოლიმერული კომპოზიციების გადამუშავების ოპტიმალური პირობების დადგენა ფაქტორული ექსპერიმენტის გზით	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	3 გვ. 94-98
ანოტაცია					
პოლიმერული კომპოზიციების გადამუშავებისას ფაქტორული ექსპერიმენტის გზით, დადგენილია ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები.					
12	გ.პაპავა, ვ.შეროზია, ე.გუგავა, ნ.დოხტურიშვილი, ნ.მაისურაძე, მ.გურგენიშვილი, ი.ჩიტრეკაშვილი, ე.გავაშელიძე, შ.პაპავა	გრაფიტის სპილენძით პლაკირებული კომპოზიციის მიღების ხერხი	პატენტი განაცხადი: AU 2013013255		
ანოტაცია					
დამუშავებულია მაღალი მექანიკური, თბოფიზიკური და ელექტრული თვისებებისა და გამოყენების ფართო სპექტრის მქონე ახალი ტიპის სპილენძ-გრაფიტის კლასის ანტიფრიქციული მასალების მიღების მარტივი ტექნოლოგია. გრაფიტის ფხვნილის ლითონური სპილენძით პლაკირება ხდება სპილენძის ორვალენტიანი ნაერთის გარდაქმნით. კომპონენტების საწყისი ქიმიური თანაფარდობიდან დამოკიდებულებით მიღებულია გრაფიტ-სპილენძის ტიპის ორვალენტიანი კომპოზიციები, მასში სპილენძის სხვადასხვა პროცენტული შემცველობით 10-დან 90%-მდე, რაც კომპაქტირებული მასალის თვისებების ფართო ინტერვალში მოდიფიცირების საშუალებას იძლევა.					
13	გ.პაპავა, ე.გუგავა, ნ.დოხტურიშვილი, ნ.მაისურაძე, ნ.გელაშვილი, მ.გურგენიშვილი, ქ.პაპავა, ნ.ხოტენაშვილი, რ.ლიპარტელიანი.	პოლიმერული პროლონგირებული სასუქის მიღების ხერხი	პატენტი განაცხადი: AU 2013013256		
ანოტაცია					
დამუშავებულია რეგულირებადი სტრუქტურის მქონე ხაზოვანი და სივრცითი სტრუქტურის მქონე ორგანულ-აზოტოვანი სასუქის მიღების ტექნოლოგია ორგანული ნაერთის პოლიკონდენსაციითა და სტრუქტურირებით, კომპონენტების თანაფარდობის ცვლილებით და თერმული დამუშავების გზით. ორგანული ნაერთების სახით გამოიყენება კარბამიდისა და ალდეჰიდური კომპონენტის მექანიკური ნარევი, რომლის თერმული დამუშავება ხდება 100-150°C-მდე 1 საათის განმავლობაში.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	<p>ი. ჩიტრეკაშვილი, მ. გურგენიშვილი გ. პაპავა, ვ. შეროზია, ქ. პაპავა, ნ. ხოტენაშვილი, ზ. თაბუკაშვილი.</p>	<p>ჰიბრიდული კათიონიტების მიღება ცეოლითების საფუძველზე.</p>	<p>Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials” საქართველო, თბილისი, 1-4 სექტემბერი 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>ბუნებრივი მინერალური ნედლეულის – დიატომიტის და ნოვოლაქის ტიპის ოლიგომერის საფუძველზე მიღებულია პოლიმერული კომპოზიციები და კომპოზიტები. მათ საფუძველზე შესწავლილია მათი ფიზიკურ-მექანიკური და დიელექტრიკული მახვენებლები. ნაჩვენებია, რომ პლასტიკური მასალების თვისებები დამოკიდებულია კომპოზიტში დიატომიტის შემცველობაზე. ოპტიმალური თვისებებით ხასიათდება პოლიმერები, რომლებიც შეიცავენ 40-60 მას% დიატომიტს. პოლიმერულ კომპოზიტებში შესაძლებელია ძვირადღირებული და დეფიციტური შემავსებლის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ადგილობრივი მინერალური ნედლეული – დიატომიტი. ასეთი პოლიმერების ფიზიკურ-მექანიკური და დიელექტრიკული მახვენებლები, რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე დღეისათვის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული შემავსებლები.</p>			
2	<p>გ.პაპავა, ნ.გელაშვილი, ე.გაგაშვილიძე, ნ.მაისურაძე, ნ.დოსტურიშვილი.</p>	<p>ფენოლ-ფორმალდეჰიდური კომპოზიტების მიღება.</p>	<p>“Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials” საქართველო, თბილისი, 1-4 სექტემბერი 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>ანტიფრიქციულ პლასტმასებში შემკვრელად გამოყენებულია არომატული მარტივი ეთერები, მაგალითად პოლიფენილენოქსიდი. ხახუნის პირობებში პოლიფენილენოქსიდი არაა სტაბილური, რაც აუცილებელს ხდის მის მოდიფიცირებას.</p>			
3	<p>მ. გურგენიშვილი, ი. ჩიტრეკაშვილი, ზ. თაბუკაშვილი, ვ. შეროზია, გ. პაპავა.</p>	<p>მარტივი არომატული ეთერების მოდიფიცირების პროცესების შესწავლა.</p>	<p>“Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials” საქართველო, თბილისი, 1-4 სექტემბერი 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>პოლიფენილენოქსიდის მოდიფიცირება განხორციელდა ფტორალკანების გამოყენებით. მას-სპექტომეტრიის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია მოდიფიცირებული პოლიფენილენოქსიდის თერმული დესტრუქცია 300°C-ზე. პოლიფენილენოქსიდის ფტორალკანით მოდიფიცირება აუმჯობესებს პოლიმერის ფრაქციულ თვისებებს: ცვეთამდეგობა იზრდება 2-ჯერ, ხახუნის კოეფიციენტი მცირდება 0,35-დან 0,25-მდე. მოდიფიცირებულ პოლიმერს აქვს დაბალსტაბილური ხახუნის კოეფიციენტი ტემპერატურის ფართო (50-225°C) ინტერვალში.</p>			
4	<p>მ. გურგენიშვილი, ი. ჩიტრეკაშვილი, ზ. თაბუკაშვილი, რ. ცისკარიშვილი, გ. პაპავა.</p>	<p>იონიტების მიღება ცეოლითების საფუძველზე.</p>	<p>“Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials” საქართველო, თბილისი, 1-4 სექტემბერი 2013წ.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p>			
<p>ბუნებრივი მინერალური სორბენტის – კლინოპტილოლიტის საფუძველზე სინთეზირებულია ძლიერი და სუსტი იონოგენური ჯგუფების შემცველი კათიონიტები. ამ მიზნით კლინოპტილოლიტის ფორებში ჩანერგილია ფენოლის მოლეკულები და კატალიზატორის თანაობისას წარმოიქმნება რეზოლის ტიპის ოლიგომერი, რომლის</p>			

	მეთილოლის ჯგუფები რეაგირებენ კლინოპტილოლიტის H-ფორმის სილანოლის ჯგუფებთან და წარმოქმნიან სივრცითი სტრუქტურის მქონე პოლიმერებს. შემდგომ ეტაპზე სულფირების გზით წარმოიქმნება აქტიური სულფო ჯგუფის შემცველი კათიონიტი.		
5	მ. გურგენიშვილი, ი. ჩიტრეკაშვილი, გ. პაპავა, შ. პაპავა, ვ. შეროზია.	ორგანო-მინერალური იონიტების მიღება.	“Third International Caucasion Symposium on Polymers & Advanced Materials” საქართველო, თბილისი, 1-4 სექტემბერი 2013წ.
მოსხენების ანოტაცია			
სინთეზირებულია ორგანო-მინერალური იონიტები, რომლებშიც ბუნებრივი მინერალური სორბენტი ქიმიური ბმებით დაკავშირებულია იონიტის ორგანულ ნაწილთან. სინთეზისათვის გამოყენებულია ბუნებრივი არაორგანული სორბენტი – კლინოპტილოლიტი და ბრომქმარმუაჟა. ბრომქმარმუაჟას ბრომის ატომი მაღალი აქტივობის გამო ადვილად ურთიერთმოქმედებს ცეოლიტის წყალბადური ფორმის წყალბად ატომთან და წარმოიქმნება კათიონიტი, რომელიც შეიცავს კარბოქსილის იონოგენურ ჯგუფს, რაც დადასტურებულია ინფრაწითელი სპექტრალური ანალიზით.			

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება. **ორგანული სინთეზის ლაბორატორია.**
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. **ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი** მზია ციცავი
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი: მარიამ ჩხაიძე, ირმა ჯინიყაშვილი
მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი: ნანა ჩაგანავა, მანანა ბუზარიაშვილი, მირანდა ხაჩიძე
მეცნ. თანამშრომელი მზია ვაჩიეშვილი
ლაბორანტი: ნონა შონია, ქეთევან ბალხამიშვილი, ირმა გიგოლაშვილი
ინჟინერი: მურთაზ გურგენიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	2	3	4
1	4-ჰიდროქსიკუმარინის ნაწარმების სინთეზი	მთ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. მზია ციცავი	მეცნ. თანამშრომლები: ნ.ჩაგანავა, მ.ხაჩიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
ბუნებრივი და სინთეზური კუმარინები და მათი წარმოებულები გამოირჩევიან განსაკუთრებული რეაქციისუნარიანობით და ბიოაქტივობით, რაც განაპირობებს კუმარინის ბირთვის შემცველი ახალი ნივთიერების სინთეზისადმი მაღალ ინტერესს. სინთეზი განხორციელდა 4-ჰიდროქსიკუმარინის კონდენსაციით ქინოლინთან და იზოქინოლინთან. აღდეჰიდად გამოყენებული იქნა სალიცილის აღდეჰიდი. რეაქცია ტარდებოდა 55-60°C-ზე. ტემპერატურის გაზრდა მნიშვნელოვნად არ ცვლიდა მიზნობრივი პროდუქტების გამოსავალს. მიღებულია ნივთიერებები 3-(4-ჰიდროქსიკუმარილ)-5'-ქინოლილ-მეთილფენილმეთინი; 3-(4-ჰიდროქსიკუმარილ)-5'-იზოქინოლილ-მეთილფენილმეთინი, რომლებიც მდგრადია, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს მათი ტესტირება ბიოლოგიურ აქტივობებზე.			
2	მანდარინის კანიდან ეთერ-ზეთებისა და β-კაროტინის სუპერკრიტიკული CO ₂ -ით საფეხურებრივი ექსტრაქციის შესწავლა	მთ. მეცნ. თანამშრომელი ქ.მ.კ. მზია ციცავი	უფრ. მეცნ. თანამშ. : მ.ჩხაიძე; მეცნ. თანამშ-ები: მ.ბუზარიაშვილი, მ.ვაჩიეშვილი ქიმ.მეცნ.კანდ. ქებრალიძე ლაბორანტი: ნ.შონია, ქ.ბალხამიშვილი, ი.გიგოლაშვილი ინჟინერი: მ.გურგენიძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>საქართველოში მანდარინის მოსავლის საერთო რაოდენობა დაახლოებით 51.6 ტონაა წელიწადში. მანდარინის გადამუშავების შედეგად დარჩენილი კანი პერსპექტიული მეორადი ნედლეულია ეთერზეთებისა და საკვები პიგმენტების მისაღებად. მანდარინის კანის ზედაპირი ეთერზეთების გარდა, აგრეთვე შეიცავს 0.3% β-კაროტინს, რომელიც ბუნებრივ საკვებ საღებავად გამოიყენება. ფერის მიმცემი თვისების გარდა, ის სრულად გამოიყენება რეტინოლის და რეტინოლის მჟავას პრეკურსორად. სუპერკრიტიკული CO₂-ით ეთერზეთებისა და β-კაროტინის საფეხურებრივი ექსტრაქციები ნაკლებად არის შესწავლილი. ეთერზეთების სუპერკრიტიკული ექსტრაქციები ძირითადად ხორციელდება მშრალ მანდარინის კანზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მიზნობრივი პროდუქტის გამოსავალს და 2-3% შეადგენს. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ნედლი მანდარინის კანი, რომელიც შეიცავს წყალს რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის სუპერკრიტიკულ ექსტრაქციებში. ამის თავიდან ასაცილებლად დაქუცმაცებულ მანდარინის კანს ემატება უწყლო ნატრიუმის სულფატი და კერამიკის გრანულები მკვდარი მოცულობის შესამცირებლად. პირველ საფეხურზე ოპტიმალური წნევა 300ატმ. ხოლო ტემპერატურა 40°C-ით განისაზღვრა. წნევის დაწვევა ამცირებს ეთერზეთების გამოსავალს, ხოლო ტემპერატურის აწვევა სელექტიურობას. მნიშვნელოვანია ექსტრაქციის დინამიური დროის გახანგრძლივება 2სთ-მდე, რაც აადვილებს აქროლადი პროდუქტის შეგროვებას. გამოსავალი 5-7%-ია. მეორე ეტაპზე თანაგამსხნელად ეთანოლის ნაცვლად ჩვენ გამოვიყენეთ აცეტონი 7% მოცულობით. აცეტონი დაშვებულია FDA-ს (Food and Drug administration) მიერ როგორც გამსხნელი საკვები დანამატებისა და წამლების წარმოებაში. აცეტონის გამოყენებამ თანაგამსხნელად გაზარდა β-კაროტინის გამოსავალი დაახლოებით 25%-ით. ოპტიმალური წნევა 300ატმ. ტემპერატურა 60-70°C. ამჟამად მიმდინარეობს კვლევა 2013 წლის მანდარინის მოსავალზე, აგრეთვე II ეტაპის ექსტრაქციების ანალიზი.</p>			
3	1H –პიროლო [3,2-h] ფტალაზინ-6,9-დიონისა და 4-ჰიდროქსიკუმარინის სინთეზი.	ქიმ. მეცნ. დოქტორი ვ. ციციშვილი	უფრ. მეცნ. თანამშ. ი.ჯინიყაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პ-ნიტროფტალაზ-1,4-დიონის ბაზაზე პიროლოფტალაზინების დიოქსინაწარმების მიღება. 4-ჰიდროქსიკუმარინის კონდენსაციის რეაქცია პიროფურმინის მჟავის ეთილის ეთერის 5-ფტალაზინ-1,4-დიონ ჰიდრაზონთან. 5-ნიტროფტალაზ-1,4-დიონის საფუძველზე ჯეპი-კლინგემანის მეთოდით მოისინჯა 1H-პიროლო[3,2-h]ფტალაზინ-6,9-დიონის სინთეზი. ამ მიმართულებით სამუშაოების გაგრძელება 2014 წელს.</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება და კორუნდის კერამიკული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი. AR/325/6-480/12; 2013-2015წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; თანადამფინანსებელი - თსუ	რ.ჭელია	ი. ყურაშვილი, ო. ლეკაშვილი, ი. ჯინიყაშვილი, თ. კუჭუხიძე, ე. სანაია, თ. არჩუაძე, ფ. ბასარია, ვ. გაბუნია

I ეტაპი-სამუშაო გეგმის მიხედვით. ალუმინის იზოპროპოქსიდის ნაწილობრივი ჰიდროლიზი ჩატარდა იზოპროპანოლში მოლური თანაფარდობით-იზოპროპანოლი : ალუმინის იზოპროპოქსიდი:წყალი=200:1:2 80°C-ზე 1სთ-ის გამნმავლობაში. იზოპროპანოლს აშორებენ როტორულ ამორთქლებელზე და მიღებულ გელს უმატებენ Al(NO₃)₃·9H₂O-ს მოლური თანაფარდობით Al(OiC₃H₇)₃:Al(NO₃)₃·9H₂O=1:1,1. სარეაქ-

ციო ნარევი გადააქვთ ფაიფურის ჯამზე, რომელსაც ათავსებენ 500⁰C-მდე გაცხელებულ მუფელის ღუმელში. წარმოიქმნება თეთრი ფერის მოცულობითი ფხვნილი. ანალოგიურად ატარებენ რეაქციას, როდესაც ჰიდროლიზირებულ მასაში ერთდროულად შეაქვთ ალუმინის ნიტრატი და α-Al₂O₃ (5% მას) ფხვნილი.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	ნანა ჩაგანავა, მზია ციცავი, მირანდა ხაჩიძე, მარიამ ჩხაიძე, მ. ბუზარიაშვილი	4 ჰიდროქსიკუმარინისა და ქინოლინის ბირთვების შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნეერთების სინთეზი სამკომპონენტური რეაქციით.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია, ტ.39, №3-4	თბილისი	3 (156-158)
	ანოტაცია				
კუმარინების და მათი ნაწარმების სინთეზი და ფარმაკოლოგიური კვლევა დღესაც აქტუალურია, რადგან ეს ნაერთები ხასიათდებიან აქტივობათა ფართო სპექტრით. სინთეზირებულია ორი ახალი ნაერთი სამკომპონენტური რეაქციის გამოყენებით ძმარმუაგა არეში 4-ჰიდროკუმარინის, სალიცილის ალდეჰიდის და ქინოლინის/იზოქინოლინის ურთიერთქმედებით. ყველა მიღებული ნაერთი მდგრადია ბიოლოგიურ აქტივობაზე ტესტირებისთვის.					
2	ციცავი მ. ჩხაიძე მ. ხაჩიძე მ. ბუზარიაშვილი მ. ერატიშვილი ქ.	მცენარეული ნეფელულიდან სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციის პრაქტიკული ასპექტები	საქართველოს მეცნ. ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია, ტ.39, №3-4	თბილისი	5 (გვ. 241-245)
	ანოტაცია				
სულ უფრო მკაცრი გარემოდაცვითი რეგულაციების გამო, სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციამ უკანასკნელ წლებში შეიძინა ფართო გამოყენება, როგორც ტრადიციული გამსხნელებით ორგანული ნაერთების ექსტრაქციის ალტერნატივამ. სტატიაში განხილულია სფეროს გამოყენების ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დაუგროვდა ამ დარგში მომუშავე მოწინავე ლაბორატორიებს და ჩვენს გუნდს. ვფიქრობთ ეს მიმოხილვა დაეხმარება იმ მეცნიერებს, რომლებსაც უნდათ გაერკვნენ და ჩაერთონ სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციის ტექნოლოგიაში.					
3	ციცავი მ. არზიანი ბ. ჩხაიძე მ. ხაჩიძე მ.	ბუნებრივი საკვები საღებავები და ორგანული პროდუქტის წარმოება	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა	თბილისი	3(80-82)
	ანოტაცია				
ორგანულია საკვები, რომელიც დამზადებულია პესტიციდების, სასუქის სხვა სინთეზური პრეპარატების გარეშე. ორგანული საკვების წარმოება ასევე გამორიცხავს დასხივების, სამრეწველო გამსხნელების და სინთეზური საკვები დანამატების გამოყენებას. ამდენად, ბუნებრივი საკვები საღებავებით სინთეზურის შეცვლა აქტუალური პრობლემაა. β-კაროტინი და ლიკოპენი ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადი კაროტინოიდებია, რომლებიც დაშვებულია როგორც საკვები საღებავები ორგანული საკვების შესაფერად. ხოლო სუპერკრიტიკული ექსტრაქცია ხილიდან და ბოსტნეულიდან ამ კაროტინოიდების მიღების გარემოსთვის უსაფრთხო ალტერნატიული მეთოდია.					

4	ი.ჯინიაშვილი, ქ.სარაჯიშვილი, მ.ბურჯანაძე, ვ.ციციშვილი	პიროყურძნის მუავის ეთილის ეთერის 6- ბენზდიოქსილჰიდრაზ ონის მიღება	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები 2013	თბილისი	3 გვ. 40-42
	ანოტაცია				
პიროყურძნის მუავის ეთილის ეთერის 6-ბენზდიოქსილჰიდრაზონი დასინთეზებულ იქნა, როგორც ინდოლების სინთეზის ფიშერის კლასიკური მეთოდის მიხედვით, ისე ამ მეთოდის ჯექ-კლიგემანის მოდიფიკაციით.					
5	გ. ქვარცხავა, ა. გოლეთიანი, კ. სარაჯიშვილი, თ. ქორქია, ი. ჯინიაშვილი, რ. ჭელია.	Removal of Heavy Metal Ions Wastewaters by Using of Renewable Bio Sources of Georgia.	Third International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials. 1-4 September, 2013, Tbilisi, Georgia	Tbilisi	1 (p.95)
	ანოტაცია				
ჩვენს მიერ მიღებულია ბიოსორბენტები მერქნის გადამუშავების ნარჩენებიდან (მუხა, რცხილა, ალვისხე, ჭადარი, წიფელი და სხვ) და გამოცდილ იქნა წყლიდან Cr(III) იონების მოსაცილებლად.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	მზია ციცავი	სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქციის პრაქტიკული ასპექტები	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ქ. ქუთაისი, 6-7 ივნისი, 2013წ.
მოსხენების ანოტაცია			
მოსხენებაში განხილული იყო ის პრაქტიკული ასპექტები და გამოცდილება, რომელიც დაუგროვდათ სუპერკრიტიკული ექსტრაქციების დარგში მომუშავე მოწინავე ლაბორატორიებს და ჩვენს გუნდს ამ სფეროში 8 წლიანი მუშაობის შედეგად.			
2	ნანა ჩაგანავა	ქინოლინის ბირთვის შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზი	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. 6-7 ივნისი 2013წელი ქუთაისი
მოსხენების ანოტაცია			
მოსხენება ეხებოდა ქინოლინისა და 4-ჰიდროქსიკუმარინის საფუძველზე ნაერთების სინთეზს სამკომპონენიანი რეაქციით. მიღებული ნაერთების დახასიათებას.			

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (განყოფილება) დასახელება. სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. *ლ.ბ. გამგე, მთავარი მეცნ.*

თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი მანანა ბურჯანაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი: ომარ ლომთაძე, რუსუდან ცისკარიშვილი

მეცნ. თანამშრომელი, ქიმ. მეცნ. კანდიდატი ზურაბ ამირიძე

მეცნ. თანამშრომელი, სოფ.-მეურნეობის მეცნ. კანდიდატი რივა ლიპარტელიანი

მეცნ. თანამშრომელი ნუნუ შალვაშვილი

ინჟინერი: ნიკოლოზ სადათერაშვილი, ინა მელაძე, ლერი გიგოლაშვილი
ლაბორანტი: ციალა ხარაიშვილი, ლილი კაშია

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ახალი შედგენილობის ბიოციდური ბეტონის შემუშავება ცხოველთა სადგომების იატაკებისთვის	უფრ. მეცნ. თანამშრომელი ომარ ლომთაძე	<i>მთ. მეცნ. თანამშრომლები:</i> მ.ბურჯანაძე, გ.წინწკალაძე <i>მეცნ. თანამშრომლები:</i> ნ.შალვაშვილი, ზ.ამირიძე, რ.ლიპარტელიანი <i>ინჟინერი:</i> ნ.სადათერაშვილი, ი.მელაძე, ლ.გიგოლაშვილი <i>ლაბორანტი:</i> ც.ხარაიშვილი, ლ.კაშია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შეღობის მეთოდით მიღებულია გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის ახალი ტიპის მასალა. მიღებული მასალის სტრუქტურა და ადსორციული თვისებები შესწავლილია რენტგენოდიფრაქტომეტრული ანალიზისა და წყლის ორთქლის ადსორბციის მეთოდით. გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის გამოყენებით მომზადდა ბეტონის ნიმუშები და განისაზღვრა მათი მდგრადობა ობის სოკოს სხვადასხვა კულტურების მიმართ. გამოცდის შედეგების მიხედვით გოგირდცეოლითური მასალა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ცემენტების დანამატი ანტიკოროზიული და ბიოციდური თვისების სპეცდანიშნულების ბეტონების მისაღებად.			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„გიომეტრინი - ცხოველთა პარაზიტული ტკიპების საწინააღმდეგო პრეპარატი“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global)	ომარ ლომთაძე	გივი ჩიმაკაძე, ნუნუ შალვაშვილი, ქეთევან ჩიმაკაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
საგრანტო პროექტის შესრულების პირველი ეტაპი ითვალისწინებდა: 1. „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის მისაღები დანადგარის დამზადებასა და მონტაჟს; 2. „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის დამზადების ტექნოლოგიური რეგლამენტის შემუშავებას; 3. „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის საცდელი პარტიის გამოშვებას. „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის მისაღები დანადგარი დამზადებულ იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული ნახაზების მიხედვით. მომზადებულ დანადგარზე დამუშავდა „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის მიღების ტექნოლოგიური რეჟიმი – კომპონენტების რაოდენობრივი თანაფარდობის და ემულგაციის პროცესის ტემპერატურული ნორმები. გამოშვებული იქნა პრაპარატ „გიომეტრინის საცდელი პარტია, რომელიც დაფასოებულ იქნა 100 მლ მოცულობის ფლაკონებში. პრაპარატ „გიომეტრინი“-ს კომერციული პროტოტიპის ეფექტურობა, დადასტურდა ბოლნისის, წალკის და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის მსხვილი რქოსანი საქონელის ექტოპარაზიტებზე პრეპარატის ზემოქმედების შედეგებით. „გიომეტრინი“-ს გამოყენებით ფერმერებს თითქმის 2-ჯერ შეუმცირდათ ცხოველების დაცვაზე გაწეულ ხარჯები, ვიდრე იმპორტული პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში ქონდათ.				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	2	3	4	5	6
1	გ. წინწკალაძე, მ. ზაუტაშვილი, ლ. ეპრიკაშვილი, თ. შარაშენიძე, ნ. ბურკიაშვილი, მ. ბურჯანაძე	ახალი ცვლითური მასალის გამოყენების შესაძლებლობა ყბა-სახის ქირურგიაში	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2013, №2	თბილისი, შპს “ინტერფარმი”	გვ.78-81
ანოტაცია					
შესწავლილია საქართველოს ადგილმდებარეობის ბუნებრივი კლინოპტილოლიტის კალციუმისა და ფოსფორის ფორმები. ბოცვერებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა ამ მასალების გამოყენების შესაძლებლობა სამედიცინო პრაქტიკაში ოსტეომილიტის, ოდონტოგენური ძვლის და ყბის ძვლის დეფექტის გამოსასწორებლად.					
2	ც.გაბელია, ე.სალუქვაძე, ლ.ჯაფარიძე, ო.ლომთაძე, გ.ჩიმაკაძე, ს.უროტაძე	რკინა-კობალტის შემცველი კომპლექსის ანტიანემიური აქტივობა	საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია, ტ. 39, №3-4, გვ	Грузия, Тбилиси	3
ანოტაცია					
რკინადეფიციტური ანემიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის სინთეზირებულია Fe,Co - ფრუქტოზის კომპლექსი, რომელიც გამოიცადა ახალშობილ გოჭებზე; პრეპარატის გამოყენების შემდეგ საცდელ გოჭებში ანემიის განვითარება არ დაფიქსირდა.					
3	დოლიძე ა., მიქაძე ი., ლომთაძე ო., ქავთარაძე ნ., დოლიძე ლ., ბარბაქაძე ნ.	მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვა გარემოსდამზოგავი მეთოდებით	საერთაშორისო სამეც. – პრაქტიკული კონფერენციის მასალები “ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში”	ქ. ბათუმი, 2013 წ.	3 (გვ.190-192)
ანოტაცია					
განხილულია ბოტანიკურ ბაღებში წარმოდგენილ მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის შესაძლებლობა, გარემოზე მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, ბიოლოგიურ პრინციპებზე შექმნილი, ქიმიური პრეპარატების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ ჩვენს მიერ, მცენარეული ან სხვა ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით დამზადებული: სქესის ფერომონების, მოდიფიცირებული პირეტროიდული პრეპარატების (სადაც ფორმულაციის ოპტიმიზაციის ხარჯზე მიღწეულია გახანგრძლივებული მოქმედება და აქტიური საწყისის შემცირება), ახალი რეცეპტურის ენტომოლოგიური წებოს და ზეთოვანი ემუსიის, ასევე უნივერსალური მკვებავი საშუალებების გამოყენება, ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, ეფექტური და პერსპექტიულია.					
4	ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ., ებრაღიძე ქ., ლომთაძე ნ.	ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი	საერთაშორისო სამეც.-პრაქტიკული კონფერენციის შრომები “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”.	ქ. ქუთაისი, 2013წ.	3 გვ. 77-79

ანოტაცია				
<p>შემუშავებულია მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, კომპოზიციური პრეპარატი “ანტიპესტი”, რომელიც გამოიცადა მევენახეობის, მეღვინეობის და მებაღეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ხესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭევი) ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად. “ანტიპესტი” დამუშავებული ყურძნიდან მომზადებული წვენი და ღვინო არ შეიცავს პრეპარატის ნარჩენი რაოდენობას.</p>				
5	<p>გიორგი წინწკალაძე, ომარ ლომთაძე, მანანა ბურჯანაძე, თამარ შარაშენიძე, ვახტანგ გაბუნია, ნუნუ შალვაშვილი</p>	<p>გოგირდშემცველი ცეოლითური დანამატი ანტიკოროზიული და ანტიბაქტერიული სპეცდანიშნულების ბეტონების მისაღებად</p>	<p>საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია, ტ. 40, №3-4,</p>	<p>თბილისი</p> <p style="text-align: center;">5</p>
ანოტაცია				
<p>შეღებების მეთოდით მიღებულია გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის ახალი ტიპის მასალა. მიღებული მასალის სტრუქტურა და ადსორციული თვისებები შესწავლილია რენტგენოდიფრაქტომეტრული ანალიზისა და წყლის ორთქლის ადსორციის მეთოდით. გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის გამოყენებით მომზადდა ბეტონის ნიმუშები და განისაზღვრა მათი მდგრადობა ობის სოკოს სხვადასხვა კულტურების მიმართ. გამოცდის შედეგების მიხედვით გოგირდცეოლითური მასალა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ცემენტების დანამატი ანტიკოროზიული და ბიოციდური თვისების სპეცდანიშნულების ბეტონების მისაღებად.</p>				
6	<p>ომარ ლომთაძე, ლუდმილა ცხვედაძე, დავით კაკაშვილი ნინო ლომთაძე</p>	<p>ახალი ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი ატმის ბუგრების საწინააღმდეგოდ</p>	<p>საქ. მეცნ. ეროვნული აკად. მაცნე. ქიმიის სერია, ტ. 40, №3-4,</p>	<p>თბილისი</p> <p style="text-align: center;">4</p>
ანოტაცია				
<p>შესწავლილია ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ახალი ინსექტო-აკარიციდული პრეპარატის “ანტიპესტი”-ს ეფექტურობა ატმის მავნებელ-დაავადებებთან საბრძოლველად. ლაბორატორიულ პირობებში დადგენილია მავნებლების საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი ოპტიმალური კონცენტრაციები. საველე გამოცდებმა აჩვენა, რომ შემუშავებული პრეპარატი ეფექტურობით აღემატება ტრადიციულად გამოყენებულ პესტიციდებს (აქტარა, კონფიდორი, შაბიამანი). შემუშავებული პრეპარატით დამუშავებული ატმის ნაყოფის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა მათი გამიყენების უსაფრთხოება ადამიანისა და გარემოსათვის.</p>				
7	<p>გიორგი წინწკალაძე, ომარ ლომთაძე, მანანა ბურჯანაძე, თამარ შარაშენიძე, ვახტანგ გაბუნია, ნუნუ შალვაშვილი</p>	<p>დანამატი ახალი ანტიკოროზიული და ბიოციდური გოგირდშემცველი ცეოლითური სპეცბეტონების მისაღებად</p>	<p>პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები</p>	<p>თბილისი</p> <p style="text-align: center;">4 გვ. 17-21</p>
ანოტაცია				
<p>მიღებულია გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის ახალი ტიპის მასალა. მიღებული. გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის გამოყენებით მომზადდა ბეტონის ნიმუშები და განისაზღვრა მათი მდგრადობა ობის სოკოს სხვადასხვა კულტურების მიმართ. გამოცდის შედეგების მიხედვით გოგირდცეოლითური მასალა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ცემენტების დანამატი ანტიკოროზიული და ბიოციდური თვისების სპეცდანიშნულების ბეტონების მისაღებად.</p>				
8	<p>ომარ ლომთაძე, გივი ჩიმაკაძე, ნუნუ შალვაშვილი,</p>	<p>საქართველოს მაღალმთიან რეგიონში ცხოველთა პარაზიტული ტკიპების გაურცელება და მათთან ბრძოლა პრეპარატ “გიომეტრინი“-ს გამოყენებით</p>	<p>პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები</p>	<p>თბილისი</p> <p style="text-align: center;">3 გვ. 99-101</p>

ანოტაცია					
საქართველოს მაღალმთიან რეგიონის სამ რაიონში (წალკის, თეთრიწყარო, დმანისი) შესწავლილია ცხოველთა პარაზიტული ტკიპების გავრცელების არეალი და ცხოველმყოფელობის პერიოდი. რეალურ გარემოში, პარაზიტული ტკიპებისგან დაცვის ეფექტურობაში, შედარებულია ერთმანეთთან პრეპარატი “გიომეტრინი” და ტრადიციულად გამოყენებული იმპორტული აკადიციდული პრეპარატები. ჩატარებული გამოცდის შედეგებით მსხვილი რქისანი საქონლის პარაზიტული ტკიპებისგან დაცვის ღონისძიებების ჩატარება “გიომეტრინი“-ს გამოყენებით 2-ჯერს ნაკლები ხარჯებით არის შესაძლებელი.					
9	ომარ ლომთაძე, ლუდმილაცხვედაძე, დავით კაკაშვილი ნინო ლომთაძე	კოლოგიურად ნაკლებად სახიფათო პრეპარატები ატმის მავნებელ-დაავადებათა საწინააღმდეგოდ	პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის შრომები	თბილისი	4 გვ. 43-46
ანოტაცია					
შესწავლილია ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ახალი ინსექტო-აკარიციდული და ფუნგიციდური პრეპარატების ეფექტურობა ატმის მავნებელ-დაავადებებთან საბრძოლველად. ლაბორატორიულ პირობებში დადგენილია მავნებლების და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი ოპტიმალური კონცენტრაციები. სავსე გამოცდებმა აჩვენა, რომ შემუშავებული პრეპარატები ეფექტურობით აღემატება ტრადიციულად გამოყენებულ პესტიციდებს (აქტარა, კონფიდორი, შაბიამანი). შემუშავებული პრეპარატებით დამუშავებული ატმის ნაყოფის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა მათი გამიყენების უსაფრთხოება ადამიანისა და გარემოსათვის.					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	2	3	4
1	დოლიძე ა.ვ., მიქაძე ი.ი., ლომთაძე ო.გ., ქავთარაძე ნ.ა., დოლიძე ლ.ა., ბარბაქაძე ნ.გ.	მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვა გარემოსდამზოგავი მეთოდებით	საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია “ბოტანიკური ბაღების მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში” ქ. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013 წ.
მოხსენების ანოტაცია			
მოხსენებაში განხილული იყო ბოტანიკურ ბაღებში წარმოდგენილ მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის შესაძლებლობა, გარემოზე მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, ბიოლოგიურ პრინციპებზე შექმნილი, ქიმიური პრეპარატების გამოყენებით. ნაჩვენები იყო, რომ ჩვენს მიერ, მცენარეული ან სხვა ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით დამზადებული: სქესის ფერომონების, მოდიფიცირებული პირეტროიდული პრეპარატების (სადაც ფორმულაციის ოპტიმიზაციის ხარჯზე მიღწეულია გახანგრძლივებული მოქმედება და აქტიური საწყისის შემცირება), ახალი რეცეპტურის ენტომოლოგიური წებოს და ზეთოვანი ემუსიის, ასევე უნივერსალური მკვებავი საშუალებების გამოყენება, ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის ეფექტური და პერსპექტიულია.			
2	ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ., ებრაღიძე ქ., ლომთაძე ნ.	კოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ”ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”. 6-7 ივნისი 2013 წელი, ქუთაისი
მოხსენების ანოტაცია			
მოხსენებაში განხილული იყო შემუშავებული მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, კომპოზიციური პრეპარატი “ანტიპესტი”, რომელიც გამოიცადა მევენახეობის, მეღვინეობის			

და მებაღეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზის ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. ვაჭევი) ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანების წინააღმდეგ. პრეპარატი მაღალეფექტურია ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად. “ანტიპესტი” დამუშავებული ყურძნიდან მომზადებული წვენი და ღვინო არ შეიცავს პრეპარატის ნარჩენი რაოდენობას.
--

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ.წინწკალაძე, თ.კორძახია, ვ.ციციშვილი, თ.შარაშენიძე, მ.ბურჯანაძე, ნ.ბურკიაშვილი	კლინოპტილოლიტის ქიმიური მოდიფიცირება, როგორც მეთოდი ახალი ცეოლითური მასალის მისაღებად	შრომების კრებული, სრულიად რუსეთის სამეცნიერო კონფერენცია ადსორბციის ფუნდამენტურ საკითხებში, ქ. ტვერი, 9-13 სექტემბერი, 2013წ.
მომხსენებათა ანოტაციები			
ქიმიური დამუშავების სხვადასხვა მეთოდით მიღებულია კლინოპტილოლიტის წყალბადური ფორმები. ი.წ.-სპექტროსკოპიის მეთოდით დადგენილია, რომ ამონიუმის ფორმიდან მიღებული წყალბადური ფორმისათვის დამახასიათებელია მაღალი ინტენსივობის, თერმოსტაბილური შთანთქმის ზოლი 3615სმ ⁻¹ -ზე. 3615სმ ⁻¹ -ი ზოლის ინტენსივობით შეიძლება დავადგინოთ ცეოლითის მიკროფორული სტრუქტურის ცვლილება. მჟავით დამუშავების შედეგად მიღებული წყალბადური ფორმისათვის დამახასიათებელია 3740სმ ⁻¹ -ზე შთანთქმის ზოლი, რომელიც აჩვენებს ცეოლითური მიკროფორის სტრუქტურის რღვევას და მისი ზედაპირის ზრდას.			

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური
და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის
დირექტორი, აკად. წევრ-კორ.
ვლადიმერ ციციშვილი

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის
მორფოლოგიის ინსტიტუტის 2013 წლის
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური
ანგარიში

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება.
თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ტრანსლაციური ბიომედიცინის დეპარტამენტი.

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნ. დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ნინო გორდაძე.

- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
- ა. მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკის ლაბორატორია
1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი ეკატერინე გიორგობიანი, ბიოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 2. მანანა კაკაბაძე, მედიცინის დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 3. ნანა გოიშვილი, მედიცინის დოქტორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
 4. ზურაბ ბუკია, მეცნიერ თანამშრომელი
 5. მარინა ამირანიძე, ბიოლოგიის დოქტორი, მეცნიერ თანამშრომელი
 6. ნინო მაჩიტაძე, ლაბორანტი
 7. ზეინაბ გიგაური, ლაბორანტი
- ბ. ანდროლოგიის ლაბორატორია
1. ლაბორატორიის ხელმძღვანელი ც.სუმბაძე, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 2. ნოდარ ჭიჭინაძე, მედიცინის მეცნ.დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 3. ნელი დიდებულიძე, ბიოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 4. მაია მჭედლიშვილი, მედიცინის დოქტორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
 5. სოფიო გვიდანი, ქიმიის დოქტორი, მეცნიერ თანამშრომელი
 6. ვაჟა ლობჯანიძე, მეცნიერ თანამშრომელი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ნაღვლის ბუშტის დაზიანების ფორმისა და ხარისხის კორელაცია Helicobacter spp-ით ინფიცირებასთან	მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	მ. კაკაბაძე, ნ.გოიშვილი ზ.ბუკია, მ.ამირანიძე, ნ.მაჩიტაძე, ზ. გიგაური

		ე.გიორგობიანი	
კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>დადასტურებულია, რომ <i>Helicobacter</i>-ის ჯგუფის მიკრობები მიზეზობრივად დაკავშირებულია კუჭ-ნაწლავის ისეთ დაავადებებთან, როგორცაა გასტრიტი, პეპტიკური წყლულოვანი დაავადება, კუჭის კიბო, ტიფლიტი, კოლიტი, ჰეპატიტები, ქოლევცისტიტი, ქოლელითიაზი და სხვა. 1992 წელს ჯანმო-ს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC) მიერ, <i>Helicobacter pylori</i> აღიარებული იქნა პეპტიკური წყლულოვანი დაავადების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად და კუჭის კიბოს I კლასის კარცინოგენად. შედეგად, მკურნალობის კლასიკური ქირურგიული მეთოდები, დაავადებათა გაურთულებულ შემთხვევებში, პრაქტიკულად ჩაანაცვლა ჰელიკობაქტერიის ერადიკაციულმა თერაპიამ. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა პეპტიკური წყლულოვანი დაავადების სიხშირე და გაზარდა საბოლოო გამოჯანმრთელების შემთხვევათა რიცხვი. ამასთანავე, დადასტურდა ეთიოტროპული ანტიჰელიკობაქტერული მკურნალობის ხარჯთეფექტურობა.</p> <p>ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ნაღვლის ბუშტის ქრონიკული პათოლოგიების დროს <i>Helicobacter</i>-ის სახეობების პრევალენტობის და ორგანოს დაზიანების ფორმასთან და ხარისხთან მისი კორელაციის დადგენა.</p> <p>კვლევისათვის დაისახა შემდეგი ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის პირობებში ლაპარასკოპიულად ამოკვეთილი ნაღვლის ბუშტის და მასში არსებული ნაღველის მიღება გამოკვლევისათვის (მასალა შეგროვდება სულ ორივე სქესის 300 პაციენტიდან). 2. ნაღვლის ბუშტის კედლის პათოჰისტოლოგიური გამოკვლევა, მისი დაზიანების ხარისხის შეფასების და <i>Helicobacter</i>-ის სახეობების დეტექციის მიზნით. 3. <i>Helicobacter</i>-ის სახეობების მოლეკულურ-ბიოლოგიური იდენტიფიცირება, რაც მოიცავს: <ol style="list-style-type: none"> ა) ნაღვლის ბუშტის კედლის ჰომოგენატიდან და ნაღველიდან <i>Helicobacter</i>-ის სახეობების სპეციფიკური დნმ-ის გამოყოფას. ბ) გამოყოფილი დნმ-ის ფრაგმენტების ანალიზი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (PCR). <p>პროექტის ამ ეტაპზე ორივე სქესის 100 პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის პირობებში მიღებულია ლაპარასკოპიულად ამოკვეთილი 100 ნაღვლის ბუშტის 300 ფრაგმენტი და მათში არსებული ნაღველი გამოკვლევისათვის.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედება მამრი ორგანიზმის ჰომეოსტაზზე	ანდროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნ.დოქტორი, ც.სუმბაძე	ნ.ჭიჭინაძე, ნ.დიდებულიძე, მ. მჭედლიშვილი, ს. გვიდანი ვ. ლობჯანიძე
კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>თანამედროვე ადამიანისთვის მეტად აქტუალური გახდა მასზე მისივე შექმნილი გარემოს მავნე ნივთიერებების ზეგავლენის შესწავლა.</p> <p>ერთ-ერთი ასეთი ნივთიერებაა ფენოლი, რომელიც გამოიყოფა ჰაერში სხვადასხვა გადამამუშავებელი წარმოების მუშაობის შედეგად, მანქანის</p>			

გამონაბოლქვით და სხვ.
 ცნობილია, რომ ფენოლი ორგანიზმში იწვევს გარკვეულ დაზიანებას, მაგრამ საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიაში ჩატარდა ცდები იმის გამოსავლენად, თუ რა ცვლილებებს იწვევს ფენოლი ენდოკრინული სისტემის ბიორეგულატორების სეკრეციაზე.
 ექსპერიმენტი ჩატარდა 200-250გ მასის მქონე 20 მამრ ვირთაგვაზე; სისხლის პლაზმაში დინამიკაში გამოკვლეული იქნა ციკლური ადენოზინმონოფოსფატის (ც -AMF-ის) და ციკლური გუანოზინმონოფოსფატის (ც-GMF-ის) კონცენტრაცია და მათი შეფარდება ფენოლის ორთქლით ზემოქმედების შემდეგ.
 გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ფენოლით ინტოქსიკაციის შედეგად დაღუპულ ცხოველებში ციკლური ნუკლეოტიდების თანაფარდობა იზრდება ც -AMF-ის რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, ხოლო გადარჩენილ ცხოველებში ეს თანაფარდობა ჯერ უმნიშვნელოდ მცირდება, ხოლო შემდეგ უბრუნდება საწყის ნიშნულს.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სწორი მენეჯმენტის წვდომა და ათვისება როგორც სწავლების ეფექტურობის წინაპირობა	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნინო გორდაძე	ნინო გორდაძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სწორი მენეჯმენტის შერჩევა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში წარმატების საწინდარია; უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამას სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად; კერძოდ, პროექტში საქმე ეხებოდა ჰისტოლოგიის სწავლების ეფექტურობის ამაღლებას უმაღლეს სასწავლებლებში.

ჰისტოლოგიის ერთ-ერთი ძნელი ასპექტია ის, რომ მისი თვალსაჩინოებები წარმოდგენილია მიკროფოტოებითა და ელექტრონოგრაფიით, რომელთა შესწავლითაც სტუდენტმა უნდა აღიქვას ქსოვილის ან/და ორგანოს სამგანზომილებიანი რეალობა. სტუდენტების უმრავლესობისათვის სამგანზომილებიანი ასპექტის აღქმა ორგანოზომილებიანი ინფორმაციიდან ნახტომია, რომელიც მიიღწევა დაახლოებით ხუთკვირიანი მძიმე შრომის შემდეგ. ამიტომ აუცილებელია მასალის მოკლედ და ეფექტურად მიწოდება და წარმოდგენა პრეპარატებთან ერთად ფერადი, სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით და სქემატური დიაგრამებით, რომლებიც ფრიად თვალსაჩინოა. ეს ხაზს გაუსვამს თანამედროვე ჰისტოლოგიის ძირითად პრინციპს: რომ სტრუქტურა და ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

ყოველივე ეს მიღწეული იყო ჰისტოლოგიის კურსის სწავლების კომპიუტერული მეთოდოლოგიის შემოღებით, რაც განხორციელდა ჩვენ პროექტში და წარმოდგენილია შუალედურ ანგარიშებში.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნინო გორდაძე	ჰისტოლოგია II ნაწილი	თბილისი	243
ანოტაცია				
<p>ჰისტოლოგიის საგანი უშუალო კავშირშია ანატომიასთან და ფიზიოლოგიასთან და წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს ამ ფუნდამენტურ მეცნიერებებს შორის. ჰისტოლოგიის თანამედროვე კურსი იხილავს არა მარტო ქსოვილების და ორგანოების სტრუქტურას, არამედ მათ ფუნქციასაც. თანამედროვე ჰისტოლოგიის საგანს კავშირი აქვს სხვა დისციპლინებთან და აუცილებელია მათი სრულყოფილი ათვისებისთვის, ამიტომ თანამედროვე ჰისტოლოგიაში მოიაზრება ციტოლოგიაც, ემბრიოლოგიის მოკლე კურსი, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის და, ნაწილობრივ, პათოლოგიის საფუძვლებიც.</p> <p>სახელმძღვანელოს II ნაწილში წარმოდგენილია კერძო ჰისტოლოგია.</p> <p>სახელმძღვანელო გათვლილია სამედიცინო ინსტიტუტების პირველი კურსის სტუდენტებზე.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Н.А.Дидебулидзе, М.Ш.Какабадзе, Н.Г.Гордадзе	Влияние соматотропного гормона на изменение концентрации рецепторов к андрогенам в печени крыс-самцов при аллоксановом диабете	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2013, №2, с.19-23	თბილისი	5
2	Н.Г.Гордадзе, М.Ш.Какабадзе, Н.А.Дидебулидзе, Л.А.Метревели	Рак молочной железы в Грузии	Вестник Международного Кавказского Университета (in press)	თბილისი	13
3	М.В.Амиранидзе, и М мирИ.Т. Сихарулидзе., М.И.Кордзая., Ц.М.Сумбадзе.	Положительное влияние резекции части селезенки на морфологическую картину печени тотально облученных крыс	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2013,	თბილისი	6
4	ც.სუმბაძე, ს.გვიდანი, ნ.კაპანაძე, თ.კობიძე, მ.მუმლაძე	ციკლური ნუკლეოტიდების რეაქცია ორგანიზმის ფუნქციით ინტოქსიკაციის დროს.	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2013	თბილისი	5

5	Makharoblidze, E., Goishvili, N., McHedlishvili, M., Khakhutaishvili, I., & Jangavadze, M	Unusual types of smooth muscle tumors of uterine corpus: case reports and literature review.	Georgian Med News (216), 7-11.	თბილისი	5
---	---	--	--------------------------------	---------	---

ანოტაციები

1. Влияние соматотропного гормона на изменение концентрации рецепторов к андрогенам в печени крыс-самцов при аллоксановом диабете

მიღებული მონაცემების თანახმად, ალოქსანური დიაბეტის განვითარებას თან სდევს ჰიპოფიზის სომატოტროპული ფუნქციისა და ანდროგენების მიმართ ღვიძლის ქსოვილის მგრძობელობის შეცვლა. ქსპერიმენტული ცხოველების სისხლის პლაზმაში სომატოტროპული ჰორმონის კონცენტრაციის ზრდა კორელირებს სისხლში შაქრის კონცენტრაციასა და პათოლოგიურ ცვლილებებთან. ღვიძლში ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობის დამოკიდებულება სისხლში სომატოტროპინის შემცველობაზე საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სომატოტროპინის დიდი კონცენტრაცია იწვევს ანდროგენ-რეცეპტორების ცილების აქტივობის სტიმულირებას, ხოლო მცირე კონცენტრაცია – მათი აქტივობის ინჰიბირებას.

2. Рак молочной железы в Грузии

Рак молочной железы характеризуется весьма разнообразными клиническими проявлениями, однако, до сих пор не исследовано соотношение между клиническими проявлениями патологии и характеристикой опухоли. В соответствии с этими задачами департаментом Трансляционной биомедицины Института Морфологии А.Натишвили ТГУ было проведено исследование морфоэпидемиологии рака молочной железы в Грузии .

С этой целью было исследовано 3550 историй пациентов, болевших раком молочной железы в Грузии в 2001 – 2011 гг. Все пациенты подверглись секторальной, или тотальной мастэктомии, иссеченная опухоль была исследована морфологически. Истории были рассортированы по гистологическим формам на основании диагнозов, установленных онкоморфологами. При обработке историй болезни были рассмотрены: возраст больной, семейное положение, количество родов и аборт, состояние репродуктивной функции, а также сроки первичной диагностики опухоли, распространение метастазов опухоли, наследственность. Все эти данные были исследованы при разных гистологических формах опухоли и сравнены друг с другом. Контрольная группа пациенток была составлена по данным « Исследования женского репродуктивного здоровья», проведенного в 2005 году статистическим департаментом, министерством здравоохранения и др. и включала данные 6000 здоровых женщин-добровольцев. Проведенное морфо-эпидемиологическое исследование показало что: Был очень высок процентный показатель поздней первичной диагностики рака молочной железы, что подтверждало необходимость перманентного проведения скрининг-программы. Соответственно, у большинства пациенток была обнаружена вторая, или третья стадия рака. Рак молочной железы чаще всего развивался в возрасте от 41 до 60 лет, и позже; поэтому эта возрастная группа пациенток должна быть оптимальной для скрининг-программы. Все формы рака молочной железы развивались в основном в периоде менопаузы. Риск-фактором развития медулярно-криброзных форм карциномы является сохранение активной функции яичников в пременопаузальном возрасте.

Большинство пациенток при раке молочной железы имело в анамнезе многочисленные аборты. При интрадуктальной карциноме in situ женщин, не делавших аборты, не было.

Фактор наследственности играет самую большую роль в случаях болезни Педжета, а самую меньшую – при интрадуктальной карциноме in situ .

3. Положительное влияние резекции части селезенки на морфологическую картину печени тотально облученных крыс

ნაშრომის მიზანია ტოტალურად დასხივებული ვირთავების ღვიძლის მორფოლოგიური ცვლილებების დადგენა ელენთის ნაწილობრივი რეზექციის

პირობებში. ექსპერიმენტი შესრულებულია 130-160გ. მასის მქონე 45 მამრ ვირთაგვაზე. ვირთაგვები დაყოფილი იყო ორ ჯგუფად. ორივე ჯგუფის ცხოველები დაასხივეს რენტგენის აპარატით PУM-17, დასხივების დოზა 300 რენტგენი. მე-2 ჯგუფის ვირთაგვებს დასხივების შემდეგ ეთერის ნარკოზის ქვეშ გაუკეთდათ ელენთის ნაწილობრივი რეზექცია. ცხოველები ექსპერიმენტიდან გამოყვანილი იყვნენ 1, 7 და 15 დღის შემდეგ. ღვიძლის ქსოვილის ნიმუშებს ვაფიქსირებდით ფორმალინის 10% ხსნარში. ვლებავდით რუტინული მეთოდით. ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევის მასალას ვამუშავებდით საყოველთაოდ მიღებული მეთოდით. I ჯგუფის ვირთაგვებში აღინიშნებოდა მიკროციტოკულაციის მოშლა, მკვეთრად გამოსატული იყო დისტროფიული და ნეკროზული ცვლილებები, უჯრედშიდა მემბრანის დაშლა. II ჯგუფის ვირთაგვებში მიკროციტოკულაციის მოშლის ფონზე ღვიძლში მიმდინარე დისტროფიული პროცესები უფრო სუსტად იყო გამოსატული ვიდრე I ჯგუფის ვირთაგვებში, აღინიშნებოდა პათოლოგიური პროცესის შექცევადობა.

4. ციკლური ნუკლეოტიდების რეაქცია ორგანიზმის ფენოლით ინტოქსიკაციის დროს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ფენოლის, როგორც გარემოს ერთ-ერთი დამაბინძურებელი ფაქტორის ზეგავლენის შესწავლა მამრი ორგანიზმის დაბალმოლეკულურ ბიორეგულატორებზე. კერძოდ, შესწავლილია ციკლური ნუკლეოტიდების ციკლური ადენოზინმონოფოსფატის (ც-AMF-ის) და ციკლური გუანოზინმონოფოსფატის (ც-GMF-ის) სეკრეციის თანაფარდობა ფენოლის ორთქლით ზემოქმედების შემდეგ.

დადგინდა, რომ ფენოლით ინტოქსიკაციის შედეგად დაღუპულ ცხოველებში ციკლური ნუკლეოტიდების თანაფარდობა იზრდება ც-AMF-ის რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, ხოლო გადარჩენილ ცხოველებში ეს თანაფარდობა ჯერ უმნიშვნელოდ მცირდება, ხოლო შემდეგ უბრუნდება საწყის ნიშნულს.

5. Unusual types of smooth muscle tumors of uterine corpus: case reports and literature review.

Classification of a smooth muscle neoplasm as benign or malignant is straightforward. Morphologic and biologic diversity makes smooth muscle neoplasia a diagnostic dilemma for pathologists but fascinating area of study. We report three cases of unusual types of smooth muscle tumors of uterine corpus: 1) highly cellular leiomyoma; 2) cotyledonoid dissecting leiomyoma (CDL) and 3) poorly differentiated leiomyosarcoma. Diagnostic pathology of the uterine smooth muscle tumors hides pitfalls. Some of the tumor type requires ancillary techniques to establish correct diagnosis. In case of CDL only gross and/or histopathologic features can clarify the question. There are number of cases, were the complex methods must be utilized.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Кордзая Д.Д., ДребуадзеМ., КакабадзеМ.Ш., ГордадзеН.Г. Дидебулидзе Н.А	Изменения половой дифференцировки функций печени при экспериментальном диабете у самцов крыс	Сборник статей Научно-практической конференции «весенние анатомическичтения», посвященной памяти проф.В.П.Юрченко.	Белоруссия, Гродно, ГрМГУ, с.66-70	5

2	Н.А.Дидебулидзе, М.Ш.Какабадзе, Н.Г.Гордадзе, М.Э.Кордзая, И.Т.Сихарулидзе.	Коррекция гормонально- метаболических нарушений у самцов крыс, индуцированных экспериментальным диабетом	Бюллетень экспериментальной биологии и медицины (submitted)	Москва	
3	Z. Kakabadze ¹ , S. Gupta ² , A. Pileggi ³ , R. D. Molano ³ , C. Ricordi ³ , G. Shatirishvili ⁴ , G. Loladze ⁴ , K. Mardaleishvili ⁴ , M. Kakabadze ¹ , E. Berishvili ^{1,4,5,*}	Correction of Diabetes Mellitus by Transplanting Minimal Mass of Syngeneic Islets Into Vascularized Small Intestinal Segment	American Journal of Transplantation Volume 13, Issue 10 , pages 2550– 2557, October 2013	USA	7

სტრუქტურა

1. ИЗМЕНЕНИЯ ПОЛОВОЙ ДИФФЕРЕНЦИРОВКИ ФУНКЦИЙ ПЕЧЕНИ ПРИ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОМ ДИАБЕТЕ У САМЦОВ КРЫС

1	<p>საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიკვირვება გეომაგნიტური ველის, როგორც რეგიონალური, ასევე ლოკალური მაგნიტური ანომალიები. ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე, განსაკუთრებით ცოცხალ ორგანიზმებზე.</p> <p>2003-2009 წლებში ჩატარებული დაბალმთიანი გურიის რეგიონის ლოკალური გეომაგნიტური ანომალიის სავსე დაკვირვებების შედეგები საჭიროებენ დაზუსტებას ამ ტერიტორიაზე კოსმოსური ამინდის ძირითადი ელემენტის - გეომაგნიტური ველის ვარიაციების ლოკალური ბიოსამედიცინო ეფექტების თავისებურებების თვალსაზრისით და ამ საფუძველზე ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის ორგანიზების მიზნით.</p> <p>ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტები, ურეკის, ანუ ზღვისპირა კურორტის გარდა, ცნობილი არ არის, მაშინ, როდესაც „ხელოვნურ“ მაგნიტოთერაპიას ფართო გამოყენება აქვს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ დაბალი სიხშირის (100 ჰერცამდე) მქონე, საშუალო ინტენსივობის (1-10 გაუსი) მაგნიტურ ველებს ფიზიოთერაპიული ეფექტი გააჩნიათ. მსგავსი დაბალი სიხშირე და ინტენსივობა მაგნიტოთერაპიის ბაზისური, ტრადიციული არაინვაზიური მეთოდის საფუძველს წარმოადგენს.</p> <p>სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა გურიის რეგიონალურ მაგნიტურ ანომალიაში შემავალი ინტენსიური ლოკალური ანომალიების დეტალური მაგნიტური და ელექტრომეტრული კვლევა, რათა შეიქმნას სამეცნიერო საკვლევი პოლიგონი, შემუშავდეს გეომაგნიტური კვლევების სრულყოფილი მეთოდიკა, შედგენილ იქნას შესაბამისი დეტალური მაგნიტური რუკები, ჩამოყალიბდეს სამეცნიერო დასკვნები და მიღებულ იქნას რეკომენდაციები. შედეგად გამოკვლეული იქნება ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის შესაძლო დაფუძნების ახალი ადგილი - გურიის დაბალმთიანი რეგიონის ლოკალური გეომაგნიტური ანომალიის ტერიტორიაზე, რომლის გეოფიზიკური და კლიმატური თავისებურებები ჯერ კიდევ შესასწავლია.</p>
---	---

<i>1</i>	<i>სამუშაოს დასახელება</i>	<i>სამუშაოს ხელმძღვანელი</i>	<i>სამუშაოს შემსრულებლები</i>
1	მიწისძვრების დეფორმაციული წინამორბედების შესაძლო კრიტერიუმების დადგენა თბილისის მიწისქვეშა მიმოქცევითი ობსერვატორიის მონაცემებით. ტრიგერირება.	კ.ზ. ქართველიშვილი	კ.ზ. ქართველიშვილი, მ. ნიკოლაიშვილი, გ. ქართველიშვილი.

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)

დედამიწა მულტიგეოფიზიკური პროცესებით ხასიათდება, რომელთა ბუნების შესწავლა და მართვა კვლევების მუდმივი პრობლემაა. არის კლასი პროცესებისა, რომლებიც ძლიერად გამოვლინდებიან და ადვილად იდენტიფიცირდებიან. ასეთ

კლასს, სხვათა მოვლენათა შორის, ძლიერი მიწისძვრებიც განეკუთვნებიან. მაგრამ მათი ქმედითი მოვლენების მართვა შეუძლებელია, აქ მხოლოდ შესაძლებელია გარიდება ძლიერი შერყევისაგან და შენობა-ნაგებობათა გამაგრება რისკის შემსუბუქების თვალსაზრისით, თუმცა მაქსიმალური პრევენცია ვერ იქნება ამ მოვლენის რიგი ფაქტორების არცოდნის გამო. ამასთანავე არის კლასი მოვლენებისა, რომლებიც სუსტად გამოვლინდებიან, მაგრამ თან ახლავენ ძლიერ პროცესებს ან/და ხელს უწყობენ ძლიერი პროცესების წარმოქმნას ე.ი. მათთან ორგანულ კავშირში არიან. ასეთ პროცესებს განეკუთვნებიან მიწისძვრებით გამოწვეული დედამიწის დახრის ცვლილება, ქერქის დეფორმაცია და ტრიგერირებული მიკრომიწისძვრები და სხვა.

2010 წლიდან მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის სარდაფში მიმდინარეობდა თანამედროვე მაღალი მგრძობიარობის მქონე აქსელერომეტრებით გრუნტის მოძრაობის სამივე Z, N-S და E-W მდგენელის მონიტორინგი. დაკვირვებები გვიჩვენებენ, რომ დროდადრო ჩანაწერების წყნარ ფონზე ხდებოდა ინტენსიური სხვადასხვა

სიხშირის რხევები. მათ შორის აღსანიშნავია 2011 წლის 11/03 იაპონიაში მომხდარი მიწისძვრით გამოწვეული (ტრიგერირებული) რხევები. ამ ჩანაწერის სამივე კომპონენტით მიმართულებების დადგენის და სხვა განსაზღვრების შემდეგ, ამ ტრიგერულ პროცესს უკავშირებთ იაპონიაში ტოჰოკატიში მომხდარ აღნიშნულ მიწისძვრას. ეს ფაქტი წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ შორეულ ($\Delta = 7800$ კმ) ძლიერ მიწისძვრას შეუძლია გამოიწვიოს ტრიგერული დინამიკური მიკრო მიწისძვრები, რაც უდაოდ, ახლო და საშუალო სიშორის მიწისძვრებით ინეცირებულ ტრიგერირებასთან ერთად შესწავლის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა თეორიული და გამოყენებითი ასპექტით.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს რიონ-მტკვრის დეპრესიის და შავი ზღვის აღმოსავლეთ სექტორის სიღრმული გეოლოგიური 2/3D მოდელირება, გაზ-ნავთობზე პროგნოზული შეფასება გეოლოგიურ-გეოფიზიკური მეთოდებით და ღრმა ჭაბურღილების მონაცემებით.	შ. რუსთაველი სახელობის ნაციონალური ფონდი	ს. ლონღაძე	ლონღაძე სვეტლანა-სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორი; ქირია ჯემალი-მენეჯერი, დოქტორი; იავოლოვსკაია ოლღა-წამყვანი გეოფიზიკოსი, მაგისტრი; ადიკაშვილი ლილი-გეოფიზიკოსი, დიპლომირებული სპეციალისტი; გამყრელიძე დიმიტრი-ფიზიკოსი

			დიპლომირებული სპეციალისტი; ქირია თენგიზი-მათემატიკოსი, მაგისტრი.
--	--	--	--

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ეროვნული სამეცნიერო გრანტი № 31/41, ანგარიში 1, პირველი ტრანშის შესრულება.

საანგარიშო ტრანშის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ამოცანები:

1. კვლევის ობიექტის შესახებ არსებული საფონდო და გამოქვეყნებული გეოლოგიურ-გეოფიზიკური მასალების მოპოვება, ანალიზი, საჭიროებისამებრ კომპიუტერიზაცია.

2. ა) გარდატეხილი ტალღების კორელაციის მეთოდებით შესრულებული პროფილების სეისმოტომოგრაფიული ჭრილების აგება.

ბ) სეისმოტომოგრაფიის და ღრმა ჭაბურღილების მონაცემების საფუძველზე ჭრილების ლითოლოგო-ფაციესური ანალიზი.

საპროექტო დავალების შესრულება შედეგების მხრივ ბევრადაა დამოკიდებული მოპოვებული მასალების შერჩევაზე, ინფორმაციულობაზე და სისტემატიზაციაზე. ამდენად, პირველი ტრანშის ეს ამოცანა მეტად საპასუხისმგებლო პროცესია, თუ არ ჩავთვლით იმ სიძნელეებს, რომლებიც თან ახლავს საუწყებო სამსახურებთან წინააღმდეგობის დაძლევას.

დავალება ერთი წინადადებითაა გადმოცემული, მაგრამ ფაქტობრივად გეგმიურ დავალების ფარგლებში იგი გეოლოგიის და გეოფიზიკის, ალბათ, სრულ კომპლექსს მოიცავს, გეოფიზიკიდან სეისმოძიების სამ მეთოდს, გრავიმეტრიის, მაგნიტომეტრიის და სეისმოლოგიის მეთოდებს, გეოლოგიიდან გეოკარტირების სხვადასხვა მასშტაბის და ტექტონიკური აგებულების მასალებს, ღრმა ჭაბურღილების მონაცემებს და სხვა.

ყველა ეს მასალები შავი ზღვის აღმოსავლეთ სექტორიდან რიონ-მტკვრის დეპრესიის გასწვრივ აზერბაიჯანის საზღვრამდე მოპოვებულია, გაანალიზებულია, მათი ინფორმაციულობის ხარისხი შესაძლებლობას იძლევა საგრანტო დავალებით დასმული ამოცანები დადებითად იქნას გადაწყვეტილი.

მეორე ამოცანის ა) პუნქტით შესრულებულია რიონის დეპრესიის გარდატეხილი ტალღების კორელაციის მეთოდის პროფილების ტომოგრაფიული ჭრილების აგება სამი სხვადასვა პროგრამული უზრუნველყოფით. სხვადასხვა პროგრამებით დამუშავება გამოწვეულია პირველადი მასალის სირთულით და ინფორმაციულობის მაქსიმალურად მიღწევის მიზნით. ამ სახის სამუშაოებიდან აქ მოტანილია ერთ-ერთი პროფილის ტომოგრაფიული ჭრილი.

იგივე ამოცანის ბ) პუნქტის შესრულებისათვის გამოყენებულია KMPB და FC3 პროფილები 1000 კმ-ზე მეტი საერთო სიგრძით და 100-მდე ღრმა ჭაბურღილი. მოხდა მათი კორელაციური ანალიზი, რის საფუძველზე შესაძლებელია საკვლევ ტერიტორიაზე ჭაბურღილებს შორის ინტერვალი შეივსოს ლითო-ფაციესური განაწილებით და შედგეს სათანადო რუკები.

გარდა ამისა, სისტემატიზირებულია და კომპიუტერულად გარდაქმნილია საინტერპრეტაციოდ დეპრესიაში და ზღვიურ სეგმენტში არეკლილი ტალღების მეთოდით შესრულებული დროითი ჭრილები.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

1	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3 4 5 6	ნ.გამყრელიძე ს.ლონდაძე თ.გიორგობიანი ნ.დლონტი პ.მინდელი ო.იავოლოვსკაია	ქართლ-კახეთის სიღრმული გეოლოგიური აგებულება გეოფიზიკური მონაცემებით	შპს “ვი აი პი პრინტი” საქართველო, თბილისი, პასტერის ქ. 5	149

ანოტაციები

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ფონდური გეოფიზიკური მასალების დამუშავება და ხელახალი ინტერპრეტაცია. ამასთანავე, გამოყენებულია უახლესი მეთოდები კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით. მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები რეგიონის სიღრმული აგებულების შესახებ მრავალ ასპექტში. ვიმედოვნებთ, რომ ისინი სხვადასხვა გამოყენებით მიმართულებებს გამოადგებიან.

ბ) კრებულები

1	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ნიკოლაიშვილი-თანაშემდგენელი	კონსტანტინე ქართველიშვილის ბიობიბლიოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	137
2	მ. ნიკოლაიშვილი-თანაშემდგენელი	გეოფიზიკის ინსტიტუტი 80	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	186
3				

ანოტაციები

1 ქართული გრაფიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენლის ფიზ.მათ. მეცნ. დოქტორის კონსტანტინე ქართველიშვილის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს მისი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვას (1958-2002 წწ).

2 წიგნი ეძღვნება გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილეს. ნაშრომში გადმოცემულია საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების განვითარების მოკლე ისტორია.

დ) სტატიები

1	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

		დასახელება			
1	ჯ.ლომინაძე, კ. ქართველიშვილი, ნ. ლლონტი, გ. ბერიშვილი, ნ. მებაღიშვილი, მ. ნიკოლაიშვილი	დაბალმთიანი გურიის რეგიონში ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის შექმნის შესაძლებლობის შესახებ	გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები (საიუბილეო გამოცემა)	თბილისი თსუ-ის გამომცემლობა	4
2	პ. მინდელი, ს. ლონდაძე, ნ. ლლონტი, ჯ. ქირია.	საქართველოს ტერიტორიის ანომალური მაგნიტური ველი და მისი კავშირი სიღრმულ აგებულებასთან	საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერია ა. დედამიწის ფიზიკა, ტომი 15ა	0179 თბილისი, ი.ჭავჭავაძე გამზირი 1	5
3	ს. ლონდაძე, პ. მინდელი, ჯ. ქირია.	საქართველოს ტერიტორიისათვის გარდატეხილ ტალღათა პროფილური სეისმური ტომოგრაფია მაგალითზე.	მ. ნოდუას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, 64-ე გამოცემა, ბეჭდვაში.	თბილისი თსუ-ის გამომცემლობა	

ანოტაცია

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიკვირვება გეომაგნიტური ველის, როგორც რეგიონალური, ასევე ლოკალური მაგნიტური ანომალიები. ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გარემოზე, განსაკუთრებით ცოცხალ ორგანიზმებზე.

2003-2009 წლებში ჩატარებული დაბალმთიანი გურიის რეგიონის ლოკალური გეომაგნიტური ანომალიის სავსე დაკვირვებების შედეგები საჭიროებენ დაზუსტებას ამ ტერიტორიაზე კოსმოსური ამინდის ძირითადი ელემენტის - გეომაგნიტური ველის ვარიაციების ლოკალური ბიოსამედიცინო ეფექტების თავისებურებების თვალსაზრისით და ამ საფუძველზე ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის ორგანიზების მიზნით.

ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტები, ურეკის, ანუ ზღვისპირა კურორტის გარდა, ცნობილი არ არის, მაშინ, როდესაც „ხელოვნურ“ მაგნიტოთერაპიას ფართო გამოყენება აქვს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ დაბალი სიხშირის (100 ჰერცამდე) მქონე, საშუალო ინტენსივობის (1-10

გაუსი) მაგნიტურ ველებს ფიზიოთერაპიული ეფექტი გააჩნიათ. მსგავსი დაბალი სიხშირე და ინტენსივობა მაგნიტოთერაპიის ბაზისური, ტრადიციული არაინვაზიური მეთოდის საფუძველს წარმოადგენს.

სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა გურიის რეგიონალურ მაგნიტურ ანომალიაში შემავალი ინტენსიური ლოკალური ანომალიების დეტალური მაგნიტური და ელექტრომეტრული კვლევა, რათა შეიქმნას სამეცნიერო საკვლევე პოლიგონი, შემუშავდეს გეომაგნიტური კვლევების სრულყოფილი მეთოდიკა, შედგენილ იქნას შესაბამისი დეტალური მაგნიტური რუკები, ჩამოყალიბდეს სამეცნიერო დასკვნები და მიღებულ იქნას რეკომენდაციები. შედეგად გამოკვლეული იქნება ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის შესაძლო დაფუძნების ახალი ადგილი - გურიის დაბალმთიანი რეგიონის ლოკალური გეომაგნიტური ანომალიის ტერიტორიაზე, რომლის გეოფიზიკური და კლიმატური თავისებურებები ჯერ კიდევ შესასწავლია.

2. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიის აერომაგნიტური აგეგმვის მასალები და წარმოდგენილია მისი განაწილების სქემა.

არსებული მასალა მოყვანილია ერთიან სისტემაში. შედგენილია საქართველოს ტერიტორიის ანომალური მაგნიტური რუკა, რომელიც გადათვლილია ზედა ნახევარსივრცეში 6, 9 და 12 კმ. სიმაღლეებზე და ჩატარებულია მიღებული შედეგების ანალიზი.

შედგენილია საქართველოს ტერიტორიის მაგნიტო-ტექტონიკური დარაიონების სქემატური რუკა.

3. სამუშაოში განხილულია სეისმური ტომოგრაფიის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა KMPIB -ს (გარდატეხილ ტალღათა კორელაციური მეთოდი) და TC3 -ს (დრმა სეისმური ზონდირება) მასალების დასამუშავებლად. წარმოდგენილია შედარებითი შედეგები სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფით GeoGiga Seismic PRO 7.0 (კანადა), XTommo-LM (სანქტ-პეტერბურგი), SeisImager (Geometrics, USA), SeisWide 4.6.4.

ნაჩვენებია ტომოგრაფიის კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობა გრავი-მაგნიტო საძიებო მეთოდების მონაცემებთან. გამოვლენილია სიჩქარული სურათის მსგავსება სეისმური ტომოგრაფიის შედეგებთან, რომელიც აგებულია ადრინდელი გეოლოგიურ-გეოფიზიკური მოდელის საფუძველზე, კირზან-ხირსას პროფილზე KMPIB, OIT და OPI MPIB.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

2) უცხოეთში

1	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სრულიად უკრაინის გეოინფორმაციის ასოციაცია (BAI)	გეოინფორმატიკა: თეორიული და გამოყენებითი ასპექტები	13-16 მაისი, 2013 წ. ქ. კიევი
2	ევროპის გეომეცნიერთა და ინჟინრების ასოციაცია		

	(EAGE)		
<p>მოხსენებათა ანოტაციები:</p> <p>მათემატიკური მეთოდები და კომპიუტერული ტექნოლოგიები გეოფიზიკასა და გეოლოგიაში.</p> <p>ნავთობ-გაზის საძიებო ტექნოლოგიები, ახალი მიმართულებები და პერსპექტივები.</p> <p>გეოინფორმაციული გამოკვლევები სასარგებლო-წიაღისეულის საბადოების ძებნა-ძიების და ექსპლოატაციის მიზნით.</p> <p>საშიში ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესების მონიტორინგის გეოინფორმაციული უზრუნველყოფა.</p>			

მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის სექტორი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი.:
 ანზორ გველესიანი - ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- ა. გველესიანი, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი (ხელმძღვანელი)
- შ. ადამია მეც. დოქტორი
- ს. ბურჯანაძე, ფიზ. მათ. მეცნ.აკად.დოქ.
- თ.გეგეჭკორი მეც. აკად დოქ.
- თ. ჯებირაშვილი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მზის სისტემა, მზე-დედამიწის კავშირები, გარეატმოსფერული ასტროფიზიკა	ა. გველესიანი	ა. გველესიანი შ. ადამია ს. ბურჯანაძე თ. ჯებირაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ექაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>მსგავსების მეთოდისა და განზომილებათა ანალიზის თეორიის გამოყენებით ქვედა და ზედა ატმოსფეროს და სხვადასხვა თხევად და გაზისებრ გეოფიზიკურ არეებისათვის (დედამიწის თხევადი ბირთვი, ოკეანე, ატმოსფერო, იონოსფერულ-მაგნიტოსფერული პლაზმა, მზის ქარი) შემუშავებულია ფიზიკა-მათემატიკური მოდელები. დაზუსტებულია კონვექციური და ტურბულენტური</p>		

ფენების წარმოშობის პროცესების თავისებურებანი.

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	ორფაზიანი/კომპონენტიანი ვერტიკალურიკონვექციური დინებების მოდელირება ლაბორატორიულ პირობებში	ა. გველესიანი	ა. გველესიანი ნ. ჭიაბრიშვილი თ. ბლიაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
ინტენსიური დუდილის პროცესის მეშვეობით ლაბორატორიულ პირობებში მოდელირებულია გროვა ღრუბლების წარმოშობა, თერმიკების სერიების ჩასახვა, გეიზერებისა და ვულკანების მოქმედება და მეტეოტრონების მეშვეობით და ტყის ხანძრების დროს ხელოვნური ღრუბლების წარმოშობა. მიღებული შედეგები დეტალურადაა წარმოდგენილი ფოტო, ვიდეო და გრაფიკული გაფორმებით. განიხილება მკვლევარის მიერ ორთქლის ბუშტების წარმოშობის და ევოლუციის პროცესის მართვის ძირითადი პარამეტრები.			

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gvelesiani A.	On the hierarchy of mesoscale vortexes in the turbulent media. Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	v. 27, 2013	I. Vekua Institute of Applied Mathematics	4
2	А.И. Гвелесиани	Об одномерной конвекции в многофазных и многокомпонентных геофизических средах	т. XII, 2013 (в печати)	Труды Института геофизики	10
3	А.И. Гвелесиани Н.Г. Чиабришвили Т.Г. Блиадзе	Лабораторные опыты по управлению процессом	т. XII, 2013 (в печати)	Труды Института геофизики	15

4	Gvelesiani A.	термикообразования методом прузырькового кипения Observations of convection processes in nature from the new point of view.	Issue (A), in press	Institute of Geophysics	5
---	---------------	--	------------------------	----------------------------	---

1. შემოთავაზებულია ტურბულენტური გრიგალების იერარქიის კლასიფიკაციის მეთოდი. მეზომასშტაბური გრიგალები აღწერილია რეკურენტული ფორმულების მეშვეობით. კინეტიკური ენერჯიის ინერციული და ბლანტი ინტერვალებისათვის მიღებულია სათანადო სპექტრალური სიმკვრივის ფუნქციების ანალიზური სახე.

განხილული იერარქიის მეზომასშტაბური გრიგალების პარამეტრები კარგ თანხმობაშია სხვადასხვა გეოფიზიკურ არეებში (ოკეანე, ზედა სტრატოსფერო, მეზოსფერო, ქვედა თერმოსფერო, იონოსფეროს E- და F- ფენები, მაგნიტოსფერო) ექსპერიმენტულად დამზერილ და აგრეთვე რიცხვითი მეთოდებით აგებულ ტურბულენტურ გრიგალურ სტრუქტურებთან.

2. სტატია ეხება ნაკლებად შესწავლილ რთულ კონვექციურ დინებებს მიმდინარე გეოფიზიკურ სისტემაში – დედამიწის თხევადი ბირთვი-ოკეანე-ატმოსფერო-იონოსფერო-მაგნიტოსფერო-მზის ქარი. ყურადღების ცენტრშია უწყვეტი და დინამიკური დინამიკური პროცესების ახალი კუთხით განხილვა, რაც საშუალებას იძლევა ბუნებრივი კონვექციური პროცესების კორექტულ მოდელირებას.

3. სტატია მიმდევნილია ლაბორატორიულ პირობებში გროვა ღრუბლების წარმოშობის პროცესის მოდელირებას. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი და გაანალიზებული ჩატარებული წინასწარი ცდების შედეგები. ყურადღების ცენტრშია წყალსა და მრავალფენოვან ხსნარებში თერმიკების – ორთქლის ბუშტების სისტემის წარმოშობის და დინამიკის პროცესის რეგულირება.

4. მოცემულია გროვა ღრუბლების თერმიკების კონგლომერატიდან ღრუბლების მწკრივების წარმოშობის სურათი (ფოტოების სახით). ღრუბლების მწკრივების ცალკეული თერმიკების სახით განლაგება ქარის მიმართულების გასწვრივ ერთი და იგივე რჩება (არა აქვს მნიშვნელობა რა მიმართულებით უბერავს ქარი).

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. გველესიანი	სხვადასხვა გეოფიზიკური არეების კონვექციური მოძრაობების ფიზიკა- მათემატიკური და ლაბორატორიული მოდელირება	ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ზაფხულის საერთაშორისო- სასწავლო სამეცნიერო სკოლა (1-12 ივლისი 2013)

კრებითი ანოტაციები თემატიკების მიხედვით

განვითარებულია სხვადასხვა თხევადი და გაზისებრი გეოფიზიკური არეებისათვის ფიზიკა-მათემატიკური მოდელები, ანალიზი და სისტემის მახასიათებელი პარამეტრების Y ლაბორატორიული დაზუსტება

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	A. Gvelesiani	Investigation of some unfavorable events on the territory of Georgia. Physical and mathematical modeling and laboratory experiments.	International Caucasian Forestry Symposium, Artvin/Turkey 24-26 October 2013

კრებითი ანოტაციები თემატიკების მიხედვით

მსოფლიო მასშტაბით და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიისათვის ატომური იარაღის გამოცდის და ატომურ ელექტროსადგურების ავარიების შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ რადიოაქტიური დაჭუჭყიანების ნორმები აღემატებოდა ზღვრულ დასაშვებ ნორმებს რამოდენიმე რიგით. ვულკანების ამოფრქვევისა და აღნიშნული მოვლენების უარყოფითი გავლენა მეტეოროლოგიურ პროცესებზე მოდელირებული იყო კომპიუტერზე და ლაბორატორიული გზით. დადგენილი იყო მრავალფენოვანი და მრავალკომპონენტური ხსნარის ბუშტოვანი დუღილის ანალოგიური მახასიათებელი პარამეტრები.

ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი,
ავთანდილ ამირანაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ხარჩილავა ჯ. - ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., მთავარი მეცნ. თან.; ბლიაძე თ., დევიძე მ., კირკიტაძე დ., ჩიხლაძე ვ. – აკად. ხარ. დოქტორები, უფრ. მეცნ. თანამშრომლები; თოდაძე მ. - უფრ. მეცნ. თან.; ჭიბრიშვილი ნ. - აკად. ხარ. დოქტ., მეცნ. თან.; ჭანკვეტაძე ა. - მეცნ. თან.; ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ. ჩხაიძე გ., ნიკიფოროვი გ., ბერიშვილი ტ. – ლაბორანტები.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოში სხვადასხვა ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების მრავალწლიური ვარიაციების გამოკვლევა, მათი კავშირების დადგენა კლიმატის ცვლილებასთან, ბუნებრივ კატასტროფებთან, ეკოსისტემების მოწყვლადობასთან და ამ პარამეტრებზე და მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების დამუშავება გარემოზე მათი ნეგატიური გავლენის შესამცირებლად (გარდამავალი თამა).	ა. ამირანაშვილი	ხარჩილავა ჯ., ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ჩიხლაძე ვ., თოდაძე მ., ჭიბრიშვილი ნ., ჭანკვეტაძე ა., ჩხაიძე გ., ნიკიფოროვი გ., ბერიშვილი ტ., ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
1	<p>გაგრძელდა მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის, რადონის და მსუბუქი იონების შემცველობის, მზის პირდაპირი და ჯამური რადიაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ატმოსფეროს წნევა, ქარის სიჩქარე და მამართულება, ხილვადობა და სხვა) კომპლექსური მონიტორინგი, არსებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.</p> <p>სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასებულია საქართველოს კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება (ჰაერის ტემპერატურის მაგალითზე) გლობალურ ცვლილებებთან და რეგიონალური ხასიათის (სანკტ - პეტერბურგი) ცვლილებებთან მიმართებაში, პროცესების პერიოდულობის გათვალისწინებით.</p> <p>შესწავლილია ჰაერის აეროზოლური დაბინძურების თავისებურებანი თბილისში ზამთრის ნისლევის დროს. დაზუსტებულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ტრენდი 1984–2012 წწ. ქ. თბილისში.</p> <p>დადგინდა, რომ საერთო აეროზოლური დაბინძურების დინამიკას საქართველოში (თბილისი, წალკა) და ჩრდილოეთ კავკასიაში (კისლოვოდსკი) აქვს მსგავსი ხასიათი.</p> <p>ამა წლის ზაფხულში გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების მონაწილეობით შეიქმნა სამთავრობო კომისია ამინდის საშიშ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოების განახლების საკითხების განსახილველად. სექტორმა დაიწყო სათანადო სამუშაოების ჩატარება კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის აღსადგენად.</p>		
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის შესწავლა	მ. დევიძე	დევიძე მ., ჩიხლაძე ვ.,
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

2.	<p>2013 წელს საქართველოს რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტიდან, არქეოლოგების დახმარებით შეირჩა რამდენიმე სამუშაო რეგიონი, კერძოდ: გონიოს ციხის და მისი მიმდებარე ტერიტორია, ჩაქვის (ჩაისუბანი) ტერიტორიაზე, გამოვლენილ იქნა რამდენიმე მეტალურგიული ქურა. ეს ქურები, ძირითადად ლითონის გამოდნობას ემსახურებოდა. დადგინდა კავშირი ამ ქურებსა და იმ ტერიტორიებს შორის, სადაც წარსულში, კოლხების მიერ, ძირითადად ხდებოდა მადნის მოპოვება. ეს რაიონი განსაკუთრებით ხელსაყრელია მეტალურგიული საქმიანობისათვის, რადგან მდიდარია მადნის გამოსადნობად საჭირო მინერალებით, ახლოა ტყესთან და საწყლოსნო გზებთან, ხოლო წყლით ტრანსპორტირება განსაკუთრებით მომგებიანი იყო კომერციული საქმიანობისათვის. დანარჩენი ნიმუშები შეგროვდა კახეთის რაიონში, კერძოდ უძირო ხევში. ზოგიერთი ნიმუშები, რომლებიც აღებულ იქნა აღნიშნულ რაიონებში გაიგზავნა პარალელური კვლევების ჩასატარებლად, კერძოდ მაგნიტური დამაბულობის (პალეოინტენსივობის) გასაზომად, ესპანეთის ბურგოსის უნივერსიტეტის პალეომაგნიტურ ლაბორატორიაში.</p>
----	---

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გეო-არქეოლოგია საქართველოში და საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის გაუმჯობესება კავკასიის რეგიონისათვის (2014-2015)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის	მ. დევიძე	მ. დევიძე გ. ქუთელია ნ. ხახუტაიშვილი კ. ქამადაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს წვლილი კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონის საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის აგებაში (2012-2013)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის	მ. დევიძე	მ. დევიძე გ. ქუთელია ვ. ლიხელი დ. ნასხიდაშვილი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
2	<p>პროექტის მიზანი იყო არქეომაგნიტური კვლევების განახლება საქართველოს ტერიტორიაზე, რათა ხელი შეუწყოს კავკასიასა და ხმელთაშუაზღვის მიმდებარე ტერიტორიებისათვის უკანასკნელი 8000 წლის პერიოდისათვის საუკუნეებრივი გეომაგნიტური ვარიაციის მრუდის (SVC) აგებას. მეორე ამოცანა მიზნად ისახავდა თანამშრომლობის გაღრმავებას ქართველ და იტალიელ სამეცნიერო კოლექტივებს შორის გეო-არქეოლოგიურ და არქეომაგნიტური მიმართულებით.</p> <p>პირველ ეტაპზე ნიმუშები შერჩეული და აღებულ იქნა იტალიის არქეოლოგიური და ვულკანური მოედნებიდან. ყველა შეგროვილი ნიმუში გაანალიზებულ იქნა IGG-CNR-ის ვიარეჯიოს არქეომაგნიტურ ლაბორატორიაში. ამ ეტაპის დასასრულებლად პარიზის ლაბორატორიაში "Laboratoire de Paleomagnetisme di Saint Maur des Fossés dell'Institut de Physique du Globe" ორივე ჯგუფის მონაწილეობით ჩატარდა ყველა ნიმუშის განმაგნიტება ცვლად მაგნიტურ ველში, როგორ მოცემულ</p>			

ნიმუშებზე არქეომანტიური კვლევის ბოლო სტადია.
 მიზანმიმართული სავსე სამუშაოების გარდა დამატებით შევარჩიეთ 37 არქეოლოგიური უბანი საიდანაც აღებულ იქნა აგურისა და კერამიკის ნიმუში პალეონტენსივობის წინასწარი გაზომვებისთვის. ნიმუშებს ანალიზი ჩატარდა სან-დიეგოს (კალიფორნიის) უნივერსიტეტის პალეომანტიურ ლაბორატორიაში პროფესორ ლიზა ტოქსის ხელმძღვანელობით. ანალიზი ჩატარდა 144 ნიმუშს ოჰელდიერ I პროგრამის საშუალებით (Shaar and Tauxe, 2013, DOI: 10.1002/ggge.20062) შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: FRAC >= 0.8, SCAT = True, beta <= 0.10, MAD <= 5, DANG <= 10, N_ptrm >=2, შერჩევის კრიტერიუმი: N_შერჩევის >= 2. ამ საკმარისად მკაცრი კრიტერიუმების შედეგად შეირჩა 88 ნიმუში 18 უბნიდან. გაზომვებით მიღებული შედეგები შეგვიძლია ჩავთვალოთ საიმედოდ და წარმატებულად, თუმცა ადეკვატური შესწორებები შეტანილ იქნება ანიზოტროპილი ანალიზის ჩატარების შემდეგ.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ამირანაშვილი ა., ქართველიშვილი ლ., ტროფიმენკო ზ., ხუროძე თ.	ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილების სტატისტიკური შეფასება თბილისში და სანკტ- პეტერბურგში 2056 წლამდე, სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	58 – 62
2	ამირანაშვილი ა., თავართქილაძე კ., კირილენკო ა., კორტუნოვა ზ., პოვოლოცკაია ნ., სენიკი ი.	ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების დინამიკა თბილისში და კისლოვოდსკში, სტუ ჰიდრო- მეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	58 – 62
3	ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ნიკიფოროვი გ., ჭანკვეტაძე ა.	ქალაქ თბილისის ჰაერის მიწისპირა ფენაში მსუბუქი იონების კონცენტრაციის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი 2010-2011 წწ., სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	104-108
4	ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ნიკიფოროვი გ., ჭანკვეტაძე ა.	სუბმიკრონული აეროზოლები თბილისის ატმოსფეროში, სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	95-99

5	ხარჩილავა ჯ., ჩიხლაძე ვ., ქართველიშვილი ლ.	აეროსინოპტიკური მდგომარეობა და მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვალებადობა კახეთში ელჭექ-სეტყვიანობის პროცესების მიმდინარეობისას, სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	125-129
6	ხარჩილავა ჯ., ჩიხლაძე ვ., ჩოჩიშვილი ქ., ჩხაიძე გ.	მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვალებადობის თავისებურებები თბილისში 1984-2012 წწ., სტუ ჰიდრო- მეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	100-103
7	ღლონტი ნ., ცინცაძე თ.	გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების ერთობლივი სამუშაოების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში ატმოსფერული გამოკვლევების დარგში., სტუ ჰიდრო- მეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	153-157
8	კაპანაძე ნ., ხელაია ე., სალუქვაძე მ., სალუქვაძე თ.	აღმოსავლეთ საქართველოს წლის თბილი პერიოდის სხვადასხვა ინტენსივობის ატმოსფერული ნალექებისათვის კ- დამოკიდებულების გამოკვლევა., სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	136-138
9	ამირანაშვილი ა., ბახსოლიანი მ., ბეგალიშვილი ნ., ბერიტაშვილი ბ., რეხვიაშვილი რ., ცინცაძე თ., ჭითანავა რ.	საქართველოში ატმოსფერული პროცესების ხელოვნური რეგულირების სამუშაოთა განახლების საჭიროების შესახებ, სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013.	ISSN 1512 – 0902, ტ. 119	თბილისი	144 - 152
10	ამირანაშვილი ა., ქართველიშვილი ლ., ტროფიმენკო ლ., ხუროძე თ.	თბილისში და სანქტ- პეტერბურგში ჰაერის საშუალოწლიური ტემპერატურის სტატისტიკური სტრუქტურა 1850-2012 წწ.,	ISSN 2233-3347, ახალი სერია, No 5[84]	თბილისი	160-163

		თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013			
11	ამირანაშვილი ა., კირილენკო ა., კორტუნოვა ზ., პოვოლოცკაია ნ., სენიკი ი., თავართქილაძე კ.	ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების ცვალებადობა წალკაში და კისლოვოდსკში 1941- 1990 წწ., თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013	ISSN 2233-3347, ახალი სერია, No 5[84]	თბილისი	178-181
12	ბოლაშვილი ნ., ღლონტი ნ.	საქართველოში კლიმატის ცვლილების გამოკვლევები გეოგრაფიის და გეოფიზიკის ინსტიტუტების საერთო ნაშრომებში., თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013	ISSN 2233-3347, ახალი სერია, No 5[84]	თბილისი	144-147

ანოტაციები

1. გამოკვლეულია ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობების სტატისტიკური სტრუქტურა თბილისში და სანკტ-პეტერბურგში 1907-2006 წწ. კერძოდ მიღებულია, რომ ავტოკორელაცია დაკვირვებათა რიგებში სანკტ-პეტერბურგისათვის უფრო მაღალია, ვიდრე თბილისისათვის. პერიოდულობის პიკები თბილისისათვის ყოველ მე-20 და მე-5 წელზე მოდის, სანკტ-პეტერბურგისათვის – მე-14 და მე-8 წელზე. დათბობის პროცესი სანკტ-პეტერბურგში უფრო ინტენსიურია, ვიდრე თბილისში. ჩატარებულია ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებების სტატისტიკური პროგნოზირება ამავე ქალაქებისათვის 2056 წლამდე სამი მეთოდის გამოყენებით (წრფივი პროგნოზირება, პროგნოზირება გლუვი ფუნქციებით დაკვირვებათა რიგში ორი პერიოდულობის გათვალისწინებით, წრფივი პროგნოზირება ერთი პერიოდულობის გათვალისწინებით).
2. შესწავლილია თბილისში ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის და კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების დროითი რიგების სტატისტიკური სტრუქტურა 1941-1990 წწ. აღნიშნულ პარამეტრებს შორის აღინიშნება მაღალი წრფივი კორელაცია (-0.85). ატმოსფეროს დაბინძურების სტატისტიკური სტრუქტურა და დინამიკა (მეოთხე ხარისხის პოლინომები) ორივე ქალაქში ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-ნი წლების შემდეგ რეგულარული აქტინომეტრული დაკვირვებები აღარ წარმოებს, მომავალში შესაძლებელია ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის მნიშვნელობების აღდგენა თბილისში კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების მიხედვით ბოლო 20 წლის განმავლობაში.
3. წარმოდგენილია მონაცემები თბილისის ჰაერის მიწისპირა ფენაში 2010-2011 წწ. მსუბუქი იონების ჯამური კონცენტრაციის შესახებ. გაზომვები წარმოებდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერის ტერიტორიაზე გერდიენის ტიპის ხელსაწყოს გამოყენებით ყოველდღიურად ოთხჯერ დღეში (9, 12, 15, 17-18 სთ.). შესწავლილია ატმოსფეროში მსუბუქი იონების კონცენტრაციის თვიური და დღიური სვლა. აგებულია მსუბუქი იონების კონცენტრაციის განაწილების ფუნქცია წლის სხვადასხვა სეზონისათვის.
4. წარმოდგენილია მონაცემები თბილისის ჰაერის მიწისპირა ფენაში 2010-2011 წწ. 0.1 მკმ-ზე მეტი ზომის სუბმიკრონული აეროზოლების თვლადი კონცენტრაციის შესახებ. გაზომვები წარმოებდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერის ტერიტორიაზე ხელსაწყო ФАН-ის გამოყენებით რეგისტრაციის იმპულსურ რეჟიმში ყოველდღიურად ოთხჯერ დღეში (9, 12, 15, 17-18 სთ.). შესწავლილია ატმოსფეროში აეროზოლების კონცენტრაციის თვიური და დღიური სვლა. აგებულია აეროზოლების კონცენტრაციის განაწილების ფუნქცია წლის სხვადასხვა სეზონისათვის.
5. ჩატარებულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის (მოკ) ცვალებადობის ანალიზი რუისპირაში დიდ და პატარა

ფართობებზე (შესაბამისად სდგ და სპვ) სეტყვიანობის დროს. გამოვლენილია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სეტყვა არ მოდის ელჭექის პროცესების დროს, დაკვირვების პუნქტის თავზე, სადაც იზომება მოკ, ჭავლური ნაკადი არ დაიკვირვება. სდგ პროცესების დროს მოკ ბევრად ნაკლებია ვიდრე ელჭექის დროს სეტყვის გარეშე და სპვ დროს. ალაზნის ველის პირობებში, თუ ატმოსფეროში წარმოიქმნა ჭავლური ნაკადი და ამავე დროს მოკ არის კარგი ამინდის დონეზე ან მასზე ნაკლები, უნდა ველოდოდ სდგ.

6. გამოკვლეულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის (მოკ) საშუალო წლიური, ნახევარწლიური და თვიური მნიშვნელობების ცვალებადობის სტატისტიკური სტრუქტურა თბილისში 1984-2012 წწ. გამოყოფილია მოკ-ის საშუალო წლიური და ნახევარწლიური მნიშვნელობების დროითი რიგების ტრენდები (მეოთხე რიგის პოლინომები) და შემთხვევითი მდგენელები. ჩატარებულია დროის აღნიშნულ პერიოდში მოკ-ის საშუალო წლიური და ნახევარწლიური მნიშვნელობების ცვლილების ყოველწლიური სიჩქარის ანალიზი. შესწავლილია მოკ-ის საშუალოთვიური მნიშვნელობების ცვალებადობის თავისებურებები შვიდწლიანი პერიოდებისათვის.

7. ჩატარებულია გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების ერთობლივი მრავალწლიანი სამუშაოების ანალიზი საქართველოში ატმოსფერული გამოკვლევების დარგში. აღნიშნულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც მიღებულია ატმოსფეროს დაბინძურების, ატმოსფეროს ელექტრობის, ელჭექის და სეტყვის პროცესების, კლიმატის ცვლილების, რადიოლოკაციური მეტეოროლოგიის, ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების, ბუნებრივი კატასტროფების რისკების, საქართველოს ბიოკლიმატური რესურსების და სხვა კვლევების დროს. გათვალისწინებულია მომავალში აღნიშნული ერთობლივი გამოკვლევების გაგრძელება, აგრეთვე ძალების გაერთიანება ახალი სამეცნიერო და გამოყენებითი ამოცანების გადასაჭრელად (ატმოსფერული პროცესების მოდელირება, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებისადმი ადაპტაციისთვის რეკომენდაციების შემუშავება, ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედება, საქართველოს საკურორტო და ტურისტული ზონების ბიოკლიმატური პასპორტების შექმნა და სხვა).

8. განხილულია ატმოსფერული ნალექების რადიოლოკაციურ ამრეკვლავობასა (Z) და მათ ინტენსივობას (I) შორის კავშირი. Z-I დამოკიდებულება გამოკვლეულია ნალექების ინტენსივობის მთელი დიაპაზონისთვის, როგორც წრფივი, ისე არაწრფივი აპროქსიმაციის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ არაწრფივი შემთხვევისთვის საიმედოობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება და პრაქტიკული გამოყენებისთვისაც შესაბამისი განტოლება უფრო მოსახერხებელია.

9. ჩატარებულია საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების დინამიკისა და მათთან ბრძოლის მეთოდების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი. ნაჩვენებია ამ პროცესებისაგან მიყენებული ეკონომიკური და ფიზიკური ზარალის მატება საქართველოში და საზღვარგარეთ. აღნიშნულია ქართველი მეცნიერების მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესების კვლევის საქმეში, რომელიც ამჟამადც მიმდინარეობს. ხაზგასმულია წარსულში ატმოსფერული ნალექების ხელოვნური გაზრდის, სეტყვასთან ბრძოლის, ღრუბლების საელჭექო აქტივობის რეგულირების, ზვავების ჩამოსვლის საშიშროების პრევენციის პრაქტიკული სამუშაოების წარმატებები. შემოთავაზებულია აღდგეს ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ შეწყვეტილი პრაქტიკული სამუშაოები ატმოსფერული პროცესების რეგულირების დარგში, და პირველ რიგში, სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოები კახეთში.

10. გამოკვლეულია ჰაერის საშუალოწლიური მნიშვნელობების დროითი რიგების სტატისტიკური სტრუქტურა თბილისში და სანქტ-პეტერბურგში 1850-2012 წწ. ჩატარებულია აღნიშნული დროითი რიგების ავტოკორელაციური ანალიზი. შესწავლილია პერიოდულობა ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობაში. ჩატარებულია ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის დინამიკის შედარება თბილისში და სანქტ-პეტერბურგში. ნაჩვენებია, რომ დათბობის პროცესი სანქტ-პეტერბურგში უფრო ინტენსიურია, ვიდრე თბილისში. მიღებული შედეგები მომავალში გათვალისწინებულია გამოყენებულ იქნას ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის გრძელვადიანი პროგნოზირების სხვადასხვა სტატისტიკურ მოდელებში.

11. შესწავლილია წალკაში (ეკოლოგიურად სუფთა მაღალმთიანი რაიონი საქართველოში) ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის და კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების სტატისტიკური სტრუქტურა 1941-1990 წწ. (სტანდარტული სტატისტიკური ანალიზი, ავტოკორელაციური ანალიზი, პერიოდულობების განსაზღვრა, ტრენდების მდგენელების და შემთხვევითი კომპონენტების გამოვლენა და სხვ.). კერძოდ მიღებულია, რომ აღნიშნული პარამეტრების რეალურ მნიშვნელობებს შორის აღინიშნება მაღალი წრფივი კორელაციური კავშირი (-0.81); ატმოსფეროს საერთო აეროზოლური დაბინძურების დინამიკა ორივე ქალაქში ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება (მეოთხე ხარისხის პოლინომი).

12. გამოკვლეულია ატმოსფეროში აეროზოლური დაბინძურების, ღრუბლიანობის, ნისლების, ოზონის საერთო რაოდენობის და სხვ. მრავალწლიანი დინამიკა; შესწავლილია ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების ზეგავლენა მზის რადიაციის, ღრუბლიანობის, ნისლების და სხვ. ცვალებადობაზე. შეფასებულია ზოგიერთი კლიმატის ელემენტების მოსალოდნელი ცვლილება. გათვალისწინებულია აღნიშნული ერთობლივი გამოკვლევების გაგრძელება და აგრეთვე ძალების გაერთიანება ახალი სამეცნიერო და გამოყენებითი მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	წერეთელი ნ., ვარაზანაშვილი ო., ამირანაშვილი ა., წერეთელი ე., ელიზბარაშვილი ე., სალუქვაძე მ., დოლიძე ჯ.	მულტირისკების შეფასება ეროვნულ დონეზე საქართველოში, ევროპული გეოფიზიკური კავშირის გენერალური ასამბლეა, მოხსენებათა თეზისები, გეოფიზიკის სამეცნიერო აბსტრაქტები, 7-12 აპრილი, 2013	ტ. 15, EGU 2013-3176, 2013.	ვენა, ავსტრია	1 გვერდი
2	ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ	ჰაერის გაჭუჭყიანება თბილისში ზამთრის ნისლებში, მე-6-ე საერთაშორისო კონფერენციის „ნისლები, ნისლების შეგროვება და ნამი“ მასალები, 19-24 მაისი, 2013	No 6	იოკოჰამა, იაპონია	1 გვერდი
3	ჭანკვეტაძე ა.	მსუბუქი იონების ჯამური კონცენტრაციის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები ქ. თბილისში, მაღალმთიანი გეოფიზიკის ინსტიტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მოხსენების თეზისები, 22-23 მაისი, 2013		ნალჩიკი, რუსეთი	26-27
4	r. Saari, l. toqsi, a. gogiCaiSvili, m. kalvo-ratertsi, m. deviZe, v. liCeli	აბსოლუტური გეომაგნიტური ველის ინტენსიობის გაზომვა საქართველოში უკანასკნელი 6 ათასწლეულისათვის	Latinmag Letters, Volume 3, Special Issue (2013)	მონტევიდეო, ურუგვაი	4 გვერდი
5	კ. პრინიპე, ს. არიგი,	არქეომაგნიტური კვლევები გვიან	Latinmag Letters, Volume 3, Special	მონტევიდეო, ურუგვაი	3 გვერდი

მ. დევიძე, დ. ჯორდანი, მ. ლე გოფ, ა. გოგინაიშვილი, ს. ლა ველიძე	ელეონითური ხანის ღომელზე არსებული უძველესი ბრინჯაოს ხანის სოფელ CROCE DI PAPA -ში, ნოლა (იტალია)	Issue (2013)			
<p>ანოტაციები</p> <ol style="list-style-type: none"> განხილულია მულტირისკების (მიწისძვრები, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა და სხვა) შეფასება ეროვნულ დონეზე საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულია ანალიზი სუბმიკრონული აეროზოლებით ჰაერის გაჭუჭყიანების თავისებურებისა თბილისში ზამთრის ნისლეზში. დადგენილია კორელაციური კავშირები აეროზოლების, მიწისპირა ოზონის, რადონის და მსუბუქი აეროიონების კონცენტრაციებს შორის. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ, როგორც სუფთა ატმოსფეროში, ასევე ნისლეზში, რადონი არის ძლიერი კატალიზატორი მეორადი აეროზოლების წარმოქმნისას. წარმოდგენილია 2010-2011 წწ. მსუბუქი იონების ჯამური კონცენტრაციის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები ქ. თბილისში. წარმოდგენილია ახალი არქეოინტენსიობის მონაცემები საქართველოდან ძ. წ. 3 000 - დან ა. წ. 1500 – მდე პერიოდისათვის. წარმოდგენილია არქეომაგნიტური დათარიღება გვიან ელეონითური ხანის ღომელზე აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს ბრინჯაოს პერიოდის დასახლებებიდან CROCE DI PAPA, ნოლა. 					

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 1-9	იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 1-9	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“ მიმდევნილი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისა და მისი პირველი დირექტორის, მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორის ვასილ ლომინაძის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2013 წლის 28-30 მაისი, საქართველო, თბილისი
<p>მოხსენებათა ანოტაციები იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 1-9</p>			
2	იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 10-12	იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 10-12	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“, მიმდევნილი ვახუშტი ბაგრატიონის

			გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი, 2013 წლის 7-9 ნოემბერი, საქართველო, თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები იხილე განყ. IV, პუნქტი 1დ, NN 10-12			
3	3.1 ელიზბარაშვილი ე., ამირანაშვილი ა., ვარაზანაშვილი ო., წერეთელი ნ., ელიზბარაშვილი მ., ფიფია მ. 3.2 ამირანაშვილი ა.	სეტყვა საქართველოს ტერიტორიაზე. გამოკვლევების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები გეოფიზიკის ინსტიტუტში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები“, მიძღვნილი მიხეილ ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი, 2013 წლის 9-10 დეკემბერი, საქართველო, თბილისი
მოხსენებათა ანოტაციები 3.1 წარმოდგენილია ანალიზი საქართველოში სეტყვიანობის შესახებ. 3.2 წარმოდგენილია ატმოსფეროს ფიზიკის დარგში გამოკვლევების თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა და განვითარების პერსპექტივების გეგმები გეოფიზიკის ინსტიტუტში.			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 1	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 1	ევროპული გეოფიზიკური კავშირის გენერალური ასამბლეა, 7-12 აპრილი, 2013, ვენა, ავსტრია
2	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 2	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 2	მე-6-ე საერთაშორისო კონფერენცია „ნისლები, ნისლების შეგროვება და ნამი“, 19-24 მაისი, 2013, იოკოჰამა, იაპონია
3	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 3	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 3	მაღალმთიანი გეოფიზიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია მიძღვნილი გიორგი სულაქველიძის დაბადების 100 წლისთავისადმი, 2013 წლის 22-23 მაისი, რუსეთი, ნალჩიკი
4.	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 4	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 4	ლათინური ამერიკის პალეომაგნიტური და გეომაგნიტური ასოციაციის 2013 წლის ბიენალე შეხვედრა, 23- 26 ოქტომბერი. მონტევიდეო, ურუგვაი.
5	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 5	იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, N 5	ლათინური ამერიკის პალეომაგნიტური და გეომაგნიტური ასოციაციის 2013 წლის ბიენალე შეხვედრა, 23- 26 ოქტომბერი. მონტევიდეო, ურუგვაი
6	კ. პრინჩიპე ფ. კარერა მ. დევიძე მ. ლე გოფფ დ. ჯიორდანო	ორი გამომწვარი ღუმელის არქეომაგნიტური დათარიღება, ყოფილი ჯენტილის ლაბორატორია პიზის მეტალურგიულ ზონაში	წარსულის გახსნა 2013. მომავლის არქეოლოგია 13 – 15 ივნისი პიზა, იტალია

7	კ. პრინჩიპე დ. ჯორდანო მ. დევიძე მ. ბისსონ რ. ჯიანარდი ა. პაოლილო მ. ლე გოფუ ს. ლა ფელიჩე	რისკის ახალი სცენარი, ასოცირებული ვეზუვის ამოფრქვევის დროს რღვევების გახსნასთან	AIQUA 2013 ხმელთაშუა ზღვის ზღვისპირა გარემო დღეს და ბოლო გეოლოგიურ წარსულში. ვიცოდეთ რომ გვესმოდეს. 19-21 ივნისი, ნეაპოლი, იტალია.
8	კ. პრინჩიპე დ. ჯორდანო მ. დევიძე მ. ბისსონ რ. ჯიანარდი ა. პაოლილო მ. ლე გოფუ ს. ლა ფელიჩე	ვეზუვის ლავური ნაკადების ემისია: რისკების სცენარის მულტიდისციპლინარული მიდგომა	Iთ I 2013 გეომეცნიერებები საზოგადოებისათვის. 15-18 სექტემბერი პიზა, იტალია

მოსხენებათა ანოტაციები
იხილე განყ. IV, პუნქტი 2დ, NN 1-5

6. ამ ნაშრომში წარმოდგენილია ქრონოლოგიური შედეგი რომელიც მივიღეთ ორი გამომწვარი მეტალურგიული ქურის არქეომაგნიტური დათარიღებით. კვლევები ჩატარებული იქნა I -ჩ დ -ის არქეომაგნიტურ ლაბორატორიაში. 23 კარგად ორიენტირებული ნიმუშის დათარიღებით მივიღეთ შემდეგი ასაკები 1230-1400 და 1380-1496 წ.წ.

7. ამ ნაშრომში წარმოდგენილია რისკების ახალი სცენარი, ასოცირებული ვეზუვის გააქტიურებისას ახალ რღვევებთან მიმართებაში. შესწავლილი იქნა ყველა ისტორიული ჩანაწერი რაც არსებობდა ვულკანის ისტორიის შესახებ, მოხდა უცნობი ლავური ნაკადების პალეომაგნიტური დათარიღება. ამ მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ახალი გეოლოგიური რუკა მოცემული ტერიტორიისათვის, სადაც განხილულია ვულკანის მოქმედების გააქტიურების დროს ლავური ნაკადების ყოველი შესაძლო სცენარი, ახალი ტექტონიკური რღვევების საშიშროება.

8. ამ ნაშრომში გაგრძელებულია რისკების შეფასების სამუშაოები ვულკან ვეზუვის დასავლეთით მდებარე მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისათვის, რადგანაც აქ ვულკანის გააქტიურების შემთხვევაში დიდი კატასტროფის რისკები და ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შესწავლილი იქნას ლავური ნაკადების შესაძლო გავრცელების სცენარები.

ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი
ავთანდილ კორმაძე - ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. დემური დემეტრაშვილი – მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი
2. ალექსანდრე სურმავა – უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი
3. დიანა კვარაცხელია – უფროსი მეცნ. თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
4. ვეფხია კუხალაშვილი - მეცნ. თანამშრომელი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

N	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	შავი ზღვის საქართველოს სექტორში მიმდინარე ზღვისა და ატმოსფეროს ლოკალური ცირკულაციური პროცესების შესწავლა მათემატიკური მოდელების საფუძველზე	ავთანდილ კორძაძე	დემური დემეტრაშვილი, ალექსანდრე სურმავა, დიანა კვარაცხელია, ვეფხია კუხალაშვილი

დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

ზღვის სანაპირო ზოლში გამუდმებით ჩაედინება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენები, მდინარეებს შემოაქვთ სხვადასხვა დამაჭუჭყიანებელი ნივთიერებანი, ზღვა ჭუჭყიანდება აგრეთვე საპორტო ოპერაციების შედეგად. ზღვის სანაპირო ზოლში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ანტროპოგენური და ბუნებრივი მინარევების გავრცელებისა და ტრანსფორმაციის პროცესები, მდინარეების მიერ შემოტანილი მყარი ნატანის გავრცელებისა და სედიმენტაციის, აგრეთვე პლაჟწარმომქმნელი პროცესები. ყველა ეს პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული სანაპირო ზოლში მიმდინარე ცირკულაციურ თავისებურებებთან, რომლებიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია ზღვის ზემოთ განვითარებულ ატმოსფერულ პროცესებთან.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში განვითარებული პროცესების შესწავლა და მათი პროგნოზი შავი ზღვის ოკეანოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2005 წლის ზაფხულში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ARENA - ს ფარგლებში პირველად შავი ზღვისათვის ჩატარებული შავი ზღვის მდგომარეობის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის ფუნქციონირების პილოტური ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა შავი ზღვისპირა ქვეყნის წამყვანი ოკეანოგრაფიული ცენტრები, მათ შორის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელების სექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იყო შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მისი მიმდებარე აკვატორიისათვის. აღნიშნული ექსპერიმენტის ფარგლებში წარმატებით იქნა გამოცდილი სექტორში შემუშავებული საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მაღალი გარჩევისუნარიანობის რეგიონული ჰიდროდინამიკური მოდელი ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების (დინებები, ტემპერატურა, მარილიანობა) პროგნოზისათვის.

აღნიშნული თემის ფარგლებში სრულყოფილია ზღვის რეგიონული ჰიდროდინამიკური მოდელი მასში საქართველოს ძირითად მდინარეთა ჩანადენების გათვალისწინების გზით და დეტალურადაა გამოკვლეული შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მის მიმდებარე აკვატორიაში განვითარებული დინამიკური პროცესების თავისებურებანი. სრულყოფილია აგრეთვე ლოკალური ატმოსფერული პროცესების ჰიდროდინამიკური მოდელი ზღვის სანაპირო რაიონებისათვის და გამოკვლეულია ლოკალური ცირკულაციური პროცესების თავისებურებანი. ატმოსფეროს მოდელის რეალიზაციის

შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზღვის დინამიკის მოდელში, როგორც ზედა სასაზღვრო პირობები.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

N	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შავი ზღვის პროგნოზის სისტემის სრულყოფა და გაფართოება აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის რეგიონული დამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაცრცელელების პროგნოზის გათვალისწინებით.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ავთანდილ კორძაძე	დემური დემეტრაშვილი, ალექსანდრე სურმავა, დიანა კვარაცხელია, ვეფხია კუხალაშვილი

დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

დასრულებული პირველი ეტაპის სამეცნიერო ანგარიში ასახავს პროექტის დაწყებიდან პირველი 6 თვის განმავლობაში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს. ანგარიშის დასაწყისში განიხილება შავი ზღვის ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების ძირითადი თავისებურებანი, მათი შესწავლის ეტაპები და ხაზგასმულია ზღვაში მიმდინარე პროცესების პროგნოზის დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ. სამეცნიერო ანგარიშის ძირითად ნაწილში აღწერილია რეგიონული პროგნოზის სისტემის ფუნქციონირების საკვანძო საკითხები და სისტემის ძირითადი ბირთვი - შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მათემატიკური მოდელი. განხორციელებულია მოდელის რეალიზაცია საქართველოს ძირითადი მდინარეების (ბზიფი, კოდორი, ხობი, ერისწყალი, ენგური, რიონი, ჭოროხი) ჩანადენების გათვალისწინებით. მოცემულია რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე ჩატარებული გამოთვლების შედეგების ამსახველი გრაფიკული ილუსტრაცია, განხორციელებულია რეგიონული პროგნოზის შედეგების შედარება დაკვირვებისა და სხვა მოდელით მიღებულ შედეგებთან და გაანალიზებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე დინამიკური პროცესების ზოგიერთი თავისებურებანი.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრე ბულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კორძაძე ა. ა., დემეტრაშვილი დ. ი., სურმავა ა. ა., კუხალაშვილი ვ. გ.	Некоторые особенности динамического режима восточной части Чер-ного моря по результатам моделирования и прогноза гидрофизи- ческих полей за 2010-2013 гг. Труды инс- титута гео- физики им. М. Нодиа	2013, т. LXIV	თბილისი	14
<p>სტატიაში განიხილება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში (თხევადი საზღვარი, რომელიც ყოფს რეგიონალურ აკვატორიას ზღვის ღია ნაწილისაგან, გადის 39.08 ა. გრ. მერიდიანზე) ცირკულაციური პროცესების შიგაწლიური და წელთაშორისო ცვალებადობის თავისებურებანი შავი ზღვის დინამიკური მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემის შედეგების ანალიზის საფუძველზე. რეგიონული პროგნოზის სისტემამ, რომელიც თითქმის 3 წელიწადია ფუნქციონირებს მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში და უზრუნველყოფს ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3 დღიან პროგნოზს შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მის მიმდებარე აკვატორიაში 1 კმ ჰორიზონტალური გარჩევისუნარიანობით, საშუალება მოგვცა შეგვექმნა პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველების საკმაოდ მდიდარი მონაცემთა ბაზა. ამ მონაცემების ანალიზმა გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და წარმოდგენები ზღვის აუზის ამ ნაწილში მიმდინარე ჰიდროდინამიკური პროცესების შესახებ და საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მათი შიგაწლიური და წელთაშორისო ცვალებადობის ზოგიერთი თავისებურებანი. ყოველდღიური პროგნოზის შედეგები თავსდება ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე: www.ig-geophysics.ge, www.oceandna.ge.</p>					
2	კორძაძე ა., სურმავა ა., დემეტრაშვილი დ., კუხალაშვილი ვ.	Численное моде- лирование фор- мирования мезо- масштабных гид- родинамических полей атмосферы	2013, т. LXIV	თბილისი	8

		в окрестностях юго-восточной части Черного моря. Труды института геофизики им. М. Нодиа			
ჩატარებულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მიდამოებში ატმოსფეროში ქარის სიჩქარის მოდელირება და მისი სივრცული გააწილების შესწავლა. გამოთვლილია ქარის სიჩქარეები, ბადექვეშა მასშტაბის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებისა და რიჩარდსონის რიცხვის სივრცული განაწილება. ნაჩვენებია, რომ ლოკალური რელიეფი, შავი ზღვის ზედაპირული ფენისა და ატმოსფეროს სასაზღვრო ფენების თერმოდინამიკა ხელს უწყობენ ბაროკლინური არამდგრადობის შექმნას, ტურბლიზაციის პროცესის გაძლიერებასა და β-მეზომასშტაბის მოკლე ხანგრძლივობის ქარის სიჩქარის გრიგალის წარმოშობას.					
3	კორმაძე ა., დემეტრაშვილი დ., კუხალაშვილი ვ.	შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემის გაფართოებული ვერსია. VI საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია “ინტერნეტი და საზოგადოება”, 6-7 ივნისი, 2013. კონფერენციის მასალები. შრომათა კრებული.	2013	ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.	5
განიხილება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემა, რომელიც შემუშავებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ARENA და ECOOP ფარგლებში. სტატიაში მოყვანილია აღნიშნული სისტემის გაფართოებისა და სრულყოფის სქემა.					

4	სურმავა ა. ა., კუხალაშვილი ვ.	შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ატმოსფეროს შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება. VI საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია “ინტერნეტი და საზოგადოება”, 6-7 ივნისი, 2013. კონფერენციის მასალები. შრომათა კრებული.	2013	ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.	
<p>რიცხვითი მოდელირებით გამოკვლეულია კავკასიაში ავარიულად დიდი რაოდენობით ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების შესაძლო გავრცელება ატმოსფეროს სხვადასხვა ტიპური მეტეოროლოგიური სიტუაციების შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ რეგიონის რელიეფი ძლიერად მოქმედებს მინარევების გავრცელებაზე ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში. მერიდიონალურად ორიენტირებული რიკოთისა და მცირე კავკასიონის ქედები ეწინააღმდეგებიან რა ჰაერის აღმოსავლეთით მოძრაობას, აიძულებენ დამაბინძურებელ ნივთიერების ძირითად ნაწილს გავრცელდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის თავზე. სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერება სამხრეთ-აღმოსავლეთი ქარის დროს, ამოფრქვევიდან დაახლოებით 18 საათის შემდეგ აღწევს შავი ზღვის სანაპირო ზოლს. ღვეფნილ ზედაპირზე დალექვის შედეგად მან შეიძლება გამოიწვიოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურება.</p>					
5	კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ., კუხალაშვილი ვ.	Циркуляционные процессы в юго-восточной части Черного моря за 2010-2013 гг. Моделирование и прогноз. “გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები”. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ვახუშტი ბაგრატი-	2013, N 5 (84)	თბილისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4

		ონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრო მათა კრებული.			
ჩვენს მიერ შემუშავებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დინამიკური მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემის საფუძველზე შექმნილია ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების მონაცემთა ბაზა, რომელიც მაღალი სივრცით-დროითი დეტალიზაციით ასახავს დინამიკური პროცესების განვითარებას 2010-2013 წლებში შავი ზღვის საქართველოს სექტორის ტერიტორიულ წყლებსა და მის მახლობელ აკვატორიაში. ამ მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის განხილული აკვატორია წარმოადგენს დინამიკურად მეტად აქტიურ რაიონს, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა ცირკულაციური რეჟიმების მონაცვლეობა. სანაპირო ცირკულაციის ერთ-ერთი თავისებურებაა კავკასიის სანაპიროს გასწვრივ გრიგალური წარმონაქმნების ვიწრო ზონის ფორმირება უმრავლეს შემთხვევაში, სადაც პრაქტიკულად უწყვეტად მიმდინარეობს მცირე ზომის სანაპირო არამდგრადი გრიგალების გენერაცია.					
6	Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Surmava A. A.	Dynamical processes developed in the easternmost part of the Black Sea in warm period for 2010-2013. J. Georgian Geophys. Soc.	2013, v.13	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე- ტის გამომცემ- ლობა.	10
სტატიაში გაანალიზებულია 2010-2013 წწ. თბილი პერიოდის შესაბამისი პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველები, რომლებიც გამოთვლილია შავი ზღვის მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემის საფუძველზე ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილისათვის. ამ შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონული ცირკულაციური პროცესები წლის ცივ და თბილ პერიოდებში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. წლის თბილ პერიოდში ხშირ შემთხვევაში რეგიონული ცირკულაციის ძირითადი ელემენტია ბათუმის ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც განსაზღვრავს სპეციფიკურ ჰიდროლოგიურ რეჟიმს შავი ზღვის ამ ნაწილში, მაგრამ გარდა ამ გრიგალისა აქ მუდმივად ვითარდება სხვადასხვა მასშტაბის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების გენერაციის, ევოლუციისა და დისიპაციის ძლიერი არასტაციონარული პროცესები.					
7	Kordzadze A. A., Surmava A. A., Kukhalashvili V. G.	Numerical investigation of the air possible pollution in case of the large hypothetical accidents in some industrial territories of the Caucasus. J. Georgian Geophys. Soc.	2013, v.13	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე- ტის გამომცემ- ლობა.	8
კავკასიის რეგიონში განვითარებული ატმოსფერული პროცესების რეგიონული					

მათემატიკური მოდელისა და ნივთიერების გადატანა-დიფუზიის განტოლების საშუალებით გამოკვლეულია პასიური და რადიოაქტიური მინარევის გავრცელება, რომელთა შესაძლო ამოფრქვევა მოსალოდნელია კავკასიის ინდუსტრიულ რაიონებში. დაჭუჭყიანების გავრცელების მოდელირება განიხილება 4 ძირითადი სინოპტიკური სიტუაციის პირობებში, როცა მოქმედებს სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფონური ქარები. ნაჩვენებია, რომ კავკასიის რელიეფი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაჭუჭყიანების გავრცელების ტრაექტორიებზე.

2) უცხოეთში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Кордзадзе А., А. Деметрашвили Д. И.	О создании системы мониторинга и прогноза состояния природной среды для Кавказского региона. <i>Труды международной научно-практической конференции: ”оценка и рациональное использование природного потенциала гео- систем в условиях глобальных изменений”.</i> 3-5 Июня, 2013, Институт географии им. Г. А. Алиева. Баку, Азербайджан.	2013	ბაქო, აზერ-ბაიჯანი. აკად. გ. ალი-ევის სახ. გეოგ-რაფიის ინსტიტუტი	9

სტატიაში განიხილება კავკასიის რეგიონისათვის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის (ზღვა, ხმელეთი, ატმოსფერო) მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის შექმნის პრობლემა ატმოსფეროსა და შავი და კასპიის ზღვების ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ატმოსფერო, შავი და კასპიის ზღვები ქმნიან ერთიან ჰიდროდინამიკურ სისტემას, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს ენერგიათა და ნივთიერებათა გაცვლის პროცესები ზღვებსა და ატმოსფეროს შორის. ასეთი სისტემის შემუშავების აქტუალობა

განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი საჭიროა ამინდისა და ზღვის მდგომარეობის პროგნოზისათვის, ასევე რეგიონული კლიმატის შესაძლო ცვლილებათა პროგნოზირებისათვის.

2	Кордзадзе А., А. Деметрашвили Д. И.	Краткосрочный прогноз гидрофизических полей в восточной части Черного моря. Изв. РАН, Физика атмосферы и океана	2013, т. 49, № 6	Москва, Россия	13
---	--	--	------------------	----------------	----

შავი ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში 2010-2012 წლებში განხორციელებული ჰიდროფიზიკური ველების მოდელირებისა და პროგნოზის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია რეგიონული ცირკულაციური პროცესების წლიური ცვალებადობის თავისებურებანი ზღვის აუზის ამ ნაწილში. ჰიდროფიზიკური ველების პროგნოზი ხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების ARENA და E ECOOP ფარგლებში შავიზღვისპირა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის საფუძველზე. რეგიონული პროგნოზის სისტემა წარმოადგენს მთლიანად შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის ერთ-ერთ კომპონენტს. აღნიშნულ წლებში დაგროვილი ჰიდროფიზიკური ველების ანალიზი აჩვენებს, რომ შავი ზღვის საქართველოს სექტორი და მისი მიმდებარე აკვატორია წარმოადგენს დინამიკურად მეტად აქტიურ რაიონს, სადაც უწყვეტად ვითარდებიან სხვადასხვა მასშტაბის ანტიციკლონური და ციკლონური ხასიათის გრიგალური წარმონაქმნები.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. კორძაძე, დ. დემეტრაშვილი, ვ. კუხალაშვილი	შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემის გაფართოებული ვერსია.	6-7 ივნისი 2013 წ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

განიხილება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემა, რომელიც შემუშავებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ARENA და ECOOP ფარგლებში. მოხსენებაში მოყვანილია აღნიშნული სისტემის გაფართოებისა და სრულყოფის სქემა.

2	ა. სურმავა, ვ. კუხალაშვილი	შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ატმოსფეროს შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება.	6-7 ივნისი 2013 წ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
---	-------------------------------	--	---

რიცხვითი მოდელირებით გამოკვლეულია კავკასიაში ავარიულად დიდი რაოდენობით ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების შესაძლო გავრცელება ატმოსფეროს სხვადასხვა ტიპიური მეტეოროლოგიური სიტუაციების შემთხვევაში.

3	ა. კორძაძე, დ. დემეტრაშვილი, ვ. კუხალაშვილი	ცირკულაციური პროცესები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მოდელირება და პროგნოზი.	7-8 ნოემბერი 2013 წ, თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი.
---	---	---	--

შავი ზღვის დინამიკური მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემის საფუძველზე შექმნილია ძირითადი ჰიდროფიზიკური ველების მონაცემთა ბაზა, რომელიც მაღალი სივრცით-დროითი დეტალიზაციით ასახავს დინამიკური პროცესების განვითარებას 2010-2013 წლებში შავი ზღვის საქართველოს სექტორის ტერიტორიულ წყლებსა და მის მახლობელ აკვატორიაში. ამ მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის განხილული აკვატორია წარმოადგენს დინამიკურად მეტად აქტიურ რაიონს, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა ცირკულაციური რეჟიმების მონაცვლეობა. სანაპირო ცირკულაციის ერთ-ერთი თავისებურებაა კავკასიის სანაპიროს გასწვრივ გრიგალური წარმონაქმნების ვიწრო ზონის ფორმირება უმრავლეს შემთხვევაში, სადაც პრაქტიკულად უწყვეტად მიმდინარეობს მცირე ზომის სანაპირო არამდგრადი გრიგალების გენერაცია.

4	ა. კორძაძე	შავი ზღვისა და ატმოსფეროს მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემის შემუშავება	9-10 დეკემბერი, თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი
---	------------	---	---

მოცემულია მიმოხილვა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლებიც ჩატარებულია მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს

გეოფიზიკური მოდელირების სექტორში. სექტორის ძირითადი სამეცნიერო თემატიკა მოიცავს შავ ზღვასა და ატმოსფეროში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების შესწავლას მათემატიკური მოდელირების საფუძველზე. სექტორისა და ამავე დროს შავი ზღვის ოკეანოგრაფიის ბოლო ათეული წლების უდიდეს მიღწევად ითვლება შავი ზღვის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ზღვის დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის ველების 3 დღიან პროგნოზს ზღვის საქართველოს სექტორსა და მის მიმდებარე აკვატორიაში 1 კმ გარჩევისუნარიანობით.

5	დ. კვარაცხელია	შავი ზღვის ზედა ფენის ჰიდროლოგიური რეჟიმის ზოგიერთ თავისებურებათა რიცხვითი გამოკვლევა გაზაფხულის სეზონისათვის.	4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი.
---	----------------	--	--

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემუშავებული შავი ზღვის დინამიკის 3-განზომილებიანი ბაროკლინური მოდელის (კორმაძე, დემეტრაშვილი, 2004; 2008; 2009) საფუძველზე გამოკვლეულია შავი ზღვის ზედა ფენის ჰიდროლოგიური რეჟიმის ფორმირების ზოგიერთი თავისებურებანი გარდამავალი კლიმატური პირობებისათვის (აპრილი). გამოკვლევები ჩატარებულია იმ შემთხვევებში როცა ატმოსფერული თერმოხალინური ზემოქმედება მოდელში ხორციელდება დირიხლესა და ნეიმანის სასაზღვრო პირობების შემთხვევაში. ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების ანალიზმა აჩვენა თერმოხალინური ზემოქმედების პირველადი როლი შავი ზღვის ცირკულაციის ფორმირებაში ზედა 0-136 მ ფენაში გარდამავალი კლიმატური პირობების შემთხვევაში. გარდა ამისა, ატმოსფეროს თერმოხალინური ზემოქმედება თამაშობს მნიშვნელოვან როლს სითბოს ჰორიზონტალურ გადატანაში ზედა 2-26 მ ფენაში.

6	დ. კვარაცხელია	ზღვის ზედა ფენის თერმული რეჟიმის სეზონური თავისებურებების რიცხვითი გამოკვლევა.	8-10 ნოემბერი, 2013 ქ. ქუთაისი, ქართველ მექანიკოსთა კავშირის IV წლიური კონფერენცია.
---	----------------	--	--

ზღვისა და ოკეანის ტურბულენტური შერევის ფენის თერმული რეჟიმის თავისებურება არა მხოლოდ განსაზღვრავს ზღვისა და ატმოსფეროს ურთიერთ ზემოქმედების ხარისხს და კლიმატის ფორმირებას, არამედ იგი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ზღვის ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაზე. იგივე უნდა ითქვას შავი ზღვის ტურბულენტური შერევის ფენაზეც.

კვლევის მიზანია შეფასდეს სითბოს გადატანის თავისებურება ჰორიზონტზე შავი ზღვის ტურბულენტური შერევის ფენაში. ასევე განისაზღვროს ფენის სისქე და მისი ცვალებადობა ზღვის ზედაპირზე განვითარებული ატმოსფერული

პროცესების ცვალებადობის შესაბამისად.

შავი ზღვის დინამიკის 3-განზომილებიანი რიცხვითი მოდელის (ა. კორძაძისა და დ. დემეტრაშვილის) გამოყენებით ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები. ანალიზმა აჩვენა, რომ ტემპერატურული ველის განაწილება ჰორიზონტზე შავი ზღვის შერევის ტურბულენტურ ფენაში დაკავშირებულია თერმოჰალინური ზემოქმედების ცვალებადობაზე, ხოლო ფენის სისქეს განსაზღვრავს ატმოსფერული ცირკულაციური პროცესები. მაგალითად, ცივ სეზონში ძლიერი ქარის დროს ტურბულენტური შერევის ფენის სისქე აღწევს მაქიმუმს (16 მ). თბილ სეზონში, აპრილიდან აგვისტოს ბოლომდე კი, შეიმჩნევა ტურბულენტური შერევის ფენის შეთხელება.

2) უცხოეთში

N	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kordzadze A. A., Demetrashvili D. I.	Expansion of the regional forecasting system of the state of the easternmost part of the Black Sea with ecological problems.	17-20 September, 2013 Varna, Bulgaria

შავი ზღვის სანაპირო/შელფური ზონების ეკოლოგიური უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია შავი ზღვისპირა ქვეყნებისათვის. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია შავი ზღვის პროგნოზული სისტემის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ზღვის დინამიკური მდგომარეობის პროგნოზს, არამედ ნავთობისა და სხვა ანთროპოგენური მინარევების გავრცელების ზონებისა და კონცენტრაციების პროგნოზს საჭიროების შემთხვევაში. ამჟამად, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდისას გეოფიზიკის ინსტიტუტში (თბილისი/საქართველო) ფუნქციონირებს რეალურთან მიახლოებულ რეჟიმში რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზღვის დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-დღიან პროგნოზს შავი ზღვის საქართველოს სექტორში და მიმდებარე აკვატორიაში 1 კმ გარჩევისუნარიანობით. ამჟამად, დაგეგმილია არსებული პროგნოზის სისტემის გაფართოება სხვადასხვა ეკოლოგიური მოდულების ჩართვის გზით პროგნოზულ სისტემაში.

2	კორძაძე ა. ა., დემეტრაშვილი დ. ი.	О создании системы мониторинга и прогноза состояния природной среды для Кавказского региона.	3-5 ივნისი, 2013 ბაქო/აზერბაიჯანი, აკად. გ. ალიევის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი
---	--------------------------------------	--	--

ამჟამად, მნიშვნელოვან სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს კავკასიის რეგიონისათვის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის (ზღვა, ხმელეთი, ატმოსფერო) მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის შექმნის პრობლემა ატმოსფეროსა და შავი და კასპიის ზღვების ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ატმოსფერო, შავი და კასპიის ზღვები ქმნიან ერთიან ჰიდროდინამიკურ სისტემას, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს

ენერჯიათა და ნივთიერებათა გაცვლის პროცესები ზღვებსა და ატმოსფეროს შორის. ასეთი სისტემის შემუშავების აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი საჭიროა ამინდისა და ზღვის მდგომარეობის პროგნოზისათვის, ასევე რეგიონული კლიმატის შესაძლო ცვლილებათა პროგნოზირებისათვის.

კოსმოსური კვლევის ცენტრი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ჯ. ლომინაძე,

!. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

ჯ. ლომინაძე, ო. ხარშილაძე, გ. ჩაგელიშვილი, ე. უჩავა, რ. ჭანიშვილი,
 ხ. ჩარგაზია, გ. თვაური, ნ. სადრაძე, ქ. ქორიძე, ტ. ჯინჯოლია

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	არაერთგვაროვან ქართან ურთიერთქმედებისას შიდა - გრავიტაციული ტალღების გენერაციისა და ენერჯიის გადანაწილების მექანიზმის მოდელირება იონოსფეროში	ჯ. ლომინაძე	ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	საანგარიშო პერიოდში მიღებულია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) აღმწერი განტოლებათა სისტემა იონოსფერული გარემოსთვის არაერთგვაროვანი დინებების გათვალისწინებით. არაერთგვაროვანი ანუ წანაცვლებითი დინებები წარმოადგენენ დამატებით ენერგოტევად მექანიზმს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია შგტ ტალღების გენერაციის, შემდგომი ზრდის, ერთმანეთთან სხვადასხვა სიხშირული დიაპაზონის ურთიერთქმედების და გამლიერების მექანიზმის შესწავლისათვის. ზოგადად, მოძრავი გარემოს ელექტროდინამიკაში გარდა დოპლერის ეფექტისა ადგილი აქვს ტალღების ურთიერთტრანსფორმაციას, რაც განპირობებულია ტალღებსა და არაერთგვაროვან ნეიტრალურ დინებებს შორის ენერჯიის გაცვლის არსებობით. ჩვენს მოდელში შგტ წრფივ ტალღებში არამდგრადობის მექანიზმის ჩართვით შესაძლებელია არაწრფივი მაღალ ამპლიტუდიანი ორგანიზებული		

სტრუქტურების წარმოქმნა არაერთგვაროვანი დინებების ფონზე. ეს სტრუქტურები წარმოადგენენ გრიგალურ მონოპოლურ, დიპოლურ და პერიოდულ ჯაჭვურ სტრუქტურებს, რომელთა არსებობა იონოსფერულ და მაგნიტოსფერულ დონეებზე დადასტურებულია თანამგზავრული ექსპერიმენტებით. ამ ექსპერიმენტებში ხდება გამტარი პლაზმური იონოსფერულ გარემოში როგორც გარემოს ნეიტრალური ასევე იონური კომპონენტების გადატანის სიჩქარეებისა და შესაბამისი მაგნიტური ველების მდგენელების რეგისტრაცია. ექსპერიმენტალური ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს მოდელში გათვალისწინებული უნდა იყოს იონოსფერულ გარემოში არსებული დისიპაციური პროცესები, რაც იწვევს გრიგალური სტრუქტურების დეფორმაციას. ასევე ადგილი აქვს სტრუქტურების მიერ წრფივი ტალღების გამოსხივებას. რიცხვითი მოდელირებისას დისიპაციური წევრის გათვალისწინებამ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი გრიგალური სტრუქტურების ტრანსფორმაციის შესახებ.

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ტალღების დინამიკა წანაცვლებით დინებებში	ჯ. ლომინაძე	გ.ჩაგელიშვილი რ.ჭანიშვილი ე.უჩავა

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია შეშფოთებების დინამიკა წანაცვლებით დინებებში, (მათ შორის გარემოს ბრუნვის, სტრატეფიკაციის, მაგნიტური ველის არსებობისას), რაც წარმოადგენს ფუნდამენტს ატმოსფეროსა და ოკეანეში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესების გაგების და ადექვატური აღწერისთვის. შესრულებულია როგორც ანალიტიკური ისე, რიცხვითი კვლევები

შესწავლილია არა ღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკა სუსტად დამაგნიტებულ კეპლერულ დისკოებში. გამოყენებულია ჩვენს მიერ შემუშავებული მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული ტალღისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით. ასეთი ანალიზი სრულფასოვნად აღწერს ტალღების ბმას და სრულ წარმოდგენას იძლევა წრფივი დინამიკის მიმდინარეობაზე. ნაჩვენებია, რომ ყველაზე ენერგეტიკულები არიან გრძელტალღიანი შეშფოთებები, რომლებიც კუმშვადობით ხასიათდებიან. ამდენად დისკოების ტურბულენტობის სრულფასოვნად აღსაწერად საჭიროა კუმშვადი გარემოს განხილვა

შესწავლილია არა ღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკა მდგრადად სტრატეფიცირებულ დინებებში ვერტიკალური და ჰორიზონტალური წანაცვლებით. აღწერილია შიდა გრავიტაციული ტალღების ევოლუცია თითოეული კომპონენტისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით რომლებიც გრიგალური შეშფოთებების დინამიკასაც მოიცავენ.

შესწავლილი ზეარეკვლის მოვლენა უკუმშვადი მუდმივ წანაცვლებიანი დინების ფსევდო- და წანაცვლებითი-ალფვენის ტალღების მაგალითზე. ელზასერის

ცვლადების შემოტანით და არამოდალური ანალიზის გამოყენებით, შემფოთებათა განტოლებები დავიდა პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე, ჩაწერილი თითოეული ტალღის საპირისპიროდ გავრცელებული კომპონენტებისათვის. ჩატარებულამა ანალიზმა საშუალება მოგვცა განგვეცალგებია ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფიზიკური პროცესები, გაგვეაზრებია მათი ურთიერთგავლენა და გაგვეაზრებია ზეარეკვლის მოვლენის ფიზიკის საფუძვლები. შესწავლილია აკუსტიკური ტალღების გენერაცია გლუვ წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ ტალღების გაჩენის წრფივი მექანიზმი განპირობებულია დინების არაორთოგონალური ბუნებით. ამასთანავე, წრფივი მექანიზმით გაჩენილი ბგერითი ტალღის ინტენსიობა „სწრაფი რღვევის თეორიის“ ფარგლებში აღემატება არაწრფივი მექანიზმით გაჩენილს. ჩატარებული კვლევა მიუთითებს ლაითხილის ცნობილი აერო აკუსტიკური თეორიის უმართებულობას.

შესწავლილია კლასიკური კონვექციის დინამიკა გამოწვეული წანაცვლებითი დინების არაორთოგონალობით, როდესაც სითხე არის ბუსინესკის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტით და დინებას აქვს ბრტყელი გეომეტრია მუდმივი ჰორიზონტალური წანაცვლებით. ასეთ არამდგრადობას ადგილი აქვს ატმოსფეროში, ოკეანეებში, დედამიწის თხევად მაგმაში, ვარსკვლავებსა და ასტროფიზიკურ დისკებში. დადასტურებულია არსებული შეხედულება სიმეტრიული არამდგრადობის დომინირების შესახებ, მცირე რეინოლდსის რიცხვების. ამასთანავე, შედარებით დიდი რეინოლდსის რიცხვების დროს, არასიმეტრიული შემფოთებების დიდი ტრანზიენტული ზრდა განაპირობებს კონვექციის დინამიკის განუსაზღვრელობას/არაცალსახობას. ნაჩვენებია, რომ არასიმეტრიული კონვექტიური შემფოთებების ზრდის დომინირების შემთხვევაში, კონვექცია იქნება არა რეგულარული, არამედ ტურბულენტური/ქაოსური.

განხილულია შემფოთებების არაწრფივი დინამიკა ორ განზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად სპექტრალური მდგრადობისა, ასეთ დინებებში ხდება ტურბულენტობის გაჩენა, რომლის ბუნებაც მსგავსია მდგრადი ჰიდროდინამიკური დინებების ტურბულენტობის ბუნებისა. ამ ტურბულენტობის კონცეფცია განსხვავებულია კოლმოგოროვის ტურბულენტობის კონცეფციისაგან, რომლის საფუძველიც სპექტრალური არამდგრადობაა.

შეთავაზებულია ტურბულენტობის კონტროლის ახალი სტრატეგია და ნაჩვენებია მისი ეფექტურობა ბრტყელი კუეტეს დინების კედლების მახლობლობაში განთავსებული მცირე გარეშე მოცულობითი ძალის პირობებში. პირდაპირმა რიცხვითმა თვლებმა აჩვენეს, რომ ამ ძალის მიერ დინებაში ინიცირებული შემფოთებების მიერ ხდება ტურბულენტობის სპინისეული მიმართულებით სარკული სიმეტრიის დარღვევა, ამით განპირობებული არაწრფივი დინამიკის ცვლილება და, შედეგად, ტურბულენტობის სიმძლავრის შესუსტება, ანუ, მისი კონტროლი. მონახულია გარეშე ძალის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტურბულენტობის სიმძლიერეს. ტურბულენტობის კონტროლის ეს სტრატეგია მიესადაგება სხვა წანაცვლებით დინებებსაც.

N	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---------------------	-----------------------	------------------------

1.	კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების შესწავლა თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე.	გენადი თვაური	გენადი თვაური, ნინო სადრაძე, ქეთევან ქორიძე, ტატიანა ჯინჯოლია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>მაღალი სივრცითი გარჩევითობის თანამგზავრული სურათების გამოყენებით შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული მყინვარები. მყინვარწვერის მყინვარებისათვის დაზუსტდა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა კონტური, ფართობი, მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან, ფირნის ხაზის სიმაღლე. მიმდინარე სამუშაოს შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია დასავლეთ საქართველოს ცალკეული მყინვარების აღნიშნული პარამეტრების შესწავლა, მყინვარების სიგრძის ცვლილების შესწავლა, ამ მიზნით თანამგზავრული მონაცემების ქრონოლოგიური რიგის მოპოვება და დამუშავება.</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასა ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ელექტრომაგნიტური ამინდის შემქმნელი უდს ტალღური სტრუქტურების გენერაცია, ინტენსიფიკაცია და ურთიერთტრანსფორმაცია წანაცვლებითი დინებებით მართულ იონოსფეროში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ო. ხარშილაძე	ჯ. ლომინაძე, ხ. ჩარგაზია, ნ. დიხამინჯია

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია ულტრადიდი სიხშირის ტალღური სტრუქტურების წრფივი და არაწრფივი დინამიკა და მათი თვითორგანიზაცია მბრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში, რომელიც განპირობებულია არაერთგვაროვანი ზონალური ქარების (წანაცვლებითი დინება) არსებობით. პლანეტარული უდს ელექტრომაგნიტური ტალღები გენერირდებიან გარემოსა და სივრცით არაერთგვაროვანი გეომაგნიტური ვეილის ურთიერთქმედებით. ნაპოვნია დიდმასშტაბიანი უდს ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის და შემდგომი გაძლიერების ეფექტური წრფივი მექანიზმი წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ ეს ტალღური შეშფოთებები ეფექტურად

ქაჩავენ ენერგიას წანაცვლებითი დინებებისგან და ზრდიან საკუთარ ენერგიას და ამპლიტუდას (რამდენიმე რიგით). ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით, განპირობებული შემფოთებათა პროფილის არაწრფივი გრებით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სიჩქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ქუჩა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ანალიზური გამოთვლებიდან და ნახაზებიდან ნათელი ხდება, რომ სტაციონარული გრიგალური სტრუქტურების წარმოსაქმნელად საჭიროა სიჩქარის გადატანის რაიმე ზღვრული მნიშვნელობა ორივე დისიპაციური და არადისიპაციური კომპლექსური იონოსფერული პლაზმისათვის. შესწავლილია გრიგალების ჩაქრობის დროითი და სივრცითი მახასიათებელი. შეფასებულია გრიგალის ხანგრძლივობის მახასიათებელი დრო დისიპაციური იონოსფეროში. ხანგრძლივ გრიგალურ სტრუქტურებს გადააქვთ ჩაჭერილი ნაწილაკები და ასევე სითბო, ენერგია. ამრიგად, განსახილველი სტრუქტურები შეიძლება წარმოადგენდნენ უდს ელექტრომაგნიტურ ტალღურ მაკრო ტურბულენტობის სტრუქტურულ ელემენტებს იონოსფეროში.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	DISSIPATIVE STRUCTURES AND KINETIC PROCESSES IN THE NEAR EARTH PLASMAS	7 th Framework Program Research, Technologies Development and Demonstration, Marie Curie Actions – People, International Research Staff Exchange Scheme, No PIRSES-GA-2009-269198 (2010-2013).	პროფესორი გაეტანო ზიმბარდო	ქართული მხარე: ო.ხარშილაძე, ბ. ჩარგაზია.

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)
 პროექტის ფარგლებში შესწავლილია მაგნიტოსფერულ გარემოში, კერძოდ მაგნიტოსფეროს კუდის არეში ექსპერიმენტზე დამზეწრილი გრიგალური დინებები, შეფასებულია დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები, რომლებიც შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექციების ზომას. ამიტომ ასეთი სტრუქტურების წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) გარემოში ენერგიის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სატელიტური მისიის გაზომვების ანალიზის საფუძველზე მაგნიტოსფეროს კუდში გამოვლენილია გრიგალები, დაკავშირებული

სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა TEMIS სატელიტური მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ძირითად გრიგალთან ერთად შესაძლოა გამოვლენილ იქნას სხვა გრიგალებიც, რომლებიც აფორმირებენ გრიგალური სტრუქტურების ჯაჭვს, რომლის მთავარ გრიგალს გაცილებით მეტი ამპლიტუდა გააჩნია, ვიდრე სატელიტურ მდგენელებს. გაანალიზებულ იქნა როგორც სიჩქარის ასევე მაგნიტური ველების მონაცემები C და D თანამგზავრებისათვის, ასევე მიღებულ იქნა შესაბამისი ჰოდოგრამები. ჩაკეტილი ჰოდოგრამების სტრუქტურამ, რომლებიც შეესაბამებინ ჩაკეტილ გრიგალურ დინებებს მაგნიტოსფეროში, გამოავლინა რამოდენიმე ტიპის გრიგალის არსებობა შტორმული მოვლენის დროს. ნაჩვენებია, რომ შეშფოთებულ მაგნიტოსფეროს კუდში და დედამიწის ახლომდებარე არეში (რამოდენიმე დედამიწის რადიუსის ტოლ მანძილზე) შესაძლებელია როგორც მონოპოლური, ასევე დიპოლური გრიგალების გენერირება. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგები შედარებულია წანაცვლებით დინებებში გრიგალების ფორმირების რიცხვით სიმულაციებთან და ისინი კარგ თანხვედრაში არიან. კერძოდ, როცხვითი ექსპერიმენტის საშუალებით ნაჩვენებია, რომ გრიგალური ჯაჭვის გრძივი ზომა, მთავარი გრიგალის სიგანე და ამპლიტუდა, ასევე სატელიტური გრიგალების გეომეტრიული მახასიათებლები დამოკიდებულია წანაცვლებითი შტორმული დინების ამპლიტუდასა და გეომეტრიულ პარამეტრებზე. რიცხვითი ექსპერიმენტით გამოვლენილია სხვადასხვა ტიპის გრიგალური სტრუქტურების გენერირების შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია წანაცვლებითი დინების ტიპზე.

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	Subcritical/Bypass transition to turbulence and its spontaneous decay in plane Couette flow: Non-modal and numerical Analyses	DFG (გერმანია).	გ. ხუჯაძე	გ. ჩაგელიშვილი - მიწვეული მკვლევარი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შეთავაზებულია ტურბულენტობის კონტროლის ახალი სტრატეგია და ნაჩვენებია მისი ეფექტურობა ბრტყელი კუეტეს დინების კედლების მახლობლობაში განთავსებული მცირე გარეშე მოცულობითი ძალის პირობებში. პირდაპირმა რიცხვითმა თვლებმა აჩვენეს, რომ ამ ძალის მიერ დინებაში ინიცირებული შეშფოთებების მიერ ხდება ტურბულენტობის სპინისეული მიმართულებით სარკული სიმეტრიის დარღვევა, ამით განპირობებული არაწრფივი დინამიკის ცვლილება და, შედეგად, ტურბულენტობის სიმძლავრის შესუსტება, ანუ, მისი კონტროლი. მონახულია გარეშე ძალის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტურბულენტობის სიძლიერეს. ტურბულენტობის კონტროლის ეს სტრატეგია მიესადაგება სხვა წანაცვლებით დინებებსაც.

შესწავლილია აკუსტიკური ტალღების გენერაცია გლუვ წანაცვლებით დინებებში.

კვლევა ეყრდნობა წარმოდგენებს, რომლებიც შემუშავებული იყო წინა საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ნაჩვენებია, რომ ტალღების გაჩენის წრფივი მექანიზმი განპირობებულია დინების არაორთოგონალური ბუნებით. ამასთანავე, წრფივი მექანიზმით გაჩენილი ბგერითი ტალღის ინტენსიობა „სწრაფი რღვევის თეორიის“ ფარგლებში აღემატება არაწრფივი მექანიზმით გაჩენილს. ჩატარებული კვლევა მიუთითებს ლაითებს ლაითხილის ცნობილი თეორიის უმარხილის ცნობილი აეროაკუსტიკური თეორიის უმართებულობას.

პროექტის ხანგრძლიობაა ორი წელი (2011–2013). პროექტის ფარგლებში გ. ჩაგელიშვილი 2013 წელს სამი თვე იმყოფებოდა დარმშტადტის ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევების საწარმოებლად.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	Solar and Space Weather Network of Excellence	European Commission FP7-PEOPLE-2010-IRSES-269299	შტეფან პუდსი (ბელგია)	ელენე უჩავა

შესწავლილია ანიზოტროპული მკვდ მოდელი სითბური ნაკადების გათვალისწინებით. აღებულ მიახლოებაში განხილულია წანაცვლებითი დინება ძლიერი მაგნიტური ველის ფონზე. შესწავლილია დინების კუმშვადი მდგრადობა. ნანახია, რომ სითბური ნაკადების და ანიზოტროპული ეფექტების ზედდება იწვევს არამდგრადობების რამოდენიმე კლასს, რომლებსაც შეუძლიათ მიმართული დინების დისიპაცია, ან მაგნიტური ველის ამპლიტუდის შეზღუდვა. მომზადებულია გასაგზავნად ერთი სტატია.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა ური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გ.აბურჯანია, ხ. ჩარგაზია	Generation, intensification and self-organization of internal-gravity wave structures in the Earth's ionosphere with directional wind shear / Journal of the GGS, Issue (b), Physics of Atmosphere, Ocean and Space Plasma	4	თბილისი, საქართველო, საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოება	23

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სრავტიფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადექვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შგტ შემფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. აგებულია როგორც წრფივი ასევე არაწრფივი დინამიკური განტოლებების ზუსტი ანალიტიკური ამონახსნები. განსაზღვრულია შგტ შემფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შგტ შემფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული ხარისხოვანი წესით. გენერირებული შგტ მოდების სიხშირე და ტალღური რიცხვი არის დროსი ფუნქცია. ასე, რომ წანაცვლებით დინებიან იონოსფეროში წრფივი მექანიზმით, როცა არაწრფივი და ტურბულენტური ეფექტები არ არიან, წარმოიშობა ტალღური შემფოთებების ფართო სპექტრი. გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემფოთებები ეფექტურად იღებენ ენერჯიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერჯიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სიჩქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი შგტ სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ქუჩა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს. რაოდენობა
1	ლარისა შენგელია, გენადი თვაური, რამინ	“თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა	№119	თბილისი	204-207

ჭელიძე, ბეჟა წიგნაძე, ლია მელაძე, ნინო ხვედელიძე, ნინო მაწკეპლაძე, გიორგი ბერაძე.	თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე.” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები			
---	--	--	--	--

1. ანოტაციები პროექტის მიზანი იყო თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით კავკასიონის ცალკეულ მყინვართა აუზების შესწავლა სტერ რელიეფის ციფრული მოდელის და I შ-ის მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების საფუძველზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზემოქმედების ფონზე. პროექტის მონაწილე მოსწავლეები შეირჩნენ თანამედროვე კვლევებისა და სამეცნიერო ინოვაციებისადმი მათი ინტერესისა და პერსონალური კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენების უნარის მიხედვით.

კვლევის ობიექტად შეირჩა მყინვარწვერის მყინვარები. პროექტში მონაწილე თითოეულ მოსწავლე-მკვლევარს მიეცა კონკრეტული დავალება: მყინვარწვერის თითო მყინვარის არეალის შესწავლა.

მონაცემების დამუშავების შედეგად დადგინდა მყინვართა კვლევისათვის გამოსადეგი მახასიათებლები, რომლებიც მომავალში გამოყენებული იქნება ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების შესაფასებლად.

2 გიორგი კორძაძია, ლარისა შენგელია, გენადი თვაური.	კავკასიონის მყინვარების კვლევა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით. საქართველ ოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები	№119	თბილისი	193-196
---	---	------	---------	---------

2. სამუშაოს მიზანია განხილული და შესწავლილ იქნას მყინვარების დნობა, რაც მნიშვნელოვან ეკოლოგიურ საფრთხეებს მოიცავს განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, კლიმატთან დაკავშირებით მყინვარების გრძელვადიანი მონიტორინგის მიზანია:

- პროცესების დადგენა, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარებისა და კლიმატის ურთიერთმოქმედებასთან;
- კლიმატისა და გარემოს მოსალოდნელი ცვლილება, განპირობებული მყინვარების ცვლილებით;
- კლიმატის გლობალური და რეგიონალური მოდელების ვალიდაცია მყინვარების მონიტორინგის შედეგებით; სენსიტიურობის შესწავლა; კლიმატის ცვლილების სცენარების დაზუსტება და სხვა;

მყინვარების თანამგზავრულ მონიტორინგს აქვს ნათლად გამოხატული პოტენციალი იმისა, რომ ემსახუროს იმ საქმეს, რაც ადრე ტრადიციულად წარმოებდა ექსპედიციური გზით, ან მიწისპირა დაკვირვებებით, როგორც წესი ერთ ან რამდენიმე წერტილში. მაღალი გარჩევადობის დისტანციური ზონდირების სივრცითი მონაცემები საშუალებას იძლევა, რათა გაიზომოს მყინვარის სიგრძის ცვლილება მყინვარის მთლიან ენასთან ერთად. ამ გზით შესაძლებელია მიწისპირა დაკვირვებები შეივსოს ან მთლიანად შეიცვალოს დისტანციური ზონდირების ინფორმაციით.

დისტანციური ზონდირების, კერძოდ თანამგზავრული ინფორმაციის, საშუალებით შეიძლება დავადგინოთ:

- ყინულისა და თოვლის საზღვარი;
- მყინვარის ენის გადაადგილების სიჩქარე;
- მყინვარების რელიეფის მოდელი და კონტურების არეალი.

სამუშაოს საბოლოო მიზანია კავკასიონის მყინვარებზე თანამგზავრული, ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის და გლაციოლოგიური დაკვირვების მონაცემების გამოყენებით:

- მყინვარების გრძელვადიანი მონიტორინგის ტექნოლოგიური ხაზის გამართვა და მყინვარების მახასიათებელი სიდიდეების განსაზღვრა;
- მყინვარების მახასიათებელი მონაცემების საშუალებით მდინარე ენგურის საპილოტო აუზში მყინვარული ჩამონადენის კვლევა;
- მყინვარების მახასიათებელი მონაცემების საფუძველზე კავკასიონის მყინვარების მოდელების კვლევა და მათი განვითარების წინასწარმეტყველება.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა ური, ჟურნალის/კრებუ ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Aburjania ↑, K.Chargazia, O. Kharshiladze	Shear flow energy redistribution stipulated by the internal-gravity wavy structures in the dissipative ionosphere/ Advances in Space Research	52	Philadelphia, USA, Elsevier Impact Factor 1,183	15

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატეფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ

ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადეკვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შგტ შემფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. განსაზღვრულია შგტ შემფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შგტ შემფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული ხარისხოვანი წესით. გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემფოთებები ეფექტურად იღებენ ენერჯის წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერჯიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით (მონოპოლი, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ქუჩა). ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

2	G. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Linear Mechanism of Generation and Intencification of Internal Gravity Waves in the Ionosphere at Their Interaction with a Nonuniform Zonal Wind: 1. Model of the Medium and Initial Dynamic Equations / Geomagnetizm & Aeronomiya	53	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	5
---	--	--	----	--	---

ანოტაცია

ნაშრომში ჩამოყალიბებულია შიდა გრავიტაციური ტალღური სტრუქტურების გენერაციის და გაძლიერების თავისებურებების გამოკვლევა სხვადასხვა ატმოსფერულ-იონოსფერულ არეებში, რომლებიც განპირობებულნი არიან ლოკალურ ზონალური არაერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებები) არსებობით. განხილულია გარემოს მოდელი და მიღებულია საწყისი დინამიკური განტოლებათა ჩაკეტილი სისტემა შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) როგორც წრფივი ასევე არაწრფივი დინამიკის შესასწავლად გეომაგნიტურ ველთან ურთიერთქმედებისას დისიპაციურ იონოსფეროში (როგორც D, E, ასევე F არეებში).

3	G. D. Aburjania, O. Kharshiladze,	Linear Mechanism of Generation and Intencification of	53	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა	9
---	-----------------------------------	---	----	-------------------------------	---

	K Chargazia.	Internal Gravity Waves in the Ionosphere at Their Interaction with a Nonuniform Zonal Wind: 2. Internal gravity wave generation and intensification during the linear evolution stage / Geomagnetism & Aeronomy		Springer Impact Factor: 0,332	
--	--------------	---	--	---	--

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გენერაციის და შემდგომი ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვანი ზონალური ქარის (წანაცვლებითი დინება) არსებობისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. არამოდალური მათემატიკური მიდგომა უფრო ადექვატურია ასეთი ამოცანებისათვის. არამოდალური მიახლოების ბაზაზე მიღებულია მოძრაობისა და შგტ შემფოთებების ენერჯის გადატანის განტოლებები იონოსფეროში წანაცვლებით დინებების არსებობისას. განსაზღვრულია შგტ შემფოთებების წანაცვლებითი არამდგრადობის ზრდის ინკრემენტი. გამოვლენილია, რომ შგტ შემფოთებების გაძლიერება დროის მიხედვით არ მიმდინარეობს ექსპონენციალურად, არამედ ალგებრული ხარისხოვანი წესით. გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემფოთებები ეფექტურად იღებენ ენერჯიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერჯიას. გენერირებული შგტ ტალღების სიხშირე და ენერჯია დამოკიდებულია დროზე, ამიტომ წანაცვლებითი დინებით მართულ იონოსფეროში წარმოიქმნება ტალღური შემფოტებების ფართო სპექტრი, განპირობებულნი არა არაწრფივობა-ტურბულენტობით, არამედ წრფივი ეფექტებით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში.

4	. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Self_Organization of Internal Gravity Wave Structures in an Inhomogeneous Ionosphere: 1. Nonlinear Model Dynamic Equations / Geomagnetizm i Aeronomiya,	54	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	6
---	---	---	----	---	---

ანოტაცია

შიდა გრავიტაციური ტალღური სტრუქტურების (შგტ) გენერაციის და შიდა გრავიტაციური ტალღური სტრუქტურების (შგტ) გენერაციის და შემდგომი არაწრფივი დინამიკის გამოსაკვლევად დისიპაციურ იონოსფეროში ზონალური არაერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებები) არსებობისას აგებულია შესაბამისი მოდელური არაწრფივ დინამიკურ განტოლებათა სისტემა ქვედა იონოსფეროსათვის. მიღებულია შგტ სტრუქტურების წანაცვლებითი არამდგრადობის განვითარების კრიტერიუმი იონოსფერულ გარემოში.

5	. D. Aburjania, O. Kharshiladze, K Chargazia.	Self_Organization of Internal Gravity Wave Structures in an Inhomogeneous Ionosphere: 2. Nonlinear Vortex Structures / Geomagnetizm & Aeronomiya	54	მოსკოვი, რუსეთი, გამომცემლობა Springer Impact Factor: 0,332	
---	---	--	----	--	--

ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციური ტალღების (შგტ) გენერაცია და შემდგომი არაწრფივი დინამიკა დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვანი ზონალური ქარის (წანაცვლებითი დინება) არსებობისას. ნაშრომში [Aburjania et al., 2012] მიღებული შესაბამისი მოდელური არაწრფივ დინამიკურ განტოლებათა სისტემის ბაზაზე გაანალიზებულია შგტ-ს გაძლიერების მექანიზმის ეფექტურობა არაერთგვაროვან ზონალურ ქართან ურთიერთქმედებისას. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით. ამასთან, ჩნდება თავისუფლების ახალი ხარისხი და შესაბამისად, შემფოთებების განვითარების ახალი გზა წანაცვლებით დინებიან გარემოში. წანაცვლებითი ქარის სიჩქარის პროფილზე დამოკიდებულებით არაწრფივი შგტ სტრუქტურები შეიძლება იყოს მონოპოლური, გრიგალური ჯაჭვი ან გრიგალური ქუჩა არაერთგვაროვანი ზონალური ქარის ფონზე. ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mamatsashvili G., Chagelishvili G., Bodo G. and Rossi P	Revisiting dynamics of non-axisymmetric perturbations in weakly magnetized accretion discs,	MNRAS, 2013, 435, 2552		7
2	Chagelishvili G.,	Spanwise reflection	J. Fluid		

	Khujadze G., Foysi H. and Oberlack M.	symmetry breaking and turbulence control in plane Couette flow ,	Mechanics		
3	Gogichaishvili D., Chagelishvili G., Chanishvili R. and Lominadze J.,	Overreaction of Alfvén waves in MHD shear flows	Journal of Plasma Physics		
4	Chanishvili R., Tevzadze A., Chagelishvili G., Lominadze J., Khujadze G. and Oberlack M.,	Uncertainty of convection in high Reynolds number horizontal plane Couette flow	European Journal of Fluid dynamics		
5	. Chagelishvili G., Hau J.-H., Khujadze G. and Oberlack M.,	The basic physics of linear transient growth in plane shear flows	J. Fluid Mechanics		
6	Mamatsashvili G., Gogichaishvili D., Chagelishvili G. and Horton W.,	Bypass transition to turbulence in 2D MHD plane shear flows	Phys. Rev. E		
7	Hau J.-H., Chagelishvili G., Khujadze G. and Oberlack M. and Tevzadze A., A	comparative analysis of linear and nonlinear aerodynamic sound generation in smooth shear flows	J. Fluid Mechanics		
8	Chanishvili R., Chagelishvili G. and Lominadze J.,	A new approach of shear flows linear transient dynamics. Stably stratified flow with vertical shear			
9	Pirtkhalava N., Chagelishvili G., Kharshiladze O. and Lominadze J.,	A new approach of shear flows linear transient dynamics. Stably stratified flow with horizontal shear			
10	E.S.Uchava, B.M. Shergelashvili A. G. Tevzadze, S. Poedts	Overstability of acoustic waves in strongly magnetized anisotropic MHD shear flows	Physics of Plasmas		
11	E. S. Uchava, A. G. Tevzadze, G. D. Chagelishvili	Stability and Vorticity Production in Stratified Astrophysical Disks	J. Modern Physics 4, 18 (2013).		

Aanotaciebi

1. Mamatsashvili G., Chagelishvili G., Bodo G. and Rossi P., *Revisiting dynamics of non-axisymmetric perturbations in weakly magnetized accretion discs*, (არა ღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკის რევიზია სუსტად დამაგნიტებულ აკრეციულ დისკოებში) MNRAS, 2013, 435, 2552

შესწავლილია არა ღერძული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკა სუსტად დამაგნიტებულ კეპლერულ დისკოებში. შესასწავლად გამოყენებულია ჩვენს მიერ შემუშავებული მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული ტალღისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით. ასეთი ანალიზი სრულფასოვნად აღწერს ტალღების ბმას და სრულ წარმოდგენას იძლევა წრფივი დინამიკის მიმდინარეობაზე. აჩვენებს, რომ ყველაზე ენერგეტიკულები არიან გრძელტალღიანი შეშფოთებები და რომლებიც კუმშვადობით ხასიათდებიან. ამდენად დისკოების ტურბულენტობის სრულფასოვნად აღსაწერად საჭიროა კუმშვადი გარემოს განხილვა.

2. Chagelishvili G., Khujadze G., Foyssi H. and Oberlack M., *Spanwise reflection symmetry breaking and turbulence control in plane Couette flow*, (სპინისეული მიმართულების არეკვლითი სიმეტრიის დარღვევა და ტურბულენტობის კონტროლი ბრტყელ კუეტეს დინებაში) J. Fluid Mechanics, 2013, წარდგენილია დასაბეჭდად

შეთავაზებულია ტურბულენტობის კონტროლის ახალი სტრატეგია და ნაჩვენებია მისი ეფექტურობა ბრტყელი კუეტეს დინების კედლების მახლობლობაში განთავსებული მცირე გარეშე მოცულობითი ძალის პირობებში. პირდაპირმა რიცხვითმა თვლებმა აჩვენეს, რომ ამ ძალის მიერ დინებაში ინიცირებული შეშფოთებების მიერ ხდება ტურბულენტობის სპინისეული მიმართულებით სარკული სიმეტრიის დარღვევა, ამით განპირობებული არაწრფივი დინამიკის ცვლილება და, შედეგად, ტურბულენტობის სიმძლავრის შესუსტებ, ანუ, მისი კონტროლი. მონახულია გარეშე ძალის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტურბულენტობის სიძლიერეს. ტურბულენტობის კონტროლის ეს სტრატეგია მიესადაგება სხვა წანაცვლებით დინებებსაც.

3. Gogichaishvili D., Chagelishvili G., Chanishvili R. and Lominadze J., *Overreaction of Alfvén waves in MHD shear flows*, (ალვენის ტალღების ზეარეკვლა მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვლებით დინებებში) Journal of Plasma Physics, 2013, წარდგენილია დასაბეჭდად

ტალღების ზეარეკვლა არის დამახასიათებელი მოვლენა ბუნებრივი და საინჟინრო არაერთგვაროვანი/წანაცვლებითი დინებებისა თუკი მათში არსებობენ ტალღური მოვლენები. მეტიც, ზეარეკვლა (რომელიც არის წანაცვლებული დინების არაორთოგონალობით გამოწვეული მოვლენა) ხშირად განსაზღვრავს დინების დინამიკას. ჩვენი მიზანი იყო ზეარეკვლის ფიზიკის დეტალური ანალიზი უკუმშვადი მუდმივ წანაცვლებიანი დინების ფსევდო- და წანაცვლებითი-ალფვენის ტალღების მაგალითზე. მიზანი მიღწეული იქნა ელზასერის ცვლადების შემოტანით და არამოდალური ანალიზის გამოყენებით. შედეგად, შეშფოთებათა განტოლებები დავიდა პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე, ჩაწერილი თითოეული ტალღის საპირისპიროდ გავრცელებული კომპონენტებისათვის. ჩატარებულამა ანალიზმა საშუალება მოგვცა განგვეცალვებია ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფიზიკური პროცესები, გაგვეაზრებია მათი ურთიერთგავლენა და გაგვეაზრებია ზეარეკვლის მოვლენის ფიზიკის საფუძვლები.

4. Chanishvili R., Tevzadze A., Chagelishvili G., Lominadze J., Khujadze G. and Oberlack M., *Uncertainty of convection in high Reynolds number horizontal plane Couette flow*, (კონვექციის განუზღვრელობა დიდი რეინოლდსის რიცხვის ბრტყელ ჰორიზონტალურ კუეტეს დინებებში) *European Journal of Fluid dynamics*, 2013, წარდგენილია დასაბეჭდად

შესწავლილია კლასიკური კონვექციის დინამიკა გამოწვეული წანაცვლებითი დინების არაორთოგონალობით, როდესაც სითხე არის ბუსინესკის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტით და დინებას აქვს ბრტყელი გეომეტრია მუდმივი ჰორიზონტალური წანაცვლებით. ასეთ არამდგრადობას ადგილი აქვს ატმოსფეროში, ოკეანეებში, დედამიწის თხევად მაგმაში, ვარსკვლავებსა და ასტროფიზიკურ დისკებში. შესაბამისად, კონვექციური არამდგრადობა, როდესაც ის არსებობს, ამ უწყვეტი გარემოს დინამიურ პროცესებს (მასისა და სითბოს გადატანას) განსაზღვრავს. ჩვენი ანალიზი მოიცავს როგორც ზეკრიტიკულ, ასევე ქვეკრიტიკულ რელების რიცხვებს. ჩატარებულია არასიმეტრიული შემფოთებების ტრანზიენტული დინამიკისა სიმეტრიული არამდგრადობის შედარებითი ანალიზი. ამ ანალიზმა დაადასტურა არსებული შეხედულება სიმეტრიული არამდგრადობის დომინირების შესახებ მცირე რეინოლდსის რიცხვების დროს – კონვექციას აქვს დინების მიმართ გასწვრივი რულონის ფორმა. ამასთანავე, შედარებით დიდი რეინოლდსის რიცხვების დროს, წანაცვლებული დინების არაერთგვაროვნების არაორთოგონალობით გამოწვეული არასიმეტრიული შემფოთებების დიდი ტრანზიენტული ზრდა განაპირობებს კონვექციის დინამიკის განუსაზღვრელობას/არაცალსახობას: შესაძლებელია, რომ „ოპტიმალური“ და ოპტიმალურთან ახლო მყოფი არასიმეტრიული კონვექტიური შემფოთებების ზრდა დომინირებდეს სიმეტრიული შემფოთებების ზრდაზე დინამიური დროის განმავლობაში. ეს დომინირება მკვეთრად და დამოკიდებული საწყისი შემფოთების ამპლიტუდასა და სპექტრზე. ოპტიმალური და ოპტიმალურთან ახლო მყოფი არასიმეტრიული კონვექტიური შემფოთებების ზრდის დომინირების შემთხვევაში, კონვექცია იქნება არა რეგულარული, არამედ ტურბულენტური/ქაოსური. (წინააღმდეგ შემთხვევაში კონვექციას ექნება გასწვრივი რულონების სტრუქტურა ისევე, როგორც მცირე რეინოლდსის რიცხვების დროს.) ტურბულენტური შემფოთებები გაცილებით მეტ ენერგიას იღებენ საშალო დინებისაგან ვიდრე პოტენციალური ენერჯის რეალიზებისაგან.

5. Chagelishvili G., Hau J.-H., Khujadze G. and Oberlack M., *The basic physics of linear transient growth in plane shear flows*, (წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა ბრტყელ წანაცვლებით დინებებში) *J. Fluid Mechanics*, 2013, წარდგენილია დასაბეჭდად

ბრტყელ წანაცვლებით დინებებში გაანალიზებულია წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა, რომელიც უნივერსალურია და სამართლიანია როგორც ორგანზომილებიან, ასევე სამგანზომილებიან შემთხვევებში.

6. Mamatsashvili G., Gogichaishvili D., Chagelishvili G. and Horton W., *Bypass transition to turbulence in 2D MHD plane shear flows*, (ბაიფასს გადასვლა ტურბულენტობაში ორ განზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში) *Phys. Rev. E.*, 2013, წარდგენილია დასაბეჭდად

განხილულია შემფოთებების არაწრფივი დინამიკა ორ განზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად სპექტრალური მდგრადობისა, ასეთ დინებებში ხდება ტურბულენტობის გაჩენა, რომლის ბუნებაც მსგავსია მდგრადი ჰიდროდინამიკური დინებების ტურბულენტობის ბუნებისა. ამ ტურბულენტობის კონცეფცია განსხვავებულია

კოლმოგოროვის ტურბულენტობის კონცეფციისაგან, რომლის საფუძველიც სპექტრალური არამდგრადობაა.

7. Hau J.-H., Chagelishvili G., Khujadze G. and Oberlack M. and Tevzadze A., *A comparative analysis of linear and nonlinear aerodynamic sound generation in smooth shear flows*, (ბგერის წრფივი და არაწრფივი აეროდინამიკური გენერაციის შედარებითი ანალიზი წანაცვლებით დინებებში) *J. Fluid Mechanics*, 2013, წარდგებილია დასაბეჭდად

შესწავლილია აკუსტიკური ტალღების გენერაცია გლუვ წანაცვლებით დინებებში. კვლევა ეყრდნობა წარმოდგენებს, რომლებიც შემუშავებული იყო წინა საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ნაჩვენებია, რომ ტალღების გაჩენის წრფივი მექანიზმი განპირობებულია დინების არაორთოგონალური ბუნებით. ამასთანავე, წრფივი მექანიზმით გაჩენილი ბგერითი ტალღის ინტენსიობა „სწრაფი რღვევის თეორიის“ ფარგლებში აღემატება არაწრფივი მექანიზმით გაჩენილს. ჩატარებული კვლევა მიუთითებებს ლაითხილის ცნობილი აერო აკუსტიკური თეორიის უმართებულობას.

8. Chanishvili R., Chagelishvili G. and Lominadze J., *A new approach of shear flows linear transient dynamics. Stably stratified flow with vertical shear* (წანაცვლებითი დინებების წრფივი ტრანზიენტული დინამიკის ახალი ანალიზი. მდგრადად სტრატოფიცირებული დინება ვერტიკალური წანაცვლებით), მზადდება დასაბეჭდად

შესწავლილია არა ღერძული სიმეტრიის მქონე შემფოთებების დინამიკა მდგრადად სტრატოფიცირებულ დინებებში ვერტიკალური წანაცვლებით. შესასწავლად გამოყენებულია ჩვენს მიერ შემუშავებული მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, შიდა გრავიტაციული ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული კომპონენტისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით.

9. Pirtkhalava N., Chagelishvili G., Kharshiladze O. and Lominadze J., *A new approach of shear flows linear transient dynamics. Stably stratified flow with horizontal shear* (წანაცვლებითი დინებების წრფივი ტრანზიენტული დინამიკის ახალი ანალიზი. მდგრადად სტრატოფიცირებული დინება ჰორიზონტალური წანაცვლებით), მზადდება დასაბეჭდად

შესწავლილია არა ღერძული სიმეტრიის მქონე შემფოთებების დინამიკა მდგრადად სტრატოფიცირებულ დინებებში ჰორიზონტალური წანაცვლებით. შესასწავლად გამოყენებულია მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, შიდა გრავიტაციული ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული კომპონენტისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით რომლებიც გრიგალური შემფოთებების დინამიკასაც მოიცავენ.

10. Overstability of acoustic waves in strongly magnetized anisotropic MHD shear flows. - მზადდება დასაბეჭდად.

შესწავლილია ანიზოტროპული მკვდრი სითბური ნაკადების გათვალისწინებით. აღებულ მიახლოებაში განხილულია წანაცვლებითი დინება ძლიერი მაგნიტური ველის ფონზე. შესწავლილია დინების კუმშვადი მდგრადობა. ნაჩვენებია, რომ სითბური ნაკადების და ანიზოტროპული ეფექტების ზედდება იწვევს არამდგრადობების რამოდენიმე კლასს, რომლებსაც შეუძლიათ მიმართული დინების დისიპაცია, ან მაგნიტური ველის ამპლიტუდის შეზღუდვა

11. *Stability and Vorticity Production in Stratified Astrophysical Disks* შესწავლილია წრფივი ლოკალური შემფოთებების დინამიკა სრულად სტრატოფიცირებულ სამ

განზომილებიან ასტროფიზიკურ დისკებში. რადიალური სტრატეფიკაციის კანონი აღებულია ხარისხობრივად, ხოლო ვერტიკალური ნსტრატეფიკაცია - ექსპონენციალურად. შესწავლილია ლოკალური წრფივი შემფოთებების დინამიკა წანაცვლების სიბრტყეში და გამოყვანილია ვკბ დისპერსიული განტოლება. ნაჩვენებია, რომ ვერტიკალური სტრატეფიკაციის კანონი გასაზღვრავს არა მხოლოდ კონვექციურ მდგრადობას, არამედ გრიგალების გენერაციის ეფექტურობასაც. განვითარებული არაწრფივი ტურბულენტობის სპექტრალური თვისებების დაშვებით ნაჩვენებია, რომ გრიგალების გენერირება არ შეიძლება მოჰხდეს მყარტანოვნი ბრუნვის შემთხვევაში და პროცესის გამომწვევი მიზეზია დიფერენციალური ბრუნვა.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	Khatuna Chargazia, Oleg Kharshiladze, Gaetano Zimbardo	Theoretical and Experimental Detection of Nonlinear Electromagnetic Waves as the Elements of Turbulence in the Geospace Environment	International Conference "Modern Problems In Applied Mathematics", Tbilisi, Georgia, September 4-7, 2013

მოხსენების ანოტაცია

შემოთავაზებულია ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის ფიზიკური და მათემატიკური მოდელი და შემდგომი წრფივი და არაწრფივი ევოლუციის სცენარი იონოსფეროში მათი არაერთგვაროვან ქარებთან (წანაცვლებით დინებებთან) ურთიერთქმედებისას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს გარემოში ენერგიის გადანაწილების ახალ მექანიზმს. შესწავლილია იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს სხვადასხვა რეგიონებში არაწრფივ ძლიერად ლოალილებულ გრიგალურ სტრუქტურებად (მონოპოლური და დიპოური გრიგალები, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ბილიკი) თითორგანიზაცია. გეოკოსმოსურ პლაზმურ გარემოში (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) ხშირად დაიმზირება გრიგალები კოსმოსური თანამგზავრების მიერ, მაგალითად, მაგნიტოსფეროს კუდში და გარდამავალ არეში. დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექცირების ზომას. ამიტომ მათი წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ გარემოში ენერგიის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სატელიტურმა მისიამ მაგნიტოსფეროს კუდში გამოავლინა გრიგალები, დაკავშირებული სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. TEMIS სალიტურმა მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითად გრიგალებს თან ახლავს სხვებიც, რომლებიც ქმნან გრიგალურ ჯაჭვს. ხოლო ძლიერად ლოკალიზებული სუსტად ურთიერთქმედი გრიგალური

სტრუქტურები განიხილება როგორც ძლიერი ტურბულენტობის ელემენტები, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს მოდელში, როგორც გრიგალების ანსამბლი. აგრეთვე შესწავლილია ანომალური დიფუზიის პროცესი და შეფასებულია მისი ეფექტური კოეფიციენტი.

2	Khatuna Chargazia, Oleg Kharshiladze	Large Scale Zonal Flows' And Magnetic Field Generation By Small Scale Turbulence In The Ionosphere	IVth International conference of the Mechanical Union, Kutaisi, Georgia, November 8-11, 2013
---	---	--	---

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია მცირე მასშტაბიანი (სკინ სისქის $k_{\perp}^2 c^2 / \omega_{pe}^2 \sim 1$) დრეიფული ალფენის ტურბულენტობით განპირობებული დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაციის თავისებურებები იონოსფერულ პლაზმურ გარემოში. მიღებულია წანაცვლებითი დინებებისა და მაგნიტური ველის ევოლუციის განტოლებები ჩქარი მაღალსიხშირული და მცირემასშტაბიანი ფლუქტუაციების აღწერი მოდელური განტოლებების საშუალებით. ნაჩვენებია, რომ მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფენის ტურბულენტობით სპონტანურად გენერირდებიან დიდმასშტაბიანი ზონალური დინებები და მაგნიტური ველები, რაც განპირობებულია რეინოლდსისა და მაქსველის ძაბვის არაწრფივი ურთიერთქმედებით გარემოს ნაწილაკზე. სისტემაში ჩნდება დადებითი უკუკავშირი დიდმასშტაბიანი ზონალური და/ან მაგნიტური ველის მიერ მცირე მასშტაბიანი სკინ სისქის ალფენის ტალღების მოდულაციით. მცირე მასშტაბიანი ტალღური პაკეტის გავრცელებას გარემოში თან ახლავს პარამეტრული არამდგრადობით განპირობებული დაბალსიხ-შირული დიდმასშტაბიანი შემფოთებები. შესწავლილია არამდგრადობის ორი რეჟიმი: რეზონანსულ-კინეტიკური და ჰიდროდინამიკური. ნაპოვნია ამ არამდგრადობების ინკრემენტები. განსაზღვრულია არამდგრადობის განვითარებისა და დიდმასშტაბიანი სტრუქტურების გაჩენის პირობები. აღნიშნული არამდგრადობები იწვევენ ენერჯის გადაქაჩვას მცირე მასშტაბიანი ალფენის ტალღებიდან დიდმასშტაბიან ზონალურ სტრუქტურებში, რაც დამახასიათებელია ენერჯის ტურბულენტური უკუკასკადისთვის.

3	Oleg Kharshiladze, Khatuna Chargazia	Strong Anisotropic Turbulence Spectra in the Geospace Environment	IVth International conference of the Mechanical Union, Kutaisi, Georgia, November 8-11, 2013
---	---	---	---

მოხსენების ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება დამაგნიტებულ კოსმოსურ პლაზმურ გარემოში მიმდინარე ტურბულენტური პროცესების გამოკვლევას. ასეთ გარემოში არამდგრადობების განვითარებით შესაძლებელია წარმოიქმნან ელექტრომაგნიტური მცირემასშტაბიანი ძლიერად ლოკალიზებული არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები, რომლებსაც გადააქვთ ჩაჭერილი ნაწილაკები. პლაზმაში გადაადგილებისას ეს სტრუქტურები იწვევენ სიმკვრივის, ელექტრული და მაგნიტური ველების შესამჩნევ ფლუქტუაციებს და ააქტიურებენ გადატანის პროცესებს გარემოში. ამასთან ექსპერიმენტზე მიღებული სიმკვრივის ფლუქტუაციის სპექტრის მაჩვენებელი გაცილებით აღემატება სუსტი ტურბულენტობის თეორიის მიერ ნაწინასწარმეტყველებს. ჩვენს მოდელში განხილულ გრიგალურ სტრუქტურებს შეუძლიათ გამოიწვიონ ძლიერი გრიგალური

ტურბულენტობა. ტურბულენტური დინება განიხილება როგორც ძლიერად ლოკალიზებულ, სუსტად ურთიერთქმედ ერთნაირი გრიგალების ანსამბლი. სხვადასხვა ამპლიტუდიანი გრიგალები შემთხვევითად არიან განაწილებული გარემოში (ურთიერთდაჯახებების გამო). მათ აღსაწერად იქნა გამოყენებული სტატისტიკური მეთოდი. მოცემულ მოდელში დაშვებულია, რომ სტაციონარული ტურბულენტობა ფორმირდება ურთიერთ კონკურენტული ეფექტების დაბალანსებით: გრიგალების სპონტანური გენერირება, რომელიც განპირობებულია შემფოთებათა ფრონტის არაწრფივი გრეხით, დიდმასშტაბიან შემფოთებათა ენერჯის ტრანსპორტირება მოკლე მასშტაბიან შემფოთებებში და ამ მასშტაბებში მათი დაჯახებითი მიღევა. ინერციულ არეში ენერჯის გადატანა მასშტაბების მიხედვით ხდება სტრუქტურების შეერთებით მათი ურთიერთდაჯახებისას. მიღებულია ტალღური რიცხვების მიმართ ელექტრომაგნიტური ენერჯის სტაციონარული სპექტრის ახალი სახე, რომელიც ეცემა ხარისხოვანი კანონით $\langle |B_k|^2 \rangle \sim k^{-8/3}$, რაც კარგ თანხვედრაშია უახლეს სატელიტურ (მაგნიტოსფერულ, იონოსფერულ) და ლაბორატორიული დაკვირვებების მონაცემებთან. გამოკვლეულია დედამიწის მაგნიტოსფერულ კუდში დინების კინემატიკური პარამეტრებისა და მაგნიტომეტრული გაზომვები სატელიტ

4	ჯ. ლომინაძე, გ. ჩაგელიშვილი, ო. ხარშილაძე	დინამიური პროცესები წანაცვლებით გეოფიზიკურ დინებებში: უდს ტალღების ზეარეკვლის ეფექტი და გრიგალური სტრუქტურების გენერაცია არაერთგვაროვან ქარებთან ურთიერთქმედებისას	საერთაშორისო კონფერენცია - „გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები“ მიძღვნილი მიხეილ ნოდისას გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი. 9-10 დეკემბერი, 2013
---	---	--	--

მოხსენების ანოტაცია
 მოხსენებაზე წარმოდგენილია წანაცვლებით გეოფიზიკურ დინებებში (ატმოსფერულ, იონოსფერულ და მაგნიტოსფერულ გარემოში) ტალღების ურთიერთტრანსფორმაციისა და წანაცვლებით დინებასთან ენერგეტიკული ურთიერთქმედების მექანიზმი. გამოყენებულია არამოდალური მათემატიკური მოდალური მიდგომა, რომელმაც საშუალება მოგვცა ასეთ დინებებში არსებული მოდელის ანალიზის მათემატიკური პრობლემა (არაერთგვაროვანი კოეფიციენტების არსებობის გამო) დაგვეყვანა დროში ცვლადკოეფიციენტებიან ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. გამოყენებული იყო ელზასერის ცვლადები, რომლებშიც გამოყოფილია ურთიერთ შემხვედრი მიმართულებით მოძრავი ტალღური შემფოთებები. რიცხვითმა ანალიზმა აჩვენა წანაცვლებით დინებებში შიდა გრავიტაციული ტალღებისათვის ზეარეკვლის ეფექტის არსებობა ტალღისა და დინების ურთიერთქმედების რეზონანსულ წერტილში. შეფასებულია როგორც ტალღების ერთმანეთთან, ასევე გარემოსთან ურთიერთქმედების ენერჯიები და ნაჩვენებია, რომ ტალღებს შეუძლიათ ენერჯია აიღონ მოძრავი გარემოდან და მოხდეს ასიმეტრიული გაძლიერება. ასევე ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები არაერთგვაროვან ქარებთან საწყისი შემთხვევითი შემფოთებების ურთიერთქმედების დინამიკის გამოსავლენად. ნაჩვენებია, რომ წანაცვლებით დინებებში შესაძლებელია

ერთი ლოკალური სტრუქტურიდან წარმოიქმნას სტრუქტურების ჯაჭვი (მწკრივი), რომელთა ამპლიტუდები და გეომეტრიული განაწილება სივრცეში განპირობებულია, როგორც გარემოს პარამეტრების მნიშვნელობებზე, ასევე წანაცვლებითი დინების სტრუქტურაზე.

5	ო. ხარშილაძე	იონოსფერული ტალღური სტრუქტურების არაწრფივი დინამიკის რიცხვითი მოდელირება და ფრაქტალური გრიგალები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 22-26 იანვარი, 2013
---	--------------	--	---

მოხსენების ანოტაცია

პლანეტარული მასშტაბის ტალღური სტრუქტურების დინამიკის შესწავლა აქტუალურია როგორც იონოსფეროში რადიოტალღების გავრცელების ასევე ელექტრომაგნიტური ველების გენერაციის გეოფიზიკურ პრობლემებში. ნაშრომში გამოკვლეულია ელექტრომაგნიტური გრიგალური სტრუქტურების ურთიერთქმედება დამაგნიტებულ არაერთგვაროვან დისიპაციურ იონოსფერულ პლაზმაში, როდესაც გათვალისწინებულია გარემოს წონასწორული სიმკვრივის და ტემპერატურის არაერთგვაროვნება, მაგნიტური და დაჯახებითი სიბლანტე და გარემოს ხახუნი. ასეთი ამოცანების რიცხვით ანალიზს ართულებს განტოლებებში შემავალი ორი ტიპის არაწრფივობა - სკალარული (განპირობებული ტემპერატურის არაერთგვაროვნებით) და ვექტორული (ნაწილაკების კონვექციური მოძრაობებით). რიცხვითი ექსპერიმენტები აჩვენებენ, რომ დისპერსიული ეფექტი და დისიპაცია ანგრევს საწყის გრიგალს, წარმოიქმნებიან მცირე ზომის სტრუქტურები და შემფოთებების პოტენციალის რთული განაწილების სურათი. გრიგალური სტრუქტურების გარემოში ევოლუციის პროცესი შეიძლება ასახავდეს იონოსფეროს ტურბულენტურ მდგომარეობას. ამ ეფექტის გასარკვევად შესწავლილია ლაგრანჟის ქაოსის (ქაოსური ადვექციის) შესაძლებლობა იონოსფერულ გრიგალურ ორგანოზომილებიან სტრუქტურებში. სხვადასხვა ტიპის სტრუქტურების არასტაციონარულ დინებებთან ურთიერთქმედების რიცხვითი ანალიზი აჩვენებს, რომ იონოსფეროში შესაძლებელია მოხდეს ფრაქტალური აგებულების სტრუქტურების ფორმირება. გრიგალების აგებულების ფრაქტალური ხასიათი გათვალისწინებული უნდა იყოს იონოსფერულ გარემოში ნაწილაკების, სითბოს, მუხტის და ველის გადატანის, ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების პროცესების კვლევისას. იონოსფერულ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურებში დეტერმინირებული ქაოსური მოძრაობების პრინციპულ შესაძლებლობას ამტკიცებს მაგნიტოჰიდროდინამიკურ განტოლებებიდან ნაშრომში მიღებული არაწრფივი ლორენცის ტიპის განტოლებათა სისტემები. ამ სისტემების რიცხვითი ანალიზი იძლევა წესრიგიდან ქაოსში გადასვლის მექანიზმის იონოსფერულ პარამეტრებს. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამგზავრული დაკვირვებების ინტერპრეტაციისათვის.

#	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	ლარისა შენგელია	“თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე.”	საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”, თბილისი, 2013 წ. 28–30 მაისი, 2013.
2.	გიორგი კორძაძია	კავკასიონის მყინვარების კვლევა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით.	საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”, თბილისი, 2013 წ. 28–30 მაისი, 2013.

2) უცხოეთში

N ^o	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	K. Chargazia, G. Zimbaro, O. Kharshiladze	On the detection of a vortex chain in the Earth's magnetotail	EGU General Assembly 2013. April 7-12. Vienna, Austria.

მოხსენების ანოტაცია

მაგნიტოსფერულ გარემოში, კერძოდ მაგნიტოსფეროს კუდის არეში ხშირად დაიმზირება გრიგალები კოსმოსური თანამგზავრების მიერ. დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექციების ზომას. ამიტომ მათი წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) გარემოში ენერჯის გადანაწილების თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სატელიტურმა მისიამ მაგნიტოსფეროს კუდში გამოავლინა გრიგალები, დაკავშირებული სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. TEMIS სალიტურმა მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ძირითად გრიგალთან ერთად შესაძლოა გამოვლენილ იქნას სხვა გრიგალებიც, რომლებიც აფრომირებენ გრიგალურ ჯაჭვს. გაანალიზებულ იქნა ორივე სიჩქარისა და მაგნიტური ველების მონაცემები C და და თანამგზავრებისათვის, ასევე მიღებულ იქნა შესაბამისი ჰოდოგრამები. ნაჩვენებია, რომ მაგნიტოსფეროს კუდში შესაძლებელია როგორც მონოპოლური, ასევე დიპოლური გრიგალების გამოვლენა. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგების შედარებულია წანაცვლებით

დინებებში გრიგალების ფორმირების რიცხვით სიმულაციებთან და ისნი კარგ თანხვედრაში არიან.			
2	Kharshiladze, Oleg; Chargazia, Khatuna.	Generation, intensification and self-organization of internal-gravity wave structures in the ionosphere with shear flow	12th Scientific Assembly, Mexico, Merida, p43, August 26-31, 2013.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატეფიცირებულ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური – მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შეშფოთებები ეფექტურად იღებენ ენერგიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერგიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით (მონოპოლი, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ქუჩა). ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.</p>			
3	Oleg Kharshiladze, Khatuna Chargazia	Dynamics of Ultra Low Frequency Electromagnetic Waves at Interaction with Shear Flows in the Ionosphere	European Planetary Science Congress 2013 08 – 13 September 2013, London, United Kingdom
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია უდს პლანეტარული ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაცია და შემდგომი დინამიკა მზრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში ერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებების) არსებობისას. ლანეტარული უდს ტალღები ჩნდებიანგარემოს სივრცით არაერთგვაროვან მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედების შედეგად. გამოვლენილია დიდმასშტაბიანი დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღებისა გაძლიერების და მცირე მასშტაბიანი ინერციულ ტალღებად ტრანსფორმაციის ეფექტური მექანიზმი. მოცანა გადაჭრილი არამოდალური მათემატიკური მეთოდის შესაძლებლობების გამოყენებით. რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით გამოვლენილია ტალღების ფონურ დინებებთან ურთიერთქმედების და ტალღური შეშფოთებების ურთიერთ ტრანსფორმაციის თავისებურებანი იონოსფეროში.</p>			
#	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	G. D. Chagelishvili	Nonlinear transverse cascade and subcritical transition to turbulence in HD/MHD shear flow	Euromech Colloquium 542, 15-18 January, 2013, Lyon, France

2	G. D. Chagelishvili, J-N. Hau, G. R. Khujadze, M. Oberlack	The Basic Physics of the Linear Transient Growth in Plane Shear flows	European Turbulence Conference-14, 1-4 September, 2013, Lyon, France
3	J-N. Hau, G. D. Chagelishvili, G. R. Khujadze, M. Oberlack,	Aerodynamic Sound Generation in Smooth Shear Flows	European Turbulence Conference-14, 1-4 September, 2013, Lyon, France
4	J-N. Hau, G. D. Chagelishvili, G. R. Khujadze, M. Oberlack,	Aerodynamic Sound Generation in Smooth Shear Flows	European Turbulence Conference-14, 1-4 September, 2013, Lyon, France

მოხსენებათა ანოტაციები

1. Nonlinear transverse cascade and subcritical transition to turbulence in HD/MHD shear flow. განხილულია შეშფოთებების არაწრფივი დინამიკა ორ განზომილებიან მაგნიტოჰიდროდინამიკურ ბრტყელ წანაცვლებით დინებებში. ნაჩვენებია, რომ მიუხედავად სპექტრალური მდგრადობისა, ასეთ დინებებში ხდება ტურბულენტობის გაჩენა, რომლის ბუნებაც მსგავსია მდგრადი ჰიდროდინამიკური დინებების ტურბულენტობის ბუნებისა. ამ ტურბულენტობის კონცეფცია განსხვავებულია კოლმოგოროვის ტურბულენტობის კონცეფციისაგან, რომლის საფუძველიც სპექტრალური არამდგრადობაა.
2. The basic physics of linear transient growth in plane shear flows, ბრტყელ წანაცვლებით დინებებში გაანალიზებულია წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა, რომელიც უნივერსალურია და სამართლიანია როგორც ორგანზომილებიან, ასევე სამგანზომილებიან შემთხვევებში
3. Aerodynamic Sound Generation in Smooth Shear Flows. შესწავლილია აკუსტიკური ტალღების გენერაცია გლუვ წანაცვლებით დინებებში. კვლევა ეყრდნობა წარმოდგენებს, რომლებიც შემუშავებული იყო წინა საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ნაჩვენებია, რომ ტალღების გაჩენის წრფივი მექანიზმი განპირობებულია დინების არაორთოგონალური ბუნებით. ამასთანავე, წრფივი მექანიზმით გაჩენილი ბგერითი ტალღის ინტენსიობა „სწრაფი რღვევის თეორიის“ ფარგლებში აღემატება არაწრფივი მექანიზმით გაჩენილს. ჩატარებული კვლევა მიუთითებებს ლაითხილის ცნობილი აერო აკუსტიკური თეორიის უმართებულობას

#	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	გენადი თვაური	Application of Argo drifter data for quality control of SST received from Remote sensing	საერთაშორისო კონფერენცია "საზღვაო კვლევის ჰორიზონტი 2020" ვარნა, ბულგარეთი: 17-22 სექტემბერი, 2013.

შავი ზღვის მდგომარეობის დიაგნოზის მიზნით ზღვის ზედაპირის ტემპერატურის თანამგზავრული მონაცემები იქნა გამოყენებული.

ზოტ თანამგზავრულ მონაცემებს ხარისხის კონტროლის და შეფასების სპეციალური პროცედურები ესაჭიროებათ. ამ მიზნით არგოს დრიფტერების მონაცემები იქნა გამოყენებული.

შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის ხარისხის კონტროლის მიზნით გამოყენებულ იქნა აგრეთვე სპეციალური რიცხვითი ექსპერიმენტები შავი ზღვის ბაროკლინური პროგნოზისტული მოდელის საფუძველზე. ამ ექსპერიმენტების შედეგები მიანიშნებს, რომ ე.წ. კლიმატოლოგიურ მონაცემებთან შედარებით შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის თანამგზავრული მონაცემების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შავი ზღვის მდგომარეობის პროგნოზის ხარისხს.

დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. მეც.აკადემიური დოქტორი რობერტ გოგუა

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

1. რობერტ გოგუა - ხელმძღვანელი
2. თამაზ მათიაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი
3. ნინო ლოსეურაშვილი - ლაბორანტი
4. მარინა ბუჩუკური - ლაბორანტი
5. გიული ტუშური - ლაბორანტი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

1	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციების უწყვეტი რეგისტრაცია	რობერტ გოგუა	თ. მათიაშვილი ნ. ლოსეურაშვილი მ. ბუჩუკური გ. ტუშური

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

	<p>2013 წელს დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მიღებული (რეგისტრირებული) უწყვეტი, დღე-ღამური, სამეცნიერო ინფორმაცია დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციების შესახებ (-ჰორიზონტალური, ძ-ვერტიკალური, - მიხრილობა) დამუშავებული და გაგზავნილია (ინტერნეტის საშუალებით) მონაცემთა მსოფლიო ცენტრში (ქ. კიოტო, იაპონია) და ინერგება მონაცემთა საერთაშორისო გაცვლის სისტემაში, რაც გვამძლევს უფლებას უფასოდ მივიღოთ მონაცემთა მსოფლიო ცენტრში დაგროვილი მთელი ინფორმაცია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში და გამოვიყენოთ ჩვენს სამეცნიერო კვლევებში.</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია მდებარეობს იონოსფეროში არსებული დენტა სისტემის ფოკუსის ქვეშ და ერთადერთია დუშეთიდან 1000კმ-ის რადიუსით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ამასთან ერთად აქვს 120 წელზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი ინფორმაცია დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებების შესახებ, რომელიც გამოიყენება დედამიწის შიგნით და მის ახლო კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესასწავლად, ამ ინფორმაციის მნიშვნელობა (საჭიროება) სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და მას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა.</p> <p>საანგარიშო პერიოდში მოვამზადეთ და გადავეცით სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 2014წ.-ს ორი პროექტი: 1. საქართველოს ტერიტორიის გრავი-მაგნიტური და ელექტრული ანომალიების სივრცულ-გენეტიკური კავშირის გამოკვლევა სასარგებლო ნამარხების (მეტალური, ნავთობ-გაზი) პროგნოზირებასა და სეისმურობასთან კავშირში, ხელმძღვანელი რ. გოგუა. 2. პროექტში „გეოდინამიკური ველის სივრცულ-დროითი ვარიაციები და მისი გავლენა ღრმა წყალშემცველ ჰორიზონტებზე და მაგნიტურ ველზე” - ვარ ძირითადი შემსრულებელი.</p> <p>ორივე ამ პროექტის შესრულებაში გამოყენებული იქნება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული საველე გამოკვლევების შედეგები, ისე ობსერვატორიული მონაცემები.</p>			
2	<table border="1"> <tr> <td>სამუშაოს დასახელება</td> <td>სამუშაოს ხელმძღვანელი</td> <td>სამუშაოს შემსრულებლები</td> </tr> </table>	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები		

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

1	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ. გოგუა	თბილისის	მ. ნოდისას	თბილისი,	6 გვ.

2 3	(დუშეთის) გეოფიზიკური ობსერვატორია: წარსული და აწმყო	გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 61	2013წ.	
ანოტაციები				
<p>სტატია ეძღვნება დუშეთის (თბილისის) გეოფიზიკური ობსერვატორიის დაარსებისა და განვითარების ისტორიას. მასში განხილულია გეომაგნიტური დაკვირვებების განვითარების ძირითადი ეტაპები, მიღწევები. გრაფიკული სახით წარმოდგენილია 120 წელზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი ინფორმაცია, რომელიც რეგისტრირებულია დუშეთის ობსერვატორიაში. აღნიშნულია იმ მეცნიერთა დამსახურება, რომელთა ძალისხმევით ობსერვატორია გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე. აღწერილია ობსერვატორიის დღევანდელი მდგომარეობა და მისი საერთაშორისო კავშირები. აღნიშნულია მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობა.</p>				

კოსმოფიზიკის ობსერვატორია.

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მეცნიერ თანამშრომელი ირაკლი ტუსკია.

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
 მეც.აკად.დოქტორები:ნოდარ ხაზარაძე, თეიმურაზ ბაქრაძე;
 მეც.თანამშრომლები:ეკატერინე ბაზერაშვილი, ზეინაზ ყვავაძე.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---------------------	-----------------------	------------------------

1	კოსმოსური სხივების ინტენსივობის ნეიტრონული კომპონენტის და ატმოსფერული წნევის უწყვეტი რეგისტრაცია. მონაცემთა საერთაშორისო გაცვლის ცენტრში განთავსება.	ირაკლი ტუსკია	ნოდარ ხაზარაძე, თეიმურაზ ბაქრაძე, ეკატერინე ბაზერაშვილი ზეინაბ ყვავაძე ლამარა ოსეფაშვილი გიორგი ერქომაიშვილი ტერეზა ერქომაიშვილი ნინო ბოჩიკაშვილი
2	საპლანეტაშორისო მაგნიტური ველის სექტორული სტრუქტურის დინამიკა და დამანგრეველი მიწისძვრების პრობლემები.	ნოდარ ხაზარაძე	თეიმურაზ ბაქრაძე, ირაკლი ტუსკია ეკატერინე ბაზერაშვილი ზეინაბ ყვავაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
1.	დასრულდა 2013 წლის მონაცემების (ნეიტრონული კომპონენტისა და ატმოსფერული წნევის) რეგისტრაცია, დამუშავება და სისტემატიზირება. დადგინდა კავშირის კოეფიციენტი კოსმოსური სხივების ნეიტრონულ კომპონენტსა და ატმოსფერულ წნევას შორის. საბოლოო მონაცემები განთავსდა მონაცემთა საერთაშორისო ცენტრში.		
2	თეორიული კვლევების პირველ ეტაპზე დამუშავებულია და გადაჭრილია მზე-დედამიწის კავშირების კონტექსტში მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის ახალი ინტერპრეტაცია, რასაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი დამანგრეველი მიწისძვრების პროგნოზირებისათვის.		

IV პუბლიკაციები:

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნოდარ ხაზარაძე, თეიმურაზ ბაქრაძე, ირაკლი	მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის გავლენა დედამიწის	ტომი 64	ქ. თბილისი, გეოფიზიკის ინსტიტუტი	6

	<p>ტუსკია ეკატერინე ბაზერაშვილი ზეინაბ ყვავაძე მიხეილ ელიზბარაშვილი</p>	<p>ტექტონიკაზე, როდესაც მას უხდება საპლანეტთაშორისო მაგნიტური ველის ნეიტრალური ფენის გადაკვეთა. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული</p>			
<p style="text-align: center;">ანოტაციები</p> <p>განხილულია მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის ახალი ინტერპრეტაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი დამანგრეველი მიწისძვრების პროგნოზირებისთვის მაგნიტუდით $M \geq 6$. გამოვლენილია მიღებული კანონის ქმედითუნარიანობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მზეზე ხდება ძლიერი აალებები და დედამიწას უხდება საპლანეტთაშორისო მაგნიტური ველის ნეიტრალური ფენის გადაკვეთა.</p>					

ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმის კვლევის ცენტრი

- I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. გიორგი მელიქაძე, გეოლ-მინ. მეცნიერებათა დოქტორი
- I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
გენადი კობზევი, აკად. დოქტორი; ნინო კაპანაძე, დოქტორანტი;
თამარ ჯიმშელაძე, დოქტორანტი;
საგრანტო პროექტის ფარგლებში მოწვეული კონტრაქტორები: მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვერაძე; ხათუნა ბედიანიშვილი; ზურაბ მაჩაიძე, დოქტორანტი; სარეჟიმო სადგურების დამკვირვებლები;

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოს გეოთერმული	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი; ნინო

	პოტენციალის შეფასება თანამედროვე ჰიდროგეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით		კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვერაძე;
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	შედგენილი იქნა დასავლეთ საქართველოს თერმული ველის სამგანზომილებიანი ციფრული რუკა; დათვლილი იქნა თერმული წყლის მარაგები და შემუშავდა მათი ეკონომიურად და ეკოლოგიურად გამართული ექსპლოატაციის რეკომენდაციები.		
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გრანტი #19 “სამხრეთ კავკასიაში ნახშირწყლების შეგროვებისა და შენახვისთვის ბუნებრივი ანალოგების შესწავლა”	რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ევრო- გაერთიანება ERA- NET	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი; ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; ხათუნა ბედიანიშვილი;
პროექტის მეოთხე ეტაპზე:				
<ul style="list-style-type: none"> • შეიქმნა ნახშირორჟანგის გამოვლენის პუნქტების კატალოგი და I მ სისტემაში მათი განაწილების რუკა; • დადგინდა ნახშირორჟანგის ემისის განმაპირობებელი გეოლოგიური ფაქტორები • არსებულ გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ მასალა დაყრდნობით მოძიებული იქნა ინფორმაცია თბილისის შუა ეოცენის ასაკის თერმული და ნავთობის საბადოს – გაზორეზერვუარის აგებულებასა და შესწავლილი იქნა ჰიდროგეოლოგიური თვისებები. ჭაბურღილების სავლე ტესტირებებით. აღებული იქნა სპეციალური სინჯები შერჩეული უბნებიდან ქანების პეტროფიზიკური, მინერალოგიური და წყლების ქიმიური შესწავლის მიზნით • დაწყებული იქნა ერთობლივი კვლევები საქართველოს ტერიტორიაზე რვევების დამაბულობის განსაზღვრის მიზნით და გამოყოფილი იქნა მათ შორის კრიტიკულად დამაბულები • გრძელდება ნახშირორჟანგის ემისიასა და სეისმურობას შორის ურთიერთკავშირი 				

დადგენა

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	გრანტი #18 “ზღვის სანაპიროების დაბინძურებისა და ათროფიკაციის პრევენციის მიზნით მიწისქვეშა წყლების ზღვისქვეშა განტვირთვის შესწავლა”	რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ევრო-გაერთიანება ERA-NET	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი; ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოღაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე; ზურაბ მაჩაიძე

პროექტის შედეგად მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

ზღვებისა და ოკეანეების მდგრადი გამოყენება ითხოვს მათში მიმდინარე პროცესების სრულყოფილ ცოდნას, კერძოდ მიწიდან ზღვამდე ხსნარისა და მაკრო ნაწილაკების ტრანსპორტირების კანონზომიერებების ცოდნას. ეს ხდება არა მარტო მდინარეების მეშვეობით, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, მიწისქვეშა წყლების განტვირთვით (მწგ) ზღვაში, რაც წარმოადგენს მთავარ პოტენციალურ გზას ნაკადის და ნალექების ტრანსპორტირებისათვის ზღვაში. მასალის ტრანსპორტირება იწვევს სანაპირო ზოლის ათროფიკაციას და დაბინძურებას, ზღვის პროდუქტების, კორალური რიფების დაბინძურებასა და ზღვის წყლის მავნებელ “აყვავებას”.

მწგ შესწავლაში გამოიყენება ე.წ. წყლის “ტრასერები”. ეკოლოგიური “ტრასერები” წარმოადგენენ ბუნებრივ ან ანტროპოგენურ ნივთიერებებს, რომლებიც არსებობენ ბუნებაში და წარმოიშვებიან განსაზღვრული წყაროებიდან. განსხვავებით ხელოვნური “ტრასერებისგან”, ისინი არ აბინძურებენ გარემოს მსგავსად ქიმიური ელემენტებისა. გარდა ამისა, ბუნებრივი ეკოლოგიური “ტრასერების” არსებობის ყველგან გარემოში და ამდენად შესაძლებელია მათი გამოყენება ფართო მასშტაბიანი კვლევებისას.

პროექტის მიზანის წარმოადგენდა მწგ ზონების შესწავლა “მულტი-ტრასერების” გამოყენებით აჭარის ტერიტორიის საზღვაო აკვიფერაში. მწგ ზონის ლოკალიზაციისა და რაოდენობის განსაზღვრისათვის განხორციელდა მცდელობა გაგვეერთიანებინა სხვადასხვა სახის წყლის “ტრასერები” და მომხდარიყო მიღებული შედეგების დადასტურება თანამგზავრული მონაცემებით.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი წარმოადგენს ზედაპირული წყლების განტვირთვის ზონას, სადაც თავს იყრის მსხვილი სამრეწველო ობიექტებისა და ქალაქების საყოფაცხოვრებო ტოქსიკური და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურებული წყლები. კვლევები განხორციელდა როგორც ხმელეთზე ასევე ზღვაში.

პირველ რიგში ჩატარდა დეტალური მიწისზედა ჰიდროქიმიური დასინჯვები და შესწავლილი იქნა ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლებში ტიპიური ჰიდროქიმიური პარამეტრების Na, Ca, K, Mg, HCO₃, SO₄, Cl დამატებით ნიტრატები და ფოსფატები, ასევე გაზების რადონისა და ჰელიუმის გავრცელება და მათი ფონი. გამოვლენილი იქნა რადონის მომატებული მნიშვნელობების უბნები, რომლებიც დაემთხვა მომატებული მინერალიზაციის უბნებს.

პარალელურად გერმანელ და ბერძენ კოლეგებთან დაწყებული იქნა ერთობლივი საზღვაო სამუშაოები – გრუნტის წყლების განტვირთვის უბნების დასაფიქსირებლად. წინდაწინ, სატელიტურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოყოფილი იქნა პოტენციურად საინტერესო უბნები. სადაც, შემდგომში ჩატარდა ერთობლივი საზღვაო ექსპედიციები, რომლის დროსაც განუწყვეტელ რეჟიმში იზომებოდა წყლის ფიზიკური თვისებები (გამტარებლობა, ტემპერატურა, მარილიანობა, თავისუფალი ჟანგბადის რაოდენობა და სხვა.) და რადონის შემცველობა. ორ ეტაპად, 2012 და 2013 წლებში, განხორციელდა ნაპირის პარალელური და მართობული საზღვაო პროფილირებები. იზომებოდა ასევე გრუნტის და ზღვის წყალში რადიაქტიული ელემენტ – ტრასერების კონცენტრაციები. პარალელურ რეჟიმში ხმელეთზე, ჭაბურღილებსა და წყაროებში იზომებოდა რადონის და სტაბილური იზოტოპების მნიშვნელობები

საზღვაო პროფილირების დროს გამოვლენილი იქნა ორი ანომალური უბანი, პირობითად ქობულეთის ცენტრსა და სოფ ჩაქვის მიმდებარე ტერიტორიებთან, სადაც ხდება აგრუნტის წყლის განტვირთვა ნაპირის სიახლოვეს.

მართობული პროფილის გასწვრივ რადონსა და რადიუმთან ერთად ჩატარდა სტაბილური იზოტოპების ^{18}O და ^2H , (როგორც დამატებითი „ტრასერების“) დასინჯვები. დასინჯვის შედეგებმა დაადასტურა, რომ გრუნტის წყლის ზღვასთან შერევა ხდება ნაპირის სიახლოვეს დაახლოებით 300 მეტრამდე და ნარევეში გრუნტის წყლის წვლილი შეადგენს დაახლოებით 5%-ს. საზღვაო და სახმელეთო კვლევებით გამოვლენილი ანომალური უბნები წარმოადგენდნენ ერთმანეთის გაგრძელებას.

დაბინძურების ინტენსივობის დროში ცვლილებების და მისი მასშტაბების განსაზღვრისათვის, ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს ზღვისა და მიწისქვეშა წყლების დონის ვარიაციებზე.

აითროფიკაციის (ნიტრატებით და ფოსფატებით დაბინძურება) ინტენსივობის განსაზღვრის მიზნით, გრუნტის წყლების განტვირთვის უბნების ფარგლებში განსაზღვრული იქნა ნიტრატების და ფოსფატების მნიშვნელობები მიწისქვეშა წყლებში და ზღვაში. მათი მნიშვნელობები ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე და მერყეობს ნიტრატებისთვის $0.2 - 3$ მგ/ლ და ფოსფატებისთვის $0.18 - 1$ მგ/ლ გრუნტის წყალში და ნიტრატებისთვის $0.2 - 0.4$ მგ/ლ და ფოსფატებისთვის $0.02 - 0.04$ მგ/ლ მდე ზღვაში. მიუხედავად დაბალი კონცენტრაციებისა, დამაბინძურებლების ზღვაში ჩადინების მოცულობა შეადგენს მნიშვნელოვან ციფრს. ასე მაგალითად კინტრიშის ხარჯი წელიწადში საშუალოდ შეადგენს 0.003 მლნ. მ3, ხოლო ჩაქვის წყალის 0.002 მლნ. მ3. შესაბამისად კინტრიშის მიერ ზღვაში ყოველწლიურად ჩაედინება 9000 ტონა ნ და 3000 ტონა ფოსფატები, ხოლო ჩაქვის წყლის მიერ შესაბამისად 6000 ტონა იტრატები და 2000 ტონა ფოსფატები. ეს ტენდენცია დროთა განმავლობაში შემცირდება, თუ ისევ არ მოხდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების გამდიდრენა შხამ-ქიმიკატებით.

მიწისქვეშა წყლების ზღვაში განტვირთვის უბნების დასადგენად შეირჩა და დაინერგა ეკოლოგიური „ტრასერების“ გამოყენების ახალი მეთოდოლოგია. წარმატებით გამოყენებული იქნა საზღვაო და სახმელეთო კვლევათა კომპლექსი, ისეთი ეკოლოგიური „ტრასერებით“ როგორებიცაა ერთის მხრივ ჟანგბადის ^{18}O და წყალბადის ^2H -ის სტაბილური იზოტოპები და მეორეს მხრივ, რადონი -Rn და რადიუმი-Ra. დადგენილი იქნა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მოძრაობის და ზღვაში განტვირთვის უბნები და განსაზღვრა მათი არეალი. დადგინდა დაბინძურების ზედაპირული ხასიათი. გამოვლენილი უბნების ფარგლებში განსაზღვრული იქნა აითროფიკაციის ინტენსივობა - ნიტრატების და ფოსფატების მნიშვნელობები მიწისქვეშა წყლებში და ზღვაში დღევანდელი მდგომარეობით. გაკეთდა პროგნოზი მათი ცვლილებების შესახებ და

გაეწია რეკომენდაცია შემდგომში ამ უბნებზე მაკონტრირებელი გაზომვების საწარმოებლად.

3	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	<p>გრანტი #31/27 ”ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზების (აღმოსავლეთ საქართველო) შესწავლა სტაბილური იზოტოპების გამოყენებით მიწისქვეშა წყლების რესურსების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად”</p>	<p>რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>გიორგი მელიქაძე</p>	<p>გენადი კობზევი; ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;</p>

ეტაპი №1- შერჩეულ უბნებში ნალექებისა და მდინარეების წყლის იზოტოპური შემადგენლობის მონიტორინგი

ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს ჰაერის ტემპერატურასა, ტენიანობასა და ატმოსფერულ ნალექების რაოდენობაზე იმ მეტეოლოგიურ სადგურებზე რომლებიც განლაგებული არიან თანაბრად მთელ ტერიტორიაზე და ახასიათებენ შემდეგ რეგიონებს: თიანეთი-მდინარე იორის კეების არეალი, თელავი-მდინარე ალაზნის ხედა წელი, ლაგოდეხი მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადების კეების არეალი და დედოფლის წყარო- მდინარე იორისა და ალაზნის ქვედა წელი. აღნიშნულ პუნქტებზე მეტეო მონაცემების გაზომვა ხდება ყოველდღიურად. ჰაერის ტემპერატურის და ტენიანობის გაზომვა ხდება სპეციალიზირებული აპარტურის გამოყენებით, რომლებიც შექმნილი იქნა საერთაშორისო ატომური სააგენტოს გრანტის (GEO7001) მეშვეობით. ასევე, ყოველდღიურად იზომება მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და თვეში ერთხელ ხდება სინჯის აღება დაგროვებული ნალექებიდან, მათში სტაბილური იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით.

ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს მდინარეებში წყლის დონის ვარიაციების დადგენის მიზნით, კერძოდ მდინარე იორზე თიანეთის რაიონში და ალაზანზე სოფ. შაქრიანთან თელავის რაიონში. აღნიშნული მდინარეებიდან ასევე, თვეში ერთხელ დაიწყო სინჯების აღება სტაბილური იზოტოპების გაზომვის მიზნით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თელავის და შაქრიანის სადგურებზე დამატებით ხდება სინჯების აღება ტრიტიუმის განსასაზღვრად ნალექებსა და მდინარის წყალში. ეს უკანასკნელი სადგურები ჩართული იქნა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გლობალურ ქსელებში I და II ში.

ცხრილი №1 სარეჟიმო მეტეოპუნქტების მდებარეობა

პუნქტის დასახელება	X	Y	Altitude m
"შაქრიანი" ჰიდროლოგიური სადგური	548204	4648613	340
"თელავი" მეტეოსადგური	540070	4642487	568
"თიანეთი" მეტეოსადგური	497244	4662730	1099
"დედოფლის-წყარო" მეტეოსადგური	590465	4591129	800
"ლაგოდეხი" მეტეოსადგური	605196	4630389	432

წყლის სინჯების იზოტოპური და ჰიდროქიმიური ანალიზი ჩატარდება სააგენტოს მიერ შექმნილი აპარატურის მეშვეობით გეოფიზიკის ინსტიტუტის გეოფიზიკისა და გეოთერმის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში ლაბორატორიაში

ეტაპი №4- ჰიდროდინამიკური და ჰიდროქიმიური მონიტორინგის ორგანიზება მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შესასწავლად და როგორც მაკონტროლებელი სისტემა სასმელი წყლის შესაძლო დაბინძურების თავიდან ასაცილებლად

ალანანისა და იორის წყალშემკრებ აუზებში, ძირითად წყალშემცველ ჰორიზონტებზე ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ ჰიდროდინამიკურ დაკვირვებებს. მონიტორინგი დაიწყო ლაგოდეხის რაიონში გაბურღულ ჭაბურღილზე ამერიკული წარმოების ხელსაწყოს მეშვეობით რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დაგროვებას და მის გადაცემას თბილისის ცენტრში შ სისტემის მეშვეობით. წუთიერ რეჟიმში იზომება წყლის დონე ჭაბურღილში, ატმოსფერული წნევა და ტემპერატურა.

რეჟიმულ დაკვირვებები ასევე ორგანიზირებული იქნა დედოფლის-წყაროს რაიონში მდებარე ჭაში " აივერ" ტიპის ხელსაწყოს მეშვეობით. ყოველსაათობრივად იზომება წყლის დონე და ტემპერატურა. მონაცემების მოხსნა ხორციელდება 1-2 თვეში ერთხელ კომპუტერის მეშვეობით. შემდგში დაგეგმილია დასაკვირვებელი პარამეტრების სიის გაზრდა.

მონაცემები შეგროვდება განხორციელდება ცენტრში, მოთხოვნილი სისწიერით. აქვე დამუშავდება მონაცემები და გაანალიზდება სეზონურობისა და სხვა სახის ფაქტორების გავლენა ვარიაციებზე.

ცხრილი №1 სარეჟიმო ჰიდროლოგიური პუნქტების მდებარეობა

პუნქტის დასახელება	X	Y	Altitude m
"ლაგოდეხი" ჭაბურღილი	606506	4632768	541
დედოფლის-წყარო ჭა	591942	4591129	804

4	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	“კლიმატური ცვილებების პირობებში, თოვლში, მყინვარებსა და მუდმივი მზრალობის რაიონებში წყლის რესურსების შეფასებაში ეკოლოგიური იზოტოპების გამოყენება” 2010-2014 წ.წ.	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოღაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;

პროექტის ფარგლებში, გეოფიზიკის ინსტიტუტი აწარმოებს რეჟიმულ დაკვირვებებს ატმოსფერულ ნალექებსა, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ბორჯომი-ბაკურიანის რაიონში.

5	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	”ატმოსფერულ ნალექებში და მდინარეებში იზოტოპების გლობალური ქსელის ფუნქციონირება, მუდმივი მონიტორინგი, მუდმივმოქმედი	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოღაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე სტაბილური იზოტოპების ფონური მნიშვნელობების დასადგენად მდინარეებსა და ატმოსფერულ ნალექებში, გეოფიზიკის ინსტიტუტი ჰიდრომეტეოლოგიურ სამსახურთან ერთად აწარმოებს სტაბილური იზოტოპების შემადგენლობის მონიტორინგს საქართველოს ტერიტორიაზე განაგებულ სარეჟიმო სადგურებზე -მდინარეების: რიონის, მტკვრის და ალაზნის; ატმოსფერული ნალექების: ქუთაისის, ბაკურიანის, თბილისის, თელავის და დედოფლის-წყაროს რაიონებში.

6	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	”მიწისქვეშა წყლების მდგრადი გამოყენების გაუმჯობესება ეკოლოგიური იზოტოპების გამოყენებით“	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე; მარიამ თოღაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;

პროექტის ფარგლებში, მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესწავლის მიზნით, მიმდინარეობს სატაბილური და რადიაქტიური იზოტოპების მეთოდის დანერგვა საქართველოში

7	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	საქართველოს გეოთერმული პოტენციალის	გერმანიის განათლების და მეცნიერების ცენტრი	გიორგი მელიქაძე	გენადი კობზევი ნინო კაპანაძე; თამარ ჯიმშელაძე;

	შესწავლა მოქმედ თერმულ ჭაბურღილებში სითბური ნაკადის მნიშვნელობების განსაზღვრით გზით			მარიამ თოდაძე; ალექსანდრე ჭანკვეტაძე;
<p>პროექტის ფარგლებში, გერმანელ კოლეგებთან ერთად, სითბური ნაკადის განსაზღვრის მიზნით, მიმდინარეობს მოქმედ ღრმა ჭაბურღილებში სითბური გრადიენტის განსაზღვრა და მიმდებარე ქანების თბური თვისებების დადგენა სპეციალიზირებული აპარატურის მეშვეობით.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	George Melikadze, Nino Kapanadze, Mariam Todadze	Assessment the role of snow in hydrological cycle of the Borjomula-Gudjareti-Tskali rivers basin	<i>Mikheil Nodia Institute of Geophysics In print</i>	თბილისი	
აბსტრაქტი					
<p>კვლევების მიზანს წარმოადგენდა თოვლის როლის განსაზღვრა წყლის ციკლში. კვლევების პერიოდში გაანალიზდა არსებული მეტეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და თოვლის საფარის მონაცემები. ხორციელდებოდა ექსპედიციები წყლის და თოვლის საფარის სინჯების აღების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა სამონიტორინგო ქსელს ნალექების რაოდენობის, ჰაერის ტემპერატურის და ტენიანობის გადაზომად სამ სადგურში. ასევე, მდინარის დონის გაზომვებს ორივე მდინარეში. ყოველთვიურად ხდებოდა იზოტოპური სინჯების აღება 3 ნალექმზომიდან, 2 მდინარიდან, 1 ჭაბურღილიდან და 2 წყაროდან. მოპოვებული იქნა უახლესი მასალა თოვლის ჰიდროლოგიაში, რომელიც არ არსებობდა მანამდე. სხვადასხვა სიმაღლეზე განხორციელებული გაზომვები გამოდგა წარმატებული. თოვლის ნალექმა შეადგინა მთლიანი ნალექების მოცულობის 30%. ის წარმოადგენს მდინარეების მკვებავი წყლის მნიშვნელოვან წილს (მაქსიმალური წილი 50%). თოვლის დნობის შედეგად მდინარეების წყალუხვობა გმელდება 2–3 თვე. დადგინდა, რომ თოვლის ნადნობი წყლის იზოტოპური შემადგენლობა განსხვავდება სხვადასხვა სიმაღლეზე და ასევე, განსხვავდება თოვლის საფარის იზოტოპური შემადგენლობისაგან.</p>					
2	¹George Melikadze, ²Michael Schubert, ³Christos Tsabaris, ¹Nino Kapanadze, ¹Mariam Todadze, ¹Zurab Machaidze, ¹Alexander Chankvetadze	USING ENVIRONMENT TRACERS FOR INVESTIGATION OF SUBMARIN GROUNDWATER DISCHARGE	<i>Mikheil Nodia Institute of Geophysics In print</i>	თბილისი	
რეზიუმე					
<p>მიწისქვეშა წყლების სუბმარინული განტვირთვისას მასალის ტრანსპორტირების საკითხის შესწავლა მეტად საინტერესოა სამეცნიერო თვალსაზრისით. ზღვაში განტვირთვის უბნების დასაფიქსირებლად შერჩეული და დანერგილი იქნა ახალი ეკოლოგიური „ტრასერების“ ტექნოლოგია. მიწისზედა და საზღვაო კვლევების პროცესში წარმატებით იქნა გამოყენებული ეკოლოგიური „ტრასერების“ კომპლექსი–სტაბილური იზოტოპების ^{18}O და 2H, რადიონუკლიდების Rn და Ra ნაკრები. ქობულეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა მიწისქვეშა წყლის ნაკადის მიმართულება და მისი განტვირთვის არეალები. გამოვლენის უბნებში განისაზღვრა ათროფიკაციის სიდიდეები– ნიტრატების და ფოსფატების კონცენტრაციები ნიადაგში და ზღვაში. ასევე, შესწავლილი იქნა მათი განაწილება ზედაპირზე და ზღვაში მათი ჩარეცხვის ინტენსივობა.</p>					

3	Tamar Jimsheladze, George Melikadze, Alexander Chankvetadze, Robert Gagua, Tamaz Matiashvili	თ თქ VARIATIONS IN DUSHETI OBSERVATORY JANUARY- JUNE 2013	<i>Mikheil Nodia</i> <i>Institute of Geophysics</i> <i>In print</i>	თბილისი	
---	---	--	---	---------	--

რეზიუმე

მიწისძვრის წინ გეომაგნიტური ანომალიები დაფიქსირებულია მრავალი ავტორის მიერ, თუმცა აღსანიშნე რომ მათი უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს მკაცრ კრიტერიუმებს. პროგნოზის ეს მეთოდი ეყრდნობა კორელაციას მიწისძვრებსა, გეომაგნიტურ ანომალიებს და მიზიდულობის ველის მიმოქცევითი ვარიაციების მოსალოდნელ მაქსიმუმს (ან მინიმუმს) შორის. გეომაგნიტური გადახრა განისაზღვრება როგორც სტანდარტული გადახრების საშუალო მნიშვნელობებიდან, რომლების განისაზღვრება მინიმუმ 2.5 ჯერ წამში. მოვლენების თანხვედრის ალბათობის ფანჯარა უდრის +1 დღეს, მიმოქცევითი ვარიაციების მინიმუმებისთვის და +2 დღეს -მაქსიმუმებისთვის. დუშეთის ობსერვატორიის მიერ დაფიქსირებული გეომაგნიტური წინამორბედების სტატისტიკური დამაჯერებლობა, კიდევ ერთხელ დასტურდება 2013 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით .

4	George Melikadze, Genadi Kobzev, Nino Kapanadze, Mariam Todadze,	CREATION NUMERICAL MODEL OF THE TSAISHI GEOTHERMAL REZERVIOR FOR ORGANIZATION OF GEOTHERMAL CIRCULATION SYSTEM	<i>Mikheil Nodia</i> <i>Institute of Geophysics</i> <i>In print</i>	თბილისი	
---	---	---	---	---------	--

აბსტრაქტი

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში პირველი გეოთერმული ცირკულაციის სისტემის შექმნა ცაიშის გეოთერმულ საბადოზე და ცაიშის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია ეკოლოგიურად სუფთა, განახლებადი ენერჯის წყაროთი. არსებულ ჭაბურღილებზე მოხდა ჰიდროგეოლოგიური ტესტირების ორგანიზება რათა განსაზღვრულიყო ჭაბურღილთა თვისებები და შექმნილიყო წყალშემცველი ჰორიზონტის ციფრული მოდელი. ამის შემდგომ განხორციელდა მოდელის კალიბრაციისა და სიმულაციის პროცესები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ექსპლოატაციისა და პროცესების განვითარების სხვადასხვა სცენარები.

5	George Melikadze¹, Olga Körting² Nino Kapanadze¹, Birgit Müller³ Mariam Todadze¹, Tamar Jimsheladze, Alexander Chankvetadze,	Investigation of carbon dioxide fluxes and possibility its storage in Georgia	<i>Mikheil Nodia</i> <i>Institute of Geophysics</i> <i>In print</i>	თბილისი	
---	--	--	---	---------	--

აბსტრაქტი

კვლევის მთავარი მიზანი იყო ნახშირორჟანგის ბუნებრივი წყაროების შესწავლა, ნახშირორჟანგის შემცველი ქანების თვისებების შესწავლა. ეს ქანები შემდგომში განიხილება, როგორც რეზერვუარი ნახშირორჟანგის მიწისქვეშა შენახვისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს ნახშირორჟანგის რეზერვუარებში და მიწისქვეშა ჰორიზონტებში შენახვის შესაძლებლობის განსაზღვრა, ასევე გეოქიმიური და მექანიკური პროცესების გაგება, რომლებიც დაკავშირებულია ნახშირორჟანგის ხანგრძლივი დროით შენახვასთან, მათ შორის რღვევის ზონებში.

6	<p>Тамар Джимшеладзе, Георгий Меликадзе, Геннадий Кобзев</p>	<p>Построение и анализ напряженного состояния среды во время подготовки Рачинского землетрясения 2009 года</p>	<p><i>Mikheil Nodia Institute of Geophysics In print</i></p>	<p>თბილისი</p>	
---	---	---	---	----------------	--

აბსტრაქტი

ტექტონიკური პროცესების რეალურ დროში მონიტორინგისა და სეისმური კომპონენტის გამოყოფის მიზნით, შემუშავებული იქნა ჰიდროდინამიური დაკვირვებების სპეციალური მეთოდი. მიწისძვრის მომზადებისა და რეალიზაციის პროცესში ა, ბ, ც კოეფიციენტების ვარიაციებმა დაადასტურა წყლის დონის, როგორც ტექტონიკური პროცესების ინდიკატორის ინფორმატიულობა. შემუშავდა მეთოდიკა, დაკვირვების მონაცემებიდან გეოდინამიკური მდგენელის გამოყოფის და მისი დროში და სივრცეში განაწილების კანონზომიერების დადგენის მიზნით. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი ემთხვევა დამაბულობის ველში მაქსიმალური გრადიენტის ზონას. რაჭის მიწისძვრის მომზადების პროცესში წყლის დონის ვარიაციების ანომალური დარღვევები ფიქსირდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც მიუთითებს მიწისძვრის მომზადების პროცესი მოიცავს დიდ ტერიტორიას.

2013 წლის 3 ნოემბერს თსუ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა.

2013 წლის 9-10 დეკემბერს ინსტიტუტში ჩატარდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია; მოსმენილი იქნა 26 მოხსენება, ქართველი მეცნიერების გარდა მომხსენებლებს შორის იყო 6 უცხოელი სტუმარი.

10 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ბევრი თბილი სიტყვა წარმოითქვა ინსტიტუტის მისამართით.

ინსტიტუტის დირექტორი,
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი:

ნ. ლლონტი

ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე,
აკადემიკოსი:

თ. ჭელიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

- I. 1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. აბესაძე რამაზი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
2. პაპავა ვლადიმერი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიკოსი
3. არევაძე ნანული – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
4. ასათიანი როზეტა – მეცნიერი კონსულტანტი, ემდ, პროფესორი
5. ბერულავა გიორგი – განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
6. ბიბილაშვილი ნანა – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
7. ბრეგვაძე გიორგი – მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
8. ბურდული ვახტანგი – განყოფილების გამგე, ემდ
9. დავლაშერიძე ნატალია – მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
10. დათუნაშვილი ლინა – მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
11. დვალისვილი ლია – მეცნიერი თანამშრომელი
12. თაფლაძე თამარი – მეცნიერი თანამშრომელი,
13. თეთრაული ციციხო – მეცნიერი თანამშრომელი
14. კაკულია ეთერი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
68	ზ. რევი-შვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის ირიგაციის პოლიტიკის აქტუალური საკითხები. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	15
69	რ. სარჩიშვილი	საგარეო ვაჭრობის ბალანსი და მოსახლეობის დასაქმების ზრდის ოპტიმიზაციის პრობლემა. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	7
70	რ. სარჩიშვილი	ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს პეტრე კაპიცას შესედეულება მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემაზე. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	2
71	რ. სარჩიშვილი	საქართველოში სამეცნიერო კადრთა რიცხოვნობის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხისათვის. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	6

72	რ. სარჩიმელია (თანაავტორი - გ. ლობჯანიძე)	მეცნიერება და რელიგია ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში. ჟ. “ეკონომიკა”	N 7-8		10
73	თ. ქავთარაძე	აგრარული რეფორმა და მეცხვარეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	8
74	თ. ქავთარაძე	მთისა და ბარის რეგიონების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მართვის აუცილებლობის შესახებ. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	5
75	თ. ქავთარაძე	წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის პრობლემები საქართველოს მეცხვარეობაში. - წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსახერხებელი, წინადადებები, რეკომენდაციები		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	3
76	ნ. ქისტაური	საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ადგილი და როლი საგადასხდელ ბალანსის ანგარიშთა სისტემაში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	10
77	ნ. ქისტაური	ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა აგრარული სექტორის განვითარებაში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”		თბილისი, თსუ	8
78	ნ. ქისტაური	სავაჭრო ბალანსის მნიშვნელობა საგადასხდელ ბალანსში. -საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	8

79	ქ. ქველაძე, მ. ხუსკივაძე	აგროტურიზმის გავლენა რეგიონების აგროეკონომიკურ პოლიტიკაზე. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”		თბილისი, თსუ	14
80	ქ. ქველაძე	ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	17
81	ქ. ქველაძე	ტურიზმის განვითარება. - წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსახრებები, წინადადებები, რეკომენდაციები		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	5
82	ქ. ქველაძე	ტურიზმის მულტიპლიკატორული როლი ქვეყნის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის განვითარებაში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	22
83	თ. ქურდაძე	შიდა ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისათვის. - ჟ. “ეკონომისტი”	№ 6		8
84	თ. ქურდაძე	შიდა ინვესტიციები და მისი მოზიდვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	8
85	თ. ჩხეიძე, ქ. ქველაძე	იქთიოცენოზის დაცვის აუცილებლობის საკითხისათვის. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	14
86	თ. ჩხეიძე, ლ. დვალი-შვილი	წყლის რესურსების დაცვის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	15

87	თ. ჩხეიძე	მიწის რესურსების გამოყენების საკითხები. - წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსახრებები, წინადადებები, რეკომენდაციები		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	2
88	მ. ცუცქერიძე	ბიზნესი და მმართველობითი კაპიტალი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	9
89	მ. ცუცქერიძე	პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასიათებლების ანალიზის საკითხები. შ. “ეკონომისტი”	№3		15
90	მ. ცუცქერიძე	მმართველობითი კაპიტალის გავლენა ბიზნესის ტრანსფორმაციაზე საქართველოში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	15
91	მ. ხუსკივაძე (თანაავტორი ლ. თოთლაძე)	გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად მოსახლეობის დაავადების ზრდით მიღებული ეკონომიკური ზარალის შეფასება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების საფუძველზე. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	8
92	მ. ხუსკივაძე, ზ. ნოზაძე	წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	10
93	მ. ხუსკივაძე	ეკოლოგიური პოლიტიკა. - წიგნში: საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსახრებები, წინადადებები, რეკომენდაციები		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	2
94	რ. ჯავახიშვილი	საქართველოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული		თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის	6

95	რ. ჯავახი-შვილი	<p>“პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე”</p> <p>საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის ეპოქაში. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: “გლობალიზაციისა და მეცნიერების აქტუალური პრობლემები XXI საუკუნეში”. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“</p>	№7	ინსტიტუტის გამომცემლობა”	
96	რ. ჯავახი-შვილი	საექსპორტო პოტენციალის ზრდა როგორც პოსტსაბჭოური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული	ტ. 6	თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”	10

ანოტაციები

1. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები. ყურადღება გამახვილებულია შეცდომებზე, რომელიც დაშვებული იქნა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით. კერძოდ: საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა; დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება; ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა; ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება; რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა; გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულა ბოდა სრულიად გაუმართლებელი ფულაადი საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება; საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორად წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა; მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება; ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი; მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა; წლების განმავლობაში სოფლის სოფლის პრობლემების უგულებელყოფა; პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები; საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება; კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება; შემოსავლების უთანაბრობის ზრდა და სხვ. ნაშრომში ასევე უარყოფით მომენტებთან ერთად გამოვლენილია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დადებითი მხარეები. შემოთავაზებულია კონსოლიდირებული ეკონომიკის ცნება, რომელიც გულისხმობს ისეთ ეკონომიკას, რომელზე მოქმედი ფაქტორების ჯამური გავლენა ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს. ნაშრომში

შემოთავაზებულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომლების ხელს შეუწყობენ საქართველოში კონსოლიდირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

2. სიღარიბის პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი აქტიური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელია. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს **სიღარიბის შემცირების მაკროეკონომიკური მექანიზმი**. იგი უნდა მოიცავდეს: რეგულირების სამართლებრივ ბაზას, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.

ნაშრომში განსაზღვრულია სიღარიბის შემცირების მაკროეკონომიკური მექანიზმის შემადგენელი ყველა ამ ელემენტის დანიშნულება და შემოთავაზებულია სიღარიბის დაძლევის მიმართულებები და გზები საქართველოში.

3. სტატიში გამოთქმულია მოსაზრება ცხოვრების დონესთან დაკავშირებულ ტერმინებზე. მაგალითად, ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს – „ცხოვრების დონე“ და „ცხოვრების ხარისხი“. ჩვენი აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. ჩხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს. ასევე, მიგვაჩნია, რომ მიგვაჩნია, რომ **საშუალო ფენას** არ შეიძლება ეწოდოს კლასი, ვინაიდან კლასის ცნება დაკავშირებულია მასში შემავალ წევრთა გარკვეულ სოციალურ სტატუსთან (რომელსაც ძირითადად სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მაგალითად: მონა, მონათმფლობელი, ყმაგლეხი, თავადი, მუშა, კაპიტალისტი და მათ შორის არსებობს დაპირისპირებულობა, რომელიც ხშირად გადაიზრდება კლასობრივ ბრძოლაში). საშუალო ფენა კი უმეტესწილად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ მდგომარეობასთან (იგულისხმება არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ განათლება, ინტელექტუალური საკუთრება, კვალიფიციური შრომის უნარი და სხვ.) და საზოგადოების ის მრავალფეროვანი ნაწილია, რომლის წევრების შემოსავალი მერყეობს საზოგადოების (ქვეყნის) წევრთა შემოსავლების საშუალო დონის მახლობლად, ე.ი. ამ ფენის წარმომადგენლები არც ღარიბები არიან და არც მდიდრები. მისი შემადგენლობა მრავალფეროვანია და ასევე მობილური. მის რიგებში შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წრის წარმომადგენელი (მუშა, გლეხი, მეწარმე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, სპორტსმენი და ა.შ.). საშუალო ფენის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროეკონომიკურ და, საერთოდ, ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა, ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. არადა, სამართლიანობის პირობებში, გლობალიზაციამ უნდა შეძლოს ცხოვრების დონის გამოთანაბრება მსოფლიოს რეგიონებს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით მსოფლიო ეკონომიკა არასაკმაოდ გლობალიზებულია. შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ყოველთვის აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

წარმოდგენს რა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, განაწილებითი ურთიერთობები, მათი გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური სისტემის თითქმის ყველა ელემენტის გარკვეულ სრულყოფას შემოთავაზებულ მრუდზე განაწილების გაუმჯობესებას მოსდევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, სანამ განაწილების სრულყოფა ოპტიმალურ ზღვარს არ მიაღწევს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. იგი საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის მაღალი დონე. ბევრმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო გადაეღობა სიღნელები. ზოგმა კი, რომელთა შორისაცაა საქართველო, რეფორმების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო, ამიტომ დღესაც უმუშევრობის მაღალი დონე გვაქვს. სტატიაში გაანალიზებულია სიღარიბისა და უმუშევრობის მიზეზები საქართველოში და დასახულია სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირების მიმართულებები და გზები.

4. ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველადაა შემოტანილი “ეკონომიკური რეგრესის ცნება”. განსაზღვრულია ეკონომიკური რეგრესის წყაროები და შემოთავაზებულია წინადადებები ეკონომიკური რეგრესის თავიდან აშორების სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა შესახებ.
5. ეკონომიკური განვითარება, ანუ ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლის განვითარებაზე. ჩამორჩენილი სოფლის არსებობა ნიშნავს, რომ მთელი ეკონომიკა არ არის სათანადოდ განვითარებული. რომ დაბალია კაპიტალის ხარისხი (როგორც ფიზიკური, ისე ადამიანისეული), ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური ცოდნის დონე, არა სრულყოფილია საკურობის ფორმები და ინსტიტუციები, არარაციონალურად გამოიყენება რესურსები (ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური და სხვ.), არაპროგრესულია ეკონომიკის სტრუქტურა, არაეფექტიანია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ა. შ., მაშასადამე, დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე.
ნაშრომში დასაბუთებულია აგრარული წარმოების სპეციფიკური ხასიათი და სოფლისადმი სახელმწიფო დახმარების აუცილებლობა. შემოთავაზებულია აგრარული ეკონომიკის დაბალი განვითარების მქონე ქვეყნის სოფლისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები.
6. ნაშრომში გაანალიზებულია ეკონომიკურ განვითარებაზე მოსახლეობის ზრდის ასპექტები, მოსახლეობის რიცხოვნობის რეგიონული თავისებურებები და გაკეთებულია დასკვნა, რომ მოსახლეობის ზრდის პრობლემა თითოეულმა ქვეყანამ დამოუკიდებლად უნდა მოაგვაროს.
7. ნაშრომში შემოთავაზებულია მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად.
8. ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მაკროეკონომიკური თეორიის საფუძველზე წარმოშობილი ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალი დარგის წარმოშობის ობიექტური წინამძღვრები, გაანალიზებულია საზოგადოებრივი სექტორის უდიდესი როლი დემოკრატიის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში საზოგადოებრივი სექტორის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებზე, დასახულია მათი ნიველირების გზები; პუნქტობრივად არის გაშუქებული საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, კვლევის სფერო და წამოყენებულია წინადადება საქართველოს უნივერსიტეტებში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის სწავლების აუცილებლობის შესახებ.

9. სტატიაში განხილულია ფულის მეტალისტური (ნომეტალისტური), ნომინალისტური, რაოდენობრივი, კეინზიანური და მონეტარული თეორიები, მათი ადგილი და განსაკუთრებული როლი განვითარებული ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემაში და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ პოლიტიკაში.
10. სტატიაში, შესაბამისი არგუმენტაციით, დასაბუთებულია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, კერძოდ, საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ზოგადი ეკონომიკური თეორიის სწავლების აუცილებლობა.
11. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული საქართველოში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირების, ცენტრსა და რეგიონებს შორის საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პასუხისმგებლობის განაწილების საკითხებზე; პუნქტობრივად არის ჩამოყალიბებული ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ადეკვატური საბიუჯეტო ფედერალიზმის შექმნის ძირითადი მიმართულებები.
12. სტატიაში, ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში, მსოფლიო ეკონომიკური განვითარება დაყოფილია 4 ეტაპად (XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე), გაანალიზებულია თითოეული ეტაპი და გაკეთებულია სათანადო დასკვნები. აღნიშნულია, რომ საქართველოში ეკონომიკის არასწორმა მართვამ, გარედან თავსმოსხვეულმა და ხელისუფლების მიერ გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მოშლა და ქვეყანა ჩიხში მოაქცია. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის ყურადღებაა გამახვილებული მიკროეკონომიკური რეგულირების კეინზიანურ თეორიასა და „ნეოკლასიკურ სინთეზზე“ როგორც აპრობირებულ თეორიებზე ეკონომიკურ პოლიტიკაში.
13. სტატიაში განხილულია საქართველოს მრეწველობის განვითარების კანონზომიერებები, გამოვლენილია ნაკლოვანებები და განსაზღვრულია მისი განვითარების პერსპექტივები გრძელვადიან პერიოდში.
14. ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სტატიაში დასაბუთებულია მრეწველობის იმ დარგების განვითარების აუცილებლობა, რომლის ნედლეული, სიმძლავრეები და კადრები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია.
15. ნაშრომში გამოვლენილია საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და მოცემულია მისი ანალიზი განვითარების სხვადასხვა პერიოდში, განსაკუთრებით კრიზისამდელ (XX ს-ის 90-იან წლებამდე) და თანამედროვე პერიოდებში. გაკეთებულია დასკვნა მისი სტრუქტურის არაოპტიმალურობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობის, წარმოების ეფექტიანობის დაქვეითების, პრივატიზაციაში დაშვებული შეცდომების თაობაზე კრიზისამდელ პერიოდში, რომელიც მიმდინარე პერიოდში კიდევ უფრო გაუარესდა, ბევრ დარგსა და ქვედარგში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული განადგურების, სამრეწველო განვითარების სტრატეგიის უქონლობის, ფინანსური რესურსებისა და შიდა ბაზრის სიმცირის, ინვესტიციების მოზიდვის სიძნელეების და სხვათა გამო. დასაბუთებულია მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოების საქმეში და დასახულია მისი გადაწყვეტის ზოგიერთი მიმართულება.

16. ნაშრომში შეფასებულია ფირმათა შორის ურთიერთობების რეგულირებაში არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუტების როლი, მისი საქართველოს სამრეწველო ფირმების შერჩევის საფუძველზე. ამ კვლევის ძირითადი შედეგია, მდგომარეობს იმაში, რომ, ნდობა სხვა ტრანსაქციული დანახარჯების ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმათა შორის ურთიერთობებზე.

17. ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გავლენის ანალიზი. ამ კვლევაში სავაჭრო კრედიტის ცვლადი გამოიყენება ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების აღწერისათვის. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის ჩვენ გამოვიყენეთ მიდრეკილების ქულების შესაბამისობის მეთოდი (Propensity Score Matching method). კვლევა ჩატარდა 28 გარდამავალი ეკონომიკებში მყოფი ფირმების მსხვილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. ამ ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ჩვენი კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სავაჭრო კრედიტი დადებითად აისახება ფირმების საქმიანობაზე გარდამავალ ეკონომიკებში. კერძოდ, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები უკავშირდება გაზრდილ გაყიდვების მოცულობასთან. იგი სტიმულს აძლევს უფრო ინტენსიური საინოვაციო საქმიანობის ჩატარებისათვის და უზრუნველყოფს უფრო მაღალ შრომის მწარმოებლურობის დონეს. ფირმები რომლებიც ენდობა თავის პარტნიორებს ხასიათდება მოგებიდან რეინვესტირების უფრო დიდი დონით.

18. მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით გაანალიზებულია დასაქმების ის ძირითადი პრინციპები, რომელიც აისახულია საქართველოს კანონმდებლობაში დასაქმების შესახებ; ჩამოყალიბებულია დასაქმებისა და შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკური ნიშნები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

19. ნაშრომში განხილულია სამშენებლო სექტორის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საკითხები. შესწავლილია მიდგომები მისი სრულყოფის მიმართულებით და დასახულია სამშენებლო კომპლექსში პროგრესული სტრუქტურის ფორმირების გზები.

20. ნაშრომში გამოვლენილია სამშენებლო კომპლექსის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში არსებული პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

21. ნაშრომში განხილულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული მდგომარეობა. განზოგადებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია მისი განვითარების ეტაპები. ავტორთა მიერ შემოთავაზებულია სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთიანი მექანიზმი, რომლის პრაქტიკული გამოყენებაც მნიშვნელოვანწილად აამაღლებს მისი შემადგენელი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო მაჩვენებლებს.

22. სტატიაში ფორმულირებული და დასაბუთებულია ნეონდუსტრიული

განვითარებისათვის დამახასიათებელი დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურის ტიპი და მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნეს-კოორდინაციის სრულყოფის შესახებ, საქართველოში ასეთი ტიპის დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით.

23. სტატიაში სისტემატიზებულია საქართველოში აგრარული კრიზისის გამომწვევი სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის ნაკლოვანებები და ამ კრიზისის დაძლევის მიზნით მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო კოორდინაციის სრულყოფის შესახებ.
24. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის სრულყოფის შესახებ, რაც მიმართულია სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის დარგების გამოცოცხლებისაკენ.
25. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, სტატიაში შემოთავაზებულია მართვის დეცენტრალიზაციის ბაზაზე, საჯარო ტერიტორიული მართვის სრულყოფის გზები და მიმართულებები.
26. სტატიაში დახასიათებულია ტერიტორიულ დონეებს შორის (რეგიონი; მუნიციპალური წარმონაქმნი-რაიონი; საშუალო და მცირე ქალაქები, სოფელი) საჯარო მართვის ფუნქციების განაწილების თანამედროვე მდგომარეობა. დასაბუთებულია ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის მიზნით და შემოთავაზებულია აღნიშნულ დონეებზე ტერიტორიული მართვის მოდერნიზაციის გზები. ასევე სტატიაში დასაბუთებულია საქართველოში ზოგიერთი ქალაქის – “მიზიდულობის ცენტრის” დაჩქარებული განვითარებისა და ამ ცენტრებისათვის საჭირო (მათ შორის ფისკალური) უფლებამოსილებების მინიჭების აუცილებლობა.
27. სტატიაში ნაჩვენებია აგრარული კრიზისის გამომწვევი მიზეზები (ფაქტორები, გარემოებები), ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია ამ კრიზისის დაძლევის გზები იმ დარგების კომპლექსის ჭრილში, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას (მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგებში).
28. სტატიაში განხილულია აგრარული კრიზისის რიგი მიზეზი, კერძოდ, რომელიც გამოწვეულია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მომიჯნავე დარგების განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირებისა და ბიზნეს-კოორდინაციის ნაკლოვანებებით. აგრარული კრიზისის დაძლევის გზები განხილულია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის იმ მომიჯნავე დარგების ჭრილში, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას.
29. სტატიაში განხილულია ტერიტორიული მოწყობისა და საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის პრობლემები საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის ამოცანების გადაწყვეტასთან კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღებით განიხილება რეგიონულ და ლოკალურ (კერძოდ, სასოფლო) დონეებზე ტერიტორიული მართვის მექანიზმის სრულყოფის საკითხები. ასევე შემოთავაზებულია რამდენიმე რეგიონული ქალაქის-“მიზიდულობის ცენტრისათვის” განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, მათი საჯარო მართვის ორგანოებისათვის გაფართოებული უფლებამოსილებების მინიჭებით, ამ ქალაქების დაჩქარებული სოციალური და

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. განხილულია კანონპროექტის “სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ” ზოგიერთი დებულება.

30. შრომაში ჩამოყალიბებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი. დასაბუთებულია საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე დარგობრივი სტრუქტურის უკიდურესად არაეფექტურობა, კერძოდ, დარგების ყველა ძირითადი ჯგუფის ჭრილში უარყოფითია ექსპორტ-იმპორტის საღდო, დაბალია ეკონომიკის თვითსაკმარისობის დონე. ნაშრომში დასაბუთებული და შემოთავაზებულია დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების გზები იმ მიზნით, რომ შედარებით ახლო მომავალში მიღწეულ იქნეს დადებითი სტრუქტურული ეფექტი. ნაჩვენებია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანაში უნდა არსებობდეს რაციონალური სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკა და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტები.
31. სტატიაში განხილულია ეკონომიკის დარგში 2012 წლის ნობელის პრემიის ლაურეატების ელვინ როტისა და ლოდ შეპლის ძირითადი თეორიული კვლევები, რომლებიც ეხება ბაზრის და საბაზრო ურთიერთობების პრობლემებს; მითითებულია მათი ფუნდამენტური წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, ასევე ამ გამოკვლევათა პრაქტიკული გამოყენების შესახებ სხვადასხვა დარგებში, როგორცაა: ადამიანთა მიღება სამსახურში, ბავშვებისა – სკოლებში, სტუდენტების – უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლადამთავრებულთა განაწილება – უმაღლეს სასწავლებლებში, მომხმარებელთა მიერ საქონლის მოძებნა და ა.შ.
32. ნაშრომში განხილულია საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფის პრობლემები ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების: პოლ სამუელსონის, ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკის, მილტონ ფრიდმანის, ჰარი მარკ მარკოვიცის, უილიამ ფორსაიტ შარპის, მერტონ ჰოვარდ მილერის და სხვათა ნაშრომებში. ნაშრომში ხაზგასმულია ის, რომ თვით საბაზრო მექანიზმის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს მისი ბუნების და ფუნქციონირების კანონების უფრო ღრმად გააზრების პროცესი და ნობელის პრემიის ლაურეატებმა შეიტანეს შეუფასებლად დიდი წვლილი ამ პროცესების შესწავლაში, XX-XXI საუკუნეებში საბაზრო ეკონომიკის სრულყოფაში, რამაც შესაძლებელი გახადა გაღრმავებულიყო ცოდნა მოცემულ დარგში მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.
33. სტატიაში შესწავლილია მეაბრუშუმეობის – საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებები. შემოთავაზებულია ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე აღნიშნული დაეგის რეაბილიტაციის შესაძლებლობები. შემუშავებულია შესაბამისი წინადადებები, რეკომენდაციები და გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსი.
34. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი. კერძოდ, ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორცაა: ინვესტიციების მოზიდვა და მათი მიზნობრივი გამოყენება; დარგისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები (დარგის რეანიმაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ფერმერებისათვის იაფი კრედიტის გამოყოფა, სანერგე და საჯიშე მეურნეობების აღდგენა და განვითარება, სერვის-ცენტრების შექმნა-ჩამოყალიბება; წისქვილკომბინატებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი სამაცივრე ნაგებობის მშენებლობა და სხვა); სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნა და ა.შ. სტატიაში შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

35. სტატიაში გამოკვლეულია სასურსათო უსაფრთხოება, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური პრობლემა და გაანალიზებულია ამ პრობლემისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. რამდენადაც ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელი წარმოადგენს, ნაშრომში გაანალიზებული და ნაჩვენებია საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული რეალური მეტად არასხარბიელო მდგომარეობა და შემოთავაზებულია შესაბამის ღონისძიებათა სისტემა.
36. სტატიაში გადმოცემულია ბუნებრივი რესურსების, როგორც ეროვნული სიმდიდრის საფუძვლის მნიშვნელობა. დახასიათებულია საქართველოს ბუნებრივი რესურსების თავისებურებები.
37. ნაშრომში განხილულია ინფლაციის წარმოშობის კანონზომიერებები, მისი ბუნება და თავისებურებები. გამოკვლეულია მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ფონზე ინფლაციის დარეგულირების გზები და საშუალებები. გაანალიზებულია ბოლო პერიოდში საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორები.
38. სტატიაში შესწავლილია შემოსაზღვრული და იშვიათი რესურსების პირობებში ადამიანთა უსაზღვრო მოთხოვნილებების მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილების გზები და საშუალებები ჯ. კეინზის, ა. სმიტის, ვ. პარეტის და სხვათა შეხედულებების საფუძველზე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოში ეკონომიკურად არათანაბრად განვითარებულ ქვეყნებში კეთილდღეობის ეკონომიკის რიგი ასპექტები (ბრაზილია, შვედეთი); განხილულია კეთილდღეობის ეკონომიკის თეორიის ნორმატიული საკითხები, რესურსების განაწილების ეფექტიანობა და მათზე მოქმედი ფაქტორები.
39. ნაშრომში გადმოცემულია მცირე ბიზნესის სოციალურ - ეკონომიკური ბუნება. მისი როლი დასაქმების ზრდის, ეკონომიკური სტაბილურობის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით.
40. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობა და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია მისი სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები და განვითარების პერსპექტივები.
41. In the article the analysis of the collapse of a soviet economic system is given. The causes of this collapse and its significance for the countries of the former USSR are formulated. The theoretical foundations of the destruction of an old soviet system and the forming of new market relations are analyzed. The author considers the role and significance of the integration in the forming of a new economic system and the place of Russia in these global processes.
42. სტატიაში შემოთავაზებულია საქართველოში ეკონომიკური სისტემის ეროვნული მოდელი, რომელიც მოცემულია ილია ჭავჭავაძის “საერთო ნიადაგის” თეორიაში. დასაბუთებულია, რომ ქვეყნის განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ალტერნატივა არა აქვს და ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკას, რომელიც სწორედ ამ გზით უნდა განვითარდეს.

43. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა. დასაბუთებულია აგრარული სექტორის პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე როგორცაა: სოფლად საწარმოო და მომსახურების კორპორაციული ფორმების განვითარება, დაზღვევის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება, სოფლის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრა და სხვ.
44. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული პრობლემები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში. ამასთანავე, ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავება განხილულია როგორც პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულების შემადგენელი ნაწილი. ნაშრომში განხილულია ჭეშნარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობის ავტორის მიერ შემუშავებული გზები, რომლებიც ეკონომიკური სისტემის სრულყოფის პრობლემების გადაჭრის გზებს წარმოადგენს.
45. In the scientific work the advantage of socially aimed political system over capitalism is based – as objective regularity and as an indisputable fact of human life!!! Hence the author considers that Capitalism can't have "advantage" over Socially Aimed political system as well as a dark night can't be lighter than a sunny day!!!
46. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია სახელმწიფო მართვის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით მწვავე და აქტუალური გახდა XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური კრიზისის პირობებში, რამეთუ სწორედ მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა სახელმწიფო მართვის აშკარა არაადეკვატურობა თანამედროვე მოთხოვნებისადმი.
47. სტატიაში გამოკვლეულია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის და ქვეყანაში მისი მოზიდვის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. შემოთავაზებულია შესაბამისი წინადადებები.
48. სტატიაში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე დინამიკურ ჭრილში. გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. შესწავლილია მსოფლიო ბანკის კვლევა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით და დასახულია ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესების გზები.
49. ნაშრომში განხილულია სავაჭრო ბალანსის მნიშვნელობა საგადამხდელო ბალანსის განვითარებაში, შესწავლილია საგადამხდელო ბალანსი, როგორც მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ასევე მისი როლი საგარეო ვაჭრობის ტენდენციებისა და ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში; გაანალიზებულია საქართველოს ბოლო დროის საგადამხდელო ბალანსი, ამ პერიოდში მის წინაშე მდგომი გამოწვევები და დასახულია მათი დაძლევის გზები.
50. ნაშრომში განხილულია ეკონომიკის განვითარების ინოვაციური მოდელი, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი იარაღი, რომლის გონივრული გამოყენებით ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას;

გაანალიზებულია მოწინავე ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და მოცემულია ავტორისეული შეხედულებები პრობლემის გადაჭრისათვის ხელისშემშლელი პირობების შესახებ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინოვაციური პოლიტიკის გონივრული გამოყენების აუცილებლობას ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაში.

51. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. გამოვლენილია ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი, სტრუქტურული და გეოგრაფიული ოპტიმიზაციის მიმართულებები.

52. სტატიაში გაანალიზებულია ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის წარმოება-მოსმარების ტენდენციები. შეფასებულია ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის საექსპორტო წარმოების პოტენციალი; შემოთავაზებულია ამ დარგის განვითარების კლასტერული მოდელი, რომელიც გაზრდის მოთხოვნას ტურიზმზე, ხელდასშეუწყობს ქვეყნის შიგნით სოციალური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას, ასტიმულირებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას და წარმოების გაფართოვებას; მოხსნის ფალსიფიკაციის პრობლემას გლეხური ღვინის წარმოებაში.

53. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა სასაქონლო ჯგუფების, ქვეყნების და ქვეყნების ჯგუფების (ევროკავშირის ქვეყნები, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების, დსთ-ს ქვეყნების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნების და სუამის ქვეყნების) მიხედვით. შეფასებულია ექსპორტის და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა საგარეო ვაჭრობის ბალანსის ძირითადი პოზიციების მიხედვით. პარტნიორ ქვეყნებიდა დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამშრომლობას ორი ჯგუფის ქვეყნებთან, პირველი, თურქეთთან, უკრაინასთან, რუსეთთან, აშშ-სთან, აზერბაიჯანთან და სხვ., რომლებთანაც საქართველო თანამშრომლობს ტრადიციულად და მეორე, ჩინეთთან, ირანთან, ინდოეთთან და ავღანეთთან, რომლებთანაც თანამშრომლობა ჩვენმა ქვეყანამ გააქტიურა ბოლო პერიოდში.

54. გაანალიზებულია ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის რაოდენობრივი მაჩვენებლები კუპაჟური, ორდინალური, მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, ცქრიალა, შუშუნა და არომატიზირებული ღვინოებისთვის. განხილულია რუსული ემბარგოს პრობლემა. ემბარგოს შემდგომი პერიოდისთვის შეფასებულია ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტის სფეროში არსებული სირთულეები: არაცნობადობა, ხარისხი, ფალსიფიკაცია, ბრენდი და სხვ. გამოვლენილია ქართული ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტის გაზრდის რესურსები.

55. სტატიაში განხილულია ბოტანიკური ბაღების და დენდროლოგიური პარკების ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებები. განხილულია ბუნების ძეგლების დაცვისა და გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები. მოცემულია მათი განმსაზღვრელი როლის შესახებ ტურიზმის განვითარებაში.

56. The problem of impact tax burden on economic activity and production capacity is very popular among economists. This paper is a response to the article published by Intellectual Economics in 2012

(No. 4) whose contents, unfortunately, constitute plagiarism. Several parts of the article comprise information taken from different publications under our authorship. This paper gives a brief analysis of the most recent results related to the development of the main ideas of supply-side economics based on the Laffer-Keynesian Synthesis.

57. სტატიაში განხილულია ერთობლივი გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მიდგომა. იგი ეფუძნება ქცევითი ტიპის მოდელს, რომელშიც გამოყენებულია ენტროპიული ფუნქციის სპეციფიკური ვარიანტი. შემოთავაზებული მოდელი მაქსიმალური წარმოებრივი ეფექტის და ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების შესაბამისი ფისკალური წერტილების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული წერტილები თანხვედრაშია ლაფერის კონცეფციასთან, რადგანაც ქცევითი მოდელიდან მიღებული წერტილებისათვის ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობის განსაზღვრა ენდოგენურად ხორციელდება. მიღებული დასკვნები ილუსტრირებულია აშშ-ის ეკონომიკის შესახებ არსებული მონაცემების გამოყენებით.

58. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში გადასახადების მნიშვნელობა ცალმხრივადაა შესწავლილი. კეინსიანიზმი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს გადასახადებს ეკონომიკაზე აგრეგირებული მოთხოვნის კუთხიდან გამომდინარე, და თითქმის არ ითვალისწინებს გადასახადების ზეგავლენას ეკონომიკაზე აგრეგირებული მიწოდებიდან გამომდინარე. ეს პრობლემა ასევე ცალმხრივადაა გაშუქებული მიწოდების ეკონომიკურ თეორიაშიც, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია საგადასახადო განაკვეთის ზეგავლენა აგრეგირებულ მიწოდებაზე. სტატიაში შემოთავაზებულია მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება განხილულია არა ფასების დონეზე, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული, არამედ საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ფუნქციების სახით. შემოღებულია ოპტიმალური და წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ცნებები. მოდელის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ, როცა მთავრობა ცდილობს წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთის ფიქსირებულ დონეზე შენარჩუნებას, მაშინ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა ფასების დონეზე დამოკიდებული სიდიდე ხდება და ერთობლივი მოთხოვნის შესაბამისმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ოპტიმალური განაკვეთის წონასწორობის დაახლოება. ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ყოველ მოცემულ მნიშვნელობას შეიძლება შეესაბამებოდეს ერთობლივი მიწოდების და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფუნქციებისა და მრუდების მთელი ერთობლიობა.

59. თეზისების სახით მოყვანილია მოსაზრებები და რეკომენდაციები თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული არსებული ახალი პრობლემების დაძლევისა და ძველი შეცდომების გამოსწორების შესახებ.

60. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში საბოლოოდ გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ის, რომ ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგარდობა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი არ მცირდება ეს უწინარეს ყოველისა დონორთა იმ ფინანსური დახმარების შედეგია, რომლის საქართველოსათვის, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლისათვის გამოყოფაც 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ჩატარებულ კონფერენციაზე გადაწყდა. სამწუხაროდ, კრიზისის დროს

მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული და გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდნენ.

61. საქართველომ, თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში ვერ შეძლო ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც სატბილური ეკონომიკური განვითარების საფუძველი იქნებოდა. იმედები ვერც იმ რეფორმებმა გაამართლა, რომლებიც “ვარდების რევოლუციის” შემდეგ გატარდა. შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკის მოდელი. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ოპოზიციური ძალების მოგების შემდეგ ეკონომიკის კონკურენტუნარიანი რეალური სექტორის შესაქმნელად და გასავითარებლად ქვეყანას კიდევ ერთი შანსი მიეცა. ამისათვის აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა ევროკავშირთან (და შედარებით შორეულ პერსპექტივაში აშშ-თან), და რუსეთთან ვაჭრობის განახლება. ამ ამოცანების რეალიზაცია ახალი მთავრობის მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს მოითხოვს.
62. The problem of choice was and still is a very topical for formation of the Georgia’s economic policy. The paper analysis the three main directions of the economic policy established by the government under the President Mikheil Saakashvili. The outcome of the Parliamentary elections held on 1st October 2012 means that there is virtually no chance of this type of the economic policy to be continued since the elections were won by the opposition coalition Georgian Dream. A primary objective for the Georgian government is to sign a free trade agreement with the EU as quickly as possible to realize the full potential entailed by economic integration with the EU. To do this the Georgian government needs to focus its economic policy on promoting production by implementing European models of anti-monopoly regulation, consumer rights protection and labor relationship.
63. Keynesian models deal with the situation when aggregate supply is not dependent on tax rates, while aggregate demand, especially the part of it that relates to consumption, is the function of taxes. Supply-side economics also considers only a single aspect of the tax issue in the Laffer Curve, which emphasizes the impact of the tax rate on aggregate supply. The single-sidedness of the above theories can be overcome by the Laffer-Keynesian Synthesis. The model of macroeconomic equilibrium allows for this synthesis, in which aggregate demand and aggregate supply are represented as functions of the tax burden.
64. ნაშრომში განხილულია პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების სირთულეები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიხედვით გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი შედარებით ადვილად გადაიტანეს ნავთობითა და გაზით მდიდარმა ქვეყნებმა, რომლებმაც კრიზისამდელ პერიოდში სტაბილიზაციის ფონდების შექმნა მოასწრეს. იმის გათვალისწინებით, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტი შეუძლებელს ხდის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივ (ქვეყნების მიხედვით) შედარებას, ნაშრომში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გადაანგარიშებულია ავტორის მიერ შექმნილი ფორმულების საშუალებით, რამაც შესაძლებელი გახდა იმ ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის ინდიკატორების დადგენა, რომლებიც გამორიცხავენ მკვეთრი ზრდის ეფექტს. ჰიპოთეტური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები კი ცხადყოფენ, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური აღმავლობის კრიზისამდელ დონეს ყველაზე ადვილად ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნები დაუბრუნდნენ, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნა, რომ სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ გამოირჩევიან ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული სიმდიდრით, მიზანშეწონილია ეკონომიკური განვითარების ევროპული მოდელის გაზიარება.

65. ნაშრომში განალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელებისა და სათანადო აგრარული პოლიტიკის საკითხები. გამოკვლეულია აგრარული პოლიტიკის “უნიმოდელური” და “ბიმოდელური” ვარიანტები და “დუალისტური” და “ფართო საფუძვლიანი” სტრატეგიები; ყურადღება გამახვილებულია საქართველოში “ფართო საფუძვლიანი” აგრარული სტრატეგიის განხორციელების მნიშვნელობაზე.
66. სტატიაში განალიზებულია აგრარული პოლიტიკის უმთავრესი მიზნები, მოცანები, უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები. შემოთავაზებულია მოსაზრება ეროვნული სასოფლო-სამეურნეო საბჭოს შექმნის თაობაზე, რომლის ფუნქციონირების მიზანს უნდა შეადგენდეს სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, აგრარული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიული მოსაზრებების ჩამოყალიბება და მთავრობისთვის შეთავაზება. დაზუსტებულია პარლამენტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა ორგანოთა როლი, აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. შემოთავაზებულია წინადადება ადეკვატური სტრუქტურებისა და ინსტრუმენტების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შესახებ.
67. სტატიაში გაშუქებულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის კვლევის თეორიული, მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური ასპექტები; განხორციელებულია საქართველოსა და რიგი სხვა ქვეყნების ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სასურსათო პროდუქტების მოხმარების შედარებითი ანალიზი; საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის სუსტი მხარეები და დასახულია მათი გაუმჯობესების გზები.
68. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფლის მეურნეობის ირიგაციის სისტემის კატასტროფული დაშლის პროცესის მიზეზები; განალიზებულია ირიგაციის სექტორის ფაქტური მდგომარეობა და არსებული პრობლემები; შემუშავებულია საირიგაციო პოლიტიკის მეთოდოლოგიური პრინციპები და გაშუქებულია საქართველოს საირიგაციო პოლიტიკის აქტუალური საკითხები; ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით, განსაზღვრულია არსებული საირიგაციო რესურსების და ირიგაციის განვითარების მიმართულებები და გზები.
69. დასმულია პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმიზაციის ამოცანა და შედგენილია შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, სადაც გამოყენებულია საგარეო ვაჭრობაში დეფიციტისა და გადაჭარბების განმარტებების შესახებ ახლებური შეხედულებები. დაზუსტებულია ტერმინები “ოპტიმალური” და “ოპტიმიზაცია”, “პრივატიზება” და “პრივატიზაცია” და შემოთავაზებულია მათი გამოყენების შესაძლებლობები.
70. სტატიაში დახასიათებულია პეტრე კაპიცას მეცნიერული შედეგი, რომელიც ეხება ჯონ მენარდ კეინზის სქემის კომპაქტურ წარმოდგენას ისააკ ნიუტონიდან ალბერტ აინშტაინამდე მექანიკის ცვლილებების ანალოგიისა და ფარდობითობის თეორიის მიხედვით.
71. განხილულია მეცნიერების ეკონომიკის თავისებურებები, რომლებიც აისახა მეცნიერებისა და განათლების სისტემის ცვლილებებში.

72. განხილულია მეცნიერებისა და რელიგიის საკითხები ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში, როდესაც ქვეყნის კეთილდღეობა სულიერი და ეროვნული ფასეულობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დაცვით წარიმართება. მოყვანილია მეცნიერების მრავალმხრივი შესაძლებლობები, როდესაც იგი ღვთის მიერ ნაბოძები ნიჭით ქმნის ადამიანის წარმოდგენას სამყაროს სულიერ კულტურასა და ეკონომიკაზე.

73. ნაშრომში აგრარული რეფორმის მიმდინარეობის ფონზე გამოკვლეულია მეცხვარეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. დასაბუთებულია, რომ მიწების პრივატიზაციის შედეგად ალაზნისპირა ზამთრის საძივრებზე საფრთხე შეექმნა მეცხვარეობის განვითარებას. მეცხვარეობის განვითარების რეზერვების ძიების მიზნით, ნაშრომში პირველადაა ყურადღება გამახვილებული ჯავახეთში ტრადიციული მეცხვარეობის განვითარებაზე. წამოყენებულია წინადადება განძისა და ოკამის სტაციონალური მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსების ფუნქციონირების შესახებ.

74. ნაშრომში გამოკვლეულია საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი შესატყვისი ტერიტორიული მართვის სისტემების ჩამოყალიბების პრობლემები. ამ მხრივ, მაგალითად ნაშრომში შემოთავაზებულია მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონის მეცხოველეობა-მეცხვარეობის ისტორიული, ტრადიციული ტერიტორიული რეგიონული ურთიერთობების აღდგენა-განვითარების ღონისძიებები.

75. ნაშრომში გამოკვლეულია წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხები საქართველოს მეცხვარეობაში. შემოთავაზებულია ცხვრის სადგომების გაუმჯობესების, გადასარეკი ტრასების მოწესრიგების, წველის, პარსვის მექანიზაციის, მეცხვარეობის შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გაუმჯობესების საკითხები.

76. ნაშრომში განხილულია საგადამხდელო ბალანსი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ქვეყნის რეალური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი, რომლის მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა, ასევე მოვახდინოთ მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება და ქვეყნის ორიენტირება სათანადო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. ასევე განხილულია სავაჭრო ბალანსის ადგილი და როლი საგადამხდელო ბალანსში, გაანალიზებულია საქართველოს ბოლო დროის საგადამხდელო ბალანსი, ამ პერიოდში მის წინაშე მდგომი გამოწვევები და დასახულია მათი დაძლევის გზები.

77. ნაშრომში განხილულია ეკონომიკის განვითარების ინოვაციური მოდელი, როგორც კონკურენციის უმნიშვნელოვანესი იარაღი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომლის გონივრული გამოყენებით ქვეყანას შეუძლია მიაღწიოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას; გაანალიზებულია მოწინავე ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და მოცემულია შეხედულებები პრობლემის გადაჭრისათვის ხელისშემშლელი პირობების შესახებ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინოვაციური პოლიტიკის გონივრული გამოყენების აუცილებლობას ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებაში.

78. ნაშრომში განხილულია სავაჭრო ბალანსის მნიშვნელობა საგადამხდელო ბალანსის

განვითარებაში, შესწავლილია საგადასმდელო ბალანსი, როგორც მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ასევე მისი როლი საგარეო ვაჭრობის ტენდენციებისა და ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლაში; ასევე გაანალიზებულია საქართველოს ბოლო დროის საგადასმდელო ბალანსი, ამ პერიოდში მის წინაშე მდგომი გამოწვევები და დასახულია მათი დაძლევის გზები.

79. საქართველოში ტურიზმის განვითარება უნდა ემყარებოდეს უპირატესად ტურიზმის იმ სახეობების და მიმართულებების განვითარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში აგროეკონომიკის განვითარებას. ასეთ მიმართულებად მიგვაჩნია აგროტურიზმის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და დამატებითი შემოსავლების ზრდას. სტატიაში აგროტურიზმი განხილულია როგორც ეკონომიკური კატეგორია და მისი როლი ქვეყნის რეგიონების აგროეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში, ასევე აგროტურიზმი, როგორც აგროტურისტული კომპლექსის ნაწილი, მისი განვითარების ფაქტორები და ის აუცილებელი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში აგროტურიზმის განვითარებას.

80. საქართველოში ტურიზმის დარგის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზა წარმოადგენს. წინა მდებარე ნაშრომში მიმოხილულია ინოვაციების როლი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში და მისი კლასიფიკაციის ზოგადი ასპექტები. ასევე განხილულია საქართველოში ინოვაციების დანერგვის ხელშემშლელი პირობები და მისი დაძლევის ზოგადი გზები.

81. სტატიაში განხილულია ის მთავარი ხელშემშლელი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. ასევე მოცემულია წინადადებები და რეკომენდაციები ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დარგის, წარმატებული განვითარებისათვის.

82. სტატიაში განხილულია ტურიზმი, როგორც რთული სპეციფიკური სტრუქტურა, რომელიც ურთიერთკავშირშია სხვა ეკონომიკურ დარგობრივ სისტემებთან; მისი, როგორც ეკონომიკური დარგის, მულტიპლიკატორული ეფექტის როლის განსაზღვრის თეორიული ასპექტები ქვეყნის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის განვითარებაში; კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია აგროტურიზმის, როგორც დამხმარე სექტორის, მულტიპლიკატორულ როლზე რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებაში და მეურნეობის მივიწყებული ადგილობრივი ეკონომიკური დარგების (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, ადგილობრივი რეწვა, მეცხვარეობა, თიხის წარმოება და სხვა) აღორძინებაში.

83. სტატიაში გამოვლენილია საქართველოში განხორციელებული შიდა საინვესტიციო პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დასახულია შიდა ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი გზები და მიმართულებები.

84. ნაშრომში გამოკვლეულია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის პირობები და მისი გაუმჯობესების გზები.

85. სტატიაში განხილულია სასურსათო უზრუნველყოფის მეტად მტკივნეული საკითხი. კერძოდ, მოსახლეობის ცხოველური ცილით დაკმაყოფილების პრობლემას, რომლის გადაჭრაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იქითოცენოზის რაციონალურად

გამოყენებას. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურებისაგან დაცვასა და აკვაკულტურის განვითარებასთან.

4. სამეცნიერო ნაშრომში გამოკვლეულია სოციალურად გამიზნული ეკონომიკური განვითარების თეორიული საფუძვლები, და ასეთებად ავტორი განიხილავს მის მიერ შემუშავებულ ისეთ მეცნიერულ მიმართულებებს და თეორიებს, როგორც არის სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია და

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

5. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ბიზნესის მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმის განსაზღვრის პრობლემა. ამასთან, ბიზნესის მართვის ეფექტიანობის და საერთოდ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმად ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს პირობებში ავტორი მიიჩნევს ყოველი ადამიანის ინტერესების რეალიზაციას.
6. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ეკონომიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მათი გახსნის გარეშე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია.
7. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია მსოფლიო ფინანსური კრიზისის თავიდან აცილების თეორია - როგორც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი პროგრესის აუცილებელი ინტელექტუალური საფუძველი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებრივ მეცნიერებებში მეცნიერული შემოქმედების პრობლემის გადაჭრაზე - როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების აუცილებელ საფუძველზე.
8. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ხალხის ინტერესებისათვის ეფექტიანი სახელმწიფო მართვის პრინციპულად ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, სოციალურად გამიზნული სახელმწიფო მართვის ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლების სახით ავტორის მიერ განხილულია: სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია, რომლებიც კომპლექსში წარმოადგენს სოციალურად გამიზნულ მმართველობით სამართალს და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელ ინტელექტუალურ ბაზისს.
9. -
10. -
11. -
12. -
13. -

VI. სხვა სამუშაოები

1. გამოქვეყნდა ინსტიტუტის მიერ დაარსებული საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალ “ეკონომისტის” 6 ნომერი.
2. ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ მომზადდა 7 წიგნი.
3. მიმდინარეობს მუშაობა “დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის” პირველი ტომის მოსამზადებლად (მომზადდა შესაბამისი სამეცნიერო საენციკლოპედიო

სტატიები): განყოფილების თანამშრომლებს გადაცემული აქვს რიგი სტატია დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიისთვის და აგრძელებენ ახალი სტატიების დამუშავებას.

4. განყოფილების თანამშრომლებმა გააკეთეს რეცენზიები რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომზე.

5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე მოსმენილი იქნა 5 სამეცნიერო მოხსენება.

6. 28-29 ივნისს პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში გაიმართა პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ და საიუბილეო სხდომა.

7. 28 მარტს თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში გაიმართა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის პროფ. თ. ჩხეიძის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

8. 25 იანვარს ინსტიტუტმა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყო დისკუსია თამაზე: „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და განვითარების ახალი სტრატეგია“; მომხსენებელი პროფ. ნ. ჭითანავა.

9. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალებზე დაყრდნობით შემუშავებულია რეკომენდაციები.

10. **ემდ, პროფ. ვლ. პაპავა საქმიანობა შემდეგი ჟურნალების სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგებში:** “ეკონომისტი” (საქართველო); “ეკონომიკა და ბიზნესი” (საქართველო); “Problems of Economic Transition (გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები)” (აშშ); “Caucasus & Globalization (კავკასია და გლობალიზაცია)” (შვედეთი). 2010 წელს გახდა ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილე; “Central Asia and The Caucasus (ცენტრალური აზია და კავკასია)” (შვედეთი); “Общество и экономика” (რუსეთი); “Caucasian Review of International Affairs (საერთაშორისო ურთიერთობათა კავკასიური რევიუ)” (გერმანია) იგი არის შემდეგი საერთაშორისო და უცხოური სამეცნიერო საზოგადოების წევრი: საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოება (აშშ); სამეფო ეკონომიკური საზოგადოება (დიდი ბრიტანეთი); დასავლეთის საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაცია (აშშ); დანახარჯები-გამოშვების საერთაშორისო ასოციაცია (ავსტრია); ამერიკის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემია (აშშ); ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაცია (აშშ); შედარებით ეკონომიკურ კვლევათა ევროპული ასოციაცია (იტალია); ცენტრალური ევრაზიის შემსწავლელი საზოგადოება (აშშ); ამერიკის ეკონომიკური ასოციაცია (აშშ); ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტი (აშშ).

11.

12. ემდ, პროფ. გ. ბერულავა იყო მონაცემების ანალიტიკოსი შემდეგ პროექტებში: 1) UNICEF Georgia – პროექტი “სიღარიბის კვლევა საქართველოში” და 2) CRRC Georgia – პროექტი “MYPLACE – მახსოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა”.

13. 15 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიისა და თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივით საქსონის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, დრეზდენის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა პროფესორმა ჰანს ვიესმეთიმ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წაიკითხა ლექცია თემაზე: „ინტეგრირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა საქართველოს მდგრადი განვითარების მხარდაჭერისათვის“. თემასთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა ემდ, პროფ. რ. აბესაძემ.

14. **ემდ, პროფ. რ. აბესაძე** არის: საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ “ეკონომისტის”, “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” მთავარი რედაქტორი და “დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის” მთავარი რედაქტორი; ჟურნალ “ეკონომიკა და ბიზნესის”, ჟურნალ “ახალი ეკონომიკის” და ჟურნალ “საზოგადოება და მეცნიერების” რედაქციის წევრი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის I რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “საქართველოში მიწის რესურსების მართვისა და სამართლებრივი რეგულირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე” მასალების კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი; პროფ გ. პაპავას დაბადებიდან 90-ე წლის-თავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის (28-29 ივნისი) სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. მოხსენებით გამოვიდა წიგნის – “საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება” (თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2013) – განხილვაზე; მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ინსტიტუტის წლიური მუშაობის ანგარიშგების განხილვის დროს; გააკეთა სამეცნიერო მოხსენება – “ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდა” – საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის და თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე; გააკეთა სამეცნიერო მოხსენება – “ადგილი აქვს თუ არა გოსენის კანონს” – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე; იყო ოპონენტი თსუ დოქტორანტის – ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილის დისერტაციის – “მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე”. გამოვიდა ტელევიზიაში – “ობიექტივი” გადაცემაში – “საუბრები ეკონომიკაზე”, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე; გამოვიდა საზოგადოებრივ რადიოში (პირველი რადიო) გადაცემაში – “განსხვავებული აზრი” საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების პრობლემებზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ანდრია რაზმაძის
მათემატიკის ინსტიტუტის

2013 წლის

სამეცნიერო ანგარიში

ინსტიტუტის დირექტორი

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ფარცვანია

თორნიკე ქაღვიშვილი

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია ინსტიტუტის შესახებ	3
გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები	3
საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებები	3
საგრანტო პროექტები, რომლებიც 2013 წელს მუშავდებოდა ინსტიტუტში, ან ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით.	3
ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობა	4
ინსტიტუტის მიერ ან თანამონაწილეობით ჩატარებული კონფერენციები	4
განყოფილებათა ანგარიშები	
მათემატიკური ანალიზის განყოფილება	5
დიფერენციალური გატოლებების განყოფილება	19
მათემატიკური ფიზიკის განყოფილება	31
დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება	47
გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილება	52
ალგებრის განყოფილება	59
მათემატიკური ლოგიკის განყოფილება	64
ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება	69
თეორიული ფიზიკის განყოფილება	78
დანართები	
დანართი 1 - გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები	90
დანართი 2 - სამეცნიერო გრანტები	98
დანართი 3 - საგამომცემლო საქმიანობა	100

ზოგადი ინფორმაცია ინსტიტუტის შესახებ

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში ამჟამად არის ცხრა სამეცნიერო განყოფილება: ალგებრის, მათემატიკური ლოგიკის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის.

2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 61 მეცნიერთანამშრომელი, მათ შორის 4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი, 33 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და 27 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები (იხ. დანართი 1)

2013 წელს გამოქვეყნდა ინსტიტუტის თანამშრომელთა 96 ნაშრომი, მათ შორის 32 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. გამოსაქვეყნებლად გადაეცა 52 ნაშრომი.

საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებები

2013 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა გააკეთეს 33 მოხსენება საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე და 77 მოხსენება საქართველოში გამართულ კონფერენციებზე.

საგრანტო პროექტები, რომლებიც 2013 წელს მუშავდებოდა ინსტიტუტში, ან ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით (იხ. დანართი 2)

2013 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა:

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 10 სამეცნიერო გრანტი ფუნდამენტური კვლევებისათვის;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 4 სამეცნიერო გრანტი უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის;
- 2 გრანტი უცხოური ფონდებიდან.

ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობა (იხ. დანართი 3)

ინსტიტუტი გამოსცემს სამ საერთაშორისო ჟურნალს:

- რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები (Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute)
- საქართველოს მათემატიკური ჟურნალი (Georgian Mathematical Journal)
- მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში (Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics)

ინსტიტუტის მიერ ან თანამონაწილეობით ჩატარებული კონფერენციები

- თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 2 - 6 დეკემბერი. 30 მოხსენება. <http://www.rmi.ge/geo/conferences.htm>
- პროფ. ლ. მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013, თბილისი 2013 წლის 20-22 დეკემბერი. http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2013/workshop_2013.htm
- საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი ვ. კუპრაძის დაბადება 110 წლისთავისადმი, თბილისი-ბათუმი, 9-15 სექტემბერი, 2013 წ. <http://rmi.ge/~gmu>
- საერთაშორისო სიმპოზიუმი „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“ TbiLLC-2013, 23-27 სექტემბერი, 2013, გუდაური. <http://www.illc.uva.nl/Tbilisi/Tbilisi2013/>
- Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme (IRSES) In the 7th European Framework Program. Georgian National Academy of Sciences, Georgian Technical University, University of Debrecen, Steklov Institute of Mathematics, Batumi State University, Razmadze Mathematical Institute, University of Palermo. **International Conference and Workshop Lie groups, differential equations and geometry**, June 10-22, 2013, Batumi, Georgia, supported by Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme Grants FP7-PEOPLE-2012-IRSES, 317721 and Shota Rustaveli National Science Foundation Grant CF/19/5-113/3 http://www.rmi.ge/mma/program_Batumi_2013.pdf

განყოფილებათა ანგარიშები

მათემატიკური ანალიზის განყოფილება

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: მათემატიკური ანალიზის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ვახტანგ კოკილაშვილი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ვახტანგ კოკილაშვილი, ლაშა ეფრემიძე, ალექსანდრე მესხი, შაქრო ტეტუნაშვილი, ეთერ გორდაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, ალექსი კირთაძე, ვახტანგ პაატაშვილი, ომარ ძაგნიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ინტეგრალური ოპერატორები ახალ ფუნქციურ სივრცეებში, გამოყენებები ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებათა თეორიაში, ზომის თეორიისა და ფურიეს ანალიზის ზოგიერთი პრობლემა, ჰარმონიულ და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანები	ვახტანგ კოკილაშვილი	ლაშა ეფრემიძე ალექსანდრე მესხი შაქრო ტეტუნაშვილი ალექსანდრე ხარაზიშვილი ალექსი კირთაძე ვახტანგ პაატაშვილი ომარ ძაგნიძე ეთერი გორდაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>გამოკვლეულია ნებისმიერი ფუნქციის წარმოდგენის შესაძლებლობის საკითხი ორი პათოლოგიური ფუნქციის ნამრავლის სახით. დადგენილია სიგმა-სასრული არასეპარაბელური, ინვარიანტული ზომების არსებობა და ერთადერთობა ნამდვილ რიცხვთა ყველა მიმდევრობების სივრცეში. განხილულია ელემენტარული მოცულობები ზომის თეორიის თვალსაზრისით. დამტკიცებულია, რომ კომი-ჰამელის ფუნქციებს შორის არსებობს ერთი მაინც ფუნქცია, რომელიც არაზომადია ნამდვილ რიცხვთა ღერძზე მკვრების მიმართ ინვარიანტული ყველა იმ ზომის მიმართ, რომელიც არის ლებეგის ზომის გაგრძელება. განხილულია ზომის თეორიისა და ნამდვილი ანალიზის ზოგიერთი აქტუალური საკითხი და ღია პრობლემა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზომის გაგრძელების ზოგად ამოცანასთან. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ამოცანას აქვს მრავალი ასპექტი, კერძოდ, წმინდა სიმრავლურ-თეორიული ალგებრული და ტოპოლოგიური. გამოკვლეულია ორი ფუნდამენტური მათემატიკური სტრუქტურის – ზომისა და სავსებით დალაგების მიმართების – თავსებადობის (კოჰერენტულობის) საკითხი. ნამრავლიან სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადწრფივი პოტენციალებისა და შესაბამისი ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისათვის მიღებულია ორწონიანი უტოლობების მართებულობის კრიტერიუმები. განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში დადგენილია წონიანი უტოლობების აუცილებელი და საკმარისი პირობები ზომიან მეტრიკულ სივრცეზე განსაზღვრულ პოტენციალებისა და კომუტატორებისათვის. მიღებული შედეგები</p>		

გამოყენებულია ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების რეგულარობის შესასწავლად. მიღებულია აუცილებელი და საკმარისი პირობები წონებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფს ერთწონიან უტოლობას ნამრავლიან-გულიან პოტენციალებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში. აღნიშნული ამოცანის შესწავლისას დადგენილია აგრეთვე გრანდ ლებეგის სივრცეების სათანადო პარამეტრების მნიშვნელობები. დადგენილია კრიტერიუმები, რომლებისთვისაც ადგილი აქვს ერთწონიან სუსტი ტიპის უტოლობებს მაქსიმალური ფუნქციებისათვის, ჰილბერტის გარდაქმნისა და პოტენციალებისათვის გრანდ ლებეგის სივრცეში. აღწერილ იქნა ვეივლეტ-მატრიცების გენერირებისა და შევსების ახალი ალგორითმები, რომლებიც კომპიუტერული სიმულაციების შედეგად შედარებულ იქნა სხვა მსგავს ალგორითმებთან. დადგენილია, რომ თუ კვატერნიონული ფუნქცია H წარმოებადია, მაშინ ეს ფუნქცია დიფერენცირებადია ნამდვილ ცვლადთა ოთხეულის მიმართ და ამ ცვლადთა მიმართ მისი კუთხური კერძო წარმოებულები გამოისახება H წარმოებულებით. მეორეს მხრივ, დადგენილია, რომ თუ f არის დიფერენცირებადი ნამდვილ ცვლადთა ოთხეულის მიმართ და მისი კუთხური კერძო წარმოებულები წარმოდგება გარკვეული ტოლობებით, რაშიც ვლინდება ფუნქციის მნიშვნელობის კვატერნიონულობა, მაშინ f არის H წარმოებადი. ანალიზური ფუნქციებისათვის ამოხსნილია წრფივი შეუღლების ამოცანა უფრო ფართო კლასის კოეფიციენტის შემთხვევაში, ვიდრე ეს ადრე იყო ცნობილი; შემოღებულია და შესწავლილია ი. ვეკუას აზრით განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა სმირნოვის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი კლასები; განზოგადებულია ფურიეს ტრიგონომეტრიული და ორთოგონალური მწკრივების განშლადობის შესახებ კოლმოგოროვის, შიპისა და ბოჩკარიოვის ცნობილი თეორემები. დადგენილია კრებადი ჯერადი ორთოგონალური მწკრივების კოეფიციენტების აღდგენის შესაძლებლობა ე. წ. კანტორის ფუნქციონალების განმეორებითი გამოყენებით.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ინტეგრალური ოპერატორები და სასაზღვრო ამოცანები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; ფურიეს ანალიზისა და ვეივლეტების თეორიის ახალი ასპექტები, (ხელშეკრულების ნომერი: D/13-23, 2012-2015)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხელმძღვანელი რ. გეწამე თანახელმძღვანელი ვ. კოკილაშვილი	ლ. ეფრემიძე ა. მესხი შ. ტეტუნაშვილი ვ. პაატაშვილი ვ. ბუღაძე თ. ტეტუნაშვილი ი. ნანობაშვილი

დასრულებული ეტაპის შედეგების ანოტაცია

დადგენილია წონიანი გულიანი ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის აუცილებელი და საკმარისი პირობები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, როცა ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს სუსტ ლოგარითმულ უწყვეტობის პირობას; დადგენილია ზომიან კვაზიმეტრიკულ სივრცეებზე განსაზღვრული კალდერონ-ზიგმუნდისა და პოტენციალების ოპერატორების BMO ფუნქციების მქონე კომუტატორების შემოსაზღვრულობა განზოგადებულ მორის სივრცეებში. დადგენილია ტრიგონომეტრიული აპროქსიმაციის დაზუსტებული პირდაპირი და შებრუნებული უტოლობები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში; დამტკიცებულია მრავალი ცვლადის უწყვეტი ფუნქციის წარმოდგენადობა ისეთი ორმაგი მწკრივებით, რომელთა ყოველი წევრი წარმოადგენს რომელიმე, საზოგადოდ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ერთი ცვლადის ფუნქციას.

დადგენილია ფურიეს ინტეგრალების ჩეზაროს საშუალოების მაჟორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები ცვლადმაჩვენებლიან წონიან ლებეგის სივრცეებში. ი. ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის შემოღებულია ცნობილი სმირნოვის კლასის ანალოგიური ცვლადმაჩვენებლიანი კლასები. შესწავლილია ასეთი კლასის ფუნქციების განზოგადებული კომის სინგულარული ინტეგრალებით წარმოდგენადობის საკითხები.

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	ჰარმონიული ანალიზის, აპროქსიმაციის თეორიისა და ინტეგრალურ ოპერატორთა თეორიის თანამედროვე პრობლემები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; გამოყენებები სასაზღვრო ამოცანებში, (ხელშეკრულების ნომერი: 31/47, 2013-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხელმძღვანელი ლ. ეფრემიძე	ვ. კოკილაშვილი ა. მესხი შ. ტეტუნაშვილი ვ. პაატაშვილი ც. ცანავა ნ. დანელია

დასრულებული ეტაპის შედეგების ანოტაცია

ახალ ფუნქციურ სივრცეებში, სახელდობრ, გრანდ ლებეგის წონიან სივრცეებში დადგენილია კლასიკური განაშაღების კერძო ჯამებისა და წრფივი მეთოდებით შეჯამებადობის მაჟორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები. დამტკიცებულია აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც განაპირობებენ რადიალურად კლებად ფუნქციათა კონუსებზე განსაზღვრულ სხვადასხვა ტიპის წილადური ინტეგრალებით გაჩენილი ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობას ერთი წონიანი სივრციდან მეორეში. შემოღებულია სივრცე, რომელიც წარმოადგენს გრანდ ლებეგისა და ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეების ნარევს. დადგენილია მაქსიმალური და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორების შემოსაზღვრულობა აღნიშნულ სივრცეებში. დამტკიცებულია, რომ მარტივ გაწრფევად შეკრულ კარლესონის წირზე განსაზღვრული ზომადი, შემოსაზღვრული და ნულისაგან გამიჯნული ფუნქციის ფაქტორიზებადობა ეკვივალენტურია სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის ნეტერისეულობისა იმავე ცვლადმაჩვენებლიან წონიან ლებეგის სივრცეში; შემოღებულია δ -წრფივად დამოუკიდებელი სისტემის ცნება. ამ სისტემის კერძო შემთხვევებია: ტრიგონომეტრიული სისტემა, უოლშის სისტემის ლაკუნარული ქვესისტემები, ე. წ. \mathcal{E} -ერთადერთობის სისტემები და სხვა. δ -წრფივად დამოუკიდებელი სისტემის მიმართ ჯერადი მწკრივებისათვის დადგენილია, რომ ამ მწკრივების სასრულსტრიქონიანი რეგულარული საშუალოების პრინგსჰაიმის აზრით კრებადობიდან (სათანადო სიმრავლეზე) გამომდინარეობს მათი განმეორებითი აზრით კრებადობა და ურთიერთტოლობა, ე. ი. დადგენილია ფუბინის ტიპის თეორემის მართებულობა δ -წრფივად დამოუკიდებელი ჯერადი მწკრივების მართკუთხა საშუალოებისათვის.

3	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	დინამიკურ სისტემათა თეორიის ზოგიერთი საკითხი, (ხელშეკრულების ნომერი: 31/24, 2013-2014)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. გიორგაძე	ა. კირთაძე გ. ფანცულაია

დამტკიცებულია რომ ყოველი უსასრულოგანზომილებიან პოლონურ წრფივ სივრცეზე შესაძლებელია განისაზღვროს ყველგან მკვრივი ქვეჯგუფის მიმართ ინვარიანტული ბორელის სიგმა-სასრული ზომა. ასევე აგებულია უსასრულო-განზომილებიანი სტანდარტული და ორდინალური ლებეგის ზომის ანალოგები აბსოლუტურად კრებადი მარკუშევიჩის ბაზისიან ბანახის სივრცეზე.

4	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ზოგიერთი მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები, (ხელშეკრულების ნომერი: 31/25, 2013-2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. ფანცულაია	ა. ხარაზიშვილი ა. კირთაძე მ. ბერიაშვილი
<p>ყველა ნამდვილ რიცხვთა მიმდევრობების სივრცეში აგებულია არანულოვანი, სიგმა-სასრულო, ყველგან მკვრივი ვექტორული ქვესივრცის მიმართ ინვარიანტული არასეპარაბელური ბორელის ზომა, რომელიც ფლობს ერთადერთობის თვისებას. შესწავლილია არანულოვანი, სიგმა-სასრული სეპარაბელური და არასეპარაბელური ზომათა კლასების მიმართ ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქციის ფარდობითად ზომადობის დამოკიდებულება ზომათა მითითებული კლასების მიმართ.</p> <p>გამოკვლევული იყო იმ ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქციების სტრუქტურა, რომლებიც წარმოადგენს აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების სხვადასხვა ტიპის კომბინაციების მეშვეობით (ფუნქციების კომპოზიცია, ჯამი, ნამრავლი და ა.შ.). დამტკიცდა, რომ აბსოლუტურად არაზომად ფუნქციათა კლასი ჩაკეტილია კომპოზიციის ოპერაციის მიმართ. გარდა ამისა, არათვლად კომუტატიურ ჯგუფთა გარკვეული კლასებისათვის აგებული იქნა პათოლოგიური დესკრიფციული სტრუქტურის მქონე ჰომომორფიზმები ნამდვილ რიცხვთა ადიტიურ ჯგუფში და ერთეულოვან ტორში.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ. კოკილაშვილი და ა. მესხი	ინტეგრალური ოპერატორები გრანდ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეში, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
2	რ. აკგუნი და ვ. კოკილაშვილი	ზოგიერთი შენიშვნა ტრიგონომეტრიული პოლინომებით (α, ψ) აზრით დიფერენცირებად ფუნქციათა აპროქსიმაციის შესახებ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში, Proc. A. Razmadze Math. Inst.	161	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
3	ვ. კოკილაშვილი და ს. სამკო	განზოგადებული კომის სინგულარული ინტეგრალების შესახებ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
4	ვ. პაატაშვილი	რიმანის პრობლემის შესახებ ზომადი კოეფიციენტებით იმ	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბი-	4

		კომის ტიპის ინტეგრალთა კლასში, რომელთა სიმკვრივე ცვლადმაჩვენებლიანი ლე-ბეგის სივრცედანაა, Proc. A. Razmadze Math. Inst.		ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	
5	ვ. პაატაშვილი	განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა ცვლადმაჩვენებლიანი კლასები, Proc. A. Razmadze Math. Inst.	163	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
6	ო. მაგნიძე	ორი ცვლადის ჯამებადი ფუნქციის წარმოდგენის შესახებ ორმაგი ექსპონენციალური ფურიეს მწკრივებით, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	2
7	ა. ხარაზიშვილი	ზომის თეორიის ზოგიერთი ღია პრობლემის შესახებ, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	8
8	ა. ხარაზიშვილი	არათვლადი კომპუტატური ჯგუფების ზოგიერთი პათოლოგიური ჰომომორფიზმის შესახებ, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
9	მ. ბერიაშვილი და ა. კირთაძე	ინვარიანტული ბორელის ზომების არასეპარაბელური გაგრძელება და ნამდვილმნიშვნელა ფუნქციების ზომადობის თვისებები, Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
10	ლ. ევრემიძე, ა. გამყრელიძე და ნ. სალია	ვეივლეტ-მატრიცის აგების სხვადასხვა ალგორითმების შედარების შესახებ, კომუნიკაციებისა და ქსელუბში შავი ზღვის პირველი საერთაშორისო კონფერენციის შრომები	1	ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა	3

ანოტაციები

1. შემოღებულია არასტანდარტული ბანახის ახალი ფუნქციური სივრცე, რომელიც აერთიანებს გრანდ ლებეგისა და ცვლადმაჩვენებლიან სივრცეებს. შემოღებულ სივრცეში დადგენილია მაქსიმალური ფუნქციებისა და სინგულარული ოპერატორების შემოსაზღვრულობა. ხსენებული ინტეგრალური გარდაქმნები განსაზღვრულია ზომიან მეტრიკულ სივრცეზე გაორმაგების პირობით.
2. დაზუსტებულია ბერნშტეინის ცნობილი უტოლობა ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულის შესახებ. განზოგადებული აზრით წარმოებულებისათვის დადგენილია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის შეზღუდული უტოლობა.
3. დამტკიცებულია კომის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან წონიან ლებეგის სივრცეში. ამ შედეგზე დაყრდნობით დადგენილია ი. ვეკუას აზრით

განზოგადებული კომისის სინგულარული ოპერატორის შემოსაზღვრულობა ზემოხსენებულ სივრცეში მაკენჰაუპტის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი A^p კლასის წონებით.

4. გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა ანალიზური ფუნქციებისათვის იმ კომისის ტიპის ინტეგრალებით წარმოდგენად ფუნქციათა კლასებში, რომელთა სიმკვრივეები ეკუთვნია ცვლადმაჩვენებლია ლებეგის სივრცეებს. განხილულ ამოცანაში შეუღლების კოეფიციენტი არის აღებული ზომად ოსცილებად ფუნქციათა იმ კლასიდან, რომელიც წარმოადგენს სიმონენკოს კლასის გაფართოებას. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და ზოგიერთი საკმარისი ნიშანი. ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადად.

5. შემოღებულია ი. ვეკუას აზრით განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა სმირნოვის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი კლასები. მონაცემთა მიმართ სხვადასხვა პირობებში დადგენილია კუთხური სასაზღვრო მნიშვნელობების არსებობა და კომისის განზოგადებული ინტეგრალით წარმოდგენადობის შესაძლებლობა.

6. ორი ცვლადის ჯამებადი ფუნქციებისათვის დადგენილია მიმართებები ამ ფუნქციების ჯერადი ექსპონენციალური ფურიეს მწკრივებთან.

7. განხილულია ზომის თეორიისა და ნამდვილი ანალიზის ზოგიერთი აქტუალური საკითხი და ღია პრობლემა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზომის გაგრძელების ზოგად ამოცანასთან. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ამოცანას აქვს მრავალი ასპექტი, კერძოდ, წმინდა სიმრავლურ-თეორიული, ალგებრული და ტოპოლოგიური. შესწავლილია დასმული პრობლემების კავშირები თანამედროვე სიმრავლეთა თეორიის დამატებით აქსიომებთან (კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, განზოგადებულ კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, მარტინის აქსიომასთან, დიდი კარდინალური რიცხვების არსებობის აქსიომებთან).

8. ნაშრომში გამოკვლეულია არათვლადი კომპუტაციური ჯგუფების ისეთი ჰომომორფიზმები, რომლებსაც აქვთ პათოლოგიური დესკრიფციული სტრუქტურა (არაზომადი ჰომომორფიზმები, ბერის თვისების არმქონე ჰომომორფიზმები და სხვ.). დადგენილია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ასეთი ჰომომორფიზმების წარმოშობა განპირობებულია აბსოლუტურად ნულზომადი არათვლადი კომპუტაციური ჯგუფების არსებობით.

9. დადგენილია ნამდვილ რიცხვთა ყველა მიმდევრობების სივრცეში სიგმა-სასრულო, ინვარიანტული, არასეპარაბელური, ერთადერთობის თვისების მქონე, ბორელის ზომათა ოჯახის სიმძლავრე. განხილულია ამ სივრცეში სიგმა-სასრულო, ინვარიანტული, ბორელის ზომის ყველა შესაძლო სეპარაბელური და არასეპარაბელური გაგრძელებათა კლასები და გამოკვლეულია ამ ზომათა კლასების ურთიერთდამოკიდებულება ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქციის ფარდობითად ზომადობის საკითხისადმი.

10. აღწერილ იქნა ვეივლეტ-მატრიცების გენერირებისა და შევსების ახალი ალგორითმები, რომლებიც კომპიუტერული სიმულაციების შედეგად შედარებულ იქნა მსგავს უკვე ცნობილ ალგორითმებთან.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი და ვ. რაფეირო	სინგულარული და პო- ტენციალის ოპერატო- რების კომპუტატორების შემოსაზღვრულობა გან- ზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში და ზოგიერთი გამოყენება, Studia Mathematica	217(2)	Instytut Matematyczny, PAN, Poland	159-178
2*	ვ. კოკილაშვილი,	VMO კოეფიციენტებიანი	DOI, 1080/17	Taylor & Francis	1-17

	ა. მესხი და ჰ. რაფეირო	არადივერგენციული ელიფსური განტოლებების შეფასებები განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში, Complex Variables and Elliptic Equations	476933 831844,	Group, United Kingdom	
3*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი	პოტენციალები ნამრავლიანი გულებით გრანდ ლებეგის სივრცეებში. ერთწონიანი შეფასებები, Lithuanian Math. Journal,	53, N1	Springer Verlag, Germany-USA	27-39
4*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი და მ. ზაიგუმი	დადებითგულიანი ოპერატორები $L^p(x)$ სივრცეებში, Positivity.	DOI 10.1007/5 11117-013-0025-9	Springer Verlag, Germany-USA	
5*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი და მ. ზაიგუმი	გულიანი ოპერატორების შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები ცვლადმაჩვენებლიან ამაღლამ სივრცეებში, Journal of Inequaties and Applications.	173, N 1	Hindway Publishing House, USA	1-27
6*	ვ. კოკილაშვილი, ი. ნანობაშვილი	ფურიეს ინტეგრალების შეჯამებადობის საშუალოების მაჟორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმი ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში და გამოყენებები, Georgian Math. J.	20, N 4	Walter De Gruyter & Co, Germany	8
7*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი და ჰ. რაფეირო	რისის ტიპის პოტენციალური ოპერატორები განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში, Georgian Math. J.	20, N 1	Walter De Gruyter & Co, Germany	19
8*	ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი და მ. სარვარი	ორწონიანი ნორმების შეფასებები მაქსიმალური და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორებისთვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, Georgian Math. J.	20, N 3	Walter De Gruyter & Co, Germany	25
9	ვ. კოკილაშვილი და ვ. პაატაშვილი	რიმანისა და დირიხლეს ამოცანები სასაზღვრო პირობებით გრანდ ლებეგის სივრცეებიდან, Advances in Harmonic Analysis and Operator Theory. Advances and Applications	229	Birkhäuser, Basel	18
10	ა. მესხი და გ. მურთაზა	რიმან-ლიუვილის დისკრეტული გარდაქმნების შემოსაზღვრულობის წონებით დახასიათება, J.	9	Higjer Education Commision, Government of Pakistan	13

		Prime Res. Math.			
11*	ა. ხარაზიშვილი	აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების ჯამები, Georgian Math. J.	20	Walter De Gruyter & Co, Germany	11
12*	ა. ხარაზიშვილი	სავსებით დალაგებულობის ზომადობის თვისებები, Georgian Math. J.	20	Walter De Gruyter & Co, Germany	12
13	ა. ხარაზიშვილი	გარკვეული კლასის პათოლოგიური ფუნქციების ადიციურობის თვისების შესახებ, Real Analysis Exchange	38, n. 2	Michigan University Press, USA	11
14*	ა. ხარაზიშვილი	კომპუტატური ჯგუფების აბსოლუტურად არაზომადი ჰომომორფიზმების შესახებ, Studia Scientiarum Mathematicarum Hungarica	50, n. 3	Springer	8
15	ლ. ეფრემიძე, ე. ლავგილავა და გ. ჯანაშია	მატრიცის სპექტრალური ფაქტორიზაცია და ვეიგლეტები, J. of Math. Sci. (N.Y.) ,	195, no. 4445-453, DOI: 0.1007/s10958-013-1589-x	Springer, New-York	8
16*	ვ. პაატაშვილი	შემოსაზღვრული ზომადი ფუნქციების ფაქტორიზაციის შესახებ კოშის ტიპის ინტეგრალთა კლასებში სიმკვრივით ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის წონიანი სივრცეებიდან, Georgian Math. J.	20, n4	Walter De Gruyter & Co, Germany	22

ანოტაციები

- დადგენილია, რომ ერთგვაროვანი ტიპის სივრცეების ჩარჩოებში კალდერონ-ზიგმუნდის ტიპის ოპერატორებისა და პოტენციალების კომპუტატორები, შემოსაზღვრული საშუალო ცვლილების ფუნქციების მიმართ, შემოსაზღვრულია განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში. მიღებული შედეგები გამოყენებულია ელიფსური განტოლებების ამონახსნების შიგა შეფასებების მისაღებად.
- დამტკიცებულია არადივერგენციული, VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლების ამონახსნთა რეგულარობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში. ამოცანა გამოკვლეულია სინგულარულ ინტეგრალთა და მათი წრფივი კომპუტატორების ასახვის თვისებების შესწავლის საფუძველზე.
- გრანდ ლებეგის სივრცეებში შესწავლილია წილადური ინტეგრალები ნამრავლიანი გულებით და შესაბამისი ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები. დადგენილია ერთწონიანი უტოლობების მართებულობის კრიტერიუმები. აღმოჩენილია გრანდ ლებეგის სივრცეების ნორმაში შემავალი ერთ-ერთი პარამეტრის არსებითი გავლენა შესაბამის შეფასებებზე. შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა მოცემულია ბ. მაკენჰაუპტის კლასის წონების ტიპის ფუნქციების ტერმინებში იმ განსხვავებით, რომ შესაბამის პირობებში ზუსტი ზედა საზღვარი კუბების ნაცვლად განიხილება კოორდინატთა ღერძების პარალელურგვერდებიანი პარალელეპიპედის მიმართ.
- დადგენილია იმ წონების სრული დახასიათება, რომლებიც განაპირობებენ წონიანი გულიანი ოპერატორების შემოსაზღვრულობას (კომპაქტურობას) ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, როცა ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს ლოგარითმულ პირობას. განხილული ოპერატორების კლასი ფრიად ფართოა, იგი, კერძოდ, მოიცავს წილადურ ინტეგრალებს ცვლადი პარამეტრით. მიღებულია

არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები.

5. დადგენილია წონიანი გულიანი ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები ცვლადმაჩვენებლიან ამაღლამ სივრცეებში. მიღებული შედეგები ახალია თვით მუდმივმაჩვენებლიან ამაღლამ სივრცეებისთვისაც.

6. მიღებულია ფურიეს ინტეგრალების ჩეზაროს აზრით შეჯამებადობის საშუალოების მაჟორანტის შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში. კრიტერიუმი დადგენილია მაკენჰაუპტის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი A_3 კლასის ტერმინებში. მიღებულ შედეგზე დაყრდნობით ზემოხსენებულ სივრცეებში განზოგადებულია ს. ბერნშტეინის ცნობილი უტოლობა სასრული რიგის ექსპონენციალური ტიპის მთელი ფუნქციის წარმოებულის შესახებ.

7. შემოღებულია განზოგადებული გრანდ მორის სივრცეები. ამ სივრცეებში დადგენილია ერთგვაროვან და არაერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული რისის ტიპის ინტეგრალური გარდაქმნების შემოსაზღვრულობა. ნაშრომში დამტკიცებულმა ე.წ. დაყვანადობის ზოგადმა ლემამ საშუალება მოგვცა აგრეთვე დაგვედგინა ზომიან მეტრიკულ სივრცეზე განსაზღვრული ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებისა და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორების შემოსაზღვრულობა ზემოხსენებულ სივრცეებში.

8. კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ჰარდის გარდაქმნის, ჰარდი-ლიტლვუდის მაქსიმალური ფუნქციებისა და სინგულარული ინტეგრალების ნორმებისათვის დადგენილია ორწონიანი უტოლობები. აღნიშნული შეფასებებისათვის მოძიებული პირობები გამოხატულია ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცის ნორმებით და, მაგალითად, რადიალური ტიპის წონებისათვის აუცილებელიც არის. მოყვანილია წონების წყვილების მაგალითები, რომლებიც განაპირობებენ ორწონიანი უტოლობების მართებულობას.

9. უბან-უბან გლუვი წირით შემოსაზღვრულ არეში ანალიზური ფუნქციებისათვის გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებით, როცა საძიებელი ფუნქცია წარმოიდგინება ისეთი კომის ტიპის ინტეგრალით, რომლის სიმკვრივე გრანდ ლებეგის სივრციდანაა და სასაზღვრო პირობის მარჯვენა მხარე იმავე კლასს ეკუთვნის. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები და ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადი სახით. ამოხსნილია დირიხლეს ამოცანა ჰარმონიული ფუნქციებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ისეთი კომის ტიპის ინტეგრალებით წარმოდგენად ანალიზური ფუნქციების ნამდვილ ნაწილებს, რომელთა სიმკვრივეები გრანდ ლებეგის წონიანი სივრციდანაა და სასაზღვრო ფუნქციაც იმავე კლასს ეკუთვნის. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობა და ეს ამონახსნი დაწერილია ცხადად.

10. დადგენილია კვალის უტოლობის კრიტერიუმი რიმან-ლიუვილის დისკრეტული გარდაქმნისათვის მაზია-ვერბიცკის ტიპის პირობის ქვეშ.

11. დადგენილია, რომ მარტინის აქსიომის დაშვებით ნებისმიერი ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქცია წარმოიდგინება ორი, ინიექციური აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციის ჯამის სახით. ეს ფაქტი აღსანიშნავია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამატებითი სიმრავლურ-თეორიული აქსიომების დაშვების გარეშე შეუძლებელია აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების დამტკიცება.

12. გამოკვლეულია ორი ფუნდამენტური მათემატიკური სტრუქტურის _ ზომისა და სავსებით დალაგების მიმართების _ თავსებადობის (კოჰერენტულობის) საკითხი. კერძოდ, ნაშრომის ძირითადი შედეგიდან გამომდინარეობს, რომ ამ ორი სტრუქტურის თავსებადობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხორციელდება.

13. სტატიაში გამოკვლეულია უწყვეტ არსად წარმოებად ფუნქციათა კლასის, სერპინსკი-ზიგმუნდის ფუნქციათა კლასისა და აბსოლუტურად არაზომად ფუნქციათა კლასის ადიტიური თვისებები. კერძოდ, თითოეული აღნიშნული კლასისათვის დამტკიცებულია იმავე სიმძლავრის ქვეჯგუფის არსებობა.

14. სტატიაში დახასიათებულია ყველა ის კომუტატიური ჯგუფი, რომლისთვისაც არსებობს აბსოლუტურად არაზომადი ჰომომორფიზმი ნამდვილ რიცხვთა ადიტიურ ჯგუფში (ან ერთეულოვან ტორში). ეს დახასიათება ემყარება კომუტატიური ჯგუფის პერიოდული ნაწილის სტრუქტურის აღწერას.

15. გადმოცემულია მატრიც ფუნქციების სპექტრალური ფაქტორიზაციის თეორიაში მიღებული შედეგები და მათი კავშირი ვეივლეტების თეორიასთან.

16. დამტკიცებულია, რომ თუ სასაზღვრო ამოცანის კოეფიციენტი ფაქტორიზებადია, მაშინ სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი ნეტერისეულია და პირიქით. ეს შედეგი წარმოადგენს ინტეგრებადობის მუდმივი მაჩვენებლის შემთხვევაში ი. სიმონენკოს შედეგის განზოგადებას.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ.ეფრემიძე, ა. გამყრელიძე, ნ. სალია	ვეივლეტ-მატრიცების კონსტრუირების სხვადასხვა ალგორითმების რიცხვითი შედარებები, შავი ზღვის პირველი საერთაშორისო კონფერენცია კომუნიკაციებსა და ქსელებში	3-5 ივლისი, 2013, ბათუმი
2	ა. კირთაძე	ნამდვილმნიშვნელობებიანი ფუნქციების ფარდობითად ზომადობა ზომათა გარკვეული კლასის მიმართ, ა. რაზმაძის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
3	ვ. კოკილაშვილი	კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარული ინტეგრალები გრანდ ლეზევის სივრცეებში და გამოყენებები, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების მე-4 საერთაშორისო კონფერენცია	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი
4	ა. ხარაზიშვილი	ლუზინისა და სერპინსკის ერთი თეორემის შესახებ, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
5	ა. მესხი	ცალმხრივი ოპერატორების ნორმების დაზუსტებული შეფასებების შესახებ, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
6	ა. მესხი	არადიფერენციული VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებების შიგა შეფასებები და რეგულარობა, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების მე-4 საერთაშორისო კონფერენცია	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი
7	ო. ძაგნიძე	კვატერნიონული ფუნქციის H წარმოებულის არსებობა, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
8	ო. ძაგნიძე	ნამდვილ, კომპლექსურ და კვატერნიონულ ფუნქციათა დიფერენცირებადობის შესახებ, საერთაშორისო კონფერენცია "ფურიეს ანალიზი და აპროქსიმაცია"	23-28 ოქტომბერი, 2013, ბაზალეთი
9	ო. ძაგნიძე	ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ისტორია, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი

		დოების მე-4 საერთაშორისო კონფერენცია	
10	შ. ტეტუნაშვილი	სერპინსკის ერთი თეორემის განზოგადების შესახებ, საერთაშორისო კონფერენცია "ფურიეს ანალიზი და აპროქსიმაციის თეორია"	22-23 ოქტომბერი, ბაზალეთი
11	შ. ტეტუნაშვილი	ერთმაგი შერეული ფუნქციური მწკრივები და მრავალი ცვლადის უწყვეტ ფუნქციათა აპროქსიმაცია, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
12	ვ. პაატაშვილი	რიმან-ჰილბერტის ამოცანის ნეტურისეულობის კრიტერიუმი ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში უბან-უბან გლუვსაზღვრიან არეებში, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
13	ვ. კოკილაშვილი	მრავალგანზომილებიანი ფურიეს ანალიზის ზოგიერთი ასპექტი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი

მოხსენებათა ანოტაციები

1. აღწერილ იქნა ვეივლეტ-მატრიცების გენერირებისა და შევსების ახალი ალგორითმები, რომლებიც კომპიუტერული სიმულაციების შედეგად შედარებულ იქნა მსგავს ალგორითმებთან
2. დამტკიცებულია, რომ ნამდვილ რიცხვთა ყველა მიმდევრობების სივრცეში არსებობს არასეპარაბელური ზომის მიმართ მასიური გრაფიკის მქონე ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქცია, რომელიც განაპირობებს ასეთი თვისების მქონე ფუნქციის ფარდობითად ზომადობას ზომათა გარკვეული კლასის მიმართ
3. დადგენილია გრანდ ლებეგის წონიან სივრცეებში სინგულარული ინტეგრალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები. მოყვანილია გამოყენებები ანალიზურ ფუნქციათა თეორიისა და მათემატიკური ანალიზის სასაზღვრო ამოცანებში
4. გაანალიზებული იყო ლუზინისა სერპინსკის თეორემა ნამდვილი ღერძის კონტინუუმ რაოდენობის არაზომად ქვესიმრავლეებად დაშლის შესახებ. ნაჩვენებია იყო დამოკიდებული ამორჩევის აქსიომის როლი ამ თეორემის მართებულობისათვის. ამის საფუძველზე დადგენილი იყო, რომ ლუზინისა და სერპინსკის ტრანსფინიტული კონსტრუქცია არის ზედმეტი.
5. დადგენილია წონითი ფუნქციის მახასიათებლის საუკეთესო მაჩვენებელი ერთწონიან უტოლობაში ცალმხრივი მაქსიმალური და წილადური ოპერატორებისათვის. ნაშრომი შესრულებულია ვ. კოკილაშვილთან და მ. ა. ზაიგუმთან ერთად
6. დადგენილია VMO კოეფიციენტებიან ელიფსურ განტოლებათა ამონახსნების შიგა შეფასებები და რეგულარობა. შედეგები მიღებულია სინგულარულ ინტეგრალთა კომპუტატორების გრანდ მორის სივრცეებში შემოსაზღვრულობის დადგენის საფუძველზე
7. დადგენილია, რომ თუ ფუნქცია H წარმოებადია, მაშინ იგი არის დიფერენცირებადი ცვლადთა ოთხეულის მიმართ და ამ ცვლადთა მიმართ მისი კუთხური კერძო წარმოებულები გამოსახებს H წარმოებულთ
8. განხილული იყო ნამდვილ, კომპლექსურ და კვადრატულ ფუნქციათა დიფერენცირებადობის ზოგიერთი ასპექტი
9. მოხსენებაში განხილული იყო ქართული მათემატიკური ტერმინთფორმირების ეტაპები.

10. შემოტანილია ერთმაგი შერეული ხარისხოვანი მწკრივის ცნება. განზოგადებულია სერპინსკის თეორემა უნივერსალური ხარისხოვანი მწკრივების შესახებ და ნაჩვენებია, რომ მრავალი ცვლადის ნებისმიერი უწყვეტი ფუნქცია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ერთმაგი შერეული ხარისხოვანი მწკრივების საშუალებით.

11. შემოტანილია ერთმაგი შერეული ხარისხოვანი მწკრივის ცნება. განზოგადებულია სერპინსკის თეორემა უნივერსალური ხარისხოვანი მწკრივების შესახებ და ნაჩვენებია, რომ მრავალი ცვლადის ნებისმიერი უწყვეტი ფუნქცია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ერთმაგი შერეული ხარისხოვანი მწკრივების საშუალებით

12. ვთქვათ D არე შემოსაზღვრულია ჟორდანის, შერეული უბან-უბან გლუვი წირით, რომლის კუთხური წერტილებია A_1, A_2, \dots, A_n და ამ წერტილებში D არის მიმართ შიგა კუთხეების სიდიდეებია $\pi\nu(A_k)$, $0 \leq \nu(A_k) \leq 2, k = \overline{1, n}$.

დამტკიცებულია, რომ როცა $p(t)$ ფუნქცია აკმაყოფილებს log-Holder პირობა, ხოლო $a(t)$ არის Γ -ზე უწყვეტი ფუნქცია, მაშინ რიმან-ჰილბერტის ამოცანა

$$Re[a(t)\Phi^+(t)] = b(t)$$

ნეტერისეულია სმირნოვის ცვლადმაჩვენებლიან $E^{p(t)}(D)$ კლასში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $T = \{A_k: \nu(A_k) = p(A_k) \text{ ან } \nu(A_k) = 0\} = \emptyset$.

13. მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების პრინგსჰაიმის აზრით ნორმით კრებადობისა და შეჯამებადობის კრიტერიუმები ბანახის წონიან ფუნქციურ სივრცეებში;
- ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების სფერული აზრით კრებადობისა და რისის აზრით შეჯამებადობის საკითხები. სახელდობრ, ნაჩვენებია იქნება, რომ არ არსებობს ისეთი ინტეგრებადი წონა, რომლისთვისაც ჯერადი ტრიგონომეტრიული სისტემა იქნება ბაზისი შესაბამის ლებეგის წონიან L_w^p ($p \neq 2$) სივრცეში სფერული კრებადობის აზრით;
- ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივების რისის სფერული საშუალოების მაჟორანტების ლებეგის წონიან სივრცეში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობა.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. კოკილაშვილი	ფუნქციათა აპროქსიმაციის საკითხები ბანახის არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში, ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი	5-9 აგვისტო, 2013, კრაკოვი, პოლონეთი
2	ა. მესხი	შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები გულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი	5-9 აგვისტო, 2013, კრაკოვი, პოლონეთი
3	ა. კირთაძე	ელემენტარული მოცულობა ზომის თეორიის თვალსაზრისით, მე-11 საერთაშორისო კონფერენცია გეომეტრიასა და გამოყენებებში	01-06 სექტემბერი, 2013, ვარნა, ბულგარეთი
4	ა. ხარაზიშვილი	ევკლიდური სიბრტყის სამ ფერად გაფერადებისა და მოცემული ტიპის ასოცირებული სამკუთხედების შესახებ, მე-11	01-06 სექტემბერი, 2013, ვარნა, ბულგარეთი

		საერთაშორისო კონფერენცია გეომეტრიასა და გამოყენებებში	
5	შ. ტეტუნაშვილი	უნივერსალური ხარისხოვანი მწკრივების შესახებ სერპინსკის ერთი თეორემის განზოგადება, მე-2 საერთაშორისო კონფერენცია მათემატიკა სომხეთში	24-31 აგვისტო, 2013, წახკაძორი, სომხეთი
მოხსენებათა ანოტაციები			
<p>1. მოხსენებაში განხილული იყო ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული შედეგები ფუნქციათა აპროქსიმაციის შესახებ ბანახის არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში. მათ შორის: ფურიეს გარდაქმნების შეჯამებადობის საშუალოების მაქორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმი ცვლადმაჩვენებლიან წონიან და გრანდ ლებეგის წონიან სივრცეებში; ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ნორმით შეჯამებადობის საკითხები, ორწონიანი უტოლობები ფურიეს ჯერადი მწკრივების რისის საშუალოებისათვის. ბერნშტეინის უტოლობის განზოგადება სასრული რიგის ექსპონენციალური ტიპის მთელი ფუნქციის წარმოებულის შესახებ</p> <p>2. მოხსენებაში დადებითგულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის დადგენილია შემოსაზღვრულობის (კომპაქტურობის) აუცილებელი და საკმარისი პირობები. ცვლადი მაჩვენებელი აკმაყოფილებს ლოკალურ სუსტ და აგრეთვე უსასრულობაში ლოგარითმულ პირობას. როცა ოპერატორი არ არის კომპაქტური, მაშინ მიღებულია არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები. განხილული ოპერატორები მოიცავენ მაგალითად წილადურ ინტეგრალურ გარდაქმნებს. წონიანი შემოსაზღვრულობის (კომპაქტურობის) კრიტერიუმები დამტკიცებულია ცვლადმაჩვენებლიან ამაღამ სივრცეებში მაქსიმალური ოპერატორებისა და დადებითგულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის</p> <p>3. ჩამოყალიბებული იქნა ელემენტალური მოცულობები ინვარიანტული ზომების თეორიის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ ევკლიდეს სივრცის ყველა შემოსაზღვრულ ქვესიმრავლეთა კლასზე არ არსებობს არაუარყოფითი, ადიტიური, იზომეტრიული გარდაქმნათა ჯგუფის მიმართ ინვარიანტული მოცულობა, რომელიც ერთეულოვან საკოორდინატო კუბზე ღებულობს ერთის ტოლ მნიშვნელობას. დამტკიცებულია, რომ კოში-ჰამელის ფუნქციებს შორის არსებობს ერთი მაინც ფუნქცია, რომელიც არაზომადია ნამდვილ რიცხვთა ღერძზე ძვრების მიმართ ინვარიანტული ყველა იმ ზომის მიმართ, რომელიც არის ლებეგის ზომის გაგრძელება.</p> <p>4. დამტკიცებულია, რომ ევკლიდური სიბრტყის წერტილთა სამ ღერად ნებისმიერი გაფერადებისას არსებობს კონტინუუმ რაოდენობის მოცემული ტიპის სამკუთხედები, რომელთა ყველა წვერო სხვადასხვა ღერისაა. მოყვანილია ამ ფაქტის გამოყენება ზოგიერთი ტიპის პათოლოგიური ფუნქციების აგებისათვის.</p> <p>5. მრავალგანზომილებიანი დასმით განზოგადებულია სერპინსკის თეორემა უნივერსალური ხარისხოვანი მწკრივების შესახებ</p>			

სხვა ინფორმაცია

1. სამოგზაურო გრანტები

ალექსანდრე მესხი 04.08.2013-10.08.2013: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: პროექტის დასახელება: ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი (პროექტის ნომერი: 2013_tr_142).

ვახტანგ კოვილაშვილი 04.08.2013-10.08.2013: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: პროექტის დასახელება: ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი (პროექტის ნომერი: 2013_tr_140).

შაქრო ტეტუნაშვილი 04.08.2013-10.08.2013: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი: პროექტის დასახელება: ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონგრესი (პროექტის ნომერი: 2013_tr_139).

2. საზღვარგარეთ მივლინებები

ალექსანდრე მესხი 23 ივნისი- 2 ივლისი, 2013, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი.

ალექსანდრე მესხი 18 იანვარი-14 თებერვალი, 2013, მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლა, სამთავრობო კოლეჯ-უნივერსიტეტი, ლაჰორი, პაკისტანი.

3. სადოქტორო (PhD) პროგრამის ხელმძღვანელობა

- ა. მესხის ხელმძღვანელობით მომზადდა დისერტაცია “ KERNEL OPERATORS IN SOME NEW FUNCTION SPACES”, დისერტანტი მ. ა. ზაიგუმი. დაცვა შედგება 2014 წელს მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლაში, სამთავრობო კოლეჯ-უნივერსიტეტი, ლაჰორი, პაკისტანი.
- ვ. კოკილაშვილი ხელმძღვანელობდა დოქტორანტის მუშაობას.

4. რეცენზირება

ვ. კოკილაშვილმა მოამზადა რეცენზიები ჟურნალებისთვის: Acta Mathematica Hungarica, Revista Mathematica Complutensa, Georgian Math. Journal, Journal of Inequalities.

ა. მესხმა მოამზადა რეცენზიები შემდეგი ჟურნალებისათვის: Georgian Math. Journal, Journal of Function Spaces and Applications (Hindawi), Journal of Mathematical Analysis and Applications (Elsevier), Abstract and Applied Analysis (Hindawi).

შ. ტეტუნაშვილმა მოამზადა რეცენზიები შემდეგი ჟურნალებისათვის: Georgian Math. Journal.

ლ. ეფრემიძე თანამშრომლობდა "Mathematical Review"-სთან. მან 5 შრომაზე დაწერა რეფერატი.

ლ. ეფრემიძემ დაწერა რეცენზია ჟურნალისთვის Siam J. of Matrix Analysis and Applications.

5. მონაწილეობა საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში

ვ. კოკილაშვილი არის შემდეგი ჟურნალების რედკოლეგიის წევრი:

- Georgian Mathematical Journal. Walter De Gruyter & Co, Germany (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Function Spaces and Applications. Scientific Horizont (შვედეთი-ინდოეთი, სარედაქციო კოლეგიის წევრი)
- International Journal of Mathematics, Game Theory and Algebra. Nova Science Publishers, Inc. New York (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Armenian Journal of Mathematics (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Georgian International J. Sci. and Tech. Nova Science, New York (სარედაქციო კოლეგიის წევრი).
- Proc. A. Razmadze Mathematical Inst. (მთავარი რედაქტორი).
- Euroasian Mathematical Journal. UK – Kazakhstan (სარედაქციო კოლეგიის წევრი)

ა. მესხი არის შემდეგი ჟურნალების რედკოლეგიის წევრი:

- Journal of Mathematical Inequalities
- Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute
- Tbilisi Mathematical Journal
- Journal of Prime Research in Mathematics
- Revista Universitas Scientarium

დიფერენციალური განტოლებების განყოფილება

- I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, დიფერენციალური განტოლებების განყოფილება
- I.2. განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ივანე კილურაძე
- I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სერგო ხარიბეგაშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), მალხაზ აშორდია (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), გივი ბერიკელაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ნინო ფარცვანია (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ოთარ ჯოხაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), მაია ჯაფოშვილი (უფროსი ლაბორანტი)

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	საწყის-სასაზღვრო და სასაზღვრო ამოცანები ევოლუციური დიფერენციალური განტოლებებისათვის	ი. კილურაძე	მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, ი. კილურაძე, ნ. ფარცვანია, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე
კვლევითი სამუშაოს დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
<p>დადგენილია არალოკალური (კერძოდ, ორწერტილოვანი და მრავალწერტილოვანი) სასაზღვრო ამოცანების ამონხსნადობის პირობითად კორექტულობის არაგაუმჯობესებადი პირობები (ი. კილურაძე).</p> <p>არაწრფივ ფუნქციონალურ დიფერენციალურ განტოლებათა სინგულარული სისტემებისათვის დადგენილია კოში-ნიკოლეტის ტიპის წონიანი ამოცანის ამონხსნადობისა და კორექტულობის საკმარისი პირობები (ნ. ფარცვანია).</p> <p>დამტკიცებულია კონტი-ოპიალის ტიპის პირობები არაწრფივი ფუნქციონალურ დიფერენციალური სისტემებისათვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანის ამონხსნადობის შესახებ (მ. აშორდია).</p> <p>შესწავლილია ერთი დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის. ნაპოვნია პირობები, დადებული ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი. შესწავლილია შერეული ამოცანა არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის არაწრფივი სასაზღვრო პირობით. განტოლებაში და სასაზღვრო პირობაში შემავალი არაწრფივი წევრების გათვალისწინებით გამოკვლეულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის შემთხვევები (ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე).</p> <p>კვადრატულ არეში განხილულია პუასონის განტოლებისათვის დასმული შერეული ამოცანა: დირიხლეს პირობებით კვადრატის ორ მოსაზღვრე გვერდზე და ინტეგრალური შეზღუდვებით საზღვრის დარჩენილ ნაწილზე კლასიკური პირობების ნაცვლად; დადგენილია სუსტი ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა W_2^1 წონიან სივრცეში. პუასონის განტოლებისათვის მართკუთხა არეში განხილულია არალოკალური სასაზღვრო ამოცანა. მოსაზღვრე გვერდების ერთ წყვილზე დირიხლეს და ნეიმანის პირობები, საზღვრის დარჩენილ ნაწილზე სასაზღვრო პირობების ნაცვლად კი ინტეგრალური სახის შეზღუდვებია მოცემული. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი სხვაობიანი სქემა. ენერგეტიკულ უტოლობათა მეთოდით მიღებულია სქემის ამონახსნის აპრიორული შეფასება. დისკრეტიზაციის ცდომილებისათვის მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული შეფასება (გ. ბერიკელაშვილი).</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენებები დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი № FR/317/5-101/12 (№ 31/07 საგრანტო ხელშეკრულება)	ი. კილურაძე	ი. კილურაძე, ზ. სოსხაძე, ნ. ფარცვანია

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

მაღალი რიგის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ სინგულარობები ფაზური ცვლადების მიმართ, დადგენილია კომის ამოცანის ამოხსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები (ი. კილურაძე).

მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური უტოლობებისათვის, რომელთაც გააჩნიათ სინგულარობები როგორც ფაზური, ისე დროითი ცვლადის მიმართ მიღებულია არაწრფივ არალოკალურ სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების აპრიორული შეფასებები (ი. კილურაძე).

დამტკიცებულია თეორემები დროითი და ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური უტოლობების კნეზერული ამონახსნების აპრიორული შეფასებების შესახებ (ნ. ფარცვანია). ამ შედეგების საფუძველზე მეორე რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია კნეზერის ამოცანის ამოხსნადობის საკმარისი პირობები (ნ. ფარცვანია).

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი № FR/406/5-106/12 (№ 31/18 საგრანტო ხელშეკრულება)	გ. ბერიკელაშვილი	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მილოდაშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

მულტიკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ელიფსური განტოლებისათვის დასმული ღირებულებების ამოცანის ამოხსნადობა გამოყენებულია სასრულ სხვაობიანი სქემა. მიღებული ამონახსნის გამოყენებით ხდება სქემის მარჯვენა მხარის გარკვეული კორექცია და განმეორებით ამოხსნება სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია მეორე ეტაპზე მიღებული მიახლოებითი ამონახსნის მაღალი რიგის კრებადობა.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ზოგიერთი არაწრფივი არასტაციონარული მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი № FR/30/5-101/12 (№ 31/32 საგრანტო ხელშეკრულება)	ს. ხარიბეგაშვილი	ს. ხარიბეგაშვილი ო. ჯოსხაძე, თ. ჯანგველაძე, ზ. კილურაძე

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

უწყვეტ ფუნქციათა კლასში არაწრფივი ტალღის განტოლებათა ერთი კლასისათვის შესწავლილია კოში-დარბუს სასაზღვრო ამოცანა. განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამონახსნადობა. ერთი არაწრფივი ინტეგრირ-დიფერენციალური განტოლებისათვის დასმული შერეული სასაზღვრო პირობებიანი ამოცანისთვის გამოკვლეულია ამონახსნის არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა არაწრფივი ხარისხოვანი წყაროს წევრის შემთხვევაში. აგებულია შესაბამისი სხვაობიანი სქემები და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.

IV პუბლიკაციები

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ყირმელაშვილი, ი. ბეჟუაშვილი, გ. ბერიკელაშვილი, ბ. მასპინძელაშვილი	ალბათობის თეორია	გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი	130
ანოტაციები				
სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, გადმოცემულია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები და მოყვანილია სათანადო სავარჯიშოები.				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Ashordia, G. Ekhsaia, N. Kekelia	On the Conti-Opial type existence and uniqueness theorems for general nonlinear boundary value problems for systems of impulsive equations with finite and fixed points of impulses actions. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 58	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	125-134 (10)
2	M. Ashordia	On a two-point singular boundary value problem for systems of nonlinear generalized ordinary differential	Volume 58	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,	111-123 (13)

		equations. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>		თბილისი	
3	M. Ashordia	On conditions for the well-posedness of a nonlocal boundary value problem for a class of systems of linear generalized ordinary differential equations with singularities. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 59	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	105-112 (8)
4	G. Berikelashvili	On a weak solution of one nonlocal boundary-value problem. <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 162	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	116-120 (5)
5	I. Kiguradze	On nonlocal problems with nonlinear boundary conditions for singular ordinary differential equations. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 59	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	113-119 (7)
6.	S. Kharibegashvili	The Cauchy-Goursat multidimensional problem for one class of nonlinear hyperbolic systems. <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 162	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	141-143 (3)
7	S. Mukhigulashvili, N. Partsvania	On one estimate for solutions of two-point boundary value problems for higher-order strongly singular linear differential equations. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 58	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	65-77 (13)
8	N. Partsvania	On two-point boundary value problems for two-dimensional nonlinear differential systems with strong singularities.	Volume 58	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,	147-152 (6)

		<i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>		თბილისი	
9	N. Partsvania	On a nonlocal boundary value problem for two-dimensional nonlinear singular differential systems. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 59	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	121-125 (5)
ანოტაციები					
1. განხილულია ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის საკითხი კვაზიწრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემებისათვის. ასეთი ამოცანებისთვის დამტკიცებულია კონტისა და ოპიალის ტიპის არსებობის თეორემები. მათზე დაყრდნობით მიღებულია ამოხსნადობის ეფექტური საკმარისი პირობები.					
2. განზოგადებულ სინგულარობებიან არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანა. მიღებულია ამ ამოცანის ამოხსნადობის საკმარისი პირობები.					
3. განზოგადებულ წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ერთი კლასის სისტემებისთვის განხილულია არალოკალური სასაზღვრო ამოცანა. მიღებულია ამ ამოცანის კორექტულობის საკმარისი პირობები.					
4. კვადრატულ არეში განხილულია პუასონის განტოლებისათვის დასმული შერეული ამოცანა: დირიხლეს პირობებით კვადრატის ორ მოსაზღვრე გვერდზე და ინტეგრალური შეზღუდვებით საზღვრის დარჩენილ ნაწილზე კლასიკური პირობების ნაცვლად; დადგენილია სუსტი ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა W_2^1 წონიან სივრცეში.					
5. დროითი ცვლადის მიმართ არაინტეგრებადი სინგულარობების მქონე მაღალი რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია ზოგიერთი არაწრფივი, არალოკალური სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.					
6. მეორე რიგის არაწრფივ ჰიპერბოლურ სისტემათა ერთი კლასისათვის გამოკვლეულია კოში-გურსას სასაზღვრო ამოცანის ერთი მრავალგანზომილებიანი ვარიანტის კორექტულობის საკითხი.					
7. მაღალი რიგის ძლიერად სინგულარული გადახრილარგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია ორწერტილოვანი შეუღლებული და მარჯვნივ ფოკალური სასაზღვრო ამოცანების ამონახსნთა შეფასებები.					
8. ორგანზომილებიანი არაწრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის ძლიერი სინგულარობებით დროითი ცვლადის მიმართ დადგენილია ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანათა ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.					
9. ორგანზომილებიანი არაწრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის ძლიერი სინგულარობებით დროითი ცვლადის მიმართ დადგენილია ნიკოლეტის ტიპის არალოკალური სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობისა და კორექტულობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.					

2) უცხოეთში

დ) სტატიები (*-ით აღნიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები)

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	G. Berikelashvili, M.Mirianashvili	On the convergence of difference schemes for generalized Benjamin- Bona-Mahony equation. <i>Numer. Methods Partial Differ. Equations</i>	DOI: 10.1002/num.21 810	John Wiley & Sons, New York, NY	20
2*	G. Berikelashvili, N. Khomeriki	On a numerical solution of one nonlocal boundary- value problem with mixed Dirichlet-Neumann conditions. <i>Lith. Math. J.</i>	Volume 53 No. 4	Springer, New York, NY	367-380 (14)
3*	O. Jokhadze	The global Cauchy problem for wave equations with nonlinear damping term. (Russian) <i>Differentsial'nye Uravneniya</i>	Volume 49 No. 12	Nauka/Interperiod ika, Moskva	1-8 (8)
4*	O. Jokhadze, S. Kharibegashvili	The Cauchy-Darboux problem for the one- dimensional wave equation with power nonlinearity. <i>Siberian Math. J.</i>	Volume 54 No. 6	Pleiades Publishing, Tortola, British Virgin Islands; Nauka/Interperiod ica, Moscow; Springer, New York	1121-1137 (17)
5*	O. Jokhadze, S. Kharibegashvili	The Cauchy-Goursat problem for the wave equations with nonlinear dissipative term. (Russian). <i>Mat. Zametki</i>	Volume 94 No. 6	Nauka/Interperiod ika, Moskva	889-907 (18)
6*	O. Jokhadze, S. Kharibegashvili	Вторая задача Дарбу для волнового уравнения со степенной нелинейностью“. (Russian) <i>Differentsial'nye Uravneniya</i>	Volume 49 No. 12	Nauka/Interperiod ika, Moskva	1623-1640 (17)
7*	I. Kiguradze	The Cauchy problem for singular in phase variables nonlinear ordinary differential equations. <i>Georgian Math. J.</i>	Volume 20	Walter De Gruyter & Co, Germany	707-720 (14)
8*	S. Kharibegashvili,	On the solvability of one boundary value problem for	Volume 400	Elsevier, San Diego, CA	345-362 (18)

	B. Midodashvili	one class of semilinear second order hyperbolic systems. <i>J. Math. Anal. Appl.</i>			
9*	S. Kharibegashvili, B. Midodashvili	One multidimensional version of the Darboux first problem for one class of semilinear second order hyperbolic systems. <i>NoDEA Nonlinear Differ. Equ. Appl.</i>	Volume 20 No. 3	Birkhäuser Verlag (Springer), Basel	595-619 (24)
10*	S. Kharibegashvili, D. Natroshvili	Investigation of hyperbolic systems with order degeneration arising in I. Vekua's hierarchical models. <i>Appl. Anal.</i>	Volume 92 No. 12	Taylor & Francis, Abingdon, Oxon	2520-2537 (18)
ანოტაციები					
<p>1. ბენჟამინ-ბონა-მაჰონის განზოგადებული არაწრფივი განტოლებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის შესწავლილია სამშრიანი კონსერვატული სქემები. მიღებული ალგებრული განტოლებები წრფივია საძიებელი ფუნქციის მნიშვნელობების მიმართ ყოველ ახალ შრეზე. დამტკიცებულია სქემის კრებადობა $k-1$ რიგით, როცა ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება სობოლევ-სლობოდეცის W_2^k ($1 < k \leq 3$) სივრცეს.</p>					
<p>2. პუასონის განტოლებისათვის მართკუთხა არეში განხილულია არალოკალური სასაზღვრო ამოცანა. მოსაზღვრე გვერდების ერთ წვეთზე დირიხლეს და ნეიმანის პირობები, საზღვრის დარჩენილ ნაწილზე სასაზღვრო პირობების ნაცვლად კი ინტეგრალური სახის შეზღუდვებია მოცემული. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი სხვაობიანი სქემა. ენერგეტიკულ უტოლობათა მეთოდით მიღებულია სქემის ამონახსნის აპრიორული შეფასება. დისკრეტიზაციის ცდომილებისათვის მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული შეფასება.</p>					
<p>3. შესწავლილია კომის ამოცანა არაწრფივი დამხშობი წვერის შემცველი ტალღის განტოლებისათვის. განხილულია არსებობის, ერთადერთობისა და არაერთადერთობის, აგრეთვე გლობალური კლასიკური ამონახსნის არსებობის საკითხები.</p>					
<p>4. ხარისხოვანი არაწრფივობის შემცველი ტალღის განტოლებისათვის განხილულია კომი-დარბუს სასაზღვრო ამოცანა. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნადობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.</p>					
<p>5. შესწავლილია კომი-გურსას ამოცანა არაწრფივი დისიპატიური წვერის შემცველი ტალღის განტოლებისათვის. განხილულია არსებობის, ერთადერთობის, აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის საკითხები.</p>					
<p>6. ხარისხოვანი არაწრფივობის შემცველი ტალღის განტოლებისათვის განხილულია დარბუს მეორე სასაზღვრო ამოცანა. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნადობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.</p>					
<p>7. მაღალი რიგის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ სინგულარობები ფაზური ცვლადების მიმართ, დადგენილია კომის ამოცანის ამონახსნადობის ოპტიმალური</p>					

საკმარისი პირობები.
8. მეორე რიგის არაწრფივ ჰიპერბოლურ სისტემათა ერთი კლასისათვის განხილულია სობოლევის სასაზღვრო ამოცანა დროითი ორიენტაციის მქონე კონუსურ არეში, რომელიც წარმოადგენს დარბუს მეორე ამოცანის მრავალგანზომილებიან ვარიანტს. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნადობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.
9. მეორე რიგის არაწრფივ ჰიპერბოლურ სისტემათა ერთი კლასისათვის განხილულია დარბუს პირველი სასაზღვრო ამოცანის მრავალგანზომილებიანი ვარიანტი. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნის არსებობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.
10. ერთი რიგის გადავარების მქონე ჰიპერბოლური სისტემებისათვის, რომლებიც წარმოიშვებიან ი. ვეკუას იერარქიულ მოდელში, შესწავლილია ერთი შერეული ამოცანის კორექტულობის საკითხი სობოლევის შესაბამის წონიან სივრცეებში.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. აშორდია, გ. ეხვია, ნ. კეკელია	იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნადობის კონტი-ოპიალის ტიპის თეორემების შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის XXVII გაფართოებული სემინარის სხდომები (ქ. თბილისი, 22-24 აპრილი, 2013 წ.)
2	მ. აშორდია, გ. ეხვია, ნ. თოფურიძე	დისკრეტულ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნადობის კონტი-ოპიალის ტიპის თეორემების შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის XXVII გაფართოებული სემინარის სხდომები (ქ. თბილისი, 22-24 აპრილი, 2013 წ.)
3	გ. ახალაია, მ. აშორდია, ნ. თოფურიძე	არაწრფივ დისკრეტულ განტოლებათა სისტემებისათვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანების ეფექტური საკმარისი პირობების შესახებ	აკადემიკოს ვიქტორ კუპრადის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი-ბათუმი, 9-15 სექტემბერი, 2013 წ.)
4	მ. აშორდია, გ. ეხვია, ნ. კეკელია	არაწრფივი იმპულსური სისტემებისათვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანის კორექტულობის ეფექტური საკმარისი პირობების შესახებ	აკადემიკოს ვიქტორ კუპრადის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი-ბათუმი, 9-15 სექტემბერი, 2013 წ.)
5	მ. აშორდია	ერთი ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის შესახებ არაწრფივ განზოგადოებულ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის	პროფ. ლევან მაღნარადის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)

		სინგულარობებით	
6	მ. აშორდია, გ. ეხვია, ნ. კეკელია	არაწრფივი სასაზღვრო ამოცანების შესახებ სასრული რაოდენობა იმპულსების მქონე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
7	მ. აშორდია, გ. ეხვია, ნ. თოფურიძე	ზოგადი სასაზღვრო ამოცანის შესახებ დისკრეტული სისტემებისათვის	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
8	გ. ბერიკელაშვილი, ბ. მილოდაშვილი	მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდი დირიხლეს სასაზღვრო პირობებიანი ელიფსური განტოლებისათვის	აკადემიკოს ვიქტორ კუპრადის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი-ბათუმი, 9-15 სექტემბერი, 2013 წ.)
9	გ. ბერიკელაშვილი, ნ. ხომერიკი	სხვაობიანი სქემები ერთი სრულად არალოკალური სასაზღვრო ამოცანისათვის	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
10	ი. კილურაძე	კოშის ამოცანა ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (ქ. თბილისი, 2-6 დეკემბერი, 2013 წ.)
11	ი. კილურაძე	მეორე რიგის სინგულარული განტოლებებისათვის არაწრფივი, არალოკალური ამოცანების დადებითი ამონახსნები	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
12	ნ. ფარცვანია	კნეზერის ამოცანა მეორე რიგის არაწრფივი სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (ქ. თბილისი, 2-6 დეკემბერი, 2013 წ.)
13	ნ. ფარცვანია	დროითი და ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული, მეორე რიგის დიფერენციალური უტოლობების კნეზერული ამონახსნების აპრიორული შეფასებები	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
14	ნ. ფარცვანია, ბ. პუჟა	მეორე რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებების კნეზერული ამონახსნების	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა

		შესახებ	თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
15	ს. ხარიბეგაშვილი	დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)
16	ო. ჯოხაძე, ს. ხარიბეგაშვილი	კუთხოვან არეებში ერთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის შესახებ ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (ქ. თბილისი, 2-6 დეკემბერი, 2013 წ.)
17	ო. ჯოხაძე, ს. ხარიბეგაშვილი	ერთი სასაზღვრო ამოცანა ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით	თბილისის საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 45 წლისთავს (თბილისი, 4-7 სექტემბერი, 2013 წ.)
18	ო. ჯოხაძე, ს. ხარიბეგაშვილი	შერეული ამოცანა არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის არაწრფივი სასაზღვრო პირობით	პროფ. ლევან მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013 (თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2013 წ.)

მოხსენებათა ანოტაციები

1. მოყვანილია კონტი-ოპიალის ტიპის თეორემები კვაზიწრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის შესახებ.
2. კვაზიწრფივ დისკრეტულ განტოლებათა სისტემებისთვის განხილულია ზოგადი სახის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანები. მოყვანილია კონტი-ოპიალის ტიპის არსებობის თეორემები.
3. განხილულია არაწრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის სასაზღვრო ამოცანების კორექტულობის საკითხი. მოყვანილია კორექტულობის ეფექტური საკმარისი პირობები.
4. მოყვანილია თეორემები არაწრფივ იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის შესახებ.
5. განზოგადებულ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სინგულარული სისტემებისათვის დადგენილია ნიკოლეტის ტიპის ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის საკმარისი პირობები.
6. სასრული რაოდენობა იმპულსების მქონე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის დადგენილია არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა ამოხსნადობის საკმარისი პირობები.
7. არაწრფივ დისკრეტულ განტოლებათა სისტემებისთვის დადგენილია ზოგადი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის პირობები.
8. აღწერილია მეორე რიგის ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანის შესაბამისი სხვაობიანი სქემის ამონახსნის დაზუსტების მეთოდი. დადგენილია სქემის კრებადობის რიგი.
9. აგებული და გამოკვლეულია პუასონის განტოლებისთვის დასმული არალოკალური ამოცანის მაპროქ-

სიმბელი სხვაობიანი სქემები, როცა საზღვრის არცერთ ნაწილზე არაა კლასიკური მონაცემი.
10. მაღალი რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის სინგულარობებით ფაზური ცვლადების მიმართ დადგენილია კოშის ამოცანის ამონახსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობა.
11. მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის, რომელთაც გააჩნიათ სინგულარობები როგორც ფაზური, ისე დროითი ცვლადის მიმართ, დადგენილია არაწრფივი, არალოკალური სასაზღვრო ამოცანათა დადებითი ამონახსნების არსებობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.
12. მეორე რიგის არაწრფივი სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია კნეზერის ამოცანის ამონახსნადობის ოპტიმალური საკმარისი პირობები.
13. მოყვანილია თეორემები დროითი და ფაზური ცვლადების მიმართ სინგულარული მეორე რიგის დიფერენციალური უტოლობების კნეზერული ამონახსნების აპრიორული შეფასებების შესახებ.
14. მოყვანილია უსასრულობაში ქრობადი და ნულისაგან მოწყვეტილი კნეზერული ამონახსნების არსებობის თეორემები მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის სინგულარობებით დროითი და ფაზური ცვლადების მიმართ.
15. შესწავლილია დროით არალოკალური ერთი ამოცანა მრავალგანზომილებიანი არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის. ნაპოვნი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი.
16. კუთხოვან არეებში გამოკვლეულია კოში-დარბუს ტიპის ამოცანა ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნადობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.
17. კუთხოვან არეში გამოკვლეულია ერთი სასაზღვრო ამოცანა ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით. ამ ამოცანისათვის შესწავლილია ლოკალური და გლობალური ამონახსნადობის, აგრეთვე ამონახსნის ერთადერთობის და არარსებობის საკითხები.
18. შესწავლილია შერეული ამოცანა არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის არაწრფივი სასაზღვრო პირობით. განტოლებაში და სასაზღვრო პირობაში შემავალი არაწრფივი წევრების გათვალისწინებით გამოკვლეულია ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის შემთხვევები.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M. Ashordia, G. Ekhvaia, N. Kekelia	On the well-posed of general nonlinear boundary value problems for system of impulsive equations with finite and fixed points of impulses	IX საერთაშორისო კონგრესი „ისააკი“ (პოლონეთი, კრაკოვი, 6-9 აგვისტო, 2013 წ.). <i>9th International ISAAC Congress</i> (Krakow, Poland, August 5-9, 2013)
მოხსენებათა ანოტაციები			
1. განხილულია არაწრფივი იმპულსურ განტოლებათა სისტემებისთვის ზოგადი სახის სასაზღვრო ამოცანების კორექტულობის საკითხი. მოყვანილია შესაბამისი თეორემები.			

- ჩატარებული სამეცნიერო ფორუმები

განყოფილების მიერ ორგანიზებული იყო პროფ. ლ. მალნარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში – QUALITDE-2013, რომელიც ჩატარდა თბილისში 2013 წლის 20-22 დეკემბერს.

- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა

ივანე კილურაძე:

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებთან: *“Boundary Value Problems”*; *“Electronic Journal of Qualitative Theory of Differential Equations”*; *“Nonlinear Oscillations”*; *“Fasciculi Mathematici”*; *“Functional Differential Equations”*; *“Journal of Applied Mathematics, Statistics and Informatics”*, ხოლო როგორც რეცენზენტი – ჟურნალებთან: *“Дифференциальные уравнения”*, *“Nonlinear Analysis”*.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საპროგრამო კომიტეტის თავმჯდომარე.

მალხაზ აშორდია:

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

გივი ბერიკელაშვილი:

როგორც რეცენზენტი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ჟურნალებთან *“Lithuanian Mathematical Journal”*, *“Numerical Methods for Partial Differential Equations”*, *“Journal of Applied Mathematics and Computing”*, *“Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”*.

როგორც რეფერენტი, თანამშრომლობდა რეფერატურ ჟურნალ *“Mathematical Reviews”*-თან.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ნინო ფარცვანია:

როგორც რეცენზენტი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ჟურნალებთან *“Boundary Value Problems”*, *“Acta Applicandae Mathematicae”*.

არის რეფერატული ჟურნალის *“Mathematical Reviews”* რეფერენტი.

არის საერთაშორისო ჟურნალის *“Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics”* ასოცირებული რედაქტორი.

არის საერთაშორისო ჟურნალის *“Miskolc Mathematical Notes”* სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ბრნოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მათემატიკისა და ინფორმატიკის ინსტიტუტის დირექტორ ბ. პუჟასთან ერთად მოამზადა ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის შედეგები მოხსენდა საერთაშორისო ვორკშოპს QUALITDE-2013.

სერგო ხარიბეგაშვილი:

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ჟურნალებთან: *“Georgian Mathematical Journal”* და *“Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics”*.

იყო საერთაშორისო ვორკშოპის QUALITDE-2013 საპროგრამო კომიტეტის

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება

I. 1. ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი პროფესორი როლანდ დუდუჩავა

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემაღენლობა: როლანდ დუდუჩავა, თენგიზ ბუჩუკური, ავთანდილ გაჩეჩილაძე, როლანდ გაჩეჩილაძე, დავით კაპანაძე, ოთარ ჭკადუა.

თანამშრომლები საზოგადოებრივ საწყისებზე: ეკატერინე პესეცაია, მედეა ცაავა, თამთა წუწუნავა.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მაქსველის სისტემა ანიზოტროპულ გარემოში	რ.დუდუჩავა, დ.კაპანაძე	რ.დუდუჩავა, დ.კაპანაძე, თ. ბუჩუკური, მ. ცაავა (საზ. საწყისებზე), ე. პესეცაია (საზ. საწყისებზე),
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
ანიზოტროპული მაქსველისა და ჰელჰოლცის განტოლებები შვეისწავლეთ ბრტყელი კონფიგურაციის არეებში კუთხოვანი საზღვრით დირიხლეს, ნეიმანის, იმპედანსისა და შერეული სასაზღვრო პირობებით ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის შედეგი, ამოცანები დაყვანილია საზღვარზე ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე და მათი შესწავლა მოხდა ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები.			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	დიფერენციალური ოპერატორები ზედაპირებზე და მათი გამოყენება	რ. დუდუჩავა	რ. დუდუჩავა, თ. ბუჩუკური, მ. ცაავა (საზ. საწყისებზე), გ. ტეფნაძე, თ. წუწუნავა (საზ. საწყისებზე),
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
ლაპლას-ბელტრამის დიფერენციალური განტოლებისათვის გლუვ ჰიპერზედაპირზე გლუვი საზღვრით შესწავლილია შერეული ტიპის (დირიხლე-ნეიმანის) სასაზღვრო ამოცანები ორი მიდგომით. პირველი: ლაქს-მილგრამის ლემის გამოყენებით დადგენილია ასეთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობა და ამოხსნის ერთადერთობა სუსტი კლასიკური დასმით როდესაც ამონახსნი იძებნება სობოლევის W^1 სივრცეში. მეორე: პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით ამოცანა დაყვანილია სასაზღვრო ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე, რომლის გამოკვლევის შედეგად დადგენილია ამოცანის ამოხსნადობის და ამოხსნის ერთადერთობა კრიტერიუმი სუსტი არაკლასიკური დასმით როდესაც ამონახსნი იძებნება სობოლევის W_{p^1} სივრცეებში და როდესაც $p > 1$. მიღებული კრიტერიუმი დამოკიდებულია p მაჩვენებელზე.			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	ელექტრო-მაგნიტო-დრეკადობის დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანების ასიმპტოტური	დ. ნატროშვილი (ტექნიკური უნივერსიტეტი)	ო. ჭკადუა, თ. ბუჩუკური, დ. ნატროშვილი

	ანალიზი ბზარის მქონე არეებში.		
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>საანგარიშო პერიოდში შესწავლილია 3-განზომილებიანი დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანა ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ანიზოტროპული ერთგვაროვანი ბზარის მქონე სხეულებისათვის. კერძოდ, შესწავლილია ამოცანის ამოხსნადობა და ამონახსნის ასიმპტოტური თვისებები. ლაპლასის გარდაქმნის, პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებულია ამონახსნის ასიმპტოტური ფორმულები ბზარის კიდესა და იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები. შესწავლილია ამონახსნის სინგულარობა ამ განსაკუთრებული წირების მიდამოში. კერძოდ, ბზარის კიდის მახლობლობაში სინგულარობა ტოლია 1/2, ხოლო იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და იმ წირის გეომეტრიაზე სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები და შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა (0,1/2] ინტერვალიდან. ზოგიერთი ტრანსვერსალურად იზოტროპული კლასისათვის ნაჩვენებია ამოცანის ამონახსნის არაოსცილირებადობა და მიღებულია ამონახსნის სინგულარობის გამოსათვლელი ევექტური ფორმულები.</p>			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	ლოკალიზებული ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდ-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული თეორიის დირიხლეს ამოცანისათვის.	ს. მიხაილოვი (ბრუნელის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)	ო. ჭკადუა, დ.ნატროშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>განვითარებულია ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდი ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული თეორიის 3-განზომილებიანი დირიხლეს ამოცანის შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების გამოყენებით დირიხლეს ამოცანა დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე. შესწავლილია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანისა და მიღებულ ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორი, რომელიც ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას, არის ფრედჰოლმური და დადგენილია მისი შებრუნებადობა შესაბამის სობოლევის სივრცეებში.</p>			
	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5	ინტეგრალურ განტოლება-თა მეთოდი სკალარული მეორე რიგის ცვლად კოეფიციენტიანი დიფერენციალური განტოლებისათვის-ვის გარე არეში დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანის შემთხვევაში.	ს. მიხაილოვი (ბრუნელის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)	ო. ჭკადუა, ს. მიხაილოვი, დ.ნატროშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია სკალარული მეორე რიგის ცვლად კოეფიციენტიანი დიფერენციალური განტოლებისათვის 3-განზომილებიანი გარე არეში დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანის შესაბამისი სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები. დამტკიცებულია ეკვივალენტობა სასაზღვრო შერეულ ამოცანასა და შესაბამისი სასაზღვრო-სივრცული</p>			

ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის. დამტკიცებულია შესაბამისი სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური ოპერატორის შეზღუდვა წონიან სობოლევის სივრცეებში.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5	დრეკადობის თეორიის სტატიკის და დინამიკის სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით	დ. ნატროშვილი (ტექნიკური უნივერსიტეტი)	ა. გაჩეჩილაძე, რ. გაჩეჩილაძე და დ. ნატროშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

2013 წლის საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა დრეკადობის თეორიის სტატიკის და დინამიკის სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით. დინამიკის შემთხვევაში სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე, რომლის რეგულარიზაციის შედეგად ვლუბობთ პარამეტრზე დამოკიდებულ ვარიაციულ განტოლებას. ამ განტოლების შესწავლა ჩატარებულია გალიორკინის მეთოდის გამოყენებით და ბოლოს, პარამეტრის მიმართ ზღვარზე გადასვლის შედეგად მიღებულია დასმული ამოცანის ამონახსნი. სტატიკის სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანას ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულებისათვის ხახუნის გათვალისწინებით. განხილულ შემთხვევაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება სხეულის არა მხები მიმართულებით გადაადგილებისას, არამედ ხახუნი შეესაბამება ნორმალური მიმართულებით გადაადგილებას. ანხილულია ორი შემთხვევა, კოერციტიული (როდესაც სხეული თავისი საზღვის გარკვეული ნაწილით ჩამაგრებულია) და არაკოერციტიული (როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს). ორივე შემთხვევაში შესწავლილია სუსტი ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის და ასევე ამონახსნის ამოცანის მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი. რაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით ამოწერილია ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა, რომელიც დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს ამონახსნის არსებობის საკმარის პირობასაც.

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6	ელიფსური კვაზი-ვარიაციული უტოლობები ორმხრივი შეზღუდვებით		ა. გაჩეჩილაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

განხილულია ელიფსური კვაზი-ვარიაციული უტოლობები ორმხრივი შეზღუდვებით. ეს შეზღუდვები, ანუ ამონახსნზე დამოკიდებული (არაცხადი) წინაღობები შეიძლება იყოს როგორც საზღვარზე, ისე არეში. მსგავსი წინაღობის ოპერატორი რომელშიც მონაწილეობს ამონახსნის კონორმალთ წარმოებული, არის *სინიორინის არაცხად ამოცანაში*, რომელიც წარმოადგენს ზემოთნახსენები ამოცანების ცალმხრივ სასაზღვროშეზღუდვებიან ვარიანტს. ცვლადკოეფიციენტებიანი ელიფსური კოერციტიული ფორმისთვის განხილული ორმხრივი ვარიაციული უტოლობებისთვის (როგორც სასაზღვრო ისე არეში შეზღუდვებით) დამტკიცებულია გარკვეული ტიპის მონოტონური დამოკიდებულება ამონახსნსა და ამოცანის მონაცემებს შორის; კერძოდ, სასაზღვროშეზღუდვებიანი უტოლობის შემთხვევაში დამტკიცებულია მონოტონური დამოკიდებულება ამონახსნისა და მონაცემების კონორმალთ წარმოებულებს შორის. ეს საშუალებას გვაძლევს ზემოთნახსენები ორმხრივიშეზღუდვებიანი კვაზივარიაციული უტოლობებისთვის გამოვიყენოთ მონოტონურობის მეთოდი უწყვეტობის მეთოდთან ერთად. ამ ამოცანებისთვის დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობა და მდგრადობა. აგებულია ზრდადი და კლებადი იტერაციული პროცესები, დამტკიცებულია მათი კრებადობა და მოყვანილია ნაშთითი წევრის შეფასებები.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	თხელი გარსის ასიმპტოტური მოდელი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი DI/10/5-101/12, ხელშეკრულება 13/14,	ე. შარგოროდსკი (კინგს კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) რ. დუდუჩავა	ე. შარგოროდსკი, რ. დუდუჩავა, თ. ბუჩუკური, მ. ცაავა გ. ტეფნაძე, თ. წუწუნავა (საზ. საწყის.)
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
შესწავლილია გამა-კრებადობის გამოყენება მათემატიკური ფიზიკის კონკრეტულ ამოცანებში, კერძოდ, გიუნტერის წარმოებულების გამოყენებით გამოყვანილია სითბოს გავრცელების განტოლება თხელ გარსში. შესწავლილია შერეული სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის ოპერატორისთვის პოტენციალთა მეთოდით და ლაქს-მილგრამის ლემის გამოყენებით.				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ეკრანის ტიპის ამოცანები ანიზოტროპული მაქსველის განტოლებებისათვის: ასიმპტოტური ანალიზი და რიცხვითი მიახლოებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი FR/6/5-101/12. ხელშეკრულება 31/39.	დ. კაპანაძე	დ. კაპანაძე, რ. დუდუჩავა, ე. პესეკაია
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
ანიზოტროპული მაქსველისა და ჰელჰოლცის განტოლებები შევისწავლეთ ბრტყელი კონფიგურაციის არეებში საზღვართან ურთირთქმედებაში მყოფი ეკრანით/ზხარით დირიხლეს, ნეიმანის, იმპედანსისა და შერეული სასაზღვრო პირობებით ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის შედეგი, ამოცანები დაყვანილია ნახევარღერძზე ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე და მათი შესწავლა მოხდა ვინერ-ჰოფისა და ჰენკელის ოპერატორების თვისებების გამოყენებით, მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია მათემატიკურ ჟურნალებში ორი გამოქვეყნებული სტატიის სახით. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მომზადა სამი საკონფერენციო თეზისი, რომლებიც მოხსენებული იყო საერთაშორისო კონფერენციებზე „Journées Singulières Augmentées 2013“ (საფრანგეთი), Conference MITRE 2013 (მოლდოვა), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV ყოველწლიურ კონფერენციასა (ბათუმი) და საერთაშორისო კონფერენციაზე „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“.				
მომზადდა და 06 ნოემბერს ანდრია რაზმადის მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა ვორკშოპი „ეკრანის ტიპის ამოცანები ანიზოტროპული მაქსველის განტოლებებისათვის: ასიმპტოტიკური ანალიზი და რიცხვითი მიახლოებები“.				
	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	Mathematical Analysis of Localized Boundary-Domain Integral Equations for variable-coefficient Boundary Value Problems	EPSRC – Engineering and Physics Research Council Grant: EP/H020497/1, 1-4-2010—1-4-2013. დიდი ბრიტანეთი.	ლონდონის ბრიუნელის უნივერსიტეტის პროფესორი ს. მიხაილოვი	ო. ჭკადუა, დ. ნატროშვილი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

პროექტში შესრულებული სამუშაო ეძღვნება ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდის განვითარებას 3-განზომილებიანი მეორე რიგის ძლიერად ელიფსური ცვლადკოეფიციენტებიანი დივერგენციული ფორმით ჩაწერილი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის დასმული დირიხლეს, რობენის ტიპის ამოცანების შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების გამოყენებით დირიხლესა და რობენის ამოცანები დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემებზე. შესწავლილია დირიხლესა და რობენის სასაზღვრო ამოცანებისა და მიღებულ ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორები, რომლებიც ეკუთვნიან ბუტე დე მონველის ალგებრას, არიან ფრედჰოლმური და დადგენილია მათი შეზღუდვადობა შესაბამის სობოლევის სივრცეებში.

ასევე ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდი განვითარებულია 3-განზომილებიანი მეორე რიგის ძლიერად ელიფსური ცვლადკოეფიციენტებიანი დივერგენციული ფორმით ჩაწერილი დიფერენციალური განტოლებისათვის დასმული ნეიმანის, შერეული, ზხარისა და სასაზღვრო ამოცანების შემთხვევაში. ეს მეთოდი ასევე განვითარებულია აკუსტიკური გაბნევის ამოცანებში არაერთგვაროვანი წინაღობების დროს.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები (ვარსკვლავებით მონიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები)

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	R. Duduchava, M. Tsaava	Mixed boundary value problems for the Helmholtz equation in arbitrary 2D-sectors, <i>Georgian Mathematical Journal</i>	20, 3	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	20 (439-468)
2	R. Duduchava	Mellin convolution operators in Bessel potential spaces with Admissible meromorphic kernels, <i>Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics</i>	60, 2013	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	41
3	T. Buchukuri, R. Duduchava, D. Kapanadze, M. Tsaava	Localization of a Helmholtz boundary value problem in a domain with piecewise-smooth boundary, <i>Proceedings of</i>	162	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	8 (37-44)

		<i>A. Razmadze Mathematical Institute</i>			
4	ლ. კასტრო, დ. კაპანაძე	The mixed boundary value problems of Diffraction by a half-plane with a screen/crack perpendicular to the boundary, <i>Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute</i>	162	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	6
5	O. Chkadua, S.E. Mikhailov, D. Natroshvili	Localized Boundary-Domain Integral Equations Approach for Robin type Problem for Second order Strongly Elliptic System with Variable Coefficients . <i>Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute</i>	162	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	13
6	O.Chkadua, D. Natroshvili	Localized Boundary-Domain Integral Equations Approach for Dirichlet Problem of the Theory of Piezo-Elasticity for Inhomogeneous Solids. <i>Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics.</i>	60	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	37
7	ა.გაჩეჩილაძე, რ.გაჩეჩილაძე	The boundary contact problem for hemitropic elastic solids with friction arising along the normal, <i>Proceeding of A. Razmadze Mathematical Institute</i>	163	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი	18

ანოტაციები

1.. გამოიკვლეულია შერეული (დირიხლე-ნეიმანის) (მოდელური სასაზღვრო ამოცანა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის ბრტყელ კუთხეში. პირველ რიგში მტკიცდება ამოცანის ამოხსნის ერთადერთობა გრინის ფორმულაზე დაყრდნობით.

ამოცანის შესწავლა ხდება პოტენციალთა მეთოდით. შედეგად სასაზღვრო ამოცანა დაიყვანება სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებაზე, რომელიც წარმოადგენს მელინის კონვოლუციის განტოლებას (განტოლებას უძრავი სინგულარობით). ხდება მიღებული განტოლების ამოხსნადობის სრული გამოკვლევა, რაც გვამძღვრს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები საწყისი სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის და ამოხსნის თვისებების შესახებ.

2. ნაშრომი მიძღვნილია მელინის კონვოლუციის ოპერატორებისადმი მერომორფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. ასეთი ოპერატორები გვხვდება სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევებში ელიფსური

დიფერენციალური განტოლებებისათვის ბრტყელ 2-განზომილებიან არეებში კუთხოვანი საზღვრით. როდესაც ვსწავლობთ ასეთ ამოცანებს პოტენციალთა მეთოდით და ლოკალიზაციის გამოყენებით, შედეგად ვღებულობთ მოდელურ სასაზღვრო ამოცანებს წალკაჰაგ გაშლის ბრტყელ კუთხეში. შესაბამისი სასაზღვრო ინტეგრალური ოპერატორები წარმოადგენენ მელინის კონვოლუციებს მერომოდფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში ნახევარდერძზე.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა ორ შედეგს. პირველი ეხება მელინის კონვოლუციების და ბესელის პოტენციალების კომუტანტს: ბესელის პოტენციალის ოპერატორი განიცდის არსებით ცვლილებას მელინის კონვოლუციის ოპერატორთან გადასმის შედეგად და ეს ცვლილება დამოკიდებულია მერომოდფული ბირთვის პოლუსებზე (ფურიეს კონვოლუციის ოპერატორისაგან განსხვავებით, რომელთანაც გადასმის შედეგად ბესელის პოტენციალი არ იცვლება).

მეორე მნიშვნელოვან შედეგი რომელსაც ვეყრდნობით, წარმოადგენს ოპერატორების გამოკვლევის შედეგები ბანახის ალგებრიდან, რომელიც წარმოქმნილია მელინის კონვოლუციის და ფურიეს კონვოლუციის ოპერატორების მიერ ლებეგის წონიან სივრცეებში, რომლებიც მიღებულია სტატიის ავტორის მიერ.

განხილულია მელინის კონვოლუციის ოპერატორების მაგალითები.

3.. შესწავლილია ჰელჰოლცის განტოლებები ბრტყელი კონფიგურაციის არეებში კუთხოვანი საზღვრით დირიხლეს, ნეიმანის, იმპედანსისა და შერეული სასაზღვრო პირობებით ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. გამოყენებულია ლოკალიზაციის მეთოდი და ამოცანა დაყვანილია მოდელური სასაზღვრო ამოცანების შესწავლაზე ბრტყელ კუთხეებში. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის შედეგი, ამოცანები დაყვანილია საზღვარზე ინტეგრალ-დიფერენციალურ განტოლებებზე.

4. შეისწავლება შერეული ამოცანები ჰელჰოლცის განტოლებები ბრტყელი კონფიგურაციის არეებში ვინერ-ჰოფისა და ჰანკელის ოპერატორების თვისებების გამოყენებით, მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები.

5. ნაშრომი ეძღვნება ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდის განვითარებას 3-განზომილებიანი მეორე რიგის ძლიერად ელიფსური ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური ფორმით ჩაწერილი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის დასმული რობენის ტიპის სასაზღვრო ამოცანის შემთხვევაში. გრინის წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების თვისებების გამოყენებით ამოცანა დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე. შესწავლილია რობენის ტიპის სასაზღვრო ამოცანისა და მიღებული ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური ოპერატორი, რომელიც ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას, არის ფრედჰოლმური და დადგენილია მისი შებრუნებადობა შესაბამის სივრცეებში.

6. ნაშრომი ეძღვნება ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდის განვითარებას პიეზოდრეკადობის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული თეორიის 3-განზომილებიანი დირიხლეს ამოცანის შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების გამოყენებით დირიხლეს ამოცანა დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე. შესწავლილია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანისა და მიღებულ ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორი, რომელიც ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას, არის ფრედჰოლმური და დადგენილია მისი შებრუნებადობა შესაბამის სივრცეებში.

7. შესწავლილია დრეკადობის თეორიის სტატიკის სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა ერთგვაროვანი ჰემოტროპული სხეულებისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება არა სხეულის მხები მიმართულებით გადაადგილებისას არამედ ხახუნი შეესაბამება ნორმალის მიმართულებით გადაადგილებას. განხილულია ორი შემთხვევა, კოერციტიული (როდესაც დრეკადი სხეული საზღვრის ნაწილით ჩამაგრებულია) და არა კოერციტიული (როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს). ამოცანა ექვივალენტურად დაიყვანება სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე და მასზე დაყრდნობით დამტკიცებულია სუსტი ამონახსნების არსებობის და ერთადერთობის თეორემები. ასევე, კოერციტიულ შემთხვევაში ნაჩვენებია ამონახსნის ამოცანის მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულება. არა კოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით ამოწერილია ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა. ეს პირობა დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს ამონახსნის არსებობის საკმარის პირობასაც.

2) უცხოეთში

დ) სტატიები (ვარსკვლავებით მონიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	R. Duduchava, N. Kvergelidze, M. Tsaava	Fredholm criteria for a singular integral operator on an open arc in weighted Lebesgue's and Hoelder's spaces, <i>Integral Equations and Operator Theory</i>	77	Birkhauser-Springer Basel	18 (39-56)
2	O.Chkadua, R. Duduchava D. Kapanadze	Potential methods for anisotropic pseudo-Maxwell's equations in screen type problems. <i>Operator Theory: Advances and Applications,</i>	228	Birkhauser-Springer Basel	22 (73-94)
3*	ლ. კასტრო, დ. კაპანაძე	Wave diffraction by a half-plane with an obstacle perpendicular to	254	Elsevier	18

4*	O.Chkadua,S.E. MIkhailov and D. Natroshvili	the boundary, <i>Journal of Differential Equations</i> Localized Boundary-Domain Singular Integral Equations Based on Harmonic Parametric for Divergens-form Elliptic PDEs with Variable Matrix Coefficients <i>.Integral Equations and Operator Theory,</i>	Vol..76, # 4,	Birkhauser-Springer Basel	39
5*	O.Chkadua, S.E. MIkhailov D. Natroshvili	Analysis of Direct Segregated Boundary-Domain Integral Equations for Variable Coefficient Mixed BVPs in Exterior Domains. <i>Analysis and Applications,</i>	Vol.11,#4	World Scientific Publishing Company	33

ანოტაციები

1. ნაშრომში შესწავლილია კომის გულიანი სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი უწყვეტი კოფიციენტებით ლებეგის სივრცეში, ხარისხოვანი "ხვედელიძის წონით" ღია გლუვ რკალზე .

კარგად არის ცნობილი, რომ ნორმალურობის პირობა წარმოადგენს მხოლოდ აუცილებელს ოპერატორის ფრედჰოლმურობისათვის და მას ემატება "რკალური პირობა", რომელიც გადააქცევს ფრედჰოლმურობის პირობას საკმარისად.

მოყვანილია ოპერატორის ფრედჰოლმურობის ზემოთ ნახსენები კრიტერიუმის ახალი პირდაპირი დამტკიცება, რომელიც იყენებს პუნკარე-ბერტრანის ფორმულას სინგულარული ინტეგრალური ოპერატორების კომპოზიციის შესახებ, ნ.მუსხელიშვილის ფორმულებს სინგულარული ფუნქციებისათვის, ფრედჰოლმის ოპერატორების ჰომოტოპიას და ინდექსის მდგრადობის თვისებას.

2. შესწავლილია დირიხლეს და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანები ჰელმჰოლცის განტოლებებისათვის ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის შედეგი, ამოცანები დაყვანილია საზღვარზე ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე და მათი გამოკვლევა მოხდა ვინერ-ჰოფისა და ჰანკელის ოპერატორების თვისებების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები.

3. ნაშრომი ეძღვნება ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდის განვითარებას 3-განზომილებიანი მეორე რიგის ძლიერად ელიფსური სკალარული ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური ფორმით ჩაწერილი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის დასმული დირიხლეს, ნეიმანისა და რობენის ტიპის სასაზღვრო ამოცანების

შემთხვევაში. შესწავლილია დირიხლეს, ნეიმანისა და რობენის ტიპის სასაზღვრო ამოცანებისა და შესაბამისი ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური ოპერატორები, რომლებიც ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას, არის ფრედჰოლმური და დადგენილია მათი შებრუნებადობა შესაბამის სობოლევის სივრცეებში.

4. ნაშრომში შესწავლილია სკალარული მეორე რიგის ცვლადკოეფიციენტებიანი კოეფიციენტიანი დიფერენციალური განტოლებისათვის 3-განზომილებიანი გარე არეში დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანის შესაბამისი სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები. დამტკიცებულია შერეული სასაზღვრო ამოცანისა და შესაბამისი სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ეკვივალენტობა. ნაჩვენებია, სასაზღვრო-სივრცული ინტეგრალური ოპერატორების შებრუნებადობა წონიან სობოლევის სივრცეებში.

5. ნაშრომში გამოკვლეულია ერთგვაროვანი ანიზოტროპული ფსევდო-მაქსველის განტოლებათა სისტემისათვის დასმული ეკრანის ტიპის ნეიმანის სასაძღვრო ამოცანა. პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდო-მაქსველის განტოლებასთან დაკავშირებული ორადწრფივი ფორმის კოერციტიულობის გამოყენებით დამტკიცებულია ამოცანის ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და რეგულარობის თეორემები.

2) გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები

დ) სტატიები (ვარსკვლავებით მონიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები).

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 *	V. Didenko, R. Duduchava	Mellin convolution operators in the Bessel potential spaces. Submitted to Journal of Functional Analysis		26
2	L.P. Castro, R. Duduchava, F.-O. Speck	Diffraction from Polygonal-Conical Screens-an operator approach	Birkhäuser, Basel	30

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	რ. დუდუჩავა, მ. ცაავა	ნახევრადპლენარული მოხსენება: Mixed boundary value problems for the Helmholtz equation in arbitrary 2D-sectors	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია
2.	დ. კაპანაძე	ნახევრადპლენარული მოხსენება: The boundary value problems of wave diffraction by a half-plane with an	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV

3.	დ. კაპანაძე	obstacle perpendicular to the boundary ვინერ-ჰოფს პლუს ჰანკელის ტიპის ოპერატორები ტალღის დიფრაქციის ამოცანებში საზღვართან ურთიერთ-ქმედებაში მყოფი ეკრანით	საერთაშორისო კონფერენცია 2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია.
4.	ო. ჭკადუა	ელექტრო-მაგნიტო-დრეკადობის დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანების ასიმპტოტური ანალიზი ბზარის მქონე არეებში.	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია
5.	ო. ჭკადუა	ელექტრო-მაგნიტო-დრეკადობის დინამიკის შერეული და ბზარის ტიპის ამოცანების ამოხსნადობა და ამონახსნის ასიმპტოტიკა.	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია.
6.	რ. გაჩეჩილაძე	Boundary contact problem for hemitropic elastic solids with friction, IV International Conference of the Georgian Mathematical Union	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია
7.	რ. გაჩეჩილაძე	Unilateral contact problem with regard to friction	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია.
8.	ა. გაჩეჩილაძე	The modified monotonicity method for elliptic quasi-variational inequalities;	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია
9.	ა. გაჩეჩილაძე	On one elliptic quasi-variational inequality with two implicit obstacles.	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია.

მოსხენებათა ანოტაციები

1. გამოიკვლეულია შერეული (დირიხლე-ნეიმანის) (მოდელური სასაზღვრო ამოცანა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის ბრტყელ კუთხეში. პირველ რიგში მტკიცდება ამოცანის ამოხსნის ერთადერთობა გრინის ფორმულაზე დაყრდნობით.

ამოცანის შესწავლა ხდება პოტენციალთა მეთოდით. შედეგად სასაზღვრო ამოცანა დაიყვანება სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებაზე, რომელიც წარმოადგენს მელინის კონვოლუციის

განტოლებას (განტოლებას უძრავი სინგულარობით). ხდება მიღებული განტოლების ამოხსნადობის სრული გამოკვლევა, რაც გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები საწყისი სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის და ამოხსნის თვისებების შესახებ.

2. შესწავლილია შერეული (დირიხლე-ნეიმანის) სასაზღვრო ამოცანები ჰელმჰოლცის განტოლებებისათვის ბესელის პოტენციალთა სივრცეებში ბრტყელ არეში კუთხოვანი საზღვრით ნებისმიერი კუთხის შემთხვევაში. დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის შედეგი, ამოცანები დაყვანილია საზღვარზე ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე და მათი გამოკვლევა მოხდა ვინერ-ჰოფისა და ჰანკელის ოპერატორების თვისებების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია არსებობისა და რეგულარობის შედეგები.

3. შესწავლილია ტალღის დიფრაქციის ამცანებში წარმოქმნილი ვინერ-ჰოფს პლუს ჰანკელის ოპერატორების შეზღუდვადობის საკითხი ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებული შედეგები გამოყენებულია შესაბამისი ტალღის დიფრაქციის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის არსებობისა და რეგულარობის საკითხების დასადგენად.

4. შესწავლილია 3-განზომილებიანი დინამიკის შერეული სასაზღვრო ამოცანა ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ერთგვაროვანი, ანიზოტროპული ბზარის მქონე სხეულებისათვის. ლაპლასის გარდაქმნის, პოტენციალთა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა ბზარის კიდესა და იმ წირის მახლობლობაში სადაც იცვლებიან სასაზღვრო პირობები. ნაჩვენებია, რომ ამონახსნის სინგულარობა საზოგადოდ დამოკიდებულია როგორც დრეკად ასევე ელექტრულ და მაგნიტურ მუდმივებზე და იმ წირის გეომეტრიაზე სადაც იცვლება სასაზღვრო პირობების ტიპი.

5. შესწავლილია ელექტრო-მაგნიტო-დრეკადობის დინამიკის შერეული და ბზარის ტიპის ამოცანის ამოხსნადობა და ამონახსნის ასიმპტოტიკა. კერძოდ, განხილულია ბზარის ზედაპირზე ტრანსმისიის ტიპის პირობები, სადაც ელექტრული გადაადგილება და მაგნიტური ინდუქცია უწყვეტად გადადის ბზარის ზედაპირზე. გამოკვლეულია ამონახსნის სინგულარობა განსაკუთრებული წირების მახლობლობაში.

6. გამოკვლეულია დრეკადი ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულის ცალმხრივი კონტაქტის ამოცანა ხახუნის ეფექტის გათვალისწინებით, როდესაც ხახუნი შეესაბამება სხეულის ნორმალის მიმართულებით გადაადგილებას და არა მხები მიმართულებით გადაადგილებას, როგორც ეს ჩვეულებრივ შემთხვევებში განიხილება. სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე ექვივალენტურად დაყვანის გზით შესწავლილია სუსტი ამონახსნების არსებობის და ერთადერთობის საკითხი, ასევე მონაცემებზე ამონახსნის უწყვეტად დამოკიდებულება. დადგენილია, რომ კოერციტიულ შემთხვევაში (როდესაც დრეკადი სხეული საზღვრის ნაწილით ჩამაგრებულია) ამოცანა ამოხსნადია ცალსახად და უპირობოდ, ხოლო არაკოერციტიულ შემთხვევაში (სხეული არ არის ჩამაგრებული) ცხადი სახით იწერება ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა.

7. განიხილება დრეკადობის ჰემიტროპული თეორიის სტატიკის სასაზღვრო-საცონტაქტო ამოცანა, როდესაც სხეული საზღვრის გარკვეული ნაწილით კონტაქტშია აბსოლუტურად მყარ სხეულთან და გათვალისწინებულია ხახუნის ეფექტის ზეგავლენა. შესწავლილია სუსტი ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის საკითხი.

8. A ოპერატორით მოცემული ცალმხრივ და ორმხრივმეზუდვებიანი ელიფსური ვარიაციული უტოლობებისთვის დამტკიცებულია Au-ს გარკვეული მონოტონურობის თვისებები, სადაც u უტოლობის ამონახსნია. მასზე დაყრდნობით აგებულია მონოტონურობის მეთოდი ელიფსურ კვაზი-ვარიაციულ უტოლობათა კლასისთვის, როცა წინააღმდეგობის ოპერატორი არ არის წერტილობრივი (თითქმის ყველგან) აზრით ზრდადი ან კლებადი. მოყვანილია შემთხვევები როდესაც ეს მეთოდი იძლევა ამონახსნის ერთადერთობას, მდგრადობას და იტერაციული პროცესების აგების საშუალებას.

9. განხილულია ერთი ელიფსური კვაზი-ვარიაციული უტოლობა ორმხრივი მეზუდვებით. ამ ამოცანისთვის დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობა და მდგრადობა. აგებულია ზრდადი

და კლებადი იტერაციული პროცესები, დამტკიცებულია მათი კრებადობა და მოყვანილია ნაშთითი წევრის შეფასებები.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. დუდუჩავა	მომხსენების გარეშე, მონაწილეობდა დისკუსიებში და მრგვალ მაგიდეებში .	Meeting of Presidents of the European mathematical Unions \& Danish Mathematical Weekend, April 5-7, 2013. Aarhus, Denmark. Delegate of Georgia
2.	რ. დუდუჩავა	პლენარული მოხსენება: Mellin convolution operators in Bessel potential spaces with admissible meromorphic kernels	საერთაშორისო კონფერენცია MITRE 2013, მოლდავეთი, კიშინიოვის უნივერსიტეტი 2013 წლის 15-22 აგვისტო
3.	რ. დუდუჩავა	პლენარული მოხსენება: The Wiener-Hopf method for crack problems	საერთაშორისო კონფერენცია «Modern problems of solid mechanics, differential and integral equations», უკრაინა, ოდესის უნივერსიტეტი 2013 წლის 22-25 აგვისტო
4.	რ. დუდუჩავა	პლენარული მოხსენება: Mellin convolution operators in Bessel potential spaces with admissible meromorphic kernels	საერთაშორისო კონფერენცია “Journées Singulières Augmentées 2013”
5.	რ. დუდუჩავა	სექციური მოხსენება: Calculus of Gunter’s derivatives and shell theory	საერთაშორისო კონფერენცია IWOTA 2013, Indian Institute of Science, Bangalore, India, 16 -20 December, 2013
6.	ო. ჭკადუა	სექციური მოხსენება: Localized Boundary-Domain Integral Equations Approach for Dirichlet and Robin Problems of the Theory of Piezo-Elasticity for Inhomogeneous Solids.	საერთაშორისო კონფერენცია MAFELAP -2013, Brunel University, UK, 10-14 June 2013.

მომხსენებათა ანოტაციები

1. მოხსენების გარეშე, მონაწილეობდა დისკუსიებში და მრგვალ მაგიდეებში.
 2. მოხსენება მიეძღვნა მელინის კონვოლუციის ოპერატორებს მერომორფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. ასეთი ოპერატორები გვხვდება სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევებში ელიფსური დიფერენციალური განტოლებებისათვის ბრტყელ 2-განზომილებიან არეებში კუთხოვანი საზღვრით. როდესაც ესწავლობთ ასეთ ამოცანებს პოტენციალთა მეთოდით და ლოკალიზაციის გამოყენებით, შედეგად ვლდებულობთ მოდელურ სასაზღვრო ამოცანებს წალკაჰაგ გაშლის ბრტყელ კუთხეში. შესაბამისი სასაზღვრო ინტეგრალური ოპერატორები წარმოადგენენ მელინის კონვოლუციებს მერომორფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის

პოტენციალთა სივრცეებში ნახევარდერძზე.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა ორ შედეგს. პირველი ეხება მელინის კონვოლუციების და ბესელის პოტენციალების კომპუტანტს: ბესელის პოტენციალის ოპერატორი განიცდის არსებით ცვლილებას მელინის კონვოლუციის ოპერატორთან გადასმის შედეგად და ეს ცვლილება დამოკიდებულია მერომორფული ბირთვის პოლუსებზე (ფურიეს კონვოლუციის ოპერატორისაგან განსხვავებით, რომელთანაც გადასმის შედეგად ბესელის პოტენციალი არ იცვლება).

მეორე მნიშვნელოვან შედეგი რომელსაც ვეყრდნობით, წარმოადგენს ოპერატორების გამოკვლევის შედეგები ბანახის ალგებრიდან, რომელიც წარმოქმნილია მელინის კონვოლუციის და ფურიეს კონვოლუციის ოპერატორების მიერ ლებეგის წონიან სივრცეებში, რომლებიც მიღებულია სტატიის ავტორის მიერ.

განხილულია მელინის კონვოლუციის ოპერატორების მაგალითები.

3. მოხსენებაში მიმოხილული იყო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიღებული შედეგები

ბზარების თეორიაში ფსევდოდოფერენციალური განტოლებების და ვინერ-ჰოპფის ფაქტორიზაციის მეთოდებით, რომელთა მიღებაში ქართვერდ მათემატიკოსებს განსაკუთრებული როლი აქვთ შესრულებული.

4. მოხსენება მიეძღვნა მელინის კონვოლუციის ოპერატორებს მერომორფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. ასეთი ოპერატორები გვხვდება სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევებში ელიფსური დიფერენციალური განტოლებებისათვის ბრტყელ 2-განზომილებიან არეებში კუთხოვანი საზღვრით. როდესაც ვსწავლობთ ასეთ ამოცანებს პოტენციალთა მეთოდით და ლოკალიზაციის გამოყენებით, შედეგად ვღებულობთ მოდელურ სასაზღვრო ამოცანებს ჭალაჰაჰ გაშლის ბრტყელ კუთხეში. შესაბამისი სასაზღვრო ინტეგრალური ოპერატორები წარმოადგენენ მელინის კონვოლუციებს მერომორფული ბირთვებით, რომლებიც მოქმედებენ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში ნახევარდერძზე.

ჩვენი გამოკვლევა ეყრდნობა ორ შედეგს. პირველი ეხება მელინის კონვოლუციების და ბესელის პოტენციალების კომპუტანტს: ბესელის პოტენციალის ოპერატორი განიცდის არსებით ცვლილებას მელინის კონვოლუციის ოპერატორთან გადასმის შედეგად და ეს ცვლილება დამოკიდებულია მერომორფული ბირთვის პოლუსებზე (ფურიეს კონვოლუციის ოპერატორისაგან განსხვავებით, რომელთანაც გადასმის შედეგად ბესელის პოტენციალი არ იცვლება).

მეორე მნიშვნელოვან შედეგი რომელსაც ვეყრდნობით, წარმოადგენს ოპერატორების გამოკვლევის შედეგები ბანახის ალგებრიდან, რომელიც წარმოქმნილია მელინის კონვოლუციის და ფურიეს კონვოლუციის ოპერატორების მიერ ლებეგის წონიან სივრცეებში, რომლებიც მიღებულია სტატიის ავტორის მიერ.

განხილულია მელინის კონვოლუციის ოპერატორების მაგალითები.

5. მოხსენება მიეძღვნა გიუნტერის მხები დიფერენციალური ოპერატორების აღრიცხვას ჰიპერზედაპირებზე, და მის გამოყენებებს. კერძოდ, ლაპლას-ბელტრამის დიფერენციალური განტოლებისათვის გლუვ ჰიპერზედაპირზე გლუვი საზღვრით შესწავლილია შერეული ტიპის (დირიხლე-ნეიმანის) სასაზღვრო ამოცანები ორი მიდგომით. პირველი: ლაქს მილგრამის ლემის გამოყენებით დადგენილია ასეთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობა და ამოხსნის ერთადერთობა სუსტი კლასიკური დასმით როდესაც ამონახსი იძებნება სობოლევის W^1 სივრცეში. მეორე: პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით ამოცანა დაყვანილია სასაზღვრო ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე, რომლის გამოკვლევის შედეგად დადგენილია ამოცანის ამოხსნადობის და ამოხსნის ერთადერთობა კრიტერიუმი სუსტი არაკლასიკური დასმით როდესაც ამონახსი იძებნება სობოლევის W_p^1 სივრცეებში როდესაც $p > 1$. მიღებული კრიტერიუმი დამოკიდებულია p მაჩვენებელზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგებს იძლევა ასეთი აღრიცხვის გამოყენება თხელი გარსების განტოლებების მისაღებად Γ -კრებადობის გამოყენებით როდესაც თხელ

მაგრამ არანულოვანი სისქის დრეკად სხეულში ლამეს გამტოლება ჩაიწერება გიუნტერის და ნორმალური წარმოებულების ტერმინებში და ხდება ზღვარზე გადასვლა სისქის ნულისაკენ მისწრაფებით. შედეგად მიირება გარსის 2-განზომილებიანი განტოლება ჰიპერზედაპირზე. ამ მიდგომი სრულ განხორციელებას გააჩნია სიმნელეები და მოხდა მიდგომის დემონსტრირება ზემოთ მოყვანილი ლაპლას-ბელტრამის დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს სითბოგამტარებლობას თხელ სხეულში.

6. მოხსენება ეხება ლოკალიზებული პარამეტრიქსის მეთოდის განვითარებას პიეზო-დრეკადობის არაერთგვაროვანი ანიზოტროპული თეორიის 3-განზომილებიანი დირიხლეს და რობენის ტიპის ამოცანების შემთხვევაში. გრინის ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულისა და ლოკალიზებული პოტენციალების გამოყენებით დირიხლეს და რობენის ამოცანები დაიყვანება ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემებზე. შესწავლილია დირიხლესა და რობენის სასაზღვრო ამოცანებისა და მიღებულ ლოკალიზებულ სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების ეკვივალენტობა. ვინერ-ჰოფის ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ლოკალიზებული სასაზღვრო-სივრცულ ინტეგრალურ განტოლებათა ოპერატორები, რომლებიც ეკუთვნის ბუტე დე მონველის ალგებრას, არის ფრედჰოლმური და დადგენილია მათი შებრუნებადობა შესაბამის სობოლევის სივრცეებში.

სხვა ინფორმაცია

ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV ყოველწლიური კონფერენცია, მიძღვნილი ვ. კუპრაძის დაბადების 110 წლისთავისადმი, თბილისი-ბათუმი, 9-15 სექტემბერი, 2013 წელი რ. დუდუჩავა-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. თ. ბუჩუკური, მ. ცაავა-საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა

როლანდ დუდუჩავა

1. მიწვეული იყო ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისათვის პროექტის “კონვოლუციის ტიპის ოპერატორები: თვისებები, აპროქსიმაცია, გამოყენებები” 2013 წლის 9 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე ბრუნეი დარუსსალამის უნივერსიტეტში, ბრუნეი.
2. მიწვეული იყო ინდოეთის სამეცნიერო ინსტიტუტში (ბანგალორი, ინდოეთი) საერთო ინტერესების თემებზე სასაუბროდ და მოხსენებისათვის, 9-16 დეკემბერი, 2013 წ.

დავით კაპანაძე

3. მიწვეულია 2013 წლის 15 დეკემბრიდან 6 თვით ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისათვის ავეიროს უნივერსიტეტში, პორტუგალია. ვიზიტს აფინანსებს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ეკატერინე პესეცკაია

4. მიწვეულია 2013 წლის 15 დეკემბრიდან 6 თვით ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისათვის ავეიროს უნივერსიტეტში, პორტუგალია. ვიზიტს აფინანსებს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიების წევრები

როლანდ დუდუჩავა:

1. Integral Equations and Operator Theory, Birkhauser
2. Georgian Mathematical Journal, De Gruyter
3. Journal of Applied Mathematics & Bioinformatics, International Scientific Press
4. Memoirs on partial Differential Equations and Mathematical Physics, A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi.
5. Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers
6. Tbilisi Mathematical Journal, Tbilisi.

ოთარ ჭყაძე:

Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi

საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების რეცენზენტები და რეფერენტები

როლანდ დუდუჩავა:

1. Georgian Mathematical Journal
2. Mathematical Methods in Applied Sciences
3. Integral Equations and Operator Theory
4. Complex Variables and Elliptic Equations
5. Journal of Mathematical Analysis and Applications
6. Operator Theory: Advances and Applications
7. Mathematical Reviews
8. Zentralblatt fur Mathematik

ოთარ ჭყაძე:

Georgian Mathematical Journal

სახოცადლოებრივი საქმიანობა

1. რ. დუდუჩავა, არჩეულია საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტად
2. თ. ჭყაძე, არჩეულია საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტად

უცხოური სამეცნიერო ორგანიზაციების წევრები

როლანდ დუდუჩავა – ამერიკის მათემატიკური საზოგადოება

ერთობლივი სამეცნიერო კვლევები

როლანდ დუდუჩავა:

მიწვეული იყო ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისათვის პროექტის “კონვოლუციის ტიპის ოპერატორები: თვისებები, აპროქსიმაცია, გამოყენებები” 2013 წლის 9 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე ბრუნეი დარუსსალამის უნივერსიტეტში, ბრუნეი.

უცხოეთში წაკითხული სალექციო კურსები და მოხსენებები

როლანდ დუდუჩავა:

1. University of Brunei Darussalam, “Calculus of differential operators on surfaces and their applications”. November 30, 2013.
2. Indian Institute of Science, Bangalore, India “Helmholtz equation in arbitrary 2D domains with angular points on the boundary”, December 12, 2013

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება

I. 1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: რევაზ ბანცური

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა : ნუგზარ შავლაყაძე, სერგო კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	უწყვეტ ტანთა მექანიკის სასაზღვრო-საკონტაქტო და შერეული სასაზღვრო ამოცანები	რევაზ ბანცური	ნუგზარ შავლაყაძე, სერგო კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>განხილულია ბლანტიდრეკადობის თეორიაში ცოცვადობის თვისებების მქონე ბრტყელი ერთგვაროვანი სხეულის ცვლადი სიხისტის დრეკად ჩართვასთან ურთიერთქმედების საკონტაქტო ამოცანა. ამოცანა დაიყვანება ვოლტერას ტიპის ორგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე. ჩართვის სიხისტის ხარისხოვანი კანონით ცვლილების პირობებში გამოკვლეულია ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით მიღებული კარლემანის ტიპის გადაადგილებიანი სასაზღვრო ამოცანა, მიღებულია მისი ამონახსნი კვადრატურებში და შესწავლილია საკონტაქტო დაბეჭდვის განსაკუთრებულობათა ხასიათი სინგულარულ წერტილებში. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ვოლტერას ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის აგება მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.</p> <p>გამოკვლეულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანები, კერძოდ მრავალკუთხა არის შიგნით თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა, რომელსაც მივყავართ ტეხილებით შემოსაზღვრული ორადბმული არის წრიულ რგოლზე კონფორმულად გადამსახი ფუნქციის აგების პრობლემასთან. ამ უკანასკნელის ამოხსნის საფუძველზე დასმული ამოცანის ამონახსნი აგებულია ეფექტურად ანალიზური ფორმით.</p> <p>შესწავლილია ორთოტროპული ცილინდრულთან მახლობელი დრეკადი შემავსებლის მქონე ბრუნვითი გარსების თერმომდგრადობა, როდესაც იგი იმყოფება ნორმალური წნევისა და ტემპერატურის მოქმედების ქვეშ.</p> <p>განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაუსის სიმრუდის მქონე გარსები. მიღებულია ფორმულები როგორც წნევისა და ტემპერატურის, ასევე ტალღური ფორმის განსაზღვრისათვის, რომლებიც დამოკიდებულია ორთოტროპული პარამეტრებზე, ტემპერატურასა და წნევაზე, დრეკადი</p>			

ფუძის სიმტკიცესა და ცილინდრული გარსის გადახრის ამპლიტუდაზე. განიხილება ორ ფოროვან ცილინდრს შორის ბლანტი უკუმში სითხის დინების მდგრადობის ამოცანა რადიანული და ღერძული წნევის მოქმედებისას.

შესწავლილია სითხის დინების მდგრადობის დაკარგვის შედეგად წარმოქმნილი მეორადი დინებები, მათი მდგრადობის საკითხები და ბიფურკაციები. გამოყენებულია ჰიდროდინამიკური მდგრადობის თეორია რიცხვით მეთოდებთან ერთად, რამაც მოგვცა საშუალება შეგვესწავლა გადასვლები იმ რთული რეჟიმებისაკენ, რომლებიც წარმოიქმნებიან ნეიტრალური მრუდების გადაკვეთის წერტილის მცირე მიდამოში.

განხილულია ზღვრული ოპტიმალობის ამოცანა უცნობხვრელებიანი დრეკადი კვადრატისათვის, როდესაც ხვრელის საზღვარი თავისუფალია გარე დატვირთვისაგან, ხოლო კვადრატის გვერდებზე მოქმედებს სწორფუძიანი აბსოლუტურად ხისტი შტამპები. შტამპების შუა წერტილებზე მოდებულია შეყურსული ძალები. განსაზღვრულია ხვრელების უცნობი საზღვარი იმ პირობით, რომ მასზე ტანგენციალური ნორმალური ძაბვა ღებულობს ერთი და იგივე მუდმივ მნიშვნელობას.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	გვერდების რაოდენობა
1	რ. ბანცური, გ. კაპანაძე	მრავალკუთხედი ს შიგნით თა- ნაბრადმტკიცე კონტურის მო- ძებნის ამოცანა. Proc. A. Raz- madze Math. Inst.	163	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბი- ლისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7
2	ნ. შავლაყაძე	ანიზოტროპული ფირფიტისათვის საკონტაქტო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა. Proc. A. Razmadze Math. Inst.	163	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბი- ლისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	11
3	ს. კუკუჯანოვი	დრეკადი შემავ- სებლის მქონე ფორმით ცილინ- დრულთან მახ- ლობელი ბრუნ- ვითი გარსების თერმომდგრადობ ა. Proc. A.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბი- ლისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	8

		Razmadze Math. Inst.			
4	ლ. შაფაქიძე	ორ ფოროვან ცილინდრს შორის არაიზოთერმული დინების მდგრადობის საკმარისი პირობების შესახებ. Proc. A. Razmadze Math. Inst.	162	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	5

ანოტაციები

1. განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის თანაბრადმტკიცე კონტურის მოძბნის ამოცანა სასრული ორადბმული არისათვის, რომლის გარე საზღვარი წარმოადგენს ამოხნეილ მრავალკუთხედს, ხოლო შიგა საზღვარი-გლუვ შეკრულ კონტურს. მრავალკუთხედის გვერდებზე მოქმედებს გლუვი ხისტი შტამპები, რომელზედაც მოქმედებენ ნორმალური მკუმშავი ძალები, შიგა კონტური თავისუფალია დატვირთვისაგან. ამოცანა მდგომარეობს განისაზღვროს საძიებელი კონტურის ანალიზური სახე იმ პირობით, რომ მასზე ტანგენციალური ნორმალური ძაბვა დებულობდეს მუდმივ მნიშვნელობას. ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანებისა და კონფორმული გადასახვის მეთოდით განხილული ამოცანა ამოხსნილია ეფექტურად.
2. ნაშრომში განხილულია დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანა ანიზოტროპული ფირფიტისათვის, რომელიც შეიცავს ცვლადი სიხისტის მქონე დრეკად ჩართვას. საკონტაქტო ძაბვების მიმართ ამოცანა მიიყვანება ცვლადკოეფიციენტებიან ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით მიიღება უსასრულო წრფივ აღგებრულ განტოლებათა დუალური სისტემა. ეს სისტემა გამოკვლეულია კვაზი-რეგულარობაზე შემოსაზღვრულ მიმდევრობათა სივრცეში და შესაბამისად რედუქციის მეთოდი დაფუძნებულია მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად.
3. განხილულია ორთოტროპული ცილინდრულთან მახლობელი დრეკადი შემავსებლის მქონე ბრუნვითი გარსების თერმომდგრადობა, როდესაც იგი იმყოფება ნორმალური წნევისა და ტემპერატურის მოქმედების ქვეშ. მიღებულია ფორმულები როგორც წნევისა და ტემპერატურის, ასევე ტალღური ფორმის განსაზღვრისათვის, რომლებიც დამოკიდებულია ორთოტროპული პარამეტრებზე, ტემპერატურასა და წნევაზე, დრეკადი ფუძის სიმტკიცესა და ცილინდრული გარსის გადახრის ამპლიტუდაზე.
4. შესწავლილია ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითბოგამტარი სითხის მდგრადობის ამოცანა, რადიანული დინებისა და რადიანული ტემპერატურული გრადიენტის გათვალისწინებით. ამოცანის პარამეტრების გარკვეული მნიშვნელობებისათვის მიღებულია სითხის დინების მდგრადობის საკმარისი პირობები. დამტკიცებულია თეორემა.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	რ. ბანცური, ნ. შავლაყაძე	ელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული ფირფიტისათვის ჩართვით და ნახევარსივრცისათვის ჭრილით. Prikl. Mat. I Mekh. Eng. Transl.: Journal Appl. Math. Mech.	77	რუსეთის მეცნ. აკადემია, მექანიკის პრობლემების ინსტიტუტი, Eng. Transl.: Elsevier	10

ანოტაციები

განიხილება მექანიკური და ელექტრული ველების განსაზღვრის ამოცანა პიეზოელექტრულ არეებში, რომლებიც გამაგრებულია დრეკადი ჩართვებით ან შესუსტებულია ბზართ. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით დასმული ამოცანები მიყვანილია შესაბამისად სინგულარულ ინტეგრალ-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე ან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა უძრავი სინგულარობით. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის ან ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდის გამოყენებით მიღებულია ამოცანების მიახლოებითი ან ზუსტი ამოხსნები.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. შავლაყაძე, ა. სააკიანი	ფრთის თეორიის განტოლების პირდაპირი რიცხვითი ინტეგრირების ორი ალგორითმის შესახებ და მათი შედარებითი ანალიზი. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი.
2	ნ. შავლაყაძე	ზოგიერთი საკონტაქტო ამოცანა ბლანტი დრეკადობის თეორიაში. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია	8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
3	რ. ბანცური, ნ. შავლაყაძე	ელექტროდრეკადობის საკონტაქტო ამოცანა უბან-უბან ერთგვაროვანი პიეზო-ელექტრული მასალისათვის სასრული ჩართვით. ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
4	ლ. შაფაქიძე	ორ ფორვან ცილინდრს შორის ბიფურკაციების გადკვეთის წერტილში შესაბამისი ამპლიტუდურ განტოლებათა არაწრფივი დინამიური სისტემების შესახებ. საერთაშორისო კონფერენცია Li-ს ჯგუფებში, დიფ. განტოლებებსა და გეომეტრიაში	10-22 ივნისი, 2013, ბათუმი
5.	ლ. შაფაქიძე	ორ ფორვან ცილინდრს შორის სითხის დინებაში გადასვლების შესახებ რადიანული და დერძული წნევის გრადიენტის მოქმედებისას. საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია	8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი

მოსხენებათა ანოტაციები

- განიხილება პრანდტლის ტიპის ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლების, ეგ. წოდ. თვითმფრინავის ფრთის განტოლების რიცხვითი ამოხსნის ორი სხვადასხვა ალგორითმი მექანიკური კვადრატურების მეთოდის გამოყენებით და ჩატარებულია შედარებითი ანალიზი.
- განიხილება ორგანოზომილებიანი ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლების ამოხსნა, რომელიც

დაკავშირებულია ნახევრად უსასრულო დრეკადი ელემენტისა და ცოცვადობის თვისების მქონე ფირფიტის ურთიერთქმედებასთან, როდესაც დრეკადი ელემენტის სიხისტე იცვლება ხარისხოვანი კანონით. საწყის მომენტში ჩართვა იტვირთება მხოლოდ ტანგენციალური ან ნორმალური ძალებით.

განისაზღვრება ტანგენციალური და ნორმალური საკონტაქტო ძაბვების განაწილების კანონი საკონტაქტი წირის გასწვრივ, მათი ასიმპტოტური ყოფაქცევა და ინტენსივობის კოეფიციენტები.

3. განიხილება ელექტროდრეკადობის საკონტაქტო ამოცანა უბან-უბან ერთგვაროვანი პიეზო-ელექტრული მასალისათვის სასრული ჩართვით. ანალიზურ ფუნქციათა მეთოდების გამოყენებით ამოცანა მიიყვანება სინგულარულ ინტეგრალ-დიფერენციალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობებით. ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით მიღებულია ზუსტი ამოხსნები.

4. დადგენილია რომ ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითხის დინებაში, რადიანული და ღერძული წნევის გრადიენტის მოქმედებისას, მდგრადობის დაკარგვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ღერძსიმეტრიული, ისე არაღერძსიმეტრიული ბიფურკაციების შედეგად. მოძებნილი იქნა ამ ბიფურკაციების გადაკვეთის წერტილი და ამ წერტილის მცირე მიდამოში დაწერილია შესაბამისი ამპლიტუდური განტოლებები, რომელთა წონასწორობები წარმოადგენენ გარკვეულ დინებებს.

5. მოხსენებაში წარმოდგენილია ორ ფოროვან ცილინდრს შორის სითხის დინებაში, რადიანული და ღერძული წნევის გრადიენტის მოქმედებისას, მდგრადობის დაკარგვის შედეგად წარმოქმნილი მეორადი დინებები და მათი გადასვლები.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ბანცური, ნ. შავლაყაძე	დრეკადი არაერთგვაროვანი ძეგლის ურთიერთქმედების საკონტაქტო ამოცანა ბლანტიდრეკადი თვისების მქონე ფირფიტასთან. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე პრობლემები მყარი სხეულთა მექანიკაში, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებებში.”	23-26 აგვისტო, 2013, ოდესა, უკრაინა

მოხსენებათა ანოტაციები

1. აგებულია ამოახსნი ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლებისა, რომელიც დაკავშირებულია დრეკადი ნახევრადუსასრულო ჩართვისა და ფირფიტის ურთიერთქმედებასთან, როდესაც ფირფიტის მასალას აქვს ცოცვადობის თვისება, ხოლო ჩართვის დრეკადი და გეომეტრიული პარამეტრები კონტაქტის წირის გასწვრივ იცვლება ხარისხოვანი კანონით.

გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილება

I. 1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გომტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი თორნიკე ქადიშვილი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემაღგენლობა ნოდარ ბერიკაშვილი, მალხაზ ბაკურაძე, ალექსანდრე ელაშვილი, ვახტანგ ლომაძე, სამსონ სანებლიძე, მანანა მიქიაშვილი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ტოპოლოგიურ, ალგებრულ და გეომეტრიულ ობიექტთა ალგებრული მოდელები და მათი გამოყენებანი	თორნიკე ქადიშვილი	ნოდარ ბერიკაშვილი, მალხაზ ბაკურაძე, ალექსანდრე ელაშვილი, ვახტანგ ლომაძე, სამსონ სანებლიძე, მანანა მიქიაშვილი.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეჭაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>მგრები ელემენტები ჰომოტოპიურ ალგებრებში (თ. ქადიშვილი). აგებულია ნ. ბრიკაშვილის D-ფუნქტორის ანალოგი A(∞)-ალგებრებისათვის, დამტკიცებულია თეორემა სუსტი ექვივალენტობის შესახებ და მისი მეშვეობით აღწერილის სიმთა თორიის მოძრაობის განტოლების ამოხსნათა კლასები ჰომოლოგიებში - დაკვირვებადებთა ალგებრაში. (მოხსენება რმი13-ზე)</p> <p>მარყუჟთა სივრცის მოდელები (ს. სანებლიძე). აგებულია ორ წარმომქმნილიანი ოპერადა, რომელიც რეალიზებულია, როგორც პერმუტოედრის უჯრედოვანი ჯაჭვური კომპლექსი. ამ ოპერადის მიმართ ალგებრას წარმოადგენს, მაგალითად, ორმაგ მარყუჟთა სივრცის ისეთი მოდელი, როგორიცაა ადამსის კობარ კონსტრუქცია პონტრიაგინის რგოლზე.</p> <p>სასრული ჯგუფების მორავას K-თეორიის ატლასი (მ. ბაკურაძე, ა. ლომაძე, დოქტორანტი, ნ. გაჩეჩილაძე, დოქტორანტი). გამოთვლილია მორავას K-თეორიის რგოლი $K^*(BG)$, $G=G_{38}, \dots, G_{41}$ ჯგუფებისათვის ჰალ-სენიორის სიიდან.</p> <p>რაციონალურ ბორდიზმების რგოლზე განხილულია ბუნშტაბერ-კრიჩევერის ფორმალური ჯგუფის მაკლასიფიცირებელი ჰომომორფიზმი.</p> <p>მრავალი ცვლადის) წრფივი დიფერენციალური სისტემების აქსიომატური დახასიათება (ვ. ლომაძე). წრფივი დინამიური სისტემა ეს არის სიმრავლე, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც წრფივი მუდმივ-კოეფიციენტებიან კერძო წარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნების სიმრავლე. 1991 წელს იან ვილემსმა დასვა ამოცანა თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სიმრავლე, რომ ის იყოს წრფივი</p>		

<p>დინამიური სისტემა. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ეს პირობებია: წრფივობა, დროში ინვარიანტულობა და ჯეც-სრულობა</p> <p>ფრობენიუსის ლის ალგებრები (ა. ელაშვილი). მიღებულია პერიოდული ფრობენიუსის ლის ალგებრების რიცხვის ცხადი ფორმულიები და მათი ასიმპტოტიკაც. მზადდება ერთობლივი სტატია მ. ჯიბლაძესთან ერთად.</p>

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>№ FR/37/5-103/12, № 31/52</p> <p>წინააღმდეგობათა თეორიის საკითხები სერის ფიბრაციებში, იტერირებულ მარყუჟთა სივრცეების მოდელებში და მაღალი რიგის ჰომოტოპიურ ალგებრებში</p>	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ქადიშვილი	ნ. ბრიკაშვილი, ს. სანებლიძე, თ. ქადეიშვილი,
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>დასრულებულია ორი 6-თვიანი პერიოდი.</p> <p>სივრცის კუბური პოსტნიკოვის კოშკები (ნ. ბერიკაშვილი). ბმული ტოპოლოგიური სივრცისათვის აგებულია კუბური მინიმალური კომლექსი და მის საფუძველზე აგებულია პოსტნიკოვის კუბური კოშკი (მოხსენება რმი13)</p> <p>წინააღმდეგობათა თეორია გადაგვარებულობის, დეფორმაციის გავრცელების პრობლემებისათვის A_∞, C_∞-ალგებრების შემთხვევაში (თ. ქადეიშვილი). აგებულია ამ ამოცანების წინააღმდეგობათა თეორიები ჰომოლოგიის და, შესაბამისად, ჰარისონის კოჰომოლოგიებში (მოხსენება სმკ13)</p> <p>იტერირებულ მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიები (ს. სანებლიძე). QHHA-მოდელის საშუალებით გამოთვლილია მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიური ალგებრის სტრუქტურა ისეთი სივრცეებისთვის, რომელთა კოჰომოლოგიები წაკვეთილი მრავალწევრთა ალგებრებია (მოხსენება რმი13)</p>				
2	<p>პროექტის დასახელება</p>	<p>დამფინანსებელი ორგანიზაცია</p>	<p>პროექტის ხელმძღვანელი</p>	<p>პროექტის შემსრულებლები</p>
	<p>DI/27/5- 103/12</p> <p>ჰომოლოგიური და კატეგორიული მეთოდები ტოპოლოგიაში, ალგებრასა და სტეკების თეორიაში</p>	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ფირაშვილი	თ. ფირაშვილი, თ. ქადეიშვილი, ი. პაჭკორია, თ. დათუაშვილი, რ. ქურდიანი

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

დასრულებულია ორი 6-თვიანი პერიოდი.

ჰირშის ალგერის სტრუქტურა კოჰომოლოგიებზე (თ. ქადიშვილი). ტოპოლოგიური სივრცის კოჰომოლოგიებში აგებულია ჰირშის ალგებრის სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს გამრავლებას ბარ კოსტრუქციაში, შესაბამისად მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის ალგებრას. მომზადდა სტატია T. Kadeishvili, Cohomology Operations Defining Cohomology Algebra of the Loop Space

3	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	DI/16/5-103/12 ამოზნექილი ტოპოლოგია: მრავალწახნაგების კატეგორიულ- ალგორითმული კვლევა	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ი. გუბელაძე	მ. ბაკურაძე, ა. გამყრელიძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

დასრულებულია ორი 6-თვიანი პერიოდი. აღწერილია პოლიტოპური კომპლექსის ჰომ-კომპლექსები კომპლექსების მონოტონური ასახვების ტერმინებში.

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. ქადიშვილი	Homotopy gerstenhaber algebras: examples and applications	Journal of Mathematical Sciences December 2013, Volume 195, Issue 4, pp 455-459	Springer	5
2	მ.ალხაზ ბაკურაძე	Formal group laws by Buchstaber, Krichever and Nadiradze coincide	Russ. Math. Surv. (68) 571. (2013) <i>Uspekhi Mat. Nauk</i> , 2013, Volume 68, Issue 3(411) .	Turpion	2
3	მ.ალხაზ ბაკურაძე	Computing the	Journal of	Springer	6

		Krichever genus	Homot. And Relat. Struct., August 21, 2013, DOI 10.1007/s40062-013-0049-0		
4	მ.ალხაზ ბაკურაძე	Transferred characteristic classes and generalized cohomology rings	J. Math. Sci., 189, 1 (2013)	Springer	65
5	მ. ბაკურაძე, მ. ჯიბლაძე	Morava K-theory rings of groups G_{38}, \dots, G_{41} of order 32	Journal of K-theory, (2013), Dec. 06, DOI: http://dx.doi.org/10.1017/is013011009jkt245 .	Cambridge Univ. Press	29
6	V. Lomadze	A note on Ehrenpreis' fundamental principle, Linear Algebra and its Applications	438 (2013)	Elsevier	2083--2089
7	V. Lomadze	Duality in the behavioral systems theory, Automatica	49 (2013)	Elsevier	1510--1514
8	V. Lomadze	PBH test for multivariate LTID systems, Automatica	49 (2013)	Elsevier	2933--2937
9	V. Lomadze	"Reduced polynomial matrices" in several variables, SIAM J. Control Optim.	51 (2013)	Philadelphia SIAM	3258--3273
10	A. Elashvili, V. Kac, E. Vinbegr	Cyclic Elements in Semisimple Lie Algebras. Transformation Groups	18(2013)	Springer	97-130

ანოტაციები

1. ნაშრომში აღწერილია ჰომოტოპიური გერსტენჰაბერის ალგებრის სამი ძირითადი ასპექტი: (ა) განსაზღვრავს გერსტენჰაბერის სტრუქტურას ჰომოლოგიაში, (ბ) განსაზღვრავს გამრავლებას ბარ კონსტრუქციაში, (გ) აკონტროლებს გადახრას კომუტატურობიდან; სამი ძირითადი მაგალითი: (ა) ტოპოლოგიური სივრცის კოჟჰევი, (ბ) ჰოხშილდის კომპლექსი, (გ) ბიალგებრის ბარ კონსტრუქცია; და სამი ძირითადი გამოყენება: (ა) სტრუქტურა ჰოხშილდის კომპლექსში ხსნის დელინის ჰიპოთეზას, აკონტროლებს მინიმალური მოდელის გადაგვარებულობას; (ბ) სტრუქტურა ცოჯჰევიში განსაზღვრავს მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის ალგებრას; (გ) სტრუქტურა ბიალგებრის ბარ კონსტრუქციაში განსაზღვრავს გერსტენჰაბერის ალგებრის

სტრუქტურას ორმაგ მაცუჟთა სივრცის ჰომოლოგიაში.
2. გამოთვლილია მორავას K-თეორიის რგოლი $K^*(BG)$, $G=G_{38}, \dots, G_{41}$ ჯგუფებისათვის ჰალსენიორის სიიდან.
3. ვამტკიცებთ, რომ ბუხშტაბერის კრიჩევერის და ნადირაძის ფორმალური ჯგუფები ერთმანეთს ემთხვევა.
4. ვთქვათ ψ არის გვარი რომლის ინვარიანტული დიფერენციალი არის ფესვი მეოთხე რიგის პოლინომიდან და κ აკლასიფიცირებს ფორმალურ ჯგუფს, რომელიც იზომორფულია უნივერსალური ფორმალური ჯგუფის მკაცრი იზომორფიზმით $xCP(x)$. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რაციონალურ ბორდიზმების რგოლზე კრიჩევერ-ჰოჰნის გვარი φ_{KH} არის კომპოზიცია $\psi\kappa$. ჩვენ ვაგებთ გარკვეულ ელემენტებს A_{ij} ლაზარის რგოლში და ვიძლევიტ კრიჩევერის უნივერსალური ფორმალური ჯგუფის ალტერნატიულ განსაზღვრებას. აქედან გამომდინარეობს რომ კრიჩევერის ფორმალური ჯგუფის კოეფიციენტების რგოლი არის ლაზარის რგოლის ფაქტორი $A_{ij}, i, j \geq 3$ ელემენტებით წარმოქმნილი იდეალით.
5. შეისწავლება ურთიერთკავშირი ფიბრაციის ტრასფერირებულ მახასიათებელ კლასებსა და ტრანსფერირებული ფიბრაციის მახასიათებელ კლასებს შორის.
6. ერენპრაისის ფუნდამენტური პრინციპი განზოგადებულია (F)sigma-სიმრავლეზე განსაზღვრული წრფივი კერძო წარმოებულისანი დიფერენციალური განტოლებებისთვის.
7. აგებულია ორადობა ვილემის ტიპის წრფივი დინამიური სისტემებისთვის, და ნაჩვენებია რომ მართვადობის და დაკვირვებადობის ცნებები ორადულია ერთმანეთის მიმართ.
8. პოპოვ-ბელევიჩ-ჰაუტუსის კლასიკური ტესტი მართვადობის შესახებ განზოგადებულია მრავალი ცვლადის წრფივი დინამიური სისტემებისთვის.
9. მრავალი ცვლადის წრფივი დინამიური სისტემებისთვის აგებულია დაყვანილი წრფივი პოლინომური რეზოლვენტები და განსაზღვრულია მათი მთელი ინვარიანტები.
10. მიღებულია ნახევრადმარტივ ლის ალგებრათა ციკლური ელემენტების კლასიფიკაცია და აღწერა

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
ბ1	მ. ბაკურაძე	ბუხშტაბერის კრიჩევერის და ნადირაძის ფორმალური ჯგუფები ემთხვევა.	თსუ პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 22-26 იანვარი, 2013.
ბ2	მ. ბაკურაძე	სასრული ჯგუფების მორავას K-თეორია.	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია,

			თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
ლ1	ვ. ლომაძე	დისკრეტული ტრაექტორიების „აწევა“	თსუ პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 22-26 იანვარი, 2013.
ლ2	ვახტანგ ლომაძე	წრფივი დიფერენციალური სისტემების ტეილორის აპროქსიმაციები	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია, თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
ქ1	თ. ქადეიშვილი	Minimality Theorems and their Applications in Topology and Physics	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია, 2013 წლის 9-15 სექტემბერი, ქ. ბათუმში.
ქ2	თ. ქადეიშვილი	$A(\infty)$ -algebra structure in (co)homology and its applications	Marie Curie's International Research Staff Exchange Scheme (IRSES), International Conference and Workshop Lie groups, differential equations and geometry, June 10-22, 2013, Batumi, Georgia
ქ3	თ. ქადეიშვილი	მგრები ელემენტები ჰომოტოპიურ ალგებრებში	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია, თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
ბ1	ნ. ბერიკაშვილი	ტოპოლოგიური სივრცის კუბური პოსტნიკოვის კომპლექსები	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია, თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
ს1	ს. სანებლიძე	დიფერენციალური აღრიცხვის ელემენტები მონიდურ კატეგორიაში	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია, თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
ე1	ა. ელაშვილი, მ.ჯიბლაძე	ფრობენიუსის ლის ალგებრების შესახებ	თსუ ა. რაზმაძის მათ. ინსტიტუტის კონფერენცია, თბილისი, 2-6 დეკემბერი 2013.
მოხსენებათა ანოტაციები			
ბ1. ნაჩვენებია, რომ ბუსშტაბერის კრიხვერის და ნადირაძის ფორმალური ჯგუფები ერთმანეთს ემთხვევა			
ბ2. გამოთვლილია მორავას K -თეორიის რგოლი $K^*(BG)$, $G=G_{38}, \dots, G_{41}$ ჯგუფებისათვის პალ-სენიორის სიიდან.			
ლ1. ნაჩვენებია, რომ პოლინომური მატრიცის ყოველი დისკრეტული ტრაექტორია შეიძლება აწეულ იქნას მის უწყვეტ ტრაექტორიამდე. ეს შედეგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ბორელის კლასიკური თეორემის განზოგადება.			

<p>ლ2. წრფივი დიფერენციალური სისტემისთვის აგებულია ტეილორის აპროქსიმაციები. ნაჩვენებია, რომ ეს აპროქსიმაციები წარმოადგენენ სისტემის სრულ ინვარიანტს, ანუ, მთლიანად განსაზღვრავენ მას.</p>
<p>ქ1. აგებულია ამ ამოცანების წინააღმდეგობათა თეორიები ჰოპფილდის და, შესაბამისად, ჰარისონის კოჰომოლოგიებში (მოხსნება სმკ13)</p>
<p>ქ2. გადმოცემული იყო ავტორის მინიმალობის თეორემის გამოყენებები მათმატიკაში - რაციონალურ ჰომოტოპიურ თორიაში და ფიზიკაში - სიმთა თეორიაში</p>
<p>ქ3. აგებულია ნ. ბრიკაშვილის D-ფუნქტორის ანალოგი $A(\infty)$-ალგებრებისათვის, დამტკიცებულია თეორემა სუსტი ექვივალენტობის შესახებ და მისი მეშვეობით აღწერილის სიმთა თორიის მოძრაობის განტოლების ამოხსნათა კლასები ჰომოლოგიებში - დაკვირვებადებთა ალგებრაში.</p>
<p>ბ1. ბმული ტოპოლოგიური სივრცისათვის აგებულია კუბური მინიმალური კომლექსი და მის საფუძველზე აგებულია პოსტნიკოვის კუბური კომპი</p>
<p>ს1. კატეგორიაში, რომლის ყოველ ობიექტზე მოცემულია გამრავლების ოპერაცია და ასევე არსებობს ორი ობიექტის ნამრავლი, განმარტებულია დიფერენცირების ცნება მორფიზმთა ოჯახის მიმართ, რომელსაც აქვს შემდეგი ორი ძირითადი თვისება. ეს ცნება ჩაკეტილია: 1. ორი მორფიზმის კომპოზიციის მიმართ; 2. ორი მორფიზმის ნამრავლის მიმართ. განხილულია სათანადო მაგალითები.</p>
<p>ე1. მიღებულია ფრობენიუსის ლის ალგებრების ასიმპტოტიკა ბიჰარაბელურ ქველაგებრათა შორის</p>

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
ქ4	თ. ქადეიშვილი	$A(I)$ -algebra structure in (co)homology and its applications	School and Workshop: <i>Topological Materials: New Physics and Gateway to New Critical Technologies</i> , to be held at the Institute of Theoretical and Applied Physics (ITAP), July 15-24, 2013, http://itap-tthv.org/applforms/poster.php?code=671381
ბ5	მ. ბაკურაძე	On some rational and integral complex genera	Algebraic Topology and Abelian Functions, Conference in honour of Victor Buchstaber, Steklov Mathematical Institute of RAS, Lomonosov Moscow State University, Bogolyubov Laboratory of Geometrical Methods in Mathematical Physics P. G. Demidov Yaroslavl State University, Delone Laboratory of Discrete and Computational Geometry Moscow, 18–22 June 2013 http://www.mathnet.ru/php/presentation.phtml?option_lang=eng&presentid=7026
ე1	ა. ელაშვილი	Cyclic Elements in Semisimple Lie Algebras. Transformation	Integrable Systems, Praga, 14-19 Jun 2013

ალგებრის განყოფილება

I. 1 ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილება

I. 2 ხელმძღვანელი აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

თ.დათუაშვილი, დ.ზანგურაშვილი, ა.პაჭკორია, ბ.მესაბლიშვილი, ნ.ინასარიძე, ე.ხმალაძე, ხ.ინასარიძე.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ჰომოლოგიური ალგებრა, K-თეორია, კატეგორიათა თეორია და არაკომუტაციური გეომეტრია	ხ.ინასარიძე	თ.დათუაშვილი, დ.ზანგურაშვილი, ა.პაჭკორია, ბ.მესაბლიშვილი, ნ.ინასარიძე, ე.ხმალაძე, ხ.ინასარიძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

- თეორიის მეთოდების გამოყენებით დამტკიცდა რომ საკუთრივად უნიფორმულად შემოსაზღვრული აპროქსიმაციული ერთეულის მქონე ფრემეს ალგებრებს გააჩნიათ K-რეგულარობის თვისება. შემოტანილია ახალი ტიპის ინტერესის კატეგორიის ცნება. ეს კატეგორია აკმაყოფილებს პორტერის მიერ ჩამოყალიბებულ ოპერაციებიანი ჯგუფების კატეგორიის ყველა აქსიომას გარდა ერთისა, რომელიც შეცვლილია ახალი აქსიომით, და აკმაყოფილებს, აგრეთვე, ორზეხის მიერ შემოტანილ ინტერესის კატეგორიის ორ აქსიომას. ასეთი კატეგორიის მაგალითებია კატეგორიები, რომლებიც ექვივალენტურია ჯვარედინი და წინაჯვარედინი მოდულების კატეგორიებისა ლის, ლაიბნიცის, ასოციურ და ასოციურ კომუტაციური ალგებრების კატეგორიებში. ფონ ნეიმანის რეგულარული რგოლების კატეგორია არის აგრეთვე ახალი ტიპის ინტერესის კატეგორია. ასეთ კატეგორიებს ვუწოდეთ “მოდულიზირებული ინტერესის კატეგორია”. მოვახდინეთ ინტერესის კატეგორიაში განმარტებული ცნებების ადაპტირება ასეთი კატეგორიაში, მათ შორის ექთორისა და უნივერსალური მკაცრი ზოგადი ექთორის ცნებებისა. ეს უკანასკნელი განმარტებული და აგებული იყო ჩემს ერთობლივ ნაშრომში კაზახსთან და ლადრასთან ერთად. გამოკვლეულია მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. ამავე დროს შესწავლილია მოდულიზირებული ინტერესის კატეგორიის კონკრეტული მაგალითები მოქმედებების თვალსაზრისით. კერძოდ, ნაპოვნია ექთორის არსებობის საკმარისი პირობა ასოციური ალგებრების ჯვარედინი მოდულების კატეგორიაში და მონახულია შესაბამისი კონსტრუქცია. ნაჩვენებია რომ შრომებში M. and Chase, S.U., Generalized Hopf modules for bimonads, Theory Appl. Categ. 27 (2013), 263–326, და Bohm, G., Chen, Y. and Zhang, L., On Hopf monoids in duoidal categories, J. Algebra 394 (2013), 139–172, მიღებული ძირითადი შედეგები არის ჩვენი სტატიის (Mesablishvili, B. and Wisbauer, R., Notes on bimonads and Hopf monoids, Theory Appl. Categ. 26 (2012), 281–303) ერთი შედეგის კერძო შემთხვევები. მოცემულია ორი ენდოფუნქტორის რაციონალური დაწყვილების ცნება, რომელიც ანზოგადებს კოალგებრების კატეგორიაზე იგივე ცნების ყველა მნიშვნელოვან თვისებას. დამტკიცებულია, რომ კომუტაციური რგოლების წმინდა მორფიზმები არიან ეფექტური დაწვეის მორფიზმები მოდულებისათვის. გამტკიცებულია, რომ წმინდა მორფიზმები

ლოკალურად წარმოდგენად მონოიდურ კატეგორიაში არიან ეფექტური დაწვევის მორფიზმები ამ კატეგორიის კომუტაციური მონოიდებითა და მათზე მოდულებით განსაზღვრული ინდექსირებული კატეგორიის მიმართ. გაგრძელდა ფუნქტორის ჯგუფების მრავალწარმოებიდან ჯგუფების კატეგორიაში წარმოებული ფუნქტორების ხარისხის კვლევა. დადგინდა, რომ გარკვეულ პირობებში სიმპლიციური აბელის მონოიდის ჰომოლოგიის მონოიდები ემთხვევა მის ჰომოტოპიის ჯგუფებს. გაგრძელდა არააბელური ლაიბნიცის კოჰომოლოგიების შესწავლა. მიღებულია მეორე კოჰომოლოგიის დახასიათება გარკვეული სახის. გაფართოებების საშუალებით. ლის ალგებრებისათვის დადგენილია კავშირი არააბელურ ლის და ლაიბნიცის კოჰომოლოგიებს შორის. აგებულია შეუღლება ჯგუფების და ასოციური ალგებრების ჯვარედინი მოდულების კატეგორიებს შორის და დამტკიცებულია, რომ ჯგუფების ჯვარედინ მოდულზე მოდულების კატეგორია ექვივალენტურია მის შესაბამის ალგებრების ჯვარედინ მოდულზე მოდულების კატეგორიის. აგებულია ლის ჯვარედინი მოდულის უნივერსალური მომვლები ჯვარედინი მოდული და შესაბამისად შეუღლება ლის და ასოციური ალგებრების ჯვარედინი მოდულების კატეგორიებს შორის. დამტკიცებულია, რომ ლის ჯვარედინ მოდულზე და მის უნივერსალურ მომვლებ ჯვარედინ მოდულზე მოდულების კატეგორიები ექვივალენტურია. დამტკიცებულია, რომ ნებისმიერ კატეგორიაში ფულბეკებით, კოგანმატოლებლებით და რეგულარულ ეპი-მონო ფაქტორიზაციებით რეგულარული ეპიმორფიზმების კლასი მყარია ე.წ. დაბალანსებული ეფექტური დაწვევის მორფიზმების გასწვრივ ფულბეკების მიმართ. ხოლო, თუ კატეგორია ადიციურია, მაშინ „დაბალანსებული— აქ შეიძლება მოვაცილოთ. ეფექტური დაწვევის მორფიზმს $p:E \rightarrow B$ ეწოდება დაბალანსებული, თუ E -ს ყოველი ისეთი ქვეობიექტი, რომელიც შეიცავს p -ს ბირთვს, არის B -ს რაიმე ქვეობიექტის ფულბეკი p -ს გასწვრივ. აღწერილია მონომორფიზმები და იზომორფიზმები მოდულების სტაბილურ კატეგორიაში, როცა ძირითადი რგოლი არის ფსევდო-მემკვიდრეობითი, ხოლო ეპიმორფიზმებისათვის მოძებნილია შესაბამისი საკმარისი პირობა. ნაჩვენებია, რომ ასეთ რგოლზე მოდულების სტაბილური კატეგორია არც აბელურია და არც ტრიანგულირებული. მოდულების სტაბილურ კატეგორიაში პროექციული მოდულების აღწერის საკითხი დაყვანილია მოდულების ჩვეულებრივ კატეგორიაში ეპიმორფიზმების გარკვეული კლასის მიმართ პროექციული მოდულების აღწერის საკითხზე; დამყარებულია კავშირი უნივერსალური ალგებრების მრავალწარმოებში ფუშაუტების ელემენტებისათვის ნორმალური ფორმების არსებობის საკითხის ტერმების გადაწერის სისტემების თეორიაში კარგად ცნობილი კონფლუენტობის პირობასთან. ამ თეორიის ზოგიერთი შედეგის გამოყენებით შემუშავებულია გამოთვლითი მეთოდი იმის დასადგენად, აქვთ თუ არა ფუშაუტების ელემენტებს ნორმალური სახეები მოცემულ მრავალწარმოებაში. მიღებული შედეგები გამოყენებულია უნივერსალური ალგებრების მრავალწარმოებში ეფექტური კოდაწვევის მორფიზმების აღწერისათვის.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	უცხოელ თანამემამულესთან ერთობლივი გრანტი „Simplicial algebra, homology theories, K-theory and applications for algebraic and topological structures— DI/12/5 – 103/11, (2012-2014)	რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ნიკო ინასარიძე	ნ.ინასარიძე, ე.ხმალაძე, ხ.ინასარიძე, ბ.მესაბლიშვილი

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	B.Mesablishvili	Pure Morphisms Are Effective for Modules, Applied Categorical Structures	21(6)(2013)	Springer	801-809
2	B.Mesablishvili R.Wisbauer	On Rational Pairings of Functors, Applied Categorical Structures	Vol. 21(3) (2013)	Springer	249-290
3	E. Khmaladze	On non-abelian Leibniz cohomology, Journal of Mathematical Sciences	195 (4) (2013)		481-485
4	J. M. Casas T. Datuashvili M. Ladra	Actor of a Lie--Leibniz algebra, Communications in Algebra	41(4) (2013), (DOI 10.1080/0092.7872.2011.644608)		1-18
5	N. Inassaridze T. Kandelaki M. Ladra	Categorical interpretations of some key agreement protocols, Journal of Mathematical Sciences	195 (4) (2013)		439-444

აზოტაციები

- 1, Yet another proof of the result asserting that a morphism of commutative rings is an effective descent morphism for modules if and only if it is pure is given. Moreover, it is shown that this result cannot be derived from Moerdijk's descent criterion.
2. In the theory of coalgebras \mathcal{C} over a ring R , the rational functor relates the category of modules over the algebra \mathcal{C}^* (with convolution product) with the category of comodules over \mathcal{C} . It is based on the pairing of the algebra \mathcal{C}^* with the coalgebra \mathcal{C} provided by the evaluation map $\text{ev}: \mathcal{C}^* \otimes_R \mathcal{C} \rightarrow R$. We generalise this situation by defining a pairing between endofunctors T and G on any category \mathcal{A} as a map, natural in $a, b \in \mathcal{A}$, $\beta_{\{a,b\}}: \mathcal{A}(a, G(b)) \rightarrow \mathcal{A}(T(a), b)$, and we call it rational if these all are injective. In case T is a monad and G is a comonad on \mathcal{A} , additional compatibility conditions are imposed on a pairing between T and G . If such a pairing is given and is rational, and T has a right adjoint monad H , we construct a rational functor as the functor-part of an idempotent comonad on the T -modules which generalises the crucial properties of the rational functor for coalgebras. As a special case we consider pairings on monoidal categories.
3. In this note, by using a generalized notion of the Leibniz algebra of derivations, we present the constructions of the zero, first, and second non-Abelian Leibniz cohomologies with coefficients in crossed modules, which generalize the classical zero, first, and second Leibniz cohomology. For Lie algebras we compare the non-Abelian Leibniz and Lie cohomologies. We describe the second non-Abelian Leibniz cohomology via extensions of Leibniz algebras by crossed modules.
4. We define the category of Lie-Leibniz algebras and its full subcategory LL1 action conditions in LL1 and according to the general construction given in [6], we construct the universal strict general actor $\text{USGA}(A)$ of any object A in LL1 then there exists an actor $\text{Act}(A)$ of A and $\text{Act}(A) = \text{USGA}(A)$.

5. We give interpretations of some known key agreement protocols in the framework of category theory and in this way we give a method of constructing of many new key agreement protocols.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ.ზანგურაშვილი	რეგულარული ეპიმორფიზმების ზოგიერთი კლასის მდგრადობის ზოგიერთი თვისება	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის კონფერენციაზე, 4 დეკემბერი, 2013
2	ა.პაჭკორია	კოჰომოლოგიები კოეფიციენტებით აბელის მონოიდებში	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის კონფერენციაზე, 3 დეკემბერი, 2013
ანოტაციები			
<p>1. 90-იანი წლების დასაწყისში მ. სობრალმა და წ. ტოლენმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა რეგულარული ეპიმორფიზმების კლასი მდგრადი ეფექტური დაწევის მორფიზმების გასწვრივ ფულბეკების მიმართ, და უკვე შემდეგ (ჯ. რეიტერმანთან ერთობლივ) სტატიაში გასცეს უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე. ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ, კატეგორიაზე რა შეზღუდვების დროს ზემოთ-აღნიშნული პირობა სრულდება. კერძოდ, ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ამ პირობას აქვს ადგილი თუ კატეგორია ადიციურია. ფულბეკების, კოგანმატოლებლების და რეგულარული ეპი-მონო ფაქტორიზაციის მქონე მონიშნული კატეგორიისათვის კი, ჩვენ შემოქვაქვს ე.წ. დაბალანსებული მორფიზმის ცნება, და ვაჩვენებთ, რომ რეგულარული ეპიმორფიზმების კლასი მდგრადია დაბალანსებული ეფექტური დაწევის მორფიზმების გასწვრივ პულბეკების მიმართ. გარდა ამისა, ნაჩვენებია, რომ ეფექტური დაწევის მორფიზმების კლასი მყარია ფუშაუტების მიმართ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კატეგორია არის თითქმის ზუსტი (ბარის აზრით), ხოლო დაწევის მორფიზმების კლასი მდგრადია ფუშაუტების მიმართ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კატეგორია რეგულარულია.</p> <p>2. შემოღებულია ნახევრადმოდულების ჯაჭვური კომპლექსის ახალი კოჰომოლოგიის მონოიდები. შესწავლილია მათი თვისებები და მოცემულია გამოყენებები. დადგენილია, რომ ახალი კოჰომოლოგიის მონოიდები უფრო გამოთვლადია ვიდრე ადრე ცნობილი კოჰომოლოგიის მონოიდები.</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.ხმალაძე	ჰომ-ლის ალგებრების არააბელური ტენზორული ნამრავლი და გამოყენებები	სანტიაგოს დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის სემინარი, 5 ნოემბერი 2013
2	ნ.ინასარიძე	Simplicial degree of derived functors	სანტიაგოს დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის სემინარი, 14 მარტი 2013
3	ნ.ინასარიძე	Adjunction between crossed modules of groups and algebras	სანტიაგოს დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის სემინარი, 10 სექტემბერი 2013

ანოტაციები

1. მოხსენების პირველ ნაწილში ვაჩვენებთ თუ როგორ შეიძლება ჰომ-ლის ალგებრების არააბელური ტენზორული ნამრავლის აგება თავისუფალი ობიექტის გამოყენების გარეშე. მისი საშუალებით აღვწერთ ჰომ-ლის ალგებრების უნივერსალური ცენტრალური გაფართოებები და დავახასიათებთ მისი კავშირი ჰომ-ლის ალგებრების (დაბალგანზომილებიან) ჰომოლოგიებთან. მოხსენების მეორე ნაწილში მოვიყვანებთ ჰომ-ლის ალგებრების არააბელური ტენზორული ნამრავლის გამოყენება ჰომ-ასოციური ალგებრების ციკლურ ჰომოლოგიაში. კერძოდ, თავდაპირველად მიმოვიხილეთ თუ როგორ ხდება ციკლური ჰომოლოგიის თეორიის გადატანა ჰომ-ასოციურ ალგებრებზე. შემდეგ კი ჰომ-ლის ალგებრების ტენზორული ნამრავლის გამოყენებით ვაჩვენებთ ჰომ-ასოციური ალგებრის პირველ ციკლურ და მილნორის ციკლურ ჰომოლოგიებს შორის კავშირი ზუსტი მიმდევრობების ტერმინებში.

2. მოხსენება ეხება ფირაშვილის ჰოპოთეზას არააბელური წარმოებული ფუნქტორების სიმპლიციური ხარისხის სასრულობის შესახებ. კერძოდ მტკიცდება შემდეგი დებულება: ვთქვათ T არის ფუნქტორი \mathcal{X} -დან \mathcal{Y} -ში, $k > 0$. თუ T -ს i -ური არააბელური წარმოებული ფუნქტორის სიმპლიციური ხარისხი $sdeg(Li(T)) \leq k$ ნებისმიერი T -თვის რომლის ხარისხი $deg(T)=1$, მაშინ $sdeg(Li(T)) \leq nk$ ნებისმიერი T -თვის რომლის ხარისხი $deg(T)=n$.

3. We construct a pair of adjoint functors between the categories of crossed modules of groups and associative algebras and establish a one-to-one correspondence between module structures over a crossed module of groups and its respective crossed module of associative algebras.

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება

I. 1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, მათემატიკური ლოგიკის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი მამუკა ჯიბლაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, დავით გაბელაია, ლევან ურიდია.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	შემოსაზღვრული დამტკიცების თვისება და მისი სემანტიკური მახასიათებლები	ნიკოლოზ ბეჟანიშვილი	ნიკოლოზ ბეჟანიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p>განვითარებულია ახალი მეთოდოლოგია, რომელიც მოდალური სისტემების კვლევის ახლებურ და პროდუქტიულ მიდგომას უყრის საფუძველს. მეთოდი ემყარება თავისუფალი მოდალური ალგებრების აღწერას სასრული, ნაწილობრივი ალგებრებით მიახლოების გზით. შემოტანილია ახალი ცნება - შემოსაზღვრული დამტკიცების თვისება (bounded proof property, bpp), რომელიც გულისხმობს ფიქსირებული n მოდალური სირთულის ფორმულის გამოყვანადობას არაუმეტეს იმავე n სირთულის ფორმულებიდან. შემუშავებულია ამ თვისების სემანტიკური კრიტერიუმი. კერძოდ, შემოტანილია საფეხურა ალგებრისა და საფეხურა ფრეიმების ცნებები. საფეხურა ფრეიმები აღწერენ ისეთი მოდალური ფორმულების ყოფაქცევას, რომლებიც არ შეიცავენ მოდალური ოპერატორის იტერაციას. დამტკიცებულია, რომ მოდალურ აქსიომატურ სისტემას გააჩნია bpp და აქვს სასრული მოდელების თვისება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი შესაბამისი საფეხურა ფრეიმები მიიღება მისი სასრული ფრეიმებიდან p-მორფული ასახვის საშუალებით. ეს სემანტიკური დახასიათება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა ადვილად შევამოწმოთ bpp და სასრული მოდელების თვისება მოდალურ სისტემათა ფართო კლასისათვის. შემუშავებული ახლებური მეთოდოლოგია, რომელიც კონკრეტული მოდალური სისტემისთვის ითვალისწინებს აქსიომატური სისტემის გადაწერას საფეხურა გამოყვანის წესების ერთობლიობად, შესაბამისი საფეხურა ფრეიმების აღწერას და შემდეგ დამტკიცებას, რომ ნებისმიერი საფეხურა ფრეიმი მიიღება რომელიმე სასრული ფრეიმის p-მორფულ ანასახად. მეთოდი გამოყენებულია და აპრობირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდალური სისტემის მაგალითზე.</p>		
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	მეტრიკული სივრცეების მოდალური ლოგიკის შესწავლა	დავით გაბელაია	დავით გაბელაია მამუკა ჯიბლაძე ნიკოლოზ ბეჟანიშვილი ლევან ურიდია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

მეტრიკული სივრცეების მოდალური ლოგიკის შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ მაკკინსისა და ტარსკის ფუნდამენტურ შრომაში, თუმცა იქ მხოლოდ კონკრეტული კლასი – თავის თავში მკვრივი, სეპარაბელური მეტრიკული სივრცეები იყო გამოკვლეული. ჩვენი მიზანია სრულად დავახასიათოთ მეტრიკულ სივრცეთა მიერ წარმოქმნილი მოდალური ლოგიკების იერარქია. ამ მხრივ მიღებულია შემდეგი შედეგები: ამომწურავად არის დახასიათებული გაიშვიათებულ მეტრიკულ სივრცეთა კლასის ნებისმიერი ქვეკლასის მოდალური ლოგიკა. ასევე გამოკვლეული და დახასიათებულია სუსტად გაიშვიათებულ მეტრიკულ სივრცეთა მოდალური ლოგიკა. ასევე მიღებულია ამომწურავი დახასიათება იმ მოდალური ლოგიკებისა, რომლებიც მიიღება სრულად მეტრიზებადი სივრცეების რაიმე ქვეკლასით.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მოდალური ლოგიკის ტოპოლოგიური სემანტიკა (ხელშეკრულების FR/11-29, 2012-2015)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დ. გაბელაია	მ. ჯიბლაძე, ნ. ბეჟანიშვილი, ლ. ურიდია
დასრულებული ეტაპის შედეგების ანოტაცია				
<p>შემოტანილია ახალი დასაშვები C-სემანტიკა მოდალური ლოგიკისათვის. და დამტკიცებულია მისი სრული ადეკვატურობა S4 მოდალური სისტემის გაფართოებებისათვის. ამ ახალი მიდგომის გამოყენებით აღმოჩენილია S4-ის გაფართოებების მოულოდნელად ჰომოგენური სემანტიკური აღწერა. კერძოდ, ყოველი ასეთი გაფართოება სრულია რაციონალურ რიცხვთა სივრცეზე ან კანტორის სივრცეზე დაფუძნებული განზოგადებული ტოპოლოგიური სივრცის მიმართ, ხოლო ყოველი ბმული ასეთი გაფართოება სრულია ნამდვილ რიცხვთა სივრცეზე დაფუძნებული განზოგადებული ტოპოლოგიური სივრცის მიმართ.</p> <p>სუპერინტუციონისტური (სი-) ლოგიკებისათვის მიღებულია შედეგი, რომ ნებისმიერი სი-ლოგიკა სრულია ნამდვილ რიცხვთა სივრცეზე დაფუძნებული განზოგადებული ტოპოლოგიური სივრცის მიმართ. ანალოგიური შედეგები მიღებულია რაციონალურ რიცხვთა სივრცისა და კანტორის სივრცის მიმართაც.</p>				

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	მ. ბაკურაძე, მ. ჯიბლაძე	32 რიგის G_{38}, \dots, G_{41} ჯგუფების მორავას K-თეორიის რგოლები K-theory	DOI: http://dx.doi.org/10.1017/is013011009jkt245	Springer-Verlag, Germany	23
2*	ნ. ბეჟანიშვილი, გ. ბეჟანიშვილი	მოდალური ოპერატორები კომპაქტურ რეგულარულ ფრეიმებზე და დე-	DOI 10.1007/s10485-013-9332-9	Springer Netherlands	10

	ჯ. ჰარდინგი	ვრისის ალგებრები, Applied Categorical Structures.			
3*	გ. ბეჟანიშვილი, დ. გაბელაია, მ. ჯიბლაძე	ფუნაიამას თეორემასთან დაბრუნება, Algebra universalis	Volume 70, Issue 3, pp 271-286	Springer Basel	16
4*	ლ. ბეკლემიშვილი, დ. გაბელაია	GLP დამტკიცებადობის ლოგიკის ტოპოლოგიური სისრულე, Annals of Pure and Applied Logic	164 (2013), pp. 1201-1223. DOI: 10.1016/j.apal.2013.06.008	Elsevier	23
5	ა. ბალტაგი, ნ. ბეჟანიშვილი, ა. ოზგუნ, ს. სმეტსი	შეხედულებების, შეხედულებათა რევიზიისა და გადახედვადი ცოდნის ტოპოლოგიები. Logic, Rationality, and Interaction , 4th International Workshop, LORI 2013, Hangzhou, China, October 9-12, 2013, Proceedings Lecture Notes in Computer Science	Volume 8196, 2013, pp 27-40. DOI 10.1007/978-3-642-40948-6_3	Springer Berlin Heidelberg	14

ანოტაციები

1. ბ. შუსტერმა დაამტკიცა, რომ 32 რიგის ყველა ჯგუფის 2-ლოკალური მორავას K-თეორიათა რგოლები წარმოქმნილია ლუწი ხარისხის ელემენტებით. ჰოლ-სენიორის სიის ჯგუფებისთვის ნომრებით 38, 39, 40 და 41 დამტკიცებულია, რომ ეს რგოლები წარმოქმნილია გადმოტანილი ჩერნის კლასებით. ჩვენ მივალწიეთ ამ რგოლების სრულ აღწერას წარმოქმნელებითა და თანაფარდობებით; კერძოდ, დამტკიცებული გვაქვს, რომ თითოეული ამ რგოლთაგანი არის 6 ცვლადის მრავალწევრთა რგოლის ფაქტორი იდეალით, რომლის წარმომქმნელები ცხადად გვაქვს ჩამოწერილი.
2. მოცემულია პირდაპირი, ამორჩევის თეორემისგან თავისუფალი დამტკიცება, რომ მოდალური კომპაქტურად რეგულარული ფრეიმების კატეგორია ეკვივალენტურია მოდალური დე ვრისის ალგებრების კატეგორიისა. აღწერილია კავშირი მოდალურ კომპაქტურად რეგულარულ ფრეიმებსა და ფრეიმებზე ვიეტორისის კონსტრუქციის ჯონსტონისეულ ვერსიას შორის.
3. ნაშრომში განხილულია ფუნაიამას თეორემის რამდენიმე არსებული დამტკიცება, მოცემულია ამ თეორემის განზოგადება და ახლებური დამტკიცება და დახასიათებულია შესაბამისი მესრები.
4. პოლიმოდალური ლოგიკა GLP მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამტკიცებადობის შესწავლის თეორიაში. ამ ლოგიკას რა გააჩნია ადეკვატური კრიპკე სემანტიკა, თუმცა აქვს ბუნებრივი ტოპოლოგიური ინტერპრეტაცია ზღვრის ოპერატორის ტერმინებში. შესაბამის პოლიტოპოლოგიურ სივრცეებს GLP-სივრცეები ეწოდება. ნაშრომში აგებულია არატრივიალური GLP-სივრცეები და დამტკიცებულია GLP სისტემის ტოპოლოგიური სისრულე.
5. შემოტანილია ახალი ტოპოლოგიური სემანტიკა დოქსასტური ლოგიკისათვის. ნაჩვენებია, რომ ეს სემანტიკა ყველაზე ზოგადია ისეთებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ „ძლიერი რწმენის“ სტალნაკერისეულ აქსიომებს. დამტკიცებულია სისრულის თეორემები და მოცემულია შედარება მანამდე არსებულ სემანტიკურ მიდგომასთან.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ. ურიდია	სისრულე მოდალური ლოგიკისათვის კანტორ- ბენდიქსონის ზღვრის ოპერატორის იტერაციის ინტერპრეტაციით, საერთაშორისო სიმპოზიუმი „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“ TbiLLC-2013.	23-27 სექტემბერი, 2013, გუდაური.
მოხსენებათა ანოტაციები			
1. განხილულია მოდალური ლოგიკის ახალი ტოპოლოგიური ინტერპრეტაცია და დამტკიცებულია სისრულის თეორემა.			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ბეჟანიშვილი	კანონიკური ფორმულები ლოკა- ლურად სასრული რედუქტების გზით და განზოგადებული ორა- დობები, <i>მიწვეული მოხსენება, ტოპოლოგია, ალგებრა და კატეგორიათა თეორია ლოგიკაში, TACL 2013.</i>	28 ივლისი -1 აგვისტო, 2013, ნეშვილი, აშშ.
2	დ. გაბელაია	S4-ის გაფართოებების ტოპოლო- გიური სისრულე, ტოპოლოგია, ალგებრა და კატეგორიათა თეორია ლოგიკაში, TACL 2013.	28 ივლისი -1 აგვისტო, 2013, ნეშვილი, აშშ.
3	მ. ჯიბლაძე	ფუნაიმას თეორემა, ტოპოლოგია, ალგებრა და კატეგორიათა თეორია ლოგიკაში, TACL 2013.	28 ივლისი -1 აგვისტო, 2013, ნეშვილი, აშშ.
4.	ნ. ბეჟანიშვილი	შეხედულებათა რევიზიისა და გა- დახედვადი ცოდნის ტოპოლოგიე- ბი. Logic, Rationality, and Inte- raction, 4th International Workshop, LORI 2013.	9-12 ოქტომბერი, 2013, იანგჟუ, ჩინეთი.
მოხსენებათა ანოტაციები			
1. განხილულია ალგებრული მიდგომა კანონიკური ფორმულებისადმი. წარმოდგენილია ახლებური მეთოდოლოგია, რომელიც ჰაიტინგის ალგებრებს შეისწავლის, ერთი მხრივ, უიმპლიკაციო რედუქტების საშუალებით, ხოლო მეორე მხრივ, უდიზიუნქციო რედუქტების საშუალებით. რადგან ორივე შემთხვევაში ლოკალურად სასრულ მრავალსახეობებს ვღებულობთ, შესაძლებელი ხდება მძლავრი ალგებრული აპარატის გამოყენება და ფართო სპექტრის შედეგების მიღება. მეთოდოლოგია ილუსტრირებულია მნიშვნელოვან მაგალითებზე.			

2. შემოტანილია ტოპოლოგიური სემანტიკის განზოგადებული ვერსია და დამტკიცებულია ზოგადი სისრულის თეორემები S4 მოდალური სისტემის გაფართოებებისათვის. შედეგები გადატანილია სუპერინტუიციონისტურ კონტექსტში.

3. განხილულია ფუნაიმას თეორემის რამდენიმე არსებული დამტკიცება, მოცემულია ამ თეორემის განზოგადება და ახლებური დამტკიცება და დახასიათებულია შესაბამისი მესრები.

4. შემოტანილია ახალი ტოპოლოგიური სემანტიკა დოქსასტური ლოგიკისათვის. ნაჩვენებია, რომ ეს სემანტიკა ყველაზე ზოგადია ისეთებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ „ძლიერი რწმენის“ სტალნაკერისეულ აქსიომებს. დამტკიცებულია სისრულის თეორემები და მოცემულია შედარება მანამდე არსებულ სემანტიკურ მიდგომასთან.

სხვა ინფორმაცია

1. საზღვარგარეთ მივლინებები

ლევან ურიდია

19 ივლისი - 20 აგვისტო, 2013, პოლ საბატიეს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტი, ტულუზა, საფრანგეთი.

20 ივლისი - 29 აგვისტო, 2013, მადრიდის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი.

დ. გაბელაია, მ. ჯიბლაძე

1 – 10 აგვისტო, 2013. ნიუ მექსიკოს შტატის უნივერსიტეტი, აშშ.

2. გრანტები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. პროექტის დასახელება: ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი. პროექტის შიფრი: YS/60/5-105/13.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსი. პროექტის შიფრი: PG/72/4-102/13.

3. რეცენზირება

დ. გაბელაიამ მოამზადა რეცენზია ჟურნალისთვის: Annals of Pure and Applied Logic.

4. მონაწილეობა საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში

მ. ჯიბლაძე არის შემდეგი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი:

Georgian Mathematical Journal. Walter De Gruyter & Co, Germany (სარედაქციო კოლეგიის წევრი).

ნ. ბეჟანიშვილი არის შემდეგი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი:

Mathematical Logic Quarterly

5. საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება

დ. გაბელაია და ნ. ბეჟანიშვილი არიან შემდეგი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორები: **International Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation**

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება

I. 1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება.

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. მიხეილ მანია

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: მიხეილ მანია, თენგიზ შერვაშიძე, ნანული ლაზრივა, თეიმურაზ ტორონჯაძე, ომარ ფურთუხია.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ოპტიმალური ინვესტირებისა და ჰეჯირების ამოცანები შეზღუდული ინფორმაციისა და მოდელის განუზღვრელობის პირობებში	მიხეილ მანია,	მიხეილ მანია, თენგიზ შერვაშიძე, ნანული ლაზრივა, თეიმურაზ ტორონჯაძე, ომარ ფურთუხია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>ნაჩვენებია, რომ თუ მიზნობრივი ფუნქცია ორჯერ უწყვეტად დიფერენცირებადია და საბაზისო აქციის ფასი აკმაყოფილებს სტრუქტურულ პირობას, მაშინ ოპტიმალური ინვესტირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქცია იქნება ორჯერ უწყვეტად დიფერენცირებადი და მისი პირველი წარმოებული წარმოადგენს სემიმარტინგალს, რომლის სასრული ვარიაციის ნაწილი აბსოლუტურად უწყვეტია ლებეგის ზომის მიმართ.</p> <p>ფასის ფუნქციის ზემოაღნიშნულ თვისებებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ოპტიმალური ინვესტირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქცია წარმოადგენს შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ერთადერთ ამონახსნს და ოპტიმალური კაპიტალის პროცესი პირდაპირი სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ამონახსნით მოიცემა.</p> <p>წლის განმავლობაში გრძელდებოდა მუშაობა რობასტულობის პრობლემის შესასწავლად სხვადასხვა დასმებში და დისციპლინებში. ამჯერად დაისვა რობასტულობის პრობლემა ფინანსური ამოცანების კონტექსტში. კერძოდ, განხილული იქნა დიფუზიური ბაზრის მოდელი დაუზუსტებელი ჩანაცვლებისა და ვოლატილობის კოეფიციენტებით და ამოცანა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ვიპოვოთ საშუალო კვადრატული აზრით ჰეჯირების მინიმალური პრობლემის ამონახსნი. მოცემულია ამონახსნის ცხადი დახასიათება ჰამილტონ-იაკობი-ბელმან-აიზეკის განტოლების ამონახსნის მეშვეობით.</p>			

ბლექ-შოულსისა და მერტონის მოდელებისთვის რობასტული ინვესტირების ამოცანის შესაბამისი ფასისთვის გამოყვანილია სტოქასტური დიფერენციალური განტოლებები, რომელთა ამონახსნის გამოყენებით აგებულია ოპტიმალური სავაჭრო სტრატეგიები.

მოცემულია სასრულგანზომილებიანი პარამეტრის M-შეფასებების ასიმპტოტურად ეკვივალენტური რეკურსიული შეფასების კონსტრუქცია.

დამტკიცებულია სობოლევის ტიპის უტოლობები ნორმალური მარტინგალებისთვის. მიღებულია ბურკჰოლდერისა და მეიერის უტოლობები პუასონის ფუნქციონალების სობოლევის ტიპის სივრცეებისთვის.

დავიდოვისა და როტარის ცნობილი შედეგი დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ორი მიმდევრობის შედარების შესახებ გადატანილია სუსტად დამოკიდებული შემთხვევითი სიდიდეების მიმდევრობებისთვის ვარიაციული მანძილის გამოყენებით.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პირველი და მეორე რიგის შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება სტოქასტურ მართვასა და ფინანსურ მათემატიკაში. #FR/69/5-104/12 საგრანტო ხელშეკრულება № 31/68, 2013-2014 წლები.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ.მანია	მ. მანია, თ. შერვაშიძე, ნ. ლაზრივა, თ. ტორონჯაძე, ო. ფურთუხია რ.თევზაძე, ბ. ჩიქვინიძე, ზ. ქვათაძე, თ. უზუნაშვილი

შესწავლილია რობასტული ჰეჯირების ამოცანა ფინანსური ბაზრის დიფუზიური მოდელისათვის. ოპტიმალური სტრატეგიები წარმოდგენილია ამოცანის შესაბამისი ბელმან-ისაკის შექცეული განტოლებების ამონახსნის საშუალებით.

შექცეული სემიმარტინგალური განტოლებების ამონახსნის თვისებების გამოყენებით მიღებულია BMO- მარტინგალების ნორმების ახალი შეფასებები

სტოქასტური წარმოებულის ცხადი კონსტრუქციის გამოყენებით ე. წ. ნორმალური მარტინგალების კლასისა და პუასონის ფუნქციონალებისათვის შემოდებულია სობოლევის ტიპის სივრცეები და დამტკიცებულია სობოლევის, სობოლევი-პუანკარესა და ლოგარითმული სობოლევის ტიპის უტოლობები ფუნქციონალებისათვის ამ სივრცეებიდან.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია	შემთხვევით პროცესთა თეორია	თბილისი, თსუ გამომცემლობა	296

სახელმძღვანელოში გადმოცემულია თანამედროვე შემთხვევით პროცესთა თეორიის ძირითადი შედეგები და მეთოდები, აღწერილია შემთხვევით პროცესთა მნიშვნელოვანი კლასები, რომლებიც რეალური პროცესების დინამიკის ადეკვატური მათემატიკური აღწერის შესაძლებლობას იძლევიან. ნაშრომს ერთვის საილუსტრაციო მაგალითები და ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. წიგნი განკუთვნილია მათემატიკის მიმართულების სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. იგი სასარგებლო იქნება შემთხვევით პროცესთა თეორიის გამოყენებებით დაინტერესებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

2	თ. ტორონჯაძე	Computational Business Administration	GAU Business School, Georgia, Tbilisi, 2013.	165
---	--------------	---------------------------------------	--	-----

№3	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
----	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

3	თ. ტორონჯაძე	Essentials of Business Administration	GAU Business School, Georgia, Tbilisi, 2013.	338
---	--------------	---------------------------------------	--	-----

ფინანსური მათემატიკის პრობლემების ჩამოყალიბების, გადაჭრის და იმპლემენტაციის მეთოდოლოგია ეფუძნება შემდეგ კომპონენტებს:

1. თავად ფინანსთა თეორია
2. ფინანსთა თეორიისათვის ალბათურ-სტატისტიკური მოდელების შემუშავება, ანალიზი და დასკვნების მიღება.
3. მიღებული შედეგების კომპიუტერული გათვლა და რეალიზაცია.

წინამდებარე სახელმძღვანელოები (2-3) ეძღვნება მათ შორის ფინანსთა თეორიის ძირითადი ცნებების და მეთოდების აღწერასა და კომპიუტერული რეალიზაციების მეთოდების გადმოცემას. სახელმძღვანელო გათვლილია სტუდენტებისათვის, დოქტორანტებისთვის და მეცნიერ მუშაკთათვის.

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია	ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები	თბილისი, თსუ გამომცემლობა	563

კრებულში სრულად არის გადმოცემული თანამედროვე ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის წინაშე წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხები. თითოეულ თემას წინ უძღვის აუცილებელი თეორიული შე-

დეგები, შემდეგ მოყვანილია მრავალი საილუსტრაციო და სამოტივაციო მაგალითი ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან, განხილულია მათი გადაწყვეტის მეთოდები და ხერხები. ასევე მოყვანილია ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მას დართული აქვს ძირითადი და მნიშვნელოვანი ალბათური განაწილებების ცხრილები, EXCEL-ის სტატისტიკური ფუნქციების აღწერა და უკანასკნელ ხუთ წელიწადში თსუ-ში შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე მოტანილი ბილეთების ნიმუშები. სახელმძღვანელო შედგენილია თსუ-ში ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის, რომლებიც სწავლობენ ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკას. იგი სასარგებლო იქნება აგრეთვე ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენებით დაინტერესებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია	Sobolev and Logarithmic Sobolev Type Inequalities. Applied Mathematics, Informatics and Mechanics	AMIM Vol.17 No.2, pp. 26-39.	თბილისი, თსუ გამომცემლობა	14
2	ბ.დოჭვირი, ო.ფურთუხია, გ.სოსხაძე, გ.ტყემალაძე	“On the Stochastic Model of a Chemical Reaction“.Bulletin of the Georgian National Academy of Sciences	vol. 7, no. 2, 2013, pp. 92-96.	თბილისი, საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის გამომცემლობა	5
3	პ.ბაბილუა, ბ.დოჭვირი, ო.ფურთუხია, გ.სოსხაძე	“On the optimal stopping of partially observable processes“.Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	Volume 27, 2013.	თბილისი, თსუ გამომცემლობა	6

1. სტოქასტური წარმოებულის ცხადი კონსტრუქციის გამოყენებით ე. წ. ნორმალური მარტინგალების კლასისა და პუასონის ფუნქციონალებისათვის შემოდებულია სობოლევის ტიპის სივრცეები და დამტკიცებულია სობოლევის, სობოლევი-პუანკარესა და ლოგარითმული სობოლევის ტიპის უტოლობები ფუნქციონალებისათვის ამ სივრცეებიდან.

2. განხილულია პირველი რიგის ქიმიური რეაქცია, როდესაც რეაგენტის კონცენტრაცია განაწილებულია ბინომური კანონით. მიღებულია რეაგენტის და

პროდუქტის კონცენტრაციების მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის ცხადი გამოსახულებები. აგებულია აგრეთვე პირველი რიგის რეაქციის სტოქასტური მოდელი.

3. განხილულია კალმან-ბიუსის უწყვეტი მოდელი ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი პროცესებისათვის. არასრული მონაცემებით ოპტიმალური გაჩერების ამოცანა დაყვანილია ოპტიმალური გაჩერების ამოცანაზე სრული მონაცემებით. დამტკიცებულია გადასახადის ფუნქციათა კრებადობები, როცა დაუკვირვებადი და დაკვირვებადი პროცესების შემფოთების მცირე პარამეტრები მიისწრაფიან ნულისაკენ.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	R. Tevzadze, T. Toronjadze and T. Uzunashvili,	Robust utility maximization for a diffusion market model with misspecified coefficients, «Finance and Stochastics»	17, 2013.	Springer	28
2	V. Gupta and T. Shervashidze,	Upper Bounds for Bernstein Basis Functions, Prokhorov and Contemporary Probability Theory	Vol. 33 , 2013,	Springer Series	pp.293-303
	M. Mania and B. Chikvinidze	New proofs of some results on BMO martingales using BSDEs, accepted in «Journal of Theoretical Probability»	Published online at October 2013 DOI: 10.1007/s10959-013-0524-x,	Springer	16

1. შესწავლილია რობასტული ჰეჯირების ამოცანა ფინანსური ბაზრის დიფუზიური მოდელისათვის. ოპტიმალური სტრატეგიები წარმოდგენილია ამოცანის შესაბამისი ბელმან-ისააკის შექცეული განტოლებების ამონახსნის საშუალებით.
2. მიღებულია ბერნშტეინის საბაზისო ფუნქციის ზედა საზღვრის შეფასებები
3. შექცეული სემიმარტინგალური განტოლებების ამონახსნის თვისებების გამოყენებით მიღებულია BMO- მარტინგალების ნორმების ახალი შეფასებები

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ო.ღლონტი, ო.ფურთუხია	On the Clark integral representation of Brownian functional with explicit view of integrand	პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (თსუ - 95), თბილისი, 2013 წლის 22–26 იანვარი.
2	ო.ფურთუხია, ვ.ჯაოშვილი	Log Sobolev type inequalities for Poisson functional	პირველი საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (თსუ - 95), თბილისი, 2013 წლის 22–26 იანვარი.
3	ო.ღლონტი, ო.ფურთუხია	Clark's type formulas and applications in barrier options hadging	გმი XXVII გაფართოებული სემინარის სხდომები, თბილისი, 2013 წელი, 22-25 აპრილი.
4	პ.ბაბილუა, ბ.დოჭვირი, ო.ფურთუხია, გ.სოსხაძე	On the optimal stopping of partially observable processes	გმი XXVII გაფართოებული სემინარის სხდომები, თბილისი, 2013 წელი, 22-25 აპრილი.
5	ო.ღლონტი, ო.ფურთუხია	Clark representations and independence and dependence of Brownian functional	მეორე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი, 2013 წლის 4-7 სექტემბერი.
6	პ.ბაბილუა, ბ.დოჭვირი, ო.ფურთუხია, გ.სოსხაძე	On the problem of optimal stopping with incomplete data	მეორე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი, 2013 წლის 4-7 სექტემბერი.
7	ო.ღლონტი, ო.ფურთუხია	Clark representation with explicit integrand and the knock-out barrier option pricing	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი-ბათუმი, 2013 წლის, 9-15 სექტემბერი.
8	პ.ბაბილუა, ბ.დოჭვირი, ო.ფურთუხია, გ.სოსხაძე	On the reduction and convergence of payoffs	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო

			კონფერენცია, თბილისი- ბათუმი, 2013 წლის, 9-15 სექტემბერი.
9	ბ.დოჭვირი, გ.სოხაძე, ო.ფურთუხია, ო.დლონტი	Radon-Nikodym Derivative of Solution of Nonlinear Equations with Random Right Side	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IV საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი- ბათუმი, 2013 წლის, 9-15 სექტემბერი.
10	მ. მანია და რ. თევზაძე	On the properties of the dynamic value functions in the problem of optimal investing in incomplete markets	მეორე საერთაშორისო კონფერენცია „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი, 2013 წლის 4-7 სექტემბერი.
11	მ. მანია და რ. თევზაძე	სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ამოცანასთან დაკავშირებული ფასის ფუნქციის თვისებების შესახებ	ა. რაზმაძის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი

ანოტაციები

1. დამუშავებულია კლარკის ინტეგრალურ წარმოდგენაში ინტეგრანდის პოვნის მეთოდი კვადრატით ინტეგრებადი ბროუნის ფუნქციონალებისათვის, რომელთა პირობითი მათემატიკური ლოდინი მალიევენის აზრით წარმოებადია. ეს მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს იძლევა დავადგინოთ ინტეგრანდიუს ცხადი სახე იმ შემთხვევაში, როცა ფუნქციონალს არ გააჩნია მალიევენის აზრით წარმოებული.
2. კომპენსირებული პუასონის პროცესისათვის შემოდებული სტოქასტური წარმოებულის ცნების საშუალებით პუასონის ფუნქციონალებისათვის შემოდებულია სობოლევის ტიპის სივრცეები და დამტკიცებულია სობოლევის, სობოლევ-პუანკარესა და ლოგარიტმული სობოლევის ტიპის უტოლობები შემთხვევითი სიდიდეებისათვის ამ სივრცეებიდან.
3. ვინერის პროცესის ერთი ფუნქციონალისათვის, რომელიც ფინანსური ბაზრის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში წარმოადგენს გადასახადის ფუნქციას ბარიერული ოფციონისათვის, მიღებულია კლარკის ინტეგრალური წარმოდგენა. დადგენილია ინტეგრანდის ცხადი სახე, რომელიც წარმოადგენს ოპტიმალური ჰეჯურ სტრატეგიას ბარიერული ოფციონისათვის.
4. განხილულია კალმან-ბიუსის უწყვეტი მოდელი ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი პროცესებისათვის. არასრული მონაცემებით ოპტიმალური გაჩერების ამოცანა დაყვანილია ოპტიმალური გაჩერების ამოცანაზე სრული მონაცემებით. დამტკიცებულია გადასახადის ფუნქციათა კრებადობები, როცა დაუკვირვებადი და დაკვირვებადი პროცესების შემფოთების მცირე პარამეტრები მიისწრაფიან ნულისაკენ.
5. განხილულია ორი შემთხვევითი სიდიდის ნაწილობრივი დამოკიდებულების ცნება და მოყვანილია არატრივიალური საილუსტრაციო მაგალითები. შემუშავებული ორი შემთხვევითი სიდიდის დამოკიდებულების ლოკალური კრიტერიუმი. ბროუნის ფუნქციონალების შემთხვევაში, ბუნებრივი გზით განმარტებულია შემთხვევითი სიდიდეების დამოკიდებულების საზომი სიბრტყის ნებისმიერ წერტილში.
6. განხილულია ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი მიმდევრობა, სადაც დაკვირვებადი მიმდევრობა შეიცავს არასრულ ინფორმაციას დაუკვირვებადი მიმდევრობის შესახებ და დამოკიდებულია შემფოთების მცირე პარამეტრზე. წრფივი მოგების ფუნქციის შემთხვევაში ნაჩვენებია ნაწილობრივ დაკვირვებადი ფასების სრულად

დაკვირვებადი ფასისკენ კრებადობა, როცა შეშფოთების მცირე პარამეტრი მიისწრაფის ნულისაკენ.

7. ვინერის პროცესის ერთი ფუნქციონალისათვის, რომელიც ფინანსური ბაზრის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში წარმოადგენს გადასახადის ფუნქციას ნოკაუტ-ბარიერული ოფციონისათვის, მიღებულია კლარკის ინტეგრალური წარმოდგენა. ეს ფუნქციონალი წარმოადგენს ევროპული კოლ ოფციონის გადასახადის ფუნქციისა და გარკვეული ხდომილების ინდიკატორის ნამრავლს. ვპოულობთ ინტეგრანდის ცხად ფორმას. ეს ინტეგრანდი არის ოპტიმალური ჰეჯური სტრატეგია ნოკაუტ-ბარიერული ოფციონის რეპლიცაციისათვის ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში.

8. განხილულია ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი მიმდევრობა, სადაც დაკვირვებადი მიმდევრობა შეიცავს არასრულ ინფორმაციას დაუკვირვებადი მიმდევრობის შესახებ და დამოკიდებულია შეშფოთების მცირე პარამეტრზე. კვადრატული მოგების ფუნქციის შემთხვევაში ნაჩვენებია ნაწილობრივ დაკვირვებადი ფასების სრულად დაკვირვებადი ფასისკენ კრებადობა, როცა შეშფოთების მცირე პარამეტრი მიისწრაფის ნულისაკენ.

9. ჰილბერტის სივრცეში განხილვება განტოლება , სადაც შემოუსაზღვრელი წრფივი ოპერატორია, შემოსაზღვრული გლუვი ოპერატორი და კი შემთხვევითი ელემენტი -ში გლუვი განაწილებით . იგულისხმება, რომ -ს გააჩნია ლოგარითმული წარმოებული -ის ყველგან მკვირივი ქვესივრციდან . შესწავლილია აღნიშნული განტოლების ამონახსნის განაწილების ლოგარითმული წარმოებულის არსებობის საკითხები.

10. შესწავლილია ინვესტირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქციის დიფერენცირებადობის პირობები.

11. ფასის ფუნქციის თვისებებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ ოპტიმალური ინვესტირებისა და ჰეჯირების ამოცანის შესაბამისი ფასის ფუნქცია წარმოადგენს შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ერთადერთ ამონახსნს.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	პ.პაბილუა, ბ.დოჭვირი, გ.სოსხაძე, ო.ფურთუხია	“Об оптимальной остановке Стандартного марковского процесса”	XXI международная конференция “Проблемы управления безопасностью сложных систем”, Москва, 2013.
2	პ.პაბილუა, ბ.დოჭვირი, გ.სოსხაძე, ო.ფურთუხია	“Об оптимальной остановке и вариационных неравенствах”	XXI международная конференция “Проблемы управления безопасностью сложных систем”, Москва, 2013.

ანოტაციები

1. სტანდარტული მარკოვის პროცესისათვის გადაწყვეტილია ოპტიმალური გაჩერების ამოცანა.

2. დადგენილია კავშირი შემთხვევითი პროცესის ოპტიმალური გაჩერების ამოცანებსა და ვარიაციულ უტოლობებს შორის.

სხვა ინფორმაცია

სადოქტორო (PhD) პროგრამის ხელძღვანელობა

მ. მანას ხელძღვანელობით მომზადდა დისერტაცია " Backward Stochastic Differential Equations with Convex Generators". დისერტანტი ბ. ჩიქვინიძე. დისერტაციის დაცვა შედგა 2013 წლის 11 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რეცენზირება

მ. მანამ მოამზადა რეცენზიები ჟურნალებისთვის: Quantitative Finance, Applied Mathematics and Optimization (სტატიებზე "Making Mean-Variance Hedging Implementable in a Partially Observable Market", "Maximization of recursive utilities under convex portfolio constraints")

ნ. ლაზრიევამ მოამზადა რეცენზია ჟურნალისათვის: Georgian Math. Journal.

თეორიული ფიზიკის განყოფილება

I. 1. ი.ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თეორიული ფიზიკის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მ. ელიაშვილი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ვ.გარსევანიშვილი, ზ.გიუნაშვილი, ვ.გოგოხია, მ.ელიაშვილი, ა.კვინიხიძე, გ.ლავერელაშვილი, ბ.მალრაძე, ა.ხვედელიძე, გ.ციციშვილი, გ.ჯორჯაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ყალიბური კვანტური ველების თეორიის მათემატიკური მოდელების კვლევა	მ.ელიაშვილი	ვ.გარსევანიშვილი, ზ.გიუნაშვილი, ვ.გოგოხია, მ.ელიაშვილი, ა.კვინიხიძე, გ.ლავერელაშვილი, ბ.მალრაძე, ა.ხვედელიძე, გ.ციციშვილი, გ.ჯორჯაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

ამოცანა 1ა. ინტეგრებადობა სიმის და ველის თეორიებში

შესწავლილი იქნა ბოზონური სიმის დინამიკა სტატიკურ ყალიბში, რისთვისაც სტატიკური ყალიბის მიდგომა განზოგადოებული იქნა გამრუდებული სივრცე-დროისთვის. ნაჩვენებია იქნა, რომ სტატიკური ყალიბის ჰამილტონიანი მუდმივია სიმის გასწვრივ და ეს მუდმივი ემთხვევა სიმის ენერჯის კვადრატს, რომელიც კვადრატულია კანონიკური იმპულსების მიმართ.

კლასიკურ დონეზე დეტალურად იქნა გაანალიზირებული შემთხვევა და აგებული იქნა სივრცის იზომეტრიის ჯგუფის შესაბამისი შენახვადი სიდიდეები. სისტემის კვანტური სპექტრის შესასწავლად განხილული იქნა მარტივი ქვესისტემა, რომელშიც ნულოვან მოდასთან ერთად აღზნებულია მხოლოდ ერთი მოდა სიმის დუ ნაწილში. დადგენილი იქნა ფაზური სივრცის შეზღუდვები, რომლებიც დინამიკურად არ ცვლის ქვესისტემის კონფიგურაციას. შეაბამისი ფაზური სივრცე დუ ნაწილში აღმოჩნდა 10 განზომილებიანი. ნაპოვნი იქნა ქვესისტემის კანონიკური ცვლადები და ნაჩვენებია იქნა, რომ სისტემა ინვარიანტულია სივრცე დროის იზომეტრიული ჯგუფის მიმართ. ეს სიმეტრია საკმარისი აღმოცნდა ქვესისტემის სრული ინტეგრებადობისთვის, რაც ცხადი სახით მიღწეული იქნა ცვლადების განცალკევების მეთოდით. განცალკევად ცვლადებში დაკვანტვამ მნიშვნელოვნად გაამრტივა ენერგეტიკული სპექტრის გამოთვლა.

ოპერატორების დალაგების არააცალსახობის თავიდან ასაცილებლად გამოყენებული იქნა სუპერსიმეტრიული მოსაზრებები. შედეგად მიღებული ენერგეტიკული სპექტრი დაბალი აღზნებებისთვის ემთხვევა საზოგადო კონფორმული თეორიით ნაწინასწარმეტყველებ შედეგს.

ამოცანა 1ბ

ლიუვილის ველის თეორიაში გამოკვლეული იქნა შვინგერ-დაისონის განტოლება და მის საფუძველზე გამოყვანილი იქნა განტოლება 3-წერტილოვანი კორელაციური ფუნქციის სტრუქტურული კონსტანტისათვის. მეორე ანალოგიური განტოლება მიღებული იქნა ლიუვილის თეორიის იმ დუალობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს კონსტანტა

ბ-ს იცვლებას 1/ბ -თი.

ორ განტოლებაზე დაყრდნობით, განალიზირებული იქნა სტრუქტურული კონსტანტის ცალსახობის საკითხი და მისი კავშირი ძმ შემოთავაზებასთან.

ამოცანა 1კ

სუპერსიმის კვანტური თეორია მინკოვსკის სივრცე-დროში გაანალიზირებული იქნა სტატიკირ ყალიბში. ნაჩვენებები იქნა, რომ, მსგავსად სინათლის კონუსის ყალიბისა, კრიტიკული გამზომილება 10-ის ტოლია.

ამოცანა 2. ინსტანტონური ამოხსნების შესწავლა ბრტყელ პოტენციალში

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ $O(4)$ -ინვარიანტული ინსტანტონური ამოხსნების არსებობა და თვისებები სკალარული ველის თეორიაში მინიმალური ბმით აინშტაინის გრავიტაციასთან ბრტყელი პოტენციალების შემთხვევაში, ანუ როცა სკალარული ველის პოტენციალის მეორე

წარმოებული მცირეა პოტენციალის მაქსიმუმთან. ჩვენ ვიპოვეთ სხვადასხვა ტიპის ამოხსნები: პოუკინგ-მოსს, სიმეტრიული და ასიმეტრიული კოლემან-დე ლუჩია, ოსცილირებადი ინსტანტონები, და აგრეთვე სხვა არასტანდარტული ამოხსნები დამატებითი უარყოფითი მოდებით ფლუქტუაციების სპექტრში. ჩვენი კვლევიდან სჩანს რომ ამ ამოხსნების სხვადასხვა შტოები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან კრიტიკული ინსტანტონების საშუალებით, რომლებსაც გაანიათ დამატებითი ნულოვანი მოდა. მთლიანობაში სასრულ ქმედებიანი ამოხსნების სივრცე ბრტყელ პოტენციურ ბარიერებში საოცრად მდიდარი და საინტერესოა. ჩვენ დავადგინეთ რომ კრიტიკული ინსტანტონები თამაშობენ საკვანძო როლს ამ ამოხსნების არსებობის შესწავლაში და თვისებების გაგებაში.

ამოცანა 3.ა

შესწავლილია სასრულ ტემპერატურებზე ფაზური გადასვლები კლასიკური ყოფაქცევიდან კვანტური ყოფაქცევის რეჟიმში. განხილულია სკალარული ველის მოდელი $SU(2)$ -სიმეტრიის დამრღვევი პოტენციური ენერჯით. ნაპოვნია ველის კლასიკური განტოლებების ზუსტი ამოხსნა სასრული ენერჯიებისთვის, რომელიც წარმოადგენს ველის პერიოდულ კონფიგურაციას და ენერჯიის მიხედვით ახორციელებს ინტერპოლაციას ვაკუუმსა და ბარიერის წვეროს შესაბამის მდგომარეობას შორის. ნაჩვენებია, რომ ასეთი კონფიგურაცია პასუხისმგებელია ფაზურ გადასვლებზე სასრული ტემპერატურებისთვის ველის კლასიკური ყოფაქცევიდან (ბოლცმანის განაწილების კანონი) კვანტურ ყოფაქცევაზე (პოტენციალური ბარიერის გაუონვა). ნაჩვენებია, რომ ადგილი აქვს მეორე გვარის ფაზურ გადასვლას. კრიტიკული ტემპერატურა შეესაბამება პოტენციალურ ბარიერს

ამოცანა 3ბ

გამოკვლეულია სკალარული ველის თეორია, რომლის პოტენციური ენერჯია არღვევს $SU(3)$ -სიმეტრიას $SU(2)$ სიმეტრიის დონეზე. სისტემის სტაციონარული მდგომარეობების შესასწავლად განხილულია შრედინგერის განტოლება. მის ამოსახსნელად გამოიყენება შეშფოთების თეორია. კანონიკური გარდაქმნების სასუალებით სიმეტრიის ჯგუფის პარამეტრები შემოტანილია, როგორც ფაზური სივრცის დინამიური ცვლადები. ნაჩვენებია, რომ სისტემის ენერგეტიკული სპექტრი იკვანტება თეორიის სიმეტრიის ჯგუფის ინვარიანტების შესაბამისად.

ამოცანა 4

ნაჩვენებია, რომ კვანტურ ქრომოდინამიკაში შესაძლებელია მასური პარამეტრის შემოტანა, რომელიც არ არღვევს ფერის $SU(3)$ სიმეტრიას. ეს საშუალებას იძლევა კვანტური ქრომოდინამიკის ინფრაწითელი სინგულარობები აკუმულირებულ იქნას გლუონის სრულ პროპაგატორში. ს სინგულარობები უფრო მკაცრად არის განმარტებული, ვიდრე თავისუფალი გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი სინგულარობები და წარმოიქმნება უმასო გლუონური მოდების თვითურთიერთქმედების გამო. ასური ღრიჭოს გარეშე ეს სინგულარობები ქრება და კვანტური ქრომოდინამიკა არის რეგულარული ნულში. მასური ღრიჭოს გადანორმირება განაწილების თეორიის შესაბამისად საშუალებას იძლევა ანალიზურად ჩამოყალიბდეს კონფაინმენტის გლუონური კრიტერიუმი გამომდინარე

პირველადი პრინციპებიდან.

ამოცანა 5. კვანტური ქრომოდინამიკის გამოკვლევა საშუალო და დაბალი ენერგიების არეში. სტანდარტული მოდელის პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობების დაზუსტება

კვანტურ ქრომოდინამიკაში გამოკვლეული იქნა ტაუ-ლეპტონის ინკლუზიური ადრონული დაშლები ვექტორულ (არა-უცნაურ) არხში. განვითარებული იქნა დისპერსიული შეშფოთების თეორია რომელიც თანმიმდევრულად ითვალისწინებს რენორმალიზაციურ ინვარიანტობას და ანალიზურობის პრინციპს. ახალ მიდგომაში ლანდაუს არაფიზიკური სინგულარობების არსებობა ეფექტურ მუხტში არ ქმნის თეორიულ წინააღმდეგობას. გამოყვანილი იქნა სასრულ ენერგიულ ჯამთა წესები რომლებიც აკავშირებენ თეორიის პარამეტრებს (ძლიერი ურთიერთმოქმედების α_s მუდმივას და ვაკუუმურ კონდენსატებს) ექსპერიმენტალურ მონაცემებთან. ჯამთა წესებში გამოყენებული იქნა ALEPH2005/2008 კოლაბორაციის ექსპერიმენტალური მონაცემები. პირველ ეტაპზე სპეციალურად შერჩეული ორი ჯამთა წესის გამოყენებით გამოთვლილი იქნა ძლიერი ურთიერთმოქმედების მუდმივა ტაუ-ლეპტონის სკალაზე და შეშფოთების თეორიის სასაზღვრო იმპულსის რიცხვითი სიდიდე დროისებრ არეში, მათი ექსპერიმენტალური ცთომილებებით. ამ შედეგის გამოყენებით სხვა ჯამთა წესებიდან გამოთვლილი იქნა ვაკუუმური კონდენსატების რიცხვითი მნიშვნელობები. გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია კონდენსატების ექსპერიმენტალური ცთომილებების გამოთვლა. კონდენსატის ნიშანი განისაზღვრა ფორმულით: $(-1)^{d/2}$ სადაც d კონდენსატის განზომილებაა. გამოთვლილი იქნა კონდენსატები განზომილებებით $d=4,6,8...16$.

გამოკვლეული იქნა ვილსონის ოპერატორული ნამრავლის გაშლის ასიმპტოტური მწკრივის კრებადობის ამოცანა ტაუ-ლეპტონის დაშლასთან ასოცირებული ადლერის ფუნქციისათვის. მწკრივის კრებადობა ტაუ-ლეპტონის მასის სკალაზე შეიმჩნევა თუ მწკრივში სავმარისად დიდი რაოდენობის ($d=30$ განზომილებამდე) წევრებს შევინარჩუნებთ. მიღებული რიცხვითი შეფასებები კონდენსატებისთვის ცთომილების ფარგლებში თავსებადია სხვა მეთოდებით მიღებულ შედეგებთან (თუმცა ჩვენ მივიღეთ უფრო დიდი რიცხვითი მნიშვნელობები).

ამოცანა 6. კიდურა მდგომარეობების კვლევა მჭიდრო ბმის მოდელებში

განვითარებულია მესერული მოდელების კიდურა მდგომარეობების კვლევის მეთოდი ჩებიშევის პოლინომების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით შესწავლილია სამკუთხა და კვადრატულ მესერებზე აგებული მჭიდრო ბმის ანიზოტროპული მოდელები. დადგენილია, რომ კიდურა მდგომარეობების წარმოიქმნება მესერის კიდის მხოლოდ ხერხისებრი ფორმის შემთხვევებში. განხილული სისტემებისათვის მიღებულია სხვადასხვა მახასიათებლები: პარამეტრების კრიტიკული მნიშვნელობები და სხვა.

ამოცანა 7. ზეგამტარული დენებისა და გოლდსტონის მოდების კვლევა ჰოლის ორშრიან სისტემებში

ჩამოყალიბებულია ეფექტური ჰამილტონიანის აგების სისტემატური მეთოდი ჰოლის ორშრიანი სისტემის სხვადასხვა (ფერომაგნიტური, სინგლეტური და ანტიფერომაგნიტური) ფაზებისათვის. ამ მეთოდის გამოყენებით გამოთვლილია აღნიშნულ სისტემებში გოლდსტონის მოდების დისპერსიული თანაფარდობები და კოჰერენტობის სიგრძეები. ნაჩვენებია, რომ შრეთაშორისი ტუნელირების ნულოვან ზღვარში ყალიბდება ერთი უმასო აგზნება რაც იწვევს ჯოზეფსონის ტიპის ზეგამტარული დენის ფორმირებას

ამოცანა 8.. კვარკებისგან შემდგარი მატერიის ყოფაქცევა სასრულ სიმკვრივების და ტემპერატურის შემთხვევაში. ფაზური გადასვლები მატერიის მდგომარეობების შორის.

ცნობილია რომ ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელი გადაუნორმავადია და ამიტომ ამ მოდელის ფარგლებში მიღებული მატერიის თვისებები დამოკიდებული რეგულარიზაციის პარამეტრზე. ნაჩვენებია, რომ ამის მიუხედავად შესაძლებელია ზოგიერთი თვისებების პარამეტრზე დამოუკიდებელი ანალიზი, თუ გამოიყენება განზომილებითი რეგულარიზაცია.

**III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სიმის ზედაპირები და ინტეგრებადი სტრუქტურები AdS/CFT შესაბამისობაში	გერმანული გრანტი 'VolkswagenStiftung'.	ჰარალდ დორნი	გიორგი ჯორჯაძე იან პლეფკა, ზურაბ კეპულაძე, ლუკა მეგრელიძე
2	“დენები კირალური ეფექტური ველის თეორიის რამდენიმე ნაწილაკის სექტორში” საგრანტო პროექტი № 11/31	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ხელმძღვანელი. ჯ. გეგელია თანახელმძღვანელი: ალექსანდრე კვინიხიძე	ალექსანდრე კვინიხიძე ბადრი მალრაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები ანოტაცია

ამოცანა 1ა

სივრცეში სიმის თეორიის წილაკის მაგვარი ამოხსნებისთვის შემოთავაზებული იქნა დაკვანტვის და ენერჯის სპექტრის გამოთვლის სქემა ჰუფტის ძლიერი ბმის კონსტანტისათვის. კლასიკური ამოხსნების აგება მოხდა ცხადი სახით კონფორმულ ყალიბში, მისი სრული ფიქსირებით.

ამოცანა 1ბ

SL(2,R)/U(1) კოსეტური მოდელი შესწავლილი იქნა ჰამილტონური რედუქციის ფარგლებში.

დეტალურად იქნა გაანალიზირებული ჰიპერბოლური სექტორი, ნაჩვენები იქნა ამ სისტემის სრული ინტეგრებადობა და კავშირი ლიუვილის თეორიასთან.

ამოცანა 2.

შესწავლილი იქნა ტაუ ლეპტონის ინკლუზიური ადრონული დაშლა **აქსიალურ** ვექტორულ (არაუცნაურ) არხში. კვანტური ქრომოდინამიკის რენორმ-ინვარიანტული-დისპერსიული მოდგომის გამოყენებით დამუშავებული იქნა ALEPH2005/2008 კოლაბორაციის ექსპერიმენტალური მონაცემები შესწორებული 2008–2010 წლებში. განსაზღვრული იქნა ძლიერი ურთიერთმოქმედების მუდმივას რიცხვითი მნიშვნელობა ტაუ ლეპტონის მასის სკალაზე. მიღებული მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა ვექტორული არხიდან მიღებულ შედეგთან. შეფასებული იქნა რომ კვარკ-ადრონული დუალობის ზღურბლის შესაბამისი ენერჯის სიდიდე აქსიალურ არხში. იგი გაცილებით უფრო პატარა აღმოჩნდა ვიდრე ვექტორულ არხის შესაბამისი ენერჯია.

ამოცანა 3

მიღებულ იქნა ინტეგრალური განტოლებები დეიტრონის სტრუქტურული ფუნქციებისთვის. ნაპოვნი იქნა რიცხობრივი ამონახსნები კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

დათვლილ იქნა დეიტრონის ელექტრომაგნიტური ფორმ-ფაქტორები.

მეზონის სამ ფოტონად დაშლის ამპლიტუდისთვის მიღებულ იქნა ყალიბურად ინვარიანტული გამოსახულება

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. კვინიხიძე	ყალიბური ინვარიანტობა პროცესების დინამიკის დადგენაში საქართველოს მათემატიკური საზოგადოების მე-4 საერთაშორისო კონფერენციის თეზისების კრებული	თბილისი	1
2	ა.კვინიხიძე	უწყვეტი კვანტური ქრომოდინამიკა, ყალიბური ინვარიანტობა და პროცესების დინამიკა, მე-7 საერთაშორისო კონფერენციის „ფიზიკა ადრონული კოლაიდერის ერაში“ შრომათა კრებულში	თბილისი	9
3	მ.ელიაშვილი, გ.ჯაფარიძე, გ.ციციშვილი	The quantum group and Harper equation on a honeycomb lattice	Proc. Intl. Conf. Lie groups, differential equations and geometry. (Batumi 2013) v1.pp 91-95	5
ანოტაციები				
1. წარმოდგენილია მეთოდი რომლის საშუალებით აიგება ყალიბურად ინვარიანტული ამპლიტუდები. ამ ამპლიტუდებში კვარკების დინამიკა გამოვლენილია ველის თეორიის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილებით				
2. განხილულია დინამიკური განტოლებების რამოდენიმე შემთხვევა სადაც გადაწყვეტილია ორმაგი თვლის პრობლემა. ეს პრობლემა წარმოადგენს ძირითად სიმძლეს უწყვეტ კვანტურ ქრომოდინამიკაში განტოლებების მიღების დროს,				

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. გოგოხია, გ. ბარნაფოლდი	Theory of mass gap მასური ღრის თეორია (ინგლისურ ენაზე)	სინგაპური, World scientific	207

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. კვინიხიძე	პროგრესი „უწყვეტი კვანტური ქრომოდინამიკის“ მიდგომაში	D31, ბირთვულ ფიზიკის საერთაშორისო სიმპოზიუმის (მუმბაი, ინდოეთი, 2-6/12, 2013) შრომების კრებულში	674-675

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	G. Jorjadze, C. Kalousios, Z. Kepuladze	Class. Quant. Grav. IF-3.562	30 (2013) 025015	IOP Publishing	12
2*	L.Battarra, G.Lavrelashvili and J.-L.Lehners	Zoology of instanton solutions in flat potential barriers, Phys. Rev. D	88 (2013) 104012	აშშ, ამერიკული ფიზიკური საზოგადოება	19
3*	ა. კვინიხიძე	რეგულარიზაციის პარამეტრზე დამოუკიდებელი ანალიზი ნამბუ-იონაოლაზინიოს მოდელში Regularization parameter independent analysis in NJL model	International Journal of Modern Physics A Vol.28, 31, page 1350164-1 (2013)	Singapore, New Jersey, London, Geneva. Word Scientific	16
4	M. Eliashvili, G. Tsitsishvili	<i>Algebraic aspects of the Hofstadter problem in graphene</i> Journal of Mathematical Sciences	193 (3)(2013)	Springer, NY	9pp
5*	Y. Hama, G. Tsitsishvili, and Z.F. Ezawa	“Spin supercurrent in the canted antiferromagnetic phase”, Phys. Rev.	B87, 104516		4 pp
6*	Y. Hama, Y. Hidaka, G. Tsitsishvili, and Z.F. Ezawa	“Goldstone modes in bilayer quantum Hall systems at $\nu=2$ ”, Journal of Physics: Conference Series	456, 012012		5 pp
7*	Y. Hama, G. Tsitsishvili, and Z.F. Ezawa	“Nambu-Goldstone modes and the Josephson supercurrent in the	2013		33 pp

		bilayer quantum Hall system”, Prog. Theor. Exp. Phys			
8*	V.Gerdt, S.Gogilidze, A.Khvedelidze, D.Mladenov, V.Sanadze,	Entanglement of spins under a strong laser influence, Physica Scripta T 153, 014026-5, (2013)	153, 014026-5, (2013)		

ანოტაციები

- რელატივისტური ნაწილაკის დინამიკა შესწავლილი იქნა $AdS_{N+1} \times S^M$ სივრცეში. კლასიკური თეორიის ასაღწერად გამოყენებული იქნა სტატიკურ ყალიბი, რომელსაც კვანტურ დონეზე მივყავართ კოორდინატულ წარმოდგენასთან სივრცით კოორდინატებზე დამოკიდებული ტალღური ფუნქციებით. აგებული იქნა ენერჯის კვადრატის ოპერატორი, რომელიც კვადრატულია ნაწილაკის იმპულსების მიმართ და შეიცავს სკალარული სიმრუდის წევრს. გაანალიზდა ამ ოპერატორის თვითშეუღლებადობა და გამოთვლილი იქნა მისი სპექტრი. შემდეგ აგებული იქნა სივრცის ობომეტრიის ჯგუფის უნიტარული წარმოდგენები და დადგინდა კვანტური თანაფარდობები კაზიმირის რიცხვებს შორის.
- ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ $O(4)$ -ინვარიანტული ინსტანტონური ამოხსნების არსებობა და თვისებები სკალარული ველის თეორიაში მინიმალური ბმით აინშტაინის გრავიტაციასთან ბრტყელი პოტენციალების შემთხვევაში, ანუ როცა სკალარული ველის პოტენციალის მეორე წარმოებული მცირეა პოტენციალის მაქსიმუმთან. ჩვენ ვიპოვეთ სხვადასხვა ტიპის ამოხსნები: პოუკინგ-მოსს, სიმეტრიული და ასიმეტრიული კოლემან-დე ლუნია, ოსცილირებადი ინსტანტონები, და აგრეთვე სხვა არასტანდარტული ამოხსნები დამატებითი უარყოფითი მოდებით ფლუქტუაციების სპექტრში. ჩვენი კვლევიდან სჩანს რომ ამ ამოხსნების სხვადასხვა შტოები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან კრიტიკული ინსტანტონების საშუალებით, რომლებსაც გააჩნიათ დამატებითი ნულოვანი მოდა. მთლიანობაში სასრულ ქმედებიანი ამოხსნების სივრცე ბრტყელ პოტენციურ ბარიერებში საოცრად მდიდარი და საინტერესოა. ჩვენ დავადგინეთ რომ კრიტიკული ინსტანტონები თამაშობენ საკვანძო როლს ამ ამოხსნების არსებობის შესწავლაში და თვისებების გაგებაში

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბ. ჯორჯაძე	1. String dynamics in static gauge	1. თბილისი, 15.03.2013 VW meeting
2	ბ. ჯორჯაძე	2-4	2. თბილისი, 24.09.2013 VW Workshop
	ბ. ჯორჯაძე	Static Gauge and Energy Spectrum of Single-mode Strings in $AdS_5 \times S^5$	3. თბილისი, 15.10.2013 Physics in the LHC Era
	ბ. ჯორჯაძე		4. თბილისი, 04.12.2013 რმი-ის კონფერენცია

3	ბ.მალრაძე	ტაუ-ლეპტონის დაშლების ანალიზი დისპერსიული მიდგომით კვანტურ ქრომოდინამიკაში გამოქვეყნდება მე-7 saertaSoriso კონფერენციის “Physics in the LHC Era” შრომებში	
4	ა. კვინიხიძე	მრავალი ნაწილაკის ურთიერთქმედების ამღწერი ფუნქციების კავშირი ერთი კვარკის გავრცელების ფუნქციასთან ა. რაზმაძის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია	2-6 დეკემბერი, 2013, თბილისი
5	ა. კვინიხიძე	ყალიბური ინვარიანტობა პროცესების დინამიკის დადგენაში, საქართველოს მათემატიკური საზოგადოების მე-4 საერთაშორისო კონფერენცია	9-15 სექტემბერი, 2013, ბათუმი
3. პროექტის ხელმძღვანელმა, ზაზა აბზიანიძემ, დაწერა ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია ლიბერალიზმის ეპოქა და მისი მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის.
4. პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა, ოთარ ჯანელიძემ, დაწერა ნაშრომი, რომელშიც მიმოიხილა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული და სოციალური სინამდვილე
3. პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა, თამაზ ვასაძემ, დაწერა ნაშრომი, რომელშიც წარმოაჩინა და გაანალიზა ლიბერალიზმის ზოგადსაკაცობრიო პოსტულატები
5. პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა, ქეთევან ელაშვილმა, დაწერა ნაშრომი, რომელშიც წარმოაჩინა მე-19 საუკუნის ლიბერალიზმის საკულტო ფიგურები; გაანალიზა, თუ რა გამოძახილი მოჰყვა ევროპისა და ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სოციალურ მოძრაობებს ქართულ მწერლობაში.
6. პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა, მაია ჯალიაშვილმა დაწერა ნაშრომი, რომელშიც გამოიკვლია ურთიერთმიმართება პიროვნებასა და მორალური მართლმსაჯულების ფენომენს შორის.
7. პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა, ქეთევან ნინიძემ, დაწერა ნაშრომი, რომელშიც გაანალიზა, როგორ წარიმართა სხვადასხვა თაობის, ე.წ. „მამებისა და შვილების ბრძოლა“ ქართული პრესის ფურცლებზე.

IV პუბლიკაციები:

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	რ. ჩოლოყაშვილი	წარსულიდან დანახული ნაცარქექიას არქეტიპული სახე, ლიტერატურული ძიებანი	XXXIV	თბილისი.: ”ლიტერატურის ინსტიტუტი”	7
ანოტაცია					
<p>ნაცარქექია დევების დამმარცხებელი, მთელი მათი ქონების დამსაკუთრებელი, სრულიად დამსახურებლად აღწევს ამ გამარჯვებას. ის ხომ მთელი დღე კერასთან ჯდომით და ნაცარში ჩხირით ქექვით იცავს ოჯახის მთავარ კომპონენტს, სადაც სრულდებოდა რელიგიური ცერემონიები; წმინდა ნაცარში კი უთუოდ გამოსახავდა მაგიურ ნიშნებს, რათა გამოეწვია ოჯახში სიუხვე და ნაყოფიერება. დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის საკრალურ ნივთებსაც, ნაცარქექიაც ხომ სახლიდან ხელცარიელი არ მიდის, როცა ასრულებს ოჯახში ”განტეგების ვაცის” ფუნქციას, თავის თავზე იღებს რა ოჯახის ცოდვებს, მიდის ”შინიდან” ”გარეთ”, რათა განახლებული დაბრუნდეს, რაც ოჯახის შემდგომი აღორძინებისთვის იყო აუცილებელი. ე.ი. ნაცარქექიას გამარჯვებას რწმენის ერთგულება განაპირობებს.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2.	ზ. აბზიანიძე	„ღუელის ფენომენი“ ჟურნ. „ისტორიანნი“	№ 3,4,5	თბილისი: „პალიტრა L“	18
ანოტაციები					
<p>ჟურნალ „ისტორიანის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ისტორიულ-ლიტერატურული სტატიების ციკლი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევარებს მისთვის პრაქტიკულად უცნობი კულტუროლოგიური ფენომენი გააცნოს: სამივე წერილში ავტორმა მიზნად დაისახა არა მხოლოდ მდიდრად ილუსტრირებული ისტორიული მასალა მოეხმო, არამედ ის ლიტერატურული მასალაც შეეხსენებინა მკითხველისათვის, რომელიც ამ დრამატულ ფენომენს მიეძღვნა.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	--	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

3.	ზ. აბზიანიძე	„ერნესტო ჩე გეგარა“ (ბოლოსიტყვაობა იოსებ ლავრეცკის წიგნისა „ერნესტო ჩე გეგარა“	„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“,	თბილისი გამ-ბა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, 2013	2
ანოტაცია					
<p>ბოლოსიტყვაობაში ლაკონურად შეჯამდა ჩეგეგარას ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. ამავე დროს ხაზი გაესვა ამ ისტორიული პიროვნების დამახასიათებელ თვისებებს, მისი ცხოვრების როგორც ნათელ ისე არცთუ სასურველ ეპიზოდებს. „ასი ადამიანის“ საგამომცემლო სერიის მთავარი რედაქტორის აზრით, ჩეგეგარას ბიოგრაფიის შეტანა საგამომცემლო ნუსხაში იმიტომაც იყო გამართლებული, რომ დღევანდელ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ შენებულა ინტერესი ამ რომანტიკული, მაგრამ იმავდროულად სასტიკი რევოლუციონერისადმი.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4.	ქ. ელაშვილი	1. სახელისუფლო ცნობიერების „რომანტიკული კოდი“, ძიებანი	XXXIV	თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი	
ანოტაცია					
<p>ჩვენი რომანტიკოსები, დიდგვაროვანი და კეთილშობილური წარმომავლობის გამო, არათუ მარტოოდენ თავისუფლებისმოყვარე მემამბოხე სულისკვეთებით გამოირჩევიან, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის ზნეობრივი პასუხისმგებლობის „ჯვარსაც“ ატარებენ. თუმცადა, სწორედ ეს განზოგადებული „სახელისუფლო რიტორიკა“ გარკვეულ ორაზროვნებას იწვევს და არაერთგვაროვან კითხვებს ბადებს რომანტიკული ტენდენციებით აღქმულ სახელისუფლო ფენომენის მიმართ.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5.	ქ. ელაშვილი	მარადიულობის სენტიმენტალიზმი (ნიკოლოზ ჩხობუას „მარადიული“). ლიტერატურს		თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი	

		დევნილობაში ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)			
ანოტაცია					
<p>მარადიულობა უსასრულობის უპასუხისმგებლობაში ერთგვარი ჰარმონიის შეგრძნებაა. ემოციის ამგვარმა განზოგადებამ შექმნა სწორედ ქართული ემიგრანტული მწერლობა ნიკოლოზ ჩხოტუას რომანი „მარადიული“ ეს ცხოვრების დასასრულის ლოგიკური გამოჯვანააა სიმბოლური „არაარსისგან“. და შესაბამისად, – სიკვდილის შემდგომი ამოსუნთქვით ილუსტრირებული...</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6.	ნ. რატიანი	ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ და სიტყვა „ფერის“ ხელახალი გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“. ლიტერატურა დევნილობაში ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)		თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი	
ანოტაცია					
<p>მოხსენებაში შევეცადე, არისტოტელეს ტექსტებზე დაყრდნობით, დამეანალიზებინა, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები „ძალა“ და „ფერი“ „ვეფხისტყაოსანში“. თუ კი რუსთველის პოემის პირველი სტროფის ჩემული წაკითხვა სწორია და ტექსტის ეს მონაკვეთი არისტოტელეს კონტექსტში უნდა გავიაზროთ, მაშინ გამოდის, რომ „რომელმან“ კი არ შექმნა ძლიერი ძალით სამყარო, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომელმან სამყარო შექმნა ძლიერი ძალით, ე. ი. ძლიერი ძალა სამყაროს და არა შემოქმედის კუთვნილებაა. ამ ორ წაკითხვაში კი სწორედაც რომ რუსთველისეული შეხედულება იკვეთება, იმის მიხედვით, თუ რომელ წაკითხვას მივანიჭებთ უპირატესობას. თუკი ძლიერი ძალა შემოქმედს ეკუთვნის, მაშინ, ჩემი აზრით, ამ ადგილის ბერძნულად ან ლათინურად გადატანისას, იკვეთება მოსაზრება, რომ შემოქმედი პოტენციით მოქმედებს, თანაც მას ძლიერი პოტენციის გარდა სუსტი პოტენციაც უნდა გააჩნდეს, რაც თეოლოგიურად მიუღებელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მე არისტოტელესეულ კონტექსტში წაკითხვას ვანიჭებ უპირატესობას და პირველი სტროფი ისე მესმის, როგორც ეს მანამდე განვმარტე. ასეა თუ ისე, დავარდევით ენის გრამატიკის კანონებს და წავიკითხავთ არისტოტელესეულ კონტექსტში თუ დავარდევით არისტოტელეს მოძღვრებას და წავიკითხავთ გრამატიკულად სწორად, მკითხველის არჩევანია.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7.	ნ. ბალანჩივაძე	სიტყვის მაგია და რიტუალი: ლიტერატურა დევნილობაში ემიგრანტების მწერლობა /მე-20 საუკუნის გამოცდილება/		თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი	5

ანოტაცია

ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მეღანქოლიური – ასეთი ვიყავი ბავშვობაშიო , წერდა გრიგოლ რობაქიძე. საბოლოოდ კი სწამდა და სჯეროდა, რომ ადამიანთა არსი ერთია ყველგან და ყოველთვის, ხოლო სახე მათი - ნაირნაირი.

ქართული საქმის გაგება მოითხოვს საქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მოითხოვს თავის მხრით გაგებას ცნებისა “ხალხი”. ხალხი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. არსად არ ცხადდება ეს ისე მკაფიოდ, როგორც ენაში ყოველი საგანი თუ მოვლენა ამსახველი სარკეა მეორე საგნისა თუ მოვლენისა. ენა ამზეურებს ამ საიდუმლოს - „სიტყვა ფიქრის სხეულია“.

გენია ქართული ხასიათისა რობაქიძისათვის ზეციური მადლია. ამიტომაც ნატრობს ხმამაღლა: "ნუ მოგაკლოს მადლი ზეციერმა, მუდამ იყავი: მზიური, მზიანი, მზეოსანი, მზეგრძელ! "წყაროს თვალი" არ დაიშრიტება.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8.	ე. ინწკირველი	და მოღალატე ქალის ფოლკლორული ტრანსფორმაციები სოლომონ ბრძენთან დაკავშირებულ ნარატივებში – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „კულტურათშორისი დიალოგები“ – შრომები	II	თელავი, 2013	

ანოტაცია

ბიბლიური სოლომონ ბრძენის მრავაცოლიანობისადმი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ფოლკლორში ავი დედაკაცის მოტივით არის ტრანსფორმირებული. ეს მოტივი, რომელიც საერთაშორისოა, გასდევს სოლომონის ციკლის თითქმის ყველა

თქმულებას. ნაშრომში ქართული ხალხური მასალის პარალელურად მოყვანილია ებრაული, უკრაინული, ძველი ფრანგული, რუსული, იტალიური და სხვა ხალხთა ფოლკლორული მასალები, რომელთა შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სოლომონის ხალხურ თქმულებებში ერთ-ერთი წარმმართველი – ავი დედაკაცის თემა, რომელიც ფოლკლორში უზნეო დედის ან მოღალატე ცოლის ვარიანტით არის წარმოდგენილი, ევროპაში შორეული აღმოსავლეთიდან უნდა შემოსულიყო შუა საუკუნეებში ხალხთა და კულტურათა მიგრაციის შედეგად.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9.	ე. ინწკირველი	სემიოტიკური ცენტრის დინამიკა „ნაცარქექიას“ ზღაპარში – სამეცნიერო ჟურნ. „სემიოტიკა“;	XIII	თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში ქართული ხალხური ზღაპრის – „ნაცარქექიას“ მაგალითზე განხილულია სემიოტიკური ცენტრის დინამიკის საკითხი. კერიასთან მჯდომი გმირის, რომელიც კარგად ფლობს სემიოტიკური ცენტრის სტრუქტურას, ქმედება მიმართულია ცენტრიდან პერიფერიისკენ. ზღურბლის გადალახვით გმირი იწყებს პერიფერიის ათვისებას, რაც ახალი სემიოტიკური ცენტრების კონსტრუირებით არის მოტივირებული (მდინარესთან, დევის სახლში – კერია და ჭერი, ეზოში – ღვინის ქვევრი). გმირის ფუნქცია – კერიის მფარველი ქალღმერთის ქურუმობა – გამართლებულია იმითაც, რომ ზღაპარი არ მთავრდება ქორწილით. პირიქით, გმირი სწორედ საიდუმლო ქორწილიდან გამოდის, გადალახავს რა სახლის ზღურბლს.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10.	ე. ინწკირველი	სიკვდილ- სიცოცხლის მეტაფორები ქართულ ხალხურ „იობის ლექსში“ – წელიწადეული	V	ქუთაისი, 2013.	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობისა და განუყოფლობის საკითხი მოცემულია სამი ტექსტის – ბიბლიური „იობის წიგნის“, აპოკრიფული „იობის ანდერძის“ და ქართული ხალხური „იობის ლექსის“ – ურთიერთმიმართების საფუძველზე. ქართული ხალხური ლექსის, ებრაული ორიგინალისა და ბერძნული აპოკრიფის შედარებითა ანალიზმა გამოკვეთა, რომ ქართული ფოლკლორის წერილობითი წყარო მხოლოდ ბიბლია არ ყოფილა და ის აპოკრიფული სიუჟეტებით არის</p>					

გაჯერებული. სიხლეს ქართულ ხალხურ ლექსში კი ქმნის სიკვდილ-სიცოცხლის მეტაფორების სიჭარბე, რაც თავის მხრივ ფოლკლორული ტრადიციით არის განპირობებული. სიკვდილ-სიცოცხლის მეტაფორები „იობის ლექსში“ მოცემულია ავადმყოფობის, შიმშილის, მატლის, ფუტკრის, მანანის ფოთლის, აბრეშუმის ჭიისა და პარკის, თესლისა და პეპლის სახით. მეტაფორების თანმიმდევრული გააზრებით ცხადი ხდება, რომ იობის ტანჯვა და სიკვდილი, სინამდვილეში მის ახლად დაბადებას მოასწავებს და ხალხში სიკვდილის შემდეგ კვლავ დაბადების რწმენის გაძლიერებას ემსახურება.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11.	ი. ყველაშვილი	თვითშეწირვის ფუნქცია გრ. რობაქიძის “იმამ შამილში”., ლიტერატურა დევნილობაში ემიგრანტების მწერლობა / მე-20 საუკუნის გამოცდილება/		თბილისი.: ”შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი”	5
ანოტაცია					
<p>როგორც მსხვერპლშეწირვის, ასევე თვითშეწირვის კოსმოგონიური აქტის კონცეფცია ხელახლა დაბადების, განახლების იდეაში მდგომარეობს. “იმამ შამილში” თვითშეწირვით ხდება დარღვეული წესრიგის აღდგენა, რომლის უმთავრესი ფუნქცია არის ის, რომ პიროვნება დაუბრუნდეს საწყისს, ახალ სიცოცხლეს. შამილის თვითშეწირვის ნებაყოფლობით აქტს ზნეობრივი მაგალითის მნიშვნელობაც აქვს. აქ მთავარია არა პროცესის ბოლომდე მიყვანა, არამედ ნება და განწყობის სურვილი. თვითშეწირვით გმირს უჩნდება ხელახლა წარმოშობის უნარი. თვითდასჯის რიტუალით ხდება განახლება, კვლავ გმირად ქცევა, რომელსაც ავტორი გვიხატავს კენტავრად, როგორც უდიდესი ენერჯის და პირველყოფილ ძალთა სიმბოლოს.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12.	ე. ჩხეიძე	გრიგოლ რობაქიძე ბოლშევიზმის არსის შესახებ (კალე სალიას ინტერვიუს მიხედვით) „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის		თბილისი.: ”შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი”.	

	გამოცდილება“			
ანოტაცია				
<p>1953 წლის 2 თებერვალს კ. სალიამ გრიგოლ რობაქიძისაგან აიღო ინტერვიუ ჟურნალისტისთვის „ბედი ქართლისა“. ინტერვიუს დასრულების შემდეგ კ. სალია წერდა: „ბევრი გამოკვლევები წამიკითხავს ბოლშევიზმზე, ბევრი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და გაგება, როგორც ბ. გრიგოლისგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ბოლშევიზმის დემონურ მარწუხებში მოქცეული ადამიანის სული გრაფიკულად წააგავს ციფრს – 8, რადგან: „ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორ ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს – გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას“. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ადამიანის ღვთიური არსიც (მისი სულის გაურყვნელი ნაწილიც) და მისივე სულის ბოლშევიზმის მიერ გახრწნილი ნაწილიც ვერ იქცევა (თუ ისევ გრაფიკულად გამოვსახავთ) წრედ – 0-ად. იქ მაინც რჩება 8-ის მეორე ნახევარი, როგორც საბჭოთა სინამდვილეში ადამიანის გაორებული შინაგანი სამყაროს ნათელი დადასტურება.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
13.	მ. ტურაშვილი	„ერთი ემიგრანტული გაზეთის – ელადა – ისტორია“, „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“		თბილისი: „შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი“.	
ანოტაციები					
<p>მიგრაცია თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.</p> <p>ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე პერიოდზე, რადგან საქართველო სწორედ ამ დროიდან ხდება მიგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე, რაც საბჭოთა კავშირის სივრცის რღვევისას წარმოქმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის იყო გამოწვეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიგრაციული პროცესები საქართველოდან საბერძნეთში.</p> <p>ბოლო მონაცემებით საქართველოდან საბერძნეთში წასულია 100 000-დან 150 000-მდე მოქალაქე, შესაბამისად ქართული სათვისტომო იქ უფრო მრავალრიცხოვანია. მათ საბერძნეთში პატარა საქართველო აქვთ. ეკლესია, კულტურის ცენტრი და გაზეთი - „ელადა“, რომლის დამფუძნებელი, რედაქტორი და სულის ჩამდგმელი ქართველი ემიგრანტი ქალბატონი ანა ყურშაიშვილია.</p> <p>მრავალრიცხოვანი გაზეთი „ელადა“ ქართულ-ბერძნულ პუბლიცისტიკურ სარბიელზე 2002 წლიდან დღემდე გამოდის. რედაქტორი მტკივნეულად იხსენებს თითოეული ნომრის შექმნის ისტორიას.</p> <p>გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები უმეტესწილად ქალები არიან. თითოეული მათგანისთვის გაზეთის ოცდაოთხი გვერდი საკუთარი განცდების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური,	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების
---	---------	------------------	-----------	-----------	-----------

	ავტორები	ჟურნალის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
14.	ო. ონიანი	ქრისტიანული მითოსური პერსონაჟები (წმინდა გიორგი) სენურ ზეპირსიტყვიერებაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	№ 9-10	ქუთაისი, „ინტელექტი“	13
ანოტაცია					
<p>წმინდა გიორგიზე არსებული სენური მითოსური გადმოცემების მეცნიერული მნიშვნელობა განსაკუთრებულია. მათზე დამყარებით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მთავარმოწამეზე არსებული წყაროების ხალხურში გადასვლისა და მითადქმნდობის პროცესს, ასევე წმინდანად გარდაქმნა-ჩამოყალიბების გზებსა და საფაზურებს, ცად ამადლებას... მამადმერთმა, მაცხოვარმა, მიქაელ მთავარ ანგელოზმა და იოვანე ნათლისმცემელმა იგი ზენა საუფლოში აიყვანეს, ანგელოზად გარდასახეს და დააჯილდოვეს ადამიანთა მფარველობის ძალმოსილებით. „ჯგრაგი“, წმ. გიორგი სენური ჯადოსნური ზღაპრების და საერთოდ ფოლკლორული ჟანრების აქტიური პერსონაჟია... ადამიანები გასაჭირის ჟამს მას შესთხოვენ შეველას...</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
15.	ო. ონიანი	საინტერესო ნაშრომი ქართული ხალხური ეპოსის მცოდნეობაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „განათლება“	№ 3	თბილისი: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“.	8
ანოტაცია					
<p>თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის ნაშრომში, პირველად ქართულ ფოლკლორისტიკაში, გამოვლენილი და დადგენილია ქართულ-კახეთის მეფის ერეკლე II -ის შესახებ შექმნილი ხალხურ ეპოსის ტექსტები. გარკვეულია, რომ ერეკლეს ეპოსი შინაარსით საგმირო-ისტორიულია, ხოლო სტრუქტურით ციკლური...</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
16.	დ. ბედიანიძე	მითოსურ-ფოლკლორული	1-2	ქუთაისი, „ინტელექტი“	6

		ნაკადი ოთარ ჩხეიძის რომანში "ნაკრძალი", გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი			
ანოტაცია					
<p>ოთარ ჩხეიძე არაერთგზის მიმართავს როგორც ქართულ, ასევე ანტიკურ ფოლკლორს და მითოსს, იყენებს მათ რიგ შემთხვევებში ამა თუ იმ პერსონაჟის დასახასიათებლად, რიგ შემთხვევებში კი ქვეტექსტის შესაქმნელად. ყველაზე ხშირად მასთან გვხვდება შემოქმედებითად ათვისებული ქართული ანდაზები.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
17.	დ. ბელიანიძე	ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი ტიციან ტაბიძის პოეზიაში; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი	7-8	ქუთაისი, „ინტელექტი“	6
ანოტაცია					
<p>ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი ტიციან ტაბიძის პოეზიის მასაზრდოებელი წყაროა. ტიციან ტაბიძე იღებს მითოსურ პერსონაჟებს და სახეებს და მათი საშუალებით გამოხატავს თავის თანამედროვეობასშირ შემთხვევაში პარალელები დაუდგენელია, თუ რას ან ვის გულისხმობს მითოსურ-ფოლკლორულ მასალაში, რომელსაც იყენებს თავის შემოქმედებაში.</p>					

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
18.	დ. ბელიანიძე	”ვთენდები ახლა” (მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი კატო ჯავახიშვილის პოეზიაში). ლიტერატურული პალიტრა.	№3	თბილისი	5
ანოტაცია					

კატო ჯავახიშვილი ქართულ პოეზიაში შედარებით ახალი სახელია. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ის, რომ გარდა ჩვენი თანამედროვეობისა, მის ლექსებში არის ფოლკლორი, ქართული სიტყვა-თქმები და ანდაზები, რომლებიც მას შემოქმედებითად აუთენსებია.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქეთევან ელაშვილი,	ცისა ფერის მხატვრული დიაპაზონი „ცისფერყანწელებთან“ (ვალერიან გაფრინდაშვილი),	ლექსმცოდნეობა, V, ცისფერყანწელებისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეექვსე სამეცნიერო სესია (მასალები).	თბ., 2012	6
ანოტაციები					
<p>ფერი თვალსაწიერის შეუცნობელი ემოციაა, – მძაფრად მომნუსხავი და იმპულსური, სრულიად მოუხელთებელი და დაუმორჩილებელი. ქართული ეთნოკულტურასა თუ ეთნოფსიქოლოგიაში ლურჯი ფერის მხატვრული დიაპაზონი ერთგვარად მიტაცებული აქვს ცისფერს, რომელიც ლურჯი ფერისგან განსხვავებით დაცლილია ყოველგვარი მისტიკურობისა, იდუმალებისგან, უსასრულობისგან, და, რაც მთავარია, – „მომხიბლავი არაარსის“ განცდისგან. ეს ფერთამეტყველების ერთგვარი ცდომილება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში მკვეთრად იკვეთება, – სიმბოლური თვალსაწიერის გამძაფრების გამო.</p>					

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების
---	-----------------	----------	-------------------	-----------

	სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1			
2			
3			
ანოტაციები			

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამომცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					

ანოტაციები

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ. ჩოლოყაშვილი	მელიის მხატვრული სახის ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013 წ. თბილისი.

მომხსენებათა ანოტაციები

მელია ფოლკლორში მრავალფეროვან სახეს ქმნის და გვხვდება, როგორც ზღაპრული ეპოსის სამივე ქვეჟანრში (ჯადოსნურ, ნოველისტურ, ცხოველთა ზღაპრებში), ასევე პოეზიაში, თუმცა ძირითადად მაინც ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირია. აქ ხუთი ტიპის ზღაპრებში გვხვდება: პირველში ტრიქსტერია - თავისზე ძლიერის დამმარცხებელი; მეორეში ფრინველებთან მარცხდება; მესამეში დამოუკიდებლად ვეღარ აღწევს მიზანს და დამხმარეს უხმობს; მეოთხეში მოსამართლეა და კაცის მხსნელი; მეხუთეში მიწათმოქმედების მოტივთან არიას დაკავშირებული. ხშირად მცენარეულ საკვებს ეტანება (ვახს, მარცვლეულს), რასაც უკვე საკრალური დანიშნულება აქვს. ასეა პოეზიაშიც, აქ იგი ხილბოსტნეულსაც მიერთმევს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	ზ. აბზიანიძე	ემიგრაცია, როგორც კულტურის ფენომენი	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევენილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.

მომხსენებათა ანოტაციები

ჩვენთვის საინტერესო თემის რამდენიმე ასპექტი არსებობს: 1. ამა თუ იმ ემიგრანტული კულტურის შესწავლა შესაძლებელია, როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი ფენომენის, წარმოშობისა და განვითარების იმანენტური კანონზომიერებებითა და ციკლით; 2. კიდევ ერთი ასპექტი ემიგრანტული კულტურისა გახლავთ მისი კავშირი და ზეგავლენა მშობლიურ კულტურაზე; 3. დაბოლოს, არსებობდნენ ემიგრანტული კულტურები, რომელნიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ „მასპინძელი ქვეყნის“ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაზე.

ამ ასპექტების შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს არა მხოლოდ გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი მაგალითები, ვთქვათ, „ემიგრანტულ კულტურათა“ კალედისკოპისა ამერიკულ სინამდვილეში და თავის მხრივ, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკელთა კულტურული ექსპანსიისა საფრანგეთში, არამედ განვაზოგადოდ ცალკეული კულტურულ-ისტორიული რეალიები და წარმოვისახოთ ემიგრანტული კულტურის უნივერსალური მოდელი, რომელშიც თავისი ადგილი მოეძებნება ქართულ ემიგრანტულ კულტურასაც.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
3	ნ. რატიანი	ზოგიერთი მხატვრული სახის ტრანსფორმაციის რამდენიმე ასპექტი აკვნის სინდერებში	ფოლკლორისკთა სამეცნიერო კონფერენცია, 3-4 ივნისი, 2013 წ. თბილისი

მოსხენებათა ანოტაციები

არაერთმა სამეცნიერო კვლევამ აჩვენა და დაადგინა, რომ აკვნის სიმღერების ერთი ჯგუფი მომდინარეობს ბავშვთა ინფექციური დაავადებების, ე. წ. ბატონების, დროს შესასრულებელი საწესჩვეულებო სიმღერებიდან.

ადრეულ სტადიაზე ყოფაში არსებული სინამდვილე აისახება რიტუალურ ტექსტში, შემდეგ ეს ტექსტი განიცდის გარკვეულ ცვლილებას, ბოლოს კი შეცვლილი ტექსტის „წყალობით“, პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიც იცვლება და ახალი წესის სახეს იღებს. ამ პროცესში მთავარი „დამნაშავე“ კი ტექსტის მხატვრული სახეა. მოხსენებაში სწორედ ამ მიმართების კვლევის შედეგებს წარმოვადგენ.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
4	ნ. რატიანი	ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ და სიტყვა „ფერის“ ხელახალი გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.

მოსხენებათა ანოტაციები

მოსხენებაში შევეცადე, არისტოტელეს ტექსტებზე დაყრდნობით, დამეანალიზებინა, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები „ძალა“ და „ფერი“ „ვეფხისტყაოსანში“. თუ კი რუსთველის პოემის პირველი სტროფის ჩემეული წაკითხვა სწორია და ტექსტის ეს მონაკვეთი არისტოტელეს კონტექსტში უნდა გავიაზროთ, მაშინ გამოდის, რომ „რომელმან“ კი არ შექმნა ძლიერი ძალით სამყარო, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომელმან სამყარო შექმნა ძლიერი ძალით, ე. ი. ძლიერი ძალა სამყაროს და არა შემოქმედის კუთვნილებაა. ამ ორ წაკითხვაში კი სწორედაც რომ რუსთველისეული

შეხედულება იკვეთება, იმის მიხედვით, თუ რომელ წაკითხვას მივანიჭებთ უპირატესობას. თუკი ძლიერი ძალა შემოქმედს ეკუთვნის, მაშინ, ჩემი აზრით, ამ ადგილის ბერძნულად ან ლათინურად გადატანისას, იკვეთება მოსაზრება, რომ შემოქმედი პოტენციით მოქმედებს, თანაც მას ძლიერი პოტენციის გარდა სუსტი პოტენციაც უნდა გააჩნდეს, რაც თეოლოგიურად მიუღებელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მე არისტოტელესეულ კონტექსტში წაკითხვას ვანიჭებ უპირატესობას და პირველი სტროფი ისე მესმის, როგორც ეს მანამდე განვმარტე. ასეა თუ ისე, დავარღვევთ ენის გრამატიკის კანონებს და წავიკითხავთ არისტოტელესეულ კონტექსტში თუ დავარღვევთ არისტოტელეს მოძღვრებას და წავიკითხავთ გრამატიკულად სწორად, მკითხველის არჩევანია.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	ნ. რატიანი	დაგვიანებული შეკითხვები	ქუთაისი. 2013 წ.

მოხსენებათა ანოტაციები

ძვ. წ. 399 წელს ათენში გაიმართა სასამართლო პროცესი. ასამართლებდნენ ფილოსოფოს სოკრატეს. ბრალდების მხარეს სამი ათენელი მოქალაქე წარმოადგენდა. სოკრატეს, პოეტა, ხელოსანთა და ორატორთა სახელით, ბრალს სდებდნენ ახალგაზრდების გარყვანასა და ოფიციალურად აღიარებული ღმერთების უარყოფაში. მელეტოსი, რომელიც პოეტთა მხარეს იცავდა, ერთ-ერთ მტკიცებულებად არისტოფანეს კომედია “ღრუბლებს” იყენებდა. უცნაურია, რომ სასამართლო პროცესზე არავის გასჩენია შეკითხვა იმის გამო, რომ ძირითადად მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟს ედებოდა ბრალი და არა რეალურად არსებულ ადამიანს. კომედია, რომელიც 423 წლის დიონისიებზე დაიდგა, არისტოფანეს წარმატება ვერ მოუტანა. თუმცა ცნობილია, რომ უცხოელი მაყურებლები გაკვირვებულები კითხულობდნენ, ვინ იყო კომედიაში ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოყვანილი სოკრატე. დამსწრეების რეპლიკებისა და მისკენ გამოშვებული თითებით დადღილი სოკრატე ფეხზე უხმოდ ამდგარა და ამ ქმედებით გაუცია პასუხი მომაბეზრებელი მაყურებლისთვის.

416 წელს, ანუ კომედიის დადგმიდან შვიდი წლის შემდეგ, არისტოფანე და სოკრატე აგათონის მიერ გამართულ ნადიმზე შეხვდნენ ერთმანეთს. ამ ნადიმზე სტუმრებმა სიყვარულის სადიდებელი სიტყვები წარმოთქვეს. დასასრულს დარბაზში შეზარხოშებული ალკიბიადე შემოიჭრა და სოკრატეს ახალგაზრდების შეცდენაში დასდო ბრალი. ამ დროს ათენსა და სპარტას შორის, პელოპონესის ომის სახელით ცნობილი, ოცდაათწლიანი ომი მიმდინარეობდა. აგათონის წვეულებიდან ერთი წლის შემდეგ ალკიბიადე მტრის ბანაკში გადავიდა და ამის გამო ათენში ძალიან აქტუალური გახდა იმის განხილვა, თუ რა მოხდა წვეულებაზე, ხომ არ ითქვა იქ ისეთი რამ, რამაც ალკიბიადეს დალატისკენ უბიძგა. ალბათ, ამიტომაც შექმნა პლატონმა დიალოგი “ნადიმი”. ავტორს მოსახლეობისთვის საინტერესო ამბების გადმოცემა უფრო აინტერესებდა და არა ის, რაც მისი დასრულების შემდეგ მოხდა. დადღილ სტუმრებს ჩასძინებოდათ, სოკრატე და არისტოფანე კი დიალოგს განაგრძობდნენ. ჩვენ არ ვიცით, მათი საუბარი როგორ წარმომართა, მაგრამ ვიცით, რომ სოკრატე არისტოფანეს უმტკიცებდა, როგორ შეიძლება კომედიის ავტორი გადაიქცეს ტრაგედიის შემქმნელად. ჩემი აზრით, ესაა სოკრატეს წინასწარმეტველება, როგორ შეიძლება სრულიად უწყინრად შექმნილი კომედია “ღრუბლები” გადაქცეულიყო ერთი პიროვნებისთვის ტრაგედიად.

ნებისმიერ შეკითხვას ადრესატი ჰყავს. ჩემს შეკითხვებს, რამდენად იყო დამნაშავე არისტოფანე, როდესაც მისი კომედია გამოიყენა ბრალდების მხარემ მტკიცებულებად ან რატომ დახუჭა თვალი სასამართლომ უსუსურ მტკიცებულებაზე, ვერ ეყოლება მოპასუხე. ამიტომ შევეცდები, შეკითხვას პასუხი ჩემს ხელთ არსებული მასალიდან (სამი ავტორის ოთხი ტექსტი) გამომდინარე თავადვე გავცე.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	ნ. ბალანჩივაძე	ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა	ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013წ. თბილისი.

მოსხენებათა ანოტაციები

ადამიანის შეხედულებამ ცხოვრების შესახებ, მიწიერმაც და ამაღლებულმაც, ფერიცვალება განიცადა, ვიდრე საკუთარი "მდგრადი" და უცვლელი იერით დამკვიდრდებოდა ძე ხორციელის ცნობიერებაში.

გოდერძი ჩოხელი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში ჩამოვიდა გუდამყრიდან და მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა, თუმცა მთელი არსებით მიჯაჭვული იყო იმ კუთხესთან, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ბევრი ამას ნაკლად უთვლიდა: "რით ვერ მოსწყდა თავის ჩოხსა და გუდამყარსო!" მაგრამ იმას კი აღარ ამბობდნენ, რომ ამას შეგნებულად აკეთებდა.

"სიყვარული და უპირველესად სიყვარული გადაარჩენს ამ ქვეყანას"-ეს არის გოდერძი ჩოხელის რწმენა და ცხოვრებისეული კრედი.

ამიტომაც დღესაც აღსარებად უნდა ჩაითვალოს მისი სიტყვები: "ისე ნუ გააფერმკთალებ დედაშვილობის მადლს, ისე ნუ მოგვაკლებ სიყვარულს, რომ დევებს უფრო ვეცოდებოდეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის, ვიდრე ჩვენ ერთიმეორე".

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
7	ნ. ბალანჩივაძე	სიტყვის მაგია და რიტუალი	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევენილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.

მოსხენებათა ანოტაციები

ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მეღანქოლიური – ასეთი ვიყავი ბავშვობაშიო, წერდა გრიგოლ რობაქიძე. საბოლოოდ კი სწამდა და სჯეროდა, რომ ადამიანთა არსი ერთია ყველგან და ყოველთვის, ხოლო სახე მათი - ნაირნაირი.

ქართული საქმის გაგება მოითხოვს საქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მოითხოვს თავის მხრით გაგებას ცნებისა “ხალხი”. ხალხი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. არსად არ ცხადდება ეს ისე მკაფიოდ, როგორც ენაში ყოველი საგანი თუ მოვლენა ამსახველი სარკეა მეორე საგნისა თუ მოვლენისა. ენა ამხეურებს ამ საიდუმლოს - „სიტყვა ფიქრის სხეულია“.

გენია ქართული ხასიათისა რობაქიძისათვის ზეციური მადლია. ამიტომაც ნატრობს ხმამაღლა: "ნუ მოგაკლოს მადლი ზეციერმა, მუდამ იყავი: მზიური, მზიანი, მზეოსანი, მზეგრძელ! "წყაროს თვალი" არ დაიშრიტება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
8	ე. ჩხეიძე	გრიგოლ რობაქიძე ბოლშევიზმის არსის შესახებ (კალე სალიას ინტერვიუს მიხედვით)	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევენილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“.

			2013წ. თბილისი.
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>1953 წლის 2 თებერვალს კ. სალიამ გრიგოლ რობაქიძისაგან აიღო ინტერვიუ ჟურნალისტისთვის „ბედი ქართლისა“. ინტერვიუს დასრულების შემდეგ კ. სალია წერდა: „ბევრი გამოკვლევები წამიკითხავს ბოლშევიზმზე, ბევრი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და გაგება, როგორც ბ. გრიგოლისგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ბოლშევიზმის დემონურ მარწუხებში მოქცეული ადამიანის სული გრაფიკულად წააგავს ციფრს – 8, რადგან: „ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორ ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს – გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას“. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ადამიანის ღვთიური არსიც (მისი სულის გაურყვნელი ნაწილიც) და მისივე სულის ბოლშევიზმის მიერ გახრწნილი ნაწილიც ვერ იქცევა (თუ ისევ გრაფიკულად გამოვსახავთ) წრედ – 0-ად. იქ მაინც რჩება 8-ის მეორე ნახევარი, როგორც საბჭოთა სინამდვილეში ადამიანის გაორებული შინაგანი სამყაროს ნათელი დადასტურება.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9	ე. ჩხეიძე	სატრფიალო ღირიკის სახე- სიმბოლოები (ვარდის მხატვრული ფუნქცია)	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013 წ. თბილისი.

<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>ვარდის სიმბოლიკას ქართულ ხალხურ პოეზიაში გამორჩეული ადგილი უკავია (განსაკუთრებით სატრფიალო ღირიკისთვისაა დამახასიათებელი). ვარდის სიმბოლიკის კვლევა ქართულ ხალხურ პოეზიაში შემდგნაირ სურათს წარმოგვიდგენს თვალწინ: ვარდი არის სიცოცხლისა და სიყვარულის სიმბოლო, ქალის სილამაზე, მშვენიერება, სიწმინდის გამოხატვა, სურნელება, ყვავილი და განშორების ნიშანი. ეს მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები, პარალელები ხალხურ ლექსებში ქალის ფიზიკური სილამაზის, მშვენიერების გამოხატვას ემსახურება: პირვარდი, დილის ვარდი, მაისის ვარდი, სამოთხის ვარდი, გაშლილი ვარდი, ედემის ვარდი, ვარდის კონა და სხვ. ვარდისფერი სილამაზის ფერია. თეთრი ვარდი უბიწოების, სიწმინდის სიმბოლოა, ხოლო წითელი კი – ვნებისა და ღტოლვის. ამასთანავე ის განასახიერებს დაღვრილ სისხლს, განცდას, სიკვდილსა და აღორძინებას. ქრისტიანებისათვის მეწამული ვარდის ფერი არის სისხლის, თვითონ ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლო. ხალხურ პოეზიაში ვარდის სახელთან დაკავშირებული ქრისტიანული სიმბოლიკა თითქმის არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ქალის შედარებას ედემის, იგივე სამოთხის ვარდთან, მაგალითად: „ქალო, გაშლილ ვარდს გამსგავსე, ედემში მსხმოიარესა“ ან „ედემ ბაღნარის ვარდი ხარ და სილამაზით ყვავიხარ“ და სხვ. მაგრამ ამ ლექსებშიც სიტყვა „ედემს“ უფრო გადატანითი მნიშვნელობა აქვს და იგულისხმება თვალწარმტაცი, ყველაფრით შემკობილი ადგილი. ტრადიციული ფორმულები – „ვარდის აკრეფა“, „ვარდის გაშლა“, „ვარდის დაფენა“ – სატრფიალო პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკაა. „ვარდის წყლის“, „ვარდის ნაბანის“ ერთმანეთისთვის გადასხმა სატრფიალო ღირიკაში სიყვარულის შეთვლის, სიყვარულის გაუღავნების ნიშანია.</p>			
--	--	--	--

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
10	ი. ყველაშვილი	თვითშეწირვის ფუნქცია გრ.	მე-7 საერთაშორისო

		რობაქიდის “იმამ შამილში”	სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.
--	--	--------------------------	--

მოხსენებათა ანოტაციები

როგორც მსხვერპლშეწირვის, ასევე თვითშეწირვის კოსმოგონიური აქტის კონცეფცია ხელახლა დაბადების, განახლების იდეაში მდგომარეობს. “იმამ შამილში” თვითშეწირვით ხდება დარღვეული წესრიგის აღდგენა, რომლის უმთავრესი ფუნქცია არის ის, რომ პიროვნება დაუბრუნდეს საწყისს, ახალ სიცოცხლეს. შამილის თვითშეწირვის ნებაყოფლობით აქტს ზნეობრივი მაგალითის მნიშვნელობაც აქვს. აქ მთავარია არა პროცესის ბოლომდე მიყვანა, არამედ ნება და განწყობის სურვილი. თვითშეწირვით გმირს უჩნდება ხელახლა წარმოშობის უნარი. თვითდასჯის რიტუალით ხდება განახლება, კვლავ გმირად ქცევა, რომელსაც ავტორი გვიხატავს კენტავრად, როგორც უდიდესი ენერჯის და პირველყოფილ ძალთა სიმბოლოს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	ქ. ელაშვილი	მარადიულობის სენტიმენტალიზმი (ნიკოლოზ ჩხოტუას „მარადიული“)	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.

მოხსენებათა ანოტაციები

მარადიულობა უსასრულობის უპასუხისმგებლობაში ერთგვარი ჰარმონიის შეგრძნებაა. ემოციის ამგვარმა განზოგადებამ შექმნა სწორედ ქართული ემიგრანტული მწერლობა

ნიკოლოზ ჩხოტუას რომანი „მარადიული“ ეს ცხოვრების დასასრულის ლოგიკური გამიჯვნააა სიმბოლური „არაარსისგან“. და შესაბამისად, – სიკვდილის შემდგომი ამოსუნთქვით ილუსტრირებული..

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
12	ქ. ელაშვილი	დედა-დედოფლის სახელისუფლო დიაპაზონი ჯადოსნურ ზღაპარსა თუ ლიტერატურულ ძეგლში	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013 წ. თბილისი.

მოხსენებათა ანოტაციები

საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად ქართველ დედოფალთა საოცარი ისტორიული პორტრეტებისა მხატვრულ აზროვნებაში ეს ფენომენი მეტ-ნაკლებად რეპრესირებული თუ ტაბუირებული სახითაა წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, საოცარია, რომ ამ თვალსაზრისით ერთგვარი ვაკუუმი ქართულ მხატვრულ აზროვნებაში.

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების
---	---------------	--------------------	-------------------

	მომხსენებლები		დრო და ადგილი
13	ქ. ელაშვილი	იოსებ გრიშაშვილის ერთი ლექსის („თაღხი კაბა“) სახისმეტყველება	ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო სესია, 15-16 მაისი, 2013. თბილისი
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>თაღხი კაბის სიმბოლიკა ერთგვარად წარმოადგენს იმ ფსიქოლოგიურ ენას, რომელსაც ეროტიკული ხიზლის ელფერიც დაკრავს.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
14	მ. ტურაშვილი	„ერთი ემიგრანტული გაზეთის – ელადა – ისტორია“	მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი: „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“. 2013წ. თბილისი.
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>მიგრაცია თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე პერიოდზე, რადგან საქართველო სწორედ ამ დროიდან ხდება მიგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე, რაც საბჭოთა კავშირის სივრცის რღვევისას წარმოქმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის იყო გამოწვეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიგრაციული პროცესები საქართველოდან საბერძნეთში. ბოლო მონაცემებით საქართველოდან საბერძნეთში წასულია 100 000-დან 150 000-მდე მოქალაქე, შესაბამისად ქართული სათვისტომო იქ უფრო მრავალრიცხოვანია. მათ საბერძნეთში პატარა საქართველო აქვთ. ეკლესია, კულტურის ცენტრი და გაზეთი - „ელადა“, რომლის დამფუძნებელი, რედაქტორი და სულის ჩამდგმელი ქართველი ემიგრანტი ქალბატონი ანა ყურშავიშვილია. მრავალრუბრიანი გაზეთი „ელადა“ ქართულ-ბერძნულ პუბლიცისტიკურ სარბიელზე 2002 წლიდან დღემდე გამოდის. რედაქტორი მტკივნეულად იხსენებს თითოეული ნომრის შექმნის ისტორიას. გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები უმეტესწილად ქალები არიან. თოთოეული მათგანისთვის გაზეთის ოცდაათი გვერდი საკუთარი განცდების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
15	მ. ტურაშვილი	„ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU 15 ტიპის კონტექსტში“	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013 წ. თბილისი.
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>საარქივო ტექსტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი გარეულ ცხოველთა ჯგუფის შიგნით განთავსებული ზღაპრები. ტიპთა რელევანტურობის საფუძველზე გაირკვა, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრულ რეპერტუარში განსაკუთრებით პოპულარულია ტიპი ATU 15 - „ნათლის“</p>			

მიერ საჭმლის ქურდობა”.

ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ტიპი **ATU 15 - “ნათლის” მიერ საჭმლის ქურდობა** საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ქართულ ხალხურ ზღაპრულ რეპერტუარში. აღნიშნულ ტიპს ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც მრავლად აქვს შექმნილი. ერთ-ერთ ზღაპარში მაგალითად, ნაპოვნ ყველს პერსონაჟები ყველიერისთვის ინახავენ, რამდენიმე ზღაპარში ქონს ქვევრში ან ხლამში (თიხის ჭურჭელში) ინახავენ და ა. შ. ეს კი იძლევა იმის თქმის მნიშვნელოვან საფუძველს, რომ ქართულ ხალხურ რეპერტუარში საანალიზო ტიპში ეროვნული თავისებურებები მრავლადაა ასახული.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
16	ო. ონიანი	მთავარ მოწამე გიორგის კულტი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია.,2013წ. თბილისი.
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>სვანური გადმოცემების მიხედვით წმინდა გიორგის ბედისწერა წინასწარაა განასზღვრული, მასზე სულიერი ძალები მეთვალყურეობენ ფარულად, იგი ბავშვობიდანვე იყო ღვთის ხელდებული და სულიერმა ძალებმა მათთან გვერდით მყოფად გარდასახეს, უბოძეს მიწიერი საუფლოს პატრონობა..</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
17	ე. ინწკირველი	სოლომონ ბრძენის ფუნქციის ფოლკლორული ტრანსფორმაციების ფორმები	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია., 3-4 ივნისი. 2013 წ. თბილისი.
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>მოსხენებაში განხილულია სოლომონ ბრძენის პარალელური სახეები ფოლკლორში და მათი ფუნქცია. გამოკვეთილია რამდენიმე პარალელური სახე: სოლომონ ბრძენის ფუნქცია იმეორებს იესო ქრისტეს ყოველისშემძლეობას (მას შეუძლია „ხმელი“ მამლის აცივლება და სიტყვით თევზის გაცოცხლება), ასევე მას მიეწერება კულტურული გმირის ფუნქციაც (ის არის მჭედლობის დამფუძნებელი და ფლობს მჭედლობის საიდუმლოს). ფოლკლორულ ნარატივებში სოლომონ ბრძენის ფუნქცია ხშირად ტრანსფორმირებულია და უკავშირდება მწვემის ინტუიტიურ ჭვრეტას, ბრმა მსაჯულის სამართლიანობას, უცოდველი ყრმის გონებამახვილობას და მრძენი მოხუცის ეპიკურიულ გამოცდილებას. მოსხენებაში ქართული ხალხური ტექსტების პარალელურად მოხმობილია სხვადასხვა ხალხის ფოლკლორული მასალა.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
18	ე. ინწკირველი	ცენტრისა და პერიფერიის სემიოტიკა „ნაცარქექიას“ ზღაპარში	სემიოტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წლის 19 ოქტომბერი;

მოსხენებათა ანოტაციები

ნაშრომში ქართული ხალხური ზღაპრის – „ნაცარქექიას“ მაგალითზე განხილულია სემიოტიკური ცენტრის დინამიკის საკითხი. კერიასთან მჯდომი გმირის, რომელიც კარგად ფლობს სემიოტიკური ცენტრის სტრუქტურას, ქმედება მიმართულია ცენტრიდან პერიფერიისკენ. ზღურბლის გადალახვით გმირი იწყებს პერიფერიის ათვისებას, რაც ახალი სემიოტიკური ცენტრების კონსტრუირებით არის მოტივირებული (მდინარესთან, დევის სახლში – კერია და ჭერი, ეზოში – ღვინის ქვევრი). გმირის ფუნქცია – კერიის მფარველი ქალღმერთის ქურუმობა – გამართლებულია იმითაც, რომ ზღაპარი არ მთავრდება ქორწილით. პირიქით, გმირი სწორედ საიდუმლო ქორწილიდან გამოდის, გადალახავს რა სახლის ზღურბლს.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
19	ე. ინწკირველი	ავი და მოღალატე ქალის ფოლკლორული ტრანსფორმაციები სოლომონ ბრძენთან დაკავშირებულ ნარატივებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები II“, თელავი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წლის 24–26 ოქტომბერი;

მოსხენებათა ანოტაციები

ბიბლიური სოლომონ ბრძენის მრავალცილობისადმი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ფოლკლორში ავი დედაკაცის მოტივით არის ტრანსფორმირებული. ეს მოტივი, რომელიც საერთაშორისოა, გასდევს სოლომონის ციკლის თითქმის ყველა თქმულებას. ნაშრომში ქართული ხალხური მასალის პარალელურად მოყვანილია ებრაული, უკრაინული, ძველი ფრანგული, რუსული, იტალიური და სხვა ხალხთა ფოლკლორული მასალები, რომელთა შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სოლომონის ხალხურ თქმულებებში ერთ–ერთი წარმმართველი – ავი დედაკაცის თემა, რომელიც ფოლკლორში უზნეო დედის ან მოღალატე ცოლის ვარიანტით არის წარმოდგენილი, ევროპაში შორეული აღმოსავლეთიდან უნდა შემოსულიყო შუა საუკუნეებში ხალხთა და კულტურათა მიგრაციის შედეგად.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
20	ე. ინწკირველი	სიკვდილ–სიცოცხლის მეტაფორები ქართულ ხალხურ „იობის ლექსში“	V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქუთაისი 16–17 ნოემბერი

მოსხენებათა ანოტაციები

ნაშრომში ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სიკვდილ–სიცოცხლის ერთიანობისა და განუყოფლობის საკითხი მოცემულია სამი ტექსტის – ბიბლიური „იობის წიგნის“, აპოკრიფული „იობის ანდერძის“ და ქართული ხალხური „იობის ლექსის“ – ურთიერთმიმართების საფუძველზე. ქართული ხალხური ლექსის, ებრაული ორიგინალისა და ბერძნული აპოკრიფის შედარებითა ანალიზმა გამოკვეთა, რომ ქართული ფოლკლორის წერილობითი წყარო მხოლოდ ბიბლია არ ყოფილა და ის აპოკრიფული სიუჟეტებით არის გაჯერებული. სიახლეს ქართულ ხალხურ ლექსში კი ქმნის სიკვდილ–სიცოცხლის

მეტაფორების სიჭარბე, რაც თავის მხრივ ფოლკლორული ტრადიციით არის განპირობებული. სიკვდილ-სიცოცხლის მეტაფორები „იობის ლექსში“ მოცემულია ავადმყოფობის, შიმშილის, მატლის, ფუტკრის, მანანის ფოთლის, აბრეშუმის ჭიისა და პარკის, თესლისა და პეპლის სახით. მეტაფორების თანმიმდევრული გააზრებით ცხადი ხდება, რომ იობის ტანჯვა და სიკვდილი, სინამდვილეში მის ახლად დაბადებას მოასწავებს და ხალხში სიკვდილის შემდეგ კვლავ დაბადების რწმენის გაძლიერებას ემსახურება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
21	დ. ბელიანიძე	მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი ჯემალ ქარჩხაძის რომანში „ზებულონი“	ფოლკლორისტა სამეცნიერო კონფერენცია, 2013წ. თბილისი.
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>ჯემალ ქარჩხაძის რომანში ზებულონი მკვეთრად არის გამოვლენილი მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი. განსაკუთრებით ხშირად მწერალი მიმართავს ზღაპრულ პერსონაჟებს, მოტივებს და ფორმულებს. მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი ამდიდრებს ქარჩხაძის რომანს.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
2			
3			
მოსხენებათა ანოტაციები			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. რატიანი	<u>The Legato Model in Georgian Soviet Culture:</u>	ამერიკის შედარებითი ლიტერატურის სამეცნიერო კონფერენცია, ბრაუნის უნივერსიტეტი. 2013 წ.
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>Different frozen models are used by the mankind during the crisis periods to find the ways of solution. One of such models can be called the legato model of Telemachus. When the change of certain things was needed during the crisis on the Ithaca the son of Odysseus held an assembly. In the speech he used legatos because he wanted the attendees to remember Odysseus – the hero who could find solution in any situation. While using the legato model, Telemachus tried to make people to identify him with his hero father.</p> <p>Georgian literature and art also used the legato model of Telemachus, when the country was in the bloody claws of Soviet regime: writers and producers dedicated their works to the heroic deeds of individual Georgians. Later this tendency continued in monumental art. Usage of this model was suitable to</p>			

authorities only in literature and arts: people should believe that the times of heroes will return but at the reason that it could not take place during the regime, people should identify these heroes with someone else who was equal to them by status. Unfortunately the literary model was moved into politics and it had not help the nation. This model still works in Georgia.

In my paper I will try to research how the legato model of Telemachus began to work in Georgian culture through the period of Soviet regime.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	მ. ტურაშვილი	Alliteration in the Georgian Folk Poetry (The Caucasus)	"Alliterativa causa" a conference about alliteration in prose and verse organised by the Folklore Society, the University of Tartu and the Warburg Institute Warburg Institute, Woburn Square, London, WC1H 0AB

მომხსენებათა ანოტაციები

Alliteration is the popular skill of the musical instrumentation of the Georgian folk poetry. Alliteration is widely used in the Georgian Short folk genres: riddles, proverbs and tongue-twisters.

Certain forms of consonant playing are remarkable for the Georgian tongue-twisters. For example: "Ertsa katsa bliskinelsa, bliskalatit bliskhidzeda bali gaaqvs da gamoaqvs" (faa33105, ID 17280) and etc.

In the Georgian folk poetry can be found repeating of two or more sounds based on the different sound combinations.

Alliteration in the analyzed Georgian samples has not only the role of the phonetic element but the emotional-expressive function too.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ფორმების სახით:

- I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება – გალაკტიონის კვლევის ცენტრი.
- I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – *თეიმურაზ დოიაშვილი*.
- I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: *თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, ნათია სიხარულიძე, მამუკა შელეგია, ნანა კობალაძე*.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	გალაკტიონ ტაბიძის 1930-იანი წლების შემოქმედება	თეიმურაზ დოიაშვილი	ლევან ბრეგაძე როსტომ ჩხეიძე ნათია სიხარულიძე მამუკა შელეგია ნანა კობალაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>„გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ 2013 წლისთვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ითვალისწინებდა ციკლს ნაშრომებისა მეცნიერულად ნაკლებად შესწავლილ თემაზე – „გალაკტიონ ტაბიძის 1930-იანი წლების შემოქმედება“, რომელიც მოიცავს ისტორიულ-ლიტერატურულ, თეორიულ, ტექსტოლოგიურ და მემუარულ ასპექტებს. კერძოდ, მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილია შემდეგი საკვლევი თემები:</p> <p>1. „გალაკტიონი პროლემწიფერლობის პირისპირ“, გვაცნობს სამწერლო ცხოვრების კოლიზიებსა და პერიპეტიებს უძძიმესი ეპოქის ფონზე (როსტომ ჩხეიძე). 2. „გალაკტიონი და 1937 წლის ტრაგედია“ ქრონოლოგიური სიზუსტით ადადგენს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ფაქტებს რეპრესიების მძვინვარების პიკზე (მამუკა შელეგია). 3. ნაშრომში „გალაკტიონის საბჭოურ თემატიკაზე დაწერილი ლექსების გულწრფელობის ხარისხი“ თეორიულ ასპექტშია განხილული</p>			

პოეტის საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებების გულწრფელობის პრობლემა (ლევან ბრეგაძე). 4. მოპოვებულია ტექსტოლოგიური მასალა პოეტის 20-30-იანი წლების მიჯნაზე დაწერილი პოემებისა („ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციური საქართველო“), რომლის საფუძველზე, მეორე ეტაპზე (2014 წ.) დაიწერება ნარკვევი – „გალაკტიონ ტაბიძის სამი პოემა: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციონური საქართველო“ - შემოქმედებით ისტორია“ (ნათია სიხარულიძე). 5. სათანადო კომენტარებით და შენიშვნებით მომზადდა ორი მემუარული მასალა: გალაკტიონის მოგონება გიორგი ქუჩიშვილზე და ე. დიდიმამიშვილის მოგონება გალაკტიონზე (ნანა კობალაძე).

დასრულებული წლიური ნაშრომები სათანადო რედაქტირების შემდეგ დაიბეჭდება სამეცნიერო-ლიტერატურულ კრებულში „გალაკტიონოლოგია“.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თეიმურაზ დოიაშვილი	მოტირალ-მოცინარი	თბილისი, გამომცემლობა „სიტყვა“	461 გვ.
ანოტაცია				
<p>წიგნში შესულია ნაწილი ავტორის მიერ ბოლო ათწლეულში (2003-2013) გამოქვეყნებული გამოკვლევების, წერილების, ესეებისა და გამოსმაურებებისა, სადაც მოცემულია ქართველი კლასიკოსების (სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი), აგრეთვე, თანამედროვე ავტორთა ტექსტების ანალიზი და შეფასება.</p>				
2	ლევან ბრეგაძე	მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე.	თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.	170 გვ.
ანოტაცია				
<p>ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი თბილისში 1889-1902 წლებში გამოშვებული ფრანგული ჟურნალი „ლე კოკაზ ილიუსტრე“ და მისი რედაქტორ-გამომცემლის ჟიულ მურიეს მოღვაწეობა კავკასიის ხალხთა კულტურების ევროპაში პოპულარიზაციისათვის. უმთავრესი ყურადღება ეთმობა ფრანგულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებს.</p>				
3	ლევან ბრეგაძე	ქართული ჟარგონის ლექსიკონი. (მესამე შევსებული გამოცემა)	თბილისი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.	227 გვ.
ანოტაცია				
<p>ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ ამ გამოცემაში 1500-მდე ჟარგონული სიტყვა და გამოთქმაა განმარტებული (წინა გამოცემაში 1000 იყო) და მათი მნიშვნელობა მწერალთა და ჟურნალისტთა ნაწარმოებებიდან მოყვანილი ციტატებით არის</p>				

დადასტურებული.				
4	როსტომ ჩხეიძე	გადამწვარი მზე (უშანგი ჩხეიძის ბიოგრაფიული ნატეხები)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	260 გვ.
ანოტაცია				
<p>„გადამწვარი მზე“ როსტომ ჩხეიძისათვის ნიშანდობლივი მხატვრულ-დოკუმენტური სტილითა და ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებით წარმოაჩენს ქართული თეატრალური სინამდვილის სცენასაც და კულისებსაც და უშანგი ჩხეიძის სულის ლაბირინთებშიც მიიკვლევს გზას.</p>				
5	როსტომ ჩხეიძე	დარდი ფარული (გრიგოლ აბაშიძე)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	136 გვ.
ანოტაცია				
<p>ბიოგრაფიულ ნატეხთა ციკლის ამ ნიმუშში როსტომ ჩხეიძე წარმოსახავს XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და კოლორიტული წარმომადგენლის გრიგოლ აბაშიძის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. მის სულიერ დრამატიზმსა და, განსაკუთრებით, ჩვენი სალიტერატურო და საზოგადოებრივი ყოფის იმ მღელვარე ეპიზოდს, რომელიც „ლაშარელას“ ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილიცაა და მეოცე ასწლეულის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ისტორიისაც.</p>				
6	როსტომ ჩხეიძე	ვითა სიზმარი დამისა (რეზო გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)	თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	536 გვ.
ანოტაცია				

1	ირაკლი კენჭოშვილი	იური ლოტმანის «პოეტური ტექსტის სტრუქტურული ანალიზის ამოცანები და მეთოდები» (თარგმანი) (იბეჭდება)	კომპარატივისტიკის ანთოლოგია	გვ. 7

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ირაკლი კენჭოშვილი	ცვეტან ტოდოროვის «ლიტერატურის ცნებისათვის» (თარგმანი) (იბეჭდება)	ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (III)	გვ. 13

თამარ ნუცუბიძე

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ნუცუბიძე	იური ლოტმანის «პოეტური ტექსტის სტრუქტურული ანალიზის ამოცანები და მეთოდები» (თარგმანი).	სჯანი, № 14, 2013	

1. 2. შალვა ნუცუბიძე ("მეც თქვენს შორისა ვარ მეომარი"). "ლიტერატურული ძიებანი" (იბეჭდება).

3. Shalva Nutsubidze: From Alaethology to Neoplatonism. – Georgian Christian Thought and its Cultural Context. Memorial Volume for the 125 Anniversary of Leiden, Netherlands, 2013.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ნუცუბიძე	შალვა ნუცუბიძე ("მეც თქვენს შორისა ვარ მეომარი")	"ლიტერატურული ძიებანი" (იბეჭდება), 2013	
ანოტაციები				

2) საზღვარგარეთ

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ ნუცუბიძე	Shalva Nutsubidze: From Alaethology to Neoplatonism. Georgian Christian Thought and its Cultural Context	Memorial Volume for the 125 Anniversary of Leiden	Netherlands, 2013	
ანოტაციები					

არჩილ წერედიანი

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	არჩილ წერედიანი	მიშელ ფუკო "რა არის ავტორი?" (თარგმანი) (იბეჭდება) კრებულში „ლიტერატურის თეორიის	თსუ გამომცემლობა	

		ქრესტომათია (IV)“		
--	--	-------------------	--	--

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის აღგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	არჩილ წერეთელი	აბსურდის დრამა	ელექტრონული ჟურნალი სტუდენტებისათვის"ს ტუდენტური კვლევები"	
2	არჩილ წერეთელი	საბჭოთა აბსურდი	ელექტრონული ჟურნალი სტუდენტებისათვის"ს ტუდენტური კვლევები"	
3				
ანოტაციები				

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	არჩილ წერეთელი	აბსურდის თეატრი	სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია 2010

გიორგი გაჩეჩილაძე

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	კრებული სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი გაჩეჩილაძე	ბაროკოს ხანის კულტურა (იბეჭდება). რეჟული “ბაროკოს ხანის ლიტერატურა”	თსუ გამომცემლობა	15 გვ.
ანოტაცია				
მონოგრაფია მიზნად ისახავს ბაროკოს ხანის პოეტიკის თავისებურებების საკითხების განხილვას და ანალიზს. განხილულია სულხან საბას და დავით გურამიშვილის შემოქმედება ამ კუთხით და წინარე ხანის მიმდინარეობებთან მიმართებაში.				

ბ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გიორგი გაჩეჩილაძე	დონ კისოტი და ლუარსაბ თათქარიძე. (იბეჭდება) “ილია და გლობალიზაცია”	გამომცემლობა “მწიგნობარი”	9 გვ.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გიორგი გაჩეჩილაძე	ილია ჭავჭავაძის გერმანული პროექტი. (იბეჭდება) “ილია და გლობალიზაცია”	გამომცემლობა “მწიგნობარი”	15 გვ.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება:

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა კვაჭანტირაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

მანანა კვაჭანტირაძე, ამირან არაბული, დარეჯან მენაბდე, მაია ჯალიაშვილი, ლალი ავალიანი, მანანა კვატაია, ემზარ კვიციანიშვილი, ნონა კუპრეიშვილი, გონა კუჭუხიძე, ინგა მილორავა, თამარ შარაბიძე, ზაზა გოგია, თამაზ ვასაძე, ანა ლეთოდიანი, საბა-ფირუზ მეტრეველი, ნანა მრეველიშვილი, ირინა ნაცვლიშვილი, ადა ნემსაძე, ქეთევან ნინიძე, მირანდა ტყეშელაშვილი, მანანა შამილიშვილი, ქეთევან შენგელია, ეკა ჩიკვაძე, თამარ ციციშვილი, ზოია ცხადაია, მაკა ჯოხაძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ათონის ლიტერატურული სკოლა. ექვთიმე და გიორგი ათონელები	დარეჯან მენაბდე	გონა კუჭუხიძე ანა ლეთოდიანი საბა-ფირუზ მეტრეველი ნანა მრეველიშვილი ირინა ნაცვლიშვილი ეკა ჩიკვაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)			
<p>2013 წელს დასრულდა პროექტზე მუშაობა, გამოსაცემად მომზადდა და თსუ გამომცემლობას დასაბეჭდად გადაეცა კრებული სათაურით „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“, რომელიც სერია „გზამკვლევის“ მესამე წიგნია. მასში წარმოდგენილია როგორც ადრეული პერიოდის გამოჩენილ მკვლევართა, ისე თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები.</p> <p>დარეჯან მენაბდის სამეცნიერო ნაშრომში „თქმულებები ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ ძველ ქართულ და რუსულ წყაროებში“ შესწავლილია ათონის მთის ქართველთა მონასტრის უდიდესი სიწმინდის, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის („კარიბჭის ღვთისმშობელი“; „პორტიცისა“) გარშემო არსებული ზეპირი და წერილობითი თქმულებები, რომელთა უმეტესობა ძირითადად X-XI სს. განეკუთვნება (გვხვდება IX ს. პირველ ნახევრშიც). საქართველომდე აღნიშნულმა გადმოცემებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოაღწია. ინტერესი საქართველოსა და ქართული სიწმინდეებისადმი რუსულ მწერლობაში XV-XVII საუკუნეებიდან შეინიშნება, ხოლო ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ გაგრძელებულ ვერსიებს XIX-XX სს. უკვე რუსმა მეცნიერებმა მიაპყრეს ყურადღება. შეიქმნა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო თუ პოპულარული ლიტერატურა. სავარაუდოდ, XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოშიც ამიტომ გაიზარდა ინტერესი მოცემული თემისადმი, მით უმეტეს, ტიმოთე გაბაშვილიდან მოკიდებული არაერთი</p>			

ქართული წყაროც ადასტურებდა ამ თქმულებების არსებობას. ნაშრომში სისტემატიზებული სახით წარმოდგენილია საკითხის გარშემო არსებული წყაროები და ლიტერატურა.

ნანა მრევლიშვილის ნაშრომში „სადვთისმეტყველო-თეოლოგიურ ტერმინთა სტრუქტურული მოდელები გიორგი მთაწმიდელთან“ აღნიშნულია, რომ ძველი ქართული სადვთისმეტყველო-თეოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის პირველი მცდელობა გიორგი მთაწმიდელის სახელს უკავშირდება. სტატიაში დეტალურადაა განხილული ყველა ის სტრუქტურული მოდელი, რომელთა გამოყენებითაც ქმნის ქართველი მოღვაწე ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აპარატს. ტერმინთქმნადობის პროცესზე დაკვირვება ცხადად აჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელის ფილოსოფიური ენა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია, ერთი მხრივ, უძველესი პერიოდისა და, მეორე მხრივ, ელინოფილური მიმართულების მოღვაწეების ფილოსოფიურ ენათა შორის.

ანა ლეთოდიანის ნაშრომი „გვრიტისა, მტრედის და ორბის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით“ სიმბოლოთა კვლევას ეხება. დასახელებულ სახე-სიმბოლოთაგან პირველი ორი გიორგი ათონელის სულიერ მოძღვარს, შავ მთაზე მოღვაწე ბერს, გიორგი „შეყენებულს“ მიემართება, მესამე კი, გიორგი მთაწმინდელს. გვრიტის სიმბოლური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, აღნიშნული სახე-სიმბოლო სულიერი სიმაღლის, ღვთის ერთგულების გამომხატველია. მტრედი კი, გიორგი „შეყენებულის“ ცხოვრების წესიდან, უფრო სწორად, ღვაწლიდან გამომდინარე, მის სიყვარულს, სიმშვიდეს, უმანკობას, თავმდაბლობას, უბოროტობას, სიწმინდეს, ზოგადად, ქრისტიანულ სათნოებებს უსვამს ხაზს. ამავე აზრით იწოდება „უმანკო მტრედად“ და „უბიწო გურიტად“ გიორგი მთაწმინდელი. ორბის შესახებ ძველად არსებობდა წარმოდგენა, რომ მას აქვს ყოველ 10 წელიწადში გაახალგაზრდავების, უნარი. „ორბის განჭაბუკება“, ღვთის მცნებათა შემეცნების შედეგად, სულიერად „გაახალგაზრდავებას“, „განხლებას“ უკავშირდება. გიორგი მთაწმინდელის „განჭაბუკებულ ორბთან“ შედარებით, გიორგი მცირე ხაზს უსვამს, რომ ათონელი მამის და მის მსგავს მოღვაწეთა მაგალითი, მათი ღირსებებისადმი მიბაძვის სურვილს აღძრავს, რაც სულიერ „განახლებას“ იწვევს.

ეკა ჩიკვაძე ნაშრომში „გიორგი მთაწმინდელი და საქართველოს ეკლესიის ისტორია“ გამოთქვამს შეხედულებას, რომ გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორიის საინტერესო ეპიზოდები იმდენად დიდ ფუნქციას იწარჩუნებს, რომ მთელ რიგ საკითხებში დღესაც უცვლელი მნიშვნელობა ენიჭება. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობა და სამოციქულოობა; 2. კათოლიკე (ბენედიქტიანელ) ათონელებთან და 3. სომეხ მონოფიზიტებთან ურთიერთმიმართება.

ირინა ნაცვლიშვილმა პროექტის ფარგლებში დაამუშავა „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა; აგრეთვე, ყურადღება გამამხვილა თავად თხზულებაში აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების შერჩევის ავტორისეულ პრინციპზე. ი. ნაცვლიშვილის შეხედულებით, მართალია, აგიოგრაფი, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ქმნის წმინდანის, „სულიერი მხედრის“ მხატვრულ-ესთეტიკურ სახეს, მაგრამ „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ტექსტი თავისი „შინა-არსით“ მკვეთრად ავლენს სხვა ისტორიულ-კულტუროლოგიური ხასიათის ტენდენციასაც: კერძოდ, მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი ემსახურება ერის კულტურული მემსიერების ფორმირებას, რაც ერთგვარად ხელოვნური პროცესია, ლიტერატურული „პოლიტიკა“, რომელიც ეროვნული მენტალობის ჩამოყალიბების მიზნით წარსულთან დაკავშირებული ინფორმაციის სელექციასა და ინტერპრეტირებას გულისხმობს.

საბა მეტრეველის ნაშრომის „წმიდა ექვთიმე ათონელი და ივირონის ტიპიკონი“ დიდი ნაწილი ეთმობა წმიდა ექვთიმე ათონელის ღვაწლს. მისი იკონოგრაფიული პორტრეტი მოცემულია, როგორც სულთა მკურნალი, კეთილი მწყემსი და გზაზე დამყენებელი. ამასთანავე, ხაზგასმულია ქართული ენისა და მთარგმნელობითი ღვაწლის განსაკუთრებულობა, რომელიც უმთავრესი სათნოება იყო ათონელთათვის. საგანგებოდაა შესწავლილი ივირონის ტიპიკონი, როგორც ბერ-მონაზონთა სულის ხსნის გზა, მონასტრული ცხოვრების, როგორც ანგელოზებრივი მსახურების, სახე. ამასთანავე, წარმოჩენილია ექვთიმე მთაწმინდელის პრიორიტეტები მონაზვნურ

<p>ცხოვრებაში. გიორგი მთაწმინდელის მიერ გადმოცემული წეს-განგება, გარდა იმისა, რომ სრულიად ორგანული ნაწილია თხზულებისა, ივირონის მონასტრის ბერ-მონაზონთა ცხოვრების განმსაზღვრელი, მათი არსებობის უტყუარი საბუთია. ამ ტიპიკონის კვალობაზე ყალიბდებოდნენ, სულიერად იწრთობოდნენ უფლის გზაზე შედგომილნი, ამა სოფლიდან განდგომილნი მამანი.</p> <p>გონა კუჭუხიძის ნაშრომში „ბიბლიური პარადიგმები და იპოდიგმები ათონელთა „ცხოვრებებში““ წარმოჩენილია ის ბიბლიური პარადიგმები და იპოდიგმები, რომლებიც წმიდა იოანესა და წმიდა ექვთიმეს, წმიდა გიორგი ათონელის ცხოვრების აღმწერ ძეგლებში არის დაცული. სახისმეტყველებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ძეგლებში ბიბლიური პარადიგმები იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ წარმოჩნდეს დებულება, რომლის თანახმად, სამყარო იერარქიულად არის მოწყობილი, ადამიანი ეტაპობრივად უნდა მაღლდებოდეს ღვთის გზაზე, იერარქიულ საფეხურებზე ზედასვლის გზით უნდა უახლოვდებოდეს ღმერთს. გ. კუჭუხიძის თანახმად, ქართულ ეკლესიაში ადრინდელ შემოდის და VIII საუკუნიდან საბოლოოდ იმარჯვებს არეოპაგეტიკა, სამყაროს იერარქიული აგებულების, იერარქიული საფეხურების შესახებ სწავლება. ძეგლებში არის ეპიზოდები, რომლებიც მეცნიერების არაერთი დარგის თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას. სასწაულების, სიმბოლურ-ალეგორიული თხრობის მიღმა ხშირად ჩნდება რეალიები, რომლებიც ისტორიოგრაფიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორისტიკისათვის არის საინტერესო.</p> <p>კრებულს ერთვის „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა (მასალები ბიბლიოგრაფიისათვის)“ (495 ერთეული ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვ. ენებზე). შემდგენლები: <i>დარეჯან მენაბდე</i> და <i>ირინა ნაცვლიშვილი</i>.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. 40-50-იანი წლების ლიტერატურული პროცესი	თამარ შარაბიძე	ამირან არაბული თამაზ ვასაძე ქეთევან ნინიძე ქეთევან შენგელია თამარ ციციშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პროექტი ორწლიანია. მუშაობა დაიწყო 2012 წლიდან და დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ამჟამად მიმდინარეობს კრებულის რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება. კრებული შედგება შემდეგი სტატიებისაგან:</p> <p>თამაზ ვასაძე - „40-50-იანი წლების ძირითადი ტენდენციები“;</p> <p>თამარ შარაბიძე - „ლიტერატურული პორტრეტები გიორგი ერისთავის „ცისკრის“ მიხედვით“;</p> <p>ინგა მილორავა - „ქართული თეატრის სათავეებთან (გიორგი ერისთავი)“;</p> <p>თამარ ციციშვილი - „ზურაბ ანტონოვი (ცხოვრება და შემოქმედება“; „ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი პორტრეტი“;</p> <p>ქეთევან ნინიძე - „ლავერენტი არდაზიანის ცხოვრება და შემოქმედება“;</p> <p>ამირან არაბული - „რაფიელ ერისთავი (ცხოვრება და შემოქმედება)“;</p> <p>ქეთევან შენგელია - „დანიელ ჭონქაძე და „სურამის ციხე“.</p>			
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა (პირველი ნაწილი)	მანანა კვაჭანტირაძე	მაია ჯალიაშვილი ლალი ავალიანი მანანა კვატაია ემზარ კვიციანიშვილი ნონა კუპრეიშვილი ინგა მილორავა ზაზა გოგია ადა ნემსაძე მირანდა ტყეშელაშვილი მანანა შამილიშვილი ზოია ცხადაია

		მაკა ჯოხაძე
<p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>პროექტი სამწლიანია (2012-2014 წლები). 2013 წლის I ნახევარში (იანვარი-ივნისი) დაგეგმილი იყო წინა წელს მომზადებული ნარკვევების რედაქტირება და წიგნად გამოცემა. ახალი სამეცნიერო კვლევების, მიდგომების, უკანასკნელ პერიოდებში დაზუსტებული და აღმოჩენილი ბიოგრაფიული ფაქტების გათვალისწინებით შეიქმნა მე-20 საუკუნის I ნახევრის ქართველ მწერალთა (პოეტების, პროზაიკოსების, კრიტიკოსების) განახლებული და რიგ შემთხვევებში, პრინციპულად ახალი შემოქმედებითი პორტრეტები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> დავით კლდიაშვილი - შემსრულებელი მაკა ჯოხაძე; ჭოლა ლომთათიძე - შემსრულებელი მაია ჯალიაშვილი; ცისფერყანწელები და პაოლო იაშვილი - შემსრულებელი ნიკო ლორთქიფანიძე - შემსრულებელი ინგა მილორავა; გრიგოლ რობაქიძე - შემსრულებელი მანანა კვატაია; სიმონ ჩიქოვანი - შემსრულებელი ემზარ კვიციანიშვილი; მიხეილ ჯავახიშვილი - შემსრულებელი ნონა კუპრეიშვილი; კონსტანტინე გამსახურდია - შემსრულებელი ზაზა გოგია; ვასილ ბარნოვი - შემსრულებელი ადა ნემსაძე; ალექსანდრე აბაშელი, ტერენტი გრანელი - შემსრულებელი ზოია ცხადაია; 900-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგადი ტენდენციები - შემსრულებელი მანანა შამილიშვილი. <p>სახელმძღვანელოში ასევე შედის 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია. ამ ძალზე მნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი ისტორიულ-პოლიტიკური და კულტურული ეპოქის თავისებურებები გაანალიზდა ახალი მიდგომების, შეხედულებების, შეფასებების გათვალისწინებით; ყველა თავს ერთვის ბიბლიოგრაფია. შესაბამისად, შესრულებული სამუშაო წარმოადგენს მნიშვნელოვანი სიახლის შემცველ ანალიტიკურ კრებულს, რომელსაც კონცეპტუალურად კრავს პროექტის მიზანდასახულება.</p> <p>2013 წლის II ნახევრიდან (ივლისი-დეკემბერი) დაიწყო მუშაობა სახელმძღვანელოს მეორე ნაწილზე, რაც ითვალისწინებს იმ დარჩენილ მწერალთა და კრიტიკოსთა პორტრეტებს, რომლებიც XX საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ. დაგეგმილია შემდეგ ავტორთა შესწავლა:</p> <ul style="list-style-type: none"> სანდრო ცირეკიძე – შემსრულებელი მაკა ჯოხაძე; გალაკტიონ ტაბიძე – შემსრულებელი მაია ჯალიაშვილი; შალვა დადიანი – შემსრულებელი ადა ნემსაძე; ლევო ქიაჩელი – შემსრულებელი ინგა მილორავა; პოლიკარპე კაკაბაძე, კიტა აბაშიძე – შემსრულებელი ზაზა გოგია; გერონტი ქიქოძე – შემსრულებელი მანანა კვატაია; გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე – შემსრულებელი ემზარ კვიციანიშვილი; ვალერიან გაფრინდაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ტიცვიან ტაბიძე – შემსრულებელი ლალი ავალიანი; იოსებ გრიშაშვილი, ჟურნალი „ჩვენი თაობა“ – შემსრულებელი ზოია ცხადაია; დემნა შენგელაია – შემსრულებელი მირანდა ტყეშელაშვილი; არჩილ ჯორჯაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი – შემსრულებელი ნონა კუპრეიშვილი; 20-30-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგადი ტენდენციები, პავლე ინგოროყვა – შემსრულებელი მანანა შამილიშვილი; <p>საანგარიშო პერიოდში დასრულებულია დასახელებულ მწერალთა და კრიტიკოსთა ბიბლიოგრაფიების შედგენა, მოძიებულია მასალები მათი ბიოგრაფიებისა და შემოქმედების შესახებ. ნარკვევებზე მუშაობა დასრულდება მომავალი, 2014 წლის ივნისში, ამავე წლის მეორე ნახევარში კი (ივლისი-დეკემბერი) დასაბეჭდად მომზადდება სახელმძღვანელოს II ნაწილი.</p>		

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941წწ.)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მაკა ელბაქიძე	ანანა კვატაია, ნონა კუპრეიშვილი, ზოია ცხადაია, მანანა შამილიშვილი, ადა ნემსაძე, მაია ჯალიაშვილი, მაკა ჯოსაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
<p>საგრანტო პროექტი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–41 წწ)“ მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპის – საქართველოს გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდის მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით. თანამედროვე ქართული ინტელექტუალური საზოგადოება, მართალია, მიუბრუნდა ამ ეპოქას, მაგრამ დაგეგმილი სამეცნიერო კვლევა სცილდება აღწერით-კომპილაციურ ეტაპს და უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელებას ისახავს მიზნად. პროექტი არის პირველი მეთოდოლოგიური მცდელობა იმისა, რომ სრულიად ახალ რაკურსში იქნას გააზრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი – 1921–1941 წლები. პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, შსს არქივში დაცული უცნობი და ნაკლებად ცნობილი დოკუმენტური მასალების გამოვლენა, მეორე მხრივ კი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით საკვლევი პერიოდის ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული ანალიზის ჩატარება.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა კვაჭანტირაძე	„ვექტორები“	თბილისი, „მერიდიანი“	326 გვ.
2	მაია ჯალიაშვილი	„ქართული მოდერნისტული რომანი“ (ელექტრონული წიგნი)	თბილისი, „საბა“	256 გვ.
<p>ანოტაციები მანანა კვაჭანტირაძე „ვექტორები“</p>				

წიგნში შესულია 2006 – 2013 წლებში სამეცნიერო-ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიები და წერილები.

მონოგრაფია გამოთლიანებულია კვლევის სემიოლოგიური მეთოდით. იგი შედგება ოთხი ნაწილისაგან: პირველი – თეორია და მეთოდოლოგია – მოიცავს სტატიებს თანამედროვე სემიოტიკის პრობლემებზე, სემიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიურ სპეციფიკაზე ლიტერატურაში, გამეორების ფენომენზე სხვადასხვა ტიპის მხატვრულ ტექსტში, „ახალი ისტორიზმის“ მეთოდოლოგიურ ხარვეზებზე, პარადოქსისა და ნონსენსის მხატვრულ ფუნქციაზე გარდამავალ ეპოქებში.

მეორე ნაწილი ეძღვნება მე-19 საუკუნის კლასიკოსთა: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას მხატვრული ტექსტების სემანტიკისა და კონცეპტების კვლევას.

მესამე ნაწილში – მე-20 საუკუნე – შესულია სტატიები და წერილები მიხეილ ჯავახიშვილის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ლია სტურუას, ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედების ცალკეულ ასპექტებზე, უმნიშვნელოვანეს კონცეპტებზე, მათი მხატვრული ენის თავისებურებებზე.

დასკვნითი მეოთხე ნაწილი წარმოდგენილია ორი ინტერვიუთი და დისკუსიის – „ფილოსოფია და ლიტერატურა“ – თარგმანით, შენიშვნებითა და კომენტარებით.

მაია ჯალიაშვილი
„ქართული მოდერნისტული რომანი“

ნაშრომში მოკვლეულია მოდერნიზმის არსი, ქართული მოდერნისტული რომანის თავისებურებანი. გამოკვეთილია ის ტენდენციები, რომლებიც ახასიათებდა ქართულ სინამდვილეში გამოვლენილ მოდერნიზმს. ქართული მოდერნისტული რომანი (გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“, კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, დ. შენგელაიას „სანავარდო“) განხილულია ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში და მასზე ყურადღება გამახვილებულია, როგორც ესთეტიკურ ფენომენზე. გამოკვეთილია, თუ როგორ რეალიზდებოდა მოდერნიზმის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში.

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამაზ ვასაძე	ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის (ტექსტები თანმდევი განმარტებებით)	თბილისი, „ლიოგენე“	135 გვ.

ანოტაციები

თამაზ ვასაძე

ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის (ტექსტები თანმდევი განმარტებებით)

წიგნში ქართული აგიოგრაფიული ტექსტები წარმოდგენილია ახლებური ფორმით: მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან ლექსიკონში კი არ არის მოცემული, არამედ შერწყმულია თვით ტექსტებთან. ეს ლიტერატურის შემსწავლელებს, საერთოდ მკითხველებს, უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზაული ნიმუშების აღქმასა და გაგებას. ინფორმაციულ-ანალიტიკური მასალა, რომელიც აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ახლავს, დაეხმარება მკითხველებს, გაერკვნენ ამ ნაწარმოებთა ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ არსში და საკუთარი კულტურული გამოცდილების ნაწილად აქციონ შორეული საუკუნეების მხატვრულ ნაწარმოებთა ანაბეჭდები.

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაია ჯალიაშვილი ლალი დათაშვილი	„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“	თბილისი, „მერიდიანი“	316 გვ.
2	ნონა კუპრეიშვილი	„სიტყვის დეგუსტაცია“	თბილისი, „საუნჯე“	510 გვ.
3	ნანა მრეველიშვილი ეკა ჩიკვაძე	„ლიტერატურული წერილები“	თბილისი	250 გვ.
4	მანანა შამილიშვილი ავტორთა ჯგუფთან ერთად	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. II	თბილისი, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	გვ. 297 – 298; 634 – 635.

ანოტაციები

**მაია ჯალიაშვილი
„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“**

კრებულში დაბეჭდილია მაია ჯალიაშვილის წერილები გალაკტიონ ტაბიძის, ტიცვიან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ბესიკ ხარანაულის შემოქმედების შესახებ. წერილებში გამოკვეთილია ქართველ მწერალთა შემოქმედების თავისებურებანი, ცალკეული მწერლის მხატვრული სისტემის ძირითადი პრინციპები.

**ნონა კუპრეიშვილი
„სიტყვის დეგუსტაცია“**

წიგნში შესული მასალა შემდეგ ქვეთავებადაა დაყოფილი: კითხვა, როგორც გარდასახვა; კლასიკის პირისპირ; პოსტსტალინური და შემდგომი ეპოქების კრიტიკული რეფლექსიები; წერილობები. მიუხედავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, შენარჩუნებულია კონცეპტუალური მთლიანობა. ავტორის მიზანია, წარმოადგინოს XX საუკუნის რთული და წინააღმდეგობრივი სოციო-კულტურული პროცესები არა მარტო ლიტერატურულ, არამედ კულტუროლოგიურ ჭრილში, დაარწმუნოს მკითხველი კლასიკური თუ მოდერნისტული ტექსტების მუდმივი რეინტერპრეტაციის უპირატესობაში. სწორედ ამიტომ პირველი წერილი ეძღვნება შოთა ჩანტლაძეს, საბჭოთა პერიოდში მარგინალიზებულ ხელოვანს, რომლის მსოფლმხედველობა პიროვნების თავისუფლების განცდას ემყარება.

**ნანა მრეველიშვილი, ეკა ჩიკვაძე
„ლიტერატურული წერილები“**

კრებულში თავმოყრილია ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილები. წერილები ქართული ლიტერატურის სამივე პერიოდს მოიცავს – ძველს, ახალსა და უახლესს. ამჯერად არჩევანი შევანერეთ პუბლიკაციებზე, რომლებიც ვიწრო სამეცნიერო წრეებთან ერთად, ფართო საზოგადოებასაც დააინტერესებს. წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია როგორც ფილოლოგიური მეცნიერების მეკლევართათვის, ისე ქართველოლოგიური მეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის, ფილოლოგებისთვის, აბიტურიენტებისთვის, საჯარო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის.

**მანანა შამილიშვილი (ავტორთა ჯგუფთან ერთად)
ენციკლოპედია „საქართველო“**

ენციკლოპედიის აღნიშნული ტომის („გიმნაზია – ენდრო“) მომზადებაში ჟურნალისტიკის განხრით შექმნილი სამეცნიერო სექციის წევრის სტატუსით ვიღებდით მონაწილეობას. ჩვენ მიერ მომზადდა სამი სტატია - „დაიჯესტი“, „ელექტრონული გამოცემა“, „ელექტრონული მედია“.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ადა ნემსაძე	გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის - „კაპიტანი ვაკუში“ - რამდენიმე ასპექტი – VII საერთაშორისო სიმპოზიუმში „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი II	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 77-84
2	ადა ნემსაძე	ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ერთი ეპიზოდის გააზრება სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 149-152
3	ადა ნემსაძე	იმპერიის სივრცული მოდელები ოთარ ჭილაძისა და გივი მარგველაშვილის რომანებში – სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“	№13	თბილისი, „უნივერსალი“	(იბეჭდება)
4	ადა ნემსაძე	გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“ – ჟურნალი „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 3-20
5	გონა კუჭუხიძე	ზვიად გამსახურდიას „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ - სამეცნიერო კრებული – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“		თბილისი	20 გვ.
6	გონა კუჭუხიძე	სვეტიცხოვლის აღმართვის სიმბოლიკისათვის – რევაზ სირაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული – „წმინდა ნინო“	II	თბილისი	10 გვ.

7	გონა კუჭუხიძე	ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე (ქრონოლოგიის საკითხები) – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
8	გონა კუჭუხიძე	რადიო „თავისუფლების“ ისტორიიდან – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 135-142
9	ინგა მილორავა	ტექსტის საყრდენი ორიენტირების (ზმანება, ცხადი) ტრანსფორმაცია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ (მასალები)	ნაწილი II	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ.
10	ინგა მილორავა	ფერის ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 137-143
11	ინგა მილორავა	ემიგრაცია - შიდა და გარე – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 48-54
12	ინგა მილორავა	ბავშვური ღიმილის სამყარო (ნოდარ დუმბაძე) – ჟურნალი „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 131-138
13	დარეჯან მენაბდე	V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევა ემიგრანტულ ქართველოლოგიაში – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 158-165

14	დარეჯან მენაბდე	იონა ხელაშვილის „რონინი“ - ავტობიოგრაფიული ნარატივი – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 128-131
15	დარეჯან მენაბდე	თქმულებები ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ ძველ ქართულ და რუსულ წყაროებში – კრებული „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
16	დარეჯან მენაბდე, ირინა ნაცვლიშვილი	მასალები ბიბლიოგრაფიისათვის – კრებული „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
17	მანანა კვაჭანტირაძე თამაზ ვასაძე	ლიტბუნიობა-2013 – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 269-281
18	მაია ჯალიაშვილი	განზომილებებით თამაში (ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებლის“ მიხედვით) – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 34-45
19	მაია ჯალიაშვილი	დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელები (გრ. რობაკიძის „მცველნი გრალისას“ მიხედვით) – VII საერთაშორისო სიმპოზიუმში „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი II	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 160-167
20	Maia Jaliashvili	Crossroads of Mythological and Real Time and Spaces (According to the novel by Grigol Robakidze "Guards of Grail") - Georgian Electronic Journal of Literature "Litinfo"	Volume 7, Issue 2	Tbilisi http://www.litinfo.ge	
21	მაია ჯალიაშვილი	„აქ შეიძლება ღმერთს შეხვდე“ (ეთერ თათარაიძის		თბილისი, „ჩვენი მწერლობა“	გვ. 67-72

		კავკასიური დღიურები) – ალ. ყაზბეგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (მასალები)			
22	მაია ჯალიაშვილი	სივრცული გზაჯვარედინები (გრ. რობაქიძის რომანის „მცველნი გრალისას“ მიხედვით) – ჟურნალი „სემიოტიკა“	№13	თბილისი, „უნივერსალი“	(იბეჭდება)
23	ნონა კუპრეიშვილი	იოსებ გრიშაშვილი, როგორც რედაქტორი – „ლექსმცოდნეობა“	VI	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
24	ნონა კუპრეიშვილი	სტეფანე კასრაძე - ავანგარდიზმიდან დოკუმენტურ პროზამდე – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე- 20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 442-453
25	ნონა კუპრეიშვილი	ამოყირავებული დრო-სივრცე ლია ლიქოკელის პოეტურ კრებულში „დევის ცოლის სიცილი“ – ჟურნალი „სემიოტიკა“	№13	თბილისი, „უნივერსალი“	(იბეჭდება)
26	ნონა კუპრეიშვილი	„ახალი საუნჯის“ „სელფმეიდები“ – ჟურნალი „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 282-290
27	საბა მეტრეველი	გალობა და აგიოგრაფია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 132-136
28	საბა მეტრეველი	„წმიდა იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ იკონოგრაფიული სახისმეტყველება – კრებული „ათონის სადვთისმეტყველო და ლიტერატურული სკოლა“		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
29	საბა მეტრეველი	პოეზიის უმანკო მსხვერპლი - ტერენტი გრანელი	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის	(იბეჭდება)

30	საბა მეტრეველი	– „ლიტერატურული ძიებანი“ აგიოგრაფიის ინტერდისციპლინური გააზრებანი – „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“	№11-12	ინსტიტუტის გამომცემლობა თბილისი, „ინტელექტი“	(იბეჭდება)
31	ლალი ავალიანი	მეხსიერება (აკა მორჩილაძის „ობოლუ“) – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 51-63
32	ლალი ავალიანი	უდავო - სადავო?! (პაოლო იაშვილის „დარიანული“ ლექსების გამო) – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 261-268
33	ლალი ავალიანი	სერგო კლდიაშვილი - „უჩინო“ ჩინებული მწერალი – აღმანახი „მწიგნობარი“	VI		
34	ზოია ცხადია	იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები – „ლექსმცოდნეობა“	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
35	ზოია ცხადია	პოეზია - ტრაგიკული დროის გამოძახილი – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 255-266
36	ზოია ცხადია, თამარ ციციშვილი	სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 267-280
37	ზოია ცხადია	ჯანსუღ კორძაიას პოეტური ხმა – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
38	ზოია ცხადია	„ეს მე ვარ - ფიროსმანი“ (ლეგენდური და რეალური დიდი მხატვრის შესახებ) – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 75-83

39	ნანა მრევლიშვილი	კატენებიანი თხზულების შედგენილობის პრინციპი და წყაროთა საკითხი – „ბელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“	№9-10	თბილისი, „ინტელექტი“	გვ. 3-20
40	ნანა მრევლიშვილი	ქარები ქრიან... (ბესიკ ხარანაულის ერთი ლექსის - „სად არიან შვილები...“ - გამო) – „ბელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“	№9-10	თბილისი, „ინტელექტი“	გვ. 70-72
41	ნანა მრევლიშვილი	დროის კატეგორიის გაგებისათვის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით – „სემიოტიკა“	№13	თბილისი, „უნივერსალი“	(იბეჭდება)
42	ირინა ნაცვლიშვილი	პერსონაჟის „სიტყვის“ პოეტიკის ინტერტექსტუალური ასპექტები ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატთანში“ – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 144-149
43	ირინა ნაცვლიშვილი, დარეჯან მენაბდე	მასალები ბიბლიოგრაფიისათვის – კრებული „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
44	ირინა ნაცვლიშვილი	ისტორია აქცენტებით ლიტერატურულ დისკურსში (თ. პაპავას ლიტერატურული პოტრეტების მიხედვით) – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 174-180
45	ეკა ჩიკვაიძე	უარყოფის უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“ – „ბელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“	№11-12	თბილისი, „ინტელექტი“	გვ. 9
46	ეკა ჩიკვაიძე	გიორგი მთაწმინდელი და საქართველოს ეკლესიის ისტორია – კრებული		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის	(იბეჭდება)

47	მაკა ჯოხაძე	„ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“ ზურაბ ნიჟარაძე – „კრიტიკა“	№8	გამომცემლობა თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 159-170
48	მაკა ჯოხაძე	ხელოვანის ბედი ანექსირებულ სამყაროში (გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ მიხედვით) – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე- 20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 288-300
49	მანანა კვატაია	ემიგრაცია: სივრცე შემოქმედებითი თავისუფლებისათვის – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე- 20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 102-112
50	მანანა კვატაია	ვექტორები ევროპისაკენ – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
51	მანანა კვატაია	„კავკასიონი“, 1966 – რუსთველოლოგიური ძიებანი – ვიქტორ ნოზაძის საიუბილეო კრებული		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
52	მანანა კვატაია	შუა საუკუნეების ევროპული კულტურულ- ლიტერატურული სივრცის ქართული პარაღელები – ვიქტორ ნოზაძის საიუბილეო კრებული		თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
53	მანანა კვატაია	მითოსურ და ისტორიულ სივრცეთა ანტაგონიზმი – შრომები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)			(იბეჭდება)
54	მანანა კვატაია	თანხვედრათა არგუმენტირებული დიალექტიკა – ჟ. „ათინათი“	№1		გვ. 105-109

55	მანანა კვატაია	ინტელექტუალურ სივრცეთა წარმტაცი უსაზღვროება – ჟ. „ათინათი“	№2		გვ. 88-89
56	მანანა კვატაია	„ბარბაროსი, რომელშიც გენიოსმა გაიღვიძა...“ – ჟ. „ათინათი“	№3		გვ. 76-77
57	მანანა შამილიშვილი	იუმორისტული ტელეტექსტი, როგორც იდეოლოგიური კონცეპტი- „კრიტიკა“	№8		გვ. 116-130
58	მანანა შამილიშვილი	პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: „ქართული გაზეთის“ (ბერლინი, 1916 - 1918) მასალათა მიხედვით – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 222-238
59	მანანა შამილიშვილი	პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში – პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ (მასალები)		თბილისი, თსუ გამომცემლობა	გვ. 68-79
60	ზაზა გოგია	გახსენება – „კრიტიკა“	№8		გვ. 139-147
61	ანა ლეთოდიანი	ვერძის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ (მასალები)	ნაწილი I	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 292-295
62	ანა ლეთოდიანი	გვრიტისა, მტრედის და ორბის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)

63	ანა ლეთოდიანი	საერთო და სასულიერო პირებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების „ცხოვრებათა“ მიხედვით – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
64	თამარ ციციშვილი	ქართული მწერლობის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში – „ლიტერატურული ძიებანი“	XXXIV	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	(იბეჭდება)
65	თამარ ციციშვილი, ზოია ცხადაია	სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა (ემიგრანტული და საბჭოთა მწერლობა) – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი I	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 267-280
66	თამარ ციციშვილი	მოგონებები ილია აბულაძეზე (გამოსაცემად მომზადება და შესავალი წერილი) – „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“	№5-6	თბილისი, „ინტელექტი“	25 გვ.
67	თამარ შარაბიძე	ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნის დასაწყისში – II საერთაშორისო კონფერენციის - „ენა და კულტურა“ - მასალები	№2	ქუთაისი, „მერიდიანი“	გვ. 315-318
68	ქეთევან შენგელია	რამდენიმე შტრიხი პიკასოს პორტრეტისთვის – „მაცნე“	№2		
69	ქეთევან შენგელია	სიმბოლური ხატის ფუნქცია გრ. რობაქიძის პასტორალის, „ლამარას“ მიხედვით – VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა, მე-20 საუკუნის გამოცდილება (მასალები)	ნაწილი III	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 233-238
			№8		

70	ამირან არაბული	„სად მიდის მეკოპარიო“ – „კრიტიკა“	№8	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	გვ. 84-91
71	ქეთევან ნინიძე	ეთერ თათარაიძის ლიტერატურული პოლიტიკის გააზრებისათვის – „კრიტიკა“ „ჩიტ რო იძახს, წიავ“ - ანუ „გველისმჭამელიდან“ გიგანტურ ჰესებამდე – „არილი“	№4	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა თბილისი	გვ. 21-33 გვ. 42-45

მ თ ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა ა ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

ადა ნემსაძე

„გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის - „კაპიტანი ვაკუში“ - რამდენიმე ასპექტი“

გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანების ციკლი „კაპიტანი ვაკუში“ 7 დასრულებულ ტომს მოიცავს, რომელთაგან ქართულ ენაზე ნათარგმნია მხოლოდ I წიგნი (2005 წ.). იგი რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო. „კაპიტანი ვაკუში“ ქართულ სივრცეში არაქართულ ენაზე შექმნილი მხატვრული ტექსტია, რომელშიც გერმანიაში მცხოვრები 1917-21 წლების ქართული ემიგრაციის ყოფაა აღწერილი. ყურადღებას უპირველესად იქცევს ის, თუ როგორ ცდილობენ ისინი ეროვნული იდენტობის ჯაჭვის გაბმას მშობლიურ წიაღთან. აღსანიშნავია სტილისა და ჟანრის საკითხებიც: „კაპიტანი ვაკუში“ მკვეთრად გამოხატული პოსტმოდერნისტული ნიშნებით ხასიათდება, რაც ჯერ უცხოა 70-იანი წლების ქართული მწერლობისათვის; ამასთან, ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში.

ადა ნემსაძე

ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივის“ ერთი ეპიზოდის გააზრება სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით

სტატიაში განხილულია „ოთარანთ ქვრივის“ XIX თავი - „ეძახის“ - სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის მეთოდოლოგიების გათვალისწინებით. ამ თავში ავტორი არცერთი პერსონაჟის საკუთარ სახელს არ ასახელებს, რის გამოც ჩნდება კითხვები: *ვინ ეძახის?* და *ვის ეძახის?* ამასთანავე, ეს მონაკვეთი ინარჩუნებს აზრისა და გამოხატვის სრულყოფილებას წინარე სიუჟეტური ამბებისაგან დამოუკიდებლად. მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტისა და აქტუალიზაციის გათვალისწინებით შეგვიძლია, რამდენიმე პასუხი გავცეთ კითხვას *ვინ ვის ეძახის?* ტექსტის ჰორიზონტალზე: 1. გიორგი ეძახის დედას; ტექსტის ვერტიკალზე: 2. გიორგი და ქრისტე ეძახიან ოთარანთ ქვრივს; 3. ქრისტე უხმობს ოთარანთ ქვრივს და სოფელს; 4. ქრისტე უხმობს, ზოგადად, ადამიანს (და ამ ძახილს იგებენ მხოლოდ ისინი, ვინც მას ელოდება).

ადა ნემსაძე

იმპერიის სივრცული მოდელები ოთარ ჭილაძისა და გივი მარგველაშვილის რომანებში

XX საუკუნის II ნახევრიდან ქართულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დროისა და სივრცის პრობლემებს. ოთარ ჭილაძის რომანებში იმპერიული სივრცის რამდენიმე მოდელია დახატული: *მაკაბელების ეზო*, *ბათუმი* და *მინოსის ლაბირინთი*. ამ მოდელების რღვევა იწყება გამოდვიძებული ახალი თაობის პროტესტით, რაც რეალობის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყებითაა გამოხატული. ისინი ახერხებენ იმპერიული სივრცის

რღვევას და თავისუფალი დრო-სივრცული გარემოს შექმნას.

საბჭოთა სივრცის განსხვავებულ მოდელს გეთავაზობს გივი მარგველაშვილი რომანში „კაპიტანი ვაკუში“, ესაა ახალი გოგლიმოგლი - ერთდროულად საბჭოთა სისტემისა და გერმანული ნაციზმის აღმნიშვნელი სიმბოლო. გოგლიმოგლის ოპოზიციაა დიქსილენდი. დიქსილენდური ციხე-კოშკი აღვიძებს იდეოლოგიაში ჩაკარგულ ინდივიდუალურ მე-ს და ქმნის ახალ ალტერნატიულ დრო-სივრცულ განფენილობას, რომლის მთავარი ნიშანიც თავისუფლებაა.

ადა ნემსაძე

გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“

თანამედროვე ქართველ-გერმანელი მწერლის გივი მარგველაშვილის შემოქმედება დღეს უკვე არა მხოლოდ გერმანული, არამედ ქართული ლიტერატურისთვისაც მნიშვნელოვანი შენაძენია. 60-იან წლებში დაწერილი გერმანულენოვანი რომანის „კაპიტანი ვაკუში“ I წიგნი საკმაოდ გვიან მიიღო ქართველმა მკითხველმა (2005 წ.). როგორც აღმოჩნდა, იგი მრავალმხრივად საინტერესო. სტატიაში გაანალიზებულია ის ნოვაციები, რაც მწერალს ამ რომანით შემოაქვს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში: ჟანრის თვალსაზრისით ესაა პირველი ავტობიოგრაფიული რომანი ქართულ ლიტერატურაში; იგი დაწერილია პოსტმოდერნისტული მანერით, რაც 60-70-იანი წლების ქართული ლიტერატურისთვის ჯერ კიდევ უცხოა; რომანში, ავტობიოგრაფიული ჟანრისთვის მოულოდნელად, მთლიანადაა სიმბოლიზებული ცხოვრებისეული მოვლენები, ისტორიული ფაქტები თუ რეალური პიროვნებები; შეიმჩნევა ბახტინისეული საკარნავალო დისკურსიც. ყოველივე ამის გამო „კაპიტანი ვაკუში“ გამორჩეული მხატვრული ტექსტია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

გონა კუჭუხიძე

ზვიად გამსახურდიას „ქება და დიდება ქართულისა ენისა“

ნაშრომში მაღალი შეფასება აქვს მიცემული ზვიად გამსახურდიას ნაშრომს – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, წარმოჩენილია ის მნიშვნელობა, რაც ხსენებულმა ნაშრომმა ქართული მეცნიერული აზრის განვითარებაში შეასრულა. განხილულია ზვიად გამსახურდიას მიერ შესწავლილი ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ისტორიოსოფიული საკითხები... ზვიად გამსახურდიას გამოკვლევა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ხსენებულმა მკვლევარმა სცადა, ჰარმონიაში მოეყვანა აკადემიური და ეზოთერული მეცნიერების ცალკეული საკითხები.

გონა კუჭუხიძე

სვეტიცხოვლის აღმართვის სიმბოლიკისათვის

ნაშრომში შესწავლილია ის სახისმეტყველებითი საკითხები, რომლებიც „წმიდა ნინოს ცხოვრების“ იმ ეპიზოდშია გადმოცემული, რომელიც სვეტიცხოვლის აღმართვას შეეხება; ნაჩვენებია, რომ სახისმეტყველებითი ანალიზის შემდეგ საშუალება გვეძლევა, დავინახოთ ის ისტორიული რეალიები, რომლებიც სიმბოლურ-აღეგორიული ფორმით არის ნაწარმოებში გადმოცემული.

გონა კუჭუხიძე

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე (ქრონოლოგიის საკითხები)

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში – „ძველი ერისთავთა“ – დასადგენი იყო არაერთი თარიღი, მოხსენიებულ პირთა ვინაობა... დადგენილია, რომ „ძველი ერისთავთაში“ მოხსენიებული „ისტინიანე“ არის არა იუსტინიანე დიდი, არამედ, – იუსტინე კეისარი, რომ აღწერილი მოვლენების ერთი ნაწილი VI, ხოლო სხვა – X-XI სს-შია მომხდარი...

გონა კუჭუხიძე

რადიო „თავისუფლების“ ისტორიიდან

მასალებში გადმოცემულია მიუნხენში 1953 წელს რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დაარსებისა და მისი შემდგომი პერიოდის ისტორიის ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი დეტალები. ისტორია ემიგრანტი მწერლისა და პუბლიცისტის – ილია კუჭუხიძის წიგნზე დაყრდნობით არის გადმოცემული.

ინგა მილორავა

ტექსტის საყრდენი ორიენტირების (ზმანება, ცხადი) ტრანსფორმაცია

ნაშრომში წარმოდგენილია მოდერნისტული აზროვნების ფილოსოფიური საფუძველი. მოდერნისტული ტექსტის მხატვრული სამყარო მუდმივად რეალურისა და ირეალურის, ზმანებისა და ცხადის საზღვარზე მერყეობს. მხატვრული ქსოვილის მთავარი ამოცანაა, წარმოადგინოს რეალურისა და მიღმურის კავშირი, მათი ურთიერთგავლენა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიაში ჩაეყარა. ზმანებისა და ცხადის ურთიერთმიმართება გავლენას ახდენს ტექსტის სტრუქტურაზე, ხასიათების აგების პრინციპსა და მხატვრულ მიზანდასახულობაზე. ზმანებისა და ცხადის, რეალურისა და მიღმურის, როგორც ტექსტის მთავარი საყრდენი ორიენტირების ტრანსფორმაცია შესწავლილი და წარმოდგენილია ტექსტის სხვადასხვა დონეზე (მითი, სამყაროს შეცნობის მოდელი, მხატვრული სახეების მათრგანიზებული სისტემა).

ინგა მილორავა

ფერის ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში

ფერის ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია მოდერნისტული აზროვნებისა და მის საფუძველზე შექმნილი ტექსტების მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია ფერის სისტემები, ე. წ. სიტყვიერი ფერის სხვადასხვა სახეობა. უშუალოდ მოდერნისტული ტექსტების საფუძველზე (კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, გრ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი) აღწერილი და გაანალიზებულია სხვადასხვა ფერის ფუნქციონირების შემთხვევები და მხატვრული შედეგი.

ინგა მილორავა

ემიგრაცია - შიდა და გარე

ნაშრომში შესწავლილია ქართული ემიგრაციის ისტორიული პირობები და მხატვრული შედეგები. ყურადღება გამახვილებულია შიდაემიგრაციის მხატვრულ შედეგებზე. იგი გარეემიგრაციაზე არანაკლებ ტრაგიკული მოვლენაა, რომელიც მოჰყვება პოლიტიკურ ცვლილებებს საქართველოში. შიდაემიგრაციის ამსახველი ტექსტები ზუსტად აღწერს და გადმოსცემს როგორც გარეემიგრაციიდან დაბრუნებული ადამიანების ბედს, რომლებიც აქაც უცხონი რჩებიან (თარაშ ემხვარი, კონსტანტინე სავარსამიძე), ისე იმ ადამიანების სულიერ მდგომარეობას, რომლებიც უმძიმესმა ეპოქამ საკუთარ მიწაზე შიდაემიგრანტებად აქცია (ბონდო ჭილაძე, გივი შადური). ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ამ პრობლემების მხატვრულ სახეებში გარდასახვას, ჩვენებას, თუ როგორ ანგრევს შინაგან მთლიანობას ორივე სახის ემიგრაცია.

ინგა მილორავა

ბავშვური ღიმილის სამყარო (ნოდარ დუმბაძე)

წერილში წარმოდგენილია ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ერთი ასპექტის ანალიზი. განხილულია რომანები „მე ვხედავ მხეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – ნაწარმოებები, რომლებიც ერთ რკალშია მოქცეული და მათი გმირები ბავშვები, მოზარდები არიან. სწორედ ამ არცთუ იოლი ბედის ყმაწვილების სულიერი სამყაროს საფუძველზე იშლება მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი.

დარეჯან მენაბდე

V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევა ემიგრანტულ ქართველოლოგიაში

ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების იდეით იყო განპირობებული ის, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს (ნიკ. ყიფიანი, მ. თარხნიშვილი, მ. ლაშაური, ნ. სალია, ნ. ყაუხჩიშვილი), V-XI საუკუნეების ტექსტების თარგმნასა და გამოცემას უცხოურ ენებზე (ნ. ჯანელიძე, ვ. ციციშვილი, ხ. შავიშვილი, ს. წულაძე). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის კვლევას (მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. სალია, ალ. მანველიშვილი), ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას (მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. სალია). ემიგრანტ მეცნიერთა ნაშრომები იბეჭდებოდა ქართულ და ევროპულ ენებზე (მ. თარხნიშვილისა გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ ენებზე; კ. და ნ. სალიებისა – ფრანგულად; ალ. მანველიშვილისა – ფრანგულად და იტალიურად). V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა სათანადოდ იყო წარმოდგენილი ემიგრაციაში

დაბეჭდილ ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემებში. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ მკვლევართა დამსახურება თავისდათავად დასაფასებელია, ვფიქრობთ, დროა ამ პროდუქციის თავმოყრის, სისტემატიზაციის, კრიტიკული შესწავლის და მიუკერძოებელი შეფასებისა, რათა ემიგრანტ მეცნიერთა ნააზრევი სრულფასოვნად ჩაერთოს V–XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევის თანამედროვე პროცესებში.

დარეჯან მენაბდე

იონა ხელაშვილის „რონინი“ – ავტობიოგრაფიული ნარატივი

თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მქადაგებლის, იონა ხელაშვილის (1772-1837), „რონინი“ ავტობიოგრაფიული ნარატივია. მასში ავტობიოგრაფიული თხრობა გაშლილია ეპოქის საერთო ფონზე, თხრობისას ავტორი არა მარტო მოვლენათა თანამიმდევრობას იცავს, არამედ ამ მოვლენათა ორიგინალურ ინტერპრეტაციებსაც იძლევა, გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას რიგი მოვლენების მიმართ და, ამდენად, იონა ხელაშვილის ეს ტექსტი მნიშვნელოვან საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება არ გამოირჩევა დოკუმენტური სიზუსტითა და ლიტერატურული ღირსებებით, „რონინი“ საყურადღებოა როგორც სამოგზაურო-ავტობიოგრაფიული ნარატივის საინტერესო ნიმუში.

დარეჯან მენაბდე

„თქმულებები ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ ძველ ქართულ და რუსულ წყაროებში“

სამეცნიერო ნაშრომში შესწავლილია ათონის მთის ქართველთა მონასტრის უდიდესი სიწმინდის, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის („კარიბჭის ღვთისმშობელი“; „პორტიკისა“) გარშემო არსებული ზეპირი და წერილობითი თქმულებები, რომელთა უმეტესობა ძირითადად X-XI სს. განეკუთვნება (გვხვდება IX ს. პირველ ნახევარშიც). საქართველომდე აღნიშნულმა გადმოცემებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოაღწია. ინტერესი საქართველოსა და ქართული სიწმინდეებისადმი რუსულ მწერლობაში XV-XVII საუკუნეებიდან შეინიშნება, ხოლო ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის შესახებ გაერცვლებულ ვერსიებს XIX-XX სს. უკვე რუსმა მეცნიერებმა მიაპყრეს ყურადღება. შეიქმნა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო თუ პოპულარული ლიტერატურა. სავარაუდოდ, XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოშიც ამიტომ გაიზარდა ინტერესი მოცემული თემისადმი, მით უმეტეს, ტიმოთე გაბაშვილიდან მოკიდებული არაერთი ქართული წყაროც ადასტურებდა ამ თქმულებების არსებობას. ნაშრომში სისტემატიზებული სახით წარმოდგენილია საკითხის გარშემო არსებული წყაროები და ლიტერატურა.

დარეჯან მენაბდე, ირინა ნაცვლიშვილი

მასალები ბიბლიოგრაფიისათვის

კრებულს „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“ ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფიული მასალა. მასში შედის 495 ერთეული ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვ. ენებზე.

მაია ჯალიაშვილი

განზომილებებით თამაში (ბესიკ ხარანაულის „მთავარი გამთამაშებლის“ მიხედვით)

ნაშრომში გაანალიზებულია ბესიკ ხარანაულის ახალი, ჟანრობრივად ორიგინალური წიგნი-კონცერტის იდეური კონცეფცია და მხატვრული თავისებურებანი. წიგნი დაქსელილია სივრცული და დროული ბადეებით, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ განზომილებებს ქმნიან. ცხადი, სიზმარი, მითი, ლეგენდა, ზღაპარი, წარსული, მომავალი – თანაბარი ინტენსივობით შემოიჭრებიან და ერთმანეთს გამსჭვალავენ. რეალობისა და ირეალობის გადაკვეთის გზებზე, ერთგვარ გზაჯვარედინებზე წამიერად შეყოვნებული ავტორი ერთ რომელიმე გზას კი არ ირჩევს, ერთ რომელიმე დრო-სივრცულ არეალს, არამედ ერთდროულად რამდენიმეს.

მაია ჯალიაშვილი

დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელი (გრ. რობაქიძის „მცველნი გრალისას“ მიხედვით)

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძისთვის საბჭოური საქართველო იქცა დარღვეულ დრო-სივრცედ, რომელშიც სასიცოცხლო შემოქმედებითი ენერჯია მთლიანად ჩაკლა და ჩაანაცვლა ბოლშევიკურმა დამანგრეველმა, დემონურმა რეჟიმმა. ლიტერატურა და გერმანული კულტურული სამყარო მისთვის იქცა თავშესაფრად, სადაც იგი

სამშობლოს სულიერ გადარჩენას მხატვრულ სამყაროში შეეცადა. ემიგრაციაში გერმანულ ენაზე დაწერილ რომანში „მცველნი გრალისა“ მან შექმნა აღდგენილი საქართველოს მითოპოეტური მოდელი. ამგვარად, მან შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და სიმბოლურ-მითოსური პარადიგმების გზით საქართველოს თავდახსნისა და გადარჩენის რწმენა გამოხატა.

Maia Jaliashvili

Crossroads of Mythological and Real Time and Spaces (According to the novel by Grigol Robakidze "Guards of Grail")

Space and time as an important phenomena, have special poetic function in the novels by Grigol Robakidze. In this respect, it is interesting to reveal different, imaginary or real, the relationship between art spaces in the novel "Guards of Grail", in which the idea of saving the nation is presented by the way of express across or parallel space's art models. There is the some kind of space intersections, that creates metaphysical reality in the novel. The characters of novel have a kind of ecstasy in this mystical places. This feeling leads to spiritual transformation and helps the character to communion with eternity.

მაია ჯალიაშვილი

სივრცული გზაჯვარედინები (გრ. რობაქიძის რომანის „მცველნი გრალისა“ მიხედვით)

სივრცეს, როგორც მრავალმნიშვნელოვან ფენომენს, გრ. რობაქიძის რომანებში განსაკუთრებული პოეტური ფუნქცია აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ გლინდება განსხვავებულ, წარმოსახულ თუ რეალურ, სივრცეთა ურთიერთმიმართება მის რომანში „მცველნი გრალისა“, რომელშიც ერის გადარჩენის იდეა სწორედ სივრცული მოდელების ურთიერთგადაკვეთით თუ პარალელური წარმოჩენით მჟღავნდება. რომანში გვხვდება ერთგვარი სივრცული გზაჯვარედინები, მეტაფიზიკურ რეალობას რომ ქმნიან და ამ წერტილებში პერსონაჟებს ეუფლებათ ერთგვარი ექსტაზი, რომელიც იწვევს სულიერ ტრანსფორმაციას და გმირს მარადისობასთან ზიარებაში ეხმარება. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა მწერლისთვის მნიშვნელოვანია იმ რწმენის ასაღორძინებლად, რომელიც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მატერიალურ სივრცეში არსებობას გულისხმობს. მითოსის, ზღაპრის, ლეგენდის, პოეზიის წარმოსახულ სივრცეებში პერსონაჟები მოგზაურობენ დაკარგული სულიერი ძალების მოსაპოვებლად, რათა ეს ენერჯია შემდეგ ხალხის ღირსებისა და თვითშეგნების გამოღვიძებისთვის გამოიყენონ.

მაია ჯალიაშვილი

„აქ შეიძლება ღმერთს შეხვდე“ (ეთერ თათარაიძის კავკასიური დღიურები)

ნაშრომში წარმოჩენილია ეთერ თათარაიძის კავკასიური დღიურების ციკლის მხატვრული თავისებურებანი, პარალელი გავლებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებასთან, გამოკვეთილია ის საერთო ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორი შემოქმედის ესთეტიკურ კრედოს და ერთმანეთს ანათესავენ.

ნონა კუპრეიშვილი

იოსებ გრიშაშვილი, როგორც რედაქტორი

იოსებ გრიშაშვილის ჟურნალმა „ლეილა“ რომელსაც პოეტი 1917-24 წლებში რედაქტორობდა, XX საუკუნის 10-20-იანი წლების უაღრესად მრავალფეროვანი ქართული პერიოდული პრესის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნა. მან ასახა მოწინავე შემოქმედებითი ინტელიგენციის ბრძოლა კულტურული ორიენტაციისათვის, რამაც ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული რეზონანსულობა შეიძინა. ევროპული ვექტორი, რომელიც „ცისფერყანწველთა“ მოღვაწეობას უკავშირდება, „ლეილას“ რიგი პუბლიკაციების (ვ. კოტეტიშვილი, ა. პაპავა, თვით ი. გრიშაშვილი) სახით, ალტერნატივას პოულობს. ისინი ჩვენს აზიურ ფესვებს გვახსენებენ. ამ კონტექსტში საინტერესოდ იკვეთება გრ. რობაქიძის პოზიცია, რომელიც ჟურნალის მკითხველს კულტურულ ნეიტრალიტეტს სთავაზობს. უფრო სწორად, ესაა ევროპული და აზიური ხელოვნების ტრადიციული სინთეზირების გზა, რასაც იგი „კულტურათა ქორწილს“ უწოდებს.

ნონა კუპრეიშვილი

სტეფანე კასრაძე - ავანგარდიზმიდან დოკუმენტურ პროზამდე

XX საუკუნის 20-იანი წლების ე. წ. მემარჯვენე ლიტერატურის ნიჭიერი წარმომადგენელი

ახალგაზრდა პროზაიკოსი სტეფანე კასრაძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა. მოხსენებაში აქცენტირებულია მისი ცხოვრებისეული გზის მკვეთრი ცვლილება, რომელსაც შემოქმედებითი გეგმების ერთგვარი დენოტაციაც მოჰყვა. ავანგარდისტული ხელწერის მწერალი დოკუმენტური პროზისკენ იხრება, რაც ემიგრანტის ტრავმულ მესსიერებაში თითქოს „გაყინულ-შეჩერებული დრო-სივრცის“ მხატვრულ გააზრებას ეყრდნობა. სწორედ ამ ნიშნითაა ნაკვლავი 30-იან წლებში საფრანგეთში შექმნილი მწერლის გვიანდელი რომანი „თარი-არაღე“, რომელიც ქართველმა მკითხველმა მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში იხილა.

ნონა კუპრეიშვილი

ამოყირავებული დრო-სივრცე ღია ლიქოკელის პოეტურ კრებულში „ღვეის ცოლის სიცილი“

პოეტური პირველცდები, როგორც წესი, იშვიათად ხდება მეცნიერული დაკვირვებისა და ანალიზის საგანი. გამონაკლისი დაუშვით ახალგაზრდა პოეტის ღია ლიქოკელის კრებულის „ღვეის ცოლის სიცილის“ მიმართ, რადგან მასში არა მარტო ინოვაციური მუხტი, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის სამომავლო პროექცია, მისი სიცოცხლისუნარიანი ტენდენციების მხატვრული რეალიზების საინტერესო ცდები დაინახეთ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტრადიციული ფორმისა და შინაარსის დესტრუქციულობის გადაზრდა ახალ პოეტურ-აზრობრივ სტრუქტურაში, რაც არა ხელოვნურად, არამედ ხალხური (კერძოდ, ხევსურული) ფოლკლორის გამოყენებითაა მიღწეული.

ნონა კუპრეიშვილი

„ახალი საუნჯის“ „სელფმედიები“

სტატიაში გაანალიზებულია ახალგაზრდული ჟურნალის - „ახალი საუნჯის“ კრიტიკული წერილები, გამოკვეთილია მათი უკვე ცნობილი თუ სრულიად უცნობი ავტორების შემოქმედებითი პროფილები. ჟურნალის კონცეფცია დაკავშირებულია მისი რედაქტორის, პოეტ შოთა იათაშვილის ლიტერატურულ-ესეისტურ კრებულთან „დალაგება“, რომელიც ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული ანალიზით გამოირჩევა. ჟურნალის კრიტიკულ დისკურსს სხვადასხვა ასაკის ავტორები წარმოადგენენ. ნუგზარ მუხაშვილიდან სოფო წულაიამდე – ეს ის სპექტრია, რომელიც კიდევ ერთხელ იძლევა საშუალებას დღევანდელი ქართული კრიტიკული აზრის მთლიანობასთან ერთად იმ პრობლემების დანახვისა, რომელიც თან სდევს ლიტერატურის ამ უმნიშვნელოვანეს ჟანრს და რომლის გათვალისწინება პროდუქტიული, პირველ ყოვლისა, მკითხველისთვის უნდა გახდეს.

საბა მეტრეველი

გალობა და აგიოგრაფია

რელიგიური მუსიკა, გალობა, უპირველესად, ეს არის მდორედ განვითარებული მელოდია, თავისუფალი კონტრასტებისაგან. მისი სტილური თავისებურებაა ის, რომ არის ლოცვის, სიტყვის ფონი. სასულიერო პოეტური ტექსტის მკაფიოდ გამოხატვა და კანონიზებული ჰანგის უცვლელად შენარჩუნება საეკლესიო გალობის კანონიკის ძირითად ასპექტებს შეადგენს. მსგავსი პრინციპი აქვს აგიოგრაფიასაც, ის ემსახურება ძირითადი სათქმელის მკაფიოდ გადმოცემას, ამიტომაც სიუჟეტში არ გვხვდება ბუნების სურათების აღწერა და მისი განცდა, ლირიკული წიადსვლები, მკვეთრი დეტალიზაცია და მისთ. არსებობს სამი ძირითადი ტიპი აგიოგრაფიული კრებულებისა: კიმენი, სვინაქსარი და მეტაფრასი. სამივე მათგანში უცვლელია ძირითადი ამბავი, ჭეშმარიტი და ნამდვილი. მეტაფრასტიკა შეეხო ნაწარმოებთა მხატვრულ მხარეს, მეტი განვითარება მისცა ჟანრს.

საბა მეტრეველი

„წმიდა იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ იკონოგრაფიული სახისმეტყველება

გიორგი მთაწმინდელის „წმიდა იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით გაანალიზებულია ათონის მნიშვნელობა ქართული კულტურისთვის, საგანგებოდაა შესწავლილი და წარმოჩენილი იოანე ათონელი, როგორც მეტყველი ხატი უზაკველი მორჩილებისა და როგორც ახალი ოქროპირი. დიდი ნაწილი ეთმობა წმიდა ექვთიმე ათონელის დვაწლს. ამასთანავე, ხაზგასმულია ქართული ენისა და სიტყვის, თარგმანის მსახურების განსაკუთრებულობა. საგანგებოდ შევისწავლეთ ივირონის ტიპიკონი, ამასთანავე, წარმოვაჩინეთ ექვთიმე მთაწმინდელის პრიორიტეტები მონაზვნურ ცხოვრებაში. გიორგი მთაწმინდელის მიერ გადმოცემული წეს-განგება. დასასრულ, გიორგი მთაწმინდელის

თხზულება დანახული და შეფასებული გვაქვს XI საუკუნის ქართული ქრისტიანული ხელოვნების ფონზე, წარმოდგენილია ის ზოგადი ტენდენციები, რომლებიც გვხდება ამ პერიოდის ქრისტიანულ ხელოვნებაში.

საბა მეტრეველი პოეზიის უმანკო მსხვერპლი - ტერენტი გრანელი

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან: მარად შეუცნობელი, memento mori, როგორც ყოველდღიური სიკვდილი, ფრიდრიხ ნიცშე და ტერენტი გრანელი. ტერენტი გრანელის პიროვნული და შემოქმედებითი მთლიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ფენომენი ამოვიცნოთ, აღვადგინოთ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. მის გამოსავლენად შესწავლილია პოეზიაც და მოგონებები იმ ადამიანთა, რომლებიც პირადად იცნობდნენ პოეტს. ყველაზე მთავარი მახასიათებელი ტ. გრანელის შემოქმედებისა არის დაუძლეველი მელანქოლია, მგლოვიარე სერაფიმებისა და სიკვდილის ზმანება. გამოკვლევაში დაძვნილია სიკვდილის განცდისა და შემეცნების ეტაპები, ამასთანავე, ხაზგასმულია ისიც, რომ იგი ყოველთვის გრძნობდა შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლოვებულ კავშირს – ეს უკვე წმინდა წყლის მისტიკა იყო, ჭვრეტა ზეციურის, იდუმალისა და მიუსაფრისა. რაც შეეხება ბოლო თავს, მასში შესწავლილია ტერენტი გრანელი და ფრიდრიხ ნიცშე – ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პიროვნება. მიუხედავად სხვაობისა, ძალზე ბევრი საერთო იძებნება მათ შორის ცხოვრების წესის, გრძნობათა სიმწვავის, არაორდინარული ქმედების, შეშლილობამდე მისული განცდის მხრივ.

საბა მეტრეველი აგიოგრაფიის ინტერდისციპლინური გააზრებანი

კვლევის საგანი არის იმის ჩვენება, რეალურად, მართლაც, რასთან გვაქვს საქმე, როცა ვსაუბრობთ აგიოგრაფიულ მწერლობაზე, რა განსაზღვრავს მის მხატვრულობას? თუ ისიც ხელოვნების დარგია, მაშინ ბუნებრივად უნდა ერწყმოდეს თავისი ეპოქის ხელოვნების ზოგად კანონზომიერებებს. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი წმინდად ინტერდისციპლინურია. საკითხს ასე ვსვამთ – ქართული ქრისტიანული ხელოვნების რიგში განვიხილოთ ქართული აგიოგრაფია და გამოვკვეთოთ ის ზოგადი და კონკრეტული თავისებურებანი, რომლებიც ამ ეპოქის, შუა საუკუნეების, ხელოვნების სპეციფიკას განსაზღვრავს. ასეთი მიდგომა მოხსნის არაერთ შეკითხვას, მათ შორის გაირკვევა, როგორი ესთეტიკის მატარებელია აგიოგრაფია და როგორია მისი სააზროვნო ენა თუ სტილური თავისებურება. ქართული ქრისტიანული ხელოვნების დარგები: ხუროთმოძღვრება, ქვის რელიეფები, რელიგიური მხატვრობა – ფრესკა (კედლის მხატვრობა) და ხატწერა, ჭედურობა, მინანქარი, ხელნაწერთა დასურათება, ნაქარგობა, გალობა და ჰიმნოგრაფია ერთ მთლიანობაში წარმოგვადგენინებს იმ ძირითადსა და განმასხვავებელს, რომლებიც საკუთრივ აგიოგრაფიის სპეციფიკას განსაზღვრავენ. ამდენად, ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული ქრისტიანული ხელოვნების ჩამოთვლილი დარგები და აგიოგრაფია.

ლალი ავალიანი მეხსიერება (აკა მორჩილაძის „ობოლეს“)

სტატია აკა მორჩილაძის „რომან „ობოლეს“ ეხება. „ობოლე“, რაც ოთარ ჭილაძის ცნობილი გამონათქვამის - „ჩვენ ობოლი ერი ვართ“ - აღუზიად აღიქმება, შესაძლოა, ერთადერთობის, გამორჩეულობის, ჩვენი იდენტობის შენარჩუნების სიმბოლოდაც გავიაზროთ. თბილისიდან სოფელში „საქმიანი ვიზიტით“ ჩასული მთხრობელი იმ ორიოდე დღის სიზმარ-ცხადში, რეალობასა თუ გამონაგონში, მშობლიური კუთხის სამსაუკუნოვან ისტორიასა და წინაპართა ზოგჯერ გმირულ, ზოგჯერ ოდიოზურ და სასაცილო ამბებს, მონატრებულ ნათესავ-მეზობლებთან ტრადიციულ ურთიერთობებს წარმოსახავს და თითქოს ხელისგულზე გადაგვიშლის სრულიად საქართველოს ისტორიასა და ქართულ ფენომენს. ტრაგიკომიკური რომანი ტკბილ-მწარედ ჩაგვაფიქრებს ჩვენს „გენეტიკურ მეხსიერებაზე“, რაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს გარდაუვალი გლობალიზაციის კარიბჭესთან.

ლალი ავალიანი უდავო - სადავო?!

„სენსაციის“ გამოდევნება ზოგჯერ მხოლოდ საზიანოა ლიტერატურის ისტორიისათვის, მით უმეტეს, როცა საქმე XX საუკუნის ერთადერთ, ეჭვმიუტანელ და წარმატებულ ლიტერატურულ მისტიფიკაციას, პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურებს“ ეხება.

არცერთ ცისფერყანწელს, ლიტერატურის ისტორიკოსს თუ კრიტიკოსს, მემუარისტს, არცერთ მის თანამედროვე ქართველ პოეტს პაოლოს ავტობიოგრაფიაში ეჭვი არ შეჰპარვია. 1926 წელს პაოლო იაშვილიც ადასტურებს, რომ „ელენე დარიანი“ მისი ფსევდონიმაა. 1997 წლიდან ამოდ ცდილობენ უდავო სადავოდ გადააქციონ, ერთადერთ საბუთზე - ელენე ბაქრაძის „შეთხზულ“ (ნაყალბე) მემუარებზე დაყრდნობით. ეს ცილისმწამებლური და სამარცხვინო პიარ-კამპანია დღემდე გრძელდება, ეს კი პაოლო იაშვილის საავტორო უფლებების ხელყოფაა.

ლალი ავალიანი

სერგო კლდიაშვილი - „უჩინო“ ჩინებული მწერალი

სერგო კლდიაშვილი დღემდე არ არის სათანადოდ დაფასებული. იგი უმწიკვლო მოქალაქე და ხვავრიელი შემოქმედი (რომანები, ნოველები, მემუარები, დრამატურგია) გახლდათ. ყოფილ აქტიურ ცისფერყანწელს დიდი მამისაგან მემკვიდრეობით „ერგო“ ჰუმანიზმი, თხრობის ლაკონურობა და მხატვრული სიმართლე. სისადავით, ლაპიდარული სტილით, ფრაზის სისხარტითა და ემოციურობით მისი პროზა დღემდე სანიშნოა.

ზოია ცხადაია

იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები

ნაშრომში განხილულია ი. გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები, რომლებიც დაწერილია 1920-1930 წლებში; წიგნად პირველად გამოიცა 1992 წელს და დღემდე საგანგებოდ არ განხილულა. ნაშრომში ჩანს პოეტის მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულება და დაუმორჩილებლობა ახალი ეპოქისადმი, ბოლშევიკური რეჟიმისადმი (მართალია, ვერ აქვეყნებდა ამ ლექსებს, მაგრამ პოეზიის სადამოებზე კითხულობდა, რაც მისი დაპატიმრების მიზეზიც გამხდარა). ეს არის მრავალფეროვანი, ემოციური, მხატვრული სახეებით და ფორმით მდიდარი ტექსტები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ი. გრიშაშვილის შემოქმედება.

ზოია ცხადაია

პოეზია – ტრაგიკული დროის გამოძახილი

ნაშრომში განხილულია ემიგრანტი პოეტისა და პუბლიცისტის მიხეილ ქავთარაძის პოეზია, პუბლიცისტური წერილები და ბიოგრაფიული ფაქტები. გამოიკვეთა, რომ ტრაგიკული დროის მკაცრი ლოგიკით იყო ნაკარნახევი ეროვნული გრძნობის პოეზიით გამოხატვა, პატრიოტული მედიტაციები, რომელიც უმთავრესია მ. ქავთარაძის შემოქმედებაში.

ზოია ცხადაია, თამარ ციციშვილი

სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა

ნაშრომში ნაჩვენებია, ერთი მხრივ, სტალინომანიის ბუმი, განსაკუთრებით, 30-იანი წლების საქართველოში, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტი პოეტების ლირიკაში, ქართულ ხალხურ პოეზიაში... მეორე მხრივ, ემიგრანტულ ლიტერატურაში (გრ. რობაქიძე, ს. ბერეჟიანი, მ. ქავთარაძე...); განხილულია აგრეთვე რუსი ემიგრანტებისა და უცხოელი მწერლების ანტისტალინური შეხედულებები; ახსნილია ამ ყველაფრის მიზეზები – რა განაპირობებდა სტალინის მესიანიზმს საბჭოთა საქართველოში და რატომ წარმოჩნდა განსხვავებული ასპექტით ბელადის ფენომენი ემიგრანტულ ლიტერატურაში.

ზოია ცხადაია

ჯანსუღ კორძაიას პოეტური ხმა

ესაა ლიტერატურული პორტრეტი, რომელიც წარმოაჩენს XX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო პოეტის შემოქმედების ხასიათს, მის ემოციურ ფილოსოფიურ ლირიკას, რომელშიც ნათლად იკვეთება სამყაროს სიყვარულით გაჯერებული ლირიკოსის, ადამიანის ბუნება.

ზოია ცხადაია

„ეს მე ვარ – ფიროსმანი“

წერილში განხილულია შორენა ლებანიძის ბიოგრაფიული რომანი „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ (2012 წ.); ნათქვამია, რომ ავტორი მხატვრული ოსტატობით აცოცხლებს დოკუმენტურ ფაქტებს ფიროსმანის შესახებ, დიდძალ ფილოსოფიურ მასალას სთავაზობს

მკითხველს ისე, რომ არ არღვევს დოკუმენტურობას, ქმნის ერთიან სურათს, გვთავაზობს სიახლეს – ფიროსმანის სიყვარულის ერთ ახალ, უცნობ ეპიზოდს. რომანი მრავალმხრივ დააფიქრებს მკითხველს, კიდევ ერთხელ გაახსენებს მას დიდი მხატვრის ტრაგიკულ ცხოვრებას, კითხვის ნიშნებს, რომელიც მუდამ ახლავს ფიროსმანის სახელს.

ნანა მრევლიშვილი

კატენებიანი თხზულების შედგენილობის პრინციპი და წყაროთა საკითხი

სტატიაში კატენებიანი თხზულებების შედგენილობის პრინციპზე ვმსჯელობთ მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის *ეკლესიასტეს განმარტებათა* მიხედვით, რომელიც ქართულ მწერლობაში შემორჩენილია ერთადერთი ხელნაწერით (A 61). დეტალურად განვიხილავთ ყველა ჩანართს, რომლებიც დასტურდება ამ ორი ავტორის კომპოზიციურად გამთლიანებულ თხზულებაში. ვმსჯელობთ ციტირებული ტექსტების წყაროთა საკითხებზე. ქართულ-ბერძნული რედაქციების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვგაქვს დასკვნები ჩანართების რედაქციული ურთიერთმიმართების შესახებ.

ნანა მრევლიშვილი

ქარები ქრიან... (ბესიკ ხარანაულის ერთი ლექსის - „სად არიან შვილები...“ - გამო)

ესაა ესე ბესიკ ხარანაულის ერთი ლექსის „სად არიან შვილები“ შესახებ; მასში გაანალიზებულია მთელი თაობის ტრაგიზმი, რაც პოეტურადაა წარმოსახული ამ ლექსში და ორიგინალური ფორმითაა გამოხატული.

ნანა მრევლიშვილი

დროის კატეგორიის გაგებისათვის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით

მოსხენებაში ჩვენი მსჯელობა დროისა და სივრცის შესახებ ძირითადად ეფუძნება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ბერძნულ ორიგინალსა (Migne, Patrologia cursus cimpleus, series graeca, t. 94) და მის ქართულ თარგმანებს – ეფრემ მცირისა (ძირითადი ხელნაწერი A 24 – XII ს.) და არსენ იყალთოელის (ძირითადი ხელნაწერი S 1463 – XII ს.) რედაქციებს (ორივე ქართული რედაქცია გამოიცა 2000 წელს - „წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“). მოსხენებაში ვცდილობთ გავარკვიოთ, რა იმეგვიდრა ქრისტიანულმა თეოლოგიამ და, კონკრეტულად, იოანე დამასკელმა, კლასიკური ფილოსოფიური აზროვნებისგან, ან რითი განირჩა იგი სხვა ქრისტიანი თეოლოგებისგან; მითითებული ფილოსოფიური კატეგორიების გამოხატვისას რა კონკრეტულ ტერმინოლოგიურ სისტემას ეფუძნება „გარდამოცემის“ ბერძნული ტექსტი და რა თავისებურებებს გვიჩვენებს დროის კატეგორიის ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით ქართული თარგმანები.

ირინა ნაცვლიშვილი

პერსონაჟის „სიტყვის“ პოეტიკის ინტერტექსტუალური ასპექტები ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიაანეში“

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ნარატივი, კერძოდ კი XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის მატიაანე, თავისი დროის ლიტერატურული პროცესის განუყოფელი ნაწილია და, მიუხედავად ვიწრო ჟანრული მოთხოვნებისა, ისიც მედიევალური მხატვრული აზროვნებისთვის ნიშანდობლივ სპეციფიკურ ტიპოლოგიას ავლენს და იმ პოეტიკურ კატეგორიათა სისტემას ემორჩილება, რომლის ხასიათი განპირობებულია ეპოქის „ლიტერატურული თვითშეგნებით“. ქრისტიანულ შუა საუკუნეებში სამყარო შეიმეცნებოდა არა უშუალოდ დაკვირვების, არამედ ბიბლიური „მზა სიტყვის“ საშუალებით. ამდენად, ლიტერატურული დისკურსიც მეტწილად სწორედ ამ „მზა სიტყვაზეა“ ორიენტირებული. ჟამთააღმწერლის მატიაანის პერსონაჟის „სიტყვა“ ავტორის მიერ სტილიზებულია „ნაცნობი“ სახეებით, ტოპოსებით. შესაბამისად, ის, ფაქტობრივად, ბიბლიური ინტერტექსტის საფუძველზეა გაფორმებული, რაც თხზულების პოეტიკის განმსაზღვრელი ნიშანია.

დარეჯან მენაბდე, ირინა ნაცვლიშვილი

მასალები ბიბლიოგრაფიისათვის

კრებულს „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“ ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფიული მასალა. მასში შედის 495 ერთეული ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვ. ენებზე.

ირინა ნაცვლიშვილი

ისტორია აქცენტებით ლიტერატურულ დისკურსში (თ. პაპავას ლიტერატურული პორტრეტების მიხედვით)

ქართველი ხალხისთვის ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ემიგრაცია ისტორიული ბედის სამწუხარო ნაწილად იქცა, XX საუკუნის 20-იანი წლების ახალმა ქართულმა სინამდვილემ კი კიდევ ერთხელ და არანაკლები სიმწვავეით წარმოაჩინა მისი აუცილებლობა. თუმცა, სხვა სივრცეშიც, მძიმე პირობებში, ქართველები ინარჩუნებდნენ ენას, კულტურას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ ისტორიულ იდეალებს და კიდევ უფრო აღვივებდნენ მათ, რათა უცხო ქვეყნებში გაურკვეველი ვადით შეხიზნულებს და მათ შთამომავლებს ახალ გარემოში არ დაეკარგათ სამშობლოს ხსოვნა და ადეკვატურად გაეცნობიერებინათ საკუთარი მოვალეობა. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული თ. პაპავას ნარკვევთა ციკლი, რომელიც 1937-1956 წლებში სამ წიგნად გამოიცა პარიზსა და ბუენოს-აირესში. ჟანრობრივად ეს ისტორიულ-ლიტერატურული პორტრეტებია. ავტორი საგანგებოდ მოძიებულ დოკუმენტურ მასალას ოსტატურად უხამებს ლიტერატურულ-ანალიტიკურ დისკურსს. ავტორის მიზანია, წარსულის რეტროსპექტული ხედვით, ისტორიის რეკონსტრუქციით თანამედროვეთათვის მნიშვნელოვანი აქცენტები გამოკვეთოს.

ეკა ჩიკვაიძე

უარყოფის უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც მდიდარი გრამატიკული ინოვაციების წყარო, უარყოფის გამოსახვის თვალსაზრისით ფორმობრივ ნაირგვარობას გვთავაზობს. მრავალფეროვნება იქმნება განსხვავებული პოზიციური წყობით, ინტონაციური მახვილით, ფუნქციითა და ფორმით, რაც სისტემატიზებული სახითაც შეიძლება წარმოვაჩინოთ. განსაკუთრებულ ელფერს რუსთველის ისედაც მდიდარ ფორმობრივ სისტემას ორმაგი უარყოფა ანიჭებს. ორმაგი უარყოფა, რეალურად, ლოგიკური გამოცანაა, რომლის გახსნაც დამატებითი ნიუანსით ამკობს დასახასიათებელ ობიექტს.

ეკა ჩიკვაიძე

გიორგი მთაწმინდელი და საქართველოს ეკლესიის ისტორია

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ფურცლები ძველმა ქართულმა ლიტერატურამ უფრო შემოგვინახა, ვიდრე დოკუმენტებმა. გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, ცხადია, არც გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, რომელიც არა მარტო გადმოგვცემს საქართველოს ეკლესიის ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს, არამედ იმდენად დიდ ფუნქციას ინარჩუნებს, რომ მთელ რიგ საკითხებში დღესაც უცვლელი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ სამ მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობა და სამოციქულოობა; 2. კათოლიკე (ბენედიქტიანელ) ათონელებთან და 3. სომეხ მონოფიზიტებთან ურთიერმიმართების საკითხები.

მაკა ჯოხაძე

ხელოვანის ბედი ანექსირებულ სამყაროში (გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ მიხედვით)

პოლიტიკურ რეჟიმებსა და რეპრესიულ მანქანებს უმთავრესად დიდი ტალანტის მქონე ხელოვანები ეწირებიან. სიფათიანია მათი როგორც ცხოვრებისეული, ისე შემოქმედებითი გზაც. ამ თვალსაზრისით ქართული ემიგრანტული მწერლობის კვლევა, კერძოდ კი გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, უაღრესად საინტერესო და მრავლისმომცემია. ხელოვანის, პოეტის ბედი ბოლშევიზმის მიერ ანექსირებულ სამყაროში ყველაზე მძაფრად და სიმბოლურად XX საუკუნის ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში სწორედ ამ რომანით გამოიხატა.

მანანა კვატია

ემიგრაცია: სივრცე შემოქმედებითი თავისუფლებისათვის

სტატია ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობრივ პრობლემატიკას, ასევე, იმ ანტაგონიზმს, რომელიც მის სააზროვნო სივრცესა და საბჭოთა მენტალობას შორის არსებობდა. წერილში დახასიათებულია რობაქიძის ემიგრაციის პერიოდის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები.

მანანა კვატია

ვექტორები ევროპისკენ

ნაშრომში ეპისტოლური მასალის გამოყენებით აღდგენილია გრიგოლ რობაქიძის „გველის

პერანგის” გერმანულ ენაზე თარგმნის და პუბლიკაციის ისტორიის აქამდე უცნობი დეტალები. აქვე გაანალიზებულია მწერლის მიერ 1927 წელს გერმანიიდან გამოგზავნილ კორესპონდენციათა ციკლი “ფოთლები ევროპიდან”, გამოყოფილია მისი ძირითადი აქცენტები და მიღებულია დასკვნა, რომ გრიგოლ რობაქიძემ ჯერ კიდევ 1927 წელს სცადა, გაერღვია მოჯადოებული საბჭოთა სივრცე და რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი თანამემამულეები მისი დროის ევროპულ ღირებულებებს აზიარა.

მანანა კვატაია

“კავკასიონი”, 1966 – რუსთველოლოგიური ძიებანი

წერილი მიმოიხილავს და აანალიზებს ვიქტორ ნოზაძის იმ რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებიც დიდი პოეტის საიუბილეოდ 1966 წელს პარიზში გამოცემულ ჟურნალ “კავკასიონში” გამოქვეყნდა.

მანანა კვატაია

შუა საუკუნეების ევროპული კულტურულ-ლიტერატურული სივრცის ქართული პარალელები

ნაშრომი აანალიზებს ვიქტორ ნოზაძის შეხედულებებს, რომლებიც შუა საუკუნეების ევროპისა და საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეთა თანხვედრას და საერთო ტენდენციებს ეხება. აქვე საუბარია „ვეფხისტყაოსნისა“ და შუა საუკუნეების ევროპული მწერლობის მიმართებაზე, რომელიც ვ. ნოზაძის ნაშრომებში იკვეთება.

მანანა კვატაია

მითოსურ და ისტორიულ სივრცეთა ანტაგონიზმი

სტატია განიხილავს გრიგოლ რობაქიძის ამ ბოლო დრომდე უცნობ თხზულებას „ჩემი განმარტება“, რომელიც სტატიის ავტორმა 2012 წელს თარგმნა და გამომცემლობა „არტანუჯმა“ „უცნობი გრიგოლ რობაქიძის“ სერიით დაბეჭდა. თხზულებაში ახსნილია ის მიზეზები, ვის გამოც რობაქიძემ „ადოლფ ჰიტლერი“ დაწერა. მწერალი თავადვე დაასკვნის, რომ მის თხზულებაში წარმოდგენილი გერმანელი დიქტატორის მისეული, მითოლოგიური ხატი არ დაემთხვა ჰიტლერის ისტორიულ ხატს.

მანანა კვატაია

“ბარბაროსი, რომელშიც გენიოსმა გაიღვიძა”...

წერილი წარმოადგენს ლევ ტოლსტოის ფენომენის გრიგოლ რობაქიძისეულ ინტერპრეტაციას. აქვე გამოქვეყნებულია რობაქიძის ესეის „ლევ ტოლსტოის“ ქართული თარგმანი.

მანანა კვატაია

ინტელექტუალურ სივრცეთა წარმტაცი უსაზღვროება

სტატია აფასებს 2012 წელს ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა ხუთტომეულს. მასში ხაზგასმულია ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ამ გამოცემას ქართული ინტელექტუალური სივრცისთვის აქვს.

მანანა კვატაია

თანხვედრათა არგუმენტირებული დიალექტიკა

წერილი განიხილავს ვიქტორ ნოზაძის იმ ოპუსებს, რომლებიც აანალიზებს საქართველოსა და ევროპის ისტორიულ კავშირსა და ნათესაობას.

მანანა შამილიშვილი

იუმორისტული ტელეტექსტი, როგორც იდეოლოგიური კონცეპტი

ჩვენ მიერ შესრულებული ნაშრომი იუმორისტული ტელეგადაცემების იდეოლოგიური მიზანდასახულობის ჩვენებას ემსახურება. სადღეისოდ თემის აქტუალობას ხელს უწყობს მდარე და პოლიტიკურად ანგაჟირებული კინური ტელეპროდუქციის განსაკუთრებული მოძალბა. კონკრეტული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეკვია ამ ტიპის მედიატექსტის ძირითადი მახასიათებლები; ავტორიტეტული სპეციალისტების თვალსაზრისთა გათვალისწინებით, განვესაზღვრა ამგვარი გზავნილების მედიაუდიტორიაზე გავლენის ხარისხი და უკუკავშირის სპეციფიკა.

მანანა შამილიშვილი

პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: „ქართული გაზეთის“ (ბერლინი, 1916 -1918) მასალათა მიხედვით

ნაშრომში ვეცადეთ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთი კონკრეტული მედიასაშუალების, 1916 – 1918 წ.წ. ბერლინში გამოშვებული „ქართული გაზეთის“ მაგალითზე გვეჩვენებინა. ამ საინტერესო პერიოდული გამოცემის შესწავლამ საშუალებას მოგვცა, გამოგვეკვითა ემიგრანტთა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციები, ხოლო ცალკეული პუბლიკაციის ანალიზით, ნათლად წარმოგვეჩინა საგაზეთო პოლიტიკა და მისი მესვეურების პოზიცია რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ.

მანანა შამილიშვილი

პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში

ნაშრომში თანამედროვე ქართველი მწერლების ახალ მედიაში თვითპრეზენტაციის თავისებურებებზე ვამახვილებთ ყურადღებას. საზოგადოებისათვის საჭირობოროტო თემები მათ სულ უფრო ხშირად გამოაქვთ ინტერეტმომხმარებლის სამსჯავროზე. ე. წ. კიბერმწერლების მიერ გამოყენებული მრავალგვარი სტილისტური ხერხიდან ნაშრომში პოლიტიკური სატირის მნიშვნელობაზე ვაკეთებთ აქცენტს. ეს ტროპული სახე განსაკუთრებით აქტუალურია ქართულ ბლოგოსფეროში, რადგან მისი მეშვეობით მწერალი დაუნდობლად ააშკარავებს საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებებს. იგი მეტადრე პოლიტიკური ელიტის “გასამათრახებლად” გამოიყენება. საკითხს განვიხილავთ ზურაბ ქარუმიძისა და ლაშა ბუღაძის ბოლოდროინდელი ბლოგური ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე.

ზაზა გოგია

გახსენება

სტატია ეხება XX საუკუნის ორი გამოჩენილი კრიტიკოსის - გურამ ასათიანისა და ოტია პაჭკორიას - კულტურულ-ისტორიულ როლს თანამედროვე კრიტიკული აზრის განვითარებაში. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი დამოუკიდებელ აზროვნებას, იმ მიმართულების აღორძინებას, რომელსაც განსაკუთრებული გაქანება პოსტსაბჭოთა პერიოდში მიეცა. ამით ისინი პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი კრიტიკის ერთ-ერთ პირველ მეკვლეებად გვევლინებიან.

ანა ლეთოდიანი

„საერთო და სასულიერო პირებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების „ცხოვრებათა“ მიხედვით“

ნაშრომში ბიზანტიაში დამკვიდრებული ცეზაროპაპიზმისა და დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბებული თეოკრატიის ფონზე განხილულია ქართველ სასულიერო პირებსა და სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებს (როგორც ქართველ, ისე ბერძენ) შორის ურთიერთობა. ნაჩვენებია, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველოში ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან შედარებით მკვეთრად განსხვავებული რეალობა იყო. საქართველოში (გამონაკლისი შემთხვევების გარდა) ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის არსებობდა ის „სიმფონია“, რომელიც განისაზღვრა ქრისტიანული სწავლებით, მაგრამ შემდეგ ბიზანტიასა და დასავლეთში ნეგატიური ტრანსფორმაცია განიცადა პაპიზმისა და თეოკრატიის სახით.

ანა ლეთოდიანი

ვერძის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით

ნაშრომში საუბარია ვერძის სიმბოლიკაზე გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით. ამავე კონტექსტში განხილულია გიორგი ათონელის სახელის სიმბოლიკა. გიორგი მთაწმინდელის სახესთან მიმართებით, “ვერძი” შეიძლება გავიაზროთ სიბრძნის (სამწესოს ბრძენი წინამძღოლი), შემოქმედებითი ენერჯის (მწიგნობრული მოღვაწეობა), ნაყოფიერების (სულიერი ცხოვრების, მწიგნობრული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაყოფი) სიმბოლოდ ანუ “ვერძის” სახეში (ისევე, როგორც მის სახელში) შეკუმშული ფორმით “ჩატყულია” ინფორმაცია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების გზის, მის მისიისა და მიზანდასახულების შესახებ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გიორგი, სწორედ დაბადებამდე იხსენიება ღვთის “რჩეულ ვერძად”.

ანა ლეთოდიანი

გვრიტისა, მტრედის და ორბის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით
ნაშრომში გააზრებულია გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრებაში” ნახსენები გვრიტის, მტრედის და ორბის სიმბოლიკა. დასახელებულ სახე-სიმბოლოთაგან პირველი ორი გიორგი ათონელის სულიერ მოძღვარს, შავ მთაზე მოღვაწე ბერს, გიორგი “შეყენებულს” მიემართება, მესამე კი, გიორგი მთაწმინდელს. გვრიტის სიმბოლოური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, აღნიშნული სახე – სიმბოლო სულიერი სიმაღლის, ღვთის ერთგულების გამომხატველია. მტრედი კი, გიორგი “შეყენებულის” ცხოვრების წესიდან, უფრო სწორად, ღვაწლიდან გამომდინარე, მის სიყვარულს, სიმშვიდეს, უმანკობას, თავმდაბლობას, უბოროტობას, სიწმინდეს, ზოგადად, ქრისტიანულ სათნოებებს უსვამს ხაზს. ამავე აზრით იწოდება “უმანკო მტრედად” და “უბიწო გურიტად” გიორგი მთაწმინდელი. ორბის შესახებ ძველად არსებობდა წარმოდგენა, რომ მას აქვს ყოველ 10 წელიწადში გაახალგაზრდავების, უნარი. “ორბის განჭაბუკება”, ღვთის მცნებათა შემეცნების შედეგად, სულიერად “გაახალგაზრდავებას”, “განხლებას” უკავშირდება. გიორგი მთაწმინდელის “განჭაბუკებულ ორბთან” შედარებით, გიორგი მცირე ხაზს უსვამს, რომ ათონელი მამის და მის მსგავს მოღვაწეთა მაგალითი, მათი ღირსებებისადმი მიბაძვის სურვილს აღძრავს, რაც სულიერ “განახლებას” იწვევს.

თამარ ციციშვილი
ქართული მწერლობის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში

ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთიან სისტემაში გააზრებისა და სისტემატიზაციის პირველი მცდელობაც XIX საუკუნეში იწყება. XIX საუკუნის ქართული კრიტიკის კვლევის ძირითადი საგანი თანადროული ქართული მწერლობის წინაშე მდგომი პრობლემებისა და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებების გააზრება იყო. წერილში დამუშავებული და სისტემატიზებულია ცნობილი ქართველი მოღვაწეების ს. დოდაშვილის, ალ. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, ი. ჭავჭავაძის, კ. აბაშიძის ნაშრომები, თუ რა გზით ვითარდებოდა მშობლიური ლიტერატურის ისტორიის პერიდიზაციის ძირითადი პრინციპების დამუშავების პროცესი.

თამარ ციციშვილი
სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა (ემიგრანტული და საბჭოთა მწერლობა)

სტალინის პიროვნების გაფიქციება ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით საგრძნობია XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იგი საბჭოთა ლიტერატურულ დისკურსში მთავარი პერსონაა, მითად ქცეული გმირი ხდება. რადიკალურად საპირისპიროა ამ მხრივ ქართული ემიგრანტული მწერლობის ნარატივი. წერილში დამუშავებულია სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ქართულენოვან საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში.

თამარ ციციშვილი
მოგონებები ილია აბულაძეზე

გამოსაცემად მოვამზადეთ მოგონებები გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლისა და მისი პირველი დირექტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ილია აბულაძის შესახებ. მოგონებებს წინ უძღვის შესავალი წერილი, რომელშიც მისი ღვაწლის შესახებ ვსაუბრობთ ქართული მეცნიერების წინაშე.

თამარ შარაბიძე
ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები XIX საუკუნის დასაწყისში

ნაშრომში გაანალიზებულია რუსი მოგზაურის – სერგეი მაქსიმოვის – ჩანაწერები ქართველ თავად იასე ფალავანდიშვილზე, წარმოჩენილია თავად იასეს მოგონებები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა მიზეზით ჩამოსულ რუს მწერლებსა და მოღვაწეებზე, არის მცდელობა 1832 წლის შეთქმულების მთავარი მონაწილისა და შემდგომ მისი გამცემის – იასე ფალავანდიშვილის – პიროვნების შეფასებისა.

ქეთევან შენგელია
რამდენიმე შტრიხი პიკასოს პორტრეტისთვის

წერილში ნაჩვენებია ხელოვნების ისტორიაში გამორჩეული მხატვრის პაბლო პიკასოს ცხოვრების და შემოქმედების რამდენიმე ასპექტი; აგრეთვე ის ეტაპები (საწყისი ეტაპი,

„ცისფერი“ პერიოდი, „ვარდისფერი“ პერიოდი, „კუბიზმის“ ფუძემდებლობის პერიოდი...), რომლებიც თან ახლდა მის ფერწერას. ნაშრომში საუბარია ამ პერიოდების სახასიათო ნიშნებსა და ფერთა სპექტრზე; აგრეთვე, მხატვრის მიერ შემოთავაზებული ახალი ფორმებისა და კომპოზიციების პარმონიულ შერწყმაზე.

აქ საგანგებოდ არის განხილული ორი, სრულიად განსხვავებულ თემაზე შექმნილი ნახატი. ესენია: „დორა და მინოტავრი“ და „შეხვედრა“ (ორი და). დასრულებულია წერილი პიკასოს სახელოსნოს აღწერით.

ქეთევან შენგელია

სიმბოლური ხატის ფუნქცია გრ. რობაქიძის პასტორალის, „ლამარას“ მიხედვით

XX საუკუნის პირველი მესამედის ქართულ მწერლობაში ეროვნული პრობლემატიკის განახლების ერთ-ერთი მიზეზი 1924 წლის აჯანყებას უკავშირდება. გრ. რობაქიძე „ლამარას“ უძღვნის ქართველთა ამ მარცხს. ნაშრომში წარმოდგენილია, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს გრ. რობაქიძის სახე-სიმბოლოსა და საქართველოს ტრაგიკულ ბედს შორის. მინდია ვერ გადაარჩენს საყვარელ ქალს - ლამარას. სიმბოლო-ლამარა არის უძვირფასესი რამ რომლის კარგად ყოფნასთან არის გაიგივებული მთავარი გმირის მდგომარეობა. ლამარა ბევრ რამეს უკავშირდება ქართულ კულტურაში, იგი არაა შემთხვევითი სიმბოლო და მისი მოკლე „ფორმულა“ შეიძლება ასე გადმოიციეს: ლამარა - საქართველო - მთელი სამყარო.

ქეთევან ნინიძე

ეთერ თათარაიძის ლიტერატურული პოლიტიკის გააზრებისათვის

სტატიაში ავტორი განიხილავს პოეტ ეთერ თათარაიძის შემოქმედებით ბიოგრაფიას, მის ავთენტურ კონტექსტს მსოფლიოსა და ქართულ ლიტერატურაში. ძირითადი თემების, პრობლემებისა და მოტივების ანალიზის საფუძველზე საუბრობს ეთერ თათარაიძის ლიტერატურული პოლიტიკის საკითხებზე.

ქეთევან ნინიძე

„ჩიტ რო იძახს, წიავე“ - ანუ „გველისმჭამელიდან“ გიგანტურ ჰესებამდე

სტატიაში ავტორი განიხილავს ეკოპოეტიკის მნიშვნელობას ქართული პოეზიის აქტუალური გამოწვევების წინაშე. ამ ჭრილში იგი ანალიზებს ეთერ თათარაიძის პოეტურ კრებულს „ჩიტ რო იძახს, წიავე“.

2) უცხოეთში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამარ შარაბიძე	რედუქციკაცია, როგორც ლექსიკოტიპოლოგიური კვლევის ერთი საინტერესო უბანი – „ლექსიკოტიპოლოგია“		ესპანეთი, გრანადა, გამომცემლობა „ენტორნო გრაფიტო“	გვ. 213-218
2	თამარ შარაბიძე	"Илья Чавчавадзе и русская культура" - Русистика 2013, язык, коммуникация, культура, (сборник материалов международной конференции: "Русистика XXI века: традиции и перспективы")		г. Шумен, изд. "Химера"	ст. 374-380

ანოტაციები

თამარ შარაბიძე

რედუქლიკაცია, როგორც ლექსიკოტიპოლოგიური კვლევის ერთი საინტერესო უბანი

ნაშრომში მიმოხილულია ქართული ენის ზმნაში დუბლეტურ წარმოებათა სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლები; საზოგადოდ, ქართულ ენაში რედუქლიკაცია არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ინტენსიურ მოქმედებათა გამოხატვის წმინდა გრამატიკული მოცემულობა, უმჯობესია, რომ მისი მისი განხილვა ლექსიკურ დონეზე მოხდეს. ტიპოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ ქართული ენის მდგომარეობა რამდენადმე ჰგავს ევროპული ენების დუბლეტურ ფუძეთა წარმოების შინაარსობრივ მოტივაციას. მაგალითები განსაკუთრებით ხშირია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

თამარ შარაბიძე

Илья Чавчавадзе и русская культура

ნაშრომში ობიექტურადაა წარმოჩენილი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება რუსული კულტურის მიმართ; რუსული კულტურის გავლენა ქართველ მოღვაწეებზე, ამავე დროს ილიას ინდივიდუალური დამოკიდებულება რუსი მოღვაწეების მიერ დაყენებული ლიტერატურულ-ესთეტიკური საკითხებისადმი.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ადა ნემსაძე	გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის - „კაპიტანი ვაკუშის“ - რამდენიმე ასპექტი	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
2	ადა ნემსაძე	ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივის“ ერთი ეპიზოდის გააზრება სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	ადა ნემსაძე	იმპერიის სივრცული მოდელები ოთარ ჭილაძისა და გივი მარგველაშვილის რომანებში	სემიოტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია: სივრცის სემიოტიკური პერსპექტივები. 19 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	გონა კუჭუხიძე	რადიო „თავისუფლების“ ისტორიიდან	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
5	ინგა მილორავა	ტექსტის საყრდენი ორიენტირების (ზმანება, ცხადი) ტრანსფორმაცია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, II, ქუთაისი,
6	ინგა მილორავა	ფერის ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	ინგა მილორავა	ემიგრაცია - შიდა და გარე	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
8	დარეჯან მენაბდე	V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევა ემიგრანტულ ქართველოლოგიაში	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
9	დარეჯან	იონა ხელაშვილის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

	მენაბდე	„რონინი“ - ავტობიოგრაფიული ნარატივი	„თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	მაია ჯალიაშვილი	დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელი (გრ. რობაქიძის „მცველნი გრალისას“ მიხედვით)	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
11	მაია ჯალიაშვილი	სივრცული გზაჯვარედინები (გრ. რობაქიძის რომანის „მცველნი გრალისას“ მიხედვით)	სემინტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია: სივრცის სემინტიკური პერსპექტივები. 19 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
12	მაია ჯალიაშვილი	„აქ შეიძლება დმერთს შეხვდე“ (ეთერ თათარაიძის კავკასიური დღიურები)	აღ. ყაზბეგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 12 თებერვალი, თბილისი, „ჩვენი მწერლობა“
13	ნონა კუპრეიშვილი	იოსებ გრიშაშვილი, როგორც რედაქტორი	იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო კონფერენცია. 15-16 მაისი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
14	ნონა კუპრეიშვილი	სტეფანე კასრაძე - ავანგარდიზმიდან დოკუმენტურ პროზამდე	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
15	ნონა კუპრეიშვილი	ამოყირავებული დრო-სივრცე ღია ლიქოკელის პოეტურ კრებულში „დევის ცოლის სიცილი“	სემინტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია: სივრცის სემინტიკური პერსპექტივები. 19 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
16	საბა მეტრეველი	გალობა და აგიოგრაფია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
17	ზოია ცხადია	იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები	იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო კონფერენცია. 15-16 მაისი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
18	ზოია ცხადია	პოეზია - ტრაგიკული დროის გამოძახილი	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

19	ზოია ცხადაია, თამარ ციციშვილი	სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
20	ნანა მრეველიშვილი	მწერალი და ისტორიული ეპოქა	საქართველოს უნივერსიტეტის მე-4 სამეცნიერო კონფერენცია. მაისი, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი
21	ნანა მრეველიშვილი	დროის კატეგორიის გაგებისათვის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით	სემიოტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია: სივრცის სემიოტიკური პერსპექტივები. 19 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
22	ნანა მრეველიშვილი	გვიანდელი პერიოდის ეგზეგეტიკოსების წარმოდგენები დრო-სივრცულ კატეგორიებზე (A-61 ხელნაწერის მიხედვით)	ილია აბულაძისადმი მიძღვნილი III სამეცნიერო კონფერენცია. ნოემბერი, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
23	ირინა ნაცვლიშვილი	მირიან მეფის „წიგნი-ანდერძი“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ხელნაწერებში (ტექსტობრივ-სახეობრივი ურთიერთმიმართება)	II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“. 25-30 ივნისი, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
24	ირინა ნაცვლიშვილი	პერსონაჟის „სიტყვის“ პოეტიკის ინტერტექსტუალური ასპექტები ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატთანეში“	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
25	ირინა ნაცვლიშვილი	ისტორია აქცენტებით ლიტერატურულ დისკურსში (თ. პაპავას ლიტერატურული პორტრეტების მიხედვით)	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
26	ეკა ჩიკვაძე	„პერიოდიზაცია: ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები“	საქართველოს უნივერსიტეტის მე-4 სამეცნიერო კონფერენცია. მაისი, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი
27	ეკა ჩიკვაძე	დრო (რეალური, ლიტერატურული, სიუჟეტური და გრამატიკული) ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავში“	სემიოტიკის IV სამეცნიერო კონფერენცია: სივრცის სემიოტიკური პერსპექტივები. 19 ოქტომბერი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

28	ეკა ჩიკვაიძე	კომპილაცია – ძველ ქართველ ავტორ-რედაქტორთა მუშაობის მეთოდი	ილია აბულაძისადმი მიძღვნილი III სამეცნიერო კონფერენცია. ნოემბერი, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
29	მაკა ჯოსაძე	ოთარ ჩხეიძის სტილზე	თელავის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ოთარ ჩხეიძისადმი, თელავი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
30	მაკა ჯოსაძე	ხელოვანის ბედი ანექსირებულ სამყაროში (გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ მიხედვით)	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
31	მანანა კვატაია	ემიგრაცია: სივრცე შემოქმედებითი თავისუფლებისათვის	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
32	მანანა შამილიშვილი	პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში	პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. 3-5 ივნისი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
33	მანანა შამილიშვილი	პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: „ქართული გაზეთის“ (ბერლინი, 1916 -1918) მასალათა მიხედვით	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
34	ანა ლეთოდიანი	ვერძის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარში და ჰუმანიტარული აზროვნება“. 10-12 ოქტომბერი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
35	თამარ ციციშვილი	სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა (ემიგრანტული და საბჭოთა მწერლობა)	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
36	თამარ შარაბიძე	რუსული ლიტერატურის ვაჟა-ფშაველასეული თარგმანები	თარგმანის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო კონფერენცია, ოქტომბერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
37	ქეთევან	სიმბოლური ხატის	VII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი

38	ქეთევან შენგელია	ფუნქცია გრ. რობაქიძის პასტორალის, „ლამარას“ მიხედვით „სიბნელეს მთარღვევდნენ ბრძემები“ (დრო და მწერალი – ზოგიერთი ასპექტი ოთარ ჩხეიძის რომანის „არტისტული გადატრიალების“ მიხედვით)	„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ - ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). 25-27 სექტემბერი, თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო-შორისო სამეცნიერო კონფერენცია. 15 ივლისი, გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
39	ამირან არაბული	ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია	საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი
40	ამირან არაბული	დროშა, თემი, ხევისბერი („ელგუჟას“ მიხედვით)	აღ. ყაზბეგის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 12 თებერვალი, თბილისი, „ჩვენი მწერლობა“
41	ამირან არაბული	ოთარ ჩხეიძისა და გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი ურთიერთობისათვის	ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო-შორისო სამეცნიერო კონფერენცია. 15 ივლისი, გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა ა ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

აღა ნემსაძე

„გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის - „კაპიტანი ვაკუში“ - რამდენიმე ასპექტი“

გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული რომანების ციკლი „კაპიტანი ვაკუში“ 7 დასრულებულ ტომს მოიცავს, რომელთაგან ქართულ ენაზე ნათარგმნია მხოლოდ I წიგნი (2005 წ.). იგი რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო. „კაპიტანი ვაკუში“ ქართულ სივრცეში არაქართულ ენაზე შექმნილი მხატვრული ტექსტია, რომელშიც გერმანიაში მცხოვრები 1917-21 წლების ქართული ემიგრაციის ყოფაა აღწერილი. ყურადღებას უპირველესად იქცევს ის, თუ როგორ ცდილობენ ისინი ეროვნული იდენტობის ჯაჭვის გაბმას მშობლიურ წიაღთან. აღსანიშნავია სტილისა და ჟანრის საკითხებიც: „კაპიტანი ვაკუში“ მკვეთრად გამოხატული პოსტმოდერნისტული ნიშნებით ხასიათდება, რაც ჯერ უცხოა 70-იანი წლების ქართული მწერლობისათვის; ამასთან, ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიული რომანის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში.

აღა ნემსაძე

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ერთი ეპიზოდის გააზრება სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით

სტატიაში განხილულია „ოთარაანთ ქვრივის“ XIX თავი - „ეძახის“ - სემიოტიკისა და რეცეფციული ესთეტიკის მეთოდოლოგიების გათვალისწინებით. ამ თავში ავტორი არცერთი პერსონაჟის საკუთარ სახელს არ ასახელებს, რის გამოც ჩნდება კითხვები: *ვინ ეძახის?* და *ვის ეძახის?* ამასთანავე, ეს მონაკვეთი ინარჩუნებს აზრისა და გამოხატვის სრულყოფილებას წინარე სიუჟეტური ამბებისაგან დამოუკიდებლად. კითხველის მოლოდინის ჰორიზონტისა და აქტუალიზაციის გათვალისწინებით შეგვიძლია, რამდენიმე პასუხი გავცეთ კითხვას *ვინ ვის ეძახის?* ტექსტის ჰორიზონტალზე: 1. გიორგი ეძახის დედას; ტექსტის ვერტიკალზე: 2. გიორგი და ქრისტე ეძახიან ოთარაანთ ქვრივს; 3. ქრისტე უხმობს ოთარაანთ ქვრივს და სოფელს; 4. ქრისტე უხმობს, ზოგადად, ადამიანს (და ამ ძახილს იგებენ მხოლოდ ისინი, ვინც მას ელოდება).

ადა ნემსაძე

იმპერიის სივრცული მოდელები ოთარ ჭილაძისა და გივი მარგველაშვილის რომანებში

XX საუკუნის II ნახევრიდან ქართულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დროისა და სივრცის პრობლემებს. ოთარ ჭილაძის რომანებში იმპერიული სივრცის რამდენიმე მოდელია დახატული: *მაკაბელების ეზო*, *ბათუმი* და *მინოსის ლაბირინთი*. ამ მოდელების რღვევა იწყება გამოდვიდებული ახალი თაობის პროტესტით, რაც რეალობის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყებითაა გამოხატული. ისინი ახერხებენ იმპერიული სივრცის რღვევას და თავისუფალი დრო-სივრცული გარემოს შექმნას.

საბჭოთა სივრცის განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს გივი მარგველაშვილი რომანში „კაპიტანი ვაკუში“, ესაა *ახალი გოგლიმოგლი* - ერთდროულად საბჭოთა სისტემისა და გერმანული ნაციზმის აღმნიშვნელი სიმბოლო. გოგლიმოგლის ოპოზიციაა დიქსილენდი. დიქსილენდური ციხე-კოშკი აღვიძებს იდეოლოგიაში ჩაკარგულ ინდივიდუალურ მე-ს და ქმნის ახალ ალტერნატიულ დრო-სივრცულ განფენილობას, რომლის მთავარი ნიშანიც თავისუფლებაა.

გონა კუჭუხიძე

რადიო „თავისუფლების“ ისტორიიდან

მასალებში გადმოცემულია მიუნხენში 1953 წელს რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დაარსებისა და მისი შემდგომი პერიოდის ისტორიის ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი დეტალები. ისტორია ემიგრანტი მწერლისა და პუბლიცისტის – ილია კუჭუხიძის წიგნზე დაყრდნობით არის გადმოცემული.

ინგა მილორავა

ტექსტის საყრდენი ორიენტირების (ზმანება, ცხადი) ტრანსფორმაცია

ნაშრომში წარმოდგენილია მოდერნისტული აზროვნების ფილოსოფიური საფუძველი. მოდერნისტული ტექსტის მხატვრული სამყარო მუდმივად რეალურისა და ირეალურის, ზმანებისა და ცხადის საზღვარზე მერყეობს. მხატვრული ქსოვილის მთავარი ამოცანაა, წარმოადგინოს რეალურისა და მიდმურის კავშირი, მათი ურთიერთგაგლეხა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიაში ჩაეყარა. ზმანებისა და ცხადის ურთიერთმიმართება გავლენას ახდენს ტექსტის სტრუქტურაზე, ხასიათების აგების პრინციპსა და მხატვრულ მიზანდასახულობაზე. ზმანებისა და ცხადის, რეალურისა და მიდმურის, როგორც ტექსტის მთავარი საყრდენი ორიენტირების ტრანსფორმაცია შესწავლილი და წარმოდგენილია ტექსტის სხვადასხვა დონეზე (მითი, სამყაროს შეცნობის მოდელი, მხატვრული სახეების მათრგანიზებული სისტემა).

ინგა მილორავა

ფერის ფუნქცია მოდერნისტულ ტექსტში

ფერის ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია მოდერნისტული აზროვნებისა და მის საფუძველზე შექმნილი ტექსტების მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია ფერის სისტემები, ე. წ. სიტყვიერი ფერის სხვადასხვა სახეობა. უშუალოდ მოდერნისტული ტექსტების საფუძველზე (კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ვრ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი) აღწერილი და გაანალიზებულია სხვადასხვა ფერის ფუნქციონირების შემთხვევები და მხატვრული შედეგი.

ინგა მილორავა

ემიგრაცია - შიდა და გარე

ნაშრომში შესწავლილია ქართული ემიგრაციის ისტორიული პირობები და მხატვრული შედეგები. ყურადღება გამახვილებულია შიდაემიგრაციის მხატვრულ შედეგებზე. იგი გარეემიგრაციაზე არანაკლებ ტრაგიკული მოვლენაა, რომელიც მოჰყვება პოლიტიკურ ცვლილებებს საქართველოში. შიდაემიგრაციის ამსახველი ტექსტები ზუსტად აღწერს და გადმოსცემს როგორც გარეემიგრაციიდან დაბრუნებული ადამიანების ბედს, რომლებიც აქაც უცხონი რჩებიან (თარაშ ემხვარი, კონსტანტინე სავარსამიძე), ისე იმ ადამიანების სულიერ მდგომარეობას, რომლებიც უმძიმესმა ეპოქამ საკუთარ მიწაზე შიდაემიგრანტებად აქცია (ბონდო ჭილაძე, გივი შადური). ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ამ პრობლემების მხატვრულ სახეებში გარდასახვას,

ჩვენებას, თუ როგორ ანგრევს შინაგან მთლიანობას ორივე სახის ემიგრაცია.

დარეჯან მენაბდე

V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევა ემიგრანტულ ქართველოლოგიაში

ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების იდეით იყო განპირობებული ის, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს (ნიკ. ყიფიანი, მ. თარხნიშვილი, მ. ლაშაური, ნ. სალია, ნ. ყაუხჩიშვილი), V-XI საუკუნეების ტექსტების თარგმნასა და გამოცემას უცხოურ ენებზე (ნ. ჯანელიძე, ვ. ციციშვილი, ხ. შავიშვილი, ს. წულაძე). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის კვლევას (მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. სალია, ალ. მანველიშვილი), ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას (მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. სალია). ემიგრანტ მეცნიერთა ნაშრომები იბეჭდებოდა ქართულ და ევროპულ ენებზე (მ. თარხნიშვილისა გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ ენებზე; კ. და ნ. სალიებისა – ფრანგულად; ალ. მანველიშვილისა – ფრანგულად და იტალიურად). V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა სათანადოდ იყო წარმოდგენილი ემიგრაციაში დაბეჭდილ ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემებში. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ მკვლევართა დამსახურება თავისდათავად დასაფასებელია, ვფიქრობთ, დროა ამ პროდუქციის თავმოყრის, სისტემატიზაციის, კრიტიკული შესწავლის და მიუკერძოებელი შეფასებისა, რათა ემიგრანტ მეცნიერთა ნააზრევი სრულფასოვნად ჩაერთოს V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევის თანამედროვე პროცესებში.

დარეჯან მენაბდე

იონა ხელაშვილის „რონინი“ – ავტობიოგრაფიული ნარატივი

თეოლოგის, ფილოსოფოსისა და მქადაგებლის, იონა ხელაშვილის (1772-1837), „რონინი“ ავტობიოგრაფიული ნარატივია. მასში ავტობიოგრაფიული თხრობა გაშლილია ეპოქის საერთო ფონზე, თხრობისას ავტორი არა მარტო მოვლენათა თანამიმდევრობას იცავს, არამედ ამ მოვლენათა ორიგინალურ ინტერპრეტაციებსაც იძლევა, გამოთქვამს საკუთარ დამოკიდებულებას რიგი მოვლენების მიმართ და, ამდენად, იონა ხელაშვილის ეს ტექსტი მნიშვნელოვან საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება არ გამოირჩევა დოკუმენტური სიზუსტითა და ლიტერატურული ღირსებებით, „რონინი“ საყურადღებოა როგორც სამოგზაურო-ავტობიოგრაფიული ნარატივის საინტერესო ნიმუში.

მაია ჯალიაშვილი

დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელები (გრ. რობაქიძის „მცველნი გრალისას“ მიხედვით)

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი გრიგოლ რობაქიძისთვის საბჭოური საქართველო იქცა დარღვეულ დრო-სივრცედ, რომელშიც სასიცოცხლო შემოქმედებითი ენერჯია მთლიანად ჩაკლა და ჩაანაცვლა ბოლშევიკურმა დამანგრეველმა, დემონურმა რეჟიმმა. ლიტერატურა და გერმანული კულტურული სამყარო მისთვის იქცა თავშესაფრად, სადაც იგი სამშობლოს სულიერ გადარჩენას მხატვრულ სამყაროში შეეცადა. ემიგრაციაში გერმანულ ენაზე დაწერილ რომანში „მცველნი გრალისას“ მან შექმნა აღდგენილი საქართველოს მითოპოეტური მოდელები. ამგვარად, მან შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და სიმბოლურ-მითოსური პარადიგმების გზით საქართველოს თავდასხნისა და გადარჩენის რწმენა გამოხატა.

მაია ჯალიაშვილი

სივრცული გზაჯვარედინები (გრ. რობაქიძის რომანის „მცველნი გრალისას“ მიხედვით)

სივრცეს, როგორც მრავალმნიშვნელოვან ფენომენს, გრ. რობაქიძის რომანებში განსაკუთრებული პოეტური ფუნქცია აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ გლინდება განსხვავებულ, წარმოსახულ თუ რეალურ, სივრცეთა ურთიერთმიმართება მის რომანში „მცველნი გრალისას“, რომელშიც ერის გადარჩენის იდეა სწორედ სივრცული მოდელების ურთიერთგადაკვეთით თუ პარალელური წარმოჩენით მუდავნდება. რომანში გვხვდება ერთგვარი სივრცული გზაჯვარედინები, მეტაფიზიკურ რეალობას რომ ქმნიან და ამ წერტილებში პერსონაჟებს ეუფლებათ ერთგვარი ექსტაზი, რომელიც იწვევს სულიერ ტრანსფორმაციას და გმირს მარადისობასთან ზიარებაში ეხმარება. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა მწერლისთვის მნიშვნელოვანია იმ რწმენის ასაღორძინებლად,

რომელიც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მატერიალურ სივრცეში არსებობას გულისხმობს. მითოსის, ზღაპრის, ლეგენდის, პოეზიის წარმოსახულ სივრცეებში პერსონაჟები მოგზაურობენ დაკარგული სულიერი ძალების მოსაპოვებლად, რათა ეს ენერგია შემდეგ ხალხის ღირსებისა და თვითშეგნების გამოღვიძებისთვის გამოიყენონ.

მაია ჯალიაშვილი

„აქ შეიძლება ღმერთს შეხვდე“ (ეთერ თათარაიძის კავკასიური დღიურები)

ნაშრომში წარმოჩენილია ეთერ თათარაიძის კავკასიური დღიურების ციკლის მხატვრული თავისებურებანი, პარალელი გაველებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებასთან, გამოკვეთილია ის საერთო ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორი შემოქმედის ესთეტიკურ კრელოს და ერთმანეთს ანათესავენ.

ნონა კუპრეიშვილი

იოსებ გრიშაშვილი, როგორც რედაქტორი

იოსებ გრიშაშვილის ჟურნალმა „ლეილამ“ რომელსაც პოეტი 1917-24 წლებში რედაქტორობდა, XX საუკუნის 10-20-ინი წლების უაღრესად მრავალფეროვანი ქართული პერიოდული პრესის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნა. მან ასახა მოწინავე შემოქმედებითი ინტელიგენციის ბრძოლა კულტურული ორიენტაციისათვის, რამაც ქვეყნის პოლიტიკურ სარბიელზე დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული რეზონანსულობა შეიძინა. ევროპული ვექტორი, რომელიც „ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობას უკავშირდება, „ლეილას“ რიგი პუბლიკაციების (ვ. კოტეტიშვილი, ა. პაპავა, თვით ი. გრიშაშვილი) სახით, ალტერნატივას პოულობს. ისინი ჩვენს აზიურ ფესვებს გვახსენებენ. ამ კონტექსტში საინტერესოდ იკვეთება გრ. რობაქიძის პოზიცია, რომელიც ჟურნალის მკითხველს კულტურულ ნეიტრალიტეტს სთავაზობს. უფრო სწორად, ესაა ევროპული და აზიური ხელოვნების ტრადიციული სინთეზირების გზა, რასაც იგი „კულტურათა ქორწილს“ უწოდებს.

ნონა კუპრეიშვილი

სტეფანე კასრაძე - ავანგარდიზმიდან დოკუმენტურ პროზამდე

XX საუკუნის 20-იანი წლების ე. წ. მემარჯვენე ლიტერატურის ნიჭიერი წარმომადგენელი ახალგაზრდა პროზაიკოსი სტეფანე კასრაძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა. მოხსენებაში აქცენტირებულია მისი ცხოვრებისეული გზის მკვეთრი ცვლილება, რომელსაც შემოქმედებითი გეგმების ერთგვარი დენოტაციაც მოჰყვა. ავანგარდისტული ხელწერის მწერალი დოკუმენტური პროზისკენ იხრება, რაც ემიგრანტის ტრავმულ მეხსიერებაში თითქოს „გაყინულ-შეჩერებული დრო-სივრცის“ მხატვრულ გააზრებას ეყრდნობა. სწორედ ამ ნიშნითაა ნაკვეთი 30-იან წლებში საფრანგეთში შექმნილი მწერლის გვიანდელი რომანი „თარი-არალე“, რომელიც ქართველმა მკითხველმა მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში იხილა.

ნონა კუპრეიშვილი

ამოყირავებული დრო-სივრცე ღია ლიქოკელის პოეტურ კრებულში „დევის ცოლის სიცილი“

პოეტური პირველცდები, როგორც წესი, იშვიათად ხდება მეცნიერული დაკვირვებისა და ანალიზის საგანი. გამონაკლისი დაუშვით ახალგაზრდა პოეტის ღია ლიქოკელის კრებულის „დევის ცოლის სიცილის“ მიმართ, რადგან მასში არა მარტო ინოვაციური მუხტი, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის სამომავლო პროექცია, მისი სიცოცხლისუნარიანი ტენდენციების მხატვრული რეალიზების საინტერესო ცდები დაინახეთ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ტრადიციული ფორმისა და შინაარსის დესტრუქციულობის გადაზრდა ახალ პოეტურ-აზრობრივ სტრუქტურაში, რაც არა ხელოვნურად, არამედ ხალხური (კერძოდ, ხევსურული) ფოლკლორის გამოყენებითაა მიღწეული.

საბა მეტრეველი

გალობა და აგიოგრაფია

რელიგიური მუსიკა, გალობა, უპირველესად, ეს არის მღორედ განვითარებული მელოდია, თავისუფალი კონტრასტებისაგან. მისი სტილური თავისებურებაა ის, რომ არის

ლოცვის, სიტყვის ფონი. სასულიერო პოეტური ტექსტის მკაფიოდ გამოხატვა და კანონიზებული ჰანგის უცვლელად შენარჩუნება საეკლესიო გალობის კანონიკის ძირითად ასპექტებს შეადგენს. მსგავსი პრინციპი აქვს აგიოგრაფიასაც, ის ემსახურება ძირითადი სათქმელის მკაფიოდ გადმოცემას, ამიტომაც სიუჟეტში არ გვხვდება ბუნების სურათების აღწერა და მისი განცდა, ლირიკული წიაღსვლები, მკვეთრი დეტალიზაცია და მისთ. არსებობს სამი ძირითადი ტიპი აგიოგრაფიული კრებულებისა: კიმენი, სვინაქსარი და მეტაფრასი. სამივე მათგანში უცვლელია ძირითადი ამბავი, ჭეშმარიტი და ნამდვილი. მეტაფრასტიკა შეეხო ნაწარმოებთა მხატვრულ მხარეს, მეტი განვითარება მისცა ჟანრს.

ზოია ცხადაია

იოსებ გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები

ნაშრომში განხილულია ი. გრიშაშვილის დაუბეჭდავი ლექსები, რომლებიც დაწერილია 1920-1930 წლებში; წიგნად პირველად გამოიცა 1992 წელს და დღემდე საგანგებოდ არ განხილულა. ნაშრომში ჩანს პოეტის მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულება და დაუმორჩილებლობა ახალი ეპოქისადმი, ბოლშევიკური რეჟიმისადმი (მართალია, ვერ აქვეყნებდა ამ ლექსებს, მაგრამ პოეზიის საღამოებზე კითხულობდა, რაც მისი დაპატიმრების მიზეზიც გამხდარა). ეს არის მრავალფეროვანი, ემოციური, მხატვრული სახეებით და ფორმით მდიდარი ტექსტები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ი. გრიშაშვილის შემოქმედება.

ზოია ცხადაია

პოეზია – ტრაგიკული დროის გამოძახილი

ნაშრომში განხილულია ემიგრანტი პოეტისა და პუბლიცისტის მიხეილ ქავთარაძის პოეზია, პუბლიცისტური წერილები და ბიოგრაფიული ფაქტები. გამოიკვეთა, რომ ტრაგიკული დროის მკაცრი ლოგიკით იყო ნაკარნახევი ეროვნული გრძნობის პოეზიით გამოხატვა, პატრიოტული მედიტაციები, რომელიც უმთავრესია მ. ქავთარაძის შემოქმედებაში.

ზოია ცხადაია, თამარ ციციშვილი

სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა

ნაშრომში ნაჩვენებია, ერთი მხრივ, სტალინომანიის ბუმი, განსაკუთრებით, 30-იანი წლების საქართველოში, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტი პოეტების ლირიკაში, ქართულ ხალხურ პოეზიაში... მეორე მხრივ, ემიგრანტულ ლიტერატურაში (გრ. რობაქიძე, ს. ბერეჟიანი, მ. ქავთარაძე...); განხილულია აგრეთვე რუსი ემიგრანტებისა და უცხოელი მწერლების ანტისტალინური შეხედულებები; ახსნილია ამ ყველაფრის მიზეზები – რა განაპირობებდა სტალინის მესიანიზმს საბჭოთა საქართველოში და რატომ წარმოიხდა განსხვავებული ასპექტით ბელადის ფენომენი ემიგრანტულ ლიტერატურაში.

ნანა მრეველიშვილი

მწერალი და ისტორიული ეპოქა

მოსხენებაში შევეცადეთ, წარმოგვედგინა ტოტალიტარული რეჟიმის მწერლისეული ხედვის ანალიზი. ინდივიდის ბედი ტოტალიტარულ ეპოქაში, ინდივიდი და სოციუმი, ტოტალიტარიზმი და მისი გამოვლინების ფორმები, ტოტალიტარიზმის სტრუქტურა და თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზების საშუალებები... ეს გახლავთ ჩამონათვალი საკითხებისა, რომლებზედაც ვმსჯელობთ მოსხენებაში.

ნანა მრეველიშვილი

დროის კატეგორიის გაგებისათვის იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით

მოსხენებაში ჩვენი მსჯელობა დროისა და სივრცის შესახებ ძირითადად ეფუძნება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ბერძნულ ორიგინალსა (Migne, Patrologia cursus cimpleus, series graeca, t. 94) და მის ქართულ თარგმანებს – ეფრემ მცირისა (ძირითადი ხელნაწერი A 24 – XII ს.) და არსენ იყალთოელის (ძირითადი ხელნაწერი S 1463 – XII ს.) რედაქციებს (ორივე ქართული რედაქცია გამოიცა 2000 წელს - „წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“). მოსხენებაში ვცდილობთ გავარკვიოთ, რა იმეკვიდრა ქრისტიანულმა თეოლოგიამ და, კონკრეტულად, იოანე დამასკელმა, კლასიკური ფილოსოფიური აზროვნებისგან, ან რითი განირჩა იგი სხვა ქრისტიანი თეოლოგებისგან;

მითითებული ფილოსოფიური კატეგორიების გამოხატვისას რა კონკრეტულ ტერმინოლოგიურ სისტემას ეფუძნება „გარდამოცემის“ ბერძნული ტექსტი და რა თავისებურებებს გვიჩვენებს დროის კატეგორიის ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით ქართული თარგმანები.

ნანა მრეველიშვილი

გვიანდელი პერიოდის ეგზეგეტიკოსების წარმოდგენები დრო-სივრცულ კატეგორიებზე (A-61 ხელნაწერის მიხედვით)

მოსხნება ეხება გვიანდელი ეგზეგეტიკოსების – მიტროფანე სმირნელი ეპისკოპოსისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი დიაკონის (ხელნაწერი A 61 – ეკლესიასტეს განმარტებათა გელათური რედაქცია) წარმოდგენებს დრო-სივრცულ კატეგორიებზე. გარდა ფილოსოფიური ასპექტისა, მოხსენებაში წარმოდგენილია ამ ავტორთა ტერმინოლოგიური აპარატის ანალიზიც. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვასკენით, რომ გვიანდელი ეგზეგეტიკოსების საღვთისმეტყველო-თეოლოგიური მემკვიდრეობა ნაკლებად ორიგინალურია და ძირითადად აგებულია სხვათა ფილოსოფიური მემკვიდრეობის პერიფრაზირებასა და ციტირებაზე.

ირინა ნაცვლიშვილი

მირიან მეფის „წიგნი-ანდერძი“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ხელნაწერებში (ტექსტობრივ-სახეობრივი ურთიერთმიმართება)

მირიან მეფის „წიგნი-ანდერძი“ თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ბუნებით ბიბლიურ-ქრისტოლოგიურ წარმოდგენებსა და სახეობრივ სისტემას ეფუძნება. სწორედ ამ თვალსაზრისით დაკვირვებამ ტექსტზე, მისმა ჰერმენევტიკულმა ანალიზმა ცხადყო სხვადასხვა ხელნაწერს შორის არსებული სერიოზული რედაქციული სხვადასხვაობანი. ზოგიერთი პასაჟი უფრო გამართულია და ადეკვატურად გამოხატავს სათქმელს შატბერდულ ნუსხაში, ზოგი - ჭელიშურში, ზოგიც კი - სინურში. მათი სათანადო კვლევა და შედეგების შეჯერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა უფრო ადრინდელი იკითხვისების წარმოჩენასა და პროტორედაქციასთან უფრო მიახლოებული ტექსტის აღდგენისათვის.

ირინა ნაცვლიშვილი

პერსონაჟის „სიტყვის“ პოეტიკის ინტერტექსტუალური ასპექტები ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატანეში“

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ნარატივი, კერძოდ კი XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის მატანე, თავისი დროის ლიტერატურული პროცესის განუყოფელი ნაწილია და, მიუხედავად ვიწრო ჟანრული მოთხოვნებისა, ისიც მედიევალური მხატვრული აზროვნებისთვის ნიშანდობლივ სპეციფიკურ ტიპოლოგიას ავლენს და იმ პოეტიკურ კატეგორიათა სისტემას ემორჩილება, რომლის ხასიათი განპირობებულია ეპოქის „ლიტერატურული თვითშეგნებით“. ქრისტიანულ შუა საუკუნეებში სამყარო შეიმეცნებოდა არა უშუალოდ დაკვირვების, არამედ ბიბლიური „მზა სიტყვის“ საშუალებით. ამდენად, ლიტერატურული დისკურსიც მეტწილად სწორედ ამ „მზა სიტყვაზე“ ორიენტირებული. ჟამთააღმწერლის მატანის პერსონაჟის „სიტყვაც“ ავტორის მიერ სტილიზებულია „ნაცნობი“ სახეებით, ტოპოსებით. შესაბამისად, ის, ფაქტობრივად, ბიბლიური ინტერტექსტის საფუძველზეა გაფორმებული, რაც თხზულების პოეტიკის განმსაზღვრელი ნიშანია.

ირინა ნაცვლიშვილი

ისტორია აქცენტებით ლიტერატურულ დისკურსში (თ. პაპავას ლიტერატურული პორტრეტების მიხედვით)

ქართველი ხალხისთვის ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ემიგრაცია ისტორიული ბედის სამწუხარო ნაწილად იქცა, XX საუკუნის 20-იანი წლების ახალმა ქართულმა სინამდვილემ კი კიდევ ერთხელ და არანაკლები სიმწვავეთ წარმოაჩინა მისი აუცილებლობა. თუმცა, სხვა სივრცეშიც, მძიმე პირობებში, ქართველები ინარჩუნებდნენ ენას, კულტურას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ ისტორიულ იდეალებს და კიდევ უფრო აღვივებდნენ მათ, რათა უცხო ქვეყნებში გაურკვეველი ვადით შეხიზნულებს და მათ შთამომავლებს ახალ გარემოში არ დაეკარგათ სამშობლოს სსოვნა და ადეკვატურად გაეცნობიერებინათ საკუთარი მოვალეობა. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული თ. პაპავას ნარკვევთა ციკლი, რომელიც 1937-1956 წლებში სამ წიგნად გამოიცა პარიზსა და ბუენოს-აირესში. ჟანრობრივად ეს ისტორიულ-ლიტერატურული პორტრეტებია. ავტორი საგანგებოდ

მოძიებულ დოკუმენტურ მასალას ოსტატურად უხამებს ლიტერატურულ-ანალიტიკურ დისკურსს. ავტორის მიზანია, წარსულის რეტროსპექტული ხედვით, ისტორიის რეკონსტრუქციით თანამედროვეთათვის მნიშვნელოვანი აქცენტები გამოკვეთოს.

ეკა ჩიკვაიძე

დრო (რეალური, ლიტერატურული, სიუჟეტური და გრამატიკული) ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავში“

დროის აღქმის თვალსაზრისით საინტერესოა ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“. თხზულებაში ცხადად იკვეთება რამდენიმე ასპექტი: გვაქვს სამგვარი დრო - რეალური/ავტორისეული, მხატვრული/ლიტერატურული და მათი კვეთა - სიუჟეტური. თხრობა ტიპოლოგიზებულია. რეალურ-ავტორისეული დრო არგუმენტირებული, დასაბუთებული მსჯელობითაა წარმოდგენილი, ლიტერატურულ-მხატვრული - ნარატივით. გამონაკლისია სვეტიცხოვლის ის სასწაულები, რომელნიც უშუალოდ გულაბერისძეს ეკუთვნის. დროის ტიპოლოგია გრამატიკული ნიშნითაც მკაცრადაა გამოიჯნული: რეალური დრო, როგორც მოსალოდნელია, უდრის გრამატიკულ აწმყოს ან გრამატიკულ მომავალს, ნარატივისა - გრამატიკულ წარსულს.

ეკა ჩიკვაიძე

კომპილაცია – ძველ ქართველ ავტორ-რედაქტორთა მუშაობის მეთოდი

კომპილაცია, როგორც მეთოდი, ბიბლიური მოთხრობებიდან იღებს სათავეს; შეიძლება განპირობებული იყოს მთარგმნელობითი მოღვაწეობით; გვხვდება ორიგინალურ თხზულებებში; სემანტიკურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით გვაქვს ორი სახის: ა. სრული და ბ. ნაწილობრივი; ძირითადად გვაქვს ფრაგმენტული, ნაწილობრივი; წყარო შეიძლება იყოს მითითებული, შეიძლება - არა; განსხვავდება ციტატისაგან არა იმ ნიშნით, რომ კომპილირებული თხზულების ავტორი ზოგჯერ არ უთითებს წყაროს, არამედ იმით, რომ ავტორის ერთიან მიზანდასახულებაში ისეა ჩართული, რომ ჩანართი ტექსტი დამოუკიდებელ შინაარსს კარგავს; კომპილაციამ მოიცვა სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი; მიზეზი ამგვარი შრომებისა სხვადასხვაა. წინასწარი ვარაუდით, ეს არის ნდობა წინამორბედი ავტორებისა, დამაჯერებლობის მინიჭება თხრობისათვის და ა. შ. ლექსიკური თვალსაზრისით, გავლენა „ნასესხები“ თხზულებებისა ზოგჯერ მეტად იჩენს თავს, ზოგჯერ – ნაკლებად; ეს არის მუშაობის მეთოდი, რომელიც შეიძლება სტილდაც აღვიქვათ.

მაკა ჯოხაძე

ხელოვანის ბედი ანექსირებულ სამყაროში (გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ მიხედვით)

პოლიტიკურ რეჟიმებსა და რეპრესიულ მანქანებს უმთავრესად დიდი ტალანტის მქონე ხელოვანები ეწირებიან. ხიფათიანია მათი როგორც ცხორებისეული, ისე შემოქმედებითი გზაც. ამ თვალსაზრისით ქართული ემიგრანტული მწერლობის კვლევა, კერძოდ კი გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, უადრესად საინტერესო და მრავლისმომცემია. ხელოვანის, პოეტის ბედი ბოლშევიზმის მიერ ანექსირებულ სამყაროში ყველაზე მძაფრად და სიმბოლურად XX საუკუნის ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში სწორედ ამ რომანით გამოიხატა.

მანანა კვატაია

ემიგრაცია: სივრცე შემოქმედებითი თავისუფლებისათვის

მოსხენება განიხილავს გრიგოლ რობაქიძის ემიგრაციაში წასვლის რეალურ მიზეზებს და აანალიზებს მისი ემიგრაციის პერიოდის შემოქმედებას.

მანანა შამილიშვილი

პოლიტიკური სატირა ქართულ კიბერმწერლობაში

მოსხენებაში თანამედროვე ქართველი მწერლების ახალ მედიაში თვითპრეზენტაციის თავისებურებებზე გავამახვილეთ ყურადღება. საზოგადოებისათვის საჭირობოროტო თემები მათ სულ უფრო ხშირად გამოაქვთ ინტერეტმომხმარებლის სამსჯავროზე. ე. წ. კიბერმწერლების მიერ გამოყენებული მრავალგვარი სტილისტური ხერხიდან ნაშრომში პოლიტიკური სატირის მნიშვნელობაზე ვაკეთებთ აქცენტს. ეს ტროპული სახე განსაკუთრებით აქტუალურია ქართულ ბლოგოსფეროში, რადგან მისი მეშვეობით მწერალი დაუნდობლად ააშკარავებს საზოგადოებაში გამეფებულ მანკიერებებს. იგი მეტადრე პოლიტიკური ელიტის “გასამათრახებლად” გამოიყენება. საკითხს განვიხილავთ ზურაბ

ქარუმიძისა და ლაშა ბუღაძის ბოლოდროინდელი ბლოგური ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე.

მანანა შამილიშვილი

პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: „ქართული გაზეთის“ (ბერლინი, 1916 -1918) მასალათა მიხედვით

მოსხენებაში შევეცადეთ, ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთი კონკრეტული მედიასაშუალების, 1916 – 1918 წ.წ. ბერლინიში გამოშვებული „ქართული გაზეთის“ მაგალითზე გვეჩვენებინა. ამ საინტერესო პერიოდული გამოცემის შესწავლამ საშუალებას მოგვცა, გამოგვეკვინათ ემიგრანტთა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციები, ხოლო ცალკეული პუბლიკაციის ანალიზით, ნათლად წარმოგვეჩინა საგაზეთო პოლიტიკა და მისი მესვეურების პოზიცია რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ.

ანა ლეთოდიანი

ვერძის სიმბოლიკა გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით

მოსხენებაში საუბარია ვერძის სიმბოლიკაზე გიორგი მთაწმინდელის “ცხოვრების” მიხედვით. ამავე კონტექსტში განხილულია გიორგი ათონელის სახელის სიმბოლიკა. გიორგი მთაწმინდელის სახესთან მიმართებით, “ვერძი” შეიძლება გავიაზროთ სიბრძნის (სამწყსოს ბრძენი წინამძღოლი), შემოქმედებითი ენერჯის (მწიგნობრული მოღვაწეობა), ნაყოფიერების (სულიერი ცხოვრების, მწიგნობრული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაყოფი) სიმბოლოდ ანუ “ვერძის” სახეში (ისევე, როგორც მის სახელში) შეკუმშული ფორმით “ჩატეულია” ინფორმაცია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების გზის, მის მისიისა და მიზანდასახულების შესახებ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გიორგი, სწორედ დაბადებამდე იხსენიება ღვთის “რჩეულ ვერძად”.

თამარ ციციშვილი

სტალინის ფენომენის ორგვარი პარადიგმა (ემიგრანტული და საბჭოთა მწერლობა)

სტალინის პიროვნების გაფეტიშება ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით საგრძნობია XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი საბჭოთა ლიტერატურულ დისკურსში მთავარი პერსონა, მითად ქცეული გმირი ხდება. რადიკალურად საპირისპიროა ამ მხრივ ქართული ემიგრანტული მწერლობის ნარატივი. წერილში დამუშავებულია სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ქართულენოვან საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში.

თამარ შარაბიძე

რუსული ლიტერატურის ვაჟა-ფშაველასეული თარგმანები

ნაშრომში ვაჟა-ფშაველას მიერ რუსული ლიტერატურის ზოგიერთი თარგმანი შედარებულია დედანთან, დადგენილია ის ცვლილებები, რომელთაც მთარმნელი შეგნებულად მიმართავს, განსაზღვრულია ვაჟა-ფშაველას რუსულენოვანი თარგმანების ხასიათი და თავისებურებანი.

ქეთევან შენგელია

სიმბოლური ხატის ფუნქცია გრ. რობაქიძის პასტორალის, „ლამარას“ მიხედვით

XX საუკუნის პირველი მესამედის ქართულ მწერლობაში ეროვნული პრობლემატიკის განახლების ერთ-ერთი მიზეზი 1924 წლის აჯანყებას უკავშირდება. გრ. რობაქიძე „ლამარას“ უძღვნის ქართველთა ამ მარცხს. ნაშრომში წარმოდგენილია, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს გრ. რობაქიძის სახე-სიმბოლოებსა და საქართველოს ტრაგიკულ ბედს შორის. მინდია ვერ გადაარჩენს საყვარელ ქალს - ლამარას. სიმბოლო-ლამარა არის უძვირფასესი რამ რომლის კარგად ყოფნასთან არის გაიგივებული მთავარი გმირის მდგომარეობა. ლამარა ბევრ რამეს უკავშირდება ქართულ კულტურაში, იგი არაა შემთხვევითი სიმბოლო და მისი მოკლე „ფორმულა“ შეიძლება ასე გადმოიცეს: ლამარა - საქართველო - მთელი სამყარო.

ქეთევან შენგელია

„სიბნელეს მთარგმნელები ბრძელები“ (დრო და მწერალი – ზოგიერთი ასპექტი ოთარ ჩხეიძის რომანის „არტისტული გადატრიალების“ მიხედვით)

ნაშრომის თემაა ოთარ ჩხეიძის რომანი „არტისტული გადატრიალება“ და მწერლის დამოკიდებულება დროსთან და იმ ისტორიულ მოვლენებთან, რომელიც 1991-1992 წლებში საქართველოს ტრაგიკულ ყოფას სდევდა თან. აქ მხატვრულ-დოკუმენტურად არის

წარმოდგენილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების წინააღმდეგ დაგეგმილი და აღსრულებული პოლიტიკური გადატრიალება. სამწერლო სტილი სატირულია. ნაშრომში გაშუქებულია რამდენიმე ასპექტი რომანისა, სადაც საუბარია, რომ მწერალი პირუთვნელად და დაუფარავად ამხელს თანამედროვეთა დამღუპველ განზრახვას, რაც დიდ ფუნქციას სძენს რომანს.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ინგა მილორავა, თამარ შარაბიძე	ა. ბესტუჟევ-მარლინსკი - ხიდი ჟურნალ „ცისკარსა“ და ქართველ მკითხველს შორის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რუსული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები პოლიტკულტურულ სივრცეში“, თურქეთი, ქ. ერზრუმი, 12-14 ნოემბერი
2	თამარ შარაბიძე	Языковая политика и художественная литература	международный симпозиум "Русский язык как иностранный в школе и вузе - немецкий и международный опыт", Магдебургский университет им. Отто фон Герике, Магдебург, 3 мая
3	თამარ შარაბიძე, ინგა მილორავა	ჟურნალი "ცისკარი" – ხიდი ბესტუჟევ-მარლინსკისა და ქართველ მკითხველს შორის	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რუსული ფილოლოგიის აქტუალური პრობლემები პოლიკულტურულ სივრცეში“, 12-14 ნოემბერი, ქ. ერზრუმი, თურქეთი

მომხსენებთა ანოტაციები

ინგა მილორავა, თამარ შარაბიძე

ა. ბესტუჟევ-მარლინსკი - ხიდი ჟურნალ „ცისკარსა“ და ქართველ მკითხველს შორის

ნაშრომში განხილულია ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკის ის ნაწარმოებები, რომლებიც გიორგი ერისთავის „ცისკარში“ იბეჭდებოდა და ერთგვარი ხიდის ფუნქციასაც კი ასრულებდა მკითხველსა და ახლადდაარსებულ ჟურნალს შორის. აგრეთვე საუბარია იმ სირთულეებსა და თავისებურებებზე, რომლებიც თან მოჰყვა ჟურნალის გამოცემას. წარმოჩენილია იმდროინდელი საზოგადოების მდგომარეობა, გემოვნება, დამოკიდებულება მხატვრული ტექსტისადმი.

თამარ შარაბიძე

Языковая политика и художественная литература

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მიხედვით, ჟურნალ "ცისკრის" ფურცლებზე გამართული პოლემიკის საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ განსაზღვრავს მხატვრული ლიტერატურა ზოგადად ენობრივ პოლიტიკას, რა გადამწყვეტი როლი აქვს მწერალს ენობრივი ნორმების ჩამოყალიბების პროცესში.

თამარ შარაბიძე, ინგა მილორავა

ჟურნალი "ცისკარი" – ხიდი ბესტუჟეე-მარლინსკისა და ქართველ მკითხველს შორის

ნაშრომში ასხნილია, თუ რატომ ხდება ალექსანდრე ბესტუჟეე-მარლინსკი ჟურნალ "ცისკრის" ყველაზე პოპულარული ავტორი მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოშვებული "ცისკრის" 24-ე ნომრიდან 10 ნომერში ბესტუჟეე-მარლინსკია დაბეჭდილი. ნაშრომში აგრეთვე ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს ჟურნალის ხელისმომწერთა და მკითხველთა გემოვნება რედაქციის საქმიანობას.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის კვლევითი ცენტრი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ივანე ამირხანაშვილი

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა – *მაკა ელბაქიძე, მარიამ კარბელაშვილი, თამარ ხვედელიანი. ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი, ლია წერეთელი*

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ტერმინი, ცნება და პარადიგმა “ვეფხისტყაოსანში”	ივანე ამირხანაშვილი	მაკა ელბაქიძე, მარიამ კარბელაშვილი, თამარ ხვედელიანი. ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი, ლია წერეთელი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პროექტი ითვალისწინებდა როგორც ფუნდამენტური, ისე რიგითი ტერმინებისა და ცნებების, პარადიგმებისა და სხვა ენობრივი ერთეულების კვლევას, გაერთიანდა საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა, კერძოდ, ესთეტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული, თეოლოგიური, ლინგვისტური, ლიტერატურისმცოდნეობითი, იურიდიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, სოციალური და სხვა... საერთო სათაურის ქვეშ ტერმინი, ცნება და პარადიგმა “ვეფხისტყაოსანში” დამუშავდა შემდეგი თემატიკა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. „ვეფხისტყაოსნის“ . პოლიტიკური ფილოსოფიური, და იურიდიული ტერმინოლოგია (მ. კარბელაშვილი); 2. პარადიგმული სახეები და სიმბოლოები (ნ. გონჯილაშვილი); 3. ლინგვისტური და ტროპული ფორმები (მ. ელბაქიძე); 4. სოციალური და ეთიკური ტერმინოლოგია (ლ. კარიჭაშვილი); 5. საღვთისმეტყველო ეკონომიკური და ფოლკლორული კონტექსტები და ცნებები (ი. ხვედელიანი); 6. გეოგრაფიული, ეთნიკური, კულტუროლოგიური, და სხვა რეალიები (ლ. წერეთელი); 7. ისტორიული კონტექსტები და პერსონალიები (ი. ამირხანაშვილი). <p>ივანე ამირხანაშვილი - ისტორიული კონტექსტები და პერსონალიები კვლევის პირველ ეტაპზე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ამოვიწერე პერსონაჟთა სახელებთან დაკავშირებული კონტექსტები (შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა.შანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით, ტ.1, „მეცნიერება“, თბილისი, 1966); მეორე ეტაპზე განვიხილე პერსონაჟთა (ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ასმათი,</p>			

ნურადინ-ფრიდონი და სხვ.) მხატვრული სახეები და მათი პარადიგმული მნიშვნელობები. განხილვა მოიცავს აგრეთვე ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და ეტიმოლოგიურ დონეებს. მაგალითად, ტარიელის მხატვრული სახის განხილვისას გაანალიზებულია მისი ხასიათი, ხასიათის ნიშანთა სისტემური, სიმბოლური მხარე და სახელი „ტარიელის“ ეტიმოლოგიური ძირები. მსგავსი პრინციპით არის განხილული დანარჩენი პერსონაჟებიც.

ღია კარიჭაშიელი - სოციალური და ეთიკური ტერმინოლოგია

სოციალური ტერმინოლოგია “ვეფხისტყაოსანში” შესაბამისია იმ სოციალური წყობისა, რომელიც ნიშანდობლივია განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოსთვის და სახელდება პატრონჟიმობის ხანად. ამ იერარქიული წყობის ამსახველ ცნება-ტერმინთა გარდა (პატრონი, ყმა), „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს თითქმის ყველა სოციალური წრე და საზოგადოებრივი ფენა (მოყმე, ვაჭარი, სასულიერონი და სხვა) მისთვის ნიშანდობლივი მსოფლმხედველობით, ღირებულებათა სისტემით, ეთიკითა და ეტიკეტით. სოციალური სამართლიანობა და ტოლერანტობა, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, იდეალური სამეფოს აუცილებელი ატრიბუტია. სწორედ ამაზე აფუძნებენ გმირები თავიანთ სახელმწიფოებს. ეს ხდება არა რომელიმე სოციალური ფენის დისკრედიტაციის ფონზე, არამედ თანაცხოვრების პირობებში, როდესაც ურთიერთობები ემყარება ურთიერთპატივისცემას, მაღალ მორალს და სამართლიანობის პრინციპს:

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რაინდობის ინსტიტუტზე, სიტყვა “რაინდი” ან რაინდობა არ იხსენიება პოემაში. ამ მნიშვნელობით გამოყენებულია “ყმის”, “მოყმისა” და “ჭაბუკის” ცნებები. შესწავლილია ამ ცნებათა რეალიზების კონკრეტული კონტექსტები. სათანადო მასალის ანალიზის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ „ყმას“, „მოყმეს“ და „ჭაბუკს“ „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ სივრცეში სრულიად განსაზღვრული სემანტიკური მნიშვნელობები აქვთ. „ყმას“ (როგორც ვაჟს, ახალგაზრდა კაცს) და „მოყმეს“ შორის სინონიმური მიმართებაა. „ჭაბუკის“ მოაზრება მათ მწკრივში, როგორც სინონიმისა, პოემის ტექსტობრივი მონაცემებით, გაუმართლებელია. „ჭაბუკი“ უნდა განიმარტებოდეს, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული – მეომარი ყმა (//მოყმე) – საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებული ვაჟი. „ჭაბუკის“ ამგვარი მნიშვნელობის შენარჩუნებით „ვეფხისტყაოსანი“ ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციას აგრძელებს.

ზოგადად, რუსთაველის ცნებათმეტყველება ჰუმანისტური და ტოლერანტულია იმ თვალსაზრისით, რომ მოიცავს ფართო სემანტიკურ ველს, ბინარულია და აერთიანებს საღვთო და საერო მნიშვნელობებს. თუმცა ამ მთლიანობაში არის გარკვეული მიმართებები. მიჯნურობა ასახავს როგორც საღვთო, ასევე ადამიანურ სიყვარულს. ისევე, როგორც შაირობა გულისხმობს როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიას და სხვა.

ეთიკური ტერმინოლოგია ძირითადად განიხილება მიჯნურობისა და მოყვრობის – სიყვარულისა და მეგობრობის - რაობის რუსთაველისეული დისკურსის ფონზე. საყურადღებოა, რომ მიჯნურობა დასახელებულია ე.წ. ხელობათა კატალოგში, როგორც „საცოდნელი რაშ“, მსოფლმხედველობა, ეთიკური მიმართება გარესამყაროსთან. ასევეა მეგობრობაც, ძმადნაფიცობაც. პროლოგიდან უნდა აღინიშნოს „კაცი ვარგი“ და იდეალური მიჯნურის დამახასიათებელი ცნებები: სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, ენა, გონება დათმობა... მეგობრისა და სატრფოს მნიშვნელობებს აერთიანებს „მოყვარე“. ეთიკური კონცეფციისა და ცნებათმეტყველების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა „ანდერძი ავთანდილისა“.

მიჯნურობაც და რაინდობაც (როგორც სტატუსი, ან ინსტიტუტი) პოემაში გარკვეულ ღირებულებათა სისტემას ეფუძნება და არსებითად ერთი არქეტეპი აქვთ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასულიერო მწერლობის ტრადიცია, დეფინიცია ერთი მხრივ, საღვთო სიყვარულისა და, მეორე მხრივ, წმინდა მხედრისა (სულიერი მხედრობა), რომლის ტრანსფორმაციას საერო მწერლობის სივრცეში განახსიერებს რაინდი. სასულიერო მწერლობაში მიჯნური ღვთისა (მაგ. ბერმონაზვნობა) და სულიერი მხედარი არსებითად ერთი და იგივეა.

ეთიკური პრობლემატიკის რუსთაველისეული გააზრება სამეცნიერო

	<p>ლიტერატურაში დაკავშირებულია გვიანდელი შუასაუკუნეების არისტოკრედიზმთან, თუმცა, ვფიქრობთ, წამყვანი მაინც არის ქრისტიანული მსოფლხედვა და ცნებათმეტყველება.</p> <p>თამარ ხვედელიანი - ნაშრომში წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, საგრძნობლად წაადგება ცნებათმეტყველებისა და სახისმეტყველების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს.</p> <p>საუბარია საღვთისმეტყველო, ეკონომიკურ და ფოლკლორულ ცნებებსა და კონტექსტებზე, მოძიებული, ამოწერილი, კლასიფიცირებული და დამუშავებულია მასალა. მაგალითად, საღვთისმეტყველო: დღე აღვსებისა, განგება, განგებიანი, ედემი, ერთარსება, ზენა, ზენაარი, ზესთა ზე, ზეცა, ზეციერი, ზიარება, ლოცვა, მადლი, მადლიერი, მადლიერობა, მოწყალე, მზიანი ღამე, მოციქული, მუსაფი, მულიმი, მცნება, მალღად მხედი, საზეო, სათნობა, სამოთხე, სახიერი, სვიანი ,სული, სულიერი, უჟამო ჟამი, უხილავი ღმერთი, შემოქმედი, ცოდვა, ხატი.</p> <p>ეკონომიკური: ალაფი, ალაფობა, ბაზარი, დავლა-მრავალი, დრამა, დრაჰკანი, ვალი, ვაჭარი, ვერცხლი, ლარი, ოქრო, სავაჭრო, საჭურჭლე, ქარავანი, ფასი. ფოლკლორული: დევი, ეშმა, ზღაპარი, კრონოსი, ქაჯი, ქაჯეთი, ქვესკნელი.</p> <p>ნაშრომში საუბარია თითოეული ცნების მნიშვნელობაზე. მიმოხილულია საკითხის კვლევის ისტორია, გათვალისწინებულია მკვლევარ-მეცნიერთა მოსაზრებები და გამოკვეთილია შედარებით ახალი, ბოლოდროინდელი შეხედულებები. განსაკუთრებით ეს ეხება საღმრთისმეტყველო ცნებებსა და კონტექსტებს, რის შესახებაც არსებობს ფრიად მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“. ცნობილია, რომ საღმრთო სახელები არაერთგზის გამხდარა კვლევისა და ინტერესის საგანი, არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს საკუთარი, ყოველმხრივ დასაბუთებული და ანგარიშგასაწევი შეხედულება.</p> <p>იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკურ ცნებათმეტყველებასა და განსაკუთრებით ფოლკლორულ ცნებებზე, რაც ასევე ხშირად გახდებოდა ხოლმე მეცნიერთა ინტერესისა და კვლევის საგანი.</p> <p>ნაშრომში საუბარია ფოლკლორულ პერსონაჟთა სახისმეტყველებით ასპექტებზე, ფოლკლორული არქეტიპებისა და ლიტერატურული პერსონაჟების ურთიერთკავშირზე. დევის, ქაჯის, ქაჯეთის ციხის ფუნქციურ დატვირთვაზე, ზემოხსენებული ცნებებისა და კონტექსტების სიმბოლურ გააზრებაზე.</p>
--	--

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლია კარიჭაშვილი	მსახურება ღვთისა	თბილისი, “ჩვენი	170

2.	ივანე ამირხანაშვილი	ვაჟა და მისი ძმები, წინასიტყვაობა მოთხრობების კრებულისათვის „რაზიკაშვილები: ვაჟა ბაჩანა, თედო“,		თბილისი	3-14.
3.		აგიოგრაფიის კულტუროლოგიური კონტექსტი, „არ წამიკითხო!“ (წიგნის კითხვის შესახებ),	. „სჯანი“, №14,		გვ. 8-13

ანოტაციები

1.სტატიაში ლაურა გრიგოლაშვილის წიგნის მეცნიერულ ღირსებებთან ერთად განხილულია ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ზოგადი საკითხებიც. აღნიშნულია, რომ წიგნი წარმოადგენს დინჯ, გაწონასწორებულ ანალიზს – ტექსტის დადგენიდან დაწყებული მსოფლმხედველობითი საკითხებით დამთავრებული. თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები დავითის, როგორც ლექსის ლირიკული გმირის, შინაგანი განვითარების ქრისტიანული გზა.

აღნიშნულია, რომ დავითის სინანული ეთიკური სიმაღლის მაჩვენებელია და არა ცოდვათა ემანაცია. სინანული თვითგანწმენდაა, სულიერი ძალაა, პიროვნების უმაღლესი ნებელობის ცხადყოფაა. „გალობანში“ ორი მიმართვაა „შენ“ და „მე“, ოღონდ ეს არაა მხოლოდ პირად-ინდივიდუალური რამ, როგორც ზოგჯერ ფიქრობდნენ. ლ.გრიგოლაშვილმა ცხადყო, რომ „გალობანის“ „მე“ ზოგადადამიანურია, ცოდვანიც ზოგადადამიანურია, საყოველთაოა. ყოველივე ეს თავის თავზე იტვირთა დავით აღმაშენებელმა, ესე იგი, იტვირთა მთელი საკაცობრიო ცოდვა და ამით დიდი სულიერი ტოლერანტობაც გამოხატა. თანაც გვიჩვენა, რომ ასეთი განწყობა (მზაობა) უნდა ჰქონდეს ყველას – იქნება ეს მე – პიროვნული, მე – ეროვნული თუ მე – ზოგადადამიანური.

2. წინასიტყვაობაში საუბარია იმის შესახებ, რომ რაზიკაშვილების სამწერლო ოჯახი განსაკუთრებული მოვლენაა ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში. აღნიშნულია, რომ ისინი ბუნების წიაღიდან მოდიან და ძალზე ნათელი, გასაგები ენით გამოხატავენ ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, ძმობის იდეებს, რომლებიც გასაგები და მისაღებია არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მკითხველისათვის.

ცალ-ცალკე არის განხილული ვაჟას, ბაჩანას და თედოს შემოქმედება და ცხოვრებისეული დეტალები. ვაჟას შესახებ ნათქვამია, რომ ეს არის სრულიად თვითმყოფადი, თავისებური და ორიგინალური შემოქმედი, რომელიც არც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ ეკუთვნის, მაგრამ ყველაფერს ქმნის მწყობრი, კონცეფციური სისტემით; ხაზგასმულია თედო რაზიკაშვილის დეაწლი ქართული საბავშვო პროზის განვითარებისა და ზეპირსიტყვიერების შეკრება-სისტემატიზების საქმეში; გამოკვეთილია ბაჩანას ლირიკულ-პატრიოტული პოეზიის მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის ბრძოლაში

3. სტატიაში საუბარია იმის შესახებ, რომ ტექსტების ანალიზის მიხედვით, არჩეული გზის ერთგულება, ტრადიციის დაცვა, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობის შენარჩუნება – ეს მართლ სარწმუნოებრივი პოზიცია კი არ არის, არამედ ეროვნული ხასიათია.

აქედან გამომდინარე, თუკი კულტურას გავიაზრებთ, როგორც წინაპართა კულტის თაყვანისცემას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულობა, გადმოცემითობა, მემკვიდრეობითობა ქართული ბუნების, ქართული გონის, ზოგადად „ქართულის“ დამახასიათებელი მოვლენაა. ქართული ქრისტიანული კულტურა ტრადიციონალისტურია. ქართული კულტურული მოდელის შექმნა იწყება ქრისტიანობის კოსმოპოლიტური მრწამსისა და ადგილობრივი, ავტოხთონური გონის ურთიერთქმედების შედეგად.

აგიოგრაფიის დაბადება ტრადიციის დაბადებას ნიშნავდა. წმინდანის ცხოვრების აღწერა – ეს არის კულტურული მოდელი თავისი კონცეპტუალური შინაარსით.

აგიოგრაფია არის ჟანრი და მისი განვითარების ისტორია ადასტურებს ლიტერატურის არსებობას და სიცოცხლისუნარიანობას. ლიტერატურის არსებობა კი მიანიშნებს იმას, რომ პრაქტიკაში ხორციელდება ადამიანისა და კულტურის ერთიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ინდივიდის ცნობიერების მთავარი უნარების – გრძნობის, გონებისა და ფანტაზიის მთლიანობას.

4. ესე ეხება წიგნის კითხვის მნიშვნელობასა და ტრადიციას. გაანალიზებულია მკითხველის ფსიქოლოგიისა და აზროვნების ნიუანსები. მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალისა და პარალელების მოშველიებით ნაჩვენებია, რომ წიგნი, როგორც სიტყვა, დრო-სივრცის სრულყოფილებისა და სისრულის სიმბოლური გამომხატველია. გაზიარებულია სტეფან მალარმეს მოსაზრება: „სამყარო არსებობს იმისათვის, რომ საბოლოოდ წიგნში პოვოს თავისი დასასრული. მკითხველის ფენომენზე საუბრისას აღნიშნულია, რომ ორგვარი მკითხველი არსებობს: 1. რომელსაც ჰგონია, რომ კარგად კითხულობს და 2. ვისაც ჰგონია, რომ ცუდად კითხულობს. ავტორის აზრით, პირველი კატეგორიის მკითხველები პოეტები ხდებიან, მეორე კატეგორიისა – კრიტიკოსები. პოსტმოდერნისტული განწყობილების მიუხედავად, ავტორი ცდილობს წიგნის კითხვის ფენომენი განიხილოს სერიოზული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აქცენტების მეშვეობით.

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მაკა ელბაქიძე	„მიღან კუნდერას ცოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“. მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება) – მასალები.	ტ.1	თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.	გვ., 375–385
	მაკა ელბაქიძე				

2		შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ კატეგორიათა ურთიერთმიმართებისათვის (სილამაზე/მშვენიერება). ქურნ. “სჯანი”.	№14		
3		Николай Заболоцкий и Грузия. Научно-практическая конференция «Иверский Свет». Руско-грузинские поэтические связи 20-го века.		თბილისი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. Тбилиси	გვ.77-91 стр.55-67

ანოტაციები

1. მაკა ელბაქიძე

მილან კუნდერას ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე

მწერალს, ისევე როგორც ნებისმიერ შემოქმედს, რომელსაც რიგით ადამიანთან შედარებით გამძაფრებული აქვს დაკვირვების უნარი, ცხოვრების მანძილზე მიღებული შთაბეჭდილებანი ე.წ. ფაქტობრივი მეხსიერების ფსკერიდან “ამოაქვს”. ჩემი მწერალი, მილან კუნდერა, ყველაზე მტკივნეულ მოგონებად 1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიაში რუსეთის არმიის შეჭრას მიიჩნევს, ვინაიდან სწორედ ამ მოვლენამ გაყო მისი ცხოვრება ორ – ოკუპაციამდელ და ოკუპაციის შემდგომ – ეტაპად (ისიც ნიშანდობლივია, რომ კუნდერას ფაქტობრივ მეხსიერებაზე ღრმად იყო აღბეჭდილი ნაციისტური ოკუპაციის კვალიც, რის შედეგადაც მასში საკმაოდ ადრეულ ასაკში გაიღვიძა პოლიტიკურმა თვითშეგნებამ). თუმცა, თავად კუნდერა აღიარებს, რომ ადამიანისთვის, მით უფრო მწერლისთვის, დამღუპველია წარსულში მომხდარი, თუნდაც მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ დაუსრულებელი განსჯა და ფიქრი, რადგან წლების გადასახედიდან წარსულის შეფასება ყოველთვის მოკლებულია სიზუსტესა და ობიექტურობას.

ფაქტობრივის გარდა, არსებობს ეგზისტენციალური მეხსიერებაც, რომელმაც, კუნდერას შემთხვევაში, ნათლად აირეკლა უზარმაზარი, უცხო “დერჟავის” მიერ შთანთქმული ერთი პატარა ქვეყნის აგონია. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სიტუაციის არც ამგვარი შეფასება იყო მთლად ზუსტი, მაგრამ ამ შეცდომის წყალობით მწერალმა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო. კუნდერა მიხვდა, რომ არცერთ ფრანგს თუ ამერიკელს არ ძალუძს მიიღოს და სათანადოდ გაითავისოს ის, რაც მხოლოდ მან, ჩეხმა, იცის: თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის საკუთარი ნაციის აღსასრულის მომსწრედ ყოფნა. ამ ფაქტის გაცნობიერების შემდეგ, ბუნებრივია, მწერალი დგება არჩევანის წინაშე – შეეგუოს არსებულ რეალობას და მიიღოს “მოსულთა” თამაშის წესები, თუ “ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს” წარმოსახვით რეალობაში გაექცეს, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ოღონდ რა ფორმითა და მეთოდით? – სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ეს ნაშრომი.

2. მაკა ელბაქიძე

შუასაუკუნეებისა და რენესანსის ესთეტიკურ კატეგორიათა მიმართებისათვის (სილამაზე/მშვენიერება)

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს, როგორი იყო მშვენიერების/სილამაზის ცნების გაგება შუასაუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში და როგორი ურთიერთმიმართება არსებობდა ამ ორ კულტურულ პარადიგმას შორის განსახილველ ესთეტიკურ კატეგორიათა მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ადრეული შუასაუკუნეების ხელოვნებასა და ლიტერატურაში გარეგნული სილამაზე აღიქმებოდა არა თავისთავადი მნიშვნელობით, არამედ როგორც სულიერი მშვენიერების გამონაშუქი. ეს პრინციპი იცვლება გვიანდელ შუასაუკუნეებში, კერძოდ, საერო მწერლობაში, სადაც გმირის ინდივიდუალურ თვისებებთან ერთად წინა პლანზე წამოიწევს მისი პორტრეტული შტრიხები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟის მხატვრული სახე იქმნება არა აგოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგადი მოდელის მიხედვით (წმინდანი/ცოდვილი; დადებითი პერსონაჟი/უარყოფითი), არამედ პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებების მაქსიმალური გამოკვეთით, თანაც ისე, რომ პიროვნების გარეგნულ იერსახეში, როგორც სარკეში, ირეკლებოდეს მისი შინაგანი (სულიერი) ხატი.

რენესანსული ესთეტიკა, ერთი მხრივ, აღორძინებაა ანტიკური ესთეტიკური პრინციპებისა, თუმცა, იმავდროულად, “შემკვიდრეა” წინამორბედი (შუასაუკუნეების) ეპოქის აზროვნებისა, რომლის მიხედვითაც ზოგადი და ინდივიდუალური, იდეალური და მატერიალური, გარეგნული და შინაგანი ერთიან და განუყოფელ მხატვრულ სახეში ერწყმის ერთმანეთს, რაც, თავის მხრივ წინამორბედა მალალი რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმისა. შესაბამისად, “ღვთაებრივ კომედიასა” თუ “ვეფხისტყაოსანში” ჩამოყალიბებული ესთეტიკური დოქტრინა, რომელშიც რენესანსული ეპოქისთვის დამახასიათებელი არაერთი პრინციპისა და ტენდენცია ჩანს, ჯერ კიდევ არ არის იმ ტიპის აზროვნება, რომელიც ხელოვნების (ლიტერატურის) ისტორიაში კვატროჩენტოდაა სახელდებული.

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<i>მარიამ კარბელაშვილი</i>	ლიტერატურის თეორიის პრობლემათა ახალი ხედვა „ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის“ ახალი გამოცემის გამო	სჯანი, ყოველთვიური ლიტერატურის მცოდნეობითი ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურის მცოდნეობაში, № 14	თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა	15
2	<i>მარიამ კარბელაშვილი</i>	ვიქტორ ნოზაძე ვეფხისტყაოსნის საკვანძო კოლიზიის იურიდიული შეფასების შესახებ	VII საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ლიტერატურა დევნილობაში ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება).	ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა 2013	6

მარიამ კარბელაშვილი

**1. ლიტერატურის თეორიის პრობლემათა ახალი ხედვა
„ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის“ ახალი გამოცემის გამო**

ლიტერატურის თეორიის შესწავლის სფეროში დიდი სიახლეა – გამოვიდა „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალის“ ახალი გამოცემა და ეს სიახლე დასათაურებაშიც კი გამოჩნდა: ტრადიციული „ლიტერატურათმცოდნეობის“ ნაცვლად ახალი, შინაარსობრივად გამართლებული ფორმა „ლიტერატურისმცოდნეობა“.

მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურის თეორია მხატვრული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საფუძველთა საფუძველია; „ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის“ ახალი გამოცემის მოწოდებაა ლიტერატურის თეორიაში თანამედროვე დონის დამკვიდრება, ხოლო თეორიის საფუძვლიანი ცოდნა მაღალი პროფესიონალიზმის გარანტიაა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ ex abrupto არ გაჩენილა, მას დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა წინ – ესაა ორი მნიშვნელოვანი გამოცემა: „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“ (2008) და „ლიტერატურის თეორია. II. ქრესტომათია“ (2010). სამივე წიგნს მე ერთ კომპლექსში, ერთ მთლიანობაში განვიხილავ, რადგან ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს ავსებენ. ცხადად ჩანს, რომ ამ თეორიული ხასიათის გამოცემებმა ლიტერატურისმცოდნეობის დარგში რადიკალურად და პრინციპულად შეცვალა დამოკიდებულება მხატვრული ლიტერატურის კვლევათა მიმართ – ეს დიდი პროგრესია და ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი პროფ. ირმა რატიანი.

საერთოდ, XX საუკუნე ლიტერატურის თეორიის სფეროში დიდ განახლებათა და გადაფასებათა საუკუნეა, რაც ოციანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარზე ითქმის – რუსეთშიც და ევროპაშიც შეიქმნა ახალი თეორიები, კონცეფციები, სკოლები, რომელთა შესწავლა დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა გარემოებათა გამო ჩვენთან შეზღუდული იყო.

გულწრფელი სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ „ლიტერატურისმცოდნეობის თეორიის“ შექმნაში თოთხმეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა და ახალმა იდეებმა ყოველი მათგანის ნაშრომში ჰპოვა ასახვა.

„ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ მოიცავს ლიტერატურის თეორიის ძირითად საკითხებს, რომლებიც დამუშავებულია ამ რთული დარგის მსოფლიოში არსებული თანამედროვე დონის შესაბამისად, რისთვისაც მაქსიმალური სისრულითაა გათვალისწინებული უახლესი თეორიები, კონცეფციები, მეთოდოლოგიები; წიგნს ღირსებას მატებს ის, რომ ახლავს ზოგად კატეგორიათა უხვი ილუსტრირება შესაბამისი ქართული მასალით.

აღსანიშნავია „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალის“ კარგი არქიტექტონიკა: საკვანძო საკითხთა შემცველი თვრამეტი ნაშრომი ლოგიკური თანამიმდევრობით არის განლაგებული: „ლიტერატურისმცოდნეობა და მისი შემადგენელი დისციპლინები“ (ს. ტაბუცაძე), „ავტორი და ტექსტი“; „ფორმა და შინაარსი“ (რ. ჭილაია), „თემა და მხატვრული იდეა“ (ლ. ბრეგაძე), „ფაბულა და სიუჟეტი“ (ი. რატიანი), „მოტივი“ (თ. ლომიძე), „პორტრეტი“ (თ. კიკაჩიშვილი), „მხატვრული სახე“ (გ. ლომიძე), „თხრობა“ (ი. რატიანი), „ენის პოეტური ფუნქციის შესახებ“ (თ. ბოლქვაძე), „პოეტური ლექსიკა“ (ნ. პოპიაშვილი) „პოეტური სემანტიკა. ტროპები“ (რ. ცანავა), „პოეტური ტექსტის სინტაქსი“ (ვ. კავთიაშვილი), „ლექსის ფონიკა“ (თ. დოიაშვილი), „კომპოზიცია“ (გ. ლომიძე), „სტილი“ (მ. ნაჭყებია), „ლექსწყობის სისტემები“ (თ. ბარბაქაძე), „ლიტერატურული გვარები და ჟანრები“ (ი. რატიანი).

„ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ დაინეტრესებს ფართო მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებისთვის, როგორც თანამედროვე დონის სახელმძღვანელოს.

**2. Viktor Nozadze about the Legal Assessment
of “The Man in the Panther’s Skin” Key Collision**

Viktor Nozadze is the brilliant representative of emigrant Rustaveli Studies. At present the subject of our interest is his small article entitled “Slay the bridegroom stealthily” (1966).

The main sophism in the literary criticism of the official soviet Rustaveli Studies is the excuse and substantiation of the murder accomplished by Tariel in the context of socialist realism. This new interpretation was shared by the legal scholar.
Victor Nozadze's article is full of sharp polemical tone against the conclusion of legal scholar, goes beyond the literary criticism and by means of its essence exposes the immoral character of Soviet justice

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლია კარიჭაშვილი	ქართული ლიტერატურის ოთხტომეული (ტ. I) (რეცენზია)	ჟურნ. "ჩვენი მწერლობა", №26	თბილისი, "ჩვენი მწერლობა"	3

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას "ქართული ლიტერატურის" 4-ტომეულის I ტომისა, რომელიც ეთმობა ძველ ქართულ მწერლობას. ნარკვევებს უძღვის შესავალი წერილი "ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის სათავეებთან", ერთვის წიგნის ავტორთა – გიორგი ალიბეგაშვილის, რევაზ სირაძისა და ნესტან სულავას – ბიოგრაფიები.

შესავალ წერილში, რომლის ავტორია გიორგი ალიბეგაშვილი, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია წამოჭრილი, მათ შორის უმთავრესი – ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის საწყისი ეტაპი, მისი თავისებურებანი და მნიშვნელობა, საყურადღებოა ენის გაქრისტიანების საკითხიც.

ამავე წერილში მიმოხილულია, ზოგადად, დამწერლობის წარმოშობის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, აქვეა მცირე ისტორიული ექსკურსი საწერი მასალების შესახებ.

რაც შეეხება უშუალოდ ნარკვევებს, განხილულია ძველი ქართული მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც სასულიერო, ისე საერო. სასულიერო მწერლობა წარმოდგენილია თითქმის ყველა ჟანრით: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ბიბლიოლოგია, ასკეტიკა, დოგმატიკა, ეგზეგეტიკა, ლიტურგიკა, ჰომილეტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტაო-კლარჯეთისა და ათონის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სკოლებს. ცალკეა გამოყოფილი საისტორიო მწერლობა და "ქართლის ცხოვრების" შედგენის გარემოებანი.

წერილში აღნიშნულია, რომ რომ წიგნის ავტორები მოცემული პრობლემატიკის უშუალო მკვლევარნი არიან. ამავ დროს მათი ნაშრომები ასახავს თითოეულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურის ყველა არსებით მონაცემს, რის საფუძველზეც მკითხველს მკაფიო წარმოდგენა ექმნება ამა თუ იმ შემოქმედზე, მის თემატიკასა და მხატვრულ

სამყაროზე, ზოგადად, ძველი ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციებზე.
 ყურადღება გამახვილებულია ნაშრომის ენაზე. ეს არის აკადემიური და ამავე დროს ექსპრესიული და დინამიური თხრობა, რაც სავსებით მიზანშეწონილია, რამდენადაც წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდა თაობისა და მკითხველთა ფართო წრისთვის. სწორედ ამ ტიპის ნარატივია ახალგაზრდა თაობისთვის აზრობრივად მისაწვდომი, მიმზიდველი და თავისთავად წინაპირობაცაა შემდგომი ინტერესების გამოკვეთისთვის.

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა გონჯილაშვილი	<p>1. ლევან გოთუას „გარეჯულა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი გააზრებანი</p> <p>2. „იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი“</p> <p>3. „სული საქმით მეტყველი“</p> <p>4. „სვეტი-ცხოველი – სახისმეტყველებითი ძიებანი, სიმბოლური გააზრებანი და წყაროთმცოდნეობითი კვლევა“</p> <p>5. „რუსთველური „მოყვრობის“ სამი უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში“ –</p>	<p>“ლიტერატურული ძიებანი”</p> <p>ქართველოლოგი</p>	<p>თბილისი</p> <p>თბილისი</p> <p>გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი,</p>	<p>(იბეჭდება)</p> <p>(იბეჭდება)</p> <p>გვ.267–29</p>
<p>ანოტაციები</p> <p>1. ლევან გოთუას „გარეჯულა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი გააზრებანი</p>					

ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკისა და ვეფხვის პარადიგმული სახისმეტყველების თვალსაზრისით შესწავლილია ლ.გოთუას მოთხრობა „გარეჯულა“, რომელშიც მონდოლთა შემოსევისას (XIII ს.) გარეჯის მონასტრის ცხოვრება და მასთან დაკავშირებული წიგნის – „ვეფხისტყაოსნის“ – ამბავია გადმოცემული. აღნიშნულია, რომ „გარეჯულა“ ქართულ ისტორიოგრაფიაში მდუმარებითა და იდუმალებით მოცული „ვეფხისტყაოსნის“ ბედის ახლებურ გააზრებას წარმოაჩენს; მწერალი წარმოსახვის და, ამასთანავე, რუსთველოლოგიური მასალის გათვალისწინების საფუძველზე მისი შინა-არსის მნიშვნელოვნებასა და ცხოველმყოფელობას სხვაგვარ გარემოსა და ვითარებაში აცოცხლებს. მოთხრობის ანალიზის შედეგად, გამოკვეთილია აზრი, რომ ლ. გოთუა ისტორიას მხატვრული გამონაგონით ავსებს და აცოცხლებს, ახალი რეალობით ამეტყველებს. მოთხრობაში სინამდვილესთან ერთად სასურველ და შესაძლებელ წარსულზე ფიქრია გაცხადებული.

ნაშრომში წარმოჩენილია მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სამყაროსა და ისტორიული სინამდვილის მიმართებანი, განსახოვნების თვალსაზრისით, დაძებნილი და, შეძლებისდაგვარად, შესწავლილია ახალი სახექმნადობები, მათი მიმართებანი „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებასთან. აქვე წარმოჩენილია რუსთაველის პოემის სათაურის, ვითარცა მხატვრული სახის, მოთხრობაში „ვეფხის წიგნად“ და „საქვეყნო წიგნად“ გოთუასეული გადააზრების საზრისი, მისი შინა-არსი.

2. ნაშრომში „იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი“ აღნიშნულია, რომ არც ერთ ძველ ქართულ წყაროში, IX საუკუნიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, უფლის კვართის იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამომტანი ელიოზის დის სახელი „სიდონია“ არ იხსენება. სხვადასხვა ეპოქის კედლის მხატვრობაში (IX-XIII, XVII-XIX სს.) მინიატიურებსა და ხატებზე წარმოდგენილ ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვა-ამაღლების სცენაში, არც XVII-XVIII სს-ის კათალიკოსთა საბეჭდავებზე და ვახტანგ VI-ის დროშაზე „სიდონია“ არსად არაა აღნიშნული. XIX ს-ში გამოცემულ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მოთხრობებში, ძირითადად, ელიოზის და „სიდონიად“ იწოდება, როგორც ქართველთათვის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ნაშრომში გამოკვეთილია შემდეგი დასკვნა – თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებაში – „ისტორია დაწვებითგან ივერიისა...“ – ცხრამეტი საუკუნის მანძილზე პირველად ვხვდებით კვართის მიმრქმელი ელიოზის დის სახელს – „სიდონიას“. მ. საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ მოთავსებულ ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავში“ ელიოზის დის სახელთან ფრჩხილებში მოთავსებულმა „სიდონიამ“, აგრეთვე ხატის „საქართველოს წმინდა მართლმადიადიებელი ეკლესიის დიდებაში“ ელიოზის დის სახელის აღნიშვნამ უდიდესი როლი ითამაშა ელიოზის დის „სიდონიას“ სახელის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებაში.

3. წერილი – „სული საქმით მეტყველი“ (რუსულ ენაზე) – ეძღვნება ბ-ნ რევაზ სირაძის ხსოვნას. მასში წარმოჩენილი და მიმოხილულია ბ-ნ რევაზის ღვაწლი ქართული კულტურის და, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის სფეროში. გარკვეულწილად საუბარია ბ-ნი რევაზის პიროვნებაზე, მის პიროვნულ ღირსებებზე და ამაგზე, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

4. ნაშრომში – „რუსთველური „მოყვრობის“ სამი უმთავრესი წესის ასახვა გმირთა ურთიერთობაში“ – „ვეფხისტყაოსნის“ განხილვის საფუძველზე აღნიშნულია, რომ რუსთაველის მიერ მოყვრობისაგან მოყვრობის გამოჩენის სამი უმთავრესი დებულება სრულადაა წარმოჩენილი პოემის გმირთა ურთიერთობაში, მათი ცხოვრების ფილოსოფიაში. ნ. გონჯილაშვილის თქმით, რუსთაველს უადრესი სიმძაფრით და საოცარი უშუალოდობითა აქვს გადმოცემული ძმადნაფიც გმირთა შეყრისა და განშორებისას ადამიანურ განცდათა ამსახველი ეპიზოდები. აქ ყოველი ნიუანსია წარმოჩენილი, გმირთა ქცევა, სიტყვა, ხმა, ღმილი თუ ცრემლი. ყოველივე ეს, როგორც ავტორი შენიშნავს, მკითხველის გმირთა ემოციურ განწყობასთან თანაზიარობისკენაა მიმართული; იმავდროულად, გმირთა მსგავსების, გამორჩეულობის, ზეადმატებული მგრძნობელობისა და ურთულესი სულიერი სამყაროს, მათი ფსიქოლოგიური განწყობის მაჩვენებელია. ნაშრომში გამოკვეთილია აზრი, რომ რუსთაველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეგობართაგან „სიახლის ნდომას“, „სიშორის ვერ მოთმენას“ და „გავლენა“-„მოხმარებას“. რაც შეეხება „ჩუქების არ მოწყენას“

და უშურველობას, რუსთაველი მას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს, თუმცა აღწერილი სრულიად საკმარისია გმირთა ბუნების შესაცნობად, მათი სიუხვის, უშურველი ძღვნობის წარმოსაჩენად.

5. ნაშრომი – „სვეტი-ცხოველი – სახისმეტყველებითი ძიებანი, სიმბოლური გააზრებანი და წყაროთმცოდნეობითი კვლევა“ – შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილში – „წმინოს ცხოვრების“ ორი ხილვა-ჩვენების სიმბოლური მნიშვნელობა და სახისმეტყველება – შესწავლილია „სვეტი-ცხოველის“ „ადგილიდან შეძრვისა“ და აღმართვის დაბრკოლებასთან დაკავშირებულ წმინოსა და „ათორმეტ“ დედათა ორი ხილვა-ჩვენება. ნაშრომში წარმოჩენილია მათი სახისმეტყველება, სიმბოლური მნიშვნელობა და პარადიგმული შინაარსი. ნაშრომის მეორე ნაწილში – წმინოს, ათორმეტ დედათა სიმბოლური მიმართება მარიამ მაგდალინელთან, მენელსაცხებლუ დედებთან – „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა და სახარების ტექსტის განხილვის საფუძველზე დაძებნილი და შესწავლილია მათი სიმბოლური მიმართებების წარმომჩენელი ეპიზოდები, წარმოჩენილია მათი მნიშვნელოვნება, ახსნილია მსგავსების საფუძველები. ნაშრომის მესამე ნაწილში – სვეტიცხოველის ტაძარი – „წმიდაა წმიდათა“ – უფლის გამოცხადების ადგილი – „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა განხილვის საფუძველზე გამოკვეთილია სვეტისა და სვეტიცხოველის საზრისი ქართლის გაქრისტიანების გზაზე, დაძებნილი და შესწავლილია სვეტიცხოველის სახელდების, „წმიდაა წმიდათა“, საზრისი და მნიშვნელობა. მეოთხე ნაწილში – კვართის მიმრქმელი ელიოზის და და მისი სახელი „სიდონია“ – ძველი ქართული და უცხოური წყაროების შესწავლის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ XIX ს-ის 30-იან წლებამდე „სიდონია“ არც ერთ წყაროში არ ფიქსირდება. აღნიშნულია, რომ პირველად თეიმურაზ ბაგრატიონი ახსენებს კვართის მიმრქმელის სახელს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სახელი „სიდონია“ ქართველთა ცნობიერებაში დამკვიდრდა მ. საბინინი ცნობილი ხატისა („საქართველოს ეკლესიის დიდება“) და „საქართველოს სამოთხის“ მეშვეობით.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ ხვედელიანი	არჩილ ხვედელიანი იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში	ლექსმცოდნეობის VII სამეცნიერო სესია. თბილისი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2013.
2	თამარ ხვედელიანი	„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა...“	ფოლკლორისტა 50-ე სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2013

მოსხენებათა ანოტაციები

ექსპერიმენტი კოსმოსური სხივების ფიზიკაში, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს GELATICA (GEorgian Large-area Angle and Time Coincidence Array) სახელწოდებით, ავითარებს მცირე სადგურების ქსელს, როგორც თბილისის, ასევე საქართველოს მასშტაბით. პროექტის კვლევის მიზანია პირველადი კოსმოსურის სხივების მიერ წარმოქმნილი ფართე ატმოსფერული ღვარების სივრცე-დროითი კორელაციების შესწავლა. 2013 წელს ანალიზი გაუკეთდა ანდრონიკაშილის ფიზიკის ინსტიტუტში განლაგებულ სადგურზე 1 წლის განმავლობაში დაგროვილ მონაცემებს, ატმოსფერული ღვარების მოსვლის მიმართულების კუთხური განაწილების დასადგენად. ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული აზიმუტალური ანიზოტროპიისა, ღვარების შთანთქმის ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია უზრუნველყოფს კუთხური განაწილების კარგ მიახლოებას.

2013 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა

1. J.L. Chkareuli, Emergent gauge theories and supersymmetry: a QED primer, Phys.Lett. B721 (2013) 146-150.
2. J.L. Chkareuli, Gauge Fields as Goldstone Bosons Triggered by Spontaneously Broken Supersymmetry, e-Print: arXiv:1212.6939 [hep-ph] , Phys.Rev. D (2013, in press).

3. J.L. Chkareuli, On emergent SUSY gauge theories, e-Print: arXiv:1305.4470 [hep-ph] , To appear in the conference proceedings: 16th Workshop "What comes beyond the Standard Model"
4. J.L. Chkareuli, Photon as an Emergent Photino Companion in Spontaneously Broken SUSY QED, Eur. Phys. Journ. C (2013, in press).
5. J.L. Chkareuli, J.Jejelava, Z. Kepuladze, G. Tatishvili, Lorentzian Goldstone modes shared among photons and gravitons, Nucl. Phys. B (in press).
6. Archil Kobakhidze et al, Probing Light Higgsinos in Natural SUSY from Monojet Signals at the LHC e-Print: arXiv:1310.4274 [hep-ph].
7. Robert Foot, Archil Kobakhidze, Kristian L. McDonald, Raymond R. Volkas, Poincare Protection for a Natural Electroweak Scale, e-Print: arXiv:1310.0223 [hep-ph].
8. Archil Kobakhidze, Jason Yue, Excluding a Generic Spin-2 Higgs Impostor, e-Print: arXiv: 1310. 0151 [hep-ph].
9. Archil Kobakhidze, Nicholas L. Rodd, Time-symmetric quantization in spacetimes with event horizons, Int. J. Theor. Phys. 52 (2013) 2636 .
10. Archil Kobakhidze, Alexander Spencer-Smith, Neutrino Masses and Higgs Vacuum Stability, JHEP 1308 (2013) 036
11. Parth Girdhar, Archil Kobakhidze, Cosmological Zitterbewegung, e-Print: arXiv:1305.3372.
12. Archil Kobakhidze, Alexander Spencer-Smith, Electroweak Vacuum in Inflationary Universe, Phys.Lett. B722 (2013) 130-134 .
13. I. Gogoladze et al, Baryon Number Violation, e-Print: arXiv:1311.5285 [hep-ph].
14. M. Adeel Ajaib, Ilia Gogoladze, Qaisar Shafi, Sparticle Spectroscopy from SO(10) GUT with a Unified Higgs Sector , Phys.Rev. D88 (2013) 095019.
15. Ilia Gogoladze, Fariha Nasir, Qaisar Shafi, SO(10) as a Framework for Natural Supersymmetry, e-Print: arXiv:1306.5699.
16. M. Adeel Ajaib, Ilia Gogoladze, Qaisar Shafi, Cem Salih, A Predictive Yukawa Unified SO(10) Model: Higgs and Sparticle Masses, JHEP 1307 (2013) 139.
17. Ilia Gogoladze, Fariha. Nasir, Qaisar. Shafi, Non-Universal Gaugino Masses and Natural Supersymmetry, Int.J.Mod.Phys. A28 (2013) 1350046.
18. Merab Gogberashvili, Pavle Midodashvili, Giorgi Tukhashvili, New Class of N-dimensional Braneworlds, e-Print: arXiv:1310.5696 [gr-qc] | PDF
19. Merab Gogberashvili, Pavle Midodashvili, The 5D Standing Wave Braneworld With Real Scalar Field, e-Print: arXiv:1310.1911 [hep-th]
20. Merab Gogberashvili, Otari Sakhelashvili, Giorgi Tukhashvili, Numerical Solutions in 5D Standing Wave Braneworld, Mod.Phys.Lett. A28 (2013) 1350092
21. Merab Gogberashvili, Giorgi Tukhashvili, Hierarchy of Fermion Masses in the 5D Standing Wave Braneworld, e-Print: arXiv:1308.5840.
22. T.T.Barnaveli, T.T.Barnaveli (jr), N.A.Eristavi, I.V.Khaldeeva, A.P.Chubenko, N.M.Nesterova Registration of the signal of a star and PCR sources optical radiation by means of the installation, aimed at the investigation of EAS of high energy cosmic rays, e-Print arXiv:1308.5463 (2013)].
23. Svanidze M., Verbetsky Yu., , Iashvili A., Tskhadadze E., Kokorashvili D. - First results on the spatiotemporal correlations of the remote Extensive Air Shower pairs - Proc. 23rd ECRS (Moscow, Russia 2012), 2013 J. Phys.: Conf. Ser. 409 012085 (http://iopscience.iop.org/1742-6596/409/1/012085).
24. Svanidze M., Verbetsky Yu., , Iashvili A., Tskhadadze E. - Zenith angle distribution of extensive air showers by TBS array (GELATICA experiment) – submitted to the 33RD INTERNATIONAL COSMIC RAY CONFERENCE, RIO DE JANEIRO 2013.
25. - 120. ATLAS კოლაბორაციასთან ერთად გამოქვეყნებული სტატიები (ჯ. ჯეჯელავა და ე. ცხადაძე - თანავტორები):

ATLAS კოლაბორაციის პუბლიკაციები იხილეთ:

<http://inspirehep.net/search?ln=en&ln=en&p=f+a+ATLAS+COLLABORATION>

2013 წელს განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.

1. ჯუანშერ ჩქარეული:

- a. International 16th Workshop "What comes beyond the Standard Model?" July 10-24, 2013, Bled, Slovenia (http://fiz.fmf.uni-lj.si/norma_public_html/bled2013bsm/), Invited talk "On emergent SUSY gauge theories"
- b. International 4th Conference of Georgian Mathematical Union, September 9-15, 2013, Tbilisi-Batumi (<http://www.gmu.ge/>), Invited talk "Present status of gauge and gravity theories"
- c. International 7th Conference "Physics in the LHC era", October 13-19, 2013, TSU, Tbilisi (<http://lhc2013.tsu.edu.ge/>), Invited talk "On emergent SUSY theories"

2. მერაბ გოგბერაშვილი

International 4th Conference of Georgian Mathematical Union, September 9-15, 2013, Tbilisi-Batumi (<http://www.gmu.ge/>), Invited talk "Extra space-time dimensions"

3. მანანა სვანიძე

The 33RD INTERNATIONAL COSMIC RAY CONFERENCE, RIO DE JANEIRO 2013, Presented talk "Zenith angle distribution of extensive air showers by TBS array (GELATICA experiment)"

II. კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილება

(განყოფილების გამგე – ფიზ.-მათ.მეც.დოქტორი, უფროსი მეცნიერი
თანამშრომელი ალექსანდრე ღონღაძე)

განყოფილებაში 36 მეცნიერი თანამშრომელია, მათ შორის 7 მთავარი მეც. თანამშრომელი, 16 – უფროსი მეც. თანამშრომელი და 12 – მეცნიერი თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში მუშავდებოდა 4 სამეცნიერო თემა და 8 ქვეთემა. გამოქვეყნებულია 26 სამეცნიერო ნაშრომი. განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ 11 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. მიღებული აქვთ 3 საერთაშორისო, 2 საქართველოს გრანტი. განყოფილებას აქვს 1 საერთაშორისო ხელშეკრულება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს მოკლე ანგარიში

II-1. მაგნიტური სისტემების კვლევა.

ხელმძღვანელი: **გ. მამნიაშვილი** – მთ. მეც. თანამშრომელი

შემსრულებლები: **ი. შარიმანოვი** – უფ. მეც. თან., **ა. ახალკაცი** – უფ. მეც. თან., **ტ. გეგეჩკორი** – მეც. თან., **თ. ზედგენიძე** – უფ. მეც. თან., **თ. პეტრიაშვილი** – მეც. თან.

1. გამოკვლეულია მრავლობითი ექო-გამოძახილის ძირითადი კომპონენტების ბუნება მაგნეტიკებში ორი ფართო რეზონანსული იმპულსს მოქმედებისას. დადგენილია, რომ მრავლობითი ექოს სწრაფად რელაქსირებადი კომპონენტა ფორმირდება მრავალი იმპულსიანი არარეზონანსული ფორმირების მექანიზმით ლითიუმ ფერიტის შემთხვევაში, ხოლო კობალტის შემთხვევაში არსებობს აგრეთვე შედარებით ნელა რელაქსირებადი წვლილი, რომელიც ფორმირდება დამახინჯების მექანიზმით.

2. ბმრ მეთოდები წარმატებით გამოყენებულ იქნა მიკროსკოპიული ინფორმაციის მისაღებად გარე მაგნიტური სტრუქტურისა და დინამიკური პროცესების შესასწავლად მაგნეტიკებში. ასევე შესწავლილი იქნა დომენური კედლების სტრუქტურა და დინამიკა. განხორციელდა მაგნეტიკებში დამატებითი მაგნიტური ვიდეო-იმპულსის მოქმედებისას დომენურ კედლებში განთავსებული ბირთვების ბირთვული სპინური ექო სიგნალების დამზერა. პირველად გამოკვლეული და სისტემატიზირებულია დამატებითი მაგნიტური ვიდეო-იმპულსის ორი იმპულსიანი ექო სიგნალებზე ზემოქმედებისას დროითი და სპექტრალური დიაგრამები რიგ მაგნეტიკებში (ფერომაგნეტიკები, ფერიტები, ნახევარ მეტალები და ინტერ მეტალები). ნაჩვენებია, რომ დროითი დიაგრამები ავლენენ ორ-იმპულსიანი ექოს ინტენსივობის დამოკიდებულებას მაგნიტური ვიდეო-იმპულსის დროით მდებარეობაზე რადიო სიხშირული (რს) იმპულსების მიმართ, ხოლო სპექტრალური დიაგრამებისთვის ეს გავლენა ძირითადად განსაზღვრულია ლოკალური ზენაზი ველით და დომენური კედლების ძვრადობით. ამ დიაგრამების გამოყენება შესაძლებელია ბმრ სპექტრის ბუნების იდენტიფიკაციისათვის მრავალდომენიან მაგნიტურ მასალებში და მაგნეტიკებში ბმრ მეთოდის გარჩევისუნარიანობის გასაზრდელად.

3. კვანტურ-სტატისტიკურად გამოკვლეულია ექო პროცესები მაგნეტიკებში ნებისმიერი სიგრძის რიგი რს იმპულსებით აგზნებისას. მიღებული თეორიული

შედგები ექო-სიგნალების რაოდენობის, მათ ფორმირების მომენტების და ინტენსივობებისა კარგ თანხმობაშია ექსპერიმენტულ შედეგებთან მაგნეტიკებში (ფერიტები, ფერომეტალები, ნახევარ მეტალები და მანგანიტები). ფართო რს იმპულსით ან მათი თანმიმდევრობით ზემოქმედება სუსტი სიგნალის აკუმულაციის საშუალებას იძლევა, ამდიდრებს ექო-გამომახილების სპექტრს მკაფიოდ განცალკევებული ინტენსიური ხაზებით ანუ შესატყვისად იზრდება აპარატურის მგრძობიარობა და, შესაბამისად, შესაძლებლობა გამოკვლეულ იქნას ნაზი დეტალები შედარებით გრძელი რელაქსაციური დროის მქონე ბირთვულ სპინ-სისტემაში მიმდინარე დინამიკური და რელაქსაციური პროცესებისათვის. ამ რელაქსაციური პროცესების კვლევის ახალი ექსპერიმენტული შედეგები მიღებულია. დამზერილ მაღალი ინტენსივობის მრავალმპულსიანი ექო-სიგნალები ლითიუმის ფერიტი სასუალებას იძლევა დავადგინოთ სწრაფად რელაქსირებადი კომპონენტის ბუნება მრავალმპულსიან ექო-სიგნამსი, რომელიც პირველად დაიმზირა FeV –ში.

4. დამზერილია დიდი დროითი მახსოვრობის აკუსტიკური და მაგნეტოაკუსტიკური ეფექტები მაგნეტოსტრიქციულ მასალებში მათი რს იმპულსებით ინდუქციური აგზნებისას იმპულსური ბმრ ტექნიკის გამოყენებით. ასევე დამზერილია სამი რს იმპულსით ზემოქმედებისას იმპულსური ბმრ ტექნიკის გამოყენებით მაგნეტიტსა და მრავალფენოვან მაგნეტოექლექტრულ ფერიტ-პიეზოელექტრულ კომპოზიტებში აკუსტიკური სიგნალების ჩაწერით.

5. გამოკვლეულია მაგნეტიტის ნანონაწილაკების სტაბილური მაგნიტური სუსპენზიის ჰიპერთერმიული და მაგნიტური თვისებები. ამ მიზნით დამზადებულია მარტივი დაბალსიხშირული რხევის გენერატორი 300 ვოლტი სიმძლავრით და 300 კილოჰერცი სიხშირით. ინდუქტიურ კოჭაში მოთავსებული მაგნიტური სუსპენზიის ნიმუში ცხელდებოდა “უნიმაგის” 55°C-მდე 30 წუთის განმავლობაში. განივი მაგნიტური ამთვისებლობის გაზომვის შედეგად დავასკვნით, რომ მაგნიტური სუსპენზიის ნანონაწილაკები პარამაგნიტურია ოთახის ტემპერატურაზე. შეფასდა ნანონაწილაკების ზომა.

6. ჩატარდა კიბოს მაგნიტური ჰიპერთერმიით მკურნალობის ისტორიისა და თანამდროვე სიტუაციის მიმოხილვა. განხილულ იქნა კიბოს მაგნიტური ჰიპერთერმიით მკურნალობის არსი. შესწავლილია მაგნიტურ ჰიპერთერმიის გამოყენების პრობლემები და მომავალი პერსპექტივები.

7. ცხელი დარტყმითი ტალღით კონსოლიდაციის (HEC) გამოყენებით განხორციელდა Cu-W ნარევის ცილინდრულ ღეროებად გამკვრივება. სხვადასხვა ტიპის (ნანოსტრუქტურული ვოლფრამით) საწყისი ნიმუშების გამკვრივება განხორციელდა თეორიულის სიმკვრივის მახლობლობაში 1000°C-მდე, დარტყმითი ტალღის დატვირთვის ინტენსივობით 10 გიგაპასკალი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მაღალი ტემპერატურის გამოყენება (1000°C-მდე) და ერთდროულად დარტყმითი ტალღით ორ ეტაპად დამუშავება მომგებიანია Cu-(10-40)%W კონსოლიდაციისათვის. შედეგად კომპოზიტებს აქვთ მაღალი სიმკვრივე, კარგი მთლიანობა და უკეთესი ელექტრული თვისებები. ნიმუშის სტრუქტურა და თვისებები დამოკიდებული იქნება ჭ ნაწილაკების წილსა და განაწილებაზე.

8. ჩატარდა ელექტრონულ-სხივური ტექნოლოგიით სინთეზირებული ნანოსტრუქტურული კობალტის ფხვნილების სტრუქტურული, მაგნეტომეტრული და ბმრ კვლევები. განვითარებული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შეიქმნას რენტგენო-ამორფული ნანოზომის კობალტის ფხვნილები, მაღალი ანიზოტროპიის ჰექსაგონალური მჭიდროდ შეკრული მესერის (HCP) მქონე ფაზის შემცველობით. ეს ფხვნილები არ საჭიროებენ დამატებით პასივაციურ გაზომვებს. მაგნეტომეტრული და ბმრ მონაცემები თანხმობაშია სტრუქტურული გაზომვების შედეგებთან.

9. ეთანოლის ორთქლის პიროლიზისა და ორთქლის ქიმიურად დალექვის ტექნოლოგიებით მიღებულია მაგნიტური კლასტერებით დოპირებული ნახშირბადის ნანოფხვნილები. მაგნიტური კლასტერები იფარება ნახშირბადის გარსით (მოდელი “ბირთვი-გარსი”). ამგვარი ნანოფხვნილების მორფოლოგიის, ზომის, ქიმიური შემადგენლობისა და მაგნიტური თვისებების შესწავლა კომპლექსურად განხორციელდა ოჟე-სპექტროსკოპიის (AES), სკანირებადი ელექტრონული

მიკროსკოპის (SEM), მერხვეი სხეულის მეგნეტომეტრის (VSM) და ბმრ რეზონანსის მეთოდების საშუალებით.

10. შესწავლილია სხვადასხვაგვარად დამუშავებული Ni-B ნანოკლასტერებით დაფარული TiO₂ ნანოფხვნილების ოპტიკურ შთანთქმის სპექტრების დამუშავებაზე დამოკიდებულება.

11. პარტნიორული P538 პროექტის ფარგლებში ჩატარდა სპილენძის და ალუმინის ნიმუშების დაფარვა ტანტალით, ნიობიუმით და ნიკელით. შეისწავლება მათი მექანიკური, ელექტრული და მაგნიტური თვისებები.

12. პარტნიორული P506 პროექტის ფარგლებში გამოკვლეულია ცილინდრული კონტეინერის კედლის მასალა ოპტიმალური შემადგენლობისა და სისქის დასადგენად, რათა შესაძლებელი იყოს გამა და ნეიტრონული დასხივებისაგან დაცვა სხვადასხვა გეომეტრიული კონსტრუქციებისა და ეკრანირების პირობებში.

13. პარტნიორული P552 პროექტის ფარგლებში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები.

II-2. ზეგამტარი სისტემების კვლევა

ხელმწიფანელი: ჯ. ჩიღვინაძე – მთ. ეც. თანამშრომელი

შემსრულებლები: ს. აშიშოვი - მეც.თან., თ. მაჩაიძე - მეც.თან., ო. მაღრაძე - მეც.თან., გ. დონაძე - მეც.თან., გ. დვალი – მეც.თან.

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში ზეგამტარობის და ზედენადობის ლაბორატორიაში შეისწავლება Bi-Pb-Sr-Ca-Cu-O სისტემების ბაზაზე სინთეზირებული მაღალტემპერატურული ზეგამტარი ჰომოლოგიურ რიგის ნაერთები, რომელიც აღიწერება საერთო ფორმულით Bi_{1.7}Pb_{0.3}Sr₂Ca_(n-1)Cu_nO_y (n=1-დან 20-მდე). ჩვენს მიერ დეტალურად შესწავლილია ამ რიგის n=1-დან n=5 ჩათვლით ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებული მაღალტემპერატურული ზეგამტარების (მტზ) ნიმუშები.

ამისათვის სპეციალურად დამუშავებულია მტზ მზის ენერჯით გადნობისა და ნაღნობის ზესწრაფი გაცივების ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიით მიიღებიან უფრო მაღალი ზეგამტარ მდგომარეობაში გადსვლის კრიტიკული ტემპერატურის T_{c-s} მქონე მტზ ნაერთები, ვიდრე სტანდარტული მყარფაზოვანი რეაქციის ტექნოლოგიით მიღებულ მტზ-ს (ნომინალურ ნიმუშებს) გააჩნიათ.

ამრიგად, ჩვენს მიერ დამუშავებული ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უფრო მტზ ვიდრე ნომინალური ნიმუშებია და რაც მთავარია ჩვენი ტექნოლოგიის გამოყენებით სინთეზირებულია ახალი მტზ ფაზები (რომელთა T_c გაცილებით მაღალია ვიდრე ნომინალური ნიმუშებისა), ხასიათდებიან მაღალი სტაბილურობით – მათი მაღალი T_c სტაბილურად უცვლელი რჩება მინიმუმ სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

2013 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო შეგვესწავლა ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებულ Bi/Pb 2256 და Bi/Pb 2267 სისტემების ნიმუშებში (რომელთა n>5-ზე) ზეგამტარი კრიტიკული მახასიათებლები და მათი ზეგამტარი თვისებები.

ჩვენს მიერ სინთეზირებულ იქნა ზემოთხსენებული ტექნოლოგიით Bi/Pb 2256 და Bi/Pb 2267 მტზ სისტემები და მათში დამზერილ იქნა უფრო მაღალი T_c-ს მქონე ფაზები ვიდრე მყარფაზოვანი რეაქციის ტექნოლოგიით სინთეზირებულ ნომინალურ სისტემებშია. მაგალითად Bi/Pb 2256 და Bi/Pb 2267 სისტემის ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებულ ნიმუშებში დაიმზირება მტზ ფაზები რომელთა T_c პირველისათვის ტოლია T_c=115K და მეორესათვის T_c=125K. ამ სისტემებში (Bi/Pb 2256 და Bi/Pb 2267 - ში) მტზ ფაზების კრიტიკული ტემპერატურები უფრო მცირედ იცვლება ვიდრე Bi/Pb 2223, 2234 და 2245 სისტემების (რომელთა T_c იცვლება 107-108 K დან 138K-მდე, 150K-მდე და 180K-მდე სათანადოდ).

შეიძლება გვეფიქრა რომ ჩვენ უკვე გავიარეთ Tc-ს გაზრდის მაქსიმუმი Bi/Pb 2245 სისტემის მაგალითზე, რადგან უფრო მაღალი n-ის მქონე ფაზები (მაგალითად Bi/Pb 2267) იძლევიან უფრო მცირე ზრდას ზეგამტარ მდგომარეობაში გადასვლის კრიტიკული ტემპერატურისათვის.

მაგრამ წინასწარმა გამოკვლევებმა უფრო მაღალი n-ისათვის მაგალითად Bi/Pb 221415-სისტემისათვის აგრეთვე მოგვცა უფრო მაღალი Tc რომელიც დაახლოებით 180 K-ის მახლობლობაშია. ისე რომ შემდგომი კვლევები მოგვცემენ პასუხს ამ პრობლემის გარშემო.

ახალი ტექნოლოგიით სინთეზირებულ ნიმუშებში შესწავლილია დისპაციური პროცესები, რელაქსაციური მოვლენები და აბრიკოსოვის გრიგალური მესერის დინამიკა.

მიღებული შედეგების გამოყენებით მომზადებულია შრომა გამოსაქვეყნებლად.

II-3. რეალური კრისტალები - სხვადასხვა აიროვან გარემოში მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში დამუშავებული დიელექტრიკული და მეტალური შენაერთების კომპლექსური გამოკვლევა

ხელმძღვანელი: **გ. კვაჭაძე** – მთ.მეც.თანამშრომელი
შემსრულებლები: **მ. აბრამიშვილი** - უფ.მეც.თან., **ნ. არაბაჯიანი** - მეც.თან.,
ზ. ახვლედიანი - უფ.მეც.თან., **მ. გალუსატაშვილი** - უფ.მეც.თან., **დ. დრიაგვი** -
უფ.მეც.თან., **გ. დეკანოზიშვილი** - მეც.თან., **მ. ნადარეიშვილი** – უფ.მეც.თან.,
ვ.თავხელიძე, - მეც.თან., **თ. ყალაბეგიშვილი** - უფ.მეც.თან., **მ. წულაია** - უფ.მეც.თან.

1. დაბალსიხშირული აკუსტიკის მეთოდის გამოყენებით გამოკვლეულ იქნა წყალბადისა და დეიტერიუმის გავლენა ფორმის მესხიერების მქონე შენადნობის Ti-Ni-Cu თვისებებზე. შენადნობისთვის, რომელიც აღნიშნულ მინარევებს შეიცავს კვანძთაშორის სივრცეში, მარტენსიტ-აუსტენიტის სტრუქტურული ფაზური გადასვლის მახლობლად დამზერილია რხევითი ენერჯიის შთანთქმა. იგი აიხსნება შემრჩობლების საზღვარზე მიმდინარე პროცესებით, რაც იწვევს წერტილოვანი დეფექტების მოწყვეტა-დამაგრებას. შესაბამისად დამუშავდა ამ მოვლენის ახალი მიკროსკოპული მექანიზმი.
2. დამუშავებულია და შექმნილი ახალი დანადგარი - "გრეხითი ქანქარა", რომლის საშუალებითაც გაიზომება შინაგანი ხახუნი და ძვრის მოდული 1-10 ჰც-ის დიაპაზონში. ამგვარად შესამჩნევად გაფართოვდება აკუსტიკური მეთოდის შესაძლებლობანი. კერძოდ, მოხერხდება რელაქსაციური პროცესების მნიშვნელოვანი პარამეტრის - აქტივაციის ენერჯიის ზუსტი განსაზღვრა.
3. IR სპექტრომეტრიის საშუალებით შესწავლილია რადიაციით ინდუცირებული წყალბადური ცენტრების გრძელვადიანი ყოფაქცევა ლითიუმის ფტორიდის კრისტალებში.
4. მაღალი სიზუსტის იმპულსური დიფერენციალური კალორიმეტრის საშუალებით შესწავლილია სუფთა და წყალბადის სხვადასხვა კონცენტრაციის შემცველი ნიობიუმის ნიმუშების სითბოტევადობა ფართო ტემპერატურულ ინტერვალში (100-360 °C). ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ამ ექსპერიმენტების დროს დადგინდა იყო ის, რომ 200 °C ტემპერატურამდე ჰიდრიდების სითბოტევადობა ნაკლებია სუფთა ნიობიუმის სითბოტევადობაზე, ხოლო შემდეგ პირიქით. ეს შედეგი იმაზე მიუთითებს, რომ ნიობიუმში წყალბადის შეყვანისას არა მარტო ოპტიკური რხევები ჩნდება წყალბადის ქვემესერში, არამედ იმავდროულად ხდება თვითონ

ნიობიუმის მატრიცის ატომებს შორის ურთიერთქმედების გაძლიერებაც (ნიობიუმის განისტება), რაც იწვევს ფონონური სპექტრის ცვლილებასაც, კერძოდ მდგომარეობათა სიმკვრივე დაბალსიხშიროვანი არიდან გადაიქაჩება მაღალსიხშიროვან არეში და განაპირობებს სითბოტევადობის დამატებით ზრდას ოთახის ტემპერატურებზე. დამზერილი მოვლენა სრულ თანხვედრაშია წყალბადის შეყვანის შედეგად ნიობიუმის გამყიფების მოვლენასთან.

5. აიროვან გარემოში (წყალბადი, წყლის ორთქლი, დეიტერიუმი, $Mg(OH)_2$) სხვადასხვა შენაერთების დამუშავება მიზნად ისახავდა არა მარტო მინარევეული ცენტრების ეფექტების შესწავლას მყარ სხეულებში (რაც მიღწეული იქნა კიდევ), არამედ ზოგიერთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტის ცდასაც. ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება იონურ კრისტალებში რადიაციული ფორების მოცემული აირებით შევსების შესაძლებლობის გამოკვლევა. ეს ამოცანა ორი ნაწილისაგან შედგება: 1. რადიაციული ფორების წარმოქმნისა და ევოლუციის გამოკვლევა და 2. კრისტალში მოცემული აირის მოლეკულების შეყვანა ფორებში განთავსების მიზნით. ნაჩვენები იქნა, რომ რეაქტორში დასხივებული ლითიუმის ფტორიდის (ნეიტრონების ფლუენსი $> 10^{16}$ ნ/სმ²) გამოწვის შედეგად ($700^{\circ}C$) მასში წარმოიქმნება $<100>$ კრისტოგრაფიული მიმართულებით ორიენტირებული ფორები (სისქე 0,4 მკმ), რომელშიც შეიძლება იყოს ბირთვული რეაქციის დროს წარმოქმნილი თრითიუმის ნარჩენი. შესწავლილია ფორების განაწილება, მდგრადობა და მათი ყოფაქცევის დამოკიდებულება ნეიტრონების ფლუენსზე და პოსტრადიაციული გამოწვის ტემპერატურაზე. ფორებიანი კრისტალის წყალბადის გარემოცვაში პოსტრადიაციული დამუშავების შედეგად მიღებული სიგნალები (ოპტიკური და პარამაგნიტური სპექტროსკოპია) ამჟამად აუხსნელია. დადგენილია მხოლოდ, რომ ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული კრისტალში წყალბადის შესვლასთან, რადგანაც უმეტეს შემთხვევებში კრისტალში გარედან შესული წყალბადის შესამჩნევი რაოდენობა არ დამზერილა (ამ მხრივ გაცილებით უფრო წარმატებული აღმოჩნდა ლითონშენადნობ $Ti-Ni-Cu$ -სა და სხვა მსგავს შენაერთებზე შესრულებული ექსპერიმენტები. წყალბადის მაქსიმალური რაოდენობა ამ შენაერთებში HH/M 0,042). წყლის ორთქლის შემთხვევაში რეაქტორში დასხივებული კრისტალის მაღალტემპერატურული დამუშავებისას კი მნიშვნელოვნად გაიზარდა მასში არსებული ჰიდროქსიდის იონების რაოდენობა (ამ გზით შეიძლება მექანიკური ძაბვა მკვეთრად ამცირებს მასში ჰიდროქსიდის იონების წყალბადპროდუქტების შექმნაც და მათი კონცენტრაციის გაზრდა კრისტალში). აღნიშნული გამოკვლევები ჩატარებული იყო სხვადასხვა პირობებში (ფლუენსი; ტემპერატურა; წნევა; დრო; თავისუფალ, თუ დაძაბულ მდგომარეობაში). კერძოდ, კრისტალზე მოქმედი შეღწევის შესაძლებლობას.

II-5. კონდენსირებულ გარემოთა თეორია

ხელმძღვანელი: გ. ხარაძე – მთ. მეც. თანამშრომელი.

ა) ზედენადი ფერმიონული სითხის - 3He -ის თვისებების თეორიული კვლევა

შემსრულებლები: გ. ბარამიძე – უფ.მეც.თან., ნ. სურამლიშვილი – უფ.მეც.თან.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოკვლევები ეხებოდა გლობალურად დეფორმირებული აეროგელის გარემოში მოთავსებული ზედენადი 3He -ის A- ფაზის სპინური დინამიკის თავისებურებების თეორიულ შესწავლას. შესაბამისი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზმა გვაჩვენა, რომ არსებული წარმოდგენების საფუძველზე ვერ ხერხდება ახალი ექსპერიმენტების ინტერპრეტაცია და საჭიროა ალტერნატიული თეორიული მოდელების ძიება.

ბ) დაბალგანზომილებიან, კორელირებულ სისტემებში დინამიური ეფექტების კვლევა.

ხელმძღვანელი და შემსრულებელი: ა. ნერსესიანი – მთ. მეც. თან.

განხილულია ორჯაჭვიან კიბეზე განმარტებული სპინური ფერმიონების სისტემა არათანაზომადი ზონის შევსების პირობებში. შესწავლილია ამ სისტემის ფაზუპი დიაგრამა როგორც ჯაჭვთა შორის ტუნელირების ამპლიტუდის (t) ფუნქცია. ეს ამოცანა აკტუალურია იმის გამო, რომ დღევანდელ პირობებში ოპტიკურად ჩატვირთილი ცივი ატომების სისტემებში შესაძლებელი გახდა თეორიული მოდელების ექსპერიმენტალური განხორციელება. პრაქტიკულ პირობებში ამ მოდელების ნებისმიერი პარამეტრის კონტროლირებადი ცვლილებაც შესაძლებელია. შრომაში განვითარებულია t -პარამეტრის მიმართ კვანტური ფაზური გადასვლების სისტემატური თეორია, რომელიც კვანტური ველის თეორიის მეთოდებს ეყრდნობა.

გაანალიზებულია სისტემის ტრანსპორტული თვისებები ფაზური დიაგრამის კრიტიკულ ხაზებზე. გარდა ამისა, ნახვენებია, რომ იონური პოტენციალის შექმნა ელექტრონულ არათანაზომად კიბეებში იწვევს სპექტრალური ღრეხოს გენერაციას სრული მუხტის სექტორში, რაც სისტემის დიელექტრიკულ მდგომარეობაში გადასვლას იწვევს.

გ) არაწონასწორული მაგნიტური სისტემების კვლევა

შემსრულებლები: მ. ზვიადაძე - მთ.მეც.თან., ა. კვირიკაძე - მეც.თან., რ. ლევსვერიძე - ინჟინერი.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა კვლევები არაწონასწორული მაგნიტური სისტემების ზოგიერთი ფიზიკური თვისებების დასადგენად. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო იმპულსების სპინურ სისტემებთან ურთიერთქმედების თეორიულ კვლევაზე.

დ) ლითონ-წყალბადის სისტემების კვლევა

ხელმძღვანელი: ი. რატიშვილი – მთ. მეც. თანამშრომელი
შემსრულებლები: ნ. ნამორაძე – კიბერნეტიკის ინსტიტუტი

2013 წელს გრძელდებოდა ლითონ-წყალბადის ჩანერგვითი ტიპის შენადნობების თეორიული კვლევა. შესწავლილი ობიექტი იყო იშვიათ მიწათა ლითონების (ლანთანი, ცერიუმი) და ძნელადდნობადი ლითონების (ნიობიუმი, ვანადიუმი) მოწესრიგებად წყალბადნაერთებში მსუბუქი ატომების ძვრადობა.

ძირითადი შედეგები:

1. გაანგარიშებული იყო მოწესრიგებადი ლითონ-წყალბადის ნაერთის სითბოტევადობა ლითონის მესერში ჩანერგილი წყალბადის ატომების რხევითი მოძრაობის წვლილის გათვალისწინებით. რიცხვითი გამოთვლები ჩატარდა $CeH_{2.86}$ ზესტეკიომეტრიული დიჰიდრიდისათვის. მიღებულმა თეორიულმა $C(T)$ მრუდმა ზუსტად აღწერა შესაბამისი ექსპერიმენტული დამოკიდებულება ტემპერატურების ფართო დიაპაზონში (20 – 360 K). ამის საფუძველზე დადგინდა შენაერთის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა დეზაის ტემპერატურა T_D , ეინშტეინის ტემპერატურა T_E , და მოწესრიგებადი ქვესისტემის ენერგეტიკული პარამეტრები V_1 და V_2 .
2. ექსპერიმენტებიდან ცნობილი იყო, რომ დიდი მსგავსების მიუხედავად სტეკიომეტრიული დიჰიდრიდების CeH_2 და LaH_2 სითბოტევადობების ტემპერატურული დამოკიდებულებები $C(T)[LaH_2]$ და $C(T)[CeH_2]$ თვისობრივად განსხვავდებიან ტემპერატურათა ინტერვალში 100–250 K. დასახელებული ჰიდრიდების ენერგეტიკული

პარამეტრების ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ დადგენილ იქნა ამ განსხვავების გამომწვევი მიზეზები.

ტრადიციულად ითვლებოდა, რომ ორივე ნაერთში წყალბადის ატომები განლაგებულია ლითონის მესერის მხოლოდ ტეტრაედრულ კვანძთაშორის პოზიციებში (და ირხევიან ერთი ლოკალური სიხშირით) მთელ ექსპერიმენტულად შესწავლილ ტემპერატურულ ინტერვალში (20 – 360 K).

ჩვენს მიერ ნაჩვენები იყო, რომ ორივე დიჰიდრიდში -ატომების მცირე ნაწილი (1%-მდე) შეიძლება სტოქასტიკურად გადავიდეს ტეტრაედრულიდან ოქტაედრულ კვანძთაშორის პოზიციებში (და, შესაბამად, ირხეოდეს განსხვავებული ლოკალური სიხშირით), მაგრამ ოქტაედრულ პოზიციებში გადასულ ატომებს შორის არსებული წყალბად-წყალბად ურთიერთქმედება CeH_2 -ის შემთხვევაში ეწინააღმდეგება წყალბადის ტეტრა-ოქტა გადასვლებს, ხოლო LaH_2 შენაერთში კი, პირიქით, ასტიმულირებს მათ. უკანასკნელ შემთხვევაში ტეტრა-პოზიციებში გადასულ ნაწილაკთა რაოდენობა ტემპერატურულ ინტერვალში $T < 250$ შეიძლება აღწევდეს 5%-ს. (ეს “ტუმბო” მოქმედებს სანამ - ურთიერთქმედება არ ითრგუნება ნაწილაკთა სითბური მოძრაობით). სწორედ ეს განსხვავება CeH_2 და LaH_2 ნაერთებს შორის განაპირობებს მათი სითბოტევადობების ტემპერატურული დამოკიდებულებების სხვაობას.

3. ექსპერიმენტიდან ცნობილი იყო, რომ ძნელადდნობად ლითონში (ნიობიუმში) ჩანერგილი წყალბადის ატომების მოწესრიგებისას მათი ლოკალური რხევების სიხშირე მცირდება. ეს “ანომალია” ჩვენს მიერ აღწერილი იყო, როგორც მოწესრიგებულ მდგომარეობაში მსუბუქი ატომების “დამძიმების” ეფექტი. აღმოჩნდა, რომ მესერში ჩანერგილი ნაწილაკების “დამძიმება” საფუძველად უდევს მოწესრიგებადი ჰიდრიდების სპინ-მესერული რელაქსაციის ბმრ-კვლევებში ე.წ. “შარიმანოვის ეფექტის” ახსნას. კერძოდ, შარიმანოვის მიერ ექსპერიმენტულად ნაჩვენები იყო, რომ $NbH_{0.89}$ შენაერთში წყალბადის ატომების ძვრადობა ნახტომისებურად იზრდება დაბალტემპერატურული ფაზური (ბეტა-გამა) გადასვლის მახლობლად. ჩვენს მიერ ეს მოვლენა ახსნილ იქნა, როგორც შენაერთში ფრუსტრირებული მდგომარეობის წარმოქმნისა და, შესაბამად, მოძრავი ნაწილაკების “დამძიმების” დროებითი გაქრობის შედეგი (სანამ ახალი, მოწესრიგება არ ჩამოყალიბდება). ეს განაპირობებს სპინ-მესერული რელაქსაციის T_1 დროის ნახტომისებურ ზრდას.

სავარაუდოა, რომ ანალოგიური (მაგრამ გაცილებით უფრო სუსტი) ეფექტი არსებობს $CeH_{2.45}$ შენაერთის სპინ-მესერულ რელაქსაციაშიც.

ე) დინამიური და რელაქსაციური პროცესები ნანოსტრუქტურებში

შემსრულებლები: *მ. ზვიადაძე* - მთ.მეც.თან., *გ.მამნიაშვილი* – მთ. მეც.თან.,

ლ. ტყეშელაშვილი – უფრ.მეც.თან., *ა. ახალკაცი* – უფრ.მეც.თან., *ა. კვირიკაძე* -

მეც.თან., *რ. ლეფსვერიძე* - ინჟინერი.

დისკრეტულ ოპტიკურ სისტემებში ანალიზური და რიცხვითი მეთოდებით შესწავლილ იქნა არაწრფივი ტალღების გაფანტვა ლოკალურ არაერთგვარივნებებზე. ნაჩვენებია რომ წერტილოვანი დეფექტები შეიძლება ეფექტურად გამოყენებულ იქნას სინათლის არაწრფივი იმპულსების კონტროლისა და მანიპულაციისათვის. კერძოდ, შემუშავებული თეორია აღწერს დისკრეტული ოპტიკური სოლიტონების არეკვლასა და ტუნელირებას წერტილოვან დეფექტებზე. ანალიზური და რიცხვითი მეთოდებით მიღებული შედეგები ძალიან კარგ თანხვედრაშია ერთმანეთთან.

სინუს-გორდონის განტოლების წრფივ სპექტრში არსებობს აკრძალული ზონა. ეს იწვევს ე.წ. არამარკოვიესულ ეფექტებს სოლიტონების ფორმირების პროცესებში.

შემუშავებულია განზოგადებული ვარიაციული მეთოდი რომლის მეშვეობითაც

მიღებულია ძირითადი განტოლება აღნიშნული პროცესების მოდელირებისათვის. კერძოდ, ნაჩვენებია რომ სოლიტონის რელაქსაციის პროცესები ექვემდებარებიან იმავე ძირითად კანონზომიერებებს რასაც აღზნებული კვანტური სისტემები სტრუქტურირებულ ფოტონურ სისტემებში. მაგალითად, არამარკოვისეული ეფექტები იწვევენ სინუს-გორდონის სოლიტონების ოსცილაციებს. საბოლოოდ კი ხდება სოლიტონისა და გამოსხივებული წრფივი ტალღების ბმული მდგომარეობის ფორმირება.

ბინარული ოპტიკური ტალღამტარების სისრემებისათვის შემუშავებულია თეორია რომელიც ეფუძნება ე.წ. ბმული ტალღების კონცეფციას. გამოყვანილი განტოლებები ეფექტურად აღწერენ არაწრფივი ტალღების მოძვლების დინამიკას აღნიშნულ სისტემაში. მიღებული განტოლებების მეშვეობით მიღებულია ახალი სოლიტონური ამონახსნები. ანალიზური შედეგები ძალიან კარგ თანხვედრაშია რიცხვით სიმულაციებთან.

საერთაშორისო ხელშეკრულება სამცხიერო თანამშრომლობის შესახებ

1. Agreement on Cooperation between **Andronikashvili Institute of Physics (Tbilisi, Georgia)** and **Kharkov Karazin National University (Ukraine)** (2006 - 2014)

2013 წელს განყოფილების თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა

1. G.I. Mamniashvili, T.O. Gegechkori, A.M. Akhalkatsi, T.A. Gavasheli “On the mechanism of formation of multiple echo in magnetic materials”, *The Physics of Metals and Metallography*, vol. 114, N10, pp 833-837 (2013) [68. Г.И. Мамниашвили, Т.О. Гегечкори, А.М. Ахалкаци, Ц.А. Гавашели. “О механизме формирования множественного эхо в магнетиках”, *ФММ*, том 114, № 10, с. 1–5 (2013)].
2. G.I. Mamniashvili, T.O. Gegechkori, A.M. Akhalkatsi, T.A. Gavasheli, E.R. Kutelia, L.G. Rukhadze, D.I. Gventsadze. “Timing and spectral diagrams of magnetic video-pulse excitation influence on NMR spin-echo in magnets”. *Journal of Superconductivity and Novel Magnetism*, vol. 26, N4, 1401-1404 (2013).
3. M.D Zviadadze, G.I. Mamniashvili, T.O. Gegechkori, A.M. Akhalkatsi, T.A. Gavasheli. “NMR spin-echo spectroscopy in magnets using arbitrary duration radio-frequency pulses”. *Journal of Superconductivity and Novel Magnetism*, Vol. 26, N4, pp. 1405-1409 (2013).
4. G.I. Mamniashvili, Y.G. Sharimanov, T.O. Gegechkori, A.M. Akhalkatsi, T.A. Gavasheli, D.I. Gventsadze, E.R. Kutelia, S.S. Nachkebia. “Long-term memory and magnetoacoustic effects at excitation of magnetostrictive materials by RF and magnetic pulses using pulsed NMR technique”. *Journal of Advances in Applied Acoustics (AIAA)* vol. 2, N1, pp. 34-43, February 2013.
5. B. Surguladze, G. Mamniashvili, G. Phichkhaia, A. Akhalkatsi ”Hyperthermal and magnetic investigations of the stable suspension of magnetic nanoparticles” *J. Innovative Medicine and Biology* N8 - 9 August - September 2013.
6. B. Surguladze, G. Mamniashvili, G. Phichkhaia, A. Akhalkatsi “Magnetic hyperthermia of cancer”. *J. Innovative Medicine and Biology* N8 - 9 August – September 2013
7. S.T. Carr, B.N. Narozhny and A.A. Nersesyan, “Spinful fermionic ladders at incommensurate filling: Phase diagram, local perturbations, and ionic potentials”, *Annals of Physics*, v.339, pp 22-80 (2013).
8. I.Ratishvili, N.Namoradze. “Physical Properties of Some Metal Hydrides Applicable for Hydrogen Detectors (Brief Review)”. in *Black Sea Energy Resource Development and Hydrogen Energy*

- Problems*. (Springer, eds. A. Veziroglu et al.), pp. 373-389 (2013).
9. N.Namoradze, I.Ratishvili. ““Anomalous” heat capacity of the stoichiometric lanthanum dihydride”. *Bulletin of GNAS*, **7(1)**, 38-45 (2013).
 10. G. Abramishvili, M. Abramishvili, M. Galustashvili, T. Kalabegishvili, V. Kvatchadze, V. Tavkheldidze . “Stable F²⁺ centers formation in the irradiated LiF crystals under the combined action of UV light and mechanical load”. *Journal of Luminescence* **140** (2013) **126–129**.
 - 11 М. В. Галушташвили, Д.Г. Дриаев, Ф.Х. Акопов, С.Д. Цакадзе. «Электростимуляция магнитопластического эффекта в кристаллах LiF «внутренним» электрическим полем, возникающим при индентировании». *Физика твердого тела*, **55(8)**, (2013) **1565-1569**.
 12. A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, **Z.G.Akhvlediani**, M.I.Erukashvili, R.G.Gulyaev and V.P.Zlomanov. “The Structure of Thin Epitaxial Layers of Lead Selenide”. *Journal of Materials Science and Engineering (A)*, **3 (2)**, **117-122** (2013).
 13. A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Erukashvili, **Z.G.Akhvlediani**, R.G.Gulyaev and V.P.Zlomanov. “ Nanolayers of Lead Selenide on Potassium Chloride Substrates : Specific Features of Formation .“ *Journal of Materials Science and Engineering (A)*, **3 (4)**, **235-238** (2013).
 14. A.M.Pashaev, O.I.Davarashvili, M.I.Erukashvili, **Z.G.Akhvlediani**, R.G.Gulyaev and L.P.Bychkova. “ Epitaxial Lead Selenide Layers over a Wide Range of Their Thickness on Dielectric Substrates” . *Journal of Materials Science and Engineering (B)*, **3 (2)**, **97-103** (2013).
 15. Arif.M. Pashaev, Omar.I. Davarashvili, Megi. I. Erukashvili, **Zaira.G. Akhvlediani** Revaz. G. Gulyaev and Vladimir. P. Zlomanov. “New Opportunities in Lead Selenide Nanolayers”. *Journal Advanced Materials*” **855** (2013), **473-477**.
 16. Z. G.Akhvlediani and I.G.Akhvlediani. “Accumulation Features of Radiation –Induced Hydrogen Defects in LiF”. *Journal of Nuclear Instruments and Methods in Physics (B)*, **NIMB** (Accepted for Publication) (2013).
 17. A.M. Pashaev, O.I. Davarashvili, M.I. Erukashvili, **Z.G. Akhvlediani**, L.P. Bychkova and M.A. Dzagania. “ON THE POSSIBILITIES FOR IMPROVING THE EFFICIENCY OF RADIATION IN HETEROSTRUCTURES BASED ON THE IV-VI SEMICONDUCTORS”. *Journal of Materials Science and Engineering* (Accepted for Publication) (2013).
 18. A.Pashaev, O.Davarashvili, M.Erukashvili, **Z.Akhvlediani** etc. "Modification of the properties of lead selenide layers at their nanothickness". *NANO STUDIES* **7** (2013), **pp.233-240**.
 19. A.Pashaev, O.Davarashvili, M.Erukashvili, **Z.Akhvlediani** etc. "Modeling of the quasi-dielectric state in PbSnTe and PbSnSe nanolayers with high concentration of nonstoichiometric defects". *NANO TUDIES* **8** (2013), **pp.253-258**.
 20. Lasha Tkeshelashvili, "Discrete optical soliton scattering by local inhomogeneities", *Photon. Nanostr. Fundam. Appl.* **11**, 95 (2013).
 21. Lasha Tkeshelashvili, "Non-Markovian dynamics of solitons in the sine-Gordon model", submitted to *Phys. Rev. E.* (2013)
 22. G.A. Baramidze, G. A. Kharadze “Some comments on superfluid He³ placed in globally deformed aerogel”, *JETP Letters* **97**, 718 (2013).
 23. M.D.Zviadadze, I.G.Margvelashvili, L.A.Zamtaradze, “The Efficiency and Power of the Martensiti Rotor Heat Engine”, submitted to *МЕМА*, **2013**.
 24. ი.მარგველაშვილი, მ.ზვიადაძე, ა.ბერძენიშვილი, “მარტენსიტული როტორული თბური ძრავი”, *საქართველოს პატენტი*, **2013**.
 25. ი.მარგველაშვილი, მ.ზვიადაძე, ა.ბერძენიშვილი, “სუბნეტოელექტრული თბური ტუმბო”, *საქართველოს პატენტი*, **2013**.
 26. Д.Г. Дриаев, К.О.Кахиани, Ф.Х.Акопов, С.Дж.Цакадзе. АКУСТИЧЕСКИЙ СПЕКТРОМЕТР, ISSN 1987-8826, *Nano Studies*. **2013**,

2013 წელს განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.

1. A.B. Peikrishvili, G.I. Mamniashvili, B. Godibadze, E.Sh. Chagelishvili, T. Gegechkori, M.V. Tsiklauri. “Hot Explosive Consolidation of Nanostructured Cu-W Composites”, Euro powder Metallurgy Congress & Exhibition (Euro PM2013), September 15-18, Sweden Goteborg. Congress and Exhibition Guide, p. 49 (2013).
2. G. Mamniashvili, T. Gegechkori, M. Okrosashvili, A. Akhalkatsi, T. Gavasheli, D. Daraselia, D. Djaparidze, A. Shengelaya, A. Peikrishvili, D. Lesuer, “Production of cobalt nanopowders by electron-beam technology and their NMR and magnetometry study”, International Conference on Nanoscale Magnetism (ICNM 2013), September 2-6, Turkey, Istanbul. ISNM2013 Book of Abstracts, p. 213 (2013).
3. T. Gegechkori, G. Mamniashvili, E.R Kutelia, L.G. Rukhadze, N.I. Maisuradze, B.G. Eristavi, D.I. Gventsadze, A. Akhalkatsi, T. Gavasheli, D. Daraselia, D. Djaparidze, A. Shengelaya, “Technology for production of magnetic carbon nanopowders doped with iron and cobalt nanoclusters”, International Conference on Nanoscale Magnetism (ICNM 2013), September 2-6, Turkey, Istanbul. ISNM2013 Book of Abstracts, p. 158 (2013).
4. დ. გვენცაძე, გ. მამნიაშვილი, ტ. გეგეჭკორი, მ. ნადარეიშვილი, თ. ზედგენიძე, “ინანოკლასტერებით დაფარული თი 2 ნანოფხენილების კომბინირებული დამუშავების გავლენა მათ ოპტიკურ შთანთქმის სპექტრებზე”, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული “ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები”, 2013 წ. 7-8 ივნისი. ქუთაისი, საქართველო. შრომების კრებული, გვ. 374-376. [. ვენტსაძე.
5. G.Mamniashvili, T.Gegechkori, M.Nadareishvili, T.Zedgenidze. “Combined treatment effect on the photocatalytic activity of TiO₂ nanopowders coated by Ni-B nanoclusters”. International scientific – practical conference “Innovative technologies and contemporary materials” 7-8 June 2013, Kutaisi, Georgia. Collection of works, p. 374-376.]
6. I.Ratishvili, N.Namoradze. “Mobility of hydrogen atoms in the hydrogen containing ordering compounds”. moxseneba saerTaSoriso konferenciaze Gordon Research Conference “Hydrogen Metal Systems”, 14-19/VII-2013, Barga (Italy).
7. Ф.Х. Акопов, М.В. Габуния, А.А. Гачечиладзе, Д.Г. Дриаев, С.Д. Цакадзе, В.Ф. Акопов. «Формирование сплава Ni-Cu спеканием». **Proceedings of the 16-th international meeting “Order, Disorder and Properties of Oxides”, 7-12 of September 2013, Rostov-on-Don Tuapse, Russia, pp. 5-8.**
8. Z.Akhvlediani and I.Akhvlediani . “Accumulation Features of Radiation –Induced Hydrogen Defects in LiF” (Abstr.) 17th International Conference on RADIATION EFFECTS IN INSULATOTS (**REI – 17**), **Helsinki, Finland June 30- July 5 (2013), p. PB-14.**
9. O.Davarashvili, A.Pashaev, M.Enukashvili, Z.Akhvrdiani, L.Bychkova and V.Zlomanov. “Modeling of the Dielectric State in PbSnSe and PbSnTe Nanolayers with High Concentration of Nonstoichiometric Defects”. (Abstr.) 17th International Conference on RADIATION EFFECTS IN INSULATOTS (**REI -17**), **Helsinki, Finland June 30- July 5 (2013), p. PB-16.**
10. A.Pashaev, O.Davarashvili, M.Enukashvili, Z.Akhvlediani, L.Bychkova and M.Dzagania. “ On the Possibilities for Improving the Efficiency of Radiation in Hetero-structures Based on IV-VI Semiconductors.” (Abstr.). International Conference on Functional Materials and Nanotechnologies (**FMNT**), **Tartu, Estonia 21-24 April (2013), p. PO-79.**
11. Дж.А.Шарашенидзе**, И.В.Чхартишвили**, Н.Д.Кватая**, В.Ф.Акопов*** Ф.Х.Акопов*. Электрические и магнитные свойства Со-Си композитов, консолидированных прессованием.// Proc.of the 16-th International meeting “Order, Disorder and Properties of Oxides” ISBN- 978-5-87872-727-3, ODPO-16. (2013). 7-12 september. Rostov-on-Don – Loo. Russia V.1, pp. 9-11.

III. პლაზმის ფიზიკის განყოფილება

(განყოფილების გამგე – ფიზ.-მათ.მეც.დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნოდარ ცინცაძე)

განყოფილებაში 14 მეცნიერი თანამშრომელია, მათ შორის 4 მთავარი მეც. თანამშრომელი, 10 – უფროსი მეც.თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში მუშავდებოდა 2 სამეცნიერო თემა და 8 ქვეთემა. გამოქვეყნებულია 10 სამეცნიერო ნაშრომი. განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ 3 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ კონფერენციის მუშაობაში. მიღებული აქვთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტი და 1 საერთაშორისო-საპარტნიორო გრანტი STCU. განყოფილებას აქვს 2 საერთაშორისო ხელშეკრულება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

2013 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს მოკლე ანგარიში:

III. პლაზმის დინამიკა

III-1. პლაზმის დინამიკა - ექსპერიმენტი:

III-1-1. პლაზმის ტურბულენტობის კვლევა და მისი კონტროლი თერმობირთვულ დანადგარ ტოკამაკში და ღია მაგნიტურ მახეში.

(თემა ნაწილობრივ სრულდება ეანდრონიკაშივილის ფიზიკის ინსტიტუტსა და ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტს შორის 1985 წლიდან დღემდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში. ამჟამად მომქმედი ხელშეკრულებაა – **“Plasma turbulence, its external control, plasma-wave interaction and UHF plasma diagnostics on the COMPASS tokamak” (01.01.2009 – 31.12.2013)**)

კოორდინატორები: ს. ნანობაშვილი – მთ. მეც. თან. (ფიზ. ინსტიტუტი – თბილისი, საქართველო)

ი. შტეკელი – დოქ. (პლაზ. ფიზ. ინსტიტუტი – პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა)

ხალმძღვანელი : ს. ნანობაშვილი – მთ.მეც.თან.

შემსრულებლები : გ. გელაშვილი – უფ.მეც.თან., ი. ნანობაშვილი – უფ.მეც.თან.,

გ.როსტომაშვილი – უფ.მეც.თან., ზ.ბერია – ინჟინერი, გ.თავახელიძე – ინჟინერი,

ა.ნასყიდაშვილი – ინჟინერი, ტოკამაკ COMPASS-ის (პრაღა) დიაგნოსტიკის და ტურბულენტობის კვლევის ჯგუფი.

1) საანგარიშო პერიოდში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ტურბულენტობის კომპლექსურ კვლევაზე სხვადასხვა ტოკამაკებზე (**CASTOR-ზე** - ჩეხეთის მეც. აკ. პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტი, პრაღა და **TEXTOR-ზე** - იულიხის საკვლევი ცენტრი, გერმანია) და ღია მაგნიტურ მახეებში (**OMT-2** – ეანდრონიკაშივილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი და **MISTRAL-ი** - მარსელის უნივერსიტეტი, საფრანგეთი). ტურბულენტობის კვლევა ყველა ამ დანადგარებზე სწარმოებდა პლაზმის სიმკვრივის და პლაზმიდან არეკვლილი ზმს სიგნალის ($\lambda=2\div 8$ მმ), ერთიდაიგივე, ე.წ. „აფეთქების“ (დიდი ამპლიტუდის რხევების) მეთოდით. ხდება ამ ფიზიკური სიდიდეების „აფათქებების“ სტატისტიკური და დროითი დინამიური მახასიათებლების და მათი რადიალური ევოლუციის შესწავლა და ანალიზი და მათი კავშირი პლაზმის გადატანის ინტენსივობაზე პერიფერიაში. ეს მეთოდი პირველად გამოყენებულ იქნა ი. ნანობაშივილის მიერ ტოკამაკ **TORE SUPRA-ზე** (კადარაში, საფრანგეთი - (**I. Nanobashvili**, P. Devynck, J.P. Gunn, **S. Nanobashvili**, J. Stockel, G. Van Oost "Comparative Analysis of Intermittent Burst Temporal Characteristics at the Edge of the CASTOR and Tore Supra Tokamaks", *Physics of Plasmas*, 16, 022309, 2009).

ზოგადად, ამ კვლევების მიზანია არა მარტო სხვადასხვა კონფიგურაციის მაგნიტურ მახეებში პლაზმის ტურბულენტური თვისებების შესწავლა, არამედ ტურბულენტობის გარედან მართვის მეთოდების დამუშავება. მართვის ასეთ, უკვე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს პლაზმის ელექტროდული პოლარიზაცია (**biasing**). ჩვენს მიერ ჩეს კვლევებთან ერთად ტოკამაკ **CASTOR-ზე** არა ერთი საინტერესო შედეგი გვაქვს მიღებული ამ მიმართულებით. მაგრამ ეს მეთოდი საჭიროებს ელექტროდის შეყვანას პლაზმაში, რაც თერმობირთვულ დანადგარებში, სადაც პლაზმას აქვს მაღალი ტემპერატურა, შეუძლებელია და გამორიცხული. ამიტომ მეტად აქტუალურია პლაზმის პოლარიზაციის უკონტაქტო მეთოდების დამუშავება. ასეთ უკონტაქტო მეთოდით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პლაზმაში „გრილების“ საშუალებით მძლავრი ქვედაჰიბრიდული ტალღების შეყვანა. ასეთი პირველი ცდები განხორციელდა ჩვენს მიერ ასევე ჩეს კვლევებთან ერთად ტოკამაკ **CASTOR-ზე**. გარდა ამისა ტოკამაკ **TEXTOR-ზე** ჩატარებული კვლევები (ი.ნანობაშივილი) გვიჩვენებს, რომ განმუხტვის რიგ რეჟიმებში აშკარად დაიშორება პერიფერიულ პლაზმაში სიმკვრივის „აფეთქებების“ მახასიათებლების მსგავსი ცვლილება **biasing-ისა** და **DED-ის** (დინამიური ერგოდული დივერტორი-ის) ზეგავლენით. ეს ახალი, ორიგინალური შედეგია, რომელიც იძლევა იმედს, რომ მომავალში **DED** შეიძლება გამოყენებულ იქნას ტოკამაკში პერიფერიული პლაზმის ტურბულენტობის გარედან უკონტაქტოდ მართვისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია **ITER-ის** ტიპის მართვადი თერმობირთვული დანადგარებისათვის. ამ კვლევების შედეგები მოხსენებული იქნა ი. ნანობაშივილის მიერ ევროპული ფიზიკური საზოგადოების მე-40 საერთაშორისო კონფერენციაზე პლაზმის ფიზიკაში (ესპო, ფინეთი, ივნისი 2013 წ.). ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდა **ArXiv-ში (1206.1186)** და სრული ვერსია გაგზავნილია ჟურნალში *Physics of Plasmas*.

2) ჩვენს მიერ ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტის (რომელთანაც ჩვენ ინსტიტუტს აქვს მრავალწლიანი ხელშეკრულება ტოკამაკზე საერთო კვლევების შესახებ) ახლადდამონტაჟებულ ტოკამაკისათვის წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშავდება და იქმნება პლაზმის ზმს დიაგნოსტიკის მეთოდები და აპარატურა. მათ შორის 2-მმ დიაპაზონის ინტერფერომეტრი, 17-40 GHz-ის სიხშირის დიაპაზონში მომუშავე 32 არხიანი რადიომეტრი, 22-75 GHz-ის დიაპაზონის კორელაციური რეფლექტომეტრი და დოპლერის რეფლექტომერი და სხვა.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ დამუშავდა, შეიქმნა და დამონტაჟდა ტოკამაკ **COMPASS-ზე** 2-მმ დიაპაზონის ორ სიხშირიანი ინტერფერომეტრი მაღალი მგრძობიანობის ფაზური დეტექტორით. ეს ინტერფერომეტრი საშუალებას იძლევა ტოკამაკის განმუხტვის სხვადასხვა რეჟიმში, მათ შორის მძლავრი ნეიტრალური კონების ინჟექციისას ტოკამაკში, დიდი სუზუსტით გაიზომოს პლაზმის სიმკვრივის როგორც აბსოლუტური მნიშვნელობა, ასევე მისი დინამიკა განმუხტვის პერიოდში. ამ გაზომვების შედეგები მოხსენებული იქნა სუბმილიმეტრული ტალღების მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე ხარკოვში, უკრაინა, ივნისი 2013 წ. აგრეთვე შესაბამისი, უფრო დეტალური შრომა გაიგზავნა დასაბუჯდათ ჟურნალში *Rev. Sci. Instrum.*

III-1-2. დარტყმითი ტალღის დინამიკა ნეიტრალურ აირებსა და პლაზმაში

ხელმძღვანელები : ს. ნანობაშვილი – მთ.მეც.თან., გ. გელაშვილი – უფ.მეც.თან.

შემსრულებლები : ი. ნანობაშვილი – უფ.მეც.თან., გ. როსტომაშვილი – უფ.მეც.თან.,
ზ. ბერია – ინჟინერი, გ. თავხელიძე – ინჟინერი, ანასციოდაშვილი – ინჟინერი.

1) გრძელდება ექსპერიმენტები ბრტყელი დარტყმითი ტალღის (დტ) დინამიკის შესასწავლად ნეიტრალურ გარემოში და სუსტად იონიზებულ პლაზმაში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ პლაზმაში ხდება დარტყმითი ტალღის სიჩქარის ზრდა და ეს ზრდა დაკავშირებული უნდა იყოს ნეიტრალურ აირთან შედარებით პლაზმური გარემოს უფრო მაღალ ტემპერატურასთან. ახლა მიმდინარეობს შესაბამის ექსპერიმენტული დანადგარის მოდერნიზება, რათა გაზომილ იქნას სუსტად იონიზებული გარემოს ტემპერატურა. შესაბამის ექსპერიმენტულ მასალაზე მზადდება შრომა გამოსაქვეყნებლად

2) განხორციელდა CO₂ (10.6 μm, 50 J) ლაზერის სისტემის და მისი ელექტრული კვებისა და მართვის სრული რეაბილიტაცია და გაწეობა. ლაზერი მდგრადად მუშაობს და შესაძლებელია მისი გამოყენება სხვადასხვა პლაზმურ და ეკოლოგიურ ექსპერიმენტებში.

III-1-3. გადაწყობადი სპექტრალური გამოსხივების ოპტიკური წყაროს შექმნა

ხელმძღვანელი და შემსრულებელი: გ. კორთხონჯია – უფ.მეც.თანამშრომელი

1) ფერომაგნიტური სპირალის მეშვეობით შეიქმნა იმპულსური ელექტრონების კონა. მისი დენი 30 კილოამპერის რიგისაა. ეს კონა, იმის გამო, რომ სპირალის დამიწებული ბოლო ასრულებს “ანტიკათოდის” როლს, მუხრუჭდება და ასხივებს რენტგენის სხივებს საკმაოდ დიდი სიმძლავრით. ეს არის ჩვეულებრივი რენტგენის დანადგარი, რომელიც არსებულისგან განსხვავდება იმით, რომ იგი მუშაობს ატმოსფერულ წნევაზე.

2) ელექტრონების კონა შეშვებულ იქნა ვივლერში. მოღებულ იქნა რენტგენის გამოსხივება, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 1.5 მმ-ია. ეს დაფიქსირდა კვალით, რომელიც დარჩა პენოპლასტში 12 მეტრზე სპირალიდან. უფრო დიდ მანძილებზე კვალის დიამეტრი პრაქტიკულად არ იცვლება.

3) დამზადდა შესაბამისი მოწყობილობა გადაწყობადი სპექტრალური დანადგარის შესაქმნელად.

4) უურნალ ЖТФ-ში გაზავნილია ოთხი შრომა დასაბეჭდად.

III-1-4. ურთიერთქმედება არანეიტრალურ ელექტრონულ პლაზმასა და გრიგალურ სტრუქტურებს შორის

ხელმძღვანელი და შემსრულებელი: ნ. კერვალიშვილი – მთ.მეც.თანამშრომელი

არანეიტრალურ ელექტრონულ პლაზმაში გამოკვლეულ იქნა გრიგალური სტრუქტურების ფორმირების პროცესი დიოკოტრონული არამდგრადობის არძრის მომენტიდან კვაზისტაბილური გრიგალური სტრუქტურის წარმოქმნამდე ექსპერიმენტული მოწყობილობების სხვადასხვა გეომეტრიებში და ელექტრონული პლაზმის სხვადასხვა საწყის პირობებში. ასევე გამოკვლეულ იქნა კვაზისტაბილური გრიგალური სტრუქტურის ქცევა ელექტრონ-ნეიტრალური შეჯახებების დროს

სხვადასხვა გეომეტრიებში და ნეიტრალური გაზის სხვადასხვა წნევების პირობებში როგორც იონიზაციის პროცესის არსებობის, ასევე მისი არარსებობის პროცესშიც.

განხილულია ხანგრძლივარსებული გრიგალური სტრუქტურის თვითდამჭერი მექანიზმი, რომელშიც იონიზაცია და ამ სტრუქტურის გაფართოება ელექტრონ-ნეიტრალთან შეჯახების ხარჯზე კომპენსირდება გრიგალური სტრუქტურის პერიფერიიდან ელექტრონების „გადინების“, მაგნიტური ველის გასწვრივ.

აგებულია აირგანმუხტვადი ელექტრონული არანეიტრალური პლაზმის მოდელი, რომელშიც ელექტრონების სიმკვრივე შემოსაზღვრულია არაწრფივი პროცესების გამოწვეული დიოკოტრონული არამდგრადობის და არ არის დამოკიდებული ელექტრონების გადაადგილების მექანიზმზე მაგნიტური ველის განივად. მიღებული შედეგები კარგ თანხმობაშია ექსპერიმენტულ მონაცემებთან როგორც მაგნეტრონულ გეომეტრიის, ასევე შებრუნებული მაგნეტრონის გეომეტრიის შემთხვევაშიც.

III-2. პლაზმის დინამიკა - თ ე ო რ ი ა:

III-2-1. პლაზმური ტალღების დინამიკა დამაგნიტებულ კვანტურ პლაზმაში (გაგრძელება)

ხელმძღვანელი : ნ. ცინცაძე - მთ.მეც.თან.

შემსრულებლები: ლ. ცინცაძე - უფ.მეც.თან., მ. თაგვიაშვილი - უფ.მეც.თან.

2013 წლის განმავლობაში გრძელდებოდა სამეცნიერო კვლევები - «კვანტური პლაზმა გარე მაგნიტურ ველში».

III-2-2. ლაზერული იმპულსების მიერ სტრუქტურების გენერაცია კომპლექსურ პლაზმაში და ოპტიკურ გარემოში. (გაგრძელება)

ხელმძღვანელი : ვ. ბერეჟიანი - მთ.მეც.თან

შემსრულებლები : ნ. ცინცაძე - მთ.მეც.თან., დ. გარუჩავა - უფ.მეც.თან., ნ. შათაშვილი - უფ. მეც.თან., ლ.ცინცაძე - უფ.მეც. თან., მ. თაგვიაშვილი - უფ.მეც.თან., ქ. სიგუა - უფ.მეც.თან., ს. მიქელაძე - უფ.მეც.თან.

2013 წელს გრძელდებოდა კვლევები ლაზერული იმპულსების მიერ სტრუქტურების გენერაციის თვალსაზრისით კომპლექსურ პლაზმაში და ოპტიკურ გარემოში.

III-2-3. ლაზერული თერმობირთვული სამიზნის ცენტრის ანთების პროცესი თერმობირთვული რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ბირთვების დინამიკის გათვალისწინებით

ხელმძღვანელი : დ. გარუჩავა - უფ. მეც. თანამშრომელი

შემსრულებლები: დ. გარუჩავა - უფ. მეც. თან., ქ. სიგუა - უფ. მეც.თან

შესწავლილი იქნა ულტრამოკლე ($\tau \sim 10^{-14}$ წმ) და ექსტრემალურად ინტენსიური ($\geq 10^{23}$ გტ/წმ) ლაზერული იმპულსებით მართული, რელატივისტურ სინქარეებამდე ($0,4 \pm 0,7c$) აჩქარებული, ზემკვრივი ($n \sim 10^{25} \pm 10^{27}$ სმ⁻³) წყალბადის, დეიტერიუმის, თრიტიუმის, პელიუმ 3-ისა და სხვა პლაზმური გუნდების მიღება რადიაციის რეაქციის და პლაზმის გახურების ეფექტების გათვალისწინებით.

III-2-5. პლაზმის მოდელირება და რიცხვითი მეთოდების განვითარება. (გაგრძელება)

ხელმძღვანელი: ს.მიქელაძე – უფ. მეც. თანამშრომელი

შემსრულებლები: დ. გარუჩავა – უფ. მეც.თან., ქ. სიგუა – უფ. მეც.თან.

საანგარიში პერიოდში გრძელდებოდა სხვადასხვა პლაზმური ამოცანების, მათ შორის ლაზერული თერმობირთვული სინთეზის ზოგიერთი კერზო ამოცანების მათემატიკური მოდელირება.

საერთაშორისო ხელშეკრულება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ

1. ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პლაზმის ფიზიკისა ინსტიტუტსა და ელექტრონული ანდრონიკაშივის სახ. ფიზიკის ინსტიტუტს შორის თემაზე:

“Plasma turbulence, its external control, plasma-wave interaction and UHF plasma diagnostics on the COMPASS tokamak” (01.01.2009 – 31.12.2013)

კოორდინატორები: ს. ნანობაშვილი – პროფესორი (ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი)

ი. შტეკელი – დოქტორი (პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტი, პრაღა)

ეს თანამშრომლობა ინსტიტუტებს შორის დაიწყო 1982 წლიდან. ექსპერიმენტული კვლევები მართვადი თერმობირთვული სინთეზის მიმართულებით მიმდინარეობდა ტოკამაკებზე TM-1-MH (1982-1983), CASTOR (1985-2007) და COMPASS (2008), რომლებიც პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტში (პრაღა) გაეწყო და გაეშვა ექსპლოატაციაში უშუალოდ ჩვენი მომაწილეობით. გარდა ამისა, ანდრონიკაშივის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ზოგადად ტოკამაკის პლაზმის თვისებების შესწავლაში და კერძოდ, ტოკამაკში ტალღებისა და პლაზმის ურთიერთქმედების, პლაზმის ტურბულენტური თვისებების შესწავლაში და მისი გარედან მართვის მეთოდების დამუშავებაში. აგრეთვე, პლაზმის ზმს მეთოდების (ინტერფერომეტრია, რეფლექტომეტრია და რადიომეტრია) დამუშავებაში და მათი საშუალებით ტოკამაკის პლაზმის თვისებების შესწავლაში.

საერთო კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია 60-მდე სამეცნიერო ნაშრომში და შედეგები რეგულარულად ხსენდება საერთაშორისო ფორუმებზე პლაზმის ფიზიკისა და მართვად თერმობირთვულ სინთეზში.

მიღებული გვაქვს INTAS-ის 2 სერთო გრანტი 2001-2004 და 2005-2007 წლებში.

2. Memorandum on Academic Collaboration between Graduate School of Frontier Sciences the University of Tokyo (Japan) and Andronikashvili Institute of Physics (Tbilisi, Georgia) (2009 – 2014)

კოორდინატორი: გ. ბერეჟიანი – პროფესორი, (ფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი)

2013 წელს განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა

1. N.L.Tsintsadze, R.Chaudhary and a.Rasheed " Positron sound waves and nonlinear Landau damping

- of intense transverse EM waves in a isotropic EPI plasma", *J. Plasma Physics*, 79, 587, 2013.
2. N.L. Tsintsadze, and L.N. Tsintsadze, "Cooling of a Fermi Quantum Plasma" *Physics of Plasmas*, in press, 2013.
1	ბაქტერიული გამოტუტვის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს სამთო მრეწველობის ნარჩენების უტილიზაციაში.	შ. მალაშხია	მ.კანდელაკი ლ.ქართველიშვილი ნ.ლომიძე ნ.ჩუბინიძე თ.გურული ჯ.კაკულია დ.ჩარკვიანი

			ნ.ჩხოზაძე ლ.ჩოჩია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	<p> ჩორდის კუდსაცავებში დაგროვილი ბარიტის ნარჩენების მარაგების ათვისება, მისი მნიშვნელოვანი მოცულობის გამო, ორგვარი ეფექტის მომცემია. მისგან შესაძლებელია როგორც ბარიტის, კალციტის, ასევე კომპლექსური ბარიტ-კალციტის კონცენტრატის მიღება. მეორეს მხრივ, აღნიშნული მარაგების გადამუშავება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას. </p> <p> დადგენილ იქნა ბარიტის ტექნოგენური მადნის სხვადასხვა კლასებში სასარგებლო კომპონენტების გადანაწილება. კერძოდ, ბარიტის შემცველობა წვრილ კლასებში მსხვილთან შედარებით იზრდება 20-დან 70%-მდე, ხოლო კალციტისა - პირიქით, წვრილ კლასებში მცირდება 18-20%-მდე, როცა ის მსხვილ კლასებში აღწევს 70%-ს. </p> <p> ბარიტშემცველი ტექნოგენური საბადოებიდან გამოყოფილი და გასუფთავებულია ბაქტერიების კულტურა; მიკროსკოპირებისა და სხვადასხვა საკვებ არეზე ინოკულირების საშუალებით ჩატარებულია ბაქტერიების იდენტიფიკაცია, რის შედეგადაც მიღებულია სილიკატური ბაქტერიების განსაზღვრული ბანკი (<i>B.mucilagnosus</i>). </p> <p> ბარიტის შლამების (ფრაქცია -0,4+0,16მმ) საფლოტაციოდ მომზადების მიზნით ჩატარდა მისი ბიოტექნოლოგიური დამუშავება შერევის მეთოდით (რამდენიმე ვარიანტში); შესწავლილია პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა (pH; t°C; ბაქტერიული ტიტრი; გამოტუტვის პროცესის ხანგრძლივობა; მყარისა და თხევადის ფარდობა). ბიოგამოტუტვის შედეგად შლამებში ბარიტის შემცველობა გაიზარდა საშუალოდ 7%-ით. ამასთანავე შეიცვალა შლამების გრანულომეტრული შემადგენლობა. ახლად წარმოქმნილი (-0,16+0მმ) ფრაქციის რაოდენობამ შეადგინა 14%. </p> <p> შემუშავებულია ბარიტისა და ბარიტ-კალციტის კონცენტრატის მიღების ტექნოლოგიური სქემა სვეტური ტიპის პნევმატიური საფლოტაციო მანქანის გამოყენებით. </p> <p> შესწავლილია ბარიტის კონცენტრატის მისაღებად ჰიდროციკლონური გამამდიდრებელი აპარატის გამოყენების შესაძლებლობა. მიღებულია გამამდიდრების პარამეტრები. </p> <p> ბარიტის გრავიტაციული კონცენტრატის, რკინისა და ფერადი ლითონების, და მინდვრის შპატების მინარევების მოსაცილებლად, რაც შესაბამისად აუმჯობესებს კონცენტრატის ხარისხს, გამოყენებული იქნა ელექტრული სეპარაციის მეთოდი. მიღებულია პროცესის ოპტიმალური პარამეტრები. </p> <p> ბარიტის კონცენტრატის შემდგომი გაუმჯობესება შესაძლებელია სელექციური დეკრიპიტაციის და მჟავით დამუშავების მეთოდების გამოყენებით. </p> <p> თერმული დამუშავების შედეგად წარმოქმნილი მაგნიტური თვისების მქონე ნაერთების მოსაცილებლად გამოყენებული იქნა მაგნიტური სეპარაციის მეთოდი. დადგენილია სეპარაციის პარამეტრები. </p> <p> ბაქტერიული გამოტუტვის პროცესი <i>B.mucilagnosu</i>-ის გამოყენებით პირველად ბარიტულ შლამებში შესაძლებელი გახდა ბარიტის შემცველობის გაზრდა 70,8%-დან 81,8%-მდე, ხოლო გამოწვის პროდუქტებში 91,5%-დან 97,8%-მდე. </p> <p> განხილული ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური და თანმიმდევრული </p>		

გამოყენებით, შესაძლებელია მაღალხარისხიანი ბარიტის კონცენტრატის მიღება.

ტყიბულის ქვანახშირის გამდიდრების ნარჩენების კომპონენტების ათვისებისათვის გრავიტაციული მსხვილმარცვლიანი კუდების და შლამების პირველადი გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით, შერჩეულია ნახშირშემცველი ნარჩენების გამდიდრებადობაზე კვლევის მეთოდიკა; რომელიც ითვალისწინებს დეზინტეგრაციის, სისხოს მიხედვით კლასიფიკაციას, ჰიდროციკლონში მძიმე სუსპენციების გამოყენებით და საკონცენტრაციო მაგიდაზე გამდიდრების, ფლოტაციის და ზეთოვანი აგრეგაციის მეთოდების გამოყენებას.

შემუშავებულია მეთოდიკა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მცენარეთა ზრდის სტიმულატორების - წყალში ხსნადი ჰუმატების მისაღებად. მეთოდიკა ითვალისწინებს ქვანახშირის დასაწყობებული და მიმდინარე შლამების ნატრიუმის ტუტის 2%-იან წყალხსნარით დამუშავებას.

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულია ვეგეტაციური ცდა ხორბლის მარცვლებზე მიღებული ჰუმატის მოქმედების ეფექტურობის დადგენის მიზნით. ექსპერიმენტით დადგინდა ჰუმატით დამუშავებული მარცვლების გაღვივების ეფექტურობა, რომელიც 25%-ით მეტია კონტროლთან შედარებით.

პირველადი და მეორადი შლამებიდან მოსამზადებელი კლასიფიკაციისას მიღებულია 3 ფრაქცია: 1) გაცხრილვით +0,5მმ; 2) ჰიდროციკლონში ნავთის დამატებით -0,5+0,16მმ და 3) -0,16მმ. მიღებული პირველადი ფრაქციის გამდიდრება ჩატარდა ჰიდროციკლონში. მეორისა სვეტური ტიპის პნევმატურ საფლოტაციო მანქანაში, ხოლო მესამე ფრაქციისა ზეთოვანი აგრეგაციის მეთოდით.

-0.5+0,16მმ კლასის გამდიდრებისათვის დამონტაჟებულ სვეტური ტიპის პნევმატურ საფლოტაციო მანქანაში ფლოტაციის შედეგად მიღებულ იქნა ნახშირის კონცენტრატი 50% გამოსავლით, 17,1% ნაცრიანობით და სათბობი მასის 70% ამოკრეფით. კუდების ნაცრიანობამ შეადგინა 62%. პროცესის ოპტიმალური პარამეტრები: ნაფტენატების ხარჯი 500გ/ტონაზე, ნავთის 2,5 კგ/ტონაზე, მყარი და თხევადი შეფარდება 1:4, ხოლო pH ოპტიმალური მნიშვნელობა 8,5-9,0.

შლამებიდან გამოყოფილი -0.5+0მმ სისხოს ფრაქციის ჰიდროციკლონში კლასიფიკაციის პროცესში ნავთის მიწოდების შემდეგ გადანადენში გადასული უწვრილესი მასალის ზეთური აგრეგაციის შედეგად 31,5% გამოსავლითა და 18,1% ნაცრიანობით. ენერგეტიკის დარგში გამოსაყენებლად პროდუქტი შეიძლება მიეწოდოს გაუწყლოების გარეშე.

შლამების +0,5მმ სისხოს ფრაქციის 50მმ დიამეტრის ჰიდროციკლონში - დამამძიმებლად ბარიტის ფლოტოკონცენტრატის გამოყენებით - გამდიდრების შედეგად მიღებულ იქნა კონცენტრატი 22,5% გამოსავლით, 15,5% ნაცრიანობით და საწვავი მასის 62,5% ამოკრეფით. კუდების ნაცრიანობა შეადგინა 69,4%.

დასაწყობებული გრავიტაციული კუდების ორსტადიური (ჰიდროციკლონში გამდიდრების შედეგად)+2,5მმ-მდე დამტვრევისა და -0,5მმ სისხოს კლასის გამოყოფის შემდეგ. 75მმ დიამეტრის ჰიდროციკლონში მიღებული ნახშირის კონცენტრატის გამოსავალია 13,5%, ნაცრიანობა 22,3%, ხოლო სილის ფრაქციის გამოსავალია 86,5%, ნაცრიანობა 81,2%. ალუმინის ჟანგისა და სილიციუმის ორჟანგის შემცველობა - შესაბამისად 25,4 და 45,1%.

ალუმინის ჟანგის შემცველი გაერთიანებული კუდების, სილიკატური ბაქტერიებით ბიოტექნოლოგიური დამუშავებისათვის მოსამზადებლად შერჩეულ იქნა დაფქვის ორი რეჟიმი: 1) მასალის დაფქვა - 0,5მმ სისხომდე; 2) დაფქვილ მასალაში 0,074მმ

სისხოს ფრაქციის 80%-მდე შემცველობამდე. დაფქვა წარმოებდა ბურთულებიან წისქვილში სველი წესით. მყარისა და თხევადის შეფარდება 1:1. პირველ ვარიანტში დაფქვის ხანგრძლივობაა 55წთ, ხოლო მეორე ვარიანტში - 1სთ 40წთ.

დადგენილია ტყიბულის ნახშირშემცველი ტექნოგენური საბადოს მინერალური ნაწილიდან ალუმინის ჟანგის შემცველი კონცენტრატის მიღების შესაძლებლობა ბიოგამოტუტვის მეთოდით სილიკატური ბაქტერიების (*Bacillus mucilaginosus*) გამოყენებით ლაბორატორიულ პირობებში. პროცესის მიმდინარეობისას ბაქტერიული ხსნარის გამოცვლის ჯერადობით, მისი pH და დამატებული ნახშირწყლების რაოდენობის რეგულირებით შესაძლებელი გახდა ალუმინის ჟანგის შემცველობის გაზრდა 10%-ით.

შემუშავებულია ნარჩენების მექანიკური მეთოდებით გამდიდრების შედეგად გამოყოფილი გაერთიანებული კუდების (დაფქვილი -0,5+0მმ-მდე და 80% -0,074მმ-მდე) ბიოგადამუშავებით ალუმინის ჟანგის კონცენტრატის მაჩვენებლები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მიღებული კონცენტრატის შემდგომი გადამუშავების გამარტივებისათვის გასამდიდრებლად შერჩეულ იქნა -0,5+0მმ სისხოს კლასი.

დადგენილია ალუმინის კონცენტრატის გაუწყლოების და შრობის რეჟიმი. შლამის სისხო (-0,5-0)მმ. ბიოგადამუშავებული სუსპენზიის შესქელება წარმოებს პოლიაკრილამიდის გამოყენებით, აფილტრაცია ვაკუუმფილტრში. სუსპენზიის ტენიანობა ფილტრაციის შემდეგ შეადგენს 18-22%. მექანიკური გაუწყლების შემდეგ გაუწყლოებული შლამი მიეწოდება თერმულ საშრობს. შრობის ტემპერატურა - +550°C. შრობის დრო - 20-25წთ. პროდუქტის საბოლოო სინესტე შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და 4-5%-ს ფარგლებშია.

შესწავლილია მადნეულის სპინელ-კოლჩედანური მადნების დასაწყობებული კუდების მინერალოგიური და ქიმიური შემადგენლობა. საკრიტი ანალიზით მიღებული კლასების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სპილენძი ძირითადად წარმოდგენილია მეორადი სულფიდების სახით (ქალკოზინი, კოველინი, ბორნიტი), შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება სპილენძი დაქანგული სახით, ხოლო ჰალკოპირიტი წარმოდგენილი - ერთეული მარცვლების სახით წვრილ კლასსა და შლამებში (0,015 - 0,08მმ). ძირითად ნაწილს წარმოადგენს პირიტი და ალუმოსილიკატური ნაწილი. წარმოდგენილი სინჯი შეიცავს: 0,5% Cu, 3,8% S, 0,4გ/ტ Au, 1,6გ/ტ Ag.

მიღებულია კოლექტიური სულფიდური კონცენტრატი კუდებში არსებული სასარგებლო კომპონენტების (Au, Ag, Cu) ამოკრევის მიზნით.

დადგენილია პროცესის რეაგენტული რეჟიმი: pH=7,0-8,0; ნაწილაკების სისხო - 0,074 85-90%; ბუტილის კსანტოგენტი 150გ/ტ; ფიჭვის ზეთი 25გ/ტ. მიღებული კოლექტიური კონცენტრანტი შეიცავს. 7,3% Cu, 3,9-4,0გ/ტ Au, 4,4გ/ტ Ag, 43,0% S.

მადნეულის საბადოს კარიერული მჟავე წყლებიდან და დასაწყობებული კუდებიდან გამოყოფილია ავტოტროფული თიობაქტერია *A.thiobacillus ferrooxidans* სუფთა კულტურა, რომლის ფიზიოლოგიური მახასიათებლების (pH, რკინის დაქანგვის უნარი და სხვ.) შესწავლის საფუძველზე გადარჩეულია აქტიური შტამები. მოხდა ბაქტერიის შეგუება გოგირდმჟავას და სპილენძის მაღალ კონცენტრაციებთან. ექსპერიმენტისათვის მომზადდა აქტიური ბიომასა.

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულია კონცენტრატის ბაქტერიული დაქანგვა(გამოტუტვა) აციდოფილური თიობაქტერია *A.thiobacillus ferrooxidans*-ით.

გამოტუტვა ჩატარდა შემდეგ პირობებში: ხსნარის pH=1,5-2,5; მყ:თხ=1:5, გამოტუტვის დროს 8დღე-ღამე (192სთ.), ბაქტერიული ტიტრი 10^7-10^8 უჯ/მლ, $t^{\circ}C=28^{\circ}-30^{\circ}C$ პერიოდული მორევით და აერაციით. პროცესის ბოლოს ბაქტერიულ კეკში დარჩა 21,8% სპილენძი. ოქროს და ვერცხლის ამოღების მიზნით ჩატარდა როგორც ბაქტერიული კეკის ციანირება, ასევე უშუალოდ კონცენტრატის. კეკის ციანირებით ხსნარში გადავიდა 68,5% Au და 57,3% Ag, ხოლო კონცენტრატიდან 14,0% Au და 45,0% Ag. პარალელურად ოქროს და ვერცხლის ხსნარში გადასაყვანად ტოქსიკური ციანიდის ნაცვლად გამოყენებულია ეკოლოგიურად სუფთა თიოშარდოვანა, რაც განპირობებულია კეკში სპილენძის არსებობით და აგრეთვე ბიოდაჟანგვის პროცესის ჩატარების პირობებით: pH=1,5-2,5, ხსნარში გოგირდმჟავას და სამვალენტიანი რკინის სულფატის არსებობით, რაც თიოშარდოვანაში ოქროს გახსნის აუციელებელი პირობაა.

პროცესის ინტენსიფიცირების მიზნით ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოყენებული მადნეულის სპილენძ-კოლჩედანური მადნების ფლოტაციის კუდების ბაქტერიულ-ქიმიური დაჟანგვის პროცესის გაყოფა ქიმიურ და ბიოლოგიურ სტადიებად. ქიმიურ სტადიაზე სულფიდური მინერალების დასაჟანგად გამოყენებული იქნა სამვალენტიანი რკინის სულფატის შემცველი კულტურალური ხსნარი, რომელიც მიკროორგანიზმებმა *A.thiobacillus ferrooxidans*-ის მიერ ორვალენტიანი რკინის დაჟანგვით იქნა მიღებული. II სტადიაზე მოხდა უკვე ქიმიურად გამოტუტული სულფიდების ბაქტერიული დაჟანგვა უშუალოდ ბაქტერიული ხსნარით, რომლის დროსაც პარალელურად მოხდა I სტადიაზე აღდგენილი რკინის სულფატის დაჟანგვა, მისი შემდგომ სტადიაზე გამოყენების მიზნით.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად 5 დღე-ღამემდე შემცირდა გამოტუტვის დრო, მოხდა პირველივე სტადიაზე სპილენძის გადასვლა ხსნარში (90,5%), ხოლო მთლიანად პროცესის ბოლოს 92,8%.

ბაქტერიული კეკის თიოშარდოვანათი დამუშავებით ხსნარში გადავიდა 72,0% Au და 84,8% Ag, ხოლო კონტროლში 66,2% Au და 80,2% Ag. ციანირებისას ხსნარში გადასული ოქროს რაოდენობამ შეადგინა 75,2%, ხოლო ვერცხლისამ 62,8%. კონტროლში კი შესაბამისად 68,5% Au და 57,2% Ag.

კონტროლად აღებული იქნა ერთსტადიურად დაჟანგული ბაქტერიული კეკის ციანირება და თიოშარდოვანაში გახსნა.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

1	<p>მაღაშხია შ. ქართველიშვილი ლ. ლომიძე ნ. ჩხობაძე ნ. ჩუბინიძე ნ. კანდელაკი მ. გურული თ.</p>	<p>კომპლექსური ორგანო- მინერალური სასუქების მიღება საქართველოს აგრომინერალების ბაზაზე ბიოტექნოლოგიური პროცესების ჩართვით. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ტექნოლოგიები და მასალები“ კრებული.</p> <p>მინერალური ნედლეულის მოპოვების და გადამუშავების ბიოტექნოლოგიური მეთოდი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი. პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC – 2013 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები : გუშინ, დღეს და ხვალ“ კრებული.</p>	2013წ.	ქ.ქუთაისი	3 გვ.
2	<p>კვატაშიძე რ. მაღაშხია შ. ლომიძე ნ. კანდელაკი მ. ჩუბინიძე ნ. ქართველიშვილი ლ.</p>	<p>კომპლექსური ორგანო- მინერალური სასუქების მიღება საქართველოს აგრომინერალების ბაზაზე ბიოტექნოლოგიური პროცესების ჩართვით. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ტექნოლოგიები და მასალები“ კრებული.</p> <p>მინერალური ნედლეულის მოპოვების და გადამუშავების ბიოტექნოლოგიური მეთოდი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი. პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC – 2013 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები : გუშინ, დღეს და ხვალ“ კრებული.</p>	2013წ.	ქ.თბილისი	4გვ.
№	ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
ანოტაციები					

1. შემუშავებულია ტყიბულის ქვანახშირის გადამუშავების ნარჩენებიდან და დაბლობის ტორფიდან ჰუმუსური მჟავების მიღების მეთოდიკა. ჰუმატური ნაერთებისა და მინერალური ნედლეულის ბაზაზე (ფოსფორიტები, ტრაქიტები, გლაუკონიტები) კომპლექსური, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროლონგირებული სასუქის მისაღებად გამოყენებულ იქნა სილიკატური ბაქტერიები, რომელიც თავიანტი ცხოველმოქმედების პროცესში ახდენენ მინერალების ტრანსფორმირებას და ნიადაგის გამდიდრებას მცერანისათვის ადვილად ასათვისებელი ელემენტებით
2. წარმოდგენილია ანალიზი მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე პრობლემების შესახებ. მოცემულია არსებული ტექნოლოგიური სექციების ანალიზი, ნაჩვენებია ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენების ეფექტურობის განმსაზღვრელი პირობები, მინერალური ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში, ეკოლოგიური და ეკონომიკური უპირატესობების ჩვენებით.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზურაშვილი ლ. კანდელაკი მ. ქართველიშვილი ლ. ლომიძე ნ.	ჩამონადენი წყლების მძიმე მეტალებისგან გამწმენდი ბიოსორბენტის შექმნის შესაძლებლობების კვლევა	კრებული "სამეცნიერო სიახლეები"	აზერბაიჯანი განჯა	4გვ
ანოტაციები					
<p>1. ლაბორატორიულ პირობებში დიატომიტისა და დენიფიტრიკაციის მიკროორგანიზმების კომბინირებით მიღებულია ახალი ტიპის ბიოორგანული სორბენტები, რომელიც ხასიათდება ხსნარებიდან მეტალების ადსორბციის მაღალი მაჩვენებლებით: Pb – 96%, Cu- 98,4%, Ag – 90,5%. სორბენტი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ჩამდინარე წყლების მძიმე მეტალებისაგან გასაწმენდად.</p>					

განხილულია

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე.

ინსტიტუტის დირექტორი
პროფესორი

გ. ჯაიანი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის
წლიური სამეცნიერო ანგარიში**

2013

სარჩევი

პრეამბულა	2
I.1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება	3
I.2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი	3
I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა	3
II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები 2013 წლისათვის	5
III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები	24
IV. პუბლიკაციები	35
1) საქართველოში	35
ა) მონოგრაფიები	35
ბ) სახელმძღვანელოები	35
გ) კრებულები	39
დ) სტატიები	39
2) უცხოეთში	46
ა) მონოგრაფიები	46
ბ) სახელმძღვანელოები	46
გ) კრებულები	47
დ) სტატიები	47
V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა	67
1) საქართველოში	67
2) უცხოეთში	92

პრეამბულა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში (გმი) 2013 წლის მანძილზე სრულდებოდა 12 სამეცნიერო პროექტი (გრანტი): 10 – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხაზით (5 – ფუნდამენტური კვლევებისათვის, 2 – გამოყენებითი კვლევებისათვის, 2 – უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევებისათვის, 1 – ერთობლივი კვლევებისათვის მოსწავლეთა მონაწილეობით კონკურსების ფარგლებში), 2 – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი კონკურსების ფარგლებში (ერთი – იტალიის სამეცნიერო კვლევების ეროვნულ საბჭოსთან, მეორე – უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ცენტრთან ერთად). გარდა ამისა, ორმა თანამშრომელმა მოიპოვა ინდივიდუალური გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის. ამასთან ერთად, გმი-ში სხვადასხვა ვადის (2-დან 12 თვემდე) შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებული 53 თანამშრომელი (მათ შორის 3 დოქტორანტი, 9 მაგისტრანტი და 4 დამხმარე მუშაკი) ამუშავებდა 49 ინდივიდუალურ სამეცნიერო პროექტს.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა 76 გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში (14 – საქართველოს, 62 – უცხოეთის გამოცემებში), რომელთაგან 19 გამოიცა იმპაქტ-ფაქტორის (ტომპსონის კლასიფიკაციით) მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე უცხოეთში გამოცემულ 2 სამეცნიერო მონოგრაფიაში. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს 4 სახელმძღვანელო (3 – საქართველოში, 1 – უცხოეთში) და 7 – მეთოდური მითითებების წიგნი საშუალო სკოლების მასწავლებლებისათვის.

გმი-ში ფუნქციონირებს 3 სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, რომელთა ბაზაზე თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის 255 სტუდენტმა შეასრულა ლაბორატორიული სამუშაოები.

თსუ-ს 2 და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 1 დოქტორანტს, აგრეთვე, თსუ-ს 9 მაგისტრანტს ხელმძღვანელობდნენ გმი-ში დასაქმებული მეცნიერი თანამშრომლები.

გმი-ს ბაზაზე ჩატარდა 3 საერთაშორისო სამეცნიერო შეკრება, რომლებზეც მონაწილეთა შორის იყო ინსტიტუტის 29 თანამშრომელი. გარდა ამისა, გმი-ში დასაქმებული 20 მეცნიერი თანამშრომელი მონაწილეობდა უცხოეთში ჩატარებული 36 სამეცნიერო შეკრების მუშაობაში.

გმი-ში დასაქმებული მეცნიერი თანამშრომლები ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ უცხოელ მეცნიერებთან ერთად, მათ შორის უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში.

შენიშვნა 1. გარდა გმი-ში დასაქმებული სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 37 მეკვლევარისა, გმი-ს ბაზაზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა გმი-დან თსუ-ში კონკურსის წესით არჩეული 9 პროფესორი.

შენიშვნა 2. გმი-ს ბაზაზე მოქმედებს თბილისის საერთაშორისო ცენტრი მათემატიკასა და ინფორმატიკაში (TICMI). მისი სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის ანგარიში იხ. ჟურნალში Bull. TICMI, v.17, № 2, 2013 ან ვებ-გვერდზე

<http://www.viam.science.tsu.ge/others/ticmi/blt/bulletin.htm>

I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

I.2. ინსტიტუტის დირექტორი,
სამეცნიერო მიმართულების

ხელმძღვანელი – ჯაიანი გიორგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
დირექტორის მოადგილე – ჩინჩალაძე ნატალია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

I.3. ინსტიტუტის პერსონალური შემადგენლობა:*)

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები,
სამეცნიერო მიმართულებების ხელმძღვანელები

გორდეზიანი დავითი,
ვაშაყმაძე თამაზი,
ნადარაია ელიზბარი,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
საზოგადოებრივ საწყისებზე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრი-კორესპოდენტი

სოხაძე გრიგოლი,
ხარაზიშვილი ალექსანდრე,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
საზოგადოებრივ საწყისებზე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრი-კორესპოდენტი

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები

გიორგაძე გრიგორი,
გოგინავა უშანგი,
ზარქუა თეოდორე,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

თადუმაძე თამაზი,
კალაძე თამაზი,
კაპანაძე გიორგი,
კოპლატაძე რომანი,
მეუნარგია თენგიზი,
ნატროშვილი დავითი,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

როგავა ჯემალი,
ფანცულაია გიორგი,
ყაჭიაშვილი ქართლოსი,
შარიქაძე ჯონდო,
შულაია დაზმირი,
ხომასურიძე ნური,
ჯანგველაძე თემური,

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

*) წინამდებარე ანგარიშის II, III, IV და V განყოფილებებში წარმოდგენილი ინფორმაცია დალაგებულია ინსტიტუტის პერსონალის მოცემული რიგითობის მიხედვით, ამასთან, თანაავტორობის (თანამომხსენებლობის) შემთხვევებში შესაბამის ჩამონათვალეებში ხაზგასმულია ინსტიტუტის თანამშრომელი ავტორები (თანამომხსენებლები).

მეცნიერი თანამშრომლები

ავაზაშვილი	ნიკოლოზი,	სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ანთიძე	ჯემალი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ახალაია	გიორგი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ბიწაძე	ლამარა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
გიულვერი	იუსუფი,	დოქტორანტი
ზირაქაშვილი	ნათელა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
კილურაძე	ზურაბი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
პაპუკაშვილი	არჩილი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
რუსაია	მიხეილი,	აკადემიური დოქტორი
სვანაძე	მაია,	დოქტორანტი
ტეტუნაშვილი	ალექსანდრე,	აკადემიური დოქტორი
ტყეშელაშვილი	ალექსანდრე,	აკადემიური დოქტორი
ქასრაშვილი	თამარი,	დოქტორანტი
ჩარგაზია	ხათუნა,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ცაგარელი	ივანე,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
წამალაშვილი	ლუბა,	
ხატიაშვილი	ნინო,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ჯანჯღავა	რომანი,	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ჯიქია	ვალერიანი,	აკადემიური დოქტორი

სპეციალისტები

ბობოხიძე	მაია,	მაგისტრანტი
გაბელაია	მირანდა,	მაგისტრანტი
დანელია	გიორგი,	მაგისტრანტი
კობერიძე	გურამი,	მაგისტრანტი
მარანელი	ნინო,	მაგისტრანტი
მხეიძე	თამარი,	მაგისტრანტი
შელია	ნანა,	მაგისტრანტი
წუწუნავა	თამთა,	მაგისტრანტი
ჯანელიძე	თამარი,	მაგისტრანტი

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

ქვემოთ მოყვანილი ინდივიდუალური სამუშაოები სრულდება ინსტიტუტის 4 თემის (მიმართულების) ფარგლებში:

- უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები
- მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა
- დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია
- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1.	რაისნერ – მინდლინის ტიპის ერთი მოდელის აგება ცვლადი სისქის პრიზმული გარსებისათვის.	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	განზომილების რედუქციის მეთოდის გამოყენებით, ნულოვანი და პირველი მიახლოების კომბინირებით ცვლადი სისქის პრიზმული გარსებისათვის აგებულია რაისნერ-მინდლინის ტიპის ერთი მოდელი, რომელიც მუდმივი სისქის შემთხვევაში ემთხვევა კონსტანდა-ჩუდინოვიჩის მოდელს.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2.	ი. ვეკუას იერარქიული მოდელების N-ურ მიახლოებაში წამახვილებული ფირფიტების ერთი კლასის ჰარმონიული რხევების შესახებ	ნ. ჩინჩალაძე	ნ. ჩინჩალაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ი. ვეკუას იერარქიული მოდელების N-ურ მიახლოებაში შესწავლილია წამახვილებული სიმეტრიული პრიზმული გარსების რხევის ამოცანა. დამტკიცებულია ვარიაციული ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები გარკვეულ წონიან სივრცეებში. დადგენილია ამ სივრცეების სობოლევის სივრცეებთან მიმართების საკითხი.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3.	გასაშუალოებული მათემატიკური მოდელების აგება დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ამოცანისათვის	დ. გორდეზიანი	დ. გორდეზიანი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	აგებული და გამოკვლეულია ადიტიური გასაშუალოებული სქემები და მოდელები თერმოდრეკადობის ამოცანებისათვის მიკროტემპერატურის ველის გათვალისწინებით.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4.	თხელკედლოვანი სტრუქტურების მათემატიკური მოდელირება ორგანოზომილებიანი დაზუსტებული თეორიებით (კირხჰოფ-ლავის, კოიტერის, ნაგდის ტიპის) პიეზოელექტრული, ელექტროგამტარი და ბლანტი დრეკადი არადამრეცი გარსების შემთხვევაში	თ. ვაშაყმაძე	თ. ვაშაყმაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
თხელი არადამრეცი გარსებისათვის შეიქმნა ერთიანი კარმან-კოიტერ-ნაგდის ტიპის მმართველ პარამეტრებზე დამოკიდებული მათემატიკური მოდელი. პარამეტრთა სათანადოდ შერჩევით, კერძოდ, მიიღება ცნობილი დაზუსტებული მოდელები.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5.	გლუვი სტატისტიკური სტრუქტურების თეორიის პრობლემების გამოკვლევა	გ. სოსხაძე	გ. სოსხაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია ბერნულის ტიპის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის განაწილების ასიმპტოტური თვისებები;</p> <p>შესწავლილია ბერნულის რეგრესიის ფუნქციისათვის ნადარაია-ვატსონის ტიპის არაპარამეტრული გულოვან შეფასებათა კლასი. შესწავლილია ასიმპტოტურად გადაუადგილებს, ძალდებულობისა და ასიმპტოტურად ნორმალურობის საკითხები. დამტკიცებულია თეორემა აგებული შეფასების თანაბრად კრებადობის შესახებ;</p> <p>შესწავლილია ე.წ. ინტეგრალური ემპირიული პროცესის (ანუ კუმულატური ემპირიული პროცესის) შემთხვევითი პროცესის თვისებები, კერძოდ, დამტკიცებულია ამ პროცესის ვინერის პროცესისაკენ კრებადობა. მოძებნილია მაქსიმალური გადახრის ზღვართი განაწილება და შემოთავაზებულია რეგრესიის ფუნქციაზე მარტივი ჰიპოთეზების შემოწმების კრიტერიუმები;</p> <p>განხილულია მეორე სასაზღვრო ამოცანა შემთხვევით კოეფიციენტებიანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის. მოცემულია ამონახსნის აგების პროცედურა;</p> <p>მიღებულია ექვივალენტობის პირობები შემთხვევით შემფოთებებიანი წრფივი განტოლებების ამონახსნების განაწილებების ზომებისათვის;</p> <p>მოცემულია ფერნიკ-სკოროხოლის ტიპის ინტეგრალის გამოთვლის ფორმულები.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
6.	რიმანის ზედაპირებზე ელიფსური სისტემების ამონახსნთა სივრცის სტრუქტურის გამოკვლევა.	გ. გიორგაძე	გ. გიორგაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
ნაჩვენები იქნა რიმანის ზედაპირზე გლუვი ვექტორული ფიბრაციის კომპლექსური სტრუქტურების და განზოგადებული ბელტრამის განტოლების ამონახსნთა სივრცის იზომორფულობა.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
7.	კერძო სასრული ვარიაციის მქონე ფუნქცი-ათა ფურიეს მწკრივების მოცემულ წერტილში კრებადობის კრიტერიუმების ჩამოყალიბების შესაძლებლობის გამოკვლევა.	უ. გოგინავა	უ. გოგინავა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები ჯერადი ფურიეს მწკრივების მართკუთხოვანი კერძო ჯამების უარყოფითი რიგის ჩეზაროს საშუალოების წერტილოვნად კრებადობისათვის.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
8.	ინსტიტუტის ვებ-გვერდისათვის პროგრამული მოდულების შემუშავება, ვებ-გვერდის შესაბამისი ინდექსაციის განხორციელების, ინფორმაციის პერიოდული განახლების თეორიული ასპექტების დამუშავება და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა.	თ. ზარქუა	თ. ზარქუა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ინსტიტუტის ვებ-გვერდისათვის შემუშავდა პროგრამული მოდულები ინსტიტუტის ბაზაზე გამომავალი ჟურნალების “ონ ლაინ” (დინამიურ) რეჟიმში ფუნქციონირებისათვის.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
9.	ამონახსნის ვარიაციის ფორმულები ორსაფეხურიანი ფუნქციონალურ დიფერენციალური განტოლებებისთვის დაგვიანების პარამეტრების შემფოთების გათვალისწინებით და მათი გამოყენება საწყისი მონაცემების ოპტიმიზაციის ამოცანებში	თ. თაღუმაძე	თ. თაღუმაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	ფაზურ კოორდინატებში მუდმივი დაგვიანების შემცველი ორსაფეხურიანი ფუნქციონალურ დიფერენციალურ განტოლებებისთვის უწყვეტი საწყისი და შუალედური პირობებით, დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები საწყისი და გადართვის მომენტების, საწყისი ფუნქციის, დაგვიანებების პარამეტრებისა და განტოლების მარჯვენა მხარის შემფოთებების მიმართ. მიღებულია საწყისი მონაცემების (საწყისი მომენტის, საწყისი ფუნქციის, დაგვიანების პარამეტრების, გადართვის მომენტის) ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
10.	დედამიწის იონოსფეროში არაწრფივი სტრუქტურული მოვლენების შესწავლა	თ. კალაძე	თ. კალაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
	შესწავლილია იონოსფეროს E-შრეში ელექტრომაგნიტური როსბი-ალფენი-ხანთაძის		

ტალღების გავრცელების შესაძლებლობა, რომლებიც განპირობებული არიან კორიოლისის პარამეტრისა და დედამიწის მაგნიტური ველის სივრცული არაერთგვაროვნების ფაქტორით. არაწრფივი განხილვის შედეგად ნაჩვენებია არაერთგვაროვანი ზონალური ქარისა და მაგნიტური ველის ადგვრის შესაძლებლობა, გამოთვლილია ყველა საჭირო პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობები.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
11.	დრეკადობის ბრტყელი თეორიის პირდაპირი და ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანების გამოკვლევა ტეხილებით შემოსაზღვრული ორადბმული არეებისათვის.	გ. კაპანაძე	გ. კაპანაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია მრავალკუთხედის შიგნით თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა, როდესაც ცნობილია მრავალკუთხედის გვერდებზე მოქმედი ნორმალური მკუმშავი ძაბვები.</p> <p>ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კომპლექსური ანალიზის მეთოდები (ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანებისა და კონფორმულ ასახვათა მეთოდები) და ამონახსნი აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით).</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
12.	დისკრეტული განტოლებისათვის უსასრულო შუალედში დადებითი ამონახსნის არსებობის საკითხის გამოკვლევა.	რ. კოპლატაძე	რ. კოპლატაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>შესწავლილია დაგვიანებულ არგუმენტებიანი დისკრეტულ განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა უსასრულობის მიდამოში. კერძოდ, დადგენილია ამონახსნების რხევადობის საკმარისი პირობები. მიღებული შედეგები გარკვეული აზრით ოპტიმალურია (ეს შედეგები ახლოს არის აუცილებელ და საკმარის პირობებთან).</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
13.	გარსთა სხვადასხვა არაწრფივი თეორიების ურთიერთშედარების მიზნით კონკრეტული ამოცანების შესწავლა არადამრეცი გარსების შემთხვევაში.	თ. მეუნარგია	თ. მეუნარგია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>განხილულია არადამრეცი გარსების როგორც წრფივი, ასევე, არაწრფივი თეორიები (კირხჰოფ-ლიავი, კოიტერ-ნაგდი, რეისნერ-მინდლინი, ი. ვეკუა). კონკრეტული ამოცანების (ე.წ. “ძაბვების კონცენტრაციის ამოცანები”) განხილვის ბაზაზე მოხდა მიღებული შედეგების შედარება. გარსის პირეულებზე სასაზღვრო პირობების დასაკმაყოფილებლად გამოყენებულია ი. ვეკუას ე.წ. “ნორმირებულ მომენტთა” მეთოდი.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	არაერთგვაროვან გარემოში აკუსტიკური	დ. ნატროშვილი	დ. ნატროშვილი

14.	ტალღების გაბნევის ამოცანების გამოკვლევა ლოკალიზებული სივრცულ-სასახლვრო ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.		
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>გამოკვლეულია ერთგვაროვან უსასრულო ანიზოტროპულ გარემოში ჩართული არაერთგვაროვანი ანიზოტროპული წინაღობის მიერ აკუსტიკური ტალღების გაბნევის პრობლემებთან დაკავშირებული მათემატიკური ამოცანები. შესწავლილია შემთხვევა, როდესაც ცვლადი ფიზიკურ-მატერიალური პარამეტრები და გარდატეხის ინდექსი წყვეტას განიცდიან ერთგვაროვან და არაერთგვაროვან გარემოთა საკონტაქტო გამყოფ ზედაპირზე. შესაბამისი მათემატიკური მოდელი აღიწერება საკონტაქტო-სასახლვრო ამოცანით მეორე რიგის ცვლადკოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულის დიფერენციალური განტოლებებისათვის. ლოკალიზებული პოტენციალების თეორიის გამოყენებით ეს მათემატიკური ამოცანა დაიყვანება რთული ტიპის სივრცულ-სასახლვრო სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე. პრინციპულ სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სინგულარული ინტეგრალური ოპერატორი (ნულოვანი რიგის ფსევდოდირენციალური ოპერატორი) განსახლვრულია სასრულ არეზე. დამტკიცებულია, რომ შესაბამისი ინტეგრალური ოპერატორი ეკუთვნის ბუტე დე მონველის (Boutet de Monvel) ალგებრას და ვიშიკ-ესკინის (Vishik-Eskin) თეორიის გამოყენებით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ვინერ-ჰოპის (Wiener-Hopf) ფაქტორიზაციის მეთოდს, ნაჩვენებია სივრცულ-სასახლვრო სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის შებრუნებადობა სობოლევის სივრცეებში. ამ შედეგზე დაყრდნობით ნაჩვენებია საწყისი საკონტაქტო-სასახლვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობა. ეს შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეფექტური რიცხვითი ალგორითმების ასაგებად.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
15.	მეორე რიგის არასტაციონარული კვაზი-წრფივი ოპერატორული დიფერენციალური განტოლებისათვის ნახევრადდისკრეტული სქემის აგება, გამოკვლევა და რიცხვითი რეალიზაცია.	ჯ. როგავა	ჯ. როგავა
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>განხილულია კომის ამოცანა ერთი არაწრფივი აბსტრაქტული ჰიპერბოლური განტოლებისათვის, რომელიც წარმოადგენს ძელისთვის კირხოფის არაწრფივი განტოლების განზოგადებას. ამ ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის შემოთავაზებულია სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემა, სადაც არაწრფივ წევრში შემავალი გრადიენტის მნიშვნელობა აღებულია შუა წერტილში. ეს საშუალებას გვაძლევს მიახლოებითი ამონახსნი ყოველ დროით ბიჯზე ვიპოვოთ წრფივი ოპერატორის შებრუნების ხარჯზე. დამტკიცებულია, რომ არაწრფივი დისკრეტული ამოცანის ამონახსნი და მისი შესაბამისი პირველი რიგის წარმოებულის სხვაობიანი ანალოგი თანაბრად შემოსახლვრულია. შესაბამისი წრფივი დისკრეტული ამოცანისათვის მიღებულია მაღალი რიგის აპრიორული შეფასებები ჩებიშევის კლასიკური პოლინომების გამოყენებით. ამ ფაქტებზე დაყრდნობით არაწრფივი დისკრეტული ამოცანისთვის დამტკიცებულია აპრიორული შეფასებები, საიდანაც გამომდინარეობს სქემის მდგრადობა და შეფასებები მიახლოებითი ამონახსნის ცდომილებისთვის. აგებული სქემის გამოყენებით ჩატარებულია სხვადასხვა ტესტური ამოცანების რიცხვითი გათვლები.</p>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
16.	პოლონურ ჯგუფებზე განსაზღვრული დინამიკური სისტემების ზოგიერთი თვისების გამოკვლევა სხვადასხვა სიმრავლურ – თეორიულ მოდელში.	გ. ფანცულაია	გ. ფანცულაია

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)

ეკვლიდეს საკოორდინატო R^2 სიბრტყეზე აგებულია დინამიური ზომა, რომელიც არის კვაზი-ფინიტური არა-სიგმა-სასრულო ძვრების მიმართ ინვარიანტული და ჰაარის აზრით ნულ სიმრავლეთა გენერატორი, რომლის მნიშვნელობა ნებისმიერ წრეწირზე ემთხვევა ამავე წრეწირის სიგრძეს. პოლონური ტოპოლოგიური ვექტორული ჯგუფისათვის შემოტანილია ჰაარის აზრით ნულ სიმრავლეთა მაქსიმალური გენერატორის ცნება და დამტკიცებულია, რომ ასეთი გენერატორი ყოველთვის არ არსებობს. დაზუსტებულია ანდერსენისა და ზამეს ერთი შედეგი და მიღებულია ორი პოლონური ტოპოლოგიური ჯგუფის ნამრავლ-ჯგუფში ჰაარის აზრით ნულ ზომადობის ერთი საკმარისი პირობა.

მარტინის აქსიომის გამოყენებით დამტკიცებულია, რომ პოლონური ტოპოლოგიური ვექტორული სივრცის პრეის-ტიშერის აზრით განზოგადოებულ ნულ სიმრავლეთა σ -იდეალი, ნამრავლი ტოპოლოგიით აღჭურვილ ყველა ნამდვილ მნიშვნელობიან მიმდევრობათა სივრცის მანიკევიჩის აზრით განზოგადოებულ ნულ სიმრავლეთა σ -იდეალი და ბეიკერის აზრით განზოგადოებულ ნულ სიმრავლეთა σ -იდეალი არიან ჩაკეტილები კონტინუუმზე ნაკლები სიმძლავრისა ელემენტთა გაერთიანების ოპერაციის მიმართ.

დამტკიცებულია, რომ მართებულია ორადულობის პრინციპი ზომასა და კატეგორიას შორის P წინადადებასთან მიმართებით, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ყოველი ორი G_1 და G_2 პოლონური ჯგუფისათვის და $Y \subset G_1$ ჰაარის აზრით ნულ სიმრავლისათვის სრულდება პირობა

$\forall X (X \in G_2) \rightarrow Y \times X$ არის ჰაარის ნულ სიმრავლე $G_1 \times G_2$ ნამრავლ-სივრცეში.

კოენის (2012) მიდგომისაგან განსხვავებული მიდგომით ნაჩვენებია, რომ უნიმოდალური პოლონური არაკომპაქტური ჯგუფების ყოველი უსასრულო ნამრავლი წარმოადგენს ჰაარის აზრით ნულ სიმრავლისა და პირველი კატეგორიის სიმრავლეების გაერთიანების სახით, რაც იძლევა საშუალებას დადებითად გავცეთ პასუხი დარჯის (2012) შეკითხვაზე. ნაჩვენებია, რომ უნიმოდალური პოლონური არაკომპაქტური ჯგუფების უსასრულო თვლად ნამრავლზე განსაზღვრული ჰაარის ზომათა ბეიკერის (2004) ნამრავლი კონცენტრირებულია პირველი კატეგორიის სიმრავლეზე, რომელიც ვერ იფარება კომპაქტების თვლადი ოჯახით. ასევე ნაჩვენებია, რომ დ.ფრემლინის მიერ 2012 წელს დასმული ამოცანა იმის შესახებ თუ რამდენადაა შესაძლებელი ჰაარის აზრით ნული სიმრავლის ცნების შემოტანა ბორელის სიმრავლეებისათვის გვერდის ავლით, დამოუკიდებელია სიმრავლეთა $ZF + DC$ თეორიისაგან. მსგავსი შედეგია მიღებული ელექესა და სტეფრანის მიერ 2012 წელს დასმულ შეკითხვაზე იმის შესახებ, არსებობს თუ არა ატომურად სინგულარული ბორელის ალბათური ზომა ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე, რომელიც ახდენს ნამდვილ რიცხვთა ღერძის ყოველი დადებითი ლებეგის ზომის მქონე სიმრავლის რეფლექტირებას. ერდოშ-სერპინსკის ორადულობის პრინციპის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ სერპინსკის სიმრავლის დუალური სიმრავლე უარყოფითად პასუხობს ელექესა და სტეფრანის (2012) ერთ ტოპოლოგიურ ანალოგს. როგორც შედეგი მიღებულია, რომ ბატროსზინსკის (2002) და ბურკე-მილერის (2005) შედეგები დამოუკიდებელია $ZF + DC$ თეორიისაგან.

აგებულია საკოორდინატო R^2 სივრცის დაშლა თვლად რაოდენობა Γ -აბსოლუტურად უგულებელყოფად სიმრავლეებად, ისე რომ სათავიდან გამოშვებული სხივის თანაკვეთა დახლეჩის ყოველ ელემენტთან შეიცავს ზუსტად ერთ ცალ ერთეულოვანი სივრცის მქონე წრფივ სეგმენტს. ნაჩვენებია, რომ სოლოვეის მოდელში უსასრულო-განზომილებიანი არასეპარაბელური შემოსაზღვრული მიმდევრობების ℓ_∞ სივრცის ყოველი არატრივიალური ჩაკეტილი ბირთვი არის უსასრულო-განზომილებიანი ჰაარის აზრით ნულ სიმრავლე. ეს დადებითად პასუხობს ბანახის ℓ_∞ სივრცისათვის კანადელი მათემატიკოსის შაის მიერ დასმულ ამოცანას.

დამტკიცებულია, რომ იზოლირებული წერტილების არმქონე (ე.ი. თავის თავში ყველგან მკვრივ) არათვლად არალოკალურად-კომპაქტურ პოლონურ G ჯგუფზე განსაზღვრული დინამიკური, ე.ი. ყველა ძერის მიმართ ინვარიანტული კვაზი-ფინიტური დიფუზიური ბორელის μ ზომისათვის არ არსებობს ისეთი სასრული მუდმივა c , რომ c -ზე მეტი μ ზომის მქონე ყოველი სიმრავლე შეიცავდეს ისეთ სამ წერტილს, რომლებითაც განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი ერთის ტოლია. ეს შედეგი უარყოფითად პასუხობს ერდოშის მიერ 1979 წელს დასმულ ამოცანის ერთ მოდიფიკაციას

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
17.	ჰიპოთეზების შემოწმების ახალი მიმდევრობითი მეთოდების აგება, გამოკვლევა და მათი შედარება მიმდევრობითი ანალიზის სხვა ცნობილ მეთოდებთან.	ქ. ყაჭიაშვილი	ქ. ყაჭიაშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)

დამუშავდა მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ახალი მიმდევრობითი მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ჰიპოთეზების შემოწმების პირობით ბაიესის ამოცანებში ჰიპოთეზების მიღების არეების განსაკუთრებულ თვისებებზე. გამოკვლეულია ერთ-ერთი ასეთი მეთოდი. გამოკვლევებმა გვიჩვენეს მიღებული შედეგების მდგრადობა, სიმარტივე და ოპტიმალურობა შერჩეული კრიტერიუმის ფარგლებში. კრიტერიუმის არსი მდგომარეობს ერთი ტიპის შეცდომის ალბათობის ზემოდან შეზღუდვაში და ამ პირობებში მეორე ტიპის შეცდომის ალბათობის მინიმიზაციაში. შემოთავაზებული მეთოდების შესაბამისი თვისებების არსებობა არის დამტკიცებული. დათვლილია მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების მაგალიები მიმდევრობით მიღებული ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი ვექტორებისათვის კორელირებული კომპონენტებით. ისინი აჩვენებენ შემოთავაზებული მეთოდების მაღალ თვისებებს. ვალდის და ბერგერის მიმდევრობითი კრიტერიუმებით არის დათვლილი მაგალითები ორი ჰიპოთეზის შემთხვევაში (რადგან მრავალი ჰიპოთეზისათვის ისინი ჯერ-ჯერობით არ არიან დამუშავებული) და შედარებული არიან შემოთავაზებული მეთოდით მიღებულ შედეგებთან, რომლებმაც აჩვენეს ჩვენი მეთოდის საიმედო და ოპტიმალურობა.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
18.	არასტაციონარული მაგნიტოჰიდროდინამიკური დინებების ზოგიერთი საკითხის გამოკვლევა	ჯ. შარიქაძე	ჯ. შარიქაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიპის) შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია ელექტროგამტარი სითხის არასტაციონარული დინებები სითბოგადა-

ცემის გათვალისწინებით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
19.	გამოსხივების გადატანის მრავალსიქარიანი თეორიის ბაზისური მახასიათებელი განტოლების შესწავლა. გადატანის წრფივი მრავალსიქარიანი განტოლების სპექტრალური ანალიზი.	დ. შულაია	დ. შულაია
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
მიღებულია გადატანის წრფივი მრავალსიქარიანი განტოლების სპექტრის შემცველი ახალი სინგულარული მახასიათებელი ინტეგრალური განტოლება.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
20.	თერმოდრეკადობისა და მიკროთერმოდრეკადობის ზოგიერთი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის დასმა და მათი ანალიზური ამონახსნების აგება.	ნ. ხომასურიძე	ნ. ხომასურიძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
დასმულია და ცვლადთა განცალკევების მეთოდით ანალიზურადაა ამოხსნილი თერმოდრეკადობის ზოგიერთი გამოყენებითი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა. ანალიზურად ამოხსნილია თერმოდრეკადობის სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები როგორც მართკუთხა პარალელეპიპედისათვის, ასევე ცილინდრული და სფერული მრავალფენიანი სხეულებისათვის მიკროტემპერატურის ზემოქმედების გათვალისწინებით.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
21.	ზოგიერთი არაწრფივი კერძოწარმოებულე-ბიანი და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა.	თ. ჯანგველაძე	თ. ჯანგველაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი დიფერენცი-ლური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისათვის შესწავლილია ორი ტიპის საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და მიახლოებითი ამოხსნის საკითხები. ჩატარებულია გამოკვლევები ერთი არაწრფივი ორგანზომი-ლებიანი ბიოლოგიური მოდელისა და შესაბამისი მრავალგანზომილებიანი ანალოგისათვის. რიცხვითი ექსპერიმენტები და მიღებული შედეგების ანალიზი ადასტურებენ შემუშავებული ალგორითმის ეფექტურობას.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
22.	ზოგიერთი ტრანსცენდენტული წირის ასაგებად სახსროვანი მექანიზმის შექმნის შესაძლებლობის გამოკვლევა.	ნ. ავაზაშვილი	ნ. ავაზაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
დადგენილ იქნა, რომ თუ აგებულია გრაფიკი მაჩვენებლიანი ფუნქციისა ერთი			

სპეციალურად შერჩეული ფუძით, მაშინ მის მიხედვით შეიძლება გარკვეული სახსროვანი მექანიზმის საშუალებით იქნას რეპროდუცირებული მაჩვენებლიანი ფუნქციის გრაფიკი ნებისმიერი სხვა ფუძის შემთხვევაში.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
23.	პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა ბუნებრივი ენის მოცემული ლექსიკური ერთეულისათვის გრამატიკულად სწორი ყველა სიტყვაფორმის მიღების მიზნით.	ჯ. ანთიძე	ჯ. ანთიძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოცემული ბუნებრივი ენის მოცემული ლექსიკური ერთეულისათვის იძლევა ყველა გრამატიკულად სწორ სიტყვა-ფორმას. ლექსიკური ერთეული(ერთეულები) უნდა იყოს ისე შერჩეული, რომ მათგან მიიღებოდეს ყველა გრამატიკულად სწორი სიტყვა-ფორმა გარკვეული წესების გამოყენებით. ამისათვის ლექსიკურ ერთეულს მიეწერება თვისებათა სტრუქტურის საშუალებით ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება წესების შესადგენად. პროგრამული უზრუნველყოფა თავდაპირველად შედგენილი იყო ქართული ენისათვის, რომელიც შემდეგ განზოგადდა ენათა ფართო კლასისათვის. კერძოდ, მოითხოვება, რომ სიტყვა-ფორმა შედგებოდეს მორფემებისაგან. პროგრამული უზრუნველყოფა გამოცდილია ქართული ენისათვის და იგი მუშაობს უშეცდომოდ. საჭიროა შეიქმნას ლექსიკურ ერთეულთა სრული ლექსიკონი. შემუშავებულია სპეციალური ფორმალიზმი, რომელიც გამოიყენება სიტყვა-ფორმათა წარმოქმნის წესების ჩასაწერად და ამ ფორმალიზმით შედგენილი ალგორითმი მიეწოდება პროგრამულ უზრუნველყოფას ლექსიკონთან ერთად.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
24.	ზოგადი ელიფსური სისტემების რეგულარული ამონახსნების ზოგადი წარმოდგენების აგების შესაძლებლობის გამოკვლევა.	გ. ახალაია	გ. ახალაია

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

საკმაოდ ზოგადი ელიფსური სისტემებისათვის სიბრტყეზე შემოყვანილია და შესწავლილია რეგულარული ამონახსნების კლასები, რომლებიც არიან კლასიკური ჰარდისა და სმირნოვის სივრცეების ანალოგები. ეს კლასები წყვეტილი სასაზღვრო ამოცანების შესწავლის ბუნებრივ კლასებს წარმოადგენენ.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
25.	თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის აგება მიკროტემპერატურის გათვალისწინებით.	ლ. ბიწაძე	ლ. ბიწაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

თერმოდრეკადობის ორგანზომილებიანი წრფივი თეორიის მდგრადი რხევის განტოლებებისათვის მიკროტემპერატურის გათვალისწინებით მიღებულია ზოგადი ამონახსნის წარმოდგენა მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. კვადრატურებში აგებულია ფუნდამენტურ და სინგულარულ ამონახსნთა მატრიცები. თერმოდრეკადობის ორგანზომილებიანი წრფივი თეორიის დინამიკის განტოლებებისათვის მიკ-

როტემპერატურის გათვალისწინებით მიღებულია ზოგადი ამონახსნის წარმოდგენა მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. კვადრატურებში აგებულია ფუნდამენტურ და სინგულარულ ამონახსნთა მატრიცები. აგებულია მარტივი და ორმაგი ფუნის პოტენციალები. ამოხსნილია ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანები სფეროსა და უსასრულო არისათვის სფერული ღრუთი თერმოდრეკადობის განტოლებებისათვის მიკროტემპერატურის გათვალისწინებით. ამონახსნები წარმოდგენილია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
26.	სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი რეალიზება ვილერ-დარბუ-პუასონის განტოლებისათვის.	გ. ჯაიანი	ი.ფ. გიულვერი (დოქტორანტი)

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)

მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის პირდაპირი მეთოდების, კერძოდ, ვარიაციულ-დისკრეტული (ვ-დ) და სასრულ სხვაობიანი (ს-ს) მეთოდების საშუალებით

$yu' + bu' = 0, \quad u(y), \quad y \in D = (0, L), \quad L, b \in \mathbb{R},$

განტოლებისათვის დირიხლეს ტიპის სასაზღვრო პირობებით ხორციელდება მიახლოებითი ამოხსნის პოვნის რიცხვითი რეალიზაცია, როდესაც $u \in C^2(D) \cap C(\bar{D}), \quad b < 1.$

ასევე, $u \in C^2(D) \cap C(\bar{D}) \cap C^1(D)$ კლასებში იგივე განტოლებისათვის, როდესაც სასაზღვრო პირობები შერეული ტიპისაა (ერთ ბოლოზე მოცემულია საძიებელი ფუნქცია, ხოლო მეორეზე წარმოებული) გამოყენებულ იქნა ვ-დ მეთოდი. ტესტური ამოცანებისათვის ჩატარებული იქნა ვ-დ და ს-ს მეთოდების შედარებითი ანალიზი, რომელმაც გვიჩვენა, რომ ამოცანათა კლასებზე (b – მნიშვნელოვანი პარამეტრის არსებობის გამო) ვ-დ მეთოდი გაცილებით ეფექტურია. გარდა ამისა, პუასონის განტოლებისათვის მართკუთხედში ჩატარდა დირიხლეს ამოცანის ვარიაციულ-დისკრეტული მეთოდით ამოხსნის რიცხვითი რეალიზაცია კომპიუტერზე.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
27.	თერმოდრეკადობის ზოგიერთი გამოყენებითი ხასიათის სასაზღვრო ამოცანის დასმა, ეფექტურად ამოხსნა და სათანადო კომპლექსური პროგრამის შედგენა.	ნ. ზირაქაშვილი	ნ. ზირაქაშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტიკის) შედეგები (ანოტაცია)

დასმულია და ცვლადთა განცალკების მეთოდით ეფექტურადაა ამოხსნილი ზოგიერთი გამოყენებითი სასაზღვრო ამოცანა. შედგენილია და გამართულია აღნიშნული ამოცანების ამოსახსნელი პროგრამა MATLAB-ში და მიღებულია ზოგიერთი ტესტური ამოცანის რიცხვითი და ვიზუალური (გრაფიკული) შედეგები.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
28.	ზოგიერთი კლასის არაწრფივი ინტეგრირ-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა სასრულ ელემენტთა მეთოდით.	ზ. კილურაძე	ზ. კილურაძე

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)	
<p>ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების მაქსიმალური განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრირებადი დიფერენციალური მოდელისათვის შესწავლილია ორი ტიპის საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევისა და სასრულ ელემენტთა მეთოდით მიახლოებითი ამონახსნის საკითხები. ჩატარებული მრავალრიცხოვანი რიცხვითი ექსპერიმენტები და მიღებული შედეგების ანალიზი ადასტურებენ თეორიულ შედეგებს და შემუშავებული ალგორითმების ეფექტურობას.</p>	

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
29.	ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ინტეგრალურ განტოლებათა და სასრულ-სხვაობიანი მეთოდების გამოყენებით.	ა. პაპუკაშვილი	ა. პაპუკაშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)	
<p>საანგარიშო პერიოდში შესწავლილია ბზარებით შესუსტებული უბნობრივ-ერთგვაროვანი სიბრტყისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების ამონახსნის ორი მეთოდი – ინტეგრალურ განტოლებათა და სასრულ-სხვაობიანი მეთოდები.</p> <p>ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენებით დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანები ორთოტროპული (კერძო შემთხვევაში იზოტროპული) სიბრტყისთვის მიიყვანება უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე (წყვილზე) მხეები ძაბვების ნახტომების მიმართ, როდესაც ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს; კერძო შემთხვევაში, როდესაც ბზარი გამოდის გამყოფ საზღვარზე, ვღებულობთ უძრავი განსაკუთრებულობის შემცველ ერთ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას. შესწავლილია ამონახსნის ყოფაქცევის საკითხები ბზარის ბოლოების მახლობლობაში და გამყოფ საზღვარზე. საანგარიშო პერიოდში დამუშავებულია ზემოაღნიშნული ამოცანების მიახლოებითი ამონახსნის კოლოკაციის მეთოდი; ორივე ამოცანის მიახლოებითი ამონახსნისთვის გამოყენებულია დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდი. გამოწერილია მიახლოებითი ამონახსნის ახალი სქემები და ჩატარებულია რიცხვითი გამოთვლები. ორივე ამოცანის შემთხვევაში შემოთავაზებული სათვლელი ალგორითმები აპრობირებულია კონკრეტული პრაქტიკული ამოცანებისთვის და თვლის შედეგები კარგ მიახლოებაშია თეორიული კვლევით მიღებულ შედეგებთან.</p> <p>ბზარებით შესუსტებული უბნობრივ – ერთგვაროვანი სიბრტყისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების სასრულ სხვაობიანი მეთოდით შესწავლისას სიბრტყეს ვცვლით დიდი ზომის კვადრატით და დიფერენციალური განტოლება შესაბამისი სასაზღვრო პირობებით აპროქსიმირდება სხვაობიანი ანალოგით. ამოცანის ასეთი დასმა საშუალებას იძლევა უშუალოდ ვიპოვოთ გადაადგილების ვექტორის რიცხვითი მნიშვნელობები ბადის კვანძებში. გამოწერილია მიახლოებითი ამონახსნის ახალი სქემები და ჩატარებულია რიცხვითი გათვლები პერსონალურ კომპიუტერზე.</p>	

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
30.	მტკიცებათა სქემატიზაციასთან დაკავშირე-	მ. რუხაია	მ. რუხაია

ბული ამოცანების გამოკვლევა.		
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)		
დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობდა კვლევა მტკიცებათა თეორიაში, კერძოდ მტკიცებათა სქემატიზაციის მიმართულებით. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა თეორემათა ავტომატური მტკიცებების მიმართულებით.		

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
31.	თერმოდრეკადობის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა ბლანტი დრეკადი სხეულები-სათვის, პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით.	გ. ჯაიანი	მ. სვანაძე (დოქტორანტი)
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
გამოკვლეულია თერმოდრეკადობის თეორიის მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანები ბლანტი დრეკადი სხეულებისათვის პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით. დამტკიცებულია ამ ამოცანების კლასიკური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
32.	კვაზიდოფანტურ სიმრავლეთა ზოგიერთი კომბინატორული თვისების გამოკვლევა.	თ. ტეტუნაშვილი	თ. ტეტუნაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
დადგენილ იქნა წერტილოვანი კვაზიდოფანტური სიმრავლეების გარკვეული თვისებები, სახელდობრ, კვაზიდოფანტურ წერტილოვან სიმრავლებსა და მეორე რიგის წირებსა და მეორე რიგის ზედაპირებს შორის გამოვლენილი კავშირების საფუძველზე დადგენილია დებულებები გარკვეული ტიპის კვაზიდოფანტური წერტილოვანი სიმრავლეების განლაგების შესახებ, როგორც სიბრტყეზე, ასევე უფრო მაღალგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეებში. ამასთანავე, ევკლიდური სივრცისა და სიბრტყის ერთგვაროვანი დაფარვების ზოგიერთი საკითხის შესწავლისას კიდევ ერთხელ იქნა გაშუქებული ამ საკითხების გადაწყვეტისათვის სიმრავლურ-თეორიული მიდგომებისა და მეთოდების ეფექტურობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, დადგენილ იქნა გარკვეული ტიპის წერტილოვანი სიმრავლეების თვისებები, რომელთა საშუალებით მოხერხდა რადემახერის მწკრივებთან დაკავშირებული ახალი შედეგების მიღება, როგორც ერთმაგი, ასევე ჯერადი შემთხვევისათვის.			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
33.	შეფასების ამოცანები გლუვ სტატისტიკურ სტრუქტურებში.	ა. ტყეშელაშვილი	ა. ტყეშელაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
შესწავლილია გასერ-მიულერის ტიპის შეფასებები ზოგადი ინტეგრალური ფუნქციონალისათვის. მიღებულია ასიმპტოტური თვისებების დამტკიცება; შესწავლილია დინამიური პროცესის განაწილების სიმკვრივის შეფასების ამოცანა			

ირიბი დაკვირვებების საფუძველზე; შესწავლილია შემთხვევითი გლუვი ზომების აბსოლუტურად უწყვეტობის საკითხი სივრცის არაწრფივი გარდაქმნისას.

შესწავლილია ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სხეულებისთვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების მიახლოებითი ამონახსნის ორი მეთოდი: ა). ინტეგრალურ განტოლებათა და ბ). სასრულ-სხვაობიანი მეთოდები. პირველ შემთხვევაში სხეული წარმოადგენს უბნობრივ-ერთგვაროვან სიბრტყეს, მიღებულია უძრავი განსაკუთრებულობის შემცველი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემა (როცა ბზარი კვეთს გამყოფ საზღვარს) და ერთი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლება (როცა ბზარი გამოდის გამყოფ საზღვარზე) მხები ძაბვების ნახტომების მიმართ. ზემოაღნიშნული ინტეგრალური განტოლებები ამონახსნილია კოლოკაციის მეთოდით, კერძოდ დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდით. მეორე შემთხვევაში სხეულს აქვს მართკუთხედის ფორმა. გამრუდებული ჰარმონიული დიფერენციალური განტოლება შესაბამისი სასაზღვრო პირობებით აპროქსიმირდება სხვაობიანი ანალოგიით. ამოცანის ასეთი დასმა საშუალებას იძლევა უშუალოდ ვიპოვოთ გადაადგილების ფუნქციის რიცხვითი მნიშვნელობები ბადის კვანძებში. შემოთავაზებული სათვლელი ალგორითმები აპრობირებულია კონკრეტული პრაქტიკული ამოცანებისთვის.

67.	T. Davitashvili, <u>D. Gorgeziani</u> G. Geladze G. Gubelidze <u>A. Papukashvili</u> M. Sharikadze	Assessment of Risk Factors of Emergency Cases at Georgian Section of Transport Corridor Europe-Caucasus-Asia by Means of Mathematical Modelling	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში ჩატარებულია სატრანსპორტო კორიდორის ევროპა-კავკასია- აზია-ს საქართველოს სექციაზე ექს-ტრემალური ავარიების რისკ ფაქტორების შეფასება მათემატიკური მოდელირებით.</p>			
68.	არჩილ პაპუკაშვილი	თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტის ღუნვის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი მეთოდის შესახებ	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>თხელი ხისტი ჩართვის მქონე მართკუთხოვანი ფირფიტის ღუნვის ამოცანები მიყვანილია გლუვი გულის მქონე პირველი გვარის ინტეგრალურ განტოლებებზე. ამ განტოლების ამონახსნი მოიძებნება არაინტეგრებადი განსაკუთრებულობის მქონე ფუნქციათა კლასში.</p> <p>შემოთავაზებულია აღნიშნული ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ახალი ალგორითმები კოლოკაციის მეთოდის გამოყენებით. კერძოდ ნაშრომში გამოყენებულია დისკრეტულ განსაკუთრებულობათა მეთოდი თანაბრად დაშორებული კვანძების შემთხვევაში. რიცხვითი გათვლების საშუალებით გამოკვლეულია ფირფიტის ჩაღუნვის ფუნქციის მნიშვნელობებზე ჩართვის სიგრძისა და მასის გავლენა.</p>			
69	Cvetan Ducehv, Alexander Leitsch, <u>Mikheil Rukhaia</u> and Daniel Weller	A Method Overcoming Induction During Cut-Elimination	Tenth International Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation; September 23-27, Gudauri, Georgia
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გენცენის ქათ-ელიმინაციის თეორემა მტკიცებათა თეორიის ქვაკუთხედი. მას მიყვავართ ანალიტიკურ დამტკიცებამდე. მაგრამ იმ სისტემებში, სადაც ინდუქცია გვხვდება როგორც გამოყვანის წესი, ქათ-ელიმინაცია ზოგადად შეუძლებელია. ამ პრობლემის გადაჭრის ერთი გზა არის დამტკიცებათა უსასრულო მიმდევრობის ერთგაროვანი ფორმით განსაზღვრა და მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შესაბამისი ანალიტიკური დამტკიცებების მიმდევრობა აგრეთვე განვსაზღვროთ ერთგაროვანი ფორმით. მოსხენებაში წარმოვიდგინეთ ასეთ ფორმალურ მს, ინდუქციურ მტკიცებათა ალტერნატივას და მისთვის განვსაზღვრავთ ქათ-ელიმინაციის მეთოდს. მტკიცებათა თეორიის ძირითადი კონცეფციები, როგორცაა სეკვენციათა და რეზოლუციის კალკულუსები, გავრცობილია ინდუქციური განმარტებებით და თერმების, ფორმულების, დამტკიცებების სქემებია მიღებული. ქათელიმინაციის მეთოდი ასეთი მტკიცებათა სქემებისათვის ახსნილია მაგალითის</p>			

გამოყენებით.			
70.	მაია სვანაძე	ბლანტი დრეკადობის წრფივი თეორიის სასაზღვრო ამოცანები კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის სიცარიელით	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
<p>მოხსენების ანოტაცია:</p> <p>გამოკვლეულია ბლანტი დრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანები კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის სიცარიელით. გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების ერთადერთობა. დადგენილია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალების ძირითადი თვისებები. პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობის თეორემები.</p>			
71.	<u>Tkeshelashvili A.</u> <u>Sokhadze G.</u>	On one method of the statistical estimation of probability distribution based on the observations of dynamics at the end of the interval	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია დინამიური პროცესის განაწილების სიმკვრივის შეფასების ამოცანა ირიბი დაკვირვებების საფუძველზე</p>			
72.	<u>Khatuna Chargazia,</u> <u>Oleg Kharshiladze,</u> <u>Gaetano Zimbardo</u>	Theoretical and Experimental Detection of Nonlinear Electromagnetic Waves as the Elements of Turbulence in the Geospace Environment	მეორე საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები”, 4-7 სექტემბერი, 2013, თბილისი
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>შემოთავაზებულია ულტრა დაბალი სიხშირის (უდს) ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციის ფიზიკური და მათემატიკური მოდელი და შემდგომი წრფივი და არაწრფივი ევოლუციის სცენარი იონოსფეროში მათი არაერთგვაროვან ქარებთან (წანაცვლებით დინებებთან) ურთიერთქმედებისას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს გარემოში ენერგიების გადანაწილების ახალ მექანიზმს. შესწავლილია იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს სხვადასხვა რეგიონებში არაწრფივ ძლიერად ლოკალიზებულ გრიგალურ სტრუქტურებად (მონოპოლური და დიპოლური გრიგალები, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ბილიკი) თვითორგანიზაცია.</p>			
73	<u>Khatuna Chargazia,</u> <u>Oleg Kharshiladze</u>	Large Scale Zonal Flows' And Magnetic Field Generation By Small Scale Turbulence In The Ionosphere	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური

			კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
--	--	--	--

მოსხენების ანოტაცია

შესწავლილია მცირე მასშტაბიანი (სკინ სისქის $k_{\perp}^2 c^2 / \omega_{pe}^2 \sim 1$) დრეიფული ალფენის ტურბულენტობით განპირობებული დიდმასშტაბიანი ზონალური დინებებისა და მაგნიტური ველების არაწრფივი გენერაციის თავისებურებები იონოსფერულ პლაზმურ გარემოში. მიღებულია წანაცვლებითი დინებებისა და მაგნიტური ველის ევოლუციის განტოლებები ჩქარი მაღალსიხშირული და მცირემასშტაბიანი ფლუქტუაციების აღმწერი მოდელური განტოლებების საშუალებით. ნაჩვენებია, რომ მცირე მასშტაბიანი დრეიფული ალფენის ტურბულენტობით სპონტანურად გენერირდებიან დიდმასშტაბიანი ზონალური დინებები და მაგნიტური ველები, რაც განპირობებულია რეინოლდსისა და მაქსველის ძაბვის არაწრფივი ურთიერთქმედებით გარემოს ნაწილაკზე. სისტემაში ჩნდება დადებითი უკუკავშირი დიდმასშტაბიანი ზონალური და/ან მაგნიტური ველის მიერ მცირე მასშტაბიანი სკინ სისქის ალფენის ტალღების მოდულაციით. მცირე მასშტაბიანი ტალღური პაკეტის გავრცელებას გარემოში თან ახლავს პარამეტრული არამდგრადობით განპირობებული დაბალსიხშირული დიდმასშტაბიანი შეშფოთებები. შესწავლილია არამდგრადობის ორი რეჟიმი: რეზონანსულ-კინეტიკური და ჰიდროდინამიკური. ნაპოვნია ამ არამდგრადობების ინკრემენტები. განსაზღვრულია არამდგრადობის განვითარებისა და დიდმასშტაბიანი სტრუქტურების გაჩენის პირობები. აღნიშნული არამდგრადობები იწვევენ ენერჯის გადაქაჩვას მცირე მასშტაბიანი ალფენის ტალღებიდან დიდმასშტაბიან ზონალურ სტრუქტურებში, რაც დამახასიათებელია ენერჯის ტურბულენტური უკუკასკადისთვის.

74	Oleg Kharshiladze, Khatuna Chargazia	Strong Anisotropic Turbulence Spectra in the Geospace Environment	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
----	---	---	---

მოსხენების ანოტაცია

მოსხენება ეძღვნება დამაგნიტებულ კოსმოსურ პლაზმურ გარემოში მიმდინარე ტურბულენტური პროცესების გამოკვლევას. ასეთ გარემოში არამდგრადობების განვითარებით შესაძლებელია წარმოიქმნან ელექტრომაგნიტური მცირემასშტაბიანი ძლიერად ლოკალიზებული არაწრფივი გრიგალური სტრუქტურები, რომლებსაც გადააქვთ ჩატერილი ნაწილაკები. პლაზმაში გადაადგილებისას ეს სტრუქტურები იწვევენ სიმკვრივის, ელექტრული და მაგნიტური ველების შესამჩნევ ფლუქტუაციებს და ააქტიურებენ გადატანის პროცესებს გარემოში. ამასთან ექსპერიმენტზე მიღებული სიმკვრივის ფლუქტუაციის სპექტრის მაჩვენებელი გაცილებით აღემატება სუსტი ტურბულენტობის თეორიის მიერ ნაწინასწარმეტყველებს. ჩვენს მოდელში განხილულ გრიგალურ სტრუქტურებს შეუძლიათ გამოიწვიონ ძლიერი გრიგალური ტურბულენტობა. ტურბულენტური დინება განიხილება როგორც ძლიერად ლოკალიზებულ, სუსტად ურთიერთქმედ ერთნაირი გრიგალების ანსამბლი. სხვადასხვა ამპლიტუდიანი გრიგალები შემთხვევითად არიან განაწილებული გარემოში (ურთიერთდაჯახებების გამო). მათ აღსაწერად იქნა გამოყენებული სტატისტიკური მეთოდი. მოცემულ მოდელში დაშვებულია, რომ სტაციონარული ტურბულენტობა ფორმირდება ურთიერთ კონკურენტული ეფექტების დაბალანსებით: მიღებულია ტალღური რიცხვების

მიმართ ელექტრომაგნიტური ენერჯის სტაციონარული სპექტრის ახალი სახე, რომელიც ეცემა ხარისხოვანი კანონით $\langle |B_k|^2 \rangle \sim k^{-8/3}$, რაც კარგ თანხვედრაშია უახლეს სატელიტურ (მაგნიტოსფერულ, იონოსფერულ) და ლაბორატორიული დაკვირვებების მონაცემებთან. გამოკვლეულია დედამიწის მაგნიტოსფერულ კუდში დინების კინემატიკური პარამეტრებისა და მაგნიტომეტრული გაზომვები სატელიტ "თ Iშ" მონაცემების მიხედვით. შესწავლილმა სპექტრებმა გვიჩვენა, რომ სპექტრის ხარისხის მაჩვენებელი დამოკიდებულია მაგნიტოსფეროს მდგომარეობაზე. კერძოდ, ჩვენს მიერ გამოკვლეულ დროით ინტერვალში სპექტრების სახეს განსაზღვრავს მაგნიტოსფეროში მიმდინარე მაგნიტური შტორმები. ჩატარდა პლაზმური გრიგალების ურთიერთდაჯახებების კომპიუტერული მოდელირება, რომელმაც დაადასტურა წარმოდგენილი ტურბულენტობის ფორმირების სცენარის შესაძლებლობა.

75	მირანდა გაბელაია	სინუსოიდალური წამახვილებული დეროს რხევის ამოცანა (0,0) მიახლოებაში	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-4 ყოველწლიური კონფერენცია, 8-10 ნოემბერი, 2013, ქუთაისი
----	------------------	--	---

მოსხენების ანოტაცია

შესწავლილია π სიგრძის სინუსოიდალური წამახვილების მქონე დერო, რომლის სიგანე და სისქე იცვლება შემდეგი კანონით: $2h_2 = h_2^0$ და $2h_3 = h_3^0 \sin^k x_1$, $x_1 \in (0, \pi)$ დეროების იერარქიული მოდულების (0,0) მიახლოებაში. დამტკიცებულია ინტეგრალური განტოლების გულის სიმეტრიულობა. ამონახსნი აგებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივის სახით.

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	გიორგი ჯაიანი	Cusped Shell-like Structures	Oberseminar: Angewandte Mathematik in Sommersemester 2013 2013-05-07, Mathematisches Institut Albert-Ludwigs- Universität Freiburg. German
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში მიმოხილული და გაანალიზებულია დრეკად წამახვილებულ პრიზმულ და სტანდარტულ გარსებს, ფირფიტებსა და ღეროებთან, წამახვილებულ დრეკად პრიზმულ გარსის და სითხის ურთიერთქმედების ამოცანებთან დაკავშირებული შედეგები, მიღებული მომხსენებლისა და მისი კოლეგების მიერ.</p>			
2	გიორგი ჯაიანი	On Hierarchical Models for Cusped Elastic Prismatic Shells	ICCS17, 17-21 June 2013 Faculty of Engineering University of Porto, Porto. Portugal
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>დრეკადი პრიზმული გარსებისათვის აგებულია იერარქიული მოდელები, როცა: ა) პირით ზედაპირებზე მოცემულია გარსის პროექციისადმი ძაბვის ვექტორის ნორმალური და გადაადგილების ვექტორის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მესამე სასაზღვრო პირობები); ბ) პირით ზედაპირებზე მოცემულია ძაბვის ვექტორის გარსის პროექციისადმი პარალელური და გადაადგილების ვექტორის ნორმალური მდგენელები (ე.ი. ეგრეთ წოდებული მეოთხე სასაზღვრო პირობები); გ) ზედა პირით ზედაპირზე მოცემულია მესამე, ხოლო ქვედაზე – მეოთხე სასაზღვრო პირობები; დ) ზედა ზედაპირზე მოცემულია ძაბვის, ხოლო ქვედაზე – გადაადგილების ვექტორის კომპონენტები.</p>			
3	გიორგი ჯაიანი	Some hierarchical models for cusped elastic prismatic shells (მოხსენება გაკეთდა ტელეხიდის გამოყენებით)	AMiTaNS'13, 24-29 June, 2013, Albena, Bulgaria
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუამ ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, კერძოდ, ფირფიტებისათვის, ააგო იერარქიული მოდელები, როდესაც პირით ზედაპირებზე ცნობილია ან ძაბვები (მოდელი I) ან გადაადგილებები (მოდელი II). წინამდებარე ნაშრომში აგებული და გაანალიზებულია იერარქიული მოდელები, საზოგადოდ, წამახვილებული დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, როდესაც პირით ზედაპირებზე (i) ცნობილია ძაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და გადაადგილების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი III), (ii) ცნობილია გადაადგილების ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი ნორმალური მდგენელი და ძაბვის ვექტორის პრიზმული გარსის პროექციისადმი პარალელური მდგენელები (მოდელი IV). V და VI მოდელს, შესაბამისად, ვუწოდებთ იმ</p>			

<p>იერარქიულ მოდელებს, როდესაც ერთ პირით ზედაპირზე ცნობილია (i) პირობები, ხოლო მეორეზე - (ii) პირობები. გარდა ამისა, ვაგებთ ისეთ იერარქიულ მოდელებს, როდესაც ზედა პირით ზედაპირზე ცნობილია ძაბვის ვექტორი, ხოლო ქვედაზე - გადაადგილებები (მოდელი VII) და პირიქით (მოდელი VIII). განსახილველი მოდელების ნულოვანი მიახლოებაში გამოკვლეულია წამახვილებულ ნაპირზე წამახვილების გეომეტრიაზე დამოკიდებულებით სასაზღვრო პირობების კორექტულად დასმის თავისებურებები. კონკრეტულ შემთხვევებში, ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით.</p>			
4	გიორგი ჯაიანი	Elastic cusped rod, plate, prismatic and standard shell models	Aidaa 2013, 9-12 September 2013, Naples, Italy
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენება ეძღვნება წამახვილებულ კირხჰოფ-ლიავის ფირფიტებს, წამახვილებულ ეილერ-ბერნულის ღეროებს, იერარქიულ მოდელებს წამახვილებულ პრიზმულ გარსებსა და ღეროებისთვის, რთული გეომეტრიის სტრუქტურებს. გაკეთებულია დასკვნები და გამოთქმულია მოსაზრებები ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივების თაობაზე.</p>			
5	ნატალია ჩინჩალაძე	On some analytical methods for calculating cusped prismatic shells	ISAAC-ის მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე, კრაკოვი, პოლონეთი, 2013 წლის 5-9 აგვისტო
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ი. ვეკუამ ცვლადი სისქის დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, კერძოდ, ფირფიტებისათვის, ააგო იერარქიული მოდელები, როდესაც პირით ზედაპირზე ცნობილია გადაადგილებები (მოდელი II). მოხსენებაში განხილული იყო წამახვილებული პრიზმული გარსის რხევის ამოცანები მეორე მოდელის ნულოვანი მიახლოებისათვის.</p>			
6	<u>T.Vashakmadze,</u> <u>A.Papukashvili,</u> <u>Y. F. Gü lver.</u>	Application of Projective Methods for Solving BVPs of DEs with a Small Parameter	11 th Intern.Conference of Numerical Analysis and Applied Mathematics,21-27 Sept.,2013,Rhodes,Greece
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განვითარებულია შეშფოთების (პუანკარე-ლიაპუნოვის) თეორიის ალტერნატიული მეთოდის გამოყენება მცირე პარამეტრის შემცველ წრფივი ოპერატორული განტოლებისათვის, როდესაც ძირითადი ოპერატორი დრეკად ფირფიტათა დაზუსტებული თეორიებია. რიცხვითი რეალიზაცია ხორციელდება ტექნიკური არეებისათვის პროექციულ-ვარიაციული მეთოდით.</p>			
7	<u>T.Vashakmadze.,</u> <u>R.Chikashua,</u> <u>G.Manelidze</u>	Problems of Reliable Calculation of Coefficients Coefficient of Secular Equation by Special Functions	11 th Intern.Conference of Numerical Analysis and Applied Mathematics,21-27 Sept.,2013,Rhodes,Greece
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია საუკუნის განტოლების კოეფიციენტებისა და ფესვების განსაზღვრის</p>			

<p>ამოცანები მთელ ელემენტებიანი მატრიცათა აღრიცხვისა და ორთოგონალურ პოლინომთა სისტემების გამოყენებით.</p>			
8	<p><u>T.Vashakmadze,</u> A.Muradova</p>	<p>To Problem of Approximate Solution BVPs for ODEs with Boundary Layers</p>	<p>11 th Intern.Conference of Numerical Analysis and Applied Mathematics,21-27 Sept., 2013,Rhodes,Greece</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია წრფივი ორწევტილოვანი სასაზღვრო ამოცანების მაღალი სიზუსტით რიცხვითი რეალიზაციის საკითხები.</p>			
9	<p>Баби́луа П., Дочвири Б., Пуртухия О., <u>Сохадзе Г.</u></p>	<p>Об оптимальной остановке стандартного марковского процесса.</p>	<p>Проблемы управления безопасностью сложных систем Москва, 2013</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>სტანდარტული მარკოვის პროცესისათვის გადაწყვეტილია ოპტიმალური გაჩერების ამოცანა</p>			
10	<p>Баби́луа П., Дочвири Б., Пуртухия О., <u>Сохадзе Г.</u></p>	<p>Об оптимальной остановке и вариационных неравенствах.</p>	<p>Проблемы управления безопасностью сложных систем. Москва, 2013</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოცემულია კავშირი შემთხვევითი პროცესის ოპტიმალური გაჩერების ამოცანებსა და ვარიაციულ უტოლობებს შორის</p>			
11.	<p>U. Goginava</p>	<p>Strong Summability of Multiple Fourier Series</p>	<p>Joint CRM-ISAAC conference on Fourier Analysis and Approximation Theory. Barcelona, November 4-8, 2013</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ჯერადი ფურიეს მწკრივების ექსპონენციალურად თითქმის ყველგან კრებადობის საკითხები.</p>			
12.	<p>U. Goginava</p>	<p>Strong convergence of multiple Walsh-Fourier series</p>	<p>Dyadic Analysis and Application. October 1-2, Nyiregyhaza 2013 (Hungary).</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დახასიათებულია ჯერადი ფურიე-უოლშის მწკრივების ძლიერად შეჯამებადობის</p>			

წერტილები.			
13.	U. Goginava	Convergence of Logarithmic Means of Multiple Fourier Series	Second International Conference on MATHEMATICS IN ARMENIA: ADVANCES AND PERSPECTIVES . 24-31 AUGUST, 2013, TSAGHKADZOR, ARMENIA.
<p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ჯერადი ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ზომით კრებადობის საკითხები.</p>			
14.	U. Goginava,	On the Convergence of Multiple Fourier series of Functions of Bounded Partial Generalized Variation	Approximation Theory and Fourier Analysis. Isaac 9 th Congress, Krakow 2013, Poland.
<p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>წარმოდგენილია განზოგადოებული სასრული ვარიაციის ცნებები და მათი გამოყენება ფურიეს მწკრივთა კრებადობის საკითხებში.</p>			
15.	U. Goginava	Strong summability of quadrat partial sums of double Fourier series	International conference of constructive of functions-2013. Sozopol, June 9-15, 2013.
<p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>შესწავლილია შერეული ლოგარითმული საშუალოების ზომით და ნორმით კრებადობა.</p>			
16	<u>Tamaz Tadumadze</u> Nika Gorgodze	Differential Equations Taking Into Account Delay Function Perturbation and Initial Data Optimization Problems	Second International Conference Mathematics in Armenia : Advances and Perspectives August 24-31, 2013, Tsaghkadzor, Armenia
<p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>მიღებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები საწყისი მონაცემებისა და განტოლების მარჯვენა მხარის შემფოთებების მიმართ.</p>			
17	S. Mahmood, <u>T. Kaladze</u> , Hafeez-ur-Rehman	Acoustic nonlinear periodic waves in pair-ion plasmas	66 Annual Gaseous Electronics Conference (American Physical Society), September 30-October 4, 2013. Princeton, New Jersey. http://meetings.aps.org/link/BA PS.2013.GEC.DT1.6
<p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>ერთნაირი მასისა და სხვადასხვა ტემპერატურის მქონე დადებითი და უარყოფითი იონების შემცველ არადამაგნიტებულ პლაზმაში განხილულია ელექტროსტატიკური აკუსტიკური არაწრფივი პერიოდული (კნოიდალური) ტალღებისა და სოლიტონების</p>			

არსებობის შესაძლებლობა.			
18	რომან კოპლატაძე	Essentially nonlinear functional differential equation with advanced argument	Second International Conference Mathematics in Armenia : Advances and Perspectives August 24-31, 2013, Tsaghkadzor, Armenia
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დადგენილია თითქმის წრფივი (არსებითად არაწრფივი) დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების რხევადობის საკმარისი (აუცილებელი და საკმარისი) პირობები.</p>			
19	D. Natroshvili	Acoustic scattering by inhomogeneous anisotropic obstacle: Boundary-domain integral equation approach	MAFELAP 2013, Conference on Mathematics of Finite Elements and Applications, 10-14 June, 2013, London, UK. http://www.brunel.ac.uk/mafela2013
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია ერთგვაროვან უსასრულო ანიზოტროპულ გარემოში ჩართული არაერთგვაროვანი ანიზოტროპული წინაღობის მიერ აკუსტიკური ტალღების გაბნევის პრობლემებთან დაკავშირებული მათემატიკური ამოცანები. შესწავლილია შემთხვევა, როდესაც ცვლადი ფიზიკურ-მატერიალური პარამეტრები და გარდატეხის ინდექსი წყვეტას განიცდიან ერთგვაროვან და არაერთგვაროვან გარემოთა საკონტაქტო გამყოფ ზედაპირზე.</p>			
20	D. Natroshvili	Singularities of solutions to mixed interface crack problems	Journées Singulières Augmentées en l'honneur de Martin Costabel, 26-30 August, 2013, Rennes, France http://jsa2013.sciencesconf.org/
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განმკვლევულია თერმო-ელექტრო დრეკადობის თეორიის ტრანსმისიის შერეული ამოცანების ამონახსნების სინგულარობა და ასიმპტოტიკური თვისებები, როდესაც ბზარი მდებარეობს საკონტაქტო ზედაპირზე.</p>			
21	Kachiashvili K.J.	Sequential Analysis methods of Bayesian Type for Testing Hypotheses.	Fourth International Workshop in Sequential Methodologies. The University of Georgia, USA. Department of Statistics, Franklin College of Arts and Sciences, July 17-21.
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ერთმანეთთან შედარებულია სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების ვალდის, ბერგერის და ავტორის მიერ შექმნილი მიმდევრობითი ანალიზის მეთოდები. ნაჩვენებია უკანასკნელი მეთოდის უპირატესობა და საიმედოობა სხვა მეთოდებთან შედარებით.</p>			

22	Kachiashvili K.J.	Investigation of Constrained Bayesian Methods of Hypotheses Testing with Respect to Classical Methods.	Extended Abstract of IICMA, IndoMS International Conference on Mathematics and its Applications, Yogyakarta-Indonesia, November 6-8
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების როგორც პარალელური ასევე მიმდევრობითი კლასიკური და პირობითი ბაიესის მეთოდები. ნახვენებია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შედარებულია ერთმანეთთან კონკრეტული მაგალითების დათვლის შედეგებით.</p>			
23	Prangishvili A.I., Kachiashvili K.J. and Shonia O.B.	Models of Sustainable Development of Production.	Proceedings of VII International Conference on Operations Research, (ORM2013), Vol. 1, Moscow, 15-19 October
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შემოთავაზებულია საწარმოს მდგრადი განვითარების მათემატიკური მოდელი, რომლის დანიშნულებაც ისეთი ტექნოლოგიური პროცესის შერჩევაა, რომელიც იძლევა უდიდეს ეკონომიკურ ეფექტს მაქსიმალური სოციალური და ეკოლოგიური გარანტიებით.</p>			
24	T. Jangveladze	Variable Directions Difference Scheme for One System of Nonlinear Partial Differential Equations.	WSEAS, 2nd International Conference on Applied, Numerical and Computational Mathematics, Morioka City, Iwate, Japan, April 23-25, 2013, www.wseas.org/multimedia/books/2013/Morioka
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა ერთი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური მოდელისათვის. შესწავლილია მდგრადობა და კრებადობა. ორგანზომილებიან შემთხვევაში ეს სისტემა აღწერს მცენარეთა ფოთლების ძარღვოვან განვითარებას. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები ამ ორგანზომილებიანი შემთხვევისათვის. ეს ექსპერიმენტები სრულიად ეთანხმება თეორიულ გამოკვლევებს.</p>			
25	T. Jangveladze, Z. Kiguradze	On Some Nonlinear Partial Differential and Integro-Differential Diffusion Models.	WSEAS, 2nd International Conference on Applied, Numerical and Computational Mathematics, Morioka City, Iwate, Japan, April 23-25, 2013, www.wseas.org/multimedia/books/2013/Morioka

			oks/2013/Morioka
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური სისტემისთვის შესწავლილია საწყის-სასახლვრო ამოცანების ამონახსნთა არსებობის, ერთადერთობის, დროითი ცვლადით ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები და რიცხვითი ამოხსნის ალგორითმები. ყურადღება არის გამახვილებული მაქსველის სისტემაზე დაფუძნებული ერთი ერთგანზომილებიანი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური მოდელისათვის ფიზიკური პროცესების მიმართ დეკომპოზიციური ალგორითმების აგებაზე და ანალიზზე. ამ სისტემისათვის აგებული და გამოკვლეულია ნახევრად-დისკრეტული გასაშუალებული მოდელები. შესწავლილია სასრულ-სხვაობიანი სქემები. გამოკვლეული სისტემა წარმოიშვება მაგნიტური ველის გარემოში გავრცელების მათემატიკური მოდელირებისას.</p>			
26	<u>T. Jangveladze,</u> <u>Z. Kiguradze,</u> G. Lobjanidze	On Variational Formulation and Domain Decomposition Method for Bitsadze-Samarskii Nonlocal Boundary Value Problem.	WSEAS, 2nd International Conference on Applied, Numerical and Computational Mathematics, Morioka City, Iwate, Japan, April 23-25, 2013, www.wseas.org/multimedia/books/2013/Morioka
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ბიწადე-სამარსკის არალოკალური ამოცანა მეორე რიგის ორგანზომილებიანი ელიფსური განტოლებისათვის. შესწავლილია მიმდევრობითი და პარალელური ტიპის არის დეკომპოზიციის ალგორითმები. ფორმულირებულია ამოცანის ვარიაციული დასმა.</p>			
27.	J.Antidze	Software tools for computer modeling of a natural language texts, keynote speech	2013 2 nd International Conference on Software and Computer Applications (ICSCA 2013), 1-2 June 2013, Paris (France)
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შექმნილია პროგრამული საშუალებები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ბუნებრივი ენის ტექსტების კომპიუტერული მოდელირება. მოდელი აღიწერება ფორმალური გრამატიკის საშუალებით და მისი რეალიზაცია ხდება სპეციალური პროგრამის შედგენით და გაშვებით.</p>			
28	Stefan Hetzl, Tomer Libal, Martin Rienr and <u>Mikheil Rukhaia</u>	Understanding Resolution Proofs through Herbrand's Theorem	Automated Reasoning with Analytic Tableaux and Related Methods Conference; September 16-19, Nancy, France
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>კომპიუტერის მიერ ნაპოვნი მტკიცებები, როგორც წესი, ადამიანისათვის ძნელად გასაანალიზებელია. ამ სტატიაში ჩვენ წარმოგიდგინთ რეზოლუციური დამტკიცებების გაანალიზების გზას ჰერბრანდის თეორემის საშუალებით და ამ</p>			

მეთოდის პრაქტიკულ რეალიზაციას.საწყის ინფორმაციად ჩვენ ვიღებთ იმას, თუ რომელი თერმი რომელი კვანტორის ნაცვლად ჩაისვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: გაგრძობად ხეს. რეზოლუციური დამტკიცებიდან ასეთი ხის გამოთვლის შემდეგ, მომხმარებელს ეს ინფორმაცია მიეწოდება გრაფიკულ ინტერფეისში, რომელიც დამტკიცების სხვადასხვა ნაწილების გაშლისა და დაფარვის საშუალებას იძლევა.

ეს ინტერფეისი ძალიან კარგი საშუალებაა კომპიუტერის მიერ ნაპოვნი დამტკიცების საკვანძო ნაწილებზე ფოკუსირებისათვის. ამ სტატიაში აღწერილია მეთოდის თეორიული და რეალიზაციის მხარეები და მისი სარგებლიანობა ნაჩვენებია რამდენიმე მაგალითზე.

29	M. Svanadze	Boundary value problems in the theory of thermoviscoelasticity for Kelvin-Voigt materials with voids	Third International Conference on Material Modelling, 8-10 September, 2013, Warsaw, Poland
----	-------------	--	--

მოხსენების ანოტაცია:

გამოკვლეულია ბლანტი დრეკადობის წრფივი თეორიის მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანები კელვინ-ვოიგტის მასალებისათვის სიცარიელით. გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანების კლასიკური ამონახსნების ერთადერთობა. დადგენილია ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალების ძირითადი თვისებები. პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობის თეორემები.

30	Kirtadze A., Kasrashvili T.	Elementary Volume from the Measure-Theoretical View-Point	11 th International Conference on Geometry and Applications, 1-6 September, Varna, Bylgaria, 2013.
----	-----------------------------	---	--

მოხსენების ანოტაცია:

ჩამოყალიბებული იქნა ელემენტალური მოცულობები ინვარიანტული ზომის თეორიის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ ევკლიდეს სივრცის ყველა შემოსაზღვრულ ქვესიმრავლეთა კლასზე არ არსებობს არაუარყოფითი, ადიტიური, იზომეტრიული გარდაქმნების მიმართ ინვარიანტული მოცულობა, რომელი ერთეულოვან საკოორდინატო კუბზე ღებულობს ერთის ტოლ მნიშვნელობას. დამტკიცებულია, რომ კოში-ჰამელის ფუნქციებს შორის არსებობს ფუნქცია, რომელიც არაზომადია ნამდვილ რიცხვთა ღერძე ძვრების მიმართ ინვარიანტული ყველა იმ ზომის მიმართ, რომელიც არის ღებულის ზომის გაგრძელება.

31	K. Chargazia, G. Zimbardo, O. Kharshiladze	On the detection of a vortex chain in the Earth's magnetotail	EGU General Assembly 2013. April 7-12. Vienna, Austria.
----	--	---	---

მოხსენების ანოტაცია

მაგნიტოსფერულ გარემოში, კერძოდ მაგნიტოსფეროს კუდის არეში ხშირად დაიმზირება გრიგალები კოსმოსური თანამგზავრების მიერ. დიდმასშტაბიანი გრიგალური სტრუქტურების ზომები შეესაბამებიან ტურბულენტობის ინჟექციების

ზომას. ამიტომ მათი წარმოშობის მიზეზების გააზრება მნიშვნელოვანია გეოკოსმოსურ (ატმოსფერო, იონოსფერო, მაგნიტოსფერო) გარემოში ენერჯის გადაწვდის თვალსაზრისით. უახლეს ნაშრომში (Keiling et al., J. Geophys. Res., 114, A00C22 (2009), doi:10.1029/2009JA014114) TEMIS სალიტურმა მისიამ მაგნიტოსფეროს კუდში გამოავლინა გრიგალები, დაკავშირებული სუბშტორმით განპირობებული პლაზმის დინების სიჩქარის ძლიერ წანაცვლებასთან, რომელსაც გააჩნია შეუღლებული გრიგალები იონოსფეროში. TEMIS სალიტურმა მისიის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მაგნიტოსფეროს კუდში ძირითად გრიგალთან ერთად შესაძლოა გამოვლენილ იქნას სხვა გრიგალებიც, რომლებიც აფრომირებენ გრიგალურ ჯაჭვს. ანალიზებულ იქნა ორივე სიჩქარისა და მაგნიტური ველების მონაცემები C და D თანამგზავრებისათვის, ასევე მიღებულ იქნა შესაბამისი ჰოლოგრამები. ნაჩვენებია, რომ მაგნიტოსფეროს კუდში შესაძლებელია როგორც მონოპოლური, ასევე დიპოლური გრიგალების გამოვლენა. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგები შედარებულია წანაცვლებით დინებებში გრიგალების ფორმირების რიცხვით სიმულაციებთან და ისინი კარგ თანხვედრაში არიან.

32	Kharshiladze Oleg, <u>Chargazia, Khatuna.</u>	Generation, intensification and self-organization of internal-gravity wave structures in the ionosphere with shear flow	12th Scientific Assembly, Mexico, Merida, p43, August 26-31, 2013.
----	--	---	--

მოსხენების ანოტაცია

შესწავლილია შიდა გრავიტაციული (შგტ) ტალღების გენერაციის, ინტენსიფიკაციის წრფივი მექანიზმი და შემდგომი არაწრფივი დინამიკა უწყვეტად სტრატოფიციურ დისიპაციურ იონოსფეროში არაერთგვაროვან ზონალურ ქართან (წანაცვლებით დინებასთან) ურთიერთქმედებისას. წანაცვლებითი დინებებისას წრფივ ამოცანაში შემავალი ოპერატორები არ არიან თვითშეუღლებული და შესაბამისი საკუთარი ფუნქციებიც არ არიან ორთოგონალური. ამიტომ კანონიკური მოდალური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ასეთი ტიპის მოძრაობების შესასწავლად. ნაჩვენებია, რომ ევოლუციის საწყის წრფივ სტადიაზე შგტ შემოფოთებები ეფექტურად იღებენ ენერჯიას წანაცვლებითი დინებიდან და მნიშვნელოვნად (თითქმის ერთი რიგით) ზრდიან საკუთარ ამპლიტუდას და ენერჯიას. ამპლიტუდის ზრდასთან ერთად ირთვება არაწრფივი მექანიზმი და პროცესი სრულდება არაწრფივი განმხოლოებული, ძლიერად ლოკალიზებული შგტ გრიგალური სტრუქტურების წარმოქმნით (მონოპოლი, გრიგალების ჯაჭვი, გრიგალების ქუჩა). ამ გრიგალებს შეუძლია განაპირობოს ძლიერად ტურბულენტური მდგომარეობა იონოსფეროში.

33	Oleg Kharshiladze, <u>Khatuna Chargazia</u>	Dynamics of Ultra Low Frequency Electromagnetic Waves at Interaction with Shear Flows in the Ionosphere	European Planetary Science Congress 2013 08 – 13 September 2013, London, United Kingdom
----	--	---	---

მოსხენების ანოტაცია

შესწავლილია უღს პლანეტარული ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაცია და შემდგომი დინამიკა მბრუნავ დისიპაციურ იონოსფეროში ერთგვაროვანი ქარების (წანაცვლებითი დინებების) არსებობისას. პლანეტარული უღს ტალღები ჩნდებიან გარემოს სივრცით არაერთგვაროვან მაგნიტურ ველთან ურთიერთქმედების შედეგად. გამოვლენილია დიდმასშტაბიანი დამაგნიტებული როსბის ტიპის ტალღების გაძლიერების და მცირე მასშტაბიანი ინერციულ ტალღებად ტრანსფორმაციის ეფექტური მექანიზმი. ამოცანა გადაჭრილია არამოდალური მათემატიკური მეთოდის შესაძლებლობების გამოყენებით. რიცხვითი სიმულაციების

<p>მეშვეობით გამოვლენილია ტალღების ფონურ დინებებთან ურთიერთქმედების და ტალღური შეშფოთებების ურთიერთ ტრანსფორმაციის თავისებურებანი იონოსფეროში.</p>			
34.	<p><u>T.D. Kaladze,</u> <u>L.Z. Kahlon,</u> <u>L.V. Tsamalashvili</u></p>	<p>Nonlinear interaction of the Rossby-Khantadze electromagnetic waves with the shear zonal winds in the ionospheric E-layer</p>	<p>International Scientific Spring 2013 (ISS-2013, National Centre for Physics, March 11-15, Islamabad, Pakistan, 2013).</p>
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>სუსტ იონიზირებულ იონოსფეროს E – შრეში გამოკვლეულია როსბი-ხანთაძის ელექტრომაგნიტური პლანეტარული ტალღების არაწრფივი დინამიკა.</p>			
35.	<p>Nino Khatiashvili</p>	<p>On the effective solutions of the nonlinear Schrödinger equation</p>	<p>Physics and Mathematics of the nonlinear Phenomena, 17-29 June, University of Sallento, Italy</p>
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია კუბური არაწრფივობის შრედინგერის განტოლება უსასრულო არეში. განტოლება მიყვანილია არაწრფივ კერძოწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე და შესწავლილია ამ სისტემის სოლიტონური ტიპის ამონახსნები. ახალი უსასრულობაში ქრობადი ფუნქციების შემოტანის გზით, რომელთა მეხუთე ხარისხი უსასრულოდ მცირეა, სისტემა მიყვანილია არაწრფივ ელიფსური ტიპის განტოლებაზე. ეს განტოლება ამოხსნილია ანალიზურად. ამრიგად, მიღებულია შრედინგერის არაწრფივი განტოლების არატრივიალურ ამოხსნათა ახალი კლასი, რომლებიც აღწერენ სიმეტრიულ სოლიტონებს. პროგრამა MAPLE გამოყენებით ამოხსნები წარმოდგენილია გრაფიკული სახით.</p>			
36.	<p>Nino Khatiashvili</p>	<p>On the Stokes flow over ellipsoidal type bodies</p>	<p>World Congress on Engineering, 3-5 July, Imperial College, London</p>
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია სტოქსის ნაკადი დერძ-სიმეტრიული სხეულების გასწვრივ მილში. სითხის დინება აღწერილია სტოქსის დერძ-სიმეტრიული სისტემით შესაბამისი საწყის-სასაზღვრო პირობებით რეინოლდსის რიცხვის მცირე მნიშვნელობისთვის. სხვადასხვა შემთხვევისთვის მიღებულია ეფექტური ამონახსნები. გამოთვლილია გადაადგილების ძაბვები და სიჩქარე. აგებულია სიჩქარის პროფილისა და გადაადგილების ძაბვების გრაფიკები.</p>			

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის 2013 წლის

სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

საკონტაქტო ინფორმაცია: პოლიტოვსკაიას ქ. №5

ტელ: 233 00 75, E-mail: tsutsunava@yahoo.com

შესავალი

2013 წელს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტში ირიცხებოდა 51 მეცნიერთანამშრომელი, მათ შორის 13 მეცნიერებათა დოქტორი (2 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და 3 ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), 24 მეცნიერებათა კანდიდატი/აკადემიური დოქტორი და 7 დოქტორანტი.

საანგარიშო წელს ინსტიტუტში 5 სამეცნიერო განყოფილებაში მუშავებოდა 17 სამეცნიერო პროგრამა, 3 საერთაშორისო და 3 შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი. ინსტიტუტის სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა 3 მონოგრაფია, 23 სტატია, 1 საქართველოს ტექტონიკური რუკა (1:500 000) და 37 თეზისი. ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ 37 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებში.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება – ტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიისა და სეისმოტექტონიკის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –აკადემიკოსი ე. გამყრელიძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: მთ. მეცნ.–თანამშრ. ფ.მაისაძე; უფრ.მეცნ. თანამშრომლები: თ.გიორგობიანი, ლ.ბაშელეიშვილი, გ.ნადარეიშვილი; მეცნ. თანამშრომლები: გ.მაისურაძე, თ.წამალაშვილი.

არასამეცნიერო პერსონალი: მთ. სპეციალისტი თ.კობიაშვილი, სპეციალისტი ე.ახმეტელი, ლაბორანტები ნ.თევდორაშვილი, გ.ნაცვლიშვილი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის

შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

2	მიმდინარე სამუშაოების დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	პროგრამა 1. საქართველოსა და კავკასიის გეოლოგიური ევოლუცია და კონტინენტური ქერქის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები. (2013-2018 წწ.)	ე.გამყრელიძე	ე.გამყრელიძე ფ.მაისაძე, გ.ნადარეიშვილი, გ.მაისურაძე
	პროგრამა 2. სხვადასხვა ასაკის, რიგის, მორფოლოგიისა და გენეზისის ტექტონიკური სტრუქტურების წარმოშობის მექანიზმის კვლევა. (2007–2014 წწ.)	ე.გამყრელიძე	ე.გამყრელიძე თ.გიორგობიანი ლ.ბაშელეიშვილი თ.წამალაშვილი
	პროგრამა 3. დედამიწის ქერქის უახლესი (ნეო-ტექტონიკური) და თანამედროვე მოძრაობების ხასიათისა და სიჩქარის დადგენა საქართველოს ტერიტორიაზე. (2007–2014წწ.)	ე.გამყრელიძე	ე.გამყრელიძე

მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

პროგრამა 1. უკანასკნელი 4 ათეული წლის განმავლობაში გეოლოგიასა და გეოფიზიკაში შეიქმნა შეხედულებათა ახალი სისტემა, რომელიც თანდათან გადაიზარდა თანამედროვე გეოლოგიურ თეორიაში ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის სახელწოდებით. ახალმა გეოლოგიურმა თეორიამ განაპირობა სრულიად ახალი პრობლემატიკის გაჩენა ცალკეული რეგიონების, მათ შორის კავკასიის, გეოლოგიური აგებულებისა და ევოლუციის კვლევაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა კავკასიის რეგიონის კვლევაში აქვს აგრეთვე უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში დადგენილ დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალურ ტექტონიკურ განშრევებას. გამოირკვა, რომ დედამიწის წიაღში მიმდინარე პროცესების განხილვისას აუცილებელია ზემოთ მოყვანილი ორი ძირითადი კონცეფციის სინთეზი: ფილების ტექტონიკის თეორიისა, რომელიც განმსაზღვრელობს ასრულებს დედამიწის გარე გარსების დინამიკაში, და ლითოსფეროს ჰორიზონტალური განშრევების კონცეფციისა. ამგვარი სინთეზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მაგმატიზმისა და რეგიონული მეტამორფიზმის პროცესების განხილვისას, რომლებიც ტექტონიკურ პროცესებთან ერთად დედამიწის სიღრმული აქტიურობის ერთიანი პროცესის უშუალო შედეგს წარმოადგენს. სწორედ ასეთ ასპექტში განიხილება აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული საქართველოსა და მომიჯნავე რეგიონების გეოლოგიური და გეოდინამიკური ევოლუცია.

მიმდინარე წელს შედგენილ იქნა საქართველოს ტექტონიკური რუკა (1:500 000), რომელზეც დატანილია სხვადასხვა ასაკის ნაოჭა კომპლექსები, ტექტონიკური დისლოკაციები მათი კინემატიკის ჩვენებით; რუკაზე გამოსახულია აგრეთვე სხვადასხვა გეოლოგიური ჰორიზონტების განლაგების ზასიათი სტრატოიზიფსების საშუალებით, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რუკაზე ჩანართის სახით მოცემულია კავკასიის მეზოზოურ -კაინოზოური დროის გეოდინამიკური პირობები. ერთდ, ნაჩვენებია განაპირა ზღვის, კუნძულთა რკალშიგა და მიკროკონტინენტური გეოდინამიკური პირობები. განხილულია საქართველოს გეოლოგიური აგებულება და ფანეროზოური დროის გეოდინამიკური ევოლუცია.

საქართველოსთვის პირველადია განსაზღვრული კაინოზოური ოროგენული ფაზისების ხანგრძლივობა. რეგრესიული ნალექების ასაკისა და გეოქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ამ პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1 მონოგრაფია, 1 სტატია და საქართველოს ტექტონიკური რუკა (1:500 000).

პროგრამა 2. შედგენილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე ტექტონიკურ ძაბვათა ვექტორების ორიენტაციის რუკა. კერძოდ, პირველი და მეორე რანგის მაქსიმალური სუბ-ჰორიზონტალური კუმშვის დერძების ორიენტაცია. ამ მონაცემებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიის სეისმური უსაფრთხოების შეფასებისთვის. (იხ. საქართველოს ტექტონიკური რუკა).

აღწერილია ქართლ-კახეთის რეგიონში განლაგებული მტკვრის მთათაშუა დეპრესიის ზედა და შუა მონაკვეთის სტრატეგრაფია და ტექტონიკა. გეოფიზიკური მონაცემების გამოყენებით დახასიათებულია მათი სიღრმული გეოლოგიურ-სტრუქტურული აგებულების თავისებურებანი.

მოცემულია ტექტონოფაციესური ანალიზის მეთოდის მოკლე დახასიათება, რომელიც წარმოადგენს მორფოლოგიური ტექტონიკის ახალ თანამედროვე მოდიფიკაციას და გამოიყენება სხვადასხვა მასშტაბის სტრუქტურული და ტექტონიკური რუკების შესადგენად.

ჩატარებულია საქართველოს ზოგოერთი რეგიონის ტექტონიკური სტრუქტურების ანოლოგიური მოდელირება ექვივალენტურ მასალებზე და გაანალიზებულია შედეგები.

პროგრამა 3. GPS –ს ტექნოლოგიის საშუალებით განსაზღვრული მონაცემების საფუძვე-

<p>ლზე დადგენილია, რომ ამჟამად ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიის აქტიურ კოორდინაციულ შეკუმშვას მერიდიანული მიმართულებით და, ამასთან ერთად, საქართველოს ბელტის და გაგრა-ჯავის ზონის ქვეცოცებას (ალპინოტიპური სუბდუქცია) კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვეშ. ამ მონაცემებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიის სეისმური რისკის შეფასებისთვის.</p>

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კავკასიის ტექტონიკა	შვეიცარიის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდი SCOPEs no IZ73ZO_1.27933	ე.გამყრელიძე	ე.გამყრელიძე, კ.ქოიავა, ლ.შუბითიძე
დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)				
შედგენილია კავკასიის 1:100 000 ტექტონიკური რუკის მაკეტი, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს ტექტონიკური რუკის (რედ. ე.გამყრელიძე) ლეგენდის შინაარსი.				
	მიმდინარე პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ადმოსავლეთ საქართველოს დრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება. (2013-2016 წწ.)	საქართველოს რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნ. ფონდი	ნ. ასლანიკაშილი (კმნი)	მ.თოფჩიშვილი, გ.ნადარეიშვილი
მიმდინარე პროექტის ეტაპის შედეგები (ანოტაცია)				
დამუშავებულია საქართველოს იურული და ცარცული დანალექი საფარის სტრატეგრაფია.				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.გამყრელიძე (თანაავტორი)	საქართველოს გეოგრაფია	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	324

2	თ.გიორგობიანი (თანაავტორი)	ქართლ-კახეთის სიღრმული გეო- ლოგიური აგებულება გეოფიზიკური მონაცემებით (რუსულ ენაზე)	თბილისი “ვი აი პი პრინტი”	149
ანოტაციები				
<p>1. წიგნი 2012 წელს შექმნილი „საქართველოს ეროვნული ატლასის“ გეოგრაფიული ნაწილის ტექსტობრივი ილუსტრაციის როლს ასრულებს. მაში განხილულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, გეოლოგიური აგებულება და განვითარება, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება; წარმოდგენილია არსებული რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემები.</p> <p>2. მონოგრაფიაში აღწერილია ქართლ-კახეთის რეგიონში განლაგებული მტკვრის მთათაშუა დეპრესიის ზედა და შუა მონაკვეთის სტრატეგრაფია და ტექტონიკა. გეოფიზიკური მონაცემების გამოყენებით დახასიათებულია მათი სიღრმული გეოლოგიურ-სტრუქტურული აგებულების თავისებურებანი.</p>				

დ) სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნა- ლის/ კრებუ- ლის ნომერ- ი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჟერდჟ- ბის რაოდენ- ობა
1	ე.გამყრელიძე (თანაავტორი)	საქართველოს ტექტონიკური რუკა (1:500 000) (ქართ. და ინგლ. ენებზე)		თბილისი “მერიდიანი”	
2	ფ.მაისაძე	კაინოზოური ოროგენული ფაზისების ხანგრძლივობა (ინგლ. ენაზე) საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მოამბე	ტ. 7, № 2	თბილისი, მეცნ. აკადემიის გამომცემლობა	97-104
3	ლ.ბაშელეიშვილი (თანაავტორი)	ნატურალური და მოდელირებული ტექ- ტონიკური სტრუქტურების იდენტიფი- კაცია საქართველოს ზოგიერთი რეგი- ონის მაგალითზე” (რუსულ ენაზე). „საქართველოს ნავთობი და გაზი,,	№28	თბილისი, სტუ-ს გამომ- ცემლობა	29-35
4	ლ.ბაშელეიშვილი (თანაავტორი)	გეოფიზიკური მონაცემების გეოლოგიუ- რი ინტერპრეტაცია და აღმოსავლეთ საქართველოს სიღრმული აგებულება (რუსულ ენაზე). ჟურნალი – “ენერჯია”	№1.65	თბილისი, სტუ-ს გამომ- ცემლობა	91-94

ანოტაციები

1. რუკაზე მოცემულია სხვადასხვა ასაკის ნაოჭა კომპლექსები, ტექტონიკური დისლოკაციები (რღვევები, ნაოჭები) მათი კინემატიკის ჩვენებით; რუკაზე გამოსახულია აგრეთვე სხვადასხვა გეოლოგიური ჰორიზონტების განლაგების ზასიათი სტრატოზოჰიფსების საშუალებით, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რუკაზე ჩანართის სახით მოცემულია კავ-

კასიის მეზოზოურ-კაინოზოური დროის გეოდინამიკური პირობები. კერძოდ, ნაჩვენებია განაპირა ზღვის, კუნძულთა რკალშიგა და მიკროკონტინენტური გეოდინამიკური პირობები.

2. რეგრესიული ნალექების ასაკისა და გეოქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოსთვის პირველადაა განსაზღვრული კაინოზოური ოროგენული ფაზისების ხანგრძლივობა.

3. ჩატარებულია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ტექტონიკური სტრუქტურების ანალოგიური მოდელირება ექვივალენტურ მასალებზე და გაანალიზებულია შედეგები.

4. გეოფიზიკური მასალების გეოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს სიღრმეული აგებულება. კრიტიკულად არის განხილული ზოგიერთი ახალი რეგიონული ჭრილი.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

2) საერთაშორისო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.გამყრელიძე, ო.დუდაური და სსვ.	საქართველოს გრანიტოიდების ფორმირების ეტაპები და პირობები (რუსულ ენაზე)	27 მაის-1 ივნისი კიევი (უკრაინა)
2	ე.გამყრელიძე, ფ.მაისაძე	ალპურ-ხმელთაშუაზღვის სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუციის ძირითადი ეტაპები (ინგლ. ენაზე)	07-12 აპრილი, ვენა (ავსტრია)
3	(თანაავტორები) ფ.მაისაძე	კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ეოცენურ მოვლენათა ნალექების ფორმირება (რუსულ ენაზე)	28 –31.10.2013 ნოვოსიბირსკი
4	თ.გიორგობიანი (თანაავტორი)	კავკასიონის და მიმდებარე ამიერკავკასიის უახლესი და თანამედროვე ტექტონიკა (ინგლ.ენაზე)	29 აგვ-3 სექტ. თბილისი
5	ბაშელეიშვილი	კავკასიის მთათაშუა მასივის ბლოკური სტრუქტურის კინემატიკისა და მორფოგენეზისის ახლებური ინტერპრეტაცია (ინგლისურ ენაზე)	25-30 აგვისტო ფლორენცია (იტალია)
6	ბაშელეიშვილი	კავკასიისა და თურქეთის მძლავრი მიწისძვრების სეისმოდისლოკაციური პროცესის შედარებითი ანალიზი (ინგლისურ ენაზე)	8-9 ივლისი, ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)
7	ბაშელეიშვილი	სეისმოდისლოკაციური პროცესის შედარებითი ანალიზი (ინგლ. ენაზე)	29-3 აგვ.-სექტ. თბილისი
8	გ.მაისურაძე (თანაავტორი)	ყაზბეგის რეგიონის პოლოცენური ვულკანიზმი (ინგლ. ენაზე)	29-3 აგვ.-სექტ. თბილისი
<p style="text-align: center;">მომხსენებათა ანოტაციები</p> <p>1. განხილულია საქართველოს გრანიტოიდების ფორმირების ეტაპები და პირობები ფანეროზოურ დროში.</p> <p>2. განხილულია კავკასიის გეოდინამიკური ევოლუციის ძირითადი ეტაპები და მასთან დაკავშირებული მოვლენები ფანეროზოურ დროში.</p> <p>3. განხილულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გავრცელებული ზედაეოცენური ოლისტო-</p>			

სტრომების (მოვლენათა ნაღვეების) წარმოშობის პალეოგეოგრაფიულ-ტექტონიკური პირობები.

4. განხილულია კავკასიონის და მიმდებარე ამიერკავკასიის უახლესი და თანამედროვე ტექტონიკის გამოვლენის კანონზომიერებანი, რომლებიც მათი კოლიზიის ზონის სეისმურ აქტივობას განაპირობს.

5. ახლებურად არის წარმოდგენილი ამიერკავკასიის მთათაშუა როფის ბლოკური სტრუქტურის კინემატიკა და მორფოგენეზისი განედურ ჭრილში.

6. კავკასიისა და თურქეთის რეგიონის ბოლო დროის ყველაზე მძლავრი მიწისძვრების სეისმოდისლოკაციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დგინდება აღნიშნული პროცესის რიგი თავისებურებანი.

7. გაანალიზებულია მიწისძვრებთან დაკავშირებული სეისმოდისლოკაციური პროცესების ძირითადი ასპექტები.

8. აღწერილია სტრატოტიპული ჭრილი ჰოლოცენისათვის ყაზბეგის რაიონში, სადაც განამარხებული ტყის ნიმუშების ნახშირბადის მეთოდით დათარიღება ადასტურებს ყაზბეგის მასივზე ვულკანების აქტიურობას 6000 წლის წინ.

შენიშვნა: აღნიშნულის გარდა გაყოფილების თანამშრომლების მიერ გამოაქვეყნებულია 3 სტატია, რომლებიც ზემოთაღნიშნულ თემებს არ შეეხება:

1. განადარეიშვილი – განთიადის ჯგუფის ექსტრუზივების ეოლოგიური აგებულება, მისი მინის მრეწველობაში გამოყენების თვალსაზრისით. თბილისი, “სამთო ჟურნალი”, 2(31), 17-23.
2. თ.გიორგობიანი (თანაავტორი) – აკადემიკოს ე. პატალახას 80 წლისთავი (რუს. ენაზე). აღმა-ათა, ყაზახეთის მეცნ. ეროვნული აკადემიის მოამბე, №2, 102-104.
3. თ.გიორგობიანი (თანაავტორი) – ე. პატალახა (დაბადების 80 წლისთავი), (რუს. ენაზე). კიევი, “უკრაინის გეოლოგი”, №2, 145-146.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიის და ლითოლოგიის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: მთ. მეცნ. თანამშრომელი, აკადემიკოსი დ. შენგელია

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: მთ. მეცნ. თანამშრომელი თ. წუწუნავა; უფრ. მეცნ. თანამშრომლები: ვ.გუგუშვილი, ე.ვარიმასშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლაშა შუბითიძე; მეცნიერ-თანამშრომლები: ქ.ჩხელიძე, ქ.თედლიაშვილი, ნ.გაგნიძე, ნ.ფოფხაძე, თ.ბერიძე, ნ.მაისურაძე, ქ.ვარდანაშვილი.
 არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი მ.კავსაძე, ლაბორანტი გ. ბერიძე.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	მიმდინარე სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	პროგრამა 4. კავკასიის მაგმური და მეტამორფული ქანების პეტრომინერალოგიუ-	დ.შენგელია	დ.შენგელია, თ.წუწუნავა, ვ.გუგუშვილი, ე.ვარიმასშვილი, გ. ჭიჭინაძე,

რი კვლევა; დანალექი, ვულკანური და ვილკანოგენ-დანალექი წარმონაქმნების სედიმენტაციურ –ლითოლოგიური შესწავლა (2006-2014წწ.)		ქჩიხელიძე, ლ.შუბითიძე, ქთედლიაშვილი, ნ.გაგნიძე, ნ.ფოფხაძე, თ.ბერიძე, ნ.მაისურაძე, ქვარდნაშვილი
მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)		
<p>დადგენილია საქართველოს და მისი მომიჯნავე ტერიტორიების მეტამორფული, მაგმური, ვულკანური და დანალექი ქანების ფორმირების ზოგიერთი თავისებურებები და წარმოშობის ხასიათი, რასაც ფუნდამენტური და პრაქტიკული ღირებულებები აქვს. კერძოდ, განხილულია შავი ზღვა - ცენტრალური ამიერკავკასიის ტერენის ალპურისწინა კრისტალური სუბსტრატის ამგები ქანების ურთიერდამოკიდებულება, ასაკი და ფორმირების პირობები. ნაჩვენებია, რომ რეგიონული მეტამორფიზმისა და გრანიტწარმოშობის ძირითადი ეტაპები დაკავშირებული იყო გრენვილურ, ბაიკალურ, გვიანბაიკალურ და ვარისკულ ოროგენეტურ ეპოქებთან. თექტოგენეზის ეს ეტაპები და შესაბამისი ენდოგენური აქტიურობა, რომლებიც ადრე დადგენილი იყო ძირითადად გეოლოგიური მონაცემებით, მთლიანად დასტურდება ცირკონების LA ICPMS U-Pb მეთოდით დათარიღებით. შესრულებული კვლევები არსებითად ავსებს შავი ზღვაცენტრალური ამიერკავკასიის კრისტალური სუბსტრატის იზოტოპურ-გეოქრონოლოგიურ მონაცემებში არსებულ ხარვეზს და მნიშვნელოვნად აზუსტებს ალპურისწინა ენდოგენური პროცესების ასაკს.</p> <p>მოცემულია საქართველოში კავკასიონის კიდურა ზღვის ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ფორმაციის ლითოსტრატოგრაფიული კვლევის შედეგები. დადგენილია აუზში ფლიშური სედიმენტაციის ევოლუცია და მასთან დაკავშირებული ლითოგენეზისის პროცესები. შესწავლილია საკვლევი რეგიონის ფლიშურ ნალექებში დიაგენეზისისა და კატაგენეზისის სტადიებზე მიმდინარე პროცესები.</p> <p>მოყვანილია ახალი მონაცემები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეტალთა საბადოების და მათი შემცველი წყებების ასაკების შესახებ. განხილულია მადნეული საბადოს შემცველი ქანებისა და მათი წყებების სტრატოგრაფიული დანაწილების პრობლემები. დახასიათებულია ამ წყებების სედიმენტაციური თავისებურებების ანალიზი და მათი კავშირი ვულკანიზმთან. სავლელ პეტროგრაფიული და გეოქიმიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ლითოფაციური ერთეულები. მოყვანილია მადნეული საბადოს ამგები ველკანოგენურ-დანალექი და ვულკანური ქანების ტექსტურული თავისებურებანი. მოცემულია მადნეული საბადოს შემცველი წყებების ევოლუციური მოდელი ცარცულ დროში.</p> <p>კვლევის მიმდინარე ეტაპზე შესრულებული სამუშაოებიდან რიგ მათგანს პრაქტიკული ღირებულება აქვს. კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ზედაიურულ-ცარცული ფორმაციის ფლიშური წარმონაქმნების შესწავლას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან მათთან დაკავშირებულია ნაირგვარი სასარგებლო წიაღისეული; 2. მადნეულის საბადოს ფარგლებში ჰიდროთერმული პროცესების შეწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მადანწარმოშობას თან ახლავს მადანმომიჯნავე პროცესიც. გაირკვა, რომ მადანმომიჯნავე მეტასომატიტები მადნის საძიებო ნიშანს წარმოადგენს; 3. კლიჩისგაბრო-ლიორიტული ინტრუზივის ეპოქონტაქტში განვითარებული ამკვრივი, მასივური, მეტამორფიტები ხასიათდება საუკეთესო ქარვით. ამ ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის შედეგად დასაბუთებულია მათი გამოყენების პერსპექტივა მოსაპირკეთებელ ფილებად. 		

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.ვარსიმაშვილი	კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ აუზის ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ფორმაციის ლითოლოგია და პოტსედიმენტაციური გარდაქმნები (საქართველოს ფარგლებში)	თსუ-ს აღ.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, ნაკვეთი 126	168
ანოტაცია				
<p>მოცემულია საქართველოს ფარგლებში კავკასიონის კიდურა ზღვის ზედაიურულ-ცარცული ფლიშური ფორმაციის ლითოსტრატოგრაფიული კვლევის შედეგები. დადგენილია აუზში ფლიშური სედიმენტაციის ევოლუცია და მასთან დაკავშირებული ლითოგენეზის პროცესები. შესწავლილია საკვლევი რეგიონის ფლიშურ ნალექებში დიაგენეზისა და კატაგენეზის სტადიებზე მიმდინარე პროცესები.</p>				

ბ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ.თედლიაშვილი	„ხრამის კრისტალური მასივის კამბრიულისწინა რეგიონული მეტამორფიზმის პეტროგენული მოდელი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	ტომი 7, №3	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	11-22

ანოტაცია

გეოთერმობარომეტრების, საყრდენი მინერალური პარაგენეზისეების, ასევე სტანდარტული პეტრომინერალოგიური სქემების გამოყენებით შეფასებულია ხრამის კრისტალური მასივის პოლიციკლური რეგიონული მეტამორფიზმის PT პირობები. წარმოდგენილია რეგიონული მეტამორფიზმის პეტროგენული მოდელი.

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქ.თედლიაშვილი	„ახალი მონაცემები ხრამის კრისტალური მასივის (კავკასია) ალპურისწინა კონტინენტური ქერქის ფორმირების ეტაპების შესახებ“. დოკლადი აკადემიი ნაუკ	ტომი 453, №5	მოსკოვი. რუსეთის მეცნ. აკადემია	50-55

ანოტაცია

დადგენილია ხრამის კრისტალური მასივის ალპურისწინა სუბსტრატის პლუტონურ-მეტამორფული ევოლუციის მრავალსტადიურობა. დახასიათებულია ვარისკული (320-330 მლნ. წელი) და გრენვილური ეტაპის (900-1000 მლნ.წელი) ტექტონოთერმული აქტივობა.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) ადგილობრივი

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ფოფხაძე	ძირითადი ვულკანოგენურ-დანალექი ფაციესური ერთეულები მადნეულის პოლიმეტალურ საბადოზე	თსუ, 2013 წ. 22-25 იანვარი, თბილისი

მომხსენების ანოტაცია

მადნეული საბადოს შემცველი ვულკანური ქანების დეტალური ლითოფაციალური ანალიზის საფუძველად მოცემულია კარიერზე არსებული ყველა შესაძლო საფეხურის დეტალური აღწერა. ნაჩვენებია, რომ ვულკანური კომპლექსის წარმოშობას თან მოჰყვა ფლუიდები, რამაც გამოიწვია გამადნება.

2) საერთაშორისო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.გამყრელიძე, დ.შენგელია, ფ.მაისაძე, თ.წუწუნავა	ალპურ-ჰიმალაური მოძრავი სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუცია	07-12-2013, ვენა, ავსტრია
2	ო.დუდაური, ე.გამყრელიძე, დ.შენგელია, თ.წუწუნავა, მ.ტოგონიძე, გ.ჭიჭინაძე	საქართველოს გრანიტოიდები ფორმირების პირობები და ეტაპები	27.05-01.06 2013, კიევი, უკრაინა
3	დ.შენგელია, თ.წუწუნავა, გ.ჭიჭინაძე, ქ.ვარდანაშვილი, ნ.მაისურაძე	კავკასიონის ტერეინის იაღბუზის და საუ- დელტეხილო სუბტერეინების ვარისკული რეგიონული მეტამორფიზმის და მაგმატიზ- მის შედარებითი დახასიათება	29.08-03.09-2013, თბილისი
4	ქ.თედლიაშვილი	ახალი მონაცემები ხრამის კრისტალური მასივის ალპურისწინა წარმონაქმნების შესახებ	14-15.11-2013. ბაქო, აზერბეიჯანი
5	გ.ბერიძე	ალანტი ხრამის კრისტალური მასივის (საქართველო) გვიანგარისკულ გრანიტებში	14-15.11-2013. ბაქო, აზერბაიჯანი
6	ქ.ვარდანაშვილი	ახალი მონაცემები კლიჩის (კავკასიონი) გაბრო-დიორიტული ორთოგნეისების შესახებ	14-15.11-2013. ბაქო, აზერბაიჯანი
7	ლ.შუბითიძე, გ.ბერიძე, ქ.თედლიაშვილი	ძირულისა და ხრამის კრისტალური მასივების (საქართველო) ალპურისწინა წარმონაქმნების შედარებითი დახასიათება	29.08-03.09-2013, თბილისი
8	თ.ბერიძე, ს.ხუციშვილი, ნ.ფოფხაძე, ლ.დოლიაშვილი	მადნეულის Cu-Au შემცველი ცარცული ქანების სედიმენტაციური თავისებურებანი –კრიტერიუმები სტრატეგრაფიული კორელაციებისა და აუზის ანალიზისათვის	16-18.04.2013. თბილისი
9	ნ. ფოფხაძე, რ. მორიცი, ს.ჯიალი, ვ.გუგუშვილი, თ.ბერიძე, ს. ხუციშვილი.	მადნეულისსაბადოსშემცველიქანებისგეოლ ოგიურიგარემოსაღდგენისფულკანურსედიმენ ტაციურითავისებურებანი	16-18.04.2013. თბილისი
10	რ.მორიცი, ი.მედეარი, მ.ოვჩაროვა, ს.ჯიალი, პ.პემონი, ნ.ფოფხაძე, თ.ბერიძე, ვ.გუგუშვილი, რ.მელკონიანი, რ.ტაიანი, ს.ნოვაკიმიანი, ვ.რამაზანოვი, დ.სელბი	მცირეკავკასიონისგეოდინამიკური და მეტალოგენურიევოლუცია: ახალიმონაცემები და პრობლემები	16-18.04.2013. თბილისი

11	ლ.დოლიაშვილი, თ.ბერიძე, ს.ხუციშვილი	მადნეულისოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური საბადოს შემცავ ცარცულ ვულკანოგენურ-დანალექი წყების სტრუქტურული თავისებურებები, სტრატиграფიულ-კორელაციების და ფაციალური ანალიზის კრიტერიუმები	14-15.11-2013. ბაქო, აზერბეიჯანი
12	ნ.ფოფხაძე, რ.მორიცი, ს.ჯიალი, თ.ბერიძე, ვ.გუგუშვილი, ს.ხუციშვილი	ბოლნისის რაიონის მადნეულის პოლიმეტალური საბადოს მთავარი ვულკანო-სედიმენტური ფაციესების ტიპები და მათი დალექვის გარემო	12-15.08-2013. უბსალა, შვედეთი
13	ს.ჯიალი, რ.მორიცი, ნ.ფოფხაძე, მ.ოვხაროვა, ვ.გუგუშვილი, ჯ.შფანგერბერგი	მადნეულისპოლიმეტალურისაბადო, (საქართველო): წყალ-ქვეშაჰიდროთერმულსისტემაშიმაგურიინიშნებისმტკიცებულებები დაახალირადიომეტრიულიასაკი	16-18 აპრილი, 2013
14	ა.ოქროსცვარიძე, კ.აქიმიძე, ნ.გაგნიძე, გ.ბოიჩენკო	კავკასიონის კახეთის სეგმენტის მადნიანი მინერალიზაციის ზონები, საქართველო	29.08 – 03.09.2013 , თბილისი
15	ა.ოქროსცვარიძე, ე.კილასონია, ნ.გაგნიძე	ვარძისქალაქი – გამოქვაბული და ბოჭკოვანიცეოლითებითგამოწვეულიგარემოსპრობლემები	12-19 ოქტომბერი, 2013, თბილისი
16	ა.ოქროსცვარიძე, ზ.ჯავახიშვილი, დ.ბლუაშვილი, ნ.გაგნიძე	კოლხეთისსამეფოს (უძველესი საქართველო) მითური “ოქროს ქვიშების” სავლელე გამოკვლევა და არგონავტების ექსპედიციის დანიშნულება	12-19 ოქტომბერი, 013, თბილისი
17	ვ.გუგუშვილი; დ.ჯავახიძე; მ.კეკელია; ი.შავიშვილი	ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური (საკუთრივ სულფიდური) და არასულფიდური ოქროს გამადნება გეოდინამიკური განვითარების გვიანსუბდუქციურ სტადიაზე ბოლნისის მადნიანი რაიონის ვულკანურ აქტივობასთან კავშირში	16-18.04.2013. თბილისი

მოსხენებათა ანოტაციები

1. ალპურ-ჰიმალაური მოძრავი სარტყლის კავკასიის სეგმენტის გეოდინამიკური ევოლუცია განხილულია ტექტოგენეზის გრენვილურ, ბაიკალურ, გვიანბაიკალურ, ბრეტონულ, სუდეტურ, ინდოსინიურ და ბათურ ფაზისების გამოვლინების პროცესებთან დაკავშირებით. იგი, გარდა გეოლოგიური მონაცემებისა, დაფუძნებულია ცირკონების LA ICP MS U-Pb მეთოდით გაზომვების მონაცემებზე.

2.დახასიათებულია საქართველოს ფარგლებში კავკასიონის, შავი ზღვა-ცენტრალური ამიერკავკასიის და ბაიურთ-სევანი ტერეინებზე განვითარებული გრანიტოიდები. ნაჩვენია, რომ სუპრასუბდუქციური გრანიტწარმოშობა დაკავშირებულია ტექტოგენეზის გრენვილურ, ბაიკალურ, გვიანბაიკალურ, ბრეტონულ, სუდეტულ და ბათურ ფაზისებთან. დაც, დადგენილია გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე და დასბუთებულია თანამედროვე იზოტოპურ-გეოქრონოლოგიური მონაცემებით.

3. ბრეტონული რეგიონული მეტამორფიზმი კავკასიონის ტერენის იალბუხისა და საუღელ-ტეხილო სუბტერეინებზე ერთნაირ PT პირობებში მიმდინარეობდა. სუდეტური რეგიონული მეტამორფიზმი განვითარებულია მხოლოდ იალბუხის სუბტერეინის ფარგლებში. ბრეტონული მაგმატიზმი დაფიქსირებულია იალბუხის სუბტერეინზე. ანსხვავებულია ორივე სუბტერეინის გრანიტოიდების შედგენილობა და ფორმირების გეოდინამიკური პირობები.
4. ცირკონების LA ICPMS U-Pb მეთოდით დათარიღების შედეგად დადგენილია ხრამის კრისტალური მასივის გრენვილური რეგიონული მეტამორფიზმის ასაკი 900-1000 მლნ.წელი, ხოლო გვიანვარისკული გრანიტოიდების ფორმირება განისაზღვრა ასაკით - 320-330 მლნ.წელი.
5. ხრამის მასივის გვიანვარისკულ ბიოტიტი-რქატყუარა-ალანიტიან გრანიტებში ალანიტების მიკროზონდული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იგი ხასიათდება Ce_2O_3 , La_2O_3 და Nd_2O_3 მაღალი შემცველობით. ასევე მიკროზონდული და მიკროსკოპული მონაცემებით ალანიტი მაგმური და პოსტმაგმური წარმოშობისაა.
6. კლინის გაბრო-დიორიტული ინტრუზივის ეგზოკონტაქტში განვითარებულია მკვრივი, მასივური მეტამორფული ქანები - ფელსები. უკანასკნელში დადგენილია პარაგენეზისები: $St+Qtz \rightarrow Cor+Grt \pm And(Sill) \pm Spl + H_2O$, $Ms+St+Qtz \rightarrow Sill+Bt + H_2O$, $St \rightarrow Cor+Spl$, $St \rightarrow And(Sill)+Spl$, ასევე დაფიქსირებულია ინვერსია $And \rightarrow Sill$.
7. ძირულის კრისტალური მასივის ფარგლებში დადგენილია გრენვილური, ბაიკალური, გვიანბაიკალური და გვიანვარისკული რეგიონული მეტამორფიზმი, ხოლო ხრამის მასივის ფარგლებში აღინიშნება მხოლოდ გრენვილური და გვიანვარისკული რეგიონული მეტამორფიზმი. ძირულის მასივზე დადგენილია გრენვილური, ბაიკალური, გვიანბაიკალური და გვიანვარისკული გრანიტწარმოშობის პროცესი, ხოლო ხრამის მასივის ფარგლებში - გრენვილური და გვიანვარისკული გრანიტული მაგმატიზმი.
8. განხილულია მადნეული საბადოს შემცველი ქანებისა და მათი წყებების სტრატეგრაფიული დანაწილების პრობლემები. მოყვანილია ამ წყებების სელიმენტაციური თავისებურებების ანალიზი და მათი კავშირი ვულკანიზმთან.
9. საველე პეტროგრაფიული და გეოქიმიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია მადნეულის საბადოს შემცველი ქანების ლითოფაციალური ერთეულები. გამოთქმულია დასაბუთებული ვარაუდი ამ ქანების დალექვის ზღვიური გარემოს შესახებ.
10. განხილულია მცირე კავკასიონის გეოდინამიკური და მეტალოგენიური ევოლუციის თავისებურებანი მეზოზოურ-კაინოზოურ პერიოდში. მოყვანილია ახალი მონაცემები საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანის მეტალთა საბადოების და მათი შემცველი წყებების ასაკების შესახებ.
11. მოყვანილია მადნეული საბადოს ამგები ვულკანოგენურ-დანალექი და ვულკანური ქანების ტექსტურული თავისებურებანი. გამოთქმულია მოსაზრება ამ ნიშნით სტრატეგრაფიული კორელაციების მიზანშეწონილების შესახებ.
12. ბოლნისის მადნიანი კვანძის მადნეული საბადოს ფარგლებში გეოქიმიური და გეოქრონოლოგიურის საფუძველზე მოცემულია საბადოს შემცველი წყებების ევოლუციური მოდელი ცარცულ დროში.
13. მადნეულის საბადოს ფარგლებში გამოყოფილია ორი მადნის ტიპი: სუბვერტიკალური შტოკვერკული ჩრდილო-დასავლეთ ფრთაზე და სუბვერტიკალური პირიტ-ქლორიტ-ჰემატიტოქრო-ქალკოპირიტის ძარღვული სისტემა, აღმოსავლეთ ფრთაზე.
14. კავკასიონის კახეთის სეგმენტში ქვედაიურულ წყებებში გაირჩევა მინერალიზაციის სამხრეთი- და ჩრდილო მინერალიზებული ზონები. ჩრდილო ზონა ძირითადად ხასიათდება პირიტ-პოლიმეტალური მინერალიზაციის, ხოლო სამხრეთი - სპილენძ-პიროტინული გამადნებებით.
15. ვარძიის კომპლექსში ე.წ. ვარძიის ჰორიზონტში, ფართოდაა გავრცელებული ვულკანური ფერფლი, რომელიც შეცვლის შედეგად გადასულია ცეოლითში - მორდენიტში. მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ მორდენიტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში კანცეროგენული ბუნებრივი მინერალი.
16. განხილულია არგონავტების ექსპედიციის „ოქროს საწმისის“ კავშირი ალუვიურ ქვიშებთან („ოქროს ქვიშებთან“), რაც ეფუძნება გეოლოგიური კვლევის შედეგებს დასავლეთ საქართვე-

ლოს რეგიონებში.
 17. განხილულია გვიანსუბდუქციურ სტადიაზე განვითარებული გამადნების ორი ეტაპი. ირველი უკავშირდება კუნძულთა რკალურ სიტუაციას და თარიღდება ტურონ-სანტონურად, ხოლო მეორე ხასიათდება ასტენოსფეროს მასალის მონაწილეობით, რომელიც თარიღდება კამპანურად.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება: **სასარგებლო წიაღსეულის, გეოქიმიისა და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყოფილება**

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – მთ. მეცნ. თანამშრ. **მ. კეკელია**

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: მთავარი მეცნ. თანამშრომლები: ო.დუდაური, ს.კეკელია; უფრ. მეცნ. თანამშრომლები: მ.ტოგონიძე, რ.მიგინეიშვილი, გ.ვაშაკიძე, თ.ჩხოტუა; მეცნ. თანამშრომლები: ი.მშვენიერაძე, ნ.სადრაძე, ი.დოლიძე, ქ.გაბარაშვილი, კ.ლობჯანიძე, ი.დოგრაშვილი

არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი გ.ასათიანი, სპეციალისტი თ.ნადირაშვილი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	დასრულებული სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	პროგრამა 6. მდ. თერგის ზემო წელის (ყაზბეგის რაიონი) ფანეროზოული მაგმატიზმი	ო. დუდაური	ო. დუდაური, მ. ტოგონიძე, გ. ვაშაკიძე, ქ. გაბარაშვილი, კ. ლობჯანიძე, ი. დოგრაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)			
	<p>ყაზბეგის რაიონის გეოლოგიურ აგებულებას განაპირობებს დარიალისა და გველეთის გრანიტოიდული მასივების არსებობა. მასივების ასაკი დადგენილია მუსკოვიტით K-Ar მეთოდით, მიღებული შედეგია 320 მლნ.წელი (შუა კარბონული). ასივებთან და იურულ ფიქლებთან დაკავშირებულია დიაბაზების მრავალრიცხოვანი დაიკა, რომელშიც პიროქსენი ურალიტური რქატყუართ არის ჩანაცვლებული. იაბაზების ასაკი შუაიურულია (172±10 მლნ.წელი). რეგიონში წიკლაურის წყებასთან (პლინსბახური-ტოარსული) დაკავშირებულია მძლავრი იურული ბაზალტური ვულკანოგენები, წარმოდგენილი ბალიშა ლავეებით. რაიონში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ვულკანური წარმონაქმნები, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარწვერის და ქაბარჯინას მძლავრ ვულკანურ ცენტრებთან. დასრულებული სამუშაოს აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ფანეროზოული მაგმატიზმი განხილულია ამ პროცესის ევოლუციის თვალსაზრისით. აქამდე ასეთი სამუშაო არ ჩატარებულა.</p> <p>შესრულებული თემა ხელს შეუწყობს ყაზბეგის რაიონის სასარგებლო წიაღსეულის – მოსაპირკეთებელი ქვების ათვისებას.</p>		
1	მიმდინარე სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	პროგრამა 5. საქართველოს მადან-მაგმური სისტემების და ვულკანურ-პლუტონური	მ.კეკელია, ს.კეკელია	მ.კეკელია, ს.კეკელია, რ.მიგინეიშვილი, ი.მშვენიერაძე, ი.დოლიძე,

	წარმონაქმნების კომპლექსური კვლევა (2008-2014 წწ.)		თ.ჩხოტუა, გ.ასათიანი
მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
	შესწავლილ იქნა ბოლნისის მადნიანი რაიონის გამოვლინებები: წითელი სოფელი, ბექთაკარი და საყდრისი; აღებულია ქვიური მასალა გეოქიმიური კვლევის ჩასატარებლად; მადნიანობის შესწავლის შედეგად დადგენილია ბოლნისის რაიონის ოქროს დარჩენილი პოტენციალი.		
2	მიმდინარე სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	პროგრამა 7. ახალციხის დეპრესიის ტეშენიტების და მასთან დაკავშირებული ძარღვული ქანების პეტროლოგია და იზოტოპური გეოქრონოლოგია	ო.დუდაური	ო.დუდაური, მ.ტოგონიძე, გ.ვაშაკიძე, ქ.გაბარაშვილი, კ.ლობჯანიძე, ი.დოგრაშვილი
მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
	ახალციხის დეპრესიაში ფართოდ არის გავრცელებული ტეშენიტური სხეულები და მათთან დაკავშირებული კამპტონიტები, მონნიკიტები, აპლიტები და სხვა. ახალციხის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ რეგიონის მაგმატიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონის გეოლოგიის განვითარების ისტორიაში. თემის შესასრულებლად ჩვენს მიერ შეგროვილი და შესწავლილი იქნა სათანადო ლიტერატურული წყაროები და კარტოგრაფიული მასალა; მომავალ წელს საჭიროა ჩატარდეს სავლელ სამუშაოები, შეგროვილ იქნას ქვიური მასალა და სათანადოდ დამუშავდეს. ამ ეტაპზე დეტალურადაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს ტეშენიტური ფორმაცია, მათ შორის რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ტეშენიტური ძარღვული ქანები. ახალციხის დეპრესიის ტეშენიტების დეტალური შესწავლა სრულ წარმოდგენას მოგვცემს ტუტე ინტრუზიული მაგმატიზმის განვითარების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე.		

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის გეო-დინამიკური ევოლუცია: როგორც ბუნებრივი რესურსების წარმოშობის, აქტიური ტექტონიკის შეცნობისა და სეისმური რისკის შეფასების განმსაზღვრელი (საქართველოს ნაწილი)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, პროექტი № 780/04-01	შ. ადამია	მ.კეკელია, ს.კეკელია, ნ.სადრაძე, გ.ასათიანი
2.	შუა აღმოსავლეთის რეგიონის მიწისძვრების მოდელი: საშიშროება, რისკის შეფასება, ეკონომიკა და შემსუბუქება (ინგლისურ ენაზე)	JTI (Japan Tobacco International)	ი.ბირო, კ.სესეტიანი, ს.თუზუნი	ნ. სადრაძე
დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)				
<p>1. ლიტერატურული და საკუთარი მასალის ანალიზის შედეგად, გამოვლენილია მცირე კავკასიონის მეტალოგენიური თავისებურებანი; შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის მეტალოგენური რუკები; შემუშავებულია გეოლოგიურ-გენეტიკური და ძებნითი მოდელები სპილენძის გულკანოგენური და სპილენძ-მოლიბდენ-პორფირული საბადოებისთვის.</p> <p>2. პროექტის ფარგლებში შედგენილია საქართველოს ტერიტორიის და მიმდებარე არეების სეისმურად აქტიური სტრუქტურების 1:500 000 რუკა და მიწისძვრის წყაროების კატალოგი. განხორციელდა საქართველოს აქტიური სტრუქტურების კორელირება შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მიწისძვრების წყაროებთან.</p>				
	მიმდინარე პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	DARIUS –ის პროგრამა	BP, CNRS, INSU observe and understand, ENI, Petronas Carigali, Shell, Total UPMC	მარი-ფრანსუა ბრიუნე, ერიკ ბარიე (საფრანგეთი)	ნ.სადრაძე
2	აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ფრონტული ნაწილის 3-განზომილებიანი სტრუქტურული მოდელი: მისი გამოყენება ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების თვალსაზრისით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ა. ჭაბუკიანი	ნ.სადრაძე

მიმდინარე პროექტის ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

1. DARIUS პროგრამის საკვლევი რეგიონია - ტერიტორია ყირიმი-ანატოლიიდან კავკასიის, ირანის და ზაგროსის გავლით ტიანშანამდე. პროგრამის სამუშაო ჯგუფის ძირითადი მიზანია რეგიონალური გეოლოგიური სინთეზი DARIUS-ის სამეცნიერო პროექტებით მოპოვებული ახალი და არსებული ინფორმაციისა და DARIUS-ის მონაწილეთა მკვლევარების თანამშრომლობის გზით.
2. ნახშირწყალბადების რეზერვუარები აჭარა-თრიალეთის ზონის და მტკვარი-რიონის ფორლანდის მეზოზოურ და კაინოზოურ ნალექებშია განლაგებული. საკვლევ რეგიონში ჩატარდა სტრუქტურული და სედიმენტოლოგიური კვლევები. მოპოვებული მონაცემები ცხადყოფს ნავთობ-გაზიანობის თვალსაზრისით პერსპექტიული ახალი ბუდობების აღმოჩენის შესაძლებლობას.

IV პუბლიკაციები:

2) უცხოეთში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალი ს/კრებული ს ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ს.კეკელია, მ.კეკელია, გ.ასათიანი	აღპურ-ჰიმალაური ნაოჭა სარტყლის ცენტრალური სეგმენტის (შავი-კასპიის ზღვების) კოლჩედანური საბადოები; მათი გენეტიკური თავისებურებანი (რუსულ ენაზე). შამეცნ. შრომათა კრებული, რუსეთის სამეცნ. კონფ.-ის მასალები	№39(13)	ეკატერინბურგი, გეოლოგიისა და გეოქიმიის ინსტიტუტის გამომცემლობა	68-71
2	ი.ალბინო, ვ.კავაზა, მ.ზატინი, ა.ოკაი, შ.ადამია, ნ.სადრაძე	არაბეთი-ევრაზიის კოლიზიის შორსმწვდომი ტექტონიკური ეფექტი და ჩრდილო ანატოლიის რღვევის სისტემის ჩამოყალიბება (ინგლ. ენაზე) Geological Magazine ISSN	0016-75	კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა	18-26
3	ვ.ა.ღებუაძე, ი.ვ.ჩერნიშევი, ო.ზ.დუდაური, გ.თ.ვაშაკიძე, ი.ვ.გოლცმანი, ე.დ.ბაიროვა, ა.ი.იაკუშევი	კავკასიონის სამხრეთ ფერდზე მიოცენური ასაკის მჟავე ინტრუზული მაგმატიზმის გამოვლინების პირველი იზოტოპურ-გეოქრონოლოგიური დასაბუთება. დოკლადი აკადემიი ნაუკ	ტ.450, №3	რუსეთის მეცნ. აკადემიის გამომცემლობა	323-328

4	მ.კ. რათერთი, მ.ფ. ბოგალო, ა.გოგინაიშვილი, ჯ.სოლოლაშვილი, გ.ვაშაკიძე	მცირე კავკასიონის პლიოცენური ლავური ნაკადების ახალი პალეომაგნიტური და პალეონტენსიური მონაცემები. Journal of Asian Earth Sciences	ტ. 73	www.elsevier.com/locate/jseas	347-361
5	ა.აკაკავარი, მ.კ.რათერთი, ა.გოგინაიშვილი, კ.პუაიყუ, გ.ვაშაკიძე, ნ.ვეგასი	კავკასიის ქვედა პლიოცენური ლავური ნაკადების პალეომაგნეტიზმი და $^{40}\text{Ar}/^{39}\text{Ar}$ ასაკობრივი თანამიმდევრობა: ბრუნვის რეგისტრაცია და პალეოციტოლოგიური ვარიაციების ანალიზი. Latinmag letters	ტ. 3	მეხიკო	PC03, 1-9

ანოტაციები

1. მოკლედ დახასიათებულია სპილენძ-კოლჩედანური და პოლისულფიდური ეულკანოგენური საბადოები; იზოტოპურ და თერმობაროგეოქიმიურ კვლევებზე დაყრდნობით და გეოლოგიური სტრუქტურების გეოდინამიკური განვითარების გათვალისწინებით აღდგენილია მადან-მაგმური პალეოსისტემების ჩასახვა და ფუნქციონირება.
2. ახალი თერმოქრონოლოგიური მონაცემები, რომლებიც მიღებულია აპატიტის ფიშენ-ტრეკული ანალიზის მეთოდით, უჩვენებს, რომ შუამიოცენური ეგსჰუმაცია ერთდროულად გამოვლინდა ბითლიზის ნაკერულ ზონაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლურ რეგიონში, რაც არაბეთი-ევრაზიის კოლიზიის შორსმწვედომ ეფექტზე მიუთითებს.
3. ახალი მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ კავკასიონზე, 7 მილიონი წლის წინად, მოხდა ინტრუსული მაგმატიზმის იმპულსი.
4. აფნია-კორხის ლავური ნაკადების პალეომაგნიტურმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა დამახასიათებელი კომპონენტები ყველა ლავური ნაკადისთვის. ნორმალური პოლარობა (6 ნაკადი), შებრუნებული პოლარობა (7 ნაკადი) და გარდამავალი პოლარობა (1 ნაკადი)
5. მცირე კავკასიონზე შესწავლილი იქნა პლიოცენური ასაკის 39 თანამიმდევრული დოლერიტული ლავური ნაკადის პალეომაგნეტიზმი და მაგნეტიზმი; ჩატარებული იქნა მათი შესწავლა ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით და დადგინდა მათი $^{40}\text{Ar}/^{39}\text{Ar}$ ასაკი. ყველა მათგანს აქვს შებრუნებული პოლარობა.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) ადგილობრივი

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	რ.მიგინეიშვილი	ბოლნისის მადნიანი რაიონის სპილენძ-ოქროს საბადოები	თბილისი, 22-26 იანვარი, 2013, თსუ

მოსხენების ანოტაცია

განხილულია ბოლნისის მადნიანი რაიონის ზოგიერთი საბადოს ძირითადი თავისებურებები. წარმოჩენილია სპილენძ-ოქროს საბადოების ორი მნიშვნელოვანი ტიპი.

2) საერთაშორისო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ.გუგუშვილი, დ.ჯავახიძე, მ.კეკელია, ი.შავიშვილი	ბოლნისის მადნიანი რაიონის ვულკანურ აქტივობასთან დაკავშირებული გვიან სუბდუქციური სტადიის ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური და ოქროს მონოსულფიდური მინერალიზაცია (ინგლისურ ენაზე)	SCOPE5 პროექტის სამუშაო შეხვედრა. თსუ, თბილისი, საქართველო, 16-18 აპრილი, 2013.
2	მ.კეკელია, ს.კეკელია, გ.ასათიანი	მცირე კავკასიონისა და პონტიდების ფერადი ლითონების ვულკანოგენური საბადოები.	29 აგვისტო – 3 დეკემბერი, 2013, თბილისი
3	მ.კეკელია, ს.კეკელია, გ.ასათიანი	აღპურ-ჰიმალაური ნაოჭა სარტყლის ცენტრალური სეგმენტის (შავი-კასპის ზღვების) კოლჩედანური საბადოები; მათი გენეტიკური თავისებურებანი (რუსულ ენაზე)	1-5 ოქტომბერი, 2013, ეკატერინბურგი, რუსეთის ფედერაცია
4	რ.მიგინეიშვილი	ბოლნისის მადნიანი რაიონის სპილენძ-ოქროს საბადოების ორი ტიპი (ინგლისურ ენაზე)	SCOPE5 პროექტის სამუშაო შეხვედრა. თსუ, თბილისი, საქართველო, 16-18 აპრილი
5	გ.ზ.ზაქარიაძე, შ.ა.ადამია, ფ.ქუაღთი, ა.ი.პეიჩევა, თ.გ.ჩხოტუა, ნ.გ.სადრაძე, ნ.გ.სოლოვიოვა.	პალეოტეთისის ევოლუციის პრობლემები ტრანსკავკასიური მასივის პალეოკანური კომპლექსის შესწავლის მაგალითზე (ინგლისურ ენაზე)	SCOPE5 პროექტის სამუშაო შეხვედრა. თსუ, თბილისი, საქართველო, 16-18 აპრილი, 2013.
6	შ.ადამია, ა.გვენცაძე, ნ.ღურსმანაშვილი, ნ.სადრაძე	აქტიური სტრუქტურები ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის გასწვრივ (საქართველოს ტერიტორია) (ინგლისურ ენაზე)	NATO-ს პროგრამა, თსუ, თბილისი, 1-2 აპრილი, 2013წ., საქართველო
7	შ.ადამია, ვ.ალანია, ა.ჭაბუკიანი, ო.ენუქიძე, ნ.ღურსმანაშვილი, ნ.სადრაძე, გ.ზაქარიაძე	საქართველო – აღმოსავლეთ შავი ზღვის გეოლოგია (ინგლისურ ენაზე)	Darius-ს პროგრამა, თბილისი, საქართველო, 24-25 ივნისი.
8	ნ.ღურსმანაშვილი, ზ.ღებანიძე, შ.ადამია, ნ.სადრაძე	ბორჯომი-ყაზბეგის აქტიური რღვევა (მარცხენა ნაწივი): რეალობა თუ ფიქცია (ინგლისურ ენაზე)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო, 29 აგვისტო – 3 სექტემბერი, 2013.

9	ნ.სადრაძე, შ.ადამია, გ.ზაქარიაძე	სამხრეთ საქართველოს ნეოგენურ-მეოტხეული ვულკანური ფორმაციები (ინგლ. ენაზე)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო, 29 აგვისტო – 3 სექტემბერი , 2013.
10	ო.დუდაური, ე.გამყრელიძე, დ.შენგელია, თ.წუწუნავა, მ.ტოგონიძე, გ.ჭიჭინაძე	საქართველოს გრანიტოიდუ- ბის ფორმირების პირობები და ეტაპები	კიევი (უკრაინა) 27.05 - 01.06 2013წ.
11	გ.მაისურაძე, ქ.გაბარაშვი- ლი, ო.დუდაური	ყაზბეგის რეგიონის პოლო- ცენური ვულკანიზმი	თბილისი (საქართველო) 29.08 – 03.09 2013წ.
12	კ. ლობჯანიძე, ქ. გაბარაშვი- ლი, ი. დოგრაშვილი	დარიალის ხეობის ზოლებ- რივი ქანების შედგენილობა და გეოლოგიური პოზიცია	ბაქო (აზერბაიჯანი) 14.11 – 15.11 2013წ.
13	ვ.ა.ლებედევი, გ. ვაშაკიძე ი.ვგოლცმანი, ე.დ.ბაიროვა	ჯავახეთის მთიანეთის (სამხრეთ საქართველო) ფუძე პლიოცენური ვულკა- ნიზმის მანტიური წყაროს Sr-Nd იზოტოპური თავისებუ- რებების ასაკობრივი ევოლუ- ცია	მოსკოვი. 12-14 ნოემბერი.
14	ა.ვ.პარფიონოვი, ვ.ა.ლებედევი, ს.ნ.ზუბნოვი, გ.ვაშაკიძე ი.ვგოლცმანი	ყაზბეგის ნეოვულკანური ცენტრის (კავკასიონო) მეოტხეული ლავების ჩამო- ყალიბების ისტორია და პეტ- როგენეზისი: იზოტოპური კვლევის შედეგები	მოსკოვი. 12-14 ნოემბერი.
15	ა.კაკაუვარი, მ.კ.რათერტი, ა.გოგინიაშვილი, ჰ.ჰუაიყუ, გ.ვაშაკიძე, ნ.ვეგასი	კავკასიის ქვედაპლიოცენური ლავური ნაკადების პალეო- მაგნეტიზმი და ⁴⁰ Ar/ ³⁹ Ar ასა- კობრივი თანამიმდევრობა: ბრუნვის რეგისტრაცია და პალეოცირკულარული ვარი- აციების ანალიზი.	21-25 ოქტომბერი. მონტევიდეო, ურუგვაი.

მოსხენებათა ანოტაციები

1. მოყვანილია ბოლნისის რაიონის ცარცულ ვულკანური კომპლექსის გეოქიმიური დახა-
სიათება, რომელთანაც სივრცობრივად დააკავშირებული სულფიდური გამადნება;
2. აღწერილია აღმოსავლეთი პონტიდების და მცირე კავკასიონის ფერად ლითონთა ვულ-
კანოგენური საბადოების გეოლოგიური პოზიცია და მათი გენეტიკური თავისებურებანი;
3. დახასიათებულია აღპურ-ჰიმალაური ნაოჭა სარტყლის ცენტრალური ნაწილის სპილენძ-
კოლჩედანური ვულკანოგენურ-დანალექი (ჩაელი, აშიკოი) და ეპიგენეტიკური (ლახანოსი,
მურგული, მადნეული, კედაბეკი, ალავერდი, კაფანი და სხვ.) საბადოები.
4. განხილულია ბოლნისის მადნიანი რაიონის სპილენძ-ოქროს საბადოების ტიპიზაციის
საკითხები;
5. განხილულია ძველი ოკეანური კომპლექსების ორი ძირითადი რეგიონი: 1. ამიერკავკასიის
მასივი (ძირულის მასივის ჩორჩანა-უწლევის ტექტონიკური მულანჟის ზონა) და 2. მცირე

- კავკასიონის ოფიოლიტური ნაკერი;
6. გეოლოგიური, ტექტონიკური, სეისმოლოგიური, გეოდეზიური (GPS) და გეომორფოლოგიური მონაცემების საფუძველზე შედგენილია სეისმოაქტიური სტრუქტურების 1:500 000 მასშტაბის რუკა და კატალოგი; სეისმოაქტიური სტრუქტურები იდენტიფიცირებულია ნეოტექტონიკური სტრუქტურებისა და მიწისძვრების კორელაციის შედეგად;
 7. საქართველოს გეოლოგიური აგებულება განპირობებულია მდებარეობით ოკენე ტეთისის და მისი სანაპიროების ვრცელ სარტყელში. გვიანალპური კონტინენტური კოლიზიის შედეგია მისი თანამედროვე სტრუქტურების ფორმირება. აღმოსავლეთი შავი ზღვა უთანხმოდ ფარავს საქართველოს ძირითად ტექტონიკურ ერთეულებს;
 8. რიგი ავტორების მიერ “ბორჯომი-ყაზბეგის რღვევა” მიჩნეულია არაბეთის სოლის დასაველურ საზღვრად. კომპლექსურმა კვლევამ არ გამოავლინა მონაცემები აღნიშნული რღვევის არსებობის თაობაზე. სხვადასხვა მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიურ რუკებზე არ ჩანს ხაზოვანი ერთეულების გადაადგილება ე.წ. ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის გასწვრივ;
 9. განხილულია სამხრეთ საქართველოს ნეოგენ-მეოტხეული ვულკანური კომპლექსები. ვულკანური ფორმაციების ბიოსტრატиграფიული, მაგნიტოსტრატиграფიული და გეოქრონოლოგიური მონაცემები. გეოქიმიური თავისებურებების საფუძველზე შესაძლებელია ვულკანიტები მივაკუთვნოთ სუპრა-სუბდუქციური ტიპის ვულკანიზმს;
 10. საქართველოს ტერიტორიაზე გრანიტები გავრცელებულია კავკასიონის შავი ზღვა – ამიერკავკასიის ბეიბურთ – სევანის ტერეინებზე. გამოყოფილია გრანიტების წარმოშობის შემდეგი ეტაპები: გრენვილური, ბაიკალური, გვიან ბაიკალური, ბრეტონული, სუდეტური, ადიღური, გვიან მიოცენური, ადრე პლიოცენური და შუა პლეისტოცენური;
 11. აღწერილია ჰოლოცენის სტრატოტიპული ჭრილი ყაზბეგის რაიონში, სადაც ტბიურ ნალექებში განამარხებული ხის ნიმუშების ნახშირბადის მეთოდით დათარიღება ადასტურებს ვულკანების აქტიურობას ყაზბეგის მასივზე 6000 წლის წინ;
 12. დარიალის ხეობაში კისტინკის წყებას (ქვედა ლიასი) მიკუთვნებული იყო ზოლიანი ქანების წყება, რომელიც ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა ლიასურზე უფრო ძველი (297 ± 20 მლნ.წ.). წყება შედგება პორფირიტებისაგან, რომელიც გაკვეთილია ამფიბოლის შემცველი პარალელური ძარღვებით;
 13. ჩატარებულია ჯავახეთის მთიანეთის ფუძე ლავეებისა და ამ რეგიონში გავრცელებული ზომიერად მჟავე ვულკანიტების იზოტოპურ-გეოქიმიური შესწავლა (Sr-Nd). ჩატარებულია ბაზალტური ვულკანიზმის ყველა ფაზის ქანების ანალიზები რამაც საშუალება მოგვცა დაგვეჩვენა საწყისი მაგმატური მდნარის ევოლუციის თავისებურებები.
 14. პეტროლოგიურ-გეოქიმიური და იზოტოპურ-გეოქიმიური მონაცემები მეტყველებს ყაზბეგის ლავეების მანტიურ-ქერქულ ბუნებაზე. ყაზბეგის მაგმური მდნარის ევოლუციას ჰქონდა ჰომოდრომული ხასიათი, რაც გამოიხატებოდა SiO_2 და ტუტეების შემცველობის თანდათანობით ზრდაში;
 15. მცირე კავკასიონზე შესწავლილი იქნა პლიოცენური ასაკის 39 თანამიმდევრული დოლერიტული ლავური ნაკადის პალეომაგნეტიზმი და მაგნეტიზმი, ჩატარებული იქნა მათი შესწავლა ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით და დადგენილი იქნა მათი $^{40}\text{Ar}/^{39}\text{Ar}$ ასაკი. ყველა მათგანს აქვს შებრუნებული პოლარობა.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება – სტრატეგრაფიისა და პელეონტოლოგიის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – მთ. მეცნ.-თანამშრომელი, საქ. მეცნ. ეროვნული აკად. წევრ-კორესპონდენტი მ. კაკაბაძე

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა – მთ. მეცნ.-თანამშრომლები მ.თოფჩიშვილი და ლ.ცირეკიძე; უფრ.მეცნ.-თანამშრომლები: გ.ანანიაშვილი, ც.მინაშვილი, თ.ღავთაძე, ლ.ფოფხაძე, კ.ქოიავა; მეცნ.თანამშრომლები: ს.ხუციშვილი და ზ.ჩხაიძე.

არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინერ-გეოლოგი თ.პაიჭაძე, სპეც.კოლექციების სპეციალისტი ნ.სამხარაძე, უფროსი ინჟინერი ა.ფირუზაშვილი, ლაბორანტი მ.გასვიანი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

1	მიმდინარე სამუშაოების დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	<p>პროგრამა 8. ცარცული სისტემის სამად დანაწილება და შუაცარცულის ქვედა საზღვრის პრობლემა (ამონიტების მიხედვით). 2012-2014 წწ.</p>	მ. კაკაბაძე	მ. კაკაბაძე
	<p>პროგრამა 9. საქართველოს ქვედაიურულ-აალენური მიტილოიდები და მათი სტრატეგრაფიული მნიშვნელობა. 2012-1014 წწ.</p>	მ. თოფჩიშვილი	მ. თოფჩიშვილი
	<p>პროგრამა 10. Globotruncanoidea-ბის (ოჯახები Rotaliporidae, Ticinellidae) სისტემატიკის საკითხები და მათი სტრატეგრაფიული მნიშვნელობა საქართველოს ბელტის ქვედაცარცული ნალექების ფარგლებში. 2012-2014 წწ.</p>	ლ. ცირეკიძე	ლ. ცირეკიძე
	<p>პროგრამა 11. აღმოსავლეთ პარატეთის ნავთობის შემცველი მაიკოპური სერიის სტრატეგრაფიული მოცულობა და მისი დანაწილების საკითხი. 2012-2015 წწ.</p>	გ.ანანიაშვილი	გ.ანანიაშვილი, ც.მინაშვილი, ს.ხუციშვილი
	<p>პროგრამა 12. დასავლეთ საქართველოს თარხან-ჩოკრაკული ნალექების ბიოსტრატეგრაფია მიკროფაუნის (ფორამინიფერები, ოსტრაკოდები) მიხედვით. 2012-2014 წწ.</p>	ლ. ფოფხაძე	ლ. ფოფხაძე
	<p>პროგრამა 13. მდ. ალაზნის შუაწელის გვიანცარცული და პალეოგენური ფლიშური ნალექების ბიოსტრატეგრაფიული კვლევა ნანოპლანქტონის მიხედვით. 2013-2015 წწ.</p>	თ. ღავთაძე	თ. ღავთაძე, ზ. ჩხაიძე

<p>პროგრამა 14. მიერკავკასიის მთათა-შუა არის (აღმოსავლეთ დაბირვის ზონა) სარმატული ნალექების პალეოგეოგრაფია მიკროპალეონტოლოგიურ მეთოდებზე დაყრდნობით. 2013-2016 წწ.</p>	<p>კ. ქოიავა</p>	<p>კ. ქოიავა</p>
<p>მიმდინარე კვლევითი სამუშაოების ეტაპების შედეგები (ანოტაცია)</p>		
<p>2</p>	<p>პროგრამა 8. ცარცული სისტემა მე-3 საერთაშორისო გეოლოგიურ კონგრესსზე (1885წ) დანაწილდა ორ სექციად. მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარიდან დაწყებული არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება ცარცული სისტემის სამად დანაწილების შესახებ. თუმცა, მკვლევართა შორის დღეს არ არსებობს ერთიანი აზრი, თუ სად უნდა გატარდეს შუაცარცულის როგორც ქვედა, ისე ზედა საზღვარი. ამ პრობლემის გარკვევას გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) სტრატეგრაფიული კომისია ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ახლო მომავალში ეს სკითხი გეოლოგიურ კონგრესზე უნდა იქნეს წარდგენილი. ჩვენ ვთვლით, რომ ვინაიდან ამონიტური ფაუნა ცარცული სისტემის სართულების, ქვესართულებისა და ზონების დადგენაში ყოველთვის წარმოადგენდა ძირითად ნამარხ ჯგუფს, ბუნებრივია მათ შუაცარცულის ქვედა საზღვრის საკითხის შესწავლაშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს. საქართველოსა და მოსაზღვრე რეგიონების ცარცული ნალექების ამონიტური კომპლექსები, როგორც ირკვევა, კარგად კორელირდება საერთოდ ტეთისის ზოლში დადგენილი ცარცული სართულების, ქვესართულების და, ზოგ შემთხვევაში, ზონების კომპლექსებთან. შესაბამისად, შუაცარცული სექციის ქვედა საზღვრის დადგენაში საქართველოს მონაცემებს ძალზე დიდი თეორიული მნიშვნელობის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე აპტური და ალბური ბიოსტრატეგრაფიული სქემებისა და პალეოგეოგრაფიული რუკების დაზუსტების თვალსაზრისით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.</p> <p>მიმდინარე წელს ჩატარდა ცარცული სისტემის ამონიტების ძირითადი ჯგუფების სტრატეგრაფიული და გეოგრაფიული გავრცელების სტატისტიკური ანალიზი ოჯახებისა და გვარების დონეზე. ნაწილობრივ დამუშავდა ქვედაცარცულის ბიოსტრატეგრაფიული და სექვენსსტრატეგრაფიული მონაცემების შეპირისპირების საკითხი.</p>	
	<p>პროგრამა 9. საქართველოს ქვედაიურულ-აალენურ ნალექებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ინოცერამების ქვეგვარის მიტილოიდების წარმომადგენლები. კავკასიონის სამხრეთი ფერდის ცალკეულ რაიონებში, სხვა ნამარხ ჯგუფებთან შედარებით, ისინი ფართო გავრცელებით სარგებლობენ. ამავე დროს, ზოგი მათგანი აალენურის მომყოლ ბაიოსური პორფირიტული სერიის შრეებშიც გვხვდება. სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამორკვეული ორსაგდუდიანთა ამ ჯგუფის სტრატეგრაფიული ღირებულება, რაც ძალიან აქტუალური საკითხია. პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილმასშტაბიანი გეოლოგიური რუკების დაზუსტებაში.</p> <p>საქართველოს ქვედა- და შუაიურული ნალექებიდან მოპოვებული მიტილოცერამუსების ბიოსტრატეგრაფიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა ამ გვარის რიგი სახეობები, რომლებიც სინემურული, ტოარსული და აალენური სართულების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.</p>	
	<p>პროგრამა 10. საქართველოს ბელტის ქვედაცარცული ფორამინიფერების შესწავლამ დაგვანახა, რომ მდიდარ ბენტოსურ ფაუნასთან ერთად გვხვდება პლანქტონური ფორამინიფერების მრავალრიცხოვანი გვარობრივი და სახეობრივი შემადგენლობა. ზეოჯახი Globotruncanoida Brotzen ხუთი ოჯახით არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ოჯახების Rotaliporidae-ს და Ticinellidae-ს შემადგენლობაში მყოფი გვარები და სახეობები. აქტუალურია ამ ოჯახებში შემავალი გვარების და სახეობების სისტე-</p>	

	<p>მატიკის საკითხები და სტრატეგრაფიული გავრცელების დიაპაზონი დადგენა, რის მიხედვითაც გარკვეულ სტრატეგრაფიული დონეებზე შესაძლებელი გახდება დამახასიათებელი პლანქტონური კომპლექსების გამოყოფა და როგორც საკვლევი, ისე მიმდებარე რეგიონების სინქრონული ნალექების ზონური კორელაცია. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოლოგიური რუკების დაზუსტებაში.</p> <p>მიმდინარე წელს დასრულდა საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული ოჯახის Rotaliporidae ყველა ცნობილი გვარის სისტემატიური შესწავლა და ნაწილობრივ დამუშავდა ოჯახის Ticinellidae კლასიფიკაციის საკითხი.</p>
	<p>პროგრამა 11. 2500 მ სიმაღლის, ნავთობისა და გაზის შემცველ მაიკოპის სერიის ნალექებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზოგადად კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს გეოლოგიურ აგებულებაში. მიუხედავად სხენებული ნალექების ხანგძლივი შესწავლისა, დღემდე გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი ბიოსტრატეგრაფიული საკითხებისა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სანაპირო (უმეტესად მოლუსკური ფაუნით დათარიღებული) და ღრმა ზღვების (პრაქტიკულად უფაუნო) ნალექების კორელაცია; დასადგენია როგორც ცალკეულ სტრატონებს შორის ურთიერთობა, ისე მათ შორის საზღვრები და სტრატეგრაფიული მოცულობები.</p> <p>ამრიგად, მომავალი სამუშაოები გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე სტრატეგრაფიული თვალსაზრისით სუსტად შესწავლილი მაიკოპური ნალექების დეტალურ ბიოსტრატეგრაფიულ დანაწილებას.</p> <p>მიმდინარე წელს კვლევები ჩატარდა კახეთის ტერიტორიაზე. შედგენილ იქნა დეტალური სტრატეგრაფიული ჭრილები – ზედა ეოცენის ფორამინიფერებიანი მერგელებიდან შუა მიოცენის უძველეს – თარხნულ შრეებამდე. წინასწარი მონაცემებით, ნანოპლანქტონურ მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება ოლიგოცენისა და მიოცენის შორის ზუსტი საზღვრის გაკვლევა და ქვედა მიოცენის უძველესი წევრის აქვიტანურის (NN1 - ზონის) პალეონტოლოგიური დასაბუთება.</p>
	<p>პროგრამა 12. თარხნულ-ჩოკრაკული ნალექები ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში (რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო). კვლევის თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია მიკროფაუნის – ფორამინიფერებისა და ოსტრაკოდების კომპლექსური შესწავლა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სხვადასხვა სადავო სტრატეგრაფიული საკითხების გადასაჭრელად. განსაკუთრებით ეს შეეხება ქვედა- და შუა მიოცენურის საზღვრის საკითხს, რომელიც ამჟამად ტარდება თარხნული რეგიონსართულის ფარგლებში. გარდა პალეონტოლოგიური ნაწილისა, განიხილება მიკროფაუნისტური ჯგუფების წარმოშობის საკითხები. თანამედროვე მიკროფაუნის ეკოლოგიის გათვალისწინებით, შეისწავლება მათი პალეოეკოლოგია, რაც ასევე ხელს შეუწყობს საკვლევ ტერიტორიაზე მიოცენური პალეოგეოგრაფიული რუკის დაზუსტებას.</p> <p>მიმდინარე წელს თარხნულის სტრატეგრაფიული ჭრილებიდან განსაზღვრულია ამ სართულისთვის დამახასიათებელი ფორამინიფერების 7 გვარის 14 სახეობა და ოსტრაკოდების 4 გვარის 10 სახეობა. შესწავლილია აგრეთვე ჩოკრაკული ნალექებიდან მოპოვებული ფორამინიფერების 6 გვარის 16 სახეობა და ოსტრაკოდების 7 გვარის 15 სახეობა, რომლებიც სტრატეგრაფიული ღირებულების ასოციაციას წარმოადგენენ.</p>
	<p>პროგრამა 13. კახეთის ფარგლებში ზედაცარცული და პალეოგენური ასაკის ფლიშური ნალექების შესწავლა მეტად აქტუალურია რეგიონში ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების დასადგენად. დეტალურად განიხილება ამ უბნის ამგები ქანების სტრატეგრაფია და ლითოლოგია და დაზუსტდება მათი თავისებურებები, რაც ხელს შეუწყობს აქ განვითარებული სტრუქტურების დეტალურ დახასიათებას.</p> <p>მიმდინარე წლის ზაფხულში ჩატარდა თემასთან დაკავშირებული საველე სამუშაოები. მდ. ალაზნის აუზში შესწავლილი იქნა გვიანცარცულ –პალეოგენური ნალექებით წარმოდგენილი 8 ჭრილი: მდინარეების – ალაზნის, დიკლანთხევის, თურდოს და მღვრიეს</p>

	ხეობებში; სოფლების – გომბორის, სიონის, კოპაძეების და ხადორჰისის მიდამოებში. აღებულია 100-ზე მეტი ნიმუში და მიმდინარეობს მათი პალეონტოლოგიური კვლევა.
	<p>პროგრამა 14. საქართველოში ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების აღმოჩენის მაღალი პოტენციალი დასტურდება როგორც უკვე გამოვლენილი საბადოების არსებობით, ასევე იმ მრავალრიცხოვანი ეფექტური ნავთობგაზგამოვლინებებით, რომლებიც დაფიქსირებულია როგორც ზედაპირზე, ასევე ბურღვის პროცესში. ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთ პერსპექტიულ ასაკობრივ ინტერვალს სარმატული ნალექები წარმოადგენს, ისინი აღნიშნულ რეგიონში ფართოდაა გავრცელებული და იმავდროულად ბუნებრივი ნახშირწყალბადების აკუმულაციის არეს ქმნის. მოცემული პროგრამა მიზნად ისახავს არსებული ცოდნის გაღრმავებას საქართველოს სარმატული დროის გეოლოგიური განვითარების ისტორიის შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონში ნავთობ-საძიებო სამუშაოების უფრო წარმატებით წარმოებას. კვლევის მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს სტრატეგრაფიული ჭრილების დეტალიზაციას, მათი სიმძლავრეების დადგენა-დაზუსტებას და გაცილებით უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების ბიოსტრატეგრაფიული დანაწილების სქემას და რეგიონის გვიანმიოცენურ პალეოგეოგრაფიულ ვითარებას.</p> <p>მიმდინარე წელს დაწყებულია საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი საყრდენი სარმატული ჭრილების დეტალური ლითოსტრატეგრაფიული ანალიზი და ამ ჭრილებში დაცული ფორამინიფერების ცხოვრების ნირის შესწავლა. პარალელურად მიმდინარეობდა არსებული გეოლოგიური და პალეოგეოგრაფიული რუკების ანალიზი. აღნიშნული სამუშაო წარმოადგენს ფორამინიფერების საარსებო გარემო პირობების შესწავლისა და საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში დეტალური პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენის წინაპირობას.</p>

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კავკასიის ტექტონიკა (2009-2013 წწ.)	შვეიცარიის ეროვნული სამეცნ. ფონდი №SCOPES-IZ73Z0_1.27933	ჯ.მოხარი (შვეიცარია)	ე.გამყრელიძე, კ.კოიავა, ლ.შუბითიძე
<p>დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)</p> <p>შედგენილია კავკასიის 1:100 000 ტექტონიკური რუკის მაკეტი, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს ტექტონიკური რუკის (რედ. ე.გამყრელიძე) ლეგენდის შინაარსი.</p>				
2	მიმდინარე პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	აღმოსავლეთ საქართველოს ღრმად დაძირული მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება. (2013-2016 წწ.)	საქართველოს რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნ. ფონდი	ნ. ასლანიკაშილი (კმნი)	მ.თოფჩიშვილი, გ.ნადარეიშვილი

მიმდინარე პროექტის ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

დამუშავებულია საქართველოს იურიდიული და ცარცული დანალექი საფარის სტრატეგია.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.კაკაბაძე, ი.კაკაბაძე, მ.შარიქაძე	ოკრიბა-ხრეთის და ძირულის ტექტონიკური ქვეზონების (საქართველო) ბარემულ-აპტური სედიმენტური სექვენსების სტრატეგიაში კორელაცია (ინგლ. ნაზე). საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მოამბე	ტ. 7, № 2	თბილისი, საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	113-124
2	მ.თოფჩიშვილი	მიტილოცერამუსების ფაუნის სტრატეგიაში გაერთიანება საქართველოს ქვედა- და შუაიურული ნალექებში (ინგლ. ენაზე). საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის მოამბე	ტ.7, №2, 2013	თბილისი, საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	105-112

ანოტაციები

1. ძირულის ქვეზონის ფარგლებში ბარემულ-აპტურ ნალექებში უთანხმო ზედაპირების, აგრეთვე ზღვის შედარებით ღრმა და მარჩხი ფაციესების მონაცვლეობის შესწავლის საფუძველზე გამოიყოფა 5 სედიმენტაციური სექვენსი ($Br_1^1-Br_1^3$, $Br_2^1-A_1^1$, $A_1^2-A_1^4$, $A_2^1-A_2^2$, $A_3^1-A_1^1$), რომლებიც ოკრიბა-ხრეთის ქვეზონაში ადრე გამოყოფილ ბარემულ-აპტურ სექვენსებს შეესაბამება.

2. საქართველოს ქვედა- და შუაიურული ნალექების მიტილოცერამუსების ბიოსტრატეგიაში ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ გვარის *Mytilocerasmus* რიგი სახეობები სინემურული, ტოარსული და აალენური სართულების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

12

2) უცხოეთში

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	----------------------	--------------------------------	---------------------

4	ც.მინაშვილი, გ.ანანიაშვილი	ყირიმ-კავკასიის რეგიონის თარხანულ-ჩოკრაკული ნალექების ბიოსტრატეგრაფიისათვის (რუსულ ენაზე). უკრაინის მეცნ. კადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული	კიევი. უკრაინის მეცნ. აკად. გეოლ. ინსტიტუტი, ტომი 6, №1	152-159
<p style="text-align: center;">ანოტაციები</p> <p>ქერჩის ნახევარკუნძულისა და საქართველოს ტერიტორიებიდან მოპოვებული მდიდარი პალეონტოლოგიური (მოლუსკები, ფორამინიფერები, ოსტრაკოდები, ნანოპლანქტონი) მასალის საფუძველზე ავტორები, წინააღმდეგ რიგი მკვლევარებისა, ასაბუთებენ, რომ აღმოსავლეთ პარატეთისში ფართოდ გავრცელებული სპირიალისებიანი თიხები მოიცავს ზედა თარხნულსა და ჩოკრაკულის სამივე ქვესართულს.</p>				

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

2) საერთაშორისო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.კაკაბაძე, ი.კაკაბაძე, მ.შარიქაძე	ამიერკავკასიის მთათაშუა არის საქართველოს ნაწილის ზედააპტურ-ქვედაალბური ნალექების სექვენტური ურთიერთდამოკიდებულება. (ინგლ. ენაზე)	შუა აღმოსავლური ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013, 1-5 სექტემბერი, თურქეთი, ანკარა
<p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>საქართველოს ტერიტორიაზე აპტურ-ალბური სართულების მოსაზღვრე მონაკვეთში გამოვლენილი უთანხმოებების, ნალექდაგროვების თანმიმდევრობების და მათი ბიოსტრატეგრაფიის შესწავლის საფუძველზე, დაზუსტებულია ორი ურთიერთმოსაზღვრე სექვენსის სტრატეგრაფიული ჩარჩოები: $A_3^1-Al_1^1$ და $Al_1^1-Al_2^1$. დადგენილია თითოეული სექვენსის შემადგენელი ტრანსგრესიული და რეგრესიული ტრაქტები. გამოქვეყნებულია 1 თეზისი.</p>			
2	თ.ღავთაძე, ხ.მიქაძე, ზ.ჩხაიძე	ზოგი რამ საქართველოს გვიანცარცული პალეოგეოგრაფიის შესახებ (პლანკტონური ფორამინიფერების და ნანოპლანქტონის მიხედვით) (ინგლ. ენაზე)	შუა აღმოსავლური ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013, 1-5 სექტემბერი, თურქეთი, ანკარა
<p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>მოცემულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ფრთის ზედაცარცულ ნალექებში შესწავლილი მიკრო და ნანოფოსილიების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები მიმდინარე სელიმენტაციური პროცესების და მათთან არსებული გარემოპირებობის შესახებ. გამოქვეყნებულია 1 თეზისი.</p>			

შენიშვნა: აღნიშნულის გარდა გაყოფილების თანამშრომლების მიერ გამოაქვეყნებულია 1 სტატია და 1 თეზისი, რომლებიც ზემოთაღნიშნულ თემებს არ შეეხება:

სტატია - მ.თოფჩიშვილი. გამონეწილი მეცნიერი და უბადლო გეოლოგი, აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე. 110 წელი. 2013. თბილისი, საქ. მეცნ. აკად. სტამბა: 1-30.

თეზისი - კ.ქოიავა, თ.ღავთაძე, ვ.დლონტი, ლ.კვალიაშვილი, 2013. საქართველოს ქვედაიურულ-აალენური კარბონატული ნანოფოსილიების პირველი მონაპოვარი (ინგლისურ ენაზე). ახალგაზრდა მეცნერთა და სტუდენტთა მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – “ფუნდამენტალური და გამოყენებითი გეოლოგიური მეცნიერება: მიღწევები, პერსპექტივები, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები”. თეზისები. ბაქო, აზერბაიჯანი, 14-15 ნოემბერი, 171-172.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის დასახელება – გარემოს ფიზიკურ-ქიმიური კვლევის განყოფილება

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – მთ. მეცნ. თანამშრომელი ვ. გვახარია

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: უფრ. მეცნ. თანამშრომლები: მ.ჯიბლაძე, ა.მიქაბერიძე, ტ.აღამია, ნ.მაჩიტაძე; მეცნ. თანამშრომლები: ც.ხუხუნია, რ.ხარგელია.

არასამეცნიერო პერსონალი: ინჟინრები ე.კობახიძე, გ.ჟორჟოლიანი; ლაბორანტი ნ.ქადაგიშვილი,

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წლისათვის შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	დასრულებული სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	პროგრამა 15. შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონაში ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეული მორფოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების შესწავლა (2013-2014წწ)	ვ.გვახარია	ვ.გვახარია, ნ.მაჩიტაძე, ტ.აღამია, რ.ხარგელია, ც.ხუხუნია, ე.კობახიძე, ნ.ქადაგიშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს შედეგები (ანოტაცია)			
<p>შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონის ეკოლოგიურ პრობლემათაგან ერთერთი უნშიშენელოვანესი დაკავშირებულია ანტროპოგენულ დატვირთვებთან და აქედან გამომდინარე, ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებასთან. საკვლევი არეალი მოიცავს მდ. სუფსის შესართავისა და სუფსის ნავთობგადასატვირთი ტერმინალის მიმდებარე საზღვაო აკვატორიას. მდინარისა და ზღვის ფსკერული ნალექების ნიმუშებში შესწავლილია გრანულომეტრიული შემადგენლობა, მძიმე ლითონების (Ba, Cd, Cu, Cr, Pb, Zn, Fe), ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) და ჯამური ორგანული ნივთიერებების (TOM) შემცველობა. სანაპიროს აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს სენსიტიურ ზონას, ვინაიდან გარკვეული ეკოლოგიური რისკის ქვეშ იმყოფება სუფსის ნავთობგადასატვირთი ტერმინალის მხრიდან. აგრეთვე, მდ. სუფსის ფსკერული ნალექები შეიძლება განვიხილოთ, როგორც წყალშემკრები აუზის ეკოლოგიური სიტუაციის ინდიკატორი. აღნიშნული აკვატორიის რეგულარული ეკოლოგიური კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ შესაძლო დაბინძურების დონე და გავრცელების ტენდენციები.</p>			
1	მიმდინარე სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

<p>პროგრამა 16. შავ ზღვაში არსებული გოგირდწყალბადის ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენების შესწავლა (2013-2014 წწ.)</p>	<p>მ.ჯიბლაძე</p>	<p>მ.ჯიბლაძე, ვ.გვახარია, ა.მიქაბერიძე, გ.ჟორჟოლიანი</p>	
<p>მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>წყალბადის ენერგეტიკის განვითარება დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან წყალბადი უნივერსალური საწვავია, რომელიც აბსოლუტურად ეკოლოგიურია და შეიძლება შეცვალოს სხვა ნებისმიერი საწვავი სითბურ ძრავებში. როგორც ცნობილია, შავი ზღვა მდიდარია გოგირდწყალბადით. ზღვის ჟანგბადისშემცველი წყლის ზედა ფენის სისქე დაახლოებით 100-150მ-ია, დანარჩენი კი გოგირდწყალბადის უსიცოცხლო ზონაა. ჩვენ მიერ დამუშავებულია შავი ზღვის სიღრმეებიდან გოგირდწყალბადის ამოღების ეფექტური მეთოდი. გამოკვლეულია ფოტოდისოციაციისა და თერმული მეთოდებით გოგირდწყალბადიდან წყალბადის გამოყოფის შესაძლებლობა. შესწავლის პროცესშია წყალბადის მიღების ეფექტური და უსაფრთხო მეთოდი. აღნიშნული საკითხის შესახებ მზადდება პუბლიკაცია.</p>			
<p>2</p>	<p>მიმდინარე სამუშაოს დასახელება</p>	<p>სამუშაოს ხელმძღვანელი</p>	<p>სამუშაოს შემსრულებლები</p>
<p>პროგრამა 17. ქ.თბილისის ტერიტორიის სხვადასხვა ზონებში ხმაურის დონეების გამოკვლევა (2013 წ.)</p>		<p>ა.მიქაბერიძე</p>	<p>ა.მიქაბერიძე, ვ.გვახარია, მ.ჯიბლაძე, ტ.ადამია, გ.ჟორჟოლიანი</p>
<p>მიმდინარე კვლევითი სამუშაოს ეტაპის შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>ხმაური შედის ყველაზე უფრო აქტუალურ ეკოლოგიურ პრობლემათა სამეულში. ხმაურის დონის გაზრდით გამოწვეული ზეგავლენის შედეგი გამოიხატება სხვადასხვა ნერვულ დაავადებებში. ხმაურის დონის შემცირების პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი მიმართულება არის ქალაქის ტერიტორიის ხმაურის რეჟიმის შესწავლა და ქალაქში ხმაურის დონის მუდმივი კონტროლის ორგანიზაცია, რისთვისაც საჭიროა ქ. თბილისისათვის და ასევე საქართველოს სხვა დიდი ქალაქებისათვის ხმაურის რუკების შედგენა. წარმოდგენილი კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი ხდება “კომპენსაციური” ხასიათის ზომების მიღება და ქალაქის ხმაურის მანქანების ზენორმატიული დონის ზონებში სპეციალური ხმაურდამცავი ღონისძიებების შემუშავება. მაღალი აკუსტიკური ხმაურის დონის ადგილების განსაზღვრის მიზნით, შესწავლილია ი.ჭავჭავაძის გამზირის, ზ.ფალიაშვილის, ი.აბაშიძისა და მ.თამარაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიების ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურით დაბინძურება. არჩეულ საკონტროლო წერტილებში ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის საფუძველზე, გამოთვლილია ბგერის დონის მნიშვნელობები, ჩატარებულია გაზომვები ხმაურის დონის დასადგენად. გამოვლენილია ადგილები, სადაც ხმაურის დონის მიღებული მნიშვნელობები აღემატება სანიტარული ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ სიდიდეებს. აღნიშნული საკითხის შესახებ მზადდება პუბლიკაცია.</p>			

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	დასრულებული პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
<p>1</p>				
<p>დასრულებული პროექტის შედეგები (ანოტაცია)</p>				

IV პუბლიკაციები:**1) საქართველოში**

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

2) უცხოეთში

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები				

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**1) ადგილობრივი**

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მომხსენებათა ანოტაციები			

2) საერთაშორისო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
მომხსენებათა ანოტაციები			

ინსტიტუტის დირექტორი

გეოლ.-მინ.მეცნიერებათა დოქტორი თამარ წუწუნავა

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიკოსი ე. გამყრელიძე